საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

შემდგენელი – იზაბელა ქობალავა

რედაქტორი – გუჩა კვარაცხელია

სარედაქციო კოლეგია – ზურაბ აბაშიძე, ავთანდილ არაბული, შუქია აფრიდონიძე, †გენადი ბურჭულაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ნანა ლოლაძე (პასუხისმგებელი მდივანი), †ზურაბ სარჯველაძე, ავთანდილ საყვარელიძე, ვალერი სილოგავა, მიხეილ ქავთარია.

ენციკლოპედიის ძირითადი სამუშაო ჯგუფი:
ირინე აბაშიძე, ნოდარ გიოშვილი, თამაზ დვალი, მარინე თუშიშვილი, ოთარ ლაბაძე, მთვარისა სილაგაძე, შორენა ანჯაფარიძე, თამარ დოლიძე, მანანა მაკალათია, რუსუდან ფოფხაძე, ნელი ქაფიანიძე.

მხატვრობა – ელენე მაჭავარიანი, შოთა ნიორაძე
ტექ. რედაქტორი – დავით ნიორაძე
კორექტორები – ლეილა საათაშვილი, ნანა მექვაბიშვილი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
დაკაბადონება – კარინა ხარაზიშვილი.
ოპერატორები – იზოლდა მოსიძე, ნანა გიორგაძე, ციალა ხითაროვა.

ISBN 978-99928-20-34-6

ქართული ენა

ენციკლოპედია



ენციკლოპედია „ქართული ენის“ გამოცემა შესაძლებელი გახდა თიბისი ბანკისა და მისი ხელმძღვანელის ბატონ მამუკა ხაზარაძის ფინანსური მხარდაჭერით.

ქართული ენციკლოპედიის *ირაკლი აბაშიძის სახელობის*
მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ქართული ენციკლოპედიის რედაქცია მუდმივი და უანგარო მხარდაჭერისათვის გულღრფელ მადლობას მოახსენებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს „ქართუ“.

რედაქცია მადლობას უხდის
ბატონ თეიმურაზ ჭიჭინაძეს თანადგომისათვის

ქართული ენციკლოპედიის *ირაკლი აბაშიძის სახელობის*
მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ქართული ენა“ არის ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი გამოცემა. იგი პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედიაა, რომლის შექმნის აუცილებლობა დრომ განაპირობა. ზოგადად, ენციკლოპედია ერის ერთგვარი პასპორტია, მისი კულტურისა და განათლების დონის გამოხატულება. წინამდებარე ენციკლოპედიაც ქართული ენის ისტორიის, მისი განვითარების ეტაპების (ძველი დროიდან თანამედროვე ქართულის ჩათვლით), ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების, ამ დარგში ქართველ მეცნიერთა და უცხოელ ქართველოლოგთა მიღწევების ამსახველი გამოცემაა. ამდენად, ძალზე დიდია მისი მნიშვნელობა ქართული ჰუმანიტარულ მეცნიერებისათვის. „ქართული ენა“ გამორჩეული იქნება იმ მხრივაც, რომ ამ გამოცემით ისარგებლებენ როგორც სპეციალისტები, ისე ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველების ფართო წრე.

ამ უნიკალური გამოცემის მომზადებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ჰუმანიტარულმა დაწესებულებამ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ისტორიის ინსტიტუტი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მეცნიერთა ფართო წრემ. ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციაში შემოსული მასალა დამუშავდა ენისა და ლიტერატურის რედაქციაში; დიდი მუშაობა გასწიეს სამეცნიერო და სალიტერატურო კონტროლის, სიტყვანისა და ბიბლიოგრაფიის რედაქციის თანამშრომლებმა, კორექტორებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფებმა. რედაქციამ გაითვალისწინა ქართული ენციკლოპედიური და საცნობარო ლიტერატურის მომზადების სამეცნიერო-მეთოდური ტრადიცია.

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის
სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციისაგან

ენციკლოპედია „ქართული ენის“ შექმნის ინიციატივა ეკუთვნის აკად. ბ. ჯორბენაძეს. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიგეგმა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ერთობლივი პროექტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. ჯორბენაძის გარდაცვალების გამო (1993) ეს იდეა არ განხორციელებულა. 90-იანი წლების ბოლოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის იმდროინდელი დირექტორის გ. კვარაცხელიას გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ენციკლოპედია (ხელმძღვ. პროფ. ი. ქობალავა, ჯგუფის წევრები: მ. გიორგაძე, მ. კერესელიძე, ც. კვანტალიანი, მ. კიკონიშვილი, ი. ლაბაძე, ნ. ლოლაძე, რ. ჭურღულია, მ. სეხნიაშვილი, ი. სეხნიაშვილი, ნ. ურთაშვილი).

ენციკლოპედიაში მოცემულია სისტემური ცოდნა ქართული ენის შესახებ. გამოცემა ასახავს ქართული ენის შესწავლის თანამედროვე დონეს. მასში სრულად არის წარმოდგენილი მასალა ქართული და სხვა ქართველური ენების ფონეტიკურ-ფონოლოგიური, გრამატიკული, ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის, ქართული ენის დიალექტების შესახებ. საკითხები განხილულია ზოგადტიპოლოგიურ კონტექსტში. ასახულია ის პრობლემატიკა, რომელიც ამ საკითხთა კვლევისას წამოიჭრება, როგორც ზოგადად, ისე, საკუთრივ, ქართველოლოგიაში.

ენციკლოპედიაში შესულია ცნობები კავკასიური ენების, აგრეთვე იმ ენების შესახებ, რომლებსაც ისტორიულად საქართველოსთან კულტურული ან სხვა სახის კონტაქტი ჰქონდათ. მასში თავმოყრილია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და ფუნქციონირების მრავალმხრივი ასპექტების ამსახველი მასალა, რომელშიც გაშუქებულია სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორია და ამჟამად არსებული ვითარება. იბეჭდება ცნობები როგორც კომისიების, ისე იმ საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ღვაწლმოსილი პიროვნებების შესახებ, რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ენის სიწმინდის დაცვაში.

ენციკლოპედიაში სრულად არის წარმოდგენილი ცნობები ქართული მწიგნობრობის კერების შესახებ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სპეციალური სტატიები ეძღვნება იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართული ენის წინაშე მისი გამდიდრებისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

წიგნში ვრცლად არის წარმოდგენილი ქართული ენის შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. მოცემულია ცნობები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სასწავლო დაწესებულებათა ქართული ენის კათედრების საქმიანობის შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველოლოგიაში მოღვაწე ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერებს.

წარმოდგენილია ცნობები ქართული დამწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების შესახებ. მასში ასახულია როგორც ეპიგრაფიკული, ისე ხელნაწერი ძეგლები, რომლებიც შემონახულია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ზოგიერთი ცნობა და ილუსტრაცია ამ გამოცემით გახდება ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის.

შერჩეულმა მასალამ განსაზღვრა ენციკლოპედიის სპეციფიკა. ლინგვისტური ინფორმაციის უფრო კომპაქტურად წარმოდგენის მიზნით

გვარეობრივ ცნებებს დამოუკიდებელი სტატიები აქვს დათმობილი, ხოლო ცალკეული სახეობრივი ტერმინები განხილულია უფრო ფართო პრობლემების კონტექსტში და მათი დეფინიცია მოცემულია განმაზოგადებელ სტატიაში.

ენციკლოპედიის შექმნაში მონაწილეობა მიიღო მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა. ამ გამოცემაში წარმოდგენილია ქართული ენათმეცნიერული სკოლის მთელი სპექტრი, რამაც განსაზღვრა სტატიების არაერთგვაროვნება და მრაფალფეროვნებაც. მადლობას ვუძღვნით სტატიების ავტორებს და ყველა იმ პირს, რომელთაც საკუთარი წვლილი შეიტანეს „ქართული ენის“ გამოსაცემად მომზადებაში.

ენციკლოპედია „ქართული ენა“ ამ ტიპის პირველი გამოცემაა და, ბუნებრივია, დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან. ამიტომ დიდი მადლიერებით მივიღებთ მკითხველთა ყველა შენიშვნას. ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი სათანადო ადგილს დაიკავებს იმ გამოცემათა შორის, რომლებიც ქართულ ენასა და ზოგადად ქართულ კულტურას ეძღვნება.

სარედაქციო კოლეგიისაგან

ქართული ანბანი

1	2	3	4	5
Ⴀ	ⴀ	ა	a	1
Ⴁ	ⴁ	ბ	b	2
Ⴂ	ⴂ	გ	g	3
Ⴃ	ⴃ	დ	d	4
Ⴄ	ⴄ	ე	e	5
Ⴅ	ⴅ	ვ	v	6
Ⴆ	ⴆ	ზ	z	7
Ⴇ	ⴇ	ჱ	ē	8
Ⴈ	ⴈ	თ	t	9
Ⴉ	ⴉ	ი	i	10
Ⴊ	ⴊ	კ	k̩	20
Ⴋ	ⴋ	ლ	l	30
Ⴌ	ⴌ	მ	m	40
Ⴍ	ⴍ	ნ	n	50
Ⴎ	ⴎ	ჲ	j	60
Ⴏ	ⴏ	ო	o	70
Ⴐ	ⴐ	პ	p̩	80
Ⴑ	ⴑ	ჟ	ž	90
Ⴒ	ⴒ	რ	r	100

1	2	3	4	5
Ⴓ	ⴓ	ს	s	200
Ⴔ	ⴔ	ტ	ṭ	300
Ⴕ	ⴕ	ჳ	y	
Ⴖ	ⴖ	უ	u	400
Ⴗ	ⴗ	ფ	p	500
Ⴘ	ⴘ	ქ	k	600
Ⴙ	ⴙ	ღ	ɣ	700
Ⴚ	ⴚ	ყ	q̣	800
Ⴛ	ⴛ	შ	š	900
Ⴜ	ⴜ	ჩ	č	1000
Ⴝ	ⴝ	ც	c	2000
Ⴞ	ⴞ	ძ	ʒ	3000
Ⴟ	ⴟ	წ	ç	4000
Ⴠ	ⴠ	ჭ	č̣	5000
Ⴡ	ⴡ	ხ	x	6000
Ⴢ	ⴢ	ჴ	q	7000
Ⴣ	ⴣ	ჯ	ǯ	8000
Ⴤ	ⴤ	ჰ	h	9000
Ⴥ	ⴥ	ჵ	ɔ	10000



ა, ქართული ანბანის პირველი ასო. მისი სახელია „ანი“; გრაფ. სიმბოლო შუა რიგის დაბალი აწულობის ღია ხმოვანი ფონემისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴀ. მისი მოხაზულობა პორიზონტალისა და მარჯვნივ გახსნილი წრის კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური ⴀ კუთხოვანი ფორმისაა და ოდნავ მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხური ⴀ და მხედრული ა ოთხკუთხოვანი სისტემის შუა ორ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ერთს (1), ახ. ქართულში ჩამოთვლისას (ანბანური რიგის მიხედვით) აღნიშნავს პირველს. ციფრობრივი ნუმერაციის დროს გამოიყენება ერთი და იმავე ნიშნით აღნიშნული რამდენიმე საგნის, პუნქტის... განსასხვავებლად: მეხუთე პუნქტის ა მუხლი.

აბაევი ვასილ ივანეს ძე [22. XII. 1899 (3. I. 1900), სოფ. კობი, ყაზბეგის რ-ნი, – 14. I. 2001, მოსკოვი], ოსი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1969), ჩრდ. ოსეთისა (1957) და საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). დაწყებითი განათლება მიიღო კობში, შემდეგ სწავლობდა თბილ. კლასიკურ გიმნასიაში (1910– 18). დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტი (1925). 1928–30 მუშაობდა თბილისში, სსრკ მეცნ. აკად. კავკ. ისტ. და არქეოლ. ინ-ტში, II მსოფლიო ომის წლებში – ცხინვალისა და ელადიკაევკასის სამეცნ.-კვლევით ინ-ტებში. სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა სსრკ (შემდეგში რუსეთის) მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტში. ა-ის ნაშრომებს (რუს. ენაზე) „ნართების ეპოსი“ (1945), „ოსური ენა და ფოლკლორი“ (1949), „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ტ. 1–4, ლ., 1958–79; 1981 სსრკ სახელმწ. პრემია) დიდი მნიშვნელობა აქვს ირან. ენათა კვლევის, ქართ.-კავკ. და ირან. ენათა კონტაქტების შესწავლის, აგრეთვე კავკ. ხალხთა ეთნოგრ. და ფოლკლორის საერთო ელემენტების კვლევისათვის. ქართ. ენისა და ლიტ-რის კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა მისი სტატიები (რუს. ენაზე): „არმაზის ბილინგვის გარშემო“ («Мысль», 1944, ტ. 5, № 8), „შოთა რუსთაველის პოემის «ვეფხისტყაოსნის» ფოლკლორული საფუძვლების შესახებ“ («Известия АН СССР. ОЛЯ», М., 1966, т. 25, вып. 4), „პოემა «ვეფხისტყაოსნის» ირგვლივ“ («თსუ შრომები», 1967, ტ. 118, სერია 6); „სოგი ოსური ელემენტის შესახებ ქართულ ენაში“ («Труды Ин-та языкознания АН СССР», 1956, т. 6).

ლიტ.: **ბურჯულაძე გ.** კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი. – «ბურჯი ერიუნებისა», 2001. №5; **Исаев М. И.**, Васо Абаев, Владикавказ, 1980. *მ. ანდრონიკაშვილი.*

აბასთუმნის ვარჟერა (VI ს. შუა ხანები), ქართული ასომთავრული წარწერა, შესრულებული რელიეფური ასოებით ქვის ორ ფილაზე, რ-ებიც ქვაჯერის კვარცხლბეკის ორი სხვადასხვა გვერდითი კიდის ჩამონაჭერია. ე. თაყაიშვილის ცნობით, აღმოჩენილია XX ს. დასაწყისში (არა უგვიანეს 1905) აბასთუმანთან, მდ-ების კურცხანისა და აბასთუმნის წყლის შესართავთან, ეკლესიის ნანგრევის პირდაპირ. როგორც ჩანს, კვარცხლბეკს წარწერიანი კიდეები ჩამოაჭრეს, რომ თბილისში ადვილად ჩამოეტანათ. ამჟამად ინახება საქართვ. მუზეუმში. პირველ ფილაზე (28x64,5x9,5 *სმ*) გამოქანდაკებულია 6, ხოლო მეორეზე (27x43x10 *სმ*) – 5 სტრიქონი. დასაწყისში ტექსტი, სადაც ჯვრის აღმმართველის სახელი იყო აღნიშნული, გადათლილ-დაზიანებულია (როგორც ჩანს საგანგებოდ). წარწერის ცალკეული ადგილები განსხვავებულად იკითხება. მთელი ტექსტის წაკითხვის ერთი ვარიანტი ასეთია:

„† [სახელითა ღმრთისაჲთა]. ჲესტინიანე მეფისა [ზე, მე, ესა და ეს ვიქმენ, გან]დგულებული ნათესავთ[ა შორის], ბრძანებითა ღმრთივ-დაცულისა მამფლისა არშუშა პატრიკისაჲთა და ნებითა ღმრთისაჲთა ქართველთა ერისმთავრისა, ქრისპეპოლს ციხისთავობასა მიწევნულ ვიყავ. და აღვუმართე პა-



აბასთუმნის წარწერა. VI ს. შუა ხანები (პირველი ფილა).

ტიოსანი ჯუარი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა, სალოცველად ჩემდა და ძმათა ჩემთა, მოხებისათჳს ყოველისა ჭირისა ამას საწუთროსა და საუკუნოსა. და ვინ აღმოიკითხოს, ლოცვასა მომიჴსენეთ“.

სხვადასხვა მკვლევარი წარწერას სხვადასხვაგვარად ათარიღებს: VII ს. (ე. თაყაიშვილი), VII ს. ან VIII ს. I ნახ. (ს. კაკაბაძე), VI ს. (ა. ბაქრაძე, თ. ბარნაველი), 685–711 (იუსტინიანე II-ის ზეობა – ნ. შოშიაშვილი). წარწერა თარიღდება პალეოგრაფიული ნიშნების და ტექსტში დასახელებული ისტ. პირების მიხედვით. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, პალეოგრაფიულად წარწერა ძალიან ძველია – V–VII სს. ტექსტში დასახელებული მამფალი არშუშა პატრიკი, რიც ქართველთა ერისმთავრადაც იწოდება, ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა მიიჩნია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ დასახელებულ ქართლის მარზპან არშუშად, რაც სწორი უნდა იყოს. მას პატრიკის (პატრიკიოსის) ბიზანტ. ტიტულიც ჰქონია. კ. კეკელიძის მოსაზრებით, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ მოთხრობილი ამბავი განეკუთვნება ირანის შაჰის ხოსრო I ანუშირვანის (531–579) მეფობის დროს, ე. ი. მამფალი არშუშა პატრიკიოსიც მისი თანამედროვეა. მაშინ წარწერის დასაწყისში დასახელებული ევსტინიანე, რ-ის ზეობითაც თარიღდება ჯვრის აღმართვა, არის ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I დიდი (527– 565) და არა იუსტინიანე II (685–695, 705–711). ამიტომ, ორი დასახელებული მმართველის მეფობის წლების თანხვედრის მიხედვით, ა. წ. 531–565 თარიღდება.

ა. წ. მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ მონაცემებს შეიცავს. იგი ამ მხრივ საგანგებოდაა შესასწავლი. წარწერაში დასტურდება, აგრეთვე, საინტერესო ენობრივი ფაქტები: ი-ის ნაცვლად ჲით დაწერება საკუთარი სახელისა („ჲვსტინიანე“). ეს მოვლენა ქართ. წერილობით ძეგლებში განსაკუთრებით გავრცელებულია X–XI სს-ში, თუმცა გვაქვს ადრეული მაგალითებიც („ჲესე“, ბალიჭის წარწერა, VII ს.); „განდჳდებული“, სადაც ჯ მოულოდნელია (თუ ეს წაკითხვა სწორია). როგორც ჩანს, ქრისტეპოლის ციხე იგივე სამცხის ოქროს ციხეა, რ-ის სახელი წარწერაში ბერძნ.-ბიზანტ. ფორმითაა გადმოცემული (უფრო სწორი იქნებოდა ხრუსოპოლი). წარწერის ეს მონაცემი მნიშვნელოვანია ქართ. გარემოში ბიზანტ. ბერძნულის გამოთქმის შესასწავლად. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქართ. წერილობით ძეგლებში პირველად ამ წარწერაში დასტურდება ლიგატურები: პ და ტ – ორგზის („პატრიკისა“, „პატიოსანი“), ვ და ნ („ვინ“ – ტექსტის ბოლოს).

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. – «საისტორიო მოამბე», წგ. I, ტფ., 1924; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის გამოცემა, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1953; ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი თ., აბასთუმნის ერთი წარწერის შესახებ, «მაცნე», 1969, № 5; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. 2, Тфл., 1906.

ვ. სილოგავა.

აბელიის წარწერა (XIII ს. შუა ხანები), ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი სოფ. აბელიის (თეთრი წყაროს რ-ნი) ეკლესიის სამხრ. კედლის სამ დიდ ქვაზე 23 სტრიქონად:

„† ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დაჳით და დაჳით, დედოფალი თამარ-ხათუნ და ძე მათი. გიორგი, რომელთა წყალობითა ღირს ვიქმენ აღშენებად ეკლესიისა ამის, სამლოცველოდ მეფობისა მათისა, მე, გლახაკი არსენ მშუდაჲსძე, მანგლელი მთავარეპისკოპოსი. და საჭსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა ანდრიასა და მშობელთა და ძმათა და ყოველთა მიცვალებულთა ჩუენთათჳს; გარწმუნოს ღმერთმან.

ვინცა პრახოთ ჭირით და ღუდუნებით ნამუშაკევი ჩუენი, შენდობაჲ ბრძანეთ, რაჲთა ღმერთმან თქუენცა მოგანიჭოს სასყიდელი შრომათაჲ აქა და საუკუნესა, ამინ.

მას ჟამსა ჭელ-ეყავ შენებად, ოდეს თათართა დაეპყრა ესე სამეფო და ყოველი ქუეყანაჲ. ძალით და შრომით შეემართებოდა ჩემებრ გლახაკისა და არაჲს მქონებელისაგან, გარნა პატრონთა წყალობითა ჭელეყავ.

და ვისიცა რა სხუსა სალოცავი წაგებულა ამისსა შენებასა, მასცა ღმერთმან სასუფეველი მიანიჭოს და მაშენებელთაც და რაჲცა ვინ მოაჭირვა, ყოველთა შეუნდეს ღმერთმან, ამინ“.

ტექსტის დასაწყისში მოხსენიებული არიან საქართველოს მეფენი დავით VI ნარინი (1245/47–93) და დავით VII ულუ (1247–70), რებიც 1247–59 წლებში თანამეფობდნენ. წარწერაც ამ დროს უნდა იყოს შესრულებული, რადგან ტექსტში მათი თანამეფობაა ასახული. გარდა მეფეებისა, იხსენიებიან აგრეთვე სამეფო ოჯახის წევრები – დედოფალი თამარ-ხათუნი, რ-იც დავით ულუს პირველი მეუღლე (მონღოლთა ნოინის ასული ჯიგთა – ხათუნი) იყო, და მათი ძე, 1268 გარდაცვლილი ბატონიშვილი გიორგი.

მანგლელი მთავარეპისკოპოსი არსენ მშუდაჲსძე წარწერის ტექსტში აღნიშნავს, რომ აბელიის ეკ-

ლესია აუშენებია თავისი და თავისი ახლობლების სულის მოსახსენიებლად.

ტექსტში დასახელებული „თათრები" მონღოლები არიან. წარწერიდან კარგად ჩანს მონღოლთა ბატონობის დროინდელი ეკონ. სიდუხჭირეც.

წარწერის ავტორი და ეკლესიის ამშენებელი არსენ მანგლელი თავისი დროის ცნობილი მწიგნობარი და გაელენიანი პირი ყოფილა. ამას მოწმობს 1247–50 მისი ერცელი ხელრთულობა საბუთ'ზე (ანდერძ'ზე), რ-იც გრიგოლ სურამელმა (იმ დროის საქართვ. მმართველი) გასცა შიომღვიმის მონასტრის სახელზე. აქ არსენი ერთერთია იმდროინდელ უმაღლეს სწერო და სას. პირებს შორის, ვინც ამ საბუთს ამტკიცებს. არსენის ეს ხელრთულობა საინტერესო და მნიშვნელოვანია იმით, რომ კრულობით ნაწილში იგი იმოწმებს ხუთ პატრიარქს, რ-თა შორის იგულისხმება ქართლის კათალიკოს-პატრიარქი კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის პატრიარქებთან ერთად.



ლიტ.: გ ო მ ე ლ ა უ რ ი ო., ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ აბელიაში. – «მაცნე», 1968, №1; ო თ ხ მ უ ზ უ რ ი გ., XII–XIII სს. მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981; ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., ჯ ი ჭ ი ნ ა ძ ე ი., ალგეთი, თბ., 1985; ს ი ლ ო გ ა ვ ა ე., ქვემო ქართლის წარწერები (მოძღვ მიმოხილვა). – კრ.: «დმანისი», II, თბ., 2000; Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. 2, Тфл., 1906.

ე. სილოგავა.

აბეცედარიუმი, ტრადიციული რიგის მიხედვით თანამიმდევრულად ჩამოწერილი ასოები, ანბანი (ტერმინი შექმნილია ლათ. ანბანის პირველი ასოების სახელწოდებათა – a-be-ce-de-ს მისკლეით. ცნობილია ლურსმული, ეტრუსკული, ებრ., ბერძნ., ლათ., გლაგოლიცური, კირილიცური, სომხ., ქართ. და სხვ. ა-ები. ცნობილია როგორც სრული, ისე არასრული სახით: გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით.

უძველესად ითვლება ძ. წ. XIV ს-ით დათარიღებული ე. წ. უგარითული ა., შესრულებული ლურსმული დამწერლობით თიხის პატარა ფირფიტა'ზე – ამულეტ'ზე, რ-საც მაგიური დანიშნულება ჰქონდა (ავი თვალისაგან, ბოროტისაგან დასაცავად). ყასწაელო დანიშნულებისა ჩანს უძველესი (ძ. წ. დაახლ. 700) ეტრუსკული ა., ე. წ. მარსილიანის ანბანი, ამოკვეთილი სპილოს ძვლის ოთხკუთხა დაფის ნარჩო'ზე (გამორიცხული არ არის, რომ მას მაგიური დანიშნულებაც ჰქონოდა). წინაქრისტ. ხანაში ანბანისათვის მაგიური მნიშვნელობის მინიჭების ტრადიცია ქრისტ. ეპოქაშიც გადმოვიდა.



აბეცედარიუმი სოფ. აცის (ზემო სვანეთი) მთავარანგელოზთა ეკლესიის კედელ'ზე. XIII ს.

აბელიის წარწერა. XIII ს. შუა ხანები.



აბეცედარიუში დავითის ქვასეტზე. IX ს.



ევროპაში გავრცელებული წესით, ახალაშენებული ტაძრის კურთხევის დროს მის იატაკზე ან კედლებზე ბერძნ. ან ლათ. ანბანი იწერებოდა (იკაწრებოდა) ნაგებობისათვის სიმტკიცის მისანიჭებლად. ამის უშუალო დადასტურებას ეხებიან საღვთო წერილშიც, საღაც ღმერთი განსაზღვრულია სწორედ ანბანის ნიშნების მიხედვით („მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“, გამოცხ., 22, 13). სასწაველო დანიშნულება ჰქონდა ფიცრის პატარა ნაჭრებზე, არყის ხის ქერქის ფურცლებზე („ბერესტები“), კერამ. ჭურჭლის ნატეხებზე, ხელნაწერი ფურცლების აშიებზე და სხვ. ამოკვეთილ, ამოკაწრულ ან მიწერილ ა-ებს. წერაში სავარჯიშოდ, კალმის შესამოწმებლად, ხელწერის გასასინჯავად შესრულებული ა-ების ნაწილი მიწერილია ხელნაწერი წიგნების ფურცლების აშიებსა და ძირითადი ტექსტისაგან თავისუფალ გვერდებზე, ყდის შიდა მხარეს, მის საცავ ფურცლებზე და ა. შ. ზოგჯერ ამავე მიზნით შეიძლება იყოს ამოკაწრული ანბანის პირველი ასოები კედლის შელესილობაზე მთავარი ტექსტის ამოკაწერის დაწყებამდე.

საქართველოში, საკუთრივ ქართ. ა-ების გარდა, ცნობილია ებრ. ა-იც, რ-იც ჩართულია ოქროს ფირფიტის ამულეტზე ამოკაწრული მაგიური და ისტ. ცნობების შემცველ ტექსტებს შორის; თარიღდება V–VI სს-ით (კ. წერეთელი).

ქართ. ა-ები შესრულებულია დამწერლობის სამიეე სახეობით – *ასომთაერულით, ნუსხურითა* და *მხედრულით*. ასომთაერული ა-ის უძველესი ცნობილი ნიმუშია დავითის ქვასვეტის ა. იგი ამოკაწრულია ქვასვეტის ერთ-ერთი რელიეფური კომპოზიციის – ჯვრის ამაღლების სცენაში, მთავარანგელოზებს შორის ქვის თავისუფალ ზედაპირზე და შეიცავს 37 ასო-ნიშანს. ქვასვეტი აღმოჩენილია 1984–85 დუშეთის რ-ნის სოფ. დავითის ღმრთისმშობლის ეკლესიის არქეოლ. გათხრების დროს. ა-ის წერილი კაწრით შესრულებული პატარა ნომის ასოები, ჩანს, აქაც მაგიური დანიშნულებისაა: სალოცავად მისულმა პირმა ქვასვეტის სხვა ნაკაწრ წარწერებს შორის ამოკაწრა ანბანიც – იგი თვალისაგან დასაცავად, ან სხვა პირის დასალოცად, დასაწყევლად თუ ხატზე გადასაცემად. დავითის ქვასვეტი V–VI სს-ით თარიღდება, ხოლო მასზე ამოკაწრული ანბანი პალეოგრაფიული ნიშნებით IX–X სს-ისაა. არსებობს მოსაზრებაც, რომ დავითის ქვასვეტზე ჯვრის ამაღლების კომპოზიციაში ქართ. ანბანი ამოკაწრულია მისი განდიდების მიზნით და მასში კოდირებულია ქართ. ანბანის შექმნის თარიღი – ძვ. წ. 285–284 (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე).



აბეცედარიუში მრავალწყაროს მონასტრის (დავითგარეჯი) ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის კედელზე. XI ს.

უძველესი ქართ. ა-ის მნიშვნელოვანი ნიმუშები ამოკაწრულია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეკლესიათა ან სხვა დანიშნულების გამოქვაბულთა კედლებზე. მათ შესახებ პირველი გამოქვეყნებული ცნობა ეკუთვნის აკად. გ. ჩუბინაშვილს. მისი აზრით, ღოღოსრქის მონასტრის სატრაპეზოს კედელზე ამოკაწრული ყოფილა ქართ. ანბანი, რ-იც ს. კაკაბაძეს XIV ს-ით დაუთარიღებია. X ს. შეიდი და XIII ს. ერთი (მხედრული) ა. ამოკაწრულია დავითგარეჯის მრავალწყაროს ღმრთისმშობლის შობის პატარა გამოქვაბული ეკლესიის კედლებზე. X ს. ა-ები შესრულებულია ნუსხურიდან მხედრულზე ან ასომთაერულიდან სწორ ეპიგრაფიკულ ნუსხურზე გარდამავალი დამწერლობით. მათგან სრული სახით მოღწეულია მხოლოდ სამი ა., დანარჩენი, კედლის შელესილობის ჩამოშლის გამო, ნაკლულია.

ა-ები მოიპოვება საქართვ. თითქმის ყველა ისტ. რეგიონში. ზემო სვანეთში სოფ. აცის მთავარანგელოზთა ეკლესიის დას. კედელზე ამოკაწრულია XIII ს. მხედრული ა., ქართ. ანბანის 37 ასო-ნიშნით. ანბანის რიგს აკლია ერთი ასო: ჯ (მის ადგილას ამოკაწრულია უ). მნიშვნელოვანია XI–XV სს. ქართ. მხედრული ანბანის შედგენილო-

ბის გასარკვევად. ითვლება, რომ მხედრულ ანბანს, ნუსხურისაგან განსხვავებით, თავიდანვე აკლდა სამი ასო: ⴡ, ⴢ, ⴥ, მაგრამ შემდეგ ამ ასოებისთვისაც შემუშავდა მხედრული სახეები: ჱ, ჲ, ჵ (ა. შანიძე). აცის ა-ში წარმოდგენილია ყველა ეს ასო. ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის კედელზე ამოკაწრულია XIV–XV სს. ნუსხური არასრული (ანი-დან ქან-ის ჩათვლით) ხელმოწერილი ა. დასაწყისში ა-ის შემსრულებელს შემდეგი ტექსტი ამოუკაწრავს: „წმიდაო მთავარანგელოზნი(!), შეიწყალე და აცხონე ამის მწერელი(!) გიორგი, ამენ, უფალო, კირიალეისონ". აქ ა. აშკარად მაგიური დანიშნულებისაა – იგი ამოწმებს, ამტკიცებს, ავი თვალისაგან იფარავს გიორგის და წარწერაში აღნიშნულ თხოვნას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ბეთანიის ტაძრის კედელზე მელნით შესრულებული ერთი წარწერა, რ-ის ტექსტში ა-ა ჩართული. პალეოგრაფიული ნიშნებით იგი XVIII ს-ისაა და ეკუთვნის ვინმე იოსებს. მას ტაძრის სამხრ. კედელზე ორი წარწერა გაუკეთებია. პირველში მისი სახელი მონოგრამით ხვეულადაა გადმოცემული: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოსებ". მეორე წარწერა მოთავსებულია პირველის ქვემოთ. აქ, შეწყალების ფორმულის ტექსტსა და დამწერის სახელს შორის, ჩაწერილია ასომთავრული ანბანის პირველი ასოები („ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ႺႷႢႣ იოსებ"), ცხადია, მაგიური მნიშვნელობით და ისინი შეწყალების ტექსტის შემადგენელი ნაწილია.

ხელმოწერილი ა-ის კიდევ ერთი ნიმუშია ფიტარეთის ღმრთისმშობლის ტაძრის შელესილობაზე შავი საღებავით მიწერილი XIV ს. ასომთავრული ანბანი. ანბანის რიგის დასრულების შემდეგ, ცალკე, მეოთხე სტრიქონად, იმავე მელნითა და ხელით მიწერილია: „ყლარჲონ დავწერე".

ა-ების ერთი ნაწილი ხელნაწერებზეც იმავე დანიშნულებისაა, როგორიც ეპიგრაფიკულ ძეგლებზე. ამის კარგი ნიმუშია ხელნაწერი Q-99 (XI ს.), რ-ის თითქმის ყოველ გვერდზე, ზოგჯერ ერთ გვერდზე რამდენჯერმე, გვიანდ. შუა საუკუნეებში სხვადასხვა ხელით მიწერილია ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ა-ები, რ-ებშიც ჩართულია ამ ავტორთა მოსახსენიებლები შეწყალების, დღეგრძელობის, შეწევნის, ცხონების და მისთ. თხოვნით.

ხელნაწერებზე ა-ები სასწავლო მიზნითაც სრულდებოდა. მაგ., ხელნაწერ H-1872-ის ერთ გვერდზე მოთავსებული ნუსხური ანბანის ყოველ ასოს მიწერილი აქვს მისი რიცხვითი მნიშვნელობა: „ა ერთ, ბ ორ, გ სამ, დ ოთხ,... ფ ხუთას". ასევე სასწავლო დანიშნულებისაა ის ა-ები, რ-ებიც ხელნაწერების გვერდებზეა მიწერილი კალიგრაფიული ხელით, თითოეული ასოს მკაფიო და გარკვეული მოხაზულობით.

ლიტ.: სილოგავა ვ., სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988; წერეთელი კ., მცხეთის არამეული ამულეტი. – კრ.: «მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები», ტ. II, თბ., 1996; Истрин В. А., Возникновение и развитие письма, М., 1965; Фридрих И., История письма, пер. с нем., М., 1970; Велчева Б., Абецедар, «Кирило-Методиевска енциклопедия», т. I, София, 1985; Leclerq H., Abécédarie, «Dictionnaire d'archéologie et de liturgie», publié par F. Cabrol, I, Paris, 1907, col. 45–61; Puniet P. de, Dédicace des églises, იქვე, f. IV, I partie, Paris, 1920, col. 390; Dornseiff Fr., Das Alphabet in Mystik und Magie, Leipzig–Berlin, 1925; Bonner C., Studies in Magical Amulets, Ann Arbor, 1950; Naveh J., Shaked S., Amulets and Magic Bowls. Aramaic Incantations of Late Antiquity, Jerusalem, 1985.

ვ. სილოგავა.

ᲐᲑᲖᲐᲪᲘ (გერმ. Absatz < absetzen – შეწევა), გაბმული (ხელნაწერი ან ნაბეჭდი) ტექსტის აზრობრივად შეკრული მონაკვეთი, რ-იც იწყება ახალი, მარჯვნივ შეწეული ან დაწეული (ან ორივე ერთად) სტრიქონით. გაბმულ ტექსტში ა-ს გარკვეული ფუნქციური დატვირთვა აქვს. ა-ის შინაარსის მთლიანობა ვლინდება ფრაზათშორისი (წინადადებათშორისი) კავშირებით (წინადადებებში ნახსენები ობიექტის იგივეობით, სიტყვათა სემანტიკური კავშირებით, შემასმენელთა დროში შეთანხმებით და ა. შ.). ანალოგიური კავშირი არსებობს ა-ებს შორისაც:

„როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.

ბასიანთან აზნაურებს რომ არ ეღალატნათ, იქაც ძლევედი ბასილი კეისარს, იცოდე" (კ. გამს.).

ლ. ენუქიძე.

ᲐᲑᲚᲐᲣᲢᲘ (გერმ. Ablaut – გადაბგერება), აპოფონია, ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში ფონეტიკურად განუპირობებელი ხმოვანთმონაცვლეობა, რ-საც მორფოლ. ფუნქცია აქვს. მორფოლ. ხმოვანთმონაცვლეობა წარმოშობით შეიძლება იყოს ფონეტ. ხასიათისა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოისპობა ამ მონაცვლეობის გამომწვევი მიზეზები, მან შესაძლოა შეიძინოს მორფოლ. ფუნქცია და წმინდა მორფოლ. ღირებულების ხმოვანთმონაცვლეობად იქცეს. ა. გამოყენებულია გარკვეულ მორფოლ. კატეგორიათა საწარმოებლად როგორც დამოუკიდებლად, ისე დამატებითი მორფემების (ქვემორფემების) სახით. აბლაუტური მონაცვლეობა ხშირად ავლენს მორფემათა გახმოვანების სხვადასხვა საფეხურს, რ-ებიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც განსხვავებულ მორფოლ. კატეგორიათა საწარმოებლად გამოყენებული საშუალებები.

აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობა ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ტიპის ენებში. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს იგი სემიტურ და ინდოევროპულ ენებში. ქართულში ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ე – ი (ვ-დრეკ – ვ-დრიკ-ე, ვ-გრეხ – ვ-გრიხ-ე...) ხმოვნების მონაცვლეობა (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, ჰ. ფოგტი...). სონანტთა სისტემის (იხ. *სონანტები*) რეკონსტრუქცია საშუალებას იძლევა ახლებურად იქნეს გაანალიზებული ა-ის მექანიზმი ქართველურ ენებში და, აქედან გამომდინარე, ამ ენათა სტრუქტურაც. სახელდობრ, აბლაუტური მიმართებები მიიჩნევა ქართველურ ენათა დამახასიათებელ ერთ-ერთ სტრუქტურულ თავისებურებად, მომდინარედ საერთო-ქართველური ეპოქიდან, როდესაც მორფოლ. დერივაცია არსებითად ა-ს ემყარებოდა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ქართველურ ენებში აბლაუტური მექანიზმის ყველაზე სრული სურათი შემონახულია ზმნის სისტემაში. მაგ., ძვ. ქართულში გარდამავალი უღვლილებისათვის

დამახასიათებელია დრეკადობა: ათემატური აწმყო (ფუძე სრულ საფეხურზე – ჟ-ცუმეთ) და -ე სუფიქსიანი აორისტი (ფუძე რედუქციის საფეხურზე – ჟ-ცუით-ე). გარდაუვალი ზმნის უღელილება „უნიშნო ვნებითის“ ტიპს მიჰყვება: თემატური აწმყო (ფუძე ნულ საფეხურზე – ჟ-ცუთ-ებ-ი) და ნულოვანი აორისტი (ფუძე სრულ საფეხურზე I და II პირში – *ჟ-ცუეთ, *ცუეთ; ნულ-საფეხურზე III პირში – ცუთ-ა).

სახელის სისტემაში ხმოვანთმონაცვლეობა ელინდება ძირეული და სუფიქსური მორფემების გახმოვანებაში.

ლიტ.: თოფურია ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II. – «თსუ მოამბე», 1929, ტ. 10 (იგივე, იხ. მისი: შრომები, III, თბ., 1979); ახვლედიანი გ., სოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

რ. ქურდაძე.

აბრევიატურა (იტალ. abbreviatura < ლათ. abbrevio – ვამოკლებ), 1. სიტყვების პირობითი შემოკლება წერისას (მაგ., ე. ი. – ესე იგი, ე. წ. – ეგრეთ წოდებული, იხ. – იხილე). 2. სიტყვაწარმოების თავისებური ხერხი, როდესაც სიტყვა შედგენილია შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა პირველი ასოებისაგან (აკრონიმი): „საპეს-ი“ – ზემო აეჭალის ჰიდროელექტროსადგური, „ბაერო“ – ბაერთიანებული ერების ორგანიზაცია... ან სიტყვათა ნაწილებისაგან: „უნიეცრმაღი“ – უნივერსალური მაღაზია. ასეთი აბრევიატურის ბოლო ნაწილი შეიძლება იყოს სრული სიტყვაც: სპეცკურსი, ქიმწმენდა, სტუდქალაქი, სანეპიდსადგური– გარდა ამისა, ქართულში შემოსულია მზამზარეული უცხოური აბრევიატურები, მაგ., „იუნესკო“ – ინგლ. UNESCO (United Nations Educational, Scientific and Cultural Organizations – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში); „ნატო“ – ინგლ. NATO (North Atlantic Treaty Organization – ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია); „ფიფა“ – ფრანგ. FIFA (Federation Internationale de Football Associations – ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია). ასეთი აბრევიატურები ქართულში არსებით სახელებად არიან ქცეული და იბრუნვის („იუნესკომ დიდი წვლილი შეიტანა...“, „ნატოს მონაწილეობით“...).

აბრევიატურებისაგან უნდა განვასხვაოთ წერის დროს მიღებული შემოკლებები: მაგ. < მაგალითად, უპ.ყ. < უპირველეს ყოვლისა ან კონტექსტით განპირობებული შემოკლებები: ძე. ქართ. ენა < ძველი ქართული ენა და მისთ.

მ. ჭაბაშვილი.

აბრუპტივი (<ლათ. abruptus – მოწყვეტილი, მოგლეჯილი), ერთ თანხმოვანი, რ-ის წარმოთქმისას ერთმანეთს მიბჯენილი სახმო სიმები გზას უღობავენ ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადს. თვით ეს ბგერა კი ამოსუნთქვის გარეშე, ჰაერის მხოლოდ იმ მარაგით წარმოითქმება, რ-იც სახმო სიმების ზეით, პირის ღრუშია მოქცეული. ამგვარი წარმოების გამო ამ თანხმოვნებს ხორხისეულ ექსპირაციულებს, გლოტალიზებულ ან ყელხშულებსაც უწოდებენ, აკუსტიკური ეფექტის მიხედვით კი – მკვეთრებს. სახელწოდება ა. ხაზს უსვამს მათი წარმოთქმის სისწრაფეს, „მოწყვეტით“ წარმოთქმას.

სალიტ. ქართულში ექვსი აბრუპტივია: პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ. საპირისპირო მჟღერ და ყრუ ფშვინვიერ ბგერებთან ერთად ისინი ქმნიან თანხმოვანთა სამეულებს (იხ. *თანხმოვნები*).

ა-ის არსებობა ქართ., ქართველური და ზოგი კაექ. ენის (მთის იბერიულ-კავკ. ენების, აგრეთვე სომხურის, ოსურის...) ბგერითი წყობის არსებით თავისებურებად იყო მიჩნეული. ა-ები სხვა ენებშიც დასტურდება (ჩრდ. აფრიკის, ამერიკის). ა-ებს აღადგენენ პრაინდოევროპულისთვისაც (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ზოგჯერ ა-ად ითვლება არა მხოლოდ ბაგეებთან თუ პირის ღრუში ნაწარმოები თანხმოვანი, არამედ თვით სახმო სიმებში მათი ხშვა-სკდომით მიღებული ბგერა ან ბგერის ელემენტი. ასეთია, მაგ., მეგრულში თანხმოვანი ც (ცუდე) ან მისი მსგავსი ჟღერადობის მქონე ხმოვნის დასაწყისი გერმ. სიტყვათა თავკიდურ პოზიციაში (ე. წ. ხმოვნის მაგარი შემართება: ˋaber, ˋunter).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, I, II, Тб., 1984; Ladefoged P., A Cours in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975, 2nd ed., 1982.

ზ. ჯაფარიძე.

აბსოლუტივი (< ლათ. absolutivus – დამოუკიდებელი, თვითკმარი), 1. ერგატიული წყობის ენებში გარდაუვალი ზმნის ობიექტისა და გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა; 2. ზოგ ინდოევრ. ენაში ნაზმნარი სახელის უცვლელი ფორმა. ქართ. საენათმეცნ. ლიტ-რაში – ზმნის ინფინიტიური ფორმა, რიც გამოხატავს წინადადებაში სხვა ზმნით აღნიშნული (ძირითადი) მოქმედების დამატებით მოქმედებას. ა-ის სემანტიკურ-გრამატ. სტატუსი ბუსტად დაღგენილი არ არის. ზმნის კატეგორიებიდან მას შენარჩუნებული აქვს ასპექტი და გვარი, ამოსავალი ზმნის სინტაქსური კავშირები. ა-ს სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად აკისრია და სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს გამოხატული. მაგ., რუსულში იგი გამოხატულია ზმნის განუსაზღვრელი ფორმით (Деепричастие) და აღნიშნავს მხოლოდ ერთისა და იმავე სუბიექტის მიერ ძირითად მოქმედებასთან ერთად შესრულებულ დამატებით მოქმედებას.

ა. გვხვდება იბერიულ-კავკ. ენებშიც (აფხაზურში, ლეზგიურში, უდიურში...). ქართულში ა-ს სპეც. გრამატ. ფორმა არა აქვს და გამოიხატება დამოკიდებული წინადადებაში ზმნის პირიან ფორმასთან კავშირის დართვით. ასეთი ფორმები ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. ქართულში. რა კავშირიანი ფორმებით აღნიშნული მოქმედება შეიძლება იყოს როგორც მთავარ წინადადებაში აღნიშნული მოქმედების წინმსწრები ან მომდევნო, ისე მისი თანადროული. ერთდროულობა გამოიხატება რა კავშირის დართვით ზმნის უსრულასპექტიან ფორმებზე („და იტყოდის ურთიერთას, დგეს რაჲ ტაძარსა შინა“ – ი. 11, 56; „რა ესმოდის მღერა ქმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“, შოთა რუსთ.). თანამედროვე ქართულში ერთდროულობა გამოიხატება, ჩვეულებრივ, რა კავშირის გარეშე. კავშირიანი ფორმები შედარებით იშვიათია და უმეტესად წიგნურ ხასიათს

ატარებს (მიდიოდა რა..., უარყოფს რა...). ა-ის მნიშვნელობით უფრო ხშირია *მიმდინარეობითი კონსტრუქციები.*

ლიტ.: ლომთათიძე ქ., აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები. – «იკვე», II, თბ., 1948; შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; Якобсон Р. О., Шифтеры, глагольные категории и русский глагол. – კრ.: Принципы типологического анализа языков различного строя, М., 1972; Теория функциональной грамматики. Введение. Аспектуальность. Временная локализованность. Таксис, Л., 1987.

ი. ქობალაძე.

აბულასან იობისძის წარწერა (XII ს. 80-იანი წლები), ქართული ასომთავრული წარწერა, შესრულებული ჭედურობით ეერცხლის მოოქრულ ფირფიტებზე. ფირფიტები აღმოჩენილია 1886 პ. ს. უვაროვას ხელმძღვანელობით სოფ. აჭანდარის ეკლესიის ნანგრევების გათხრისას (ყოფ. პოლტავსკოე, წებელდა). ფირფიტები წმ. ანდრია მოციქულის ხატის მოჭედილობის ფრაგმენტებია; ხატიდან მხოლოდ ეს წარწერიანი ფრაგმენტები და ჩარჩოს მოჭედილობის მცირე ნაწილებია მოღწეული. წარწერა ასეთია:

„† ჲ, ყოველად წმიდაო მოციქულო ქრისტეს ღმრთისაო ანდრია, შეიწირე [მცირე]დი ესე მსახურებაჲ ჩემგან – ერისთავთა ერისთაჲსა და მეჭურ[ჭლეთ]უხუცესისა აბულასანისაგან იობისძისა, [რომელმან ეეც]ხლითა შეეჭედე კუბოჲ ესე შენი [სალოცველად] სულისა ჩემისა და ძმათა [ჩემთა – ბასილისა] და ელიასათუის“.

აბულასანის ძმა – ბასილი იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი, რსაც თბილისის გარეუბანში (შემდეგ ცენტრი), ეერის უბანში, აუშენებია (1185–87) „ლურჯი მონასტერი“ (ვ. ბერიძე). ტაძრის ერცელ კტიტორულ საამშენებლო წარწერაში ბასილი აბულასანს მოიხსენიებს, როგორც „ერისთავთა ერისთავს“, „ქართლის ამირათა ამირას“, „რუისთუსა და შეიდთა მთეულეთთა პატრონს“; გარდა ამისა, წმ. ანდრია პირველწოდებულის ხატის წარწერაში აბულასანი მოხსენიებულია როგორც მეჭურჭლეთუხუცესი. ქველა ამ მონაცემის მიხედვით, აბულასან იობისძე XII ს. დასასრულის საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი დიდებულია. მკვლევრები სამართლიანად აიგივებენ მას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ მოხსენიებულ „ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასანთან“, რ-ის შერჩეულიც იყო თამარ მეფის პირველი ქმარი იური ანდრიას ძე, საქართველოში გიორგი რუსის სახელით ცნობილი.



აბულასან იობისძის წარწერა. XII ს. 80-იანი წლები.

როგორც ჩანს, აბულასან იობისძე და მთელი მისი ნათესაობა გადაჰყვა იმ ცნობილ პოლიტ. მოღვაწეებს, რ-იც საქართველოში დატრიალდა XII ს. ბოლოს გიორგი რუსის გაძევების გამო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აბულასან იობისძე დას. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ფეოდ. საგვარეულოს მარუშიან – მარუშისძე – ვარდანის ძე – დადიანების კიდევ ერთი შტოს – იობისძეების წარმომადგენელია (ქ. ჩხატარაიშვილი) და მათი საგვარეულო სამარხი იყო აჭანდარის ეკლესია, რ-ის ნანგრევებშიც აღმოჩნდა ხატის ფრაგმენტები.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის „ლურჯი მონასტერი“. – «ქართული ხელოვნება», ტ. 2, თბ., 1948; ქართლის ცხოვრება, ტ. 2, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959; ჩხარტიშვილი ქ., აბულასან იობისძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა. – კრ.: «საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები», VI, თბ., 1990; Уварова П. С., Христианские памятники Кавказа. «Материалы по археологии Кавказа», вып. IV. М., 1894; Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. 2, Тфл., 1906.

ვ. სილოგავა.

აბულაძე ილია ვლადიმერის ძე (24. XI. 1901, სოფ. ზემო საქარა, ზესტაფონის რ-ნი, – 9. X. 1968, თბილისი), ძვ. ქართული ენისა და მწერლობის მკვლევარი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1950), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა თსუ სიტყვიერებისა (1926) და საენათმეცნ. (1929) განყ-ბები. 1933-იდან ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. მისი ინიციატივით 1958 ჩამოყალიბდა საქართვ. მეცნ. აკად. *ხელნაწერთა ინსტიტუტი*, რ-ის დირექტორი იყო გარდაცვალებამდე. ა-ის სახელთანაა დაკავშირებული კავკ. ალბანელთა ანბანის (იხ. *ალბანური დამწერლობა*) აღმოჩენა, რ-ის შესახებ მანამდე მხოლოდ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები არსებობდა. ა-მ ძვ. მწერლობის ანალიზის საფუძველზე ცხადყო ქართ.-სომხ. ლიტ. ურთიერთობის ორმხრივი ხასიათი. მასვე ეკუთვნის ძვ. ქართ. მწერლობის მნიშვნელოვანი (ნათარგმნი თუ ორიგინალური) ძეგლების მეცნ.-კრიტ. გამოცემები: იაკობ ხუცესის „მარტყლობაჲ შუშანიკისი“, „საქმე მოციქულთა“, ასურელ მამათა „ცხოვრებანი“, „მამათა სწავლანი“, იოანე მოსხის „ლიმონარი“, ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“,



ი. აბულაძე.

გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“, ს.-ს. ორბელიანის თხზ., ტ. 4 (ლექსიკონი) და სხვ. ა-მ ორჯერ (1937, 1957) გამოსცა ძვ. ქართ. მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „სიბრძნე ბალავარისი“. მან პირველმა მოჰკიდა ხელი უძველესი ქართ. ლიტურგიკული ძეგლის *მრავალთავის* შესწავლას. მანვე შეადგინა პალეოგრაფიული ალბომი (V–XVIII სს. ნიმუშებით).

ქართ. გრამატ. ლიტ-რის შესწავლას მიეძღვნა ა-ის ნაშრომი „ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, I. ზ. შანშოვანი“ («საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», ტ. 10 B, 1940).

განსაკუთრებულია ა-ის ღვაწლი ქართ. ლექსიკის შესწავლის საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებული სტატიები გამოქვეყნებულია სერიებად: „ძველი ქართულის ლექსიკიდან“, „ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები“, „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“, „ქართულიდან სესხებული სომხური სიტყვები“ (ბოლო ორი სერიის სტატიები გამოცემულია სომხურადაც). 1973 გამოიცა ა-ის მიერ შედგენილი „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“.

თხზ.: ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX–X საუკუნეებში, თბ., 1944; ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1949 (1973); ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, თბ., 1953; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955; „ბალავარიანის“ ქართული რედაქციები, თბ., 1957; ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973; სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, თბ., 1998.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ა., პროფესორი ილია აბულაძე. – კრ.: «მრავალთავი». ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი (ეძღვნება პროფ. ილია აბულაძის ხსოვნას), I, თბ., 1971 (ახლავს ი. აბულაძის ნაბეჭდი შრომების სია); ქ უ რ ც ი კ ი ძ ე ც., დიდი ფილოლოგი. «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1982, №1.

ც. ქურციკიძე.

ადგილობითი ბრუნვები, ადგილის გამომხატველი ბრუნვის ფორმები. ბრუნვა ასეთი სახელწოდებით ქართულში არ არსებობს, მაგრამ გრამატ. ლიტ-რაში სათანადო ტერმინი იხმარებოდა მიც. ბრუნვის იმ ფუნქციის აღსანიშნავად, რ-იც ადგილზე მიუთითებს. უპასუხებდა კითხვაზე სად? ამ დანიშნულებით მიცემითი (ევრ. locativus-ის შესაბამისად) ხშირად იხმარებოდა ძვ. ქართულში. მაგ., პოვა იგი უდაბნოსა (დაბ. 16, 7); დაჰფლა ქჳშასა (გამოსლ. 2, 12); და იყო სიყმილი ძლიერი სამარიას (III მეფ. 18, 2). იშვიათად დღესაც გვხვდება: კახეთს წავიდა, ქალაქს გაემგზავრა და სხვ.

ფონეტ. ცვლილებების გაელვნით სახელთან ზოგიერთი თანდებულის მჭიდროდ შეზრდის გამო ახ. ქართულში ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის ზღვარი წაიშალა და შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ასეთი რამ მოხდა სამ ბრუნვაში: მიცემითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. ამის საფუძველზე ა. შანიძემ გამოყო სამი ახ. ბრუნვა: ს ა დ ა ო ბ ი თ ი (ქალაქში, წყალ-ზე), გ ა მ ო ს ვ ლ ი თ ი (სახლ-იდან), მ ი წ ე ვ ნ ი თ ი (ქალაქ-ამდე), რ-თაც ადგილობითი (ლ ო კ ა ლ უ რ ი) ბრუნვები უწოდა. სპეც. ლიტ-რაში ამ ფორმათა შესახებ სხვაგვარი მოსაზრებაც არსებობს.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», II, თბ., 1961.

ა. მარტიროსოვი.

ადვერბიალიზაცია (<ლათ. adverbium – ზმნისართი), გ ა ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ა, რომელიმე მეტყველების ნაწილის გამოყენება ზმნისართის მნიშვნელობით. ა. *ტრანსპოზიციის* კერძო სახეა. ზმნისართად შეიძლება გადაიქცეს ნებისმიერი სახელი: არსებითი: ა) მარტივი ფუძით („ღამე სანთლის ალზე წერდა“, გ. ლეონ.) ან ფუძის გაორკეცებით („ეზო-ეზო მიდიოდა“...); ბ) რომელიმე ბრუნვის ფორმით, რ-იც უცვლელია, გაქვავებულია („დღეს სტუმარია ეგ ჩემი“, ვაჟა-ფშავ.; „[ვერცხლის ტახტი] დღით აეილე, ღამით დაედგი“, ხალხ.; „წყრომით შემომხედა“, „შრიალით ეგებებოდა“; „[ვარსკვლავნი] მთებზე სხდებოდნენ ჯარადა“, ვაჟა-ფშავ.); ზედსართავი (მიმღეობითურთ) ვით. ბრუნვაში: („ლამაზად შეილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“, ვაჟა-ფშავ.; „განუწყვეტლად წვიმდა“...); რიცხვითი: ა) ფუძის სახით („პირველ ყმა ხარ“, შოთა რუსთ.); ბ) ფუძეზე -ჯერ, -ხელ, -გზის ნაწილაკების დართვით („ორჯერ დაბადებულს... ერთი სიკვდილი ვერას უზამს“; „სამგზის შეავედრა სული სანატრელმა“, კ. გამს.); გ) ვითარებითი ბრუნვის ფორმით („გული ორად გაყოფილა“, „მესამედ სცადა ბედი“...); ნაცვალსახელის ფუძეზე -რე ნაწილაკის დართვით (ეგრე, ის(რ)ე, ვირე...), -გან თანდებულის დამატებით (ყველგან, ზოგან, სხვაგან...), -თვის თანდებულიანი ნათესაობითით (ამისთვის, იმისთვის, მისთვის...), ვით. ბრუნვის ფორმით (იმდენად, რამდენად...).

ლიტ. იხ. სტატიასთან *ტრანსპოზიცია.*

ლ. კვანტალიანი.

ადიექტივაცია (< ლათ. adjectivum – ზედსართავი სახელი), გ ა ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ე ბ ა, რომელიმე სხვა მეტყველების ნაწილის გამოყენება ზედსართავის ფუნქციით. ა. *ტრანსპოზიციის* კერძო სახეა. ზედსართავის ფუნქციით ხშირად შეიძლება შეგვხვდეს რიცხვითი სახელი: „სიყვარულს ხომ მაინც მიუხედებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა თუნდაც ნაასალი მადლი გიორგისა არა სცხებოდა“ (ი. ჭავჭ.); პირის ნაცვალსახელი: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს“ (ი. ჭავჭ.); არსებითი სახელი: „ზღვა ხალხი გაიბნა ქუჩებში“ (დ. კლდ.); „იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული“ (ვაჟა-ფშავ.); საწყისი: „ბაბალემ ჯიბიდამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი“ (ი. ჭავჭ.).

ლიტ. იხ. სტატიასთან *ტრანსპოზიცია.*

ნ. ჭუმბურიძე.

ადიშის ოთხთავი, ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი. აღმოჩენილია სოფ. ადიშის (ზემო სვანეთი) ეკლესიაში და ამჟამად დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ხელნაწერის ანდერძში მოხსენიებული წელთაღრიცხვის სამივე (დასაბამითგანი, ქორონიკონი, ქრისტესი) სისტემის მიხედვით, გადაწერილია 897 გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ შატბერდის მონასტერში, მისი „განახლებით აღმაშენებლის“ დიდი სოფრონის დაკვეთით ვინმე მწერალ მიქაელის მიერ; მმოსველი (წიგნის ყდაში ჩამსმელი) მიქაელ დიაკონია. ხელნაწერი შესრულებულია მრგლო-



ადიშის ოთხთაეი. 897.

ვანი ხელით ეტრატზე ორ სვეტად, ზომა 30×25 *სმ*. პირველ ხუთ ფურცელზე მოთავსებულია მხატვრულ კამარებში ჩაწერილი სტიქომეტრიული ა.პარატი, სახარებათა მსგავსი აღგილების მისათითებელი, ე. წ. ევსების „ათი კანონი“. ხელნაწერში დაცულია ოთხთაეის უძველესი ქართ. თარგმანი. ის გადმოწერილია უფრო ძვ. ჰაემეტური (იხ. *ჰაემეტობა*) ტექსტის შემცველი ნუსხიდან. გადამწერ მიქაელს მისი დროისათვის ზედმეტად ქცეული II სუბიექტ. და III ობიექტ. პირების ჰ- პრეფიქსი ხმოვნების წინ საგანგებოდ ამოუღია, მაგრამ ზოგჯერ ჰ-პრეფიქსიანი ფორმები მაინც ჩარჩენილა: „თავ-ჰუყოს“, „ნუ ჰირქუამთ“, „ჰემტერა“, „ჰუცევს“, „ჰუეტყოდე“, „ჰეეყდრებოდეს“ და სხვ. ა. ო. რედაქციულად განკერძოებით დგას სხეა ოპისური ტიპის ძვ. ოთხთაეების ხელნაწერთაგან. გამონაკლისია ლუკას სახარების ნაწილი, რ-იც, ჩანს, ჰაემეტური ნუსხის ნაკლულობის გამო ამ მონაკვეთში გადამწერს ოპისური რედაქციის ხელნაწერიდან გადაუწერია და მით შეუვსია. XV ს. II ნახ-ში ა. ო. გურიის ჯუმათის მონასტრის ყოფილ წინამძღვარს ნიკოლაოსს სხეა ხელნაწერებთან ერთად წამოუღია, მაგრამ ხელნაწერი გურიაში დიდხანს აღარ დაუტოეებიათ და აუტანიათ სეანეთში, რასაც ადასტურებს XVI–XVII სს. ნუსხური და მხედრული მინაწერები. მინაწერებს ატყვია სვანური ენის გაელენა: კბილბაგისმიერი ვ-ს ადგილას ხშირად ნახმარია სეანურისათვის დამახასიათებელი ბილაბიალური უმარცელო უ (მთაუარ მოწამე, თაუსდებობითა, უნებისა, კურიაკესა...), ერთგან ნახსენებია სეანი იოანე მუბეჭვანიც (ე. ი. ბეჩოელი).

პირველი ცნობა ა. ო-ზე ეკუთვნის ი. ბარტოლომეის, შემდეგი კი – ბ. ნიჟარაძეს (თაეისუფალ სვანს), პ. უვაროვას, ა. ხახანაშვილს, ე. თაყაიშვილს, ა. შანიძეს და სხვ. 1910 ე. თაყაიშვილის ექსპედიციის დროს დ. ერმაკოემა გადაიღო ა. ო-ის ყველა გვერდის ფოტოპირი (200 ტაბულა), რის საფუძველზეც მოსკოეის საარქეოლოგიო საზ-ბამ გამოსცა ფოტოტიპური აღბომი ე. თაყაიშვილის ერცელი გამოკვლეეითურთ (სერიაში «Материалы по археологии Кавказа», вып. XIV, 1916). ამ გამოცემის საფუძველზე ა. ო. (ოპისისა და ტბეთის ხელნაწერი ვარიანტებითა და ლათ. თარგმანით) გამოსცა ჰარვარდის უნტის პროფ. რ. ბლეიკმა: მარკოზის თავი – 1928, მათეს თავი – 1933, იოანეს თავი – (მ. ბრიერთან ერთად) 1950 და ლუკას თავი – (გამოსცა მ. ბრიერმა) 1955. ა. ო-ის კრიტ. ტექსტი ჯრუჭისა და პარხლის ოთხთაეების პარალელურად გამოსცა ა. შანიძემ („ქართული ოთხთაეის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“, თბ., 1945). ა. ო. საყურადღებოა როგორც გრამატიკული, განსაკუთრებით სინტაქსური, სტრუქტურით, ასეეე ლექსიკურ-ტერმინოლოგიური, დიალექტიზმებისა და უცხოენოვანი ელემენტების თვალსაზრისით. შესწაელილია ტექსტის სხვადასხეა მხარე: რედაქციული რაობა (ი. იმნაიშვილი, ს. სერებრიაკოეი), დიალექტიზმები (თ. გონიაშვილი), ბერძნიზმები (ს. ჯაუხიშვილი), წარმომაელობა და არმენიზმები (ე. დოჩანაშვილი), მხატერული სამკაულები (რ. შმერლინგი) და სხვ.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ჰაემეტობა ადიშის სახარებაში. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1922–23, ტ. 2; გ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი თ., დიალექტიზმებისათეის ჰადიშის ძეგლში. – «ენიმკის მოამბე», 1938, ტ. 4, ნაკვ. 2; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები, იქეე, 1944, ტ. 14; ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ი., ადიშის ოთხთაეი რედაქციულად. – «თსუ შრომები», 1947, ტ. 30–31 ხ; დ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ე., მასალები ადიშის ოთხთაეის წარმომაელობის საკითხისათეის. – «მასალები საქართველოსა და კაეკასიის ისტორიისათეის», ნაკვ. 32, თბ., 1955.

კ. დანელია.



ადიშის ოთხთაეი. 897. კამარა.

ᲐᲓᲡᲢᲠᲐᲢᲝ (< ლათ. ad – გეერდით, -თან და stratum – ფენა, შრე), ერთ ტერიტორიაზე ხანგრძლივი თანაარსებობისა და ენობრივი კონტაქტების (იხ. *ენობრივი კონტაქტების ტიპოლოგია*) დროს ერთი ენის მეორეზე გაელენით, უმთავრესად *ბილინგვიზმის* გზით, მიღებული ენობრივი თავისებურებები. *სუბსტრატისა* და *სუპერსტრატისაგან* განსხვავებით, ა. არ გულისხმობს ეთნიკურ ასიმილაციასა და ენათა აღრეეას. იგი ორი დამოუკიდებელი ენის ურთიერთგაელენის შედეგია. ურთიერთგაელენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც გენეტიკურად განსხვავებულ, ისე მონათესაეე ენებსა და ერთი ენის დიალექტებს შორისაც. მაგ., ადსტრატულმა მოელენებმა ქართ.-სვანურ, ქართ.-მეგრულ, ქართ.-ჭანურ ურთიერთობათა შედეგად ქართ. ენის დიალექტებზე მნიშვნელოვანი ზეგაელენა იქონია.

ლიტ. იხ. სტატიასთან *სუბსტრატი. ბ. ჯორბენაძე.*

ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ გიორგი იეანეს ძე (1769, თბილისი, – 1850, მოსკოეი), მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი, მოგზაური, პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი. ერეკლე II-თან დაახლოებული პირის იოანე მეითარის ვაეი და გიორგი ბატონიშვილის (შემდეგ მეფე გიორგი XII) ნათლული. დაწყებითი განათლება ანტონ I-ის მოწაფის, ტრიფილე ჩერქეზიშვილისა და გაიოზ რექტორის ხელმძღვანელობით მიიღო. 1784-ში დამ – მარიამმა და სიძემ – გ. ჭაეჭავაძემ განათლების მისაღებად პეტერბურგში წაიყეანეს, სადაც იგი ეუფლებოდა რუსულ და ეერ. ენებს. მალე ქართლ.-კახეთის საელჩოს მდივანი გახდა. 1788 ჩამოეიდა თბილისში. 1788–94 ა. მეფე ერეკლეს კარზე ასრულებდა მდივნისა და ბაზიერთუხუცესის მოვალეობას. 1791 მეფის დავალებით იმოგზაურა ირანის ახერბაიჯანში, 1794, 1798, 1800 და 1801 კი – პეტერბურგში და, როგორც ქართლ.-კახეთის წარმომადგენელი, ყოეელ ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთთან სასარგებლო ხელშეკრულება გაეფორმებინა, მაგრამ საელჩოს მცდელობა მარცხით დამთავრდა: 1801 რუსეთმა ქართლ.-კახეთის სამეფო თავის გუბერნიად გამოაცხადა. ქართ. საელჩოს წეერები ცდილობდნენ ხალხის აჯანყებას და დამოუკიდებლობის აღდგენას. ამას ადსტურებს მიკელეული პროკლამაცია, რ-შიც ა. თბილისის მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. 1806-იდან იგი უკეე პეტერბურგში ცხოერობდა, 1811–17 სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის ქვრივის – ნინას (გიორგი XII-ის ასული) „პრისტავი“ და თარჯიმანი იყო, პარალელურად (1812–26) ითელებოდა რუს. საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლადაც. 1819–20 იერუსალიმისა და სხვა წმინდა ადგილების მოხილეის მიზნით იმოგზაურა საზღვარგარეთ. 1822 დამკვიდრდა მოსკოეში. იგი ცდილობდა საქართველოში მუდმივად ცხოერების ნებართეა მიეღო, მაგრამ, როგორც არაკეთილსაიმედოს, ამის ნებას არ რთავდნენ.

ძე. ქართ. მწერლობის ტრადიციებსა და ანტონის სკოლის პატრ.-განმან. პრინციპებზე აღზრდილი ა. კულტ.-საგანმან. მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან ჭაბუკობიდანვე დაიწყო ქართ. ხელნაწერების გადაწერა. მის მიერ გადაწერილმა ხელნაწერებმა თუ შედგენილმა კრებულებმა არაერთი ნაწარმოები გადაარჩინა უკეალოდ გაქრობას. ა-მა 1788–94 დაწერა ორიგინ. პიესა – „მეფე თეიმურაზი“ (დაკარგულია) და თარგმნა ა. სუმაროკოეის კომედიები, რითაც ქართ. დრამატურგიის მამამთავრის სახელი დაიმკეიდრა. სწორედ ეს პიესები გახდა მის მიერ ერეკლე მეფის კარზე დაარსებული თეატრის პირეელი რეპერტუარი.

ა. თაეისი დროის ცნობილი მთარგმნელია. რუს. ენიდან თარგმნიდა რუსი და ეერ. აეტორების (ა. სუმაროკოეი, მ. ხერასკოეი, ემინი, ეოლტერი, ჯ. მილტონი, ქარიტონ აფროდისიელი, ერაზმ როტერდამელი, ნეტარი აეგუსტინე, ფლორიანი, ფენელონი და სხე.) თხზულებებს. ეს თარგმანები ძირითადად აეტოგრაფების სახითაა მოღწეული. მათში ასახულია ტექსტზე მუშაობის საინტერესო პროცესი – დახეწა, გამართეა ტექსტისა (რაც სხეადასხეა განათლების მკითხველს გულისხმობს): გართულება-გამართეა „მაღალ ფრასზე“, გამარტიეება ენისა და უბრალოდ „განმსგაესება“ ტექსტებისა, რაც აელენს მწერლის მიერ ქართ. ენის მდიდარი ლექსიკის ჩინებულ ცოდნას და სინონიმების მოძიება-გამოყენების იშეიათ უნარს.

ა-ის ორიგინ. ნაწარმოებებიდან აღსანიშნაეია ლირიკულ ლექსთა კრებული „ჭიაღ ცოდეილისა“ (1838) და მხატერულ-დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი „მგზავრობა თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა“.

ა. ანტონის სკოლის მწერალია, რაც ვლინდება მისი ორთოგრაფიის, ენობრივი პრინციპებისა და სტილთა თეორიის ერთგულებაში. იგი ცდილობს ენის ნორმირებისა და რეგლამენტაციის მიზნით სამწერლობო ენაში გზა გადაუღობოს დიალექტურ და სასაუბრო მეტყეელებისთეის დამახასიათებელ ფორმებს, რაც იმდროინდელ ენაში მრაელად იყო და სხეა კომპონენტებთან ერთად ჭრელ სურათს ქმნიდა. „მგზავრობის“ ენა, ისეე როგორც მისი თარგმანების უმეტესობისა, არქაული ენის, ფსეედოარქაულისა და ახ. ქართულის გრამატ. ფორმების ერთგეარი ნაზაეია. ამას ემატება რუსულის გაელენით შექმნილი კალკები, ხელოენური სიტყეაწარმოების ნიმუშები და სხეადასხეა დროისა და წარმომაელობის ლექსიკა. სინტაქსი საკმაოდ მოუქნელია. გან-

საკუთრებით ხელოვნურია „მგზავრობის“ ენა წმინდა ადგილების აღწერისას, რ-ის დროსაც ავტორი იყენებს ე. წ. „შესხმის“ ფორმას – აღზევებულ სტილს, ტრაფარეტულ მხატვრულ სახეებს და ციტატებს წმინდა წიგნებიდან. მაგრამ იქვე სათავგადასავლო და იუმორისტული ამბების გადმოცემისას მარტივ სტილსა და ხალხ. მეტყველებასთან დაახლოებულ თხრობას მიმართავს.

რამდენადაც ა-ის თხზულებების უმრავლესობა ხელოვნური, ძნელად გასაგები ენითა და „მაღალი შტილით“ იყო გამართული, ამან ერთგვარად დააკნინა მისი მემკვიდრეობის მნიშვნელობა და შეასუსტა შემდგომი თაობების ინტერესი მის მიმართ. მიუხედავად ამისა, ა-ის შემოქმედება ემსახურებოდა მისი დროის მკითხველის განათლებას, კულტურის დონის ამაღლებასა და ჩვენში ევრ. მოწინავე იდეების დამკვიდრებას.

თხზ.: მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1967.

ლიტ.: რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ს., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982; კ ი კ ნ ა ძ ე ლ., გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1993. *ლ. კიკნაძე.*

აზერბაიჯანული ენა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ენა. განეკუთვნება თურქულ ენათა ოღუზურ შტოს. ა. ე-ზე ლაპარაკობს 6 მლნ-მდე კაცი აზერბაიჯანში (1989 აღწერა) და 15 მლნ-მდე – ირანში. ასეულ ათასობით ა. ე-ზე მოლაპარაკე მოსახლეობა ცხოვრობს ერაყში, თურქეთში, რუსეთში, ყაზახეთში და ა. შ. საქართველოში აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა დაახლ. 300 ათასამდეა (1989 აღწერა). აზერბაიჯანელები კომპაქტურად დასახლებული არიან მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისისა და დმანისის რ-ნებში; ფუნქციონირებს ზოგადსაგანმან. სკოლები, გამოდის გაზეთი. ა. ე. ისწავლებოდა თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტში.

ა. ე-ის მორფოლ. წყობა აგლუტინაციურია, ლექსიკის ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანულია (თურქული). საკმაოდ ბევრია არაბ.-სპარს. და რუს. ნასესხობები. შეინიშნება კავკ. ენათა გავლენაც.

აზერბ. სალიტ. ენა ძირითადად ყალიბდებოდა XIII ს-იდან. დამწერლობას საფუძვლად ედო არაბ. ანბანი. 1929–39 გამოიყენებოდა ლათ. ანბანი, რ-იც 1939 შეცვალა რუს. გრაფიკის საფუძველზე შექმნილმა ანბანმა. 1993-იდან მიღებულ იქნა ისევ ლათ. ანბანი.

აზერბ.-ქართ. ლიტ. ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აზერბ. მწერლები საქართველოს იხსენიებენ XII ს-იდან (ნიზამი განჯევი და სხვ.). საქართველოშიც კარგად იცნობდნენ აზერბ. (სპარსულენოვან) ლიტ-რას. ორი ქვეყნის ლიტ. ურთიერთობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს XIX ს-ში საქართველოში მოღვაწე აზერბ. მწერლებმა (მ. ფ. ახუნდოვი და სხვ.). განსაკუთრებით განმტკიცდა ურთიერთობა XX ს-ში. ქართ. მკითხველი გაეცნო აზერბ. ლიტ-რის მრავალ ნიმუშს. ა. ე-ზე ითარგმნა ქართ. მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, მ. შ. „ვეფხისტყაოსანი“. ქართ.-აზერბ. ენობრივ ურთიერთობას ქართვ. მეცნიერებთან (ს. ჯიქია, ე. ჯანგიძე, გ. თუშმალიშვილი...) ერთად იკვლევენ აზერბ. მეცნიერებიც.

ლიტ.: ყ ა ლ ა ყ ა კ., აზერბაიჯანული და ქართული კულტურული ურთიერთობისათვის, თბ., 1966; А л и е в а Д., Из истории азербайджанско-грузинских литературных связей, Баку, 1958; Б а с к а к о в Н. А., Введение в изучение тюркских языков, М., 1962; Г а д ж и е в а Н. З., Азербайджанские писатели и Грузия, Тб., 1971 (автореф. канд. дисс.); Д ә м и р ч и з а д ә Ә. М., Муәсир азәрбајчандили, Бакы, 1972.

ვ. პაჭიევი.

ათონის ივერთა მონასტერი (ი ვ ი რ ო ნ ი, ი ვ ე რ ო ნ ი), ძველი ქართული სამონასტრო-სამწერლობო ცენტრი ათონის მთაზე (ქალკიდონის ნ.-კ-ზე, საბერძნეთი). დაარსებულია 980–983 იოანე მთაწმიდელისა (იბერისა) და ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში (979) გამარჯვებული თორნიკე ერისთავის თაოსნობით. X–XI სს-ში აქ ჩამოყალიბდა ძლიერი მწიგნობრული კერა, რ-ის საქმიანობაში მონაწილეობდა მრავალი სას. მწერალი, მთარგმნელი თუ გადამწერი. აქ მოღვაწეობდნენ ქართ. სას. მწერლობის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები. ათონზე იქმნებოდა ორიგინ. თხზულებები, ითარგმნებოდა ლიტ., რელიგ.-ფილოს. ნაწარმოებები, მზადდებოდა და მრავლდებოდა ხელნაწერები, რ-თა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში იგზავნებოდა. ამჟამად ისინი დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტსა და სხვა საცავებში. 1982 საქართველოში ჩამოიტანეს (გ. პატარაიას ექსპედიცია) ათონზე დაცული ფონდის მიკროფირები.

ათონის ძლიერმა საგანმან. სკოლამ ღრმა კვალი დაამჩნია შუა საუკ. მთელ ქართ. მწერლობასა და კულტურას, ქართ. მეცნ., თეოლოგიური და საზ. აზრის განვითარებას. გასათვალისწინებელია ის როლიც, რ-იც ათონის სკოლამ ითამაშა ქართ.-ბიზანტ. კულტ. ურ-



ათონის ივერთა მონასტერი. X ს.

თიერთობის განსამტკიცებლად. ათონის სკოლის გზით შევიდა ბიზანტიურ, იქიდან კი ევროპ. მრავალი ქვეყნის ლიტ-რაში ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისი“, რ-იც ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა.

ათონის სალიტ. სკოლა მემკვიდრეა ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებისა, რ-ებთან ურთიერთობა მას თავისი არსებობის მანძილზე (X–XII სს.) არ გაუწყვეტია. ამ სკოლის მოღვაწეები — იოვანე იბერი და მისი შვილი ეფთვიმე, იოვანე-თორნიკე, გიორგი ვარაზ-ვაჩე, იოვანე გრძელისძე, არსენი — ნინოწმიდელი ეპისკოპოსი, იოანე ხახულელი-ოქროპირი, გრიგოლი, ზაქარია მირდატის ძე, მიქაელ და გიორგი დიაკვნები, ზაქარია ბანელი და მათი თანამედროვე ან მათ შემდეგ მოღვაწე მწიგნობარი მონაზვნები („მობაძავნი მათნი“) თითქმის ყველა ტაო-კლარჯეთიდან (უფრო კი ტაოდან) იყვნენ. თვით მონასტერიც ტაოს მსხვილი ფეოდ. გვარის — ჩორდვანელების საგამგებლო უნდა ყოფილიყო: წლების მანძილზე, უფრო ზუსტად, XI ს. 40-იან წლებამდე (გიორგი მთაწმიდელის გამოჩენამდე) მონასტრის მესვეურები სწორედ ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ (თვით მონასტრის დამაარსებელი თორნიკეც). როდესაც ათონის სკოლა ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერების მემკვიდრედ გამოცხადდა, აქ, უპირველესად, იდეური მემკვიდრეობა უნდა ვიგულისხმოთ. ქართველების დამკვიდრება მხოლოდ მონასტრის გაზრდის საჭიროებით („რაჲთა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკჳდრნი ყოველნი“) არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მწიგნობარ ბერთა ასეთი რაოდენობით და ასე ერთბაშად მონასტერში გადასვლას (თავისი სურვილით თუ მიწვევით) და იქ მოკლე დროში მძლავრი სამწიგნობრო კერის დაარსებას, ცხადია, თავისი მიზეზი და მიზანი უნდა ჰქონოდა. საფიქრებელია, რომ ეს მოხდა ეროვნულ-კონფესიურ საფუძველზე. კერძოდ, ვინაიდან ტაოსა და კლარჯეთის მოსახლეობა ტერიტორიულად და მთარგმნელობითი საქმიანობითაც მნიშვნელოვანწილად სომხ. მოსახლეობას უკავშირდებოდა, იქმნებოდა საშიშროება ქართ. სას. მწერლობაში, და აქედან ქართ. მრევლში, მონოფიზიტური იდეების შეღწევისა. ამის გამო მთელი სიმწვავით უნდა დამდგარიყო საკითხი ამ ერესისაგან ქართ. მართლმადიდებლობისა და, აქედან გამომდინარე, ქართველთა თვითმყოფობის დაცვისა. ამ საშიშროებისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ (შეიძლება ითქვას, ძირითად) გზად უნდა მიჩნეულიყო მართლმადიდებლური შინაარსის სას. თხზულებათა თარგმნა უშუალოდ ბერძნ. ორიგინალიდან, სომხურის გამოუყენებლად („თუნიერ სომხურისა“, როგორც იმდროინდელი მწიგნობრები თვლიდნენ). ასე რომ, უპირველესი მიზანი, რაც ათონის ქართ. საკრებულომ დაისახა, იყო დოგმატიკური თვალსაზრისით ქართვ. ერის განათლება და ამით მართლმადიდებლობის დაცვა. ქართ. მოწინავე საზ-ბა, რ-საც ჩორდვანელების საგვარეულოც ეკუთვნოდა, უდავოდ ჩაერთვებოდა ამ ეროვნ.-სარწმუნოებრივ მოძრაობაში. განსაკუთრებით საგულისხმოა მასში ქართველთა მეფის — დავით კურაპალატის უშუალო მონაწილეობა. თუ გავითვალისწინებთ მის ურთიერთობას ჯერ ოშკის, ხოლო შემდეგ ათონის სამწიგნობრო კერებთან, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოძრაობა მისი ეროვნ. პოლიტიკის ნაწილი იყო. აღსანიშნავია ის ხელისშემწყობი ფაქტორებიც, რ-ებიც აადვილებდნენ ქართვ. მწიგნობარი ბერების ათონზე მოხვედრასა და მათ იქ დამკვიდრებას. კერძოდ, დამოუკიდებელი ქართ. მონასტრის აშენებისათვის გარკვეული პირობების (მატერიალური, უფლებრივი) შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თორნიკეს დამსახურებამ და მისმა დიდმა ავტორიტეტმა ბიზანტ. მეფეთა შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვით ქართვ. მეფის პოლიტ. ორიენტაცია, რ-იც ბიზანტიისკენ იყო მიმართული. ამ ორიენტაციის შედეგი უნდა იყოს საქართველოში XI ს-იდან ღვთისმსახურების იერუსალიმურ-ანტიოქიური სისტემის ნაცვლად კონსტანტინოპოლურის დამკვიდრება, რასაც სწორედ ათონის სკოლის წარმომადგენლებმა ჩაუყარეს საფუძველი.

XI ს. შემდეგ მონასტერში მწიგნობრულ-საგანმან. საქმიანობა ნელდება და ბოლოს საერთოდ წყდება. XIV ს-იდან ქართველები თანდათანობით კარგავენ სამონასტრო კომპლექსის ფლობის უფლებას და XIX ს-თვის მას მთლიანად ბერძნები განაგებდნენ, თუმცა ქართვ. ბერები იქ მაინც რჩებოდნენ (უკანასკნელი 1956 გარდაიცვალა).

ა. ი. მ-ის (ისევე, როგორც სხვა საზღვარგარეთული კერების — *შავი მთის*, პალესტინის...) ლიტ. მემკვიდრეობისა და მისი ისტორიის გათვალისწინება აუცილებელია როგორც საქართველოს, ისევე ბიზანტიისა და სხვა ქვეყნების ისტორიის კვლევისას. კვლევა გააქტიურდა 1980-იანი წლებიდან და მასში ჩართული არიან ქართვ. და უცხოელი სპეციალისტები. 1985-იდან ფრანგ. ენაზე დაიწყო ათონის (ივირონის) აქტების (იურიდიული და სხვ. სახის საბუთების) გამოცემა (ქართველ მეცნიერთაგან თანამშრომლობდა ე. *მეტრეველი*).

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970; ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996; მ ი ს ი ვ ე, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ., 1998.

ც. ქურციკიძე.

«ათონის კრებული», ლიტერატურულ ნაწარმოებთა და საალაპე ჩანაწერთა კრებული, შედგენილი და გადაწერილი *ათონის ივერთა მონასტერში*. XIX ს. შუა ხანებში საქართველოში ჩამოიტანეს. ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში (A-558). ტექსტი დაწერილია ნუსხურით, შეიცავს ეტრატის 211 ფურცელს. აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, „ა. კ-ს“, როგორც ხელნაწერს, სამი რედაქცია გაუვლია. I რედაქცია შეიქმნა და გადაიწერა 1074 მიქაელ დაღალისონელის მიერ ათონის ქართველთა მონასტრის დეკანოზის — იაკობ მღვდლის განზრახვით, გიორგი ოლთისარის მამა-

სახლისობის დროს. ამის შესახებ გადამწერი ერცლად მოგვითხრობს ანდერძ-მინაწერში, საიდანაც იმასაც ვიგებთ, რომ ხელნაწერი „დაიწერა წმიდასა ლავრასა, წმიდისა ეფთჳმეს მიერ აღშენებულსა ბურღოსა შინა, სადა თჳთ მას წმიდასა დაუყოფია“.

„ა. ძ-ის“ I რედაქციაში შეტანილი იყო შემდეგი თხზულებები: 1. იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრება; 2. ეფთჳმეს დასდებელნი; 3. სხვანი გალობანი მისნე წმიდისანი; 4. აღაპები და იოვანე მახარებლის ცხოვრება. ამ სახით კრებული შემდგენელთა მიერ ნაფიქრები იყო როგორც ათონის ქართველთა ლავრის აღმაშენებელთა სახსოვარი წიგნი. XI ს. 80-იანი წლების მიწურულს კრებული შეივსო სხვა თხზულებებითაც: 1. ილარიონ ქართველის ცხოვრება; 2. დასდებელნი ილარიონისნი; 3. დასდებელნი იოვანესნი. ასე ჩამოყალიბდა კრებულის II რედაქცია, რის შედეგადაც „ა. ძ.“ უკვე გადაიქცა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველ მამათა სახსოვარ წიგნად.

უკანასკნელი, III რედაქცია ჩამოყალიბდა XII ს. 40-იან წლებში. ამ დროს ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის იოვანე კალაკალას დავალებით დეკანოზმა იოვანე თაფლანძემ „იქიაქა დაფანჩულად“ ჩამოწერილი აღაპები შეკრიბა, გარკვეული წესით დააწყო და გადაწერა, თან მოამატა საღაპე ჩანაწერებისათვის შიგადაშიგ ცარიელი ადგილებიც დატოვა. ასე ჩამოყალიბდა „ა. ძ-ის“ III რედაქცია. იგი გადაიქცა საღაპე წიგნად.

„ა. ძ.“ შესანიშნავი პირველწყაროა ათონის ქართველთა კულტსაგანმან. კერის ისტორიისათვის. მნიშვნელოვანია იგი ქართ. ენის ისტორიის თვალსაზრისითაც. კრებულში შესული თხზულებების ენა მკაფიოდ ასახავს ქართ. სალიტ. ენაში დაწყებულ გადასვლას ძველიდან ახ. ქართულზე.

გამოც.: ათონის იერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობით, [ტფ.], 1901.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., „ათონის კრებულის“ რედაქცია. – «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1941, ტ. 11 B; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 4, თბ., 1967; გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი (გამოსაცემად დაამზადა იულონ ჯაჯანიძემ), თბ., 1946 («ძველი ქართული ენის ძეგლები», 3); შანიძე ა., გიორგი მთაწმიდლის ცნა იოვანეს და ეფთჳიმეს ცხოვრების მიხედვით, იქვე; აბულაძე ი., ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1973; მეტრეველი გ., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996; მისივე, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998; Жордания Ф., Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. II, Тфл., 1902. *გ. სილოგავა.*

აკუსტიკა (<ბერძნ. akustikós – სმენითი), ფსიქო-ფიზიოლოგიური ა-ის ნაწილი, სწავლობს ბგერას – სმენისათვის მისაწვდომ (16–20000 ჰერცის დიაპაზონში) დრეკად რხევებსა და ტალღებს. ფონეტიკური ა. იკვლევს სამეტყველო ბგერებს (ბგერით მოვლენებს) აკუსტიკურ თავისებურებათა თვალსაზრისით, ე. ი. იმ სმენითი ეფექტის მიხედვით, რ-იც შეუსაბამება არტიკულაციურ მოძრაობებს. აქ ერთიანდება ფართო სპექტრი საკითხებისა, რ-ებიც ეხება ბგერის (მეტყველების) წარმოქმნას, გადაცემასა და აღქმას (იხ. *პერცეფცია*) როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ასპექტებით (იხ. *მეტყველების ანალიზი, მეტყველების სინთეზი*).

ბგერათწარმოქმნის პროცესი გულისხმობს ბგერის წყაროების არსებობას. ბგერებს შორის განსხვავება (სხვა ფაქტორებთან ერთად) გამოწვეულია სხვადასხვა ტიპის წყაროს არსებობით. განირჩევა: 1. ხმის წყარო, როდესაც ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი განიცდის გარკვეულ მოდულაციებს სახმო სიმების გავლენით. წარმოიქმნება *ხმოვნები* და *სონორები*; 2. ხმაურის, ჩქამის წყარო, როდესაც საწარმოთქმო აპარატში იმავე ჰაერნაკადის გამოელისას შექმნილი ტურბულენტური დინება იწვევს ხმაურს, ჩქამს. წარმოიქმნება ყრუ *სპირანტები* და *აფრიკატები*; 3. იმპულსური, სკდომითი წყარო, როდესაც ჰაერის წნევა მკვეთრად იცვლება უცაცარი სკდომით. წარმოიქმნება ყრუ ხშულმსკდომები (იხ. *ხშულები*). ხმისა და ჩქამის ერთობლივი მონაწილეობით წარმოიქმნება სპირანტები და აფრიკატები, ხმისა და იმპულსური წყაროების მონაწილეობით კი – მკღერი ხშულმსკდომები.

აღნიშნულ წყაროთა მიერ გამოცემული ბგერის სიხშირითი (სპექტრული) სტრუქტურის გაფორმება ხდება ზესადგამ მილში (ხახა-ცხვირ-პირის ღრუებში), რ-იც გვევლინება რეზონატორის როლში. თითოეული ბგერისათვის დამახასიათებელი რეზონატორული კონფიგურაცია (მოცულობა, ფორმა) მიიღწევა საწარმოთქმო ორგანოთა გარკვეული მდგომარეობით.

სამეტყველო ბგერა არის რხევითი მოძრაობა, რ-ის ხასიათის მიხედვით იგი აღიქმება *ტონის* ან *ჩქამის* სახით. როგორც აკუსტიკურ მოვლენას, ბგერას ახასიათებს *სიმაღლე, ინტენსივობა, გრძლიეობა, ტემბრი*. გაბმულ მეტყველებაში ბგერის აკუსტიკური მახასიათებლები იცვლება (მათ სრულ გაქრობამდეც კი) სხვა ბგერათა ასეთივე მახასიათებლების გავლენით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია შესაბამისი არტიკულაციებით.

ბგერათა აკუსტიკური ასპექტის შესწავლისას ფართოდ არის გამოყენებული ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, რ-იც ხორციელდება სათანადო აპარატურის გამოყენებით (სინთეზატორი, ანალიზატორი და ა. შ.).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; გერინდაშვილი შ., ქართული ენის სინორ თანხმოვანთა ფორმანტული დიაპაზონები. – კრ.: «მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები», თბ., 1966; მისივე, ქართული ენის ნაპრალოვან თანხმოვანთა აშუალო სპექტრები. – კრ.: «მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები», თბ., 1967; Фант Г., Акустическая геория речеобразования, пер. с англ., М., 1964; Фланаган Д. Л., Анализ, синтез и восприятие речи человеком, под ред. Л. А. Чистович, Л., 1976; Ladefoged P., A Cours in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975 (2nd ed., 1982). *ზ. ჯაფარიძე.*

ალავერდი, სამონასტრო კომპლექსი, ალავერდის საეპისკოპოსოს ცენტრი. მდებარეობს ალაზნის ეელზე, სოფ. ალავერდთან. ა-ის მონასტერი VI ს. შუა ხანებში დააარსა იოსებ ალავერდელმა. XI ს. დასაწყისში კვირიკე კახთა მეფემ ალავერდის წმ. გიორგის პატარა ეკლესიის ადგილას ააგო



ალავერდის ტაძარი. XI ს. დასაწყისი.

დიდი საკათედრო ტაძარი, რ-იც უმთავრესად ა-ის სახელწოდებითაა ცნობილი. ტაძარი ერთ-ერთი უდიდესი საეკლ. ნაგებობაა საქართველოში. თავდაპირველად ა. მხოლოდ მამათა მონასტერი იყო, XVII–XVIII სს-ში კი დედათა მონასტერიც დაარსებულა.

ა. ცნობილია როგორც ლიტ. საქმიანობის მძლავრი კერა. სხვადასხვა დროს იქ მოღვაწეობდნენ ქართვ. მწერლები, ხელნაწერთა გადამწერები და მკაზმაველები: ფილიპე ალავერდელი (XVI–XVII სს.); ზებედე მთავარეპისკოპოსი (XVII ს.), რ-ის დამსახურებაა ალავერდის ოთხთავის გადარჩენა; ნიკიფორე ირბაკი (ნიკოლოზ ხოლოყაშვილი – XVII ს. I მეოთხედი), ქართ. ხელნაწერების დამცველი და გამმრავლებელი; მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, ერეკლე I-ის ასული, აეტორი ორიგინ. შრომებისა (იოსებ ალავერდელის ცხოვრება, საგალობლები და ღვთისმშობლის შესხმა). აქვე მოღვაწეობდნენ არქიმანდრიტი კირილე ამირანის ძე (XVIII ს.) და იოანე ლარაძე (XVIII ს. მიწურული).

ა-ის მონასტერს ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი, რ-იც ივსებოდა იქ ვე გადაწერილი თუ სხვაგან დამზადებული ხელნაწერი წიგნებით (წიგნსაცავის მრავალი ხელნაწერი ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში).

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ ი ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი კ ულ ტ უ რ ი ს კ ე რ ვ ე ბ ი, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

ალავიძე მიხეილ ნესტორის ძე (24. V. 1916, სოფ. საირმე, ცაგერის რ-ნი, – 28. IX. 1996, ქუთაისი), ფილოლოგი, ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1955). დაწყებითი განათლება მიიღო სოფ. საირმესა და ლაილაშში. 1938 დაამთავრა ქუთ. სახელმწ. პედ. ინ-ტი. აქვე ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე კითხულობდა ქართ. გრამატიკის, სტილისტიკისა და დიალექტოლოგიის კურსებს.

საკურადღებოა ა-ის გამოკვლევები ქართველოლოგიაში. იგი საფუძვლიანად იცნობდა ქართველურ ენათა ლექსიკასა და ტოპონიმიკას; იკვლევდა ქართ.-სპარსურ და ქართ.-სვან. სებსტრატთა პრობლემებს, იმერულ, რაჭულ და ლეჩხუმურ დიალექტთა ურთიერთმიმართებას. ა-ის გამოკვლევებმა ლეჩხუმურ დიალექტს საკუთარი ადგილი მიუჩინა ქართ. კილოთა შორის. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ლეჩხუმური ლექსიკონი“. ა. დაინტერესებული იყო ქართ. სალიტ. ენის ისტ. საკითხებით. მ/შაობდა მწერლის ენის, სტილისა და პოეტიკის საკითხებზე (ნ. ბარათაშვილის ენის ხალხურობა, ილია და დედაენა, ვაჟა-ფშაველას პოეტური ენის სინტაქსი). „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ აისახა იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მის მიერ მოპოვებული მასალა. შეადგინა მწერლის ლექსიკონები: „დ. კლდიაშვილის ლექსიკონი“ (დ. კლდიაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. II, თბ., 1952), „ნ. ლორთქიფანიძის ლექსიკონი“ (ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 34, 1971). არნ. ჩიქობავასთან ერთად გამოსცა ქ. ძოწენიძის მონოგრაფია იმერულ დიალექტზე (ორტომეული). *ლ. კვარტალიანი.*

ალბანური დამწერლობა, დამწერლობის ორიგინალური სისტემა, რ-იც შექმნილია ფონეტიკურ პრინციპზე. იწერებოდა მარცხნიდან მარჯვნივ. გამოიყენებოდა კავკასიის ალბანეთში დაახლ. V–X სს-ში. ცნობილია მხოლოდ მისი ასომთავრული სახეობა. წარმოშობის შესახებ გამოთქმულია ორი მოსაზრება: 1. ალბანური ანბანი შექმნილია სომხ. და ქართ. ანბანების საფუძველზე; 2. ჰომდინარეობს ბერძნულზე ორიენტირებული არამეული დამწერლობის რომელიმე სახეობიდან. სომხ. წყაროების ცნობით, რ-საც მეცნიერთა ნაწილი კრიტიკულად ეკიდება, ალბანური ანბანი V ს. I ნახ. შექმნა სომეხმა ბერმა მესროპ მაშტოცმა ალბანელი ეპისკოპოსის ბენიამინის დახმარებით. ა. დ-ის სისტემა და ძეგლები მეცნიერებისათვის ცნობილი არ იყო XX ს. 30-იან წლებამდე. 1937 ი. *აბულაძემ* ეჩმიაძინის (სომხეთი) ხელნაწერთა შორის აღმოაჩინა XV ს-ში გადაწერილი სომხ. გრამატ. სახელმძღვანელო, რ-შიც სხვა ენების ანბანებთან ერთად მოცემული იყო ალბანურიც, გრაფემების ფონეტ. მნიშვნელობათა სახელწოდებების სომხ. ტრანსკრიფციით. ხელნაწერის მიხედვით, ალბანური ანბანი შედგებოდა 52 გრაფემისაგან, რ-თა ანალი'ზსაც მეცნიერები (ა. შანიძე, ჯ. დიუმე'ზილი) მიიყვანა დასკვნამდე, რომ ალბანური ენა ეკუთვნოდა მთის კაეკ. ენების დაღესტნური ჯგუფის სამხრ. განშტოებას, დღემდე შემონახულს ავარბაიჯანსა და ნაწილობრივ საქართველოში მოსახლე უდიების ენის სახით (იხ. *უდიური ენა*). 1948–52 ავარბაიჯანში მინგეჩაურის გათხრების დროს აღმოჩნდა ა. დ-ით შესრულებული რამდენიმე ლაპიდარული წარწერა და *გრაფიტო*, რ-ებსაც სპეციალისტები



ი. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ალბანური ანბანი.

VI–IX სს-ით ათარიღებენ. წარწერები დღემდე გაუშიფრავი რჩებოდა, ვინაიდან მასალა არ აღმოჩნდა საკმარისი, ხოლო სომხ. ხელნაწერში შემონახულმა, მრავალგზის შეცდომებით გადაწერილმა ანბანმა გასაღების ფუნქცია ვერ შეასრულა.

1996 წლის ნოემბ. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩნდა X ს-ის ორი *პალიმფსესტი*, რომელთა ქვედა ტექსტი შესრულებულია ასომთავრული ა. ლ-ით (ზედა ტექსტი ქართულია). ალბანური პალიმფსესტების გრაფემათა მოხაზულობა უფრო ახლოს არის ალბანური ეპიგრაფიკული ძეგლების გრაფემების მოხაზულობასთან, ვიდრე სომხ. ხელნაწერში დაცული ანბანისა (სომხ. ხელნაწერის ათამდე გრაფემა საერთოდ არ დასტურდება ალბანურ პალიმფსესტებში, ხოლო სულ ცოტა რვას შეცდომით აქვს მიწერილი ფონეტმნიშვნელობა). ტიპოლოგიურად იგი მსგავსია უძველესი (V–VII სს.) ქართ. და სომხ. ასომთავრული დამწერლობებისა როგორც გრაფემათა ფორმით (უფრო ახლოს არის ქართულთან, ვიდრე სომხურთან), ისე ტექსტის მთლიანი მხატვრული აღქმით. ათამდე გრაფემა ფორმით საკმაოდ ემსგავსება ეთიოპურ დამწერლობას.

ალბანური პალიმფსესტების ხელნაწერთა ფურცლები დახაზულია სეულ პერგამენტზე დაჭიმული ლარებით, რითაც მიღწეულია ასოთა სიმეტრიულობა; *სიტყვათა გამოყოფა* ძირითად ტექსტთან შედარებით უფრო დიდი სომის ლამაზად გამოყვანილი ასომთავრული გრაფემებით; დაქარაგმებათა სისტემა მსგავსია სხვა აღრექრისტ. ძეგლების დაქარაგმების წესისა: ქარაგმდებოდა საპატიო და ისეთი სიტყვები, რ-თა ტექსტში გამოცნობა ძნელი არ იყო მკითხველისათვის (იხ. *ქარაგმა*). *განკუთვნილობის ნიშნად* იხმარება ორი (იშვიათად სამი) ვერტიკალური წერტილი, რომელიც ზოგჯერ ერთმანეთის მიმართ პარალელურად დასმული მოკლე (წერტილივით) სწორი ხაზი.

2000 წლის ნოემბ.-დეკ. ულტრაიისფერი განათებით მთლიანად გადაიღეს ალბანური პალიმფსესტები. იმავე განათებით გადმოიწერა ტექსტის დიდი ნაწილიც. 2001 წლის მარტ-აპრ. ალბანური ტექსტები გაიშიფრა.



ალბანურ-ქართული პალიმფსესტი.

ცნობები ა. ლ-ის არსებობის შესახებ შემოინახა სომხ. საისტორიო მწერლობამ. რ-ის მიხედვითაც ალბანელებმა ქრისტ. მიღებისთანავე (V ს.) თარგმნეს ალბანურ ენაზე ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. სომხ. ენაზეც შემონახულ ისტ. დოკუმენტებში გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ VII ს. დასაწყისში ალბანეთის კათალიკოსი საერთაშ. მიმოწერისას ეპისტოლეებს ალბანურ ენაზეც აღგენდა. სომეხ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ალბანური მწერლობა საერთოდ არ არსებობდა. აქ იგულისხმება ალბანეთის სომხ. მოსახლეობის ენა, მწერლობა და დამწერლობა. ამის საპირისპიროდ აზერბ. მეცნიერები თელიან, რომ სომხ. მწერლობის რამდენიმე ძეგლი ალბანურიდან არის თარგმნილი და უნდა განიხილებოდეს როგორც ალბანური მწერლობის კუთვნილება.

1996 წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ალბანურ-ქართ. პალიმფსესტები ცხადყოფენ, რომ კავკასიის ალბანეთის მწერლობა ნამდვილად არსებობდა და საკმაოდ განვითარებულიც იყო. ალბანური მწერლობის ძეგლი აღმოჩნდა ლექციონარი (მთელი წლის საუფლო დღესასწაულებზე წმ. წერილებიდან ლიტურგიული საკითხავების კრებული), რ-იც უეჭველად გულისხმობს ალბანურ ენაზე ძველი და ახალი აღთქმის წიგნების არსებობას მაინც. ალბანური ლექციონარი თავისი მარტივი ხასიათით ქვეყანაზე ახლოს არის ქართ. ხანმეტ ლექციონართან და მასთან ერთად შეიძლება ამგვარ თხზულებათა შორის უძველესად (V ს. შუა ხანებზე ადრე) ჩაითვალოს.

ალბანურმა მწერლობამ დაკნინება დაიწყო და მალეე დაიკარგა, როგორც კი ალბანეთის საკათალიკოსო მართლმადიდებლობიდან მონოფიზიტობაზე გადაეიდა (VII ს. I ნახ.) და სომხ. ეკლესიის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცა. არის ცნობები, რ-თა მიხედვითაც სომხ. ეკლესია და მისი მხარდამჭერი არაბთა სახალიფო ანადგურებდა დიოფიზიტურ ალბანურ ლიტ-რას. დაახლოებით X ს-იდან ა. ლ. მოლიანად სომხურით შეიცვალა. ხოლო დიოფიზიტურ გარემოში მოქცეული ალბანელებისათვის – ქართულით.

ლიტ.: ა ლ ე ქ ს ი ძ ე ზ., მასალები ლეონის 506 წლის კრების ისტორიისათვის, «მაცნე» (ისტორიის ... სერია), 1974, № 1; მ ი ს ი ვ ე, ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, თბ., 1998; მ ი ს ი ვ ე, კავკასიის ალბანეთის ენა, დამწერლობა და მწერლობა, თბ., 2003; А б у л а д з е И. В., К открытию алфавита кавказских албанцев. – «უნიმკის მოამბე», 1938, ტ. 4, ნაკვ. I; Ш а н и д з е А. Г., Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, იქვე; მ ი ს ი ვ ე, Язык и письмо кавказских албанцев, М., 1960; В о р о ш и л Г., К дешифровке албанских надписей Азербайджана. – «Этимология», М., 1968; К л и м о в Г. А., К чтению двух памятников аванской (кавказско-албанской) эпиграфики. – «Вопросы



ალექსანდრე ბატონიშვილი.

языкознания». 1970, № 1; Мнацаканян А. Ш., О литературе Кавказской Албании. Ер., 1969; Муравьев С. Н., Три этюда о кавказско-албанской (=алуанской) письменности. – «იკვე». VIII, თბ., 1981; Александзе З. Н., Новые памятники письменности Кавказской Албании. – «Христианский Восток» (Новая серия), III, М., 1999; Preliminary Account on the Identification and Deciphering of the Caucasian Albanian Text Discovered on the Mount Sinai. – «History of the Caucasus: the Scientific Public Almanac», Baku, 2001; Le déchiffrement de l'écriture des Albaniens du Caucase. – «Comptes- rendus de l' Académie des Inscriptions et Belles-lettres», Paris, 2001.

ზ. ალექსიძე.

ᲐᲚᲑᲐᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, კავკასიის ალბანელთა ენა. ალბანეთი (ბერძნ. albania, ქართ. „ალვანეთი“ და „ჰერეთი“, სომხ. „აღვანქ“), ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო ამიერკავკასიაში, მოიცავდა დას. კასპიისპირეთის (ახლანდ. აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამხრ. ნაწილი) ტერიტორიებს. ისტ. წყაროებში შემონახული ცნობები ადასტურებენ მის არსებობას უკვე ძვ. წ. IV ს-ში. ახ. წ. XI ს-ში ალბანეთის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ტრადიციულად ალბანელების უშუალო მემკვიდრეებად მიჩნეული არიან უდიები. ამ მოსაზრებას ადასტურებს ენობრივი მონაცემებიც. სპეციალისტების ხელთ არსებული მასალის (იხ. *ალბანური დამწერლობა*) მიხედვით, ალბანურსა და უდიურს ბევრი საერთო აქვთ ლექსიკასა და გრამატიკაში. განსაკუთრებით ხელშესახებია ა. ე-ისა და უდიურის ფონემურ სისტემათა მსგავსება: ფონემათა რაოდენობა, ფონემურ სისტემაში შიშინათა ორი რიგის არსებობა, ფარინგალიზებულ ფონემათა (ხმოვანთა) სიმრავლე. ალბანური ტექსტის სტატისტიკური ანალიზი აგვლენს ალბანური და უდიური ტექსტების ფონემურ სტრუქტურათა თითქმის სრულ იდენტურობას.

ლიტ.: Абуладзе И. В., Новое сведение о существовании письменности у кавказских албанцев. – «Сообщения Груз. филиала АН СССР», 1940, т. 1, № 4; Шанидзе А. Г., Язык и письмо кавказских албанцев. – «საქართვ. მეცნ. აკადემიის სს. მეცნ. განყოფილების მოამბე». 1960, № 1; Климов Г. А., К состоянию дешифровки агванской (кавказско-албанской) письменности. – «Вопросы языкознания», 1967, № 3.

გ. თოფურია.

ᲐᲚᲔᲒᲝᲠᲘᲐ (ბერძნ. allēgoria – სხვაგვარად თქმა), *ტროპის* სახე, გამონათქვამის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ზოგადი, განყენებული ცნება ან აზრი გადმოცემულია კონკრეტული სახეებით. სხვაგვარად ა. გულისხმობს საგნისა და მოვლენის პირდაპირი მნიშვნელობით გამოხატვის გვით სხვა საგნისა და მოვლენის წარმოსახვას. კავშირი მხატვრულ სახესა და ა-ის შინაარსს შორის ანალოგიით მყარდება. სიმბოლოსაგან განსხვავებით, ა-ს ყოველთვის ერთი მნიშვნელობა აქვს.

ტერმ. „ა.“ პირველად გვხვდება ფსევდოლონგინესა და ციცერონის ტრაქტატებში ორატორული ხელოვნების შესახებ. ლიტ-რაში ბევრი ალეგორიული სახე შემოტანილია მითოლოგიიდან და ფოლკლორიდან. მუსა – მოხერხების კონკრეტულ-ალეგორიული სახეა, მგელი – სიხარბისა, ლომი – ვაჟკაცობისა, არწივი – შორსმჭვრეტელობისა, ჯორი – ჯიუტობისა და ა.შ.

ალეგორიულობის პრინციპი უდევს საფუძვლად *ანდაზას*, გამოცანას, იგავ-არაკს, ზოგჯერ სხვა ჟანრის ნაწარმოებებსაც. ა-ის მისანია ავტორის აზრის შენიღბვა. ალეგორიულ ჟანრს, მეთოდსა და ხერხს განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ შუა საუკ. ქრისტ. ლიტ-რაში, როცა მწერლობა ძირითადად აბსტრ. ცნებებს მიმართავდა. XIX ს. II ნახ. ა-ის გაგება შეიზღუდა და მხატვრული ხერხის ვიწრო მნიშვნელობა შეინარჩუნა. ა-ს ხშირად იყენებენ სახეით ხელოვნებაში, პუბლიცისტიკაში და სხვ.

ქართ. ლიტ-რაში ა. ბიბლ. წიგნებიდან მომდინარეობს და ფართოდ გამოიყენებოდა როგორც სას., ისე საერო მწერლობაში. ა., როგორც დიდაქტ. ხერხი, გამოყენებულია ს.-ს. ორბელიანის იგავ-არაკებში. განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ მას აღორძინების ხანის ავტორები. ალეგორიულ ხერხს იყენებდნენ ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. თანამედროვე მწერლობაში ა. ფსიქოლოგიურად უფრო განვითარებულ სიმბოლურ სახეებს უთმობს ადგილს.

ც. ბარბაქაძე.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ [ბაგრატიონი (იმერეტინსკი)] (1674, თბილისი, – 1711, პიტერ, შეეცინა), მეფე *არჩილ II*-ისა და ქეთევან დავითის ასულის (თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) შვილი, რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეიხმაისტერი (1700) და მესარბაზნეთა საგანგიოს უფროსი. ა. ბ-მა დაწყებითი განათლება ჯერ პაპამისის, ვახტანგ V-ის (შაჰნავაზ I) სამეფო კარზე მიიღო, შემდეგ კი მშობლების მეთვალყურეობით – თელავში. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი მის ჰუმანიტარულ განსწავლულობას, რ-იც მეცნიერებისა და ლიტ-რის ისეთ დარგებს მოიცავდა, როგორიცაა თეოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, ლექსიკოგრაფია, მთარგმნელობითი საქმიანობა და სხვ. 1680-იანი წლების დამდეგიდან იმერეთის ტახტიდან გადაყენებულმა არჩილ II-მ ოჯახითურთ რუსეთში მიიღო პოლიტ. თაყვანსაფარი და მოსკოვში დასახლდა (1685). განათლებულ ქართ. მეფეს რუსეთის დედაქალაქში დიდი პატივი მიაგეს, ხოლო მისი უფროსი ვაჟიშვილი – ალექსანდრე რუსეთის ტახტის მფლობელის – პეტრე I-ის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი გახდა. ა. ბ-მა შესანიშნავად აითვისა რუს. და სხვა უცხო ენები, გაეცნო რუს. და უცხ. ლიტ-რას და მხარში ამოუდგა მამას ბიბლიის ქართ. ტექსტის შეჯერება-გამართვაში სლავურ და ბერძნ.-ლათ. ტექსტებთან შეჯერების საფუძველზე. საკვირველია, რომ ა. ბ. იმავდროულად მოსკოვის ერთერთ სასწავლებელში სწავლობდა, რ-იც შეიძლება ეფიქრიყო ახალდაარსებული სლავურ-ბერძნ.-ლათ. აკადემია.

1697–98 ა. ბ. ოფიც. წერის სტატუსით მონაწილეობდა ევროპაში პეტრე I-ის „დიდ ელჩობაში“, რაც უპრეცედენტო მოვლენა იყო რუსეთ-საქართვ. ურთიერთობათა ისტორიაში. ა. ბ. იმ მცირე ექსკურსიაში ჯგუფის წევრიც იყო, რ-იც მუდმივად თან ახლდა რუსეთის მეფეს ევროპის ქვეყნებში მოგზაურობისას. პეტრე I-ის დავალებით ა. ბ. 1697–99 ჰააგისა და უტრეხტის პრივილეგირებულ სასწავლებლებში ეუფლებოდა საარტ. საქმეს. პარალელურად მას შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ცნო-

ბილ ჰოლანდიელ მეცნიერთან ნ. *ვიტსენთან*. ამ თანამშრომლობას ადასტურებს ვიტსენის ცნობილი წიგნის „ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ თათრეთის“ მეორე გამოცემაში (1705) ცალკე განაკეთი საქართველოს შესახებ. სწორედ ამ გამოცემაშია მოთავსებული ვიტსენისა და ა. ბ-ის *„ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“*.

1700 შეედეთთან დაწყებული ომის დროს ა. ბ. ნარვასთან ტყვედ ჩაეარდა და ათ წელზე მეტი ტყვეობაში დაყო. მაგრამ ეს პერიოდი მის ხანმოკლე ცხოვრებაში შემოქმედებითად მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. სწორედ შეედეთში თარგმნა რუს. სას. ლიტ-რის ნიმუშები, მ. შ. „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“, იმპ. ბასილი მაკედონელის „ტესტამენტი“, სიმეონ პოლოცკის „სიტყვა დღესა ტაძრად მიყვანებისასა“ და მრავალი სხვ. ა. ბ-ის განათლებამ შეედეთის სამეცნ. და კულტ. წრეების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რაც უმთავრესად სამეფო კარის მთავარი ცერემონმაისტერის – ი. გ. *სპარვენფელდის* დამსახურება იყო, რთანაც ა. ბ-ს შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა. ალბათ, ამ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ სპარვენფელდის ხელნაწერი თურქულ-ქართული ლექსიკონის ქართ. სიტყვანში მოცემულია ცდა ქართ. სიტყვათა შეედური შესატყვისებით გადმოცემისა. ა. ბ-ის მონაწილეობა ჩანს ქართ. შრიფტის ჩასწორება-დახვეწისა და სტოკჰოლმში მისი ჩამოსხმის საქმეში. მან შრიფტი მოსკოვში გადაუგზავნა არნილ მეფეს. შრიფტის მცირე დახვეწის შემდეგ მოსკოვის სამეფო სტამბაში 1705 დაიბეჭდა „დავითნი“ – პირველი ქართ. ნაბეჭდი წიგნი რუსეთში.

მრავალგზის მცდელობის შემდეგ პეტრე I-მა მოახერხა ა. ბ-ის ტყვეობიდან დახსნა (იგი გაიცვალა შეედეთის პრემიერ-მინისტრ გრაფ კ. პიპერ'ის). 1711 შეედეთიდან რუსეთს მიმავალი ა. ბ. გ'სა-ში გარდაიცვალა. მისი ცხედარი დიდი პატივით ჩაასვენეს მოსკოვში და დონის მონასტრის უფლის მირქმის ეკლესიაში დაკრძალეს.

ლიტ.: ე ა თ ე შ ვ ი ლ ი ჯ., ამაგდარი მამული'შვილები. არნილ და ალექსანდრე ბაგრატიონების ბიოგრაფიისათვის. – «საბჭოთა ხელოვნება», 1978, № 4; *მ ი ს ი ე ვ ე.* Юхан Спарвенфельд и первая в России грузинская печатная книга. – «Скандинавский сборник», XXXII. Тарту, 1992; Х м ы р о в М. Д., Главные начальники русской артиллерии. Первый генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский. – «Артиллерийский журнал», 1866, № 1; Э с а д з е Б., Первый генерал-фельдцейхмейстер России царевич Имеретинский Александр Арчилович, СПб., 1901.

ჯ. ეათეშვილი.

ალექსიძე ზაზა ნიკოლოზის ძე (დ. 3.VIII. 1935, თბილისი), ისტორიკოსი და ფილოლოგი. ისტ. მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1997). დაამთავრა თსუ ისტ. ფაკ-ტი (1958). იყო თსუ არმენოლოგიის კათედრის გამგე (1979), კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტის დირექტორი (1989–2006). ა. იკვლევს ქრისტ. კაეკასიის პოლიტ., სოც.-კულტ. და იდეოლოგიურ პრობლემებს. მან კრიტიკულად დააღგინა და მეცნ. გამოკვლევები დაურთო ძვ. სომხ. და ქართ. მწერლობის ძეგლებს („ეპისტოლეთა წიგნი“, თბ., 1968; უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, თბ., 1975; არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, თბ., 1980). გამოსცა ქართ. და სომხ. ეპიგრაფიკის კორპუსები (ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978; ქართული ფრესკული წარწერების კორპუსი, I, თბ., 1988 – გ. აბრამიშვილთან ერთად). ყველა დასახელებული პუბლიკაცია დაფუძნებულია ქართ. და სომხ. ტექსტების ენობრივ ანალიზსე, ხოლო სტატიათა სერია [„კერონ“ სახელის ეტიმოლოგიისათვის; ქართულ-სირიული ლექსიკური ურთიერთობის ისტორიიდან; უძველესი ქართული სოციალური ტერმინები: სუფ-წული და ოსე (უკანასკნელი გ. მაჭავარიანთან ერთად); „მოქცეული ქართლისაჲს“ ლექსიკიდან და სხვ.] დაწერილია ენათმეცნ. და ისტ. მიჯნაზე. 1990–96 ა-ის ხელმძღვანელობით სინას მთაზე მოწყობილი ექსპედიციები სერიოზული აღმოჩენებით აღინიშნა, რ-თაგან ალბანური მწერლობის ძეგლების გამოვლენას და გაშიფვრას (იხ. *ალბანური დამწერლობა*) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კაეკ. უძველესი დამწერლობის მქონე ენების შესასწავლად. ა-ის შრომებმა არა მარტო გამოაელინა ახ. მასალა და ახლებურად დააყენა კაეკასიოლოგიის ბევრი პრობლემა (კაეკასიაში რელიგიური სიტუაციის, ქართ., სომხ. და ალბანური დამწერლობის გენეზისისა და განვითარების გზათა ეტაპების, ცალკეულ უძველეს სოც. ინ-ტთა და სხვ. საკითხები), არამედ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქრისტ. კაეკ. საერთო პრობლემატიკის კელეციის თანამედროვე ეტაპის შექმნას.

თხზ. (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): მხედრული დამწერლობის სათავეებთან. – «ცისკარი», 1978, № 5–6 (თანაავტ.: გ. აბრამი'შვილი); ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983; ქართული წერაოების შესწავლის მეთოდური საკითხები (ავიოგრაფია), თბ., 1985; ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კაეკასიოლოგიისათვის, თბ., 1998; Kaukasien und der christliche Orient zwischen 451 und 780. – «Georgica», Jena – Tb., 1981, H. 4.



ზ. ალექსიძე

გამოც.: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. I, თბ., 1964 (თანაავტ.: შ. ბურჯანაძე); თავისი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი. – კრ.: «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), I, თბ., 1971. *ნ. აფციაური.*

ალვეოლარული თანხმოვნები (<ლათ. alveolus – ღარი), ნუნისმიერი თანხმოვნები, რ-ებიც ზედა საჭრელი კბილების ნუნებთან – ალვეოლებთან იწარმოება. ქართულში გასარჩევია წინა-ალვეოლარული (წინანუნისმიერი): ძ ც წ ზ ს და უკანა-ალვეოლარული (უკანანუნისმიერი): ჯ ჩ ჭ შ *აფრიკატები* და *სპირანტები*. წინანუნისმიერები, ჩვეულებრივ, ნუნების წინა (კბილების მოსაზღვრე) ფერდთან იწარმოება, უკანანუნისმიერები – უკანა (მაგარი სასის მოსაზღვრე) ფერდთან. ამ ფერდებთან აფრიკატების წარმოსათქმელად საჭირო ენის ხშვა ოდნავ წინ ხდება იმ ადგილთან შედარებით, სადაც ქალიბდება მათი და შესაბამისი სპირანტების ნაპრალი. თუ აფრიკატების (ძ ც წ ჯ ჩ ჭ) წარმოების ადგილს მათი ხშვის მიხედვით განვსაზღვრავთ, მაშინ შეიძლებოდა გამოგვეყო ალვეოლარულ (ნუნისმიერ)

ბგერათა ოთხი ურთიერთმომდევნო რიგი: 1. ძ ც წ; 2. ზ ს; 3. ჯ ნ ჭ; 4. ჟ შ. მაგრამ მეტყველებაში ეს სურათი იშვიათად გვხვდება და ამიტომ შეიძლება ლაპარაკი ალიშნულ ბგერათა წარმოთქმაზე ერთსა და იმავე პოზიციაში. რაც შეეხება სხვადასხვა ბგერასთან მეზობლობას, აქ სურათი იცვლება: აღნიშნული რიგების ბგერათა წარმოების არეები ერთმანეთის ფარგლებში იჭრება, მაგ., უკანა რიგის ბგერა წინა რიგის ბგერაზე წინაც შეიძლება წარმოითქვას (შდრ. მაგ., ს-ს შესაძლო უკანანუნისმიერი წარმოთქმა სიტყვაში – სოლი, ასევე შ-ს შესაძლო წინანუნისმიერი წარმოთქმა სიტყვაში – შიში). ასეთ შემთხვევებში განსხვავება ემყარება ნაპრალის არა აღგილს, არამედ სიდიდეს, რაც ენის წვერის აწევა-დაწევით რეგულირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაბმულ მეტყველებაში მეზობელ ბგერათა გავლენის შედეგად ალვეოლარული (ნუნისმიერი) ბგერების წარმოების ადგილი შეიძლება გასცდეს საკუთრივ ნუნების არეს. ისინი შეიძლება წარმოითქვას ნუნებისა და კბილების, ან ნუნებისა და მაგარი სასის საზღვარზე, ამ საზღვრის ნაწილობრივი გადალახვითაც, ე. ი. ნუნისმიერ ბგერებს შეიძლება აღმოაჩნდეთ დენტოალვეოლარული (კბილ-ნუნისმიერი) და ალვეოპალატალური (ნუნა-მაგარსასისმიერი) პოზიციური ვარიანტებიც.

ალვეოლარულ ბგერად მიიჩნევა მთრთოლი სონორი რ-ც, რადგან მისი წარმოთქმისას ენის წვერის ვიბრაცია ნუნების არეში ხდება (იხ. *ვიბრანტი*). *ზ. ჯაფარიძე.*

ალიტერაცია (საშ. ლათ. alliteratio < ლათ. al-–თან და litera – ასო), მეტყველების ბგერითი ორგანიზაციის ერთ-ერთი ხერხი, ახლომდგომ სიტყვებში ერთი და იმავე (ან მსგავსი) თანხმოვნის განმეორება მხატვრული ზემოქმედების გაძლიერების მიზნით. ა. ფართოდ გავრცელებულია ხალხ. შემოქმედებაში – ანდაზებში, აფორიზმებში, საბავშვო ლექსებში, გამოცანებში, ენის გასატეხებში („წამხედურამ წაიხედა, წინა ფეხი წაიტეხა"...). ა. განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის მეტყველების რიტმს, რის გამოც იგი ფართოდ გამოიყენება პოეტურ ენაში („კარენის ქალთა ნახლართული ჩაჭერ, ნავაკარაბაკე...", შოთა რუსთ.). ამ მოვლენაში კარგად ჩანს ადამიანის შემოქმედებითი დამოკიდებულება ობიექტურ სინამდვილესთან, სიტყვის აკუსტიკურ ორგანიზაციასთან, მოტივაციურ საფუძვლებთან.. ა-ის უმარტივესი ნიმუშებია საწყისის ფორმის ხმაბაძვითი სიტყვები, ექსპრესიული ლექსიკა (კაკაკუკი, ჭიჭყინი, აჯლაბუჯღლა...).

ა. არაბული.

ალოგენეტური თეორია (< ბერძნ. allos – სხვა, მეორე და gennētos – შობილი), ლინგვისტური თეორია, რ-ის მიხედვით ენათა გენეტიკურ ნათესაობასთან (იხ. *ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია*) ერთად ივარაუდება ისეთ მიმართებათა არსებობა, როდესაც ესა თუ ის ენა ერთი ნაწილით გენეტიკურად უკავშირდება წინაპარ ენას, ხოლო მეორე ნაწილი კანონზომიერ მიმართებებს ამყარებს კონტაქტში მყოფ სხვა ჯგუფის ენასთან (ენებთან). ამგვარად, ალოგენეტური მიმართებები გულისხმობს ენათა ორმხრივ სიახლოვეს – გენეტიკურსა და შეძენილს (კონვერგენციით მიღებულს). ამით ალოგენეტური მიმართებები განსხვავდება როგორც წმინდა გენეტიკური, ისე წმინდა ენობრივი კავშირებისაგანაც (იხ. *ენათა კავშირი*). ალოგენეტური ურთიერთობები შესაძლებელია დამყარდეს მონათესავე ჯგუფის შიგნითაც. მოცემული თეორიის თანახმად, ალოგენეტურ ურთიერთობაში მყოფ ენებად მიჩნეულია სემიტური და ქამიტური, ურარტული და ხურიტული ენები და სხვ. ასეთივე ურთიერთობაა დაშვებული ქართველურსა და სხვა კავკ. ენებს შორის.

ლიტ.: Церетели Г. В., О языковом родстве и языковых союзах. – «Вопросы языкознания», 1968, №3.

ლ. ენუქიძე.

ალოგლოტოგრაფია (< ბერძნ. allos – სხვა, glōtta – ენა, graphō – ვწერ), წერის თავისებური ხერხი, სუპირი ტექსტის ჩაწერის მეთოდი. ა. ფართოდ იყო გავრცელებული ირანულენოვან სამყაროში (და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში). ა-ის დროს ჩასაწერი ტექსტი, რ-საც გარკვეულ ენაზე კარნახობენ, სინქრონულად ითარგმნება და ჩაიწერება დამწერლობის მქონე სხვა რომელიმე („შუამავალ") ენაზე. ამოიკითხება არა უცხო ენაზე, რ-სეც ჩაწერილია ტექსტი, არამედ ისევ თავდაპირველ ენაზე. ასეთი „შუამავალი ენა" ძვ. სპარსულისათვის იყო ელამური, ხოლო საშ. სპარსულისათვის – არამეული (იხ. *არამეული ენა*).

ა-ის გამოყენება რომელიმე ენისათვის არ გამორიცხავს ამ ენაზე ლიტ. ტრადიციების არსებობას, მაგ., სეპირისტ-უორფის სახით [შდრ.: ძვ. ინდური (ვედური) ჰიმნები, ჰომეროსის პოემები..., რებიც შექმნილია მათ წერილობით ფიქსაციამდე გაცილებით ადრე].

გამოთქმულია ვარაუდი (თ. გამყრელიძე) ა-ის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ქრისტიანობამდელ საქართველოში (არამეულის მეშვეობით).

ლიტ.: გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.

ლ. ენუქიძე.

ალომორფი (< ბერძნ. allos – სხვა და morphē – ფორმა; ტერმინი შემოღებულია *ალოფონის* ანალოგიით), *მორფემის* პოზიციურად განპირობებული კონკრეტული ვარიანტი, მორფემული ალტერნანტი. ტექსტში ა-ები გეგელინებიან ფონემურად განსხვავებულ მორფებად (იხ. *მორფი*), რ-თაც აქვთ ერთნაირი მნიშვნელობა და ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში, ე. ი. არასოდეს გეხვდებიან ერთსა და იმავე პოზიციაში (იხ. *დისტრიბუცია*). მაგ., ქართულში მოთხრ. ბრუნვის ნიშნები – -მა, -მ წარმოადგენენ ა-ებს: მათ შორის განსხვავება გამოწვეულია ფონეტიკური პირობებით: -მა იხმარება თანხმოვანფუძიან, ხოლო -მ – ხმოვანფუძიან სახელებთან (კაცმა, დედა-მ). ზოგჯერ მორფემა ტექსტში შეიძლება არ იყოს მატერიალურად გამოხატული. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ ნულოვან ა-ზე (მორფზე), რ-იც

გამოიყოფა სხვა ა-ებთან ფუნქციური შეპირისპირებით. მაგ., ქართულში ირიბი ობიექტის ნიშანი (ჰ/ს) ხმოვანთა წინ წარმოდგენილია ნულოვანი ა-ით (შდრ.: ჰკრას, სწერს..., მაგრამ – უკრას, უწერს...). ა-ების ერთ მორფემაში გაერთიანების საკითხი სხვადასხვა ლინგვისტურ მიმდინარეობაში სხვადასხვაგვარად წყდება.

ლიტ.: შარაძენიძე თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; Хэмп Э., Словарь американской лингвистической терминологии, пер. с англ., М., 1964.

რ. ქურდაძე.

ალოფონი (< ბერძნ. allos – სხვა და phōnē – ბგერა), *ფონემის* კონკრეტული სამეტყველო რეალიზაცია, პოზიციური ვარიანტი, რ-იც ჩნდება ამა თუ იმ ფონემის მანიფესტაციის დროს განსხვავებულ ბგერით გარემოცვაში (პოზიციაში). მაგ., სიტყვაში ლილა პირველი ლ რბილია, მეორე კი – მაგარი, მაგრამ მიუხედავად მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი ფონეტ. განსხვავებისა, რ-იც გამოწვეულია სხვადასხვა ხმოვანთა მეზობლობით, ქართულში ისინი მაინც ერთ ფონემას განეკუთვნებიან, წარმოადგენენ ერთი ფონემის ა-ებს (ასეთ განსხვავებებს სმენა, ჩვეულებრივ, ვერ აღიქვამს). ა-ები არასოდეს გვხვდებიან ერთსა და იმავე პოზიციაში: ისინი ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის (იხ. *დისტრიბუცია*) დამოკიდებულებაში. თავის მხრივ ა-ც განიხილება როგორც ერთსა და იმავე პოზიციაში დადასტურებული ბგერების – ფონების (იხ. *ფონი*) ქვეკლასი.

ლიტ. იხ. სტატიასთან *ალომორფი*.

ლ. ენუქიძე.

ალტერნაცია (ლათ. alternatio – მონაცვლეობა), მონაცვლეობა, როდესაც ერთი დონის ენობრივი ერთეულები ერთმანეთს ენაცვლებიან უფრო დიდი ერთეულის ფარგლებში. მონაცვლე ერთეულებს უწოდებენ ალტერნანტებს. ბგერათმონაცვლეობის შემთხვევაში საქმე გვაქვს როგორც ფონეტ. მონაცვლეობასთან, რ-იც მიმდინარეობს ცოცხალი ფონეტიკური პროცესების ზეგავლენით, ისე არაფონეტიკურ ა-სთან, რ-იც აღნიშნული პროცესების მოქმედებით არ აიხსნება.

ფონეტიკური ა. გვხვდება ცოცხალი წარმოთქმის პროცესში და გამოწვეულია ბგერათა ურთიერთგავლენით, ბგერათა შეგუებით, ბგერათა შეერთებით (იხ. *კონტრაქცია*). ფონეტიკური ცვლილებების გარეშე არ არსებობს რწყმული მეტყველება. ეს არის ენის ბგერითი ცვლილების სპეციფიკა. ბგერათა შეერთებით წარმოქმნილ ბგერათცვლილებებს ეწოდება კომბინატორული ფონეტ. ბგერათცვლილებები (იხ. *ასიმილაცია*, *დისიმილაცია*, *რედუქცია*, *მეტათეზისი*...).

ყველა კომბინატორული ბგერათცვლილება არის განპირობებული, რადგანაც ბგერათშეერთების ნიადაგზეა წარმოქმნილი, მაგრამ ყველა განპირობებული ბგერათცვლილება არ არის კომბინატორული. მაგ., ყრუ თანხმოვნის წინ მჟღერის დაყრუება (გალობდა – გალოფს) კომბინატორულია და განპირობებული, მაგრამ სიტყვის ბოლოს მჟღერი თანხმოვნის დაყრუება (კარგად – კარგათ) განპირობებულია და არა კომბინატორული.

არაფონეტიკური ა-ები არ არიან განპირობებული ფონეტიკურად და არც ფონეტ. კანონზომიერება ახასიათებთ. ისინი გამოწვეულია ისტ. ფაქტორებით და სემანტიკური ან გრამატ. ფუნქციით გვევლინებიან (იხ. *ბგერითი ცვლილებები*).

სიტყვაში ისეთ ფონეტ. მოვლენებს, რ-თა გამომწვევი ფაქტორი სიტყვის ბგერითი შედგენილობის გარეთ არის, განეკუთვნება ბგერითი ანალოგიაც (იხ. *ანალოგია*).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; Бодуэн де Куртенэ И. А., Опыт теории фонетической альтернации. – იხ. მისი: Избр. труды по общему языкознанию, т. I, М., 1963; Зиндер Л., Общая фонетика, Л., 1980.

ი. თევდორაძე.

ამბარლოს წარწერა 1032, ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი 5 სტრიქონად ეკლესიის სამხრ. შესასვლელის არქიტრავზე. წარწერას მიაკვლია ე. თაყაიშვილმა და პირველმა გამოაქვეყნა 1913. სოფელს მის დროს ამბარლო ერქვა, რ-ის ქართ. სახელწოდება, მისივე ცნობით, ერქუშაანთ სოფელი ყოფილა (დმანისის



ამბარლოს წარწერა. 1032.

რ-ნის სოფ. განახლება, მაგრამ სპეც. ლიტ-რასა და სამეცნ. წრეებში ეს წარწერა ა.წ-ის სახელითაა ცნობილი). წარწერის პირველი ოთხი სტრიქონი ჰორიზონტალურ რიგებად, ხოლო მე-5 სტრიქონის დასაწყისი დანარჩენების მიმართ განივადაა ამოკვეთილი ფილის მარცხენა მხარეს და გრძელდება ჰორიზონტალურად სხვა სტრიქონების ქვემოთ. ე. თაყაიშვილის დროს წარწერა დაფარული ყოფილა მიწით და ეკლესიისათვის სამხრეთით გვიან მიშენებული ფარდულით, რ-ის სახურავი აუხდიათ და წარწერაც მთლიანად გამოჩენილა. შემდეგ ეკლესიის კედლები კირის ხსნარით შეუთეთრებიათ, ხოლო წარწერის ასოთა კვეთის ღარებისათვის შავი საღებავი შემოუვლიათ: რამდენიმე ადგილას იგი არასწორადაა წასმული, მაგრამ მთლიანად ტექსტი გარკვევით იკითხება:

„ქრონიკონი იყო სმბ.

+ მოწყალებითა ღმრთისაჲთა, მე, თევდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ მეფისა სალოცველად, და შემდგომად ლიპარიტ ერისთავთა ერისთავისა.

მას ჟამსა დაიდეა ბალავარი, ოდეს შეიპყრა ლიპარიტ ერისთავთა ერისთავმან ამირაჲ".

სხვა წყაროებით უცნობი ვინმე თევდორე წარწერით გვამცნობს ეკლესიის აშენების შესახებ, ასახელებს ორ ისტ. პირს – ბაგრატ მეფეს და ლიპარიტ ერისთავთერისთავს, რ-თა სადიდებლადაც იგი აუგია. დასახელებულია თარიღი – „ქრონიკონი იყო სმბ" (252), ე. ი. 1032. ამის მიხედვით უეჭველია, რომ ტექსტში დასახელებულია მეფე ბაგრატ IV (1027–72) და ლიპარიტ ლიპარიტისძე – ერისთავთერისთავი, შემდეგ მეფის მოწინააღმდეგე უძლიერესი ფეოდალი XI ს. საქართველოში.

წარწერაში გადმოცემულია „ქართლის ცხოვრებიდან" კარგად ცნობილი ფაქტი – ლიპარიტ ლიპარიტის ძისა და ქართლის ერისთავის ივანე აბაზასძის მიერ თბილისის ამირა ჯაფარის მუხათგვერდში გამოტყუება, შეპყრობა და დიდი ხნით „პატიმრობასა შინა" დაკავება. როგორც შენიშნავდა ე. თაყაიშვილი, ფაქტი ცნობილი იყო, მაგრამ თარიღი არ იყო გარკვეული, რაც შესაძლებელი გახადა ა. წ-მ. მაშინ ბაგრატ IV 12 წლისა იყო და ამიტომაც აღნიშნავს „მატიანე ქართლისაჲს" ავტორი, რომ ეს მოხდა „სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა". ა.წ-ზე დაყრდნობით, ქართვ. დიდებულთა მიერ თბილისის ამირა ჯაფარის 1032 შეპყრობის ფაქტი მიღებულია ქართ. ისტორიოგრაფიაში.

ეკლესიის შიგნით, ჩრდ. კედლის სარტყლის ერთ-ერთ ქვაზე არის მეორე ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი 7 მოკლე სტრიქონად, რ-იც ასევე თევდორეს ეკუთვნის:

„სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, მე, თევდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა სალოცველად სულისა ჩემისა".

ეს არის ჩვეულებრივი ტრაფარეტული საამშენებლო წარწერა. იგი შესრულებულია იმავე ხელით და დამწერლობით, როგორითაც პირველი წარწერა, ამიტომ მათი თანადროულობა ეჭვს არ იწვევს.

ლიტ.: სილოგავა ვ., ქვემო ქართლის წარწერები. – კრ.: «დმანისი», II, თბ., 2000; Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. 4, Тфл., 1913.

ვ. სილოგავა.

ანაგრამა (ბერძნ. anagramma < ana – გადა და gramma – ასო), სიტყვასა ან სიტყვათშეხამებაში შემავალ ბგერათა (resp. ასოთა) გადასმა, რის შედეგადაც მიიღება იმავე ბგერითი შედგენილობის, მაგრამ სხვა შინაარსის სიტყვა ან ფრაზა: ლარი – ლირა, ცხვირი – რიცხვი...; ანაგრამული წესით ხშირად ადგენენ ფსევდონიმებს. მაგ.: ეძიოთ ა. < ა. თოიძე; დოთე < თედო [რაზიკაშვილი]; ესმო < მოსე [ჯანაშვილი]; ტონკმელი < მელიტონ კ[ელენჯერიძე] და სხვ.

ა. ტექსტის ფუნქციური ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც ამოსავალი სიტყვის (ჩვეულებრივ საკუთარი სახელის) შემადგენელი ბგერები თუ მარცვლები მიზანსწრაფულად მეორდება სხვა სიტყვასა თუ სიტყვებში.

ა-ის შექმნას მიაწერენ ბერძენ გრამატიკოს ლიკოფრონს (ძვ. წ. III ს.), თუმცა ა-ის გამოყენების მაგალითები ბევრად უფრო ძველია. ა. წარმოშობით მაგიასთან არის დაკავშირებული და წარმოადგენს ძვ. რელიგ. ტექსტებში სახსენებლად აკრძალული საკრალური სახელის დაშიფრვის ხერხს ფონეტ. კოდირების გზით – საკრალურ სახელში შემავალი ბგერებისა და მარცვლების გამეორებით – მათი სხვადასხვა კომბინაციით.

თავდაპირველად ა-ს მიმართავდნენ უფლის (ღვთაებების) სახელის, მოგვიანებით კი ნებისმიერი არაგასამჟღავნებელი სახელის (მეფის, გმირის, ავტორის...) დასაშიფრად, მაგრამ უცვლელი რჩებოდა „შეფარვით თქმის" პრინციპი. ვრცელ რიტუალურ ტექსტებში ზოგჯერ სახელის პირდაპირი ხსენება და ა. ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა ფრაგმენტებში, ზოგჯერ – ერთი ფრაგმენტის ფარგლებშიც კი.

ა-ის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა საკრალური სახელის დაშიფვრა თანამიმდევარ სიტყვათა მიჯნაზე (წინა სიტყვის აუსლაუტი + მომდევნო სიტყვის ანლაუტი), ახალი, მესამე სიტყვის წარმოქმნის გზით. ასეთი რამ გვხვდება ზ მ ი ს ა და ე. წ. ს დ ვ ი გ ი ს შემთხვევაშიც (მაგ. პუშკინთან: „Слыхали ль вы за рощей глас ночной"), მაგრამ მიუხედავად ფორმალური მსგავსებისა და ზოგჯერ დამთხვევისა, ა. პრინციპულად განსხვავდება მათგან. თავისი ფუნქციით ა. გათვლილია არაცნობიერზე ზემოქმედებისათვის.

ა-ს ხშირად მიმართავენ როგორც სტილისტიკურ ან კრიპტოგრაფიულ (იხ. *კრიპტოგრაფია*) ხერხს. ანაგრამული პრინციპი ვლინდება სხვა ნიშნურ სისტემებშიც (მაგ., მუსიკაში). ანაგრამული წყობა, როგორც ვრცელი სიტყვის (სახელის) გარემომცველ სიტყვებში (მარცვლებსა და ფონემებში) გამოხატვის ხერხი, ფართოდ არის გამოყენებული ძვ. ინდოევრ. პოეზიაში (ფ. დე სოსიური): ვედურ ჰიმნებში, ჰომეროსის პოემებში, რომაულ პოეზიაში, გერმ. ალიტერაციულ ლექსში, ფრ. ვიიონის პოეზიაში და სხვ. მაგ., „ოდისეის" მე-11 თავში (სტრიქონი 400): „ὄρσας ἀργαλέων ἀνέμων ἀμέγαρτον ἀϋτμήν" („საშინელი მობერვით მძაფრ ქა-

რი"შხალთა აღმმართეელმა") დაშიფრულია სახელი ἀγαμέμνον (აგამემნონი). ა-ის პრინციპი უცხო არ არის „ეეფხისტყაოსნისთვისაც". პოემის ეპილოგში ანაგრამული წესით დაშიფრულია თამარ მეფის სახელი: „ეინ არის აღმოსავლეთით დასაელეთს სართა მარებლად" (1584, 3).

ა-მ მაგიასა და საკრალურობასთან კავშირის დაკარგვის შემდეგ ლიტ-რის „დაბალ" ჟანრებში (გამოცანები, შარადები, ეპიგრამები...) გადაინაცვლა.

ლიტ.: Кватковский А., Поэтический словарь, М., 1966; Соссюр Ф. де, Труды по языкознанию, пер. с франц., М., 1977; Литературный энциклопедический словарь, М., 1987.

ი. ქობალავა. მ. ქურდიანი.

ანალოგია (ბერძნ. analogia – შესაბამისობა, შესატყვისობა, მსგავსება), ენობრივ ერთეულთა დამსგავსება (ან დაახლოება) ამავე დონის სხვა ერთეულებთან. ა. ენის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მისი მოქმედება გულისხმობს ენაში არსებული ფორმების, სტრუქტურული მოდელების მიხედვით ახ. ერთეულების შექმნას. ა. ენაში შეიძლება მოქმედებდეს ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით: როგორც რეგულარობის განმტკიცების, არსებული სისტემის შენარჩუნების, ისე ახ. ფორმების შექმნისა და ამით საბოლოოდ სისტემის შეცვლის მიმართულებით.

ა. მოქმედებს ენის ყველა დონეზე, იწვევს ფონეტ. კანონსომიერებებით განუპირობებელ ბგერათცვლილებებს და ამით საგრძნობლად ცვლის სიტყვებს. მაგ., სიტყვაში „დალმართი" ღ არ არის ფონეტიკურად განვითარებული ბგერა: იგი ჩართულია „აღმართის" ა-ით, სადაც ღ არის აღ შვნისწინის შემადგენელი ელემენტი. სიტყვა „უმცროსის" ანალოგიითაა გაჩენილი მ სიტყვაში „უმფროსი". ა-ის მოქმედების შედეგია ხმის მორფოლოგიაში მომხდარი ცვლილებები. მაგ., I თურმეობითში „მიეღნია", „დამიხატნია" და მისთ. ფორმებში ნ ჩართულია „გამითოხნია" და მისთ. ფორმათა ა-ით, სადაც ნ აწმყოდან (ეთოხნი) არის გადმოყოლილი; ასევე, ენებითი გვარის ერთპირიან ხმიანთა თურმეობითის ფორმებში პირის ნიშანი წინ არის გადმოწეული (ნაცვლად ძვ. ქართ. ფორმისა „დამალულვარ" გვაქვს „და-ე-მალულ-ვარ"), რაც ორპირიანი ხმის ანალოგიით უნდა მოხდარიყო (ა. შანიძე).

ა. უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს უცხო ენათა შესწავლის ან ბავშვის მიერ მშობლიური ენის დაუფლების პროცესში. ძირითადად სწორედ ა-ით ხდება ენის პარადიგმების, კონსტრუქციების ათვისება. ეს კარგად ჩანს იმ შემთხვევებიდანაც, როდესაც ბავშვი უკვე ათვისებულ პარადიგმას აერცელებს სიტყვათა მთელ კლასზე. მაგ., ამ გზითაა შემოსული ბავშვის მეტყველებაში სებობს ფორმა, მიღებული „არსებობს" ფორმისაგან, რ-შიც არ გათანაბრებულ იქნა უარყოფის არ ნაწილაკთან; მიდის – მიდიოდა დაპირისპირების საფუძველზეა წარმოქმნილი ბაგშვის ენაში მირბის – მირბიოდა დაპირისპირება; თამაშობს – თამაშობდა, მირბის – მირბოდა ფორმათა ა-ით არის ნაწარმოები ზიოდა – უწყეტელის ფორმა „ხის" ზმნისაგან; „კბენია" და მისთ. ანალოგიითაა მიღებული ხვევია და ა. შ.

განსაკუთრებით ფართოდ მოქმედებს ა. დიალექტებში, სადაც, სალიტ. ენისაგან განსხვავებით, მეტყველება არანორმირებულია. მაგ., იმერულში ჯდის (შდრ. ზის), ჯდიან (შდრ. ზიან) და მისთ. (იხ. აგრეთვე *კონტამინაცია, ეტიმოლოგია*).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; Соссюр Ф. де, Труды по языкознанию, пер. с франц., М., 1933; Дампения М. Е., О некоторых явлениях аналогии в развитии языка (Автореф. канд. дисс.), Тб., 1955; Кубрякова Е. С., Размышления об аналогии, კრ.: «Сущность, развитие и функции языка», М., 1987; Гринберг Дж., Антропологическая лингвистика, пер. с англ., Киев, 2004.

ი. ქობალავა.

ანაპტიქსი (<ბერძნ. anaptyssō – ვშლი, ვმართავ), სიტყვაში თანხმოვნებს შორის წარმოთქმის გადაელილების მიზნით ხმოვნის განვითარება. *აქცესიურ კომპლექსებში* პოტენციურად ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა ანაპტიქსური ხმოვნის გაჩენისა, მაგ., თანამედროვე ქართ. მეტყველებაში ძამა, ძამია, ძამიკო ფორმებში შეიძლება ვიეარაუდოთ ანაპტიქსური ხმოვნის ართვა. ეოკალური ელემენტით გათიშვის კვალი ჩანს ზანურ აქცესიურ კომპლექსებში: ტბა > ტობა || ტიბა; გბ (გბობა) > გუბ || გიბ; კბილი > კიბირი დამისთ. ხშირად სონანტების მეზობლად განვითარებული ხმოვნები (შდრ.: ძვ. ქართ. – კრწყილი, ხევსურულში – კირწყილი, სალიტ. – ჩრჩილი, კახურში – ჩირჩილი, ქიზიყურში – ჩრიჩილი, სალიტ. – კლდე, ხევსურულში – კილდე...) უფრო ისტორიულად მარცვლოვანი ელემენტების რეფლექსებად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე ანაპტიქსურ ხმოვნებად.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჭელიძე ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965. *ნ. იმნაძე.*

ანაფორა (ბერძნ. anaphora – ზეით აწევა, გამოტანა), 1. რიტორიკაში – *მეტყველების ფიგურა*, რომელსაც მეტი ექსპრესიულობის მისაღწევად მეტყველების პარალელურ მონაკვეთებში (ლექსებში – მოსაზღვრე ტაეპების, სტროფების) დასაწყისი ნაწილები მეორდება. ეს შეიძლება იყოს ბგერის ან ბგერათმიმდევრობის გამეორება – ფონეტიკური ა. („რამ გამახაროს / როს თქვენ ტირიხართ, ჩემო კარგებო, / რისთვის დადუმდით, შრიალებთ რად არ?" ა. კალ.); სიტყვის ან სიტყვების გამეორება – ლექსიკური ა. („და ეიდრე ჩემთანაც მოსულა ფაიზი / და ვიდრე ჩემს თმებსაც თვითნებურ შეღებავს", ა. კალ.); ერთი და იმავე გრამატ. კონსტრუქციის გამეორება – სინტაქსური ა.(„დავალ ქვეყანაზე, როგორც ბნედიანი, / ღმერთო! მაპატიე უმად ხეტიალი, / დავალ ქვეყანაზე, როგორც გაძარცვული, / ღმერთო! დაანჭარე ჩე-

აფხაზური დამწერლობის ნიმუში არაბცია რჰიღნთქარ როსტევან იაქიაბე

ᲐᲐ ცან რაჰხან, ზანჯუ ბჰიან ბიღოქარ ჯაუ ცი რიხტყან,
ეი ფუნ ღუნ, ფცუაჰხღაცუაჰან, ტოღღი რაცა ბჟარღა იცაჰხან;
ფიღარ რჭახუ, აუუ იაბჰი, ეი აუსუა იოუსაჰ რაცან,
აიაბრაჭუ ცარი ფღუღუნ, ხბრფ ღერაღა ეი ფცაბაკ.

ᲑᲑ ეი ღიაჰხან, ჯა ღიაჰჭხტ, ახა იაჰა ცი ფცაუსაჰან,
აუნი ფციაჭუნ ცარი ფჯრაღა, ზაკი ჰრა ბაბჰი ბაა ეი ღრუუსაჰან,
ეი აიუსა ანღაუსაჭუნ იაკაიხუ ცაბა ჯიღაკაჰან,
ცი ქუნაკა ეი ფუზაცჰხუნ, ხბრფ ღერაღა ეი ფცაბაკ.

ღ ა ზ უ რ ი ა ნ ბ ა ნ ი (ქორთული)
L A Z U R İ A L F A B E (kortuli)
L A Z C A A L F A B E (gürcüce)
L A S I S C H E S A L P H A B E T (georgische Schrift)



ა ბ გ დ ე ვ ზ ფ თ
ი კ ღ მ ნ ჟ ო პ ე
რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ
ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

* ტბილად ბოფერში

ოსური დამწერლობის ნიმუში

მაჲაკოვსკი ამერიკაჲჲ

ნჯა, ნე ‘ნცაჲჲ, ბოეთ, ჲა ბარდნ
ჲა ზაღიანგ ღუნეთღე ნარჩნჯა.
ნა რაზგა ამონღჯენ ჭაღთარან
ჲა ქოჲ უ ცინ ამა არდხარან.

ავხონგაჲ ღუნეთღე არზღიღა,
ჲა ჭაღთა აბონ ღარ ქჯე ბჩნენც.
ზახხღე ყჯიჲგანგა ქნმ ციჲა,
ჯემ ძიღა რუხს ცარდმა ქჯე თჩრნენც.

ნი აღსასრულის!“ ტ. გრან.). ა-ს პროზაშიც მიმართავენ. მჭევრმეტყველებაში ა. ემოციურობის გასაძლიერებლად გამოიყენება. განსაკუთრებით მდიდარია ა-ით ქადაგებათა ტექსტები: „ჲ მდიდარო, რაღსთვის იმოსები ძოწეულითა და ს(ი)ითა? არა გესმაა, რასა იტყჳს: „უკეთ(უ) გედვას ორი სამოსელი, მიქც, რომელსა არა აქუნდეს?“ არა გესმაა: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და შემომიდეგ მე)“? არცა-მე ესე გესმაა: „განაბნია და მისცა იგი გლახაკთა და სიმართლე მისი უკუნისამდე ჰგიეს“? (იოვანე ბოლნელის ქადაგებანი).

2. სინტაქსური მიმართება, როდესაც ერთი სიტყვის, ჩვეულებრივ, ნაცვალსახელის მნიშვნელობა გასაგები ხდება სხვა (იმაჟე ან წინამავალ წინადადებაში შემავალი) სიტყვის მნიშვნელობით. წინამავალი სიტყვა, რ-იც გამოხატავს ნაცვალსახელის რეფერენტს, წარმოადგენს ა ნ ტ ე ც ე დ ე ნ ტ ს. მაგ., გამონათქვამში: „უცნაურ ქარბორბალას ეუცქერდი. იგი ფერადი იყო, ცისარტყელას შეიდიე ფერით გაწყობილი“ (ნ. დუმბ.), იგი-ს მნიშვნელობას გასაგებს ხდის ანტეცედენტი „ქარბორბალა“. ს(ი)ოგჯერ, ანტეცედენტთან ანაფორულ მიმართებაში შეიძლება აღმოჩნდეს სხვა სიტყვებიც: „ორნი კაცნი მიდიოდეს სადაურნი სადმე გ(ა)სასა / უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა“ (შოთა რუსთ.). ა-ს, როდესაც ანაფორული სიტყვა წინადადებაში წინ უსწრებს ანტეცედენტს, უწოდებენ კ ა ტ ა ფ ო რ ა ს. მაგ., „როცა [ის] ხატავს, მარიამი აღტაცებულია“. *ც. ბარბაქაძე.*

ᲐᲜᲑᲐᲜᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, სხვადასხვა დროის ანბანები, რ-თაც ქართ. გრაფიკული სახეები (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) დასდებიათ საფუძვლად.

ქართ. ასომთავრული გრაფიკის დიდი გავლენა ჰანს ალბანურ ასომთავრულზე (V ს.), რასაც ცხადყოფს მასში ქართ. ასომთავრულის რელევანტური მახასიათებლის – ზედა და ქვედა ჰორიზონტალური ხაზების არსებობა (იხ. *ალბანური დამწერლობა*). ამით ქართ. და ალბანური კაპიტალური დამწერლობები პრინციპულად განსხვავდებიან კაეკ. ანბანური სამყაროს მესამე წარმომადგენლის, სომხ. კაპიტალური დამწერლობის – ერკათაგირისაგან (ალბანური ანბანური რიგის განსხვავება ქართულისაგან აღვილად აიხსნება მისი შედარებით გვიანდ. წარმოშობით).

ნუსხური გამოიყენა იოანე *იალლუშიძემ* ოსური ენისათვის: 1820 თბილისში გამოიცა მის მიერ ოსურად თარგმნილი „ლოცვანი, კათეხისმოსი და მოკლე ქრისტიანები-რი ზნეობითი სწავლა“, 1821 მოსკოვში – „საღმრთო მსახურება“, პარალელური ქართ. და ოსური (იალლუშიძის თარგმანი) ტექსტები; 1824 კი, მოსკოვშიეე – „გამოკრებილი ესე კურთხეანი ქართულისა და ოსურისა ენასა ზედა“. ნუსხური და მხედრული შრიფტები იოანე იალლუშიძემ ერთდროულად გამოიყენა ოსური ანბანის (ლოცვანიოურთ) შესადგენად და გამოსაცემადაც.

სხვადასხვა ენის ანბანების შესაქმნელად უფრო ფაროდ გამოიყენებოდა მხედრული დამწერლობის გრაფიკა. 1938–54 საიხრ. ოსეთის ავტონ. ოლქში (საქართველოში) ოფიც. დონეზე ფუნქციონირებდა ქართ. მხედრული დამწერლობის გრაფ. საფუძველზე შექმნილი ოსური ანბანი. 1954 ეს ანბანი რუს. გრაფიკაზე (კირილიცა) დაფუძნებული ანბანით შეიცვალა.

ქართ. მხედრული დამწერლობის გრაფიკა დაედო საფუძვლად აფხ. ანბანსაც, რ-იც 1938–54 ფუნქციონირებდა აფხაზეთის ასსრ-ში. 1954 ეს ანბანიც რუს. გრაფიკაზე – კირილიცაზე, დაფუძნებული ანბანით შეიცვალა. თუმცა, როგორც ლინგვ., ასევე პრაქტ. თვალსაზრისით, ქართ. გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანის გამოყენება ყოველმხრივ მისაწონილი იყო აფხ. და ოსური ენებისათვის.

1930–37 ქართ. მხედრული დამწერლობის გრაფიკაზე დაყრდნობით შეიქმნა და ფუნქციონირებდა ანბანი მეგრულისათვის. 1930 თბილისში გამოიცა საანბანო წიგნი „ჭითა ნხორია. ანბანი მოჭიშაფილეფიშო“ („წითელი სხივი. ან-

ბანი მოსრდილთათვის"), ხოლო რ-ნებში გამოდიოდა ოფიც. პრესა და წიგნები. XX ს. 80-იან წლებში ქართ. გრაფიკის შრიფტით პერიოდულად კვლავ გამოდიოდა წიგნები და გაზეთები მეგრულად.

1927–37 საბჭოთა საქართველოში შემოღებულ იქნა ლაზური (ჭანური) ანბანი ლათ. გრაფიკის საფუძველზე. 1991 გერმანიაში, ქ. ფროიდენშტადტში, გამომც. «Caucasus Verlag»-მა ქართ. და ლათ. დამწერლობების საფუძველზე შექმნილი ანბანებით გამოსცა ოსმან ტამტრულის ლაზური (ჭანური) დედაენა – „ნანანენა" (ოსმან ტამტრული ორი ქართ. მეცნიერის: ისტორიკოსის – წ. ბაწაშისა და ლინგვისტის – მ. ქურდიანის ფსევდონიმია). წიგნის გამოცემას წინ უძღოდა ოსმან ტამტრულისვე შედგენილი, ქართ. მხედრულ გრაფიკაზე დაფუძნებული ლაზ. ანბანის პუბლიკაციები ლათ. პარალელური ანბანით როგორც პრესაში, ასევე ცალკე პლაკატების სახით. ქართულის გრაფიკულ სტრუქტურაზე დაფუძნებული ლაზ. ანბანის შექმნა, ისევე როგორც მისი ლათ. ვერსიისა, ნაკარნახევი იყო პრაქტ. საჭიროებით, კერძოდ, დაიწყო ლაზურად, მაგრამ თურქ. ვარიანტზე დაფუძნებული ლათ. გრაფიკით, წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა, რაც არ იყო მიზანშეწონილი ლაზურისათვის. ამჟამად ლაზ. გამოცემებში ქართ. და ლათ. გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ანბანები თანაარსებობენ.

მ. ქურდიანი.

ანბანთქება, ანბანზე გაწყობილი ლექსი, ანბანური აკროსტიქი. ა. პოპულარული იყო აღორძინების ხანის ქართ. პოეზიაში, გვხვდება ზეპირსიტყვიერებაშიც, აგრეთვე სას. და საერო მწერლობაში. ბიბლ. ეპიზოდები უდევს საფუძვლად თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფის, თეიმურაზ II-ის ა-ებს. „შესაქცევარი და სახუმარო" სახისაა ბესიკისა და მზეჭაბუკ ორბელიანის ა-ები. არსებობს სატრფიალო (გ. ბაგრატიონის „ერთ ლამაზ ქალზე"), სევდის გამომხატველი (ს. ლარაძის „გოდება ანბანთქებით"), ამოცანად ამოსახსნელი, ანბანის დასასწავლად შეთხზული და სხვ. სახის ა-ები. ლექსის მოცულობა განსაზღვრულია ქართ. ასოთა რაოდენობით.

ა. ხასიათდება კომპოზიციური თავისებურებითაც: მაგ., შეიძლება მთელი ანბანი მოცემული იყოს ერთ სტროფში („ადამ ბრმა გველით და ევა ვერ[ა] ზოგვენ მე თმენასა"..., დ. გურ.), ტაეპთა დასაწყისში („აღიღსო გულიცა ჩემი საკვირველებით ვისაგან? / აწ მცა გავოცებულვარ ერთს რისმე მიზეზისაგან"..., თეიმურაზ II); ტაეპის ყველა სიტყვა შეიძლება იწყებოდეს ერთი და იმავე ასოთი („ასრე არის აგებული / ამგებელსა აქ აქებდეს / ...დიდმა დიდებამ დიდისამ / დიდებულები დარია"..., ვახტანგ VI). სოგჯერ ანბანის რიგს მუხლები ქმნიან: ნახევარტაეპების დასაწყისში ასოთა სრულ სახელწოდებას ამ ასოთი დაწყებული სიტყვა მოსდევს („ან, ალეა ხარ ტანაღობით, ბან, ბულბულს მიგიგავს ენა, გან, გიბრწყინავს პირისახე, დონ, დახატული ხარ შენა"..., ბესიკი).

თანამედროვე ქართული პოეზია ამ ფორმას იშვიათად მიმართავს. *ც. ბარბაქაძე.*

ანბანი, ერთობლიობა *ასოებისა*, ანუ გრაფიკული ნიშნებისა, რ-ებიც ამა თუ იმ ენის დამწერლობის სისტემაში გამოყენებულია *ფონემების* ან ფონემათა ჯგუფების გამოსახატავად. ტერმინი მიღებულია პირველი ორი ასოს სახელწოდების შეერთებით – ან + ბან, ისევე როგორც ბერძნ. alphá-bētos, ლათ. alpha-bētum, რუს. аз-бука და ა. შ.

ა-ის შექმნამ უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში. ანბანურმა დამწერლობამ, წერის სხვა სისტემებისაგან განსხვავებით, შესაძლებელი გახადა ბუნებრივი ენის ნებისმიერი შინაარსის ტექსტის ეკონომიური და ზუსტი ფიქსირება და ამით ცივილიზაციის მიღწევების გავრცელება მსოფლიოში.

ანბანური დამწერლობის ჩასახვა (სილაბური დამწერლობის ბაზაზე) იწყება დასაელურ სემიტურ არეალში ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანებიდან. ამ ტრადიციათა თანდათანობითი განვითარების შედეგად მეორე ათასწლ. ბოლოსათვის უკვე ყალიბდება ძვ. სემიტური კონსონანტური წერის სისტემა, რ-ის განშტოებას წარმოადგენს ფინიკიური, ქანაანური, პალესტინური და არამეული სისტემები. სწორედ მათგან იღებს სათავეს მრავალი ცნობილი ა. (იხ. *დამწერლობა*).

ქართ. ა-მა, ეიდრე ის თანამედროვე სახეს მიიღებდა, განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. ცნობილია ქართ. ა-ის სამი სახე: *ასომთაერული* (V–IX სს.), *ნუსხური* (IX–X სს.) და *მხედრული* (X საიდან დღემდე). თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებული, სტილისტიკურად შეკრული სისტემაა. გრაფიკულად ისინი ერთიმეორის განვითარებას წარმოადგენენ. ასო-მოხაზულობათა ცვალებადობა განპირობებულია სწრაფი, გამარტივებული წერის მოთხოვნით. ასომთაერული და ნუსხური ცნობილია ხუცურის სახელწოდებით, რამდენადაც ეს ა-ები ძირითადად სას. მწერლობას ემსახურებოდა, ხოლო მხედრულით იწერებოდა საერო ხასიათის დოკუმენტები, მხატვრული ნაწარმოებები და მისთ. (თუმცა დადასტურებულია მათი პარალელური გამოყენების შემთხვევებიც ერთი და იმავე მიზნისათვის).

თანამედროვე ქართ. ა. მხედრულის უშუალო გაგრძელებაა. ცელილებები ძირითადად შეეხო შედგენილობას: ტრად. ა-იდან ამოღებულ იქნა ხუთი გრაფემული ნიშანი (იხ. *ხმარებიდან გამოსული ასოები*), ასოთა რიგი და სახელწოდებები იგივე დარჩა. ქართ. ა. შეიცავს 33 ასოს, არა გვაქვს დიდი და პატარა ასოები. ასოთა რაოდენობა ზუსტად ასახავს ქართ. სალიტ. ენის ფონემურ შედგენილობას: თითოეული ასო შეესაბამება ცალკეულ ფონემას, არ არის არც ერთი შემთხვევა რამდენიმე ნიშნის გამოყენებისა ერთი ფონემისათვის ან, პირიქით, ერთი ნიშნისა – სხვადასხვა ფონემისათვის, როგორც ეს მრავალი ენის დამწერლობის პრაქტიკაში გვხვდება.

იხ. აგრ. *სპეციალური ანბანები.*

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლო-

ბა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომაელობა, თბ., 1989; Дирингер Д., Алфавит. пер. с англ., М., 1963; Гельб И., Изучение письма (Основы грамматологии), пер. с англ., М., 1982; Лундин А.Г., О происхождении алфавита. – «Вестник древней истории», 1982, № 2.

ე. მაჭავარიანი.

ქართული ანბანები



ანდაზა, ხალხის მრავალსაუკუნოვან დაკვირვებასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დამყარებული ერთწინადადებიანი გამონათქვამი (უპირატესად დიდაქტ. ხასიათისა). ა-თვის ნიშანდობლივია კონკრეტულ შინაარსში მოცემული აზრის განზოგადება და მსგავს შემთხვევებზე ნათაურად, მინიშნებით გადატანა. საუბარში, კამათში, პუბლიცისტიკასა თუ მხატვრულ ლიტ-რაში ა-ს იმოწმებენ როგორც საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას. განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ სასაუბრო ენაში. ა-ის მიხედვით მრავალი *სიტყვის მასალა* შექმნილა. ხშირად ა-ს გენეზისური კავშირი აქვს იგავთან, ლექსთან, ზღაპართან... ხალხური ა-ების გვერდით არსებობს ე. წ. ლიტერატურული ა-ებიც. მწერლის ერთწინადადებიანი, გონებამახვილური, განზოგადების უნარის მქონე გამონათქვამი ხშირად ხალხში გადადის, მოარულ ფრაზად იქცევა, მაგრამ დიდხანს ინარჩუნებს თავის სინტაქსსა და სტილს. ა-ს, როგორც მოარულ ფრაზას, ახასიათებს ვარიანტულობა: „ბრმას რა უნდა და – ორიე თვალიო“ || „ბრმა რას ჩიევის და ორთაე თვალსაო“ || „ბრმა რას ტირის და თავის უსინათლობასაო...“ გვხვდება ერთი აზრის გამომხატველი, სინონიმური ა-ებიც: „ბაყაყი ხალიჩაზე დასვეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო“; „ღორის თავი სუფრაზე დადევს, იგორა, იგორა და ისევ ლაფში ჩავარდაო...“ და ა. შ.

ა-ის ენა საერთო სახალხო ენის საუკეთესო ნიმუშია: მოარულ ა-ში დიალექტური სხვაობა იშლება, ფრაზა იხვეწება და საერთო ქართულის ნორმებს ექვემდებარება. ა. უხვად იყენებს საერთო-სახალხო ენის მდიდარ ლექსიკას, სადა და ძლიერ ხალხ. გამოთქმებს, ზოგჯერ კი სიტყვაწარმოების წესების სრული დაცვით თვითონაც ქმნის შინაარსთან მარჯვედ მისადაგებულ ახ. სიტყვებს (მოიმოახლებს, ეკონკე, დაეტაშლება, პატრონდახელულად...).

ადვილად დასამახსოვრებელი სხარტი ფრაზის შესაქმნელად ა-ში ფართოდ არის გამოყენებული უქვემდებარო, უშემასმენლო, დიალოგისა და კითხვა-მიგების შემცველი წინადადებები. ყველაზე ხშირად ა. მარტივ გავრცობილ წინადადებას მიმართავს, ყველაზე იშვიათად – მარტივ გაუვრცობელს („მორქარეს მოუგეიანდესო“); თავს არიდებს განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ასევე ზოგ კავშირს (ვინაიდან, რადგანაც, რათა, არამედ, ხოლო, ანუ...); განსაკუთრებული ინტონაციითა და კავშირით ახერხებს გამოტოვებული წევრის კომპენსირებას („მელა კედებოდა და – საქათმეში დამმარხეთო“), სხვათა სიტყვის ო-თი კი – „თქვა“, „თქმულა“, „ნათქვამია“, „იმბობენ“, „უთქვამთ“... სიტყვათა შემოკლებას; აზრის განსოგადებისათვის შეარჩევს განგრძობილი მოქმედების გამომხატველ ფორმებს: ზოგად აწმყოს, უპრეეერბო მასდარს, პოტენციალისს... („ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა“...).

ყველაზე ნიშანდობლივი ა-ის ენისათვის წინადადების არქიტექტონიკაა. ა-ის წინადადება სინტაქსურად და ინტონაციურად მტკიცედ შეკრულ ორ, სამ, იშვიათად მეტ ნაწილად იყოფა. ფრაზის ასეთი არქიტექტონიკა, მისი სტრუქტურული თავისებურებანი ხალხ.

ა-ს განასხვავებს ლიტერატურულისაგან. ხალხური ა-ისთვის ნიშანდობლივია სინტაქსურ და ინტონაციურ ფაქტორთა ერთობლიობა, ლიტ. ა-ში კი ლექსის რიტმი დომინირებს: „სჯობს ყოლა უწვერთის ძაღლისა, უწვერთელი შვილის ყოლასა“ (დ. გურამ.), შდრ.: ხალხ. „უსრდელი (უწვერთელი) შვილის ყოლას / გაუწვერთნელი ძაღლის ყოლა სჯობიაო“.

ქართვ. მწერლები და პოეტები დიდ ინტერესს იჩენდნენ ხალხ. ა-ებისადმი. შოთა რუსთაველი, იოანე ბატონიშვილი, ს.-ს. ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. გოგებაშვილი, დ. კლდიაშვილი, მ. ჯავახიშვილი... ხშირად იყენებდნენ ა-ებს.

XIX ს. მეორე ნახევრიდან ა-ები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებსა («ცისკარი», «კრებული», «დროება», «ივერია», «ჯეჯილი», «მოამბე», «ნაკადული»...) და კრებულებში («Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», «ძველი საქართველო»). გამოსულია ქართ. ა-თა კრებულები (რ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძისა – 1873, პ. უმიკაშვილის – 1876, კ. გვარამაძის – 1895, 1900, დ. თურდოსპირელისა და ე. გაბრიჩიძის – 1935, ლ. მეტრეველის – 1936, თ. ბეგიაშვილის – 1941, ნ. ნაკაშიძის – 1953, ა. ღლონტის – 1957, გ. კაჭახიძის – 1960 და სხვ.).

ლიტ.: ღ ლ ო ნ ტ ი ა., ქართული ანდაზების სინტაქსი. – «სტალინირის პედ. ინ-ტის შრომები», I, 1952; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფოლკლორი, თბ., 1956; ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ფ., ანდაზის ცნების საკითხისათვის. – «მნათობი», 1957, № 3; ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ფ., ანდაზების გენეზისის საკითხისათვის, «მნათობი», 1958, № 2; მ ი ს ი ვ ე, ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის. – «მაცნე» (გ ვ ა რ ე ბ ი მ ი ს ი ვ ე), 1962, № 8; მ ი ს ი ვ ე, წერილები საბავშვო ფოლკლორზე, თბ., 1980; ლ ე ჟ ა ვ ა ლ., ქართული ანდაზების ენა. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», I, თბ., 1959; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, ანდაზა. – კრ.: «ქართული ფოლკლორი», IV, თბ., 1974; კ ი კ ნ ა ძ ე გ., ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1963; ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ჯ., ანდაზების რიტმული წყობა. – კრ.: «ფოლკლორის თეორია და ისტორია», თბ., 1979 («ქართული ფოლკლორი», VIII).

ლ. ლეჟავა.

ანდერძი, წერილობითი ან ზეპირი განკარგულება, დანაბარები. ძვ. ქართ. წერილობით ძეგლებში ტერმ-ით ა. აღინიშნება:

1. ხელნაწერ ან ძველნაბეჭდ წიგნებზე დართული სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და დანიშნულების ბიბლიოგრაფიული ცნობები. მათ ზოგჯერ ა ნ დ ე რ ძ - მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ს ა ც უწოდებენ. მათში აღნიშნულია გადამწერის, შემკვეთის, ანუ მომგებლის, შემმოსველის (ყდაში ჩამსმელის), რედაქტორ-გამმართველის და სხვ. ვინაობა, დაწერის თარიღი, ადგილი და ა. შ. მაგ., წიგნის შემმოსველის ა-ის ნიმუშია X ს. სინას მთის ცნობილი მოღვაწის *იოანე-ზოსიმეს* ერთ-ერთი ა., რ-იც მას სინური მრავალთავისთვის 981 დაურთავს: „შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა სინაწმიდას ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა, ბრძანებითა და ფრიად მოსწრაფედ მოღუაწებითა მიქაელ და მიქაელ პატიოსანთა მღდელთაჲთა. დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხფპე და ქრონიკონსა სა“.

ხელნაწერ წიგნებზე დართულ ასეთ ცნობებს რომ ა. ეწოდება, ჩანს *მიქაელ მოდრეკილის* (X ს.) დისწულის დავითის ა-იდან, რ-იც მას შეუდგენია და დაურთავს იოვანე თორნიკე-ყოფილის შეკვეთით 977 ოშკში გადაწერილი კრებულისათვის, სახელწოდებით „სამოთხე“. ამ ა-ში ნათქვამია, რომ „... ესე ანდერძი მე, ულირსმან დავით, დისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა მიქაელ მოდრეკილისმან, დავწერე“. აღსანიშნავია ქართ. სახარება-ოთხთავის თითქმის ყველა ხელნაწერზე დართული ერთი ა., რ-იც ტექსტში ა-დ არ მოიხსენიება, მაგრამ შინაარსით უმნიშვნელოვანესი ბიბლიოგრაფიული ცნობის შემცველია და თავისი დანიშნულებით ა-ა. ეს არის გიორგი მთაწმიდელის ა.:

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ჩუენ ახლად გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათა შევჰწამებია ფრიადითა გამოწულილვითა...“.

ხელნაწერი წიგნების ტრადიციით, ასეთი ა-ები დართული აქვს ძველნაბეჭდ ქართ. წიგნებსაც.

2. გარდაცვალების წინ რომელიმე პირის დანაბარები. ამის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია „ანდერძი მირიან მეფისაჲ“, დართული 973–76 გადაწერილ ე. წ. შატბერდის კრებულში მოთავსებულ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტზე. ამ ა-ით მირიან მეფე (IV ს.) დანაბარებს უტოვებს სამ პირს: მეუღლეს, მთავარეპისკოპოსს და „ძესა თჳსსა“. ასეთივე ხასიათისაა ა., რ-იც დავით აღმაშენებელს გარდაცვალების წინ თავისი მოძღვრის არსენ ბერისათვის შეუდგენინებია. ამ ა-ით დავით აღმაშენებელი ტახტის მემკვიდრედ ადგენს თავის უფროს ვაჟს დიმიტრის, რ-საც უბარებს, რომ „ძმაჲ მისი გაზარდოს და... შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“. მეფე პირად ქონებას („დრაჰკანნი კოსტანატი ცუატა და ჩემნი ლალნი და თვალ-



დავით აღმაშენებლის ხელით დაწერილი პირველი და ბოლო სტრიქონი მის ანდერძში შიომღვიმის მონასტრისადმი. 1124.

მარგალიტნი“) ხახულის ღმრთისმშობლის ხატს სწირავს, ატენის სამეფო საჭურჭლეში შენახულ ღუკატს და ბოტინატს, რ-იც ასევე მისი მოპოვებულია, „თუ ელეოღეს მეფე დიმიტრი“, თავის მოძღვარს უტოვებს მონასტრებისათვის გადასაცემად, რათა „ალოცნის ჩემთუსო“; ხოლო თუ ყველას ეერ შეელევა, – „ნახევრისათუს წინაშე ღმრთისა ევხვებიო“. ა-ის ბოლოს მეფე გამოხატავს თავის წუხილს: „დარია მონასტერი სამარხაი ჩემი და საძუალე შვილთა ჩემთა უსრულოდ და წარმყუა მისთუსცა ტკიეილი სამარადისო“ (იგულისხმება გელათის მონასტერი, რ-ის მშენებლობა 1125 არ იყო დამთავრებული) და ტახტის მემკვიდრეს დიმიტრის უბარებს – „სრულ-ჰყოს ყოელითურთ საუკუნოდ სალოცავად ჩემთუს და მისთუს და მომავალთა ჩემთათუს“. ამავე ა-ში მეფე ასახელებს მაშინდელი საქართ. სამეფოს უკიდურეს გეოგრ. საზღვრებს, რ-იც, მისი განმარტებით, არის „მამული და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქუენითაო“; ეს საზღვრებია „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სპერად და არეგაწადმდე“.



მ. ანდრონიკაშვილი.

3. ისტორიული საბუთი, იურიდიული აქტი, შეწირულების გაცემის დოკუმენტი. ასეთი ყოფილა წმ. შიოს (VI ს.) ა., რ-შიც, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრული იყო მის მიერ დაარსებული მონასტრის სამართლებრივი მდგომარეობა. ა. დასახელებულია დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისათვის ბოძებულ საბუთში (1124): „არცა ვის სხუასა საქმე უც მღუმესა თანა და არცა მღუმისა ქუაბთა, ვითარიგი თუთ სანატრელისა, მამათა ნათლისა შიოსს ანდერძში სწერია – უფალი მღუმისა ღმერთია, მეუფე წმიდაჲ მამა შიოჲ“. თეიმთონ დავითმა შიომღვიმის მონასტერს შეუდგინა ცალკე საბუთი-ა. (1124), რითაც დაუმტკიცა ძე. ქონება და გაიღო ახ. შეწირულებანი. ამ საბუთს ტექსტშივე ოთხ ადგილას ა. ეწოდება: „ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“ (სტრ. 5); „მონასტერსა ანდერძითა ამით შემოგუდრებ“ (სტრ. 137); „ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს“ (სტრ. 143) და „სხუაჲ უახლესი ანდერძი დაწერო“ (სტრ. 159). მეტი სიმტკიცისათვის, ჩუსხურით ნაწერი ა-ის პირველი და ბოლო სტრიქონები მეფეს დაუწერია საკუთარი ხელით, მხედრულით: 1. „ქ. თაყსდებითა ღმრთისაითა მე, დავითს მიწყიეს“; 2. „სიმტკიცეო ყოველთაო ღმერთო, დაამტკიცე, მტკიცეთ და უქცე“ (სამწუხაროდ, ა-ის დედანი დაიწვა 1919 წრდ. კავკასიაში სამოქალაქო ომის დროს, სადაც იგი სხვა ძე. ქართ. საბუთებთან ერთად გადამალეს 1915 თურქეთის მოსალოდნელი თავდასხმის გამო. ამ ორ მეტრზე მეტი სიგრძის საბუთიდან მცირე ფრაგმენტი – 28–26 *სმ* და ფოტოპირია მხოლოდ შემორჩენილი).

ა-ს უწოდებს შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ საბუთს XIII ს. შუა ხანების საქართ. ერთ-ერთი დიდმოხელე – მსახურთუხუცესი, ერისთავთა ერისთავი, ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი. საბუთს ამოწმებს „არსენი ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოს-მწიგნობართუხუცეს ყოფილი და აწ უდაბნოსა მღუიმისასა შინა მწირობად შემოსრული“, რ-საც უთხოვია გრიგოლ სურამელისათვის ამ საბუთის გაცემა. დამტკიცების ბოლოს იგი ღმრთისმშობელს მიმართავს: – ვინც ამ საბუთში აღნიშნული პირობები დაარღვიოს, „შენ სჯდა დამიგდია ანდერძადო“, აქედან შეიძლება ა-ის კიდევ ერთი მნიშვნელობის გამოყოფა – ამა თუ იმ პირისათვის რაიმე საქმის მინდობა აღსასრულებლად.

ლიტ.: შანიძე ა., ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1922–23, ტ. 2 (იგივე, იხ. მისი: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხს., ტ. I, თბ., 1957); ჯავახიშვილი ი., ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926 (იგივე, იხ. მისი: თხზულებანი, ტ. 9, თბ., 1996); შარაშიძე ქ., პირველი სტამბა საქართველოში (1709–22), თბ., 1955; სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959 («ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», V); შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 1979 («ძველი ქართული მწერლობის ძეგლები», 1); სილოგავა ვ., დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123–24 წწ.). – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), IX, თბ., 1981; მისივე, XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი. – იქვე, XV, თბ., 1989; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. ქართული ისტორიული საბუთები IX–XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984; სვანეთის წერილობითი ძეგლები, I. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986; მისივე, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბ., 2003; სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), თბ., 1997.

ვ. სილოგავა.

ანდრონიკაშვილი მზია კონსტანტინეს ასული (14. X. 1920, თბილისი, – 28.VII.2006, იქვე), ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე ინდურ-ირანული ენების სპეციალობით. საქართ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1979), ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი ა.კ. და აღმოსავლური ენების განხრით (1941). 1942–45 იყო საქართ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის ასპირანტი და მეცნ. თანამშრომელი. 1945-იდან თსუ-ში კითხულობდა ინდოირან. და ინდოევრ. ენათა შედარებითი გრამატ. კურსებს, ასწავლიდა ძვ. და საშ. სპარს. ენებსა და სანსკრიტს. ა. მრავალი შრომის ავტორია. იკვლევდა ირან. ენების ლექსიკურ-გრამატ. სტრუქტურას, ირან.-ქართ. ენობრივი ურთიერთობისა და ეტიმოლოგიის საკითხებს. მისი ფუნდამენტური ნაშრომია „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ (ტ. I, 1966; ტ. II, 1996). წიგნში პირველად არის შესწავლილი მონოგრაფიულად ძვ. ქართ. ენის ლექსიკა ინდ.-ირან. ენებთან მიმართებით, მოცემულია მრავალი ქართ. სიტყვის ეტიმოლოგია. ა-მა პირველმა თარგმნა ქართ. ენაზე სპარს. და ინდ. ლიტ-რის უძველესი ძეგლების ნიმუშები – „ავესტის“ ნაწილის „იაშტების“ ჰიმნები («არმაღანი», 1988), აქემენიდების ძვ. სპარს. წარწერები; ინდ. „რიგვედის“ ჰიმნები და ძვ. ინდ. ეპოსის „მაჰაბჰარატას“ ეპიზოდი „ნალა და დამაიანტი“ («არმაღანი», 1977).

თხზ. (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): ირანული სატომო და ადგილის სახელები ძველ ქართულ

საისტორიო მწერლობაში (V–XIII სს.). – «ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები», ტ. 1. აღმოსავლურ ენათა სერია, თბ., 1954; არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში. – «თსუ შრომები», 1965, ტ. 105; შენიშვნები ქართულიდან ოსურში შესული სპარსული სიტყვების შესახებ. – კრ.: «აღმოსავლეთმცოდნეობა», თბ., 1976; ისტორია და ეტიმოლოგია ქართული სიტყვებისა – აღიარება და უარყოფა. – წგ.: აკაკი შანიძე – 100. საიუბილეო კრებული, თბ., 1987; О лексических встречах древнеиндийских языков с картвельскими. – კრ.: Санскрит и древнеиндийская культура. М., 1979; О значении данных картвелистики для иранского языкознания. – კრ.: «Иранское языкознание» Ежегодник. 1982. М., 1987; Ономастические элементы греческих надписей Северного Причерноморья в картвельских языках. Кавказ и Средиземноморье. – «Caucasica-Mediterranea», თბ., 1975; О вавилонских математических терминах. – «სმამა», ახ. სერია, 1, 1996 (თანაავტ. გ. ჭოლოყაშვილი).

ჰ. შონია.

ანთიმოზ (ანთიმ) ივერიელი (დ. დაახლ. 1650-იან წლებში – 1716), ერისკაცობაში ანდრია, გვარი უცნობია. „იველიელი" მისი ეროვნების გამომხატველი სუფწოდებაა. ბერძნ.-რუმინ. წყაროებში იგი ამ სახელით იხსენიება, არაბულში – გურჯით (ქართველი).

ა. ი-ის ჭრმობისა და სიჭაბუკის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. სიჭაბუკეში იგი საქართველოდან ოსმალებს გაუტაციათ, კონსტანტინოპოლში ტყვეობიდან დაუხსნია იერუსალიმის პატრიარქს, რ-ის კარზე მან მიიღო იმ დროისათვის შესაფერისი განათლება. იყო მხატვარი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი და შესანიშნავი მქადაგებელი. იცოდა რამდენიმე უცხო ენა: რუმინ., ძვ. სლავ., არაბ., თურქ., ბერძნ. და სხვ. ღრმად განსწავლული იყო თეოლოგიაში, ლიტ-რასა და ბუნებისმეტყველებაში. ა. ი. ცნობილია როგორც რუმინეთის საეკლ. და პოლიტ. მოღვაწე, მწერალი, განმანათლებელი და რუმინ. ენის რეფორმატორი.

დაახლ. 1690 ა. ი. ელახეთის მთავრის – კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ბუქარესტში ჩავიდა. იყო სნაგოვის მონასტრის წინამძღვარი (1694-იდან), რიმნიკის ეპისკოპოსი (1705-იდან), ელახეთის მიტროპოლიტი (1708-იდან გარდაცვალებამდე).

ა. ი., როგორც ელახეთის სულიერი მწყემსმთავარი, ეკლესიის ავტოკეფალიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ამის გამო მას უთანხმოება ჰქონდა რუმინეთის მთავართან, რის ბრძანებით იგი შეიპყრეს, აწამეს და სას. ღირსება, დაუბრუნეს ერობის სახელი – ანდრია, მიუსაჯეს სამუდამო ექსორია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, მაგრამ ა. ი. თურქმა ჯარისკაცებმა გელიბოლუს მახლობლად, მდ. ლუსიის ნაპირზე ასო-ასო აკუწეს და მისი სხეულის ნაწილები მდინარეში გაღაყარეს.

ა. ი-მა ღრმა კვალი დააჩნია რუმინ. კულტ. ცხოვრებას. მან დააარსა სტამბები ბუქარესტში, სნაგოვის მონასტერში, რიმნიკში, ტირგოვიშტეში, სადაც ბერძნ., რუმინ., ძვ. სლავურ, არაბ. ენებზე ბეჭდავდა სას. და სამეცნ. წიგნებს. ელახეთში მოღვაწეობის 26 წლის მანძილზე მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა 64 წიგნი. ორიგინ. თხზულებებიდან აღსანიშნავია „ქადაგებანი", რ-იც ღრმა ეროვნ. სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ა. ი. თვითონ ამზადებდა შრიფტებს, წიგნის თავსამკაულებსა და ბოლოსამკაულებს; გრავიურებს ხშირად მინიატიურებითა და ორნამენტებით ამკობდა. ა. ი-მა სასტამბო ხელოვნება შეასწავლა თავის მოწაფეებს, რ-ებიც შემდეგ მის საქმეს აგრძელებდნენ. ა. ი-ის სახელს უკავშირდება თბილისში პირველი სტამბის დაარსება (1709). განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუმინ. ენაზე საღვთისმეტყველო ლიტ-რის თარგმნასა და გამოცემას. ამ მხრივ მან ისეთივე როლი შეასრულა რუმინ. საეკლ. მწერლობაში, როგორც ათონის ქართ. მამებმა ძვ. ქართ. ლიტ-რის განვითარებაში. ა. ი-მა საფუძველი ჩაუყარა რუმინ. საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიას. მისი მოღვაწეობის დროს რუმინ. ენა ოფიც. ენად იქცა ეკლესიებსა და სახელმწ. დაწესებულებებში.

ა. ი-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ელახეთის ეკლესიის აღორძინებაში. მისი თაოსნობით აგებული და აღდგენილ იქნა 20 ეკლესია-მონასტერი. ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი მისი პროექტითაა აშენებული, მოხატული და ნუკურთმებით შემკული. მან XVIII ს. დასაწყ. ქართ. ხელოვნების ელემენტები შეიტანა რუმინ. ქრისტ. ხელოვნებაში. ა. ი-ის მიერ 1706 რესტავრირებული „კოზიას" მონასტრის ორნამენტები ნიკორწმინდისა და იშხნის ტაძრების ორნამენტების მსგავსია, ხოლო 1713–16 ბუქარესტში აგებული „ყოველად წმიდათა" მონასტრის („ანთიმოზის მონასტერი") სარკმლებისა და მთავარი კარის ქართ. ორნამენტები ოსტატურადაა შერწყმული რუმინ. სტილთან. ქართ. ხელოვნების ნიმუშებთან მსგავსებას ამყარებენ ა. ი-ის გამოცემულ წიგნებზე დართული ორნამენტები და მინიატურები.

ა. ი-მა თავისი მოწამებრივი ცხოვრებით რუმინელი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. 1992 რუმინეთის ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა; მისი ხსენების ღღედ დაწესა 27 სექტემბერი. საქართვ. ეკლესია მას 26 ივნისს იხსენიებს.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული სტამბის ისტორიისათვის. – კრ.: «ლიტერატურული მემკვიდრეობა», წგ. 1, თბ., 1935; შ ა რ ა შ ი ძ ე ქ., პირველი სტამბა საქართველოში (1709–22), თბ., 1955; ქ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი შ., ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959; გ ვ ი ნ ჭ ი ძ ე ო., ანთიმ იველიელი, თბ., 1973; ხ ო მ ე რ ი კ ი მ., „ქრმა" თუ „მონა". – «კრიტიკა», 1984, № 4; ქ ა ზ ა კ უ მ., ანთიმოზ იველიელი, თარგმანი და წინასიტყვაობა ზაირა სამხარაძისა. – «განთიადი», 1991, № 3; თვუნი. ქართველ წმინდანთა ცხოვრება, ზუგდიდი, 1997; Джинджихашвили Ф., Антимоз Иверели, Тб., 1967.

ე. ბებულაშვილი.

ანთროპონიმი (< ბერძნ. ánthrōpos – ადამიანი და onyma – სახელი), ინდივიდის აღმნიშვნელი ნებისმიერი წარმოშობის საკუთარი სახელი, რ-საც ესა თუ ის პირი ატარებს. საზოგადო არსებით სახელთაგან განსხვავებით, პირის საკუთარი სახელი შეიძლება იყოს როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური. ამასთანავე, ერთი და იგივე საკუთარი სახელი (გიორგი, თამარი, ივანე, ქეთევანი, ვახტანგი, ვაჟა, მანანა, ეთერი, შოთა...) შეიძლება ათეულათასობით ადამიანს ერქვას. ამ სახელთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე სახელები შესაძლოა სხვა ხალხთა ენებშიც დასტურდებოდეს.

ა. ისეთივე ძვ. წარმონაქმნია, როგორიც თვით ადამიანთა საზ-ბა. ნებისმიერი ხალხის ანთროპონიმულ სისტემაში გამოიყოფა მშობლიური (ადგილობრივი) და ნასესხები სახელების მდიდარი ფონდი; ერთგვაროვანი *ანთროპონიმია* დღევანდელ მსოფლიოში, შეიძლება ითქვას, არც არსებობს. ქართ. ა-ების შორისაც, ბუნებრივია, განარჩევენ საკუთრივ ქართ. და არაქართ., სხვადასხვა ენიდან ნასესხებ საკუთარ სახელებს. ადგილ. საკუთარი სახელები, ნასესხებთან შედარებით, უფრო ძველი და მდგრადია. ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა დროის ნასესხები საკუთარი სახელები ფონეტიკურად უფრო იცვლიან სახეს, ვიდრე საკუთრივ ქართ.-ქართველური ა-ები.

ადგილ. წარმოშობის საკუთარ სახელებში ძირითადად გადმოცემულია მისი მფლობელის ფიზ. და სულიერი (შინაგანი) ნიშან-თვისებანი, აგრეთვე ცხოველთა ან ყვავილ-მცენარეთა სახელწოდებანი (გრძელა || გძელა, მაღალა, შავა, თეთრა, მწითურა, სისვა, ვაჟა, შვენა, ქრელა, ძაღლა, უშიშა, მზისახარი, მთვარისა, იამზე, შუქია, მზექალა, ციალა, ცისია, ცისნამი...).

აღმ. და დას. ევროპის ხალხებთან კულტ. კონტაქტებმა, მწიგნობრული თუ ზეპირი სესხების გზით, ჩვენი ეროვნ. ანთროპონიმული ფონდის უჩვეულო სიმრავლე და გამრავალფეროვნება გამოიწვია, თუმცა მას საკუთარი ეროვნ. სახე და თვითმყოფობა არასოდეს დაუკარგავს. საკუთარ სახელთა ახ. ფენის გვერდით კვლავ განაგრძობდა არსებობას პირთა სახელრქმევის ადგილ. ტრადიციები. ამიტომაც იყო, რომ ხშირად ერთი კონკრეტული პირი ერთდროულად რამდენიმე საკუთარ სახელს ატარებდა.

ისტორიულად ქართ. ანთროპონიმული სტრუქტურა, ჩვეულებრივ, ორწევრაა. სინტაგმას ქმნის პირის საკუთარი სახელი + ნათ. ბრუნვაში დასმული მამის (წინაპრის) სახელი + გვაროვნული სართი (-ძე, -შვილი, -ური, -ელ-ი...): გაბრიელ დონაური, ბაკურდუხტ ხარაისძე, სულა ჯაყარისძე, რატი დაფქუაისძე, ვარდან გიორაისძე, მიქაელ მჭედრაისძე, შერმაზან ჩოლოყაშვილი...

განვითარებული ხანის ფეოდ. საქართველოში მიწის სავარგულების განკარგვის (მფლობელობის) დამადასტურებელ იურიდ. საბუთებში ორწევრა ანთროპონიმულ სინტაგმას ხშირად ცვლის სამწევრა მოდელი (მამისახლობის აღმნიშვნელი გვაროვნული კუთვნილების ნიშნებით): ხოკრიანთ პაპუნას შვილი იმედა და იასე, ყველიანთ ბერის შვილი გამახარე, წიპტაური ოქროპირის შვილი ქიტესა, თეზელანთ ზურაბას შვილი ბერი, ოლაძე პაპიას შვილი გივი, წითურაული შიოს შვილი პეტრე, მახარე და გივი...

1930-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე ქართ. ოფიციალურ ა-ში (პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში) სამწევრიანი სინტაგმა (პირის გვარი, სახელი და მამის სახელი) გამოიყენებოდა. ამჟამად საქართვ. მოქალაქეთა პასპორტიზაცია ორწევრა (გვარი, სახელი) სისტემის გამოყენებით ხდება.

ლიტ.: ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადაზნაურთა გვარებისა, თბ., 1997 (რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი); ჯ ა ნ ა შ ი ა ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, იხ. მისი: შრომები, ტ. III, თბ., 1959; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962; ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. 1, თბ., 1966; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წგ. 1, თბ., 1967; შ ა ნ ი ძ ე ა., თეოფორული სახელები ქართველურ ენებში. – «მაცნე», 1967, № 2 (*ლიტ.* იხ. აგრეთვე სტატიასთან *ანთროპონიმიკა*).

გ. ბედოშვილი

ანთროპონიმია, საკუთარი სახელის (გვარის, სახელის, მამის სახელის), პატრონიმების, გვაროვნულ-კრებითი სახელების, ფსევდონიმების, შერქმეული ანუ ზედმეტი სახელის (*თიკუნის*), მხატვრული ნაწარმოებების, აგრეთვე ხალხ. ზეპირსიტყვიერების ნიმუშების პერსონაჟთა საკუთარი სახელებისა და მისთ. ერთობლიობა. ტერმ. სამეცნ. მიმოქცევაში გაჩნდა ტერმ. „ტოპონიმიის" ანალოგიით. *გ. ბედოშვილი.*

ანთროპონიმიკა, *ონომასტიკის* დარგი, რ-იც მეცნიერულად შეისწავლის ადამიანთა ნებისმიერი საკუთარი სახელის წარმოშობისა და ცვლა-განვითარების ისტორიას, მათ სტრუქტურას, ფუნქციებს, გეოგრაფ. გავრცელების იზოგლოსებს. როგორც ენათმეცნ. დარგი, 1960–70-იან წლებში ჩამოყალიბდა. არჩევენ თ ე ო რ ი უ ლ და გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ა-ს.

თეორიული ა. თანმიმდევრულად შეისწავლის საკუთარ სახელთა წარმოქმნისა და განვითარების საფეხურებს იმ პროცესების გათვალისწინებით, რ-ებიც საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა ენაში. თეორიული ა-ის სფერო მოიცავს ისეთ კარდინალურ საკითხებს, როგორიცაა: *ანთროპონიმთა* სტრუქტურა, მათი მოდელირება, ანთროპონიმებში ისტ. პლასტების, ანუ ენობრივი დანაშრევების გამოვლენა და ენათა ურთიერთგავლენის ხასიათი, მასშტაბები, ანთროპონიმული უნივერსალიები. თეორიული ა. ემყარება კვლევა-ძიების იმავე ფორმებსა და მეთოდებს, რ-ებსაც ონომასტიკის სხვა – ძირითადი და მომიჯნავე დარგები (*ტოპონიმიკა*, ისტ. გეოგრაფია, რელიგიის ისტორია...) იყენებენ.

გამოყენებითი ა. ძირითადად შეისწავლის პირთა სახელების ნორმების პრობლემატიკას, არკვევს საკუთარი სახელის შეღწევისა და ადაპტირების მექანიზმს მონათესავე და არამონათესავე ენებში. გამოყენებითი ა-ის ერთ-ერთი ამოცანაა ანთროპონიმული ლექსიკონების შედგენა (იხ. ლიტ.). ამას გარდა, ა-ის სპეციალისტი მოვალეა აქტიურად ეხმარებოდეს სათანადო სახელმწ. ორგანოებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაფორმებისას ზოგი სადავო სახელის მართლწერის მოგვარებაში. გამოყენებითი ა. უშუალოდ არის დაკავშირებული მეცნიერების ისეთ დარგებთან, როგორიცაა: ისტორია, ეთნოგრაფია, ლინგვისტური გეოგრაფია, ანთროპოლოგია, იურისპრუდენცია, ფოლკლორი, კულტუროლოგია...

საქართველოში ონომასტიკური მუშაობის დიდი ტრადიცია არსებობს.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. I–II, თბ., 1935; ნაწ. III–IV, თბ., 1938; ლ ე ო ნ ი ძ ე გ., ქართული სახელები. – გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1967, 17 მარტი, № 12; „ტბეთის სულთა მატიანე" (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა

და სადიებელი ლაურთი თ. ენუქიძემ), თბ., 1977; მ ა ი ს უ რ ა ძ ე ი., ქართული გვარსახელები, თბ., 1981 (1990); ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ., რა გქვია შენ?, თბ., 1982; მ ი ს ი ყ ე, დედაენა ქართული, თბ., 1987; ღ ლ ო ნ ტ ი ა., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ., ტ. I, 1991; ტ. II, 1993; ტ. III, 2004 (გამოცემულია საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტის კოლექტივის მიერ); გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები (ზ. ჭუმბურიძისა და ქ. ჩხატარაიშვილის რედაქციით, ფოტოტიპური გამოცემა), თბ., 1993; გ ა გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ი., ქართული გვარები, საკუთარი სახელები (ებრაულ სახელთა მცირე ლექსიკონი), ქუთაისი, 1993; ა ხ უ ა შ ვ ი ლ ი ი., ქართული გვარ-სახელები, თბ., 1994; ჯ ო მ ი დ ა ვ ა ნ., კოლხური გვარ-სახელები, თბ., 1996; ბ ე ქ ი რ ი შ ვ ი ლ ი ი., ასი აჭარული გვარი, ბათ., 1996; ს ი ლ ა გ ა ძ ე ა., თ ო რ ა ძ ე ა., გვარსახელები საქართველოში (საცნობარო გამოცემა), თბ., 1997.

გ. ბედოშვილი.

ანისის ქართული წარწერები, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ამოკვეთილი ძველი სომხეთის ისტ. დედაქალაქის – ანისის ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის კედლებზე. წარწერების უმრავლესობა ქართ. ფეოდ. სახელმწიფოს ძლიერების ხანას განეკუთვნება და XII ს. დასასრ., XIII ს-ით თარიღდება. ქართ. ენის წერილობითი ძეგლების ასე შორს გავრცელება სამხრ. კავკასიაში (ასევე ჩრდ-ით – კავკასიონის გადაღმა) ქვეყნის პოლიტ. ჰეგემონობის მაჩვენებელია. ა. ქ. წ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ დროს განეკუთვნება, როდესაც ანისი საქართვ. სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო ან მას ექვემდებარებოდა. საყურადღებოა, რომ 1320-შიც კი, როდესაც ქვეყანაში მონღოლები ბატონობდნენ, ანისი და მისი მიმდებარე ტერიტორიები მაინც საქართველოს შემადგენლობაში ითვლებოდა, როგორც ამას ამტკიცებს ანისის ე. წ. მანუჩეს მეჩეთზე ამოკვეთილი სპარსულენოვანი ეპიგრაფიკული საბუთი – აბუ საიდ ბაჰადურ-ხანის იარლიყი.

ა. ქ. წ-თა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ეპიგრაფიკული საბუთი – 1218 და 1288 წლებისა.

პირველი წარმოადგენს კათალიკოს ეტიფანეს „დაწერილს" (იხ. *დაწერილი*); აღმოჩენილია 1911 აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით ანისის არქეოლ. გათხრებისას ერთ-ერთი ქართ. ეკლესიის ნანგრევების გაწმენდის დროს. წარწერიანი ქვები მიწით იყო დაფარული. მათი აწყობის შემდეგ დიდი მოცულობის ტექსტი მთლიანად გაიმართა. წარწერა ამოკვეთილია 20 სტრიქონად, 50-ზე მეტ ქვის ფილაზე. პირველი 19 სტრიქონი ქართ. ასომთავრულითაა ნაწერი, ხოლო მე-20 – სომხური დამტკიცება – ერკათაგირით. წარწერიანი ფილების ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია (1915. I მსოფლიო ომის დროს, როდესაც ანისი და მისი მიმდებარე ადგილები თურქეთმა დაიკავა, ანისის მუზეუმის თანამშრომლებმა, სხვა არქეოლ. მასალასთან ერთად, რ-თა გამოზიდვაც ვერ მოხერხდა, წარწერიანი ფილები კვლავ მიწაში ჩაფლეს).

„დაწერილი" წარმოადგენს ლაშა გიორგის დროინდელი ქართლის კათალიკოსის – ეტიფანეს განჩინებას ანისის მართლმადიდებელ მრევლისა და სამღვდელოებისადმი. განჩინების მიზეზი შემდეგი ყოფილა: 1218-ის წინა ხანებში ანისის ქართულენოვან მართლმადიდებელ მრევლსა და სამღვდელოებას შორის განხეთქილება ჩამოვარდნილა საეკლ. გადასახადების თაობაზე. როგორც წარწერის ტექსტიდან ჩანს, სამღვდელოება ყოველი ქორწინებისა („გვირგვინთა კურთხევისათჳს") და მიცვალებულის წესის აგებისათვის („მკუდარისათჳს") მრევლისაგან ითხოვდა 100-100 დრამას. ამით უკმაყოფილო მრევლის ერთ ნაწილს წირვა-ლოცვაზე დასწრება შეუწყვეტია, ხოლო ამის საპასუხოდ მისი ჩატარება – სამღვდელოების ასევე ერთ ნაწილს. სწორედ ამიტომ წერს კათალიკოსი: „ლოცვასა ნუცა თქუენ დააკლდებით და ნუცა თქუენო". „დაწერილი" ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში კათალიკოსი სამღვდელოებას მიმარ-



ანისი. სამადინის წარწერა. 1288.



ანისი. ეტიფანე კათალიკოსის წარწერა. 1218.

თაყვა: „უსასყიდლოდ მიღებულს, უსასყიდლოდ მისცემდით“ (მათე, 10, 8). შემდეგ განმარტავს სახარების ამ ადგილს და წერს: „ესე იგი არს, გეტყუის ღმერთი უკუდავი – „ჩემდა რაჲ მიგიცემიეს მაღლისა მისთუის, რომელი ჩემგან მიიღით? თქუენცა ჰყიდდით დიდსა მაღლსა ჩემგან უსყიდულსა. უკეთუ მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არც თქუენგან ჯერ-არს სყიდაჲ ლოცვათა ერისა მიმართ“. მეორე ნაწილში კათალიკოსი მრევლს მიმართავს: „უფროჲსად მხიარულებით მისცემდით, თუინიერ დაჭირებისა, რამეთუ „მხიარულებით მისაცემელი უჲუარს უფალსა“ (შდრ. 2 კორინთ. 9, 7). შემდეგ იგი მოძღვრავს მრევლს: „მკუიდრნო ამის ქალაქისანო ქართველნო, რაოდენცა პირველად დიდად პატიცემდით(!) მღდელთაგან გიჴმს ლოცვაჲ და ჸირვაჲ, ნუ გეწყინების მათთუის ძალისაებრი მისაცემელი!“

ბოლოს კათალიკოსი მიმართავს განჩინების ორსაე ობიექტს: „და თქუენ გიუუარდენ, ვითარცა მამანი სულიერნი, და მათ უჲუარდით, ვითარცა შვილნი სულიერნი...“. კათალიკოსი ეტიფანე, განჩინების მიხედვით, მაინც მრევლს მიმხრობია; დავა, როგორც ჩანს, მის სასარგებლოდ გადაუწყვეტია და ორივე შემთხვევისათვის საეკლ. გაღასახადი 100 დრამის ნაცვლად 100 „ტფილურით“ განუსაზღვრავს. რაც შეეხება ფულის ერთეულს – „ტფილურს“, იგი სხვაგან არ გვხვდება. როგორც ჩანს, ეტიფანეს დროსაც ახალი შემოსული იყო, რადგან კათალიკოსი განმარტავს: „ტფილური ასი დრამაჲ იგი იყოს – დანგი ერთი გ მიცეს“, ე. ი. ერთი დანგი სამი ტფილური არისო. მრევლის ერთ-ერთ გადასახადად კათალიკოსი „სროხის ტყავს“ ადგენს და წერს: „სროხის ტყავი, რომელ ერთობ წაგიღიათ აქამდის, აწ საწირავადვე მისცემდით თუითო შოლტსა“. „სროხის ტყავში“, ცხადია, იგულისხმება მიცვალებულის სულის სახელზე დაკლული საქონლის (ხარის ან ძროხის) ტყავი, რ-შიც წოლი ეკლესიასაც ეჴო. კათალიკოსს ისიც შეუმცირებია და ერთი „შოლტით“ (ნაჭრით) განუსაზღვრავს. ეტიფანე კათალიკოსის განჩინებას ტექსტის ბოლოს სომხ. ენაზე ამოწმებენ ანისის ადგილ. ხელისუფლები – ეპისკოპოსი მეუფე გრიგოლი და ქალაქის ამირა ეპრამი. განჩინებას მიწერილი აქვს ორი თარიღი: ქართული – „ქრონიკონსა ჳლჲ“ და სომხური „წელი 667“, ჩვენი წელთაღრიცხვით ორიეე 1218-ია. საყურადღებოა, რომ ქართულში ზ-ს ნაცვლად, მისი მნიშვნელობით ჰ-არის დასმული. ეს წერილობით ძეგლებში იშვიათად, მაგრამ სხვაგანაც, გვხვდება.

მეორე ქართ. ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი ანისის სხვა ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის სამხრ. კედელზე, სამეცნ. წრეებში ცნობილია 1910-იანი წლებიდან. წარწერის ფოტო, გრაფიკული მონახაზი, ასომთავრული და გაშიფრული მხედრული ტექსტები გამოქვეყნდა 1980. ეკლესია, რის კედელზეც ამოკვეთილი იყო წარწერა, ამჟამად დანგრეულია. საქართვ. ხელოვნ. მუზეუმის ფოტოთეკაში ინახება წარწერის ფოტონეგატივი (№ 11653–1854), ხოლო ხელნაწ. ინ-ტში, ი. ჯავახიშვილის პირად საარქივო ფონდში – ძალზე დაზიანებული და ნაკლული წარწერის ტექსტის სამი გადმონაწერი – ორი ნ. მარის ავტოგრაფია, ხოლო ერთი – ი. ჯავახიშვილისა. ნ. მარს წარწერა გამოსაცემად ი. ჯავახიშვილისათვის გადაუცია, მაგრამ მას ეს არ განუხორციელებია.

ეკლესია და, კერძოდ, მისი კედელი, რ-ზეც წარწერა იყო ამოკვეთილი, ძლიერ დაზიანებულია. მართალია, წარწერა შედგება 23 სტრიქონისაგან, მაგრამ გაბმული ტექსტი იკითხება მხოლოდ მე-16–23-ე სტრიქონებში. წარწერის შესახებ არსებული მასალების ურთიერთშეჯერებით გაირკვა, რომ იგი წარმოადგენს XIII ს. II ნახ. ანისის ცნობილი მოღვაწის, ეროვნებით სომხის, მაგრამ სარწმუნოებით მართლმადიდებლის – პაპრონ სამადინის მიერ 1288 გაცემულ საბუთს.

წარწერა შეეხება ანისის მოსახლეობის ან მისი ნაწილის მიერ სესხისა თუ გადასახადის გადახდას. წარწერა მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში დასტურდება მონღოლთა ბატონობის დროს საქართველოსა და ამიერკავკასიაში გავრცელებული გადასახადები: თაღარი, ნამარი, ტამღა, ყაფჩერი, მალი, იამი; აგრეთვე ტერმინები: ბაჟ-ტამღა, ტამღანი, თეთრი, ტამღის ამოგდება და სხვ. ტერმინთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ ამ წარწერის ტექსტში გვხვდება (თაღარი, ნამარი, ბაჟ-ტამღა, ტამღანი). ცალკე უნდა აღინიშნოს წარწერაში დადასტურებული ტამღის შესახებ, რ-ისგანაც უწარმოებიათ ტერმინები – ტამღანი და ბაჟ-ტამღა. პირველი ნიშნავდა ტამღის ამკრეფს, ხოლო მეორე – საქონელზე გადასახადს, წარმოქმნილს ქართ. და მონღ. შესაბამისი ტერმინების შეერთებით. ტამღა მონღოლთა სახელმწიფოს ძირითადი გადასახადი იყო. დაწესდა XIII ს. 70-იანი წლებიდან და გაუქმდა 1565. მონღოლთა იმპერიის დაშლის შემდეგ საკუთრივ მონღოლთა, კერძოდ ილხანთა, სახელმწიფოში არაერთხელ უცდიათ მისი

გაუქმება („ტამლის ამოგდება“), მაგრამ უშედეგოდ. გადაწყვეტილება ერთ-ერთი ასეთი ცდის შესახებ დაუცავს ანისის ამ წარწერას. ტექსტის ბოლოს დასმულია თარიღი – „ქრონიკონი ფშ“, ე. ი. 1288.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX–XIII საუკუნეებში, ტფ., 1934 (იგივე, იხ. მისი: ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1966; თხზ., ტ. 3, თბ., 1982); ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ., სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1980, № 2; მ ი ს ი ვ ე, ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა. – კრ.: «ახალციხე–ყარსი» (სიმპოზიუმის მასალები), ახალციხე–ყარსი, 2001 (ქართ. და თურქ. ენებზე); М а р р Н. Я., Надпись Епифания, католикоса Грузии (Из раскопок в Ани 1910). – «Известия Императорской Академии наук», СПб., 1910, № 117; Д о н д у а В. Д., К социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218) Епифания. – კრ.: «Академия наук СССР академику Н. Я. Марру», М.–Л., 1935 (იგივე, იხ. მისი: «საისტორიო ძიებანი», I, თბ., 1967).

ვ. სილოგავა.

ანლაუტი (გერმ. Anlaut), **თ ა ვ კ ი დ უ რ ი**, **ი ნ ი ც ი ა ლ ი**, სიტყვის (ძირის) დასაწყისი ბგერა, ბგერათმიმდევრობა, მარცვალი, რ-იც ხასიათდება სპეციფიკური ფონეტ. და მორფონოლოგიური თავისებურებებით. მაგ., ფონეტიკური თავკიდურია ის ბგერა, რ-საც აქვს თავისი საკუთარი შემართვა. ასეთია ყოველი ბგერა პაუზის შემდეგ. ხშირად ა-ის ბგერათმიმდევრობა განსხვავებულია *ინლაუტის* ან *აუსლაუტის* ბგერათმიმდევრობებისაგან. მაგ., ქართულში ბგერათმიმდევრობები – CSC (ბრძ, ბრკ, თრგ, წრფ, ჩრდ, ჩრჩ...) და CSCS (სრსვ, გრგვ, თროვ, დრტვ...) რეალიზდება მხოლოდ თავკიდურში.

ლიტ.: ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჟ ღ ე ნ ტ ი ს., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბ., 1960; ფ ო გ ტ ი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თარგმ. ფრანგ-იდან, თბ., 1961; მ დ ი ვ ა ნ ი რ., ფონემათა დისტრიბუციული ალრიცხვისათვის თანამედროვე ქართულში. – «მაცნე», 1966, №1; ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ი., CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში. II. – «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», III, თბ., 1972; უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

ნ. კიზირია.

ანომალია (ბერძნ. anōmalia – უსწორმასწორობა, უწესრიგობა), მოვლენა, როცა ენაში მიღებული საზოგადო წესი, საყოველთაოდ დადგენილი ნორმა დარღვეულია ამა თუ იმ სახით. ა. ფონეტ. ფაქტორის გავლენის, სალიტ. ენის განვითარების სხვადასხვა ეპოქის ან სხვადასხვა დიალექტისა და სალიტ. ენის ფორმათა ერთმანეთში შერევის შედეგია. მაგ., ცნობილია, რომ ზმნაში II სუბიექტ. პირის ნიშნად გარკვეული ბგერების წინ შეიძლება იხმარებოდეს ჰ ან ს. მაგრამ ხანმეტობის დროიდან დღემდე შემონახულია მხოლოდ სამი ზმნა, რ-თაც ამ პირის ნიშნად **ხ** აქვთ: **ხ**-არ და **ხ**-ვალ (მი-**ხ**-ვალ). ეს ახლანდ. სალიტ. ენის თვალსაზრისით ა-დ შეიძლება ჩაითვალოს. დადგენილ ნორმათა მიხედვით, თანამედროვე სალიტ. ენაში გაბატონებულ, წესებრივ ფორმებად ითვლება ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნებისათვის II თურმეობითში – შეპკითხებოდა, გასჩენოდა; ორპირიანი გარდამავალი ზმნებისათვის I თურმეობითსა და II თურმეობითში – გაუყიდია და გაეყიდა. XIX ს. 60-იანი წლებიდან, როცა დიალექტურ მეტყველებას ფართოდ გაეღო კარი, ლიტ. ენაში სპორადულად გაჩნდა პარალელური, არარეგულარული ფორმები: შეპკითხებიყო, გასჩენიყო და გაუყიდნია, რ-ებიც არ შეესატყვისება ფორმაწარმოების საერთო, სტანდარტულ ტიპს.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.

ა. მარტიროსოვი.

ანჟამბემანი (ფრანგ. enjambement – გადატანა), მეტყველების მარკირებული ფორმის – **ლ ე ქ ს ი ს** რიტმული ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: სინტაქსურად მთლიანი **ფ რ ა ზ ი ს** (ან **ს ი ნ ტ ა გ მ ი ს**) გადატანა ერთი სტრიქონიდან მომდევნოში, ანუ ფრაზის მეტრული და სინტაქსური დაბოლოების თანხვედრის დარღვევა, მათი ე. წ. ინტონაციური კონფლიქტი. ფართო გაგებით ა. ეწოდება სალექსო მეტყველების მეტრული (რიტმული) და სინტაქსური დანაწევრების ნებისმიერ დაუმთხვევლობას ერთი ფრაზის (წინადადების) ფარგლებში, მაგ., ცეზურით მყარი სიტყვათშეხამების გაყოფას ერთი სტრიქონის ფარგლებშიც კი.

ქართ. ფილოლოგიაში გაბატონებული თვალსაზრისით, ა-ის გაჩენა ქართ. პოეტურ მეტყველებაში ნ. ბარათაშვილის სახელს უკავშირდება (ა. გაწერელია, ა. ხინთიბიძე). ა-ის სიძველის უარსაყოფად მიღებული არგუმენტის თანახმად, იგი გამოწვეულია ცეზურის შესუსტებით: სადაც ძლიერია ცეზურა, იქ ა. არ ჩნდება და – პირიქით. მათი თანაარსებობა არაკანონიკურად არის მიჩნეული (ა. ხინთიბიძე), მაგრამ, როგორც ქართ. (და ქართველური) მარკირებული მეტყველების ნიმუშებიდან ჩანს, ლექსთწყობაში ა. ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ხალხ., ასევე პროფესიულ პოეტურ მეტყველებაში (მ. ქურდიანი, ა. სილაგაძე): ძმაილამ, ძმაო, შენ მამკლავი / ხატშია ვნახე, სერობასა... (ხმით ნატირალი); თათარას ჯალაბაურის /, შვილს ყამარიძე ჰქვიანო... (ხალხ.); აჰა ბეჭედნი საფლავისანი ჰგიან / აღუტეხელად, აჰა სამისა დღისა / მკუდარი განხრწნადი აღდგომილ არს უხრწნელად... (მიქაელ მოდრეკილი, X ს.); ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნაეროზობასა / არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა... (შოთა რუსთ.); ჩავაის ესე ამბავი ჩალათურისა ენითა / უთქვამს, და მისებრ მელექსე სხვა ვინმცა ვიაზრენითა?... (ნ. ციც., XVII ს.) და სხვ.

ა. ქართ. (და ქართველური) ლექსის მეტრული რეპერტუარის რიტმული ვარირების ერთ-ერთი უძველესი (ფუძეენის დონეზე რეკონსტრუირებადი) ფაქტორია.

მ. ქურდიანი.

ანტონ I (ერისკაცობაში – **თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი**) [17 (28). X. 1720 – 1 (12). III. 1788], საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მწერალი და მთარგმნელი, ღვთისმეტყველი და მეცნიერი, პედაგოგი და პოლიტიკოსი... მის სახელთან არის დაკავშირებული XVIII ს. II ნახ. საქართველოს მეცნ., კულტ. და საგანმან. ცხოვრება (ეკლესია-მონასტრების აღდგენა, სკოლების, ბიბ-კების, თეატრის დაარსება, სას-

ტამბო საქმის მოწესრიგება, სახელმძღვანელოების შექმნა...).

ა. ი-ის მრავალმხრივ შემოქმედებით მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გრამატ. მოძღვრებას, რ-ის მიხედვით იგი წარმოგვიდგება როგორც უაღრესად განსწავლული, ძე. და მისი თანამედროვე ქართველის ხედმიწევნით მცოდნე, საერთოდ, ენის ბუნებაში ღრმად ჩახედული მკვლევარი, ფაროო თეალოახლების მწიგნობარი. მისი „ქართული ღრამმატიკა“ (პირველი რედაქცია – 1753, მეორე – 1767) იყო არა მხოლოდ პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ პირველი ქართ. გრამატიკაც, რ-მაც უდიდესი როლი შეასრულა შემდეგდროინდელი ქართ. გრამატიზრის განვითარებაში.

ა. ი-ის ცნობით, წინაპართა დიდ ნამოღვაწარში (ივარაუდება კანონიკური წიგნთა გადმოღება და კომენტირება, თოლ.-ფილოს. ნაშრომების შექმნა...) ვერ მოიძებნა გრამატიკის სახელმძღვანელო და მეფეები – თეიმურაზ II და ერეკლე II „წადნიოლეს პოვნასა ღრამმატიკისა კანურთასა“. ა. ი სწორედ მათი დავალებით შესდგომია საგრამატიკო საქმიანობას ფ. ქაიხოსროშვილთან ერთად, რ-იც კარგად ყოფილა გათვითცნობიერებული სომხ. გრამატ. ლიტ-რაში. მეორე მხრივ, ა. ი-ს სას. მოღვაწეობის დაწყებიდანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კათოლიკე მისიონერებთან, რ-ებიც აქტიურად მოღვაწეობდნენ საქართველოში XVII ს. 30-იანი წლებიდან. ისინი ადგენდნენ ქართ. ენის სახელმძღვანელოებსა და ორენოვან (ქართ.-იტალ. და იტალ.-ქართ.) ლექსიკონებს, რ-ებშიც საკმაოდ კვალიფიციურად იყო წარმოდგენილი ცნობები ქართ. ენის ლექსიკისა და გრამატ. წყობის შესახებ; ა. ი ასევე კარგად იცნობდა ს.-ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონს, რ-იც, აგრეთვე კათოლიკე მისიონერთა გალენით, მდიდარ ინფორმაციას შეიცავდა ქართ. ლექსიკისა და გრამატიკის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბაცა და ა. ი-იც, ერთი მხრივ, განსაკუთრებით გამოკვეთეს თავიანთ დამოკიდებულებას სომხ. სალექსიკონო და საგრამატიკო ლიტრასთან, მეორე მხრივ, ჩქმალავენ ღრმა კავშირს იტალ. სამყაროსთან, რაც მკაფიოდ არის ასახული როგორც სულხან-საბას ქართულ ლექსიკონში, ისე ა. ი-ის ქართ. გრამატიკაში. ეს გამოწვეულია იმ რეპრესიებით, რ-საც განიცდიდნენ ისინი კათოლიკე მისიონერებთან კავშირის გამო. იტალ. მისიონერებთან ურთიერთობის მხრივ საყურადღებოა ა. ი-ის განცხადება: რასაც მე და ფილიპე ვერ ვიგებდით, იმას იტალიელი მისიონერები გვაგებინებდნენო.

1755-იდან მოყოლებული, 6 წლის განმავლობაში ა. ი რუსეთში იმყოფებოდა. იქ გაეცნო ვერ. ენების გრამატიკებს. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მეტყველების ნაწილთა მიმართ, როგორც კონკრეტულ ენათა, ისე ზოგადი თვალსაზრისით. „ქართული ღრამმატიკის“ II რედაქცია უკვე ლინგვისტიკაში ფრიად განსწავლული, დიდი ერუდიციის მქონე ადამიანის დაწერილია. გრამატიკაში არსებითად გამოკვეთილი და აღნუსხულია ქართ. ენის მეტყველების ნაწილთა გრამატ. კატეგორიები და მათი რეალიზაციის ფორმები, ნამოყალიბებულია სათანადო პარადიგმები. ა. ი პარადიგმებით იძლევა თავისი დროის სალიტ. ენის ნორმებს. მისი აზრით, სალიტ. ენა ერთია და მის ნორმებს უნდა ემორჩილებოდეს ყველა. ნორმები აშკარად ამეტყველებს სალიტ. ენის დემოკრატიზაციის ტენდენციებს: 1. პარადიგმებში აღარ არის შეტანილი ხალხისათვის გაუგებარი სამწერლობო ქართულის ფორმები; 2. გრამატიკაში აღმოჩნდა ისეთი ფორმები, რ-ებიც არ გვხვდება ძვ. ქართულსა და საშ. ქართულის დასაწყისში, მაგრამ გავრცელებულია ხალხ. მეტყველებაში. მაგ., საკუთარი სახელები წოდ. ბრუნვაში, ძვ. ქართულის მსგავსად, ფუძის სახით არის წარმოდგენილი, სა'ს. სახელები კი – ო სუფიქსით. ძვ. ქართველიდან მოყოლებული, თუ ერთი და იმავე საკუთარი სახელით ერთდროულად რამდენიმე პირს აღნიშნავდნენ, იგი ბრუნებისას სა'ზოგადო სახელს უტოლდებოდა – ნაწყვარსაც იღებდა და -ო სუფიქსსაც წოდ. ბრუნვის მრ. რიცხვში. ა. ი-ის გრამატიკის პარადიგმებში მხ. რიცხვში გვაქვს მარიამ, მრ. რიცხვში კი – მარიამნო, საზოგადო სახელები კი ამ -ო სუფიქსს ორსავე რიცხვში იღებენ: არსებაო, არსებანო... ხალხ. მეტყველების ფორმათა (მარიამო, დანიელო) ნაცვლად სამწერლობო ენის ტრადიციით შემონახული ფორმების (მარიამ, დანიელ) ნორმად მიღება გამართლებული იყო იმით, რომ ისინი იმ დროსაც და შემდეგაც გასაგებია ქველასათვის. სწორედ ამიტომ მიმართვის ეს ფორმები დღემდე დაცულია სალიტ. ნორმებით.

ა. ი-მა, კათოლიკე მისიონერთაგან განსხვავებით, ბრუნების სისტემაში შეიტანა მოთხრობითი და მოქმედებითი, მაგრამ დააკლო ვითარებითი ბრუნვა, რ-იც მანამდე მხოლოდ სულხან-საბამ გამოყო ცალკე ბრუნვად. ა. ი-ის ბრუნების სისტემაში ზედმეტია შემასმენლობითი და დაწყებითი ბრუნვები, რ-ებიც ლათინურიდან ქართულში გადმოიტანეს იტალ. მისიონერებმა (იხ. *მაგ* ფრანცისკო-მარია და სხვ.) და შემორჩა სახელთა ბრუნების ქართ. პარადიგმებს, თუმცა შემასმენლობითი ბრუნვა ა. ი-ს ზედმეტად მიაჩნდა ქართ. ენისათვის. რაციონალური პრინციპები აიძულებდა მას ქართ. სახელის ბრუნებაში დაეშვა ეს ბრუნვა. მრ. რიცხვში სახელისათვის იგი არჩევს სამეტყველო ენაში უფრო გავრცელებულ -ებ სუფიქსს, -ნ სუფიქსის მარტო სახელობითსა და წოდებითში ტოვებს; ზმნათა უღლებიდან სალიტ. ენის დემოკრატიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა ა. ი-ის გრამატიკის I და II რედაქციების შედარება, ერთი მხრივ, და II რედაქციის I და II ნაწილებისა – მეორე მხრივ. I რედაქციაში უღლების პარადიგმაში ნახმარია ძვ. ქართ. აწმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის ფორმები, როგორიცაა: აქუნ, აგრეთვე აქუნნ (მრ. რიცხვის გაგებით), მოვალნ... იყვენ, შეჰკარნ... არიენ, იქუნენ და სხვ. არც ერთი ამ ფორმათაგანი II რედაქციის პარადიგმებში აღარ გვხვდება. ისინი შეცვლილია გვიანდ., სამეტყველო ქართულისათვის მისაღები ფორმებით: აქუს, მოვალს, იყოს, შეკრას, არიან, იქუნენ და სხვ.

II რედაქციის II ნაწილში წარმოდგენილია ენობრივ მონაცემთა გრამატ. ანალიზი – მორფემათა იდენტიფიკაცია და მათი ურთიერ-

თობის წესები. ა. I -ნ, -ედ სუფიქსებს და პირდ. ობიექტის სიმრავლის გამომხატველ -ენ/-ნ სუფიქსებს თითქმის თანამედროვე დონეზე აანალიზებს: დადგენილია ობიექტის სიმრავლის -ენ სუფიქსის გრამატ. ფუნქცია და მის /-ენ/ და/-ნ/ ალომორფთა განაწილების წესები. მაგრამ სუფიქსიან ფორმებს I ნაწილის პარადიგმებში ვერ ვხედებით, რადგან სამეტყველო ქართულში ქართლ-კახეთსა და დას. საქართველოში ისინი აღარ იხმარებოდა, რაც იქიდან ჩანს, რომ მათ მანამდე მაგო და სხვა იტალ. მისიონერები არც კი ახსენებენ; სამაგიეროდ, ა I-ს გრამატიკაში შეაქვს მეორეული კაუსატივის ისეთი ფორმები, რ-თაც სამწერლობო ენის ტრადიცია არ ჰქონდათ, მაგრამ იხმარებოდნენ სამეტყველო ქართულში (ასეთია ოთხაქტანტიანი ფორმები: ვაკეთებინებინებ, ვაჭრეინებინებ და სხვ.). ისინი შემდეგ ა. I-ს გამოგონილ, ხელოვნურ ფორმებად ჩაუთვალეს, მაგრამ ქართლურსა და იმერულში ასეთი ფორმები დღემდე დასტურდება. ამდენად, მათი შეტანა ნორმატიულ პარადიგმებში ენის დემოკრატიზაციის მიზნით ხდებოდა: ისინი ხალხის მეტყველებაში იყო, ჰქონდათ სპეციფ. შინაარსი და, ამდენად, საჭირო იყო მათი სალიტ. ენის მიმოქცევაში შეტანა. ასევე აღსანიშნავია III სერიის მეშეელსმნიანი ფორმების (შემიკრუხარ, შეუკრუხარ, შეგიკრუვარ და სხვ.) შემოტანა სალიტ. ენაში. ამ ფორმებს ვერ ვხედებით იტალ. მისიონერთა უფრო ადრე შექმნილ გრამატ. ტრაქტატებსა და ლექსიკონებში, მაგრამ ბუნებრივი იყო სამეტყველო ქართულისათვის და გარკვეული ტრადიციაც ჰქონდა სამწერლობო ენაში ძვ. ქართულის მიწურულიდან (X ს.): შდრ. ძვ. ქართულის შემოქმედი. შეხუკრედე, შეგიკრედე... უნდა აღინიშნოს აგრეთვე დინამიკურ ზმნათა აწმყოს პარადიგმაში ზმნისწინიანი ფორმების შეტანა; მომავალი ამავე პარადიგმაში კაუშირებითის ფორმებით იყო წარმოდგენილი, მსგავსად ძვ. ქართულისა, რაც ზოგ მკვლევარს აძლევდა იმის თქმის საბაბს, რომ ა. I-მა შექმნა არა მისი დროის, არამედ ძვ. ქართ. ენის გრამატიკა, ასე, მაგ., აწმყოს შეჰკრავ, განვბან... ფორმებთან ერთად მომავლის ფორმებია შეჰკრა, განვბანო და სხვ. იტალ. მისიონერთა მიერ XVII–XVIII სს-ში შედგენილ გრამატიკებსა და ლექსიკონებში ხშირია ზმნისწინიანი დინამიკური ფორმები ახლანდ. დროის გაგებით: გაევზავნი, შეეტკობ, მოვკლავ, გავაგდებ და სხვ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ ა. I-ის დროს სამეტყველო ქართულში დროთა გამოხატვის ძვ. ნორმა ჯერ კიდევ მთლიანად შეცვლილი არ იყო. ასეთ ვითარებაში ა. I-ის, როგორც გრამატიკოსის, მიდრეკილება მკაცრი გრამატ. წესებისაკენ გასაგები ხდება.

რაც შეეხება გრამატ. ტერმინოლოგიას, „ქართულ ღრამმატიკაში“ ეს ტერმინები შემოსულია სამი გზით: ძველი ქართ. ფილოს.-თეოლ. მწერლობიდან, მხითარ სებასტაცის გრამატიკიდან და იტალ. მისიონერთა გრამატ. ნაშრომებიდან. სამივე წყარო ემყარებოდა ლათ.-ბიზანტ. ტერმინოლოგიას.

ლიტ.: ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები. თბ., 1970; *ა ვ ა ლ ი ა ნ ი ს.*, ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბ., 1987; *უ თ ურ გ ა ი ძ ე თ.*, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

თ. უთურგაიძე.

ანტონიმები (< ბერძნ. anti- – წინააღმდეგ, საპირისპირო, onyma – სახელი), სემანტიკურად დაპირისპირებული სიტყვები (ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებში). სოგი განასაზღვრის მიხედვით, ა-ს მხოლოდ ზედსართავები ან მათგან ნაწარმოები აბსტრ. სახელები ქმნიან (კეთილი – ბოროტი, სიკეთე – ბოროტება), სხვა განსაზღვრის მიხედვით კი – ზმნებიც, ნაცვალსახელებიც, ზმნიზედებიც: გაიღვიძა – დაიძინა, ყველა – არავინ, ხშირად – იშვიათად და ა. შ.

ანტონიმური დაპირისპირება ორგვარია: 1. კონტრარული, რ-ის დროსაც დაპირისპირებული ცნებები გამოიხატება ხარისხობრივად განსხვავებულ ნიშან-თვისებათა მწკრივის კიდურა წევრებით: ყოველთვის (– ხშირად – ზოგჯერ – იშვიათად) – არასდროს. ასეთი ა., როგორც წესი, სხვადასხვა ფუძის სიტყვებია (შაგი – თეთრი, გრძელი – მოკლე); 2. კონტრადიქტორული, რ-ის დროსაც ერთი ცნების ნიშან-თვისებები მეორე ცნებაში უარიყოფა: სწორი – არასწორი, ლამაზი – ულამაზო. ამ შემთხვევაში დაპირისპირება დერივაციულ აფიქსებს, უარყოფით ნაწილაკებს ან ზმნისწინებს ეკისრებათ. შდრ.: ჭკე-იან-ი – უჭკუ-ო, ბედ-ნიერ-ი – უ-ბედ-ურ-ი; ყოფნა – არ-ყოფნა, იშვიათად – არა-იშვიათად; ა-ხტა – და-ხტა, შესელა – გამო-სელა... მაგრამ აფიქსური წარმოებით დაპირისპირებული მეწყვილეები ყოველთვის ვერ ქმნიან რეალურ ა-ს. შდრ.: მანკიანი, მანკიერი – უმანკო, მაგრამ თითი – არათითი. ეს ვითარება ზოგჯერ ისტ. ფაქტორებითაა შეპირობებული.

პოლისემიურ სიტყვას, ჩვეულებრივ, ერთზე მეტი ანტონიმი შეესაბამება: მძიმე (ტვირთი) – მსუბუქი, მძიმე (ცხოვრება) – ადვილი, მძიმე (ნაბიჯი, სიარული) – სწრაფი; მსუქანი (კაცი) – გამხდარი, მსუქანი (ხორცი) – მჭლე. მაგრამ პოლისემიას ა-თა სიმრავლისათვის ყოველთვის არა აქვს მნიშვნელობა. მაგ., სიტყვა „ერთ“-ს სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება დაუპირისპირდეს სიტყვები: ორი, მეორე, მრავალი, ცხრა, ასი, ათასი და ა. შ.

ანტონიმური წყვილები ხშირად რთული სიტყვებისა (ორმნიშვნელობიანი კომპოზიტების) და მყარი შესიტყვებების წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროა: ავ-კარგი, დღე-ღამე, სტუმარ-მასპინძელი, ცოცხალ-მკვდარი, აქა-იქ, მეტ-ნაკლებად, ერი და ბერი, ჭირი და ლხინი.

ა. ენაში რეგულარულ, უზუალურ დაპირისპირებას გულისხმობს და არა შემთხვევითსა და ინდივიდუალურს. ა-თა ხშირ ხმარებას ხელს უწყობს მათი ერთად ყოფნა მყარ გამოთქმებში, ანდაზებში, სიტყვის მასალაში, მოარულ ციტატებში: „ავი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო“, „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“. ამათგან განსხვავებულია ა-ის ოკაზიონალური გამოყენების შემთხვევები, მაგ., თერგისა და მყინვარის დაპირისპირება ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ ა-თა ინდივიდუალური, შემოქმედებითი გამოყენების ნიმუშს წარმოადგენს. პოეტურ და ორატორულ მეტყველებაში ა-ზე აიგება ანტითეზა (დაპირისპირება) და ოქსიმორონი (ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნების შეერთება).

ა. დამახასიათებელია სრულიად სხვადასხვა სტრუქტურის

ენებისათვის. ამ მხრივ იგი ენობრივი უნივერსალიების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

ლიტ.: კვირიკაშვილი ც., ანტონიმიის სტრუქტურული დახასიათება. – კრ.: «თბილისის უნივერსიტეტი – გიორგი ახვლედიანს», თბ., 1969; ფონხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

შ. აფრიდონიძე.

ანტონიმია, ლექსიკური ერთეულების პარადიგმატული ურთიერთობის ტიპი, რ-იც გულისხმობს ერთი მეტყველების ნაწილის სიტყვათა სემანტიკურ დაპირისპირებას. *ანტონიმების* ურთიერთმიმართებას. *შ. აფრიდონიძე.*

ანტონ ცაგერელის წარწერა, ქართული ასომთავრული წარწერა. შესრულებული 16 სტრიქონად რელიეფური ასოებით, მოთავსებული წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის ხატის წინა მხარეს, მის ცენტრ. ნაწილში. ხატზე გამოსახულია წმ. სვიმეონი პირდაპირ, წელზევით, კალათში მჯდომარე, რ-იც მოთავსებულია მძლავრი რვაწახნაგა სვეტის თავზე. გამოსახულების ორივე მხარეს, მხრების დონეზე მოთავსებულია რელიეფური ასომთავრული წარწერა – „წმიდაო სჳმეონ საკჳრველთმოქმედო". გამოსახულების ქვემოთ, მარცხენა მხარეს წარმოდგენილია სახ. პირი, მთელი ტანით წმ. სვიმეონისკენ მარცხნივ მიბრუნებული, ვედრების პოზაში. ახლავს ასომთავრული რელიეფური წარწერა: „ანტონი ცაგერელი". სვეტის მეორე მხარეს მოთავსებულია მთავარი წარწერა:

„მე გლახაკმან ანტონი ცაგერელმან, იშხანს ყოფასა ჩემსა, მხატვრული ადგილი ოჭერი ვნახე და ვაშჱნე და წმიდასა სჳმეონს შევწირე, და ხატი ესე შევქმენ, ეკლესიასა მისსა დავსვენე საჴსრად სულისა ჩემისა. ვინცა კინი ნამსახურები ესე ჩემი შეცვალოს, წმიდაჲ სჳმეონ არს-მცა დამსჯელი მისი წინაშე ქრისტესა დღესა მას განკითხვისასა, ამენ".

კიდევ ერთი, მხოლოდ ნაკლევით შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია სვეტის ცოკოლის საფეხურებზე: „ქრისტე, შეიწყალე ფილიპე ოქრომჭედელი. წმიდაო სჳმეონ, შეიწყალე ანტონი." მაშასადამე, XI ს. I მესამედის (გ. ჩუბინაშვილი) ეს ვერცხლის ჭედური ხატი ანტონ ცაგერელ მღვდელმთავარს შეუკვეთია ფილიპე ოქრომჭედლისთვის და დაუსვენებია თავის მიერ აშენებულ ეკლესიაში. ხატი პირველად აღწერა ე. თაყაიშვილმა 1910 ზემო სვანეთში, მესტიის სოფ. ლალამში. ინახება საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში.

ანტონ ცაგერელი საქართვ. ეკლესიის ისტორიაში ცნობილი იერარქია. იგი შემდეგ იშხნელი ეპისკოპოსი, ხოლო მოგვიანებით მთავარეპისკოპოსი გამხდარა. ეს ჩანს იმ წარწერებიდან, რ-ებიც იშხნის ტაძარზეა ამოკვეთილი და აღწერენ ანტონის მიერ აქ ჩატარებულ სამშენებლო სამუშაოებს, მათ შორის ხუროთმოძღვარ იოანე მორჩაისძის მიერ.

ხატის წარწერა აღსანიშნავია როგორც წერილობითი ძეგლი: იგი ლითონზე (ვერცხლი) შესრულებული *კიდურწაისრული დამწერლობის* კლასიკური ნიმუშია. საინტერესოა ტექსტში დაფიქსირებული გამოთქმები: „მხატვრული ადგილი", „ოჭერი ვნახე".

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937; Чубинашвили Г. Н, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959; Sanikidzè T., Abramichvili G., Orfèvrerie géorgienne du VII au XIX e siecle, Geneve, 1979. *გ. სილოგავა.*

ანტონ ცაგერელის წარწერა სვიმეონ მესვეტის ხატზე.





სვიმეონ მესვეტის ხატი ანტონ ცაგერელის გამოსახულებით და წარწერით XI ს. I მესამედი.

ანუხვის წარწერა, ქართული ასომთავრული წარწერა. 1930-იან წლებში აღმოაჩინა მხარეთმცოდნე ი. აძინბამ გუდაუთის რ-ნის სოფ. ანუხვის ეკლესიის ნანგრევებში. შესრულებულია *კიდურწაისრული დამწერლობით*; ამოკვეთილია 10 სტრიქონად ქვასვეტის ფრაგმენტზე; ინახება დ. გულიას სახ. აფხ. სახელმწ. მუზეუმში. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა თარიღდება XI ს-ით. მისი ტექსტი ასეთია:

„სახელითა ღმრთისაჲთა. აღვაშენე ჯუარი ესე სახელსა ზედა ღმრთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისსა მე, გიორგი ბასილისძემან. აწ, ვინცა ევედრებოდეთ ჩუენ, გ-ნივე ძმანი ლოცვასა მოგუიჴსენენით; ამენ იყავნ".

წარწერა ამოკვეთილია თეთრი კირქვის ოთხკუთხედად გათლილ სვეტზე და მოჩუქურთმებულია გეომ. და სტილიზებული მცენარეული ორნამენტებით. ქვის სვეტის ქვედა კიდე მოტეხილია, უმნიშვნელოდ დაზიანებულია მისი ზოგიერთი სხვა ნაწილიც. სვეტის შემორჩენილი ფრაგმენტის ზომებია: სიგრძე – 220 *სმ*, სიგანე ორ მხარეს – 25 *სმ*, დანარჩენ ორ მხარეს – 23 *სმ*. გეომეტრიული ჩუქურთმებით დაყოფილია 4 რეგისტრად. წინა მხარეს, გიორგი ბასილისძის წარწერის ზემოთ და ქვემოთ, წარმოდგენილია „აყვავებული ჯვარის"

და ჯვარს ახლავს ასომთავრული, კიდურწაისრული წარწერა „წმიდაო გიორგი“. ქვედა ჯვარი დაზიანებულია – მოტეხილია მისი ქვედა ნახევარი; ახლავს წარწერა „წმიდაო ბას[ილი]“.

სვეტის გვერდით და უკანა კიდეებზე გამოსახულია რელიეფური „აჭიმებული ჯვრები“, რ-თაც ახლავს ასომთავრული კიდურწაისრული წარწერები: „წმიდაო თეოდორე“, „წმიდაო დემეტრე“, „წმიდაო [მე]რკილე“.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი. II, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980, № 43, 44.

ვ. სილოგავა.



ანუხვის წარწერა. XI ს.

ანჩისხატის წარწერა, VI ს. ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი თბილ. ანჩისხატის ბაზილიკის, ანუ თავდაპირველი სახელწოდებით „მარიამ-წმიდის ეკლესიის“ (გ. ჩუბინაშვილი) დას. ფასადში ნასმულ ქვის ორ ფილაზე. ადრე ეს ფილები ეკლესიის სამხრ. შესასვლელის არქიტრავი ყოფილა (რ. გეერდწითელი). მათზე წარმოდგენილი იყო ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლების რელიეფური კომპოზიცია. შემორჩენილია მისი ორი ფრაგმენტი – ცენტრ. ნაწილი „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულებით და მარჯვენა ნაწილი მფრინავი ანგელოზის ძალზე დაზიანებული რელიეფით. დაკარგულია კომპოზიციის მარცხენა ნაწილი – მეორე მფრინავი ანგელოზის გამოსახულებით. წარწერა ამოკვეთილი ყოფილა კომპოზიციის ქვემოთ გრძელ ჰორიზონტალურ სტრიქონად. მოღწეულია მისი მხოლოდ მარჯვენა ნაწილის ფრაგმენტები. ანჩისხატის ტაძრის რესტავრატორმა რ. გეერდწითელმა შემდეგი ტექსტი აღადგინა: „[უფალო,] მეყვსა [დანი]ს შეხ[წ]ე“. როგორც ჩანს, ასეთი აღდგენა ძალზე პირობითია. სინამდვილეში, წარწერის შემორჩენილ ასოებში იკითხება: „[...] მფა[რველ ე]ქმენ; + ამენ“ (სიტყვები წერია სრულად, დაუქარაგმებლად).

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით VI–VII სს-ით თარიღდება. იგი, როგორც ჩანს, ტაძრის აგების თანადროულია. VI ს. დასაწყისით ათარიღებს ტაძრის აშენებას გ. ჩუბინაშვილი. ეს თარიღი სპეციალისტთა შორის საყოველთაოდ გაზიარებულია.

ა. წ. თავისი შინაარსით მოსახსენიებელი ყოფილა და არა საამშენებლო. მეფე დაჩის, ვახტანგ გორგასლის ძის სახელის მოხსენიება მასში მოსალოდნელი არც არის – მართალია, მარიამ-წმიდის ეკლესია მის დროს აშენდა, მაგრამ იგი დაჩის არ აუშენებია. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“გვამცნობს: „და ამისა შემდგომად მეფობდა დაჩი უუარმელი და კათალიკოსი იყო სამოელ. და მისა ზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ-წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს“ (შატბერდული რედაქცია); „და მეათერთმეტე მეფობდა დაჩი და კათალიკოზი იყო სამოელ. ამისსა ზე ქალაქსა თბილის[ს] (sic!) კაცნი დასხდეს და მარიამ-წმიდისა



ანჩისხატის წარწერა. VI ს.



ანჩისხატის წარწერა. აღდგენილი რ. გეერდწითლის მიერ.

ეკლესიაჲ აღაშენეს“ (ჭელიშური რედაქცია). სამოელ (სამოველ) კათალიკოსის როლია გადამწყვეტი ტაძრის მშენებლობაში – იგი მისი ზეობის დროითაა დათარიღებული. ამიტომაა, რომ მარიამ-წმიდა საუკუნეების განმავლობაში ქართლის კათალიკოსის, ხოლო გვიან შუასაუკუნ. საქართველოში კათალიკოს-პატრიარქის კარის ეკლესია იყო.

ა. წ. აღმოჩნდა 1958–64 თბილისის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით ანჩისხატის ბაზილიკის სარესტავრაციო სამუშაოების დროს, როდესაც ეკლესიის კედლები გაიწმინდა გვიანდელი შელესილობისაგან. იგი თბილისში შემორჩენილი უძველესი ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლია.

ლიტ.: ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936; გეერდწითელი რ., ანჩისხატის ბაზილიკის სამშენებლო წარწერა. – «მნათობი», 1987, № 1; მისივე, „წმ. მარიამის“ ეკლესია თბილისში – ანჩისხატი, თბ., 2001; მუსხელიშვილი დ., ანჩისხატის წარწერა. – ენციკლ. «თბილისი», თბ., 2002.

ვ. სილოგავა.

აორისტი (ბერძნ. aoristos – აღუნიშნავი, განუსაზღვრელი), ზმნის გრამატიკული კატეგორია, რ-იც აერთიანებს სხვადასხვა სტრუქტურისა და წარმოშობის, მაგრამ სა-

ერთო ასპექტურ-დროული მნიშვნელობის მქონე ზმნის პირიან ფორმათა პარადიგმებს. ა. გამოხატავს წარსულში მომხდარ, არაგანგრძობით (მომენტობრივ) დასრულებულ მოქმედებას. გვხვდება ინდოევრ. ენებში (სანსკრიტში, ძვ. ბერძნ. და ძვ. სლავურ ენებში). როგორც განსაკუთრებული ზმნური კატეგორია, იგი დღემდე ფუნქციონირებს თანამედროვე სამხრეთსლავურ ენებში (ბულგარულში, სერბულში, ხორვატულში...).

ქართველოლოგიაში ა. რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: 1. აღნიშნავს თანამედროვე ქართულის წყვეტილის მწკრივს; 2. ა-ს აღადგენენ უძველესი ფორმაციის ქართულისათვის. ამ მოსაზრების თანახმად, განვითარების ადრეულ ეტაპზე ქართ. ზმნის უღლილება გულისხმობდა ასპექტების (და არა დროების) ცვლას. ერთმანეთს უპირისპირდებოდა განგრძობითი (დიურატიული) და მომენტობრივი ასპექტის ფორმები (იხ. *ასპექტი*). განგრძობით ასპექტს გადმოსცემდა პერმანსივი, მომენტობრივს კი — ა. (არნ. ჩიქობავა); 3. ა. აღნიშნავს ძვ. ქართ. წყვეტილის მწკრივს. ამათგან ა-ის თავდაპირველ გაგებას შეესაბამება მე-2 მნიშვნელობა. რაც შეეხება მე-3-ს, უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. ქართულის მწკრივთა წარმოებაში ასპექტთან ერთად მონაწილეობს დროის, კილოს და სხვ. გრამატ. კატეგორიებიც და ასპექტის გრამატ. მნიშვნელობა საგრძნობლად შეცვლილია (ზ. ჭუმბურიძე). თუმცა, ამ ტერმინის გამოყენება წყვეტილის მწკრივის აღსანიშნავად ძვ. ქართულისათვის მაინც დასაშვებია.

ა-ს განუსაზღვრელი ნამყოს შესაფერ სახელწოდებად მიიჩნევს ი. ქავთარაძე ზმნათა მხოლოდ ერთი ჯგუფისათვის, რ-საც დიფერენცირებული ნამყო არ მოეპოვება — ფორმით წყვეტილია, ხოლო ფუნქციით უწყვეტელი, როგორიცაა, მაგ., **დგას, ზის** ზმნათა ნამყოს ფორმები: **იდგა, იჯდა.**

ლიტ.: ჩიქობავა არნ., პერმანსივის („ხოლმეობითის") ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში. — «სმამ», 1943, ტ. 4, № 1; მ ი ს ი ვ ე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1, თბ., 1948; ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954; შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1953; ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

ნ. ლოლაძე.

აპოკოპე (ბერძნ. apokopē — მოკვეცა), ბგერის ან ბგერათა მიმდევრობის მოკვეცა სიტყვის ბოლოს. ა. შეიძლება გამოწვეული იყოს ფონეტ. პირობებით (მაგ., კარგა < კარგად) ან მათ გარეშე (ავტო < ავტომობილი, მეტრო < მეტროპოლიტენი...).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 (1999).

ნ. კიზირია.

აპოსტროფი (ბერძნ. apostrophos — უკუმიქცეული), სტრიქონზედა ნიშანი, რ-იც სხვადასხვა (განსაკუთრებით ევროპულ) ენაში იხმარება: 1. მომიჯნავე სიტყვების გამაერთიანებლად ერთ-ერთ მათგანში, ჩვეულებრივ, ერთმარცვლიან სიტყვაში ხმოვნის გამოტოვების შედეგად (ფრანგ. L'Humanit, იტალ. L'Unit, ინგლ. you're < you are, can't < can not); ნაწილაკდართულ უცხოურ გვარებში (ფრანგ. ჟანა დ'არკი, იტალ. დ'ანუნციო); 2. ნათ. ბრუნვის აღსანიშნავად ორსავე რიცხვში (ინგლ. boy's, boys'); 3. თანხმოვნის სიმაგრის აღსანიშნავად (რუს. ъ-ის მონაცვლედ), ჩვეულებრივ, მომდევნო რბილი ხმოვნის ან დიფთონგის გავლენის ასაცილებლად (от'езд, შდრ. отъезд; об'явление, შდრ. объявление); 4. ირლანდიურ გვარებში სპეციფიკური თავკიდური ო ხმოვნის მომდევნოდ (ო'კონორი, ო'ნეილი...); 5. სატრანსლიტერაციო ან სატრანსკრიფციო სისტემაში უცხო ენის სხვადასხვა ფონოლ. სპეციფიკის (სიმკვეთრის, პალატალიზაციის, ასპირაციის...) აღსანიშნავად (მაგ., ინგლისურში: არაბ. 'აინ-ის, რუს. ь-ის, ქართ. მკვეთრი კ, პ, ტ, წ, ჭ, ან სხვა ტრადიციით — ფშვინვიერი ქ, ფ, თ, ც, ჩ თანხმოვნების გადმოსაცემად).

ა. გამოყენებულია ქართ. დიალექტოლოგიური ტექსტების ჩაწერისას ორ შემთხვევაში: 1. მაერთებელი და კავშირის ხმოვნის აღსანიშნავად, რ-იც იკარგება წინა სიტყვასთან ამ კავშირის ენკლიტიკურად (იხ. *ენკლიტიკა*) მიერთებისას: ქალი-დ' კაცჲ — „ქალი და კაცი"; დიდი-დ' ტუტუნაცჲ — „დიდი და პატარა"; 2. თუშური დიალექტური ტექსტების ჩაწერისას ხმოვნის ძლიერი დამართვის აღსანიშნავად: გა'ჭენდ' გამა'ჭენ მხედარმ ცხენჲ — „გააჭენა და გამოაჭენა მხედარმა ცხენი".

ა. განსხვავდება დიაკრიტიკული (ასოსზედა და ასოსქვედა) ნიშნებისაგან იმით, რომ ცალკე გრაფა უჭირავს, ე. ი. *გრაფემის* პოზიციაშია.

შ. აფრიდონიძე.

არაბული ენა, ჩრდილოარაბული, ცნობილი საკუთრივ ა. ე-ის სახელწოდებით; სამხრეთარაბულ და ეთიოპურთან ერთად შეადგენს სემიტურ ენათა სამხრ.-დას. შტოს; გავრცელებულია დას. აზიაში, აფრიკის დიდ ნაწილსა და მალტაზე. ადრე გავრცელებული იყო პირენეს ნ.-კ-ზე, სიცილიაზე, ბალეარის კუნძულებზე, პანტელერიაზე. არაბულად მოსაუბრე მოსახლეობა გვხვდება კვიპროსზე და შუა აზიაში (უზბეკეთი).

სამწერლობო ა. ე-ს დიდი ტრადიცია აქვს. უძველესი არაბული დამოწმებულია ეპიგრაფიკული ძეგლებით (სირია, სამხრ. პალესტინა, იორდანია, სინას ნ.-კ., ეგვიპტე). მათი დიდი ნაწილი უთარიღოა. ვარაუდობენ, რომ ისინი შექმნილია რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე და მას შემდეგ. ცნობილია ნაბატეური ანბანით (არამ. დამწერლობის ერთ-ერთი განშტოება) შესრულებული ძეგლები (ალ-ჰიჯრა, 267, ალ-ნამარა, 328).

არაბ. ეპიგრაფიკული ძეგლების რიცხვი მცირეა. ისინი მეტად ღარიბ ინფორმაციას გვაწვდიან. ამ ხარვეზს ავსებს პოეზია, რ-ის ნიმუშები ცნობილია V ს-იდან. თავდაპირველად ისინი ზეპირი გზით ვრცელდებოდნენ, ხოლო VII ს-იდან იწყება მათი ჩაწერა და თავმოყრა დივანებსა და კრებულებში. პოეზიის ენა გამოირჩევა მდიდარი ლექსიკითა და დახვეწილი სტილით. იგი გავრცელებული იყო დიდ ტერიტორიაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში არ ჩანს დიალექტური განსხვავებანი, მაშინ როდესაც არაბული სამყაროსათვის მისი ისტორიის მთელ მანძილზე და დღესაც დამახასიათებელია *ბილინგვიზმი.* საერთო სალიტ. ენა და ადგილ. სასაუბრო დიალექტები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

VII ს-ში (610–32) იქმნება პირველი სალიტ. ძეგლი – საღვთო წიგნი, ყურანი, რ-იც ენობრივად ისლამამდელ პოეზიას უკავშირდება. მისი ძე. სურები დაწერილია გარითმული პროზით, შემდგომი – ჩვეულებრივი პროზით, ბოლოში კი – თავისუფალი რითმით. ყურანისა და პოეზიის ენა საფუძვლად დაედო სალიტ. არაბულს. სალიტ. ენა, რ-იც საუკუნეების მანძილზე აერთიანებს მთელ არაბულ სამყაროს, არსებითად არ შეცვლილა (ნაწილობრივ შეიცვალა სინტაქსი და ძირითადად – ლექსიკა).

VII–VIII სს-ში სახალიფოს შექმნასთან დაკავშირებით ა. ე. გაერცელდა ახლო და შუა აღმოსავლეთში, ფეხი მოიკიდა ჩრდ. აფრიკისა და პირენეს ნ.-კ.-ს. XVI ს-იდან იგი გზას იკვლევს ინდოეთში, ცენტრ. აფრიკაში, მალაიაში. XIII–XX ს. 30-იან წლებამდე სამწერლობო ენა ჩრდ. კავკასიაში არაბული იყო.

ა. ე. ფლექსიურ ენათა ტიპს განეკუთვნება. არაბ. ფონემური სისტემა ხასიათდება თანხმოვანთა სიმდიდრით (28 თანხმოვანი ფონემა) და ხმოვანთა სისტემის შედარებითი სიღარიბით (მოკლე და გრძელი 6 ხმოვანი ფონემა a, u, i, ā, ū, ī); ბრუნვა სამია, სქესი – ორი: მამრობითი და მდედრობითი; წარმოდგენილია სამი რიცხვი: მხოლობითი, ორობითი და მრავლობითი – წესიერი და მსხვრეული; სახელები შეიძლება იყოს განსაზღვრული და განუსაზღვრელი; ზმნის (და ნაზმნარი სახელების) ძირი შედგენილია სამი (იშვიათად, ორი ან ოთხი) თანხმოვნისაგან, რთანაც დაკავშირებულია ლექსიკური მნიშვნელობა. რაც შეეხება ძირთა გახმოვანებასა და აფიქსებს, ისინი ასუსტებენ მნიშვნელობას ან გადმოსცემენ გრამატ. კატეგორიებს (შდრ.: kataba „წერდა“, kutiba „დაწერილია“, katib „მწერალი“, kitab „წერილი, წიგნი“ და ა.შ.).

აღსანიშნავია ა. ე-ის გავლენა მრავალ ენაზე, როგორიცაა სპარს., ავღანური, თურქ., ურდუ, ბერბერული და სხვ. ნაწილი სიტყვებისა შესულია საერთაშ. ტერმინოლოგიაში, მაგ.: ალიმუტი, ალკოჰოლი, ალგებრა, ალმირალი და სხვ.

ქართულში არაბ. ლექსიკა შემოსულია სხვა გზებითაც: საკმაოდ დიდი ნაწილი გაერცელებულია უშუალო კონტაქტით არაბების ბატონობის დროს, რაც მეტ-ნაკლები სიძლიერით VII ს. შუაწლებიდან XI ს. შუაწლებამდე გრძელდებოდა; გარკვეული ნაწილი არაბ. ლექსიკისა შემოსულია სპარს. ენის მეშვეობით; არაბ.-ქართ. ენობრივი ურთიერთობისათვის გასათვალისწინებელია აგრეთვე მთარგმნელობითი საქმიანობა, კერძოდ, ქრისტ.-არაბ. ძეგლების თარგმნა ქართულად (იხ. *სინას მთა*).

არაბ. წარმოშობის სიტყვები დასტურდება ქველა დონეზე, დაწყებული შორისდებულებით, მაგ.: ბარაქალა (არაბ. ბარაქ – აკურთხა), არიქა (არაბ. ჰარიქა – მოძრაობა, მოქმედება. შდრ.: არაქათი, არაქათწართმეული), მახლას (არაბ. მახლას – ხსნა, გადარჩენა). ნასესხებია მრავალი არსებითი სახელი თუ საწყისი, რ-თაგან ნაწარმოებია ნასახელარი ზმნები, ზედსართაებები, მიმღეობები. მაგ.: ფიქრი (არაბ. ფიქარ – იმავე მნიშვნელობით) > ფიქრობს, დაფიქრებული, ფიქრიანი, ფიქრმიცემული და სხვ.; ხასიათი (არაბ. ხასიათ – დამახასიათებელი თვისება) > ახასიათებს, სახასიათო, ხასიათწამხდარი და ა. შ. გვხვდება ქართ. ენის საკუთრებად ქცეული, ქართ. ნიადაგზე შექმნილი კომპოზიტები, როგორიცაა მაგ., საღ-სალამათი (არაბ. საჰ – საღი, სწორი და სალამათ – უვნებლობა); ხათაბალა (არაბ. ჰატა – შეცდომა, ბალა – უბედურება), დავიდარაბა (არაბ. დავი – ხმაური, დარაბა – ცემა). აღსანიშნავია, რომ ნამოთვლილი კომპოზიტები თვით არაბულისთვისაც უცხოა. ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის მხოლოდ ერთი ნაწილია არაბული წარმოშობისა: არაქათწართმეული, ალაგაშემორტყმული (არაბ. ჰალკა – წრე), მოკლეადგილი (არაბ. ვად – პირობა, დაპირება). დასტურდება აგრეთვე ამავე ტიპის შესიტყვებები, მაგ., აირუნში არ მოსდის (არაბ. 'აზნ – თვალი); კარგი დახლი დაუდგა (არაბ. დახლ – შემოსავალი) და ა. შ. მაგრამ ბუნებრივია, რომ ნასესხებ მასალას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართ. ენის სტრუქტურაზე.

ლიტ.: წერეთელი გ., არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951; ლეკიშვილი ა., არაბული ენა, I. ფონეტიკა, სიტყვაწარმოება და მორფოლოგია, თბ., 1977; „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თაეისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბ., 1986; Юшманов Н. В., Строй арабского языка, Л., 1938; Церетели Г. В., Арабские диалекты Средней Азии, т. I, Тб., 1956; Гранде Б. М., Курс арабской грамматики в сравнительно-историческом эсвещении, М., 1963; Недоспасова М. Е., Вопросы развития современной арабской терминологии. Автореф. диссерт. на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тб., 1964; Лекиашвили В. А., Ориентализмы в грузинском языке. Автореф. диссерт. на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тб., 1992; Wright W., A Grammar of the Arabic Language, Camb., 1971.

მ. ნედოსპასოვა.

არამეული დამწერლობა, ჩრდილო სემიტური დამწერლობა. განვითარდა ფინიკიური დამწერლობისაგან და ძე. წ. VIII ს-ში დამოუკიდებელი სახე მიიღო. *არამეული ენის* საერთაშ. სტატუსმა ხელი შეუწყო ა. დ-ის ფართოდ გავრცელებას. მას იყენებდნენ არა მარტო არამეელები, არამედ ქველა ის ხალხი, ვინც ცხოვრობდა აქემენიდთა იმპერიის ერცელ ტერიტორიაზე (მცირე აზია, ახლო და შუა აღმოსავლეთი); ჩრდ-ით მისი გავრცელების არეალი აღწევდა კავკასიასაც.

აქემენიდთა იმპერიის დაცემამდე (ძე. წ. IV ს.) ა. დ. ძირითადად ერთგვაროვანია და ცალკეულ ძეგლთა შორის განსხვავება მცირეა. იმპერიის დაცემის შემდეგ ეცემა არამეული ენის პრესტიჟიც და იწყება ა. დ-ის ერთიანი ტიპის დაშლა. ვითარდება ლოკალური დამწერლობები, რ-ებიც ორ შტოდ ლაგდება: დასავლური (ებრაული-კვადრატული, ნაბატეური) და აღმოსავლური (ჩრდ. მესოპოტამიური, სამხრ. მესოპოტამიური, პალმირულ-სირიული, პართული). ამ სახეობათა ერთი ნაწილი გამოიყენება საკუთრივ არამეულისა და მისი მონათესავე სემიტური ენებისათვის, მეორე – სრულიად სხვა სისტემის ენათათვის. რ-თა შორის პირველ რიგში ირანული ენებია (პართული და ფალაური, ანუ საშ. სპარსული). სწორედ მათთვის გამოიყენება ა. დ-ის ე. წ. პართული ტიპი, რ-იც განსაკუთრებულ

სიახლოვეს ნრდ. მესოპოტამიურ დამწერლობასთან აელენს. ნრდ. მესოპოტამიურ დამწერლობათა ტიპს განეკუთვნება *არამაული დამწერლობაც*. რ-ით შესრულებული არამეული წარწერები აღმოსნილია საქართვ. და სომხ. ტერიტორიაზე (I–II სს.).

ა. დ. ანბანური დამწერლობაა, რიც მხოლოდ თანხმოვნების გადმოსცემს და შეიცავს 22 ასოს (თუმცა ვარაუდობენ, რომ მათი რაოდენობა მეტია). გრძელი ხმოვნების გადმოსაცემად თავდაპირველად იყენებდნენ ასოებს w და y (ზოგჯერ o-სა და h-საც), რ-ებიც შესაძლებელია გამოტოვებულიც ყოფილიყო (დეფექტური დამწერლობა). ამასთანავე, გვაქვს შემთხვევები, როდესაც იგივე ასოები გადმოსცემდნენ მოკლე ხმოვნებსაც (განსაკუთრებით უცხოურ საკუთარ სახელებში). ხმოვნების გამოხატვის აღნიშნული პრინციპი მთლიანად გატარდა საშ. არამეულის ერთ-ერთ ლიტ. დიალექტში – მანდეურში (III–VIII სს.). ბიბლიის ტექსტებისათვის შემოღებული ეკალურ ნიშანთა სისტემა გავრცელდა ბიბლიის არამეულ ნაწილებსაც (VII ს.), ხოლო სირიულმა შექმნა ხმოვანთა აღნიშვნის ორი სისტემა (იაკობიტური და ნესტორიანული), რ-თაც დღესაც იყენებენ. არამეულად წერენ ერთ პორიზონტალურ ხაზზე მარჯვნიდან მარცხნივ.



ფრანკერიფშია	მსრეა ზაური	პალმირული	ასანური
ა	ᚨ	𐡀	𐡠
ბ	ᚢ	𐡁	𐡡
გ	ᚣ	𐡂	𐡢
დ	ᚤ	𐡃	𐡣
ჰ	ᚥ	𐡄	𐡤
ვ	ᚦ	𐡅	𐡥
ზ	ᚧ	𐡆	𐡦
ხ	ᚨᚨ	𐡇	𐡧
ტ	ᚩ	𐡈	𐡨
ი	ᚪ	𐡉	𐡩
კ	ᚫ	𐡊	𐡪
ლ	ᚬ	𐡋	𐡫
მ	ᚭ	𐡌	𐡬
ნ	ᚮ	𐡍	𐡭
ს	ᚯ	𐡎	𐡮
ჟ	ᚰ	𐡏	𐡯
ფ	ᚱ	𐡐	𐡰
ს	ᚲ	𐡑	𐡱
ქ	ᚳ	𐡒	𐡲
რ	ᚴ	𐡓	𐡳
შ	ᚵ	𐡔	𐡴
თ	ᚶ	𐡕	𐡵

არამეული დამწერლობა. ანბანი.

ლიტ.: წერეთელი გ., არამეული დამწერლობა. – ქსე. ტ. 1. თბ., 1975; წერეთელი კ., არამეული ენა. თბ., 1982; მისივე, არამეული დამწერლობით შესრულებული ახალი წარწერა მცხეთა-სამთავროდან. – «მაცნე» (ისტორიის... სერია), 1987, № 3; მისივე, საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა. – იქვე, 1991, № 1.

კ. წერეთელი.

არამეული ენა, ერთ-ერთი სემიტური ენა. ძვ. წ. IX ს-ში გავრცელებული იყო სირია-მესოპოტამიაში, პალესტინისა და ფინიკიაში. ამ ხანას (ძვ. წ. IX–VIII სს.) განეკუთვნება შამალის, დამასკის, სეფირესა და სხვ. უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები. ასურეთ-ბაბილონისა და აქემენიდთა სპარსეთის ბატონობის დროს (ძვ. წ. VII–IV სს.) ა. ე. საკანცელარიო და საერთაშ. ენა იყო ამ სახელმწიფოებში. ამავე პერიოდისაა (V ს.) ელეფანტინის (ეგვიპტე) არამეული პაპირუსების ცნობილი არქივი. მომდევნო საუკუნეებში ა. ე-მ ხმარებიდან განდევნა ებრაული. ა. ე-ს სამწერლობო ენად იყენებდნენ პალმირული და ნაბატეველი არაბები (I–III სს.). ამავე ხანისაა მცხეთის არამეული წარწერები (იხ. *არამაული დამწერლობა*). ა. ე-ის ელესის დიალექტზე, სირიულ ენაზე, შეიქმნა მდიდარი ქრისტ. ლიტ-რა (III–XIV სს.), ხოლო მეორე აღმოსავლურ დიალექტზე (ბაბილონის არამეულ დიალექტზე), მანდეური ენაზე – მანდეური ლიტრა (III–VIII სს.). დღეს ა. ე-ზე მოლაპარაკე მოსახლეობა გვხვდება სირიაში, ერაყში, თურქეთში, ირანში, ყოფ. სსრკ-ის ტერიტორიაზე და აშშ-ში.

ლიტ.: წერეთელი გ., არმახის ბილინგვა. – «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; Коковцов П. К., Древнеарамейские надписи из Ниараба, СПб., 1899; Винников И. Н., Словарь арамейских надписей. – «Палестинский сборник», 1958, № 3; 1959, № 4; 1962, № 7; 1964, № 11; 1965, № 13; Церетели К. Г., Материалы по арамейской диалектологии, т. I, Тб., 1965; Garbini A., L'aramaico antico, Roma, 1956; Rosenthal F. (ed.), An Aramaic handbook [vol. 1–4], Wiesbaden, 1967.

კ. წერეთელი.

არგო (ფრანგ. argot – ქურდების ენა), ზოგიერთი სოციალური ან პროფესიული ჯგუფის, წრის თავისებური მეტყველება, რ-ის სიტყვები და გამოთქმები სპეციალურად არის გასაიდუმლოებული და გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის. ა-ს ჩვეულებრივი სალიტ. ენისაგან ძირითადად ლექსიკა (ზოგჯერ ინტონაცია და წარმოთქმაც) განასხვავებს. ა-ს სპეციფ. ლექსიკა იქმნება საერთო ლექსიკის გადასხვაფერებით (როგორც მნიშვნელობის, ისე წარმოების თვალსაზრისით), უცხო ენებიდან და ტერიტ. დიალექტებიდან ნასესხობებით ან ხელოვნურად შექმნილი ფორმებით.

ა. წარმოიშვა როგორც საზ-ბის დაბალი ფენების (ქურდების, მოხეტიალეთა და ღატაკთა, სუტენიორებისა და მისთ.) მეტყველება. მაგრამ თანდათანობით ა-ს მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი აღნიშნავს სხვადასხვა პროფ. ჯგუფების მეტყველებასაც, რ-ის ნამოყალიბებაც შეპირობებულია პროფესიასთან დაკავშირებული ლექსიკის თავისებურებით (თეატრალური ა., ეკიმთა ა.). ამ აზრით ა. გაიგივებულია *ჟარგონთან*.

ზოგჯერ მეტყველების განგებ გასაიდუმლოება დაკავშირებულია სიტყვის მაგიური ძალის რწმენასთან. ამგვარი გასაიდუმლოებული რიტუალური ა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გვხვდება. ქურუმები საგანგებო ენას ქმნიდნენ სულებთან სალაპარაკოდ. ასეთი ა. საქართველოშიც



არეშის წარწერა. IX ს.

(ხევსურეთი) არის ცნობილი ხატის, ან: ჯვართა ენის სახით.

ა-ს ნიმუშია აგრეთვე სხვადასხვა პირობითი და საიდუმლო ენები, მაგ., ე. წ. ქაჯური ენა, რის ორი ვარიანტია ცნობილი საქართველოში: 1. ხდება სიტყვის ორად გახლეჩა და ნაწილების გადასმა: და-სა ხვალ-მი ნა-შე ჭობი – „სადა მიხვალ შენა ბიჭო"; 2. ყოველ მარცვალს ემატება წ, ზ (ან სხვა რომელიმე) თანხმოვანი იმ ხმოვნით, რა გახმოვანებისაც მარცვალია: სა-წა-და-წა მი-წი-ხვალწა შე-წე-ნა-წა ბი-წი-ჭო-წო (იგივე). ამ შემთხვევაში სიტყვების გადასხვაფერება არ უკავშირდება არც ქარგონს და არც რიტუალურ ა-ს.

ლიტ.: Сиқобава арн., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989; Бодуэн де Куртенэ И. А., Блатная музыка. – იხ. მისი: Избранные труды по общему языкознанию, т. 2, М., 1963; Общее языкознание. Формы существования, функции, история языка, М., 1970. *მ. კობაიძე.*

არგოტიზმი, სიტყვა ან გამოთქმა, რ-იც საერთო სასაუბრო მეტყველებაში, ანდა სალიტერატურო ენაში შესულია რომელიმე *არგოდან*. ა. სასაუბრო ენაში ნაწილობრივ იცვლის იმ მნიშვნელობას, რ-იც მას არგოში ჰქონდა. ამასთანავე, იძენს განსაკუთრებულ ექსპრესიულ შეფერილობას. მაგ., ნარკომანების არგოდან სტუდენტთა მეტყველებაში შესული „ტუხაეს" ნიშნავს რაიმე არასასიამოვნოს, არასასურველს. ამ გამოთქმის ამოსავალი მნიშვნელობა არის აბსტინენციის მდგომარეობის აღნიშვნა (რუს. „ломка"). ა. ხშირად პირდაპირი თარგმანის, *კალკის* სახით გადადის ერთი ენიდან მეორეში. მაგ., „ჩაუშვა", „მოდის" (*შდრ.* „спустил", „идет" იმავე მნიშვნელობებით რუსულში). სოგდიერ სასაუბრო ენაში ა-ის სახით და შეცვლილი სემანტიკით არგოს გაელიო შემოდის რომელიმე უცხო სიტყვა. მაგ., „გოიმი", რ-იც წარმოშობით ებრაული სიტყვაა და ნიშნავს „ურწმუნოს" (უცხოს, არაებრაელს), როგორც ა. – „ჩამორჩენილს", „ხალხში გამოუსელელს."

ა-ები სალიტ. ენაში ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში გეხვდება და პერსონაჟის პიროვნების თავისებურებებს ასახავს. ა-ებს (ისევე როგორც *დიალექტიზმებს*) ხშირად იყენებენ მოარგმნელებიც ლედნის სტილის თავისებურებათა გადმოსაცემად.

ა-ები ძალიან სწრაფად იცვლება და კარგავს ექსპრესიულობას. ყოველ თაობას და ყოველ დროს მოაქვს მისთვის დამახასიათებელი ახალი ა-ები. *მ. კობაიძე.*

არეშის წარწერა 881–891, ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი სამ სტრიქონად დიდი ზომის (78x87x95 *სმ*) ქვაჯვრის ბაზისზე. აღმოაჩინეს 1942 ვარძიის მუზეუმის თანამშრომლებმა ნასოფლარ არეშში (ახალქალაქის რ-ნი). დაცვის მიზნით, 1959-იდან გადატანილია კუმურდოს ტაძრის ეზოში; დგას ტაძრის სამხრ. კედლის გასწვრივ. ა. წ. შინაარსით ეპიგრაფიკული საბუთია, იურიდიული აქტია – აღწერს, როგორ შესწირა ტაოს, კალმახის, შაქშეთისა და არტაანის მფლობელის – გურგენ კურაპალატის (+ 891) ერთ-ერთმა ძემ კუმურდოს საყდარს სოფ. არეშტი (არეშტი – სოფ. არეშის ძვ. წარწერის ტექსტში დადასტურებული, სახელი). შემწირველის სახელი მოხსენიებული ყოფილა წარწერის პირველ სტრიქონში, რ-იც ბაზისის ზედა კიდესთან იყო ამოკვეთილი. ამჟამად იგი გადათლილია (მისი ჩათელით, წარწერა ოთხსტრიქონიანია). ტექსტი ასე აღდგება:

„[+ სახელითა ღმრთისაჲთა. აშოტ (ერისთაჲთა ერისთავმან)], ძემან გურგენ კურაპალატისამან, შეწირა არეშტი საყდრისა კუმურდოსასაჲ".

წარწერის დასასრული, ქარაგმების განსხვავებული გახსნით, შეიძლება ასეც წაიკითხოთ: „...შეწირა არეშტი საყდარსა კუმურდოსასა დ...". მაშინ ტექსტი დაუმთავრებელია (ა. ჯავახიშვილი, ე. ცისკარიშვილი, ნ. შოშიაშვილი).

ა. წ-ის ტექსტში გურგენ კურაპალატის მოხსენიება იმის მაჩვენებელია, რომ წარწერის შესრულების დროს იგი ცოცხალი ყოფილა, ხოლო კურაპალატობით მისი დასახელება წარწერის ქვედა თარიღს – 891 განსაზღვრავს. ამის მიხედვით, ა. წ. 881—891 თარიღდება. ამდენად, იგი, *წყისის წარწერის* შემდეგ, სადღეისოდ ცნობილი უძველესი ქართ. ეპიგრაფიკული საბუთია.

ლიტ.: ჯავახიშვილი ა., სტელა ასომთავრული წარწერით ნასოფლარ არეშის მახლობლად. – «სმამ», 1944, ტ. 5, № 7; ცისკარიშვილი ე. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 1, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; სილოგაია ქ. წარწერები არეშის ქვას-

ეტის ბაზისზე. – იხ. მისი: კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ., 1994.

გ. სილოგავა.

არმაზის ბილინგვა, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს (1940) არმაზისხევში აღმოჩენილი ორენოვანი წარწერა, ეპიტაფია, შესრულებული ქვის სტელაზე ბერძნ. და არამეულ ენებზე. ა. ბ. განეკუთვნება II ს-ს. ბერძნ. ტექსტი, რ-იც შეიცავს 9 სტრიქონს, წაიკითხა და გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა (1941). 11-სტრიქონიანი არამეული ტექსტი წაიკითხა და საიუბილეო გამოკვლევით პირველად გ. წერეთელმა გამოაქვეყნა („არმაზის ბილინგვა" – რუს. 1941, ქართ. და ინგლ. – 1942). ორივე წარწერა ძირითადად იდენტური შინაარსისაა, ოღონდ არამეული უფრო ვრცელია და შეიცავს დამატებით ცნობებს გარდაცვლილისა და მისი მეუღლის შესახებ. ბერძნ. ტექსტში აღნიშნულია, რომ სერაფიტი (ეპიტაფიის ობიექტი) იყო ასული პიტიახშ ზეგახისა და მეუღლე პიტიახშ პუბლიკიოს აგრიპას ძის იოდმანგანისა – იბერიის დიდი მეფის ქსეფარნუგის ეზოსმოძღვრისა და რომ იგი (სერაფიტი), შეუდარებელი სილამაზის მქონე, გარდაიცვალა 21 წლისა. არამეულ ტექსტში დამატებით დასახელებულია პიტიახშ სეგახის პატრონი ფარსმან მეფე (2-ჯერ), რ-ის საქმიანობასთან დაკავშირებით შესაძლებელია მოხსენიებული იყოს ფარნავაზ მეფის სახელიც (გ. გიორგაძე). არამეულ ნაწილში დამატებულია სერაფიტის ეპითეტებიც („კეთილი", „მშვენიერი"). ყურადღებას იქცევს ეპიტაფიის ბერძნ. და არამ. ტექსტებს შორის არსებული სხვა ხასიათის სხვაობაც. ბერძნ. ტექსტში თხრობა მესამე პირშია, არამეულში კი – პირველ პირში, მაგრამ ამ ტექსტის მეორე ნახევარი, რ-იც პირველისაგან გამოყოფილია სიტყვით „ასე, ამგვარად", გრძელდება მესამე პირში. ა. ბ., როგორც მასთან ერთად ნაპოვნი არამ. ეროვნოვანი წარწერა, განსაკუთრებული მნიშვნელობისა არა მარტო ქართული, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და მისი კულტ. ისტორიის შესწავლისთვისაც. წარწერებში ასახულია იმდროინდელი (I–II სს.) იბერიის სახელმწ. სისტემა, მოხსენიებული არიან მაღალი რანგის ისტ. პირები (მეფეები, პიტიახშები, ეზოსმოძღვრები), რ-თაგან ზოგი ადრე უცნობი იყო.

ა. ბ-მ სპეციალისტთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველ რიგში დასადგენი იყო ტექსტის ენა. აკად. გ. წერეთელმა, რ-მაც ამ ტექსტს სპეც. გამოკვლევა მიუძღვნა, უფრო არამეულად ივარაუდა იგი და დაადგინა არამეული დამწერლობის ახ. სახეობა, რ-იც დღეს *არმაზული დამწერლობის* (გ. წერეთელი) სახელითაა ცნობილი. ა. ბ-ის ხსენებული გამოცემის შემდეგ მისდამი მიძღვნილი მრავალი გამოკვლევა დაიწერა, შეტანილია კორექტივები არამეული ტექსტის წაკითხვასა და გაგებაში. ვფიქრობთ, დღეს ამ ტექსტის ენის არამეულობაც არ უნდა იწვევდეს ეჭვს: ენა არამეულია, რ-იც აგრძელებს „სახელმწიფო არამეულის" ტრადიციას. ირანული წარმოშობისაა, ძირითადად, საკუთარი სახელები.

ა. ბ-მ დაადასტურა, რომ იბერიაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში ოფიც. წრეებში ბერძნულთან ერთად არამეულსაც იყენებდნენ (როგორც ეს დამახასიათებელია ამ ხანაში სხვა სახელმწიფოებისათვისაც, მაგ., პართიისათვის). ამასთანავე, ბერძნ. ტექსტის პირველ ადგილზე დასმა უნდა მიუთითებდეს ელინისტურ-რომაულ ხანაში ბერძნ.



არმაზის ბილინგვა. II ს.

ენის განსაკუთრებულ პრესტიჟზე საერთაშ. მასშტაბით, მაშინ როცა არამეული ამ დროს უფრო „შინაურული" ხმარებისათვის იყო განკუთვნილი. ამით უნდა აიხსნას აგრეთვე ბერძნ. ეპიტაფიის ძირითადი სიუჟეტის სიმოკლე (გარდაცვლილის ვინაობა), ხოლო არამეულ ნაწილში, რ-იც პირველი პირით იწერება, მოცემულია ისეთი ცნობებიც, რ-ებიც უშუალოდ გარდაცვლილს არ ეხება და უფრო ადგილ. მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი.

ა. ბ-მ დასაწყისი მისცა საქართველოში აღმოჩენილი სხვა არამეული წარწერების გაშიფრა-დადგენასაც.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. – «სმამ», 1941, ტ. 2, № 1–2; წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა. – «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; აბაევი ვ., არმაზის ბილინგვის გარშემო. – «სმამ», 1944, ტ. 5, № 8; გიორგაძე გ., არმაზის ბილინგვა: „ფარნავაზი" თუ „ფარნავაზიანი"? – «მნათობი», 1986, № 10; Фрейман А. А., Несколько замечаний к „Армазской билингве" Г. В. Церетели. – «Известия АН СССР». ОЛЯ, 1946, т. 5, вып. 2; Боголюбов М. Н., Армазская эпитафия. – კრ.: «Ирано-афразийские языковые контакты», М., 1987; Donner H., Rollig W., Kanaanäische und aramäische Inschriften, I–III, Wiesbaden, 1962–69; Kutscher J., Naveh J., Bilingual Inscription (Greek-Aramaic) from Armazi. – «Lashonenu», 1970, vol. 34 (in Hebrew).

ქ. წერეთელი.

არმაზის წარწერა 864, ქართული ასომთავრული რელიეფური წარწერა, შესრულებული ქვითეთელი ფერის ფორებიანი ტუფის ორ ფილაზე, რ-ებიც ჩადგმულია გვერდიგვერდ მდ. რეხულის ზემო წელზე, სოფ. არმაზის (ახალგორის რ-ნი) წმ. გიორგის ეკლესიის სამხრ. ფასადის ცენტრში, კარნიზის ქვეშ. წარწერა შესრულებულია ოთხ სტრიქონად – ტექსტი იკითხება ჯერ ერთ, მარცხენა ფილაზე, ხოლო შემდეგ მეორე – მარჯვენა ფილაზე. პირველი ფილის ბოლოს მეოთხე სტრიქონი მთლიანად გადაშლილია; გ. ჩუბინაშვილი, რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე იქ კითხულობენ სიტყვას „არმაზისა" კითხვის ნიშნით, ხოლო ნ. შოშიაშვილი – „არმაზელმა". წარწერის ტექსტი ასეთია: „+ სახელითა ღმრთისაჲთა. მუ გიორ-



არმაზი. საამშენებლო წარწერა. 864.

გი [...] ‖ მამასახლისმან დაიწყე წმიდაჲ ეკლესიაჲ ქრონიკონსა პდ, ჴელმწიფობასა გიორგისა".

წარწერაში დასახელებული „ჴელმწიფე გიორგი" არის „აფხაზთა მეფე" გიორგი I (861–868). IX–X სს-ში „აფხაზთა მეფეებს", ანუ დას. საქართველოს (ეგრისის) მეფეებს, ხელი მიუწვდებოდათ აღმ. და სამხრ. საქართველოს ცალკეულ რეგიონებზეც (იხ. *კუმურდოს წარწერა* 964; *ერედვის წარწერა 906* და სხვ.).

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 1, ნ. შოშიაშვილის გამოცემა, თბ., 1980; Чубинашвили Г. Н., Архитектурные памятники VIII и IX веков в Ксанском ущелье. – «ქართული ხელოვნება», ტ. 1, თბ., 1942; მ ი ს ი ე ე, Вопросы истории искусства, т. 1, Тб., 1970; Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

ვ. სილოგავა.

არმაზის წარწერა მარიამ-ხათუნყოფილისა, XII ს. II ნახ. ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი 10 სტრიქონად ნაცრისფერი ქვიშაქვის ფილაზე (55x88x20 *სმ*), რ-იც ჩასმული იყო არმაზისხევის (მცხეთის მახლობლად) ეკლესიის დას. კედელში. ინახება საქართვ. მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში (№109). შინაარსით წარწერა საამშენებლოა და იმავდროულად ეპიგრაფიკული საბუთიც. მარიამ-ხათუნყოფილი, რ-იც სხვა წყაროებში არ გვხვდება, თავის თავს მოიხსენიებს აბულეთის დედად და სალდუხის ძმისწულად (ორივე ასევე უცნობია); აღნიშნავს, რომ უყიდია და აუშენებია ეკვდერი არმაზში, როგორც ჩანს, თავისი და ახლობლების დასაკრძალავი ადგილი, ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის ბრძანებით და სურვილით, და შეუწირავს მისთვის „გლეხნი და სიგელნი" ამ გლეხების ფლობის შესახებ და დაუდგენია მწირველი მისი სულისათვის. ტექსტის ბოლოს დასახელებული არიან კიდეც ეს გლეხები, რ-თაგან ერთი ციხედიდელი და მეორე უპითელი ყოფილა. აქვეა ცნობა რაღაც შეწირულების შესახებ მცხეთაში (შეიძლება – სახლის), მაგრამ ტექსტის ნაკლულობის გამო გაურკვეველია.

წარწერა თარიღდება პალეოგრაფიული ნიშნებისა და მასში დასახელებული ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზ I გულაბერისძის (†1190) მოღვაწეობის მიხედვით. წარწერა ხეული დამწერლობის კლასიკური ნიმუშია. მისი ტექსტი ასეთია:

„✝ მ, ყოვლად საგალობელო დედოფალო, ცათა დაუტევნელისა დამტევნელო, მტჳრთველო ღმრთისა, ქერობინთაგან უტჳრთეელისაო, მშობელო დედაო, მაწოვნებელო ღმრთისა ჭეშმარიტისაო, სიტყუსაებრ შენისა სანატრელო, მარადის ქალწულო მარიამ, პატიოსანო და ნათლისა მიმცემელო ყოველთა შენდამი შე[ვედრ]ებულთაო!

მე, უნდო დედაკაცი, ხათუნ-ყოფილი მარიამ, დედაჲ აბულეთისი, ძმისწული სალდუხისი, რომელი ღირს ვიქმენ წმიდასა ღმრთ[ივ-აღმა]რთებულსა კათოლიკე ეკლესიასა სულისა შევედრებად, შეუამდგომლობითა სუეტისა ცხოველისაჲთა, ბრძანებითა და სურვილითა ქართლისა კათალიკოზის ნიკოლოზისითა, შემწეობითა ყოველთავე კათოლიკე ეკლესიისა შეილთაითა, ჴელ-ვყავ მცირედითა მსახურებაჲ:

ვიყიდე და ა[ღვაშე]ნე არმაზს ეკუდერი სრული ყოვლითა, საკურთხეველი, გლეხნი და სიგელი; მწირველი სულისა ჩემისათჳს.

და ვინცა შემდგომითი შემდგომად წოდებულ იქმნჩთ ქართლისა კათალიკოზობასა, შეიწყალეთ უნდოჲ სული ჩემი და დაამტკიცეთ, თქუენცა ღმერთმან მტკიცე გყვნეს.

ვინცა შეცვალოს ფრიადი წადილი ჩემგნით – სულისა ჩემისა სალოცავი, შე-მცა-იცვალების ქრისტეს სარწმუნოებისაგან და შენ აზღვევინე-მცა [ცოდვა]ნი სულისა [ჩემისანი], ამენ.

ერთი გლეხი ტო[...]ბლაჲსძე ა ციხედიდს, ლომინაჲ უპითს, მცხეთას [სახლი?]".

წარწერის პირველი სტრიქონის მესამე ასოს – ღ-ის მუცელში ჩახაზულია სოლომონის ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რ-იც ბაგრატიონთა სამეფო სახლის ბიბლ. წარმოშობის ემბლემაა. ის ხშირად



არმაზის წარწერა
მარიამ-
ხათუნყოფილისა.
XII ს. II ნახ.

გეხვედება, განსაკუთრებით ტაოკლარჯეთში, ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, რ-ებიც სამეფო სახლის წევრების მიერაა აშენებული. მისი ჩართვა ამ წარწერის ტექსტში შეიძლება ნიშნავდეს, რომ მარიამ ხათუნყოფილი სამეფო სახლის ან ნეენთვის უცნობი წევრია, ან დაკავშირებულია ამ სახლთან.

ლიტ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი. შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1953, № 12 (იქვე წინა გამოცემები); ბ ა რ ნ ა ე ლ ი თ., არმაზის მონასტრის წარწერის თარიღისათვის. – «სმამა», 1960, ტ. 24, № 5.

ჯ. სილოგავა.

არმაზული დამწერლობა, *არამეული დამწერლობის* ჩრდ.-აღმ. მესოპოტამიური ტიპის ერთ-ერთი სახეობა. გავრცელებული იყო საქართველოსა და სომხეთში. ტერმ. ა. დ. შემოიღო აკად. გ. წერეთელმა მცხეთა-არმაზში 1940 აღმოჩენილი არამეული სტელების (I–II სს.) შესწავლის საფუძველზე (იხ. *არმაზის ბილინგვა*). საქართველოშიეე აღმოჩენილია ჭურჭელი და სამკაული ა. დ-ით შესრულებული წარწერებით. ასეთია, მაგ., დას. საქართველოში სოფ. ბორში ნაპოვნი პინაკი (III ს.), ვერცხლის კოვში და სხვ. ყურადღებას იქცევს უკანასკნელ ხანებში „დედოფლის მინდორზე“ აღმოჩენილი ფირფიტები ნადირობის სცენებით, რ-თაგან ზოგიერთს ა. დ-ით შესრულებული მცირე არამ. წარწერა ახლავს; ა. დ-ით უნდა იყოს შესრულებული 1961 გარნიში (სომხეთი) აღმოჩენილი წარწერა ქვაზე (II ს.). „არმაზულს“ მიაკუთვნებენ მაზანდარანის (ირანი) პინაკების არამ. წარწერებსაც (VIII–IX სს.), რ-თა დამწერლობას „გვიანარმაზულს“ უწოდებენ (ფ. ალტჰაიმი, რ. შტილი). უკანასკნელ ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური ძიების შედეგად გამოვლენილი დედოფლის მინდვრის (საქართველო) და სისიანის (სომხეთი) არამეული წარწერები შესრულებულია ა. დ-ით და განეკუთვნება ძვ. წ. I ს-ს.

ა. დ-ი განვითარების დიდი გზა განვლო. მისი სათავე, როგორც ეველა ჩრდ. მესოპოტამიური დამწერლობისა, აქემენიდთა ხანის არამეული (ე. წ. ოფიც. და სახელმწ. არამეული) დამწერლობიდან მომდინარეობს. სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ ვითარდებიან ლოკალური დამწერლობანი, რ-ნიც ელინისტურ-რომაულ ხანაში ცალკე სახეობებად ყალიბდებიან. ერთ-ერთი მათგანი აღგილ. (ქართულ) ნიადაგ'ზე უნდა იყოს ფორმირებული, რ-იც არმაზის არამეულ წარწერებში აისახა და ჰათრის, ასურის, პალანქეფესა და ზოგიერთ სხვა წარწერათა დამწერლობასთან ერთად ერთ ჯგუფს (ჩრდ. მესოპოტამიურს) ქმნის. იგი გარკვეულ სიახლოვეს იჩენს არამეული დამწერლობის ე. წ. პართულ ტიპთან, რ-იც არშაკიდებისა და სასანიდების ხანაში (ძვ. წ. III – ახ. წ. V სს.) იყო გავრცელებული საშ. ირანული ენებისათვის (პართული, ფალაური). საყურადღებოა, რომ ა. დ-ით შესრულებული წარწერების ენა (არამეული) გამოდის სტანდარტული არამეულის ჩარჩოებიდან, რაც აღგილ. ენის გავლენით უნდა აიხსნას. არსებობს ცდა ა. დ-ის ქართ. დამწერლობასთან გენეტურად დაკავშირებისა.



არმაზული დამწერლობა. ანბანი.

ლიტ.: წ ე რ ე თ ე ლ ი კ., არმაზული დამწერლობა. – «სემიტოლოგიური ძიებანი», V, თბ., 1991; Церетели Г. В., Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита. – «Эпиграфика Востока», II–III, М.–Л., 1948–49; Периканян А. Г., Арамейская надпись из Гарни. – «Историко-филологический журнал АН Армянской ССР», 1964, № 3(26); Naveh J., The North-Mesopotamian Aramaic scripttype in the late Parthian period. – «Israel Oriental Studies», II Tel-Aviv, 1972; Oelsner J., Bemerkungen zur schriftgeschichtlichen Einordnung der Inschriften aus Armazi. – «Wissenschaftliche Zeitschrift der Fr. Schiller-Universität. Jena». Gesellschafts- und Sprachwiss. Reihe 22, 1973; Tsereteli K., Les inscriptions araméennes de Géorgie. – «Semitica», Paris, 1999.

ქ. წერეთელი.

არონსონი (Aronson) ჰაუარდ ისააკ (დ. 1936), ამერიკელი ენათმეცნიერი, ჩიკაგოს უნ-ტის პროფესორი, ზოგადი ენათმეცნიერებისა და სლავურ ენათა სპეციალისტი. 1960-იანი წლების ბოლოდან მუშაობს ქართველოლოგიაში. ავტორია ქართ. ენის პრაქტიკული გრამატიკისა საველარჯიშოებითურთ: „ქართული ენა. საკითხავი გრამატიკა“ (ჩიკაგო, 1972). ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართ. ბრუნებისა და უღვლილების ფორმალური და სემანტიკური ანალიზის, აგრეთვე ჰიპოტაქსის საკითხებზე, მ. შ. აღსანიშნავია სტატიები: „ქართული ბრუნების ფორმალური ანალიზისათვის“ (1969), „ბრუნვისა და სუბიექტის სემანტიკური ანალიზისათვის ქართულში“ (1970), „ზოგიერთი შენიშვნა მიმართებითი წინადადების შესახებ ქართულში“

(1972), „გრამატიკული სუბიექტი ძველ ქართულში“ (1976), „ქცევის, როგორც გრამატიკული კატეგორიის სტატუსისათვის ქართულში“ (1982), „ფუნქციის ფორმალური კორელატები ქართულ ბრუნვაში“ (1983).

ა. ფაკულტატურად კითხულობს ქართ. ენის კურსს ჩიკაგოს უნ-ტში. მოამზადა რამდენიმე ქართველოლოგი. ინიციატორია ჩიკაგოში ჩატარებული კონფერენციებისა (1979, 1983, 1987, 1990, 1993), რ-ებიც მიეძღვნა ყოფ. სსრ კავშირის არასლავურ ენათა სტრუქტურებს.

შ. აფრიდონიძე.

არსებითი სახელი, სუბსტანტივი, მეტყველების ნაწილი; დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რ-იც აღნიშნავს საგანს. გრამატ. ნიშნების მიხედვით საგნად ითვლება ყველაფერი (მატერ. საგნები თუ არამატერ., განყენებული საგან-ცნებები და მოვლენები), რასაც დაესმის კითხვა ვინ? ან რა? (ადამიანი, დედამიწა, სამშობლო, თავისუფლება). ზედსართავთან, რიცხვით და ნაცვალსახელთან ერთად ა. ს. განეკუთვნება სახელთა კლასს. ხასიათდება ფაროთ სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით; იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით; წინადადებაში უპირატესად ასრულებს ქვემდებარისა და დამატების ფუნქციას; გამოიყენება აგრეთვე განსაზღვრებად, გარემოებად და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად.

გამოიყოფა ა. ს-თა ურთიერთგადამკვეთი ლექსიკურ-გრამატ. ჯგუფები: სულიერთა და უსულოთა, ადამიანთა და არაადამიანთა (ვინ ჯგუფი და რა ჯგუფი), საკუთარი და საზოგადო, კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა და მოქმედებისა, რ-ებიც ფორმაწარმოების, სიტყვაწარმოებისა და სიტყვათშეხამებადობის თვალსაზრისით საკუთარ ქვესისტემებს ქმნიან.

სულიერთა ჯგუფს განეკუთვნება სულიერ, საკუთარი ძალით მოძრავ ცოცხალ არსებათა – ადამიანთა და ცხოველთა სახელები: ქალი, მეგობარი, ციცი, თევზი. უსულოთა ჯგუფს განეკუთვნება უსულო, საკუთარი ძალით გადაადგილების უნარს მოკლებულ საგანთა სახელები: ცა, ეარსკვლავი, ზღვა, მთა. უსულოთა ჯგუფშია გაერთიანებული მცენარეთა სახელები: ცაცხვი, ია... სულიერთა ჯგუფის სახელებს შეეწყობა ჰყავს ზმნა (შვილი, ძაღლი, მანქანა ჰყავს), უსულოთა ჯგუფის და მათთან გათანაბრებულ სახელებს – აქვს ზმნა (მამულები აქვს).

ქართულში ადამიანთა, გონიერ არსებათა სახელები გამიჯნულია სხვა ცოცხალ არსებათა სახელებისაგან. ეს უკანასკნელნი უსულო, არაგონიერი საგნის სახელებთან არიან გათანაბრებული. ადამიანთა (გონიერთა) ჯგუფში გაერთიანებულია ადამიანთა, ღვთიურ და მითოლოგიურ არსებათა სახელები. დაესმის კითხვა ვინ? (აქედან – ტერმინი ვინ ჯგუფი): ღმერთი, ანგელოზი, ადამიანი, მწყემსი, დეკი. არაადამიანთა (არაგონიერთა) ჯგუფს განეკუთვნება სხვა დანარჩენი სულიერი (ცხოველების, ფრინველების, წყლის ბინადრების, ქვეწარმავლების, მწერების) და უსულო საგნის სახელები. დაესმის კითხვა რა? (აქედან – ტერმინი რა ჯგუფი): ვეფხვი, ორბი, დელფინი, მდინარე, სახლი.

ადამიანის სახელებს სადაურობის მაწარმოებლად უპირატესად -ელ სუფიქსი მოუდის (კახელი გლეხი), არაადამიანთა სახელებს – -ურ სუფიქსი (კახური ღვინო).

საკუთარი სახელი სახელს სდებს ერთ რომელიმე საგანს (გიორგი, ბაგრატიონი, საქართველო, გელათი). საზოგადო სახელი აღნიშნავს მრავალ ერთგვარ საგანს (ქალაქი, ქვეყანა, დათვი, მგელი). საკუთარი სახელით საგნის ერთადერთობის ხაზგასმა, მისი ინდივიდუალიზაცია ხდება, საზოგადო სახელით – ერთგვარ საგანთა განზოგადება.

საკუთარ სახელებში გამოიყოფა შემდეგი თემატური ჯგუფები: გეოგრ. სახელები – *ტოპონიმები*, ადამიანთა (პირთა) სახელები – *ანთროპონიმები*, ღმერთების სახელები – თეონიმები, ხალხთა და ტომთა სახელები – *ეთნონიმები*, ცხოველთა სახელები – *ზოონიმები*, ციურ სხეულთა სახელები – კოსმონიმები და სხვ.

საკუთარი სახელები, როგორც საგნობრივი მნიშვნელობისაგან მეტ-ნაკლებად დაცლილი სიტყვები, ენის ნეიტრალურიც განმარტებით ლექსიკონში არ შეიქნენ (გამონაკლისია მხოლოდ ეთნონიმები). ამ ლექსიკის თავმოყრა ონომასტიკურ ლექსიკონებში ხდება. მას ენათმეცნ. სპეც. დარგი *ონომასტიკა* შეისწავლის.

საზოგადო სახელებთან შედარებით, საკუთარ სახელთა რიცხვი გაცილებით მცირეა. მათი ფორმაწარმოებითი და სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები შეზღუდულია. საკუთარი სახელები ლექსიკის ნაკლებად ცვალებად და ნაკლებად შეუსებად სფეროს განეკუთვნებიან. ადამიანთა სახელებს განმეორების მაღალი სიხშირე ახასიათებს, გეოგრ. სახელებში დამთხვეულს შემთხვევითი ხასიათი აქვს.

საკუთარ სახელებში ცალკე ჯგუფად გამოყოფენ მოცულობით დიდ და სემანტიკურად მრავალფეროვან ლექსიკას – ე. წ. სახელწოდებებს. ესენია მხატვრული ნაწარმოებების, ჟურნალ-გაზეთების, დღესასწაულების, სხვადასხვა კულტურული თუ საყოფაცხოვრებო ობიექტების (თეატრების, კაფე-ბარების...), ღვინოების, სერიული წარმოების, საგანთა და მისთ. სახელები. სახელწოდებად, საკუთარ სახელთან ერთად, ფართოდ გამოიყენება საზ. სახელიც, რ-იც კონტექსტში საკუთარი სახელის ფუნქციას ასრულებს. მაგ.: ლექსი „მერანი“, ჟურნ. „ცისკარი“, ღღესასწაული „გიორგობა“, სასტუმრო „მეტეხი“, გემი „საქართველო“, ლუდი „შატილი“ და მისთ. ლექსიკის ეს ნაწილი, აღსანიშნი ობიექტების მსგავსად, სწრაფად იცვლება და ივსება ახალ-ახალი სახელებით. სახელდება ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია და მასში ყოველთვის ირეკლება სახელმდები კოლექტივის კულტურა და გემოვნება.

კონკრეტულია სახელი, რ-იც აღნიშნავს კონკრეტულ საგნებს, ფაქტებსა და მოვლენებს. ბუნებაში რეალურად არსებულ საგანთა სახელების (კაცი, ადამიანი, მზე, შენობა, ყვავილი) გარდა, აქ არამატერიალურ საგანთა სახელებიც შემოდის (დრო, საუკუნე, მიზანი, ფიქრი, დარდი). აბსტრაქტული სახელი ნაწარმოები (მოტივირებული) სახელია, აღნიშნავს განყენებულ საგან-ცნებებს, იხმარება მხ. რიცხვის ფორმით (ამაოება, დიდება, ჭეშმარიტება, მშვიდობა, სიკეთე).

კრებითი სახელი ლექსიკურად (მხ. რიცხვის ფორმით) გამოხატავს ერთგვარ საგანთა სიმრავლეს, კრებულს, როგორც ერთ განუყოფელ მთელს. პირველადი კრებითი სახელებია: ერი, ხალხი, თემი, ფარა, ჯოგი, რემა. ნაწარმოები კრებითი სახელებია: გლეხობა, თავადაზნაურობა, ნაძვნარი, ბუწვეული, ეერცხლეული.

ნივთიერებათა სახელები აღნიშნავენ ერთგვაროვან ნივთიერებებს, რომელთა დანაწილება, აწონა და გაზომვა შეიძლება, ცალკეულ საგნებად წარმოდგენა კი – არა. ნივთიერებათა სახელებს განეკუთვნება მეტალების, მინერალების, კეცების პროდუქტების, სასაამ. კულტურების, სხვადასხვა მასალების. ქსოვილებისა და მისთ. სახელები (ოქრო, გრანიტი, ღვინო, ხორბალი, ხე-ტყე, ფარჩა).

მოქმედების სახელები ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელებია, აღნიშნავენ მოქმედებას ან მდგომარეობას (ხატვა, კეთება, დგომა, წოლა). მოქმედების სახელის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმ. საწყისი და *მასდარი*.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ქავთარაძე ლ., ქართული ენა. I, თბ., 1981; Русская грамматика, I, М., 1982.

ვ. კალანდაძე.

არსენ იყალთოელი, XI ს. 60-იანი – XII ს. 30-იანი წლების ქართველი ფილოსოფოსი, თეოლოგი, მთარგმნელი, მწერალი, მეცნიერი, გრამატიკოსი. იყო „სიტყვის მპაექრი“ (მოკამათე), საეკლესიო კანონმდებლობის ღრმა მცოდნე, სარწმუნო წყაროებით, იგიეე არსენ ბერი – დავით აღმაშენებლის მოძღვარი და მისი ანდერძის აღმწერელი. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ძუნწადაა შემორჩენილი, ამ ცნობებს ავსებს მოგვიანო ხანის (XVII–XIX სს.) მოღვაწეთა მიერ მოძიებული ისტ.-ბიბლიოგრაფიული და ბიოგრაფ. მასალები (არჩილი, ს.-ს. ორბელიანი, ანტონ I, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები, დავით რექტორი, პ. იოსელიანი და სხვ.).



არსენ იყალთოელი. მინიატურა XVII ს. ხელნაწერიდან.

ა. ი. დაბადებულა იყალთოში, სადაც გარკვეულ პერიოდში უმოღვაწია კიდეც; აქედან მისი ზედწოდება – იყალთოელი. ზოგიერთ წყაროში იხსენიება როგორც ვანელი. განაოლება მიიღო კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. ა. ი-ის დროს იქ მოღვაწეობდნენ ბი'ზანტ. რენესანსის ბრწყინვალე წარმომადგენლები – მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი, სახელმოხვეჭილი მწერალი და იურისტი იოანე ქსიფილინოსი. სწორედ მათ მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებზე ჩამოყალიბდა ა. ი. როგორც თეოლოგი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და იურისტი.

XI ს. 80-იანი წლებიდან იგი მოღვაწეობდა *შატ მთაზე* (სირია) *ეფრემ მცირესა* და *იოანე პეტრიწთან* ერთად. უფრო გვიან სამიეე მოღვაწე დავით აღმაშენებელს მიუწვევია გელათის აკადემიაში. გელათიდან ა. ი. თავის მშობლიურ იყალთოს დაუბრუნდა და იქ ცნობილი აკადემია დააარსა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები შიომღვიმის მონასტერში გაატარა და იქვე აღესრულა.

ა. ი. ეწეოდა ნაყოფიერ მოღვაწეობას სხვადასხვა დარგში (თეოლოგია, ფილოსოფია, იურისპრუდენცია და სხვ.). ქმნიდა ორიგინ. ნაწარმოებებს, პოეტურ ნიმუშებს, თარგმნიდა ბერძნულიდან სხვადასხვა შინაარსის (თეოლ., ფილოს., სჯულისმდებლობით) ლიტ-რას. სამწერლო მოღვაწეობისას იგი ითვალისწინებდა მკითხველი საზ-ბის ესთეტიკურ დონესა და გემოვნებას. აღსანიშნავია მის მიერ გაწეული შრომა ქართ. გრამატიკის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოლოგიის დარგებში. ამ თვალსაზრისით მისი შრომები ნაკლებადაა შესწავლილი. საგულისხმო მასალას გვაწვდიან იმ ხელნაწერთა სქოლიოები, აშიებზე მიწერილი ე. წ. მოსრახულები და შეისწავენი, რ-თაც შემოუნახავთ არსენის ორიგინ. თუ თარგმნილი შრომები. სამწუხაროდ, ამ შრომათაგან ძალიან ცოტაა გამოქვეყნებული. უკანასკნელ ათწლეულში გამოიცა ბერძნულიდან თარგმნილი მისი ფუნდამენტური ნაშრომები – იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაჲ“ და საეკლ.-საკანონმდებლო „დიდი სჯულისკანონი“. ა. ი-ის ქველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაშრომია ფილოსოფ. და პოლიტ.-დოგმატიკური ტრაქტატების კრებული „დოგმატიკონი“. მასში ა. ი-ს შეუტანია ქველაფერი, რაც საჭირო იყო ქართველთათვის ქრისტიანობის დოგმატიკურ-ფილოს. არსის გასაგებად და სხვადასხვა სარწმუნოებისა და მწვალებლობის „პირის დასაყოფად“. ამ კრებულშიეა შეტანილი ანასტასი სინელის „წინამძღუარი“ და იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაჲ“. ეს უკანასკნელი ურთულესი ფილოს. ტერმინოლოგიის შემცველია, რ-ის ქართ. შესატყვისები შექმნეს ეფრემ მცირემ და ა. ი-მა.

ა. ი-ის ნაშრომები საყურადღებო მასალას გვაწვდის მისი საეკლესიო-მეცნიერო მუშაობის შესახებ. სწორედ აქ წარმოჩნდება ა. ი., როგორც სერიოზული მკვლევარი და ღრმად მცოდნე ქართ. ენის გრამატ. და ლექსიკური სტრუქტურისა.

თანამედროვენი ა. ი-ს ახასიათებენ როგორც საუკეთესო „თარგმანისა და მეცნიერს ბერძენთა და ქართველთა ენათასა, განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“. იგი ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის თანამედროვეა და პრაქტიკულად ზრუნავდა იმაზე, რომ ქართ. ენა ისეთივე მოქნილი, მდიდარი და გამომსახველი გაეხადა, როგორიც ბერძნ. ენა იყო. მაგ., ანასტასი სინელის „წინამძღუარის“ მისეულ თარგმანზე დართულ სქოლიოში იგი ავითარებს თვალსაზრისს, რ-იც მნიშვნელოვანია თანამედროვე თარგმანის თეორიისთვისაც. სახელდობრ, ა. ი-ის მიხედვით, თარგმანის უპირველესად მთარგმნელის უმწეობის მანეენებელია და ენების უნიათო ცოდნაზე მიუთითებს. იგი თავმდაბლურად წერს: „ჩემს თარგმანს თუ სიბრძნე რამე სადმე, ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ეერმეცნიერებისგან“. სხვაგან, კონკრეტული მასალის განიხილვისას კვლავ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს. მისი დაკვირვებით, პოლისემიური სიტყვების ერთი ენიდან მეორეზე გადმოტანა ძალზე რთულია: ხშირად მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა მონოსემიურად არის გაგებული, ან კიდევ ორი ან მეტი მნიშვნელობიდან კონტექსტისათვის შეუფერებელი მნიშვნელობაა გადმოტანილი. ნიმუშად მოჰყავს ბერძნული ხიმ-ს

მაგალითი: „შეისწაეე, ვითარმედ... ჩუენთა ქართულთა სახარებათა შინა გარნად წერილ არს ამას ადგილასა: არცა ძემან, გარნა მამამან, და ჩუენ აქა ყოველგან თუნიერი დაგჳწერია. ბერძულად ესრეთ არს, ვითარმედ იმი, რომელი ესე გარნასაცა მოასწაეებს და თუნიერსაცა, ხოლო, ერთისა არა რომლისგან გარეშეიცევის ქართულისა სიტჳსჳსა, ვითარმცა ერთი რაჲმე დაემართე და სხჳსა მიმართ არღა ჰქონდა კუალი განსაეალი სიტჳსჳასა“. ა. ი. პოლისემიური სიტყვების გადმოღების საკითხს ასე დეტალურად განიხილავს იმიტომ, რომ ამ ტიპის შეცდომები უხვად დასტურდება ძვ. ქართ. ტექსტებში, რაც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ტექსტის გაგებას, აბუნდოვნებს აზრს ან სრულიად სხეაგვარ შინაარსს გვაწვდის.

ა. ი., ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწთან ერთად, მესაჰირკვლესა ქართ. მწერლობაში ელინოფილური მიმართულებისა (იხ. *ელინოფილიზმი*), რ-ის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი იყო სრულვა მშობლიურ ენაზე – მისი დახვეწა, გამდიდრება ლექსიკურად, დაახლოება საერთო-სახალხო ენასთან, მისი გამოყენება ენობრივი შაბლონიდან.

ქართ. ენის ჩინებული ცოდნა და იშვიათი ენობრივი ალღო განსაკუთრებით გამოვლინდა ა. ი-ის სიტყვაოთმეცნიერებაში, სადაც იგი მაქსიმალურად იყენებდა ენის პოტენციურ შესაძლებლობებს. მის მიერ მარჯვედ შექმნილი ტერმინების გარკვეული ნაწილი დღემდე შემორჩა ქართ. ენას იმაედ შეიარსით ან სახეცვლილი ფორმითა და სემანტიკით. მაგ.: განმგე (კოპორტის მეთაური, ჩინოსანი), განმგებელი (მოურაეი, მეურნეობის მეთვალყურე, მმრუნველი), ერთობა (მხოლოობა), დროება (დაყოვნება), ზედნადები (ეახში), მოსამართლე (სამართლის გამრჩევი), საბჭო (სასამართლო), განსჯა (გასამართლება), შერწყმული (ორგანული, მთლიანი), განსაძღვრება (საზღვრის გარეთ განდეენა), განცჳფრებული (გიჟი, შეშლილი), ერთჴმობილი (შეთანხმებული), ორჴმობა (სხვადასხვა აზრზე ყოფნა), მომჭირნე (თაედაჭერილი), მოლტოლვილი (შეხიზნული), თანაცხედრეული (მეუღლე), საურავი (ხარჯი, თანხა), განუღელა (განქორწინება), თავსმდები (თაედები), უულვაშო (არასრულწლოვანი), დამამულება (მემკვიდრეობა) და სხვ.

ლიტ.: ანტონ I ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980; გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, თბ., 1956; ძ ე ლ ა ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1952; ლოლაშვილი ი., არსენ იყალთოელი, თბ., 1978. *თ. ცქიტიშვილი.*

არტიკულაცია (<ლათ. articulatio < articulo – ვანაწყერებ, დანაწყერებულად წარმოეთქვამ), I) იგივეა, რაც *დანაწყერება*; 2) სამეტყველო ორგანოების მოძრაობათა და მდგომარეობათა ერთობლიობა, რ-იც საჭიროა მოცემული *ბგერის* წარმოსაქმნელად. სამეტყველო ბგერათა აღწერისა და ანალიზის დროს გარჩეულია: 1. ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადის გადამუშავების მიხედეით ა-ის რაგყარობა (ხშვა, ფრიკაცია, ფშვინეა...) და 2. ა-ის ადგილი (იხ. *თანხმოვნები*). სამეტყველო აპარატის ცალკეულ ნაწილებს, რ-უბიც უშუალოდ მონაწილეობენ ბგერის წარმოთქმაში, უწოდებენ არტიკულატორებს. განსხვავებულია არტიკულატორების ორი სახე: აქტიური (მოძრაეი – ბაგეები, ენა, ქეედა ყბა...) და პასიური (უძრაეი – კბილები, ნუნები, სასა...). იზოლირებულად აღებული ნებისმიერი სამეტყველო ბგერის წარმოთქმაში გამოიყოფა სამი მომენტი: შემართეა (ექსკურსია), დაყოვნება, დამართეა (რეკურსია). მაგრამ გაბმული მეტყველების პროცესში *კოარტიკულაციის* შედეგად ამა თუ იმ ბგერის შემართეა ემთხვევა წინამეალი ბგერის დამართეას, ხოლო დამართეა – მომდევნო ბგერის შემართეას. ხოგჯერ წარმოთქმის პროცესში საწარმოთქმო მდგომარეობათა სწრაფი ცვლის შედეგად დაყოვნების მომენტიც შეიძლება გაქრეს. ამდენად, არტიკულაციური ფონეტიკის შესწაელის საგანია არა მხოლოდ მინიმალური ბგერითი კომპონენტები, არამედ მარცელები და მეტყველების უფრო ერცელი ერთეულებიც. წარმოთქმის (შემართეა-დამართეის) წესები ენათა მიხედეით განსხვავებულია (იხ. *საარტიკულაციო ბაზისი*).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ხოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; Ladefoged P., A Course in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975; Crystal D., A Dictionary of Linguistics and Phonetics, 5th edition. Oxford, 2003. *ზ. ჯაფარიძე.*

არძაიზმი (< ბერძნ. archaios – ძველი), მოძველებული სიტყვა ან გამოთქმა, გრამატიკული ფორმა ან კონსტრუქცია, რ-იც გამოსულია თანამედროეე ენის აქტიური სიტყვახმარებიდან. ა. შემორჩენილია მხოლოდ პასიურ ლექსიკაში, თუმცა მეტ-ნაკლებად მაინც გასაგებია სათანადო ენობრივი კოლექტივისათეის. გამოიყოფა ლექსიკური და გრამატიკული ა-ები. ლექსიკური ა. შეიძლება იყოს საკუთარიც (ჭაბალი, მესუყერე, ჰრქუა, მოსთულა, მიერითგან, რამეთუ) და ნასესხებიც (არშინი, უსალთუნი, ვერსი). გრამატიკული ა-ია: სახ. ბრუნვის -ი ფუძეხმოვნიან სახელებთან (დაი, მსეი,), მოთხრ. ბრუნვის -მან (ცამან), -ში და -ზე თანდებულთა სრული ფორმები (ცათა შინა, ქუეყანასა ზედა), მოქმ. ბრუნვის უთანდებულო ფორმა გამოსელითის ფუნქციით („გეელსა ხერელით ამოიყვანს“), -ის დაბოლოება ვნებითის III პირის აწმყოში (თბების), ზმნისწინთა ძე. ფორმები (აღეიდა, განერიდა, შთავარდა, წარიღო). ზოგჯერ ეს ზმნისწინები მნიშვნელობათა გასამიჯნავად იხმარება თანამედროეე ქართულში. შდრ.: აღდგომა – აღგომა, განგება – გაგება, წარმატება – წამატება; სინტაქსურ ა-ს ქმნის გაუფორმებელი სახელური ფუძის ხმარება სახ. და მოთხრ. ბრუნეების ფუნქციით ანთროპონიმებში (აბრაამ შეა ისაა), სახელობითში დასმული ობიექტის მრაელობითობის აღნიშენა ზმნაში (განახენა ბჭენი), ნაწეერის ხმარება სახელთან (კაცი იგი, კაცსა მას), მსაზღერელ-საზღერულის შებრუნებული წყობა (ძლიერნი ამა ქეეყნისანი) და სხვ.

მხატერულ ლიტ-რაში ა. სტილისტიკურ ხერხად გამოიყენება, კერძოდ, ისტ. რომანებსა და ლირიკაში ემსახურება გარკვეული ეპოქის კოლორიტის ან ამაღლებული განწყობილების გადმოცემას: „არ განერება (=მოშორდება, მოსცილდება) ხატი ძლიერი იმ წმიდა აღგილთ“ (ე. ბარნ.); „საქართეელოის ყოელის მპყრობელმან ვისურვე, დაეით“ (ა. კალანდ.). პუბ-

ლინგვისტიკასა და ორატორულ მეტყველებაში ა. გამოიყენება საზეიმო სტილის, აგრეთვე კომიკური ეფექტების, უარყოფითი დამოკიდებულების (ირონიის, სარკაზმის, სატირის) გამოსახატავადაც. ზოგ გრამატ. ა-ს თანამედროვე ენაში ტერმინოლოგიის საწარმოებლად იყენებენ. მაგ., ნარიანი მრავლობითი იხმარება ბიოლოგიურ ტერმინთა საწარმოებლად (ვაისებრნი, ტუჩოსანნი, ჩანთოსანნი), თანიანი ნათესაობითის ფორმები კი – სხვადასხვა (გეოგრ.-პოლიტ., საზ. გაერთიანებების...) სახელწოდებებში (ერთა ლიგა, ქალთა სკოლა, მხატვართა კავშირი).

ამა თუ იმ მიზეზით არქაული ფორმა შეიძლება კვლავ გაცოცხლდეს თანამედროვე ენაში.

ლიტ.: გიგინეიშვილი ი., არქაიზმების საკითხისათვის. – კრ.: «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 11, თბ., 1997.

შ. აფრიდონიძე.

არქეტიპი (< ბერძნ. archē – საწყისი, typon – ნიმუში), წინასახე, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით გენეტურად მონათესავე ენათა შედარებისა და შესატყვის ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე დადგენილი ფორმა (თეორიული კონსტრუქცია), რ-იც ისტორიულად დადასტურებულ ფორმათა ადრეულ საფეხურად ითვლება. მაგ., „შვილი"-ს საერთო ქართველურ სახელწოდებად *მ-შუ-ე ივარაუდება. ქართ. პირ-მ-შო (*მ-შუ-ე); მეგრ. სქუა (*მ-სქუ-ა < *მ-სქუ-ე) „შვილი"; სვან. გმსგე || სგეჲ (< *მ-სგუ-ე < *მ-სქუ-ე) „ვაჟიშვილი, ძე".

იხ. *რეკონსტრუქცია.*

ა. დგინდება როგორც ფონემურ, ისე გრამატ. და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; Schmidt K. H., Sibilanten- und Affrikatenkorrespondenz in den Kartwelsprachen. – «Bedi Kartlisa. Revue de kartvélologie», vol. XI–XII, № 36–37, Paris, 1961; Gamkrelidze Th.V., A Typology of Common Kartvelian. – «Language», 1966, vol. 42, № 1.

ლ. ენუქიძე.



არჩილ II.

არჩილ II, ბაგრატიონი (1647 – 16.IV.1713, მოსკოვი), მეფე, ვახტანგ V-ის ძე, პოეტი და მწიგნობარი. მეფობდა იმერეთში (1661–63). ირან. მთავრობის მოთხოვნით (1663) ა. II ირანში წავიდა, სადაც მას მაჰმადიანობა მიაღებინეს და კახეთის მეფედ გამოგზავნეს (შაჰნაზარ-ხანის სახელწოდებით). ა. II-ის მეფობის წლები (1664–75) კახეთისათვის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ქვეყნის მოღონიერებით უკმაყოფილო ირანის შაჰმა კახეთის ტახტი თეიმურაზ I-ის შვილიშვილს – ერეკლე ბატონიშვილს (ნაზარალი-ხანს) აღუთქვა, ამიტომ ა. II-მ სცადა იმერეთის მეფობა დაებრუნებინა. იგი კიდევ ოთხჯერ ავიდა იმერეთის ტახტზე (1678–79; 1690–91; 1695–96; 1698), მაგრამ ამჯერადაც თავადაზნაურობამ ოსმალეთის გავლენითა და მხარდაჭერით იგი იმერეთიდან გააძევა. ა. II-მ დახმარებისათვის რუსეთს მიმართა – 1680 ელჩი გაგზავნა, 1682–88 თვითონ იყო იქ, მაგრამ საბოლოოდ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. 1699 იგი სამუდამოდ დასახლდა რუსეთში (მოსკოვის მახლობლად, სოფ. ვსესვიატსკოეში) და ფაქტობრივად ჩამოშორდა პოლიტ. მოღვაწეობას. გარდაიცვალა იქვე, დასაფლავებულია მოსკოვში, დონის მონასტერში.

ა. II-ის ლიტ. და კულტ.-საგანმან. მოღვაწეობამ ღრმა კვალი დააჩნია ქართ. მწერლობასა და ქართ. კულტურას. მისი პოეტური მემკვიდრეობა მეტად მრავალფეროვანია. იგი იყო ახ. ლიტ. მოძრაობის მეთაური, ეროვნ. თემატიკის შემომტანი და ნიჭიერი დამმუშავებელი, ლიტ-რაში (ისევე როგორც პოლიტ. ცხოვრებაში) მკვეთრი ანტისპარსული ტენდენციების გამომხატველი, მშობლიური ენის სიწმინდისათვის მებრძოლი. მან შემოიტანა ქართ. მწერლობაში „მართლის თქმის" პრინციპი. მისი დიდაქტ. მოძღვრება დაკნინებული საქართველოს სწავლა-განათლებით აღორძინებისაკენ იყო მიმართული („საქართველოს ზნეობანი", „ლექსნი ასნი ორმუხლნი" და სხვ.). ყურადღებას იქცევს მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. რუსეთში ყოფნისას მან თარგმნა „ალექსანდრიანი", მსოფლიოს ისტორია („ქრონოგრაფი") და რამდენიმე სხვ. ხასიათის ნაწარმოები. როგორც ჩანს, ა. II-ის სახელს უკავშირდება სპარვენფელდის ფონდში დაცული (უფსალის უნ-ტის ბ-კის ხელნაწერთა განყ-ბა) თურქულ-ქართული ლექსიკონის შედგენაც. ეს ხელნაწერი ა. II-ის ავტოგრაფსაც შეიცავს. ა. II-მ დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა ბიბლიის ტექსტის დასადგენად, რაშიც მას ეხმარებოდა მისი ვაჟი *ალექსანდრე ბატონიშვილი.* ა. II შეეცადა ქართ. შრიფტი მოსკოვშივე დაემზადებინა, მაგრამ პირველივე ცდა მოსკ. სტამბაში ქართ. შრიფტის შექმნისა მარცხით დამთავრდა, რადგან ადგილობრივ ოსტატთა ტექნ. შესაძლებლობები დაბალი დონისა აღმოჩნდა. ამიტომ ა. II-მ, მოსკოვში მცხოვრები უცხოელი მეგობრების შეთავაზებით, ქართ. შრიფტი ამსტერდამში მცხოვრებ უნგრელ ოსტატს ტოტფალუშ მიკლოშ კიშს შეუკვეთა. უნგრელმა მესტამბემ დაამზადა ქართ. შრიფტის სამი ნაირსახეობის (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) პუანსონ-მატრიცები და ა. II-ის ოჯახთან დაახლოებულ პირს, შვედ ენათმეცნიერს იუჰან გაბრიელ სპარვენფელდს გადასცა (1689) მოსკოვში გასაგზავნად. მაგრამ იმ დროს ა. II საქართველოში იმყოფებოდა, შემდეგ კი დაიწყო ჩრდილოეთის ომი და შრიფტი დიდხანს დარჩა სტოკჰოლმში. აქვე უფრო გვიან ამ მატრიცების მიხედვით ჩამოასხეს ქართ. შრიფტი, რ-იც 1703 ალექსანდრე ბატონიშვილმა მოსკოვს გაუგზავნა მამას. ამ შრიფტით (უმნიშვნელო დახვეწის შემდეგ) ა. II-მ 1705 მოსკ. სამეფო სტამბაში დაბეჭდა „დავითნის" 500 ეგზემპლარი, რითაც დასაბამი მიეცა ქართ. წიგნის ბეჭდვას რუსეთში.

ა. II-მ ცხოველი ინტერესი გამოიჩინა ქართ. ენის, მისი ლექსიკის სიწმინდის დაცვისადმი. თავის ცნობილ მხატვრულ-პოლემიკურ პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა" ის კიცხავს წინაპარ თუ თავის თანამედროვე პოეტებს მოჭარბებული ბარბარიზმებისა და დიალექტიზმების ხმარების გამო. იგი არ უარყოფს უცხო ენების ცოდნის საჭიროებას, მაგრამ წინააღმდეგია ამ ცოდნის გამოყენებისა ქართულის ასამღვრევად („ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, / მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით"). საინ-

ტერესოა, რომ ირან.-თურქ. და სხვა უცხო წარმოშობის სიტყვების ხმარებას თვით ა. II-ც ვერ გაექცა, მაგრამ აღმოსავლური სიტყვების შედარებითი სიჭარბე მის თხზულებებში შეიძლება აიხსნას მათი გაერცელებულობით იმდროინდელ სალაპარაკო და სალიტ. ქართულში. რაც შეეხება რუსიციზმებს, ა. II-ის ორიგინ. ნაწარმოებებსა და თარგმანებში ისინი მხოლოდ პოეტიკურ-სტილისტიკური დანიშნულებითაა გამოყენებული.

ა. II-მ თავისი შემოქმედებითი კვალი დააჩნია ქართ. ორთოგრაფიასაც. მან პრაქტიკულად პირველმა დაიწყო ორთოგრაფიის რეფორმა. იგი თავის ნაწარმოებებში სრულიად შეგნებულად არ იყენებდა იმ გრაფემებს, რ-ებიც ცოცხალ მეტყველებაში არარსებულ ფონემებს გამოხატავდა (ჱ ჲ ჳ), მაგრამ არ შეუზღუდავს ცოცხალ მეტყველებაში ნაკლებად ხმარებული ჰ. რაც შეეხება ჯ-ს, რ-იც იმ დროს სალაპარაკო და სალიტ. ქართულში ჯერ კიდევ მკვიდრი ბგერა იყო, ბუნებრივია, ა. II-ს მისი საკითხი არც დაუსვამს.

ა. II-ის აშკარად გამოხატული ტენდენცია ქართ. ორთოგრაფიის დემოკრატიზაციისა, საფიქრებელია, საჭირო ნიადაგს შექმნიდა ორი საუკუნის შემდეგ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით განხორციელებული რეფორმებისათვის.

ჯ. ჯაფარიძე.
ლ. კობაიძე.

ასიმილაცია (< ლათ. assimilatio – დამსგავსება), კომბინატორული *ბგერითი ცვლილების* სახე, როცა ერთი ბგერის *არტიკულაცია* იცვლება სხვა ბგერის არტიკულაციის გავლენით სიტყვის ფარგლებში (იხ. *კოარტიკულაცია*). ბგერა, რ-იც იმსგავსებს მეორეს, იქნება ა სიმილატორი, ხოლო ბგერა, რ-იც ემსგავსება ასიმილატორს – ასიმილირებულ ი. მაგ., სიტყვაში მათგან > მადგან ხდება ყრუ თ-ს გამჟღერება მეზობელი მჟღერი გ-ს გავლენით, ე. ი. ასიმილატორია გ, ასიმილირებული – დ(<თ).

ა. მოქმედებს როგორც თანხმოვნებში, ისე ხმოვნებში. ა. მეტ-ნაკლებად ყველა ენაშია გავრცელებული, თუმცა მისი სხვადასხვა სახე ყველა ენისათვის ან ერთი ენის სხვადასხვა პერიოდისთვისაც კი ერთნაირად არ არის დამახასიათებელი. იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისით განვიხილავთ ა-ის მოქმედებას, გარჩეულია მისი შემდეგი სახეები:

მანძილის მიხედვით – კონტაქტური და დისტანციური. კონტაქტურია ა., როდესაც ასიმილატორი და ასიმილირებული ბგერები უშუალო მეზობლობაში იმყოფებიან (მსგავსი > მზგავსი; ქვითკირი > ქვიტკირი; დაუწყო > დოუწყო). დისტანციურია ა., როდესაც ერთმანეთს ემსგავსება სხვა ბგერით (ბგერებით) გათიშული ორი ბგერა (სიმშილი > შიმშილი; ბჭისკარი > ჭიშკარი).

მიმართულების მიხედვით – პროგრესული და რეგრესული. პროგრესულია ა., როცა წინამავალი ბგერა მოქმედებს მომდევნოსე, ე. ი. ა-ის მოქმედება მიმართულია წინ, სიტყვის ბოლოსაკენ (კბილი > კპილი; შეწუხდა > შეწუხთა). რეგრესულია ა., როცა მომდევნო ბგერა მოქმედებს წინამავალსე, ე. ი. ა-ის მოქმედება მიმართულია უკან, სიტყვის თავისაკენ (ერთგული > ერდგული; მისდევს > მიზდევს; კარებთან > კარეფთან). არის შემთხვევები, როდესაც ბგერათა მოქმედება საურთიეროთა, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს შერწყმა (ე. წ. რეციპროკული ა.): ცამეტი (ათ-სამეტი);

შედეგის მიხედვით – სრული და ნაწილობრივი. ა. სრულია, თუ ერთი ბგერა (ასიმილირებული) მთლიანად ემსგავსება მეორეს (ასიმილატორს). ეს ხდება მაშინ, როდესაც ა-ის პროცესში მონაწილე ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ერთი არტიკულაციური ნიშნით (გქვია > ქქვია; სიმშილი > შიმშილი; დიალექტური: გაუკეთა > გოუკეთა > გუუკეთა). ა. ნაწილობრივია, თუ ერთი ბგერა (ასიმილირებული) მხოლოდ ნაწილობრივ ემსგავსება მეორეს (ასიმილატორს), ერთი რომელიმე არტიკულაციური ნიშნის მიხედვით (მათგან > მადგან; აქვს > აქფს).

ა-ის მოქმედების შედეგად მოხდარი ბგერათცვლილებები შეიძლება წარიმართოს ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის, წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. მაგრამ ხშირად ა. არის ორი ან მეტი ასიმილაციური პროცესის შედეგი. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ რთულ ა-ზე (ავადმყოფი > ავანტყოფი).

ა-ის მოქმედება გამოწვეულია ფიზიოლოგიური ფაქტორებით, მაგრამ ეს უკანასკნელნი ყოველთვის არ იწვევენ ა-ს (შდრ. სვან. უშგული – სოფლის სახელი, ნაგჯურ – საკუთარი სახელი, მეთგი – საკუთარი სახელი და ა. შ., სადაც მეზობელი ბგერების გაელეწინით თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუე არ იცვლება).

ამგვარად, ა. წარმოგვიდგება როგორც ძირითადად იზოლირებულ სიტყვაში მიმდინარე პროცესი. მაგრამ თვით სიტყვის სტრუქტურაში დადასტურებული ბგერათმიმდევრობები ყოველთვის ცოცხალი ფონეტ. ცვლილებებით არ არის განპირობებული – ისინი გარკვეულწილად ისტორიულად მოქმედი ასიმილაციური (ასევე დისიმაციური) პროცესების შედეგია (შეშა < *სეშა, ჭიანჭველა < *დინჭველი... იხ. აგრეთვე *უმლაუტი*). დისტრიბუციული ანალიზის დროს ასიმილაციური პროცესების აღწერა შეცვლილია დისტრიბუციული მოდელების საშუალებით (იხ. *დისტრიბუცია*). ამიტომაც ა. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისტ. ფონეტიკურ კვლევაში. გასათვალისწინებელი ის გარემოებაც, რომ ა-ის მოქმედება სცილდება იზოლირებული სიტყვის ფარგლებს და ერცვლდება მთელ გამონათქვამზე: სამეტყვ. ნაკადის ნარნარი მიმდინარეობა და რიტმი ა-ის საშუალებით ხორციელდება.

ა. შეიძლება განვიხილოთ როგორც ენაში მიმდინარე ცოცხალი პროცესი (მსგავსი > მზგავსი), ან როგორც უკვე ისტორიულად მომხდარი პროცესის შედეგი (ცეცხლი <სცეხლი).

ლიტ.: ყიფშიძე ი. ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მგრულში (1919–20). – იხ. მისი: რჩეული თხზულებანი, თბ., 1994; *ახვლედიანი გ.* ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949. *ნ. იმნაძე.*

ასო, გრაფიკული ნიშანი, რ-იც დამოუკიდებლად ან სხვა ნიშნებთან ერთად გამოიყენება *ფონემების*, მათი ვარიანტების ან მიმდევრობის აღსანიშნავად.

დამწერლობის სრულყოფილ სისტემებში თითოეული ა. შეესაბამება ცალკე ფონემას, როგორც

თანამედროვე ქართ. ანბანში. ზოგჯერ ერთი ა. შეიძლება აღნიშნავდეს ორ ფონემას (ბერძნ. ψ – ps, ლათ. x – ks, ქართ. ასომთავრულ და ნუსხურ ანბანებში ჳ – ეიე). ან პირიქით, ორი ან მეტი ა. – ერთ ფონემას (ქართ. ასომთავრულ და ნუსხურ ანბანებში ფონემა უ გამოიხატება ორი ასოს შეერთებით – დიგრაფით: ო + ჳ. გერმ. sch გამოხატავს შ-ს და ა. შ.). ზოგჯერ ერთი და იგივე ა. სიტყვაში დაკავებული პოზიციის (გარემოცვის) მიხედვით აღნიშნავს სხვადასხვა ფონემას [რუს. о (стóл) უმახვილო პოზიციაში აღნიშნავს a-ს (стола)]. ზოგ დამწერლობათა სისტემაში ერთი და იგივე ა., სიტყვაში მისი ადგილის მიხედვით, სხვადასხვანაირად იწერება, ე. ი. წარმოდგენილია განსხვავებული ვარიანტებით, ალოგრაფებით. მაგ., ბერძნ. ς წარმოდგენილია ς და σ ალოგრაფებით. *ე. მაჭავარიანი.*

ასომთავრული, ქართული ანბანის ერთ-ერთი სახეობა. იგი უძველესი დამწერლობაა, რ-მაც დაბამი მისცა ქართ. ანბანის სხვა სახეობებს – *ნუსხურსა* და *მხედრულს*.

ადრეული ხანის ა-ის ნიმუშები გვხვდება ეპიგრაფიკული ძეგლებისა (ქვა, მოზაიკა, ლითონი) და ტყავზე შესრულებული ხელნაწერების (*ტრატების*) სახით. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლი საქართვ. ტერიტორიაზე არის ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერა, რ-საც V ს. 90-იანი (493–494) წლებით ათარიღებენ (ა. შანიძე). სხვა ძეგლებიდან ცნობილია პალესტინის მოზაიკური წარწერები, რ-თაგან ერთერთს IV ს. მიაკუთვნებენ (გ. ურეთელი); მცხეთის ჯვრის VI ს. წარწერები, რომის VII ს. მოზაიკური წარწერა და სხვ. ა-ით შესრულებული უძველესი დათარიღებული ხელნაწერი („სინური მრავალთაგი") 864 არის გადაწერილი, ხოლო *პალიმფსესტები* V–VI სს-ით თარიღდება (ი. ჯავახიშვილი).

ა. დამწერლობა ხელნაწერ ტექსტებში ძირითადად XI–XII სს-მდე გამოიყენებოდა. X ს-იდან პარალელურად შემოდის ნუსხური დამწერლობა, რ-იც თანდათანობით იკავებს ა-ის ადგილს. შემდეგ საუკუნეებში თავისი მხატვრული



ქართული ასომთავრული. V ს.

გამომსახველობის (მკვეთრი მონუმენტური შრიფტის) გამო ა. ძირითადად რჩება ეპიგრაფიკული წარწერებისა და ნუსხურით გადაწერილ ტექსტებში სათაურებისა და *სახელდო ასოების* შესასრულებლად. ამან განაპირობა მისი სახელწოდებაც – „ასომთავარი". დამწერლობის ამ სახეობას ასოების მოქვეანილობის გამო მრგლოვანსაც უწოდებენ.

ქართ. ა-თან, როგორც უძველეს ანბანურ სისტემასთან, დაკავშირებით ორი საკითხი დგება – წარმომაელობა და დათარიღება. ორივე ამ საკითხის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მეცნიერთა ნაწილი ქართ. ა-ის წარმოშობას წინაქრისტიანულ ხანას უკავშირებს და გრაფემების მოხაზულობათა ანალიზის საფუძველზე მას უშუალოდ სემიტურიდან, კერძოდ, ფინიკიურიდან, მომდინარედ მიიჩნევს, შექმნის პირობით თარიღად კი არა უგვიანეს ძვ. წ. VII ს-ს (ი. ჯავახიშვილი), ან ძვ. წ. 284-ს (რ. პატარიძე) ასახელებს. მეცნიერთა მეორე ნაწილი, პირიქით, ქართული ა-ის შექმნას ქრისტიანულ ხანაში ვარაუდობს და ახ. წ. IV ს-ით ათარიღებს (კ. კეკელიძე, თ. გამყრელიძე). და თუმცა ამ თვალსაზრისის მიხედვით ქართ. ანბანის პროტოტიპად ბერძნ. ანბანია აღიარებული, ქართული მიჩნეულია პროტოტიპისაგან დამოუკიდებელ სისტემად, რ-იც გრაფიკულად მოდიფიცირებულია და განსხვავებულ პარადიგმატიკულ პრინციპსაა აგებული. სომხ. ისტ. წყაროების მიხედვით ქართ. (ასევე ალბანური) ანბანის შექმნა სომხ. ანბანის შემდგენელს მესროპ მაშტოცს მიეწერება. ამგვარი ვარაუდის დაშვება მეცნ. საფუძვლებს მოკლებული ჩანს. პირველყოვ-

ლისა, ანბანის შექმნა ენის წინასწარ ლინგვისტურ ანალიზს გულისხმობს, რაც შეუძლებელია ჩაეტარებინა ამ ენის არმცოდნე პირს (თუნდაც ვინმეს დახმარებით, როგორც ამას სომხ. წყაროები გვამცნობენ). ამასთანავე, ქართ და სომხ. ანბანები პარადიგმატიკულად სრულიად განსხვავებულ სტრუქტურულ ტიპებს განეკუთვნებიან, რაც აგრეთვე გამორიცხავს ერთი ავტორის მონაწილეობას ორივე ანბანის შექმნაში (თ. გამყრელიძე).

ქართ. ა-ის გრაფ. სისტემის ანალიზი შემდეგ სურათს გვიჩვენებს: ა. სხვა ანბანთაგან სრულიად განსხვავებული სისტემაა. სტილურად იგი ერთიანი სტრუქტურაა, რ-იც ძირითადად 9 ელემენტის მრავალმხრივ კომბინირებას ემყარება. ესენია მარტივი გეომეტრიული ელემენტები – დიდი, საშუალო და პატარა წრე, სწორი ხაზი და რკალი. ეს ელემენტები ერთმანეთთან პროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან: საშუალო ელემენტები სიმაღლის ნახევარს, ხოლო პატარა ელემენტები სიმაღლის მეოთხედს შეადგენენ. გრაფიკული სისტემის შემადგენელი ელემენტების ურთიერთკომბინირებაც გარკვეულ კანონზომიერებას ავლენს. ეს არის ე. წ. „კვადრატის პრინციპი“: ყველა ასოს გრაფ. ნიშანი კვადრატის შუაწერტილზე გავლებულ ურთიერთპერპენდიკულარულ ხაზებს შორის თავსდება, ე. ი. არც ერთი ასოს მოხაზულობა კვადრატის ფარგლებიდან არ გადის. ასოთა ერთი ნაწილი (29 ასო-ნიშანი) ვერტიკალურ სისტემაზეა აგებული ნაწილი, კი (7 ასო-ნიშანი) წრიულ მოხაზულობას იმეორებს. ასოთა მოხაზულობა ან მთლიანად ავსებს კვადრატს, როგორც ეს გვაქვს, მაგ., Ⴀ ან Ⴆ ასოთა შემთხვევებში, ან მის ერთ, მარჯვენა ან მარცხენა, ნახევარს იკავებს; ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს „ჯან“ ასოს მოხაზულობა Ⴟ, რ-იც ქრისტეს ინიციალების (Ⴄ და Ⴕ) დიაგონალური გადაკვეთითაა შექმნილი (იხ. ნახაზი).

ასომთავრულ დამწერლობაში ასოთა მოხაზულობის ფორმები ორ ხაზშია მოთავსებული. ყველა ასო ერთნაირი სიმაღლისაა. ასწერივი ხაზების კომბინირება თუ მათი მონაცვლეობა წრიულ ფორმებთან ართულებს კონტურულ მონახაზს, რის გამოც ასოთა მოხაზულობა ხელის რამდენჯერმე აღებით სრულდება. ასოთა შორის გარკვეული მანძილია დატოვებული.

ა-ის ასო-ნიშანთა სტილური ერთიანობა მათ ერთდროულ შექმნაზე მეტყველებს. ამ ნიშანთა ანბანზე გაწყობა, კერძოდ, ასოთა სახელდება და ანბანური რიგის დაწესება რიცხვითი მნიშვნელობის მინიჭებით გრაფ. ნიშნების შექმნისთანავე უნდა მომხდარიყო. თავის მხრივ, გრაფ. სტილის ერთიანობა მიგვანიშნებს, რომ ქართ. ა., სხვა ანბანთა ასო-ნიშნების გამოყენების გარეშე, დამოუკიდებლად შეიქმნა. კომპოზიციური აგების პრინციპებითა და საწყისებით ა-ის გრაფ. სტრუქტურა უკავშირდება გეომეტრიას, არქიტექტურას, კოსმოსის უძველეს სიმბოლიკას. კვადრატში მოთავსებული წრეწირი გამოხატავს მიწისა და ცის ერთიანობას. მეოთხედ კვადრატებში ჩახაზული წრეების შემთხვევაში ასოებით იქმნება კვადრიფოლიუმი, რ-იც სამყაროს აღქმის, შეცნობადობის პირველწყაროა. მან ადრექრისტიანული ხანის ხელოვნებაში ოთხყურა ჯვრის სახით დიდი გავრცელება ჰპოვა. კვადრატი, თავის მხრივ, უკავშირდება ქართ. დარბაზული ტიპის საცხოვრებელ სახლის გეგმას, ხოლო გრაფიკის შემადგენელ ელემენტთა შორის არსებული პროპორციული დამოკიდებულება ძვ. დარბაზული ტიპის გადახურვის კონსტრუქციასთან პოულობს კავშირს (იხ. *კიდურწაისრული დამწერლობა*).

ლიტ.: ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949 (იხ. მისივე: თხზ., ტ. 9. თბ., 1996); პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980; მაჭავარიანი ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982; გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990; Boeder W., Zur Analyse des altgeorgischen Alphabets, Hamburg (Slavisches Seminar), 1975.

ე. მაჭავარიანი.

ქართული ასომთავრულის გრაფიკული სისტემა



ასონანსი (ფრანგ. assonance – თანახმიერება), თავდაპირველად (ვიწრო გაგებით) ტონური ხმოვნის გამეორება სიტყვის ბოლოს. გამოყენებული იყო ფრანგ. პოეზიაში; ზოგადად – მეტყველების ბგერითი ორგანიზაციის ფორმა, ბგერითი ჰარმონიის შექმნის ხერხი, რიც გულისხმობს შესაბამის ფრაზაში (სტრიქონში, სტრიქონებში) ერთი და იმავე ხმოვნის (ან მსგავსი ხმოვნების) რეგულარულ განმეორებას. ხშირად გამოიყენება ხალხ. შემოქმედებაში, ანდაზებსა და ენის გასატეხებში („აიფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო"...). სავარაუდოა, რომ ამ მოვლენის საწყისები ელინდება სიტყვაწარმოების დონეზე, კერძოდ, სინჰარმონიზმის იმ შემთხვევებში, რებიც დასტურდება რედუპლიცირებული ფუძეებისა და ექსპრესიული ლექსიკური ერთეულების სუფიქსურ გაფორმებაში (ჭყაპ-ჭყაპი, ჭყიპ-ჭყიპი, ცუხ-ცუხი... ჭყაპ-ანი, ჭყიპ-ინი, წკრტ-უნ-ი...).

ა. არაბული.

ასპექტი (<ლათ. aspectus – გარეგანი სახე, შესახედაობა), გრამატიკული კატეგორია, რ-იც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს დასრულებულად ან დაუსრულებლად. ამის მიხედვით ა. ორია: სრული და უსრული (ქართველოლოგიაში ტერმ. ა. დაამკვიდრა ა. შანიძემ). თანამედროვე ქართულში ა., ჩვეულებრივ, ზმნისწინის დართვით იწარმოება. ზმნისწინიანი ფორმები სრული ა-ისაა, უზმნისწინო – უსრულის. მაგ., დაწერს, და-წერა – წერს, წერა.

ა-ის მიხედვით ზმნები შეიძლება იყოს ასპექტიანი და უასპექტო (ა. შანიძე). უასპექტოა ზმნები, რებიც ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავენ მაგ.: არის, უყვარს, ბავშვობს, აფენია...; ან მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად დაირთავენ. მაგ.: მი-ფრინავს, მირბის... ამ ტიპის ზმნებს ასპექტნაკლ ზმნებსაც უწოდებენ (ზ. ჭუმბურიძე).

ძვ. ქართულში სრული და უსრული ა-ის ფუძეები სერიების მიხედვით იყო გარჩეული: I სერიის ფორმები უსრულ ა-ს გამოხატავდა: (აღ)აშენებს, II სერიისა – სრულს: (აღ)აშენა, ზმნისწინი ა-ს არ აწარმოებდა.

ივარაუდება, რომ ქართ. ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე დროის კატეგორიას წინ უსწრებდა ზმნათა ცვლა ა-ის მიხედვით. ა. იყო ორგვარი: განგრძობითი (დიურატიული) და მომენტობრივი (წერტილებრივი). განგრძობით ა-ს გამოსცემდა პერმანსივი, მომენტობრივს – *აორისტი* (არნ. ჩიქობავა).

თანამედროვე ქართულში, გარკვეულ შემთხვევებში, ზმნას შესაძლებლობა აქვს აღნიშნოს მოქმედების განგრძობითობა-წყვეტილობა, ერთგზისობა-მრავალგზისობა. ა-ის ამგვარ ფუნქციურ ვარიანტებს მოქმედების სახეს უწოდებენ (ზ. ჭუმბურიძე).

უკანასკნელ ხანს ა-ის კატეგორიას განიხილავენ უფრო ფართოდ – არა მხოლოდ ზმნის, არამედ გამოთქმისა (წინადადების, მყარი სინტაქსური კონსტრუქციების) და ტექსტის დონეზე.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., პერმანსივის („ხოლმეობითის") ისტორიული აღგილისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში. – «ჰომა», 1943, ტ. 4, № 1; შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; მაჭავარიანი გ., ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», IV, თბ., 1974; ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986; Шанидзе А. Г., Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия. – «Сообщения Академии наук ГССР», 1942, т. 3, № 9; Бондарко А. В., Принципы функциональной грамматики и вопросы аспектологии, М., 2003; Schmidt K. H., Zu den Aspekten im Georgischen und in indogermanischen Sprachen. – «Bedi Kartlisa. Revue de kartvélologie», XV–XVI, Paris, 1963; Vogt H., Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971.

ნ. ლოლაძე.

ასტრახანი (ძვ. ქართ. წყაროებით – აშტრახანი), ქალაქი რუსეთში, მდ. ეოლგის დელტაში, მსხვილი სამრეწველო და კულტ. ცენტრი. XV–XVIII სს-ში ა-ზე გადიოდა გზა საქართველოდან მოსკოვისაკენ. ამის გამო სხვადასხვა დროს აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მრავალი ქართ. მწიგნობარი. ა. იქცა ქართ. კულტურის მნიშვნელოვან კერად, სადაც იქმნებოდა ქართ. ორიგინ. თხზულებები და ნათარგმნი ძეგლები. აქ მოღვაწეობდნენ *არჩილ II*, *ვახტანგ VI*, *ვახუშტი ბატონიშვილი*, ნიკოლოზ ორბელიანი, ონანა ქობულაშვილი, მამუკა ბარათაშვილი, ზაალ-ზოსიმე ორბელიანი, *გაიოზ რექტორი* და სხვ. მრავალი მწერალი და მეცნიერი. ა-ში არიან დაკრძალულნი ვახტანგ VI, თეიმურაზ II, გაიოზ რექტორი, ტიმოთე გაბაშვილი.

ლიტ.: პაიჭაძე გ., ჯაფარიძე ვ., ქართული ისტორიული ძეგლები ქ. ასტრახანში, თბ., 1974; მუნაბერდელ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მუნაბერდ.

ასურული ენა, ახალსირიული ენა, საერთო სახელწოდება თანამედროვე აღმ. არამეული დიალექტებისა, რ-ებზედაც ლაპარაკობენ ასურელები (სირიელები). ა. ე-ზე მოლაპარაკეთა საერთო რიცხვი 3 მლნ-მდე აღწევს, აქედან 8 ათასამდე ცხოვრობს საქართველოში, სადაც მათი უმრავლესობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოვიდა. მაგრამ ასურელები აქ გაცილებით ადრე, VI ს-იდან, ჩანან, როდესაც ასურელი საეკლ. მოღვაწეები („ასურელი მამები") სირიიდან ჩამოვიდნენ. მათი მოღვაწეობის მიზანი იყო ქრისტ. რელიგიის დაცვა და გავრცელება ნრდ. კავკასიაში. აღმ. საქართველოში მათ მრავალი მონასტერი (გარეჯა, შიომღვიმე, იყალთო, ალავერდი, სვედასენი და სხვ.) ააშენეს, რითაც საფუძველი ჩაუყარეს სამონასტრო ცხოვრებას. ეს სავანეები შემდეგ მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცნენ. ასურელ მამათა ღვაწლს ქართ. საზოგადოება ყოველთვის აფასებდა. მათ შესახებ მნიშვნელოვანი ლიტ-რაც არის შექმნილი.

ა. ე. თავისი სტრუქტურით საკმაოდ დაშორდა სემიტურ ტიპს, რსაც წარმოშობით განეკუთვნება: დაიკარგა ზოგიერთი ფონემა, გაჩნდა ახალი; ასპექტის მიხედვით ზმნის უღლილება შეიცვალა უღლილებით დრო-კილოთა მიხედვით. ზმნაში პირიანი ფორმის გადმოსაცემად გამოყენებულია ნაზმნარი სახელი. დიდი გავრცელება პოვა ანალიზურმა წარმოებამ. ლექსიკაში ფართოდ შეიჭრა თურქ., ირან. და არაბ. წარმოშობის სიტყვები. ა. ე. მდიდარია დიალექტებით, რ-თაგან საქართველოში გეხვდება სალამასის, ვანის, ჯი-

ლუს, ტიარისა და ურმიის დიალექტები. ურმიული დიალექტი საფუძვლად დაედო სალიტ. ენას, რ-იც გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩამოყალიბდა. მასზე შექმნილია მხატვრული, საეკლ. და სასწავლო ლიტ-რა, გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები. 1989 თბილისში ჩამოყალიბდა ასურელთა კულტურის ცენტრი, რ-ის ბაზაზე 1992 შეიქმნა საქართველოში მცხოვრებ ასურელთა საერთაშორისო ეროვნული კონგრესი. 1997-იდან გამოდის (არაპერიოდულად) ამ კონგრესის გაზეთი „აქითუთა“ („თანხმობა“).

ლიტ.: წ ე რ ე თ ე ლ ი კ., ნარკვევები თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბ., 1958; მ ი ს ი ვ ე, თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, Современный ассирийский язык, M., 1964 (გერმანულად – ლაიფციგი, 1978; ინგლისურად – მოსკოვი, 1978; იტალიურად – ნეაპოლი, 1970); N ö l d e k e Th., Grammatik der neusyrischen Sprache, Lpz., 1868. *კ. წერეთელი.*

ასშალგი (Assfalg) იულიუს (6. XI. 1919, აშაუ, ზემო ბავარია, – 13. III. 2001, მიუნხენი), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი, მიუნხენის უნ-ტის პროფესორი, ქრისტ. აღმოსავლეთის კათოლიკის გამგე, ქრისტ. მწერლობის კორპუსის (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium) არაბ. სექციის გამგე. მის სახელთანაა დაკავშირებული გერმ. ბ-კებში დაცული ქართ. ხელნაწერების აღწერა, კ. კეკელიძის „ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიის“ I ტომის გერმ. ენაზე თარგმნა-გაადამუშავება, საქართველოსა და ქართ. მწერლობის შესახებ მრავალი წერილის გამოქვეყნება გერმ. ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია (მ. თარხნიშვილთან ერთად, 1957); ძველი ქართული ენის შესწავლა საქართველოში (1958); საეკლესიო წელიწადისა და ქართული ეკლესიის უახლესი ისტორიის შესახებ (1960); ქართული ხელნაწერების აღწერილობა, დამუშავებული გერმანიის აღმოსავლურ საზოგადოებასთან ერთად (1963); პრაღაში დაცული ფრაგმენტი იაკობის ჯამისწირვის ძველი ქართული ტექსტისა (ი. იუდლიჩკასთან ერთად, 1961); ქართული შტუდიების შესახებ გერმანიაში (1965); ძველი ქართული ენის მოკლე გრამატიკა (რ. ჰეოლენეკთან ერთად, 1976).

ა. აეტორია მრავალი სალექსიკონო სტატიისა საქართველოს, ქართ. ენისა და ლიტ-რის, დამწერლობის, ეკლესიის, ქართ. მწერლების შესახებ შემდეგ გამოცემებში: „ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონი“, „შუა საუკუნეების ლექსიკონი“, „თეოლოგიური რიალენციკლოპედია“, „მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონი“; მასვე ეკუთვნის საინფორმაციო წერილები გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეთა კონგრესების შესახებ (1960, 1965, 1968), რეცენზიები კ. ჩხენკელის, ი. იუდლიჩკას, ა. შანიძის, ე. მეტრეველის, ი. იმნაიშვილისა და სხვათა ნაშრომებზე ჟურნალებში «Byzantinische Zeitschrift» და «Oriens Chirstianus».

ა-მა შეადგინა მ. თარხნიშვილის ნაშრომების ბიბლიოგრაფია (1959). იგი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალში «ბედი ქართლისა». ფრანგ. სერიის გამოცემის დღიდან იყო ამ ჟურნალის სამეცნ. საბჭოს უცვლელი წევრი, აქვეყნებდა სტატიებსა და რეცენზიებს. ა-ს მიმოწერა ჰქონდა ბევრ ქართველ მეცნიერთან, მ. შ. ა. შანიძესთან, ი. აბულაძესთან, ი. იმნაიშვილთან. აწედიდა მათ გერმანულენოვან სამეცნ. ლიტ-რას.

ლიტ.: ჯ უ მ ბ უ რ ი ძ ე თ., იულიუს ასფალგი. – «ბურჯი ეროვნებისა», 1999, № 11; მ ი ს ი ვ ე. აკაკი შანიძისა და იულიუს ასფალგის მიმოწერა. – «ენათმეცნიერების საკითხები», 1999, № 2. *თ. ჯუმბურიძე.*

ატენის სიონის წარწერა 853, ქართული ასომთავრული წარწერა, შესრულებული ქვითელი ოქრით, ექვს სტრიქონად. მოთავსებულია ტაძრის შიგნით, სამხრეთის აფსიდის დას. კალთაზე. წარწერის ტექსტი ასეთია:

„თოუესა აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქრონიკონსა ოგ-სა, ზედა წელსა სლთ-სა, ქალაქი ტფილისი დაწუა ბულა და შეიპყრა ამირამ საჰაკ და მოკლა. და მასვე თოუესა აგუსტოსსა კვ-სა, დღესა შაბათსავე, სირაქ შეიპყრა კახაე და ძმ მისი თარჭუჯი“.

წარწერა ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცემს საქართ. ისტორიის სხვა წყაროებითაც კარგად ცნობილ ფაქტს არაბი სარდლის ბუღა თურქის მიერ სახალიფოსაგან განდგომილი თბილისის ამირა საჰაკის შეპყრობის, მოკვლის და ქალაქის გაძარცვის შესახებ. მხოლოდ ამ წარწერიდანაა ცნობილი, რომ ადგილ. ხელისუფალი კახა – ცნობილი კონსტანტინე კახა და მისი ძე თარხუჯი შეუპყრია ბუღას ერთ-ერთ სარდალს სირაქს.

ა. ს. წ., როგორც წერილობითი ძეგლი, მრავალმხრივ საყურადღებოა. მასში სიტყვების უმრავლესობა დაუქარაგმებელია, მ. შ. ისეთებიც, რ-ებიც შემდეგ დაქარაგმებით იწერებოდა (მაგ., „ქრონიკონსა“). ა. ს. წ-ში დაქარაგმებით გადმოცემულია მხოლოდ ოთხი სიტყვა: თთუე, დღე, შაბათი (სამიეე ტექსტში გეხვდება ორ-ორჯერ), ზედა. გარდა ამისა, ქარაგმის ნიშანი – გრძელი, განივი, კიდურგამსხვილებული ხაზი – დასმული აქვს რიცხვის აღმნიშვნელ ასოებს.



ი. ასფალგი.

საყურადღებოა წარწერის ტექსტში თარიღის მითითება – ქართ. ქრონიკონთან ერთად, პიჯრითაც – ტერმინით „*ზედა წელი*“. წარწერის ტექსტის ქვემო ნაწილის გამომცემელი 1889-იდან 1974-მდე „ზედა“-ს ნაცვლად კითხულობდა „ისმაიტელთა“-ს. 1974 გაირკვა (ე. სილოგავა), რომ „ისმაიტელთა“-ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ზედა“ (ეს წაკითხვა მიღებულია „ქართული წარწერების კორპუსის“ ატენის სიონის წარწერებისადმი მიძღვნილ ტომში (1989)]. ტექსტის ასეთი ჩასწორებით ცხადი გახდა, რომ პიჯრით დათარიღება იგულისხმება ატენის სიონის 739, 853, 840 და 883 წლების წარწერების „ზედა წელში“, ასევე უძველესი ქართ. თარიღიანი ხელნაწერის – 864 გადაწერილი სინური მრავალთავის მთავარ ანდერძში და უბისის სვეტის 1141 წარწერაში, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული – „ზედა წელი სარკონოზთაჲ“, რ-იც აქ მანამდეც ასე გაიაზრებოდა.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე დ., ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889; ჯ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები..., I, ტფ., 1892; ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი თ., ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957; ს ი ლ ო გ ა ვ ა ე., ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან („ზედა წელი“). – «ძიებანი» (ენი-

ა და ლიტ. სერია), 1974, № 4; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 3. ფრესკული წარწერები, I. ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ, თბ., 1989; Джавахов И., К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам. – «Христианский Востокъ», т. 1, вып. 3, СПб., 1912 (იგივე: იხ. მისი: თხზულებანი, ტ. 9, თბ., 1996; ტ. 12, 1998). *ვ. სილოგავა.*



ატენის სიონის წარწერა. 853.

ატენის სიონის წარწერა ქალაქის აშენების შესახებ, ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი 13 სტრიქონად, ატენის სიონის (გორის რ-ნი, მდ. ტანის ხეობა) სამხრ. ფასადის აღმ. ნიშაში. წარწერა, მართალია, ასომთავრულია, მაგრამ სხვადასხვა სიმაღლის ასოებ ისაა ამოკვეთილი, რომ ისინი ოთხხაზოვან ბადეშია განლაგებული. იგი ერთ-ერთი პირველია იმ წარწერებს შორის, რ-იც სამეცნ. წრეებში ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 1839-იდან (ფრ. დიუბუა დე მონპერეს პუბლიკაცია). წარწერა დიდი სამეცნ. მნიშვნელობის გამო ბევრჯერაა გამოცემული და სხვადასხვა კუთხით შესწავლილი. წარწერის ტექსტი ასეთია:

„† სახელითა ღმრთისაჲთა. მე გურგანელმან, მირიანის ქმამან, თარხუნის ძისამან, ატენისა ციხისთავმან, აგაგე ატენს სახლნი და ქულბაგნი მას ქამსა, ოდეს – ადიდეს ღმერთმან – ძლიერმან მეფემან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაჲ. გაუმარჯუა ღმერთმან და ბედმან მეფობისა მათისამან – ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრე აგაშენეთ დარბაზი და ქალაქი.

შეგუწყალნა მეფობამან მათმან: სასახლენი ადგილნი და საქულბაგანი მკჳდრად, ნებიერობით გუბოძნა მირიანს და ქმათა მისთა, რომელთაც შენებაჲ შეეძლო.

მე აგაგე სახლი და ქულბაგი და შეგწირე წმიდასა სიონსა ატენისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სალოცველად – ჰგიანმცა უკუნისამდე – ძრიელი მეფეთა მეფე ბაგრატ სეფასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი.

და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳს დაედევ თედღორობაჲ აღაპად. გარდაიჭდიდეს მამასახლისი წინამძღუარი სიონისაჲ ვინცა იყოს".

წარწერის ტექსტი რამდენიმე მონაკეთად იყოფა იმის მიხედვით, თუ რა ამბებია მას'ში მოთხრობილი. აეტორი, ატენის ციხისთავი გურგანელი, ქოფილა ადგილობრივი დიდებულის მირიან თარხუნის ძის ქმა, მისი გაზრდილი, რაც იგი თავის „პატრონს " უწოდებს. წარწერის ამ მონაკეთიდან დოკუმენტურად დასტურდება პატრონყმობის ინ-ტის არსებობა XI ს. საქართველოში. ამ მონაკეთიდან ისიც ჩანს, რომ მეფე ბაგრატ IV-ს (1027–72) მირიან თარხუნის-ძისთვის უბრძანებია ქალაქის აშენება „სეფესა ზუარსა შიდა", ე. ი. სამეფო ზარების (ეკლესიების) ტერიტორიაზე. ეს ცნობა არის დოკუმენტური მოწმობა ახალი ქალაქების მშენებლობისა XI ს. საქართველოში. მირიანს მეფის ეს დავალება შეუსრულებია და აუგია ქალაქი და „დარბაზი", როგორც ჩანს, სამეფო რეზიდენცია. წარწერის ტექსტის შემდეგი მონაკეთიდან ჩანს, რომ მომავალი ქალაქის მშენებლობის ადგილას მეფის ბრძანებით სასახლეთა და საქულბაქეთა ასაშენებლად ადგილები ცალკეულ პირებზე გაუციათ („მკვდრად, ნებიერობით", ბოძებით). მათ შორის ქოფილან მირიანი, მისი ქმა – ატენის ციხისთავი გურგანელი და სხვა ქმები, ოღონდ ის პირები, „რომელთაცა შენებაჲ შეეძლო". გურგანელს აუგია სახლი და ქულბაქი (საეკლრო დუქანი), რიც მეფეთა სალოცავად ატენის სიონისთვის შეუწირავს. დასასრულს, გურგანელს თავისი გამზრდელი პატრონის („გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳს") მირიანის სახელზე შეწირულების სანაცვლოდ სააღაპე დღე თედღორობაჲ (დიდმარხვის პირველი შაბათი) დაუდგენია. მაშასადამე, წარწერა შინაარსით საამშენებლო-ცაა – ქალაქის აშენების შესახებ მოგვითხრობს (ამ მხრივ იგი უნიკალურია, მსგავსი შინაარსის სხვა წარწერა ქართ. ეპიგრაფიკაში უცნობია) და ეპიგრაფიკული საბუთიც – მასში აღნიშნულია ეკლესიისთვის გარკვეული შეწირულობის გაღებებია (სახლი, ქულბაქი) და სანაცვლოდ სააღაპე, ე. ი. მოსახსენიებელი დღის დადგენის შესახებ.

წარწერის შესრულების ქვედა თარიღია 1060, როდესაც ბაგრატ IV პირველად იხსენიება სეფასტოსის ტიტულით ლულალისის (ლულალისის, კულალისის – ჯავახეთში) წარწერაში, ხოლო ზედა თარიღია ბაგრატ IV-ის გარდაცვალების წელი, ე. ი. წარწერა თარიღდება 1060–72-ით. ი. ჯავახიშვილი თარიღის ჩარჩოს უფრო ავიწროებდა და განსაზღვრავდა 1060–68-ით, რადგან 1068-იდან თურქ-სელჩუკების შემოსევა დაიწყო საქარ-

თეელოში, ხოლო შემდეგ – ბრძოლები თბილ. საამიროს წინააღმდეგ და შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მშვიდობიანი კულტ. საშუალოს ჩატარება, როგორიც ქალაქის მშენებლობაა. როგორც შემდეგ გაირკვა, თურქ-სელჩუკთა შემოსევა საქართველოში 1066 (ორეხვის წარწერა) და, შესაძლოა, ამაზე ადრეც (მირაშხანის წარწერა) დაიწყო; ამგვარად, ატენში ქალაქის მშენებლობას და, შესაბამისად, ამ წარწერის ზედა თარიღს ზუსტად ვერ განესაზღვრავთ. თ. ჟორდანია წარწერას, რაიმე არგუმენტაციის გარეშე, 1058–64 ათარიღებდა.

მნიშვნელოვან ისტ. ცნობებთან ერთად, წარწერა შეიცავს საინტერესო ენობრივ ფაქტებს – მასში მრავლდება ცოცხალი მეტყველების ფორმები: ძრიელმან (პარალელურად – ძლიერმან), გაუმარჯუა, შიდა, ეითა, ეგრე, გამსრდელი; მკვეთრად გამოხატულ დიალექტიზმადაა ჩათვლილი „ჴემისათუნ“ („გამსრდელისა პატრონისა ჩემისათუნ“). ტექსტში ორ ადგილას ჩართულია ხუტბა („აღიდენ ღმერთმან“, „ჰგიანიცა უკუნისამდე“) – თხრობა წყდება და გარკვეული, ხშირად ტრაფარეტული ფორმულებით გადმოცემულია ქება-დიდება ან ლოცვა-კურთხევა. ცნობილია, რომ ეს აღმოსავლური, არაბ.-მუსლიმური სამყაროს სამწერლობო სტილისთვისაა დამახასიათებელი (არ არსებობს ისტ. საბუთი ხუტბის ფორმულის გარეშე; ხშირია ყურანშიც...). ქართ. წერილობით ძეგლებში არაბობის შემოსვლასთან ერთად ერცელდება; XII–XIII სს. წარწერებშიც გამონაკლისის სახით გვხვდება, შემდეგ აღარ იხმარება (პირველად დასტურდება მაჩხანის – თბილისის მახლობლად, IX ს-ის წარწერაში პომად კიტრის ძისა, ანუ ალკიტრიჭისა, როგორც წარწერაში არაბულად ჩაწერილი სიტყვებითაა აღნიშნული). ეპოქის ენობრივი ეტიკეტის დამახასიათებელ გამოთქმებად ითვლება წარწერის შემდეგი ნაწილები: „მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა“ ან „სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამსრდელისა პატრონისა ჩემისათუნ“.



ატენის სიონის წარწერა ქალაქის აშენების შესახებ. XI ს. 60-იანი წლები.

ლიტ.: ბარნაველი თ., ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957; ბაქრაძე ა., თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო. – „საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, ტ. 20- B, თბ., 1959; დანელია ქ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997; Джавахов И., К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам. – «Христианский Восток», т. I, вып. 3, СПб., 1912 (იგივე, იხ. მისი: თხზ., ტ. 9, თბ., 1996; ტ. 12, თბ., 1998); Dubois de Montpereux Fr., Voyage autour du Caucase..., t. III, Paris, 1839.

ვ. სილოგავა.

ატენის სიონის წარწერები, ტაძრის კედლებზე ღღემდე შემორჩენილი წარწერები ქართ., სომხ., ბერძნ., არაბ., სირ., ებრ. და სლავ. ენებზე, აგრეთვე ქართ. გრაფემებით გადმოცემული ბერძნ. და ებრ. ტექსტები. წარწერები შესრულებულია სხვადასხვა ტექნიკით: კვეთით, საღებავით, კაწვრით. არის შერეულიც – ამოკვეთილი და შემდეგ საღებავებით დაფარული. დანიშნულების მიხედვით ა. ს. წ. ასე ჯგუფდება: განმარტებითი წარწერები, შეწირულებანი, პილიგრიმული *გრაფიტოები*, ისტ. შინაარსის მინაწერები და სხვ. ქრონოლოგიურად ისინი მოიცავენ პერიოდს VII ს-იდან XIX ს. ჩათვლით. ინტერიერში წარწერების დიდი ნაწილი დაფარულია XI ს. ფრესკებით. ა. ს. წ-თა უმრავლესობა ქართულია და ასახავს ქართ. დამწერლობის განვითარების ყველა საფეხურს: მრგლოვან ასომთაერულს, ნუსხურს, მხედრულსა და მათ შორის გარდამავალ სახეობებს.

ა. ს. წ. უმნიშვნელოვანეს მასალას გვაწვდის როგორც თეითონ ძეგლისა და რეგიონის, ისე საერთოდ საქართვ. პოლიტ. და კულტ. ისტორიის შესახებ. მათი შესწავლის საფუძველზე დადასტურდა ატენის სიონის მშენებლობის ორი ეტაპი: პირველი – VII და X სს. და მეორე – სომეხი მშენებლების მონაწილეობა არქიტ. თოდოსაკის მეთაურობით. XI ს-ის ლაპიდარული წარწერა გვაწვდის ცნობებს ატენის მშენებლობის შესახებ. სტეფანოზ მამფალის 739-ის ფრესკულ წარწერაში იკითხება ქართ. ისტორიოგრაფიისათვის მანამდე უცნობი ტერმინი „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ ერისთავთა უფალი“, რ-იც დოკუმენტურად აღასტურებს აღმ. და დას. საქართველოს პოლიტ. ერთიანობას XI ს-ში გაცილებით ადრე. ატენის სიონის ინტერიერის კედლებზე აღმოჩენილმა წარწერებმა ახლებურად დაათარიღეს *ნუსხური* და *მხედრული* დამწერლობების უძველესი ეტაპები: ნუსხური თარიღიანი – 835, მხედრული თარიღიანი – 875, შერეული ნუსხურ-მხედრული – VIII ს. დამდეგი. სამხრ. აფსიდის დას. კედელზე გაიშიფ-

რა ქართ. რითმიანი პოუსიის ორი უძველესი ნიმუში, დათარიღებული 840–841, ხოლო ვერცხლმა ცითატებმა ქართ. ბიბლიის წიგნებიდან გვიჩვენეს დღეისათვის ცნობილი ნუსხებისგან განსხვავებული რედაქციები.

ლიტ.: ბარნაველი თ., ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957; ალექსიძე ზ., ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978; მისივე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983; აბრამიშვილი გ., ატენის სიონის უცნობი წარწერები. – «მაცნე» (ისტორიის.. სერია), 1976, № 2; მისივე, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977; მისივე, ატენის სიონის სამი გრაფიტი. – «მნათობი», 1984, № 9; აბრამიშვილი გ., ალექსიძე ზ., მხედრული დამწერლობის სათაყვანებო. – «ცისკარი», 1978, № 5–6.

ზ. ალექსიძე.

აუსლაუტი (გერმ. Auslaut), ბოლოკიდური, ფინალი, სიტყვის (ძირის) ბოლო ბგერა, მარცვალი, ბგერათმიმდევრობა, რ-იც ხასიათდება სპეციფ. ფონეტ. და მორფონოლოგიური თავისებურებებით. მაგ., ფონეტ. ბოლოკიდურია ის ბგერა, რ-საც აქვს თავისი დამოუკიდებელი დამართვა. ასეთია ყოველი ბგერა პაუზის წინ. ხშირად ა-ის ბგერითი შედგენილობა ან კომბინაციური ტენდენციები განსხვავებულია *ანლაუტის* ან *ინლაუტის* შედგენილობისაგან. მაგ., მრავალ ენაში, და მ. შ. ქართულშიც, თავკიდურისათვის დამახასიათებელი მზარდი სონორობის ტენდენცია ბოლოკიდურში არამცთუ შესუსტებულია, არამედ შეცვლილია საპირისპირო ტენდენციით. ქართულში თუ თავკიდურში ჭარბობს CS (ჩქამიერი+სონორი) თანხმოვნური კომბინაციები და შედარებით იშვიათად გვხვდება SC (მ+C, რ+C) კომბინაციები, ბოლოკიდური ხასიათდება რ ნ ლ სონორთა სიხშირით კომბინაციის პირველ წევრად (ნდ, ნთ, ნტ, ნძ.., ლფ.., რდ, რძ, რქ...). საერთოდ, შესაძლო კომბინაციათა რაოდენობით ბოლოკიდური საგრძნობლად ჩამორჩება ანლაუტს.

ლიტ. იხ. სტატიასთან *ანლაუტი.*

ნ. კობლიანიშვილი.

აფერეზისი (ბერძნ. aphairesis – წართმევა), სიტყვის თავში ბგერის (მარცვლის) დაკარგვა, ჩვეულებრივ, წინამავალი სიტყვის ბოლოკიდური ბგერის (ბგერების) გავლენით. მაგ., ძვ. ქართ.: პილო < სპილო, რკო < კრკო... სიტყვის თავში მ- (თანხმოვნის წინ) თითქმის ერთნაირად იკარგება აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში: შობელი < მშობელი, გალობელი < მგალობელი, ძინარე < მძინარე...

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

გ. იმნაიშვილი.

აფიქსი (< ლათ. affixus – მიმაგრებული), სართი, მორფემა, დამხმარე მნიშვნელობის მინიმალური მორფოლ. ერთეული, რ-იც დაერთვის სიტყვის *ძირს* ან *ფუძეს* და ასრულებს სიტყვაწარმოებით (იხ. *დერივაცია*) ან ფორმაწარმოებით (იხ. *ფლექსია*) ფუნქციას. შესაბამისად, სიტყვაწარმოებითი (დერივაციული) ა. ქმნის ახ. *ლექსიკურ მნიშვნელობას*, აწარმოებს ახ. სიტყვას (ქალაქი – ქალაქ-ელ-ი, თოფ-ი – სა-თოფ-ე...); ფორმაწარმოებითი (ფლექსიური) ა. კი ცვლის მხოლოდ გრამატიკულ მნიშვნელობას, აწარმოებს ახ. *სიტყვაფორმას* (კაც-მა, კაც-ს... ჯ წერ, წურ-ს...). ზოგჯერ გამოყოფენ აგრეთვე გარდამავალი ტიპის ა-ს, რ-იც აწარმოებს ახ. სიტყვაფორმას და ნაწილობრივ ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობასაც, მაგ., მრ. რ. ნიშანი -ებ: წიგნ-ი, წიგნ-ებ-ი (არნ. ჩიქობავა).

სიტყვაში ძირის მიმართ დაკავებული ადგილის მიხედვით ქართულში გარჩეულია შემდეგი სახის ა-ები: *პრეფიქსი, სუფიქსი, ინფიქსი, ცირკუმფიქსი.* გარდა ამისა, სხვადასხვა ენაში განსხვავებულია აგრეთვე ინტერფიქსი – ა., რ-იც გამოიყენება რთულ სიტყვებში ძირთა დასაკავშირებლად (რუს. стал-е-вар...); ტრანსფიქსი – ა., რ-იც შეიჭრება თანხმოვანთაგან შედგენილ ძირეულ მორფემებში, ადგილს იკავებს თანხმოვანთა შორის და სიტყვაფორმას ანიჭებს გარკვეულ გრამატ. ან ლექსიკურ მნიშვნელობას (არაბ. ქობ: ქ-ა-თ-ა-ბ-ა „მან დაწერა“, ქ-უ-თ-ი-ბ-ა „დაიწერა“...); ამბიფიქსი – ა., რ-საც შეუძლია იყოს პრეფიქსიცა და სუფიქსიც (ინგლ. out: outdo „წინააღმდეგობის გადალახვა“, do out „ალაგება“) და სხვ.

მატერიალურად გამოხატული ა-ების გვერდით ენაოა სტრუქტურული აღწერის მიზნით გამოყოფენ აგრეთვე ნულოვან ა-ს, რომელსაც პარადიგმაში აფიქსიანი ფორმების არსებობის პირობებში უნდა აღინიშნოს ა-ის უქონლობა (იხ. *მორფემა*).

გამოყენების თვალსაზრისით ა-ები შეიძლება იყოს ცოცხალი და მკვდარი, პროდუქტიული და არაპროდუქტიული. იმის მიხედვით, ერთვის თუ არა ა. უშუალოდ ძირს (მარტივ ფუძეს) ან უკვე გაფორმებულ ფუძეს, განსხვავებულია პირველადი (წიგნ-იერ-ი) და მეორეული (წიგნ-იერ-ობა) ა-ები.

ა-ები, როგორც დამხმარე მორფემები, ქმნიან მორფოლ. და სიტყვაწარმოებითი ინვენტარის დამოუკიდებელ კლასს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სიტყვაწარმოებითი ა-ის ფუნქციით მეტყველების სხვა ნაწილებიც გამოიყენება. ასეთ მორფემებს, ჩვეულებრივი ა-ისგან განსხვავებით, აფიქსოიდს უწოდებენ. ამ რიგისაა ქართულში ერთი და იმავე ა-ის პარალელური გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით, მაგ., სიტყვაწარმოებითი ფუნქციით და თანდებულად: ზებუნებრივ ძალებზე, ზეჟანგზე, ამხანაგებთან თანხმობით...

ძირზე რამდენიმე პრეფიქსის ან სუფიქსის დაროვის შემთხვევაში ა-თა თანმიმდევრობა სიტყვაში (სიტყვაფორმაში) მკაცრად განსაზღვრულია (იხ. *რანგი*).

ა-ების დართვა, აფიქსაცია საერთოდ და მისი კონკრეტული ტიპების – სუფიქსაციის, პრეფიქსაციის და ა. შ. გამოყენება ენებში არის ერთ-ერთ ტიპოლოგიური ნიშანი მათ განსასხვავებლად (იხ. *ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია*).

მ. ბერიძე.

აფრიკატი (<ლათ. affricare – ხეხვა), რთული შედგენილობის თანხმოვანი. ყოველი ა. წარმოიდგინება მარტივი ხშულისა და მის სონაში წარმოებული ჰომორგანული (იხ. *ჰომორგანულობა*), ჰომოგენური (იხ. *ჰომოგენურობა*) ნაპრალოვანი ბგერების შეერთებად. მაგ., მჟღერ ხშულს უეროდება მჟღერი ნაპრალოვანი, ხოლო ყრუს – ყრუ: დ + ზ > ძ, თ + ს > ც, ტ + ს > წ, დ + ჟ > ჯ, თ + შ > ჩ, ტ + შ > ჭ. ა-ის შედგენილობაში ხშული და ნაპრალოვანი კომპონენტები ერთ მთლიანობას ქმნის: ა., სხვა ხშულების მსგავსად იწყე-

ბა ხშვით, მაგრამ, მაოგან განსხვავებით, მთავრდება ჰომორგანული ნაპრალით. ამიტომაც ა-ს ხშირად უწოდებენ ნახევარხშულს, ხშულნაპრალოვანს ან რთულ ბგერას. ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ამჟამად ა-თა ორი რიგია წარმოდგენილი: სისინა – ძ ც წ და შიშინა – ჯ ჩ ჭ. ნაკარაულევია ქართველურ ფუძეენაში მესამე რიგის – სისინ-შიშინა ძ ც წ ა-თა არსებობაც (იხ. *სიბილანტები*).

ლიტ.: ახ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ქ ო ბ ა ლ ა ე ა ი., აფრიკატიზაციისა და დეაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში. – «იკე», IX–X, თბ., 1958; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965. *ზ. ჯაფარიძე.*

აფრიკატიზაცია, ფონეტიკური პროცესი, რ-ის დროსაც მარტივი თანხმოვანი *აფრიკატად* გადაიქცევა. ისტორიულად ქართველურ ენებში ა. ფართოდ გავრცელებული პროცესი ჩანს. ა-ის რამდენიმე გზა არის ცნობილი: თანხმოვანთა შერწყმა – თ + ს→ც (ათ + სამმეტი→ცამეტი); თ + შ→ჩ (ათ + შვიდმეტი→ჩვიდმეტი)...; წინაენისმიერ და უკანაენისმიერ ხშულთა ა. (პალატალიზაციის გზით): დ→ძ (დევს→ძევს); თ→ც (თიკანი → ციკანი)... უკანაენისმიერ ხშულთა ა. ქართველურ ენათაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ლაზურში (მის ათინურ კილოკავში). ისტორიულად ა-ის ინტენსიური კვალი ჩანს სვანურში: გ→ჯ (იგი – სვან. ეჯა), ქ→ჩ (ქვე – სვან. ჩუ), კ→ჭ (კაცი – სვან. ჭაშ)... უკანაენისმიერ ხშულთა ა-ის კვალი ჩანს ქართულშიც (ნახოკი→ნახოჭი და მისთ.); სპირანტთა ა.: აფრიკატდებიან წინაენისმიერი სპირანტები – ზ→ძ (ზროხა→ძროხა), ს→ც (სხენ→ცხენ), ჟ→ჯ (დიალექტი: ჟანგი > ჯანგი), შ→ჩ (დიალექტი: ხარშვა→ხარჩვა, წყალში→წყალჩი...), რ→ჯ მხოლოდ სანურშია დადასტურებული: (მხარი→ხუჯი. ყური→ყუჯი...).

ლიტ. იხ. სტატიასთან *აფრიკატი*. *ი. ქობალავა.*

აფხაზური ენა, აფხაზური ენა (აფსუა ბგზშია, შდრ. აფსუა „აფხაზი, აფსუა"), იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჩრდილო-დასაელურ ანუ აფხაზურ-ადიღურ

1938–54 წლებში მოქმედი აფხაზური ანბანი (ქართულ გრაფიკაზე დამყარებული)

ა	ქ	ჩ
ბ	ქი	ჩა
გ	ქა	ც
[გჲ]	რ	ცი
[გუ]	ს	ძ
დ	ტ	ძი
დი	ტი	წ
ე	უ	წი
ვ	ფ	ჭ
ზ	ქ	ჭა
თ	[ქჲ]	ხ
ი	[ქუ]	[ხჲ]
კ	ღ	[ხუ]
[კჲ]	[ღჲ]	ჯ
[კუ]	[ღუ]	ჯა
ლ	ყ	ჰ
მ	[ყჲ]	ჰი
ნ	[ყუ]	ჯ
ო	შ	ფ
პ	ში	გ
	შა	

ენათა ჯგუფის ენა. გავრცელებულია საქართველოში, თურქეთსა და სირიაში, ნაწილობრივ რუსეთის ქალაქებში. აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკაში 1989-თვის აფხაზთა (აფსუათა) რაოდენობა შეადგენდა 93 ათას კაცს, ბათუმსა და მიმდებარე სოფლებში – 1600 კაცს, თურქეთის რესპუბლიკაში 100 000 აფხ. იცარაუდება (ვ. ჩირიკბა), ხოლო სირიელ აფხაზთა ზუსტი რაოდენობა უცნობია.

ა. ე-ში 6 ხმოვანია – ა, ე, ი, ო, უ, ჲ, რ-თაგან ე, ი, ო, უ მიღებულია ჲ, უ ნახევარხმოვანთა კომბინაციით ა, ჲ ძირითად ხმოვნებთან. თანხმოვანთა სისტემა რთულია. სალიტ. ენას მოეპოვება 56 თანხმოვანი ფონემა. მათ გარდა დიალექტებში დასტურდება კიდევ 10 ფონემა (9 ბზიფურ დიალექტში, ერთი – აბჟუურში). თანხმოვნები ნაწილდება სამეულებად, წყვილეულებად და ცალეულებად. თანხმოვანთკომპლექსები მეორეულია. ამ ენის სპეციფიკას, ქართ. ენასთან საერთო 28 თანხმოვნის გარდა, ქმნის ინტენსიურ, ლაბიალიზებულ, პალატალიზებულ თანხმოვანთა რიგების არსებობა. მახვილი ინტენსიური და მოძრავია. ა. ე. აგლუტინაციური ტიპის ენაა ინკორპორაციის ძლიერი ტენდენციით. სახელი შედარებით მარტივია, ზმნა დიდი სირთულით გამოირჩევა. არ ახასიათებს სახელთა ბრუნება, შეინიშნება მხოლოდ ორი ბრუნვის ჩანასახი. ბრუნვათა როლს ასრულებენ პირისა და გრამატ. კლასის აღმნიშვნელი ნაცვალსახელური ელემენტები და სიტყვათა რიგი, რაც ირიბად ასახავს *ერგატიულ წყობას*. აფხაზური სახელის სპეციფიკას ქმნის კუთვნილების კატეგორია, რ-იც თავსართებით გამოიხატება. ზმნა წინადადების ღერძია, ერთი ზმნური ფორმით გადმოიცემა სხვა ენათა მთელი წინადადების შინაარსი, რაც დამახასიათებელია ინკორპორაციული ენებისათვის. უღელილება კლასოვანპიროვანია: დ-სა და ლ-ს რიგის პრეფიქსებით გამოიხატება სუბიექტისა და ობიექტის პირი და გრამატ. კლასი. ამ პრეფიქსებით განირჩევა, ერთი მხრივ, გონიერისა და არაგონიერის, მეორე მხრივ, ქალისა და მამაკაცის გრამატ. კლასები. ზმნა მორფოლოგიურად ასახავს დროს, დინამიკურობას, ფინიტიურობას (დასრულებულობას), გარდამავლობას, კაუსატივს, ქცევას, პოტენციალისს, უარყოფას, უნებურობას, განგრძობადობა-განმეორადობას, მოწვენებითობას... სიტყვის ძირი მარტივია, ძირითადია თანხმოვანი + ხმოვნის ტიპი. ლექსიკაში საკუთარ ლექსიკურ ფონდთან ერთად გამოიყენება დიდი რაოდენობის ნასესხობანი ქართვე-

ლური ენა-კილოებიდან (ძირითადად მეგრული დიალექტიდან და ქართ. სალიტ. ენიდან), ადიღ.-ყაბარდოულიდან, თურქულიდან (საავარაუდოა სესხება ყარაჩაულ-ბალყარულიდანაც), რუსულიდან.

ა. ე-ს ამჟამად ორი დიალექტი აქვს: აბჟუური თავისი თქმებითურთ და ბზიფური სამი კილოკავით (საცის, ლიხნისა და ოხჯარის). ცალკე ერთეულია XIX ს. II ნახ. აფხაზეთიდან გადასახლებულ აფხაზთა ბათუმელი შთამომავლების მეტყველება ორი თქმითურთ (ანგისისა და ფურიის თქმები). თურქეთსა და სირიაში მცხოვრებ აფხაზთა (აფსუათა) მეტყველება დიალექტოლოგიური თვალსაზრისით სათანადო სიღრმით ჯერაც არ არის გამოკვლეული. სალიტ. ენას საფუძველად უდევს უფრო მარტივი სისტემის მქონე აბჟუური დიალექტი.

ა. ე-ის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველურმა (კერძოდ, მეგრულმა) სუბსტრატმა, რაც გამოკვეთილად შეინიშნება ამ ენის დიალექტთა ფონოლოგიურ სისტემაში (სპეციფ. აფხაზურ-აფსუურ ფონემათა მოშლას აშკარად არეალური ხასიათი აქვს: სინ-შიშინა სიბილანტთა სისტემა მთლიანად გამქრალია მეგრ. მეტყველების უშუალო მესობლად გავრცელებულ აბჟუურ დიალექტში, ხოლო მისი გაქრობის ტენდენცია მატულობს ბზიფური დიალექტის გავრცელების სამხრ.-აღმ. მიმართულებით), ზოგიერთ ფონეტ. პროცესში, განსაკუთრებით ლექსიკაში (დაბალმთიანეთისა და ზღვისპირის მცენარეთა სახელები, თევზების სახელები, ქრისტ. ტერმინოლოგია, ტოპონიმია, გვარსახელები, საცხოვრებელ ნაგებობათა სახელები და სხვ.). ა. ე-ში მეგრ. სუბსტრატის არსებობა მიანიშნებს საისტორიო წყაროთა და ძვ. რუკების მონაცემებზე, რ-თა მიხედვითაც ირკვევა, რომ XVI საუკუნემდე მაინც აფხაზთა მეტყველება წარმოდგენილი იყო ნრდ. კავკასიაში (იხ. ეუბანის აუზში).

აფხ. ლექსიკის მცირე ნაწილი პირველად იქნა ნაწერილი 1641 თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიერ არაბ. ანბანის გამოყენებით. აფხ. (აფსუური) ანბანი რუს. გრაფიკის საფუძველზე 1862 შექმნა პ. უსლარმა. ამ ანბანის გამოყენებით პირველი საანბანო წიგნი დაიბეჭდა თბილისში 1865. აფხ. მხატვრული ლიტ-რის ისტორია იწყება დ. გულიას შემოქმედებით, რ-ის ლექსების პირველი კრებული დაიბეჭდა თბილისში 1912. აფხ. ანბანის გრაფ. საფუძვლები რამდენჯერმე შეიცვალა: 1862–1926 მცირედი ცვლილებებით გამოიყენებოდა რუს. გრაფიკაზე დაფუძნებული პ. უსლარისეული ანბანი, 1926–28 მოქმედებდა ნ. მარის შედგენილი ლათინიზებული ანალიტიკური ანბანი, 1928–38 მას შეუნაცვლა ნ. იაკოველევის მიერ სსრკ ახალდამწერლობიან ენათაოვის შექმნილი უნიფიცირებული ლათინიზებული ანბანი, 1938–54 გამოიყენებოდა ქართ. გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი, 1954 აღდგენილ იქნა რუს. გრაფიკაზე დაფუძნებული პირველი ანბანი.

ლიტ.: ლომთათიძე ქ., აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, თბ., 1976; მისივე, ლოკალურ პრეფერბათა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში, თბ., 1982; მისივე, აფხაზური ენის საკითხები, I. სოხუმი, 1988 (აფხაზ. ენაზე); გვანცელაძე თ., აფხაზური და ქართული ენის შემსწავლელთათვის, ტ. II, თბ., 2003; ჯანაშია ბ., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954; არისთავი შ., ჭკადუა ლ., აფხაზური ენის გრამატიკა (პროფ. ქ. ლომთათიძის ლექციების კურსის მიხედვით), სოხუმი, 1966 (აფხაზ. ენაზე); შარვილი კ., კონჯარია ვ., აფხაზური ენის ლექსიკონი, ტ. I, II, სოხუმი, 1986, 1987 (აფხაზ. ენაზე); Услар П. К., Этнография Кавказа. Языкознание, I. Абхазский язык, Тифлис, 1887; Чарая П., Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб., 1912 («Материалы по яфетическому языкознанию», IV); Марр Н. Я., О языке и истории абхазов, М., 1936; Абхазско-русский словарь, Сухуми, 1964; Грамматика абхазского языка, Сухуми, 1968; Ломтатидзе К. В., Абхазский язык. – წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Dumézil G., Documents Anatoliens sur les langues et les traditions du Caucase, V – Études Abkhaz, Paris, 1967.

თ. გვარცელაძე.

აძტი (ლათ. actus – საქმე), ზმნის კატეგორია, რ-იც წარსულში მოხდარ მოქმედებას წარმოადგენს როგორც მოუბრის მიერ ნანახს ან უნახავს (დასწრებულს ან დაუსწრებელს). ამის მიხედვით გვაქვს ორი სახის ა.: ნახული და უნახავი. ნახულია ფორმა, რ-იც მოქმედებას წარმოადგენს როგორც მოუბრის მიერ ნანახს: თქვა, აა-შენა...; უნახავია ზმნის ფორმა, რითაც გადმოცემული მოქმედება მოუბარს არ უნახავს: უთქვამს, აუშენებია (ა. შანიძე).

უნახაო ა-ის ფორმა თურმე-ს გაგებას შეიცავს, ამიტომ მას თურმეობითსაც უწოდებენ. ნახული ა-ის ფორმებზე თურმე-ს დართვით მიღებული აღწერითი ფორმა უნახაობას გადმოგვცემს: დაწერა – დაწერა თურმე, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ზმნის მორფოლ. კატეგორია არ არის (ლ. კვაჭაძე). ა-ის კატეგორიის შესახებ ქართ. სანათმეცნიერო ლიტ-რაში აზრთა სხვადასხვაობაა (შდრ. ი. ქაეთარაძე).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ქავთარაძე ი., უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში. – «იკე», VIII, თბ., 1956; კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

ნ. ლოლაძე.

აქტიური ლექსიკონი, ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში ყველაზე უფრო ხშირად (აქტიურად) ხმარებულ ლექსიკურ ერთეულთა მარაგი. ა. ლ-ში შედის ე. წ. ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები, ძირითადი საკომუნიკაციო მარაგი. ა. ლ. განსხვაებულია სხვადასხვა სოც., პროფ. ჯგუფებისათვის (მაგ., მეცხვარისა და მეჩაიესათვის). ა. ლ-ს უპირისპირებენ პასიური ლექსიკონის სიტყვებს, ანუ ისეთ ლექსიკას, რ-იც ნეუტრალურიე საკომუნიკაციო ურთიერთობებში არ გამოიყენება და მეტყველების ლექსიკურ მარაგში არსებობს, როგორც პასიური ცოდნა.

აქტიური და პასიური ლექსიკონის ცნებებს იყენებენ იმ შემთხვევებისათვისაც, როდესაც უნდათ გამიჯნონ ის ლექსიკა, რ-იც ენის მომხმარებელმა აქტიურად იცის და რეალურად შეუძლია გამოიყენოს იმ ლექსიკიდან, რ-საც იგი ფაქტობრივად არ იყენებს, მაგრამ სხვისაგან გაგონილი, მისთვის გაუგებარი და უცხო არ არის.

ა. ლ-ის დასადგენად აუცილებელია საათანადო ენობრივი მასალის სიხშირული ინდექსაცია. ამგვარი გამოკვლევა შეიძლება ჩა-

ტარდეს როგორც ცალკეულ ენობრივ ჯგუფებზე, ასევე ცალკეული პერიოდის ძეგლებზე, ცალკეულ მწერლებზე და ა. შ.

ა. ლ-ის დადგენა მნიშვნელოვანია პრაქტ.-პედ. თვალსაზრისით ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შესწავლისას ოპტიმალური ლექსიკური მარაგის შესარჩევად, სხვადასხვა ხასიათის სასწ. ლექსიკონების შესადგენად, მეთოდური რეკომენდაციების შესამუშავებლად და მისთ. *ა. არაბული.*

აქტიური წყობა, ენობრივი ტიპოლოგია, რ-იც ორიენტირებულია ბინარულ დაპირისპირებაზე არა სუბიექტსა და ობიექტს შორის, როგორც ეს ხდება ნომინატიურ (იხ. *ნომინატიური წყობა*) და ერგატიულ (იხ. *ერგატიული წყობა*) ენებში, არამედ ე. წ. აქტიური და ინაქტიური საწყისების დაპირისპირებაზე. ა. წ. გულისხმობს ენის წყობის განსაკუთრებულ მოდელს ენობრივი მიმართებების ქვესტრუქტურების დონეზე.

ლექსიკურ დონეზე ეს არის სახელების დაყოფა აქტიურ და ინაქტიურ კლასებად: აქტიურ კლასში ერთიანდება ქვესტრუქტურა ის სუბსტანტივი, რ-თა რეფერენტები (სიტყვაში ასახული სინამდვილის ელემენტი) წარმოადგენენ ცოცხალ ბუნებას: ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს ანუ ყოველივე იმას, რასაც გააჩნია ე.წ. სასიცოცხლო ციკლი, მ.შ. ბუნების მოვლენებს (ქარი, წვიმა, ჭექა-ქუხილი და ა.შ.); ინაქტიურ კლასში შედიან სახელები, რ-თა რეფერენტები შეალგენენ მკვდარ ბუნებას, ნივთთა კლასს – სასიცოცხლო ციკლის უქონელ საგნებს. ასეთი დაპირისპირებისას „ხე" მიეკუთვნება აქტიურ კლასს, ხოლო მისი ნაყოფი – ინაქტიურს.

სახელების ბინარული ოპოზიცია განსაზღვრავს სმნათა სისტემის აქტიურ და სტატიკურ სმნებად დაყოფას, სადაც აქტ. სმნა გამოხატავს აქტიური სახელის მიერ შესრულებულ მოქმედებას ან მის მდგომარეობას, ხოლო სტატ. სმნა – ინაქტიური სახელის მდგომარეობას. აქტიური და ინაქტიური სახელების მდგომარეობის გასარჩევად ხშირად გამოიყენება სმნური ლექსიკური დუბლეტები. მაგ.: აქტ. – „ახალი წვეს", ინაქტიური – „მორი დევს". აქტიურობის ლექსიკურ იმპლიკაციებს განეკუთვნება სმნათა განსაკუთრებული ჯგუფის ე. წ. „აფექტური" სმნების კლასის (verba sentiendi, verba affectum და სხვ.) არსებობა, რთაც სწორედ ა. წ-ის ენებში ეძებნებათ თავისი ბუნებრივი ადგილი.

ა. წ-ის ძირითად სინტაქსურ იმპლიკაციას წარმოდგენს წინადადების აქტიური და ინაქტიური კონსტრუქციების კორელაცია. აქტიურ კონსტრუქციას შეადგენს აქტიური სახელი+აქტიური სმნა – $N_{ა}$+$V_{ა}$; ინაქტიურს – ინაქტიური სახელი + სტატ. სმნა – $N_{ი}$+$V_{სტ}$. აქვე გამოიყოფა თავისებური, „აფექტური" კონსტრუქცია: აქტიური სახელი + „აფექტური" სმნა – $N_{ა}$+$V_{აფ}$.

ა. წ-ის ძირითადი მორფოლ. მახასიათებელია სახელებში – სპეციალური აქტიური და ინაქტიური ბრუნვების არსებობა (თუ ენას აქვს ბრუნების სისტემა); სმნებში – პირის ნიშნების ორი რიგის არსებობა – აქტიური და ინაქტიურისა, რ-ებიც სმნაში შესაბამისად აღნიშნავენ აქტ. და ინაქტიურ სახელებს.

ა. წ-ის ენების სმნური სისტემისათვის დამახასიათებელია არა დროული (აწმყო, წარსული, მომავალი), არამედ ასპექტური (ამ ტერმინის ფართო გაგებით) დაპირისპირება, სადაც სმნური სიტყვაფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან მოქმედებათა რაგვარობით. აქ გარჩეულია დასრულებული მოქმედება (პერფექტივი), უსრული (იმპერფექტივი), დაწყებითი (ინგრესივი), განგრძობითი (პროგრესივი), გამეორებითი (იტერატივი), გაძლიერებითი (ინტენსივი), აგრეთვე სურვილის (დეზიდერატივი), განზრახვის (ოპტატივი) და სხვა სხვ. მოქმედების გამომხატველი სმნური ფორმები. ყოველ მათგანს თავისი მორფოლ. გამოხატულება აქვს სხვადასხვა ენაში.

ა. წ-ის ენებში შეინიშნება ძირეულ მორფემათა რაოდენობრივი ასიმეტრია აქტ. და სტატ. სმნების კლასებში. ძირეული მორფემა აქტ. სმნისა, როგორც წესი, წარმოდგენილია რამდენიმე მორფემით, მაშინ როდესაც სტატ. სმნა მანიფესტირებულია, ჩვეულებრივ, ერთი ძირეული მორფემით. მაგ., ადამიანის მდგომარეობის გადმოსაცემად არსებობს რამდენიმე სმნური ფორმა: კაცი დგას, ზის, წევს და ა. შ. ნივთის მდგომარეობას მხოლოდ ერთი სმნური ფორმა გადმოგვცემს: ნივთი დევს; კაცი მოხუცდა, დაბერდა, მაგრამ ნივთი დაძველდა და ა. შ.

ატრიბუტულ სინტაგმაში განირჩევა ორგ. და არაორგ. კუთვნილების გამომხატველი ფორმები, რებიც გადმოსცემენ პარტიტიულ (ნაწილის) და პოსესიურ (კუთვნილების) დამოკიდებულებებს. აქაც ერთგვარი ასიმეტრია გვაქვს: სუბსტანტივები აქტ. კლასიდან განარჩევენ ორივენაირ კუთვნილებას, ხოლო ინაქტიურ სახელებს ატრიბუტულ სინტაგმაში მხოლოდ ორგანული (პარტიტიული) კუთვნილების გამოხატვა შეუძლიათ. ანალოგიური მდგომარეობაა სმნურ სისტემაშიც, სადაც კუთვნილების გამოხატვის აღსანიშნავად დაპირისპირება ცენტრიდანული-არაცენტრიდანული ვერსია ვლინდება სწორედ აქტ. და არა სტატ. სმნურ ფორმებში.

გარდა ზემოჩამოთვლილი იმპლიკაციებისა, ა. წ-ს გააჩნია მთელი რიგი ფრაქციული ელემენტები (გავრცელებული მოვლენები): აქტ. კლასის სახელებში ადამიანისა და ცხოველის ქვეკლასის გარჩევა, ინაქტიური კლასის სახელთა დაყოფა ფორმისა და ზომის მიხედვით; სმნებში – ე. წ. სინგულარული და პლურალური სმნების სუპლეტივიზმი, მაგ., გდება–ყრა, ბმა–სხმა, დასმა–დასხმა, ჯდომა–სხდომა, ტეხა–მტვრევა და ა. შ.

ა. წ-ის ენები გავრცელებულია ჩრდ. და სამხრ. ამერიკის ინდიელთა ენებში, კერძოდ, ნა-დენეს, სიუს, მუსკოგის (გალფი), ტუნიკა-ვარანისა და, შესაძლებელია, იროკეზ-კადოს ოჯახებში.

არსებობს საკმაოდ მყარი საფუძვლები ა. წ-ის რეკონსტრუქციისა სოგიერთი თანამედროვე ნომინატიური და ერგატიული ენების, მ.შ. ინდოეურ., ქართველურისა და აფხ.-ადიღ-თვის.

ლიტ.: Климов Г. А., К характеристике языков активного строя. – «Вопросы языкознания», 1972, № 4; Мисиеэ, Очерк общей теории эргативности, М., 1973; Мисиеэ, Типология языков активного строя, М., 1977; Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индо-

европейский язык и индоевропейцы, I–II, Тб., 1984; Ergativity: Towards a Theory of Grammatical Relations, ed. by F. Plank, L. – N.Y., 1979; Gregores E., Suarez S. A., A Description of Colloquial Guarani, The Hague – P., 1987.

ი. კორტავა.

აქცენტი (ლათ. accentus – მახვილი), 1. *მახვილი.* 2. წარმოთქმის თავისებურება, უცხო ენაზე მეტყველების დროს ამ ენის ბგერითი მხარის უნებლიე დამახინჯება, რაც განპირობებულია მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისით. ა. საზოგადოდ, მ. შ. ქართულიც, განსაკუთრებით თავს იჩენს მახვილსა და მელოდიკაში. ქართ. ა-თვის დამახასიათებელია აგრეთვე აბრუპტიების წარმოთქმა ინდოევრ. ცრუ ხშულების ნაცვლად: მკლერი თანხმოვნების დაყრუება სიტყვის ბოლოში (მაგ., ინგლ. და ფრანგ. ენებზე მეტყველებისას); არარედუცირებული ხმოვნების წარმოთქმა რუსულში უმახვილო პოზიციაში (харашо). ა. არის ორი ენის სისტემისა და ნორმის ინტერფერენციის გამოვლინება. ერთი ენის შიგნით ა. ვლინდება ამა თუ იმ დიალექტზე მოლაპარაკეთა მეტყველებაში, რ-ებიც სრულყოფილად არ ფლობენ სალიტ. ენის ნორმებს. 3. მახვილის აღმნიშვნელი დიაკრიტიკული ნიშანი (ˊ).

ლიტ. იხ. სტატიასთან *აქცენტოლოგია.*

ი. თევდორაძე.

აქცენტოლოგია (< ლათ. accentus – მახვილი და ბერძნ. logos – სიტყვა, მოძღვრება), 1. მოძღვრება მახვილის ბუნებისა და ფუნქციონირების შესახებ. ა. შეიძლება იყოს აღწერითი, ისტ.-შედარებითი და თეორიული. აღწერითი ა. შეისწავლის მახვილის ადგილს, მის ფონეტ. და ფონოლოგიურ ტიპებს; ისტ.-შედარებითი ა. იკვლევს აქცენტურ სისტემათა ისტ. ცვალებადობას; თეორიული ა. აღგენს პროსოდიულ ერთეულთა მიმართებებს სისტემაში, მათ ენობრივ ფუნქციებს. 2. აქცენტურ საშუალებათა სისტემა, ანუ აქცენტუაცია.

ქართ. საენათმეცნიერო ლიტერა'ში მახვილის საკითხი დიდი ხანია დგას. მახვილის ბუნებას ეხებოდნენ იოანე პეტრწი, ს.-ს. ორბელიანი; ანტონ კათალიკოსი, გაიოზ რექტორი და სხვ. ქართ. მახვილის თვისებრიობასა და მის ადგილზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ამ საკითხებს საგანგებოდ იკვლევდა ნ. მარი. მან შეისწავლა მახვილის ადგილი ორდა მეტმარცვლიან სიტყვებში. გარდა მთავარი მახვილისა, იგი მიუთითებს თანამახვილის არსებობაზეც ოთხ- და მეტმარცვლიან სიტყვებში. ხუთსა მეტმარცვლიან სიტყვებში კი თანამახვილის არსებობა მას აუცილებლად მიაჩნია. თავისი ბუნებით ქართ. სიტყვათმახვილი, მისი აზრით, ტონური ხასიათისაა. ამ თვალსაზრისს (მცირეოდენი შენიშვნებით) იზიარებენ ჰ. ფოგტი და ე. ჩელმერი. ქართ. მახვილის ტონურობას ეარაუდობენ რ. ჰ. რობინსი და ნ. უოტერსონიც; მახვილის განაწილება სიტყვებში კი, მათი აზრით, სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია მარცვალთა რაოდენობაზე. ქართულში ტონური მახვილის არსებობას (მეორე, დინამიკურ მახვილთან ერთად) ეარაუდობდნენ გ. როგავა და შ. გაფრინდაშვილი. მაგრამ მათი აზრი ამ მახვილების პოზიციის შესახებ განსხვავებულია. ისტ. ასპექტში ქართ. ენის მახვილს იკვლევდა არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, მახვილი ახ. ქართულში სუსტდინამიკურია და ფიქსირებული, განსხვავებით ძვ. ქართულისაგან, სადაც, აეტორის ეარაუდით, მახვილი იყო ძლიერდინამიკური და მოძრავი. გ. ახვლედიანის დაკვირვებითაც, სალიტ. ქართულში დღეს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილია დომინანტი (მაგრამ ნანს აგრეთვე ტონურობის ელემენტიც). ს. ჯანტის აზრით, ქართულში სიტყვათმახვილის საკითხი საერთოდ რიტმიკულ ჯგუფებსა და სინტაგმებში უნდა გადაწყდეს, რადგან ქართულში ცალკეული სიტყვა სუსტმახვილიანია და წინადადებაში ის იღებს წინადადების მახვილს. ა. ალხაზიშვილის მიხედვით, მახვილის ადგილი რიტმიკული ჯგუფების მახასიათებელია და არა იზოლირებული სიტყვებისა. სიტყვათმახვილთან შედარებით, ფრაზის მახვილის ხვ. წ. მეტია არნ. ჩიქობავას ეარაუდითაც. იხ. *მახვილი.*

ლიტ.: ჩიქობავა არნ., მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. – «ჰსმაშ», 1942, ტ. 3; ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჯანტი ს., ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963; როგავა გ., მახვილის საკითხისათვის ქართულში. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», III, თბ., 1963; რობინსი რ., უოტერსონი ნ., შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ. – «ჰსმაშ», IV–V, თბ., 1968; თევდორაძე ი., ქართული ენის პროსოდიის საკითხები, თბ., 1971; Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925; Алхазишвили А., Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка, Тб., 1959.

ი. თევდორაძე.

აქცესიური კომპლექსები (< ლათ. accessio – აქეთ მოსელა), ორთანხმოვნიანი ჯგუფები, რ-ებშიც პირველ ადგილზე წარმოთქმული ბგერა უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე მეორე ადგილზე წარმოთქმული. მაგ., დბ, გდ, გზ, შფ, ხთ და მისთ. ა. კ-ის კომპონენტები ჰომოგენური და ჰეტერორგანული არიან (იხ. *ჰომოგენურობა, ჰეტერორგანულობა*).

ა. კ-ის შემცველი სიტყვები ქართულში არც ისე მრავალრიცხოვანია. ძალზე იშვიათია ისინი სხვა ქართველურ ენებშიც. ა. კ. ფიზიოლოგიურად ნაკლებ „ბუნებრივი" მიმდევრობებია და გამოთქმის სიძნელის გამო სხვადასხვა ენაში მათი აცილების სხვადასხვა გზაა გამოყენებული (იხ. *სუპერაცია*).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 (1999).

ნ. იმნაძე.

აღნიაშვილი ელადიმერ (ლადო) დიმიტრის ძე [7 (19). II. 1860, სოფ. შილდა, ქვარლის რ-ნი, – 23. IV (6. V). 1904, თბილისი], საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი. დაამთავრა თელავის სას. სასწავლებელი, შემდეგ – გორის საოსტატო სემინარია (1881). ასწავლიდა ქართ. ენასა და ლიტ-რას თბილ. ქართ. სათავადაზნაურო სასწავლებელსა და ქართვ. კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში. 1883 გამოსცა სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი რუსული ენის შესასწავლად დაწყებითი ქართული სკოლებისათვის".

ა-მა ჩამოაყალიბა ქართვ. მომღერალთა გუნდი, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართ. ეროვნ. სასიმღერო შემოქმედების აღორძინებას;

აქტიურად მონაწილეობდა „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობის“ დაარსებაში (1887); ამავე წელს გამოსცა რუს.-ქართ. „უბის ლექსიკონი“; შეადგინა და გამოაქვეყნა კრებული „ქართული ხალხური სღაპრები“ (1890), რ-იც საფუძვლად დაედო მ. უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილ „ქართულ ხალხურ სღაპრებს“ (1894); გამოაქვეყნა სკოლისგარეშე საკითხავად „ახალი ანბანის“ რვა წიგნაკი (1892–93).

ა. იყო პირველი ქართ. მოღვაწე, რ-მაც 1894–96 იმოგზაურა ირანში, მოინახულა ფერეიდნული ქართველები და გააცნო საზოგადოებას თავისი შთაბეჭდილებები მათი ენისა და ყოფის შესახებ, რაც ცალკე წიგნად გამოაქვეყნა 1896. ნაშრომი შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას ფერეიდნის ქართ. სოფლების აღგილმდებარეობის, ბუნების, სამეურნეო საქმიანობისა და ყოფა-ცხოვრების ცალკეული მხარეების შესახებ. ა-ის ცნობით, ზოგიერთ სოფელს ორ-ორი სახელი რქმევია – ქართული და სპარსული: ზემო მარტყოფი – ახორე ბალა, თელავი – თოლელი, რუისპირი – აფჭასი, იგივე რუსთავი, ნინოწმინდა – ქულუბანაქი და სხვ. მოსახლეობის საერთო რაოდ. 12–15 ათასამდე აღწევდა. ა-ს შეუკრებია ქართ. გვარები (ბათუაანი, ბასილაანი, გორგინაანი, გუგუნაანი, გულიაანი, დარისპანაანი, ვარდიაანი, მამუკაანი, სამადაანი, სეფიაანი, ხუციცაანი და სხვ.). სპარს. გარემოში, სადაც კაცი საკუთარი სახელით იცნობება, გვარების წმინდად შემონახვა მას ქართ. ტრადიციის დაცვად მიაჩნდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ფერეიდნელთა ყოფის სამ მოვლენაზე, რ-ებიც მათ ქართ. სინამდვილესთან აკავშირებს: მშობლიური ენა, ეროვნ. სიამაყის გრძნობა და ქართ. ტიპი, შესახედაობა, იერი და სხვ.

ა-ს შენიშნული აქვს ფერეიდნელთა მეტყველების ზოგი თავისებურება: ყე-სა და ჭ-ს ხმარება; მოვიდის, წავიდის და მისთ. ფორმები, -ში თანდებულის მაგივრად ჩი-ს გამოყენება (სახლ**ში** – სახლ**ჩი**); შენიშნულია ბგერათა გადასმის შემთხვევები (ბლენა < ბნელა; ღურბელი < ღრუბელი), რაც ავტორს ქართ. დიალექტებისათვის ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია. ასევე ამბობენ თოლი, ცხორი – თეალ-ის, ცხვერ-ის მაგივრად. იგი აკვირდებოდა ფერეიდნელთა ლექსიკასაც და პარალელებს აგებდა ქართ. ენის დიალექტების შესაბამის ფორმებთან (მაგ., უბნობა, საბელი და სხვ.). აღნიშნული აქვს ზოგიერთ სიტყვაში მომხდარი ცვლილებაც: ბუზი (ბზუკი) – „ბუზუკია“, ბაყაყი – „ბაყბაყია“ და „ბაბაყუა“; გოგრა – „გეგრა“ და „გუგურა“; ციბრუტი – სოგ სოფელში „თაუშტერა“, ხოლო ხერხი – „ფხაჭი-ფხუჭა“, რებიც ავტორს ახ. მოვლენებად მიაჩნდა. მას შეუმჩნევია, რომ ზოგიერთ საგანს სხვადასხვა სოფელში სხვადასხვანაირ სახელს უწოდებენ, მაგ., ნიტრა (ლიტრა), რ-საც ახსნისა და აფუსში სურა ჰქვია, თოლელში („თელავში“) – ჯარჯარა, ხოლო მარტყოფში – ჭურჭელია. ამ და სხვა დაკვირვებათა ანალიზის საფუძველზე ა. დაასკვნის, რომ ფერეიდნელ ქართველთა მეტყველება უახლოვდება კახურს, მის ძველებურ სახეს, რ-იც კარგად არის დაცული ქიზიყსა და ფშავ-ხევსურეთში. ამასთან, იქ შემონახული გვარების დიდი ნაწილი და ზოგიერთი სოფლის სახელი (მარტყოფი, თელავი, რუისპირი...), მისი აზრით, ამაროლებს იმ ვარაუდს, რომ ფერეიდანში მოსახლე ხალხი გარე კახეთიდან, ანუ იერის ხეობიდან უნდა ყოფილიყო გადასახლებული.

თხზ.: სპარსეთი და იქაური ქართველები (მგზაურის წერილები), ტფ., 1896.

ლიტ.: იმედაშვილი ი., ლადო აღნიაშვილი, ტფ., 1929; მეტრეველი პ., ლადო აღნიაშვილი. – «მნათობი», 1960, № 6; შარაშენიძე ზ., ფერეიდნელი „გურჯები“, თბ., 1979. *დ. ჩხუბიანიშვილი.*

ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ, აღწერილობითი, ანალიზური, პერიფერიული წარმოება, ფორმაწარმოება, რ-ის დროსაც სრულმნიშვნელობიანი და დამხმარე სიტყვების შეერთებით მიიღება გრამატ. ფორმის ყველაზალენტური რთული (შედგენილი) ფორმა (კაც-იქმნა, სპასალარ-ყო, დაწერილ-იქნა...).

ა. წ-ის მქონე სმნაოა სახელური წევრი შეიძლება იყოს არსებითი სახელი (მონასტერ-ყო), პირველადი ან წარმოქმნილი ზედსართავი სახელი (დიდ იქმნა, გურგუნოსან-ყო), ნაზმნარი ზედსართავი სახელი (აღმოცენებულ იქმნა, შეწუნარებულ-ყო) და სხვ. ზმნურ კომპონენტებად ქცეულაზე ხშირად დასტურდება ყოფა, ქმნა და არს მეშვეული ზმნები.

ქართული *ორგანული წარმოების* ენაა და აღწერით ფორმებს ძირითადად მაშინ მიმართავს, როცა (სხვადასხვა მიზეზის გამო) სინთეზური წარმოება ჭირს. თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, ძვ. ქართულში ზმნის ა.წ. უფრო ხშირია და არ წარმოადგენს უცხო ენათა გავლენის შედეგს. მაგ., მთლიანად აღწერითი იყო ერთპირიანი ენებითების III სერიის ფორმები: ნამყოდროიანი ენებითის მიმღეობა+მეშველი ზმნა – ვარ, ვიყავ, ვიყო (დამალულ ვარ, დამალულ ვიყავ, დამალულ ვიყო). თანამედროვე ქართულში კი აღნიშნულ ზმნათათვის III სერიის წარმოება ნარევია: და-ე-მალულ-ვარ და მისთ. ფორმები უკვე აღარ არის მთლიანად აღწერითი, რადგან პირის ნიშანი დაერთო მიმღეობას, მაგრამ არც მარტივია, რადგან მეშველი ზმნის დაუხმარებლად ამ ფორმათა წარმოება I და II პირში შეუძლებელია. ა. წ-ის ორგანულით შეცვლის ტენდენცია ძვ. ქართულშივე ისახება, მაგრამ თანამედროვე სალიტ. ქართულში შეინიშნება საპირისპირო ტენდენციაც: პერიფრასტული ენებითი თანდათან იფართოებს ხმარების არეს და ისეთ ზმნებთანაც გამოიყენება, რ-თაც მარტივი ფორმები ადვილად ეწარმოებათ (ა. შანიძე). ამის მიზეზს (სხვა მიზეზთა შორის) თვით ენებითი გვარის ზმნათა სემანტიკაც წარმოადგენს.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; თევზაძე ჯ., რთული ზმნები ძველ ქართულში. – «აკ. შანიძის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინ-ტის შრომების», 1959, ტ. 13; ოსიძე ვ., ღაღადყო ტიპის ზმნები ძველ ქართულში. – «იკვ», XII, თბ., 1960; ქათარაძე ი., ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იქვე; ღვინაძე თ., ენებითი გვარის ფორმათა გამოყენებისათვის თანამედროვე ქართული პრესის ენაში. – კრ.: «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 3, თბ., 1980; უშაკიძე თ., ზმნის აღწერი-



აშურიანი.
საამშენებლო
წარწერა. 1032.

თი წარმოება ძველ ქართულში, თბ., 1993. *ო. ვაშაკიძე.*

აშურიანის წარწერები 1032, ქართული ასომთავრული წარწერები, ამოკვეთილი სოფ. აშურიანის (კასპის რ-ნი) იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადებში ნასმულ ქვის ფილებზე. ეკლესია ნანგრევების სახითაა მოღწეული. წარწერები პირველად გადმოწერა დ. მელეინეთუხუცესიშვილმა და გადაუგზავნა მ. ბროსეს, რ-მაც ისინი 1849 გამოაქვეყნა. ძეგლი დიდხანს იყო უყურადღებოდ. 1940 წლის მიწისძვრის დროს იგი დაინგრა და წარწერიანი ქვის ფილები ნანგრევებში ჩაიმარხა. სამხრეთის კედლის წარწერიანი ქვა უპოვია კასპის სტამბის მუშას ს. გასიტაშვილს (1941) და გადაუცია გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის (1942). აღმოსავლეთის ფასადის წარწერიან ქვის ფილას მიაკვლია ხელოვნებათმცოდნე გ. სოხაშვილმა (1962) და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩააბარა. მანვე აღადგინა და გამოაქვეყნა ორივე წარწერის ტექსტის გრაფ. ასლები და ფოტოსურათები.

პალეოგრაფიულად სამთავისისა და ა. წ. *კიდურწაისრული დამწერლობის* ძეგლებია და სამთავისის ლაპიდარული კალიგრაფიული სკოლის ბრწყინვალე ნიმუშებია.

წარწერებიდან ირკვევა, რომ ეკლესია აშენებულია ქრონიკონით სნბ (252), ე. ი. 1032 ილარიონ სამთავნელი ეპისკოპოსის მიერ, მისი მამის ვაჩე ქანჩაელის ხარჯებით. აღსანიშნავია, რომ იმავე ქანჩაელთა ფეოდ. საგვარეულოს წარმომადგენლების აშენებულია ბიეთის ეკლესია (1025) და სამთავისის ტაძარი (1030), მისი მარანი და საწნახელი (1050), როგორც ეს ამ ძეგლებზე შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა.

აშურიანის ეკლესიის აღმ. ფასადის წარწერაა: „✝ სახელითა ღმრთისაჲთა. მე, ილარიონ სამთავნელმან, ძემან ვაჩე ქანჩაელისამან აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, საყოფელად წმიდისა ნათლისმცემლისა, ბრძანებითა და ფასისა მიღებითა სულკურთხეულისა მამისა ჩემისა, ქრონიკონსა სნბ. ვინ რაჲთაცა მიზეზითა ესე უდაბნოჲ წმიდისა საყდრისა სამთავისისა [გა] მოაჭუას, კრულია სიტყჳთა ღმრთისაჲთა".

სამხრეთის ფასადის წარწერა: „ქრისტე, აღიდე შენ მიერ დამყარებული უძლეველი ბაგრატ კუროპალატი, რამეთუ მათსა ზე აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, უდაბნოჲსა სახლი წმიდისა ნათლისმცემლისაჲ, სალოცველად მეფობისა მათისა, ჴელითა ჩემ გლახაკისა ილარიონ სამთავნელ ეპისკოპოზისა, ძისა ვაჩე ქანჩაელისა; [შეიწყალე] . ღმერთო".

ლიტ.: ს ო ხ ა შ ვ ი ლ ი გ., სამთავისი, I, თბ., 1973. *ვ. სილოგავა.*

აწმყო, საუღლებელი ერთეული, საყრდენი მწკრივი I სერიის ჯგუფისათვის. ზმნათა უმრავლესობა აწმყოს ფორმას უნიშნოდ იწარმოებს; ვნებითი გვარის ზმნებს მწკრივის ნიშნად -ი ელემენტი მოუდის, რ-იც III სუბიექტ. პირის ფორმებში უჩინარდება (ვ-თბებ-ი – თბებ-ა); არსებობს თვალსაზრისი, რ-ის მიხედვითაც თემის ნიშნად მიჩნეული -ი (ვ-ჭრ-ი...) აწმყოს ნიშნად გაიაზრება (გ. გოგოლაშვილი).

ა-ს ფორმა შეიძლება იყოს ზმნისწინიანიც და უზმნისწინოც. ზმნისწინს ა-ს ფორმასთან აქვს მიმართულების (*ვეზისა* და *ორიენტაციის*) ფუნქცია და ზმნას ახ. მნიშვნელობას აძლევს.

ა. დროის მიხედვით ახლანდელია, შეიძლება ჰქონდეს როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა: გამოხატოს საუბრის მომენტში მიმდინარე ან ჩვეულებრივი, განმეორებადი მოქმედება (შდრ.: ბავშვი სკოლაში მიდის/დადის), ზოგჯერ – მიმავალი (ან დაცლილი კონკრეტული დროული მნიშვნელობისგან: ქუხს, ელავს, თოვს); კილოს მიხედვით – თხრობითია; ასპექტის მიხედვით – უსრული.

III სუბიექტ. პირს მხოლობითში ძირითადად გამოხატავს -ს, ვნებითი და საშუალი გვარის ზოგ ზმნაში -ა (თბებ-ა, ს-ტკივ-ა...); მრ. რიცხვში -ენ, -ან სუფიქსებია გამოყენებული.

სტატ. ზმნათა ერთი ნაწილი I და II პირის ფორმებს იწარმოებს მეშველი ზმნით (ვ-დგა-ვარ, დგახარ...), გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც (ვ-ტირ-ი, ვ-ტირ-ი-ვარ). სტატ. ზმნათა მცირე ჯგუფი, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის მსგავსად, III სუბიექტ. პირის ფორმებში -ია დაბოლოებას დაირთავს. ავტორთა ერთი ჯგუფი ა-ს III სუბიექტ. პირის ნიშნად განიხილავს, მეორე ჯგუფი კი – მეშველი ზმნის ნაშთად (არს → ა).

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ტ. I, თბ., 1950; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973); ბ ე ბ უ ნ ა ძ ე ლ., კვლავ კონტექსტის მნიშვნელობისათვის მწკრივთა დროულ-კილოურ შესაძლებლობათა რეალიზაციისას. – კრ.: «ვარლამ თოფურია – 100», თბ., 2001.

გ. გოგოლაშვილი.

აწმყოს კავშირებითი, საუღლებელი ერთეული, იგივე I კავშირებითი, I სერიის საერცობი მწკრივი, ნიშანი -ე, რ-იც ყველა ფორმაში დასტურდება. უპასუხებს კითხვას: რას ვშერებოდე? (ვხატავდე, ვიზრდებოდე). ა. კ. შეიძლება იყოს ზმნისწინიანიც და



აშურიანი.
მეფე ბაგრატ IV-ის წარწერა. 1032.

უზმნისწინოც (წერ-დეს, მო-დიოდეს...); ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას (*ვეზსა* და *ორიენტაციას*) ანდა უცვლის მნიშვნელობას ზმნას (წერდ-ე-ს – აღწერდ-ე-ს...).

ა. კ-ის დამოუკიდებელ ნაკვთად ჩამოყალიბება უშუალოდ არის დაკავშირებული მყოფადის კავშირებითის ჩამოყალიბებასთან და ორივე I კავშირებითის დაშლის, ზმნისწინის ქონა-უქონლობის მიხედვით მისი გაყოფის შედეგია. ზმნისწინის ლექსიკური მნიშვნელობის შენარჩუნების შემთხვევაში აწმყოსა და მყოფადის კავშირებითებს საერთო ფორმები აქვთ.

ა. კ. კონკრეტული დროული მიმართებისაგან თავისუფალი ფორმაა და არა საკუთრივ აწმყო დროის გადმომცემი კავშირებითის ნაკვთი. იგი ყველაზე ზოგადდროული, განუსაზღვრელი ფორმაა კავშირებითის ნაკვთთა შორის. ასპექტობრივად კარგად იგუებს უსრულ, განგრძობით და, განსაკუთრებით, მრავალგზისობის სემანტიკას. ეს უკანასკნელი მოქმედების ჩვეულებითობას უსვამს უფრო ხაზს, ვიდრე მოქმედების განმეორებადობას, ხოლმეობითობას.

ა. კ. აქტიურად გამოიყენება პირობითი და ნატვრითი მოდალობების გადმოცემისას, ე.წ. ფიცილის ფორმულებში; იხმარება როგორც ნაწილაკებთან ერთად, ისე მათ გარეშე. ა. კ-თან გამოყენებული ძირითადი მოდალური ნაწილაკებია: **თითქოს** და **უნდა**. გვხვდება აგრეთვე: **იქნებ, ეგებ, შეიძლება, დაე, მგონი** ... (მაგ., „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული"; „ეგებ ჩვენი განსაფხული მოდიოდეს"); ხშირია მისი მოხმარება ე. წ. კატეგორიული გამორიცხვის წინადადებებში.

დამახასიათებელია ა. კ-ის გამოყენება სამეცნ. ლიტ-რის ენაში, ერთი მხრივ, ჰიპოთეზური („მისი სიტყვები სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს"), მეორე მხრივ, კატეგორიული მსჯელობისას („იგი უნდა მოძრაობდეს ერთი მიმართულებით"). ა. კ. ხშირად იხმარება **რაც (არ) უნდა იყოს** ტიპის შესიტყვებებში, რ-ებიც მსჯელობის კატეგორიულობითა და მაქსიმალიზმით გამოირჩევიან: („რასაც (არ) უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ერთს ვფიქრობ").

ლიტ. იხ. სტატიასთან *აწმყო*.

ა. პაპიძე.

** აწყური**, სოფელი ახალციხის რნში. ქართ. წყაროებში აწყუერის სახელითაც გვხვდება. მატიანეში პირველად XI ს. შუა წლებში იხსენიება. ა-ში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართ. კულტურის, სას.-საეკლ. ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენლები. მათ შორისაა ეფრემ მაწყვერელი, გრი-



ა წ ყ უ რ ი ს ც ი ხ ე.

გოლ ხანძთელის მოწაფე, რ-იც უფრემ დიდის სახელით არის ცნობილი. მას უკავშირდება ქართ. ეკლესიის მიერ მირონის კურთხევის უფლების მოპოვება.

ა-ის ეპარქიისა და ლიტ.-საგანმან. კერის თვალსაჩინო წარმომადგენელია გიორგი მაწყვერელი. XI ს-იდან ცნობილია კალიგრაფი გაბრიელი, რ-საც ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის დავალებით 1053 გადაუწერია იოანე ოქროპირის იოანეს თავის თარგმანება (K № 21); XVI ს-ში აქ მოღვაწეობდნენ გადამწერი გრიგოლი, რ-საც ქაიხოსრო ფანასკერტელ-ციციშვილის ბრძანებით 1538 გადაუნუსხავს მარხვანი (H № 1698), და იოაკიმე მაწყვერელი, რ-მაც სვიმეონ კარგარეთელს დაავალა პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნ. კრებულის (S № 312) გადაწერა. 1575 იერემია მაწყვერელმა მანოელ ინანიკაშვილს გადააწერინა მარხვანი (Q № 657) და სხვ.

ლიტ.: მ ე ს ნ ა ხ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მურნაბდე.

აბარული, ქართული ენის დიალექტი. გავრცელებულია აჭარაში და ისტ. აჭარის იმ ტერიტორიაზე, რ-იც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული, აგრეთვე გურიის რამდენიმე სოფელში (ზოტი, ჩხაკორა, ქვაბღა). XX ს. ბოლოს სტიქიური მოვლენების გამო მოხდა მთიანი აჭარის მკვიდრთა მიგრაცია საქართვ. სხვადასხვა კუთხეში.

ა. იყოფა ზემო- და ქვემოაჭარულ კილოკავებად. არის ტენდენცია ქვემოაჭარულიდან ქობულეთური კილოკავის გამოცალკევებისა. კილოკავები ძირითადად ხეობათა მეტყველების მიხედვით ნაწევრდება თქმებად და ქცევებად. ა-ის თავისებურებანი განაპირობა ჯერ *ხანური ენის*, შემდეგ მეხურ-კლარჯული და გურული დიალექტების გარემოცვამ, ბოლოს თურქ. ენის სუგაილენამ.

ა-ის ფონეტ. ინვენტარში დასტურდება ნახევარხმოვნები ჲ, უ და გრძელი ხმოვნები ა, ე, ი, უ. რებიც ფონეტ. ცვლილებათა შედეგად მიიღება და შესაბამის ფონემათა ვარიანტებს წარმოადგენს. ქვემოაჭარულისათვის ნიშანდობლივია სუსტი რ ბგერა (ლა'ზურის მსგავსი), რ-იც შეიძლება უკანასკნელად დაიკარგოს (თანხმოვნებს შორის, თაქიდურში თანხმოვნის წინ) ან შეერწყას მეზობელ ხმოვანს და შესძინოს საკომპენსაციო სიგრძე: კრ- (რკო), სრბილი...

ხმოვანკომპლექსთა ცვლის პროცესები ა-ში ხასიათდება ერთხმოვნობისაკენ მიდრეკილებით, რაც საბოლოოდ გრძელი ხმოვნებისა და დიფთონგების შექმნის შესაძლებლობაში აისახება. სიტყვის თაქიდურში ხშირად აქვს ადგილი ასიმილაციის გზით მიღებულ იენტურ ხმოვანთა შერწყმას: აუ > ოუ > უუ > უ (დუწერა, მუტანა), ეუ > ოუ > უუ > უ (შუნახა), აე > ეე > ე (დეკიდა). ა-თვის დამახასიათებელია რეგრესული დისტანციური ასიმილაცია I და II ობიექტ. პირის ფორმებში (დიგიწერა, შიგიჭამა, გიგვიკეთა). სიტყვის თაქიდურშიც და ბოლოკიდურშიც შესაძლებელია პოსიციურად შეპირობებული დიფთონგიზაცია: ეი (< აი) – გვიკეთა, ეუ (< ავი) – დეუფიქრე, წეუდა, ოუ (< უ) – დოურიგა, ეუ (< ეულ) – ტკბილისეული, აუ (< აურ) – მახინჯაური, ეე (< ოვე) – წამეულ, გეეთხუე.

ზმნის მორფოლოგიიდან ა-თვის ნიშანდობლივია II სუბიექტ. და III ობიექტ. პირის ნიშნად არასისტემატური ხმარება პოსიციურად შეპირობებული ჰ-, ს-, შ-, ჯ-, ხ-, ღ- და კონტამინირებული ჰს-, ჰშ-, ჰხ- ვარიანტებისა: შეჰპაიჯა, სთესედა, ეშჰამდით, მიჰსცა, გაჰშქრა. ქობულეთურ მეტყველებაში პირის ნიშნის ხ- და ღ- ვარიანტის მომდევნოდ იკარგება ჰომორგანული ფუძისეული ყ და გ თანხმოვნები: ხოლია < ხყოლია, ხავს <ხყავს, მიხავს <მიხყავს, ღონია < ღგონია.

ზმნოვ.არულში სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად ჩნდება ენ (< ნ) ფორმანტი. ინოვაციას წარმოადგენს ამ ფორმანტის გავრცელება პრეფიქსიანი ენებითის ანალოგიით სხვა ტიპის ზმნებზეც: დეველიტენით ჩვენ, პკითხენით თქვენ მას ის, ეიცხოვრენით ჩვენ, გავრიგდნეთ ჩვენ.

მეტად მნიშვნელოვანია ა-ის მონაცემები ზმნაში ობიექტ. პირის რიცხვის აღნიშვნის სისტემის შესწავლის თვალსაზრისით: ობიექტ. II პირის რიცხვი პირდაპირი წყობის ზმნებში არ აღინიშნება („მე თქვენ თავიდან ვერ მოგიხმარე"), მაგრამ სისტემატურად აღინიშნება მიცემითბრუნვიანი აქტიური პირის მრავლობითობა დრო-კილოთა III სერიის ინვერსიულ ფორმებში და ე. წ. ინვერსიულ ზმნებში, რისთვისაც გამოიყენება სუფიქსები: -ან, -ენ, -ნ, -ეს. მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით შეესაბამება ძვ. ქართულის სისტემას: -ან – აწმყო, I თურმეობითი (ყვანან, მუკლავან მათ იგი), -ენ – ნამყო დროები (ქონდენ, გუჭირდენ), -ნ – კავშირებიები (გიყვარდენ, წიყვანენ), -ეს – II თურმეობითი (წიყვანეს მათ იგი).

კირნათ-მარადიდულისათვის სპეციფიკურია I ობიექტ. პირის მრავლობითობის გამოხატვა სუფიქსაციის გზით (სუფიქსებით: -ან, -ენ, -ეს, -თ): მიმყავან „მიგვყავს", დემენატრენ „მოგვენატრა", მეკნეს „გვეკნა", დიმიწერეთ „დაგვიწერე".

-ავ და -ამ თემის ნიშნები ა-ში გახმოვანებას იცვლიან. თქმათა მიხედვით დასტურდება პარალელური ფორმები: მალევდა II მალევიდა, დადგემდეს II დადგმიდეს.

ჟურადღებას იქცევს ზმნისართთა გაფორმება -აჲ დაბოლოებით: ღუკითხაჲა, ძილაჲ, აველაჲ. ამ ტიპის ზმნისართები მეტწილად ეით. ბრუნვის ფორმისაგან მომდინარეა. ადგილის ზმნისართები აქ-, იქ- დაირთაენ -ში, -ზე თანდებულებს: იქში, მაგზე (> მაქსე).

ა-ის თავისებურებაა სინტაქსურ კონსტრუქციებში ნაცვალსახელის მან ფორმის გამოყენება სახელობითის ფუნქციით („ქურდი მან იყო"; „იგზე აველაჲ მან მოკლეს"). ქვემოაჭარულის ზოგ უბანში გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნა ერგატიული კონსტრუქციით იხმარება დრო-კილოთა I სერიაშიც, რასაც ჭანურის გაველენით ხსნიან: „გოგომ დანა ატარებდა"; „ქალებმა ცალკე იცეკვებდენ".

ა-ის ლექსიკა გამოირჩევა ნაწარმოებ სიტყვათა სიუხვითა და ორიგინალობით, შინამრეწველობის ამსახველი ლექსიკური მასალის მრავალფეროვნებით. სიტყვაწარმოებით საშუალებათაგან ყურადღებას იქცევს ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი და–ო (დამცრო), წარმომავლობის -არ სუფიქსი (ჩხუტუნარი, ქედქედარი); -ურ სუფიქსი ქალის სადაურობის აღნიშვნის ფუნქციით (ბათუმურაი); -ფხე – ქალის გვარსახელური წარმომავლობის მაწარმოებელი (ინაიფხე „ინაიშვილის ქალი"). ჭარბადაა წარმოდგენილი არქაული სიტყვები (გარგანი, კელობს, ნამსხმანი), დიალექტური ინოვაციები (ბაძაგნარი, დაკიჟანება, დანაძირება), ზანიზმები (დუდი, მოჭვა, კუჩხე) და თურქ. ნასესხობანი (ტაჲა, ემია, დოლაბი).

ლიტ.: ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათუმი, 1972; ნ ი ჟ ა რ ა ძ ე შ., აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975; ს უ რ მ ა ვ ა ნ., პირთა მრავლობითობის აღნიშვნის საკითხისათვის აჭარულში. – «დიალექტოლოგიური კრებული», თბ., 1988; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989. *ნ. სურმავა.*

ახვლედიანი გიორგი სარიდანის ძე (13. IV. 1887, სოფ. დერჩი, ახლანდ. წყალტუბოს ზონა, – 7. VII. 1973, თბილისი), ენათმეცნიერი, თსუ-ის პროფესორი (1918), სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1939), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), თბილ. სახელმწ. უნ-ტის დამფუძნებელი საზ-ბისა და ამავე უნ-ტის პროფესორთა პირველი კოლეგიის წევრი, საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1943), ჩრდ.-ოსეთის ავტონ. რესპ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967); ექსპერ. ფონეტ. საერთაშ. საზ-ბის (1932) და ამერიკის ლინგვისტური საზ-ბის (1940) წევრი; ა. იყო ინიციატორი ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის (მუშაობდა დირექტორად), ქუთ. პედ. ინ-ტის (მუშაობდა სასწ. ნაწილის გამგედ) და თბილისის უცხო ენათა პედ. ინ-ტის (მუშაობდა სამეცნ. კონსულტანტად) დაარსებისა; მისი თაოსნობით შეიქმნა სამეცნ.-სასწ. დაწესებულებები ჩრდ. ოსეთსა და ცხინვალში; ა. იყო თსუ ბ-კის დირექტორი; *ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების* დამფუძნე-



გ. ახვლედიანი.

ბის მოთავე და მისი უცვლელი თავ-რე (1923–32); დააარსა და გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თსუ ზოგადი ენათმეცნ. კათედრას; დააარსა თსუ და ენიმ-კის ფონეტ. კაბინეტები; მისივე ინიციატივით (პროფ. ს. ჟღენტთან ერთად) გაიხსნა ექსპერ. ფონეტ. ლაბორატორია თსუ-ში; იყო თავმჯდომარე საქართვ. თეატრ. საზ-ბის სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოსი; აქტიურად თანამშრომლობდა „ბოლშაია სოვეტსკაია ენციკლოპედიასთან", „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის", „რუსულ-ქართული ლექსიკონის" სარედაქციო საბჭოებთან.

ა-მა დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1914). სტუდენტობის წლებში დაწერილი სამეცნ. ნაშრომისათვის „ნარნარა და ცხვირისმიერ თანხმოვანთა ისტორიისათვის სანსკრიტში, ბერძნულში, ლათინურსა და სლავურ ენებში" ოქროს მედალი მიენიჭა. უნ-ტის დამთავრების შემდეგ მიწვეულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად შედარებითი ინდოევრ. ენების კათედრაზე (1915) და მალე პეტერბურგის უნ-ტში მიავლინეს, სადაც მისი ხელმძღვანელები იყვნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები, აკადემიკოსები: ნ. მარი (ქართველოლოგიაში), ნ. ზალემანი (ირანისტიკაში), თ. შჩერბატსკოი (ინდურ ფილოლოგიაში), ლ. შჩერბა (ზოგად ექსპერ. ფონეტიკაში). თსუ-ის გახსნის დღიდანვე (1918) ა. ქართ. მეცნიერებას ემსახურებოდა. 1918–19 დაიბეჭდა მისი „ენათმეცნიერების შესავალი" სამ ნაკვეთად. ეს იყო ქართ. ენაზე გამოცემული პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. მასში თეორ. საკითხების საილუსტრაციოდ მოყვანილი იყო ქართ. ენის მასალა. ამას მოჰყვა „რუსული ენის გრამატიკა" (1919), „სანსკრიტის მოკლე გრამატიკა" (1920) „რუსულ-ქართული ლექსიკონი" (ს. იორდანიშვილთან ერთად, I ნაწ., 1931, II ნაწ., 1935), „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" (1933), „რუსული ენის გრამატიკა" (1938, რუს. ენაზე, რუს. სკოლებისათვის), „რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო" (მე-4 გამოც. 1953, რუს. ენაზე, ქართ. სკოლებისათვის), „ქართულ-რუსული ლექსიკონი" (ვ. თოფურიასთან ერთად, 1942). 1938 გამოვიდა I ნაწ. მისი ფუნდამენტური ნაშრომისა „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საფუძვლები", ხოლო შემდეგ, შევსებული სახით, – „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები" (1949, მე-2 გამოც. 1999). ა-ის რედაქციით გამოიცა კოლექტიური შრომა „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები" (1972).

ა-ის სამეცნ. შრომები ფილოლ. მრავალ დარგს მოიცავს. იგი იკვლევდა ქართველური, კავკ. ენების, ინდურის, ირანულის, გერმანულის, ფრანგულის, ძვ. ისლანდიურის, სლავურის, ოსურისა და სხვ. ინდოევრ. ენათა საკითხებს. განსაკუთრებით დიდია ა-ის დამსახურება ოსური ენის კვლევაში. მისი რედაქციით გამოიცა ოსური ენის აკად. გრამატიკა (ტ. 1–2, ორჯონიკიძე, 1963). ცალკე აღნიშვნის ღირსია ა-ის მოღვაწეობა პედ. ასპარეზზე. მან საფუძველი ჩაუყარა ევრ. ტიპის ზოგადენათმეცნიერულ განათლებას საქართველოში. თსუ-ის დაარსებიდან 80-იან წლებამდე მისი ხელმძღვანელობით მომზადდა კადრები ინდოევროპეისტიკის დარგებში (გერმანისტიკა, რომანისტიკა, რუსისტიკა, ირანისტიკა, ინდოლოგია, ოსოლოგია); საფუძველი ჩაუყარა ქართველურ ენათა ფონეტიკის თეორ. და ექსპერ. შესწავლას; მისი შექმნილი პროგრამებით იკვლევდნენ მთის კავკ. ენათა ბგერით ინვენტარს. ა-ის დამსახურებაა ლოგოპედიის, როგორც ფონეტიკის

გამოყენებითი დარგის, დანერგა-განვითარება საქართველოში. იგი საქართვ. უმაღლეს სასწავლებლებში ათეული წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ინდოევროპეისტულ და ქართ. ენათმეცნიერებაში, ლოგოპედიისა და სასცენო მეტყველების საკითხებზე, დას. ევრ. ლიტ-რის ისტორიაში.

ა. იკელეიდა თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს; თარგმნა ძვ. ინდურიდან „დასაბამი ნიეთთა“ (პიმნი რიგვედიდან), ავესტურიდან – „ავესტა“ (17 გათა). ა. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენაში. 1920-იდან თანამშრომლობდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიასთან“.

თხზ. (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): მკვეთრი ხშულნი ქართულში. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1922–23, ტ. 2; Dativus predicativus ოსურ ენაში. – იქვე, ტ. 3, 1923; მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისთვის. – «მიმომხილველი», წგ. I, თბ., 1926; ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, I – ქართველური ენები, თბ., 1937 (თანაავტ. ს. ჯღენტი და ე. ფანჩვიძე); ფონეტიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, II. კავკასიური ენები, თბ., 1940 (თანაავტ. ს. ჯღენტი); ავესტის თრაეტაონა და ქართული ზღაპრის თრითინო. – «ლიტერატურული ძიებანი», II, თბ., 1944; გუტურალთა რეგრესიულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში, «ფსიქოლოგია», III, თბ., 1945; თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების საკითხისათვის ქართულში. – «თსუ შრომები», 1947, ტ. 30–31 ხ.

ლიტ.: ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., გიორგი ახელედიანი, თბ., 1967; თბილისის უნივერსიტეტი – გიორგი ახელედიანს საიუბილეო კრ., მიძღვნილი გიორგი ახელედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი», თბ., 1969; გიორგი ახელედიანი. ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1978

ა. ფოცხიშვილი.

ახტალის წარწერა 1242–50. ქართული ასომთავრული წარწერა, შესრულებული ხევური („თხსული“) დამწერლობით 10 სტრიქონად ქვის სამ ფილაზე. ფილები ჩასმულია ახტალის კათედრალური ტაძრის (სომხეთი) მოპირდაპირე გორაკზე მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის დას. შესასვლელის ზემოთ. წარწერის ტექსტი ასეთია:

„† მე, უღირსი და სულითა საწყალობელი წინამძღუარი პეტრე ღირს ვიქმენ აღშენებად ეგუტრისა ამის სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა სადიდებლად მათდა და პირველ პატრონთა და გამრდელთა, ღირსთთა(!) ჩუენთა, სამლოცველოდ და სულისა ჩემისა სალოცველ-საჴსენებლად. და განვიანე ათორმეტთა მოციქულთა ღღესასწაული, მეორე დღე. ვინცა ჩემისა გუარისა კაცი იყოს, მისისა ძალისაებრ ძმათა გამიჴსენებდეს და იგი ჟამი [ი]წირვებოდეს და მე თქუენთა ლოცვათა შინა მომიჴსენებდეთ. და უკუეთუ ჩემთა ცოდვათა მისაგებელი მომაგოს ღმერთმან და ჩემისა გუარისა კაცი აღარავინ იყოს, თქუენ, ქრისტეს მოყუარენო და მზგაესნო მამანო წმიდანო და ყოველნიე(!) ძმანო, ვინცა პატრონისა ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა, ჩემგინით აღშენებულსა ზედა ღირს იყოს და აღირსოთ, პირველ პატრონთა და თქუენცა, სული მანეე იურვოს დაუკლებელად. ჩემითა ჴელითა და ძმისწულისა ჩემისა ილარიონისითა აგჳშენებია და არავინ გუემართლების უჴსენებლობასა.

ესე ჩემგინით გაჩენილი, ანუ ჩუენისა გუარისა კაცმან, ანუ ვინ სხუაე შემოვიდეს და დააკლოს და შეცვალოს, შე-მცა-იცვალების შჯულისაგან ქრისტიანეთაჲსა და ცოდვათა ჩემთა პასუხი მან გასცეს წინაშე ღმრთისა“.

წარწერის აეტორი – წინამძღვარი პეტრე და მისი ძმისწული ილარიონი სხვა წყაროებში არ მოიხსენიება, თუმცა პეტრე ავაგ ათაბაგთან ერთად იხსენიება ახტალის მიდამოებში მდებარე ნასოფლარ აიორის ერთი სომხ. ხაჩქარის (ქვაჯვრის) წარწერაში, რ-საც თარიღად უსის 1245 წელი.

ა. წ-ში იხსენიება საქართვ. ისტორიაში ცნობილი ავაგ ათაბაგი, რ-ის სამწირველოც პეტრე წინამძღვარს აუშენებია. ავაგი იყო ასევე ცნობილი ათაბაგის ივანე მხარგრძელის შვილი. ჯამთააღმწერლის ცნობით, მას ათაბაგობა უბოძა მეფე რუსუდანმა, საქარაუდოდ, 1242. გარდაიცვალა ათაბაგი 1250, მაშასადამე, წარწერა 1242–50 თარიღდება.

პეტრე წინამძღვრის მიერ თავისი სულის „სალოცველ-საჴსენებლად“ დადგენილი დღე, „ათორმეტთა მოციქულთა ღღესასწაულის მეორე ღღე“ საეკლ. კალენდრით I ივლისია (ათორმეტთა მოციქულთა ღღესასწაულია 30 ივნისს – ძვ. სტ.).

ა. წ., როგორც წერილობითი ძეგლი, პალეოგრაფიულად მეტად მნიშვნელოვანია – იგი ხევური, ანუ თხსული ლაპიდარული დამწერლობის შესანიშნაი ნიმუშია.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ლ., ლიტერატურის ქართული ეპიგრაფიკა. – «თსუ შრომები», 1964, ტ. 108; მ უ რ ა ღ ი ნ ი პ., სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა (სომხ. ენაზე), ერევანი, 1977; Такайшвили Е. С., Грузинские надписи Ахталы. – «СМОМПК», вып. XXIX, Тфл., 1896.

ვ. სილოგავა.



ახტალის წარწერა. XIII ს. შუა წლები.



ბ, ქართული ანბანის მეორე ასო. მისი სახელია „ბანი“; გრაფ. სიმბოლო ბილაბიალური (წყვილბაგისმიერი) მკვეთრი ხშული ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴁ. მისი მოხაზულობა სწორი ხაზებისა და პატარა წრის კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. VII ს-იდან იგი თავგახსნილია. ნუსხური ყ ოდნავ მარჯვნივ არის გადახრილი და ოთხხაზოვანი სისტემის ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრული ბ-ს ქვედა ნაწილი წრეს კრავს და ზედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ორს (2), ახ. ქართულში ჩამოთვლისას (ანბანის რიგის მიხედვით) აღნიშნავს მეორეს. ციფრობრივი ნუმერაციის დროს გამოიყენება ერთი და იმავე ნომრით აღნიშნული რამდენიმე საგნის, პუნქტის... განსასხვაებლად: მეათე პუნქტის ბ მუხლი...

ბაგრატის ტაძრის წარწერები, X–XVIII სს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ჯგუფი. 20-ზე მეტი წარწერა ბაგრატის ტაძრის (ქ. ქუთაისში) კედლებსა და ტაძრის მიდამოებში არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილ ძეგლებზე. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაძრის აღმ. და ჩრდ. ფასადებზე ამოკვეთილი და სამშენებლო კერამიკაზე შესრულებული წარწერები. ტაძრის მთავარი, შინაარსით საამშენებლო, წარწერა ამოკვეთილია აღმ. ფასადზე. იგი შესრულებულია *კიდურწაისრული დამწერლობით*, ადგილ-ადგილ ასოთა შეწიაღებით. მას აშკარად გარკვეული მხატვრული ფუნქცია აკისრია და ფასადის დეკორ. გაფორმების ნაწილია. ტექსტი ასეთია:

„† შეწევნითა ღმრთისაჲთა. ბაგრატისაგან – ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა მეფ[ისა და კურაპალატისა და დედისა მა]თისა – გუარანდუხტ დედოფლისა, აღეშენა წმიდაჲ ესე საყდარი ჴელითა...“.

ტექსტში იხსენიებიან ფეოდ. ხანის ერთიანი საქართვ. პირველი მეფე ბაგრატ III (975/78–1014) და დედამისი გურანდუხტ დედოფალი. ბაგრატ III-ის ტიტულის მიხედვით, წარწერა 1001–08 თარიღდება. კედლიდან ქვების ჩამოცვენის გამო ტექსტის შუა და ბოლო ნაწილი ნაკლულია. ეს ქვები ამჟამად არსად ჩანს (წარწერა ასეთი ნაკლული იყო მისი პირველი შესწავლის დროსაც – XIX ს. 30-იანი წლები). ტექსტის შუა ნაწილის აღდგენა ადვილად შეიძლება სხვა წარწერებით (ხცისის, ნიკორწმინდის, კაცხის და სხვ.), რ-ებშიც ბაგრატ III იხსენიება. ტექსტის ბოლოს მოთავსებული ყოფილა ხუროთმოძღვრის სახელი (შეიძლება ტაძრის აშენების თარიღიც). ტაძრის ჩრდ. ფასადზე, კედლის აღმ. მონაკვეთში ჩასმულ დიდი ზომის ქვის ფილაზე ამოკვეთილია ორი წარწერა. შედარებით ერცელია მარცხენა, 6-სტრიქონიანი წარწერა:

„† ჲ, მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფჱ, თანა: მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამენ“.

წარწერა შინაარსით მემორიალურია – ბაგრატ III-ის განმადიდებელი ტექსტია. მასში, ყველა სხვა წარწერისაგან განსხვავებით, რ-ებშიც ბაგრატ III იხსენიება, მეფის ტიტული – კურაპალატი პირველ ადგილზეა აღნიშნული. ამიტომ წარწერა ბაგრატ III-თვის ბიზანტ. ტიტულის, კურაპალატის მინიჭებასთან დაკავშირებით უნდა იყოს შესრულებული და დაახ-



ბაგრატის ტაძარი. მეფე გიორგი I-ის წარწერა.



ბაგრატის ტაძარი. ანტონ ქუთაელის წარწერა.

ლოებით 1001 თარიღდება. მარჯვენიე ამოკვეთილი წარწერა ორსტრიქონიანია: „† ოდეს განმტკიცა იატაკი, ქრონიკონი იყო 223“, ე. ი. 1003. იატაკის დაგება მშენებლობის ბოლო ეტაპია და, ამდენად, წარწერა მიუთითებს ტაძრის მშენებლობის დამთავრების დროს. ტექსტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მე-2 სტრიქონში თარიღი აღნიშნულია ინდ.-არაბ. ციფრებით და არა ასოებით, როგორც იმჟამად საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ითვლება, რომ ეს არის თარიღის დასმისას ინდ.-არაბ. ციფრების გამოყენების პირველი შემთხვევა არა მარტო ქართ. წერილობით ძეგლებში, არამედ მთელ ქრისტ. აღმოსავლეთში.

ტაძრის გარშემო არქეოლ. გათხრების დროს აღმოჩნდა ძვ. სამშენებლო კერამიკის ნარჩენები რელიეფური წარწერებით, რ-თაგან მნიშვნელოვანია ანტეფიქსებზე შესრულებული ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფის ტექსტია: „ქრისტე, აღიდე გიორგი მეფე“, ხოლო მეორე ჯგუფის ერთადერთ მოღწეულ ანტეფიქსზე იკითხება: „ანტონი შეიწყალე [ან: აღიდე] ღმერთმან“. პირველში მოხსენიებული გიორგი მეფე არის გიორგი I (1014–27), ხოლო მეორეში მოხსენიებული ანტონი უნდა იყოს სას. პირი, შესაძლებელია, პირველი ქუთათელი მღვდელმთავარი, რ-საც მონაწილეობა მიუღია ტაძრის გადახურვაში. ანტეფიქსები პირველი ჯგუფის წარწერებით, როგორც ჩანს, ტაძრის მშენებლობის მეორე ეტაპის – კარიბჭეების თავდაპირველი გადახურვის ნაშთებია.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 2. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980; ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ., ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან. – «ქუთაისის სახელმწ. უნ-ტის მოამბე». 1995. ტ. 4 (ქართ. და ინგლ. ენებზე). *ვ. სილოგავა.*

ბანა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცენტრი ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, მდ. ბანას მარჯვენა ნაპირას, სოფ. ფენიაქიდან 2 კმ-ზე, ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. აშენებულია VII ს-ში, რესტავრირებულია IX–X სს. მიჯნაზე, სოგჯერ ბ. მეფეთა სამყოფელი და საძვალეც იყო.

X–XI სს-ში ბ-ში მოღვაწე ბაქარია ბანელის, ანუ ვალაშკერტელის თაოსნობით მრავალი მნიშვნელოვანი ხელნაწერი შეიქმნა. მისი დავალებით, კონსტანტინოპოლელ ქართვ. მოღვაწეს – ბასილ ეტრადოს 1031 გადაუწერია ცხოვრება და სიტყვები გრიგოლ ღვთისმეტყველისა (A-1), რჯულისკანონი (S-143), მცირე სვინაქსარი და სხვ. ბ-ში დამზადებული წიგნებიდან ჩვენთვის ცნობილია საბაწმინდის ტიპიკონი (A-647), გადაწერილი მეფის ასულ ქეთევანისათვის 1511.

ლიტ.: ნ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ., 1936; მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი რ., თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ბანას ტაძარი. შესწავლის და რეკონსტრუქციის საკითხები, თბ., 1989; მ ე ნ ა ბ დ ე ლ ი., ძველი ქართული კულტურის ცენტრები, თბ., 1992. *ლ. მენაბდე.*

ბარბარიზმი (< ბერძნ. barbaros – უცხო), მშობლიურ ენაში საჭიროების გარეშე უცხო სიტყვის ან გამოთქმის შემოტანა (ან არსებული სიტყვის ნაწილობრივი შეცვლა), გაუმართლებელი ნასესხობა, რ-საც მსესხებელ ენაში შესატყვისი სიტყვა-ტერმინი მოუპოვება. ბ-ები ენათა სპეირი (უმეტესად) და წერილობითი კონტაქტების შედეგია. ქართულისათვის ბ-ებია რუსულიდან შემოსული სიტყვები: „სპიჩკა“ (ასანთი), „შკაფი“ (კარადა, განჯინა), „აკოშკა“ (ფანჯარა), „დანოსი“ (ბეჭდობა), „პრიკაზი“ (ბრძანება), „სპორი“ (კამათი) და სხვ. ბ-ებად ითვლება აგრეთვე ამგვარი უცხო სიტყვების ფუძეთაგან დედაენის სიტყვაწარმოებითი აფიქსებით გაფორმებული ერთეულებიც. მაგ.: „დამიპრიკაზა“ (მიბრძანა), „ჩააკარტიჩკა“ (ფოტოსურათი გადაუღო), „რას მესპორები!“ (რას მეკამათები!), „ჩაშკა-ლოფკასავით“ არიან (ერთმანეთის შესაფერისნი არიან; ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა)...

ბ-ების ერთ-ერთი ნაირსახეობაა *კალკი*. ბ-ებად ითვლება უცხო ენის აფიქსებით გაფორმებული პირთა საკუთარი სახელებიც: ანიჩკა (შდრ.: ანიკო, ანუკა), ეერიჩკა (შდრ.: ეერიკო), ეანიჩკა (შდრ.: ეანო, ეანიკო)...

საერთაშ. სიტყვა-ტერმინები, ე. წ. *ინტერნაციონალიზმები*, ჩვეულებრივ, ბ-ად არ ფასდება. მაგ.: „ისტორია“, „ფილოსოფია“, „პოლიტიკა“, „ლიტერატურა“, „კრიტიკა“... ბ-ებისა და ინტერნაციონალიზმების მიმართ განსხვავებული პოზიცია მკაფიოდაა გამოკვეთილი ი. ჭავჭავაძის სიტყვებში: «მე „ოსტროვები“, „ლინიები“,... ამისთვის დავძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან



ბანა. ეკლესია.

ჩვენს ენაში...», ხოლო „კრიტიკის" «...თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ... „კრიტიკა" არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად». ინტერნაციონალიზმებისა და სხვ. ისეთი ნასესხობებისაგან განსხვავებით, რაც მსესხებელ ენაში შესატყვისი სიტყვა ან გამოთქმა არ მოეპოვებათ, ბ-ების სიჭარბე ენაში მის ლექსიკურ სიმდიდრეს არ მოასწავებს.

ტრადიციული გაგებით (ევრ. ენათმეცნიერებაში), ტერმინი ბ. აღნიშნავს სიტყვის ფორმის დამახინჯებას უცხო ენის გაელენით. ამ აზრით ბ. უპირისპირდება სოლეციზმს, რ-იც გულისხმობს ამაღე მიზეზით გამოწვეულ სინტაქსურ შეუთავსებლობას სიტყვებს შორის (მაგ., ინგლ. those page – სიტყვასიტყვით: „ისინი გვერდი"). *შ. აფრიდონიძე.*

ბასილაია ნიკანდრო ერასტის ძე (14. VI. 1906, სოხუმი, – 15. VIII. 1986, იქვე), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი. 1924 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი. იმავე წელს დაიწყო მუშაობა ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად. სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტის დაარსებიდან 1969-მდე ხელმძღვანელობდა ქართ. ენისა და ლიტ-რის კათედრას, ხოლო მისი გაყოფის შემდეგ სამი წელი ქართ. ენის კათედრას ედგა სათაეში. 1940–47 იყო სოხუმის პედ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე სასწ.-სამეცნ. დარგში.

ბ. ავტორია მრავალი ნაშრომისა, მ. შ. 11 წიგნისა, რომელთაგან აღსანიშნავია „ქართული ლიტერატურა" (სახელმძღვანელოები არაქართული სკოლების VII–IX კლასებისათვის), სოხუმი, 1945–46 და სხვ.

თხზ.: ქართული მართლწერის საკითხები, I–II, სოხუმი, 1960; სასვენი ნიშნების ხმარების წესები ქართულში, თბ., 1966; უკავშირო რთული წინადადება, თბ., 1974; შემასმენელი და შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ქართულში, სოხუმი, 1974; წინადადების ტიპები მტკიცებისა და შინაარს-ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით, თბ., 1983; ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991 (თანაავტ. ტ. ქეცბაია).

ო. მიქიაშვილი.

ბასკური ენა, ესპანეთსა (ბასკურ პროვინციებში – ნავარა, გიპუსკოა, ბისკაია, ალავა) და საფრანგეთში (ქვემო პირენეს დეპარტამენტი) მცხოვრები ხალხის – ბასკების ენა. ლაპარაკობს დაახლ. 930 ათ. კაცი (1972 წლის მდგომარეობით). ლათ. ამერიკაში 250 ათასამდე ბასკი ემიგრანტია.

ბ. ე-ის ფონემატურ სისტემაში დადასტურებულია 28 ფონემა – 5 ხმოვანი (a, e, i, o, u) და 23 თანხმოვანი (p, b, t, t′, d, k, g, m, n, n′, r, ṛ, l, l′, c, č, č′, f, s, š, š′, j, h). ხშულ თანხმოვანთა ჯგუფში ერთმანეთს უპირისპირდება მჟღერი და ყრუ, ხოლო ყრუ ალვეოლარული აფრიკატებისა და სპირანტების ჯგუფში – სისინა და ნახევრად შიშინა. არის პალატალიზებული თანხმოვნებიც.

ბ. ე-ში სიტყვის პირველადი ძირი უმეტესად ერთმარცვლიანია (lur „მიწა", hur „წყალი", su „ცეცხლი", hor „ძაღლი", bil „სველა" და სხვ.). ორმარცვლიანი ძირები ისტორიულად მყორეული უნდა იყოს.

ტიპოლოგიურად ბ. ე. აგლუტინაციური ენაა. სიტყვათა წარმოქმნა ხორციელდება როგორც აფიქსებით, ისე ფუძეთა შეკავშირებით. ძირითადი მეტყველების ნაწილებია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, არტიკლი, ზმნა, ზმნისართი, თანდებული, კავშირი. სახელს აქვს ბრუნების, რიცხვისა და განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიები. ბრუნება ერთია. გამოიყოფა 8 ბრუნვა: სახელობითი (გადმოსცემს გარდაუვალი ზმნის ქვემდებარესა და გარდამავალი ზმნის პირდაპირ დამატებას), საგანგებო ბრუნვა – აგენტივი, ანუ ერგატივი (აღნიშნავს გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს); დანარჩენი ბრუნვებია: ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, მიმართულებითი (ალატივი), ადგილობითი (ლოკატივი) და დაშორებითი (სეპარატივი).

ზმნა განარჩევს *პირის, რიცხვის, დროის, კილოს, კონტაქტის* კატეგორიებს. ზმნის უღლილება პოლიპერსონალურია, ე. ი. ზმნაში წარმოდგენილია როგორც სუბიექტ., ისე პირდ. და ირ. ობიექტ. პირები. განირჩევა ზმნის სინთეზური და ანალიზური ფორმები. თელის სისტემა ოცობითია.

ბ. ე-ს აქვს რვა დიალექტი. წერილობითი ძეგლები გვეხება XVI ს-იდან, გრაფიკა ლათინურია. მწერლობაში აისახებოდა სხვადასხვა დიალექტი. ბოლო ხანს ორი (ლაბურდისა და გიპუსკოას) დიალექტის საფუძველზე ქალიბდება ერთიანი სალიტ. ბ. ე.

ბ. ე-ის წარმომავლობის საკითხი კარგა ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს. იგი არ არის ინდოევროპ. ენა. ბასკოლოგების საერთო აზრით, ბ. ე-ს საფუძვლად უნდა ედოს ენა აკვიტანიელებისა და გასკონებისა, რ-ებიც ძვ. და ახ. წ. მიჯნაზე ცხოვრობდნენ დას. პირენესა და მის მესობელ რ-ნებში. ძვ. ლათ. ტექსტებში დადასტურებული ცალკეული სიტყვები (მეტწილად პირთა სახელები და ტოპონიმები) ამ ტომების ენებიდან სავსებით ემთხვევა ბ. ე-ის მასალას.

სხვადასხვა დროს ბ. ე-ს ადარებდნენ ფინურ-უნგრულ (ლ. ლ. ბონაპარტი, ვ. ი. ვან ეისი), ქამიტურ (ჰ. შუხარდტი, ა. ტრომბეტი, ჰ. გ. მუკაროვსკი), ამერიკის ინდიელთა (ა. დ'აბადი, ქ. ჯ. ულენბეკი) ენებს, ძვ. ესპანეთის იბერიულ ენას (ვ. ჰუმბოლდტი, ჰ. შუხარდტი).

მკვლევართა ყურადღებას იპყრობს სიახლოვე ბ. ე-სა და იბერიულ-კავკ. ენებს, განსაკუთრებით მათი სამხრეთული ჯგუფის – ქართველურ ენებს შორის.



ნ. ბასილაია.

ლიტ.: ფოგტი ჰ., ბასკური და კავკასიური ენები, თარგმ. ფრანგულიდან. – «მიმომხილველი», VI–IX, თბ., 1972; ლაფონი რ., ბასკური ენა, თარგმ. ფრანგულიდან. – წგ.: ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, თბ., 1976; ძიძიგური შ., ბასკები და ქართველები, თბ., 1982; მისივე, ბასკურ-კავკასიური პრობლემა, თბ., 1981; Шишмарев В., Баскский язык. – Мисо: Очерки по истории языков Испании, М.–Л., 1941; Браун Я., Когда баски потеряли контакт с остальными картвельскими племенами. – «Rocznik orientalistyczny», t. XLVIII, cz. 2, Warzhawa, 1993; Mendizabal L., La lengua vasca. Gramatica, conversacion, diccionario vasco-castellano y castellano-vasco. B. Aires, 1943; Lafitte P., Grammaire basque (navarro-labourdin littéraire), Bayonne, 1962; Braun J., Euscaro-Caucasica. – «Encuentros Internacionales de Vascologos, Iker-1», Real Academia de la Lengua Vasca, Bilbao, 1981; მისივე, La langue basque parmi les autres: influences, com-



დ. ბაქრაძე.

paraisons. – «Actes du Colloque international de l'Ura 1055 du C. N. R. S.», Baigozzi, 1994; მ ი ს ი ვ ე. Verbos kartvelicos y vascos. – «Fontes Linguae Vasconum. Studia et documenta», XXXIII, 86, Bilbao. 2001.

ი. ბრაუნი.

ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე [26. X (7. XI). 1826, სოფ. ხაშმი, ს-ა გარეჯოს რ-ნი, – 10 (22). II. 1890, თბილისი], ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, ქართ. ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1879). დაამთავრა თბილ. სას. სასწავლებელი, შემდეგ მოსკ. სას. აკადემია (1850). 1851 საქართველოში დაბრუნდა. 1852–57 მუშაობდა გორის სამაზრო სკოლაში. ამავე პერიოდში აქვეყნებდა ისტ.-ეთნოგრ. წერილებს ქართ. და რუს. პერიოდულ პრესაში. 1858–61 მსახურობდა ქუთ. გუბერნატორის კანცელარიაში. 1861-იდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში, თანამშრომლობდა კავკ. არქეოგრაფიულ კომისიასთან. იყო ქართ. გამოცემების ცენზორი, თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიებს, ეწეოდა ინტენსიურ მეცნ. მუშაობას.

ბ. 1879 დ. *ყიფიანთან* და ი. *ჭავჭავაძესთან* ერთად აქტიურად მონაწილეობდა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* დაარსებაში. 1889 მისი ინიციატივით შეიქმნა ქართ. სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა XIX ს. საქართველოში – თბილისის საეკლესიო მუზეუმი. ბ-ის რედაქტორობით გამოქვეყნდა *იოანე ბატონიშვილის* „კალმასობა" (ნაწ. I, 1862), *ვახუშტი ბატონიშვილის* „საქართველოს ისტორია" (1885), *ვახტანგ VI-ის* კანონთა კრებულის რუს. თარგმანი (1887) და სხვ. წერდა ნარკვევებს საქართვ. ისტორიის ცალკეულ საკითხებზეც; 1889 გამოაქვეყნა ნაშრომი: „ისტორია საქართველოსი" (უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე). 80-იან წლებში ბ-მ მკაცრი პასუხი გასცა ქ. პატკანოვს, რ-იც ხელაღებით უარყოფდა „ქართლის ცხოვრების", როგორც ისტ. წყაროს, მნიშვნელობას. თავის ნაშრომებში ბ. დიდ ყურადღებას უთმობდა კულტურის ძეგლებს, მათ აღწერას, სალექსიკონო მასალას. 1875 ლექსიკონის სახით შეადგინა „კაეკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში" (რუს. ენაზე), რ-იც შეიცავს ცნობებს საქართვ. და სომხ. ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ.

XIX ს. II ნახ-ში ბ. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. სალიტ. ენის გამო გამართულ კამათში (იხ. *„მამათა"* და *„შვილთა" პრობლემა*). ჟურნ. «ცისკარში» (1860, №9) გამოქვეყნებული სტატიით მან მხარი დაუჭირა თავად ა. *ორბელიანის* მოთხოვნას, რომ სალიტ. ენა გამხდარიყო დარბაისლური (საშ. სტილის) და სამწერლობო ენა დაახლოებოდა სასაუბროს. მაგრამ, მისგან განსხვავებით, მიიჩნევდა, რომ სალიტ. ენას საფუძვლად უნდა დასდებოდა არა ლოგიკისა და გრამატიკის სახელმძღვანელოები, არამედ სას-ბის ცოცხალი მეტყველება და ჭეშმარიტ მწერალთა ნაწარმოებების ენა.

თხზ.: Сванетия. «Кавказ», 1861, №1–4; Краткий очерк Гурии; Чурук-су и Аджары. — «Известия Кавк. отдела Имп. русск. геогр. об-ва», т. 2, вып. 5, Тфл., 1873; Исторический очерк турецкой системы землевладения. Приложение к протоколу Кавк. юрид. об-ва, 1889, №9.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რ ნ., ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, თბ., 1938; დ უ მ ბ ა ძ ე მ., ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), ბათ., 1950.

თ. უთურგაიძე.

ბგერა, ფართო გაგებით, დრეკადი გარემოს ნაწილაკთა რხევითი მოძრაობა; ს ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ო ბ., ადამიანის მიერ გამოცემული და სმენით აღსაქმელი არტიკულაციურ-აკუსტიკური წარმონაქმნი. ბ. არის მეტყველების უმოკლესი ერთეული, რ-იც მონაწილეობს მნიშვნელობის მქონე ენობრივ ერთეულთა ბგერითი გარსის შექმნაში.

თითოეული ბ., როგორც რთული ფსიქოფიზიკური კომპლექსი, ხასიათდება სპეციფ. *არტიკულაციის*, შესაბამისი აკუსტიკური მახასიათებლებისა (იხ. *აკუსტიკა*) და აღქმის, *პერცეფციის* მიხედვით. არტიკულაციური თავისებურებები განსაზღვრავს ბ-თა დაჯგუფებას ძირითად კლასებად: *ხმოვნებად* და *თანხმოვნებად*. აკუსტიკური ფაქტორებითაა შეპირობებული ხმის წყაროებით გამოწვეული ბგერათწარმოქმნის თავისებურებები და სახმო რეზონატორებში შექმნილი სიხშირითი მახასიათებლები.

ბ. წარმოგვიდგება როგორც მეტყველების მინიმალური სეგმენტური ერთეული (მეტყველების ხაზოვანი ჯაჭვის შემადგენელი), მაგრამ მეტყველების ჯაჭვის დანაწევრება ბ-ებად მხოლოდ არტიკულაციურ-აკუსტიკურ თავისებურებებზე დაყრდნობით შეუძლებელია: რეალურად ყოველი ბ. მეტყველებაში წარმოდგენილია ერთმანეთისაგან ფიზიკურად განსხვავებული უამრავი ბგერითი რეალიზაციით, *ფონებით*. ეს განსხვავებები გამოწვეულია როგორც წარმოთქმის მანერით, ისე საწარმოთქმო პირობებით. სახელდობრ, რეალურად მეტყველების პროცესში ცალკე ბ. (გარდა იშვიათი გამონაკლისისა) არ გვხვდება. გაბმულ მეტყველებაში იგი არსებობს სხვა ბ-ების გარემოცვაში, რაც გავლენას ახდენს მის წარმოთქმაზე. ყოველი ბ-ის არტიკულაცია იწყება წინამაეალ ბ-ში და გრძელდება მომდევნოში (იხ. *კოარტიკულაცია*). ამდენად, მინიმალურ სამეტყველო ერთეულად (არტიკულაციურ-აკუსტიკური თვალსაზრისით) ფაქტობრივად გვევლინება *მარცვალი*.

ბგერითი ნაკადის სეგმენტაცია შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციური თვალსაზრისით, მოცემული ენის ფონემურ სისტემაზე (პერცეფციაზე) დამყარებით (იხ. *ფონემა*).

ბ-ები, როგორც გაბმული სამეტყველო ნაკადის შემადგენელი სეგმენტური ერთეულები, განსხვავდებიან ზესეგმენტური (სუპრასეგმენტური) ერთეულებისაგან, რ-ებიც ხემოდან ედებიან სეგმენტურ ერთეულებს და ქმნიან მათ რიტმიკულ-ინტონაციურ სახეს (იხ. *პროსოდია*).

ლიტ.: ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 (1999); Фант Г., Акустическая теория речеобразования, пер. с англ., М., 1964; Зиндер Л., Общая фонетика, Л., 1980; Ladefoged P., A Course in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975.

ზ. ჯაფარიძე.

ბგერათშესატყვისობები, კანონზომიერი ფონეტი-

კური შესატყვისობები, რეგულარული ფონემური შესატყვისობები, მონათესაეე ენათა *ფუძეებიდან* მომდინარე ენობრივ ელემენტებში – ძირეულ და აფიქსურ მორფემებში – ფონემათა რეგულარული სინქრონიული ურთიერთმიმართება, როდესაც ერთი ენის რომელიმე ფონემას მეორე ენაში რეგულარულად შეესატყვისება ერთი და იგივე ფონემა, ფონოლოგიურად მისი იდენტური, ან მისგან განსხვავებული. მაგალითები ქართველური ენებიდან: ქართ. ს (ასი) – ზანური შ (ოში „ასი") – სვან. შ (აშირ „ასი"); ქართ. ა (ასი) – ზანური ო (ოში) – სვან. ა (აშირ); ქართ. თ (დათვი) – ზანური თ (თუნთი „დათვი") – სვან. შდ (დაშდე „დათვი"); ქართ. ძ (ძაღლი) – ზანური ჯ (ჯოღორი „ძაღლი") – სვან. ჟ (ჟეღ „ძაღლი") და ა. შ.

ბ. არის ენათა ნათესაობის დადგენის აუცილებელი კრიტერიუმი, რადგანაც ეს არის ენათა შორის ისეთი მსგავსება, რ-იც მხოლოდ და მხოლოდ ენათა დიფერენციაციის პროცესში წარმოიქმნება. ყოველგვარი სხვა მსგავსება (ლექსიკის, გრამატ. კატეგორიების, სინტაქსური კონსტრუქციების სფეროში და ა. შ.) შეიძლება იყოს არა მხოლოდ საერთო წარმომაელობის, არამედ სხვა ენათა გავლენის, ტიპოლოგიური მსგავსების ან საერთოდ შემთხვევითობის შედეგი.

ქართველურ ენათა ბ-ის შესწავლა XIX ს-იდან იწყება. ამ კვლევაში დიდი წვლილი შეიტანეს (ქართულ-მეგრულ მასალაზე დაყრდნობით) ა. *ცაგარელმა*, *ი. ყიფშიძემ* და, განსაკუთრებით, პ. *ჭარაიამ*. ქართველური ენების ბ-ის დადგენაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნ. *მარმა*. შემდგომ დროინდელი ქართველოლოგების დიდი დამსახურებაა შესატყვისობათა დაზუსტება, შევსება, ახ. ინტერპრეტაციების შემოტანა და ა. შ. ამ მიმართულებით კვლევა გრძელდება.

ლიტ.: ჭ ა რ ა ი ა პ., მეგრული დიალექტის ნათესაური დამოკიდებულება ქართულთან [1895–96]. – იხ. მისი: მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997; მ ი ს ი ე ე, მეგრულ-ქართული ლექსიკონი [1910–19], თბ., 1997; თ ო ფ უ რ ი ა გ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. I. – «მიმოხილველი», წგ. I, ტფ., 1926; III – «საქართველოს არქივი», წგ. 3, ტფ., 1927; II – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1930, ტ. 10; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938; შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., სვანურ-ქართულ-ზანური შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი [1954]. – «იკე», XXX, თბ., 1991; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის საკითხი, თბ., 1959; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ი., საერთო-ქართველურ სიბილანტთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით. – «თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები», V, თბ., 1980; ო ნ ი ა ნ ი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989; ფ ე ნ რ ი ხ ი პ., სარჯველაძე ს., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მე-2 გამოც., თბ., 2000; К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964; Ш м и д т К. Х., Относительная хронология и картвельские языки. – «Вопросы языкознания», 1989, №4.

ა. ონიანი.

ბგერითი ცვლილებები, ცვლილებები, რ-თაც განიცდიან ბგერითი ერთეულები ენის განვითარების ამა თუ იმ მონაკვეთში ალოფონების დონეზე (იხ. *ალოფონი*) ცოცხალი ფონეტ. პროცესების სახით (იხ. *ალტერნაცია*), ან ენის ისტ. განვითარების პროცესში მომხდარი დიაქრონიული ცვლილებებით ფონემათა დონეზე (იხ. *ასიმილაცია*, *დისიმილაცია*...). ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ბ. ცის ცნება უმნიშვნელოვანესია ისტ.-შედარებით ენათმეცნიერებაში.

როდესაც ენის ისტორიის გარკვეულ პერიოდში (ერთი ენის დიალექტებსა ან მონათესაე ენებს შორის) არსებობს ურთიერთდაკავშირებულ ცვლილებათა მთელი სერია, რ-საც შედეგად მოჰყვება ფონემათა სისტემის შეცვლა, ეს მეტყველებს ბგერათა გადაწყობაზე. სისტემური ბგერითი გადაწყობები ქმნიან *ბგერათშესატყვისობებს* (მაგ., სისინა და შიშინა სიბილანტთა შესატყვისობა ქართველურ ენებში), რ-თაც ემყარება ისტ.-შედარებითი მეთოდი. ცვლილებათა რეგულარული სერიები კომპარატივისტიკაში, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც ბგერითი კანონი. პირველ ასეთ კანონად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ი. გრიმის მიერ ჩამოყალიბებული შესატყვისობები, რ-ებიც ასახავენ თანხმოვანთა პირველ გადაწყობას გერმ. ენებში („გრიმის კანონი", 1822), მაგრამ ეს კანონი არ იყო მკაცრად ფორმულირებული და ამიტომ ვერ ხსნიდა იმ გამონაკლისებს, რ-ებიც დადგენილ კანონზომიერებას არღვევდა. ი. გრიმისათვის (და მისი თანამედროვეებისათვის) სავსებით საკმარისი იყო იმის ჩვენება, რომ კანონზომიერება დგინდებოდა შემთხვევათა უმრავლესობისათვის.

ბგერითი კანონის ცნება ისტ.-შედარებით ენათმეცნიერებაში შემოტანილია მოგვიანებით (XIX ს. II ნახ.) ნეოგრამატიკოსების მიერ. იგი გულისხმობდა კანონის მკაცრ რეგულარულობას (გამონაკლისებიც თავისიეე კანონზომიერებებით იხსნებოდა). ეს ითვალისწინებდა ცვლილებათა კანონზომიერებებისა და მათი დარღვევისათვის ფონეტ. საფუძვლების, განსაკუთრებით გარემოცვის, დადგენას. ამ პრინციპს ემყარება კ. ვერნერის კანონი (1875), რ-იც გრიმის კანონიდან გადახვევებს მკაცრ ფონეტ. საფუძვლებს უძებნის.

ნეოგრამატიკოსთა პრინციპი ცვლილებათა აბსოლუტური რეგულარულობის შესახებ არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული ენათმეცნიერთა მიერ. მაგ., ფ. დესოსიურის მიხედვით, აბსოლუტურ ცვლილებებზე მსჯელობა ზედაპირულია, რადგან ასეთი ცვლილებები, ფაქტობრივად, იშვიათია, ამიტომ მისი აზრით უფრო რაციონალური იქნება ლაპარაკი სპონტანურ (შინაგანი მიზეზებით გამოწვეულ) და კომბინატორულ ცვლილებებზე. ფონეტ. ცვლილებათა გამომწვევი მიზეზების დადგენის სირთულეზე ამახვილებს ყურადღებას ი. ა. ბოდუენ დე კურტენეც. მისი აზრით, რამდენადაც ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია (ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ენის ინდივიდ. ან სოც. გამოყენების თავისებურებებზე დამოკიდებული და ა. შ.). ამდენად, „ფონეტიკური კანონი", რ-იც ემყარება ცვლილებათა სრულ რეგულარულობასა და უგამონაკლისობას, ფიქციაა.



ვ. ბელერი.

მიუხედავად „ბგერითი კანონის“ დადგენის სირთულეებისა, მკაცრ ფონეტ. საფუძვლებზე დამყარებული რეგულარულობის პრინციპის შემოტანამ უდიდესი როლი ითამაშა შემდეგდროინდელი კომპარატივისტიკის განვითარებაში. მისი საშუალებით არაერთი კანონზომიერება და მისი „დარღვევა“ იქნა ახსნილი. მაგ., ქართველურ ენებში სისინა და შიშინა სიბილანტთა შესატყვისობის დარღვევის შემთხვევები: ქართ. შ – სვან.-ზან. სჭ/სგ, ქართ. ჯ – სვან.-ზან. ძგ/სგ შესატყვისობა, ნაცვლად მოსალოდნელი შ – შჭ/შგ, ჯ – ჯგ შესატყვისობისა, ახსნილია ე ან უ ფონემების მეზობლობით (თ. გამყრელიძე).

რამდენადაც ნებისმიერი ბგერითი კანონის მოქმედება შეპირობებულია კონკრეტული პირობებითა და დროით, ამდენად, ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში შეიძლება მოქმედებდეს სხვადასხვა კანონი. კონკრეტული პოზიციური განპირობებულობის შეწყვეტის შემდეგ რჩება პოზიციურად განუპირობებელი ისტორიული მონაცვლეობა, რ-მაც შეიძლება მორფოლ. ფუნქციაც შეიძინოს (იხ. *აბლაუტი*).

თანამედროვე ენათმეცნიერების მდგომარეობა „ფონეტიკური კანონის“ რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა, მაგრამ არა ნეოგრამატიკოსთა გაგებით, არამედ სხვა ფორმით: „ფონეტიკური კანონი“ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც „ენის სინქრონულ მდგომარეობაში ფუნქციონირების კანონი“ (ე. ჟურავლიოვი), რ-იც, თავის მხრივ, ფონეტიკურ პროცესთა შემდგომი ფონოლოგიზაციისა და მორფონოლოგიზაციის გათვალისწინებით საფუძველს ქმნის დროული იერარქიის (რელატიური ქრონოლოგიის) დასადგენად. ფონოლოგიზაციისა და მორფონოლოგიზაციის ქრონოლოგ. იერარქიის დადგენის მეთოდები ჯერ საკმარისად დამუშავებული არ არის.

ლიტ.: გამყრელიძე თ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; Соссюр Ф. де, Курс общей лингвистики, пер. с франц., М., 1933; Бодуэн де Куртенэ И. А., Фонетические законы. – იხ. მისი: Избранные труды по общему языкознанию, т. 2, М., 1963; Реформатский А. А., Изменения в фонетике и фонетические законы. – იხ. მისი: Введение в языковедение, М., 1967; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Журавлев В. К., Постулат непреложности фонетических законов и современная компаративистика. – «Вопросы языкознания», 1986, №4.

ი. ქობალავა.

ბგერწერა, ბგერითი სიმბოლიზმი, ფონეტიკური სიმბოლიზმი, სამეცნიერო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ან ცალკეული ბგერითი ნიშნების დაკავშირება მნიშვნელობასთან. ხმაბაძვისაგან განსხვავებით (იხ. *ონომატოპეა*), ბ. არის სინესთეზიის ისეთი ფორმა, რიც ასახავს საგნის არაბგერით თვისებებს – ფორმის, სიდიდის, სიმაგრის, მოძრაობის, ადამიანისა თუ ცხოველის ფიზიოლ. მდგომარეობის... თავისებურებებს. შდრ.: ციცქნა – ძიძგნა, ცუნცული – ძუნძული, სადაც ც (ცქ) რაღაც პატარასა და მსუბუქს უკავშირდება, ხოლო ძ (ძგ) – შედარებით დიდსა და მძიმეს. ასეთი დაპირისპირებები ენის ფონეტ. ტრადიციებთანაა დაკავშირებული და სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია.

ბგერისა და მნიშვნელობის კავშირი ყურადღების საგანი იყო უძველესი დროიდანვე (პლატონი, მოგვიანებით ჟ.-ჟ. რუსო, გ. ლაიბნიცი, ე. პუმბოლდტი) და უკავშირდებოდა ენის წარმოშობის საკითხებს. თანამედროვე მეცნიერებაში ბგერათსიმბოლიკის პრობლემა ფართოდ შეისწავლება ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხთან დაკავშირებით. ბგერათსიმბოლიკა შეისწავლება, აგრეთვე, ისეთ პრობლემებთან მიმართებით, როგორიცაა: ბავშვის მეტყველება, სტილისტიკა, ლინგვისტური ტიპოლოგია, ექსპერ. ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა და სხვ.

ბ. ფაროად გამოიყენება პოეზიაში და წარმოადგენს ფონიკის (სალექსო მეტყველების ბგერითი ორგანიზაციის ფორმათა სისტემა) ერთ-ერთ საფუძველს.

ლიტ.: ქობალავა ი., მგრული სიტყვაწარმოებიდან. – «იკე», XXI, თბ., 1979; Журковский Б. В., Идеофоны: сопоставительный анализ, М., 1968; Шахнарович А. М., Проблемы мотивированности языкового знака в онтогенезе речи. – წგ.: Общая и прикладная психолингвистика, М., 1973; Журавлев А. П., Фонетическое значение. Л., 1974; Воронин С. В., Основы фоносемантики, Л., 1982; Sapir E. A., Study in phonetic symbolism. – «Journal of Experimental Psychology», 1929, vol. 12, №3; Jacobson R., Waugh L., The sound shape of language, Bloomington, 1979 (2nd ed., B.–N.Y., 2002).

ზ. ჯაფარიძე.

ბედერი (Boeder) (ბოედერი) ვინფრიდ (დ. 2. IV. 1937, არეალერი), გერმანელი მეცნიერი, ქართველოლოგი. სწავლობდა ფრაიბურგისა და ჰამბურგის უნ-ტებში. ჰამბურგის უნ-ტის პრივატ-დოცენტი (1967), ოლდენბურგის უნ-ტის პროფესორი (1973), ურნ. «Revue des Études Géorgiennes et Caucasiennes»-ის სარედაქციო საბჭოს წევრი (1985), ევროპის ლინგვისტთა სას-ბის წევრი (1968). იკვლევს ქართ. და სხვა ქართველური ენების გრამატ. წყობის საკითხებს. მისი ნაშრომებიდან მნიშვნელოვანია „ქცევა ქართულში“, რ-შიც ახლებურად არის განხილული ქართ. ენის ამ ურთულესი კატეგორიის გამოხატვის პრობლემა; „და კავშირის ხმარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში“ და სხვ. ბ-ს ეკუთვნის მეტად საინტერესო გამოკვლევა ძვ. ქართ. ანბანის გრაფ. სტრუქტურის შესახებ. მისი აზრით, ქართ. ანბანის შემქმნელს უხელმძღვანელია გეომეტრიული პრინციპით. აგრეთვე საყურადღებოა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქართ. სპეციფ. თანხმოვან ფონემათა შესატყვისი გრაფემები დალაგებულია ბერძნ. საენათმეცნ. ანბრის გათვალისწინებით. ბ-მა შეისწავლა დაქარაგმების წესები ძვ. ქართულში, აგრეთვე ძვ. ქართ. პუნქტუაცია. გერმანულად თარგმნა თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, გ. კლიმოვის ნაშრომები. დაინტერესებულია ქართ. ფოლკლორის საკითხებით.

თხზ.: Zur Analyse des altgeorgischen Alphabets. – «Zeitschrift für Russischunterricht», Hamburg, 1975; Über die Versionen des georgischen Verbs. – «Folia Linguistica», The Hague, 1979, t. II, 1–2; Über einige Verwendungen von „da“ („und“) in der altgeorgischen Literatursprache. – იქვე, 1983, t. XVII, 1–4.

ლიტ.: თ უ რ ნ ა ე ა ს., XX საუკუნის სანღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999. *ზ. სარჯველაძე.*

ბედიის ბარძიმის წარწერა, ქართული ჭედური ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშზე – ბაჯაღლო ოქროს ბარძიმზე შესრულებული წარწერა. მდიდრული „სიწმიდის ჭურჭელი" ახალაშენებული ბედიის ტაძრისათვის შეუწირავთ ფეოდ. ხანის ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს ბაგრატ III-სა (975/78–1014) და მის დედას – დედოფალ გურანდუხტს. ჩვენამდე მოაღწია ბარძიმის ზედა ნაწილმა – თასმა, რ-ის სადგარიც დაკარგულია. თასი დაცულია საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში. იგი გამოჭედილია მთლიანი ოქროს ზოდისაგან; წონა – 752 *გ*, სიმაღლე – 12,5 *სმ*, პირის დიამეტრი – 13,5x14 *სმ* (წრე ოდნავ გაღუნულია), ქვედა ნაწილის დიამეტრი – 9,5x10 *სმ*. თასის ზედაპირი თაღნარით დაყოფილია 12 ნაწილად. მათში წარმოდგენილია ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულებისა და მახარებლების გამოსახულებები. ქრისტე და ღვთისმშობელი გამოსახული არიან ერთმანეთის პირისპირ, ხოლო სხვები – წრიულად მათ შორის დარჩენილ არეზე. ღვთისმშობელი მუხლებზე ყრმა იესოთი ტახტზე ზის. ღვთისმშობლის გამოსახულება უწარწეროა. ქრისტეს გამოსახულებას ახლავს ბერძნ. განმარტებითი წარწერა, ხოლო სხვა ფიგურებს – ჩაჭდევით შესრულებული განმარტებითი ასომთავრული წარწერები, რ-თა თანმიმდევრობა ქრისტეს გამოსახულების მარცხნიდან მარჯვნივ ასეთია: „წმიდაჲ იოვანე", „წმიდაჲ ანდრია", „წმიდაჲ ლუკა", „წმიდაჲ მარკოზ", „წმიდაჲ პავლე", „წმიდაჲ პეტრე", „წმიდაჲ ლებეოზ", „წმიდაჲ თადეოზ", „წმიდაჲ ბართლომე", „წმიდაჲ იაკობ". დამკვეთების – ბაგრატ III-ისა და მისი დედის გურანდუხტის – ერთსტრიქონიანი, ასომთავრული, ჩაჭდევით შესრულებული წარწერა დაუყვება თასის პირის კიდეს მთელ სიმრგვალეზე. წარწერის ტექსტი შემდეგია:

„✝ წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გუარანდუხტ დედოფალსა – ამის ბარძიმისა შემომწირველთა, ამის საკურთხეველისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმაშენებელთა, ამენ".

რადგან წარწერაში ბაგრატ III კურაპალატის ტიტულით არ იხსენიება, წარწერა 1001-მდეა შესრულებული. ერთი ქრონოლოგიური ჩანაწერით, „წელსა შჳთ, ბაგრატ, ძემან გურგენ მეფისამან, კურაპალატმან, ბედია აღაშენა". „წელი შჳთ" 999 წელია. ბაგრატმაც ბარძიმი, ალბათ, ტაძრის შენების დროისათვის დაამზადებინა. ამდენად, შესაძლებელია წარწერაც ამავე წლით დათარიღდეს (გ. ჩუბინაშვილი).

ლიტ.: ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ბედიის ოქროს ბარძიმი. – «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B; მ ი ს ი ვ ე, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.

ვ. სილოგავა.

ბედიის წარწერები, ბედიის ტაძარზე, სამრეკლოსა და საეპისკოპოსო პალატაზე სხვადასხვა დროს შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერები. დღეისათვის 4 ასეთი წარწერაა ცნობილი. მ. *ბროსეს* ცნობით (1849), ბედიის ტაძრის დას. კედლის ერთ-ერთ კუთხის ქვაზე ამოკვეთილი ყოფილა წარწერა, რ-იც ამჟამად არსად ჩანს. ალბათ, იგი განადგურდა XIX ს. II ნახ-ში ტაძრის განახლებისა და მოპირკეთების დროს. მისი ტექსტი ასეთია: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ეყმენ წმიდისა ამის საყდრისა ამშენებელს, გალატოზთაუხუცეს სჳმეონს". წარწერა შინაარსით ბედიის ტაძრის აგების თანადროულია და X ს-ით უნდა დათარიღდეს. მ. ბროსესავე ცნობით, ბედიის მონასტერში, დას-ით მდებარე დანგრეული სამრეკლოს აღმ. შესასვლელის თავზე ჩასმული ყოფილა ფილა ასომთავრული წარწერით. მ. ბროსეს მისი მხოლოდ ფრაგმენტები აქვს გამოქვეყნებული. როგორც ჩანს, იგი იმ დროსაც დაზიანებული ყოფილა. ამჟამად ეს ფრაგმენტებიც დაკარგულია. მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ მასალებსა და ხელნაწ. ინ-ტში დაცულ (თ. ჟორდანიას პირადი საარქივო ფონდი, №393) წარწერის ტექსტზე დაყრდნობით, იგი შეიძლება ასე წავიკითხოთ:

„[✝ ღმერთო, შეიწყალე სული ამის] მაშენებლისა ნიკოლაოზ კათალიკოზისა და სოფრონ ბედიელისა – გონგლიბაჲსძეთასა; შეიწყალენ ღმერთმან".



ბედიის ბარძიმი. წარწერა ბაგრატ III-ისა და მისი დედის გურანდუხტ დედოფლისა (ფრაგმენტი).

წარწერაში მოხსენიებული ნიკოლაოზ კათალიკოსი უნდა იყოს ბედიელყოფილი ნიკოლოზი. იგი XIII ს. II ნახ. მოღვაწეა (ე. მეტრეველი) და წარწერაც XIII ს. II ნახ. უნდა დათარიღდეს. ბ. წ-იდან ერთ-ერთი, გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული, ამოკვეთილია 3 სტრიქონად სამრეკლოს დას. კედელში ჩასმულ ქვის ფილაზე. მისი ტექსტი ასეთია: „✝ ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე კოსტანტინე, ძე დავითისი, ამენ". წარწერაში დასახელებული მეფე არის კონსტანტინე I, დავით ნარინის ძე და ამის მიხედვით წარწერა 1293–1327-ით თარიღდება. ასევე ჩვენამდე მოღწეულია ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი 3 სტრიქონად მოწითალო ფერის ქვის ფილაზე, მოთავსებულია საეპისკოპოსო პალატის აღმ. (მარჯვენა) შესასვლელის ტიმპანზე. წარწერა ადგილ-ადგილ დაზიანებულია, მესამე სტრიქონი თითქმის გადაშლილია, მაგრამ, არსებული მასალების მიხედვით, ადვილად შეიძლება მთელი ტექსტის აღდგენა: „✝ აღმაშენებელი პალატისა ამის ეპისკოპოსი, ბედიელი მიტრაპოლიტი (!) ანტონი [ჟუანის ძე; შეუნდვნეს ღმერთმან, ამენ]". ანტონ ჟუანის ძე ლევან I დადიანის (1533

–72) თანამედროვეა. ამიტომ წარწერაც შეიძლება ახლისშინული წლებით დათარიღდეს.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 2. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980 (იქვე სრული ბიბლიოგრაფია).

ვ. სილოგავა.



ბედიის წარწერა მიტროპოლიტ ანტონ ჟუანისძისა.

«ბედი ქართლისა», „რევიუ დე კარტველოლოჟი“ («Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie»), ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალი. დაარსდა 1948 პარიზში. 1958-მდე გამოდიოდა ქართ. ენაზე. 1958-იდან სტატიები იბეჭდებოდა ფრანგ., ინგლ., გერმ. და იტალ. ენებზე. ყოველწლიურად გამოდიოდა ჟურნალის ერთი ან ორი გაერთიანებული ტომი. 1983 გამოვიდა ბოლო – 41-ე ტომი. «ბ. ქ.» გამოდიოდა საფრ. სამეცნ. კვლევის ეროვნ. ცენტრის დახმარებით. ჟურნალმა თავის გარშემო შემოიკრიბა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგები. ბეჭდავდა აგრეთვე ქართ., აზერბ. და ჩრდ. კავკასიულ მეცნიერთა სტატიებს. «ბ. ქ.» დააარსა ნინო სალიამ (ქურციკაშვილი), დირექტორ-რედაქტორი იყო მისი მეუღლე, საქართვ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი, პროფ. კ. სალია. ჟურნალის სამეცნ. საბჭოში, რ-ის თავ-რე იყო პროფ. კ. სალია, შედიოდნენ: ი. *ასფალგი* (მიუნხენი), ჟ. გარიტი (ლუვენი), ფ. გრაფენი (პარიზი), ი. გრიმო (პარიზი), ჟ. დიუმე'სილი (პარიზი), მ. ეან ესბროკი (ბრიუსელი), დ. ლანგი (ლონდონი), რ. *ლაფონი* (ბორდო), ჟ.-პ. მაე (პარიზი), ბ. მარტენ-ჩისარი (პარიზი), ი. მელიქოვი (სტრასბურგი), შ. მერსიე (პარიზი), ი. მოლიტორი (ბამბერგი), კ. პარი (პარიზი), გ. *პეტი* (იენა), ლ. ტარდი (ბუდაპეშტი), ნ. ტიერი (პარიზი), ბ. *ურტიე* (საბლესიურ-სართი), ჰ. *ფოგტი* (ოსლო), კ.ჰ. *შმიდტი* (ბონი). *ი. ტაბაღუა.*

ბეთანიის წარწერები, ფრესკული და ლაპიდარული (ქვაზე შესრულებული) ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, რ-ებიც მოთავსებულია თბილისის სამხრ.-დას-ით მე-16 კმ-ზე, მდ. ვერის ხეობაში მდებარე ბეთანიის მონასტრის მთავარი ტაძრისა და მის დას-ით აგებული სამწირველოს კედლებზე. ღმრთისმშობლის შობის მთავარ ტაძარზე ლაპიდარული წარწერები არ შემონახულა, მაგრამ ფრესკული წარწერები მრავლადაა ტაძრის შიგნით, ფრესკულ მხატვრობაზე. შინაარსით ეს წარწერები ორი სახისაა: ფრესკულ გამოსახულებათა განმარტებითი და ისტ. პირთა პორტრეტების თანმხლები. ტაძრის ფრესკული მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია ატმ. და სხვ. ზემოქმედების გამო. მხატვრობა ძირითადად შემორჩენილია საკურთხეველში. თითოეულ ფრესკულ სცენას ახლავს განმარტებითი წარწერები, რ-ებიც ასომთავრული დამწერლობის მონუმ. ძეგლებია. როგორც წერილობითი ძეგლები, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკურთხეველში გამოსახული ეკლესიის მამებისა და სხვ. წმინდანების განმარტებითი წარწერები. მათ აშკარად მხატვრული დატვირთვა აქვთ და მოხატულობის დეკორ. სისტემის ნაწილს ქმნიან.

ტაძარში ისტ. პორტრეტთა ორი ჯგუფია: ერთი მოთავსებულია ჩრდ. კედელზე, მეორე – სამხრეთზე, სადაც ორი მამაკაცის გამოსახულებაა. მათგან უფროსს ახლავს წარწერა: „დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი“. მეორე მამაკაცის გამოსახულების წარწერა ამჟამად გადაშლილია და არ იკითხება, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მამაკაცი უნდა იყოს სუმბატის უფროსი ვაჟი ივანე ორბელი – მოგვიანებით საქართვ. სამეფოს მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, გიორგი III-ის წინააღმდეგ 1177 მოწყობილი აჯანყების მეთაური. სუმბატი დემეტრე I-ის დროინდელი სახელმწ. მოხელე იყო და სწორედ მის დროს ეკავა (1155-მდე) აღნიშნული თანამდებობები. ამიტომ მისი გამოსახულება და ბეთანიის მხატვრობის ეს ნაწილი XII ს. შუა ხანებით თარიღდება.

ტაძრის ჩრდ. კედელზე გამოსახულია სამეფო ჯგუფური პორტრეტი, რ-ზედაც წარმოდგენილია გიორგი III, თამარ მეფე და ლაშა გიორგი. გამოსახულებებს ახლავს წარწერები: „დიდი მეფეთ მეფე გიორგი“, „თამარ მეფე და ღედოფალი“, „გიორგი მეფეთ მეფე, ძე თამარისი“. რადგან ლაშა გიორგი გამოსახულია სამეფო ტანსაცმელში, ტაძრის ფრესკული მხატვრობის ეს ჯგუფი და მათი თანმხლები წარწერები 1204–07-ით თარიღდება – ლაშა გიორგის თანამოსაყდრედ კურთხევიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე.

მთავარი ტაძრის დას-ით აგებულ სამლოცველოზე, რ-იც ამჟამად წმ. გიორგის ეკლესიაა, მოთავსებულია სამი ლაპიდარული წარწერა. სამიეეში მოიხსენიება პატრონი რუსუდანი – ივანე ორბელის, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის მეუღლე, ლორე-ტაშირის სომხ. სამეფოს მეფის კვირიკე III-ის ასული. მას ეს სამწირველო 1196 აუგია. ამის შესახებ მოგვითხრობს ძალზე დაზიანებული ერცელი (14-სტრიქონიანი) ასომთაერული წარწერა, რ-იც ამოკვეთილია სამხრ. შესასვლელის ტიმპანზე. სწორედ მას ახლავს თარიღი „ქრონიკონი ჳიე“ (1196).

მთავარი საამშენებლო წარწერის ზემოთ ჩასმულია ქვის ფილა ასომთაერული წარწერით, რ-შიც ნათქვამია: „[ჰ რ]ომელმან ჯუარსა ზედა იცვე ჩუენთჳს, ქრისტე ღმერთო, მფარველ ექმენ პატრონსა რუსუდანს აქაცა და სამუნოდცა, ჩუცასა სასუფეველსა შენსა“.



ბეთანიის წარწერა სუმბატ მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარისა.

მესამე წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის დას. კედელში ჩასმულ ერთ-ერთ ქვაზე, 8 სტრიქონად, ლამაზი, ხვეული და ადგილ-ადგილ შეწიაღებული ასომთავრულით. წარწერა ეკუთვნის უცნობს, ვინმე ეჯიბ წურილაისძეს. მას ეჯიბის თანამდებობა ეკავა პატრონ რუსუდანის კარზე და მისი განზრდილი იყო. როგორც ჩანს, მასაც შეუტანია წვლილი ამ პატარა ეკლესიის, რუსუდანის სამარხავ-სამწირველოს აგებაში, რადგან მისი სახელით ცალკე წარწერა მოუთავსებიათ ეკლესიის კედელზე:

„✝ ღმერთო მაღალო, დიდო, ვით მათი განზრდილი ეჯიბი წურილაისძე უპატიოსნეს-მყო ჩემ ჯორ სახეთასა პატრონმან რუსუდან, აგრეთვე უზეშთაეს და უმაღლეს ასუფევეთ წინაშე თქუენსა. ამათ მიერ შეგივრდები, რამეთუ სულითა ფრიად ცოდვილ ვარ".

წარწერის ტექსტში საინტერესო გამოთქმაა — „ჩემ ჯორ სახეთასა". იგი უაღრესი თავმდაბლობის გამომხატველია და ძვ. ქართ. წერილობით ძეგლებში გავრცელებული მსგავსი გამოთქმების — „პირუტყუთ სახე", „თიკანთ მსგავსი ესე გონებაჲ" და მისთ. ფარდია.

ლიტ.: სილოგავა ვ., ბეთანიის წარწერები, თბ., 1994.

ვ. სილოგავა.

ბენაშვილი ანდრია სიმონის ძე [2 (14). XII. 1852, სოფ. ზემო მაჩხაანი, ახლანდ. დედოფლისწყაროს რნი, — 10 (23). XII. 1908, ქუთაისი], პედაგოგი, გრამატიკოსი, მუსიკათმცოდნე. დაამთავრა თბილ. სას. სემინარია. მოღვაწეობდა ქუთაისში, სას. სასწავლებელში ასწავლიდა ქართ. ენას, ქალთა საეპარქიო სასწავლებელში — გალობას; ლოტბარობდა გაბრიელ ეპისკოპოსის მგალობელთა გუნდს. გამოსცა „ქართული ხმები". საეკლესიო გალობა წმ. იოანნე ოქროპირის წირვის წესისა ქართლ-კახეთის კილოზედ; ხალხური სიმღერები, შეკრებილი და ნოტებზედ გადაღებული" (1885). 1894 გამოსცა „მოკლე ქართული გრამატიკა", რ-საც სახელმძღვანელოდ იყენებდნენ საქართვ. სას. სასწავლებლებში.

ბ-ის გრამატიკა ტრადიც. სქემით არის შედგენილი. როგორც სასწ. დანიშნულების წიგნი, ითვალისწინებს მანამდე არსებულ სასკოლო გრამატიკებს და მოკლედ გადმოსცემს მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითად საკითხებს. გრამატიკას წამძღვარებული აქვს ცნობები ქართ. ანბანისა და მართლწერის შესახებ. მოცემულია ანბანთრიგი — სულ 38 ასო (ჱ, ჲ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ, ჷ). გრამატიკა განმარტებულია როგორც „საგანი ანუ წიგნი, რომლითაც ვსწავლობთ მართლ-ლაპარაკსა და მართლ-წერას". შედგება ორი ნაწილისგან: „ლექსთ-წარმოება" (ეტიმოლოგია) იკვლევს ქართ. ენაში ხმარებულ ყოველ სიტყვას, მისი ხმარებისა და ცვლილების წესებს; „ლექსთ-თხზულება" (სინტაქსი) გვასწავლის სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებას აზრის გამოსახატავად. დასახელებულია ცხრა მეტყველების ნაწილი (არ ჩანს ნაწილაკი), შემდეგ კი მოცემულია მათი მოკლე დახასიათება.

„ბრუნება" განმარტებულია როგორც სახელების დაბოლოების ცვლილება. დასახელებულია შვიდი ბრუნვა, ლღუვანდელი ბრუნვების შესაბამისი. ბრუნების ტიპები ემყარება ხუთ ხმოვანს, რ-ებზედაც ბოლოვდება სახელი, ი-ც ჩათვლილია ფუძისეულ ხმოვნად. მითითებულია ბრუნების დროს შენიშნული თავისებურებანი: რა შემთხვევაში ეკვეცება სახელს ფუძე, როგორია ამა თუ იმ სახელთან ბრუნვის დაბოლოებანი, რით გამოირჩევა ადამიანის სახელების ბრუნება. კუმშვა და კუმშვადი სახელები არ არის გათვალისწინებული. სახელზმნისა და მიმღეობის მოკლე დახასიათების შემდეგ განხილულია შეკავშირებულ სახელთა (მსაზღვრელ-საზღვრულის) ბრუნება.

ზმნების დახასიათება იწყება გვარის ფორმათა ჩვენებით (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი), თუმცა არაფერია ნათქვამი გვარზე, როგორც გრამატ. კატეგორიაზე. ზმნის სხვა კატეგორიათაგან ავტორი ეხება პირსა და რიცხვს, კონტაქტს, დროსა და სახეს (ასპექტს). დრო სამია: აწმყო, ნამყო (ეწერდი) და მყოფადი, სახე — ორი: სრული (დავხატე) და უსრული (ვხატავ). ზმნის დანარჩენი ფორმები ნაჩვენებია მოთხრობითი, ნატვრითი, პირობითი და ბრძანებითი კილოს მიხედვით. „მიმოხრა" (უღლება) განმარტებულია როგორც ზმნის პირთა მიხედვით „ცვლილება დროში და რიცხვში, როდესაც ზმნებს ან თავი ეცვლებათ, ან ბოლო". მსჯელობას ერთვის უღლების პარადიგმები.

ფორმაუცვლელი სიტყვებიდან განხილულია ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და შორისდებული.

სინტაქსი წინადადების განმარტებით იწყება („სიტყვებით გამოხატული აზრი"). წინადადებაში ორი უმთავრესი ნაწილია გამოყოფილი: ქვემდებარე და „შესმენილი" (შემასმენელი), ხოლო წინადადების დანარჩენ წევრებს „ამხსნელი სიტყვები" ჰქვია. მათგან ნაწილი — „დამატებითი სიტყვები" — მიეკუთვნება შემასმენელს და მას განმარტავს (იგულისხმება გარემოებანი და დამატებანი). დანარჩენი „დამატებითი სიტყვები" ქვემდებარეს ან ერთ-ერთ დამატებით სიტყვას განმარტავენ. წინადადება განხილულია აგებულების მიხედვითაც; გარჩეულია: მოკლე (გაუვრცობელი) და ვრცელი (გავრცობილი); მარტივი, გაერთებული (შერწყმული) ან რთული. აქვე განხილულია ამ წინადადებათა სახეები მაგალითების ჩვენებით. ყუ-



ბეთანიის წარწერა ეჯიბ წურილაისძისა.



ა. ბენაშვილი.

რადღება უთმობა ნართულ სიტყვათა და წინადადებათა დახასიათებას (იგულისხმება: *ნართული, დანართი, მიმართება*, პირდაპირი ნაოქვამი...). ბოლოს მოცემულია მართლწერის (პუნქტუაციის) ნიშნები და მათი ხმარების წესები.

დ. ჩხუბიანიშვილი.

ბერთა, ძველი ქართული საეკლესიო და კულტურის კერა კლარჯეთში, მდ. კარჩხალის მარჯვენა ნაპირზე (ამჟამად თურქ. ტერიტორია, გადაკეთებულია მეჩეთად). მონასტერი დაარსებულია VIII–IX სს-ში, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს. შემორჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთი სავარაუდოს ხდის ბ-ში სასწავლებლის არსებობას. ბ. მნიშვნელოვანი მწიგნობრული კერა იყო. ცნობილია ბ-ის ორი ოთხთავი: ერთი, გადაწერილი 988-მდე, ინახება ქ. ნიუტონში – ა'შ'შ (ხელნაწერის მიკროფილმი ინახება საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბ-კაში) (იხ. *ბერთის ოთხთავი*) და მეორე (XII ს.), რ-ის გადაწერის ზუსტი თარიღი და გადამწერის ვინაობა უცნობია. სახარება ოქროჭედურ ყდაში ნაუსვამს ბეშქენ ოპიზარს. ხელნაწერს მრავალი საინტერესო მინაწერი შემოუნახავს. დაცულია თბილისში (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტი). ბ-ში მოღვაწეობდა ცნობილი მწიგნობარი ზეკეპე ბერთელი (X ს.).

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ ი ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

ბერთის ოთხთავი, ქართული სამწერლობო ენის მნიშვნელოვანი ძეგლი. გადაწერილია X ს-ში, სუმბატ III ერისთაველ-ერისთავის (გ. 941) და მისი შვილების – დავითისა (გ. 992) და ბაგრატის (გ. 988) სიცოცხლეში, ე. ი. 988-მდე, კლარჯეთში, ბერთის მონასტერში. შესრულებულია ეტრატზე მრგლოვანით, ორ სვეტად. შეიცავს 257 ფურცელს. გაირჩევა 4 ხელი, თუმცა მთავარი გადამწერი არიან ვინმე გაბრიელი და მისი მეუღლე. ბოლო 257-ე ფურცლის v-ზე X ს-ის ნუსხურით ანდერძია მიწერილი, რ-შიც ნათქვამია:

„მე, გლახაკი გაბრიელ, და მეუღლე ჩემი ღირს ვიქმენით დაწერად წმიდისა ამის სახარებისა ლავრასა შინა დიდსა ბერთას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, სალოცველად მუფეთა ჩუენთა სუმბატ ერისთავთა ერისთავისათჳს და შვილთა მათთჳს დაჲთისათჳს და ბაგრატისათჳს"...

ხელნაწერში შედის ნარჩოში ნაწერილი მახარებელთა სურათები (1r–2v), მხატვრულ კამარებში ნაწერილი „ქუსების 10 კანონი" (3r–5v), ოთხივე სახარების სრული ტექსტი (6r–257 r), რ-იც რედაქციულად ქართ. თარგმანის ძვ., ოპიზურ (913) ვერსიას (პროტოვულგატას) მიეკუთვნება. მას დაუცავს სხვადასხვა დროის მინაწერები (24 ნუსხური, 2 მხედრული), რ-თაგან აღსანიშნავია ეუფხისტჳაოსნის ერთი ტაეპი: „მართლად იტყჳის მოციქული: შიში შეიქმს სიყუარულსა" (237r). ეს ჯერჯერობით პოემის ტექსტის დამოწმების ყველაზე ძველი (XV ს.) ნიმუშია.

მინაწერებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი კარგა ხანს გურიაში ინახებოდა; მერე ვინმე გურიელისაგან მოხვედრილა ყარსის სომხ. ეკლესიაში, საიდანაც 1830 ამერ. მისიონერებს სმითსა და დუაიტს სხვა სომხ. და ქართ. ხელნაწერებთან ერთად ამერიკაში წაუღიათ. მათი ექსპედიციის ანგარიშში, რიც ორ ტომად გამოვიდა 1833, ბ. ო. არ იხსენიება, ამდენად, იგი ერთი საუკუნე უცნობი იყო სამეცნ. წრისათვის. 1939 ხელნაწერი ქ. ნიუტონის (მასაჩუსეტსის შტატი) თეოლ. მუზეუმის კურატორმა რ. პირსმა ამ მუზეუმის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში აღმოაჩინა. პირსმა 1940 მიიწვია ამერ. ორიენტალისტი, ჰარვარდის უნ-ტის პროფესორი, ქართველოლოგი რ. ბლეიკი, რ-მაც შეისწავლა ეს ხელნაწერი და ს. ტერ-ნერსესიანთან ერთად 1944 გამოაქვეყნა ერცელი ნაშრომი. შემდეგ ბ. ო. გადაიტანეს ჰარვარდის კოლეჯის ბ-კაში, საიდანაც 1959 საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბ-კამ მიიღო მისი მიკროფილმი. ცნობილია ბერთის მონასტერში გადაწერილი მეორე ოთხთავიც (ხელნაწ. ინ-ტის Q–906), რ-ის ოქროჭედილი ყდის ავტორია ცნობილი ოქრომჭედლები ბეშქენ ოპიზარი.

ლიტ.: ამერიკაში აღმოჩენილი ძვე-



ბერთის ოთხთაეი. X ს.

ლი ქართული ხელნაწერი. – «ლიტერატურა და ხელოვნება», 1944, 24 ნოემბ., № 39; მეათე საუკუნის ქართული ხელნაწერი. – გაზ. «კომუნისტი», 1959, 17 მაისი; ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი შ., ბერთის ოთხთავის მინიატურებისა და მხატვრული მორთულობის დათარიღებისათვის. – კრ.: «ორიონი» (ეძღვნება ა. შანიძეს), თბ., 1967; ტ უ რ ა შ ვ ი ლ ი ი., ბერთის ოთხთავის დათარიღებისათვის. – «ცისკარი», 1977, 4; მისივე, ბერთის ოთხთავის მინაწერები. – «მნათობი», 1979, № 7; B l a k e R., Ter-Nersessian S., The gospel of Berthay. An Old-Georgian manuscript of the tenth century. – «Byzantion». – vol. 16, f. 1, Boston, 1944. *კ. დანელია.*

ბერიძე ეუკოლ მიხეილის ძე (15. II. 1883, ხონი, – 11. V. 1963, თბილისი), ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1948), პროფესორი (1932). პეტერბ. უნ-ტის აღმოსაელეთმცოდნეობის ფაკ-ტის დამთავრების (1912) შემდეგ მასწაელებლობდა ქუთაისსა და თბილისში. 1922–32 ქართ. ენისა და ლიტ-რის კურსს კითხულობდა ამიერკაეკ. კომუნისტურ უნ-ტში, 1932-იდან მოღვაწეობდა თსუ-ში. 1912 შეადგინა „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, რ-იც გამოირჩევა სანიმუშო განმარტებებით, მდიდარი და კარგად შერჩეული საილუსტრაციო მასალით. ბ-ს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის დადგენაში. ამ საქმეს იგი თითქმის სამი ათეული წელი უძღვებოდა. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა ტერმინოლოგიური ლექსიკონები – სამშენებლო (1926), ფიზიკისა და ელექტროტექნიკის (1928), ენისა და ლიტერატურის (1928), ნორმალური ანატომიის (1930), ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული საქმის (1932), ტექნიკური (1936), მემცენარეობის (1938), ენტომოლოგიის (1938), საავიაციო (1945), სამედიცინო (1947), ნიადაგთმცოდნეობისა (1950) და სხვ. 1978 „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ შემდგენელ-რედაქტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია.

ბ-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი რუსთველოლოგიის, ქართ. ენისა და ლიტ-რის სხვადასხვა საკითხზე. მათგან აღსანიშნავია: „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“, რ-შიც ავტორი იკელევს რუსთაველის პოემის ეროვნ. ძირებს, მის კავშირს ქართ. ფოლკლორთან; „შოთას პოეტიკისათვის“ და „რუსთაველის შაირისათვის“, რ-ებიც ეხება რუსთაველის შეხედულებას პოეზიაზე და მისი ლექსთწყობის თავისებურებებს.

თხზ.: რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961; ვეფხისტყაოსნის კომენტარი, ს. ცაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1974.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., რუსთველოლოგები, თბ., 1970.

ს. ცაიშვილი. რ. ლამბაშიძე.

ბერნარდე ნეაპოლელი, XVII ს. იტალიელი კათოლიკე მისიონერი, თეოლოგი და ფილოსოფოსი. რომის ეკლესიის დაეალებით, საქართველოს პირველად ეწვია 1661 მცირე ხნით. 1670–80 საქართველოში ცხოვრობდა. დიდ დახმარებას უწევდა ვახტანგ V-ს ევროპასთან ურთიერთობაში. მეგობრობდა უფლისწულ გიორგისთან (შემდეგში მეფე გიორგი XI); კარგად ფლობდა ქართ. ენას; ეწეოდა მთარგმნელობითსა და კულტ-საგანმან. მოღვაწეობას. კითხულობდა ნუსხურ ტექსტებსაც. ბ. ნ-მა ჩაიწერა ქართ. სღაპრები. ეს ჩანაწერები პირველად საქართველოში გამოიცა (1964). სღაპრების ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ისტ. დიალექტოლოგიისათვის.

ცნობილია ბ. ნ-ის ორი ხელნაწერი ლექსიკონი (დაცულია ნეაპოლის ეროვნ. ბ-კაში): იტალიურ-ქართული (360 გვ., ხელნაწერი) და ქართულ-იტალიური (628 გვ., ხელნაწერი). ბ. ნ. მათ მონახაზებს უწოდებდა. ლექსიკონები დაწერილია მისივე ხელით. ისინი არ არის იდენტური: ქართ.-იტალ. ლექსიკონი არ წარმოადგენს იტალ.-ქართ. ლექსიკონის შებრუნებულ ვარიანტს.

ბ. ნ-ის გრამატ. შეხედულებები ასახულია მის ლექსიკონებში. მეტ-ნაკლებად ნაწილობრივ ლექსიკონებში მეტი ყურადღება ეთმობა ზმნას. ცალკეული ზმნის განმარტებას ახლავს გრამატ. დახასიათება: მოცემულია აწმყოს, უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმები. სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია აწმყოს პირიანი ფორმა, მას მოსდევს სხვადასხვა მწკრივის ფორმები ორსავე რიცხვში. მაგ., „დაეჯდები“; perf. „დაეჯდექ“, „დაჯექ“, „დაჯდა“; plur. „დაეჯექით“, „დაჯდენ“; Imp. sg. „დაჯე“, plur. „დაჯექით“; opt. „დაეჯდე“, „დაჯდე“, „დაჯდეს“. ბ. ნ. ხშირად მიმართავს უღლების ფორმათა შემოკლებას: სტატიის დასაწყისში გამოტანილი ფორმის შემდეგ აღნიშნავს მხოლოდ ზმნისწინს (თუ იგი ზმნას აქვს), პირის ნიშანს და გვარის ან ქცევის ნიშანს; მაგ., „მეუბნების“, გე, ე (ე. ი. გეუბნების, ეუბნების) და ა. შ. ზოგჯერ ქართ. ზმნის პირთა მიმართებების ჩვენებასაც ცდილობს: dar parola „დაპირდები“, a me „დამპირდები“, a te „დაგპირდები“, a quell „დაეპირდები“.



ჯ. ბერიძე.

ფორმათა ორთოგრაფია ძირითადად მწიგნობრულია, რაც ქართ. მწერლობის ცოდნას ან უფლისწულ გიორგის კონსულტაციებს მიეწერება.

სახელთა ფორმაწარმოებიდან მხოლოდ ნათ. ბრუნვის ფორმაა ასახული აქა-იქ: Sasso „ქუა“, di Sasso „ქუისა“ და სხვ.

ლიტ.: უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999; О р л о в с к а я Н. К., Грузинские словари Бернардо Неаполитанского. – «ლიტერატურული ურთიერთობანი», III, თბ., 1972. *თ. უთურგაიძე.*

ბერძნული ენა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის განკერძოებული წევრი, უწყვეტი წერილობითი ტრადიციის მქონე ერთ-ერთი უძველესი ენა მსოფლიოში. ბ. ე-ზე ფიქსირებული პირველი წერილობითი დოკუმენტები დაახლ. ძვ. წ. XIV ს-ით თარიღდება.

განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბ. ე. იყენებდა დამწერლობის ორ სისტემას: 1. მინოსურ A-ხაზოვანიდან განვითარებულ B-ხაზოვან მარცვლოვანს (ძვ. წ. XIV–XII სს.) და 2. ფინიკიური კონსონანტური დამწერლობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ფონეტ. ბერძნ. ანბანს, რ-იც 24 ასო-ნიშანს შეიცავს. ამ სისტემით შესრულებულმა პირველმა წარწერებმა ჩვენამდე ძვ. წ. VIII ს-იდან მოაღწია. მას უცვლელი სახით იყენებს თანამედროვე ბ. ე. ბერძნ. პროტოტიპის გათვალისწინებით უნდა იყოს შექმნილი ქართ. ანბანიც (კ. კეკელიძე, თ. გამყრელიძე).

პროტობერძნულის გამოყოფა ინდოევროპულისაგან უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს ძვ. წ. III

ათასწლ. მიწურულისა. ამიტომ პერიოდიდან ბერძნულენოვანი ტომები იწყებენ შეღწევას ეგეოიდაში, ბალკანეთის ნ. კ-ზე. სუბსტრატული წინაბერძნული, ანუ ეგეოსური ენების ძლიერი გავლენის საფუძველზე უკვე ძვ. წ. XVII ს-თვის ჩამოყალიბდა ბ. შ. მან განვითარების შემდეგი პერიოდები განვლო:

1. მ ი კ ე ნ უ რ ი (ძვ. წ. XVII–XII სს.). B-ხაზოვანი დამწერლობის (გაიშიფრა 1952) მარცვლოვანი ხასიათი და ამ პერიოდის წერილობით დოკუმენტთა სქემატურობა (ძირითადად საკანცელარიო ხასიათის ჩანაწერები) არ იძლევა მიკენურ ბ. შ-ზე საფუძვლიანი მსჯელობის შესაძლებლობას, მაგრამ მაინც ხერხდება მისი ძირითადი თავისებურებების გათვალისწინება. მიკენური ეტაპის ნიშნით ბ. შ-ის განვითარების უძველესი სტადიაა, რ-იც გარკვეულწილად ჰომეროსის ეპოსსა და არქაული ეპოქის სხვა წერილობით წყაროებშია შემონახული. თანამედროვე მეცნიერთა აზრით, შესაძლოა, წინაბერძნულ-ეგეოსურ ენობრივ სამყაროში მნიშვნელოვანი ქართველური კომპონენტიც არსებულიყო, საიდანაც ბ. შ-მ ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში ქართველური წარმომაველობის მრავალი ფუძე და ლექსიკური ფორმატიები შეითვისა;

2. ლ ი ტ ე რ ა ტ ურ უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ ი ს, ანუ კლასიკური (ძვ. წ. XI–IV სს.). მიკენური სამყაროს დაქვეითების შემდეგ დაიწყო ბ. შ-ის დიალექტებად დიფერენციაცია. ესა თუ ის დიალექტი მწერლობის ამა თუ იმ ჟანრისათვის სალიტ. ენის ფუნქციას იძენდა. გამოიკვეთა ოთხი ძირითადი ლიტ. დიალექტი: ა) ი ო ნ ი ურ ი – უპირატესად ეპოსისა და დეკლამაციური ლირიკისათვის; ბ) ე ო ლ ი ურ ი – უპირატესად ლესბოსური პიროვნული სასიმღერო ლირიკისათვის; გ) დ ო რ ი ულ ი – უპირატესად საგუნდო ლირიკისათვის; დ) ა ტ ი კ ურ ი – უპირატესად დრამის სადიალოგო პარტიებისა და პროზისათვის. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული პოპულარობითა და მასშტაბურობით გამოირჩეოდა და მან მეტწილად განსაზღვრა ბ. შ-ის შემდგომი განვითარების გზები. ატიკური დიალექტი ძვ. ბ. შ-ის შემსწავლელთათვის დღესაც საბაზისოდ ითვლება. ამ ეპოქაში ბერძნ. კოლონიზაციის შედეგად ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში მრავალი დასახლება დაფუძნდა, მ. შ. საქართველოს სანაპირო ზოლშიც; განსდა პირველი ბერძნ. წარწერები (ძირითადად *გრაფიტოები*). თავის მხრივ, ბერძენი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში საქართველოსთან დაკავშირებულ არაერთ საკუთარ (სატომო, კუთხეების, პირების, დასახლებების) სახელს გვიდასტურებენ;

3. კ ო ი ნ ე ს, ანუ საერთო დიალექტის პერიოდი (ძვ. წ. IV ს. მიწურული – ახ. წ. VI ს.). ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებისა და მსოფლიო სახელმწიფოს, ანუ ელინისტური სამყაროს წარმოქმნის შემდეგ, როდესაც ბ. შ. მრავალრიცხოვანი ხალხისა და ქვეყნისათვის ოფიციალურ ენად იქცა, შეიქმნა ერთიანი სალიტ. ნორმების ფორმირების აუცილებლობა. ატიკურის ბაზაზე ჩამოყალიბდა ერთიანი დიალექტი, რ-მაც თანდათანობით შთანთქა სხვა დიალექტები. კოინეს ეპოქიდან იწყება ბ. შ-ის ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი, რ-იც ახ. წ. VIII–X ს-ში დასრულდა. მისი უმთავრესი ნიშნები იყო ბერძნ. ხმოვანთა რთული სისტემის (გრძელი და მოკლე ხმოვნები) მარტივი ექვსხმოვნიანი სისტემით შეცვლა; დიფთონგების გამარტივება, მუს. მახვილის შეცვლა ექსპირატორულით. მოხდა არსებითი ცვლილება მეტრი და ასპირირებული ხშულების ფრიკატიებად გარდაქმნის მიმართულებით. ელინისტური ეპოქიდან აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთში ძირითადად ორი სამწერლობო ენა ფუნქციონირებდა: ბერძნული და არამეული. როგორც ეპიგრაფიკული მასალა გვიჩვენებს, საქართველოში ბერძნულს, როგორც სამწერლობო ენას, ქართ. დამწერლობის გავრცელებამდე წამყვანი ადგილი ეკავა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ბ. შ-იდან ქართულში არაერთი ლექსიკური ფორმა შემოვიდა. ბერძნ. წყაროებს უკავშირდება ისეთი საკუთარი სახელების შემონახვა, რ-ებიც ანტიკური ეპოქის საქართვ. ისტორიისა და გეოგრაფიის აღდგენაში ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევენ, ესენია: კოლხი, იბერია, კვიტაია (ქუთაისი), ფასისი (ფოთი), მესტლეტა (მცხეთა) და მრ. სხვ.;

4. შ უ ა ს ა უ კ უ ნ ე ე ბ ი ს, ანუ ბ ი ზ ა ნ ტ ი ურ ი ხ ა ნ ი ს (600–1400). ამ პერიოდში ბ. შ-ში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ის ფონოლოგიური სისტემა, რ-იც თანამედროვე ენისთვისაცაა დამახასიათებელი. სალიტ. ენაში მკაცრად ცდილობდნენ კლასიკური, მეტწილად კოინეს ან ატიკური ნორმების დაცვას, მაგრამ სასაუბრო ენაში გარდაქმნების პროცესი საკმაოდ ინტენსიურად წარიმართა და, როგორც ფიქრობენ, სალიტ. და ხალხ. ენები ამ დროს იმდენად დაშორდა ერთმანეთს, რომ ბიზანტიაში *დიგლოსიაზეც* კი შეიძლება მსჯელობა. ამ ეპოქაში განსაკუთრებით გაიზარდა ბერძნიზმების ხვ. წ. ქართულში, რასაც ინტენსიურმა მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ შეუწყო ხელი. წმინდა წიგნებიდან, საღვთისმეტყველო და ფილოს. ლიტრიდან ძვ. ქართულში მრავალი ტერმინი და ლექსიკური ფორმატივი შევიდა: ეკლესია, მონასტერი, ბომონი, ფილოსოფია, ისტორია, თეატრი და მრ. სხვ.;

5. ა ხ ა ლ ი ბ ერ ძ ნ ულ ი ს (XV ს-იდან). ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ბ. შ-ის განვითარება საკმაოდ წინააღმდეგობრივად წარიმართა. ერთი მხრივ, ცდილობდნენ სალიტ. ენაში არქაიზმის სულის შენარჩუნებას, მეორე მხრივ კი – ხალხ. ენისათვის სალიტ. ნორმის სტატუსის მიცემას. ამ უკანასკნელმა ტენდენციამ მხოლოდ XIX ს. 80-იანი წლებიდან მოიპოვა უპირატესობა, თუმცა დღემდე საბერძნეთში დ ი მ ო ტ ი კ ი ს თ ან („ხალხურ ენასთან“) ერთად მომხრეები ჰყავს არქაიზებულ კ ა თ ა რ ე ე უ ს ა ც (ე. წ. „სუფთა ენას“). ახ. ბ. შ-ის მრავალრიცხოვან დიალექტთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პონტოური დიალექტი, რ-ზედაც თურქეთის შავიზღვისპირეთის პონტოს რეგიონში მცხოვრები ბერძნები მეტყველებდნენ. XIX ს-იდან იწყება მათი ინტენსიური გადასახლება მსოფ-

ლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში ბინა დაიდო 100000-ზე მეტმა პონტოელმა. მათ დიალექტში მრავალი ქართ. ნასესხობა აღინიშნება.

თანამედროვე სპეციალური საერთაშ. ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესში, ლათინურთან ერთად, აქტიურად გამოიყენება ძვ. ბ. ე.; ამგვარი ტერმინები უცხო ენებიდან ქართულშიც ინტენსიურად შემოდის.

ლიტ.: ურუშაძე ა., ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969; გორდეზიანი რ., წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1980; გორდეზიანი რ., დარბია ი., შამანიდი ს., ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული, თბ., 1999; ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I–II, თბ., 1999; Schwyzer E., Griechische Grammatik. Bd. I–4, München, 1953–71; Hoffmann O., Debrunner A., Scherer A., Geschichte der Griechischen Sprache, Bd. I–2, Berlin, 1969–74. *რ. გორდეზიანი.*

ბესლეთის ხიდის წარწერა, ასომთაერული ერთსტრიქონიანი წარწერა, ამოკვეთილი სოხუმის სამხრ. ნაწილში მდ. ბესლეთზე გადებული ერთმალიანი ძველი ქვის ხიდის („ეენეციური ხიდის", როგორც მას ადგილობრივე ეძახიან) თაღის დას. კიდეზე. წარწერის შემორჩენილ ნაწილს უკავია თაღის დაახლ. ერთი მესამედი. ფილა, რ-ზედაც წარწერის ტექსტის დასაწყისია ამოკვეთილი, ხიდის სამხრ. ბურჯის წყობაშია დატანებული, ხოლო სხვადასხვა ქვაზე ამოკვეთილი დანარჩენი ნაწილი ნახევარწრიულად დაუყენება თაღს. წარწერა შესრულებულია *კიდურწაისრული დამწერლობით* და ნაწილობრივ – *კიდურწერტილოვანი დამწერლობით*, ადგილ-ადგილ შეწიაღებული, დიდი ზომის ღრმად ნაჭრილი ასოებით. ხიდის თაღის წარწერიანი ქვების ჩამოვარდნისა და დაკარგვის გამო ტექსტი ძალზე ნაკლულად და ფრაგმენტულადაა შემონახული. შესაძლებელია მოღწეული ნაწილის აღდგენის ორი ვარიანტი წარმოვადგინოთ: 1. „ქრისტე [მეუფეო] ყოველთა, [უმეტესად ად]იდე ორთაე შინა სუფევათა, უ[ძლეველი]"; 2. „ქრისტე, [მფლობელო] ყოველთა [სუფევათაო, ად]იდე ორთაე შინა სუფევათა უ[ძლეველი]". წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XI ს-ისაა. მასში დასახელებული მეფე შეიძლება ყოფილიყო ბაგრატ III, გიორგი I ან ბაგრატ IV. თუ ტექსტში რომელიმე მათგანის სახელის, ტიტულის ან თუნდაც ტიტულის ნაწილის აღდგენა მოხერხდებოდა, წარწერის თარიღი დაკონკრეტდებოდა, მაგრამ ტექსტის მოღწეული ფრაგმენტის მიხედვით ამის შესაძლებლობა არ არსებობს და წარწერა ზოგადად XI ს-ით თარიღდება.

ლიტ.: ბარნაველი თ., ბესლეთის ხიდის თარიღისათვის. – „მაცნე", 1970, №6; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 2. შეიცვალა და გამოსაცემად მოამზადა ე. სილოგავამ, თბ., 1980; Бгажба Х. С., Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967.

ე. სილოგავა.

ბიბლეიზმები, ამა თუ იმ ენაში შესული და დამკვიდრებული ბიბლიური სიტყვები ან გამოთქმები (იხ. *ბიბლია*); მათ ზოგჯერ ლიტერატურულ იდიომებსაც უწოდებენ. მაგ., „აბრაამის ბატკანი" (უდანაშაულო, უბრალო); „ბაბილონის გოდოლი" (ითქმის, როცა ქველა და ქველაფერი არეულია, ერთმანეთისა არაფერი გაეგებათ); „გოლგოთა" (მძიმე, ძნელი გზა, წამების აღგილი, დაუსრულებელი ტანჯვა); „გოგი-მაგოგი" (მრავალნი, ძლიერნი, ქვეყნის დამპყრობნი, მომსერელნი); „განტეევების ვაცი" (სხვათა ბრალთა მტვირთველი, ვისაც სხვის მაგიერ პასუხისმგებლობას აკისრებენ); „ედემი" (განცხრომის ადგილი); „იობის მოთმინება" (უსასღერო მოთმინება, სულგრძელობა); „იერიქონის საყვირი" (ყურთასმენის წამღები ყვირილი, ღრიალი); „იუდას ამბორი" (ღალატი, გამცემლობა, ორგულობა); „კაენის ცოდვა" (ბოროტება, ძმის მკვლელობა, გულქვაობა); „ნოეს კიდობანი" (დიდი ტევადობისა, უზარმაზარი); „ნოეს მტრედი" (იმედის მომნიჭებელი, სიხარულის მაცნე); „სოდომ-გომორი" (სრული არეულობა, უწესობა, უსინეო ცხოვრება); „უძღები შვილი" (კაცი, რიც არაფის ემორჩილება); „ურწმუნო თომა" (ვინც ადვილად არაფის არაფერს დაუჯერებს); „ფარისეველი" (პირმოთნე, მლიქვნელი, მოსყვნებითი ქველმოქმედი); „ციური მანანა" (შიმშილობისა და ნაკლებობის დროს მოულოდნელად საიდანმე გაჩენილი საზრდო; უხვი და იაფი მოწყალება); „მარგალიტის დაყრა ღორთათვის" (ყურადსისათვის შეუფერებელი პატივის მიგება); „ხელების დაბანა" (ბრალის თავიდან აცილება) და სხ. მრ. *ი. ქერქაძე.*



მეფე ბაგრატ კურაპალატის წარწერის ნაწილი ბესლეთის ხიდზე. XI ს.

ბიბლია (ბერძნ. biblia, სიტყვასიტყვით – წიგნები), იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიების წმინდა წიგნების კრებული. შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან – ძველი და ახალი აღთქმისაგან; ახალ აღთქმას წმინდა წიგნად მხოლოდ ქრისტ. რელიგია ცნობს. ძველი აღთქმის დიდი ნაწილი დაწერილია ძვ. ებრაულ ენაზე, ზოგიერთ გვიანდელ წიგნში გეხვდება არამეული ტექსტიც. ძველი აღთქმა შეიცავს წიგნებს, რ-ებიც სხვადასხვა დროსაა დაწერილი და შინაარსითაც განსხვავებულია. საბოლოო სახე ებრაულმა ძველმა აღთქმამ საკმაოდ გვიან მიიღო. მისი შედგენილობის კანონიზაცია დაიწყო ძვ. წ. V ს-ში და დამთავრდა ახ. წ. II ს-ში. VII–IX სს-ში ძვ. ებრაული ტექსტი საბოლოოდ დაამუშავეს ე. წ. მასორეტული სკოლის წარმომადგენლებმა. მათ გაახმოვანეს ტექსტი, რ-იც სემიტური ენების ტრადიციის მიხედვით მხოლოდ თანხმოვნებით იყო დაწერილი. მასორეტული ბ-ის ხელნაწერებში ყველაზე ძველი მხოლოდ IX–X სს-ისაა. მკედარი ზღვის (კუმრანის) ხელნაწერთა აღმოჩენამ (1949) გამოაელინა უფრო ადრეული ტექსტები – ახ. წ. დასაწყისისა. ამ გარემოების გამო ძველი აღთქმის ტექსტის შესასწავლად ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძვ. თარგმანებს, მაგ., სეპტუაგინტას, რ-იც

ქრისტიანობის ნამოყალიბებამდე იყო ნაოარგმნი ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელებისათვის, რ-თა კოლონია ენობრივად ელინიზებული იყო. მაგრამ ებრაულ სარწმუნოებას ინარჩუნებდა. ქრისტიანობის ნამოყალიბებასა და გავრცელებასთან ერთად ძველი აღთქმის წიგნები მრავალ ენაზე ითარგმნა. ბევრ თარგმანს სწორედ სეპტუაგინტა დაედო საფუძვლად. ბის მეორე ნაწილი – ახალი აღთქმა დაწერილია ბერძნ. ენაზე, თუმცა ზოგიერთ ნაწილში შეიძლება თავდაპირველად არამეული ტექსტიც ყოფილიყო ნართული.

საქართველოში ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმნა ქრისტ. გავრცელებისთანავე დაიწყო. ბ-ის ტექსტების უძველესი ფრაგმენტები შემონახულია V–VIII სს. ტექსტებში, მ. შ. ბევრია ნაწყვეტი ახალი აღთქმიდან. ამ ტექსტების დათარიღება შესაძლებელია მათში შემონახული თავისებური ენობრივი მოელენებით – *ჩანმუტობითა* და *ჰაყმეტობით*, რ-იც IX ს-ში უკვე ხმარებიდან გამოსული უნდა იყოს. ხანმეტ და ჰაემეტ ფრაგმენტებში დაცული მასალები ზოგჯერ მთლიანი ბიბლიური წიგნების ნაწილებს წარმოადგენს, ზოგჯერ კი – ლექციონარისას. ოშკის, ანუ ათონის ბ. (978) წარმოადგენს ძველი აღთქმის წიგნების დღეისათვის ცნობილ ყველაზე ადრეულ ნუსხას. რედაქციულად მასთან ძალიან ახლოს დგას *გელათის ბიბლია* (XII ს.). ბ-ის მთლიანი ტექსტის ხელახლა შეკრებას (XVII ს.) შეუცადა ს.-ს. ორბელიანი (იხ. *მცხეთური ხელნაწერი*). არსებობს ბიბლიურ წიგნთა სხვა, შედარებით გვიანდელი ნუსხები, რ-ებიც ძველი აღთქმის ამა თუ იმ ნაწილს შეიცავენ. მათი ტექსტი რედაქციულად ბევრად ძველია.

ბიბლიურ ტექსტებს შეიცავენ ძველი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ე ბ ი (პარიზისა – X ს., ლატალისა – X ს., კალასი – X ს. და სინური – 932), რ-ებშიც საკითხავები ბ-იდან დალაგებულია ლიტურგიკული რიგის მიხედვით. ლექციონარები საინტერესო მონაცემებს იძლევა უძველესი თარგმანების ტექსტზე დაკვირვებისათვის. ლექციონარების ტექსტთაგან ზოგიერთი ოშკური ტიპისაა, ზოგჯერ კი პარალელს პოულობს გვიანდელი ნუსხების ტექსტთან, რაც ამ უკანასკნელის სიძველეს ადასტურებს.

ახალი აღთქმის უძველესი ხელნაწერები (ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების შემდეგ) IX–X სს-ისაა. ჩვეულებრივ, ახალი აღთქმის ხელნაწერები გაყოფილია: ცალკეა ს ა ხ ა რ ე ბ ა (ოთხთავი) და ცალკე – ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო. ოთხთავის უძველესი ნუსხებია: ადიშის (897), ურბნისის (906), ოპიზის (913), ჯრუჭის (936), პარხლის (973), ტბეთისა (995) და ბერთის (988-მდე). ქვეყანა ამ ნუსხაში (ადიშურის გარდა) ტექსტი ძირითადად ერთი ტიპისაა; ახლოსაა ხანმეტი და ჰაემეტი ფრაგმენტების ტექსტთან და წარმოადგენს ე. წ. ქართ. პ რ ო ტ ო – ვ უ ლ გ ა ტ ა ს (ბიბლიის კანონიზებამდელ ტექსტს). სამოციქულოს უძველესი ნუსხებიც X ს-ისაა. ახალი აღთქმის ტექსტი მთლიანად XI ს-ში არის რედაქტირებული *გიორგი მთაწმიდელის* მიერ (ზოგიერთი შესწორება მასში *ეფრემ მცირესაც* შეუტანია). გიორგისეული ტექსტი იმთავითვე კანონიკურად იქნა მიჩნეული ქართ. საეკლ. პრაქტიკაში.

ძველი და ახალი აღთქმის შემცველი ქართ. ბ-ის პირველი სრული ბეჭდური ტექსტი (ნუსხური შრიფტით) 1743 გამოვიდა მოსკოვში. გამომცემლებმა ბაქარ და ვახუშტი ბაგრატიონებმა ამ წიგნისათვის გამოიყენეს მრავალი სხვადასხვა მასალა: წიგნის წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში ისინი აღნიშნავენ მათი დროისთვის „გარეჯუნილ“, „დაკარგულ და დაკლებულ“ წიგნთა შევსებასა და განმართვას, „ვითა განმართულ იყო რუსთაგან“. ერთი ნაწილი ბიბლიური წიგნებისა ამ გამოცემაში ძვ. წყაროებს მისდევს; ამასთან ერთად მათ გამოუყენებიათ „ბეელათური“ ტექსტიც და არჩილ მეფის მიერ სლავურიდან ნათარგმნი ტექსტებიც, რ-ებიც მეტად მძიმეა და ბევრ ადგილას გაუგებარი. რუს. ბ-ის მიხედვით, სწორების გამო ტექსტში გაპარულია სლავიზმები. გამოცემას არ გააჩნია კრიტიკული აპარატი. ამიტომ გამოყენებული წყაროების მიგნება საგანგებო კვლევა-ძიებას საჭიროებს. იგივე ითქმის 1884 დაბეჭდილ ძველი აღთქმის ორტომეულსაც. მოკლე წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ წიგნში გამოყენებულია 1743 გამოცემის შესწორებული ტექსტი. შესწორებები, როგორც აღნიშნულია იმავე წინასიტყვაობაში, შეუტანიათ ათონური ხელნაწერიდან (რ-საც გამომცემლები *ეფთვიმე მთაწმიდელის* ნამუშევრად მიიჩნევენ), ამ შესწორებათა ხასიათის ან რაოდენობის გარკვევა და ტექსტის რაობა აქაც გართულებულია კრიტიკული აპარატის უქონლობის გამო. მეცნ. კვლევისათვის აგრეთვე ნაკლებ გამოსადეგია ბიბლიური წიგნების – უმთავრესად *ფსალმუნისა* და ახალი აღთქმის საკმაოდ მრავალრიცხოვანი საეკლ. გამოცემები (ფსალმუნი პირველად არჩილ მეფემ დაბეჭდა მოსკოვში 1705, ოთხთავი – ვახტანგ VI-მ თავის დაარსებულ სტამბაში, თბილისში 1709), რ-ებიც XIX ს-სა და XX ს. დასაწყისში დაიბეჭდა. XIX ს. II ნახ-იდან ძვ. ქართ. მწერლობა თანდათანობით იპყრობს ქართველ და სხვა მკვლევართა ყურადღებას. ინტენსიურ შემკრებლობით მუშაობას მოჰყვა ბიბლიური წიგნების ძიება და გამოკვლევა.

ბ. მეტად საყურადღებო ძეგლია ქართ. ენის შესწავლის თვალსაზრისით. ბიბლიური ტექსტები ქართ. ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. უძველესი ბ-ის ენა უდევს საფუძვლად ძვ. ქართულ სალიტ. ენას. ბიბლიურ ტექსტებში ასახულია როგორც ქართ. ენის განვითარების მრავალი სტადია, ისე სხვადასხვა სალიტ. სკოლათა გავლენა (იხ. *ელინოფილიზმი*). ბ-ის წიგნების განსხვავებული თარგმანები საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მთარგმნელობითი მუშაობის სხვადასხვაგვარ პრინციპს და მივაკვლიოთ იმ განსხვავებულ დედნებსაც, საიდანაც ესა თუ ის ადგილი არის ნათარგმნი. მაგ., ფს. 16,11 ძვ. თარგმანებში იძლევა იკითხვისს: „გულს-იდგინეს დამდაბლებაჲ ჩემი“, ხოლო გიორგი მთაწმიდელის ნარედაქციალ ტექსტშია: „თუალნი მათნი ყენეს დაღრეკილ“; ფს. 36,30: „პირი მართლისაჲ იტყოდის სიბრძნესა და ენამან მისმან თქუას სამართალი“ – „პირმან მართლისამან იწუართოს სიბრძნე და

ენაჲ მისი იტყოდის მშჯავრსა"... ბიბლიური ტექსტები მნიშვნელოვანია ლექსიკის კვლევისას. რამდენადაც ბიბლიის წიგნები შინაარსობრივად მრავალფეროვანია, მათ ტექსტებში ყოფითი ხასიათის ლექსიკის დიდი პლასტია შემონახული. ბიბლიურ წიგნებში დაცულია იშვიათი ლექსიკა: „პატნეზი", „სილოდა", „მელოდარი", „ვაზრი", „ბაკრუკი", „ბიცი", „ბრჭენი", „დაგურემული", „კარაბა", „როჭიკი" და მრ. სხვ., რ-თა მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია პარალელური ქართ. და უცხოენოვანი (ებრ., ბერძნ., სომხ., სირიული) წყაროებით. ჯრუჭ-პარხლისა და ადიშურ რედაქციათა შედარებიდან ჩანს, რომ სიტყვები „ტაგარი" და „საწნახელი" (მ. 21,33) სინონიმური მნიშვნელობისა არიან. ბიბლ. ტექსტებში შემონახულია ისეთი ლექსიკაც, რ-იც თავდაპირველი მნიშვნელობის გარკვევის საშუალებას იძლევა. მაგ., „სარეცელი" განიმარტება როგორც „დასაფენი", „დასაგები", რადგან „დარეცვა" დადასტურებულია როგორც „დაფენა", „დაგება". ბიბლ. ლექსიკის მიხედვით, შესაძლებელია აგრეთვე დღეს ნაკლებხმარებული ზოგი სიტყვის ახსნაც. მაგ., „მოწიწება" სიტყვაში ნათელი არ არის ძირის ლექსიკური მნიშვნელობა. შდრ. „არღარა ეშინოდის მერმე, არცა იწიწვოდინ" (იერ. 23, 4). მთის კილოებში დღესაც არის შემონახული „წიწნი" და მისგან ნაწარმოები ფორმები: „შიშწიწი", „როშკას აწიწდეს ციხენი" და სხვ.

ბიბლ. გამოთქმები და სახეები მეტად მნიშვნელოვანია ქართ. მწერლობაში მხატვრულ სახეთა შესაქმნელად (იხ. *ბიბლეიზმები*).

ტექსტები: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ოთხთავის მიხედვით (897, 936 და 973), ა. შანიძის გამოც., თბ., 1945; წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ა. შანიძის გამოც., ტ. I, ნაკვ. 1–2, თბ., 1947–48; იგივე, ილ. აბულაძის, ბ. გიგინეიშვილისა და სხვ. გამოც., ნაკვ. 1–3, თბ., 1989–91; საქმე მოციქულთა. X–XIV საუკუნეთა ხელნაწერის მიხედვით, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1950; კათოლიკე ეპისტოლენი. ქართული ვერსიები, ქ. ლორთქიფანიძის გამოც., თბ., 1956; ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, მ. შანიძის გამოც., [წგ.] I, თბ., 1960; იოანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1961; პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცეს ქ.ძოწენიძემ და კ. დანელიამ, თბ., 1974; ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976 (ოშკური და გელათური ვერსიები); ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979; მცხეთური ხელნაწერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა დაურთო ე. დოჩანაშვილმა, ნაკვ. 1–5, თბ., 1981–86; იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, კ. დანელიას გამოც., თბ., 1992; ბიბლია. საქართველოს საკათალიკოსოს გამოც., თბ., 1989; L'ancienne version géorgienne des Actes d' Apôtres. par G. Garitte. Louvain, 1955; The old Georgian version of the Prophets. Critical edition by Robert P. Blake and Maurice Brière. – «Patrologia Orientalis», t. 29, fasc. 2–5; t. 30, fasc. 3, Paris, 1963 (ქართ. ტექსტი ლათ. თარგმანით), პარიზი, 1961.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე მ., ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979; Б л э й к Р. П., О древнегрузинских версиях Ветхого Завета. – «Известия Кавк. отделения Имп. Моск. археол. об-ва», вып. 6, Тфл., 1921; მ ი ს ი ვ ე, Ancient Georgian versions of the Old Testament. – «Harvard Theological Review», 1926, vol. 19, № 3.

მ. შანიძე.

ბილინგვიზმი (< ლათ. bi – ორმაგი, lingua – ენა), ო რ ე ნ ო ვ ნ ე ბ ა, საზოგადოების ან ინდივიდის მიერ ორი ენის გამოყენება კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციის შესაბამისად. ტერმ. „ბ." ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა ამერ. ლინგვისტმა ჯ. ა. ფიშმანმა (1967) ამერ. ლინგვისტის ჩ. ფერგიუსონის „დიგლოსიის" თეორიაზე დაყრდნობით (იხ. *დიგლოსია*).

ჩ. ფერგიუსონის თეორიის ის ნაწილი, რ-იც საზ-ბაში სხვადასხვა ენის გამოყენების ფსიქოლინგვისტურ ასპექტს განიხილავს, ჯ. ფიშმანმა ორი მიმართულებით განავითარა: 1. სიტუაცია აპირისპირებს ერთი ენის „მაღალ" და „დაბალ" ვარიანტებს; 2. სიტუაცია „მაღალი" და „დაბალი" ფუნქციით აპირისპირებს სხვადასხვა ენის ვარიანტებს; დიგლოსია ფუნქციურ დიფერენციაციას ახდენს ერთი ენის ვარიანტებს შორის, ბ. – ორ ენას შორის.

ბ-ის მოვლენას უკავშირდება ენათა პრესტიჟის საკითხი, რაც ენობრივი პოლიტიკითაც განისაზღვრება და ფსიქოლ. ფაქტორებითაც (მაგ., პარაგვაიში, სადაც ყველა ლაპარაკობს ესპანურად და გუარანიზე, ესპანური „მაღალი" ფორმაა, გუარანი – „დაბალი"); ზოგ საზ-ბაში ბ. ინდივიდუალურია და არა სოციალური (მაგ., შვეიცარია, ბელგია), ზოგში კი ბ. სოც. მოვლენაა (ცარისტულ რუსეთში არისტოკრატია ლაპარაკობდა ფრანგულად, ხალხი – მხოლოდ რუსულად); იშვიათ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს მცირე ჯგუფი ერთადერთი ლინგვისტური ვარიანტით.

ბ. განიხილავს ენათა ენობრივსოც. მიმართების საკითხებს კონკრეტულ საზ-ბაში, ასე რომ, ნაწილობრივ, დიგლოსიის ინტერესთა სფეროშიც იჭრება. როგორც თანამედროვე სოციოლინგვისტები აღნიშნავენ, ბ. არის მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობის და არა მხოლოდ ბილინგვური ქვეყნების პრობლემა. დღეს 5000-მდე განსხვავებული ენა 250 ეროვნ. სახელმწიფოშია გავრცელებული, ეს კი იწვევს ენათა სტატუსისა თუ ფუნქციონირების საკითხთა გამწვავებას; ყოველი *ენობრივი სიტუაცია* საგანგებო განხილვას მოითხოვს. ნებისმიერ გეოპოლიტიკურ ცვლილებას შეიძლება ენათა სტატუსის ცვლაც მოჰყვეს. ერთი და იგივე ენა სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა როლს ასრულებს (მაგ., მაღალი სტანდარტულობისა და სალიტ. ტრადიციის მქონე ესპანური ენა აშშ-ში მხოლოდ მეორეხარისხოვანია).

ბ. ენათა კონტაქტების სხვადასხვა ფორმას გულისხმობს. ცნობილია: ინდივიდუალური, საოჯახო, სიტუაციური, ნაციონალური, ეროვნულ უმცირესობათა, სახელმწიფო ბ. და სხვ. ბილინგვური მეტყველების თავისებურებანი აისახება ფონოლოგიაში, მორფოსინტაქსში, ლექსიკაში, სემანტიკასა და პარალინგვისტიკაში.

ბ. მ რ ა ვ ა ლ ე ნ ო ვ ნ ე ბ ი ს (მ უ ლ ტ ი ლ ი ნ გ ვ ი ზ მ ი ს) ყველაზე დამახასიათებელი სახეა.

ლიტ.: F i s h m a n J., Bilingualism with and without Diglossia. Diglossia with and without Bilingualism. – «Journal of Social Issues», 1967, №32; Э r n s t e i n - G a l i c i a L., Bilingualism–multilingua-

lism: Its characteristics and properties. – In: Contrastive sociolinguistics. B.–N.Y., 1996; Calvet L.-J., Language wars and linguistic politics. Oxf., 1998.

მ. ტაბიძე.

ბიოგრაფიული ლექსიკონი, ენციკლოპედიური ტიპის საცნობარო ლექსიკონი, რ-შიც სალექსიკონო სტატიებად წარმოდგენილია გამორჩენილი ისტორიული პირების ან ამა თუ იმ დარგის ცნობილი მოღვაწეების ძირითადი ბიოგრაფიული მონაცემები. არცთუ იშვიათად ამგვარი პერსონალური ცნობები ნართულია რომელიმე დარგის ენციკლოპედიურ ლექსიკონში. ენათმეცნ. სფეროში ამგვარი ლექსიკონის ნიმუშია, მაგ., ბ. პოტიეს „Le Langage" (პარიზი, 1973), რ-იც 500 ბიოგრაფიულ სტატიას და ლინგვისტურ ტერმინს შეიცავს. წმინდა ბ. ლ-ის ნიმუშია „Русский биографический словарь" (т. 1–13. С.-Петербург. 1896–1913). ასეთივეა მ. ბულახოვის „Восточнославянские языковеды". (Минск. 1976), რ-შიც სლავისტიკის დარგში მომუშაეე 300-ზე მეტი ენათმეცნიერის ბიოგრაფიაა მოცემული. ქართ. ფილოლოგიაში ამ ტიპის ლექსიკონის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „ქართული მწერლობა", ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი 1, თბ., 1984, რიც მოამზადა საქართვ. მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატერული თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ. ამ ტომში შესული მასალა გაყოფილია ორ პერიოდად: V–XVIII და XIX სს. ლექსიკონში ანბანური რიგით წარმოდგენილია ერცელი ინფორმაცია V–XIX სს-ში მოღვაწე თითქმის ყველა ქართვ. მწერლის შესახებ. ლექსიკონის მეორე ტომში ივარაუდება XX ს-ში მოღვაწე მწერლები. ბოლო პერიოდში შეიქმნა აგრეთვე ქართ. ბიოგრაფიული ლექსიკონი „ვინ ვინაა საქართველოში", თბ., 2001–02; პერსონალური ენციკლოპედიური ლექსიკონი „ივანე ჯავახიშვილი", თბ., 2002; „ვინ ვინ არის საქართველოში", 2006.

ა. არაბული.



რ. ბლეიკი.

ბლაიხშტაინერი (Bleichsteiner) რობერტ (1891–1954), ავსტრიელი ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი. ვენის უნ-ტის პროფესორი. ვენისა და გრაცის უნ-ტებში სწავლობდა ეთნოგრაფიას, ისტორიას, აღმოსავლურ და კავკ. ენებს; თავისუფლად ფლობდა ქართ. და სომხ. ენებს; იკვლევდა ქართველურ ენებს და მათ დიალექტებს; აგრძელებდა ჰ. *შუხარდტის* საენათმეცნიერო სკოლის ტრადიციებს. ბ-ს ეკუთვნის ფრიად საყურადღებო ნაშრომები კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის დარგში, ეთნოგრ. და ლიტ-რის პრობლემურ საკითხებზე: „კავკასიელ ხალხთა და ენათა მიმოხილვა," „ქართული ბალადა ამირანზე" (ორიგე 1918); „ქართული ანდაზები, გამოცანები, თქმულებები და ხალაპრები თარგმანით, კომენტარებით, ტრანსკრიფციითა და ლექსიკონიითურთ" (გამოიცა 1919 ვენაში ქართ. და გერმ. ენებზე); „ნარკვევები ქართველთა ტომის Ъ გურულების ენისა და ეთნოგრაფიის შესახებ" (1931–32); „კავკასიურ ენათა ჯგუფი" (1937); „ეეფხისტყაოსანი – XII საუკუნის ქართული მინუსინგური პოემა" (1940); „დიდი ქართველი პოეტი – ნიკოლოზ ბარათაშვილი" (1945); „ქართული ლიტერატურა" (1948); „ქართველი ხალხი" (1949); „საქართველო გუშინ და დღეს" (1950). ბმა გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსნის" ხალხ. ვერსია; გამოსცა კრებ. „ახალი ქართველი პოეტები" (1946), რ-შიც შეეიდა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ა. აბაშელისა და სხვ. ნაწარმოებები; ცალკე გამოსცა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე" (1947). გამოუქვეყნებელი დარჩა გ. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება" და შ. არაგვისპირელის მოთხრობები. 1950 ბ. სტუმრად იყო საქართველოში და თავისი შთაბეჭდილებები („სტუმრად თბილისის უნივერსიტეტში") გამოაქვეყნა ვენის უნ-ტის გაზეთში. აღსანიშნავია, რომ ბ-მა აღწარდა ქართველოლოგი ფრ. კ. ნაისერი.

მთის იბერიულ-კავკ. ენათა შესახებ დაწერილ რამდენიმე ნაშრომში ბ. ცდილობდა დაედგინა მათი მიმართება სხვა ენებთან (ბასკური, პამირის ენები).

თხზ.: Eine georgische Ballade von Amirani. – «Berichte des Forschungsinstituts für Osten und Orientalistik», 1918, [Bd.] 2; Beiträge zur Sprach-und Volkskunde des georgischen Stammes der Gurier. – «Caucasica», 1931–32, [v.] 7–9; Die kaukasische Sprachgruppe. – «Anthropos», 1937, Bd. 32; Der Mann in Pantherfell. Ein georgischer Minnesang aus dem 12 Jahrh. – «Asienberichte», 1940, [Bd.] 5; Der grosse georgische Dichter Nikolos Baratašwili. – «Die Brücke», 1945, №1, 6–7; Die Literatur Georgiens. – იქვე, 1948, №3; Das Volk der Georgier. – იქვე, 1949, №4.

გ. თოფურია, ვ. კახნიაშვილი.

ბლეიკი (Blake) რობერტ პირპონტ (1. X. 1886 – 9. V. 1950), ამერიკელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი. ჰარვარდის უნ-ტის პროფესორი. ნ. მარის მოწაფე. 1918–20 თსუ-ში ასწავლიდა ბერძნ. ენასა და ბიზანტ. ისტორიას. ბ-მა გამოავლინა და მეცნიერულად აღწერა პალესტინასა და ათონზე დაცული მრავალი ქართ. ხელნაწერი, მ. შ. „ბალავარიანის" ერცელი რედაქცია. გამოსცა ქართ. ბიბლიური და პაგიოგრაფიული ტექსტები ლათ. თარგმანითურთ. მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ბიბლიოლოგისა და პატროლოგიის დარგში. მისი ნაშრომები ქართ. ბიბლიისა და პაგიოგრაფიის შესახებ გამოქვეყნებულია ცალკე წიგნებად.

ლიტ.: Blake Robert Pierpont. Biography and bibliography, by R. Z. Nolff, Camb. (Mass.), 1954.

მ. შანიძე.

ბოლნისის სიონი, ძველი ქართული საეკლესიო ცენტრი ქვემო ქართლში, სოფ. ბოლნისში, მდ. ბოლნისისწყლის მარცხენა ნაპირზე. ჩრდ-ის ერთ-ერთი შესასვლელის თაღზე მოთავსებული წარწერის მიხედვით, აშენებულია 478 –493 წლებში (იხ. *ბოლნისის სიონის წარწერები*).

ბ. ს-ის ლიტ. მოღვაწეთაგან ცნობილია ქართ. ჰომილეტიკური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე ბოლნელი (X–XI სს.). მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ქადაგება (A №70, 95, 144...).

ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებაზე ზრუნავდნენ გვიანდ. ხანის ბიბლიოფილი ბოლნელები: იოსებ რეეიშვილი (XVII ს.), მაქსიმე მაჭუტაძე (XVII ს.) და სხვ.

ლიტ.: ბუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ., 1936; მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

ბოლნისის სიონის ვარწერები, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელოვანი ჯგუფი (ოცზე მეტი) ბოლნისის ტაძრის კედლებსა და ტაძრის გარშემო არქეოლ. გათხრების დროს აღმოჩენილ ქვის სტელებზე. წარწერები სხვადასხვა დროს მიეკუთვნება (V–X სს.); შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით ისინი შემდეგნაირად ჯგუფდება:

1. **საამშენებლო წარწერა.** აღმოჩენილია (1937) ჩრდ.-დას. შესასვლელის გასწვრივ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლ. გათხრების დროს. არქიტრავის დიდი ზომის ბლოკის (300×67 *სმ*) შუა ნაწილი (155×59 *სმ*), წარწერის ტექსტის ერცელი ნაწილითურთ, აღრეევე ჩაქცეულა და მიწაში ჩამარხულა. შესასვლელის თავზე შერჩენილ ქვაზე წარწერის ტექსტი გადაშლილ-გადარეცხილია. წარწერის ნაწილი კარგადაა დაცული მიწაში აღმოჩენილ ქვის ფრაგმენტზე. წარწერა 4-სტრიქონიანია, შესრულებულია რელიეფური ასომთავრული ასოებით. ტექსტის მოღწეული (დაახლ. ერთი მესამედი) ფრაგმენტისა და შერჩენილი ასოების პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ლ. მუსხელიშვილს (1938). ტექსტის აღდგენის პირველი ვარიანტი წარმოადგინა ა. შანიძემ (1940); შემდეგ მან კიდევ გამოაქვეყნა მისეული აღდგენის ორი ვარიანტი (1975, 1977). სხვადასხვა ვარიანტები გამოაქვეყნეს შ. ამირანაშვილმა (1958), ნ. შოშიაშვილმა (1980), მ. ჩხიკვაძემ (1981), რ. პატარიძემ (1984), ბ. მჭედლიშვილმა (1984), საურ. კაკაბაძემ (1984), ე. მაჭავარიანმა (1985), ე. სილოგავამ (1994) და სხვ. ტექსტის ცალკეული ადგილების დაზუსტებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს მ. თარხნიშვილმა (1950), ი. მოლითორმა (1956) და სხვ.

მასალების მიხედვით შესაძლებელია წარწერის ტექსტის აღდგენის ორი ვარიანტი: ა. [შეწევნითა წ(მიდ)]ისა სამებისაჲთა, ოც წლისა პეროზ მეფე[თა მეფისასა დახიდ|ეა საძირკველი წ(მიდ)ისა] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა [შემდგომად, მეფობასა | კაეატისასა განხეშორა. ვი]ნ აქა შინა თაჳჳანისხცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწ|ყალენ და ვინ ამ[ის წ(მიდ)ისა ეკლესიაჲსა | მაშშნებელსა დ(ავი)თ ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწ|ყა[ლ]ენ; [ამშნ]". აღდგენილი ვარიანტი მიუთითებს, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ მეფეთა მეფე პეროზის (459–484) მეფობის მე-20 წელს, ე. ი. 478 და დაუმთავრებიათ 15 წლის შემდეგ, ე. ი. 493, ირანში კაეადის მეფობის დროს; ბ. „[შეწევნითა წ(მიდ)]ისა სამებისაჲთა, ოც წლისა პეროზ მ]ეფე[თა მეფისასა დახიდ|ეა საძირკველი წ(მიდ)ისა] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა [კაეად მეფეთა მეფი|სასა განხეშორა. ვი]ნ აქა შინა თაჳჳანისხცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწ|ყალენ და ვინ ამ[ის წ(მიდ)ისა ეკლესიაჲსა | მაშშნებელსა დ(ავი)თ ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწ|ყა[ლ]ენ; [ამშნ]". აღდგენილი ვარიანტი მიუთითებს, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ მეფეთა მეფე პეროზის (459–484) მეფობის მე-20 წელს, ე. ი. 478 და დაუმთავრებიათ მეფეთა მეფე კაეადის (488–531) მეფობის მე-15 წ., ე. ი. 503;

2. **მემორიალური წარწერები.** ტაძრის კედლების სხვადასხვა ადგილას ჩასმულია ან ტაძრის გარშემო არქეოლ. გათხრების (1936– 38) დროს აღმოჩენილია სტელები ბოლნური ჯვრების გამოსახულებით. ზოგიერთზე არის რელიეფური ასომთავრული წარწერები იმ პირთა დასახელებით, რ-თა სახელზედაც ეს სტელები დამზადდა. ტაძრის უძველესი მემორიალური წარწერებიდან სრულად იკითხება შემდეგი: „ესე ჯუარი ვარსქენ ნახპეტისაჲ" (V ს.); „ძნელაჲ" (V ს.); „განდი" (V ს.); „ესე ჯუარი თაიბაასი..." (V ს.); „...სული მიქაელისა შეიწყალენ" (V–VI სს.); „ჴორან, ქრისტე, შეიწყალე ცოლშეილითურთ" (VI– VII სს.); „ესე ჯუარი შუშანიკისი" (X ს.) და სხვ., მაგრამ ტაძრის მემორიალურ წარწერებს შორის უმნიშვნელოვანესია ორი:

პირველი წარწერა, რელიეფური ასომთავრულით შესრულებული 8 სტრიქონი, გამოქანდაკებულია ტაძრის აღმ. ფასადში ჩასმულ ქვის ოთხკუთხა ფილაზე (90×50 *სმ*). ფილის შუაში გამოყვანილია ორმაგ წრეში ჩასმული ბოლნური ჯვარი, რ-ის გარშემო ზედაპირი მთლიანად შეესებულია წარწერით: „ქ(რისტ)ე, დ(ავი)თ ეპისკოპოსი კრებულითურთ, და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თაჳჳანისმცემელნი შეიწყალენ და [მშრ]ომელთა ამას ეკლე[სი]ა[ს]ა შინა შეხეწიე; იყავნ, იყავნ". წარწერა სამეცნ. ლიტ-რაში ცნობილია 1854-იდან (პირველად გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსემ); მას შემდეგ თითქმის 30-ჯერ გამოიცა ქართ., რუს., ფრანგ., გერმ., ინგლ. და ლათ. ენებზე. წარწერა ტაძრის აგების ან მისი მშენებლობის პროცესის რომელიღაც ეტაპის თანადროულია და, საამშენებლო წარწერის მსგავსად, პირობითად, 493 ან 503 თარიღდება.

მეორე, ერთსტრიქონიანი წარწერა შესრულებულია რელიეფური ასომთავრული ასოებით ტაძრის ჩრდ.-დას. შესასვლელის არქიტრავზე. ბ. ს. ჳ-ებს შორის პირველად სწორედ ეს წარწერა გამოაქვეყნა 1838 მ. ბროსემ. მისი ტექსტი ასეთია: „შეწევნითა ქ(რისტ)მსითა, მე, ფარნ(ევან) და აზარუხტ, შეხუაბთ ე[ს] კარი სალოცველად სულთა ჩუენთათჳს". წარწერა პალეოგრაფიულად ტაძრის სამშენებლო წარწერისა და დაეით ეპისკოპოსის წარწერის იდენტურია – ისიც შინაარსით ტაძრის მშენებლობასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, პირობითად, ზემოდასახელებული ორი წარწერის მსგავსად, შეიძლება მისი 493 ან 503 დათარიღება;

3. **წარწერა-საბუთები.** ბოლნისის ტაძრის სამხრ.-აღმ. შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილი სამი ეპიგრაფიკული საბუთი. სამივე X ს. მოღვაწის ელია ბოლნელი ეპისკოპოსის სახელს უკავშირდება და წარმოადგენს მის განჩინებებს;



ბოლნისის სიონი. 478–503.



ბოლნისის სიონი. საამშენებლო წარწერა. 493.

4. ეპიტაფიები. ბოლნისის სიონში არქეოლ. გათხრების შედეგად (1936) აღრეული ხანის რამდენიმე საფლაოის ქვა აღმოჩნდა. ერთ-ერთია მომწვანო ფერის ქვის ბრტყელი ოთხკუთხა ფილა (157×28×28 *სმ*). მისი სედა ნაწილი შესებულია ორმაგ ორნამენტირებულ წრეში ნასმული ბოლნური ჯვრით, ხოლო ქვედა – ამოკვეთით შესრულებული 4-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერით: „ესე საფლავნი იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისანი და ვინ სხუაი დაეფლის ამასცა – ნუ ეგების". პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა X ს-ისაა. ამ თვალსაზრისით იგი ელია ბოლნელის მიერ გ'ურგენ ერისთავთერისთავის აღაპის დაწესების წარწერის სრული იღუნტურია – ორივე შეიძლება ერთი ხელოსნის მიერ იყოს შესრულებული. ზოგიერთი მკვლევარი ეპიტაფიაში დასახელებულ იოვანე ბოლნელს X ს. გამოჩენილ ქართვ. მწერალთან და ჰიმნოგრაფთან აიგივებს. ამ წარწერიანი ფილის ზურგზე ამოკვეთილია ასევე X ს. წარწერა ვინმე შუშანიკისა, რ-იც ზემოთ იყო ნახსენები;

5. მლოცველთა მიერ შესრულებული ნაკაწრი წარწერები ანუ *გრაფიტოები*. ბოლნისის ტაძრის კედლებზე სხვადასხვა ადგილას ამოკაწრულია X–XI სს. (ზოგიერთი შეიძლება ამაზე ადრინდელიც) წარწერები, რ-ებიც ეკლესიაში სალოცავად მისულ პირებს ეკუთვნის. ეს წარწერები, ჩვეულებრივ, ტრაფარეტული ტექსტებისაგან შედგება: „ქრისტე, შეიწყალე-" და შემდეგ იმ პირის სახელია, რ-მაც წარწერა ამოკაწრა ან ვის სახელზედაც ამოაკაწერინეს იგი. მათში დასახელებულია უცნობი პირები: კურიკე, იოვანე, ზოსიმე, თეოდორე, გიორგი, სუმბატ, პეტრე, იონა, მიქაელ და სხვ. ზოგიერთი სახელი, ალბათ, ერთი და იმავე პირისა (მაგ., კურიკე), რამდენჯერმეა ამოკვეთილი ტაძრის კედლების სხვადასხვა ადგილზე.



ბოლნისის სიონის წარწერა დავით ეპისკოპოსისა.

აღნიშნულ წარწერათაგან ენობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 493 ან 503-ით დათარიღებული ტაძრის საამშენებლო, დავით ეპისკოპოსისა და ფარნავან და აზარუხტის მემორიალური წარწერები, აგრეთვე, სოციერთი სხვაც, რ-შიც *ბანმეტობაა* დაფიქსირებული (თაჯანისხცეს, ხულოცოს, შახეწიე, შეხუაბთ). ისინი საინტერესოა პალეოგრაფიულადაც – ბ, ჯ, ყ და შ ასოები შეკრული მარეუქებითაა გადმოცემული.

ლიტ.: სილოგავა ვ., ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994 (იქვე სრული ბიბლიოგრაფია).

ვ. სილოგავა.

ბოპი (Bopp) ფრანც (14. IX. 1791, მაინცი, – 23. X. 1867, ბერლინი), გერმანელი ენათმეცნიერი. ბერლინის უნ-ტის პროფესორი (1821–64), პრუსიის მეცნ. აკად. წევრი (1822). 1816 გამოქვეყნდა მისი პირველი შრომა: „სანსკრიტის უღელილების სისტემის შესახებ ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და გერმანულ ენებთან შედარებით", რ-მაც ინდოევრ. ენათა ნათესაობის კვლევას ჩაუყარა საფუძველი. ეს არის ინდოევრ. ენათა შედარებითი გრამატიკის შედგენის პირველი ცდა. ფუნდამენტური სახე ეძლევა ინდოევრ. ენათა კვლევის საქმეს მის სამტომიან ნაშრომში: „შედარებითი გრამატიკა სანსკრიტის, ზენდის, სომხურის, ბერძნულის, ლათინურის, ლიტვურის, ძველი სლავურის, გოთურისა და გერმანულისა". პირველი გამოცემა გამოვიდა 1833–52, ხოლო მეორე, მთლიანად გადამუშავებული – 1857–61 წლებში (მესამე გამოცემა – 1868–71). მართალია, ბ-ს ინდოევრ. ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად *ბგერათშესატყვისობები* არ დაუდგენია, მაგრამ მისი ანალიზი ძირითადად ემყარებოდა მასალას, რ-იც შემდეგ სხვა მკვლევრებმა გამოიყენეს მათ დასადგენად.

ბ-მა გამოთქვა აზრი ქართველურ ენათა ინდოევრ. ენებთან ნათესაობის შესახებაც. ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური ენების შესახებ ბ. მსჯელობს მ. *ბროსეს*, გ. როზენის და ი. *კლაპროთის* შრომების საფუძველზე. იგი კრიტიკულად ეკიდება სომხური ენის მეშვეობით ქართულის ინდოევრ. დაკავშირების ცდებს, რადგან თელის, რომ თანხვედრის შემთხვევაში ჩვეულებრივ სესხე-

ბასთან გვაქვს საქმე. თავად ქართველურ ენათა მონაცემებს სანსკრიტს უდარებს. ამ კვლევის შედეგები წარმოდგენილი აქვს შრომაში, რ-იც წაიკითხა ბერლინის მეცნ. აკად. სხდომაზე (1842), შემდეგ კი ნაშრომი სათაურით: „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით“, დაიბეჭდა 1846, სადაც იგი წერდა: „თუ გვინდა, რომ დავასაბუთოთ უძველესი ნათესაობა ქართულსა და სანსკრიტს შორის, თვით სანსკრიტს უნდა მივმართოთ, რომელთანაც ქართულსა და ლაზურს საყურადღებო თანხვედრები აქვთ, ამასთან, ენობრივი ორგანიზმის ქველა ნაწილში: სახელის ფლექსიაში, ზედსართავის ხარისხების წარმოებაში, ნაცვალსახელურ ძირებსა და ნაცვალსახელურ ფლექსიაში, რიცხვით სახელებში, ზმნის უღლებაში პირის, რიცხვის, დროისა და კილოს მიხედვით...“ ბ-ის მიერ შედარებულ მასალაში წარმოდგენილია, მაგ., ნაცვალსახელები: ქართ. მე, ლაზ. მა – სკრ. mam „მე“. სვან. ნაი „ჩვენ“ – სკრ. na-s, ლათ. nos, იტალ. noi-. ქართ. ესე, ესა – სკრ. esa. ქართ. იმან – სკრ. ima-m; ბრუნვის ნიშნები: ქართ. -ის – სკრ. sya; ქართ. -ითა – სკრ. -te; რიცხვის ნიშნები: ქართ. -ნი – სკრ. -ni; უარყოფის ნაწილაკი: ქართ. ნუ – სკრ. na; ბ. მსგავსებას ხედავს ზმნაში მრავლობითი რიცხვისა და იმპერფექტის წარმოებაში; ერთმანეთთან აკავშირებს რიცხვით სახელებს: ქართ. ექვსი – სკრ. sas – ლათ. sex; ქართ. შვიდი – სკრ. sapta; მეშველ ზმნას: არის – სკრ. as. ლათ. eram, ero, ინგლ. ar-tar-e; მას წარმოდგენილი აქვს მთელი რიგი ქართველურ-ინდოევრ. ლექსიკური შეხვედრები, რ-ებიც დღესაც ფიგურირებენ.

თხზ.: Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, B., 1847.

ლიტ.: ნიქობაძე არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; Дельбрюк Б., Введение в изучение языка. – «Записки историко-филол. факультета Имп. С.-Петербургского Университета», 1904, ч. I, XXV; Амирова Т.А., Ольховиков Б.А., Рождественский Ю.В., Очерки по истории лингвистики, М., 1975.

ი. მელიქიშვილი.

ბორენას ლექსი-წარწერა,

ქართული ასომთავრული 11-სტრიქონიანი წარწერა, შესრულებული ეერცხლის ჭედურ ფირფიტაზე, რიც დაკრულია პატარა ზომის (13,5×11 *სმ*) ღმრთისმშობლის ხატის ზურგზე. ხატი ინახებოდა მესტიის რ-ნის სოფ. ლენჯერში, ნესგუნის მაცხოვრის ეკლესიაში. 1948 აკად. გ. ჩუბინაშვილმა შესანახად გადაიტანა სვანეთის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში (მესტია).

ხატის წინა მხარეს წარმოდგენილი ყოფილა ღმრთისმშობლის წელსევითი ფერწერული გამოსახულება, ჩასმული მოოქრული ვერცხლის ჭედურ ჩარჩოში. ხატის ჩარჩო და ღმრთისმშობლის ნიმბი შემკულია სევადით შესრულებული ფოთლოვანი ორნამენტით. ცენტრ. ნაწილის ზედა კიდეებში, ნიმბის ორივე მხარეს, მოთავსებულია სევადით შესრულებული ასომთავრული განმარტებითი წარწერა, რ-ის ასოები შეეულადაა ჩამოწერილი სამ სტრიქონად: „დედაჲ || ღმრთისაჲ“. ხატის ზურგზე დაკრული მთლიანი ეერცხლის ფირფიტის შემოკეცილი კიდეები გადადის გეერდებზე და, წინა მხარის ფირფიტასთან ერთად, საერთო ეერცხლის ლურსმნებითაა დამაგრებული. ფირფიტის ქვედა ნაწილი მოგლეჯილია და ამის გამო წარწერის ბოლო სტრიქონის ასოები შეანაცა გადაჭრილი. ხატის ზურგზე, ეერცხლის ჭედური ფირფიტის მთელ სიმაღლეზე, წარმოდგენილია რთული მოკვანილობის კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრის გამოსახულება (გოლგოთის ჯვარი). ჯვრის გარშემო დარჩენილი არე და კვარცხლბეკის ზედაპირი შეესებულია ასომთავრული რელიეფური წარწერით. ასოები კიდურწერტილოვანია; განკეეთილობის ნიშნებად დასმულია რელიეფური ორწერტილები. ქარაგმის ნიშნები არ არის. მართალია, წარწერა თერთმეტსტრიქონიანია, მაგრამ, გარკეული წესით სტრიქონთა განაწილების შემდეგ, იგი დალაგდება ხუთსტრიქონიან ლექსად, იამბიკოდ:

„რომელმან ეგე ეგას მიუსღე ვალი, / პრქუი რაჲ გაბრიელს «ვარ უფლისა მჴეველი», / მაშინ ისტუმრე ქეეყნად მოუვალი, / დაემჯო ძალი – პირეელეე სისხლდამთერალი, / ქალწულო, მიჴსენ ბორენა ჭირმრავალი“.

ამ ლექსის აღმოჩენიდან (XIX ს. დასასრული) დღემდე მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა მისი წაკითხვის, ბორენას ვინაობისა და წარწერის დათარიღების შესახებ.

მკვლევართა უმრავლესობა (ა. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე, ს. ჯუბანეიშვილი, ს. ცაიშვილი, ი. ქაფიაშვილი...) წარწერაში დასახელებულ ბორენას მიიჩნეეს მეფე ბაგრატ IV-ის (1027–72) მეუღლე ბორენა დედოფლად. აქედან გამომდინარე, მას XI ს-ით ათარიღებენ. ე. თაყაიშვილი ხატს XI–XII სს. „კლასიკურ ხანას“ მიაკუთვნებდა, ხოლო ტექსტს XVI–XVII სს-ში გადაწერილად მიიჩნეედა და ასკვნიდა, რომ ლექსის ბორენა სხეა პირია და არა ბაგრატ IV-ის მეუღლე. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, წარწერა XIII ს-ისაა, ხოლო ლექსის ავტორია ცოტნე დადიანის მეუღლე ბორენა დედოფალი, ასული შოთა რუსთველის ძმის, ტბელისა. მაგრამ მისი ეს მოსაზრება „ძნელად დასაჯერებელი და მით უფრო ძნელად დასამტკიცებელი მაცდური ვარაუდის სფეროს განეკუთვნება“ (ა. ბარამიძე). სამაგიეროდ, პ. ინგოროყვამ ამ, ერთი შეხედვით ბუნდოვანი ლექსის პოეტური სახეები სწორად გახსნა და მისი შინაარსი ასე გადმოსცა:

„შენ, დედაო მარიამ, რომელმან ევას, პირველ დედას მიუზღე ვალი, რომელმან ჰრქვი გაბრიელ მახარებელს, რომ მე ვარო მხევალი უფლისა; რომელმან ისტუმრე მაშინ ის, ვინც არ მოსულიყო ქვეყნად – ქრისტე, რომლისა მიერ დაემხო ძალი ბოროტისა, რომელიც პირეელითგანვე სისხლით იყო დამთრალი მას შემდეგ, რაც ქვეყნად პირეელად დაინთხა უმანკო სისხლი კაენის მიერ; შენ, ქალწულო მარიამ, მიხსენ მე, ჭირმრავალი ბორენა“.

ლექსის შინაარსის ასეთი გაგება ძირითადად მისაღებია, თუმცა სოგიერთი დეტალის დაზუსტებაც შეიძლება. მაგრამ მთავარი მაინც სხეაა – სვანეთში დაცული ან სვანეთთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლების კომპლ. შესწავლა კატეგორიული დასკვნების საშუალებას გვაძლევს, რათა ზოგიერთ საკითხზე ვარაუდი მეტი დამაჯერებლობით გამოითქვას.

უეჭველია, რომ ნესგუნის ხატის წარწერა ბორენას ლექსით, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XIII ს. II ან XIV ს. I ნახ-ით თარიღდება. უეჭველია ისიც, რომ

XI–XIV სს. სვანეთის მოსახლეობა წერა-კითხვის მცოდნე იყო. ამასთანავე, სვანეთის საზ-ბას ჰყავდა ადგილ. ხუროთმოძღვრები, მხატვრები, ფერმწერები, ოქრომჭედლები, პოეტები. რაც შეეხება კონკრეტულად პოეზიას, შუა საუკ. სვანეთის ხალხ. პოეზიის რამდენიმე ნიმუშმა ნაქარგი წარწერის სახით ჩვენს დრომდეც მოაღწია. მაგ., ცნობილია XIII ს. II ნახ-ით დათარიღებული ლექსები, რ-ებიც ამოქარგულია სვანეთის სოფ. უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში დაცულ ტილოს ქისებზე. მათი რაოდენობა 80-ს აღემატება. სამ მათგანზე შაირით, რუსთველური თექვსმეტმარცვლიანი საზომით დაწერილი ლექსებია ამოქარგული. ქისების ადგილ. წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს და მათზე ამოქარგული ლექსებიც ქისების შემქმნელებს უნდა ეკუთვნოდეთ. ამდენად, არ უნდა იყოს უჩვეულო, რომ ნესგუნის ხატ'ზე ადგილ. მკვიდრის, ჩვენთვის უცნობი ვინმე ბორენას ლექსი იყოს მოთავსებული. რაც შეეხება ქალის საკუთარ სახელს – ბორენას, იგი შუა საუკ. სვანეთში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, საკმაოდ გავრცელებული ჩანს. იგი შვიდჯერ დასტურდება XIII ს. II ნახ. წერილობით ძეგლში „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ". გარდა ამისა, ცალკეა დასახელებული ბორენა რატიანი, ბორენა უშუხიანი, ბორენა წიფიანი და სხვ. სავსებით შესაძლებელია, რომ ნესგუნის ხატის წარწერა-ლექსის ავტორი ერთ-ერთი მათგანი იყოს.


ი. ბრაუნი.


ბორენას წარწერა.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., შოთა რუსთაველი (1166–1250). – წგ.: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი, წგ. I, თბ., 1970; ქართული პოეზია, წგ. I. ძველი ქართული პოეზია. V–XII სს., შეადგინა ს. ცაიშვილმა, თბ., 1979; ქ ა ჟ ა ი ა შ ვ ი ლ ი ი., ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები, თბ., 1994; ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ., ბორენას წარწერა-ლექსის გარშემო. – გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1999, 15–22 იანვარი, №3; Материалы по археологии Кавказа, вып. X, M., 1904.

ვ. სილოგავა.

ბრაუნი (Braun) იან (დ. 15. V. 1926, ლოძი), პოლონელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და ბასკოლოგი. დაამთავრა ლოძის უნ-ტი (1951). 1951–55 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ-ში ა. შანიძის ხელმძღვანელობით და აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ზმნის მრავალპირიანობა" (1955). სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ვარშავის უნ-ტში, სადაც კითხულობდა ზოგადი ენათმეცნ., შუმეროლოგიისა და ე. წ. აზიანიკური ენების შედარებითი გრამატიკის კურსს. განსაკუთრებით ნაყოფიერად იკვლევდა ბასკურ-კავკ. ენათა ურთიერთობის პრობლემას, იცავდა ამ ენათა გენეტიკური ნათესაობის თეორიას. აღწერა კრაკოვში დაცული ქართ. ხელნაწერები (1958). მისი თანამშრომლობითა და კონსულტაციით გამოქვეყნდა პოეტ იეჟი ზაგურსკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" პირველი სრული გამოცემა პოლ. ენაზე. იყო აგრეთვე მეცნიერ-კონსულტანტი იგორ სიკირიცკის მიერ პოლ. ენაზე შედგენილი ქართ. პოეზიის ანთოლოგიისა (ლოძი, 1985) და ინგლ. ქართველოლოგის დ. მ. ლანგის ნაშრომის „ძველი საქართველოს" თარგმანისა პოლ. ენაზე (1972). პოლონურად თარგმნა ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, გ. ლეონიძის რამდენიმე ლექსი, ს.-ს. ორბელიანის იგავ-არაკები, ქართ. ფოლკლორის ნიმუშები.

ბ. არჩეულია ბასკური ენის სამეფო აკადემიის საპატიო წევრად (2001), საქართველოს მეცნ. აკადემიის უცხოელ წევრად (2002).

თხზ.: Sumerian and Tibeto-Burman, Warszawa, 2001. იხ. აგრეთვე სტატიასთან *ბასკური ენა.*

ზ. ჭუმბურიძე.

ბრიერი (კშèკუ) მორის (1. IX. 1881 – 11. III. 1960), ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი. განათლებით მათემატიკოსი. ქართ. ენა შეისწავლა პარიზში, აღმოსავლური ცოცხალი ენების სკოლაში, სადაც 1926–28 ისმენდა ნ. მარის ლექციებს. ნ. მარის თანაავტორობით ფრანგ. ენაზე გამოაქვეყნა ქართ. ენის სახელმძღვანელო (1931). ნ. მარისა და ბ-ის ერთობლივ ნაშრომში, განსხვავებით ნ. მარის 1908 ძვ. ქართ. ენის გრამატიკის ძირითადი ცხრილებისა და 1925 ძვ. სალიტ. ქართულის გრამატიკისაგან, ზოგი მოვლენა სხვაგვარადაა კვალიფიცირებული: ქართ. ენაში არ დასტურდება მ-ს გაორმაგება, არ ივარაუდება ჳ და გრძელი ხმოვნები; თანხმოვანთა პარადიგმული ცხრილი უფრო პროპორციულია, ვიდრე ნ. მარის წინა შრომებში: ცნობილ კვადრატში წინაენისმიერი აფრიკატები გადატანილია სიბილანტების მხარეს, ხოლო უკანაენისმიერი აფრიკატები – სპირანტების მხარეს; კვადრატის გარეთ ჰომორგანული თანხმოვნები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი და არა ანტიპოდების სახით... 1936 ბ. იყო თბილისში, გამოსცა რამდენიმე ძვ. ქართ. ტექსტი, მ. შ. „შატბერდის კრებულიდან" (1954). რ. *ბლეიკის* გარდაცვალების შემდეგ ბ-მა მუშაობა განაგრძო ქართ. ძველი აღთქმის გამოცემებზე – წინასწარმეტყველთა წიგნებზე (პარიზი, 1961). 25 წლის განმავლობაში ასწავლიდა ქართ. ენას პარიზის კათოლ. ინ-ტის ძვ. აღმოსავლური ენებისა და აღმოსავლური ცოცხალი ენების სკოლაში; აქვეყნებდა სირიულ ტექსტებსაც.

თხზ.: La langue géorgienne, Paris, 1931 (თანაავტ.: N. M a r r).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., პროფესორი მორის ბრიერი. – «ლიტერატურული გაზეთი», 1960, 6 მაისი, №19.

მ. შანიძე. თ. უთურგაიძე.

ბროსე (Brosset) მარი ფელისიტე (5. II. 1802, პარიზი, – 3. IX. 1880, შატელრო, საფრანგეთი), ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი. სწავლობდა ორლეანის, შემდეგ სან-სულპისიენის სას.

სემინარიაში. ისმენდა ლექციებს კოლეჯ დე ფრანსში, სწავლობდა ჩინურ ენასა და ლიტ-რას, შემდეგ – ქართულსა და სომხურს. გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი და ამით საფუძველი ჩაუყარა მეცნ. ქართველოლოგიას ევროპაში.

ქართველოლოგიური მოღვაწეობა ბ-მ წინამორბედ მკვლევართა ნაშრომების კრიტ. განხილვითა და შეფასებით დაიწყო. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარიზის „სააზიო საზოგადოების“ დაარსებით ი. *კლაპროთის* მიერ შედგენილ გრამატ. ნაშრომს, ხელნაწერში გაეცნო მას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ი. კლაპროთი ქართ. ენის სრულფასოვან გრამატიკას ვერ შექმნიდა. თავისი დასკვნა ბ-მ მოახსენა „სააზიო საზოგადოებას“. ამას მოჰყვა ცხარე კამათი ბ-სა და კლაპროთს შორის. თუ ი. კლაპროთს შესაძლებლად მიაჩნდა მეორე და მესამე პირთა ხელიდან გამოსულ მასალებზე დაყრდნობა, ბ. აუცილებლად თვლიდა პირველწყაროების შესწავლას, ენის საფუძვლიან ცოდნას.

ბ-მ 1834 პარიზში ლითოგრაფიულად დაბეჭდა ნაშრომი „L'Art libérale ou grammaire géorgienne“ („ჭეშმარიტება აზნაურობითი გინა ქართულისა ენისა თუმცა სწავლებელი“), რ-იც არსებითად ქართ. ენის გრამატიკაა, რ-საც საფუძვლად უდევს ტრად. ფილოლ. გრამატიკა. მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გაუწია 1767 ანტონ I-ის შედგენილმა გრამატიკამ. ბ-მ მიზნად დაისახა, გადმოეცა ქართ. ენის გრამატიკის არსი, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისას ხოგჯერ შეპკამათებოდა ანტონ I-ს ან დაჭრდნობოდა მას და ასე გაემდიდრებინა თავისი ნაშრომი მრავალრიცხოვანი საყურადღებო ფაქტით. ბ-ს შრომა შედგება წინასიტყვაობის, 17 თავისა და დასკვნისაგან. პირველ თავში განხილულია ცნობები ქართ. ანბანის შესახებ, ქართ. მეტყველების თავისებურებანი. შემდგომ თავებში დაწერილებითაა განხილული 8 მეტყველების ნაწილი. ყოველ თავს საილუსტრაციოდ მოსდევს „მირიანის“ ფრანგ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ. ეს ტექსტი ქართულ ენაზე ბ-მ პარიზის სამეფო ბ-კის ფონდში აღმოაჩინა. ნათელი გახდა, რომ საქმე ჰქონდა გადმოკეთებულ და არა ორიგინ. თხზულებასთან. ბ-მ „მირიანი“ ფრანგულად თარგმნა და სააზიო ჟურნალში გამოაქვეყნა.

არსებითად ბ-ს შედგენილია მეორე შრომაც „ქართული ენის ელემენტები“ (1837). ამ შრომაზე მუშაობა ი. კლაპროთმა დაიწყო, მაგრამ მან შრომის მხოლოდ ნაწილი (სახელები) შეასრულა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ეს სამუშაო ბ-მ დაასრულა.

„ქართული ენის ელემენტებში“ გამოყოფილია სინტაქსი, რ-იც 1834 გამოცემულ შრომაში სათანადო მეტყველების ნაწილებთან ერთად განიხილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მოვლენის გაგება სადაო ან არასწორია, ბ-ს ნაშრომები გამოირჩევა მასალის ცოდნით და მთელი XIX ს. განმავლობაში წარმოადგენდა უცხოელთათვის ძირითად წყაროს ქართ. ენის გასაცნობად.

ბ-მ ქართ. ენისადმი მიძღვნილ შრომებში ფონეტიკის, მორფოლ. და სინტაქსის საკითხების გაანალიზების შედეგად წამოაყენა დებულება, რომ ქართ. ენა ინდოევრ. ენათა ინდურ-ირან. შტოს ეკუთვნის. მისი აზრით, ამის საფუძვლებს იძლევა შემდეგი: 1. ქართ. სიტყვების ნაწილი საზიაროა ინდო-გერმ. ლექსიკასთან. უახლოვდება, ყველაზე ხშირად სომხ. ენის მეშვეობით, სანსკრიტს, ძვ. სპარსულსა და ზენდურს; 2. სახელის ფორმები, დიდი ნაწილი ბრუნებისა, შედარებითი ხარისხის ფორმანტი და თითქმის ყველა ქართ. ნაცვალსახელი საესებით სანსკრიტული ანდა ზენდურია; 3. ფორმა, კლასიფიკაცია და უღელილების ნაწილი ანალოგიურია სპარსულის, სანსკრიტისა და ბერძნულისა. ამავე დროს ბ. მიუთითებს, რომ „სინტაქსი და სიტყვათა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულს თითქოს თავისებური აქვს, თუმცა ყველა ეს დადასტურებული მიმართებაკავშირი ინდოევრ. ენებთან იმის უფლებას იძლევა, რომ ვიფიქროთ: არსებობს სხვა კავშირებიც, რასაც უფრო მარჯვე მკვლევარი უცილობლად გამოაელენს“ („ჭეშმარიტება აზნაურობითი“).

ქართ. მასალების პუბლიკაციის მიზნით ბ-მ შეისწავლა პარიზის ბ-კაში დაცული ქართ. ხელნაწერები და ორ კრებულად გამოაქვეყნა. ახ. მასალების მოსაპოვებლად დაუკავშირდა პეტერბურგში მყოფ ქართ. სწავლულს, ბატონიშვილ თეიმურაზ ბაგრატიონს, რ-მაც იმდროინდელ რუსეთში ყველაზე უკეთ შეძლო რეალური და საქმიანი დახმარება გაეწია ბ-სათვის. ბ-მ პარიზის სააზიო საზ-ბის წინაშე დააყენა საკითხი თეიმურაზ ბაგრატიონის ამ საზ-ბის წევრად არჩევის თაობაზე, რაც 1831 განხორციელდა კიდეც. ამ დღიდან მოყოლებული, თეიმურაზ ბაგრატიონი სისტემატურად ამარაგებდა სააზიო საზ-ბას და ბ-ს ახალ-ახალი მასალებით ქართ. ლიტ-რის, ენისა და ისტორიის შესახებ. ეს მასალები საფუძვლად დაუდო ბ-ს ახ. ნაშრომებს ქართველოლოგიაში, გამოსცა ქართ. მასალების ახალი კრებული, რ-შიც შეეიდა თეიმურაზ ბაგრატიონის სამი თხზულება. მან რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება მიაწოდა ბ-ს ქართ. ენისა და ლიტ-რის საკითხებშედაც. ბ-სა და თეიმურაზ ბაგრატიონს შორის მიმოწერით დაწყებული სამეცნ. ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ბ. აირჩიეს პეტერბ. მეცნ. სამეფო აკად. წევრად და ის პეტერბურგში გადავიდა სამუშაოდ. აქ მან პირადად გაიცნო თეიმურაზ ბაგრატიონი და თავის ნამღვილ მასწავლებლად აღიარა.



მ. ბროსე.

1839–41 აკადემიასა და უნ-ტში ბ-მ წაიკითხა ლექციების ციკლი საქართველოს და სომხეთის ისტორიის შესახებ. 1847–48 იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა დიდძალი ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური და სხვ. მასალა და პეტერბურგში სამ წიგნად გამოაქვეყნა (1849–51). ფრანგულად თარგმნა და 1849–58 შეიდტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიის“ გეოგრ. ნაწილი და სხვ. 1861 გამოაქვეყნა საბუთები რუსეთ-საქართვ. ურთიერთობის შესახებ. ბ-ს 200-ზე მეტ ნაშრომში თავმოყრილია დიდძალი კრიტიკულად შემოწმებული მასალა. მან გაამდიდრა ქართ. ისტორიოგრაფია, გააფართოვა მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, წინ წასწია ქართ. ნუმიზმატიკის, სფრაგისტიკის, ეპიგრაფიკისა და სხვა დამხმარე დარგების შესწავლა, წამოჭრა და დაამუშავა შუა საუკ. საქართვ ისტორიის მრავალი საკითხი, სცადა დაეწერა საქართვ. ისტორიის კურსი.

ბ-ს არქივი და მის მიერ შეკრებილი ქართ. ხელნაწერები დაცულია პეტერბ. აღმოსაელეთმცოდნეობის ინ-ტში.

ლიტ.: მარი ფელისიტე ბროსე. ბიობიბლიოგრაფია (ბიოგრაფიული ნარკვევები და შრომების სისტემატური ბიბლიოგრაფია), გამოცემული ე. ხოშტარია-ბროსეს და ს. ანდრიეს მიერ, თბ., 1999 (ქართ. და ფრანგ. ენებზე).

ნ. იოსავა.

ბრუნება, სახელთა ფორმაცვალება, რ-ის დროსაც იცვლება სიტყვის მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობა, ლექსიკური მნიშვნელობა კი უცვლელი რჩება.

ბ. ხდება ბრუნვათა მიხედვით (იხ. *ბრუნვა*). თანამედროვე სალიტ. ქართულში გამოყოფენ 7 ძირითად ბრუნვას; ესენია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. ბრუნვის ფორმათა სისტემა ქმნის *პარადიგმას*. პარადიგმის წევრებს შორის ურთიერთმიმართების სახე განსაზღვრავს პარადიგმის მორფოლ. ტიპს.

ქართულში ბრუნვის ნიშნებსა და ფუძეში მიმდინარე ცვლილებები ფონეტ. ხასიათისაა. ტრადიციულად წარმოდგენილი ბ-ის ტიპების კლასიფიკაციაც ემყარება არა მორფოლოგიურ, არამედ ფონოლოგიურ კრიტერიუმს. სახელთა ბ., როგორც მორფოლ. პროცესი, ქართულში ერთია (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა). ამდენად, ბგერით ცვლილებათა გამო მიღებული სახეობების მორფოლ. ტიპებად მიჩნევა მიზანშეუწონელი ჩანს.

ბ-ის მორფოლ. პრინციპის მიხედვით, სახელი ორგვარია: სუბსტანტივი და ატრიბუტივი. სუბსტანტივი ცალკე მდგომი სახელია, რ-საც 7-წევრიანი (სრული) ბ-ის პარადიგმა აქვს. სუბსტანტივთა ბ-ის პროცესში ფონოლოგიური სხეაობის მიხედვით აჯგუფებენ ბოლოხმოვნიან და ბოლოთანხმოვნიან სახელებს; ბოლოხმოვნიანი სახელები, თავის მხრივ, ფუძეუკვეცელი ან ფუძეკვეცადია. თანხმოვანფუძიანი სახელებიც, ფუძის ფონეტ. ცვლის მიხედვით, ფუძეუკუმშველი ან ფუძეკუმშვადია. ქართულში გვაქვს კუმშვად-კვეცადი სახელებიც (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა).

ატრიბუტივის (მსაზღვრელი სახელის) ბ-ის პარადიგმა, როდესაც მსაზღვრელი საზღვრულის წინ არის დასმული, რიგი თავისებურებებით გამოირჩევა: 1. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტივი წინადადებაში გვხვდება: ა) უნიშნოდ (ემთხვევა ფუძეს): „მაღალ სახლ-ს“, „მაღალ სახლ-ად“; ბ) -ი სუფიქსიანი ფორმით: „მაღალ-ი სახლი“, „მაღალ-ი სახლ-ის“, „მაღალ-ი სახლ-ით“; გ) -მა სუფიქსიანი ფორმით: „მაღალ-მა სახლ-მა“; დ) -ო სუფიქსიანი ფორმით: „მაღალ-ო სახლ-ო“. 2. ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი უბრუნველია და ყველა ბრუნვაში სახელის ფუძეს ემთხვევა: „კოხტა მდელო“; „კოხტა მდელო-მ“; „კოხტა მდელო-ს“...

ბრუნვათა სისტემების ანალიზისას, მორფოლ. ნიშანზე დაყრდნობით, გამოიყოფა კერძო სისტემები, რ-ებიც რამდენიმე ჯგუფში ერთიანდებიან (პ. *ფოგტი*): 1. საკუთარი სახელები (ოთხბრუნვიანი პარადიგმით); 2. ჩვენებითი ნაცვალსახელები (ფუძემონაცვლეობის პრინციპი); 3. რა ნაცვალსახელი; 4. ვინ ნაცვალსახელი; 5. პირის ნაცვალსახელები და ა. შ. ამ კერძო შემთხვევებში არსებითია ის, რომ ყველგან ბ-ის ნაკლული პარადიგმა გვაქვს – აკლია ესა თუ ის ბრუნვა, რ-თა კომპენსაციასაც ან ამავე პარადიგმის წევრის საშუალებით ახდენს (ვინ ნაცვალსახელი ითავსებს სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციებს), ანდა სხვა პარადიგმიდან სესხულობს (ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემიდან –ეს (ის) იგი ერთეულებს მესამე პირის ნაცვალსახელის ნომინატივის ფუნქციით, ჩემ- კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძეს პირველი პირის ნაცვალსახელის ნათ. ბრუნვის გადმოსაცემად და სხვ.). ყველა ეს კერძოობითი პარადიგმები ქმნიან ბ-ის III ტიპს (ნაკლული პარადიგმის მქონე სახელთა ჯგუფს).

ცალკე უნდა გამოიყოს ზმნის ატრიბუტივთა (ზმნისართთა) ბ., რ-იც ასევე ნაკლული პარადიგმითაა წარმოდგენილი:

მიც. –	იქ (ს)	დღეს – 0
ნათ. –	–	დღე-ის (← * დღეს-ის)
მოქ. –	იქით, იქიდან	–
ვით. –	იქამდე	დღე-იდან (← *დღეს-იდან ←*დღეს-ით-გან)
		დღე-მდე (← *დღეს-მდე) (ბ. ჯორბენაძე).

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლი, ტ. 1, თბ., 1950 (1998); შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973, 1980); სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956; ფ ო გ ტ ი ჰ., ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში. – «მიმომხილველი», IV–V, თბ., 1968; ო ნ ი ა ნ ი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბ., 1989; შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი ლ., პირისა და ვინ კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმების ჩამოყალიბება ქართულში. – «სადისერტაციო მაცნე ფილოლ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად», თბ., 1993; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995.

კ. გაბუნია.

ბრუნებადი სიტყვა, სიტყვა, რ-იც იბრუნვის. ბრუნებადად რომ ჩაითვალოს, სიტყვას უნდა ჰქონდეს ორი ბრუნვის ფორმა მაინც.

ქართ. ენაში ბ. ს-ები ძირითადად სახელებია, მ. შ. სხვა ენებიდან ნასესხებიც. მაგ., სიტყვა „პალტო“ ქართულში რუსულიდანაა შემოსული, რუსულში კი – ფრანგულიდან. იგი არ იბრუნვის არც რუსულში და არც ფრანგულში, ქართულში კი გვაქვს: პალტო, პალტო-მ, პალტო-ს და ა. შ.

ქართ. ენაში ბრუნებადი შეიძლება იყოს არა მარტო სახელები, არამედ ფორმაუცვლელი სიტყვებიც და თვით პირიანი ზმნებიც კი: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, „ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას...“

ზმნისართებში დაპირისპირება „აქედან–აქამდე“ (შდრ.: „სახლიდან–სახლამდე“) გვავარაუდებინებს ბრუნების არასრული პარადიგმის არსებობას. ამდენად, ზმნისართიც შესაძლოა ჩაირთოს ბ. ს-თა ჯგუფში (ბ. ჯორბენაძე).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973, 1980).

ქ. დათუკიშვილი.

ბრუნვა, სახელის გრამატიკული კატეგორია, რ-იც განასხვავებს ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ფორმალურ-გრამატიკული თვალსაზრისით.

ბ., როგორც გრამატ. კატეგორია, ერთსა და იმავე დროს მორფოლოგიურიცაა და სინტაქსურიც. როგორც მორფოლ. კატეგორიას, ბ-ს სიტყვის სტრუქტურაში მკაცრად განსაზღვრული ადგილი აქვს (იხ. *რანგი*). ბ-ის გამომხატველი ფორმანტი ქართულში სუფიქსია:

იგი უშუალოდ დაერთვის ფუძეს (ან მრ. რიცხვის აღმნიშვნელ ბოლოსართს მოსდევს).

ქოველი ბ-ის ფორმა გამოხატავს ძირითად, ამოსავალ მნიშვნელობას, რ-იც ნიუანსობრივად იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობის გამომხატველია ფუძე; ბ-ის ფორმის მნიშვნელობის ნიუანსურ სხვაობას განსაზღვრავს აგრეთვე წინადადებაში მასთან დაკავშირებული სხვა *სიტყვაფორმის* ლექსიკურ-გრამატ. მნიშვნელობა (შდრ.: „მეზობელ-ს ხატავს“ და „მეზობელ-ს უხატავს“).

სიტყვაფორმის ფუძის ლექსიკურ მნიშვნელობასთან ურთიერთობის სახე განსაზღვრავს ბ-ის მორფოლ. ფუნქციას, ხოლო სიტყვაფორმის ურთიერთმიმართება წინადადების სხვა წევრებთან – ბ-ის სინტაქსურ ფუნქციას.

XVIII—XIX სს. ქართ. გრამატიკებში ბ-ების რაოდენობისა და ფორმების საკითხის შესახებ ერთნაირი აზრი არ იყო ჩამოყალიბებული, თუმცა ბ-ების რაოდენობა, ნაწილობრივ, XX ს-შიც საკამათოდ რჩებოდა. საქმე ეხება წოდებით ბრუნვას. თუ ერთი მოსაზრებით იგი სრულუფლებიანია და მისი ადგილი სხვა ბ-ებს შორისაა (ა. შანიძე), სხვა მოსაზრებით მისი ბრუნვად მიჩნევა შეუძლებელია (არნ. ჩიქობავა, ე. თოფურია).

თანამედროვე ქართულში (წოდებითის ჩათვლით) შვიდ ბ-ს გამოყოფენ. თითოეულს თავისი ნიშანი აქვს. ბ-ის ფორმები ქმნიან ჩამოყალიბებულ სისტემას:

სახელობითი ბრუნვა – -ი (ხმოვანფუძიან სახელებთან – Ø); *მოთხრობითი ბრუნვა* – -მა (ხმოვანფუძიანებთან – -მ); *მიცემითი ბრუნვა* – -ს; *ნათესაობითი ბრუნვა* – -ის (ფუძეუკანაცელ სახელებთან – -ს, -სი); *მოქმედებითი ბრუნვა* – -ით (ფუძეუკანაცელ სახელებთან – -თი); *ვითარებითი ბრუნვა* – -ად (ხმოვანფუძიან სახელებთან – -დ); *წოდებითი ბრუნვა* – -ო (ხმოვანფუძიანებთან – -ე ან Ø). ა. შანიძე ამ „ძირითად“ 7 ბ-ს *აღგილობით ბრუნვებსაც* უმატებს.

ბ-თა შორის დაპირისპირება შეიძლება პრივატული ოპოზიციის სახით იყოს წარმოდგენილი; მაგ., ძვ. ქართულში *წრფელობითი ბრუნვა* უნიშნობით უპირისპირდებოდა სხვა ბ-ებს (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი). თანამედროვე ქართულში წრფელობითის ფუნქციები სახელობითმა შეითავსა, თუმცა უნიშნოდ წარმოდგენილი ფორმა ღღესაც იხმარება გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციებში (მაგ., ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულის ქველა ბ-ში ცვლილებისას: პატარა სახლი, პატარა სახლმა...; თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულის მიც. და ვით. ბ-ებთან: დიდ სახლს, დიდ სახლად).

ძვ. ქართულისგან განსხვავებით, თანამედროვე სალიტ. ქართულში ზოგიერთი ბ-ის ნიშანი ფონეტიკურად გამარტივდა (მაგ., მოთხრ. -მან – -მა ‖ -მ).

ბ-ის ნიშანთა წარმომაელობა სხვადასხვაა: სახ. და მოთხრ. ბ-ები აშკარად გვიანდ. წარმოებისაა და ნაცვალსახელთაგან მომდინარეობენ: კაც იგი > *კაციი > კაცი (ა. შანიძე), კაც მან > კაცმან > კაცმა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა).

ძვ. ქართულში ბ-თა ფუნქციონირების თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოყოფენ უძველეს – ნათ.-მოქმ. [-ის, -ით (ოდ), -ინ, -ივ ალომორფებით წარმოდგენილ] და მიც.-მიმართულებით (-ას, -ად, -ან, -ავ ალომორფებით წარმოდგენილ) ბ-ებს (ე. თოფურია, ე. ბაბუნაშვილი, თ. შარაძენიძე).

ბ-ის ნიშანს შეიძლება დაერთოს *ემფატიკური ხმოვანი* -ა; ნათესაობითსა და მოქმედებითში ხმოვანფუძიან უკანაცნელ სახელებში ა-ს ენაცვლება -ი ხმოვანი (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973, 1980); მისივე ვ. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976; ბაბუნაშვილი ე., მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში. – კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. I, ე. თოფურიას რედ., თბ., 1956; თოფურია ე., წოდებითი ბრუნვისათვის. – იქვე: შანიძე ა., წოდებითის ფორმის აღგილისათვის გრამატიკაში. – იქვე; შარაძენიძე თ., მოქმედებითი და მიმართულებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში. – იქვე: ცერცვაძე ი., ბრუნვათა საკითხი XVIII და XIX სს. ქართველ გრამატიკოსებთან. – იქვე: იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; თოფურია ე., ნდს ფუნქციებისათვის ქართველურ ენებში. – იხ. მისივე: შრომები, ტ. 3, თბ., 1979; ონიანი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.

ქ. გაბუნია.

ბრძანებითი მიმართება, ზმნური მიმართების ფორმა, რ-იც ემთხვევა *აორისტის* II პირის ფორმას, ოღონდ მისგან განსხვავდება ინტონაციურად – წარმოითქმის სპეციფიკურად მაღალი ტონით და ხმის ინტენსივობით [შდრ.: გააკეთე (უკვე) და გააკეთე!]; ეს ნიშნები და ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისაკენ მოწოდების ფუნქცია გამოარჩევს ბ. მ-ს სხვა ფორმებისაგან და, ამრიგად, იგი განასახიერებს ე. წ. ბრძანებით კილოს (იხ. *კილო*), რ-იც უპირისპირდება თხრობითსა და კავშირებით კილოებს. ბ. მ., ჩვეულებრივ, პუნქტუაციურად ფორმდება ძახილის ნიშნით (მაგ.: „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“ ი. ევდ.).

ბრძანებითი ფორმის აღგილი ზმნის სხვა პირიან ფორმებს შორის განისაზღვრება თვით ამ კილოური კატეგორიის ფართო და ვიწრო გაგებით. სპეციალისტთა დიდი ნაწილის აზრით, ბრძანების სემანტიკის გადმოცემა სამივე პირს შეუძლია, და არა მხოლოდ II პირს; I და III პირის ზმნები სამისოდ II კავშირებითის ფორმებს იშველიებენ, ოღონდ I პირის ზმნას მხოლოდ მრაველობითის ფორმები აქვს (წეროს/წერონ, მაგრამ: ვწეროთ!); ამაღე (ფართო) თვალსაზრისის მიხედვით (ა. შანიძე), გამოიყოფა ე. წ. უკუთქმითი, ანუ აკრძალვითი ბრძანებითი ფორმები, რ-ებიც უარყოფითი ნუ და არ ნაწილაკების დართვით იშველიებენ სხვა კილოურ ფორმებს: თხრობითისას – ნუ + აწმყო/მყოფადი (ნუ წერ/დაწერ!) და კავშირებითისას – არ + მეორე კავშირებითი (არ + წერო/დაწერო!).

მეორე (ვიწრო) თვალსაზრისის მიხედვით (ქ. ლომთათიძე), ბრძანებითი ოდენ მიმართების ფორმაა (როგორც დიალოგური მეტყველების სპეციფიკური მახასიათებელი) და ამიტომ იგი მხოლოდ მეორე პირის კუთვნილებაა. ამ ფორმით მოქმელი თანამოსაუბრეს მოუწოდებს – სთხოვს ან უბრძანებს – შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ამიტომ ამ თვალსაზრისისათვის მიუღებელია უკუთქმითი (აკრძალვითი) ბრძანება, რ-იც მოქმედების შეუსრულებლობისკენ მოუწოდებს თანამოსაუბრეს.

ბრძანებითის, როგორც მიმართების ფორმის, სასარგებლოდ მეტყველებს სპეციფ. ინტონაციის გაელენით II პირის ფორმებში ბოლო მარცვლის მოკვეცა ზეპირ მეტყველებაში: მოიტა(ნე), ადექ(ი), დაჯექ(ი), მოიცა(დე), გაიქც(ი), მო-



გ. ბურჭულაძე.

მ)(ცი), წამო(დი), შეხე)(დე), გასწ(ე), დაჰკა(რი), დადე)(ვი), გეთაყვა(ნე), ეუნაცვა(ლე) და მისთ. [ანალოგიური პროცესისათვის შდრ.: სახელური მიმართვის შემოკლებული ფორმები: ქა(ლო), გო(გო), ბიძი(ა), დედი(ლო), მამი(ლო), ბაბუ(ა) და მისთ.].

თანამედროვე ქართულში ერთადროი ბრძანებითის ფორმა, რ-იც არ ემთხვევა აორისტისას, არის - დი (შდრ.: მოხვედი და მოდი, წახვედი და წადი); იგი მიღებული ჩანს ვედ ზმნის ფონეტ. ცვლილების შედეგად (მოვედი > მოედი > მოდი).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973, 1980); ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ფ., რატომ იყენებს მეორე ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს?. – «თსუ შრომები». 1956, ტ. 61; ქ ე ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ქ., ბრძანებითი კილოს შესახებ. – «ი.კვ.», XX–XXI, თბ., 1995; ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე შ., ბრძანებითი, როგორც მიმართვის ზმნური ფორმა. – «საენათმეცნიერო ძიებანი», IV, თბ., 1995. *შ. აფრიდონიძე.*

ბრძანებითი წინადადება, წინადადება, რ-იც გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, ბრძანებას (იხ. *ბრძანებითი მიმართება*). ბ. წ. შეიცავს ზმნის ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ ი ლ ო ს (იხ. *კილო*) ფორმას, რ-ითაც გადმოიცემა კატეგორიული ბრძანებაც („აიღე ფარ-ხმალი!“, გ. შატბ.), მოწოდება-წაქეზებაც, გაფრთხილებაც, თხოვნა-ევედრებაც... („ხელში გეჭიროს სიმარჯვის თასი, მასში მტკვნები გრძნობის ნასწურე!“, გ. ტაბ.; „ღმერთო, არ მისცე ქვაღილო ზიანი!“, ვაჟა-ფშაველა; „არ დაიდარდო, დედაო, ნუ მიეცემი სევდასა“, გ. ლეონ.; „ნუ გამხდი ნაცარქექიად, ნუ დამსვამ ციცა კერასა“, ა. წერ.). ბ. წ-ს ახასიათებს სპეციფიკური ინტონაცია, რ-იც რამღენადმე იცვლება გადმოსაცემი შინაარსის შესაბამისად. მაგ., კატეგორიული ბრძანება გადმოიცემა მაღალი ტონით („აირთე ცეცხლით გული, მტერსა დაეცი მუხად!“, ი. ჭავჭ.), არაკატეგორიული კი (თხოვნა, რჩევა-დარიგება, ევედრება...) – შეღარებით დაბალი ტონით („შრომა აიღე მახვილად და მოთმინება ფარადა“, ა. წერ.). ბ. წ. არის მტკიცების მიხედვით წართქმითი და უკუთქმითი. წართქმითი ბ. წ. გვინვენებს, რომ მთქმელი მოქმედების შესრულებას მოითხოვს („მოიმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!“, ი. ჭავჭ.), უკუთქმითი ბ. წ. კი მოქმედების შესრულებას კრძალავს („ნუ აიღებ სხვა'სე მახვილს, ნურც უარყოფ შენსა ფარსა“, ა. წერ.). ბ. წ-ში ნაირგვარი სტილურ-ექსპრესიული მნიშვნელობის გამოსახატავად გამოყენებულია ლექსიკური საშუალებები, დამხმარე სიტყვები, ნაწილაკები („აბა, თავი მოიყარეთ სწავლისათვის თავის დრო'ზე“, რ. ერისთ.). ბ. წ-ში ზმნის ფორმა ზოგჯერ შეკვეცილია („გამო, შეითამაშე“). ბ. წ. შეიძლება უშემასმენლოც იყოს („აბა, როზგები!“).

ლიტ. იხ. სტატიასთან *თხრობითი წინადადება*. *ლ. კვარტალიანი.*

ბრჭყალები, ორი წყვილი სასვენი ნიშანი, რ-იც შედგება მიმართულებით განსხვავებული ქვედა და ზედა წყვილი მძიმისაგან („“) ან ერთმანეთის შემხვედრი ორი წყვილი კუთხოვანი ნიშნისაგან (« »).

ბ. იხმარება: 1. სხვისი ნათქვამის, ციტატის მოყვანისას ან ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და კულტ. ობიექტების (კინო-თეატრების, სასტუმროს, გემების...), ჟურნალ-გაზეთების, ალმანახის... ლიტერატურული, მუსიკალური და მისთ. ნაწარმოებების სახელწოდება-სათაურის დასახელებისას: „ქაქაჩოს გეერდს ვერ აუვლი“, „სხვა საქართველო სად არი?“ „აქ დაიბადა «სულიკო»“, „მზისკენ გაფრინდა «მერანი»“ (ა. კალანდ.); 2. ტექსტში სიტყვის ან მისი ნაწილის გამოსაყოფად: „ასეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა «მამულიც» გავანამცეცეთ“ (ი. ჭავჭ.); 3. უცხოური სიტყვის ფონეტიკურ თავისებურებათა დედაენის ასოებით (ერთგვარი დამახინჯებითაც) გადმოსაცემად: „ამ შემთხვევაში... მუშაობს ...გრძნობა «კლიაუ'სნიკობისა». «კლიაუ'სნი» ხალხნი ვართ და რა ექნათ“ (ვაჟა-ფშაველა); 4. ირონიული შეფასების გამოსახატავად: „ჩვენი «უშიშარი გმირები» კისრისტეხით გარბოდნენ იქიდან“. ირონიულად ნახმარ სიტყვასა თუ გამოთქმას ხშირად უძღვის სიტყვათშეხამება „ეგრეთ წოდებული“ (შემოკლებით – ე. წ.): „ამისთანა საქმე მოსდის... ეროს მოძღვრებასაც, რ-იც ეგრეთ წოდებულ «დედათა უფლების საქმეს» შეეხება“ (ი. ჭავჭ.).

ზოგჯერ, განსაკუთრებით უფროსი თაობის მეტყველებაში, ტერმინი „ბრჭყალები“ მოიხსენიება „წინწკლებადაც“.

შ. აფრიდონიძე.

ბურჭულაძე გუნადი თორნიკეს ძე (11. IV. 1940, ოსურგეთი, – 15. V. 2006, თბილისი), ენათმეცნიერი, დაღესტნურ და ქართველურ ენათა სპეციალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1988). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის კაექ. ენათა განყოფილება (1963) და ასპირანტურა „კავკასიური ენების“ სპეციალობით (1967).

1968-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას საქართვ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში როგორც უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. 1992–2005 იყო ცხინვალის სახელმწ. უნ-ტის პრორექტორი სამეცნ. დარგში. 1999-იდან გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციებს თსუ ფილოლ. ფაკულტეტის კაექ. ენათა განყ-ბაზე.

1976-იდან მუშაობდა არნ. ნიკობაევის სახ. ენათმეცნ. ინ-ტში უფრ. და წამყვანი მეცნ. თანამშრომლის თანამდებობაზე. 1998-იდან გარდაცვალებამდე იყო ინ-ტის მთავარი მეცნ. თანამშრომელი. 1996-იდან თანამშრომლობდა ქართ. ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარ სამეცნ. რედაქციასთან, მონაწილეობდა ენციკლოპედია „საქართველოს“ II ტომის მომზადებაში.

ბ-ის რამდენიმე მონოგრაფია და 300-ზე მეტი სამეცნ. სტატია მოიცავს დაღ. და ქართველური ენათმეცნიერების მნიშვნელოვან საკითხებს. მისი სამი მონოგრაფია ეძღვნება ლაკური ენის სახელის, ზმნის სისტემისა და ისტორიის საკვანძო საკითხების კვლევას. 2005 ნაშრომთა ციკლისათვის ლაკური ენის შესახებ მიენიჭა არნ. ნიკობაევის სახ. პრემია.

სამეცნ. მიღწევათა პოპულარიზაციას, ცნობილ მეცნიერთა ღვაწლის წარმოჩენას ეძღვნება მისი წიგნები „შეიცან თავი შენი“ (2003) და „დიდ წინაპართა ნაკვალევზე“ (2005).

დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

თხზ.: ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურში, თბ., 1986; ლაკური ზმნა, თბ., 1987; ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში, თბ., 1993; პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში, თბ., 2002. *ე. შენგელია.*



ბ, ქართ. ანბანის მესამე ასო. მისი სახელია „ბანი“; გრაფ. სიმბოლო ეელარული მეღერი ხშული ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴁ. მისი მოხაზულობა ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური ჳ მარჯვენივაა გადახრილი. მისი ქვედა ნაწილი რკალური ფორმისაა. მხედრულში იგი წრეს წარმოადგენს. ნუსხური და მხედრული ბ ოთხხაზოვანი სისტემის ქვედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართულ სათვალავში აღნიშნავდა სამს (3), ახ. ქართულში ჩამოთვლისას (ანბანის რიგის მიხედვით) აღნიშნავს მესამეს. ციფრობრივი ნუმერაციის დროს გამოიყენება ერთი და იმავე ნომრით აღნიშნული რამდენიმე ხაგნის, პუნქტის... განსასხვავებლად: მეათე პუნქტის ე მუხლი.

ბაბაშვილი ტიმოთე (გ. 1764, ასტრახანი), მწერალი, საეკლესიო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი, კარტოგრაფი. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულად აღდგენა ვერ ხერხდება. 1729-მდე დაეითგარეჯის მონასტრის ბერი იყო, 30-იანი წლებიდან მოღვაწეობდა იმერეთში, სადაც ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. აქ იგი აქტიურად ჩაება სახელმწიფოებრიესა და საეკლ. საქმიანობაში და მეფე ალექსანდრე V-ის დიდი ნდობა დაიმსახურა. 1738 მეფემ ბ. შანშე ერისთავთან ერთად რუსეთის იმპერატორთან გაგზავნა ოსმალების წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. ბ-მა, თხოვნის წერილთან ერთად, მოსკოვში ჩაიტანა თავისიეე შედგენილი დას. საქართე. რუკა, რ-საც სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა: მასზე ღეტალურად იყო ასახული რელიეფი, წიაღისეული სიმდიდრეები, ისტ. ძეგლები და ციხესიმაგრეები, სამხედრო დანიშნულების ობიექტები. იმპერატორმა, ირანთან ურთიერთობის გაუარესების შიშით, ალექსანდრეს გეგმებს მხარი არ დაუჭირა და ელჩებს რუსეთის დატოვება მოსთხოვა. 1740 საქართველოში მომაეალი ბ. ჩრდ. კავკასიაში ჩერქეზებმა დაატყვევეს. 6 თვის შემდეგ გაიპარა და იმერეთში დაბრუნდა. 1743–47 იგი ისეე ქუთათელი მთავარეპისკოპოსის წოდებას ატარებდა, თუმცა ამ დროისათვის ეს ეპარქია გაუქმებული იყო. ოსმ. აგრესიის გაძლიერების გამო რუს. ორიენტაციის მქონე ბ. იძულებული გახდა ქართლში გადასულიყო (1749), სადაც თანამოაზრედ ანტონ I ეგულებოდა. 1753 იგი ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდა და აქტიურად ჩაება ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის სახელმწიფოებრიესა და კულტ.-საგანმან. საქმიანობაში. მათი დიდი ხელშეწყობით 1755–59 იმოგზაურა კონსტანტინოპოლში, ათონსა და იერუსალიმში არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკური მიზნებითაც. 1759 ბ. ქართლში დაბრუნდა, საიდანაც ანტონ I უკვე გაძევებული იყო, ხოლო მის თანამოაზრეებს სასტიკად უსწორდებოდა ხაქარია გაბაშვილი. ამან აიძულა ტიმოთეც ქართლს გასცლოდა და ყიზლარში წასულიყო, საიდანაც 1762, რუს. მთავრობის ნებართვით, საცხოვრებლად ასტრახანს ჩაეიდა, გარდაიცვალა იქვე. დასაფლავებულია ასტრახანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

ბ-ის შრომები გაერთიანებულია ავტოგრაფულ კრებულში, რსაც მისი შემდეგდროინდელი მოღვაწენი „ტიმოთიანს“ უწოდებენ. მასში შეტანილი თხზულებები ანტიმაჰმადიანური სულისკეეთებითაა გამსჭვალული. ისტ.-პოლემიკური შინაარსის თხზულება – „მარწუხი“ სასწაელო მიზნითაა დაწერილი და ანტონ I-ის სასწ.-საგანმან. გეგმის ნაწილია. ბ. მხოლოდ პრაქტ. საქმიანობით როდი იყო ანტონ I-თან დაკაეშირებული. მას, როგორც ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში დიდად განსწაელულ მღვდელმთაეარს, ანტონ I თავის თხზულებებს აძლევდა განსახილეელად და შესაფასებლად. ბ-მა ანტონ I-ის „სპეკალს“ დაურთო შესავალი, ხოლო „მზამეტყველებას“ – ბოლოსიტყვაობა.

ბ-ის მოგზაურობა აღწერილია მის სამოგზაურო-მემუარული ჟანრის თხზულებაში „მიმოსლეა“ (სათაურით „მოხილუა წმიდა-

თა და სხუათა აღმოსაველეთისა ადგილთა“ – გამოსცა პ. იოსელიანმა 1852). ეს არის პირველი ნაშრომი, რ-მაც სათავე დაუდო სასულიერო-საგალობლო არსებული ქართ. კულტურის კერების მეცნ. შესწავლას. თხზულება მნიშვნელოვანია გეოგრ. მეცნიერებისთვისაც. იგი განსაკუთრებით საინტერესოა ენის თვალსაზრისით. ბ., როგორც განსწავლული მწიგნობარი, კარგად ფლობდა ძე. ქართ. ენას და თავის თხზულებას ძირითადად არქაული ენით წერდა, მაგრამ იმდროინდელი სამწერლობო ენის გაელენით, რ-საც სიჭრელე და გრამატ. ფორმების ნაირგვარობა ახასიათებდა, ყოველთვის ვერ იცავდა ძვ. ქართ. მორფოლ. და სინტაქსის წესებს და მათ ცელიდა ახ. ქართ. წესებით ან ხელოვნური, ფსეუდოარქაული ფორმებით. ამიტომ „მიმოსლვაში“ ერთმანეთის გვერდით იხმარება არქაული, ახალი და ხელოვნური სიტყვაწარმოების ნიმუშები. თხზულების ენას ორთოგრაფიული სიჭრელეც ახასიათებს. დიდი ნაირგვარობაა ტოპონიმების დაწერილობაშიც.

„მიმოსლვა“ საინტერესოა სტილთა გამოყენების თვალსაზრისითაც. ბ. თავის თხზულებებში, როგორც ანტონ I-ის თანამშრახველი და თანამოღვაწე, პრაქტიკულად ხორცს ასხამდა სტილთა თეორიას (იხ. *სამი სტილის თეორია*). ამის დასტურია „მიმოსლვაში“ სხვადასხვა სტილის გამოყენების შემთხვევები: მოგზაურობა საკმაოდ მარტივი ენითაა გადმოცემული, მაგრამ, როდესაც ავტორი მსჯელობს მაღალი მატერიების ან განსენებული თემების შესახებ, მიმართავს ლირიკულ წიაღსვლებს და ა.შ., მარტივი თხრობა იცვლება მძიმე ენით – არქაული ან ფსეუდოარქაული გრამატ. ფორმებითა და ლექსიკით, მოუქნელი და ხელოვნურად გართულებული სინტაქსით, მაღალფარდოვანი და ბუნდოვანი სტილით.

თხზ.: მიმოსლვა. ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956.

ლიტ.: ქ ე კ ე ლ ი ძ ე ქ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1951; ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე შ., ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. – «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1959, ტ. I. *ლ. კიკნაძე.*

ბაბრიელ პაპარაჯ X ს. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა სამხრ. საქართვ. ერთ-ერთ სავანეში. შესაძლოა, *პარხალში.* ცნობილია მის მიერ გადაწერილი რამდენიმე წიგნი: ა) პარხლის მრავალთავი (ხელნაწ. ინ-ტი, A–95), ხელნაწერი (1310 გვერდი, ზომა 45,5X34 *სმ*), რ-შიც შესულია ქართ. მწერლობის უძველესი ძეგლების – შუშანიკისა და აბო თბილელის მარტვილობათა ტექსტები. კრებული ნაწერია ქავისფერი მელნით, ორ სვეტად, ლამაზი, მკაფიო ნუსხურით; ასოები მსხვილია, სამკაულები არა აქვს. საზედაო ასოების უმეტესობა შესრულებულია მელნით, ნაწილი – სინგურით. XVI ს-ში კრებული ჯერ კიდევ პარხლის მონასტერს ეკუთვნოდა, XVII ს-ში კი თურქეთიდან გამოიხსნა და განაახლა დადიანის ასულმა, დედოფალთდედოფალმა მარიამმა; ბ) პარხლის ოთხთავი (ხელნაწ. ინ-ტი, S–4927); გ) საკითხავი და სიტყვები წმ. მამაია (იქვე, A–144). წიგნი ძლიერ დაზიანებულია; შესრულებულია სინგურით, ზოგი ასოს მოხაზულობა ოდნავ ორნამენტულია, თუმცა მთლიანად ხელნაწერის მორთულობა ზომიერია. ბ. პ. თავისი დროის კალიგრაფიული ხელოვნების დიდოსტატია.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

ნ. გიოშვილი.

ბავრცობილი ვინაღდება, *მარტივი წინადადება*, რ-შიც მთავარ წევრებთან ერთად არის ერთი ან ერთზე მეტი მეორეხარისხოვანი (არამთავარი) წევრი („სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის სუნთქვა გადაეფარა“, ი. ჭავჭ.). მეორეხარისხოვანი წევრები შეიძლება დაუკავშირდნენ ერთ მთავარ წევრს („გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ხარიო“, ვაჟა-ფშაველა) ან სხვადასხვას („ახალ მოსავალს მარანი ხვდება ღვინობისთვეში ძველისძველ ღვინით“, ლ. ასათ.). ერთნაირი სინტაქსური ფუნქციის მქონე მეორეხარისხოვანი წევრები, ჩვეულებრივ, სინტაქსურ წყვილს ქმნიან სხვადასხვა მთავარ წევრთან („მაისის წვიმამ დაწურა ლაქვარდის იაგუნდები“, გ. ლეონ.). მეორეხარისხოვანი წევრები შეიძლება ახლდეს მთავარ წევრს („მსუბუქი ბურუსი მწვანე ველს თეთრად გადაეფარა“, თ. დონჯ.); მთავარ წევრთან დაკავშირებულ მეორეხარისხოვან წევრს, თავის მხრივ, შეიძლება ახლდეს დამოკიდებული წევრი, ანუ დამოკიდებულის დამოკიდებული და ა. შ. და ერთ მთავარ წევრთან იყოს ერთმანეთთან ცალმხრივი დაქვემდებარებით (იხ. *დაქვემდებარება*) შეკავშირებული მეორეხარისხოვან წევრთა ჯგუფი, რ-იც ამ მთავარი წევრის შემადგენელს ქმნის („მთებში დამდნარი თოვლის წყლებით აზვირთებული ალაზანი ველს სარტყელივით გასდევდა“, თ. დონჯ.). ამ წინადადებაში ქვემდებარის („ალაზანი“) შემადგენელია „მთებში დამდნარი თოვლის წყლებით აზვირთებული“. თუ ყველა მთავარ წევრთან მეორეხარისხოვან წევრთა ჯგუფებია შეკავშირებული, მაშინ გაერცობილი წინადადება საკმაოდ ვრცელია („გაზაფხულის ნაზი სურნელებით დაინათებული მიწის ღრმა სუნთქვა ტკბილად უერთდებოდა ცადაფრენილი ტოროლას უსაზღვრო ლხენას“, თ. დონჯ.).

ლიტ.: კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. კვანტალიანი.

ბაიოზ რეჟისორი (1746, სოფ. მაღარო, ახლანდ. სიღნაღის რ-ნი, – 20. II. 1821, ასტრახანი), საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, ფილოლოგი, მთარგმნელი, პედაგოგი, დიპლომატი. მისი წარმოშობა და გვარი საბოლოოდ დადგენილი არ არის, ზოგი მას ბარათაშვილად მიიჩნევს, ზოგი – თაყაიშვილად, ზოგიც – ვაგოშაშვილად. თავად ყველგან ხელს აწერს სახელმოხელეობით ან წარმომავლობით: გაიოზ რექტორი, გაიოზ მოზდოკელი და სხვ. იგი *ანტონ I-ს* 1763 აუყვანია მოწაფედ. 1765 დაამთავრა თბილ. სემინარია და ბერად აღიკეცა. 1772 ახლდა პეტერბურგში საგანგებო მისიით წარგზავნილ ანტონ I-ს. პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის სემინარიაში დაუწყია რუს. ენის შესწავლა. სწავლობდა აგრეთვე ბერძნ. და ლათ. ენებს. ბ. რ. დარჩა რუსეთში და სწავლა განაგრძო მოსკ. სლავურ-ბერძნ.-ლათ. აკადემიაში (დაამთავრა 1778). სწავლასთან

ერთად ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას: თარგმნიდა ბერძნულიდან და რუსულიდან როგორც სას., ისე საერო, სამეცნ. და დიდაქტ. ხასიათის თხზულებებს, წერდა ორიგინ. ნაშრომებს. 1778 ერეკლე II-მ ბ. რ. გამოიწვია თბილისში, სადაც მან დააარსა რუს. სკოლა ქართველებისათვის; ერთხანს ხელმძღვანელობდა თბილ. სემინარიას. 1779 აკურთხეს მღვდელ-მონაზვნად. 1780 გაიწვიეს რუსეთში, სადაც მიიღო იღუმენობა. 1782 კვლავ დაბრუნდა საქართველოში, ამჯერად რუსეთის მთავრობის დავალებით ერეკლე II-თან მოსალაპარაკებლად. ამავე წელს, 28 მაისს, თელავში გაიხსნა სას. სემინარია, რ-ის პირველი რექტორი და მისი დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. იგი სწორედ თელავის სემინარიის რექტორის სახელითაა ცნობილი.

ბ. რ. პრაქტიკულად მხოლოდ ერთ წელს იყო თელავის სემინარიის რექტორი. ამ პერიოდში მან რუსულიდან თარგმნა სახელმწ. და სასწ. დაწესებულებათა „წესდება", ანუ „საზოგადო რეღლამენტი, ესე იგი არს კანონი ანუ რიგი", რ-იც საფუძვლად დაუდო სემინარიის „ტიპიკონს". სემინარიისათვის საჭირო სახელმძღვანელოებსაც თვითონ თარგმნიდა. 1783 დაუწყია შარლ როლენის თერთმეტტომეული „ძველი ისტორიის" თარგმნა, რაც შემდეგ სხვებს გაუგრძელებიათ. მისი ხელმძღვანელობით იმართებოდა პაექრობები მეცნ. საკითხებზე, ეწყობოდა მოსწავლეთა საჯარო გამოსვლები, სემინარიელთა მუშაობის შემაჯამებელი სხდომები. სემინარიის გახსნის წლისთავზე საგრამატიკო თემისადმი მიძღვნილ საზეიმო საჯარო დისპუტზე მან წარმოთქვა თავისი ცნობილი „სიტყუა საღრამმატიკოჲ".

საეკლ., სახელმწ. და საზ. საქმიანობამ ბ. რ. საკმაოდ დიდ ფიგურად აქცია. მას მიანდეს ერეკლე II-ის შვილიშვილის, შემდეგ იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის აღზრდა. ერეკლე II-მ ბ. რ. დანიშნა იმ კომისიის წევრად, რ-მაც ქ. გეორგიევსკში დადო ცნობილი ტრაქტატი რუსეთთან (1783).

1784 ბ. რ. არქიმანდრიტად აკურთხეს პეტერბურგში. ამ დროიდან იგი სამუდამოდ დარჩა რუსეთში. 1785–89 ცხოვრობდა ქ. კრემენჩუგში, ეწეოდა ნაყოფიერ ლიტ. საქმიანობას: თარგმნიდა და წერდა ორიგინ. ნაშრომებს. აქ დაწერა მან „ქართული ღრამმატიკა" (1789), აგრეთვე მეორე გრამატ. ნაშრომიც – „Карталинская грамматика" – ქართ. ენის პირველი გრამატიკა რუს. ენაზე. შემორჩენილი ავტოგრაფი ნაკლულია. ჭეირნიშნის მიხედვით, ნაშრომი შესრულებულია 1784-ის შემდეგ [ერთ-ერთ ნაშრომს, რ-იც გრამატიკასთან ერთადაა შემონახული, ბ. რ-ის ხელით აწერია: „ეიწყე მაისს 20, წელსა ჩღპზ (1787). კრემენჩუკს, გაიოს"].

1794-იდან იწყება ბ. რ-ის მოღვაწეობა მოზდოკში. მას მიენდო ოსებში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა. თავიდანვე ბ. რ-მა მთავარი ყურადღება სკოლას მიაქცია. მან სლავური ანბანის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი და გადათარგმნა „პირველდაწყებითი საქრისტიანო მოძღვრება", რ-იც დაიბეჭდა მოსკოვში (1798) სლავურ-ოსურად და პირველ ოსურ წიგნად ითვლება (ო. თედეევა, ს. ბულიჩი).

1796–1801 ბ. რ-ის ინიციატივითა და ხარჯით მოზდოკში დაარსდა ქართ. სტამბა. აქ დაიბეჭდა (1797) მისი „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა", რ-ის 600 ეგზ., მთავარმართებელ ციციანოვის თხოვნით, ბ. რ-ს თბილისში გამოუგზავნია. 1799–1808 ბ. რ. სარატოვისა და პენზის ეპარქიების ეპისკოპოსი იყო, 1808-იდან გარდაცვალებამდე – ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსი. დაკრძალულია ასტრახანში, საკრებულო ტაძარში.

ბ. რ-ის თარგმანებისა და ორიგინ. ნაშრომთა რიცხვი, მის თანამედროვეთა ცნობით, ოთხასს აღწევდა; ჩვენთვის ცნობილია შედარებით მცირე ნაწილი.

ბ. რ-ის გრამატ. ხასიათის სამი ნაშრომიდან ქრონოლოგიურად პირველია ზოგადთეორიული ხასიათის ნაშრომი „სიტყუა საღრამმატიკოჲ" (1783), რ-იც ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი – „მოკლედ ცხადყოფისათჳს საღრამმატიკოთა ჰაზრთა სარგებლობისა" – მოხსენებად წაუკითხავს თელავის სემინარიაში გამართულ დისპუტზე. მეორე ნაწილი – „დადებულება საღრამმატიკო საზოგადოჲსა პაექრობისათჳს" საჯარო დისპუტის თეზისებია, რ-თა მიხედვითაც ჩატარებულა პაექრობა თელავის სემინარიაში და შეუმოწმებიათ სემინარიელთა მომზადების დონე გრამატიკაში. ნაშრომის ორსავე ნაწილში ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს ფონეტიკის, მორფოლ. და სინტაქსის ზოგადთეორიულ საკითხებს და ხაზს უსვამს გრამატიკის საყოველთაო მნიშვნელობას, რომ იგი „დასაბამად ყოველთა ცნობათა დაუდვიესთ ბრძენთა, ვითარცა კარი ყოვლისა სიტყჳერებითისა ცნობისა".

ბ. რ-ის „ქართული ღრამმატიკა" ქართ. ენაზე დაბეჭდილი გრამატიკის პირველი სახელმძღვანელოა, რომლის 630 ეგზ. 1804 ბ. რ-ს თბილ. კეთილშობილთა სასწავლებლისათვის ქართ. ანბანთან ერთად გამოუგზავნია. XIX ს. I მეოთხედში ქართვ. ახალგაზრდობა ამ წიგნით სწავლობდა მშობლიური ენის გრამატიკას.

ჩვენამდე მოღწეულია ქართ. გრამატიკის როგორც ნაბეჭდი ეგზემპლარები, ისე ავტოგრაფი. წიგნი მომცრო ფორმატისაა, შეიცავს 143 გვერდს. ტექსტის ძირითადი ნაწილი დაბეჭდილია ნუსხური შრიფტით, მხედრულით აწყობილია მეტწილად შენიშვნები. შედგება შესავლისა და სამი ნაწილისაგან. შესავალში განმარტებულია გრამატიკის რაობა და გამოყოფილია მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილები: წიგნი (ასო), მარცუალი, ლექსი (სიტყვა) და სიტყუა (წინადადება). შესავალში ჩამოთვლილია მეტყველების ნაწილები: I ნაწილში – „თჳს ვითარებითთა ცნობათა ნაწილთა სიტყჳსათა საზოგადოდ" – მეტყველების ნაწილები დახასიათებულია მორფოლოგიისა და სიტყვაწარმოების თვალსაზრისით; II ნაწილი – „თჳს სინტაქსისა ანუ აღნაქუსისა" – ეხება სინტაქსს; III ნაწილი – „მართლკითხჳსა (პროსოდიისა) და წერისათჳს (ორთოღრაფიისა)" – მოიცავს მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს.

ბ. რ-ის გრამატიკა ძირითადად შედგენილია ანტონ I-ის გრამატიკის (1767 წლის ვარიანტი) მიხედვით, მაგრამ, ამასთანავე, გამოირჩევა თავისი აღნაგობით, საინტერესო დაკვირვებებითა და ზოგი საკითხის ორიგინ. გაშუქებით. დაზუსტებული და უფრო მკაფიოდ ნამოყალიბებულია გრამატ. ცნებები, შემოტანილია ახ. ტერმინები: „ორჭმოვანი“ – დიფთონგის აღსანიშნავად, „ჯმა მარტივი“ კი ახალი ცნებაა, რ-საც იგი ხმარობს წინადადების განხილვისას. რამდენადმე სწორადაა გამოყოფილი ბრუნვის ნიშნები. ამ ნიშნებში არ არის შეტანილი -მიმართ, -მდე, -გამო, -მიერ თანდებულები, უკუგდებულია ორმაგი მრავლობითის ფორმები (-ებნი, -ებთ, -ებთა). ქართვ. გრამატიკოსთა შორის ბ. რ-მა პირველმა გამოყო სახელებში რიცხვითი სახელები, სხეაგვარად დააჯგუფა წარმოქმნილი სახელები, ნაცვალსახელები და სხე.; ახლებურადაა დალაგებული უღვლილების ტიპებიც. გამოყოფილია ექვსი „უღლება“ და მათ გასარჩევად ყურადღება ექცევა არა აწმყოს დაბოლოებებს, არამედ პირის ნიშნებს. მესამე პირის ნიშნები მიჩნეულია „მაპიროვნებადაც“ (პირის ნიშანი) და „მამრავლადაც“ (მრ. რ-ის ნიშანი). შენიშნულია ზმნისწინთა ფუნქცია – ზმნით გამოხატულ მოქმედება-მდგომარეობას უცვალოს დრო და მათი მაასპექტებელი უნარიც. ზმნის ნატვრითი და პირობითი კილოს ფორმები გაერთიანებულია „ქუეწყობილებითის“ სახელწოდებით. საინტერესოა დაკვირვებები ქართ. ენის სინტაქსის საკითხებზედაც. სინტაქსი მიჩნეულია გრამატიკის ნაწილად. არაერთი საყურადღებო შენიშვნაა გამოთქმული „უფლისა“ (S) და „ძიების“ (O) ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, განსხვავებულია ორგვარი დამოკიდებულება სინტაქსურ წყვილთა შორის: შეთანხმება („ეთანჯმაების“) და მართვა („დაექსუის“). შენიშნულია, რომ წოდ. ბრუნვაში დასმული სახელი არასოდეს იქნება წინადადების წევრი. ასევე საინტერესო შენიშვნებია ორმაგი უარყოფის, *ტმესისა* და სხვათა შესახებ. ბ. რ-ის ქართ. გრამატიკა, რიც მოსწავლეთა ფართო წრისათვის იყო გამი'ხნული, დაწერილია მარტივად და გასაგებად.

„Картлинская грамматика“ ბ. რ-ის „ქართული ღრამმატიკის“ მიხედვით არის დაწერილი, მაგრამ დამოუკიდებელი ნაშრომია, უფრო შეკეცილი და გამარტივებული. ავტორი ცდილობს რუს მკითხველს მიაწოდოს მხოლოდ აუცილებელი ცნობები ქართ. ენის გრამატ. აგებულების შესახებ. მეტყველების ნაწილთა და გრამატ. კატეგორიათა დეფინიციები მეტწილად უკუგდებულია, „მდეეართა“ ანუ გრამატ. კატეგორიათა სახეების რაოდენობა შემცირებულია. სხეადასხეაგვარი თანამიმდევრობითაა დალაგებული მეტყველების ნაწილთა განმსაზღერელი თავები, განსხვავებულადაა დაჯგუფებული ზმნიზედები, კავშირები და შორისდებულები. ქართ. გრამატ. ტერმინები მოცემულია როგორც ქართულად, ასევე რუსულად ტრანსკრიფციითა და თარგმანით. ზოგი მათგანი განსხვავდება „ქართული ღრამმატიკის“ ტერმინოლოგიისაგან.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ღ ა რ ი ა მ., გაიოზ რექტორი, თბ., 1972.

ვ. ნიკოლაიშვილი.

ბამოვანთქვამი, სამეტყველო უროიერთობის ერთეული, აზრობრივად დასრულებული და მოცემული ენის სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით გაფორმებული. ბ. შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სამეტყველო ერთეული (ნიშანი), რ-ის აღმნიშვნელი არის წინადადების ლექსიკურ-გრამატ.-ინტონაციური სტრუქტურა, აღსანიშნი კი – თვით სინამდვილის ფაქტი (იხ. *ენობრივი ნიშანი*). ბ. ორიენტირებულია მეტყველების პროცესში მონაწილე ინდივიდებზე, *კონტექსტზე*, სიტუაციაზე, მოლაპარაკეთა ფონურ ცოდნაზე და ა. შ., რის გამოც ფაქტობრივად ერთი და იმავე შინაარსის საფუძველზე შეიძლება აიგოს განსხვავებული ბ-ები („დღეს წვიმა მოდის, მე არ შემიძლია მოსელა“, „წვიმის გამო ვერ მოვდივარ“, „უამინდობა მაფერხებს“...).

ჩვეულებრივ, ბ-ს განმარტავენ როგორც კონკრ. მოლაპარაკის მიერ კონკრ. სიტუაციაში პაუზებს შორის აგებულ სამეტყველო მონაკვეთს. იგი შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგან (კითხვა, პასუხი), ერთი ან მეტი წინადადებისაგან (იხ. *ტექსტი*). ბ. შეიძლება იყოს ცალკე ან შედიოდეს უფრო დიდ სამეტყველო ერთეულში (*დიალოგი, მონოლოგი*).

ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაჭრილი ბ-ის წინადადებასთან მიმართების საკითხი. მას განსაზღერავენ როგორც წინადადებისაგან სხვადასხვა ნიშნით (სხვადასხვა თეორიათა მიხედვით – მოცულობით, სტრუქტურით, შინაარსით ან ფუნქციონირებით) განსხვავებულ ერთეულს.

მეტყველების ლინგვისტიკისა და სემანტიკური სინტაქსის განვითარების შედეგად გაჩნდა ტენდენცია, რომ ბ. წინადადებისათვის კი არ დაეპირისპირებინათ, არამედ თვით წინადადებაში განესხვავებინათ ორი მხარე: სტრუქტურულ-სემანტიკური სქემა (მოდელი) და ბ., ანუ როგორც წინადადების სიგნიფიკატი ენობრივი ნიშნის შინაარსობრივი მხარე, ენის ერთეული და დენოტატი (ობიექტთა კლასის გამომხატველი ვირტუალური რეფერენტი, მეტყველების ერთეული).

ლიტ.: დ ა ყ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების ტიპები წყვრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკაციები, თბ., 1987; Пражский лингвистический кружок, пер. с чеш., М., 1967; Общее языкознание. Внутренняя структура языка, М., 1972; Г а к В. Г., Высказывание, Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ლ. კვანტალიანი.

ბამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე (დ. 23. X. 1929, ქუთაისი), ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდენტი (2005-იდან). საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), სსრკ (ამჟამად რუსეთის) მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1984), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979), ამერიკის მეცნ. ნაციონალური აკად. უცხოელი წევრი (2006), ამერიკის ხელოვნებათა და მეცნ. აკად. უცხოელი საპატიო წევრი (1978); ევროპის მეცნ. აკად. („აკადემია ევროპაა“) ნამდვ. წევრი (2006), ბრიტანეთის აკად. (1980) და ავსტრიის მეცნ. აკად. (1983)

უცხოელი წევრი, საქსონიის მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1988); ამერიკის ლინგვისტური საზ-ბის საპატიო წევრი (1971), ევროპის ლინგვისტური საზ-ბის წევრი (1986–87 – პრეზიდენტი), ბონისა (1994) და ჩიკაგოს (1995) უნ-ტების საპატიო დოქტორი. ინდო-გერმ. საზ-ბის (გფრ) საპატიო წევრი (1984), ჟურნ. „ევროპოსი იაზიკოზნანიას" მთ. რედაქტორი (1988–95). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის ფილოლ. განყ-ბა სემიტოლოგიის სპეციალობით (1952). სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწევა საქართვ. მეცნ. აკადემიასა (აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის დირექტორი 1973–2005, შემდგომ – საპატიო დირექტორი და სამეცნ. საბჭოს თავ-რე) და თსუ-ში (სტრუქტურული და. გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგე 1966-იდან, გ. ახვლედიანის სახ. ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნ. კათედრის გამგე 1998-იდან).

გ. თანაბარი წარმატებით მოღვაწეობს როგორც თეორიული ენათმეცნიერების, ისე ქართველოლოგიისა და ინდოევროპეისტიკის სფეროებში.

გ-ის ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან აღსანიშნავია „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი" (1959). სამეცნ. წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გ. მაჭავარიანთან ერთად შექმნილმა მონოგრაფიამ „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში" (1965), რ-შიც ახლებურადაა აღდგენილი საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ძირითადი სტრუქტურული მოდელები (გერმ. თარგმ. 1982). ნაშრომში „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა" (1989, ი. ჯავახიშვილის სახ. პრემია, 1992; ინგლ. ენაზე, აშშ, 1995) ძვ. ქართ. ანბანური დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხების შესწავლა ემყარება არა „გამოხატულების პლანის" გარეგანი გამოვლინების განხილვას, არამედ „შინაარსის პლანის" უფრო არსებით, შინაგან სტრუქტურულ მონაცემებს. ძვ. სემიტური, ძვ. ბერძნ. და ძვ. ქართ. წერილობითი სისტემების სტრუქტურულ-ტიპოლოგიურმა შეპირისპირებამ გამოავლინა ქართ. დამწერლობის დამოკიდებულება ძვ. ბერძნულ და არა ძვ. სემიტურ სისტემაზე, რ-საც, ჩვეულებრივ, უკავშირებდნენ ძვ. ქართულ ასომთავრულ დამწერლობას. ნაშრომში განხილულია ძვ. ქართული წერის სტრუქტურული მახასიათებლები და გარკვეულია მისი ტიპოლოგიური ადგილი ადრექრისტ. ხანის დამწერლობათა შორის (კოპტური, გოთური, ძვ. სომხური და ძვ. სლავური), რ-ებიც შეიქმნა ადრ.-ქრისტ. კულტ. სამყაროში. განსაკუთრებულია გ-ის ღვაწლი შედარებითი ინდოევროპეისტიკის დარგში. ხეთური სოლისებრი დამწერლობის წარმოშობისა და ფონემური სისტემის კვლევისას გ-მ გარკვეულწილად დააზუსტა და შეავსო ფ. დე სოსიურის „სონანტური კოეფიციენტების" კონცეფციის საფუძველზე შექმნილი ე. წ. „ლარინგალური თეორია", რ-იც ეხება ინდოევრ. ხმოვანთა სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივ და რთულ პროცესს.

გ-ის მიერ ვ. ივანოვთან ერთად შემუშავებული „გლოტალური თეორია" გვთავაზობს ინდოევრ. თანხმოვანთა სისტემის პრინციპულად ახალ პარადიგმას ინდოევრ. ისტ.-შედარებით ენათმეცნიერებაში (იხ. სტ. *რეკონსტრუქცია*). ეს ჰიპოთეზა არსებითად ცვლის ინდოევრ. ტომთა მიგრაციის ტრად. სურათს. ინდოევროპულ ფუძეენისა და პროტოკულტურის რეკონსტრუქციის მიზნით ჩატარებული ხანგრძლივი კვლევა-ძიება შეჯამებულია ორტომიან ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძე-ენისა და პროტო-კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი" (თბ., 1984, რუს. ენაზე, ვ. ივანოვის თანაავტორობით და რ. იაკობსონის წინასიტყვაობით; ინგლ. ენაზე: ბერლინი–ნიუ-იორკი, 1994–95), ნაშრომს 1988 მიენიჭა ლენინური პრემია. 2003 თსუში გამოიცა გ-ის ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელო „თეორიული ენათმეცნიერების კურსი" (თანაავტორებთან ერთად).

გ-ის გამოკვლევაში „ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის პრობლემისათვის" (1972) მოცემულია ახლებური ინტერპრეტაცია ენობრივი ნიშნის პირობითობისა და ნილს ბორის „დამატებითობის პრინციპის" თვალსაზრისით.

XX ს. 80-იან წწ-ში გ. იყო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახალხო დეპუტატთა ყრილობების მონაწილე მოსკოვში, სადაც 1989 მკვეთრად კრიტიკული გამოსვლები ჰქონდა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. იყო საქართვ. უზენაესი საბჭოსა და რამდენიმე მოწვევის საქართვ. პარლამენტის წევრი (1990–92; 1990. 2003), საქართვ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავ-რე და მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების საკოორდ. საბჭოს ხელმძღვანელი.



თ. გამყრელიძე.

გ. არის ჰუმბოლდტის საერთაშ. პრემიის ლაურეატი (გფრ, 1989), ი. ჯავახიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (თსუ, 1992) დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999). 2000 მიენიჭა „თბილისის საპატიო მოქალაქის" წოდება.

თხზ.: (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): „რჩეული ქართველოლოგიური შრომები (სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფიით და გ. კლიმოვის შესავალი წერილით). თბ., 2000; დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადაწერის წესები" დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968. Хеттский язык. Ларингальная теория. – «ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები (აღმოსავლურ ენათა სერია)», ტ. 3. თბ., 1960; Передвижение согласных в хеттском (неситском) языке. – «Переднеазиатский сборник», М., 1966; The Akkado-Hittite syllabary and the problem of the origin of the Hittite script. – «Archiv Orientálni», 1961, Vol. 29.3; Kartvelian and Indo-European: A typology of reconstructed linguistic systems. – «To Honour Roman Jakobson», The Hague, 1967; Anatolian languages and the problem of Indo-European migration to Asia Minor. – «Studies In General and Oriental Liguistics», Presented to Shirô Hattôri. Tokyo, 1970; Selected Writings. Linguistic Sign, Typology, and Language Reconstruction, Innsbruck, 2006 (სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფიით და რუდიგერ შმიტის შესავალი წერილით თ. გამყრელიძის შესახებ).

ჯ. გიუნაშვილი. ნ. გიოშვილი.

განკერძოება, წინადადებაში სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის აზრობრივი და რიტმულ-ინტონაციური გამოყოფა. ინტონაციურად გამოყოფილი, ანუ გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი სიტყვა ან სიტყვათა

ჯგუფი წინადადების სტრუქტურაში არ მონაწილეობს. ამის გამო მისი ამოღებით წინადადების სტრუქტურა არ იცვლება. ბ. ვიწრო მნიშვნელობით ეხება წინადადების არამთავარ წევრებს (განსაზღვრებასა და გარემოებას), ფართო მნიშვნელობით კი გულისხმობს როგორც საკუთრივ ბ-ს, ასევე ახსნა-განმარტებასა და დაზუსტება-შემოერთებასაც. ტრადიციულად განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს ყოფენ ორ ჯგუფად: 1) განკერძოებულ წინადადების წევრებად (განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, *დანართი*); 2) წინადადებასთან გრამატ. დაუკავშირებელ სიტყვა-გამოთქმებად [*მიმართვა, ჩართული, შორისდებული,* მიგებითი ნაწილაკები (იხ. *ნაწილაკი*)]. განკერძოებული წინადადების წევრი ე. წ. ფარდობით მიმართებაშია წინადადების ამა თუ იმ წევრთან, რასაც უთანხმდება ბრუნვასა და რიცხვში. მაგ., განკერძოებული განსაზღვრება განსაზღვრავს წინადადებაში სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს და იღებს იმ ბრუნვისა და რიცხვის ფორმას, რაც საზღვრულს აქვს: „დარეჯანმა მეორე დღესვე ცხენით გასწია ქიზიყს, თავისებურად **მორთულმა**" (ი. ჭავჭ.); „აღმოსავლეთი **ნაომარ ადგილს ჰგავდა, სისხლით გადალესილს**" (ვაჟა-ფშაე.). განკერძოებული განსაზღვრება, უპირატესად, საზღვრულის შემდეგაა და მიმყოლი სიტყვებითაა განვრცობილი. საზღვრულის წინ განკერძოებული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, წინადადების წევრად გადაიქცევა (**თავისებურად მორთულმა** დარეჯანმა მეორე დღესვე ცხენით გასწია ქიზიყს...), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საზღვრული წევრი ნაცვალსახელებითაა წარმოდგენილი: „ჩვენ, **მოკუნტულნი**, თქვენ, **გაბლინძულნი**, ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია" (ი. ჭავჭ.).

განკერძოებული გარემოებანი (ადგილისა, დროისა, ვითარებისა...) წინადადებაში მოსდევენ თანამოსახელე წევრს და აზუსტებენ მას: „მთის მწვერვალზე, **ცის მახლობლად,** მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს" (ა. წერ.); „რა ტკბილია დასვენება საღამო ჟამს, **შრომის მერე**" (გ. ტაბ.).

ამხსნელ-დამაზუსტებელი ფუნქცია აქვს განკერძოებულ დანართსაც, რ-იც წინადადებაში სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს მიემართება: „ჩემი მამული, **საქართველო,** დღეს მიცოცხლდება" (ი. ჭავჭ.). ასახსნელ-დასაზუსტებელი წევრის გამოტოვების შემთხვევაში განკერძოებული წევრი წინადადებაში მის ადგილს იჭერს და წინადადების წევრად იქცევა: „საქართველო დღეს მიცოცხლდება".

წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სხვადასხვა მნიშვნელობისაა. ამათგან შორისდებული და მიგებითი ნაწილაკები, ჩვეულებრივ, წინადადების ეკვივალენტებად გვევლინება. მიმართვა ასახელებს მისამართ პირს და წოდ. ბრუნვაში დგას: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?" (ი. ჭავჭ.), ხოლო ჩართული სიტყვა ან კონსტრუქცია გვიჩვენებს, თუ როგორ უყურებს მთქმელი წინადადებით გამოხატულ აზრს: „მშვიდობის ჩანგი, **რა თქმა უნდა,** მდიდარს არ უნდა" (გ. ტაბ.). განკერძოებული წევრებისაგან განსხვავებით, წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმების გადაკეთება წინადადების წევრებად შეუძლებელია.

ლიტ.: შამელაშვილი რ., განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958; დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ცქიტიშვილი ნ., დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი. – კრ.: «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 5, თბ., 1983; მისივე, ჩართული. – იქვე, წგ. 8, თბ., 1988; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. კვანტალიანი.

განკვეთილობის ნიშნები, ტექნიკური გრაფიკული ნიშნები, რ-ებიც გამოყენებულია ტექსტში მიჯრით დაწერილი სიტყვების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. ბ. ნ. ბერძნულსა და რომაულში ადრინდელი პერიოდიდან არის ცნობილი. ქართ. წერილობით ძეგლებში გვხვდება VII ს-იდან. გრაფიკულად ბ. ნ. იგივე სასვენი ნიშნებია (იხ. *პუნქტუაცია ძველ ქართულში*) – (>), (.), (:), და სხე. გამოყენებული განსხვავებული ფუნქციით. თავსდებოდა სიტყვის (ან ინტერვალების გარეშე დაწერილი რამდენიმე სიტყვის) ბოლოს დაცულ შუალედებში (სტრიქონებს ზევით ან სტრიქონებში).

სასვენი ნიშნების გვერდით, სპეც. ნიშნის (:) შემოღება „განსაკუეთულად სიტყჳსა" აუცილებლად მიუჩნევია *ეფრემ მცირეს*. VII–X სს. ძეგლებში მათი ხმარება იშვიათი და არასისტემატურია, ხოლო XI ს-იდან უფრო ხშირად გვხვდება (სიტყვის ბოლოს ორი წერტილის სახით) სიგელ-გუჯრებსა და ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერებში. XV–XVIII სს. ძეგლებში კი ბ. ნ-ები (ორი ან სამი წერტილის სახით) სისტემატურად გამოიყენება, თუმცა სიტყვათა შორის ინტერვალების არსებობის დროს მათი ხმარება მხოლოდ ტრადიციით ან სამკაულის ფუნქციით შეიძლება აიხსნას.

ლიტ.: ქაჯაია ლ., განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში (VII–X სს.). – «პალეოგრაფიული ძიებანი», ტ. 1, თბ., 1965; ჭილ-ეტრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1977; დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

ლ. ქაჯაია.

განმარტებითი ლექსიკონი, ერთენოვანი ლინგვისტური ლექსიკონი, რ-შიც ახსნილია სიტყვათა მნიშვნელობები, მოცემულია მათი გრამატიკული, სტილისტიკური და სხვა სახის ენობრივი თავისებურებები.

ბ. ლ. ასახავს ენის ლექსიკურ შედგენილობას მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ქართ. ენის ბ. ლ-ის პირველ ნიმუშად თვლიან *ეფრემ მცირის* (XI ს.) მიერ „ფსალმუნთა თარგმანებისათვის" წამძღვარებულ წინასიტყვაობაში „არა ლიტონად, არცა ურთიერთას აღრეულად, არამედ ასოთა ზედა ანბანისათა გაწყობილად და განკარგულად" ახსნილ სიტყვებს. თავისი არსით ბ. ლ-ა ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული" (1716, გამოიცა: 1884, 1928, 1949, 1965–66, 1991–93), რ-საც ვახტანგ VI-მ „*სიტყვის კონა*" უწოდა. საბას ლექსიკონზე დაყრდნობით ნ.

ჩუბინაშვილმა შეადგინა „ქართული ლექსიკონი“ (დაიბეჭდა 1961).

ქართ. ლექსიკოგრაფიაში დიდი მოვლენა იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის გამოცემა (1950–64). ლექსიკონი შეიცავს 112 949 სალექსიკონო ერთეულს. განმარტებული სიტყვები ანბანის რიგზეა დალაგებული. ზმნის სალექსიკონო ერთეულია აწმყოს (ან მყოფადის) მხ. რიცხვის III პირის ფორმა. გათვალისწინებულია ზმნის ქცევა, გვარი, კაუზატივი (წერ-ს, იწერ-ს, აწერინებ-ს). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ახ. ქართ. სალიტ. ენის ლექსიკონია. მას ნორმატიული ხასიათი აქვს. ლექსიკონი დოკუმენტურია: სიტყვების განმარტებას მოსდევს გამოთქმები ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებიდან (იგულისხმება, პირველ ყოვლისა, სიტყვაკაზმული მწერლობა). მიუხედავად ამისა, ლიტ-რაში უხმარი სიტყვა მხოლოდ ამის გამო არ მიიჩნევა არალიტერატურულად. ლექსიკონში ზოგ სიტყვას უწერია „კუთხ.“ (კუთხური), ეს მეტწილად ისეთი მასალაა, რ-იც ლექსიკონის სარეზერვო ფონდად ივარაუდება. ლექსიკონი მომზადებულია ენათმეცნიერების ინ-ტში აკად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. მასვე ეკუთვნის პირველი ტომის წინასიტყვაობა და „ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება“. 1971 ბ. ლ-ის სარედაქციო ჯგუფს მიენიჭა საქართ. სახელმწ. პრემია.

ქართ. ენის განმარტებითი რვატომეული ლექსიკონის საფუძველზე 1986 გამოვიდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეული (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბაშვილი). ლექსიკონს წამძღვარებული აქვს არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობა. ერთტომეული შეიცავს 60 000-მდე სალექსიკონო ერთეულს (სიტყვას). 1990 ხელახლა გამოვიდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეული (ორ წიგნად). ენათმეცნიერების ინ-ტში მზადდება ბ. ლ-ის ახალი რედაქცია. გამოსულია (2007) I ტ. (ა–ბ).

მ. მესხიშვილი.

ბანსაზღვრება, წინადადების არამთავარი წევრი, რ-იც ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს, ახასიათებს მას თვისების, რაოდენობის, კუთვნილების, რიგის... თვალსაზრისით და მიუგებს კითხვებზე: რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? მერამდენე? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა?

ბ-ს იმ სიტყვასთან ერთად, რასაც ის ახლავს, მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ს ა ს ზ ღ ვ რ უ ლ ს უწოდებენ, ხოლო ამ წყვილის კომპონენტებს ცალ-ცალკე – მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ს ა და ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ს. ბ. უძღვის ან მოსდევს მის მიერ განსაზღვრულ სიტყვას. ამის მიხედვით არსებენ წინამავალ და მომდევნო, ანუ პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ და პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ბ-ს, შესაბამისად – პრეპოზიციურ და პოსტპოზიციურ წყობას. ამოსავალი ბ-ის პოზიციაა. ბ. უმეტესად უშუალოდ უკავშირდება მის მიერ განსაზღვრულ სახელს. მაგრამ შესაძლებელია მათ შორის მოექცეს წინადადების სხვა წევრი ან წევრები, ხოლო ჯერ შესიტყვებებიც კი. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბ-ის გათიშვასთან. ზოგჯერ წინადადებაში ბ. წარმოდგენილია საზღვრულის გარეშე, რ-იც ივარაუდება ტექსტის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ბ-ის განმარტოებასთან გვაქვს საქმე.

ბ. ორგვარია: ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი და ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი უ რ ი. პირველი საგნის ნიშან-თვისებაზე მიუთითებს (მაღალი კაცი, მღელვარე ზღვა...), მეორე – თვით საგანზე (წიგნის ყდა, დედის ალერსი...). საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით გამოყოფენ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ (იხ. *შეთანხმება*), მ ა რ თ უ ლ (იხ. *მართება*) და მ ა რ თ უ ლ - შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ბ-ებს.

ლიტ. იხ. სტატიასთან *გარემოება.*

ც. ქალაძე.

ბაპიროვნება, პ ე რ ს ო ნ ი ფ ი კ ა ც ი ა (< ლათ. persona – სახე, პიროვნება და facere – კეთება), *მეტაფორის* კერძო სახე, როდესაც არაცოცხალ საგნებზე, განყენებულ ცნებებზე ხდება ცოცხალ, სულიერ არსებათა თვისებების გადატანა. ამით ბ. გამოიყოფა მეტაფორისაგან, რ-იც გულისხმობს ყოველგვარი თვისების გადატანას ნებისმიერი საგნიდან, მოვლენიდან... მეორეზე (იხ. აგრეთვე *ალეგორია*).

ბ. ხშირად გვხვდება სასაუბრო მეტყველებაში: „ქარი ღრიალებს“, „წიტი ამღერდა“; დიდი ადგილი უკავია მითოლოგიასა და ხალხურ სიტყვიერებაში (ზღაპრები, იგავ-არაკები...). როგორც გამოსახვის სტილისტიკური ხერხი, ბ. გამოყენებულია მხატვრულ ლიტ-რაში, უმეტესად პოეზიაში, მაგ., „მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან, / ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან“ (შოთა რუსთ.). ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია ვაჟა-ფშაველას შემოქმედება: „სოფლის თავს სძინავს შაე ნისლსა“, „მთანი მაღალნი... ღრანან და ელიან“.

ბ. გამოიხატება გრამატიკულადაც, მაგ., ზმნის მრ. რიცხვის შეთანხმებით უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელის ებ-იანი მრავლობითის ფორმასთან: „გაღმა-გამოღმა ჩრდილები / ტყეს და მთებს უდგმენ ტაბლასა“ (ვაჟა-ფშაე.).

ბ. ხშირად სიტყვის სემანტიკური ცვლილების საფუძველი ხდება.

ც. ბარბაქაძე.

ბარდამავალი დიალექტი, წარმოიქმნება მოსაზღვრე ტერიტორიაზე ორი ან მეტი დიალექტის ხანგრძლივი და ინტენსიური ურთიერთსეგავლენის, ურთიერთშერწყმის საფუძველზე. ბ. დ-ისთვის საკუთრივ მახასიათებლებთან ერთად ნიშანდობლივია ახალშექმნილი თავისებურებები, რ-ებიც არ არის დამახასიათებელი არც ერთი ურთიერთშემხები დიალექტისათვის. ბ. დ-ის წარმოქმნის ზონებად მიიჩნევა, მაგ., სურამის ქედის ორივე კალთაზე გავრცელებული ქართლურ-ზემოიმერული მეტყველება; ქართლურ-მთიულური და ქართლურ-ფშაური – არაგვის ხეობაში; ასევე ქართლურ-მესხურ-ჯავახური; ქვემორაჭულ-იმერული და ა. შ.

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ე., ქ ა ე თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961; თ ო ფ უ რ ი ა ე., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», III, თბ., 1963; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ა. მარტიროსოვი.

ბარდამავალი მხედრული, X–XI სს-ში გავრცელებული ქართული მხედრული დამწერლობის (იხ. *მხედრული*) ქვესახეობა, რ-ის ასოთა მოხაზულობა გარდამავალი ეტაპია ნუსხურიდან მხედრულისაკენ (აქედანაა სახელწოდებაც). ამ დამწერლობითაა შესრულებული ისტ. საბუთები (ბაგრატ IV-ის ორი სიგელი), ხელნაწერთა სოგიერთი მინაწერი და წარწერები. საბუთების დამწერლობაში, განსაკუთრებით ბაგრატ IV-ის სიგელში ოპიზარი და მიჯნაძოროელი მამებისადმი (1054–72), მას ახასიათებს ნუსხური ასოების კუთხოვანი აღგილების მომრგვალება, რაც შეიძლება საბუთის დამწერის ინდივიდუალური ხელწერის ნიშანიც იყოს, ხოლო სხვა შემთხვევებში, განსაკუთრებით ეპიგრაფიკულ ძეგლებში, კუთხოვნება დატოვებულია. დამწერლობის ამ ქვესახეობისათვის ასევე დამახასიათებელია ასოების გადაბმა, რიც მისგან განვითარებულ მხედრულ დამწერლობაში წამყვანი ელემენტია. ბ. მ-ის წიგნური ნიმუშების აღსანიშნავად ი. ჯავახიშვილმა შემოიღო სახელწოდება ნუსხახუცური მრგლოვანი, ხოლო საბუთების ხელის აღსანიშნავად – ნუსხახუცური მწიგნობრული დამწერლობა. ბ. მ. მოიცავს ორივე ამ ტერმინის და ზედმეტს ხდის ტერმინოლოგიურ დაქუცმაცებას, რასაც საფუძვლად უდევს არა დამწერლობის განვითარების საფეხური, არამედ წერილობითი ძეგლის შინაარსობრივი მხარე.

ლიტ.: მაჭავარიანი ე., მხედრული დამწერლობის აღრეული ნიმუშები. – კრ.: «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), III, თბ., 1973; ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. – თხზ., ტ. 9. ნაკვ. I, თბ., 1996.

ვ. სილოგავა.

ბარდამავლობა, სმნის კატეგორია, რ-იც ხასიათდება სუბიექტის მოქმედების გადასვლა-გადაუსვლელობით ობიექტზე. შესაბამისად, გამოიყოფა გარდამავალი და გარდაუვალი (ტრანზიტიული და ინტრანზიტიული) სმნები. ფორმის თვალსაზრისით გარდამავლობა-გარდაუვალობის შინაარსობრივი გამოხატვა ცალკეულ ენებში ტიპოლოგიურად განსხვავებულია. განსხვავებას ძირითადად *სუბიექტის* და *ობიექტის* განსხვავებული ფუნქციები და ამ ფუნქციათა შესატყვისი გაფორმება ქმნის.

გრამატიკებში გარდამავალი და გარდაუვალი სმნების გარჩევა სტოულებიდან მოდის. უკვე პირველ ქართ. გრამატიკებში, გვარის ფორმათა დახასიათებისას, გადმოცემულია ბ-ის სემანტიკური დახასიათებაც – მოქმედების სხვა საგანზე გადასვლა-გადაუსვლელობა (*ანტონ I, გაიოზ რექტორი, ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი...*). ამ გრამატიკებში ბ. გვართან არის გაიგივებული. ტერმინები გარდამავალი, გარდაუვალი პირველად მ. ჯანაშვილის „ქართულ გრამატიკაშია“ (1908) მოხსენიებული.

ბ. სემანტიკურ-სინტაქსური კატეგორიაა: გარდაუვალი და გარდამავალი ფორმები ერთმანეთისაგან პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის არქონა-ქონებით განსხვავდებიან (პ. შუხარდტი, ა. შანიძე). ქართ. სმნის მორფოლოგიის ძირითადი და საკვანძო საკითხები (პირიანობა-ვალენტობა, ინვერსია, გვარი, ქცევა, კაუსატივი...) მხოლოდ ბ-სთან კავშირში გაიაზრება და განიხილება. მაგ., პირიანობასთან: ერთპირიანი სმნები გარდაუვალია, სამპირიანი – გარდამავალი, ორპირიანი შეიძლება გარდაუვალიც იყოს (ბრუნვაუცვლელი ობიექტით) და – გარდამავალიც (ბრუნვაცვალებადი ობიექტით). გარდაუვალ სმნას ან არ შეეწყობა ობიექტი (შენდება, იხატება, თბება, წუხს ის...), ან შეეწყობა მიც. ბრუნვაში (უშენდება, ეხატება, უთბება, უწუხს..., აუშენდა, დაეწერა, გაუთბა..., აშენებია, დახატვია, გასთბობია ... ის მას), სუბიექტი – კი სახ. ბრუნვაში დგას.

გარდამავალ სმნას ქართულში ბრუნვაცვალებადი სუბიექტი და, შესაბამისად, ბრუნვაცვალებადი ობიექტი აქვს (სამპირიან სმნაში ერთი ობიექტი ბრუნვაცვალებადია, მეორე – ბრუნვაუცვლელი): I სერიის ფორმებში ბრუნვაცვალებადი სუბიექტი სახ. ბრუნვაშია, ობიექტი – მიცემითში (აშენებს ის მას); II სერიის ფორმებში სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი – სახელობითში (ააშენა მან ის); III სერიის ფორმებში სუბიექტი მიც. ბრუნვაშია, ობიექტი – სახელობითში (აუშენებია მას ის), მაგრამ აქ წყობა ინვერსიულია (ა. შანიძე): რეალური სუბიექტი ობიექტის ნიშნით გადმოიცემა, რეალური ობიექტი – სუბიექტის ნიშნით (იხ. *ინვერსია*).

სუბიექტის ბრუნვის მიხედვით, გარდამავალი სმნები უღელილების პარადიგმაში სამგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნიან: სახელობითიანს (იხ. *ნომინატიური წყობა*), მოთხრობითიანს (იხ. *ერგატიული წყობა*) და მიცემითიანს (იხ. *დატიური წყობა*) – გარდაუვალი სმნის სახელობითიანი კონსტრუქციის საპირისპიროდ. ეს III პირს ეხება. I და II პირის ფორმებთან კონსტრუქცია (როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი სმნისა) ინდეფინიტურია (გაუფორმებელი).

გარდამავალ სმნებს გარკვეული ნიშნებიც აქვს როგორც სმნის ფორმაში, ასევე სმნასთან შეწყობილ სახელებთან: მოთხრობითში დასმული სუბიექტის მრავლობითობა ახ. ქართულში სმნაშიც აისახება (-ეს): ააშენ-ეს მათ ის [ძვ. ქართულში სმნაში აისახებოდა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაც: და-ე-ხატ-ენ მე იგინი (არნ. ჩიქობავა)].

ბ-ის თვალსაზრისით, ქართული ერგატიული ტიპოლოგიის ენადაა მიჩნეული (არნ. ჩიქობავა). უნდა აღინიშნოს, რომ XX ს-ის დასასრულისათვის ქართ. ენის გარდამავალი სმნის ერგატიულობის თეორიას ბევრი ოპონენტი გამოუნდა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში. ქართ. საენათმეცნ. ლიტ-რაში ბ-თან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხიც სადაოდ რჩება, კერძოდ, ბ-ისა და გვარის ურთიერთობის, ბ-ის მიხედვით მოთხრობითსუბიექტიანი პირდაპირი ობიექტის არმქონე სმნათა კვალიფიკაციის საკითხი და სხვ.

ლიტ.: შანიძე ა., სმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში. – «სმამ», 1942, ტ. 3, №2; მისივე, ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973, 1980); ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948; მისივე, სმნის გარდამავლობა როგორც მორფოლო-

გიური კატეგორია ქართულში. – «იკვწ», IV, თბ., 1979; მაჭავარიანი გ., „უნი"ნო ენებით" ქართველურ ენებში. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», I, თბ., 1959; ბაბუნაშვილი ე., საშუალი გვარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში. – კრ.: «ენათმეცნიერება», ტ. 10, თბ., 1986; სახოკია მ., სემანტიკური ფაქტორები და გრამატიკული არგუმენტაცია მორფო-სინტაქსში. – კრ.: «ტიპოლოგიური ძიებანი», IV, თბ., 2000; ნოზაძე ლ., ირიბ მეტყოველ ზმნებს შესახებ ქართულში. – «იკვწ», XXXV, თბ., 2005; Климов Г. А., Очерк общей теории эргативности, М., 1973; Сахокия М. М., Поссесивность переходность и эргативность, Тб., 1985.

მ. სუხიშვილი.

ბარემოება, წინადადების არამთავარი წევრი, რ-იც აღნიშნავს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება. ბ. არის ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის. იგი გადმოიცემა ზმნიზედითა (იხ. *ზმნიზედა*) და ირიბ ბრუნვაში დასმული სახელებით, თანდებულებით ან უთანდებულოდ.

ადგილის ბ. აღნიშნავს მოქმედების ადგილს ან მიმართულებას (მიუგებს კითხვებზე: სად? საიდან? საითკენ? სადამდის?). ადგილის ზმნიზედა წინადადებაში ყოველთვის ადგილის ბ-აა (მიდის შინ, ზევით, მაღლა...). არსებითი სახელი ადგილის ბ-დ გვხვდება ირიბ ბრუნვებში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში უთანდებულოდ (იშვიათად) ან თანდებულებით ['სის ბაღში, ტახტზე, კედელთან..., მიდის ტყისკენ; „მოიდან დაეშვა ღამე" (გ. ტაბ.); „კიტრი უბიდამ გამცივდა" (დ. გურ.); „ღობემდისაც ვერ მიგაცილა შენი დამშეული სული" (დ. კლდ.)].

დროის ბ. აღნიშნავს მოქმედების დროს (მიუგებს კითხვებზე: როდის? რა დროიდან? რა დრომდის? რამდენ ხანს?). დროის ზმნიზედა წინადადებაში ყოველთვის დროის ბ-აა: „ჯერ ასეთი გაპაფხული არ დამდგარა ჩვენთვის, ძმებო" (ი. გრიშ.), „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი" (ხალხ.). დროის ბ-დ გვხვდება არსებითი სახელიც: მიცემითში – „დღეს მერცხალი შემოფრინდა" (ა. წერ.), „ალიონზე ფრთხილად აედექი" (ნ. დუმბ.); ნათესაობითში – „ნახევარი საათის შემდეგ ვერხვი დაბლა ეგდო გაშოტილი" (ვაჟა-ფშავ.), „გაღვიძებისთანავე ირგელივ გაცქცებით მიმოიხედა" (რ. გვეტ.); მოქმედებითში – „ღამით ქარი ქროდა; „საალი ზამთრობით ქალაქში ცხოვრობდა" (მ. ჯავახ.), „თეფოფილე სიყრმიდანვე გარჯაში იყო" (რ. გვეტ.); ვითარებითში – „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?!" (შოთა რუსთ.).

ვითარების ბ. გამოხატავს მოქმედების თვისებრივ ხასიათს, ხარისხს, ზომას, ჯერობას (მიუგებს კითხვებზე: როგორ? რანაირად? რამდენად? რამდენჯერ?). ვითარების ბ. გადმოიცემა ვითარების ზმნიზედებით – „წამოვიდა უცებ სეტყვა", „ელიზბარს ძალიან უყვარდა ნადირობა" (ვაჟა-ფშავ.) და სახელებით. სახელი ვითარების ბ-დ გვხვდება სახელობითში, მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. -ვით თანდებულიანი სახელი სახელობითსა და მიცემითში ვითარების ბ-ა: „ვეფხვის ჭრელი პერანგივით გაიშალა ქართლის ველი" (გ. ლეონ.); „გაღმა ჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდესავითა" (ვაჟა-ფშავ.). მიც. და ნათ. ბრუნვებში ვითარების ბ. ყოველთვის თანდებულიანია: „ჩემს ნებაზედა დავფრენო" (ა. წერ.); „ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე" (ი. ჭავჭ.), მოქმედებითსა და ვითარებითში კი – უთანდებულო: „მისი ლექსი შვებით, ლხენით ხან მეჯლისში შეფრინდება"; „ძმაო, რა ტკბილად, რა უდარდელად ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!" (ი. ჭავჭ.). ზედსართავი სახელის ვითარებითის ფორმა წინადადებაში, ჩვეულებრივ, ვითარების ბ-აა. ვითარების ბ-თა ჯგუფში აერთიანებენ აგრეთვე ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნისართებით გადმოცემულ ბ-საც: «შენ ერთხელ იტყვი, „მითხარო", მე ასჯერ გითხრობ „ვერასა»" (შოთა რუსთ.); „მოხუცის მახვილს შვილისთვის გული ორად გაეპო" (ა. ყაზბ.). ვითარების ბ-დ მიიჩნევენ პარონომაზიული წყვილის (იხ. *პარონომაზია*) მოქმ. ბრუნვაში დასმულ სახელსაც: „ხმული წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით" (ვაჟა-ფშავ.).

მიზეზის ბ. აღნიშნავს მოქმედების გამომწვევ მიზეზს (მიუგებს კითხვებზე: რატომ? რის გამო? რა მიზეზით?), გადმოიცემა მიზეზის ზმნიზედებით – „მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, მარად და მარად ტკბება ჩინარი" (გ. ტაბ.) და სახელებით ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. ნათესაობითში დასმული მიზეზის ბ. თანდებულიანია: „გასროლა სიბნელის გამო არ შეიძლებოდა" (ა. ყაზბ.); „დედაბერს ტანჯვისაგან მთლად ჩანაოჭებული სახე უფრო ჩანაოჭებოდა" (შ. არაგვ.), მოქმ. ბრუნვაში კი – უთანდებულო: „სირცხვილით შინ როგორღა მივიდე მეურმე კაცი" (ი. ჭავჭ.).

მიზნის ბ. გვიჩვენებს მოქმედების მიზანს (მიუგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით?). მიზნის ბ-ის გადმოსაცემად გამოყენებულია მიზნის ზმნიზედები: „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს ჰმსახურებდეს" (ა. წერ.) და ნათ. და ვით. ბრუნვებში დასმული სახელები (სახელზმნებიოურთ). ნათ. ბრუნვაში მიზნის ბ. თანდებულიანია: „კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენილი" (ა. ყაზბ.), ვითარებითში – უთანდებულო: „გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად" (ი. ჭავჭ.). მყოფადის მიმღეობის ვით. ბრუნვა წინადადებაში, ჩვეულებრივ, მიზნის ბ-აა: „იქ ცვავილები გაშლილა ჩემს საზრდოდ, საწუწნელადა" (ა. წერ.). ძვ. ქართულში ამავე ფუნქციით გვხვდებოდა მასდარის ვით. ბრუნვაც: „დაჯდა წერად ანდერძისად" (შოთა რუსთ.).

ბ. სინტაქსურ წყვილს ქმნის როგორც ზმნასთან (შინ ბრუნდება), ასევე ნაზმნარი სახელებით გამოხატულ წევრებთანაც (შინ დაბრუნება, შინ დაბრუნებული...). იგი შეიძლება დაუკავშირდეს ზედსართავ სახელსაც (ეგრე ლამაზი, ძლიერ ღონიერი) და მეორე ბ-საც (ეგრე ტკბილად, ძლიერ გვიან...). წამყვან სიტყვასთან ბ-ის კავშირი ოდენ სემანტიკურია, ამიტომ ბ. მირთული წევრია (იხ. *მირთევა*).

ლიტ.: კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; მისიე, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966 (1996); დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973.

ლ. კვანტალიანი.

ბარეჯის ტეტრალინგუა, ოთხენოვანი (ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული) ოქროსფერი საღებავით შესრულებული წარწერა (1352), გარეჯის ერთ-ერთი სამონასტრო კომპლექსის – „უდაბნოს“, ანუ „წამებულის“ სატრაპესოს ირდ. კედელზე. წარწერის ქართ. ნაწილი, რ-იც შესრულებულია მხედრულით, მიწერილია ირიბად, 6 სტრიქონად. ასევე ექვსსტრიქონიანია ირიბადვე მიწერილი სომხ. ნაწილი, რ-იც შესრულებულია ნუსხურით. სპარს. და უიღურული ნაწილები შესრულებულია 5–5 სტრიქონად, რომელთაგან სპარსული, პირველ ორთან შედარებით, ნაკლებ ირიბად, ხოლო უიღურულის სტრიქონები სწორ, ჰორიზ. ხაზებადაა შესრულებული. საღებავის გაფერმკრთალების გამო, წარწერა ბუნდოვანია, თუმცა შემორჩენილია ფოტო, გადაღებული 1930 აკად. შ. ამირანაშვილის მიერ (გამოაქვეყნა ლ. მელიქსეთ-ბეგმა), რ-ზეც ტექსტი კარგად ჩანს. წარწერის ქართ. ნაწილი ასე იკითხება:

„ქ მე, მიწაჲ. [უღირსი] სარგის, ძე არსლანისა, ამოვედით წმიდაჲ დავითისა საფლაჲსა. მე და ჩემმან მეუღლემან და ჩემმან შვილმან ამირ-საიდ, ლოცვად ჩვენდა და ჩვენთა გარდასულთა ცოდვათა შენდობისათვინ. და ვინცა წაიკითხოს ეს და შენდობა თქვას, მას და მისთა გარდასულთა შეუნდინეს ღმერთმან და წმიდა დავით. დაიწერა თვესა მაისს, ქრონიკონსა ᾱ‘.

წარწერა დათარიღებულია ახ. წ. 1352-ით. იგივე თარიღი აქვს დასმული სომხ. და სპარს. ტექსტებსაც (უიღურულში თარიღიანი ადგილი არ იკითხება). ოთხივე ტექსტის ძირითადი ნაწილი შინაარსით თითქმის ერთნაირია. ამასთან, სომხ. ტექსტი, ქართულთან შედარებით, მეტისმეტად ვულგარული ენითაა დაწერილი – ეხედებით ფსევდოარქაიზმებს და შეცდომებსაც კი (ლ. მელიქსეთ-ბეგი). ეს, ალბათ, იმიტომ, რომ გამოთქმული მოსაზრების (ლ. მელიქსეთ-ბეგი) საწინააღმდეგოდ, წარწერის შემსრულებელი სომეხი არ უნდა იყოს. წარწერა რამდენიმე ათეული წლის წინ საგულდაგულოდ გადაეუფხეკიათ.



შ. გაფრინდაშვილი.



გარეჯის ტეტრალინგუა. 1352.

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა: ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული. – «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკვ. I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, თბ., 1999; Мелик-сет-Беков Л. М., Гарджинская тетралингва эпохи монголов, 1352 г. – «Эпиграфика Востока», VIII, М.– Л., 1953. *ე. სილოგავა.*

ბაშვრცობელი ᲛᲝᲬᲐᲓᲔᲑᲐ, *მარტივი წინადადება*, რ-იც მხოლოდ მთავარი წევრებისაგან შედგება. როცა შემასმენელი უპირო ზმნაა, ბ. ᲛᲬ-ში მხოლოდ ერთი მთავარი წევრია (თოვს. წვიმს. ქუხს...); როცა შემასმენელი ერთპირიანი ზმნაა, ბ. ᲛᲬ. ორი წევრისაგან – შემასმენელისა და ქვემდებარისაგან შედგება („ქარი ქრის“, „ქარავანი მიდის“...). თუ შემასმენელი ორ- და სამპირიანი ზმნებია, შემასმენელთან და ქვემდებარესთან ერთად ბ. ᲛᲬ-ში არის პირდაპირი და ირიბი დამატებებიც: „დღეს დაიბურა პირბადე“ (ვაჟა-ფშავ.); „სოფელს ბინდი წამოეფარა“ (დ. შენგ.); „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“ (ი. ევდ.). მთავარ წევრთა რაოდენობის მიხედვით მარტივი წინადადება არის ერთშემადგენლიანი (წვიმს), ორშემადგენლიანი (ქარი ქრის), სამშემადგენლიანი („მთებმა დახუჭეს თვალები“, „ჰირი ემურეის მთვარესა“ (ვაჟა-ფშავ.) და ოთხშემადგენლიანი (დღემ შეილს საგ'სალი მოუმზადა).

ლიტ. იხ. სტ-თან *გაურცობილი წინადადება. ლ. ქევანტალიანი.*

ბაშრინდაშვილი შოთა გერასიმეს ძე [27.I(9.II). 1916, სანჩხერე, შორაპნის მაზრა, – 27. III. 1968, თბილისი], ენათმეცნიერი, ზოგადი ფონეტიკის, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტი. 1939 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. 1939–41 და 1945–48 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1941–45 მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1948–49 სწავლობდა ასპირანტურაში. 1949–50 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1950–51 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1951–53 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1953–54 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1954–55 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1955–56 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1956–57 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1957–58 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1958–59 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1959–60 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1960–61 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1961–62 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1962–63 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1963–64 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1964–65 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1965–66 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1966–67 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1967–68 მუშაობდა ენიმკის ფონეტიკის სექტორში. 1968 ასწავლიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1968

ლისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1957). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1937).

მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. სხვადასხვა დროს სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა ცხინვალისა და თბილისის პედ. ინ-ტებში, იყო ქართ. ენის კათედრის გამგე. ბ. საქართველოში ექსპერ. ფონეტიკის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია. იგი ხელმძღვანელობდა ექსპერ. ფონეტიკის ლაბორატორიას თსუ-სა და ენათმეცნ. ინ-ტში, სადაც ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა ფონეტიკასთან ერთად ისწავლებოდა სხვა ენების (რუს., ფრანგ., სპარს...) ფონეტიკის საკითხებიც.

ბ-მა სრულყო წარმოთქმის პროცესისა და სამეტყველო ბგერათა შესწავლის ტრად. მეთოდები. საქართველოში პირველმა დანერგა ფონეტ. კლესების მრავალი თანამედროვე აპარატული მეთოდი (კინორენტგენოგრაფია, სპექტროგრაფია...), წამოიწყო ექსპერიმენტი სამეტყველო ბგერათა ხელოვნური გამი'სნული ცელით. ბ. აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სამეცნ. სესიებსა და საერთაშ. კონგრესებში. იყო სსრკ მეცნ. აკად. ენისა და ლიტ-რის განყ-ბის ფონეტიკისა და ფონოლოგიის კომისიის წევრი.

თხზ.: საწარმოთქმო დაბრკოლებათა რაგვარობის საკითხი ქართულში. – «იკვე», XII, თბ., 1960; ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში. – იქვე, XIII, თბ., 1962; Фонетика персидского языка. I. Звуковой состав. Тб., 1964 (თანაავტ.: Дж. Гиунашвили); Фонетика даргинского языка. Тб., 1966.

ზ. ჯაფარიძე, ნ. იმნაძე.

ბაჩეჩილაძე პოლიეევქტ ლუკას ძე [26. VI (9. VII). 1914, სოფ. ობჩა, ახლანდ. ბაღდათის რ-ნი, – 2. IV. 1979, თბილისი], ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1953). 1939 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი, 1947 – ასპირანტურა.

1947-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტში, ჯერ უმცრ., ხოლო 1958-იდან უფრ. მეცნ. თანამშრომლად. იკვლევდა ძვ. და ახ. ქართ. ენის გრამატ. და ლექსიკოლოგიის საკითხებს; ძირითადად მუშაობდა ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის სფეროში; მისი მონაწილეობით მომზადდა „ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი“, თბ., 1967; «„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია (ფუძე-ფორმათა ინდექსი)», თბ., 1973.

ბ. აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ 8-ტომეულის შედგენაში (1950–64). იყო VII ტომის თანარედაქტორი, რისთვისაც მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971).

ბ. წლების განმავლობაში საველე მუშაობის პირობებში სწავლობდა ქართ. დიალექტების ლექსიკას, ქართლურისა და იმერულის ლექსიკურ მასალებს აქვეყნებდა სამეცნ. გამოცემებში. 1976 კი მისი ავტორობით გამოიცა „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“, რ-შიც 4000-ზე მეტი სიტყვა არის განმარტებული და ილუსტრირებული.

თხზ.: ქართული ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის ისტორიისათვის. – «იკვე», XI, თბ., 1959; კვლავ -მცა ნაწილაკისათვის. – იქვე, XII, თბ., 1960; უჟის ზმნის ეტიმოლოგიისათვის. – იქვე, XIX, თბ., 1973; იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

ა. არაბული.

ბეზი, ზმნის კატეგორია, რ-იც გვეჩვენებს, თუ როგორია ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართება სივრცეში მდებარე სხვა პუნქტებთან. ბ. ორია ქართულში: მიუმართებელი და მიმართული. მიუმართებელი ფორმით გამოხატული მოქმედება არ აღნიშნავს მიმართულებას სივრცეში მდებარე რომელიმე პუნქტისაკენ, მიმართული ფორმა კი გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას. მიუმართებელი ბ-ის ფორმები უზმნისწინოა, მიმართულისა – ზმნისწინიანი. მიმართულება ქართულში რამდენიმე სახისაა: 1. ქვეყნიდან ზეყნით: ა) ა- (ად) – აფრინდა, ბ) ამო – ამოფრინდა; 2. ზეყნიდან ქვეყნით: ა) და – დაფრინდა, ბ) ჩა – ფრინდა; 3. შიგნიდან გარეთ: ა) გა – გაფრინდა, ბ) გამო – გამოფრინდა; 4. გარედან შიგნით: ა) შე – შეფრინდა, ბ) შემო – შემოფრინდა; 5. დაბრკოლების გადალახვა: ა) გადა – გადაფრინდა, ბ) გადმო – გადმოფრინდა.

ჩა- ზმნისწინი მიღებულია შედა და- ზმნისწინთა შერწყმით, მაგრამ თანამედროვე ქართულში იგი არ წარმოადგენს მასში შემავალ ზმნისწინთა ფუნქციების ჯამს (არ გამოხატავს ორმაგ მიმართულებას). იგი ზემოდან ქვემოთ, ამასთან, სიღრმეში მიმართული მოქმედების აღმნიშვნელია.

ზმნა, რ-იც ზმნისწინს არ დაირთავს, მოკლებულია ბ-ის გამოხატვის უნარს. ამასთან, ყველა ზმნისწინიანი ფორმა არ გამოხატავს ბ-ს, მაგ., გა-და-ხატა, შე-კერა და ა. შ.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973, 1980); ჯაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

მ. მარჯგალაძე.



ჰ. გაჩეჩილაძე.

გელათის აკადემია, შუა საუკუნეების ქართული კულტურულ-სამეცნიერო და პედაგოგიურ-საგანმანათლებლო კერა. ბ. ა. შედის გელათის სამონასტრო კომპლექსში, რ-იც მდებარეობს ქუთაისის ირგვ. -აღმოთ მე-11 კმ-ზე, მდ. წყალწითელას ხეობაში. სამონასტრო ანსამბლის მშენებლობა დაიწყო 1106 დავით აღმაშენებლის თაოსნობით და მისივე ანდერძის თანახმად დაასრულა მისმა შვილმა დემეტრემ. ბ. ა. აღმაშენებლის სიცოცხლეშივე იქცა „ყოველისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად“, „სხუად ათიხად“. ისტორიკოსის მიერ ამ ორი ქალაქის – ათენისა და იერუსალიმის – ანტიკური ფილოს. და ქრისტ. რწმენის ორი სიმბოლოს დაკავშირებას საფუძვლად უდევს შუა საუკ. ქრისტ. სამყაროსათვის დამახასიათებელი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა. გელათში მოხდა ანტ. და ქრისტ. კულტ. ტრადიციების შერწყმა. აქ ნაეყარა საფუძველი ანტ. ფილოს. და ბიზანტ. ნეოპლატონი'ზმის შესწავლას. ნეოპლატონიკოსთა მიერ დამუშავებული არისტოტელეს ლოგიკის გამოყენებას ქრისტ. მოძღვრების დასასაბუთებლად.

გელათის აკადემია.



გელათში დაარსდა „სასწავლებელი ყრმათათჳს“, სადაც ქართველნი განისწავლებოდნენ სიბრძნისმეტყველებაში, რიტორიკასა და გრამატიკაში. სწავლება ეყრდნობოდა trivium-quadrivium-ის სისტემას, რაც გულისხმობდა 7 დისციპლინის – ერთი მხრივ, რიტორიკის, გრამატიკისა და ფილოსოფიის, ანუ დიალექტიკის, მეორე მხრივ – გეომეტრიის, არითმეტიკის, მუსიკისა და ასტრონომიის სწავლებას.

მემატიანის ცნობით, დავით მეფემ აქ შეკრიბა თავისი დროის ცნობილი მოაზროვნეები – „არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყნისა კიდეთაო“ – დავითის მიერ აქ მოწვეულ სწავლულთა შორის იყვნენ *არსენ იყალთოელი*, *იოანე პეტრიწი*, იოანე ტარიჭისძე. მათი ინტერესების წრე მოიცავდა ბიბლ. და თეოლოგიურ ეგზეგეტიკას, პლატონისა და არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსების, პირველ ყოვლისა, ალექსანდრიელი ნეოპლატონიკოსებისა და ათენელი პროკლე დიადოქოსის ნაშრომებს, რ-თა თარგმანები და განმარტებანი, როგორც ჩანს, სახელმძღვანელოთა დანიშნულებას ასრულებდნენ ამ სკოლის მსმენელთათვის. გელათის სკოლაშია თარგმნილი ალექსანდრიული სკოლის მამამთავრის, ამონიოსის კომენტარები პორფირის ცნობილ ნაშრომზე „შესავალი არისტოტელეს კატეგორიებისა“ და თვით არისტოტელეს კატეგორიებზე: „მოსაჴსენებელი ხუთთა ჴმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაჴსენებელნი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისათა“ (მთარგმნელი იოანე ტარიჭისძე); წმ. იოანე დამასკელის სამნაწილიანი ნაშრომის „წყაროთცოდნის“ ნაწილები – „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ (მთარგმნელი არსენ იყალთოელი); ნეოპლატონური ფილოს. თხზულებებიდან იოანე პეტრიწმა თარგმნა III ს. ნეოპლატონიკოსის – ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“, რ-იც ქრისტ. ანთროპოლოგიის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა შუა საუკ. ევროპის სამონასტრო სკოლებში; V ს. ნეოპლატონიკოსის პროკლე დიადოქოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლები“ („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“), რ-საც პეტრიწმა დაურთო საკუთარი „განმარტებანი“. ეს უკანასკნელი სალექციო კურსია პლატონურ ფილოსოფიაში, დატვირთული დამოწმებებითა და ციტატებით ელინ ფილოსოფოსთა (განსაკუთრებით პლატონის, არისტოტელეს, ელეელების, პითაგორელების, სტოელებისა და სხვ.) თხზულებებიდან. ბიბლ. ეგზეგეტიკიდან აღსანიშნავია გელათის კატენებიანი ბიბლია (იხ. *გელათის ბიბლია*), აღჭურვილი წმ. მამათა განმარტებებით, თეოფილაქტე ბულგარელის სახარებათა თარგმანები და სხვ.; ქრისტიანული ეთიკის სფეროდან – იოანე სინელის „სათნოებათა კიბე“; ისტორიიდან – „იუდაებრივი დასაბამსიტყუაობა“. გ. ა-შია შექმნილი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

ძვ. ქართ. თარგმანის ისტორიაში გელათის სალიტ. სკოლა არის ელინოფილური მიმდინარეობის (იხ. *ელინოფილიზმი*) მძლავრი კერა, სადაც დამუშავდა და პრაქტიკულად განხორციელდა ადეკვატური თარგმანი, ჩამოყალიბდა ქართ. ფილოს.-თეოლოგიური ტერმინოლოგიის მწყობრი ფორმალურ-სემანტ. სისტემა, შემუშავებული არსენ იყალთოელის ჯგუფისა და იოანე პეტრიწის მიერ. მართებული იქნება მას ეწოდოს „გელათური“ ენობრივ-ლიტ. სტილი (ნაცვლად აქამდე მიღებული ტერმინებისა – პეტრიწული, პეტრიწონული).

გ. ა. მნიშვნელოვანი ეტაპია ქართ. ფილოს. აზრის განვითარების გზაზე. იგი იყო შუა საუკუნეების ტიპური საგანმანათლებლო კერა, რ-იც ქართ. ნიადაგზე აგრძელებდა და ავითარებდა ბიზანტ. ინტელექტუალურ რენესანსულ აზროვნებას. ეს სკოლა იდგა იმ მაგისტრალურ ხაზზე, რ-საც უფრო მოგვიანებით გაჰყვა ევროპული სამყარო.

წყარო: იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოქოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“. თანამედროვე ქართ. ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა, თბ., 1999.

ლიტ.: თაყაიშვილი გ., უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნაკვ. I, თბ., 1938; ყაუხჩიშვილი ს., გელათის აკადემია, თბ., 1948; ლომინაძე ბ., გელათი, ქუთ., 1958; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; გამსახურდია ს., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975; მელიქიშვილი დ., ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების პრინციპები და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემატიზაცია გელათის სკოლაში. – კრ.: «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 10, თბ., 1993; მისივე, გელათის სალიტერატურო სკოლა. – «ქუთაისის სახელმწ. უნ-ტის მოამბე», 1994, №1, 2; მისივე, გელათური ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის. – «გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი», 1996, ტ. 2.

დ. მელიქიშვილი.

გელათის ბიბლია, XII ს. ქართული სამწერლობო ენის მნიშვნელოვანი ძეგლი. შესრულებულია ქაღალდზე ინდივიდუალური ნუსხური ხელით, შეიცავს 301 ფურცელს, ზომა 35X25 *სმ.* აღმოაჩინა თ. *ჟორდანიამ* ქუთაისში, ბაგრატის ტაძარზე მიშენებული ეკლესიის ნანგრევებში და მანვე აღწერა ვრცლად (ქრონიკები, II, ტფ., 1897). ამჟამად დაცულია ხელნაწ. ინ-ტში (A-1108), ძალზე დაზიანებული და ნაკლული, მოღწეული ნაწილი რესტავრირებულია. ამავე ტექსტს შეიცავს A-1108-ის ბედიის მეორე ხელნაწერი (Q-1152), ქაღალდზე ნაწერი მსხვილი ნუსხური ხელით, XII–XIII სს., 421 ფურცელი, ზომა 39,5X28,5 *სმ.* Q-1152 უნდა იყოს A-1108-იდან ან შუალედური ნუსხიდან გადანაწერი. არ გამორიცხავენ ორივეს წარმომავლობას ერთი ხელნაწერიდანაც (თ. ჟორდანია). ორივე ხელნაწერი შეიცავს ძველი აღთქმის წიგნთა თავისებურ, ბერძნიზმებით დამძიმებულ ე. წ. პეტრიწული სტილის ქართ. რედაქციას. ბიბლიის ძირითადი ტექსტი მოთავსებულია ფურცლის შუა ნაწილში, განიერ აშიებზე კი ახლავს თარგმან-კომენტარები, რის გამოც მას კატენებიან ბიბლიასაც უწოდებენ. კომენტარები განსამარტავ კიმენურ ტექსტთან დაკავშირებულია ასოებრივი ნუმერაციით და 40-მდე პირობითი ნიშნით. ამერიკელმა ქართველოლოგმა რ. *ბლეიკმა* საგანგებოდ შეისწავლა გ. ბ., არეული ფურცლები დაალაგა, გვერდებად დააწყო და მნიშვნელოვანი ფილოლ. საკითხები გაარკვია.

A-1108 არასრულად შეიცავს ძველი აღთქმის შემდეგ წიგნებს: ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, II შჯულთა, ისუ ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისი,

ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისა და მცირე წინასწარმეტყველთა (იოსია, იოელი, ამოსი, აბდია, იონა, მიქია, ნაუმი, სოფონია, ანგაია, ზაქარია). Q-1152 ხელნაწერი უფრო ერცლად შეიცავს ამავე წიგნებს, მაგრამ აკლია წინასწარმეტყველთა წიგნები. A-1108 ხელნაწერისთვის რედაქცია გაუკეთებია ს.-ს. ორბელიანს (იხ. *მცხეთური ხელნაწერი*).

ბ. ბ-ის ტექსტიდან გამოცემულია წინასწარმეტყველთა წიგნები – ეზეკიელის, თ. ცქიტიშვილის მიერ 1976; ხოლო იგივე, სხვა წინასწარმეტყველებთან ერთად, – ე. დოჩანაშვილის მიერ 1985–86 („მცხეთური ხელნაწერი"); „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი", მომზადებული ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით, ნაკვ. 1–3, 1989–91.

ლიტ.: ქ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. – «მნათობი», 1939, №4; ქ ე ქ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; დ ა ნ ე ლ ი ა ქ., ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო. – «მაცნე», 1964, №2; გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ბ., ქ ი ქ ე ი ძ ე ც., რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ვერსია). – კრ.: «შოთა რუსთაველი. ისტ.-ფილოლ. ძიებანი», თბ., 1966; Б л е й к Р. П., О древнегрузинских версиях Ветхого Завета. – «Известия Кавк. отделения Имп. Моск. археол. об-ва», вып. 6, Тфл., 1921.

კ. დანელია.



გელათის ბიბლია. XII ს.

ბენდერი, სოციალური სქესი, ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს. მაგ., მამაკაცი არ იხმარს ქალებში გავრცელებულ შორისდებულს „უი, ქა!", მეორე მხრივ, კაცთა მეტყველებისათვის სხვა შორისდებულები თუ შეძახილებია დამახასიათებელი. ლოცვისა და წყევლის ფორმულები, ჩვეულებრივ, ქალთა მეტყველებას ახასიათებს, ხოლო გინება – კაცისას. საერთოდ, ცნობილია, რომ ქალთა მეტყველებაში ხშირია კრინობითი სუფიქსების, თავაზიანობის ფორმების ხმარება, ქალები მოსაუბრეს ხშირად მიმართავენ სახელით და საუბრისას, საერთოდ, უკეთ ახერხებენ კონტაქტის დამყარებას მოსაუბრესთან, მაშინ როდესაც კაცების მეტყველებაში ხშირია ხანგრძლივი სასაუბრო მონაკვეთები. კაცები ხშირად აწყვეტინებენ მოსაუბრეს საუბარს და იმაედროულად ცდილობენ საუბრის თემაზე კონტროლის შენარჩუნებას. განსხვავება ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში ოდითგანვეა შემჩნეული, რასაც უმეტეს შემთხვევაში, სოციალური ფაქტორით ხსნიან. მაგ., ძვ. ინდურ დრამაში მამაკაცები მეტყველებდნენ სანსკრიტზე, ქალები კი – პრაკრიტზე. ამ შემთხვევაში სხვაობა სოც. რანგს ეფუძნება (ო. იესპერსენი). ქალისა და მამაკაცის მეტყველება ბევრგან განსხვავებულია დღესაც. მაგ., ანდიურის (დაღ. ენა) მამაკაცი ამბობს: დინ „მე", მინ „შინ", ჰეკა „კაცი", იმავე ფორმებს კი ქალი სხვაგვარად გამოთქვამს: დენ, მენ, ჰეკეა. გენდერული იდენტიფიკაცია შეიძლება მოხდეს აგრეთვე კულტურის, დროისა და სიერცის ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა ბ-თვის არსებითია სწორედ სოც. ფაქტორი, რადგან, თუ გენეტ. კოდი განსაზღვრავს ბიოლ. სქესს, სოც. კოდები განაპირობებენ ადამიანთა ქცევას, განსაზღვრავენ ბ-ს.

გენდერული თვალსაზრისით მეტნაკლებად საინტერესოა ყველა ენა, ისეთებიც კი, რ-ებშიც არაა გარჩეული გრამატ. სქესი. სამაგიე-

როდ. ასეთ ენებში მკაფიოდაა გამოხატული მამაკაცური (მასკულინური) და ქალური (ფემინური) სტერეოტიპები. მაგ.: შვილი ქართ. ენის ზოგ მთის დიალექტსა და სვანურში ნიშნავს მხოლოდ ბიჭს. თუ კაცს ჰყავს სამი შვილი, ერთი ბიჭი და ორი გოგო, კითხულობენ: რამდენი შვილი ჰყავს, უპასუხებს: – ერთი შვილი მყავს და ორი გოგო. ეს მამაკაცური ბ-ის უპირატესობაზე მეტყველებს. ამას სხვა ფაქტებიც გვირვენებენ, სახელდობრ, ქართულში მამაკაცური ბ. არ არის მარკირებული, იგი უნიშნოა, მაშინ როდესაც ქალური ბ. მარკირებულია. ეს აღინიშნება მაგ., გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარის წარმოებისას. ქართ. ენის კახურ, რაჭულ, იმერულ და გურულ დიალექტებში ქალიშვილობის გვარს ერთვის სპეც. სუფიქსები: -ურ-ი, -ოურ-ი, -ფხე („მეგრ. – ხე): მახარობლიაური, გოქსაური, ტაბუშოური, ლომთათიფხე. გათხოვილი ქალის წარმომავლობა -ურ-ა, -ულ-ა სუფიქსებით ტოპონიმებისგანაც იწარმოება ქართ. ენის ორ დიალექტში – აჭარულსა და მესხურში. მაგ., ზენდიდურა ნიშნავს სოფელ ზენდიდან გამოთხოვილ ქალს; ჩუნჩხულა – სოფელ ჩუნჩხათიდან გამოთხოვილ ქალს (იხ. *გვარსახელი*).

ქართ. ენის ნათესაურ ტერმინოლოგიაში მდედრობითი ბ-ის ტერმინთა დანაწევრებულობა მისი ერთგვარი მარკირებულობის მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში ცალკე ტერმინებია დეიდა (დედის და) და მამიდა (მამის და), მაშინ, როდესაც დედის ძმაც და მამის ძმაც აღინიშნება ერთი ტერმინით – ბიძა.

ქალისა და მამაკაცის გენდერული განსხვავებულობის სოც. საფუძველი თაედაპირველად ბიჭისა და გოგოს განსხვავებული აღზრდის წესში ელინდება, ხოლო შემდეგ მამაკაცის გარე, მძიმე ფიზიკური შრომითა და ქალის საოჯახო საქმიანობით განისაზღვრება. ფაქტობრივად ეს სოც. საფუძველი განაპირობებს მამაკაცის გენდერულ დომინირებას.

ლიტ.: ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989; კ ი კ ვ ი ძ ე ს., სქესისა და გენდერის ცნებათა გარჩევის აუცილებლობისა და ლინგვისტური გენდეროლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. – «საუნივერსიტეტო მეცნიერო ძიებანი», XI, თბ., 2001; F o l e y W. A., Anthropological Linguistics. Blackwell Publishers, OXf., 1997; W a r d h a u g h R., An Introduction to sociolinguistics. Blackwell Publishers, OXf., 2002; K u r d a d z e R., Problems of gender and language in modern Georgian and Georgian dialects. – «Second International Gender and Language Association Conference. Book of Abstracts», Lancaster University, 2002; Словарь гендерных терминов, ред. Ф. Ф. Денисова, М., 2002.

რ. ქურდაძე.

ბეორბიკა, ნიკოლაას *ვიტსენისა* და *ალექსანდრე ბატონიშვილის* (ბაგრატიონის) სახელობის სამეცნიერო-კულტურული ცენტრი ნიდერლანდში. დაარსდა 1989 ამსტერდამში ჰოლანდიელ და ქართველ მეცნიერთა (ბ. ნარდენი, ჯ. ვაოეიშვილი, რ. რობოლი, დ. ლაცკო, ე. ფრომი, ე. ლუკასენი და სხვ.) თაოსნობით. ცენტრის იურიდიულ გაფორმებამდე (1996) მის ფუნქციებს ასრულებდა ჰოლანდიაში არსებული ალექსანდრე ბაგრატიონის ფონდი, რ-იც ასევე ზემოხსენებულ პირთა თაოსნობით შეიქმნა.

ცენტრმა და ფონდმა არაერთი ღირსშესანიშნავი ღონისძიება განახორციელა: ამსტერდამის უნტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინტში 1992-იდან ტრადიციულად აღინიშნება საქართველოს დღეები, რ-საც ჰოლანდიელებთან ერთად ქართ. დიასპორის წარმომადგენლებიც ესწრებიან; ქ. სანდამის პეტრე I-ის სახლ-მუზეუმს გაუკეთდა და საზეიმოდ გაიხსნა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალური დაფა (1994); ჩატარდა სამეცნ. კონფერენცია ქართველოლოგიისა და კავკასიათმცოდნეობის დარგში (1995); აღმ. ევროპის ინ-ტის დავალებით დაიწერა გამოკვლევა თემაზე: „ნიკოლაას ვიტსენი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ" (ჯ. ვათეიშვილი). ცენტრი და ფონდი, რ-ებსაც შესაბამისად ხელმძღვანელობენ ჯ. ვათეიშვილი და პიმ ვან დერ მეიდენი, ერთობლივად გამოსცემენ ალმანახის ტიპის პერიოდულ გამოცემას – „გეორგიკას" (1995). 1996-იდან ცენტრის გამგეობისა და მისი თბილ. ფილიალის (ნ. ერისთავი) თაოსნობით ხდება თანამშრომელთა გაცვლა სამეცნ.-შემეცნებითი მიზნით.

ჯ. ვათეიშვილი.

«ბეორბიკა» («Georgica»), თბილისისა და იენის (გერმანია) უნივერსიტეტების ერთობლივი ყოველწლიური გამოცემა. 1978–89 გამოდიოდა იენაში (დაიბეჭდა 12 ნაკეთი), მე-13–14 გაერთიანებული ნაკეთი დაიბეჭდა კონსტანცაში (რუმინეთი). ამ ნომრიდან «ბ» გამოდის როგორც ოთხი უნ-ტის (თბილისი, იენა, საარბრიუკენი, კონსტანცა) ერთობლივი ორგანო (რედაქტორები: ჰ. *ფენრიხი* – იენა, შ. *ძიძიგური* – თბილისი). 2006-თვის გამოსულია 89 ნომერი (რედაქტორები: შ. ხოტივარი-იუნგერი, მ. ლორთქიფანიძე). «ბ» ფართო პროფილის ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური გამოცემაა, რ-შიც ქვეყნდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორების გამოკვლევები ენათმეცნ., ლიტერატურათმცოდნეობის, ფილოს., ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. საკითხებზე. აქვს კრიტ. ბიბლიოგრაფიული განყ-ბაც.

გ. თოფურია.

ბევრაძე დავით ოქროპირის ძე (28. VIII. 1917, ჩესტაფონი, – 29. VI. 1979, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971). 1948 დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი, 1952 – ასპირანტურა. 1948–68 მუშაობდა ქუთ. პედ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1968 მარტიდან გარდაცვალებამდე თსუ ახ. ქართ. ენის კათედრის უფრო იყო.

ბ. აეტორია 50-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა, რ-ებიც ეძღვნება ძვ. ქართ. ხმოვნის სისტემას, მწერლის ენასა და სტილს, ცალკეულ გრამატ. კატეგორიათა წარმოების თავისებურებებს, ქართ. ენის სწავლების ფორმებსა და მეთოდებს.

თხზ.: მესამე პირის სუბიექტის ნიშანი დ ძველ ქართულში. – «ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1952–53, ტ. 11; კაუზირებითი მეორის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში. – იქვე, 1955, ტ. 13; ქართული ენა. ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის პრაქტიკუმი, თბ., 1962; ძველი ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული სინტაქსური მოვლენები ს.-ს. ორბელიანის თხზულებებში. – «თსუ შრომები», 1972, ტ. B4 (143); ძირითადი ფონეტიკური პროცესები ს.-ს. ორბელიანის ენაში. – კრ.: «ენათმეცნიერება», თბ., 1976 („თსუ შრომები", ტ. 174).

ლ. კვარტალიანი.

ბვარი, სმნის კატეგორია, გავრცელებულია სხვადასხვა სტრუქტურის ენებში. ტრადიციული

განმარტებით, ბ. ჰმინის სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებას ასახავს (სხვადასხვა ვარიაციებით) ან – ბ-ის კატეგორიით გამოხატება მოქმედების მიმართება ქვემდებარესთან და ა. შ.

ბ-ის გაგება საკამათო იყო მის შესახებ გრამატ. მოძღვრების ჩამოყალიბებიდანვე. პანინის გრამატიკიდან დღემდე ბ-ის კატეგორიის შესახებ დიდძალი საენათმეცნ. ლიტ-რა დაგროვდა. გამოიკვეთა მრავალი საკითხი, რ-ებიც ქართ. ენის გვარის კატეგორიის შესწავლის დროსაც იჩენს თავს. ესაა ტერმინის საკითხი, კატეგორიის განმარტებათა წინააღმდეგობრივი შინაარსი, ბ-ის კატეგორიის წევრ სიტყვა-ფორმათა რაოდენობის საკითხი, ბ-ის კატეგორიის წევრთა ოპოზიციის ხასიათის განსაზღვრა, ბ-ის კატეგორიის სტატუსის დადგენა მოცემულ სისტემაში, ბ-ისა და პირიანობის (იხ. *პირი*), ბ-ისა და *გარდამავლობის* საკითხები და სხვ.

თანამედროვე ქართ. გრამატ. ლიტ-რაში დამკვიდრებულია ტერმ. ბ. და გავრცელებულია მისი კატეგორიის შემდეგი განმარტება: ბ. არის ზმნის ფორმა, რ-იც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: მოქმედება მომდინარეობს სუბიექტ. პირისაგან და სხვა პირზეა დამოკიდებული, სუბიექტი განიცდის ამ მოქმედებას, თუ მომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა პირდაპირ დამოკიდებული და არც განიცდილია სხვისი ზემოქმედებით. ამის მიხედვით გვაქვს სამი ბ.: მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი, ვ ნ ე ბ ი თ ი, ს ა შ უ ა ლ ი. მოქმედებითი: ჩატავს, უზრდის, ათბობს, აწუხებს, აგორებს..., ვნებითი: ი-ხატება, ჟ-სრდება, წუხ-დ-ება, გორ-დ-ება, თბება..., საშუალი: წუხს, გორავს... (ა. შანიძე).

ბ-ის სისტემა ქართულში შეიძლება იყოს სამწევრიანი: მოქმედებითი – ვნებითი – საშუალი (ა-წუხებს – წუხ-დ-ება – წუხს, ა-წევნს – წვება – წევს) და ორწევრიანიც: მოქმედებითი – ვნებითი (ხატავს – ი-ხატება, ა-თბობს – თბება...). ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ვნებითი გვარი მარკირებულია. ფორმათა წარმოების მიხედვით გამოიყოფა პრეფიქსიანი – ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი, ი-ნიანი (ი-ხატება...) და რ ე ლ ა ტ ი უ რ ი, ე-ნიანი (ე-ხატება) ვნებითები, ასევე სუფიქსიანი – დ-ონიანი (წუხ-დ-ება...) და უნიშნო (თბება...) ვნებითები. უნიშნო ვნებითები ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებადაა მიჩნეული (ქ. ლომთათიძე, გ. მაჭავარიანი...). მორფოლოგიური ოპოზიციების პრინციპთა გათვალისწინებით ბ-ის სისტემაში ვნებითთან ერთად მარკირებულია მოქმედებითის ფორმებიც, არამარკირებულია საშუალი ბ.: ა-გორებს – გორ-დ-ება – გორავს (გ. ნებიერიძე, ა. ონიანი). ოპოზიციაში, რშიც მოქმედებითს ან ვნებითს არა აქვს მარკერი, ნულოვანი ალომორფი (იხ. *ალომორფი*) იგულისხმება.

საშუალი ბ-ის ზმნებში სემანტიკისა და უღელილების ფორმათა თავისებურების მიხედვით ორი ჯგუფი გამოიყოფა: ს ა შ უ ა ლ ე ნ ე ბ ი თ ე ბ ი (მ ე დ ი ო პ ა ს ი ვ ე ბ ი): არის, დგას, წევს, ჩანს... და ს ა შ უ ა ლ - მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ე ბ ი (მ ე დ ი ო ა ქ ტ ი ვ ე ბ ი): წუხს, ცხოვრობს... შესაბამისად, საშუალი ბ-ის ზმნები უღელილების ნაკლებულ (სრული ასპექტის) ფორმებს ორგვარად იცსებენ: საშუალ-ენებითები – ენებითი ბ-ის ფორმებით (დგას – ი-დგება – ი-დგა იგი...), საშუალ-მოქმედებითები მოქმედებითი ბ-ის სათანადო ფორმებით: ერთპირიანები სასუბიექტო ქცევის (წუხს – ი-წუხებს იგი – ი-წუხა მან...), ხოლო ორპირიანები – საობიექტო ქცევის ფორმებით (დარაჯობს – უ-დარაჯებს ის მას – უ-დარაჯა მან მას...), ერთი კორექტივით: ნასესხებ ფორმათა შესიტყვებაში გამოირიცხება პირდაპირი ობიექტი. მედიოაქტიურ ზმნათა დეფექტური პარადიგმის შევსება ქართულში დონიანი ვნებითის ფორმებითაც შეიძლება: წუხს – შეწუხ-დ-ება – შეწუხ-დ-ა... (არნ. ჩიქობავა, ე. ბაბუნაშვილი...).

ძვ. ქართ. და სხვა ქართველურ ენათა გარკვეული ფაქტების შეჯერებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ წუხს – იწუხა ტიპის ფორმები ისტორიულად ერთი პარადიგმის ფორმებია (ლ. ნოზაძე).

ბ-ის კატეგორიის ფორმათა შორის ურთიერთობა კონვერსიის საფუძველსაა განსაზღვრული. კ ო ნ ვ ე რ ს ი ა (შებრუნება, მოქცევა) ეწოდება ბ-ის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას, ერთი და იმავე შინაარსის გადმოცემას სხვადასხვა გრამატ. ფორმით (მხატვარი ხატავს – სურათი იხატება მხატვრის მიერ). ტერმინი ა. შანიძეს ეკუთვნის, თუმცა კონვერსიის მექანიზმი ჯერ კიდევ ანტონ I-ის გრამატიკაშია გარკვეული.

კონვერსიულ წყვილებში აქტივ-პასივის (მოქმედებით-ვნებითის), აქტივ-მედიუმის (მოქმედებით-საშუალის) ფორმალური განაწილებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აქტივის ფორმათა მოდელებს: ხატავს – ი-ხატება, უ-ხატავს – ჟ-ხატება, წუხს – ა-წუხებს – წუხ-დ-ება, ა-თბობს – თბება... თუმცა ამ წყვილთაგან ყველა ვერ აკმაყოფილებს კონვერსიის პირობებს (თ. უთურგაიძე).

ქართულში არსებობს ბ-ის კატეგორიის სხვა განმარტებაც, რის თანახმად ზმნას შეუძლია საგანგებო თავსართ-ბოლოსართით აღნიშნოს, თუ როგორაა წარმოდგენილი მოქმედება – მოქმედის თვალსაზრისით (სუბიექტის პოზიციიდან) თუ მოქმედების ობიექტის თვალსაზრისით (სუბიექტისგან განცდებით), ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს ბ-ები – მოქმედებითი და ვნებითი (არნ. ჩიქობავა...). ამ თვალსაზრისით ბ-ის კატეგორია ორწევრიანია: აქტივი – პასივი, საშუალი ბ-თვის ამ ოპოზიციაში ადგილი არ რჩება: საშუალი ბ-ის ზმნები გარდაუვალი უგვარო სტატიკური ზმნებია: წუხ-ს, ჩანს... (იხ. *სტატუსი*). ამ უგვარო სტატიკურ ზმნათაგან, ერთი მხრივ, კაუსაციის გზით მიიღება დინამიკური გარდამავალი (წუხს – ა-წუხებს) ზმნები (ე. წ. „პირველადი კაუსატივები“), მეორე მხრივ, სუფიქსაციის გზით – დინამიკური გარდაუვალი ფორმები (წუხ-ს – წუხ-ება, ძვ. ქართ. წუხ-ნ-ების | წუხ-ებ-ის). დინამიკური გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები ქმნიან აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებულ კონვერსიულ წყვილს: ა-წუხებს, წუხ-ება... სხვა თვალსაზრისით, სუფიქსიანი ენებითები იწარმოება სათანადო აქტივის ფორმებიდან – პასივის ფუძეში წარმოდგენილი ქვეყლა ფონემატური ცვლილება უკვე აქტივშია განხორციელებული.

აღნიშნულია, რომ ენებითის სინოესური ფორმები ქართულში ხშირად არ აკმაყოფილებს პასიურობის უნივერსალურ გაგებას – აქტივ-პასივის დაპირისპირებისას ხშირად ირღვევა კონვერსიის პი-

რობები (შდრ.: მაგ., ფორმით პასიური და შინაარსით აქტიური ზმნები ქართულში, ე. წ. დეპონენსები: იძლევა, იბღვირება, ეზიდება, ეწევა... და ა.შ.). გამოთქმულია აზრი, რომ ენებითის უნივერსალური მოდელის გათვალისწინებით, სინტაქსურად და სემანტიკურად აქტიურ ზმნებს ქართულში აღწერითი ენებითები შეესაბამება (ა. ჰარისი).

გ-ის კატეგორიის ფორმათა გენეზისის გარკვევისას წინა პლანზე დგება გ-ისა და გარდამავლობის, გ-ისა და კაუზატივის, გ-ისა და რეფლექსივის, გ-ისა და პოტენციალისის ურთიერთობის საკითხი. ჩანს, რომ გ-ის მოდალური მნიშვნელობები (კერძოდ, ენებითის ფორმებისა) ქცევის მნიშვნელობებია და არა გ-ისა (მ. მაჭავარიანი).

არსებობს თვალსაზრისი, რომ გ-ის კატეგორია ქართულში არათანამიმდევრულად არის გამოხატული უღლილების სისტემაში. აქტივი–პასივი უფრო მკაფიოდაა გარჩეული I სერიის ფორმებში (არნ. ჩიქობავა...); ამავე დროს, გ-ის კატეგორია ქართულში მიჩნეულია ფუნდამენტურ კატეგორიად: ქართ. ზმნის უღლილებას გ-ის კატეგორია განსაზღვრავს (ა. შანიძე).

ეს განსხვავებული თვალსაზრისი გ-ის კატეგორიის გრამატ. სტატუსის დადგენაშიც აისახა. ქართ. საენათმეცნ. ლიტ-რაში გ-ის კატეგორია განმარტებულია როგორც ლექსიკურ-გრამატიკული (ა. შანიძე), სინტაქსურ-მორფოლოგიური (ფ. ერთელიშვილი), მორფოლოგიური (ა. ონიანი) თუ სინტაქსური (რ. ასათიანი).

ლიტ.: თოფურია ვ., მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში. – «სმამ», 1942, ტ. 3, №9; ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. 1, თბ., 1950; მისიკ ე. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979; შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, (1973, 1980); ლომთათიძე ქ., *თბეპა* ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში. – «იკე», IV, თბ., 1953; მაჭავარიანი გ., უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», I, თბ., 1959; ერთელიშვილი ფ., ქცევის საკითხისათვის ქართულში. – «თსუ შრომები», 1965, ტ. 114; ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხი ქართულში, თბ., 1975; უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976; ასათიანი რ., მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, თბ., 1982; მისიკე ე. გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში. – კრ.: «ტიპოლოგიური ძიებანი», თბ., 1990; ნებიერიძე გ., გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში. – «საენათმეცნიერო კრებული», ნაწ. 1, თბ., 1984; მაჭავარიანი მ., ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987; დვინაძე თ., ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბ., 1989; ონიანი ა., სვანური ენა, თბ., 1998; მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001; Harris A. C., Georgian Syntax. A study in Relational Grammar. Cambridge, 1981.
მ. სუხიშვილი.

გვარსახელი, ოჯახის მემკვიდრეობითი სახელი, რ-იც თაობიდან თაობაზე გადადის.

საქართველოში გ. უფრო დიდი სოციალური ერთეულის, რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა, რ-ებიც თავიანთ წარმომავლობას ერთ პიროვნებას უკავშირებენ, აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ, მიეკუთვნებიან ერთ გვარს. ქართ. გვარისათვის დამახასიათებელი ეგზოგამია (გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვა) ადასტურებს, რომ ქართველებში მოხდა პირველყოფილი გვარის უწყვეტი გადასვლა გვიანდელ გვარში, რაც სწორედ გ-ებშია ასახული. ქართ. წერილობით ძეგლებში არაერთგზის გვხვდება ტერმინი „გვარი“ იმ გაგებით, რაც დღესა აქვს. ძვ. ქართულში გ-ის პარალელური ტერმინია სახელი.

საქართველოში გ-ს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მხედველობაში თუ არ მივიღებთ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X ს.) მოხსენიებულ უსუფიქსო ქართულ გ-ს ბაჰლაუნდი, ქართ. გ. – დაფანჩული დადასტურებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ჰაგიოგრაფიული ძეგლის ავტორი აშოტ კურაპალატის ამბების (IX ს. 20-იან წლებამდე) აღწერისას წერს: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავეთა მისთა ჰქვიან დაფანჩულნი“. გ. დადასტურებულია IX ს. II ნახ. ქართ. საისტ. დოკუმენტშიც, რ-შიც ფეოდალების ფეოდ. გვართან ერთად დასახელებულია ორი გლეხური გვარიც – შულიასძე და ტარიკასძე. დღეს არსებული არაერთი ქართ. გვარი საუკუნეების სიღრმეში წარმოქმნილი და ბევრი მათგანი ცნობილია XII–XIII სს-იდან.

ქართ. გ-ების უმრავლესობა სუფიქსიანია. ისინი ჯგუფდებიან როგორც სუფიქსების, ისე ფუძეების (ძირეული სიტყვების) მიხედვით. სემანტიკური თვალსაზრისით ქართ. გ-თა ფონდი ოთხ ჯგუფად იყოფა: ეპონიმური, ეთნონიმური, ტოპონიმური და პროფესიული.

ეპონიმურია ქართ. გ-ების დიდი ნაწილი, მათ ძირითადად მამაკაცის კანონიზებული ქრისტ. სახელი ან მეტსახელი უდევთ საფუძვლად: პავლიაშვილი, გიორგაძე, ალექსანდრია, დავითური... ძვ. ქართ. სახელებიდან ან მეტსახელებიდან მომდინარე გვარებია: ბედოიძე, ირემაშვილი, ვერძაული, ტურავა, გელოვანი...

ეთნონიმური ჯგუფის გ-ებს რიცხვს მიეკუთვნება გ-ები, რ-თა საფუძველია ეთნონიმი (იხ. *პირთა სადაურობა-წარმომავლობის სახელები*). მაგრამ ეთნონიმური ფუძეები ყოველთვის ვერ გვაძლევს რეალურ ენობრივ და ისტ. ინფორმაციას, რადგან ეთნონიმებიც ანთროპონიმიზაციის პროცესს განიცდიდნენ: ლეკაია, ოსია, ჩერქეზა, ბერძენა, თათარა, არაბა, თურქა და მისთ. უკვე მამაკაცის გაანთროპონიმებული სახელებია.

ტოპონიმებიდან არის ნაწარმოები ქართ. გ-ების არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა, გარდა -ელ სუფიქსიანებისა, რ-თაც ზოგჯერ მამაკაცის სახელი უდევთ საფუძვლად. მაგ., გვარი სურამელაშვილი – ფუძეში, მართლაც იკითხება ტოპონიმი სურამი, მაგრამ სინამდვილეში გ-ს საფუძვლად უდევს გაანთროპონიმებული ტოპონიმი სურამელა.

პროფ. ტიპის გ-ებს ფუძედ აქვთ ამა თუ იმ პროფესიის, თანამდებობის, ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინები, რ-ებიც ნათლად გვიჩვენებენ ქართვ. ხალხის საქმიანობის მრავალმხრივობას. ამ სახელთა ფუძეები ხშირად ქართულთან ერთად აღმოსავლურიცაა (სპარსული, არაბული, თურქული). ამ ტიპის ქართ. გ-ებია: მეგუთნიშვილი, მეტივიშვილი, მესტუმრე, ჭკადუა, მუშკუდიანი,

მჭედლიძე, მჭედლიშვილი, საღუნიშვილი, ქუშიკიშვილი, მებუკე, მღნაბდე... (იხ. *პირთა შერქმეული სახელები*).

ქართ. (ქართველური) ბ-ები სუფიქსების მრავალფეროვნებით გამოირჩევა: -ძე, -შვილი, -ურ(-ულ), -ან(-იან), -ია, -ელ, -ა, -არ, -იშ, -ში, -სკირი, -ყვა... მათ უმეტესობას ერთი დატვირთვა და შინაარსი აქვს: ისინი ძირითადად კუთვნილებას და კრებითობას გამოხატავენ. ყველა სუფიქსი, რებიც ბ-ების დაბოლოებადაა გამოყენებული, საერთოა ქართ. და ქართველური ენებისათვის. დღეს -შვილი დაბოლოებით ნაწარმოები გვარების უმეტესობა უფრო ადრე -ძე-თი იწარმოებოდა. ზოგიერთი -ურ სუფიქსიანი გვარიც XVIII–XIX სს. მიჯნაზე -ძე და -შვილი დაბოლოებით შეიცვალა. მართალია, -ძე და -შვილი (გვარის ფუძის ნათ. ბრ. ფორმაზე დართული) საკმაოდ ადრეული ხანის წერილობით ძეგლებშია დადასტურებული, მაგრამ საქართველოში ფეოდ. ურთიერთობის პერიოდში, კერძოდ, VIII ს-იდან ჩნდება -ელ სუფიქსიანი ბ-ები. თავდაპირველად მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო -ან(-იან), -ურ(-ულ) და -ეთ(-თ) სუფიქსიანი გვარები. ღღეს სამეგრელოში -ა სუფიქსით დაბოლოებული გვარები თავის დროზე -იან (-ან) სუფიქსით უნდა ყოფილიყო გაფორმებული. საკმაოდ ადრე ამ გვარებში თანხმოვანი „ნ“ დაიკარგა: ნაცელად კვარაცხელიანისა მიეიღეთ კვარაცხელია, გაბუნიანისა – გაბუნია, კაჭარანისა – კაჭარაა (კაჭარაია), გობეჩიანისა – გობეჩია... თავის დროზე ფართოდ იყო გავრცელებული -სკირი, -ჭკორი, -ში(-შ), -ტი, -ყვა სუფიქსიანი გვარებიც. ღღეს ისინი ერთგვარ რელიქტებს წარმოადგენენ.

შესაძლებელია სუფიქსების მიხედვით ქალისა და კაცის ბ-ების განსხვავებაც (იხ. *გენდერი*). ასეთი ფუნქცია ზანურსა და დას. საქართ. დიალექტებში (ქვემო იმერულში, გურულში) ჰქონდა -ფხე||ხე სუფიქსს. მამაკაცის ბ-ს – კახიძეს შეესატყვისებოდა ქალის ბ. – კახიფხე. შესაბამისად: წულაძე – წულაფხე, ხინიკიძე – ხინიკიფხე, თურქია – თურქიხე, ქოიავა – ქოიახე... მდედრობითი სქესის გამოხატვის ფუნქცია შეუძენია გარკვეულ ეტაპზე -ურ(-ულ) სუფიქსსაც. ზემო იმერეთში, შიდა ქართლსა და კახეთში (ისტორიულად სამხრ.-დას. საქართველოშიც) გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარს -ურ(-ულ) სუფიქსით აწარმოებენ: გელაშვილის ქალზე იტყვიან „გელაური“, მიქაცაძესე – „მიქაცოური“, შანშიაშვილზე – „შანშიაური“...

ქართ. ენა ერთსა და იმავე ბ-ის სხვადასხვა სოც. წრის წარმომადგენლებსაც განასხვავებდა ერთმანეთისაგან. წერეთლები იყვნენ თავადებიც და გლეხებიც. შესაბამისად თავადი თუ წერეთელი იყო, გლეხი – წერეთელა, აზნაური ჭყონია იყო, გლეხი – ჭყონელა; თავადები აფაქიძეები იყვნენ, მაგრამ გლეხების რამდენიმე კომლი აფაქელად იწერებოდა.

ლიტ.: ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – იხ. მისი: შრომები, ტ. 3, თბ., 1959; თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1977; მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბ., 1979; ჯუმბერიძე ს., დედაენა ქართული, თბ., 1987.

რ. თოფჩიშვილი.

ბვენცაძე ალექსანდრე ერასტის ძე (27.XI.1904, ამბროლაური, სოფ. ბარეული, – 21.III.1993, თელავი), ენათმეცნიერი. პროფესორი (1984). 1929 დაამთავრა თსუ. იქვე მუშაობდა ლაბორანტად ლექსიკოლოგიის კაბინეტში (ხელმძღვ. პროფ. ა. შანიძე, 1929–30) მასწავლებლობდა გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის პედ. სასწავლებლებში (1930–39). თელავის სახელმწ. პედ. ინ-ტში მუშაობდა მისი დაარსებიდან (1939) გარდაცვალებამდე. არჩეული იყო დეკანოზისა და კათედრის გამგის თანამდებობებზე (1939–74).

ბ. 1932-იდან თანამშრომლობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ დაწესებულებებთან. ინტენსიურად მუშაობდა ქართ. სალიტ. ენისა და დიალექტების პრობლემებზე. იკვლევდა მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლინგვისტური სტილისტიკის საკითხებს. სწავლობდა მწერლის ენას, აგრეთვე ქართ. ენის მეთოდიკის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს ათეულობით სამეცნ. ნაშრომი, დამხმარე სახელმძღვანელოები ფილოლ. ფაკ-ტის სტუდენტებისათვის.

თხზ.: თელის სისტემა ქართულში, თბ., 1960; სტილისტიკის საკითხები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1971; ქართული ენის რიცხვითი სახელი, თბ., 1972; ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1974; სასვენი და წერა-ბეჭდვის ტექნიკის ნიშნები, თბ., 1989.

რ. ჭიკაძე.

გზისობა, ზმნის კატეგორია, რიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მომხდარი მოქმედება – ერთგზისი თუ მრავალგზის. ერთგზისი ფორმა ერთხელ მომხდარ მოქმედებას გამოხატავს, მრავალგზისი – მრავალჯერ განმეორებულს.



ა. გვენცაძე.

ბ-ის კატეგორია შესაძლებელია გამოიხატოს მხოლოდ წარსულში. ერთგზისობისათვის გამოიყენება წყვეტილის ფორმები. მრავალგზისობის გამოსახატავად ძვ. ქართულში ზმნას საკუთარი ფორმა მოეპოვებოდა, რ-იც ქიზიყურსა და მთის ზოგიერთ დიალექტშია დაცული: შევიდის (შდრ. შევიდა). ქართ. ენის დიალექტთა უმრავლესობასა და სალიტ. ქართულში ეს ფორმები დაიკარგა. მათი გამოხატვა დაეკისრა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ე. წ. ხოლმეობითის მწკრივს.

მრავალგზისი ფორმა ნაწილაკ „ხოლმეს“ გაგებას შეიცავს. „ხოლმე“ შეიძლება დაერთოს ზმნის ფორმასაც, მაგრამ ამ შემთხვევაში აღწერითი ფორმები ბ-ის მორფოლ. კატეგორიას უკვე არ გამოხატავს (ლ. კეკჭაძე). მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოსცემენ, რ-ებიც ჩვეულებად არის ქცეული, ასეთ ფორმებს ჩვეულებითსაც უწოდებენ. ამგვარმა ფორმებმა შეიძლება დაკარგონ დროის კატეგორია.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973, 1980); კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

ნ. ლოლაძე.

გიგინეიშვილი ბაქარ კონას ძე (1. III. 1933, ბათუმი, – 1. X. 1997, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1975). 1956 დაამთავრა თსუ, 1959 – ასპირანტურა კავკასიურ ენათა სპეციალობით. 1960-იდან მუშაობდა ხელნაწ. ინ-ტში, 1968-იდან სიცოცხლის ბოლომდე – თსუ-ის ზოგადი ენათმეცნ. კათედრაზე.

ბ. იკვლევდა ქართ. და სხვა ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, ძვ. ქართ. ფილოლ., კავკ., კერძოდ, დაღესტნური ენე-



ბ. გიგინეიშვილი



ი. გიგინეიშვილი

ბის, ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებს. მონოგრაფიამ, რ-იც მისი სადოქტორო დისერტაცია იყო – „დაღესტნური ენების შედარებითი ფონეტიკა“ (1977) – საერთაშორისო აღიარება მოუტანა როგორც კავკ. ენათა ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს მკვლევარს.

ბ-ს ეკუთვნის საქართველოსა და უცხოეთში დაბეჭდილი სტატიების სერია, რ-იც ეხება ქართ. და სხვა ქართველური ენების ლექსიკას, ფონემატური და გრამატ. წყობის საკითხებს.

ბ-მა დიდი წვლილი შეიტანა ქართ. ბიბლიის შესწავლასა და გამოცემაში; გამოქვეყნებულია მის მიერ მომზადებული ძველი აღთქმის წიგნების ეროი ნაწილი – „შესაქმე“, „ლევიტელთა“. მუშაობდა *გელათის ბიბლიის* კატენებზე, შეადგინა და გამოსცა „ძველი ქართული ენის ტაბულები“, X ს-ის მნიშვნელოვანი ძეგლი „შატბერდის კრებული“ (1979, ე. გიუნაშვილთან ერთად).

სიცოცხლის ბოლო წლებში ბ. მუშაობდა მრავალტომიან „ქართული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე“. *ზ. სარჯველაძე.*

ბიბინეიშვილი ივანე მოსეს ძე (9. VIII. 1909, ქუთაისი, – 28. I. 1982, თბილისი), ენათმეცნიერი, დიალექტოლოგი, ტექსტოლოგი, ლექსიკოგრაფი. ლინგვოსტილისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, სალიტ. ენის ნორმალიზატორი, ენის ისტორიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1979). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1976). სხვადასხვა დროს მუშაობდა ენის, ლიტ-რის, ისტ. და ხელოვნების ინ-ტის („ელხი“) ენის სექტორის უმცროს მეცნ. თანამშრომლად, სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა (1938-იდან) სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, პარალელურად მე-3 საცდელ-საჭვენებელ სკოლაში. იყო „ენიმკის“ ქართველურ ენათა განყ-ბის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ენათმეცნ. ინ-ტის სწავლული მდივანი, იმავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1950–66) და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (1952–53). 1946-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი კომისიის წევრი და მდივანი, ხოლო 1953–82 – ჯერ საქართვ. მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან, შემდეგ კი – საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწ. კომისიის წევრი და მდივანი; იმავე წლიდან ენათმეცნ. ინ-ტის თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმების დამდგენი კომისიის განყ-ბის (1966-იდან „ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება“) გამგე. იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი (1949–53); „ევფხისტყაოსნის“ კრიტ. ტექსტის დამდგენი კომისიის (1959–60), შემდეგ კი აკად. პრეზიდიუმთან შექმნილი „ევფხისტყაოსნის“ აკად. ტექსტის მომმზადებელი კომისიის მთავარი რედაქციის წევრი; 1951–82 – საქართვ. მეცნ. აკად. „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე; 1973–82 ქართ. ენციკლოპედიის სატრანსკრიფციო-ტერმინოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი.

ბ-ის მეცნ. კვლევის სფერო მოიცავდა ახ. ქართ. სალიტ. ენის ჩამოყალიბების, დიალექტებსა და საერთო-სახალხო ენასთან მისი მიმართების საკითხებს. ბ-ის ხელმძღვანელობით ენათმეცნ. ინ-ტის ქართ. მეტყველების კულტურის განყ-ბა მუშაობდა სინტაქსისა და სტილისტიკის საკითხებზე, ასევე პრაქტ. სტილისტიკის სახელმძღვანელოს შედგენაზე ლექსიკონითურთ, რ-საც უნდა მოეცვა კონტექსტში სიტყვის უმარტივებულო ხმარების, უმარტივებულო სიტყვათშეხამებათა ტიპობრივი შემთხვევები. ამ ლექსიკონის ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია «ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში» (წგ. VII, 1985).

კლასიკური და ალორძინების ხანის ორიგინ. თუ ნათარგმნ ძეგლთა და ავტორთა („აბდულმესია“, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „შაჰ-ნამე“, „ევფხისტყაოსანი“, „რუსუდანიანი“, „თამარიანი“, თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II, „დავითიანი“, სულხან-საბა, ბესიკი) ენის ხანგრძლივი კვლევის შედეგად ბ. მივიდა დასკვნამდე, რომ ე. წ. *საშუალი ქართული ენა* არ არის ისეთი ჩამოყალიბებული, დამოუკიდებელი ერთეული, როგორიცაა ძვ. და ახ. ქართ. სალიტ. ენა.

ტექსტოლოგიური კვლევის ერთგვარ ეტალონად შეიძლება ჩაითვალოს ბ-ის ნამუშევრები. ტექსტის დადგენა-გამოცემის თვალსაზრისით სანიმუშოა „რუსუდანიანი“ (ი. აბულაძესთან ერთად, 1957), ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ (1972) და „ხუთი პოემა“ (1975). ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო ბ-ის ლექსიკოგრაფიული მუშაობა: იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VIII ტ. თანარედაქტორი (ბ. ფოჩხუასთან ერთად), რისთვისაც სხვა რედაქტორებთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია, 1971; ვ. თოფურიასთან ერთად შეადგინა სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (1941, 1946, 1949), შემდეგ ვრცელი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1968, 1998). მის მიერ შედგენილი ლექსიკონები ერთვის „დავითიანს“ (1955 და 1980), „რუსუდანიანს“ (1957) და ქართლურ, კახურ, ფშაურ, გუდამაყრულ დიალექტურ ტექსტებს (წიგნში „ქართული დიალექტოლოგია“, I, 1961); წინასწარი რედაქცია გაუკეთა ქართ. ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ გამოცემულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებს: ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1985); საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1987); საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი (1987); უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1989); საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი (1989).

ბ. თავდადებით ემსახურებოდა სალიტ. ენის უნიფიკაციის საქმეს, მისი სიწმინდისა და მონოლითურობის დაცვას, ქართ. მეტყველების კულტურის კვლევასა და მოვლას. მისი რედაქციით გამოვიდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ – ხუთი წიგნი. იყო რედაქტორი კრებ-ისა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (1970, 1986). ბ. იღვწოდა ენობრივ ნორმათა პოპულარიზაციისა და დანერგვისათვის, რადიომაუწყებლობის კომიტეტში ხელმძღვანელობდა რადიოგადაცემათა ციკლს – „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“, კითხულობდა ლექციებს ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებისათვის, გამომცემლობების თანამშრომლებისა და პედაგოგებისათვის.

თხზ. (გარდა ტექსტში მოხსენიებულისა): ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები. – «იკ», III, თბ., 1952; ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. – «თსუ შრომები», 1958, ტ. 69; სულხან-საბას ენისათვის. – წგ.: სულხან-საბა ორბელიანი. საიუბილეო კრებ., თბ., 1959; „ბახტრიონის" ტექსტისათვის: „ბახტრიონის" ენობრივი თავისებურებანი; „ბახტრიონის" ავტოგრაფი. – წგ.: ქაჯა-ფშაველას „ბახტრიონი", თბ., 1972; გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის კრიტიკის ისტორიის საკითხების შესახებ, თბ., 1975; ე. ბარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის. – კრ.: «Кавказский лингвистический сборник», вып. 10, Тб., 1993; არქაიზმების საკითხისათვის. – იქვე, წგ. 11, თბ., 1998.

ლიტ.: ლ ე ჟ ა ვ ა ლ., ივანე გიგინეიშვილი, თბ., 1986; ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე შ., ივანე გიგინეიშვილი – 80. – «ბალავერი», XVI, თბ., 1991.

ლ. ლეჟავა.

გიგინეიშვილი კონა მოსეს ძე (6. V. 1902, ქუთაისი, – 7. I. 1976, თბილისი), ფილოლოგი, ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი. დაამთავრა ქუთ. ქართ. გიმნაზია (1920) და თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1929). თსუ ასპირანტურის დამთავრების (1942) შემდეგ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ბაღდათის პედ. ინ-ტში (1942–54), იყო ქართ. ენის კათედრის გამგე. პარალელურად ლექციებს კითხულობდა ქუთ. პედ., თბილ. თეატრალურ და უცხო ენათა ინ-ტებში. 1954–66 ბ. მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტის სამეცნ. ტერმინოლოგიის განყ-ბის მეცნ. თანამშრომლად. 1966-იდან გარდაცვალებამდე – ქართ. ენციკლოპედიის სალიტ. კონტროლის რედაქციაში უფრ. სამეცნ. რედაქტორად, აგრეთვე სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღვანელად (1973-მდე). აქ მან დიდი წვლილი შეიტანა ენობრივი, ტერმინოლოგიური საკითხების გადაწყვეტაში, უცხ. სახელთა ქართ. დაწერილობის დადგენაში და სხვ. ბ-ის მიერ შედგენილი „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი" (გამოიცა 1985) აღიარებულია ნორმატიულ სახელმძღვანელოდ. დაუმთავრებელი დარჩა ბიბლიის ტერმინთა ქართ.-რუს.-გერმ. პარალელური ლექსიკონი.

თხზ.: გიორგი ერისთავის კომედიების ენა. – «ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტის შრომები», 1950, ტ. I; ბრძანებითი კილო ძველ და ახალ ქართულში (ხელნაწერი; თუ ხისები გამოქვეყნდა); Из истории грузинской грамматической терминологии. – კრ.: Вопросы терминологии (Материалы Всесоюзного терминологического совещания), М., 1961. *ნ. გიოშვილი.*

გიორგი მთაწმიდელი (1009–1065), გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ძველი ქართული მწერლობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, მთარგმნელი. *ათონის ივერთა მონასტრის* წინამძღვარი, საქართველოს გარეთ მოღვაწე ქართველთა მწიგნობრულ-სალიტ. საქმიანობის სულისჩამდგმელი. მისი ბიოგრაფიის, გიორგი მცირის, ცნობით, ბ. მ. დაიბადა თრიალეთ'ში, სწავლობდა ტაძრისას, შემდეგ – ხახულის მონასტერში. 1022 ბიძამ წაიყვანა კონსტანტინოპოლში, სადაც თორმეტი წელი გაატარა. იქ შეისწავლა ბერძნ. ენა და ქ'ისარა ბიზანტ. კულტურას. 1034 სამშობლო'ში დაბრუნდა და ხახულის მონასტერში ბერად აღიკეცა. 1036 სირიაში, *შაე მთაზე*, რომანწმიდის მონასტერში დაემკვიდრა. 1039 სქიმა შეიმოსა და იერუსალიმს გაემგზავრა წმინდა ადგილების მოსალოცად, აქედან კი მისი მოძღვრის, გიორგი შეკუნებულის, რჩევით ათონს წავიდა. 1044–1057 ბ. მ. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი იყო. იცავდა ქართ. ეკლესიასა და კულტურას უცხოელთა შემოტევისაგან. 1057 იერუსალიმის პატრიარქთან კამათში დაიცვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა, რითაც ქართველი ერისა და ქართ. კულტურის თვითმყოფობა ანეკუნა.

განსაკუთრებით დიდია ბ. მ-ის დამსახურება ქართ. მწერლობის წინაშე. არ დარჩენილა საეკლ. მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მას მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს როგორც მთარგმნელს, მწერალს, რედაქტორს. მან, უპირველეს ყოვლისა, თარგმნა ისეთი თხზულებანი, რ-ებიც ქართ. ენაზე არ არსებობდა, ხოლო თარგმნილი, მაგრამ „ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მჭმარებელთაგან დაგესლებულნი", გაუხალხავს და თანამედროვეობისათვის მიუსადაგებია; ეფთვიმე მთაწმიდელის დაწყებული ან მოკლედ თარგმნილი თხზულებანი ერცლად უთარგმნია, ბერძნულისათვის შეუდარებია და დაუხვეწავს.

ბ. მ-მა ხელმეორედ თარგმნა ბიბლიის 'სოციერთი წიგნი (დავითნი, სახარება, სამოციქულო), სხვა წიგნები კი გაანალხა და ბერძნულს შეაჯერა. თავისი მწერლური კვალი დაუჩნია აპოკრიფულ მწერლობას, კვირიონის, ცხოვრებას, დოგმატიკას, საეკლ. სამართალს, პომილეტიკას, ჰაგიოგრაფიას. მისი ორიგინ. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ" უმნიშვნელოვანესი ძეგლია X–XI სს. საქართვ. ისტორიის შესასწავლად.

იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების აღწერისას ბ. მ-ს ორი მიზანი ჰქონდა: ამ გამოჩენილ პირთა ბიოგრაფია მომავალ თაობებს „ხატად", მისაბაძად დარჩენოდა და, მეორე, ათონის ივერთა ლავრის მაშენებლების – ეფთვიმესა და იოანეს ცხოვრება გამხდარიყო ქართველთა უფლების დამცავი წერილობითი დოკუმენტი ათონ'ზე.

ბ. მ. განსაკუთრებული ინტენსივობით მოღვაწეობდა ლიტურგიკის დარგში. მან თარგმნა ღვთისმსახურებისათვის საჭირო ყველა წიგნი. პირველად – *სვინაქსარი*, როგორც საფუძველი ეკლესიისა, პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი, კურთხევანი, საწელიწადო საწირნასწარმეტყველო, საგალობელთა კრებული – „თუნი ათორმეტნივე", რ-შიც შეეიდა კალენდარული თანმიმდევრობით დალაგებული მთელი წლის პიმნოგრაფიული მასალა (იხ. *თვენი*).

სრულიად განსაკუთრებულია ბ. მ-ის დამოკიდებულება სათარგმნ პიმნოგრაფიულ მასალასთან. X ს. მიწურულამდე ქართ. პიმნოგრაფებისათვის ბერძნ. დედანთან სიახლოვეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი ქმნიდ-



გიორგი და ეფთვიმე მთაწმიდელები. ახტალის ეკლესია. XIII ს. მხატვრობა.

ქ. გიგინეიშვილი

ნენ გადამუშავებულ, გადაკაზმულ თარგმანებს, რ-ებიც სპეც. ტერმინითაც („ქართული") იყო აღნიშნული, იმის მიმანიშნებლად, რომ ეს თარგმანები ქართულად არის „აღწერილი". ბ. მ-ის მთარგმნელობითი მეთოდი ძირითადად ღედანთან სიახლოვეს გულისხმობდა, მაგრამ არ უნდა დარღვეულიყო ძლისპირ-გალობის ურთიერთობა – მარცვალთა შესაბამისი თანაფარდობა. თვენიზე მუშაობის პროცესში იგი განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა X ს. *იადგარებში* დაცულ მდიდარ ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას.

მთაწმიდელების მთარგმნელობითი პოზიციებიდან გამომდინარე, დედნის შინაარსი რომ არ დამახინჯებულიყო, ბ. მ. თაყისებურად უდგებოდა ბერძნ. აკროსტიქიან საგალობელს. იგი თავს არიდებდა აკროსტიქიანი საგალობლის თარგმნას, რადგან იცოდა, როგორი ხელოვნებითაც უნდა ყოფილიყო თარგმნილი ასეთი საგალობელი, მასში მაინც ირღვეოდა შინაარსიც ამიტომაც აცხადებდა: „ჩემთა გალობათა შინა თაეთა (აკროსტიქის ასოებს – ლ. ჯ.) ნუ ეძებ ... მე სიტყუანი (შინაარსი – ლ. ჯ.) მინებიან და არა წითელნი ასონი". მართლაც, ბ. მ-ის უსარმაზარ ჰიმნოგრაფიულ კრებულში – თორმეტი თვის თვენში ბერძნ. საგალობელი სულ რამდენჯერმეა აკროსტიქით გადმოღებული. ერთ-ერთი მათგანია იოანე დამასკელის ქრისტეშობის საგალობელი, რ-ის თარგმნისას ბ. მ-მა დიდი შრომა გასწია, რათა დედნის ფორმა დაეცვა. იგი ჯერ თარგმნიდა აკროსტიქულ სტროფს, აქართულებდა, შემდეგ კი აკროსტიქული სტროფის მიხედვით აკალიბებდა დედნისგან განსხვავებულ სრულიად ახალ საგალობელს. ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი იყო დაეცვა საგალობლის ფორმა, რამაც თარგმანი ტექსტობრივად დედანს დააშორა. იგი თვენს დართულ ანდერძებსა თუ შენიშვნებში ხშირად მიუთითებს საგალობლის თარგმნის სიძნელეზე „მეცნიერთა და მოძღუართა ყოველთა იცით, რომელი დასდებელისა თარგმნაჲ ძნელ არს და საჭირო. ყოველსა თუალვაჲ უნდა და წონაჲ და დიდი მოცალეობაჲ" (Ath. 65,73). ეს სიძნელეები ორმაგდებოდა, როდესაც უნდა შენარჩუნებულიყო დედნისეული ფორმა (აკროსტიქი) და შინაარსი. ბ. მ. მიუთითებს – „ქართულად აღვწერეთ", და მართლაც, შობის საგალობლის მისეული თარგმანი იმდენად ქართული, გადამუშავებული და გადაკაზმულია, რომ თავისუფლად შეიძლება ბ. მ-ის ორიგინალურ ნაწარმოებად ჩაითვალოს.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტის საზღვარგარეთის ფონდებში (იერუსალიმი, სინა, ათონი) დაცულია ბ. მ-ის რედაქციის „თვენის" თორმეტი თვის ნუსხები, რ-ებიც XI–XII სს. თარიღდება. ათონურმა კოლექციამ შემოგვინახა მისი ავტოგრაფული ნუსხები (Ath. 73/58, 48...). სწორედ ათონური ფონდის ხელნაწერებშია დაცული მნიშვნელოვანი მასალა „თვენის" შექმნის ისტორიის, მისი თავდაპირველი კომპოზიციისა და სოგიერთი ბერძნ. წყაროს შესახებ. ათონური ნუსხების ანდერძების მიხედვით, „თვენზე" მუშაობის პროცესში ბ. მ. მარტო არ ყოფილა – მის მიერ დასახული გეზით მუშაობდნენ ქართ. მწერლობის ისტორიაში აქამდე სრულიად უცნობი პირები – XI ს. მოღვაწენი გრიგოლ ხახულელი და ნიკოლა მონაზონი.

„თვენის" ნუსხებს (Ath. 73, 54, 65, Ier. 98) ერთვის საინტერესო ანდერძები, რ-ებიც შეიცავენ მნიშვნელოვან მასალას ქართ. ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის. ამ ანდერძებში ნათლად გამოიკვეთა ბ. მ-ის დამოკიდებულება წინარე ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობასთან, კერძოდ მეხელეებთან, პროფესიონალ მუსიკოს-მთარგმნელებთან.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., გიორგი მთაწმიდელი.– იხ. მისი: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945 (თხზ., ტ. 8, თბ., 1977); მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., XI საუკუნის ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან. – «ა.ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1952, ტ. 9; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ჯ ღ ა მ ა ი ა ლ., იოანე დამასკელის შობის აკროსტიქული საგალობლის გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი. – კრ.: შოთა რუსთაველი. ისტ.-ფილოლ. ძიებანი, თბ., 1966; მ ი ს ი ე ვ ი, თვენის ათონური ნუსხები. – კრ.: «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), XII, თბ., 1988.

ლ. ჯღამაია.

ᲒᲘᲞᲞᲔᲠᲢᲝ (Gippert) იოსტ (დ. 12. III. 1956. გერმანია), გერმანელი მეცნიერი. მარბურგისა და ბერლინის უნ-ტებში სწავლობდა შედარებით ენათმეცნიერებას, ინდოლოგიას, იაპონოლოგიასა და ჩინოლოგიას. პირველი სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მოღვაწეობდა (1977–1990) ბერლინის, ვენისა და ზალცბურგის უნ-ტებში. მეორე სადოქტორო დისერტაციის (ჰაბილიტაციის) დაცვის შემდეგ 1991–1993 მუშაობდა მარბურგის უნ-ტში, 1994-იდან ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნ-ტის პროფესორია და ხელმძღვანელობს შედარებითი ენათმეცნ. ინ-ტს. იგი რამდენიმე სამეცნ. კომისიისა და მეცნ. აკად. წევრია.

ბ. 150-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, სამეცნ. გამოცემების რედაქტორი და რეცენზენტია, მისი მეცნ. მოღვაწეობის სპექტრი ფართოა – მოიცავს არა მხოლოდ ინდოევროპულს (სანსკრიტი, ირანული, თოხარული, ირლანდიური, მალედიური და ა. შ.), არამედ სხვა ჯგუფის ენებსაც: აფხაზურს, უდიურს, ალბანურს, ბაცბურს.

კავკ. ენებით ბ. გასული საუკუნის 80-იან წლებში დაინტერესდა (მისი მეორე სადოქტორო დისერტაციის თემა იყო ირანულ-სომხ.-ქართ. ლექსიკური შეხვედრები – „Iranika-Armeno-Iberica", 1991). აქედან მოყოლებული, ინტენსიურად მუშაობს ქართველურსა და აფხ.-ადიღ. ენებზე, უკანასკნელ ხანებში კი დაღესტნურ, კერძოდ უდიურ ენაზე. 1996-იდან არის გელათის მეცნ. აკად. საპატიო წევრი, 1997 აირჩიეს ს.-ს. ორბელიანის სახ. უნ-ტის საპატიო პროფესორად.

როგორც კომპიუტერული ლინგვისტიკის შესანიშნავ სპეციალისტს, ბ-ს უდიდესი წვლილი მიუძღვის უნიბრივ მონაცემთა დიგიტალური ბაზების შექმნასა და გადამუშავებაში: მის მიერ დაარსებული დიგიტალური ლინგვისტური კორპუსი TITUS-ი (ტექსტურ და სხვა ლინგვისტურ მონაცემთა ბანკი ინდოევროპული და არაინდოევროპული ენებისათვის საძიებო სისტემის თანხლებით http://titus.unifrankfurt.de) 1987-იდან არის მსოფლიო სამეცნ. მიმოქცევაში როგორც სამეცნ. რესურსი. გარდა ამისა, აეტორია საერთაშორისო პროექტებისა:

ა) TOFU – პროექტი [თოხარული ხელნაწერების ელექტრონული ბანკი ბერლინ-ბრანდენბურგის მეცნ. აკადემიასთან (ბერლინი), ბრიტანულ მუზეუმთან (ლონდო-



ი. გიპერტი.

ნი) და ეროვნულ ბ-კასთან (პარიზი) თანამშრომლობით, http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/texte/tocharuc/tht.htm, 1995-იდან];

ბ) OGAMIKA — პროექტი (არქაული ირლანდიური წარწერების ელექტრონული კორპუსი http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/ogam/frame.htm, 1995-იდან).

ბ. ავტორია რამდენიმე საერთაშორისო სამეცნ. პროექტისა კაკასიოლოგიაში:

ა) ARMAZI – პროექტი – კავკ. ენების ტექსტურ მონაცემთა ელექტრონული ბანკი საძიებო სისტემის თანხლებით საქართველოს 10 სხვადასხვა სამეცნ. დაწესებულებასთან თანამშრომლობით (http://armazi.uni-frankfurt.de, სამეცნიერო მიმოქცევაშია 1998-იდან);

ბ) ECLinG – პროექტი – საფრთხეში მყოფი კავკ. ენები საქართველოში (წოვათუშური, უდიური, სვანური), საფრთხეში მყოფი ენების ელექტრონული დოკუმენტაციის პროგრამა ფოლკსვაგენშტიფტუნგთან (MPI Nijmegen) და საქართველოს ორ სამეცნ. ჯგუფთან თანამშრომლობით (http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/ecling.htm სამეცნ. მიმოქცევაშია 2002-იდან);

გ) კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტები – ალბანური პალიმფსესტები სინას მთიდან და ავსტრიის ეროვნული ბ-კის არქივის ქართ. პალიმფსესტები საქართველოს ორ სამეცნ. დაწესებულებასთან თანამშრომლობით (2004-იდან). *მ. მანჯგალაძე.*

გიულდენშტედტი (Güldenstaedt) იოჰან ანტონ [26. IV (7. V). 1745, რიგა, – 23. III (3. IV). 1781, პეტერბურგი], გერმანელი მეცნიერი, მოგზაური. პეტერბ. მეცნ. აკად. წევრი (1771), „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების“ პრეზიდენტი (1780-იდან). სწავლობდა ბერლინის სამედ.-ქირურგ. სასწავლებელში. ოდერის ფრანკფურტის უნ-ტში მიიღო დოქტორის ხარისხი (1767). რუსეთის მეცნ. აკად. მიწვეით პეტერბურგში ჩავიდა 1768–74 ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად. ბ-ის ექსპედიციამ, რ-საც დავალებული ჰქონდა ჩრდ. კავკასიისა და საქართველოს ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა, 1770 იანვრიდან 1771 აგვ-მდე მოიარა ჩრდ. კავკასია და სექტ-ში საქართველოში ჩამოვიდა, სადაც 1772 ოქტ-მდე დარჩა. ბ-მა მოიარა მთელი ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, იყო გურია-სამეგრელოს სასღვრებზე; შეხვდა ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს. 1772 ნოემბრიდან 1773 ივლისამდე ბ. კვლავ ჩრდ. კავკასიაში იყო. 1775 წლის 2 მარტს პეტერბურგში დაბრუნდა.

ბ-ის გარდაცვალების შემდეგ აკად. პ. პალასმა ორ ტომად გამოსცა მისი ჩანაწერები „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“. ამ ნაშრომში მრავალი ცნობაა დაცული საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის შესახებ, მ. შ. ქველაზე დიდი ადგილი ქიქეთის გეოგრ. და მინერალოგიურ აღწერას უთმობა. კუთხეებისა და პუნქტების დასახელებისას ბ-მა ისინი ისტორიულადაც მიმოიხილა, აღწერა არქიტ. ძეგლები, წარმოადგინა ფოლკლორული მასალა, დაწერილებით შეეხო ადგილ. ფლორასა და ფაუნას. ბ-ის მიერ ხედმიწევნითი სიზუსტით შედგენილი საქართვ. რუკა უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა (ეახუშტი ბაგრატიონის რუკასთან ერთად). ავტორმა უხვად მოგვაწოდა ცნობები საქართველოს სამეფო-სამთავროთა პოლიტ. მდგომარეობის, სახელმწ. წყობილების, სოც. ურთიერთობების, სოფლის მეურნეობის, ადგილ. სარეწების, ვაჭრობა-ხელოსნობის, ბაზრებისა და ფასების, მიმოქცევაში არსებული მონეტების, ზომა-წონის ერთეულების, სწავლა-განათლების, კანონმდებლობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ბ-ის ნაშრომში დაცული ეთნოგრ. ცნობები (ქორწილი, დასაფლავება, საცხოვრ. სახლები, ტრანსპორტი, ღვინის დაყენების წესი, მკურნალობა და სხვ.). და ბოლოს, იგი ახასიათებს ცნობილ ისტ. პიროვნებებს (მეფეებს, მოხელეებს, რეზიდენტებს და ა. შ.).

კავკასიაში მოგზაურობის დროს ბ-მა შეკრიბა ლექსიკური მასალა და შეადგინა კავკასიაში გავრცელებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები. თითოეული ასეთი კონა შეიცავს 340-მდე სიტყვას (არსებითი სახელები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ზედსართაველები, ზმნები). სიტყვები დალაგებულია თემატურად. მთის მრავალი იბერიულ-კავკ. ენის ლექსიკური მასალა ასე ერცლად პირველად იქნა ჩაწერილი, ამიტომ მათი შესწავლის ისტორიაში ამ დოკუმენტაციას დიდი ღირებულება აქვს. ლექსიკური მასალის შედარების საფუძველზე ბ-მა გამოყო ენათა ექვსი ჯგუფი: 1. ქართული (ქართული, მეგრული, სვანური), 2. ქისტური (ჩაჩნური, ინგუშური, თუშური), 3. ლეკური (ხუნძურ-დიდოური, ანწუხური, ჭარული, ცახიე-ცუმუხური, ახუშური), 4. ჩერქეზული (ყაბარდოული და აფხაზური), 5. ოსური, 6. თათრული. მან ეს ენები ჯგუფებად დაყო და ცალკეული ჯგუფის წევრთა შორის ნათესაური ურთიერთობის საკითხი პირველმა დასვა.

თხზ.: მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, ტ. 1–2, თბ., 1962–64.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII – XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

გ. გელაშვილი.

გლოსა (ბერძნ. glössa – ენა, მეტყველება), გაუგებარი, მოძველებული სიტყვის, გამოთქმის თარგმანი ან განმარტება, რ-საც ბერძენი და რომაელი მთარგმნელები თუ კომენტატორები ურთავდნენ განსამარტავ სიტყვას (ჩვეულებრივ, სტრიქონებს შორის ან ტექსტის აშიებზე). თავდაპირველად ბ. ეწოდებოდა თვით განსამარტავ სიტყვას. ბ-ების გამოყენება დაიწყეს საბერძნეთში ჰომეროსის პოემების შესწავლისას, შემდეგ კი ეს ხერხი გამოიყენეს (სხვა ევრ. ენებშიც) ბიბლ. და, საერთოდ, საღვთისმეტყველო, აგრეთვე იურიდ. ტექსტების განმარტება-კომენტირებისას.

ბ-ების დართვა ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ხასიათის ძე. ქართ. წერილობით ძეგლებშიც. მაგ., უძველეს ქართ. ტექსტებში გამოყენებული სიტყვა „ძნობა“ გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანში ჩანაცვლებულია სიტყვით „სახიობა“, რ-საც განმარტებისათვის ბ-დ ახლავს სიტყვა „გალობა“ (ი. აბულაძე).

ლიტ.: აბულაძე ი., ძველი ქართულის ლექსიკიდან. – «იკვ», XII, თბ., 1960. *ი. ქურციკაძე.*

გლოსარიუმი (ლათ. glossarium), თავდაპირველი მნიშვნელობით – ლექსიკონი, რ-შიც გაუგებარი სიტყვები (გლოსები), მათი ახსნა ან პარაფრაზია წარმოდგენილი. თანამედროვე გაგებით – ანბანური წესით დალაგებული ლექსიკური ინვენტარი, რ-იც ნაშრომს ერთვის ბოლოს და შეიცავს მასში გამოყენებული სპეც. სიტყვების ახსნას;

სასწავლო ანთოლოგიების ბოლოს დართული ორენოვანი ლექსიკონები; (იშვიათად) სპეციალიზებული ან დიალექტოლოგიური ლექსიკონების ნუსხა. *ი. ქურციკე.*

გლოტოქრონოლოგია (< ბერძნ. glôtta – ენა, chrónos – დრო, და lógos – სიტყვა, მოძღვრება), ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდი, რ-იც მონაცემებს ენებში შემონახულ საერთო სიტყვათა საფუძველზე ცდილობს დაადგინოს ამ ენათა დაშორების (ფუძეენის დიფერენციაციის) თარიღი, ე. ი. განსაზღვროს მონათესავე ენათა დამოუკიდებელი არსებობის დაწყების დრო. ისტ.-შედარებითი მეთოდისაგან განსხვავებით, რ-იც მხოლოდ რელატიური ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა, გ. მიმართულია აბსოლუტური ქრონოლოგიის დასადგენად. გლოტოქრონოლოგიური მეთოდი გულისხმობს რადიოაქტიური ნახშირბადის იზოტოპების დაშლის პერიოდის განმსაზღვრელი ფორმულის გამოყენებას ენობრივი მასალისათვის (მ. სეოდეში, რ. ლიზი). ეს მეთოდი ემყარება ვარაუდს, რომ ყველა ენაში ლექსიკური მარაგის გარკვეული (სოც.- და კულტ. პირობებზე ნაკლებად დამოკიდებული) ნაწილი (200 ან 100 სიტყვა) დროის დიდ (დაახლ. ათასწლეული) მონაკვეთში იცვლება ერთნაირი ტემპით. რაც უფრო მცირეა საერთო სიტყვათა (ელემენტთა) რაოდენობა მონათესავე ენებში, მით უფრო შორს გადაიწევს მათი დაშორების თარიღი და პირიქით. ამ მეთოდით მიღებული თარიღები მიახლოებითია (ცთომილება ±200 წელი) და მხოლოდ ადასტურებს ისტ.-შედარებითი მეთოდის საფუძველზე გამოთქმულ ვარაუდს.

გ-ის მეთოდით შესწავლილ ქართველურ ენათა მასალა-ზედაც განსხვავებული ვარაუდები გამოითქვა. 100 სიტყვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველური ფუძეენის დიფერენციაცია, კერძოდ, სვანურის დაშორება, უნდა დაწყებულიყო დაახლ. 4000 წლის წინ (ძვ. წ. XIX ს.), ზანურისა – დაახლ. 2700 წლის წინ (ძვ. წ. VIII ს.), ზანურის დიალექტებისა კი – ახ. წ. VI ს. (გ. კლიმოვი). 200 სიტყვის ანალიზი სხვა სურათს იძლევა: სვანურის გამოყოფა უნდა მომხდარიყო დაახლ. ძვ. წ. X ს-ში, ხოლო ქართულ-ზანურის დიფერენციაცია – ნეგნი წელთაღრიცხვის მიჯნაზე (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ასეთი სხვაობა დათარიღებაში აშკარად მიანიშნებს მეთოდის ნაკლოვანებაზე.

ლიტ.: გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; ლურნერი კ., გლოტოქრონოლოგიის მეთოდი და ლექსიკო-სტატისტიკის ამოცანები. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1971, №1; ბერგსლანდი კ., ფოგტი ჰ., გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის (თარგმანი ინგლისურიდან, წინასიტყვაობა და კომენტარები შ. აფრიდონიძისა). – «მიმომხილველი», VI – IX. თბ., 1969 – 72; Климов Г. А., О глоттохронологическом методе датировки распада праязыка. – «Вопросы языкознания», 1959, №2; Сводеш М., Лексико-статистическое датирование доисторических этнических контактов. – კრ.: «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960; Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984.

ლ. ერუქიძე.

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე [15 (27). X. 1840, სოფ. ვარიანი, გორის რ-ნი, – 1 (14). VI. 1912, თბილისი], პედაგოგი, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, განმანათლებელი, კრიტიკოსი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა მღვდლის ოჯახში. უფროსმა ძმამ, ივანემ იგი ჯერ გორის, შემდეგ კი თბილ. სას. სასწავლებელში მიაბარა. როგორც ღარიბი მღვდლის შვილი, ბ. იქნე მიიღეს პანსიონში. 1855-იდან სწავლა გააგრძელა სას. სემინარიაში, რ-იც „პირველ მოწაფედ" დაამთავრა 1861 და იმავდროულად ჩარიცხა კიევის სას. აკადემიაში. პარალელურად კიევის უნ-ტშიც ისმენდა ლექციებს საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ნაწილობრივ უსახსრობის გამოც იგი 1863 სამშობლოში დაბრუნდა.

1864 ბ. დანიშნეს თბილ. სას. სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 იქვე გადაიყვანეს ინსპექტორად. პედ. ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან ენერგიული ბრძოლა გაუჩაღა სკოლებში გამეფებული რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. ამავე დროს აქტიურად დაუკავშირდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობას, რ-საც ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი ხელმძღვანელობდნენ. ბ-ის საქმიანობამ სიღრმისა და მეფის ხელისუფალთა უმეტესობა გამოიწვია და 1874, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, გადაიყვანეს თანამდებობიდან. ამის შემდეგ ბ. სახელმწ. სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე სას. მოღვაწეობას მიუძღვნა.



ი. გოგებაშვილი.

ბ-ის პედ. მოღვაწეობის მიზანი იყო ქართვ. ხალხის ეროვნული მეობის შენარჩუნებისა და სოც.-ეკონ. და კულტ. კეთილდღეობის საკითხები. იგი თვლიდა, რომ ყოველგვარ განათლებას ქვაკუთხედად უნდა დაედოს მშობლიური ენა და ამტკიცებდა, რომ განათლების პირველი საფეხური არის სახალხო სკოლა დედაენის სწავლების უფლებით.

ბ. ქართ. ენის უფლებების დაცვისა და დედაენაზე სწავლების მნიშვნელობას განიხილავდა ქართვ. ხალხის ისტორიის, მისი აწმყოსა და მერმისისათვის ბრძოლის იდეასთან კავშირში, დედაენას კი თვლიდა ქართველთა ეროვნული სახის შენარჩუნების ძირითად საშუალებად. მას სწამდა, რომ ღარიბი გლეხის მდგომარეობას გამოაკეთებდა მხოლოდ განათლება. ხალხის გაოვითცნობიერების იარაღად „ჩაღმართად დაყენებული სახალხო სკოლა" მიაჩნდა. ბმა დედაენისა და სკოლის პრობლემას ეიწრო საგანმანათლებლო ნარჩოები მოხსნა და სას. აზრის ცენტრში მოაქცია, აქტიური ცხოვრებისათვის მომზადება და რეალური განათლება დაუსახა მიზნად. ამ მიმართულებით იგი თეორიულთან ერთად აქტიურ პრაქტ. მოღვაწეობასაც ეწეოდა.

ყველაზე დიდი დამსახურება, რიც ბ-ს მიუძღვის ქართვ. ხალხის წინაშე, სასკოლო სახელმძღვა-

ნელოების შედგენაა. მათი მეშვეობით თითოეული ბავშვი ეცნობოდა როგორც დედაენის საგანძურს, ისე მეცნიერებათა საფუძვლებს.

ბ-ის სახელმძღვანელოებმა – „ქართული ანბანი ანუ პირველი საკითხავი წიგნი ყრმათათვის“ (1865); „დედა ენა“, I ნაწილი; „დედა ენა“, II ნაწილი (1876, იხ. *«დედა ენა»*); „კოკორი“; „ბუნების კარი“ (1868); „დედანი ქართული წერისა“; „ Русское слово“, I ნაწილი; „Русское слово“ (1887), II ნაწილი – უდიდესი როლი შეასრულეს სალიტ. ქართ. ენის განეითარებასა და დამკვიდრებაში. ბ-მა სასკოლო სახელმძღვანელოების ფარგლებში მოაქცია საქართვ. ისტორია, ლიტ-რა, ბუნება, გეოგრაფია, ეთნოგრაფია და გასაგები ფორმით მიაწოდა ხალხს. მის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი ორიგინალური საბავშვო მოთხრობა; სხვადასხვა დროს გამოსცა საკმაწვილო მოთხრობებისა და ლექსების კრებულები: „კუნწულა“, „ხომალი“, „აკიდო“, „კოკორი“, „მოსაელის მცველნი“ და სხვ. სისტემატურად კრებდა, ამუშავებდა და ხელწდა ქართ. ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს; მუშაობდა საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებთა თარგმნაზე; საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა საბავშვო ჟურნალებთან – „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ნობათი“.

ბ-ის სახელს უკავშირდება საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის დაარსება და მისი საქმიანობა. მან უძრავი და მოძრავი ქონების ნაწილი ამ საზ-ბას დაუტოვა, ნაწილი – ქართ. საბავშვო ბაღს, ქალთა სკოლას, სომეხთა და მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზ-ბას.

ბ-მა გარკვ. წელილი შეიტანა ქართ. უნ-ტის აგებასა და მისთვის ნაკვეთის შეძენაში; მისი ინიციატივით შემოიღეს მასწავლებელთა დაჯილდოების პრაქტიკა. ბ-ს თავისი სტიპენდიატებიც ჰყავდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ბ-ის გაგზავნილი ფულით ე. ნინოშვილმა თავი დააღწია შორეულ ციმბირს; დიდ დახმარებას უწევდა ა. წერეთელს, რ-საც სახელმძღვანელოებში მოთავსებული ლექსებისათვის პონორარად ანდერძით ყოველთვიურად ათ-ათი თუმანი დაუკანონა.

ბ. დასაფლავებული იყო დიდუბის პანთეონში. 1940, დაბადებიდან 100 წლისთავზე, მისი ნეშტი გადმოასვენეს მამადავითზე და ი. ჭავჭავაძის გვერდით დაკრძალეს.

ბ-ის ლიტ. მემკვიდრეობა გამოცემულია 10 ტომად; მისი სახელი მიენიჭა პედ. მეცნ. ინ-ტს, თელავის პედ. ინ-ტს, თბილისის პედ. სასწავლებელს, საქართვ. პედ. საზ-ბას და ა. შ. დაწესებულია იაკობ გოგებაშვილის სახ. მედალი; პედ. საზოგადოებამ დააარსა იაკობ გოგებაშვილის სახ. ფულადი პრემია წლის საუკეთესო პედაგოგიური ნაშრომის ან სახელმძღვანელოსათვის; ყოველი წლის 27 ოქტ. დაწესდა იაკობის დღედ („იაკობობა“); 1960, 1965, 1990 წლებში აღინიშნა ბ-ის დაბადებიდან 120, 125, 150 წლისთავი; 1976 აღინიშნა „დედა ენის“ 100 წლის იუბილე, 1983 დაიდგა „დედაენის“ („ცოდნის ზარი“) ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1–10, თბ., 1952–65.

ლიტ.: იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული), თბ., 1940; თავისი შვილი გ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1960; ლორთქიფანიძე დ., დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი (დაბადების 120 წლისთავის გამო), თბ., 1960; თავისი შვილი უ., იაკობ გოგებაშვილი – ქართული სახალხო სკოლის ფუძემდებელი, თბ., 1977.

მ. მუსხელიანი.







ბორბაძე სერგი რომანოზის ძე (1876, სოფ. ილემი, ხასტაფონის რ-ნი, – 1929, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, პედაგოგი და ენათმეცნიერი. დაამთავრა ქუთ. სას. სასწავლებელი (1890), შემდეგ თბილ. სას. სემინარია (1897). სწავლა განაგრძო ყაზანის სას. აკად. ისტ. ფაკ-ზე, სადაც ნაშრომისათვის „ეკლესია და სახელმწიფო ძველ საქართველოში“ კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქართ. ენის, ლიტ-რისა და ისტ. პედაგოგად ჯერ ახალსენაკში, შემდეგ თბილ. გიმნაზიასა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ბ. იყო ქართ. საენათმეცნ. საზ-ბის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მან დიდი ღვაწლი დასდო 1907 დაარსებულ საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბას, რ-ის მდივანი იყო თვრამეტი წლის განმავლობაში. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს სასწ. დანიშნულების რამდენიმე სახელმძღვანელო და ქრესტომათია: „ქართული ენა არაქართველებისათვის“; „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“ (1915); „ჩვენი ახალი მწერლობა“ (წგ. I, 1917); მონაწილეობა მიიღო ბესიკის თხზულებათა გამოცემაში. მანვე გამოაქვეყნა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (1914), იაკობ ხუცესის (ცურტაველის) „შუშანიკის წამება“ (1917). ბ. ავტორია ქართ. ვერსიფიკაციის პირველი სისტემ. კურსისა – „ქართული ლექსი“ (1930), რ-შიც განხილულია მახვილის, მეტრიკის, სტროფიკის, რითმისა და ლექსის კომპოზიციის საკითხები.

თვალსაჩინოა ბ-ის ღვაწლი ენობრივი პრობლემატიკის შესწავლის სფეროში. იმ საკითხებს შორის, რთაც აეტორი ეხება, ყურადღებას იქცევს წევრთა ადგილი წინადადებაში, ქართ. სალიტ. ენის პერი-

ოდიზაცია, ქართ. მართლწერის საკითხები. მასვე ეკუთვნის XIX ს-ის II ნახ. და XX ს-ის დასაწყისის ახ. სალიტ. ქართ. ენის საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტ-რის ისტ.-კრიტ. მიმოხილვა.

ქართ. წინადადების საკითხებს ეძღვნება გამოკვლევა „ქართული სადასიტყვაობა“ (1914–15), რ-შიც ჟურადღება გამახვილებულია წეჭ რთა ადგილზე წინადადებაში. შემასმენელი მიჩნეულია წინადადების ძირითად წევრად. ავტორის დაკვირვება, რომ ახ. ქართულში შემასმენელი ჩვეულებრივ წინადადების ბოლოში დაისმის, დღეს ანგარიშგასაწევია. დანარჩენ წევრთა თანამიმდევრობა, კი ლოგიკური უპირატესობის პრინციპს ემორჩილება.

ბ-ის მოსაზრება სალიტ. ენის პერიოდიზაციის შესახებ ასეთია: სალიტ. ენა ორ პერიოდს მოიცავს – ძველსა და ახალს. ახ. სამწერლობო ენა XII ს-ში ჩაისახა, ხოლო საბოლოოდ XIX ს. II ნახ. დამკვიდრდა („ქართული სადასიტყვაობა“, 1914–15). შემდეგ (1925–26) ავტორმა შეიცვალა თვალსაზრისი: „სალიტერატურო ქართულმა მწერლობის დაარსებიდან დღემდის სამი მთავარი საფეხური განელო, შესაბამისად გვაქვს: ძველი, საშუალი და ახალი ქართული“. ახ. ქართ. ენის დასაწყისად მას 1850 მიაჩნია, როდესაც გამოქვეყნდა და დაიღგა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ და გამოითქვა აზრი ახ. ქართ. ენის დაბადების შესახებ (ჯ. იოსელიანი). ბ-ის თვალსაზრისის ცვლილება ერთგვარად განაპირობა იმ ღროს სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმულმა მოსაზრებებმაც (ქ. კეკელიძე, ა. შანიძე).

ბ-ს დიდი დამსახურება მიუძღვის ახ. სალიტ. ქართულის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლაში. ამ მხრივ მას წინამორბედი არ ჰყოლია. თავის ისტ.-კრიტ. მიმოხილვაში მან წარმოაჩინა ამ ბრძოლის ძირითადი ეტაპები და ამ ეტაპებისთვის დამახასიათებელი სადავო საკითხები; ნათლად დაგვანახვა რეალური ვითარების ცვლილებასთან ერთად სადისკუსიო პრობლემატიკის ცვალებადობა და ის წინააღმდეგობანი, რ-თაც ესა თუ ის თვალსაზრისი შეიცავდა.

ბ-ის ნაშრომებში დიდი ადგილი ეთმობა ქართ. მართლწერის საკითხებს. მან შეიმუშავა ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები სამწერლობო ქართ. ენის ნორმათა დასადგენად. ამავე დროს, მოგვცა მთელი რიგი რეკომენდაციები ორთოგრაფ. და გრამატ. საკითხების მოსაგვარებლად.

თხზ. (გარდა ტექსტში მოხსენიებულისა): ქართული წყობილსიტყვაობა. ლექსთა-წყობის თეორიიდან. – „გრდემული“, №1, ტფ., 1912; ქართული მართლწერა, ქუთ., 1916; ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან, ტფ., 1925–26; ახალი სალიტერატურო ქართული, ტფ., 1929.

ლიტ.: ფოცხუა ბ., სიტყვათა-განლაგებისათვის ქართულში. – „იკე“, XIII, თბ., 1962; გაწერელია ა., რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1965; აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986.

დ. ჩხუბიანიშვილი.

ბორდეზიანი რისმაგ ბენიამინის ძე (დ. 9. VI. 1940, თბილისი), ფილოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1977). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1963). ბ. არის საბერძნ. არქეოლოგიური საზ-ბის საპატიო წევრი (1987), ვინკელმანის საერთაშ. საზბის წევრი (1971), საქსონიის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1977). სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწევა თსუ კლასიკური ფილოლ. კათედრაზე. 1989–2006 წ-ებში ამ კათედრის გამგეა. ხელმძღვანელობს თსუ ჰმელოაშვილის ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიას (1982-იდან). 1993-იდან იყო თსუ პრორექტორი სასწ. დარგში. 1997 სათაოეში ჩაუდგა თსუ-ს კლასიკური ფილოლ., ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწ.-სამეცნ. ინ-ტს. გამოქვეყნებული აქვს 150-მდე სტატია და მონოგრაფია პომეროლოგიის, ეგეისტიკის, ეტრუსკოლოგიის, ანტ. ლიტ-რისა და კულტ. ისტორიის, ქართველოლოგიის სფეროში ქართ. და უცხო ენებზე.

ბ. გამოდის მოხსენებებით და კითხულობს ლექციებს საზღვარგარეთის (საბერძნეთი, გფრ, რუსეთი, იტალია, აშშ) სამეცნ. ცენტრებსა და უნ-ტებში. სამეცნ. ნაშრომებისათვის მიენიჭა საუნივერსიტეტო (1970), რესპუბლიკური (1973), საკავშ. (1973) პრემიები.

თხზ.: „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენე?ზის საკითხები, თბ., 1970; ეტრუსკული და ქართველური, თბ., 1980; წინარებერძნული და ქართველური, თბ., 1985; ბერძნები საქართველოში (კოლექტიური მონოგრაფია), თბ., 1990; ბერძნული ცივილიზაცია, ტ. I–2, თბ., 1989–97; ქართული თეითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993; ქაოსიდან კოსმოსამდე, თბ., 1997; ბერძნული ლიტერატურა, თბ., 2002; კლასიკური ფილოლოგიის შესავალი (მე-2 გამოც.), თბ., 2007; მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. ტ. I–3, თბ., 2007; Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений, Тб., 1975; Проблемы гомеровского эпоса, Тб., 1978; „Илиада“ и „Одиссея“ – памятники письменности (Античность как тип культуры), М., 1988; Kriterien der Schriftlichkeit und Mündlichkeit im homerischen Epos, Fr./M., 1986; Abwandlungsformen der traditionellen Struktur des Mythos in der griechischen und römischen Heldendichtung (Griechenland und Rom. Vergleichende Untersuchungen zu Entwicklungstendenzen und Höhepunkte der antiken Geschichte, Kunst und Literatur), Tbilissi, 1996.

ნ. ტონია.

გრამატიკა (ბერძნ. grammatikē <grámma– ასო), I. ენის სტრუქტურული ორგანიზაციის დონე, სისტემა ენობრ. მოვლენებისა, რ-ებიც დაკავშირებულია ენის აგებულებასთან. გრამატ. ერთეულები წარმოადგენენ განზოგადებულ ფორმებს, აბსტრაქციებს, რ-ებიც განსაზღვრავენ ენის წყობას (იხ. *გრამატიკული კატეგორია, გრამატიკული მნიშვნელობა, გრამატიკული ფორმა*). 2. ენათმეცნიერების ნაწილი, რ-იც შეისწავლის ენის აგებულებას.

გრამატ. კვლევას საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში (ინდოეთი, საბერძნეთი, ჩინეთი, არაბეთი...) დიდი ხნით ადრე, საკუთრივ ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებამდე, ბერძნ. გრამატ. მოძღვრებამ, რიც განმსაზღვრელი აღმოჩნდა ევროპული გრამატ. აზრის განვითარებისათვის, სრულყოფილი სახე მიიღო ალექსანდრიულ სკოლაში. ამ სკოლის საქმიანობამ უმაღლეს დონეს მიაღწია ძვ. წ. II – ახ. წ. II სს-ში. სწორედ მაშინ შეიქმნა (ძვ. წ. II ს.) დიონისე თრაკიელის ცნობილი „გრამატიკული ხელოვნება“ (Téchnē grammatikē). ალექსანდრიელთა გრამატ. მოძღვრება განმსაზღვრელი აღმოჩნდა შემდგომი პერიოდის ევროპული გრამატ. აზრის განვითარებისათვის. მაგრამ ეს უკანასკნელი ვითარდებოდა არა მხოლოდ და არა იმდენად პრაქტ.

კვლევის ჩარჩოებში, არამედ სხვა – ზოგადი, უნივერსალური, ფილოს. ბ-ების მიმართულებითაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „პორროიალის გრამატიკა" (1660), რ-შიც ენის კატეგორიები ლოგიკურ კატეგორიებზე დაყრდნობით განიხილებოდა (იხ. *ენათმეცნიერება*).

ისტ. და შედარებითი კვლევის დამკვიდრებამ (XIX ს. დასაწყ.) საფუძველი ჩაუყარა შედარებით-ისტ. გრამატიკებს. ენათმეცნიერების შემდგომმა განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გრამატ. მოძღვრებაში.

ტრადიციული ბ. ჩამოყალიბდა როგორც მოძღვრება, რ-ის ძირითად ერთეულს წარმოადგენს *სიტყვა*, ხოლო კვლევის საგანი შემოიფარგლა სიტყვის აგებულებითა და სიტყვათა შორის მიმართებების დადგენით. შესაბამისად, ბ-ში გამოიყო ორი ნაწილი – *მორფოლოგია* და *სინტაქსი*. ეს დაყოფა საკმაოდ პირობითია და ხშირად ძნელი ხდება ამ ორ ნაწილს შორის მკაფიო საზღვრის დადგენა. ამიტომაც, თანამედროვე გრამატიკოსები უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ მორფოსინტაქსურ კატეგორიებზე, როგორიც არის მაგ., ბრუნვა, გვარი.

მორფოლოგიად და სინტაქსად გრამატიკის დაყოფამ განაპირობა ის ფაქტი, რომ სიტყვის ფონეტ. და ლექსიკურ-სემანტიკური თვისებები, რ-ებიც ისევე მნიშვნელოვანია სიტყვისათვის როგორც გრამატიკული, საკუთრივ გრამატ. კვლევის მიღმა აღმოჩნდა. ზოგიერთ თანამედროვე მიმდინარეობაში ასეთ სწრაფვას აბსტრაქტული მიმართებებისადმი შედეგად მოჰყვა საერთოდ სიტყვის, როგორც ბ-ის ძირითადი ერთეულის, უარყოფა და მისი ჩანაცვლება *მორფემით* (დესკრიფციული ლინგვისტიკა) ან *წინადადებით* (გენერატიული ბ.).

გრამატ. კვლევის დავიწროება ეწინააღმდეგება ენობრივი სტრუქტურირების კონცეპციას. სიტყვა, როგორც გრამატ. ერთეული, წარმოადგენს რთულ სტრუქტურულ წარმონაქმნს, რ-იც არსებობს არა იზოლირებულად, არამედ დაკავშირებულია ფონოლოგიურ და სემანტიკურ სტრუქტურებთან. მათი გათვალისწინების გარეშე წმინდა ფორმალური გრამატ. კვლევა შეიძლება სერიოზული სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს (იხ. *მორფონოლოგია, დერივაცია*).

კვლევის მიზნებისა და ამოსავალი თეორიული ჩარჩოებიდან გამომდინარე ტრადიციული ბ-ების გვერდით შეიქმნა სხვადასხვა შედგენილობისა და სხვადასხვა მეთოდოლ. ბაზაზე დამყარებული ახალი ბ-ები – თეორიული, სტრუქტურული, დესკრიფციული, სტრატიფიკაციული, სისტემური, ტრანსფორმაციული, ფუნქციური და სხვ.

გრამატ. წყობა, როგორც ენის შემადგენელი ნაწილი, ენის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ჩართულია საერთო ფუნქციონირებაში. ამის საფუძველზე განასხვავებენ, ერთი მხრივ, ბ-ს როგორც ჩამოყალიბებულ სისტემას, რ-იც საფუძვლად ედება მეტყველებას (competence grammer), მეორე მხრივ ამ სისტემის აქტიურ გამოყენებას მოლაპარაკეთა მიერ ენობრივი საშუალებებით წინადადებების უსასრულო რაოდენობით შექმნაში (performance grammer) (იხ. *მეტყველება*).

გრამატ. მეცნიერებით ქართველთა დაინტერესება იწყება X ს-იდან (იხ. «*სიტყუაჲ ართრონთათჳს*, *ძველი ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან*, *ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების ჰერმენევტიკული საფუძვლები*). გრამატ. აზროვნების პირველი ნაკადი იქმნება X–XII სს-ში ბიზანტ. მეცნიერების გავლენით. ჩანს, რომ ქართველები იცნობდნენ როგორც დიონისე თრაკიელის ბ-ს, ისე მის განმმარტებელთა დებულებებს, რ-თაც პლატონის, არისტოტელეს, პროკლე დიადოქოსის ნაშრომების მსგავსად ბერძ. დედნებში ეცნობოდნენ. ამ პერიოდს განეკუთვნება პირველი გრამატ. ტრაქტატები, როგორიცაა ანონიმი ქართველი გრამატიკოსის „სიტყუაჲ ართრონთათჳს" და *იოანე პეტრიწის* „ბოლოსიტყუაჲ", რ-იც ერთვის პროკლეს „განმარტებაჲს". XII ს-ში ითარგმნა ამონიოს ჰერმიას თხზულებანი, რ-ებშიც, ბ-ის საკითხებზე მსჯელობისას, ბერძ. გრამატ. ტერმინოლოგია ან პირდაპირ არის გადმოტანილი, ან შექმნილია სათანადო კალკები, რ-თა მეშვეობით შესაძლებელი ხდება მსჯელობა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ზოგად საკითხებზე. *გიორგი მთაწმიდელი* „ღრამატიკოსად" მოიხსენიება ათონის ივერთა მონასტრის 1074 აღაპების წიგნში და მისი გრამატ. მოძღვრება დახასიათებულია დიონისე თრაკიელის ბ-ის მოთხოვნათა მიხედვით. იოანე პეტრიწმა და მისი ხელმძღვანელობით გელათის თეოლოგიურმა სკოლამ სალიტ. ენის დემოკრატიზაცია სამწერლობო ენაში სამეტყველო ენის ლექსიკისა და გრამატ. ფორმების შემოტანით დაიწყო. ამ პერიოდში შექმნილი ენობრივი ლექსიკური მოდელები წარმატებით გამოიყენეს იმდროინდელმა შემოქმედებმა და თვით შოთა რუსთაველმა.


რ. გორდეზიანი

ისტ. ვითარების გამო დროებით შეწყვეტილი გრამატ. კვლევა განახლდა XVII ს-ში იტალ. კათოლიკე მისიონერთა ინიციატივით. ისინი საქართველოში ხსნიდნენ სკოლებს, სადაც ბერძნ. და ლათ. ბ-ებთან ერთად ასწავლიდნენ მათ მიერ ქართ. ენისათვის დადგენილ წესებს. 1629 რომში დაიბეჭდა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი", რ-ის შემდგენლებიც იყვნენ სტეფანო პაოლინი და ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი); 1643 იქვე დაიბეჭდა ფრანცისკო-მარია *მაჯოს* „ქართული ენის გრამატიკა" (იხ. *პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები*). 1670–80-ით თარიღდება *ბერნარდე ნეაპოლელის* მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები, რ-ებშიც ლექსიკურ განმარტებებთან ერთად მოცემულია გრამატ. ინფორმაციაც: სახელებთან მითითებულია ფუძეთა წარმოქმნის, ზმნებთან კი – კატეგორიათა მიხედვით სიტყვათა ფორმაცვალების შესახებ. XVIII ს. I მეოთხედით თარიღდება ანონიმი ავტორის გორული „*იტალიურ-ქართული ლექსიკონი*", რ-საც წინ უძღვის 33-გვერდიანი გრამატ. ტრაქტატი.

XVIII ს-ის პირველ ნახ-შია შექმნილი ქართულად დაწერილი პირველი ბ. ქართ. ენისა (იხ. *ზ. შანშოვანი*). მაგრამ ეს ბ. არ არის დამოუკიდებელი ნაშრომი და მას ქართულ გრამატ. აზრის განვითარებაზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

XVII–XVIII სს. ქართ. გრამატ. აზრის აღორძინება და ახ. სიმაღლეზე აყვანა დაკავშირებულია ს.-ს. *ორბელიანისა* და *ანტონ I-ის* სახელებთან. იტალიელ მისიონერებთან ურთიერთობამ მათ საშუალება მისცა კარგად გასცნობოდნენ როგორც

ლათ. გ-ებს, ისე თვით იტალიელთა მიერ შედგენილ ქართ. ენის გ-ებსა და ლექსიკონებს. ისინი უშუალოდ მისიონერთაგან იღებდნენ კონსულტაციებს გრამატ. საქმიანობის შესახებ.

ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ შექმნის მიზანი იყო „გარყვნილი“ ენის უცხო მინარევთაგან გაწმენდა, მისი სრულქმნა და განმტკიცება. ლექსიკონი უნდა გამხდარიყო „სასწავლო კუთილგონიერთა მოსწავლეთათვის“. მასალის ხასიათითა და მასშტაბებით ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი იტალ. ლექსიკონთა პრინციპებს მიჰყვება. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონს ახლავს აგრეთვე დანართი „სასწავლო ყრმათათვის“, რ-შიც წარმოდგენილია ქართ. ენის ბგერითი ანალიზი, მოცემულია მორფემათა კონკრეტული დახასიათება, აგებულია სახელთა და ზმნათა პარადიგმები. ამ ლექსიკონში ქართ. გრამატ. ტრადიციებთან (იოანე პეტრიწი, „სიტყუაჲ ართრონთათჳს“) ერთად იტალიელ მისიონერთა ნაშრომებიცაა გათვალისწინებული.

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონისა და იტალიელ მისიონერთა გრამატ. ტრაქტატების სახით ანტონ I-ს სოლიდური მასალა და დებულებები დახვდა. რუსეთში ყოფნისას ის გაეცნო ევრ. ენების გ-ებს, შეეცადა დაედგინა, რა იყო ენებს შორის საერთო და რა – სპეციფიკური. მისი „ქართული ღრამმატიკის“ მეორე რედაქცია ჩამოყალიბებული მეცნ. ნაშრომია. აქ დადგენილია სახელთა და ზმნათა ფორმაცვალების სახეები, რ-თაგან ზოგი დღესაც ინარჩუნებს ნორმის ძალას.

ანტონ I-ის „ქართული ღრამმატიკა“ შემდგომი პერიოდის ყველა გ-ის საფუძველი გახდა და, თუმცა მომდევნო თაობათა წარმომადგენლები მას სხვადასხვაგვარად კითხულობდნენ, ერთი რამ ნათელია – XIX ს. 90-იან წლებამდე არსებითად ანტონ I-ის გ-ის ვარიანტები ტრიალებს, მეტ-ნაკლებად გასაგები ენით დაწერილი. გრამატ. კატეგორიების მეცნ. აღწერა, სახელური და ზმნური პარადიგმების სრულქმნა შემდგომ პერიოდს ეკუთვნის (*ნ. მარი*, *ა. შანიძე*, *არნ. ჩიქობავა*, *ვ. თოფურია*...).

ლიტ.: კარიჭაშვილი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. XVII და XVIII სს., თბ., 1929; ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მისიევ., გრამატიკა. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978; ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970; სტურუა ნ., სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975; ჩიქობავა არნ., ვათეიშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1978; ფოცხიშვილი ა., ქართული გრამატიკული აზრის ისტორიისათვის, თბ., 1979; მისიევ., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995; მელიქიშვილი დ., გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები. – კრ.: «ენათმეცნიერება», ტ. 10, თბ., 1986; შანიძე მ., სიტყუაჲ ართრონთათჳს. ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990; უთურგაიძე თ., ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრევის ურთიერთმიმართება. – «იკე», XXIX, თბ., 1990; მისივე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1999; კვანტალიანი ლ., ქართული წინადადების შესწავლის ისტორია. – «იკე», XXIX, თბ., 1990; მისივე, ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია. – «იკე», XXXII, თბ., 1993; ბაბუნაშვილი ე., უთურგაიძე თ., ანტონ პირველის „ქართული გრამატიკა“ და მისი ყოფენულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991; ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767 წ.), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ე. ბაბუნაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. კიკნაძემ, თბ., 1997; Виноградов В. В., Грамматическое учение о слове. М.–Л., 1947; Есперсен О., Философия грамматики, пер. с англ., М., 1958; Орловская Н. К., Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке. – «თსუ შრომები», 1959, ტ. 75; Матезиус В., О системном грамматическом анализе. – «Пражский лингвистический кружок», М., 1967; Исследования по общей теории грамматики, М., 1968; Шведова Н. Ю., Грамматика, Лингвистический Энциклопедический Словарь, М., 1990; Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, Тб., 1994.

თ. უთურგაიძე.

გრამატიკალიზაცია, 1. სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ლექსიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა მისი დამხმარე ფუნქციით გამოყენების შედეგად. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები გამოიყენება *თანდებულის*, *ნაწილაკის*ა და სხვ. ფუნქციით. მაგ.: ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით – „ეზოს გარეშე“, „სახლის უკან“; ზმნა ნაწილაკის ფუნქციით – „უნდა გავაკეთო“, „იქნებ გავაკეთო“; სრულმნიშვნელობიანი ზმნა მეშველი ზმნის ფუნქციით (იხ. *აღწერითი წარმოება*). 2. ცნებითი განსხვავების ასახვა ცალკეულ ენათა გრამატიკაში. მაგ., იმ ენებში, რ-ებშიც არსებობს მრ. რიცხვის ფორმისაგან განსხვავებული ორობითი (სამობითი...) რიცხვიც, კონცეპტუალური განსხვავება ორსა (სამსა...) და მეტს შორის გრამატიკალიზებულია.

ლიტ.: Matthews P. H., The Concise Oxford Dictionary of Linguistics, Oxford Univ. Press, 1997.

ნ. ლოლაძე.

გრამატიკული კატეგორია, საერთო სემანტიკის მქონე ერთმანეთთან დაპირისპირებული გრამატიკული ფორმების სისტემა. ტერმ. „კატეგორია“ არისტოტელეს ფილოსოფიიდან მომდინარეობს. ლოგიკურ-ფილოს. თვალსაზრისით იგი აღნიშნავს საგნებისათვის გარკვეული თვისების მინიჭებას, პრედიკაციას. სპეც. ლიტ-რაში განარჩევენ პირველად, მეორეულ და ფუნქციონალურ გ. კ-ებს. პირველად გ. კ-ებს განეკუთვნება მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა..., მეორეული კატეგორიებია: პირი, რიცხვი, სქესი, ბრუნვა, დრო..., ტრად. სინტაქსური ცნებები „სუბიექტი“, „ობიექტი“, „პრედიკატი“... განეკუთვნება ფუნქციონალურ კატეგორიებს. სტრუქტურულად განსხვავებულ ენებს განსხვავებული კატეგორიები აქვთ. ქართულის გ. კ-ებია ზმნასთან – პირი, რიცხვი, კილო, დრო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელებთან – ბრუნვა და რიცხვი. ქართულში არა გვაქვს ევრ. ენებისათვის დამახასიათებელი გრამატ. სქესის კატეგორია. ენები განსხვავდებიან ერთსა და იმავე კატეგორიაში გაერთიანებული წევრების რაოდენობის მიხედვითაც (მაგ., ბრუნვათა რაოდენობა ქართულსა და გერმანულში). საერთო სემანტიკით გამოყოფილ გ. კ-ს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმალური გამოხატულება. მაგ., ქართულში გვაქვს ინიანი, ენიანი, დონიანი და ე. წ. უნიშნო ენებითი.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ტერმ. გ. კ. სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ზოგჯერ იგი, ლექსიკური კატეგორიისაგან გან-

სხვავებით, გამოიყენება მხოლოდ იმ ერთეულთა „კლასის" ან „ჯგუფის" აღსანიშნავად, რ-ებიც ცალკეულ ენაში ასრულებენ ერთნაირ ფუნქციას, აქვთ ერთნაირი *გრამატიკული მნიშვნელობა* (ბრუნვა, პირი, რიცხვი, დრო, ასპექტი და ა. შ.), ან აღნიშნავენ ელემენტთა ნებისმიერ ჯგუფს, რ-იც კონკრეტულ ენათა აღწერისას გამოვლინდება. გამოყოფენ აგრეთვე ე. წ. „ფარულ" გ. კ-ებს. ასეთი კატეგორია ფორმალური სახით ვლინდება ენის რომელსამე დონეზე. მაგ., ქართულში შეიძლება გამოვლინდეს კატეგორია „სულიერი – უსულო" სინტაქსურ დონეზე: ებ-იანი უსულო სახელი ზმნას მრავლობით რიცხვში ვერ ითანხმებს.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; Л а й о н з Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978. *ლ. ენუქიძე.*

გრამატიკული კლასი, სახელთა ჯგუფი, რ-შიც სახელები გარკვეული სემანტიკური თვალსაზრისითაა გაერთიანებული. ენაში ასეთი ჯგუფი შეიძლება რამდენიმე იყოს, თითოეული თავ-თავისი გრამატ. მახასიათებლით. გრამატ. კლასების არსებობა ნიშანდობლივია იბერიულ-კავკ. ენათა უმრავლესობისათვის (ამ მხრივ გამონაკლისია ქართველური და ადიღური ენები, ლეზგიური, აღულური და უდიური). კლას-კატეგორია ამ ენათა მთელ მორფოლოგიას გასდევს: იგი მოეპოვება თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს. მისი მორფოლ. ნიშანი – გ. კ-ის ექსპონენტი – შედის სიტყვის შემადგენლობაში როგორც პრეფიქსი ან სუფიქსი, ან ორივე ერთად. გამონაკლისია არსებითი სახელი, რ-იც სიტყვის აგებულებაში, როგორც წესი, არ შეიცავს კლასის ნიშანს, გარდა რამდენიმე იშვიათი შემთხვევისა (მაგ., ხუნძ. ვას – „ვაჟიშვილი", ჲას – „ქალიშვილი"). არსებობს ვარაუდი, რომ სუბსტანტივს ნომინატიურ ფორმაში დაკარგული უნდა ჰქონდეს გ. კ-ის ნიშანი – თავისი კლასიფიკატორი (ეს საკითხი დისკუსიის საგანია). თუ რა გრამატ. კლასისაა ესა თუ ის სახელი, ირკვევა სინტაქსური საშუალებით – შეთანხმებით: რა კლასის ნიშანიცაა წარმოდგენილი ზმნაში, ზედსართავში, რიცხვით სახელში, ნაცვალსახელში, მიმღეობასა და მასდარ-ინფინიტივში, იმავე კლასის იქნება სახელი (მაგ., ხუნძ. ემენ ვ-უგო – „მამა არის", ებელ ჲ-იგო – „დედა არის", ჩუ – ბ-უგო „ცხენი არის"). იმის მიხედვით, თუ რა სემანტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად სახელთა კლასიფიკაციას, გ. კ-ის სხვადასხვა სისტემა გამოიყოფა. მხ. რიცხვის მიხედვით გვაქვს ორ-, სამ- და ოთხკლასიანი სისტემები, ჩვეულებრივია ოთხკლასიანი სისტემა, მაგრამ ლაპარაკობენ ხუთ- და ექვსკლასიან სისტემებზეც, ხოლო მხ. და მრ. რიცხვის კლასის ნიშანთა კომბინაციებით მათმა რაოდენობამ შეიძლება 10-მდეც კი მიაღწიოს (ნახურ ენებში). ორკლასიან სისტემაში ადამიანის (პიროვნების) კლასი უპირისპირდება დანარჩენი სახელების (არაადამიანის, ნივთის) კლასს. ასეთი ოდენ ბინარული ოპოზიცია დასტურდება მხოლოდ თაბასარანულ ენაში; სამკლასიან სისტემებში, ორკლასიანისაგან განსხვავებით, ადამიანის კლასი დიფერენცირებულია მამაკაცისა და ქალის კლასებად, ხოლო ყველა სხვა სახელი აქაც არაადამიანის (ნივთის) კლასში შედის. ასეა ხუნძურსა და ანდიურ ენათა უმრავლესობაში და მესამე პირისათვის – აფხაზურსა და აბაზურში. ოთხკლასიანი სისტემები გვაქვს ყველა ნახურ, დიდოურ და ზოგ ლეზგიურ ენაში, ლაკურსა და დარგუულში, ხოლო ანდიურ ენათაგან – (ზემო) ანდიურსა და ჭამალალურში. ამ ჯგუფის თავისებურება ის არის, რომ ადამიანის კლასთან ერთად დიფერენცირებულია არაადამიანის (ნივთის) კლასის სახელებიც, რ-ებიც უკვე ორ კლასში არის განაწილებული, მაგრამ არ არის ნათელი, რას ემყარება ამ განაწილების კრიტერიუმი, რა ნიშნით შედის, ვთქვათ, „ძაღლი", „ქვა" – ერთ კლასში, ხოლო „ძროხა", „სახლი" – სხვა კლასში. სწორედ ეს გაურკვევლობა ქმნის ყველა იმ სირთულეს, რ-ებიც თავს იჩენს ამ კატეგორიის შესწავლისას როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. სწორედ აქ ვლინდება ის თავისებურებებიც, რ-ებითაც გ. კ. განსხვავდება გრამატ. სქესისაგან. გარდა რაოდენობისა, კლასისა და სქესს შორის არსებითი სხვაობა კიდევ ის არის, რომ იმ გ. კ-ში, რ-შიც მამრობითი სქესის ადამიანი შედის, გრამატ. სქესისაგან განსხვავებით, არ შეიძლება აღმოჩნდეს არც ერთი ცხოველი, ნივთი, მოვლენა; ყველა ცხოველი, მიუხედავად სქესისა, ნივთის კლასშია მოქცეული. სწორედ ამიტომ ჟძლევა იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერებაში უპირატესობა „გრამატიკულ სქესთან" შედარებით ტერმ. „გ. კ-ს". გ. კ-ების სხვადასხვა სისტემის არსებობის მიუხედავად, სემანტიკურად ამ ენებში სახელთა ორი ძირითადი ჯგუფი მაინც გაირჩევა: ვინ-ჯგუფი, რ-შიც მხოლოდ ადამიანი (პირი) შედის და რა-ჯგუფი, რ-იც ყველა სხვა სახელს, საგანს მოიცავს (ცოცხალსაც და არაცოცხალსაც). ასეა როგორც კლას-კატეგორიის მქონე, ისე მის არამქონე ენებშიც. ვარაუდობენ იმასაც, რომ ისტორიულად სახელთა დაჯგუფებას საფუძვლად უდევს არა სქესი, არამედ ადამიანთა, საგანთა და მოვლენათა სოც. ღირებულება (იხ. *ჟენდერი*).

სპეც. ლიტ-რაში გამოთქმულია ვარაუდი გ. კ-ების არსებობის შესახებ ქართველურ ენათა განვითარების ადრეულ საფეხურებზე (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა...).

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979; გ უ რ გ ე ნ ი ძ ე ტ., გრამატიკული კლასები და მათი რაოდენობის დადგენის გზები. – კრ. «გზა ენისაკენ», საქ. მეცნ. აკად. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 1998. *გ. თოფურია.*

გრამატიკული მნიშვნელობა, განზოგადებული, განყენებული ენობრივი მნიშვნელობა, რ-იც ახასიათებს სიტყვებს, სიტყვაფორმებს, სინტაქსურ კონსტრუქციებს და მყარ სიტყვათშეხამებებს. მორფოლოგიის დონეზე ეს არის სიტყვის, როგორც მეტყველების ნაწილის, ზოგადი მნიშვნელობა (მაგ., საგნობრიობა არსებით სახელებში, პროცესუალობა ზმნებში...); აგრეთვე სიტყვათა, სიტყვაფორმათა კონკრეტული მნიშვნელობები, რ-ითაც ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს *გრამატიკული კატეგორიის* ფარგლებში (მაგ., სახელის ბრუნვა, ზმნის პირი, დრო...). სინტაქსის დონეზე ეს არის პრედიკატიულობა, აგრეთვე მრავალფეროვანი მიმართებები წინადადების წევრებსა (მაგ., სუბიექტს, ობიექტს, მოდიფიკატორებს...) და წინადადებებს შორის. გ. მ-ის ნაცვლად ლინგვისტურ ლიტ-რაში

გვხვდება ტერმინი სტრუქტურული მნიშვნელობაც (ჩ.კ. ფრიზი).

იხ. აგრ. *ლექსიკური მნიშვნელობა.*

ლიტ.: Курилович Е., Заметки о значении слова. – იხ. Misc: Очерки по лингвистике. М., 1962; Бондарко А. В., Грамматическое значение и смысл. Л., 1978; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику. пер. с англ., М., 1978. *ნ. ლოლაძე.*

ᲑᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲔ, I. შესაბამისობა კონკრეტული ენის კანონებთან; ენობრივ საშუალებათა გამოსადეგობა აზრის ისე გამოსახატავად, რომ შესაძლებელი გახდეს ყველაზე ეფექტური ურთიერთობა (გაგება) სათანადო ენის მატარებელთა შორის (ფართო მნიშვნელობა); 2. შესაბამისობა ამა თუ იმ ენის გრამატ. წყობის მოქმედ გრამატ. მოდელებთან (ვიწრო მნიშვნელობა). ბ. ს. გულისხმობს სალიტ. ენის ნორმების ღაცვას, რ-ებიც ზეპირსა და წერით მეტყველებაში კონკრეტული ენის მატარებელთა მიერ აღიქმება ამ ენაში საყოველთაოდ მიღებულ და ტრადიციით შემონახულ ენობრივ ჩვეულად (უსუსად).

ბ. ს-ს საფუძვლად უდევს კონკრეტული ენის გრამატ. სტრუქტურა, რ-შიც მოწესრიგებულია, ერთი მხრივ, *მორფემების* (ფუძისა და აფიქსების) ურთიერთობა, მეორე მხრივ, – სინტაქსური ურთიერთობა. შდრ.: „ქუდიანი“ (ნორმა), „ქუდოსანი“ (არაუსუალური სიტყვაწარმოება) ან „ქუდოვანი“ (დარღვევა); „მათ გააკეთეს“ (ნორმა) და „მათ გააკეთეს“ (დარღვევა); „იგი დაჰპირდა (შეეკითხა, შეეხვეწა) მას“ (ნორმა) და „მან დაჰპირდა (შეეკითხა, შეეხვეწა) მას“ (დარღვევა); „ბევრი წერილი“ (ნორმა) და „ბევრი წერილები“ (დარღვევა) და სხვ.

შ. აფრიდონიძე.

ᲑᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ, გრამატიკული შინაარსის გამოხატულება. განსაზღვრებისას მხედველობაშია მისაღები, ერთი მხრით, სიტყვათა ფლექსიური და დერივაციული ცვლილებები, მეორე მხრით, – გამოხატულების პლანი და შინაარსის პლანი.

ფლექსიური ცვლილება წმინდა გრამატ. ცვლილებაა, ანუ სიტყვის ფორმისა და შინაარსის ისეთი ცვლილება, რ-იც არ ეხება *ლექსიკურ მნიშვნელობას*; დერივაციული ცვლილების დროს, პირიქით, იცვლება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. სახელის ბრუნება (კაც-ი, კაც-მა, კაც-ს...) ფლექსიური ცვლილებაა; ახ. ლექსიკური მნიშვნელობის წარმოქმნა (კაც-ურ-ი, სა-კაც-ე, უ-კაც...) კი – დერივაციული ცვლილება. ბრუნვის ნიშნები -ი, -მა, -ს ფლექსიური ელემენტებია, მიეკუთვნებიან მორფოლ. სისტემას; -ურ, სა – ე, უ – ო კი – დერივაციული ელემენტებია, მიეკუთვნებიან ლექსიკურ სისტემას.

გამოხატულების პლანი ვარაუდობს სიტყვის მატერიალურ რეალიზაციას – მეტყველებაში ეს არის ბგერათა თანამიმდევრობა; შინაარსის პლანი არის ის მნიშვნელობა, რ-იც ივარაუდება გამოხატულების პლანის მიხედვით.

ბ. შ. გამოხატულების პლანისა და ფლექსიური შინაარსის ერთიანობაა. იგი განისაზღვრება სიტყვაში წარმოდგენილი მეტყველების ნაწილთა კატეგორიების მნიშვნელობებითა და ამ კატეგორიათა ფორმალური რეალიზაციით. მაგ., კაც-ებ-ი – გრამატ. ფორმის მნიშვნელობას განსაზღვრავს სახ. ბრუნვა და მრ. რიცხვი, რ-ებიც წარმოდგენილია -ი და -ებ სუფიქსებით.

გრამატ. ელემენტები ენაში ცალკე არ არსებობს, ისინი ერთიან ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელ ფუძეს. ამიტომ ბ. შ-ებზე მსჯელობისას გვიხდება სიტყვის მნიშვნელობის განყენება ფუძის (ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ელემენტის) გარეშე.

რომელიმე ფორმა, მაგ., ძმა, როგორც ბ. შ., სუსტად იმავე მნიშვნელობისაა, რა მნიშვნელობაც აქვს ფორმას კაც-ი. მაგრამ ძმაში სახ. ბრუნვა მატერიალურად არ არის გამოხატული, როგორც ფორმაში /კაც-ი/. ასეთი განსხვავების მიზეზი არის ფონემატური სისტემა, რ-ის მიხედვითაც ხმოვანთა კომბინაციები ქართულში არაბუნებრივია. ეს წესი გაელენას ახდენს მორფოლ. ელემენტთა ურთიერთობაზე გამოხატულების პლანში: ძმა-ი > ძმა. მაშასადამე, სახელობითის -ი ნიშნის დაკარგვა გრამატ. სისტემის მოთხოვნით არ მომხდარა. ამიტომ *გრამატიკული მნიშვნელობა* /ძმა/ ფორმას მაინც შემორჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ /ძმა/ ფორმა ისე უპირისპირდება ბრუნების კატეგორიის სხვა პარადიგმატულ წევრებს, როგორც /კაც-ი/: ძმა, ძმა-მ, ძმა-ს... შდრ.: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს... რადგან /ძმა/ გრამატიკულად მაინც სახ. ბრუნვაა, მიუხედავად ნიშნის უქონლობისა. ასეთი შემთხვევებისათვის შემოღებული იქნა ტერმინი ნულოვანი ალომორფი (Ø), რ-საც გრამატიკულად ამ შემთხვევაში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც -ი სუფიქსს. (-ი) და (Ø) ერთიმეორის პოზიციური ვარიანტებია: -ი გვაქვს თანხმოვანფუძიანი სახელების ფორმებში, Ø კი – ხმოვანფუძიანი სახელების ფორმებში (იხ. *ალომორფი*).

ნულოვანი ალომორფების გათვალისწინებლობა გრამატ. ანალიზში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ბ. შ-თა განსაზღვრისას. მაგ., გაერცელებული თვალსაზრისით, გაქებთ მხოლოდ ერთი გრამატ. ფორმაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორმით შეიძლება გამოიხატოს პირთა განსხვავებული კომბინაციები (გაქებთ მე თქენ | ჩვენ შენ | ის თქენ | ჩვენ თქვენ). ამათგან პარადიგმაში მხოლოდ ერთს ტოვებენ (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...), მაგრამ, თუ ბ. შ-ს მივიჩნევთ გამოხატულებისა და შინაარსის პლანის ერთიანობად, საქმე გვექნება ოთხ ბ. შ-თან. მათ განსასხვავებლად საჭიროა თავ-თავის ადგილას ჩაიწეროს ნულოვანი ალომორფები, კერძოდ, (1) Ø-გ-ა-ქ-ებ-თ მე თქენ: Ø- ამ ფორმაში გამოხატავს I სუბიექტ. პირს (S_I) პირდაპირობიექტ. II პირის (O^d_2) წინა პოზიციაში; თ- სუფიქსი ბ. შ-ის ბოლოს გამოხატავს პირდაპირ ობიექტ. II პირის სიმრავლეს (O_2^{pl}); (2) გ-ა-ქ-ებ-Ø-თ ის თქენ: -Ø გამოხატავს სუბიექტ. III პირს (S_3); საშუალ ქართულში და დღესაც მოის დიალექტებში ჩვეულებრივია გაქებ-ს-თ, -ს- დაიკარგა ფონემატური შეუთავსებლობის მიზეზით; (3) Ø-გ-ა-ქ-ებ-თ ჩვენ შენ: Ø- აქაც S_I-ის ალომორფია. ამ პირის სიმრავლე გამოხატულია -თ სუფიქსით (შდრ. პირველი შემთხვევა); (4) Ø-გ-ა-ქ-ებ-თ-Ø ჩვენ თქვენ: პირველი Ø- არის S_I-ის ნიშანი, მეორე -Ø კი გამოხატავს O_2^{pl}-ის სიმრავლეს, რ-იც პირველ შემთხვევაში გამოხატული იყო მატერიალურად, აქ კი S_I-ის -თ სუფიქსის მომდევნოდ ფონემატური შეუთავსებლობის გამო ჩაეარდნილია.

ლიტ.: ნ ი ქ ო ბ ა ძ ე არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. თბ., 1953; Е л ь м с л е в Л., Пролегомены к теории языка, пер. с англ. – *კრ.*: «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960; Х э м п Э., Словарь американской лингвистической терминологии, пер. с англ., М., 1964.

თ. უთურგაიძე.

ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲐ (< ბერძნ. grámmata – ასოები, lógos – მოძღვრება), დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა, სემიოტიკური დისციპლინა, რ-იც შეისწავლის განსხვავებულ წერით სისტემებში გამოყენებულ ნიშან-სიმბოლოთა პარადიგმატულ (იხ. *პარადიგმატიკა*) და სინტაგმატურ (იხ. *სინტაგმატიკა*) მიმართებებს.

იხ. *პალეოგრაფია.*

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.

ლ. ენუქიძე.

ᲒᲠᲐᲤᲔᲛᲐ (< ბერძნ. graphö – ვწერ), ენის დამწერლობითი სისტემის მინიმალური ნიშნური ერთეული, რ-ის რეფერენტი (დამწერლობის ხასიათის მიხედვით) შეიძლება იყოს *სიტყვა* ან *მორფემა* (იდეოგრაფიულ დამწერლობაში), *მარცვალი* (სილაბურ დამწერლობაში) ან *ფონემა* (ანბანურ დამწერლობაში). ხშირად ტერმინი გ. გამოყენებულია როგორც ასოს სინონიმი და, შესაბამისად, გრაფემული ანალიზი გულისხმობს ასო-ნიშანთა გრაფიკულ ანალიზს.

ლიტ.: ნ ხ ე ნ კ ე ლ ი თ., ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა. – «საბჭოთა ხელოვნება», 1977, №8; პ ა ტ ა რ ი ძ ე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989; А м и р о в а Т.А., К истории и теории графемики, М., 1977. *ლ. ენუქიძე.*

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ (ბერძნ. graphikë < graphö – ვწერ, ეხაზავ, ეხატავ), 1. (ფონემურ დამწერლობაში) *გრაფემისა* და *ფონემის* შესაბამისობა. ამ თვალსაზრისით საკმაოდ სრულყოფილია ქართ. გ., რ-შიც თითოეული ფონემა გამოხატულია ცალკე გრაფემით და, პირიქით, თითოეული გრაფემა შეესაბამება ერთ ფონემას (იხ. *ასო*); 2. მოცემული დამწერლობის ყველა საშუალების – გრაფემების, სასვენი ნიშნების, სატრანსკრიფციო ნიშნების (იხ. *ტრანსკრიფცია*) და მისთ. ერთობლიობა და ამ საშუალებათა მოხაზულობა, აგრეთვე სიტყვათა შორის ინტერვალები, აბზაცი, სიტყვათა შემოკლების ხერხები (*აბრევიატურა, ქარაგმა*), ტექსტში რომელიმე ადგილის გამოყოფის მიზნით მისი გახაზვა, ზოგჯერ ამავე მიზნით ნაბეჭდ ტექსტში განსხვავებული შრიფტის (დახრილი, პეტიტი...) გამოყენება და ა. შ.

თანამედროვე ქართ. დამწერლობაში განსხვავებულია ხელნაწერი და ნაბეჭდი გ. ეს უკანასკნელი ემყარება ქართ. მხედრულ დამწერლობას.

ლიტ.: Г о р д е з и а н и Б., Грузинская графика, Тб., 1963; В а х е к Й., К вопросу письменного языка, пер. с нем. – *კრ.*: «Пражский лингвистический кружок», М., 1967; М а к а р о в а Р. В., Понятие графики и графемы. – *კრ.*: «Система и уровни языка», М., 1969.

ლ. ენუქიძე.

ᲒᲠᲐᲤᲘᲢᲝ (იტალ. graffito – ამოკაწრული), წვეტიანი მჭრელი იარაღით კედლის შელესილობაზე ამოკაწრული წარწერა ან გრაფიკული ნახატი. ქართულად ასეთი წარწერების აღსანიშნავად დამკვიდრდა ტერმ. ნაკაწრი წარწერა. მათ ახასიათებთ მრავალი თავისებურება, რის გამოც ისინი სხვა ეპიგრაფიკული ძეგლებისაგან გამოიყოფა და ცალკე შეისწავლება. მათი თავისებურებანი განპირობებულია საწერი მასალითა და იარაღით. ისინი შესრულებულია სახელდახელოდ მომლოცველის მიერ ან რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებით. ნაკაწრი წარწერების სახელდახელო ხასიათი განაპირობებს მათ კიდევ ერთ პალეოგრაფიულ თავისებურებას – ისინი შესრულებულია ე. წ. „გაკრული ხელით" და, როგორც წესი, ავტოგრაფულია. სხვა სახის (ლაპიდარული, ფრესკული, ჭედური) ეპიგრაფიკული ძეგლების მსგავსად, გ-ც მნიშვნელოვანია პალეოგრაფიულად, დამწერლობის განვითარების შესასწავლად, და შინაარსობრივად.

ანტ. ხანის, ასევე ბერძნ. და ლათ. გ-ების მეცნ. შესწავლა დაიწყო XIX ს-ში ანტ. ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლასთან ერთად. შემუშავებულია ასეთი სახის წარწერების გამოცემის პრინციპები, რ-ებიც შეიძლება გავრცელდეს სხვაენოვან და, მათ შორის, ქართ. გ-ებზედაც, თუმცა შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გამონაკლისიც იქნეს დაშვებული.

ნაკაწრი წარწერები დიდი რაოდენობითაა ქართ. ეპიგრაფიკაში. საქართვ. თითქმის ყველა ეკლესიას, რ-საც ძველი, თავდაპირველი შელესილობა რამდენადმე შერჩენია, ერთი-ორი გ. მაინც მოეპოვება, ხოლო ზოგიერთს – რამდენიმე ათეულიც. მათი უმეტესობა შედგენილია ტრაფარეტული ფორმულის მიხედვით: „ქრისტე (ან წმიდაო გიორგი, წმიდაო ღმრთისმშობელო და სხვ.) შეიწყალე" ესა და ეს. ამავე დროს, ქართ. ნაკაწრი წარწერები შინაარსობრივადაც მრავალფეროვანია: ეპიგრაფიკული საბუთები, მოსახსენიებლები, სასულიერო, ყოფითი ხასიათის ტექსტები; ასევე – *ანბანები*, ანუ *აბეცედარიუმები* და სხვ. ქართ. გ-ები შესრულებულია ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობით, მათი დიდი ნაწილი *გარდამავალი მხედრულითაც* არის შესრულებული და მნიშვნელოვანი წყაროა დამწერლობის ამ სახეობის შესასწავლად. გ-ები, ისევე როგორც სხვა სახის ეპიგრაფიკული ძეგლები, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ქართ. ონომასტიკის, ტოპონიმიკის, პოლიტ., ეკონ., რელიგ. და ეთნ. ისტორიის შესასწავლად.

უძველესი ქართ. გ-ები V–VI სს-ით თარიღდება (*ბოლნისის სიონი*), ხოლო მათი გავრცელების ზედა ქრონოლ. ზღვარი XIX ს-მდე აღწევს. X–XIII სს. გ-ები დიდი რაოდენობით მოიპოვება გარეჯის მონასტრებში – ლავრაში, უდაბნოში, ბერთუბანში და სხვ. ისინი ამოკაწრულია აგრეთვე ძველი შუამთის (VII ს. ჯვრის ტიპის ეკლესია), ჭყონდიდის, ნიქოზის, რკონის, თიანეთის სიონისა და სხვ. ტაძრების შელესილობაზე. დიდი რაოდენობით გამოვლინდა X–XVIII სს. გ-ები სვანეთის ეკლესიებში – 30-ზე მეტ ეკლესიაში 320-ზე მეტი გ-ა მოკვლეული, შესწავლილი და გამოცემული. მათ დახვეწილი გრაფიკა და შინაარსობრივი მრავალფეროვნება ახასიათებთ. გ-ების სიმრავლე ცხადყოფს წერა-კითხვის ფართო გავრცელებას შუა საუკუნეების საქართველოს ამ მთიან, ცენტრ. რაიონებს ბუნებრივი ზღუდეებით მოშორებულ მხარეში. სვანეთის გ-ებს შორის შინაარსობრივად მნიშვნელოვანია ნაკაწრი ეპიგრაფიკული საბუთები – *ჰელი* და *დაწერილი.*

ზოგი მათგანი ასეთია: „ქ. ესე ჴელი მე, მიქაელ გორელდიანმან დავწერე. დიდება წმიდასა გიორგის, მეფოვეელთა პარვა დაადგეს" (XI ს., ნიკიფარი, წმ. გიორგის ეკლესია): „ქ. სამოცდასამი აჟურა, შეიდი დრახ[კანი, ხუ]თისა დრაკხისა წონით სხვაი შეყრილი ეეცხლი, ხუთი ბექედი – ესე გიორგის ხუცესსა, ხაფთანანსა მიუთვალა სოფელმან" [XI ს., ნვაბიანი (მუჟალი), მთავარანგელოზთა ეკლესია]: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, ესე ჴელი ჩუენ, კალუელთა დავწერეთ, დიდთა და მცირეთა, რომელ ამას ჴეობასა შიგან ვართ, ადიდენ ღმერთმან, ავალიანი და ხე(იბლი)ანი შიგან გვრთავს. ვინ ზროხა იპაროს – ჴევისუფალს წესინერად აზღვიოს, ჩუენთუს ზროხა ზღოს, მესამედი – ჭირისუფლის იყოს: თუ დაჭილ (სვან. თხა) იპაროს – ორი იყოს ჩუენთუს: ვის ხვარბალი შევაპყრათ – შეუკრებთ თითო, შესვენი (ვეცხლით დაუწვათ" (XI ს. 1096-მდე: იფარი, მთავარანგელოზთა ეკლესია).

წარწერა-ბ-ებთან ერთად ეკლესიების კედლებზე დიდი რაოდენობით არის ნახატი ბ-ები (ხელი, ფრინველი, ცხოველები, ქვეწარმავლები, მაგიური ნიშნები და სხვ.). წარწერები ზოგჯერ ამ ნახატ-ბ-ებს ახლავს, ზოგჯერ – ცალკეა შესრულებული. ცალკეულ შემთხვევებში ნახატი ბ-ები ადრეული წარწერების ზემოდანაა ამოკაწრული და ტექსტები იმდენად დაზიანებულია, რომ ისინი ან საერთოდ არ იკითხება, ან იკითხება ნაწყვეტებად. ქვედა ტექსტი შეიძლება ზოგჯერ მათ „დამზიანებელ" ნახატ ბ-ებზე გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს. მაგ., გარეჯის მრავალწყაროს ღმრთაების ეკლესიის ნახატ ბ-ებს – აქლემების, აქლემოსანი მხედრების, ისრის პირების, ცხოველებისა და სხვ. გამოსახულებებით, დაუზიანებიათ მათ ქვემოთ ამოკაწრული XI ს. მეტად მნიშვნელოვანი ერცელი ტექსტი, შესრულებული გარდამავალი მხედრულით, რ-შიც მოთხრობილი ყოფილა ღმრთაების ხატის ტაძარში დასვენების შესახებ.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., „გარეჯის მრავალმთის" სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა: ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული. – «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II. ეპიგრაფიკული ძეგლები, გამოსცა ვ. სილოგავამ, თბ., 1988; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948.

ვ. სილოგავა.

გრემის ტრილინგვა, სამენოვანი (სომხურ-ქართულ-სპარსული) წარწერა გრემის ერთ-ერთი უბნის – „თარსა გალავნის" ეკლესიის დას. შესასვლელის ტიმპანის ქვაზე. სამივე წარწერა რელიეფურია. სომხ. ტექსტი შესრულებულია ასომთავრულით, „ერკათაგირით" (10 სტრიქონი), ქართული – მხედრულით (13 სტრიქონი), სპარსული – ნასთალიკით (9 სტრიქონი). ტექსტების ძირითად ნაწილში ერთი და იგივე მოთხრობაა, მაგრამ არის განსხვავებებიც. ტრილინგვის ქართ. ნაწილის ტექსტი ასეთია:

„მე, ფრიად ცოდვილმან მათარსი, აღვაშენე კარის ეკლესია ესე ყოვლად წმიდისა, ბრძანებითა და შეწევნითა ძისა მისისა; და ჟამსა შინა მეფობასა მისისა – პატრონის ალექსანდრესითა, წელსა მეოცდასამესა, ქრონიკონსა სპა. და შევწირეთ კნინი შესაწირავი ესე: სამი ქუამლი კაცი, ერთი წისქვილი, ერთი ვენაჴი და ორი ქულბაქი – საჴსრად სულისა ჩემისა. რამაცა ადამის მონათესავემან ამა ეკლესიაზედა მჯდომმს კაცზედა ნასად ჴელი დადვას, ან ეს არ გაუთავოს, ღმერთმან მას ნურა გაუთაოს რა. ამინ კირიალეისონ".

ქრონიკონით თარიღი შეესაბამება 1593-ს, ხოლო წარწერაში მოხსენიებული კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574– 1605) მეფობის 23-ე წელი – 1597-ს. წარწერის სომხ. და სპარს. ნაწილში დასმულია ერთი და იგივე თარიღი – 1595. ეკლესიის ამშენებლისა და მისთვის შეწირულების გამცემის სახელი ქართ. და სპარს. ტექსტში მათარსია, ხოლო სომხ. ნაწილში – მკრტიჩი, ძე ზაქარიასი, შვილიშვილი ქრისტოფორესი. სპარს. ნაწილში აღნიშნულია მათარსის მეუღლის სახელიც – სანდუხტ სოლთან (ეს უკანასკნელი სიტყვა ახლავს ხოლმე ქალის ზოგიერთ სპარსულ სახელს – ა. შანიძე, ე. ფუთურიძე). იგი ეკლესიის აშენების და წარწერის შესრულების დროს გარდაცვლილი ყოფილა. სახელი მათარსი არის დამახინჯებული ფორმა იერუსალიმში ნამყოფი პირის (მლოცველის, პილიგრიმის) აღმნიშვნელი ზედწოდებისა „მათესი" (ლ. მელიქსეთ-ბეგი). ასევე, მის სახელს უკავშირებენ ნაქალაქარ გრემის ერთ-ერთი უბნის სახელს – „თარსა გალავანი", სადაც მათარსის აშენებული ეკლესია დგას „[მა]თარსის გალავანი".

ბ. ტ-ში მოხსენიებული მათარსი ყოფილა კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის კარის მდივანიც. 1577 მას დაუწერია ალექსანდრე მეფის მიერ ჯორჯაძეებისათვის ბოძებული წყალობის წიგნი. მასვე მიიჩნევენ უფლისციხის 1585 ერთი სომხ. წარწერის ავტორად, რ-შიც იგი იხსენიება მკრტიჩ მათერის სახელით (ლ. მელიქსეთ-ბეგი).

ბ. ტ-ის სპარს. ნაწილის „პირველი ორი სტრიქონი წარმოადგენს ჰაზაჯე მაყსურის ზომით დაწერილს ლექსს, რობაიას" (ა. შანიძე, ე. ფუთურიძე).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ფ უ თ უ რ ი ძ ე ე., სამენოვანი წარწერა გრემში. – «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975; М е л и к с е т - Б е к Л. М., К толкованию имени „Матарси" Гремской (Грузия) трилингвы конца XVI в. – «Эпиграфика Востока», XVII, М.–Л., 1960.

ვ. სილოგავა.



გრემის ტრილინგვა.

ბრძლივობა, სამეტყველო ბგერებისათვის დამახასიათებელი მეტნაკლები ხანგრძლივობა. ზოგიერთ ენაში ბგერათგრძლივობა ფონოლოგიური ღირებულებისაა – ერთმანეთს უპირისპირდება გრძელი და მოკლე ხმოვანი, გემინირებული და ცალი თანხმოვანი.

ბგერათგრძლივობა (*ტონსა* და *ინტენსივობასთან* ერთად) სი-

ტყვათმახვილის გამოვლინებაა. მახვილიანი ხმოვნის ბ. აღემატება უმახვილოსას (იხ. *მახვილი*). ხმოვანთგრძლივობა ღირებულია აგრეთვე სინტაგმის მახვილებში, კერძოდ, სინტაგმის ლოგიკურ მახვილში, როდესაც წინადადების ბოლო სინტაგმა საგანგებოდ არის გამოყოფილი (იხ. *მელოდიკა*).

ლიტ.: ახ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 (1999). *ი. თევდორაძე.*

ბუდაშა ტოგო ესტატეს ძე [23. IX. 1922, ახალი სენაკი (ახლანდ. სენაკი), – 23. XI. 1976, თბილისი], ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა სპეციალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1945). სამეცნ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტში, პედაგოგიურს – თსუ-ში.

ბ-ს ძირითადი შრომები ეძღვნება დაღესტნურ ენათა როგორც აღწერით, ისე ისტ.-შედარებით შესწავლას. მან პირველმა შეისწავლა მეცნიერულად დაღესტნის რამდენიმე უმწერლობო ენა; გამოსცა მათი პირველი გრამატიკები – „ბოთლიხური ენა“ (თბ., 1963), „ბაგვალური ენა“ (თბ., 1971), ღოდობერიული და ტინდიური ენების მოკლე გრამატ. მიმოხილვანი კი 1967 დაბეჭდა მოსკოვში. მას ეკუთვნის აგრეთვე განმაზოგადებელი ხასიათის შრომები: „სმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ხუნძურსა და ანდიურ ენებში“ (მაჭახყალა, 1959), „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“ (თბ., 1964), „დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (თბ., 1979). ბ-მ დაღესტანში გამოაელინა და გამოსცა ქართ. მატურ. კულტურის რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი (1954). მანვე სტატიაში „ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ“ (1954) გამოაელინა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა საერთო ლექსიკის ზოგი ნიმუში. ბ-ს გამოკვლევა „ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ტ ლატერალის გენეზისისა და ქართველურ ენებში მისი შესატყვისის შესახებ“ (1954) იბერიულ-კავკ. ენაში ჯგუფთაშორისი კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის ძიების ერთ-ერთი საყურადღებო ცდაა.

ბ-ს ქართველოლოგიური შრომებიდან ცნობილია „ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულხმოვნობის ახსნის ცდა“, „ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ ენაში“, „რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში“, „მახვილის აღგილისათვის მეგრულში“, „ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში“, „-უან დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუსატივებში“ და სხვ.

ბ. იკვლევდა ქართველური შედარებითი ლექსთწყობის საკითხებს, კერძოდ, ქართ.-მეგრულისას. მის გამოკვლევებში – „ქართული სალექსო სტრიქონის აგებულების ზოგიერთი საკითხი“, „მახვილის საკითხი ქართული ლექსის სტრუქტურაში“, „მეგრული ლექსის სტრუქტურის საკითხები“ – წარმოჩნდა მეტრიკული პოეტიკისა და ენათმეცნ. კანონზომიერებათა მჭიდრო ურთიერთკავშირი.

თხზ. (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, I. პოეზია, თბ., 1975.

ლიტ.: ტოგო გუდაჟა. – «მაცნე» (ენისა და ლიტერატურის სერია), 1977, №1; Fähnrich H., Ad memoriam Togo Gudawa. – «Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung», Bd. 30, H. 4, Berlin, 1977; Boeder W., Gudawa T. E. – «Bedi Kartlisa. Revue de kartvélologie», vol. XXXVII, Paris, 1979.

გ. ბურჭულაძე.

ბურული, ქართული ენის დიალექტი, დასაელეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – გურიის მოსახლეობის მეტყველება. ბ. იყოფა ორ კილოკაედ: ზემოგურულად (ჩოხატაურისა და ოზურგეთის რ-ნის მთიანი ნაწილის მოსახლ. მეტყველება) და ქვემოგურულად (ლანჩხუთისა და ოზურგეთის რ-ნების მოსახლ. მეტყველება). კილოკაედში შემაელი თქმები, თაედის მხრივ, იყოფა განსხვაედებულ ქცევებად. მაგ. ჩოხატაურის თქმაში განირჩევა ზემო სურების, შუა სურებისა და დიდვანის ქცევები.

ბ-ის ფორმირებაცა და მისი ენობრივი თაედისებურებებიც ისტ.-გეოგრ. ფაქტორებმა განაპირობა. სპეციალისტები (ნ. მარი, ი. ჯაედა, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობაედა და სხვ.) ეარაუდობენ, რომ ჩვ. წ. პირველ საუკუნეებში ქართულად მოლაპარაკე ერთ-ერთი ტომი სამხრ.-აღმ-იდან შავი ზღვის სანაპიროსაკენ დაძრულა და ზანებით დასახლებულ ტერიტორიაზე დამკვიდრებულა. სწორედ ზანურ სამყაროსთან ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტის შედეგია ზანიზმების სიუხვე ბ-ში. ხმოვანთა რედუქციის სისუსტე სახელების ბრუნებისას როგორც თანხმოვანფუძიან (წყალის, მსხალით...), ისე ხმოვანფუძიან (ჯაის, რძეით ...) სახელებში; ობიექტის მრაელობითის გამოხატეა III სუბიექტ. პირის -ენ სუფიქსით (შეგჭებიენ, გაქვენ, მოყავენ ...), მოთხრობითბრუნვიანი ქვემდებარე გარდაუვალ ზმნებთან (კაცმა მოკტა, კაცმა დიცა...) და სხვ. ფონეტ. და გრამატ. მოვლენები. განსაკუთრებით შესამჩნევია ზანიზმები ლექსიკაში (აკალიფუება, დამაგინება, ორჩხუში, ოჭვათო, ჯარგვალი, ჯუმადია ...), ტოპონიმიაში (ორხამური, ჭვათირი, ჯუმათი ...). გურულ ტოპონიმიასა და ანთროპონომიაში წარმოჩნდება იმ რიგის ფორმებიც, რ-ებსაც ანალოგიები ეძებნება აფხ.-ადიღ. ენებთან: სუფსა, აჭყეა, მალთაყეა, ინგოროყეა, ჭანუყვაძე, თალაკვაძე, ბოლქვაძე ... (ს. ჯანაშია, გ. როგავა).



ტ. გუდაძა.

ამაედ დროს, იმის გამო, რომ ბ. დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ზანურ გარემოცვაში, მას შემოუნახავს არაერთი არქაული სიტყვა და ენობრივი მოელენა: მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი უძეელესი მარტივი ფუძით იხმარება (ცეხს, ხეეტს); -ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნების ენებითი გვარიც ხშირად არქაული წესითაა ნაწარმოები (იმალვის, იკარქვის): ბ-ის ზოგ თქმაში III სუბიექტ. პირის მრაელობითობა გარდაუვალ ზმნებთან -ეს სუფიქსითაც გამოიხატება (მიეგებეს, ადგეს იგენმა); გეხვდება ადამიანის საკუთარ სახელთა გაუფორმებელი წარმოება სახ. და მოთხრ. ბრუნვაში (სამსონ მობძანდა, დაეით გამეიარა) და სხვ. მრავალი არქაული სიტყვა შემორჩენილია ლექსიკაში (ზარმელი, კოში, მერე, ჭვავი, უსხი ...). შემონახული არქაული ფორმები ბ-ს ძვ. ქართ. სალიტ. ენასთან აახლოებს, განსაკუთრებით კი – იმ ლიტ. სკოლების ენასთან, რ-ებიც

ქართ. ენის სამხრ.-დასავლურ კილოებთან, ე.ი. ისტ. ქვემო ქართლის მეტყველებასთან (შავშურ-კლარჯულთან) იყო დაკავშირებული (ქართული დიალექტოლოგია, 1, 1961).

ბ-ის მრავალფეროვნების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე მისი მეზობლობა, ერთი მხრივ, იმერულთან და, მეორე მხრივ, აჭარულთან, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ამ კუთხეთა მოსახლეობის მეტყველებაზე. აჭარულთან ბ-ს აერთიანებს მთელი რიგი ენობრ. მოვლენები: შაეგრიმანი, ლაპარიკი (ხმოვანთა შენაცვლება); ხაბუთი, ამ შიშორე (ასიმილაცია); კალონი, ანბავი (დისიმილაცია); დაქფია, ძვილაე (მეტათეზისი); კობზი, იბარცხნის (სუბსტიტუცია); გეერხი, ბეძე=ბედზე (აფრიკატიზაცია); საცოდეავი, ურცხო, გემბრიელი (ბგერათაგანგითარება); ფთა, ჩთილი, (ბგერათდაკარგვა); ხიბაკიანა, მაშინდულა (ვით. ბრუნვაში მხოლოდ -ა გვხვდება); ბახჩასან, ქვასან (-თან თანდებულის ნაცვლად -ან): მიასტრა, იცნა (მესამე სუბიექტური პირის ნიშნად წყვეტილში -ა); ღეიძადა, ძინავდა (უწყვეტელში აწმყოს ფუძეა გამოყენებული); შვიდი ძმანები, ფრინველები გაქცეულა (რიცხვში შეუთანხმებლობა); საერთოა ლექსიკის დიდი მარაგი (დელი, ეტოშება, კატარი, კვენდღი, და სხვ.). საკმაოდ ბევრი ერთნაირი ფონეტ. და გრამატ. მოვლენა დასტურდება გურიისა და იმერეთის ურთიერთმოსაზღვრე სოფლების მეტყველებაშიც: ქ'არ < ქე არ, ქი არ; ქ'ვერ < კი ვერ (ხმოვანთა ელიზია); კჭირს, კკავს (ასიმილაციური დაყრუება); მინუნი, გვერძე, ღმერც (აფრიკატიზაცია); ეორი, საშინაო (ბგერის ჩართვა); კიეა, ჩხივა (-ი მაერცობიან ზმნებთან მესამე პირის -ა სუფიქსის ხმარება); ჟრილარიენ, ხილარიენ (მდგომარეობის გამომხატველ ზმნებთან აწმყოში მესამე სუბიექტური პირის სიმრავლის გამოხატვა მეშვიდე ზმნით); იმგუნმა იმღერენ (მოთხრობითში დასმული სახელის მრავლობითობის გამოხატვა -ენ სუფიქსით, ძირითადად ქვემოიმერულ'ში); გაქვენ, გეყურებოდენ (მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის გამოხატვა -ენ ფორმანტით); ისობს [ისოფს, ღრიალოფს, ამტროვს (თემის ნიშანთა შენაცვლება); დგანა, ჟდანა ფუძე გართულებულია -ან სუფიქსით, უპირატესად ქვემოიმერულში); აჭუმს, ართუმს (-ევ სუფიქსიან კაუსატივებში ფუძის გახმოვანების ცვლა); ორი ბიჭები (რიცხვით სახელთან საზღვრული მრავლობითშია წარმოდგენილი); ბიჭებმა იწხუბა, მაგენი ამბობდა (ქვემდებარე-შემასმენელს შორის რიცხვში შეუთანხმებლობა) და სხვ. საერთოა მრავალი ლექსიკური ერთეული (გაგანია, თანაქა, ლორთქო, ტარაბუა, ჯანთარი და ა. შ.).

თვალსაჩინოა ბ-ის სიახლოვე იმერხეულ კილოსთანაც. ამიტომ იმ დიალექტურ არეალში, რ-საც ბ. და აჭარული ქმნიან, შეიძლება შევიდეს იმერხეულიც (კლარჯული). იმერხეულისა და ბ-ის ურთიერთმსგავსება დასტურდება როგორც ფონეტ.-გრამატ. მოვლენებით, ისე ლექსიკითაც. შდრ. იმერხეულ-გურული: მეითავა, დეიჭირა (ნაწილობრივი ასიმილაცია); გუუხსნა, დუუბა (სრული ასიმილაცია); შეეძლო, შეიხვეწა (დისიმილაცია); მუა, გოგუები (ოა > უა, ოე > უე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე); ვინცხა, რაცხა (თანხმოვანთა ასიმილაცია); სუნთელი (თანხმოვანთა დისიმილაცია); ცკოლვება (კონტამინაცია); ოდასან, ხესან (-თან თანდებულისეული -თ იკარგება); იცნა (მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხ. რიცხვში წყვეტილში გამოიყენება -ა); მუაგონდენ = მოაგონდათ (რეალური სუბიექტის მრავლობითობის აღნიშვნა -ენ ფორმანტით ინვერსიულ ზმნებში); დაწვა კაცმა (გარდაუვალ ზმნებთან II სერიაში სუბიექტი მოთხრ. ბრუნვაშია); ლექსიკა: ალიკაპი, არტაშანი, ბელყაიში, გეარდა, ხორი, ქარაფსი და ა. შ.

ბ-ში გამოიყოფა ძე. მესხურის ფენა: ე ხმოვნის იოტისებული შემართვა (დერთი); ორმაგი წარმოება მრავლობითობისა (ძმანები); რეგრესული ასიმილაცია როგორც ხმოვნებში (მუუტანა), ასევე თანხმოვნებში (აშჯერ=ასჯერ); ქვემდებარისა და შემასმენლის შეუთანხმებლობა რიცხვში (თქვენ ბძანდები, თქვენ უთხარი); -ათ-იო ნაწარმოები ტოპონიმები (ჩოჩხათი, მამათი) და სხვ. ბეერი საერთოა ლექსიკაში: განაწერა, ზენგილი, თავმოდგმული, ნაშალი, ოტური, უგლაგარი, ფხუჭი, ჭიბოშანი, ჭლიკი და სხვ.

ბ-ში არაერთი სიტყვაა შესული თურქულიდან (ბაღდუმი, ეგირი, რახათი, სერესკელი, სილაღი, უზანდარა, ოდა და ა. შ.). მათგან ზოგი უცვლელად დამკვიდრდა, ზოგი ფონეტიკურადაა სახეცვლილი.

კილოკაური სხვაობა შეიძლება იყოს ფონეტ. ან მორფოლ. ხასიათისა (შდრ. ქვემოგურული: გიეძრო, ბაღანაი, ბაღანაის – ზემოგურული: გეეძრო ... ბაღანე, ბაღანეს); შეიძლება განსხვავდებოდეს ინტონაცია, ტონი, რიტმი, მახვილი. ინტონაცია განსხვავებულია არა მარტო კილოკავთა, არამედ თქმებს შორისაც [მაგ., ზემოსურებელთა მეტყველებასთან შედარებით შუასურებელთა მეტყველება განსაკუთრებული ხანგრძლივობით ხასიათდება (ს. ჟღენტი)], მაგრამ კილოკაური სხვაობა ძირითადად მაინც ლექსიკას ემხრევა. ერთ კილოკავში დადასტურებული ფორმა ან საერთოდ არ იხმარება მეორე კილოკავში, ან იხმარება ნაკლები სიხშირით. ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა განსხვავებული მნიშვნელობისაა (მაგ., ოფიო – ქვემოგურულში წისქვილის ჩიბო, ზემოგურულში ბლის ხის ქერქისაგან გაკეთებული ამოსაფარებელი ქეევრის სახურავისათვის).

განსაკუთრებით საინტერესოა საკუთრივ ბ-ში ნაწარმოები ფორმები: ამორანქვა – „წყლის ამოსხმა, ამოქაჩვა“; გადამაგინება – „ფესვის გადაწევნა“, ელანძე – „სწრაფად“ (ერთ ლანდზე) და მისთ.

ბ-ის დიალექტური ფორმებიდან ზოგი ქართ. ენის სხვა კილოებშიც დასტურდება, მაგრამ ერთი მოლიანი სისტემა, რ-საც ეს ფორმები ქმნიან, მხოლოდ ბ-თვისაა დამახასიათებელი.

ლიტ.: ჟ ღ ე ნ ტ ი ს., გურული კილო. გამოკვლევა. ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936; მ ი ს ი ე ე, ზანიზმები გურულ ზმნებში. – «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ე., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ხ., ზანიზმები გურულში. – «გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1965, ტ. 10; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბ., 1989.

ე. ნიკოლაი შვილი.



დ, ქართული ანბანის მეოთხე ასო, მისი სახელია „დონი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი მჟღერი ხშული ფონემისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴓ. მისი მოხაზულობა წრისა და ხაზის კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ადრეულ ძეგლებში იგი ქვლის გარეშე გეხვდება. ნუსხური Ⴓ მარჯვნივაა გადახრილი და ზედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრული დ-ს საყრდენი ფეხი აქვს და ოთხხაზოვანი სისტემის ქვედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ოთხს (4), ახ. ქართულში ჩამოთვლისას (ანბანის რიგის მიხედვით) აღნიშნავს მეოთხეს. ციფრობრივი ნუმერაციის დროს გამოიყენება ერთი და იმავე ნომრით აღნიშნული რამდენიმე საგნის, პუნქტის... განსასხვაებლად: მეხუთე პუნქტის დ მუხლი.

დადიანი ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე (დაახლ. 1780–1834), ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. ავტორი ქართ. ენის ხელნაწერი გრამატიკისა, რ-იც დაცულია კ.კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში (A – 1019). დ. საქართველოში ცნობილია როგორც პრორუსული ორიენტაციის საზ. მოღვაწე. XIX ს. დასაწყისიდან აქტიურად იყო ჩაბმული საქართვ. (განსაკუთრებით სამეგრელო-აფხაზეთის) პოლიტ. ცხოვრებაში: 1804-იდან იყო სამეგრელოს უმაღლესი საგამგეო საბჭოს წევრი; 1805 მეთაურობდა სამეგრელოს რუსეთთან შეერთების საკითხზე რუსეთს წარგზავნილ დელეგაციას. იბრძოდა აფხაზეთში რუს. ორიენტაციის მქონე მთავრის საფარ-ბეგის დასამკვიდრებლად; 1810–23 იყო ლეჩხუმის სარდალ-მოურავი; მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1806–12 და 1828–29 ომებში; რუს. მთავრობას ეხმარებოდა იმერეთის 1810 და 1819–20 აჯანყებების ჩაქრობაში. დაჯილდოებული იყო იმპერატორ ანას პირველი ხარისხის ორდენით; ებოძა გენერალ-მაიორის წოდება. დაკრძალულია მარტვილში.

დ. ავტორია საქართვ. ისტორიის სახელმძღვანელოსი „ქართველთ ცხოვრება“ (1823–24).მასვე ეკუთვნის სამეგრელოს სამთავროს მართვა-გამგეობის განწესება – „დასტურლამა“, 1824–34 რუსეთში ცხოვრების ამსახველი დღიური „მიმოსვლა ნიკოლაჲ დადიანოვისა“ (ჩვენამდე არ მოუღწევია) და რამდენიმე ლექსი. „ქართველთ ცხოვრება“ სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი ორი არის ქართლის ცხოვრების რედაქციების შემოკლებული რედაქცია, მესამე – 1749–1823 დას. საქართველოს ამბები – ორიგინალურია.

1818 დ-ს დაუწერია გრამატიკა და, როგორც ხელნაწერზე მინაწერები მოწმობს, მიუძღვნია ანტონ II-ისათვის, რ-საც იგი ბიძად ერგებოდა და რ-მაც მისი ხელმძღვანელობით დაიწყო გრამატიკის შესწავლა 1818-იდან. ჩვენამდე მოღწეული ცალი დ-ის აეტოგრაფი არ არის. იგი 1821 მინაწერებიანად გადაუწერია ვინმე გრიგორი ბერს. წიგნის პირველ გვერდზე რუსული მინაწერია, რ-იც გადმწერს არ ეკუთვნის. იგი გვამცნობს, რომ წიგნი 1832 გრიგოლ დადიანის საკუთრება ყოფილა. გრამატიკა კონსპექტური ხასიათისაა. დასაწყისში მოცემულია გრამატიკის ტრადიც. განმარტება: „ღრამმატიკა არის შემძლებლობა მართლუბნობად და წესიერწერად. უმთავრესნი ნაწილნი ღრამმატიკისანი არიან ოთხნი, ესე იგი: წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყუა...“ შემდეგ მსჯელობაა მეტჯველების ნაწილებზე, სახელის მდევარზე, რიცხვზე. მეტყველების ნაწილებიდან წარმოდგენილია არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმდეობა, ზმნიზედა, კაეშირი, შორისდებული. ცალკე ნაწილად არის გამოყოფილი სინტაქსი.



დავით ბატონიშვილი.

დ-ის გრამატიკას აშკარად ეტყობა *გაიოზ რექტორისა* და ი. *ქართველიშვილის* გრამატიკათა გავლენის კვალი. *გ. ცოცანიძე.*

დავით ბატონიშვილი (ბაგრატიონი) [1. VII. 1767, თბილისი, – 13 (25). V. 1819, პეტერბურგი], გიორგი XII-ის უფროსი ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი (1800–01), მწერალი, მეცნიერი, გენ.-ლეიტენანტი (1800). აღიზარდა თავისი პაპის – ერეკლე II-ის კარზე. 1787–89 და 1797–

98 სწავლობდა და მსახურობდა რუსეთში. 1803, ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, პეტერბურგში გადაასახლეს. აქ გაიშალა მისი მეცნ. და ლიტ. მოღვაწეობა. დ. ბ. ქართვ. ვოლტერიანელთა პირველი წარმომადგენელი იყო. მას ეკუთვნის მიმოწერის ფორმით დაწერილი ნაწარმოები „ახალი შიხი", რ-შიც აისახა ფრანგ განმანათლებელთა იდეები. ეწეოდა ლექსიკოგრაფიულ მუშაობას. ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონას" დაუმატა ცალკეული სიტყვები, შეავსო განმარტებები, მიუწერა სომხ., თურქ. და რუს. შესატყვისები.

საყურადღებოა დ. ბ-ის „მცირე გრამატიკა", რ-ის ექვსი ხელნაწერია ცნობილი. ამათგან ორი ინახება სანქტ-პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ფილიალში, ოთხი კი – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში. თბილისური ეგზემპლარებით გაირკვა დაწერის თარიღი – 1790 – და ადგილი – თბილისი. სხვადასხვა ხელნაწერი სხვადასხვა დროს არის გადაწერილი (1792, 1795, 1799). გრამატიკა მცირე მოცულობისაა – სულ 83 ფურცელი. აგებულია კითხვა-მიგების წესით – როგორც ჩანს, იგი სასკოლოდ იყო განკუთვნილი. შედგება 16 თავისაგან, რ-ებშიც განხილულია: ა – გრამატიკის არსი, გრამატიკის ნაწილები; ბ – არსებითი და ზედსართავი სახელები, მოცემულია ბრუნების სქემები; გ – ცალკეულ ბრუნვათა რაობა, დადგენილია ბრუნვის ნიშნები, წარმოდგენილია განუსაზღვრელ ნაცვალსახელთა ბრუნება; დ – ნაცვალსახელთა ჯგუფები; ე – ზმნა, მისი კატეგორიები; ვ – გამოტოვებულია; ზ – სახელზმნები; ჱ – ვით. ბრუნვაში დასმული საწყისი; თ – მიმღეობა; ი – თანდებულები; ია – ზმნიზედები; იბ – შორისდებული; იგ – კავშირები; იდ – წინადადების წევრთა ურთიერთობა; იე – წინადადების წევრები; ივ – წერა. დ. ბ-ის გრამატიკა, გაიოზ რექტორის გრამატიკასთან ერთად, ანტონ I-ის გრამატიკების შეკუმშულად გადმოცემის ცდაა. დ. ბ-ის გრამატიკის ტერმინები, თავების თანამიმდევრობა თუ შინაარსი ანტონ I-ის გავლენას განიცდის, მაგრამ დ. ბ-ის მთავარი დამსახურება ის არის, რომ მან მოახერხა გამიჯნოდა ანტონ I-ის გრამატიკათა წყობას და ამით ნაშრომი მეთოდურად უფრო გამართლებული გაეხადა.

ლიტ.: ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995. *ა. ფოცხიშვილი.*

დავითგარეჯა, ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი. მდებარეობს თბილისის სამხრ.-აღმ-ით 60–70 *კმ*-ზე, ისტ. კუთხეში, გარეჯის კლდოვან მთებში. დაარსებულია VI ს. I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის მიერ.

დ. კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ: ონოფრე გარეჯელი (XII ს.), რ-ის დავალებითაც დაწერილია დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია; დავით აღმაშენებლის ვაჟი – დემეტრე I; ონოფრე მაჭუტაძე (XVII–XVIII სს. მიჯნა), რ-მაც არა მარტო ხელი შეუწყო მწიგნობართა საქმიანობას, არამედ გარკვეული მიმართულებაც მისცა მას. მისი დაკვეთით 1639-ის მიწურულს შეიქმნა ჰაგიოგრაფიული კრებული (A – 160), რ-შიც შევიდა ნინოს ცხოვრება, სვეტიცხოვლის საკითხავი, დავითის, იოანესა და შიოს ცხოვრებანი და სხვ. XVII ს. მიწურულს დ-ში (იოანე ნათლისმცემლის მონასტერში) დამკვიდრდა ს.-ს. *ორბელიანი.* აქ მან დაწერა ქადაგებათა კრებული „სწავლანი" (A–479). XVII ს. მიწურულიდან 1724-მდე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობდა მწერალი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი; მას ეკუთვნის ქართველ წმინდანთა წამება-ცხოვრებანი – „ქართველთ წმიდათა მოთხრობა–ისტორია". ცნობილია მის მიერ დაწერილი რამდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულება, კათოლიკობის წინააღმდეგ მიმართული საპოლემიკო თხზულება „გრდემლი". იგი შესანიშნავი კალიგრაფიც ყოფილა. ამავე პერიოდში დ-ის მონასტერში მოღვაწეობდნენ და მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდნენ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIII ს.), იობ წინამძღვარი, გაბრიელ საგინაშვილი (XVIII ს.), იოსებ არაგვის ერისთავის შვილი, ექვთიმე (ზაზა) ბარათაშვილი, გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვ. დ-ში დაცული იყო ხელნაწერთა მდიდარი ფონდი.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), I, თბ., 1966; ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი გ., დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972; თ ო დ უ ა თ., გარეჯა (მონასტერთა ლოკალიზაციისათვის). – «ძეგლის მეგობარი», 1973, №31–33. *ლ. მენაბდე.*

დავითიანი აკაკი ალექსის ძე (26. VI. 1924, სოფ. ლახამულა, ახლანდ. მესტიის რ-ნი, – 15. III. 1980, თბილისი), ენათმეცნიერი, მეთოდისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1947). იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ენის ინ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი (1947–48), მასწავლებელი მესტიის რ-ნისა და თბილ. სკოლებში (1948–54), ბათუმის რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის უფრ. მასწავლებელი (1954–56), საქართვ. ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1955–60). 1960-იდან სამეცნ. და პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრაზე.

დ-ის გამოკვლევები ეხება ქართ. ენის სტრუქტურისა და სწავლების მეთოდიკის საკითხებს. იგი იყო სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. 1973 გამოიცა დ-ის „ქართული ენის სინტაქსი", რ-იც ძირითადი სახელმძღვანელოა (ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსთან" ერთად) ფილოლ. ფაკ-ტის სტუდე-

დავითგარეჯა. ლავრა.



ნტებისათვის. წიგნში საკითხები ახლებურად, ტრადიც. სინტაქსისაგან განსხვავებულად, არის გაშუქებული. წინადადება განხილულია სტრუქტურული თვალსაზრისით, როგორც იმ სტრუქტურულ ერთეულთა მთლიანობა, რ-ებიც ურთიერთ შორის გარკვეულ მიმართებებს ამყარებენ. მოცემულია, ერთი მხრივ, ამ მიმართებების ზოგად კანონზომიერებათა დადგენის ცდა, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული მაგალითების ანალიზით ნაჩვენებია მიმართებათა კვრძო სახეები.

თხზ.: ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1966; ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; პრაქტიკული ვარჯიშობა ქართულ ენაში, თბ., 1977.

ლ. კვანტალიანი.

დამატება, *წინადადების* წევრი, გაღმოიცემა არსებითი სახელით (ან ფუნქციით მასთან გათანაბრებული სხვა სიტყვით – ზედსართავით, ნაცვალსახელით...). აღნიშნავს ზმნასთან სხვადასხვაგვარი მიმართებით დაკავშირებულ ობიექტებს. ამ მიმართებათა მიხედვით დ-ში ორი ჯგუფია გარჩეული: პირმიმართი და პირმიუმართავი. პირმიმართი დ. ზმნის ობიექტ. პირის (იხ. *ობიექტი*) ფარდი სახელია. ის შეიძლება იყოს ორგვარი: *პირდაპირი დამატება* და *ირიბი დამატება*.

ინდოევ. ენათაგან განსხვავებით, ქართულში პირმიმართი დ. ისეთივე სრულფასოვანი მთავარი წევრია წინადადებისა, როგორიც ქვემდებარე. ზმნა-შემასმენელთან (კოორდინაციულ სტრუქტურაში) პირმიმართი დ. ამყარებს რთულ სინტაქსურ ურთიერთობას: მართავს შემასმენლის პირს, იმართვის შემასმენლისაგან ბრუნვაში და არაობლიგატორულად ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. პირმიუმართავი დ. კი ზმნა-შემასმენელთან ისეთსავე სინტაქსურ კავშირს ამყარებს, როგორსაც გარემოება (იხ. *უბრალო დამატება*).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. 2; სინტაქსი, თბ., 1948; თოფურია ე., ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები.– «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში» (ყურნ. „სკოლა და ცხოვრების" დამატება), 1967; ქისარია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; ქავჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

თ. ლეონაძე.

დამოკიდებული წინადადება, *რთული ქვეწყობილი წინადადების* შემადგენელი წინადადება, პრედიკატული ერთეული. მიემართება და ხსინის მთავარი წინადადების რომელიმე წევრს ან მთლიანად მთავარ წინადადებას; ამხსნელი წინადადება. მაგ.: 1. „მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა" (ლ. ასათ.); 2. „როცა ღათბება და ჩამოცხება, სიმღერის მინდა მე წამოწყება" (გ. ტაბ.). პირველ მაგალითში დ. წ., რ-იც საკავშირებელი სიტყვით (ვისაც) უერთდება მთავარ წინადადებას, მიემართება და ხსინის მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით (იგი) გადმოცემულ წევრს. მეორე მაგალითში „როცა" საკავშირებლიანი დამოკიდებული ხსინის მთლიანად მთავარ წინადადებას. დაქვემდებარებითი დამოკიდებულების გამოსაელენად ტრად. გრამატიკაში გამოყენებულია კითხვის დასმის ხერხი (თუ ეს შესაძლებელია). კითხვაში შედის მთავარი წინადადება და უპასუხებს დამოკიდებული („როდის მინდა მე სიმღერის წამოწყება?" – „როცა ღათბება და ჩამოცხება").

დ. წ. მთავარს უერთდება კავშირებით ან საკავშირებელი სიტყვებით (კავშირიანი შეერთება), ან უკავშიროდ (უკავშირო შეერთება) (იხ. *კავშირი*). დ. წ-ის შესაერთებლად მთავართან გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები. ეს უკანასკნელნი დ. წ-ში წევრის ფუნქციას ასრულებენ და ამიტომ მათ წევრკავშირებს ან საკავშირებელ სიტყვებს უწოდებენ. მაქვემდებარებელი კავშირი და საკავშირებელი სიტყვა დ. წ-ის სტრუქტურული ელემენტებია. დ. წ. თუ ადგილს შეიცვლის, კავშირიც თან მიჰყვება მას („რასაც მოსამართლე ვერ შეუნდობს, კაცმა უნდა შეუნდოს", შდრ.: „კაცმა უნდა შეუნდოს, რასაც მოსამართლე ვერ შეუნდობს", ა. ყაზბ.). მთავარ წინადადებაში ზოგჯერ არის ნაცვალსახელით ან ზმნისაროთი გადმოცემული წევრი, რ-საც დ. წ. უშუალოდ მიემართება და ასუსტებს მას *მისათითებელი სიტყვა* ჰქვია („როგორც მნათობი მსოფლიო ცაში, ისე ერთი ხარ პოეზიაში", გ. ტაბ.). მაქვემდებარებელი კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა დამოკიდებულში, მისათითებელი ან საკორელაციო სიტყვა (კორელატი) მთავარში ქვეწყობის სტრუქტურული ელემენტებია და ფორმალურად აღნიშნავენ დაქვემდებარებით დამოკიდებულებას („კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების", შოთა რუსთ.; „იქ თეთრ სამოთხე ჯოჯოხეთია, სად თეის შხამს ანთხევს მტრობა და შური", ი. ჭავჭ.). არის შემთხვევები, როცა მთავარი წინადადების ბოლოს მოქცეული მისათითებელი სიტყვა მომდევნო მაქვემდებარებელ კავშირს ან საკავშირებელ სიტყვას მიეკედლება ინტონაციურად. ამ გზით მიიღება რთული კავშირები: იმიტომ რომ, ასე რომ, ისე როგორც, მაშინ როდესაც... („გიორგი გვერდზედ დაეწვინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენა ჰქონდა", ი. ჭავჭ.). დ. წ. ფუნქციით სხვადასხვაგვარია. დ. წ-თა ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, მათი ფუნქცია გათანაბრებულია წინადადების წევრის ფუნქციასთან. გამოყოფილია იმდენი სახის დ. წ., რამდენი წინადადების წევრიცაა: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, შემასმენლური, გარემოებითი. ამათ ემატება რამდენიმე ისეთი დ. წ., რ-თა შესაბამისი წინადადების წევრი არ არის. ასეთებია: პირობითი, შედეგობითი, დათმობითი და მთავრის მიმართი დ. წ-ები. დ. წ-თა ტრად. კლასიფიკაცია სრულად ვერ ასახავს იმ ნაირგვარ აზრობრივ მიმართებებს, რაც რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტებს შორის მყარდება როგორც კავშირებითა და საკავშირებელი სიტყვებით, ასევე მთავარი და დ. წ-ის შემასმენელთა ურთიერთშეფარდებითა და დამხმარე ლექსიკური საშუალებების გამოყენებით. ტრად. სემანტიკური კლასიფიკაციით ზოგჯერ (როცა ძირითად მნიშვნელობას სხვა მნიშვნელობაც „დაეფინება" ხოლმე) ძნელია დ. წ-ის ფუნქციის განსაზღვრა, მაგ., განსაზღვრებით-მიზეზობითის, პირო-

ბით-გამორიცხვითის, დაპირისპირებით-გამორიცხვითის და ა. შ. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ტრად. კლასიფიკაციას დასაყრდენად მაინც იყენებენ. დ. წ-თა დახასიათება ხდება სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნებით: 1. შეერთების საშუალებათა მიხედვით (კავშირიანია დ. წ. თუ უკავშირო, რა არის შესაერთებლად გამოყენებული – მაქვემდებარებელი კავშირი თუ საკავშირებელი სიტყვა); 2. სინტაქსური ფუნქციის მიხედვით (რა სინტაქსურ როლს ასრულებს დ. წ. მთავარი წინადადების მიმართ: ქვემდებარისას, დამატებისას და ა. შ.); 3. პოზიციის მიხედვით (მთავარი წინადადების წინ არის, მთავრის შემდეგაა თუ მთავარშია მოქცეული). ზოგადად, მთავარი წინადადების მიმართ დამოკიდებულის პოზიცია შეიძლება სამგვარი იყოს: წინა (პ რ ე პ ო ზ ი ც ი ა), მომდევნო (პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი ა) და ჩაროული (ი ნ ტ ე რ პ ო ზ ი ც ი ა). ზოგ შემთხვევაში დ. წ-ის პოზიციის შეცვლა აღვილად ხერხდება, გადაადგილება რთული წინადადების სტილისტურ მნიშვნელობას ცვლის, ზოგჯერაც პოზიცია მყარია. თუ დ. წ. მთავარს რთული კავშირით უკრთდება, პოსტპოზიცია არ შეიცვლება („ჩემს სიტყვასაც გაეგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის“, ი. ჭაე.). უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში კომპონენტების რიგი, ჩვეულებრივ, მყარია („შესვი – გაამოს“; „გკითხოს – უპასუხე“).

ლიტ. იხ. სტატიასთან *რთული ქვეწყობილი წინადადება.*

ლ. კვარტალიანი.

დამწერლობა, მეტყველების ფიქსაცია გრაფიკულ ნიშანთა სისტემების საშუალებით სამეტყველო ინფორმაციის მანძილზე გადასაცემად ან დროთა განმავლობაში შესანახად. დ-ში გრაფ. ნიშნები წარმოადგენს მეტყველების ამა თუ იმ ელემენტის (მთელი გამონათქვამის, სიტყვის, მარცვლის, ბგერის) სიმბოლოებს. დ-ის ისტორიაში გამოყოფენ ხუთ ძირითად საფეხურს: 1. ხატოვანს ანუ პიქტოგრაფიულს; 2. იდეოგრაფიულს; 3. სიტყვიერ-მარცვლოვანს (ლოგოგრაფიულ-სილაბურს); 4. მარცვლოვანს ანუ სილაბურს; 5. ანბანურს. ეს ტერმინები ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავენ ამა თუ იმ კონკრეტული დ-ის ბუნებას, რადგან ზოგი მათგანი ნარევია.

დ-ის გრაფ. სისტემებს წინ უსწრებდა სხვადასხვა სახის პრიმიტიული სისტემები. მაგ., საყოველთაოდ იყო გავრცელებული კლდეებზე. გამოქვაბულის კედლებზე და ა. შ. შესრულებული მხატვრობა (გეომეტრ. ფიგურები, საგანთა, ადამიანთა ან ცხოველთა გამოსახულებები და სხვ.), რ-იც ემსახურებოდა როგორც მაგიური ან რიტუალური ქმედებები ასახვას, ისე, საფიქრებელია, რაიმე სახის ინფორმაციის გადაცემასაც. კომუნიკაციური და მნემონიკური ფუნქციებით ფართოდაა გამოყენებული არაგრაფიკული საშუალებები, რ-თაგან განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ე. წ. ვამპუმებმა (სხვადასხვა ფერისა და ფორმის ნიჟარების კომბინაციები) და კიპუმ (განასკეული ხორების კომბინაციები). აღრიცხვისა და ანგარიშსწორებისათვის მთელ რიგ ხალხებში (ცენტრ. აფრიკა, ა'ზია, ავსტრალია...) გავრცელებულია ნაჭდევებიანი ხის თხელი ფირფიტები ან ჯოხები და ა. შ.



ნაჭდევებიანი ფირფიტები (ავსტრალია).

პ ი ქ ტ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი, ხატოვანი დ. აზრის ფიქსაციის უძველესი საშუალებაა. იგი წარმოშობით უკავშირდება პირეულყოფილ სახეით ხელოვნებას, მაგრამ ნეეულებრივი ნახატისაგან განსხვაეულება გამოყენებითი ხასიათით. პ ი ქ ტ ო გ რ ა მ ა აღნიშნავს კონკრეტულ საგანს, ხოლო მათი ჯგუფი – გამონაოქვამის ზოგად აზრს. ამ სისტემაში არ აისახება ენის ბგერითი მხარე, ენის დანაწევრება სიტყვებად, ამდენად მისი წაკითხვა შეუძლია ნებისმიერი ენის წარმომადგენელს. თუმცა პიქტოგრაფია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო დ-ის განვითარების თვალსაზრისით, მას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს დ. (არსებობს აზრი, რომ პიქტოგრაფია საერთოდ არ შეიძლება ჩაითვალოს დ-დ. ფ. დე სოსიური და სხვ.). პიქტოგრაფიული ნიმუშები ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: მესოპოტამიაში, სამხრ.-დას. ევროპაში, ამერიკაში, ციმბირის მკვიდრ მოსახლეობაში. მას იყენებენ ცენტრ. აფრიკისა და ავსტრალიის ტომებიც.

პიქტოგრაფიის შემდეგი საფეხური წარმოდგენილია იდეოგრაფიული დამწერლობით. მასში იდეოგრამა (სახეითი ელემენტი) გამოხატავს არა იმდენად საგანს, რამდენადაც უფრო ამ ნიშანთან დაკავშირებულ იდეებს – მთლიან სიტყვას გრამატ. ფორმაში. მაგ., წრე გამოხატავს არა მარტო მზეს, არამედ სიცხეს, სინათლეს, სიტყვას „დღე“. იდეოგრაფიულ დ-ში შესაძლებელია გრაფ. სიმბოლოების გამოყენებაც. წმინდა იდეოგრაფიული დ. ფართოდ ვერ გავრცელდა. იგი ფაქტობრივად არსებობდა როგორც გარდამავალი საფეხური პიქტოგრაფიულ და ლოგოგრაფიულ დ-თა შორის. იდეოგრაფიული დ-ის ნიმუშები დადასტურებულია ძვ. შუმერში (ძვ. წ. III ათასწლ.), ამერიკისა და აფრიკის ზოგ ტომებთან, პოლინეზიასა და ავსტრალიაში, ჩრდ.-აღმ. ციმბირში და სხვ. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ იდეოგრაფიულია აღდგომის კუნძულისა და XX ს-ში შექმნილი ჩუკოტკის დ-ები.



ინდიელთა სვლის იდეოგრაფიული გამოსახულება (ჩრდ. ამერიკა).

ლ ო გ ო გ რ ა ფ ი უ ლ - ს ი ლ ა ბ უ რ ი ანუ სიტყვიერ-მარცვლოვანი დ. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სისტემაა, იგი დღესაც იხმარება (ჩინეთში). ამ დ-ის სისტემის საფუძველია მრავალი მნიშვნელობის მქონე იდეოგრამა, ამ უკანასკნელის კონკრეტულ სიტყვებთან დაკავშირება ხდება *დეტერმინანტებითა* და დამატებითი

გრაფ. ნიშნებით, რ-ებიც აღნიშნავენ ბგერით ერთეულებს (განსაკუთრებით გრამატ. ელემენტებში). სიტყვასთან დაკავშირებულ იდეოგრაფიულ ნიშანს ლოგოგრამა ეწოდება. იმ ნიშნებისთვის, რ-ებიც გამოხატავენ ბგერათა თანამიმდევრობას, ლოგოგრამები გამოიყენება, მაგრამ ისინი „რებუსის“ პრინციპით წაიკითხება. მაგ., შუმერული გინა – „მოსული“ აღნიშნულია ლოგოგრამებით – ფეხი(გი)+ქვა(ნა). ლოგოგრამები არ გადმოსცემდნენ ყოველთვის მარცვალს. მაგ., ეგვიპტეში ისინი მხოლოდ თანხმოვნებს აღნიშნავდნენ, ხოლო აქადურში შესაძლებელი იყო მარცვლის დანაწევრება. ლოგოგრაფიულ-სილაბური დ. სათანადო სისრულით გადმოსცემდა ნებისმიერ შინაარსს, რადგან მისი საშუალებით ხერხდებოდა მეტყველების საკმაოდ ზუსტი ფიქსაცია და ტექსტის წაკითხვა. ამავე დროს, რამდენადაც პირვანდელი იდეოგრამა არ იყო უშუალოდ დაკავშირებული სიტყვის ბგერით მხარესთან, მას გამოიყენებდნენ განსხვავებული დიალექტებისა (ჩინეთში) და ენებისათვის (ძვ. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში). ლოგოგრაფიულ-სილაბურ დ-თაგან ცნობილია ძვ. ეგვიპტური (ძვ. წ. IV ათასწ.), შუმერული (ძვ. წ. III ათასწ. დასაწყისიდან) და მისგან განვითარებული სოლისებრი დ-ის სახეობანი (აქადური), პროტოელამური (იეროგლიფური, ძვ. წ. III ათასწ.), პროტოინდური (ძვ. წ. III ათასწ.), კრეტული (ძვ. წ. II ათასწ. დასაწყისიდან), ჩინური (ძვ. წ. II ათასწ.), ხეთური (ძვ. წ. II ათასწ. შუახანიდან), მაიას დ. ცენტრალურ ამერიკაში (ახ. წ. I ათასწ.). ლოგოგრაფიულ-სილაბურ დ-ში ლოგოგრამებად სხვადასხვა წარმოშობის ნიშნები გამოიყენება. ისინი შეიძლება ეკუთვნოდეს ამავე დ-ის სისტემას ან ნასესხები იყოს სხვა ენიდან. მაგ., აქადურში ლოგოგრამებად ხშირად გამოიყენება შუმერული სიტყვების ნიშნები ან მთელი გამონათქვამები. ამგვარ ჩანაცვლებულ უცხოურ მასალას პეტეროგრამები ეწოდება. ჰეტეროგრამები კიდევ უფრო ართულებს დ-ის ისედაც რთულ სისტემას.

სილაბური ანუ მარცვლოვანი დ. ეწოდება ისეთ სისტემას, სადაც გრაფ. ნიშანი აღნიშნავს არა მთელ სიტყვას, არამედ მარცვალს. დღეისათვის ცნობილი სილაბური დ-ები ორგვარი წარმოშობისაა: ერთი ნაწილი ლოგოგრაფიულ-სილაბურ სისტემათა გამარტივების შედეგია, ხოლო მეორე მიღებულია ე. წ. კონსონანტურ დ-ში (რ-იც წარმოშობით სილაბურია) გახმოვანების მეორეული სისტემის შემოტანით. მარცვლოვანი დ-ის სისტემები განსაკუთრებით გავრცელდა ინდოეთსა და სამხრ.-აღმ. აზიაში. მათგან უძველესია ქაროშთი და ბრაჰმი (ძვ. წ. III ს.). ქაროშთი მიღებულია არამეული დ-იდან დამატებითი ნიშნების შემოღებით, იმ პრინციპზე დაყრდნობით, რ-იც ბრაჰმიში იყო შემუშავებული. მაგრამ თვით ბრაჰმის გენეზისი ჯერჯერობით ნათელი არ არის. ბრაჰმიდან მომდინარე სისტემები დღემდე რჩება რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. ზოგი მათგანი გამოიყენება ბეჭდვისათვის. ამ მხრივ ყველაზე გავრცელებულია დევანაგარი. ეთიოპიური მარცვლოვანი დ. ძვ. სამხრეთსემიტური კონსონანტური დ-ის თანდათანობითი ცვლილებების შედეგია. მისი გახმოვანების სისტემა ინდურ პრინციპს ემყარება.



ნიჟარებიანი შეტყობინება (აროკო).



კვანძოვანი შეტყობინება (ტანგანიკა).

დ-ის ანბანური სისტემები მოიცავს ნიშნებს (ასოებს), რ-ებიც აღნიშნავენ ბგერებს (ფონემებს, ალოფონებს). ამგვარ დ-ში არაიშვიათად ერთი ფონემა აღინიშნება რამდენიმე ასოთი ან პირიქით (მაგ., ასო sch – გერმანულში გადმოსცემს ბგერას შ, ხოლო ასო g – ფრანგულში – გან ჟ, ინგლისურში – გან ჯ ბგერებს). ანბანური დ. მომდინარეობს ძვ. სემიტური ე. წ. კონსონანტური დ-იდან, რ-იც გავრცელებული იყო სირიასა და პალესტინაში. ფინიკიური დ-ის სათავედ ითვლება ბიბლოსის სილაბური დ. ფინიკიურ დ-ში 22 ნიშანია (ნაკლები, ვიდრე ფონემათა რაოდენობა ფინიკიურ ენაში). ხმოვანთა აღუნიშვნელობა ძვ. სემიტურ დ-ებში განპირობებული იყო სემიტური ენების ბუნებით, რ-შიც სიტყვის მნიშვნელობა უკავშირდება თანხმოვნებისაგან შედგენილ ძირებს, ხოლო ხმოვნები გამოიყენება გრამატ. კატეგორიების აღსანიშნავად. ძვ. სემიტურ დ-თაგან უგარითული სოლისებრი ხმარებიდან გამოვიდა ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწ. II ნახ-იდან. სამხრეთსემიტური (სამხრეთარაბული) შემორჩა ახ. წ. VII ს-მდე



სახელები „კლეოპატრა და პტოლემაისი“ ლოგოგრაფიული დამწერლობით.

ამოსავალი იდეოგრამები	სოლისებრი ნიშნების უძველესი ფორმები	ადრეული ბაბილონური დამწერლობა	ასირიული დამწერლობა	მნიშვნელობები
				ფრინველი
				თევზი
				სახედარი
				ხარი
				მზე, დღე
				მარცვლეული
				ხეხილის ბაღი
				ხენა

ძველი შუმერული იდეოგრაფიული ნიშნები და მათი სოლისებური ვარიანტები.

და დასაბამი მისცა ეთიოპურ დ-ს, ხოლო ფინიკიური თავისი პირვანდელი სახით საფუძვლად დაედო წინააზიურ დ-ებსა (ხმარებიდან გამოვიდნენ ახ. წ. დასაწყისისათვის) და ბერძნულ დ-ს (ძვ. წ. IX ს.), რითაც საფუძველი ჩაეყარა დასავლურ ანბანურ სისტემებს: კურსივის ფორმით ფინიკიური საფუძვლად დაედო არამეულ დ-ს, რ-იც გავრცელდა მთელ ახლო და შუა აღმოსავლეთში და სათავე დაუდო სხვადასხვა აღმოსავლურ ანბანს. არამეული დ-ის სხვადასხვა სახეობა გამოიყენეს ებრაელებმა, არაბებმა, არასემიტური ხალხებიდან – პართელებმა, სოღდელებმა, ხვარაზმელებმა, სპარსელებმა, ინდოელებმა.

არამეული დ-ის ერთ-ერთი ორიგინ. შტოა *არმაზული დამწერლობა*. სოღდურისა და არამეული დ-ის ერთ-ერთი სახეობის, ნესტორიანულის, საფუძველზე ჩამოყალიბდა ცენტრ. აზიის ზოგი თურქულენოვანი ხალხის დ. – უიღურული და თურქული „რუნული“. უიღურული შემდეგ გამოიყენეს მონღოლებმა და მანჯურიელებმა (გახმოვანებულია ტიბეტური წესით). ფინიკიური დ-ის საფუძველზე შეიქმნა ბერძნული დ., რ-შიც მრავალი სახეობა გამოიყოფა. აღსანიშნავია არქაული ბერძნული, რ-იც ძვ. წ. IX ს-იდან მოდის და ძვ. წ. V ს-მდე არსებობდა. ბერძნ. არქაული დ. ასოთა მოხაზულობით თითქმის მთლიანად ემთხვევა ფინიკიურს. წერის მიმართულება – მარჯვნიდან მარცხნივ – მოგვიანებით შეცვალა ბუსტროფედონმა (ცვალებადი მიმართულების დ.). საბოლოოდ ბერძნულში დამკვიდრდა მარცხნიდან მარჯვნივ წერა. გამოიყო დ-ის ორი შტო – დასავლური და აღმოსავლური. დასავლეთბერძნულმა დასაბამი მისცა ეტრუსკულ (ძვ. წ. VII ს.), ლათინურ (ძვ. წ. VI ს.) და ძვ. გერმანულ რუნულს (III ს.). ლათინური დ. სხვადასხვა ფორმით საფუძვლად დაედო ევროპის მთელ რიგ ხალხთა დ-ებს. აღმოსავლურბერძნულიდან (ძვ. წ. V–IV სს.) განვითარდა კლასიკური, ხოლო მოგვიანებით – ბიზანტ. ბერძნული. უდიდესი მონაპოვარი ბერძნ. დ-ისა იყო ხმოვანთა აღნიშვნა. მათთვის გამოიყენეს ფინიკიურის ის ასოები, რ-თა შესაბამისი თანხმოვნები ბერძნულს არ ჰქონდა. ბიზანტ. ბერძნულის საფუძველზე IX ს-ში შეიქმნა ძვ. სლავური დ. „კირილიცა“, პარალელურად სამხრეთდასავლეთი სლავები მცირე ხნის განმავლობაში ხმარობდნენ მეორე დ-ს – „გლაგოლიცას“, რ-ის წარმოშობის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. X ს-იდან ოფიციალურად შემოიღეს „კირილიცა“. თანამედროვე რუსული, ბულგარული და სერბული ანბანი „კირილიციდან“ განვითარდა. რუსული გრაფიკა საფუძვლად დაედო ჯოფ. საბჭ. კაეშირის მთელ რიგ ხალხთა დ-ებს.

იხ. აგრ. *ასომთავრული, ნუსხური, მხედრული*.

ლიტ.: გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა, თბ., 1990; Лоукотка Ч., Развитие письма, пер. с чеш., М., 1950; Шампольон Ж.-Ф., О египетском иероглифическом алфавите, пер. с франц., М., 1950; Дирингер Д., Алфавит, пер. с англ., М., 1963; Истрин В. А., Возникновение и развитие письма, М., 1965; Фридрих И., История письма, пер. с нем., 1979; Gelb I. J., A study of writing, rev. ed., Chicago, 1963; Jensen H., Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart, 3. Aufl., Berlin, 1969.

ვ. ახელედიანი.

დამხმარე სიტყვები, ფუნქციონალური ლექსიკა, გრამატიკულ ცნებათა გამომხატველი სიტყვები. სრულმნიშვნელობიან სიტყვათაგან განსხვავებით, დამხმარე სიტყვას არა აქვს დამოუკიდებელი საგნობრივი მნიშვნელობა და არ შეიძლება იყოს წინადადების წევრი. იგი მხოლოდ სხვა სიტყვასთან ერთად გამოიყენება. გრამატ. აფიქსების მსგავსად, ასეთი სიტყვებიც გრამატ. მიმართებებს გამოხატავენ, თუმცა, აფიქსებისაგან განსხვავებით, ისინი მეტი დამოუკიდებლობით ხასიათდებიან: დ. ს-სა და მათ მიერ მოდიფიცირებულ სიტყვას შორის შეიძლება ჩაისვას სხვა სიტყვები, რაც შეუძლებელია სიტყვის შიგნით აფიქსების საზღვარზე. ამგვარი ერთეულები ფორმალურად ცალკე. დამოუკიდებელი სიტყვებია და, ამდენად, ლექსიკოლოგიის სფეროში განიხილება. მათ მიეკუთვნება ქართულში *თანდებული, კავშირი, ნაწილაკი*. ძვ. ქართულში გამოყოფენ *ნაწვარსაც*: სახლი ესე, სახლი იგი... (ა. შანიძე). ცალკე დგას *შორისდებული*, ემოციური შეძახილი, რ-იც წინადადების არც ერთ წევრს არ მიემართება, და გამოხატავს მთქმელის ემოციურ დამოკიდებულებას თქმულის მიმართ.

დ. ს. წარმოშობით ხშირად სრულმნიშვნელობიანი, გარკვეული ფორმის მქონე ლექსემებია; მაგრამ მათ დროთა განმავლობაში განუცდიათ დესემანტიზაცია, დაუკარგავთ თავიანთი პარადიგმატული და სინტაგმატური კავშირები და დამხმარე ენობრივ ერთეულებად ქცეულან. მაგ., ნაწილაკები – **უნდა, ეგების, ლამის** წარმომავლობით ზმნის პირიანი ფორმებია. პირვანდელი სემანტიკის დაკარგვა ამგვარი ერთეულების შემდგომ ფონეტ. გაცვეთასაც იწვევს (შდრ.: გინდ, იქნებ, ეგებ...). შესაძლებელია დესამანტიზაციას დაქვემდებარებული ფუძე პარალელურად თავისი პირვანდელი ფუნქციითაც გამოიყენებოდეს (შდრ.: „ბავშვს წყლის დალევა უნდა“ და „უნდა ავეარდე მამადავითზე“, პ.იაშვ.).

ზოგჯერ ამგვარი წარმომავლობის ფუნქციონალური ერთეული დროთა განმავლობაში ფუძესაც შეეზრდება და მორფემად იქცევა (მაგ., ასე იქცევა უნდა ნაწილაკი აჭარულ დიალექტში: „ყველასთვინ-ნა მომესწრო“...).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; ჯორბენაძე ბ., ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში. – კრ.: «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 10, თბ., 1993; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996. *ა. არაბული.*

დანართი, ატრიბუტული განსაზღვრება, შეთანხმებული მსაზღვრელი. გამოხატულია არსებითი სახელით და არსებით სახელსაც განსაზღვრავს. მას ზოგჯერ მიმატებასაც უწოდებენ. ასეთ განსაზღვრებად უმეტესად გამოიყენება არსებითი სახელის შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: ზომის (მტკაველი, კილომეტრი...), წონის (ფუთი, ტონა...), საწყაოს (ჭიქა, ცისტერნა...), ფართობის (ქცევა, ჰექტარი...), პროფესიის (მუშა, მასწავლებელი...), წოდებისა და თანამდებობის (გლეხი, თავადი, აკადემიკოსი...), გეოგრაფიული პუნქტების (ქალაქი, დაბა...), ლიტე-

რატურული ჟანრების (ლექსი, მოთხრობა...), პრესის სახეობათა (გაზეთი, ჟურნალი...), ნათესაური ან თავისებური დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები, რ-ებსაც მიმართვის დროსაც იყენებენ (ძია, მამიდა ...), გვხვდება აგრეთვე სიმრავლის, რაიმე ერთეულის ან სახელერულის მუდმივი დამახასიათებელი ნიშნის აღმნიშვნელი სახელები: ზღვა (ზღვა ხალხი), ქვა (ქვა გული), ძროხა (ძროხა დედაკაცი), ლუკმა (ლუკმა პური), უღელი (უღელი ხარი) და სხვ.

სასახელერი (სახელერული) არსებითი სახელი შეიძლება იყოს როგორც საზოგადო, ისე საკუთარი, ე. ი. იქმნება ორწევრიანი შესიტყვებები: მუშა ბოქულაძე, პროფესორი მელიქიშვილი, ქალაქი ქუთაისი, გასული «თბილისი» და სხვ. ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოყენებული ზომის, წონის და ა. შ. აღმნიშვნელი არსებითი სახელები განსაზღვრებად მოითხოვენ რაოდენობით რიცხვით სახელებს და იქმნება სამწევრიანი (შეთანხმებული) შესიტყვებები: ერთი ურემი შეშა, ორი ქვევრი მიწა და სხვ. მსგავსი შესიტყვებები შეიძლება შეადგინოს მასდარმაც: ერთი გაბმა აბრეშუმი, სამი გარბენა მინდორი და სხვ.

შესიტყვება – საზოგადო + საზოგადო არსებითი სახელი – შეიძლება რთულ სიტყვად (*კომპოზიტად*) იქცეს. ასეთი წარმომავლობის ნანს ძელქვა, სირაქლემა, ვაჟკაცი და სხვ. რთული სიტყვის წევრები ხშირად ინარჩუნებენ სემანტიკურ დამოუკიდებლობას და დეფისით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული: სახლ-მუზეუმი, პოეტ-აკადემიკოსი და მისთ. მათ შეწყმულ დანართ (ებ)ს უწოდებენ (ე. თოფურია).

არსებითი სახელით გამოხატული დ. (მსაზღვრელი) უმეტესად წინ უსწრებს საზღვრულს. შებრუნებული წყობის ნიმუშებია სახელგვარები (თუ გვარს მიეძინეთ მსაზღვრელად), მეფეთა და ხელობის აღმნიშვნელი სახელები, რ-თა დიდი ნაწილი წარმოადგენს გაქვავებულ, ზედწოდებად ქცეულ შესიტყვებას: ვახტანგ გორგასალი, ხოსია მეწისქვილე და მისთ.; სამეცნ. სტილსა და ტექნ. ლიტ-რაში დამკვიდრებული ე. წ. სიმბოლოიანი და აბრევიატურიანი შესიტყვებები: ABC სამკუთხედი, H_2SO_4 ნაერთი, შპს საწარმო და მისთ.

თუ მსაზღვრელ-საზღვრული ორწევრიანია და დ. (მსაზღვრელი) მოსდევს საზღვრულს, იგი იბრუნებს, სასღერული კი ფუძის სახითაა წარმოდგენილი (მაგ.: დავით აღმაშენებელი, დავით აღმაშენებელმა...). ასევე იბრუნებს ე. წ. შერწყმული დ. (პოეტ-აკადემიკოსი, პოეტ-აკადემიკოსმა...) და სიმბოლოიანი სიტყვები (ABC სამკუთხედი, ABC სამკუთხედმა...).

თუ დ. უსწრებს საზღვრულს, ე. ი. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა პირდაპირია, მაშინ დ-ის ბრუნების წესს განსაზღვრავს მისი ფუძე: ხმოვანფუძიანი დ. (მსაზღვრელი) ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი, იბრუნებს მხოლოდ საზღვრული. მაგ., ზღვა ხალხი, ზღვა ხალხმა... თანხმოვანფუძიანი დ. კი მისდევს ატრიბუტულ მსაზღვრელთა ე. წ. „შერეული ბრუნების“ წესს. ამ წესს უგამონაკლისოდ მიჰყვება ზომა-წონის სახელები, ხოლო სხვა სემანტიკის დანართ-მსაზღვრელთათვის ბრუნების ნიშანმოკვეცილი სახეობა ძირითადია არა მარტო მიცემითსა და ვითარებითში, არამედ ნათესაობითსა და მოქმედებითშიც: პროფესორ მელიქიშვილის, პროფესორ მელიქიშვილით. ასევე იბრუნებს საზღვრულთან ერთად მასწავლებელი, ბატონი, ქალაქი, რომანი, ჟურნალი, გაზეთი და მისთ., თუ მათი საზღვრულები (სათაურები და სახელწოდებები) ბრუნვადია. მაგრამ, თუ სათაური და სახელწოდება უბრუნველია, მაშინ იგი წინადადებიდან განკერძოებდება და ვიღებთ განკერძოებულ დანართს.

განკერძოებული დ. შეიძლება ახლდეს ნებისმიერი სახელით გამოხატულ წინადადების სახელურ წევრებს – ქვემდებარეს, დამატებას ან შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს. ბრუნებადი განკერძოებული დ. შეთანხმებულია ბრუნვაში განსასაზღვრ წევრთან. იგი შეიძლება იყოს უკავშირო ან კავშირიანი. ასახსნელ წევრთან დ-ის დასაკავშირებლად გამოყენებულია მაგიერებელი კავშირები – ანუ და ესე იგი; მიმართებითი სმნიზედა – როგორც და სიტყვები: სახელად, გვარად, მოდგმით, ჩამომავლობით, წოდებით, უმთავრესად, მაგალითად, სახელდობრ, ისიც და სხვ.

განკერძოებული დ. უმეტესად მოსდევს საზღვრულს. დ-სა და ასახსნელ წევრს შორის ადგილის შეცვლა ფუნქციების შეცვლასაც იწვევს: დ. ასახსნელ სიტყვად იქცევა და ასახსნელი სიტყვა – დ-ად. მაგ.: „კატა, საყვარელი მეგობარი ობლისა, ტოტსა სცემდა ობოლს და უალერსებდა“ (ვაჟა-ფშავ.). შდრ.: საყვარელი მეგობარი ობლისა, კატა, ტოტსა სცემდა ობოლს და უალერსებდა.. იშვიათად განკერძოებული დ. შეიძლება უსწრებდეს საზღვრულს. განკერძოებული დ. პუნქტუაციურადაც (მძიმით ან ტირეთი) უნდა იყოს გამოყოფილი წინადადების ძირითადი ქსოვილისაგან. პუნქტუაციასთან (და დ-ისა და საზღვრულის ერთად ბრუნებასთან) დაკავშირებით თავს იჩენს ზოგიერთი სადაო და ქართ. სალიტ. ენის ნორმათა თვალსაზრისით მოსაგვარებელი საკითხი.

ლიტ.: შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი რ., განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958; ბ ა ს ი ლ ა ი ა ნ., ქართული მართლწერის საკითხები, ნაკვ. I, სოხუმი, 1960; მ ი ს ი ე ვ ე, პუნქტუაცია, თბ., 1973; თ ო ფ უ რ ი ა ვ., შერწყმული დანართის მართლწერა. – კრ.: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებ. I, თბ., 1970; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1988; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; მ ი ს ი ე ვ ე, დანართიანი სახელის სწორად ხმარებისათვის. – იხ. მისი: სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, თბ., 1979; შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე გ., გ ა ბ ე ჭ ა ვ ა რ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974; შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე გ., პატიენ-ეც ენასა შენსა. – «სკოლა და ცხოვრება», 1981, №9; კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შეღეწინილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996;

ნ. ცქიტიშვილი.

დანაწევრება, არტიკულაცია, სიტყვაში, წინადადებაში ან გაბმულ ტექსტში შემადგენელი ელემენტების გამოყოფა; ენობრივი ერთეულის დ. შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგ.: ლინგვისტიკაში ფართოდაა გავრცელებული ენობრივი ერთეულების ორმაგი დანაწევ-



ქ. დანელია.

რების ანუ ენობრივი სისტემის ღუალობის პრინციპი, რიც ადამიანური ენის სპეციფიკად ითვლება (ლ. იელმსლევი, ა. მარტინე, ნ. ჰოკეტი). დ-ის არსი ასეთია: მნიშვნელობის მქონე ერთეულები (წინადადებიდან მორფემამდე) შეიძლება დანაწევრდეს მის შემადგენლობაში შემაერალ მნიშვნელობის მქონე უფრო მცირე ერთეულებად, რ-ებიც, თავის მხრივ, ნაწევრდებიან კიდევ უფრო მცირე ერთეულებად და ა. შ. მანამ, სანამ ანალიზის პროცესში არ დადგება მომენტი, როდესაც მიღებული ეროეულები, *მორფემები*, უკვე აღარ დაიყოფა მნიშვნელობის მქონე ერთეულებად. ეს არის პირველი დანაწევრება. მნიშვნელობის მქონე მინიმალური ერთეულები, თავის მხრივ, იყოფიან მნიშვნელობის არმქონე ერთეულებად – მარცვალთა ჯგუფებად, მარცვლებად, ბგერებად, ბგერით ნიშნებად. ეს არის მეორე დანაწევრება.

შესაძლებელია წინადადების დ. უშუალო შემადგენელთა მიხედვით: ანალიზის პირველ საფეხურზე ზმნური და სახელური ჯგუფის გამოყოფა, ხოლო შემდეგ თითოეული მათგანის თანდათანობით დაშლა საბოლოო შემადგენლებამდე – სიტყვებამდე სინტაქსურ დონეზე და მორფემებამდე მორფოლ. დონეზე. გარდა გრამატ. დ-ისა, ცნობილია აგრეთვე წინადადების აქტუალური დ., რ-იც უშუალოდ ლაპარაკის მომენტში, აქტუალურ მეტყველებაში ხდება. აქტუალური დ. შეიძლება დაიმთხვეს გრამატ. დ-ს (ვანომ / ცოლშვილი აგარაკზე წაიყვანა), ან არ დაემთხვეს მას (ვანომ ცოლ-შვილი / აგარაკზე წაიყვანა). ზოგი ენათმეცნიერის აზრით, წინადადებასა და სიტყვაში შემადგენელ ელემენტთა შორის ერთგვარი მიმართებები არსებობს, ამიტომ მათი დანაწევრებაც ერთგვარ პრინციპს უნდა ემყარებოდეს. მაგ., ამერ. დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ერთი პრინციპით ხდება უშუალო შემადგენელთა გამოყოფა როგორც წინადადებაში, ისე სიტყვაში. სიტყვისა და წინადადების დ-თეის გავრცელებული მეთოდებია ჩანაცვლების (სუბსტიტუციის), დისტრიბუციისა და დამატებითი დისტრიბუციის მეთოდები, დამუშავებული დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში (იხ. *დისტრიბუცია, სუბსტიტუცია*).

ლიტ.: შარაძენიძე თ., დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიისა და მორფოლოგიისათვის. – იხ. მისი: თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; მისივე, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია და სუბსტიტუციის მეთოდი დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში. – იქვე; Ельмслев Л., Пролегомены к теории языка. – «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960; Мартине А., Основы общей лингвистики. – «Новое в лингвистике», вып. 3, М., 1963.

ლ. ენუქიძე. ი. ქობალავა.

დანელია კორნელი დავითის ძე (15. VI. 1934, სოფ. ნაჯახაო, მარტვილის რ-ნი, – 27. IX. 1997, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1980). 1957 დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის განყ-ება, 1960–63 სწავლობდა თსუ ასპირანტურაში ა. შანიძის ხელმძღვანელობით. 1967–80 მუშაობდა თსუ-ში ძვ. ქართ. ენის კათედრის დოცენტად, 1980-იდან – პროფესორად, ხოლო 1987-იდან – ამავე კათედრის გამგედ. 1986-იდან შეთავსებით მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად. 1988-იდან იყო თსუ ფილოლ. ფაკულტეტის დეკანი.

დ. ავტორია 170-მდე შრომისა, მ. შ. 10 ფუნდამენტური მონოგრაფიის. მისი კვლევის სფეროა ძვ. ქართული ენა, უძველესი წერილობითი ძეგლების კრიტ. პუბლიკაცია, ქართ. სამწერლობო ენის ისტორია, ქართველურ ენათა ისტ.-შედარებითი გრამატიკისა და პოეტური ენის საკითხები, ქართველოლოგიის ისტორია და სხვ. მ. შ. ცენტრ. ადგილი უკავია ქართ. ქრისტ. კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების ენობრივი, ლიტ. და წყაროთმცოდნეობითი ასპექტების, ძვ. ქართ. ენის სტრუქტურის პრობლემათა კვლევას. მისი სამეცნ. გამოცემებიდან აღსანიშნავია „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები" (თანაგამომცემელი პროფ. ქ. ძოწენიძე, 1974), „ეფთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები" (1976), „ქართული ლექციონარის პარისული ხელნაწერი", (ტ. I, 1987; ტ. II, 1997), „იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები" (1992). დ. იკვლევდა ბიბლიურ წიგნთა ქართ. ენაზე თარგმნასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. ნაშრომისათვის „ქართული ლექციონარის პარისული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა ქართული სამწერლობო ენის ისტორიისათვის" 1988 მიენიჭა ი. ჯავახიშვილის სახ. სამეცნ. პრემია. განსაკუთრებით ფასეულია მონოგრაფია „ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები" (1983), რ-შიც კომპლექსურად არის განხილული ქართ. ლიტ-რის ისტორიის საკვანძო საკითხები, გამოვლენილია უცხო ენებიდან მომდინარე ლექსიკური და გრამატ. ელემენტები ქართ. თარგმანში.

დ-ს აქვს საყურადღებო შრომები ძვ. ქართულსა და „ეეფხისტყაოსნის" ლექსიკის შესახებ, ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონის" წყაროებსა და მასში ასახულ კოლხურ ლექსიკურ შრეებზე, ჩახრუხაძისა და შავთელის ხოტბათა პოეტურ ენაზე. წერილების მთელი სერია უძღვნა ქართ. სალიტ. ენის უცხო ენებთან კონტაქტის პრობლემას. გამოსცა „ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობის" II ტომი (ავტორი პროფ. ა. ცანავა, 1992); თსუ-ში საფუძველი ჩაუყარა ახ. სასწავლო კურსს – „ქართველოლოგიის შესავალი", დაგეგმოვა ქართ. ენათმეცნ. აზრის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომები: „იოსებ ყიფშიძე – ცხოერება და მეცნიერული მემკვიდრეობა" (1985), „აკაკი შანიძე – ცხოერება და მოღვაწეობა" (პროფ. ზ. სარჯველაძის თანაავტორობით, 1987), ასევე აღსანიშნავია ი. ყიფშიძის თხზულებათა პუბლიკაცია (1994) დ-ს რედაქტორობით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. 1997 გამოსცა „ქართული პალეოგრაფია" (ზ. სარჯველაძის თანაავტორობით).

თხზ.: (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბ., 1998.

ზ. სარჯველაძე.

დატიური ფორმა, ენობრივი ტიპოლოგია, რ-საც გამოყოფენ ინვერსიულ ზმნებთან. იგულისხმება ინვერსიული ზმნა და რეალური სუბიექტი (ქვემდებარე) მიც.

ბრუნვაში (დატივში). ქართულში დ. ვ. გეხედება გრძნობა-აღქმის ზმნებთან I სერიაში: კაცს უყვარს, სძულს, უხარია..., გარდამავალ ორ და სამპირიან ზმნებთან დრო-კლოთა III სერიაში, სადაც გარდამავალი ზმნის პირდ. ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი სახელობითშია, ხოლო გარდამავალი ზმნის სუბიექტი წარმოდგენილია ირ. ბრუნვით – დატივით: კაცს აუშენებია სახლი, დედას ბავშვისათვის მიუცია სათამაშო (იხ. *ინვერსია, ინვერსიული ზმნები*).

ეს წარმოება მეორეულია და განხორციელებულია პოსესიური კონსტრუქციის გზით, რ-იც ქცევის კატეგორიას ემყარება. III სერიის ფორმები პერფექტული ფორმებია. პერფექტი, თავის მხრივ, განისაზღვრება როგორც ფორმა, რ-შიც „მდგომარეობის“ ცნება უკავშირდება „ფლობის“ ცნებას. შესაბამისად, მოქმედი პირი წარმოგვიდგება, როგორც განხორციელებული მოქმედების მფლობელი (უბენეფაქტივი). კუთვნილების სემანტიკა კი ენებში შეიძლება გამოიხატოს როგორც ანალიზურად (მეშველი ზმნების დახმარებით), ისე – სინთეზურადაც ზმნაში, ქცევის კატეგორიის მეშვეობით. ამ უკანასკნელის ნიმუშია ქართველური ენები. ამ ენათა სასხვისო ქცევა გამოხატავს მოქმედების მიმართულებას ადრესატისაკენ (ირ. ობიექტისაკენ), რ-იც, ჩვეულებრივ, კუთვნილება-დანიშნულების (-თვის) კონკრეტული სემანტიკის სახეს იღებს: ის მე მიწერს. პერფექტული (III სერიის) ფორმების წარმოებისას ხდება ნეიტრალიზაცია, რის შედეგად რნება მხოლოდ მ-ს რიგის პირის ნიშნები და სასხვისო ქცევის ფორმები, ორიენტირებული გამონათქვამის არააქტიურ (არააგენტურ) წევრზე, ადრესატზე. შედეგად ვიღებთ ფორმებს: მე ის და-მ-ი-წერ-ია და მისთ. ე.ი. სტატიკურ ზმნათა ფორმისა და სასხვისო ქცევის სემანტიკის შეერთების შედეგად ვიღებთ დ. ვ-ს ზმნურ ფორმათა III სერიაში. ასევე დგას საკითხი გრძნობა-აღქმის ზმნებთანაც.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; მელიქიშვილი ი., ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში. – «თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრის შრომები», IV, თბ., 1998; Бенвенист Э., Пассивное оформление перфекта переходного глагола. – იხ. მისი: Общая лингвистика. пер. с франц., М., 1974; Кортава Ю., Перфект индоевропейский и картвельский. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1981, №1.

ი. მელიქიშვილი.

დაძვემდებარება, სუბორდინაცია, ჰიპოტაქსი, სინტაქსური კავშირი ორ სრულმნიშვნელოვან სიტყვას ან წინადადებას შორის, რ-თაგან ერთი მთავარია, გაბატონებული, მეორე კი – მასზე დამოკიდებული, დაქვემდებარებული. ტერმ. „დ.“ ეიწრო მნიშვნელობით არის სიტყვათა დაქვემდებარება, ფართო მნიშვნელობით – წინადადებათა ქვეწყობა. სიტყვათა დ. აფიქსებიან ენებში, მ. შ. ქართულშიც, ხდება დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებით (დილ-ის ნიავ-მა დაუბერ-ა). განასხვავებენ ცალმხრივ დ-ს – სუბორდინაციასა და ურთიერთო დ-ს – *კოორდინაციას*. ცალმხრივია დ., როცა წამყვანი, გაბატონებული სიტყვა, დომინანტი, მოითხოვს დამოკიდებული სიტყვისაგან გარკვეულ ფორმას, თვითონ კი ანგარიშს არ უწევს მას. სინტაქსურ წყვილში „დილის ნიავმა“ წამყვანი სიტყვა „ნიავმა“ მოითხოვს დამოკიდებულისაგან („დილის“) ნათ. ბრუნვას. საურთიერთო დ., როცა სინტაქსური წყვილის შემდგენელი სიტყვები ურთიერთგავლენას ახდენენ და ერთმანეთის ფორმას განაპირობებენ. წყვილში „ნიავმა დაუბერა“ სახელი „ნიავმა“ (ქვემდებარე) მოითხოვს ზმნისაგან (შემასმენლისაგან) III სუბიექტ. პირის ფორმას; თავის მხრივ, ზმნაც მოითხოვს სახელს მოთხრ. ბრუნვაში. აქ საურთიერთო დ-ა. სიტყვათა დაქვემდებარებითი დამოკიდებულების ძირითადი სახეებია *შეთანხმება, მართვა* და *მირთმა*.

ლიტ.: ნიქობაძე არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968; დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ქეჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. კვანტალიანი.

დაწერილი, ქართული დიპლომატიკური ტერმინი. აღნიშნავდა საბუთს, იურიდ. აქტს, დოკუმენტს, რ-იც მეფის მიერ არ იყო გაცემული (იშვიათად – ასეთსაც). მიჩნეულია, რომ დ., როგორც საბუთის აღმნიშვნელი ტერმინი, გაბატონებული იყო X ს-მდე. ამ დროიდან მასთან ერთად ერცელდება ბერძნ.-ბიზანტ. ტერმინი – *სიგელი* – მეფეთა მიერ გაცემული საბუთი. X–XIV სს-ში დ. და „სიგელი“ თანაარსებობდნენ. XV ს-იდან შემოდის ტერმინი – *წიგნი*, რ-მაც XVI ს-იდან შეცვალა და მთლიანად განდევნა დ. ამიერიდან დ-ს იყენებდნენ რბილ საწერ მასალაზე (ეტრატი, ქაღალდი) შესრულებული საბუთების აღსანიშნავად.

ჩვენამდე მოღწეული ძვ. ქართ. საბუთებიდან იურიდ. აქტის აღსანიშნავად დ. პირველად გეხედება მელქისედეკ ქართლის კათალიკოსის მიერ მცხეთის სვეტიცხოველისათვის გაცემულ დ-ში (1031–33). აქ იგი ორგზის უწოდებს თავის საბუთს დ-ს: „რომელთა ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისაჲ ჰნახოთ, თქუენ სიმტკიცე დაწერეთ“; – „ბაგრატ აფხაზთა მეფეო... და ძლიერო მეფეო კურაპალატეს დაწერილი... ჴელითა თქუენითა



დაწერილი გრიგოლ სურამელი მღვიმისადმი 1247–1250 სიგელი.

თა დამტკიცებთ". ნიშანდობლივია, რომ არც ბაგრატ IV, არც კვირიკე კახთა მეფე და საბუთის სხვა დამტკიცებლები მას დ-ს არ უწოდებენ, არამედ მოიხსენიებენ „ბრძანებით" ან რაიმე სხვა სიტყვით („გაუცია", „დაუწერია"). პირველად დ. როგორც არა მეფის მიერ გაცემული საბუთი და როგორც მეფის მიერ გაცემული საბუთი – სიგელი – ერთმანეთის საპირისპიროდ დასტურდება ოპიზარ და მიჯნაორელი მამებისათვის ბაგრატ IV-ის მიერ გაცემულ სიგელში (1054–72). აქ აღნიშნულია, რომ მიჯნაორელმა მამებმა წარმოადგინეს „სიგელნი გურგენ ერისთავთა ერისთავისაი, გურგენ მეფეთა მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გიორგი მეფისაი", ხოლო ოპიზართა მიერ წარმოდგენილი საბუთის შესახებ აღნიშნულია: „მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაი"; მაშასადამე, დ-ისა და სიგელის, როგორც გარკვეული სახის საბუთების აღმნიშვნელი ტერმინების, გავრცელების სფერო აქ მკვეთრადაა დიფერენცირებული. იმავე XI ს-ში არის ერთი შემთხვევა, როდესაც მეფის მიერ გაცემულ საბუთს, მის მტკიცებით ნაწილში – გიორგი ქართლის კათალიკოსის ხელრთულობაში დ. ეწოდება: „მე, გიორგი ქართლის კათალიკოზი, მოწამე ვარ დაწერილსა მათსა", „ვინცა ვინ– ვითა მათსა დაწერილსა სწერია, უქციოს და შალოს დაწერილი მათი... პრისხავსმცა მამაი, ძე და სული წმიდაი" და სხვ. მაგრამ ეს გამონაკლისია და სხვა შემთხვევებში, როგორც წესი, დ. მხოლოდ ისეთ საბუთებს ეწოდება, რ-ებიც არ არის მეფის მიერ გაცემული.

დ. არის ეპიგრაფიკული საბუთების აღმნიშვნელი დიპლომატიკური ტერმინიც. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ასეთი საბუთია ლ. ზასისა და თუთასი ბაპრამისა და ლომასათვის მეჯუდის ხეობის სოფელ ჭალისუბნიდან; თარიღდება X ს-ით. წარწერა ასე იწყება: „სახელითა ღმრთისაითა. ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ზასი და თუთამან კოლონკელის ფხუენელასძისა პირით და მისა ცოლისაითა..." რამდენიმე ლ. დასტურდება სვანეთის ნაკაწრ წარწერებში. ერთი მათგანის დასაწყისი ასეთია: „ქ სახელითა ღმრთისაითა. ესე დაწერილი და ნიშანი დაუწერეთ მეფოველთა და ზეგენელთა" (XIV–XV სს. ნაკოწკარი, წმ. გიორგის ეკლესია).



დედაბრული ხელის ნიმუში.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 3, თბ., 1966; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. 1. IX–XIII სს. საბუთები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ჟღუქიძემ, ვ. სილოვავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II. ეპიგრაფიკული ძეგლები, ვ. სილოვავას გამოც., თბ., 1988; ჯაჯანიშვილი ი., ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. – იხ. მისი თხზ., ტ. 9, თბ., 1996.

ვ. სილოვავა.

დედაბრული ხელი, ქართული *მხედრული* დამწერლობის სახეობა. ჩამოყალიბდა სამხრ.-დას. საქართველოში (გურიასა და აჭარაში). უპირატესად გავრცელებული იყო ქალებს შორის (აქედანაა სახელწოდებაც – დ. ხ.). ჩვენამდე მოაღწია დ. ხ-ით შესრულებულმა კერძო წერილებმა (ხელნაწ. ინ-ტი, H-1258ა), ისტ. საბუთებმა – მიწის ნასყიდობის წიგნებმა (ხელნაწ. ინ-ტი, Qd-3351, Qd-3366, Qd-3578, Qd-3580) და ხელნაწერმა წიგნმა – კარაბადინმა (ხელნაწ. ინ-ტი, H-1258; ზომა 12×14 *სმ*, 34 გვ.), ასევე, დ. ხ-ით თურქ. ენაზე დაწერილმა წერილმა. დ. ხ-ით არის ნაწერი ხელნაწერთა ინ-ტის H ფონდის (ეროვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის კოლექცია) შემდეგი წერილობითი ძეგლები: 2885–2889, 2959, 2981, 2983, 2984, 2986, 2989, 2993. დ. ხ. პირველად ზოგადად დაახასიათა და მისი ორსტრიქონიანი ნიმუში გამოაქვეყნა დ. *ბაქრაძემ* (1878). ტერმ. „დ. ხ." წერილობით პირველად დაფიქსირა აკად. ს. *ჯანაშიამ* (1946), იგი საგანგებოდ გამოიკვლია და მის შესახებ ცალკე ნაშრომი – გაშიფრული ტექსტები და ტაბულები – გამოაქვეყნა თ. ხაჟომიამ (1949).

დ. ხ-სთვის დამახასიათებელია მხედრული ასოების კუთხოვანი მოხაზულობით გადმოცემა; ცალკეულ შემთხვევებში მხედრულით დაწერილ ტექსტში ნუსხური, ზოგჯერ უ, ი ან სხვა ასოების ზედმეტად ჩართვა სიტყვაში; ა, გ, ე, ო-სა და ზოგიერთი სხვა ასოს ისეთი მოხაზულობა რ-იც იწვევს მსგავსებას XI ს. მხედრული დამწერლობით შესრულებულ წერილობით ძეგლებთან. დ. ხ-ით შესრულებული ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები XIX ს-ისაა. მკვლევართა ვარაუდით, მათი ცალკეული ასოების მსგავსება უძველესი დროის მხედრული დამწერლობის ძეგლებთან დ. ხ-ის ადრეულ წარმოშობაზე მიუთითებს.

ლიტ.: ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე, თბ., 1946; ხაჟომია თ., ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე, «მიმომხილველი», I, თბ., 1949, ტაბ. I–X; Бакрадзе Д. З., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878.

ვ. სილოგავა.

დედაენა, ენა ენობრივი სოციუმისა, რ-საც ადამიანი მიეკუთვნება. ენა არ არის მხოლოდ მსა ცნებების აღმნიშვნელი ან ინფორმაციის გადამცემი ბგერითი საშუალება. ამგვარი გაგება უფრო ენის მოხმარების პასიურ ასპექტებს გულისხმობს და არა ენის მონაწილეობას საგნობრივი ცნობიერებისა და კულტურის ფაქტის აგებაში. მაგრამ ყოველი ენა გვეძლევა, როგორც ამა თუ იმ ხალხის ენა, როგორც დ., ამიტომ მისი როლი განუზომელია პიროვნებისა და ერის ცნობიერების ჩამოყალიბებასა, ცნებათაგების პროცესებში (იხ. *ენობრივი მსოფლხედვა*). ენა, როგორც შუამავალი (ვ. ფონ ჰუმბოლდტი), სწორედ დ-ის გზით ხდის ადამიანს გარკვეული სამ-ბის წევრად, რ-იც ჯერ ენობრივი ერთობის წევრი ხდება და შემდეგ – სამ-ბის სხვა წრისა. ენობრივი ერთობა სოც. ერთობის

თავდაპირველი ფორმაა და დ-ს შესწევს ძალა, მასში გააერთიანოს ინდივიდები. დ. ის ენაა, რ-იც მეტყველების ზოგადადამიანურ უნარს ემპირიულად განახორციელებს და ინდივიდს, როგორც ამა თუ იმ ენობრივი სოციუმის წევრს, ჩართავს ათასწლობით ისტორიის მანძილზე შემუშავებულ საგანთწედომის აქტებში. დ-ის სწავლით ბავშვი შეუცნობლად ითვისებს ენის შინაარსობრივ ასპექტს, გამოცდილებას და აღწევს იმ შედეგებს, რასაც მარტო თვითონ ვერ მიაღწევდა. დ-ის შინაარსეული აგებულება თავისი მრავალფეროვანი სფეროებით მისთვის ბუნებრივი საგანთხედვა ხდება. ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე დ-შია ჩართული და მასთან კავშირი ნიშნავს არა მხოლოდ დ-ზე წერა-მეტყველებას, არამედ დ-ით აზროვნებასაც და, რაც მთავარია მოქმედებასაც. სულ ადრეული ასაკიდან ბავშვი თანდათანობით შეეზრდება დ-ს (უცხო ენისა კი მხოლოდ დასწავლა ხდება) და ეს ბუნებრივი შეზრდა შემდეგშიც გრძელდება. ეს არის მუდმივი პროცესი დედაენობრივი მსოფლხედვის გარდმოსახვისა ცალკეული ინდივიდის ცნობიერებაზე.

დ. კულტ. შემოქმედების აუცილებელი წინაპირობაცაა. იგი „შეჭრილია" მთელ კულტურაში და ზოგჯერ მისი სოგიერთი ფორმის მესაძირკველედაც გვევლინება. ენა არის მარტოოდენ ანარეკლი ან უბრალო რეგისტრატორი ისტორიული პროცესისა. „ენები უდაოდ განეკუთვნებიან კაცობრიობის ისტორიის ამგებ ძალებს" (ე. ფონ ჰუმბოლდტი). სიტყვაკაზმულ მწერლობაში იგი თავისი შესაძლებლობების მწვერვალებს აღწევს. დ-ით გაერთიანებული ერი კულტურის სუბიექტია.

ენის ენერგეისტული გაგება გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ დ-ის სამ მთავარ ფუნქციაზე: აზრის წარმოქმნაში მონაწილეობა, კულტურის აგებაში ჩართვა და ადამიანთა ჯგუფის გაერთიანება ერთენოვან საზოგადოებად და ენობრივი სოციუმის შექმნა. ამ ფუნქციების მოშლა ნიშნავს ეროვნ. ცნობიერების მოშლას, ერის ფსიქიკის დანგრევას.

ლიტ.: რამიშვილი გ., ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბ., 1995; *მისივე*, დედაენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება, თბ., 1998 (2000); Humboldt W. von, Gesammelte Schrif-ten (in 17 Bänden), hrsg. von A. Leitzmann, Berlin, 1903; Weisgerber L., Das Tor zur Muttersprache, Düsseldorf, 1961; *მისივე*, Die Muttersprache im Aufbau unserer Kultur, Düsseldorf, 1971.

გ. რამიშვილი.

«დედა ენა», ქართული ენის სახელმძღვანელო დაწყებითი კლასებისათვის. შეადგინა პედაგოგმა და მოაზროვნემ ი. *გოგებაშვილმა*. პირველად გამოიცა 1876 – «დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის». გამოცემები მეორდებოდა ორ წელიწადში ერთხელ, შემდეგ კი, გაზრდილი მოთხოვნილების გამო, ყოველწლიურად და ზოგჯერ წელიწადში ორჯერაც კი. არსებობს «დ. ე-ის» 46 გამოცემა, აქედან გოგებაშვილის სიცოცხლეში (1912-მდე) იგი 33-ჯერ დაიბეჭდა. ყოველ ახ. გამოცემაში ავტორი მეტ-ნაკლებად ხვეწდა სახელმძღვანელოს აგებისა და მასალის მიწოდების პრინციპებს, ცვლილებები შეჰქონდა საკარჯიშო-საკითხავ მასალაში.



«დ. ე.» თავდაპირველად ორი წლის კურსის მასალას მოიცავდა. 21-ე გამოცემის (1906) შემდეგ გამოდიოდა ორ ნაწილად. ამ გამოცემიდან იგი უკვე ძველია სარწმუნოების ქართველთა ანბანის სახელმძღვანელო იყო, რის გამოც წიგნიდან ამოიღეს სარწმუნოებრივი ხასიათის მასალები. «დ. ე» ანბანის ორიგინ. სახელმძღვანელოა. იგი შედგენილია კითხვა-წერის (ნაცვლად წერა-კითხვის) ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. სწავლების ეს ფორმა ავტორმა განავითარა, მიუსადაგა ქართ. ენის ბუნებას და დღეისათვისაც ანბანის სწავლების ერთადერთ ქმედით საშუალებად აქცია. «დ. ე.» აგებულია თვალსაჩინოების პრინციპით. მასში უხვადაა საყოფაცხოერებო თემატიკისა და საქართვ. ბუნების ამსახველი ილუსტრაციები. შესაცნობ ასო-ბგერას ახლავს ბავშვისთვის საინტერესო და ნაცნობი საგნის სურათი, რაც საგრძნობლად აიოლებს მასალის ათვისებას.

ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საკარჯიშო-საკითხავების შერჩევას. მოსწავლეებში ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების მიზნით ავტორი საგანგებოდ არჩევდა (ზოგჯერ სხვებს უკეთდა და თვითონაც თხზავდა) ქართ. ყოფისა და ტრადიციების ამსახველ მასალებს. ეს მასალა სამი სახისაა: ცალკეული სიტყვები, წინადადება-გამოთქმები, პატარ-პატარა მოთხრობა-ლექსები. ყოველი ახ. ასო-ბგერის შესწავლას თან სდევს საკარჯიშო სიტყვები და ფრაზები. «საანბანო ნაწილში» ჩართულია პატარა, სახალისო და ადვილად საკითხავი მოთხრობები. წიგნში 24 საკარჯიშო რიგია. ყოველი რიგი ერთი და იმავე წესითაა დალაგებული; შემდეგ მოცემულია სასაუბრო, რასაც მოსდევს ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხი გამოთქმები და საკარჯიშო მასალა.

1944-იდან გამოდის ი. გოგებაშვილის «დ. ე-ის» საფუძველზე შედგენილი ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის «დ. ე.» ორ წიგნად, I და II კლასებისათვის. ასევე ი. გოგებაშვილის «დ. ე-ის» მიხედვითაა შედგენილი ვ. რამიშვილის «დ. ე» მოსამზადებელი და I კლასებისათვის. გამოცემულია აგრეთვე რამდენიმე საანბანო სახელმძღვანელო, მაგრამ ძირითადად სკოლებში დარჩა ი. გოგებაშვილის «დ. ე-ის» საფუძველზე შედგენილი სახელმძღვანელოები.

გოგებაშვილის «დ. ე-მ» უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართველთა მთელი თაობების აღ-

ზრდაში. იგი წარმოდგენილი იყო მსოფლიო გამოფენებზე პარიზსა (1900) და ვენესუელაში (1960), სადაც ერთ-ერთი საპრიზო ადგილი დაიკავა და სიგელით დაჯილდოვდა. გამოცემის 100 წლისთავთან დაკავშირებით (1976) თბილისში აიგო ძეგლი, („ცოდნის ხარი“, მოქანდაკე ე. ამაშუკელი. ბრინჯაო).

ლიტ.: აბულაძე ს., იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები. თბ., 1950; ძიძიგური შ., იაკობ გოგებაშვილი და ქართული საერთო-სახალხო ენა, თბ., 1975; იაკობ გოგებაშვილი – დედა ენის ასი წელი, თბ., 1976; რამიშვილი ვ., იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა», თბ., 1979; მისიე ე., ეროვნული საუნჯე, 1982; მისიე ე., დედაენა იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებაში, თბ., 1990; მეგრულიძე ი., იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, თბ., 1988.

მ. მეიქელია.

დეეტერსი (Deeters) გერჰარდტ ულრიხ ეოლდემარ (1892–1961), გერმანელი ენათმეცნიერი, ბონის უნ-ტის პროფესორი, კავკასიოლოგი და ქართველოლოგი. იკელევდა ქართ. და მთის იბერიულ-კავკ. ენებს. მასვე ეკუთვნის რამდენიმე წერილი შოთა რუსთაველზე და ნაშრომი „ქართული ლიტერატურა“ (1963).

ქართველურ ენათა კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა „ქართველური ზმნა“ („Das Kharthwelische Verbum“, Leipzig, 1930). ამ ნაშრომში დ. ორ მიზანს ისახავდა: პირველ ყოვლისა, მას სურდა ნიადაგი მოემზადებინა ქართველურ ენათა ისტ.-შედარებითი გრამატიკის შესაქმნელად. შემდეგ კი ქართველური ენები შეედარებინა მთის იბერიულ-კავკ. ენებთან და საბოლოოდ ამ ენათა მიმართება გაერკვია მცირე აზიისა და წინა აზიის ძველ ენებთან. ნაშრომი 15 თავისაგან შედგება. მასში თანამიმდევრულადაა განხილული ზმნისწინები, პირის აღმნიშვნელი პრეფიქსები და სუფიქსები, მრ. რიცხვის სუფიქსები, დროის და გვართა წარმოება და ა. შ.

დ-ს ყურადღება მიუქცევია ქართ. ენის დიალექტებისთვისაც. ამ მიზნით გამოუყენებია ა. შანიძის, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას შრომები.

რიგ შემთხვევაში დ. ემყარება ნ. მარის „ჭანური ენის გრამატიკას“, ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკას“, სვანურისთვის კი იყენებს ა. ონიანისა და ი. ნიჟარაძის ტექსტებს, ა. შანიძის გამოკვლევას – „უმლაუტი სვანურში“. ამასთან ერთად, შანიძისეული კლასიფიკაციით, სვანურში ოთხ დიალექტს გამოყოფს (ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლაშხურსა და ლენტეხურს).

„ქართველური ზმნა“ გამოქვეყნდა უფრო ადრე, ვიდრე დაიბეჭდებოდა ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“ (1930), ნ. მარისა და მ. ბრიერის „ქართული ენა“ (1931), ვ. თოფურიას „სვანური ენა, I. ზმნა“ (1931). ამის გამო დ-ის ნაშრომის ზოგი საკითხი სადავოა.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., იბერიულ-კაეკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

გ. თოფურია.

დეზაფრიკატიზაცია, *აფრიკატის* გადაქცევა მარტივ თანხმოვნად, რედუქციის ერთ-ერთი სახეობა. დ. შეიძლება წარიმართოს ორი გზით: ერთი მხრივ, სპირანტული ელემენტის დაკარგვის, შესაბამისად მარტივ ხშულთა მიღების და, მეორე მხრივ, ხშულობის ელემენტის დაკარგვის, სპირანტიზაციის გზით. ქართულში ეს პროცესები გავრცელებულია დიალექტებში. მაგ., გურულსა და აჭარულში გვხვდება წ > ტ: სტაელა < სწავლა, სტორეთ < სწორედ, სასტაელებელი < სასწაელებელი და მისთ. უფრო ხშირია აფრიკატთა სპირანტიზაციის შემთხვევები. მაგ., ძ > ზ საკმაოდ გავრცელებულია ინგილოურში – ზაღლი < ძაღლი..., იმერხეულში – ზალუან < ძალიან, ზმა < ძმა; დ-ის შემთხვევები არასისტემურად გვხვდება იმერულში, კახურში, ხევსურულში, ფერეიდნულში...

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 (1998); ქობალავა ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კაეკასიურ ენებში. – «იკე», IX–X, თბ., 1958.

ნ. იმნაძე.

დეიქსისი (< ბერძნ. déixis – ჩვენება), ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობა ან ფუნქცია, უჩვენოს მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში გამონათქვამის მიმართება კონკრეტულ მოლაპარაკესა და მსმენელთან, წარმოთქმის კონკრეტულ დროსა და ადგილთან. „დ. ემსახურება სამეტყველო სიტუაციისა და გამონათქვამის დენოტატიური შინაარსის კომპონენტების აქტუალიზაციას“ (ვ. ვინოგრადოვი).

დ. გამოიხატება ლექსიკური და გრამატ. საშუალებებით. ლექსიკაში დეიქტური მნიშვნელობისაა ძირითადად ჩვენებითი ნაცვალსახელები, სიერცისა და დროის ზმნისზედები, არტიკლი, მიმართვის ფორმები, ზნისწინები, ნაწილაკები; გრამატიკაში – პირი, დრო, ტაქსისი (წინადადებაში მოქმედებებს შორის დროული თანმიმდევრობა).

განასხვავებენ გარეგან და შინაგან დ-ებს. გარეგანი დ. (საკუთრივ დ.) ორიენტირებულია არაენობრივ სინამდვილეზე (გამონათქვამის სიტუაციაზე); შინაგანი დ. მიმართულია ტექსტის (დისკურსის) შინაგან სტრუქტურაზე, ხოლო იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით (წინ, უკან) რეალიზდება დ. ტექსტში, განსხვავებულია *ანაფორა* და *კატაფორა*.

დ., როგორც რეფერენციის საშუალება, უნივერსალური ენობრივი თვისებაა, რ-იც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად არის გამოხატული, მაგრამ დეიქტური სისტემის ეგოცენტრულობა ელინდება ყველა ენაში: სისტემის ცენტრი არის პირველი პირი – მოლაპარაკე – ego „მე“. მეორე პირია ის, ვისაც მოლაპარაკე მიმართავს. როგორც კომუნიკაციური პარტნიორი, იგი დამოუკიდებელი არ არის და არსებობს მხოლოდ პირველ პირთან მიმართებით, მის სიერცეში. ამიტომაც არის შესაძლებელი ისეთი ფორმების არსებობა, როგორიცაა ქართულში „ჩემსკენ მოდის“ – „შენსკენ მოდის“, მაგრამ „მისკენ მიდის“. სიერცისა და დროის ენობრივი სტრუქტურირებაც პირველ პირზე ან ლაპარაკის მომენტზეა ორიენტირებული (შდრ. აქ-იქ, ახლოს-შორს, ახლა-შემდეგ...). დეიქტური სისტემის ეგოცენტრული ხასიათი განსაკუთრებით კარგად ჩანს „დეიქტური ორიენტაციის“ მქონე ენებში, როგორიცაა ქართული, რ-შიც მოძრაობის მიმართულება – აქეთ-იქით, ზევით-ქვევით..., მხოლოდ პირველი პირის ლოკალიზაციასთან მიმართებით განისაზღვრება (მოდის, ამოდის... ჩემსკენ, ჩადის... ჩემგან ქვეით,

ჩამოდის... ზეციდან ჩემსკენ; შდრ. რუს. идет ко мне / к тебе. (იხ. *ორიენტაცია*).

დ-ის მნიშვნელობით აგრეთვე გამოყენებულია ინგლ. ტერმინი „შიფტერი“ (რ. იაკობსონი). ამ ტერმინით აღნიშნულია ნებისმიერი ენობრივი ერთეული, რ-იც კონკრეტული დენოტაციის გარეშე გამოხატავს წინადადების კავშირს მოლაპარაკე – მსმენელთან და სამეტყველო აქტთან. ასეთი ფართო დეფინიციით დ. გულისხმობს არა მხოლოდ ჩვენებით ნაცვალსახელებს (დემონსტრატივებს), არამედ ისეთ არააეტონომიურ ნაცვალსახელებსაც, როგორიცაა ფრ. je „მე“, tu „შენ“ და ზმნიზედებს – ici „აქ“, „აქეთ“, „ახლა“, „აწი“, maintenant „ახლა, როცა..., რაკი...“, რ-თა რეფერენტის იდენტიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ მსმენელისთვის ცნობილი სიტუაციის შემთხვევაში.

ლიტ.: Бенвенист Э., Общая лингвистика (пер. с франц.), М., 1974; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику (пер. с англ.), М., 1978; Виноградов В. А., Дейксис. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990; Бюлер К., Теория языка. Репрезентативная функция языка (пер. с нем.), М., 2000. *ი. ქორძანია.*

დენტალური თანხმოვნები (ლათ. dentalis – კბილისმიერი), კბილისმიერი თანხმოვნები, რ-ებიც ზედა საჭრელ კბილებთან წარმოიქმნებიან. ქართულ ჩქამიერ ბგერათაგან ასეთებია ხშულმსკდომები (დ, თ, ტ). მაი წარმოთქმისას ენა ებჯინება კბილებს, დროებით გზას უღობავს საწარმოთქმო ჰაერნაკადს, ხოლო ამ ბგერებისათვის დამახასიათებელი სკდომის ხმაური (ჩქამი) სწორედ ენისეული ხშის ერობაშად მოშლის (სკდომის) დროს წარმოიქმნება.

კბილისმიერებად მიიჩნევა ნ და ჲ ბგერებიც, რადგან ენა კბილებს მათი წარმოთქმის დროსაც ებჯინება. ზემოთ ჩამოთვლილი კბილისმიერი ბგერებისაგან განსხვავებით სონორ ნ და ჲ ბგერათა წარმოსათქმელად საჭირო არაა არც კბილებთან ენისეული ხშის მოშლა და არც აქ (ან სადმე სხვაგან) წარმოქმნილი ჩქამი. ცხვირისმიერი (ნაზალური) ნ-ს წარმოთქმისას ენის კბილებზე მიბჯენა და ჰაერის ნაკადისთვის გზის დახშვა ემსახურება ამ ნაკადის მხოლოდ ცხვირიდან გამოდინებას, ხოლო გენერდითი (ლატერალური) ლ-ს წარმოთქმისას – მის მიშვებას გენერდითი მიმართულებით, ლოყის გასწვრივ. სხვადასხვა ბგერის მეზობლობამ შეიძლება გამოიწვიოს დ. თ-ის წარმოების აღგილის უკან (ნუნებისაკენ, ნუნებზე) გადაწევა: დოქი, თოხი, ტუჩი... *ზ. ჯაფარიძე.*

დერივაცია (ლათ. derivatio – გადახრა; წარმოქმნა), 1. სიტყვაწარმოება. ფართო გაგებით ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა. ამ გაგებით დ. (*ფლექსიასთან* ერთად) უპირისპირდება *კომპოზიციას* (იხ.ს.ა.), რ-იც ახალ ფუძეს წარმოქმნის დამოუკიდებელი ერთეულების შეერთებით. ვიწრო გაგებით, დ. არის სიტყვის ისეთი ცვლილება, რ-ის შედეგადაც მისი ლექსიკური მნიშვნელობა (ფლექსიისაგან განსხვავებით) იცვლება. წარმოქმნისას პირველად, ანუ ძირეულ ფუძეზე მნიშვნელობის მცველელი აფიქსების – დერივაციული აფიქსების დამატებით მიიღება ახ. *ფუძე*: გულ-ი > გულ-ოვან-ი, ცხენ-ი > ცხენ-ოსან-ი, სვან-ი > სვან-ეთ-ი. წარმოქმნილი სახელის ფუძედ გამოიყენება აგრეთვე რომელიმე ბრუნვის ფორმა, ჩვეულებრივ – ვითარებითი და მოქმედებითი: გულ-ი > გულ-ად-ი, შემთხვევა > შემთხვევ-ით-ი. ისტორიულად წარმოქმნილ სახელად შეიძლება მივიჩნიოთ ნაგენიტივარი გეოგრ. სახელები, რ-თაც ბოლოში -ის და -თ(ა) მოუდით: თბილის-ი, შინდ-ის-ი... მოწამე-თ-ა, ბერ-თ-ა და სხვ.

აფიქსების გამოყენების მხრივ დ. ფორმაწარმოებას უკავშირდება: წარმოქმნის საშუალებები ისეე აწარმოებენ ახ. სიტყვებს, როგორც ფორმაწარმომქმნელი მორფემები მორფოლ. სახის ცვლილებას. თავისი დანიშნულებით და სტრუქტურით წარმოქმნა ლექსიკოლოგიასაც განეკუთვნება (სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის გამო) და მორფოლოგიასაც (მაწარმოებელი აფიქსების გამოყენების თვალსაზრისით). წარმოქმნა შეიძლება იყოს სახელურიც და ზმნურიც. ჩვეულებრივ, არსებითი სახელისაგან ზედსართავია ნაწარმოები და ზედსართავისაგან – არსებითი: კაც-ი > კაც-ურ-ი, კლდე > კლდ-ოვან-ი, ქუდ-ი > სა-ქუდ-ე და ა. შ.; მაღალ-ი > სი-მაღლ-ე, ახალგაზრდა > ახალგაზრდ-ობ-ა. შედარებით იშვიათი მოვლენაა, როცა არსებითისაგან არსებითი სახელი მიიღება, ზედსართავისაგან – ზედსართავი: ბაღ-ი > მე-ბაღ-ე, სახლ-ი > სა-სახლ-ე... წითელ-ი > წით-ურ-ი, თეთრ-ი > უ-თეთრ-ეს-ი. არის შემთხვევები, როცა არსებითისაგან ზედსართავი იწარმოება, მისგან კი – ახ. არსებითი სახელი: გულ-ი > გულ-ად-ი > გულ-ად-ობ-ა. ასევე ჩვეულებრივია აფიქსების დართვით ზმნური ფუძისგან ნაზმნარი სახელის, ხოლო სახელისაგან ნასახელარი ზმნის წარმოქმნა: ხატავ-ს > ხატვა, იბრძვი-ს > ბრძოლ-ა, ტირი-ს > ტირ-ილ-ი... ბარ-ი > ბარ-ავ-ს, ჩქარ-ი > ჩქარ-ობ-ს.

აფიქსაციით წარმოქმნილი სახელები სამი სახისაა: პრეფიქსული (სა-წერი, უ-რიცხვი), სუფიქსური (მანდილ-ოსან-ი, სახელ-ოვან-ი), პრეფიქსულ-სუფიქსური, ანუ ცირკუმფიქსური (სი-ლამაზ-ე, საოჯახ-ო, მე-ურმ-ე).

შინაარსობრივად წარმოქმნილ სახელებს ასე აჯგუფებენ: ქნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, დანიშნულებისა, წინავითარებისა, ხელობისა, აბსტრაქტული, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვ.

სიტყვაწარმოებითი მოდელები ენაში შეიძლება იყოს პროდუქტიული (მოქმედი) და არაპროდუქტიული, რაც იმას ნიშნავს, რომ მოდელები ენის განვითარების მანძილზე იცვლება და ამრიგად, ისტორიული დიაქრონიული და სინქრონული სიტყვაწარმოებითი მოდელები განსხვავებულია.

პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელის მაგალითია -ობა სუფიქსით არსებითებისაგან ახალი არსებითების წარმოება: კაცი – კაცობა, არაპროდუქტიულისა – -ედ სუფიქსიანი ფორმები, როგორიცაა: კარედი. თუმცა სამეცნიერო ტერმინების შექმნისას მეცნიერებმა სწორედ ეს მოდელი გამოიყენეს: წრედი, პწკარედი. სხვა

ენიდან ნასესხები მოდელი შეიძლება იყოს პროდუქტიული ენაში, მაგ., -ისტ სუფიქსით შესაძლოა ახალი სიტყვების წარმოება ქართულში, თუმცა ასეთი სიტყვები მრავალრიცხოვანი არ იქნება. მაგალითების სიხშირე და მოდელის პროდუქტიულობა განსხვავებული რიგის ცნებებია.

დ. უკავშირდება როგორც მორფოლოგიას, ისე ლექსიკოლოგიასაც, მაგრამ არცერთ მათგანს არ განეკუთვნება. მორფოლოგიაში ტერმ. „დ.“ გულისხმობს სიტყვათფორმაციის მხოლოდ ერთ კატეგორიას – დერივაციულ მორფოლოგიას.

2. გენერატ. გრამატიკაში ტერმ. „დ.“ გამოყენებულია წინადადების წარმოქმნის პროცესისათვის.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; ფონიშვა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ა. მარტიროსოვი. ნ. სტურუა.

დეტერმინანტი, დეტერმინატივი (ლათ. determinans – განმსაზღვრელი), I. გრამატიკული ან ლექსიკური საშუალება, რ-იც ხელს უწყობს საგანთა კლასიდან რომელიმე წევრის გამოყოფას (არტიკლები, ჩვენებითი ნაცვალსახელები...). სიტყვაწარმოებაში დ. აღნიშნავს რთული სიტყვის კომპონენტს, რ-იც მეორე კომპონენტის განსაზღვრებაა (წყალბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი...).

ქართ. საენათმეცნ. ლიტ-რაში ტერმინი დ. გამოყენებულია (არნ. ნიქობაძა) სახელური ფუძეების (სუბსტანტივის, ატრიბუტის) საწარმოებელი სუფიქსების (-ალ, -ელ, -ულ, -ოლ, -ლ) აღსანიშნავად, რ-ებიც გამოყოფილია მანამდე ფუძისეულად ცნობილ მასალაში, მაგრამ ამჟამად აფიქსებად არ აღიქმება: წყ-ალ, მაღ-ალ, ყინ-ულ, ქს-ელ, წით-ელ, გ-ულ, ზაფხ-ულ, მამ-ულ, ფრინჩ-ილ, ცოლ, ეაშ-ლ, თაფ-ლ, მრჩობ-ლ... დების მეშვეობით უნდა მომხდარიყო გაუდიფერენცირებელი (სახელისა და ზმნისთვის საერთო) ძირებისაგან გარკვეული ფუძის, როგორც სახელის, კონკრეტიზაცია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავდაპირველად აღნიშნულ სუფიქსებს დეიქტური ნაწილაკების ფუნქცია უნდა ჰქონოდათ.

2. დამხმარე ნიშანი, იეროგლიფურ ლექსიკონში იეროგლიფის აღგილის მანვენებელი (მაგ., ჩინურში).

ლიტ.: ნიქობაძა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; Мейе А., Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, пер. с франц., М.–Л., 1938; Бенвенист Э., Индоевропейское именное словообразование. пер. с франц., М., 1955; Рогава Г.В., К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб., 1956

ლ. სანიკიძე.

დეშიზი (გერმ. Divis < ლათ. divisio – დაყოფა, დანაწევრება), გრაფიკული ნიშანი, მოკლე ჰორიზონტალური ხაზი (-), რ-იც იხმარება ერთზე მეტი მნიშვნელობის მქონე (ჩვეულებრივ, ორმნიშვნელობიანი) რთული სიტყვების კომპონენტთა დასაკავშირებლად (და-ძმა, ხელ-ფეხი), გაორმაგებული ფუძეებისა თუ სიტყვების მიჯნაზე (ტკეტკე, ორ-ორი, ეს-ესაა, აქა-იქ), დანართიანი სახელის შემცველი მსაზღვრელ-საზღვრულის მიჯნაზე (სახლ-მუზეუმი, წევრ-კორეს-პონდენტი), ზმნისწინებით განსხვავებული ზმნებისა თუ სახელზმნების მიჯნაზე (მიიარ-მოიარა, მისველა-მოსველა, შესასველელ-გამოსასველელი), ორმაგი გვარის გასაფორმებლად (ბაგრატიონ-მუხრანელი, ერისთავ-ხოშტარია), არაქართულ რთულ ტოპონიმთა – როგორც წესი, დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა – კომპონენტების მიჯნაზე (ნიუ-იორკი, იასჩაია-პოლიანა), ზოგი ნაწილაკის წინ (წუმად-მეთქი, მოდი-თქო), გრამატ. ელემენტების გამოსაყოფად (ე- პრეფიქსი, ებ- სუფიქსი, გა-ი-არა), სიტყვის მარცვლებად დასაყოფად (მა-მა-ლი) და სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად, სიტყვის შემოკლებისას საწყისსა და ბოლო ელემენტებს შორის (ბ-ნი = ბატონი, ლიტ-რა = ლიტერატურა).

დ-ით შეერთებული სიტყვები, ჩვეულებრივ, ერთ სემანტიკურ ველს განეკუთვნებიან და ხშირად *სინონიმებად* ან *ანტონიმებად* გვევლინებიან (სვე-ბედი, აე-კარგი). დ-ით გაფორმებული კომპოზიტების აბსტრ. სახელებად ან ზედსართავებად ქცევისას დ. უქმდება და კომპოზიტები ერთ სიტყვად იწერება (და-ძმა, მაგრამ – დაძმობა, დაძმური). ზოგი ენისაგან განსხვავებით, ქართულში დ. არ იწერება გადაბგერებულ ან თითო-ოროლა ბგერით გართულებული გაორმაგებული ფუძეების შემცველ სიტყვებში (არემარე, ხევხუე, გოგლიმოგლი. შდრ. რუს.: гоголь-моголь).

დ-ის ხმარების წესი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ან გამოთქმის კომპონენტთა ცვეთის კვალობაზე (რკინის გზა > რკინის-გზა > რკინიგზა).

შ. აფრიდონიძე.

დეცესიური კომპლექსები (<ლათ. decessio – წასვლა, დაშორება), ორი თანხმოვნის ისეთი მიმდევრობა, როდესაც პირველი თანხმოვანი უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე მომდევნო. ასეთია ქართულში ბდ, ფხ, პყ, სქ, შხ, ტკ და სხვ. მინრნეულია, რომ ასეთ კომპლექსებში შემავალ თანხმოვანთა არტიკულაცია მიისწრაფვის ერთჟამიერობისაკენ (გ. ახელედიანი). დ. კ-ში ნაგარაუდევია არა მხოლოდ საერთო ხშვა, არამედ განხშვაც (ს. ჟღენტი).

ქართ. ენისათვის სპეციფიკურად ითელება ხშულ თანხმოვანთა დეცესიური წყვილები, რ-ებსაც ჰარმონიულ ჯგუფებს უწოდებენ: ამ კომპლექსების ორიეე თანხმოვანი ჰეტერორგანულია, ხოლო მეღერობა – სიყრუის მიხედვით ჰომოგენური: ორიეე მეღერი, ასპირირებული ან აბრუპტივია. გამოყოფენ ჰარმონიულ წყვილთა ორ სისტემას – A და B (გ. ახელედიანი, ნ. ქუთელია). მათ საერთო აქვთ პირველი კომპონენტი: ხშულთა და აფრიკატთა სამეულები – ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ; განსხვავებულია მეორე კომპონენტი: A სისტემაში გეხედება ხშულთა მეხუთე სამეულის წევრები გ-ქ-კ, B სისტემაში კი – სპირანტები ღ-ხ და ჟ.

A	B
ბგ ფქ პკ	ბღ ფხ პჟ
დგ თქ ტკ	დღ თხ ტჟ
ძგ ცქ წკ	ძღ ცხ წჟ
ჯგ ჩქ ჭკ	ჯღ ჩხ ჭჟ

(აბგა, ფქვა, აპკი, ადგა, თქვა, ტკიეილი, ძგერა, ცქერა, წკირი, ჯგუფი, ჩქარი, ჭკუა, ბღავის, ფხა, პჯრობა, დღე, თხა, ტჟე, ძღოლა, ცხელი, წყალი, ჯღაბნა, ჩხირი, ჭყიეის).

ჰარმონიული კომპლექსების A და B სისტემებს აჯგუფებენ პირ-

ველი კომპონენტის მიხედვითაც, რაც მიუანშეწონილად არის მიჩნეული აღნიშნულ კომპლექსთა დიაქრონიული კელეციისათვის (გ. როგავა):

A	B
ძგ ცქ წკ	ჯგ ჩქ ჭკ
ძღ ცხ წყ	ჯღ ჩხ ჭყ

აქცესიური და დ. კ-ების ექსპერ. შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია პარმონიული კომპლექსების სპეციფიკად *კოარტიკულაციის* ხარისხის მინენება, რიც პარმონიულ კომპლექსებში მეტია, ვიდრე აქცესიურებში.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჟღენტი ს., ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956; როგავა გ., დეცესიურ პარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში. – «მაცნე», 1965, №2; იმნაძე ნ., ხშულთა პარმონიული კომპლექსების შესახებ ქართულში. – «იკე», XXIV, თბ., 1985; Кутелия Н. С., Две системы гармонических согласных в грузинском языке (экспериментальное исследование). Автореф. канд. дисс., Тб., 1956. *ნ. იმნაძე.*

დიათეზა (ბერძნ. diathesis – გვარი), მიმართებათა სქემა სინტაქსური და სემანტიკური დონის ერთეულებს შორის. სემანტიკური დონის ერთეულებია სიტუაციის სპინით გამოხატული მონაწილეები: სუბიექტი (აგენსი), ობიექტი (პაციენსი), ინსტრუმენტი, ადრესატი და სხვ. სინტაქსური დონისა კი – წინადადების წევრები: *ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება* და სხვ. ზოგჯერ გვაქვს პირდაპირი შესატყვისობა ამ ორი დონის ელემენტთა შორის: სუბიექტს გამოხატავს ქვემდებარე, ობიექტს – პირდ. დამატება, ადრესატს – ირ. დამატება. ასეთ მიმართებას ამოსავალი დ. ეწოდება. ზოგჯერ მიმართება იცვლება. თეორიული შესაძლებლობა მრავალგვარია. შესაძლებელია სიტუაცია გულისხმობდეს სუბიექტს, წინადადებაში კი არ იყოს ქვემდებარე. მაგ., „ჩვენთან აშენებენ მეტროს". დ-თა აღრიცხვა ყველა შესაძლო ვარიანტის გათვალისწინებას გულისხმობს. შესაბამისი მაგალითები სხვადასხვა ენის მასალაზე ელინდება. ამოსავალი დ-ის ცნების ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც ობიექტი ქვემდებარედ იქცევა, სუბიექტი კი – უბრალო დამატებად: „კაცი წერს წიგნს" – „წიგნი იწერება კაცის მიერ". ასეთი ცვლილება ხდება ენებით გვარში. *გვარი* დ-ის ერთ-ერთი სახეობაა. კერძოდ, დ. გვაძლევს გვარს იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნაში რეგულარულად აისახება (მორფოლოგიურად გამოიხატება) შესატყვისობა სინტაქსური და სემანტიკური დონის ელემენტებს შორის. გვარი არის ზმნაში გრამატიკულად მარკირებული დ.

ლიტ.: Категория залога, Л., 1970; Диатезы и залоги, Л., 1975.

ლ. ენუქიძე.

დიალექტი (ბერძნ. dialektos – ლაპარაკი, თქმა, კილო), კილო, ენის ვარიანტი, რ-ზეც მეტყველებს ენობრივი კოლექტივის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნით გამოყოფილი ჯგუფი. დ-ად განიხილება აგრეთვე სოციალური ან პროფესიული წრეებისათვის დამახასიათებელი მეტყველება (იხ. *სოციალური დიალექტი*) ტრმ. „დ." ენათმეცნიერებაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ამ ტერმინით ხშირად აღნიშნულია მონათესავე ენათა შტოები, მაგ., ინდოევრ. დ-ები (გერმანიკული, იტალიკური და ა. შ.), ან ერთი ენის ისტორიულად განსხვავებული ეტაპები (ამ მნიშვნელობით შემოთავაზებულია ტერმინი – ისტორიული ანტემპორალური დ-ები). ტერმ. „დ." გაერცელებულია აგრეთვე განვითარებადი ქვეენების დაუდგენელი სტატუსის მქონე უმწერლობო ენების აღსანიშნავად. გარდა ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნებისა, ლინგვისტიკაში დიდ ხანს ეჭვის ქვეშ იყო საკუთრივ დიალექტური საზღვრების დადგენის შესაძლებლობაც კი. ამჟამად ეს საკითხი არ დგას (იხ. *ლინგვისტური გეოგრაფია*).

ტერიტ. დ-ს ენის სხვა დიალექტთან (დიალექტებთან) და სალიტ. ენასთან გარკვეული მსგავსების ფონზე აქვს ნაწილობრივ განსხვავებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები, დამახასიათებელი ინტონაციური ქარგები. მაგ., ქართ. ენის მთის დ-ებს (თუშურს, ფშაურსა და ხევსურულს) ზმნის უღლების სისტემაში მოეპოვება ე. წ. არქაული ნამყო უსრული, რის გამოც დრო-კილოთა II სერიაში გვაქვს არა ორი, არამედ სამი ნაკეთი (მწკრივი), ამით ისინი განსხვავდებიან როგორც სალიტ. ქართულის, ისე აღმ. საქართველოს ბარისა და დასავლურ ქართ. დ-ებისაგან (შდრ. თუშ. მოვიდ., მოვიდის, მოვიდეს; გააკეთა, გააკეთის, გააკეთოს..). ქართ. ენის დ-ების ერთ ნაწილს მოეპოვება ფარინგალური ერუ ფშვინიერი ჰ, რითაც მათი თანხმოვანთა სისტემები განსხვავდება სხვა დ-ების თანხმოვანთა სისტემებისაგან. დ-ების შიგნით, მათი თანდათანობითი დიფერენციაციის გზით, გამოიყოფა ერთმანეთისაგან შედარებით ნაკლებად განსხვავებული დიალექტური ერთეულები, ქვედიალექტები: კილოკავები, თქმები, ქცევები – დ-თა ადგილობრივი ნაირსახეობანი, რებიც მეტყველებაში დადასტურებული პარალელური ფონეტ., ლექსიკური თუ გრამატ. ფორმებიდან ერთ-ერთს ანიჭებენ უპირატესობას. მაგ., თუშურ დ-ში მოზვერს ორი სახელი აქვს: მოზვერაცჳ და ჭეჭყაცჳ. თუშურ დ-ზე მეტყველისათვის ორივე ცოცხალი სიტყვაა, მაგრამ პირველს ჩაღმაები და გომეწრელები ანიჭებენ უპირატესობას, მეორეს – პირიქითელები. ბგერათშენაცვლება და მახვეილის განაწილება ხევსურულში ქმნის ერთი და იმავე ფორმის („კაცი ვარ") ორ ნაირსახეობას: კაც-ვარი და კაცრ-ორ, ოღონდ პირველი მათგანი არხოტულისთვისაა დამახასიათებელი, მეორე – შატილურისთვის. რაც შეეხება თქმებსა და ქცევებს, იქ თავისებურებებს ძირითადად ქმნიან ზესეგმენტური მახასიათებლები: არადისტინქციური ინტონაციები, მეტყველების ტემპი და სხვ. ტერიტ. დ-ებს ახასიათებს შიდასოციალური დიფერენციაციაც: განასხვავებენ უფროსი და უმცროსი თაობის, ქალთა და მამაკაცთა, მოსწავლე ახალგაზრდობის და სხვ. მეტყველებას და ა.შ.

დიალექტური კელეციის თვალსაზრისით უფრო და უფრო მეტ ღირებულებას იძენს ე. წ. ქალა-

ქური დ., რ-იც მოიცავს (განსაკუთრებთი მეეაპოლისებში) ლოკალურ დიალექტურ შრეებსაც.

ენის ტერიტ. დ-ებად დიფერენციაცია ისტ. პროცესია, რ-საც ადგილი აქვს ენობრივი კოლექტივის ჯგუფების გეოგრ. თუ პოლიტ. იზოლაციაში ხანგრძლივი ცხოერებისას. ერთი ენის დ-ები დროთა განმაელობაში შეიძლება ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ. ამ გზით მიიღება გენეტიკურად მონათესაე ენათა ჯგუფები. მაგ., საერთო-ქართველური ფუძეენის ჯერ დიალექტებად დიფერენციაციისა და დ-ების დამოუკიდებელ ენებად განვითარების შედეგად წარმოიქმნა ქართველურ ენათა ჯგუფი. საკუთრივ ქართული წარმოდგენილია დ-ებით, რ-თაგან 13 – *ქართლური, კახური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური-გუდამაყრული, მესხური, იმერული, გურული, აჭარული, რაჭული* და *ლეჩხუმური* – საქართვ. სახელმწიფოს ტერიტორიაზეა გავრცელებული. ნაწილი ქართ. დ-ებისა საქართველოს საზღვრებს გარეთაა: *იმერხეული* (კლარჯული) – თურქეთში, *ინგილოური* – აზერბაიჯანში და *ფერეიდნული* – ირანში. ასახელებენ კიდეე ერთ დ-ს – *ყიზლარ-მოზდოკურს*, რ-იც დღეს ფაქტობრივად აღარ არსებობს. თითოეულ დ-ში გამოყოფილი კილოკაეები ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვან თავისებურებებს აელენენ, რომ შეიძლება ცალკე დ-ებადაც კი იქნეს მიჩნეული. მაგ., ზემოიმერული და ქვემოიმერული – იმერულში და ქიზიყური – კახურში.

თუ ქვედიალექტური ერთეულების (კილოკაეების, თქმების, ქცეევების) გამოყოფის პროცესი მეტნაკლებად გამჭვირალეა, შედარებით პრობლემურია თვით ენასა და დ-ს შორის განსხვაეების დადგენა. მსგაეს შემთხვეევებში კლასიფიკაციები, რ-თა მიხედვით ხდება განსხვაებულ დიალექტურ ერთეულთა როგორც დამოუკიდებელ ენათა ან ერთი ენის დ-ებად იდენტიფიკაცია, განსხვაებულ ენებში (შესაბამის რეგიონებში შექმნილი კულტ.-ისტორიული პირობების მიხედვით) განსხვაებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ენის ფუნქციონირებიდან გამომდინარე, ხშირად ძირითად კრიტერიუმად ჩვეულებრივ ასახელებენ ურთიერთგაგებინებას: თუ განსხვაებულ დიალექტურ ერთეულთა წარმომადგენლებს ესმით ერთმანეთის, საქმე გვაქვს ერთი ენის დ-ებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში – განსხვაებულ ენებთან. მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმი ზოგჯერ არ იძლევა ენისა და დ-ის ცალსახად განსხვაების შესაძლებლობას. ერთი მხრივ, ცნობილია ენები, რ-თა დ-ები იმდენად განსხვაებულია, რომ მათზე მოლაპარაკენი ვერ უგებენ ერთმანეთს, მაგ., ჩრდ. და სამხრ. იტალიური ან ჩინური დ-ები. მეორე მხრივ, დანიურსა, ნორვეგიულსა, შვედურსა მოლაპარაკეთ ესმით ერთმანეთის, თუმცა ეს ერთეულები მიჩნეულია განსხვაებულ ენებად. მსგავსი სიტუაციაა რუსულსა და ბელორუსულს, რუმინულსა და მოლდავურს, სპარსულსა და ტაჯიკურს, თურქულსა და აზერბეიჯანულს და სხვ. შორის. თანამედროვე არაბ. დიალექტები (ტუნისური, ალჟირული...) მნიშვნელოვნად განსხვაებებიან კლასიკური არაბულისაგან, მაგრამ მათი მიჩნევა ერთი ენის დ-ებად განპირობებულია საერთო სალიტ. ენით (იხ. *არაბული ენა*). ასევე, ლიტ. ენა აერთიანებს ჩინდი ენის განსხვაებულ დ-ებს, ჩინურის დ-თა გამაერთიანებელი აღმოჩნდა იდეოგრაფიული დამწერლობა, რ-იც არსებულ სამეტყველო ბარიერს შლის; სკანდინავიურ (და მსგავს სიტუაციაში მყოფ) ენათა დამოუკიდებლობა გამართლებულია ისტორიის, კულტურის, ლიტ-რის, პოლიტ. ვითარების გათვალისწინებით. ანგარიშგასაწევი (ზოგჯერ ერთადეროი) კრიტერიუმია ენის მფლობელთა თვითშეგნება, რომელიც განაპირობებს ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივისადმი (resp. ენისადმი) მათ მიკუთვნებას ან მისგან გამიჯვნას. მაგ., პუშტუ (აეღანური) ენის დ-ები, რ-ებიც ენობრივად საკმაოდ დაშორებული არიან ერთმანეთს მიიჩნევიან ერთი ენის დ-ებად, ძირითადად ეთნიკური ერთიანობის შეგნების საფუძველზე. ასევე, ეთნიკური პრინციპით ერთიანდებიან *ქართული ენის* დ-ებიც და სხვ.

მაგრამ როგორი მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა როლი სამეტყველო ერთეულების ენებად თუ დ-ებად იდენტიფიკაციისათეის ობიექტური ლინგვისტ. კრიტერიუმების შემოტანის აუცილებლობა მაინც რჩება. ეს თავიდან აგვაცილებს სოციოლინგვისტური და საკუთრივ ლინგვისტ. კრიტერიუმების (და შესაბამისი ცნებების) აერევას, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ენათა და, რაც უფრო არასასურველია, დ-თა რაოდენობის გაზრდა. დ-თა წრის ხელოენური გაფართოება დიდ სირთულეებს შეუქმნის დიალექტურ კვლევას შესაბამისი მეთოდის უქონლობის გამო (იხ. *ქართველური ენები*). ამასთანავე, საესებით ცხადია, ენებისა და დ-ების ლინგვისტური სტატუსის სწორად დადგენის მნიშვნელობა შედარებით-ისტ. კვლევისათეის, რ-იც გულისხმობს არა მხოლოდ ენათა ნათესაობისა და მონათესავე ენების ოჯახების დადგენას, არამედ საიმედო საფუძველს ქმნის ენათა ცვალებადობის მიზეზებისა და მიმართულების, საერთოდ ენათა განვითარების კანონზომიერებათა დადგენისათეის. ამიტომ, საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმების დამუშავება მუდმივად აქტუალურია ენათმეცნიერებისათეის. ერთ-ერთი ასეთი ცდა დიასისტემის აგებაა, რ-საც გვთავაზობს უ. ვაინრაიხი. სახელდობრ, დიასისტემა მოიაზრება როგორც ჰომოგენურ და დისკრეტულ სისტემათა მიმართ საერთო ენობრივი სისტემის გამომხატველი ფორმალურ მიმართებათა ქსელი, რ-ის ჩარჩოებში შესაძლებელი ხდება დიალექტურ მოელენათა შორის განსხვაებების ჩეენება (როგორც ინვენტარში, ისე დისტრიბუციაში). თანმიმდევრულად გატარებული დიასისტემური აღწერა საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ დიალექტური მოელენები მათი განსხვაებისა და უწყეეტობის პირობებში.

დიალექტური ერთეულების ლინგვისტ. კლასიფიკაციას გულისხმობს იელმსლეეისეული „ცნები-

თი იერარქიის“ (სისტემა, კატეგორია, ნიშანი, რიგი, ელემენტი) საფუძველზე შემოტანილი „სისტემური“ კრიტერიუმი (ა. ეედოშენკო). ამ კრიტერიუმით, დიალექტურ ერთეულთა იერარქიაში ყოველი ობიექტი, როგორც კლასი, განიხილება სიმრავლედ, რ-შიც ცვლილებათა გარკვეული გრადაციები განსაზღვრავს დიალექტურ ერთეულთა იერარქიას. თუ ცვლილებები ეხება კატეგორიებს, საქმე გვაქვს განსხვავებულ ენებთან; თუ კატეგორიათა იგიეობის პირობებში ცვლილებები ეხება ნიშნებს, შეიძლება ვილაპარაკოთ (ჩვენში მიღებული ტერმინოლოგიით) კილოზე; თუ არის იგიეობა კატეგორისა და ნიშნის დონეზე, მაშინ განსხვავებების მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ კილოკავზე, ხოლო კატეგორიის, ნიშნისა და რიგის იდენტურობის შემთხვევაში – თქმაზე. მონათესავე ენებსა და დ-ებს შორის განსხვავების დასადგენად ერთ-ერთ ლინგვისტურ კრიტერიუმად შემოთავაზებულია ენობრივ და დიალექტურ სისტემებს შორის არსებული შემდეგი სტრუქტურული განსხვავებები: ენობრივი სისტემის დამოუკიდებელი და დ-ის დამოკიდებული ხასიათი; საერთოენობრივ სისტემასთან შედარებით, დიალექტურის ღია ხასიათი და, აქედან გამომდინარე, დიალექტური სისტემების მეტი გამჭვირვალობა და მათ შინაგან სტრუქტურაში მეტი ვარიანტულობა ენობრივთან შედარებით (ლ. ბარანიკოვა).

დიეერგენციის პირველ საფეხურზე ხდება საერთო ფუძეენის დ-ებად დაყოფა, რ-ის შედეგად წარმოიქმნება არა განსხვავებული სისტემები, არამედ მხოლოდ სისტემის ვარიანტები. ე. ი. ენის დიფერენციაციის დიალექტური დონე ფაქტობრივად არის სისტემის ვარიანტებად დიფერენციაციის დონე. მიმართებები, ერთი მხრივ დ-ებს, ხოლო მეორე მხრივ, მონათესავე ენებს შორის განსხვავებულია. ენობრივ და დიალექტურ სტატუსებს შორის სხვაობა, მაგ., ლექსიკურ დონეზე ასე წარმოგვიდგება: ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი ერთი ენის დ-ებში არსებითად იდენტურია, განსხვავება პერიფერიულ ლექსიკაში იჩენს თავს. მონათესავე ენებს შორის კი განსხვავებულია როგორც პერიფერიული, ისე ძირითადი ფონდის ლექსიკა. ამასთანავე, ამოსავალი მსგავსების დასადგენად რიგ შემთხვევაში საჭირო ხდება დიაქრონიული მეთოდების გამოყენება. ასეთივე თვალსაზრისო განსხვავებები დასტურდება მონათესავე ენათა ფონოლოგ., გრამატ., სისტემებშიც.

იხ. გარდამავალი დიალექტი.

ლიტ.: გიგინეიშვილი ი., თოფურია ე., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961; ეაინრაიხი უ., შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია“? თარგმ. ინგლ. – «მიმომხილველი» (სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული), IV–V, თბ., 1968; ჯორბენაძე გ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989; ცოცანიძე გ., ქართულ-ქართველური დიალექტების განლაგება ენათა გენეალოგიურ ხეზე და მათი განლაგება ეთნო-კულტურულ არეალებში. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნ. კვლევითი ცენტრის კრებული, II, 2002; Баранникова Л. И., О разграничении языка и диалекта. – «Язык и общество», М., 1968; Евдошенко А. П., Диалектное членение языка и проблема группировки или „классификация“ диалектов. – Общие проблемы диалектологии и истории языка. Ответы на вопросник, М., 1969; Эдельман Д. И., Проблема „язык или диалект?“ при отсутствии письменности. – კრ. «Лингвистическая георграфия, диалектология и история языка», Ереван, 1976; Касаткин Л. Л., Диалект. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

გ. ცოცანიძე, ი. ქობალაძე.

დიალექტიზმი, ერთი (ან რამდენიმე) დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმა ან მოვლენა, რ-იც სხვადასხვა გარემოებაში თავს იჩენს სალიტერატურო ენაში. იგი ფასდება სალიტ. ენის პოზიციიდან. დ-ს არ ცნობს და ებრძვის სალიტ. ნორმა. გამოყოფენ სხვადასხვა ხასიათის დ-ს: ფონეტიკურს (ფონოლოგიურს), მაგ., პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთა თანამიმდევრობის თავისებურებანი ქართ. ენის აღმ. და დას. დიალექტებში: მაყრონება (ფშაური), მეეწონება (ქახური), მეიტანა (იმერული), გუუჭკლეტია (გურული); გრამატიკულს (მორფოლოგიური, სინტაქსური) – დიალექტურად თავისებური გრამატ. ფორმები: მაგ., ე. წ. არქაული ნამყო უსრულის, ხოლმეობითისა და თხოვნითი ბრძანებითის ფორმები აღმ. საქართვ. დიალექტებში: **ავიღი** (ქიზიყურში), **უთხროდი, დამიტიროდი** (ფშაურში), **უთხრიდი** (ხევსურულში), **უთხრიდიღ** (თუშურში); ლექსიკურს – დიალექტური სინონიმები: **ბაბო, ბერდედა, დიდედა**; ეთნოგრაფიულს – ამა თუ იმ კუთხის ეთნოგრ. რეალიათა აღმნიშვნელი ლექსიკა: **უბიანები** – ქალის საპატარძლო სამოსი თუშეთში, **ფაფანაკი** – მამაკაცის ქუდი იმერეთში, **თათები** – ნაქსოვი ფეხსამოსი ხევსურეთში... დ. არის აგრეთვე სახ. ფენების თუ პროფესიული ჯგუფების დამახასიათებელი მეტყველებიდან სალიტ. ენაში შემოტანილი სიტყვები.

სალიტ ენაში უნებლიე, გაუაზრებელი დ-ების ხმარება უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ მხატვრულ ლიტ-რაში მას იყენებენ როგორც გამომსახველობით ხერხს ლიტ. ტიპების ხასიათის სრულყოფილად გახსნისა და ადგილობრივი კოლორიტის ჩვენების მიზნით. ქართ. ლიტ-რაში დ., როგორც მხატვრული ხერხი, თავს იჩენს XIX ს-ის შუა წლებიდან და უკავშირდება მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის, იმ დროისათვის ახალი მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის, დამკვიდრებას. დ-ებს თავიანთ შემოქმედებაში მიმართავდნენ გ. ერისთავი (ქალაქელ ეაჭართა მეტყველება), ი. ჭავჭავაძე (მოხუცური), ვაჟა-ფშაველა (ფშაური), ა. ყაზბეგი (მოხუცური), ე. ნინოშვილი (გურული), დ. კლდიაშვილი (იმერული). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვაჟას დამოკიდებულება დ-ებისადმი (იხ. *ვაჟა-ფშაველა*). ლიტ-რაში წარმატებით გამოყენებული დ-ები ხშირად მკვიდრდება სამწერლობო ენაში, იქცევა მის კუთვნილებად. ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ სალიტ. ქართულში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან შემოსული, ხალხური პოეზიიდან მომდინარე შესიტყვება „კაი ყმა“ (აქედან – „კაი ყმის ინსტიტუტი“).

დ-ებს ლიტ-რაში მიმართავენ მხატვრული ეფექტის გასაძლიე-

რებლად. მაგრამ თუ მწერალს მხატვრულმა ალღომ და ზომიერების გრძნობამ უღალატა, იგი დადებითის ნაცვლად უარყოფით ეფექტს იძლევა.

ლიტ.: ფ ო ი ხ უ ა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მცირე შენიშვნა (პასუხად ბ-ნ ჯ. მირიანაშვილს). – იხ. მისი: თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1979; ჭ ი ლ ა ი ა ა., ჭ ი ლ ა ი ა რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984; ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ქ., დიალექტური ლექსიკის ადგილი ენისა ენაში. – კრ.: «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები». წ. 6, თბ., 1984; კ ო შ ო რ ი ძ ე ე., სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების ურთიერთობის ისტორიისათვის. – იქვე.

გ. ცოცანიძე.

დიალექტოლოგია (ლაპარაკი, თქმა, კილო, დიალექტი და logos – სიტყვა, მოძღვრება), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის დიალექტურ მეტყველებასა და დიალექტებს. იგი შეიძლება იყოს აღწერითი ან ისტორიული. აღწერითი დ. სწავლობს საერთო სახალხო ენას მის სივრცით განფენილობაში. ნებისმიერი თანამედროვე ეროვნული ენა არის რთული ერთიანობა, მოიცავს სახესხვაობათა მთელ კომპლექსს – სალიტ. ენას სოც. და სტილური, დიალექტურ მეტყველებას კი – ტერიტ. ვარიანტებით. სწორედ ეს ტერიტ. და სოც. ვარიანტები მათ ინდივიდუალობასა და ერთიანობაში არის დ-ის შესწავლის ძირითადი ობიექტი.

დ, როგორც მეცნ. დისციპლინა, ჩაისახა ეთნოგრაფიის წიაღში და გამოიკვეთა ხალხის სულიერი და მატერ. კულტურის შესწავლასთან ერთად. ადგილ. ენობრივი თავისებურებებიც განიხილებოდა როგორც ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა ეთნოგრ. ნიშნები. როგორც ენათმეცნ. დისციპლინა, დ. ჩამოყალიბდა XIX ს. შუა წლებისათვის და გაღრმავდა საუკუნის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში. დ-ის განვითარებასთან ერთად იცვლება და სრულყოფილი ხდება მისი კვლევის გზები და მეთოდები. თავდაპირველად დ. შეისწავლიდა მეტყველების ცალკეულ, ძირითადად ლექსიკურ, თავისებურებებს, შემდეგ კი ენის ტერიტ. თავისებურებებს მისი სტრუქტურის ყველა დონეზე, მაგრამ ეს მიდგომა მაინც ატომისტური იყო – ენობრივი მოვლენები განიხილებოდა და შეისწავლებოდა იზოლირებულად, საერთო სისტემისაგან მოწყვეტით, რაც იმდროინდელი ლინგვისტიკის ზოგადი დამახასიათებელი ნიშანი იყო. XIX ს. ბოლოსთვის დიალექტოლოგიურ კვლევაში შემოვიდა კარტოგრაფირების მეთოდი – ცალკეულ ენობრივ მოვლენათა გადატანა გეოგრ. რუკებზე ერთი ენის (ზოგჯერ მონათესავე ენების) გავრცელების მთელ ტერიტორიაზე და ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენების შეერთება ხაზებით – იზოგლოსებით, შემდეგ კი მათი თავმოყრა კრებულებად ატლასის (იხ. *ლინგვისტური ატლასი*) სახით. დაინერგა აღწერითი დ-ის ახალი მიმართულება – *ლინგვისტური გეოგრაფია*, რ-იც გაბატონებულ მიმართულებად დამკვიდრდა. XX ს. II ნახ-იდან ამერიკის ლინგვისტურ წრეებში (უ. ვაინრაიხი) დაინერგა კიდევ ერთი დიასისტემური მეთოდი (იხ. დიალექტი) – ენობრივი სისტემების აღწერა ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, მათი ვარიანტულობის ჩვენებით. ამგვარი მიდგომა განიხილებოდა, როგორც ენათმეცნიერების ორი მიმართულების – დიალექტოლოგიურისა და სტრუქტურალისტურის დაკავშირების ცდა.

ისტ. დ. სწავლობს დიალექტური მეტყველების სტრუქტურას ისტ. პერსპექტივაში – ენობრივ თავისებურებათა წარმოშობის მიზეზებს, იზოგლოსების დროით და ტერიტ. ასპექტებს, დიალექტურ ერთეულთა ჩამოყალიბების პირობებს და დიალექტებისაგან ახლო მონათესავე ენების წარმოშობას.

აღწერითი და ისტ. დ-ის გარდა, გამოყოფენ აგრეთვე სოციალურ დ-ს, რ-იც შეისწავლის სოც.-კლასობრივ, პროფესიულ, ასაკობრივ, სქესთა და სხვ. ნიშნების მიხედვით მეტყველების დიფერენციაციას. სოც. დ-ის საგანია აგრეთვე ჟარგონული მეტყველებაც, რ-ის თავისებურებებიც ძირითადად ლექსიკით, იშვიათად ფრაზეოლოგიით შემოიფარგლება (იხ. *სოციალური დიალექტი*).

დ. ცდილობს მიაღწიოს ცნება „დიალექტის“ ცალსახა, არაწინააღმდეგობრივ დეფინიციას და იმ კრიტერიუმის დადგენას, რ-ითაც მოხერხდება ენის და დიალექტის გამიჯვნა: სად თავდება დიალექტი და სად იწყება ენა?

ითვლება, რომ ქართ. დ. ჩაისახა XX ს. დასაწყისში, თუმცა ფრაგმენტული ცნობები ქართ. დიალექტების შესახებ XVII ს. 80-იანი წლებიდან მოგვეპოვება, როდესაც თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ მესხეთში ნაიწერა ორი ქართ. ზღაპარი, რაც პირველ დიალექტოლოგიურ ჩანაწერად ითვლება. ცალკეული დიალექტოლოგიური ცნობები გვხვდება ს.-ს. ორბელიანთან (XVIII ს. დასაწყისი), ვახუშტი ბატონიშვილთან, მარი ბროსესთან (1834), გ. როზენთან (1846), რ. ერკერტთან (1895).

ქართ. ენის დიალექტების სისტემატური მეცნ. შესწავლა XX ს. 10-იანი წლებიდან დაიწყო, როცა 1911 ნ. მარმა გამოაქვეყნა იმერხეული ტექსტები მოკლე ფონეტ.-გრამატ. მიმოხილვითურთ. გამოქვეყნდა მ. *ჯანაშვილის* შრომა საინგილოს შესახებ (1911–19); ამავე პერიოდში ქართ. დიალექტების აქტიური შესწავლა დაიწყეს ა. შანიძემ („ქართული კილოები მთაში“, 1915) და ე.წ.კ. ბერიძემ. ოციანი წლებიდან უკვე ფართოდ გაიშალა დიალექტოლოგიური მუშაობა, რშიც ებმებიან ქართველ ენათმეცნიერთა უფროსი თაობის წარმომადგენლები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ე. თოფურია და მათი მოწაფეების მთელი პლეადა. დიალექტოლოგიური კვლევის ორ ძირითად ცენტრთან – თსუ ქართ. ენის კათედრასა და ენათმეცნ. ინ-ტის ქართველური ენათა განყ-ბასთან ერთად მუშაობდნენ საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ქართ. ენის კათედრებიც. XX ს. 70-იან წლებში საქართ. მეცნ. აკად. სას. მეცნ. განყ-ბასთან დაარსდა საკავშ. მეცნ. აკადემიასთან არსებული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის საკოორდინაციო საბჭოს საქართვ. განყ-ბა (გამგე აკად. შ. ძიძიგური, მოადგილე პროფ. ა. მარტიროსოვი, სწავლული მდივანი გ. ცოცანიძე). საბჭო კოორდინაციას უწევდა დიალექტოლოგიურ მუშაობას მთელ საქართველოში. 1978-იდან საბჭოს

ეგიდით საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ კონფერენციებს. 1990-იდან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა *დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.*

საქართველოში დიალექტოლოგიური კვლევა მიმდინარეობს ეთნოგრ. კუთხეებისა და გეოგრ. რეგიონების მიხედვით. იკრიბება ტექსტობრივი და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალა, რ-ის საფუძველზეც ხდება დიალექტის ყველა დონის ენობრივ თავისებურებათა აღწერა; მომზადება და გამოცემა მონოგრაფიებისა თითოეული დიალექტის შესახებ. მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილია ქართ. ენის ყველა დიალექტი, გამოქვეყნებულია ტექსტობრივი და ლექსიკური მასალები, ბევრი მათგანის შესახებ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევები: ს. ჟღენტი, „გურული კილო" (1936); ა. ჭინჭარაული, „ხევსურულის თავისებურებანი" (1960); თ. უთურგაიძე, „თუშური კილო" (1960); ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, „ქართული ენის კახური დიალექტი" (1956); ი. ქავთარაძე, „ქართული ენის მოხევური დიალექტი" (1982); გ. ცოცანიძე, „ფშაური დიალექტი" (1978); შ. ნიჟარაძე, „აჭარული დიალექტი" (1971); შ. ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული" (1985) და სხვ. გამოცემულია განმაზოგადებელი შრომები: ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია (I, II), მისიეე, ქართველურ ენათა დიალექტები. დაწყებულია მუშაობა ლინგვისტური ატლასის შესაქმნელად, შედგენილია კითხვარი, ეწყობა ექსპედიციები სათანადო მასალების მოსაპოვებლად.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ქართველურ ენათა დიალექტების ისტ. ასპექტით კვლევისას. დგინდება წინარე ქართველური ენის დიალექტური დიფერენციაციისა და დიალექტების დამოუკიდებელ ენებად განვითარების შეფარდებითი ქრონოლოგია; ისტ. კანონზომიერებანი, რ-მაც მოგვცა დღევანდელ ქართველური ენებში ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონეტ. რეგულარული შესატყვისობანი. თანამედროვე ქართ. ენის დიალექტების არაერთი მორფოლ. თუ სინტაქსური მოვლენა შუქდება ისტ. თვალსაზრისით. მოვლენები, რ-იც დასტურდება ქართ. ენის მხოლოდ მთის დიალექტებში და ძვ. ქართ. ენის ადრეულ წერილობით დოკუმენტებში, ქართ. ენის დიალექტების სხვადასხვა ისტ. პირობებში განვითარების შედეგია და მათ დიალექტოლოგიურ გამოკვლევებში სათანადო ადგილი ეთმობა.

ლიტ.: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961; თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», III, თბ., 1963; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989; Лернер К. Б., Социальная природа языка и процесс языкового взаимодействия, Тб., 1989.

ბიბლ.: იმნაიშვილი გ. (შემდგ.), ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფია, თბ., 1969. *გ. ცოცანიძე.*

დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შეიქმნა 1992 ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტის რექტორის პროფ. მ. თოდუას ინიციატივით ამავე უნ-ტთან. ფუნქციონირებდა 2006-მდე. ინ-ტს 1992-იდან ხელმძღვანელობდა პროფ. ტ. ფუტკარაძე, რ-მაც შეიმუშავა ინ-ტის სამუშაო სპეც. პროგრამა-ინსტრუქცია და ჩამოაყალიბა მომძიებელთა ჯგუფები.

ინ-ტის ძირითადი მიზანი იყო ქართველურ ენათა დიალექტების, ქართველურ ტომთა ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლა (მასალის ჩაწერა, მეცნ. დამუშავება, გამოცემა).

მომძიებელთა სამკაციანი ჯგუფები ენათმეცნიერის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფის შემადგენლობით წინასწარ შერჩეულ დასახლებულ პუნქტებში სპეც. პროგრამა-ინსტრუქციის მიხედვით უწყვეტად მუშაობდნენ ერთი წლის განმავლობაში მაინც. ამგვარი კომპლ. მუშაობა საშუალებას იძლეოდა მაქსიმალურად აღიწეროს ფოლკლორი, წეს-ჩვეულებანი, წელიწადის სხვადასხვა დროისათვის დამახასიათებელი ყოფა, ბუნებრივი მოვლენების ყველა ასპექტი და მათი ენობრივი „სამოსელიც"; სპეც. დარგობრივი კითხვარების საფუძველზე მაგნიტოფონით ჩაწერილი მასალა ერთნაირად საინტერესოა ენათმეცნიერის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფისთვის; ასევე სოციოლოგისა და ფსიქოლოგისათვისაც... ჯგუფების მიერ ჩაწერილი მასალის გადაწერის სიზუსტეს ამოწმებდნენ ტექსტის რედაქტორები; ზანურ-სვანურ მასალას უკეთდებოდა პირდაპირი, პწკარედული თარგმანი ქართ. ენაზე. ჩაწერილი აუდიო და ვიდეო მასალა ინახება განუსაზღვრელი ვადით.

ინ-ტი ყოველი წლის 9–13 მაისს ატარებდა სამეცნ. სიმპოზიუმს – „ქუთაისური საუბრები", სადაც, თანამშრომელთა გარდა, მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნ. ცენტრების ენათმეცნიერები, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები (როგორც წესი, ფოლკლორისტთა და ეთნოლოგთა მოხსენებებში გაანალიზებული იყო ქართველურ ენათა დიალექტური და ონომასტიკური მასალა). სიმპოზიუმის მასალები იბეჭდებოდა ქართ. და ინგლ. ენებზე სახელწოდებით «ქუთაისური საუბრები». ინ-ტი გამოსცემდა პერიოდულ სამეცნ. ორგანოს «ქართველური მემკვიდრეობა». *ე. ჭანტურაძე.*

დიალექტური ლექსიკონი, ლექსიკონი, რ-შიც თავმოყრილია და განმარტებულია დიალექტის ლექსიკური მარაგი. თავისი ხასიათით დ. ლ. *განმარტებითი ლექსიკონების* ტიპს განეკუთვნება. იმისდა მიხედვით, თუ დიალექტური მეტყველების რა არეალს მოიცავს, დ. ლ. შეიძლება იყოს კრებსითი ან რეგიონალური. კრებსით დ. ლ.-ში შედის მოცემული ენის გავრცელების ტერიტორიის დიალექტური მეტყველების მთლიანი მარაგი, რეგიონალურ დ. ლ.-ში კი – ერთი ეთნოგრ. კუთხის, ერთი დიალექტის ლექსიკური მარაგი.

სალექსიკონო მასალის შერჩევის ხასიათის მიხედვით დ. ლ. შე-

იძლება იყოს დიფერენციული ან სრული. დიფერენციული ლექსიკონი შეიცავს მხოლოდ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რაც სპეციფიკურია მოცემული დიალექტის სიტყვიერი მარაგისათვის, ე. ი. განსხვავებულია სალიტ. ენის ლექსიკისაგან. აქ შემოდა შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ა) სიტყვა, რ-იც სალიტ. ენაში არ არის და დიალექტში არის (თუშ. გორდილა); ბ) სალიტ. ენაში არის, მაგრამ იქ სხვა მნიშვნელობა აქვს, დიალექტში კი – სხვა (თუშ. მონა – ცუდი); გ) პოლისემიური სიტყვა, რ-იც მნიშვნელობათა ერთი ნაწილით ემთხვევა სალიტერატუროს, მეორე ნაწილით განსხვავდება (გადგომა, ფრაზეოლოგიური განზე გადგომა – თუშურში, ლიტერატურულისაგან განსხვავებით, ღალატის მნიშვნელობა არ გააჩნია. სამაგიეროდ, იქ სხვა დამატებითი მნიშვნელობა აქვს: მოწინააღმდეგეთა პირისპირ დგომისას ხელსაყრელი საბრძოლო პოზიციის დაკავება); დ) სიტყვა, რიც სალიტერატუროში მონოსემიურია, დიალექტში – პოლისემიური და სემანტიკური მოცულობა ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობით მეტია (განსხვავებას ქართულურში, სალიტერატუროსთან ერთად, აქვს კიდევ ორი მნიშვნელობა: გადასახლება და გარდაცვალება). სრული დ. ლ. მოიცავს დიალექტის მთელ სიტყვიერ მარაგს, როგორც სალიტ. ენასთან საზიაროს, ისე მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელს. დ. ლ-ში, გარდა წმინდა ლექსიკური განმარტებისა, მოცემულია აგრეთვე ენციკლოპედიური ცნობები.

დ. ლ-ების შედგენა საქართველოში იწყება მეცნ. დიალექტოლოგიის შექმნის პარალელურად – XX ს. 10-იანი წლებიდან. დღემდე შედგენილი დ. ლ-ები ძირითადად დიფერენციული ხასიათისაა – მეტ-ნაკლები სისრულით ასახავენ მხოლოდ დიალექტების ლექსიკურ თავისებურებებს. 1912 გამოიღა ეუკ. ბერიძის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“. ეს იყო ქართ. ენის პირველი დ. ლ. მას შემდეგ, განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან, ფართოდ გაიშალა მუშაობა დიალექტების ლექსიკური მასალის შესაგროვებლად, რასაც ითვალისწინებდა ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის მოსამზადებელი სამუშაოები. დღემდე გამოცემულია ლექსიკოგრაფიულად გამართული რამდენიმე დ. ლ.: გ. შარაშიძე, „ფშაური ლექსიკონი“, ბ. წერეთელი, „იმერული ლექსიკონი“, მ. ალავიძე. „ლეჩხუმური ლექსიკონი“; ს. მენთეშაშვილი, „ქიზიყური ლექსიკონი“; პ. ხუბუტია, „თუშური კილო, ლექსიკა“; ა. ჭინჭარაული, ეაჟა-ფშაველას „მცირე ლექსიკონი“; შ. ნიჟარაძე, „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა“; ქ. ძოწენიძე, „ზემოიმერული ლექსიკონი“; პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა; პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, ტექსტები, ლექსიკონის მასალები; ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი; თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, „ქართული ლექსიკონი“; ა. კობახიძე, „რაჭული დიალექტის ლექსიკონი“; რ. ღამბაშიძე, „ქართული ენის ინგილოური დიალექტის ლექსიკონი“; გამოიცა ა. ღლონტის მიერ შედგენილი კრებსითი დ. ლ. – „ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა“ (ორ ტომად). *გ. ცოცანიძე.*

დიალოგი (ბერძნ. dialogos – საუბარი ორთა შორის), სოციალური ურთიერთობის ფორმა, რ-იც გულისხმობს მასში ორი მხარის – ადრესანტისა (მოლაპარაკის, კომუნიკატორის) და ადრესატის (მსმენელის) მონაწილეობას. კომუნიკაციის პროცესში მათი როლები იცვლება და დ. იღებს რეპლიკათა (მოლაპარაკის გამონათქვამთა) გაცვლა-გამოცვლის ხასიათს.

დ-ისთვის აუცილებელ საფუძველს ქმნის ექსტრალინგვისტური (გარეუნობრივი) ფაქტორების მთელი წყება: სამეტყველო გარემო, სიტუაციის კონკრეტულობა და მიზანი, კომუნიკანტების (დ-ში მონაწილეების) ურთიერთდამოკიდებულება, მათი ემოციური მდგომარეობა და ა. შ.

ენობრივი თვალსაზრისით, დისთვის, როგორც მეტყველების ფორმისათვის, დამახასიათებელია მოკლე გამონათქვამები, მარტივი სინტაქსი; საუბარს აქვს კით-ხვა-პასუხის, თანხმობა-უარყოფის, დამატების, ახსნის, გაერცობის ხასიათი. რამდენადაც ინფორმაციის სისრულე მიიღწევა (ინტონაციასა და ჟესტ-მიმიკასთან ერთად) საუბრის თემატიკის განსაზღვრულობითა და სიტუაციური განპირობებულობით, ამიტომ დ-ში ხშირია უსრულ წინადადებათა, დადასტურებით ან უარყოფით ნაწილაკთა ხმარება.

დ-ის ფორმა ფართოდ გამოიყენება მხატვრულ ლიტ-რაში (განსაკუთრებით დრამატურგიაში), აგრეთვე ფილოს.-პუბლიც. ჟანრის ნაწარმოებებში (მაგ., პლატონის, ლუკიანეს, გალილეის დიალოგები, თანამედროვე დისკუსიები, ინტერვიუები და მისთ.). დიალოგური ფორმა გამოიყენება ენის სწავლების პრაქტიკაშიც.

დ. ადამიანმა შეიძლება მიმართოს როგორც გარეთ, სხვა ადრესატისაკენ, ასევე შიგნით, თავის თავისაკენ (**შინაგანი დიალოგი**). იხ. *მონოლოგი.*

ლიტ.: Якубинский Л. П., О диалогической речи. – იხ. მისი: Избранные работы. Язык и его функционирование, М., 1986. *ლ. ენუქიძე.*

დიაქრონია (< ბერძნ. dia – გაყოფით, გამჭოლი და chronos – დრო), ენობრივი მოვლენების, ენობრივი სისტემის ცვალებადობის ისტორიული თანამიმდევრობა; ენის შესწავლა ამ თანამიმდევრობის თვალსაზრისით. ტერმ. „დიაქრონიული ენათმეცნიერება“ შემოტანილია ფ. დე სოსიურის მიერ „ისტორიული ენათმეცნიერების“ ნაცვლად. სოსიურის კონცეფციაში დ. – ენის ცვალებადობა დროში –გამიჯნულია *სინქრონიისაგან* – რომელიმე მოცემულ ეტაპზე ენის მდგომარეობისაგან. მაგრამ მათ შორის ურთიერთგამომრიცხავი წინააღმდეგობა არ არსებობს – ისინი ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს.

ენა მუდმივ ცვლილებას განიცდის. დროთა განმავლობაში ენობრივი მოვლენების ერთი ნაწილი ქრება, მეორე – ჩნდება და ა. შ. მაგრამ რამდენადაც ენობრივი ფაქ-

ტები, მოვლენები არსებობენ სისტემაში, სადაც ერთი ელემენტის შეცვლა ცვლილებებს იწვევს სხვებში, იცვლება მთლიანი სისტემაც. დიაქრონიული ენათმეცნიერება გულისხმობს ენობრივ სისტემათა სინქრონიული ეტაპების, სინქრონიული ჭრილების ქრონოლ. თანმიმდევრობათა შესწავლას, ენის გარკვეულ სინქრონიულ მდგომარეობათა ცვლის აღწერას. იგი ენის განვითარების ეტაპებისათვის დამახასიათებელი მოვლენების ახსნისა და გაგების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია ენის განვითარების გარკვეული ეტაპის შესწავლა სათანადო დოკუმენტაციის (წერილობითი ძეგლების) საფუძველზე (მაგ., X ს. ქართულის ახ. ქართულთან შეპირისპირებით). იქ, სადაც დოკუმენტაცია არ არსებობს, დიაქრონიული ენათმეცნიერება იყენებს სპეც. მეთოდებს, როგორიცაა მონათესავე ენათა ან დიალექტთა შედარება, შინაგანი რეკონსტრუქცია (იხ. *რეკონსტრუქცია*) და ა. შ.

ლიტ.: ნიკობაძე არნ., სინქრონული და დიაქრონული ენათმეცნიერების ურთიერთობისათვის. – იხ. მისი: ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები, თბ., (1945) 1983; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბ., 1965; შარაძენიძე თ., ცოცხალი ენის დიალექტთა მნიშვნელობა ენის განვითარების შესწავლისათვის (სინქრონია-დიაქრონიისა და სტატიკა-დინამიკის ურთიერთობასთან დაკავშირებით). – იხ. მისი: თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; Соссюр Ф. де, Курс общей лингвистики. – იხ. მისი: Труды по языкознанию, пер. с франц. М., 1977.

ლ. ენუქიძე.

დიგლოსია (< ბერძნ. di – ორჯერ და glōssa – ენა), ორი ენის ან ერთი ენის ორი ვარიანტის ერთდროული არსებობა. ტერმინი დ. სოციოლინგვისტიკაში დანერგა ჩ. ფერგიუსონმა (1959). ბერძნულში ეს სიტყვა ბილინგვიზმსაც ნიშნავს, მაგრამ ფერგიუსონმა ამ ტერმინის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა გამოიყენა და მისი მეშვეობით ერთი ენის ვარიანტების მიმართება აღნიშნა. ფერგიუსონის მიხედვით, დ. არის ერთი ენის ორი ვარიანტის სტაბილური მიმართების გამომხატველი მოვლენა. როგორც წესი, ამ ვარიანტებიდან ერთი „მაღალია", მეორე – „დაბალი" (მაგ., კლასიკური არაბული და სალაპარაკო არაბული, ხალხური ბერძნული და „სუფთა" ბერძნული...). სტანდარტიზებულ ვარიანტსა და „ხალხურ" ვარიანტს ერთი და იგივე მოდელი აქვს. სხვაობა ისაა, რომ შესაძლებელია მხოლოდ ერთის (სტანდარტიზებული ვარიანტის) კონტროლი (ნორმალიზაციის თვალსაზრისით).

დ-ის მოვლენის შესწავლა გულისხმობს როგორც ფსიქოლინგვისტიკურ (ინდივიდ. ენობრივი პოზიცია), ისე სოციოლინგვისტიკურ (დ-ის სოციალური სიგნიფიკანტები და მათი მეშვეობით საზის ჯგუფური დიფერენციაცია) განხილვას. ეს გაორება საფუძვლად დაედო მეორე ამერ. ლინგვისტის – ჯ. ფიშმანის იმ თეორიას ბილინგვიზმის შესახებ, რ-იც *ენობრივი კონტაქტების* საკითხებს ეხება (იხ. *ბილინგვიზმი*).

დ-ზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია სამი პირობა: 1. დ. ქვეყანაზე ხშირად გეხვედება უნივერსალურ ოპოზიციაში –ფორმალური და არაფორმალური ენების მიმართებაში; 2. ერთი და იმავე ენის ფუნქციურ განაწილებაში; 3. დ-ის ფენომენი უფრო ნაყოფიერად იკვლევა ფორმალური ენის გამოყენების თეორიულ პერსპექტივებსა და სოც. მნიშვნელობას, ვიდრე არაფორმალურისას.

დ-ის მოვლენა რიგ შემთხვევებში ძნელი გასამიჯნია ბილინგვიზმისაგან. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გენეტიკურად მონათესავე ენები ახ. გეოპოლიტიკური საზღვრებით ეყოფიან ერომანეთს ან გარკვეული ენობრივი პოლიტიკის შედეგად ფუნქციონირების სფეროთა განაწილებისას ერომანეთის მეტოქეები ხდებიან.

ლიტ.: Ferguson Ch.A., Diglossia. – «Word», 1959, vol. 15, №4; Fishman J., Bilingualism with and without Diglossia. Diglossia with and without Bilingualism, «Journal of Social Issues», 1967, №32; Calvet L.-Y., Language wars and linguistic politics, Oxford University Press, 1998; Language and symbolic power, Bourdieu Polity Press, 1991 (ed. by John B.Thompson).

მ. ტაბიძე.

დირი (Dirr) ადოლფ (17. XII. 1867, აუგსბურგი, – 9. IV. 1930, მიუნხენი), გერმანელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი, კაიკასიისმცოდნე. 1902–13 ჯერ თემირ-ხან-შურაში (დღევანდელი ქ. ბუინაქსკი), შემდეგ კი თბილისში ასწავლიდა გერმ. ენას. 1913-იდან გარდაცვალებამდე იყო მიუნხენის ეთნოგრ. მუზეუმის დირექტორი. დაღესტნურ ენათა გამოკვლევისათვის 1908 მიენიჭა მიუნხენის უნ-ტის საპატიო დოქტორის წოდება, 1909 – პეტერბურგის მეცნ. აკად. მაკარის სახ. პრემია, 1920 კი – პროფესორის წოდება. 1924 ბოლონიის (იტალია) აკად. წ.-კორ. გახდა.

კაიკასიაში ყოფნისას დ. სწავლობდა კავკ. ხალხების ეთნოგრაფიასა და ენებს. თბილისში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა არაერთი ნარკვევი დაღესტნურ ენათა შესახებ. ეს გრამატ. ნარკვევები იმაით აგებულებისაა, როგორიც პ. უსლარის ანალოგიური შრომები – შეიცავს გრამატ. მიმოხილვას, ტექსტებს (რუს. თარგმანით) და ლექსიკონს (რუს. ინდექსით). დ-ს ეკუთვნის გამოკვლევები – „მასალები ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენათა და კილოთა შესასწავლად" (1919) და „თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა" (გერმ. ენაზე, 1904).

1924 დ-მა ლაიფციგში (გერმანია) დააარსა პირველი საენათმეცნ. ჟურნალი კაიკასიისმცოდნეობის დარგში «Caucasica», რ-საც სიკვდილამდე რედაქტორობდა (სულ გამოვიდა ჟურნალის 11 ნაკვეთი; 1934 მისი გამოცემა შეწყდა). 1928 ლაიფციგში დაიბეჭდა მისი შრომა „კაიკასიურ ენათა შესწავლის შესაფალი", რ-იც თავისი დროისათვის ქვეყანაზე ერცელი შემაჯამებელი გამოკვლევა იყო კაიკასიურ ენათა შესახებ. ქართ. ზმნის შესახებ მსჯელობისას დ-მა მიმოიხილა ზმნის ბუნების საკითხი კაიკასიურ ენებში, მაგრამ გარკვეული დასკვნა ვერ გააკეთა. შემოიტანა გამოთქმები: ერგატიული კონსტრუქცია (ლოგ. სუბიექტი ერგატივში), დატიური ანუ აფექტიური კონსტრუქცია (ლოგ. სუბიექტი მიცემითში ანდა აფექტივში) და ნომინატიური კონ-

სტრუქტურა (ლოგ. სუბიექტი სახელობითში).

დ-ის შრომებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

თხზ.: Грамматика удинского языка, Тфл., 1903; Грамматический очерк табасаранского языка, Тфл., 1905; Краткий грамматический очерк андийского языка, Тфл., 1906; Агульский язык, Тфл., 1907; Арчинский язык, Тфл., 1908; Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы, Тфл., 1909; Рутульский язык, Тфл., 1912; Цахурский язык, Тфл., 1913; Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928.

ლიტ.: ნიკობაძე არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; Немировский М. Я., Адольф Дирр и кавказская лингвистика, Владикавказ, 1930. – Schindler Br., A. Dirr (17. XII. 1867 – 9. IV. 1930), «Caucasica», 1930, TL 9, Fasc. 6.

გ. თოფურია.

დისიმილაცია (ლათ. dissimilatio – განმსგავსება), კომბინატორული ბგერათცვლილების ერთ-ერთი სახე, რ-ის დროსაც სიტყვაში ორი ერთნაირი ან ერთმანეთის მსგავსი ბგერიდან ერთი კარგავს საერთო ნიშანს და იცვლება. დ. ხდება როგორც თანხმოვნებში, ისე ხმოვნებში. ბგერა, რ-ის გავლენით იცვლება- მეორე ბგერა, არის მ ა დ ი ს ი მ ი ლ ი რ ე ბ ე ლ ი ანუ დ ი ს ი მ ი ლ ა ტ ო რ ი, ხოლო ბგერა, რ-იც იცვლება – დ ი ს ი მ ი ლ ი რ ე ბ უ ლ ი. დ-ის სახეებია:

მანძილის მიხედვით – კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი და დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი. კონტაქტურია დ., როდესაც ხდება ბგერების განმსგავსება: ამბავი > ანბავი, მუხამაში > მუხამბაში_; დ. დისტანციურია, თუ ხდება სიტყვაში ერთმანეთისგან დაშორებული ბგერების განმსგავსება – ლელწამი > ლერწამი, ორჯერ > ორჯელ ... ენებში უფრო გავრცელებულია დისტანციური დ.; მიმართულების მიხედვით – პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი და რ ე გ რ ე სუ ლ ი. პროგრესულია დ., როდესაც სიტყვაში წინა ბგერა გავლენას ახდენს მომდევნოზე, ე. ი. დ. მოქმედებს სიტყვის ბოლოსკენ: ლელწამი > ლერწამი, არაფერი > არაფელი_; დ. რეგრესულია, თუ მომდევნო ბგერა მოქმედებს წინა ბგერაზე, ე. ი. დისიმილაციური მოქმედება მიმართულია სიტყვის თავისკენ: წლეულს > წრეულს, სუნნელი > სურნელი, საოთხოლდ > სათითაოდ... ქართულში (ქართველურ ენებში) უფრო გავრცელებულია პროგრესული დ. (გორური – გორული, გურური – გურული);

დ-ის შედეგად ზოგჯერ შესაძლებელია სიტყვიდან როგორც დისიმილირებული ბგერის დაკარგვა (პირჯვარი > პიჯვარი), ისე მთელი მარცვლის ამოვარდნა (იხ. *ჰაპლოლოგია*). დ-ის მოქმედების შედეგი უნდა იყოს ქართულში დისიმილაციური გამჟღერების შემთხვევები: ჭაბუკი < ჭაპუკი, ბილწი < პილწი და მისთ.

სინქრ. დონეზე დიაქრონიული ცვლილებების გარკვეული ნაწილი ისტ. გარდაქმნების შედეგია და არა ცოცხალი პროცესების მოქმედებისა (იხ. *ასიმილაცია*).

ლიტ.: ყ ი ფ შ ი ძ ე ი., ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში (1919–20). – იხ. მისი: რჩეული თხზულებანი, თბ., 1994; ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 (1999).

ნ. იმნაძე.

დისტრიბუცია (< ლათ. distribuere – განაწილება, დაყოფა), ენობრივი ერთეულების განლაგება უფრო დიდი მოცულობის ერთეულებში, კონტექსტებში. დ., როგორც კრიტერიუმი, მეტ-ნაკლებად თანამიმდევრული სახით გამოყენებულია ფონოლოგიაში (ნ. ტრუბეცკოი, დ. ჯოუნსი, ლ. ბლუმფილდი, ამერ. დესკრიპტივისტები...) ბგერითი ნაკადის სეგმენტაციისა და იდენტიფიკაციისთვის. შემდეგ გადატანილ იქნა მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებში (მათი სპეციფიკის გათვალისწინებითა და შესაბამისი ცვლილებებით). შესაძლებელია მისი გამოყენება ენის სემანტიკურ დონეზეც. ამ კრიტერიუმების გამოყენებით სეგმენტაციისა და იდენტიფიკაციის პრინციპები ძირითადად შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი წესების სახით:

1. თუ ტექსტის სეგმენტაციით მიღებული ორი (ფონეტიკურად მსგავსი ან ფუნქციურად იდენტური) ერთეული არ დასტურდება ერთსა და იმავე პოზიციაში (გარემოცვაში), მაშინ ეს ერთეულები ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი ი ს დამოკიდებულებაში და განეკუთვნებიან ერთსა და იმავე ენობრივ ერთეულს. მაგ., ქართ. სიტყვაში „ლალი“ პირველი მარცვლის მაგარი ლ არასოდეს შეგეხვდება ი-ს წინ, სადაც მხოლოდ რბილი ლ დასტურდება. ისინი ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში და განეკუთვნებიან ლ ფონემას. ასევე ქართულში მოთხრ. ბრუნვის ნიშნები -მ და -მა იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში: -მ გეხვდება მხოლოდ ხმოვანფუძიან სახელებთან (დედა-მ), -მა კი – თანხმოვანფუძიანებთან (კაც-მა) და წარმოადგენენ ერთი და იმავე მორფემის ალომორფებს;

2. თუ სეგმენტაციით მიღებული ორი ერთეული გეხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში (გარემოცვაში) და მათი ურთიერთშენაცვლებით მნიშვნელობა, მაშინ ეს ერთეულები ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან კ ო ნ ტ რ ა ს ტ უ ლ ი დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი ი ს დამოკიდებულებაში და განეკუთვნებიან სხვადასხვა ენობრივ ერთეულებს. მაგ., სიტყვები: ქარი, ქერი, ქორი... განსხვავდებიან მხოლოდ ა, ე, ო ხმოვნებით, რის გამოც ეს უკანასკნელები სხვადასხვა ფონემაში ერთიანდებიან. ასევე ბრუნვის ნიშნები, რ-ებიც გეხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში (ერთსა და იმავე ფუძესთან): კაც-ი, კაც-მა, კაც-ს..., განასხვავებენ გრამატ. მნიშვნელობას და გ ე ე ე ლ ი ნ ე ბ ი ა ნ ტექსტში სხვადასხვა მორფემის წარმომადგენლებად;

3. თუ სეგმენტაციით მიღებული ორი ერთეული გეხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში (გარემოცვაში), მაგრამ მათი ურთიერთშენაცვლებით მნიშვნელობა არ იცვლება, მაშინ ეს ერთეულები ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი ს მიმართებაში და წარმოადგენენ თავისუფალ ვარიანტებს. მაგ., (თუ მხედველობაში არ მიეიღებთ სტილურ განსხვავებებს) მრ. რიცხვის ფორმებში -ებ და -ნ ფორმანტების მონაცვლეობა (კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი).

დისტრიბუციული წესებით მორფემების, სიტყვების აღწერა სინ-

ქრონიულ დონეზე სედმეტს ხდის ისეთი ფონეტიკური პროცესების დაშეებას, როგორიცაა *ასიმილაცია, დისიმილაცია...*, რ-ებიც შესაბამისად განიხილებიან როგორც დიაქრონიული პროცესები.

როგორც ფონოლოგიური კვლევის პრაქტიკამ ცხადყო, დისტრიბუციული ანალიზისთვის წმინდა დისტრიბუციული კრიტერიუმები საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა ისეთი არაფორმალური კრიტერიუმების შემოტანა, როგორიცაა საანალიზო ერთეულთა მსგავსება (ფონეტ. ფუნქციური), მნიშვნელობა და, რაც მთავარია, ენის მატარებლის თვალსაზრისი (ლ. იელმსლევი).

ლიტ.: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახელედიანის რედ., თბ., 1972; შარაძენიძე თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; ქობალაია ი., ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში, თბ., 1976; Глисон Г., Введение в дескриптивную лингвистику, пер. с англ., М., 1959; Трубецкой Н. С., Основы фонологии, пер. с нем., М., 1960; Jones D., The phoneme: its nature and use, Cambridge, 1950; Fischer-Jfrgensen E., On the definition of phoneme categories on a distributional basis. – «Acta Linguistica», VII, fasc. 1–2, Copenhague, 1952; Dide-richsen P., Importance of distribution versus other criteria in linguistic analysis. – «Reports for the Eight International Congress of Linguists», Oslo, 1957.

ლ. ენუქიძე. ი. ქობალაია.

დიფთონგი (< ბერძნ. diphthongos – ორხმოვანა), ერთ მარცვალად წარმოთქმული, ერთ მარცვალში გაერთიანებული ხმოვნური წარმომავლობის ორი მონაკვეთი. ამ ორი მონაკვეთიდან, ჩვეულებრივ, მარცვლის შექმნის უნარი მხოლოდ ერთს აქვს შენარჩუნებული და ის ქმნის მწვერვალს, მეორე კი მოკლებულია ამ უნარს: იგი ქმნის მარცვლის ფერდს.

სალიტ. ქართულში დ-ები არ გვაქვს. ქართული საწარმოთქმო ნორმებით ყოველი ხმოვნური ელემენტი ცალკე მარცვალს ქმნის: იარუსი, იურისტი... თუმცა ცოცხალ მეტყველებაში ხშირია ჲარუსი, ჲურისტი, ჲორღა, ჰაჲდა, სეჲრი, ტეუჲლი...

თუ დ-ში შემავალი ელემენტებიდან პირველ ადგილზე მარცვლის მწვერვალია, მეორეზე კი – მარცვლის ფერდი, დ-ს დამაყალს (ანუ ნამდვილს) უწოდებენ. ასეთია ქართულში ეჲ, ოჲ, უჲ, აჲ..., ხოლო თუ მარცვლის მწვერვალი მეორე ადგილზეა – დ. აღმაყალია: ჲე, უე, ჲა, უა. დამაყალ დ-ში მეორე წევრად მოკლე ხმოვანი გვაქვს, აღმაყალში კი პირველ წევრად გვეკლინება არა მოკლე ხმოვანი, არამედ თანხმოვნური ელემენტი.

არსებობს მოსაზრება, რომ დ. ნამდვილი ანუ ჭეშმარიტია, თუ მისი ელემენტები მარცვლის შექმნის თვალსაზრისით ერთნაირი ძალისაა. ამის საპირისპიროდ აღმაყალი და დამაყალი დ-ები ცრუ, არანამდვილ დ-ებად მიიჩნევა (ლ. შერბა).

ლიტ.: ახელედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 (1999); Peterson G. E., Transitions, glides and diphtong. – «International Journal of American Linguistics», 1961, № 33; Ladefoged P., A Course in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975.

ზ. ჯაფარიძე.

დიქცია (< ლათ. dictio – წარმოთქმა), წარმოთქმის თავისებურებები, დამახასიათებელი ამა თუ იმ კონკრეტული ინდივიდისათვის. კარგი დ. გულისხმობს სიტყვის მკაფიო წარმოთქმას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დ-ს სასცენო, სატელევიზიო და, საერთოდ, საჯარო მეტყველებაში.

ნ. კიზირია.

დოდაშვილი კოტე ივანეს ძე (გ. XI. 1919, თბილისი), ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე. მოღვაწეობდა XIX ს. 80-იან – XX ს. 10-იან წლებში. აეტორია ქართ. გრამატიკისა და ქართ. ლექსთწყობის საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილისა [„საგრამატიკო ესკიზი, ზოგიერთი მოსაზრებანი ხმნაზე და ზმნის გამო“, „ქართული ლექსთწყობა“, „საგრამატიკო კვლევა“, „ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა“, „სხვადასხვა წერილები“, „ივერიულის ფონეტიკისათვის“ (რუს. ენაზე) და სხვ.], რებიც იბეჭდებოდა გაზეთებში – «ივერია», «კვალი» და «მოამბე». ამ წერილებში დ. განიხილავდა სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღელილების საკვანძო საკითხებს ქართულში, ქართ. ენის თანხმოვანთა კლასიფიკაციას წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით, ეხებოდა სალიტ. ქართ. ენის სიწმინდის საკითხებსაც. დ-ს ბევრი მართებული და საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული ქართ. გრამატიკის საკითხებზე. მკვლევარი სამართლიანად გამოყოფს ქართულში ერთ ბრუნებას (კანკლედობას); სწორია დასკვნა ბრუნვათა ნაცვალსახელური წარმომავლობის შესახებ (ოღონდ, მისი აზრით, სახ. ბრუნვის -ი ნიშანი ისი ნაცვალსახელიდან მომდინარეობს). მართებულია დ-ის დაკვირვება თანდებულების დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებიდან მომდინარეობის შესახებ. ზმნის უღელილებისას განიხილავს და ადგენს პირთა კომბინაციებს. პირთა მიმართების თვალსაზრისით გამოყოფს სუბიექტური („მიუმართავი“) და ობიექტური („მიმართული“) წყობის ზმნებს. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ III პირის მხ. და მრ. რიცხვის გამოსახატავად ზმნას რამდენიმე ნიშანი აქვს. აღწერს ჰ- პრეფიქსის ცვლილებას (ჰ > ს [ზ > შ]) დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ, გამოყოფს ჰს მრჩობლ პრეფიქსს, აანალიზებს ობიექტური წყობის I პირის მრ. რიცხვის გვ- პრეფიქსს და შლის მას გ- II პირისა და ვ-(მ) I პირის პრეფიქსებად.

სახარების ტექსტის ანალიზის საფუძველზე დ. იძლევა -ნ სუფიქსური ელემენტის სწორ კვალიფიკაციას ზმნასა და სახელებში. საყურადღებოა, რომ ზმნის ფორმები მან წარმოების მიხედვით დააჯგუფა და ამის საფუძველზე ქართულში დრო-კილოთა ორი ჯგუფი გამოყო. ქართველურ (იბერიულ) ენათა გენეზისური ურთიერთობების კვლევა დ-ს წინა აზიის მკვდარ და ცოცხალ კავკ. ენებთან მიმართებით ესახებოდა.

ლიტ.: გაწერელია ა., ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953; ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII–XIX სს.), გ. მიქაძის რედ. და შენიშვნებით, თბ., 1954; აბესაძე ნ., გრამატიკის საკითხები XIX ს. ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბ., 1960.

მ. სუხიშვილი.



ს. დოდაშვილი.

დოდაშვილი სოლომონ ივანეს ძე [17 (29). V. 1805, სოფ. მაღარო, ახლანდ. სიღნაღის რ-ნი, – 20. VIII (1. IX). 1836, ეიატკა]. განმანათლებელი, ფილოსოფოსი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, პედაგოგი. 1818-იდან სწავლობდა სიღნაღის სას. სასწავლებელში, 1820-იდან – თბილისის სას. სემინარიაში. 1823 სწავლა განაგრძო პეტერბ. უნ-ტის ფილოს.-იურიდ. ფაკ-ტზე. უნ-ტის დამთავრებისას (1827) ქართულად დაწერა ნაშრომი „ფილოსოფიის კურსი, ნაწილი I, ლოგიკა“, რ-იც იმავე წელს დაიბეჭდა რუს. ენაზე სანქტ-პეტერბურგში. ნაშრომში ძირითადად ჩამოყალიბებულია დ-ის ფილოს. შეხედულებები. იგი სწორად განსაზღვრავდა ფილოს. საგანს და თვლიდა, რომ ფილოსოფიამ უნდა შეისწავლოს რეალური ადამიანი. ეს იყო მეტად გაბედული ნაბიჯი მაშინდელი გაბატონებული დოგმების წინააღმდეგ.

1827 დ. საქართველოში დაბრუნდა და დაინიშნა მასწავლებლად თბილ. კეთილშობილთა სასწავლებელში, რ-იც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა (1830). ასწავლიდა ქართ. სიტყვიერებას, რიტორიკას, ლოგიკასა და გეოგრაფიას. 1828-იდან იყო რედაქტორი ახალდაარსებული გაზ. «ტფილისის უწყებანის» ქართ. გამოცემისა, 1830-იდან კი – ამ გაზეთის გამომცემელი. 1832 გაზეთს დამატების სახით დაერთო ჟურნალი «სალიტერატურონი ნაწილნი „ტფილისის უწყებათანი“», რ-ის რედაქტორიც ისევ დ. იყო. გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ხუთი ნომერი. ეს იყო პირველი ქართ. ლიტ. ჟურნალი, რ-ის მიზანი იყო გაეღვივებინა ქართველთა შორის „სურვილი და სიყვარული ბუნებითსა ენისა და სიტყვიერებისა“, დაენერგა საზ-ბაში „თავისუფალი აზრები“, გამოეკვეთნებინა „თავისუფლების მოყვარეობით აღბეჭდილი თხზულებანი“აქ დაიბეჭდა. დ-ის „მოკლე განხილება ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ (1832, №1, 2). მასში დ-მა განიხილა მშობლიური ენისა და ლიტ-რის ისტორიის საკითხები, წარმოაჩინა ქართ. ენის სიმდიდრე და ქართ. სიტყვიური ხელოვნების უდიდესი მნიშვნელობა. ჟურნალის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა დ-ის კრიტ. სტატია გ. ს. გორდეევის წერილზე „Погребальные обряды последних царей Грузинских“ («Тифлисские Ведомости», 1832, №1). ავტორმა ამხილა ის უვიცობა და შეცდომები, რ-ებიც დაუშვა გორდეევმა საქართვ. ისტ. საკითხებზე მსჯელობისას. ამავე ჟურნალში გამოქვეყნებული ისტ. მასალებიდან აღსანიშნავია დ-ის მეორე ნაშრომიც – „მეფობა ირაკლი მეორისა“ (№3, 4), მხატვრული ლიტრიდან – მოთხრობა „ულენა“ (№4, 5), „ვინერვა“ (№1), რ-ის ქართ. ტექსტი და მისი ფრანგ. თარგმანი დაბეჭდა (1837) მ. ბროსემ პარიზში. დ-მა დატოვა მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა.

დ-მა დაწერა ქართულად და თარგმნა რუსულად სპეც. ნაშრომი „რიტორიკა“ (1928). აქ ესთეტიკის ზოგად პრობლემატიკასთან ერთად ავტორი განიხილავს თეორ.-ლიტ. საკითხებს, აქვე ეხება გრამატიკის, სტილისტიკისა და მეტყველების კულტურის საკითხებსაც. ერის პროგრესულობისა და კულტ. ერთ-ერთ მთავარ საზომად იგი მიიჩნევდა ლიტ-რისა და ენის განვითარებას. დიდ შეფასებას აძლევდა ქართ. ენას, აღნიშნავდა მის სიძველეს, ლექსიკური მარაგის სიმდიდრეს, შესაძლებლობას, გამოხატოს აზრის ყოველი უმცირესი მოძრაობა, გრძნობის ყოველი ნიუანსი. დ. მოითხოვდა ენის სიწმინდის დაცვას, შესწავლასა და დაფასებას. დ-ს ჯერ კიდევ 1827 ჰქონია დაწერილი ქართ. გრამატიკა, რ-იც 1830 დაბეჭდა კიდეც სათაურით: „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“. ეს არის პრაქტ. სახელმძღვანელო, რ-ის მიზანია შეასწავლოს მსმენელს „კანონიერი უბნობა და წერა ქართულად“. „ღრამმატიკა“ 3 ნაწილისაგან შედგება: I – ლექსთწარმოებისათვის (მორფოლოგია), II – ლექსთთხზულებისათვის (სინტაქსი), III – მართლწერისათვის (ორთოგრაფია), ახლაეს შესაფალი – „შესავანილებისათვის“, სადაც განხილულია გრამატიკის დანიშნულება, დახასიათებულია ქართ. ანბანი, სიტყვა, მარცვალი, ასო, ჩამოთვლილია მეტყველების ნაწილები. თავისი აგებულებითა და შედგენილობით იგი ძირითადად მისდევს წინამორბედ სახელმძღვანელოებს, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავება კიდეც მათგან: თავისებურია და ახლებური ლექსისა (სიტყვის) და ასოს განმარტებები, სახელებში ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი აბსტრაქტული („გონებითნი“) საგნები, „რომელთა ხილვა არა ძალგეძს“ (სული, სიტკბოება, სიცოცხლე და ა. შ.), თავისებურადაა დაყოფილი რიცხვითი სახელები – „რაოდენობითნი“ (ერთი, ორი, ათი...), „წესებითნი“ (პირველი, მეორე, მეათე...), „დანაწევრებითნი“ (ნახევარი, მესამედი...), „შემრებელობითნი“ (წყვილი, სამეული...); ნაცვალსახელის განსაზღვრა უფრო დახვეწილია, განმარტებებიც შეცვლილია. ავტორი ზმნას არსებითად ისევე განიხილავს, როგორც ადრინდ. გრამატიკოსები, თუმცა ზოგჯერ შეცვლილი აქვს მასალის ტრად. განლაგება და ტერმინებიც, განსაზღვრებებიც უფრო დაზუსტებულია და გასაგები. სახელზმნებს ავტორი მოკლედ ეხება. უდეტრების განხილვისას საინტერესოა თანდებულზე მსჯელობა. აქ თანდებულიანი სახელის ფუნქციაზეა მინიშნება. ზმნიზედებისა და კავშირების შესახებ მოსაზრებები, წინა გრამატიკოსებთან შედარებით, უფრო მართებულია და ნათელიც. ავტორის შეხედულებათა საბუთიანობა, სიზუსტე და სიცხადე განსაკუთრებით გრამატიკის მეორე ნაწილში ჩანს. სხვათაგან დამოუკიდებელია დ-ის მსჯელობა „სახოგადოთა კანონთათვის“. ეს კანონები რიტორიკიდან მომდინარეობს. „პერიოდთა“ შესახებ მსჯელობისას იგრძნობა რუს გრამატიკოსთა გავლენა.

1832 დ. დააპატიმრეს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მეთაური დ., შეთქმულთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ოცნებობდა არა მეფის ხელისუფლების აღდგენაზე საქართველოში, არამედ, თავისი დემოკრ. მსოფლმხედველობიდან

გამომდინარე, რესპუბლიკური წყობის დამკვიდრებაზე. 1834 დ. გადაასახლეს რუსეთის შორეულ გუბერნიაში – ვიატკაში, სადაც ჭლექით გარდაიცვალა.

თხზ.: თხზულებანი, თბ., 1961.

ლიტ.: გოცაძე მ., სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1955; კუკავა თ., სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, თბ., 1955; სოლომონ დოდაშვილი. ბიობიბლიოგრაფია (1825–1966), შემდგ. ნ. დოლიძე და ჩ. ფირცხალავა, ს. ხუციშვილის რედ. და წინასიტყვაობით, თბ., 1967; ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995. *ე. ნიკოლაიშვილი.*

დონდუა კარპეზ დარისპანის ძე (13. X. 1891, ქუთაისი, – 3. XI. 1951, ლენინგრადი), ფილოლოგი, ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1935), ლენინგრ. და თბილ. უნ-ტების პროფესორი (1940-იდან), საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1944). პეტროგრ. უნ-ტის დამთავრების შემდეგ (1922) იქვე ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. 1941–45 მუშაობდა თბილისში, საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტსა და თსუ-ში. დ. იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენებს, ზოგადი ენათმეცნ. პრობლემებს. მის საენათმეცნიერო შრომათაგან აღსანიშნავია „მაფემინიზებელი ხმოვანი ქართულში" (რუს. ენაზე, 1935), „ადიღეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის სვანურში" (1943), „გრამატიკული უარყოფა როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა" (რუს. ენაზე, 1948), „ქართული ენის მესხური კილო" (რუს. ენაზე, 1967). მნიშვნელოვანია დ-ს ღვაწლი რუსთველოლოგიაში. მის ნაშრომებში – „ამირანდარეჯანიანი" (რუს. ენაზე, 1937), „შოთა რუსთაველი და ქართული ლიტერატურა" (რუს. ენაზე, 1938), „მეტაფორა ფართო გაგებით და პოეტური მეტაფორა" (რუს. ენაზე, 1938), „საშინელი უმეცრება", დ. დანდუროვის წიგნის „შოთა რუსთაველის" შესახებ (რუს. ენაზე, 1937, ქართ. ენაზე, 1938), „კიდევ ერთხელ რუსთაველის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნის შესახებ" (რუს. ენაზე, 1940), „ვეფხისტყაოსნის ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისათვის" (1943) და სხვ. – გაშუქებულია შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების, აგრეთვე მისი ეპოქის ქართ. კულტ. საკითხები.

თხზ.: რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967; Статьи по общему и кавказскому языкознанию, Л., 1975.

ი. მეგრელიძე.



კ. დონდუა.

დრო, ზმნის კატეგორია, რეალური დროის სპეციფიკური ენობრივი ასახვა. ემსახურება ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის დროით ლოკალიზაციას თქმის მომენტთან მიმართებით. მოქმედება შეიძლება ხდებოდეს თქმის მომენტში, უსწრებდეს თქმის მომენტს ან მოხდეს თქმის შემდეგ. ამის მიხედვით ტრადიციულად ენებში, მ. შ. ქართულშიც, გამოიყოფა სამი დრო: ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი, წ ა რ ს უ ლ ი და მ ო მ ა ვ ა ლ ი. ტერმინები დაამკვიდრა ა. შანიძემ ნაცვლად ტერმინებისა – ა წ მ ყ ო, ნ ა მ ყ ო, მ ყ ო ფ ა დ ი, რ-ებიც ანტონ I-გან მომდინარეობს და ახლაც რჩება სათანადო მწკრივების აღსანიშნავად. მაგრამ აღნიშნული სამწევრა ოპოზიცია ენებში არ რეალიზდება როგორც მხოლოდ ტემპორალური. სხვა ზმნურ კატეგორიებთან, ძირითადად კილოსა და ასპექტთან, მჭიდრო კავშირში წარმოიქმნება საუღლებელ ფორმათა რთული სისტემა, რ-იც ენათა მიხედვით სხვადასხვაგვარია. შესაბამისად, სხვადასხვა დროს ქართულში სამზე მეტი დ-ის (ს. ხუნდაძე, ნ. მარი...) გამოყოფა, ა. შანიძის აზრით, გამოწვეულია დ-ის კატეგორიის აღრევით სხვა ზმნურ კატეგორიებთან.

ქართულში დ-ის კატეგორიას გრამატ. ნიშანი არ მოეპოვება. თუმცა ახლანდელისაგან წარსულისა და მომავალის ფორმების გარჩევა შეიძლება ასპექტით ან სხვა ფუძით. მაგ. წერ-ს – დაწერ-ა, და-წერ-ს ან არის – იქნება. ხშირად ახლანდელი დ-ის აღმნიშვნელი ფორმები კონტექსტის მიხედვით იცვლის დროულ გაგებას. მაგ., ახლანდელი დ-ის ფორმები შეიძლება გამოხატავდეს ზედროულობას (უდროობას) – „დედამიწა ბრუნავს", „თევზი ცურავს"..., მომავალს – „ხვალ შენთან მოვდივარ", წარსულს – „შევხედე და აგერ მოდის"...; წარსულის ფორმა შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა დროის გამოსახატავად. მაგ., მოდალურ წინადადებაში მან შეიძლება გამოხატოს მომავალი – „თუ ასე წერე, ვერასოდეს დაამთავრებ".

დ-ს, როგორც სახელისაგან ზმნის განმასხვავებელ განსაკუთრებულ კატეგორიას, ჯერ კიდევ არისტოტელე გამოყოფდა. თანამედროვე ენათმეცნიერებაში დ-ის ტრად. თეორიამ რეინტერპრეტაცია განიცადა, მ. შ. ტექსტის ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., (1953) 1973; კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981; Есперсен О., Философия грамматики, пер. с англ., М., 1958; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1992.

ნ. ლოლაძე.

დუბლეტი (ფრანგ. doublet), 1. განსხვავებული ბგერითი შედგენილობის აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობის სიტყვებიდან ერთ-ერთი (მაგ., ენათმეცნიერება – ლინგვისტიკა); 2. ენობრივი ერთეულის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სტილურინაირსახეობა, ვარიანტი. მაგ., მორფოლ. დ-ებია მრ. რიცხვის ნიშნები -ებ და -ნ ქართულში (კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი...); დიალექტური დ-ები გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაში, მაგ.: „ხარჩო გექნება გემოიანი" (ნ. ლორთქ.), 3. შინაარსითა და ჟღერადობით მეტ-ნაკლებად მსგავსი (ერთი წარმოშობის ან სხვადასხვა დროს ნასესხები) სიტყვებიდან ერთ-ერთი. ასეთი სიტყვები ქმნიან ეტიმოლოგიურ დ-ებს.

ლიტ.: ფონხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ლ. ენუქიძე.



ა. დუმბაძე.

დუმბაძე ანტონ თეოფილეს ძე (7. I. 1933, სოფ. შემოქმედი, ოზურგეთის რ-ნი, – 25. XI. 1998, თბილისი), მხატვარი–გრაფიკოსი, საქართვ. დამს. მხატვარი (1984). 1960 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1990-იდან იყო გამოყენებითი გრაფიკის კათედრის გამგე). გამოფენებში მონაწილეობდა 1961-იდან. 1960-იდან იყო

ქართ. შრიფტის ექსპერ. ლაბორატორიის მხატვარი (1972-იდან – გამგე). დ-მ შექმნა და წარმოებაში დანერგა 50-მდე ქართ. სასტამბო შრიფტი (სატექსტე, სატიტულო, საანიშო, საწური მანქანის და სხვ.), მ. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „უნივერსიტეტი“ (1962–65), „განახლებული“ (ბ. გორდეზიანთან ერთად, 1965–66), „ლიტერატურული“ (1965–68), „რუსთაველი“ (1965–66), „ენციკლოპედიური“ (1967–68), „სპეციალური“ (1993–95) და სხვ. გაფორმებული აქვს 200-მდე წიგნი, 20 პლაკატი და სხვ. მუშაობდა დაზგურ გრაფიკაშიც.

ნ. გიოშვილი.



ე, ქართ. ანბანის მეხუთე ასო. მისი სახელია „ენი“; გრაფ. სიმბოლო საშუალო აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი ფონემისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴡ. მისი მოხაზულობა ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკაეებს. ნუსხური ɳ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრული ე-ს ზედა და ქვედა ნაწილები რკალური ფორმისაა. ნუსხურ და მხედრულ ოთხხაზოვან სისტემაში ქცეა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ხუთს (5), ახ. ქართულში ჩამოთვლისას (ანბანური რიგის მიხედვით) აღნიშნავს მეხუთეს. ციფრობრივი ნუმერაციის დროს გამოიყენება ერთი და იმავე ნომრით აღნიშნული რამდენიმე საგნის, პუნქტის... განსასხვავებლად: მეხუთე პუნქტის ე მუხლი.

ებრაული ენა, განეკუთვნება სემიტურ ენათა ქანაანურ ჯგუფს. მისი უძველესი ძეგლებია: *ბიბლია*, ეპიგრაფიკული ძეგლები – გეზერის კალენდარი (ძვ. წ. X ს.), სილოამის წარწერა (ძვ. წ. VII ს.), ოსტრაკა (წარწერები თიხის ჭურჭლის ნატეხებზე) სამარიიდან (ძვ. წ. VIII ს.), ლახიშიდან (ძვ. წ. VI ს.), პალიმფსესტი იუდას უდაბნოდან (ძვ. წ. VIII–VII სს.), მონეტები, წარწერიანი საწონები და სხვ. ე. ი. ძვ. წ. VI ს-მდე საერთო-სახალხო ენა იყო პალესტინაში, რის შემდეგაც დაიწყო მისი არამეიზაცია (ბირვეულ ყოველისა – ქალაქებში). ამ პერიოდის (ძვ. წ. XII–II სს.) ე. ი. ცნობილია როგორც ბიბლიის ებრაული ანუ ძველი ებრაული. ახ. წ. III ს-მდე იგი ჯერ კიდევ იხმარებოდა სოფლის მოსახლეობაში. ქალაქად მას იყენებდნენ მხოლოდ სწავლულები – რაბინები, რ-ებმაც შექმნეს „აკადემიური“ ლიტ-რა: ბიბლიის კომენტარები და ბიბლიური კანონების დამატებანი („მიშნა“, „თოსეფთა“, „მიდრაშები“), უფრო გვიან – იერუსალიმისა და ბაბილონის „თალმუდები“ (IV–V სს.), ბიბლიის ტექსტების კითხეის წესებისა და ვოკალიზაციის ნიშნების კრებ. „მასორა“ (VI–VII სს.). ამ ლიტ-რის ენა ცნობილია როგორც რაბინული ანუ მიშნის ებრაული. ძვ. წ. III – ახ. წ. II სს. ხანისაა იუდას უდაბნოში (ყუმრანისა და მურაბაათის ხეობები) აღმოჩენილი გრაგნილები, ოსტრაკა, ასევე ნახალ-ხეევრში ნაპოვნი კორესპონდენცია. ბიბლიის შემდგომი ებრ. ლიტ-რის ენა საშუალო ებრაულად ცნობილი. ამის შემდეგ იწყება თანამედროვე ებრაულის ხანა (ზოგჯერ მას არასწორად „ძველებრაულს“, „ივრითს“ უწოდებენ, რაც ებრაულად „ებრაულ ენას“ ნიშნავს). თანამედროვე ე. ი. გაცოცხლებული ბიბლიის ენაა, რ-ზეც XIX ს. ბოლოდან სისტემატურად იქმნება ლიტ-რა (მხატერული, სასწაველო, პერიოდიკა), ხოლო ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (1948) ამ სახელმწიფოს ოფიც. ენაა. თანამედროვე ებრ. წარმოთქმას საფუძვლად დაედო ბიბლ. ტექსტების ე. წ. სეფარდული ტრადიცია, რაც ესპანეთსა და აღმოსაელეთში მცხოვრებ ებრაელთა (მ. შ. – ქართველ ებრაელთა) წრეებშია გავრცელებული.

ე. ი-თვის დამახასიათებელია ბოლოკიდური მოკლე ხმოვნის დაკარგვა, სიტყვის შიგნითა ა>რ, ხორხისმიერ თანხმოვანთა სისუსტე, ხმოვნისა და თანხმოვნის სიგრძის დაკარგვა, სახელთა ბრუნების დაკარგვა, დროის გამოხატვა ასპექტით, რასაც თანამედროვე ებრაულში დაემატა პარტიციპიალური დროები, ანალიტიკური კონსტრუქციების განვითარება და სხვ.

ე. ი-ის ისტ. შესწაელისთვის დიდი მნიშენელობა ენიჭება საქართვ. ტერიტორიაზე არსებულ ებრ. ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ხელნაწერებს, განსაკუთრებით ქართვ. ებრაელთა ენობრივ ტრადიციებს, სადაც კარგადაა დაცული ძვ. ებრ. ფონოლოგიური სისტემა.

საქართველოში ებრაელთა პირველი ემიგრაცია ძვ. წ. VI ს-ში ივარაუდება, როდესაც პალესტინაში ჯერ კიდევ მათი მშობლიური ენა, ებრაული, იყო გაბატონებული. ამ ემიგრაციის სამეტყველო ენაც, ცხადია, ებრაული (ბიბლიის ენა)

უნდა ყოფილიყო. ებრაელთა მეორე ემიგრაცია საქართველოში I–II სს-ში ჩანს დაწყებული. ეს ის ხანაა, როდესაც პალესტინაში უკვე *არამეული ენა* გავრცელებული. სწორედ ამიტომაა, რომ ამ ხანებში შექმნილი ბიბლიის წიგნების ნაწილი (ეზრა, დანიელი) ძვ. წ. V–II სს. არამეულ ენაზეა დაწერილი. ეს ენა სამეცნ. ლიტ-რაში ცნობილია როგორც ბიბლიის არამეული, რამდენადაც სწორედ ბიბლიამ შემოინახა იგი. აქედან მოყოლებული, პალესტინელ ებრაელთა მშობლიურ ენას ცვლის არამეული ენის პალესტინის დიალექტი, რ-იც ებრაელთა დედაენა გახდა. ბუნებრივია, ამ დროს საქართველოში შემოსული ებრაელები სწორედ არამეულად მეტყველებდნენ, თუმცა საეს ებით შესაძლებელია, რომ მათი ნაწილი ფლობდა მშობლიურ ებრაულსაც. არც ის არის გამორიცხული, რომ საქართველოში დამხვდურმა ებრაელობამ უკეთ იცოდა თავისი წინაპრების ენა და მათ წრეში იგი ჯერ კიდევ ცოცხლობდა ქართულის გვერდით. ამას ადასტურებს ებრაული ტექსტების წაკითხვის ღღეგანდელი ტრადიცია, რ-ის მიხედვითაც, ხშული თანხმოვნები (b p d t) ხშულ წარმოთქმას ინარჩუნებენ ხმოვნების შემდეგაც და არ განიცდიან სპირანტიზაციას ისე, როგორც ეს ბიბლიის ებრაულში მოხდა: ებრ. gânâb – ქართული ებრაული განაბი – „ქურდი" და არა განავ, როგორც ეს გეიანდელი წაკითხვით არის. მაგრამ გვაქვს ებრ. melek – ქართული ებრაული მელეხი – „მეფე". სპირანტიზაციას ებრაულში შედარებით გვიანდელ (ძვ. წ. VI ს. შემდგომ) პერიოდად მიიჩნევენ და მიაწერენ არამეულის გაელენას. სპირანტიზაციის პროცესი უნდა დამთავრებულიყო III ს-ში, ამიტომ იგი ერთნაირად აისახა კიდეც იმ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, რ-თა წინაპრები ამ პროცესის დამთავრებამდე გადმოსახლდნენ საქართველოში. ქართველ ებრაელთა წარმოთქმაში დაცულია აგრეთვე განსხვავება ფშვინვიერსა და ემფატიკურ თანხმოვნებს შორის (t თ – ṭტ k ქ – q ყ), რაც ევროპ. ებრაელების მეტყველებასა და ისრაელის ოფიც. ენაში არ არის შენარჩუნებული. ასევე, თანამედროვე ებრაულში გამქრალია ფარინგალური 'აინი, რ-ის არსებობის კვალს ებრაულში ადასტურებს ებრაულიდან ქართულში შემოსული სიტყვა ყიური „ებრაელი" (< ძვ. ებრ. C'ibri) და ა. შ.

საქართველოში დასახლებული ებრაელები, ბუნებრივია, ითვისებდნენ ქართულ ენას, რ-იც შემდეგ საუკუნეთა მანძილზე მათთვის მშობლიური ენის ფუნქციას ასრულებდა, იყო მათი სასაუბრო და სამწერლობო ენა. მაგრამ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ებრაული სიტყვები, რ-ებიც გვიან შემოვიდა ქართულში (საეარაუდოა, ზეპირი გზით) და ძირითადად გამოიყენება როგორც ჟარგონი (ტობე „კარგი", განაბი „ქურდი"...).

ე. ე-მ, როგორც უძველესი ბიბლიის ენამ, საგრძნობი გაელენა იქონია ქართ. და, საერთოდ, ყველა იმ სამწერლობო ენაზე, რ-ებზედაც ბიბლ. ტექსტები ითარგმნებოდა. ეს გაელენა ძირითადად შეეხო ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას (იხ. *ბიბლიზმები*). მაგ., ქართ. ბიბლიაში ეხვედებით როგორც ცალკეულ ებრაულ სიტყვებს (ამინ – „იყავნ"...), ისე ებრაულის საფუძველზე შექმნილ გამოთქმებს. ქართ. ბიბლ. ტექსტებში დადასტურებული პარონომაზიის შემთხვევებიც („მოყვანებით მოიყვანოს იგი თავისა თუსისა ცოლად", „დამჭობით დაამჭუნე იგინი"...) ორიგინალის გავლენაზე მეტყველებს (იხ. *პარონომაზია*).

ლიტ.: წერეთელი კ., ბიბლიის ებრაული, თბ., 2001; Бабалиашвили Н.И., Еврейские надписи в Грузии (XVIII–XIX вв.), Тб., 1971; Айхенвальд А. Ю., Современный иврит, М., 1990; Greenberg M., Introduction to Hebrew, New Jersey, 1965; Meyer R., Hebräische Grammatik, [Bd.] 1–2, B., 1966–72; Simon H., Lehrbuch der modernen hebräischen Sprache, Lpz., 1970; Kutscher E. Y., A History of the Hebrew Language, Leiden, 1982.

კ. წერეთელი.

ევფემიზმი (ბერძნ. euphēmismós – კეთილმეტყველება: éu – კარგად და phēmi – ვლაპარაკობ), *ტროპის* სახე – უსიამოვნო, საშიშ წარმოდგენებთან დაკავშირებული ან მიუღებელი უხამსი, უხეში სიტყვის, გამოთქმის შეცვლა თავაზიანი, შერბილებული, საზოგადოებაში მიღებული, ემოციურად ნეიტრალური ('საგანგებო უცხო ენიდან ნასესხები) სიტყვით, გამოთქმით. ამ აზრით, ევფემისტური შენაცვლება ახლოსაა *სინონიმიასთან*. ზოგჯერ შენაცვლება ეხება დასახელებებს, რ-თა წარმოთქმა ენაში ამა თუ იმ მიზეზით არასასურველად არის მიჩნეული (იხ. *ტაბუ*). მაგ., სიტყვა გველის ნაცვლად ქართულში შეიძლება შეგვხვდეს სიტყვები: უხსენებელი, უსახელო, მცურავი და ა. შ.; ე-ები ჩნდება აგრეთვე უსიამოვნო, უარყოფითი მოვლენების აღსანიშნავად. მაგ., მოკვდა > სული განუტევა, გარდაიცვალა; კუბო > სასახლე; ბებერი > ხნიერი, მოხუცებული... ასეთი შენაცვლებები მეტ-ნაკლებად მყარია და ე. ხდება საერთო ლექსიკის კუთვნილება, შედის შესაბამის სინონიმურ ჯგუფებში. მაგრამ გვაქვს ოკაზიონალური ე-ებიც, რ-ებიც ჩნდებიან მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში და ატარებენ ინდივიდუალურ ხასიათს. ხშირად ე. კარგავს ნეიტრალურ ემოციურ იერს და ხელახლა იცვლება ახალი ე-ით: ფეხსადგილი > ტუალეტი და ა. შ.

ე-ის საპირისპირო პროცესია დისფემიზმი – ნეიტრალური სიტყვის, გამოთქმის შეცვლა უხეში, ემოციურად უფრო დატვირთული სიტყვით, გამოთქმით („ფეხები გაფშიკა" < გარდაიცვალა...).

ე., რ-იც გამოხატავს იმის საპირისპიროს, რაც უნდა თქმულიყო, არის ანტიფრაზისი, მაგ., „წუნარი ოკეანე", ან ზოგიერთი საშიში ინფექციური დაავადების აღსანიშნავად გამოყენებული სიტყვა „ბატონები" და მისთ.

ც. ბარბაქაძე.

ევფონია (ბერძნ. euphōnia – კეთილხმოვანება < éu – კარგი, კეთილი და phōnē – ბგერა), მეტყველების კეთილხმოვანება, რ-იც მიიღწევა ბგერათა სხვადასხვა სახის გამეორებით (იხ. *ალიტერაცია, ანაფორა, ასონანსი*).

ე-ს უპირისპირდება კაკოფონია – ძნელად წარმოსათქმელი ან სმენისათვის არასასიამოვნო ბგერების თავმოყრა ან გამეორება („თეთრი თრიობინა თეთრ თრთვილზე თრთოდა..."). *ც. ბარბაქაძე.*

ეთნონიმი (< ბერძნ. éthnos – ხალხი და ónyma – სახელი), სახელწოდება ნებისმიერი ეთნოსისა

(ხალხისა), რ-საც აქვს ერისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: ტერიტორიისა და ენის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობა, საერთო ეკონ. და ზნეობრივ-ფსიქიკ. წყობა და მის ბაზაზე შექმნილი კულტურის ერთიანობა...

ე-ებია: არაბი, ბერძენი, ესპანელი, ესტონელი, იაპონელი, ინგლისელი, ინდოელი, იტალიელი, რუსი, უკრაინელი, ფინელი, ქართველი, ჩინელი...

ზოგჯერ ტერმ. „ე.“ გამოიყენება ერთი ენის ფარგლებში სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრე ეთნ. ჯგუფების წარმომადგენელთა აღსანიშნავადაც. ამის მიხედვით ე-ებად მიიჩნევენ სადაურობა-წარმომაელობის ტერმინებს: აჭარელი, გურული, თუში, იმერელი, კახელი, ლეჩხუმელი, რაჭველი, ფშაველი, ქართლელი, ხევსური... ტერმ. ე-ის ამგვარი გამოყენება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. მონათესავე დიალექტებზე მეტყველი ხალხის მიმართ უმჯობესია გამოიყენებოდეს ტერმინი ე თ ნ ი კ უ რ ი ე რ თ ე უ ლ ი.

მორფოლ. თვალსაზრისით არსებობს ე-ების ორი ჯგუფი: მ ა რ ტ ი ვ ი და რ თ უ ლ ი. მარტივია: არაბი, ბერძენი, რუსი, სომეხი, ბასკი, ოსი, სპარსი, ჩერქეზი, ლაკი, შვედი... რთული შედგენილობის ე-ები წარმოიქმნება ამა თუ იმ ქვეყნის საკუთარი სახელის ფუძესა სადაურობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსის დართვით: ესტონეთი > ესტონ-ელ-ი, უნგრეთი > უნგრ-ელ-ი, ინგლისი > ინგლის-ელ-ი... ე-ებს, თავის მხრივ, შეუძლიათ წარმოქმნან სახელწოდებები ქვეყნებისა, რ-ებშიც ძირითადად ამ სახელდების ეთნოსი ცხოვრობს (იხ. *ეთნოტოპონიმი*). *გ. ბედოშვილი.*

ეთნონიმია, *ანთროპონიმიკის* ნაწილი, რ-იც შეისწავლის ცალკეულ ეთნოსთა საკუთარ სახელებს. ამ შემთხვევაში ტერმ. „შესწავლა“ გულისხმობს ეთნონიმური ტერმინების წარმოშობის, სტრუქტურის, ენობრივი კუთვნილების, ეტიმოლოგიისა და მისთ. გარკვევას.

ეთნოსთა საკუთარი სახელები ძირითადად ორი გზით წარმოიქმნება: ა) ეთნონიმი წარმოიქმნება უშუალოდ, ამა თუ იმ ხალხის მიერ. სახელდების ძირითადი ფაქტორი ხდება ეთნოსის განსახლების (გეოგრაფიული), კონფესიური, ენობრივი და სხვ. ნიშან-მახასიათებლები. ამგვარ ეთნონიმებს თვითწოდებით, ადგილობრივ, საკუთრივ შერქმეულ სახელებად მოიხსენიებენ. თვითშერქმეული ეთნონიმებია: ქართველი, ალემანი (გერმანელი), სპაინ (ესპანელი), ბრიტან (ინგლისელი), ჟაპან (იაპონელი), ხატაი (ჩინელი), რუსი || როსი (რუსეთის მცხოვრები), მადიარი (უნგრელი) და სხვ. ბ) ეთნოსის სახელდება ხდება გარედან, სხვაენოვანი ხალხის მიერ. უცხოენოვანი ეთნონიმების ქართულად გადმოცემის საკითხი არაერთგვაროვანია: ზოგიერთი მათგანი ქართულში სადაურობის -ელ სუფიქსით არის გაფორმებული: ასირიელ-ი, ავსტრი-ელ-ი, ბელგი-ელ-ი, ესპან-ელ-ი, ინგლის-ელ-ი, იტალიელ-ი, ჩინ-ელ-ი, ფინ-ელ-ი, გერმანელ-ი, იაპონ-ელ-ი... ზოგიც მხოლოდ ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ბასკი, ფრანგი, არაბი, რუსი, შვედი, თურქი, ბერძენი, ლაკი, ქურთი... *გ. ბედოშვილი.*

ეთნოტოპონიმი, გეოგრაფიული ობიექტის საკუთარი სახელი – *ტოპონიმი*, რ-იც საყრდენ ფუძედ *ეთნონიმს* ანუ სატომო სახელს იყენებს. ქართულში წარმოქმნის ძირითადი საშუალებაა აფიქსაცია: ეთნოსის აღმნიშვნელ ტერმინს მიერთვის გეოგრ. -ეთ- სუფიქსი: კოლხ-ეთ-ი, ლაზ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, რუს-ეთ-ი, ფინ-ეთ-ი, ჩინ-ეთ-ი.

ე-თა სადერივაციო საშუალებად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია ცირკუმფიქსები სა – ეთ-: საბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი და სა-ო: სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ზან-ო...

ე-თა წარმოების ტიპს მიჰყვება აგრეთვე აღამიანთა გვარ-სახელებისა და ტერიტ.-აღმ. ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინების მიხედვით გაფორმებული ტოპონიმები. აქაც მხოლოდ სა – ო კონფიქსი გამოიყენება: სა-კორინთლ-ო, სამაჩაბლ-ო, სა-გურამ-ო, სა-ბარათიან-ო, სა-დადიან-ო; სა-არაგვ-ო, სამუხრან-ო, სა-ჯაველ-ო (წესს გამონაკლისი არა აქვს).

ე-თა წარმოქმნაში არ გვხვდება სა – ე ცირკუმფიქსი. იგი მხოლოდ არაადამიანთა კლასის სახელებთანაა დადასტურებული: სა-ირმ-ე, სა-მგლ-ე, სა-იხვ-ე, სა-ქორ-ე, სა-ბუ-ე, სა-დათ-ე...

გ. ბედოშვილი.

ელინოფილიზმი, ბიზანტიური საეკლესიო კულტურის განფენა სხვადასხვა ქრისტიანი ერების (სირიელთა, სომეხთა, ქართველთა, სლავთა...) ზოგად კულტურულ ტრადიციაში. ეს ტენდენცია გამოვლინდა ხელოვნების თითქმის ყველა დარგში – საეკლ. ხუროთმოძღვრებაში, მხატვრობაში, ხატწერაში, მუსიკასა და განსაკუთრებით ლიტ-რაში – როგორც ნათარგმნში, ისე ორიგინალურში.

ენობრივ-ლიტ. ასპექტით ე. გულისხმობს ბიზანტ. მწერლობის გავლენას არა მარტო შინაარსობრივი (თეოლ.-ფილოს.), არამედ ფორმობრივი (ენობრივ-სტილისტიკური და ტერმინოლოგიური) თვალსაზრისითაც. ელინოფილური მთარგმნელობითი მეთოდის მიზანია დედანთან მაქსიმალური ეკვივალენტურობის მიღწევა, რაც გულისხმობს თარგმანში დედნის ყველა დეტალის, აზრობრივი ნიუანსისა თუ ენობრივ-სტილისტიკური თავისებურების ასახვას. აქედან გამომდინარე, ელინოფილური თარგმანისათვის დამახასიათებელია ლექსიკური და სინტაქსური კალკების სიმრავლე, ახ. სამეცნ. ენის შექმნის მკვეთრად გამოხატული ტენდენცია. ამგვარი ზედმიწევნითი მთარგმნელობითი მეთოდი ზოგჯერ თარგმანის ენის ხელოვნურობას იწვევდა, მაგრამ ამავე ტენდენციამ ხელი შეუწყო ქართ. ენის მდიდარი და მრავალფეროვანი გამომხატველობითი საშუალებების ახლებურ ამოქმედებას.

ე., როგორც კულტ. ორიენტაცია, ვლინდება ბიზანტ. კულტურის ცალკეული ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეებისადმი განსაკუთრებული ინტერესითა და მათი ათვისებით არაბერძენ მოღვაწეთა მიერ. ეს არის კლასიკური და საეკლ. ტექსტების კრიტ. კვლევა, კომენტატორული მოღვაწეობა, ლიტ.-თეორ. აზროვნებისაკენ სწრაფვა, რიტორიკა-გრამატიკა-ფილოსოფიისადმი, ე. წ. „გარეშე სიბრძნისადმი“, ღრმა ინტერესი.

ე-ის ჩამოთვლილი ნიშნები მეტ-ნაკლებად ძე. ქართ. მწერლობის ყველა პერიოდში შეინიშნებოდა, მაგრამ ელინოფილური მიმართულება, როგორც მკვეთრად გამოხატული კულტ. ორიენტაცია, ქართ. მწერლობაში XI ს. მეორე ნახევრიდან იჩენს თავს. ამ მიმდინარეობის ფუძემდებელია ცნობილი სას. მოღვაწე და მწიგნობარი *ეფრემ მცირე*. მის თარგმანებში თუ ორიგინ. კოლოფონებსა და კომენტარებში ცნებამ და ტერმინმა „ელინური", „ელინურობა", რ-საც ადრექრისტ. ლიტ-რაში კულტ.-თეოლ. მნიშვნელობა ჰქონდა მიღებული და „წარმართულს" აღნიშნავდა (შესაბამისად, XI ს-მდე ქართ. მწერლობაშიც უარყოფითად აღიქმებოდა), მკვეთრად უარყოფითი შინაარსი დაკარგა და მაღალი რიტორიკულ-ფილოს. სტილისა და კარგი განათლების აღმნიშვნელი გახდა.

ეფრემ მცირის თარგმანებში კარგად ჩანს ათონელთა მთარგმნელობითი ტრადიციებიდან ელინოფილურზე თანდათანობით გადასვლის პროცესი. თუკი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი „სიტყუადართვითი" (მეტ-ნაკლებად თავისუფალი) მთარგმნელობითი მეთოდით და ტერმინთა გადმოტანის თვალსაზრისით ათონელთა მიმდევარი იყო (გრიგოლ ღვთისმეტყველის 19 არალიტურგიკული სიტყვა, იოანე დამასკელის „დიალექტიკა" და „გარდამოცემა"), მის გვიანდ. თარგმანებში (გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვა, არეოპაგიტული კორპუსი) უკვე თავს იჩენს მკვეთრად ჩამოყალიბებული ელინოფილური პოზიცია – დედანთან მაქს. სიახლოვე, საღვთისმეტყველო-ტერმინოლოგიური სიზუსტე. ეფრემ მცირის კოლოფონებში („დიალექტიკისა" და გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვედის შესავლები, ფსალმუნთა და სამოციქულოს განმარტებათა წინასიტყვაობები და ბოლოსიტყვაობები) გამჟღავნებულია ბიზანტიაში მიმდინარე ლიტ. პროცესების ღრმა ცოდნა – ასახულია ბიზანტ. რიტორიკის აქტუალური საკითხები, სტილური და პოეტიკური თეორიები, მეცნიერულად ჩამოყალიბებულია მთარგმნელობითი კონცეფცია. ელინოფილურ ორიენტაციას ავლენს ეფრემ მცირე ნუსხებზე მუშაობის დროსაც. კრებულები, რ-ებშიც მისი თარგმანებია, თავისი აგებულებითა და ატრიბუტიკით – კოლოფონებით, ლექსიკოლოგიური, გრამატ.-რიტორიკული, საღვთისმეტყველო, მითოლ. კომენტარებით, მარგინალური, პროსოდიისა და პუნქტუაციის ნიშნებით მკვეთრად გამოხატული ბიზანტიზებული ხელნაწერებია.

ელინოფილური მიმდინარეობის გამგრძელებელია მწიგნობარი და მთარგმნელი *არსენ იყალთოელი* (XII ს.). მან განავითარა ეფრემ მცირის მიერ დაწყებული საღვთისმეტყველო და ფილოს. ლიტ-რის თარგმნისა და კომენტირების საქმე (კრებული „დოგმატიკონი"). უშუალოდ არსენ იყალთოელი იყო დამფუძნებელი ე. წ. გელათური საღვთისმეტყველო სკოლისა, რ-იც ქართ. მწერლობის გვიანელინოფილურ პერიოდს ქმნის (XII–XIII სს.). ამ სკოლის წარმომადგენლები არიან პეტრე გელათელი (იოანე სინელის „კლემაქსი"), იოანე ჭიმჭიმელი (თეოფილაქტე ბულღარელის მარკოზისა და ლუკას სახარებების განმარტებანი), მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა, თეოფილაქტე ბულღარელის იოანეს სახარების განმარტებათა, ქსიფილინოსის ავტორობით ცნობილი მეტაფრასული საკითხავების, გელათური ბიბლიის (კიმენი და კომენტარები), ეკლესიასტეს განმარტებათა, ამონიოს ერმისისა (ჰერმიას) და იოსებ ფლავიუსის თხზულებათა მთარგმნელები და სხვ. ამ მიმდინარეობას აგვირგვინებს *იოანე პეტრიწი* ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა" და პროკლე დიადოქოსის „კავშირნი ღვთისმეტყუელებითნის" თარგმანებითა და მათი კომენტარებით.

ელინოფილურმა იდეებმა გამოხმაურება ჰპოვა ქართ. ორიგინ. მწერლობაშიც (მემატიანეები, მეხოტბეები). ამ იდეებმა გარკვეულწილად ნიადაგი მოუმზადეს რუსთაველის მსოფლმხედველობასაც.

წყარო: იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფავას გამოც., თბ., 1976; ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, ს. გორგაძის გამოც., თბ., 1914; იოანე პეტრიწი, შრომები, ს. ყაუხჩიშვილის და შ. ნუცუბიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1940; ტ. 2, თბ., 1937; პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის გამოც., თბ., 1961; იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, ტ. 1–2, თბ., 1987–88; შანიძე მ., შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, თბ., 1968 («ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 11); მისივე, სიტყუაჲ ართრონთათჳს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მელიქიშვილი დ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975; სირაძე რ., ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975; ლოლაშვილი ი., არსენ იყალთოელი, თბ., 1978; დანელია კ., ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ნ. კეჭაღმაძის და მ. რაფავას გამოც., თბ., 1983; სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის ერთი უცნობი ანდერძი, თბ., 1988 («ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 27); ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, თ. ოთხმეზურისა და ალ. გამყრელიძის გამოც., თბ., 1989; ბეზარაშვილი ქ., ეფრემ მცირე, ელინოფილიზმი და ბერძნულ-ქართული ლექსთწყობის საკითხები. – «ფილოლოგიური ძიებანი», II, თბ., 1995; მისივე, ბაძვის ტრადიციული კლასიკური ცნება ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში და ეფრემ მცირესთან. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1997, № 1–4; სიტყუანი ფსალმუნთანი შემოკლებით გამოკრებულნი მრავალთა წიგნთაგან, ნ. დობორჯგინიძის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1995–96; ჭელიძე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1996; ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენი ვაჩეს ძის „დოგმატიკონში", ა. ჩანტლაძის გამოც., თბ., 1997; მგალობლიშვილი თ., ხოფერია ლ., ჩანტლაძე ა., მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები. – «ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული», თბ., 1997.

ქ. ბეზარაშვილი. თ. ოთხმეზური.

ელიფსისი (ბერძნ. élleipsis – გამოტოვება), მეტყველების პროცესში (იხ. *მეტყველება*) ან წერილობით ტექსტში დაკლება სიტყვის ან სიტყვებისა, რ-ებიც ადვილად საგულისხმებელია კონ-

ტექსტით ან სამეტყველო სიტუაციით. ე-ის შედეგად მიიღება არასრული წინადადებები, ნაკლული კონსტრუქციები, მაგრამ ინფორმაციის სიზუსტე დაცულია. ე. ჩვეულებრივია დიალოგებში („მამა გყავს?" – „არა, შენი ჭირიმე". – „დედა?" – „გახლავთ". – „ვინ ინახავს?" – „მე, შენი ჭირიმე", ი. ჭავჭ.). „ნაკლულია" ზოგი ბრძანებითი წინადადებაც („აბა, ცხენები!"). რთულ წინადადებებში ხშირად გამოტოვებულია განმეორებული ზმნა („შენ პირუტყვი ხარ და მე – მეტყველი", ი. ჭავჭ.; „ცა გაფურჩქნილ ვენახს ჰგავდა, ვარსკვლავები – ოქროს გერიტებს", გ. ლეონ.). ე-ის შედეგია შესიტყვებათა შეკუმშვაც: კაცი წვერით < წვერით მოსილი კაცი; დევივით კაცი < დევივით დიდი კაცი; ცეცხლივით თვალები < ცეცხლივით ანთებული თვალები. ე-ის შედეგად მიიღება აგრეთვე ნაპიპოტაქსარი მარტივი წინადადება. სახელდობრ, ზოგჯერ რთული ქვეწყობილი წინადადების გამარტივებისას იკვეცება მთავარი წინადადება და უერთდება დამოკიდებულს („თუ გამოაღვიძა, მისმა ფეხისხმამ გამოაღვიძა მერცხალი" → „მისმა ფეხისხმამ თუ გამოაღვიძა მერცხალი", რ. ინან.); ასევე, ზოგჯერ იკვეცება დამოკიდებული წინადადება და უერთდება მთავარს („ქართველი კაცი, ალბათ, თავს მოიკლავდა, მის ადგილას რომ ყოფილიყო" → „ქართველი კაცი, ალბათ, თავს მოიკლავდა მის ადგილას", გ. რჩეულ.).

ე. აუცილებელი ჩანს ზეპირი მეტყველებისათვის, სადაც გამოტოვებული სიტყვები, გამოთქმები ადვილად ივსება პარალინგვისტური (სამეტყველო ერთეულების შემცვლელი არავერბალური) საშუალებებით – ჟესტებით, მიმიკით, პოზით. ე-ის გაჩენის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც ინფორმაციის ცალსახეობის მიღწევა, ისე მეტყველების აღქმის (მეხსიერების) ხასიათი. როგორც სტილისტიკურ ხერხს, ე-ს ფართოდ იყენებენ ორატორულ ხელოვნებაში, მხატ. ლიტ-რაში.

ლიტ.: დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; Балли Ш., Французская стилистика, пер. с франц., М., 1961; Колшанский Г. В., Паралингвистика, М., 1971; Горелов И. Н., Избранные труды по психолингвистике, М., 2000.

ლ. კვანტალიანი.

ემფატიკური ხმოვანი, ხმოვანი, რ-იც ერთეის გარკვეულ ბრუნვებში დასმულ სახელებს და გამონათქვამში (წინადადებაში) ძირითადად ასრულებს სადემარკაციო ფუნქციას. ქართულში ე. ხ-ებია -ა და -ი. ტერმ. „ემფატიკური" პირველად გამოიყენა ნ. მარმა მხოლოდ -ა ხმოვნისთვის, როგორც მავრცობისათვის. შემდეგ იგი (ფუნქციური იგივეობის გათვალისწინებით) გავრცელდა -ი ხმოვანზეც.

ემფატიკური -ა. ხმოვანი -ა შეიძლება დაერთოს სახელებს, ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვას (იშვიათად, ზმნებსაც). მას საენათმეცნ. ლიტ-რაში მავრცობ ხმოვანს, ნართაულ -ა-ს და მარცვალთლიაობის -ა-საც უწოდებენ.

-ა ხმოვანი ძვ. ქართულშიც გამოიყენებოდა, სადაც მისი ხმარება სისტემური და კანონზომიერი იყო. იგი ერთოდა მხოლოდ საზ. სახელებს მიც., ნათ. და მოქმ. ბრუნვებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელი იყო კომპოზიტის პირველი წევრი, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ან თანდებულიანი (მოქმ. ბრუნვა). -ა ხმოვანს არ დაირთავდა წინადადებაში ზმნისართად გამოყენებული სახელიც. სახელებში დადასტურებულ ამ -ა-ს გენეტურად ჩვენებით ნაცვალსახელს უკავშირებდნენ (ამას, ამის, ამით) და -ა ელემენტით გავრცობილ ბრუნვის ფორმებს, განუსაზღვრელი ფორმებისაგან განსხვავებით, განსაზღვრულად თვლიდნენ (არნ. ჩიქობავა).

ახ. ქართულში -ა ხმოვანს განსაზღვრული ფუნქცია არა აქვს და არც სისტემურადაა გამოყენებული. იხმარება შემდეგ შემთხვევებში: 1. უფრო ხშირად დაერთვის როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებსა და ნაცვალსახელებს მიც., ნათ., მოქმ. და ვით. ბრუნვებში, ხოლო შესაფერის სიტუაციაში ხმოვანფუძიან სახელებსა და ნაცვალსახელებს მოთხრ. ბრუნვაშიც (კაცსა, რისა, ხმითა, შვილადა, ვანომა...); 2. ზოგჯერ დასტურდება (დაერთვის ან აღდგება) თანდებულთან ან ზოგ ისეთ ნაცვალსახელთან, რ-იც ბრუნვის ნიშნით არ არის გაფორმებული (ბავშვისთვისა, კესოსკენა, ცხენივითა... შენა, ესა, ვინა...); 3. ხშირად იხმარება ფორმაუცვლელ სიტყვებთან, ძირითადად ზმნისართებთან, ზოგჯერ კი – კავშირებსა და ნაწილაკებთანაც (აქა, წინა, კიდევა, იმიტომა...); 4. ხშირად -ა ხმოვნით გავრცობილ ფორმას ერთვის სხვათა სიტყვის -ო ხმოვანი (რაღაცამაო, გულითაო, რადაო...); 5. იშვიათად გვხვდება ზმნებთანაც. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია სასაუბრო მეტყველებაში, ძირითადად მრავლობითობის -თ-სა და III სუბიექტ. პირის ნიშნის -ს-ს შემდეგ (მივიდეთა და ვნახოთ, ნახესა და განიცადეს...). ყველა ამ შემთხვევაში ე. ხ. სტილისტიკური დანიშნულებისაა, მაგრამ მას მაინც გარკვეული ადგილი აქვს სიტყვაში და გარკვეულ პირობებში იხმარება: წინადადებაში პაუზის წინ; და, თუ კავშირების წინ; მოკლე (ერთმარცვლიანი) და ისეთი ზმნების წინ, რ-თაც თავში (პირველ მარცვალში) ხმოვნის შემცველი მორფოლ. ელემენტი (ზმნისწინი, საწარმოებელი პრეფიქსი...) არ ახლავს.

ქართულში -ა ხმოვნის ხმარება აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში: თანხმოვანფუძიან სიტყვებში -ც(ა) ნაწილაკის წინ (წამალსა-ც, თვითონა-ც, უწინა-ც.... გამონაკლისებია შენც, ჩვენც, თქვენც, ვინც, როგორც... ასეთ -ა-ს მაერთებელ ხმოვანსაც უწოდებენ); სახელის მიც. ბრუნვის ფორმებთან, როდესაც მას -ვით თანდებული ერთვის (კალიასავით, მზესავით, ხბოსავით...); ნათ. ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელთან, თუ ის საზღვრულს მოსდევს (ძალა სიყვარულისა, მუშაობას გიორგისა-ს...); შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილთან (ქვისა-ა, კარგადა-ა, იმიტომა-ა...); და, თუ კავშირებით შეერთებულ მიც. ან ნათ. ბრუნვაში დასმულ სახელთაგან პირველთან, როცა მეორე თანდებულდართულია (მიწასა და ცაზე, ძმისა თუ დისთვის...).

თ. ზურაბიშვილი.

ემფატიკური -ი. ემფატიკური -ა და უკვეცელ სახელთა ბოლოს ნათ. და მოქმ. ბრუნვებში -ი დაბოლოება (წყაროსი, წყაროთი) მიჩნეულია ერთ და იმავე ოდენობად: ორივე შემთხვევაში ამ ი-ს

უკაცია ის ადგილი, რ-იც ემფატიკურ -ა-ს ეკავა (არნ. ნიქობაძე).

-ი დაბოლოება (წყაროსი...) წარმოშობით სახ. ბრუნვის ნიშანია (ე. თოფურია, ა. შანიძე). თვით სახ. ბრუნვის ნიშანი -ი და ემფატიკური -ა წარმოშობით განსაზღვრებითი ელემენტები იყო: კაც (განსაზღვრელი) – *კაც-ი (განსაზღვრული). ეს დაპირისპირება ძვ. ქართულში უკვე მოშლილია, რადგან -ი იქცა სახ. ბრუნვის ნიშნად, ემფატიკური -ა კი შეუერთდა მიც., ნათ. და მოქმ. ბრუნვათა ნიშნებს (-სა, -ისა, -ითა). ძვ. ქართულში ბუნებრივია როგორც „კაცისა წიგნი", ისე „წიგნი კაცისა" (უფრო ძველია – „კაცისაჲ წიგნი" და „წიგნი კაცისაჲ"), განსაზღვრულობა კი ამ დროს გამოიხატებოდა ნაწერებით (კაცი იგი, კაცსა მას, კაცისა მის, კაცითა მით), ამას შედეგად მოჰყვა სუბსტანტიურ მსაზღვრელთა ბოლოს ემფატიკური -ა სუფიქსისა და -ი სუფიქსის (რ-იც მსაზღვრელად გამოყენებული საკუთარი სახელის ბოლოს იყო სახ. ბრუნვაში) გაერთმნიშვნელიანება, მათ შეიძინეს სადემარკაციო ფუნქცია და კონსტრუქციები ნაკეტეს: ბუნებრივია – „მოვიდა წურილი მეზობლისა/ამხანაგთან", არ არის ბუნებრივი – „მოვიდა წურილი/მეზობლისა ამხანაგთან"; ასევე ბუნებრივია – „მიუმარჯვა წყალი წყაროსი/კალაპოტს/, არ არის ბუნებრივი – „მიუმარჯვა წყალი/წყაროსი კალაპოტს".

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რ-ის თანახმად ემფატიკური – ა ხმოვნის შეცვლა – ი ხმოვნით უკავშირდება ომონიმური ფორმების (ერთი მხრივ, მიც. და ნათ., მეორე მხრივ, მოქმ. და ვით. ბრუნვების) განსხვავების საჭიროებას (ლ. ნოზაძე).

ლიტ.: ნიქობაძე არნ., სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკიდეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ეტიმოლოგიისათვის (1942). – კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. I, ე. თოფურიას რედ., თბ., 1956; მისივე, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის, იქვე; უთურგაიძე თ., მორფონოლოგიური ცვლილებებისათვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. – «იკე», XXIII, თბ., 1985; მისივე, გაერცელების -ა-ს დისტრიბუციის შეცვლა სუბსტანციურ მსაზღვრელთან და მისი სინტაქსური შედეგები ქართულ ენაში. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1985, №2; ნოზაძე ლ., ემფატიკური -ი ქართულში. – «იკე», XXIX, თბ., 1990; Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925; Дондуа К., К вопросу о родительном эмфатическом в древнегрузинском языке (1930). – კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. I, ე. თოფურიას რედ., თბ., 1956; Deeters G., Armenisch und Südkaukasisch. – «Caucasica», 1926, Fasc. 3

თ. უთურგაიძე.

ენა, დინამიკური სისტემა ნიშნებისა, რ-იც იხმარება ადამიანთა ურთიერთობის, გაგებინების საშუალებად. „ნიშანთა სისტემა" მასალაზე მიუთითებს, „ურთიერთობის საშუალება" – მის დანიშნულებაზე, ფუნქციაზე. Ე-ის საკომუნიკაციო ფუნქცია (Ე. – ადამიანთა ურთიერთობის საშუალება) ძირითადია სხვა ფუნქციებს (Ე. – აზროვნების იარაღი; შინაარსის გადმოცემა) შორის. ურთიერთობა გულისხმობს მთქმელს, მსმენელსა და სათქმელს. სათქმელი ნაწერდება მთქმელის ცნობიერებაში, ქალიბდება სიტყვებში; მსმენელი გაიგონებს ნათქვამს და შესაბამის აზრად შეერავს; გაგებინება იწყება ანალიზით მთქმელის ცნობიერებაში და თავდება სინთეზით მსმენელის ცნობიერებაში. Ე. რთული მოვლენაა: სამუტყველო ბგერები ფიზ. ბუნებისაა; სათქმელის ანალიზი და სინთეზი ფსიქ. პროცესებს გულისხმობს; მთქმელისა და მსმენელის ურთიერთობა თავისი ხასიათით კოლექტიურია (საზოგადოებრივია).

მეტყველება ინდივიდში ხორციელდება, ინდივიდ. აქტია, მაგრამ თავისი დანიშნულებით იგი კოლექტივს ემსახურება, საზოგადოებრივია. სას-ბის ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანს რომ ურთიერთობის ეს საშუალება – (Ე.) – არ ჰქონოდა. Ე. აკავშირებს წინა თაობას მომდევნო თაობასთან, შესაძლებელს ხდის ისტ. შემდგომადობას.

ცალკეული Ე. და მეტყველება გულისხმობს როგორც კონკრ. ენას („ქართული ენა", „სომხური ენა", „რუსული ენა"...), ისე მეტყველებას, მეტყველების აქტებს, ლაპარაკს („ენა აიდგა" – ლაპარაკი ისწავლა, „ენის წარმოშობა" – მეტყველების წარმოშობა...). Ე-ის ამ ორი გაგების გარჩევა ბუნებრივია, მაგრამ მათი დაპირისპირებისათვის საფუძველი არ არსებობს. Ე-ში არაფერია ისეთი, რაც ადრე მეტყველების აქტებში არ ყოფილა მოცემული; Ე. ელინდება მეტყველებაში და შეისწავლება მეტყველების აქტების საშუალებით (იხ. *მეტყველება*).

ხალხი, ერი კლასებად იყოფა. ერთგვარი განსხვავება კლასების მეტყველებაში შეიმჩნევა, მაგრამ Ე. კლასობრივი მაინც ვერ იქნება – მისი დანიშნულებაა, მოემსახუროს მთელ ხალხს, მთელ ერს (იხ. *სოციალური დიალექტი*). Ე. ერის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიშანია, რ-იც არსებობდა მრავალი საუკუნით ადრე, ვიდრე ხალხი ერად ჩამოყალიბდებოდა და შეიძლება არსებობდეს ერის მოშლის შემდეგაც (იხ. *ეროვნული ენა*). ხალხი, ერი ვერ დარჩება იმავე ხალხად, ერად, თუ დაკარგა თავისი Ე.: Ე. ხალხის მეობის ძირითადი ნიშანია. „ენა არის ქველაზე ცოცხალი ... და მჭიდრო კავშირი, რომელიც ხალხის გარდასულ, ახლანდელ და მომავალ თაობებს აერთიანებს ერთ დიდ ისტორიულ ცოცხალ მთლიანობად"... „სანამ ხალხს შერჩენია მისი ენა ცოცხლად, მანამდე ცოცხლობს თვით ხალხი" (კ. უშინსკი). Ე. მანამდე ითვლება ცოცხალ Ე-დ, სანამ მას ხმარობენ ურთიერთობის საშუალებად. თუ Ე-ს ეს დანიშნულება მოეშალა, იგი მკვდარია. კლასიკური ლათინური, იულიუს კეისრისა და ციცერონის Ე., შესანიშნავად დამუშავებული, მკვდარი აღმოჩნდა, როცა დაკარგა საკომუნიკაციო ფუნქცია.

Ე. შედგება ნიშნებისაგან, რ-ებიც ქმნიან სისტემას (იხ. *ენობრივი ნიშანი*). სიტყვა „ცხენი" გარკვეულ ოთხფეხა შინაურ ცხოველს გვანიშნებს. ეს ოთხი ბგერა („ცხენ") არაფერს შეიცავს ისეთს, რომ ეს შინაური ცხოველი გვანიშნოს: „ცხენი" პირობითი ნიშანია ამ ცხოველისა. ენობრივ ნიშანს აქვს მნიშვნელობა, ე. ი. ის მიუთითებს სინამდვილის გარკვეულ საგანზე, ფაქტზე, პროცესზე; ის მიმართებაშია აღსანიშნთან. ეს მიმართებაა მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობად ხშირად ცნება ესახებათ, ხშირად კიდეც წარმოდგენა, რ-იც

სიტყვის თქმისა თუ გაგონებისას უწნდება მსმენელს (ანდა აქვს მთქმელს). ცნება ვერ იქნება მნიშვნელობა, რადგანაც ყოველდღიური სიტყვახმარება მეცნ. ხასიათის შინაარსს როდი გულისხმობს, რომ ცნების განსაზღვრულობა მოეპოვებოდეს. რაც შეეხება წარმოდგენას, იგი სხვადასხვაგვარი შეიძლება პქონდეს მთქმელსა და მსმენელს, ან შეიძლება საგნის წარმოდგენა სულ არ გექონდეს, მხოლოდ სიტყვის წარმოდგენაღა (ოპტიკური, აკუსტიკური, მოტორული) გექონდეს და სიტყვა სწორად გაიგოთ: საორიენტაციოდ აღსანიშნი (რეალური საგანი) გვაქვს და იმიტომ.

ენობრივი ფაქტი სამგვარ ერთეულს გულისხმობს: *ფონემას, სიტყვასა* და *შესიტყვებას* („დიდი გზა“, „გზა სიარულმა დალია“). შესიტყვება ყველაზე რთული ერთეულია. იგი შედგება სიტყვებისაგან („დიდი“, „გზა“, „სიარულმა“, „დალია“). სიტყვა შედგება ფონემებისაგან (დ-ი-დ-ი, გ-ზ-ა, ს-ი-ა-რ-უ-ლ-მ-ა, დ-ა-ლ-ი-ა). ფონემა საშენი მასალაა სიტყვისათვის. ფონემათა რიცხვი ყოველ ე-ში განსაზღვრულია (ახ. ქართ. სალიტ. ე-ში 28 თანხმოვანი გვაქვს და 5 ხმოვანი). სიტყვათა და შესიტყვებათა რიცხვი განუსაზღვრელია. სიტყვასა და შესიტყვებას აქვს მნიშვნელობა, მოეპოვება აღსანიშნი; ფონემას აღსანიშნი არ გააჩნია, მაგრამ აქვს სისტემური ხასიათი. სისტემურობა ახასიათებს სამივე აღნიშნულ ენობრივ ერთეულს.

სისტემურობა მორფოლოგიასა და სინტაქსში უფრო ცხადი და ხელშესახებია, ვიდრე ფონეტიკაში (იხ. *ფონოლოგია*). ყველაზე მკრთალად იგი ვლინდება ლექსიკაში. ცალკეული ერთეულები, სიტყვები ერთმანეთთან არ ჩანს დაკავშირებული (მცენარეთა სახელები: ცაცხვი, მუხა, რცხილა, თელა, მურყანი ... ცხოველთა სახელები: ცხენი, ძროხა, ხარი, ცხვარი, თხა, კვიცი, ხბო, ბატკანი, თიკანი...), მაგრამ საკმარისია ცხოველთა ასაკობრივი სხვაობა გაირჩეს, რომ ლექსიკური ერთეულები ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდეს (იხ. *ლექსიკური მნიშვნელობა*). ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში „ცხოვართან“ დაკავშირებით ნათქვამია: „ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვერძი და დედალსა – ნერბი, ხოლო შვილთა მათთა – კრაჲი; დიდსა კრავსა – ტარიგი, ჩჩვლსა კრავსა – ბატკანი; წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა – ბუწი; წელიწადს უკან – შიშაგი; ორი წლისასა – აზმანი; გამოყვერილსა – ჭედილი; კეთილსურუხიანსა – სადგამი და მნერბავსა – ერკემალი („ლექსიკონი ქართული“). საბასათვის ყველა ეს სახელი სემანტიკურად მთლიან ჯგუფს ქმნის და ამ ჯგუფში ყოველ მათგანს თავისი გარკვეული ადგილი ეკუთვნის მისი მნიშვნელობის შესაბამისად.

ე-ის სისტემა განსხვავდება ე-ის სტრუქტურისაგან: ყველაფერი სტრუქტურული სისტემურია, ყველაფერი სისტემური კი სტრუქტურული როდია. მაგ., მორფოლოგიაში ბრუნებისა და უღელილების გარდა, სისტემურობა ახასიათებს სიტყვაწარმოებასაც: ბაღ-ი – მე-ბაღ-ე, ველ-ი – მე-ველ-ე, ვენახ-ი – მე-ვენახ-ე. ეს ნაწარმოები სიტყვები ახ. მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ახ. სინტაქსურ მიმართებას არ გულისხმობს: ვენახე – ბაღი, ველი, ვენახი, მებაღე, მეველე... სხვაა ბრუნვის ან პირის ფორმები – სიტყვის მნიშვნელობას ისინი არ ცვლიან, ამ მნიშვნელობათა ურთიერთობას, მნიშვნელობათა მიმართებას კი ცვლიან, ზოგჯერ – არსებითადაც: ე-ეკითხები და მ-ეკითხები, ე-შველი და მ-შველი...; ეს წყვილები I პირს ეხება („მე“), ოღონდ ერთ შემთხვევაში ეს პირი სუბიექტურია, მეორეში – ობიექტური. მიმართების ცვლა კიდევ უფრო ხელშესახებია სახელის ბრუნვათა მაგალითზე: „ძმ-ის მეგობარი“ და „მეგობრის ძმა“ ერთი და იმავე სახელებისაგან შედგება, გამონათქვამთა შინაარსი კი სხვადასხვაა. ეს გამოიწვია მიმართების ცვლამ ამ ორი სახელის მნიშვნელობათა შორის. მიმართება ქმნის სტრუქტურას: იცვალა მიმართება მნიშვნელობათა შორის – იცვალა სტრუქტურაც.

სიტყვის მნიშვნელობა, ლექსიკური მნიშვნელობა, არის მიმართება აღსანიშნისადმი. სიტყვის სტრუქტურაც მიმართებაა, ოღონდ არა აღსანიშნის, არამედ მნიშვნელობისადმი: ლექსიკური მნიშვნელობა არის პირველადი მიმართება, სტრუქტურულ მნიშვნელობას კი შეიძლება მეორეული მიმართება ეწოდოს. ე. მთლიანად წარმოადგენს მიმართებათა სამყაროს, პირველად და მეორეულ მიმართებათა სისტემას. არ შეიძლება არსებობდეს ე. პირველადი მიმართებების გარეშე: ნიშანი გულისხმობს აღსანიშნს. რაც შეეხება მეორეულ მიმართებებს, სხვადასხვა ე-მ ისინი შეიძლება სხვადასხვა საშუალებით გადმოსცეს: ქართულში, რუსულში, გერმანულში, ლათინურში, არაბულში და სხვ. ძირითად საშუალებად საამისო აფიქსებია გამოყენებული. მაგრამ თუ სიტყვა აფიქსებს არ დაირთავს, ბრუნება და უღელილება ე-ს არ მოეპოვება და სიტყვები უცვლელია, მაშინ მეორეულ მიმართებათა გადმოსაცემად ე. მიმართავს სიტყვის ადგილმდებარეობისა და ინტონაციის ცვლას (იხ. *ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია*).

დროთა განმავლობაში ენობრივი სისტემის არც ერთი რგოლი არ რჩება უცვლელი, ოღონდ ეს ცვლა თანაბარი არაა და ჩვეულებრივ შეუმჩნეველი რჩებათ მოლაპარაკეებს (იხ. *დიაქრონია*). ცვლა შედგის მიხედვით ორგვარია: სხვაობა მატულობს, ე. ი. ხდება დიფერენციაცია ანუ დიერგენცია (იხ. *ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია*), ანდა, პირუკუ, სხვაობა კლებულობს, ენობრივი ერთეულები ერთმანეთს უახლოვდება, ხდება უნიფიკაცია ანუ კონვერგენცია (იხ. *ენაოა კავშირი*).

სხვაობა სივრცეში განფენილი ე-ისა კუთხური მეტყველების სახეს იღებს (იხ. *დიალექტი*), კილო ანუ დიალექტი ყველაზე მეტ სხვაობას გულისხმობს. მასზე მცირეა კილოკავის თავისებურება. კილოკავში შეიძლება იყოს გარჩეული თქმა; თქმაზე მცირე სხვაობას ქცევას უწოდებენ (მაგ., ქართ. ენა > კახური კილო > გარეკახური კილოკავი > მანავის თქმა...). საერთოდ, ორი ადამიანიც კი საესებით ერთნაირად არ ლაპარაკობს (ერთი და იმავე პირის მეტყველებაც შეიძლება იცვალოს დროთა ვითარებაში). ინდივიდ. თავისებუ-

რება, თუკი იგი ხელს არ უშლის, არ აბრკოლებს გაგებინებას, ასატანია ე-თვის და, ჩვეულებრივ, არც იქცევს მსმენელის ყურადღებას (იხ. *დიოლექტი*).

რაც უფრო სუსტია კონტაქტი სხვადასხვა კუთხის მცხოვრებათა შორის, მით უფრო მეტი ასპარეზი რჩება დიფერენციაციის (დიფერგენციის) ტენდენციას და – პირუკუ ზეპირი მეტყველების უნიფიკაციას დიდად უწყობს ხელს სამწერლობო ე. (იხ. *სალიტერატურო ენა*). იგი იქმნება უპირატესად ერთი დიალექტის საფუძველზე, რ-საც საყრდენი დიალექტი ეწოდება. მისი დიალექტის შერჩევა შეპირობებულია კულტ.-ისტ. ანდა პოლიტ. მიზეზებით (და არა ენობრივი თავისებურებებით). ე-ში რამდენიმე დიალექტი შეიძლება გაირჩეოდეს, სამწერლობო ე. კი ერთი იქნება ყველა დიალექტის წარმომადგენელთათვის. გარკვეულ ისტ. პირობებში მწერლობა შეიძლება შეიქმნას ორ დიალექტზე (მაგ., მორდვულ ე-ში). ორი სამწერლობო ე-ის შექმნა ორი დიალექტის საფუძველზე ხელს უწყობს დიალექტების გათიშვას და ერთი ე-ის ნაცვლად ორის შექმნას, რაც თვით ხალხის ერთიანობის შეგნებას აცლის საფუძველს. ერთი სამწერლობო ე. ყველა დიალექტის წარმომადგენელთათვის მათი ენობრივი (და შესაბამისად – ეროვნული) კონსოლიდაციის მტკიცე საფუძველია, განსაკუთრებით ეს ითქმის ძვ. სამწერლობო ტრადიციის მქონე ე-ების შესახებ. რაც მეტი გამოყენება აქვს სამწერლობო ე-ს (სკოლა, მხატვრული მწერლობა, პრესა...), მით მეტი ძალა ექნება მას დიალექტურ სხვაობათა მოშლისა და ერთიან ნორმათა დამკვიდრებისათვის (იხ. *ენობრივი ნორმა*) ამ ე-ზე მოლაპარაკე ხალხში. სამწერლობო ე. ზეპირ დიალექტურ მეტყველებას ემყარება, მისით ცოცხლობს, მაგრამ იგი ამავე დროს ხალხის კულტ. წინსელის ძლიერი ფაქტორიცაა და ზეპირი მეტყველების განვითარებაზეც ზემოქმედების დიდი ძალა შესწევს. ძვ. სამწერლობო ე-ის განვითარების ყოველი საკითხი (ახ. სამწერლობო ე-გან განსხვავებით) უნდა განვიხილოთ ორი განზომილებით: მის ცოცხალ მეტყველებასთან, საყრდენ დიალექტთან მიმართებით, ერთი მხრივ, და სამწერლობო ე-ის ისტორიასთან, ისტ. ტრადიციებთან-მიმართებით მეორე მხრივ.

ე. წარმოიშვა როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება საზოგადოების განვითარების პროცესში. ე-ის განვითარება აზროვნების განვითარებასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა. ე-ისა და აზროვნების ურთიერთობის გარკვევა არ გულისხმობს მათ იგივეობას. გარჩევა მეტყველებისა და აზროვნებისა, როგორც სხვადასხვაგვარი რაობისა, კვალიტეტისა, აუცილებელი წინაპირობაა მათი ურთიერთობის საძიებლად.

იხ. აგრეთვე: *ენათა კლასიფიკაციები, ენათმეცნიერება, ენობრივი კონტაქტები, ენობრივი მსოფლხედვა, ენობრივი პოლიტიკა, ენობრივი სიტუაცია, პარადიგმატიკა, ჟესტების ენა, სინტაგმატიკა, სინქრონია.*

ლიტ.: შარაძენიძე თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; მისივე, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბ., 1974; რამიშვილი ი., კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი პრინციპები, თბ., 1974; ნიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება, [ტ.] 2 – ძირითადი პრობლემები, თბ., (1945) 1983; მისივე, Проблема языка как предмета языкознания, М., 1959; Соссюр Ф. де, Курс общей лингвистики, пер. с франц., М., 1933; Сепир Э., Язык. Введение в изучение речи, пер. с англ., М.–Л., 1934; Вандриес Ж., Язык, пер. с франц., М., 1937; Шухардт Т., Избр. статьи по языкознанию, пер. с нем., М., 1950; Выготский Л.С., Мышление и речь, Избр. психологические исследования, М., 1956; Глисон Г., Введение в дескриптивную лингвистику, пер. с англ., М., 1959; Пауль Г., Принципы истории языка, пер. с нем., М., 1960; Бодуэн де Куртенэ И. А., Избр. труды по общему языкознанию, т. 1–2, М., 1963; Звегинцев В. А., Теоретическая и прикладная лингвистика, М., 1968; Общее языкознание, под ред. Б. А. Серебренникова, [т. 1?3], М., 1970–73; Современное итальянское языкознание, пер. с итал., М., 1971; Хомский Н., Язык и мышление, пер. с англ., М., 1972; Чейф У. Л., Значение и структура языка, пер. с англ., М., 1975; Schleicher A., Sprachvergleichende Untersuchungen, [Bd.] 2, Bonn, 1850; Meillet A., Linguistique historique et linguistique générale, 2 éd., t. 1–2, P. 1926–36; Linguistique guide alphabétique, par la dir. d' A. Martinet, P., 1969; Weisgerber L., Zweimal Sprache, Düsseldorf, 1973.

არნ. ჩიქობავა.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია, ენათა დაჯგუფება საერთო წარმომაელობის მიხედვით. ე. ბ. კ. ემყარება ენის განვითარებაში დიფერენციაციის პროცესს, რ-ის საფუძველზეც ერთი ენისაგან რამდენიმე ენა წარმოიშობა. ენა დროთა განმავლობაში იცვლება. ერთი ენის ცვალებადობის მიზეზები სხვადასხვა ადგილას ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ამიტომ ერთი და იგივე ენა სხვადასხვა სახეს იღებს. იგი იშლება დიალექტებად. ცვალებადობის პროცესი დიალექტებს შორის შეიძლება იმდენად გაღრმავდეს, რომ დიალექტი დამოუკიდებელ ენად იქცეს. მსოფლიოს ენათა გარკვეული ჯგუფები საერთო წარმოშობისა არიან. ასეთ ენებს მონათესავეს უწოდებენ. ენას, რ-ის დიფერენციაციის საფუძველსედაც მიიღება მონათესავე ენები, *ფუძეენა* ეწოდება, ხოლო მონათესავე ენათა ჯგუფს – ენათა ოჯახი. ამჟამად მსოფლიოს ენები დაჯგუფებულია რამდენიმე ოჯახად. ესენია: ინდოევროპული, სემიტური, ქამიტური, ფინურ-უნგრული, ალთაური (თურქულ-მონღოლური), მანჯურიულ-ტუნგუსური, იბერიულ-კავკასიური, ჩინურ-ტიბეტური, დრავიდული, სუდანური, პოტენტოტური, ალგონკინური. ერთი ოჯახის ენათა შორის შესაძლებელია ნათესაობის სხვადასხვა საფეხური დასტურდებოდეს. ამის შესაბამისად ოჯახი იყოფა უფრო ახლო მონათესავე ენათა შტოებად და კიდევ უფრო მცირე ჯგუფებად. თითოეულ შტოს ან ქვეჯგუფს თავისი ფუძეენა აქვს. მსოფლიოს ყველა ენისათვის საკითხი გენეზისური ურთიერთობისა, რ-იც მთელი ოჯახის საერთო ფუძეენიდან მომდინარეობს, ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ტერმინები „ნათესაობა", „ოჯახი", „გენეალოგია"... ენათმეცნიერებაში ბუნებისმეტყველებიდან არის შემოტანი-

ლი. XIX ს. 70-იან წლებამდე ენათმეცნიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გაელვებას განიცდიდა, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. იყო ცდა, ენა ცოცხალი ორგანიზმისთვის გაეტოლებინათ, ე. ბ. ჰ. ცხოველთა და მცენარეთა კლასიფიკაციის შესაბამისად მიეჩინდათ. შემდეგ ენას ცოცხალ ორგანიზმად არავის მიუჩნევია, მაგრამ ძვ. ტერმინები მაინც შემორჩა, თუმცა შეცვლილი შინაარსით.

აღსანიშნავია აგრეთვე ისტორიულ ენათმეცნიერებაში უკვე დადგენილი ენათა ოჯახების მეტაგენეალოგიური კლასიფიკაციის ცდები, რ-ის მიზანია ენებს შორის უფრო შორეული ნათესაობის დადგენა, ვიდრე ამას ჩვეულებრივი ენათა ოჯახები გულისხმობს. ბიოლოგიაში მიღებული საკლასიფიკაციო იერარქიის ანალოგიით მონათესავე ოჯახთა ჯგუფს, ანუ ოჯახთა ოჯახს ალნიშნავენ ტერმინებით – გვარი (stock) ან ფილუმი (ბერძნ. phýlon „ტომი“, „გვარი“). ზოგჯერ ამ ტერმინებს განასხვავებენ და ფილუმს იყენებენ კიდევ უფრო ფართო დაჯგუფების (სუპერსტოკის) აღსანიშნავად. მაგრამ რამდენადაც ეს ტერმინები მკაცრად განსაზღვრული არ არის, შემოთავაზებულია ალტერნატიული ტერმინები – ენათა ოჯახი იმ ენათა ერთიანობის აღსანიშნავად, რ-თა საერთო წარმომავლობა ცნობილია (მაგ., ინდოევროპული), და კონიექტურული ან სავარაუდო ოჯახი ენებისათვის, რ-თა საერთო წარმომავლობა ჰიპოთეტურია (იხ. *ნოსტრატული ჰიპოთეზა*).

ენათმეცნიერებაში ენათა ცვალებადობის შესწავლის პრიორიტეტის აღიარებამ თავის დროზე განაპირობა იმ აზრის დამკვიდრება, რომ ერთადერთი მეცნ. კლასიფიკაცია, რ-იც შეიძლება ფასეული იყოს, არის ენათა ისტორიაზე დაფუძნებული გენეალოგიური კლასიფიკაცია (ა. მეიე,...).

ენათა ნათესაობის დადგენის ძირითად საშუალებად გამოიყენება ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. იგი ადგენს მხოლოდ მონათესავე ენებში არსებულ მსგავსებებს, საერთოს ერთი წარმომავლობის ენებისათვის. მეთოდი ემყარება რეგულარულ *ბგერათშესატყვისობას*, რიც წარმოიშობა საერთო ამოსავალი მასალის კანონზომიერი ცვალებადობის შედეგად და ამიტომ დასტურდება მხოლოდ მონათესავე ენათა ლექსიკასა და გრამატ. ელემენტებში (იხ. *ენათა კლასიფიკაციები*).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება, [ტ.] 2 – ძირითადი პრობლემები, თბ., 1945; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, [ტ.] 1 – პროპედევტიკული ნაწილი, მე-3 შეს. გამოც., თბ., 1946; შარაძენიძე თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958; გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003; Мейе А., Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, пер. с франц., М.–Л., 1938; Иванов В. В., Генеалогическая классификация языков и понятие языкового родства, М., 1954; Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, I—II, Тб.,1984; Matthews P. H., The Concise Oxford Dictonary of Linguistics, Oxford University Press, 1997.

თ. შარაძენიძე. ი. ქობალავა.

ენათა კავშირი, ენათა დაჯგუფება ხანგრძლივი კონტაქტების ან კონვერგენციის გზით შეძენილი მსგავსების საფუძველზე. არეალური კავშირი. გენეტიკურად მონათესავე ენათა ოჯახისაგან განსხვავებული ერთობის – ე. ქ-ის – გამოყოფის თეორ. დასაბუთება (პირველად 1923) ჩამოაყალიბა ნ. ტრუბეცკოიმ (თუმცა მეზობელი და საერთო გეოგრ. სუბსტრატით დაკავშირებულ ენათა ერთიანობის იდეა ი. ბოდუენ დე კურტენეს შრომებშიც იყო წამოყენებული). უფრო გვიან ნ. ტრუბეცკოისთან ერთად ენათა არეალური კავშირის იდეას ავითარებდნენ პრაღის სკოლის სხვა წარმომადგენლებიც (რ. იაკობსონი, ვ. სკალიჩკა...), იტალ. ნეოლინგვისტები (ვ. პიზანი, ჯ. ბონფანტე) და ზოგი სხვა ავტორიც (კ. კ. ულენბეკი, გ. დეეტერსი...). ე. ქ-ის თეორიის სრულყოფის ცდები შემდეგაც არ შეწყვეტილა [გ. ბირნბაუმი, ვ. გეორგიევი, ვ. ტოპოროვი, ბ. სერებრენიკოვი, ჯ. ედელმანი, ვ. ნეროზნაკი, გ. წურეთელი (იხ. *ალოგენეტური თეორია*)].

სხვადასხვა დროს ამგვარ კავშირებად იქნა მიჩნეული: ბალკანური – ალბანური, ახ. ბერძნული, ბულგარული და რუმინული ენები (ნ. ტრუბეცკოი), კავკასიური – ჩრდ.-კავკ. და ქართველური ენები (ნ. ტრუბეცკოი, ი. ბოდუენ დე კურტენე), ინდოევრ. ენები (ნ. ტრუბეცკოი, ვ. პიზანი), ევრაზიული – ევრ. და აზიის ენები (რ. იაკობსონი), ეოლგისპირეთის – მარიული, უდმურტული, ბაშკირული, თათრული, ჩუვაშური ენები (ბ. სერებრენიკოვი); ცენტრალურაზიური – ინდოევრ., დრავიდული, ჩინურ-ტიბეტური ოჯახების ზოგიერთი ენა (ვ. ტოპოროვი). აღნიშნავენ ენათა განვითარების მსგავსი ტენდენციების არსებობას სამხრ.-აღმ. აზიის, აფრიკისა და ოკეანიის ზოგ რეგიონში.

თაედაპირველად ე. ქ-ები განიხილებოდა როგორც ენათა ოჯახისაგან დამოუკიდებელი წარმონაქმნები. მაგრამ თანდათანობით გამოიკვეთა ტენდენცია, ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ ენათა ნათესაობის დადგენის შესაძლებლობა და მისი აუცილებლობაც კი. გამოითქვა მოსაზრება (ინდოევრ. ენათა მიმართ), რომ დიფერენციაციის გზით ენათა ნათესაობის ნაცვლად შეიძლება ვილაპარაკოთ ხანგრძლივი ტერიტ. მეზობლობის შედეგად ენათა დაახლოებაზე (ნ. ტრუბეცკოი).

ე. ქ-ში გაერთიანებულ ენებს შორის მსგავსებას ადგენენ როგორც კომპლექსურად, ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური) და საერთო კულტურის ამსახველ ლექსიკაში, ისე – ერთ ენობრივ დონეზეც. მაგ., თუ ბალკანური ე. ქ-თვის ნ. ტრუბეცკოი გამოყოფდა სხვადასხვა დონის სტრუქტურულ ნიშნებს, კავკ. ე. ქ-თვის იგი კმაყოფილდებოდა მხოლოდ საერთო ფონოლოგიურ ნიშნებზე მითითებით. ასევე, ევრაზიული ე. ქ. ემყარებოდა მხოლოდ ფონოლოგიურ ნიშნებს (პროსოდიული მონოტონია და თანხმოვანთა დაპირისპირება სილბო-სიმაგრის მიხედვით). აღნიშნულია, რომ ამგვარი ერთსტრუქტურიანი მსგავსება შესაძლებელია დადგინდეს ენათა დიდი არეალებისათვის, მაგრამ იგი უფრო ტიპოლოგიური ხასიათის ჩანს და ნაკლებად შეესაბამება ე. ქ-ის იდეას (ვ. ნეროზნაკი).

ამოსავალი პრინციპებისა და გამოყენებული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით შ. ძ-ის თეორია არ შეიძლება ჩაითვალოს რამდენადმე სრულყოფილ თეორიად, სანამ მთელი სისრულით არ იქნება გათვალისწინებული ენათა რეალური შეხვედრების შესაძლო შედეგები (იხ. *ენობრივი კონტაქტების ტიპოლოგია*). სახელდობრ, უნდა განისაზღვროს კონტაქტისას რომელი ენობრივი მოვლენები გადადის ერთი ენიდან მეორეში შედარებით ადვილად და რომელი საერთოდ არ ექვემდებარება სესხებას. ამ მიმართულებით კვლევა მნიშვნელოვანი ჩანს არა მხოლოდ ენათა ინტეგრაციის, არამედ ისტ.-შედარებითი კვლევის თვალსაზრისითაც.

ლიტ.: შარაძენიძე თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958; მელიქიშვილი ი., ქართველურ-ინდოევროპული გენეტიკური ურთიერთმიმართების საკითხისათვის. – «ენათმეცნიერების საკითხები», 2002, №1; Трубецкой Н. С., Мысли об индоевропейской проблеме (1939). – «Вопросы языкознания», 1958, №1; Якобсон Р., К характеристике евразийского языкового союза. – იხ.: Jakobson R., Selected writings, I. Phonological studies 's, Gravenhage, 1962; Эдельман Д. И., К истории языкового союза. – «Вопросы языкознания», 1978, №3.

თ. შარაძენიძე. ი. ქობალავა.

ენათა კლასიფიკაციები, მსოფლიოს ენათა განაწილება სხვადასხვა ჯგუფში გარკვეული ნიშნების მიხედვით. შ. ძ-ის პრობლემა წარმოიშვა ენათა შედარების შედეგად. ცნობილია ენათა რამდენიმე კლასიფიკაცია, რ-თა საფუძველია განსხვავებული საკლასიფიკაციო ნიშნები. ყველაზე გავრცელებულია ენათა გენეალოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციები. *ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია* ენებს აჯგუფებს მათი საერთო წარმომავლობის მიხედვით, *ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია* კი ემყარება ენათა შორის მსგავსებას რომელიმე სტრუქტურული (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური) ნიშნის მიხედვით. სხვა კლასიფიკაციებიდან აღსანიშნავია: ე. შმიდტის კლასიფიკაცია (1926), რ-იც გულისხმობდა კულტ. წრეების შესაბამისად ენათა ოჯახებზე უფრო ფართო გაერთიანების – ენათა წრეების დადგენას, დამყარებულს ფონეტ. და გრამატ. მსგავსება-განსხვავებაზე; არეალური ლინგვისტიკის პრინციპებზე აგებული არეალური კლასიფიკაცია ენებს აჯგუფებს ენობრივი მოვლენების ტერიტორიული გავრცელების მიხედვით. არეალურმა კლასიფიკაციამ შეიძლება მოიცვას როგორც გენეტიკურად მონათესავე, ისე – არამონათესავე ენებიც და გამოყენებულ იქნეს ერთი ენის ფარგლებშიც (დიალექტური მოვლენების შესასწავლად). ენათა არეალური კლასიფიკაციის სახეა *ენათა კავშირიც*; ერთიანი გლოტოგონიური პროცესის დაშვებაზეა აგებული ნ. მარის სტადიური კლასიფიკაცია (იხ. *ენათა სტადიური კლასიფიკაცია*) და ა. შ.

ლიტ.: შარაძენიძე თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958; Бенвенист Э., Классификация языков. – «Новое в лингвистике», вып. 3, М., 1963; Теоретические основы классификации языков мира, ч. 1–2, М., 1980–82.

ლ. ენუქიძე.

ენათა სტადიური კლასიფიკაცია, ენათა კლასიფიკაცია მათი განვითარების სტადიების მიხედვით. ამ კლასიფიკაციას ცენტრალური ადგილი უკავია ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ (იხ. *იაფეტური თეორია*). რამდენადაც ნ. მარს ენათა განვითარება ერთიან გლოტოგონიურ პროცესად წარმოედგინა (ყველა ენას საფუძვლად ედება ოთხი პირველადი ელემენტი: სალ, ბერ, იონ, როშ), მან ენათა კლასიფიკაციის პრინციპად, ბუნებრივია, განვითარების სხვადასხვა საფეხური მიიჩნია და თითოეულ საფეხურს სტადია უწოდა. ერთ სტადიას ენათა რამდენიმე სისტემა შეიძლება შეესაბამებოდეს.

ნ. მარის მიხედვით, სტადიების მონაცვლეობა აფეთქების გზით მიმდინარეობს, ხოლო სტადია ევოლუციურად ვითარდება შიგნიდან, სადაც ძირითადად მუტაციური ცვლილებები ხდება. ენათა განვითარების აუცილებელ პირობად გამოცხადდა ენათა შეჯვარება, რ-იც გარდაუვალი ინტეგრაციის მისწრაფად იქნა მიჩნეული. ამის გამო არსებული მოქმედი და მკვდარი ენები რიცხობრივად იმაზე ნაკლებია, ვიდრე ოდინდელი ენების რაოდენობა: უნიფიკაციის შედეგად განვითარებას ერთი ენისაკენ მივყავართ.

ე. ს. ქ-ით, მეტყველების საწყისი კინეტიკური (ხელის) ენაა. მაგრამ ამ საფეხურზე საკუთრივე ენა, ადამიანის მეტყველება ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ ჩამოყალიბებულად. ამ კლასიფიკაციის მიხედვით არსებული ენებიდან მწვერვალს ინდოევრ. ენები ქმნიან. მათ ქვემოთ იაფეტური (სემიტურთან მონათესავე ფლექსიური) ენებია, რ-ებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. უფრო ქვეით ურალურ-ალთაური ენების შტო (აგლუტინაციური წყობის იაფეტური ენები) თავსდება. აქვე ჩუვაშურ ენასა და უნგრულ-ფინურ ენათა ოჯახს აქვს დათმობილი ადგილი. კიდევ უფრო ქვემოთ ქამიტური ენებია განლაგებული, რ-ებიც აგლუტინაციური არიან მხოლოდ ტიპოლოგიურად, მაგრამ უფრო მეტ სინთეზურ ბუნებას აელენენ და აფხაზურთან დგანან ახლოს. უფრო დაბლა ენათა სინთეზური მდგომარეობაა, რ-იც იაფეტურ ენებში გადმონაშთის სახით ასახულია აფხაზურის ტიპის ენებით. სულ ქვემოთ პრიმიტ. ენების ჯგუფია, რ-საც ადამიანური მეტყველების წარმოშობა უკავშირდება.

მოცემულ სქემაში გამოიყოფა ოთხი ტიპის გარდამავალი ენა: ერთ-ერთი სომხ. და ალბანური (ბალკანეთის) – იაფეტიზმიდან ინდოევროპეიზმამდე, მეორე – სომხ. ენა და ჩუვაშური – იაფეტიზმიდან თურქიზმისაკენ გარდამავალი. შემდეგ ნ. მარმა გადასინჯა თავისი თეალსაზრისი მსოფლიო ენათა გადანაწილებაზე და მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მასში. პირველ ეტაპზე, სისტემათა მონაცვლეობის გამოსახატავად გენეალოგიური ხე უსარგებლოდ იქნა მიჩნეული. მეორე, სქემა ნაკლოვანი იყო, რადგან მასში არ ასახულა ამერიკის, ოკეანიისა და აფრიკის, დრავიდული, არაპრომეთეიდული (ინდოევრ.), შორეული აღმ. და ჩინ. ენები.

ახ. კლასიფიკაციას მორფოლ. ტიპოლოგია დაედო საფუძვლად. ამორფულ (სინთეზურ ანუ მორფოლოგიის არმქონე) ენებს უპი-

რისპირდება მორფოლოგიის მქონე აგლუტინაციური და ფლექსიური ტიპის ენები. საკუთრივ იაფეტურში შენიშნულია სინთეზურ-ამორფულიდან ფლექსიურობამდე მისული არამონოლითური პროცესები. ამ სქემაში ამორფულობა, აგლუტინაცია და ფლექსიურობა ერთმანეთის მომდევნო საფეხურებად არის აღიარებული. პერიოდების მიხედვით ენები ამგვარად განაწილდა:

პირველადი პერიოდის (მონოსილაბური და პოლისემანტური): ჩინური და მისი მსგავსი, შუა და შორეული აფრიკის ცოცხალი ენები; მეორეული პერიოდის: ფინურ-უნგრული, თურქული და მონღოლური; მესამეული პერიოდის: გალმონაშთი იაფეტური ენები, ქამიტური ენები (ახლო და შორეული აფრიკის ენები); მეოთხეული პერიოდის: სემიტური და ინდოევრ. ენები. თითოეულ მოცემულ პერიოდს მჭიდროდ უკავშირდებიან პალეოაზიური და ამერიკული, ავსტრალიისა და ოკეანიის ენები.

მოცემულ კლასიფიკაციაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ იაფეტური ენები, რ-ებიც ადამიანურ მეტყველებას გამოხატავენ პირველ ტრანსფორმაციამდელი და მის რამდენიმე ტრანსფორმაციას შორის არსებული პლასტების სახით. ესაა განსაკუთრებული სისტემა, რ-იც გაიარა ყველა სისტემის სხვა დანარჩენმა ენებმა.

კაკ. ენებს ნ. მარი ათავსებდა ფლექსიურ, აგლუტინაციურის გადმონაშთებით ქართულსა და უძველესი ტიპის – სინთეზურ ანუ ამორფულ აფხ. ენებს შორის.

ნაცვალსახელურ-აგლუტინაციურია ბასკური, ძვ. სალიტ. ქართ., შიშინა და მთის ენები. გამარტივებული აგლუტინაციურია ჩრდილოკაკ. და ხალხური ქართული. ფლექსიური ტიპისაკენ გარდამავალ საფეხურზე დგას ძვ. სალიტ. ქართული, სომხური პრომეთეიდული ფლექსიურობისკენ გარდამავალი. ამიტომ იაფეტური ენები პოლისტადიური ენებია: ფორმალურ-ლოგიკური აზროვნებიდან კოსმოსური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებამდე. ისინი გაუდიფერენცირებელი და დიფუზური ენებია, რის გამოც მათი დახასიათება როგორც „სინთეზურისა“ და „ამორფულის“, ან „აგლუტინაციურისა“ მათი სისტემების ფორმალურ ტიპს ვერ არკევს.

ლიტ. იხ. სტატიასთან *იაფეტური თეორია. ი. ბაბუხადია.*

ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, ენათა დაჯგუფება სტრუქტურული (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური...) მსგავსების მიხედვით. შესაძლებელია მსგავსება ემყარებოდეს რომელიმე ერთ ნიშანს, ან ერთდროულად ერთმანეთთან დაკავშირებულ და ერთმანეთით განპირობებულ რამდენიმე ნიშანს. სწორედ ენებს შორის არსებული ეს საერთო ქმნის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველს. ერთი და იმავე სტრუქტურული ნიშნით გაერთიანებული ენები ქმნიან ენათა ტიპს. ერთი ენა სხვადასხვა ნიშნით შეიძლება სხვადასხვა ტიპში გაერთიანდეს.

ენებს შორის ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველი იმდენად ღრმად დევს ადამიანური ენის ბუნებაში, რომ მისი ახსნა თვით ადამიანის ბიოფიზიოლოგიური და ფსიქიკური შესაძლებლობის გარკვევას უკავშირდება (არის გენეტიკურ დონეზე ახსნის ცდებიც: კ. იუნგი, ნ. ხომსკი). ამიტომაც ე. ტ. კ., გენეალოგიური კლასიფიკაციისა და ენათა კავშირებისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ენათა დიეერგენციისა და კონვერგენციის პროცესებით განპირობებულ სიახლოვეს, მაგ., ინგლისური ენა, რ-იც წარმოშობით განეკუთვნება ინდოევრ. ენათა გერმანიკულ ჯგუფს და, შესაბამისად, ავლენს ამ ენებთან მსგავსებას, ანალიზური წყობის მიხედვით სტრუქტურულ სიახლოვეს ავლენს რომანული ჯგუფის ენებთან.

პრაქტიკულად მოსალოდნელია სხვადასხვა ნიშანზე დაფუძნებული მრავალი სახის ე. ტ. კ. არსებულ კლასიფიკაციათა შორის ყველაზე გავრცელებულია მორფოლოგიური კლასიფიკაცია. არსებობს ამ კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა, რ-თა შორის უძველესია ენების დაჯგუფება სიტყვათა მორფოლ. სტრუქტურის მიხედვით. ტრადიციულად ამ ნიშნით ენათა ოთხ ტიპს გამოყოფენ. ესენია: მაიზოლირებელი, აგლუტინაციური, ფლექსიური და პოლისინთეზური ენები. მაიზოლირებელი ენები უპირისპირდება ყველა დანარჩენს იმით, რომ მათში სიტყვა მიმართების აფიქსებს არ დაირთავს, ფორმას არ იცვლის. მიმართებები გამოხატულია სიტყვათა ადგილმდებარეობის, ინტონაციის, დამხმარე (ე. წ. ცარიელი) სიტყვების საშუალებით. მაიზოლირებელი ენების ტიპური ნიმუშია ჩინური ენა. აგლუტინაციური და ფლექსიური ენები აფიქსიანი ენებია. განსხვავებას ის ქმნის, თუ როგორ, რა წესით უკავშირდება აფიქსი ფუძეს. აგლუტინაციურ ენაში თითოეული აფიქსი, ჩვეულებრივ გამოხატავს ერთ გრამატ. მნიშვნელობას და ორგანულად არ ერწყმის არც ძირსა და არც სხვა აფიქსებს. ამიტომაც სიტყვის სტრუქტურა გამჭვირვალეა და სიტყვა ადვილად იშლება შემადგენელ ნაწილებად (მაგ., ქართ. მა-ტარებ-ლ-ებ-ის-კენ-ა-ც). აგლუტინაციური ენებია იბერიულ-კავკასიური, ფინურ-უნგრული, ზოგიერთი აფრიკული და ამერიკის ინდიელთა ენები და სხვ. ფლექსიურ ენაში კი შესაძლებელია ფუძის შერწყმა, რის გამოც ფუძის დაშლა ძნელი ხდება, მაგ., როდესაც ერთი აფიქსით ორი მნიშვნელობაა გამოხატული (ქართ. კაც-თა ფორმაში -თა ერთდროულად რიცხვსაც აღნიშნავს და ბრუნვასაც) ან გრამატ. მნიშვნელობის გამოსახატავად ფუძის ფლექსიაა გამოყენებული (ეგრეხ – ეგრიხე). ფლექსიურია ინდოევროპული და სემიტური ენები. ინკორპორაციული (შთასხეულებითი) ანუ პოლისინთეზური ენებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ზღვარი წინადადებასა და სიტყვას შორის წაშლილია. ის, რაც სხვა ენებში მთელი წინადადებით გადმოიცემა, ინკორპორაციულ ენაში გამოხატულია სიტყვით, რ-იც თავისი შინაარსით სხვა ენათა წინადადებას უდრის, ფორმით კი ზოგი სიტყვას უტოლდება. ინკორპორაციულია მაგ., ამერიკის ინდიელთა და ჩრდ. აზიის (პალეოაზიური) ენები.

ჩვეულებრივ, ენებში აღნიშნული ნიშნები პარალელურადაც გვხვდება, მაგრამ კლასიფიკაციისას მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ამა თუ იმ ენაში რომელი ნიშანი ჭარბობს, ე. ი. რომელია ტიპოლოგიურად განმსაზღვრელი.

მორფოლ. კლასიფიკაციის თავისებური ინტერპრეტაციაა ენათა ფსიქოლოგიური კლასიფიკაცია, რ-იც ემყარება ფორმიან და უფორმო ენათა დაპირისპირებას (ჰ. შტაინთალი, 1850; ფ. მისტელი, 1893). ტიპოლოგიური (მორფოლოგიური) კლასიფიკაციის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე ე. სეპირის კონცეპტური კლასიფიკაცია. ე. სეპირის თვალსაზრისით, ენაში გამოხატული ცნებები ოთხ ჯგუფს შეადგენს: 1. ძირითადი (კონკრეტული) ცნებები, რ-ებიც გამოხატულია დამოუკიდებელი სიტყვებით ან ძირეული ელემენტებით და არ გადმოგვცემენ მიმართებებს; 2. დერივაციული ცნებები, გამოხატული აფიქსაციის ან ძირის შინაგანი ცვლილებით; 3. კონკრეტულ-რელაციური ანუ შერეულ-რელაციური ცნებები, გამოხატული აფიქსაციით ან ძირის ცვლილებით. მათი ძალა ერთი სიტყვის ფარგლებს სცილდება და სინტაქსურ ურთიერთობას ამყარებენ სიტყვათა შორის; 4. წმინდა რელაციური ცნებები, გამოხატული აფიქსაციით, ძირის ცვლილებებით, დამოუკიდებელი სიტყვებისა და ადგილმდებარეობის საშუალებით. სინტაქსური ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ნიმუშია ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაცია წინადადების კონსტრუქციების მიხედვით. ამ კლასიფიკაციის თანახმად, გამოიყოფა წინადადების 7 ტიპი: ინკორპორაციული, უობიექტო, პოსესიური, ერგატიული, აფექტური, ლოკატიური და ნომინატიური. ერთ ენაში ერთდროულად შეიძლება შეგვხვდეს ერთზე მეტი კონსტრუქცია. ტიპოლ. კლასიფიკაციას მიეკუთვნება აგრეთვე ენათა კავშირებისა და ერობრივი წრეების გამოყოფის ცდა და სხვ.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1945 (1983); შარაძენიძე თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958; შანიძე ა., მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბ., 1976; ასათიანი რ., ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები, თბ., 1994; Сепир Э., Язык, пер. с англ., М.–Л., 1934; Мещанинов И.И., Члены предложения и части речи, М.–Л., 1945 (1978); Успенский Б. А., Структурная типология языков, М., 1965; Рождественский Ю. В., Типология слова. – კრ.: Языковые универсалии и лингвистическая типология, М., 1969. «Новое в лингвистике», вып. V: Языковые универсалии, М., 1970; Принципы типологического анализа языков различного строя, ред. Б. А. Успенский М., 1972; «Новое в зарубежной лингвистике», вып. XXV: Контрастивная лингвистика. М., 1989.

ლ. ენუქიძე. ი. ქობალავა.

ენათმეცნიერება, ლინგვისტიკა, მეცნიერება ადამიანის ენის შესახებ.

ენათმეცნიერების სათავეებთან. ენათმეცნიერება, ლინგვისტიკა, არის მეცნიერება ადამიანის ენის შესახებ. ე-ს აინტერესებს ყველა ენა – ამჟამად თუ ოდესმე არსებული, ან მომავალში შესაძლებელი; განურჩევლად იმისა, ვინ ან რამდენი ადამიანი ლაპარაკობს ამა თუ იმ ენაზე – მაღალი ცივილიზაციის წარმომადგენელი თუ კულტ. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ათასობით, მილიონობით (მილიარდიც კი), თუ მხოლოდ რამდენიმე ათეული (რამდენიმე ინდივიდი). ე-ის ობიექტია ადამიანის სამეტყველო მოქმედება თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებებით, ანუ ე-ს აინტერესებს ყველაფერი ენის შესახებ. აქ შემოდის პრობლემათა ფართო წრე, მაგრამ, პირველ ყოვლისა, იგულისხმება პასუხი კითხვაზე – რა არის ენა?

ენის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება არ არსებობს, რაც გამოწვეულია თვით ენის ბუნებით. ენა მრავალასპექტიანი, მრავალკომპონენტიანი, სტრუქტურულად ურთულესი მოვლენაა. იგი ერთსა და იმავე დროს წარმოგვიდგება როგორც ფსიქიკური და ფიზიკური, სოციალური და ინდივიდუალური, დროის ყოველი მონაკვეთისათვის ჩამოყალიბებული სისტემა და მუდმივ ცვალებადობაში მყოფი მოვლენა, სემიოტიკური ბუნების მქონე და, ამასთანავე, ბიოლოგიურად განპირობებული წარმონაქმნი და ა.შ. ენა გვევლინება ამ ჰეტეროგენიული კომპონენტების ერთიანობად, რ-თაგან თითოეული აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი ენის დასახასიათებლად. ენის შემადგენლობაში ისინი მოქმედებენ ერთდროულად, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და ამით განაპირობებენ თვით ენის არსებობას. ამიტომ ენის განსაზღვრა მათგან რომელიმე ერთის მიხედვით (რისი ნიმუშებიც ე-ის ისტორიაში მრავლად არის) იქნება არასრულყოფილი და, ამდენად, არაადეკვატური, სანამ არ დადგინდება ენის არსი და ამით არ დამყარდება აღნიშნულ კომპონენტებს შორის „ბუნებრივი წესრიგი“ (ფ. დე სოსიური). ე-ის ძირითადი ამოცანა არის ენის არსის დადგენა. ამ (და ენასთან დაკავშირებულ მრავალ სხვა) საკითხზე პასუხი დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ ენის რომელი მხარეა აღებული კვლევის საგნად, არამედ იმაზეც, თუ რა მოთხოვნებს აყენებს ეპოქა ენათმეცნ. კვლევის წინაშე, და როგორია ეპოქის კულტ.-ინტელექტუალური დონე. ამის მიხედვით ენის შესახებ ცოდნა იცვლება, შესაბამისად იცვლება (ვიწროვდება ან ფართოვდება) ენათმეცნ. კვლევის ფარგლებიც. მაგრამ ძირითად პრობლემად ყოველთვის რჩება ენის არსის პრობლემა. ფაქტობრივად აქ იყრის თავს ენის შესწავლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი: ენა და მეტყველება, ენა და აზროვნება, ენობრივი ფორმა და სუბსტანცია, ენა და საზოგადოება, ენა და ეთნოსი, ენა და კულტურა, ენის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებები, ენის სისტემურ-სტრუქტურული ორგანიზაცია, ენობრივი კომუნიკაცია და მრ. სხვ.

ბუნებრივია, ენის შესწავლასთან დაკავშირებული მთელი ეს პრობლემატიკა ერთბაშად არ წარმოქმნილა. თანამედროვე ლინგვისტიკური დონის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა გამოსნული დაკვირვებებისა და ძიებების ხანგრძლივი, თითქმის სამათასწლოვანი, ტრადიციები. სწორი არ იქნება მათი შეფასება როგორც „არამეცნიერული“, ან თუნდაც „მეცნიერებამდელი“ კვლევისა (რაც უფრო ცალმხრივი შეფასების შედეგია). ეს ტრადიციები ისახებოდა და ვითარდებოდა სხვადასხვა დროს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში იქ არსებული კულტ. დონის საფუძველზე წამოჭრილი პრაქტ. მოთხოვნების შესაბამისად. ცნობილია კვლევის ისტორიულად ჩამოყალიბებული შემდეგი კერები: ევროპული, ინდური,

არაბული, ჩინური და იაპონური. გარკვეული ისტ.-გეოგრ. თუ სხვა ფაქტორების გამო მათ თანაბარი მონაწილეობა არ მიუღიათ უშუალოდ თანამედროვე ე-ის ჩამოყალიბების პროცესში, მაგრამ ეს ფაქტი არ ამცირებს ამ ტრადიციების მნიშვნელობას ლინგვისტიკური აზრის ისტორიისათვის. უფრო მეტიც, დასახული მიზნებითა და, რაც მთავარია, მიღწეული შედეგებით ეს იყო კვლევა, რ-მაც დიდ წარმატებას მიაღწია ენის გარკვეული ასპექტების შესწავლაში და ამით თავისი წვლილი შეიტანა თანამედროვე ლინგვისტიკის თეორ.-მეთოდოლოგიური და პრაქტ. ბაზის შექმნასა და მის გამდიდრებაში.

ლინგვისტიკა, როგოც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, რ-მაც თანდათანობით შეძლო ფართოდ მოეცვა ენის პრობლემები და გამხდარიყო არა რეგიონალური, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერება, ჩამოყალიბდა ევროპული ტრადიციების ბაზაზე. თავის მხრივ, ეს ტრადიციები სათავეს იღებს ანტ. მეცნიერებაში. ამან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა არა მხოლოდ ანტიკური გრამატ. მოძღვრების ხასიათი, არამედ საბოლოოდ ლინგვისტიკური აზრის განვითარება ევროპაში.

ანტიკური გრამატ. მოძღვრება თავის დროზე ჩაისახა წმინდა ფილოლ. მიზნებით („ილიადასა“ და „ოდისეას“ ძველი, IX–VII სს. ტექსტების შესწავლა), მაგრამ ადრევე შეიძინა ფილოს. შინაარსი (საკუთრივ გრამატიკა იმ პერიოდისათვის წარმოადგენდა ვიწრო „ხელოვნებას“, უშუალოდ წერა-კითხვის სწავლებასთან დაკავშირებულ პრაქტიკას და, ბუნებრივია, შესწღუდული იყო ამ პრაქტიკის ინტერესებით). ანტ. მეცნიერების სინთეზურმა ხასიათმა განსაზღვრა ლინგვისტიკური კვლევის მიმართულებაც: იგი დაკავშირებული აღმოჩნდა სოგადფილოს. პრობლემატიკასთან და ძირითადად ამ პრობლემატიკის ფარგლებში ეითარდებოდა. ცნობილი კამათი, რ-იც მიმდინარეობდა ძვ. ბერძნ. ფილოსოფიაში „ფიუსეისა“ და „თესეის“ მომხრეებს შორის სახელთა „სისწორეზე“ (არსებითად სახელდების პრინციპზე), ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ენის საკითხების კვლევისათვის. მუშავდებოდა ბგერათა კლასიფიკაციები, ჩამოყალიბდა მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ, განიხილებოდა ზმნისა და სახელის კატეგორიები, ბრუნების სისტემა, სინტაქსის პრობლემები და სხვ. ფილოსოფიასთან კავშირი არ გაწყვეტილა ელინისტურ პერიოდშიც კი, როდესაც ალექსანდრიელმა გრამატიკოსებმა შექმნეს ფილოსოფიისაგან დამოუკიდებელი გრამატ. მოძღვრება, რ-მაც დასრულებული სახე მიიღო დიონისე თრაკიელის „Τηχνη γραμματική“-ში.

ბერძნ. გრამატიკის პრინციპები დაედო საფუძვლად ლათინური ენის ადრინდელ (ძ.წ. II–ახ. წ. I სს.) გრამატიკებს (ელიუს სტილო, მარკ ტერენციუს ვარონი, მარკ ფაბიუს კვინტილიანი). ამაეე პრინციპებს (გარკვეული ცვლილებებით) ეყრდნობიან გვიანდელი რომაელი გრამატიკოსებიც, რ-თა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ დონატუსი (IV ს.) და პრისციანუსი (VI ს.). სწორედ მათი გრამატიკები გახდა ის ძირითადი წყარო, რ-ითაც სარგებლობდნენ შუა საუკ. ევროპაში, როდესაც ლათინური, როგორც რელიგიისა და მეცნიერების ენა, პრაქტ. შესწავლისა და ფილოს. რეფლექსიის ერთადერთ საგნად იქცა.

მაგრამ შუა საუკუნეები გრამატიკის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით არ შეიძლება ერთგვაროვნად შეფასდეს. გვიან შუა საუკ-ში (XI–XII-იდან) ანტიკ. ფილოსოფიის, განსაკუთრებით არისტოტელეს დიდი გავლენით იწყება ლოგიკის აღმავლობა, რამაც თეოლოგიასა და ცოდნის ყველა სფეროში შეაღწია. თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ეს გავლენა გრამატიკაშიც (როგორც ეს ანსელმ კენტურბერიელის, ჟილბერტის, პიერ აბელარის ნაშრომებიდან ჩანს). ხდება გრამატიკის ლოგიზაცია, რეალურად ჩნდება ლოგიკის მხრიდან გრამატიკის „ჩაქლაპვის საფრთხე“ (ი. პინბორგი). მაგრამ ამ პერიოდშიეე თავი იჩინა საპირისპირო ტენდენციამაც. სამონასტრო და საუნივერსიტეტო სწავლების პრაქტიკაში, ტექსტის კომენტირებასთან დაკავშირებით, ჩნდება ახალი იდეები, იწყება პრისციანუსის კრიტიკა (უილიამ კონჩიელი). არის ცდები გრამატიკის დამოუკიდებლობის დაცვისა (პეტრე ჰელიელი), მაგრამ ამ სიახლეებს გრამატ. აზროვნებაზე რაიმე გავლენა არ მოუხდენია. ურყევი რჩებოდა ამ პერიოდისათვის გაბატონებული თვალსაზრისი, რომ ენის ლოგიკური არსი საერთოა ყველა ხალხისათვის (ენებს შორის განსხვავება მხოლოდ გარეგნულია). სწორედ ამ იდეებმა დაუდო საფუძველი უნივერსალური გრამატიკების შექმნას. მაგრამ ენის ფილოსოფიის ფარგლებშიც კი ლინგვისტიკური კვლევის თვალსაზრისით მაინც გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული (უპირატესად სინტაქსისა და სემანტიკის სფეროებში).

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა აღორძინების პერიოდიდან (XV ს-იდან ფაქტობრივად XVIII ს. დასასრულამდე), როდესაც ეპოქის მოთხოვნილებებმა, ისევე როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში, ენათმეცნ. კვლევის წინაშეც ახალი ამოცანები დააყენა. ხალხთა შორის პოლიტ. თუ რელიგ. კონტაქტების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ინტერესი სხვა, განსაკუთრებით ცოცხალი, ზოგ შემთხვევაში მანამდე უცნობი, ენების მიმართ. ლათ. გრამატიკების გვერდით იწერებოდა მათ ყალიბზე შექმნილი ნაციონალური გრამატიკები. ასე, XV–XVI სს-ში შეიქმნა ესპანური, ბრეტონული, ფრანგ. ინგლ. უნგრული, ჩეხური, პოლონ., ბასკური, სლავ., ლიტვური და სხვა ენების გრამატიკები. მართალია, მათი ძირითადი მიზანი, XVI ს. სლოვენი გრამატიკოსის ლაერენტი ზიზანის სიტყვებით, იყო სწორად მეტყველებისა და წერის შესწავლა, მაგრამ ახალ ენებთან ერთად ეეროპელები ეცნობოდნენ ახალ გრამატ. ტრადიციებსაც (ეს განსაკუთრებით ითქმის არაბულ გრამატიკულ მოძღვრებაზე). გაფართოვდა კვლევის ჰორიზონტი, დაიწყო უნივერს. ენებისა და ანბანური სისტემების, უნივერს. გრამატიკების დამუშავება, მ. შ. შეიქმნა პორ-როიალის ზოგადი გრამატიკა, რ-ის იდეების შეფასება მხოლოდ XX ს-ში მოხდა (ფ.დე სოსიური ნ. ხომსკი). მაგრამ ენათ-

მჯ.ნ. კვლევის ძირითადი მიმართულება სხვა გზით განვითარდა.

კვლევის პორიზონტის გაფართოებას შედეგად მოჰყვა მრავალენოვანი შედარებითი ლექსიკონების შექმნა (ჰ. ს. პალასის ლექსიკონი 272 ენის, ლ. გერეასის – 307 ენის, ი.კაღელენუნგისა და ი.ს. ფატერის – 500 ენის მასალაზე), რ-თა დონე არც თუ ისე მაღალი იყო, მაგრამ მათ მნიშნელოვანი როლი ითამაშეს ლინგვისტიკური კვლევის განვითარებაში. შუა საუკ-ში გაბატონებული ტრადიციული პრობლემატიკის, განსაკუთრებით ენათა უცხელობის შესახებ თეზისის, გეერდით თანდათანობით ფეხს იკიდებდა ენათა ისტ. განვითარებისა (ჯ. პრისტლი, მონბოდო, ი. გ. ჰერდერი) და ენათა ნათესაობის (ი. ი. სკალიგერი,მ. ლიტუანუსი, ლ. კატე, ფ. რუმიგი, გ. ლაიბნიცი, მ. ლომონოსოვი, და სხვ.) იდეები.ამ იდეების განვითარებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა აგრეთვე იმდროინდელი სამეცნიერო ატმოსფერო (ისტორიული და საბუნებისმეტყველო დარგების განვითარება). ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გარდატეხა არ გამოეწვია ლინგვისტურ აზროვნებაში და ასეც მოხდა. როდესაც ინდოეთში მოღვაწე იურისტი და ორიენტალისტი უ. ჯონსი 1786 ინგლისის სამეფო აზიური საზ-ბის წინაშე წარდგა თავისი დაკვირვებებით სანსკრიტის (ძე. ინდ. სალიტერატურო ენა) სიახლოვეზე ბერძნ. და ლათ., ასევე გოთურ, კელტურ და ძე. სპარსულ ენებთან, აგრეთვე ამ ენათა შესაძლო საერთო წყაროზე, ნიადაგი ახალი მიმართულებისათვის მომზადებული იყო. სანსკრიტის „აღმოჩენა“ გახდა უკანასკნელი ბიძგი, რ-მაც საბოლოოდ განსაზღვრა ევროპ. ლინგვისტური კვლევის მიმართულება. ევროპელ მკვლევართა მიერ სანსკრიტი გამოკვლევებულ იქნა არსებითად როგორც ენობრივი მასალა, რ-იც საგრძნობლად იფართოვებდა შედარების პერსპექტივებს. მაგრამ იმ ეპოქის ლინგვისტური აზროვნება ვერ აღმოჩნდა მზად სათანადოდ გაეაზრებინა ცოდნის ის დონე, რ-საც ინდოელმა გრამატიკოსებმა მრავალი საუკუნით ადრე მიაღწიეს სანსკრიტის შესწავლაში. უფრო გვიან ლინგვისტური კვლევის პრაქტიკამ ანალოგიური საკითხები ხელახლა წამოჭრა.

XIX ს. დასაწყისიდანვე გაიშალა ფართო შედარებით-ისტ. კვლევა. მართალია, ამ კვლევაში ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევი ან დასაზუსტებელი იყო, მაგრამ თავისი მასშტაბებით, სხვა მეცნიერებათაგან დამოუკიდებელი საგნითა და საკუთარი მეთოდებით უკვე მოასწავებდა ახალი მეცნიერული დარგის ჩამოყალიბებას. ეს იყო სრულიად ახალი მიდგომა, ახალი მეცნ. პარადიგმა, რ-მაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ე-ის, როგორც მაღალგანვითარებული მეცნიერების, სტატუსის მიღწევაში.

მაგრამ, მიუხედავად კომპარატივისტიკაში დიდი წარმატებებისა, რ-საც შედარებით-ისტ. ე-მ მიაღწია XIX ს-ში, მან ვერ შეძლო მოეცვა ენობრივი კვლევის უმნიშვნელოვანესი ასპექტები, „ვერ გახდა ისტორიული მეცნიერება“ (ფ. დე სოსიური). გამოსავალი ოვით კვლევის პროცესმა აჩვენა. თუ იმ პერიოდის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპის თანახმად, ენის მეცნ. შესწავლა ნიშნავდა მხოლოდ ისტორიულ შესწავლას, დიაქრონიული კვლევის გაღრმავებასთან დაკავშირებით უფრო და უფრო მეტად იგრძნობოდა სინქრონიული კვლევის აუცილებლობა (ჯ. პაული, ი. ბოდუენ დე კურტენე –). განსაკუთრებით გაიზარდა სინქრონიული კვლევის როლი ფ. დე სოსიურის შემდეგ: სწორედ სოსიურიდან იწყება სინქრონიული ე-ის, როგორც დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი მეცნიერების, აღიარება.

XX ს-ში უკვე სინქრონიული ე-ის ბაზაზე მოხდა როგორც ტრადიც. დარგების გადასინჯვა ახალი მეცნ. პრინციპების მიხედვით, ისე ახალი მიმდინარეობებისა და დარგების წარმოშობა, რ-ებიც ქმნიან თანამედროვე ე-ის საფუძველს.

ლიტ.: Тронский А. А., Проблемы языка в античной науке. – «Античные теории языка и стиля», М., 1937; Общее языкознание. Методы лингвистических исследований, М., 1973; Амирова Т. А., Ольховиков Б. А., Рождественский Ю. В., Очерки по истории лингвистики, М., 1975; История лингвистических учений. Древний мир, Л., 1980; История лингвистических учений. Средневековый Восток, Л., 1985; Габучян Г. М., Арабская языковедческая традиция. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990; Яхонтов С. Э., Китайская языковедческая традиция, იქვე; Emeneau M. B., India and Linguistics. – «Journal of the American oriental Society», 1955, vol. 75, №3; Mounin G., Histoire de la linguistique des origines au XXe siècle, P., 1967; Robins R. H., A short history of Linguistics, Bloomington and London, 1968.

ი. ქორძალავა.

ენათმეცნიერების თანამედროვე მიმართულებები. XX ს. II ნახ-ში ზედიზედ წარმოიშვა ე-ის ახალი მიმართულებები, რ-ებმაც ენის სისტემისადმი იმანენტური მიდგომის არასაკმარისობა გამოავლინეს. ისინი ყალიბდებოდა სტრუქტურული ე-ის ერთგვარი დაძლევითა და ახლო წარსულში ფართოდ გავრცელებული კონცეფციების კრიტიკით. ახალი შეხედულებების მიხედვით, არაადეკვატურია ენობრივ ერთეულთა ანალიზის შემოფარგლა ენის მხოლოდ მოდელებისა და სტრუქტურების ანალიზით, ასევე, ცალმხრიობა ახასიათებს თეორიებს, რ-ებიც არ ითვალისწინებენ იმას, რომ ენობრივი კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია, რ-შიც მონაწილეობს როგორც მოლაპარაკე (მეტყველების წარმომქმნელი), ისე მსმენელი (მეტყველების აღმქმელი), რომ კომუნიკაცია მხოლოდ მზა ენობრივი ფორმების რეალიზაცია არ არის, არამედ ამ ფორმათა წარმოქმნაც. იდეა მომდინარეობს ვ. ფონ ჰუმბოლდტისაგან (1767–1835), რ-იც ენას განიხილავს როგორც „უკვე შექმნილის, უკვე ნაწარმოების“ („ერგონის“) და „შექმნის პროცესში მყოფის“, „შემოქმედი ძალის“ („ენერგეის“) დიალექტიკურ ერთიანობას, ამასთანავე, მთავარი როლი ამ უკანასკნელს ენიჭება. თანამედროვე ე-ში მოხდა ჰუმბოლდტის თეორიის აქტუალიზება, რაც ენის ახალ გაგებაშიც აისახა – ენა განისაზღვრება არა როგორც ნიშანთა სტატისტიკური სისტემა, არამედ როგორც სისტემა რეალურ მოქმედებაში, ადამიანთან,

მეტყველ სუბიექტთან მჭიდრო კავშირში.

თანამედროვე კომუნიკაციური თეორიის თანახმად, ენის შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს როგორც შიდაენობრივი (ინტრალინგვისტური), ისე გარეენობრივი (ექსტრალინგვისტური) ფაქტორების გათვალისწინებით, რადგან ისინი არსებითად განაპირობებენ ენობრივი ურთიერთობის სტრუქტურასა და შინაარსს. შესაბამისად, ენის ანალიზი გახდა კომპლექსური, ხოლო ანალიზის საგანი – უფრო ვრცელი (ტექსტი). მაგ., სიტყვის მნიშვნელობის კვლევისას საკმარისი აღარ არის საკუთრივ ენობრივი კონტექსტი, აუცილებლად გასათვალისწინებელია პრაგმატიკული კონტექსტიცა და სიტუაციაც; სინტაქსური კვლევაც გასცდა წინადადების ფარგლებს და მან მეტყველების აქტთა ბმულ თანამიმდევრობაზე, ანუ დისკურსზე გადაინაცვლა, რ-იც სხვადასხვა ასპექტის (პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული, ემოციურ-შემფასებლური...) გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

ადამიანის ფაქტორის შემოყვანას ენის ანალიზის სფეროში, რამაც ლინგვისტიკის პორიზონტის გაფართოება გამოიწვია, თან ახლდა მ-ის დაახლოება ადამიანის შემსწავლელ დისციპლინებთან (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია, კულტუროლოგია, კოგნიტოლოგია, ბიოლოგია, ნეიროლოგია...). მათ მიჯნასა და გადაკვეთაზე წარმოიშვა ინტერდისციპლინარული მეცნიერებები, რ-ებიც თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის ანთროპოცენტრულ, დინამიკურ, ფუნქციონალურ, კოგნიტიურსა და, საბოლოო ჯამში, კომუნიკაციურ პარადიგმაში განიხილება. ახალ დისციპლინათა მეცნიერებათაშორისი ბუნება და სტატუსი გამოხატულებას პოულობს თითოეული მათგანის ცნებით აპარატსა და კომპოზიტურ სახელწოდებაში.

ფსიქოლინგვისტიკა შეისწავლის ბუნებრივი ენით გადმოცემული შეტყობინების წარმოქმნისა და აღქმის ოვისებებსა და ბუნებას, იკვლევს მეტყველების პროცესს შინაარსის, მეტყველების აქტის კომუნიკაციური ღირებულებისა და კომუნიკაციურ მიზანდასახულობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ფსიქოლინგვისტიკის პრობლემატიკა უკავშირდება ენის დაუფლებისა და გამოყენების მექანიზმებსა და მენტალურ პროცესებს, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების გარკვევას, ბავშვის მეტყველებასა და სხვ.; ქმნის თეორიულ საფუძველს პრაქტ. ამოცანების გადასაჭრელად ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენის (დედაენის) სწავლება, სკოლამდელთა აღზრდა და ლოგოპედია, ფსიქოთერაპია, სასამართლო ექსპერტიზა, კრიმინალისტიკა, აგრეთვე, მეტყველების ფონოლოგიურ, გრამატ. ლექსიკურ და სემანტიკურ მოშლილობათა გამოვლენა. ეს უკანასკნელი სფერო ფსიქოლინგვისტიკას საერთო აქვს ნეიროლინგვისტიკასთან, რ-იც სპეციალურად არის ორიენტირებული სხვადასხვა სახის აფაზიათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე. იგი შეიქმნა ნეიროლოგიისა და მ-ის მიჯნაზე და ენის სისტემას შეისწავლის ენობრივი ქცევის მიმართებით ტვინის სუბსტრატთან. ნეიროლინგვისტიკის პრაგმატიკული განშტოებაა ნეიროლინგვისტური პროგრამირება, რ-იც ჩამოყალიბების პროცესშია. ენის ნეიროლოგიურ მექანიზმებს სწავლობს ბიოლინგვისტიკაც, მაგრამ მოლეკულური გენეტიკის თვალსაზრისით. იგი იკვლევს ენობრივ ჩვევათა და სტრუქტურათა თანდაყოლილობის საკითხს, ლინგვისტურ და გენეტიკურ კოდებს შორის სტრუქტურულ მსგავსებასა და იმ გენეტიკურ ფაქტორებს, რ-ებიც განსაზღვრავენ ადამიანის მიერ ენის ათვისებასა და ენის გამოყენებას, ანუ ენობრივი უნარის განვითარების ბიოლოგიურ წანამძღვრებს.

სოციოლინგვისტიკა ვითარდება მ-ის, სოციოლოგიის, სოც. ფსიქოლოგიისა და ეთნოგრაფიის გადაკვეთაზე. იგი შეისწავლის ენის სოც. ბუნებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო კომპლექსს, იკვლევს სოც. ფაქტორების გავლენას ენაზე, სწავლობს ენის არსებობის ფორმებსა და ენის ფუნქციონირებას საზოგადოებაში, საერთოდ, ენის სოც. დიფერენციაციის პრობლემებს, რაც უკავშირდება სხვადასხვა სახის განსხვავებებს, რებიც ენობრივ ერთეულთა თავისებურებებს განაპირობებს. ამ განპირობებულობის შედეგია სოც. დიალექტი, ენის ვარიანტი, სტილი (ფუნქციონალური და ინდივიდუალური), საზ-ბის გარკვეული მოთხოვნების საფუძველზე შექმნილი სალიტ. ენა.

სოციოლინგვისტიკურ კვლევათა სფეროში შედის ორენოვნებისა და მისი განსაკუთრებული სახეობის – დიგლოსიის პრობლემები, აგრეთვე, ნორმალიზაციასა და კოდიფიკაციასთან დაკავშირებული მეტყველების კულტურის საკითხები. მეცნიერების ამავე სფეროში იქმნება თეორ. საფუძვლები ენობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის.

სოციოლინგვისტიკის ფარგლებში განიხილება ეწობრივი თავისებურებები ენის შინაგანი სტრუქტურისა და გარე სოციოლინგვისტური მახასიათებლების ურთიერთმიმართების ფონზე. აღნიშნული მახასიათებლები გულისხმობს მოლაპარაკისა და მსმენელის, კომუნიკაციის გარემოს, სიტუაციის, სოციალური კონტექსტისა და სხვ. ნაირგვარ მაჩვენებლებს. ამავე დროს, ყურადღება ექცევა კომუნიკაციის ეთნოგრაფიულ მხარეს, ანუ კულტ. ფაქტორების გავლენას ენობრივი ურთიერთობის პროცესზე. სოციოლინგვისტიკის, როგორც ინტერდისციპლინარული, კომპლექსური მეცნიერების მეთოდები ენათმეცნ. და სოციოლოგიური პროცედურების სინთეზს წარმოადგენს.

კულტ. და სოც. ფაქტორების გავლენას ენობრივი ურთიერთობის პროცესზე იკვლევს ეთნოლინგვისტიკა, მაგრამ განსხვავებული კუთხითა და აქცენტებით. ენის ფუნქციონირება და განვითარება მას აინტერესებს ენობრივი, ეთნოკულტ. და ეთნოფსიქოლოგიური ურთიერთქმედების თვალსაზრისით. იგი ენის ანალიზის მეშვეობით შეისწავლის ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ფსიქოლოგიას, მითოლოგიას, ისტორიასა და კულ-

ტურას, ეყრდნობა რა იმ პოსტულატს, რომ ხალხები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სამყაროს ენობრივი ხედვით. ენათმეცნიერების მეთოდების გარდა, ფართოდ იყენებს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მეთოდებსაც სემანტიკის ეთნოლინგვისტიკური პრობლემების შესასწავლად. ეთნოლინგვისტიკას ეთნოფსიქოლინგვისტიკასაც უწოდებენ, როცა სურთ გაბაზონ, რომ იგი სამეტყველო მოქმედებას, ენობრივ ცნობიერებასა და კომუნიკაციის ეროვნულ სპეციფიკას იკვლევს.

ეთნოფსიქოლინგვისტიკურ კვლევათა წიაღში იშვა მეცნიერების სულ ახალი დარგი – ლინგვოკულტუროლოგია, რომლის ყურადღების ცენტრშია ენისა და კულტურის, ენისა და ეთნოსის, ენისა და ხალხის მენტალიტეტის ურთიერთმიმართების შესწავლა და აღწერა. ორიენ დარგს საერთო ზოგადთეორიული საფუძველი აქვს – სეპირ-უორფის ცნობილი ჰიპოთეზა ენის ფარდობითობის (ლინგვისტური რელატივიზმის) შესახებ. ჰიპოთეზის დებულებათა მიხედვით, ენა განაპირობებს ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის აზროვნების ტიპს; სამყაროს აღქმის ხერხი დამოკიდებულია ენაზე, რ-ითაც ხორციელდება აზროვნება. აქედან გამომდინარე, ყოველი ხალხის მსოფლხედვისა და მსოფლგაგების საფუძველია საგნობრივ მნიშვნელობათა საკუთარი სისტემა, სოც. სტერეოტიპები, კოგნიტიური სქემები, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ცნობიერება დეტერმინირებულია ეთნიკურად. ეთნოსოციოკულტურული ფაქტორი აზრის ჩამოყალიბებისა და ფორმულირების ეროვნ.-ეთნიკური თავისებურებებით ელინდება. ამ ზოგად დებულებებში იკვეთება ენის (დედაენის) როლი ადამიანის შემეცნებით მოღვაწეობაში.

ენის აღნიშნულ როლს საგანგებოდ იკვლევს კოგნიტიური ლინგვისტიკა. იგი ენას განიხილავს როგორც ზოგად კოგნიტიურ მექანიზმს, როგორც ნიშანთა სისტემას, რ-საც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამყაროს შესახებ ცოდნის რეპრეზენტაციასა (კოდირებასა) და ტრანსფორმირებაში. ამ მიმართულების ცენტრალური პრობლემაა ენობრივი ურთიერთობის, როგორც ცოდნის გაცვლის ძირითადი ბაზისის, მოდელის აგება. მას აინტერესებს კულტ. კონცეპტები (კულტურაში შექმნილი სახრისები), რადგან შემეცნება სწორედ მათი წარმოქმნისა და ტრანსფორმაციის პროცესად მიაჩნია. კოგნიტიური ლინგვისტიკა ეროვნ.-სპეციფიკურსა და უნივერსალურ კონცეპტუალურ სისტემებს კოგნიტიური მექანიზმის თვალსაზრისით შეისწავლის; აღწერს და იკვლევს ადამიანის აზროვნებით მოქმედებასთან დაკავშირებულ ენობრივ მოვლენებს, აგრეთვე – ენობრივ პროცესებს მეხსიერებასთან, წარმოსახვასა და აღქმასთან მათი მიმართებით. ისევე როგორც ეთნოლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტიური ლინგვისტიკაც დიდ ყურადღებას უთმობს სამყაროს ენობრივი სურათის პრობლემებს, მაგრამ მისთვის პრიორიტეტული მაინც სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების, გადამუშავებისა და გადაცემის პროცესებში წარმოდგენილი სხვადასხვა ცოდნა და მისი ენობრივი კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის ენობრივი საშუალებებია. კოგნიტიური ლინგვისტიკის ეს ასპექტი მას უკავშირებს კიდევ ერთ ინტერდისციპლინარულ დარგს – კომპიუტერულ ლინგვისტიკას, რომლის პრობლემატიკა მოიცავს მონაცემთა ბაზების შედგენა-დამუშავების, ენის სტრუქტურათა მოდელირებისა და ამოცნობის, მანქანური თარგმნისა და ტექსტის ავტომატური რეფერირების, ხელოვნური ინტელექტის შექმნის, მეტყველების სინთეზისა და ანალიზის საკითხებს. მათი გადაწყვეტა კოგნიტიური ლინგვისტიკის მიღწევათა გათვალისწინებას მოითხოვს.

ენის შესწავლის პრაგმატიკულმა ასპექტმა უკანასკნელ ხანს ენათმეცნ. კვლევათა მთელი სფერო შექმნა, რ-საც პრაგმალინგვისტიკა ეწოდება. პრაგმალინგვისტიკამ მოიცვა საკითხები, რ-თა შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს ბერძნ. რიტორიკასა და სტილისტიკაში. ფილოლ. ცოდნის ეს დარგები იმთავითვე მეტყველების გამომსახველობით საშუალებებსა და მსმენელზე (ადრესატზე) მათ ეფექტურ ზემოქმედებას იკვლევდნენ. ამ თვალსაზრისით, რიტორიკა უკვე იყო პრაგმატიკა შეზღუდული ფორმით. XX ს-ში პრაგმატიკულ ასპექტს მიუბრუნდნენ კომუნიკაციისა და ფუნქციურ სტილთა თეორიები, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, დისკურსის თეორია და სხვ., რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე სემიოტიკური მოძღვრების პრაგმატიკულ იდეებზე (ჩ. პირსი, ჩ. მორისი), რ-ებმაც პრაგმალინგვისტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ბიძგი მისცეს. „პრაგმატიკა“, როგორც სპეციფ. სემიოტიკური ტერმინი, გულისხმობს „დისციპლინას, რომელიც შეისწავლის ნიშანთა მიმართებას მათ ინტერპრეტატორებთან... მას საქმე აქვს სემიოზისის ბიოტიკურ ასპექტებთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ და სოციოლოგიურ მოვლენასთან, რომელიც შეიმჩნევა ნიშანთა ფუნქციონირებისას“ (ჩ. მორისი). ის მოსაზრება, რომ პრაგმატიკული წესების დადგენის გარეშე ვერ მოხერხდება ენის სრული სემანტიკური დახასიათება, პირველად იმავე სემიოტიკური თეორიის ფარგლებში გამოითქვა. აღნიშნული შეხედულებები ფუძემდებლური აღმოჩნდა გასული საუკუნის 60–70-იანი წლებიდან როგორც სხვადასხვა პრაგმატიკული კონცეფციისათვის (ჯ. ოსტინი, ჯ. სერლი, პ. გრაისი, ლ. ლინსკი, პ. სტროსონი), ისე ენობრივი ურთიერთობის პრაქტ. კვლევებისთვისაც. პრაგმატიკულ კვლევათა გამაერთიანებელი კატეგორია სუბიექტის კატეგორიაა. „სუბიექტურობა“, როგორც ენის ზოგადი თვისება, სჭვალავს კომუნიკაციის ყველა მხარეს, მოლაპარაკე სუბიექტისა და მეტყველების ადრესატის ურთიერთმიმართებათა რთულ კომპლექსს. აქ შეისწავლება გამონათქვამის ცხადი და ფარული მიზნები, მეტყველების ტაქტიკა, მეტყველებითი ქცევის ტიპები და ურთიერთობის ფორმები, საუბრის წესები, კომუნიკაციის სოც.-ეტიკეტური მხარე, მოლაპარაკის განწყობა, გამონათქვამის შინაარსის შეფა-

სება, გამონათქვამის ორგანიზება იმის შესაბამისად, რასაც მეტი მნიშვნელობა ენიჭება შეტყობინებაში, მეტყველების ინტერპრეტაცია, მეტყველის განსრახვა, გამონათქვამის ზემოქმედება ადრესატზე, მისი ესთეტიკური ეფექტი და მრავალი სხვ. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რ-ებიც კომუნიკაციის მიმდინარეობის რეალური პირობებისა და პრაგმატიკული კონტექსტის შესაბამისად განსაზღვრავენ ენობრივი გამოხატულების თავისებურებებს. პრაგმალინგვისტიკა, როგორც დარგი, ჯერჯერობით მკაფიოდ შემოსაზღვრული არ არის, რადგან მას სხვა ენათმეცნ. დისციპლინებთან და მიმართულებებთან ბევრი საერთო პრობლემა და კვლევითი ინტერესების გადაკვეთის ვრცელი სფერო აქვს. ამ სფეროს ერთერთ უბანს წარმოადგენს პარალინგვისტიკა.

ტერმ. „პარალინგვისტიკა“ (ბერძნ. – para–თან, ახლო) ე-თან ახლოს მყოფ დარგს ნიშნავს, ხოლო მისი შესწავლის ობიექტი – არავერბალურ ფაქტებს გულისხმობს, რებიც ენობრივი გამოხატულებისათვის არაენობრივ კონტექსტს ქმნიან. თუ წმინდა არავერბალური კომუნიკაცია ლინგვისტიკის სფერო არ არის, ვერბალურ ურთიერთობასთან შერწყმით იგი ე-ის შესწავლის საგანი ხდება როგორც დამხმარე, მეორადი საკომუნიკაციო სისტემა. ამგვარად, პარალინგვისტიკა შეისწავლის რეალურ სამეტყველო ურთიერთობაში ჩართულ არაენობრივ საშუალებებს (პარალინგვიზმებს), რებიც ხელს უწყობენ გაგებინების პროცესს, აჩქარებენ მას, აზუსტებენ ცალკეულ ენობრივ მნიშვნელობას და ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის მონაწილეებზე. არავერბალური საშუალებებით გამოიხატება მოლაპარაკის ემოცია, მიმართება ადრესატთან, ურთიერთობის სიტუაციასა და გარემოსთან; გადაიცემა დამატებითი (ზოგჯერ არსებითი) ინფორმაცია კომუნიკანტებისა და საუბრის საგნის შესახებ. პარალინგვიზმებს სამეტყველო აქტის (დისკურსის) მაორგანიზებელი ფუნქცია აქვთ, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გამონათქვამის სემანტიკურ-სინტაქსური აგებულებისა და შინაარსის ჩამოყალიბებაში, რაც პარალინგვისტიკის, როგორც ე-ის დარგის, სტატუსს განსაზღვრავს.

კომუნიკაციის არავერბალური საშუალებები ნაირგვარია როგორც გამოხატვის, ისე ფუნქციის თვალსაზრისით. გამოიყოფა ფონაციური და კინეტიკური პარალინგვიზმები. ფონაციური პარალინგვიზმები ბგერადი (ზეპირი) მეტყველების წარმონაქმნია, რ-იც ვარაუდობს სმენით აღქმას როგორც მსმენელის, ისე მოლაპარაკის მხრივ, ვინაიდან სმენითი კონტროლი მისთვის უკუკავშირის როლს ასრულებს. ფონაციურ პარაენობრივ საშუალებებს განეკუთვნება: ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი, ხმის აწევ-დაწევა, გამოწვეული კომუნიკაციის სიტუაციით, მოლაპარაკის სულიერი მდგომარეობითა თუ ეთნოკულტ.-ეთიკური ნორმებით; შეყოვნების (ესიტაციური) პაუზები და მათი შემავსებელი ბგერები („იი...“, „ეე...“, „მმ...“); პროსოდიის შემადგენელი მხოლოდ ის გარკვეული მელოდიკური კომპონენტები, რ-ებიც სხვადასხვა ინტონაციურ ქარგას ქმნიან და განსხვავებულია ასაკის, სქესის, სოც. სტატუსის, აგრეთვე, ემოციის რაგვარობის მიხედვით; წარმოთქმის იდიოლექტური, დიალექტური და სოც. თავისებურებანი. კინეტიკური პარალინგვიზმებია სხეულის გამომსახველობითი მოძრაობები (კინემები): ჟესტი, მიმიკა, პანტომიმა; აქვე განიხილება პოზა (როგორც მოძრაობის შედეგი) და პროქსემიკური (ლათ. proxemus „უახლოესი“, სხეულთან ახლოს მყოფი) ელემენტები, რ-ებიც სიერცულ ფონს, „სამუშაო სიერცეს“ შემოსაზღვრავენ. სიერცული ფონის სტრუქტურას განაპირობებს ეთნიკურად დეტერმინირებული პროქსემიკური დისტანციები, რ-ებიც ქმნიან ინტიმურ, პირადულ, საზოგადოებრიესა და სხვ. ზონებს. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ჟესტები (მისალმებისა და დამშვიდობების, ეურადღების მისაპყრობი, მოხმობისა და მოპატიჟების, აკრძალვის, მუქარის, შეურაცხყოფის, დათანხმების, მოწონების, შეკითხვის, მადლიერების, თხოვნის, შერცხვენის, დაბნეულობის გამომხატველი და სხვ.), მ. შ. ჟესტ-მიმიკური კომპლექსები, რ-ებიც დადებითს და უარყოფით შეფასებას, არცოდნას, დავიწყებას, აღფრთოვანებასა და სხვ. გადმოსცემენ. მაგ., შეკითხვის კომპლექსური გამოხატვა შეიძლება ხდებოდეს აწეული წარბებით, ცხვირისკენ წამოწეული ტუჩებითა და ერთდროულად თავის პორიზონტალური რხევით.

პარალინგვიზმები ლექსიკურად არის ასახული ყველა ენაში. მათი სიტყვიერი აღწერა ფრაზეოლოგიური ფონდის უდიდეს ნაწილს შეადგენს. კერძოდ, კინემათა ვერბალური ეკვივალენტების (სომატონიმების) მონაწილეობით ფრაზეოლოგიური გამოთქმების შექმნა ერთ-ერთი ლინგვისტური უნივერსალიაა.

პარალინგვისტიკური კვლევის შედეგების გამოყენება ხდება პრაგმალინგვისტიკაში, ფსიქოლინგვისტიკაში, სოციოლინგვისტიკაში, ეთნოლინგვისტიკასა და დისკურსის თეორიაში, აგრეთვე, მხატვრული ტექსტის გაღრმავებული ანალიზის დროს პერსონაჟთა ხასიათის წვდომისას. თავის მხრივ, მხატვრ. ტექსტი, როგორც პარალინგვისტურ მოვლენათა სუბსტიტუტი, მათი შესწავლის მდიდარი წყაროა.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერება როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», II, თბ., 1967; რამიშვილი გ., ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თვალსაზრისით, თბ., 1996; ლებანიძე გ., ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბ., 1998; ომიაძე თ., პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში. საკანდ. დის. ავტორეფ., თბ., 1998; გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003; ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. სადოქტ. დის. ავტორეფ. თბ., 2006; Хойер Г., Антропологическая лингвистика. – «Новое в лингвистике», вып. IV, М., 1965; Лурия А. Р., Основные проблемы нейролингвистики, М., 1975; Белл Р.

Т., Социолингвистика. Цели, методы и проблемы, М., 1980; Роль человеческого фактора в языке, М., 1988; «Новое в Зарубежной Лингвистике», вып. XXIII: Когнитивные аспекты языка, М., 1988; Ван Дейк Т. А., Язык, познание, коммуникация, М. 1989; «Новое в Зарубежной Лингвистике». вып. XXIV: Компьютерная лингвистика, М., 1989; Сепир Э., Избранные труды по языкознанию и культурологии, М., 1993; Звягинцев В. А., мысли о лингвистике, М., 1996; Этнокультурная специфика языкового сознания, М., 1996; Вежбицкая А., язык, культура, познание, М., 1996; Фуко М., Археология знания, Киев, 1996; Воробьев В. В., Лингвокультурология. Теория и методы, М., 1997; Моррис Ч. У., Основная теория знаков//Семиотика: Антология, М., 2001; Якобсон Р., В поисках сущности языка// Семиотика: Антология. М., 2001. с. 111-129; Красных В. В., Этнопсихолингвистика и лингвокультурология. М., 2002; Ажеж К., Человек говорящий, М., 2003; Лотман Ю. М., Семиосфера. СПб., 2004; Сильверстейн М., Уорфианство и лингвистическое воображение нации. – «Логос», 2005, №4, с. 71–115; Trager G., Paralinguage: a First approximation. – «Studies in Linguistics», v. 13. 1958; Jakobson R., Boas' View of Grammatical Meaning. – «American Anthropologist», 1959, 61; Birdwhistell R. L., Paralanguage.Twent live years after Sapir. – «Communication in face-to-face interaction». 1972; Fillmore Ch., Pragmatics and the description of Discoups. – «Berkeley studies in syntax and semantics», v. 1, Berk.(Calif.), 1974; Labov W., Sociolinguistic patterns, Phil., 1974; Hymes D., Foundations in sociolinguistics. An ethnographic approach. phil., 1974; Holliday M. A. K., Language as a social semioticsthe social interpretation of Language and meaning, Balt., 1978; Ethnolinguistics: Boas, Sapir and Worf revised, The Hague, 1979; Kramsch C., Language and Culture, Oxford, 1998; Fild T., Psycholinguistics. Ln., 2003.

გ. კვარაცხელია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი არნ. ჩიქობავას სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. დაარსდა 1936 აკად. ნ. მარის სახ. *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის* (ენიმკი) ბაზაზე. 1941-იდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, „ენიმკის" გაყოფის შემდეგ ჩამოყალიბდა „აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი", რ-საც 1950-იდან ეწოდება ე. წ. 1988 მიენიჭა არნ. ჩიქობავას სახელი. ინ-ტის დირექტორები იყვნენ: ვ. თოფურია (1943–49), გ. ახვლედიანი (1949–50), არნ. ჩიქობავა (1950–52), ი. გიგინეიშვილი (1952–53), ქ. ლომთათიძე (1953–63, 1975–87), ვ. ფანჩვიძე (1963–75), ბ. ჯორბენაძე (1987–93), გ. კვარაცხელია (1993–2006). 2006-იდან ინ-ტი გახდა საჯარო სამართლის იურიდ. პირი).

ინ-ტის ძირითადი მიმართულებაა ქართ. ენის შესწავლა როგორც ნორმატიული, ისე ისტ. თვალსაზრისით, სხვა ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) და მთის იბერიულ-კავკ. (აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) ენების – მათი ფონეტიკის, გრამატ. სტრუქტურის, სინტაქსის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის საკითხების კვლევა სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში, აგრეთვე ტიპოლოგიური თვალთახედვით ამ ენათა სხვა ჯგუფის ენებთან კონტაქტები და ამ თვალსაზრისით თანამედროვე ზოგადი ენათმეცნ. ძირითადი პრობლემატიკა. ინ-ტის სტრუქტურული ერთეულებია: ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური ენების, მეტყველების კულტურის, ლექსიკოლოგიის, სამეცნ. ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების, მთის იბერიულ-კავკ. ენების, უნობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავებისა და სამეცნ. ინფორმაციის გაც-ბები. 2006-მდე მუშაობდა ექსპერიმენტ. ფონეტიკის, ისტ.-ეტიმოლოგიური ლექსიკონის, ონომასტიკის პრობლემური კვლევის, ქართველურ ენათა დიალექტოლოგიური ატლასის, ზოგადი ენათმეცნ. განყ-ბასთან არსებული კომპიუტერული ლინგვისტიკის, ქართველურ ენათა (ზუგდიდის) ლაბორატორიები და ენციკლოპედიისა და ინფორმაციის ჯგუფი.

ინ-ტის ძირითადი სამეცნ. ორგანოა *«იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება»* (დაარსდა 1946); აგრეთვე: «ქართველურ ენათა სტრუქტურების საკითხები», «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», «ეტიმოლოგიური ძიებანი», «ქართველოლოგიური კრებული», «დიალექტოლოგიური კრებული», «თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები». ინ-ტის ბაზაზე საქართვ. მეცნ. აკადემია გამოსცემდა საკავშ. ორგანოს «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულს» (დაარსდა 1974, ბოლო ტ. – 2003). 1950–64 ინ-ტმა გამოსცა რეატომეული «ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი» (1971 ინ-ტს მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია); ინ-ტის მიერ გამოცემულია რამდენიმე ასეული მონოგრაფია, კრებული, სხვადასხვა სახის ლექსიკონები.

ინ-ტს მუდმივი სამეცნ. კონტაქტები აქვს უცხოეთის სხვადასხვა სამეცნ. ცენტრებთან.

ინ-ტის თაოსნობით 1965-იდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნ. ცენტრებში ტარდებოდა რეგიონალური სამეცნ. სესიები, რ-ებიც ეძღვნებოდა იბერიულ-კავკ. ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებს. ჩატარებულია 13 ასეთი სესია. სხვადასხვა წლებში სესიას მასპინძლობდა თბილისი, მაჰაჩყალა, ნალჩიკი, მაიკოპი, ჩერკესკი, გროზნო, ელადი-კავკაზი, სოხუმი; საორგანიზაციო კომიტეტის თაოჯდომარე ქ. ლომთათიძე. 1991 მოეწყო კავკასიოლოგთა I საერთაშ. სიმპოზიუმი. 1998 გაიმართა საერთაშ. სიმპოზიუმი, რ-იც მიეძღვნა არნ. ჩიქობავას იუბილეს. ინ-ტი ყოველწლიურად ატარებს ორ საინტერესო სამეცნ. სესიას, რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სესიასა და კონფერენციას „ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები". მოხსენებები იბეჭდება „მასალების" სახით.

ე. ი-ში სხვადასხვა პერიოდში მუშაობდნენ ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. ჯანაშია, გ. წერეთელი, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, თ. შარაძენიძე, ი. გიგინეიშვილი, ტ. გუდავა, მ. ქალდანი და სხვ.

ლიტ.: ლომთათიძე ქ., ენათმეცნიერების ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1977, №3; საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია (1936–1972). – «იკე», XIX, თბ., 1974; «იკე», XXX, თბ., 1991.

გ. თოფურია.

ენის გრძნობა (გერმ. Sprachgefühl), მშობლიური (ან უცხო) ენის კარგი მცოდნის ინტუიციური რე-

აქცია გამონათქვამის ამა თუ იმ ფორმის მიმართ, რ-იც სწორი მეტყველების შეფასების კრიტერიუმია. ამაზე გრძნობის საფუძველზე ქმნის ენის მატარებელი ახალ, ენობრივად სწორ ფორმებსაც. ეს ალღო განსაკუთრებით გამახვილებული აქვთ მწერლებს, პოეტებს, ძირითადად სწორედ ისინი ქმნიან ახ. ენობრივ ფორმებს. ზოგი მკვლევარი ენობრივ ალღოს, როგორც ობიექტურად არსებულ რეალობას, მიიჩნევს ენის შესწავლის საკრდენად (ი. ა. ბოდუენ დე კურტენე) და საჭიროდ თვლის მის შემოტანას ენის ანალიზში (ლ. იელმსლევი). *ლ. ერუქიძე.*

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი) აკად. ნ. მარის სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. დაარსდა 1936, როგორც სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის კომპლექსური ინსტიტუტი ამავე ფილიალის ე. წ. „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის“ ბაზაზე. თავდაპირველად ინ-ტის შემადგენლობაში შედიოდა ქართველურ, კავკასიურ, მახლობელი აღმოსავლეთის ენათა, ლექსიკოლოგიის, ტერმინოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყ-ბები, ფონეტიკის კაბინეტი, ნ. მარის კაბინეტი.

1941 წლის 1 მარტიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, ენიმკი გაიყო — აკად. ნ. მარის სახ. ენის ინ-ტად და ისტორიის ინ-ტად, მაგრამ მათ ერთხანს შერჩათ ერთიანი ხელმძღვანელობა: სამეცნ. საბჭო — 1944-მდე, დირექცია — 1943 წლის 1 მარტამდე. ინ-ტს ჰქონდა თავისი ორგანო — «ენიმკის მოამბე». 1937—44 გამოვიდა სულ 14 ტომი. ღღიდან დაარსებისა ბოლომდე მას ხელმძღვანელობდა აკად. ს. ჯანაშია.

ლიტ.: ჯ ა ნ ა შ ი ა ს., მოკლე ანგარიში ენიმკის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936—1944 წწ. — «ენიმკის შრომები», 1944, ტ. 14.

გ. თოფურია.

ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტი (ელხი), სახელმწიფოებრივი მასშტაბის პირველი ქართული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რ-იც მოიცავდა ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა სფეროს.

ინ-ტის სამუშაო პროგრამით ელხი წარმართავდა ქართ. სალიტ. ენის უნიფიკაციის (სადავო საკითხების მოგვარების, ერთიანი ნორმების შემუშავებისა და დანერგვის) საქმეს; წყვეტდა ზოგიერთი მეტად რთული ტერმინის საკითხს; საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის, სინონიმთა ლექსიკონის, დამჩამარე საშუალებათა დამუშავებას, რაც ხელს უწყობდა ერთიანი სალიტ. ენის ნორმების დადგენასა და დახვეწას. ინ-ტი დაარსდა 1933 წ. 10 ივნისს თსუ-ის მაშინდელი რექტორის ლ. აღნიაშვილის (1897—1937) ხელშეწყობით. სამუშაო წესდების შედგენა მიენდო ფილოლ. ფაკ-ტის დეკანს ს. ხუნდაძეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ელხის დირექტორად დაინიშნა ა. ჭყონია (1898—1937), სწავლულ მდივნად — ე. თოფურია. დაარსდა ინ-ტის ყოველწლიური ორგანო «ლიტერატურული მემკვიდრეობა» (რედ. გ. ლეონიძე), გამოვიდა ერთადერთი ნომერი (1935). პირველი სამეცნ. მოხსენება წაიკითხა ა. ბარამიძემ 1933 წლის 5 ნოემბერს.

1933 წლის 17 ნოემბერს გაზ. «კომუნისტში» გამოქვეყნდა მასალა ა. ჭყონიას ხელმოწერით: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა მოსაგვარებელი საკითხი.

1934 შექმნილი ნორმათა კომისია საკითხს დოკუმენტურ-მეცნიერულად შეისწავლიდა ელხში, რ-იც დამუშავებულ საკითხს გადასცემდა ცენტრ. სატერმინოლოგიო კომისიას. რამდენადაც ინ-ტში ფაქტობრივად მხოლოდ ორი სექცია (ენისა და ლიტ-რის) მოქმედებდა, 1934 წლის 20 აგვისტოს მოხდა ელხის რეორგანიზაცია და ეწოდა „რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, 1936 ენის განყ-ბა გადავიდა *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში* („ენიმკი“).

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ალ., ჩვენი ცხოვრების ლამპარი. — გაზ. «კომუნისტი», 1988, 13 ოქტ. *ლ. ლეჟავა.*

ენისმიერი თანხმოვნები, თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისას ენის ესა თუ ის ნაწილი მონაწილეობს ამ ბგერებისათვის საჭირო ხშვის, ნაპრალისა და პაერნაკადის მიმართულების შემცველი დაბრკოლების შექმნაში. იმის მიხედვით, თუ ენის რომელი ნაწილი ასრულებს აქტიურად ბგერისათვის საჭირო მოძრაობას, ჩვეულებრივ, განირჩევა წ ი ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი, შ უ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი და უ კ ა ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი თანხმოვნები.

ქართულში წინაენისმიერი თანხმოვნებია დ-თ-ტ (იხ. *დენტალური თანხმოვნები*), ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ, ზ-ს, ჟ-შ (იხ. *ალვეოლარული თანხმოვნები*), ნ, რ, ლ (იხ. *სონორები*). უკანაენისმიერი თანხმოვნებია გ-ქ-კ, ღ-ხ-ყ (იხ. *ველარული თანხმოვნები*). რაც შეეხება შუაენისმიერ თანხმოვნებს, სალიტ. ქართულის საწარმოთქმო ნორმების მკაცრად დაცვის შემთხვევაში ისინი არ გვხვდებიან, თავისუფალ მეტყველებაში კი ხშირია ხმოვანი ი-ს გადაქცევა შუაენისმიერ თანხმოვან დ-დ: დარუსი, დურისტი, დორღა...

ცალკე გამოიყოფა ენისძირისმიერი თანხმოვნები, რ-ებიც იწარმოებიან ენის ძირის მიბჯენით ან მიახლოებით ხახის უკანა კედელთან. თუმცა შესაძლებელია ამ ბგერის სხვა ვარიანტიც — უკანა ენის მიახლოებით რბილ სასასთან ნაქის არეში (იხ. *ფარინგალური თანხმოვნები*). *ზ. ჯაფარიძე.*

ენკლიტიკა (ბერძნ. enklitikē < enklino — ვიხრები), უმახვილო სიტყვა, რ-იც შესიტყვებაში ეკვდლება წინამავალ მახვილიან სიტყვას. ასეთია ქართულში ცალკე მდგომი თანდებულები, ნაწილაკები, კავშირები, ზოგი ნაცვალსახელი.

ე. ისევე ბუნებრივია ქართ. მეტყველებისათვის, როგორც მისი საპირისპირო შემთხვევა — *პროკლიტიკა*. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სალიტ. ენის ისტორიისა და დიალექტების მონაცემებს, ცხადი ხდება ენკლიტიკური პროცესის უპირატესობა. ამ ვარაუდს რამდენიმე მომენტი უჭერს მხარს: ა) ქართ. ენის სიტყვათმახვილის ბუნება (მდებარეობა), რ-იც სიტყვის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა; ბ) ზმნის ანალიზურ ფორმებსა და შედგენილ შემასმენელში მეშვეული ზმნის შერწყმის ტენდენცია; გ) თანდებულების სახელებთან შერწყმის ისტორიულად თვალსაჩი-

ნო პროცესი; დ) ზოგი კავშირისა და ნაწილაკის ენკლიტიკური მიერთება წინამავალ სიტყვასთან (მაგ., მესხური – ღვდელი მოვიყვანო-ნა < მოვიყვანო-უნდა და მისთ.). გასათვალისწინებელია აგრეთვე სხვა ფაქტორებიც – სინტაქსური წყობის მოთხოვნები, სინტაგმატური კავშირები, სიტყვათა სემანტიკური „მიზიდულობა“, რ-ებიც რიგ შემთხვევებში განაპირობებენ პროსოდიული სურათის არაერთგვაროვნებას.

ფრაზის რიტმიკული სეგმენტაციის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა და კავშირის ქცევა იმ პოზიციებში, სადაც ე-ისა და პროკლიტიკისათვის თანაბარი გარემოა შექმნილი, მაგ., ეროგეარ-წევრებიან წინადადებებში „პაპა და ბებია დღეს სოფელში წაიდნენ“ და „ბებია და პაპა დღეს სოფელში წაიდნენ“. პირველ წინადადებაში ინტონაციურად სიტყვათა კავშირი „პაპა და“ ენკლიტიკური მონაკეთია და მარცვალთა რაოდენობით, ჩვეულებრისამებრ, არ აღემატება მომდევნო მონაკეთს „ბებია“ და „პაპა“ არაბუნებრივია იმის გამო, რომ ე-ის შემთხვევაში „ბებია და“ პირველი მონაკეთი მეტია მომდევნოზე. აღწერილი ვითარება შეინიშნება კომპოზიტების სტრუქტურაში, პოეტურ მეტყველებაში და ა. შ.

ლიტ.: არაბული ა., ენკლიტიკის ბუნებისათვის ქართულში. – კრ.: «ფარლამ თოფურია – 100», თბ., 2001.

ა. არაბული.

ენობრივი კლიშე (ფრანგ. cliché – სტანდარტული რელიეფური გამოსახულება სერიული ანაბეჭდების მისაღებად), ენათმეცნიერული სამეტყველო სტერეოტიპი, სიტყვა ან მწამწარეული მყარი გამონათქვამი, რ-იც წარმოიქმნება სპეციალური (დარგობრივი) ენების სტანდარტიზაციის მოთხოვნით და აქტიურ როლს ასრულებს ერთი ან რამდენიმე ფუნქციური სტილის ფარგლებში.

კლიშედ შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი მოარული ენობრივი ფორმულა, დაწყებული ერთი სიტყვით და დამთავრებული ფრაზით, რ-საც შესაბამისი (სპეციალური) ტექსტის აგებაში საკვანძო კონსტრუქციული (სტილისტიკური) ფუნქცია ეკისრება. ამგვარ ერთეულებს ზოგჯერ გარკვეული ეპოქის იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ბეჭედიც ასაზ და შესაბამისი ვითარების ცვლილებასთან ერთად თმობს ასპარეზს. მაგ., თუ წინა სოც. წყობის პირობებში ერთგვარი კლიშეს ფუნქცია შეიძინა სიტყვამ ფორუმი (აგორარიკოსთა ფორუმი, მწველაეთა ფორუმი და მისთ.), დღეს ამგვარი მნიშვნელობა შეიძინა სიტყვამ სამიტი, რმაც თანამედროვე მასმედიაში თითქმის მთლიანად შეცვალა სიტყვა შეხვედრა სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე. ასეთივე გავრცელებისაა გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვის შესიტყვებები: ხალხის ნება, მოქალაქეობრივი შეგნება, პოლიტიკური შოუ, ხაერდოვანი გადატრიალება და მრ. სხვ.

კლიშეს მოელენა უპირველესად საინტერესოა როგორც კონსტრუქციული ელემენტი გარკვ. სპეციალური ენის (ენების) ჩამოყალიბების პროცესში. ამგვარ ენებში რაციონალური და მშრალი საკომუნიკაციო ამოცანების გადასაწყვეტად დიდი ადგილი უკავია მსა ფორმულებს, სტერეოტიპულ ფრაზებს. ასე მკვიდრდება ოფიციალურ-საქმიან, სამეცნ. თუ საინფორმაციო ენაში გამონათქვამები, რ-ებიც რეგულარული გამოყენების გამო ერთგვარი საველდებულო ფორმულების სახეს იღებს, მაგ., საკითხის დასმა, კვლევის მიმართულება, მეთოდოლოგიური საფუძველი, პოზიციის დაფიქსირება, განუხრელი ზრდა და მრ. სხვ. აქვე უნდა დასახელდეს ისეთი სტანდარტული განკერძოებული გამოთქმები, რ-ებიც თავისებურ, ოფიციალურ სტილისტიკურ ელფერს სძენენ შესაბამის სპეციალურ ენებს: ჩვეულებისამებრ, ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, ჩვენი აზრით, სა'სოგადოდ, კერძოდ, ამგვარად, ე. ი., ე. წ. და მისთ.

ე. ა-ები არცთუ იშვიათად უცხოენოვანი კალკებია, არაბუნებრივი სტრუქტურული ერთეულები (დარტყმა მიაყენა, წარმოებს დამზადება და მისთ.). ამგვარი სტერეოტიპული ერთეულები, სხვადასხვა სტილის აქტიური ფუნქციონირების პირობებში, ბუნებრივად აღწევენ ჩვეულებრივ მეტყველებაში, სალიტ. ენაში, სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც კი და ამით დამატებით პრობლემას ქმნიან სალიტ. ენის სიწმინდისა და ბუნებრიობის დაცვის თვალსაზრისით.

ა. არაბული.

ენობრივი კონტაქტები (ლათ. contactus – შეხება), ორი ან მეტი ენის ურთიერთქმედება, რაც გავლენას ახდენს ერთ-ერთი ან რამდენიმე მათგანის სტრუქტურასა და ლექსიკაზე. ე. კ. სოციოლინგვისტური ტერმინია და ამა თუ იმ სახელმწიფოს (ან ეროვნების) ენის სხვა ენასთან კავშირს გულისხმობს. ე. კ-ის მიზეზები განსხვავებულია. ენათა შეხვედრები შეიძლება ემყარებოდეს ენობრივი და ეთნიკური ჯგუფების ინტენსიურ სამეურნეო,კულტ.-საგანმან., სავაჭრო, სამხ.-პოლიტ. თუ სხვა სახის ურთიერთობებს. ზოგჯერ ე. კ-ის საფუძველია მათი საერთო წარმოშობა, ზიარი სტატუსი, ფუნქციათა შეთავსება, სა'ს. ერთობაში ცალკეულ პირთა განსხვავებული ენობრივი კუთვნილება, კომპეტენცია და ა. შ.

ე. კ-ის პრაგმატული გამოყენებითი სფეროებია: მასმედია, საქმის წარმოება, პოლიტიკა და დიპლომატია, სამართლებრივი სფერო, პუბლიცისტიკა, მეცნიერება, მხატვრული ლიტ-რა და სასაუბრო სიტუაციები. კონტაქტების ინტენსიობა განსაზღვრავს ინტერფერენციის ხარისხსა და ოდენობას. თუმცა სალიტ. ენის ტრადიციებსა და ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის დონეს შეუძლია დაიცვას ენა ჭარბი ინტერფერენციისაგან: კონტაქტების დროს სტანდარტიზებული ენები მეტ-ნაკლებად აკონტროლებენ *კალკებსა* და უმართებულო სესხების პროცესებს.

ე. კ-ის რეალიზაციის სფეროები სხვადასხვაა: 1. საერთო სახელმწიფოებრივი ურთიერთობის სფერო – მაგ., *სალიტერატურო ენა*, რიც სახელმწიფოს შიგნით ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენაა (ინგლისური ენა აშშ-ში); 2. რეგიონალური ურთიერთობის სფერო – ზოგადდიალექტური *კოინე* ერთეროვნულ სახელმწიფოში; 3. ადგილობრივი ურთიერთობის ენა – დამწერლობის არმქონე დიალექტი და დიალექტი წერილობითი ფიქსაციით, ან ეროვნული უმცირესობის ენა მრავალეროვან სახელმწიფოში (გერმ. ან ნორვ. ენები აშშ-ში; ბერბერული

ენა ალჟირში; პამირული ენები ტაჯიკეთში და სხვ.); 4. წარმოების სფერო, რ-საც ემსახურება პროფესიული ენობრივი წარმონაქმნი (ლათ. ენა, როგორც მეცნიერების ენა); 5. საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობის სფერო – დიალექტები, ქალაქური მდაბიური ენა, ეთნოლინგვისტურ ერთობათა ენა (უელსური ინგლისში, ბრეტონული საფრანგეთში და სხვ.); 6. რიტუალური ერთობის ენა – სალიტ. ეროვნული ენა (ინგლისური, ფრანგული...), ძვ. წერილობითი ენა (ძვ. სლაური), უცხო ენა (მკვდარი ან ცოცხალი ენები).

Ე. ძ-ის ცნებას უკავშირდება მოცემული ენობრივი სისტემის მიმართ მასთან კონტაქტში მყოფი ენისა თუ ენობრივი ვარიანტის სტრატული ადგილის (როლის) განსაზღვრაც. ამ საკითხთან დაკავშირებით განიხილება ენობრივი *ადსტრატის, სუბსტრატისა* და *სუპერსტრატის* ცნებები.

განსაკუთრებით მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა ქართულის Ე. ძ. (ზეპირი მეტყველების ან წერილობითი ტექსტების მეშვეობით) მეზობელ თუ უშუალოდ საქართვ. ტერიტორიაზეც გავრცელებულ ინდოევრ., სემიტურ და სხვ. ჯგუფის ენებთან (იხ. *საქართველოში გავრცელებული ენები*). ამ კონტაქტთა კვალის შესწავლა აუცილებელი ჩანს როგორც საკუთრივ ქართულის (ქართველურის), ისე ზოგადენათმეცნ. (სესხების კანონზომიერებათა) კვლევის თვალსაზრისითაც (იხ. *ენობრივი კონტაქტების ტიპოლოგია*).

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე გ., ზოგიერთ ძველაღმოსავლურ ენასთან ქართველური ენების კონტაქტების საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. – «ენათმეცნიერების საკითხები», 1999, №3; Ш в е й ц е р А.Д., Н и к о л ь с к и й Л. Б., Введение в социолингвистику, М., 1978; W e i n r e i c h U., Languages in Contact: Findings and Problems (Publications of the Linguistic Circle of New York, I (1953), reprinted 1968, The Hague; Mothertongue and Fatherland. Language and politics in German, Manchester and New York, 1992; Sociolinguistica: International Yearbook of European Sociolinguistics, 7. ed. by Ulrich Ammon, Klaus J. Mattheir, Peter H. Nelde, Tübingen, 1993; D i x o n R. M., The Rise and Fall of Languages, Cambridge, 1997; Fasold R., The Sociolinguistics of Society, Oxford, 1998; F i n c h G., Linguistic Terms and Concepts, London, 2000.

მ. ტაბიძე.

ენობრივი კონტაქტების ტიპოლოგია, ენათა შორის შესაძლებელი კონტაქტების დაჯგუფება ურთიერთგაელენათა ხასიათის მიხედვით. ლინგვისტიკაში შემოთავაზებული კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლებელი ჩანს ენობრივ ურთიერთგაელენათა დაჯგუფება მათი მიმართულებისა ან/და ინტენსივობის ხარისხის საფუძველზე.

მიმართულების მიხედვით განსხვავებულია ცალმხრივი და საურთიერთო გაელენები. ცალმხრივია გაელენა, როდესაც სხვისა მხოლოდ ერთი ენის ზემოქმედება მეორეს. ასეთი გაელენა ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს ენებში და, ჩვეულებრივ, რეალიზდება ლექსიკის სფეროში. გამოწვეულია როგორც უცხო ენებიდან ლიტერატურული თუ კულტურული სესხებით, ისე მათთან უშუალო კონტაქტების შედეგად (იხ. *ნასესხობა, საქართველოში გავრცელებული ენები*). გამორიცხული არ არის, რომ უცხოენობრივი ზემოქმედება მეტნაკლებად ენის სხვა დონეებზეც აისახოს (იხ. *სუბსტრატი, სუპერსტრატი*). საურთიერთო გაელენა გულისხმობს კონტაქტში მყოფ ენათა დამახასიათებელი ნიშნების ურთიერთშეღწევას. ამ შემთხვევაშიც გაელენის სფეროდ მეტწილად რჩება ლექსიკა, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგ., ფრანგულსა და ინგლისურს შორის (თითოეულ ამ ენაში მრავლად არის მეორე ენიდან შემოსული სიტყვები). შესაძლებელია ურთიერთსემოქმედება გამოვლინდეს ენის სხვა დონეებზედაც (იხ. *ადსტრატი*).

უფრო ინტენსიური ენობრივი კონტაქტების დროს, როდესაც ადგილი აქვს ენათა ურთიერთგაელენებს მთელ სისტემაში, იქმნება *ენათა კავშირი*. ენათა ურთიერთგაელენების უკიდურეს ფორმებად მიჩნეულია პიჯინიზაციისა და კრეოლიზაციის პროცესები.

პიჯინიზაცია გულისხმობს ენათა ურთიერთგაელენას, რ-ის შედეგად იქმნება ახალი, მათზე მოლაპარაკეთათვის არამშობლიური, ენა – პ ი ჯ ი ნ ი (დამახინჯებული ინგლ. business „საქმე"). პიჯინი, როგორც ბუნებრივი საკომუნიკაციო საშუალება, კონტაქტური ენა, წარმოიქმნება და გამოიყენება შეზღუდულ პირობებში. გეხედება, ჩვეულებრივ, ეკონომიკური განვითარების არეებში (სამხრ.-აღმ. აზია, აფრიკა, ამერიკა...), როდესაც საქმიან ადგილებში (პლანტაციები, ფაქტორიები, ვაჭრობის ცენტრები, ნავსადგურები...) თავს იყრიან სხვადასხვა, ერთმანეთისათვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები. ასეთ დროს რომელიმე (ყოველი მოცემული შემთხვევისათვის კომუნიკაციის თვალსაზრისით უფრო შესაფერისი) ენა ხდება ამოსავალი, რ-ის ბაზაზე იქმნება ახალი, ქვეყლასათვის გასაგები ენა – პიჯინი. ცნობილია ინგლ., ფრანგ., ესპანურ, პორტუგალიურ ენათა ბაზაზე შექმნილი პიჯინები. გენეტიურად პიჯინი ამოსავალი ენის გაგრძელებაა, მაგრამ სტრუქტურულად უკვე განსხვავებულია მისგან, მისი დამოუკიდებელი ვარიანტია. პიჯინები ხასიათდებიან შეზღუდული ლექსიკონით (უკიდურესად ღარიბი ლექსიკური მარაგი, ერთმნიშვნელობიანი სიტყვები...) და ძალზე გამარტივებული გრამატიკით (თითქმის მთლიანად მოშლილი ფლექსია, გამარტივებული სინტაქსური ურთიერთობები...); რთული ტონური სისტემები იცვლება დინამიკური მახვილის მარტივი სისტემებით და ა. შ.

პიჯინებისაგან განსხვავებულია ე. წ. პ ი ჯ ი ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ენები, პიჯინიზაციის გარეშე ჩამოყალიბებული კონტაქტური ენები. ისინი წარმოიქმნებიან ავტოქტონურ ენათა ურთიერთგაელენის შედეგად, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურის მქონე ახალი ენები, არამედ როგორც ამოსავალი ენების გაგრძელება გარკვეული ცვლილებებით.

ზოგჯერ პიჯინებად განიხილებიან ასევე შეზღუდული მოხმარების ენები – ს ა ბ ი ე რ ე ბ ი (ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში გამოყენებული კონტაქტური ენები, მიღებული რომანული ენების შერევით ბერძნულთან, თურქულთან,

არაბულთან). სოციოლინგვისტიკაში არის ცდები მათი განსხვავებისა: საკუთრივ პიჯინებად უფრო მიჩნეულია გამოყენების თვალსაზრისით ნაკლებ-სპეციალიზებული ენები.

ზოგჯერ სპეციფიკურ პირობებში პიჯინი, ფუნქციონირების სფეროს გაფართოების შედეგად, შეიძლება გადაიქცეს გარკვეული ეთნიკური გაერთიანების ერთადერთ ენად და შეიძინოს მშობლიური ენის სტატუსი. ასეთ პიჯინს უწოდებენ კრეოლურ ენას, ხოლო ასეთ ენად გადაქცევის პროცესს – კრეოლიზაციას. კრეოლური ენები გავრცელებულია იამაიკაზე, ჰაიტიზე, დომინიკის რესპუბლიკაში და მსოფლიოს მრავალ ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში.

ეთნოსურ ენად გადაქცევისთანავე კრეოლურ ენაში იწყება სტრუქტურული და სემანტიკურ-სტილისტური მოდელების გართულება, რის შედეგადაც ფორმობრივად და ფუნქციურად იგი თანდათან უახლოვდება ჩვეულებრივ ენებს. თუ კრეოლურ ენაზე გავრცელდება სალიტ. ენის გაელენა, იწყება დეკრეოლიზაციის პროცესი.

კრეოლური ენების გვერდით არსებობენ აგრეთვე კრეოლიზებული ენები. ისინი წარმოიქმნებიან როგორც კონტაქტური ენები, მაგრამ არა პიჯინების კრეოლიზაციის გზით, არამედ ავტოქტონურ ენათა ურთიერთგაელენებით. ასეთია, მაგ., კონგოს სამხრეთ-დასაელეთში გავრცელებული ენა კიტუბუ, შექმნილი კიკონგის ბაზაზე. როგორც კი ამ ენამ მიიღო მშობლიური ენის სტატუსი, მაშინვე დაიწყო მისი ლექსიკისა და გრამატ. სტრუქტურის გართულება და, ამდენად, კრეოლიზებული ენიდან „ნორმალურ“ ენად გადაქცევის პროცესიც.

ლიტ.: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003; Найда Ю. А., Племенные и торговые языки. – «Новое в лингвистике», вып. VI, М., 1972; Тейлор Т., «Функция-форма» в «нетрадиционных языках», იქვე; Щерба Л. В., О понятии смешения языков. – Щерба Л. В., Языковая система и речевая деятельность, Л., 1974; Возникновение и функционирование контактных языков, М., 1987; Виноградов В. А., Пиджины. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990; Дьячков М. В., Креольские языки, იქვე; Сепир Э., Как языки влияют на друг друга. – Сепир Э., Избранные труды по языкознанию и культурологии, пер. с англ., М., 1993; Crystal D., A Dictionary of Linguistics and Phonetics, Third ed., Oxford, 1992.

ი. ქობალაძე.

ენობრივი მსოფლხედვა (გერმ. Sprachliche Weltansicht), ფილოსოფიურ-ენათმეცნიერული ცნება, რ-მაც გადატრიალება მოახდინა კულტურის (ფართო გაგებით) ისტორიაში. „ე. მ.“, და შესაბამისად „ენობრივი მსოფლხატი“ (Sprachliches Weltbild), ე. ფონ ჰუმბოლდტის, ლ. ვაისგერბერისა და სხ. მოძღვრებაში ეხება ენის შინაარსეულ აგებულებას, სამყაროს ენობრივი მოცემულობის სხვადასხვაგვარ წესს. ენის წინაფორმა, წარმოდგენილი სათანადო ენის სემანტიკურ-გრამატიკული დანაწევრებითა და გამოსახვის კონკრეტულ-ენობრივი საშუალებებით, ენის შემსწავლელ ადამიანს „მნიშვნელობების“ სახით ეძლევა და იგი მას გაუცნობიერებლად ითვისებს. რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ – როგორც მხოლოდ *დედაენა*, ე. ი. გარკვეული ენის – ქართულის, ფრანგულის, ჩინურის... სახით, ამდენად, ე. მ. დედაენისეულია. ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივი გადამუშავების თავისი გზა – საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს. ე. ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ეს ცნება აღმოცენდა სწორედ ენათა შედარების ამოცანებთან დაკავშირებით. ე. ჰუმბოლდტის მიხედვით, ყოველი ენა თავის ყოველ გამოვლინებაში არის „მთლიანი მსოფლხედვა“, ამდენად, ენათა სიმრავლე არის მსოფლხედვათა სიმრავლე და იგია „ყოველგვარი ენის კვლევის საფუძველი და საბოლოო მიზანი“.

თეზისი ე. მ-ის შესახებ, რ-იც დღემდე მრავალი გაუგებრობის წყაროა, წმინდა ემპირიული თვალსაზრისით შეიცავს საკმაოდ მარტივ აზრს: ენათა სხვაობა არ დაიყვანება მხოლოდ ბგერით ფაქტორზე. სიტყვა არ შეიძლება იყოს გარეენობრივი ფაქტის ან მზა ცნების მხოლოდ ბგერითი ანაბეჭდი. სიტყვასა და საგანს შორის ძევს „ენობრივი შინაარსი“ (ლ. ვაისგერბერი), რაც არ არის ტრად. „მნიშვნელობა“. ადამიანსა და სინამდვილეს შორის არის „ენითი (აზრითი) შუასამყარო“, ბგერითი ფორმებით წარმოჩენილი. ადამიანსა და საგანთსამყაროს შორის მოთავსებული ეს „შუაფენა“ მონაწილეობს სინამდვილის აზრებად გარდასახვაში ანუ საკუთრივ ადამიანური სამყაროს აგებაში. იგი არა მხოლოდ მეტყველებითი კომუნიკაციის აუცილებელი საფუძველია, არამედ შეიცავს სამყაროს ადამიანისეული განმარტების ელემენტებსაც. ე. ი. სხვადასხვა ენები საგნის (საგანთსამყაროს) არა მხოლოდ სხვადასხვა ბგერითი აღნიშნაა, არამედ მისი „სხვადასხვაგვარი ხედვა“ (ჰუმბოლდტი). ამდენად, სიტყვა აღნიშნავს არა საგანს „თავისთავად“, არამედ ენობრივად გადამუშავებულ „ვერბალურ საგანს“.

ე. მ-ის ერთი მონაკვეთია ენობრივი „ველი“ ანუ სემანტიკური ველი – მთლიანობის მქონე ნაწევროვანი სტრუქტურა, რიც „დაფენილია“ საგანთსამყაროზე და განეკუთვნება ენობრივ შუასამყაროს. როგორც ტრირ-ვაისგერბერის ცნებითი ანუ პარადიგმატული ველის სახელით ცნობილი სემანტიკური სტრუქტურების, ისე პროცაგის სინტაგმური ველის დადგენა ჩვეულებრივ ხდება ერთი ენის ფარგლებში. ე. მ. უდევს საფუძვლად და მისი დადასტურებაცაა სტრუქტურები, რ-საც ლატენტური სემანტიკური სტრუქტურები შეიძლება ეწოდოს და რ-თა გამოვლინება ხდება ენათა შეპირისპირებით, რაც ცხადყოფს სხვადასხვა ენის მიერ სინამდვილის სტრუქტურირების, აგების სხვადასხვაობასა და თავისებურებას. შედარების გარეშე დედაენასა და სინამდვილეს შორის საზღვარი თითქოს წაშლილია. ამ საზღვრის გაცნობიერება იწყება სხვა ენის შესწავლით, რაც მოასწავებს უკვე ახალი ენობრივი თვალსაზრისის შეძენასა და პერსპექტივის ერთგვარ გაფართოებას საგანთსამყაროს მიმართაც. ეს ნიშნავს, გაცნობიერდეს, რომ დედაენა სამყაროს მოდელირების მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია და

არა ერთადერთი, რასაც სწორედ ენათა შინაარსების მიხედვით შედარება გამოაჩენს. ამასთან, ასეთი შედარება ქმნის პირობებს სემანტიკური ინტერფერენციის (ფსიქოლოგიაში ჟალბი იდენტიფიკაციის სახელით ცნობილი) საფუძვლის გამოსავლენად, ასახსნელად და დასაძლევად, რაც, თავის მხრივ, მეორე ენის უკეთ დაუფლების პირობაა. მაგ.,



ქართულში ზედსართავი „სქელი“ გამოიყენება როგორც სითხის, ისე მყარი ბრტყელი საგნების მიმართ; ზედსართავი „მსხვილი“ გამოიყენება როგორც მრგვალი და ოვალური სხეულების, ასევე სითხის (თუკი მას მრგვალი ფორმა აქვს მიღებული) მიმართ. რუსულში ბრტყელი და სიგრძითი განზომილების მქონე მრგვალი სხეულებისათვის ერთი ზედსართავია გამოყენებული, სიგრძითი განზომილების არმქონე მრგვალი ფორმის სხეულებისათვის – სხვა. სემანტიკური შეუთანხმებლობის ეს სურათი შეიძლება ასე გამოისახოს:

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ მსოფლხედვასა და მსოფლმხედველობას (მეცნიერულს თუ იდეოლოგიურს). ენობრივი მსოფლხატი არის ისტორიულად აკუმულირებული ენობრივი ცოდნა, ენობრივი სოციუმის არაცნობიერი თეორ. პოზიცია სინამდვილის მიმართ და სხვაობს ენათა მიხედვით. ამისგან განსხვავებით, სამყაროს მეცნიერული სურათი იგება ასტრონომიული, ბიოლოგიური ან სხვა სახის კავშირთა ცნობიერი გააზრებით, ხოლო მსოფლმხედველობა (იდეოლოგია) არის პიროვნული გადაწყვეტა იმისა, რასაც სამყაროს კავშირთა იდეოლოგიური ხედვა ჰქვია და უფრო ადამიანის პოზიციის შეფასებაა რელიგ., ფილოს. და პოლიტ. თვალსაზრისით.

უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა პუმანიტარულ მეცნიერებასა და საკუთრივ ფილოსოფიაში ტერმ. „მსოფლხედვის“ გამოყენებაში ხედავენ პიპერფუნქციონალიზმის ანუ ენის მიერ აზროვნების დეტერმინაციის საფრთხეს. აქვე განიხილავენ ე. წ. „ლინგვისტურ რელატივიზმს“, რ-იც მწვავე პოლემიკის საგნად იქცა, განსაკუთრებით სეპირ-უორფის „ლინგვისტური ფარდობითობის“ ჰიპოთეზის გამოჩენის შემდეგ. ამ კონტექსტში ახსენებენ ე. ჰუმბოლდტსაც მისი შეხედულებების არაადეკვატური ინტერპრეტაციის საფუძველზე. ე. მ-ის ჰუმბოლდტისული იდეა, ენათა სემანტიკის სტრუქტურულ თავისებურებასა და მათ ისტ. უნიკალობაზე, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც „ენობრივი დეტერმინიზმი“: ბუნებრივი ენა არ არის მნიშვნელობათა დახშული სისტემა, რ-იც გამორიცხავს ყოველგვარ სხვა „ხედვას“ და კეტავს გაგებინების პორიზონტს. იგი ღია სისტემაა, რ-იც ჩართულია სხვა ენებთან გაცვლის დინამიურ პროცესში.

ლიტ.: რამიშვილი გ., ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბ., 1978; მისივე, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბ., 1995; Humboldt W. von, Gesammelte Schriften, Bd. 3–4, 6–7, Heidelberg, 1951; Weisgerber L., Das Gesetz der Sprache, Heidelberg, 1951; მისივე, Grundzüge der inhaltsbezogenen Grammatik, Düsseldorf, 1962; Gippert H., Gibt es ein sprachliches Relativitätsprinzip? Untersuchungen zur Sapir–Worf Hypothese, Frankfurt, 1972.

გ. რამიშვილი.

ენობრივი ნიშანი, ბგერათმიმდევრობა (ბგერა), რ-იც მოცემულ ენაში გარკვეულ შინაარსს გამოხატავს. ამ გაგებით (რ-იც ფ.დე სოსიურის ზოგადლინგვისტურ მოძღვრებას უკავშირდება), ე. ნ-ს აქვს ორი მხარე – გამოხატულება და შინაარსი, ანუ სოსიურის ტერმინებით – აღმნიშვნელი (ფრანგ. signifiant) და აღსანიშნი (ფრანგ. signifié). აღმნიშვნელი, როგორც ენის ფაქტი, დაკავშირებულია ბგერით სუბსტანციასთან, გვეცნობება მის ფორმად (სოსიურის მიხედვით – ფსიქიკაში მუდმივად არსებულ ბგერით წარმოდგენად, ბგერით ხატად). აღსანიშნია სინამდვილის ესა თუ ის ფრაგმენტი – საგანი, მოვლენა, მიმართება ..., მაგრამ ნიშნის შემადგენლობაში ისინი წარმოდგენილი არიან ცნებების სახით. სინამდვილის ობიექტს (საგანს, მოვლენას...), რ-იც შეეთანადება ენობრივ აღსანიშნს, ეწოდება დენოტატი (რეფერენტი), ხოლო თვით მიმართებას – რეფერენცია. წარმოდგენილი ურთიერთობების საილუსტრაციოდ ხშირად მიმართავენ ე.წ. სემანტიკურ სამკუთხედს.



ნიშნის შემადგენელი ორი მხარე არსებობს მხოლოდ ურთიერთკავშირის შედეგად: აღმნიშვნელი იმდენად არის ენობრივი აღმნიშვნელი, რამდენადაც ის რაიმეს (აღსანიშნით გადმოცემულს) გამოხატავს, ხოლო აღსანიშნი იმდენად არის ენობრივი აღსანიშნი, რამდენადაც ის ენობრივად გამოხატულია.

კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერია: ბგერათა თანმიმდევრობა, რ-ითაც აღნიშნულია საგანი, არ არის შინაგანი აუცილებლობით დაკავშირებული ამ საგანთან [შდრ. ერთი და იმავე საგნის სახელწოდებები სხვადასხვა ენაში: ქართ. თვალი, რუს. глаз, ინგლ. eye, ფრანგ. œil, გერმ. Auge...; ქართ. ქვეყანა, არაბ. balad(un), რუს. страна, ინგლ. land...; ქართ. ვარსკვლავი, არაბ. kavkab(un), რუს. звезда და ა. შ.]. მაგრამ ნიშნის ნებისმიერობა არ ნიშნავს თავისუფლებას მოლაპარაკეთა მხრიდან მათ გამოყენებაში. ენობრივი კოლექტივის წევრებისათვის ნიშანი არ არის თავისუფალი, იგი იძულებითია, თავს მოხვეული, რასაც განაპირობებს ორი ფაქტორი: ენა, როგორც საკომუნიკაციო სისტემა არსებობს მხოლოდ სოციალურ რეალობაში. ფუნქციონირებისათვის მას სჭირდება, რომ ენობრივი ნიშნები საეროო იყოს კოლექტივის წევრებისათვის. მეორე მხრივ, ენა

არ არსებობს დროის გარეშე. იგი მუდმივად წარმოგვიდგება როგორც წინა საუკუნეებიდან მიღებული და შემდეგი თაობებისთვის გადაცემული კონვენციური სისტემა. ამგვარად, სოციალური მასა და დრო განაპირობებს ენის უწყვეტობას, გარკვეულწილად ხელუხლებს ნიშნის თავისუფლებას.

ნიშნის ნებისმიერობა არ გამორიცხავს ენაში აბსოლუტურად ნებისმიერი, არამოტივირებული ნიშნების გვერდით მოტივირებული ნიშნების არსებობას. მაგ., ქართ. რიცხვითი სახელები – ათი, ასი, რვა... არამოტივირებულია, მაგრამ მათგან ნაწარმოები – თვრამეტი (<ათ-რვა-მეტი), ათასი (<ათი-ასი) უკვე შედარებით მოტივირებულია, რადგან მათი შედგენილობა მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა. ნებისმიერობის პრინციპი, რ-საც შეუზღუდაობის პირობებში შეუძლია შექმნას დიდი სირთულეები, რამდენადმე რეგულირდება სწორედ ნიშანთა მოტივირების მეშვეობით.

ნიშნები ენაში ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ქმნიან სისტემას. თითოეული ნიშანი გაპირობებულია მასთან დაპირისპირებული სხვა ნიშნებით. ეს ქმნის ნიშნის ღირებულებას. ღირებულება განისაზღვრება ნიშნის ადგილით ენობრივ სისტემაში. ერთნაირი ან ნაწილობრივ მსგავსი მნიშვნელობის მქონე ნიშნების ღირებულება სხვადასხვა ენაში შეიძლება განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ როგორია თითოეული ენის სისტემა. მაგ., განსხვავებულია მრ. რიცხვის ღირებულება ისეთ ენებში, სადაც მრ. რიცხვს მხ. რიცხვი უპირისპირდება, და ისეთ ენებში, სადაც მრ. და მხ. რიცხვთან ერთად ორობითი რიცხვიც არსებობს (იხ. *ენობრივი მსოფლხედვა*).

ე. ნ-ის სოსიურისულმა დეფინიციამ ფართო გავრცელება პოვა ენათმეცნიერებაში, მაგრამ გაჩნდა სხვადასხვა თვალსაზრისით მისი დაზუსტებისა თუ შეცვლების მოთხოვნილებაც. მაგ., ფ. სოსიურის ღებულებაზე ნიშნის ნებისმიერობის შესახებ აღინიშნა (ე. ბენვენისტი), რომ ნებისმიერობა და შემთხვევითობა ეხება არა ნიშნის შინაგან სტრუქტურას (აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის მიმართებას), არამედ სიმბოლონიშნის მიმართებას რეალური სამყაროს საგნებთან. აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი კი უნდა განვიხილოთ როგორც აუცილებელი. არასაკმარისად იქნა მიჩნეული ე. ნ-ის განსაზღვრა მხოლოდ „ეერტიკალური“ ნიშნის შიგნით აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული მიმართებების საფუძველზე. ე. ნ-ის ნამდვილი არსის სრულად დახასიათებისათვის ასევე აუცილებლად მიიჩნევა „ჰორიზონტალური“ მიმართებების დადგენა, ე.ი. მიმართებების გათვალისწინება მოცემულ ნიშანსა და ამაზე სისტემის შესაბამის ნიშნებს შორის როგორც აღმნიშვნელის, ისე აღსანიშნის დონეზე (თ. გამყრელიძე). კამათს იწვევს აგრეთვე აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის ნებისმიერობა ბენვენისტის (იხ. *ბენვენისტი*) პოზიციებიდან, რ-ის მიხედვით ეს კავშირი მოტივირებულად უნდა განიხილებოდეს. აღნიშნული (და სხვა მსგავსი) შენიშვნები არსებითად არ ეხება ნიშნის ორმხრივ (ბილატერალურ) ხასიათს. საკმაოდ გაერცელებულია ნიშნის, როგორც ცალმხრივი (უნილატერალური) ერთეულის გაგებაც, რის თანახმად „ნიშანი“ განისაზღვრება როგორც ბგერათმიმდევრობა, რ-იც არა მხოლოდ ასახავს რომელიმე ექსტრალინგვისტურ საგანს, მოვლენას..., არამედ შეიცავს მის შესახებ ინფორმაციას , დაკავშირებულია მნიშვნელობასთან (ვ. ზ. პანფილოვი, ვ. მ. სოლნცევი). განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ე. ნ-ის, როგორც ლოგოცენტრისტული ეპოქის წარმონაქმნის კრიტიკამ პოსტსტრუქტურალიზმის პერიოდში (ჟ. დერიდა, რ. ბარტი,...), როდესაც ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული საერთოდ ასეთი ერთეულის არსებობის უფლებაც კი.

ლიტ.: Соссюр Ф. де, Курс общей лингвистики, пер. с франц., М., 1933; Бенвенист Э., Природа языкового знака. – იხ. მისი: Общая лингвистика, пер. с франц., М., 1974; Гамкрелидзе Т. В., К проблеме „произвольности языкового знака“. – «Вопросы языкознания», 1972, №6; Деррида Ж., О грамматологии, пер. с франц., М., 2000.

ი. ქობალავა.

ენობრივი ნორმა, 1. ენობრივ საშუალებათა საყოველთაოდ მიღებული სამეტყველო ხმარება და მისი მომწესრიგებელი წესების ერთობლიობა; 2. ენა, როგორც სისტემა (ინვარიანტი), რ-იც უპირისპირდება მეტყველებას (ვარიანტს). არსებობს ნორმა საწარმოო (ორთოეპიული), მართლწერისა (ორთოგრაფიული), გრამატიკული (ენობრივი პრაქტიკიდან გამომდინარე გრამატიკული წესების ერთობლიობა, რ-იც აწესრიგებს ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის მეტყველებას) და ლექსიკური (ამა თუ იმ ენაში მიღებული სიტყვახმარების ნორმა). გამოყოფენ სტილისტიკურ ნორმასაც. ე. ნ-თა დადგენას ნორმალიზაცია ეწოდება.

ნორმის საკითხი მხოლოდ სალიტ. ანუ სამწერლობო ენის მიმართ დაისმის. რამდენადაც სალიტ. ენა უმეტესწილად ერთია, დიალექტი კი – რამდენიმე მაინც, ნორმა ინვარიანტად, ანუ ერთადერთ ვარიანტად ითვლება, სხვა დანარჩენი პარალელური ფორმები (დიალექტური, ჟარგონული თუ სხვა ხასიათისა) კი ვარიანტებია. ერთიანი და ნორმირებული ენა იმიტომ არის საჭირო, რომ თაობიდან თაობას ცოცხალი დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნაირგვარობა, რ-იც ენას აჭრელებს და აძაბუნებს (შდრ. ლიტ. ფორმა „იმათ თქვეს“ და კუთხური: „იმათმა თქვეს“ და „იმგვნმა თქვეს“).

ე. ნ-ის დადგენა ფილოლ. მეცნ. განვითარების ადრეულ საფეხურზე გრამატიკას ეკისრებოდა, ვინაიდან გრამატიკა ნორმატიული დისციპლინა იყო. მასში, ეტიმოლოგიასა და სინტაქსთან ერთად, აუცილებელ ნაწილად შედიოდა მართლწერა (ორთოგრაფია). ეს ტრადიცია მომდინარეობდა ძვ. ბერძნ. და ლათ. გრამატიკებიდან. მხოლოდ XIX ს-ში, როცა შეიქმნა მეცნ. ლინგვისტიკა, გრამატიკის მიზანი შეიცვალა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, გრამატიკას ენობრივი ფაქტორების კანონზომიერებათა გამოვლენა და ენობრივ მოვლენათა ახსნა დაეკისრა. სიტყვისა თუ ფორმის ცვალების ისტორიის დადგენის შემდგომ გასარკვევია, თუ რა ვარიანტია (ვა-

რიანტებია) მხატვრულ ლიტ-რაში გავრცელებული. დასასრულ, უნდა შეფასდეს, რომელ ვარიანტს მიენიჭოს უპირატესობა ლიტ. სიტყვათხმარებაში, ე. ი. რომელი ფორმაა სწორი (მაგ., ბავშვი და ბავში? წავიდნენ, წავიდენ თუ წეიდენ?).

ენა, როგორც ისტ. მონაცემი, ცვალებადია. ასეევე ცვალებადია სალიტ. ენაც (თუკი ის ცოცხალია და იხმარება), თუმცა არასამწერლობო ენასთან შედარებით ის უფრო ნელა იცვლება. არც სალიტ. ენის ნორმაა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი. ამიტომ ხშირად ის, რაც სწორი იყო ენის განვითარების ძვ. საფეხურზე, თანამედროვე ენისათვის შეიძლება ხელოვნური და უმართებულო აღმოჩნდეს (მაგ., ისტორიულად სწორმა ფორმებმა – დაჯედი, დაწეევი... სახე იცვალა და მოგვცა: დაჯექი, დაწექი– ძველი თავ-ყანის-ცემა, ორმეოცი, ათერთმეტი... შეიცვალა და ამჟამად გვაქვს: თაყვანისცემა, ორმოცი, თერთმეტი და მისთ.).

მიუხედავად ნორმის ცვალებადობისა, რაც ნორმალიზატორული მუშაობის ერთ-ერთ ძირითად სირთულეს წარმოადგენს, ნორმა სალიტ. ენისათვის მაინც საჭიროა. ამასთან, ნორმის გამომუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიის გათვალისწინებას მოითხოვს. ნორმის დადგენა მეცნ., ობიექტურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს, სუბიექტური მომენტი კი (კეთილხმოვანება, პირადი გემოვნება...) უნდა გამოირიცხოს.

15-საუკუნოვანი დამწერლობის ტრადიციების მქონე ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დადგენის მეცნ. პრინციპები პირველად 1930-იან წლებში იქნა შემუშავებული არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით (გამოქვეყნდა 1936), რ-ებიც თითქმის უცვლელად დაედო საფუძვლად „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს“ (I, 1970, რედ. ი. გიგინეიშვილი), დამტკიცებულს საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართ. სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის მიერ (1995-იდან იგი ფუნქციონირებს საქართვ. პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისიის სახით). ამ პრინციპების საყრდენი დებულებაა:

1. ქართ. სალიტ. ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართ. ლიტ-რის კლასიკოსების ენა, არ უნდა შეიქმნას ცოცხალი ენისაგან დაშორებული ხელოვნური ნორმები.

2. გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელი უნდა დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლ. თუ სინტაქსური მონაცემები, რ-ებიც სალიტ. ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის საეჭვოდ უმართებულოა ქართ. ენის გრამატ. სისტემის თვალსაზრისით. რასაც უყოყმანო სოც. სანქცია აქვს, ის საკითხად ვეღარ იქცევა.

3. როცა სალიტ. ქართულში ორი ან მეტი მოცილე მორფოლ.-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, თუ რომელია ა) უფრო გავრცელებული კლასიკოსთა ენაში და ეგუება სალიტ. ენის შინაგანი განვითარების ტენდენციას; ბ) გამართლებული ქართ. ენის დღევანდელი გრამატ. სისტემით, ე. ი. გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას; გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივი; დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელი. იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რ-ებიც თანაბრად კანონიერია გრამატ. თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში არც ერთს არ ენიჭება უპირატესობა, შესაძლებელია, ისინი პარალელურად დარჩნენ.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას საეალდებულოა, დარჩეს ერთი ფორმა. ამ შემთხვევაში მოცილე მოვლენათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რ-იც ა) უფრო გავრცელებულია სალიტ. ქართულში; ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად; გ) მისაღებია ქართ. ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.

ლიტ.: ჯ ა ნ ა შ ი ა ს., რით უნდა ეხელმძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას (პრინციპები). – იხ. მისი: შრომები, ტ. 3, თბ., 1959; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებ. I, თბ., 1970 (1986); ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., სალიტერატურო ენა და ნორმა. – კრ.: «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 2, თბ., 1979; А х м а н о в а О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1969; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

შ. აფრიდონიძე.

ენობრივი პოლიტიკა, კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით ენისა თუ ენათა სტატუსის, ენათა ურთიერთობის, სოციალურ-კულტურული განვითარებისა და მათი პერსპექტივების განსაზღვრა-უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამა.

მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ენის ისტორიაცაა. ყოველი სახელმწიფო მეტ-ნაკლებად თითქმის ყოველთვის ატარებდა გარკვეულ ენობრივ პოლიტიკას; დამწერლობის განვითარებაზე ზრუნვით, განათლების სისტემით, მწერლობისა თუ მეცნიერების ენის დაცვით, ლექსიკონების შედგენითა თუ ტერმინოლოგიური ნორმების დაძებნით იცავდა სახელმწ. ენას. ამით მოსახლეობის ენობრივი კონსოლიდაციაც ხდებოდა. მაგრამ, რამდენადაც დღეს არც ერთი ქვეყანა არ არის მხოლოდ ერთენოვანი, ე. პ. თანდათან გადაიქცა ისეთ სისტემად, რ-იც მრავალი ენობრივი პრობლემის გადასაჭრელ ღონისძიებას შეიმუშავებს და ცხოვრებაშიც ატარებს. ასეთი საკითხებია: ენათა „პრესტიჟის“, *დიგლოსიის, ბილინგვიზმის* და მ უ ლ ტ ი ლ ი ნ გ ვ ი ზ მ ი ს, ენათა სტანდარტიზაციის, ენობრივი კანონების, ლოკალური და სოც. „ენების“ საგანმანათლებლო სისტემასთან მიმართების, ემიგრანტთა ენობრივი მდგომარეობის, ენის სოც. სტრატიფიკაციის, ენათა „სიკვდილის“ („ენათა გაქრობის“), „პროფილაქტიკისა“ და სხვ. მრავალი.

ე). პ-ს მხოლოდ პოზიტიური შედეგები არ მოჰყვება. ამ პოლიტიკით შეიძლება იმართოს უარყოფითი მოვლენებიც: ეთნოკონფლიქტთა გაღვივება, სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებანი, ენათა დაყოფა „პრესტიჟულ“ და „არაპრესტიჟულ“ ენებად, სახელ-

მწიფოს მთლიანობის დაშლის პოლიტ. პროცესები, საზ-ბის შიდასოციალური დაყოფა და ადამიანის უფლებათა შეზღუდვა...

ე. პ-ის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ენის დეფინიციის პრობლემა. იმის მიხედვით, თუ რა არის ენა მისი სოც.-პოლიტ. გაგებით, განისაზღვრება დიალექტის ცნება, მოლაპარაკის მონოლინგვურობა, დიგლოსიურობა თუ ბილინგვიზმი. ამ განსაზღვრებათა საფუძველზე (სხვა ნიშნებთან ერთად) შემუშავდება ენის სტატუსის საკითხიც. დღეს თანამედროვე ლინგვისტურსა და სოციოლინგვისტურ ლიტ-რაში არ არის დამუშავებული ენის, დიგლოსიისა და ბილინგვიზმის ცნებათა უდავო განსაზღვრებანი, რაც ზოგჯერ პოლიტიკური „თამაშის“ იარაღი ხდება.

ე. პ. შემუშავდება *ენობრივი სიტუაციის* განსაზღვრის საფუძველზე. ე. პ-ის ცნება განუყოფლადაა დაკავშირებული ე ნ ო ბ რ ი ე ი კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი ს ა დ ა ე ნ ი ს ე კ ო ლ ო გ ი ი ს ცნებებთან. ენობრივი კონფლიქტები ენათა კონტაქტების (იხ. *ენობრივი კონტაქტები*) ერთ-ერთი სახეა, რ-იც სხვადასხვა ენობრივი საზ-ბის ან სხვადასხვა ენობრივი შრის სოც.-პოლიტ. ინტერესების შეჯახებისას გამოიკვეთება. ხშირად ამგვარ კონფლიქტებში ენობრივი წინააღმდეგობები არ არის პირველადი, მაგრამ პირველადად მხოლოდ ის ცხადდება.

ე. პ-ის ცნება უშუალოდაა დაკავშირებული ენობრივ დაგეგმვასა და, ამდენად, სახელმწ. ენის ცნებასთან. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ნ ა არის ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრული ენა, რ-ითაც ხორციელდება სახელმწიფოს შიგნით ყველა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება. ენობრივი დაგეგმვა ორი მიმართულებით წარმოებს: ა) სახელმწიფო გეგმავს სახელმწ. ენის განვითარების კურსს, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გაერცელებული სხვა ენების დამოკიდებულების საკითხს სახელმწ. ენასთან, ენათა ფუნქციონირების არეებს; ბ) რამდენადაც გარეგანი ფაქტორების სხვადასხვა ტიპის ზემოქმედებით იცვლება ენობრივი სიტუაცია სახელმწიფოში, ენობრივი დაგეგმვაც სხვა მიმართულებას იძენს.

საქართველოში ე. პ-ს უძველესი ტრადიციები აქვს. ქართ. ენის, როგორც ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების ერთ-ერთი ბერკეტის, სახელმწიფოებრივი ძალა მუდმივად იყო უწარუნველყოფილი. გათვალისწინებული იყო მისი მაკონსოლიდირებელი როლი ქართველურ ენებსა და დიალექტებთან მიმართებით. ქართ. სალიტ. ენის ნორმალიზაციის პროცესი სათავეს იღებს უძველესი დროიდან და განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ცნობილ საეკლ.-სამონასტრო სკოლებში, სადაც ენობრივი ნორმების, თარგმანის, ტერმინოლოგიის, სამეცნ. ენის (და საერთოდ ფუნქციურ სტილთა) კანონები მუშავდებოდა. ქართ. სახელმწ. (და საეკლ.) პოლიტ. შედეგი იყო ის, რომ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებისა და უცხო სახელმწიფოთა ექსპანსიების დროსაც კი ქართ. სალიტ. ენა მთელი ქართველური სამყაროს მწიგნობრობისა და ეკლესიის ენად რჩებოდა („...ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირების და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“, გ. მერჩულე). სახელმწიფოებრივი მშენებლობის პერიოდს საგანმან. ცენტრების, ქართ. სალიტ. ენის აღმავლობა ახლავს (დაჱით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი). სახელმწიფოებრივი კრიზისის დროსაც კი საქართველოში სამეფო ხელისუფლების კურსი მუდამ მიმართული იყო ქართ. ენის ფუნქციონირების არეთა შეუზღუდველობის, საგანმან. საქმის მოწესრიგებისა და სალექსიკონო, მთარგმნელობითი, სამეცნ. საქმიანობისაკენ (ვახტანგ VI, ს.-ს. ორბელიანი).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლამ 1801-იდან ქართ. ენისა და, საერთოდ, საქართველოს ბედი მეფის რუსეთის პოლიტიკას დაუქვემდებარა. რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ექსპანსიასთან ერთად ქართ. ენის წინააღმდეგაც აღმოჩნდა მიმართული, რასაც შედეგად მოჰყვა განათლების სისტემაში რუსული ენის გაბატონება. შემდეგი ნაბიჯი იყო სამეგრელოს, სვანეთისა და აჭარის სკოლებში ქართულის ნაცვლად სწავლების შემოღება მეგრულად, სვანურად და თურქულად, რის საფუძველზეც უნდა ეს წ ა ვ ლ ე ბ ი ნ ა თ რუსული.

ქართ. ენასთან ბრძოლა ანბანის საკითხსაც შეეხო. მაგ., 1889 ვინმე აშორდიამ რუს. ანბანის მიხედვით შეთხზა მეგრული ანბანი. დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულად თარგმნა (რაც უარყო სამეგრელოს სამღვდელოების შეკრებულებამ). 1864 რუს. გრაფიკის საფუძველზე შეიქმნა სვანური საანბანო წიგნი („ლუშნუ ანბან“), XIX ს. დასასრულს, ასევე რუს. გრაფიკის საფუძველზე, აშორდიას, ლევიცკისა და გრენის მიერ შედგენილ იქნა მეგრული საანბანო წესდება, ხოლოო 1899 – გრენის „მეგრული ანბანი“. დამოუკიდებელ ხალხებად ცხადდებოდნენ იმერლები, გურულები, აჭარლები, ხევსურები, ფშაველები, თუშები და სხვ.

XX ს-ში საბჭოურ იმპერიად ტრანსფორმირებული ცარისტული რუსეთის ენობრივი პოლიტიკა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ისევე როგორც სხვა საბჭ. რესპუბლიკებში, რუს. ენის პრიორიტეტით მიმდინარეობდა (მაგ., 1958 მიღებულ იქნა კანონი, რ-ის მიხედვითაც ეროვნ. ენის შესწავლა და ამავე ენაზე სწავლება ეროვნ. სკოლებში ნებაყოფლობით საქმედ ცხადდებოდა), იცვლებოდა ლექსიკა, მაგ., თურქულ-თათრული ლექსიკონის 1958-ის გამოცემაში ორჯერ მეტი რუს. სიტყვაა, ვიდრე 1929-ის გამოცემაში... მოსკოვი ავალდებულებდა ნაციონალური რესპუბლიკების ლიტერატორებს უცხოელი კლასიკოსების თარგმნისას ესარგებლათ არა ორიგინალით, არამედ მხოლოდ რუსული თარგმანით, ხელოვნური მიგრაციული პროცესებით ქმნიდა „რუსულენოვანი მოსახლეობის“ კოლონიებს რესპუბლიკებში და სხვ. 1961 სკკპ ცკ-ის პროგრამა აცხადებდა: «რუსული ენა ფაქტობრივად იქცა ურთიერთობისა და თანამშრომლობის საერთო ენად სსრკ-ის ყველა ხალხისათვის, რადგან „ნაციონალურმა სახელმწიფოებრიობამ და ფედერაციამ შეასრულეს თავისი ისტორიული მისია“.

მაგრამ ე. პ. საქართველოში არ ყოფილა ცალმხრივი. ცარიზმის რუსიფიკატორულ კურსს უპირისპირდებოდა ქართ. ენის ინტერესების დასაცავად განხორციელებული ღონისძიებები: XIX ს. 40-იან წლებში ქართ. თეატრის აღდგენა, *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* დაარსება (1879), ქართ. დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბება (1880), ჟურნალ-გაზეთების გამოცემა (მარტო XIX ს-ში ასეულობით ქართ. გაზეთი გამოდიოდა), დისკუსიები ენის საკითხებზე, მშობლიურ და უცხო ენაზე სწავლების, ასევე ორენოვანი სწავლების საკითხების დამუშავება (ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი...) და სხვ. 1917 ოქტომბრის სოციალ. რევოლუციის შემდეგ დამოუკიდებელი ქართ. სახელმწიფო ფართოდ შლის ქართ. ენის დაცვისა და განვითარებისაკენ მიმართულ საგანგებო მუშაობას (თბილ. სახელმწ. უნ-ტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების გახსნა, ქართ. ენის სიწმინდის დაცვისა და ქართ. ტერმინოლოგიის დამმუშავებელი კომისიების შექმნა). 1921-იდან, რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ანექსიის შემდეგ, ქართ. ენის ბედი კვლავ რუსეთის ე. პ-ის ქვეშ მოექცა.

საბჭოურსა და პოსტსაბჭოურ პერიოდებშიც ქართ. ენის დასაცავად საქართველოში ხორციელდებოდა ეროვნული ე. პ., რ-ის დასახასიათებლად რამდენიმე მაგალითის დასახელებაც კმარა: 1925 განათლების სახალხო კომისარიატის საბჭოსთან დაარსდა ცენტრ. სამეცნ. სატერმინოლოგიო კომიტეტი (შემდეგ კომისია); 1936 – სამეცნ. ტერმინოლოგიის განყოფილება; მომზადდა (და გამოიცა) „ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის“ 8 ტომი (113 ათას სიტყვაზე მეტი); 1946–48 ჩამოყალიბდა სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი კომისია; 1968 გამოიცა ერცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი; მუშაობს „თანამედროვე ქართ. სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისია“, შემდეგ „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია“. შექმნილია „სახელმწიფო ენის სამსახური“ – ენის დეპარტამენტი.

ლიტ.: მელიქიშვილი დ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975; ჩიქობავა არნ., ქართ. ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; Колониальная политика царизма в Азербайджане, I, М.–Л., 1936; Советское государство и право, М., 1961, №12; Ferguson Ch. A., Diglossia. – «Language in Culture and Society», Harper and Row, 1964; Fishman J. A., Bilingualism with and without Diglossia. Diglossia with and without Bilingualism. – «Journal of Social Issues», 1967, №32; Nelde P. H., Status Change of Languages, Berlin–New York, 1992; Dixon R. M., The Rise and Fall of Languages, Cambridge, 1997; Language Conflict. – წგ.: The Handbook of Sociolinguistics, ed. by Florian Coulmas, Oxford, 1997; Calvet L.-J., Language Wars and Linguistic Politics, Oxford, 1998; Priestly T., Linguistic propaganda against perseived irredentism. – «International Journal of Applied Linguistics», 1999, vol. 9, №1; Hudson R., Diglossia as a Special Case of Register Variation. – წგ.: Sociolinguistic Perspectives on Register, ed. by Douglas Biber, Edvard Finegan, New York – Oxford, 1999.

მ. ტაბიძე.

ენობრივი სიტუაცია, კონკრეტულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ არეალში გავრცელებული ენების ფუნქციური მიმართების, სტატუსისა და სოციალური როლის ამსახველი ვითარება. ე. ს. გარკვეულ პერიოდს მოიცავს. მისი აღწერისას მეტი ყურადღება ეთმობა ენათა დახასიათებას სინქრონიულ დონეზე, ვიდრე მოცემულ გეოგრ. არეალში ამ ენათა გამოჩენის ისტორიას (თუმცა თანამედროვე სოციოლინგვისტიკა ამ ცალმხრივობის აღმოფხვრასაც ესწრაფვის).

ე. ს. გულისხმობს მოცემულ გეოპოლიტიკურ სივრცეში გავრცელებული ენებისა და სახელმწ. ენის მიმართებას; განათლების სისტემაში ენათა ფუნქციონირებას; კონკრეტულ (ან რამდენიმე) ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობას სახელმწიფოში (სახელმწიფოს რომელსამე რეგიონში); მოსახლეობის ენობრივი კომპეტენციის მიხედვით განსხვავებულ ასაკობრივსა და სოც. ჯგუფებს; ბილინგვიზმისა და მულტილინგვიზმის ხარისხს; არამკვიდრი მოსახლეობის ეთნიობის, მეობის (identity) განმსაზღვრელ ფაქტორებს; ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებს; ენათა ლინგვისტური ურთიერთგავლენის ხარისხს და სხვ. ე. ს. ცვალებადია. იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს ძლიერებაზე, დემოკრატიის ხარისხზე, სახელმწიფოს *ენობრივ პოლიტიკაზე*, მეზობელ სახელმწიფოთა თავისებურებებზე, ეროვნ. უმცირესობათა და უმრავლესობის ურთიერთობაზე, მიგრაციულ პროცესებზე, ეკონ. ვითარებაზე და სხვ.

საქართველოს დღევანდელი ე. ს. განსაზღვრა XIX და XX სს. ენობრივმა პოლიტიკამ, რ-საც ძირითადად რუსეთის ცარისტული და საბჭოური იმპერიები ახორციელებდნენ.

საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის – ქართველების – გარდა ცხოვრობენ აფხაზები, აზერბაიჯანელები, ასურელები, ებრაელები, ოსები, სომხები, უდიები, ქისტები, ხუნძები და სხვ. საქართველოს სახელმწ. ენაა ქართული და უზრუნველყოფილია მისი ფუნქციონირება სახელმწიფოს ყოფაცხოვრების ყველა დონეზე. ყველა არაქართ. ეთნიკურ ჯგუფს, რიც კომპაქტურად სახლობს საქართველოში, შექმნილი აქვს პირობები მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და კულტ. განვითარებისათვის.

XX ს. 90-იან წლებში ეთნოკონფლიქტებისა და სამხ. აგრესიის შედეგად ქართველი მოსახლეობა გამოდევნილია აფხაზეთიდან და ისტორიული სამაჩაბლოდან (სამხრ. ოსეთის ავტონ. ოლქი). შესაბამისად, ქართ. ენის ფუნქციონირება ხელოვნურადაა შეწყვეტილი ამ ორ რეგიონში.

ლიტ.: Multilingualism in the Soviet Union. Aspects of language Policy and its Implementation, ed. by E. Glyn Lewis, The Hague–Paris, 1972; Status Change of Languages. ed. by Ulrich Ammon and Marlis Hellinger, Berlin–New York, 1992.

მ. ტაბიძე.

ენციკლოპედიური ლექსიკონი (ფრანგ. encyclopédie <ბერძნ. enkyklios paideia – ცოდნის წრე), სამეცნიერო ან სამეცნიერო-პოპულარული საცნობარო გამოცემა, რ-შიც შეკუმშული და სისტემური სახით ასახულია ამა თუ იმ ეპოქის მეცნიერულ-კულტურული დონე. ლინგვისტური ლექსიკონისაგან (იხ. *ლექსიკონი*) განსხვავებით, რ-შიც სიტყვის მნიშვნელო-

ბებია ახსნილი, ე. წ. ორიენტირებულია ცნებათა ახსნაზე, საგანთა, მოვლენათა აღწერაზე და ა. შ. თავისი ხასიათით ენციკლოპედიურია ტერმინოლოგიური და ბიოგრაფიული ლექსიკონებიც (იხ. *ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ბიოგრაფიული ლექსიკონი*).

შინაარსის მიხედვით ე. წ.-ები სხვადასხვა ტიპისაა: უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ უ რ ი – წარმოგვიდგენს არსებით ინფორმაციას ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროდან; დ ა რ გ ო ბ რ ი ვ ი – ორიენტირებული ერთ რომელიმე დარგზე [რუს. ენაზე გამოცემული ენციკლოპედიები: „ლიტერატურული ენციკლოპედია“ (10 ტომი, 1928–39); „ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (1990)]; რ ე გ ი ო ნ ა ლ უ რ ი – ეხება ერთ რომელიმე მხარეს, ქვეყანას, ქალაქს (ენციკლოპედია „თბილისი“, 2002); ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი – ეხება ცალკეულ თემას. სტრუქტურის (მასალის განლაგების) მიხედვით განსხვავებულია ა ნ ბ ა ნ უ რ ი (მასალა დალაგებულია ანბანთრიგზე), ს ი ს ტ ე მ უ რ ი (მასალა გაშუქებულია თემატურ ციკლებად) და შ ე რ ე უ ლ ი (ანბანურ-სისტემური) ე. წ.-ები.

ენციკლოპედიური ხასიათის შრომები უძველესი დროიდანაა ცნობილი ძვ. ეგვიპტეში, ძვ. ჩინეთში, ძვ. საბერძნეთში, ძვ. რომში, შუა საუკუნეებიდან კი – ევროპაში, არაბულენოვან სამყაროში. ტერმ. „ენციკლოპედიის“ მნიშვნელობა ყოველთვის ერთი და იგივე არ ყოფილა. ანტ. სამყაროში იგი ზოგადსაგანმან. ცოდნის ელემენტარულ კრებულებს აღნიშნავდა. XVI ს. დას. ევროპაში ახალი მნიშვნელობით – „სხვადასხვა შინაარსის კრებულის“ გაგებით – გამოიყენებოდა. შემდეგ თანდათანობით მიიღო დღევანდელი სახე. ეს ტერმინი სისტემატურად განლაგებული მასალის აღსანიშნავად პირველმა გამოიყენა ი. გ. ალშტედმა 1620 („ფილოსოფიური კურსის ენციკლოპედია“), 1728 კი – ეფ. ჩემბერსმა, რ-ის შრომაშიც მასალა ანბანთრიგზე იყო გაწყობილი. ენციკლოპედიური ლიტ-რის ფართო გავრცელებას სათავე დაუდო დ. დიდროსა და ჟ. დალამბერის რედაქციით გამოცემულმა 35-ტომიანმა დიდმა ფრანგ. ენციკლოპედიამ (1751–80). მსოფლიო ენციკლოპედიური აზროვნების უდიდეს მონაპოვრად ითვლება ინგლისის ეროვნ. ენციკლოპედია „ბრიტანიკა“ (I გამოც. 1768–71), „ბროკჰაუზის“სახელწოდებით ცნობილი გერმ. ენციკლოპედიების გამოცემები (1808-იდან), ამერ. ენციკლოპედია „ამერიკანა“ (1903–04), იტალ. – „იტალიანა“ (1929–39), ჰ. ლარუსის ფრანგ. ენციკლოპედიები (XIX–XX სს.) და სხვ. რუსეთშიც გამოიცა მნიშვნელოვანი ენციკლოპედიები: პაველენკოვის (1899), გრანატის (1891-იდან), ბროკჰაუზისა და ეფრონის (1890–1907), „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ (1926–47, 66 ტომი; მე-2 გამოც., 1950–58, 51 ტომი; მე-3 გამოც. 1969–78, 30 ტომი).

საქართველოში ტერმ. „ენციკლოპედია“ XVIII ს-იდან იხმარება, თუმცა ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლთა შორის მრავალფეროვანი შინაარსისა და საკითხთა სისტ. განლაგების გამო ბევრი მათგანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებად (მრავალთავები, სწავლანი, საეკლ. ჰომოგრაფიული, პოლემიკურ-დოგმატ. თუ ფილოს.-თეოლ. კრებულები). მაგ., *იოანე-ზოსიმეს* მიერ შედგენილი კრებულის (956) იადგარულ ნაწილში ავტორს განხილული აქვს იმდროინდელი საქართველოს ჰომოგრაფიული ძეგლები – არქაულიც (VII–IX სს.) და თანადროულიც (X ს.), მათთვის მიუწერია „ძველნი“ და „ახალნი“. საქართველოში არსებული ნათარგმნი თუ ორიგინ. ჰომოგრაფიული მემკვიდრეობა თავმოყრილია X ს. მოღვაწის *მიქაელ მოდრეკილის* მიერ შედგენილ კრებულში (978–988), რ-შიც საგალობლების მიწერილი აქვს ავტორთა სახელები და გალობის ნიშნები. თემის მრავალმხრივი განხილვისა და საკითხების სისტემ. განლაგების გამო თემატური ენციკლოპედიის წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ *ეფთვიმე მთაწმიდელის* მათეს სახარების იოანე ოქროპირის თარგმანის კომენტარები, *გიორგი მთაწმიდელის* თეენი.

ეფთვიმესა და გიორგის განმან. მოღვაწეობა გააგრძელა *ეფრემ მცირემ*. მან თარგმანის ტექსტის გაგებისათვის საჭირო შენიშვნები შეიტანა არა ტექსტში, არამედ – წინასიტყვაობაში, ანდერძსა და სქოლიო-კომენტარებში. ფილოლ.-ლექსიკოლოგიური და გრამატ. ხასიათის ეს კომენტარები მეცნ.-საცნობარო აპარატის როლს ასრულებს და ეფრემ მცირის თხზულებებს ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ეგზეგეტიკური თხზულება „ფსალმუნთა განმარტება“, რ-საც ახლავს ანბანურ რიგზე გაწყობილი ბიბლ.-საღვთისმეტყველო ცნებათა განმარტებები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს *არსენ იყალთოელის* მიერ თარგმნილი „დოგმატიკონი“, რ-ის ხელნაწერის კიდეებზე მრავლადაა არსენის ხელით მიწერილი საღვთისმეტყველო ცნებათა განმარტებების შემცველი სქოლიო-შენიშვნები. ქართ. ფილოს. და ენციკლოპედიური აზროვნების ჩამოყალიბებას, აგრეთვე სამეცნ.-ფილოს. ტერმინებისა და ცნებების შემუშავება-დამკვიდრებას დიდი ამაგი დასდო *იოანე პეტრიწმა*. მან პროკლე დიადოქოსის თხზულების „კაეშირნი ღვთისმეტყველებითნის“ თარგმანი გააღრმავა და გაამდიდრა კომენტარებითა და შენიშვნებით, დაურთო ბოლოსიტყვაობა, რ-შიც მისი თეოლოგიური სისტემაა ჩამოყალიბებული. წინამორბედ მოღვაწეთა ტრადიციებს აგრძელებს *ანტონ I.* მისი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულება „მზამეტყველება“ საკვლევი თემის ყოველმხრივი და სისტემ. განხილვით ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს.

ახ. ეტაპი ქართ. ენციკლოპედიური აზროვნების განვითარებაში იწყება ს.-ს. *ორბელიანის* „ლექსიკონი ქართულით“. მისი ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის გამგრძელებელნი არიან დაით და იოანე ბატონიშვილები. ისინი ცდილობდნენ, „ლექსიკონი ქართულისათვის“ უფრო მეტად მიეცათ ენციკლოპედიური ხასიათი: ამატებდნენ ახ. ტერმინებს, ბევრ სიტყვას ურთავდნენ უცხო შესატყვისებს, კომენტარს, წყაროთა დასახელებებს, იყენებდნენ უახლეს სპეც. ლიტ-რას. დავით ბატონიშვილს 1788 შეუდგენია „მითოლოგიური ლექსიკონი“ გ. ჩელაკოეის ამავე სახელწოდების ლექსიკონის მიხედვით; მისი ერთ-ერთი წყაროა ფსევდონინუს მითოლოგიური კო-

მენტარების ეფრემ მცირისეული თარგმანი. მითოლ. გმირებისა და სამყაროს ყოველმხრივი აღწერა-დახასიათება ლექსიკონს ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს. ენციკლოპედიური ხასიათისაა იოანე ბატონიშვილის „ქალმასობა“ („ხუმარსწაელა“), რ-იც მკითხველს იმ დროის მეცნ. მიღწევებს აცნობს.

XIX ს-იდან ტერმ. „ენციკლოპედია“ მყარად იკიდებს ფეხს როგორც თარგმანებში, ისე ორიგინ. თხზულებებში. ასეთია, მაგ., „ყმათა ენციკლოპედია ანუ ახალნი შემოკლებულნი ჰსწაელანი ყოველსა გვარისანი“, რ-იც იოანე ბატონიშვილის დავალებით რუსულიდან უთარგმნია ი. ბაბლაძეს (ინახება ხელნაწერის სახით).

1823 პეტერბურგში დაიბეჭდა გ. ჩუგუნაშვილის (ჩუგუნოვის) „ენციკლოპედია ანუ შეკრებულება ზნეობათა სწაელათა პაზრთანი და განსჯანი სხუათა და სხუაოა თავთათჳს და აღსხმული ანბანთა ზედა“. ეს ნაშრომი პირველი გამოცემაა, რ-ის სათაურშიც არის ტერმ. „ენციკლოპედია“. 1898–99 თბილისში გამოიცა ი. როსტომაშვილის რუს. ენციკლოპედიური ლექსიკონი – „სალარო ცოდნისა“ 4 ტომად. შემდეგ რამდენჯერმე სცადეს ენციკლოპედიის გამოცემა (1904 – ამხანაგობა „ცისკარმა“, 1912 – ბაქოში მცხოვრებმა ქართველებმა, 1914 – გ. რუკავიშნიკოვმა), მაგრამ უშედეგოდ.

1927 თბილისში დაიბეჭდა იუსტ. აბულაძის „რუსულ-ქართული ლექსიკონი სალიტერატურო, საპოლიტიკო და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩათვლით“ (1 ნაწ.), რიც შინაარსითა და შედგენილობის პრინციპით ენციკლოპედიური ხასიათისაა.

ენციკლოპედიის გამოცემა XX ს-ის 30-იან წლებშიც სცადეს. საკ. კპ(ბ) კაეკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით (1932) შეიქმნა სარედაქციო კოლეგია „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ მოსამზადებლად. 1936-თეის დაიწყეს ტექსტის აწყობა, მაგრამ იმ პერიოდში შექმნილ ვითარებათა გამო მასზე მუშაობა 1940 შეწყდა.

XX ს. 60-იან წლებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთაავარი სამეცნიერო რედაქციის შექმნა ი. აბაშიძის ხელმძღვანელობით (1966–92 – მთ. რედაქტორი ი. აბაშიძე, 1992–2006 – ა. საყვარელიძე, 2006-იდან – ზ. აბაშიძე). 1975–87 წლებში გამოიცა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12 ტომი (11 ძირითადი, 1 სპეც. ტომი „საქართველოს სსრ“ – 2 წიგნად ქართ. და რუს. ენებზე). ამაეე რედაქციამ დაიწყო მომზადება ენციკლოპედიისა „საქართველო“, რის პირველი ტ. გამოვიდა 1997 (მთ. რედ. ა. საყვარელიძე), 2002 კი გამოიცა ენციკლოპედია „თბილისი“. იმაეე წელს თბილ. სახელმწ. უნ-ტში შეიქმნა პირველი პერსონალური (ბიოგრაფიული) ე. წ. „ივანე ჯავახიშვილი“ (მთ. რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი).

ლიტ.: ყ ი ფ ი ა ნ ი ი., ნარკვევები ენციკლოპედიური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1987. *ლ. კიკნაძე.*

ეპიბრაფიკა (ბერძნ. epigraphē – წარწერა), ისტორიული და ფილოლოგიური დარგის სპეციალური სამეცნიერო დისციპლინა. შეისწაელის მაგარ საწარ მასალაზე (ქვა, ლითონი, ძვალი, ხე, კერამიკა, კედლის შელესილობა, აგრეთვე, ქსოვილი და სხვ.) ამოკვეთილ, გამოქანდაკებულ, ჭედვით შესრულებულ, ამოკაწრულ, საღებაეით მიწერილ, ქსოვილზე ამოქარგულ და სხვ. ძვ. წარწერებს. ე. იკვლეეს წარწერის როგორც გარეგან მხარეს დამწერლობის თეალსაზრისით (იხ. *პალეოგრაფია*), ისე მის შინაარსს (ტექსტში მოქვანილი ისტ. ფაქტები, დასახელებული პირები, ტერმინები, ენობრივი მოვლენები, ქრონოლოგია, ონომასტიკური, რელიგიური, ეთნოლოგიური და სხვ. მონაცემები). წარწერების ცნობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც მათში ასახული მოვლენების თანადროული.

ეპიგრაფიკული ძეგლები დამწერლობის მქონე ქვეყნებში ხალხს მოეპოვება. ცნობილია ბერძნ., ლათ., ეგვიპტური, შუმერული, ხეთური, ასურული, ურარტული, არამეული, ძვ. ინდ., ძვ. ჩინ., კოლუმბიმდელი ამერიკის ხალხებისა და სხვათა წარწერები. შინაარსობრივად ისინი მრავალგვარია: საამშენებლო, მემორიალური, სამართლებრივი აქტები, ეპიგრაფიკული საბუთები, ბელეტრისტული (ცალკეული ლექსები, პოემების ნაწყვეტები, ანდაზები, კალამბურები, სკაბრეზული გამოთქმები...), მაგიური, ზომა-წონის ან მანძილის აღმნიშვნელი ტექსტები, კერამიკულ ძეგლებზე (დოქები, ქვეყრები, კრამიტები...) მოთავსებული დამღები და სხვ., რ-ებიც მნიშვნელოვანი (ზოგჯერ ერთადერთი) წყაროა მათი შემქმნელი ხალხის ენის, ისტორიის, მატერ. კულტ. შესასწაელად.

ე-ს, როგორც მეცნიერებას, საფუძველი ევროპაში ჩაეყარა. სხეა ფაქტორებთან (ფილოლ. და ისტ. ცოდნის განვითარება, სიძველეებით გატაცება...) ერთად, მის განვითარებას ხელი შეუწყო ძვ.



ბოლნისი. ბარნაბას წარწერა. V ს.

აღმ. ხალხების მიერ დატოვებული მრავალრიცხოვანი წარწერების გაშიფრვამ (ფრ. შამპოლიონი, ჰ. როაულინსთონი, ე. გროტეფენდი), ინტენსიურმა შესწავლამ და გამოცემამ.

სადღეისოდ გამოცემულია ან გრძელდება გამოცემა ბერძნული, ლათინური, სემიტური, ებრ., ირან., ძვ. ინდ., რუს. სომხ. და სხვ. წარწერების კრებულებისა, კორპუსებისა. არსებობს სპეც. სამეცნ. ჟურნალები, სისტემატურად ტარდება ეპიგრაფიკოსთა საერთაშ. სიმპოზიუმები და კონგრესები.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლებით დაინტერესება საქართველოში ადრევე დაწყებულა. ე. თაყაიშვილის აზრით, XI ს. ქართე. ისტორიკოსს სუმბატ დავითისძეს თავის თხზულებაში „ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა“ გამოყენებული უნდა ჰქონდეს ტაო-კლარჯეთის ქართ. მონასტრების X–XI სს. ძვ. ქართ. წარწერების ქრონოლ. და გენეალოგიური ცნობები. ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები



თრეხეი. ლეონტი მროველის წარწერა. 1066.

არაერთგზის აქვს გამოყენებული და დამოწმებული *ვახუშტი ბატონიშვილს*.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების სისტემატური შესწავლა XIX ს-ში იწყება. პირველი ასეთი სამუშაო ნაატარა აკად. მ. *ბროსემ*. თავდაპირველად მან შეეცადა ფრანგ მოგზაურსა და მკვლევარს ფრ. დიუბუა დე მონპერეს გაუშიფრა და გამოსაცემად მოამზადებინა 1833–34 საქართველოში მისი მოგზაურობისას შეკრებილი ძვ. ქართ. წარწერები, ხოლო მოგვიანებით (1847–48) თვითონ იმოგზაურა საქართველოსა და სომხეთში სიძველეთა აღგილებზე შესასწავლად; გადმოწერა რამდენიმე ასეული ძვ. ქართ. წარწერა, გაშიფრა და თარგმნა ფრანგულად, დაურთო კომენტარები და გამოაქვეყნა თავის ცნობილ წიგნში „ანგარიშები“ (Rapports), რ-იც 1847, 1849 და 1851 სამ წიგნად გამოქვეყნდა პეტერბურგში. მ. ბროსეს ეს გამოცემა (აგრეთვე, ორიოდე სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია ძვ. ქართ. წარწერებისა) დღესაც რჩება მთავარ პირველწყაროდ ქართ. ეპირაფიკული ძეგლების შესასწავლად.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენაში, შესწავლასა და გამოცემაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ისტორიკოს დ. *ბაქრაძეს*; ძვ. ქართ. წარწერები გამოსცეს აგრეთვე ი. როსტომაშვილმა, ი. გვარამაძემ, თ. ხუსკივაძემ, ა. ქუთათელაძემ, თ. ჟორდანიამ, ა. ხახანაშვილმა და სხვ.

XIX ს-ში დაიწყო და XX ს-ში წარმატებით გააგრძელა ძვ. ქართულ წარწერების შესწავლა ე. თაყაიშვილმა (1863–1953). მან ახ. მეცნ. ეტაპი შექმნა ქართულ ე-ში. სპეც. სერიებში („Археологические экскурсии.разыскания изаметки“, შემოკლებით – АЭРЗ). წიგნებსა („არქეოლოგიური ექსპედიცია კოლაოლთისსა და ჩანგლში 1907 წელს“, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, „Христианские памятники“ — МАК, XII, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“ – ქართ. და რუს. ენებზე...) და წერილებში მან გამოაქვეყნა ასობით მანამდე უცნობი ძვ. ქართ. წარწერა.

XX ს-ში არაერთი მნიშვნელოვანი ძვ. ქართ. წარწერა გამოაქვეყნეს ნ. მარმა, ი. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ, კ. კეკელიძემ, გ. ჩუბინაშვილმა და სხვ. თავისი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში ქართ. ხელოვნების ისტ. ინ-ტის თანამშრომლებმა: რ. შმერლინგმა, რ. მეფისაშვილმა, ვ. ცინცაძემ, ლ. რჩეულიშვილმა, ს. ბარნაველმა და სხვ., რ-ებიც სწავლობდნენ არა მარტო ქართ. ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, არამედ მათზე მოთავსებულ წარწერებსაც.

ამჟამად ცნობილია V–XVIII სს. ათი ათასამდე ძვ. ქართ. წარწერა, რ-ებიც საწერი მასალისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1. ლაპიდარული – ქვაზე გამოქანდაკებით (რელიეფურად) ან ამოკვეთით შესრულებული; 2. მოზაიკური; 3. ფრესკული – საღებავით შესრულებული; 4. ნაკაწრი, ანუ გრაფიტოები; 5. კერამიკული; 6. ჭედური – ლითონზე შესრულებული და 7. ნაქარგი – ქსოვილებზე შესრულებული.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლები შესრულებულია ქართ. დამწერლობის ყველა სახეობით: ასომთავრულით, ნუსხურით, გარდამავალი მხედრულითა და მხედრულით.

შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით ძვ. ქართ. წარწერები ასე ჯგუფდება: საამშენებლო, მემორიალური (მოსახსენიებელი), ეპიგრაფიკული საბუთები, პილიგრიმული (მომლოცველთა), მაგიური (მათ რიცხვშია ანბანები ანუ *აბეცედარიუმები*), საღმრთო წერილის ციტატები, ეპიტაფიები, ლექსები, გამოსახულებათა (ფრესკული სცენების ან ცალკეული პირების) განმარტებითი, საყოფაცხოვრებო შინაარსისა და სხვ.

მრავალი ქართ. წარწერა მოიპოვება უცხოეთშიც – პალესტინაში, კერძოდ, იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონზე (როგორც ქართველთა მონასტერში, ისე მის გარეთ), კეი პროსზე, პეტრიწონში და, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით, თურქეთში – საქართველოს ისტ. ტერიტორიის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. მრავლადაა ძვ. ქართ. წარწერები სომხეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდ. კავკასიაში, კერძოდ, დაღესტანში (აქ მოიპოვება ძველი, X–XI სს., ქართ. ეპიგრა-



დმანისი. არაბული ეპიგრაფია. XIII ს.

ფიკული ძეგლები და ისეთი წარწერებიც, რ-თა ენა ადგილობრივია, ხოლო დამწერლობა ქართ. – ნუსხური ან მხედრული. XV ს-იდან აქ ქართ. წარწერები არ ჩანს). ნიშანდობლივია ქართ. წარწერების ფართო გავრცელება სომხეთის ისტ. ტერიტორიაზე (მ. შ. ანისსა და ყარსში) XI ს-იდან XIII ს. 30-იანი წლების ჩათვლით, რაც ქართ. ენის პოლიტ. და იურიდ. სტატუსის და ქართ. პოლიტ. სიერცის მაჩვენებელია სამხრ. კაეკასიაში იმ პერიოდში, როდესაც სომხეთის მიწები ქართ. ფეოდ. სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო (იხ. *ანისის ქართული წარწერები*).

XIX ს-ში დაწყებული ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა შემდეგაც გაგრძელდა. 1975 საქართვ. მეცნ. აკად. საქართვ. ისტ. წყაროების კომისიასთან (თავრეები:შ. ძიძიგური, რ. მეტრეველი) ჩამოყალიბდა ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ხელნაწერთა მინაწერების სექცია. გამოქვეყნდა სერიის – „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების" (შემდეგ მას „ქართული წარწერების კორპუსი" ეწოდა) გამოცემის პროექტი – „წესები და პრინციპები" (ვ. სილოგავა, «მაცნე», ისტორიის... სერია, I, 1975). სადღეისოდ გამოქვეყნებულია „ქართულ წარწერათა კორპუსის სამი ტომი – I ტომი – V–X სს. ლაპიდარული წარწერები (ნ. შოშიაშვილი), მე-2 ტომი – IX–XIII სს. დასავლეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერები (ვ. სილოგავა), მე-3 ტომი (იგი ერთდროულად ფერწერული წარწერების I ტომიცაა) – ატენის სიონის ფრესკული წარწერები (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე). ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა და გამოქვეყნება თემატური, გეოგრ., ქრონოლ. კრებულების, ასევე ცალკეული სტატიების სახით დღესაც მიმდინარეობს.

საქართველოში, გარდა ძვ. ქართ. წარწერებისა, მოიპოვება აგრეთვე ძვ. ბერძნ., არამეული, ებრ., სირიული, ბიზანტ. ბერძნული, სომხ., არაბ., თურქ., ირან., უიღურული, სლავური წარწერები. ისინი შემორჩენილია მონოლინგვების, ბილინგვების, ტრილინგვისა და თვით ტეტრალინგვის სახით, რაც ძალზე იშვიათია. მიმდინარეობს მათი ინტენსიური შესწავლა.

აკად. გ. წერეთელმა შეისწავლა არამეული და ბერძნ. წარწერები. მანვე გამოსცა საქართვ. მუზეუმის ლურსმული დამწერლობის ურარტული ძეგლები (1938). აკად. გ. მელიქიშვილმა გამოაქვეყნა ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსი (1947–48, 1959), რიც დღემდე ამ ტიპის ძეგლების ყველაზე სრული კრებულია. ძვ. ბერძნ., ბიზანტ. ბერძნული, სემიტური, არამეული, არაბ., სომხ. ეპიგრაფიკული ძეგლები შეისწავლეს ს. ყაუხჩიშვილმა, თ. ყაუხჩიშვილმა, კ. წერეთელმა, გ. გიორგაძემ, ც. კახიანმა, ზ. ალექსიძემ და სხვ.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951; II გამოცემა – საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I. დასავლეთ საქართველო, თბ., 1999; II. აღმოსავლეთ საქართველო, თბ., 2000; III. საიუბილეო, თბ., 2001; სილოგავა ვ., ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (შესწავლის შედეგები და ამოცანები). – «მაცნე» (ისტორიის ... სერია), 1975, №1; Федорова Е. В., Введение в латинскую эпиграфику, М., 1952; Грюндель Р., Два замечательных юбилея эпиграфики. – «ВДИ», 1965, №4; Шошиашвили Н. Ф., Развитие грузинской эпиграфики и палеографии. – В сб.: Проблемы палеографии и кодикологии в СССР, М., 1974.

ვ. სილოგავა.

ეპიგრაფიკული დიპლომატიკა, ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული დარგის სამეცნიერო დისციპლინა. სწავლობს ეპიგრაფიკულ საბუთებს, ე. ი. მაგარ საწერ მასალაზე (ქვა, ხე, ლითონი...) შესრულებულ იურიდიულ აქტებს, წარწერა-საბუთებს. ე. დ-ის შესწავლის საგანია როგორც წარწერა-საბუთის შინაარსი, მისი იურიდ. მხარე, ისე მასში წარმოდგენილი ტერმინები, ენობრივი თავისებურებანი, ისტ. რეალიები, ყოფაცხოვრებითი ფაქტები და სხვ. საქართველოში ე. დ-ის ძეგლები, ანუ წარწერა-საბუთები უფრო ადრინდელია (VII ს.), ვიდრე რბილ საწერ მასალაზე (*ტრატი*, ქაღალდი) შესრულებული იურიდ. საბუთები.

ე. დ-ის ძეგლები მოეპოვება ყველა ხალხს, რ-საც აქვს დამწერლობა და თავისი ისტორიის მანძილზე შეუქმნია და დაუტოვებია წარწერები. ამ მხრივ გამორჩეულია ძვ. ბერძნ. და ლათ. წარწერების ის მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ნაწილი, რ-იც წარმოადგენს საკანონმდებლო აქტებს, ორ იურიდ. მხარეს შორის დადებულ ხელშეკრულებებს და სხვ. საყოველთაოდ ცნობილია ხამურაბის კანონები (ძვ. წ. XVIII ს. 60–50-იანი წლები), რ-იც ამოკვეთილია ლურსმული დამწერლობით ბაზალტის ქვის დიდ სტელაზე და სხვ.

ქრისტ. ხანის ე. დ-ის ძეგლებიდან დიდი რაოდენობით წარწერა-საბუთებია ცნობილი სომხ. ეპიგრაფიკაში.

ქველა სახის ქართ. ეპიგრაფიკული საბუთების რაოდენობა რამდენიმე ასეულია. ქართ. ე. დ-ის სადღეისოდ ცნობილი უძველესი ძეგლია *წყისის წარწერა* (616–619). ქრონოლოგიურად მომდევნო ძეგლია *არეშის წარწერა* (881–891), რ-

ის იურიდ. შინაარსი და დანიშნულება როგორც სამართლებრივი აქტისა, ეჭვს არ იწვევს.

V–X სს-იდან ცნობილია ათობით ქვაჯვარი, რ-თა ერთ ნაწილზე მუმორიალური წარწერებია ამოკვეთილი. შინაარსით ისინი არ არიან იურიდ. ძეგლები, მაგრამ მათი აღმართვა, თუნდაც უწარწეროდ, მიწის გარკვეულ ნაკვეთზე თავისთავად ადასტურებდა მისი აღმმაროველის უფლებას ამ მიწაზე. ამიტომ ეს ქვაჯვრებიც შეიძლება ნაითვალოს იურიდ. ძალის, ანუ ე. წ. ძეგლებად. კვარცხლბეკზე ამოკვეთილ წარწერებში მათ „ჯუარი“ ეწოდება. ამის მიხედვით, მიწისმფლობელობის აღმნიშვნელ უძველეს (V–VIII სს.) ტერმინად შეიძლება „ჯუარი“ მივიჩნიოთ.



ლაშა გიორგის ჯვარი. XIII ს. 10-იანი წლები.

X ს. დასასრულიდან ქართ. ე. წ-ში ჩნდება საბუთების აღმნიშვნელი სპეც. ტერმინები – „ჭელი“, „დაწერილი“; მოგვიანებით (XIII ს-იდან) – „ბრძანებაჲ“, „დაწერილი და ნიშანი“, „განგებული“...

ქართ. ე. წ-ის თავისებური ძეგლებია საგანგებოდ გათლილ ხის ჯოხებზე მელნით დაწერილი ისტ. საბუთები. ოცზე მეტი ასეთი საბუთი დაცულია სოფ. ქალის (მესტიის რ-ნი) წმ. კვირიკეს („ლაგურკი“) ეკლესიაში. მსგავსი შინაარსის სხვა სვანური საბუთებიდან (ისინი 200-მდეა), რ-ებიც ხელნაწერი წიგნების აშიებზეა მიწერილი, მათ მხოლოდ საწერი მასალა განასხვავებს.

წამართლებრივი ურთიერთობის და ამ ურთიერთობათა გამოხატვის ფორმების მიხედვით ქართ. ე. წ-ის ძეგლები შემდეგ ჯგუფებად იყოფა: 1. ჯვრები, 2. ჭელები, 3. დაწერილები, 4. განგებულებანი, 5. ქვის ან სხვა საეკლ. შეწირულებათა წარწერები, 6. სააღაპე დადგენილებები.... თითოეული მათგანი შეიძლება გაცემული იყოს საერო და სას. ხელისუფალთა, ცენტრ. და ადგილ. მმართველობის წარმომადგენელთა, მეფეთა, დედოფალთა, კათალიკოსთა და სხვ. მიერ.

ლიტ.: სილოგავა ე., ქართული სამართლის ძეგლები დასაელეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში. – «მაცნე» (ისტორიის...სერია), 1972, №4; მისივე, ისტორიული საბუთები ლაგურკიდან. – იქვე, 1973, №3; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II. ეპიგრაფიკული ძეგლები, ე. სილოგავას გამოც., თბ., 1988, გვ. 187–211; მისივე. კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994; მისივე, ქვემო ქართლის წარწერები (მოკლე მიმოხილვა). – კრ.: «ღმანისი», II, თბ., 2000.

ე. სილოგავა.

ეპითეტი (< ბერძნ. epitheton – დართული, დამატებული), სიტყვა, რიც რომელიმე ნიშნით განსაზღვრავს საგანს ან მოვლენას, ე. ი. ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას. ჩვეულებრივი (ნეიტრალური) განსაზღვრებისაგან განსხვავებით, ე-ს აქვს ექსპრესიულ-სტილისტური ღირებულება, რაც მიიღწევა განსაზღვრების გამოყენებით იმ სიტყვასთან, რ-თანაც იგი სემანტიკურად თავსებადი არ არის (შდრ. ოქროს ბეჭედი – ოქროს გული). ყოველი განსაზღვრება პოტენციურად ე-ია, მაგრამ ე-ის თვისება შეიძლება შეიძინოს მხოლოდ *კონტექსტ ში.*

მორფოლ. სტრუქტურის მიხედვით ე. შეიძლება იყოს მარტივი (მძინარე სამყარო, წარმტაცი ბუნება) და რთული (ჩალასავით ოქროსფერი თმა, ანგელოზივით სახის ბიჭი).

სინტაქსური ფუნქციის თვალსაზრისით, ე., როგორც განსაზღვრება, შეიძლება იყოს ადიექტური (ამაღლებული სცენა, დანისლული თვალები, გასაოცარი წარმატება) და ადვერბიალური (შეხედა მგელივით, გაყინულად უმზერდა, მწვანედ ბიბინებდა, ქიასავით უმეტყველო...). არ არის გამორიცხული, რომ ადვერბიალური ე. გრამატიკულად უერთდებოდეს საზღვრულს (სმინას ან სახელს), სემანტიკის თვალსაზრისით კი დაკავშირებული იყოს სხვა სიტყვასთან. მაგ., წინადადებაში „მზე წითლად ტოვებდა გორაკებს“ – ჩამავალი მზის წითელი ფერია ნაგულისხმევი, ე. ი. ადვერბიალური ფორმა ლოგიკურად დაკავშირებულია არსებით სახელთან, მას განსაზღვრავს, თუმცა ფორმალურად, წმინდა გრამატ. თვალსაზრისით იგი ზმნას უერთდება.

ადვერბიალური ე. ინფორმაციულად უფრო დატვირთულია. ამიტომაც თუ ადიექტიური ე-ის გასაგებად ზოგჯერ ვიწრო კონტექსტიც კი შეიძლება საკმარისი იყოს, ადვერბიალური ე-ის გასაგებად უმეტესწილად ფართო კონტექსტის ცოდნაა აუცილებელი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ქვეყანა ის დონე, რ-ზეც შეიძლება ესა თუ ის ე. იქნეს გაანალიზებული (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სემანტიკური, პროსოდიული, სიმბოლური, მეტასემიოტიკური), მხოლოდ ამგვარი ანალიზის შემდეგ ხდება შესაძლებელი ე-ის ნამდვილი აზრის გაგება. *ნ. ქემერტელიძე.*

ეპისტოლე (ბერძნ. epistolē – წერილი), სპეციფიკური ლიტერატურული ჟანრის თხზულება, რ-იც ქრისტიანობის ჩამოყალიბების ადრეულ ხანაში გულისხმობდა ეპიკური შინაარსის (უპირატესად ავტორის აზრის, იდეის და არა თხრობითი ამბის) გადმოცემას

ლირიკული უშუალობით, როდესაც უშუალო კავშირია დამყარებული ავტორსა და ადრესატს შორის. ყოველი ე. გამიზნულია მხოლოდ გარკვეული ადრესატისა (იქნება ეს ერთი პიროვნება თუ მთელი ჯგუფი, წრე) და განსაზღვრული მომენტისათვის. ესაა ერთგვარი „ღია წერილი“, რ-იც გადმოსცემს ავტორის შეხედულებებს ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე. ამიტომ ე. მტკიცებითი და დამრიგებლური ხასიათისაც არის. ქართულში ეს სიტყვა შემოსულია V ს-იდან, როცა ბიბლიის სხვა ნაწილებთან ერთად ითარგმნა ამ ხასიათის თხზულებებიც. მოღწეულია უძველესი ქართ. თარგმანები პაველე მოციქულის 14 ე-ისა და 7 ე. წ. კათოლიკე ე-ისა (იაკობის, პეტრესი და იოანესი). X–XI სს-ებიდან ე-ს, „მოკითხვათა და საქმეთათვის მინაწერის“ ანუ საზოგადოდ „წერილის“, შინაარსს გამოხატავდა წიგნი. მაგ., სამოცდ ქართლის კათალიკოსი იოვანე საბანის ძეს სწერს: „აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი“. გიორგი მერჩულის სიტყვებით, ბაგრატ კურაპალატმა საბა იშხნელთან „მსწრაფლ დაწერა წიგნი“. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც ერთმანეთს „წიგნებს“ სწერენ. სალიტ. ქართულში ე-ს ორიენ – ძვ. და ახ. მნიშვნელობა შემორჩა.

ლიტ.: დანელია კ., ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; Вреде В., Происхождение книг Нового завета, М., 1908.

კ. დანელია.

ერგატიული წყობა, სინტაქსური კონსტრუქცია, წინადადების ტიპი, რ-იც შედგება სამწევროვანი სინტაგმისაგან: – გარდამავალი ზმნა, პირდაპირი (უახლესი) ობიექტი და რეალური სუბიექტი. გარდამავალ ზმნასთან პირდ. ობიექტი დაისმის სახ. ან მიც. ბრუნვაში, ხოლო რეალური სუბიექტი დგას სპეციფიკურ ბრუნვაში, რსაც ერგატივს (ბერძნ. „მოქმედი პირი“) ან აქტივს უწოდებენ (ქართულად – მოთხრობითი). დამახასიათებელია, რომ ე. წ-ის მქონე ენებს არა აქვთ ბრალდებითი ბრუნვა ანუ აკუზატივი, რიც ერგატიული ტიპოლოგიის ენებში სახელობითით ან მიცემითით გადმოიცემა, მაგ., ქართულში: კაცმა ააშენა სახლი, შდრ.: კაცი აშენებს სახლს. ქართველურ ენებში სუბიექტი და პირდ. ობიექტი ბრუნვის მიხედვით ცვალებადია და ეს ცვალებადობა გარდამავალი ზმნის დროზეა დამოკიდებული – ქართულსა და სვანურში ე. წ. გვაქვს მხოლოდ აორისტის სერიაში, ჭანურში – სამიეე სერიაში, მეგრულში კი – ნამყო ძირითადის სერიაში, მაგრამ, ყველა (როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ) ზმნასთან. მთის იბერიულ-კაეკ. ენებში გარდამავალი ზმნა ე. წ-ს ქმნის ყველა დროში. მისი ძირითადი მორფოლ. მახასიათებელია ერგატიული ბრუნვა. ეს კონსტრუქცია აღწერის თვალსაზრისით შეიძლება სხვადასხვა ანომალიური (დეფექტური) სისტემით იყოს წარმოდგენილი. ასეეე ზოგ შემთხვევაში (და ზოგ ენაში) ე.წ. გამოყენებულია გარდაუვალ ზმნებთანაც. ყველა ამ გადახრას თავისი ახსნა და განმარტება აქვს. ე. წ. ყველა იბერიულ-კაეკ. ენისათვის ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა. მისი თავისებური სახეობები დასტურდება პალეოაზიურ და ახ. ინდ. ენებში, ბასკურში (ეს უკანასკნელი ერგატიული ტიპოლოგიის თვალსაზრისითაც ახლოს დგას იბერიულ-კაეკ. ენებთან).

იბერიულ-კაეკ. ენებში ძირითადად ორი სახის ერგატივი განირჩევა: 1. თავისთავადი, დამოუკიდებელი ერგატივი, რ-იც მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა და სხვა ფუნქცია მას არა აქვს (ასეა ქართველურ და რამდენიმე მთის იბერიულ-კაეკ. ენაში) და 2. საზიარო, ფუნქციათა შემთავსებელი ერგატივი, რ-იც სხვა ბრუნვის (მოქმ., ნათ., ადგილობითი ბრუნვის) ფუნქციასაც ითავსებს... საზიარო ერგატივი სხვადასხვა ვარიაციულობით დამახასიათებელია მთის იბერიულ-კაეკ. ენათა დიდი უმრავლესობისათვის. ერგატივის ეს მრავალსახეობა არის სწორედ საფუძველი იმ ნაირგვარი, სხვადასხვა თეორ. პოსტულატებზე დამყარებული თვალსაზრისებისა, რ-ებიც არსებობს ე. წ-ის რაობისა და ბუნების შესახებ, კერძოდ, ამ კონსტრუქციის აქტიეობა-პასიურობის პრობლემასთან დაკავშირებით. გარკვეულია, რომ ისტორიულად ე. წ. ნეიტრალური (ინდიფერენტული) ბუნებისა იყო და ბეერ მთის იბერიულ-კაეკ. ენაში ეს ნეიტრალური ბუნება დღესაც დაცულია. თანამედროვე ქართ. და სხვა ქართველურ ენებში, სადაც ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ერგატივი, რ-იც არ არის საზიარო, ე. წ. ყოველთვის აქტიურია.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართ. სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948; II. ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961; Климов Г.А., Очерк общей теории эргативности, М., 1973; Comrie B., Ergativity – Syntactic Typology. – «Studies in the Phenomenology of Language», University of Texas Press, 1978; Dixon R.M., Ergativity, Cambridge, 1994.

გ. თოფურია.

ერედვის წარწერა 906, ქართ. ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი ცხრა სტრიქონად სოფ. ერედვის (გორის რ-ნი) წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთის ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე. წარწერის მრგვლოვანი ასოები რამდენადმე კუთხოვანი მოხაზულობისაა, ხოლო ი, ლ, ნ, ც ასოები ნუსხურისაკენ იხრებიან. წარწერის ტექსტი ასეთია:

„სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა. მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, შეწევნითა წმიდისა გიორგისითა, ჴელმწიფობასა ღმრთივდამყარებულისა წმიდისა კოსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა პერეთს შიგან, ჰერთა მეფეჲ გააქცია და მუნით მშუიდობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გადაჴვთა; მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დალეწა, ქართლს შინა უფლობასა ტბელისა იეანესა, მთაევრეპისკოპოსობასა სანატრელისა ყ~ესა, ჯუარითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ებისკოპოსისაჲთა, ძალითა, შეწევნითა მოყუასთაჲთა, მე თეედორე თაფლაჲსძემან დავდევ საძირკველი.

წელნი იყუნეს ხფი, ქრონიკ“.

წარწერის ტექსტში თარიღი ბოლომდე არ არის ამოკვეთილი. რადგან დასაბამითგან წელთაღრიცხვით აღნიშნული ხფი გვაძლევს 906 წელს (6510–5604), მაშინ



ფ. ერთელიშვილი.

მისი შესაბამისი ქრონიკონით უნდა ყოფილიყო რკე (126 + 780).

წარწერა დოკუმენტურად აღსტურებს „მატიანე ქართლისაჲს“ (XI ს.) მიხედვით კარგად ცნობილ ფაქტს კონსტანტინე აფხაზთა მეფის (893–922) ჰერეთს ლაშქრობის შესახებ, როდესაც მან „ილოცა ალავერდს წმიდის გიორგის წინაშე. და შემოსა ხატი მისი ოქროთი“ (ქ. ც., I, 264: 15).

ნარატიულ წყაროზე («მატიანე ქართლისაჲ») დაყრდნობით ცდილობენ ე. წ. დაათარიღონ „914 წლის ახლო“ დროით. ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიეცეს წარწერის, როგორც მოვლენის თანადროული ძეგლის, ჩვენებას, ე. ი. უნდა დათარიღდეს 906-ით.

ლიტ.: ქართ. წარწერების კორპუსი, ტ. I, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980 (ბიბლიოგრ.). *ვ. სილოგავა.*

ერთელიშვილი ფარნაოზ გიორგის ძე (27. II. 1923, თბილისი, – 6. VII. 1972, იქვე), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969). 1950 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი. მოღვაწეობდა იქვე, ახ. ქართ. ენის კათედრაზე. იყო ერთ-ერთი მთ. ინიციატორი თსუ-ში ტოპონიმიკური ცენტრის – ტოპონიმიკის ლაბორატორიის დაარსებისა (1969; პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის სამეცნ.-კვლევითი ლაბორატორია არსებობდა ახ. ქართ. ენის კათედრასთან).



რ. ერისთავი.

პ-ს ეკუთვნის ნაშრომები (გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი) ენათმეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ეტიმოლოგია, ლექსიკოლოგია... მ. შ. აღსანიშნავია: „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში. ჰიპოტაქსის საკითხები“ (1963); „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“ (1970; გაანალიზებულია 5481 ფუძე); „სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“, რ-იც გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ (1980; გაანალიზებულია 11 362 ფუძე). ამ მონოგრაფიებში საყურადღებო დასკვნებია ქართულში ზმნური თუ სახელური ფუძეების აგებულებისა და ფონემური შედგენილობის შესახებ.

პ. დაინტერესებული იყო ფრაზეოლოგიით – იკვლევდა ხატოვან და იდიომურ თქმებს, ანდაზებს, აფორიზმებს (ნოეელების კრებული ანდაზების თემაზე გამოაქვეყნა ფ. გიორგაძის ფსევდონიმით). განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ენობრივი მოვლენის ისტორიით, დიაქრონიულ ასპექტში განიხილავდა პირის ნიშნებისა და ენებითობის სუფიქსთა გენეზისის, ქცევის, სონანტური ანლაუტისა და აუსლაუტის, ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი აფიქსის ფუნქციისა და წარმომავლობის, ინვერსიის, მახვილის საკითხებს; შექმნა გამოკვლევათა სერია „სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი“.

პ. ცხადაია.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე [9 (21). IV. 1824, სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რ-ნი, – 19. II (4. III). 1901, თელავი], მწერალი, ლექსიკოგრაფი, ეთნოგრაფი. მწერლობასთან ერთად მრავალმხრივ საზ. საქმიანობასაც ეწეოდა: მონაწილეობდა სატერმინოლოგიო სხდომებში, მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში (1882), იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მონაწილეობდა ქართ. თეატრის აღორძინებაში და ა. შ. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება დედაენის დაცვაში. საპოლემიკო წერილებითა და გამოსვლებით იგი გაბედულად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართ. ენის ღირსებას შეურაცხყოფდა. გორის საოსტატო სემინარიის დირექტორის სემიონოვის საპასუხოდ, რ-მაც საერო სასწავლებლებში ფიზიკის, გეოგრაფიის, ისტორიისა და მთელი რიგი სხვა საგნების ქართულად სწავლება შეუძლებლად მიიჩნია შესატყვისი ქართ. ტერმინების უქონლობის გამო („დროება“ 1880, 204, 205, 206), ე-მა დაასაბუთა, რომ ქართველებს ჰქონდათ დედაენაზე როგორც საღვთო და საერო, ასევე ფილოს. წიგნები, მაღალხარისხოვანი თარგმანები კლასიკოსებისა და მთელ რიგ სამეცნ. დისციპლინებში (ფიზიკა, გეოგრაფია, ლოგიკა, ესთეტიკა, თეორეტიკა, რიტორიკა და სხვ.) სათანადო სამეცნ. ტერმინები („დროება“, 1880, 212). ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან, ი. გოგებაშვილსა და ი. მაჩაბელთან ერთად ე. ჩაება დიდ სატერმინოლოგიო მუშაობაში. მისი აზრით, ტერმინთა შერჩევისას უმჯობესია ისევ ჩვენი სიტყვები აღვადგინოთ, ვიდრე სხვებისაგან ვისესხოთ; თუმცა ამავე დროს ზოგჯერ სიტყვათა სესხებასაც უშვებდა („დროება“ 1880, 212). მან მრავალი რუს. ტერმინი და ტერმინოლოგიური გამოთქმა მარჯვედ გადმოაქართულა და დაამკვიდრა ჩვენს ენაში. დღესაც მიღებულია: карта – რუკა, остров – კუნძული, мыс – კონცხი, парус – აფრა, равноденствие – ბუნიობა, рычаг – ოწინარი, ასარმაცი, муфта – ქურო და სხვ.

ე. შეურიგებლად იბრძოდა ქართ. ენის სწავლების უფლების აღსადგენად; მოითხოვდა განათლების დაწყებას დედაენაზე. ამასთან, მომხრე იყო, რომ „დედაენის ხედმიწევნით შესწავლის შემდეგ, ემაწვილს სხვა ერების ენებიც ესწავლა“.

ე. თავისი საჯარო ლექციებით დიდ სამსახურს უწევდა მეცნ. ცოდნის პოპულარიზაციას. 1882 ლექციაში „ქართული ენის დაარსება, გავრცელება და დამკვიდრება“ ყურადღება გამახვილებული იყო ენათა წარმოშობის, განვითარების, დიფერენციაციის საკითხებზე. თავის თანამედროვე და წინამორბედ ევრ. ფილოსოფოსთა და მეცნიერთა ნააზრევზე დაყრდნობით ე. ცდილობდა გაერკვია ქართ. ენის ადგილი სხვა ენათა შორის. მისი აზრით, ქართ. ენა ცალკეა, იგი არ ენათესაებაა არც ინდოევრ., არც ლათ. ენებს. ლექციის მეორე ნაწილში თავმოყრილი იყო ქართ. ენის მდიდარი ლექსიკა და ეტიმოლოგიური ძიება, წარმოდგენილი და გაანალიზებული რთული სიტყვების წარმოება, წარმოქმნილი სინონიმთა სიმრავლე. იგი ცალკე გამოყოფდა არქაიზმებს, რ-ებიც მთის კილოებს შემოუნახავს.

მეორე საჯარო ლექცია (1885) ეხებოდა ქართ. ლიტ-რის ისტორიას IV ს-იდან XIII ს-მდე. აქვე განხილული იყო ქართული ანბანის წარმოშობა, გაანალიზებული მის ფონეტ. შესაძლებლობები და გამოთქმული ვარაუდი, რომ ქართ. ანბანის ღირსება უფრო გაიზრდება, თუ მას გამოვაკლებთ „ხუთ უქმ ასოს“ – ჯ, ჲ, ჳ, ჱ, ჭ.

ე-მა გამოსცა ანტონ I-ის „ქართული ღრამმატიკა“ (1885) და სწავლების მიზნით შეადგინა „მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა“. „სქემა“ შედგენილია იმ დროს არსებული ხელნაწერი და ნაბეჭდი გრამატიკების (პ. იოსელიანის, გაიოზ რექტორის, ი. და დ. ჩუბინაშვილების) საფუძველზე. ე-მა ვერ შეძლო გვერდი აეელო არსებული ტრადიციისათვის, თუმცა უცდია სქემაში ზოგი რამე გაემარტივებინა.

ე-ის ნაწარმოებებში „სამი სტილის“ თეორიის გამოყენების ტენდენციაც მჟღავნდება: ლექსები, კომედიები „სცენები“ (ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან) დაწერილია ხალხ. ენით. მათგან განსხვავდება მისი სტატიები, პირადი წერილები, მის მიერ შედგენილი და გამოცემული ლექსიკონების წინასიტყვაობანი, რ-თა ენა მოკლებულია ბუნებრიობას, სიმარტივეს, დამძიმებულია არქაიზმებით, ხელოვნური ფორმებით და მკითხველისათვის ძნელი გასაგებია.

დიდი დამსახურება აქვს ე-ს ქართ. თეატრის წინაშე. იგი, ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელთან ერთად, განახლებული თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორია. მან ორიგინ. თუ გადმოკეთებული პიესებით გაამდიდრა განახლებული ქართ. თეატრის რეპერტუარი. ე-მა მოქმედი პირების რეალისტური დახასიათების უპირველეს საშუალებად ენა მიიჩნია. ე-ის თითოეულ პერსონაჟს თავისი მეტყველება აქვს, მათი განათლების დონისა და მეტყველების კულტურის შესაფერისად.

ე. დიდი ლექსიკოლოგი და ლექსიკოგრაფია. 1884 მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით პირველად გამოიცა ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“. 1873 კავკასიის სას.-სამ. საზ-ბის უწყებაში დაბეჭდა „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართ. მცენარეთა ლექსიკონი“. ლექსიკონის შედგენის მიზანი იყო მიეწოდებინა ქართველთათვის მცენარეთა ლათ.-რუს. სახელწოდებანი და უცხოელთათვის მისაწვდომი გაეხადა მცენარეთა ქართ. დასახელება. ლექსიკონი იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ მცენარეთა საერთო ქართ. სახელწოდებებთან ერთად მასში გათვალისწინებულია ქართლურის, იმერულის, მეგრულის მონაცემებიც. ე-ის ეს ლექსიკონი საიმპერატორო სას.-სამ. საზ-ბამ დააჯილდოვა დიდი ვერცხლის მედლით. ლექსიკონი, შესწორებული და შევსებული ცხოველთა და ლითონთა სახელებით, ცალკე წიგნად გამოვიდა 1884 („მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან“).

1885-იდან ე. მუშაობდა ქართ.-რუს. ლექსიკონის შედგენაზე, (ლექსიკონი დასრულებული არ არის).

ე-ის არქივში ინახება დიდძალი ხელნაწერი სალექსიკონო მასალა, რ-ის ძირითადი ნაწილია დარგობრივი და სამღვდელმსახურო ლექსიკის ნიმუშები, ბიბლიიდან – მცენარეთა და ფრინველთა სახელწოდებანი; მოცემულია აგრეთვე ფერთა ვრცელი სია, რ-შიც, გარდა ძირითადი ფერებისა, წარმოდგენილია თანაფერთა მრავალრიცხოვანი ნიუანსები: შავ-მოლურჯო (сизый); წითელ-მოჩალისფრო (саврасый); წითელ-სისვი (чалая) (ფონდი 484).

ქართ. ენის ლექსიკის გასამდიდრებლად ე-ს აუცილებლად მიაჩნდა ხალხური სიტყვიერების შეკრება-გამოქვეყნება, რადგან მასში ისმოდა ქართ. ენის „ნამდვილი ბუნება და მიმოხვრა“. ე-მა ი. ჭავჭავაძესთან ერთად გამოსცა „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ 1873; 1879 მანვე შეკრიბა და ცალკე წიგნად დაბეჭდა „ქართული გამოცანები“ იმ აზრით, რომ „არ დაკარგულიყვნენ იგინი სამუდამოთ ჩვენი ლიტერატურისათვის“.

თხზ.: შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართ. მცენარეთა ლექსიკონი, ტფ., 1873; მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან, ტფ., 1884; რამდენად მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს?. – «დროება», 1880, №212; ლექციების ციკლი ქართულ ენასა და ლიტერატურაზე (ავტოგრაფები დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ე-ის საარქივო ფონდში).

ლიტ.: გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, თბ., 1910; ვ ა შ ა კ ი ძ ე შ., რაფიელ ერისთავი, თბ., 1974; ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ლ., რ. ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები. – «იკე», XII, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, რ. ერისთავის ხელნაწერი ლექსიკონები. – ჟურნ. «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1972, №4; მ ი ს ი ვ ე, რ. ერისთავი ქართული ენის წარმოშობის, დაარსებისა და განვითარების შესახებ. – «იკე», XXIV, თბ., 1985; მ ი ს ი ვ ე, რ. ერისთავი – ლექსიკოგრაფი და რედაქტორი. – იქვე, XXIX, თბ., 1990. *ლ. იორდანიშვილი.*

ერკერტი (Erckert) რიხარდ (1830 – 1900, ბერლინი), პრუსიელი მკვლევარი, მსახურობდა რუსეთში, იყო სამხ. პირი, გენ.-ლ. აქვს ეთნოგრ. და ენათმეცნ. ხასიათის შრომები. მონოგრაფია „კავკასია და მისი ხალხები“ (1887) შეიცავს ეთნოგრ. ცნობებს კავკ. ხალხების შესახებ, კავკ. ენათა ლექსიკურ მასალას. მეორე შრომა „კავკასიური ძირის ენები“ (1895) გამოცემულია ორ ტომად. მასში 545 სიტყვაა თარგმნილი თითქმის ყველა კავკ. ენაზე, მოცემულია ცალკეული ფრაზები და თითოეული ენის მოკლე გრამატ. მიმოხილვა.

ქართ. ენის მიმოხილვა იწყება გრამატ. ხასიათის შენიშვნებით: ეხება სალიტ. ენის საკითხებს, ძვ. ქართულისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, იძლევა ახ. ქართულის ზოგად დახასიათებას; მოცემული აქვს ქართველურ ენათა გენეალოგიური სქემა. ნაშრომში მოკლედაა განხილული ფონეტიკის, ბრუნების, უღლილებისა და სიტყვაწარმოების საკითხები. დახასიათებულია ქართ. ენის დიალექტები, მოცემულია ქართ. მეტყველების ნიმუშები და სხვ. ქართველურ ენათა განხილვა თავდება „ქართველურ ენათა გრამატიკული ტაბულით“.

თხზ.: Der Caukasus und seine Völker, Leipzig, 1887; Die Sprachen des kaukasischen Stammes, Bd. 1–2, Wien, 1895.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორია, თბ., 1965; Г а н К., Труды Р. фон-Эркерта. – «Известия Кавк. отдела Имп. русск. геогр. общ-ва», т. 14, вып. 2, Тфл., 1901. *გ. თოფურია.*

ეროვნული ენა, სოციალურ-ისტორიული ცნება, აღნიშნავს ენას, რ-იც არის ერის ურთიერთობის საშუალება და შეიძლება არსებობდეს ორი ფორმით – ზეპირი და წერილობითი. ე. ე. ფორმდება და ვითარდება ერის ჩამოყალიბებას-

თან ერთად და ერთდროულად არის როგორც ერის წარმოშობისა და არსებობის წანამძღვარი, ისე ამ პროცესის შედეგი. ე. ე. ეროვნების ენის მემკვიდრეა. იგი მეტია, ვიდრე სახელმწიფო ენა (იხ. *ენობრივი პოლიტიკა*). ე. ე. არის სიმბოლო მოქალაქეთა ერთობის ერად მოაზრებისა. თუკი კონკრეტული ენა, დროში ცვალებადობისას, არ კარგავს თავის სოციალურ არსს, იგი ინარჩუნებს კულტ.-ისტ. და სხვ. ტრადიციათა თაობიდან თაობისთვის გადაცემის უნარსაც. ე. ე. არის ენის არსებობის ერთგვარი ტიპი, რ-იც არსებობის სხვა ტიპებსაც უპირისპირდება (გვარის ენა, ტომის ენა...) და სხვა. ე. ე-საც (მაგ., ესპანური–კატალონიურს, რუსული–უკრაინულს). ენა ვითარდება თავისი შინაგანი კანონებით, მაგრამ თანდათანობით ერგება საზ. მოწყობასაც. ასეთი შეგუების შესაძლებლობა ენის სოც. არსითაა განპირობებული: ე. ე-ს აქვს განვითარებული ფუნქციური სისტემა, რაც საშუალებას აძლევს, უზრუნველყოს კომუნიკაციური ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტა. ე. ე-ის წარმოშობასთან არის დაკავშირებული ენის ფუნქციური განვითარების უმაღლესი ეტაპი და მისი მთავარი იპოსტასის – ეროვნული *სალიტერატურო ენის* განვითარება.

ენის მდგომარეობა, რ-იც ე. ე-ის სახელით არის აღნიშნული, განისაზღვრება კომპონენტთა კონკრეტული ნიშნებით, როგორიცაა სალიტ. ენის ერთიანი ფორმა (შდრ.: რუსული, ფრანგული) ან ვარიანტული ფორმა (შდრ.: სალიტ. ენის ორი ფორმა ალბანურსა და ნორვეგიულში), დიალექტთა, კილოთა ან თქმათა ამა თუ იმ ოდენობის არსებობა, მეტყველების გარდამავალი ფორმების არსებობა [ნახევარდიალექტები (იხ. *გარდამავალი დიალექტი*), *კოინე* და სხვ.].

ე. ე-თეის ქველაზე დამახასიათებელ სოციუმად გვეელინება სახელმწიფო. თანაბარ ვითარებაში სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოს შეიძლება ერთი და იგივე ენა ემსახურებოდეს (მაგ., ბრიტანული ინგლისური ინგლისში და ამერიკული ვარიანტი აშშ-ში).

ერს საკუთარი სოც., პოლიტ., ტერიტ., ფსიქოლ., კულტ. მთლიანობისთვის უეჭველად ესაჭიროება საერთო სტანდარტიზებული (ნორმირებული) ენა, რ-იც ერის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ნიშანიც იქნება. ამ ფუნქციას ასრულებს სახელმწიფო ენა, ე. ი. სახელმწ. კონსტიტუციით განსაზღვრული ენა, რ-ითაც ხორციელდება სახელმწიფოს შიგნით ქველა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება.

ენა, კულტურასთან, რელიგიასა და ისტორიასთან ერთად, ეროვნულობის უმთავრესი კომპონენტია. ენა თვითკუთვნილების განსაზღვრის ორიენტირიცაა. იქ, სადაც ადრე არსებობდა რეგიონული და სოც. ეობრივი ვარიანტების სიმრავლე, დროთა განმავლობაში წარმოიშობა სტანდარტული გაერთიანება იმ ენობრივი ვარიანტებისა, რ-ებიც შეგნებულადაა დაკავშირებული ეროვნების გამაერთიანებელ ცნებასთან. ამ აზრით, ენა ინდიკატორია, რ-იც ეროვნებას განიხილავს, როგორც საფუძვლის ეთნიკური კუთვნილებიდან ერამდე (ჯ. ფიშმანი).

ლიტ.: Лингвистический энциклопедический словарь, M., 1990; Fishman J. A., Bilingualism with and without Diglossia. Diglossia with and without Bilingualism. – «Journal of Social Issues», 1967, №32; Fasold R., The Sociolinguistics of Society, N. Y., 1998; Calvet L.-Y., Language wars and linguistic politics, Oxf., 1998. *ბ. ტაბიძე.*

ეტიმოლოგია (ბერძნ. etymologia < étymon – სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა და lógos – მოძღვრება), I. ენათმეცნიერების დარგი, შეისწავლის სიტყვის წარმოშობას, მისი მნიშვნელობის განვითარებას; 2. სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა; 3. ძველი სასკოლო გრამატიკის დარგი, რ-იც სწავლობდა ცალკე სიტყვის აგებულებას (დაახლ. შეესაბამებოდა შემდეგდროინდელ მორფოლოგიას); XIX ს. ენათმეცნიერებაში ტერმ. „ე." გამოიყენებოდა გრამატიკის მნიშვნელობით.

ე. გულისხმობს სიტყვის ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენების ამოშიფრვას ანუ იმ დახასიათების მიგნებას, რ-ის საფუძველზეც საგანს, მოვლენას დაერქვა სახელი (რეული – რეიანი, გაფითრდა – ფითრის ფერი დაედო...).

ნებისმიერი ენის ლექსიკაში არის გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, რ-თა კავშირი ფორმასა (ბგერით შედგენილობასა) და შინაარსს შორის ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის გაუგებარი ხდება. ეს ბუნებრიეიცაა: ისტ. ცვალებადობის პროცესში თანდათან იცვლება სიტყვის ფორმა, ბნელდება სიტყვის მნიშვნელობაც. ეს შესაბამისად ართულებს ამოსაეალი მოდელის აღდგენის შესაძლებლობასაც. თანამედროვე ე. ემყარება ენობრივი სისტემის ქველა რგოლის ჩამოყალიბებისა და ცვლის პროცესების ცოდნას. მაგ., სიტყვა ნახშირის ე-ის დადგენისათვის აუცილებელია შხ და ხშ თანხმოვანთა ჯგუფების ისტ. განაწილების შესწავლა – როგორც ქართულის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება (შდრ. დიალექტური ნახშირი, ე. თოფურია), ისე მონათესაეე ენათა შესაბამის ფუძეთა შედარება: სვან. შიხ, მეგრ. ნოშქვერი (არნ. ჩიქობავა); გამოთქმულია ვარაუდი, რომ რიცხვითი სახელი ორი წარმოშობით უკავშირდება სიტყვებს ყური, ქვერი და თავდაპირველად წყვილობის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო (ი. ჯავახიშვილი); მწიფ-ს, ა-მწიფ-ებ-ს, და-მწიფ-დ-ა... ნასახელარი ზმნები ნაწარმოებია მიმღეობური ფუძისაგან მწიფე (მ-ე მაწარმოებლით), სადაც ძირი არის წ, -იფ- კი – -ივ- თემის ნიშნის ვარიანტია (შდრ. წ-ევ – წ-იე, წ-ეფ – წ-იფ): მი-ე-წე-ა, მი-ე-წ-ი(ვ)-ა – მი-ე-წ-იფ-ა. შდრ. სვან. ან-ჰ-ე „მოაღწია", მგჰ-ი „მოღწეული", „მწიფე" (ა. შანიძე) და ა. შ.

ეტიმოლოგიური ძიება აუცილებელია ისტ.-შედარებითი კვლევის პროცესში. განსაკუთრებით ფასეულია ე-ის მონაცემები *ფუძეების* ლექსიკური ფონდის აღდგენისთვის და ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენისას (იხ. *ეტიმოლოგიური ლექსიკონი*). მაგ., ამჟამად ქართულში ცალკე არ არსებობს ძირი ცენ-, მაგრამ დაცულია ფუძეებში: ცენ-დ-ებ-ი-ნ, აღმოცენ-ებ-ა, მ-ცენ-არ-ე და სხვ. საწურისა (მეგრ. -ჩან-ა || -ჩან-უა „გაზრდა", „ნაყოფის გამოღება", ლაზ. ჩან- || ნჩან- „ხარობს", „იზრდება"... (არნ. ჩიქობაეა) და სვანურის (შენ-/შან-/შნ „ნაყოფი", „მოსხმა"... ე. თოფურია) მონაცემები საშუალებას იძლევა ქართეელური ფუძეების დონეზე აღდგენილი იქნეს

ძირი ცენ- ამ მნიშვნელობით (გ. კლიმოვი).

ზოგჯერ ე. ემყარება სიტყვის უშუალო გააზრებას მეცნ. კვლევის გარეშე, მხოლოდ სიტყვათა გარეგნული მსგავსების მიხედვით. ასეთ ე-ს, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ე-გან განსხვავებით, უწოდებენ ხ ა ლ ხ უ რ ანუ ცრუ ე-ს. მაგ., ასეა გაკეთებული სამტრედია – „სამი მტრედი არის", რაჭა – „რა ჭა?" და სხვ. მრავალი მდ. იორის სახელწოდება გაიაზრება როგორც იორა, ორად იქცა (ვახუშტი).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართ. და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938; მ ი ს ი ე ვ ი, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; მ ი ს ი ე ვ ი, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., (1953) 1973; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964. *ი. ქერქაძე.*

ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სამეცნიერო ტიპის *ლექსიკონი*, რშიც სალექსიკონო სტატიების სახით წარმოდგენილია ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის შედეგები. ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდის შედგენილობა წარმომაქლობის თვალსაზრისით არაერთგვაროვანია, კერძოდ, მოიცავს როგორც უძველესი ძირეული ფონდის მონაცემებს, ისე კონკრეტული ენის სიტყვაწარმოების გზით წარმოქმნილ ახ. ლექსიკურ ერთეულებსა და ისტ. ნასესხობებს. ამიტომ ე. ლ. შეიძლება შეიცავდეს როგორც რომელიმე კონკრეტული ენის შინაგანი რეკონსტრუქციისა და ისტ. კვლევის შედეგებს, ისე მონათესაე ენათა ისტ.-შედარებითი კვლევის მონაცემებს. ერთი კონკრეტული ენის ე. ლ., ჩვეულებისამებრ, ყველა მითითებული ტიპის მასალას და კვლევის შედეგებს მოიცავს, მონათესაე ენათა ე. ლ-ის საგანი კი მხოლოდ საერთო, უძველესი ფონდის ლექსიკაა. პირველი ტიპის (ერთი ენის) ცნობილი ე. ლებია: Walde A., Lateinisches etymologisches Wörterbuch, Bd. I–3, Hdlb., 1965; Фасмер М., Этимологический словарь русского языка, т. 1–4, М., 1986–87; Абаев В., Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I–3, М.–Л., 1958–79. მონათესაე ენათა შედარებითი ლექსიკონების ნიმუშებია: Pokorny J., Indogermanisches etymologisches Wörterbuch, Bd. 1–2, Bern–München, 1959–65; Miklosicz F., Etymologisches Wörterbuch der slavischen Sprachen, W., 1986 (Amst., 1970).

ქართველოლოგიაში ცნობილია ქართველურ ენათა შედარებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონები: არნ. *ჩიქობავა*, ჭანურ-მეგრულ-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938; Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964; ჰ. *ფენრიხი*, ზ. *სარჯველაძე*, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990 (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, 2000).

ა. არაბული.

ეტიმონი (ბერძნ. étymon – ჭეშმარიტი მნიშვნელობა), ამოსავალი ძირეული მონაცემი (ფორმა და მნიშვნელობა), რ-იც საფუძვლად ედება რომელიმე კონკრეტული სიტყვის წარმოშობას. სიტყვის ისტ. ფუნქციონირების პროცესში მორფონოლოგიური და სემანტიკური პროცესების შედეგად, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს სიტყვის წარმომაელობის, ეტიმოლოგიური მოტივაციის დაბინდვა, რის აღდგენასაც ემსახურება ეტიმოლოგიური კვლევა. ეტიმოლოგიური ძიების ერთ-ერთი საბოლოო შედეგია სწორედ ე-ის დადგენა. მაგ.: ქართ. *ძელ* – ჭან. ჯა(ლ) – „ხე" ფუძეთა შეპირისპირების შედეგად აღდგება: **ძელ* = „ხე" (იხ. *არქეტიპი*). *ი. ქერქაძე.*

ეტრატი, პ ე რ გ ა მ ე ნ ტ ი, ტყავისაგან დამზადებული საწერი მასალა. ტყავის დამუშავება საწერ მასალად უძველესი დროიდან იყო ცნობილი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ცნობები ამის შესახებ დაცულია პეროდოტესთან (ძვ. წ. V ს.). როგორც ხელოსნობის დარგი, ე-ის დამზადება განსაკუთრებით განვითარდა ელინისტურ პერიოდში ქ. პერგამონში. აქედანაა მისი სახელწოდებაც „პერგამენტი" (ამაეე ფუძიდან მომდინარეობს ე-ის ევროპ. სახელწოდებანი). ე-ის დასამზადებლად იყენებდნენ ახალგაზრდა პირუტყვის (ხბო, ციკანი, კრავი) ტყავს, რ-საც საგანგებოდ ამუშავებდნენ კირიან წყალში. სათანადო ტექნოლ. ციკლის გაელის შემდეგ ტყავს ჭიმავდნენ და აშრობდნენ. უკვე გამშრალი ე-ის ზედაპირი ორივე მხრიდან მუშავდებოდა ცარცით ან კვერცხის ცილით, თუმცა მისი გარეთა (ბეწვის) მხარე დამუშავების შემდეგ უფრო მუქი ფერისა რჩებოდა, ვიდრე – შიდა. ე-ის ორივე გვერდი გამოიყენებოდა საწერად. მასალის სიძვირისა და დამუშავების ხანგრძლივობის გამო ე. ძვირადღირებული საწერი მასალა იყო. მიუხედავად ამისა, საუკეთესო თვისებებმა – სირბილემ, მოქნილობამ, გამძლეობამ განაპირობა ე-ის ფართო გავრცელება. ე-ის გაბატონებამ ბაზრიდან თანდათანობით განდევნა *ჭილი*, უფრო იაფი, მაგრამ ნაკლებად გამძლე საწერი მასალა. ამავე დროს ე-ის გამოყენებას სამწიგნობრო ხელოვნებაში მოჰყვა სხვა სიახლეც – გრაგნილი შეიცვალა კ ო დ ე ქ ს ი ს (რვეულის, თანამედროვე წიგნის) ფორმით. ე-ზე დაწერილ წიგნებს უპირატესობა ენიჭებოდა საღვთისმსახურო პრაქტიკაშიც – წიგნის გამოყენება ღვთისმსახურების დროს გაცილებით ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე გრაგნილისა. დამუშავებული ტყავი იკეცებოდა ოთხად შვეულსა და განიე ცენტრ. ზოლებზე და რვეულისებურად იკერებოდა. ასე გადაკეცილ ტყავის ნაჭერს ბერძნულად tetrádion (ოთხეული) ეწოდებოდა. ამ ბერძნ. სიტყვიდან არის მიღებული ქართ. ე. (შდრ. აგრეთვე რუს. тетрадь), იგი თავდაპირველად აღნიშნავდა ტყავის რვეულს, თანდათანობით კი ტყავის საწერი მასალის აღმნიშვნელ ზოგად სახელად იქცა.

გადამწერები ე-ს მისი სიძვირის გამო დიდი მომჭირნეობით ხმარობდნენ. ზოგჯერ დაძველებულ ხელნაწერებს შლიდნენ, ძვ. ტექსტს ფხეკდნენ და ერთხელ უკვე გამოყენებულ ე-ზე ხელმეორედ წერდნენ, მაგრამ რადგან ე. კარგად იწოვს საღებავს, ძვ. ტექსტი ბოლომდე მაინც არ იშლებოდა. ასე წარმოიშვა ე. წ. პალიმფსესტური ტექსტები (იხ. *პალიმფსესტი*).

საქართველოში გამოიყენებოდა როგორც შემოტანილი, ასევე ადგილ. წარმოების ე. ხელნაწერთა მინაწერებში დაცული ცნობებით, ე-ს ამზადებდნენ ბატკნის, ციკნის და თეთ ირმის ტყავისგანაც კი. ე-ის დამუშავება – „შექმნა ეტრატისა“ ხელოსნობის ცალკე დარგს წარმოადგენდა.

ქართ. ხელნაწერების ყველაზე ძველი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი (XI ს-მდე, ქაღალდის მასობრივ გამოყენებამდე) – VI–VII სს. პალიმფსესტები, ხანმეტი ლექციონარი (VII ს.), სინური მრავალთავი (867), ადიშის (897), ჯრუჭის (936), პარხლის (973) ოთხთაევები, უდაბნოს (X ს.), შატბერდის (973–976) მრავალთავები და სხვ. ე-ზეა შესრულებული.

ლიტ.: ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკ. 1 – ქართ. დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926, II გამოც., 1949 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9, თბ., 1996); ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978; დ ა ნ ე ლ ი ა ქ., ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

მ. სურგულაძე.

ეფთვიმე მთაწმიდელი, X–XI სს. (955–1028) ლიტერატორი, მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე. ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, იოანე მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ, 1005–19 წლებში, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, გარდაცვალებამდე მწირუნეელი და გამგებელი მთელი ათონის სამონასტრო ცხოვრებისა. დაიბადა ტაოში, წარმოშობით ეკუთვნოდა დიდ ფეოდ. სახლს – ჩორდვანელებს (ჩორჩანელთა ფეოდ. გვარის შტო სამხრ. ტაოში). დედის მხრიდანაც იმავე ჩორდვანელების შთამომავალი იყო. გარდაიცვალა 1028 წლის 13 მაისს. დაკრძალულია ათონის ქართველთა მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის საძვალეში. მისი ხსენების დღე 13 მაისია. ამ დღეს მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს.

ე. მ. პატარა იყო, როდესაც ბერად შემდგარი მისი მამა – იოანე ულუმბოს მთაზე დამკვიდრდა. ეფთვიმე და-ძმასთან ერთად დედის მამამ – აბუხარბ ჩორდვანელმა წაიყვანა აღსაზრდელად. მალე, ქეეენის პოლიტ. მდგომარეობის გამო, მცირეწლოვანი ეფთვიმე სხვა უფლისწულებთან ერთად მძევლად მოხვდა საბერძნეთის სამეფო კარზე. როდესაც იოანემ ეს ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ ჩავიდა კონსტანტინოპოლში, საიდანაც საბერძნეთის მეფეთა დასტურით შვილი ულუმბოს მთაზე წაიყვანა. 965 იოანე შვილსა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ათონზე გადავიდა და აოანასე დიდის ცნობილ ლავრაში დამკვიდრდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ათანასეს რჩევით იოანემ (თორნიკე ჩორდვანელთან ერთად) მონასტერი დააარსა. ეფთვიმემ სრულყოფილი განათლება მიიღო ქართულ და ბერძნულ ენებზე. 975-იდან დაიწყო მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებასა და იქ მთარგმნელობითი საქმიანობის გაშლას, კულტურულთან ერთად, დიდი პოლიტ. მიზანიც ჰქონდა. ამ დროისათვის ტაოსა და კლარჯეთში (რომელთა სამწიგნობრო კერებსაც დაემყარა ათონის სალიტ. სკოლა) ეროვნ.-კონფესიონალური თვალსაზრისით მეტად რთული ვითარება იყო. რაკი იქაური მოსახლეობა სომხურ გარემოცვაში, სომხების მეზობლად ცხოვრობდა და ლიტ.-მთარგმნელობითი საქმიანობითაც უმეტესად მათ უკავშირდებოდა, ქართ. მწერლობაში, აქედან კი ქართველ მრევლში მონოფიზიტური იდეების შეღწევის საშიშროება იქმნებოდა. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად პირველ რიგში საჭირო იყო ქართველები გარკვეულიყვნენ სარწმუნოების საკითხებში, მიეღოთ სარწმუნოებრივი განათლება. ამიტომ აუცილებელი გახდა მართლმადიდებლური შინაარსის თხზულებათა თარგმნა უშუალოდ ბერძნულიდან, სომხურის გვერდის ავლით („თვნიერ სომხურისა“). ეს მისია თავს იდო ათონის სალიტ. სკოლამ, ძირითადად კი ე. მ-მა. ბიოგრაფის ცნობით, იგი წლების განმავლობაში (გარდაცვალებამდე) შეუსვენებლად თარგმნიდა და ამ თარგმანებს სასწრაფოდ აგზავნიდა საქართველოში. ამიტომ იყო, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა სკოლის მოწაფეთა მიერ შეფასდა როგორც ქართველთა განმანათლებლობა (მან „განანათლა ქართველთა ენაი და ქუეყანაი“, გიორგი მთაწმიდელი).

ე. მ-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობით ქართ. სას. მწერლობაში სრულიად ახ. ხანა დაიწყო. IV ს-იდან მოკიდებული, არ დარჩენილა არც ერთი ცნობილი ბიზანტ. მწერალი, რ-იც მას ქართ. ენაზე არ აემეტყველებინა: თარგმნა IV ს. სას. მწერლობის კორიფეების, იოანე ოქროპირისა და კაბადოკიელი მამების (გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის) თხზულებები. ე. მ-ის თარგმანითაა დაცული ქართ. სას. მწერლობაში იოანე ოქროპირის, მათესა და იოანეს სახარებათა თარგმანები (განმარტებები), ბასილი დიდის „თიკა“, რ-იც აერთიანებს მორალურ-დოგმატიკურ თემებზე შექმნილ „სწავლათა“ ჰომილიებსა და ფსალმუნთა თარგმანებს, გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილეტიკური თხზულებები, რ-თაც ავტორის საღვთისმეტყველო სტილის სიღრმისა და სირთულის გამო ე. მ-მდე, 5–6 საუკუნის მანძილზე, ქართ. მწერლობაში ღირსეული მთარგმნელები არ გამოსჩენია.

ჰომილეტიკური თხზულებების თარგმანებით ე. მ-მა ქართ. მწერლობაში შემოიყვანა გრიგოლ ნოსელიცა და IV ს. ასევე დიდი ავტორი ეფრემ ასური. მანვე თარგმნა აგრეთვე IV ს. პალესტინელი მოღვაწის მაკარის სახელით ცნობილი არამაკარისეული თხზულებები – მაკარის „სწავლანის“ სახელწოდებით. თარგმნილი აქვს მაქსიმე აღმსარებლის სხვადასხვა ჟანრის თხზულებები, იოანე სინელის „კლემაქსი“, ანდრია კრეტელის „იოანეს გამოცხადების“ თარგმანები, იოანე დამასკელის „წინამძღვარი“, პატერიკული კრებული.

ე. მ-ს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა თარგმნაშიც.

მან თარგმნა ბევრი „წამება“ და „ცხოვრება“, რ-თა ერთი ნაწილი აპოკრიფულია. ამ ჟანრის თხზულებებიდან აღსანიშნავია „წამება მთავარმოწამისა დიმიტრისი, ცხოვრება სტეფანე ახლისა, წამება კლიმენტი პრომთა პაპისა, ცხოვრებანი ათანასე დიდისა, ბაგრატ ტაყრომენელისა, ონოფრე მძოვრისა, მარიამ მეგეპტელისა, ანტონი დიდისა“ და სხვ., საკუთრივ აპოკრიფული თხზულებები: იოანე ღვთისმეტყველისა და ანდრია მოციქულის მიმოსლვანი.

ე. მ-ის თარგმანითაა დაცული ჩვენს მწერლობაში ახალი აღთქმის დამამთავრებელი წიგნი „იოანეს გამოცხადება“, რ-იც, ალბათ, მისი აპოკრიფული შინაარსის გამო მანამდე ქართულად თარგმნილი არ ყოფილა.

ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტურგიკული ძეგლებიდან ე. მ-ს თარგმნილი აქვს რამდენიმე თხზულება, მ. შ. „მცირე საწელიწდო სვინაქსარი“, დასდებელნი მარხვათანი და საგალობლები. მასვე ეკუთვნის „მცირე სჯულისკანონის“ შედგენა ბერძნ. კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროს მიხედვით.

ქართ. და ბერძნ. ენების სრულყოფილი ცოდნა და ბერძენ მწიგნობართა წრეში დიდი ავტორიტეტი მას შესაძლებლობას აძლევდა, ქართულიდან ბერძნულადაც ეთარგმნა ცალკეული თხზულებები. მისი ბიოგრაფი გიორგი მთაწმიდელი ასეთებად ასახელებს „ბალავარიანსა“ და „აბუკურას“.

ეფრემ მცირის გადმოცემით, ე. მ-ის მთარგმნელობითი მეთოდისათვის დამახასიათებელია „შემატებაჲ და კლებაჲ“. ეს მეთოდი ე. მ-ის თარგმანებში ფართოდაა გამოყენებული და ცვლილებათა მრავალფეროვნებას გულისხმობს: ხშირად ამა თუ იმ თხზულების თარგმანი იმავე ავტორის სხვა თხზულებით ანდა ამ თხზულებიდან ამოღებული ფრაგმენტებითა და ეპიზოდებითაა გავრცობილი. ზოგჯერ თარგმანის გასავრცობად გამოყენებულია სხვა ავტორის თხზულებები, მათგან ამოღებული ფრაგმენტები და ეპიზოდები. თარგმანის ტექსტში შეიძლება ჩართული იყოს კომენტარებიც, თუ ასეთი აღმოაჩნდება სათარგმნ ბერძნ. ტექსტს. ჩვეულებრივია აგრეთვე საკუთარი კომენტარების შეტანა და საკუთარი დამოკიდებულების გამომჟღავნება ნაწარმოებში ასახულ ამა თუ იმ უარყოფითი თუ დადებითი მოვლენისადმი. ზოგჯერ ნაწარმოებში შეტანილი ცვლილებებით შეცვლილია მისი ჟანრი. სათარგმნი ტექსტისადმი ე. მ-ის ამგვარი თავისუფალი დამოკიდებულება იმდროინდელი ვითარებით ჩანს განპირობებული – მართლმადიდებლობის პრინციპებში ნაკლებად გაცნობიერებული ქართ. მკითხველებისათვის დამატებითი დეტალების მიწოდებისა და მათი სარწმუნოებრივი განათლების საჭიროებით. ტექსტზე რედაქტორული მუშაობის ეს მეთოდი ბიზანტ. მწერლობის პრინციპებში პოულობს დასაყრდენს.

ე. მ. თავისი თარგმანების მიხედვით ენის რეფორმატორიც არის. ამ თარგმანებში იგი უფრო ფართოდ იყენებს იმ გრამატ. ფორმებსა და ლექსიკურ ერთეულებს, რებიც, როგორც ჩანს, უკვე X ს. მიწურულისათვის გზას იკაფავდნენ ენაში, ხოლო შემცირებულია და შესწლულდული იმ ფორმებისა და ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რ-ებიც ენაში დროთა განმავლობაში დაიკარგნენ, ანდა დაკარგეს ძველი მნიშვნელობები. ასე რომ, ძვ. ქართულიდან ახლისაკენ შემობრუნების ამსახველი ნიშნები პირველად ე. მ-ის შემოქმედებაში ინერგა თავს, გიორგი მთაწმიდელის ენა ამ მხრივ მის მომდევნო ეტაპს ასახავს.

ე. მ-ის თარგმანები საგანგებოდაა დაცული უცხოენოვანი ლექსიკური თუ გრამატ. გაელენებისაგან. იგულისხმება, ერთი მხრივ, სომხ. ლექსიკა, რ-იც ტაო-კლარჯეთის ორენოვანი რეგიონის ქართულში დიდი რაოდენობით იხმარებოდა (ე. მ. თვითონ ამ რეგიონიდან იყო და მის გარშემოც ათონზე ძირითადად ამ რეგიონებიდან წამოსული ბერები ტრიალებდნენ) და, მეორე მხრივ, ბერძნ. ენის როგორც გრამატ., ისე ლექსიკური თავისებურებანი, რ-ებიც თარგმნის დროს ჩვეულებრივ იჩენენ ხოლმე თავს.

ე. მ-ის თარგმანების ენასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მისი ერთი თავისებურებაც: ქართ.-ბერძნ. ენების სრულყოფილ ცოდნასა და დიდი მწიგნობრისათვის დამახასიათებელ სხვა ღირსებებთან ერთად იგი სიტყვათშემოქმედების საგანგებო ნიჭით დაჯილდოებულიც იყო. მის თარგმანებში ბევრი ისეთი სიტყვა გვხვდება, რ-იც ე. მ-ს თვითონ შეუქმნია ძირითადად ბერძნ. შესაბამისი სიტყვების (განსაკუთრებით კომპოზიტების) კალკირების გზით, ოღონდ ქართ. ენის გრამატიკულ და ლექსიკურ შესაძლებლობათა და თავისებურებათა გათვალისწინებით. ამიტომ ეს სიტყვები იმდენად ქართულია, რომ ბერძნულთან შედარების გარეშე მათში კალკების ამოცნობა ჭირს (მაგ., „სიტყვთაშემწე“ – ვექილი, „ტაბლაკეთილი“ – სტუმართმოყვარე, „არავინ-არავისგანი“ – არარაობა, „დანმთქმელი“ – მეკობრე, „მიმომავალი“ – მაწანწალა, „მბაძველი“ – მსახიობი და სხვ.). საერთოდ კი ხარგრძლივი ტრადიციებით შემუშავებული ქართ. გრამატ. ფორმები და სინტაქსური კონსტრუქციები, საკუთრივ ქართულისათვის ნიშანდობლივი მხატვრული სტილი, საუკუნეების მანძილზე შეძენილი და ქართველთა მეტყველებაში დამკვიდრებული მდიდარი ლექსიკა ქმნიან ერთობლივად ე. მ-ის თარგმანების ენობრივ და სტილურ სახეს.

ე. მ-ის მოღვაწეობის მნიშვნელობა ბეერად სცილდება ეროვნულ ფარგლებს. მას ღირსეული ადგილი უკავია ქრისტ. მწერლობის ისტორიაში ცნობილი დიდი საეკლ. მამების გვერდით.

წყარო: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. – წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.

ლიტ.: ქ ე ქ ე ლ ი ძ ე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945; მ ი ს ი ე ვ ე, უქვეითმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში. – იქვე; მისიეე. ქართული

ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ი., ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982; ქ უ რ ც ი კ ი ძ ე ც., ბასილი კესარიელის „სწავლათა" ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბ., 1983; მ ი ს ი ვ ე, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება. – «ფილოლოგიური ძიებანი», II, თბ., 1995; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996.

ც. ქურციკიძე.

ეფრემ მცირე, XI ს. II ნახევრის ცნობილი მწიგნობარი, მთარგმნელი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, მეცნიერი, ფილოლოგი, ლექსიკოლოგი და ლექსიკოგრაფი. ქართ. მწერლობაში შექმნა ეპოქა, რ-მაც წარმატებით დააგვირგვინა ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების სალიტ. სკოლის მოღვაწეობა და ფუძე დაუდო ღრმა მეცნ. სტილით აღბეჭდილ ახ. სამწერლობო მიმართულებას, რ-იც შემდგომ განავითარეს და განავრცეს არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა.

ე. მ-ის ბიოგრაფიიდან ცოტა რამ არის ცნობილი: დაბადებულია XI ს. I ნახევარში. ვარაუდობენ, რომ იგი ვაჩე კარიჭისძის შვილია. სწავლა-განათლება კონსტანტინოპოლში მიიღო, სრულყოფილად დაეუფლა ბერძნ. ენასა და ძვ. ბერძნ. გრამატ. ტრადიციებს, ღრმად განისწავლა ღმრთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში.

გაურკვეველი მიზეზების გამო ე. მ. საბერძნეთიდან სამოღვაწეოდ მცირე აზიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე გადავიდა და აქტიურად ჩაება იქაურ ბერ-მონაზონთა სალიტ. სკოლის მუშაობაში. XI ს. 90-იან წლებში შავი მთის კასტანას მონასტრის წინამძღვარი გახდა. გარდაცვლილი უნდა იყოს XII ს. დასაწყისში (1103 რუის-ურბნისის კრების აქტები მას გარდაცვლილად მოიხსენიებს).

ე. მ-მ დიდი ორიგინალური თუ თარგმნითი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ორიგინ. თხზულებებიდან აღსანიშნავია: „მოსაჴსენებელი მცირე სჳმეონისათჳს ლოღოთეტისა და თხრობაჲ მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმანისათა", „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისაჲ, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების", „ფსალმუნთა კატენების შესავალი", „ფსალმუნთა გამოკრებილი თარგმანება", თარგმნილ ტექსტებზე დართული შეისწავეენი და *ანდერძები*.

ე. მ-ს ბერძნულიდან უთარგმნია, განუმარტავს და რედაქცია გაუკეთებია სხვადასხვა დარგის (ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, პოლემიკა, ასკეტიკა, მისტიკა, ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა, ისტორია, ფილოსოფია) მრავალი ტექსტისათვის, რ-თა მიხედვით იგი ფართო ერუდიციისა და განათლების მეცნიერია. მისი ენათმეცნ. ნააზრევი შედეგია ფართომასშტაბიანი მთარგმნელობითი მუშაობისა. ენის საკითხებზე განსჯა უშუალოდ უკავშირდება მის ახ. მთარგმნელობით თეორიას, რ-იც შემდეგი პრინციპებითაა განსაზღვრული: 1. მთარგმნელი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ბერძნ. და ქართ. ენებს; უნდა იცოდეს: „ზედმიწევნითი რაბამობაჲ ქართველთა და ბერძენთა ენათაჲ"; 2. თხზულება უნდა ითარგმნებოდეს უშუალოდ დედნიდან ყოველგვარი შემოკლება-შემატების გარეშე; 3. თარგმანი უნდა იყოს ზუსტი, მაგრამ არა სიტყვასიტყვითი, რათა არ შეილახოს იმ ენის ბუნება, რ-ზეც ძეგლი ითარგმნება; 4. თარგმანს დართული უნდა ჰქონდეს კომენტარები, რ-შიც განხილული იქნება ძეგლთან დაკავშირებული ისტ., თეოლ., ლინგვ. თუ ტექსტოლ. საკითხები. ე. მ. პირდაპირ მიუთითებს: ტექსტი უნდა ითარგმნოს „მართლად, შეუზავებელად და შეუხებლად", თუმცა ეს პრინციპი ადვილად განსახორციელებელი არ არის. იგი მთარგმნელისაგან მოითხოვს დიდ განსწავლულობას, რათა სათანადოდ გაერკვეს დედნისეული „ღრმა ადგილების" ნამდვილ შინაარსში, რასაც ხშირად აძნელებს სათარგმნი ძეგლის ალეგორიულ-მეტაფორული შინაარსი, კულტ.-გეოგრ. არეალის თავისებურებანი, სიტყვათა სემანტიკური ველის სხვაობები და პოლისემანტურობა.

ე. მ. მკაცრად იცავდა ამ პრინციპებს პრაქტ.-მთარგმნელობით მოღვაწეობაში. მან შექმნა თავისი დროისათვის ახალი და ღირებული მთარგმნელობითი თეორია, რ-ისთვისაც თვითონ არასოდეს უღალატია (იხ. *ელინოფილიზმი*). მის მიერ თარგმნილ ყოველ ტექსტს ახლავს მეცნიერულად გამართული „სიტყვადართულობა"; თარგმანი გამოირჩევა ზედმიწევნითი სიზუსტით და ყოველთვის შესრულებულია უშუალოდ დედნის ენიდან. მეტიც, მან ხელახლა თარგმნა ჰომილეტიკური ტექსტი ბერძნულიდან, რ-იც მანამდე სომხურიდან იყო გადმოღებული: „კუალად მეორედ ვიიძულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა შვილსა და ბერძენისა შვილიშვილსა, ნუუკუე და არა უეჭუელსა, თჳთ უეჭვი და საკუთარი შვილი აღვირჩიეო." ეს სიტყვები ე. მ-ის გრამატ. აზროვნების განმსაზღვრელად იქცა და ფართოდ დამკვიდრდა XI–XII სს. მწერლობაში. უშუალოდ ბერძნ. წყაროების მიხედვით, რ-თაგან აღსანიშნავია დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება", იქმნება გრამატიკული ტერმინოლოგია და იგი არ არის გაშუალებული ლათინურით, როგორც ეს ევროპელებმა აითვისეს და გაავრცელეს.

ქართ. ლინგვისტური აზროვნების ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეულია ეფრემისეული ისტ., გრამატ. და ლექსიკური ხასიათის მეცნ. მსჯელობა-განმარტებანი, რ-ებსაც ავტორი ტექსტის უკეთ გაგებისათვის მიმართავს. ნამდვილი ენათმეცნიერის ალღოთი მსჯელობს ე. მ. სამწერლობო და ზეპირმეტყველების საკითხებზე. იგი გამოჰყოფს და განასხვავებს სალიტ. ენას და ზეპირმეტყველებას, სათანადო ტერმინებიც შემოაქვს: წ ი გ ნ უ რ ი ე ნ ა და ს ო ფ ლ უ რ ი ე ნ ა. ხშირად, როდესაც სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს – „წიგნური" (ლიტერატურული) და „სოფლური", იგი აფრთხილებს მკითხველს: „შეისწავე, ვითარმედ ლექსი ღრმასა სიტყუასა ჰქვიან წიგნურსა, რომელსა სოფლურად ნაცუალი სხუაი აქუნდეს... შეისწავე, რამეთუ სა-

ხელსა ამას მედგარსა ორი სახე აქუს: წიგნურად მცონარვსა უხმობს მედგარსა, ხოლო სოფლურად მზაკუარსა პქვიან მედგარი“.

ქართ. გრამატ. აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ე. მ-ის შრომებში დადასტურებული გრამატ. ტერმინოლოგია: გარდასრული (წარსული), აწინდელი (აწმყო), მომავალი; ერთობითი (მხოლობითი), გამრავლებითი (მრავლობითი); ახლოს მაკუეთა (კეცა), მრავალკეცობაი (ხოლმეობითობა, მრავალგზისობა). საგულისხმოა სხვა ტერმინებიც: „განსაზღვრება“, ერთ არსი, განკეეთილი. საზოგადო და საკუთარი სახელების აღმნიშვნელია ზოგადი და განთვისებული სახელები.

საყურადღებოა ე. მ-ის მსჯელობა ქართულში ბრძანებითი კილოს თაობაზე. მას შენიშნული აქვს ბრძანებითის ფორმების ხმარება ნატერითი კილოსა და მომავალი დროის აღსანიშნავად: „მოვედინ სუფეაჲ შენი“, „იყავნ ნება შენი“. შენიშნული აქვს ისიც, რომ მთარგმნელები ბერძნულის ბრძანებითსა და ნატერით კილოებს, აგრეთვე მომავალ დროს, ბრძანებითის ფორმებს უხამებენ: „ბრძანებითი არის მომასწავებელი მომავალთა“.

ე. მ. მთარგმნელთა ყურადღებას მიაქცევს სიტყვის პირდაპირსა და გადატანით მნიშვნელობებს ანუ „ხუმეითისა“ და „დამართებით სიტყუას“. მაგ., გამოთქმაში „ღმერთმან წინასაუკუნეთამან“ უკანასკნელი სიტყვა არის არა პირდაპირი ნათქუამი, არამედ – „ხუმეითი“.

ე. მ. მსჯელობს ყველა იმ ენათმეცნ. საკითხზე, რ-იც თარგმნის პროცესში ენის ნორმალიზაციასთან არის დაკავშირებული. ერთერთი მათგანია პუნქტუაციის სისტემა, რ-იც თვითონ შექმნა ბერძნულის ანალოგიით. იგი შენიშნავს, რომ პირველმთარგმნელებს „არარაჲ უღუაწიათ წერტილთა განკუეთისათჳს“. შემოაქვს სათანადო პუნქტუაციური და მარგინალური ნიშნების აღმნიშვნელი ტერმინები. პუნქტუაციურია: ერთწერტილი (მძიმე), ორწერტილი (კითხეის ნიშანი), სამწერტილი, ექსწერტილი. ამ ნიშნებს საინტონაციო, სადეკლამაციო ხმის ამწევი ფუნქციაც აქვს. მარგინალური ტერმინებია: „შეისწაეე“, „განსაზღვრება“, „მოზრახული“, „მზის თუალი“, „იოტა“; წერასთან დაკავშირებული ტერმინებია: „მოთხვით წერა“ (ოთხკუთხიე წერა), „გარემოწერა“, „მართგანწყობით წერა“. როგორც ცნობილია, ე. მ-მ პირველმა თარგმნა ქართულად იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, ფილოს. ნაშრომი, რ-შიც 170-ზე მეტი ფილოს. და თეოლოგიური ტერმინი აქვს გამოყენებული. ზოგიერთი მათგანი დღესაც იხმარება, დიდი უმრავლესობა კი ისტორიის კუთვნილებაა და მეტად ფასეულია ქართ. ტერმინოლოგიის ისტორიისათვის: განსაზღვრება, საზღვარი, ერთარსი, განკეეთილობა, კითხვა-მიგება (დიალოგი), მოზრახული (მოაზრებული, მოფიქრებული) და სხვ.

საინტერესო მასალას იძლევა ე. მ-ის შემოქმედება ისტ. დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, მაგ., არცთუ იშვიათია დიალექტური სიტყვები: ბრე (შდრ. გაბრელოება), ჩელხი, სიჩხიე, გნჩიე („ხვავის გაულეწავი ანაკაზმი“, ს.-ს. ორბ.).

უაღრესად მნიშვნელოვანია ე. მ-ის ნაღვაწი ლექსიკოლოგიის დარგში: მას ასეულობით სიტყვა აქვს გატანილი აშიაზე და განმარტებული. ლექსიკოლოგიური საშუშაოების მიზანი იყო სალიტ. ენის სრულყოფა. მისი აზრით, ენის ლექსიკის გამდიდრება დიდად არის დამოკიდებული ენის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენაზე, ძნელად გასაგებ სიტყვათა განმარტებებზე. სქოლიოებსა და კიდურწერილობებში ე. მ-ს განმარტებული აქვს არა მარტო უცხო წარმომავლობის სიტყვები, არამედ ქართულიც (იშვიათად ხმარებული სიტყვები – ნეოლოგიზმები, არქაიზმები). ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა განმარტებები – სხარტი, მოკეეთილი ფრაზები ზუსტად ხსნიან სიტყვის შინაარსს: „პიმენ მწყრალად გამოითქმის“, „ირისე რომელ არს მშვილდი ცისაჲ“, „ვარშამაგ ეწოდების სუდარასა, რომელ არს თავსახუეველი“, „ხოლო სიმამრად სახელსდვა მას, ვითარც ძმასა მეულღისასა“, „მოციქული წარეკლინებულად გამოითარგმანების“. განმარტებულია არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ ფრაზეოლოგიური ერთეულებიც: „ყოველსა შინა შეზღნილ, ესე იგი არს, წურთილ და განსწაელულ არს“. მან ამგვარი ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ძიებები იმით დააგვირგვინა, რომ ლექსიკონები დაურთო თავისივე თარგმნილ ორ ტექსტს – ფსალმუნთა განმარტებას და პეტრე იბერის შრომებს, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართ. ლექსიკოგრაფიას. იგი იკვლევდა სიტყვის მნიშვნელობებს, ალაგებდა ანბანის რიგით და ურთავდა განმარტებებს. განმარტებული აქვს ლექსიკონის რაობაც: „ამასთანა ამასცა მეცნიერ იყავ, ვითარმედ ესრეთ აქუს ჩუეულება წიგნებსა ბერძენთასა, რაჲთა ანბანსა ზედა განაწყობდენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაჲთა ადვილ იპოვნენ საპოვნელად. და წიგნსა მას ლექსიკონ უწოდენ, რომელ არს ლექსთაჲ ე. ი. იგი არს ღრმათა სიტყუათაჲ.“

ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა სიტყვის სალექსიკონო ერთეულად გატანისა და განმარტების ეფრემისეული პრინციპები. სახელთა სალექსიკონო ფორმად მას აღებული აქვს *წრფელობითი ბრუნვის* ფორმა. მაგ., **კუერთხ ღმრთისა, კარ შემყუანებელ, მარჯუენე და მკლავ მამისა...**, ზმნის სალექსიკონო ერთეულად კი უპირო ფორმა, მასდარი, რ-იც ფუნქციურად ინფინიტივის ტოლფასია. მაგ., ზის ფორმისათვის შერჩეულია **ჯდომა**, უწამებს – **წამება**, შიის – **შიმშილი**. მასდარი მიიჩნევა სალექსიკონო ერთეულად მაშინაც, როცა ტექსტში მხოლოდ პირიანი ფორმებია, მაგ., იცინოდა, იცინოდის – **სიცილი**.

ე. მ. გრამატ. ოპერაციებს ატარებდა გარკვეული წესების დაცვით, რაც განამტკიცებს იმ აზრს, რომ XI–XII სს-ში, შესაძლოა

გაცილებით ადრეც, ქართველებს ჰქონდათ გრამატიკის სახელმძღვანელო (იხ. „*სიტყუაჲ ართრონთათჳს*“).

ლიტ.: ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1956; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; შანიძე მ., ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979; მისიყე, სიტყუაჲ ართრონთათჳს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990; სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; თვალთვაძე დ., ეფრემ მცირე – ბიზანტიური მწერლობის მთარგმნელი-კომენტატორი (აეტორეფერატი), თბ., 1997; დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბ., 1998.

თ. ცქიტიშვილი.

Ⴅ ⴅ ვ

ვ, ქართული ანბანის მეექვსე ასო; მისი სახელია „ვინი“; გრაფ. სიმბოლო ბაგისმიერი სონორი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴅ. მისი მოხაზულობა ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური ⴅ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრული ვ-ს ზედა და ქვედა ნაწილები რკალური ფორმისაა. ნუსხური ⴅ და მხედრული ვ ოთხხაზოვანი სისტემის ქვედა სამ ხაზს შორის იწერება:

Ⴅ ⴅ ვ

ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ექვსს (6), ახ. ქართულში ჩამოთვლისას (ანბანის რიგის მიხედვით) აღნიშნავს მეექვსეს. ციფრობრივი ნუმერაციის დროს გამოიყენება ერთი და იმავე ნომრით აღნიშნული რამდენიმე საგნის, პუნქტის... განსასხვავებლად: მეხუთე პუნქტის ვ მუხლი.

ვალენტობა (< ლათ. valentia – ძალა), ზმნის უნარი, შეიწყოს წინადადების ბირთვში აქტანტი სახელების განსაზღვრული რაოდენობა. ზმნის პირიანობისაგან (იხ. *პირი*) განსხვავებით, ვ. სინტაქსური კატეგორიაა.

ენობრივი სისტემის ლოგიკურ-სემანტიკური დონის ერთეულები – *პრედიკატი* (P), *სუბიექტი* (S), *ობიექტი* (O) – უნივერსალური კატეგორიებია. ენებს შორის განსხვავებას ქმნის არა ამ კატეგორიათა არსებობა-არარსებობა, არამედ მათი განსხვავებული გამოხატვა გარკვეული მორფოლ., სინტაქსური თუ ლოგიკური საშუალებებით; ამ თვალსაზრისით განსხვავებები ენებს შორის შეეხება ენათა ე. წ. ზედაპირულ და არა სიღრმისეულ სტრუქტურებს, რ-ებიც ზოგადობით და უნივერსალობით ხასიათდებიან.

ობიექტი, როგორც სემანტიკური კატეგორია, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი. ეს უკანასკნელი სხვადასხვა როლს ასრულებს პროცესსა თუ სიტუაციაში და შესაძლებელია დახასიათდეს როგორც ადრესატი („ბავშვი წერილს სწერს მამას“), დესიგნატი („დედა წერილს უწერს ბავშვს“), ეგზეკუტორი („დედა წერილს აწერინებს ბავშვს“), ლოკატიური ობიექტი („დედა ქუდს ახურავს ბავშვს“) და სხვ.

ენობრივ სისტემაში სუბიექტისა და ობიექტის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი არსებითი სახელები (აგრ. ნაცვალსახელები), ანუ აქტანტები გარკვეული წესით უკავშირდებიან პროცესის ან სიტუაციის გამომხატველ გრამატ. ერთეულს – ზმნა-შემასმენელს და ქმნიან სინტაქსურ ერთიანობას, ე. წ. წინადადების ბირთვს. იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ზმნა, რა სემანტიკური შინაარსისა და სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველია იგი, ზმნური ფორმა შეიძლება წინადადების ბირთვში წარმოდგენილი იყოს სახელის გარეშე (ე. ი. სტრუქტურულად მას არავითარი სახელი არ შეეწყოს: შდრ. თოვს, წვიმს, ქუხს...), ან ერთი, ან მეტი სახელი (ნაცვალსახელი) დაუკავშირდეს. ამგვარად, წინადადების ბირთვი შეიძლება განვიხილოთ როგორც ზმნური ფორმა განსაზღვრული რაოდენობის ცარიელი სინტაქსური უჯრედებით, რ-ებიც შესაძლებელია გრამატიკულად სწორი წინადადებების მისაღებად გარკვეული ფორმის სახელებით (ნაცვალსახელებით) შეივსოს.

წინადადების ბირთვის ცენტრ. სინტაქსური ელემენტი ამ თვალსაზრისით ზმნა-შემასმენელია, რ-საც ამა თუ იმ ფორმით შეეწყობა სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელები (ნაცვალსახელები). ზმნური ფორმის უნარს, შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (ნაცვალსახელების), ანუ აქტანტების განსაზღვრული რაოდენობა, შეიძლება ზმნის ვ. ეწოდოს (ლ. ტენიერი). ამგვარად, ზმნური ფორმის „სინტაქსური ვ.“ განისაზღვრება წინადადების ბირთვში თავისუფალ უჯრედთა რაოდენობით.

სინტაქსური უჯრედების რაოდენობა წინადადების ბირთვში განისაზღვრება ზმნური ფორმის სტრუქტურით: ნულვალენტიანი თოვს, ერთვალენტიანი – ⌣ წევს (ის), ორვალენტიანი – ⌣⌣ კლავს

(ის მას), სამვალენტიანი – ∪ – – სწერს (ის მას მას) და ა. შ.

სხვადასხვა ტრანსფორმაციული წესის შემოღებით, ზმნური ფორმის პ-ის გარდაქმნის შესაბამისად, შესაძლებელია აღიწეროს ენის სინტაქსურ კონსტრუქციათა გარდაქმნები. მაგ., ორვალენტიანი ზმნური ფორმა (ე. ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარითა და პირდ. დამატებით) ქართულში გარდაიქმნება სამვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ზმნური ფორმის ტრანსფორმაციით კაუზატივის (იხ. *კონტაქტი*) ან *ქცევის* კატეგორიათა მიხედვით: მამა (S) წერილს (O პირდ. დამატება) წერს → მამა (S) ბავშვს (O ეგზეკუტორი) წერილს (O პირდ. დამატება) ა-წერ-ინ-ებ-ს; მამა წერილს წერს → მამა (S) ბავშვს (O დესიგნატი) წერილს (O პირდ. დამატება) უ-წერ-ს; მამა წერილს წერს → მამა (S) წერილს (O ლოკატიური) მისამართს (O პირდ. დამატება) ა-წერ-ს. სამვალენტიანი ზმნური ფორმა (ე. ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარით, პირდ. და ირ. დამატებებით) ამავე ტრანსფორმაციებით გარდაიქმნება ოთხვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ირ. ობიექტის გამომხატველი სახელის ბრუნვის შეცვლით: მამა (S) ბავშვს (O ადრესატი) წერილს (O პირდ. დამატება) სწერს → მამა (S) დედას (O ეგზეკუტორი) ბავშვთან (O ადრესატი) წერილს (O პირდ. დამატება) ა-წერ-ინ-ებ-ს; მამა ბავშვს წერილს სწერს → მამა (S) დედას (O ეგზეკუტორი) ბავშვთან (O ადრესატი) წერილს (O პირდ. დამატება) უწერს და ა.შ.

სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა ამსახველ სახელთან დაკავშირებული ნიშნები ზმნურ ფორმაში შესაძლებელია გამოხატავდნენ ამ ერთეულთა სხვადასხვა კატეგორიებს: პირს ან კლასს. ამის მიხედვით გარჩეულია პ ი რ ო ვ ა ნ ი და კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი უ ღ ე ლ ი ლ ე ბ ა (შესაძლებელია შერეული ტიპიც).

ქართ. ენის ზმნური სისტემა წარმოადგენს სტრუქტურულ ტიპს მკვეთრად გამოხატული პიროვანი უღელილებით. ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთაგან ზმნურ ფორმაში ნიშანს აჩენენ როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის გამომხატველი სახელები. ამ თვალსაზრისით ქართ. ზმნა შეიძლება დახასიათდეს როგორც სუბიექტურ-ობიექტური წყობის ზმნა.

ლიტ.: გამყრელიძე თ., ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“. – «საენათმეცნიერო კრებული, მიძღვნილი გივი მაჭავარიანის ხსოვნისადმი», თბ., 1979; ენუქიძე ლ., ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე სალიტერატურო ენათმეცნიერებაში, თბ., 1987; Теньер Л., Основы структурного синтаксиса, пер. с франц., М., 1988.

თ. გამყრელიძე.

ვანის სახარება, ვანის ოთხთავი, XII–XIII სს. სახარება-ოთხთავის *გიორგი* მთაწმიდლისეული ქართ. რედაქციის ხელნაწერი. შესრულებულია ლამაზი ნუსხურით ორ სვეტად. შეიცავს 274 ფურცელს (241-ე ფურცელი ამოვარდნილია), თითო სვეტში 21 სტრიქონია. ხელნაწერის ზომაა 29×21 *სმ*, ნაწერი სვეტისა – 19×5, 2. სათაურები, აბზაცის დასაწყისი და ზოგჯერ ცალკეული სიტყვების პირველი ასოები შესრულებულია მთაერულითა და ოქრომელნით. მდიდრულადაა შემკობილი ევსების „10 კანონის“ შემცველი კამარებით, მახარებელთა სურათებითა და მინიატიურებით. ხელნაწერის მომხატველია ბერძენი მიქაელ კორესელი, გადაწერილია თამარის სამეფო კარის დაკვეთით ვინმე იოვანეს მიერ ქ. კონსტანტინოპოლთან ახლომდებარე *რომანას ქართველთა მონასტერში*. ანდერძიდან ჩანს, რომ



ვანის ოთხთავი. XII–XIII სს.

ცნობილ მოღვაწე ბერს ზაქარიას ათონის მთაწმიდის მონასტრის დიდ წიგნსაცავში მოუძიებია ოთხთავის გიორგი მთაწმიდელისეული ავტოგრაფი. იგი ჯერ შატბერდელ სტეფანე ხუცს გადაუწერია, შემდეგ კი – იოვანეს.

თითოეულ სახარებას უძღვის მოკლე უწყება და თავების ტექსტი: მათესას – 76, მარკოზისას – 57, ლუკასას – 96, იოანესას – 36. ეს თავები ტექსტის შიგნითაც მეორდება სათანადო ადგილებში. ხელნაწერში დაცულია ბევრი მინაწერი და გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძიც.

ორთოგრაფია-ფონეტიკიდან ვ. ს-ს ახასიათებს უჵ დაწერილობა ნაცვლად ჳე-სი: ტყუჵობასა, უკუჵ, ს ასიმილაციით იცვლება შ-დ სისტემებრ ჯ ჭ ჩ-ს წინ: შჯის, ჰშჩანთ, მოშჭრიდეს...; ჰ პირის ნიშანი შენახულია მხოლოდ ხ-ს წინ: ჰხადის..., ზმნის ვნებითი გვარის ფორმებში უვინო დაწერილობაა: ცხონდების და ა. შ.

ვ. ს. ერთხანს (XIV–XV სს.) დაცული ყოფილა მესხეთში, შორათის მონასტერში, შემდეგ (XVIII ს.) – ვანში, 1889-იდან კი – გელათში, საიდანაც ეუკ. ბერიძეს ჩამოუტანია თბილისში. ამჟამად ინახება ხელნაწ. ინ-ტში (A-1335). ტექსტი გამოკვლევითურთ გამოსცა ი. იმნაიშვილმა 1979.

ლიტ: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები.– «მიმომხილველი», II, თბ., 1951; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. 4, თბ., 1954; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ე., ვანის ოთხთავის დეკორაციული მორთულობა.– «ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», 1960, ტ. 2; ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1973; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979.
კ. დანელია.

ვანის ქვაბთა წარწერები, თამარ მეფის ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლები, რ-ებიც შესრულებულია მრგლოვანი დამწერლობით ვანის ქვაბთა გუმბათოვანი მონასტრისა და წუნდის ეკლესიის კედლებზე (იხ. აგრეთვე *ვანის ქვაბთა წარწერების პოეზია*).

ვანის ქვაბთა სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტ. ჯავახეთში, ასპინძიდან 28 *კმ* დაშორებით მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ახალქალაქის პლატოს ქარაფის კლდოვან უბეში. გამოქვაბულთა ხუროთმოძღვრული ანსამბლის ცენტრში, კლდეში ნაკვეთი გუმბათოვანი ტაძრის გარშემო, 24 სართულზე განლაგებულია 200-ზე მეტი კლდის სახლი 8 ეკლესიით. ვანის ქვემოთ 4 *კმ*-ზე მტკვრის მარჯვ. ნაპირზე მდებარეობს წუნდის ნაქალაქარი. ვანის ქვაბთა უდაბნო-მონასტერი და წუნდის საერისთავო 1191-მდე გურგენისძეთა ფეოდ. გვარის სამფლობელო იყო. 1191 გურგენისძეთა წარმომადგენელ იწქითს თამარ მეფის წინააღმდეგ გიორგი რუსის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ჩამოერთვა ვანის ქვაბები და 1191–1204 ისინი მეფის კუთვნილებად იქცა. შემდეგ მონასტერი გადაუციათ თმოგველ ერისთავთერისთავებისათვის. XIII ს-ის 20–30-იან წლებში ერისთავთერისთავ მხარგრძელს შეუდგენია მონასტრის წესდება, რ-მაც ჩვენს დრომდე მოაღწია (იხ. „*ვაჰანის ქვაბთა განგება*"). XIV ს. II ნახ-იდან მონასტრის მფლობელები სხვა გვარეულობანი ჩანან. თურქთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ მონასტერმა არსებობა შეწყვიტა.



ვანის ქვაბთა წარწერა.

ვ. ქ. წ. აღმოაჩინა გ. გაფრინდაშვილმა 1283 მიწისძვრით დანგრეული ნამონასტრალის არქიტ.-არქეოლ. გათხრებისას 1965–66. წარწერების დათარიღების (1186 – 91) წლები ტექსტისა და ისტ. წყაროების ანალიზის საშუალებას იძლევა. წარწერები ეკუთვნის იწქით გურგენისძეს.

ტაძრის წარწერა ხუთსტრიქონიანია, შესრულებულია ქვის ფილაზე (150×60 *სმ*) წითლად შეღებილი ასოებით. სიტყვათა განკვეთილობის ნიშანი ორწერტილია, ქარაგმის ნიშანი – მოკლე. წარწერის შინაარსი ასეთია:

„ი˹ეს˺ო ქრისტე, ადიდე ორთ˹ა˺ვე შ˹ი˺ნა ს˹უფე˺ვ˹ა˺თა მ˹ე˺ფ˹ე˺თა მ˹ე˺ფე და დ˹ე˺დ˹ო˺ფ˹ა˺ლი თ˹ა˺მ˹ა˺რ, რ˹ომ˺ლისა ზე მე იწქ˹ი˺თმ˹ა˺ნ გურგ˹ე˺ნისძემ˹ა˺ნ ა˹ღ˺ვ˹ა˺შ˹ე˺ნე კედ˹ე˺ლი ესე და დავ˹ა˺ს˹უე˺ნ˹ე˺ნ ხ˹ა˺ტნი მ˹ა˺ცხ˹ოვ˺რისა, ღ˹მრთი˺სმშ˹ო˺ბლისა, ნ˹ა˺თლ˹ი˺სმც˹ე˺მლ˹ი˺სი და ჯ˹უარ˺ი წ˹მ˺ი˹დი˺სა ს˹ჳ˺მ˹ეო˺ნისი ვ˹ი˺ნცა ილ˹ო˺ცვ˹ი˺დ˹ე˺თ მ˹ე˺ცა მ˹ო˺მ˹ი˺ჴს˹ე˺ნ˹ე˺თ".

მეორე სამკვიდრებლის ეგვტერის წარწერა, ორსტრიქონიანია (130×36 *სმ*). სიტყვებს შორის განკვეთილობის ნიშანი არ ჩანს. ქარაგმის ნიშანი მოკლეა:

„ესე არს სამკ˹ჳ˺დრ˹ო˺ბ˹ე˺ლი ჩ˹უე˺ნ გ˹უ˺რგ˹ე˺ნ˹ა˺თი მე იწქითმ˹ა˺ნ აღვ˹ა˺შ˹ე˺ნე შ˹ე˺მინ˹დო˺ს ღ˹მ˺ერთმა˹ნ˺".

იწქით გურგენისძის მესამე, *კუთხოვანი, ორწერტილოვანი დამწერლობით* შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა ამოკვეთილია წუნდის ეკლესიის არქიტრავზე (190×53 *სმ*):

„ს˹ა˺ხ˹ე˺ლითა ღ˹მრთისა˺თა მე იჭქ˹ი˺თმ˹ა˺ნ გ˹უ˺რგენისძემ˹ა˺ნ აღვ˹ა˺შ˹ე˺ნე ეკლ˹ე˺ს˹ი˺აჲ ესე მ˹ა˺მ˹უ˺ლი ჩ˹უე˺ნი ს˹ა˺ხ˹ე˺ლსა ზ˹ედ˺ა წ˹მიდ˺ისა ნ˹ა˺თლ˹ი˺სმც˹ე˺მ˹ლი˺ს˹ა˺სა ს˹ა˺ლ˹ო˺ცვ˹ე˺ლა˹დ˺ ჩემთ˹ჳ˺ს და მშ˹ო˺ბ˹ე˺ლთა ჩ˹ე˺მთათჳს".

წარწერა შესრულებული უნდა იყოს XII ს. 90-იან წლებში. ამას ადასტურებს ვანის ქვაბებში აღმოჩენილი ექვსსტრიქონიანი წარწერა (1204), ამოკვეთილი მონასტრის ზღუდეზე, რ-ის ამშენებელი მეფის მოხელე ანტონ ჭყონდიდელია. „ი˹ეს˺უ ქ˹რისტ˺ე ადიდე ორთავე შ˹ი˺ნ˹ა˺ სუფ˹ე˺ვ˹ა˺თა მეფეთა მეფე და დ˹ე˺დ˹ო˺ფ˹ა˺ლი თ˹ა˺მ˹ა˺რ წელსა მ˹ე˺ფ˹ო˺ბისა მათის˹ა˺სა ოცსა ანტ˹ო˺ნი ჭ˹ყო˺ნდიდელი˹სა˺ მ˹ი˺ე˹რ˺ აღეშ˹ე˺ნა ზღ˹უ˺დე ესე შეუნდვე".

ლიტ.: ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962; გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბის ვანძი. – «ძეგლის მეგობარი», 1966, №6; სილოგავა ვ., სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ახალციხე, 2000.

გ. გაფრინდაშვილი.

ვანის ქვაბთა ვარჭერების პოეზია, ვანის ქვაბთა სამონასტრო კომპლექსში მრავლად მოიპოვება ქვაბის ბინადარი ქალების წარწერებიც (XV ს.).

ვანის ქვაბთა მონასტერი თავდაპირველად მამათა მონასტერი იყო, მაგრამ XIV ს. მიწურულიდან, დედათა ე. წ. სამყოფელი (სხვა თვალსაზრისით – თავშესაფარი) ხდება. მონასტრის ქვაკლაზე მაღალ სართულზე მოთავსებულ ჯვრის ტიპის პატარა გუმბათიანი ეკლესიის კედლებზე, როგორც შიგნით, ისე გარეთ, მოთავსებულია შაეი საღებავით შესრულებული მხედრული წარწერები (დაახლ. 50-მდე), რ-ებიც ხელწერისა და სხვა მონაცემების მიხედვით სავარაუდოდ XV ს. II ნახ. თარიღდება (წარწერების ერთი ნაწილი გამოაქვეყნა ე. ცისკარიშვილმა, 1954).

წარწერები ეკუთვნის მონასტრის ბინადარ ქალებს, რ-ებიც აქ იძულებით მოხვედრილან. ესენი არიან: გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი, მისი და შაღაბანი სულთანი და სხვ. წარწერებში ქალები გოდებენ თავიანთი მძიმე ხვედრის გამო; თავს აგებრებენ და ითხოვენ შეცსასა და შენდობას ღვთისმშობლისა და ღვთაების ხატისაგან. ზოგიერთი წარწერა ყოფითი ხასიათისაა და შეიცავს შემსრულებლის ბიოგრაფიულ ცნობებსაც. მაგ., გულქანის პროზაულ წარწერებში ნათქვამია, რომ მასზე „ულამაზეს სულიერი დედამიწაზედ არ იარებოდა“. ის „ქალად და გასათხოვად“ მოუყვანია მანუჩარს (საფიქრებელია, ქვარყვარე ათაბაგის შვილს, რ-იც XV ს. II ნახ-ში მოღვაწეობდა).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსითი წარწერები. პირველ ყოლისა, უნდა აღინიშნოს ანა რჩეულაშვილის წარწერაში ჩართული „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი – უიმედობის გამომხატველი ორი სტროფი (1300 – 1301) ქაჯთა ტყეობაში მყოფი ნესტანის წერილიდან. ამით ანა თაეის უიმედო ყოფასაც ასახავს:

„ქ ციხეს ეჩი ეზო მაღალსა, თუალნი ძლივ შემომაცდება, / გზა გურაბითა შემოელენ, მცველნი მაზედა დგებიან; / მაშიგან ორნი გუშაგნი ნაბადსა არ დაცდება, / მათსა შემბულსა დაჭოცენ, ცეცხლურებ მოედებიან. / ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედა სხუათა მებრძოლთა წესითა, / ნუცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა, / დამთქმეთა, დაგთმობ ჭირითა ამისგან უარესითა“. ტექსტი აშკარად წარწერილია სეპირად, რის გამოც დამახინჯებულია, მაგრამ მისი მნიშნელობა ქართ. ლიტერისათვის დიდია: ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი ჩანაწერი, რ-იც ორი საუკუნით უსწრებს ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს.

ლექსები აღმოჩნდა სხვა წარწერებშიც. ასეთია სულ 10 ლექსი, რ-ებიც ადრე პროზაულ ტექსტებად იყო მიჩნეული და ასევე დაიბეჭდა. აქ არის ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან“ და „როსტომიანიდან“, ლირიკული ლექსები, როგორც მწიგნობრული (მაგ., გულქანის მეორე წარწერა), ისე ხალხ. ზეპირსიტყვიერებიდან (თუმიანის ლექსი „ზეცას გაეცალე, ზეცა ენახე...“). ზოგი მათგანი თვით წარწერათა აეტორების მიერ ჩანს შეთხზული და საკმაოდ მაღალი მხატერული დონით გამოირჩევა. მაგ., თუმიანის ერთი სატრფიალო ლექსი ასე იკითხება: „ქ. მზეო, გიშვენის წალკოტი ხილითა და ხეენარითა, / უწყალოდ მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახევ ნარითა“.

ვანის ქვაბთა წარწერები შეიცავენ ახ. მასალებს ძვ. ქართ. პოეზიის ისტორიისათვის და სრულიად დამსახურებულად იპყრობენ მკვლეეართა ყურადღებას. გარდა წმინდა ისტ.-ლიტ. მნიშენელობისა, წარწერები უნობრივი თვალსაზრისითაც საინტერესოა: ისინი მეტნაკლებად ასახავენ სასაუბრო ენის და, ამდენად, დიალექტის თაეისებურებებსაც.

ლიტ.: ცისკარიშვილი ვ., წარწერები ასპინძის რაიონიდან. – «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», ნაკვ. 30, თბ., 1954; ონიანი შ., ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. – «საბჭოთა ხელოვნება», 1959, №7, 1960. №8; კეკელიძე ქ., ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 13, თბ., 1974.

შ. ონიანი.

ვაჟა-ფშაველა (ნამდვ. სახელი და გვარი – ლუკა რაზიკაშვილი) (14.VII.1861, სოფ. ჩარგალი, ახლანდ. დუშეთის რ-ნი, – 27.VII.1915, თბილისი), პოეტი. ვ.-შ-ს მამა, პაველ რაზიკაშვილი სოფლის მღვდელი იყო, დედა, ბარბალე (გულქან) ფხიელაშვილი – შვილმრავალი ოჯახის დიასახლისი. ძმები – ბაჩანა (ნიკო) და თედო რაზიკაშვილები – ქართ. მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან.

ვ.-შ. 8 წლამდე ჩარგალში იზრდებოდა, ოჯახში, სადაც თვითნასწაელი მამისა და ხალხ. სიტყიერების კარგი მცოდნე დედის წყალობით ისწავლა წერა-კითხვა, თაეიდანეე ეზიარა ქართ. (კერძოდ, ფშაური) ფოლკლორის უმდიდრეს საგანძურს. 1869 – 77 სწაელობდა თელავის სას. სასწაელებელში, 1877 –79 – თბილ. სამასწაელებლო ინტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწაელებელში, 1879-იდან – გორის საოსტატო სემინარიაში, რ-იც 1882 დაამთაერა. ერთხანს მასწაელებლობდა სოფ. ამბნისხეეში. 1883 – 84 კი პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის თაეისუფალი მსმენელი



ვანის ქვაბთა წარწერა ირქით გურგენისძისა.

იყო. ხელმოკლეობის გამო მალე დატოვა უნ-ტი და საქართველოში დაბრუნდა. რამდენიმე წელიწადი მუშაობდა ჯერ ოთარაშენში, ამილახვრის ოჯახში, შინამასწავლებლად, შემდეგ – დიდი თონეთის სოფლის სკოლაში. 1888-იდან დასახლდა ჩარგალში, სადაც ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე ჩვეულებრივი მთიელი გლეხის ცხოვრებით. აქ დაიწერა მისი უბრწყინვალესი ლიტ. თხზულებების ძირითადი ნაწილი. პერიფერიაზე ცხოვრება ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო ქვეყნის საზ.-კულტ. ცხოვრების უაქტიურესი წევრი.

განსაკუთრებულია ვ.-შ-ს ადგილი ქართ. სამწერლობო ენის განვითარების ისტორიაში. როგორც მწერალი, იგი თანმიმდევრული გამტარებელია იმ ენობრივი პრინციპებისა, რ-ებიც დაამკვიდრეს XIX ს. სამოციანელებმა – თერგდალეულებმა: სამწერლობო ენა უნდა იყოს ერთიანი, მონოლითური, ხალხური, სასაუბრო ენასთან დაახლოებული, ოღონდ არა დიალექტური. თავისი ენობრივი პოზიცია ვ.-შ-მ ცხადად და ლაკონიურად ჩამოაყალიბა რამდენიმე საპოლემიკო თუ თეორ. ხასიათის წერილში, რ-ებიც იმდროინდელ პერიოდიკაში იბეჭდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წერილი „ჩიჭიერი მწერალი“ (1910), რ-შიც მსჯელობაა ენის როლზე მწერლის შემოქმედებაში. მწერლის ნიჭიერებას, ვ.-შ-ს აზრით, ორი ფაქტორი განსაზღვრავს: ერთია, რაზე წერს მწერალი, „რა მოელენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად...“. მეორე და მთავარი ფაქტორი მწერლის ნიჭიერების განსაზღვრისა არის მისი ენა: „მწერალს უპირველესად ყოელისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, – მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ვ.-შ-ს აზრით, „ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვედეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის... მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურობისა უნდა ესვას“. პოეტური ხატები, მშობლიურ ნიადაგზე შექმნილი და პოეტის გრძნობა-გონებაში გადახარშული, სულის ტკივილამდე განცდილი და გათავისებული მშობლიური ენის საშუალებით მიაქვს ავტორს მკითხველამდე. დედა ენის გარდა, ვერც ერთ სხვა ენაზე, რაც უნდა კარგად ფლობდეს მას მწერალი, ვერ დაიწერება სრულფასოვანი ლიტ. ნაწარმოები; შედეგრები იქმნება მხოლოდ მშობლიურ ენაზე, იმ ენაზე, რა სამყაროშიც არის წარმოშობილი პოეტური ხილვები. „როგორ შეიძლებოდა, თქვენე იფიქრეთ, რუსთაველს მონგოლურად ან არაბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“! ან დიდი მცოდნეც რომ ყოფილიყო მონგოლურის და არაბულის ენებისა და იმათ ენაზე დაეწერა თავისი უკედაო ნაწარმოები, ის იქნებოდა, რასაც დღეს ვხედავთ? არც მესამედი!“ ვ.-შ-ს მიხედვით, თუ მწერლური ხილვები ერთი მხარეა ლიტ. შემოქმედებისა, მეორე მხარე „დედა-ენაა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხვრა ერთნაირი ამამოძრავებელი ძალაა, ზეშთაბერება, პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა, მისთვის ძალღონის მიმცემი თვით წერის დროს, მეორე მუზაა. თუ პირველი მარცხნივ უდგას და აზრს უკარნახებს, მეორე მარჯვენას უმშვენებს და ნაწარმოების ფორმას აძლევს“.

ცალკე მსჯელობის საგანია ვ.-შ-ს დამოკიდებულება დიალექტურ მეტყველებასთან. თანამედროვე თუ შემდგომი თაობის ლიტერატორები და კრიტიკოსები მას ხშირად უსაყვედურებდნენ თავის თხზულებებში დიალექტური (ფშაური) ფორმებისა თუ ლექსიკის მოჯარბებული ხმარების გამო; მათი აზრით, ვაჟა ამით ქართ. სალიტ. ენის მთლიანობას, მის სიწმინდეს უქმნიდა საფრთხეს, ენას „ახორკლიანებდა“. ამის თაობაზეც ვ.-შ-ს სრულიად გარკვეულად ჩამოყალიბებული მოსაზრება აქვს: დიალექტური ლექსიკა და გრამატ. ფორმები კი არ ენებს სალიტ. ენას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მის გამდიდრებას, განვითარებას: „ახლანდელი ლიტერატურული ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს სიტყვები და ფორმები ხალხშია დამარხული. ხალხი, ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს. ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულს ენას... თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა და, არც არაფერი ამითი წახდება“.

ენა, ვ.-შ-ს აზრით, მუდმივიც არის და ცვალებადიც. მუდმივია იმდენად, რამდენადაც „რაც ხასიათი და ბუნება ისტორიულად მიჩნიჭებია ენას, იგი უნდა შერჩეს სიკედილამდე. მართალია, ენა თანდათან წარმატებაში შედის, წინ მიდის, მაგრამ ისე კი არა, რომ გუნებასა და ხასიათს იცვლიდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ენაცა კვდება“. ენის ცვალება კი იმას ნიშნავს, რომ იგი „მდიდრდება ახალის სიტყვებით, რომლებიც საჭიროა ახალთა ცნებათა გამოსახატავად. როგორც ბალღი, რამდენიც იზრდება და მეტს სიტყვებს, ცნებებს სწავლობს, უადვილდება ფრაზის შედგენა, – აგრეთვე ენაც, რამდენიც უფრო წინ წასულია და წარმატებული, იმდენად უფრო მომზადებულია ყველა ცნების გამოსახატავად“. ენა მდინარეს ჰგავს: თუ სათაეე არ დაუშრა, ბოლოში მდინარე არ დაშრება, შეიძლება აიმღვრეს კი სხვადასხვა შენაკადებისა და მინარეევების წყალობით. ასეა ენაც, იგი შეიძლება შეიბღალოს უნიჭო მწერალთა ხელში, მაგრამ დაშრობით კი არ დაშრება, თუ სათაეე ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი აქვს. სათაეე ენისა კი სწორედ დიალექტური მეტყველება და ძველი მწერლობაა. მწერლის ვალია აზიაროს, დააწაფოს მკითხველი ენის მდინარის ამ წმინდა, აუმღვრეველ სათაეეს. ამ რწმენით ვ.-შ-მ ფართოდ გაუღო კარი თაეის შემოქმედებაში ფშაურ დიალექტიზმებს, ოღონდ დიალექტური ნაკადი მის შემოქმედებაში უკონტროლო და უთავბოლო არ ყოფილა.



ვაჟა-ფშაველა

ვ.-ფ-ს შემოქმედებაზე დაკვირვება აშკარად გვირეენებს ლიტ. პროცესთან მწერლის დამოკიდებულებას. შეიძლება გამოვყოთ სამი საკითხი: 1. მწერალი თავისი დროის სალიტ. ქართულით წერს (პროზა, პუბლიცისტიკა); 2. დიალექტიზმს ხმარობს როგორც მხატვრულ ხერხს, რ-იც ემსახურება მხატვრული გარემოს კოლორიტულად წარმოჩენასა და ლიტ. გმირების შინაგანი ბუნების გახსნას (პოეტური ეპოსი); 3. ლირიკული ლექსების ნაწილს წერს ფშაური ხალხ. პოეზიის ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ენით. აქ განსაზღვრულია ლირ. გმირის ხასიათი: თუ გმირი ზოგადად ქართველია, ლექსში დიალექტიზმები არ არის; თუ ლირ. გმირი ფშაველია ან საერთოდ მთიელი, ლექსის პოეტური სამოსიც მისი შესაფერისია.

ერთიანი ქართ. ენა თავისი უამრავი კილო-თქმითა და ძვ. სალიტ. ქართულით მიაჩნდა ვაჟას იმ ამოუწურავ სალაროდ, საიდანაც უნდა ამოკრიბოს მწერალმა ენობრივი მარგალიტები და მათი საშუალებით აზიაროს მკითხველი თავისეულ პოეტურ ხატებს. პოეტის ეს პოზიცია უაღრესად სხარტად და ლაკონიურადაა ნათქვამი ა. წერეთლის პასუხად ნათქვამ ლექსში:

„გულს მისვენია ხატადა ენა
მთისა და ბარისა. / მე არც ერთს
კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა. / მოთაყვანე ვარ
ყოველისა იმათ ტკბილის და მწარისა, / ნუ შეგაშინებთ, არ გაენებსთ მთიდან ყვირილი ხარისა.“.

თხზ.: თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, თბ., 1964; ნიჭიერი მწერალი. – «სახალხო გაზეთი», 1910; მცირე შენიშვნა.– «იერია», 1888, №174.

ლიტ.: ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა. – იხ. მისი: ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974; კ ი კ ნ ა ძ ე გ., ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978; ც ო ც ა ნ ი ძ ე გ., ვაჟა-ფშაველა და ქართული სამწერლობო ენა. – «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1980, №3. *გ. ცოცანიძე.*

ვარლამ (ერისთავი) (1763 – 8.VIII.1830, მოსკოვი), სასულიერო მოღვაწე. 1811 დაინიშნა აღმ. საქართველოს ეკლესიის მმართველად. რუს. ხელისუფალთა დავალებით შეადგინა აღმ. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რ-იც სხვა ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებდა საქართველოს საეგზარქოსოს შექმნას და მის დაქვემდებარებას რუსეთის სინოდისადმი. ამ პროექტის მიღებისთანავე ვ. საქართვ. ეგზარქოსი და მიტროპოლიტი გახდა. 1814-იდან იყო საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი. ამ თანამდებობიდან მისი გაწვევის (1817) შემდეგ იყო რუს. სინოდის წევრი (1817–25). 1825-იდან განაგებდა მოსკოვის დანიელის მონასტერს, სადაც გარდაიცვალა.

ვ. მრავალმხრივი მოღვაწე იყო. 1805 მოსკოვში დააარსა ქართ. სტამბა. მისი ქადაგებანი და სას. ხასიათის სხვა თხზულებები იბეჭდებოდა ქართ. და რუს. ენებზე. მასვე ეკუთვნის „მოკლე ქართული გრამატიკა“.

ვ-ის გრამატიკა შექმნილია *გაიოზ რექტორის* გრამატიკის საფუძველზე და მხოლოდ პრაქტ. მიზნებს ისახავს. მისი გამოცემა, ავტორის განცხადებით, განუპირობებია იმ ახ. პოლიტ. ატმოსფეროს, რიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ შექმნა. წიგნი გათვალისწინებულია „რუსეთის მკვიდრთათვის“, განსაკუთრებით საქართველოში წარგზავნილთათვის; გრამატიკა დაბეჭდილია რუსხურით, იქვე რუს. განმარტებები ახლავს. წიგნი მცირე ზომისაა, 64-გვერდიანია, გამოცემულია სანქტ-პეტერბურგში 1802.

ავტორი გრამატიკას განსაზღვრავს ტრადიციისამებრ, როგორც მეცნიერებას სწორად მეტყველებისა და წერის შესახებ. გამოყოფილია გრამატიკის შემადგენელი ნაწილები: 1. წიგნი [ქართული ანბანი – 39 ასო და ასოთა (ბგერათა) მოკლე დახასიათება კლასიფიკაციითურთ]; 2. მარცვალი (ზოგადი დახასიათება და სასვენი ნიშნები ზოგიერთი მათგანის ხმარების თავისებურებებისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით); 3. ლექსი (განხილულია რვა მეტყველების ნაწილი – სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნისზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული); 4. სიტყვა (მოკლედ არის განხილული სინტაქსის საკითხები, სიტყვათა რიგისა და სიტყვათშეხამების წესები). წიგნში შედარებით ერცლად არის მიმოხილული მეტყველების ნაწილები; აღნიშნულია, რომ მათგან ოთხი (სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა) ფორმაცვალებადია, დანარჩენი კი – ფორმაუცვლელი. განხილულია სახელისა და ზმნის კატეგორიები, მოცემულია ბრუნვათა („დაბრუნვის“) წესები და ნიმუშები. ავტორი ყველაზე დიდ ადგილს უთმობს ზმნას (გვ. 26–58). ზმნის კატეგორიიდან განხილულია ნათესავი (გვარი), ნაკუმთი (მარტივი და რთული ფორმები), სახე („პირველსახე“ და „სხმითგარდასვლითი“), რიცხვი, პირი, დრო, კილო, უღლება. ეს უკანასკნელი სიმოკლისათვის წარმოდგენილია მხოლოდ სამი ტიპით. არის მოკლე მსჯელობა სხვა მეტყველების ნაწილების შესახებაც.

თხზ.: Краткая грузинская грамматика, СПб., 1802.

ლიტ.: Цагарели А. О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873. *გ. ბედოშვილი.*

ვახტანგ VI (1675 – 26. III. 1737, ასტრახანი), ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703 – 14, მეფე 1716–24. გიორგი XI-ის ძმის ლეონის ძე. ვ. VI-ის მეფობის წლები გამოირჩევა ქეჟნის დიდი კულტ. აღორძინებით. მის სახელთანაა დაკავშირებული პროგრ. განათლებულ მეცნიერთა დასის – სწავლულ კაცთა კომისიის დიდი კულტ. საქმიანობა, პირველი ქართ. სტამბის დაარსება (1708 – 09) თბილისში; იგი ცნობილია როგორც ნაყოფიერი საკანონმდებლო მოღვაწე, რისთვისაც მას „სჯულმდებელი“ უწოდეს. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. VI-ის თაოსნობით შექმნილ კანონთა კრებულს, განსაკუთრებით მის ძირითად ნაწილს – „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“.

ვ. VI-ის ნაყოფიერი მოღვაწეობა დროდადრო წყდებოდა სხვადასხვა პოლიტ. მიზეზით. სიცოცხლის ბოლო წლებში იძულებული გახდა თავისი ამალით რუსეთში გამგზავრებულიყო, სადაც გარდაიცვალა ქიდეც. დასაფლავებულია ასტრახანში, მიძინების ტაძარში.

1712 ვ. VI-ის სტამბაში პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ საფუძვლიანი კრიტ.-მეცნ. გამოკვლევითურთ, რ-შიც განხილულია შემდეგი საკითხები: პოემის ორიგინალურობის დასაბუთება, იდეური

მიზანდასახულობის კვლევა და სხვ. ნაშრომი საგულისხმოა ლექსიკოლოგიური თვალსაზრისითაც. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვანია როგორც პირველი მეცნ. გამოცემის ცდა, რამაც ბიძგი მისცა პოემის ტექსტის შემდგომ შესწავლა-აღდგენას და საფუძველი ჩაუყარა მეცნ. რუსთველოლოგიას. ვ. VI-ს წვლილი მიუძღვის ქართ. დიდაქტ. მწერლობის განვითარებაშიც. სწავლა-აღზრდის ახლებურ ნიადაგზე აღორძინება მას ძნელბედობაში ჩავარდნილი ქვეყნის უპირველეს ამოცანად მიაჩნდა. ვ. VI-მ თარგმნა და გადმოაკეთა მსოფლიო დიდაქტ. ლიტ-რის თვალსაჩინო ნიმუშები: გალექსა რუს. თხზულების „აპოფთეგმატას“ ე. თურქისტანიშვილისეული მოკლე რედაქცია („სიბრძნე მალაღობელი“), თარგმნა „ქილილა და დამანა“, „ამირ-ნასარიანი“ და სხვ.

ვ. VI-ის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლირიკას, რ-იც თემატიკური მრავალფეროვნებითა და იდეური სიღრმით გამოირჩევა. ქვ. ქართ. მწერლობაში მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა პატრიოტული ლირიკის ნიმუშები, განავითარა ე. წ. აღორძინების ხანის პოეზიისათვის ნიშანდობლივი მოტივი – „მდურება სოფლისადმი“. ვ. VI-ის სატრფიალო ხასიათის ლექსები მეტწილად ალეგორიულ-მისტიკური შინაარსისაა; სიყვარულის ერთადერთ საგნად დასახულია უმაღლესი რეალობა, როგორც ეს ქრისტ. თეოლოგიაშია მინიღული, ღვთაებრივი სინამდვილე. ამ ე. წ. „საღვთო მიჯნურობის“ კონცეფციით სცადა მან „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარულის მოტივის ახსნა-განმარტებაც. მისი ლირიკის ამ თავისებურებამ შემდგომი განვითარება პოეზ ქართ. პოეზიაში (დ. გურამიშვილი, მ. ბარათაშვილი და სხვ.). პოეტის ლექსები არც გრძნობად-კონკრეტულ სახეებსაა მოკლებული. მის ლირ. შედევრებში აღბეჭდილია ღრმად ინდივიდ., ადამიანური განცდები („რანი და მოვაკანი და“...), გამოხატულია ბუნების მშვენიერების განცდა („რა სჯობს მაისში ტფილისსა...“) და სხვ.

თხზ.: თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიძის რედ., თბ., 1947; ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედ., თბ., 1975.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, ტფ., 1919; დ ო ნ დ უ ა ე., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712–1745). – «Записки Кавказского», III, თბ., 1953; ქ ე ქ ე ლ ი ძ ე ქ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Цагарели А. А., Сношения России с Кавказом в XVI–XVIII столетиях, СПб., 1891.

ჟ. დუმბაძე. ს. ცაიშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1696, თბილისი, – 1757, მოსკოვი), ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი. ქართლის მეფის *ვახტანგ VI-ის* ქორწინების გარეშე შვილი. იზრდებოდა სამეფო კარზე. აღზრდა-განათლებას მეურვეობდნენ თვით ვახტანგ VI და ს.-ს. *ორბელიანი*, ასევე თბილისში მყოფი კათოლიკე მისიონერები. ვ. ბ-მა, ქართულის გარდა, იცოდა ბერძნ., ლათ., ფრანგ., თურქ., რუს. და სომხ. ენები. აქტიური პოლიტ. და საზ. მოღვაწეობა სიჭაბუკის წლებშივე დაიწყო. მან მღვიანბეგ გიეი თუმანიშვილთან ერთად ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერა ჩაატარა. 1724 ვ. ბ. თავისი ოჯახით ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, 1725–27 ასტრახანში დარჩენილ ქართველთა ამალას ხელმძღვანელობდა; აქვე დააწყებინა ზ. *შანშოვას* ქართული გრამატიკის წერა. საბოლოოდ მოსკოვში დაბინავდა (1728-იდან) და სახელმწ. ჯამაგირი დაენიშნა.

1734–35 ვ. ბ-მა შეადგინა რუკა „საქართველოს სამეფოები“, ამას მოჰყვა 1745 მოსკოვში დასრულებული მნიშვნელოვანი გამოკვლევა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ეს გამოკვლევა ორი ნაწილისაგან შედგება: ა) საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIV ს-მდე, ცალკეულ სამეფოებად დაყოფამდე; ბ) ახალი ისტორია – XIV–XVIII სს. ნაშრომის პირველი ნაწილი გადამუშავებული და შევსებული „ქართლის ცხოვრებაა“, მეორე ნაწილი კი მთლიანად ორიგინალურია.

ვ. ბ. ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი ძირითადად თარგმნიდა რუს. ენიდან, მონაწილეობდა სომხურიდან თარგმნაშიც (ზ. შანშოვანთან ერთად). ქართულად თარგმნა სხვადასხვა ხასიათის თხზულებანი: საისტორიო, გეოგრ., დოგმატიკურ-პოლემიკური და სხვ. 1752 რუსულიდან თარგმნა „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“ 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად, რ-შიც იმ დროისათვის ცნობილი ყველა ქვეყანაა (თვლავის სემინარიაში გეოგრაფიას ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ). აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიბლიის გამოსაცემად მომზადებაში, რ-იც მოსკოვში 1742–43 დაიბეჭდა (ცნობილია „ბაქარის ბიბლიის“ სახელწოდებით). იგი ფაქტობრივად იყო ბიბლიის რედაქტორი და ტექსტოლოგი. მუშაობდა აგრეთვე რუს.-ქართ. ლექსიკონის შედგენაზე.



ვახტანგ VI.

ვ. ბ. საქართვ. სამეფოს მხოლოდ ისტ. და გეოგრ. აღწერით არ კმაყოფილდებოდა. საქართველოს პოლიტ. ერთიანობისა და ერთმეფობის დამამტკიცებლად მას ქართველთა ერთიანი რჯული, ენა და დამწერლობა მიაჩნდა (მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი). ქართ. სალიტ. ენის შესახებ იგი წერს: „– არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყჳს არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და პერ-კახთასა, არამედ ქართულსა“.



ვახუშტი ბატონიშვილის ატლასი.

საქართვ. სხვადასხვა კუთხის აღწერისას ვ. ბ. მათ მოკლე ენობრივ დახასიათებასაც გვაწვდის. იგი ყველგან აღნიშნავს, რომ „არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა“. მართალია, იგი ცალკეულ დიალექტებს არ განიხილავს, მაგრამ ზოგჯერ მათ მსგავსებაზე მიანიშნებს. მაგ., გურიის მოსახლეობის აღწერისას: „და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ“. სამცხის, კლარჯეთისა და აჭარის მოსახლეობის შესახებ ყველგან მიუთითებს, რომ მათი ენა არის ქართული და ისინი სხვა კუთხის ქართველებისაგან მხო-

ლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან.

საყურადღებოა ვ. ბ-ის აზრი სვანურისა და მეგრულის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში მას სპეც. სამუშაო არ ჩაუტარებია, მაინც საგულისხმო დასკვნებს აკეთებს. სახელდობრ, სვანებს „ენა თუსი აქუსთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“. იგი აქ არ გამოყოფს რომელიმე ფენას, იგულისხმება, რომ ქართული ყველამ იცის; ხოლო მეგრელნი „სარწმუნოებითა, რჯულითა და წესითა და ქცევითა იმერთათა. ენით არიან – დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თუსიცა ენა, გარნა წამკჳდარი ქართულიევე, ვითარცა ღმერთი – ღორონთი, ჩემი – ჩქიმი და აქუსთ წიგნი ქართულიევე და არა სხუა“. მართალია, ეს მსჯელობა მოკლებულია სიზუსტეს (რის საშუალებასაც ვერ იძლეოდა იმდროინდელი ცოდნა ენათა ნათესაობისა და მონათესავე ენების შესახებ), მაგრამ ავტორის აზრი მაინც გასაგებია: იგი აღნიშნავს, რომ სვანების მსგავსად, მეგრელებსაც აქვთ „თუისი ენა“; ხოლო როდესაც მეგრულს „წამკჳდარ ქართულს“ უწოდებს, ამით მიანიშნებს მეგრულის დიდ სიახლოვეზე ქართულთან (რაც, ბუნებრივია, მან ასე ადვილად ვერ შეამჩნია სვანურს). საკუთრივ ქართ. დიალექტებზე კი, ხშირ შემთხვევაში მათ შორის ხელშესახები განსხვავების მიუხედავად, იგი ლაპარაკობს როგორც „ქართულ ენაზე“.

განსაკუთრებით საინტერესოა ვ. ბ-ის ეტიმოლოგიური დაკვირვებები, რ-ებიც უმეტესწილად ხალხურია და რამდენადმე გულუბრყილო. მაგრამ იგი მაშინდელ სამეცნ. ლიტ-რაში გაერცელებულ მოსაზრებებსაც გვაწვდის. მაგ., საქართველოს სახელწოდების შესახებ ის წერს: „ხოლო ქჳეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად საქართველო, მეორედ – ივერია, მესამედ – გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რ-სა წილად ხუდა ქუყანა ესე–“; მეორე სახელს – „ივერიას“ ვ. ბ. არაზუსტად უკავშირებს არშაკ მეფესთან ბრძოლაში გამარჯვებული აღერკი მეფის აღტაცებულ შეძახილს: „იი, ვერიე“, თუმცა აქვე სხვაგვარ სიმბოლურ ახსნასაც გვაწვდის. რაკი აღერკის მეფობის დროს იშვა ქრისტე, „მოასწავებდა ჴმა სახარებისა ხარებასა და სიხარულსა სასუფეველისასა, ხოლო „ვერიე“ – მორევენასა კერპთა ზედა ჯუარისაგან და ჴსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა“. რაც შეეხება „გიორგიას“, „მჴნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთა ეწოდა [რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის]“. აქვე ვ. ბ-ს მეორე მოსაზრებაც მოჰყავს და „გიორგიას“ წმინდა გიორგის სახელს უკავშირებს: „რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელთა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდის გიორგისანი და ესეცა ამის მიერ იწოდა“. აღნიშნავს, რომ საქართველოს ევროპელები „ჯორჯიას“, რუსები „გრუზსა“ და მაჰმადიანები „გურჯს“ უწოდებენ, „მათითა ორფოღრაფიის გამო, არამედ იგიეე გიორგიაეე არს“.

ვ. ბ. ტოპონიმებს უმეტესწილად ზედაპირულად განიხილავს. ხშირად მისი დაკვირვებები არ არის ზუსტი და ამომწურავი, მაგრამ საყურადღებოა სწორედ ხალხ. წარმომავლობის გამო. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით მას განხილული აქვს ტოპონიმები: ალაზანი, არგუეთი, ბედია, ბოჭორმა, დებედა, თუხარისი, არტანუჯი, კლარჯეთი, ლეჩხუმი, მაშაველრი, მესხი, ოდიში, ოკრიბა, რიონი, სამცხე, სუანეთი, ტბეთი, ქართლი, ქიზიყი, შავშეთი, გორი, ყვირილა, ჭანეთი, ჭოროხი, წყალწითელა, ცხენისწყალი, რაჭა, ჭარი, ეაკე, ხერთვისი და სხვ. ზოგი ამ სახელთაგან საკმაოდ სუსტად არის ახსნილი:

გორი – „ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსული არს მუნ დიდი, ლიახვის მდინარის კიდესა ზედა“; ყვირილა – „მდინარემან ამან მოიგო სახელი თუსის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინაჲთგან ჴმოვანებს შორს სასმენელად“; წყალწითელა – „რომელმან მოიგო სახელი წითლის მიწისაგან, რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების“; ცხენისწყალი – „ერქუა მდინარე თაკუერისა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიიდამ უკმოქცეულის ყრუს სპათა ი. ჩ (60 000), ამისათჳს უწოდეს ცხენის წყალი“; ტბეთი – „რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“ და სხვ.

ვ. ბ-მა თავისი წვლილი რუს. კულტურის განვითარებაშიც შეიტანა. არის ცნობა, რომ იგი უნდა ყოფილიყო მოსკოვის უნ-ტის ერთერთი დამაარსებელი. ვ. ბ. დაკრძალულია მოსკოვში. ამჟამად საფლავი დაკარგულია.

თხზ.: აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მათურელი ი., ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 1990; სიხარულიძე ფრ., ვახუშტის ბიობიბლიოგრაფია. – «სახალხო გაზეთი», 1992, № 600; ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., დიდი ქართველი. – გაზ. «ლიტერატურული საქართველო»,1997, №43 (3146); მენაბდე ლ., ვახუშტი ბაგრატიონის თარგმანები. – გაზ. «ქალმასობა», 1997, №8.

ც. ქუთათელიანი.

„ვაჰანის ძვაბთა ბანგება“ (1225–1230), ვანის ქვაბების (იხ. *ვანის ქვაბთა წარწერები*) მონასტრის წესდება („ტუპიკონი“, „ანდერძი და განგებაჲ“, „განგებაჲ და განწესებაჲ“, „ანდერძი“, „ძეგლი და განგებაჲ“, „განგებაჲ“ – როგორც მას ტექსტში ეწოდება სხვადასხვა ადგილას). იგი მონასტერს განუჩინა თმოგველთა ფეოდ. სახლის წევრმა, ერისთავთერისთავმა მხარგრძელ სარგისის ძემ. საქართველოს მრავალრიცხოვან დიდი და მცირე მონასტრების ტიპიკონებს, ანუ დისციპლინარულ წესდებებს შორის იგი ერთადერთია, რ-მაც შედარებით სრული სახით მოაღწია ჩვენამდე (ასეთია მხოლოდ პეტრიწონის წესდება, მაგრამ იგი უფრო ბიზანტ. საკორპორაციო სამართლის ძეგლია, ვიდრე ქართულისა).

„ვ.ძ.ბ.“ დაწერილია XII–XIII სს. კლასიკური ნუსხურით ეტრატის გრძელ გრაგნილზე, რ-იც საგანგებოდ გათლილ ჯოხზეა დახვეული. გრაგნილი (562 *სმ*) დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში (Ad–933). იგი შედგება 12 ფურცლის, ანუ კეფისაგან, მაგრამ ლ. მუსხელიშვილის ვარაუდით (1939), თავდაპირველად 15 კეფი უნდა ყოფილიყო. დაკარგულ 3 კეფზე მოთავსებული იქნებოდა ტიპიკონის შესავალი, პირველი თავის სან-

ღუკი, ანუ სარჩევი პირველი სტრიქონებით (მოცწუულია ამ თავის ნაწილი), დიდი ნაწილი (დასაწყისი) მეორე თავისა, მესამე თავი მთლიანად, მეოთხე თავის სანდუკი და ტექსტის პირველი სტრიქონები.

„ვ.ძ.ბ“-ის ტექსტი შედგებოდა შვიდი თავისაგან. პირველი თავის შინაარსი სოგადი ხასიათისაა. დანარჩენ თავებში მკაცრად არის განსაზღვრული როგორც მონასტრის კრებულის შემადგენლობა (სულ 61 პირი), ისე მონასტრის საძმოს წევრების (მათი რანგების მიხედვით) უფლება-მოვალეობანი და ქცევის წესები. ასევე გათვალისწინებულია სასჯელის ფორმები ამ წესების დარღვევისას (დამრღვევის თვით მონასტრიდან გაძევებამდე) და ა.შ.

საკუთრივ ტიპიკონის ტექსტი მთავრდება მონასტრის მესაკუთრის ერცელი ნანაწერით, რ-შიც აღნიშნულია, რომ „მიწამან და მონამან მჭარგრძელმან დიდითა გულისმოდგინებითა განგებაჲ ესე აღვწერე მონასტრისა ჩემისათჳს, რომელი ესე აწვე საქმით სრულ-ქმნილ არს ყოელითური ჩემ მიერ და უმეტესისა შეძენისათჳს დამიც სასოებაჲ ყოველთა ღღეთა ცხორებისა ჩემისათა“. ამას მოსდევს ერცელი წყეველა იმათთვის, „ვინცა ესე განგებაჲ უდაბნოჲსა ჩუენისაჲ... რაჲსაცა, მიზეზისა მიღებითა შეცვალოს“.

„ვ.ძ.ბ“-ის ოთხი დასკვნითი მუხლით განსაზღვრულია შემდეგი: 1. ეს „ძეგლი და განგებაჲ“ წლის განმავლობაში სამგზის იქნეს წაკითხული „ტრაპეზსა ზედა“ – პირველად წმინდა მარხვების დაწყებისას, თეედორობა დღეს; მეორედ – „სულის წმიდისა მოსლვასა“ და მესამედ – „ჯუართამაღლებას“; ამას მოსდევს წყეველა იმათთვის, ვინც სამგზის წაკითხვას დააკლებს; 2. თუ ვინმე მონაზონი გახდება და „ძმათა თანა დაეწერება“, ეს „ძეგლი“ მას უნდა „სრულებით წარეკითხეოდეს“; 3. მონასტრის სღუდის დიდი კარები დიდმარხვის ღღეებში, ხარება ღღის (25 მარტის) გამოკლებით („უხარებოღა“) ნუ გაიღება, „ცოტათა კართა იარებოდენ“, თუ ხელმწიფე ან დიდებული ვინმე არ მოვა. ქრისტეშობის მარხვისას და „მოციქულთასა“ შაბათ-კვირისა და ღღესასწაულთა გარდა, ასევე ნუ გაიღება დიდი კარები. ასევე, „ამათ სხუათა წინაუკუანთა ღღეთა ოთხშაბათ-პარასკევეთა და ორშაბათსა“ ნუ გაიღება დიდი კარები. 4. ცალკე წყეველა იმ „მოძღუართა, დეკანოზთა და ჭელისუფალთა“ მიმართ, რ-თაც თავის დროს არ გამართონ ამ „ძეგლის“ სამგზის წაკითხვა დაღგენილ ღღეებში.

„ვ.ძ.ბ“-ის ხელნაწერის გრაგნილზე ამის შემდეგ დატოვებულია 11 *სმ* სიგანის ცარიელი ადგილი, სადაც, წესის თანახმად, მონასტრის პატრონის – მხარგრძელის ხელრთვა-დამტკიცება უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი არ არის. ამას მოსდევს გიორგი ქართლის კათალიკოსის გაკრული ნუსხურით შესრულებული 11-სტრიქონიანი ხელრთვა-დამტკიცება, რ-შიც იგი მხარგრძელს „ყრისთავთა ერისთავს“ უწოდებს. სწორედ ბოლო ხანებში გიორგის კათალიკოსობის დასუსტებული წლების მიხედვით „ვ.ძ.ბ.“ თარიღდება 1225–30. თ. ჟორდანია, ძეგლის პირველი გამომცემელი, მას ათარიღებდა 1212 – 17; ლ. მუსხელიშვილი და, მის მიხედვით, ი. დოლიძე – 1204 – 34.

უშუალოდ „ვ.ძ.ბ“-ის ტექსტთანაა დაკავშირებული გრაგნილზე მოთავსებული XIII ს. მინაწერები. გარდა ამისა, „ვ.ძ.ბ“-ის გრაგნილის როგორც წინა, ისე უკანა მხარეზე მოთავსებულია სხვადასხვა დროის 23 მინაწერი საბუთი.

გამოც.: ჟორდანია თ., ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ეპახანის ქუაბთა, ტფ., 1896; მისივე, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897 (ნაწყვეტი); ეპახანის ქვაბთა განგება (XIII ს.), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, ტფ., 1939; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1970.

ლიტ.: ჯაველიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია. – თხზ., ტ. 6, თბ., 1982; ტალახაძე ი., „ეპახანის ქვაბთა განგების“ ხელნაწერი (აღწერილობა, შესწავლის ისტორია, დათარიღება). – «მესხეთი (საისტორიო კრებული)», III, თბილისი–ახალციხე, 1999.

ე. სილოგავა.

ველარული ბგერები (ლათ. velaris<velum – რბილი სასა), რბილსასისმიერი, უკანასასისმიერი, პოსტპალატალური ხმოვნები და თანხმოვნები, რ-ებსაც ჰაერნაკადის უციროესი გასასვლელი ან ხშვა რბილი სასის (ველუმის) არეში ექმნებათ. ქართულში ველარული ხმოვნებია უ და ო, თანხმოვნებიდან ველარული ხშულ-მსკდომებია გ ქ კ ნაპრალოვნები – ღ ხ ყ (იხ. *ველარული თანხმოვნები*).

ველარული (რბილსასისმიერი, უკანასასისმიერი) ბგერები უპირისპირდებიან მაგარსასისმიერებს ანუ პალატალურებს.

ზ. ჯაფარიძე.

ველარული თანხმოვნები, რბილსასისმიერი, უკანასასისმიერი თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილი (უკანა ენა) რბილ სასასთან ქმნის საწარმოთქმო ხშვას ან ნაპრალს. ქართულში ასეთებია ხშულ-მსკდომი თანხმოვნები – გ ქ კ და ნაპრალოვნები – ღ ხ.

თანამედროვე ქართულში შეინიშნება ენისძირისმიერი ყ თანხმოვნის უკანაენისმიერ თანხმოვნად გადაქცევა: იგი აფრიკატული (ხშულ-ნაპრალოვანი) წარმოების ორი ვარიანტით გვხვდება – მისთვის საჭირო ხშვა ხორციელდება ან ენისძირის მიბჯენით ხახის ზედა არეში (იხ. *ფარინგალური თანხმოვნები*), ან უკანაენის მიბჯენით რბილ სასასთან ნაქის არეში. ამის შედეგად შეიძლება გამოეყოთ უკანაენისმიერ გრძლიე (ნაპრალოვან) თანხმოვანთა სამეული ღ ხ ყ (ზ. ჯაფარიძე).

ფუნქციური (თანხმოვნურ კომბინაციებში მონაწილეობის) თვალსაზრისითაც ყ უკანაენისმიერი ღ, ხ თანხმოვნების გვერდით დგას და მათთან ერთად ქმნის ერთ დისტრიბუციულ კლასს (გ. ახვლედიანი, თ. უთურგაიძე, ზ. ჯაფარიძე, ი. ქობალავა და სხვ.). ეს ფაქტი საესებით ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ყ-ს ფონეტიკურ ბუნებას.

ყ-ს წარმოების თავისებურებებს ადრეე მიექცა ყურადღება. თავდაპირველად ყ ხასიათდებოდა როგორც ფარინგალური აბრუპტიული ხშული (გ. ახვლედიანი). ლარინგოლოგ ა. ჩარგეიშვილის ექსპერ. გამოკვლევამ ცხადი გახა-

და, რომ ყ არ არის წმინდა მეჯ-სეული (ხშულ-მსკდომი) ბგერა. მისი მეტ-ნაკლებად გაგრძელებული წარმოთქმის შესაძლებლობა მოწმობს ამ ბგერის არტიკულაციის დროს ნაპრალის არსებობას. ნაპრალი წარმოიქმნება ხაზის (ფარინგის) უკანა კედელზე გვერდითი კედლების, ზონრების მიახლოებისას. ამიტომ ენისძირისმიერი ხშვისას ამ ადგილას უმნიშვნელო ნაპრალი მაინც ჩნდება (მსგავსი მოსაზრება უფრო ადრეც იყო გამოთქმული ს. ჯღენტის მიერ ფშვინვიერი ჭ და მჟღერი ფარინგალური ღ-ს მიმართ). მოსაზრება ფარინგალურ თანხმოვანთა და მათ შორის ყ-ს არაჰშულობის შესახებ გაიზიარა გ. ახვლედიანმაც და მათ სპირანტოიდები უწოდა. ამით ავტორს უნდოდა გამოეკვეთა ის განსხვავება აღნიშნულ ბგერებსა და აფრიკატებს შორის, რ-ებიც აგრეთვე შეიცავენ სპირანტულ ელემენტს ხშვის შემდეგ (იხ. *აფრიკატი*). მაგრამ მან შეუძლებლად ჩათვალა ყ-ს (აგრეთვე ღ-, ჭ-ს) მიჩნევა პოსტველარულად, რამდენადაც ამ ტერმინით აქტიურ ორგანოდ ნაგულისხმევია უკანა ენა და არა ენისძირი. ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, ფონეტ. და ფონოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ღ ხ-ს რიგის ყ-ც უკანაენისმიერ ნაპრალოვნად მიიჩნია თ. უთურგაიძემ.

ამ უკანასკნელ პერიოდში ყ-ს (და აგრეთვე ჭ-ს) წარმოების რაგვარობისა და ადგილის საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა თ. გამყრელიძემ. მისი აზრით, ფიზიოლოგიურად ქართული ყ – მკვეთრი სპირანტი არსებითად იმავე „ველარულ ზონაში“ იწარმოება, სადაც არამკვეთრი (მჟღერი) ღ და არამკვეთრი (ყრუ) ხ სპირანტები, რაც აშკარად შეიგრძნობა კინესთეტიკურად და დადასტურებულ იქნა ექსპერიმენტულადაც. ყ-ს განხილება როგორც „მკვეთრი ველარული“ სპირანტისა გამართლებული ჩანს ფუნქციურ-დისტრიბუციული და დიაქრონული გარდაქმნების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჰარმონიულ კომპლექსთა (იხ. *დეცესიური კომპლექსები*) B სისტემა. მასში შემაეალი კომპლექსები წარმოადგენენ ანტერიორული ხშულებისა და აფრიკატების კომბინაციებს პომოგენურ ველარულ სპირანტებთან, რ-ებთანაც მკვეთრი ყ ფუნქციურად იმავე როლს ასრულებს, რასაც შესაბამისად მჟღერი ღ და ყრუ ხ სპირანტები:

ბღ – ფხ – პყ
დღ – თხ – ტყ
ძღ – ცხ – წყ
ჯღ – ჩხ – ჭყ

აღსანიშნავია, რომ ყ-ს ეს ფუნქცია მას შემდეგ კი არ მიუღია, რაც მოიშალა ჭ–ყ ოპოზიცია (იხ. *ფარინგალური თანხმოვნები*) და ყ ველარულ სპირანტთა (ღ–ხ) რიგს მიეკედლა, არამედ ეს ჯერ კიდევ უძველესი ხანის ქართულში ივარაუდება და, შესაძლებელია, საერთო-ქართველურშიც (შდრ. აგრეთვე ხ/ყ მონაცვლეობა უკვე ძვ. ქართულში: ტეხ/ტყდომა).

ამ და, აგრეთვე, დიაქრონიულ გარდაქმნათა მონაცემების საფუძველზე კეთდება დასკვნა, რ-ის თანახმად, თანხმოვანი ყ საბოლოოდ შეიძლება დახასიათდეს როგორც ველარული მკვეთრი (გლოტალიზებული) სპირანტი და მოთავსდეს ცხრილში მჟღერი ველარული ღ და ყრუ (ფშვინვიერი) ველარული ხ სპირანტების გვერდით ნაპრალოვანთა ღ ხ ყ სამეულის საწარმოებლად.

ლიტ.: ჯღენტი ს., მჟღერი ხშული ფარინგალის საკითხისათვის სვანურში (1946). – იხ. მისი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. (ექსპერიმენტული გამოკვლევა), თბ., 1949; ჩარგეიშვილი ა., ქართული „ყ“ და „ჯ“ თანხმოვნების ბიომექანიკის საკითხისათვის. – «სმამა», 1946, ტ. 7, №8; ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976; გამყრელიძე თ., თანხმოვანთა „განდასება“ ქართულში (ჭ/ყ და ჯ/ღ ფონემათა სტატუსისათვის ქართულსა და კავკასიურში). – იხ. მისი: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

ზ. ჯაფარიძე. ი. ქობალავა.

ვერბალიზაცია (ლათ. verbum – ზმნა), 1. *ტრანსპოზიციის* კერძო სახე, როდესაც ზმნის როლში შეიძლება მოგვევლინოს სხვა მეტყველების ნაწილი. ასეთი გადასვლა გულისხმობს არა მორფოლ. გამოხატვას (შდრ. თეთრი > თეთრდება), არამედ სინტაქსურს – სხვა მეტყველების ნაწილი წინადადებაში გვეელინება ზმნა-შემასმენლის ფუნქციით: „როცა ესპანელების მეზარბაზნემ თავისი ზარბაზნის გასროლა დააპირა, მე ბრძანება გაეცი: – თაფ“ (ე. ი. ისროლე!).

2. ენობრივი ონტოლოგიზაცია, ენობრივად გადაქცევა.

ნ. ჭუმბურიძე.

ვიბრანტი (< ლათ. vibro – ვარხევ), მ თ რ თ ო ლ ი, თანხმოვანი ბგერა, რ-ის წარმოქმნისას ჰაერნაკადის ეიწრო გასასვლელი პირის ღრუში რიტმულად ფართოვდება და ვიწროვდება, რაც იწვევს რ-ს ტიპის ბგერის წარმოქმნას. სალიტ. ქართულში ასეთია სონორი – რ. მისი წარმოთქმისას ენის წვერის ვიბრაცია ავიწროებს და აფართოებს ჰაერნაკადის გასასვლელს ზედა საჭრელი კბილების ნუნებთან. ამ დროს ენის წვერი შეიძლება ეხებოდეს ნუნებს, რის გამოც წინაენისმიერ ს-ს ხშულ-ნაპრალოვან ბგერასაც უწოდებენ. მაგრამ ენის წვერის ნუნებთან კონტაქტი რ-ს წარმოთქმისათვის აუცილებელი არაა, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა იგი ხდება, მას მაინც ვერ გაეუტოლებთ ხშვას – იგი გზას არ უკეტავს და არ წყვეტს ჰაერნაკადს. რ-ს წარმოთქმისათვის არსებითია ჰაერნაკადის გასასვლელის მკვეთრი დავიწროება-გაფართოება, ხოლო აღქმისათვის – ამასთან დაკავშირებული ბგერითი ტალღის ინტენსივობის რიტმული ცვლა.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

ზ. ჯაფარიძე.

ვითარებითი ბრუნვა, სახელის ფორმა, რ-იც შედის ბრუნების პარადიგმაში. თანამედროვე სალიტ. ქართულში წარმოდგენილია თანხმოვანფუძიანებთან -ად, ხმოვანფუძიანებთან -დ ბოლოსართით (ძეირად, ქალაქ-ად, სარკე-დ, უთო-დ...). ძვ. ქართულში გვხედებოდა ოდენ -ა სუფიქსიც (ჯოჯოხეთ-ა, სადიდებელ-ა); ეითარებითის ნიშნად მიიჩნევენ -და სუფიქსსაც ძვ. ქართულში (ჩემ-და, შენ-და...).

ვ. ბ-ში დასმული სახელი გამოხატავს ვითარებას (კარგ-ად ვარ), გარდაქცევას (კატ-ად იქცა), მიმართულებას (სახლამდე მიაღწია),

ფინალურ მომენტს ტემპორალურ ასპექტში (‘შვიდ საათამდე მეძინა)...

ვ. ბ. დაირთაეს მხოლოდ -მდე || -მდის (საშუალ ქართულში – -მდინ, -მდისინ...) თანდებულს. ძვ. ქართულში -კერძო თანდებულსაც დაირთაედა („ჩრდილოდთ კერძო“).

ვ. ბ. ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა. წარმომავლობით მას ურარტულ -ედი სუფიქსს უკავშირებდნენ (არნ. ჩიქობავა). ვ. ბ-ის თანხმოვან ელემენტს ხედაენ მოქმედებითი ბრუნვისნიშნისეულ -თ ბგერაშიც; სხვა თვალსაზრისით, ვ. ბ-ის ნიშნის არქეტიპად -ადა სუფიქსს აღადგენენ (-ადა || -ად და -დ).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკა, I. მორფოლოგია, ტფ., 1930; ჩიქობავა არნ., მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის. – «ენიმკის მოამბე», 1937, ტ. I; სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. I, ე. თოფურიას რედ., თბ., 1956; Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

კ. გაბუნია.

ВИТСЕН (Witsen) ნიკოლაას (1641–1717), ჰოლანდიელი მეცნიერი (აღმოსავლეთმცოდნე, კარტოგრაფი, იურისტი) და სახელმწიფო მოღვაწე.

ვ., როგორც ჰოლანდიური ელჩობის წევრი, 1664–65 რუსეთში იმყოფებოდა, სადაც დიდძალი მასალა შეაგროვა ჩრდ.-აღმ. აზიისა და მიმდებარე ტერიტორიათა შესახებ, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ შედგენილ ამ რეგიონის რუკასა (1687) და გამოქვეყნებულ ნაშრომს „ჩრდილოეთი და აღმოსაელეთი თათრეთი“ (1692). გამოკვლევებში სათანადო ადგილი დაეთმო საქართველოსა და ქართველებს, რ-თაც ავტორმა თავის წიგნში საგანგებო თავი მიუძღვნა. რუსეთის ელჩობაში მყოფმა *არჩილ* II-მ 1686 ურთიერთობა დაამყარა ვ-თან, რ-იც იმხანად ამსტერდამის ქალაქისთავი იყო და რ-მაც დახმარება აღმოუჩინა ქართე. მეფეს სას. და საერო ქართ. შრიფტის შექმნაში (მათი მიმოწერის დამადასტურებელი საბუთები ნიმუშებითურთ დაცულია ამსტერდამის უნ-ტის ბიბ-კის ხელნაწერთა განყ-ბაში). 1697–98 ჰოლანდიაში წარგზავნილი რუსეთის „დიდი ელჩობის“ შემადგენლობაში პეტრე I-თან ერთად მონაწილეობდა მისი ახლო მეგობარი *ალექსანდრე ბატონიშვილიც* (არჩილ II-ის ძე), რ-ის მიმართ ვ-მა განსაკუთრებით გულთბილი დამოკიდებულება გამოაჩენა. მისი ხელშეწყობით ალექსანდრე ბატონიშვილმა, რ-იც ჰოლანდიაში 1699-ის საფხულამდე დარჩა, საარტილერიო საქმე აითვისა ჰააგისა და უტრეხტის სათანადო სასწაელებლებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში ვ-სა და ალექსანდრე ბატონიშვილს შორის მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა დამყარდა, რაც აისახა ვ-ის ზემოაღნიშნული წიგნის მეორე გამოცემაში (1705). წიგნის ნაწილი საქართველოს შესახებ ძირეულადაა გადახალისებული და შეცვლილია ახ. ფაქტობრივი მასალით. აქ წარმოდგენილია აგრეთვე პ-ისა და ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ შედგენილი იმ დროისათვის უნიკალური *ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი* და პორტრეტული სახეები ორი ქართვ. მეფის – არჩილ II-ისა და ერეკლე I-ისა. წიგნის ავტორის მინიშნებით, პორტრეტები ჰოლანდიელმა მხატვარმა მისი თხოვნით შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ვ. თავის წიგნში არაერთგზის იმოწმებს ახალგაზრდა ქართვ. კოლეგის, ალექსანდრე ბატონიშვილის კავკასიათმცოდნეობით პრობლემატიკასთან დაკავშირებულ მოსაზრებებსა თუ გამონათქვამებს.

ლიტ.: Ватейшвили Д. Л., Николаас Витсен и его сведения о Грузии. Исследование о голландско-грузинских исторических отношениях и новая публикация раздела о Грузии из книги Н. Витсена „Северная и Восточная Татария“, Амстердам (1705), М., 1998; Scheltema J. M., Peter de Groote, Keizer van Rusland in Holland en te Zaandam in 1697 en 1717, Amsterdam, 1844; Gebhard I. F., Het leven Mr. Nicolaas Cornelisz Witsen, Utreacht, 1881.

ჯ. ჯათეიშვილი.



ნ. ვიტსენი.

Ⴆ ⴆ ზ

ზ, ქართული ანბანის მეშვიდე ასო; მისი სახელია „ზენი"; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი სისინა მჟღერი სისინა ნაპრალოვანი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴆ. მისი მოხაზულობა წრისა და ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური ⴆ მარჯვნივაა გადახრილი. მხედრულში მისი ზედა ნაწილიც წრიული ფორმისაა. ნუსხური ⴆ და მხედრული ზ ოთხხაზოვანი სისტემის ზედა სამ ხაზს შორის იწერება:

Ⴆ ⴆ ზ

ძვ. ქართულ სათვალავში აღნიშნავდა შვიდს (7), ახ. ქართულში ნამოთვლისას (ანბანური რიგის მიხედვით) აღნიშნავს მეშვიდეს. ციფრობრივი ნუმერაციის დროს გამოიყენება ერთი და იმავე ნომრით აღნიშნული რამდენიმე საგნის, პუნქტის განსასხვავებლად: მეხუთე პუნქტის ზ მუხლი.

ზალდის წარწერა 960, სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით შესრულებული რვასტრიქონიანი ქართული წარწერა, ამოკვეთილი სოფ. ზალდის (გორის რ-ნის ქურთის თემის) ლალისის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდ. ფასადის ბალავარში ჩასმულ ქვის ფილაზე. წარწერის ტექსტი ასე იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი და იეანჱ, სამებობასა დადვეს საძირკველი, ქრონიკონსა რპ". თარიღის აღმნიშვნელი ასოები **რპ** ქვემოთ, ფილის კიდეზე არ ეტეოდა, ამიტომ ატანილია ზემოთ და ამოკვეთილია ტექსტის მეორე სტრიქონის გასწვრივ. მეოთხე სტრიქონში ასოებს **სა** ქარაგმის ხაზი არა აქვს; იგი შეიძლება გაიხსნას როგორც „სამებასა", ისე „სამებობასა". პირველ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ გიორგიმ და ივანემ დადვეს საძირკველი სამების



ზალდა. გიორგის და იოვანეს წარწერა. 960.

სახელზე აგებული ეკლესიისა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ეკლესიის საძირკველი დადვეს სამებობა დღეს (პრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს).

ენობრივი თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ წარწერის ტექსტში ე-ზე დაბოლოებული ადამიანის საკუთარი სახელი სახ. ბრუნვაში გადმოცემულია ჱ-ით (ივანჱ).

ზ. წ. მნიშვნელოვანია პალეოგრაფიულად, როგორც სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით შესრულებული თარიღიანი წერილობითი ძეგლი და, ამდენად, ერთ-ერთი დასაყრდენი ქართ. დამწერლობის ამ სახეობით შესრულებული ძეგლების X ან X–XI სს-ით დათარიღებისათვის.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., სიძველეები ლიახვის ხეობიდან. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1984, №2; ო თ ხ მ ე ზ უ რ ი გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. – კრ.: ისტ. საკითხი, თბ., 1996 *ვ. სილოგავა.*

ზანური ენა (კ ო ლ ხ უ რ ი ე ნ ა), ერთ-ერთი ქართველური ენა (იხ. *ქართველური ენები*). ერთიან ზ. ე-ზე დღეს არავინ მეტყველებს; ცნება „ზანური" ანუ „კოლხური" ისტ. შინაარსისაა. ამჟამად ზ. ე-ს აქვს ორი დიალექტი – მეგრული და ლაზური (ჭანური), რ-ებიც რეალურად ფუნქციონირებენ.

მეგრულ-ლაზურის ერთიანობის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვხვდება. ნ. მარს ადრე გამოყენებული ჰქონდა ტერმ. „თუბალკაინური" (თუბალურში მეგრული იგულისხმებოდა, კაინურში – ლა-

ზური). შემდეგ მეგრულისათვის ნ. მარმა „იბერიულიც" გამოიყენა. მეგრულ-ლაზურის მნიშვნელობით ტერმ. „ზ. ე." დაამკვიდრა არნ. ჩიქობავამ. ავტორი ემყარებოდა როგორც ისტ. წყაროებს, ისე თანამედროვე ენობრივ მონაცემებს. კერძოდ, ბერძნ. წყაროებში შავიზღვისპირა ზოლის ქართველური მოსახლეობა იხსენიება როგორც „სანები" („ზ" ფონემა ბერძნულს არა აქვს, საფიქრებელია, რომ „ს" ასო ზ-ს გადმოსაცემადაც იყო გამოყენებული). ტერმ. „სანი" დღესაც არ არის დავიწყებული ქართველურ ენათა წრეში. იგი შემორჩენილია ტოპონიმებში ზანა, საზანო, ზანათი. ზან- ძირი დაცულია სვანურშიც და მეგრელების აღსანიშნავად გამოიყენება – მეზჷნ – „მეგრელი". ტერმ. კოლხური პირველად გამოიყენა გერმ. მეცნიერმა გეორგ როზენმა, მაგრამ იგი ქართველოლოგიაში არ დამკვიდრებულა. XX ს. 60-იან წლებში ტერმ. „კოლხური" მეგრულ-ჭანურის მნიშვნელობით გამოიყენა ა. შანიძემ და ამის შემდეგ იგი „ზანურის" პარალელურად შემოვიდა სამეცნ. ლიტ-რაში.

ზანურს, სვანურთან შედარებით, უფრო გვიან უნდა მიეღო დამოუკიდებელი სახე. წინარე ქართველური ენიდან სვანური ადრე ჩანს გამოყოფილი, გლოტოქრონოლოგიური მეთოდის მიხედვით (იხ. *გლოტოქრონოლოგია*), სავარაუდოდ ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისისათვის (გ. კლიმოვი) ან ძვ. წ. X ს-თვის (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). სვანურის გამოყოფის შემდეგ ქართული და ზანური გაუთიშავი ორი ფენა იყო კიდევ ათი საუკუნე მაინც. ამ ხანას უწოდებენ ზანურ-ქართული ერთიანობის ხანას. ამ ერთიანობიდან ზანურის გამოყოფა სავარაუდოდ უნდა მომხდარიყო ძვ. წ. X–VIII სს-ში (გ. კლიმოვი) ან ახ. წ-ის მიჯნაზე (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ზანურის დიფერენციაცია ორ კილოდ უნდა დაწყებულიყო ახ. წ. პირველი საუკუნეების აქეთ. დაახლ. VII ს-თვის ამ კილოებს დამოუკიდებელი სახე უნდა ჰქონოდა. ზანურის (კოლხურის) გავრცელების არეალი ისტორიულად უფრო დიდი იყო, ვიდრე დღესაა. მეგრული და ლაზური მეტყველების რეგიონები ამჟამად გათიშულია გურია-აჭარის ტერიტორიით, რაც ამ ტერიტორიაზე ქართულენოვანი მოსახლეობის მიგრაციით აიხსნება (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა ...). ამას ადასტურებს გურია-აჭარის ტერიტორიაზე ზანური ტოპონიმების არსებობაც.

მეგრულ-ლაზურის თავდაპირველი კილოური დიფერენციაცია შემდეგ პერიოდებში უფრო გაღრმავდა, რასაც ხელს უწყობდა განსხვავებული ენობრივი გარემოც, რ-შიც მათ უხდებოდათ და უხდებათ ფუნქციონირება. თუმცა სხვაობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ ისინი დამოუკიდებელ ენებად ჩაითვალოს: მათი ფუნქციური და გრამატ. სტრუქტურები ახლოსაა ერთმანეთთან. ამასთანავე, ლაზებსა და მეგრელებს მეტ-ნაკლებად ესმით ერთმანეთისა.

საერთო ნიშნების მიუხედავად, განსხვავება ლაზურსა და მეგრულს შორის მაინც საგრძნობია. ამას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ნ. მარმა, რ-მაც ეს განსხვავება საკმაო საფუძვლად მიიჩნია ლაზურისა და მეგრულის სხვადასხვა ენებად გამოსაცხადებლად. განსხვავება ვლინდება როგორც ფონეტიკაში (ბგერით სისტემებში, ფონეტიკურ პროცესებში), ისე გრამატიკაში: დიდი სხვაობაა უღლილების სისტემაში (აწმყოს, მყოფადისა და აორისტის წარმოება, მასდარის წარმოება...), არსებით და ზედსართავ სახელებში, ნაცვალსახელებში (განსაკუთრებით – ჩვენებით ნაცვალსახელებში); სინტაქსურ კონსტრუქციებში და ა.შ. მეგრულისა და ლაზურის (ჭანურის) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, ნ. მარის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათ (ამ კერძო შემთხვევაში ნ. მარი მხოლოდ ჭანურზე მსჯელობს) საკუთარი კილოები და თქმები აქეთ, რ-ებიც, მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთიანდებიან საერთო ლინგვისტური ნორმით. განხილულ თვალსაზრისს არაერთი მკვლევარი იზიარებს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. იხ. აგრ. *ლაზური ენა*, *მეგრული ენა*.

ლიტ. იხ. სტატიებთან *ქართველოლოგია*, *ქართველური ენები*.

კ. დანელია.

ზარზმის წარწერა ივანე სულას ძისა, დაახლ. 979. ზარზმის მონასტრის (ისტ. სამცხე, ახლანდ. ადიგენის რ-ნი) სამრეკლოს შესასვლელის თავზე ჩასმულ ქვის ფილაზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა. დიდი ზომის (211×100 *სმ*) ქვის ფილაზე გამოსახულია რელიეფური „ჯვარი აყვავებული". წარწერა ამოკვეთილი იყო ჯვრის ორივე მხარეს 10–10 სტრიქონად. ფილა მოგვიანებით ხელმეორედ გამოუყენებიათ საშენ მასალად და ჩამოუჭრიათ მარჯვენა მხარე. ამ ნაწილის ფრაგმენტი, წარწერის ტექსტის ნაწყვეტით, რ-იც თითქმის არ იკითხება, ჩასმულია მონასტრის მთავარი ტაძრის (XIV ს.) სამხრ. კედელში. სამრეკლოს შესასვლელის თავზე ჩასმულ



ზარზმის წარწერა ივანე სულას ძისა. დაახლ. 979.



ზარზმის მონასტერი. XIV ს.

ფილაზე თავდაპირველი სახით შერჩენილია წარწერის მარცხენა ნაწილი (10 სტრ.) და დასაწყისი მარჯვენა ნაწილის სტრიქონებისა – 4–7 ასოს მანძილზე (გადარჩენილი მარცხენა ნაწილის მიხედვით, ყოველ სტრიქონში 19–30 ასო უნდა ყოფილიყო). გადარჩენილი ნაწილისა და მთავარი ტაძრის სამხრ. კედლის ფრაგმენტის სტრიქონები არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგან ტექსტი გადათლილია და ნაკლული. ამიტომ წარწერის მარჯვენა ნაწილში მეტნაკლებად გაბმული ტექსტის აღდგენა ვერ ხერხდება. ფაქტობრივად, ჩვენამდე მოაღწია წარწერის ტექსტის მხოლოდ მარცხენა ნაწილმა, რ-იც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს:

„† სახელითა ღმრთისაჲთა და წმიდისა ღმრთისმშობელისა მუოხებითა მე, იუანე, ძმან სულასმან, აღვაშენე წმიდაჲ ეგუტერი. მას ჟამსა ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდეს ღმერთმან – უშუენა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუაველინნა. სკლიაროსი გავაქციეთ. მე მას ქუეყანასა, რომელსა ჰქუიან ხარსიანი, ადგილსა, რომელსა ჰქუიან სარეველისნი მუნ ესუენა ტახტი...“.

ამგვარად, წარწერა ეკუთვნის იუანე სულას ძეს – ბიზანტ. საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა სკლიაროსთან დავით კურაპალატის (+ 1001) მიერ 979 საომრად გაგზავნილი ლაშქრის მონაწილეს. წყაროების („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, ათონის ქართველთა მონასტრის საადაპე წიგნი) მონაცემებით, იუანე სულას ძე ჩორჩანელთა – ადგილობრივი ძლიერი ფეოდ. საგვარეულოს – წარმომადგენელი იყო. ე. თაყაიშვილი თვლიდა, რომ იგი თორნიკე ერისთავია – ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაგზავნილი მხედრობის ერთ-ერთი სარდალი (იხ. *ათონის იქვერთა მონასტერი*). ავტორის აზრით, თორნიკეს ბერობის სახელი იოანე იგივე იუანეა, ხოლო სულა მეორე სახელია თორნიკეს მამისა – ჩორდვანელისა. ეს სულა და ათონის ქართველთა მონასტრის იმდროინდელ ერთ-ერთ აღაპში მოხსენიებული ძმების, ფარსმანისა და ჩორჩანელის, მამა – სულა სხვადასხვა პირია. ორივე სულას ასევე სხვადასხვა პირებად და სხვადასხვა დროის მოღვაწეებად მიიჩნევენ ნ. ბერძენიშვილი და ე. მეტრეველი.

გარდა იუანე სულას ძისა, წარწერის ტექსტში დასახელებული არიან ისტ. პირები: სკლიაროსი (ორგუნის) და დავით კურაპალატი; გეოგრ. სახელები: ხარძრძეთი, ხარსიანი და სარეველისნი. წარწერა, მასში წარმოდგენილი ისტ. რეალიებით, დაახლოებით 979-ით თარიღდება. იგი დოკუმენტურად ადასტურებს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის მონაწილეობასა და მის დამსახურებას ბიზანტ. სამეფო კარის წინაშე.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980 (იქვე ბიბლიოგრ.); მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე. ათონის ქართველთა მონასტრის საადაპე წიგნი, თბ., 1998; Такайшвили Е. С., Зарзмский монастырь, его реставрация и фрески. – «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. 35, Тфл., 1905.

ვ. ბილოგვა.

ზედა ველი, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მუსლიმური წელთაღრიცხვის (ჰიჯრის) აღმნიშვნელი ტერმინი. ქველაზე ადრე დასტურდება ატენის სიონში სტეფანოზ მამფალის საღებავით შესრულებულ ეპიტაფიაში (739), ხოლო ყველაზე გვიან – უბისის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთ ნაგებობაზე, „სუეტზე“ ბასილი ჭყონდიდლის საამშენებლო ლაპიდარულ წარწერაში (1141). როგორც წესი, ს. წ. ყოველთვის გვხვდება ქართ. ქრონიკონით ან ქართ. დასაბამითგან დათარიღებასთან ერთად: ატენის სიონის გუარამიერ დედოფლის ეპიტაფიაში აღნიშნულია, რომ იგი „სედა წელსა სკგ, ქრონიკონსა ნზ აღესრულა“ (837); ხოლო სუმბატ მამფალის ეპიტაფიაში ატენის სიონიდან ნათქვამია: „სედა წელსა [სობ], ქრონიკონსა რე-სა აღესრულა კურთხეული

მამფალი სუმბატ, ძმ აშოტისი“ (885), თუმცა შეიძლება თარიღი მხოლოდ ს. წ-ით იყოს აღნიშნული, როგორც ეს „ცხრა ნეტარების“ ტექსტის ბოლოსაა ატენის სიონის კიდევ ერთ წარწერაში: „დაიწერა ზედა წელსა სკვ“ (840–841). ს. წ-ის მნიშვნელობის გარკვევით შესაძლებელი გახდა ერთი ადგილის სწორად წაკითხვა ატენის სიონის 853-ით დათარიღებულ წარწერაში ბულა თურქის შემოსევის შესახებ. კერძოდ, აღრე მიღებული წაკითხვის „ქრონიკონსა ოგ-სა, ისმაიტელსა წელსა სლთ-სა“ (ი. ჯავახი შვილი) ნაცვლად უნდა წაიკითხოთ „ქრონიკონსა ოგ-სა, ზედა წელსა სლთ-სა“ (853); ასევე, „კოსტანტი კახის მარტვილობაში“ კოსტანტის სიკვდილით დასჯის თარიღი ნაცვლად „ზედაწერილსა ისმაიტელთასა ორას ოცდაათორმეტსა“ (853), უნდა წაიკითხოთ, როგორც „ზედა წელსა ისმაიტელთასა ორას ოც და ათურამეტსა“ (853).

ტერმ. „ს. წ“-ის ზუსტი მნიშვნელობა საბოლოოდ გარკვეული არ არის. საკარაულოდ, იგი უნდა აღნიშნავდეს ასტრონომიული წლის იმ მონაკვეთს, რ-შიც ერთმანეთს ფარავს ქრისტიანული და მუსლ. წელთაღრიცხვებით აღნიშნული თარიღი. მაგ., თუ ტექსტში გვაქვს „ქრონიკონი იყო ტჲა, ზედა წელი სარკინოზთაჲ ფლე“ (უბისის სვეტის წარწერა), სადაც ქრონიკონითი თარიღი აღნიშნავს 1141 წლის 1 იან-დან 31 დეკ-მდე, ხოლო ჰიჯრის 535 – 17 აგვ. 1140 – 5 აგვ. 1141, მაშინ, აღნიშნული ვარაუდის მიხედვით, ს. წ. იქნება 5 იან.-5 აგვ. 1141. ამ ვარაუდის შემოწმება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილია თარიღის თვე, დღე და რიცხვიც. მაგ., ბულა თურქის ქართლში შემოსევის თარიღი ატენის სიონის წარწერაში ასეა გადმოცემული: „თუესა აგუსტოსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქრონიკონსა ოგ-სა, ზედა წელსა სლთ-სა“; ქრონიკონი უდრის 1 იან. – 31 დეკ. 853, ჰიჯრით თარიღი – 12 იენ. 853 – 1 იენ. 854, ს. წ. იქნება 12 იენ. – 31 დეკ. 853. მართლაც, 5 აგვისტო, შაბათი, ქრონიკონით აღნიშნული თარიღის ამ მონაკვეთშია მოქცეული.

ლიტ.: სილოგავა გ. ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან („ზედა წელი“). – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1974, №4.

გ. სილოგავა.

ზედსართავი სახელი, ა დ ი ე ქ ტ ი ვ ი, მეტყველების ნაწილი: დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რ-იც გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას. ზ. ს-ის კითხვებია: როგორი? რომელი? საღაური? როდინდელი? (დიდი სახლი, თეთრი იასამანი, უღრუბლო ცეცა, ქართული საგალობლები, საშვილიშვილო საქმე, შარშანდელი თოვლი). ზ. ს. მიეკუთვნება მსაზღვრელ სახელებს. იბრუნვის როგორც ატრიბუტული (შეთანხმებული) მსაზღვრელი: წინადადებაში ასრულებს ატრიბუტული განსაზღვრების ფუნქციას, გამოიყენება აგრეთვე *შედგენილი შემასმენლის* სახელად ნაწილად („ბოროტი კაცი დანაშაულიც ბოროტი არის“. ივ. მაჩაბ., თარგმ.).

ტრადიციულად იმჯნება ერთმანეთისაგან ზ. ს-თა ორი ძირითადი ჯგუფი: ეითარებითი, რ-იც საგნის ნიშან-თვისებას ასახელებს უშუალოდ, სხვა საგანთან მიმართების გარეშე (წითელი ვაშლი, კეთილი კაცი, ავი ძაღლი) და მიმართებითი, რ-იც საგნის ნიშან-თვისებას წარმოაჩენს სხვა საგანთან მიმართებით (ხაცხი– ხაცხიანი ქვა, კულტურა– კულტურული მუშაკიდრეობა, შობა– საშობაო არდაღეგები).

ეითარებითი ზ. ს-თა უდიდესი ნაწილი პირველადი, არამოტივირებული სიტყვაა. მაგ.: თეთრი, შავი, დიდი, პატარა, კარგი, ცუდი, ეიწრო, ფართო, ბოროტი, კეთილი, მლაშე, მცირე, მტკიცე, წმინდა, ჭეშმარიტი, ბრმა, ყრუ, ცრუ... წარმოდგენილი მასალა შეიდგენილობის მიხედვით არაერთგვაროვანია. ისტორიულად მარტივფუძიან (საკუთარ თუ ნასესხებ) ზ. ს-თან ერთად მისი შეესება ხდებოდა (და ხდება) დაბინდული სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ნასახელარი ზ. ს-ისა და იმ მიმღეობების ხარჯზე, რ-ებსაც დაკარგული აქვთ ზმნური კატეგორიები. ამიტომ, ეითარებითი ზ. ს-ის პირველადობისა და არამოტივირებულობის შესახებ მსჯელობისას, ამოსაელად თანამედროვე ქართულის ვითარება ივარაუდება.

ეითარებითი ზ. ს. გარკვეული გრამატ. და ლექსიკური თავისებურებებით ხასიათდება: ა) აწარმოებს ხარისხის ფორმებს (დიდი – უდიდესი – მოდიდო); ბ) უნარი აქვს ეგეეე შინაარსი აღწერითი ფორმითაც გადმოსცეს (ძალიან დიდი – ოდნავ დიდი); გ) ქმნის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე (ანტონიმურ) წყვილებს (დიდი – პატარა, მაღალი – დაბალი); დ) აქვს ზმნიზედური ფორმები (ჩქარი – ჩქარა, კარგი – კარგად); ე) აბსტრაქტულ სახელებს უპირატესად სი – ე აფიქსებით აწარმოებს (ახალი – სიახლე, ღრმა – სიღრმე). ეს ნიშნები ყველა ზ. ს-თეის ერთნაირად დამახასიათებელი არ არის. ბრმა, ყრუ, ცრუ, ნელი, წუმი... აბსოლუტურ, მუდმივ ნიშანს გამოხატავს, ამიტომ ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებს; ხარისხის ნაკლულოვანი სისტემით ხასიათდება: წმინდა – უწმინდესი, ახალი – უახლესი... ფერის და ნაწილობრივ, ზომის აღმნიშვნელი სახელებისათვის ბუნებრივი ჩანს ოდნაობითი ხარისხის ფორმები: წითელი – მოწითალო, ყვითელი – მოყვითალო (უწითლესი, უყვითლესი გრამატიკულად დასაშვები ფორმებია, თუმცა ეს მნიშვნელობა სალიტ. ენაში უპირატესად აღწერითად გადმოიცემა: მუქი წითელი, ხასხასა მწვანე, ქაოქათა თეთრი), ასევე: დიდი-მოდიდო, გრძელი-მოგრძო ... ზოგი სპეციალისტი ამ ფორმათა წარმოშობას სიტყვაწარმოებას უკავშირებს (თ. ზურაბიშვილი).

მიღებული შეხედულების თანახმად, ხარისხის ფორმები, საზოგადოდ, ეითარებითი ზ. ს-ის კუთვნილებაა, მიმართებითი ზ. ს. ამ უნარს მოკლებულია. ის ნიშან-თვისება, რ-საც იგი გამოხატავს (მქონებლობა – უქონლობა, წარმომავლობა, დანიშნულება...) საგანს შეიძლება ახასიათებდეს, ან არ ახასიათებდეს. ამ თვისების მეტ-ნაკლები ოდენობით წარმოდგენა კი შეუძლებელია. თუ რომელიმე მიმართებითი ზ. ს. ხარისხის ფორმას აწარმოებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაკარგული აქვს მიმართებითობა და ეითარებითად არის

ქცეული (ა. შანიძე). ეს ზედსართავებია: ძლიერი (←ძალ-იერ-ი), ღონიერი, გონიერი, ბედნიერი, მშვენიერი, გემრიელი, ჭკვიანი (←ჭკუიან-ი), პატიოსანი (←პატივ-ოსან-ი), მნიშვნელოვანი, გულითადი, დიადი (←დიდ-ად-ი), ძვირფასი, ერთგული, კეთილშობილი. დასახელებული ზ. ს-ები აწარმოებენ ხარისხის ფორმებს: ბედნიერი – უბედნიერესი, კეთილშობილი – უკეთილშობილესი. ხარისხის ფორმათა წარმოების უნარის გამო ეითარებით ზ. ს-ად განიხილება აგრეთვე მიმღეობური ფორმები: მწიფე, მორცხვი, მკრალი, მხურვალე.

მ ი მ ა რ თ უ ბ ი თ ი ზ. ს. ყველა ნაწარმოები, მოტივირებული სახელია გამჭვირვალე სტრუქტურითა და სემანტიკით. ფუძის მიხედვით მიმართებითი ზ.ს. წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი ან თ ხ ზ უ ლ ი ა. წარმოქმნილ ზედსართავებში ძირეულ სახელად (სემანტიკურ ბირთვად) უპირატესად არსებითი სახელი გვხვდება (შაქრიანი, საზეიმო), შედარებით იშვიათად – სხვა მეტყველების ნაწილი: ზ. ს. (სასწრაფო, მცირედი), ნაცვალსახელი (ჩვენებური, საკუთარი), რიცხვითი სახელი (ერთიანი, პირველადი), ზმნისართი (აქაური, სამუდამო), ზმნა (მშვენიერი, მშიერი), დამხმარე სიტყვა (სათუო, უეჭველი); ფორმის მიხედვით წარმოქმნილი ზ. ს., ჩვეულებრივ, სუფიქსური (მზიანი, წიგნიერი) ან პრეფიქსულ-სუფიქსურია (მეცნიერება, საშემოდგომო), იშვიათად – ორდენ პრეფიქსული (ურიცხვი, ალოგიკური, არაორდინალური, ანტიკორუფციული); სემანტიკის (მნიშვნელობის) მიხედვით გამოიყოფა წარმოქმნილ ზ.ს-თა შემდეგი ჯგუფები: ქონების (ყაბალახიანი, შუბოსანი, ძალოვანი, წესიერი), უქონლობის (უგემური, უწიგნური, უგულო, უდისციპლინო), წარმომადგენლობის (ქალაქელი – ქალაქური, წლიური, გუშინდელი), დანიშნულების (საფოსტო, საქვეყნო, სასწრაფო).

ქურადღებას იქცევს მოქმ. და ეით. ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები ზ. ს-ები: დადებითი, წერითი, რიცხვითი, ჟანგეითი; დრეკადი, დენადი, ხსნადი, კუმშვადი. ამ ტიპის ზედსართაეთა გამოყენების არეე ტერმინოლოგიური დანიშნულებით განუზომლად ფართოა.

თხზული ზ. ს. არის ფუძეგაორკეცებული (გიჟმაჟი, უზარმაზარი, მაღალ-მაღალი) ან ნაირფუძიანი (ღარიბ-ღატაკი, ცოცხალ-მკედარი; ვარდისფერი, გულქვა, გულკეთილი, გულგატეხილი).

ზ. ს., როგორც ნიშან-თვისების გამომხატველი სიტყვა, საგნის სახელთან – არსებით სახელთან (სასღერულთან) ერთად ფუნქციონირებს: ქმნის მსაზღერელ-საზღერულის სინტაქსურ წყვილს, იბრუნვის როგორც ატრიბუტული მსაზღერელი (წითელი ვაშლი, წითელმა ვაშლმა...). ზ. ს. კონტექსტში შეიძლება დამოუკიდებლად, არსებითი სახელის (საზღერულის) გარეშეც შეგვხვდეს. ამ შემთხვევაში იგი გასუბსტანტივებულია, შესიტყვებას ქმნის ზმნასთან, ასრულებს არსებითი სახელის ფუნქციას და იბრუნვის როგორც სათანადო ფუძის არსებითი სახელი (მაგ.: კუზიანს სამარე გაასწორებსო).

ზოგიერთი ენათმეცნიერი აფართოებს ზ. ს-ის ტრადიციულ ჩარჩოს და მასში, როგორც ნაზმნარი ზ. ს., *მიმღეობაც* შეაქვს (შ. კეკელია, ა. დავითიანი). რუს. საენათმეცნიერო ლიტ-რაში ეს ჩარჩო კიდევ უფრო გაფართოებულია და ზ. ს-ის, როგორც მეტყველების ნაწილის, შემადგენლობაში, საკუთრივ ზ. ს-ის გარდა, ბრუნების წესისა და სინტაქსური ფუნქციის მსგავსება-ერთიანობის საფუძველზე, მიმღეობასთან ერთად შეაქვთ რიგობითი რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი (პირის ნაცვალსახელის გარდა).

ლიტ: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953 (1973); ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი თ., ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში. – «სმამ», 1962, ტ. 29, №5; კ ე კ ე ლ ი ა შ., დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენა, თბ., 1973; კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

ე. კალანდაძე.

ზ ე რ თ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა, *რთული წინადადება*, რ-იც თანწყობითა და ქვეწყობით არის შექმნილი. ზ. წ-ის მთავარი კომპონენტი ყოველთვის თანწყობილია, კავშირიანი ან უკავშირო. იგი შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი წინადადებისაგან. დამოკიდებული წინადადება ახლავს მთავარი წინადადების (თანწყობილის) ერთ ან ყველა კომპონენტს. მაგ., „ქალი მიდის (1), რომ სხვაგან გაიკეთოს ბუდე (2), კაცი კი ბუდს შინ მოელოდება (3)“ (ი. ჭაეჭ.). მთავარი წინადადება (1, 3) შეიცავს მაპირისპირებელ კი კავშირს, დამოკიდებული წინადადება (2) ახლავს მთავარის პირველ კომპონენტს; „მარტო შენი მტერი დაგიმალაეს (1), შენს სახე'ხე რომ ურიგობა ნახოს რამე (2), მოყვარე კი მაშინეე სარკეს მოგიტანს (3), რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე (4)“ (ი. ჭაეჭ.). აქ მთავარი წინადადების ორსაეე კომპონენტს (1, 3) ახლავს დამოკიდებული წინადადება (2, 4).

ზ. წ-ს შ ე რ ე უ ლ ი ს ა ხ ი ს რ თ უ ლ წინადადებასაც უწოდებენ. ზ. წ. საკმაოდ ერცელია, თუ მთავარი წინადადების კომპონენტებთან თანადაქეემდებარებით ან ხარისხობრივი ქეეწყობით რამდენიმე დამოკიდებული წინადადებაა შეკავშირებული: „ექიმი, რომელიც დაუყენეს იაგოს (2), იმედობდა (1), რომ რამდენსამე დღეში ფეხზედ წამოაყენებდა ავადმყოფს (3) და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს (4), რადგანაც წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა გირგოლაზედ (5), რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში, გახადა კაცნაკლავად, წაართვა საცოლე და მოაშორა სამშობლოს (6)“ (ა. ყაზბ.). მთავარი წინადადება (1, 4) და-კავშირიანი თანწყობილია. მის პირეელ კომპონენტს თანადაქეემდებარებით უკავშირდება ორი დამოკიდებული (2, 3), ხოლო მეორე კომპონენტს (4) უშუალოდ ექეემდებარება მე-5 წინადადება (მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული), რ-საც ახლავს განსაზღერებითდამოკიდებული წინადადება (6). ყოველ მთავარი წინადადების ყველა კომპონენტს ახლავს საერთო დაქეემდებარებული წინადადება: „მეც სუმბულიეით დავიგოლეები (1) და მეც გამახმობს უცხო სმანება (2), თუ საქართეელოს ლურჯი გორები დროზედ არ ნახა ჩემმა თვალებმა (3)“ (ლ. ასათ.). პირობითი და-

მოკიდებული (3) ახლაეს მთავარი წინადადების ორსავე კომპონენტს (1, 2). საერთო დაქვემდებარებული წინადადება სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს მთავარი წინადადების კომპონენტებთან: „იმდენად გახუნდა (1), ისეთმა რამემ მოდრიკა (2), რომ ახლა ჩემი თაეიც იკადრა (3)“ (მ. ჯაეახ.). აქ მთავარი წინადადების პირველი კომპონენტისათეის დამოკიდებული წინადადება (3) ეითარების გარემოებითია, მეორისათეის კი – განსაზღერებითი.

ზ. წ-ს კიდეე უფრო ართულებს ისეთი შემთხეევები, როცა მთავარი წინადადება ორზე მეტი კომპონენტის თანწყობითაა შექმნილი, ან როცა დამოკიდებული კომპონენტებიც არიან თანწყობილი, თუ რთული წინადადების ნაწილებშიც მოიპოეება განკერძოებული სიტყეები და გამოთქმებიც.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკა, II, თბ., 1948; კ ი ზ ი რ ი ა ა., ქართული ენა. პრაქტიკუმი, თბ., 1984; კ ე ც ხ ა ე ლ ი ლ., თანამედროეე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. კვარცხალიანი.

ზეშრაზული ერთეული, მეტყეელების ორგანიზაციის ფორმა, ფრაზასზე უფრო ერცელი; შედგება ორი ან მეტი ერთმანეთთან თემატურად დაკავშირებული დამოუკიდებელი წინადადებისაგან. ზ. ე-ებად არის მიჩნეული რთული სინტაქსური მთლიანობა (პროზაული სტროფი), პერიოდი, დიალოგური ერთიანობა (კითხეა-მიგება, მიკროტექსტი). ზოგი აეტორი ზ. ე-ად თელის აბზაცსაც (იხ. *აბზაცი*). ზ. ე. ერცელ აზრს – მ ი კ რ ო თ ე მ ა ს გამოხატავს. მის შემადგენელ წინადადებათა შორის ისეთი მჭიდრო სინტაქსური კავშირი არ არის, როგორიცაა რთული ქეეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის. ზ. ე-ში ყოველი მომდეენო წინადადება წინა წინადადების აზრის შემთავსებელ-განმავითარებელია. წინადადებათა შორის სპეციფიკური კავშირი (ე. წ. პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი, თ ა ნ ა მ ი მ დ ე ე რ უ ლ ი, მ ი ე რ თ ე ბ ი თ ი) რეალიზებულია სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკული საშეალებებით, როგორიცაა: მიერთებული კავშირები, ანაფორული წეილსახელები (იხ. *ანაფორა*), ანაფორული მიმართება, ზმნისართები, მოდალური სიტყეები (იხ. *მოდალობა*), ზმნის დრო-კილოთა ფორმების შესაბამისობა, გარემოებითი დეტერმინანტები, სინონიმური შენაცელება და მისთ. რთული სინტაქსური მთლიანობისათეის ნიშანდობლიეია აგრეთეე რიტმულ-ინტონაციური ერთიანობა. შესაძლებელია ამ სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულის დანაწეერება, რის შედეგადაც გამოიყოფა დ ა ს ა წ ყ ი ს ი, შ უ ა ნ ა წ ი ლ ი და დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა. დასაწყისი, ჩეეულებრიე, დამოუკიდებელი წინადადებაა და ხშირად მიკროთემის ფორმულირებას იძლეა. შუა ნაწილი ძირითად აზრს აეითარებს, დაბოლოება კი წინა ნათქეამის შეჯამებაა. მართალია, კომპოზ.-თემატური და სინტაქსური მხარეები ერთმანეთს უკაეშირდება, მაგრამ ისინი ზოგჯერ არ ემთხეეიან ერთმანეთს. მაგ.:

„– მეფე ვინმე იყო დიდებული (1). ოცდაათი ეაჟი პყვა (2). რა მოიწია დრო სიკედილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თეისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს, და ეერ გატეხა (3). მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოეელიეე დალეწა (4). უთხრა შეილთა თეისთა:

– თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ეერ გაგტეხსთ, ეითა მე წეღან შეკრული ისარი ეერ გაეტეხე. თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თაეიცა მოსთხაროთ და მოყეარეცა (6)“ (ს.-ს. ორბ.).

ეს ტექსტი რთული სინტაქსური მთლიანობაა, რ-იც სხვადასხვა სტრუქტურის 6 წინადადებისაგან შედგება. აქ გამოიყოფა შესავალი (1, 2), შუა ნაწილი (3, 4, 5) და დაბოლოება (6). პირეელი წინადადება სრულიად დამოუკიდებელია. იგი ამაეე დროს გამაერთიანებელიცაა მომდეენო წინადადებებისა, რადგან მისი ქეემდებარე („მეფე“) იგულისხმება ქეემდებარედ მომდეენო წინადადებებში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5). გამაერთიანებელია სხეა საშეალებებიც: ა) ზმნის დრო-კილოთა ფორმების ერთგეარობა (ყეელა წინადადებაში, გარდა უკანასკნელისა, ზმნები ნამყო სრულშია); ბ) მოდალური მნიშენელობა; გ) სინონიმური შენაცელება (ეაჟი, ძეთა, შეილთა); დ) დროის დეტერმინანტების მონაცელეობა („რა მოიწია დრო სიკედილისა მისისა... მერმე“) და ა. შ. დასკენა (მე-6), რ-იც ზერთული წინადადებითაა გადმოცემული, შინაარსობრივ-ემოციური თეალსაზრისით განირჩეა წინამავალი თხრობითი ხასიათის ნაწილისაგან და ცალკე აბზაცითაა წარმოდგენილი. საერთოდ, მთელი ტექსტი ორ აბზაცადაა დაყოფილი. რთული სინტაქსური მთლიანობა აბზაცისაგან იმით განსხეავდება, რომ ეს უკანასკნელი სტილისტიკურ-კომპოზ. ერთეულია და გარკეეულ შემთხეევებში შეიძლება ერთი წინადადებითაც იქნეს გადმოცემული.

ზ. ე-ებზე მსჯელობა ძე. ქართ. გრამატიკებშიც გეხედება, კერძოდ, განხილულია კითხეა-მიგება და პერიოდი. *ანტონ* I-ის მიერ ნახმარი ტერმ. „ყოელადი სიტყუა“ (// „შეყოელადებული სიტყუა“), დღეეანდელი გაგებით, ნიშნაეს რამდენიმე კომპონენტის შემცეელ რთულ ქეეწყობილ წინადადებასაც და რთულ სინტაქსურ მთლიანობასაც, რასაც ანტონ I ერთგან პ ე რ ი ო დ ს აც უწოდებს. უფრო გეიან თ. ჟორდანიამ, რთული ქეეწყობილი წინადადებისა და პერიოდის გარდა, განიხილა რთული სინტაქსური მთლიანობაც (საილუსტრაციოდ მოყეანილია ს.-ს. ორბელიანის არაკი) და მას ს ა უ ბ ა რ ი, ანუ ს ი ტ ყ ე ა უწოდა.

ზ. ე. ტექსტის ლინგეისტიკის კელეეის ობიექტია.

ლიტ.: ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ა ნ ტ ო ნ I-ის მიერ, ტფ., 1885; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფ., 1889; ფ ო ც ხ ი შ ე ი ლ ი ა., ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979; ს ე რ გ ი ა ე., ქართული ენის ტექსტის ლინგეისტიკა, თბ., 1997; К р ю ч к о в С. Е., М а к с и м о в Л. Ю., Современный русский язык (синтаксис сложного предложения), М., 1977; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ლ. კვანტალიანი.

ზმნა, მეტყეელების ნაწილი; სრულმნიშენელოეანი, ფორმაცვალებადი (უღლებადი) სიტყეა. ფუნქციურად

გამოხატავს კონსტრუქციაში სუბიექტად წარმოდგენილი პირის მოქმედებას (აკეთებს, კეთდება...) ან მდგომარეობას (დგას, წუხს...).

ქართული ზ. რთული მეტყველების ნაწილია. სირთულეს უპირველესად განაპირობებს სმნურ კატეგორიათა სიმრავლე. მნიშვნელობასთან მიმართების თვალსაზრისით ზ-ის კატეგორიები შეიძლება ორ ჯგუფად დალაგდეს: **უღლების და წარმოქმნის კატეგორიებად** (ა. შანიძე). უღლების კატეგორიად მიჩნეულია ის, რ-იც ცელის ზ-ის გრამატ. მნიშვნელობას. ასეთებია *პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი, აქტი, თანამდეროობა, მწკრივი*. წარმოქმნის კატეგორიად მიჩნეულია ის, რ-იც ცელის ზ-ის ლექსიკურ მნიშვნელობას. ასეთებია *გვზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი*. შესაძლებელია, ძვ. ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო, ახალში კი იგი წარმოქმნის კატეგორიაა (ა. შანიძე).

ფორმალური გამოხატვის თვალსაზრისით ზ-ის კატეგორიები იყოფა გრამატიკულ (მორფოლოგიურ) და სემანტიკურ კატეგორიებად. ამგვარ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გრამატ. კატეგორიის, როგორც მორფოლ. კატეგორიის, ტრად. გაგება, ე.ი. კატეგორისა, რ-იც გამოიხატება მორფოლოგიური საშუალებებით. ამ გაგებით, მორფოლ. კატეგორიებია პირი, რიცხვი, მწკრივი, გვარი, ქცევა, კონტაქტი– სემანტიკური – დრო, კილო, აქტი–

ქართ. ზმნური ფორმების ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია, ერთი მხრივ, სტატიკური (იხ. *სტატუსი*) და დინამიკური ზ-ები, მეორე მხრივ, გარდაუვალი და გარდამავალი ზ-ები (არნ. ჩიქობავა).

ზ-ის სირთულის ერთ-ერთი საფუძველი აფიქსებთან დაკავშირებული პრობლემაა: ერთი და იგივე კატეგორია შეიძლება რამდენიმე აფიქსით გადმოიცეს და, პირიქით, მასალობრივად ერთი და იგივე აფიქსი რამდენიმე ფუნქციით მოგვევლინოს.

ქართ. ზ-ის ძირითადი თავისებურებაა მრავალპირიანობა: ერთსა და იმავე დროს ზ. შეიძლება მორფოლოგიურად დაკავშირებული იყოს რამდენიმე პირთან, ე.ი. აისახოს რამდენიმე პირი – სუბიექტურიცა და ობიექტურიც. შესაბამისად, ზ. შეიძლება იყოს ერთპირიანი (მასში აისახება მხოლოდ სუბიექტ. პირი – კვდება...), ორპირიანი (სუბიექტ. და ობიექტ. პირები – მხატავს ის მე, ეზიდება ის მას...), სამპირიანი (სუბიექტ. და ორი ობიექტ. პირი – სწერს ის მას მას...). ასახელებენ ოთხპირიან ზ-საც. პირიანობისა და ვალენტობის გარჩევამ ეს საკითხი დააზუსტა (იხ. *ვალენტობა*).

ზ. ფორმას იცელის როგორც სუბიექტ. პირების (სუბიექტ. წყობა, სუბიექტ. უღლება), ისე ობიექტ. პირების მიხედვით (ობიექტ. წყობა, ობიექტ. უღლება).

ზ-ის ფორმაცვალება ხდება საუღლებელ ერთეულთა (მწკრივი, დრო-კილო...) მიხედვით, საუღლებელი ერთეულის შიგნით – პირისა და რიცხვის მიხედვით. ზ-ს მოეპოება როგორც *ორგანული წარმოება*, ისე *აღწერითი წარმოება*.

საუღლებელი ფუძის მიხედვით ზმნურ ფორმათა დაჯგუფება ხდება (კ. დოდაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, ნ. მარი...) სერიებად (იხ. *სერია*) და მწკრიეებად (იხ. აგრეთვე *ნაკეთი*). საუღლებელ ერთეულთა რაობისა და რაოდენობის საკითხზე ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს (უ. ყორღანაშვილი, ა. დავითიანი).

გარკვეული ნიშნებით ზმნებთან აერთიანებენ *სახელ ზმნებსაც*, თუმცა აზრი იმის თაობაზე, სახელზმნა ზ. არის თუ სახელი, არაერთგვაროვანია.

გ. გოგოლაშვილი.

ზმნიზედა, ზმნისართი, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რ-იც განსაზღვრავს ზმნით (აგრეთვე სახელზმნით) გამოხატულ მოქმედებას. ზ-ს ზმნის ამხსნელ სიტყვას უწოდებენ (ა. შანიძე).

ფორმის მიხედვით გამოიყოფა: ა) პირველადი (ძირეული) ზ-ები: აქ(ა), იქ(ა), სად(ა), წინ(ა), შინ(ა), აწ, ხვალ... ეს ზ-ები მარტივი ფუძისანი არიან, თუმცა ზოგჯერ შეიცავენ დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებსაც (აქეთ, იქით, ზევით). ზოგიერთი მათგანის ანალიზით [აქ(ა), იქ(ი)...] გამოვლენილია ზ-ის კავშირი ნაცვალსახელურ ძირებთან (ქ. ლომთათიძე, ბ. ფოჩხუა, გ. შალამბერიძე). ბ) ნაწარმოები ზ-ები უმეტესად სახელისაგან, კერძოდ, სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმისაგან იწარმოებიან. მაგ., გაქვავებული მიცემითის ფორმებია: ძირს, ახლოს, შორს, საღამოს, დილას, დღეს, წელს... გვაქვს -ში, -ზე თანდებულიანი მიცემითის ფორმებიც (რ-ებსაც სადაობითს უწოდებენ): შუაში/შუაზე, ბოლოში, განზე, გვერდზე... ნათ. ბრუნვის ფორმა აქვთ შემდეგ ზ-ებს: -გზის (ერთგზის, სამგზის და სხვ.); მარადის (←მარადღის) || მარად, წუხელის (შეკეცით: წუხელ)... გვაქვს მოქმ. ბრუნვის ფორმიდან მომდინარე ზ-ები: ა) უთანდებულო მოქმედებითიდან – წინათ (←წინაჲთ); გარეთ (←გარეჲთ); უნებლიეთ (←უნებლიეჲთ); და სხვ. ბ) თანდებულიანი მოქმედებითიდან: თავიდან, შიგნიდან, ქვევიდან და სხვ. ვით. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილია შემდეგი ზ-ები: ა) სრული ფორმით – ცეკრად, ალმაცერად, ანაზდად, უეცრად, უბრად... ბ) ნაწილობრივი შეკვეცით: ჩქარა (← ჩქარად); ნელა (← ნელად); მაღლა (← მაღლად)... გ) თანდებულის დართვით: სანამდე/სადამდე, აქამდე, მანამდე...

ზ-ად შეიძლება გამოყენებული იყოს სახელის ფუძე. მაგ., ღამე („ავადმყოფს ღამე სრულებით არ ეძინა") || ღამით... უფრო ხშირია სახელთა გაორკეცებული ფუძეების გამოყენება ზ-ად: ხეე-ხევ, სოფელ-სოფელ, ლუკმა-ლუკმა...

გამოყოფენ ე. წ. საკუთარი წარმოების ზ-ებსაც. მაწარმოებლებად გამოყოფილია: -ივ (ოდინდელი ბრუნვის ნიშანი): მარჯვენივ, მარცხნივ, ირგელივ, დაუყოვნებლივ... -რე: აგრე (მაგრე, ეგრე), მეტადრე... -შე: წინაშე, -მო: ზეგარდმო და სხვ.

ზოგიერთი ზ. გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (შორს, შორის, შორით, შორად)... მსგავსი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ზ-ად გამოყენებული სიტყვების ბრუნვაში მართვა ისტ. ფაქტია. ზოგი მკვლევარი ზ-ს, რ-საც მხოლოდ რამდენიმე ბრუნვის ფორმა მოეპოვება, ნა-

კლული პარადიგმის მქონე ფორმაცვალებად სიტყვათა რიგში განიხილავს (ბ. ჯორბენაძე)...

შინაარსის მიხედვით ზ-ებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ა დ გ ი ლ ი ს ზ. აღნიშნავს მოქმედების ადგილს ან მიმართულებას. ადგილის (ადგილმდებარეობის) აღმნიშვნელი ზ. უპასუხებს კითხვაზე სად? – წინ, უკან, ზევით, ქვევით...

მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ზ. უპასუხებს კითხვებზე: ა) საით[კენ]? – სუბიექტის ან ობიექტის მოძრაობის მიმართულება (აქეთ, იქით, იქითკენ, შინისკენ, ქვემოთკენ...); ბ) საიდან? – მოქმედების საწყისი პუნქტი (აქედან, იქიდან, შორიდან, გაღმიდან...); გ) სადამდე? – საბოლოო პუნქტი სივრცეში (შუამდე, ბოლომდე, შინამდე...). ქართულში არ არის გარჩეული ერთ ადგილას მყოფობისა და სხვა პუნქტისაკენ მიმართული მოძრაობის აღმნიშვნელი ზ-ები, როგორც, მაგალითად, რუსულში (შდრ. შინ ზის და შინ მიდის). კითხვაც შეიძლება ერთნაირი დაისვას – სად? (შდრ. где? куда?).

დ რ ო ი ს ზ. აღნიშნავს დროის მონაკვეთს, რ-შიც სრულდება მოქმედება; მიუგებს კითხვაზე: როდის? – დღეს, გუშინ, ხვალ, წელს, შარშან, გაისად და სხვ. აქვს მეორე მნიშვნელობაც: აჩვენოს ასპექტი – დაახასიათოს მოქმედება მისი გრძლიეობის, პერიოდულობის, ინტენსიეობის მიხედვით. ასეთი ზ-ებია: ყოველთვის, მუდამ, ხშირად, იშვიათად, ხანდახან, ზოგჯერ. ამ ზ-ებით გამოხატული დროის გარემოება უახლოედება ვითარების გარემოებას.

ზ ო მ ა - წ ო ნ ი ს ა და ო დ ე ნ ო ბ ი ს ზ-ები მიუთითებენ, თუ რა ზომით და რა რაოდენობით, რამდენად და რამდენჯერ ხდება მოქმედება. ასეთი ზ-ებია: სულ, ნაკლებ, მეტად, ცოტად, საკმაოდ, სრულად, ერთხელ, ორჯერ, ამდენად ზომა-ოდენობის ზ-ებს პოლისემიურ ზ-ებსაც უწოდებენ: ერთმა და იმავე ზ-მ შეიძლება გამოიხატოს დროც და ჯერობაც (შდრ.: ერთხელ მეფემ თავის ვაჟებს დაუძახა და მეფემ ვაჟებს ერთხელ დაუძახა) (შ. აფრიდონიძე).

ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ზ. უჩვენებს, თუ როგორ, რა ვითარებაში ხდება მოქმედება და უპასუხებს კითხვაზე როგორ? – კარგად, ცუდად, ნელა, ჩქარა, უცებ (უცბად), ადრე, გვიან... ვითარების ზ-მ შეიძლება გამოხატოს მოქმედების ინტენსიეობა, სისრულე, ხარისხი: ძალიან, ძლიერ, მეტად, ნაკლებად, ერთიანად, სრულად/სრულიად და სხვ. ამ მნიშვნელობით ვითარების ზ. უახლოვდება ზომა-ოდენობის ს-ს. ამიტომ წინადადებაში ორივემ შეიძლება შეასრულოს ვითარების (ხან – დროის) გარემოების ფუნქცია.

ვითარების (და ზომა-ოდენობის) ზ-ები შეიძლება მოგვეელინოს ზედსართავის ან სხვა ს-ის მსაზღვრელადაც. მაგ., ძალიან მაღალი/ძალიან მაღლა; სრულიად მოულოდნელი/სრულიად მოულოდნელად...

მ ი ზ ე ზ ი ს ზ. აღნიშნავს მიზეზს, რ-ითაც გამოწვეულია მოქმედება. იგი მიუგებს კითხვაზე რატომ? – ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ.

მ ი ზ ნ ი ს ზ. აღნიშნავს მიზანს, რ-საც ემსახურება მოქმედება. მისი კითხვებია რად? რისთვის? – ამისათვის, მაგისათვის, იმისათვის, ამად.

მიზეზისა და მიზნის ზ-ები წარმოშობით ნაცვალსახელებია.

კ ი თ ხ ვ ი თ ი ზ-ა – სად? საიდან? საითკენ? როდის? როგორ? რად? რატომ? რისთვის?

მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზ. მიიღება კითხვით ზ-ზე ც ნაწილაკის დართვით. იგი დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან და ასრულებს კავშირის ფუნქციას. ასეთი ზ-ებია: სადაც, საიდანაც, როდესაც, როგორც, რადაც, რისთვისაც.

ნებისმიერი ზ. წინადადებაში ქმნის წყვილს შემასმენელთან ან ნაცვლადსახელით გადმოცემულ წინადადების წევრთან და ასრულებს სათანადო შინაარსის მქონე *გარემოების* როლს. ზოგიერთი ზ. (უფრო – ადგილისა და დროისა) გამოიყენება თანდებულადაც. ასეთ შემთხვევაში იგი მართავს სახელს ბრუნვაში (სახლის წინ, მდინარის გაღმა, ორი წლის წინათ, ერთი საათის შემდეგ).

შემასმენელთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ წყვილს ქმნის ვითარების (და ზომა-ოდენობის) ზ. (საერთოდ – ვითარების გარემოება). ამიტომ პოზიციის შეცვლისას ზ-მ შეიძლება შეასრულოს *ჩართულის* ფუნქცია.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953 (1973); ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე მ., ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955; ფ ო ჩ ხ უ ა ბ., ხმოვანთაესართული ზმნისართები. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», I, თბ., 1959; შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე გ., ზმნისართი ძველ ქართულში. – იქვე; ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე შ., სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986.

ც. ქალაძე.

ზმნისწინი, პ რ ე ვ ე რ ბ ი, ზმნის თავში დართული *მორფემა*, რომელსაც აქვს როგორც სიტყვაწარმოებითი, ისე ფორმაწარმოებითი ფუნქციები: ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობებს, გვიჩვენებს მიმართულებას, აწარმოებს მომავალ დროს და, ამასთანავე, ზმნაში გამოხატულ მოქმედებას სძენს დასრულებულ სახეს.

ზ-თა აღსანიშნავად სხვადასხვა აეტორი განსხვავებულ ტერმინებს იყენებდა: ა რ თ რ ო ნ ი (ს.-ს. ორბელიანი), ზ ე დ დ ა დ ე ბ უ ლ ი, კ ე რ ძ ო კ ი ზ ე დ დ ა დ ე ბ უ ლ ი, ნ ი შ ა ნ ი გ ა ნ მ ა ე ი თ ა რ ი (ანტონ I), შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ა დ ხ მ ა რ ე ბ უ ლ ი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი (ს. დოდაშვილი), მ ი მ ძ ღ ო ლ ი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი (დ. ყიფიანი), ს ი ტ ყ ვ ი ს ნ ა კ ე თ ი (ა. ქუთათელაძე) და სხვ. ტერმ. „ზ.“ დაამკვიდრა ა. შანიძემ.

ზ. შედგენილობის მიხედვით არის მ ა რ ტ ი ვ ი და რ თ უ ლ ი, ორიენტაციის მიხედვით – ს ა ი ქ ი თ ო და ს ა ა ქ ე თ ო (იხ. *ორიენტაცია*). საიქითო ორიენტაციისა: მი-, ა-, და-, გა-, შე-, ჩა-, გადა-, წა-, უკუ-; საქეთო ორიენტაციისა: მო-, ამო-, დამო-, გამო-, შემო-, ჩამო-, გადმო-, წამო-, უკმო-.

საიქითო, ანუ მაშორებელი ორიენტაციის ზ-ები მარტივია (გამო-ნაკლისია გადა-), საქეთო, ანუ მაახლოებელი ორიენტაციისა კი – ყველა რთული, გარდა მო ზ-ისა, რ-ის დართვა-დაურთველობის საშუალებით გამოიხატება ორიენტა-

ციის განსხვავება ორივე რიგის ზ-ებს შორის (ა. შანიძე).

ზ. პოლიფუნქციური მონაცემია. იგი აღნიშნავს მიმართულებას: ადის, შე-დის, გა-დის, ჩა-დის (ა. შანიძე. არნ. ჩიქობავა, ი. ვეშაპიძე, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი) და ორიენტაციას: მიქრის, მო-ქრის, მი-ფრინავს, მო-ფრინავს (ა. შანიძე). ზოგი მკვლევარი ორიენტაციას ცალკე არ გამოყოფს და მას გეზთან (იხ. *გეზი*) ერთად განიხილავს მიმართულებაში (ირ. ვეშაპიძე, ზ. ჭუმბურიძე). ზ. გამოხატავს სრულ ასპექტს (იხ. *ასპექტი*): აკეთა – გა-აკეთა (ა. შანიძე); აწარმოებს დროს, სახელდობრ, ახლანდელისაგან მომავალს, მაგ.: კერავს – შეკერავს, აკეთებს – გა-აკეთებს (არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე); აწარმოებს მწკრივს, აწმყოსაგან მყოფადს (ზ. ჭუმბურიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია); აწარმოებს განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ზმნებს. მაგ.: სახლი ააგო, ხალიჩა და-აგო, ფული წა-აგო (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ი. ვეშაპიძე, ზ. ჭუმბურიძე); აღნიშნავს ადგილმდებარეობას; ძვ. ქართულში საკმაოდ გაერცელებული იყო ადგილობითი ზ-ებიც, რ-ებიც თანამედროვე ქართულში აღარ იხმარება (ი. ვეშაპიძე).

ზ-ის ფუნქციებიდან პირველადია მიმართულების აღნიშვნა; უმეცლესია მნიშვნელობათა გამიჯვნის ფუნქციაც (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა). სრული ასპექტისა და დროის (აწმყოსაგან მყოფადის წარმოება) აღნიშვნა ახ. ქართულისათვისაა დამახასიათებელი (არნ. ჩიქობავა). მიმართულება ხშირად თანამდეე ფუნქციად გეელინება (ბ. ჯორბენაძე).

ზ-ების გამოყენების მიხედვით ზმნებს ყოფენ: 1. ორ ჯგუფად: ა) ზმნები ან ზმნების ფორმები, რ-თაც ზ-ები საერთოდ არ დაერთვის: სწამს, უყვარს, სძულს, პლეიადს, სძინავს და სხვ.; ბ) ზმნები, რ-თაც შეუძლიათ ზ. დაირთონ ან არ დაირთონ: ხატვა – და-ხატვა, გრეხა – და-გრეხა (ა. შანიძე); 2. სამ ჯგუფად: პირველი ორი ჯგუფი ა. შანიძის კლასიფიკაციით არის გამოყოფილი. მესამე დამატებულ ჯგუფში გაერთიანებულია ზმნები, რ-ებიც უზმნისწინოდ არ გვხვდება და ზმნები, რ-თაც უზმნისწინო პარალელური ფორმა ამა თუ იმ დროში არ ეწარმოებათ, მაგ., ენებითი გვარის ფორმები II და III სერიებში (და მყოფადის წრეშიც) მხოლოდ ზმნისწინიანია: წა-ვიდა, მი-ფრინდა, გა-გორდა, გა-ბრაზდა (არ ითქმის ვიდა, ფრინდა, გორდა, ბრაზდა). კლასიფიკაცია მორფოლოგიურია (ლ. კვაჭაძე). 3. სამ ჯგუფად (კლასიფიკაცია სემანტიკურია): 1. ზმნები, რ-ებიც ზ-ს არ დაირთავენ. ეს არის არსებობის (მყოფობის), ფიზიკური და ემოციური მდგომარეობისა და ზოგიერთი სხვა სემანტიკის ზმნები. 2. მოძრაობის ზმნები, რ-ებიც უზმნისწინოდ არ გვხვდება. 3. ზმნები, რ-ებსაც შეუძლიათ ზ. დაირთონ ან არ დაირთონ. ზ-თა შერჩევა დამოკიდებულია როგორც ზმნის, ისე ზ-ის სემანტიკაზე (ნ. ლოლაძე). აუცილებელია ზმნური სიტყვაწარმოებითი მოტივაციის შესწავლაც, რადგანაც ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობაში გასათვალისწინებელია მამოტივირებელი მორფემის ამოსავალი სემანტიკაც. მაგ.: წა-იკითხავს ზმნაში წა- ს. თავდაპირველად აღნიშნავდა მიმართულებას – აქედან იქით. ამჟამად წა- ზ-ის ეს ფუნქცია დაკარგულია (ნ. ლოლაძე).

რამდენადაც ს-ს ოდინდელი ფუნქციების (მიმართულება, მნიშვნელობის ცვლა) გეერდით ახალ ქართულში გაუჩნდა ახალი ფუნქციებიც – დროისა და ასპექტის ჩვენება, რამაც გააძლიერა ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის შესაძლებლობა. სწორედ ამის შედეგია, რომ ახ. ქართულში ზ-ის სიტყვაწარმოებითი ფუნქცია უკვე ძირითად, წამყვან ფუნქციად იქცა. დღეს ზ-იანი ზმნების დიდ ნაწილში მიმართულება არ ჩანს, მაგრამ, დროისა და ასპექტის გამოხატვის გარდა, ჩანს ზ-ის სიტყვაწარმოებითი ფუნქცია, ოღონდ სხვადასხვა ნიუანსობრივი გაგებით დატვირთული: მოქმედების სასრულობის, უნებლიობის გამოხატვა და ა. შ.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., წარ-პრეერბის მნიშვნელობისათვის ქართულში. – «ენიმკის მოამბე», 1937, ტ. 1; შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953 (1973); ვეშაპიძე ი., სმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967; კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბ., 1986; გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღლილების სისტემა, თბ., 1988; ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია. პროგრამა-პრობლემატიკა. თბ., 1995; მანჯგალაძე მ., ზმნისწინის ფაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში. – «საენათმეცნიერო ძიებანი», VII, თბ., 1998; კვანტალიანი ც., ზმნისწინი და ქცევის ფორმათა წარმოების საკითხები. – იქვე, VIII, თბ., 1999; ლოლაძე ნ., ზმნისწინიან ფორმათა მოტივაციის ზოგიერთი საკითხისათვის. – იქვე.

ც. კვანტალიანი.

ზოონიმი (<ბერძნ. zoon – ცოცხალი არსება, ცხოველი, onyma – სახელი), ფაუნის ნებისმიერი წარმომადგენლის სახელწოდება. ზ-ების ერთობლიობას ზოონიმია ეწოდება, ხოლო *ონომასტიკის* დარგს, რ-იც ზ-ებს შეისწავლის – ზოონიმიკა.

ქართულში ზ-ები ფართოდაა გამოყენებული *ტოპონიმებისა* და *ანთროპონიმების* საწარმოებლად.

ზ-თაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში გაირჩევა: ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა, ქვეწარმავალთა, მწერთა სახელწოდებისაგან მიღებული ქვეჯგუფები. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი წარმოშობის ტოპონიმები მრავლად გეხვდება: ბუ-ეთი, სა-წურბლ-ია, კუ-ს ტბა, სა-კალმახ-ე, გველის-წყალი, მგლიანი, ქორ-ეთ-ი, ბუზ-ალა და სხვ. ამ ტიპის სახელწოდებები ყველა შემთხვევაში მოტივირებულია ფაუნის მოცემული წარმომადგენლის გაერცელების ადგილით.

ზ-ები ხშირია ქართ. გვარსახელებშიც [თუმცა ისინი უმეტესად ნაწარმოებია არა უშუალოდ ზებისაგან, არამედ მათგან წარმოქმნილი საკუთარი სახელებისაგან (ეპონიმებისგან)].

ქართ. გვარსახელთა (resp. ეპონიმთა) შედგენილობაში გეხვდება როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველების, ფრინველების... სახელწოდებები. ამასთანავე, გარეულ ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებები რაოდენობრივად ბევრად აღემატება შინაურებისას. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ გარეული ფაუნის მრავალფეროვნებას შინაურთან შედა-

რებით. ამ ტიპის გვარსახელებია: ავაზაშვილი, არჩვაძე, აფთარაული, დათვიაშვილი, ვეფხვაძე, ვეშაპიძე, თევზაძე, ირემაძე, კატაშვილი, კვერნაძე, კოლუაშვილი, ლომიძე, ლომაშვილი, მამალაძე, მელაძე, მგელაძე, მიმინოშვილი, ტურაშვილი, ფოცხვერაშვილი, ფუტკარაძე, ქათამაძე, ქურციკიძე, ღორაშვილი, შევარდნაძე, შველიძე, ცხვარიაშვილი, წეროძე, წიწილაშვილი, ჭედილაშვილი, ჯიქია და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც ზრდადასრულებული ცხოველის სახელწოდება გვარსახელთა საწარმოებლად არ არის გამოყენებული (ცხენი, კამეჩი, ძროხა...), მაგრამ მათი ნაშიერებისა – გვხვდება (კვიცაძე, სახქიძე, ბოჭოლაშვილი...).

ქართულ (ქართველურ), ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ენაში, გვარსახელებში ზოონიმების გამოყენების მოტივაცია ძირითადად განპირობებულია ეროვნული ტრადიციებით – ისტ.-ეთნოგრ. რეალიებით, ყოფითი თავისებურებებით, საერთო კულტუროლოგიური ფონით.

ლიტ.: მ ა ი ს უ რ ა ძ ე ი., ქართული გვარსახელები, თბ., 1981; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ., რა გქვია შენ?, თბ., 1982; ც ხ ა დ ა ი ა პ., გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში, თბ., 2000; ბ ე ღ ო შ ვ ი ლ ი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002; მ ა ღ რ ა ძ ე ე., ქართველური ტოპონიმებისა და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბ., 2006. *გ. მაღრაძე.*



თ, ქართული ანბანის მერვე (ძვ. ქართ. მეცხრე) ასო. მისი სახელია „თანი“: გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი ხშული ფშვინვიერი ფონემისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴇ. მისი მოხაზულობა ნახევარწრისა და ხაზის ურთიერთკომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური თ მარჯვნივაა გადახრილი, მხედრული კი ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხური თ და მხედრული თ ოთხხაზოვანი სისტემის შუა ორ ხაზს შორის იწერება:

ძვ. ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ცხრას (9), ახ. ქართულში ჩამოთვლისას აღნიშნავს (ანბანის რიგის მიხედვით) მერვეს.

თავი, 1. ტექსტის თემატურად დასრულებული მონაკვეთი; 2. თხზულების ან *წიგნის* დასაწყისი (გვხვდება X ს-იდან). თ. გრაფიკულად ხელნაწერებში გამოიყოფოდა დამწერლობის ტიპით (*ასომთაერულით*) და შესრულებული იყო წითელი მელნით (სინგურით). XVIII ს-იდან ამაღე მნიშვნელობით გვხვდება კარი.

მ. სურგულაძე.

თალაკვაძე მარიამ ივანეს ასული (16.I.1902, სოფ. ასკანა, ოზურგეთის რ-ნი, – 4.IV.1982, თბილისი), ფილოლოგი, ქართ. ენის სწავლების მეთოდიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1965). თ-მ დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1917 დაამთავრა ხონის წმ. მარიამის სახ. ქალთა სასწავლებელი და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ჯერ სოფ. ამაღლების (ვანის რ-ნი) ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ – სოფ. მარადიდის დაწყებით სკოლაში. 1923 თ. ჩაირიცხა ბათუმის პედ. სასწავლებელში, 1926 – თბილ. სახელმწ. უნ-ტში სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე, რ-ის დამთავრების (1930) შემდეგ მუშაობა დაიწყო საჯარო ბ-კაში. მუშაობდა რუსთაველის სახ. ლიტ-რის ინ-ტში ჯერ სახელმძღვანელოების სექტორში, შემდეგ კონტროლიორ-კორექტორად. 1939–41 გაიარა ასპირანტურის კურსი პედ. მეცნ. ინ-ტში და მუშაობა დაიწყო საქ. სახ. განაოლების მუზეუმში. 1943– 45 მუშაობდა გორის პედ. ინ-ტში, 1945-იდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა თბილ. სახ. უნ-ტში.

თ. აქტიურ პედ. მუშაობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ. საქმიანობას. იგი ავტორია მრავალი მეთოდიკური წერილისა და 72 მონოგრაფიული გამოკვლევისა (აქედან 5 სახელმძღვანელო) ქართ. ენის სწავლების მეთოდიკის დარგში.

ქართ. პედაგოგიკაში შეტანილი ღვაწლისათვის თ-ს მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის სახ. პრემია (1976) და ი. ჯავახიშვილის სახ. მედალი (1978).

თხზ.: ი. გოგებაშვილის დედაენის აგების პრინციპები, თბ., 1943; ქართული ენის სწავლება V კლასში, თბ., 1952; ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ., 1952; ზმნის სწავლება სკოლაში, თბ., 1955; ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959; ეარლამ თოფურია, თბ., 1968.

მ. რეხვიაშვილი.

თანამდევრობა, ზმნის კატეგორია, რ-იც აღნიშნავს, თუ როგორია დროული მიმართება ორ მოქმედებას შორის. თ. ახლოს არის დროის კატეგორიასთან, მაგრამ დრო მოქმედებას აფასებს უბნობის მომენტის მიხედვით, თ. კი – ორი მოქმედების ერთმანეთთან შეფარდების მიხედვით. დროისათვის ერთი მოქმედებაა საჭირო, თ-თვის – ორი, რ-თაგან შეიძლება ერთი იგულისხმებოდეს. თ-ის ფორმები ქართულში სამგვარია: ერთდროულობა, უწინარესობა, შემდგომობა.

ერთდროულია ზმნის ფორმა, რ-იც გვისვენებს, რომ ერთი მოქმედება სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად ხდებოდა. იგი გამოიხატება მხოლოდ წარსულში, განსაკუთრებული მწკრივი არ აქვს, გადმოიცემა უწყვეტლის ფორმით: ამხანაგი რომ შემოვიდა, ვთამაშობდი... (იხ. *აპსოლუტივი*).

უწინარესია ზმნის ფორმა, რ-იც გვისვენებს, რომ დასახე-

ლებული მოქმედება წინ უსწრებს მეორეს. იგი გადმოიცემა II თურმეობითის ფორმით.

შემდგომია ზმნის ფორმა, რით აღნიშნული მოქმედება მოსდევს დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებას. იგი გადმოიცემა წყვეტილით.

საერთოდ, უწინარესობა და შემდგომობა ერთმანეთთან კავშირში მოიაზრება და შესაძლებელია წარსულსა და მომავალში. ქართულში კი უწინარესობა და შემდგომობა, ისევე როგორც ერთდროულობა, გამოიხატება მხოლოდ წარსულში: მონადირემ დაინახა ჯიხვი, რომელსაც ვარჯში მოსწყვენოდა (მოსწყვენოდა – უწინ, დაინახა – შემდეგ).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953. *ნ. ლოლაძე.*

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, წარმართადა ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციის (სადაო საკითხების მოგვარების, ერთიანი ნორმების შემუშავებისა და დანერგვის) საქმეს. პირველად (1934) განსახკომთან შეიქმნა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რესპუბლიკური კომისია“ 30 კაცის შემადგენლობით (თავ-რე მ. ტოროშელიძე, მოადგილე ა. თათარაშვილი, მდივანი ე. თოფურია). კომისიას ეკალებოდა სადაო საკითხების მოსაგვარებლად ძირითადი პრინციპების შემუშავება და მათზე დაყრდნობით საყოველთაო სავალდებულო ნორმების დადგენა.

კომისიის მუშაობას წინ უსწრებდა გამოცდილება იმ საქმიანობისა, რაც გასწიეს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ (1921, თავ-რე ი. ჯავახიშვილი); 1921 განსახკომთან თბილ. უნ-ტის ძალებით შექმნილმა კომისიამ [ა. შანიძე (თავ-რე), გ. ახელედიანი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ეუკ. ბერიძე], რ-მაც მოამზადა სადაო საკითხთა მოგვარების პროექტები (გამოიცა ცალკე წიგნაკად – «სალიტერატურო ქართულისათვის», თბ., 1921); აგრეთვე განსახკომთან შექმნილმა ცენტრალურმა სატერმინოლოგიო კომისიამ (1925, თავ-რე ეუკ. ბერიძე), რ-იც საბოლოოდ ადასტურებდა სამეცნ.-სატერმინოლოგიო კომისიის მიერ შემუშავებულ და მიღებულ ტერმინოლოგიას და სატერმინოლოგიო მუშაობასთან სალიტ. ენის სიწმინდის საკითხების შეხამებაც ევალებოდა; საქ. სსრ ცაკ-თან დაარსებულმა მთავარმა სატერმინოლოგიო კომიტეტმა (1926, თავ-რე ფ. მახარაძე); რუსთაველის სახ. ლიტ-რის ინ-ტთან შექმნილმა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა სამუშაო კომისიამ (1933, თავ-რე ა. ჭყონია), რ-საც დაეკისრა საკითხთა დოკუმენტური მეცნ. შესწავლა.

კომისია ძირითადად მაინც ეყრდნობოდა ენისა და ტერმინოლოგიის კომიტეტისა და რუსთაველის სახ. ლიტ-რის ინ-ტთან დაარსებული სამუშაო კომისიის შედეგებს. მან არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით შეიმუშავა სალიტ. ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები. მათ საფუძველზე დადგინდა 18 ნორმა. კომისიის მიერ შემუშავებული პრინციპებიცა და ნორმებიც დაამტკიცა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა, „როგორც საეალდებულო სახელმძღვანელო ყველა სახის სასწავლებლებისა, გამომცემლობებისა და პერიოდული გამოცემებისათვის“.

1936 დაიბეჭდა «ქართული სალიტერატურო ენის ნორმები», I (84 გვ.), რ-ის პროექტები 1932 წაკითხულ იქნა მოხსენებებად სატერმინოლოგიო კომისიისა და სახელგამის მიერ მოწყობილ კურს-კონფერენციაზე. გამოქვეყნდა (1932–33) 10 ნაკვეთი საერთო გრიფით: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“.

„ელხის“ (იხ. *ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტი*) რეორგანიზაციის (1934 წლის 20 იელისი) შედეგად ჩამოყალიბებულ ენისა და ლიტ-რის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტთან უნ-ტის რექტორის ბრძანებით 1935 წლის 10 იელ. შეიქმნა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისია“ 18 კაცის შემადგენლობით (თავ-რე ა. შანიძე, მოადგილე ე. თოფურია); კომისიას უნდა დაემუშავებინა სადაო საკითხები, შეედგინა თეზისები და პროექტები და წარედგინა რესპუბლიკური კომისიისათვის.

განათლების სახალხო კომისარიატის მიმართვისა და სსრკ აკად. საქართვ. ფილიალის პრეზიდიუმის 1937 წლის თებერვლის დადგენილების საფუძველზე ენიმკის (იხ. *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი*) ქართველურ ენათა სექტორთან ჩამოყალიბდა სალიტერატურო ქართული ენის ნორმებისა და ქართული ორთოგრაფიის ახალი სამუშაო კომისია (თავ-რე ა. შანიძე).

1937 საჭირო გახდა კომისიის შევსება, რის შესახებაც განსახკომს თხოვნით მიმართეს ენიმკის დირექტორმა ს. ჯანაშიამ და კომისიის თავ-რემ ა. შანიძემ. განათლების სახალხო კომისარს ეთხოვა აგრეთვე, რომ ორთოგრაფიული ლექსიკონის მასალები ლიტ-რის ინ-ტიდან გადასულიყო ენიმკის განკარგულებაში, რათა ისინი დაჩქარებით განეხილა სალიტ. ქართ. ენის ნორმათა დამდგენ კომისიას.

გამოქვეყნებულ ნორმათა საფუძველზე 1941 ე. თოფურიამ და ი. გიგინეიშვილმა გამოსცეს სასკოლო „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (II გამოც. 1946, III – 1949).

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 25 მაისის დადგენილების საფუძველზე 1946–48 წლებში საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთანმუშაობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია ჯერ ს. ჯანაშიას, შემდეგ – ა. შანიძის თავმჯდომარეობით.

1953 მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია, ხოლო მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემმუშავებელი სამუშაო კომისია (თავ-რე ი. გიგინეიშვილი).

მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1953-იდან ენათმეცნ. ინ-ტში

შეიქმნა ნორმათა კომისიის სამეცნ. ბაზა – ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილება. 1966-იდან ნორმების განყ-ბა გარდაიქმნა „ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებად". მას ევალებოდა სადაო საკითხების შესწავლა და სახელმწ. კომისიისათვის პროექტებისა და საჭირო მასალების მომზადება. განყ-ბაში დამუშავებული პროექტები ჯერ განიხილებოდა ინ-ტის სამეცნ. საბჭოზე და მოწონებული პროექტი დასამტკიცებლად წარედგინებოდა ნორმათა დამდგენ კომისიას.

1954 ნორმების დამდგენი კომისიის რეორგანიზაციის საფუძველზე მინისტრთა საბჭოსთან ამოქმედდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია (თავ-რე გ. ჯავახიშვილი, დ. ქართველიშვილი, თავ-რის მოადგილე ქ. ლომთათიძე, მდივანი ი. გიგინეიშვილი).

ნორმათა კომისიის მიერ მიღებულ წესებს ემყარებოდა პირველი ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი, რ-იც 1968 გამოვიდა („ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი" შემდგენლები: ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიას რედაქციით). ლექსიკონს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამკვიდრებისა და დაცვის თვალსაზრისით. 1998 გამოვიდა ამ ლექსიკონის მეორე, შევსებული გამოცემა (იხ. *ორთოგრაფიული ლექსიკონი*).

1970 გამოქვეყნდა «*თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების*» პირველი კრებული.

1972 დაარსდა ენათმეცნ. ინ-ტის მეტყველების კულტურის განყ-ბის ბეჭდვითი ორგანო «*ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*», რ-ის XII წიგნი გამოვიდა 2004.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (1984 წლის 31 აგვ.) ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი სახელმწ. კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები ქვეყნდებოდა თანდათანობით ბიულეტენების სახით, რ-ებიც შემდეგ საფუძვლად დაედო ნორმათა 11 კრებულს («თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები»), გამოვიდა «ბიულეტენი» №1–2, 1985 (10 ნორმა) და №3, 1987 (7 ნორმა).

1995–2004 მოქმედებდა თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწ. კომისიის რეორგანიზაციის შედეგად საქართვ. პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია (თავ-რე ე. შევარდნაძე, მოადგილე გ. კვარაცხელია).

იხ. *ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა საექსპერტო კომისია.* *ლ. ლეჟავა.*

«თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები», საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებული (რედ. ი. გიგინეიშვილი). პირველი კრებული გამოიცა 1970. 1986 დაიბეჭდა ამ კრებულის მეორე, ფოტოტიპური გამოცემა. ნორმები ეხება თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ორთოგრაფიის, სიტყვაწარმოების, სახელთა ბრუნების, ზმნების უღვლილების, სიტყვათა წარმოქმნის, კომპოზიციის, აგრეთვე, ნაწილაკიან და თანდებულიან ფორმათა ხმარებისა თუ სიტყვათაწყობის სადაო საკითხებს. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი უცხო ენებიდან მომდინარე სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხებსაც.

მ. კერესელიძე.

თანდებული, მეტყველების ნაწილი; ფორმაუცვლელი დამხმარე სიტყვა, რ-იც დაერთვის სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას და ამყარებს სხვადასხვა სახის მიმართებას სახელსა და სახელს, ან სახელსა და ზმნას შორის (მაგ.: სამშობლოსათვის თავდადებული, საქართველოში მცხოვრები; თავისუფლებაზე ოცნებობს, ბეთანიისაკენ მიჰყავს). თ. კავშირსა და ნაწილაკთან ერთად განეკუთვნება ფუნქციონალურ ლექსიკას. მათ გამაერთიანებელ სახელად ქართ. საენათმეცნიერო ლიტ-რაში მხლებლებიც და უდეტრებიც იხმარება (იხ. *დამხმარე სიტყვები*).

თ-ები დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან (სახელებისა და ზმნისართებისაგან) მომდინარეობს. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილთა დამხმარე სიტყვებად გამოყენება-გადაქცევის პროცესი მხოლოდ ისტ. ფაქტი არ არის – იგი დღესაც აქტუალურია. თანამედროვე სალიტ. ენებში წიგნური გზით თ-თა რიცხვი თანდათანობით იზრდება ისეთი ზმნისართებისა და სახელების ხარჯზე, რ-ებიც სემანტიკურად გამოხატავენ მიმართება-დამოკიდებულებას (რელატიურობის სემანტიკა დამხმარე სიტყვად ქცევის გზაზე ისტორიულადაც არანაკლებ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო).

თ-ები, რ-ებიც ფუნქციონალური ლექსიკის ნიშნით გაერთიანებულ სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ნაკრებს წარმოადგენს, შედგენილობისა და მოხმარების მხრივ ერთგვაროვანი არ არის. მათში ისტ., სტრუქტურული თუ ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით არსებითად განსხვავებული მასალაა თავმოყრილი. სისტემის ბირთვს ყველა ენაში პირველადი თ-ები ქმნიან. ეს არის მცირერიცხოვანი ჯგუფი – სემანტიკურად და ფორმობრივად გაცვეთილი უმარტივესი „სიტყვები" (ბგერათკომპლექსები), რ-ებიც მეტწილად ენის ლექსიკის უძველეს ფენას განეკუთვნება და რ-თა კავშირი საყრდენ სიტყვებად სინქრონიულ დონეზე ხელშესახები არ არის. მათი სიმცირე ქართულში (ქართველურ ენებში) კარგად განვითარებული ბრუნვათა სისტემისა და ზმნის მიმართებითი ფორმების, კერძოდ კი – ქცევის ფორმების არსებობით არის შეპირობებული. პირველადი თ-ებია: **-ზე (< ზედა), -ში (< შინა), -თან, -ვით, -გან, -კენ, -ებრ ‖ -მებრ), -მდე ‖ -მდის), გამო, გარდა, მიერ, მიმართ, შორის, შუა, წინაშე**.

მეორეულ თ-ებს განეკუთვნება სახელები და ზმნისართები, რ-თაც ფორმობრივი და სემანტიკური კავშირი საყრდენ სიტყვებთან მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ. ზმნისართული თ-ებია (ამ დანიშნულებით უპირატესად ადგილისა და დროის ზმნისართები გამოიყენება): **წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ირგვლივ, გარშემო, ქვეშ, ზევით, ქვევით, გასწვრივ, გაღმა, შემდეგ, წი-**

ნათ... სახელური თ-ებია (ამ დანიშნულებით გამოყენებულ არსებით სახელს, საწყისსა და მიმღეობას მეტწილად მოქმ. ან ვით. ბრუნვის ფორმა აქვს): შესახებ, თაობაზე, საშუალებით, მიზნით, წყალობით, მიხედვით, მიუხედავად, შედეგად, მსგავსად, ნაცვლად... პირველად თ-ებთან ერთად იხმარება მიმართებით, შედარებით, დაკავშირებით... (მაგ., საკითხთან მიმართებით).

თ. ქართულში სახელს მოსდევს, სახელის მიმართ პოსტპოზიციურია (შდრ. ენერ. და ზოგი სხვ. ენის წინდებული, რ-იც წინ უძღვის სახელს, სახელის მიმართ პრეპოზიციურია). თ. შეიძლება იყოს სახელთან შერწყმული (ერთმარცვლიანი თ-ები. მაგ.: მთაში, მდინარესთან) ან ცალკე მდგომი (ორ- და მეტმარცვლიანი თ-ები, მაგ.: ძმებს შორის, მზის გარშემო. გამონაკლისია -თანავე: შებინდებისთანავე). ძირითადი თ-იანი ბრუნვებია: მიც., ნათ., მოქმ., და ვით.; მოთხრ. და წოდ. ბრუნვები თ-ს არ დაირთავენ; თ-იანი სახ. ბრუნვა თანამედროვე ქართულის შენაძენია. თ. რომელიმე განსაზღვრულ, ჩვეულებრივ, ერთ ბრუნვას ერთვის. ორ ბრუნვასთან იხმარება -ვით (სახ. და მიც. ბრუნვები) და -გან (ნათ. და მოქმ. ბრუნვები). -ვით თ-იანი სახ. და მიც. ბრუნვის ფორმები ფუნქციურად იდენტური, მაგრამ სტილისტიკურად სხვადასხვა ღირებულების მქონეა (შდრ.: ვეფხვივით და ვეფხვსავით). -გან თ-ის ფუნქციები ბრუნვათა მიხედვით გამიჯნულია (მაგ.: ხის-გან გამოთალა და ხით-გან > ხი-დან ჩამოვარდა).

ბრუნვათა მიხედვით თ-ები ასეა განაწილებული: სახელობითი – -ვით (თანხმოვანფუძიან სახელებთან); მიცემითი – -ვით, -თან, -ზე, -ში, შორის, შუა; ნათესაობითი – -თვის, -გან, -კენ, -დმი (|| -დამი), -თანავე, -ებრ (|| -მებრ), მიერ, გამო, გარდა, მიმართ, წინაშე, ნათ. ბრუნვასთან იხმარება აგრეთვე მეორეული თ-ების აბსოლ. უმრავლესობა; მოქმედებითი – -გან (ით-გან > იდან), -ურთ; ვით. – -მდე (|| -მდის).

თ-ის დართვისას მორფემათა შესაყარზე, ჩვეულებრივ, ფონეტ. ცვლილებებს განიცდის როგორც თ., ისე ბრუნვის ნიშანიც. ხშირად მათ შორის ხღვარი იშლება და ამოსავალი ვითარება იჩრდილება. სამეცნ. ლიტ-რაში თ-იანი ფორმის დამოუკიდებელ ბრუნვად მიჩნევის არაერთი მაგალითია ცნობილი (იხ. *ადგილობითი ბრუნვები*).

თ-ებში ორგანულად არის შერწყმული გრამატ. და ლექსიკური მნიშვნელობა. ბრუნვათა მნიშვნელობა თ-თა *გრამატიკული მნიშვნელობაა*, ხოლო სემანტიკური ელემენტები, რ-ებიც ამა თუ იმ მიმართებათა კონკრეტიზაციასთანაა დაკავშირებული, მათს *ლექსიკურ მნიშვნელობად* არის მიჩნეული. თ-ები არა მარტო არეგულირებენ სინტაქსურ კავშირს სიტყვებს შორის, არამედ ამ კავშირის ხასიათსაც განსაზღვრავენ. სახელის ბრუნვის ფორმასთან ერთად თ. ქმნის სინტაქსურ მთლიანობას, ე. წ. თ-იანი ბრუნვის ფორმას (თ-იან კონსტრუქციას), რიც სემანტიკურადაც ერთიანი და დაუნაწევრებელია.

თ-ის მნიშვნელობათა რეალიზაცია სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას გარკვეულ გარემოცვაში ხდება. მინიმალურ კონტექსტს საამისოდ შესიტყვება წარმოადგენს. თ. შესიტყვების წევრებს – სახელსა და სახელს, ზმნასა და სახელს შორის ამყარებს ობიექტურ, სივრცობრივ (ლოკალურ), დროულ, კუთვნილება-დანიშნულებითს, მსგავსება-შედარებითს, მიზეზობრივ, მიზნობრივსა და სხვ. სახის მიმართებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ მიმართებათა მნიშვნელობა თ-ის საშუალებით შეერთებულ შესიტყვების წევრთა სემანტიკასაა დამოკიდებული. ობიექტურ მიმართებათა მნიშვნელობა ყველაზე უფრო ზოგადი და განყენებულია (გრამატიზებულია) თ-ის მნიშვნელობათა შორის (მაგ.: მომაველზე ფიქრი, საკითხისადმი ინტერესი), სხვა შემთხვევაში მისი სემანტიკა უფრო კონკრეტული და ხელშესახებია. სივრცის ცნება ფართო და მრავალმხრივია თავისი შინაარსით. თ-ის საშუალებით იგი შეიძლება დაუსტებულ იქნეს აღგილმყოფობის (შინაგან სივრცეში, ზედაპირზე, ახლოს, წინ, გვერდით... მყოფობის), საწყისი ან სასრული პუნქტის, მიმართულების და სხვა თვალსაზრისით (მაგ.: ხღვაში ბინადრობს, ღია ხღვაში გაეიდა, ხღვაზე ღრუბელი ჩამოწვა, ზაფხული ხღვაზე გაატარა, ხღვასთან დასახლდა, ხღვიდან დაბრუნდა, ხღვამდე გადაჭიმული, გული ხღვისკენ მიუწევს).

ზოგი თ. უპირატესად ერთი ფუნქციით იხმარება (მიერ, -ურთ, შესახებ...), ზოგისთვის მრავალფუნქციურობაა დამახასიათებელი (-ზე, -ში, -თვის, -გან...). თ-თა მრავალფუნქციურობას კონტექსტი შეაპირობებს, კონტექსტის საშუალებითვე ხდება მრავალფუნქციურობის თანმხლებ პრობლემათა დაძლევაც (შდრ. ამ თვალსაზრისით: სოფელში ცხოვრობს, სოფელში წაეიდა, ბუჩქებში დაიმალა, მთაში აცივდა, აპრილში დაიბადა, მარტოობაში სიმშვიდე პოვა, ტოლებში გამოარჩია, ობლობაში გაიზარდა...).

თ-თა უდიდესი ნაწილი სტილისტიკურად ნეიტრალურ ლექსიკას მიეკუთვნება. ასეთია უპირატესად პირველადი და ზმნისართული თ-ები. ემოციურად შეფერილი თ-ებია, მაგ., წყალობით, მეოხებით, შემწეობით (შდრ. ნეიტრალური – საშუალებით). წიგნური შეფერილობა აქვს და უპირატესად წიგნის ენაში იხმარება – შესახებ, თაობაზე, დაკავშირებით, მიმართებით, შესაბამისად... სასაუბრო ელფერი აქვს -ზე თ-ს მიზნის სემანტიკის გადმოსაცემად – პურზე მიდის ტიპის შესიტყვებებში.

თ. ქართ. გრამატიკის ერთ-ერთი საფუძვლიანად შესწავლილი საკითხთაგანია. სპეც. გამოკვლევების გარდა, რ-ებიც თ-ებს (სოგადად თუ ცალკეულ მათგანს კერძოდ), მათს ეტიმოლოგიას, სტრუქტურას, სინტაქსურ, სემანტიკურსა თუ სტილისტიკურ ფუნქციებს ეძღვნება, არსებობს ისეთი ნაშრომებიც, რ-ებშიც სხვა, უფრო ფართო – მორფოლ. და სინტაქსურ საკითხებთან ერთად თ-ებიც არაერთგზის გამხდარა კვლევის ობიექტი. კერძოდ, თ-ები და თ-იანი ფორმები შესწავლილია სახელთა ბრუნებასა და ბრუნვათა ფუნქციებთან, მეტყველების ნაწილებთან, წინადადების წევრებსა და სიტყვათშეხამებებთან დაკავშირებით. თ-თა მორფოლ. და სემანტიკური დახასიათება წარმოდგენილია

ქართ. ენის განმარტებით ლექსიკონში (იხ. *განმარტებითი ლექსიკონი*). აგრეთვე მორფემების ლექსიკონში. ამ უკანასკნელში თ-ები მორფემოიდების – მორფემის დანიშნულებით გამოყენებული, წარმოშობით არამორფემული ელემენტების სახელით არის შეტანილი.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953; მარტიროსოვი ა., თანდებული ქართულში. – «იკე», I, თბ., 1946; Русская грамматика, т. I, M., 1982.

ვ. კალანდაძე.

თანხმოვანთა ჯგუფები, თანხმოვანთა სინტაგმატიკური მიმდევრობები (იხ. *სინტაგმატიკა*), რებიც აგებულია მოცემული ენისათვის დამახასიათებელ კომბინაციურ კანონზომიერებათა საფუძველზე.

თანხმოვანთა კომბინაციური კანონზომიერებები დგინდება როგორც გარკვეული შეტყობინების (ტექსტის) ფარგლებში, ისე სალექსიკონო მასალის მიხედვით (ძირის ან სიტყვის ფარგლებში). მაგი შესწავლა შესაძლებელია არა მხოლოდ თანხმოვანთა უშუალო მეზობლობაში (კონტაქტური მიმდევრობები), არამედ დაშორებულ (სხვა ფონემებით გათიშულ) პოზიციებშიც (დისტანციური მიმდევრობები).

თ. ჯ-ის აგებულება სხვადასხვა ენაში განსხვავებულია როგორც მათში შემავალ თანხმოვანთა რაოდენობით, ისე შედგენილობით, რაც საბოლოოდ განპირობებულია მოცემული ენის ფონემური სისტემითა და მისთვის დამახასიათებელი სინტაგმატიკური წესებით (ფონემურ კომბინაციათა შეჭმის უნარით). გარდა ცალკეული ენებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული კომბინაციური წესებისა, არსებობს აგრეთვე ყველა ენისათვის საერთო უნივერს. წესები და ტენდენციები.

თანხმოენური კომბინაციებით განსაკუთრებით მდიდარია ქართული. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკუთრივ ქართულის, არამედ თანხმოვანთმიმდევრობათა ზოგადი ტიპოლოგიის თვალსაზრისითაც.

ქართ. ენის თ. ჯ. გაანალიზებულია სხვადასხვა დონეზე (დიფერენციალური ნიშნების, ფონემების) და სხვადასხვა ერთეულის (მარცვლის, ძირის) ფარგლებში. თანხმოვანთა კომბინაციური შესაძლებლობების დასადგენად მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებია CVC (თანხმოვანი – ხმოვანი – თანხმოვანი) ზოგადი ტიპის ძირებში, სადაც C შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ერთი თანხმოენით, ისე თ. ჯ-ით. აქ კომბინაციური ურთიერთშეზღუდვები ვლინდება არა მხოლოდ თანხმოვანთა უშუალო მეზობლობაში – ძირის თაკიდურში (ხმოვნის წინ) ან ბოლოკიდურში (ხმოვნის მომდევნოდ), არამედ მაშინაც, როდესაც თაკიდურის ან ბოლოკიდურის თანხმოვნები, თ. ჯ. გათიშული არიან ძირეული ხმოვნით. ქვემოთ წარმოდგენილია შედეგები, მიღებული CVC ტიპის სახელური და სმნური ძირების ანალიზით. კომბინაციათა შესწავლისას ამოსავლად აღებულია ორწევრიანი ჯგუფები. ასეთი კომბინაციები ყველაზე მრავალრიცხოვანია და ყველაზე სრულად ავლენენ თანხმოვანთა დისტრიბუციულ შესაძლებლობებს. ამასთანავე, მათ საფუძველზე ყოველთვის აიგება უფრო დიდი კონსონანტური ჯგუფები, რამდენადაც ორზე მეტწევრიან ჯგუფებში ერთმანეთის გვერდით მყოფ ყოველ ორ წევრს შორის იგიეე დისტრიბუციული წესები მოქმედებს, რ-ებიც ძალაშია ორწევრიანი კომპლექსების მიმართ (ლ. იელმსლევი, ჯ. გრინბერგი).

თანხმოვნურ კომბინაციათა შედგენილობისა და რაოდენობის თვალსაზრისით ძირის თაკიდური და ბოლოკიდური რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ თანხმოვანთა დადასტურებული კომპლექსების შესწავლა საშუალებას იძლევა დადგინდეს თაკიდურისა და ბოლოკიდურისათვის საერთო კომბინაციური კანონზომიერებები:

1. არასონორ (ჩქამიერ) თანხმოვანთა კომპლექსები დეცესიურია (იხ. *დეცესიური კომპლექსები*); დეცესიური თანამიმდევრობით ერთმანეთის გვერდით შეიძლება იყოს თანხმოენები, რ-ებიც არ იქნება ერთი და იმავე აქტიური ორგანოთი ნაწარმოები (ს. ჯაფარიძე). ამ ნიშნით ძირეულ კომბინაციებში მონაწილე თანხმოვნები ქმნიან ლოკალურ რიგებს, რ-თა წევრები ერთ კომბინაციაში (ნებისმიერი თანამიმდევრობით) გამორიცხავენ ერთმანეთს; 2. არასონორ (ჩქამიერ) თანხმოვანთა კომპლექსებში დაცულია ჰომოგენურობის პრინციპი (იხ. *ჰომოგენურობა*): ერთმანეთის გვერდით შეიძლება იყოს მხოლოდ ჰომოგენური თანხმოვნები; 3. *სონორების* კომბინაციები (ფუნქციურად სონორთა რიგში ექცევა ლაბიალური ნაპრალოვანი ვ-ც) არასონორებთან თავისუფალია – სონორი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს ნებისმიერ არასონორს; 4. გარკვეული შეზღუდვებით დაშვებულია სონორთა კომბინაციებიც.

აღნიშნული წესების საფუძველზე (არსებული გამონაკლისების გათვალისწინებით) შეიძლება ჩამოყალიბდეს დისტრიბუციულ კლასთა განაწილების საერთო კანონზომიერება, რ-ის მიხედვითაც თითოეული კლასის წევრები კომბინაციას ქმნიან მხოლოდ მომდევნო კლასების (კლასის) წევრებთან. შებრუნებული რიგი დაშვებელია. კლასების თანამიმდევრობა ასეთია: I. მრ; II. ბფპ; III. დთტძცწზსჯჩჭშ; IV. გქკღხჟ; V. ვ; VI. მნლრ.

ზოგადად CVC ტიპის ძირთა ფარგლებში თაკიდურსა და ბოლოკიდურში დადასტურებულ არახმოვან წყვრთა მაქს. რაოდენობა ზეპირმეტყველებაში, წეწყლებრივ, შეიდია (გფრცქქნ-ის). ყველაზე გაერცელებული სტრუქტურული ტიპებია: CVCC, CCVC, CCCVC, CCVCC.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჟღენტი ს., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბ., 1960; ფოგტი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თარგმ. ფრანგ., თბ., 1961; ჯაფარიძე ს., თანხმოვანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.– კრ.: «მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები», თბ., 1967; ქობალაია ი., CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში. I. – «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», ტ. 2, თბ., 1967; II.– იქვე, ტ. 3, თბ., 1972; უთურგაიძე თ., ქართუ-

წარმოების ადგილი \ წარმოების რაგვარობა			ხშულები			აფრიკატები			სპირანტები			სონორები	
				ყრუ			ყრუ			ყრუ			
			მჟღერი	ფშვინ.	აბრუპტ.	მჟღერი	ფშვინ.	აბრუპტ.	მჟღერი	ფშვინ.	აბრუპტ.		
ლაბიალურები			ბ	ფ	პ				ვ				მ
ენისმიერები	დენტალურები		დ	თ	ტ							ლ	ნ
	ალვეოლარულები	წინა ალვეოლარ.	ა			ძ	ც	წ	ზ	ს		რ	
		უკანა ალვეოლარ.				ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ			
	ველარულები		გ	ქ	კ				ღ	ხ	ყ		
	ფარინგალური									ჰ			
ლარინგალური										ჸ			
			ორალურები										ნაზალური

ლი ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976; Гринберг Дж., Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных. – «Вопросы языкознания», 1964, №4; Мдивани Р. Р., Дистрибутивный анализ начальных консонантных групп современного грузинского языка. Автореф. диссертации на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тб., 1966; Шеворошкин В. В., Звуковые цепи в языках мира, М., 1969; Hjelmslev L., On the principles of phonematics. – «Proceedings of the Second International Congress of Phonetic Sciences», Cambridge, 1936; Trnka B., General Laws of Phonemic Combinations. – «Travaux du Cercle de Linguistique de Prague», vol. 6, 1936. *ი. ქობალავა.*

თანხმოვნები, კონსონანტები (ლათ. consonans, ნათ. ბრ. consonantis – თანხმოვანი), სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაციისათვის გამოყენებული კატეგორია, ბგერათა კლასი, რ-იც უპირისპირდება მეორე კატეგორიას – ხმოვანთა კლასს. თ. შეიძლება განისაზღვროს როგორც ფონეტ. (იხ. *ფონეტიკა*), ისე ფონოლოგიური (იხ. *ფონოლოგია*) ტერმინებით.

ფონეტიკურად თ. განისაზღვრება როგორც სამეტყველო ბგერები (იხ. *ბგერა*), რ-თა წარმოქმნისას, ხმოვნებისაგან განსხვავებით (იხ. *ხმოვნები*), საწარმოთქმო აპარატის სხვადასხვა ნაწილში ხდება სხვადასხვაგვარად შექმნილი დაბრკოლების გადალახვა.

არტიკულაციური თვალსაზრისით (იხ. *არტიკულაცია*), თ-ის დაჯგუფება ემყარება რიგ სპეციფიკურ მახასიათებლებს: 1. იმის მიხედვით, თუ სად, საწარმოთქმო აპარატის რომელ ნაწილში, იქმნება დაბრკოლება და, შესაბამისად, რომელი აქტიური ორგანო მონაწილეობს მის შექმნაში, ქართულში განსხვავებულია შემდეგი ლოკალური რიგის ჰომორგანული (იხ. *ჰომორგანულობა*) თ.: ლაბიალური, ანუ ბაგისმიერი (იხ. *ლაბიალური ბგერები*), *ენისმიერი თანხმოვნები* – დენტალური, ანუ კბილისმიერი; ალვეოლარული, ანუ ნუნისმიერი; ველარული, ანუ უკანაენისმიერი; ფარინგალური, ანუ ხახისმიერი; ლარინგალური, ანუ ხორხისმიერი (იხ. *ლარინგალური თანხმოვნები*). 2. იმის მიხედვით, თუ რა სახის დაბრკოლება ეღობება ჰაერნაკადს ზესადგამ მილში, განსხვავებულია დაბრკოლებათა რაგვარობა. ქართულში თ-თვის გარჩეულია დაბრკოლებათა სამი სახის რაგვარობა: ხშულობა, ნაპრალოვნობა (იხ. *სპირანტები*), შერეული რაგვარობა (იხ. *აფრიკატი, ვიბრანტი, ლიტერალური თანხმოვნები, ნაზალური ბგერები*). 3. სახმო სიმების მოქმედების მიხედვით განსხვავდებიან მჟღერი (იხ. *მჟღერი ბგერები*) და ყრუ (აბრუპტივი და ფშვინვიერი) თ. (იხ. *ყრუ ბგერები*).

აღნიშნული ნიშნებით ჩქამიერი თ. ლაგდებიან ჰომორგანულ ხშულთა და აფრიკატთა სამეულებად და ნაპრალოვანთა წყვილეულებად (გამონაკლისია ცალად დარჩენილი ნაპრალოვნები – ლაბიალური ვ და ლარინგალური ჰ, ერთი მხრივ, და ველარულ ნაპრალოვანთა სამეული, მეორე მხრივ). თითოეული რიგი შეიცავს მჟღერ და ყრუ წევრებს (სამეულები – ფშვინვიერსა და აბრუპტივს, წყვილეულები – ფშვინვიერს). სხვადასხვა ლოკალური რიგის მჟღერები და ყრუები ლაგდებიან ჰომოგენური (იხ. *ჰომოგენურობა*), ჰეტერორგანული (იხ. *ჰეტერორგანულობა*) თ-ის სერიებად. 4. ბგერათა წარმოთქმისას ცხვირის ღრუს მონაწილეობის მიხედვით თანხმოვნები იყოფიან ორალურ, პირისმიერ (იხ. *ორალური ბგერები*) და ნაზალურ თანხმოვნებად.

აკუსტიკური მახასიათებლებიდან (იხ. *აკუსტიკა*) თ-ის კლასიფიკაციის დროს მხედველობაში მიიღება ხმის მონაწილეობის

ხარისხი (იხ. *სონორები*). ამ ნიშნით Თ-ს აღვიქვამთ *ტონის* ან *ჩქამის* სახით. შესაბამისად გამოიყოფა Თ-ის ორი ჯგუფი: სონორები – ლ, რ, მ, ნ და ჩქამიერები – ყველა დანარჩენი თანხმოვანი.

ფონოლოგიური თვალსაზრისით თანხმოვანი (ან თანხმოვანთა ჯგუფი) განხილულია როგორც *მარცვლის* განაპირა (მარგინალური), პერიფერიული წევრი, რ-იც არ არის აუცილებელი მარცვლის შესაქმნელად (Თ-ის ფონოლოგიურად ღირებულ ნიშანთა შესახებ იხ. *ფონემა*).

ანალიზის ფონეტ. და ფონოლოგიურ დონეთა აღრევის ასაცილებლად ზოგჯერ ტერმ. „თანხმოვანი“ („კონსონანტი“) შენარჩუნებულია ფონოლოგიური დონის ერთეულისათვის, ხოლო ფონეტ. დონის ერთეულისათვის შემოთავაზებულია ტერმინი კონტოიდი (კ. ლ. პაიკი, ლ. იელმსლევი).

არტიკულაციური და აკუსტიკური ნიშნებით დაჯგუფება წარმოადგენს პარადიგმატიკულ (სისტემაში დაკავებული ადგილის მიხედვით, იხ. *პარადიგმატიკა*) კლასიფიკაციას, რ-იც ქართ. ენის თანხმოვანი ფონემებისათვის შემდეგ სახეს იღებს (იხ. ცხრილი).

ლიტ.: ახ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი შ., საწარმოთქმო დაბრკოლებათა რაგვარობის საკითხი ქართულში.– «იკე», XII, თბ., 1960; ფ ო გ ტ ი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თარგმ. ფრანგ., თბ., 1961; უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ზ., ბგერათა საწარმოთქმო დაბრკოლების მიხედვით დაჯგუფებისათვის ქართულში.– «იკე», XXII, თბ., 1980; ო ნ ი ა ნ ი ა., თანხმოვანთა სისტემა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (პარადიგმატული ანალიზი). – «ენათმეცნიერების საკითხები», 2000, №2; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., თანხმოვანთა „განდასება“ ქართულში.– კრ.: «ვარლამ თოფურია – 100», თბ., 2001.

ი. ქობალავა.

თარგმანი და ქართული ენის ევანგელიზაციის საკითხები შუა საუკუნეებში, ხალხურ ენათა განვითარების თვალსაზრისით, ქრისტ. შუასაუკუნეები ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, მოდელს გვთავაზობს. დასავლეთის ქრისტიანობაში, ერთიანი რომის დედაეკლესიითა და უნიერს. საეკლესიო ენით, ლათინური *კოინე* განასახიერებდა როგორც ამ ერთობის სენაციონალურობას, ასევე ახდენდა მასში შემავალი ხალხებისა და ეკლესიების რეპრეზენტაციასაც. იმის მიუხედავად, რომ ამგვარი მოდელი გარკვეულად შეზღუდული იყო (მასში მხოლოდ ლათინურის მცოდნე ელიტარული უმცირესობა იგულისხმებოდა), იგი მთელი შუასაუკუნეების მანძილზე შენარჩუნებულ იქნა და მან მნიშვნელოვნად განსაზღვრა დასავლეთის ხალხ. ენათა ემანსიპაციის ბედი. მეორე მხრივ, გვაქვს აღმოსავლეთის ქრისტიანობა, რ-შიც ამ რელიგიური სივრცის დომინანტი ბერძნ. ენა, უნივერსალიზმის ნიშნით თუ საბაბით, არ დამკვიდრებულა. ადგილობრივი ხალხ. ენების საზ. და სოც. ფუნქციის გაზრდა და მათი ქცევა დამწერლობის მქონე ენებად ყველაზე მეტად ამ ხალხთა მშობლიურ ენაზე მისიონირებისა და ბიბლიის თარგმნის აუცილებლობამ განაპირობა. ამ კონტექსტში განიხილება როგორც ქართ., ასევე სომხ., გოთური და საკლ. სლაუური დამწერლობების შექმნა (თ. *გამყრელიძე*); ქართულთან მიმართებით ამ საკითხებს საგანგებოდ იკვლევს ვ. *ბედური*.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხ. ენათა განვითარების ეს მკვეთრად განსხვავებული გზები, საფიქრებელია, ყველაზე მეტად არსებულმა არაერთგვაროვანმა სოციოლინგვისტურმა წინაპირობებმა განაპირობა. აღრეული შუა საუკუნეების მეტ-ნაკლებად ერთიანი დასავლური სამყარო, რ-შიც ლათინურს ჯერ კიდევ მისიონირებამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა დამკვიდრებული ერთიანი სენაციონალური საურთიერთო და კულტურის ენის სტატუსი, ყოველგვარი გარეგანი იძულების გარეშე, ნებაყოფლობით შეხვდა ლათ. ენაზე მისიონირების ფაქტს. ანტ. ტრადიციების მემკვიდრე ბერძნულს ამგვარი ზენაციონალური საურთიერთო და კულტურის ენის ფუნქცია არ გააჩნდა. ამასთანავე, ძლიერი იყო ეროვნული იდენტურობის მკვეთრად გამოხატული ფუნქცია, რასაც აღმოსავლეთის ხალხ. ენები ატარებდნენ.

დასავლეთის ეკლესიის უნიერსალურმა ენამ დიდი ხნის განმავლობაში, კერძოდ, რეფორმაციამდე, ურყევად შეინარჩუნა, ხალხ. ენებთან შედარებით, კულტ.-და რელიგ. აღმატებულობის სტატუსი. ხალხ. ენებისთვის სწორედ ეს აღმატებულობის აღიარება იქცა უმთავრეს ხელისშემშლელ პირობად, რამაც ასე დააგვიანა მათი გადაქცევა განათლების, კულტურის, ლიტ-რისა და, საერთოდ, სამწერლობო ენებად. ჰეგემონ ლათინურსა და მასთან შედარებით დაბალი რანგისად მიჩნეულ ხალხ. ენებს შორის ურთიერთობას სრულიად სამართლიანად უწოდებენ ლათინურის მიერ ხალხ. ენებზე განხორციელებულ „სპირიტულ იმპერიალიზმს და საკრამენტულ კულტს“.

სხვაგვარად წარმართა ურთიერთობა ბერძნულსა და აღმოსავლეთ ქრისტიანობის ხალხ. ენებს შორის. თითოეული ამ ენათაგანი წმინდა ენებთან (ებრაული, ბერძნული, ლათინური) შედარებით ფუნქციურად დიფერენცირებულ, უფრო დაბალი რანგის ენად კი არ იქნა მიჩნეული, არამედ დამკვიდრდა როგორც ლიტურგიის, რელიგიის, კულტურისა და, საერთოდ, სახელმწ. ენა. ამ პროცესში უდიდესი როლი ითამაშა ბიბლ. წიგნების თარგმნამ, განსაკუთრებით თარგმნასთან დაკავშირებულმა სოციოლინგვისტურმა და თეოლოგიურმა წინაპირობებმა. ეს ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სამყარო ბიბლიის მშობლიურ ენაზე თარგმნის საწინააღმდეგოდ მაინც მსგავს არგუმენტებს იყენებდა მათ რელიგ. სივრცეში მოქცეული ხალხ. ენების მიმართ: 1. ხალხ. ენის სტილისტიკური და სემანტიკური სიღარიბე – წმინდა ენებთან შედარებით ღარიბ ხალხ. ენას არ ძალუძს სრულყოფილად გადმოსცეს ბიბლ. წიგნის ღრმა შინაარსი, ამიტომაც გაუმართლებელია მათი თარგმნა; 2. თვითნებური ინტერპრეტაციის საფრთხე – ვინაიდან არ არსებობს ორი იდენტური ენა, თარგმანი უსათუოდ გამოიწვევს ტექსტის გარკვეულ ცვლას მთარგმნელი ენის ბუნების გათვალისწინებით, რაც სულიწმიდის მიერ ინსპირირებული ბიბლ. წიგნების შემთხვევაში მიუღებელია: მშობლიურ ენაზე თარგმნილი ბიბლია და, საერთოდ, თეოლოგიური

ლიტ-რა იოლად ჩაუვარდება ხელში გაუნათლებელ ხალხს, რასაც მოჰყვება ტექსტის თეითნებური ინტერპრეტაცია.

ბიბლიის თარგმნის საწინააღმდეგო არგუმენტებს აღმოსავლეთ ქრისტიანობის ნაციონალურენოვან ეკლესიებსაც უყენებდნენ. ეს არ იყო მხოლოდ კულტურულად აღმატებული ბერძნების უსაფუძველო ყვედრება. ფილოს., ლიტ. თუ თეოლოგიურ ტრადიციებში გაწაფულ ბერძნულთან შედარებით მშობლიური ენის სიღარიბეს, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ნაციონალურენოვანი ეკლესიებიც აღიარებდნენ, მაგ., *გიორგი მთაწმიდელის* ღვაწლზე საუბრისას გიორგი მცირე აღნიშნავს, რომ უმდიდრეს ბერძნულთან შედარებით ჩვენი ენა და, შესაბამისად, „ნათესაი ჩუენი“ უსწავლელია და უმეცარი („რომელნი-ესე ბარბაროს-წოდებულ ენაჲვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა“). ამის მაგალითად ქართვ. მთარგმნელ-რედაქტორთა უამრავი კომენტარის დასახელება შეიძლება: „შეისწავე, რამეთუ ორსახე არს ბერძნულად სახელი სულისაჲ, ფსიქი, რომელი უმეტესსა ადგილსა სამშუნველისა წილ დადებულ არს პაელესა შინა; და კუალად პნევმა, რომელიესე თჳთ თავადის სულისა არსებასა უწოდიან და წმიდისათჳს იგივე ითქუმის. ხოლო ქართველთა უღონოებისაგან ერთი სახელი აქუს სულისაჲ“ (ხელნაწერი A–217, 322r), შენიშნავს *იოანე პეტრიწი*.

არც ბერძენთა მიერ ბიბლიის ქართ. თარგმანებისათვის წაყენებული საყვედური – ტექსტის უნებური ცვლა (შდრ. *ეფრემ მცირე*: „კუალად გუაყუედრიან ბერძენნი ცვალებათათჳს სიტყუათაჲსა“) – იყო სრულიად უსაფუძვლო. გიორგი მთაწმიდელიც აღიარებს, რომ „პირველითგან მართლად და ჭეშმარიტად“ თარგმნილი ქართ. ბიბლია მრავალ უზუსტობას შეიცავს, რ-თა მიზეზად იგი შემდეგ გარემოებებს ასახელებს: 1. უცხოთა (სომეხთა) გაელენა ადრეულ ქართ. თარგმანებზე; 2. ზოგი წიგნის ნაჩქარევად და ცუდად თარგმნა; 3. დროთა ვითარებაში გადამწერთათვის ტექსტის გაუგებრობა. დამაჯერებელია ეფრემ მცირის მსჯელობა ძვ. ქართ. თარგმანების რევიზიისა თუ ხელახლა თარგმნის თაობაზე. ამასთანავე, იგი ცდილობს გაამართლოს თავისი წინამორბედის, ეფთვიმე ათონელისეული თავისუფალი თარგმანის მეთოდი და საამისოდ რამდენიმე არგუმენტს ასახელებს: ა. მართალია, ეფთვიმეს თარგმანები ზუსტი არაა, მაგრამ „ქართულად შუენიერი არს,“ რის გამოც ისინი ...„საააჯმნო-ქმნილ არს არა ქართველთათჳს, არამედ ბერძენთათჳს“ (ხელნდ. A. – 292, 279 V); ბ. ეფთვიმეს მეთოდს რეალური მდგომარეობა განსაზღვრავდა: იგი ისე თარგმნიდა, „...ვითა მას ჟამსა შეჰგუანდა, ...სიჩჩოებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა ... და ურწყულობასა ძლიერსა ამის ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ღუნისასა განჰსაებდა წყალთაგან სულიერთა, ...რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესაი ლიტონ იყო და ჩჩულ“ (ხელნაწ. იერ. 43, 3r).

ამ მცირერიცხოვანი მაგალითებიდანაც ცხადია, რომ ბიბლიისა და წმინდა მამათა თხზულებების თარგმნის საწინააღმდეგო ზოგად მოსაზრებებს ქართველებიც იზიარებდნენ, მაგრამ საგულისხმო აქ ის შედეგებია, რ-ებიც ამ თეოლოგიურ და სოციოლინგვისტურ წინაპირობებს მოჰყვა: მაშინ როცა რეფორმაციამდელმა რომის ერთიანმა ეკლესიამ ხალხ. ენები მათი სემანტიკური და სტილისტიკური სიღარიბის საბაბით „დაიწუნა“ წმინდა წერილის სათარგმნელად, ამაღე მიზეზებმა არათუ დააბრკოლა მშობლიურ ენაზე თეოლოგიური, ფილოს. და სამწერლო ტრადიციების განვითარება, არამედ, პირიქით, მთარგმნელ-რედაქტორები „აიძულა მშობლიური ენის გამომხატველობით საშუალებებში გამოეძიათ და გამოენახათ ყველა მოქმედი თუ პოტენციური საშუალება და მაქსიმალურად გამოეყენებინათ ისინი“ (კ. დანელია), იოანე პეტრიწის თქმით, ქართ. ენა გაეტოლებინათ „ ...გონიერთა ხედუათა მომმარჯუე ... ელლინთა ენამსუობისთჳს, ... რომელსა ზედა ყოველსაღე თუსი სახელი ჰქუან, შესაბამი თუსისა არსებისაჲ“.

ეს ორი მთავარი არგუმენტი – ქართ. ენის სიღარიბის დაძლევის წადილი (იგულისხმება ცნებათა ზუსტი დიფერენცირება) და თარგმანებში უზუსტობების მაქს. შესწორება – სხვა მიზეზებთან ერთად – განსაზღვრავდა XI ს. საქართველოში მიმდინარე უმდიდრეს ლიტ. პროცესს – ბიბლ. წიგნებისა და უმთავრესი თეოლოგიური ლიტ-რის რამდენჯერმე გადამუშავებასა და ბერძნულთან მათ მაქს. დაახლოებას (იხ. *ქლინოფილიზმი*).

ამ მოვლენის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ქართ. სამეცნ. ენის ფილოს., საღვთისმეტყველო თუ საენათმეცნ. ტერმინოლოგიის შექმნაა: შედარებით ღარიბი გამოცდილების მქონე ქართ. ენა სტილისტიკური და სემანტიკური პოტენციალის მაქს. გამოყენებით გადის ურთულეს გზას, რათა უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების ბერძნულს გაუტოლდეს (შდრ. იოანე პეტრიწი: „და აღეიშურეე ტომისათჳს გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბიორთაგან“). ქართვ. მთარგმნელ-რედაქტორთა ლინგვისტური ხასიათის კომენტარებში ხშირია ასეთი გამოთქმები: „დატეევნაჲ ჩუენსა ენასა ზედა“ „გაღმოტჳფრეაჲ ჩუენსა ენასა ზედა“, „განცხადებაჲ ჩუენსა ენასა ზედა“ და ა. შ. როგორც ჩანს, ამ „გადმოტჳფრასა“ თუ „დატევნაში“ ისინი „ ...ცნების შინაარსის ზუსტად გადმოცემის ყველაზე მარჯვე და სანდო ხერხს – სემანტიკური და ფორმალური ტერმინოლოგიური კალკების შექმნას“ გულისხმობდნენ (დ. მელიქიშვილი). ასეთი გზა, რა თქმა უნდა, ვერ ასცდებოდა ხელოვნურობასა და არაბუნებრიობას. მაგრამ ეს ამგვარი თარგმანების ნაკლი კი არ არის, არამედ მათი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია, რასაც, პირველ რიგში, სწორედ რეეიზიის მომხრე მთარგმნელ-რედაქტორები გრძნობდნენ. ამის მიზეზი, მთარგმნელთა აზრით, „ქართულთა სიტყუათა დაშუენების ვერმეცნიერობა“ კი არაა, არამედ ბიბლიური წიგნების თარგმნის ზოგადი პრინციპი: „ ...რომელ თარგმანი მასვე და ერთსა პმეტყუელებდეს და აქუნდეს მოსწავება პირსა თითოეულსა სიტყუასა“ („ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება“). ანასტასი სინელის თხზულების არსენ იყალთოელისეულ თარგმანს ასეთი კო-

მენტარი ახლავს: „ხოლო უწყოდეთ ესეცა რაიმე სიბნელე, ანუ სიდუხჭირე შესდგამს ამას თარგმანსა, იგი ბერძულისა შედარებულობისგან არს და არა ქართულოა სიტყუათა დაშუენებისა ვერმეცნიერობისაგან“.

„ბერძულისა შედარებულობისგან“ მომდინარე არაბუნებრიენი ფორმები „ენამ თანდათან ჩამოიშორა და გამდიდრებული დარჩა დერივაციისა და კომპოზიციის ახალ შესაძლებლობათა წარმოჩენითა და დამკვიდრებით“ (კ. დანელია); ამგვარი რეციზიით კი ქართ. თარგმანები გათავისუფლდა ბერძენთა მიერ „ცვალებათათჳს სიტყუათაჲსა“ გამოთქმული ყველრებისაგან ისე, რომ არ შეუბღალავს „ქართულთა სიტყუათა დაშუენება“ – ბიბლ. წიგნთა სამგზის საგულდაგულო გადამუშაევებისა და ბერძნულთან უკიდურესი დაახლოების შემდეგაც ეკლესიის კანონიკურ ბიბლიად დარჩა გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი, რ-იც, მთარგმნელისავე თქმით, იმგვარად ითარგმნებოდა, „...ეითა ჩუენსა ენასა მოუვიდოდა და წესი საქმისაჲ ეძიებდა“.

ლიტ.: დანელია კ., ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990; ჭელიძე ე. ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1996; მელიქიშვილი დ., ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1999; Boeder W., Sprache und Identität in der Geschichte der Georgier. – იქვე: მისივე, Die georgischen Mönche auf dem Berge Athos und die Geschichte der georgischen Schriftsprache. – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. 41, Paris, 1983; მისივე, Sprachen und Nationen im Raum des Kaukasus, G. Gentschel (ed.); Über Muttersprachen und Vaterländer. – «Zur Entwicklung von Standartsprachen in Europa», 1997; Gamkrelidze Th., Das Christentum und die altgeorgische Kultur. – «Philologie, Typologie und Sprachstruktur». Festschrift für W. Boeder, Frankfurt/Main, 2002.

ნ. დობორჯგინიძე.

თარგმნითი ლექსიკონი, *ლექსიკონი,* რომელიც ახდენს ერთი ენის ლექსიკის გეგმაზომიერ შეპირისპირებას სხვა ენის სათანადო სემანტიკის მქონე ლექსიკასთან.

თ. ლ-ების ყველაზე დიდ ჯგუფს ქრნის სხვადასხვა მოცულობის საერთო დანიშნულების ორენოვანი ლექსიკონები. სპეც. თ. ლ-ებს მიეკუთვნება ტერმინოლოგიური, ფრაზეოლოგიური და იდიომატური ლექსიკონები, ანდაზებისა და სანდაზო გამოთქმების ე. წ. პარემიოლოგიური და სხვ. ლექსიკონები.

თ. ლ-ის (ისევე, როგორც ნებისმიერი ლექსიკონის) შედგენისას მრავალი ლექსიკოგრაფიული საკითხი იჩენს თავს, მაგრამ მათი გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკუთრივ თ. ლ-ების სპეციფიკა: ლექსიკონის მიზანი, სათარგმნი და თარგმანის ენის ფონეტ. და გრამატ. თავისებურებები და ა. შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკვივალენტების პრობლემა. კერძოდ, სიტყვათა უმეტესობას სხვადასხვა ენაში შეიძლება აღმოაჩნდეს სხვადასხვა რაოდენობის ეკვივალენტი. მაგ., რუს. кувшин-ს ენათმეცნ. ინ-ტის მიერ გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში შესატყვისად აქვს დოქი, ლიტრა, ხელადა, კოკა; медный кувшин – თუნგი (დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში 13 შესატყვისი ჰქონდა; თბილ. უნ-ტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში – 15). ამ სიტყვას გერმანულში ერთი შესატყვისი აქვს (Krug m.), ფრანგულში – 2 (cruche f და pot m.) და ა. შ. სიტყვას ერთი ენის სხვადასხვა გამონათქვამშიც არა აქვს აბსოლუტურად ერთნაირი მნიშვნელობა. თ. ლ. ეერასოდეს შეძლებს თარგმანში სიტყვის ყველა შესაძლო ნიუანსის ჩვენებას. ამასთანავე, სიტყვათა უმეტესობას არა აქვს აბსოლუტურად ზუსტი შესატყვისი სხვა ენაში და, ამდენად, სავსებით ზუსტი თარგმანი შეუძლებელია. გამონაკლისია ტერმინების სესხება თუ თარგმნა. სათარგმნ სიტყვას ისეთი შესატყვისი უნდა მოეძებნოს, რ-საც ინფორმაციის ნაკლები დანაკარგი ექნება. არის შემთხვევები, როდესაც სათარგმნ სიტყვას საერთოდ არ გააჩნია შესატყვისი. ასეთ შემთხვევაში ლექსიკონის შემდგენლები ზოგჯერ ამ სიტყვის ეკვივალენტის ნაცვლად იძლევიან მის ტრანსლიტერაციას და ფრჩხილებში მოკლე განმარტებას. თ. ლ-ებში სირთულეს ქმნის აგრეთვე სინონიმების პრობლემა. თარგმნის სიზუსტის თვალსაზრისით უმართებულო ჩანს როგორც სათარგმნი სიტყვისათვის ერთი ეკვივალენტის შეთანადება, ისე სინონიმურ ეკვივალენტთა სიუხვე.

თარგმნით ლექსიკოგრაფიას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ორენოვანი ლექსიკონების (და საერთოდ ლექსიკონების) ფართო გავრცელება იწყება აღორძინების პერიოდიდან, კერძოდ, XV–XVI სს-დან. გერმ. მეცნიერის ვ. ცაუნმიულერის (W. Zaunmüller) მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში 1460-იდან 1958-მდე მსოფლიოს 500-ზე მეტ ენასა და დიალექტზე აღნუსხულია 5600 ლექსიკონი, რ-თა ძირითადი ნაწილი თ. ლ-ებია. ბიბლიოგრაფია არასრულია. ქართ. ლექსიკონებიდან მასში მოხვედრილია მხოლოდ 15. 1966 გამოსულ ბიბლიოგრაფიაში – «Словари, изданные в СССР с 1918 по 1962 г.» კი აღნუსხულია საქართველოში 1958-მდე გამოცემული 140 მცირე და დიდი ლექსიკონი, რ-თაგან ცაუნმიულერის ბიბლიოგრაფიაში მოხვედრილია მხოლოდ სამი – «ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი» (იხ. *განმარტებითი ლექსიკონი*), თ. და ი. გვარჯალაძეების «ინგლისურ–ქართული ლექსიკონი» (1950) და «რუსულ–ქართული ლექსიკონი» (1937), რ-იც შეცდომით დ. ჩუბინოვის ლექსიკონის ახ. გამოცემად არის მიჩნეული.

უცხო სიტყვათა თარგმნის ტრადიციები ქართ. სინამდვილეში ბიბლ. ტექსტების თარგმნასთან ერთად ჩაისახა. უძველესი თ. ლ., რის ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულია ქართ. ენა, არის „ქართული–იტალიური ლექსიკონი“ (იხ. ნ. *ჩოლოყა შვილი*).

ქართ. თარგმნითი ლექსიკოგრაფიის ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს ს.-ს. *ორბელიანის* „სიტყვის კონაში“ მრავალი ქართ. სიტყვის სომხ., თურქ. და ლათ. (იტალიურ) თარგმანებს: ქართ.-სომხ. ნაწილი შეიცავს 1847 სიტყვას, ქართ.-თურქ. – 1945, ხოლო ქართ.-ლათ. (იტალიური) – 1486 სიტყვას; სულ 5278 სიტყვას (ს. იორდანიშვილი).

XIX ს-ში ქართ. თარგმნით ლექსიკოგრაფიაში ახ. პერიოდი დაიწყო. შეიქმნა რუს. ენის მცირე თუ დიდი ზომის ხელნაწერი სასაუბროები, თვითმასწავლებლები და ს. ლ-ები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნ. ჩუბინაშვილის დამსახურება. მან დიდი ამაგი დასდო ქართ. თარგმნით ლექსიკოგრაფიას ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების შექმნით.

ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ შედგენის ზოგადი პრინციპები, წყაროების დამოწმება, სიტყვების ლაკონიური განმარტება ძირითადად საბასეულია. სიტყვის განმარტებას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მოსდევს რუსული თარგმანი; ამდენად, ამ ლექსიკონის მართებული სახელწოდება უნდა იყოს „ქართულ-რუსული განმარტებით-თარგმნითი ლექსიკონი“. ნ. ჩუბინაშვილი კარგად იცნობდა თავისი დროის ქართ. და რუს. ლექსიკოგრაფიულსა და გრამატ. ლიტ-რას. მან თავის ლექსიკონს წაუმძღვარა ქართ. გრამატიკის მოკლე მიმოხილვა. ნ. ჩუბინაშვილმა გაცხრილა, დააზუსტა საბას ლექსიკონის სიტყვანი, შეამცირა იგი ზმნის პირიანი ფორმების, „უცენზურო“ სიტყვების, ანთროპონიმებისა და სხვა საკუთარი სახელების, ეიროსპეციალური სიტყვების ამოღებით. ამასთან ერთად, ლექსიკონში შეიტანა ახალი სიტყვების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ლექსიკონის მოცულობა საბას ლექსიკონზე მცირეა (დაახლოებით 13500 სიტყვა). ასევე დიდია ნ. ჩუბინაშვილის დამსახურება თავისი დროისათვის შესანიშნავი ნაშრომის, კაპიტალური ორტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ შექმნით. ამ ლექსიკონით მყარი საფუძველი ჩაეყარა რუს.-ქართ. ლექსიკოგრაფიას. ლექსიკონი ამყარებს ავტორის ღრმა განსწავლულობას, ფართო erუდიციას. ამ ლექსიკონს გარკვეული მნიშვნელობა დღესაც შენარჩუნებული აქვს.

უაღრესად დიდია ქართ. თარგმნითი ლექსიკოგრაფიის წინაშე პეტერბურგის უნ-ტის პროფესორის, გამოჩენილი ენათმეცნიერის, ლექსიკოგრაფისა და ლიტერატურათმცოდნის დ. ჩუბინაშვილის დამსახურება. მან ღირსეულად განაგრძო და ახ. სიმაღლეზე აიყვანა თავისი ბიძის, ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გამოსცა „ქართულ-რუსული-ფრანცული ლექსიკონი“ (1840), რამაც ღემიდოვის პრემია დაიმსახურა. 1846 გამოვიდა მისი „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ხოლო 1886 გამოიცა „ხელახლად შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რ-იც კელაე გამოიცა 1901. 1887 დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა ერცელი და თავისი დროისათვის შესანიშნავი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი – „ქართულ-რუსული ლექსიკონი“. მან დიდი სამსახური გაუწია ქართ. საზოგადოებას. 1984 ეს ლექსიკონი ხელახლა გამოსცა ა. შანიძემ. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებს შენარჩუნებული აქვთ ისტ. მნიშვნელობა და სპეციალისტები ზოგჯერ დღესაც მიმართავენ მათ.

თბილ. უნ-ტის მიერ გამოცემული „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (1937) აგებულია ანბანური წესით. სიტყვანი კარგადაა შერჩეული და დახვეწილი. ლიტ., ნორმატიულ ლექსიკასთან ერთად გამოყენებულია სასაუბრო, მოძველებული და დიალექტური სიტყვები. მდიდრულად არის წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა და ფრაზეოლოგიური გამოთქმები. ლექსიკონს წამძღვარებული აქვს „სალიტერატურო ქართულის ნორმები“. ლექსიკოგრაფიული სიახლეა ის, რომ ლექსიკონში ინფინიტივის სახით შესულ სმნურ ერთეულებს თარგმანში მოსდევს მოქმედების სახელი (მასდარი) და ფრჩხილებში სათანადო სმნის მხ. რიცხვის III პირის ფორმა. თუ თარგმანში რამდენიმე მოქმედების სახელია, ზმნის პირიანი ფორმა ეძნება მხოლოდ პირველს. მაგ., **втóргнуться** (უსრ. **вторга́ться**) შეჭრა, შეევარდნა, შესევა.

ქ. დათიკაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ შემდეგ პირველი ერცელი ლექსიკონია. ამ უკანასკნელთან შედარებით მასში მრავალი ახ. სიტყვა შედის. იგი ორჯერ გამოიცა: 1943–48 წლებში ორ ტომად და 1953–67 – სამ ტომად. ლექსიკონის სამტომეული 41021 სიტყვა-სტატიას შეიცავს, მაგრამ იმის გამო, რომ ზმნური ერთეულები ბუდეებშია შეტანილი, სათარგმნ სიტყვათა საერთო რაოდენობა (ბუდეებში არსებული ზმნების ჩათვლით) ბევრად მეტია. სიტყვა-სტატიის აღნაგობა ნ. და დ. ჩუბინაშვილების ქართულ-რუსული ლექსიკონების მსგავსია. შდრ. **ბარჯი**: ა. (თევზის საჭერი იარაღი) **острога́**; ბ. (გრძელ ლატანზე ჩამოცმული ლითონის კავიანი წვეტი) **багóр**; გ. (ძალიან მოსხმული ხის ტოტებისათვის) **подпóрка**.

მოქმედების სახელი (მასდარი) თარგმნილია: 1) როგორც სახელი – **блеск, блиста́ние, сверка́ние...**; 2) როგორც ზმნა – **блесте́ть, блиста́ть** – ბზინვა ლექსიკონში უხვადაა საილუსტრაციო მასალა.

„რუსულ-ქართული ლექსიკონი“ საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის გამოცემა (სამტომეული). გამოვიდა 1956–59. სარედაქციო კოლეგიაში გამოჩენილი მეცნიერები შედიოდნენ. ლექსიკონის მოცულობა – 64623 სიტყვა. მასში გათვალისწინებულია იმ დროისათვის თარგმნითი ლექსიკოგრაფიის დარგში მიღწეული შედეგები. არის სიახლეები: არსებით სახელებს ნაჩვენები აქვს მრ. რიცხვის ფორმა. საჭირო სიახლეა იმის ჩვენება, თუ რა ბრუნვაში მართავს სახელს ზმნა. მაგ., **встретить** *кого-что*; **встретиться** *с кем-чем*; **договориться** 1. *с кем-чем* და უდამატ. 2. *до чего*. ფრაზეოლოგიური გამოთქმები, იდიომები ჩამოტანილია სიტყვა-სტატიის ბოლოში და გამოყოფილია ◊ ნიშნით. ლექსიკონი დაბეჭდილია არაეკონომიური შრიფტით.

მრავალმხრივ საყურადღებოა კ. ჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (ციურიხი, 1960–74). იგი სოლიდური ნაშრომია, შესრულებული მაღალ ლექსიკოგრაფიულ დონეზე. ლექსი-

კონს საფუძვლად უდევს ავტორისავე „ქართული ენის შესავალი". განსაკუთრებული პუნქტუალურობით არის ნაწერები ქართ. ზმნის სტრუქტურული თავისებურებანი. ზმნური ერთეულები დეტალურად არის დამუშავებული სპეც. მოდელის მიხედვით, რამაც ზედმიწევნით სრულად წარმოაჩინა ქართ. ზმნის რთული ბუნება. ლექსიკონი გერმ. მკითხველისთვის ჩანს გამიზნული. მისი წარმატებით გამოყენებისათვის მომხმარებელი კარგად უნდა იცნობდეს ლექსიკონის შესავალს. 2006 ლონდონში გამოვიდა „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი" (მთ. რედ. დ. რეიფილდი).

იხ. აგრეთვე *პოლანდიურ-ქართული ლექსიკონი. ა. კობახიძე.*

თემა [ბერძნ. thema – ის, რაც დევს (საფუძველში)], I. წინადადების აქტუალური დანაწევრების შედეგად მიღებული ნაწილი, რ-იც შეიცავს მოლაპარაკის ან მსმენელისათვის ცნობილ (ან მოცემულ) ინფორმაციას და რ-იც საფუძვლად ედება ახალ ინფორმაციას (იხ. *რემა*). წინადადების ტრადიციული დანაწილებისგან განსხვავებით, თ-ში არის ის, რასაც (ვისზეც) ლაპარაკია მოცემულ გამონათქვამში (მაგ., ბაღში ხატას სურათს, ქედელზე სურათი კიდია); 2. (ინდოევროპეისტიკაში) ძირისა და თემატური ხმოვნის ერთიანობა.

ქართ. სამეცნ. გრამატიკაში ცნება და ტერმინი თ. დაამკვიდრა ა. შანიძემ. თ. გაგებულია როგორც ფუძის სახეობა, რ-იც საყრდენია I და II სერიების ფორმათა სისტემისათვის.

I სერიის ფორმათა სისტემისათვის საყრდენ ფუძეს I სერიის თ. ეწოდება; II სერიის ფორმათა საყრდენ ფუძეს – II სერიისა. საუღლებელ ერთეულთა III სერიის მწკრივთა სისტემისათვის თ-ის საკითხი არ დგას: III სერიის მწკრივები საუღლებელი ფუძის პრინციპის მიხედვით არ არიან გაერთიანებული, ამიტომაც საერთო საყრდენი ფუძე III სერიის ფორმებს არ მოეპოვება.

თუ I და II სერიების თ. ერთნაირია, ასეთ ზმნებს ერთთემიანები ეწოდება: წერ-ს – წერა... თუ I სერიის თ. განსხვავებულია II სერიის თ-გან, ასეთ ზმნებს ორთემიანები ეწოდება. აქ ორი შემთხვევა გაირჩევა: ა) როცა ერთმანეთს უპირისპირდება I სერიის რთული (ხატ-ავ, კეთ-ებ...) და II სერიის მარტივი (ხატ-, კეთ-...) თ-ები; ბ) როცა I და II სერიის თ-ები განსხვავებულია გახმოვანებით: I სერიის თ. ე ხმოვნიანია (დრეკ-, გრეხ-...), II სერიის თ. – ი ხმოვნიანი (დრიკ-, გრიხ-...). ასეთ ზმნებს ხმოვანმონაცვლე ზმნებსაც უწოდებენ. ორთემიანია ის ზმნებიც, რ-ებიც I სერიაში ნულოვანი გახმოვანებით არის წარმოდგენილი (თლ- ჭრ-...), ხოლო II სერიაში – ა/ე გახმოვანებით (თალ-, ჭერ-...).

რთული და მარტივი თ-ის განმასხვავებელ ელემენტს *თემის ნიშანი* ეწოდება.

ისტორიულად ერთთემიანი ზმნა შეიძლება ორთემიანად იქცეს: თეს-ს – თეს-ა > თეს-ავ-ს – თეს-ა..., ან რთული და მარტივი თ-ის დაპირისპირება ხმოვანმონაცვლეობამ შეცვალოს: წარ-ა-დგინ-ებ-ს – წარ-ე-დგინ-ა > წარ-ა-დგენ-ს – წარ-ა-დგინ-ე... ეს პროცესი გაცილებით აქტიურია და რთული ახ. ქართ. ენის დიალექტებში.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973); Матезиус В., О так называемом актуальном членении предложения, пер. с чеш.– В сб.: Пражский лингвистический кружок, М., 1967; Слюсарева Н. А., Категориальная основа тема-рематической эрганизации предложения. – «Вопросы языкознания», 1986, №4. *გ. გოგოლაშვილი.*

თემის ნიშანი, ზმნური ფორმის ის ნაწილი, რ-იც I სერიის რთულ თემას (იხ. *თემა*) განასხვავებს II სერიის მარტივი თემისაგან; სტრუქტურის მიხედვით თ. ნ. შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი თ. ნ-ებია: -ავ (ხატ-ავ-ს), -ამ (დგ-ამ-ს), -ებ (აკეთებ-ს), -ობ (გმ-ობ-ს), -ოფ (ყ-ოფ-ს), -ემ (მისც-ემ-ს), -ევ (ინგრ-ევ-ა); რთული თ. ნ. ორი თ. ნ-ის შეერთებით მიიღება -ავ და -ამ ხმოვანდაკარგულ თ. ნ-თა კომბინაციით -ებ თ. ნ-თან: -ევებ (< ავ-ებ: ი-რთ-ევებ-ა), -მებ (< ამებ: ი-დგ-მებ-ა).

არნ. ჩიქობავას აზრით, თ. ნ. აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია. გ. მაჭავარიანი თვლის, რომ იგი გრძლიობის გრამატ. კატეგორიის ნიშანია: გრძლივი ფორმები უპირისპირდება არამარკირებულ, არაგრძლივ, წყვეტილ ფორმებს: ვხატ-ავ : ვხატ-ე...

თ. ნ. არის საუღლებელ ერთეულთა I და II სერიის დაპირისპირების ერთ-ერთი ფაქტორი. შესაძლებელია მოხდეს თ. ნ-ის ფუძეში გადატანა – ხტუნ-ავ-ობ-ს – ი-ხტუნ-ავ-ა...; თ. ნ-ის დაკარგვა – წარ-ი-ყვან-ებ-ს – წაიყვან-ს...; თ. ნ-ის გაჩენა – თეს-ს – თეს-ავ-ს...; თ. ნ-ის შენაცვლება – ი-მალ-ვ-ის – იმალ-ებ-ა... მოქმედებითი და საშუალი გვარის ზმნათა III სერიის ფორმებში თ. ნ. შეიძლება გვქონდეს (უკეთ-ებ-ია, ეკეთ-ებ-ინა, ეკეთებ-ინ-ოს), შეიძლება – არა (აუღია, აეღო, აეღოს).

საწყისს თ. ნ. ყოველთვის გადაჰყვება (ხატვა, კეთება...), მიმღეობას კი შეიძლება გადაჰყვეს, შეიძლება – არა (გამკეთებელი, მაგრამ ნაკეთი...).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973); ჩიქობავა არნ., აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის. I. – «იკე», XIV, თბ., 1964; მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

გ. გოგოლაშვილი.

თესაურუსი (ლათ. thesaurus < ბერძნ. thesauros – საუნჯე, საგანძური), I. არანორმატიული ლექსიკონი, რ-შიც ყველაზე სრულად არის ასახული მოცემული ენის მთელი ლექსიკური მარაგი; 2. იგივეა, რაც *იდეოგრაფიული ლექსიკონი.*

პირველი მნიშვნელობით თ. მოიცავს ენის მთელ ლექსიკას არქაიზმებისა და ნეოლოგიზმების, სასაუბრო და დიალექტური ლექსიკის ჩათვლით. ლექსიკონში შესულ სიტყვებს ახლავს ტექსტებში მათი ხმარების მაგალითები. რამდენადაც ცოცხალი ენის ლექსიკური მარაგი მუდმივ ცვალებადობას განიცდის, ბუნებრივია, მისი თ. არასოდეს იქნება სრული. ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ მკვდარი ენის (მაგ., „Thesaurus linguae latinae", გამოდის 1900-იდან), ცალკეული მწერლის ან ცალკეული ნაწარმოების ლექსიკონი.

რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტთან არსებულ „ეეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის

დამდგენ კომისიაში შექმნილია ქართ. ენის უმდიდრესი სალექსიკონო ფონდი, რ-ის კარტოთეკა 6 მილიონამდე ბარათს ითვლის. საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის 1998 წლის 17 სექტ. დადგენილების თანახმად, კომისია შეუდგა ამ ფონდის კომპიუტერულ დამუშავებას და „ქართული ენის თესაურუსის“ გამოსაცემად მომზადებას. თ-ში წარმოდგენილი იქნება ქართ. ენის დოკუმენტურად ფიქსირებული პერიოდის (V ს-იდან დღემდე) მთელი ლექსიკა ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტობრივი საილუსტრაციო მასალით. მასში სრულად აისახება ქართ. ენის უმდიდრესი სიტყვიერი მარაგი. ეს იქნება მრავალნაკეთიანი გამოცემა, ლათინური, ინგლისური, ფრანგული და ზოგი სხვ. ენის ცნობილი თ-ების ანალოგიური. *ლ. აბულაძე.*

თველი, ყოველდღიური, კალენდარული თანმიმდევრობით დალაგებული თორმეტი თვის ჰიმნოგრაფიული კრებული. ტერმ. „თ.“ პირველად იხსენიება X ს. 60-იანი წლების ბოლოს შედგენილ პალესტინური ტრადიციის *იადგარში*, მაგრამ აღნიშნავს არა მთლიანად იადგარს, არამედ მის მხოლოდ ერთ ნაწილს – „საოუეო“ განყოფილებას. X–XI სს-ის მიჯნაზე ხდება იადგარის დაშლა ცალკე ლიტურგიკულ წიგნებად. ამ დანაწევრების ნიადაგზე X ს-ის იადგარების იერუსალიმური კალენდრის მიხედვით ქალიბდება თ-ის პირველი რედაქცია (ხელნაწ. ინ-ტი, Jer. 42, 71, DO). იგი ტექსტობრივ-სტრუქტურულად უახლოვდება თ-ს, ამიტომ დგას გარდამავალ საფეხურად X ს. იადგარებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თ-ს შორის. მისი ჩამოყალიბება იერუსალიმის ქართველთა სამწიგნობრო ცენტრშია სავარაუდებელი. თ-ის, როგორც დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებულის, შექმნა *გიორგი მთაწმიდელის* სა[1] ლთანაა დაკავშირებული, რ-მაც კრებული თავისიტვ თარგმნილი *სვინაქსარის* საფუძველზე შეადგინა. თ-ში შესული ჰიმნოგრაფიული მასალის დიდი ნაწილი გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან თარგმნა. გამოიყენა რამდენიმე ბერძნ. წყარო, რ-თაც თ-ის ნუსხებზე დართულ ანდერძებში ასახელებს (წმ. სოფიოს სტრიქონთა კრებული, პეტრეწმიდის, სვიმონწმიდის სათუეო, კაუკი ეკლესიის „დედა“...) და რ-ებიც აისახა თ-ში შემაჯალი საგალობლის სტრუქტურაში.

ბერძნ. წყაროს პარალელურად გიორგი მთაწმიდელმა გამოიყენა ის მდიდარი ჰიმნოგრაფიული მასალა, რ-იც X ს. ქართ. ჰიმნოგრაფიულ კრებულებში – იადგარებში არსებობდა. თ-ის ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის ერთ მესამედზე მეტი მან თითქმის უცვლელად გადმოიტანა იადგარებიდან, მაგრამ მაინც ბერძნულს შეუჯერა და ბერძნულისაეე მიხედვით მიაწერა ავტორი. ის მასალა, რ-იც მის მთარგმნელობით პრინციპებს ვერ აკმაყოფილებდა, ხელმეორედ თარგმნა. ბერძნ. ტექსტთან სიახლოვე იყო გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის ამოსავალი. სწორედ ამ კუთხით შეხედა მან ისეთი დიდი ავტორიტეტის ჰიმნოგრაფიულ თარგმანებს, როგორიც ეფთვიმე მთაწმიდელი იყო და მისი თარგმნილი მასალა მაინც ბერძნულს შეუჯერა, ბერძნულისაეე მიხედვით მიუმატა თითოეულ ოდას მეოთხე სტროფი და ისე შეიტანა თ-ში, ანდერძში კი თავი იმართლა: „ბერძულად ესრე არისო“ (Jer. 110, გვ. 4r). ასე შეიქმნა თორმეტი თვის უსარმაზარი ჰიმნოგრაფიული კრებული – თ., რ-ის მსგავსი, მასალის სისრულისა და უნიკალურობის თვალსაზრისით, როგორც გიორგი მთაწმიდელი გადმოგეცემს, თვით საბერძნეთის ეკლესიაშიც არ მოიპოვებოდა.

ხელნაწ. ინ-ტის ფონდებში დაცულია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თ-თა ნუსხები, რ-ებიც XI–XIII სს-ით თარიღდება: Jer. 110 (სექტემბერი), Jer. 124 (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი), S 4999 (დეკემბერი), Ath 65 (იანვარ-თებერვალი; აეტოგრაფი); Jer. 100 (თებერვალ-მარტი); H 1710 (მაისი); Jer. 98 (ივნისი); H 2338, Ath. 64 (ივლის-აგვისტო).

ლიტ.: მეტრეველი ე., XI საუკუნის ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან. – «ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1952, ტ. 9; ქ ე ლ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, უცნობი რედაქცია ქართული პიმნოგრაფიული თუენისა. – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962; ჯ ღ ა მ ა ი ა ლ., თუენის ათონური ნუსხები. – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), IX, თბ., 1981.

ლ. ჯღამაია.

თიკუნი, I. (ეიწრო მნიშვნ.) ხალხური ტერმინი, რ-იც გამოიყენება საქართველოს ჩრდ.-აღმ. მთიანეთში, განსაკუთრებით – ხევსურეთში, როგორც მრავალსახელიანობის შემადგენელი ნაწილი (ნათლობის, ხატის, სულის სახელებთან ერთად). აღნიშნავს არა ყოველგვარ მეტსახელს, არამედ მხოლოდ ოჯახში შემოსული (ძირითადად ახალმოყვანილი) რძლის მიერ ქმრისა და მისი ნათესაეებისათვის შერქმეულ სახელს. ამდენად, თ-ის შემოქმედად ქალი ივარაუდება. თ-ის წარმოქმნა დაკავშირებულია სახელის ტაბუირებასთან, რ-იც, თავის მხრივ, ეფუძნება ადამიანის სახელისა და სულის იგივეობის რწმენას. აკრძალული სახელები არ იხმარებოდა არც მიმართეებში, არც III პირში მოხსენიებისას. საერთოდ, ისინი ამოღებული იყო ხმარებიდან. მათი ხსენება მხოლოდ სიბერეში ხდებოდა შესაძლებელი, ისიც არა უშუალოდ მიმართეისას. თ-ის წარმოშობა უკავშირდება ოჯახური სამართლის კანონებს. ლიტ-რაში მოიხსენიება ამგვარი თ-ები: მარწყო, თეთრო (ქალის სახელები, შერქმეული სახის კანის ფერის მიხედვით; შდრ. მაყვალა) და სხვ.

2. (ფართო მნიშვნ.), ქართული ონომასტიკური ტერმინი, რ-საც იყენებს ზოგი ქართვ. ენათმეცნიერი ყოველგვარი მეტსახელის აღსანიშნავად – იმის მიუხედავად, თუ ვის შეარქვეს, ან ვინ შეარქვა ესა თუ ის სახელი.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ხევსურეთი, ტფ., 1935; თ ე დ ო რ ა ძ ე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, II, თბ., 1939; ხ ა რ ა ძ ე რ., თიკუნი (ხელნაწერი), 1940; ღ ლ ო ნ ტ ი ა., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986; A p r i d o n i d z e Sch., Das System der georgischen Anthroponymie (Personennamen). – «Georgica», Heft 7, Jena–Tbilisi, 1984.

შ. აფრიდონიძე.

თილვის წარწერა 1152, ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი თორმეტ სტრიქონად თილვის მონასტრის (ქარელის რნი) მიძინების ეკლესიის პატრონიკეში შესასვლელის ზემოთ, ტიმპანის საგანგებოდ მორთულ ქვის ფილაზე. წარწერის ტექსტში ა. შანიძემ იამბიკო შენიშნა და იგი ასე გამართა:

ტექსტის მიხედვით, ეკლესია თავდაპირველად ჯვრის სახელობისა ყოფილა, რასაც, ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც (ქართლის ცხოვრება, IV, 376:5). წარწერის ბოლოს დასახელებული თამარი არის დავით აღმაშენებლის ასული, რ-საც,

„ქმნილებამან რაჲ აქაჲსა სოფლისამან,
სხუსაჲ მიიღის დაწყება ყოფადისაჲ,
მოქმედებითა შენსა ზედა ჯუარცმულისა
ქრისტეს ღმრთისაჲთა, რომლისა მიმართ ჟამსა
მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს".

საისტორიო წყაროთა ცნობით, თილვის მონასტერი აუშენებია და იქვე შემონაზვნებულა (ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, 366:15; ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, 165:15, 376:1).

თილვის მონასტრის აშენებისა და წარწერის თარიღი დაადგინა ლ. რჩეულიშვილმა.

ლიტ.: რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა, თბ., 1960; ო თ ხ მ ე ზ უ რ ი გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა.– კრ.: ისთა საკითხი, თბ., 1996. *გ. სილოგავა.*



თილვის წარწერა. 1152.



გ. თოფურია.

თოფურია გურამ ვარლამის ძე (27. III. 1930, თბილისი, – 31. V. 2006, იქვე), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ (დაღესტნურ) ენათა მკვლევარი. საქართვ. მეცნ. აკადემიის წ.-კორ. (1997), ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1988). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის კავკ. ენათა განყ-ბა (1954). 1954–57 იყო ენათმეცნ. ინ-ტის ასპირანტი (კავკ. ენათა განხრით). 1957-იდან სამეცნ. მოღვაწეობას ეწეოდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტში. 1973–87 იყო ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1987-იდან – მთის იბერიულ-კავკ. ენათა განყ-ბის გამგე.

თ-ს ძირითადი შრომები ეძღვნება ლეზგიური და სხვა დაღესტნური ენების მორფოლ., ფონეტ. და ლექსიკის საკითხებს; დაღესტნურ ენათა ზოგად პრობლემატიკას (ბრუნების კლასიფიკაცია, მისი ჩამოყალიბება და განვითარების საკითხები, პალეოერგატივის ცნება და სხვ.); ავტორია მონოგრაფიებისა: „ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები" (1959), „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში" (1995, რუს. ენაზე); ნაშრომებისა ქართველურ ენათა მორფოლოგიისა თუ ლექსიკის, ისტ. ტოპონიმიკის საკითხებზე: „ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან)" (1968), „მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში" (1977), „სიტყვაწარმოების ერთი მოდელის შესახებ ქართულში (სახელური -უ სუფიქსისათვის ქართულში)" (1998) და სხვ.

თ. სამჯერ იყო არჩეული ევროპის კავკასიოლოგთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტად (ბოლოს ახ. ვადით 1996-იდან). იყო რამდენიმე სამეცნ. ჟურნალის რედკოლეგიის წევრი («იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», «მაცნე», «ეტიმოლოგიური ძიებანი»). მიღებული აქვს არნ. ჩიქობავას სახ. პრემია (1996).

თხზ. (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის ლინგვისტური საკითხები, I. – «იკე», XVII, თბ., 1970; ლინგვისტური გეოგრაფია, ტოპონიმია და ენის ისტორია (ქართველურ ენათა მასალაზე). – კრ.: «ხელეური» (ეძღვნება გ. ჩიტაიას დაბადებიდან 90 წლისთავს), თბ., 1985. *გ. ბურჭულაძე.*

თოფურია ვარლამ ტრიფონის ძე (8. I. 1901, სოფ. ონტოფო, აბაშის რ-ნი, – 21. VIII. 1966, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946), ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1935). დაამთავრა თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი საენათმეცნიერო განხრით (1922). სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა თსუ-სა (1936–66) და საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტში (1936–66). იყო ჯერ ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინ-ტის ლექსიკოლოგიის (1936–41), შემდეგ ენათმეცნ. ინ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბის (1941–60) გამგე; ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1941–43), დირექტორი (1943–49). 1945-იდან გარდაცვალებამდე განაგებდა მისი ინიციატივით დაარსებულ ახ. ქართ. ენის კათედრას თსუ-ში. სხვადასხვა დროს იყო ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე (1933–38), თბილისის სამასწავლებლო ინ-ტის დი-

რექტორის მოადგილე და ქართ. ენის კათედრის გამგე (1935–36), გორის სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე (1950–52). თ. ხელმძღვანელობდა ქართ. ენის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნ. საბჭოს, მონაწილეობდა ქართ. სალიტ. ენის ნორმების დამდგენი რუსთ. კომისიის მუშაობასა (ერთხანს იყო კომისიის მდივანი) და მეცნ. ტერმინოლოგიის შექმნა-დანერგვაში.

თ. იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ქართ. ენის სწავლების აქტუალურ საკითხებს. მისი პირველი მეცნ. ნაშრომია „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ (1923); ავტორია 250-მდე ნაშრომისა, ხოლო მისი რედაქციით გამოცემულია 70-მდე წიგნი.

თ. საქართველოში ერთი პირველთაგანია, ვინც მთის იბერიულ-კავკ. ენებს სწავლობდა ადგილზე, საველე პირობებში. ასე შეიქმნა თ-ს პირველხარისხოვანი შრომები ლაკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიისა თუ სინტაქსის საკითხებზე. განსაკუთრებულია მისი როლი სვანური ენის მეცნ. შესწავლაში („სვანური ენა“, I. ხმნა, 1930). ა. შანიძესთან ერთად დააარსა სვანური ტექსტების გამოცემის სერია. გამოიცა „სვანური პოეზია“, I (1939); „სვანური პროზაული ტექსტები“: 1. ბალსზემოური კილო (1939); 2. ბალსქვემოური კილო (1957); 3. ლენტეხური კილო (1967); 4. ლაშხური კილო (1979). ამ სერიაში გამოქვეყნებული ტექსტების საგრძნობი ნაწილი თ-ს მიერაა ნაწერილი და სვანური ენის დოკუმენტაციას წარმოადგენს.

ქართ. და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკვანძო საკითხებია განხილული თ-ს შრომათა ციკლში – „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (5 ნაწილად, 1926–41); საგანგებო შრომათა სერია მიუძღვნა ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებას (6 ნაშრომი, 1938–59); ქართველურ ენათა ისტ.-შედარებითი შესწავლის საკითხებს: „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“ (1937), „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“ (1946), „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“ (1954), „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (1961) და სხვ.

თ. 1922-იდან სწავლობდა ქართ. დიალექტებს; გამოსცა გამოკვლევა – „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“ (1963). მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით გამოქვეყნდა „ქართული დიალექტოლოგია. I“ (1961), რშიც დიალექტების მიმოხილვათა მეტი წილი თ-ს ეკუთვნის.

ქართ. ეპიგრაფიკას ეძღვნება შრომები: „შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები“ (1924), „ქვაჯვარანი საქართველოში“ (1942). ძვ. ქართულის საკვანძო საკითხებს ეხება გამოკვლევები: „ხმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში“ (1942), „დთავსართიანი ხმნები ქართულში“ (1942) და სხვ. სახელთა ბრუნება, ფუნქციები გამოკვლეულია ნაშრომებში: „წოდებითი ბრუნვისათვის“ (1953), „ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებისათვის ქართულში“ (1942), „წრფელობითი ბრუნ-



ვ. თოფურია.

ვისათვის ძველ ქართულში“ (1965) და სხვ. გამოქვეყნდა თ-ს თანამედროვე „ქართული ენა“ 5 მონაკვეთად (1932–33), „ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები“ (1967) და სხვ.

თ-მ საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის სწავლების მეცნ. მეთოდიკას: „ქართული წერის დედანი“ – დაწყებითი სკოლების მოსწავლეთათვის (I გამოც. 1933); წერილების სერია „მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“ (1953–60), ცალკე წიგნად – „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965, 1988, 2005). თ-ს მიერაა შემუშავებული 7 ნორმა *«თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში»* (1970).

თ. იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის წევრი და III ტომის რედაქტორი, რისთვისაც 1971 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია; იყო ასევე „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“, „რუსულ-ქართული ლექსიკონისა“ და „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ თანაავტორი.

თხზ.: შრომები, ტ. 1, თბ., 1967; ტ. 3, თბ., 1979; ტ. 2, თბ., 2002; Сванский язык. – «იკვ», XII, თბ., 1985.

ლიტ.: თ ა ლ ა ქ ვ ა ძ ე მ., ვარლამ თოფურია, თბ., 1968; კ ა ზ ი რ ი ა ა., ქ ა ლ დ ა ნ ი მ., ვარლამ თოფურია (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა), თბ., 1968; ვარლამ თოფურია. ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1984.

გ. ბერჭულაძე.

თურმეობითი I, საუღლებელი ერთეული, იგივე შედეგობითი I, დრო-კილოთა III სერიის მწკრივი. დრო – წარსული, კილო – თხრობითი, აქტი – უნახავი. გამოხატავს მოქმედებას, რ-ის შედეგიც აწმყოში ჩანს. მაგ., ფორმაში **დანგრეულა** – სახე'სეა წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი.

მოქმედებითი და საშუალ.-მოქმედებითი გვარის ზმნები თ. I-ში ინვერსიულია; ხდება ქცევათა ნეიტრალი'საცია – ფორმობრივად ექცევა ზმნა საობიექტო ქცევის ფორმას იღებს. სამპირიან ზმნებში პირი იკლებს – ირ. ობიექტი გაუჩინარდება (უკეთებს ის მას მას – უკეთებია ის მას...). ფორმაწარმოების სამგვარი მოდელი გვაქვს: -აე და -ამ თემისნიშნიანი ზმნები აწმყოს ფუძეს გამოიყენებენ (ხატავ-ს – და-ხატ-ავ-ს...); ზმნათა ერთი ჯგუფი აწმყოს ფუძეს -ი-ა დაბოლოებით ართულებს (ა-კეთებ-ს – გა-უკეთ-ებ-ი-ა...); ნაწილი ზმნებისა წყვეტილის საყრდენ ფუძეს -ი-ა დაბოლოებას დაურთავს (ა-ი-ღ-ო – ა-უ-ღ-ი-ა...). ობიექტ. I და II პირის ფორმები მუშვლ ზმნას დაირთავენ (ა-ვ-უ-შენ-ებ-ი-ვარ... შე-ვ-უ-ქ-ი-ვარ...). -ა მეორე და მესამე ტიპის ზმნებში ერთი თვალსაზრისის

მიხედვით III სუბიექტ. პირის ნიშანია, სხვა თვალსაზრისით – მეშველი ზმნის ნაშთი.

ენებითი და საშუალ-ენებითი გვარის ზმნები მეშველ ზმნიანია სამიე პირში (III პირის ფორმაში მეშველი ზმნა შეკეცილია: არის > ა). ერთპირიანებში წარსული დროის საობიექტო მიმღეობის -ილ სუფიქსიან ფორმას დაერთვის მეშველი ზმნა აწმყოს ფორმით (გა-ე-ზრდილ-ვარ, გა-ზრდილ-ხარ, გა-ზრდილ-ა...); ორპირიანებში მეშველი ზმნა დაერთვის -ი ფორმანტით გართულებულ აწმყოს ფუძეს (ა-ე-შენ-ებ-ი-ვარ, გა-ე-სრდ-ი-ვარ...).

ლიტ.: ნ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – წგ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები. I, თბ., 1953; ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., უნახავობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში. – «იკე», VIII, თბ., 1956; ა რ ა ბ უ ლ ი ა., მესამე სერიის ნაკვთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984; ფ ხ ა კ ა ძ ე დ., I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბ., 1984; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ი., ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში. – «სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. ქართული ენის კათედრის შრომები», 1998, I, ტ. 4; Schmidt K. H., Die vorgeschichtlichen Grundlagen der Kategorie „Perfect" im Indogermanischen und Südkaukasischen. – არნოლდ ჩიქობავას (დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), თბ., 1979.

გ. გოგოლა შეილი.

თურმეობითი II, საუღლებელი ერთეული, იგივე შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი II; დრო-კილოთა III სერიის მწკრივი. დრო – წარსული, კილო – თხრობითი, აქტი – უნახავი, თანამდევრობა – უწინარესი. გამოხატავს ისეთი მოქმედების შედეგს, რ-იც წინ უსწრებდა წარსულშიე მომხდარ სხვა მოქმედებას. მაგ., ფორმაში დაენგრია – წარსულში ჩანს იმ მოქმედების შედეგი, რიც უფრო ადრე მომხდარა.

მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები თ. II-ში ინტერესიულია; ხდება ქცევათა ნეიტრალიზაცია – ფორმობრივად ყველა ზმნა საობიექტო ქცევის ფორმას იღებს. სამპირიანი ზმნა ორპირიანად გადაკეთდება – გაუჩინარდება ირ. ობიექტი. თ. II-ის წარმოებაში ორი ძირითადი მოდელი გვაქვს: ზმნათა ერთი ნაწილის ფორმები ემთხვევა წ:ყეტილის მარტივ ფუძეს (გა-ე-სარდ-ე, გა-ე-სარდ-ე, გა-ე-სარდ-ა, და-ე-ხატ-ე...). ზმნათა მეორე ჯგუფში შუალობითი კონტაქტის ზმნათა წ:ყეტილის ფუძე გამოიყენება (ა-ე-შენებ-ინ-ე, და-ე-სახლებ-ინ-ე...).

ენებით და საშუალ-ენებითი გვარის ზმნებში ერთპირიანები წარსული დროის ენებითი გვარის -ილ სუფიქსიან მიმღეობაზე მეშველ ზმნას დაირთავენ წ:ყეტილის ფორმით (აშენებულ-იყო, გაზრდილ-იყო...); ორპირიანები აწმყოს ფუძესე ოდ-ი ფორმებს დაირთავენ (ა-ე-შენებ-ოდ-ი, გა-ესრდ-ოდ-ი, და-მალ-ე-ოდ-ი...).

ლიტ. იხ. სტატიასთან *თურმეობითი* I.

გ. გოგოლა შეილი.

თურქული ენები, ენათა ოჯახი, გავრცელებული შუა და სამხრ.-აღმ. აზიაში, სამხრ. და დას. ციმბირში, ჩრდ. და სამხრ. კავკასიაში, შავიზღვისპირეთში, მცირე აზიაში. მცირერიცხოვანი თურქ. მოდგმის ენები გვხვდება უკრაინაში, ლიტვაში, პოლონეთში, მოლდავეთში, მაკედონიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, ჩინეთში, მონღოლეთში, ავღანეთსა და ირანში.

თ. ე-ს, მონღოლურსა და თუნგუსურ-მანჯურიულ ენებთან ერთად, აჯგუფებენ ალთაურ ოჯახში. ურალურ-ალთაური ჰიპოთეზის მიხედვით, ალთაური ენები უნგრულ-ფინურ ენებთან ერთად შეადგენენ ურალურ-ალთაურ მიკროოჯახს. წინარეთურქულიდან მომდინარეობს ორი შტო: ბულგარული და საერთო თურქული. ბულგარულში იგულისხმება დღეგანდელი ჩუვაშური, აგ მკედარი ბულგარული და ხაზარული ენები. საერთო თურქულის მკედარი ენებია: ძვ. ოღუსური, ჰუნური, ძვ. უიღურული, პაჭანიკური, კუმანური, ყალმუხური, ძვ. უსბეკური. ეს შტო თავის მხრივ იყოფა აღმოსაველურ, დასაველურ, ჩრდილოურ და სამხრეთულ ჯგუფებად.

თურქ. წარმომაველობის ძვ. ენებზე არსებობს წერილობითი ძეგლები. ამ ენებს შორის უძველესია თურქულ-რუნულ ძეგლთა ენა, რის ნიმუშები აღმოჩენილია უსარმაზარ ტერიტორიაზე – მდ. დუნაიდან მდ. ლენამდე. აღსანიშნავია მდ. ორხონისა და მდ. ენისეის აუზში ნაპოვნი წარწერები, რ-თა ენა ოღუზურია.

რუნული ანბანის გარდა, თურქ. წარმომაველობის ტომთაგან უიღურებმა გამოიყენეს სოღდური ანბანი, რ-ის ადაპტირებულ ვარიანტს შემდგომ უიღურული ანბანი უწოდეს. იგი XVIII ს-მდე გამოიყენებოდა. საერთოდ, ძვ. და საშ. თურქ. ენობრივი პერიოდები წარმოდგენილია რუნული, ორხონულ-ენისეური, უიღურული, მანიქეური, ბრაჰმანული, არაბული და ნესტორიანული დამწერლობის ძეგლებით.

თ. ე-ის ტიპოლოგიური მოდელი აგლუტინაციურია. აგლუტინაციის თანხმლები პროცესია სინჰარმონიზმი. ხმოვანთა პალატალური ჰარმონია თურქ. წარმომაველობის ყველა ენაში ელინდება, ხოლო ჰარმონია ბაგისმიერობის მიხედვით სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. საერთო თურქულში უნდა არსებულიყო გრძელი და მოკლე 8 ხმოვანი ფონემა: a, ə, o, u, y, i, ö, ü. რიგი მორფონოლოგიური პროცესების შედეგად გრძელი ხმოვნები შერჩა იაკუტურს, თურქმენულსა და ხალაჯურ ენებს. ოღუზური ენებისათვის დამახასიათებელია მყღერი ანლაუტი, ყივჩაყურ ენებში კი უპირატესად ყრუ ხშულებია ანლაუტში (შდრ. ქართულში ყივჩაყური ენათაგან შემოსული საკუთარი სახელები – თემური, თენგიზი და ოღუზური ენებიდან შემოღწეული დემური, დენიზა...). ბრუნვის პარადიგმის მაორგანიზებელი ცენტრია ფუძე საწ:ყის (სახელობით) ბრუნვაში. ბრუნების კატეგორიაში 6 ბრუნვაა (გარდა იაკუტურისა). თ. ე-ში (გარდა ჩუვაშურისა) მრავლობითობა გადმოიცემა BAr აფიქსით. კუთვნილების კატეგორია გამოიხატება ფუძესთან პირის ნიშანთა მიერთებით. რიცხვით სახელთა შემადგენლობაშია ლექსიკური ერთეული პირ-

ველი ათეულის, 20-ის, 30-ის, 40-ის, 50-ის 100-ის, 1000-ის აღსანიშნავად, ხოლო 60, 70, 80, 90 – თჩზული სიტყვებია. ჩვენებითი ნაცვალსახელები აღნიშნავენ საგანთა განლაგების 35 პლანს. კითხვით ნაცვალსახელებში ორი ფუძეა გარჩეული: kim „ვინ?“ და ne „რა?“. უპუქცევით ნაცვალსახელთა ფუძე ემყარება არსებით სახელს. ზმნის უღელილებისას განსხვავებულია პირის ნიშანთა 2 ტიპი. დამახასიათებელი სინტაქსური კატეგორიაა იზაფეთი. ორ სახელს შორის მიმართების ეს ტიპი საერთო თურქულია და ქეცლა ენაში გეხედება. საერთო თურქული მოვლენაა მარტივი სახელადი წინადადების მოდელი შემასმენლობითი აფიქსებით, ხოლო ზმნურ წინადადებათა ტიპებში გეხედება ლერძული წყვრი – პირიელი ფორმა ზმნის წარსული ან აწმყო-მყოფადი დროის ფორმით. თ. ე-ში მარტივი წინადადება უპირატესი სინტაქსური სტრუქტურაა. სიტყვაწარმოებაში ძირითადად გაერცელებულია აფიქსაცია, არის სხვა ფორმებიც.

ქართველების ურთიერთობას თურქულენოვან სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ადრეული შუა საუკუნეებიდან იყო კონტაქტები ჩრდ. კავკასიაში – ჰუნებთან, ხაზარებთან, პაჭანიკებთან. თურქულენოვან მუსლიმთა დიდმა ეთნ. ჯგუფებმა საფუძველი ჩაუყარეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს, რ-თანაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მეზობლობა აკავშირებს. თურქული მოდგმის ცივჩაქები დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოშიც სახლობდნენ. მთელი რიგი ომების შემდეგ საქართველოზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ თურქული სასულთნოები ირანის აზერბაიჯანშიც. ისტ. თუ სხვა სახის წყაროებიდან ცნობილია, რომ თურქულენოვან სამყაროსთან ქართველთა ურთიერთობა მხოლოდ ომებით, სამხედრო შეტაკებებით არ განისაზღვრებოდა და კულტ.-ეკონ. სფეროსაც მოიცავდა. XV ს. II ნახ-იდან საქართველო დაუმეზობლდა ახ. თურქულ წარმონაქმნს – ოსმალეთს, რ-ის ექსპანსიური პოლიტიკა საქართველოზეც გაერცელდა. 1578 იქმნება ახალციხის საფაშოსგან გამოცალკევებული ჩილდირის ეილათი. ისლამი ამ რეგიონში სწრაფად გავრცელდა. 1828-მდე სამხრ. საქართველოს ეს ნაწილი ოსმალეთა სახელმწიფოში რჩებოდა, შემდეგ კი ახალციხე, ახალქალაქი და სამცხე გამოვიდა ოსმალთა ზედამხედველობის ზონიდან. 1878–79 რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბათუმი, ყარსი, არტაანი, ართვინი, არტანუჯი, ბორჩხა, შავშეთი და ხოფის ნაწილი რუსეთს დარჩა. გამუსლიმებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება – მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა ან გადასახლებულიყო ოსმალეთში.

საუკუნეთა განმავლობაში თურქულენოვან მოსახლეობასთან ახლო თუ შორეული კავშირების შედეგად ქართულში იკვეთება ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა მთელი შრე. სხვადასხვა თ. ე-გან შემოსული ლექსემები ენაში დამკვიდრებისას ერთნაირ რეფლექსებს იძლევა, რაც აძნელებს სესხების უშუალო წყაროების დადგენას. ძირითად კრიტერიუმად რჩება ტერიტ. სიახლოვე და ისტ.-ეკონ. ურთიერთობანი, რაც უპირატესად მაინც ხსნის თურქ. ლექსიკის სიუხვეს ქართ. ენასა და მის დიალექტებში. თურქულენოვანი ნასესხობების ნიმუშებად შეიძლება დასახელდეს: გემი, ელჩი, თუნუკი, შუკი, ალჩუ, არტალა, არხი, არმაღანი, იალქანი, ბუღა, ბურღული, დუდუკი, იარა, იარაღი, იერიში, ყაბახი, ხანი და სხვ. ხშირია თურქ. წარმომავლობის სახელები ქართველურ ანთროპონიმიკაში: ალთუნა, ასლან, ყაფლან, გელდია, დოლუხანჯი, დურმიშხან, დურსუნ, ელგუჯა, ქუსუკი, ჩოლაყა და სხვ. აღსანიშნავია, რომ თურქულენოვანი ნასესხობების მნიშვნელოვანი ნაწილი, თაეის მხრივ, სემიტურ-ირანული წარმოშობისაა. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არაბული იყო რელიგიისა და მეცნიერების ენა, ხოლო ირანისმების შეჭრას თ. ე-ში ხელს უწყობდა სპარს. ლიტ-რა. ამიტომაც ხშირად ბევრი არაბ. და სპარს. ლექსიკური ერთეული via turcica აღმოჩნდა ქართულში. მათგან ზოგი სიტყვა, რიც თურქულში უკვე აღარ ფიგურირებს, ქართულს შემორჩენია (მაგ., ყორჩიბაში).

ლიტ.: ჯიქია ს., „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის. – «სმამ», 1944, ტ. 5, №2; მისივე, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში. – «იკე», I, თბ., 1946; მისივე, შენიშვნები „სიმინდ-სემადალის“ შესახებ. – «თსუ შრომები», 1947, 30b–31b; მისივე, О грузинско-азербайджанских языковых взаимоотношениях. – «ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები», ტ. 2, თბ., 1957; მისივე, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან. I. – იქვე, ტ. 3, 1960; II. – «თსუ შრომები». აღმოსავლეთმცოდნეობა. 1987, ტ. 273; ბელთაძე მ., XVIII ს. თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიფციით. – «თსუ შრომები», 1967, ტ. 121; აბულაძე ც., ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., 1968; გურგენიძე ნ., აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ., 1973; შერეაშიძე ლ., ტაიჭის შესახებ. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1985; შაყულაშვილი გ., ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1987; რუხაძე ლ., თურქიზმები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, თბ., 1993; ბაღათურია ნ., თურქიზმები მესაქონლეობის ლექსიკაში. – «ენათმეცნიერების ინსტიტუტის 51-ე სამეცნ. კონფერენცია», თბ., 1993; მისივე, ალიკაპის ეტიმოლოგიისათვის. – «ენათმეცნიერების ინ-ტის», 52-ე სამეცნ. სესია», თბ., 1993; მისივე, ჯალაბთაურ-ქართული ურთიერთობიდან. – «ენათმეცნიერების ინსტიტუტის 53-ე სამეცნ. სესია», თბ., 1994; მისივე, ლაფშას ეტიმოლოგიისათვის. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», VI, თბ., 1996; მისივე, თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. – კრ.: «ეტიმოლოგიური ძიებანი», VI, თბ., 1997; გურგენიძე ნ., ჯიქია მ., თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბ., 1994; ჯიქია მ., თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმებში. – «სადისერტაციო მაცნე», თბ., 1995; Баскаков Н. А., Тюркские языки. – В кн.: Языки народов СССР, т. 2, М., 1966; Джанелидзе В. Т., Ингилойский диалект в Азербайджане. Вопро-

сы грамматической и лексической интерпретации. Тб., 1978; Серебренников Б. А., Гаджиева Н. З., Сравнительно-историческая грамматика тюркских языков. Фонетика, М., 1984; Морфология, М., 1988; Philologiae turcicae fundamenta, vol. I–2, Wiesbaden, 1959–64. *მ. ჯიქია.*

თუშური, ქართული ენის დიალექტი, რ-ზედაც მეტყველებს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის – თუშეთის მოსახლეობა.

თუშეთი საქართვ. უკიდურესი ჩრდ.-აღმ. ნაწილია, მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ-ით, მდინარეების – თუშეთის ალაზნისა და პირიქითის ალაზნის ხეობებში. თუშეთს ჩრდ-იდან ესაზღვრება მთიანი ჩაჩნეთი, აღმ-იდან – დაღესტანი, სამხ-ით – კახეთი და დას-ით – ფშავი და ხევსურეთი. იგი საქართველოს ის მაღალმთიანი რეგიონია, რ-ის სოფლებიც მდებარეობს ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მაღლა. XIX ს-ის II ნახ. და XX ს-ის I ნახ. მოხდა თუშეთიდან მოსახლეობის თითქმის მთლიანი მიგრაცია კახეთის ბარში, სადაც გაშენდა თუშებით დასახლებული სამი სოფელი – ზემო ალვანი, ქვემო ალვანი და ლალისჯური. მ. დღეს ამ სამ სოფელშია გაერცელებული. ისტ. თუშეთი კი ძირითადად გადაქცეულია მეცხოველეთა საზაფხულო საძოვრების ტერიტორიად, სადაც მოსახლეობა ადის ზაფხულობით. მუდმივი მოსახლეობის მცირე ნაწილი დარჩენილია მის მხოლოდ რამდენიმე სოფელში. თუშეთი სადღეისოდ წარმოადგენს მ-ის არა გაერცელების, არამედ მისი ფორმირების ტერიტორიას.

მ. ენობრივად აღმ. საქართველოს მთის დიალექტებს მიეკუთვნება და ფშაურ-ხევსურულ და მოხეურ დიალექტებთან ერთად ერთიანდება ე.წ. ფხოური კილოების ჯგუფში, ხასიათდება უაღრესი არქაულობით და ბევრ საერთოს ავლენს ძვ. და საშ. ქართულთან, არქ ენობრივი ნიშნის მიხედვით ეხმაურება ქართ. ენის სამხრ.-დას. დიალექტებს – აჭარულსა და იმერხეულს.

მ-ის ფონოლოგიურ ინვენტარში ღღეს სალიტ. ქართულისაგან განსხვავებული რამდენიმე ბგერა დასტურდება, რ-ებიც გრაფიკულად ასე გამოიხატება: ჴ, ჲ, ჽ, ჯ, უ. ამათგან ჴ დამოუკიდებელი ფონემაა, რის ფონეტ. სახეც და ფონოლოგიური დისტრიბუციაც მთლიანად ძვ. სალიტ. ქართულისას იმეორებს: ჴმალი, ჴელი, ჶორცი, ჴველა, ჶუმფელჽ, ჶაეილჽ და სხვა; ჲ დასტურდება ხმოვანფუძიან სახელებთან ფრაზის აბსოლუტურ ბოლოში (ანუ ფიქსირებული პაუზის წინ), როგორც სახ. ბრუნვის ნიშნის უმარცველო რეფლექსი: შდრ.: „ძმა მოვიდ“ და „მოვიდ ძმაჲ“. ასეთივეა: გზაჲ, თხაჲ, კატაჲ, დედაჲ, მამაჲ, ორმოჲ, დღეჲ და სხვ. ჽ გვხვდება აგრეთვე როგორც ხმოვნის ე.წ. „ფშვინვიერი შემართვა“ ჩვენებითი ნაცვალსახელების თაკილდურად: ბახლ, ჩაქ... ჽ აგრეთვე სახ. ბრუნვის რეფლექსია თანხმოვანფუძიან სახელებთან ფრაზის იმავე პოზიციაში, სადაც ჲ დასტურდება: შდრ.: ცხენ მომიკედ და მომიკედ ცხენჽ; აგრეთვე: ცხვარჽ, ძაღლჽ... ჯ – ფარინგალური მკვეთრი ბგერაა. იგი გამოხატავს ხმოვნის ძლიერ დამართვას და ახასიათებს პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე პოზიციურად მიღებულ გრძელ ხმოვნებს: გაცჯენ, მიცჯვან, შეცჯტან, შეცჯარ, გიცგუ, მიცჯარ. ივარაუდება სიტყვა-ფორმების ასეთი ტრანსფორმაცია: მოიჯარა → მიიჯარა → მიცჯარ. ჯ, როგორც ძლიერი დამართვა, ახასიათებს აგრეთვე სუფიქსურ -ა-ს: მამალაცჯ, დედალაცჯ, ნაცარაცჯ, თაეადაცჯ; დასტურდება აგრეთვე პირთა სპეციფიკურ თუშურ სახელებში: მაცოჯ, შაცოჯ, დაცოჯ. უ ბგერა ის ფონეტ. ერთეულია, რიც მ-ს განასხვავებს ქართ. ენის ყველა სხვა დიალექტისაგან და ნახური ენების (ბაცბური, ჩაჩნური) გავლენის შედეგადაა მიჩნეული. უ ო-ს უმარცველო ალოფონია და ვლინდება როგორც III სუბიექტ. პირის ნიშნის ალომორფი სმნური სიტყვაფორმის აბსოლუტურ ბოლოში: გიცგუ (გაიგო), წიცღუ (წაიღო), მოიცგუ (მოიგო). ფონეტ. პოზიციის შეცვლის შემთხვევაში ო ხმოვანი სრული სახით აღდგება: წიცღოვ (წაიღოო), გიცგო (ხომ გაიგო).

ფონეტ. პროცესებიდან მ-ს ახასიათებს როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა რეგრესული *ასიმილაცია*. ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის შედეგია ხმოვნების საბოლოო შერწყმა გრძელ ხმოვნად, რაც უვითარდება ძლიერი დამართვა. თანხმოვნებში ასიმილატორებია ხშული ბგერები, ასიმილაციას კი სპირანტები განიცდიან: ზდველ ← სთველი, ჟჯაერობ ← სჯაერობ, ღგლევჯ ← ჰგლევჯ...

მ-ის მორფოლ. თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: სახ. ბრუნვის ნიშნად ფრაზაში სიტყვის პოზიციის მიხედვით ხმოვანფუძიან სახელებთან მონაცვლეობს Ø და ჲ, თანხმოვანფუძიან სახელებთან – Ø და ჽ: ფრაზის შიგნით რეალიზდება Ø ალომორფი, ფრაზის ბოლოს – ჲ და ჽ: ღედა მოვიდ – მოვიდ ღედა; კაც გამოჩინდ – გამოჩინდ კაცჽ. მოთხრ. ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ერთი ალომორფი – მ გვაქვს როგორც ხმოვან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან: ძაღლმ დამაშინ, მგელმ შეჭამ; თხამ დიცჩხავლ. ადგილობითის მნიშვნელობით გამოიყენება უთანდებულო მიც. ბრუნვა: დიკლოს (დიკლოში) მოიდა დიდი – და სახელის ფუძე უსუფიქსოდ: ხისო (ხისოში) გარიგდა ჯარია, ქალაქ (ქალაქში) დაგიბეს პატრონი. გამოსვლითობის მნიშვნელობა აქვს ა სავრცობიან მოქმ. ბრუნვის ფორმებს: ციხითა (ციხიდან) გადმოფრენილმა შუა გახია ჯარია. ნანათესაობითარ სახელთა ეით. ბრუნვის უთანდებულო ფორმები ასრულებს -თვის თანდებულიანთა ფუნქციას: დედისად (დედისთვის) ეთქვ შვილს, ცხენისადაე (ცხენისთვისო) პატა ქერ მჭირდებაე (ამ ფაქტის კვალიფიკაცია სხვაგვარადაც შეიძლება: ნათ. ბრუნვის -თვის თანდებულს მ-ში -ად შეესაბამება). წოდ. ბრუნვის -ო მ-ში ხშირად -ჟდ რედუცირდება: ბიჭვ (ბიჭო) რაცს აკეთებ? მ-ში ორიგინალურია ე.წ. ლოკალურ ბრუნვათა „სადაობით-გამოსვლითი“ ფორმები -ზეით(ა) და -შიით(ა) ბოლოსართებით, რთაც შეიძლება რთული თანდებულების კვალიფიკაციაც მიეცეს: მთაზეით (მთიდან), ოთელო, გადახვედ, ჩემ გულით ჯაერო – რად-ვერა. ცხვარშიით მომოალაცმ მნახ. ამგვარი ე. წ. სადაობით-გამოსვლითები შე-

იძლება ხელახლადაც იბრუნოს: მთაზეითამ (მთაზე მყოფმა) გადმოსძახა, რაცხ ხართავ? უჩინაჯშითამ (სიბნელეში მყოფმა) გამოეხედბ. -ებ-იანი მრავლობითით გაფორმებულ სახელს მოთხრ. ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის -მ ფორმანტის ნაცვლად -თ დაერთვის: თუშებთ ჩაზძახეს ლეკებსა, ეხლ უნდა ესცადოთ თავიო. ობიექტ. პირის ნიშნით აისახება როგორც პირდ., ასევე ირ. ობიექტი, სახელობითბრუნვიანიც და მიცემითბრუნვიანიც: მოღგლიჯა ჩემი ფარეხი, ზეცას გახჶონდა გრიალი. ცას მოსწყდა წითელ მასკელავი. ობიექტ. პირის ნიშნებად დასტურდება ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ პოზიციური ალომორფები: ზძახს, სწოვს, ჟჯურავს, შრენს, ღბანს, ხპარავს. ყველე ალომორფები გამოიყენება II სუბიექტ. პირის ნიშნებადაც: ზძრავ, სწევ, ჟჯაერობ, შრუნებ, ღბაბანებ, ხპეიტრობ. ნამყო უსრულში III სუბიექტ. პირის მრავლობითობის ნიშანი -ეს ფორმანტია. -ენ-ს აქ თ. არასოდეს ხმარობს: წიცყვანდეს, ჩაცწევნდეს.

თ-ის ზმნის დრო-კილოთა სისტემაში დადასტურებულია უწყვეტლისა და წყვეტილის ხოლმეობითის მწკრივები, რ-ებსაც I და II პირის ფორმებთან -იდ, ხოლო II პირის ფორმებთან -ი სუფიქსები აწარმოებს: ვაკეთებდ-იდ, აკეთებდ-იდ, აკეთებდ-ი-ს; გავაკეთიდ, გაცკეთ-იდ, გაცკეთ-ი-ს. ამ მწკრივთა მეორე პირის ფორმები კონტექსტის მიხედვით ზოგჯერ თხოვნის მნიშვნელობასაც შეიცავს და ასედაც ეხმიან – თ ხ ო ვ ნ ი თ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ე ბ ი: უთხრიდით დოჭუელებსა, დაძრან ბურაყის ტარიო. თხოვნის გამოსახატავად თ-ს სპეციალური -ღ ნაწილაკიც მოეპოვება, რ-იც წინადადების სხვადასხვა წევრს დაეროვის: ზედაღ შენ დაჯედ, ლამაზო; ბილღოელებსაღ უთხრიდით, კიცვაცს უჭირონ მჭარიო. ეს ნაწილაკი ზოგჯერ ე. წ. თხოვნით ბრძანებითებსაც დაერთვის და თხოვნის შინაარსს აძლიერებს: უთხრიდიღ ჩემსა მაგივრად შენთანაღ დაიძინოსა. ნატერიობის გამოსახატავად ძალზე პროდუქტიულია -მც(ა) -მ ნაწილაკი: დაიმც ვიყვეიდი ძმიანი, მარჯაკლებ მეეალნიანა, ნუმც გამათხოის მამამა, ქალსამ თავ მიდიდიანა. აგრეთვე ორიგინალურია თ-ში მტკიცებითი -წ ნაწილაკი: მეაწ (მე ხომ) შენ არას შეგირთაე; ცხენო, გატყობაწ (ხომ გატყობ), გეშინის. ასეთივე მნიშვნელობის გამაძლიერებელი ფუნქცია აქვს -ოდ ფორმანტს: დიდიოდ (მთლად დიდი, ყველაზე დიდი) რომელიც იყვე, იცს დაეიჭირძ.

თ-ს აქვს მნიშვნელოვანი სინტაქსური თავისებურებანიც: მსაზღვრელი საზღვრულს ბრუნვაში სრულად ითანხმებს: ჩემის მამის სალოცავმ დალახეროს; მაღალმ ღმერთმ მოხკითხოს; ჩემს ძმას დავიფიცავ; კარგაცს გზას ვანახვევ. ამავე დროს, ატრიბუტული მსაზღვრელი სოგჯერ საზღვრულთან უბრუნველია: მაღალაც ცხენრ, მაღალაც ცხენმ, მაღალაც ცხენს, მაღალაც ცხენის, მაღალაც ცხენით _ სახელობითბრუნვიანი ობიექტი ზმნას რიცხვში ყოველთვის ითანხმებს, არა აქვს მნიშვნელობა მრავლობითის წარმოება ებ-იანია თუ ნარ-იანი: მჭრები დაეცარენი ქსლობა ჯარნობასა; ხუთ გარეე მორეკენეს. ნ ფორმანტი თავს იჩენს ნამყოში სუბიექტის მრავლობითის -ეს მაწარმოებლის გვერდითაც: სუ მოელ ქალებ დათხოვდნეს.

თ. მდიდარია დიალექტური ლექსიკით, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: განსაკუთრებული საცხოვრებელი გეოგრ. გარემო, ცხოვრების მთაბარული წესი, სხვა კუთხეებისაგან განსხვავებული სამეურნეო ყოფა-საქმიანობა, ორიგინ. ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებები, სიახლოვე ნახურ და დაღესტნურ ენობრიე სამყაროსთან და სხვ.

ლიტ.: უთურგაიძე თ., თუშური კილო, თბ., 1960; ქურდღელაიძე გ., თუშეთი, თბ., 1983; ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, II, თბ., 1989; 1998; ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბ., 1993.

გ. ცოცანიძე.

თხრობითი წინადადება, წინადადება, რ-ითაც გადმოიცემა რაიმე ცნობა ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის დადასტურების ან უარყოფის სახით. თ. წ-ში შემასმენელი, ჩვეულებრივ, გადმოცემულია ზმნის თხრობითი კილოს ფორმით („მზე წითლად-ყვითლად ელვარე ღუოდა“, ი. ჭავჭ.). თხრობითი შინაარსის რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ კომპონენტში ზმნა (შემასმენელი) შეიძლება იყოს კაეშირებითი კილოს ფორმითაც („ქვეყნად რომ ერთიც დარჩეს ქართველი, აკვნებს გამართავს, ვაზს გაახარებს“, გ. აბაშ.). თ. წ., სხვა ტიპის წინადადებებისაგან განსხვავებით (კითხვითი, ბრძანებითი..), თითქმის არ აელენს მთქმელის დამოკიდებულებას და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს. მტკიცების მიხედვით თ. წ. არის წართქმითი („არსენამ როსტომს ტყეში დარჩენილთა ამბავი გამოკითხა“, მ. ჯავახ.) და უკუთქმითი („ახალმოსულ თოელს, ყინვადაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა“, ი. ჭავჭ.). აგებულების, ანუ სტრუქტურის მიხედვით თ. წ. შეიძლება იყოს მარტივი („განდეგილმა მეფემ უცხოობაში დალია სული“, ნ. ლორთქ.), შერწყმული („არწივთა, შუნთა და ხარ-ჯიხვთა რქა გადუდეით რქაზედა“, ვაჟა-ფშავ.) და რთული („ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველნი გალობენ“, ვაჟა-ფშავ.). საერთოდ, თ. წ-თვის, მიუხედავად მისი აგებულებისა, დამახასიათებელია დამავალი ინტონაცია. მარტივ წინადადებაში წინადადების თავიდან ბოლოსაკენ ტონი თანდათან დაბლდება. რაც უფრო ერცელია წინადადება, მით უფრო რთულია ტონის მოდულაცია. რთულ წინადადებაში ტონი მაღლდება პირველი შემადგენელი წინადადების ბოლოს, სულ ერთია, მთავარია იგი თუ დამოკიდებული (კარგი იქნება, თუ მოხვალ. შდრ. თუ მოხვალ, კარგი იქნება). ტონის ამაღლება ხდება შერწყმულ წინადადებაშიც ერთგვარი წევრების ჩამოთვლისას („ჩიტმა დიდი მადლობა შესწირა ღმერთს, ტყეს, ყველა მცენარეს, ფრინველთ და ნადირთაც კი“, ვაჟა-ფშავ.). თითოეული ერთგვარი წევრი, გარდა უკანასკნელისა, წარმოითქმის ამაღლებული ტონით, წყვეტილად (ე. ი. ხმა შეწყდება მომდევნო სიტყვის დაბალი ტონით დაწყებამდე); ტონის ამგვარი

ამაღლება არის ე. წ. მოლოდინის ინტონაცია (გ. ახვლედიანი). შედარებით მშვიდი, დამავალი ინტონაცია განასხვავებს თ. წ-ს სხვა სახის მოდალური წინადადებებისაგან. სიტყვათა განლაგება მარტივ თ. წ-ში თავისუფალია, მაგრამ უპირატესობა მაინც ენიჭება ზმნის წინადადების ბოლოს მოთავსებას, ჩვეულებრივ, წინადადება იწყება ქვემდებარით („დღემ დაიხურა პირბადე", ვაჟა-ფშაველა). ლოგიკური მახვილის მქონე სიტყვა, წესისამებრ, ზმნის (შემასმენლის) წინ დგას.

ლიტ.: გორგაძე ს., ქართული სადასიტყვაობა, ტფ., 1915; ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; დაეითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ბასილაია ნ., წინადადების ტიპები მტკიცებისა და შინაარს-ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით, თბ., 1983; აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986; კიზირია ნ., სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბ., 1987; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996. *ლ. კვანტალიანი.*



Ი, ქართული ანბანის მეცხრე (ძვ. ქართ. ანბანის მეათე) ასო. მისი სახელია „ინი“; გრაფ. სიმბოლო წინა რიგის მაღალი აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი ფონემისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴈ. მისი მოხაზულობა ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. ⴈ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში Ი-ს მარტივი რკალური ფორმა აქვს. ნუსხურსა და მხედრულში იგი შუა ორ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალაეში აღნიშნავდა ათს (10).

ᲘᲐᲓᲒᲐᲠᲝ (სპარს. yadgâr – ხსოვნა, სახსოვარი), ქრისტიანული ღვთისმსახურების ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ქართული ჰიმნოგრაფიული კრებული. მასში თავმოყრილია საეკლესიო წელიწადის სხვადასხვა პერიოდისათვის განკუთვნილი განსხვავებული ფორმისა და დანიშნულების საგალობლები; Ი. არის ღვთისმსახურების იერუსალიმური წესის ამსახველი ძეგლი, რ-ის ბერძნული მოდელი ჩვენამდე მოღწეული არ არის. Ი-ის შედგენილობის თავისებურებაა კალენდარულ დღესასწაულთა რიგის ქრისტეს შობით დაწყება; მარტსა და აპრილს შორის ჩართულია დიდმარხეისა და ზატიკის მოძრავი პერიოდების საგალობლები; შეიცავს ე. წ. აღდგომის დასდებლების, ანუ ოქტოიქოსის საგალობლების რვახმიან კომპლექტს.

Ი-ის არსებობა VII ს. დასასრულიდან ივარაუდება და იგი სხვადასხვა რედაქციით არის ხელნაწერებში წარმოდგენილი. უძველეს რედაქციაში პალესტინური ლიტურგიკული პოეზიის ადრეული ნიმუშების, ძირითადად V–VII სს. თარგმანებია. საგალობლების ეს ფონდი ასახავს ლიტურგიკული გალობის ფორმების განვითარების იმ ეტაპს, როცა ბიბლ. ოდებისა და ფსალმუნების (იხ. *ფსალმუნი*) მისამღერებლად (რეფრენებად) განკუთვნილი მარტივი მონოსტროფული საგალობლების გვერდით ქრისტ. ღვთისმსახურებაში დამკვიდრება იწყო საგალობელთა ახალმა, მრავალსტროფიანმა და მრავალკომპონენტიანმა ფორმებმა (სტიქარონებმა და ჰიმნოგრაფიული კანონის ადრეულმა ნიმუშებმა). კრებულის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ტიპიკონის მნიშვნელობის მქონე უძველესი ლიტურგიკული ძეგლის, „იერუსალიმური კანონარის“, ანუ ლექციონარის ვრცელი ქართ. ვერსიის სტრუქტურა და მასში ასახული მონოსტროფული საგალობლების უძველესი ფენა, რ-მაც ახ. ფორმის საგალობლებთან ერთად შეადგინა პირველი დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებული. ქართ. საღვთისმსახურო პრაქტიკაში Ი-ის ძვ. რედაქცია დამკვიდრებული იყო VII – IX სს-ში.

IX – X სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა Ი-ის მთლიანად განახლებული რედაქცია. ეს ფაქტი განპირობებული იყო VIII ს-ში ბერძნ. საეკლესიო მუსიკის რეფორმით, რ-იც საბაწმიდის მონასტერში განხორციელდა. წარმოიშვა გალობის ახ. ფორმები, დამყარებული საგალობლების რიტმულ-მუსიკალურ სასომთა – ძლისპირთა და ტროპართა შორის არსებულ სილაბურ თანაფარდობაზე. ითარგმნა და შედგა ძლისპირთა ქართ. კრებულები, რაც თარგმნილი და ორიგინალური ახ. რეპერტუარის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ახ. Ი-ის შევსების პროცესი X ს. დასასრულამდე გაგრძელდა. Ი-ის ღღემდე მოღწეული ყველა ნუსხა X ს. თარიღდება. მათი უდიდესი ნაწილი პალესტინის ქართ. სამწერლო კერებშია შედგენილი და ამჟამად ქართ. ხელნაწერთა სინურ კოლექციაშია თავმოყრილი. Ი-ის ძვ. და X ს. რედაქციის ნუსხებმა შემოინახეს ბერძნულიდან თარგმნილი მრავალრიცხოვანი საგალობელი ტექსტი, რ-თა დიდ ნაწილს დედნები არ ეძებნებათ. ნუსხათა ნაწილში საგალობლებს ახლავს აღნიშენები ნეუმური მუსიკალური დამწერლობით.

X ს. რედაქციის ხელნაწერთა შორის გამორჩეულია *მიქაელ მოდრეკილის* მიერ შედგენილი კრებული (978–988), რ-შიც ფაქტობრივად შეჯამებულია დიდი Ი-ის ჩამოყალიბების პროცესი და ყველა-

ზე სრულადაა წარმოდგენილი ქართველ ჰიმნოდთა შემოქმედება.

ქართულ Ი-ებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიის კელეციისათვის, რადგანაც ისინი „იერუსალიმურ ლექციონართან“ ერთად ასახავენ ჰიმნოგრაფიის განვითარების უწყვეტ პროცესს XI ს. დამდეგამდე, როცა Ი-მა, როგორც ჰიმნოგრაფიული კრებულის აღრეულმა სახემ, აღგილი დაუთმო ღვთისმსახურების ბიზანტ. წესისათვის დამახასიათებელ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებს.

Ი. დიპლომატიკური ტერმინიცაა და ზოგჯერ შეწირულობის სიგელის მნიშვნელობით იხმარება.

გამოც.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წგ. I – ტექსტები. VIII–X სს., ტფ., 1913; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1970, საბ. №№231, 233; ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X–XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971; უძველესი იადგარი, გამოსაც. მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980; Les hymnes de la Résurrection, I. Hymnographie liturgique géorgienne. Textes du Sinaï 18. Introduction, traduction et annotation par Ch.Renoux, Paris, 2000.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე ე., უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუნისა. – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური რედაქცია, ნაკე. I. შეადგინეს: ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა და ლ. ჯღამაიამ, თბ., 1978; ხ ე ვ ს უ რ ი ა ნ ი ლ., ჯ ღ ა მ ა ი ა ლ., X საუკუნის დიდი იადგარის ერთი ნუსხის შესახებ. – «მრავალთავი», (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), XVIII, თბ., 1999; К е к е л и д з е К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тфл., 1908. *ლ. ხევსურიანი.*

ია ლ ღ უ ზ ი ძ ე (ნამდვ. გვარი – გ ა ბ ა რ ა თ ი) იოანე გიორგის ძე [1775, სოფ. ზალდა, – 5 (17). VIII. 1830, თბილისი], ოსი პოეტი, პედაგოგი და სას. მოღვაწე. დაიბადა ახნაურის ოჯახში. ერეკლე II-ის შუამდგომლობით მიაბარეს დავითგარეჯის მონასტერში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილ. სას. სემინარიაში. სას. საქმიანობა დაიწყო გადამწერობით (ორჯერ გადაუწერია ვეფხისტყაოსანი). 1815–21 მუშაობდა თბილისში, ოსეთის სას. კომისიაში თარჯიმნად. ქართულიდან ოსურად თარგმნა სას. წიგნები: „საცისკრონი ლოცვანი“ („ლოცვანი, კატეხიზმოსი და მოკლე ქრისტიანები ზნეობითი სწავლა“, ტფ., 1820); „გამოკრებილი კურთხევანი“ („დაიბეჭდა გამოკრებილი ესე კურთხევანი ქართულსა და ოსურსა ენასა ზედა მოსკოვს“, 1824). Ი-ს უთარგმნია ოთხთაეი (დაცულია ხელნაწერი). 1820-დან თბილ. სას. სემინარიაში ოს ბავშვებს ასწავლიდა რუს. და ქართ. ენებს. 1820 ქართ. გრაფიკის (*ნუსხურისა* და *მხედრულის*) საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი, ხოლო 1821 – პირველი საანბანო წიგნი ოსურ ენაზე. Ი-ის პოეტური შემოქმედებიდან აღსანიშნავია პატრიოტული პოემა „ალღუზიანი“ (1885, ქართ. ენაზე).

ლიტ.: ა ხ ა ყ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ოსური ენის ისტორიისათვის. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1925, ტ. 5; თ ე დ ე ე ვ ი ო., ქართული ოთხთაეის ოსური თარგმანის ისტორიისათვის. – «თსუ შრომები», 1964, ტ. 108; Г у к а е в Дз. А., О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе. – «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института», 1955, вып. 7. *მ. ქურდიანი.*

ია შ უ ე ტ უ რ ი ე ნ ე ბ ი, ქართულისა და მისი მონათესავე ენების აღმნიშვნელი ტერმინი. შემოღებულია ნ. *მარის* მიერ ენათმეცნიერებაში იმ დროისათვის დამკვიდრებული ტერმინების – სემიტურისა და ქამიტურის ანალოგიით. ახ. ტერმინის შემოტანა განაპირობა იმჟამინდელ მკვლევართა „სქოლასტიკურმა“ დამოკიდებულებამ ქართ. ენასთან და ქართველური ენების მსხვილი ენობრივი ოჯახებიდან იზოლირებულად წარმოდგენის ტენდენციამ. ტერმინი ნაწარმოებია ბიბლ. ნოეს უმცროსი ვაჟის – იაფეტის სახელისგან. ამით ხაზი ესმებოდა Ი. შ-ის ნათესაობას სემიტური (ქამიტური) ენების ოჯახთან.

Ი. შ-ის ისტორია 1908-იდან იწყება, როდესაც პეტერბურგის უნტმა გამოსცა ნ. მარის კაპიტალური ნაშრომი „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები ქართულის სემიტურთან ნათესაობის წინასწარი უწყებით“. ქართ. ენის სემიტურთან ნათესაობის იდეამ მოითხოვა ქართულის მონათესავე ენების შესწავლა. ამ დენად, Ი. შ-ის ბირთვს ქართველური ენები შეადგენდა. აქედან დაიწყო Ი. შ-თა წრის გაფართოება: 1909–13 დიდი ყურადღება დაეთმო სომხურის, ოსურისა და მთის კავკ. ენების (ნახურისა და დაღესტნური ჯგუფების) შესწავლას. აფხ.-ადიღ. ენების ფართოდ შემოტანამ Ი. შ-ის წრეში წინ წასწია მკვდარი ენების – ელამურის, შუმერულის, ქალდეურის, პელაზგურისა და ეტრუსკულის აქამდე უცნობი ენობრივი მოვლენების ახსნის საქმე და Ი. შ-ის ოჯახი შეივსო მკვდარი სამწერლობო ენების ფართო სპექტრით.

1917-იდან ფართოვდება Ი. შ-ის საზღვრები. ყურადღების ცენტრში მოექცა პირენეს ნ.-კ-ზე გავრცელებული *ბასკური ენა*, აგრეთვე



მცირე იადგარი. 987.

ქარაქუმის მთიანეთში გავრცელებული ბურიშული (ბურუშასკი), ვერშიყული, 1920-იდან კი – რიგი რომანული ენები, ასევე ირლანდიური და კელტური. 1922-იდან გაღრმავდა ესპანეთის ბასკების ენის შესწავლა, ალბანურში კი გამოიკვეთა ილირიულის სუბსტრატი. ი. ე-ის თეორიამ იმჟამინდელ ევროპაში ფართო გამოხმაურება პოვა. მაგ., ფ. ა. ბრაუნი ძვ. გერმ. ენის ძირებს ი. ე-ის საშუალებით ხსნიდა და ა. შ.

1924 წ. მარმა ქურადღება მიაქცია ეოლგისა და კამისპირეთის ენებს: ბულგარულს, ხაზარულს, ჩუვაშურს, სირანულს, ეოგულურს, ოსტიაკურს და გააერთიანა ისინი ი. ე-ის ოჯახში. 1926–31 ი. ე-ის წრე გამდიდრდა სკვითური, გურთული, ბრეტონული და გოთური ენებით.

კვლევის შემდგომ გაღრმავებას შედეგად მოჰყვა ახ. ენათმეცნ. თეორიის შექმნა (იხ. *იაფეტური თეორია*) და ტერმინი „ი. ე.“ გლოტოგონიური პროცესის ერთიანობის განსაკუთრებული სტადიის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული (იხ. *ენათა სტადიური კლასიფიკაცია*).

ლიტ.: Марр Н. Я., Избр. работы, т. I–V, М.–Л., 1933–37; Марр Н. Я., Кавказ и памятники его духовной культуры. – «ИАН», СПб., 1912; მისივე, Халдская клинообразная надпись из села Леска Ванского округа. – იქვე, 1915; მისივე, Кавказский культурный мир и Армения. – «Журнал министерства народного просвещения», 1915; მისივე, Ossetica-Japhetica. – «ИАН», П., 1918; მისივე, Армянский термин ачдау, იქვე, 1920; მისივე, Предварительный отчет по командировке в пределы древней Этрурии и Баскию. – იქვე, 1921; მისივე, К вопросу об яфетидизмах в албанском. – «Яфетический сборник», I, П., 1922; მისივე, Абхазско-русский словарь. Пособие к лекциям и в исследовательской работе, Л., 1926; Меликсет-Бекова Л. М., Академик Н. Я. Марр и яфетическая теория, 1936; Мещанинов И. И., Марр – основатель советского языкознания, М.–Л., 1949.

ზ. ბაბუხადია.

იაფეტური თეორია, ი ა ფ ე ტ ი დ ო ლ ო გ ი ა, ნიკო მარის მიერ 1923–34 წლებში შექმნილი საენათმეცნიერო თეორია (ე. წ. ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება) ერთიანი გლოტოგონიური პროცესების (ენის წარმოშობისა და განვითარების) შესახებ.

თავდაპირველად ტერმ. „იაფეტიდოლოგია“ იაფეტური ენების კვლევა-ძიებას გულისხმობდა (იხ. *იაფეტური ენები*), მაგრამ შემდეგ იგი მსოფლიო ენათშემოქმედების შემსწავლელი სამეცნ. დისციპლინის სახელწოდებად იქცა. შესაბამისად, იაფეტიდოლოგიის კვლევის ობიექტი პალეოგლოტოგონია გახდა. ამით ის განსხვავდება ინდოევროპეისტიკისაგან, რ-იც იაფეტიდოლოგიის თვალსაზრისით ენათა ნეოგლოტოგონიურ პერიოდს შეისწავლის. კვლევის ობიექტთა ამგვარი სხვაობა საფუძვლად დაედო იაფეტიდოლოგიისა და ისტ.-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდებს შორის პრინციპულ განსხვავებას. ამის გათვალისწინებლობა ყოველთვის ქმნიდა სერიოზულ ბაკუნებს ი. ე-ის ირგვლივ.

ი. ე. ორ ძირითად პოსტულატს ემყარება: 1. ქველაფერი სტადიებისა და 2. ქველაფერი შრეების, ფენების მიხედვით. პირველი პოსტულატი გულისხმობს, რომ ენის განვითარების მთელ მანძილზე ადამიანის აზროვნება რამდენჯერმე ძირფესვიანად შეიცვალა, აზროვნების ერთი სტადია ცვლიდა მეორეს. ყოველი სტადიის შიგნით ცვლილებები ევოლუციურად მიმდინარეობდა, ახ. სტადიაზე გადასვლა კი ხდებოდა რევოლუციურად, ძვ. აზროვნების ნორმების მსხვრევით და ახ. ნორმებზე გადასვლით. სტადიური ძერები იმდენად ძლიერი იყო, რომ ახ. თაობები ძველთან შედარებით სხვა სამყაროდან მოსულს ჰგავდნენ. თუკი აზროვნება ამ ძერებში ვერავითარ კვალს ვერ ტოვებდა, ენა აღმოჩნდა ის ფენომენი, რ-იც ამ ცვლილებათა კვალს შრეების სახით ინარჩუნებდა. სწორედ მათი საშუალებით შეიძლება აზროვნების სტადიური განვითარების საფეხურების ამოცნობაც. ბუნებრივია, რომ აზროვნების პარალელურად იცვლებოდა ენაც, მაგრამ, აზროვნებისაგან განსხვავებით, ენა ახ. საფეხურზე გადასვლისას, აზროვნების ახ. სისტემაზე მორგებისას და ახ. წესზე თავისი ელემენტების გადახარისხებისას ინარჩუნებდა ძველი მდგომარეობის ელემენტებს – დანალექებს, დანაშრევებს. სწორედ ამ დანაშრევების საშუალებით შეიძლება გავიგოთ, თუ როგორი იყო ენა და აზროვნება სტადიური განვითარების წინა საფეხურზე. ამდენად, ენობრივი მოვლენების ანალიზი ნიშნავს სიტყვის მნიშვნელობათა გათვალისწინებას სტადიების მიხედვით (და არა მხოლოდ ერთი სიბრტყიდან გამომდინარე, ჰორიზონტალურად).

ნ. მარის მეორე პოსტულატი გულისხმობს, რომ საზ-ბის განვითარების ადრეულ საფეხურებზე კოლექტივები ორგანიზებული იყო არა მათი წევრების სისხლისმიერი ნათესაობით, არამედ იმ წარმოების ხასიათის მიხედვით, რ-საც ისინი ეწეოდნენ. კოლექტივები ეთარდებოდნენ საწარმოო პრინციპის მიხედვით, ერთიანდებოდნენ ისე, რომ ქმნიდნენ ფენებს ერთ ახალ წარმოებაში. შემდეგ ეს ფენები გადაიქცეოდნენ უფრო დიდ დაჯგუფებებად („საწარმოო-სოციალურ დაჯგუფებებად“).

თანამედროვე ენების ანალიზისას მათში აღმოჩნდება იმდენი ფენა (შრე, დანალექი), რამდენი კოლექტივიც იღებდა მონაწილეობას მათ შექმნაში. ნასესხობები გვიანდელი, ნეოგლოტოგონიური პერიოდის ფაქტები ან გვიან ჩამოყალიბებული ენათშორისი კანონზომიერებებია, რ-ებიც წინა სტადიათა კანონზომიერებებისაგან ძირფესვიანად განსხვავდება.

იაფეტიდოლოგიას უშუალოდ უკავშირდება პალეონტოლოგიური მეთოდი (იხ. *ენათა სტადიური კლასიფიკაცია*), პალეოფონეტიკა, პალეოსემანტიკა, რ-ებიც მარისეული ზოგადი თეორიის კონტექსტში უნდა იქნეს გააზრებული.

მარის თეორია თავის დროზე გააკრიტიკეს როგორც ისტ.-შედარებითი ენათმეცნიერების, ისე საერთოდ ზოგადენათმეცნ. თვალსაზრისით. განსაკუთრებით გამკაცრდა კრიტიკა 1950-იდან, როდესაც იგი წარიმართა მარქსისტული ენათმეცნ. პოზიციებიდან და მიზნად დაისახა მარიზმის დაძლევა და ტრად. ლინგვისტიკის პრინციპების დაცვა. ამ საკითხებს მიეძღვნა სპეც. დისკუსია გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე (1950). დისკუსია გაიხსნა არნ. ჩიქობავას სტატიით. მასში მონაწილეობა მიიღო ი. სტალინმაც. დისკუსიის შემდეგ ამ მიმართულებით კვლევა პრაქტიკულად შეწყდა. მაგრამ

დისკუსიას სხვა შედეგიც მოჰყვა: გარკვეული დროით შეფერხდა ენისა და აზროვნების, ენათა ტიპოლოგიის, პალეოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის პრობლემათა კვლევა, რ-თაც თანამედროვე ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ლიტ.: Марр Н.Я., Избранные работы, т. I–V, М.–Л., 1933–37; Мещанинов И.И., Введение в яфетидологию. Л., 1929; Яковлев Н. Члены предложения и части речи, М.–Л., 1945; Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В. Сталина по языкознанию, М., 1952; Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании. Сборник статей, М., 1952; Абаев В. И., Н. Я. Марр (1864–1934). – «Вопросы языкознания», 1960, №1; Гухман М.М., Типологические исследования. – «Теоретические проблемы советского языкознания», М., 1968; Поливанов Е.Д., Избр. работы. Статьи по общему языкознанию, М., 1968. *ჭ. ბაბუხადია.*

ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, მეცნიერული თეორია იბერიულ-კავკასიურ ენათა (იხ. *იბერიულ-კავკასიური ენები*) სტრუქტურის, ისტორიისა და გენეზისის შესახებ. იბერ.-კავკას. ენათა მიმართ ინტერესი თვალსაჩინო ხდება XVIII ს-ის II ნახ-იდან. პირველი ცნობები ამ ენათა შესახებ უკავშირდება ი. *გიულდენშტედტის* სახელს. მის „მოგზაურობათა“ II ტომში (1791) წარმოდგენილია როგორც ქართველური ენების (ქართული, მეგრული სვანური), ისე მთის კავკასიური ენების (აფხაზური, ყაბარდოული, ჩაჩნურ-ინგუშურ-თუშურის, ხუნძურის, ანდიურის, დიდოურის, დარგუულისა და ლაკურის) ლექსიკური მასალა (გაბმული ტექსტები). ლექსიკური შედარებების საფუძველზე ამ ენებში მან გამოყო საერთო წარმომავლობით დაკავშირებულ ენათა ოთხი ჯგუფი: 1. ქართული, მეგრული, სვანური; 2. ჩაჩნური, ინგუშური და თუშური (=ბაცბური); 3. ხუნძურ-დიდოური და დარგუულ-ლაკური; 4. ყაბარდოული და აფხაზური. თვით ჯგუფებს შორის ნათესაობის საკითხს გიულდენშტედტი არ შეხებია.

მთის კავკ. ენების (ხუნძურისა და ყაბარდოულის) პირველი, მოკლე და საკმაოდ ზერელე გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის ჰ. *კლაპროთს* (1814), მაგრამ ეს ნაშრომი, ლინგვისტური თვალსაზრისით, არსებითად მოკლებულია რაიმე მეცნიერულ ღირებულებას. XIX ს. I ნახევარში შეიქმნა გრამატიკული ნაშრომები მთის კავკ. ენათა შესახებ: ადიღეურის (1835–40), უდიურისა (1845) და ბაცბურის (1848), მაგრამ ეს ნაშრომები თავის დროზე არ გამოქვეყნებულა. კავკ. ენათა ნამდვილი მეცნ. ანალიზი იწყება გერმ. მეცნ. გ. როზენის შრომებით. როზენი ძირითადად ეხებოდა ქართვ. ენებს (მან პირველმა შეისწავლა ჭანური), მაგრამ იქვე წარმოადგინა აფხაზურის მოკლე გრამატ. მიმოხილვაც, რ-შიც მრავალი საყურადღებო დაკვირვება აქვს გამოთქმული. მან პირველმა მიუთითა აფხაზურ-ადიღურ და იბერიულ (ქართველურ) ენათა საერთო წარმომაელობაზე.

მთის კავკ. ენათა შესწავლის შემდეგი ეტაპები დაკავშირებულია ა. შიფნერის, პ. *უსლარის*, რ. *ერკერტის*, ა. *დირის* მოღვაწეობასთან, რ-ებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ამ ენათა კვლევაში. ინტერესს იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართ გასული საუკუნიდანვე იჩენდნენ რუსი და უცხოელი ენათმეცნიერები (პ. *შუხარდტი*, ა. სომერფელტი, გ. შმიდტი, გ. *დეეტერსი*, უ. დიუმეზილი, კ. ბოუდა, ჰ. *ფოგტი*, ი. მესაროში, ს. ბიხოვსკაია, ა. ბოკარევი, ე. ბოკარევი, ა. პენკო, ლ. ჟირკოვი, ნ. იაკოვლევი, გ. *კლიმოვი* და სხვ.). 1950-იდან აღნიშნულ ენათა კვლევაში განსაკ. ინტენსიურად ჩაებნენ ადგილობრივი კადრები (რთა უმეტესობას განათლება თბ. უნტში აქვთ მიღებული). ეს ენები დღეს უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ, გერმანია, ინგლისი, ნორვეგია, საფრანგეთი და ჰოლანდია...) შეისწავლება.

თსუ-ს დაარსებისთანავე „თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენების შესწავლა ჰქონდა დასახული“ (ი. ჯავახიშვილი). საფუძველი ჩაეყარა მთის იბერიულ-კავკ. ენათა სისტემატურ კვლევას ადგილზე: ა. შანიძე სწავლობდა წოვა-თუშურს, ს. ჯანაშია – აფხაზურსა და ადიღურს, არნ. ჩიქობავა – ხუნძურს, ვ. თოფურია – ლაკურს. არნ. ჩიქობავამ თსუ-ში კავკ. ენათა კათედრა დააარსა (1933), ხოლო ენათმეცნ. ინტში მთის იბერიულ-კავკ. ენათა განყ-ბა ჩამოაყალიბა (1936) და საქართველოში, იბერიულ-კავკ. ენათა კავკასიოლოგიური სხვა ცენტრებისგან (მოსკოვი, ლენინგრადი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩაჩნეთი და ინგუშეთი, აფხაზეთი, ყარაჩაევო-ჩერქეზეთი, ადიღე, აზერბაიჯანი) განსხვავებით, მთის იბერიულ-კავკ. ენათა ყოველი ქვეჯგუფის ენების შესწავლა დაიწყო. სწორედ უპირველესად აქ ჩატარებული გეგმაზომიერი კვლევა-ძიების შედეგად ი.-კ. ე. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად.

შესწავლილია მთის იბერიულ-კავკ. ენათა ცალკეული ენები და დიალექტები (ქართველურ ენათა შესახებ იხ. *ქართველოლოგია, ქართველური ენები*). ქ. ლომთათიძეს ეკუთვნის მონოგრაფიები: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944), „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის“ (1954); გამოქვეყნებულია ხ. ბღაჟბას „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი“ (1964), მ. ციკოლიას „აფხაზური ენის აბჟუური დიალექტი“ (1969), ლ. ჭკადუას „დროთა და ძირითად მოდალურ წარმოებათა სისტემა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში“ (1970) და სხვ. გამოცემულია ბ. ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (1954), ქართველ და აფხაზ ენათმეცნიერთა წერილები აფხ. ენის შესახებ. დაიბეჭდა გ. როგავას (თანაავტორი ზ. კერაშევა) „ადიღეური ენის გრამატიკა“ (1966). აფხ.-ადიღ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეძღვნება გ. როგავას „სახელის ფუძის აგებულება და გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში“ (1956) და „ორგანული და ნივთიერი კუთვნილების კატეგორია ადიღეურ ენაში“ (1980), ქ. ლომთათიძის „ლოკალურ პრეფერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში“ (1982), თ. გვანცელაძის „ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოების ძირითადი პრინციპები აფხაზურსა და აბაზურ ენებში“ (1991); ს. ჯანაშიას, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, ე. შენგელიას, რ. ჯანაშიას, თ. გვანცელაძის, ნ. მაჭავარიანის, ი. შადურისა და სხვ. ნაშრომები.

ნახურ ენათა სტრუქტურას ეხება მონოგრაფიები: „ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა“ (კ. ჭრელაშვილი, 1975), „ნახური ჯგუფის ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (დ. იმნაიშვილი, 1977); გამოიცა დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (1984); ასევე თ. გონიაშვილის, რ. გაგუას, ლ. სანიკიძის, ბ. შავხელი'შვილის, რ. ფარეულიძის, მ. ჩეხუას და სხვ. წერილები.

დაღესტნურ ენათაგან ცალკე ენებისა თუ დიალექტების მთლიანი მიმოხილვაა მოცემული მონოგრაფიებში: „ხუნძური ენა“ (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, 1962), „ანდიური ენა“ (ი. ცერცვაძე, 1965), „ბოთლიხური ენა“ (1963), და „ბაგვალური ენა“ (ტ. გუდავა, 1971), „ახვახური ენა“ (1967) და „კარატაული ენა“ (1971, ზ. მაჰომედბეკოვა), „დიდოური ენა ჰინუხურ და ხვარშიულ ენებთან მიმართებაში“ (დ. იმნაიშვილი, 1963), „დიდოური ენის ჰინუხური დიალექტი“ (1963) „ხვარშიული ენა, II ფონეტიკა“ (1998, ე. ლომთათიძე), „კუბაჩური ენა“ (1963), „თაბასარანული ენა“ (1965), „ალულური ენა“ (1970) და „დარგუული ენის მჰებური დიალექტი“ (1982, ა. მაჰომეტოვი); „უდიური ენა“ (1971), „წახური და მუხადური ენები“ ორ წიგნად: I. ფონეტიკა, II. მორფოლოგია (1984, უ. ჯეირანიშვილი); „უდიურის გრამატიკული ანალიზი“ (ვ. ფანჩვიძე, 1974); „არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნურ მონათესავე ენათა შორის“ (ო. კახაძე, 1979). დაღესტნურ ენათა ცალკეულ საკითხებს ეძღვნება: „ხმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ხუნძურსა და ანდიურ ენებში“ (1959), „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“ (1964) და „დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (ტ. გუდავა, 1979); „ლეზგიური ხმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ (1959), „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში“ (გ. თოფურია, 1994), „დარგუული ენის ფონეტიკა“ (შ. გაფრინდაშვილი, 1968), „დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“ (ბ. გიგინეიშვილი, 1978), „არსებით სახელთა მრავლობითის წარმოება დარგუსსა და ლაკურში“ (ლ. ღვინჯილია, 1978), „თანხმოვანთა შეთავსებადობის საკითხები ხუნძურ ენაში“ (ნ. ბარნოვი, 1983), „გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში“ (ო. კახაძე, 1984), „სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში“ (1984), „დიდოურ ენათა ეკალიზმის დიაქრონიული ანალიზი“ (1994), „სახელის მორფონოლოგიური კატეგორიები ბეჟიტურ ენაში“ (1996), „ზმნა და ნაზმნარი სახელები ბეჟიტურ (ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენაში“ (ე. ლომთათიძე, 2000); „ბრუნვათა შეჯგუნილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურში“ (1986), „ლაკური ზმნა“ (1987), „ზმნური სიტყვათწარმოება ლაკურ ენაში“ (გ. ბერჭულაძე, 1993). გარდა ამისა, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას გზამკვლევ სტატიებში, ნ. არღოტელის, ი. გუდავას, ტ. გურგენიძის, ბ. კიკვიძის, ვ. კიკილაშვილის, ტ. სიხარულიძის, ზ. ჯაფარიძისა და სხვ. წერილებში გამოკვლეულია ზოგიერთი დაღ. ენის ფონეტიკა-მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის კონკრეტული საკითხები.

იბერიულ-კავკ. ენათაგან ქართული სიჭა ენებთან გენეზისური ურთიერთობის საკითხი სჰკვ. ლიტერაში პირველად მ. *ბროსემ* წამოჭრა (1834) და ქართული მიაკუთვნა ინდოევრ. ენათა ოჯახს, ფ. *ბოპ-მა* კი ქართულთან ერთად სხვა ქართველური ენებიც აქ გააერთიანა (1846– 47). მ. მიულერმა (1854–55) ქართველური და, საერთოდ, კავკ. ენები ურალურ-ალთაურ ენებს დაუკავშირა. 1864 ფრ. მიულერმა და ჰ. უსლარმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, იბერიულ-კავკ. ენები ცალკე ოჯახად გამოყვეს. ნ. *მარმა* ისინი სემიტურ ენათა მონათესავედ მიიჩნია: ჩათვალა ჯერ იაფეტურ შტოდ, ხოლო შემდეგ (1916) – ცალკე ოჯახად. უფრო გვიან (1920-იდან) ნ. მარი იაფეტურ ენებს უკავშირებდა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის მკვდარ ენებსა და ცოცხალ ბასკურს, 1923-იდან კი მან საერთოდ უარყო ენათა გენეტ. ნათესაობა (იხ. *იაფეტური ენები, იაფეტური თეორია*). ნ. ტრუბეცკოი უარყოფდა ქართველურ ენათა მოის იბერიულ-კავკ. ენებთან ნათესაობას (1924). ნ. მარმა აღრევე (1926) შენიშნა, რომ ქართველურ ენათა მყარი მეცნ. კვლევა წარმოუდგენელია „მთის ქველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე“. იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერების ცენტრ. პრობლემას, იბერიულ-კავკ. ენათა შიდანათესაობას მიეძღვნა ი. ჯავახიშვილის „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937). ამ ენათა მორფოლ. სტრუქტურის კვლევის შედეგად ავტორი ასკვნის: ქართველური და მთის იბერიულ-კავკ. ენები ისტორიულად ახლომონათესაე ენები ყოფილან, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში დასცილებიან ერთმანეთს. მართლაც, იბერიულ-კავკ. ენათა ამ მიმართულებით შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ „ერთობა იქ ღადახტურდა, სადაც ახლა კვლაზე დიდი სხვაობა გვაქვს ... რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო“ (არნ. ჩიქობავა). მართალია, გენეტიკური ნათესაობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი – რეგულარული სახის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობანი – იბერიულ-კავკ. ენებში ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი, მაგრამ ცალკეული ჯგუფთაშორისი ძიებანი ამ მიმართულებითაც ტარდება (ნ. ტრუბეცკოი, ტ. გუდავა, ქ. ლომთათიძე). ასეთი ძიებისას კონკრეტულად და საზოგადოდ იბერიულ-კავკ. ენათა კვლევისას, ერთი საერთო სახის სიძნელე იჩენს თავს: ყოველი მათგანი, გარდა ქართულისა, მოკლებულია საკუთარ წერილობით ძეგლებს (იხ. *იბერიულ-კავკასიური ენები*) – ენის ისტ. ერთ-ერთ უპირველეს წყაროს. ამდენად, ისტ.-შედარებითი კვლევა აქ შეზღუდულია და, ბუნებრივია, ვერ გვაძლევს იმ შედეგებს, რასაც, მაგ., ინდოევრ. ენათა შესწავლა (არნ. ჩიქობავა). ამას გარდა, იბერიულ-კავკ. ენათა შორის ბგერათშესატყვისობათა დადგენის დროს ამ ენათა სხვა თავისებურებების გათვალისწინებაცაა საჭირო. ასე, მაგ., აფხ.-ადიღ. ენათაგან, რ-თა ნათესაობას არავინ უარყოფს, აფხაზურსა და აბაზურში ერთი რიგის თანხმოვანთა შორის უდავოდ დასტურდება „კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა, მაგრამ იგი არარეგულარული ხასიათისაა... მოიცავს თითო ან, საუკეთესო შემთხვევაში, ორ-ორ ძირეულ ერთეულს“ (ქ. ლომთათიძე). ეს კი ძირითადად შეპირობებულია იმით, რომ იბერიულ-კავკ. ენები ფონოლოგიური სის-

ტემის მიხედვით საზოგადოდ მრავალთანხმოვნიანია (მაგ., ინდოევრ. ენათა ორი ათეული თანხმოვნის ნაცვლად აქ ზოგჯერ 80-მდეა), ხოლო ძირთა შედგენილობით – ერთთანხმოვნიანი (ქ. ლომთათიძე). იმავე დროს, არნ. ჩიქობავას აზრით, განსაკუთრებულისწინებელია, რომ იბერიულ-კავკ. ენათა შორის, დიფერენციის პროცესთან ერთად ძალზე ძლიერია კონვერგენციული მოვლენებიც („კავკასია – ენათა მთა") და სხვ. კვლავ ძალაშია ისტ. ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანა, რ-იც ა. მეიემ ამ 100-ზე მეტი წლის წინ დასახა, – იბერიულ-კავკ. ენათა ისტ.-შედარებითი გრამატიკის შექმნა, რასაც, არნ. ჩიქობავას აზრით, უნდა მოჰყვეს ამ ენათა საერთო ძირების ისტ. ლექსიკონის შედგენა. ამ ძირითადი ამოცანების გადაჭრის შემდეგ შესაძლებელი გახდება იბერიულ-კავკ. ენათა შორის რეგულარული სახის კანონზომიერ ბეერაშესატყვისობათა დადგენა. ამას უნდა მოჰყვეს იბერიულ-კავკ. ენათა გარენათესაობის მტკიცება. უკვე დაწყებულია იბერიულ-კავკ. ენებთან წინა აზიის ძვ. არაინდოევროპული და არასემიტური ენებისა (პროტოხეთური, ხურიტული, ურარტული) და ბასკურის ისტ.-გენეტიკური ურთიერთობის საკითხთა კვლევა.

იბერიულ-კავკ. ენათა ისტორიისა თუ ცალკეული ჯგუფების შესახებ გამოქვეყნებულია განმაზოგადებელი სახის შრომები: „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია" (1965) და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი" (არნ. ჩიქობავა, 1979); „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები" (ქ. ლომთათიძე, 1976), „კლასოვანი და პიროვანი უღელილების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში" (ნ. ანდღულაძე, 1968). 1977 საქართვ. მეცნ. აკად. ენისა და ლიტ-რის განყ-ბასთან ჩამოყალიბდა ბასკური ენისა და კულტურის საზ-ბა. 1976 თსუ-ში ახ. ქართ. ენის კათედრაზე დაიწყეს მუშაობა ბასკური ენის პრობლემებზე: გამოქვეყნდა მონოგრაფიები: „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა" (არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობით და რედაქტორობით, 1976), შ. ძიძიგურის „ბასკურ-კავკასიური პრობლემა" (1981) და „ბასკები და ქართველები" (1978, ქართ. ენაზე, 1982 – რუს. ენაზე), ნ. მარის „ბასკურ-კავკასიური ლექსიკური პარალელები" (1987, რუს. ენაზე), ი. ზიკარის „რეკონსტრუქციები ბასკური ენის სფეროებში" (1987, რუს. ენაზე). გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ნაშრომში „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები" (1939); 1982 გამოვიდა ვ. გვახარიას „ზმნა და სახელი ურარტულში". თ. გამყრელიძემ გამოიკვლია არაინდოევრ. ელემენტები ხეთურ-ნესიტურში (1956). მიმდინარეობს სხვა ენებთან ქართველურ ენათა უძველესი კონტაქტების კვლევა. გამოვლენილია ლექსიკური შეხვედრები წინა აზიის ძვ. ენებთან – ურარტულთან (გ. მელიქიშვილი), ხეთურთან (გ. გიორგაძე).

ასეთი მუშაობის შედეგად თბილისი იბერიულ-კავკ. ენათა კვლევა-ძიების ცენტრად იქცა, ხოლო თსუ უკვე 65 წელზე მეტია, ქართველურ ენათა სპეციალისტებთან ერთად, ჩრდის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტებს, რ-ებიც წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფ. საბჭოთა კავშირის ქვეყნა კავკასიოლოგიურ ცენტრში. არნ. ჩიქობავას ინიციატივით 1965-იდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იბერიულ-კავკ. ენათა შესწავლის რომელსამე ცენტრში ტარდებოდა ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა რეგიონალური სამეცნ. სესიები (1991-მდე ჩატარდა 13 სესია, ხოლო 1991 თბილისში გაიმართა კავკასიოლოგთა საერთაშ. სიმპოზიუმი), რ-ებიც იბერიულ-კავკ. ენათა შესწავლის სხვადასხვა საკითხს ეძღვნებოდა. საქართვ. მეცნ. აკადემიის გრიფით გამოდის საერთაშ. ორგანო «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული» (1974-იდან; 1987-მდე გამოცემულია I – XIV ტტ. არნ. ჩიქობავას რედაქტორობით. 1988 – 95 წლებში დაისტამბა XV–XXI ტტ. XVI ტ-იდან რედაქტორია ქ. ლომთათიძე). იბერიულ-კავკ. ენათა ისტ.-შედარებითი კვლევა არ არის თეიმი'ხანი – იკვლიოს და დაადგინოს მხოლოდ ამ ენათა გენეტ. ნათესაობა. მათი შესწავლა უპირველესად კავკასიის ხალხთა, მათ შორის ქართვ. ერის, მეცნ. ისტორიის დადგენითაა ნაკარნახევი (ე. უსლარი, ი. ჯავახიშვილი). იბერიულ-კავკ. ენათა კვლევა მეტად აქტუალურია ზოგადენათმეცნ. თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით ფასეულია ამ ენათა მონაცემები თანამედროვე ტიპოლოგიური კვლევისას.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 2 – ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979; «იკ», I–XXXIV, თბ., 1946–2000; «იკვწ», I–XXI, თბ., 1974–94; «Материалы по яфетическому языкознанию», I – XII, Л., 1910 – 25; М а р р Н. Я., Кавказоведение и абхазский язык. – იხ. მისი: Избранные работы, т. I. Этапы развития яфетической теории, Л., 1933; Ч и к о б а в а А. С., О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков. – «Вопросы языкознания», 1955, № 6; Б о к а р е в Е. А., К л и м о в Г. А., Иберийско-кавказские языки. – წგ.: Языки народов СССР, т. 4. Иберийско-кавказские языки, М., 1967; Л о м т а т и д з е К. В., К вопросу о закономерном и регулярном характере звуковых соответствий. – «იკვწ», IX, თბ., 1982; К л и м о в Г. А., Введение в кавказское языкознание, М., 1986; D i r r A., Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928; B o u d a K., Introducción a la lingüistica Caucasica «Acta Salmanticensia. Filosofia y letres. Universidad de Salamanca, 1960, t. XV, № 1; D e e t e r s G., Die kaukasischen Sprachen. – «Handbuch der Orientalistik», Bd. 7, Leiden – Köln, 1963.

გ. ბურჭულაძე.

«ИБЕРИЙСКО-КАВКАЗСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ», არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის სამეცნიერო ორგანო. გამოდის 1946-იდან. გამოცემულია 34 ტომი (2000), იბეჭდება (ქართ. და უცხ. ენებზე) როგორც აღწერითი, ისე ისტ.-შედარებითი ხასიათის წერილები თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური და მთის იბერიულ-კავკ. (აფხ.-ადიღ., ნახური, დაღესტნური) ენების ფონეტიკის, გრამატ. სტრუქტურის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის საკითხებზე; ქვეყნდება დიალექტოლოგიური სახის ტექსტები და ლექსიკური მასალა, «ი.-კ. ე»-ში წარმოდგენილია აღნიშნულ ენათა სხვა წარმომავლობის ენებთან ტიპოლოგიური კონტაქტის საკითხები. იბეჭდება იბერიულ-კავკ. ენა-

თა სფეროში გამოცემულ შრომათა რეცენზიები, საენათმეცნ. ცხოვრების ამსახველი ქრონიკები.

გ.ბურჭულაძე.

«ИБЕРИЙСКО-КАВКАЗСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ», კაუკასიისმცოდნე ენათმეცნიერთა სამეცნიერო ორგანო. გამოდის თბილისში 1974-იდან. ხელმძღვანელობს საქართ. მეცნ. აკადემია და სარედაქციო კოლეგია, რ-შიც შედიან ცნობილი ენათმეცნიერები იბერიულ-კაეკ. ენათა შესწავლის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან. «И.-К. Э. Ф»-ის დაარსების ინიციატორი და მისი მთ. რედაქტორი იყო არნ. ჩიქობავა, რ-ის რედაქტორობითაც გამოცემულია I–XIV ტტ. (1987). 1988–94 დაისტამბა XV–XXI ტტ. (XVI ტ-იდან რედაქტორი ქ. ლომთათიძე). ჟურნალი ძირითადად ემყარება იმ საენათმეცნიერო კონცეფციასა და პრინციპულ დებულებებს, რ-იც საფუძვლად ედო ჯერ კიდევ 75-ზე მეტი წლის წინ გამოსულ «И.-К. Э. Ф»-ის წინამორბედ «ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულს» (იხ. *ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებები*), რ-ის მხოლოდ გაეროიანებული 1–2 ტ. გამოვიდა (1923–24). «И.-К. Э. Ф»-ში იბეჭდება წერილები ლინგვისტური თეორიის, იბერიულ-კაეკ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, ენობრივი კონტაქტების, ბასკურ-კაეკ. ენათა ურთიერთობის თაობაზე, ქვეყნდება რეცენზიები და ბიბლიოგრაფიული სახის მიმოხილვები, ინფორმაციები სხვადასხვა სამეცნ. ცენტრში იბერიულ-კაეკ. ენათა შესწავლის შესახებ, იბერიულ-კაეკ. ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სამეცნ. სესიათა ანგარიშები, პერსონალია. სტატიები იბეჭდება ქართ., რუს., ინგლ. და გერმ. ენებზე. «И.-К. Э. Ф»-ის ავტორები არიან არა მარტო ქართ. სპეციალისტები, არამედ – უცხოელი ენათმეცნიერებიც. ჟურნალი საერთაშ. მნიშვნელობის ერთ-ერთი სერიოზული ლინგვისტური პერიოდული გამოცემაა.

გ. ბურჭულაძე.

ИБЕРИЙСКО-КАВКАЗСКИЕ ЯЗЫКИ, კაუკასიაში კომპაქტურად დასახლებულ ხალხთა ენების ყველაზე დიდი ჯგუფი, რ-იც მონათესაეე იბერიულ-კაეკასიურ ენათა ოჯახს ქმნის. მასში ოთხ ჯგუფს გამოყოფენ: 1. იბერიული (ანუ ქართველური) ჯგუფი – ქართული, ზანური (კოლხური), ანუ მეგრულ-ჭანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური; 2. აფხაზურ-ადიღური (ანუ აფხაზურ-ჩერქეზული) ჯგუფი – აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული და უბიხური; 3. ნახური ანუ ჩაჩნური ჯგუფი – ჩაჩნური, ინგუშური და წოვა-ოუშური (ანუ ბაცბური); 4. დაღესტნური ჯგუფი – ა) ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი – ხუნძური, ანდიური, ბოთლიხური, ღოდობერიული, კარატაული, ჭამალალური, ტინდიური, ბაგვალალური, ახვახური, დიდოური, ჰინუხური, ხვარშიული, კაპუჭური (ანუ ბეჟიტური), ჰუნზიბური; ბ) ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფი – ლაკური, დარგუული; გ) ლეზგიური ქვეჯგუფი – ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, წახური, მუხადური (რუთულური), უდიური, ბუდუხური, კრიწული, ხინალუღური, არჩიბული. ცალკე ენა (სულ 37), გარდა უბიხურისა, გაერცელებულია კაეკასიის მიწა-წყალზე, ხოლო უბიხები 1864 სოჭი-ადლერის მიდამოებიდან მთლიანად გადაასახლეს თურქეთში. დღეს მათი ენა გაქრობის გზაზეა.

ენათა ამ ოჯახის აღსანიშნავად სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელწოდება გამოიყენებოდა – პალეოკაეკასიური, იაფეტური, ალაროდიული, ქართულ-შარომატიული. ამჟამად კი ძირითადად ორი ტერმინია დამკვიდრებული – იბერიულ-კაეკასიური ენები და კაეკასიური ენები. პირველს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი გარკვეეით შემოსაზღვრავს იმ წრეს ენებისას, რ-ებიც არ არიან მხოლოდ კაეკასიაში გაერცელებული – ინდოევროპულ (სომხური, ოსური, თალიშური, ქურთული), თურქულ (აზერბაიჯანული, ყუმუხური, ყარაჩაული, ბალყარული, ნოღაური) და სემიტურ (ასურული) ენებს. ამდენად, ტერმინი „იბერიულ-კაეკასიური ენები“ საშუალებას იძლევა ენათმეცნიერული ცნება „კაეკასიური ენები“ გაიმიჯნოს გეოგრ. ცნებისაგან „კაეკასიის ენები“. ყველა ეს ენობრივი ჯგუფი, გარდა ქართველურისა, ერთიანდება ტერმინით მთის იბერიულ-კაეკასიური ენები, ან უფრო მოკლე ფორმით – მთის კაეკასიური ენები. მისი სინონიმია ჩრდილოკაეკასიური ენები, რ-საც უპირისპირდება ქართველური ენების აღმნიშვნელი – სამხრულკაეკასიური ენები.

И.-К. Э. წარმოდგენილია 12 სამწერლობო და 25 უმწერლობო ენით. დამწერლობის მქონე ენები: ქართული, აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, ჩაჩნური, ინგუშური, ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური, თაბასარანული. ამ ენათაგან უძველესი დამწერლობა აქვს მხოლოდ ქართულ ენას, ხოლო დანარჩენი ახალდამწერლობიანი ენებია, რ-თა უმრავლესობის დამწერლობა (ანბანები) XX ს. 20-იან წლებში შეიქმნა ჯერ ლათ. გრაფიკის საფუძველზე, ხოლო შემდეგ (1938-იდან) ლათინური რუს. გრაფიკით შეიცვალა; უფრო ადრე კი XIX ს. II ნახ-ში, რუს. გრაფიკის საფუძველზე და ცალკეული ქართ. ასოებისა და დიაკრიტიკული ნიშნების დამატებით რუსმა ენათმეცნიერმა პ. *უსლარმა* (1816–1875) დაამუშავა აფხაზური, ჩაჩნური, ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური და თაბასარანული ენების ანბანები. იყო ცალკეული ცდები მთის კაეკ. ენებისათვის გამოეყენებინათ არაბული დამწერლობა, მაგრამ უშედეგოდ. დაღესტნურ ენათა ახალი ანბანების შექმნის პროცესი დღესაც გრძელდება. სულ რამდენიმე წელია (1990-იდან), რაც დამუშავდა ანბანები აღულური, რუთულური და წახური ენებისათვის. სინას მთაზე ახალაღმოჩენილი ალბანური ტექსტი (იხ. *ალბანური დამწერლობა*) საფუძველს იძლევა ძვ. ალბანური ენა დაუკავშირდეს ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს, კერძოდ *უდიურ ენას*, მაგრამ ეს დამწერლობა VIII ს-იდან გაქრა და კაეკასიურ, კერძოდ, ლეზგიურ ენათა თანამედროვე დამწერლობები ახალშექმნილ ანბანებს ემყარება.

И.-К. Э-ს ბევრი რამ აქვთ საერთო როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე სინტაქსსა და ლექსიკაში, მაგრამ მნიშვნელოვანია სხვაობაც. ამიტომაც ამ ენათა გენეტიკური ნათესაობის პრობლემა დღესაც დისკუსიის საგანია

(იხ. *ქართველური ენები*). დგას იბერ.-კავკ. ენათა გარე ნათესაობის საკითხიც სხვა ენებთან.

ლიტ. იხ. სტატიასთან *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*.

გ. თოფურია.

იდეოგრაფიული ლექსიკონი, სამეცნიერო ლექსიკონი (იხ. *ლექსიკონი*), თესაურუსი, რ-შიც ასახულია სემანტიკური მიმართებები (*სინონიმია, ჰიპონიმია*) ლექსიკურ ერთეულებს შორის. ი. ლ-ში მთელი ლექსიკური მასალა წარმოდგენილია თემატიკური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების სახით. ლექსიკონში სიტყვები ლაგდება არა ანბანური პრინციპით, არამედ ცნებითი ბუდეების მიხედვით. ი. ლ-ის შედგენას საფუძვლად ედება ლექსიკური ფონდის თემატიკური კლასიფიკაცია: მასში მაქსიმალურადაა წარმოდგენილი ზოგადი თემები (განყოფილებები), რ-ის ქვეკლასიფიკაციასაც ასახავს ქვეთემები (ქვეგანყოფილებები). ამგვარი კლასიფიკაციის არაერთი ცდა არსებობს, მ. შ. ერთ-ერთი პირველია პ. მ. როჟეს ლექსიკონი ინგლისური ენისათვის (1852), რ-იც მოიცავს შემდეგ მთავარ თემებს (თავისი ქვეთემატიკური დანაწევრებით): 1. აბსტრაქტული მიმართებანი, 2. სიერცე, 3. ნივთიერება, 4. ინტელექტი, 5. ნებელობა, 6. გრძნობები.

ქართული ლექსიკის ამგვარი კლასიფიკაციის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ს.-ს. ორბელიანის „*სიტყვის კონა*“, რ-შიც ათეულობით თემატიკური ბუდეა წარმოდგენილი. პირველი ქართ. იდეოგრაფიული თემატიკური კლასიფიკაცია მოახდინა და ი. ლ. შეადგინა ბ. *ფორჩხუამ.* გამოიცა (ავტორის გარდაცვალების შემდეგ) ამ დიდი შრომის მხოლოდ ერთი ნაწილი: „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“, ნაკვ. I, თბ., 1987. ლექსიკონში შესულია შემდეგი თემატიკური ჯგუფები: არაცოცხალი ბუნება, მცენარეები, ცხოველები.

ა. არაბული.

იდიოლექტი (ბერძნ. idios – თავისი, თავისებური და (dia)lektos – კილო, კილოკავი), ინდივიდუალური ენა; ენის ცალკეული მატარებლისათვის დამახასიათებელი მეტყველება (ან წერის თავისებურება) ამა თუ იმ კონკრეტული სა-ერთო ენობრივი სისტემის შიგნით; მოცემული ენის რეალიზაცია ცალკეული ინდივიდის მეტყველებაში, რ-საც მოლაპარაკე იყენებს კომუნიკაციის მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, იდიოლექტური ვარიაცია იქნება განსხვავება კონკრეტულ ინდივიდთა მეტყველებაში ერთი ენის შიგნით (იხ. *იდიოსტილი*). მაგრამ, როგორც აღნიშნულია, ი. არ არის აღწერის ერთიანი ობიექტი. მისი განუმეორებლობა შეიძლება ისეთი განსხვავებული ფაქტორების გადაკვეთისა, როგორიცაა მოც. ინდივიდის დამოკიდებულება ინდივიდთა დროებით ან მუდმივ ჯგუფებთან, სიტუაციური სტილისტიკური ვარიანტები, რ-თაც ის იყენებს კონკრეტულ შემთხვევებში, აგრეთვე თვით ინდივიდის უნიკალური პიროვნული ნიშნები (ჯ. გრინბერგი). ი-ს დონემდე მეტყველების ტიპების დაყვანის საწინააღმდეგო არგუმენტებია წამოყენებული უ. ვაინრაიხის მიერაც: 1. ი. არ არის ჰომოგენური წარმონაქმნი, შესაძლებელია მისი შემდგომი დაშლა სტილების მიხედვით; 2. სამეტყველო მოდელის უცვლელობაზე ლაპარაკი შეიძლება არა ერთი ინდივიდის, არამედ მხოლოდ ორი ინდივიდის დიალოგიური ურთიერთობის პირობებში.

ეიწრო მნიშვნელობით ი. აღნიშნავს მხოლოდ ინდივიდისათვის დამახასიათებელ სამეტყველო თავისებურებებსა და ჩვევებს (ხმის სიმაღლე, მეტყველების რიტმი და მისთ.).

ლიტ.: ვაინრაიხი უ., შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია? (თარგმ. ინგლ.). – კრ.: «მიმომხილველი», IV – V, თბ., 1967; Гринберг Дж., Антропологическая лингвистика. Вводный курс, пер. с англ., М., 2004; Bloch B., A set of postulates for phonemic analysis. – «Language», 1948, vol. 24, №1.

ი. ქობალავა.

იდიომი (< ბერძნ. idioma – თავისებურება), 1. საერთო სახელწოდება განსხვავებულ ენობრივ წარმონაქმნთა, ენის არსებობის სხვადასხვა ფორმათა (ენების, დიალექტის, კოლოკავის და ა. შ.) აღსანიშნავად. ი-ით ზოგჯერ აღნიშნავენ იმ ენობრივი კოლექტივის მეტყველებასაც, რ-საც არ შეესაბამება არც ერთი პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ ნაციონალური სტრუქტურა (მაგ., საფრანგეთში პროვანსული); 2. იგივეა, რაც *ფრაზეოლოგიზმი*.

ი. ქობალავა.

იდიოსტილი, ენის მფლობელის ინდივიდუალურ-სტილისტიკური თავისებურებები. ი. იდიოლექტთან შედარებით ენობრივ ერთეულთა მეტი სისტემურობითა და იერარქიული ორგანიზებულობით ხასიათდება. *იდიოლექტი* იდიოსტილის ჩამოყალიბების ფაზად მიაჩნიათ, მათ ურთიერთმიმართებას სქემატურად ასე გამოხატავენ: ავტორის ენა → ინდივიდუალური კომპონენტები (იდიოლექტი) → კონტაქციურად ნიშნადი კომპონენტები (ი.). ლინგვოსტილისტიკაში ი. ენობრივ პიროვნებას (linguistic personality) უკავშირდება, რ-ის ცნება გულისხმობს თვითმყოფად ენის მატარებელს, წარმოდგენილს თავისი სამეტყველო-სტილისტიკური მახასიათებლების ერთობლიობით. მაგ., ი. ჭავჭავაძის, როგორც ენობრივი პიროვნების, ი-სათვის დამახასიათებელია გადმოცემული შინაარსის უტყუარობა, მეტყველების უდავო სიმართლე, თხრობის ლოგიკურობა, თანამიმდევრულობა და სიცხადე, აზრისა და მეტყველების არაწინააღმდეგობრიობა, არგუმენტაციის სისრულე და სიზუსტე, დასკვნათა აუცილებლობა, აზრობრივი დატვირთულობა, შინაარსის კონცენტრირება, უმთავრესის გამოყოფის უნარი, სიმარტივე, გასაგებობა, ხალხურობა, მოძველებული სტილისტიკური ნორმების ნგრევა ენის ფუნქციურ შესაძლებლობათა ოპტიმალური განხორციელების მიზნით, სალიტ.-წიგნურ და ხალხ.-სასაუბრო მეტყველებათა სინთეზი პუბლიცისტიკაში და სხვ. ამ კრიტერიუმთა ერთობლიობა ილიასთან შინაგანი სტილისტიკური ჰომოგენურობითაა ნიშანდებული, რაც საშუალებას იძლევა მისი ი. განვიხილოთ როგორც მსოფლმხედველობრივი სტილი, რ-ის ერთიანობა, მთლიანობა ყოველ ცალკეულ ელემენტში ჩანს. ე. ი. შეიძლება ლაპარაკი ი-ზე, როგორც ენობრივი პიროვნების მსოფლმხედველობაზე, ინდივიდუალური სტილისა და მსოფლმხედველობის ურთიერთასახეზე.

ლიტ. იხ. სტატიასთან *სტილი*.

გ. ქვარაცხელია.

იკორთის წარწერები, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ამო-

კვეთილი იყორთის (ქარელის რ-ნი) მონასტრის მთავარი ტაძრის კედლებზე. ტაძარი 1989 მიწისძვრამ დაანგრია. მან რამდენიმე წარწერა შემოგვინახა, რ-თაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორი – საამშენებლო, ამოკვეთილი დას. ფასადის მარჯვენა ნაწილში, კარიბჭის ზემოთ და დიდებულთა – როგორც ჩანს, ტაძრის მშენებლობის ქტიტორთა მოსახსენებელი. იგი ამოკვეთილი იყო აღმ. ფასადზე, დიდი ზომის დეკორ. ჯვრის ჰორიზ. მკლავების ქვემოთ. პირველი წარწერა, ძალზე დაზიანებული, შეისწავლა მ. *ბროსემ* (1848), შემდეგ – თ. *ჟორდანიამაც* (1892). მათ მიერ გადმოწერილი ტექსტები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ტექსტის ბოლოს აღნიშნული თარიღი – „ქრონიკონს ტჳბ“, ე. ი. 1172 ორივეს ერთნაირად აქვს მოცემული. მეორე წარწერის ტექსტმა სრული სახით მოაღწია – „ძელო ცხოველო, შეიწყალენ სულითა ერისთავთა ერისთავი ვარდან, არსენი ჭყონდიდელი, ბასილი და თუალისგუგა“.

პირველი – საამშენებლო წარწერის თარიღიდან გამომდინარე, ერისთავთა ერისთავი ვარდან უნდა იყოს გიორგი III-ისა და თამარის დროის ცნობილი სამეფო კარის მოხელე ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი (იგი იხსენიება საამშენებლო წარწერის ტექსტშიც, როგორც მ. ბროსეს, ისე თ. ჟორდანიას მიერ გადმოწერილში, თუმცა მათ მისი სახელი არ გაუშიფრავთ). მეორე პირის სახელის (არსენ) წაკითხვა ეჭვს არ იწვევს. მკვლევრებს აეჭვებს მის შემდეგ ორივე მხრივ ორწერტილებს შორის ჩასმული ჭ-ს გაშიფვრა. მას „ჭიაბერად“ კითხულობენ და მიიჩნევენ, რომ იგი გიორგი III-ის გაზრდილის და თამარის დროის მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის ჭიაბერის სახელია, მაგრამ „ჭიაბერი“ ჭ-დ არ ქარაგმდებოდა. ერთადერთი სიტყვა, რ-იც ასე ქარაგმდებოდა ძვ. ქართ. წერილობით ძეგლებში, იყო „ჭყონდიდელი“; უფრო მეტიც, იგი მხოლოდ „ჭ“-დ დაქარაგმებული ფორმით გვხვდება. ამიტომ „არსენი ჭ“ უნდა იყოს გიორგი III-ის დროინდელი უცნობი არსენ ჭყონდიდელი. წარწერის ტექსტის ბოლოს დასახელებული ორი პირი – ბასილი და თვალისგუგა აღგილობრივი ხელისუფლები უნდა იყვნენ.

ლიტ. ს ა ქ ა რ ა ი ა პ., ქართული ხუროთმოძღვრება. XI–XVIII სს., თბ., 1990.

ე. სილოგავა.

ილარიონ ქართველი, IX ს. სასულიერო მოღვაწე, მონასტერთმაშენებელი, მონასტრის წესისა და კანონის დამდები. დაიბადა კახეთში, დიდგვაროვან ოჯახში. ი. ქ-ის ქტიტორულ მოღვაწეობას უკავშირდება სამი ძეგლი: ფერისცვალების ეკლესია დავითგარეჯის ლავრაში, ე. წ. ი. ქ-ის ფილიალი იმავე ლავრაში და აკურის მამადავითის დედათა მონასტერი. ი. ქ-მა ცხოვრების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. კახეთში დედათა და მამათა მონასტრების აშენების შემდეგ მოიარა პალესტინა (იერუსალიმი, თაბორი, გოლგოთა, ბეთლემი, იორდანიის უდაბნო, საბაწმიდის ლავრა). შემდეგ მოღვაწეობდა ბითვინიის ოლიმპზე (მცირე აზია), მოიარა რომი, კონსტანტინოპოლი, თესალონიკე, სადაც მას თაყვანისცემის ნიშნად ეკლესია აუშენეს. გარდაიცვალა თესალონიკეში. მისი ნეშტი დაკრძალულია *რომანას ქართველთა მონასტერში*. მის სახელზე შექმნილია ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული თხზულებები და იკონოგრაფიის ნიმუშები. გარდაცვალების დღე (19 ნოემბ.) შეტანილია როგორც დღესასწაული ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში (A 558, 1074); ი. ქ. ახ. ტრადიციის წინამორბედია: IX ს. საქართვ.-ბიზანტ. ურთიერთობის გაცხოველების ხანაა. ი. ქ-ის მისია და მოღვაწეობა ბიზანტ. ორიენტაციისა და ბიზანტიაში ქართველთა კოლონიზაციის დასაწყისის მაუწყებელია.



იყორთა. წარწერა აღმოსავლეთის ფასადზე. 1172.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან. – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967; III, თბ., 1971; დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ., „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ძველი რედაქციები, თბ., 1974; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1992; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998; P e e t e r s P. S., Hilarion d'Iberie. – «Analecta Bollandiana», XXXII, Bruxelles, 1913; M a r t i n H i s a r d B., La peregrination du moine géorgien Hilarion au IXᵉ siècle. – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. XXXIX, Paris, 1981.

მ. დოლაქიძე.

ილორის წარწერები, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ამოკვეთილი ილორის წმ. გიორგის ეკლესიის (ოჩამჩირის რ-ნი) აღმ. კედელში ჩასმულ ქვის ფილებზე. სამი წარწერა შესრულებულია სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხურით, ერთი – ასომთავრულით და ერთიც



ილორის ტაძრის წარწერა. XI ს.

– მხედრულით. წარწერები თარიღდება XI ს-ით და ასახავენ სამივე სახის დამწერლობის ერთდროული გავრცელების ეტაპს. წარწერიანი ქვის ფილები საშუალო ზომისაა, დაახლ. 60×30 *სმ*, მათზე ამოკვეთილი ტექსტებიც არ არის ვრცელი. სრული სახით მხოლოდ ორ ფილაზე ამოკვეთილი ტექსტია მოღწეული, დანარჩენი სამი ნაკლულია:

1. „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გალატოზი..." (ნუსხური); 2. „წმიდაო გიორგი, შეიწყალე... გიორგი..." (მხედრული); 3. „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გიორგი გურგენის ძე" (ასომთავრული); 4. „წმიდაო [გიორგი, შეიწყალე] მიქაელ..." (ნუსხური); 5. „წმიდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი ქონოლავა, მღდელი; წმიდაო გიორგი, მფარველ მექმენ დიდსა მას დღესა".

უკანასკნელი წარწერა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში დასტურდება დღეისათვის ცნობილი უადრესი შემთხვევა გვარსახელის გაფორმებისა დასავლურ-ქართ. სუფიქსით -ვა (შდრ. *წალუნჯიხისა* და *წებელდის* XIV ს. წარწერები).

ლიტ. ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, ვ. სილოგავას გამოც., თბ., 1980. *ვ. სილოგავა.*

იმერული, ქართული ენის დიალექტი, რ-ზედაც მეტყველებს ეთნოგრაფიული კუთხის – იმერეთის მოსახლეობა. „იმერეთი" თავდაპირველად ეწოდა სურამის (ლიხის) ქედის იქითა (დასავლეთის) მხარეს მთლიანად, ამის შესაბამისად, „იმერელი" იყო დას. საქართვ. ყველა მცხოვრები. შემდეგ „იმერეთის" მნიშვნელობა დავიწროვდა და ერთი კუთხის სახელად იქცა, ხოლო „იმერელმა" ეთნ. ერთეულის მნიშვნელობა მიიღო.

იმერეთს აღმ-ით ესაზღვრება ქართლი, დას-ით – სამეგრელო, ჩრდ-ით – რაჭა-ლეჩხუმი, სამხრ-ით – სამცხე, ხოლო სამხრ.-დას-ით – გურია. გეოგრაფიულად ეს მხარე ორ ნაწილად იყოფა: ზემო და ქვემო იმერეთად. ამის შესაბამისად იმერულ კილოში გამოყოფენ ორ კილოკავს: ზ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ს (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი) და ქ ვ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ს (თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი, ვანი, წყალტუბო, ხონი, სამტრედია). კილოკავებს შორის სხვაობა ისე დიდია, რომ ზოგი მკვლევარი მათ ცალ-ცალკე დიალექტებად მიიჩნევს (კ. კუბლაშვილი), ზოგი კი საჭიროდ თვლის შუაიმერულის ცალკე კილოკავად გამოყოფას (ე. ფანჩვიძე).

კილოკავებში გამოიყოფა რამდენიმე თქმა: ზემოიმერულში – ხარაგაულური, საჩხერულ-ჭიათურული, ზესტაფონური; ქვემოიმერულში – თერჯოლური, ოკრიბული, ბაღდათური, ვანური, სამტრედიული, ხონური.

ი. გამოირჩევა როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ფონეტ. ცვლილებების მრავალფეროვნებით. ი-ში სპორადულად დასტურდება ჲ, ჷ, ბგერები, რ-იც ამა თუ იმ ფონემის პოზიციურ ნაირსახეობას წარმოადგენენ (შჲაჭრა, ძმაჲ, მოჲ, ჩჷენ, მჷაჭრა...). გავრცელებულია როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია (მიუტანა → მუუტანა, შეუყვარდა → შოუყვარდა, ნემსი → ნეფსი, ტბა → ტპა...), დისიმილაცია (შეაგდო → შიაგდო, ერთჯერ → ერთჯელ, წლეულს → წრეულს...), ხშირია მეტათეზისის, აფრიკატიზაციის, სუბსტიტუციის შედეგად გამოწვეული ცვლილებები.

მახვილი ი-ში მკვეთრად განსხვავებულია კილოკავებისა და ზოგჯერ თქმების მიხედვითაც, მაგრამ ხერხდება მეტ-ნაკლებად საერთო ტენდენციის დადგენაც. ივარაუდება, რომ ზემოიმერულში გვაქვს დინამიკური მახვილი ტონური მახვილის ელემენტებით. ფრაზაში შემავალ რომელიმე სიტყვაში, ხანდახან ყოველ სიტყვაშიც კი, ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის და ტონიც მაღლდება: „ვისვავ ხომე წამალს და მირჩება". ქვემოიმერულში მახვილი მოუდის წინადადების ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანს, ხოლო მომდევნო ხმოვანი სუსტდება: „იმან არ იცოდა თხრე̂". თავისებურად გამოხატული მახვილი ახასიათებს ოკრიბულს: წინადადების ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან პირველი ხმოვანი ტონური მახვილის გამო გრძელდება, ბოლოდან მეორე ხმოვანს კი მკვეთრი მახვილი მოუდის: „ძლივს არ ამოვაწიე ამ სიცხეში̂!"

ი-ში სახელთა ბრუნებისას თავს იჩენს რიგი თავისებურებანი: სახელობითში ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს -ი (ძმაი, ვინმეი...), ნათ. და მოქმ. ბრუნვის -ის, -ით ნიშნები ფუძეს ვერ კვეცენ და არც თავად რედუცირდებიან (და-ის, ღელე-ით...), მაერცობ ხმოვნად გამოიყენება -ა (ძმასა, ძმისა...) და -ი (ძმისი, ძმითი...), რ-ებიც შეიძლება დაერთოს თანდებულსაც (მაღლიდანა, მაღლიდანი...). თავისებურად იწარმოებენ მრ. რიცხვის ფორმებს პირის ნაცვალსახელები: ქვემოიმერულში გვაქვს: ეგენი, ამგენმა, ამგენს... ზემოიმერულში – ესენი, ამათმა || ემათმა, ამათ... შეინიშნება მრავლობითის ორმაგი წარმოების შემთხვევებიც: აგენები, ეგენები...

ზმნებში მა- ზმნისწინი დასტურდება მ-ს წინ (გამამიგზავნა, გამამიტანა); რთული ზმნისწინის შემადგენლობაში შე-ს ნაცვლად გვაქვს შა- (შამეიტანა). შეინიშნება III სუბიექტ. პირის ნიშნების უნიფიკაციის ტენდენცია: წერ-ენ, წერდ-ენ, დაწერ-ენ; ჭრი-ენ, ჭრიდ-ენ, დაჭრ-ენ.

ქვემოიმერულში მრავლობითობის გამოსახატავად გამოყენებულია -ყე (|| -ყენ || -კენ, მორფემათა ზღვარზე – -სკენ || -წყენ) და -არიენ || -ლარიენ ფორმანტებიც (რ- ნარევ ფუძეებთან -არიენ მეშველი ზმნის დართვისას ხდება დისიმილაცია: დამედარარიენ → დამედალარიენ. -ლარიენ ელემენტი სხვა ფუძეებთანაც გამოელინდება, რაც შედეგია მისი დამოუკიდებელ ფორმანტად გააზრებისა: მოდი-ლარიენ). ამ ფორმანტებით გამოიხატება მრავლობითობა: ა) ობიექტისა (გეკუთვნისყენ „გეკუთვნით", გიცდილარიენ „გიცდით"), ბ) პირდაპირი ობიექტისა (ღმერთმა გაცოცხლოსყენ „გაცოცხლოთ"), გ) რეალური სუბიექტისა (უყვარსყენ, უყვარლარიენ „უყვართ"), დ) რეალური ობიექტისა (უყვარლარიენ „უყვარს მას ისინი"). გვაქვს დამთხვევები: „უყვარლარიენ" ნიშნავს – მათ ის, მას ისინი, მათ ისინი...

ი-ს ახასიათებს თავისებურებანი ზმნის დრო-კილოთა წარმოების მხრივ. აწმყოში თავს იჩენს ფუძის გაერთფორმიანების ტენდენცია, ფუძე რთულდება თემის ნიშნებით: წერ-ავ-ს, ტეხ-ავ-ს... ქარ-

თლის მომიჯნავე რეგიონში -ავ — -ამ, -ევ — -ემ პაუსისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში (თიბ-ამ-ს, ყეფ-ამ-ს, აძლ-ემ-ს...) და საპირისპიროდ, -ამ — -ავ (ჩაასხ-ავ-ს, იზ-ავ-ს...). ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნები პარალელურ ვარიანტებს გვიჩვენებენ (კრეფ-ავ-ს || კრიფ-ავ-ს, კპენ-ავ-ს || კპინ-ავ-ს...). ფართო გამოყენებისაა მიმღეობის ფუძისაგან -ობ — -ოფ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნები (ხმარულ-ოფ-ს, ტანულ-ოფ-ს...).

ი-ში აწმყო-მყოფადის ფორმებში ხშირია თემის ნიშანთა შენაცვლების შემთხვევები: -ებ — -ი (აძალის, აბრალის) -ი — -ობ (შეფერობს — შეფეროფს), -ებ — -ობ (ღრიალობს, ფრიალობს), ფონეტ. საფუძველსა -ევ — -ოვ (ამტრ-ოვ-ს)...

თავისებურებებით ხასიათდება სტატიკური ზმნების ფორმათა წარმოება სემოიმერულსა (ჯდია, წვია, დგია) და ქვემოიმერულში (ჯდანა, დგნა „დევს“...). ფართოდაა გავრცელებული მუშველსმნიანი წარმოება (ეჯდანვარ, ეგდივარ, ეცვირივარ, ეშენივარ, ეგორავარ, ენქარობვარ...). ნამყო ძირითადში ზოგ ზმნასთან I და II პირის ფორმებში -ე სუფიქსის ნაცვლად გვხვდება -ი (დავაპი, დააპი...) ან -ევ-ი — -ე-ი, უპირატესად სემოიმერულში (ვიყიდევი || ვიყიდეი, მოვიქვანევი || მოვიქვანეი...). II კავშირებითის წარმოებაში ჩნდება უნიფიკაციის ტენდენცია. ქვემოიმერულში უპირატესობა ენიჭება -ე ფორმანტს (დეიხჩევს „დაიხოს“, დეიდევს „დაიდოს“), სემოიმერულში — ო-ს (წახვიდო „წახვიდე“, გედევიდოს „გადაეიდეს“). უნიფიკაცია თავს იჩენს III სერიის ფორმათა წარმოების დროსაც. I შედეგობითში ძირითადია -ი დაბოლოებიანი წარმოება (მოუკლია, დოუბია...). ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელია IV სერიის ფორმათა წარმოება, რაც ძირითადად III პირში გამოიყენება (მინაცვალა, მინაცვალიყო, მინაცვალიყოს, ნაყვარება, ნაგდება, ნათბობა...).

ი-თვის დამახასიათებელი ძირითადი სინტაქსური მოვლენებიდან აღსანიშნავია სახ. ბრუნვის ფორმით გამოყენება ქვეყლა ბრუნვაში (დიდი ბოვშმა, დიდი ბოვშს..). ზოგჯერ მსაზღვრელი გვხვდება ფუძის სახითაც (დიდ ბოვშმა). აქტიური სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნათა II სერიის ფორმებთან სუბიექტი წარმოდგენილია მოთხრ. ბრუნვაში (ბიჭმა მეცადა; გამეემშვიდობა ამ კაცმა...). ეს მოვლენა უფრო ხშირად ქვემოიმერულში იჩენს თავს და მეგრულთან უშუალო კონტაქტის შედეგი უნდა იყოს.

ი-ში უხვადაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დარგობრივი ლექსიკის დიალექტური ნაირსახეობანი. გამოიყოფა არქაული ფენა, ეთნოგრ. თავისებურებების ამსახველი ლექსიკა, ზანიზმები.

ი. დიალექტის თავისებურებანი ასახულია XV–XVI სს. სიგელ-გუჯრებში, რაც დიალექტის ისტ. თვალსაზრისით შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

ლიტ.: ფანჩვიძე ვ., მრავლობითი რიცხვის აღნიშნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით. – «სმამ», ტ. 6, №10, თბ., 1945; ქახაძე ო., ოყრაბულის თავისებურებანი. – «იკე», VI, თბ., 1954; გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება. – იქვე, VIII, თბ., 1956; გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქაფთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; ძიძიგური შ., იმერული დიალექტი. – იხ. მისი: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970; ძოწენიძე ქ., სემოიმერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები). თბ., 1973; ქუბლაშვილი ქ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985; ნოზაძე ლ., კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის სემოიმერულში. – «იკე», XXV, თბ., 1986; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ნ. ჭუმბურიძე.

ომერხეული, კლარჯული, ქართული ენის დიალექტი. შემორჩენილია ისტ. შავშეთ-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდინარეების იმერხეევისა და შავშეთის წყლის აუსებში (მდ. ჭოროხის ხეობამდე). ამჟამად თურქეთის საზღვრებშია.

ტერმ. «ი.» ქართ. დიალექტოლოგიაში დამკვიდრდა იმ ძირითადი ბგოგრ. ადგილის მიხედვით, სადაც დღეს ი. მეტყველებაა გავრცელებული, თუმცა საქმის რეალურ ვითარებას უფრო კლარჯული (ან შავშურ-კლარჯული) შეეფერება. ი-ად მეტყველთა შორის ორი ფენა გამოიყოფა: ტაო-კლარჯეთის ძირძველი მოსახლეობის შთამომავალნი და აჭარა-მესხეთიდან XIX ს. მუსაჯირებად წასულ ქართველთა შთამომავალნი. ამათ შორის ენობრივ სხვაობას მეცნიერებიც ამჩნევენ და თვით მოსახლეობაც.

ი-ის დიალექტოლოგიურ სახეს ორი ფაქტორი განაპირობებს: ამ კუთხის საქართველოსაგან ხანგრძლივი მოწყვეტით განპირობებული ფონეტიკურ-გრამატ. არქაიზმები და თურქულ გარემოში ასევე ხანგრძლივი ცხოვრებით გაჩენილი უამრავი ლექსიკური ნასესხობა.

შ. ფუტკარაძე ადასტურებს ი. დიალექტის შიგნით კილოკაურად განსხვავებულ ხუთ ნაირსახეობას: მუსაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველებას ბურსის ვილაიეთში, ქ. ინეგოლისა და ინეგოლის რ-ნის სოფლებში; ტაოს ქართულ მეტყველებას ისტ. ტაოს სოფლებში; ი. მეტყველება, მდ. იმერხევის აუზში შემაჯალ სოფლებში; ლივანურ მეტყველებას ბორჩხისა და მურღულის რაიონების სოფლებში; მაჭახლურ მეტყველებას ზედა მაჭახლის სოფლებში.

აღსანიშნავია ფონეტ. თავისებურებები: დაცულია ჴ (ჴელი „ხელი“, ჴარი „ხარი“). გვხვდება უ (დეკეულნი, ბეურნი, ყაუს „ჰყავს“), დასტურდება ჲ როგორც ე-ს რეფლექსი (ანაჲ „დედა“, ფენჯერეი „ფანჯარა“, ფენჯერაჲს „ფანჯრის“, წაჲ „წადი“, აჲ „ადი“). გავრცელებულია ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია (დაეძინა > დეეძინა, დაუძახა > დოუძახა); ბოლოკიდურ პოზიციაში დისიმილაციით აე > ეე > იე (თმაები > თმეები > თმიები); ნაწილობრივი ასიმილაციით იცვლება აი კომპლექსი (დაიჭირა > დეიჭირა); რეგრესიული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები (დეიჭედებიან „დაიჭიდებან“). ოა, ოე, ეა კომპლექსებში ხდება დისიმილაცია (მოვათავე > მოათავე > მუათავე, მოელი > მოელი > მუელი, შეაქო > შიაქო). ადგილი აქვს მჟღერი აფრიკატების დეზაფრიკატიზაციას (ჩაზერა, გოუზახა). ვე და ვი კომპლექსები იცვლება შესაბამისად ო და უ ხმოვნებით (ზოლი — „ძველი“, სირცხული — „სირცხვილი“).

მორფოლ. თავისებურებანი: ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები სახ. ბრუნვაში დაირთავენ -

ი || -ი-ს (ანაი „დედა“, ბაბოი „მამა“, ვიდელაი „გიდელი“); მოთხრობითში ამ ტიპის სახელებთან გარჩნდება -მა (ანამა, ბაბომა). მაგრამ ხშირად დასტურდება -ა (მირზასა) და -ი (მირზასი). გვხვდება -დამ თანდებული (ქვეშედამ „ქვეშიდან“). რეალური სუბიექტის მრავლობითობა გამოიხატება -ან || -ენ ფორმანტებით (აქან „აქეთ“, ინუან „სხინაეთ“, უქნიან „უქნიათ“). -ავ და -ამ ოქმის ნიშნები გახშოვანებას იცავენ ნამყო უსრულსა და მასზე დაფუძნებულ მწკრივებში (მალეე და „მალაქდა“). ამავე თემისნიშნიან ზმნათაგან ენებითი არქაული წესით იწარმოება (იმალეის, იბმის).



ი. იმნაიშვილი.

სინტაქსური თავისებურებანი: „ეშინია“ ტიპის ზმნებთან დაცულია ძვ. ქართულისებური კონსტრუქცია: ჩიტიდამ მეშინოდა, „ჩიტისგან მეშინოდა – ჩიტისა მეშინოდა“. აქტიური სემანტიკის გარდაუვალი ზმნების II სერიის ფორმებთან ქვემდებარე დასმულია მოთხრ. ბრუნვაში: წეუდა კაცმა. „დაუძახა“ ზმნასთან ობიექტი დგას სახ. ბრუნვაში: დუუძახა ქალოღლანი „დაუძახა ქალოღლანს“.

ლექსიკაში შენახულია არქაული ფენა, ქართული ლექსიკა კარგადაა დაცული სას.-სამ. ტერმინოლოგიაში. შეინიშნება დიალექტური ინოვაციები: მრავლადაა თურქ. ნასესხობანი, თითქმის მთლიანად თურქულია ნათესაობის ტერმინოლოგია. ტოპონიმიკა ქართულია. სიტყვებიც კი, რებიც ცოცხალ მეტყველებაში აღარ იხმარება, დაცულია ტოპონიმიკაში (ბოსლიეთი – ბოსელს „ახორი“ ჰქვია; ვაკიეთი – ვაკეს „დუზი“ ჰქვია).

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ე., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993; M a r r N. Я., Дневник поездки в Шавштетию. – «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», VII, СПб., 1911.

გ. ცოცანიძე.

იმნაიშვილი გრიგოლ მოსეს ძე (3. XII. 1912, ქ. ტყვარჩელი, – 14. X. 1997, თბილისი), ენათმეცნიერი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1937), საქართვ. მეცნ. აკად. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-ტის ასპირანტურა (1941). მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტის უმცროს (1946), უფროს (1955), წამყვან (1995-იდან) მეცნიერ თანამშრომლად.

იკვლევდა ქართ. სალიტ. ენასა და მის დიალექტებს. ავტორია 7 წიგნისა და 130-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა.

თხზ.: ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956 (ა. მარტიროსოვის თანაავტორობით); ქართული ენის ინგილოური დიალექტის თაეისებურებანი, თბ., 1966; ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფია, თბ., 1969; ქართლური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები), I თბ., 1974; დიალექტოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, თბ., 1999; ქართული ენის გურული დიალექტი, თბ., 2005.

ლ. კვანტალიანი.

იმნაიშვილი ივანე ბესარიონის ძე, (10. I. 1906, სოფ. ლაშისღელე, ლანჩხუთის რ-ნი, – 26. I. 1988, თბილისი), ენათმეცნიერი; ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თსუ საენათმეცნიერო განხრით (1930). 1930–38 ეწეოდა პედ. საქმიანობას ლანჩხუთში, მცხეთასა და თბილისში. 1939–45 მუშაობდა თსუ ქართ. ენის კათედრაზე, კათედრის გაყოფის შემდეგ – ძვ. ქართ. ენის კათედრაზე (1945–88). 1949–51 იყო ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე.

ი. იკვლევდა ძვ. ქართ. ენის ძეგლებს. მოამზადა და გამოსცა „ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია“ (1979), ახალი აღთქმის წიგნებიდან – „იოანეს გამოცხადება“ და მისი თარგმანები (1961), თხზულების ძვ. ქართ. ვერსიასთან ერთად წარმოდგენილია ანდრია კესარიელის „თარგმანებაი“. ტექსტს ახლავს გამოკვლევა და ლექსიკონი. ასევე გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ გამოსცა „წამება შეიდთა ყრმათა მაკაბელთა“ (1980).

ი. აბულაძესთან ერთად ი. მონაწილეობდა ქართ. ოთხთავის ძვ. რედაქციის გამოცემაში სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (გამოსცა ა. შანიძემ, 1945), ძვ. ქართ. ენის კათედრის სხვა წევრებთან ერთად – სინური და უდაბნოს მრავალთავების გამოცემაში. ამათგან სინურ მრავალთავს მიუძღვნა ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა, რ-შიც ყნობრივ მიმოხილვასთან ერთად არის ერცელი ლექსიკონი.

ი-მა შეადგინა სასწავლო დანიშნულების „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია“ ორ ტომად (ტ. 1 –1949, ტ. 2 –1963). სასწავლო დანიშნულებისაა აგრეთვე ი-ის გამოცემა „საკითხაეი წიგნი ძველ ქართულ ენაში“ (ტ. 1, 1963; ტ. 2, 1966).

ი-ის ლექსიკოგრაფიული საქმიანობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის“ გამოცემა (ორ წიგნად, 1948 – 49); მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიის შედგენაში.

ი-მა ძვ. ქართ. ენის გრამატიკის საკითხებს მიუძღვნა ფუნდამენტური მონოგრაფია „სახელთა ბრუნება და ბრუნეათა ფუნქციები ძველ ქართულში“ (1957). შეავსო და ცალკე წიგნად გამოსცა (1972) ძვ. ქართ. ენის მიმოხილვა და ტაბულები. ძვ. ქართ. ზმნის მორფოლ. სტრუქტურის კვლევას ეძღვნება მონოგრაფია „ზმნა ძველ ქართულში“, რ-იც გამოსაცემად მოამზადა და 1996 მაისის ფრანკფურტში გამოსცა მისმა შვილმა ვ. იმნაიშვილმა. ამ ნაშრომისათვის ი. და ვ. იმნაიშვილებს ა. შანიძის სახ. პრემია მიენიჭათ.

ი. თანაავტორია (ა. შანიძესა და ლ. კეჟაძესთან ერთად) ქართ. ენის სასკოლო სახელმძღვანელოებისა. მას ეკუთვნის მეთოდიკური წერილები ძვ. და ახ. ქართ. ენის სწავლების საკითხებზე სკოლაში; წერილების სერია თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმალიზაციის საკითხებზე. წიგნად გამოიცა მისი „ქართული პოეტური ენის საკითხები“ (1966), აგრეთვე „ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა“ (1968).

ზ. ჭუმბურიძე.

ინგილოური, ქართული ენის დიალექტი. გავრცელებულია საინგილოში, რ-იც ამჟამად ასურბაიჯანის შემადგენლობაშია და მოიცავს კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რ-ებს. საქართველოში ი-ზე მეტყველებს დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროს მოსახლეობა.

X–XVII ს-მდე ეს მხარე ჰერეთის (XVII ს-ში კახეთ-ჰერეთის) შემადგენლობაში შედიოდა. XVIII ს-ში ჩნდება ტერმ. „ინგილო“. შესაბამისად, ინგილოთა სამოსახლოს ეწოდა „საინგილო“. ვარაუდობენ, რომ „ინგილო“ მიღებულია ძველი

თურქ. იანგილი ფორმიდან (yangili → yangilo „ახალი → ახალმორჯულებული"). თავდაპირველად „ინგილო" სოც. შინაარსის ცნება იყო და არა ეთნიკური.

Ი. იყოფა კაკურ და ალიაბათურ კილოკავებად. კაკურში გამოიყოფა ალიბეგლოური თქმა, ხოლო ალიაბათური იყოფა ალიაბათის, მოსულისა და ითითალის თქმებად.

დაცულია ჴ ფონემა (ჴელი „ხელი", საჴნავი „სახნავი"), არის ვ ფონემის წყვილბაგისმიერი უ̂ ვარიანტი (ქუ̂აჲ „ქვა", რუ̂აჲ „რვა", მოკლუ̂აჲ „მოკლვა"), დასტურდება სუსტი ხმოვანი ჷ, რ-იც ა, ე, ი და ო ხმოვნების ალოფონია (ჷმოჲ „ამოდი", შჷმოჲ „შემოდი", კარშჷ „კარში", კარზჷ „კარზე", კიდჷბან „კიდობანი", ყჷსმათ „ყისმათი"). დასტურდება უმლაუტიზებული ხმოვნები ო̈ (ზო̈ლ – „ძველი", ჩო̈ნ – „ჩვენი", ეო̈ზახ || ო̈ზახივარ – „ვეძახი") და უ̂ (კუ̂რტ – „კვირტი", წუ̂მაჲ – „წვიმა", ვუ̂ც || უ̂ცივარ – „ვიცი"), რ-ებიც ზოგჯერ ოპოზიციას ქმნიან ო და უ ხმოვნებთან და სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციას იძენენ: ზო̈ლ „ძველი" – ზოლ „ძვალი"; კუ̂რტ „კვირტი" – კურტ „კრუხი"..., ზოგჯერ კი თავისუფლად მონაცვლეობენ მათთან: ჩონ || ჩო̈ნ („ჩვენ"). Ი-ში ქართ. ენის მჟღერ ჯ და ძ აფრიკატებს ცვლის შესაბამისი მჟღერი სპირანტები ჯ → ჟ (დაჟდა „დაჯდა"), ძ → ზ (ზმაჲ „ძმა"). დასტურდება ხმოვანთა ფშვინვიერი, მკვეთრი და იოტიზებული (ჰ- || ყ- || ჲ-) შემართვა (ჰეკალ || ყეკალ || ჲეკალ „ეკალი"); გვხვდება გემინირებული ბბ, მმ, შშ, რრ, ლლ, გგ, წწ თანხმოვნები (კამმეჩი „კამბეჩი", სილლაჲ „სილა", ლობბაზ „მასხარა" და სხვ.).

Ი-ს ახასიათებს როგორც დამავალი (Vჲ, Vუ̂), ასევე აღმავალი (ჲV, უ̂V) დიფთონგები (ხუ̂ალ „ხვალ", მოხუ̂ელ „მოხვედი", ჲუ̂ქ „საპალნე"). პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე ადგილი აქვს ხმოვანთა კონტაქტურ ასიმილაციას: აე → ეე: (დეენახა „დაენახა"), ოე → ეე (მეეწონა „მოეწონა"), იე → ეე (მეეც, „მიეც"), ხოლო სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე – ხმოვანთა დისიმილაციას: ეე → იე (სამარიები < სამარეები, ტყიები ← ტყეები).

Ი-ში I პირისნიშნისეული ვ თანხმოვანი იწვევს პრეფიქსისეული ა ხმოვნის ლაბიალიზაციას (დოეკალი – „დავკალი"; ოგტკიედა – „ავტკივდა"). ინტერვოკალურ პოზიციაში იკარგება ვ სუბიექტ. პირის ნიშანი: ოვა → ოა → უა (მუალ „მოვალ", მუამზად „მოვამზადე"). აღსანიშნავია ასიმილაცია-დისიმილაციის ნიმუშები: აუ → ოუ → ოუ̂ → ოვ (ოული → ოუ̂ლი → ოვლი „აულია"), აუ → აუ̂ → ავ (პროგრესული დისიმილაციის გზით: აქაეროზა „აქაურობა", გოზაერ – გოზაური „ღვინო-არყის ჭურჭელი"), ანალოგიურად: ეუ → ეუ̂ → ევ (დეკეულ „დეკეული", დანაშაველ „დანაშაული"). დასტურდება ვა || უა → ო (ზოლ – ძვალი, ჭომ – ჭვამ – ეჭამ); პარალელურად დასტურდება ვა → უ (დეეაკუნ „დიაკვანი") და ვე → უ (ქართულ „ქართველი").

Ი-ში ვერ ძლებს ხშულ თანხმოვანთა ჯგუფები და სხვადასხვა გზით ხდება მოსალოდნელი არაბუნებრივი კომპლექსების აცილება: ა) ხმოვნის ჩართვით კიბილ – „კბილი", შიტოჲ – „შტო", ღრუ̂მ – „ღრმა"; ბ) სკ, სტ, სპ, შკ კომპლექსების წინ ე. წ. პროთეტული ხმოვნის გაჩენით – ისკამი – „სკამი", ისტაქან || ესტაქან – „სტაქანი", იშკოლ || უშკოლ – „შკოლა", იშკაფ – „შკაფი"; გ) თანხმოვანთა დაკარგვით – კინაჲ – „რკინა", ზეჲ – „რძე", წკინაეს || წყინაეს – „ბრწყინავს"; დ) თანხმოვანთა კომპლექსში შემავალი მეორე წევრის (ხშულის) ნაპრალოვანთან მონაცვლეობით – გზელი – „გძელი", ბზოლაჲ – „ბრძოლა", ყმედი – „ყბედი". Ი. თავიდან იცილებს ხმოვანთა უშუალო თანამიმდევრობასაც; ა) დიფთონგიზაციის გზით – აჲლა – „აილო", გაჲცინა – „გაიცინა", დეკეელი – „დეკეული"; ბ) ხმოვნის დაკარგვით – მოვყონი || მოუ̂ყონ̣ – „მოუყვანია", გონი – „ჰგონია"; გ) თანხმოვნის ჩართვით – შუეაჲ „შუა", ყმუვილ „ყმუილი", ნიგორი „ნიორი"... მაგრამ ეს წესი ირღვევა, თუ ხმოვანთმიმდევრობა ა) მორფემათა ზღვარზეა: ერთი – აერთეეს; ბ) მიღებულია თანხმოვნის დაკარგვით: იმააც (იმასაც); გ) ორი სიტყვის შეხორცებით: მეუმ (←მე უნ←მე უნდა), რაზიოეაჲ (←აზერბ. რაზი+ქართ. ობა „თანხმობა"); ასევე უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში: ტაიჲ (აზერბ. დაჲы „დედის ძმა"), ყაუმ (აზერბ. გოპუმ „ნათესავი, მოყვარე") და სხვ.

Ი-ის მორფოლ. თავისებურებებიდან აღსანიშნავია -ყე || -ყ ნაწილაკის ხმარება, რ-ითაც გამოიხატება: ა) პირდ. და ირ. ობიექტთა მრავლობითობა დაჴოცა-ყე || დაჴოცაყ – „დახოც-ნ-ა" (პირდ. ობიექტი), აჭამა-ყე || აჭამაყ „აჭამა" მან მათ ის (ირ. ობიექტი); ბ) რეალური სუბიექტის მრავლობითობა ინვერსიულ ზმნებში – ჰქონდა-ყე || ჰქონდა-ყ – „ჰქონდათ"; გ) ხოლმეობითი (მრავალგზისობა) – ცხო̈ვაყ (ცხვება ხოლმე), (ვ)ჭომყ (ვჭამ ხოლმე); დ) სახელებთან -ყენ „-კენ" თანდებულის ფონეტ. ვარიანტია – კარევისყენ „კარებისაკენ".

Ი-ის ალიაბათურ კილოკავში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს ბრუნვის ნიშნად შენარჩუნებული აქვთ -ი (დედაკაცი, შო̈ლი), ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი (მამა, ჟაფა), მაგრამ კაკურ კილოკავში საპირისპირო ვითარებაა: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარება (დედაკაც, შუ̂ლ), ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები კი – ჲ-ს (←ი) დაირთავენ (მამაჲ, დაჲ). მოთხრ. ბრუნვის ნიშნად Ი-ში გვხვდება -მა (კაცმა), -მამ (←მან): ამამ „ამან". მიც. ბრუნვის ნიშნად – -ს, -ჲ, -ჰ და Ø: ენაჲ უკიდეეს (←ენას უკიდებს „ენაჩლუნგია"). ნათ. ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილია შემდეგი ალომორფები: ი⌈ს⌉ (ჟეჲრანი ჴორც „ჯეირანის ხორცი"), -ჲ (მამაჲ გუ̂ლგაზ „მამის ცხვირსახოცი") და Ø (კო̈რცხ დანადო̈ვ ქათამ – „კვერცხის დამდები ქათამი"). მოქმ. ბრუნვის ალომორფებია: -ჲთი (ჩოშკაჲთი „ხმლით"), -ითი (ჴელითი „ხელით"), -ი (ფეყი „ფეხით") და Ø (ღამ მაასლევარ „ღამით მოვალ"). ვით. ბრუნვის ნიშნად დასტურდება: ა⌈დ⌉ (გადურა ჩოვცომ „ბიჭურად ჩაუცვამს") და -ჲ (მასხარაჲ მიგდეეს „მასხრად მიგდებს"). გამოყოფილია ლოკალური ბრუნვები: სადაობით-გამოსვლითი (კარშიჲთით „გარედან"), ნათ.-გამოსვლითი (კაციზგნი⌈თ⌉ „კაცისგანით"), ნათ.-მიმართულებითი (წაუ̂და თქო̈ნს „წავიდა თქვენსას"). დასტურდება სახელთა მრ. რიცხვის ორმაგი წარმოება (ქებეე-

ებ „რქებები"). გაერცელებულია მეშველზმნიანი წარმოება ყველა ტიპის ზმნათა I და II პირში (ხატავ-ვარ/-ხარ „ვხატავ-ხატავ", ბრრდრვი-ვარ/-ხარ „ებერდებიბერდები", ტურუ-ვარ/-ხარ „ეტირიტირი", (ვ)წევ-ვარ/-ხარ.

ი-ში ადგილი აქვს -აე სუფიქსის უნიფიცირებას (წრრ-აე-ვარ „ვწერ", დრრკ-აე-ვარ „ვდრეკ", ყოფ-აე-ვარ „ვყოფ"). თხოვნითი-ბრძანებითის II პირის ფორმად გამოყენებულია II კავშირებითის ფორმა (წახუდო!). ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმებში წარმოება უნიფიცირებულია: კაკურში – ი ან Ø (შოღნახ || შოღნახი „შეეინახე". შაღნახ „შეინახე"), ალიაბათურში – პირიქით, -ე სუფიქსი ერცელდება (ეიცანე-იცანე „ეიცანი-იცანი"); უნიფიცირებულია კავშირებითების წარმოება II და III სერიებში (წაეყონას – II კავშირებითი, მეგეცას – III კავშირებითი), ხოლო ალიაბათურში – ო (მოკლოს „მოკლას"); კაკურში დინამიკური ენებითის აწმყოს მრ. რიცხვის III პირში დასტურდება -ი-ს დაბოლოება (ჴდევის), ხოლო ალიაბათურში – ა (ჴდება); კითხვით ნაცვალსახელთან ერთად გამოიყენება კითხვითის -ა ნაწილაკი (მინ არისა? „ვინ არის?").

უცხო ენიდან ნასესხებია ზოგი ზმნიზედა, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული და აფიქსები (ჰევაშ-ჰევაშ „ნელ-ნელა", ჰათაარ „როგორ", ჰამ „თან", დენა „ცალი". ამმა „მაგრამ", გა || გაჰ „ხან", ანჟახ „მდე" -ბე („-თვის"), ჰაღფ („ბრალების შორისდებული), ხელობის აღმნიშვნელი სუფიქსი -ჩი (კოლხოზ-ჩი „კოლმეურნე", ოჯახ-ჩი „მონადირე"); ლაფ „ძალიან"... დამკვიდრებულია აღმატებითი ხარისხის წარმოების ასერბ. წესი – პირველი მარცვალს დაერთოს მ თანხმოვანი (კომკორაფ „ძალიან მკვახე", წიმწითელ „სულმთლად წითელი").

შეინიშნება აზერბაიჯანულის გაელენით წარმოქმნილი ფრაზეოლოგიური კალკები: მასწაელებელი სა ხისა? „მასწაელებელი სად ცხოვრობს?" თავში ჩაეარდნაღ „მიხვედრა, გააზრება".

ი-ში საგრძნობია უცხო ენიდან ნასესხები ლექსიკის სიუხვე (აღუღუ „შხამი", ბარუღ „კედელი", თქაღ „ჯიხვი", მაშაყ „ფოცხვერი", ტაღარ „გუდაღ", ხაჩ „ჯვარი", ხაღ „უვარგისი, გაფუჭება" და სხვ.). დაცულია ძვ. ქართულისეული ფენა (ასტამი „ცომის საფეხური", ტაბლა „მაგიდა, სუფრა", გაჴდა „გახდა, გაძრობა", დაზოვაღ, ზოვაღ „მოგება, შობა, დაბადება...).

ლიტ.: ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საინგილო. ტფ., 1913; ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966; ჩ ა ნ გ ა შ ვ ი ლ ი გ., საინგილო, თბ., 1970; რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978; ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე რ., ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988; კ უ ზ ი ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ხმოვანთა სისტემა ინგილოურში. – «მაცნე» (ენისა და ლიტერატურის სერია), 1991, №4.

ვ. კუზიბაბაშვილი.

ინვერსია (< ლათ. inversio – გადაადგილება, შებრუნება), მოცემული ენისათვის სიტყვის ან წინადადების ნაწილების ნორმად მიჩნეული რიგის, თანამიმდევრობის შეცვლა, შებრუნება. ინდოევრ. ენათმეცნიერებაში აღნიშნავს წინადადებაში სიტყვათა რიგის, უფრო ხშირად, სუბიექტისა და პრედიკატის თანამიმდევრობის შეცვლას. ქართველოლოგიაში ი. ძირითადად გამოიყენება ზმნაში პირის ნიშანთა რიგის შებრუნების აღსანიშნავად, გვხვდება სიტყვათა რიგის, კერძოდ, მსაზღვრელსაზღვრულის წყობის შეცვლის მნიშვნელობითაც.

პირის ნიშანთა ი. გულისხმობს სუბიექტ. პირის გამოხატვას ობიექტ. პირის ნიშნით და პირიქით (იხ. *პირი*). ი-ის მიზეზად მიჩნეულია ის გარემოება, რომ ობიექტი (ირიბი) ყოველთვის აღნიშნავს სულიერ (ან მასთან გათანაბრებულ) პირს და ამიტომ წარმოადგენს მოქმედ, განმცდელ, აღმქმელ პირს, მაშინ როდესაც სუბიექტი უფრო ხშირად გამოდის აღქმის საგნის როლში. ამის შედეგად იქმნება წინააღმდეგობა პირის ნიშნებსა და მათ მიერ აღნიშნული პირის ფუნქციებს შორის. ამ წინააღმდეგობის მოსახსნელად არნ. ჩიქობავამ შემოიტანა მორფოლ. სუბიექტის (რეალური ობიექტის) და რეალური სუბიექტის (მორფოლ. ობიექტის) ცნებები, რ-თაგან პირველი წარმოადგენს მეორის თავისებურ ენობრივ ასახვას.

პირის ნიშანთა ი-ის პრობლემასთან დამოკიდებულება ქართველოლოგიაში არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, სპეციალისტთა ნაწილი ი-ის არსებობას უარყოფს (ა. ონიანი, გ. კლიმოვი), მეორე მხრივ, აზრთა სხვადასხვაობაა ი-ის მომხრეთა შორისაც ამა თუ იმ ტიპის ზმნათა ინვერსიულად მიჩნევის თაობაზე. ძირითადად ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი: ა. შანიძის აზრით, ინვერსიულია გარდამავალი მნის III სერიის ფორმები. არნ. ჩიქობავასათვის ინვერსიულია აგრეთვე მიყვარს, მაქვს ტიპისა და რამდენიმე ლაბილური ზმნა. დღეისათვის ი-ს უფრო ფართოდ განიხილავენ (იხ. *ინვერსიული ზმნები*).

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართულში მოხდა ი-ის გრამატიკალიზაცია, რაც მიც. ბრუნვაში დასმული სახელის (რეალური სუბიექტის) მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვებით გამოიხატა (ბ. ჯორბენაძე, დ. მელიქიშვილი).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953 (1973); მ ი ს ი ვ ე, თხზ., ტ. 2, თბ., 1981; ჩიქობავა ა., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1928 (1968); მ ი ს ი ვ ე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; ო ნ ი ა ნ ი ა., ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., Принципы становления инверсионных глаголов. – «იკე», VIII, თბ., 1981; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

ნ. ლოლაძე.

ინვერსიული ზმნები, ფართო გაგებით – ზმნები, რ-ებშიც ადგილი აქვს პირის ნიშანთა ინვერსიას; ვიწრო გაგებით – ზმნათა ლექსიკურ-გრამატიკული ჯგუფი, რშიც გაერთიანებულია გრძნობა-აღქმისა და უნებლიე პროცესების აღმნიშვნელი ზმნები. ამ ზმნათა სპეციფიკიდან გამომდინარე, გრამატ. ობიექტი (ირიბი) წარმოადგენს აღმქმელ, განმცდელ პირს, ამიტომ იგი შეფასებულია როგორც მოქმედი.

დღეისათვის ქართველოლოგიაში ინვერსიულად მიიჩნევა: ა) III სერიის ფორმები გარდამავალი ზმნისა (გარ-იკეთებია მე ის); ბ) გრძნობა-აღქმის ზმნები (მ-იყვარს ტიპისა; აგრეთვე, მაქვს, მყავს); გ) კაუსატიური ზმნები, რ-ებიც ინვერსი-

ის საფუძველზე სურვილის გამოხატვის უნარს იძენენ (კაუზატივი: მ-ამღერა მან მე სიმღერა – სურვილის სემანტიკა: ნებაყოფა მ-ამღერა მე სიმღერა); დ) გუნების, მიწნეების, უნებლიე მოქმედების გამომხატველი ენებითის ფორმები (მ-ემღერება, მ-ცოტაენება, შემო-მ-ეხარჯება); ე) სუბიექტგაუწინარებული სმნები მოქმედებითი გვარისა (მ-აცახცახებს 'შიშისაგან); აგრეთვე მედიოაქტიურ სმნათა III სერიის ფორმები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ზემოაღნიშნული ტიპის სმნათა ინვერსიულობას არ იზიარებენ თვით ინვერსიის მომხრენიც კი (იხ. *ინვერსია*).

ი. ს-თა თაეისებურებებზე ;ურადღება გაამახვილა დ. ჩუბინაშვილმა, ხოლო მათი გამოყოფის დასაბუთება და უღელილების სისტემაში განსაკუთრებული ადგილის მიჩენა ნ. მარის სახელს უკავშირდება. აღნიშნული სმნები იწვევს ქართ. ენის უცხოელ მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესსაც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გრძნობა-აღქმის პროცესების გაღმოსაცემად ქართულს უფრო აღეკვატური კონსტრუქცია მოეპოვება, ვიდრე ბევრ ინდოევროპულ ენას (ფ. ფინკი, ა. დირი).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953 (1973); მისივე, თხზ., ტ. 2, თბ., 1981; ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; ჯორბენაძე ბ., Принципы становления инверсионных глаголов. – «იკეწ», VIII, თბ., 1981; მელიქიშვილი ლ., ქართული სმნის უღლების სისტემა, თბ., 2001; Чубинов Д., Краткая грузинская грамматика, СПб., 1855; Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925; Дирр А., Глагол в кавказских языках. – კრ.: «Эргативная конструкция предложения», М., 1950; Финк Ф., О якобы пассивном характере переходного глагола. – იქვე.

ნ. ლოლაძე.

ინვერსიული ლექსიკონი, *ლექსიკონი*, რ-შიც სიტყვები ანბანის რიგზე გაწყობილია შებრუნებით, ანუ დაბოლოების მიხედვით. ამგვარად, თუ ჩვეულებრივ ლექსიკონებში სიტყვები განლაგებულია თავკიდურ ასოებზე (ბაძი, ბაძგი, ბაძვა, ბაძილი, ბაწარი, ბაჭია...), ი. ლ-ში ბოლოკიდური ასოები იცავენ ანბანურ რიგს (ორფა, ქორფა, ტურფა, ულუფა, აქა, მუთაქა, ლაქა, ლაქლაქა...).

აღსანიშნავია ი. ლ-თა სამეცნ. და პრაქტ.-ფილოლ. დანიშნულება. დაბოლოებათა მიხედვით სისტემატიზაციის გზით ამგვარი ლექსიკონები ნათელ სურათს იძლევა სიტყვათა აუსლაუტის ფონოლოგიური და მორფოლ. სტრუქტურის შესახებ, ადვილებს სუფიქსების მიხედვით ფორმათა ძიებასა და ანალიზს, მით უფრო, როცა საკითხი ეხება აგლუტინაციური ტიპის ენებს. ამგვარად გაწყობილი მასალა მაქსიმალურად ხელმისაწვდომია პედ. დანიშნულებითაც.

ენობრივი მასალის ინვერსიული სისტემატიზაცია განსაკუთრებით აქტუალური ხდება მანქანური ენის დამკვიდრების, მასალის აეტომ. ანალიზისა და სინთეზის ინტენს. დარერგეის პირობებში.

ი. ლ-ის შედგენა გულისხმობს საწყის მასალად რაიმე კონკრეტული ლექსიკონის (სიტყვანის) არსებობას – ცალკეული ნაწარმოებისა თუ მწერლის ლექსიკონიდან დაწყებული და ენის სრული განმარტებითი ლექსიკონით დამთავრებული. ქართ. ენისათვის არსებობს ენათმეცნ. ინ-ტის მიერ მომზადებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" 8-ტომეულის საფუძველზე ბ. ფოჩხუას რედაქციით შედგენილი „ინვერსიული ლექსიკონი" (თბ., 1967) და ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის" საფუძველზე შედგენილი „ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის" ინვერსიული საძიებელი" (თბ., 1979).

ა. არაბული.

ინლაუტი (გერმ. Inlaut – შიდა ბგერა), მედიალი, სიტყვის (ძირის) შიგნითა ბგერა, ბგერათმიმდევრობა, მარცვალი. მედიალურ ბგერას ფონეტიკურად არა აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი არც შემართება და არც დამართება. მედიალურ პოზიციაში ბგერათმიმდევრობას შეიძლება ახასიათებდეს *ანლაუტისა* და *აუსლაუტისაგან* განსხვავებული ფონეტ. და მორფონოლოგიური თავისებურებები.

ლიტ. იხ. სტატიებთან *ანლაუტი, აუსლაუტი.*

ნ. კიზირია.

ინტენსივობა (ლათ. intensio – დაძაბულობა, გაძლიერება), მეტყველების ნაკადში ბგერის წარმოთქმის მეტ-ნაკლები სიძლიერე. ის ბგერები, რ-ებსაც მთქმელი დიდი ინტენსიობით წარმოთქვამს, მახვილიან მარცვალს შეადგენენ. ქართულში ი. სიტყვათმახვილის მთავარი მახასიათებელია (იხ. *მახვილი*). ი. აგრეთვე ერთ-ერთი საშუალებაა სიტყვის ლოგიკური გამოყოფისა. ამ შემთხვევაში ინტენსივობა მკვეთრად იზრდება მახვილიან მარცვალზე; თანდათან მცირდება ი. სინტაგმის ლოგიკურ მახვილშიც (იხ. *მელოდია*).

ი. თევდორაძე.

ინტერნაციონალიზმები, ლექსიკური ერთეულები, რ-ებიც გავრცელებულია მსოფლიო, მ. შ. არამონათესავე, ენათა დიდ არეალში. ი-ის სათავე უპირატესად ბერძნ. და ლათ. ენობრივი სამყაროა, საიდანაც მომდინარეობს ევროპ. ცივილიზაციის, ინტელექტუალური მოღვაწეობის სხვადასხვა დარგის შესაბამისი ტერმინოლოგია. ი-ის წყაროა აგრეთვე არაბ. და ებრ. ენები. ი-ის ფონდი ივსება თანამედროვე ენებიდანაც: იტალიურიდან (მუს. ტერმინოლოგია), ინგლისურიდან (საზღვაო ტერმინოლოგია) და სხვ. ქართ. ენის ხანგრძლივმა კულტ.-ისტ. კონტაქტებმა დას. და აღმ. ენობრივ სამყაროსთან განაპირობა ის, რომ ქართულმა ადრიდანვე შეითვისა სპეც. სიტყვები და გამოთქმები, ასევე გავრცელებული მსოფლიოს არაერთ ენაში (მაგ., ფილოსოფია, ისტორია, გრამატიკა, ლექსი, ეკლესია, ექსორია...).

ი-ის ფართოდ დამკვიდრება ენებში, მ.შ. ქართულში, განსაკუთრებით განაპირობა XIX–XX სს. სამეცნ.-ტექ. პროგრესმა, ინტენსიურმა სოც.-ეკონ. ურთიერთობებმა და ა.შ. ამ გზით დამკვიდრდა ენაში არაერთი საერთაშ. სიტყვა (კოსმოსი, დიალექტიკა, ნეიროზი, ანესთეზია, აქსიომა, ანალოგია, აბსურდი, აბსცესი და მისთ.).

ხშირად ი. ენაში შემოდის სხვა ენების მეშვეობით და შესაბამისად იცვლის ჟღერადობას, ზოგჯერ მნიშვნელობასაც.

არცთუ იშვიათად ინტერნაციონალური ტერმინოლოგია შექმნილია ხელოვნურად (არსებულის ანალოგიით), უპირატესად ბერძნ. და ლათ. ენათა საფუძველზე (ფო-

ნოლოგია, გრაფემა, მორფემა, სემანტიკა და მისთ.).

ი. შეადგენს ენის უცხო სიტყვათა ლექსიკონის მნიშვნელოვან ნაწილს. *ა. არაბული.*

ინტონაცია (< ლათ. intonatio, intono – ხმამაღლა წარმოვთქვამ), *მელოდიკის* ძირითადი კომპონენტი. სხვა კომპონენტებთან ერთად ი. ქმნის ფრაზას, ყოფს მას სეგმენტებად და რიტმიკულ ჯგუფებად, განასხვავებს სხვადასხვა საკომუნიკაციო ერთეულს: კითხვითს, თხრობითს და ა. შ. ლინგვისტური ანალიზის დროს ყურადღება ექცევა ტონალურ დიაპაზონს, ინტერვალებს, ინტონაციურ მწვერვალს, ინტონაციის მიმართულებას სინტაგმის ბოლო მარცვლებსე და ა. შ. ი. არის მელოდიკური ასპექტის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, სხვა კომპონენტები კი მხოლოდ მისი თანმხლები ნიშნებია. ამიტომ მელოდიკის კვლევისას ხშირად მელოდიკური ასპექტის ანალიზი დაყვანილია ი-ის შესწავლამდე (აქედან ტერმ. „ი-ის“ არაადეკვატური ხმარება „მელოდიკის“ მნიშვნელობით რუს. სალანათმეცნ. ლიტ-რაში).

ქართულში ი., სხვა მახასიათებლებთან ერთად, გამონათქვამს ყოფს სინტაგმებად (იხ. *სინტაგმა* I) – საზღვრები სინტაგმებს შორის აღინიშნება ინტონაციური ჭარბის შეცვლით: ი. ქმნის სინტაგმის მახვილებს; მიგვანიშნებს აგრეთვე სინტაგმის მთავარ სიტყვაზე. ტონის აწევა ხდება მახვილიანი ხმოვნის მომდევნო მარცვალზე (იხ. *მახვილი*).

ი-ს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების ემოციური ელფერის გამოხატვისას.

ი. თევდორაძე.

ინფინიტივი (ლათ. infinitivus – განუსაზღვრელი), ზმნის განუსაზღვრელი ფორმა, აღნიშნავს განზოგადებულ მოქმედებას პირსა, რიცხვსა და (ენათა უმრავლესობაში) ზმნის სხვა კატეგორიებზე მითითების გარეშე. გენიტივურად ი. ნაზმნარი არსებითი სახელია და მისი ერთ-ერთი ბრუნვის ფორმას უკავშირდება. ახ. ქართულში ინფინიტივი არ არის. მასთან მნიშვნელობით ახლოს დგას ნაზმნარი არსებითი სახელი – *მასდარი* (საწყისი). ძვ. ქართულში დადასტურებულია ი-ის თავისებური სახეობა – ნაზმნარი არსებითი სახელის ვით. ბრუნვის ფორმა, რიც არასინტაქსურ ოდენობას წარმოადგენდა და იხმარებოდა სხვა ენათა ი-თვის დამახასიათებელ პოზიციებში, ი-ის ფუნქციით (ისწრაფდა განკურნებად, შდრ. ისწრაფდა განკურნებასა), რაც მთავარია, ჰქონდა ობიექტის ზმნური მართვის უნარი (ისწრაფდა განკურნებად მოყუასსა... უბრძანა აღმოცენებად წყალი...). იხ. *მასდარული კონსტრუქცია.*

დ. ჩხუბიანიშვილი.

ინფიქსი (ლათ. infixus – შიგ ჩამაგრებული, ჩართული), *აფიქსი*, ჩართული მარტივ ფუძეში, ანუ ძირში. ქართულ ენაში გვაქვს ფონეტ. პროცესთა შედეგად მიღებული ნასუფიქსარი და ნაპრეფიქსალი ინფიქსები: მოკ-ე-ლა (შდრ. კლ-ავ-ს), ჩაგ-ე-რა (შდრ. ჩაგრ-ავ-ს), ხ-ე-ნა (შდრ. ხნ-ავ-ს)..., დიალექტი ნა-ე-ხე (< ე-ნახე), ტ-ე-ეხავ (ეტეხავ)– *მ. ბერიძე.*

ინანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (16. V. 1768, თბილისი, – 15. II. 1830, სანქტ-პეტერბურგი), სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელი, მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი; გიორგი XII-ის ვაჟი. დაწყებითი განათლება დაიგით რუქტორის ხელმძღვანელობით მიიღო. მის განათლებაში გარკვეული როლი ითამაშა ერეკლე მეფის კარზე პოლიტ. აგენტმა იაკობ რაინეგსმა და ავსტრიელმა მეცნიერმა იოსებ გეტიკმა.

ი. ბ. ახალგაზრდა ჩაება საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1789 ლეკებს ებრძოდა სუდაელაზე, 1790 იმერეთში იყო ერეკლე მეფის დავალებით და იცავდა სოლომონ II-ის ტახტს პრეტენდენტთა შემოსევებისაგან. 1795 აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში მოწინავე რაზმის სარდალი იყო: კრწანისის ბაღებში მიიღო მტრის პირველი დარტყმა, უკუაგდო იგი, შემდეგ კი ერეკლე მეფე დატყვევებისგან იხსნა. 1796 სოფ. შილდას იცავდა ომარ-ხანის (ხუნძახის ბატონი) შემოსევებისაგან. 1798 სოფ. დირბთან დაამარცხა ლეკები. იმავე წელს დავით ბატონიშვილთან ერთად გაილაშქრა ყარსის საფაშოს წინააღმდეგ და გაიმარჯვა. 1800 თავი გამოიჩინა ომარ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ნიახურასთან. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ აქტიურად ეხმარებოდა დავით ბატონიშვილს ტახტის შემომტკიცებაში. 1801 რუსეთის მთავრობამ ი. ბ. აიძულა სამშობლო დაეტოვებინა (ძმებთან ერთად) და რუსეთში გადასახლებულიყო. იგი ჯერ მოსკოვში შეჩერდა, 1802 თებ-იდან კი პეტერბურგში დამკვიდრდა.

ი. ბ-მა ადრე დაიწყო სამეცნ. მოღვაწეობა. 1794–98 ხელმძღვანელობდა (დავით ბატონიშვილთან ერთად) ქართლ-კახეთის აღწერას. 1799 დაწერა მნიშვნელოვანი ნაშრომი „სჯულდება“, რ-შიც დასმულია საქართველოს მართვისა და პოლიტ.-საზ. და კულტ.-ეკონ. ცხოვრების რეორგანიზაციის საკითხები. ინტერესს იწვევეს ავტორის აზრი „განათლების მოხელის“ პოსტის შემოღების შესახებ, რ-საც უნდა ეხელმძღვანელა სკოლებისა და სტამბის საქმიანობისათვის; საჭიროდ თვლიდა სათათბირო ორგანოს შექმნას, გაზეთის დაარსებას, უმაღლესი სასწავლებლების გახსნას თბილისში, გორსა და თელავში; დაწყებითი განათლების შემოღებას ეაჭართა და გლეხთა შვილებისთვის და სხვ.

პეტერბურგში დამკვიდრების შემდეგ პოლიტ. ასპარეზს ჩამოცილებული მეცნიერი ენციკლოპედიურ განათლებას დაეწაფა და გულდასმით მუშაობდა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ისტორია, ლექსიკოგრაფია, ფილოსოფია, ესთეტიკა, მუსიკა, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, სამხედრო საქმე და სხვ.); გარს იკრებდა ენების მცოდნე და მუყაით მწიგნობრებს და წარმართავდა მათ კულტ.-საგანმან. მოღვაწეობას: ათარგმნინებდა და თვითონაც თარგმნიდა პროგრესული იდეების შემცველ სამეცნ. შრომებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, სამკურნალო წიგნებს და გზავნიდა საქართველოში. მისი აზრით, ქართველების ხსნა ფართო განათლებითა და მრავალგვარი ცოდნის დაუფლებით იყო შესაძლებელი. თვითონაც აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა: თარგმნიდა საჭირო წიგნებს, ქმნიდა სახელმძღვანელოებსა თუ ლექსიკონებს, სამკურნალო წიგნებსა და ენციკლოპედიური ხასიათის შრომებს. აღსანიშნავია მისი ორიგინ. თხზუ-

ლებები: ისტ. ხასიათის – „ქართლ-კახეთის აღწერა“, „ბაგრატიონთა შთამომავლობა“; „ქართული ლექსიკონი“, რ-ის მხოლოდ ფრაგმენტია მოღწეული (აა-ანოლა), „მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი“, „სალექსიკონო მასალები“, „ქართული გრამატიკა“, „სწავლანი“ – ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება, სამშობლოს მონატრებით დაწერილი „ჰატარა ედემით განძება“ და სხვ. რაც შეეხება რუს.-ქართ. და საბუნებისმეტყველო ლექსიკონებს, რ-ებიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მას მიეწერებოდა, შედგენილია სხვა ავტორის მიერ ი. ბ-ის დავალებითა და ზედამხედველობით (იხ. *ჭილაძე გ.*).

ი. ბ-ის შემოქმედების გეირგეინია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „ხუმარსწაელა“, ანუ „ქალმასობა“, რ-იც დაიწერა 1813–28. საქართველოს სამ. ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის მოსურნე და მქადაგებელი, იგი თხზულებაში საინტერესოდ გადმოსცემს განმანათლებელთა იდეებს და მათ განხორციელებას უკავშირებს თავისი ქვეყნის პოლიტ. ძლიერებასა და კულტ.-ეკონ. აღორძინებას. სწორედ „ხუმარსწაელაშია“ ჩართული ავტორის პირველი გრამატ. ნაშრომი. გრამატიკა სიტყვა-მიგების წესითაა დაწერილი. შინაარსობრივად იგი მოჰყვება *დავით ბატონიშვილის, ანტონ I-ის* და განსაკუთრებით *გაიოზ რექტორის* გრამატიკებს. მეორე დამოუკიდებელი გრამატ. ნაშრომი (1829) სახელმძღვანელოდაა გათვალისწინებული, არ იმეორებს პირველს. ავტორს უსარგებლია მთლიანად დავით ბატონიშვილის გრამატიკით, თუმცა მასში ცალკეული (უმნიშვნელო) გადახვევები მაინც შეინიშნება. ი. ბ-ის გრამატიკებმა ქართ. გრამატ. აზრის განვითარებაზე გავლენა ვერ იქონია (ა. ფოცხიშვილი).

ი. ბ-ის თხზულებათა ენა (როგორც ორიგინალურის, ისე თარგმანებისა) ხასიათდება ოროთოგ. და გრამატ. ნორმათა დიდი სიჭრელითა და ნაირგვარობით, ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა დროისა და წარმომავლობის ენობრივი ფორმებისა და ლექსიკის, კერძოდ, არქაულის, ფსევდოარქაულის, ახ. ქართულის, დიალექტურის, სასაუბრო ენობრივი და ხელოვნური სიტყვათწარმოების ნიმუშების თუ სინტაქსური კონსტრუქციების ხმარებით. თხზულებათა ენა საინტერესოა იმითაც, რომ კარგად ასახავს თავისი დროის სალიტ. ენაში მიმდინარე პროცესებს – ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებისა და ენის არქაიზაციის ტენდენციებს. ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენის გამოსახატავად ი. ბ-ის თხზულებებში გამოყენებულია ორი სხვადასხვა სტილი – არქაიზებული და სასაუბრო, თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ენობრივი საშუალებებით (გრაფიკა და ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, ფრაზეოლოგია). ზოგჯერ ორივე სტილი ერთი თხზულების ფარგლებში ენაცვლება ერთმანეთს, მაგ., „ხუმარსწაელაში“ მეცნ. ცოდნის გადმოსაცემად – ფილოს., საღვთისმეტყველო, გრამატ. და სხვ. კატეგორიებზე მსჯელობისას არქაიზებული ენაა გამოყენებული, ხოლო თხრობანი და დიალოგები მარტივი, სასაუბრო, ქართლ.-კახური დიალექტიზმებით შესავსებული ენითაა გადმოცემული. მაგრამ არქაიზებული ენის გამოყენება ი. ბ-ის თხზულებებში მარტო ენაში მიმდინარე ტენდენციით არ აიხსნება. როგორც ჩანს, მისი საფუძველია ანტონ I-ის შეხედულებები სტილთა თეორიის შესახებ და მისიეე გრამატიკა, რ-ის ცოდნა და გამოყენება საეალდებულო იყო იმ დროის განათლებული მწიგნობრებისთვის. ამიტომ არის, რომ ი. ბ. მწერალთა მემკვიდრეობის შეფასებისას („მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“) ხელმძღვანელობდა მათი „მაღალ ფრასის“ თხზვის უნარით, თუმცა თვითონ ამას პრაქტიკულად ვერ (თუ არ) ასხამდა ხორცს.

თხზ.: სჯულდება, იე. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1957; ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოცემა, თბ., 1986; ხუმარსწაელა, წგ. I, თბ., 1990; წგ. II, თბ., 1991 (გამომცემლები: ვ. კახაბრიშვილი და ც. კიკვიძე).

ლიტ.: გოგუაძე ნ., იოანე ბატონიშვილის „გრამატიკა“. – «კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», 1962, ტ. 4; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; ქოტინოვი ნ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან. XVIII–XIX სს., თბ., 1973; ქუთათელაძე ლ., იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“, თბ., 1975; ქიქოძე გ., წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985; ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995; კიკნაძე ლ., იოანე ბატონიშვილის ქალმასობისეული ქართული გრამატიკის ტექსტისათვის. – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), XX, თბ., 2003.

ლ. კიკნაძე.

იოანე-ზოსიმე, X ს. მწიგნობარი და საეკლესიო მოღვაწე. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ძალზე ძუნწადაა შემონახული ძირითადად ქართ. ხელნაწერთა სინური კოლექციის ანდერძმინაწერებში. ი.-ზ-ს სახელს უკავშირდება მრავალი ხელნაწერის როგორც შედგენა-გადაწერა, ისე შემოსვა-განახლება. მისი მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია პალესტინასთან: მოღვაწეობდა ჯერ *საბაწმიდის ლავრაში* (40-იანი წლების დასაწყისიდან 60-იანი წლების დასასრულამდე), შემდგომ კი – სინას მთაზე. უადრესი ხელნაწერი, რ-იც ადასტურებს ი.-ზ-ს მოღვაწეობას სინაზე, არის Sin 35, მის მიერ შემოსილი 973, ხოლო უგვიანესი – ა. ცაგარლის კატალოგის № 93 და № 92 (ამჟამად გაფანტული სხვადასხვა სიძველეთსაცავში), გადაწერილი და შემოსილი 986.

ი.-ზ. იმ ქართვ. საბაწმიდელ-სინელ საეკლ. მოღვაწეთა წარმომადგენელია, რ-ებიც ქრისტ. ღვთისმსახურების წინაბიზანტიური, ანუ იერუსალიმური წესის აღმსრულებელი უკანასკნელი თაობა გამოდგა. საქართველოს პოლიტ. ორიენტაციამ X ს. II ნახ-ში განსაზღვრა ქართ. ეკლესიის გადასვლა კონსტანტინოპოლის საღვთისმსახურო წესზე. ამ პროცესმა, როგორც ჩანს, განაპირობა საბაწმიდელ-სინელ მწიგნობართა მოღვაწეობის შინაარსი და მიმართულება. თავისი დროის სიახლეთა დანერგვასთან ერთად ისინი ცდილობდნენ, იერუსალიმური ტრადიციის ამსახველი მრავალი ძეგლი თუ ლიტურგიკული წესი შეეფარდებინათ ახ. პრაქტიკასთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ი.-ზ-ს როგორც ლიტურგისტის მოღვაწეობა. მის მიერ შედგენილი კრებულები აღბეჭდილია ერთდროულად სიახლითაც და სიძველითაც. პირველ რიგში გამოყოფენ მის ენციკლოპედიური ხასია-

თის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულს Sin 34-ს. რ-იც თვით ი.-ზ-ს თქმით, მას შეუდგენია სწავლულ კაცთათვის („მეცნიერისა კაცისათ ს"). ანდერძის მიხედვით, კრებულის შედგენა ი.-ზ-ს 965 დასრულებია, მაგრამ გარკვეული შენიშვნა-განმარტებები თუ სხვა მასალა კრებულში შეტანილი ჩანს მისი მოღვაწეობის სინურ პერიოდში. Sin 34-ის გარკვეული ნაწილები, რ-ებიც დაკარგულად ითვლებოდა, დაცული აღმოჩნდა პეტერბ. საჯარო და ლაიფციგის უნ-ტის ბიბლიების ხელნაწერთა კოლექციებში. ეს შევსება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის Sin 34-ის მნიშვნელობას. ბევრი ძეგლი, რ-ებიც მხოლოდ ი.-ზ-ს კრებულებმა შემოინახეს, პირველად Sin 34-შია შეტანილი ან მხოლოდ ამ ხელნაწერითაა მოღწეული. ხელნაწერის შენიშვნა-განმარტებებსა და ანდერძ-მინაწერებში ნათლად ჩანს, თუ როგორ იძიებს ი.-ზ. ამა თუ იმ ძეგლის სხვადასხვა წარმომაელობისა და სიძველის რედაქციებს, აჯერებს მათ ახ. თანამედროვე პრაქტიკასთან და ქმნის სრულიად ახალ მთლიანობას. ამგვარ იშვიათ ძეგლებს მიეკუთვნება პასქალისტური ხასიათის ერცელი ნაშრომი – „ცნობისათჳს და უწყებისა, ჭეშმარიტად რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ, განსაზღერული გამოძიებისათჳს ჟამთა და წელთა.." (Sin 34, Sin 38), რ-შიც განმარტებულია ქართ. და ბერძნ. ტრადიციაში სხვადასხვა კალენდარული გამოთველების წესი და მოცემულია მე-13 მოქცევის (781–1312) 532-წლიანი ციკლის ტაბულა (გამოცემულია). განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომში მოცემული ქრონოლოგიური სისტემები, მ. შ. „ქართველთა სათვალავი". ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა წყაროს საფუძველზე შედგენილი „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწადისათაჲ", რ-იც პალესტინური ტრადიციის საეკლ. დანიშნულების ერცელი კალენდარია. საეკლ. დღესასწაულთა და ხსენებათა, მ. შ. ქართ. წმინდანების ხსენებათა გარდა, კალენდარი შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს პალესტინის წმინდა ადგილებისა და ეკლესია-მონასტრების, აგრეთვე ჰაგიოგრაფიისა და ლიტურგიკის საკითხების შესასწავლად. ი.-ზ. დიდ ყურადღებას უთმობდა ჰიმნოგრაფიული კრებულების შედგენას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრებულთა შორის ქეცელაზე ადრეული Sin. 34 ხელნაწერი, რ-შიც *იადგარის* ორი – უძველესი და ახალი – რედაქციებია შეტანილი. ამ კრებულში აისახა ძველიდან ახ. ტიპის საგალობლებზე გადასვლის პროცესი, ამ ეტაპზე საღეთისმსახურო პრაქტიკაში ძვ. და ახ. ტრადიციების ურთიერთშეთავსება.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ი.-ზ. მოიხსენიება როგორც „მჩხრეკალი", ანუ ტექსტის დამდგენელი და რედაქტორი, მომგებელი, ხელნაწერის შემმოსველი. იგი არსად არის დასახელებული ავტორად ან მთარგმნელად. ამის მიუხედავად, მას მიაწერენ ავტორობას ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლისა, როგორიცაა *„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"*, რ-ის სამი ნუსხა ი.-ზ-ს ხელით არის გადაწერილი. მკვლევართა ნაწილი ი.-ზ-ს ამ ძეგლის მხოლოდ გადამწერად თვლის. ი.-ზ-ს მიეწერება ასევე ორიგინ. აკროსტიქული ლექსი Sin. 34-იდან. ეს არის შესხმის ფორმით დაწერილი თავისებური ანდერძი Sin 34-ის იადგარისა. ლექსის ორმხრივ კიდურწერილობაში იკითხება სახელი „გეორგი", რ-საც მკვლევართა ნაწილი ლექსის ავტორად მიიჩნევს.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ხელნაწერები გრაცში. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1929, ტ. 9; ჯაველიშვილი ი., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947; კეკელიძე ქ., იოანე ქართველის კალენდარი (X ს.). – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980; ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X–XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971; ჯანკიევი ც., პალესტინელ გადამწერ „იოანეთა" შესახებ. – «მრავალთავი», III, თბ., 1973; ხევსურიანი ლ., Sin 34-ის შედგენილობის საკითხისათვის. – იქვე, VI, თბ., 1978; მისივე, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ. – «მრავალთავი», VII, თბ., 1980; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае. – «Православный Палестинский сборник», т. IV, вып. I, СПб., 1888; Марр Н. Я., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.–Л., 1940; Brosset M., Études de chronologie technique, I. – Men. de «l'Academie Imp. des Sciences de St. Petersbourg», VII série, XI, №13, 1868; Garitte G., Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï. – «CSCO», vol. 165, Subsidia, t. 9, Louvain, 1956; Le Calendrier palestino-géorgien du Sinaïticus 34, édité, traduit et commenté par G. Garitte, Bruxelles, 1958; Esbroeck M. van, Les manuscrits de Jean Zosime Sin. 34 et Tsagareli 81. – «Revue de Kartvélologie», vol. XXXIX, Paris, 1981. *ლ. ხევსურიანი.*

იოანე პეტრიწი, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენელი, ფილოლოგი, მწიგნობარი. აღიზარდა ტაო-კლარჯეთის ქართ. ცენტრებში, სწავლა განასრულა კონსტანტინოპოლში, კონსტანტინე მონამაქოსის მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიაში. მის ინტერესების სფეროს ეტყობა იმ ბიზანტ. ფილოს. რენესანსის ტრადიციათა კვალი, რ-ის წარმომადგენლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი. შემორჩენილია ამ უკანასკნელის წერილები „აბაზგი" (ქართველი) ფილოსოფოსისადმი. ამ ფილოსოფოსად მკვლევარნი ი. პ-ს მიიჩნევენ. საფიქრებელია, რომ მან ნაწილობრივ გაიზიარა იოანე იტალოსის ბედი, რიც იდეენებოდა თავის თანამოაზრეებთან ერთად 1082–84. 1083 ი. პ-მა მოღვაწეობა დაიწყო ბაჩკოვოს (ბულგარეთი) პეტრიწონის მონასტერში, რ-იც დააარსა გრიგოლ ბაკურიანის ძემ და იქ ქართვ. მოღვაწენი დაამკვიდრა. აქედან იღებს სათავეს მისი ზედწოდება პეტრიწი || პეტრიჭი (რ-იც შემორჩენილია ქართ. წყაროებში და უკავშირდება მონასტრის ბულგარულ სახელს „პეტრიჩი"). ი. პ-ს ამ დროსაც უნდა ჰქონოდა ურთიერთობა ბიზანტ. ფილოს. და სამეცნ. წრეებთან. შემდეგ იგი დავით აღმაშენებელმა მიიწვია თავისსავე დაარსებულ გელათის აკადემიაში და ი. პ. მუშაობდა „დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომისა მინდობილი". გელათი მისი და სხვა მოღვაწეთა წყალობით შეიქმნა „სხუად ათინად... ფრიად უაღრესს მისსა".

ცნობილია, რომ ი. პ-ს გრამატიკის ავტორობასაც მიაწერენ. ან-

ტორ კათალიკოსს შეუსწავლია ი. პ-ის ლიტ. მემკვიდრეობა და დაუწერია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვა, რ-იც ჩართულია „სპეკალში“. ანტონი წერს: „ყოველი ფილოსოფიაჲ ესე იგი ღრამატიკაჲ და რიტორიკაჲ და გეომეტრიაჲ და ასტრონომიაჲ და მუსიკაჲ და ფიზიკაჲ და მეთეფიზიკაჲ, ეითა მზემან ზოდნი, ერთბამად შემოველო, და ყოველსა ელინთა ენამზეობითსა სიტყჳთსა ხელოვნებასა ზედმიწევნილ იქმნა“. დაეით რექტორმა თავის მიერ დაწერილ ი. პ-ის ბიოგრაფიის მიმოხილვას დაუმატა: „ამანვე იოანემ ქართველთა შორის შემოიღო ულვეილება სმნისა, ამანვე – მაეითარებელი სმნისა, სახელსმნისა და მიმღეობანი. ესევე არს ქართველთა ენასა ზედა ლექსთა დამკვეცისა შემომღებელი“. ი. პ-ს გრამატიკის ავტორობას მიაწერენ ასევე ა. შეგრენი, მ. ბროსე, ა. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი და ნ. მარი.

ი. პ-ს თავისი „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში ბასილი დიდზე მსჯელობისას, მოჰყავს გრიგოლ ნაზიანზელის აზრი ბასილის გრამატ. განსაწვალლულობასა და მეტყველების განვითარებაში მისი დამსახურების შესახებ. იქვე განსაზღვრავს გრამატიკის ცნებას, რ-იც მოლიანად იმეორებს დიონისე თრაკიელს, მასვე მიჰყვება კვალდაკვალ გრამატიკის ნაწილთა ჩამოთვლისა და მათი განმარტებისას. იგი წერს: „ღრამმატიკოსობაჲ არს გამომცდელი მთქმელთაჲ ანუ აღმწერთა, ეითარცა მრავალთა რათმე გამომთქუმელობისა... და გამოაჩინებს მოქმედებითთა სახეთა, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქუმა. და ენისმეტყველებაითა და მატიანეთა მთქმელობასა გარდასცემს, და მსა–მეტყველებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებს, და შესატყვისობათა გარდმოსცემს, და უმჯობესი არს ნაქმართა განმრწეველობაჲ“.

ი. პ-მა ბერძნულის ანალოგიით შექმნა რამდენიმე გრამატ. ტერმინი, მაგ.: მახჳილი, შესატყვისობა (ანალოგიის მნიშვნელობით), თანამოსახელე (ომონიმის მნიშვნელობით), სიტყვა (ნიშნავს წინადადებას), ლექსი (სიტყვის მნიშვნელობით), სახელი, მარცვალი, ასო, დაკუეთვა || პტოსი || გარდანაკუოულება (ფლექსიის მნიშვნელობით). ამათგან გარკვეული ნაწილი დღესაც ოდინდელი მნიშვნელობით იხმარება. საყურადღებოა ისიც, რომ ავტორმა სცადა ბერძნ. ტერმინების ქართ. წარმოებებით ჩანაცვლება, თუმცა ენაში მათი დამკვიდრება ვერ მოხერხდა. ზოგი მათგანი იყო პირდაპირი კალკი ბერძნულისა, მაგ., მართლისაებრ პტოსი (პირდაპირი ბრუნვა, შდრ.) და იგურდიობის პტოსი (ირიბი ბრუნვა, შდრ.).

ი. პ-ის მიერ დამკვიდრებული ტერმინოლოგია მხოლოდ გრამატიკის სფეროთი არ შემოიფარგლება. მან, როგორც ნიჭიერმა და ერუდირებულმა მთარგმნელმა, შექმნა ტერმინები ბერძნ. ფილოს. თუ კულტ.-სამეცნ. თხზულებებში არსებულ ტერმინთა შესატყვისად, თუმცა ზოგ შემთხვევაში აქაც ვერ გაექცა კალკებს, რაც გამოიწვია მთარგმნელის სურვილმა – ქართ. თარგმნილი ტექსტი დაეახლოებინა ბერძნულისთვის. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ავტორმა თავი დაიცვა ბერძნ. სამეცნ. ენის გავლენას და შექმნა ორიგინალური, ქართ. ენის ბუნებასთან შესატყვისი ტერმინები, რ-ებიც დღესაც გამოიყენება.

თხზ.: შრომები, ტ. I–2, ს. ყაუხჩიშვილის და შ. ნუცუბიძის გამოც., თბ., 1937–40; განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“. თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა, თბ., 1999.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე ნ., იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის. – «თსუ შრომები», 1956, ტ. 61; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; დ ა ნ ე ლ ი ა კ., ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი დ., ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1999.

თ. ცქიტიშვილი.

«იოვანე ოძროპირის ცხოვრების» ადრეული ქართული ხელნაწერი

ბერძნულ ენაზე სხვადასხვა ავტორთა მიერ შექმნილია იოვანე ოქროპირის ცხოვრება-მოქალაქეობის ამსახველი არაერთი თხზულება. მათგან ყველაზე ცნობილია VII ს. მოღვაწის – გიორგი ალექსანდრიელის „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“, რ-იც სხვადასხვა ქრისტ. ხალხის ენაზე ითარგმნა. ქართველებიც დაინტერესებულან ამ თხზულებით და უთარგმნიათ მისი კიმენური და მეტაფრასული რედაქციები. მეტაფრასული რედაქცია ორჯერაა თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზვნისა (ათ. 36, XI ს.) და *ეფრემ მცირის* მიერ (384, XI–XII სს.). ქართველებს ქართ. კიმენური და ეფრემ მცირის თარგმნილი მეტაფრასული რედაქციების საფუძველზე თავადაც შეუქმნიათ ახ. კომპილაციური რედაქცია (A 188, XIII). საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კიმენური რედაქცია, რასაც მოწმობს მისი შემცველი ხელნაწერების რაოდენობა და მათი ქრონოლოგიური ნარჩენები (X–XIX სს.). კიმენური რედაქციის ხელნაწერთაგან ერთ-ერთი უძველესი ქართ. თარიღიანი ხელნაწერია H, 2124. მას ერთვის გადამწერისა და მომგებლის ანდერძები, რ-ებშიც არის ზუსტი ცნობები ამ ხელნაწერის შექმნის შესახებ (256v – 157r). იგი გადაუწერიათ 968 პალესტინაში, ხარიტონის ლავრაში. გადამწერია ივანე საფარელი, მომგებელი – სინას მთის მკვიდრი, ხუცესი მიქაელ ფანასკერტელი, რ-საც ხელნაწერი სინას მთისთვის შეუწირავს. აქედან ხელნაწერი ჩამოუტანია პ. უსპენსკის. შემდეგ კი უსპენსკის



იოვანე ოქროპირის ცხოვრება. ხელნაწერი. 968.

სხვა ხელნაწერებთან ერთად პეტერბურგის საჯარო ბ-კის საკუთრება გამხდარა. იქ მას გაუკეთდა ახ. ყდა და გატარდა ნომრით H-C-13. 1923 ხელნაწერი სხვა ქართ. ნუსხებთან ერთად ნამოტანილ იქნა საქართველოში და გადაეცა საქართვ. სახელმწ. მუზეუმს. ამჟამად დაცულია ხელნაწ. ინ-ტში. ხელნაწერი შეიცავს 258 ფურცელს. მისი ზომაა 16×13; ნაწერია ეტრატზე კალიგრაფიული ნუსხურით. საზედაო ასოები მხატვრულადაა გაფორმებული. 1 v-ზე იოვანე ოქროპირის გამოსახულებაა მთელი ტანით, რ-საც ახლავს მთავრული ასოებით შესრულებული დაქარაგმებული წარწერა: „წმიდაო იოვანე, შეიწყალე გიორგი". 258r-ზე არაბ. მინაწერია: „დაეთარი, რომელშიც არის იოვანე ოქროპირის ამბაჲი. წყეულიმც იყოს ის, ვინც გაიტანს მას სინას მთიდან". ყდა ხისაა, გადაკრული მოყავისფრო ტყავი. ყდის ზედა ფრთაზე ამოტვიფრულია მოოქრული ჯვრის გამოსახულება, ქვედა ფრთაზე – ბარძიმი.

ხელნაწერში დაცული იოვანე ოქროპირის ცხოვრების ქართ. ვერსიის ტექსტი საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. იგი თარგმნილია ბერძნულიდან, რის დამამტკიცებელი სხვადასხვა ხასიათის ჩვენებანი მასში საკმაოდ მრავლადაა. მაგრამ ტექსტში არაბ. ენის ზეგავლენის კვალიც შეინიშნება, რაც ელინიზმის სოგიერთი საკუთარი სახელის არაბიზებული ფორმით ხმარებასა და რამდენიმე შემთხვევაში – სინტაქსშიც. მსგავსი ვითარება პალესტინაში ბერძნულიდან თარგმნილ სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მაგ., ნიკოდიმოსის სახარებაში. ეს აიხსნება იმ არაბულენოვანი გარემოთი, რ-იც არსებობდა VIII–X ს-ში პალესტინასა და მის ცნობილ ინტერნაციონალურ სკრიპტორიუმებში, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ და სადაც ინტენსიურად ეითარდებოდა ქრისტ. არაბ. ლიტრა. ქართ. ვერსია საინტერესო ჩანს იოვანე ოქროპირის ბერძნ. ჰაგიოგრაფიული დოსიეს შესწავლის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საფიქრებელია, რომ ქართვ. მთარგმნელმა გამოიყენა გიორგი ალექსანდრიელისეული „იოვანე ოქროპირის ცხოვრების" არა ღღეისათვის ცნობილი გამოქვეყნებული ბერძნ. ტექსტი, არამედ მისგან რამდენადმე განსხვავებული სხვა ტექსტი.

ლიტ.: იმნაიშვილი ი., ათასი წლის ქართული წიგნი. – გაზ. «თბილისი», 1968, 28. XII; აბულაძე ი., ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში. – იხ. მისი: შრომები, III, თბ., 1982; ჯუმბურიძე ს., ათასწლოვანი ხელნაწერი. – იხ. მისი: ქართული ხელნაწერების კალენდარი, თბ., 1983; „იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბ., 1986; Gvaramia R., Version géorgienne ancienne de la Vie de saint Jean Chrysostome. – «Le Muséon», t. 99, fasc. 3–4, Louvain, 1986. *რ. გვარამია.*



ს. იორდანიშვილი.

იორდანიშვილი სოლომონ გიორგის ძე (24. X. 1898, თელავი, – 26. IX. 1953, თბილისი), ენათმეცნიერი – ლექსიკოლოგი, ლიტერატურის ისტორიკოსი-რუსთველოლოგი, მთარგმნელი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1915 ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში" ს. კაუშნიშვილის ფსევდონიმით. თანამშრომლობდა ქართ. პერიოდულ გამოცემებში როგორც რუს. ენიდან მთარგმნელი, 1919 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში სამეცნ. საბჭოს მდივნად. 1926 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (საენათმეცნიერო განხრით), 1933 მიანიჭეს დოცენტის წოდება. 1935–38 მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ენისა და ლიტ-რის ინ-ტში მეცნიერ-თანამშრომლად, კითხულობდა ლექციებს უნ-ტში ძვ. ქართ. ლიტრასა და რუსთველოლოგიაში. ასწავლიდა სანსკრიტს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტზე (1945), იყო ეეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი-მდივანი (1935–37), საენათმეცნიერო საბჭოს, მწერალთა კავშირისა და სალიტ. ქართულის ნორმათა მომწესრიგებელი სახელმწ. კომისიის წევრი. 1940-იდან – საქ. სსრ განსახკომის სამუსეუმო საქმეთა კონსულტანტი; 1945-იდან განაგებდა სამუზეუმო სექტორს, ამაღე წლიდან მუშაობდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ენის ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. 1945 მიენიჭა ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხი ნაშრომისათვის „ეეფხისტყაოსნის ბალმონტისმიერი რუსული თარგმანი" (ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1964). ი-მა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ეეფხისტყაოსნის ხელნაწერებსა და ტექსტის დადგენის საკითხებს. საგანგებო წერილით არკეეედა ეეფხისტყაოსნის ეერ. ენებზე თარგმანების აეკარგიანობას – განხილული აქვს ფრანგული (მ. ბროსე, ი. მეუნარგია), გერმანული (ა. ლაისტი), ინგლისური (მ. უორდროპი), პოლონური (ს. ლაფინსკი) უნგრული (ბ. ვიკარი) თარგმანები; შეისწაელა ეეფხისტყაოსნის ბაჟანისეული თარგმანი უკრ. ენაზე და მ. შაელოხოვისეული ოსური თარგმანი. მის მიერ შესრულებული ეეფხისტყაოსნის რუსული პწკარედი (1933, გამოქვეყნდა 1966) ლათ. ტრანსკრიფციითა და ყოველი ტაეპის პროზაული თარგმანით საფუძვლად დაედო პოემის მხატვრულ თარგმანებს რუს. და უცხოურ ენებზე. 1938 ე. ორბელიანთან ერთად ფრანგულად თარგმნა ეეფხისტყაოსანი (გამოქვეყნდა 1977). 1938 მოსკოეში გამოვიდა ეეფხისტყაოსნის მ. უორდროპისეული თარგმანი ე. ორბელიანისა და ი-ის მიერ შეესებული, მათივე რედაქციით. 1948 გამოაქეეყნა პოემის ნანართ-დანართი სტროფები.

აღსანიშნავია ი-ის სიტყვასიტყვითი თარგმანები გერმანული („ნიბელუნგები", 1934), ფრანგული („სიმღერა როლანდზე", 1942), ინდური („რამაიანა", 1943) ეპოსის ძეგლებისა; დ. გურამიშვილის თხსულებათა სიტყვასიტყვითი თარგმანი რუს. ენაზე (1938), „ვისრამიანის" რუს. თარგმანი (გამოიცა 1949, 1960, 1989).

ი-მა ა. ბარამიძესთან ერთად მეცნიერულად გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანი" (1931), რ-საც ლექსიკონი დაურთო (გ. ლეონიძესთან ერთად), „შაჰნაჳაზიანი" (1935), გ. ლეონიძისა და ი-ის რედაქციით, ლექსიკონი და საძიებელი შეადგინა ი-მა. ი-ის რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოიცა ს.-ს. ორბელიანის თხზულებები: „სიბრძნე-სიცრუისას" რუს. თარგმანი (1939), „მოგზაურობა ევროპაში" (1940, დაურთო ლექსიკონიც) და „სიტყვის კონა" (1949). გამოსცა ასევე ესოპეს იგავები (1944), თეიმურაზ ბატონიშვილის (ბაგრატიონი)

ნაწარმოებები (1945, 1947, 1948), „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ (1945), იმავე თეიმურაზ ბატონიშვილის „წიგნსაცავი კატალოგი“ (1948) და პიესა „სამსახეობა რაინდისა“. ი-მა სპეციალური წერილები და რეცენზიები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას ლიტ. მემკვიდრეობის გამოცემისა და თარგმანის საკითხებს. 1930 გამოაქვეყნა სტატია „ვაჟას ენის შესახებ“ (დროშა, №13); რუსულიდან ქართულად თარგმნა რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ (1950), დაურთო წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ. გ. ახვლედიანთან ერთად გამოსცა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ორტომეული (1931–35). 1930–35 მონაწილეობდა ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის შემუშავებაში. მისმა გამოკვლევამ „ქართული კომპოზიტების დაწერილობისათვის“ მრავალი სავალდებულო ფორმა შესძინა ქართ. ორთოგრაფიას (1934).

თხზ.: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (შეადგინა შ. ძიძიგურმა), თბ., 1953 (მეორე გამოცემა 1964).

ლიტ.: ყ ი ფ შ ი ძ ე ი., სოლომონ იორდანიშვილი რედაქტორ-გამომცემელი. – «მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), 1981, №2; გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., ს. იორდანიშვილი – ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1986.

ლ. იორდანიშვილი.

იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე [15(27). XI. 1809, თბილისი, – 15(27). XI. 1875, იქვე], ისტორიკოსი, თეოლოგი-ფილოსოფოსი. 1835 დაამთავრა პეტერბურგის სას. აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მუშაობდა თბილ. სემინარიაში ფილოს. და ფიზიკის მასწავლებლად. 1845–56 რედაქტორობდა გაზ. «საკავკასიო ვესტნიკს». 1849 იმოგზაურა საბერძნეთში, მოინახულა ათონის იერთა მონასტერი, შეისწავლა ქართ. კულტ. ძეგლები. თანამშრომლობდა და კორესპონდენციებს გზავნიდა რუს. მეცნ. აკადემიაში. დაკავშირებული იყო აკად. მ. ბროსესთან. გამოქვეყნებული აქვს ქართველოლოგიის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ათეულობით ნაშრომი.

ი. ანტონ I-ის ლიტ. სკოლისა და მისი ენობრივი პოზიციის მიმდევარი იყო. XIX ს. 60-იან წლებში „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის დროს „მამათა“ ბანაკს ემხრობოდა. გამოსცა რამდენიმე ლიტ. და ისტ.-სამეცნ. ნაშრომი: ჩახრუხაძის „თამარიანი“ (1838), იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ (1838), იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ (1851), ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“ (1852), ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა“ (1853), არჩილ II-ის „თეიმურაზიანი“ (1853); 1850 ი-ის წინასიტყვაობით გამოვიდა გ. ერისთავის „გაყრა“.

ი. ავტორია ქართ. ენის სასკოლო სახელმძღვანელოსი „პირველ–დაწყებითნი კანონნი ქართული ღრამატიკისა“, რ-იც დაიბეჭდა 1840. გრამატიკის პირველი ვარიანტი შეიქმნა 1831 და მოიცავდა გრამატიკის ბოლო ორ ნაწილს – სინტაქსსა და ორთოგრაფიას. ი-ის აზრით, მოქმედ სახელმძღვანელოს სწორედ ეს ორი ნაწილი აკლდა. ამავე წელს თბილისის სას. სემინარიის მმართველობას განუხილავს ეს ნაშრომი და სათანადო რეცენზირების შემდეგ შესაძლებლად მიუჩნევია მისი სასწ. სახელმძღვანელოდ დაშვება. მოგვიანებით (1832 წლის 24. ოქტ.) სემინარიის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა საქართვ. ეგზარქოსის წინაშე ი-ის გრამატიკის სრულყოფილი რუს.-ქართ. ვარიანტის დაბეჭდვის შესახებ. 1836 საქართვ. ეგზარქოსმა ევგენიმ ი-ს დაავალა შეედგინა ქართ. გრამატიკა (რუს. თარგმანითურთ). 1837 წლის 29 აპრილს ი-მა წარუდგინა პატაკი სას. სემინარიის გამგეობას ამ დავალების შესრულების შესახებ. სემინარიამ ხელნაწერი გადაუგზავნა ეგზარქოსს, რ-მაც ნაშრომის დაბეჭდვა ორი წლით შეაყოვნა. 1840 ი-მა მიიღო აკად. წ.-კორის დიპლომი. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ იმოქმედა გრამატიკის დაბეჭდვის საქმეზე და რეცენზირების შემდეგ (რეცენზენტი აკად. მ. ბროსე) დაიბეჭდა მხოლოდ ქართ. ნაწილი. რუს. ნაწილი ამ გრამატიკისა საეროდ არ დაბეჭდილა. ი-ის გრამატიკა, თავისი უშუალო წინამორბედების მსგავსად, უფუძნება ანტონ I-ისა და გაიოზ რექტორის ნააზრევს, მაგრამ შეინიშნება სიახლეებიც. ი. პირველი ქართვ. გრამატიკოსია, რ-მაც ბრუნვათა რიგიდან განდევნა წრფელობითი (შეცვალა სახელობითით), შემასმენლობითი და დაწყებითი, რითაც თითქმის XIX ს. 90-იან წლებამდე ყველაზე კარგად გადმოგვცა ქართ. ენის ბრუნვათა წყება. ი-ს, ანტონის მსგავსად, თანმიმდევრობით აუღია ქართ. ანბანის ასოები და იქვე მიუწერია ის ფონეტ. მოვლენები, რ-ებშიც შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ამ ასოებით გამოხატულმა ბგერებმა. ამ დაკვირვებებში მოცემულია ქართ. ენის, თუმც ინტუიციური, მაგრამ ფაქტებზე დაფუძნებული დებულებები. შეიძლება ითქვას, რომ ი. არის ქართ. ენის ფონეტ. მოვლენების მეცნ. შესწავლის ერთერთი პიონერი.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1980; ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995; **Барамидзе А. А., Ватейшвили Д. А., П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности,** Тб., 1978.

გ. ცოცანიძე.

ირანული ენები, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შტო. დამოუკიდებელ არსებობას იწყებენ ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდან, როდესაც ხდება ამ ენებზე მოლაპარაკეთა მიგრაცია და ინდოირანული ენობრივი ერთიანობის დაშლა. ი. ე. დადასტურებულია უძველეს წერილობით ძეგლებში, რაც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ამ ენათა განვითარების ისტორიას დაახლ. 25–27 საუკუნის მანძილზე. ძირითადად განასხვავებენ 2 ჯგუფს: აღმოსაელურსა და დასაელურს. გამოიყოფა ი. ე-ის განვითარების 3 პერიოდი:



ჯ. იოსელიანი.

1. ძვ. ი. ე. – ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისიდან ძვ. წ. IV–III სს-მდე – მიდიური, ძვ. სპარსული, ავესტური, სკვითური. ძვ. სპარსული დადასტურებულია აკამანელთა მეფეების ლურსმულ წარწერებში (ძვ. წ. VI–IV სს.). ძვ. ი. ე. მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურის ფლექსიური ენებია. სახელს აქვს 3 სქესი, 8 ბრუნვა, 2 რიცხვი (იშვიათად ორობითიც). ზმნური კატეგორიებიდან გეხედება პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და გვარის კატეგორიები. მაგრამ უკვე ძვ. ირანულ ხანაშიეე შეიმჩნევა რღვევის პროცესი, რ-ებიც სრულდება საშ. ი. ე-ში.

2. საშ. ი. ე. – ძვ. წ. IV–III სს-იდან ახ. წ. VIII–IX სს-მდე – ე. წ. საშ. სპარსული, პართული, სოლდუნი, ხორეზმული, საკა, ტოხარული და სხვ. საშ. სპარსულის ანბანი შემუშავებული იყო არამეული დამწერლობის საფუძველზე. საშ. ი. ე-ში მოშლილია ფლექსია: მახვილის გადაწევის შედეგად მოიკვეცა ბოლოკიდური ელემენტები – ბრუნვისა და სქესის სუფიქსები, ფართო გასაქანი მიეცა აღწერით წარმოებას, ცვლილებები განიცადა ბგერითმა სისტემამ: მოხდა დიფთონგების მონოფთონგიზაცია (ai > ę, au > ô), ხშულთა სპირანტიზაცია და სხვ.

3. ახ. ი. ე. – ახ. წ. IX–X სს-იდან. ეს ენებია: ახ. სპარსული, ტაჯიკური, ავღანური (პუშტუ), ოსური, ქურთული, ბელუჯური, თათური, თალიშური და სხვ. თანამედროვე სპარსულში თვალში საცემია ცვლილებები ლექსიკაში (დიდი რაოდენობით ნასესხობები, განსაკუთრებით არაბულიდან). სალიტ. ენას საფუძვლად უდევს თეირანის დიალექტი. დამწერლობაში გამოყენებულია არაბ. გრაფიკა (დამატებულია 4 ნიშანი სპეციფ. ბგერებისათვის). მორფოლ. სტრუქტურა ანალიზურია: არა გვაქვს სქესისა და ბრუნვის კატეგორიები; ზმნას აქვს პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და გვარის კატეგორიები; ფართოდაა გავრცელებული ანალიზური კონსტრუქციები.

ქართველებს განსაკუთრებით ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ ირანელებთან, რაც საუკუნეთა მანძილზე განაპირობებული იყო რთული ისტ.-პოლიტ. თუ რელიგიურ-კულტ. ფაქტორებით. ამ ურთიერთობამ განსაზღვრა მრავალრიცხოვანი ნასესხობების (საკუთრივ ირანულისა და ირანულის გზით – არაბულის) არსებობა ქართულში. ნასესხები ლექსიკა გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით და მოიცავს ანთროპონიმებს, პოლიტ.-ადმ., სამხედრო, რელიგიურ, ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებულ სიტყვებს. ნასესხობები განეკუთვნება ი. ე-ის სხვადასხვა დიალექტურ შტოს და სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეს (თუმცა ზოგჯერ სესხების წყაროს მკაცრი იდენტიფიკაცია გაძნელებულია). ქართულში შემოსულია ნასესხობები: სპარსულიდან – არმაზი – კერპი, ძვ. ქართველების მთავარი ღვთაება, შდრ. ძვ. სპარსული **auramazdâ** „ბრძენი უფალი"; სავსებით სარწმუნო ჩანს ქართ. ეთნონიმების – სპარსი, სპარსული – დაკავშირება ძველი სპარსულ **Parza**-თან (პროვინცია ირანის სამხრ.-დას. ნაწილში, აქამენელებისა და შემდეგ სასანელების სამშობლო)... აევესტის ენიდან – დროშა, შდრ. ავესტური drapša; ეშმა „ავი", „ბოროტი", „ცოფიანი", „დემონი", შდრ. ავესტური adšma < aeš „მღელვარება", „შფოთი"... სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან – კაპოტი „მტკნარი წყლის თევზი ეროგვარი", შდრ. ოსური kæf „თევზი" < cap (საერთო აღმოსავლეთირანული სიტყვა, ე. აბაევი)... პართულიდან – ჟამი „დღე", „საათი", „სეზონი", „დრო", შდრ. ძველი სპარსული **Jamâna**, სომხ. **žamanak** „დრო", „ასაკი". ქართ. და სომხ. სიტყვებში თაკიდური ž (ჟ) საშუალებას იძლევა სესხების წყაროდ აღვიაროთ პართული ფორმა **žaman**, რ-ის უფრო ადრინდელი სახეა ქართულში დადასტურებული უსუფიქსო **žam**; აბჯარი (სომხურის გზით) „საჭურველი", „იარაღი", შდრ. პართული apʀčâr, apʀzâr საშ. სპარს. afzâr „ძალა", „იარაღი", სომხ. aučar, aučan... საშ. სპარსულიდან – საკუთარი სახელები: ვარდან, ირან. Wardân; პეროჟ, პეროზ, შდრ. საშუალო სპარსული pdrôz; ნარიმან, შდრ. საშ. სპარს. nar „მამაკაცი", men „ფიქრი", „აზრი", ე. ი. „ვაჟკაცურად მოაზროვნე", „ვაჟკაცური სულისკვეთებისა"; მირიან, შდრ. საშ. სპარს. mihrân, ვახუშტი, შდრ. ძვ. ირან. Vahišta – „საუთხე", საშ. სპარს. Vahišt; „შაჰის" აღმნიშვნელი ანთროპონიმებიდან ქართულში გვხვდება რამდენიმე ვარიანტი: შიოშ, შიაოშ, სიაუშ, შიაოშ და სხვ. სამხ.-ადმ. თუ სხვა სახის ტერმინებიდან აღსანიშნავია: გუნდი „ჯარი", „რაზმი"... შდრ. საშ. სპარს. gund; სპე „არმია", „ჯარი", შდრ. საშ. სპარს. spâh; ასპარეზი „მოედანი", „სტადიონი", შდრ. საშ. სპარს. asp(u)râs, asprds; პიტიახში, შდრ. საშ. სპარს. byty'hš „მეორე, მეფის შემდეგ", „ირანის შაჰინშაჰის ნაცვალი"; ჯომარდი „რაინდი", შდრ. საშ. სპარს. jdvanmard < yuvânmart „ოსტატი", გადატანით – რამეში დახელოვნებული ადამიანი; ზენაარი „ფიცი", შდრ. საშ. სპარს. zdnhar „დახვა", „ფიცი"; ანდერძი (< ანდერზი), შდრ. საშ. სპარს. han-darz „რჩევა", „დარიგება"; ტახტი, შდრ. საშ. სპარს. tâxt „მეფის სავარძელი"... ახალი სპარსულიდან – საკუთარი სახელები: ნესტანდარეჯან, შდრ. ახ. სპარს. შესიტყვება nestandarjehân „ქვეყნად არ არის (ჩემი მსგავსი)"; გივი, შდრ. ახ. სპარს. Gôv; ზურაბ, შდრ. ახ. სპარს. Sohrâb (სავარაუდო ეტიმოლოგიით „წითელი წყლისა"); ნოდარ, შდრ. ახ. სპარს.ი Nadar, ავესტური Naotara „ნორჩი"...; სარდალი, შდრ. ახ. სპარს. sardâr „მეთაური"; ხიშტი შდრ. ახ. სპარს. xešt (საშ. სპარს. xišt) „ლახვარი", „შუბი"; აივანი, შდრ. ახ. სპარს. ayvan „დარბაზი", „კარიბჭე", „ლია გალერეა" და სხვ. მრ.

კლასიკური სპარსულიდან დაწყებული, ახ. სპარსულში, განსაკუთრებით თანამედროვე ენაში, დიდი რაოდენობით შემოდის და მკვიდრდება არაბ. სიტყვები, რ-თა აბსოლუტური უმრავლესობა უკვე სპარს. ენის განუყოფელი ნაწილია. ბუნებრივია, ეს სიტყვები სპარსულის გზით ქართულშიც შემოდის და ქმნის მასში არაბ. ლექსიკის ძირითად ნაწილს (საკუთრივ არაბულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები შედარებით მცირეა). ასე, ფონეტ. იერის მიხედვით სპარსულის გზას გვავარაუდებინებს სიტყვები: ალამი (სპარს. alam, არაბ.'alam), ხოტბა, ეშხი და სხვა მრავალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულში შემოსული ირან. სიტყვების ნაწილი იმდენად დამკვიდრდა, რომ ამ სიტყვათა უცხოური წარმოშობა დღეს არ იგრძნობა. ისინი ექვემდებარებიან ქართულის გრამატ. მოდელს და იცვლებიან ქართ. ენობრივი ნორმების მიხედვით. მაგ., სპარსულიდან შემოსული ფანჯარა ქართულში კუმშვად-კეცადი სიტყვაა: ფანჯრის... (შდრ. ქართ. კედლის, კატის და მისტ.), თუმცა ანალოგიური პროცესები უცხოა სპარსულისათვის. ამგვარი სიტყვები, *ბარბარიზმებისაგან* განსხვავებით, ქართ. ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა (იხ. *ნასესხობა*).

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966; II, ნაწ. I, თბ., 1996; Очерки по истории изучения иранских языков, М., 1962.

თ. ჩხეიძე.

ორიბი დამატება, პირმართი დამატება (იხ. *დამატება*). წინადადების წევრი, წარმოდგენილი ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელით. ი. დ. „უმოქმედოა“: ქვემდებარის მოქმედება მას ირიბად, ანუ არაპირდაპირ ეხება; ი. დ. შეიძლება აღნიშნავდეს: ა) მფლობელს („დედას ჩემი მეგობრების ტელეფონის ნომრები უბის წიგნაკში უწერია“); ბ) ზმნით აღნიშნული მოქმედების უშუალო შემსრულებელს („გიორგიმ მეგობარს ტკიდან შუშა მოატანინა“); გ) პირს, რ-საც ქვემდებარის მოქმედება უშუალოდ ეხება („მანქანა ხეს დაეჯახა“); დ) მოქმედების უშუალო, ოღონდ პასიურ შემსრულებელს („რა უაზროდ ეკვლევინება მტერს“) და ა.შ.

ი. დ. შეიძლება ახლდეს როგორც გარდამავალ (აუცილებლად სამპირიან), ისე გარდაუვალ (ორპირიან) ზმნა-შემასმენელს. ქართულში იგი ბრუნვაუცვლელია, ყოველთვის მიც. ბრუნვაშია („დედა შვილს წერილს სწერს“, „დედამ შვილს წერილი მისწერა“...). გარდამავალი ზმნა-შემასმენლის III სერიის ფორმებთან ი. დ. უბრალო დამატებად ტრანსფორმირდება („დედას შვილისთვის წერილი მიუწერია“). გარდაუვალი ზმნის ირიბი დამატება სამსაეე სერიაში მიც. ბრუნვაშია („ემალება ის მას“, „დაეამლა ის მას“, „დამალეია ის მას“...).

ი. დ. ზმნურ ფორმაში მ-ს რიგის აფიქსებით აისახება; პირდაპირი დამატებისგან განსხვავებით, მას სამსაეე პირში ნიშანი აქვს: „მან მე მო-მ-წერა“,. „მან შენ მოგ-წერა“. „მან მას მი-ს-წერა“.

ლიტ.: ნიკობაძე არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1928 (1968); დაუთიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ქავჭავაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ქ. გაბუნია.

ირონია (ბერძნ. eirōneia – მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა), *ტროპის* სახეობა, სიტყვის ან გამონათქვამის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება დაცინვის მიზნით. ი-ში ერთდროულად რეალიზდება ორი მნიშვნელობა – სალექსიკონო და კონტექსტური, მისი საპირისპირო. ი-ის შემთხვევაში ეს იწვევს მთქმელის მიერ ნაგულისხმევ მნიშვნელობასა და წინადადების მნიშვნელობას შორის არსებით განსხვავებას. მაგ., როცა შეხვედრაზე დაგვიანებულ ადამიანს მივმართავთ: „ოჰ, რა ადრე მოხვედი!“ ან სისუსტელის მთქმელს ვეუბნებით: „ოჰ, რა ჭკვიანი ხარ!“– ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ი-თან. გამონათქვამის ირონიულად მიჩნევა პრაგმატული შედარების შედეგია.

მხატვრულ შემოქმედებაში ი. რეალიზდება როგორც სტილისტიკური ხერხი. ზოგიერთი ლიტ. ნაწარმოები მთლიანად ირონიული ხასიათისაა მაგ., ი. ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი: „ბედნიერი ერი“: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?...“

ზეპირმეტყველებაში ი-ის გამოხატვის მძლაერი საშუალებაა *ინტონაცია*. ი. შეიძლება იყოს მსუბუქი და მწვაეე. მწვაეე ი-ს სარკაზმი ეწოდება, მსუბუქს – იუმორი. ი-ის რეალიზება ხდება აგრეთვე პარადოქსის, გროტესკის, *პიპერბოლის* საშუალებით, ი-ს უახლოვდება პაროდია. ირონიული ბუნებისაა ანტიფრაზისი. *ც. ბარბაქაძე.*

ისტორიული ლექსიკონი, სპეციალური *ლექსიკონი*, რ-იც აღწერს სამწერლობო ენის ლექსიკის ისტორიას ენის ერთი რომელიმე (რამდენიმე) მონაკვეთის ან მთელი ისტორიის მანძილზე. ი.ლ-ში დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქრონოლ. თანამიმდევრობით და ისეთი სიხშირით, რომ წარმოსნდეს ცალკეულ სიტყვათა ისტორია: როდიდან იხმარება სიტყვა ან როდის ქრება, როგორ იცვლება მისი მნიშვნელობა, როგორია სიტყვის სემანტიკური კავშირები, სიტყვათშეხამებანი, ფრაზეოლოგიზმები, კერძო კონტექსტები და ა.შ. ენის ლექსიკის წარმოდგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც დიაქრონიული, ვერტიკალური, ასევე სინქრონიული, პორიზონტალური ჭრილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თუ სინქრონიული ძეგლების მასალა უხვია, მათი შერჩევისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად.

ი. ლ-ების შექმნას საფუძველი დაედო XIX ს-ში, როდესაც ევრ. ქვეყნებში (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცია, ჰოლანდია, დანია, შოტლანდია, რუსეთი) დაიწყო ამ ტიპის დიდი ლექსიკონების მომზადება და გამოცემა. დიდი ი. ლ-ის პირველი ნიმუშია ძმების ფ. და ი. გრიმების გერმანული ლექსიკონი (Deutsches Wörterbuch), რ-ის გამოცემა 100 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა (1852–1960). ოქსფორდის ცნობილი ი. ლ-ის გამოცემას დასჭირდა 46 წელი (1882–1928). დღემდე დაუმთავრებელია ჰოლანდიური (გამოდის 1863-იდან), შვედური (1893-იდან), შოტლანდიური (1885-იდან), ესპანური (1913-იდან) ი. ლ-ები. XIX ს-შივე დაიწყო რუს. ენის ი. ლ-ის დამუშავება: Срезневский И. И., Материалы для словаря древне-русского языка по письменным памятникам, т. 1–3, СПб., 1880–1912. ნაკეთებად მიმდინარეობს რუსული ენის ი. ლ-ის გამოცემა: Словарь русского языка XI–XVII вв., 1–14, 1975–88.

ევროპული ი. ლ-ების რეტროსპექტულმა ანალიზმა უჩვენა მათი წარუმატებლობის მიზეზები: გადატვირთულია მასალით, არ არის გამიჯნული სამწერლობო ენის ლექსიკა დიალექტური და ეტიმოლოგიური მასალისაგან, არ არის დაცული მასალის შერჩევის, სიტყვა-სტატიების მოცულობისა და რაოდენობის მყარი პრინციპები (ლ. შერბა, ო. ნ. ტრუბაჩოვი, ფ. დე ტოლენარე...).

ი. ლ-ებისადმი ყურადღება განსაკუთრებით იზრდება XX ს. 40–50-იანი წლებიდან, რაც არსებითად განსაზღვრა ენათმეცნიერებაში სემანტიკისადმი ახ. არატრადიციულმა მეცნ. მიდგომამ. გაიზარდა ინტერესი ისტ. ლექსიკოგრაფიის პრობლემებისადმი (ხ. კასარესი, ვ. ტოლენარი, ო. სემერენი, ი. ნემეცი, ნ. მიხალეკი, ო. ტრუბაჩოვი და სხვ.). ევროპაში კვლავ საჭიროდ მიიჩნიეს ი. ლ-ების ახ. პრინციპებითა და მეთოდებით აგებული პროექტების მომზადება. ისტ. ლექსიკოლოგიის კურსი ლექსიკონების დემონუმენტალიზაციის გზით მიემართება. სადღეისოდ პრინციპულად იმიჯნება ისტ. დიალექტური

და ეტიმოლოგიური ლექსიკონები. ისინი ეყრდნობიან ერთმანეთის მონაცემებს, მაგრამ აღწერენ სიტყვის ისტორიას თავის საზღვრებში. მით უფრო ანაქრონიზმია ლაპარაკი ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე. ასეთ ლექსიკონებში არაერთგზის დამატებითი ინფორმაცია არ არის, ისინი არ განსხვავდებიან წმინდა ეტიმოლოგიური ლექსიკონებისაგან.

ი. ლ-ების გარეშე შეუძლებელია აიწეროს სიტყვის, ენის სემანტიკური სტრუქტურა მის უწყვეტ ევოლუციურ ჭრილში. ამ გაგებით ი. ლ. ენის ისტორიაცაა, რ-საც, გარდა დიდი ენათმეცნ. ღირებულებისა, ეროვნ. მნიშვნელობაც აქვს: ლექსიკის ისტორიის სიღრმისეულ შრეებში ამოიკითხება ერის ისტორიის უნიკალური ჩანაწერები, ეთნოკულტურული, გონითი, განცდითი მონაცემები. ენისა და ერის ამ მიმართებისათვის შდრ. ძველ ქართულში „ენის“ ხმარება „ერის“, „ხალხის“ მნიშვნელობით: „და შემდგომნი ამათნი სკვთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი, და შუამდინარელნი და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 23, 4). „ესე ძენი სემისნი – ენათა შინა მათთა, სოფელთა შინა მათთა და ნათესავთა მათთა“ (დაბად. 10, 31).

ქართ. ენის ი. ლ-ის მასალის შეკრება-დამუშავება 1962-იდან მიმდინარეობს ეეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიაში. სალექსიკონო ფონდში 6 მილიონი ბარათია და მოიცავს V–XIX სს. მასალაზე მუშაობა დღესაც გრძელდება (იხ. *თესაურუსი*).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938; ფოფხაძე ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; ღლონტი ა., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988; Касарес Х., Введение в современную лексикографию, М., 1958; Богатов Г. А., История слова как объект русской исторической лексикографии, М., 1984; Трубачев О. Н., Историческая и этимологическая лексикография. – Тж.: Теория и практика русской исторической лексикографии, М., 1984; Цкитишвили Т. К., Об историческом словаре грузинского языка. – «Вопросы языкознания», 1987, №1; Table ronde sur les grandes dictionnaires historiques, Fürenes, 1973; Bahr L., Ist Lexikographie eine Wissenschaft? Bemerkungen zu einer Tagung. – «Zeitschrift für germanische Linguistik», VI, 1978.

თ. ცქიტიშვილი.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ, ანონიმური ლექსიკონი, ცნობილი გორული ლექსიკონის სახელით. მას გარეკანზე იტალიურად აწერია – „ეს წიგნი დაწერილია 1724 წელს“. წარწერა ფურცლის ბოლოს, შუა ადგილზეა; იმავე გვერდზე, ზემოთ, მარჯვენა მხარეს, წერია თარიღი – 1787, ხოლო მეორე გვერდზე, სადაც წარმოდგენილია ქართ. ანბანის სამივე სახეობა, სხვა თარიღი – 1750, რაც მოსდევს წარწერა ნუსხური ასოებით: „უფალო წარუმართე ჯეროლიმოს“ („ღო წარმართე ჯეროლიმოს“). ჩვენი აზრით, ლექსიკონი შექმნილია მოხსენიებულზე უფრო ადრე, რადგან იგი გამოყენებულია ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ B რედაქციის (1715–16) დანართში.

იტალიურად დაწერილი ქართ. ენის გრამატიკა და ი.-ძ. ლ. აღწერა აკად. ე. მეტრეველმა (ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1957, გვ. 459), მეცნიერულად შეისწავლა პროფ. ნ. ორლოვსკაიამ.

ლექსიკონი შექმნილია *ბერნარდე ნეაპოლელის* „იტალიურ-ქართული ლექსიკონის“ პრინციპებით. ოღონდ სალექსიკონო ერთეულთა გრამატ. დახასიათება აქ უფრო სრულია. ლექსიკონს წინ უძღვის 33-გვერდიანი გრამატ. მიმოხილვა სახელთა და ზმნათა ერცელი პარადიგმებით, რ-ებიც წინადადებებშიც არის წარმოდგენილი.

გრამატ. ნაწილში სახელი წარმოდგენილია ექვს ბრუნვაში:

N. მამა მამები,
G. მამის ან მამისა მამებისა,
D. მამასა მამებსა,
Acc. მამა მამები,
V. მამაო მამებო,
Abl. მამისაგან მამებისაგან.

თანხმოვანფუძიან სახელთაგან ნაბრუნებია პური, ხმოვანფუძიან კეცად სახელთაგან – მამა და მზე, უკეცელთაგან – კომბოსტო და ძუძუ. ბრუნვათა ფორმები რამდენიმე თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას: (1) ნათ. ბრუნვაში ყველა სახელთან ნაჩვენებია როგორც გაუვრცობელი, ისე გავრცობილი ფორმა: მამის – მამისა და ა. შ.; (2) უკეცელი სახელები ნათ. ბრუნვაში მხოლოდ ათი განიერცობა: კომბოსტოსა და მისთ. არ გვხვდება: კომბოსტოსი, ძუძუსი; (3) წოდ. ბრუნვაში ოს გვერდით ე-ც ჩნდება: მზეე; (4) სახელები მრ. რიცხვში ძირითადად -ებ სუფიქსით არიან წარმოდგენილი: -თ სუფიქსიანი ფორმა სახელთა მრ. რიცხვში არ გვხვდება, ნ სუფიქსიც მხოლოდ ორ შემთხვევაშია დამოწმებული (ძუძუნი, ძუძუნო).

გორული მეტყველების თვალსაზრისით, საყურადღებოა მოზმნისწინის მო- || მა- ვარიანტების კანონზომიერი მონაცვლეობა: I ობიექტ. პირის მ- პრეფიქსის წინ მა- გვხვდება, სხვა შემთხვევაში – მო-; მაგ.: მამიტანა, მაგრამ მოგიტანა; მამცემენ, მაგრამ მოგცემენ; მამწერე, მაგრამ მოგეწერე და სხვ.

მორფოლ. თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს სახელი მზე -ებ სუფიქსიან მრავლობითში. ეე კომპლექსი ყველგან მარტივი ე ხმოვნით არის წარმოდგენილი: მზები, მზებისა, მზებსა და სხვ. ეს ქართლური მეტყველების ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. ამით რვალიზებულია ფონემატური წესი, რ-იც კრძალავს ხმოვანთა კომბინაციებს მორფემათა ფარგლებში. ფ.-მ. *მაჯოს* პარადიგმებიც ამას უჭერს მხარს.

როგორც ლექსიკონის შესავალ გრამატ. ნაწილში, ისე სალექსიკონო სტატიებში ზმნათა უღლება საკმაოდ სწორად არის წარმოდგენილი; მაგ.:

1. Presente – აწმყო: „მე მიყვარს: შენ გიყვარს: იმას უყვარს; ჩვენ გვიყვარს: თქვენ გიყვარსთ: იმათ უყვარსთ“; 2. Imperfetto – ნამყო უსრული: „მე მიყვარდა: გი: უ; P. გვიყვარდა: თ: თ“. გი აქ მეორე პირის ფორმაა: გიყვარდა, უ- კი – მესამისა – უყვარდა; P. გამოხატავს მრ. რიცხვს (Plurale); თ მეორე და მესამე პირებში ნიშნავს იმას, რომ მხოლოობითის ფორმა უცვლელად მეორდება, მრ. რიცხვში მათ მხოლოდ -თ სუფიქსი ემატებათ; 3. Perfetto – ნამყო სრული: „მე შემიყვარე: შეი, შეიყვარა; P. თ:თ: შეიყვარეს“; 4. 2ᵃᵉ perfetto – მეორე

ნამყო სრული: „მე შემიყვარებია: შეგი: შეუ; P. შეგვიყვარებია: თ:თ“; 5. Piu che Perfetto – ნამყო უსრულესი (ე. ი. უფრო ნამყო სრული): „მე შემეყვარა: შეგე: შეე; P. შეგვეყვარა: თ:თ“; 6. Futuro – მყოფადი: „მე შევიყვარებ: შეი: შეიყვარებს; P. თ:თ: შეიყვარებენ“; 7. Imperativo – ბრძანებითი: „შენ შეიყვარე; იმან შეიყვაროს: ჩვენ შევიყვაროთ; თქვენ შეიყვარეთ: იმათ შეიყვარონ“; 8. Presente et Imperfetto dell' ottativo – აწმყოსა და ნამყო უსრულის ნატერითი: „ნეტამც მე მიყვარდეს: გი: უ; P. გვი: გი: უყვარდესთ“; 9. Perfetto (ივარაუდება „ნატერითის ნამყო სრული“): „ნეტამც მე შემეყვაროს; შეგე: შეე; P. შეგვეყვაროს: თ:თ“; 10. Piu che Perfetto (ივარაუდება ნატერითი კილოს ნამყო უსრულესი): „ნეტამც მე შემეყვარა; შემდეგ როგორც თხრობით კილოში“; 11. Futuro (ივარაუდება ნატერითი კილოს მყოფადი): „რომ მე შევიყვარო: შე: შეიყვარო; P. თ:თ: შეიყვარონ“; 12. Coniuntivo Presente – კავშირებითის აწმყო: „როს შევიყვარო...“ (იმეორებს ნატერითს).

თვით ლექსიკონში ავტორი არ ასხვავებს ნატერითი და კავშირებითი კილოს ფორმებს, ისინი მხოლოდ ნეტამც ნაწილაკისა და რომ კავშირით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

გორული ანონიმური ი.-ქ. ლ-ის გრამატ. ნაწილი არსებითად მიჰყვება ფ.-მ. მაჯოს გრამატიკას. ანონიმი ქართ. ენას უკეთ ფლობს, მაგრამ გრამატ. დებულებები და მაგალითებიც კი ფ.-მ. მაჯოსაგან გადმოულია. ის მცირეოდენი განსხვავება, რასედაც ლიტ-რაში მიუთითებენ (ნ. ორლოვსკაია), იმდენად გრამატ. კვალიფიკაციას არ ეხება, რამდენადაც განსხვავებას საანალიზო მასალის მიხედვით: ფ.-მ. მაჯო აანალიზებდა გორული დიალექტის სამეტყველო ფორმებს, ანონიმი კი – ქართლურისას. ანონიმის გორული ლექსიკონი გრამატ. დანართებით და შიგა ჩანართებით ერთგვარი შეჯამებაა იმ დებულებებისა, რ-ებიც მანამდე ჩამოაყალიბეს ქართ. ენისთვის ფ.-მ. მაჯომ, ბერნარდე ნეაპოლელმა და სხვ. მისიონერებმა.

საკუთრივ ლექსიკონს დაახლოებით 250 გვერდი უკავია.

ანბანში წარმოდგენილი ჴ, ჲ, ჵ, ჱ, ჳ ასოებიდან ლექსიკონში გამოყენებულია ჴ, თუმცა არა ყველა საჭირო შემთხვევაში. მაგ., ხელი ჩაწერილია ხ ასოთი (იხ. Mano) ჴელ-ესო სიტყვაში კი იგივე ხელი ჴ ასოთია ჩაწერილი (იხ. Ascetta), ჴ გვხვდება სხვა სიტყვებშიც: მო და (იხ. Beretta), კლდის-ჴმა (იხ. Echo), თიჴა (იხ. Creta). წყვილბაგისმიერი თანხმოვანი ჳ გამოყენებულია ძჳირი (იხ. Costa) სიტყვაში.

ლექსიკონის ორთოგრაფია საშ. ქართულის ბოლო პერიოდისაა: ჩ ვ ე ნ, ნ ა ძ ვ ი, თ ქ ვ ე ნ და სხვ.

ზმნები ლექსიკონში წარმოდგენილია აწმყოს ფორმით, მიწერილი აქვთ უწყვეტლის, წყვეტილის, I თურმეობითის, II თურმეობითისა და მყოფადის ფორმები, მაგ., „Accendere ვანთებ: დი: ავანთე: ამინთია: ამენთო: ავანთებ“ (დი აქ გამოხატავს უწყვეტლის ფორმას – ვანთებდი)...

სახელები ხშირად წარმოდგენილია სემანტიკური ველებით, მაგ., „Colombo-aio – მტრედი, სატრედო“; Fratello, Gemallo – ძმა, ტყუპი: მომდევნო სტრიქონზე წარმოდგენილია ძმობა, ძმობილობა, ძმობილი (იხ. Fratellaza : to); „Albero : otto – ხე, ბაყილო“ (otto – გადაიწერება; Alberotto – ახალგამოტანილი ყლორტია).

ლექსიკონის ბოლოს ჩამოწერილია არაბ. ციფრები მათი ქართ. დასახელებით: ერთი, ორი... ამათ მოსდევს რიგობითი რიცხვის ფორმები: მეერთე, მეორე... რიცხვთა შემდეგ ჩამოწერილია წყვის ერთეულები: ლიტრა, ჩარექა, სათლი, რუბი..., შემდეგ – ფულის ერთეულები: აბაზი, უზალთუნი, ფლური... სულ ბოლოს მოქცეულია საეკლ. ტერმინები: ბზობა, აღდგომა, ამაღლება და სხვ.

ლექსიკონი მთავრდება შეგონებით: „ადამის ტომო : მოიგონე : რომ : მიწა : ხარ : და : მიწათ : გარდაიქცევი“.

ლიტ.: უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999; О р л о в с к а я Н. К., Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке. – «თსუ შრომები», 1959, ტ. 75.

თ. უთურგაიძე.

იყალთო, ქართული კულტურის კერა კახეთში, თელავის ჩრდ-ით; დააარსა ასურელმა მამამ, იოანე ზედაზნელის მოწაფემ – ზენონმა. გადმოცემის თანახმად, აქ აკადემია უნდა არსებულიყო. ჩვენამდე



იყალთოს სამონასტრო კომპლექსი. VI–XVIII სს.

მოღწეული აქაური ხელნაწერები შედარებით გვიანდ. ხანისაა და ი-ს აკადემიის შესახებ ცნობებს არ შეიცავს. ამის მიუხედავად, ჩატარებულმა მეცნ. კვლევა-ძიებამ უეჭველი გახადა აქ XII ს-ში უდიდესი სასწ.-სამეცნ. ცენტრის – აკადემიის არსებობა. ი-ს აკადემიის დაარსება დაკავშირებულია გამოჩენილი ფილოსოფოსის *არსენ იყალთოელის* (XI–XII სს.) სახელთან. იგი ყოფილა „ღვთისმეტყველფილოსოფი, ფიზიკოსი, ანატომიკოსი, ალიღორიულთა შეთხზვათა შინა ქებული, საღმრთოთა საგალობელთა კეთილად დამთხზველი, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიოთა ტიბიკონთა მეცნიერი“ (იოანე ბატონიშვილი).

ი-ს აკადემიას უნდა ჰქონოდა მდიდარი წიგნსაცავი. სამწუხაროდ, იმდროინდელ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

იშხანი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეთა საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო ცენტრი ტაოში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია). ეკლესია



იშხნის ეკლესიის წარწერა. XI ს. I მესამედი.

VII ს. 30-იან წლებში ეპისკოპოსმა ნერსესმა ააშენა. IX ს-ში გრიგოლ ხანძთელის მოწაფე საბა იშხნელმა განაახლა. ი. კულტ.-საგანმან. კერა იყო. იქაურ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან: საბა იშხნელი (VIII–IX სს.) – ილარიონ რომაელის თხზულებათა მთარგმნელი; ილარიონ იშხნელი (X–XI სს.), რ-ის დაკვეთით არის გადაწერილი ასკეტურ თხზულებათა კრებული (A-35) და მესტიის სახარება (1033), ამბერკი იშხნელი (XVI ს.), რ-მაც განაახლებინა 1233-ით დათარიღებული ხელნაწერი (A-85), რ-იც აბუსერისძე ტბელისა და სხვა ქართვ. მოღვაწეთა მნიშვნელოვან ორიგინ. თხზულებებს შეიცავს.

ი-ში ლიტ. ინტენსიურობას ადასტურებს შატბერდის კრებულის მინაწერი: („ესე კაცისა შესაქმე დაიწერა დედითა იშხანისათა"), პარხლის გადამწერის ცნობა („ესე მამათა ცხოვრება, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გაესრულე") და სხვ. 1034 მ. ბროსეს უნახავს ი-ში გადაწერილი ეტრატის სახარების ნაწყვეტები. ი. ჯავახიშვილი „დავითისა და ტირიჭნის წამებას" ი-ს უკავშირებდა.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.



ძ, ქართული ანბანის მეათე (ძვ. ქართ. – მეთერთმეტე) ასო. მისი სახელია „კანი“; გრაფ. სიმბოლო უკანაენისმიერი ხშული აბრუპტიებისა. ასომთავრულში იწერებოდა „Ⴒ“. მისი მოხაზულობა ხასებისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. Ⴒ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილია. იგი ნუსხურში ოთხ ხაზში, ხოლო მხედრულში ქვედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ოცს (20).

კავშირებითი II, საუღლებელი ერთეული, დრო-კილოთა მეორე სერიის მწკრივი, დრო – მომავალი, კილო –კავშირებითი ან ბრძანებითი, ასპექტი – სრული ან უსრული.

კ. II-ის მწკრივის ნიშნებია -ა, -ე, -ო; -ო გვაქვს სმნებთან, რ-თაც წყვეტილის მწკრივში -ე სუფიქსი მოუდის; -ე სუფიქსით აწარმოებს კ. II-ს სუფიქსიანი და უნიშნო ენებითები; სხვა შემთხვევებში -ა სუფიქსი გამოიყენება. III სუბიექტ. პირის ნიშნად მხოლოობითში -ს, ხოლო მრაელობითში -ნ სუფიქსები გვაქვს.

სმნისწინი ასპექტიან სმნებში ახდენს სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირებას; სხვა შემთხვევაში აღნიშნავს მიმართულებას ან მნიშვნელობას უცვლის სმნას. კ. II-ში ენებითი გვარის სმნები უსმნისწინოდ, ჩვეულებრივ, არ იხმარება. კ. II-ის I სუბიექტ. პირის მრაელობითისა და III პირის ფორმები გამოიყენება ბრძანებითი კილოს გამოსახატავად (გავაკეთოთ! გააკეთოს! გააკეთონ!..).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1980; გოგოლაშვილი გ., დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984; მისივე, მეორე კავშირებითის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი თანამედროვე ქართულში. – «ქსს», წგ. 6, თბ., 1984.

გ. გოგოლაშვილი.

კავშირებითი III, სმნის საუღლებელი ერთეული; დრო-კილოთა III სერიის მწკრივი, დრო – წარსული, კილო – კავშირებითი. ამ მწკრივებში მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარის სმნები ინვერსიულია (იხ. *ინვერსია*); ხდება ქცევათა ნეიტრალიზაცია – ქცევა სმნა საობიექტო ქცევის ფორმას იღებს. სამპირიანი სმნა ორპირიანი ხდება – გაუჩინარდება ირიბი ობიექტი. კ. III-ში ე- პრეფიქსი ინუს თავს (ა-ე-ღოს, გა-ე-კეთებინოს...); კ. III-ის წარმოების ორი ძირითადი მოდელი გვაქვს: სმნათა ერთი ნაწილის ფორმები ემთხვევა II კავშირებითის მარტივ ფუძეს (გა-ე-სარდ-ო-ს, და-ე-ხატ-ო-ს...); სმნების მეორე ნაწილი კი შუალობითი კონტაქტის სმნათა II კავშირებითის ფუძეს გამოიყენებს (ა-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს, და-ე-სახლ-ებ-ინ-ო-ს...).

ენებითი და საშუალ-ენებითი გვარის სმნებში ერთპირიანი სმნები წარსული დროის ენებითი გვარის -ინ სუფიქსიან მიმღეობაზე მეშველ სმნას დაირთავენ II კავშირებითის ფორმით (აშენებულ-იყოს, გაზრდილ-იყოს...); ორპირიანები აწმყოს ფუძეზე -ოდ-ე ფორმანტს დაირთავენ (ა-შენ-ებ-ოდ-ე-ს, გა-სარდ-ოდ-ე-ს, და-მალ-ე-ოდ-ე-ს...).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973).

გ. გოგოლაშვილი.

კაშშირი, დამხმარე სიტყვა, რ-იც აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. კ-ს არა აქვს დამოუკიდებელი (თავისთავადი) მნიშვნელობა, რის გამოც წინადადების წევრობა არ შეუძლია. იგი მნიშვნელობას იძენს სხვა დამოუკიდებელ სიტყვებთან ხმარებით. ფუნქციის მიხედვით განასხვავებენ ორ ჯგუფს: **მაერთებელი კ-ები** და **მაქვემდებარებელი კ-ები**. მაერთებელი კ-ები გამოყენებულია თანწყობის (*პარატაქსი*) შემთხვევაში: ერთგვარ წევრთა შესაერთებლად შერწყმულ წინადადებაში და გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შესაკავშირებლად რთულ თანწყობილ წინადადებაში („აღმობრწყინდა მზე დიდებულადა და განანათლა ქვეყანა ბნელი“, ი. ჭაჭ.; „ცა იწმინდება და სისხამ დილით მზე ერე-

კება ღრუბლების ფარას“, ლ. ასათ.).

მაქვემდებარებელი კ-ები ქვეწყობას (*პიპოტაქსი*) აფორმებენ: დამოკიდებულ წინადადებას უერთებენ მთავარს („მღერა ისე გაჩლიერდა, რომ ტყეს ჭახჭახი გაჩქონდა“, ვაჟა-ფშავ.).

მაერთებელი კ-ები მნიშვნელობის მიხედვით ოთხგვარია: ა) მ ა ჯ გ უ შ ე ბ ე ლ ი – და, თუ; ბ) მ ა ც ა ლ კ ე ე ბ ე ლ ი – თუ, ან (ვარიანტებით: ან – ან, ან – ან არადა...), ხან (ვარიანტებით: ხან – ხან კი...), გინდ – გინდ; თუნდ – თუნდ – ეს კ-ები, ჩვეულებრივ, მეორდება („წვიმა კი მღეროდა ხან მაღლა, ხან ჩუმად, ხან სარკმლის მინებზე როკავდა ძალუმად“, ი. გრიშ.); გ) მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი – მაგრამ, ხოლო, კი, არამედ, თორემ...; დ) მ ა ი გ ი ვ ე ბ ე ლ ი – ანუ, ესე იგი – აკავშირებენ წინადადების წევრთან ან წინადადებასთან განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთაც დანართის ფუნქცია აქვთ („ნაფუძრები, ესე იგი გაპატივებული მამული დიდ საფასურშია ჩვენში“, ი. ჭავჭ.).

მაქვემდებარებელი კ-ებიც შინაარსის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა: დ რ ო ი ს ა (ვიდრე, სანამ...), მ ი ზ ე ზ ი ს ა (რადგან, ვინაიდან...), მ ი ზ ნ ი ს ა (რათა...), დ ა თ მ ო ბ ი ს ა (თუმცა...), პ ი რ ო ბ ი ს ა (თუ, თუკი...). მაქვემდებარებელი კ-ების გარდა, ქვეწყობილ წინადადებაში მთავართან დამოკიდებულის შესაერთებლად გამოყენებულია მიმართებითი სიტყვებიც (მიმართებითი ნაცვალსახელები: ვინც, რაც, რომელიც...; მიმართებითი ზმნისართები: სადაც, როდესაც, როგორც...), რ-ებიც, საკუთრივ კ-ებისაგან განსხვავებით, დამოკიდებული წინადადების წევრები არიან მიმართებითი სიტყვები, ე. წ. წევრ-კ-ებია.

ერთსა და იმავე კ-ს ზოგჯერ სხვადასხვა ფუნქცია აქვს. მაგალითად, თუ ზოგჯერ მაჯგუფებელი კ-ია („კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა თაეგამოდებით მუშაობდა“, ვაჟა-ფშავ.), ხან – მაქვემდებარებელი (თუ მზე ხარ, მაშინ მიმსვევ, მიშეელე, შემიბრალია“, ვაჟა-ფშავ.).

კ. ფორმაუცვლელი სიტყვაა; ზოგი მათგანი მარტივია, დაუშლელი (და, თუ, ხოლო...), ზოგიც რთული ან წარმოქმნილი (რაკი, ვიდრე, თუმცა...), ცალკეულ კ-ებთან შეპირისპირებით გამოყოფენ აგრეთვე წყვილეულ კ-ებს, რებიც ნაწილდებიან შესაკავშირებელ ერთეულთა შორის. ასეთია, მაგ., მაპირისპირებელი არამედ, რ-იც, წესისამებრ, მოითხოვს მის წინ მდგომ ერთგვარ წევრთან მეორე საკავშირებელს და ქმნის ასეთ წყვილებს: კი არა – არამედ, არა მარტო – არამედ, არამცთუ – არამედ... („თქვენს წინ კაცი კი აღარ იდგა, არამედ დაკემსილი, გაცრეცილი ღამე“; „მომიგონებენ მეგანიურად არა მეფენი, არამედ ჩემები მიკარგული მეოცნებენი“, გ. ლეონ.). ქვეწყობილ წინადადებაში ზოგჯერ საკორელაციო სიტყვის შეხამება მაქვემდებარებელ კ-თან ე. წ. შედგენილ კ-ებს ქმნის (იმიტომ რომ, ასე რომ...).

ყოველ კ-ს აქვს თავისი ისტორია: კ-თაგან ზოგი ძალიან ძველია (და, თუ, ხოლო...), ზოგიც გვიანდელი (თორემ, თითქოს, ოღონდ...). კ-ები წარმოქმნილია უპირატესად ნაცვალსახელებისა და ზმნისართებისაგან (რომელ > რომე > რომ; რაითგან > რათგან > რადგან; ვინაითგან – ვინაიდგან – ვინაიდან...); არის აგრეთვე ნაწილაკური წარმოშობის კ-ები (არა+მედ...), კავშირ-ნაწილაკები (კი, თუ...); ზმნის პირიანი ფორმებისგანაა მიღებული გინდ(ა), თუნდ (< თუ+უნდ(ა), ჩართული გამოთქმების გამარტივების შედეგია – ესე იგი (< ესე იგი არს), თითქოს (< თუ+ითქუას), მართალია (< მართალი არის).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973); კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1961; მ ი ს ი ვ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996; ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ფ., რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I. პიპოტაქსის საკითხები, თბ., 1963; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969. *ლ. კვანტალიანი.*

კავშირიანი შეერთება, წინადადების ერთგვარი წევრების ან რთული წინადადების შემადგენელი მარტივი (ან შერწყმული) წინადადებების შეერთება კავშირის საშუალებით.

კ. შ-ის დროს ერთგვარ წევრებს (თანწყობილი წინადადების თანაბარუფლებიან წინადადებებს) მაერთებელი კავშირები აერთებენ (იხ. *კავშირი*).

რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ ნაწილთა დასაკავშირებლად გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები. მაქვემდებარებელი კავშირი და მიმართებითი სიტყვა მეტწილად იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, მაგრამ ზოგჯერ (უფრო პოეზიის ენაში) დამოკიდებული წინადადების შიგნითაც.

მთავარ წინადადებაში ხშირად მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც დამოკიდებულ წინადადებას გადავარაუდებინებს. ასეთ სიტყვებს მისათითებელი, საკორელაციო სიტყვები ჰქვია. მისათითებელი სიტყვის ფუნქციით იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელები (ის, ისეთი, იმნაირი...) და ზმნისზედები (იქ, ისე, იმიტომ, მაშინ...).

ლიტ.: კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1954.

კ. გაბუნია.

კალიგრაფია (ბერძნ. kalligraphia – ლამაზი ხელწერა < kallos – სილამაზე და graphō – ვწერ), ლამაზად წერის ხელოვნება, წერის ფორმა-ნიშანთა დამახასიათებელი მხატვრული შესრულებით. კ-ის განვითარება დაკავშირებულია დამწერლობის განვითარებასა და მის მიზანდასახულობასთან. ჩვეულებრივი ხელწერისაგან განსხვავებით, კ. აადვილებს ნაწერის წაკითხვას და, ამასთან, გარკვეულ ემოციურ განწყობილებასაც ქმნის.

საქართველოში კალიგრაფიულ შესრულებას იმთავითვე დიდი ყურადღება ექცეოდა. სხვადასხვა დროს იწერებოდა ქვაზე, თიხაზე, ლითონზე, ჭილზე, ეტრატზე, ქაღალდზე; იწერებოდა ასო-ნიშნების მოხაზულობისა და საწერი მასალის შესაბამისად, მაგრამ ყოველთვის სტილისტიკურად გამართული, ესთეტიკურად სრულყოფილი ფორმით. ქართ. ანბანის სამივე სახე – *ასომთავრული, ნუსხური* და *მხედრული* განვითარების ყოველ ეტაპზე სრულყოფილი კალიგრაფიით გამოირჩეოდა.

ასომთავრული ასოებით შესრულებული ლაპიდარული წარწერები ყურადღებას იქცევს მონუ-

მენტურობითა და სილამაზით. ქაზე ამოკვეთილი რელიეფური წარწერები (ჩაღრმავებული ფონით თუ ამოწეული კვეთილი ასოებით) გათვალისწინებული იყო შორიდან (განსაკუთრებით ეს ითქმის ეკლესიის წარწერებზე) დასანახად, რის გამოც ასოები ნათელი, მკვეთრად გამოხატული და, ამასთანავე, ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი უნდა ყოფილიყო. ტაძრის ფასადებსა და ჭედურ ყდებზე წარწერები სრულდებოდა ორნამენტული შემკულობის ფონზე და საერთო კომპოზიციის განუყოფელი ელემენტი იყო.

დროთა განმავლობაში წიგნებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ (საწერ საშუალებებთან ერთად) გამოიწვია ასო-მოხაზულობათა ცვალებადობა. ნუსხურ დამწერლობაში ასოები უკვე სწრაფად იწერებოდა და გამოკვეთილი, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ფორმებით დიდ მხატვრულ ეფექტს იწვევდა. განსაკუთრებით გამოირჩევა ხელნაწერი ტექსტების შემსრულებელთა ქ. თაესამკაულთან, მოხატულ *საზედაო ასოებთან*, სიუჟეტურ კომბინაციებთან ერთად. ლამაზად ნაწერ ტექსტს შუასაუკუნეთა წიგნის ხელოვნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ქ-ის კერები ეკლესია-მონასტრები იყო. ამგვარ სკრიპტორიუმებში, სადაც გადამწერ-კალიგრაფები მოღვაწეობდნენ, „გადამწერლობა“ ხელობად ითვლებოდა: ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში წიგნის მოსამსახურებელ საქმიანობაში – „მსოფლიო მუშაობაში“ – დასახელებული არიან გადამწერებიც. ხელნაწერებმა მრავალი შესანიშნავი კალიგრაფის სახელი შემოგვინახა (*იოანე-ზოსიმე, მიქაელ მოდრეკილი, გაბრიელ პატარაძე* და სხვ.). ხშირად სამწერლობო ცენტრები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან ოვაისი კალიგრაფიით, რაც საშუალებას იძლევა გაირკვეს დაუთარიღებელი ძეგლების შესრულების დრო ან რომელ კალიგრაფიულ სკოლას მიეკუთვნება ესა თუ ის ხელნაწერი. მაგ., მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულის ტექსტის დაწერილობაში რამდენიმე ხელწერა გაირჩევა, მაგრამ თითოული გადამწერი მაინც ერთიან კალიგრაფიულ სტილს იცავს.

მხედრულ დამწერლობაში ასონიშანთა მოხაზულობა საგრძნობლად გამარტივებულია: აქ ყოველი ასოს კონტური ერთიანია და მრგლოვანი ელემენტების კავშირი ესთეტიკალურ ღერძთან ესთეტიკურად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ამ დამწერლობის მრავალ ცნობილ კალიგრაფთა შორის შეიძლება გამოვყოთ ბეგთაბეგ თანიაშვილი (XVII ს.), რ-ის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩევა. ხელნაწერის ყოველ გვერდს ამკობს ოქროთი შესრულებული ორნამენტული აშიები.

ასო-მოხაზულობათა კალიგრაფიული პრინციპი იქნა შენარჩუნებული ბეჭდურ დამწერლობაშიც. ქართ. სტამბის შექმნის დღიდანვე მხატვარ-გრაფიკოსთა არაერთი თაობა მუშაობდა, რათა ქართ. დამწერლობის საფუძველზე დაეხვეწათ ქართ. შრიფტი პოლიგრაფიული მოთხოვნების შესაბამისად. ადვილად წასაკითხი და ესთეტიკურად სასიამოვნო სასტამბო გარნიტურების შექმნაში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის „ქართული შრიფტის რეფორმების კომიტეტს“ (1933; ხელმძღვ. მხატვარი დ. შევარდნაძე) და „ქართული შრიფტის კომიტეტს“ (1947; ხელმძღვ. ბ. გორდეზიანი).

იხ. აგრეთვე სტ. ა. *დუმბაძე*.

ლიტ.: ყიფიანი ი., ქართული შრიფტი. – ქსე, ტ. 10, თბ., 1986.

ე. მაჭავარიანი.

ქალქი (ფრანგ. calque – ასლი), ახალი სიტყვის, შესიტყვებისა თუ მნიშვნელობის წარმოქმნა უცხო ენობრივი სტრუქტურების გავლენით. ქ. არის უცხოენოვანი მასალის სესხების ერთ-ერთი ფორმა. შემთხვევებისა თუ ენის შემოქმედებითი ძალის მიხედვით ქ-ის ორი ძირითადი სახეობა გამოიყოფა: ლექსიკური ქ. და სემანტიკური ქ. ლექსიკური ქ. ეწოდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორ ან მეტ ენაში ერთნაირი ლექსიკური ერთეულები ერთნაირი მნიშვნელობით გამოიყენება. ასეთია, მაგ., ქართ. *ზეცა* – ბერძნ. *ουρανός*, ლათ. *caelum*, ინგლ. *heaven*, ფრანგ. *ciel*, გერმ. *Himmel*, რუს. *небо*, ესპან. *cielo*, ირლანდ. *neamh*, ალბან. *qiell*, ლიტვ. *dangus*, ლატვ. *debesis*, ფინურ. *taivas*, ესტონ. *taevas*, ვენგრ. *ég*, ბასკ. *zeru*, ირან. *asmān*, ინდ. *ākāśa*, ჩინ. *tiān*, იაპონ. *ten*, ტიბეტ. *gnam*, ბურიატ. *tenger*, ყაზახ. *aspan*, ოსურ. *æxsæn*, ქურთ. *asman*, ებრაულ. *šāmayim*, არაბ. *samā'*, ამჰარულ. *samay*, ტაჰიტურ. *rai*, ტონგურ. *lagi*, ჰავაიურ. *lani*, ნავაჰოურ. *ilnilyé*, ტუპი-გუარანი *tupã*, ნაჰუატლ. *ilhuicatl*, ტაიტურ. *ra'i



დ. კარიჭაშვილი.

დაიყვანეს ქართ. ენისა და ისტ. მასწავლებლად თბილ. ქართ. გიმნაზიაში.

ქ. იყო ფართო პროფილის მკვლევარი. 1885-იდან მისი კრიტიკ.-პუბლიც. წერილები, მოთხრობები, გამოკვლევები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში («დროება», «თეატრი», «მოამბე», «ჯეჯილი», «კვალი», «ივერია» და სხვ.). 1885–92 იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი, 1921–27 – უნ-ტის სიძველეთსაცავის მცველი. ქ-მა გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (1903, 1920), ა. ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებული (1910), ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (1913, 1919), ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების კრებული (1910). ქ-ს აქვს გამოკვლევები ქართ. ქორონიკონის, ქართ. ანბანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ („ხუცური ანბანი“ 1910, 1914), შრომები საქართველოს ისტორიაში.

ქ. ავტორია ქართ. გრამატიკისა. „ქართული ენის გრამატიკა – ეტიმოლოგია“ დაიბეჭდა 1930, მისი გარდაცვალების შემდეგ (შედგენილი იყო 1924). ქ-ის გრამატიკა ახ. ქართ. ენის აღწერითი გრამატიკაა, რ-შიც იმდროინდელი გრამატ. აზრის შესაფერისადაა გაშუქებული ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები. ნაშრომი განსხვავდება მანამდე არსებული გრამატიკებისაგან, რ-თა ავტორები მასალად ძვ. სალიტ. ქართულს იყენებდნენ და ანტონ კათალიკოსის გრამატ. აზრის დიდ გაელენას განიცდიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქ-ის გრამატიკა ერთგვარი წინამორბედია მომავალი ნამდვილი მეცნ. გრამატიკისა, რ-იც ჩვენში შეიქმნა XX ს. 30-იანი წლებიდან.

ა. მარტიროსოვი.

ძაბარაშვილი გიორგი ნესტორის ძე (12.XII.1921, სოფ. საკაჭარავო, აბაშის რ-ნი, – 8.III.1995, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1994). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1949) და მუშაობა განაგრძო იქვე, კავკ. ენათა კათედრაზე. 1958-იდან ქ. მოღვაწეობდა ყოფ. ა. პუშკინის სახ. თბილ. პედ. ინ-ტ'ში. იგი ავტორია 2 მონოგრაფიისა და 50-მდე სამეცნ. სტატიისა, რ-ებიც ეძღვნება ქართველოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს.

თხზ.: ნასესხებ სიტყვათა ერთი ჯგუფის ფონეტიკური ცვლილებისათვის მეგრულში. – «სმამა», 1963, ტ. 30, №3; ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში. – «თბილისის ა.ს. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის. შრომები», 1961, ტ. 15; ფონეტიკური პროცესების მიმდინარეობის მოდელირების საკითხისათვის ქართველურ ენებში. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1974, №4; ბგერათა ასიმილაციურ-დისიმილაციური ცვლილებების ხარისხის განსაზღვრისათვის ქართველურ ენებში. – «სმამა», 1975, ტ. 78, №1.

ო. ქაჯაია.

ქაბაძე ოტია ილარიონის ძე (28. III. 1918, ტყიბული, – 28. X. 2003, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა მკვლევარი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1945), იყო ენათმეცნ. ინ-ტის ასპირანტი (1945–48). სამეცნ. მოღვაწეობას ეწეოდა ენათმეცნ. ინ-ტში (როგორც ინ-ტის მთ. სპეციალისტი), პედაგოგიურს – თსუ კავკ. ენათა კათედრაზე.

ქ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება არჩიბულისა და სხვა ლეზგიურ ენათა ისტ. ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხებს. იბერიულ-კავკ. ენათა სპეციფიკის ლატერალურ თანხმოვანთა ჩამოყალიბებისა და ისტორიის თვალსაზრისით ფასეულია ქ-ის შრომები: „ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში“ (1958), „ზოგი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ“ (1959) და სხვ. იგი ავტორია მონოგრაფიებისა: „არჩიბული ენა და მისი აღგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის“ (1977), „გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში“ (1984).

ქ-ის არაერთი შრომა ეხება ქართველურ ენათა ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხებს: „პურეულის ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულში“ (1956), „ხმოვანთა ასიმილაციის ზოგიერთი საკითხის თაობაზე ქართველურ ენებში“ (1981), „ლექსიკური ზანიზმებისათვის იმერულში“ (1987); აგრეთვე ქართ. ენის დიალექტთა შესწავლას: „ატენისა და წედისის ხუთბის ქართლური“ (1953), „ოკრიბულის თავისებურებანი“ (1954) და სხვ. ქ. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ტ. I–8, 1950–64) მომზადებაში, იყო V ტომის ერთ-ერთი რედაქტორი, რისთვისაც, სხვა რედაქტორებთან ერთად, მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). იგი იყო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ რედკოლეგიის წევრი, ენათმეცნ. ინ-ტის სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი.

თხზ.: პურეულის ლექსიკა ქართულში, თბ., 1987; ტერმინი ეგრისი. – კრ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993; აფხაზი/აფხაზა ფუძის თაობაზე. – იქვე.

გ. ბურჭულაძე.

ქახური, ქართული ენის დიალექტი, რ-ზედაც მეტ-ნაკლებად ისტორიული კახეთის – ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რ-ების მოსახლეობა. ქ-ის ტერიტ. გავრცელების ჩრდ. საზღვარი გასდევს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს, რ-ის გადაღმა მდებარეობს თუშეთი, თუშურ დიალექტზე მეტ-ნაკლებად მოსახლეობით, და დაღესტანი, ძირითადად ხუნძურ ენაზე მეტ-ნაკლებად მოსახლეობით; აღმ-ით და სამხ.-აღმ-ით ესაზღვრება აზერბაიჯანი და ალაზანისა და ივრის ქვემო დინების დაუსახლებელი ველები მეცხვარეთა საზამთრო საძოვრებით; სამხრ-ით – თბილისისა და რუსთავის რ-ნები – ქვემო ქართლის ტერიტორიები აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით; დას-ით და ჩრდ.-დას-ით – ქართლი მტკვრისა და არაგვის ხეობებით, და ერწო-თიანეთი, რ-ის მოსახლეობაც მეტ-ნაკლებად ფშაურ-ხევსურული დიალექტური ენობრივი მოვლენებით დიდად გაჯერებულ თიანურ კილოზე. მთლიანად კახეთში საკმაოდ ბევრია, ერთი მხრივ, ქართ. ენის დიალექტებზე – თუშურ, ფშაურ, ხევსურულ, მთიულურ, იმერულ კილოებზე მეტ-ნაკლები, ხოლო მეორე მხრივ, არაქართულენოვანი – ოსური, ქისტური, აზერბ., რუს. სოფლები, რ-თა მოსახლეობაც სხვადასხვა დროსა და პირობებშია აქ მიგრირებული. ეს

გარემოება საგრძნობ დაღს ასვამს კახურ მეტყველებას, განსაკუთრებით მის ლექსიკას.

ჰ. სამ კილოკავად განიყოფება: შიგნიკახური, რ-ს ყველაც მეტყველებს ალაზნის ველის – ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის რნების მოსახლეობა; გარეკახური – გურჯაანის რ-ნის ნაწილი და საგარეჯოს რ-ნის სოფლების მოსახლეობა, და ქიზიყური – სიღნაღის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს რ-ნების მოსახლეობა. შიგნიკახური და გარეკახური ერთმანეთისაგან მხოლოდ მეტყველების ინტონაციით განსხვავდება, ქიზიყურს კი ორივესაგან, მკვეთრად გამოხატული ინტონაციის გარდა, ფონოლოგიური და გრამატ. ნიშნებიც განასხვავებს.

ჰ-ის ფონოლოგიურ ინვენტარში სალიტ. ქართულისაგან განსხვავებული ორი ერთეული მოიპოვება: ფარინგალური ჟრუფშვინვიერი ხშული აფრიკატი ჭ და შუაენისმიერი მკლერი სპირანტი ჲ. ჭ ქიზიყური კილოკავისათვისაა დამახასიათებელი და იქ იგი ფონოლოგიური ღირებულებისაა: ჭელი, ჭმალი, ჭორცი, ფეჭი ... მისი დისტრიბუცია ისეთივეა, როგორიც ძ. სალიტ. ქართულსა და ამ ფონემის მქონე ქართ. ენის მთის დიალექტებში. ძ-ის სხვა კილოკავებში, იმავე ლექსიკურ ერთეულებში – უფროსი თაობის მეტყველებაში, იგი სპორადულად მონაცვლეობს ხ სპირანტთან.

ჲ დამახასიათებელია ყველა კილოკავისათვის. იგი სიტყვის ფუძეში ს და შ სპირანტების რეფლექსია პოზიციაში V-C (წინაენისმიერი მკვეთრი): ტაჲტი, მუჲტი, ფლოჲტი, ნაჲწაელი. გვხვდება II სუბიექტ. და III ობიექტ. პირების პრეფიქსებად აგრეთვე V-C პოზიციაში, რ-საც ქმნის ჴმნისწინის ხმოვანი და ფუძისეული თანხმოვანი: მოჲტეხა, მოჲგლიჯა, შეჲხედა, დაჲფანტავს, არ გაჲფანტო... ან წინამავალი სიტყვის ემფატიკური ა და ჴმნის ფუძის თანხმოვანი: რასა ჲფიქრობ? დედასა ჲკითხა, მეზობელსა ჲთხოვა... აქ ეს ორი სიტყვა ფონეტიკურად იმდენად მთლიანდება (პაუზა იკარგება), რომ დიალექტოლოგები ტექსტების ჩაწერისას ზოგჯერ ამ ჲ-ს წინამავალ სიტყვას მიაწერენ ხოლმე: რასაჲ ფიქრობ?

ჰ-ს პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე ახასიათებს ხმოვანთა სრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია: მეეწონა, შააშინა, გამეეკიდა, გეეგო, მააფიქრდა; იმეებს, კოდალეები, კუბალეები ... რთული ჴმნისწინების შემთხვევაში ხორციელდება კონტაქტურის თანადროული დისტანციური ასიმილაცია: ემეეტანა, გემეეგდო, შემეეტანა, გედეეგდო...

ჰ-ში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მკლერი თანხმოვნები ჟრუვდება: ცუდათ, კაცათ, შაეათ ... ამ გზით მიღებულ ჟრუ თანხმოვნებს უკვე სოც. ღირებულება აქვს მოპოვებული და უკვე გეაქვს შავათვე შაღება, კაცათაც მეეჩვენა, ცუდათვე ყოფილიყო. ამავე გზითაა მიღებული ქ-ც სიტყვაფორმებში: კარქი, კარქო, კარქისა, კარქათ...; გეაქვს მ და ნ ფონემათა სუბსტიტუცია, ერთი მხრივ: ბანბა, ბუნბული, ანბავი, უანბეჟი: მეორე მხრივ – სამთელი, ამთებს. ასევე, დისიმილაციური, ოღონდ დისტანციური, სუბსტიტუციის შედეგი ჩანს ბ და ვ ფონემათა მონაცვლეობა სიტყვაფორმებში: ეუბრევა, ებნევა, მებნევი, გებნევი. ხდება სხვადასხვა ხასიათისა და მიმართულების ერთდროული ფონეტ. პროცესები: მეტათეზისი-სუბსტიტუცია-ასიმილაცია სიტყვაში „აევანტყოფი“, რ-ის ამოსავალი ფორმა „აევაღმყოფია“. აგრეთვე ბღერტამს ← ბერტყავს, მადრიელი ← მადლიერი. გეხვდება სიტყვათა ფონეტ. გამარტივების შემთხვევები: შარანდელი ← შარშანდელი, ფეხშველა ← ფეხშიშველა. ამავე რიგისა ჩანს მყავ ← მყავს, გყავ ← გყავს, მაქ ← მაქვს, გაქ ← გაქვს...

ჰ-ში, ფონემათა განაწილების წესებიდან გამომდინარე, სახელთა ბრუნებისას ელინდება ბრუნვის ნიშანთა თავისებური ვარიანტები. როცა სიტყვაფორმის შინაარსობრივი მხარე ამის საშუალებას იძლევა, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ს ფონემა სუსტდება და ჲ-დ რეალიზდება ხმოვნების მომდევნოდ და Ø-მდე დადის თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში. ამისდა კვალად მიც. ბრუნვის ნიშნად ჰ-ში ხმოვნების მომდევნოდ გვაქვს -ჲ: დედაჲ, მამაჲ, ძმაჲ, დაჲ, ხოლო თანხმოვნების მომდევნოდ – Ø: კაც ვეძახი, ცხენ შაეკაზმავ, გულ მოგიკლამ – როგორც კი პოზიცია შეიცვლება, მიც. ბრუნვის ნიშანი სრული სახით აღდგება: დედასაც, ძმასაც, დასაც; კაცსაც და ქალსაც; ცხენსაც. იმავე მიზეზით ნათ. ბრუნვის ნიშნად -ის სუფიქსის ნაცვლად გეაქვს მისი გამარტივებული -ი ან -იჲ ვარიანტი: სოფლი ბოლოში; თხიჲ რძე, იმი გულითვინ || გულიჲთვინ. იმ წესის გამო კი, რომ სიტყვის ბოლოში მკლერი ფონემები ჟრუვდება, ეითარებითი ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ათ და არა -ად. ეს დაკრუებული ვარიანტი რჩება ყველა ვითარებაში: კარქათაც შავჯორე, შაეარცხვინე. ამის პარალელურად ზოგჯერ გეაქვს ბრუნვის ნიშნის -ა ვარიანტი: მე კარქა დაგინახე.

ჰ. ზმნაში სუბიექტ. და ობიექტ. პირთა ასახვისას ძე. ქართ. სალიტ. ენის ტრადიციას აგრძელებს და აღმ. საქართველოს მთის დიალექტების თავისებურებებს იზიარებს: ზმნაში აფიქსით აისახება II სუბიექტ. პირი და მიც. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ობიექტ. პირი (პირდაპირიც და ირიბიც). ოღონდ აქ არა გეაქვს პოზიციების მიხედვით განაწილებული ვარიანტები – თანხმოვნების წინა პოზიციაში აქ ყველგან -ჲ- ვარიანტი რეალიზდება: შენც აღექი და მიჲგეარე თავი დედაჲ; ვენახსა ჲხნავს; მიჲწერა დედაჲ წერილი.

ჰ-ში ირ. ობიექტის მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება. შიგნი- და გარეკახურში მას თ სუფიქსი გამოხატავს (იმათ სტუმრები მოუვიდათ, გაუხარდათ ძალიანა), ქიზიყურში კი ირ. ობიექტის სიმრავლეს -ეკ ნაწილაკი გადმოსცემს (ახლა მე თქვენ წამლებ დაგირიგებ კე; უთხრა კე იმათა).

ჰ. ლექსიკურად უაღრესად მდიდარი დიალექტია. განსაკუთრებული სიმდიდრითა და თვითმყოფობით გამოირჩევა მემინდვრეობისა და მევენახეობის ლექსიკა. მათზე ვერ მოუხდენია გაელენა უცხოურ ენებს, რომელთა ხანგრძლივ გარემოცვაშიც უხდებოდა განვითარება ჰ-ს. სამაგიეროდ, რამდენადმე შესამჩნეეია თურქულენოვანი სამყაროს გაელენა მეცხოველეობის ლექსიკაზე.

ჰ. გამორჩეულად მდიდარია ხატოვანი ფრაზეოლოგიით.

ლიტ.: მარტიროსოვი ა., იმნაიშვილი გ., ქართული ენის კა-



მ. კელენჯერიძე.



გ. კარაცხელია.

ხური დიალექტი. თბ., 1956; თ ო ფ უ რ ი ა ე., გიგინეიშვილი ივ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია. I, თბ., 1961; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია. I, თბ., 1989. *გ. კუზიბაბაშვილი.*

კელენჯერიძე მელიტონ სპირიდონის ძე (5. II. 1864, სოფ. ტაბაკინი, ზესტაფონის რ-ნი, – 15. VIII. 1942, თბილისი), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი. დაწყ. განათლება მიიღო ქუთაისში. 1884-იდან სწავლა განაგრძო თბილ. სას. სასწავლებელში, 1890-იდან კიევის სას. აკადემიის მსმენელი გახდა. 1893 ნაშრომისათვის „ქართული ეკლესია XVIII ს-ში" მიენიჭა ღეთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. კიევის სას. აკად. დამთავრების (1894) შემდეგ მასწავლებლობდა ქუთაისსა და ფოთში. ქ-ს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართ. სალიტ. ენის განვითარებაში. შეადგინა სახელმძღვანელოები სკოლებისათვის: „სიტყვიერების თეორია" „ქართული ქრესტომათია" და „ქართული პრაქტიკული გრამატიკა". გრამატიკა გამოვიდა ორჯერ. პირველი გამოცემა (1920) შეიცავს მხოლოდ მორფოლოგიას, მეორე კი – (1925) მორფოლოგიასა და სინტაქსს. პირველი გამოცემა განკუთვნილია სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ, ხოლო მეორე – თვითგანვითარებისა და ქართ. ენის შესწავლის მსურველთათვის.

ორივე გამოცემა აგებულია ლოგიცისტური გრამატიკის საფუძველზე. მაგრამ აღრინდელი გრამატიკებისაგან ორივე განსხვავდება გრამატიკის საკითხების სწავლების თვალსაზრისით. ქ-მ ამ სახელმძღვანელოში უარყო დედუქციური გზა და სწავლების ძირითად გზად აღიარა ინდუქცია.

მეორე გამოცემაში საგრამატიკო მასალა დაყოფილია „კონცენტრებად". პირველი სამი საფეხური ეპიზოდური კურსია და შეიცავს გრამატიკის მხოლოდ ელემენტარულ საკითხებს, ხოლო ორი უკანასკნელი საფეხური (IV, V) ეთმობა მორფოლოგიისა და სინტაქსის სისტემატურ კურსს.

ორივე გამოცემაში მსჯელობას წინ უსწრებს მაგალითი ან ცხრილი, რ-ის შესახებაც დასმულია კითხვები და იქვეა მოცემული პასუხებიც.

გრამატ. საკითხების კვალიფიკაციის თვალსაზრისით ქ-ის გრამატიკა მეცნ. სიახლით არ გამოირჩევა და რნება პრაქტ. გრამატიკის დონეზე.

ლიტ.: ჯ ა გ ო დ ნ ი შ ვ ი ლ ი თ., ქართული ფოლკლორისტიკის სათაყვანებო, თბ., 1986; ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი – ც ი შ ვ ი ლ ი ო., ქართული ფოლკლორის მოამაგენი – მელიტონ კელენჯერიძე, თბ., 2001. *გ. იმნაიშვილი.*

კვარაცხელია გუჩა შალვას ასული (დ. 2.X.1940, თბილისი), ენათმეცნიერი, პოეტი და დრამატურგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1988), საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (2001). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბა (1963), ენათმეცნ. ინ-ტის ასპირანტურა ზოგადი და მათ. ენათმეცნ. სპეციალობით. იყო იმავე ინ-ტის დირექტორი (1993–2006), თსუ ზოგადი ენათმეცნ. კათედრის პროფესორი; ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტში ქართ. ენის კათედრის გამგე (1984–94) და არაქართველთათვის ქართ. ენის სწავლების სამეცნ. ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1993–1994); განათლების მინისტრი (1992); საქართვ. პრეზიდენტთან არსებული სახელმწ. ენის კომისიის თავ-რის მოადგილე (1995–2005).

ქ. იკვლევს ზოგადი ენათმეცნიერების, ტექსტის ლინგვისტიკის, ქართ. ენის სტრუქტურისა და პრაგმატიკის საკითხებს. მისმა გამოკვლევებმა ქართ. სალიტ. ენის ისეთი ფუნქციური ქვესისტემებისა, როგორიცაა სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი და მხატვრული სტილი, საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიაში ფუნქციური სტილისტიკის შექმნას.

ქ-ს ეკუთვნის ნაშრომები ენათმეცნ. თეორიასა და ისტორიაში, აგრეთვე, მათ. ლინგვისტიკისა და ენის სტატისტ. მეთოდებით კვლევის სფეროში. მან ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა და დაადგინა პრაღის სკოლის ლინგვისტური კონცეფციის გენეზისური კავშირი „ოპოიაზის" თეორიულ დებულებებთან. იკვლევს აგრეთვე ქართ. ენის კომპიუტერიზაციისა და ენის ფორმალიზაციის პრობლემებს.

ქ. ეწევა აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და პოემების კრებულები. მისი პიესები სხვადასხვა დროს იდგმებოდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და სოხუმში.

თხზ.: სტატისტიკური მეთოდებით ლექსიკის სტილისტიკურ-შედარებითი კვლევა. – კრ-ში: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II, თბ., 1967; მხატვრული მეტყველების შესწავლის საკითხები პრაღის სკოლასა და „ოპოიაზში". – დასახ. კრ., III, თბ., 1972; ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995; მეტყველების კულტურა, ნორმა და ნორმალიზაცია. – «ქართული ენა და ლიტერატურა არაქართულენოვან სკოლებში», 1998, №2; ისევ ფორმალიზაციისათვის ენათმეცნიერებაში. – «ცხინვალის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომათა კრებული», გორი, 1999; ენობრივი თვითშეგნება და სალიტერატურო ნორმა, როგორც ღირებულება. – კრ-ში: „ე. თოფურია – 100", თბ., 2001.

საით მიემართება დრო, თბ., 1981; *უფრო მაღალი ცა*, თბ., 1987; *მართალთა და უკმერთოთა გზები*, თბ., 2000; *ჩვენ, ძილში გაპარულები. ორი პიესა*, თბ., 2000.

გ. ბურჭულაძე.

კვაჭაძე ლეო (ლევან) მიხეილის ძე (დ. 3. X. 1908, სოფ. ლახამულა, მესტიის რ-ნი), ენათმეცნიერი, ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდიკის მკვლევარი. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983), საქართვ. სკოლის დამს. მასწავლებელი (1966). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1930). 1945–48 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი აკად. ე. თოფურიას ხელმძღვანელობით. 1940–42 შეეხო პოლიტ. რეპრესიები. ქ-მ 1931-იდან დაიწყო პედაგოგიური, 1947-იდან კი სამეცნ.-კვლევით მოღვაწეობა. 1931–32 იგი იყო მესტიის პედ. სასწავლებლის მასწავლებელი, 1932–33 – სოფ. ლახამულის რვაწლიანი სკოლის დირექტორი; 1933–36 – მესტიის პედ. სასწავლებლის სასწ. ნაწილის გამგე; 1935–44 – თბილ. 55-ე და მე-8 ვაჟთა საშ. სკოლების მასწავლებელი, ხოლო 1944–47 – თბილ. ქალთა მე-7 სკოლის სასწ. ნაწილის გამგე. 1947-იდან მოღვაწეობდა ა. პუშკინის პედ. უნ-ტში ქართ. ენის კათედრაზე. 1950–52 შეთავსებით მუშაობდა ა. წერეთლის

სახ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის კათედრის გამგედ.

ძ-ის ნაშრომებში განხილულია ქართ. ენის გრამატიკის, მეტწილად სინტაქსისა და საშ. სკოლაში ენის სწავლების მეთოდიკის ძირეული საკითხები. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (გამოკვლევა-სახელმძღვანელო ფილოლ. ფაკ-ტის სტუდენტთათვის, 1966), „ქართული ენა“ (სახელმძღვანელო პედ. ფაკ-ტებისათვის, ნაწ. I, 1961), „რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა“ (1950), „წინადადების წევრები ქართულში“ (1954), „მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის“ (1957), „ტოლად-შერწყმული სახელები ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით“ (1967), „თანიანი მრავლობითის მოქმედებითი და ეითარებითი ახალ ქართულში“ (1997).

აღსანიშნავია ძ-ის დიდი დამსახურება სახელმძღვანელოების შექმნაში. იგი ა. შანიძის თანაავტორია საშ. სკოლის „ქართული ენის გრამატიკის“ ორიეე ნაწილისა 1964–70-იანი წლების მიწურულამდე, ხოლო შემდეგ V–IX კლასების „ქართული ენისა“. წიგნისათვის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (1988) მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1998). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

თხზ. (გარდა სტატიაში აღნიშნულისა): რთული წინადადების სწავლების თანამიმდევრობა, თბ., 1949; დამოკიდებულ წინადადებათა სახეების ამოცნობისათვის. – «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1950, №3; ქვემდებარე და დამატება გარეგნულად მსგავს შემასმენელებთან. – ჟურნ. «კომუნისტური აღზრდისათვის», VI, თბ., 1954; ქართული ენის სინტაქსი (სახელმძღვანელო.პედაგოგიური სასწავლებლებისათვის), თბ., 1956.

ლიტ.: დ ა ე ი თ ი ა ნ ი ა., შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი. – გაზ. «საბჭოთა პედაგოგი», 1970, №26; მ ა ი ს უ რ ა ძ ე ი., ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი. – გაზ. «სახალხო განათლება», 1970, №80. ღ ლ ო ნ ტ ი ა., ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი. – გაზ. «თბილისი», 1980, №122; ქ ა ჭ ა რ ა ვ ა გ., მ ა ი ს უ რ ა ძ ე ი., თ ე ე ზ ა ძ ე ჭ., გამოჩენილი მკვლევარი და ღვაწლმოსილი პედაგოგი. – გაზ. «საბჭოთა პედაგოგი», 1980, №29; ს ე რ გ ი ა ვ., ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნი. – ი ქ ვ ე, 1989, №12; ქ ა ჯ ა ი ა ო., შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი რ., თანამედროვე ქართული ენის მეცნიერული სინტაქსი. – გაზ. «საბჭოთა ოსეთი», 1990, №31; ღ ლ ო ნ ტ ი ა., ოთხმოცი. – გაზ. «თაობა», 1990, №23.

ც. ბარბაქაძე.

კვიცარიძე პოლიეექტოს (პოლიო) (1849–1904), ლიტერატორი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბ. უნტში აღმოსაელური ენების ფაკ-ტზე. 1902-იდან მასწავლებლობდა ქუთაისში, იყო „წიგნების გამავრცელებელი ქუთათური ამხანაგობის“ დამაარსებელი და მისი საქმეთა კომისიის მუდმივი წევრი. მონაწილეობდა კრებულ „ცდის“ გამოცემაში, ამ კრებულშიე აქეეყნებდა ლიტ.-კრიტ. წერილებს, ნარკვევებს, მოთხრობებს, ლექსებს. თანამშრომლობდა აგრეთვე «დროებაში», «ივერიაში», «თეატრში», «ნობათში». იღვწოდა ქართ. ენის სწავლების გასაუმჯობესებლად. ძ-ს ეკუთვნის პრაქტ. დანიშნულების გრამატ. ნაშრომი – „ქართული სწორმეტყველება. საშინჯი სახელმძღვანელო“ (1888).

ძ-ის გრამატიკა გათვალისწინებულია ორ ნაწილად: პირველი ნაწილი – სიტყვათა წარმოება, ანუ ეტიმოლოგია – განიხილავს სიტყვებს, „ეეიჩვენებს, თუ რომელი სიტყვა როგორ და საიდან წარმოშობილა, რა ფორმაზე დგას და რადარანაირი ცვლილება შეუძლია მიიღოს სხვა და სხვა შემთხვევაში აზრისა და ცნების შესაბამისად“. გრამატიკის მეორე ნაწილი კი – სინტაქსი – განიხილავს სიტყვების ერთმანეთთან გადაბმისა და შეთანხმების წესებს. წიგნში მხოლოდ პირველი ნაწილია წარმოდგენილი. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: 1. ქართ. ენის ბგერითი შედგენილობა; 2. სიტყვათა ცვლილება – ბრუნვა და უღლება; 3. სიტყვათა წარმოება; 4. ლექსიკის ზოგი საკითხი; 5. მართლწერა და მართლმეტყველება; 6. ქართულ-სვანურ-მეგრულის ურთიერთობის ზოგი საკითხი.

გრამატ. ცნებათა განსაზღვრისას ძ. ლოგიცისტურ-ფსიქოლ. თვალსაზრისზე დგას. იგი თელის, რომ საგანზე (გრძნობის საშუალებით მიღებულზე ან გონებით წარმოდგენილზე) გეაქვს „ცნება“ ან „წარმოდგენილება“, რ-ის გამოსახატავად („გარეგნათ გამოსათქმელათ“) საუკეთესო საშუალება არის სიტყვა. რამდენიმე ცნების ერთად გამოყენება არის მსჯელობა, მსჯელობის გარეგანი სამოსელი კი – წინადადება. წინადადებებში არის სიტყვა, რ-ითაც აღნიშნება ლაპარაკის მიზეზი (ქვემდებარე) და სიტყვა, რ-იც „შეგეასმენს, თუ რა ეითარება მიეკუთენა ან ჩამოერთვა საგანს“ (შემასმენელი). წინადადებაში მესამე სიტყვაცაა – მათი დამაკავშირებელი, ანუ მაერთი.



ლ. კვაჭაძე.

„სწორმეტყველებაში“ დასმულ საკითხებზე მსჯელობისას ავტორი უხვად იყენებს როგორც სალიტ. ენის, ასევე დიალექტების მასალას და აკეთებს საყურადღებო დასკვნებს ანბანის, სალიტ. ენისა და დიალექტურ („ადგილობით“, „სათემო“) ფორმათა ურთიერთობის შესახებ და სხე. მაგ., ძ-ის აზრით, ქართ., მეგრ. და სვან. ენები ერთმანეთს დაშორდნენ ფონეტ. ცვლილებების ნიადაგზე. მათ ნათესაობას ამტკიცებს „სიტყვების ფესვები და მრავალი უსაჭიროეს სიტყვების ერთი და იგივეობა“.

ლიტ.: ქართული მწერლობა. ლექსიკონი-ცნობარი, წგ. I, თბ., 1984.

მ. შინჯიაშვილი.

კიდურყვავილოვანი დამწერლობა, ქართული ასომთავრული დამწერლობის ერთ-ერთი დეკორატიული სახეობა (იხ. აგრეთვე *კიდურწაისრული დამწერლობა, კიდურწერტილოვანი დამწერლობა*). ძ. დ-ის ასოთა კიდურებში, ზოგჯერ ასოს ტანის სხვა ადგილას, ასევე ქარაგმის ხაზის



კიდურყვავილოვანი დამწერლობა.

(ჩვეულებრივ, კლაკნილის) ბოლოებში დასმულია ფოთლის მოყვანილობის ნიშნები. ტერმინი შემოიღო ი. ჯავახიშვილმა (1926), თუმცა მას დამწერლობის ამ სახეობის აღწერა-დახასიათება არ მოუცია. კ. დ. ძირითადად გავრცელებული იყო XI ს-ში; მისი ცალკეული ნიმუშები გვიანაც გვხვდება როგორც ლაპიდარულ, ისე ჭედურ და ფრესკულ წარწერებში. მან ფართოდ მოიკიდა ფეხი წიგნური დამწერლობის ძეგლებშიც (ხელნაწერებში), განსაკუთრებით – *საზედაო ასოების* გაფორმებისას. ლაპიდარულ დამწერლობაში კ. დ-ის ნიმუშებია ზედა ვარძიაში (ასპინძის რ-ნი) – ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრ. კარზე ბალავრის ქვის წარწერა ლიპარიტ ერისთავთა ერისთავისა (XI ს. I მეოთხედი); ნიკორწმინდის ტაძრის აღმ. ფასადზე გამოსახული რელიეფური კომპოზიციის – „მეორედ მოსვლის" განმარტებითი წარწერა და სხვ. კ. დ. განსაკუთრებით გავრცელდა ჭედურ, ლითონზე შესრულებულ წარწერებში – ხატებსა და ჯვრებზე. ასეთი სახის ძეგლებში თვალნათლივ ჩანს, რომ კ. დ-ს, გარდა ინფორმაციული დატვირთვისა (ამბის გადმოცემა, გამოსახული წმინდანის დასახელება), დეკორატიული ფუნქციაც ჰქონდა და ჭედური ძეგლის მხატვრული გაფორმების ელემენტს შეადგენდა. ამის კარგი ნიმუშებია ჯუმათის წმ. გიორგის ხატის როგორც განმარტებითი, ისე ვრცელი ქტიტორული (ერისთავთა ერისთავის ვარდან ყარდანისძისა, XI ს.) წარწერები, ნაკიფარის (ზემო სვანეთი) წმ. გიორგის ხატის განმარტებითი წარწერა (XI ს.), ხიდისთავის (გურია, ჩოხატაურის რ-ნი) წმ. გიორგის ხატის წარწერა (XI ს.), ლაკლაკისძეთა ხატის (ზარზმიდან) განმარტებითი და ქტიტორული წარწერები და სხვ. კ. დ-ის ფრესკული ნიმუშები, XIII ს-ით დათარიღებული, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო XIX ს. 30-იან წლებში გვხვდება გეგუთის (ქუთაისის მახლობლად) სასახლის მოხატულობის ფრაგმენტებში (ფრ. დიუბუას ცნობა). კ. დ-ის ხელნაწერებში გამოყენების ნიმუშებად შეიძლება დასახელდეს ხელნაწ. ინ-ტის ფონდების ხელნაწერები A–87, H–1667 და სხვ.

ლიტ.: ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949 (ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 1); გაბაშვილი ც., ზედა ვარძია, თბ., 1985.

ვ. სილოგავა.

კიდურწაისრული დამწერლობა, ქართული ასომთავრული დამწერლობის ერთ-ერთი დეკორატიული სახეობა (იხ. აგრეთვე *კიდურყვავილოვანი დამწერლობა, კიდურწერტილოვანი დამწერლობა*). კ. დ-ის ასოთა კიდურებში, აგრეთვე ასოს ტანის ზოგიერთ სხვა ადგილას და ქარაგმის ხაზებში, ისრის მოყვანილობის პატარა, წაწვეტებული სამკუთხედებია დასმული. კ. დ. გავრცელებული იყო XI ს-ში, თუმცა, გამონაკლისის სახით, იგი XII ს. ორ ჭედურ წარწერაშიც გვხვდება (დავით აღმაშენებლის საწინამძღვრე ჯვრისა და თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის წარწერა). ასევე, დასტურდება XII ს. რამდენიმე ლაპიდარულ წარწერაში: სამთავისის ტაძრის (1156), თიღვის ეკლესიაზე დავით აღმაშენებლის ასულის – თამარის (დაახლ. 1152), ნიკორწმინდის ტაძარზე რატი ერისთავის ასულის ეფემიას წარწერებში, მაგრამ მათი პალეოგრაფიული ნიშნებისათვის კიდურწაისრულობა უკვე აღარ არის ძირითადი მახასიათებელი, განსხვავებით XI ს. წარწერებისაგან. კ. დ-ის „გადაგვარებულ სახეობად" მიიჩნევენ აგრეთვე ეპიფანე კათალიკოსის 1218 წარწერას ანისის ქართ. ეკლესიაზე (ი. ჯავახიშვილი). ამ სახის დამწერლობის აღსანიშნავად ი. ჯავახიშვილმა შემოიღო ტერმ. ტეუბწვეტიანი დამწერლობა (1926). ამ დამწერლობით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლების აღწერისას ლ. მუსხელიშვილმა გამოიყენა ტერმ. „კიდურისრებიანი" (1942), თუმცა თვითონ მაინც „ტეუბწვეტიანი" იხმარა, რ. შმერლინგმა კი – „ასოთა ბოლოების სამკუთხედებით გამშვენებული" უწოდა (1955). 1970-იანი წლების დასაწყისიდან ტერმინების – „კიდურყვავილოვანის" და „კიდურწერტილოვანის" ანალოგიით, აგრეთვე ტერმინთა უნიფიცირების მიზნით, დამკვიდრდა ტერმ. „კიდურწაისრული" (ვ. სილოგავა, 1972), რ-მაც ფართო გავრცელება ჰპოვა და ამჟამად გამოიყენება ამ სახის დამწერლობის აღსანიშნავად.

კ. დ-ით შესრულებული წარწერების უძველესი თარიღიანი ნიმუშებია ხცისის ტაძრის (ისტ. შიდა ქართლი, ხაშურის რ-ნი) წარწერები, რ-ებიც საამშენებლო წარწერის თარიღის მიხედვით („ქრონიკონი



კიდურწაისრული დამწერლობა.

იყო სკპ"), 1002-ითაა დათარიღებული. მათზე ცოტა ადრინდელი ჩანს ერთი წარწერა, მართალია, უთარიღო, მაგრამ, მასში მოხსენებული პირების მოღვაწეობის მიხედვით, ზუსტად თარიღდება. ესაა ბაგრატის ტაძრის (ქუთაისი) საამშენებლო წარწერა, ამოკვეთილი ტაძრის აღმ. ფასადზე, სარკმელთა კამარის ბრტყელ წახნაგზე, რ-შიც მეფე ბაგრატ III დასახელებულია კურაპალატის ტიტულის გარეშე (მიიღო 1001, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ) და ამიტომ წარწერა 978–1001-ით თარიღდება.

ამჟამად ცნობილია კ. დ-ით შესრულებული 50-მდე წარწერა – ვრცელი, მოკლე ან ფრაგმენტული, მათგან ნახევარი თარიღიანია ან ზუსტად თარიღდება ტექსტის შინაარსით. გარდა უკვე დასახელებულისა, კ. დ-ის კარგი ნიმუშებია პატარა ონის, ნიკორწმინდის, საფარის, სვეტიცხოვლის, სამთავისის, მანგლისის, ალავერდის, ჭყონდიდის, კაცხის, ანუხვის, წებელდისა და სხვ. ეკლესიებისა და ტაძრების წარწერები. მათი ქრონოლოგიური ფარგლები X–XI სს. მიჯნიდან XI ს-ის I ნახ-მდე ვრცელდება.

კ. დ-ის წარმოშობის ადგილის შესახებ ვარაუდები გამოთქვეს ლ. მუსხელიშვილმა, რ-იც. კ. დ-ის ჩამოყალიბების ადგილად შიდა ქართლს თვლის, და თ. ბარნაველმა, რ-იც კ. დ-ს დამწერლობის „აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ხერხად" მიიჩნევს.

ლ. მუსხელიშვილის ვარაუდი იმ ფაქტს ემყარებოდა, რომ XX ს. 30–40-იანი წლების დასაწყისში უმეტესად ცნობილი იყო მხოლოდ აღმ. საქართველოს კ. დ-ით შესრულებული წარწერები. ამასთან, ის ძირითადად შეისწავლიდა შიდა ქართლში კ. დ-ის კლასიკურ ნიმუშებს, როგორიცაა სვეტიცხოვლის (მიახლ. 1029) და სამთავისის (1030), ასევე ხცისის ტაძრის (1002) წარწერები. კ. დ-ის უძველეს ქრონოლოგიურ ფენებს განეკუთვნება დას. საქართველოში ბაგრატის ტაძრის ვრცელი სამშენებლო წარწერა (978–1001); კ. დ-ის ძეგლები ცნობილია აფხაზეთში – ანუხვის, წებელდის კანკელის ფილის წარწერები. დას. საქართველოში რიცხობრივად მეტია კ. დ-ით შესრულებული როგორც პირველხარისხოვანი, ისე რიგითი ნიმუშები. ამიტომ, მკვლევართა განკარგულებაში არსებული მასალის მიხედვით, უფრო საფუძვლიანი ჩანს ვარაუდი კ. დ-ის დას. საქართველოში, ისტ. აფხაზთა სამეფოში ჩასახვის შესახებ.

ლიტ.: ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949 (ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 3, ნაკვ. 1); სილოგავა ვ., კიდურწაისრული დამწერლობა. – იხ. მისი: დასავლეთ საქართველოს X–XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1972. *ვ. სილოგავა.*

კიდურწერტილოვანი დამწერლობა, ქართული ასომთავრული დამწერლობის ერთ-ერთი დეკორატიული სახეობა (იხ. აგრეთვე *კიდურყვავილოვანი დამწერლობა*, *კიდურწაისრული დამწერლობა*). კ. დ-ის ასოთა კიდურებში, ასევე ქარაგმის ხაზების ბოლოებში დასმულია ღრმა წერტილები. ტერმინი შემოიღო (1926) ი. ჯავახიშვილმა. კ. დ-ით შესრულებული უძველესი თარიღიანი წარწერაა 1006 საამშენებლო წარწერა გურგენ მეფეთა მეფისა (994–1008) იშხნის მცირე ეკლესიის სამხრ. შესასვლელის ტიმპანზე; ასევე კ. დ-ით შესრულებული ერთ-ერთი უძველესი წერილობითი ძეგლია ბაგრატ IV-ის 1032 წარწერა იშხნის დიდი ტაძრის სამხრ. კედელზე. ამის შემდეგ კ. დ-ით შესრულებულ წერილობით ძეგლებს ვხედებით XVIII ს-ის ჩათვლით.

ლიტ. იხ. სტატიასთან: *კიდურყვავილოვანი დამწერლობა.*

ვ. სილოგავა.



კიდურწერტილოვანი დამწერლობა.

კიზირია ანტონ იოსების ძე (8. I. 1914, სოფ. კოდორი, აბაშის რ-ნი, – 8. XII. 1986, თბილისი), ფილოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამსახურებული მოღვაწე (1985). დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1937), თსუ ასპირანტურა ქართ. ენის განხრით (1941). მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტში ჯერ უმცროს (1943), შემდეგ უფრ. მეცნ. თანამშრომლად. იყო თსუ ახ. ქართ. ენის კათედრის დოცენტი (1945–1955). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილისში, ქუთაისსა და თელავში. იკვლევდა ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტ. საკითხებს, ძირითადად – ქართველური ენების სინტაქსის პრობლემებს. ავტორია 9 წიგნისა და რამდენიმე ათეული სამეცნ. სტატიისა. ეწეოდა ნაყოფიერ საზ. საქმიანობას, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

თხზ.: მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969; მარტივი წინადადებების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; მარტივი წინადადებების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბ., 1987; ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, თბ., 1997. *ლ. კვანტალიანი.*



ა. კიზირია.

კითხვითი წინადადება, *წინადადება*, რ-იც გამოხატავს კითხვას. წარმოითქმის კითხვითი ინტონაციით, რ-იც სხვადასხვაგვარია წინადადების შედგენილობის მიხედვით. კ. წ. არის ორი სახის: კითხვითსიტყვიანი და კითხვითი სიტყვის უქონელი. კითხვითი სიტყვებია: 1. კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ? რა? რომელი? როგორი?..), 2. კითხვითი ზმნისართები (სად? როდის? როგორ? რატომ?...), 3. კითხვითი ნაწილაკები (ხომ, განა, ნუთუ, თუ ...). კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნისართები წინადადების წევრებია. ისინი იწყებენ კ. წ-ს და კითხვის მახვილიც მათზეა. კითხვით სიტყვაზე ტონი ძლიერდება და მაღლდება, წინადადე-

ბის ბოლოს კი დაბლდება (ვინ არის? რამ შეგაშინა? რატომ შეკრთი? სად მიდიხარ?). თუმცა ამ ტიპის კ. წ.-ის ინტონაცია დაბალია, მაგრამ იგი მაინც უფრო მაღალია, ვიდრე თხრობითი წინადადებისა. თუ კითხვითი სიტყვა შუა წინადადებაშია, მაშინ ინტონაცია აღმავალ-დამავალია (მესტვირე რას ამბობს? სოფელში როდის აპირებს წასვლას? გამოსასყიდს რამდენს ითხოვს?...). ამ ტიპის კ. წ.-ები ითხოვენ პასუხს, რ-იც ხშირად ერთი სიტყვით გადმოიცემა. თუ კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები კითხვითი მნიშვნელობით არ არის ნახმარი და უარყოფას აღნიშნავენ, ასეთი კითხვითი სიტყვის შემცველი წინადადება არ მოითხოვს პასუხს და ექსპრესიულ-ემოციურ წინადადებად იქცევა („ბუნებას, უფლის ნაკურთხსა, რას უშამს ტურა-მელები?!", ვაჟა-ფშაე.), იგი შინაარსით კითხვით-რიტორიკული წინადადებაა. კითხვითი ნაწილაკები წინადადების წევრები არ არიან, მხოლოდ კითხვას გამოხატავენ და ამასთან ერთად ხშირად რაღაც ეჭვს, ურდობლობას, განცვიფრებას ან დასტურსაც აღნიშნავენ („განა სიძუნწით მოსდიოდა ეს ამბავი?", ი. ჭავჭ.; „ნუთუ შენს მგოსანს მყისვე დამკარგავ?", ი. გრიშ.; „დღეს ხომ ხედავ ცისკრის ვარსკვლავს?", ა. წერ.). როცა კითხვითი წინადადება კითხვითი სიტყვის უქონელია, მაშინ კითხვა მხოლოდ ინტონაციით გამოიხატება. ასეთ წინადადებაში კითხვის მახეილი სხვადასხვაგვარია: აღმავალი (ზმნა წინადადების ბოლოსაა: „სიძუნწე და ქართველი ორივ ერთად მოთავსდება?", ი. ჭავჭ.), დამავალი (ზმნა წინადადების თავშია: „გაზრდის-ღა კიდევ მშობელი ეაჟკაცებს ჩვენისთანასა?", ვაჟა-ფშაე.), აღმავალ-დამავალი (ზმნა წინადადებაშია: „მარტო სიამე მახსოვს თქვენგანა?, ვაჟა-ფშაე.). კითხვის მახეილიანი ზმნა ამაღლებული ტონით წარმოითქმის და ზმნის ბოლო მარცვლის ხმოვანიც გრძელდება („ყინული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთსა არ დალევენ?", ი. ჭავჭ.).

შინაარსის მიხედვით კ. წ. შეიძლება იყოს კითხვით-წართქმითი, კითხვით-უკუთქმითი, კითხვით-წაქეზებითი, კითხვით-რიტორიკული, ალტერნატიული და ა. შ., აგებულების მიხედვით კი — მარტივი („ვინ აკენესებს ლხენით ჩემს ლექსებს?", ი. გრიშ.), შერწყმული („არ აეუხსნა სიხარული, არ შეეჩივლო უკმარობა?, გ. შატბ.). რთულ თანწყობილ წინადადებაში შეიძლება ან ერთ-ერთი კომპონენტი იყოს კითხვითი, ან — ყველა („შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა, მაგრამ იქ ვინმეს შევებრალები?", გ. ტაბ.; „ეს საბანია ასე ლამაზი თუ ანგელოზის ფრთები მახურავს?", ტ. ტაბ.). ქვეწყობილი წინადადება კითხვითია, თუ მთავარი წინადადებაა კითხვითი („ნუთუ არ არის ეხლა დრო, ემღერდეთ შეწყობილს ხმაზედა?", ვაჟა-ფშაე.). დამოკიდებულმა წინადადებამ შეიძლება გამოხატოს ირიბი კითხვა („მე ვეკითხები კახეთს, თუ რაზე ფიქრობს ქართლი", გ. ტაბ.).

ლიტ. იხ. სტატიასთან: *თხრობითი წინადადება.*

ლ. კვანტალიანი.

კითხვით-ძახილის ნიშანი (?!), ორი სასვენი ნიშნის — კითხვისა და ძახილის ნიშანთა კომბინაცია. იხმარება ძირითადად რიტორიკული კითხვის შემცველი, ე. წ. კითხვით-ძახილის წინადადების შემდეგ. მაგ., „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!" (შოთა რუსთ.); „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!" (ა. წერ.); „კაცია ადამიანი?!" (ი. ჭავჭ.); „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!" (ი. ჭავჭ.).

შ. აფრიდონიძე.

კითხვით-ძახილის წინადადება, წინადადება, რ-იც კითხვასთან ერთად ძლიერ გრძნობასაც გამოხატავს და წარმოითქმის კითხვისა და ძახილის ინტონაციით („სად იცის მიწამ ასე ღიმილი და გაზაფხულმა ახავერდება?!", ს. ის). ამ ტიპის წინადადებაში უმთავრესად გაკვირვება-განცვიფრებაა გამოხატული („რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი, ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!", ვაჟა-ფშაე.). კ.-ძ. წ. ხშირად რიტორიკული შინაარსისაა, პასუხს არ ითხოვს და კითხვითი ფორმა მხოლოდ ექსპრესიის გასაძლიერებლად არის გამოყენებული („განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოდებულ გულსა?!", ი. ჭავჭ.; „სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის ნეტავ ვინ გეტყვის ქებასა?!", ვაჟა-ფშაე.). კ.-ძ. წ. არის წართქმითი და უკუთქმითი. ზოგჯერ წართქმით წინადადებას უკუთქმითი მნიშვნელობა აქვს („განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?!", ვაჟა-ფშაე.) და პირიქით, უკუთქმით წინადადებას — წართქმითი („ჭია კი ცოცხალი არსება არ არის, რომ გადაჰყლაპავთ ხოლმე?!", ვაჟა-ფშაე.). კ.-ძ. წ.-ში ხმის ამაღლება ხდება კითხვით სიტყვაზე, თუ წინადადებაში არის ასეთი სიტყვა, ან იმ სიტყვაზე, რ-საც ეხება კითხვა („ქორი ვარ, სხვას რომ მოვსტაცო?!", ა. წერ.). ამგვარ წინადადებას თუ შორისდებულიც ახლავს, ისიც ხმის ამაღლებით წარმოითქმის („ჰმ, უკვდავების წყარო და ნაძალადევი ჭა ერთმანეთს შეადარა?!", ა. წერ). აგებულების მიხედვით კ.-ძ. წ. არის მარტივიც („კაცად ვის დაუნახია ბნელეთში მადლის მთესველი?!", ვაჟა-ფშაე.), შერწყმულიც („რამდენი თვალი და ხელ-ხმალი უნდა ჰქონდეს ადამიანს?!", ლ. გოთ.), რთულიც („უნდა შეშინდეს განა ზღვა, ხაპვა რომ უწყონ ცხრილითა?!", ვაჟა-ფშაე.). კ.-ძ. წ.-ის ბოლოს დაისმის კითხვისა და ძახილის ნიშნები.

ლიტ. იხ. სტატიასთან: *თხრობითი წინადადება.*

ლ. კვანტალიანი.

კითხვის ნიშანი (?), სასვენი ნიშანი, რ-იც დაისმის კითხვითი მიმართვის შემცველი სიტყვის, ფრაზის ან წინადადების ბოლოს — იმისდა მიუხედავად, ამ კითხვებში მონაწილეობს თუ არა კითხვითი სიტყვა-წევრები ან კითხვითი ნაწილაკები. მაგ.: „გირგოლა, შენა?", (ალ. ყაზბ.); „არაბი ხარ? — იეზიდი" (ა. კალ.); „შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო?" (ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა"); „სადა ხარ, ჩემო სულიკო? (ა. წერ.); „რომელი სცნობს შენს სახეს? ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს? ძახილს ვინ დაიჯერებს?" (გ. ტაბ).

ზოგჯერ კ. ნ-ს რიტორიკულ კითხვასთანაც სვამენ, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთი კითხვა მხოლოდ ფორმითაა კითხვის სტრუქტურისა, შინაარსი კი მტკიცებითი ხასიათისაა. ამიტომ

მართებულია ასეთ კითხვას დაესვას *კითხვით-ძახილის ნიშანი.*

შ. აფრიდონიძე.

ჯიკნაძე ფილადელფოს (ნათლობის სახელი – ნიკიფორე) იოანეს ძე (დაახლ. 1794 – 5. IX 1833, თბილისი), ქართველ თავად-აზნაურთა 1832 შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. 1802 სასწავლებლად ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარეს, საიდანაც 1813 ხირსის არქიმანდრიტმა თავის მონასტერში წაიყვანა. 1817 ჯ. ბერად შედგა ნიკოლოზის სახელით, 1818 იეროდიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1822 – მღვდელმონაზვნად. მაშინ უწოდეს ფილადელფოსი. 1826 ჯ. დაბრუნდა თბილისში, ფერისცვალების მონასტერში. იმავე წელს კათალიკოს ანტონ II-სთან გაემგზავრა ნიკნი-ნოვგოროდში, სადაც დიდი უსიამოვნება შეემთხვა და დააპატიმრეს, მაგრამ იმპერატორის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს და საქართველოში დააბრუნეს. რუსეთში ყოფნისას ჯ. დაუახლოვდა ოქროპირ ბატონიშვილს, რ-მაც იგი ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში ჩააბა, ხოლო 1829 თბილისში ჩამოსულმა ბატონიშვილმა ჯ-ს კონკრეტული დავალებები მისცა. ჯ. გახდა შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი, შეადგინა საიდუმლო სას-ბის წესდება, ე. წ. „აკტი გონიური“, და საიდუმლო ანბანი შეთქმულთათვის, რ-იც ჯ-ს ბერძნ., ლათ. და რუს. ასოების მიმსგავსებით შეუდგენია ხუცური და მხედრული ასოების ბაზაზე. დაწერა თხზულებები: „მამულის სიყვარული“ და „გოდებანი იერემიასნი, ძისა ენეისნი ხილვათათვის მდგომარეობისა იერიონისა აწინდელსა ზედა“.

1832 შეთქმულება გასცეს. 1833 წლის 9 იანვ. ჯ. შუამთის მონასტერში დააპატიმრეს. იმავე წლის 5 სექტ. იგი თბილისში პატიმრობაში გარდაიცვალა.

ჯ. პოლიტ. მოღვაწეობასთან ერთად ფართო ლიტ. საქმიანობასაც ეწეოდა. ცნობილია აგრეთვე როგორც გადამწერი. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გადაწერილმა ანტონის გრამატიკის დიდმა ნაწილმა. ორიგინ. გრამატიკის დაწერაც უცდია. ჯერჯერობით მიკვლეულია მისი „ქართული ღრამატიკის“ მხოლოდ პირველი ნაწილი, რ-იც ქართ. ენათმეცნ. ანტონის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობის მქონეა, მიუხედავად ფრაგმენტული ხასიათისა და ნაკლულევანებისა. ავტორი ძირითადად სარგებლობს ი. ქართველიშვილის გრამატიკით, მაგრამ შიგადაშიგ ანტონის გრამატიკისკენაც იხრება. ნაშრომს დართული აქვს სქემა, რ-ის მიზანი, ავტორის აზრით, შემდეგია: „სქემა პირუელის ნაწილის ღრამმატიკისა, რომელიცა აჩუენებს ყრმათ მაგალითსა განყოფილებასა მათისასა მოკლედ, რომლითაცა უადვილესად შესაძლო არს ცხადად გულისხმისყოფა და აღეილად დანერგუად გონებასა შინა“.

საარქივო ფონდში მოკვლეულია აგრეთვე მისი ქადაგებები: „ქადაგება კაცთა ცოდვის შესახებ“, „იოანე ნათლისმცემლის ქადაგება“, „სწაელა სარწმუნოებისათვის“ და სხვ. ქადაგებათა ფრაგმენტები.

თხზ.: მამულის სიყვარული (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო პროფ. თ. კუკაყამ), თბ., 1996; ქადაგება ქველმოქმედების შესახებ (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო მ. ხომერიკმა), თბ., 1997.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1935; ხომერიკი მ., ფილადელფოს კიკნაძის გრამატიკული ნაშრომი, თბ., 1997.

გ. ბებუტეიშვილი.

კილო, გრამატიკული კატეგორია, რ-იც ასახავს სინამდვილისადმი ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას მოსაუბრის თვალსაზრისით. დროისა და ასპექტის კატეგორიებთან ერთად კილო ქართულში განიხილება როგორც უღლების კატეგორია (ა. შანიძე).

ზმნის მნიშვნელობასთან მოსაუბრის დამოკიდებულება შეიძლება იყოს ნეიტრალური და არანეიტრალური. არანეიტრალური დამოკიდებულება ფართო სემანტიკურ ველს მოიცავს, – მოქმედება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც თხოვნა, ნატერა, ბრძანება, პირობა, ეჭვი, ვარაუდი... თითოეულ დასახელებულ შინაარსს გამოხატვის საკუთარი სტრუქტურა აქვს, მაგრამ ყველა სტრუქტურა არ არის მორფოლოგიურად გამოხატული.

ქართ. საენათმეცნიერო ლიტრაში ტრადიციულად გამოყოფენ სამ კ-ს: თხრობითს, კავშირებითსა და ბრძანებითს (ზოგჯერ ნატერითსა და პირობითსაც). ამგვარი დაყოფა დაკავშირებულია ანტ. და ევრ. გრამატ. ტრადიციებთან და დაფუძნებულია ძვ. ქართულის ზმნის მორფოლ. სტრუქტურაზე, რშიც კილოური შინაარსით განსხვავებული ნაკეთები ფორმობრივად სამ ჯგუფს ქმნიდნენ: კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმები საკუთარი წარმოებით უპირისპირდებოდნენ თხრობითს (ნულოვანს). ამჟამად ბრძანებითის ფორმათა გაქრობასთან დაკავშირებით, თანამედროვე ქართულის საუღლებელ ერთეულთა სისტემაში ფორმობრივად დაპირისპირებული ორი კ-ა შემორჩენილი: თხრობითი (ნულოვანი) და კავშირებითი (სუფიქსები: ა, ე, ო). მაგრამ კილოური შინაარსი არ არის მყარად დაკავშირებული ზმნურ ფორმასთან და შესაბამისი აფიქსებიც არ არის საკმარისი (და ერთადერთი) პირობა კილოური შინაარსის გადმოსაცემად. სინტაქსურ, ლექსიკურ, ინტონაციურ... მექანიზმებს შეუძლიათ გააბუნდოვნონ (გაანეიტრალონ) კ-ს მორფოლ. სტრუქტურა და კონტექსტის კვალობაზე მოხდეს საუღლებელ ერთეულთა კილოური მნიშვნელობის შეცვლა. ამიტომ უკანასკნელ ხანებში კ. განიხილება არა როგორც ოდენ მორფოლ., არამედ როგორც რთული გრამატ.-სემანტიკური კატეგორია, რომელიც წარმოაჩენს ზმნური ფორმის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად ანდა დამხმარე კონტექსტური საშუალებით გამოხატოს მოსაუბრის დამოკიდებულება ზმნის მნიშვნელობასთან.

კ-ს ორწევროვანი ოპოზიციის შექმნამ ტერმინოლოგიური ცვლილებებიც გამოიწვია: ტერმინი კავშირებითი მთლიანად არანეიტრალური (არათხრობითი) კილოური შინაარსის გამომხატველი გახდა; კ-ს ოპოზიციური წყვილის დაპირისპირების გამოსახატავად გაჩნდა ტერმინებიც: რეალური და ირეალური. ასეთ შემთხვევაში ტერმინები – „თხრობითი“ და „კავშირებითი“ საუღლე-

ბელ ერთეულთა სისტემაში ტრადიციულად ამ ნაკეთთა მეტნაკლები კილოური შესაძლებლობის მატარებელია. ხოლო „რეალური" და „ირეალური" – საკუთრივ კილოური დაპირისპირების გამომხატველი.

თ ხ რ ო ბ ი თ ი კ. (indicative) ზმნით გადმოცემულ მოქმედებას წარმოადგენს როგორც ფაქტს. იგი არის ნეიტრალური, ნულოვანი ფორმა კ-სი და უპირისპირდება არანეიტრალურს – კავშირებითს (ირეალურს). თხრობითი, როგორც ზმნის ნეიტრალური ფორმა, ფართო სემანტიკური და სინტაქსური შესაძლებლობების მქონეა. იგი იგუებს ნებისმიერი ტიპის კონსტრუქციას, თავისუფალია სხვა კ-ებისათვის დამახასიათებელი შეზღუდვებისაგან. თხრობით კილოს, არათხრობითი კ-ებისაგან განსხვავებით, არა აქვს ისეთი სემანტიკური ნიშნები, რ-ებიც მას შეზღუდავდა მოქმედების დროული მიმართების გამოხატვაში. მხოლოდ თხრობით კ-ს აქვს დროისა და ასპექტის სრული, ჩამოყალიბებული, მკვეთრად გამოხატული სისტემა. მართალია, თხრობითი კ-ს ფორმები რეალურ მოქმედებას გადმოსცემენ, მაგრამ მათ ირეალური მოქმედების გადმოცემაც შეუძლიათ. ისინი ადვილად შეიწყობენ მოდალურ სიტყვებსა და ნაწილაკებს, ქმნიან ანალიზური ტიპის მოდალურ კონსტრუქციებს, რომელთა საშუალებითაც გადმოიცემა სხვა კ-თვის დამახასიათებელი მოდალური ნიუანსები.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი კ. (Subjunctive II) ზმნით გადმოცემულ მოქმედებას წარმოადგენს როგორც სასურველს, სავარაუდოს, შესაძლებელს, ზოგადად – არაფაქტს. ამაღე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმ. ირეალური კილო, რ-ლიც უკეთ ასახავს თანამედროვე ქართულში შექმნილ ვითარებას.

ძვ. ქართულში კავშირებითი კ. გამოიხატებოდა ორი საშუალებით: შესაბამისი თხრობითი კილოს ფორმებისაგან -ა, -ე, -ო ფორმანტებით ნაწარმოები საუღლებელი ერთეულებით, ე. წ. კავშირებითი ნაკეთებით და -მცა ნაწილაკის მეშვეობით. ამაღე საშუალებით გადმოიცემოდა აგრეთვე მომავალი დრო. თანამედროვე ქართულში არსებობს ვითარება არ შეცვლილა – იმ განსხვავებით, რომ მომავალი დროის გადმოცემისათვის ენა იშვიათადღა მიმართავს კავშირებითის ნაკეთებს და -მცა ნაწილაკიც მხოლოდ რეფლექსურად ფუნქციონირებს.

კავშირებითი კ-ს შინაარსის გადმოცემა აუცილებლად ორი ზმნა-შემასმენლის ჰიპოტაქსურ მიმართებას მოითხოვს და, ამდენად, იგი რთული დაქვემდებარებული წინადადების (ან მისი ტიპის) კონსტრუქციაში რეალიზდება. საკუთრივ ტერმ. „კავშირებითი" რთული სინტაქსური კონსტრუქციისაკენ მისწრაფებაზე მიგვანიშნებს. იგი მომდინარეობს ბერძნ. სიტყვის ლათ. თარგმანისაგან და ნიშნავს „დაქვემდებარებულს". კავშირებითი კ. არაა ოდენ მორფოლოგიური კატეგორია: ზმნის სათანადო ფორმა არაა საკმარისი საშუალება კავშირებითი კილოს გადმოსაცემად. იგი გამოიხატება ენის გრამატ. ლექსიკურ, ინტონაციურ და სხვადასხვა კონტექსტურ საშუალებათა კომპლექსით. სხვაგვარად ეს კ. არ ფუნქციონირებს. ასეთ კომპლექსში შესაძლებელია თხრობითი კ-ს ნაკეთთა გამოყენებაც გადმოსაცემი შინაარსის შენარჩუნებით.

კავშირებითი კ., როგორც არანეიტრალური კილოური დამოკიდებულების გამომხატველი, ფართო სემანტიკური შესაძლებლობების მომცველია. ამ ნაირგვარი სემანტიკური ნიუანსების გადმოცემისას სხვადასხვა საკომპენსაციო საშუალების ხარჯზე ცალკეულ შემთხვევებში ხდება ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გამარტივება, ბიერბალური მარტივი წინადადებებისა და მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებების შექმნა (იხ. *აწმყოს კავშირებითი, კავშირებითი II, კავშირებითი III*).

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ. (imperative) ზმნით გადმოცემულ მოქმედებას წარმოადგენს როგორც აუცილებლად შესასრულებელს. ძვ. ქართულში ბრძანებითს საუღლებელ ერთეულთა სისტემაში საკუთარი ფორმები მოეპოვებოდა და ეს ფორმები, კავშირებითის ნაკეთებთან ერთად, უპირისპირდებოდნენ თხრობითისას, ქმნიდნენ სამწევროვან მორფოლ. სისტემას. თანამედროვე ქართულში ბრძანებითის ფორმა მორფოლ. ნიშნით აღარ არის წარმოდგენილი და მისი გამოხატვის ძირითადი საშუალება ინტონაციაა. პოლისემიურ და ომონიმურ ფორმათა შორის ბრძანებითის მნიშვნელობის მქონე ზმნათა გამოყოფის ძირითად საშუალებად მიჩნეულია კონტექსტით შეპირობებული ინტონაცია, დროული სხვაობა, პირთა მიმართებანი, სიტყვათგანლაგება. ბრძანებითი კ-ს გადმოსაცემად სხვადასხვა კ-სა და ნაკეთის ფორმები გამოიყენება (იხ. *ბრძანებითი მიმართება*), თუმცა ზოგჯერ მისი შინაარსის გადმოსაცემად ზმნის აღნიშნული ფორმებიც არ არის საკმარისი პირობა. მხოლოდ გარკვეულ კონტექსტურ და ინტონაციურ საშუალებათა კომპლექსში ხდება ზმნური ფორმის მოდალური შესაძლებლობის რეალიზება.

ბრძანებითობა მეტყველების კატეგორიაა და იგი დიალოგური მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. ებრძანება მხოლოდ და მხოლოდ II პირს; მაშინაც კი, როცა ბრძანება I და II პირისათვისაა განკუთვნილი, ბრძანების გადამცემად მეორე პირი იგულისხმება. ბრძანებითი არის მიმართების ფორმა, ხოლო ბრძანებითობა ზმნისათვის იგივე ფუნქციაა, რაც სახელისათვის წოდ. ბრუნვაში დგომა.

გაირჩევა ორგვარი ბრძანებითი: I. ბრძანებითი, რომელიც II პირისკენაა მიმართული და დიალოგურ მეტყველებას გულისხმობს: გააკეთე! ავაშენოთ! 2. ზოგადი ბრძანებითი, რომელიც ვნებითი გვარის II კავშირებითის III პირის ფორმით არის წარმოდგენილი. მეორე ტიპის ბრძანებითი ძირითადად არადიალოგურ მეტყველებაში გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში „გამაშუალებელი" II პირი აღარ იგულისხმება და განზოგადებული, პირმიუმართავი ბრძანება გამოიხატება (გაკეთდეს, აშენდეს...). ზოგჯერ მეტი კატეგორიულობისათვის ასეთ ფორმებთან იხმარება „უნდა" ნაწილაკიც (უნდა გაკეთდეს, უნდა აშენდეს...); გამოიყენება აგრეთვე ზმნის ანალიზური ფორმებიც: გაკეთებულ იქნეს, აშენებულ იქნეს...

ხსენებული ორივე ჯგუფის ბრძანებითი თავისი კატეგორიულობით უპირისპირდება თხოვნით-ბრძანებითს, რომელიც თხოვნის სემან-

ტიკით შეფერილ ბრძანებას აღნიშნავს. შესაბამისი ფორმები სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით დრო-კილოთა მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან. სემანტიკით ისინი დღეევანდელ მყოფადის კავშირებითს მოგვაგონებენ. მათი ბრძანებითი შინაარსი სინტაქსურ წყობაში გამოიხატება, თხოვნითი – სემანტიკაში. იხ. მაგ.: „ქალობა დაიკეცხოლეს ქალმა ხვარამისითანამა“; „მთაე, შენ ის ჩემი ნათქვამი გულ-მკერდზე დაიწეროდი“. ძირითადად გავრცელებულია მთის დიალექტებში და გამოიხატება იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი ხოლმეობითის ფორმებით, რ-ებიც რამდენადმე განსხვავებულია ძვ. ქართულის ხოლმეობითისაგან. ისტორიულად ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითი ნაკეთთა პირველ წყებას ეკუთვნოდა, ნამყო უსრულისა და ხოლმეობითის შერწყმის შედეგი იყო, არქაულ ნამყო უსრულს ეფუძნებოდა I და II პირი, ხოლმეობითს – III პირი. მსგავსი ფორმები ძვ. ქართულშიცაა დადასტურებული და ყველგან ამ არქაულ ნამყო უსრულს კავშირებითის მნიშვნელობა აქვს. ძვ. ქართულის წარაველინოდის, აღიღოდიან... ფშაურ-ხევსურულის **უთხროდი / უთხრიდი** ფორმების თხოვნით-წაქეზებითი ფუნქციაა თანამედროვე სალიტ. ქართულში და სპორადულად ხალხურ პოეზიაშიც დაუკავშირდა მყოფადის კავშირებითს: „მოახსენებდე, ჭაბუკო, მეფეს“; „მთააგონებდე კაცთა სიყვარულს“; „მომიტანდე, შემასმევდე...“

პირობითი კ. (conditional) გამოხატავს ორი მოქმედების ისეთ მიზეზ-შედეგობრივ დაკავშირებას, როდესაც ერთი მოქმედება (პირობად დადებული) არის მეორის შესრულების საფუძველი. ცხადია, პირობითი შინაარსი მხოლოდ რთული წინადადებით გამოიხატება და პირობად დადებული მოქმედების დრო აუცილებლად უსწრებს შესაძლო შედეგს. აბსოლუტური დროული გამოხატულების თვალსაზრისით გამოიყოფა მომავლის მიზან-პირობითობა და წარსულის მიზან-პირობითობა. ზოგჯერ პირობით კილოს ცალკე კილოურ სახედ ან კ-ს სახესხვაობადაც განსაზღვრავენ. გამოყოფენ აგრეთვე რეალურსა და ირეალურ პირობითობას.

პირობით კ-ს თავისი შინაარსის გადმოსაცემად საკუთარი ფორმები არ გააჩნია და პირობითობა ირეალური კილოს ერთ-ერთი მოდალური ნიუანსია. რეალური პირობითობა ქართულში თხრობითი კ-ს ნაკეთთა მონაწილეობით გადმოიცემა, იშვიათად – II კავშირებითით. ირეალური პირობითობის გამოხატვისას დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითის ან თუ ნაწილაკიანი თხრობითი კ-ს ნაკეთები გვაქვს.

ნატერითი კ., ოპტატივი (optative) გამოხატავს სასურველ მოქმედებას. ძვ. ქართველი გრამატიკოსები მას ცალკე კილოურ ფორმად გამოყოფდნენ და ნატერითთან ერთად მას საწადისს, სანეტარძოს ან თუობითსაც უწოდებდნენ. საუღლებულ ერთეულთა სისტემაში ნატერით კ-ს თავისი შინაარსის გადმოსაცემად საკუთარი ფორმები არ გააჩნია და ნატერითობა კავშირებითი (II ირეალური) კილოს ერთ-ერთი მოდალური ნიუანსია.

ნატერითობის შინაარსი გადმოიცემა ძირითადად კავშირებითის ნაკეთებით, რ-ებთანაც ხშირად იხმარება ნეტავ, ვინძლო, იქნებ, ეგებ... ნაწილაკები. ამ მოდალური შინაარსის გადმოსაცემად კვლავ გამოიყენება ძვ. ქართულის -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია ან მისი ანალოგიით შექმნილი ფრაზეოლოგიური გამოთქმები -მცას გარეშეც („ნეტამცაი, მომკლამცაი, ასო-ასო ამქნამცაი“... ა: „ღმერთმა დაგლოცა!“).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973); ჩიქობავა არნ., ქართული ზმნის ნაკეთთა დაჯგუფების პრინციპისათვის. – «იკე», XIII, თბ., 1962; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; ნინუა გ., კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმათა ფუნქციების შესახებ, «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1967, №1; ოქროპირიძე ნ., კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში. – «საქართვ. პედაგოგიური ინ-ტების შრომები», II, თბ., 1975; მელიქიშვილი ლ., მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთმიმართების საკითხისათვის (ძველი ქართული ენის მასალებზე დაყრდნობით). – «იკე», VII, თბ., 1980; ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980; პაპიძე ა., II კავშირებითის ნაკეთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. – «ქსკს», წგ. 4, თბ., 1981; მისივე, კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოხატვისათვის ქართულში. – «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», V, თბ., 1981; გოგოლაშვილი გ., დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984; არაბული ა., მესამე სერიის ნაკეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984; კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986; Виноградов В. В., О категории модальности и модальных словах в русском языке. – «Труды Ин-та русского языка АН СССР», т. 2, М.–Л., 1950; Бондарко А. В., Теория морфологических категорий, М., 1976. *ა. პაპიძე.*

კლაპროთი (Klaproth) ჰაინრიხ იულიუს ფონ (11.X. 1783, ბერლინი, – 28.VIII.1835, პარიზი), გერმანელი ლინგვისტი, ორიენტალისტი. 1807-იდან რუს მეცნ. აკად. ექსტრაორდინარული აკადემიკოსი. 1807–08 მოელინებული იყო კავკასიაში ფილოლ., ეთნოგრ. და ისტ. კვლევა-ძიების მიზნით. მისი მოგზაურობა აღწერილია წიგნში „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“ (ტ. I, 1812, ტ. II, 1814) და სხვ. შრომებში. 1825-იდან პარიზში მუშაობდა. გარდაიცვალა იქვე.

თბილისში კ. იყო 1808 წლის 13 იანვრიდან იქნებ-მდე. ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე იმოგზაურა არაგვისა და მტკვრის სათავეებში, მტკვარსა და იორს შორის მდებარე რ-ნებში, იყო ლეკების მადევარ ქართვ. ფეოდალებთან ერთად ლიახვის ველზე, აგრეთვე საქართვ. სამხ. გზაზე. თბილისის ქართ. საზ-ბა ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა მას მეცნ. კვლევაში. 14 ივნ. კ. გაემგზავრა მოზდოკს, ადგილ. ხელისუფლებისაგან ფარულად მოიარა მცირე და დიდი ყაბარდო და ჩავიდა რაჭაში ონამდე. თავის ნაშრომში იგი აღწერს თბილისს, იძლევა ისტ. ნარკვევს, ექსკურსს საქართვ. მთიელებზე, საქართველოსთან ოსეთის დამოკიდებულებაზე და სხვ. 1827 გამოსცა ქართ-ფრანგ. და ფრანგ-ქართ.

ლექსიკონი (4000-მდე სიტყვა). ლექსიკონი წარმოადგენს პირველ ნაწილს შრომისა „ენის ლექსიკონი და გრამატიკა“. ქ-მა დაიწყო ქართ. გრამატიკის ბეჭდვაც, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ დაამთავრა მ. *ბროსემ.*

ლიტ: ნიკობაძა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მისივე, К вопросу о первых текстовых записях по горским иберийско-кавказским языкам. – «Вопросы языкознания», 1962, №4; Полиевктов М.А., Европейские путешественники по Кавказу 1800–1830 гг., Тб., 1946. *გ. ოთხმეზური.*

კლიმოვი გიორგი ანდრიას ძე (20.X.1928, ლენინგრადი, – 5. V. 1997, მოსკოვი), რუსი ქართველოლოგი და კაეკასიოლოგი. რუსეთის მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1970). დაამთავრა ლენინგრადის უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი. ასპირანტურის კურსი გაიარა თბილისში არნ. ნიკობაძას ხელმძღვანელობით. აქ ის დაეუფლა ქართულს, შეისწავლა მეგრული, ლაზური, სვანური. ამ ენათა მასალას წარმატებით იყენებდა არა მარტო ქართველოლოგიურ ძიებებში, არამედ ზოგადენათმეცნ. კვლევაშიც. მსოფლიო ენათმეცნ. ყურადღების ცენტრში მოექცა მისი მონოგრაფიები შედარებით-ისტ. ენათმეცნ. თეორიისა და პრაქტიკის, აქტიური და ერგატიული კონსტრუქციების საკითხებზე. ქართველოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი მონოგრაფიული ნაშრომები: Склонение в картвельских языках, в сравнительно-историческом аспекте. М., 1962; Этимологический словарь картвельских языков. М., 1964; Кавказские языки, М., 1965.

თბზ. (გარდა ტექსტში მოხსენიებულისა): Очерк общей теории эргативности, М., 1973; Типология языков активного строя, М., 1977; Введение в кавказское языкознание, М., 1986; Основы лингвистической компаративистики, М., 1990; Древнейшие индоевропеизмы картвельских языков, М., 1994.

ზ. სარჯველაძე.

კნინობითი სახელები, წარმოქმნილ სახელთა ჯგუფი, რ-იც გამოხატავს სიმცირის, ალერსის, დამცირების სემანტიკას.

სიტყვაწარმოების სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, კნინობითობა სიტყვას ჩვეულებრივ ემოციურ-გამომხატველობით იერს აძლევს, ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა კი უცვლელი რჩება.

როგორც ძუძულ, ისე თანამედროვე სალიტ. ქართულში ქ. ს. ნაკლებად გავრცელებულია. კნინობითობა უფრო მეტად დამახასიათებელია ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის. ქ. ს. შედარებით ხშირად გვხვდება ზოგ დიალექტში: ხევსურულში, მთიულურში, ფშაურში, რაჭულსა და გურულში, ქართველურ ენათაგან – სვანურში.

კნინობითობა გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით. ყველაზე გავრცელებულია მისი გამოხატვა მარტივი სუფიქსებით – ა, ი-ა, აკ-იკ-ოკ, უკ, ან, ინ, ულ, ელ, ილ, ატ, იტ, ოტ, უტ, იც, უც, იჭ, უჭ, ინ, ურ... და მათი შეერთებით მიღებული რთული სუფიქსებით: ოკ-ინ-ა, უკ-ელა, უც-ურ-ა, ურ-ან-ა და სხვ. – (რთაც უმეტესად კნინობითობის -ა ბოლოსართი აქვთ დართული): მამალ-ა, კაც-ა, კაც-ია, წიგნ-აკ-ი, ბესიკ-ი, ვარ-იკ-ა, ბიჭ-უკ-ა, ბიჭ-ურ-ა, კატ-ურ-ი, ქრუ-ა-ლა, წალდ-ულ-ა, დედილ-ო, ფეხ-უც-ა, ცხ-ან-ა, პარკ-უჭ-ი, გლეხ-უჭ-ა, კოპ-იჭ-ი, კოპ-ეწ-ა, ბუმბლ-უქ-ა, ქალ-აჩ-ურ-ა, ეაჭრ-უკ-ანა, ბებრ-ურ-ან-ა, ბებრ-უც-ურა...





სუფიქსებით ფუძეთა თანდათანობითი გართულება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ფუნქციური თვალსაზრისით კნინობითობა მოიცავს მრავალ სემანტიკურ ნიუანსს, რ-იც, თავის მხრივ, განაპირობებს მაწარმოებელ სუფიქსთა მრავალფეროვნებას. სახელთა უმეტესობა კნინობითს ვერ აწარმოებს და სათანადო შინაარსი მხოლოდ აღწერითად გადმოიცემა. კნინობითის წარმოების დროს არსებითი მნიშვნელობა თავად ფუძის სემანტიკას ენიჭება. კნინობით-ალერსობითს უმეტესად ის ფუძეები აწარმოებენ, რომლის სემანტიკა ოგუებს სიმცირის ან ალერსის გამოხატვას: პატარა – პაწია, პაწაწინა, პაწუკა, პაწაწკინტელა... დედა – დედიკო, დედილო.

კნინობით-დამცირებითი მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს სახელმა, რ-ისთვისაც სიმცირის ან ალერსის სემანტიკა შეუთავსებელია: ბებერი – ბებრუკა, ბებრუხა, ბებრუხუნა, ბებრუცუნა; ყრუალა, ყრურუნა და სხვ., ან როცა სუფიქსი გამოხატავს მისთვის შეუფერებელი ნიშნის ან თვისების მქონებლობას ან მასთან მსგავსებას: ყბან-ა, ყბ-აცა (დიდი ყბების მქონე ადამიანი), ქალაჩუნა, ქალაჭუნა (ქალის თვისებების მქონე ვაჟი).

სიმცირის ან ალერსის გამოხატვა ხდება ლექსიკური საშუალებებითაც: ცუგა, ფისო, ბაჭია, კიჭი და სხვ.

კნინობითობის გამოხატვის ერთერთი საშუალებაა ფუძისეულ ხმოვანთა მონაცვლეობა რედუპლიკაციის დროს: ბიჭ-ბუჭი.

კნინობითობის ფორმანტები ხშირად ურთიერთმონაცვლეობენ ერთსა და იმავე ფუძესთან, რასაც თან სდევს სემანტიკური გადახრები. ზოგჯერ ეს მონაცვლეობა გამოყენებულია ახ. ლექსიკური ერთეულის – ტერმინის შესაქმნელად: წიგნი – წიგნაკი, პატარა ზომის წიგნი, ბროშურა; პატარა წიგნის სახის ზოგი საბუთი; თვალი – თვალაკი, ტექნ. პატარა სათვალეთვალო ჭუჭრუტანა; საქსოფონის დაზგის ნაწილი; კბილი – კბილაკი, ტექნ. პატარა კბილი; კნინ. სუფიქსები ზოგჯერ მცენარეთა ან ცხოველთა სახეობებს განარჩევს: წიწმატი – ბოსტნეული მცენარე, წიწმატურა – სარეველა ბალახი, წიწმატელა – სარეველა მცენარე; მჟაუნა – ბოსტნეული მატიტელასებრთა ოჯახისა, მჟაველა – დაბალი მრავალწლოვანი ველური მცენარე; ძერა – დიდი მტაცებელი ფრინველი შევარდნისნაირთა რიგისა, ძერანა – ანისული, ცერეცო; ძერუკა – პატარა ძერა, ძერძერუკი – მტაცებელი ფრინველია ერთგვარი; კატა – მტაცებელი პატარა ცხოველი, კატუნი – ველური გარეული კატა, კატუნა – კატუნია – კნინ. მოფ. კატა.

ლიტ.: მარტიროსოვი ა., კნინობითი სახელები ძველ ქართულ'ში. – «იკვ», XX, თბ., 1978; თოფურია ე. შრომები, III, თბ., 1979; შანიძე ა., თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1980; ტუსკია მ., სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელური ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. – «ქსკს», წგ. 10, თბ., 1993; ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია (პროგრამა-პროსპექტი), თბ., 1995; ჭუმბურიძე ს., კნინობითი სახელები სვანურში. – «ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 20 თბ., 1997. *მ. კიკონიშვილი.*

კოართიკულაცია (ლათ. coarticulation – თანაარტიკულაცია), მეტყველების გარკვეული მონაკვეთის (მარცვლის, სიტყვის) მთლიანი *არტიკულაცია*. წარმოთქმის პროცესში არ ხდება მარცვალში ან სიტყვაში შემავალ ბგერათა ცალკეული არტიკულაცია. ყოველი წინა ბგერის დამთავრება შერეულია მომდევნო ბგერის შემართვასთან, რის გამოც მეზობელი ბგერები გაელენას ახდენენ ერთმანეთსე (ცალმხრივ ან ორმხრივ), ეგუებიან ერთმანეთს. ამგვარი ურთიერთგაელენის, *აკომოდაციის* შედეგად ერთი ბგერა იძენს სხვა ბგერის თვისებებს, ანუ ბგერის *პირველად*, ძირითად არტიკულაციას ემატება შეძენილი, *მეორეული* არტიკულაცია. მაგ., ხმოვანი ა, რ-იც ხასიათდება მაქსიმალური ღიაობით, საგრძნობლად ვიწროვდება წარმოთქმაში ი ხმოვნის წინ, რასაც საერთოდ შეიძლება მოჰყვეს ა – ე პროცესი. შდრ. წაიღო → წეიღო. ამრიგად, ბგერათა ურთიეროგაელენა შეიძლება იყოს არა მხოლოდ *კონტაქტური*, არამედ გაერცელდეს არაუშუალო მეზობლობაში მყოფ ბგერებზეც, ე. ი. იყოს *დისტანციური*. მაგ., დისტანციური რეგრესული ასიმილაციის შედეგი ჩანს ფორმებში: შიმშილი → სიმშილი, ჭიშკარი → (ბ)ჭისკარი.

კ-ის შედეგად ბგერის მეორეული არტიკულაცია შეიძლება გამოიხატოს როგორც:

ველარიზაცია – *ველარული ბგერის* გაელენით წინამავალი არაველარული ბგერა იძენს მეორეულ არტიკულაციას, რაც ელინდება უკანა ენის მიახლოებით რბილ სასასთან. მაგ., სიტყვებში ბუ, დო, სული, სოლი... ბ, დ, ს თანხმოვნები უ და ო ხმოვნების გაელენით ველარიზებულია, ე. ი. უკანაენა აწეულია რბილი სასის მიმართულებით. ველარიზებული ბგერები აკუსტიკურად ხასიათდება დაბალი სატემბრო ტონით, რაც დაკავშირებულია ლაბიალიზაციის შედეგად (ბაგეების წაშვერა-მომრგვალებით) რეზონატორის დაგრძელებასთან.

ლაბიალიზაცია – რომელიმე არალაბიალური ბგერა კ-ით იძენს მეორეულ არტიკულაციას – ბაგისმიერობას. ლაბიალიზებული ქართულში ყველა თანხმოვანი ო და უ ხმოვნების წინ. მაგ., დ ბგერა, რ-ის პირველად არტიკულაციაში ბაგეები მონაწილეობს, ლაბიალური ხმოვნების წინ ლაბიალიზებული ხდება და წარმოითქმის წინ წამოწეული, მომრგვალებული ბაგეებით; შდრ. დ სიტყვებში: დედა, დო, დუმა.

ნაზალიზაცია – რომელიმე არანაზალურ ბგერას მეზობელი ნაზალური ბგერის გაელენით, ე. ი. კ-ის შედეგად, ემატება ნაზალური ეფექტი. ამ ეფექტს იწვევს პაერნაკადის ნაწილის გასელა ცხვირში. ნაზალიზაციას განიცდიან ბგერები ნაზალური მ და ნ თანხმოვნების მეზობლობაში: ამბავი, ანდერძი, ბანი, გემი.

ლიტ. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

ნ. ქაზირია.

კოინე (ბერძნ. koinē diálektos საერთო ენა || მეტყველება), ენის ფუნქციური ტიპი, საერთო ენა, რ-იც რომელიმე წამყვანი (ცენტრალური) დიალექტის (ენის) საფუძველზე ჩამოყალიბდა დიალექტთაშორისი (ენათშორისი) ურთიერთობისა და ეთნიკური (ეროვნული) თვითგამოხატვის ძირითად საშუალებად.

კ. თავდაპირველად, როგორც საერთო ენობრივი ფორმა, ჩამოყალიბდა ძვ. საბერძნეთში (ატიკური დიალექტის ბაზაზე), როდესაც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომების შემდეგ განსაკუთრებით იგრძნობოდა საერთო ენის საჭიროება.

თანამედროვე სოციოლინგვისტიკაში ტერმინი კ. გამოიყენება ენის ნებისმიერი ვარიანტის მიმართ, რ-იც წარმოიქმნება დიალექტთა შორის განსხვავებების გაერთფერებით. ამ მნიშვნელობით კ. შესაძლოა წარმოადგენდეს საერთო ზეპირ საკომუნიკაციო ნორმას გარკვეულ რეგიონში (მაგ., ქალაქური კ.); არსებობდეს როგორც დიალექტთაშორისი ოდენობა ცალკეულ დიალექტთა აქტიური ურთიერთობის არეალში (მაგ., თიანეთი), ან გამოელინდეს ხალხური სიტყვიერების რომელსამე ცალკეულ სფეროში (მაგ.: ანდაზებში, ზღაპრებში, პოეზიაში...).

ქართ. ენობრივი სინამდვილისათვის ნიშანდობლივი ჩანს ერთგვარი პოეტური კ-ს არსებობა ხალხური შემოქმედების დონეზე, რამდენადაც დიალექტურად მკვეთრად განსხვავებულ სხვადასხვა კუთხეთა პოეტური ფოლკლორი დიალექტიზმების თვალსაზრისით საკმაოდ ხელშესახებად არის რეგლამენტირებული და მინიმალურ ენობრივ სხვაობას წარმოაჩენს. სხვა ქართველურ ენათა ანალოგიური ტენდენციებისა და საერთო პოეტური კულტურის გათვალისწინებით, შესაძლებელია ეს ფაქტი არქეტიპულ მოელენად შეფასდეს. კ-ს, როგორც ენობრივ მოელენას, ერთგვარი შუალედური ადგილი უკავია ლინგვა-ფრანკასა და სალიტ. ენას შორის და არცთუ იშვიათად იგი ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების წინაპირობადაც გვეელინება (იხ. *ბერძნული ენა*).

ლიტ.: Десницкая А. В., Наддиалектные формы устной речи и их роль в истории языка, Л., 1970.

ა. არაბული.

კომპიუტერული ლინგვისტიკა, გამოყენებითი ლინგვისტიკის მიმდინარეობა, რ-იც ადგენს ლინგვისტურ მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის ავტომატიზებულ მეთოდებს. ამ ტერმინის ატრიბუტული ნაწილი („კომპიუტერული") გამართლებულია იმდენად, რამდენადაც პირველადი ბიძგი ამ დარგის განვითარებას გამომთველმა მანქანამ (კომპიუტერმა) მისცა. კვლევის არად მანქანური თარგმნის ამოცანა იქცა. როგორც კი პირველი, საკმაოდ ზერელე, წარმატების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომპიუტერი ამ ამოცანას მარტო ვერ გადაწყვეტდა, გაჩნდა ორგვარი რეაქცია: ერთი მხრივ, დაცხრა ინტერესი მანქანური თარგმნის მიმართ, მეორე მხრივ, სტიმული მიეცა ამ ამოცანისა (მან-

ქანური თარგმნისა) და, საერთოდ, ენისადმი კომპიუტერული მიდგომის ღრმა თეორიულ შესწავლასა და გააზრებას.

ამ მიმდინარეობის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მოსკოვის სკოლას (ი. მელჩუკი, ა. ჟოლკოვსკი, ი. აპრესიანი). მათი (უპირველესად ი. მელჩუკის) თაოსნობით დამუშავდა ისეთი მოდელის საფუძვლები, რ-იც ნებისმიერი განვითარებული ენობრივი კომპიუტერული სისტემის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს. ასეთია „შინაარსი ↔ ტექსტი“-ს მოდელი, რ-იც მოწოდებულია ადამიანის ენობრივი ქცევის ორი ძირითადი პროცესის საიმიტაციოდ. ეს პროცესებია ტექსტის წარმოქმნა (ანუ სინთეზი) და ტექსტის გაგება (ანუ ანალიზი). პროცესები ხორციელდება საფეხურებრივად: ანალიზი იწყება ტექსტის ნებისმიერი ფონემური/გრაფემული წარმოდგენის მორფოლ. გარჩევით, რის შემდეგაც სინტაქსურ წესებს მორფოლ. ანალიზის შედეგები გადაჰყავს ტექსტის სინტაქსურ წარმოდგენაში; შედეგი გადამუშავდება სემანტიკური კომპონენტების მეშვეობით ტექსტის საბოლოო (მოცემული პროცესისათვის) სემანტიკურ წარმოდგენად. ეს უკანასკნელი ექსპლიციტურად უნდა გამოხატავდეს შესაბამის ტექსტში იმპლიციტურად კოდირებულ შინაარსს. სინთეზმა, ბუნებრივია, უნდა გაიაროს იგივე საფეხურები საპირისპირო მიმართულებით.

ყოველი ენობრივი დონის წარმოდგენას თავისი სპეციფიკა აქვს: ფონემურ/გრაფემულ დონეზე ტექსტი წარმოდგენილია როგორც ფონემათა/გრაფემათა უბრალო თანამიმდევრობა; მორფოლ. წესებს იგი გადაჰყავს სიტყვათა წარმოდგენის თანამიმდევრობაში, სადაც ყოველ სიტყვას ენაცვლება შესატყვისი – გრამატიკულად დახასიათებული ლექსემა, ანუ სიტყვის ფუძე. ამ უკანასკნელს ახლავს ფუძის კონკრეტული ფორმით და მასზე დართული აფიქსებით განსაზღვრული გრამატ. კატეგორიების მნიშვნელობები. ეს ერთეულები სინტაქსური წესების სათანადო დამუშავების შემდეგ წინადადების სინტაქსის ამსახველი ხისებრი სტრუქტურის კვანძებში იკავებენ ადგილს. საბოლოოდ ეს უკანასკნელი წარმოდგენა სემანტიკურმა წესებმა უნდა გადაიყვანოს შინაარსის მაქსიმალურად ცალსახა და ექსპლიციტურ გამოხატულებაში, რ-იც წარმოდგენილია გრაფის სახით. გრაფაში მიმართებები მაქსიმალურადაა სტანდარტიზებულია, საკვანძო ერთეულები კი იდეალურ შემთხვევაში დაყვანილია სემანტიკური პრიმიტივების დონეზე. საერთოდ, ანალიზის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ტექსტური ერთეულების მრავალმნიშვნელიანობის, ანუ ომონიმიის, ამ ტერმინის ყველაზე ფართო გაგებით, მოხსნა და შინაარსის შესაძლებელი ვარიანტების მაქს. შეზღუდვა.

ამის საპირისპიროდ, ტექსტის მასინთეზირებელმა პროცესმა უნდა შეძლოს (იდეალურ შემთხვევაში) მოცემული შინაარსის ყველა დასაშვები ენობრივი გამოხატულების აგება, ე. ი. უნდა წარმოქმნას სინონიმური ტექსტების, ანუ ურთიერთპარაფრაზების სრული სიმრავლე.

ამრიგად, ლაპარაკია სისტემაზე, რომელიც თავის იდეალურ, ხელურულ გადაწყვეტაში ენას ადამიანივით უნდა ფლობდეს. თეორიული თვალსაზრისით ეს მოასწავებს ახალ, მეტად მნიშვნელოვან ეტაპს ენათმეცნიერების საერთო განვითარებაში: თუ ტრადიციულად ენათმეცნ. იკვლევდა ენობრივი ქცევის პროდუქტს, ანუ ტექსტს (ამ სიტყვის ფართო გაგებით), ადგენდა ამ ტექსტის ერთეულების ინვენტარებს ლექსიკონებისა და გრამატიკების სახით, კომპიუტერული ლინგვისტიკის განვითარების ფაზაში დღის წესრიგში შესულია ახალი, თუმცა წინა პუნქტიდან ბუნებრივად გამომდინარე საკითხი: როგორ წარმოიქმნება ტექსტი, ანუ როგორ შეიძლება ფუნქციონირებდეს ის ენობრივი მექანიზმი, რომელიც ტექსტს წარმოქმნის.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ ღრმა თეორიულ კვლევას მოჰყვება წმინდა პრაქტიკული (კომპიუტერული) გამოყენების ისეთი პერსპექტივები, როგორიცაა ავტომატური თარგმანი, დიალოგი კომპიუტერთან (და სხვ. ტექნიკურ მოწყობილობებთან) ბუნებრივი ენის საშუალებით, ენის სწავლების ავტომატიზაცია და ა.შ. ამ ტექნოლოგიებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახ. ათასწლეულში, რ-მაც უკვე დაიმსახურა ინფორმაციის ეპოქის სახელი.

ჯ. ლ-ის პირველი კერა საქართველოში წარმოიშვა XX ს. 50-იანი წლების დამლევს ახლანდ. მართვის სისტემების ინსტიტუტში. პირველი მიღწევა იყო რუს.-ქართ. ავტომატური თარგმნის ექსპერ. სისტემის შექმნა, შემდეგ – ლინგვისტური პროცესორების დამუშავება კომპიუტერთან ბუნებრივ ენაზე დიალოგისათვის და გრამატიკის სწავლების კომპიუტერული სისტემები. ამ სამუშაოების საფუძველი ენობრივი (ქართული, რუსული, გერმანული, ინგლისური) ალგორითმების შექმნა იყო, ხოლო კვლევის პრიორიტეტული ობიექტი – მორფოლ. დონე.

70-იანი წლებიდან თსუ-ში ფუნქციონირებს სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრა, რომელმაც ამ დარგის მრავალი სპეციალისტი აღზარდა. ბოლო წლებში ამ სფეროს მკვლევართა წრე გაფართოვდა. შეიქმნა სათანადო ჯგუფი ენათმეცნ. ინ-ტში (ქართ. მორფოლ. მონაცემთა ბაზები), თსუ-თან ჩამოყალიბდა ცენტრი „ენა, ლოგიკა, მეტყველება“, რ-მაც დიდი სამუშაო ჩაატარა ამ სამეცნ. მიმართულების პროპაგანდისათვის და უცხოეთში ანალოგიური სამეცნ. ინტერესების მქონე წრეებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

ლიტ.: Мельчук И. А., Опыт теории лингвистических моделей „СМЫСЛ ↔ ТЕКСТ“, М., 1974 (1999); Апресян Ю. Д., Избранные труды, т. I. Лексическая семантика; т. II. Интегральное описание языка и системная лексикография, М., 1995; Чикоидзе Г. Б., Сетевое представление морфологических процессоров, Тб., 2004. *გ. ჩიკოიძე.*

კომპოზიტი (ლათ. compositus), რთული სიტყვა, თხზული სახელი (ა. შანიძე), ორი ან მეტი ფუძის შეერთებით წარმოქმნილი ლექსიკური ერთეული. კ-ს, როგორც თხზული სიტყვაწარმოების პროდუქტს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენის ლექსიკურ სისტემაში. კ-თა ანალიზი და კლასიფიკაცია საინტერესოა მათი მნი-

შენელობის (ინტეგრირებული სემანტიკის), კომპონენტური შემადგენლობის, კომპონენტთა ადგილის, ფორმის, სემანტიკური ურთიერთმიმართების, მორფონოლოგიური პროცესების და სხვ. თვალსაზრისით. ენები მნიშვნელოვნად განსხვავდება კომპოზიტური სიტყვაწარმოების შესაძლებლობებითა და ძ-თა აგებულება-შემადგენლობით, თუმცა საერთო ნიშნებიც მრავლად შეინიშნება.

ძ-ური სიტყვაწარმოების საბოლოო შედეგის თვალსაზრისით დასტურდება როგორც ერთ ცნებიანი ძ-ები, რ-თა კომპონენტების დამოუკიდებელი სემანტიკა ღანრდილულია და ძ. ერთი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა (ცისკარი, თაელაფდასხმული, ქინძისთავი, თაქუდმოგლეჯილი, გულგახეთქილი...), ასევე ორცნებიანი ძ-ები, რ-ებშიც კომპონენტთა მნიშვნელობები შენარჩუნებულია და ძ-ის მნიშვნელობა უდრის მათი მნიშვნელობების ჯამს (მთა-ბარი, გუდა-ნაბადი, რქა-მოტეხილი...). ამ უკანასკნელთ, მათი ბუნების გათვალისწინებით, შერწყმულ სახელებსაც ეძახიან (ა. შანიძე). გამოყოფენ ტოლად შერწყმულ, ანუ თანაბარუფლებიან კომპონენტთა შემცველ ძ-ებს (დეე-გმირი, აე-კარგი, ბედ-იღბალი...) და არტოლად შერწყმულ, ანუ მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ძ-ებს (შუბლთეთრი, ჟურმოჭრილი, შაეთვალა, სულგანაბული...).

ძ-თა აღნიშნულ კლასიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც მათი სტრუქტურული ანალიზის, ასევე ორთოგრაფიული და სხვ. საკითხების კვლევისას.

ძ-ების შესწავლა აქტუალურია როგორც ენის სისტემისა და სტრუქტურის სინქრონიული ანალიზის, ასევე ენობრივი ფაქტებისა და შესაბამისი პრობლემების ისტ. კვლევის თვალსაზრისით.

იხ. აგრეთვე *კომპოზიცია*.

ა. არაბული.

კომპოზიცია (ლათ. compositio – შედგენა, შეთხზვა), თხზვა, ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა ორი ან მეტი ფუძის (სიტყვის) შეერთებით. ამაღე მოვლენას ეკუთვნის ერთი და იმაღე ფუძის განმეორება, ანუ რედუპლიკაცია. თხზვის შედეგად წარმოიქმნება რთული სიტყვა, ანუ *კომპოზიტი*. თხზვის პროცესს სხვადასხვა ენის სიტყვაწარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

კ. მოქმედი პროცესია ენის განვითარების ყველა ქრონოლოგიურ დონეზე. შეეროებულ ფუძეთა ურთიერთკავშირის სიმყარით თხზული სახელები ენობრივად სულ სხვადასხვაგვარ ვითარებას წარმოგვიდგენენ. რთული სიტყვის კომპონენტთა სემანტიკური თავისთავადობა თუ ზოგ შემთხვევაში შენარჩუნებულია, ანუ კომპოზიტის მნიშვნელობა უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს (ნელ-ყელა, მთა-ბარი, თეთრ-წვერა...), ხშირად კომპოზიტის მნიშვნელობაში კომპონენტთა სემანტიკა აღარ შეიცნობა, რთული სიტყვა სემანტიკურ მთლიანობად არის ქცეული (თავსლაფი, ცისკარი, გულხელდაკრეფილი, ჭირისუფალი...). არცთუ იშვიათად ამგვარი მასალის კომპონენტური ანალიზი ისტ.-ეტიმოლოგიურ ძიებას მოითხოვს (ცისკარი, წისქვილი, ცამეტი...).

კ-ის პროცესი სემანტიკური და ფორმობრივი თვალსაზრისით გარკვეულ სტრუქტურულ მოთხოვნებს ექვემდებარება. უპირველესად აღსანიშნავია ის, რომ ყველა მეტყველების ნაწილს არა აქვს კომპოზიციაში მონაწილეობის ერთგვარი უნარი. ხშირია სახელების (მსაზღვრელ-საზღვრულთა) გაკომპოზიტება (დედაბოძი, ქინძისთავი, ცისკარი...); ჭარბობს პრეპოზიციური წყობის შემთხვევები, თუმცა ამ თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი ისტ. ვითარების გათვალისწინებაა აუცილებელი. ამაღე დროს, შენიშნულია ტენდენცია, რომ კომპოზიტის პირველი კომპონენტი მეორეზე მოკლე იყოს.

კ-ის პროცესში ხდება ცალკეულ ფუძეთა და ფორმათა მორფოლ. და ფონოლოგიური სტრუქტურების ურთიერთგავლენით განპირობებული მორფონოლოგიური ცვლილებები, რაც ხშირად კომპოზიტთა კომპონენტური შედგენილობის დაბინდვის მიზეზად გვევლინება (ჭიშკარი ← ბჭის-კარი, თაყვანისცემა ← თავ-ყანის-ცემა, წისქვილი ← წყლის-ფქვილი...).

შესაბამის პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ენობრივი საკითხის გათვალისწინებით, კ. სიტყვათწარმოების, სიტყვათშემოქმედების ერთ-ერთი რთული და საინტერესო უბანია, რ-საც, წმინდა ლექსიკოლოგიურის გარდა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ისტ., ეთნოფსიქოლ. მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისითაც (შდრ.: ცისკარი, თაყვანისცემა, მამასისხლად, გულისხმა... აგრეთვე გეოგრ., მცენარეთა სახელები და მისთ.).

ა. არაბული.

კონტამინაცია (ლათ. contaminatio – შერევა, შეხება, შერწყმა), *არალოგიის* ერთ-ერთი სახე, რ-იც გულისხმობს სამეტყველო ნაკადში ორი ენობრივი ერთეულის გაერთიანებას მათი სტრუქტურულ-ფუნქციონალური თუ სემანტიკური მსგავსების საფუძველზე. ჩვეულებრივ, კ. ხდება მეტყველების პროცესში და განიხილება როგორც ლიტ. ნორმებიდან გადახვევა, მაგრამ ის, ამაღე დროს, არის ახალი ენობრივი ელემენტების წარმოქმნის წყარო და მისი შედეგები ხშირად იქცევა ნორმად.

კ. გვხვდება ენის ყველა დონეზე. მაგ., სიტყვაში უმფროსი გეაქვს ზედმეტი მ მასთან ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვის უმცროსი-ს ანალოგიით. ფორმა რასთვის წარმოქმნილია ორი ენობრივი ერთეულის – რისთვის და რატომ ფორმების შერევით. გულიდან ვერ მოიშორა მიღებულია ორი გამოთქმიდან: თავიდან ვერ მოიშორა და გულიდან ვერ ამოიგდო. ასევეა მიღებული გამოთქმები: სტუმართმოყვარეობას გაუწევს (მასპინძლობას გაუწევს და სტუმართმოყვარეობას გამოიჩენს), მადლობა მოიხადა (ბოდიში მოიხადა, მადლობა გადაიხადა).

ნ. იმნაძე.

კონტაქტი, (ლათ. contactus – შეხება), კაუზატივი, ზმნის კატეგორია, რ-იც ზმნის ფორმის მიხედვით გვიჩვენებს, სუბიექტ. პირი უშუალოდ მოქმედებს პირდ. ობიექტზე, თუ სხვა პირის შუალობით (ა. შანიძე).

უშუალოა კ., რ-იც აღნიშნავს, რომ სუბიექტ. პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად (ვხატავ, ვაკეთებ, ვაშენებ...). შუალობითია კ., რ-იც აღნიშნავს, რომ სუბიექტ. პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე

სხვა პირის შუალობით (ვახატვინებ, ვაკეთებინებ, ვაშენებინებ...).

შუალობითი კ-ის გრამატ. მნიშვნელობას ორი მორფემა გამოხატავს: -ინ და -ევინ (ისტორიულად -ევ) სუფიქსები, რ-ებიც დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან: -ინ გვხვდება ერთ- ან მეტმარცვლიან საყრდენ მორფემასთან, -ევინ დაერთვის ნულმარცვლიან ან პოტენციურად ნულმარცვლიან საყრდენ მორფემას. მკვლევართა ნაწილი (არნ. ნიქობაძე, გ. მაჭავარიანი, ა. თაქაიშვილი, ე. გეურქოვა, ბ. გიგინეიშვილი, ი. ქავთარაძე...) აღნიშნულ სუფიქსებთან ერთად ა- პრეფიქსსაც ან მხოლოდ ა- პრეფიქსს გამოყოფს.

ძვ. ქართულში შუალობითი კ. ორნაირად იწარმოებოდა: აღწერითად და ორგანულად; ამაოგან უფრო ნიშანდობლივია აღწერითი წარმოება: ვით. ბრუნვაში დასმული მასდარი + ზმნის ფორმა (მოკვეთად-ეც = მოაკვეთინე...). -ევ და -ინ მაწარმოებელთაგან -ევ უფრო ადრინდელ პერიოდში ფუნქციონირებს, -ინ X–XI სს-იდან იკიდებს ფეხს.

შუალობითი კ-ის ზმნას სამიე ქცევის ფორმა მოპოვება: საარეისო (აკეთებინებს), სათაისო (იკეთებინებს) და სასხვისო (უკეთებინებს).

საარეისო ქცევის ფორმაში, ჩვეულებრივ, სამი პირი დასტურდება: სუბიექტური, ირიბობიექტური და პირდაპირობიექტური. ზმნის ფორმა ამ შემთხვევაში გამოხატავს ვითარებას, როდესაც რეალურად მოქმედებს არა ერთი პირი, არამედ ორი: სუბიექტ. პირი, რ-იც ხელმძღვანელობს მოქმედებასა და პირი, რ-იც უშუალოდ ასრულებს ხელმძღვანელის დავალებას. ხელმძღვანელი პირი – ეს არის საქმის მოთავე, ინიციატორი, მისი ორგანიზატორი, ხოლო ვინც უშუალოდ მოქმედებს, ერთგვარი იარაღია საქმის ორგანიზატორის ხელში. მესამე (პირდაპირობიექტ.) პირი მათი მოქმედების საგანია.

ორპირიანი საარეისო, რ-საც ობიექტად III პირი აქვს, შუალობით'ში გადაყვანისას სამპირიან ფორმას გვაძლევს (აკეთებს ის მას, აკეთებინებს ის მას მას); შუალობითი კ-ის სათაისო არ განსხვავდება უშუალო კ-ის სათაისოსაგან პირთა რაოდენობის თვალსაზრისით: ორივე ფორმა ორპირიანია; უშუალო კ-ის სასხვისო ყოველთვის სამპირიანია. შუალობით'ში გადაყვანით შემსრულებელი ობიექტ. პირი ემატება და ოთხიანი უნდა გახდეს (დამიწერა მან მე ის – დამიწერინა მან მე იგი მას – ა. შანიძე). შუალობითი კ-ის სასხვისო ქცევის ფორმები უფრო ხშირია, ვიდრე სათანადო სათაისოსი.

სამპირიანი შუალობითი კ-ის შემთხვევაში იძულება ეხება ირ. ობიექტს, ორპირიანის შემთხვევაში – პირდ. ობიექტს. ამით განსხვავდება გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები შუალობითი კ-ს ფორმები გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები შუალობითი კ-ის ფორმებისაგან... მო-ა-კუდ-ინ-ა ისეთივე შუალობითი კ-ია, როგორც და-ა-წურ-ინ-ა. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მო-ა-კუდ-ინ-ა ორპირიანია, და-ა-წურ-ინ-ა – სამპირიანი. ეს კი შედეგია საწარმოებელ ფუძეთა სხვადასხვაობისა: პირველი გარდაუვალი ზმნისაგან არის ნაწარმოები, მეორე – გარდამავლისაგან (გ. მაჭავარიანი).

შუალობითი კ-ის ზმნის ირ. ობიექტი (ე. ი. ის პირი, რ-საც ზმნის ფორმის მიხედვით „აიძულებენ“) სულიერი უნდა იყოს, შდრ. „ბატონი ყმას ამუშავებს“ და „ყმა მიწას ამუშავებს“ (ჭ. ქირია).

შუალობითი კ-ის ფორმები აქვს ენებითი გვარის ზმნასაც. ენებითად მოქცევისას მოქმედებითი გვარის შუალობითის ფორმა ორპირიანი ხდება (ეკვლევინება ის მას – აკვლევინებს ის მას მას (თავს)...). ამოსავალ შუალობითის ფორმაში პირდ. ობიექტის ფუნქციას უკუქცევითი ნაცვალსახელი ასრულებს – შემოდის რეფლექსურობის სემანტიკა. შუალობით-რეფლექსური კონსტრუქცია ორაზროვანია: აჭერინებს ის მას თავს = 1. ის (S) მას (ირ. O-ს) აჭერინებს მის (ირ. O-ის) თავს; 2. ის (S) მას (ირ. O-ს) აჭერინებს საკუთარ (S-ის) თავს. როგორც ჩანს, სწორედ ამგვარი ორაზროვნების ლიკვიდაციის საჭიროებამ განაპირობა მოქმედებითი გვარის შუალობითის ფორმების კონვერსია.

კ-ის თვალსაზრისით გრამატიკულად დაპირისპირებულ ოპოზიციურ ცალებს წარმოადგენენ ზმნის უპირო ფორმები – *მასდარები* და *მიმღეობები* (გაკეთება – გა-კეთებ-ინ-ება – გაკეთებ-ინ-ებული...).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954; თაქაიშვილი ა., კაუზატივის წარმოების სოგი საკითხი ქართულში. – კრ.: «ქართველური ენათა სტრუქტურის საკითხები», IV, თბ., 1974; მაჭავარიანი გ., კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში. – «იკვ», XXVII, თბ., 1988.

ჭ. ქირია.

კონტექსტი (ლათ. contextus – შეერთება, შეკავშირება), ტექსტში ენობრივი ერთეულების გარემოცვა (მარჯვენა, მარცხენა). კ. კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა. კ-ის გარეშე შეუძლებელი ხდება მნიშვნელობის ადეკვატური აღქმა. მაგ., სიტყვას „მობრძანდი“, იმის მიხედვით, თუ რა კ-შია ის მოქცეული, შეიძლება ჰქონდეს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები (თხოვნა, ბრძანება, დაცინვა, მუქარა...).

კ. შეიძლება იყოს ვიწრო (მინიმალური გარემოცვა, რ-შიც განისაზღვრება მოც. ენობრივი ერთეული) და ფართო (როდესაც საჭირო ხდება მთელი ტექსტის გათვალისწინება). სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად ვიწრო კ. იქნება შესიტყვება. სწორედ ასეთ კ-ში შეიძლება სიტყვა მოგვევლინოს *ტროპის* სახით, მიიღოს განსხვავებული სტილისტიკური და ემოციური შეფერილობა, შეიძინოს ახალი მნიშვნელობები, მათ შორის წმინდა ოკაზიონალურიც, რ-იც აქამდე არ ყოფილა (და შესაძლოა, არც არასოდეს იქნეს) დაფიქსირებული ენაში. ვიწრო კ. საკმარისია მნიშვნელობების დასადგენად სამეცნ. ნაშრომებში, ან მხატვრულ ნაწარმოებთა სტილისტიკურ-ემოციურ შეფერილობას მოკლებულ გამონათქვამებში. მაგრამ ხშირ შემთხვევაში სიტყვის, და მით უფრო – ფრაზის მნიშვნელობის დადგენა მოითხოვს ფართო კ-ის გა-

თვალისწინებას. ზოგჯერ ფართო კ. სცილდება ლინგვისტური (ვერბალური, პარალინგვისტური) კ-ის გაგებას და მოიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტებსა და მოვლენებს (კომუნიკაციის პირობები, ადგილი და დრო, კომუნიკაციის პროცესში ჩართული ინდივიდები, მათ შორის ურთიერთობა და მისთ). შესაძლებელია ისიც მოხდეს, რომ ტექსტში კ. არ იყოს ექსპლიციტურად გამოხატული. მაშინ საჭირო ხდება იმპლიციტური ფონური ცოდნის (პრესუპოზიციის) გამოყენება.

კ-ის ცნება აუცილებელია ლინგვისტური ანალიზისათვის. იგი გამოიყენება ენის ყველა დონეზე (ფონოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური) და საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოცემული ერთეული. კ-ის გარეშე შეუძლებელია ისეთი ენობრივი მოვლენების შესწავლა, როგორიცაა სხვადასხვა ენობრივი ერთეულის (სიტყვის, ფრაზის) რეალური მნიშვნელობა, ლექსიკური თავსებადობა, სინონიმია, პოლისემია და მისთ. ახალი კ-ების წარმოქმნა დიდ როლს თამაშობს ენის სემანტიკურ ცვლილებებში. გარკვეულწილად კ-ების ცოდნას ემყარება *ენის გრძნობა*.

ლიტ. **Языковые единицы и контекст.** Л., 1973. *ნ. ქემერტელიძე.*

კოორდინაცია (ლათ. coordinatio – ურთიერთშეხამება), 1. თანწყობა; 2. სიტყვათა საურთიერთო დაქვემდებარება. კ. არის მიმართება სიმრავლისა და მასთან მორფოლოგიურად (პირის მიხედვით) დაკავშირებულ სახელებს (ქვემდებარესა და პირმიმართ დამატებებს) შორის. ტერმინი „კ.“ საურთიერთო მართვის მნიშვნელობით ქართ. საენათმეცნიერო ლიტ-რაში დამკვიდრდა არნ. ჩიქობავას შრომის („მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, 1928) საფუძველზე. ამ შრომის მიხედვით, რელატიური აგებულების (ორ- და სამპირიანი) სიმრავლის მართვის მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების ბრუნვებს, სახელები თავის მხრივ მართავენ სიმრავლის პირს (კლავს ის მას, უკვდება ის მას, სთხოვს ის მას მას). კ. საურთიერთო მართვა (იხ. *მართვა*), კ. უპირის-პირდება ცალმხრივ მართვას, სუბორდინაციას (კაცი კვდება). კ-ში მონაწილე სიტყვა არის კოორდინატი. კოორდინატი შეიძლება იყოს ძირითადი, დიდი, მცირე (ძვ. ქართულში უმცირესიც). ძირითადი კოორდინატი (coordinata princeps) არის სიმრავლის, რ-იც მართავს მასთან პირთა მიხედვით დაკავშირებული სახელების ბრუნვებს. სიმრავლის კ-ის ცენტრია. სახელები შეიძლება იყოს დიდი და მცირე კოორდინატები. დიდია ის კოორდინატი (coordinata major), რ-იც მართავს სიმრავლის პირს და ითანხმებს რიცხვს (ის სთხოვს – ისინი სთხოვენ). მცირეა ის კოორდინატი (coordinata minor), რ-იც მართავს სიმრავლის პირს, მაგრამ ვერ ითანხმებს რიცხვს (სთხოვს მას – სთხოვს მათ). სხვა მოსაზრებით, კ. საურთიერთო დაქვემდებარებაა და არა საურთიერთო მართვა. კოორდინაციულ ურთიერთობას ამყარებს თავის სუბიექტთან (სახელთან) აბსოლუტური აგებულების (ერთპირიანი) სიმრავლე. სიმრავლე მართავს მასთან პირით დაკავშირებულ სახელებს (ქვემდებარესა და პირმიმართ დამატებებს) ბრუნვაში, სახელები კი ითანხმებენ სიმრავლის პირში (მე ვ-სთხოვ, შენ სთხოვ, ის სთხოვ-ს; მე მ-თხოვს, შენ გ-თხოვს, მას ს-თხოვს...). I პირის ნაცვალსახელი სიმრავლის შეიწყობს I პირის ფორმით, II პირის ნაცვალსახელი – II პირის ფორმით; მესამე პირის სახელი კი სიმრავლისაგან ითხოვს III პირის ფორმას, ე. ი. სახელები (ქვემდებარე და პირმიმართი დამატებები) ითანხმებენ სიმრავლის პირში. სახელები (მე, შენ, ის...) ლექსიკურად აღნიშნავენ პირებს, სიმრავლი კი გრამატიკულად, ფორმით გამოხატავს მათ. შეთანხმება ლექსიკურ-გრამატიკულია.

კ-ის საფუძველზე იქმნება მარტივი წინადადების სტრუქტურული მოდელი (კონსტრუქცია).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968; დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. კვანტალიანი.

კორიდეთის ხელნაწერი, ცნობილი ბერძნული ოთხთაეი, ასომთაერულით გადაწერილი IX ს-ში ქართველი გადამწერის მიერ ბერძნ. დამწერლობის ქართული დუქტუსით. ზომა 29×24 *სმ*. ნაწერია მოქვიოთალო ეტრატზე, ორ სვეტად. ხელნაწერი შეიცავს 249 ფურცელს, რამდენიმე ფურცელი აკლია, ზოგიც დაზიანებულია.

კ. ხ. XV ს-მდე ინახებოდა ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოქცეულ სოფ. კორიდეთის ღვთისმშობლის ეკლესიაში (1914-მდე კორიდეთი ყოფ. ბათუმის ოლქის ართვინის მხარეში შედიოდა). X ს-ში ხელნაწერი ხელახლა აუკინძავთ და შეუკაზმავთ კორიდეთში ერისთავ ბეშქენის ბრძანებით.

XV ს. მიწურულს კ. ხ. კორიდეთიდან გადაუტანიათ სემო სვანეთში, სოფ. კალაში, წმ. კვირიკესა და იულიტეს ეკლესიაში, სადაც 1853 აღმოაჩინა ეთნოგრაფმა ბარტოლომეიმ. 1869 ჭუთაისის გუბერნატორმა გრაფმა ელ. ლევაშოვმა ხელნაწერი 50 მან. გირაოთი სვანეთიდან პეტერბურგში წაიღო. იქ ხელნაწერს გაეცნო მ. ბროსე და 1872 წელს გამოაქვეყნა ვრცელი წერილი მეცნიერებისათვის ამ ხელნაწერის მნიშვნელობის თაობაზე.

ლ. დადეშქელიანისა და ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მეცადინეობით ხელნაწერი საქართველოში დააბრუნეს და გელათის მონასტერს გადასცეს. 1901 კირიონ ეპისკოპოსმა იგი გელათიდან თბილისში წამოიტანა და გადასცა საეკლ. მუზეუმს, სადაც 1993-ით აღირიცხა. შემდეგ კ. ხ. შესასწავლად და გამოსაცემად თბილ. გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებლის – პასტორ გ. ბერმანის მეშვეობით ლაიფციგში გაგზავნეს, საიდანაც თბილ. საეკლ. მუზეუმში დააბრუნეს 1904.

კ. ხ. ლაიფციგში გამოსცეს 1913. მანამდე მისი ნაწილი – მარკოზის თავი – ფოტოტიპურად გამოიცა (Материалы по археологии Кавказа, XI. М., 1907).

ამჟამად კ. ხ. დაცულია ხელნაწ. ინ-ტში, ბერძნ. ხელნაწერების ფონდში (Gr-28). კ. ხ-სადმი სამეცნ. ინტერესს განაპირობებს არა მხოლოდ ტექსტობრივი და პალეოგრაფიული, არამედ ისტ.-ლიტ. მნიშვნელობაც, რადგან მასზე მეტად საყურადღებო ქართ. და ბერძნ. მინაწერებია. ამ სხვადასხვა დროს შესრულებულ მინაწერთაგან 24 ქართულია, 9 – ბერძნული. მათი დიდი ნაწილი საბუთებია, რ-ებიც ასახავენ საეროდ კლარჯეთისა და, კერძოდ, კორიდეთის ყოფას.

ოთხთავის ქართული მინაწერი გამოსცა ნ. მარმა, 1911 მათ დათარიღების საკითხს შეეხო ს. ყაუხჩიშვილი, ხოლო გრ. წერეთელმა მაღალ მეცნ. დონეზე შეისწავლა ბერძნ. მინაწერები.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის. – «ჩვენი მეცნიერება», 1924, №11–12; წერეთელი გრ., კორიდეთის ხელნაწერი და მისი ბერძნული მინაწერები, ტფ., 1937; სილოგავა ვ., კორიდეთის საბუთები (IX–XIII სს.), თბ., 1989; Brosset M., Note sur un manuscrit grec des quatre évangiles rapporté de Souanéthie et appartenant au comte Panine. – «Mélanges Asiatiques», t. VI, livr. 3 et 4. St. Pb., 1872; Beermann und Gregory, Die Koridethi-Evangelien 038, Leipzig, 1913 (mit 12 Tafeln und 2 Karten).

ა. ურუშაძე.

კრებსითი ლექსიკონი, ლექსიკონი, რ-შიც სხვადასხვა წყაროებისა თუ ენობრივი ქვესისტემების ლექსიკური მონაცემები ერთი ლექსიკოგრაფიული პრინციპით არის გაერთიანებული. მაგ., დიალექტური ლექსიკის კ. ლ. თავს უყრის არსებულ ლექსიკურ მასალას და მათ სისტემურად აერთიანებს ფუძის მიხედვით ან სხვა პრინციპით. ამგვარი ლექსიკონი ნათლად წარმოაჩენს ენის ლექსიკური ფონდის სიმდიდრეს, ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა გავრცელებულობასა და სიხშირეს. კ. ლ-ს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სხვადასხვა ხასიათის ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შესრულებისას (განმარტებითი, იდეოგრაფიული თუ ისტ. ლექსიკონების შედგენა, ისტ.-ეტიმოლოგიური, სემასიოლოგიური და სხვა სახის კვლევა...). *ა. არაბული.*

კრიპტოგრაფია (< ბერძნ. kryptos – საიდუმლო და gráphō – ვწერ), საიდუმლო (დაშიფრული) დამწერლობა, პირობითი საიდუმლო ნიშნების გამოყენება იმ მიზნით, რომ ტექსტი გასაგები იყოს მხოლოდ განდობილ პირთათვის.

უძველესი ქართ. დაშიფრული ტექსტების – კრიპტოგრამების არსებობა დადასტურებულია X ს-იდან, თუმცა მათი შექმნა უფრო ადრეა სავარაუდებელი: X ს-ში კ. საკმაოდ პოპულარული ჩანს საქართველოში, ვიდრე XIX ს. დასასრულამდე.

როგორც კრიპტოანალიზმა ცხადყო, ჩვენამდე მოღწეული ძვ. კრიპტოგრამები ძირითადად ხელნაწერებზე დართული ანდერძებია. მათი შემდგენლები, ჩვეულებრივ, ხელნაწერთა გადამწერები და მფლობელები არიან. ზოგჯერ შემონახულია მომხატველების, მთარგმნელებისა და სხვ. სახელებიც.

ძვ. ქართ. კრიპტოგრაფიული დამწერლობა იმთავითვე გარკვეულ სისტემებად არის ჩამოყალიბებული. შესაძლებელი ხდება მათი წარმოშობისა და განვითარების გზების დადგენაც. ეს სისტემები სხვადასხვა პრინციპზეა აგებული და სხვადასხვა პერიოდით თარიღდება. სისტემათაგან ზოგიერთს ბერძნულის გავლენა ეტყობა, მაგრამ ისინიც გადამუშავებული და შეცვლილი სახითაა დამკვიდრებული. ქართულში გავრცელებულია შემდეგი კრიპტოგრაფიული სისტემები:

ანჩინური – ემყარება ასოთა მონაცვლეობას, ამასთანავე, გათვალისწინებულია მათი რიცხვითი მნიშვნელობებიც. მონაცვლეობენ, ერთი მხრივ, ერთეულებისა და ათასეულების, მეორე მხრივ, ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი ასოები. ასე, ერთმანეთს ენაცვლებიან: ა-1 – ჩ-1000 (აქედან სახელწოდებაც: ანჩინური), ბ-2 – ც-2000, ი-10 – რ-100, კ-20 – ს-200 და ა. შ.

ანჯანური – ამ სისტემაში რიცხვითი მნიშვნელობა არ არის გათვალისწინებული. ასოთა შენაცვლება (მასში პ და მ ასოები არ მონაწილეობს) ასეთია: ა-ჯ (აქედან სახელწოდებაა ანჯანური), ბ-ჰ, გ-ხ, დ-ჭ და ა. შ.

ანრეური – ემყარება ასოთა მონაცვლეობას, მაგრამ გათვალისწინებულია მათი რიცხვითი მნიშვნელობებიც: ერთეულების აღმნიშვნელებს ენაცვლებიან ასეულების, ხოლო ათეულებისას – ათასეულების აღმნიშვნელი ასოები. შესაბამისად, ამ სისტემაში: ა-1 – რ-100, ბ-2 – ს-200, ი-10 – ჩ-1000, მ-40 – წ-4000 და ა. შ.

ანპოური – ემყარება მხოლოდ ასოთა მონაცვლეობას, რიცხვით მნიშვნელობებს ყურადღება არ ექცევა: ა-ჵ, ბ-ჰ, გ-ჯ, დ-ჴ და ა. შ.

სათვალავადი – გულისხმობს კრიპტოგრამული სიტყვების შედგენას ისე, რომ წარმოდგენილი იყოს ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები: ა-1, ბ-2, გ-3 და ა. შ. არსებობს ამ სისტემის მრავალი სახეობა.

უკუდაწერილობის – გულისხმობს ქართული ანბანით ნაწერი წინადადების ან ცალკეული დაქარაგმებული თუ დაუქარაგმებელი სახით წაკითხვას მარჯვნიდან მარცხნივ: ქ. აილე ო ~ დ: ეშ: ი ~ ც: ირ: – ქ. აიღე, ღმერთო შეიწყალე ცოდვილი რომანოზი.

სარკისებრი – უკუდაწერილობის სისტემის ანალოგიურია, იწერება მარჯვნიდან მარცხნივ, მაგრამ ასოებიც უკუღმა წერია.

სხვადაწერილობის – ქართული ტექსტი იწერება რომელიმე უცხო ენის (ძირითადად ბერძნული, ლათინური, სომხური და სლავური) ანბანით. მაგ., მიქაელ მოდრეკილის იადგარში (978–988) იკითხება კრიპტოგრამა: Ⴕ:ႷႢႧႫႭ ႷႡႬႢ... – ქ. ბერძენნი... შესაძლებელია ერთ კრიპტოგრამულ სიტყვაში რამდენიმე ანბანიც იყოს გამოყენებული.

ცნობილია სხვა კრიპტოგრაფიული სისტემებიც: კომპილაციური, აკროსტიქული, ერთი და იმავე ასოს გამეორებით, სიტყვათა დაქარაგმებით, ასოების გამოტოვებით მიღებული, პირობით ნიშანთა სისტემები...

ძალზე დიდია კრიპტოგრაფიული ტექსტების, მინაწერების მნიშვნელობა ხელნაწერთა შესწავლისათვის. მათი საშუალებით გამოვლენილია დღემდე უცნობი მრავალი ხელნაწერის გადამწერი თუ მფლობელი; დაზუსტებულია ამ ხელნაწერთა გადაწერის თარიღი, ადგილი და სხვ. (იხ. *დედაბრული ხელი*).

ლიტ.: ათანელიშვილი ლ., ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბ., 1982 (იქვე – ბიბლიოგრაფია). *ც. ქურციკიძე.*

კუმურდოს წარწერები, 964, XI, XVI სს-ის ქართული ასომთავრული რელიეფური და ამოკვეთით შესრულებული წარწერები, რ-ებიც მოთავსებულია კუმურდოს კათედრალური ტაძრის (ისტ. ჯავახეთში, ახალქალაქის სამხრ.-დას-ით მე-12 *კმ*-ზე) კედლებზე. კ. წ.

მრავალფეროვანია შინაარსითა და დანიშნულებით — სამშენებლო, მემორიალური, განმარტებითი, სააღაპე. მთავარი, თავდაპირველი სამშენებლო წარწერა მოთავსებულია ტაძრის სამხრ. შესასვლელის არქიტრავზე. წარწერა გამორჩეულია იმ მხრივ, რომ მასში იშვიათი სიზუსტით არის მითითებული ტაძრის მშენებლობის დასრულების თარიღი. მისი ტექსტი ასეთია:

„შეწევნითა ღმრთისაჲთა. იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ ჴელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაჲთა. ლეონ მეფისა ზე, ადიდენ ღმერთმან. ქრონიკონსა რპდ, თუესა მაისსა ა, დღესა შაფათსა, ა მთუარისასა, ერისთეობასა ზუიადისა; ესე ბალავარი მან დადვა: ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა. ამენ". ამის მიხედვით, კუმურდოს ტაძარი აუშენებია იოვანე ეპისკოპოსს ლეონ აფხაზთა მეფის დროს, 964 წელს, ადგილობრივი ხელისუფლის ზუიას ერისთაობისას. ტაძრის ხუროთმოძღვარი ყოფილა საკოცარი.

ასევე 964-ით თარიღდება ტაძრის კიდევ ათამდე წარწერა — იოვანე ეპისკოპოსის მემორიალური აღმ. ფასადზე, მაშენებელთა კვირიკესი და გიორგისა, როგორც ჩანს, სამუშაოთა ხელმძღვანელისა („საქმესა ზედამდგომისა", შდრ. *ოშკის წარწერა*) ტაძრის სამხრ. შესასვლელის არქიტრავის მარჯ. კუთხეში, ვაჩე ერისთავის სააღაპე სამხრ. ფასადზე; ადამის, ევას, ცისა და ქვეყნის, ადამიანის თავის რელიეფების სახით გადმოცემული სიმბოლური გამოსახულებებისა ტაძრის სამხ. და ჩრდ. ფასადების ნიშებში და სხვ.

X ს. II ნახ. და XI ს. I ნახ-ით თარიღდება ტაძრის სამხ. ფასადზე ამოკვეთილი შვიდი სააღაპე წარწერა, რ-ებიც გვამცნობენ, რომ სხვადასხვა კუმურდოელ ეპისკოპოსს სხვადასხვა დროს აღაპები დაუდგენია სხვადასხვა პირთათვის. ერთ-ერთი მათგანის ტექსტი ასეთია: „სახელითა ღმრთისაჲთა. მე, გრიგოლ ეპისკოპოსმან დაუდვი აღაპად ბზობის პარასკევი მოლოზონს — დღესასწაული წმიდათა მღდელთ — მოძღუართა, ვინ სრულობით არა გარდაიჴადოს, კრულია ამით ხატითა და ჩუენითა ჯუარითა. ფასი სრული აგუილია".

XI ს-ში, ბაგრატ IV-ის (1027–72) მეფობისას, კუმურდოელ ეპისკოპოსს, ზოსიმეს, ტაძრისათვის დას. მხრიდან მართკუთხა გარშემოსავლელი („შტოჲ") მიუშენებია. ამის შესახებ მას სამხრ. კედელზე კარნიზის გასწვრივ მოზრდილი ასოებით ერთ გრძელ სტრიქონად ვრცელი წარწერა ამოუკვეთინებია. წარწერის დასაწყისი ამჟამად ნაკლულია, მაგრამ მისი



კუმურდო. წარწერა ზოსიმე კუმურდოელის. XI ს.



კუმურდო. გოლიათის სააღაპე წარწერა. XI ს.

სრული ტექსტის აღდგენა ასე შეიძლება: „[+ ადიდენ ღმერთმან ბაგრატ მეფე და დედაჲ მა]თი მარიამ დედოფალი. აღეშენა შტოჲ ესე მეფობასა მათსა, მღდელთმოძღურობასა ზოსიმე კუმურდოელისასა [...]". სხვა წარწერით, იმავე ზოსიმე ეპისკოპოსს, უცნობი დავით ოქრომჭედლის ხელით „შეუმოსავს" ტაძრის საკურთხეველი, ბარძიმ-ფეშხუმი, ჯუარი (როგორც ჩანს, საკურთხევლის წინამდებარე) და შეუმკია ღმრთაების ხატი. ყოველივე ამის გამო მას დავითისათვის ორი მოსახსენიებელი (სააღაპე) დღე დაუდგენია — ბზობის კვირის პარასკევი და სამებობა — ბრწყინვალე შვიდეულის, ანუ აღდგომის კვირის შაბათი (ორივე გარდამავალი, მოძრავი ქრისტ. დღესასწაული). ამის შესახებ მას ვრცელი კიდურწაისრული წარწერა ამოუკვეთინებია ტაძრის სამხრ. ფასადზე, თვალსაჩინო და გამორჩეულ ადგილას: „სახელითა ღმრთისაჲთა. მე, ზოსიმე კუმურდოელმან შევმოსე საკურთხეველი, ბარძიმფეხშუმი(!), ჯუარი და შევამკე ხატი ღმრთაებისაჲ ჴელითა დავითისაჲთა. დაუდევ სალოცავად ბზობისა კ. კვრიელეისონითა; დეკანოზი შეუსუენებდეს წმიდასა სამებობასა შესუენებითა. კრულია ამით ხატითა, ვინ შეუცვალოს". სამწუხაროდ, დავით ოქრომჭედლის ზემოდასახელებულ არც ერთ ნამუშევარს ჩვენამდე არ მოუღწევია.

XVI ს. 10-იან წლებში კუმურდოს ტაძარში აღდგენითი სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია ადგილობრივ ხელისუფალს, პატრონ



კუმურდო. გიორგის წარწერა. 964.

ელისბალს და წარწერა ამოუკვეთინებია ტაძრის დას. მინაშენის დას. შესასვლელის ახალ არქიტრავზე: „✝ იესუ ქრისტე, დიდებული ჰყავ ორთავე შინა ცხორებათა მეორედ აღმაშენებელი პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მათი მარიხ, ძენი მათნი და ასულნი მათნი; ამენ". წარწერაში დასახელებული პირები ცნობილია სხვა წყაროებიდან (მათ შესახებ მასალები გამოაქვეყნეს ე. თაყაიშვილმა, ქ. შარაშიძემ, გ. ცისკარიშვილმა). მათზე დაყრდნობით, წარწერის თარიღი 1511–15 განისაზღვრება. იმავე არქიტრავზე ამოკვეთილია ამ წარწერის თანადროული სხვა წარწერები; ერთი ზოსიმე კუმურდოელის, ხოლო მეორე – გალატოზ მიქელის მოსახსენებელია.

კ. წ. ქართ. ეპიგრაფიკის გამორჩეული, მნიშვნელოვანი ძეგლებია როგორც ენობრივად, ისე მათში ასახული ისტ. ცნობებით, დასახელებულია მრავალი ისტ. პირი, რ-თა მოღვაწეობის პერიოდი X–XVI სს. მოიცავს. ეს წარწერები შეისწავლეს და გამოაქვეყნეს მ. ბროსემ (1847), ი. როსტომაშვილმა (1881), ე. თაყაიშვილმა (1902), ნ. ბერძენიშვილმა (1933–64), გ. ცისკარიშვილმა (1959) და სხვ.

ლიტ.: ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ., კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994 (იქვე – ბიბლიოგრაფია).

ვ. სილოგავა.



ლ, ქართული ანბანის მეთერთმეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეთორმეტე) ასო. მისი სახელია „ლასი“; გრაფ. სიმბოლო ლატერალური სონორი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴊ. მისი მოხაზულობა წრისა და ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური ⴊ კუთხოვანი ფორმისაა, მარჯვნივ გადახრილი და ოთხხაზოვანი სისტემის შუა ორ ხაზშია მოთავსებული. ლ-ს მხედრულში საყრდენი ფეხი აქვს და ქვედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ოცდაათს (30).

ლაბიალური ბგერები (ლათ. labialis), ბაგისმიერი ბგერები, თანხმოვნები და ხმოვნები, რ-ებიც ბაგეების სხვადასხვაგვარი მოძრაობით წარმოითქმება. თუ ბგერის წარმოთქმაში ორივე ბაგე მონაწილეობს, წარმოითქმის წყვილბაგისმიერი ხშულ-მსკდომი. მას ბილაბიალურს, წყვილბაგისმიერს უწოდებენ. არის თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისას მხოლოდ ერთი ბაგე მონაწილეობს, მათ ლაბიოდენტალურ, კბილბაგისმიერ თანხმოვნებს უწოდებენ. მათი წარმოთქმისას ქვედა ბაგე ზედა საჭრელი კბილების კიდეს ებჯინება. ქართულში ასეთია ვ. მრავალ ენაში მჟღერ ვ ბგერას უპირისპირდება ყრუ კბილბაგისმიერი თანხმოვანი, რუსული ф-ს მსგავსი. ყრუ ბგერათა მეზობლად ქართული ვ-ც ф-ს მსგავსად წარმოითქმის (მაგ., ყრუ თ-ს წინ სიტყვაში ნავთი), მაგრამ ამას სიტყვის მნიშვნელობის ცვლა არ მოსდევს. ქართ. ენობრივი სმენა ამ სხვაობას ვერც ამჩნევს. მჟღერობა-სიყრუის ნიშნით საპირისპირო ერთეულის უქონლობა ვ-ს სონორ თანხმოვნებთან აახლოებს (იხ. *სონორები*).

ქართ. ენის დიალექტებში გვხვდება კბილბაგისმიერი ვ-ს წყვილბაგისმიერი ვარიანტიც.

ბაგეთა მომრგვალებით და წინ წაწევით წარმოითქმის ხმოვნები უ, ო. ბაგეთა ხშვით და ამ ხშვის ერთბაში მოშლით — თანხმოვნები ბ, ფ, პ. ბაგისმიერ თანხმოვნად მიიჩნევენ ნაზალურ მ-საც. ისიც ბაგეთა ხშვით ხასიათდება, ოღონდ მის წარმოსათქმელად საჭიროა ამ ხშვის არა მოშლა, არამედ, პირიქით — შენარჩუნება. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ჰაერნაკადი ცხვირისმიერი მ-ს წარმოთქმისას პირის ღრუდან არ გამოვიდინოს. *ზ. ჯაფარიძე.*

ლაზური ენა, ლაზური, ლ. ე., ისევე როგორც ქართული, სვანური და მეგრული ენები, ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება და მეგრულთან ერთად ამ ოჯახის ზანურ ენათა ჯგუფს ქმნის. ტერმ. „ლაზურის“ გვერდით ლიტ-ში გამოიყენება „ჭანურიც“. ზოგი მკვლევარი უპირატესობას აძლევს ლაზურს, ზოგი — ჭანურს, ზოგისთვის კი ეს ტერმინები სინონიმურია. ამ ენაზე მოლაპარაკეები თავიანთ თავს ლაზს/ლაზებს უწოდებენ, ჭანფუძე მათთვის, როგორც წესი უცნობია.

ლაზები კომპაქტურად სახლობენ შავი ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე, საქართვ. საზღვრისპირა სოფ. სარფში და თურქეთში — ართვინის ვილაიეთის ხოფის, ბორჩხისა და არქაბის ილჩეებსა და რიზეს ვილაიეთის ფინდიქლის, ართაშენის, ჩამლიჰემშინისა და ფაზარის ილჩეებში. ბევრი ლაზი ცხოვრობს თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. ლაზთა ცალკეული ოჯახები გაბნეულია დას. საქართვ. ზოგ რეგიონში (აჭარა, აფხაზეთი, გურია და სამეგრელო).

ლაზურში დიალექტურ ერთეულთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: დასავლური (შემადგენელი კილოკავების სახელწოდებათა მიხედვით — ათინურ-ართაშენული და ვიწურ-არქაბული) და აღმოსავლური (ხოფურ-ჩხალური). დასავლური და აღმოსავლური დიალექტები მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც ფონეტ.-გრამატ., ისე ლექსიკურადაც. ამასთან, ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ენობრივი თავისებურებით ერთ-ერთი დასავლური დიალექტი აღმოსავლურთან იჩენს მეტ სიახლოვეს, ან დიალექტების შიგნით კილოკავები და ცალკეული თქმები უპირისპირდებიან ერთმანეთს და სხვა დიალექტების ჩვენებას იმეორებენ.

ლაზურის ხმოვნებია: შუა რიგის ა, წინა რიგის (პალატალური) ე, ი, უკანა რიგის (ლაბიალური) ო, უ. ნქამიერ თანხმოვნებში გამოიყოფა 6 ლოკალური რიგი: ლაბიალური (ბ, ფ, პ; ?/ვ, ბ), დენტალური (დ, თ, ტ), წინაალვეოლარული (ძ, ც, წ; ზ, ს), უკანაალვეოლარული (ჯ, ჩ, ჭ; ჟ, შ), ველარული (გ, ქ, კ; ღ, ხ, ყ) და ლარინგალური (ჰ). ამ რიგებში შემავალი ხშულები სამეულებს ქმნიან (მკღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი), ნაპრალოვნები კი – წყვილეულებს (მკღერი, ფშვინვიერი); მხოლოდ ველარულებში გვაქვს გლოტალიზებული სპირანტიც (ყ) და ლარინგალურ რიგში ერთი ნაპრალოვანი (ჰ). სონორი თანხმოვნები იყოფა ორ ჯგუფად: ნაზალურებად (ლაბიალური მ, დენტალური ნ) და ორალურებად (გვერდითი – დენტალური ლ, პირდაპირები – ალვეოლარული რ და პალატალური ?).

ლაბიალური ფშვინვიერი სპირანტი ჲ საკუთრივ ლაზურ სიტყვებში მეტად შეზღუდულად იხმარება და, როგორც წესი, ნასესხებ სიტყვებში გვხვდება. ლატერალური ლ ზოგ თქმაში პალატალიზებულია უკანა რიგის ხმოვანთა წინაც. გლოტალიზებული სპირანტი ყ მხოლოდ ხოფურ-ჩხალურშია დაცული ხმოვნებისა და ვ, ლ თანხმოვანთა წინ. ფუძისეული ნქამიერი თანხმოვნის მომდევნო ველარული ყ სპირანტი ლაზურში ვერ ძლებს. ხოფურ-ჩხალურსა და ვიწურ-არქაბულში ამოსავალი ტყ, წყ, ჭყ კომპლექსები ტქ, წქ, ჭქ დ არის ცვლილი; ათინურ-ართაშენულში კომპლექსები გამარტივებულია მეორე წევრის დაკარგვით. აქ ამავე წესით მარტივდება ველარული კ ხშულის შემცველი კომპლექსებიც. ხოფურ-ჩხალურში დადასტურებული პყ, ტყ, წყ, ჭყ კომპლექსების შემცველ ფუძეთა მეტი წილი ქართულიდან არის ნასესხები; ორიოდე შემთხვევა გვაქვს კომპლექსებში კ-ს ყ-თი შენაცვლებისა. ასევე გვიანდ. ფონეტ. პროცესების შედეგია გლოტალური ხშულის შემცველი კომპლექსის სპორადული გამოვლენა ათინურ-ართაშენულში: ტქვა (< თქვა) „თქვენ“, ტქუ (< თქუ) „თქვა“.

ფონეტ. პროცესებიდან აღსანიშნავია ნაზალური მ, ნ-ს განვითარება სიტყვის ანლაუტში; რ-ს დაკარგვა ხმოვნებს შორის; სიტყვის ბოლოკიდური ს-ს დასუსტება ?-ად და ველარულ ხშულთა პალატალიზაცია-აფრიკატიზაცია (გ > ჯ, ქ > ჩ, კ > ჭ) წინა რიგის ხმოვნებისა და პალატალური თანხმოვნის წინ ათინურ-ართაშენულში; ხმოვნის მეორეული სინკოპირება და ბ-ს განვითარება ფუძისეული მ-ს შემდეგ ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში (თოფრი „თაფლი“, თხომბუ „თხმელა“, შდრ. ხოფურ-ჩხალურისა და არქაბულის თოფური, თხომუ); ველარული თანხმოვნების მომდევნო ვ ლაბიალის დაკარგვა ი ხმოვნის წინ ათინათურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში (შქით „შვიდი“, კინჩი „ჩიტი“ – შდრ. ხოფურ-ჩხალური შქვით, კვინჩი).

მახვილი სუსტია, ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს, ჩვეულებრივ, ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, ათინურ-ართაშენულში ხშირად – მეორეზე.

ყველა სახელის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება. ბოლოკიდური -ი ორდა მეტმარცვლიან ფუძეებში ისტორიულად სახ. ბრუნვის ნიშანია. გამოიყოფა ბრუნვები: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი – -0), მოთხრობითი (-ქ), მიცემითი (-ს), ნათესაობითი (-შ/-ში), მიმართულებითი (-შა/-შე), დაშორებითი (-შენ), მოქმედებითი (-თე/-თენ). ათინურ-ართაშენულში ერთიანი მიმართულებით-დაშორებითი ბრუნვაა (-შა/-შე); ამავე დიალექტის ზოგ თქმაში სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი ერთნაირად, ნულოვანი ნიშნით, არის წარმოდგენილი. სახელთა მრ. რიცხვის სუფიქსის ალომორფებია -ფე, -ეფე, -ლეფე, -ელეფე. მათი განაწილება დიალექტურ ერთეულთა (აგრეთვე, მეტყველების ნაწილთა) მიხედვით განსხვავებულია.

ზმნა იუღლება სუბიექტ. და სუბიექტ.-ობიექტ. წყობით, პირისა და რიცხვის გამოხატვის წესი ისეთივეა, როგორიც მეგრულში. სუბიექტ. პირის ნიშანთა ალომორფებია: I პირისა – ვ-, ბ-, ფ-, ბ-, პ-, პპ-, მ-, O-; II პირისა – 0-; III პირისა – -ს/-ნ/-უ; ობიექტურისა: I პირისა – მ-, მპ-; II პირისა – გ-, ქ-, კ-, კმ-; III პირისა – 0-.

ქცევა სამია: ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო. სასუბიექტო ქცევის ფორმები მხოლოდ კუთვნილებით ურთიერთობას გადმოსცემენ და არა დანიშნულებითს: ნიკვათუ „მოიჭრა“ (თავისი და არა თავისთვის).

განირჩევა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარი. ვნებითი შეიძლება იყოს ი-პრეფიქსიანი (ერთპირიანი), ა-პრეფიქსიანი (ორპირიანი) და ნულნიშნიანი. ორპირიანი ვნებითის ფორმებს ინვერსიული წყობის შემთხვევაში პოტენციალისის გაგება აქვთ (აჭკომენ „შეუძლია (შე)ჭამოს)“.

გამოიყოფა მწკრივთა ორი რიგი: ძველი, ანუ ძირითადი (მეგრულთან საერთო) და ახალი, ძირითად მწკრიევებზე დამყარებული (საკუთრივ ლაზური) მწკრიევები. მწკრიევები სამ სერიად ჯგუფდება. სერიებად დაჯგუფებისათვის ამოსავალია ძირითადი მწკრიევები. გვიანდ. მწკრიევები, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მწკრიევებზე არიან დაყრდნობილი, შესაბამის სერიას განეკუთვნებიან. მწკრიევთა სისტემა ასეთია: I სერია – აწმყო, ნამყო უსრული, „ნანამყოუსრულარი“ თურმეობითი, პირობითი I, კავშირებითი I, მყოფადი I, მყოფადი I-ის ნამყო; II სერია – აორისტი, ნააორისტალი თურმეობითი I, ნააორისტალი თურმეობითი II, პირობითი II, კავშირებითი II, მყოფადი II, მყოფადი II-ის ნამყო, ნააორისტალი თურმეობითის პირობითი, მყოფადის ნამყოს თურმეობითი, მყოფადის ნამყოს პირობითი; III სერია – ინვერსიული თურმეობითი I, ინვერსიული თურმეობითი II, პირობითი III, კავშირებითი III. მყოფადებისა და არაინვერსიული თურმეობითების წარმოების წესით დასაველური და აღმოსაველური დიალექტური ერთეულები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. გარდამავალი ზმნები I და II სერიის მწკრივთა ფორმებთან სუბიექტს მოთხრ. ბრუნვაში შეიწყობენ, პირდ. ობიექტს – სახელობითში. გარდამავალ ზმნათა III სერიის მწკრიევები ინვერსიულია: სუბიექტი მიც. ბრუნვაში დგას, პირდ. ობიექტი – სახელობითში. გარდაუვალ ზმნებს III სერიის ფორმები, ჩვეულებრივ, არ ეწარმოებათ, გამონაკლისია მეშველზმნიანი ყოფერენ „ყოფი-

ლა“, დოყოფუმერენ „დამწიფებულა, მოწეულა“ ფორმები (ხოფურ-ჩხალურში) და რამდენიმე ზმნა, რებიც, გარდამავალთა მსგავსად, ინ-ერესიულად იუღლებიან (უხთიმუნ, ულვაფუნ „უელია, წასულა“, გ?უხუნუნ „შემჯდარა“). ინვერსიულად ნაუღლები გარდაუვალი ზმნები სუბიექტს ზოგ თქმაში მიცემითის, ზოგში კი სახელობითის ფორმით შეიწყობენ.

მასდარის მაწარმოებელია ო- – -უ ცირკუმფიქსი (უპრეეერბო ფორმებში – ოჭარუ „წერა“) და -უ სუფიქსი (პრეეერბიანებში – მეხთიმუ „მისელა“). სპორადულად გეხედება -ა სუფიქსიც: ღურა „სიკედილი“, წილვა „ნოემბერი“ (ეტიმოლოგიურად – „კრეფა“). სამიეე გვარის მიმღეობების გვერდით მათი ფუნქციით გამოიყენება ზმნური ფორმაც, რ-იც ასეთ შემთხვევაში სახელიეით იბრუნება; მაგ., ულუნ-მულუნ-ქ „გამელელ-გამომელელმა“ („მიდის-მოდის-მა“).

ქართულის მსგავსად, გარდამავალ ზმნათა სუბიექტის ბრუნვებია: I სერიაში – სახელობითი, II სერიაში – მოთხრობითი, III სერიაში – მიცემითი; პირდ. ობიექტისა: I სერიაში – მიცემითი, II და III სერიებში – სახელობითი. გარდაუვალ ზმნებს III სერიაში მეშვეელზმნიანი წარმოება აქვთ. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ზმნა. გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი I სერიაში სახელობითშია, II სერიაში – მოთხრობითში, III სერიაში მეშვეელზმნიანი ფორმებისა სახელობითშია, ინვერსულებისა კი – მიცემითში.

მასდარს ძირითადად აწარმოებს სუფიქსი -ა, რ-ის წინ შეიძლება იდგეს თემის ნიშანი ან თემისნიშნისეული ელემენტი (ღურ-ა „სიკედილი“, ცქე-აფ-ა „ქება“, თას-უ-ა „თესვა“). მასდარის მაწარმოებელი კონფიქსი ო- – -უ მხოლოდ მიმართულებით და დაშორებით ბრუნვათა ფორმებშია დაცული (ომუშებუშა „სამუშაოდ“, ომუშებუშე „სამუშაოდან“).

სახელურ ჯგუფში პრეპოზიციური წყობა უფრო გაერცელებულია, თუმცა იშვიათად პოსტპოზიციურიც იხმარება. ორიეე წყობის შემთხვევაში სახელური ჯგუფის ბოლო წევრი იცვლება ბრუნვათა მიხედვით, წინას კი ბრუნვის ნიშნის ნულოვანი ალომორფი აქვს. ასევე თანწყობით სახელურ ჯგუფში უკავშიროდ ან დო „და“ კავშირით შეერთებულ ერთგვაროვან წევრთაგან მხოლოდ ბოლო წევრი დაირთავს სათანადო ბრუნვის ნიშანს, სხვები კი წინამავალი მსაზღვრელის ან საზღვრულის მსგავსად იქცევიან.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), ტფ., 1936; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938; ჟღენტი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953; გამყრელიძე თ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, თბ., 1962; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; მელიქიშვილი ი., ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბგერათფარდობის ახსნისათვის: კრებ. „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 1981; ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2000; ქართოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005; Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка, с хрестоматию и словарем, СПб., 1910; Кипшидзе И. А., Дополнительные сведения о чанском языке (Из лингвистической экскурсии в Русский Лазистан), СПб., 1911; Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962; Klimov G. A., Etymological Dictionary of the Kartvelian Languages. Berlin, New York, 1998.

გ. ქარტოზია.

ლარინგალური თანხმოვნები (<ბერძნ. larynx – ხორხი), ყელისმიერი, ხორხისმიერი თანხმოვნები, რ-თა წარმოსათქმელად საჭირო ხშვა ან ნაპრალი. წარმოიქმნება ლარინგსში (ხორხში) სახმო სიმების მეშვეობით. სალიტ. ქართულში გეხვდება მხოლოდ ერთი ლარინგალი – სპირანტი ჰ. ლარინგალურია მეგრული ხშულ-მსკდომი ღ (მაგ., სიტყვაში ღუდე). *ზ. ჯაფარიძე.*

ლატერალური თანხმოვნები (<ლათ. lateralis), გვერდითი თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმის დროს კბილებსა თუ სასას მიბჯენილი ენა პაერნაკადს გასასვლელს უტოვებს ერთ-ერთი ან ორიეე ლოყის გასწვრივ. იმის მიხედვით, ცალ მხარეს რჩება პაერნაკადის გასასვლელი, თუ ორივე მხარეს, გაირჩევა თანხმოვნის ცალგვერდითი, მონოლატერალური და ორგვერდითი, ბილატერალური სახესხვაობები. ქართულში გვხვდება ლ. თის ორიეე სახესხვაობა. მათი ურთიერთჩანაცვლება სიტყვებს არ განასხვაეებს. *ზ. ჯაფარიძე.*

ლაფონი (Lafon) რენე (4. VIII. 1899, მერინაკი, ბორდოს ახლოს, – 4. II. 1974, არკაშონი, იქვე), ფრანგი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, კავკასიოლოგი, ქართველოლოგი. ბორდოს უნ-ტის პროფესორი (1948), საფრანგეთის მხატვრული ლიტ-რის აკად. წ.-კორ. (1952), ბილბაოს აკად. წევრი (1955). 1937-იდან იკელეედა კავკ. ენებთან ბასკური ენის ნათესაობის საკითხს. 1944 დაიცვა დისერტაცია თემაზე „ბასკური ზმნის სისტემა მეთექვსმეტე საუკუნეში“ (ტ. 1–2). ლ-ს 100-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის. მან ფრანგ. ენაზე თარგმნა ა. შანიძის „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“, „ევფხისტყაოსნის“ ცალკეული თაეები, ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“, ა. წერეთლის „სულიკო“, ე. წერეთელთან ერთად ი. აბაშიძის „ხმა გოლგოთასთან“ და სხვ. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს რეცენზიები და სტატიები ქართვ. მეცნიერთა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, ი. ცერცვაძე, ბ. ფოჩხუა და სხვ.) ნაშრომებზე. 1969 თსუ სამეცნ. საბჭომ ქართ. ენის შესწავლისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის ლ-ს თსუ საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.



რ. ლაფონი.

თხზ.: Les origines de la langue basque, P., 1951; Pour faire mieux connaître la langue géorgienne. – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. 4–5, Paris, 1958; Ergatif et passif en basque et en géorgien. – «Bulletin de la Société de linguistique de Paris», 1971, t. 66; ბასკური ენა. – წგ.: ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური პიპოთეზა, თბ., 1976.

ლიტ.: თურნავა ს., რენე ლაფონი და საქართველო, თბ., 1969; მისივე, XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999.

ს. თურნავა.

ლეონტი მროველის წარწერა 1066, ნუსხური ოცსტრიქონიანი წარწერა, ამოკვეთილი მწვანე ქვის სტელაზე. ოთხკუთხა სტელა (ზომა 64,5×25,5×12,5 *სმ*) აღმოჩნდა 1957 თრეხვის ქვაბებში (ქარელის რ-ნი, მდ. ხვედრულის ხეობის მარცხენა მხარე). მას მიაკვლია სადაზვერვო ჯგუფმა, რ-შიც შედიოდნენ: ლ. გოთუა – მწერალი, ა. ნემსიწვერიძე – მთამსვლელი, გ. ხეცურიანი – ექიმი და გ. გაფრინდაშვილი – არქიტექტორი, რ-მაც გამოსცა ეს წარწერა. წარწერიანი სტელა ამჟამად დაცულია საქართვ. მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში. დამუშავებულია სტელის მხოლოდ წინა მხარე. კომპოზიციურად იგი იყოფა ორ თითქმის თანაბარ ნაწილად. ზედა ნაწილი ოთხკუთხედ ჩარჩოშია ჩასმული შუაში ამოღარული მარტივი გრეხილი ორნამენტით. ჩარჩოს შიგნით არის ასეთივე ორნამენტიანი, მკლავებზე წეროებგაფართოებული ჯვრის (ზომა: 25×16 *სმ*) გამოსახულება. სტელის ქვედა ნახევრის შუა ნაწილი უჭირავს მსხვილ, მრგვალ ღეროს. მის თავზე დასმულია მრგვალი, რელიეფური კოპი, ხოლო მასზე აღმართულია ზედა ნაწილში გამოსახული ჯვარი. ქვედა ნაწილის ღერო ქვემოთ ორად იყოფა და თითოეული ნაწილი ბოლოდება პალმეტებით. მთელი კომპოზიცია „აყვავებულ ჯვარს" გამოსახავს. ჯვრის ზედა მკლავის ორივე მხარეს ასომთავრულით ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი წარწერა: „წმიდაჲ მიქაელ მთავარანგელოზი". განივი მკლავების ქვემოთ, ჯვრის ბუდეებში, ვერტიკალური მკლავის ორივე მხარეს ამოკვეთილია წარწერა:

„მე, ლეონტი მროველმან, დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათჳს ღმრთაებისა, და დღესა ჭირისასა ნაეთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათჳს, ჟამთა შინა ალფარსალან სულტანისაგან ოხრობისათა. ქრონიკონსა სპვ".

წარწერაში აღნიშნული ქრონიკონი სპვ 1066-ს შეესაბამება. წარწერის მიხედვით, მეტი დამაჯერებლობა მოიპოვა თეალსაზრისმა (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი), რომ „ქართლის ცხოვრების" კრებულის პირველი ბირთვის შემდგენელი და მისი პირველი სამი თხზულების ავტორი, ისტორიკოსი ლეონტი მროველი არის XI ს. მოღვაწე, სას. პირი და რუისის მღვდელმთავარი. ეს იმ შემთხვევაში, თუ წარწერას და „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებულ ლეონტი მროველს გავაიგივებთ. ამას გარდა, წარწერა მოგვითხრობს თურქ-სელჯუკთა სულთნის ალფ-არსლანის ქართლზე გალაშქრების შესახებ და გადმოგვცემს ერთ-ერთი ასეთი შემოსევის ზუსტ თარიღს – 1066. ასევე, წარწერაში აღნიშნულია, რომ რუისის საყდრის მთავარი სიწმიდის – „ღმრთაების" ხატის – თავშესაფრად მღვდელმთავარს ქვაბი აუშენებია, რ-იც ტაძრის საყდრის შეილთა თავშესაფარი („ნავთსაყუდელი") შეიძლებოდა ყოფილიყო.

ლიტ.: გაფრინდაშვილი გ., ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან. — «საქართვ. მეცნ. აკადემიის სას. მეცნ. განყ-ების მოამბე», 1961, №1.

ე. სილოგავა.

ლექსემა (ინგლ. lexeme < ბერძნ. lexis – სიტყვა, გამოთქმა), სიტყვა – ენის სემანტიკური სისტემის ერთეული. ლ. განისაზღვრება როგორც ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობა (ლექსიკურ-სემანტიკური ერთიანობა). სიტყვის პარადიგმატული უნარი გამოიხატება ტერმინით „ლ.", ხოლო მისი სინტაგმატური შესაძლებლობა ტერმინით – *სიტყვაფორმა*.

ლ. სიტყვაფორმათაგან განყენებული, აბსტრაჰირებული ერთეულია. მაგ., მხოლოდ გრამატიკულად განსხვავებული სიტყვაფორმები: სახლმა, სახლის, სახლად... ქმნიან ერთ ლ-ს. სალექსიკონო ერთეული, წარმოდგენილი პარადიგმის ერთ-ერთი წევრის სახით, პირობითად არის ლ., ანუ ასევე აბსტრაჰირებული ერთეული (მაგ. ქეგლ-ის სალექსიკონო ერთეულები: წერ-ს, სახლ-ი...). ლ-ის ცნება მოითხოვს აგრეთვე ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტებისაგან სიტყვის განყენებულად წარმოდგენას. კერძოდ, პოლისემიის შემთხვევები ერთ ლ-დ გაიგება: – 1. მხედველობის ორგანო; 2. ძერწვასი ქვა; 3. ცალკეული უჯრედი...; ერთ ლ-ად გაიგება კომპოზიტები: მიწა-წყალი, ერთგული...; შედგენილი საკუთარი სახელები: დიდი ჯიხაიში, დედოფლისწყარო..., მყარი შესიტყვებები: თვალში არ მოსდის, ყურს სჭრის და მისთ.

ლიტ.: Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Слово в грамматике и словаре, М., 1984.

ა. არაბული.

ლექსიკა (< ბერძნ. lexikós — სიტყვისა), ენაში არსებული სიტყვათა მარაგი, ენის ლექსიკური ფონდი.

ლ. უშუალოდ ასახავს ენობრივი კოლექტივის ყოფას, ისტ.-ეთნ. რეალობას, მატერ. და სულიერ კულტურას და ამ თვალსაზრისით ის შეუცვლელი ისტ. წყაროა. ენის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, ლ. იოლად შეღწევადია და შედარებით სწრაფად იცვლება. ლ-ის ისტ. ცვალებადობაში გარკვეულ როლს თამაშობს გარეენობრივი გავლენები. მაგ., ქართულში (ისევე როგორც ბევრ სხვ. ენაში) ქრისტ. კულტურასთან დაკავშირებული ლ. უმთავრესად ბერძნ. ენისაგან არის დავალებული, მესაქონლეობის ბევრი ტერმინი აღმოსავლური ენებიდან არის შეთვისებული, ხოლო XX ს.

სამეცნ.-ტექნ. რეფორმაციამ გამოიწვია ევრ. ენებიდან მთელი ტერმინოლოგიური პლასტების შემოჭრა (იხ. *ნასესხობა*).

მეორე მხრივ, ლ-ის ცვალებადობას განაპირობებს ენის შინაგანი სიტყვაწარმოებითი პოტენციის მოქმედება – *დერივაცია* და *კომპოზიცია*, *პოლისემია*, *ლექსიკალიზაცია* და მისთ.

ლ-ის ისტ. დინამიკურობა არის საფუძველი ლექსიკური პარადიგმატიკის მრავალფეროვნებისა. ლ. განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სხვადასხვა ისტ. და ენობრივ დანაშრევს შეიცავს. სინქრონიულ დონეზე წარმოდგენილ ბუდეებში ერთდროულად შეიძლება გამოვლინდეს როგორც ძველი ლექსიკა (*არქაიზმები*), ისე ახალი (*ნეოლოგიზმები*), დიალექტური და პროფესიულ-ჟარგონული და სხვ. ლექსიკური ერთეულები. ამ მრავალფეროვნების შესაბამისად ტერმ. „ლ.“ გამოიყენება ეიწრო გაგებითაც: პროფესიული ლ., დარგობრივი ლ., დიალექტური ლ., ჟარგონული ლ., ნასესხები ლ., საყოფაცხოვრებო ლ., პოეტური ლ., „ეფიხისტყაოსნის“ ლ., ექსპრესიული ლ., ვულგარული ლ. და მისთ. ლ-ის ცალკეული ჯგუფების გამოყოფის საფუძველია გარკვეული მეთოდით, თუ თვალსაზრისით კონკრეტული ენობრივი ქვესისტემების შესწავლის აუცილებლობა, სისტემატიზაციის, კლასიფიკაციის, ანალიზის ინტერესები. მაგ., გამოიყოფა სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები; საზოგადო და საკუთარი, აბსტრაქტული და კონკრეტული სახელები; სინონიმური და ომონიმური მიმართებები და მისთ. ლ-ის სპეციფ. ნაწილს შეადგენს *ფრაზეოლოგიზმები*, როგორც ლექსიკალიზებული შესიტყვებანი.

ლ-ის შემსწავლელი უმთავრესი დისციპლინებია *ლექსიკოლოგია* (იხ. *სემანტიკა*), ონომასიოლოგია, *სტილისტიკა*, *ეტიმოლოგია*, სოციოლინგვისტიკა... სალექსიკონო კლასიფიკაციის ასპექტით კი – *ლექსიკოგრაფია*.

ა. არაბული.

ლექსიკალიზაცია (ფრანგ. lexicalisation), მორფემების, სიტყვაფორმების ან სიტყვათშეერთებების (შესიტყვებების) გადაქცევა დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად. ენაში ამ პროცესის სხვადასხვაგვარი გამოვლინება შეიძლება დადასტურდეს. მაგ., ლ-ა მორფემების გადაქცევა დამოუკიდებელ სიტყვებად (ობა, წინა, იზმი... „თბილისი სულ დღეობებზე დადიოდა და ობების გატარებაში იყო. სამი ობა ერთად დაუდგა თბილისელებს: ფეთხაირობა, სიონობა, ანჩხატობა“. «იველია»); ცალკეულ გრამატ. ფორმათა ჩამოყალიბება ლექსიკურ ერთეულებად (არსი, უწყისი...); სიტყვათშეერთებათა ლექსიკური გამთლიანება (რკინი/ს/გზა, ერთგული, თავქუდმოგლეჯილი, ნაგეში...). ლ. ცოცხალ ენაში მუდმივად მიმდინარე პროცესი, ლექსიკის გამდიდრების შინაგანი ენობრივი რესურსია.

ა. არაბული.

ლექსიკოგრაფია (< ბერძნ. lexikós – სიტყვისა და gráphō – ვწერ), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც ამუშავებს ლექსიკონის შედგენის თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებს. პრაქტ. ლ-ის განვითარებაში სამი ძირითადი პერიოდია გამოყოფილი: ა) ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ ა მ დ ე ლ ი პერიოდი, როდესაც განმარტავდნენ ცალკეულ ძნელად გასაგებ სიტყვებს, ადგენდნენ ე. წ. *გლოსებს*, *გლოსარიუმებს*, ეტიმოლოგიებს (სასწ. დანიშნულების კრებულებს)...; ბ) ადრეული ლექსიკოგრაფიული პერიოდი: საუბარო ენისაგან განსხვავებით, სალიტ. ენის ლექსიკისა და შესიტყვებების შესწავლა, მოგვიანებით – პასიური ტიპის თარგმნითი ლექსიკონები, როცა სხვა ენის ლექსიკა განიმარტებოდა მშობლიური ენით, შემდეგ – აქტიური ტიპის თარგმნითი ლექსიკონები, რ-ებიც ეყრდნობოდა ცოცხალ ხალხ. მეტყველებას (მაგ., ფრანგულ-ლათინური, ინგლისურ-ლათინური ლექსიკონები) და, აგრეთვე, ცოცხალი ენების ორენოვანი ლექსიკონები; გ) განვითარებული ლ-ის პერიოდი – ნაციონალური ლიტ. ენების განვითარების ნაყოფი, რ-ის ძირითადი ფუნქციაა ენის ლექსიკური ფონდის აღწერა და ნორმალიზაცია, საზ-ბის ენობრივი კულტ. ამაღლება (განმარტებითი, *ტერმინოლოგიური ლექსიკონი*, *ორთოგრაფიული ლექსიკონი*, *სინონიმთა ლექსიკონი*, გრამატიკული, *იდეოგრაფიული ლექსიკონი*, *ინვერსიული ლექსიკონი*).

ლ. აღრიცხავს და აღგენს ლექსიკონთა ტიპებს, აყალიბებს ცალკეულ სახეობათა შედგენის პრინციპებს. ლ-ის პრაქტ. ფუნქციაა ლექსიკურ ერთეულთა თაემოყრა და სისტემატიზაცია, სიტყვათა რაოდენობის განსაზღვრა, სალექსიკონო ფორმის შერჩევა (სათანადო ენის გრამატ. წყობის გათვალისწინებით), სალექსიკონო სტატიის პრინციპების დადგენა – სიტყვათა ანბანურად თუ ბუდობრივად გაწყობა, განმარტებათა სახეობების გამომუშავება, მნიშვნელობათა და ნიუანსურ სხვაობათა, მეტაფორულ და ფიგურალურ ხმარებათა გათვალისწინება, სადოკუმენტაციო ფონდის შერჩევა და სხვ.

თანამედროვე ლ-ის თეორიის მახასიათებლებად მიიჩნევენ: ა) ლექსიკის სისტემურობას, ლექსიკონებში სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის გათვალისწინებას სხვა სიტყვებთან მიმართებით; ბ) აღმნიშვნელისა და აღსანიშნის მიმართებათა ცვალებადობას (მნიშვნელობის ცვლა მეტყველებაში და მისთ.); გ) ენის გრამატიკასა და სინტაქსთან, მორფოლოგიასა და ფონეტიკასთან, განსაკუთრებით კი *ლექსიკოლოგიასთან* ლ-ის მჭიდრო კავშირის აღიარებას.

თანამედროვე ლ-ის დამსახურებაა მის მიერ ლექსიკონების დიდი სოც. მნიშვნელობის აღიარება, ხაზგასმა იმისა, რომ ეპოქის მიღწევები თავს იყრის ლექსიკონებში.

საქართველოში ლექსიკოგრაფიული მუშაობის დიდი ტრადიცია არსებობს: *განმარტებითი ლექსიკონი*, *დიალექტური ლექსიკონი*, *თარგმნითი ლექსიკონი*, იდეოგრაფიული ლექსიკონი, ინვერსიული ლექსიკონი, *ისტორიული ლექსიკონი*, სიმფონია, სინონიმთა ლექსიკონი, *სპეციალური ლექსიკონი*, *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*, *ფრაზეოლოგიური ლექსიკონი*. გარდა ამისა, მონოგრაფიულადაა შესწავლილი ცალკეულ მწერალთა ლექსიკონები. გამოცემულია ვაჟა-ფშაველას (ა.

ჭინჭარაული), ილიას, აკაკისა და გალაქტიონის (თ. სანიკიძე) ლექსიკონები.

ლიტ.: სიტყვა-სტატიის აგებულებისა და ლექსიკონით სარგებლობის შესახებ. — ქქელ, ტ. I, თბ., 1950; ფონიხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; ღლონტი ა., ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983; შამელაშვილი რ., თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა", წკნ. 1–3, თბ., 1972–79; სილაგაძე ჯ., ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები, თბ., 1981; მირიანაშვილი ნ., ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში, თბ., 1986; Kacapec X., Введение в современную лексикографию. пер. с исп., М., 1958; Слово в грамматике и словаре, М., 1984.

ბ. ფონიხუა, ა. ჭინჭარაული.

ლექსიკოლოგია (<ბერძნ. lexikós - სიტყვისა და logós – მოძღვრება), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ენის ლექსიკურ ფონდს, მის შედგენილობას, სიტყვათა სემანტიკას, ფუნქციონირებასა და ცვალებადობას. ლ. ემიჯნება *ლექსიკოგრაფიას* და, ამასთანავე, წარმოადგენს მის თეორიულ საფუძველს. განსხვავებით *ფონეტიკის* და *მორფოლოგიისაგან*, რ-ებიც შეისწავლიან სიტყვის ბგერადობასა და აგებულებას, ლ-ის კვლევის საგანია სიტყვა, როგორც მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეული. სიტყვის მნიშვნელობას საფუძვლად უდევს საგნობრივი მიმართება. სიტყვის აგებულების დერივაციული ცვლა წარმოქმნის ახალ საგნობრივ მიმართებას, ახალ სიტყვას. ამდენად, დერივაცია შინაგანად არის დაკავშირებული ლ-თან. ლ. არკვევს სიტყვისა და საგნის ურთიერთობას, რასაც განიხილავენ სემასიოლოგიის თვალსაზრისით – სიტყვიდან ამოსვლით (საძიებელია მისი მნიშვნელობა) ან ონომასიოლოგიის თვალსაზრისით – საგნიდან ამოსვლით (საძიებელია მისი სახელწოდება). ამ ქვედარგებთან ერთად, ლ-ს განეკუთვნება *ეტიმოლოგიაც*, ხოლო მომიჯნავე დარგებია ფრაზეოლოგია და *სტილისტიკა*.

ლექსიკის კვლევას იწყებენ სიტყვათა კლასიფიკაციით. ძირითადია მათი დაჯგუფება სრულმნიშვნელოვან *(იხ. სრულმნიშვნელოვანი სიტყვები)* და დამხმარე სიტყვებად *(იხ. დამხმარე სიტყვები)*. მათი დაჯგუფება ხდება იმის მიხედვითაც, ამა თუ იმ სიტყვაში მისი რომელი ფუნქციაა წარმართველი: აღნიშვნისა (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, სმნა, სმნისაროი), მითითებისა (ნაცვალსახელები, ზოგი სმნისართი, დეიქტური სიტყვები) თუ გამოხატვისა (შორისდებულები). სიტყვის ფუნქციონირება არ გაიაზრება უნობრივ კოლექტივთან მიმართების გარეშე. ლექსიკის შესწავლა ენობრივ კოლექტივთან მიმართებით სიტყვათა დაჯგუფების საფუძველია მოლაპარაკეთა ტერიტ. განაწილებისა თუ საქმიანობის მიხედვით (დიალექტური და დარგობრივი ლექსიკა). სხვადასხვა სიტყვას სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს; მათი შეხვედრა საერთო ენაში იძლევა *პოლისემიას*, ხოლო ტერიტ. ჯგუფებში არსებულ ერთგვარმნიშვნელობიან სიტყვათა თაემოყრა – *სინონიმიას*. ლექსიკის, როგორც სისტემის, განხილვა გულისხმობს, გაირკვეს ამ სისტემის ელემენტთა – სიტყვათა ურთიერთმიმართება, რ-საც განაპირობებს ამ სიტყვებით აღნიშნულ მოვლენათა ურთიერთკავშირი. მაგრამ, როცა ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვები შექმნის სისტემას, მის შემდგომ ბედს ენობრივი ტრადიციაც განსაზღვრავს. ლ. იკვლევს ამგვარად შეპირობებულ სიტყვათაკავშირებს – პარადიგმატულ (ასოციაციურ) და სინტაგმატურ (დისტრიბუციულ) მიმართებებს ლექსიკურ ერთეულთა შორის.

სხვა ენობრივ მოვლენებთან შედარებით ლექსიკა ყველაზე სწრაფად იცვლება, რაც ლექსიკის სისტემატურ კვლევასთან ერთად აუცილებელს ხდის მის ისტ. კვლევას, ინოვაციათა გზებისა და მიზეზების დადგენას; ლექსიკური კონტაქტების შესწავლის საფუძველზე ლ. არკვევს შეთვისებული (ნასესხები) და საკუთარი ლექსიკის ურთიერთმიმართებას, ლექსიკური ფონდის გამდიდრების წყაროს, საშუალებებს და სხვ.

ლიტ.: ნიქობაძე არნ., გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები. – «სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის მოამბე», 1940, ტ. I, №2–3; ფონიხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; Ахманова О.С., Очерки по общей и русской лексикологии, М., 1957; Дорошевский В., Элементы лексикологии и семиотики, М., 1973; Kronasser K., Handbuch der Semasiologie, Hdlb., 1968; Ullmann S., Semantics, Oxf., 1977; Мисиеч, Grundzüge der Semantik, Berlin, 1978.

ბ. ფონიხუა, შ. აფრიდონიძე.

ლექსიკონი (ბერძნ. lexikón), 1. სიტყვათა მარაგი, ლექსიკურ ერთეულთა ერთიანობა, რ-იც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის, დიალექტისათვის, ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროსა თუ ინდივიდისათვის; 2. საცნობარო წიგნი, რ-შიც გარკვეული წესით (ანბანურად, ბუდობრივად) განლაგებულია ამა თუ იმ ენის ლექსიკურ ერთეულთა (ცნებებრივ, სიტყვათა) მარაგი და მოცემულია მათი განმარტება ან ინფორმაცია მათ შესახებ. შინაარსის, დანიშნულების, მასალის მომცველობის, აღწერის გზების, სალექსიკონო ერთეულის შერჩევის, მასალის განლაგების და მისთ. მიხედვით გაინირჩევა ლ-თა სხვადასხვა ტიპი და სახე.

იმის მიხედვით, თუ რა კუთხით არის სიტყვა განმარტებული, განასხვავებენ *ლინგვისტურ* და *ენციკლოპედიურ* ლ-ებს. ლინგვისტურ ლ-ებში მოცემულია სიტყვათა მნიშვნელობის განმარტებები, ასახულია მათი ლინგვისტური მახასიათებლები. ლინგვისტური ლ-ები შეიძლება იყოს *განმარტებითი, დიალექტური, ისტორიული, ეტიმოლოგიური, უცხო სიტყვათა, სინონიმთა, პარონიმთა, ორთოგრაფიული*, ორთოეპიული, *კრებსითი*, მწერლის და სხვ. ლინგვისტური ლ. შეიძლება იყოს ერთენოვანი, ორ- და მეტენოვანი (იხ. *თარგმნითი ლექსიკონი*).

ენობრივი მასალის მომცველობის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავებულია ენის მთელი ლექსიკური მარაგის მომცველი ლ-ები – *თესაურუსი* ან განმარტებითი და *სპეციალური ლექსიკონები*.

სალექსიკონო ერთეულები შეიძლება იყოს სიტყვაზე მცირეც და სიტყვაზე დიდიც. შესაბამისად, განსხვავებულია, ერთი მხრივ, *მორფემების, ფუძეების...*, ხოლო, მეორე

მხრივ, *ფრაზეოლოგიური*, სიტყვათშეხამებათა... ლ-ები.

სამეცნ. მიზნით იქმნება შებრუნებული, ანუ *ინვერსიული ლექსიკონი*. ცალკე უნდა გამოიყოს სხვადასხვა სახის საძიებლები, ინდექსები, რ-ებიც ენაში, ტექსტში ლექსიკური ერთეულების სიხშირეს (იხ. *სიხშირული ლექსიკონი*), ან ტექსტში მათი შეხვედრის ალგილს (იხ. *სიმფონია*) გვიჩვენებენ.

ენციკლოპედიური ტიპის ლ-ებში განმარტებულია არა სიტყვის მნიშვნელობა, არამედ სიტყვით გამოხატული ცნება, საგანი, მოვლენა... ამ ტიპისაა *ენციკლოპედიური, იდეოგრაფიული, ტერმინოლოგიური, ბიოგრაფიული* და მისთ. ლ-ები.

(იხ. აგრეთვე სტ. „*სიტყვის კონა*“).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; ღლონტი ა., ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983; Чикобава А. С., О принципах составления Толкового словаря грузинского языка. – კრ.: Лексикографический сборник, I, М., 1957; Щерба Л. В., Опыт общей теории лексикографии. – იხ. მისი: Языковая система и речевая деятельность, Л., 1974. *ა. არაბული.*

ლექსიკური მნიშვნელობა, გამოხატავს კავშირს ენაში არსებულ კონკრეტულ ბგერათკომპლექსსა (აღმნიშვნელსა) და შინაარსს (აღსანიშნს) შორის. სიტყვის მნიშვნელობა ადამიანთა ისტ. ცნობიერებაზეა დაფუძნებული. ლ. მ-ის მატარებელია სიტყვის ფუძე. სიტყვის ის ძირითადი სემანტიკა, რ-ის საფუძველსაც შესაძლებელი ხდება სიტყვის ენობრივი ფუნქციონირება, არის სწორედ ლ. მ. სიტყვათა ურთიერთდაკავშირებისათვის, ლ. მ-თან ერთად, აუცილებელია გრამატ. ფორმათა მნიშვნელობა. ერთი ლექსემის ფარგლებში გრამატ. მნიშვნელობა იცვლება, ლ. მ. მყარია. მაგ., სიტყვაფორმებში –კაცი, კაცმა, კაცს... მგელი, მგელმა, მგელს... ლ. მ-ის მატარებელია კაც- და მგელძირეული მორფემები, მაგრამ სიტყვათა ჩამოთვლილ ფორმებს განსხვავებული გრამატ. მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არის შესაძლებელი, რომ სიტყვათა ლ. მ-ის შეუცვლელად აიგოს როგორც წინადადება „კაცი მისდევს მგელს“, ასევე „მგელი მისდევს კაცს“, როგორც „კაცმა მოკლა მგელი“, ასევე „მგელმა მოკლა კაცი“.

ლ. მ. ზოგჯერ საკმაოდ რთული წარმონაქმნია. ასეთი ვითარება გვაქვს სიტყვაწარმოების შედეგად მიღებულ სიტყვებში. მათში ურთიერთს შეერწყმის ამოსავალი ლექსიკური ერთეულის საგნობრივი მნიშვნელობა და სიტყვაწარმოებითი აფიქსით გამოხატული დერივაციული მნიშვნელობა. მაგ. კაცუნა მნიშვნელობით არის „პატარა კაცი“, რ-იც წარმოიქმნება კაც- ლექსიკური მორფემისა და -უნა სუფიქსის შეერთებით. ასეთივე სურათი გვაქვს კომპოზიტებში, თუმცა აქ ორი ან მეტი კომპონენტის შეერთება ხდება. დროთა განმავლობაში აღნიშნულ წარმონაქმნებში ლ. მ-ის დიფერენცირებული აღქმა იკარგება; ეს პროცესი თვით ლ. მ-ის ბუნებიდან გამომდინარეობს (მაგ., დღეს სიტყვაში „ცისკარი“ „კარის“ ლ. მ. აღარ აღიქმება, არც „ბულახდილში“ მოიაზრება „ბულისა“ და „ახდილის“ მნიშვნელობები..)

სიტყვის მნიშვნელობა მჭიდროდ უკავშირდება ცნების ფილოს. კატეგორიას. მათ შორის განუყოფელი კავშირია. ამავე დროს, მათი განსხვავებაც ხელშესახებია. ცნება მოიცავს მნიშვნელობის არსებით, ზოგად ასპექტს, ხოლო ლ. მ. ითავსებს სემანტიკის დეტალებსაც, მაგ., შეფასებით მომენტს, ემოციურ დამოკიდებულებას თუ სხვა ნიუანსს. მნიშვნელობა შეიძლება წარმოვიდგინოთ ცნების სემანტიკურ მასალად. ხოლო ცნება – სიტყვის მნიშვნელობის შემეცნებით კონდენსაციად.

ლ. მ-ს ისტორიულად მუდმივი ცვალებადობა ახასიათებს. მისთვის ნიშანდობლივია სემანტიკური საზღვრების არამყარობა, პოლისემიურობის ტენდენცია, მნიშვნელობათა საზღვრების გადანაცვლება... ამიტომაც ლ. მ-ის შესწავლის ერთ-ერთი მიმართულება მის ისტორიას უკავშირდება.

ლ. მ-ის კვლევა ლინგვისტიკის ერთ-ერთი ურთულესი სფეროა. მნიშვნელობის შესწავლა ენათმეცნიერებასთან ერთად უშუალოდ უკავშირდება ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ისტორია და სხვ.

ლიტ.: იხ. *გრამატიკული მნიშვნელობა*. *ა. არაბული.*

ლეჩხუმური, ქართული ენის დიალექტი, საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხის – ლეჩხუმის – მცხოვრებთა მეტყველება. ლეჩხუმს აღმ-ით ესაზღვრება რაჭა, დას-ით – სამეგრელო, ჩრდ-ით – ქვემო სვანეთი, სამხრ-ით – იმერეთი.

„ლ. კილოკავურად ერთიანია და თუ რაიმე დიფერენციაცია შეიმჩნევა, ეს აიხსნება მომიჯნავე კილოთა თუ ენათა გავლენით“. მომიჯნავე კილოები რაჭული და იმერულია, მომიჯნავე ენები – სვანური და ზანური.

ლ-ში დასტურდება ი, უ, ე. ი გვხვდება: ა) ა → ე დაბოლოების მქონე სახელებთან ნათ. და მოქმ. ბრუნვაში: ბიცოლეის, ბიცოლეთ; ბ) კონტამინირებულ ფორმებთან სახ. ბრუნვაში: დედა || დედე → დედაე. უ დასტურდება: ა) თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ: ჭუა; ბ) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: ბეური. ე დამოწმებულია მავრცობი -ე ხმოვნის პოზიციაში: კაცსე || კაცსე. სპორადულად ისმის გრძელი ხმოვანი, მიღებული ორი ხმოვნის შერწყმით: მერე → მეე → მე.

ლ-ში ფართოდაა წარმოდგენილი ფონეტ. მოვლენები: აე → ეე: ბიძაები → ბიძეები; ოე → ეე: ჩამოეკიდა → ჩამეეკიდა; აი, ოი → ეი: ბიცოლაი → ბიცოლეი → ბიცოლე; აუ → ოუ: შინაური → შინოური; ეუ → ოუ: აპეური → აპოური; ოუ, იუ → უუ: მიუდგება → მუუდგება; აო, ეო → ო: მეორე → მოორე; ეა → ია: შეაქო → შიაქო; ოა → უა: მოაქეს → მუაქ; ოე → უე: მოესწრა → მუესწრა; ეე → ო ფართოდაა გავრცელებული ყველა პოზიციაში: სწეევია → სწოვია; ვი → უ: წვიმს → წუმს, ღვინო → ღუნო. თაკილდური ო ხმოვნის წინ ვითარდება ვ || უ: ორი → ვორი.

გვხვდება თანხმოვანთა როგორც რეგრესული (სავსე → საფსე), ასევე პროგრესული (წახდება → წახთება) ასიმილაციის შემთხვევები, თახმოვანთა დისიმილაცია: არაფერი → არაფელი; სულელი → სუნელი. ხშირია ბგერა-

თა დაკარგვა და ჩართვა (ხშირად – ერთი და იმავე ბგერისა ერთსა და იმავე პოზიციაში). სისტემურად იკარგვის ს: ეს კაცი — ე კაცი, ქოთანს — ქოთან, ტყის კაცი — ტყი კაცი, არის — არი.

ლ-თვის სუბსტიტუცია ერთ-ერთ ნიშანდობლივ ფონეტ. მოვლენად ითვლება: მალავ — მალამ, ყავს — ყამს, თევზი — თაბზი, მღილი — ბღილი, ბურღი — ბულღი, საქონელი — სახონელი.

ხშირად იცვლება სწ კომპლექსი: ნასწავლი — ნასტავლი, სწორი — ხწორი.

ბგერათშენაცვლების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა აფრიკატიზაცია: მოხარშავს — მოხარჩამს.

სახ. ბრუნვაში ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ი ნიშანს არ დაირთავენ, მაგრამ მისი კვალი მაინც ჩანს: ტომარე (← ტომარეი — ტომარაი). ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთ ან ორმარცვლიან სახელებს -ი ბრუნვის ნიშანი შესაძლოა დაერთოს: კტყი, უროი. თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორმარცვლიან საკუთარ სახელებში -ი სახ. ბრუნვის ნიშანი ფუძისეულად გაიაზრება: ეახტანგიმ, მაგრამ გვაქვს საპირისპიროც: აკაკი – აკაკმა.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ლოკატივის დანიშნულებით: ჩამევიდა ლაილაშ. ასევე ლოკატივს გამოხატავს ნანათესაობითარი მიცემითი: მეზობლისას. ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები, ჩვეულებრივ, არ იკეცება და არც ბრუნვის ნიშანი რედუცირდება: ქვაის || ქვაას, ქვაით || ქვაათ. ვით. ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ად — -ათ (|| -დ — -თ), -ა (სწორა). წოდ. ბრუნვის ფორმანტად -ო გვაქვს (დავით-ო, მარიამ-ო).

თანდებულთაგან ნიშანდობლივია -კე ← -კენ: ლეჩხუმისკე; -თვინ ← -თვის ქალისთვინ; -გან თანდებულიანი მოქმედებითი გვხვდება სამი ნაირსახეობით: ოჯახითგან || ოჯახიდგან || ოჯახიდან.

ლ-ში სახელის მრ. რიცხვის მაწარმოებელია -ებ, შეინიშნება და-ნ-ი, ძმა-ნ-ი ტიპის მრავლობითიც.

II სუბიექტ. და III ობიექტ. პირები ლ-ში მყტ-ნაკლებად დაცულია ჰ || ს ნიშნით: სჭამ, სთხოვ. სმნის ფუძისეული თანხმოვანი ფონეტიკურად ცვლის ნიშანს: ჰყავს — ხავს, ზოგჯერ ჰ- ფონეტიკურად ცვლის ფუძისეულ თანხმოვანს: მოჰპარა — მოფარა, პკითხა — ქითხა.

მრ. რიცხვში III სუბიექტ. პირის ნიშანი არის -ენ: წერენ, წერდ-ენ, გაობ-ენ. გარდამავალ სმნათა აორისტში – -ეს: დაწერ-ეს; კავშირებითში – ნ: წერდე-ნ.

მრავლობითის აღსანიშნავად ლ-ში გამოიყენება -ყე და არიენ || ლარიენ. -ყე გამოხატავს: ა) ირ. ობიექტის მრავლობითობას: ის მათ უფუჭებდა-ყე; ბ) პირდ. ობიექტის მრავლობითობას: მე დაეტოვე-ყე; გ) რეალური სუბიექტის მრავლობითობას: ის მათ ხავს-ყე (ჰყავთ); დ) ზოგჯერ რეალური ობიექტის მრავლობითობას: ვენახები გვაყვე ← გვაქვს-ყე ← არიენ › ლარიენ: ისინი დგანლარიენ || დგილარიენ; მას ყავლარიენ; დაწოლილარიენ; ნაცემლარიენ.

-აე თემის ნიშანი დაერთვის წარმოშობით უთემისნიშნო სმნებს: წერ-აე-ს.

I სერიაში ფართოდ გამოიყენება მიმღეობის ფუძისაგან -ობ თემის ნიშნით ნაწარმოები ფორმები: სროულობს — სროულოფს.

ლ-თვის დამახასიათებელია IV სერიის ფორმათა პოვნიერება: ნაპარავა, ნაპარავიყო.

შეუსწუდაედ იწარმოება ნასახელარი სმნები: სახურავი → მოასახურავეფს. ქვე || ქვ გეხვდება დაღასტურებითი მნიშვნელობით. სპეციფიკური მოვლენაა -სე ნაწილაკ-მორფემოიდის პოვნიერება. იგი დაერთვის ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებსა და სმნებს: დაეჭირა კაცი-სე, იკითხა-სე.

სახელდების პრინციპის თვალსაზრისით საინტერესოა მცენარეთა სახელწოდებანი, ნაწარმოები მო–ო აფიქსით: მოჭარხლუა || მოჭარხლუე.

ლ. ყურადღებას იქცევს მდიდარი დარგობრივი ლექსიკით. მრავლადაა ჯანიზმები: რაგადობს – ლაყბობს, ძღაბი – გოგო; სეანიზმები – მექჟი (სვ. მექ) – თიქის ბულული, მოღაჟი (სვ. მოღა) – ჭირნახული.

ლიტ.: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

რ. ლანდია.

ლინგვისტური ატლასი, რუკების სისტემატიზებული ერთობლიობა, რ-შიც თითოეულ რუკაზე რაიმე პირობითი ნიშნით (ფერით, ხაზით...) აღნიშნულია რომელიმე ერთი ენობრივი (ფონეტ. მორფოლ., სინტაქსური თუ ლექსიკური) თავისებურების ნაირსახეობათა განლაგება დასახლებული პუნქტების მიხედვით გარკვეულ ტერიტორიაზე (ერთი ენის გავრცელების ფარგლებში, ერთ სახელმწიფოში, ერთ კონტინენტზე, მონათესავე ენათა გავრცელების საზღვრებში და ა.შ.). თუ რა შესაძლებლობები აქვს დიალექტური მოვლენების კარტოგრაფირებას, კარგად გამოჩნდა იმ რუკაზე, რიც ვ. თოფურიამ შეადგინა -აე თემისნიშნიან ზმნათა ნამყო უსრულისათვის.

ასევე, შესაძლებელია ამავე მეთოდით ერთმანეთის მსგავსი მოვლენების აღწერა მონათესავე და არამონათესავე ენების არეალზეც. მაგ., ევროპის რუკაზე შეიძლება ნაჩვენები იყოს, სად უწევს ანგარიშს კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა სუბიექტის (ეისაც ეკუთვნის) გრამატ. სქესს (როგორც ეს ინგლისურშია), სად – ობიექტის (რაც ეკუთვნით) გრამატ. სქესს (ფრანგულის მსგავსად), სად აისახება გარკვეული საშუალებებით ერთსა და იმავე კუთვნილებით ნაცვალსახელში როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის გრამატ. სქესი (გერმანულის მსგავსად).

ჩანს, რ-იც ლინგვისტურ რუკაზე ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავს, ისტორიულსა ეწოდება.

ლ. ა-ების შედგენა დაიწყეს XIX–XX სს. მიჯნაზე, რაც დაკავშირებული იყო ენათმეცნიერების ახ. დარგის – *ლინგვისტური გეოგრაფიის* ჩამოყალიბებასთან.

ლ. ა-ის შედგენაზე მუშაობა იწყება იმ კითხვარის შედგენით, რის მიხედვითაც უნდა იქნეს გამოკვლეული საძიებელ თავისებურებათა გავრცელებისა და განლაგების ფარგლები. ასეთი კითხვარის შედგენა, თავის მხრივ, გულისხმობს საკვლევი დიალექტებისა თუ ენების შესწავლის გარკვეულ დონეს. ასევე წინასწარ უსუსტდება, ყოველი დასახლებული პუნქტი უნდა აღიწეროს თუ ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილით დაშორებული სოფლები ან ქალაქები. ეს ძირითადად დამოკიდებულია აღ-

საწერი ტერიტორიის დასახლების სიმჭიდროვესა და ენობრივ თავისებურებათა მოსალოდნელ სიჭრელეზე.

კითხვარის შევსება ხდება ან უშუალო დაკვირვების მეთოდით (ანუ პირდაპირი გამოკითხვით), როცა მკვლევარი თვითონ მიდის აღსაწერ ადგილას და შეისწავლის საძიებელ თავისებურებებს, ანდა ანკეტირების მეთოდით, როცა კითხვარები დაიგზავნება სხვადასხვა ადგილას და მათ შევსებაში მონაწილეობენ არასპეციალისტები.

რუკაზე გადატანის წინ მონაცემები კიდევ ერთხელ მოწმდება. დღეისათვის უკვე არსებობს მრავალი ენისა თუ ენათა ჯგუფების ლ. ა-ები. მსოფლიოში უდიდესი ლ. ა-ებია გერმანული ენის დიალექტოლოგიური ატლასი (შეადგინეს გ. ვენკერმა და ფ. ერედემ, 1876–1926), ფრანგული ენის ლ. ა. (გამოაქვეყნეს ჟ. ჟილიერონმა და ე. ედმონმა, ტ. 1–7, 1902–12), იტალიური ენის ლ. ა. (ტ. 1–8, 1928–40). ეს უკანასკნელი შეიცავს გარკვეულ ეთნოგრ. მონაცემებსაც. არსებობს მოლდავური და სომხ. ენების ლ. ა-ები, გამოქვეყნებულია რუსული ენის ლინგვისტური რუკების რამდენიმე კრებული, ბელორუსული ენის დიალექტოლოგიური ატლასი (1963).

1911 ქართ. ენის დიალექტოლოგიური შესწავლის მოკლე პროგრამა შეადგინა პეტერბ. ქართვ. სტუდენტთა სამეცნ. წრემ ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1927 დიალექტოლოგიური ლექსიკის შეგროვების პროგრამა შეადგინა ქართ. სამეცნ. საზოგადოებამ. ამჟამად ქართ. ენის დიალექტოლოგიური ატლასისთვის მასალის შეგროვება მიმდინარეობს ენათმეცნ. ინ-ტში ა. კიზირიას, ი. ქავთარაძის, მ. ჭაბაშვილის, თ. უთურგაიძის მიერ შედგენილი კითხვარის („კითხვარი ქართული დიალექტოლოგიური ატლასის მასალისათვის"), აგრეთვე დარგობრივი ლექსიკის რამდენიმე სპეც. კითხვარის მიხედვით (შეადგინეს თ. უთურგაიძემ, ა. არაბულმა...).

ლიტ.: თ ო ფ უ რ ი ა ე., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. – «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», III, თბ., 1963; С у х а р е в Н.Л., Лингвистические атласы и карты. – კრ.: Проблемы картографирования в языкознании и этнографии, Л., 1974.

მ. კობაიძე.

ლინგვისტური გეოგრაფია, ენათმეცნიერების დარგი, იკვლევს ცალკეულ ენობრივ მოვლენათა ტერიტორიული გავრცელების სახეებს. იგი წარმოიშვა XIX–XX სს-ში დიალექტთა შესწავლის პროცესში. ტრადიციული დიალექტოლოგიისაგან განსხვავებით, რ-იც აღწერს გარკვეულ გეოგრ. საზღვრებში გავრცელებული დიალექტის თავისებურებათა ერთობლიობას (ანდა დიალექტურ მოვლენებს შეისწავლის გარკვეული ენობრივი სისტემის ფარგლებში), ლ. გ. მიზნად ისახავს წარმოადგინოს ამა თუ იმ ენობრივი თავისებურების გავრცელებულობა მთელი ენის მასშტაბით.

შემდეგ ლ. გ-ის მეთოდები გამოიყენეს საერთო მოვლენათა შესასწავლად, როგორც მონათესავე, ასევე არამონათესავე ენებში ტიპოლოგიურ მსგავსებათა თუ განსხვავებათა წარმოსაჩენად. მაგ., ლ. გ-ის მეთოდებით აღიწერება ზოგი მორფოლ., სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები ენათა მიხედვით ევროპის ტერიტორიაზე, სადაც თანაარსებობენ არამონათესავე ინდოევრ. და უნგრულ-ფინური ენები. ასეთ შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ხალხთა ისტორიის, მიგრაციების, ენათა კონტაქტებისა და მათი შედეგების კვლევისთვისაც.

ენობრივ თავისებურებებს ლ. გ. შეისწავლის ქარტოგრაფირების მეთოდით. რუკაზე აღინიშნება ის ადგილები, სადაც გარკვეული თავისებურება იჩენს თავს. ამა თუ იმ ნიშნის ან მოვლენის ნაირსახეობათა განლაგების ფარგლები აღინიშნება ხაზით, რ-საც იზოგლოსას უწოდებენ. შეიძლება ეს ფარგლები სხვა პირობითი ნიშნითაც (მაგ., ფერით...) აღინიშნოს. იქმნება იმდენი რუკა, რამდენ თავისებურებასაც შეისწავლიან. ცალკეულ თავისებურებათა რუკები ერთიანდება *ლინგვისტურ ატლასში*.

ენობრივ თავისებურებათა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გავრცელებამ საფუძველი მისცა მკვლევართა ერთ ნაწილს დიალექტის როგორც გარკვეულ ენობრივ თავისებურებათა ერთობლიობის მქონე მეტყველების უარსაყოფად. ასეთი დასკვნა ემყარება იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა მოვლენის ამსახველი იზოგლოსები ერთმანეთს გადაკვეთენ, მაგრამ არ ემთხვევიან და რაიმე მკაფიოდ გამოხატულ ერთობლიობას არ ქმნიან. თვით ენათა შორის საზღვრებიც კი არ აღმოჩნდა ისეთი მტკიცე და მკაფიო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

დიალექტების არსებობის უარყოფა რომელიმე თეორიული მოსაზრების საფუძველზე სინამდვილეზე ძალდატანების ცდა იქნებოდა. ურთიერთგადამკვეთი იზოგლოსების შესწავლა ყოველთვის წარმოაჩენს დიალექტის სტრუქტურულ ცენტრსა და პერიფერიას, სადაც სხვადასხვა დიალექტის თავისებურებები შეიძლება თანაარსებობდნენ. ამასთანავე, იზოგლოსების შესწავლა გვიჩვენებს, თუ რომელი ენობრივი მოვლენები არის რეგულარულად ურთიერთდაკავშირებული. იზოლირებული იზოგლოსების ენათმეცნ. განმარტება შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია ენობრივი მოვლენის გაგება სისტემის გათვალისწინების გარეშე. საჭირო ჩანს არა მხოლოდ ცალკეულ ფორმათა, არამედ ფორმათა სისტემის კარტოგრაფირებაც.

დიალექტოლოგია და ლ. გ. ურთიერთშემავსებელი დარგებია და არა ურთიერთდაპირისპირებული.

ლიტ.: Жирмунский В.М., О некоторых проблемах лингвистической географии. – «Вопросы языкознания», 1954, №4; Вопросы теории лингвистической географии, М., 1962; Бородина М. А., Проблемы лингвистической географии, М.– Л., 1966; Эдельман Д. И., Основные вопросы лингвистической географии, М., 1968.

მ. კობაიძე.

ლიტოტესი (ბერძნ. litótēs – სიმარტივე, სიმცირე), ს. *მეიოზისის* სახე, საგნის, მოვლენის... ისეთი თვისების შემცირებული ხარისხით წარმოდგენა, რ-იც არ ახასიათებს ობიექტს. ლ. თავისებურად „უარყოფის უარყოფაა", რ-იც საბოლოოდ დადებით დახასიათებას იძლევა, მაგრამ რამდენადმე მაინც შემცირებული ხარისხით. მაგ., ფორმები „არაუინტერესოდ", „არაუსარგებლოდ" მნიშვნელობით უტოლდებიან „საინტერე-

სოდ", „სასარგებლოდ" სიტყვებს, მაგრამ ნიუანსებით (დადებითი თვისების ხარისხით) მაინც განსხვავდებიან ამ უკანასკნელთაგან, როგორც ტროპის სახე, ლ. მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში აღნიშნავს სტილურ ზომიერებას, სიმკაცრეს. ამით ის უპირისპირდება *ჰიპერბოლას*.

2. იგივეა, რაც მეიოზისი.

ც. ბარბაქაძე.

ლიხნის წარწერები, ძველი ქართული წარწერები ლიხნის ტაძრის (გუდაუთის აღმ-ით 6 *კმ*) ქორედის კედლებზე. აქ, სხვადასხვა ადგილას, არის ათზე მეტი წარწერა, რ-თაგან უმნიშვნელოვანესია სამი: წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, ეანე პროტოსპათარისა და პეტრიკ პატრიკის წარწერა, გიორგი კურაპალატის წარწერა. ტაძრის კედლის შელესილობა პირველი და მესამე წარწერის (აგრეთვე მასზე შესრულებული სხვა ფრაგმენტული წარწერების) ტექსტით, საქართვ. კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს საბჭოს გადაწყვეტილებით, 1986 მოიხსნა კედლიდან და გადაიტანეს თბილისში, ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს სარესტავრაციო-საწარმოო სახელოსნოში, სადაც გაიწმინდა, გამაგრდა და ნაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები. ინახება ძვ. ქართ. მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრში. მეორე წარწერა თავის ადგილზეა – ლიხნის ტაძრის დას. კედელზე.

წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ ერთსტრიქონიანია, შესრულებული თავისებური ხერხით: ასომთავრული ტექსტის ყოველი სიტყვის პირველი მოზრდილი ასოს მთელ სიგრძეზე ნამოწერილია ამ სიტყვის დანარჩენი ასოები უფრო პატარა ზომისა, ხოლო მრგვალი მოხაზულობის ასოებში, მაგ., ან-ში, ორ ადგილას, პატარა ასოები პირველი დიდი ზომის ასოს მუცელშია ნაწერილი. მთლიანად წარწერა შესრულებულია წითელი საღებავით, სინგურით. მისი ტექსტი ასეთია:

„ქ. კურთხეულ ხარ ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა დასაბამითგანთა წელთა **ხქპთ**, ქრონიკონსა **სპვ**, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა, ინდიკტიონსა **ლ𐊿**. აპრილსა თუესა ვარსკულავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოიელვიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი, მოკიდებით მასვე. ესე იქმნა ბზობითგან აღვსებადმდე".

წარწერა პირველად შეისწავლა აკად. მ. ბროსემ (1848). მინიჭულია, რომ ლიხნის ტაძრის წარწერაში დაფიქსირებულია ჰალეის კომეტის დედამიწის ხილვადობის სფეროში გამოჩენის ერთ-ერთი შემთხვევა, რაც მოხდა XI ს-ში, 1066. წარწერის დასაბამითგანითი თარიღი და თარიღი ბაგრატ IV-ის მეფობის წლების მიხედვით შეესაბამება 1065, ხოლო ქრონიკონითი თარიღი – 1066. ვინაიდან ტექსტში აღნიშნულია, რომ კომეტა გამოჩნდა აპრილში, ბზობიდან აღდგომამდე, 1066 აღდგომა იყო 16 აპრილს, ბზობა იქნებოდა 9 აპრილს. ამიტომ წარწერის თარიღად 1066 უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, საქართველოში კომეტა იხილვებოდა 1066 წლის 9–16 აპრილს.

ეანე პროტოსპათარისა და იპატოსის და პეტრიკ პატრიკისა და მწიგნობართა უხუცესის წარწერა შესრულებულია სინგურით, 9 სტრიქონად, მდივანმწიგნობრული დამწერლობით. იგი მიწერილია ტაძრის მეორე სართულზე, ქორედის დას. სარკმლის მარჯვნივ, სარკმლიდან თაღამდე კედლის მონაკვეთზე. ტაძრის კედელი და წარწერაც XIX–XX სს-ში რამდენჯერმე შეუთეთრებიათ კირით. ამის შედეგად წარწერა, რ-იც 1848 შეისწავლა და მომდევნო წელს გამოსცა (თუმცა არასწორი წაკითხვით) მ. ბროსემ, დაფარული იყო. 1983–86 რესტავრატორ მ. ბუნუკურის ხელმძღვანე-



ლიხნი. ეანე პროტოსპათარისა და იპატოსის და პეტრიკ პატრიკისა და მწიგნობართა უხუცესის წარწერა. XI ს.

ლობით კედელი გაიწმინდა და გამოჩნდა წარწერის ძალზე გაბაცებული ტექსტი. ხელნაწ. ინ-ტში ინახება ამ წარწერის ასლი, გადმოღებული, როგორც ჩანს, XIX ს-ში. მართალია, იგი ზუსტი არ არის, რადგან გადმოღებულია მდივანმწიგნობრული დამწერლობის არმცოდნის მიერ, მაგრამ დედნისა და ასლის შეჯერებით დადგინდა წარწერის შემდეგი ტექსტი:

„✝ წმიდაო ღმრთისმშობელო, უხრწნელო ქალწულო მარიამ, შემეწიე, შემიწყალე, დამიცევ, დამიფარე და მიჴსენ ყოველთა წინამიმდებარეთა ჭირთა და მომავალთა განსაცდელთაგან; ჩემგან შორს ყვინ! და მეოხ მეყავ წინაშე ძისა შენისა, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტესსა, ულირსსა, მიწასა, ჭიასა, ავლსა და მტუერსა, მონასა და მადიდებელსა და მოსავსა შენსა ვაჩეს პროტოსპათარსა და იპატოსსა, დისწულსა ჭყონდიდლისასა, მე და პეტრიკ პატრიკსა და მწიგნობართა უხუცესსა".

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა XI ს-ისაა. მასში მოხსენიებული პეტრიკ პატრიკი და მისი ძმა იოვანე ჭყონდიდელი (იგი, როგორც საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, წარწერაში სახელით არც იხსენიება) მეფე ბაგრატ IV-ის (1027–72) დროის ცნობილი პოლიტ. და საეკლ. მოღვაწეები არიან. მათი დისწული ყოფილა ვაჩე – ჩვენთვის ამ წარწერამდე უცნობი, ბიზანტ. საიმპერატორო კარის მაღალი ტიტულების – პროტოსპათარისა და იპატოსის მქონე. გიორგი ხუცესმონაზვნის „გიორგი მთაწმიდელის ცხორებიდან" ცნობილია, რომ პეტრიკ პატრიკმა (რ-იც, როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ის წარმომადგენელი იყო ბიზანტ. სამეფო კარზე) და მისმა ძმამ იოვანე ჭყონდიდელმა (რომელმაც, საფიქრებელია, გიორგი მთაწმიდელის წინადადებით დაიკავა ბაგრატ IV-ის მიერ გიორგი მთაწმიდელისათვის შეთავაზებული ჭყონდიდის კათედრა), დიდი როლი შეასრულეს გიორგი მთაწმიდელის თარგმნილი წიგნების გამრავლებისა და გავრცელების, ასევე გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ მისი კანონიზაციის საქმეში. ორივე მათგანი რამდენჯერმე იხსენიება ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში.



ლიხნი. ვაჩე პროტოსპათარისა და იპატოსის და პეტრიკ პატრიკისა და მწიგნობართა უხუცესის წარწერა. XI ს.

გიორგი კურაპალატის წარწერა შესრულებულია სინგურით, მდივანმწიგნობრული დამწერლობით, ორ გრძელ სტრიქონად იმ წარწერის ქვემოთ, რ-იც ეხება კომეტის გამოჩენას. მისი ტექსტი, ზემოთ განხილულ ორ წარწერასთან შედარებით, დაზიანებულია, თუმცა უმეტესი ნაწილი გარკვევით იკითხება:

„ქ̃ მეუფეო, ძეო მეუფისაო, ღმერთო, ძეო ღმრთისაო, ადიდე, დაიცევ, გაზარდე, აკურთხე და დღეგრძელ ყავ, და მრავალ ყვენ წელნი მეფობისა მისისანი, დღენი ცისანი, გინა მქუ[ეყანისანი], კეთილად მსახურისა და მადიდებელისა ღმრთაებისა შენისა გიორგი კურაპალატისანი. და ყავ განგებაი მისი, მოწყალებაი გლახაკთაი, მოღუაწებაი ეკლესიათაი[...] და სრულ ყავ წყალობაი მათი მიწასა, ჭიასა, საპყარსა იოვანე სირნოწს [...] კანანახსა, მწიგნობარსა და დიაკონსა".

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა XI ს-ისაა. მასში მოხსენიებული გიორგი კურაპალატი არის მეფე გიორგი II (1072–89), ძე ბაგრატ IV-ისა და მამა დავით IV აღმაშენებლისა. წარწერა უნდა იყოს შესრულებული ჯერ კიდევ გიორგი მეფის უფლისწულობაში, კურაპალატის ტიტულის მიღებასთან დაკავშირებით. ამას მოწმობს წარწერის ადორაციული, განმადიდებელი ხასიათი და მასში გიორგის კურაპალატობის საგანგებოდ აღნიშვნა. გიორგის მამა მეფე ბაგრატ IV 1059 ნოველსიმოსის ტიტულით იხსენიება, მანამდე იგი კურაპალატი იყო 1032-იდან. როგორც ჩანს, 1059, ან ცოტა უფრო ადრე, „გამოთავისუფლებული" კურაპალატის ტიტული გიორგი უფლისწულს უნდა მიეღო და წარწერაც 1060-იანი წლებით, მაგრამ არა უადრეს 1066-ისა, უნდა დათარიღდეს, რადგან კედელზე იგი ისეა მიწერილი, როგორც ამის საშუალებას იძლევა 1066-ის წარწერა კომეტის გამო-



ლიხნი. გიორგი კურაპალატის წარწერა. XI ს.

ჩენის შესახებ. წარწერის ზედა თარიღი 1072-ით უნდა განისაზღვროს, რადგან 1073 შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემულ სიგელში გიორგი II კურაპალატობით თავის ძეს, დავითს მოიხსენიებს. ამიტომ ლიხნის ტაძრის ამ წარწერის თარიღი შეიძლება 1066-72-ით განისაზღვროს.

ლიხნის ტაძარზე მოიპოვება ასევე XI ს-ით დათარიღებული ათამდე წარწერის ფრაგმენტები; XIV ს-ით თარიღდება 10-ზე მეტი წარწერა, რ-ებიც ამ დროის ფრესკებს ახლავს და გამოსახულ პირებსა და სიუჟეტებს განმარტავს. ლიხნის ტაძრის წარწერები უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის.

ლიტ.: სილოგავა ვ. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2006; Brosset M.-F., Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, livr. I. Huitième rapport. St.-Pb., 1849.

ვ. სილოგავა.

ლომთათიძე ქეთევან ბესარიონის ასული (9. II. 1911, სოფ. ხიდისთაი, ჩოხატაურის რ-ნი, – 22.XI.2007, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ ენათა და ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1950). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962), აფხ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1931 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის საენათმეცნიერო განყ-ბა. სამეცნ. მუშაობას ეწეოდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ენის, ლიტ-რისა და ხელოვნების ინ-ტში (ელხი), ენის, მატერ. კულტ. და ისტ. ინ-ტში (ენიმკი); ენათმეცნ. ინ-ტში (1953–63 და 1975–87 იყო ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი, 1987-იდან – ამავე ინ-ტის საპატიო დირექტორი). დ. გულიასა და ს. ჯანაშიას შემდეგ თსუ-ში, აგრეთვე სოხუმის პედ. ინ-ტში კითხულობდა აფხ. და აბაზური ენების კურსს.



ქ. ლომთათიძე.

ლ. იკვლევს ქართველურ და აფხ.-ადიღურ ენათა სტრუქტურასა და ისტორიას, ამ ენათა ურთიერთმიმართების კერძო და ზოგადმეცნიერულ პრობლემებს. მტკიცე სამეცნ. საფუძველი შექმნა აფხ.-აბაზურ ენათა და დიალექტთა ფონოლოგიური სისტემის, ფონეტ. პროცესთა, მორფოლ. კატეგორიათა, სინტაქსის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიურ პრობლემათა ისტ.-შედარებითი ანალიზისათვის, გამოაელინა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონზომიერება, რ-თაც სამეცნ. ლიტ-რაში „ლომთათიძის კანონთა“ სახელწოდებით აღნიშნავენ. აღწარდა აფხაზ, აბაზა და ჩერქეზ ენათმეცნიერთა რამდენიმე თაობა.

ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტ. საკითხების კვლევის შედეგად გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია და 200-მდე წერილი, რ-ებშიც განხილულია ქართველურ ენათა ისტ. ურთიერთმიმართების, დიალექტთა და ენათა დიფერენცირების, ისტ. და სინქრონიული ფონოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, სალიტ. ენის ფუნქციონირების, ეტიმოლოგიისა და ბგერათშესატყვისობათა აქტუალური პრობლემები. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან აღსანიშნავია გამოკვლევები ქართულ დიალექტებში II სუბიექტ. და III ობიექტ. პირის ნიშანთა რეფლექსების, ლაბიალურ კომპლექსთაგან ახ. ფონემების წარმოქმნის, თანხმოვანთკომპლექსებისაგან მეორეული სისინშიშინა ბგერების მიღების, „თბება“ ტიპის ზმნათა თავისებურებების, ქართ. ზმნის ინფინიტური წარმოების შესახებ და სხვ. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა აკადემიური სამტომეული და ერთტომეული რუსულ-ქართული (1956-59, 1983) და სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მომზადებაში, იყო ამ ლექსიკონის VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი. ამ ლექსიკონის მომზადებისათვის ლ-ს მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). მისი რედაქტორობით დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულისა“ და „ეტიმოლოგიური ძიებანი“-ს რამდენიმე ტომი.

ლ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თ. გვანცელაძე.



მ, ქართული ანბანის მეთორმეტე (ძვ. ქართ. მეცამეტე) ასო. მისი სახელია „მანი“; გრაფ. სიმბოლო წ;ყვილბაგისმიერი ხშვის მქონე ნაზალური (ცხვირისმიერი) სონორი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴋ. მისი მოხაზულობა წრისა და ხაზების კომბინაციაა. ნუსხური მ მარჯვნივაა გადახრილი. მხედრული მ ერთიან, მომრგვალებულ კონტურს იძენს. ნუსხური მ და მხედრული მ ოთხხაზოვანი სისტემის ზედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართულ სათვალაეში აღნიშნავდა ორმოცს (40).

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა, პოლემიკა იდეურ-მსოფლმხედველობრივ, ლიტერატურულ და ენობრივ საკითხებზე მწერალთა და ლიტერატორთა ძველ და ახალ თაობებს შორის XIX ს. 60–70-იან წლებში. პოლემიკის საბაბი გახდა ი. ჭავჭავაძის ლიტ.-კრიტ. წერილი «ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კახლოეიდგან „შუშლილის“ თარგმნაზედა» („ცისკარი“, 1861, №4). რ. ერისთავისეული თარგმანი („ცისკარი“, 1860, №4) და პოემაც ი. ჭავჭავაძემ მძაფრად გააკრიტიკა. ამ წერილით მან განსაზღვრა ქართ. ლიტ-რისა და სალიტ. ენის შემდგომი განვითარების გზა.

ი. ჭავჭავაძის შეფასებით, ი. კოზლოვი, „კარამზინის სკოლის“, ანუ სენტიმენტალიზმის წარმომადგენელი, უმნიშვნელო მწერალი იყო, ხოლო „შუშლილი“ მის „ცუდ პოემებში უცუდესი“. პოემის ერისთავისეულ თარგმანს ილია კიდევ უფრო მკაცრ შეფასებას აძლევდა: „მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს. თარგმანი – როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს“. ამავე წერილში განაცხადა ილიამ პირველად ასოების – უ, ი, ი, ჯ, ჴ – შესახებ: „ეს ასოები არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში; თუ, ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გაესცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ეხმარობთ“.

ილიას ამ წერილს უფროსი თაობის ლიტერატორთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მის საპასუხოდ «ცისკრის» მომდევნო (მე-5) ნომერში დაიბეჭდა ბ. ჯორჯაძის წერილი „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“, რ. ერისთავის „პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“ და გ. ბარათოვის (ბარათაშვილის) „წერილი რედაქტორთან“. აეტორებმა ყურადღება გაამახვილეს თვით ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კრიტიკაზე; ამ მხრივ მათი ცალკეული ენობრივი შენიშვნები მართებულიც იყო, მაგრამ ამით ილიას ზოგად დებულებებს ვერაფინ შეარყევდა.

ილიამ წერილში „პასუხი“ («ცისკარი», 1861, №6) კიდევ უფრო ნათლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა შეხედულებანი საზ. ცხოვრებაში ლიტ-რის, ხელოვნების როლისა და ადგილის, სალიტ. ენის ხალხურობის შესახებ, დაასაბუთა ზედმეტად ქცეულ ასოთა უკუგდების აუცილებლობა და სხვ.

ილიას „პასუხს“ «ცისკრის» რედაქციამ დაურთო ერცელი შენიშვნები, რითაც ჟურნალი აშკარად უფროს თაობას მიემხრო და დაუპირისპირდა „შვილებს“. ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნდა ს. მესხიევის (მესხიშვილის) „უსტარი ანტიკრიტიკული“, მიმართული ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ილიას არც ეს „უსტარი“ დაუტოვებია უპასუხოდ, მაგრამ მისი წერილი „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ თავის დროზე რატომღაც არ დაბეჭდილა. «ცისკარში» (1861, №9) გამოქვეყნდა ჯერ ბ. ჯორჯაძის „პასუხის პასუხი“, შემდეგ კი (1862, №2) – წერილი რედაქტორთან, რსაც ხელს აწერდა „ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთვიმე“ (მწერალ გ. წერეთლის მამა). წერილმა განსაკუთრებით გააღიზიანა „შვილები“. მას სამი საპასუხო წერილი მოჰყვა: „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა“, „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ (ორივე «ცისკარი», 1862, №4) და „ახირებული ფურცელი“ («ცისკარი», 1862, №5). პირველ-

ლი ორი გამოქვეყნდა „თერგდალეულის“ ფსევდონიმით, მესამეს კი ხელს აწერდა „მესამე თერგდალეული“. პირველი წერილი ეკუთვნოდა კ. ლორთქიფანიძეს, მეორე – ს. ანაშიძეს, მესამე – ა. წერეთელს.

1863 წ. იანვრიდან გამოსვლა იწყო ახ. სალიტ. ჟურნ. «საქართველოს მოამბემ» (რედ. ი. ჭავჭავაძე), რაც, თავისთავად, „შვილების“ დიდი გამარჯვება იყო. „მამებს“ კი მათი აღარ გაუგრძელებიათ.

„მამათა“ და „შვილთა“ შორის უთანხმოებამ ახალი ძალით იფეთქა 1871. საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე II-ის ჩამოსვლის წინ თავადაზნაურობის ყრილობაზე საკამათოდ იქცა საკითხი, რა ეთხოვათ იმპერატორისათვის: სამხ. სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) გახსნა თუ უნ-ტის დაარსება თბილისში. „შვილების“ აქტიური მხარდაჭერით გაიმარჯვა უნ-ტის დაარსების იდეამ, მაგრამ იმდროინდელი გავლენიანი პირებისაგან შემდგარმა კომისიამ მეფისნაცვალ ბარონ ნიკოლაისა და თავადაზნაურობის მარშალ რ. ანდრონიკაშვილის რჩევით შეცვალა იმპერატორისათვის მისართმევი ადრესის პროექტი და, უმრავლესობის სურვილის მიუხედავად, კადეტთა კორპუსის გახსნა ითხოვა. ამან აღაშფოთა „თერგდალეულთა“ თაობა, განსაკუთრებით მათი ლიდერი – ი. ჭავჭავაძე. ამით იყო გამოწვეული მისი მწვავე პამფლეტები „გამოცანებისა“ და „კიდევ გამოცანების“ სახელწოდებით, რებშიც გაკრიტიკებული იყვნენ მაღალჩინოსანი ქართვ. მოხელეები, მ. შ. რ. ანდრონიკაშვილი, გ. და ი. მუხრანბატონები, პ. იოსელიანი, გ. ორბელიანი და სხვ. ილიას „გამოცანების“ საპასუხოდ გ. ორბელიანმა დაწერა ლექსი „პასუხი შვილთა“, რ-საც მოჰყვა ილიას „პასუხის პასუხი“, აკაკის „ხარაბუსა ღენერალს“, „კოლო-ბუსების პასუხი“, „პატრიოტის აღსარება“ და სხვ.

„მამათა“ და „შვილთა“ პოლემიკის შედეგი იყო ორთოგრაფიის გამარტივება და ე. წ. „ხედმეტი ასოების“ ამოღება ხმარებიდან (იხ. *ხმარებიდან გამოსული ასოები*), ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ლექსიკისა და გრამატ. ფორმების დანერგვა სალიტ. ენაში, საერთაშორისო ტერმინების გაერცელება, ბარბარიზმების უკუგდება, *სამი სტილის თეორიის* დაგმობა და ა. შ. ამ ბრძოლის დეენად იქცა „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ლიტ.: გ ა წ ე რ ე ლ ი ა ა., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1948; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1951; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ჯ., ქართული კრიტიკის ისტორია, I, თბ., 1974. *ზ. ჭუმბურიძე.*

მანქანური თარგმნა, ავტომატური თარგმნა ერთი ბუნებრივი ენიდან მეორეზე კომპიუტერული ტექნიკით. პირველი საცდელი თარგმანი შესრულდა აშშ-ში 1954. აქედან იწყება სხვადასხვა ქვეყანაში მ. თ-ზე ინტენსიური მუშაობა, რასაც ამ დარგის ჩამოყალიბება და საცდელი თარგმანების მთელი სერიები მოჰყვა. თავდაპირველად ეს იყო ბინარული (ენათა მხოლოდ გარკვეული წყვილისათვის გამიზნული) თარგმანები. მაგრამ თანდათანობით აშკარა გახდა ბინარული სისტემის უმარისობა და აუცილებლობა ისეთი მძლავრი (დიდი ამხსნელობითი ძალის მქონე) ლინგვისტური სისტემების შექმნისა, რებიც შეძლებდნენ ნებისმიერი ენიდან ნებისმიერ ენაზე თარგმნის უზრუნველყოფას. ჯერჯერობით ეს მიზანი მიღწეული არ არის, მაგრამ მ. თ. რჩება *კომპიუტერული ლინგვისტიკის* უმნიშვნელოვანეს დარგად.

მ. თ-ის მიზანია მანქანამ (ავტომატმა) „გაიმეოროს“ მთარგმნელის ენობრივი ქცევა – „გაიგოს“ სათარგმნი მასალა (ტექსტი) ერთ („წყარო“) ენაზე (პირველი საფეხური), დაუძებნოს მას შესატყვისები მეორე ენაში („ენა-მიზანში“, მეორე საფეხური) და გამოხატოს იგი ამ ენაზე (მესამე საფეხური). ამისათვის მანქანას მიეწოდება სპეციალური წესები (ალგორითმების სახით). თარგმნის პროცესში შემოაქვთ ტოლფასი, სინონიმური (ერთი და იმავე ინფორმაციის შემცველი) ტექსტების ცნება. აზრი (შინაარსი), რ-იც სხვადასხვა ენის ტოლფას ტექსტებს აქვთ, საერთოა (ინვარიანტულია) და არ იცვლება ერთი ტექსტიდან მეორე ტექსტის მიღებისას, ანუ სინონიმური გარდაქმნის (პარაფრაზირების) დროს. გარდაქმნილ მოდელს ეკისრება აზრიდან ტექსტის და ტექსტიდან აზრის მიღება (ზოგადი ფორმულა – აზრი ↔ ტექსტი). მოდელირების არეში ექცევა ენის ყველა სფერო – მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სემანტიკური – როგორც სათარგმნი („წყარო“) ენის, ისე იმ ენისა („ენა-მიზანი“), რ-ზედაც ტექსტი ითარგმნება. სათარგმნი ენის დამუშავება ანალიზის ეტაპია (ზოგადი ფორმულა – ტექსტი → აზრი), იმ ენის ფორმალიზება კი, რზედაც ითარგმნება ტექსტი – სინთეზის ეტაპი (ზოგადი ფორმულა – აზრი → ტექსტი). ანალიზსა და სინთეზს შორის არის შუალედური ეტაპი (საკუთრივ თარგმნა), რიც ერთი ენის აზრს შეუსაბამებს მეორისას (ზოგადი ფორმულა – აზრი → აზრი). წინადადების აზრობრივი ჩანაწერიდან (სიღრმისეული წინადადებიდან), როგორც ინვარიანტიდან, სხვადასხვა ენისათვის აიგება ყველა ზედაპირული სინონიმური წინადადება.

მოდელის მუშაობის ძირითადი პირობაა ყველა ეტაპზე მკაცრად დეტერმინებული მიმართებების დადგენა, რასაც სპეციფიკური დაბრკოლებები ეღობება. ანალიზის ეტაპზე ეს დაბრკოლება ომონიმიაა – ერთ აღმნიშვნელს რამდენიმე აღსანიშნი შეესაბამება (მაგ., ქართ. ს აღნიშნავს მიც., ნათ. ბრუნვებს, ზმნის III პირს); სინთეზის ეტაპზე კი სირთულის გამომწვევი მისეზი სინონიმიაა – ერთი აღსანიშნი რამდენიმე აღმნიშვნელით გამოიხატება (მაგ., ქართ. ენებით გვარს აღნიშნავს -დ, ი-/ე-, Ø). ცალსახობა მოითხოვს რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთის ავტომატურ არჩევას, რაც ხშირად ფართო ენობრივი კონტექსტის გათვალისწინებას მოითხოვს. ამდენად, მ. თ-ის დარგში დასმული საკითხები ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება.

თავის მხრივ, მ. თ-თვის შესრულებული კომპიუტერული სისტემები ენის აღწერისა და ამ უკანასკნელის შემოწმების საიმედო საშუალებაცაა. შემთხვევითი არ არის, რომ არაერთი მეცნიერი ენის აღწერის (ენის შესახებ ცოდნის წარმოდგენის) თეორიად მიიჩნევს მოდელს – „აზრი ↔ ტექსტი“.

ამრიგად, მ. თ-ის კვლევაში გასარჩევია ორი ძირითადი ასპექტი: გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ი (სამეცნ.-ტექ. ტექსტების თარგმნა, საინფორმა-

ციო საქმის ავტომატიზაცია და ა. შ.) და თეორიული (ადამიანის მეტყველების მოდელირება, ლინგვ. აღწერილობისათვის მათემატიკური ფორმალიზმის დამუშავება და სხვ.). პირველი მიმართულებისათვის დამახასიათებელია ყურადღების გამახვილება ტექნ. დეტალებზე (დაპროგრამება, მანქანური მეხსიერება და სხვ.), მეორე მიმართულების განვითარება საჭიროებს ზოგადლინგვისტურ და, პირველ რიგში, სემანტიკურ გამოკვლევებს.

საქართველოში მ. თ-ზე მუშაობა დაიწყო 1957-იდან საქართ. მეცნ. აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში (ახლანდ. მართვის სისტემების ინსტიტუტი) ა. ელიაშვილის ხელმძღვანელობით. პირველი სამუშაო ითვალისწინებდა რუსულიდან ქართულზე ბინარულ თარგმნას. საცდელი თარგმანი მათემატიკისა და ავტომატიკის დარგის ტექსტებისათვის შესრულდა 60–70-იან წლებში. დღეისათვის ნებისმიერი ენიდან ნებისმიერ ენაზე თარგმნის პროგრამებიდან მზად არის ქართ. ენის მორფოლ. სინთეზის მოდელი; ინგლ.-ქართ. ავტომატური ლექსიკონი მორფოლ. პროცესორებით.

გარდა აღნიშნული მიმართულებისა, საქართველოში მუშაედება აგრეთვე მ. თ-ის რამდენიმე განსხვავებული კონცეფციაც (ჯ. ანთიძე, ო. კაპანაძე...).

ლიტ.: თამარაშვილი ლ., მარგველანი ლ., ჩიკოიძე გ., ბუნებრიული ენა და გამოთვლითი მანქანა, თბ., 1987; Апресян Ю. Д., Лексическая семантика. Синонимические средства языка, М., 1974; Мельчук И. А., Опыт теории лингвистических моделей „СМЫСЛ ↔ ТЕКСТ", 2 изд., М., 1999; Language and Technology, Luxembourg, 1996. *ლ. მარგველანი.*

მარგინალური ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში, მცირე ზომის გამოსახულებები ან მოკლე სიტყვიერი მინიშნებები ხელნაწერთა აშიებზე. ისევე როგორც ხელნაწერის ყველა დეტალი (მინიატიურა, *საზედაო ასო*, თავსამკაული თუ სხვ.), მ. ნ. ორგანულადაა დაკავშირებული ხელნაწერის ძირითად ტექსტთან და მის გაგებას ემსახურება. ეს ტექსტის გამომსახველობითი, მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელი კომენტარია.

მ. ნ-ის სისტემა ალექსანდრიელ გრამატიკოსთა მიერ არის შემოღებული ელინისტურ ეპოქაში. ძველი გრამატიკოსები მათ ბერძენ ავტორთა თხზულებებზე გარკვეული ტექსტობრივი სამუშაოების ჩატარებისას იყენებდნენ. ბიზანტ. ხელნაწერმა ფორმის თვალსაზრისით ბევრი რამ გადმოიღო ანტიკური ხელნაწერი წიგნებიდან, მათ შორის – ხელნაწერის აშიაზე მ. ნ-ის დართვის პრინციპებიც. ბიზანტ. ავტორების – ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნაზიანზელისა და ა. შ. – თხზულებების შემცველ ხელნაწერთა აშიებზე დასტურდება ისეთი ნიშნები, როგორიცაა: σημ - σημεῖον (= nota bene – [ქართ. „შეისწავე"] განსაკუთრებით საინტერესო ადგილი), ωρ - ὠραιον (= beatus – [ქართ. „შუენიერი"] მხატვრული პასაჟები), γρ - γράφεσθαι (= varia lectio – განსხვავებული ვარიანტული წაკითხვა), ≻ (ბიბლ. ციტატების აღმნიშვნელი ნიშანი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ბიზანტ. ავტორის ხელნაწერებში მ. ნ-ის ერთმა ჯგუფმა განსაკუთრებული, სპეციფ. ფუნქცია შეიძინა. მაგ., როგორც VI ს. ანონიმი კომენტატორი მიანიშნებს, გრიგოლ ნაზიანზელის ხელნაწერებში მზის ნიშნით (☉) აღნიშნულია ის პა-



მარგინალური ნიშნები გრიგოლ ნაზიანზელის XII–XIII სს. ქართული ხელნაწერებიდან.

საჟები, სადაც ლაპარაკია სალღთისმეტყველო თემებზე, ხოლო ვარსკვლავით (*) – ის ადგილები, რ-ებიც ქრისტეს განკაცებას ეხება.

მ. ნ-ს შუა საუკ. ქართულ ხელნაწერებშიც ვხვდებით, სადაც ისინი უმეტესწილად ბერძნულიდან არის გადმოტანილი. მ. ნ. ტექნიკური ფუნქციითაა გამოყენებული X ს. შუა წლების ლიტურგიკულ კრებულში (Sin. 34). ამ კრებულის შემდგენელ-რედაქტორი, ჰიმნოგრაფი *იოანე-ზოსიმე* „ჟამნის" შატბერდული და საბაწმინდური რედაქციების გასამიჯნად ხმარობს ნიშანთა გარკვეულ სისტემას და აღნიშნავს, რომ იგი მათ „ბერძულთა ძუელთა წიგნთაგან" იღებს.

ქართ. ხელნაწერებში მ. ნ-ის სისტემატური ხმარება დაკავშირებულია XI ს-ის *შავი მთის* ელინოფილი მწიგნობრისა და მთარგმნელის, *ეფრემ მცირის* სახელთან. საზოგადოდ, ქართ. ხელნაწერის აგება და გაფორმება ბიზანტ. ხელნაწერების მიხედვით ეფრემ მცირის, როგორც ელინოფილი მწიგნობრის, მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა (იხ. *ელინოფილიზმი*). იოანე დამასკელის „დიალექტიკის" შესავალში (A–24, XII ს.) იგი ლაპარაკობს მ. ნ-ზე: „შეისწავე, განსაზღვრებაჲ განჩინებითურთ და სამეცნიეროჲ", რ-ებიც „ყოველთა წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა" და რ-ებსაც პრაქტიკული დანიშნულება აქვთ, ეხმარებიან მკითხველს, ტექსტის გადაკითხვის გარეშე მოძებნოს მისთვის საინტერესო და საჭირო „სამეცნიერო სიტყუა". ეფრემ მცირის თარგმანების შემცველ ხელნაწერებში უხვადაა მ. ნ.: შეისწავე, იხილე, შუენიერი, რ-ებიც მკითხველის ყურადღებას ამახვილებენ განსაკუთრებულად საყურადღებო, ან განსაკუთრებულად მხატვრულ, აზრობრივად დახვეწილ ადგილებზე. ეფრემს ნათარგმნი აქვს გრიგოლ ნაზიანზელის ანონიმი კომენტატორის სქოლიოც (Jer. 43, 4v), ხოლო მის მიერ ნათარგმნ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულებში გამოყენებულია კომენტარში მოცემული ნიშანთა სისტემა (Jer. 15 – XII ს., A–109 – XII ს.). აღსანიშნავია ქართველ გადამწერ-კალიგრაფთა განსაკუთრებული შემოქმედებითი მიდგომა ამ ნიშანთა მიმართ და მათი ორიგინალური დეკორატიული გაფორმება ქართ. ხელნაწერებში. ეფრემის ავტოგრაფულ ნუსხაში S–1276 (XI ს. დასასრული) დასტურდება მზის ნიშნის ხმარების რამდენიმე შემთხვევა იმ ფუნქციით, რ-საც ის ასრულებს გრიგოლ ნაზიანზელის კრებულებში. კიდევ ერთ მარგინალურ ნიშანს – ◘ (იოტას) – ვხვდებით „სამოციქულოს" ეფრემისეული რედაქციის შემცველ ხელნაწერებში: Jer. 9 (XI ს.), Jer. 6 (XII ს.), A–390 (XI–XII სს.), ეფრემის მიერ შეცვლილი ტექსტის გასწორივ. ამ ნიშნის ფუნქციას ეფრემ მცირე „სამოციქულოს" წინასიტყვაობაში განმარტავს.

გვიანდელი ელინოფილური თარგმანების შემცველ ხელნაწერებში (XII–XIII სს.) ისეთ მ. ნ-თან ერთად, როგორიცაა: შეისწავე, იხილე, შუენიერი, ჩნდება ახალი სიტყვიერი მინიშნებები: განიგემე, დანიშნე და სხვ. ეს ნიშნები უხვადაა, მაგ., გელ. 14-ში (XII ს.) – მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა გელათური თარგმანების შემცველ კრებულში.

ლიტ.: დ ა ნ ე ლ ი ა კ., ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; ო თ ხ მ ე ზ უ რ ი თ., მარგინალური ნიშნები და მათი მხატვრული გაფორმების წესი ბიზანტიურ და ქართულ ხელნაწერებში. – «ლიტერატურა და ხელოვნება», 1992, № 5–6; თ ვ ა ლ თ ვ ა ძ ე დ., კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე ტერმინი ეფრემ მცირის სქოლიოების მიხედვით. – «თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 1998, ტ. 30; T. O t k h m e z u r i, Les Signes Marginaux dans les Manuscrits Géorgiens de Grégoire de Nazianze. Le Muséon, t. 104, Fasc. 3–4, 1991, p. 335–347.

თ. ოთხმეზური.

მართვა, სიტყვათა ისეთი *დაქვემდებარება*, როცა ერთი სიტყვა მეორისაგან მოითხოვს იმ ფორმას, რ-იც მას ან მოცემულ შემთხვევაში არა აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია. სიტყვას, რ-იც მართავს, მ მ ა რ თ ა ვ ი ეწოდება, ხოლო იმას, რ-იც იმართება, – მ ა რ თ უ ლ ი. წინადადებაში „დედის გულმა გაიხარა" ორი სინტაქსური წყვილია: „დედის გულმა" და „გულმა გაიხარა". სახელებისაგან შექმნილ წყვილში „დედის გულმა" წამყვანი ან მმართავი სიტყვაა „გულმა" (საზღვრული), რ-იც დამოკიდებულისაგან (მსაზღვრელისაგან) მოითხოვს იმ ფორმას – ნათ. ბრუნვას, რ-იც თვითონ არა აქვს. ქართულში სახელი სახელს მართავს ბრუნვაში. აქ მ. ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი ა. წყვილში „გულმა გაიხარა" უფრო რთული სინტაქსური კავშირია. ზმნა, უღლებადი სიტყვა, სახელისაგან მოითხოვს გარკვეული, ამ შემთხვევაში – მოთხრ., ბრუნვის ფორმას, თუმცა ბრუნვის კატეგორია მას არ გააჩნია, ე. ი. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში. ამასთანავე, სახელიც „გულმა" მოითხოვს ზმნისაგან III სუბიექტ. პირის ფორმას (გაიხარა), მაშასადამე, სახელიც მართავს ზმნას პირში. აქ არის ს ა უ რ თ ი ე რ თ ო მ., ანუ კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი ა. ზმნასთან მორფოლოგიურად (პირთა მიხედვით) დაკავშირებული სახელები (*ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება*) მართავენ ზმნას სათანადო სუბიექტ. და ობიექტ. პირებში ნიშნით ან უნიშნოდ, ზმნა კი მართავს ამ სახელებს ბრუნვაში („მზემ ფანჯარა-ს სხივ-ი ს-ტყორცნ-ა"). სხვა თვალსაზრისით, ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ზმნა მართავს სახელებს ბრუნვაში, ხოლო სახელები ითანხმებენ ზმნას პირში (მე ვსტყორცნე, შენ სტყორცნე, მან სტყორცნა; მე მტყორცნა, შენ გტყორცნა, მას სტყორცნა), რაკი ისინი ლექსიკურად გამოხატავენ პირებს, რ-ებიც ზმნაში გრამატიკულადაა წარმოდგენილი. ამდენად, ამ შემთხვევაში საურთიერთო მ. კი არ არის, არამედ – ს ა უ რ თ ი ე რ თ ო დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა (ა. *დავითიანი*, ლ. *კვაჭაძე*). ზმნისა და მასთან პირით დაკავშირებული სახელების (ქვემდებარისა და პირმიმართი დამატებების) ურთიერთობა რა თვალსაზრისითაც უნდა იქნეს განხილული – წმინდა გრამატიკულით თუ სემანტიკურ-გრამატიკულით, ფაქტია, რომ დაქვემდებარება ორმხრივია, საურთიერთოა, ზმნა არ არის ოდენ გაბატონებული, წამყვანი სიტყვა.

ზმნისა და სახელის ურთიერთობა ცალმხრივია, თუ სახელი ზმნასთან პირით არ არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ზმნა გაბატონებული, მმართავი სიტყვაა. იგი სახელს მართავს სხვა-

დასხვა ბრუნვაში (მიც., ნათ., მოქ., ვით.): „ხმალს ხელი იკრეს“, „მგლის ეშინია“, „ნისკარტით მოწიწკნა“, „მტრედად გადაიქცა“. ცალმხრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს: უ შ უ ა ლ ო მ., როდესაც ზმნა სახელს მართავს უშუალოდ: „გულს ჩაიკრა“, „გულს ასვენია“, „ბაღს შევიდა“, ან შ უ ა ლ ო ბ ი თ ი მ. თანდებულის საშუალებით: „გულში ჩაიკრა“, „გულზე ასვენია“, „ბაღში შეიდა“. აქ ზმნის (ან ნაზმნარი სახელის) მიერ სახელის მართვა თანდებულის მეშვეობით ხდება. ზმნის (სახელ'ზმნის) მიერ უშუალოდ თუ შუალობით მართული სახელი წინადადებაში *უბრალო დამატება* ან *გარემოებაა*.

სახელებისაგან შექმნილ წყვილშიც ცალმხრივი მ-ა, როცა მმართავი სახელი (საზღვრული) მართულისაგან (მსაზღვრელისაგან) მოითხოვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (ჯარისკაცის მამა, მერცხლების გუნდი, გმირთა მოედანი...). მართული სიტყვა (გ ე ნ ი ტ ი უ რ ი ს ა ხ ე ლ ი) სინტაქსური ფუნქციით სუბსტანტიური (მართული) განსაზღვრებაა, თუ მმართავი სიტყვა საკუთრივ არსებითი სახელია (ტაძრის გუმბათი, ტაძრის კედელი, ტაძრის კარი...); პირმიუმართავი ('უბრალო) დამატებაა, თუ მმართავი სიტყვა ნაზმნარი სახელია – მასდარი ან მიმღეობა: [ტაძრის შ'ენება, ტაძრის მშენებელი, ტაძრის ასაშენებლად... (ა. შანიძე, ლ. კიკნაძე)]. სხვა თვალსაზრისით, სახელის მიერ ნათ. ბრუნვაში მართული სახელი განსაზღვრებაა, მიუხედავად იმისა, მმართავი საკუთრივ არსებითი სახელია თუ ნაზმნარი სახელი (ე. თოფურია).

სახელი შეიძლება მართოს თანდებულმაც (ან თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებულმა ზმნისართმა). ზოგი თანდებული სახელს მართავს ერთ ბრუნვაში (მაგ., -ში მიცემითში, -კენ ნათესაობითში: სოფელში, სოფლისკენ...), ზოგი – მეტში (მაგ., -გან მეგობრისგან, სოფლიდან...). თანდებულიანი სიტყვა სინტაქსური წყვილის წევრია, რ-იც წინადადებაში უბრალო დამატება და გარემოებაა, თეითონ თანდებულიან სიტყვაში კი ე. წ. შ ი ნ ა გ ა ნ ი მ-ა, რაკი თანდებული წინადადების წევრის განუყოფელი ნაწილია.

ლიტ.: კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; თ ო ფ უ რ ი ა ე., ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები. – «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1967, №3; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., (1928) 1968; ლ ა ც ა ბ ი ძ ი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; კ ე კ ე ლ ი ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., (1966) 1996. *ლ. კვანტალიანი.*

მარინიკო (ნიკოლოზ) იაკობის ძე [25. XII. 1864 (6. I. 1865), სოფ. დაბლაციხე, ჩოხატაურის რ-ნი, – 20. XII. 1934, ლენინგრადი], ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი. რუსეთის მეცნ. აკად. აკად. (1912). 1874 დაამთავრა ოზურგეთის სამკლასიანი სასწავლებელი, 1884 – ქუთ. კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბ. უნ-ტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტზე. 1891–1900 იყო ამავე უნ-ტის პრივატ-დოცენტი. 1900 მ. დაინიშნა ქართ.-სომხ. სიტყვიერების კათედრის ექსტრაორდინარულ პროფესორად. 1908-იდან სა-



ნ. მარი.

თაოში ჩაუდგა აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრას, 1911 აირჩიეს აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტის დეკანად. 1921-იდან მ. ხელმძღვანელობდა პეტროგრადში მის მიერვე დაარსებულ „იაფეტიდოლოგიურ (1922-იდან – „იაფეტურ“) ინსტიტუტს“ (შემდეგ – „ენისა და აზროვნების ინსტიტუტი“). ამავე პერიოდში (1924–30) იყო ლენინგრადის საჯარო ბ-კის დირექტორი, 1930-იდან სსრკ მეცნ. აკად. ეცვა პრეზიდენტი.

მრავალმხრივი იყო მ-ის მეცნ. მოღვაწეობა. მისი ინტერესების სფეროში მოიცავდა არმენისტიკას, კულტ. ისტორიას, არქეოლოგიას (ანისის გათხრები, ექსპედიცია ვანის ტბის სამხრ-ით, ვარნაკის სამაროვნის გათხრები). მისი ინიციატივით ჩატარდა პირველი ლინგვისტური და არქეოლ. ექსპედიციები ახალქალაქისა და ახალციხის რ-ნებში (1917) ქართ., სომხ. და თურქ ენათა დიალექტების, ვარძიის გამოქვაბულების, ზარზმისა და საფარის მონასტრების კედლის მხატვრობის შესასწავლად.

მ-ის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი სამეცნ. სერიების შექმნა, როგორიცაა: «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», 1900–13 (13 წიგნი); «Материалы по яфетическому языкознанию», 1922–29; «Яфетический сборник», 1922–32 (9 წიგნი); «Язык и мышление» (1933–49); «Христианский Восток», 1912–22 (6 წიგნი); «Bibliotheca Armeno-Georgica», «Monumenta hagiographica Georgica» და სხვ.

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მ-ს ქართ. ხელნაწერების გამოვლენასა და შესწავლაში. 1898 იგი (ნ. კონდაკოვთან ერთად) გაემგზავრა *ათონის ივერთა მონასტერში* და შეძლებისდაგვარად სრულად აღწერა იქ დაცული ქართ. ხელნაწერების კოლექცია. 1902 იმოგზაურა სინას მთაზე (ი. ჯავახიშვილთან და ბიზანტინოლოგ ი. ეასილიევთან ერთად) და იერუსალიმში. ამ ექსპედიციის დროს აღმოაჩინა ქართ. პაგიოგრაფიის ბრწყინვალე ძეგლი – გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. თხზულება რუს. თარგმანითა და ვრცელი გამოკვლევით გამოსცა 1911. მანვე გამოსცა (გამოკვლევებით, ლექსიკონითა და რუს. თარგმანით) ძვ. ქართ. სას. მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი: „პეტრე იბერის ცხოვრება“ (1896), იპოლიტე რომაელის „თარგმანებაჲ ქებაჲ-ქებათაჲსა“ (1901), ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი“ (1904), ანტიოქე სტრატიგის „იერუსალიმის წარტყვევნის“ არაბ. ტექსტის ქართ. თარგმანი (1909) და სხვ.

მნიშვნელოვანია მ-ის ღვაწლი კლასიკური ხანის ქართ. საერო ლიტერატურის შესწავლაშიც. 1902 ვრცელი გამოკვლევებითურთ გა-

მოსცა (რუს. ენაზე) „ძველი ქართველი მეხოტბენი" — „აბდულმესიანი" და „თამარიანი". სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანს", „ამირანდარეჯანიანს", „ვისრამიანს", „რუსუდანიანს".

განსაკუთრებით დიდია მ-ის დამსახურება ქართველურ ენათა კვლევაში, რასაც მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა: «Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими» (1908), «Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем», С.-Петерб., 1910, «Грамматика древнелитературного грузинского языка», Л., 1925, «La langue géorgienne» P., 1931 (მ. ბრიერთან ერთად). აქვს სპეციალური წერილები სვანური ენის შესახებ. მნიშვნელოვანი დაკვირვებები ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობებზე, საყურადღებო ეტიმოლოგიები და ა. შ.

მრავალი დებულება, რ-ებიც საფუძვლად დაედო ქართ. ენის მეცნ. ანალიზს, მ-ის სახელს უკავშირდება. მის ნაშრომებში ვრცლად არის განხილული ქართ. ენის ფონეტიკის საკითხები. ავტორი დაწვრილებით მსჯელობს თანხმოვანთა არტიკულაციურ-აკუსტიკურ თავისებურებებზე (მსჯელობას ერთვის სათანადო ტაბულები), მათ წარმომავლობასა და წარმოთქმის ცვლილებებზე. გამოყოფილი აქვს ხუთი ხმოვანი, ორი ნახევარხმოვანი (ჲ, ჳ) და დიფთონგები: აჲ, ჵ, ჱ, უჲ; ძვ. ქართულისათვის ვარაუდობდა ირაციონალური ჷ-ს არსებობასაც, რ-იც ენაცვლებოდა დასუსტებულ უ, ე, ი ხმოვნებს და ქმნიდა მარცვალს; განხილული აქვს თანხმოვანთა კომბინაციები (როგორც უშუალო მეზობლობაში, ისე ხმოვნით გათიშულ პოზიციებში), ფონეტ. ცვლილებები, სიტყვის მახვილი და ა. შ.

მორფოლოგიაში მ. განიხილავს სახელთა ბრუნების სისტემას. დიაქრონიული პერსპექტივის გათვალისწინებით იგი შეეხო სახელთა განსაზღვრულობის კატეგორიასაც და აღნიშნა აქ მომხდარი ცვლილებები: პირველი განსაზღვრებითი ელემენტები, რ-თა საშუალებითაც განსაზღვრული ფორმები ცალკეულ ბრუნვებში უპირისპირდებოდნენ განუსაზღვრელებს, იქცნენ ბრუნვის ნიშნებად. ახ. განსაზღვრებითი ელემენტების ფუნქციით მოგვევლინენ ნაცვალსახელები (კაცი იგი, კაცმან მან...). აქვე იგი შეეხო სახელთა ფორმაცვალების მორფონოლოგიურ საკითხებსაც (ფუძეთა კუმშვა და კვეცა).



მარტვილის ოთხთავი. X ს. მეორე ნახევარი.

მ-ს საკმაოდ ვრცლად აქვს განხილული ზმნა. ზმნის კატეგორიებიდან განხილულია პირი, რიცხვი, გვარი, ქცევა, კილო, დრო, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია. პირის ნიშნები გენეტიკურად დაკავშირებულია ნაცვალსახელებთან. ნაცვალსახელური ნაწილაკებისაგან მომდინარე პირის ნიშნები ქმნიან სუბიექტ. და ობიექტ. წყობის ზმნებს. ავტორი მსჯელობს ლოგიკურ სუბიექტსა და ობიექტზე. საყურადღებოა II სუბიექტ. პირის ნიშნის ხმარების სწორი დისტრიბუციული ანალიზი და ა. შ.

განსხვავებული მიდგომისა და ზოგჯერ ფაქტების უზუსტობის მიუხედავად, მ-ის მიერ წამოყენებული ზოგი დებულება დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და შეიძლება მსჯელობის საგანი იყოს.

როგორც ცნობილია, მ. დიდ ყურადღებას უთმობდა ქართ. ენის (ქართველური ენების) სხვა ენებთან ნათესაობის საკითხებს (იხ. *იაფეტური ენები*). ამ მიმართულებით კვლევამ იგი საბოლოოდ მიიყვანა ენათა ნათესაობის უარყოფამდე და ერთიანი გლოტოქრონოლოგიური თეორიის შექმნამდე, რაც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული (იხ. *იაფეტური თეორია*).

თხზ.: Избранные работы, т. 1–5, М. – Л., 1933-37.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; ძიძიგური შ., ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი, თბ., 1965. *თ. უთურგაიძე.*

მარტვილი, უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლი, მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კერა დასავლეთ საქართველოში, დაბა მარ-

ტვილში. მ-ის თავდაპირველი სახელწოდება იყო ჭყონდიდი. VII ს. I ნახ-ში აქ მარტვილოა სახელზე ააგეს ეკლესია, XI ს-ში დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო. მ-ში მნიშვნელოვანი კულტ.-საგანმან. საქმიანობა იყო გაჩაღებული. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები: სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელი (X ს.) რ-მაც შეთხზა ორიგინალური პიმნები: ნათლისღების, აბო თბილელისა და სტეფანე პირველმოწამის დასტებლეები, თარგმნა „საკითხავი დაუჯდომელთაჲ“, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმ. თეოქტისტი ლესველისაჲ“ (SN384) და გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაჲ“ (AN–1170; KN–5); გიორგი ჭყონდიდელი (XI ს.), იოანე ჭყონდიდელი (XI–XII ს.) – გიორგი ათონელის ცხოვრების ავტორის ერთ-ერთი ინიციატორი, იოანე მესვეტე – გადამწერი „აგიოგრაფიული კრებულისა“ (Q–240); გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (XI–XII სს) – დაეით აღმაშენებლის აღმზრდელი და ეროვნული მოკავშირე. ჩვენამდე მოღწეულია მისი დაკვეთით დამზადებული ხელნაწერი (AN–1114); მწერალი და მქადაგებელი ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი (XVIIIს.); გაბრიელ ჭყონდიდელი (XVIII ს.), რ-ის ინიციატივითაა გადაწერილი ვახტანგის სამართალი (H–1683), სჯულისკანონი (Q–53), დოგმატიკურ-ასკეტური და მეცნიერული კრებული (S–263) და სხვ.; დაეით ჭყონდიდელი (XIX ს.); გიორგი ჭყონდიდელი, რ-მაც გადააწერინა სულხან-საბას ლექსიკონი (1838), „გიორგი ათონელის ცხოვრება“ (1839 წ.); რომანოზ მესვეტე (XIX ს.) – მრავალი ხელნაწერის შემქმნელი.

მ-ის ხელნაწერთა კოლექცია დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

მარტივი შემასმენელი, *შემასმენელი,* რ-იც მხოლოდ სმნის პირიანი ფორმით არის გადმოცემული, მხოლოდ სმნისგან შედგება. მისი ფუძე მარტივი ან რთულია, შეიძლება დაერთოს ნაწილაკი, ან მოხდეს ფუძის რედუპლიკაცია სხვადასხვა ცვლილებით. მწკრივის ფორმა, რ-ითაც შემასმენელია გადმოცემული, შეიცავს ლექსიკურ მნიშვნელობასაც და კატეგორიებსაც (პირს, რიცხვს. დროს, კილოს და სხვ.).

ზოგი გარდაუვალი სმნა აწმყოს მწკრივის I და II პირში რთული ფორმითაა წარმოდგენილი: ვედგავარ, ვედგავართ, დგახარ. დგახართ...

რთულია ერთპირიან გარდაუვალ სმნათა ფორმები III სერიის სამსავე მწკრივში, ხოლო ორპირიანი გარდაუვალისა – I თურმეობითში: გაესრდილვარ, გაეზრდილიყავ, გაესრდილიყო, მიესალმებივარ; რთულია აგრეთვე გარდამავალ სმნათა I თურმეობითის ფორმები I და II ობიექტ. პირში: აეუშენებივარ, აუშენებიხარ.

მ. შ-ად მიიჩნევა რთული სმნებიო გადმოცემული შემასმენელიც: უსრულველყო, ცხადყო, შეურაცხყო. რამდენიმე სმნა წარმოშობით შედგენილი შემასმენელია, ამჟამად კი – მარტივი: ცივა (ცივ არს), ცხელა (ცხელ არს)...; მ. შ-ა სმნის განმეორებით მიღებული ფორმები („ვეკეცე, ვეცეკ“); აგრეთვე შერწყმული სმნები („დაწყნარდ-დაღუმდა“).

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966 (1996); კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.

ლ. კვარტალიანი.

მარტივი წინადადება, *წინადადება,* რ-იც აგებულია სმნასთან სხვა სრულმნიშვნელოვანი სიტყვების (სახელების, სმნისართის) დაქვემდებარებითი შეკავშირებით (იხ. *დაქვემდებარება*). მ. წ-ის ცენტრი სმნაა, რ-ითაც არის გადმოცემული წინადადების ძირითადი წევრი – *შემასმენელი* (პრედიკატი). მ. წ-ში მხოლოდ ერთი შემასმენელია, რ-თანაც ცალმხრივი დაქვემდებარებით (სუბორდინაციით) ან საურთიერთო დაქვემდებარებით (*კოორდინაციით*) დაკავშირებულია წინადადების სხვა წევრები. მაგ., „გახარებული უფალი კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა“ (ვაჟა-ფშავ.). ამ მარტივ წინადადებაში ძირითადი წევრი – სმნა-შემასმენელი „სწერდეს“ მართავს სახელებს ბრუნვაში (უფალი – ქვემდებარე, ყმას – ირ. დამატება, ჯვარს – პირდ. დამატება. თავის მხრივ, სახელები მართავენ სმნას სუბიექტ.-ობიექტ. პირებში (უფალი სწერდეს; ყმას სწერდეს; ჯვარს სწერდეს – მართვა პოტენციური), ე. ი. მ. წ-ის მთავარ წევრთა შორის არის საურთიერთო დაქვემდებარება. მთავარ წევრებს ახლავს დამოკიდებული წევრები (გახარებული უფალი, კარგს ყმას, სწერდეს ზენითა). სახელები (უფალი, ყმას) ითანხმებენ არამთავარ წევრებს – განსაზღვრებებს ბრუნვაში; ადგილის გარემოება („ზენითა“) მიერთვის ძირითად წევრს – შემასმენელს. სქემატურად ეს ასე შეიძლება გამოვსახოთ:

მ. წ. მოდალობის მიხედვით არის *თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა*; მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით – *გაერცობილი და გაუგრცობელი, სრული და უსრული*, უქვემდებარო, განუსაზღვრელპირიანი, განზოგადებულპირიანი. *სახელდებითი წინადადება* მხოლოდ პირობით თუ შეიძლება ჩაითვალოს წინადადებად, რადგან მასში შემასმენელი არ არის.

ლიტ.: კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ძ ა ვ ა ხ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996; ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი ჯ., ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996. *კ. გაბუნია.*

მარტიროსოვი არამ გიორგის ძე (1912, სიღნაღი, – 1998, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველოლოგი. პროფესორი, დოქტორი (1965). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი ქაქკ. და აღმოსავლური ენების განხრით; 1941 დაამთავრა ენიმკი-ს ასპირანტურის კურსი და ამავე წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ჯერ ენიმკის, შემდეგ ენათმეცნ. ინ-ტის თანამშრომლად, სადაც გაიარა გზა უმცროსი მეცნ. თანამშრომლიდან წამყვან მეცნ. თანამშრომლამდე. მ. 1938-იდან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. იყო ა. ს. პუშკინის სახ. თბილ. პედ. ინ-ტის პროფესორი, კათედრის გამგე.



ა. მარტიროსოვი.



ი. მარ'შეევი.

მ. ავტორია ქართ. და ქართველოლოგიური ენათმეცნიერების საკითხებზე გამოქვეყნებული მრავალი ნაშრომისა. მ. შ. აღსანიშნავია 5 მონოგრაფია: „ქართული ენის კახური დიალექტი". გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი (გრ. იმნაიშვილთან ერთად), თბ., 1956; „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი", თბ., 1964; „ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის", თბ., 1972; „ჭილეტრატის იადგარი". ტექსტი და გამოკვლევა (ა. შანიძესა და ა. ჯიშიაშვილთან ერთად), თბ., 1977; „ქართული ენის ჯავახური დიალექტი". გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1984.

საქართველოს სომხურ სკოლებში ქართ. ენას VII, VIII, IX და X კლასებში ასწავლიდნენ მ-ის თანაავტორობით შედგენილი სახელმძღვანელოებით. *გ. ცოცანიძე.*

მარშევი (Marschev) იოლანდა (დ. 11. V. 1920, ციურიხი), შეიცარიელი ქართველოლოგი. 1939 დაამთავრა გიმნაზია, იმავე წელს სწავლა განაგრძო ციურიხის უნ-ტში, რ-იც დაამთავრა რომანისტიკისა და კლასიკური ფილოლ. განსრით. პროფ. კ. *ჰისერლის* ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართ. ენა და ლიტ-რა. თანამშრომლობდა კ. ჩხენკელთან გერმ. ენაზე გამოცემული „ქართული ენის შესავლისა" და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის" შედგენაში. კ. ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ მ-ს მიანდვეს ამ ლექსიკონის დამთავრება. 1974 მან ლ. *ფლურისთან* და რ. *ნოიკომთან* ერთად დაასრულა ლექსიკონის გამოცემა (გამოიცა 3 ტომად). ციურიხის კანტონის ხელმძღვანელობამ საგანგებოდ აღნიშნა „ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე" მომუშაე კოლექტივის ღვაწლი და ლექსიკონის გამოსაცემად გაწეული მრავალწლიანი მუშაობისათვის მ., ლ. ფლური და რ. ნოიკომი დააჯილდოვა.

1964–88 მ. ასწავლიდა ქართ. ენას ციურიხის უნ-ტში, კითხულობდა ლექციებს ქართ. ენის სტრუქტურისა და ქართ. ლიტ-რის ისტ. საკითხებზე. 1986 ციურიხში გამოსცა მონოგრაფია „ქართული ენის მორფემები". რ. ნოიკომთან ერთად თარგმნა ა. წერეთლის „ჩემი თაგადასავალი" (ციურიხი, 1990). 1996 დაასრულა ფუნდამენტური ნაშრომი „გერმანულ-ქართული ლექსიკონი". *გ. იმნაიშვილი.*

მარცვალთბასაყარი, საზღვარი ორ *მარცვალს* შორის. საზღვრის საკითხი ფონეტიკაში დღემდე პრობლემატურია. არც ერთი ცნობილი თეორია მარცვლის შესახებ არ იძლევა მარცვალთა ზუსტი საზღვრების დადგენის საშუალებას. მხოლოდ სონორობის თეორიაშია მითითებული, რომ მარცვლის ბოლო მოდის მინიმალურად სონორ ბგერაზე, რ-იც შეიძლება მიეკედლოს როგორც წინა, ისე მომდევნო მარცვალს. კონკრეტულ მაგალითებზე ამ წესით მ-ის დადგენა ძნელდება, მაგ., საფხუ-ლი თუ საფ-ხუ-ლი?

მარცვალთა საზღვარი ენებში სხვადასხვაგვარად დგინდება. განმასაზღვრელი შეიძლება იყოს ბგერათა შემართვა-დამართვის მომენტი. ქართულში თანხმოვნებს სხვადასხვა შემართვა-დამართვა ახასიათებთ: ფშვინვიერებს – ნელი, აბრუპტიებს კი – ძლიერი. ამიტომ მხოლოდ აბრუპტიები მიისწრაფვიან, მიეკედლონ მომდევნოს. დანარჩენი თანხმოვნები შეიძლება მიეკედლონ როგორც წინა, ისე მომდევნო მარცვალს. ქართულში მარცვალთა საზღვრის დადგენას ხელს უწყობს აქცესიურ-დეცესიური კომპლექსების გათვალისწინებაც. თუ სიტყვის შიგნით გვაქვს *აქცესიური კომპლექსი*, პირველი თანხმოვანი მიეკედლება წინამავალ მარცვალს, ხოლო მეორე – მომდევნოს: იღ-ბა-ლი, ხოლო *დეცესიური კომპლექსი* დაუშლელად მიეკედლება მომდევნო მარცვალს: სი-ტყვა, უ-თხრა (გ. ახვლედიანი), თუმცა კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ დეცესიური კომპლექსი ყოველთვის დაუშლელია, მაინც არ შეიძლება. არის შემთხვევები (იგულისხმება დეცესიურ კომპლექსთა A ჯგუფი), როდესაც (სიტყვაში კომპლექსის პოზიციის ან სხვა რომელიმე მიზეზის გამო) მ. კომპლექსის კომპონენტებს შორის გადის: აბ-გა, აპ-კი, ად-გა... ასეთი შემთხვევები მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარცვალი წარმოთქმა-აღქმის ერთელაზე ბუნებრივი ელემენტია. ამ კონტექსტში საინტერესოა აგრეთვე მოსაზრება, რომ ანტიციპაციური კოარტიკულაციის პირობებში ორი ნებისმიერი ხშულის თანმიმდევრობა ხასიათდება ერთჟამიერი განხშეით (პ. ლადეფოგედი). სხვა თვალსაზრისით, ფონემები მარცვალში დალაგებულია კლებადი სონორობის მიხედვით მარცლის ცენტრიდან (ხმოვნიდან) მარცხნივ და მარჯვნივ: ცხრა დღე დრო თმა (გ. ნებიერიძე).

ქართ. მ-ის შესახებ ორი საპირისპირო აზრია გამოთქმული: 1. ქართულში მარცვალს მიდრეკილება აქვს ღიაობისაკენ (გ. ახვლედიანი, ა. ფოცხიშვილი); 2. მარცვალს მიდრეკილება აქვს დახურულობისაკენ (თ. უთურგაიძე).

საერთო ქართველურ დონეზე მ. თანხმოვნის შემდეგ არის ნავარაუდევი (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

ლიტ. იხ. სტატიასთან *მარცვალი. ი. თევდორაძე.*

მარცვალი, რწყმული მეტყველების უმცირესი ბუნებრივი ერთეული. მ-ის შესწავლისას უნდა დადგინდეს: 1. რა ფონეტიკური ფაქტორი ქმნის მ-ს; 2. როგორია მ-ის შედგენილობა და 3. სად არის მ-ის საზღვარი (*მარცვალთგასაყარი*). ფონეტიკაში მ-ის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს: ცნობილია მ-ის სხვადასხვა თეორიები, რ-ებიც ემყარებიან არტიკულაციურ ან აკუსტიკურ მახასიათებლებს. აკუსტიკური დახასიათების მიხედვით (სონორობის თეორია), მ. არის სონორობის ზრდისა და შესუსტების ტალღა: სიტყვაში იმდენი მ-ია, რამდენი სონორობის მწვერვალიცაა მასში. მ-ის საყრდენია ნაკლებ სონორთა შუა მოქცეული მათზე მეტი სონორობის მქონე ბგერა (ო. იესპერსენი). არტიკულაციური დახასიათებით, მ. არის მინიმალური საწარმოთქმო ერთეული, რ-იც პაერის ერთი ჯახებით წარმოითქმის ან კუნთების დაძაბულობის ერთი იმპულსით იქმნება (რ. სიტეტსონი). არის ცდა მ-ის ფონემატური აღწერისა, რ-ის თანახმად „მარცვალი არის ფონემურ თანამიმდევრობათა განმეორებადი უმცირესი ერთეული" (ე. ჰაუგენი). მ-ის ორიგინალური ინტერპრეტაცია აქვს მოცემული ჰ. ლადეფოგედს: „მარცვალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც აბსტრაქტული ოდენობა, რ-იც არსებობს მეტყველის მენტალურ აქტივობაში. მარ-

ცვალი არის აუცილებელი ერთეული გამონათქვამის ორგანიზაციის პროცესში". ბგერებისა და მათი ცვალებადობის შესწავლისას ავტორისათვის ამოსავალი არის მ. პერცეფციის თვალსაზრისითაც მ. უმცირესი ბუნებრივი ერთეულია (ს. ჯაფარიძე).

მ-ის შესწავლის სიძნელეს არის, რომ მისი გამოყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ ფონეტ. მახასიათებლების საფუძველზე. მაგრამ როგორც ექსპერიმენტულმა კვლევამ აჩვენა, ეს მახასიათებლები არ არის მუდმივი, ისინი ცვალებადია მეტყველებაში. ამის გამო ზოგი ფონეტიკოსი საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებდა მ-ის, როგორც დამოუკიდებელი ფონეტ. ერთეულის, არსებობას. მრავალი ფაქტორი კი საპირისპიროს ადასტურებს:

1. მეტყველებას ყველა მთქმელი (მათ შორის ბაეშვებიც და ნაკლებ წიგნიერებიც) უფრო ადვილად ანაწევრებს მ-ებად, ვიდრე ბგერებად. უცხო ენაზე წარმოთქმულ ბგერათა თანამიმდევრობაში მსმენელი ვერ გამოყოფს სიტყვებსა და ფონემებს, მაგრამ არ არის ძნელი მისი მ-ებად დანაწევრება; 2. დიდი მნიშვნელობა აქვს მ-ს პოეზიაში – ლექსის რიტმი ემყარება მ-თა რაოდენობას; 3. ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ 'სუსეგმენტური ერთეულები (მახვილი, ინტონაცია, გრძლივობა და ა. შ.) ახასიათებს არა რომელიმე ცალკეულ ბგერას, არამედ მ-ს; 4. მ-ის მნიშვნელობას ადასტურებს დამწერლობის განვითარების ისტორიაც – არსებობს დამწერლობის სისტემები (კ.წ. სილაბური დამწერლობები), სადაც სიმბოლოები აღნიშნავენ არა სიტყვას ან ბგერას, არამედ მ-ს.

მ-ის შედგენაში უპირატესობა აქვს ხმოვანს, ის მ-ს ქმნის თანხმოვანთა გარემოცვაში; ხმოვანი მ-ის მწვერვალია, ხოლო თანხმოვნები – მისი პერიფერიული ელემენტები. ხმოვანს შეუძლია მარტომ შექმნას მ. (ი-გი). სიტყვაში იმდენი მ-ია, რამდენი ხმოვანიცაა მასში. სონორობის თეორიის მიხედვით, ზოგიერთ ენაში მ-ს ქმნიან *სონანტებიც* (რ, ლ, მ, ნ). თანამედროვე ქართულში სონორი თანხმოვნები მ-ს ვერ ქმნიან და ხშირად სასაუბრო სწრაფ მეტყველებაში სრულ რედუქციას განიცდიან, მაგ.: სახლს > სახს. ამასთანავე, ქართ. სილაბურ ლექსში მ-თა რაოდენობა მხოლოდ ხმოვანთა რაოდენობის ტოლია.

მ. ორგვარია: ღია და დახურული. ღია ეწოდება მარცვლოვანი ბგერით დამთავრებულ მ-ს (დედა, მა-მა, ძმა); დახურული – უმარცვლო ბგერით დამთავრებულს (სისხ-ლი, და-ხურ-ვა).

მ-თან დაკავშირებით არსებობს აგრეთვე ფონემათა განლაგების, ანუ არანჟირების საკითხი. მეცნიერთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ენაში ფონემათა თანამიმდევრობის წესები უნდა დადგინდეს მ-ის, და არა სიტყვის ან მორფემის ფარგლებში; მეტიც, თვით მორფემები და სიტყვები შეიძლება აღიწეროს მ-ის ტერმინებში (ფ. დე სოსიური, ჯ. ლადეფოგედი, თ. უთურგაიძე).

ქართულისათვის დადგენილია მ-ის ფარგლებში ბგერათა განაწილების შემდეგი წესები (გათვალისწინებულია სალიტ. ენა და დიალექტების ეითარება):

1. ერთ მარცვალში ორი ხმოვანი არ გეხვედება; 2. ორ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვანი ეკუთვნის მომდევნო მარცვალს; 3. ორ ხმოვანს შორის მოქცეული ორი თანხმოვანი დამარცვლისას იშლება: პირველი თანხმოვანი ეკუთვნის პირველ ხმოვანს, ხოლო მეორე – მეორე ხმოვანს; 4. თუ ინტერვოკალურ პოზიციაში ირღვევა მზარდი ნაპრალოვნობა, მარცვალთგასაყარი დაიდება იქ, სადაც მზარდი ნაპრალოვნობა ირღვევა (აფრ-თხი-ლებს, იბრ-ძვის, ანთხვეს); 5. დანარჩენ შემთხვევებში ინტერვოკალური თანხმოვნებიდან პირველი მისდევს პირველ ხმოვანს, დანარჩენი თანხმოვნები მომდევნო ხმოვნის ექსპლოზიას წარმოადგენენ (თ. უთურგაიძე).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; ჯაფარიძე ს., პერცეფციული ფონეტიკა, თბ., 1975; უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976; ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991; ფოცხიშვილი ა., 1. მარცვალთღიაობის ა ახალ ქართულში; 2. მარცვალთღიაობის ა-ს პრობლემა ძველსა და ახალ ქართულში. – იხ. მისი: ქართული ენა, თბ., 2000; Соссюр Ф.де, Курс общей лингвистики, пер. с франц., М., 1933; Ladefoged P., A Course in Phonetics, 2 ed., New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1982. *ი. თევდორაძე.*

მასდარი (არაბ. masdar – გამოსავალი, საწყისი, წყარო), ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში საწყისის სინონიმი, აღნიშნავს ნაზმნარ სუბსტანტივებს, აქვს ობიექტის მართვის ზმნური სინტაქსური ძალა (წერა, ხატვა, ტირილი...).

ამ ფორმებს ანტონ I ზმნის სისტემაში განიხილავდა და აღნიშნავდა ტერმინით სახელზმნა, როგორც „ქმნისა" და „ენების" გამომხატველ სიტყვებს, რ-ებსაც სახელის ნიშნებიც აქვთ და ზმნისაც. შემდგომ ა. შანიძემ გააფართოვა „სახელზმნის" ხმარების არე და იგი მიმღეობაზედაც გაავრცელა, ნაზმნარი არსებითი სახელისათვის კი შემოიღო ტერმინი „საწყისი". დღეისათვის *სახელზმნა* მოიცავს საწყისსაც და მიმღეობასაც, ე. ი. საერთოდ „უპირო ზმნას" (ა. შანიძე).

ენათმეცნიერთა ნაწილი ნაზმნარი სუბსტანტივების აღსანიშნავად უფრო მიზანშეწონილად თვლის ტერმ. მ-ის გამოყენებას, რამდენადაც „საწყისი", როგორც ტერმინი, ზმნის წარმოებისათვის ამოსავლად გულისხმობს ამ ფორმებს (წერა, კეთება...). სინამდვილეში უფრო ხშირად მ. მეორეულია, ნაწარმოები ზმნის აწმყო-მყოფადის ფორმათაგან (წერ-ს – წერ-ა, აკეთებ-ს -კეთება... (არნ. ჩიქობავა).

ქართულში გეხვედება აგრეთვე პირველადი მ-ებიც, მოქმედების აღმნიშვნელი პირველადი სახელები, რ-ებიც თვითონაა ამოსავალი ზმნათა წარმოებისათვის (შრიალი – შრიალებს, კაკანი – კაკანებს, გუგუნი – გუგუნებს...). მათი უმრავლესობა მარტივი ან გაორკეცებული ხმაბაძვითი ფუძეებია.

მ. ზმნის განყენებული მნიშვნელობის მატარებელია: არ განასხვავებს ზმნის კატეგორიათა უმრავლესობას (პირს, დროს, ქცევას...); მოქმედებითი და ენებითი გვარის ფორმები მხოლოდ ი'შვიათ შემთხვევებშია გარჩეული (ტეხა – ტყდომა, ხეთქა – სკდომა, დღება – დღილი...). ზმნასთან მას აერთიანებს ლექსიკური მნიშვნელობა, ფუძე, ზმნისწინი და ამ უკა-

ნასკნელთან დაკავშირებული კატეგორიები (*კუ'ხი, ორიენტაცია, აპეკტი*–).

მ. ფორმაცვალებადი სახელია, იბრუნვის არსებითი სახელის მსგავსად. როგორც მოქმედების სახელი, ჩვეულებრივ, მრ. რ-ს არ აწარმოებს, თუმცა კონკრეტული სემანტიკის მიღებისას ან სტილისტიკური საჭიროებისათვის მისი მრ. რ-ის ფორმებიც გვხვდება [„ეთქვი საუთოროსა გმობანი“ (შოთა რუსთ.); საკლასო წერები].

ქართულისთვის დამახასიათებელია მ-ის სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება (იშვიათად). ძირითადი მაწარმოებელია -ა სუფიქსი, რ-იც დაერთვის ზმნის აწმყო-მყოფადის ფუძეს (წერ-ს – წერ-ა, თესავ-ს – თეს-ე-ა, შლი-ს – შლ-ა, აშენებს – შენებ-ა-ა). ზოგი ტიპის ზმნათა მ-ს -ა სუფიქსთან ერთად აწარმოებს -ნ, -ომ, -ოლ ინფიქსები (თხოვ-ნ-ა, ძოვ-ნ-ა, ხტ-ომ-ა, სხდ-ომ-ა, დგ-ომ-ა...; ბრძ-ოლ-ა, ქრ-ოლ-ა–). გარდა ამისა, არის გაცილებით მცირერიცხოვანი ჯგუფი ზმნებისა, რ-თაც მაწარმოებლად -ილ სუფიქსი აქვთ (ტირ-ილ-ი, წუხ-ილ-ი, დუმ-ილ-ი...), ანდა სი – ილ, სი – ულ, ს – ა, სი – ა ცირკუმფიქსები (სი-რბ-ილ-ი, სი-ყვარ-ულ-ი, სელ-ა, სი-მღერ-ა...). ასეთ მ-თა დიდი ნაწილი დღეს გასუბსტანტივებულია.

სინტაქსური თვალსაზრისით, მ. არსებითი სახელისაგან თითქმის არ განსხვავდება. ძვ. ქართულში მ-ის ვითარებითი ბრუნვის ფორმა არასინტაქსურ ოდენობად იყო ქცეული, ზმნისებურად მართავდა ობიექტს და ქმნიდა *მასდარულ კონსტრუქციებს* ან ინფინიტიურ კონსტრუქციებს. ახალ ქართულში მ-ს ობიექტის მართვის სინტაქსური ძალა არა აქვს.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; *შანიძე ა.*, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; *ჩხუბიანიშვილი დ.*, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972; *ცხადაძე ბ.*, მასდარის წარმოება ძველ ქართულში, თბ., 1984.

დ. ჩხუბიანიშვილი.

მასდარული კონსტრუქცია, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნავს ვითარებით ბრუნვაში დასმული *მასდარის* მიერ შექმნილ კონსტრუქციას („იზრახა განტევებად იგი“ მათ. 1, 19; „ჯერარსა მიცემად ხარკი კეისარსა“, მარკ. 12, 24 ძე). ფართო გაგებით ამ ტერმინს ხმარობენ ვით. ბრუნვაში დასმული მასდარის შემცველი სხვა ტიპის შესიტყვების აღსანიშნავადაც („ჰნებავს წარსლვად“, „დასხდეს სერობად“...).

მასდარს, როგორც ზმნისაგან ნაწარმოებ არსებით სახელს, გადმოყოლილი აქვს ზმნის ზოგი თვისება (ზმნისწინი, ასპექტი... სემანტიკა); ფორმაცვალებით იგი არსებითი სახელის ბადალია და წინადადებაში ფუნქციონირებს, როგორც არსებითი სახელი. ძვ. ქართულში მასდარის ვით. ბრუნვა ხშირად არასინტაქსურ ოდენობადაა ქცეული, იხმარება სახელის ათვის უჩვეულო პოზიციაში (ბრძანებს – ბრძანა, ჰნებავს, ეშინის... განტევებად), ამაღე დროს, აელენს ზმნურ სინტაქსურ ძალას – მართავს ობიექტს სახ. და მიც. ბრუნვებში. ამის გამო მასდარის ვით. ბრუნვის ფორმა სახელის პარადიგმისაგან განცალკევებით დგას, ვერბოიდად იქცევა და ინფინიტივის ჩანასახად მიიჩნევა.

„მიცემად“ ტიპის ფორმები და მათი კონსტრუქციები წინადადებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატების, ქვემდებარის, მიზნის გარემოების, შედგენილი შემასმენლის პრედიკატული წევრის ფუნქციით. განარჩევენ დამატებით-მასდარულ და გარემოებით-მასდარულ კონსტრუქციებს (შ. ძიძიგური).

ვით. ბრუნვაში დასმულმა მასდარმა (resp. ინფინიტივმა) შეიძლება შექმნას ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი, ორპირიანი და სამპირიანი გარდამავალი ზმნის შესიტყვების მსგავსი კონსტრუქციები. იმისდა მიხედვით, თუ რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე, მას შეიძლება დაუკავშირდეს პირდ. ობიექტი (სახ. და მიც. ბრუნვებში), ირ. ობიექტი (მიც. ბრუნვაში) და იშვიათად სუბიექტი (სახ. ბრუნვაში). მოქმედების ობიექტი მას ხშირად იმავე ფორმითა და სინტაქსური წესით უკავშირდება, როგორც სათანადო ზმნას. შენიშნულია კანონზომიერება, რომ მასდარის მიერ მართული პირდ. დამატების ორი ბრუნვიდან ერთ-ერთის არჩევანს ის ზმნა განაპირობებს, რ-თანაც მასდარული კონსტრუქციაა დაკავშირებული („...ისწრაფვა თესვად კაცთმოყუარებასა“, ტიმ. ანტ., შდრ. „ვისწრაფო გამოცხადებად...საქმე იგი: კიმ. I). ძვ. ქართულშიეე „მიცემად“ ტიპის ფორმებთან შეიძლება შეგვხვდეს სახელი ნათესაობითი ან ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმით, სახელური მართვისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობით. მათი გამოყენების გახშირება მ. ძ-ის რღვევის მანიშნებელია (...ხარკისა მიცემად, თესვად თესლისა)...

XII ს-იდან მ. ძ-ები თანდათანობით გამოდის ხმარებიდან. თავს იჩენს ორი ტენდენცია: ერთი ქართ. ენის განვითარების ბუნებრივ ხაზს მიჰყვება და ხასიათდება მ. ძ-ის თანდათანობით გაქრობით, მეორე კი ცდილობს ძვ. ქართულის სხვა ენობრივ თავისებურებებთან ერთად შეინარჩუნოს „მიცემად“ ტიპის ფორმები, როგორც სტილისტიკური ხერხი.

განხილულ ფორმათა ზოგი სახეობის გამოყენება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის, რაც მოწმობს მთის კილოებში შემორჩენილი ფორმები, რ-ებიც სუპინუმის ფუნქციისაა და ძირითადად ნასახელარი ზმნებისაგან იწარმოებიან (წავიდა ნადირობად...). შედარებით ფართოა ამ ფორმათა გამოყენების სფერო თუშურში (–ბარვად შედგ, თქმად არს..).

ლიტ.: მარტიროსოვი ა., მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში. – «იკე», VII, თბ., 1955; *იმნაიშვილი ი.*, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; *კოტინოვი ნ.*, ვითარებითში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში. – «თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», V, 1964; *ძიძიგური შ.*, წინადადების მასდარული კონსტრუქცია. – «თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის შრომები», 1966, ტ. 19; *ჩხუბიანიშვილი დ.*, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972; *კობაძე მ., გამყრელიძე კ.*, კიდევ ერთხელ ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში. თეზისები. – «ქუთაისური საუბრები», V, 1997.

დ. ჩხუბიანიშვილი.

მაჭავარიანი გიგი ირაკლის ძე (5. XII. 1927, თბილისი, – 27. VIII. 1968, იქვე), ენათმეცნიერი ქართველოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1967). და-

ამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი კაექ. ენების სპეციალობით (1950), მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტში მეცნ. თანამშრომლად, 1955– 68 იყო თსუ ზოგადი ენათმეცნ. კათედრის დოცენტი, შემდეგ – პროფესორი.

მ-ის პირველივე სამეცნიერო ნაშრომებიდან გამოიკვეთა მისი, როგორც ქართველოლოგის, ფართო ინტერესები. ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში – „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“ (საკანდ. დისერტაცია, 1954) პირველად იქნა გამოწვლილვით შესწავლილი ქართველურ ენათა უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ მანამდე ნაკლებად გამოკვლეული პრობლემები. ამ ნაშრომში, პირველად ჩვენს სამეცნ. ლიტ-რაში, არ არის გაზიარებული სვანური ენის ნარეევობის თეორია, რ-საც ნ. მარმა დაუდო საფუძველი.

მ-მა აღმოსავლეთმცოდნეობის XXV საერთაშორისო კონგრესზე (მოსკოვი, 1960) წამოაყენა თეორია, რ-ის მიხედვითაც საერთო-ქართველურ ფუძეენაში არსებობდა სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგი (წინააღმდეგ მანამდე ქართველურ ენათმეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისისა სიბილანტთა ორი რიგის არსებობის შესახებ).

ქართველური ენათმეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მონოგრაფიას „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (თბ., 1965), რ-ის ავტორიც მ. იყო თ. გამყრელიძესთან ერთად. ეს ნაშრომი ქართველურ ენათა შედარებით-ისტ. გრამატიკის საფუძველია. მასში გამოთქმულია თვალსაზრისი ქართველურ ფუძეენაში სონანტთა კლასის (იხ. *სონანტები*) არსებობის შესახებ, რის შედეგადაც აიხსნა და დასაბუთდა ქართველურ ენათა შედარებითი ფონოლოგიისა და მორფოლოგიის მრავალი საკითხი. სონანტთა კლასის რეკონსტრუქციას უკავშირდება მეორე მნიშვნელოვანი თეორია აბლაუტის არსებობისა (იხ. *აბლაუტი*). ნაშრომში მოცემულია აგრეთვე ქართველურ ძირეულ და აფიქსურ მორფემათა კანონიკური ფორმა: I. ძირეულისათვის – თანხმ. + ხმოვ. + თანხმ. (კახ., ბან-, _). ძირში მარტივ თანხმოვანს შეიძლება ჩაენაცვლოს ჰარმონიული ან ლაბიალური თანხმოვნის შემცველი კომპლექსები (*ტყაშ, *დეღშ...); 2. აფიქსურისათვის – თანხმ. + ხმოვ. პრეფიქსებში და ხმოვ.+ თანხმ. სუფიქსებში. დადგენილია ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ურთიერთშეხამების კანონსომიერებებიც.

ქართველურ ენათა ფონოლოგიური და მორფონოლოგიური კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა მ-ის მონოგრაფია „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“ (თბ., 1965). მონოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებათა საფუძველია მოძღვრება სონანტთა სისტემისა და აბლაუტის შესახებ ქართველურ ენებში. ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება ქართველურ ენათა შედარების შედეგად აღდგენილი ფუძეენის თანხმოვან ფონემათა პარადიგმატულ სისტემას, ხოლო მეორე ნაწილი – იმ კონსონანტურ ჯგუფებს, რ-ებიც აღდგება საერთო-ქართველური ფუძეენის დონეზე. ქართვ. ენათა ურთიერთმიმართების, შედარებითი ფონოლოგიისა და გრამატიკის ძირითად საკითხებს ეხება მ-ის ნაშრომი „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, რ-იც შედგენილია თბილისის სახელმწ. უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტზე 1958–61 წაკითხული ლექციების საფუძველზე და გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ – 2002.

მ-ის კვლევის ძირითადი საგანი იყო ქართველური ენები; იკვლევდა იბერიულ-კაექ. ენებსაც.

ლიტ.: საენათმეცნიერო კრებული (ეძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე), თბ., 1979 (იქვე მ-ის შრომების ბიბლიოგრაფია).

ზ. სარჯველაძე.

მახვილი, მეტყველებაში რომელიმე ერთეულის გამოყოფა ფონეტიკური საშუალებებით. მ. სეგმენტური დონის ერთეულია (ზოგიერთ ენაში ფონოლოგიურად ღირებული). იმის მიხედვით, მეტყველების ნაკადის რომელ სეგმენტს უკავშირდება ის ფუნქციურად, განასხვავებენ მარცვლის, სიტყვის, სინტაგმისა და ფრაზის მახვილებს. ერთ-ერთი სახესხვაობაა ლოგიკური მ., რიც აღნიშნავს ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს გამონათქვამში (იხ. *მელოდია*). მ-ის მატარებელია *მარცვალი*. გამოიყოფა მახვილის სამი ფონეტ. კომპონენტი (მ-ის ტიპს განსაზღვრავს ამ კომპონენტებიდან ერთ-ერთის სიჭარბე ენაში): 1) *ინტენსივობა* – ამ თვისებაზეა დამყარებული დინამიკური სიტყვათმახვილი; 2) ტონის *სიმაღლე* – ამ ნიშნის მიხედვით გამოიყოფა მუსიკალური მახვილი; 3) *გრძლივობა* – ამ ნიშნით გამოყოფენ ე. წ. კვანტიტატიურ, ანუ რაოდენობრივ მ-ს (მაგ., რუსულში).

ენებში, როგორც წესი, ერთი ტიპის მ. გვაქვს. ჩვეულებრივ, სიტყვაში ერთი მ-ია, მაგრამ ოთხ- და მეტმარცვლიან სიტყვებში ჩნდება მეორე მ-იც (თანამახვილი). ორივე მ. ერთი ტიპისაა. მ-ები ენებში განსხვავდებიან არა მხოლოდ ფონეტ., არამედ სტრუქტურული ტიპის მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით განარჩევენ ფიქსირებულ (ფრანგული, ჩეხური, პოლონური, ქართული) და არაფიქსირებულ (რუსული, ინგლისური, გერმანული) სიტყვათმახვილებს. მ-ის ტიპები ისტორიულად ცვალებადია.



გ. მაჭავარიანი.

სიტყვათმახვილი ენაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს: ყველა ტიპის მ-ისათვის საერთოა კულმინაციური ფუნქცია, რაც განაპირობებს ცალკეული სიტყვების მთლიანობას და დამოუკიდებლობას მისი ბგერითი მხარის პროსოდიული ცენტრალიზაციით. მ. (განსაკუთრებით ფიქსირებული) ასრულებს დელიმიტაციურ (გამიჯვნით) ფუნქციას: იგი აღნიშნავს სიტყვათა საზღვრებს. მახვილი (ფიქსირებულიც და არაფიქსირებულიც), როგორც ფრაზის მელოდიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, ასრულებს ექსპრესიულ ფუნქციას. სიტყვათმახვილის როლი ძალიან მნიშვნელოვანია პოეტური ენის რიტმიკულ სტრუქტურაში.

ქართ. ენაში სიტყვათმახვილი სუსტია. ამით არის განპირობებული აზრთა მრავალფეროვნება მისი ადგილისა და ბუნების შესახებ (იხ. *აქცენტოლოგია*). ექსპერიმენტული მონაცემებით ქართ. სიტყვათმახვილი სუსტდინამიკურია და სიტყვის დასაწყისიდან პირველ მარცვალზე მოდის. ოთხ- და მეტმარცვლიან სიტყვებში გვაქვს თანამახვილიც: ოთხმარცვლიანში – ბოლოდან მეორე მარცვალზე, ხუთმარცვლიანში – ბოლოდან მესამეზე, ექვს- და მეტმარცვლიანში – უმეტეს შემთხვევაში მეოთხეზე

(შესაძლებელია მესამეზედაც). თანამახვილიც დინამიკურია, რაც გამოიხატება უმახვილო მარცვლების ინტენსივობასთან შედარებით უფრო მაღალი ინტენსივობით: არემარე, ხელცარიელი, ვაჭკაცობა, გულისხმიერი, აღმაშენებელი.

ქართულში დასაწყისი მარცვლის მახვილიანობის თვალსაზრისით საგულისხმოა შემდეგი: 1. მის გადაადგილება პირველი მარცვლიდან მომდევნო მარცვლებზე აღიქმება, როგორც ქართულისათვის არაბუნებრივი ან დიალექტური წარმოთქმა; 2. პირველი მარცვლის გრძლივობა აღემატება მომდევნო მარცვლებისას. რაც აგრეთვე მისი მახვილიანობის დამადასტურებელია (ვაჟკაცობა – პირველი „ა“-ს გრძლიეობა – 120 მს, მეორისა – 72 მს).

სიტყვის ლოგიკურად გამოყოფისას მაღალი ინტენსივობით აღინიშნება გამოყოფილი სიტყვის დასაწყისი ხმოვანი (ჯრჯოხეთი – პირველი „ო“-ს ინტენსივობაა 35, მეორისა – 12).

ქართულ მეტყველებაში არა გვაქვს ტონური სიტყვათმახვილი. ტონის სიმაღლე თანამედროვე ქართულში არ არის ფიქსირებული მარცვლების მიმართ, ტონალური ცვლილებები ყოველთვის მელოდიკის კანონზომიერებით განისაზღვრება. ტონის მიმოქცევა (ტონალური კონტური) გარკვეული ფუნქციის მატარებელია და ლოკალიზებულია სინტაგმის ცენტრსა და სინტაგმურ მახვილებზე. ტონის ამაღლება დამოკიდებულია სიტყვის როლზე გამონათქვამში, არის ის სინტაგმის (ან ფრაზის) ცენტრი, თუ არა. იზოლირებულად წარმოთქმულ სამ- და მეტმარცვლიან სიტყვაში ტონი შესაძლოა ერთ სიმაღლეზე იყოს პირველსა და მომდევნო მარცვალზე (ხელცარიელი – ე და ა-ს ტონის სიმაღლეა 250 ჰც). მაგრამ, თუ სიტყვა სინტაგმის ცენტრია, მთავარმახვილიანი მარცვლის მომდევნო მარცვალზე ტონი აიწევს (ე. წ. მახვილშემდგომი აწევა) მარცვალთა რაოდენობის მიუხედავად. მაგ., თეიმურაზს გული აუჩუყდა და / ცრემლი მოერია, თეიმურაზს გული აუჩუყდა და / ცრემლი მოერია, თეიმურაზს გული აუჩუყდა და / ცრემლი მოერია – ერთი ფრაზის წარმოთქმის სამი ვარიანტია. პირველ სინტაგმებში სხვადასხვა წევრია გააზრებული სინტაგმის ცენტრად (თეიმურაზს, გული, აუჩუყდა), მახვილშემდგომი აწევაც ამ სიტყვებზე ხდება. აწევა არ ხდება სინტაგმის მთავარ სიტყვაზე, თუკი ის წინადადების აბსოლუტურ ბოლოში დგას, რადგანაც აქ თავს იჩენს თხრობითი მელოდიკის მთავარი კანონზომიერება – თანდათან დამავალი ტონი: ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს.

სინტაგმათგასაყარზე პაუზის წინ მახვილშემდგომი აწევა შესაძლოა არ გვქონდეს, რადგანაც აქ სინტაგმის მახვილებია. მაგ., სიტყვა ვაჟკაცობა სინტაგმის საზღვარზეა და აღმავალ-დამავალი მახვილით აღინიშნება. სიტყვა ნოდარმა სინტაგმის საზღვარზეა და მკვეთრად აღმავალი მახვილით აღინიშნება. იგივე სიტყვები ფრაზაში სხვა ტონალურ სურათს აელენენ გამონათქვამში მათი ადგილისა და ფუნქციის მიხედვით.

სიტყვათმახვილის ადგილი დასაწყის მარცვალზე დადასტურდა ქართული ლექსის კვლევის დროსაც (გ. ტაბიძე, აკ. ხინთიბიძე, ა. სილაგაძე). გალაკტიონი საგანგებოდ მსჯელობდა სიტყვათმახვილის შესახებ ქართულში და აღნიშნავდა, რომ სიტყვათმახვილი სიტყვას თავში მოუდის (სამმარცვლიანში ეს ბოლოდან მესამე მარცვალია). მისი აზრით, ქართულ ლექსში მნიშვნელოვანია სწორედ მარცვალთრაოდენობა: „ქართული ლექსთწყობა სილაბურია“.

ლიტ.: გორგაძე ს., ქართული წყობილსიტყვაობა, ტფ., 1912; მისივე, ქართული ლექსი. ლექსთწყობის გამოკვლევა, ტფ., 1930; ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჯღენტი ს., ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963; განეილაძე გ., ქართული ლექსი ინგლისურთან შეპირისპირებით. – «მნათობი», 1967, №10; თევდორაძე ი., ქართული ენის პროსოდიის საკითხები, თბ., 1972; ხინთიბიძე აკ., ქართული ლექსის ბუნებისათვის, თბ., 1976; სილაგაძე ა., მახვილის საკითხისათვის ქართულ ლექსში. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1986, №4; ტაბიძე გ., საკითხის დასმისათვის. – იხ. მისი: თხზულებანი, ტ. 12, თბ., 1975; Алхазишвили А., Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка. – «Фонетический сборник», I, Тб., 1959; Цховребадзе Н., Обучение интонации немецкого языка на начальном этапе языкового вуза (при контакте немецкого с грузинским). Автореф. канд. дисс., М., 1979. *ი. თევდორაძე.*

მაჯო (Maggio) ფრანჩესკო-მარია (1612, პალერმო, – 1686). თეატინელი ბერი, მისიონერი. საქართველოში ჩამოვიდა 1637 და რვა წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ჯერ გორში, შემდეგ – სამგრელოში, ძირითადად კი – გურიაში. 1643 რომში გამოსცა ნაშრომი – „თხზულება აღმოსავლური ენების შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება“ (მეორე გამოცემა – 1670). წიგნის პირველი ნაწილი არის „... ქართული, ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკული წესები“ („...Georgianae, seu Iberiae vulgaris linguae — Institiones grammaticas“).

გრამატ. ნაწილი შედგება ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და პროსოდიისაგან. იგი იწყება ქართ. ანბანით (ასოები და ასოთა სახელები) შესაბამისი ლათინური ტრანსლიტერებითურთ, რ-ებიც შექმნილია ქართ. ბგერების თეისებათა გათვალისწინებით. ავტორი ემყარება სტ. პაოლინისა და ნ. ირბაქის (იხ. *ჩილოყაშვილი ნ.*) ტრანსლიტერაციის წესებს. აქვე ფონეტიკურად გაანალიზებულია თანხმოვნები და ხმოვნები წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით; მოცემულია პროსოდიული დახასიათებაც.

მნიშვნელოვანია ნაშრომის მორფოლ. ნაწილი. აღნიშნულია, რომ ქართ. ენას არა აქვს სქესის კატეგორია; სახელს აქვს ექვსი ბრუნვა (გამოყენებულია ლათინური ენის სქემა): სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, წოდებითი და გამოსვლითი (მოთხრობითის ფორმები სახელობითის ვარიანტად არის მიჩნეული); ხმოვანფუძიან სახელებში ბრალდებითი ბრუნვა სახელობითისაგან განსხვავებულია -ი სუფიქსით (სახ. მთა – ბრალდ. მთა-ი); უკეეცელ სახელთა მიც. და ნათ. ბრუნვის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს (ნათ.-მიც. ხბოსა, დროსა...); -ებ სუფიქსიანი მრავლობითის გვერდით განხილულია ნართანიანი მრავლობითის ფორმებიც;

ცალკე განიხილება ნაცვალსახელები, მოცემულია პირისა და კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება; მნიშვნელოვანია მ-ს დაკვირვება უღლების ფორმებზე: თხრობით კილოში, ლათინურისგან განსხვავებით, ექვსი მწკრივია (დაემატა თურმეობითი I – Praeteritum perfectum magis propinqum – „ყველაზე უფრო ახლო მყოფი ნამყო სრული“). ბრძანებითში სწორად არის გამოყოფილი მოდი, მოვიდეს ფორმები, სხვები კი საჭიროებენ შესწორებას; გამოყოფს ნატერით კილოსაც, რ-საც აწარმოებს თხრობითის ფორმაზე დართული ნაეთანს („ნეტამც“) ნაწილაკი; გამოყოფილია სუბიექტ. I და III პირთა ნიშნები ვ-, -ა-, -ს-, შესაბამისად, ასევე ობიექტ. პირთა მ- (I) და გ- (II), უ- (III) პრეფიქსები; შენიშნულია სუბიექტ. II პირის ხ- პრეფიქსი თავის ადგილას სამ ზმნაში (ხარ, მოხვალ, შეხიქ „გააკეთებ“), ოღონდ პირთა ანალიზისას ის ცალკე არ განიხილება. მ. ცალცალკე თავებში მსჯელობს ზმნიზედათა, შორისდებულთა და კავშირთა შესახებ; მორფოლოგიაშივეა განხილული სახელთა წარმოქმნის საკმაოდ მნიშვნელოვანი სახეობები; სინტაქსში მოცემულია შეთანხმებისა და მართვის წესები სახელთა შორის, სახელსა და ზმნას შორის ბრუნვებისა და რიცხვის მიხედვით. პროსოდიაში განხილულია სიტყვაში მახვილის შემთხვევები.

XVII–XVIII სს. ევროპელი მეცნიერები ქართულ ენას მ-ს ნაშრომით ეცნობოდნენ.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნაშრომების შესახებ. – იხ. ჩიქობავა არნ., ყათეშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.

თ. უთურგაიძე.

მებრელიძე იოსებ ბართლომეს ძე (9. IV. 1909, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი, – 23. I. 1996, თბილისი), ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). დაამთავრა თსუ (1931). ასპირანტურა გაიარა რუსეთის მეცნ. აკად. ენისა და აზროვნების ინ-ტში, რ-ის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამავე ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომლად (1934–39). იყო ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ქართ.-სომხ.-აზერბ. ენების კათედრის გამგე (1939–42). შემდეგ წლებში პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ცხინვალისა და გორის უმაღლეს სასწავლებლებში. 1959-იდან იყო შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი. მ. ავტორია ნაშრომებისა დიდოური ენების, რუსთველოლოგიისა და ქართ. მწერლობის – ქართ. და კავკ. ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, არმენისტიკის საკითხებზე. ყურადღებას იქცევს მისი ნაშრომები ძვ. და ახ. ქართულის ლექსიკის, ქართ. დიალექტოლოგიის, ტოპონიმიკის, ეპიგრაფიკის საკითხებზე, მ. შ. აღსანიშნავია მონოგრაფიები: „Лазский и мегрельский слои в гурийском“, М.–Л., 1938; „У истоков абхазоведения“, Сух., 1985.

გ. თოფურია.

მეგრული ენა, მეგრელების – ქართველთა ეთნოგრ. ჯგუფის მეტყველება. აქეს ორი დიალექტი: დასაელური (შემადგენელი კილოკავების სახელწოდებათა მიხედვით – ზუგდიდურ-სამურზაყანული) და აღმოსავლური (სენაკურ-მარტვილური). განსხვავება მათ შორის, უმთავრესად, ლექსიკურია.

მეგრულში არის ექვსი ხმოვანი: შუა რიგის – ა, ე, წინა რიგის (პალატალური) _ ე, ი, უკანა რიგის (ლაბიალური) – ო, უ. მათგან ა დაბალი აწეულობისაა, ე, ო – საშუალოსი, ი, ე, უ – მაღლისა. ე ზუგდიდურ-სამურზაყანულისთვისაა დამახასიათებელი, სენაკურ-მარტვილურში მის ადგილას ი ან უ გვაქვს (შდრ. ჭვნე – ჭინუ „წნელი“). ორი ხმოვნის შეერთებითა და ფონეტ. გარდაქმნებითაა მიღებული ორმაგი (ე. წ. „გრძელი“) ხმოვნები: აა, ეე, იი, უუ.

ჩქამიერ თანხმოვანთა ლოკალური რიგებია: ბილაბიალური (ბ, ფ, პ), დენტალური (დ, თ, ტ), წინაალვეოლარული (ძ, ც, წ; ზ, ს), უკანაალვეოლარული (ჯ, ჩ, ჭ; ჟ, შ), ველარული (გ, ქ, კ; ღ, ხ, ყ), ლარინგალური (ც, ჰ). გვაქვს ხშულთა სამეულები (მჟღერი, ფშვინიერი, მკვეთრი), ნაპრალოვანთა წყვილეულები (მჟღერი, ფშვინიერი); გამონაკლისია ბოლო ორი რიგი: ველარულში მკვეთრი ნაპრალოვანიც (ყ) შედის, ლარინგალურში კი – თითო ხშული (მკვეთრი ც) და ნაპრალოვანი (ფშვინიერი ჰ). სონორი თანხმოვნები იყოფა ორ ჯგუფად – ნაზალურებად (ბილაბიალური მ, დენტალური ნ) და ორალურებად (ლაბიალური ფონემის ორი ფაკულტატური ვარიანტი – ბილაბიალური ჳ და ლაბიოდენტალური ვ ალოფონები; ალვეოლარული რ; პალატალიზებული დენტალი ლ, რ-იც მარტვილურ კილოკავში წარმოდგენილია პალატალური ი ალოფონით).

განსხვავდება წარმოთქმის ორი სტილი: სრული (თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას შეიძლება დაერთოს ერთ-ერთი ვიწრო ხმოვანი: ი, ე ან უ) და კვეცილი (სიტყვის ბოლოკიდური ვიწრო ხმოვანი იკვეცება და ორმაგი ხმოვანი ცალმაგად წარმოითქმის). მახვილი სუსტი დინამიკურია: თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ხმოვნით დაბოლოებულებში – ბოლოდან მესამეზე. მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვაშიც, თუკი ეს ხმოვანი ორმაგის ვარიანტია (ე.ი. სიტყვაკვეცილი სტილით წარმოითქმის).

სიტყვის ბოლოს ნ იკარგება, მაგრამ აღდგება არაბოლოკიდურ პოზიციაში მოხვედრისას.

სახელთა ბრუნებისას ბრუნვის ნიშნის ვარიანტულობას განსაზღვრავს ფუძის რაგვარობა (თანხმოვანზე ბოლოვდება თუ ხმოვანზე, ბოლოკიდური თანხმოვანი იგუებს თუ არა მომდევნო თანხმოვნის მეზობლობას). გამოიყოფა ცხრა ბრუნვა: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი – -ი, -Ø), მოთხრობითი (-ჶ-იქ), მიცემითი (-ს/-ც/-ის), ნათესაობითი (-ი/-ი, -შ/-ში)], მიმართულებითი (-იშა, -შა), დაშორებითი (-იშე, -შე), დანიშნულებითი (-იშოთ/-იშო, -შოთ/-შო), მოქმედებითი (-ით, -თ), ვითარებითი (-ო, -თ). მრ. რიცხვი იწარმოება -ეფ/-ლეფ სუფიქსით.

ზმნა იუღლება სუბიექტ. ან სუბიექტ.-ობიექტ. წყობით. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პირის ნიშანია ზმნურ ფორმაში, ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი ან ორპირიანი. აბსოლუტური (ე. ი. ნულ- და ერთვალენტიანი) ზმნა ერთპირიანია პირდაპირი წყობისას, ორპი-

რიანია ინვერსიული წყობის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტის პირი გამოიხატება კონფიქსით, რ-იც შედგება შესაბამისი პირის ობიექტ. (O) პრეფიქსისა და III პირის სუბიექტ. (S) სუფიქსისაგან. რელატიური (ე. ი. ორ- და მეტვალენტიანი) ზმნის ერთპირიანი ფორმები გვაქვს, როცა შეწყობილია I და II პირი ერთმანეთთან, S_1-S_2 O_3-თან. (პირდაპირი წყობის დროს), ან O_1-O_2S_3-თან (ინვერსიისას); ორპირიანი ფორმები გვაქვს, როცა III პირი პირდაპირი წყობის ზმნაში სუბიექტია, ინვერსიულში კი – ობიექტი.

S_1 და S_2-ის ნიშნებად პრეფიქსებია. S_1-ის ალომორფებია: ე-, ბ-, ფ-, პ-, მ-, Ø-; II პირი ნულოვანი ნიშნითაა წარმოდგენილი; S_2-ის ნიშნად სუფიქსია, მისი ალომორფებია -ს, (-ნ), -უ. ობიექტური პირის ნიშნებად სამიე პირში პრეფიქსებია. O_1-ის ალომორფებია მ-, ვ-, ბ-, ფ-, პ-; O_2-ისა– გ-, რ-, O-; O_3-ის ერთადერთი ალომორფი ნულია. ფონეტ. პროცესების შედეგად ზოგ შემთხვევაში პრეფიქსული პირის ნიშანი გაინფიქსებულია (მაგ., მუფშენქ › მუეშენქ < ემუშენქ „ემუშაობ“).

მრ. რიცხვის სუფიქსებია: -თ (S_1 და S_2 და/ან ობიექტის სიმრავლეს აღნიშნავს ერთპირიან ფორმებში); -ნ, -ა(ნ), -ნა(ნ), -ეს (გამოხატავენ S_3-ის სიმრავლეს ერთ- და ორპირიან ფორმებში, S_1 და S_2-ის ან ობიექტისას კი – ორპირიანებში).

განირჩევა მოქმედებითი, ენებითი და საშუალი გვარი. ენებითი ორი სახისაა: ნიშნიანი და უნიშნო. ენებითის ნიშნებია: O- პრეფიქსი (ერთპირიანებში, მაგ., ირდუუ(ნ) „იზრდება“), ა-, ე- პრეფიქსები (ორპირიანებში: არდუუ(ნ) „ესრდება“, ესურებუ(ნ) „ესტუმრება“) და -დ სუფიქსი (გოთანდუ „გათენდა“, გუ(უ)თანდუ „გაუთენდა“).

ქცევა არის სამი: ნეიტრალური (ნიშნები: ო-, O-, ა-: ოცქვანს „აქებს“, ახარენს „ახარებს“, ბონს „ბანს“), სასუბიექტო (ნიშანი -ი: იცქვანს „იქებს“, იბონს „იბანს“), საობიექტო [ნიშნები: ი- (I – II პირისა), უ- (III პირისა): მიცქვანს „მიქებს“, უცქვანს „უქებს“, მიბონს „მიბანს“, უბონს „უბანს“]. როგორც ენებითის ე-, ისე ნეიტრალური ქცევის ა- ნასესხებია ქართ. ენიდან.

მწკრივთა სისტემაში გამოიყოფა ოთხი სერია: I სერია – აწმყო, ნამყო უსრული, I პირობითი, I კავშირებითი; II სერია – აორისტი, II პირობითი, II კავშირებითი; III სერია – I თურმეობითი, II თურმეობითი, III პირობითი, III კავშირებითი; IV სერია – III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV პირობითი, IV კავშირებითი.

კავშირებითი კილოს მაწარმოებელია -ა სუფიქსი, რ-საც მხ. რიცხვის I და II პირის „რომ“-კავშირიანი კავშირებითის ფორმებში ენაცვლება -ე(ე) სუფიქსი. პირობითი კილოს ფორმები იწარმოება ოთხივე სერიის ნამყო დროის გამომხატველ მწკრივებზე -კო დაბოლოების დართვით.

ლიტ.: ნიქობაია არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938; გამყრელიძე თ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965; გუდავა ტ., მახვილის ადგილისათვის მეგრულში. – კრ. „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბ., 1969; გუდავა ტ., გამყრელიძე თ., თანხმოვან-თკომპლექსები მეგრულში. – კრ. „აკაკი შანიძეს“, თბ., 1981; ყენია ს., ჭანურ-მეგრული ფონეტიკა, თბ., 1953; როგავა გ., დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკეთები ქართველურ ენებში. – «იკე», V, 1953; ციკოლია მ., მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკაეის ფონეტიკური მიმოხილვა. – «აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები», ტ. XXV, სოხუმი, 1954; მელიქიშვილი ი., ქართველურ ენათა ორი ისოლირებული ბგერათფარდობის ახსნისათვის. – კრ. «თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები», თბ., 1981; Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914; Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962; Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962; Harris A. C., Mingrelian: The Indigenous Language of the Caucasus. Vol. 1. The Kartvelian Languages, New York, 1991; Klimov G. A., Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin–New York, 1998.

გ. კარტოზია.

მეიოზისი (< ბერძნ. meiosis – დამცირება, დაკნინება, დაპატარავება), I. *ტროპის* სახე, რ-იც საგნის, მოვლენის თვისებას საგანგებოდ ამცირებს ან ამდაბლებს მათ შეფასებას. ამით მ. უპირისპირდება *ჰიპერბოლას*. მაგ., გარკვეულ სიტუაციაში „კარგი“ შეიძლება შეიცვალოს გამოთქმით: „არა უშაეს“; უარყოფითი თვისებების დამცროებისას მ. ევფემისტურ (იხ. *ევფემიზმი*) მნიშვნელობასაც იძენს: „არც ისე სასიამოვნო სანახაეია“ – „უსიამოვნოს“ აღსანიშნავად. ზოგჯერ მ-მა შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო ეფექტიც – რაიმე თვისების გაზვიადება,გაძლიერება, მაგ., როდესაც ლაპარაკია თაეისთავად მცირეზე: „ლოტოს კოჭი“ – პატარა კაცი, „რწყილის ნაწლავი“ – ძალიან წვრილი ძაფი და მისთ. ხდება სიმცირის თვისების ჰიპერბოლიზაცია. მ. თავისი ხასიათით ირონიულ ელფერს ატარებს. 2. იგიეა, რაც *ლიტოტეზი*.

ც. ბარბაქაძე.

მეკელაინი (Meckelein) რიხარდ გეორგ (13. IX. 1880, სოფ. არნშტაინი, ბავარია, – 4. XI. 1948, ბერლინი), გერმანელი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ქართველოლოგი და სლაეისტი. დაამთაერა ბერლინის უნ-ტი. 1914-იდან მუშაობდა ბერლინის სამეფო (1919-იდან პრუსიის) სახელმწ. ბ-კაში. 1921-იდან ბერლინის უნ-ტში კითხულობდა ქართ., რუს., პოლონ., სამხრ. სლაეური და ესპ. ენების კურსს.

1922 მისი ინიციატივით ბერლინში შეიქმნა „რუსთაეელის საზოგადოება“. ამაეე წელს დააარსა ეურნ. «მორგენლანდი» («Morgenland»), რ-ის პირეელი ნომერიც მთლიანად საქართველოსა და კაეკასიას მიეძღენა. მისივე თაოსნობით შეიქმნა გამომცემლობა „ახლო აღმოსაელეთი“, რ-შიც იბეჭდებოდა ქართ.-გერმ. კულტ. ურთიერთობის ამსახველი მასალები. 1919 მ-მა ბერლინში გამოსცა წიგნი „ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში და პრუსიის წიგნსაცავში არსებული ქართული გრამატიკებისა და ლექსიკონების ბიბლიოგრაფია“. მასეე ეკუთვნის „გერმანული ენის სახელმძღეანელო ქართეელთათეის“ (ბერლინი 1918, 1922, 1931), „ქართულ-გერმანული სიტყეანი“(ბერლინი-ლაიფციგი, 1928), „გერმანულ-ქართული ლექსიკონი“ (ნაწ. 1, ბერლინი, 1937, ნაწ. 2, ლაიფციგი, 1943).

ს. ჭიჭინაძე.

მელიქიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (30. XII. 1918, თბილისი, – 27. III. 2002, იქვე), საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძველი ისტორიის მკვლევარი. საქართვ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). ლენინური (1957), ი. ჯავახიშვილის სახ. (1976) და საქართვ. სახელმწ. (1982) პრემიების ლაურეატი. დაამთავრა ოსუ ისტ. ფაკ-ტი (1939). 1944-იდან მუშაობდა ისტ. ინ-ტში მეცნ. თანამშრომლად (1956-იდან პროფესორი), ხოლო 1965–99 იყო ამავე ინ-ტის დირექტორი.

მ. აეტორია მრავალი გამოკვლევისა ძვ. აღმოსავლეთის ისტორიისა და ფილოლოგიის დარგში. ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოიკვლია უძველესი ქართველური პოლიტ. გაერთიანებების – კულხას და დიაუხის – ისტორიის საკითხები; დაამუშავა საქართვ. ძვ. ისტორიისა და ფეოდ. ხანის მრავალი კარდინალური პრობლემა. მ-ის ნაშრომებმა ახალი ეტაპი შექმნა მსოფლიო ურარტოლოგიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომი „Урартские клинообразные надписи" (მე-2 გამოც. 1960, მოსკოვი). მასში შესულია ურარტული ენის გრამატიკის ერცელი ნარკვევი, რ-იც ცალკე წიგნადაც გამოვიდა („Урартский язык", M., 1964; Die urartäische Sprache, Rome, 1971). განხილულია ცალკეული ფონეტ. მოვლენები, მორფოლოგიის თითქმის ყველა მხარე – სიტყვაწარმოება, ბრუნება, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების უღვლილება, მყოფადი დროის წარმოება, -ri-თი წარმოებული ზმნის ფორმები, ბრძანებითი კილოს წარმოება, ოპტატივი, „ყოფნა" ზმნის წარმოება, თანდებულები, წინდებულები, ნაწილაკები; მიმოხილულია სინტაქსური მოვლენები და სხვ. ცალკე მსჯელობაა ურარტული ენის მუსასირული კილოკავის შესახებ, ხურიტულთან ურარტული ენის ნათესაობის საკითხზე; საგანგებო განყოფილება ეძღვნება ურარტული წარწერების სტილს და ამ მხრივ საამშენებლო, საომარი და საკულტო წარწერების თავისებურებებს, ურარტული წარწერების სტილის მსგავსებას ასურული წარწერების სტილთან და ა. შ. ურარტული ენის გრამატიკის ეს ნარკვევი გამოირჩევა მრავალი სიახლითა და ორიგინალობით. მაგრამ მ-ის ნაშრომის ერცელი (1960 წლის) ვარიანტის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მასში წარმოდგენილია საკუთრივ ურარტული ეპიგრაფიკული ძეგლების სრული კურსი, შეჯერებული ახალ, აქამდე უცნობ, მასალებთან. ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ პუბლიკაცია ინტენსიურად გამოიყენება ურარტოლოგიურ ლიტერატურაში. გამოქვეყნდა აეტორის „Открытия, публикации 1954–70 гг." («Вестник Древней Истории»-ს, №№3, 4, 1965), რ-იც აესებს 1970-მდე მოპოვებულ მასალას.

წიგნში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის" მ. შეეხო ქართულის სხვა ენებთან მიმართების საკითხს. მან ეჭვის ქვეშ დააყენა XIX ს. ევრ. მეცნიერების, და ქართ. მეცნიერებაში ფართოდ აღიარებული, თვალსაზრისი ქართ. ენის ნათესაობის შესახებ ჩრდილოკავკ. ხალხების ენებთან (აფხაზურ-ადიღური, ნახურ-დაღესტნური), ასევე მახლობელი აღმოსავლეთისა და სამხრ. ევროპის მთელ რიგ მკვდარ ენებთან (შუმერული, ხეთური, ელამური, კასიტური, ხურიტული, ურარტული; პელასგების, ეტრუსკების, ესპანეთის იბერების), აგრეთვე თანამედროვე ბასკების ენასთან. ამ ენებს აერთიანებდნენ ენათა ერთ დიდ ჯგუფში, რ-საც სხვადასხვა სახელწოდებით აღნიშნავდნენ – ალაროდიული, აზიანიკური, იაფეტიდური და ა. შ. აკად. ს. ჯანაშიამ ენათა ამ ჰიპოთეზურ ჯგუფს „ხეთურ-იბერიულ ენათა ოჯახი" უწოდა. ამ ჰიპოთეზათა უარყოფისას მ. ემყარებოდა გამოკვლეული ევრ. და ქართ. ენათმეცნიერების: ნ. ტრუბეცკოის, ჰ. ფოგტის, გ. დეეტერსის, კ. ჰ. შმიდტის, გ. წერეთლის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის და სხვ. მტკიცებებს. ზემოდასახელებულ ნაშრომში გულდასმითაა გაანალიზებული ქართულის შეხედრები ინდოევრ., ძირითადად უცნობი წარმომაელობის, ლექსიკასთან.

გ. გიორგაძე.

მელოდიკა (< ბერძნ. melodikos – მელოდიური, სასიმღერო), ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების: *ინტონაციის, გრძლიეობის, ინტენსიეობის, ტემპისა* და *პაუზის* ერთობლიობა. მათგან ინტონაცია ყველაზე არსებითი და მუდმიემოქმედი მახასიათებელია მ-ისა. ენაში ყველა გამონათქვამს აქვს თავისი მელოდიკური სურათი.

მელოდიკური ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული გამონათქვამის სინტაქსურ ასპექტთან იმ გაგებით, რომ არ არსებობს მელოდიკურად გაუფორმებელი გამონათქვამი. მაგრამ წინადადების (გამონათქვამის) სინტაქსური წყობა არ განსაზღვრავს მის მელოდიკურ სურათს. მელოდიკური ანალიზი აელენს წინადადების მრავალ სახესხვაობას (მარტივი, რთული, თანწყობილი, ქვეწყობილი და ა. შ.). ეს მრავალფეროვნება უკან პლანზე გადაიწევს მელოდიკური ასპექტის შესწავლისას. ამ შემთხვევაში არსებითია არა სიტყვათა რაოდენობა (ანუ მარცვალთრაოდენობა), არამედ ის, გამონათქვამი ერთსინტაგმიანია თუ მრავალსინტაგმიანი, დასრულებულია თუ არა სინტაგმა სემანტიკურად, რა პოზიცია უკავია სინტაგმას გამონათქვამში. ამის მიხედვით გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის სინტაგმური მახეილები.



გ. მელიქიშვილი.

მელოდიკურ ასპექტში არსებითია, გაირჩეს ინდივიდუალური და სოციალურად ღირებული მახასიათებლები. ის, რაც ინდივიდუალური და არაარსებითია ერთი ენისათვის, შესაძლოა, არსებითი იყოს მეორისათვის. მაგ., ქართულისათვის არსებითია ტონის მიმოქცევა სინტაგმის ბოლო მარცვლებზე (დამაეალი, აღმაეალ-დამაეალი, მკეეთრად აღმაეალი და თანდათან აღმაეალი), ხოლო არაარსებითია ტონალური ინტერვალი სინტაგმათაასაყარზე.

მ-ის შესწავლა დაიწყო XIX ს. ბოლოს. XX ს. დასაწყისში ყურადღება გამახეილებული იყო მ-ის როლზე სხვადასხვა ტიპის გამონათქვამებში: 50-იან წლებში – მ-ისა და სინტაქსის ურთიერთკაეშირზე, ხოლო 70–80-იან წლებში გამოიკეეთა ტენდენცია მ-ის აღ-

წერისა სასრული რაოდენობის რელევანტური ნიშნებით.

ქართ. ენის მ-ში გამოიყოფა ოთხი ტიპის სინტაგმათმახვილი: თანდათან დამაეალი, აღმაეალ-დამაეალი, მკვეთრად აღმაეალი და თანდათან აღმაეალი.

პირველისათვის დამახასიათებელია თანდათან დამაეალი ტონი და ინტენსიეობა სინტაგმის ცენტრიდან ბოლო მარცვალზე. ის მიგვანიშნებს აზრის დასრულებასა და სინტაგმის დამოუკიდებლობაზე გამონათქვამის მომდევნო მონაკვეთისაგან.

ამ ტიპის მახვილით აღინიშნება თხრობითი წინადადების ბოლო:



ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს.

თანდათან დამაეალი მახვილი შეიძლება გვქონდეს უკავშირო წინადადების კომპონენტებს შორის, თუ მთქმელს სურს, გამოკვეთოს ამ კომპონენტების შინაარსობრიეი დამოუკიდებლობა:



კრდეე კარგი, ცრცხალს გხედავ.

წინადადების შიდა სინტაგმები გამოიყოფა აღმაეალ-დამაეალი, მკვეთრად აღმაეალი და თანდათან აღმაეალი (ლოგიკური) მახვილებით. ამ მახვილებს განსხვავებული აქვთ ფიზიკური საფუძვლები, საერთო კი ისაა, რომ სამივე გამოხატაეს დაუსრულებელ აზრს და აღნიშნავს წინა სინტაგმის მჭიდრო კავშირს მომდევნოსთან.

ქართულში განსაკუთრებით გავრცელებულია აღმაეალ-დამაეალი მახვილი. აქ ტონი აიწევს სინტაგმის ბოლოდან მესამე ხმოვანზე, ამ დონეზე რჩება იგი მომდევნო მარცვლებზედაც და მკვეთრად დაიწევს სინტაგმის უკანასკნელ ხმოვანზე.

მაღალი ინტენსიობით ყოველთვის აღინიშნება სიტყვათმახვილის (მთავარის ან თანამახვილის) მატარებელი ხმოვანი, ტონის აწევა კი იწყება სინტაგმის ბოლოდან მესამე მარცვალზე.

ამ ტიპის მახვილის ფართო ხმარებით აიხსნება გავრცელებული აზრი ქართ. სიტყვათმახვილის ბუნებისა და ადგილის შესახებ – ბოლოდან მესამე მარცვალზე ტონური მახვილი (იხ. მახვილი). მაგ.,



როცა დაეითი შინ მრეიდა / საღამო ხანი იყო.

თუ სინტაგმის ბოლოს ორმარცვლიანი სიტყვაა, მაშინ ტონის აწევა იწყება წინა სიტყვის ბოლო ხმოვანზე:



ხალხი რომ ქუჩებში იყო / მაშინ მოხდა ეს ამბაეი.

თუ ორმარცვლიან სიტყვას კავშირი (და, რომ...) მოსდევს, აღმაეალ-დამაეალი მახვილიც მათზე განაწილდება.

ხოლო თუ სინტაგმის ბოლოს ერთმარცვლიანი სიტყვაა, ტონის ამაღლება წინა სიტყვის ბოლო მარცვლებზე მოდის:



ეზოში რომ კაკალი დგას / იქ თხილია შენახული.

ოთხ-, ხუთ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მაღალი ინტენსიობა დაცულია სიტყვათმახვილის ადგილზე (მთავარისა და თანამახვილის), ხოლო ტონის მიმოქცევის სურათი იგივე რჩება.

სინტაგმათმახვილისათვის ღირებული ტონის ცვალებადობა ბოლო სამ მარცვალზე ნაწილდება.

მესამე ანუ აღმაეალ მახვილში ტონი მკვეთრად აიწევს სინტაგმის ბოლო მარცვალზე (ზოგჯერ ბოლო ორ მარცვალზე), მაღალი ინტენსიობით კი სიტყვის დასაწყისი აღინიშნება:



დაიჭექა თოფმა დაბლა და / მაღლა / ქორმა შეიფრთხიალა.

ეს მახვილი მოითხოვს მომდევნო სინტაგმაში ერთ-ერთი სიტყვის ან მთლიანად სინტაგმის ლოგიკურად გამოყოფას მახვილიანი ხმოვნის ინტენსიობის ზრდით.

აღმაეალი მახვილი გეხვდება სინტაგმათგასაყარზე აღმაეალ-დამაეალის პარალელურად (ორივე დაუსრულებელ აზრს გამოხატაეს).

განსაკუთრებით ხშირია აღმაეალი მახვილი ერთსიტყვიან სინტაგმებზე:



უცებ / გაღმა / ხრიალი მოისმა.

თანდათან აღმაეალი, ანუ ლოგიკური სინტაგმათმახვილისათვის ნიშანდობლივია სინტაგმის ბოლო რამდენიმე (სამ-, ოთხ-) მარცვალზე ტონის თანდათან ამაღლება, რასაც თან სდევს ინტენსიობისა და გრძლიეობის ზრდა.

თუ სინტაგმათგასაყარზე არის ლოგიკური მახვილი, მომდევნო სინტაგმაში რომელიმე სიტყვა აუცილებლად გამოიყოფა ლოგიკურად:



თუ სანადირრდ წყრ / ხელცარიელი რად მოვიდა.

ამ მახვილში აქტიურად მონაწილეობს მ-ის ყველა მახასიათებელი: ტონი, ინტენსიობა, გრძლიეობა, ტემპი; სინტაგმათგასაყარზე გვაქვს აღმაეალი ტონი, მზარდი ინტენსიობა, რასაც თან სდევს ტემპის შენელება და ბგერათგრძლიეობის ზრდა.

ზოგ შემთხვევაში (მაგ. თხრობითი წინადადების ბოლოს, სადაც ტონი საზოგადოდ დამაეალია) ტემპი და ბგერათგრძლიეობა ერთადერთი საშუალებაა ლოგიკური გამოყოფისა:



ქეითინებდა შენერი, კვნესოდა ჯენირანი.

სინტაქსური წყობისა და მ-ის ურთიერთობის თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ მარტივი წინადადება მელოდიკურად შეიძლება გაუტოლდეს რთულს (თანწყობილსაც და ქვეწყობილსაც), თუკი ორივეში ერთნაირია სინტაგმათა რაოდენობა და მახვილის ტიპები:



ეს წიგნი / უკვე გუშინ ვნახე;



თუ სანადიროდ იყო / ხელცარიელი რად მოვიდა.



შესაძლოა მარტივიცა და რთული წინადადებაც წარმოითქვას როგორც ერთსინტაგმიანი.

შესაძლოა ერთსა და იმავე გამონათქვამს სხვადასხვა მელოდიკური სურათი ჰქონდეს იმის მიხედვით, თუ რა აზრი აქვს ჩაქსოვილი მასში მთქმელს:

გუშინ / ჩამოსულმა სტუმრებმა / ქალაქი დაათვალიერეს.

გუშინ ჩამოსულმა სტუმრებმა / ქალაქი დაათვალიერეს.

კითხვითი წინადადების მელოდიკაც აღიწერება ზემოთ დასახელებული სინტაგმური მახვილებით. მელოდიკური სურათი არ არის დამოკიდებული კითხვითი სიტყვის ან ნაწილაკის არსებობაზე გადამწყვეტია სმნა-შემასმენლის ადგილი წინადადებაში და მისი მახასიათებლების (ინტონაციის, ინტენსივობის, გრძლიეობის) ცვალებადობა:



ვინ გითხრა შენ ეს ამბავი?



შენ ეს ამბავი ვინ გითხრა?

თუ წინადადებაში არის კითხვითი სიტყვა ან ნაწილაკი, მათი კომბინაცია ზმნა-შემასმენელთან ქმნის ერთ რიტმიკულ ჯგუფს და რელევანტური მელოდიკური მახასიათებლები მასზე განაწილდება:



როდის ყვავის ნუში?

დაუსრულებელი სინტაგმებისათვის დამახასიათებელი აღმავალ-დამავალი მახვილი ფართოდ არის წარმოდგენილი კითხვით წინადადებებშიც.

მ-თან დაკავშირებით გარჩეულია ტერმინები: ლ ო გ ი კ უ რ ი და ე მ ო ც ი უ რ ი მახვილები, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკური მახასიათებლებითა და მნიშვნელობითაც. ისინი ხასიათდებიან აკუსტიკური ნიშნების სხვადასხვა კომბინაციებით და სხვადასხვა მიმართებაში არიან ნეიტრალურად წარმოთქმულ წინადადების შინაარსთან: ემოციური ელფერი ერცელდება მთელ გამონათქვამზე და გამონათქვამი ახალ მნიშვნელობას იძენს ნეიტრალურად წარმოთქმულ წინადადებასთან შედარებით (ირონია, გაბრაზება, დაცინვა, სიხარული, მოფერება). ამიტომ მართებული უნდა იყოს ტერმინი ე მ ო ც ი უ რ ი მ. და არა ემოციური მახვილი.

სიტყვის ან სინტაგმის ლოგიკურად გამოყოფის დროს თხრობითი წინადადების შინაარსი არ იცვლება, მნიშვნელობა არ სცილდება ნეიტრალური წინადადების ჩარჩოს.

განსაკუთრებულია მ-ის მნიშვნელობა ტექსტის ფარგლებში (იხ. *პროსოდია*).

ლიტ.: თ ე ე დ ო რ ა ძ ე ი., კითხვითი წინადადების მელოდიკა. – „ფონეტიკა და ნორმა". საკავშირო კონფერენციის მოხსენებები, თბ., 1982; გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე გ., ქართული ხალხური სიმღერის რიტმული საფუძვლების ტიპოლოგიური თავისებურებანი, თბ., 1982. ლიტ. იხ. აგრეთვე სტატიასთან *მახვილი*.

ი. თევდორაძე.

მენთეშაშვილი სტეფანე ბაგრატის ძე (1907, სოფ. ქვემო მაჩხაანი, სიღნაღის რ-ნი, – 20. IV. 1965, თბილისი), ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1945). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1930). იყო საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ-ბის თანამშრომელი (1931), ისტ. განყ-ბის გამგე (1941– 45), 1951-იდან ენათმეცნ. ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბის გამგე. მ-ის წერილებიდან მნიშვნელოვანია „კალოობა ქიზიყში" (1936), „კერი" (1936), „აჭარის ეთნოგრაფიული მასალები" (1937), „პაემეტობა ინგილოურში" (1939), „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის" (1944), მანვე შემოიღო არქეოლ. ტერმინი „სამაროვანი". მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" (ტ. 1–8, 1950–64) მომზადებაში (VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი), რისთვისაც, სხვა რედაქტორებთან ერთად, საქართვ. სახელმწ. პრემია მიენიჭა (1971).



ს. მენთეშაშვილი.

თხზ.: ქიზიყური ლექსიკონი, ე. თოფურიას რედ., თბ., 1943.

ა. არაბული.

მესხიშვილი მერი ვასილის ასული (დ. 29. IV. 1923, თბილისი), ენათმეცნიერი-ლექსიკოლოგი. 1945 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის აღმოსაელეთმცოდნეობის განყ-ბა. 1951 დაიცვა საკანდიდატო დისერ-

ტაცია – „ჯ. სუნდუკიანი და ქართული ლექსიკა-ფრაზეოლოგია მის ნაწარმოებებში“.

1950-იდან მუშაობს უნათმეცნ. ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბაში. 1951-იდან მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ქეგლ) 8-ტომეულის მასალების სარედაქციოდ მომზადებაში; იყო რედაქტორი VI ტომისა (თ. *შარაძენიძესთან* ერთად). ქეგლ-ის მომზადებაში შეტანილი წვლილი-სათვის 1971 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია.

მ. ასევე მონაწილეობდა სხვა ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებში: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – ინვერსიული ლექსიკონი“, თბ., 1967; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – ერთტომეული“, თბ., 1986; „ვეფხისტყაოსნის“ ფუძეთა და სიტყვაფორმათა ინდექსი“, თბ., 1973. იგი ერთერთი შემდგენელია „ქართლური დიალექტის ლექსიკონისა“, თბ., 1981.

მ-ის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით მომზადდა ქეგლ-ის 8-ტომეულის დამატებითი ტომი.

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. *ა არაბული.* **მესხური**, სამცხურ-ჯავახური, ქართული ენის დიალექტი. ისტორიულად მესხეთი, იგივე ზემო ქართლი, მოიცავდა სამცხეს, ჯავახეთს, თორს, კოლა-არტაანს, ერუშეთს, კლარჯეთს, სპერს_ ამ კუთხეთა მოსახლეობის მეტყველება იყო ისტორიული მ.; დღეს მ. მოიცავს სამცხისა და ჯავახეთის (ასპინძა, ახალციხე, ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა) ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებას და იგი ისტ. მ-ის მხოლოდ ნაწილია. სამეცნიერო ლიტ-რაში ტერმ. „მ.“ ტრადიციულად იხმარებოდა სამცხის მოსახლეობის მეტყველების აღსანიშნავად. ცალკე დიალექტად განიხილებოდა ჯავახური. თანამედროვე გამოკვლევებში, ისტ. ვითარებისა და ლინგვისტური მონაცემების გათვალისწინებით, სამცხური და ჯავახური ერთი დიალექტის – მ-ის კილოკავებად განიხილება.

ბგერითი შედგენილობის თავისებურებას ქმნის ჲ, ფ', უ, რ ბგერათა არსებობა. ჲ უმეტესად ი → ჲ პროცესის შედეგადაა მიღებული აღმავალ და დამავალ დიფთონგებში (ჲაკობაჲ, დედაჲ), ფ – გვაქვს ზოგიერთ შემოსულ სიტყვაში (ეფტენდი) ან I სუბიექტ. პირის ვ-ნიშნის ფონეტ. ვარიანტად ყრუ თანხმოვანთა წინ: დაეკარგე – დაფკარეე...; რ და უ ხმოვნები იშვიათად დასტურდება შემოსულ სიტყვებში, გვაქვს ქართ. ფორმებშიც: ჩრნ, თქვენთუნ (იშვიათად). უფრო ხშირად უ მიღებულია უ → ვი პროცესის შედეგად და დამოწმებულია იმ ფორმებში, სადაც ფონემატური სტრუქტურის აკრძალვის გამო პროცესი საბოლოო -ვი საფეხურამდე ვერ მიდის: ჰალრუები, ძულრები, კალრები... უ გვაქვს: თანხმოვანთგამყარად – კუნიეკა, ბურმა..., ან შემოსულ სიტყვებში – ყურათლი, ყუსმათი...

ხმოვანთა ფონეტ. პროცესებს წარმართავს ქართ. ენის ფონემატური სტრუქტურის თავისებურებით შეპირობებული, ენის ყველა ქვესისტემისათვის საერთო კანონზომიერება – ხმოვანთკომპლექსის მოშლისაკენ სწრაფვა. მ-ში ამ კომპლექსთა ცვლილება არ მიდის საბოლოო საფეხურამდე – ერთ ხმოვნამდე. მ-ის თავისებურებას შეადგენს ლაბიალური ხმოვნის შემცველი კომპლექსის ცვლილების გზა: ა) სიტყვის თავში: ოა / უა (მუაწია); ოე / უე (მუელი); ბ) სიტყვის ბოლოში: ოა / უა / უა / ვია (გაათხვია), ოე / უე / უე / ვიე (ვაძვიე), უა / უა / ვია (მოატყვია). ასიმილაციას განიცდიან: ა) ერთნაირი ღიაობისა და სხვადასხვა სერიის ხმოვნები: ოე / ეე (მეეტანა), იუ / უუ (მუუტანა)..., ბ) მომიჯნავე ღიაობისა და ერთი სერიის ხმოვნები: აე / ეე (წეელო), ოუ / უუ (მუუწია). პირველ შემთხვევაში დასგავსება ხდება სერიის მიხედვით, მეორეში – ღიაობის მიხედვით. მორფემათა მიჯნაზე მ-სთვის დასაშვებია შემდეგი ხმოვანთკომპლექსები: აუ, აო, აი, ოი, ეო, ეუ, იი, იე, ია. ასიმილაციით მიღებული ეე კომპლექსი კიდევ იცვლება დისიმილაციის გზით და გვაძლევს იე-ს (მოეტანა / მეეტანა / მიეტანა).

თანხმოვანთა ფონეტ. კომპლექსებიდან აღსანიშნავია ბგისმიერთა ნ-თი შენაცვლება თანხმოვნის წინა ან ბოლოკიდურ პოზიციაში: მ → ნ, ვ → ნ, ბ → მ → ნ, ფ → მ → ნ. პროცესის მოქმედების არე ფართოა და მოიცავს ბრუნების, უღლების, წარმოქმნის სისტემებს: დედნთილი, სავსე → სანსე, ამდგარი → ანდგარი, დედამ → დედან, აკეთამს → აკეთანს...

ყურადღებას იქცევს ხმოვანფუძიან სახელებთან -ი || -ჲ ბრუნვის ნიშნის გამოყენების კანონზომიერება. ბრუნვის ნიშანი დაჩნდება საკუთარ ან საკუთართან გაიგივებულ სახელებთან (დედაი, ნინოი) ყოველთვის, და -ა სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავებთან, თუ ისინი სასღერულის გარეშე არიან წარმოდგენილი (კუნტილიაი არ ჩანს...), ან შედგენილი შემასმენელის სახელად ნაწილს წარმოადგენენ (მტირალაია). ამასთან, -ი გვაქვს უპირატესად მახვილიან, -ჲ კი – უმახვილო პოზიციაში.

მოთხრობითში ხმოვანფუძიან სახელებთან ბრუნვის ნიშნად ხმოვანს -ნ მოსდევს: მამან, პეტრენ... - მ გამოჩნდება მაშინ, როცა ბრუნვის ნიშნის ხმოვანი მოსდევს: მამამაც, პეტრემაც... მიც. ბრუნვის ნიშნის გვერდით გვაქვს მისი ვარიანტები -ჰ, ჲ; ნათესაობითში თანხმოვანფუძიანებთან და კვეცად სახელებთან გვაქვს -ის/-ის/-ი ნიშნები, უკვეცელი სახელები კი გვიჩვენებენ -ს, -ჰ, -ჲ ბრუნვის ნიშანს.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას, სახ. და წოდ. ბრუნვების გარდა, მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი (დიდ ბიჭმა, დიდ ბიჭს, დიდ ბიჭის, დიდ ბიჭად). ნარიანი მრავლობითი უმეტესად ზედსართავისა და რიცხვითი სახელის მრავლობითობის აღნიშვნისას გვხვდება, როცა ისინი შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად არიან წარმოდგენილი (ორნი ვაართ, მარტონი არიან...).

თემის ნიშნების უნიფიკაცია შორს არის წასული – ყველა შესაძლო პოზიციაში (თანხმოვნური სუფიქსის წინ ან ბოლოკიდურად) გაბატონებულია -ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ თემის ნიშანთა ნარიანი ვარიანტები: -ან, -უნ, -ონ. ამასთან, -ან სუფიქსი უპირატესად გვხვდება ქველა დანარჩენის მონაცვლედ. მ-ის ზოგიერთ თქმაში ნარიანი სუფიქსების გვერდით გვაქვს -ამ, -ემ, -ომ სუფიქსთა გაბატონების გამოხატული ტენდენციაც. გამონაკლისს წარმოადგენს უდე-არალური თქმა: ეიღამ, ეიგამ...

უწყვეტულში -ავ-იან ზმნებთან -ენ თემისნიშნიანი ფორმები გვაქვს: ვხატენდი, ვწერენდი, ვკერენდი (შდრ. ძვ. ქართ. ემალავ – ემალვენდ). უმარცვლოფუძიან ზმნებთან -ან და -ენ თემისნიშანთა განაწილების გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება: ერგან/ერგენ, ერწყან/ერწყენ– მაგრამ ვაქენ, ვალენ– (შდრ.: დარგო/დარგა და აქო, აღო...).

კავშირებითი კილოს საწარმოებლად გამოყენებულია ნა || და (უნდა) ნაწილაკი: წავიდენა, → ნა წავიდე. დადასტურებულია ე.წ. თხოვნითი ბრძანებითი, გამოხატული II კავშირებითის ფორმით: მოიტანო! წახვიდე!

მეურნეობის დარგობრივი მრავალფეროვნება, ყოფა-ცხოვრების სტილი განაპირობებენ მ-ის ლექსიკურ თავისებურებებს. მრავალსაუკუნოვანმა უცხოენოვანმა გარემოცვამ ყველაზე დიდი კვალი ლექსიკას დააჩნია – მ-ში ბევრი თურქიზმი და სხვა უცხოენოვანი ბარბარიზმი გეხვდება; მიუხედავად ამისა, მ-ის ლექსიკა უნიკალურად მდიდარია და ბევრ არქაულ და სპეციფ. ფორმას ინახავს.

მესხთა დინჯი, დარბაისლური მეტყველება წარმოაჩენს სამეტყველო სტილის მდიდარ საშუალებებს; ლამაზი, სხარტი, დახვეწილი და მოქნილია მ-ის ფრაზეოლოგია.

ლიტ.: მაისურაძე ი., ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში. – «გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1942, ტ. I; ძიძიგური შ., მესხური დიალექტი. – იხ. მისი: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970; ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII–XIX სს.), თბ., 1975; მარტიროსოვი ა., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984; ბერიძე გრ., ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989; ბერიძე ი., სამცხურის ძირითადი თავისებურებანი. საკანდ. დისერტაცია, თბ., 1994.

ი. ბერიძე.

მეტათეზისი (< ბერძნ. metáthesis – გადაადგილება), პერმუტაცია, ტრანსპოზიცია, გადასმა, სიტყვაში მარცვლების, ბგერების ან ბგერითი მახასიათებლების ურთიერთშეცვლა ასიმილაციურ ან დისიმილაციურ ნიადაგზე. მ. შეიძლება იყოს რაოდენობითი, მაგ., სიტყვაში ბგერის სიგრძე-სიმოკლის გადასმა (ბერძნ. téos < têos) და თვისებრივი, როცა საქმე ეხება თვით ბგერების გადანაცვლებას. მ. კონტაქტური, როდესაც ხდება მოსაზღვრე ბგერების გადასმა (ნახშირი < ნაშხირი), დისტანციური – დაშორებული ბგერების გადაადგილება (ცარიელი < ცალიერი). ბგერათა გადაადგილების მიმართულების მიხედვით მ. შეიძლება იყოს პროგრესული (დიალექტ. ნაეხე < ენახე) დარეგრესული (ნამგალი < მანგალი). ქართულში მ-ის საერთო მიმართულება რეგრესულია. განსაკუთრებით ხშირია სონორულ რლნ და კბილბაგისმიერ ვ-ს გადასმა (სვლა < სლვა, ხერა < ხრვა, კელა < კლვა...).

მ-ის მიზეზი შეიძლება იყოს არტიკულაციური (ჩვეულებრივ, კონტაქტური მ-ის დროს): წარმოთქმისათვის უხერხული ან ბგერათშეხამების სისტემის თვალსაზრისით არამოტივირებული კომპლექსების აცილება (ნახშირი < ნაშხირი, კელა < კლვა...), ან ფსიქოლოგიური (ჩვეულებრივ, დისტანციური მ-ის დროს) – ანტიციპაცია და ინერცია. მ. უპირატესად სასაუბრო ენას, დიალექტურ მეტყველებას ახასიათებს, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი ფორმები სალიტ. ენაშიც მკვიდრდება (ნამგალი, ცარიელი...).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

ნ. იმნაძე.

მეტაფორა (ბერძნ. – metaphorá გადატანა), *ტროპის* ძირითადი სახე, *მეტყველების ფიგურა*, რ-იც გულისხმობს გარკვეული საგნების, მოვლენების, მოქმედებისათვის და ა. შ. ჩვეულებრივ გამოყენებული სიტყვების ან გამოთქმების გადატანას სხვა სახის საგნებზე, მოვლენებზე, მოქმედებებზე და ა. შ. რაიმე თვალსაზრისით მიმსგავსებული ნიშნების საფუძველზე. ვიწრო მნიშვნელობით, ტერმ. „მ". აღნიშნავდა გამოხატულების ფორმის შეცვლას რიტორიკული ეფექტისათვის (იხ. *რიტორიკა*). ფართო მნიშვნელობით, მ. წარმოდგენილია როგორც ზოგადი მოდელი, რ-შიც რომელიმე სფერო სისტემატურად განიხილულია სხვა სფეროს ტერმინებით (გ. პ. ლაკოფი). მაგ., ომთან დაკავშირებული საბრძოლო ტერმინები სისტემატურად გამოიყენება კამათის პროცესის აღსაწერად („მეტოქე დავამარცხე", „მოულოდნელად იერიში მიიტანა", „იძულებული იყო, კაპიტულაცია გამოეცხადებინა"...), ან არშიყობის სფეროში („მისი დაპყრობის სურვილი გამიქრა", „ის ალყაშემორტყმული იყო თაყვანისმცემელთა მიერ"...).

თავისი ხასიათით მეტაფორიზაცია რთული მოვლენაა, რ-იც ელინდება ადამიანის არსებობისა და მოღვაწეობის მრავალ, ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებულ სფეროებში. შესაბამისად მ-ს, როგორც მრავალასპექტიან მოვლენას, სხვადასხვა დარგი შეისწავლის: პოეტიკა (სტილისტიკა, რიტორიკა, ესთეტიკა) – როგორც ტროპის სახეობას, ლექსიკოლოგია – როგორც ახალი ენობრივი მნიშვნელობის გაჩენის წყაროს, პრაგმატიკა – როგორც ენის მოხმარების განსაკუთრებულ სახეს, ფსიქოლინგვისტიკა და ფსიქოლოგია – როგორც ასოციაციურ მექანიზმს, მეტყველების ინტერპრეტაციისა და აღქმის მექანიზმს, ლოგიკა და ფილოსოფია – როგორც აზროვნების ფორმასა და სინამდვილის შემეცნების საშუალებას და ა. შ.

ამჟამად ყველაზე სრულად მ. შესწავლილია ლექსიკოლოგიაში. განსაკუთრებული ყურადღება იმთავითვე მიექცა სრულმნიშვნელობიან სიტყვათა ორ ძირითად კლასს – საგანთა და თვისებათა აღმნიშვნელ სახელებს (არსებითებსა და ზედსართაებს), განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზმნური მეტაფორების შესწავლა. რაც უფრო მრავალკომპონენტიანი და ინფორმაციულად მდიდარია სიტყვის მნიშვნელობა, მით უფრო იოლად ხდება მოცემული სიტყვის მეტაფორიზაცია (ბედის ნებიერი, გესლიანი პასუხი, აზრის დინება...და სხვ.).

სიტყვის მეტაფორული ცვლილება ჩნდება გარკვეულ სიტუაციაში, ინდივიდუალურ სამეტყველო კონტექსტში, საიდანაც იგი შეიძლება გადავიდეს ენის სფეროში და გახდეს საერთო ენობრივი ფაქტი. როგორც ასეთი, იგი ფუძის ძირითად მნიშვნელობასთან ერთად ფიქსირდება ენის ლექსიკონებში. მაგ., ქეგლ-ის მიხედვით სიტყვა კაკალი არის: 1. მაღალი, ფართოფოთლებიანი ხე; ისხამს მაგარნა-

ჭუჭიან. წენგოიან ნაყოფს.– 2. ამ ხის მაგარნაჭუჭიანი, წენგოიანი ნაყოფი. მაგრამ ეს სიტყვა შეიძლება აღნიშნავდეს აგრეთვე რაიმე პატარა და მრგვალს, რისამე მარცვლებს, ბურთულას (ღმის კაკალი); თვალის ბურთისებრ სხეულს (თვალის კაკალი || იგივეა, რაც თვალი); ერთს. მარტოხელას (კაკალი კაცი); შუაგულს (კაკალ გულში) და სხვ.

ზოგჯერ სენტენციის შემცველი მ. წარმოიქმნება სიტუაციებს შორის ანალოგიით (სიტყვას ქარს ნუ გაატან!). ამგვარი მეტაფორული დატვირთვა აქვთ, ჩვეულებრივ, ანდაზებს („ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა.– და დანა გამოჩხრიკა“).

მხატვრულ ლიტ-რაში მ-ის მეშვეობით საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა გადატანა-დაკავშირება შემოქმედის ინდივიდუალობით განისაზღვრება. თეისებათა მოულოდნელი გადაადგილება მ-ის შინაარსს ძნელად გამოსაცნობს ხდის. „თუ სათქმელი შედგება მეტაფორისაგან, იგი გამოცანაა“ (არისტოტელე). მაგრამ სწორედ მეტაფორულობა აძლიერებს წარმოსახვას, უფრო შთამბეჭდავს ხდის პოეტურ (და არა მხოლოდ პოეტურ) სახეს: „ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“ (შოთა რუსთ.).

მ. ფუნქციონირებს პრედიკატთან კავშირში („ატრიბუტთა სფეროში“) და მისი მთავარი ფუნქციაა, იყოს დამახასიათებელი, განსხვავებით *მეტონიმიისაგან*, რ-იც კონკრეტულ საგანთან მიმართებით იდენტიფიკაციის ფუნქციას ასრულებს (ნ. არუთინოვა).

ადრესატზე ზემოქმედების მიხედვით, მ. იყოფა ე პ ი ფ ო რ ა დ და დ ი ა ფ ო რ ა დ. ეპიფორა გულისხმობს წინადადების, სტრიქონის.– ბოლოს სიტყვისათვის, გამონათქვამისათვის დამახასიათებელ ბუნდოვანებას, სიტყვათა თამაშს, რ-იც ემყარება *პოლისემიას, ომონიმიას*. ეპიფორისათვის ძირითადად ითვლება ექსპრესიული ფუნქცია (წარმოსახვისადმი აპელაცია). მაგ., „ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა / მოუნდის გულსა დაცემა, სოგჯერ მაჰმართის დანასა“ (შოთა რუსთ.).

დიაფორა სიტყვის გამეორებაა, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით, სხვა ეფექტით, სხვა რეგისტრით. მისთვის ძირითადია სუბექსტიური ფუნქცია (ინტუიციისადმი აპელაცია). მაგ., წინადადებაში – „მე მიხარია შენი ნახვა“ – „მე“ პიროვნული სემანტიკის გამომხატველია (აღნიშნავს კონკრეტულ I პირს), მაგრამ დ. აიზენჰაურის საარჩევნო კამპანიის დროს გამოყენებულ ლოზუნგში – „მე მიყვარს აიკი“ – „მე“ გულისხმობს ყველა მსმენელს, რ-საც მიმართავენ, ყველა თანამოაზრეს. კოგნიტური ფუნქციის მიხედვით, მ. იყოფა ბ ა ზ ი ს ურ ა დ (გამოხატავს აზროვნების ფორმას სამყაროსთან ან მის მნიშვნელოვან ნაწილთან მიმართებით) და გ ე ნ ე რ დ ი თ ა დ (განსაზღვრავს წარმოდგენას კონკრეტულ ობიექტზე).

მეტაფორული ცვლილებები ენის ლექსიკურ-სემანტიკურ შესაძლებლობათა გამდიდრების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ლიტ.: ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1966; ფ ო ჩ ხ უ ა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; ჭ ი ლ ა ი ა ა., ჭ ი ლ ა ი ა რ., ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინები, თბ., 1984; Теория метафоры, М., 1990; А р у т ю н о в а Н. Д., Метафора. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990; Л а к о ф ф Дж., Д ж о н с о н М., Метафоры, которыми мы живем, пер. с англ., М., 2004.

ც. ბარბაქაძე.

მეტონიმია (ბერძნ. metonymia – გადარქმევა), *ტროპის* სახე, რ-იც გულისხმობს სახელწოდების რეგულარულ ან ოკაზიონალურ გადატანას ერთი ობიექტიდან სხვა, მასთან ფიზიკური სიახლოვის (მეზობლობის) ან რაიმე სახის ასოციაციებით დაკავშირებულ ობიექტზე. მ-ს ზოგჯერ განიხილავენ როგორც ლოგიკური კატეგორიის შეცვლას, სადაც ერთმანეთს ენაცვლება გარეგანი სახე და რეალობა. მეტაფორისაგან განსხვავებით (იხ. *მეტაფორა*), რ-ის საფუძველიც ობიექტებს შორის მსგავსებაა, მ-ის საფუძველი შეიძლება იყოს საგნებს, მოვლენებს, პროცესებს და ა. შ. შორის არსებული სივრცითი, დროული, სიტუაციური, ცნებითი, სინტაგმატური, სემანტიკური, ლოგიკური და მისთ. მიმართებები. ხშირად მ. ჩნდება წინადადებიდან სიტყვის ამოვარდნის შედეგად. მჭიდრო სემანტიკური კონტაქტის გამო სინტაგმის დარჩენილი წევრი თავის თავში მოიცავს და გულისხმობს ამოვარდნილი სიტყვის მნიშვნელობას.

მ-ის დროს, სინეკდოქისაგან განსხვავებით (იხ. *სინეკდოქი*), ობიექტები შეიძლება განვიხილოთ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, როგორც სხვადასხვა კლასის წევრები, რ-თა მიმართ მ. მაიდენტიფიცირებელი ფუნქციით გეეელინება. მ. გეაქვს, როდესაც ენაცვლება: ა) მიზეზი – შედეგს, ან პირიქით („მის სახეზე გრძნობები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ“. გრძნობები მიზეზია, რ-იც იწვევეს სახის გამომეტყველების შეცვლას); ბ) მოელი – ნაწილს („ეზოში ვაშლი დგას“. იგულისხმება ვაშლის ხე); გ) მოქმედება – შედეგს („ავტობუსის გაჩერება“. იგულისხმება ადგილი, სადაც ავტობუსი ჩერდება); დ) ადგილი – იქ მყოფ ხალხს, დაწესებულებას („პენტაგონი“ – შენობის სახელწოდება გამოყენებულია იმ უწყების აღსანიშნავად, რ-იც მასშია განთავსებული. მაგ. „პენტაგონის გეგმები“); ე) ავტორის სახელი – მის ნაწარმოებს, ან პირიქით („ეკითხულობ გალაკტიონს“, ე. ი. გალაკტიონის ნაწარმოებებს); ვ) მეცნიერების დარგი – მისი შესწავლის საგანს (შდრ. ფონეტიკა – მეცნიერება ბგერების შესახებ და ფონეტიკა – ენის ბგერითი მხარე); ზ) აბსტრაქტული – კონკრეტულს, ან პირიქით („ლუარსაბი ახლაც ცოცხალია“ – იგულისხმება ის ზოგადი მოვლენა, რომელსაც ლუარსაბ თათქარიძე განასახიერებს); თ) სიმბოლო – საგანს, რის სიმბოლოცაა („ყიზილბაში“ – თურქ. „წითელთავიანი“, წითელი თაესაბურაეის გამო შეერქვათ სპარსელ დამპყრობლებს: „ჭერახივით ეყარა ჩახოცილი ყიზილბაში“, ვ. ბარნ.) და ა. შ.

მ. ჩვეულებრივ, მეტყველების ფაქტია და, როგორც სიტუაციური მოვლენა, ლექსიკონში არ აისახება, მაგრამ, თუ მეტონიმიური ჩანაცვლება რეგულარულია და მას შედეგად მოჰყვება ჩანაცვლებელი ფუძის პოლისემიურობა ან მისი მნიშვნელობის მთლიანად შეცვლა, იგი ხდება ენის ფაქტი. მაგ., ფრანგ. „ბიურო“ თავდაპირველად ნიშნავდა საწერ მაგიდაზე გადასაფარებელ ნაჭერს, შემდეგ – თვით მაგიდას, ბოლოს კი

– სააგენტოს; ასევე, ძვ. ქართულში „ცხედარი" ნიშნავდა საწოლს, ახლა კი გამოიყენება „მიცვალებულის" მნიშვნელობით (ე. ი. აღნიშნავს იმას, ვინც საწოლზე ასვენია).

ლიტ.: ფოფხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; Апресян Ю. Д., Лексическая семантика. Синонимические средства языка, М., 1974; Арутюнова Н. Д., Метонимия. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990. *ც. ბარბაქაძე.*

მეტრეველი ელენე პავლეს ასული (13. XII. 1917, ზესტაფონი, – 5. III. 2003, თბილისი), ფილოლოგი. საქართ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1983), ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1970), საქართ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1977). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1940). მუშაობდა გორის სახელმწ. პედ. ინ-ტში (1944–48), ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტსა (1948–52) და საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწ. განყ-ბაში (1946–58). ხელნაწ. ინ-ტის დაარსებიდან (1958) ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა, ხოლო 1959-იდან – არქეოგრაფიის განყ-ბებს. 1968–89 იყო ინ-ტის დირექტორი (1989-იდან – დირექტორის მრჩეველი). მ. წლების განმავლობაში იყო საკავშირო მეცნ. აკად. არქეოგრაფიული კომისიის წევრი და იმავდროულად ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკად. არქეოგრაფიულ კომისიას.

მ იყო ფართო დიაპაზონის მკვლევარი. მისი კვლევის სფერო მოიცავდა ძვ. ქართ. მწერლობის როგორც სას., ისე საერო ლიტ-რის მრავალ დარგს. მ-ის ნაშრომით „XI ს. ქართული ორიგინალური პიმნოგრაფია" (1951), ფაქტობრივად, საფუძველი დაედო ქართ. ორიგინ. პიმნოგრაფიის შესწავლას. მ-ის ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივის მიერ (ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი) მომზადებული გამოცემა „უძველესი იადგარი" (1980) საქართვ. სახელმწ. პრემიით აღინიშნა (1994). ხელნაწერებზე მუშაობისას მ-მა გამოაქვეყნა მანამდე უცნობი არაერთი ძეგლი და ისტ.-ლიტ. ფაქტი, განსაზღვრა მათი ადგილი ქართ. ლიტ-რისა და კულტურის განვითარების ისტორიაში. მისი ნაშრომები ეხება კლასიკური პერიოდის ქართ. საერო ლიტ-რის ორიგინ. და ნათარგმნი ძეგლების („ევფხისტყაოსანი", „ამირანდარეჯანიანი", „აბდულმესიანი") ანალიზის საკითხებსაც, ს.-ს. ორბელიანის მხატვრულ და ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას. მ-მა საგანგებოდ შეისწავლა ე. წ. „მოგზაურობათა" ჟანრი (ტ. გაბაშვილის „მიმოსვლა", გ. აფალო შვილის „მოგზაურობა").

მ. წლების განმავლობაში იკვლევდა ძვ. ქართ. კულტურის საზღვარგარეთულ ლიტ.-საგანმან. ცენტრებს (ათონზე, პალესტინაში, სირიაში, სინაზე) და იქ დაცულ ხელნაწერთა კოლექციებს. მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი ნაკლებად ცნობილი ან საერთოდ უცნობი ქართ. სკრიპტორიუმების აღმოჩენა და შესწავლა. მ. ხელმძღვანელობდა საქართვ. და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცულ ქართ. ხელნაწერთა მეცნ. აღწერილობის შედგენას, რის 30 ტომიდან იგი 9 ტომის თანაავტორია, ხოლო 17-ისა – რედაქტორი. მ-ის ინიციატივით ხელნაწ. ინ-ტში გაიხსნა ახალი განყ-ბები, შეიქმნა ლიტურგიკული და მეტაფრასული ძეგლების, „მრავალთავის" შემსწავლელი ჯგუფები (გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედების შემსწავლელი ჯგუფი, რ-საც თვითონ ხელმძღვანელობდა, ჩართულია საერთაშორისო პროგრამაში); დაარსდა (1977-იდან) „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების" აკადემიური სერია. 1976-იდან მ. თანამშრომლობდა ბიზანტ. ციველიზაციის ისტორიის შემსწავლელ პარიზულ ცენტრთან. მისი მონაწილეობით, უცხოელ თანაავტორებთან ერთად, გამოქვეყნდა ივირონის ბერძნ. აქტების ოთხი ტომი გამოკვლევითურთ (1985–1995).

თხზ.: შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში. – «ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1959, 20B; მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.). (ტექსტები და მასალები), თბ., 1962; შუასაუკუნეების ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში. – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), V, თბ., 1976; პალესტინის მონასტრების – დერთუფასა და დერტავის ხელნაწერების ირგვლივ. – «აღმოსავლური ფილოლოგია», IV, თბ., 1976; ნარკვევები ათონის ქულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996; ათონის ქართველთა მონასტრის სალაპე წიგნი, თბ., 1998; Значение синайской экспедиции 1902 года в развитии грузиноведения, Тб., 1976.

რ. გვარამია, ც. ქურციკიძე.



ე. მეტრეველი.

მეტყველება, 1. ლაპარაკი, საუბარი, რ-ის საშუალებითაც მყარდება ურთიერთობა. 2. მ. განისაზღვრება როგორც ენის (langue), ანუ ენობრივი სისტემის სამეტყველო რეალიზაცია. იგი ფსიქოფიზიკური ფენომენია, რ-ის მეშვეობითაც ხდება ენის სისტემის აქტუალიზაცია საკომუნიკაციო აქტებში. მ. არის სისტემის ინდივიდუალური გამოყენება. მ. კონკრეტულია და წარმოიქმნება ენის სისტემაში არსებული კოდის საფუძველზე.

მ-ის, როგორც ლინგვისტური ცნების, გამოცალკევებასა და მოგვიანებით მის ცალკე შესწავლას საფუძველი დაუდო ფ. დე სოსიურის მიერ ენისა (langue) და მეტყველების (parole) ერთმანეთთან დაპირისპირებამ. რამდენადაც სხვა ევრ. ენების შესაბამისი ტერმინები – Sprache – Rede (გერმ.) ან language – speech (ინგლ.) – არ გამოხატავენ ზუსტად იმ აზრს, რაც სოსიურმა ჩადო ამ ცნებების დიქოტომიაში, ეს ტერმინები ხშირად სწორედ ფრანგული ვარიანტით იხმარება სხვადასხვა ენაში; უფრო გვიან შემოვიდა ტერმინები competence „კომპეტენცია", „ცოდნა", vs performance „ქმედება", „გამოყენება" (ნ. ჩომსკი), რ-ებიც ამავე დაპირისპირებას ასახავენ და თუმცა უფრო შეზღუდულად, მაგრამ მაინც იხმარება langue და parole-ის სანაცვლოდ.

ის მახასიათებლები, რ-ებითაც მ. უპირისპირდება ენას, ფ. დე სოსიურის მიხედვით, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ენა არის სისტემა, მიმართებათა აბსტრაქტული კოდი, რ-იც სოც. იმპერატივს წარმოადგენს. იგი საფუძვლად უდევს მოცემული ენის ყველა გამონათქვამს. კონკრეტული სამეტყველო მოქმედების ყოველი კონკრეტული შემთხვევა ემყარება და ასახავს ენის ზოგად (აბსტრაქტულ) სისტემას. მ. არის ენის ამოქმედება და ფუნქციონება. მ. ეფუძნება ადამიანის ბუნებრივ (ფ. დე სოსიური), თანდაყოლილ (ნ. ჩომსკი) უნარს, შეისწავლოს ესა თუ

ის ენა და საკომუნიკაციოდ გამოიყენოს იგი. ამ თვალსაზრისით, ენა და მ. ქმნიან ერთ მთლიანობას, რიც თავისი მახასიათებლებით ადამიანისათვის სპეციფ. ფენომენია.

მ-ში არაფერია კოლექტიური. მისი გამოვლინება ინდივიდუალობითა და სიტუაციით არის განპირობებული. ამდენად, იგი სიტუაციური ოდენობა და ერთჯერადი (ერთეული) მოვლენაა. ამ თვალსაზრისით მ. ვარიანტულია, ხოლო ენა – ინვარიანტული. მ. არის ინდივიდის ნებელობის აქტი, რაც ხორციელდება ენის ერთეულთა კომბინაციების საშუალებით; მ. წრფივია, ენა კი – სისტემური და იერარქიული; მ. აქტიურია და დინამიკური, ენა კი – სტატიკური. ენა, როგორც აბსტრაქტული ოდენობა, მხოლოდ მ-ის კონკრეტულ, ინდივიდუალურ, სუბიექტურ აქტში პოვებს თავის საბოლოო განსაზღვრულობას (ვ. ფონ ჰუმბოლდტი).

ვითარებასა და სიტუაციასთან მჭიდრო მიმართების გამო სამეტყველო გამონათქვამები შეიძლება შეფასდეს ჭეშმარიტებისა და სიყალბის კრიტერიუმებით; ენა ამ კრიტერიუმებით ვერ შეფასდება. მ. მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია. იგი არის ერთდროულად ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური და ა. შ. მოვლენა. მეტყველების სხვადასხვა ფუნქციურ ტიპს განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაცია და მოლაპარაკეთა მიზნები.

ისტორიულად მ. ყოველთვის წინ უსწრებს ენას – ბავშვი მშობლიურ ენას სწაელობს მხოლოდ მშობლების მ-ის მოსმენით; ენის ევოლუცია განპირობებულია სწორედ მ-ის მოქმედებით.

მ. შეისწაელება სოციოლოგიის (F.Heider), ფსიქოლოგიის (Ch.Schmidt, I. Schlesinger), ფილოსოფიის (J.Austin, J.Searle_), ხელოვნური ინტელექტის (F.Bruce, J.Allen_) და სხვ. ასპექტებით.

მ-ის შესწაელამ საფუძველი დაუდო პრაგმატიკას, როგორც ენობრივი ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს თანამედროვე ენათმეცნიერებაში. პრაგმატიკა განიხილავს მ-ს მიზნებისა და ღირებულებების თვალსაზრისით. მ-ის შესწაელის აუცილებლობამ ჩამოაყალიბა თანამედროვე ენათმეცნიერების ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიცაა ტექსტის ლინგვისტიკა (დისკურსის ანალიზი); შეიქმნა სამეტყველო აქტების თეორია.

ლიტ.: ჩიქობავა ა., ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები, თბ., 1945 (1983); შარაძენიძე თ., ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბ., 1974; Гардинер А., Различие между «речью» и «языком». – წგ.: Звегинцев В. А., История языкознания XIX–XX веков в очерках и извлечениях, ч. 2, М., 1965; Соссюр Ф. де, Курс общей лингвистики. Труды по языкознанию, М., 1977; Гумбольдт В. фон, Избранные труды по языкознанию, пер. с нем., М., 1984; Searle J. R., Speech Acts, Cambridge, 1969; Dressler W., Einführung in die Textlinguistik, Tübingen, 1972; Chomsky N., Language and Mind, N. Y., 1972; Levinson St. C., Pragmatics, Cambridge, 1983. *ნ. შენგელაია.*

მეტყველების ანალიზი, რთული ფორმის ბგერითი ტალღის დაშლა მარტივ შემადგენლებად.

მეტყველების აკუსტიკური ანალიზი ოსცილოგრაფიულ და სპექტროგრაფიულ მეთოდებს ემყარება. ოსცილოგრაფიის მეშვეობით შესაძლებელია ბგერის ცალკეული ფაზის, თვით ბგერის ან უფრო გრძელი სეგმენტის გრძლივობის, ინტენსივობისა და სიმაღლის გაზომვა. სპექტროგრაფია მ. ა-ის უფრო სრულყოფილი მეთოდია. მისი მეშვეობით ხდება სიგნალის, როგორც ორგანზომილებიანი (სიხშირე-ინტენსივობა) ჭრილების, ისე სპექტრის შემადგენლებისა და ინტენსივობის დროში ცვლილების სამგანზომილებიანი რეგისტრაცია. თანამედროვე ეტაპზე მეტყველების აკუსტიკური ანალიზის ჩატარება შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით.

ბგერითი ტალღა განისაზღვრება ბგერითი წყაროსა და სამეტყველო ტრაქტის სარეზონანსო სისტემის აკუსტიკური მახასიათებლებით. ეს ნიშნავს, რომ ბგერითი სიგნალი P(f) აკუსტიკის თვალსაზრისით წარმოადგენს სამეტყველო ტრაქტის გარდამავალი ფუნქციისა T(f) და ბგერითი წყაროს სპექტრის S(f) ნამრავლს: $P(f)=T(f)\cdot S(f)$.

ბგერითი წყაროს ორი ძირითადი სახიდან (პერიოდული რხევა და ჩქამი) სპექტროგრამაზე ჩქამი წარმოდგენილია ენერგიის ირეგულარული განაწილებით დროში, ხოლო სახმო სიმების პერიოდული რხევები – ჰარმონიკული სტრუქტურით. სახმო სიმების რხევის პერიოდულობა განისაზღვრება რხევის ერთი ციკლის T_0-გრძლივობით, რ-ის შებრუნებული სიდიდე $F_0=1/T_0$ არის ე. წ. ძირითადი ტონის სიხშირე.

იმის გამო, რომ სამეტყველო ტრაქტის გარდამავალი ფუნქცია წარმოადგენს რეზონანსებისა (პოლუსებისა) და ანტირეზონანსების (ნულების) სისტემას, სახმო იმპულსები ნაზალური და ორალური რეზონატორების გაელის შემდეგ იღებს რთულ ფორმას მკეთრად გამოხატული მაქსიმუმებით, რებიც განპირობებულია სამეტყველო ტრაქტის საარტიკულაციო კონფიგურაციით. ამგვარად, ბგერათა წარმოქმნა ფაქტობრივად არის ბგერითი წყაროს მიერ გენერირებული სიგნალის ფილტრაციის პროცესი. სპექტრული მაქსიმუმის არეებს ეწოდება ფორმანტები და მათი სიხშირე აღინიშნება როგორც F_n (სადაც n= 1, 2, 3, 4...); გარდა სიხშირისა, ფორმანტი განისაზღვრება აგრეთვე სიგანით (B_n) და ამპლიტუდით (A_n). ხმოვანი ბგერების იდენტიფიცირება შესაძლებელია პირველი ორი ფორმანტის მიხედვით, უფრო მაღალი ფორმანტები გამოაელენს მეტყველების კოარტიკულაციურ და ინდივიდუალურ თავისებურებებს.

მეტყველების წარმოქმნის აკუსტიკური თეორია ადგენს კაშირს სამეტყველო პროცესის ფიზიოლოგიურ მხარესა და სიგნალის მახასიათებლებს შორის და აგებულია იმ დაშვებაზე, რომ სახმო სიმების მახასიათებლები არ არის დამოკიდებული სარეზონანსო სისტემებზე. ეს ნიშნავს, რომ ფორმანტების სიხშირე დამოკიდებულია მხოლოდ საარტიკულაციო რეზონატორების ფორმაზე და არ არის დამოკიდებული ბგერითი წყაროს ჰარმონიკების სიხშირეზე.

ლიტ. იხ. სტატიასთან *მეტყველების სინთეზი.* *ი. ლეჟავა.*

მეტყველების ნაწილები, სემანტიკური, სიტყვაწარმოებითი და გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური) თვისებების საფუძველზე დაჯგუფებული სიტყვათა

კლასები. მნიშვნელობის გამოხატვის თვალსაზრისით, მ. ნ. იყოფა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე და დამხმარე მ. ნ-ად.

მ. ნ-ის შესახებ მოძღვრების შექმნა სტოელთა დამსახურებაა. მართალია, არისტოტელესთან გვხვდება ცალკეული მ. ნ-ის სახელწოდებები (სახელი, ზმნა, ართრონი, კავშირი), მაგრამ არისტოტელე არც ერთ ნაშრომში მათზე ცალკე არ მსჯელობს.

დიოგენე ლაერტელის (III ს.) ცნობით, სტოელმა ქრისიპემ მეტყველების ხუთი ნაწილი გამოყო: საკუთარი სახელი (ονομα), საზოგადო სახელი (προσηγορια), ზმნა (ῥῆμα), კავშირი (συνδεσμος) და ართრონი (αρθρον). ტერმინში „ართრონი“ სტოელები გულისხმობდნენ ნაცვალსახელებსაც (ჩვენებითი, კითხვითი, მიმართებითი და განუსაზღვრელობითი) და საკუთრივ ართრონსაც, ხოლო „კავშირში“, საკუთრივ კავშირის გარდა, იგულისხმებოდა წინდებულებიც. ქრისიპე საკუთარ სახელს უპირისპირებს საზოგადოს და ცალკე ნაწილად გამოყოფს, მიმღეობას კი ჯერ კიდევ ზმნას მიაწერს. ძვ. წ. II ს-ში სტოელმა ანტიპატროს ტარსოსელმა მეტყველების ხუთ ნაწილს მიუმატა მეექვსე – ზმნიზედა, რ-საც მან უწოდა μεσοτης „შუა“.

ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელმა არისტარქე სამოთრაკიელმა (დაახლ. 217–145) განასხვავა მეტყველების რვა ნაწილი. სამოთრაკიელის მოსწავლემ – დიონისიოს თრაკიელმა მ. ნ. ამაგე რაოდენობით შეიტანა თავის გრამატიკაში.

დიონისიოს თრაკიელი იყენებს ტერმ. „სიტყვის ნაწილები“ (μερητον λογον). სიტყვა ამ შემთხვევაში წინადადებას აღნიშნავს. დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“ მოცემული მ. ნ-ის თანამიმდევრობა ასეთია: სახელი (ονομα), ზმნა (ῥῆμα), მიმღეობა (μετοχη), ართრონი (αρθρον), ნაცვალსახელი (αντωνυμια), წინდებული (προθεσις) ზმნიზედა (επιρρημα), შემკერელი, ანუ კავშირი (ευδησμος). ამ თანამიმდევრობას თრაკიელის გრამატიკის ერთ-ერთი კომენტატორი ჰელიოდორე ასე ხსნის: „სახელი და ზმნა იმიტომ უსწრებენ წინ სხვა ნაწილებს, რომ მათ შეუძლიათ აზრის გადმოცემა სხვა ნაწილთაგან დამოუკიდებლად, მაგალითად, „სოკრატე კითხულობს“. სახელი იმიტომ დგას ზმნაზე წინ, რომ სახელი არსის აღმნიშვნელია, ზმნა კი შემთხვევითის, არაარსებითის, არსი კი წინ უსწრებს არაარსებითს. ამას მოსდევს მიმღეობა, როგორც ორიენს, სახელისა და ზმნის, თვისებების მქონე. ართრონი წინ უსწრებს ნაცვალსახელს, რადგან ნაცვალსახელი არა მხოლოდ სახელის ნაცვლად გამოიყენება, არამედ იგი ართრონსაც ცვლის. წინდებული ზმნიზედაზე წინ დგას, რადგან სახელებთან გამოიყენება, ზმნიზედა – ზმნებთან. ხოლო ვინაიდან სახელი ზმნაზე წინ დგას, წინდებული, როგორც სახელის წინ დებული, წინ უსწრებს ზმნიზედას, როგორც ზმნის ზედას; შემკერელი – მთავარ ნაწილთა ჩამონათვალს, რადგან იგი შემკერელი, შემაკავშირებელია მეტყველების სხვა ნაწილებისა“.

წინადადების უმთავრესი ნაწილებია სახელი და ზმნა, – მსჯელობს იგივე ჰელიოდორე: „სახელისა და ზმნის გარეშე არაფერი არ შეიქმნება, წინადადება არ დასრულდება. ადამიანსაც აქვს ნაწილები: ხელი, ფეხი, ტვინი, გული. ხელ-ფეხის გარეშე ადამიანი იარსებებს, ტვინისა და გულის გარეშე – ვერა. სახელი და ზმნა ტვინსა და გულს ჰგავს, რადგან სახელისა და ზმნის გარეშე სიტყვა (resp. წინადადება) არ დასრულდება“.

მ. ნ-ის დიონისიოს თრაკიელისეული თანამიმდევრობის შესახებ შუა საუკუნეებში არსებული თვალსაზრისი ნათლადაა გადმოცემული იოანე იტალოსის ერთ-ერთ ცნობილ ტრაქტატში: „წერილი აბაზგი გრამატიკოსისადმი გრამატიკის ზოგიერთი საკითხის სიძნელეთა შესახებ“. იტალოსი წინააღმდეგია მიმღეობის ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფისა. მას ასევე კარგად შეუმჩნევია თრაკიელისა და სხვების შეცდომა, რ-თაც ართრონი და ნაცვალსახელები ერ განურჩევიათ ერთმანეთისაგან და ერთ წყებაში აქცევდნენ o ნაწყვარს და os ნაცვალსახელს.

შუა საუკუნეებში შეამჩნიეს, რომ ზმნიზედის განსაზღვრაც არ არის ზუსტი და საკმარისი, რადგან ზმნიზედის ხმარება შეიძლება არა მარტო ზმნებთან, არამედ სედსართავ სახელებთან და ზმნიზედებთანაც. ამას ამბობს იტალოსიც. იგი იწუნებს აგრეთვე მეტყველების ბოლო, მერვე ნაწილის – შემკვრელის (ანუ კავშირის) ერთ-ერთი ჯგუფის აღმნიშვნელ ტერმინს διαζευκτικος – მაცალკევებელს. შემკერელი თუ განცალკევებულთ კრავს, როგორაა მაცალკევებლად, გამთიშველად წოდებულიო. ასევე უარყოფს ტერმინს – წინდებული (προθεσις), რადგანაც ის ყოველთვის არ უძღვის წინ სხვა სიტყვებს.

საბოლოოდ, მ. ნ-ის ტრადიციულ კლასიფიკაციაში თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებისეულ“ „სიტყვის ნაწილთა“ რიგიდან დატოვებულია ექვსი მეტყველების ნაწილი. მიმღეობა ახლა ცალკე ნაწილად არ გამოიყოფა; ართრონი სახელებთან გაინიხილება, ზედსართავი და რიცხვითი სახელები მოგვიანებით გამოიყო ცალკე მეტყველების ნაწილებად. შორისდებული რომაელმა გრამატიკოსებმა ართრონის ნაცვლად დაამატეს, ვინაიდან ლათინურში სახელს ართრონი არ დაერთვის.

ქართული ენის პირველ გრამატ. თხზულებებში მეტყველების ნაწილთა რიგი ასეა წარმოდგენილი: ზურაბ შანშოვანმა თავის გრამატიკაში მეტყველების რვა ნაწილი გამოყო: სახელი, ზმნა, შეწყნარება („მიმღეობა“), სახელდართული („ნაცვალსახელი“), იოტი („ნაწევარი“), ართრონი („თანდებული“), ზმართული („ზმნიზედა“) და შემკერელი („კავშირი“). ანტონის გრამატიკაშიც რვა „სიტყვის ნაწილია“: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული. ანტონის გრამატიკაში, მართალია, სახელი ორად იყოფა – ზედშესრულად და არსებითად, რ-თაც შემდგომ გაიოზ რექტორი მესამე ჯგუფსაც უმატებს – „რიცხვობითს“, მაგრამ არც „ზედშესრული“, ანუ ზედსართავი სახელი, და არც „რიცხვობითი“, ანუ რიცხვითი სახელი, მეტყველების ცალკე ნაწილებად არ არის გამოყოფილი.

ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში მოცემული მ. ნ-ის თანამიმდევრობა ზუსტად მეორდება გაიოზ რექტორის, იოანე ბატონიშვილის, ს. დოდაშვილის, პ. იოსელიანის გრამატ. თხზულებებში.

დ. ჩუბინაშვილმა გრამატ. ნაწილში, რ-იც 1840 გამოცემულ „ქართულ-რუსულ-ფრანცისცულ ლექსიკონს" დაურთო, მ. ნ-ის რიგიდან მიმღეობა ამოიღო და სახელის ნაცვლად არსებითი და „ზედშესრული" (ზედსართავი) შეიტანა. იგივე გაიმეორა თავის 1887 გამოცემულ გრამატიკაშიც. პ. კეცხოველმა არსებითს და ზედშესრულს რიცხვითი სახელიც დაუმატა. მოგვიანებით, 1924, დ. კარიჭაშვილმა – ნაწილაკი, და საბოლოოდ მ. ნ-ის რიგმა დასრულებული სახე მიიღო ქართულში.

ლიტ.: იოსელიანი პ., პირუმწდაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, ტფ., 1840; ჩუბინოვი დ., ქართულ-რუსულ-ფრანცისცული ლექსიკონი, სპბ., 1870; მისივე, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ახლად შედგენილი დაუით ჩუბინოვისაგან, სპბ, 1887; მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, გამოცემულია ა. ცაგარელისგან, ს.-პეტერბურღი, 1881; ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფ., 1885; კეცხოველი პ., ქართული სწორმეტყველება. საშინაო სახელმძღვანელო, წგ. I, ტფ., 1888; გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ე. ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970; თოფურია ე., მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში. წერილი I. – «ცისკრის სკოლისაკენ», 1929, №11–12; წერილი II. – «კულტურული აღმშენებლობა», 1930, №7–8; ჩიქობავა ა., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; ფოცხიშვილი ა., ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, თბ., 1960; მისივე, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1995; ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970; ქაროსანიძე ლ., დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება" და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება, თბ., 1998; Античные теории языка и стиля, под ред. Ш. М. Фрейденберг (собрание текстов со вступит. статьями И. М. Тронского и С. В. Меликовой-Толстой). Л., 1936; История лингвистических учений. Древний мир, Л., 1980; Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam. – «Graeci», v ol. I, III. Ed. Hilgard, Lipsiae, 1901.

ლ. ქაროსანიძე.

მეტყველების სინთეზი, მეტყველების სხვადასხვა ერთეულისა თუ პარამეტრების მეშვეობით სინთეზირებული მეტყველების გენერირება.

მ. ს. ტექნოლოგიური გარღვევაა „ადამიანი-მანქანა" პრობლემის გადაწყვეტისას, მაგრამ ამავე დროს საშუალებას იძლევა აღქმის თვალსაზრისით შეფასდეს *მეტყველების ანალიზის* შედეგად მიღებული მონაცემები.

არსებობს სინთეზირებული მეტყველების გენერაციის ტექნოლოგიურად განსხვავებული რამდენიმე მიმართულება: სამეტყველო სიგნალით კოდირება-აღდგენის მეთოდი, მეტყველების ფორმანტული სინთეზი ანალოგიური სინთეზატორებით და მეტყველების წარმოქმნის მათემატიკური მოდელირება.

ამ მეთოდთაგან პირველი განსახორციელებლად ყველაზე მარტივია, რადგან ბუნებრივი მეტყველების სხვადასხვა მონაკვეთების (ფონემა, დიფონი, მარცვალი, სიტყვა, ფრაზა) ჩაწერა ხდება ციფრული დამმახსოვრებელი მოწყობილობით, ხოლო აღდგენა – სპეციალური პროგრამით.

მეტყველების ფორმანტული სინთეზი პრინციპულად განსხვავდება პირველი მეთოდისაგან და ემყარება სამეტყველო ტრაქტის მოდელირებას ელექტრული სქემების გამოყენებით. ამ წესით შექმნილი სინთეზატორების „ყლერადობა" არაბუნებრივია: ეს განპირობებულია მეტყველების წყაროს თავისებურებებით, რამდენადაც მეტყველება სინთეზატორშია გენერირებული.

ქართული მ. ს. განხორციელებულია მეტყველების კოდირება-აღდგენის მეთოდის ნაირსახეობით – ე. წ. კომპილაციის მეთოდით, რ-იც საკმაოდ პრაქტიკულია და გულისხმობს უწყვეტი მეტყველების მიღებას ცოცხალი მეტყველებიდან სეგმენტირებული მცირე გრძლიეობის საყრდენი ელემენტების (ბგერების) შეპირაპირებით (ა. თუშიშვილი, გ. რამიშვილი, ზ. ჯაფარიძე). სინთეზირებული მეტყველების ბუნებრიობისათვის ყოველი ბგერა ამოჭრილია ერთსა და იმავე არტიკულაციურ სონაში ნაწარმოები ბგერების გარემოცვიდან. ეს სონებია – წინაენისმიერი, უკანაენისმიერი, ბაგისმიერი. ქართ. მეტყველების თავისებურებებიდან გამომდინარე (ორთოეპიისა და ორთოგრაფიის სიახლოვე, მუსობელი ბგერების სუსტი კოარტიკულაციური გაელენა), შესაძლებელი გახდა საკმაოდ კარგი გარჩევადობისა და ბუნებრივად მიახლოებული მ. ს.

ქართული მ. ს-თვის დასაშვებია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე კომბინირებული მარცვლოვან-ფონემური მიდგომა, რაც გულისხმობს საყრდენ ელემენტებად როგორც ფონემის, ისე მარცვლების გამოყენებას.

ლიტ.: რამიშვილი გ., ჯაფარიძე ზ., ქართული მეტყველების კომპილაციური სინთეზის კომბინირებული მეთოდი. – «საქართვ. მეცნ. აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის კრებული», თბ., 1997; Фланаган Дж., Анализ, синтез и восприятие речи, М., 1968; Фант Г., Анализ и синтез речи, Новосибирск, 1970; Кейтер Дж., Компьютеры – синтезаторы речи, М., 1985.

ი. ლეჟავა.

მეტყველების ფიგურა (ლათ. figura – გამოსახულება, გარეგნული სახე), რიტორიკული ფიგურა, სტილისტიკური ფიგურა, თავისებური (ჩვეულებრივისაგან განსხვავებული) მეტყველების ფორმა, რ-იც გამოიყენება გამომსახველობისა და ემოციური ეფექტის გასაძლიერებლად.

მ. შ-ის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება არ არსებობს. ანტ. ტრადიციით, ფიგურა გამოყენებული იყო რიტორიკაში პოეტურ სემანტიკასთან დაკავშირებით, როგორც მნიშვნელობის ცვლის, ნორმიდან გადახვევის საშუალება. ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებასთან ერთად სცადეს, შეეტანათ ლინგვისტური თვალსაზრისი პოეტიკასა და რიტორიკაში. ეს არის ძიება შუალედური ელემენტისა, რიც უზრუნველყოფდა ტექსტის შემადგენელი წმინდა ენობრივი ელემენტების დონიდან ტექსტის კომპოზიციის დონის ელემენტებისაკენ გადასვლას (ე. ტოპოროვი). არის ტენდენცია, მ. შ-ის ტიპობრივ შემთხვევებად მიიჩნიონ მეტყველების პროცესში უნობრივი ელემენტების გამოყენება უჩვეულო, ნორმასთან ან უფრო მარტივ ეკვივალენტურ გამოთქმასთან მიმართებით რამდენადმე მოდიფიცირებული სემანტიკური და სინტაქსური ფუნქციით. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ ფიგურათა ორ დიდ ჯგუფს: 1. საკუთრივ ფიგურებს, როდესაც ხდება გამოთქმის

ელემენტთა დისპოზიციის შეცვლა მათი მნიშვნელობის შეუცვლელად. ესენია კონსტრუქციის ფიგურები (ინვერსია, გრადაცია, დანართი,...), ელოკუციის ფიგურები (გამეორება,...) და სტილისტიკური ფიგურები (*პარაფრაზი*...); 2. მნიშვნელობის ფიგურებს, ანუ *ტროპებს*, როდესაც ხდება სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ობიექტებს შორის მსგავსების (*მეტაფორა*,...) ან ეკვივალენტური მიმართებების საფუძველზე (*მეტონიმია, სინეკდოქე*,...).

ლიტ.: Топоров В. Н., Фигуры речи. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990; Mounin G., Dictionnaire de la linguistique, P., 1995.

ც. ბარბაქაძე.

მეშველი ზმნა, ზმნის ანალიზურ ფორმებში გრამატიკულ ფორმათა საწარმოებლად გამოყენებული დამხმარე ზმნა. მ. ზ-ები წარმოშობით დამოუკიდებელი ზმნის ფორმებია.

მ. ზ-ებია: ვარ, ხარ, იყავ, იყო. მაგ., მივდივარ, მიდიხარ, გაუსრდილიყავი, გაზრდილიყო.

ზოგიერთ ზმნას მეშველი დაერთვის მხოლოდ I და II პირში: ვუყვარვარ, უყვარხარ, მაგრამ: უყვარს; ვუყვარვართ, უყვარხართ, მაგრამ: უყვართ. ზოგიერთს კი – სამსავე პირში: გავზრდილიყავ, გაზრდილიყავ, გაზრდილიყო.

ძვ. ქართულში მეშველად დასტურდება აგრეთვე შემდეგი ზმნები: ყოფს (ღაღად-ყო), იქმნა (უტყუ-იქმნა), უჩნს (ტკბილ-უჩნს), სდებს (სახელ-სდებს), სცა (ნათელ-სცა; წარწერად-სცა).

თანამედროვე ქართულში მ. ზ. ყველაზე ხშირად *შედგენილი შემასმენლის* ზმნურ ნაწილად გამოიყენება. აქ დასტურდება ვარ და მისი მონაცვლე ზმნები. ვარ ზმნას მხოლოდ აწმყოს მწკრივის ფორმები მოეპოვება (ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან). მყოფადის წრეში მას ენაცვლება ვიქნები (ვიქნებოდი, ვიქნებოდე), II და III სერიის მწკრივები კი ყოფა ზმნისაგან აქვს შეუსებული: „ჩვენ სტუდენტები ვართ“; „შენ ჯიუტი გოგო ხარ“; „ისინი უკვე დაბრუნებულიც იქნებიან“; „მსე ალბათ გაღაღსული იქნებოდა“; „ნინო კარგი მასწავლებელი იყო“; „მეგობარი ერთგული უნდა იყოს“; „გიორგი ცოცხალი ყოფილა“ და სხვა.

ვარ ზმნის III პირის ფორმა ხშირად შეკეცილია და დარჩენილია მხოლოდ თავკიდური ა, რ-იც შეერთებულია სახელად ნაწილთან („ნინო ჭკვიანი გოგოა“) ან რომელიმე სხვ. სიტყვასთან: („ირგვლივ უზარმაზარი მთებია აყუდებული“).

არის ერთპირიანი ზმნაა. როდესაც შედგენილ შემასმენელში ორპირიანი ფორმაა საჭირო, მაშინ მას ენაცვლება მაქვს ან მყავს: „მაქვს“ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილ შემასმენელთან სახელობით ბრუნვაში შეწყობილი სახელი უსულო საგანს აღნიშნავს, ხოლო „მყავს“– მაშინ, თუ ასეთად სულიერი სახელია. მაგ., „წერილი გაგზავნილი მაქვს“ (= ჩემი წერილი გაგზავნილია), „ბავშვი გაგზავნილი მყავს“ (= ჩემი ბავშვი გაგზავნილია). ამ ზმნებს II სერიის მწკრივები აკლია, ხოლო მყოფადის მწკრივებში იმავე ძირისაგან ნაწარმოები ენიანი ენებითი ენაცვლება (მექნება, მეყოლება), III სერიაში კი გვაქვს მჭონია (მჭონოდა, მჭონოდეს), მყოლია (მყოლოდა, მყოლოდეს).

„არის“ ზმნას I და III სუბიექტ. პირში ენაცვლება გახლავს (ერთპირიანი ზმნის მნიშვნელობით). ეს ზმნა ლექსიკურად იგიეა, რაც „არის“, მხოლოდ იხმარება თავაზიან საუბარში. ამ ზმნას II სუბიექტ. პირის ფორმა აკლია. აქ მას ენაცვლება ბრძანდები. ორივე ზმნა იხმარება შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად.

შემასმენელი, რომელიც სტატიკური ზმნით არის გადმოცემული, შეიძლება წინადადებაში შეიცვალოს შედგენილი შემასმენლით, რშიც ვნებითის მიმღეობა შედის (ანთია – დანთებულია; აბარია – ჩაბარებული აქვს). ე. ი. იქ, სადაც სტატიკური ფორმა არა გვაქვს, სწორედ შედგენილი შემასმენელი (ჩაბარებული აქვს ტიპისა) იხმარება.

მეშველ ზმნებად გამოიყენება აგრეთვე: გახდა („დათო სტუდენტი გახდა“), დარჩა („ყველა კმაყოფილი დარჩა“), ჰგონია („ავს კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი ჰგონი“), გამოდგა („ნინო კარგი დედა გამოდგა“), გამოეა („ის მართლა მხატვარი გამოვა“), ჩანს („გიორგი უნო ჩანს“) და სხვა.

მ. ზ. დასტურდება აღწერითი ვნებითის ფორმებშიც (დაწერილ იქნა, აშენებულ იქნა...). აქ სახელური კომპონენტი ვნებითის მიმღეობაა. ვნებითის მიმღეობა სახელად წეერად შედგენილ შემასმენელთანაც გვაქვს, მაგრამ ასეთი შედგენილი შემასმენელი აწმყოს წრეშიც იხმარება (აღწერითი ვნებითისაგან განსხვაებით) და მას II სერიაში „იყო“ მოუდის და არა „იქნა“ („წერილი დაწერილი იყო“, შდრ. „წერილი დაწერილ იქნა“). ასეთ შედგენილ შემასმენელს რელატიური ფორმებიც უკეთდება. ამ შემთხვევაში „არის“ ზმნას აწმყოში „აქვს“ და „მყავს“ ენაცვლება („თანხა გადახდილი მაქვს“, „თანხა გადახდილი მჭონდა“; „ბავშვი გაგზავნილი მყავს“, „ბავშვი გაგზავნილი მყავდა“). პერიფრასტული (აღწერითი, ანალიზური) ვნებითი კი მხოლოდ აბსოლუტურ ფორმებს გვაძლევს და აქ აღარ ხდება გარჩევა სულიერისა უსულოსაგან (როგორც ეს შედგენილ შემასმენელთან გექონდა). ყველგან „იქნება“ და „იქნა“ გამოიყენება („თანხა გადახდილ იქნა“, „ბავშვი გაგზავნილ იქნა“). ანალიზურ ვნებითში მიმღეობა ფუძის სახით დასტურდება (როცა მიმღეობა წინ უსწრებს მეშველ ზმნას), შედგენილ შემასმენელთან კი მას სახელობითის ნიშანიც ახლავს თანამედროვე ქართულში.

მ. ზ. დასტურდება სიტყვათა მყარ შეხამებაშიც (მაგ., „ჭკუაში დაუჯდა“ – მოეწონა...).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977; არაბული ა., მესამე სერიის ნაკეთოულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984; ვაშაკიძე თ., ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში, თბ., 1993; Аналитические конструкции в языках различных типов, Л., 1963; Чикобава А. С., О некоторых процессах трансформации аналитических образований в синтетические. – კრ.: «Аналитические конструкции в языках различных типов» М.–Л., 1965.

თ. ვაშაკიძე.

მთავარი წინადადება, *რთული ქვეწყობილი წინადადების* კომპონენტი, გაბატონებული წინადადება, რ-საც ექვემდებარება *დამოკიდებული წინადადება.*

ლ. კვანტალიანი.

მთიულურ-გუდამაყრული, ქართული ენის დიალექტი, რ-სედაც მეტყველებს საქართველოს ორი ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხის, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობა.

მ.-გ. დიალექტში ორი კილოკავი გამოიყოფა. ისინი ზუსტად ლოკალიზებულ გეოგრ. სივრცეში არიან მოქცეული. მთიულეთი განფენილია თეთრი, ანუ მთიულეთის არაგვის აუზში. იგი იწყება სოფ. ანანურის ზემოთ (დგნალისა და ჭართლის ხეობის სოფლები) და მთავრდება ჯერის უღელტეხილის გადასასვლელით. მთიულეთს ჩრდ-იდან ხევი (ყაზბეგის რ-ნი) ემიჯნება, სამხრ-ით – დგნალ-ჭართლის ხეობა, დას-ით – ქსნის ხეობა, აღმ-ით – გუდამაყარი. გუდამაყარი მდებარეობს შაჲი, ანუ გუდამაყრის არაგვის ხეობაში. მისი სამხრ. საზღვარი იწყება დ. ფასანაურთან, იქ, სადაც ერთიმეორეს ეროვის თეთრი (მთიულეთის) და შაჲი (გუდამაყრის) არაგვი.

მთიულურ და გუდამაყრულ კილოებს ძირითადად ინტონაცია განასხვაებს: მთიულურში მახვილი ფიქსირებულია სიტყვის ან რიტმიკული ჯგუფის ბოლოს (ბოლოდან მეორე მარცვალზე). რაც შეეხება გუდამაყრულს, აქ მახვილი ფიქსირებულია სიტყვის ან რიტმიკული ჯგუფის დასაწყისში. ამ მხრივ გუდამაყრული მთის სხვა კილოებთან ავლენს საერთოს. გუდამაყრულში მახვილიანი მარცვალი უმახვილოსაგან გამოირჩევა მაღალი ინტენსიობით, აგრეთვე ტონის სიმაღლით. მ-ბ-ში, ისევე როგორც ქართ. ენის სხვა დიალექტებში, ენობრივი მახვილი დაცულია ლექსშიც.

მ-ბ-ში შემონახულია ჰ ფონემა. გვხვდება ნახევარხმოვანი ი, რ-იც პირისსინ'შნისეული ჰ-ს ან ს-ს ფონეტ. ვარიანტია. იგი, შესაძლოა, ბრუნვის ნიშნისეული ი-ს დასუსტების შედეგიც იყოს მახვილიანი ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ლადუაი || ლადუაი). უ და უ ალოფონების განაწილება ზოგ შემთხვევაში პოზიციით აიხსნება – დამოკიდებულია წინამავალ ფორმაში ნულთან მონაცვლე ა ხმოვნის გამოვლენაზე (ვისᲘ აქუ – ვისა აქუ). დასაშვებია ვ → უ (წვრთნა → წურთნა). დამახასიათებელია უა → ო და უა → ო პროცესი (თუალი → თოლი, უარესი → ორესი). შენარჩუნებულია -ავ თემისნიშნისეული ვ-ს ადგილი სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსის მომდევნოდ ზმნის პირიან და უპირო ფორმებში (იკნების, მოკლვა, მკლველი...). ხდება ხმოვნის გაჩენა (ჩართვა) სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსებში (სიტყვის დასაწყისში): კურკო, კირცხილა, კირწყილი, ჩირჩილა, ჩირდილი... თანხმოვნებში ხდება რეგრესული ასიმილაცია (*გატხდა → გათხდა). მორფემათა მიჯნაზე ხმოვანთკომპლექსებში აკრძალულია აუ → ოუ → უუ; აი → ეი → იი პროცესები. დელაბიალიზაციის ტენდენციის გამო გვაქვს გადასვლა აუ → ეუ (და არა აუ → ოუ): ფასანაური → ფასანეური (შდრ. საპირისპირო ეუ → აუ პროცესი მორფემის შიგნით: აპეური → აპაური, უე → უა: ბუერა → ბუარა).

მორფემათა მიჯნაზე იცვლება მიმდევრობები: აე → ეე (მაეტანა → მეეტანა), აო → ოო (მუშაობა → მუშოობა), ოა → უა (გიგოა → გიგუა), ოე → უე (ვინის ჩავარდნით): მოეყსწარ → მუესწარ.

მორფემის შიგნით დასტურდება ურთიერთსაპირისპირო მიმართულების პროცესები. უ → ეი (დურბინდი → დეირბინდი), ეი → უ (საკვირველი → საკურველი), ია → იე (ხასიათი → ხასიეთი), იე → ია (იესო → იასო). დამახასიათებელია ხმოვანთა ცვლა მორფემის შიგნით: ა → ე (ჭარხალი → ჭერხალი, კრამიტი → კრემიტი...).

სახელთა ბრუნებაში ერთზე მეტმარცვლიან -ა, -ია სუფიქსიან სახელებსა და -ა ხმოვანფუძიან სახელებში სამ ბრუნვაში (სახელობითს, ნათესაობითსა და მოქმედებითში) შენარჩუნებულია -ი || -ი ხმოვნიანი დაბოლოება: გოჩაი || გოჩაი, გოჩაის || გოჩაის, პატარიაი, ჭელცუსაათ... კეცად სახელებს, მათ შორის მასდარებს, სახ. ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის. -ებ-იანი მრავლობითის გამოყენება უფრო ხშირია, თუმცა შენარჩუნებულია ნარ-თანიანი მრავლობითიც: ორანი ძროხანი (ორანი აქ კრინობითის ფორმაა – ცალკე ორა ან ორაი არ დასტურდება); სამნი ძმანი... წარმოების ეს ფორმა ხშირია აქაურ სოფლის სახელებში: ქავთარა-ნ-ი – ქავთარა-თ-ას, კობა-ნ-ი – კობა-თ-ა, ჭიკა-ნ-ი – ჭიკა-თ სოფელი, ჭიკა-თ ბალღი. შდრ. პოსტპოზიციური წყობის – ბალღი ჭიკა-თ-ი და მისო. ეგეთე ვითარება გვაქვს კომლის სახელებში: ბეჟანიან-თ-ი, ციხელიან-თ-ი, ჯერმიზაან-თი... მეცხვარეთა მეტყველებაში დაცულია ოცობითი თელის სისტემა: ექვსოცი, შეიდოცი... ზმნისწინთა სისტემაში დამახასიათებელია მა- ზმნისწინის გამოყენება I ობიექტ. პირში: მამიტანს (შდრ. II პირი – მოგიტანს), შე- ზმნისწინი წესისამებრ შა-ს სახით არის წარმოდგენილი (შაიტანა). ზმნაში ს- და ჰ- პრეფიქსით აღინიშნება III პირის მიცემითბრუნვიანი ობიექტი: სთესავს ის მას (მაგრამ დაᲘთესა მან ის). III სუბიექტ. პირის -ს სუფიქსი წარმოდგენილი არ არის სტატიკურ ზმნათა აწმყოში და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში (დასთრავ, მაუჭელავ...). -ს არის III პირის ნიშანი სტატიკურ ზმნებში: უხარის, ეშინის... ება-ს პარალელურად გეხვედება. -ე-ი-ს დაბოლოება ი-ნიან და ე-ნიან ენებითებში: იჭნეის, ეჭნეის... შენარჩუნებულია წყვეტილისა და II ბრძანებითის გარჩევა II პირში: დაწერე – II ბრძანებითი; დასწერე – წყვეტილი.

მახვილი მ.-ბ-ში (ასევე მოხეურში) ვერ იწვევს ბოლოკიდური ხმოვნის კვეცას ან დავიწროებას (შდრ. *ხევსურული* და *თუშური*), წყვეტილის ფორმა (დაეწერე) და II ხოლმეობითი (დაეწერი) სამივე პირში ინარჩუნებს საკუთარ ფორმას, რის გამოც არ ჩნდება მათი ურთიერთდამთხვევის საშიშროება. სწორედ ამიტომ არ ხდება ხოლმეობითის მწკრივის ფორმების -იდ ან -ოდ სუფიქსით გართულება. შენარჩუნებულია ძველი ქართულისებური ფორმა II ხოლმეობითისა. ფორმით ერთმანეთს ემთხვევა I ხოლმეობითისა და უწყვეტლის I და II პირის ფორმები (ვწერდი, სწერდი; სწერდა; ვწერდი, სწერდი, სწერდის). შესაძლოა, სწორედ აქ გაჩნდა თავიდან -კე ნაწილაკი ხოლმეობითის მწკრივში. დღეისათვის ეს -კე, როგორც მოქმედების მრავალგზისობის აღმნიშვნელი ფორმანტი, თავს იჩენს II ხოლმეობითშიც: წაიყვანის || წაიყვანისკე...

ხოლმეობითის მწკრივები გამოხატავს არა მარტო მრავალგზისობას, არამედ განგრძობითობასაც: დიდი დარბაისი იყვის. შუაზე იყვის გაწოლილი (გატიხრული), უყორდის, აწუხებდის...

დასტურდება ე. წ. თხოვნითი ბრძანებითის ფორმები: გააკეთოდე, გაიგონებდე, წაიკითხოდე.. თუ II ბრძანებითი გამოხატავს მთქმელის თანდასწრებით შესასრულებელ მოქმედებას (გააკეთე!), -ოდ-იანი ბრძანებითი კი, ე. წ. თხოვნითი ბრძანებითი, გამოხატავს მოქმედებას, რიც უნდა შესრულდეს მომავალში და არა ახლავე, თანაც მთქმელის დაუსწრებლად (გააკეთ-ოდ-ე). ზოგჯერ (სპორადულად) -ოდ-იანმა ბრძანებითმა შეიძლება გამოხატოს მრავალგზის შესრულებული მოქმედებაც (შდრ. ქართლურში ხოლმე-ს გამოყენება ბრძანებითებში). -ოდ-იანმა ბრძანებითმა შეიძლება გამოხატოს არანაკლებ კატეგორიული ბრძანებაც, ვიდრე II ბრძანებითმა. განსხვავების ქმნის მხოლოდ მიმართება თქმის მომენტთან (მომავალი თუ აწმყო).

გეხვდება სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევები: „ადგა ამ კაცმა და უთხრა“; „წავიდა ამ რძალმა და მივიდა დედიმთას“. II სერიაში შენარჩუნებულია მიცემით-ბრუნვიანი ობიექტი სრნებთან: სცემა მან მას, დაჰპატიჟა მან მას, აგინა მან მას (შდრ. სალიტ. სცემა მან იგი, დაჰპატიჟა მან იგი, აგინა მან იგი). შენარჩუნებულია არქაული კონსტრუქცია გარდაუვალ ეშინია, სცხვენია სმრნებთან: ეშინის მისგან; სცხვენია მისგან... პრეფიქსიან ენებითებში II სერიაში დაცულია მრავლობითობის -ენ სუფიქსი: დაეიმალ-ენ-ი-თ, დაეემალ-ენ-ი-თ, ან სუფიქსით აღინიშნება სინტაქსური სუბიექტის (ლოგიკური ობიექტის) მრავლობითობა: მიყვარ-ს – მიყვარ-ან, მძულ-ს – მძულ-ან...

განსაკუთრებით მდიდარია მ.-ბ-ის დარგობრივი (მეცხოველეობა, პურეული კულტურები, მეფუტკრეობა, შინაური რეწვა....) ლექსიკა. -ელ და -ურ სუფიქსებით გარჩეულია ვინ და რა ჯგუფის სახელები სმრნისართებისაგან ნაწარმოებ ზედსართავებშიც: სადავ-ელ-ი, აქაჯ-ელ-ი, იქაჯ-ელ-ი; სადა-ურ-ი, აქა-ურ-ი, იქა-ურ-ი.

ისევე, როგორც მთის სხვა კილოებში, მ.-ბ-შიც დასტურდება ლექსიკური ნასესხობები მესობელი ჩრდილო კავკ. ხალხთა ენებიდან.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., მთიულურის თავისებურებანი. – «ენიმკის მოამბე», 1937, ტ. 2, ნაკვ. I; კაიშაური ლ., მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989; ზვიადაური ნ., ნახურ-დაღესტნურ ენათა ლექსიკა ქართული ენის მთის დიალექტებში. – «ეტიმოლოგიური ძიებანი», VI, თბ., 1997. *მ. კობაიძე.*

მიმართება, განკერძოებული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რ-იც წინადადებაში გამოყენებულია მისამართი პირის აღსანიშნავად და გადმოიცემა წოდებით ბრუნვაში დასმული სახელით: გამარჯობა, თამარ! ვინ გნებავთ, ბატონო?...

მისამართი პირი უმეტესად ადამიანია, თუმცა პოეტურ მეტყველებაში შეიძლება იყოს სხვა (სულიერი და უსულო) საგანიც: ამიტომ მ. გადმოიცემა როგორც ადამიანის საკუთარი სახელითა და ნათესაობის, წოდების, პროფესიის, თანამდებობის აღმნიშვნელი სახელებით, ისე ცხოველთა, ფრინველთა, უსულო და განყენებულ საგანთა სახელებითაც. მ., რ-იც ადამიანის საკუთარი სახელით არის გადმოცემული, სალიტ. ენაში წოდ. ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს.

მ-ს წინადადებაში არა აქვს მკვრი ადგილი. ის შეიძლება იდგეს წინადადების თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც. თუ მ. წინადადების თავშია, ის თავისი მომყოლი სიტყვებითურთ გამოიყოფა ძახილის ნიშნით (განსაკუთრებული ექსპრესიის შემთხვევაში) ან მძიმით; თუ შუაშია – ორივე მხრიდან მძიმით. წინადადების ბოლოს მოქცეული მ-ის წინ მძიმე იწერება, მ-ის შემდეგ კი ის ნიშანი, რ-იც შეეფერება წინადადებას შინაარსის მიხედვით.

მ-ის გამოყენების სფერო მრავალფეროვანია: დიალოგები, მოწოდებები, ლოზუნგები, მისალმებისა და გამომშვიდობების ფორმულები, კერძო და საქმიანი მიმოწერა, საზ-ბის წინაშე წარმოთქმული სიტყვები...

მ. ენის ემოციურ სფეროს განეკუთვნება (ამ მხრივ იგი ახლოს დგას შორისდებულთან) და ინტონაციური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

იხ. აგრ. სტ. *„რეფლექსური მიმართება“.* *ც. კალაძე.*

მიმღეობა, ზმნის უუღლებელი ფორმა, რ-იც იბრუნვის. მ. წინადადებაში ზედსართავის ფუნქციით გამოიყენება: დასაწერი, დაწერილი, დაუწერელი (წერილი, ლექსი...). მ-ს მოპოვება წარმოქმნის ყველა ის კატეგორია, რ-იც საწყისისთვის არის დამახასიათებელი (იხ. *მასდარი*): *გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, გვარი* (ეს უკანასკნელი საწყისთან იშვიათია); ზმნის კატეგორიებიდან, საწყისის მსგავსად, აკლია *კილო*, თუმცა, მისგან განსხვავებით, შეუძლია გამოხატოს მიმართებითი დრო. მაგრამ აქ არ შეიძლება ლაპარაკი დროის კატეგორიაზე, ეს არის თანამიმდევრობა, კატეგორია, რ-იც გამოხატავს არა წარსულსა და მომავალს, არამედ მოქმედების უწინარესობას ან შემდგომადობას წინადადებაში ნახმარი ზმნის დროის მიმართ (ა. შანიძე). არის მოსაზრება, რომ მ-ში დროის აღნიშვნა გამორიცხულია; ასევე არც გვარის მიხედვით დაპირისპირებული მ-ის ფორმები გვაქვს (ე. ოსიძე).

მ. ქართულში სხვადასხვაგვარად იწარმოება. არსებობს პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება, რ-თაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პრეფიქსებით ნაწარმოები ფორმები, რადგან, მ-ისთვის ნიშანდობლივი სწორედ პრეფიქსებია (არნ. ჩიქობავა). პრეფიქსებად გვევლინება: მ-, ნა-, სა-, უ-: მ-ხიდ-ავ-ი, ნა-წვ-ავ-ი, სა-გებ-ი, და-უ-ფარ-ავ-ი და ა. შ.

ქართ. სამეცნ. ლიტ-რაში არსებობს თვალსაზრისი, რომ მ-თვის ზმნის I სერიის ფუძეა საყრდენი, მაგ., აშენ-ებ-ს – აშენ-ებ-ულ-ი, მალ-ავ-ს – სა-მალ-ავ-ი და ა. შ. (ა. შანიძე). მაგრამ გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ ქართულში ნაზმნარ სახელთა წარმოებისას ასევე აქტიურად იხმარებოდა II სერიის ფუძეც: ხი-ს -ჯდ-ა/ი-ჯდ-ა → ჯდომ-ა → მ-ჯდომ-არ-ე, ტკბ-ებ-ა → და-ტკბ-ა → და-მ-ტკბარ-ი, ე-ფხვნ-ი → და-ე-ფშვენ-ი → ნა-ფშვენ-ი და სხვ. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ნა- და სა- პრეფიქსიანი ყველა ფორმა ამგვარ ვითარებას არ უჩენებს (ბ. ჯორბენაძე).

სხვადასხვა პრინციპით ნაწარმოები ფორმების პარალელური ხმარების ფაქტი ახსნას მოითხოვს.

არსებობს თვალსაზრისი, რომ მ-ის განსხვავებული ფორმები სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა დიალექტური წრის შემონატანია. განსხვავების წყაროდ დიალექტების მოშველიება საკითხს ვერ ახსნის. მიზეზი ქრონოლოგიურ შრეებშია საძიებელი. მაგ., მიჩნეულია, რომ მ-ის მაწარმოებელი აფიქსებიდან პრეფიქსი ისტორიულად *გრამატიკული კლასის* მარჩენებელი იყო, ხოლო სუფიქსი – სახელის ფუძის *დეტერმინანტი*. ამის მიხედვით, მ-ის წარმოების ჩამოყალიბების გზა ქართულში შესაძლებელია ასეთი ყოფილიყო: თავდაპირველად მ-ის შინაარსს გამოხატავდა სმნის პირიანი (კლასოვანი) ფორმა დიურატიული ასპექტით, შემდეგ – მ-ის მაწარმოებელ სუფიქსთა დართვით მიღებული დროისა და გვარის მიხედვით განუსაზღვრელი ნაზმნარი სახელი, ხოლო ენაში გრამატ. კლას-კატეგორიის გაქრობის შემდეგ – ნაზმნარი ზედსართაული სახელი, რ-იც უკვე ზმნის მორფოლ. კატეგორიებსაც აღნიშნავს (ე. ოსიძე). ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ფორმებში – ტფ-ილ-ი, ცხ-ელ-ი – მ-ების -ილ, -ელ სუფიქსები წარმოშობით სახელის ფუძის დეტერმინანტებია. ეს ფორმები იმ ეტაპის ამსახველი ჩანს, როდესაც მ-თა ფორმობრივი მოდელი ენაში ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული (ფორმებში ნა-ღობ-ი, სა-ფარ-ი და ნა-ბად-ი, ნა-კეთ-ი... აშკარაა, რომ უნიშნობა გვიანდელია). ენაში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ძვ. და ახ. ფორმები. მ-თა ფორმობრივი ჯალიბის წარმოქმნის პირველ ეტაპზე თემის ნიშნის მოკვეცა არ შეიძლება ყოფილიყო დამახასიათებელი – მოკვეცა შემდეგ მოხდა მორფოლ. სისტემის გაელენით და იგი დაკავშირებული ჩანს ხმოვანმონაცვლე და ერთთემიან სმნურ ფუძეებთან. ეს უკანასკნელნი აწმყოში თემის ნიშანს არ დაირთავდნენ და, ამდენად, იგი არც მ-თვის იყო საჭირო. ანალოგიით, თემისნიშნიან სმნათაგან ნა- და სა- პრეფიქსებით ნაწარმოებმა მიმღეობურმა ფორმებმაც ზოგ შემთხვევაში თემის ნიშანი ჩამოიკვეცეს; მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს პროცესი ფორმათა ერთ ნაწილს საერთოდ არ შეხებია, მეორე ნაწილში კი მერყეობა შეინიშნება.

მ- და უ- პრეფიქსიანი მ-ები, შეიძლება ითქვას, თითქმის უგამონაკლისოდ წარმოგვიდგენენ თემის ნიშნებით გაფორმებულ აწმყოს ფუძეს. რაც შეეხება ნა- პრეფიქსიან მ-ს, რ-იც ნამყო დროისად არის მიჩნეული, ფაქტობრივად მოქმედი თემის ნიშნებით გაფორმებული სმნური ფუძეების ნამყოს ფუძეს ვერ ასახავს, მაგ.: მი-ს-ცემ-ს – მინაცემი, ა-გებ-ს – ანაგები, რგ-ავ-ს – ნარგავი და მისთ. (განათხარი, განაზარდი ტიპის ფორმები ძალიან იშვიათია); და თუ გავითვალისწინებთ, რომ მ-თვის პრეფიქსია ნიშანდობლივი, ცხადი გახდება, რომ მ-ის პრეფიქსულ წარმოებას II სერიის ფუძესთან კავშირი არა აქვს და მისი წარმოება აწმყოს დრო-კილოთა ჩამოყალიბების თანადროულია. ამ გარემოების გამო სალიტ. ქართულში ერთგვაროვანი ეითარებაა და იგი მხედავი და მხედი, მოსაკითხავი და მოსაკითხი ფორმებიდან უპირატესობას პირველი ტიპის ფორმებს ანიჭებს, რ-ებშიც I სერიის ფუძეა ასახული, თემის ნიშნებით გაფორმებული.

ძვ. და საშ. ქართულში ფუძედრეკადი ზმნებისგან პრეფიქსებით ნაწარმოებ მ-ებში -ავ თემის ნიშანი არ ჩანს, ყველგან უთემისნიშნო ფუძეა წარმოდგენილი (მკრეფი, დანაგლეჯი, საზელი, უშრეტი...). იგივე უნდა ითქვას მარტივ, ერთთემიან ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობური ფორმების შესახებაც (გამტეხი, განაკეთი, საკენკი...). ახ. ქართულში ფუძედრეკადი სმნებისგან ნაწარმოებ მიმღეობურ ფორმებში თემისნიშნიან წარმოებაზე გადასვლის პროცესი, ამოსავალი სმნური ფუძეებისაგან განსხვავებით, დასრულებული არ არის, მაგრამ თემისნიშნიანი წარმოება (წამლეკავი, სალესაი, მოუტეხავი...), უთემისნიშნო წარმოებასთან შედარებით უფრო ხშირია და, როგორც ჩანს, საერთო ტენდენციის შესაბამისად, საბოლოოდ თემისნიშნიანი ფორმები დამკვიდრდება.

მ-ის მაწარმოებელ სუფიქსებად გამოყენებულია -ილ და -ულ: დაწერ-ილ-ი, დაფლეთ-ილ-ი, გა-თლილ-ი, გა-ყოფ-ილ-ი, გა-პობ-ილ-ი, დამალ-ულ-ი, და-რბე-ულ-ი, აშენებულ-ი, დაცემ-ულ-ი. როგორც ცნობილია, მ-ების მაწარმოებელი -ილ და -ულ სუფიქსები სალიტ. ქართულში და დიალექტებში ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ მათი დისტრიბუცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ზმნის ფუძე (ა. შანიძე, გ. დეტერსი, დ. მელიქიშვილი, ა. არაბული, ბ. ჯორბენაძე, რ. ქურდაძე).

მ-ის ფორმათა საწარმოებლად მოგვეპოვება პრეფიქს-სუფიქსიც: მთლ-ელ-ი, მ-კედარ-ი, და-უ-წერ-ელ-ი და ა. შ.

ლიტ.: ნ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; მ ი ს ი ვ ე, უპრეფიქსო მიმღეობათა წარმოებისა და ისტორიის ზოგი საკითხი ქართულში. – «იკვწ», XIII, თბ., 1986; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ო ს ი ძ ე ე. მიმღეობის წარმოება ქართულში. – «თსუ შრომები», 1957, ტ. 67; ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი თ., ნა- -ეე და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. – «ქსკს», წგ. I, თბ., 1972; ს ა ნ ი კ ი ძ ე ი., მიმღეობათა პარალელური ფორმების წარმოების ზოგი საკითხისათვის. – «თსუ შრომები», ტ. 164 (ენათმეცნიერება), თბ., 1975; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980; ა რ ა ბ უ ლ ი ა., ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის წარმოების ისტორიისათვის ქართულში. – «იკვწ», XIV, თბ., 1987; ქ უ რ დ ა ძ ე რ., ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიისა და სახელზმნის წარმოების შესახებ. – «იკე», XXXIII, თბ., 1994.

ი. ლუტიძე.

მიმღეობისანი კონსტრუქციები, *მიმღეობის* შემცველი შესიტყვება. სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქციის მიხედვით გამოირჩევა მ. კ-ის ორი სახე:

1. განკერძოებული განსაზღვრება, რ-იც ქვემდებარეს ან დამატებას ახლავს (ან მათ როლს კისრულობს), შინაარსით კი შემასმენელს უკავშირდება და შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ახალ ნიუანსს მატებს.

გამოიყოფა ორი შემთხვევა: ა) განკერძოებული განსაზღვრება ახლავს ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარეს ან დამატებას: „...ის კი, სიბნელეში საიმედოდ შეყუჟული, ერთსა და იმავეს იმეორებდა“ (ო. ჭილ.); ბ) განკერძოებული განსაზღვრება განმარტოებულია, გამოტოვებული საზღვრული წევრი კი იგულისხმება ზმნის

პირის ან ადრე ნათქვამის მიხედვით: „უცებ ბიჭმა სალამურის დაკერა შეწყვიტა და სმენადქცეული, ერთ წერტილს დააცქერდა“ (გ. შატბ.).

ორსავე შემთხვევაში განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება იყოს როგორც შემასმენლის წინა, ისე მომდევნო პოზიციაში; თვითონ შეიძლება იყოს გაუერცობელიც – ოდენ მიმღეობით (იშვიათად – ზედსართავით) გამოხატული და სხვა წევრებით გაერცობილიც (ორ- და მეტშემადგენლიანი შესიტყვება); ნებისმიერ პოზიციაში იგი სმნა-შემასმენელთან ქმნის სემანტიკურ წყვილს; ოღონდ „განკერძოების ხარისხი“ იზრდება, როდესაც განკერძოებული განსაზღვრება დისტანციურ პოზიციაშია შემასმენელთან და თვითონაც გაერცობილია.

წინადადების აღნიშნული წევრი, ქმნის რა წყვილს შემასმენელთან, ფუნქციით უახლოვდება გარემოებით სიტყვებს. ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ვითარების გარემოებასთან. შეიძლება ჰქონდეს დროისა და მიზეზის გარემოებათა სემანტიკური ნიუანსებიც. მაგ., „აღმართზე მიმავალი ისევ სკოლის მეგობრებზე ფიქრობდა“ (ა. სულ.).

თუ განკერძოებულ განსაზღვრებათა დიდ ნაწილს შეიძლება ჩაენაცვლოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, აღნიშნულ შესიტყვებებს ვერ შეცვლით განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებით; ისინი უფრო გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებით შეიცვლებიან, უფრო ზუსტად – რა კავშირითა და მეშველი სმნით შედგენილი (არის რა, იყო რა) კონსტრუქციით, ე. ი. ისეთი კონსტრუქციით, რ-იც ინდოევროპული ენების აბსოლუტივს (რუს. „деепричастие“) უტოლდება (იხ. *აბსოლუტივი*).

წინადადების ამ წევრის რეალური ფუნქცია, ნებისმიერ პოზიციაში, აბსოლუტივის (და არა რომელიმე გარემოების) გამოხატვაა. მაგ: „...მაღლა ახედვას ვერ ბედავდა, თავდახრილი ელოდა ჭირნახულ ქედზე საბედისწერო მახვილის დაცემას“ (გ. შატბ.). შესიტყვება – თავდახრილი ელოდა – შეიძლება გაიშალოს კონსტრუქციად: თავდახრილი იყო რა, ელოდა (თავი დაეხარა და ელოდა)...

აბსოლუტივის სემანტიკა (და მიმღეობის პრედიკაცია) ცხადად იგრძნობა მაშინ, როდესაც მიმღეობით გამოხატულ წევრს უშუალოდ მოსდევს დამოკიდებული წინადადება. მაგ.: „...ცოდნას სიფხიზლე წაერთმია, რაც ასე სჭირდებოდა მის წინაპარს, გამოქვაბულში დაყურსული გულის ფანცქალით რომ ითვისებდა გარე სამყაროს იდუმალ ხმებს“ (ო. ჭილ.).

მ. ქ-ის აბსოლუტივის ფუნქცია კარგად ელინდება თარგმანის ენაში. მაგ.: „დონს ყალყზე შემდგარი ნისლი დასწოლოდა და ცარცის გორაკის ფერდობებზე ფენებად შემკვრივებული, ციცაბოზე ნაცრისფერი უთავო გველივით მოცურავდა“ (ი. ჯავახ.). შდრ. თარგმანი: „Над Доном на дыбах ходил туман и пластаясь по откосу меловой горы, сполз ал в ярыс серой безголовой гадюкой“ (თარგმ. ზ. ახელედიანისა).

აბსოლუტივის ფუნქციის მქონე განკერძოებული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, იმართვის ბრუნვაში შემასმენლის მიერ. მაგ.: „...სიავეს შეჩვეულსა, ეს რუსების სიკეთე გამიკვირდა“ (ი. ჭავჭ.); განსაზღვრებასა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება კი გაშუალებული ჩანს საზღვრულით. მაგ., ღვინიანი ტიკები ურემზე ეწყო, ტურებივით ყურებდაცქვეტილები“ (ვაჟა-ფშავ.).

მიმღეობით გამოხატული წევრი სხვადასხვაგვარადაა კვალიფიცირებული სამეცნ. ლიტ-რაში: მას მიიჩნევენ ვითარების გარემოებად, შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, ჩვეულებრივი მსაზღვრელის სემანტიკურ-სტილურ ვარიანტად უწოდებენ „მომენტობრივ მახასიათებელს“, „პრედიკატულ განსაზღვრებას“ და ა. შ. მიმღეობიანი შესიტყვების ყველა სინტაქსურ-სემანტიკურ ნიშანს, რებიც საყრდენია მისი ამა თუ იმ დეფინიციისათვის, კარგად ითავსებს აბსოლუტივი (იხ. *პრედიკატული განსაზღვრება*).

2. „მოყოლებული“, „მოკიდებული“, „დაწყებული“ მიმღეობებით შედგენილი შესიტყვებები.

ცნობილია, რომ -გან-თანდებულიანი მოქმ. ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქცია ძვ. ქართულშიც დროში ან სივრცეში დაწყებითობის აღნიშვნაა, -გან-თანდებულიანმა მოქმედებითმაც (ე. ი. (ი)დ-ან სუფიქსით გაფორმებულმა სახელმა) შეიძლება შეასრულოს დროის ან ადგილის გარემოების ფუნქცია.

აღნიშნულ შესიტყვებებს ან ბრუნვის ფორმებს ხშირად ერთვის მიმღეობები „მოყოლებული“, „მოკიდებული“, „დაწყებული“, რ-ებიც მთლიან შესიტყვებას ახალ სემანტიკას სძენენ –აღნიშნავენ მოქმედების უწყვეტობას, განმეორებითობას, ჩვეულებრიობას, მაგ.: „ის ეაუბს არას დაპლეედა, ბალღობით მოკიდებული“ (ბაჩანა); „ამ დღიდან მოყოლებული მთელი ხუთი წელიწადი დაჰყო მიხაკომ ნოტარიუსთან“ (ნ.ლომ.)–

ზოგჯერ ეს შესიტყვებები მიზეზის სემანტიკასაც შეიცავენ, ეს არის ერთ-ერთი ნიშანი ენაში გამოვლენილი ზოგადფილოსოფიური კანონზომიერებისა – სივრცე – დრო – მიზეზი: კონკრეტულიდან განყენებულისაკენ. საინტერესოა ამ მხრივ „მოკიდებული“ მიმღეობიდან მიღებული პრეევრბიანი „და-მოკიდებული“: სივრცე (რას მოკიდებული) – მიზეზი (რაზე დამოკიდებული)–

ის ფაქტი, რომ მოყოლებული, მოკიდებული, დაწყებული მიმღეობებით შედგენილი შესიტყვებები ითავსებენ სხვადასხვა გარემოების (ადგილის, დროის, მიზეზის) ფუნქციას, გვაეარაუდებინებს, რომ ეს შესიტყვებები აბსოლუტივის ფუნქციისანი არიან. თუმცა აბსოლუტივი არ არის ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური (მით უფრო – მორფოლოგიური) ოდენობა, მაგრამ, რაკი მიმღეობიან შესიტყვებებში გამჭვირვალედ ჩანს მისი სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქცია და ამ ფუნქციას აღნიშნული შესიტყვებები წარმატებით ასრულებენ თარგმანის ენაშიც, მათი გამოყოფა შესაძლებელია.

ლიტ: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველს ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში). – «ფსიქოლოგია», III, თბ., 1945; ძ ო წ ე ნ ი ძ ე ქ., განთანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში. – «იკუ», I, თბ., 1946; შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში. – კრ.: სახელის ბრუნების ისტო-

რიისაღის ქართველურ ენებში, წ. I, თბ., 1956; იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; შამელაშვილი რ., განკერძოებული სტრუქტურები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; შალამბერიძე გ.-გაბენაია რ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974; ცქიტიშვილი ნ., განკერძოებული განსაზღვრების ერთი სტილისტიკური ფუნქციისათვის. – «ქსკს», წ. 4, თბ., 1981; მისივე, აბსოლუტივის ფუნქციის მქონე ზოგი შესიტყვება ქართულში. – იქვე, წ. 6, თბ., 1984; აფრიდონიძე შ., სიტყვათანგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986; Пешковский А. А., Русский синтаксис в научном освещении, М., 1935.

ნ. ცქიტიშვილი.

მირაშხნის წარწერა [1064], ქართული წარწერა, ამოკვეთილი ღრმა კაწერით არტაანის მტკვრის ხეობის ერთ-ერთი გამოქვაბულის კედელზე, ვარძიის გამოქვაბულების დას-ით 5 კმ-ზე, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. მირაშხანის ახლოს. აქ, ორი გამოქვაბულის გამტიხრავ კედელზე, 11 სტრიქონად ამოკვეთილია წარწერის ტექსტის ძირითადი ნაწილი, ხოლო დასასრული გადატანილია მარცხნივ, პირველი სტრიქონების გასწერივ. წარწერა რამდენიმე ადგილას უმნიშვნელოდ არის დაზიანებული და მისი სრული სახით აღდგენა შესაძლებელია.

წარწერა შერეული დამწერლობით არის შესრულებული – ასომთავრული, ნუსხური, გარდამავალი მხედრული და მხედრული ასოებით. სხვადასხვანაირია ა, გ, დ, ე, ჲ, ი, ო ასოების დაწერილობა. არის თავისებური გრაფემებიც, მაგ., ყ ასეთი მოხაზულობით სხვა წერილობით ძეგლებში არ გეხვდება. სხვა გრაფემებსაც ხშირად ინდივიდუალური ხელწერა აქვთ. პალეოგრაფიული ნიშნებითა და ტექსტის შინაარსის მიხედვით წარწერა XI ს-ით თარიღდება. წარწერის ტექსტი ასეთია:

„† სახელითა ღმრთისაჲთა. მე, გიორგ(ა) ხუცესმან დაეწ(ერე) მას ჟამს, ოდეს გას მოეიდ(ა) (...) ხორასანი ქალაქით.

ჲ მე, გიორგაჲ ფრიად ცოდეილს. მეწიფა მოეიდა ჯაჯახეთს და შეჰრისხა ყოველი ყოველს ქრისტესდა. მეტად ახალქალაქი(თ) წაიღო, ას(წ)უიდა და ტკუედ წაი(ღო). ყოველი მესხი აზნაური შიგან დგა ფარსმან პირ ექ(მ)ნ(ა) მეფეს. მოკლეს და ყოველი ასწყუიდ(ეს).

უფალო, შეუნდეენ გოჰარის ცო(დვ)ან(ი),

(ა)მენ; მირაშხნელ(თა) ყოველთა შეუნდვენ, უფალო, ამენ. (მცა) ფრიად ცოდ(ვი)ლი მომიჴსე(ნეთ), (გიორგა) ბერი“.

ტექსტში დასახელებულია 6 ტოპონიმი [ხორასანი, ჯაჯახეთი, ახალქალაქი, მირაშხანი, მესხეთი, გოგა (გოგაშენი)] და 4 ანთროპონიმი (გიორგა, ფარსმან, გოჰარი და კიდევ ერთი პირი, რ-ის სახელი წარწერის ნაკლულ ნაწილში ეწერა).

წარწერაში აღწერილია 1064 თურქ-სელჯუკთა სულთნის ალფ-არსლანის თაედასხმა ჯაჯახეთის ახალქალაქზე, მისი დაპყრობა და გადაწვა. ეს ისტ. ფაქტი წერილობითი წყაროებითაც ცნობილია. ქალაქის დამცველებში საგანგებოდ მოიხსენიებიან მესხი აზნაურები („ყოველი მესხი აზნაური შიგან დგა“). მათ შორის ყოფილა აგრეთვე ფარსმან თმოგველი, ბაგრატ IV-ის (1027–72) დროინდელი ცნობილი პოლიტ. მოღვაწე, რ-ის ურთიერთობაც მეფესთან არაერთგვაროვანი იყო, მაგრამ ახალქალაქზე, სამხრ. საქართველოს ერთ-ერთ ფორპოსტზე, თაედასხმის დროს იგი მეფეს მიმხრობია („ფარსმან პირექმნა მეფესა“) და დაღუპულა კიდეც. წარწერაში დასახელებული სხვა პირები უცნობია. ტექსტის აეტორი, შესაძლოა – შემსრულებელიც, ჩანს გიორგი ხუცესი. ასევე, არ არის ცნობილი, თუ ვინ უნდა ყოფილიყო „მეწიფა“, რ-მაც დაიპყრო ახალქალაქი. ცნობილია, რომ ეს იყო სულთანი ალფ-არსლანი, მაგრამ გაუგებარია, როგორ შეიძლება მისი დაკავშირება სახელთან „მეწიფა“ თუ ტიტულთან „ჴელმწიფე“.

ლიტ.: გაფრინდაშვილი გ., ახალი ნავარძიევის წარწერა. – «მეცნიერება და ტექნიკა», 1953, №9; სილოგავა ქ., ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქსელჯუკთა შემოსევის შესახებ XI ს. საქართველოში (მირაშხანის წარწერა). – კრ.: ასპინძა-სამცხისა და ჯავახეთის სახელვარზე, ახალციხე, 2000.

ე. სილოგავა.

მირთმა, სიტყვათა ისეთი *დაქვემდებარება*, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს მხოლოდ შინაარსობრივ იკავშირებს და არა ფორმით. ივი დამოკიდებულების „ნულ-ფორმაა“. წამყვან სიტყვას მიერთვის ზმნისართები („აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“, ა. წერ.) ან ზმნისართად ქცეული განმხოლოებული ფორმა სახელისა („გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ზარიო“, ვაჟა-ფშავ.; „მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან“, ნ. ბარ; „წამოვიდა უცბად სეტყვა“). წამყვანი სიტყვა, ჩვეულებრივ, ზმნა ან ნაზმნარი სახელია – მასდარი, მიმღეობა (ადრე დგება, ადრე ადგომა, ადრე ამდგარი), ზოგჯერ – ზედსართაეიც (ეგრე ლამაზი, ძლიერ მდიდარი...). ზმნისართი მიერთვის ზმნისართსაც (ძლიერ ადრე, უფრო გვიან..). მირთული სიტყვა წინადადებაში გარემოებაა, თუმცა ყოველი გარემოება, თუ იგი ზმნისართით და ზმნისართად ქცეული სახელით არ არის გადმოცემული, არ არის მირთული (იხ. *გარემოება*).

ლიტ. იხ. სტატიასთან *მართვა.*

ლ. კვარტალიანი.

მისათითებელი სიტყვა, მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით ან ზმნისართით გადმოცემული წინადადების წევრი, რ-საც ხსნის და აზუსტებს *დამოკიდებული წინადადება.* მ. ს. დამოკიდებული წინადადების ფარდი, ანუ საკორელაციო სიტყვაა, კორელატი.

დამოკიდებული წინადადების სინტაქსური ფუნქციის დადგენა, ჩვეულებრივ, მ. ს-ის მიხედვითაც ხდება: 1. „მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული მოკვდაეთა ენით არ გამოითქმის“ (ა. წერ.); 2. „მეტყველების ნიჭს ისეთივე ვარჯიშობა უნდა, როგორიც ყველაფერს სხვას“ (ი. ჭავჭ.); 3. „იქ, სადაც შენი გულია, სულ მუდამ გაზაფხულია“ (გ. ლეონ.). 1, 2 მაგალითებში მ. ს-ები (ის, ისეთი) განსაზღვრებებია და მათი ამხსნელი წინადადებებიც სინტაქსური ფუნქციით განსაზღვრებითია. მე-3 მაგალითში მ. ს. (იქ) ადგილის გარემოებაა და დამოკიდებული წინადადებაც ადგილის გარემოებითია. განსაზღვრებითი დამოკიდებულების შემცველ ქვეწყობილ წინადადებაში მ. ს. მისა-მართი სიტყვის მსაზღვრელია: „მე

ვეტრფი იმ თეთრჩოხიან მაყარს, კრიმანჭულის დროს ცას რომ ახედავს“ (ლ. ასათ.). ქეემდებარული, შემასმენლური და დამატებითი დამოკიდებული წინადადებების კორელატი – ჩვენებითი ნაცვალსახელი მთავარ წინადადებაში მისამართი წევრის მაგიერადაც არის: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად“ (შოთა რუსთ.); „ვისაც არ უყვარს მშობელი დედა, ის მის მაგივრად ვის შეიყვარებს?!“ (ა. წერ.); „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“ (ი. ჭავჭ.). მ. ს. შეიძლება იყოს მთავარ წინადადებაში, შეიძლება – არა. კორელატად გამოყენებულ ზმნისართს სხვაგვარად მეორე საკაშირებელსაც უწოდებენ. ამ ზმნისართის არსებობა მთავარ წინადადებაში ხშირად აუცილებელია: „რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს“, (ნ. ბარ.).

ლიტ. იხ. სტატიასთან *ქვეწყობილი წინადადება.* *ლ. კვანტალიანი.*

მისამართი სიტყვა, მთავარ წინადადებაში სახელით გამოხატული წევრი, რ-საც ხსნის და განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადება, ასახსნელი წევრი („იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, ი. ჭავჭ.-არის ქვეყნები სხვა, რომელთაც არა აქვთ ზღვა, გ. ტაბ.). დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირები – მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რომელიც...) მიუმართება მთავარ წინადადებაში ასახსნელ წევრს, ანუ მ. ს-ს. წევრ-კავშირი „რომელიც“ გარკვეულ შემთხვევებში კიდეც უთანხმდება რიცხვში მას. მ. ს-ს – არსებით სახელს – შეიძლება ახლდეს მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელი, რ-ის საგად მნიშვნელობასაც აკონკრეტებს დამოკიდებული წინადადება (მიტანა უნდა იმ ამბავს, რაც სჯობამ დამაბარაო, ეაუაფშაე.).

ლიტ. იხ. სტატიასთან *ქვეწყობილი წინადადება.* *ლ. კვანტალიანი.*

მიქაელ მოდრეკილი, X ს. II ნახევრის ცნობილი შატბერდელი მოღვაწე; პოეტი, ჰიმნოგრაფი, მწიგნობარი, კალიგრაფი. იგი შემდგენელ-რედაქტორია ჰიმნოგრაფიული კრებულისა – *იადგარი*, რ-იც, კრებულის ანდერძებში მოხსენიებული ისტ. პირების გათვალისწინებით, შედგენილია 978– 988 (ხელნაწ. ინსტ. S–425). იადგარი შემკრებლური ხასიათისაა იმ თვალსაზრისით, რომ მასში თავმოყრილია X ს. მდიდარი ნათარგმნი თუ ორიგინ. ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა. ბერძნულიდან თარგმნილი საგალობლების უდიდესი ნაწილი ავტორების გარეშეა წარმოდგენილი, ნაწილს კი ავტორი ჰყავს (იოანე დამასკელი, ანდრეა კრიტელი, კოსმა იერუსალიმელი, თეოფანე, ეფრემი). იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, ეზრა, კურდანა, სტეფანე სანაოძსძე ჭყონდიდელი, იოანე ქონქოზისძე, თვით მიქაელი... – ეს არის მთელი თაობა X ს. ქართ. ჰიმნოგრაფებისა, რ-თა უმრავლესობაც სწორედ ამ კრებულმა წარმოაჩინა და რ-თა შემოქმედებაც ერთი მძლავრი ნაკადია X ს. ქართ. ჰიმნოგრაფიისა. კრებულში ოთხი საგალობელია, რ-ებიც ავტორად მ. მ-ს ასახელებენ. მაგრამ მიქაელი, ძირითადად, მისივე ანდერძების მიხედვით, საგალობელთა შემკრები და კალიგრაფია. კრებულის ერთი (ქველაზე დიდი) ნაწილი გადაწერილია მისი დახვეწილი კალიგრაფიული ხელით, მეორე ნაწილის გადამწერია ვინმე ეფთვიმე, მესამესი კი – უცნობია. კრებულის მოღწეული ნაწილის შედგენილობა ასეთია: ძლისპირნი, სათუეო ნაწილი, აღდგომის ციკლი, საშაბათო დასდებლები, დასდებელნი სულისანი, საუფლოთა სახმარნი ფარაფთონნი.



მიქაელ მოდრეკილის იადგარი. X ს.

მ. მ-ის იადგარში საგალობლებთან დაკავშირებით რამდენჯერმე მოხსენიებულია ტერმ. მ ე ხ უ რ ი, რ-იც ათეული წლების მანძილზე მეცნიერთა კვლევის საგანი იყო. დღეს უკვე საკამათო აღარ არის, რომ მეხური მუსიკალური ტერმინია. შესაბამისად, მ. მ-ის იადგარის დიდი ნაწილი შემკულია ნ ე ვ მ ე ბ ი თ (ნიშნებით). ამდენად, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ნევმირებულ ხელნაწერს (X ს. 40-იან წლებში შექმნილ პალესტინური ტრადიციის იადგართან – -sin 1-თან ერთად). ის მნიშვნელოვანი ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები, რ-ებიც ხან ტექსტში, ხან ხელნაწერის აშიებზეა მოთავსებული და მიმართულია მგალობლებისა და მღვდელთმსახურებისადმი, მიანიშნებს იმას, რომ იად-

გარი სასწაულო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. ამასვე მიუთითებს ისიც, რომ ძლისპირნი, რ-ებიც გალობათა რიტმულ-მელოდიურ მოდელებს შეიცავს, უქარაგმოდ არის წარმოდგენილი.

პალესტინური ტრადიციის იადგარის განსაკუთრებული მნიშვნელობაა ისიც, რომ ამ ტიპის ბერძნული მოდელი არ არსებობს და მის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მ. მ-ის იადგარის საშუალებით შეიძლება.

ლიტ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექციისა, ტ. I, თბ., 1959; ქ ე ქ ე ლ ი ძ ე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., თხზ. კრ., ტ. 3, თბ., 1965; ჯ ღ ა მ ა ი ა ლ., მიქაელ მოდრეკილის საგალობლები. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1972, №2; Кекелидзе К. С., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тфл., 1908.

ლ. ჯღამაია.

მიცემითი ბრუნვა, ქართულში უძველესი ფორმაციის ბრუნვა. მისი ნიშანია -ს ფორმანტი, რ-იც საერთო წანს ქართველური ენებისთვის. მ. ბ-თან გამოიყენება -ვით, -თან, -ზე, -ში თანდებულები:

-ვით თანდებული გამოიყენება როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებთან. ორივე შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი (-ა მაერცობთან ერთად) შენარჩუნებულია: კაც-ს-ა-ვით, კატა-ს-ა-ვით, ყრუ-ს-ა-ვით...

-თან თანდებულთან ბრუნვის ნიშანი იკარგება თანხმოვანფუძიან სახელებში: სახლ-ს-თან → სახლ-თან, კაც-ს-თან → კაც-თან, ხმოვანფუძიან სახელებში კი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია: დედა-ს-თან, ხე-ს-თან, რუ-ს-თან...

-ზე, -ში თანდებულებთან -ს ორივე შემთხვევაში იკარგება: მთა-ს-ში – მთა-ში, წყალ-ს-ზე – წყალ-ზე. ა. შანიძის აზრით, რადგან -ში და -ზე უშუალოდ ფუძეს ერთვის, მათ ისეთივე ფუნქცია მიიღეს, როგორიც ბრუნვის ნიშნებს აქვთ. ამიტომ იგი -ში და -ზე თანდებულიან მიცემითს სადაობით ბრუნვად გამოყოფს.

მ. ბ. ერთ-ერთი ძირითადი სინტაქსური მნიშვნელობის მქონე ბრუნვაა. იგი გამოხატავს: 1. პირდაპირ ობიექტს გარდამავალ ზმნებთან I სერიის ფორმებში: „მეზობელი აშენებს სახლ-ს“, „მხატვარი ხატავს სურათ-ს“, „დედა აწერინებს ბავშვს წერილ-ს“... (ძვ. ქართულში მ. ბ. გამოყენებული იყო მასდართანაც; 2. ირიბ ობიექტს – ა) სამპირიან გარდამავალ ზმნებთან I და II სერიის ფორმებში: „მეზობელი სახლს უშენებს შვილ-ს“, „დედა წერილს აწერინებს ბავშვ-ს“, „მეზობელმა სახლი აუშენა შვილ-ს“, „დედამ წერილი დააწერინა ბავშ-ს“; ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან სამიეე სერიის ფორმებში: „ეფერება მზე ღრუბელ-ს“, „მოეფერა მზე ღრუბელ-ს“; 3. ადგილისა და დროის გარემოებებს: ძირ-ს, შორ-ს, წელ-ს, დილა-ს, შუაღამეს, დღე-ს, შაბათ-ს...

ლიტ.: ნ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში. – «სმაბ», ტ. 7, №1–2, თბ., 1946; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; კ ი ზ ი რ ი ა ა., ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში. – «იკე», V, თბ., 1953; მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ა., მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში. – კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. I, თბ., 1956; ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ე., მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში. – იქვე; ხ უ ბ ა ნ ა შ ვ ი ლ ი დ., ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972.

ქ. გაბუნია.

მოდალობა (< ლათ. modus – ზომა, ხერხი; კილო ზმნისა), კატეგორია, რ-იც აღნიშნავს მეტყველების შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილესთან. ეს მიმართება შეიძლება გამოიხატოს გრამატ., ლექსიკური და ინტონაციური საშუალებებით. მ-ის კატეგორია უნივერსალურია, რ-იც სხვადასხვა ენის სისტემაში თავისებურად შეიძლება გამოვლინდეს. მ. შეიძლება გამოიხატოს როგორც ორგანულად (ზმნის კილოს ფორმით), ისე მისანიშნებელი ელემენტების, ე. წ. სპეც. მ ო დ ი ფ ი კ ა ტ ო რ ე ბ ი ს დახმარებით (როგორიცაა სხვადასხვა მოდალური ფორმა თუ ნაწილაკი). გამოყოფილია მ-ის ოთხი სახე: 1. ო ბ ი ე ქ ტ ური მ., რ-იც გამოხატავს შეტყობინების დამოკიდებულებას სინამდვილესთან რეალურობის თვალსაზრისით. გამოხატვის მთავარ საშუალებად მიიჩნევენ ზმნის კილოს; 2. ს უ ბ ი ე ქ ტ ური მ., რ-იც გულისხმობს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამთან. გადმოიცემა ინტონაციის, სპეც. კონსტრუქციების, სიტყვათა წყობის, გამეორების, შორისდებულებისა და მოდალური ნაწილაკების საშუალებით; 3. ლ ე ქ ს ი კ ური მ., გადმოიცემა ლექსიკური საშუალებებით, ანუ მოდალური ზმნების, მოდალური პრედიკატივების მეშვეობით; იგი სიახლოვეს ამჟღავნებს, ერთი მხრივ, ობიექტურ მ-თან – ფორმალურ-სემანტიკური მახასიათებლებით, – და, მეორე მხრივ, სუბიექტურ მ-თან იმ თვალსაზრისით, რომ იგი მთქმელის სუბიექტურ დამოკიდებულებასაც აელენს; 4. დადასტურებისა და უარყოფის, აგრეთვე კითხეის შემცველი ფრაზები. ამგვარად გამოხატული შინაარსი ძირითადად შემდეგია: შესაძლებლობის, სასურველობის, ვალდებულების, იძულების, მოსალოდნელობის, მზაობისა და მისთ.

მ-ის კატეგორიის სუბიექტურ და ობიექტურ მ-დ დიფერენცირება აელენს სინამდვილესთან მთქმელის დამოკიდებულების ხარისხს, ანუ შეტყობინების, გამონათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილესთან რეალურობის თვალსაზრისით; მეორე მხრივ კი, შეტყობინება კვალიფიცირდება სხვადასხვა ასპექტით (ემოციურითა თუ რაციონალურით) და ამის გამოსახატავად გამოყენებულია ის საშუალებანი, რ-ებიც რეალურად არსებობს ენაში. სუბიექტური მ. უფრო ფართოა და გამოხატვის მრავალ საშუალებას მოიცავს, დაწყებული სპეციფ. მოდალური ნაწილაკებით და დამთავრებული სიტყვათა რიგითა და სპეციფ. სინტაქსური კონსტრუქციებით ან მისი კომპონენტების წყობის სქემით.

მ. კომპლექსური, მრავალასპექტიანი მორფოსინტაქსური კატეგორიაა, რ-იც სხვა ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა მთელ სისტემასთან მჭიდრო კავშირშია წარმოდგენილი. მ-ის კატეგორია, ამასთანავე, გულისხმობს შემდეგ პოზიციათა არსებობას და ურთიერთდამოკიდებულებას: მოლაპარაკე (ანუ სუბიექტი), მოსაუბრე (ანუ ობიექტი), გამონათქვამის შინაარსი და სინამდვილე. ცალკეული ენის შესაძლებლობათა და რეალიზაციის საშუალებათა ღრმა შეს-

წაელა წარმოაჩენს არა მარტო ენის მიერ ამ კატეგორიის გადმოცემის სპეციფიკას, არამედ თავად მ-ის, როგორც უნივერსალური კატეგორიის არსსაც.

ქართულში მ-ის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება მოდალურ ელემენტებს (ბ. ჯორბენაძე), რ-ებიც ენაში გამოიყენება როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე სხვა ფუნქციით. მოდალურ ელემენტთა დიდი ნაწილი ზმნური წარმომაელობისაა (ცეგებ, იქნებ, ლამის, უნდა, გინდა, თუგინდ, ეტყობა, თითქმის...). სწორედ ამ ზმნათა სემანტიკამ და სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურებამ განაპირობა აღნიშნულ ფორმათა მიერ თანდათანობით ზმნური ნიშნების დაკარგვა. ეს ზმნები მოდალური მახასიათებლებით თავიდანვე გამოირჩეოდნენ და თავიანთ ზმნურ შინაარსს სხვა ზმნურ ფორმებთან ერთად გადმოსცემდნენ მასდარული კონსტრუქციით ან პიპოტაქსის მეშვეობით (იხ. *მასდარული კონსტრუქცია*, პიპოტაქსი).

მოდალურ ფორმათა ფორმობრივ-ფუნქციური ცვლილება ქართულში XV ს-იდან იწყება.

ლიტ.: ჯორბენაძე ბ., ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში. – «ქსენ», წგ. 10, თბ., 1993; შარაშენიძე ნ., უნდა მოდალური ფორმის ისტორიისა და მორფოსინტაქსური ანალიზისათვის. – «ენათმეცნიერების საკითხები», 1999, №4; Виноградов В. В., О категории модальности и модальных словах в русском языке. – «Труды ин-та русского языка АН СССР», т. 2, М. – Л., 1950; Балли Ш., Общая лингвистика и вопросы французского языка, пер. с франц., М., 1955; Русская грамматика, т. 2, М., 1980; Bech G., Das semantische System der deutschen Modalverba. – «Travaux du Cercle de Linguistique de Copenhague», vol. 5, 1949; Hintikka K. J., Models for modalities, 1969; Rivero M. L., Remarks on operators and modalities. – «Folia linguistica», The Hague, 1972, t. IX, 2; Groenendiik J., Stokhof M., Modality and conversational information. – «Theoretical linguistics», 2, 1975; Calbert J., Vater H., Aspekte der Modalität, 1975; Lewy C., Meaning and modality, 1976; Gerstenkorn A., Das Modalsystem im heutigen Deutsch, 1976; Bausch K. M., Modalität und Konjunktivgebrauch in der gesprochenen deutschen Standardsprache, 1979. *ნ. შარაშენიძე.*

მოთხრობითი ბრუნვა, ზოგი ენისათვის სპეციფიკური ბრუნვა, რ-იც გარდამავალი ზმნის სუბიექტს გამოხატავს – იგივე ერგატივი (ბერძნ. ergatēs – მოქმედი პირი). მოთხრობითი გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვაა და ამ მხრივ გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის ობიექტის ბრუნვას – სახელობითს (ნომინატივს) უპირისპირდება.

მ. ბ. დასტურდება იბერიულ-კავკ. ენათა ოჯახის წარმომადგენელ ენობრივ ჯგუფებში, აგრეთვე ზოგ პაპუა ენაში, ინდიელთა ენებში.

ქართულში მთის კავკ. ენათაგან განსხვავებით, გარდამავალი ზმნა მ. ბ-ში მართავს სახელს მხოლოდ დრო-კილოთა II სერიაში. მ. ბ-ით ფორმდება მედიოაქტიური ზმნის სუბიექტიც II სერიაში. მკვლევართა აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ მედიოაქტიური ზმნები წარმოშობით გარდამავალი ზმნებია და მათ ახასიათებთ ე.წ. შინაგანი ობიექტი (იმეფა მან).

მ. ბ. ძვ. ქართულში წარმოდგენილი იყო -მან სუფიქსით (მამამან, კაც-მან). თანამედროვე სალიტ. ქართულში მან ცვლილება განიცადა: თანხმოვანფუძიანებთან გეხედება -მა (კაც-მა, სახლ-მა) ხმოვანფუძიანებთან – ოდენ -მ (დედა-მ, ყრუ-მ).

სხვა ქართველურ ენებში მ. ბ-ის ნიშანს ფონეტ. შესატყვისები არ გააჩნია (შდრ. ხან. -ქ; სვან. -დ). მ. ბ-ის ნიშნის წარმომაელობისა და შედგენილობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: მას უკავშირებენ ნაცვალსახელურ -მ- ძირს, რომელიც III პირის ნაცვალსახელთა ე.წ. „ირიბ ბრუნვაში“ დასტურდება (ეს – ამან, ამას... ის || იგი – იმან || მან; იმას || მას...). ბოლოკიდურ -ნ სუფიქსს ერგატივის უძველეს ნიშნად მიიჩნევენ (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა); არსებობს თვალსაზრისი, რ-ის მიხედვითაც ეს -ნ დეტერმინანტი სუფიქსის ნაშთია (დ. მელიქიშვილი).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში. – «თსუ შრომები», ტ. 10, 1939; შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; მელიქიშვილი დ., პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. – კრ.: ნარკვევები იბერიულ-კავკასიური ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980; Климов Г. А., Склонение в картвельских языках, (в сравнительно-историческом аспекте), М., 1962. *კ. გაბუნია.*

მონთობანის გრამატიკა, „მოკლე ქართული გრამატიკა“, დასტამბული საფრანგეთის ქ. მონთობანში (1877).

XIX ს-ის II ნახ-ში უცხოეთში გადახვეწილი ქართ. კათოლიკე მოძღვარნი ნაყოფიერ კულტ.-საგანმან. მუშაობას ეწეოდნენ – დაარსეს საგამომცემლო კერები ვენეციაში, კონსტანტინოპოლსა და მონთობანში, სადაც იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები და ლექსიკონები სასოფლო სკოლებისათვის. „მოკლე ქართული გრამატიკაც“ იქ გამოქვეყნებული ერთ-ერთი ქართული წიგნია. გრამატიკა ანონიმურია. ვარაუდობენ, რომ მისი ავტორი უნდა იყოს პეტრე ხარისჭირაშვილი, ახალციხელი კათოლიკე-მოძღვარი, რ-იც ქართ. საგამომცემლო კერების დაარსების ერთ-ერთი მოთაეე ყოფილა.

მ. ბ. შედგება მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან; შედგენილია ქართ. გრამატ. ტრადიციის მიხედვით, უფრო კი საკითხთა განხილვის წესითა და თანამიმდევრობით ემყარება პ. იოსელიანის გრამატიკას. ქართ. ანბანში გამოყოფილია 39 ასო, აქედან ხუთი ხმოვანია (ა, ე, ი, ო, უ), ხუთი – „ორხმოანი“ (ბ, გ, ჯ, ჰ, მ), დანარჩენი „უხმონი არიან“. მარცვალთაგან შედგება ლექსი (= სიტყვა), ლექსთაგან – სიტყვა (= წინადადება). აგებულების მიხედვით სიტყვათა ხუთი ჯგუფია გამოყოფილი: პირველი სახის (თეთრი, სახლი...), წარმოებულნი (სითეთრე, სახლეული...), მარტივნი (ღმერთი, კეთილი...), რთულნი (ღვთის-მსახურება...). ამაეე რიგშია დასახელებული კნინობითნი (წიგნაკი, გლახაკი...), ისეე როგორც პ. იოსელიანის გრამატიკაში, რაც ამ თანამიმდევრობაში გაუმართლებელია.

მეტყველების ნაწილებში დასახელებულია მიმღეობა, არ ჩანს ნაწილაკი და რიცხვითი სახელი. ეს უკანასკნელი ზედსართავ სახელთა რიგშია განხილული. ტრადიციისდა კვალად, სახელის ოთხი ნათესაეია (სქესი) გამოყოფილი: მამრობითი, მდედრობითი, საზოგადო (შეილი, ხბო) და საშუალო (უსულო არსებებსა და გონებაში წარმოდგენილ საგნებს აღნიშ-

ნავს). ზედშესრულ (= ზედსართავ) სახელებს სამი ხარისხი აქვს: დადებითი (კეთილი...), შედარებითი (უკეთესი...), გარდამეტებითი (უკეთილესი...); შენიშნულია ხარისხის აღწერითი წარმოება (ფრიად მაღალი...) და ოდნაობითი ხარისხის ფორმები (მომცრო, მოწითალო...). სახელს ოთხი თვისება აქვს: ნათესავი, ბრუნვა, რიცხვი და კანკლედობა (ბრუნება). დასახელებულია რვა ბრუნვა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწუებითი, მოქმედებითი, მოთხრობითი და წოდებითი. შემასმენლობითი ბრუნვის გამოყოფა, ავტორის აზრით, აუცილებელია, რადგან იგი ზმნის (ძიების) დამატების ბრუნვაა.

სახელთა ფუძის დაბოლოების გათვალისწინებით, კანკლედობის ოთხი ტიპია გამოყოფილი – დაახლოებით ისე, როგორც ეს ს. *დოდა შვილისა* და პ. იოსელიანის გრამატიკებშია. შენიშნულია ფუძის კეცისა და კუმშვის შემთხვევები; საინტერესოა პოლისემიურ სიტყვათა ცალკე ჯგუფად გამოყოფა, რ-თა მნიშვნელობის სხვადასხვაობა ბრუნების პარადიგმებში ვლინდება (თვალისა – თელისა...).

გამოყოფილია ზმნათა ექვსი ჯგუფი: არსებითი ზმნები (ვარ, ხარ, არის...), მოქმედებითი, ნებითი და საშუალო, ანუ უმეშვეობითი; ბოლო ორ ჯგუფში „სხმით გარდასვლითი“ (ვაწერინებ...) და „მრჩობლ სხმით გარდასვლითი“ (ვაწერინებინებ...) ზმნები იგულისხმება. ზმნას ხუთნაირი ცვლილება მოუდის: პირი, რიცხვი, დრო, სქესი (კილო) და უღვლილება; ზმნას სამი დრო აქვს: აწმყო, ნამყო და ქმნადი. ნამყო დრო სამად განიყოფება: უსრული (ესჭრიდი), სრული (ელოცე), უუსრულესი (მიმიცია, მიმიცემიეს...).

სქესი (კილო) ოთხია: საზღვრებითი (თხრობითი), ბრძანებითი, სათუო და განუსაზღვრებელი. ეს უკანასკნელი, ანტონის შემდეგ დამკვიდრებული ტრადიციით, ინფინიტივია. აქვე გამეორებულია ის დებულება, რ-იც პ. იოსელიანმა შეიმუშავა „წერად“ ტიპის ფორმებიანი დამატების ბრუნვათა შესახებ, კერძოდ, ბრუნვის არჩევანს ზმნა განაპირობებს (განვიზრახავ მიცემად წერილსა, განვიზრახე მიცემად წერილი).

პირის ნიშნები ანდა დროის (მწკრივის) მაწარმოებლები არ არის გამოყოფილი, თუმცა ადრინდელ გრამატიკებში (მაგ., პ. იოსელიანთან) მინიშნებულია ზმნის განმაპიროვნებელი ნიშნები, რაც საფუძვლად უდევს უღვლილების ტიპების გამოყოფას. მ. ბ-ში კი უღვლილების 2 სახეობა თავკიდურ და ბოლოკიდურ ასოებს ემყარება, რაც საბოლოოდ ემთხვევა სუბიექტ. (ვინის რიგისა) და ობიექტ. (მანის რიგის) წყობის ზმნათა უღვლილებას.

ის ზმნები, რ-ებიც ამ ორი ტიპის ზმნათა უღვლილების წესებს არ მიჰყვებიან, „უკანონოდ შეირაცხებიანო“, აღნიშნავს ავტორი. ასეთია არსებითი ანუ შემწე ზმნები: ვარ, ვიქმნები და სხვ.

უღვლილების პარადიგმებში თითქმის ყველა ის ფორმაა წარმოდგენილი, რ-ებიც ეს თანამედროვე გრამატიკებში გვაქვს, ოღონდ განსხვავებული თანამიმდევრობითა და სისრულით. ავტორი აღნიშნავს, რომ მარცვალნი (ზმნისწინები), რ-ნიც „მოესაევებიან ზმნათა“, უსრულ დროებს შეცვლიან სრულ დროებად, ე. ი. სრულ ასპექტს აწარმოებენ.

მორფოლოგიაში მეტ-ნაკლები სისრულით განხილულია აგრეთვე სხვა მეტყველების ნაწილებიც.

სინტაქსი („ლექსთთხზულობა“) მოცულობით მცირეა, განმარტოებულია, როგორც გრამატიკის ნაწილი, რ-იც „ასწავებს სიტყვის ნაწილების კანონიერად შეწყობასა“. სიტყვათა შორის დამოკიდებულების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები შეთანხმება და შეთხზვა.

ზმნასთან შეწყობილ სახელთაგან ზოგი უფალია (ქვემდებარე), ზოგი – ძიება (დამატება). ძიება სამგვარია: ნათესაური, ბუნებითი და გარემოებითი. განმარტებისა და საილუსტრაციო მასალის მიხედვით, ნათესაური ძიება პირდ. დამატებაა (ვჰსჭრი ხესა), მაგრამ ასეთადაა მიჩნეული ვნებითი გვარის ზმნებთან დაკავშირებული თანდებულიანი სახელიც (ხე მოიჭრა პაველსაგან). ბუნებითი ძიება ირიბ და უბრალო დამატებას გულისხმობს, გარემოებითი – სხვადასხვა სახის გარემოებებს. გამახვილებულია ყურადღება ქვემდებარისა და დამატების ბრუნვებზე დროისა და კილოს მიხედვით. ბოლოს კი ავტორი ეხება ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის საკითხებს, სიტყვათა გადატანის წესებს.

მ. ბ-ს აქვს დანართი – მაგალითთა გრამატ. და ლოგიკური ანალიზი („დარღვევა“). პირველი გულისხმობს სიტყვათა დახასიათებას გრამატ. მახასიათებლების მიხედვით; „ლოგიკებრი“ ანალიზის დროს კი ყურადღება ექცევა წინადადების ან ფრაზის აზრს.

ავტორი არაერთხელ მიმართავს ევრ. (იტალიურ, ფრანგულ) ენებთან შედარებას. არ არის გარჩეული ძველი და ახალი ქართული. ავტორისათვის არსებობს თხზულების (წერილობითი) ენა და მდაბიური (სასაუბრო) ენა, რაც ჩანს საილუსტრაციო მასალის დასახელებისას. *დ. ნახუბიანი შვილი.*

ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘ (< ბერძნ. mónos – ერთი და lógos – სიტყვა, მოძღვრება), მეტყველების (ულაპირი, წერითი) ფორმა, რ-იც მოკლებულია კომუნიკაციურ მიზნებს და უშუალოდ არ გულისხმობს ადრესატს, არ ითვალისწინებს მის რეაქციას. ეს არის „ინტრაპერსონალური აქტი“, სოციალურად იზოლირებული ინდივიდის საუბარი საკუთარ თავთან. ამ აზრით მ. ახლოსაა უკვე რეალიზებულ შინაგან მეტყველებასთან. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მ. იძენს კომუნიკაციურ დატვირთვას და, ხდება რა მეტ-ნაკლებად „დიალოგიზებული“, გულისხმობს კონკრეტულ ადრესატს (მსმენელს, მკითხველს). მაგრამ მ. ხასიათდება შინაარსისა და გამოხატულების მეტი მრავალფეროვნებით, ვიდრე *დიალოგი*. იგი წარმოგვიდგება როგორც გამონათქვამების აზრობრივად შეკრული მთლიანობა. მოლაპარაკის მხატვრული ან სხვა სახის კომუნიკაციური ინტენცია განაპირობებს მ-ის ჟანრულ და სტილისტიკურ მრავალფეროვნებას (ცნობილია მხატვრული, საagitაციო, თხრობითი და მისთ. მ-ები). ყველა ასეთ შემთხვევაში მ. მიზნად ისახავს ადრესატის შინაგან გააქტიურებას, მასში გარკვეული ემოციების გამოწვევას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სააგიტაციო მ-ის შემთხვევაში,

როგორიცაა საჯარო მეტყველება – პოლიტ., სას.-სამქადაგებლო ან ფოლკლორული რიტორიკა და ა. შ. *ი. ქობალავა.*

მორფემა (< ბერძნ. morphe – ფორმა და -eme – რთული ტერმინების შემადგენლობაში ენის სტრუქტურული ერთეულის მაწარმოებელი), გრამატიკის ძირითადი ერთეული. მორფოლ. ანალიზის უმცირესი, შემდგომ განუყოფელი ერთეული. ტერმ. «მ.» გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. ძირითადია ორი გაგება: 1. სიტყვის შემადგენელი უმცირესი ერთეული, რ-საც აქვს მხოლოდ *გრამატიკული მნიშვნელობა*. ამ გაგებით მ. უპირისპირდება *ლექსემას*, როგორც *ლექსიკური მნიშვნელობის* მატარებელ ერთეულს. მ-ებად, ჩვეულებრივ, მიჩნეულია *აფიქსები*, თუმცა ხშირად ასეთებად განიხილება აგრეთვე *ტონი, მახვილი*, სიტყვათა რიგი და მისთ. ზოგჯერ მ-ის საპირისპიროდ, ძირეული მ-ის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმ. სემანტემა. 2. სიტყვის შემადგენლობაში მნიშვნელობის მქონე უმცირესი ერთეული, მინიმალური ნიშანი, რ-საც შეიძლება ჰქონდეს ან გრამატ., ან ლექსიკური მნიშვნელობა. სიტყვა, რ-იც შედგება ერთი მ-ისაგან, იქნება მონომორფემა (ხე, პეპელა, მაგრამ, რომ, ...), ხოლო სიტყვა, რ-შიც შედის ერთზე მეტი მ. – პოლიმორფემა (კაც-ურ-ებ-ი, მი-ფრინ-ავ-ენ, უ-მაღლ-ეს-ი, ...). სიტყვის სიღრმე განისაზღვრება მასში შემავალი მ-ების რაოდენობით. ხაზობრივ მიმდევრობაში მ-თა განლაგებას შეისწავლის მორფოტაქტიკა (იხ. აგრეთვე *რანგი*). მ-ების მიერ გამოხატული მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულია გრამატიკული და ლექსიკური მ-ები. გრამატიკულია მ-ები, რ-ებიც გამოხატავენ მხოლოდ სრულმნიშვნელობიან სიტყვებს შორის მიმართებებს, გრამატ. კატეგორიებს, ან აწარმოებენ ახალ სიტყვებს. იმის გამო, რომ გრამატ. მ-ები, აფიქსები, დამოუკიდებლად არ არსებობენ, განისაზღვრებიან როგორც დამოკიდებული მ-ები. გრამატ. მ-ს, რ-ებიც ლექსიკურ მნიშვნელობას მოკლებული დამოუკიდებელი სიტყვებით გამოიხატება, უწოდებენ ფუნქციურ სიტყვებს. ზოგჯერ აფიქსისეული მ-ები სიტყვაში შეიძლება არც იყოს გამოხატული, ე. ი. წარმოდგენილი იყოს როგორც ნულოვანი მ., მაგრამ სხვა მ-ებთან დაპირისპირებით, იგი მაინც ქმნიდეს სიტყვის გარკვეულ ფორმას (შდრ. მხ. რ. კაც-ი – მრ. რ. კაც-ებ-ი). გრამატ. მ-ების ინვენტარი ენებში რაოდენობრივად საკმაოდ შესწღუდულია, მაგრამ ძალზე დიდია მათი გამოყენების სიხშირე და მნიშვნელობა ტექსტის მთლიანობის შექმნაში. გრამატ. მ-ებისაგან განსხვავებით, ლექსიკური, ძირეული მ-ები, რამდენადაც მათთან დაკავშირებულია სიტყვათა საგნობრივი მნიშვნელობები, ყოველთვის გამოხატულია (ქალ-, ხელ-, კედელ-, ურო, ძმა, ...). ისინი გამოიყენებიან ახ. სიტყვების ასაგებად (სა-ყურ-ე, სვან-ეთ-ი, ეკალნარი, კეთილშობილი, შორიახლო, ...). ლექსიკური მ-ები, როგორც დამოუკიდებლად არსებული სიტყვები, განისაზღვრებიან როგორც თავისუფალი მ-ები.

ტერმ. მ. ენათმეცნიერებაში შემოიტანა ი. ბოდუენ დე კურტენემ (1877), რ-იც იყენებდა მას როგორც სიტყვის მორფოლ. ნაწილების (გრამატ. მორფემების), ისე შემდგომ დაუშლელი სიტყვების (ძირების) აღსანიშნავად. მ-ის, როგორც გრამატ., ისე ლექსიკური მ-ების აღმნიშვნელი ტერმინის ნაცვლად საერთო სახელწოდებად ფრანგ. საენათმეცნ. ლიტ-ში გამოყენებულია ტერმინი მონემა (ა. მარტინე), ტერმ. მ. კი გამოიყენება მხოლოდ გრამატ. მონემის სინონიმად.

მ-ები, როგორც ემიკური (სემიოტიკური მნიშვნელობის მქონე) ერთეულები, აბსტრაქციებია, რ-ებიც მეტყველებაში რეალიზდება კონკრეტული ვარიანტებით (იხ. *ალომორფი, მორფი*).

განხილული დეფინიციების მიხედვით, მ. არ არის უნიეერსალური ცნება: სიტყვის შემადგენლობაში სიტყვაზე მცირე გრამატ. სეგმენტების გამოყოფის შესაძლებლობა არ არის აბსოლუტური. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ენებში ასეთი შესაძლებლობის სხვადასხვა ხარისხზე (ჯ. ლაიონზი). მაგ., თუ თურქ. (აგლუტინაციური) ენის სიტყვა ადვილად ნაწევრდება შემადგენელ მ-ებად, ფლექსიური ტიპის ენისათვის ანალიზის ეს პრინციპი ძნელად გამოსაყენებელია. ასე, ლათინურში ერთი მ., მაგ., us (dom-us „სახლი“) ერთდროულად აღნიშნავს სახ. ბრუნვასაც და მხ. რიცხვსაც (შდრ. ანალოგიური ვითარება ქართულში, სადაც, მაგ., მ. ზმნის ფორმებში ერთდროულად აღნიშნავს III სუბიექტ. პირს და მხ. რიცხვს). მ-ის ცნების გამოყენებისათვის დაბრკოლება არსებობს ე. წ. „ამორფულ ენებშიც“ და ა. შ. ყველა მსგავსი შემთხვევისათვის გამოსაელის ძიება მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით.

ლიტ.: Бодуэн де Куртенэ И. А., Избранные труды по общему языкознанию, т. 1, М., 1963; Мартине А., Основы общей лингвистики, пер. сфранц. – «Новое в лингвистике», вып. 3, М., 1963; Климов Г. А., Фонема и морфема, М., 1967; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978. *ი. ქობალავა.*

მორფემების ლექსიკონი, ლექსიკონი, რ-შიც წარმოდგენილია ენაში არსებული *მორფემები* და მოდალური ელემენტები, დახასიათებული მორფოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით. ქართ. ენისათვის შედგენილია ამ ტიპის ლექსიკონი – „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“ (ავტორები: ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, თბ., 1988). ლექსიკონის პრინციპები შეიმუშავა ბ. ჯორბენაძემ.

ლექსიკონში შეტანილი და განმარტებულია აგრეთვე დამოუკიდებელი მნიშვნელობის ის ფორმებიც, რ-ებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანდებულების, ნაწილაკებისა ან მეშველი ზმნის დანიშნულებით (წინ, ქვეშ, უნდა, არის...). მორფემის დანიშნულებით გამოყენებული არამორფემული წარმოშობის ელემენტები მორფემოიდებად არის განმარტებული. ლექსიკონში შეტანილია ყველა ის მორფემა და მოდალური ელემენტი, რ-იც გამოვლენილია ძვ. ქართულში, ახ. ქართ. სალიტ. ენასა და მის დიალექტებში; განმარტებულია ის მორფემებიც, რებიც გამოიყოფა ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე. ცალკეა გამოტანილი რთული შედგენილობის მორფემები (მა-, მ-ე, -ი-ან, ოან...), რ-თაც მთლიანობაში ეკისრებათ ამა თუ იმ გრამატ. და ლექსიკური მნიშვნელობის გამოხატვა; შესაბამის ადგილას განმარტე-

ბულია ის შემთხვევებიც, როცა რთული მორფემების შემადგენელი მორფემები დამოუკიდებლად მონაწილეობს ფორმა- ან სიტყვაწარმოებაში.

მ. ლ-ში განმარტებულია მორფემათა ფონეტ. ნაირსახეობანი. შესაბამისი მინიშნებით გამოყოფილია ფონეტ. დანართებიც; წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი მნიშვნელობა, რ-ებიც ამა თუ იმ მორფემას ან მოდალურ ელემენტს აქვს ენაში. ძირითად განმარტებას ახლავს დამაზუსტებელი შენიშვნები; სადაც ეს შესაძლებელია, წარმოდგენილია ცნობები მორფემათა გენეზისის შესახებაც.

ცირკუმფიქსები მ. ლ-ში წარმოდგენილია შესაბამისი პრეფიქსისა და სუფიქსის ჩვენებით დამოუკიდებლად, ოღონდ აუცილებელი მითითებით, თუ რომელი პრეფიქსი რომელ სუფიქსთანაა შეწყვილებული, და პირიქით. ცირკუმფიქსში შემავალი სუფიქსებიც ანბანთრიგზეა გაწყობილი, რაც მათ მოძებნას აადვილებს.

მ. ლ-ში განმარტებულია ისეთი მორფემებიც, რ-თა მნიშვნელობაც ამჟამად დაჩრდილულია (ორ-მოცი, ბედ-ნიერი). დანართის სახით მოცემულია იმ მორფემათა ჩამონათვალი, რ-ებიც ნასესხებ სიტყვებში გამოიყოფა.

ც. კვანტალიანი.

მორფი (< ბერძნ. morphe – ფორმა), I. მნიშვნელობის მქონე მინიმალური ერთეული, რ-იც გვეელინება ტექსტში *მორფემის* კონკრეტულ ვარიანტად, პოზიციურ ექსპონენტად. მორფემა სიტყვაში რეალიზებულია ერთი ან მეტი მ-ით. ალტერნატიულ მ-ებს უწოდებენ *ალომორფებს*. მორფემასთან მიმართებით მ-ები განიხილება როგორც: ცარიელი, როდესაც ვერ ხერხდება სიტყვის ფორმალური ნიშნის ლოკალიზება მორფემის მიმართ, ან შერწყმული (კონტამინირებული, portemanteau), როდესაც ერთი მ. შეიძლება მიემართებოდეს ერთზე მეტ მორფემას. ზოგჯერ მ-ის ნიმუშად დასახელებულია აგრეთვე სუბმორფემა – მორფემის ნაწილი, რ-იც სიტყვებში მეორდება ერთი და იმავე ფორმითა და მნიშვნელობით, მაგ., ინგლ. **sl** სიტყვებში: **slimy** „ლორწოვანი“, „ბლანტი ლამი“ და **slug** „ზოოლ. ლოქორა“, „მატლი“, „ლიფსიტა“ (შდრ. ქართ. წვ სიტყვებში: წვერი, წვეტი, წვრილი, წვნიკი, ...).

2. ამერ. ლინგვისტურ ტერმინოლოგიაში მ. გაგებულია როგორც მორფემის – ემიკური ერთეულის (resp. ფორმის) – კონკრეტული სუბსტანციური (ფონიკური, გრაფიკ.) რეალიზაცია ტექსტში.

ლიტ.: Хэмп Э., Словарь американской лингвистической терминологии, пер. с англ., М., 1964; Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1969; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Crystal D., A Dictionary of Linguistics and Phonetics, 5-th ed., Oxford, 2003.

ი. კობალავა.

მორფოლოგია (ბერძნ. morphe – სახეობა, ფორმა და lógos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერული გრამატიკის დარგი, რ-იც შეისწავლის სიტყვის ფორმას, სტრუქტურას, ე. ი. თავსართ-ბოლოსართებს (*აფიქსებს*), რ-ებიც გადმოგვცემენ სიტყვათა სინტაქსურ ურთიერთობას, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლიან: ძმის მეგობარი, მეგობრის ძმა (შდრ. ძმა-ს, ძმ-ის, ძმ-ით... და სიტყვის მნიშვნელობის მცველი აფიქსები: ძმ-ურ-ი, მო-ძმ-ე, ძმობა-).

ჩვეულებრივი გაგების თანახმად, მ-ის საგანია სიტყვის ყოველგვარი ცვლა, სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის აფიქსებიცა და სიტყვათა მნიშვნელობის მცველიც (ე. ი. ახალი სიტყვის საწარმოებელიც). ამისდა კვალად, სიტყვაწარმოება მ-ის ისეთივე საგანი გამოდის, როგორიც ფორმაცვალება. ლექსიკოლოგიას ასეთ შემთხვევაში მოუხდებოდა მხოლოდ მარტივი ფუძის სიტყვათა შესწავლა (ძმ-ურ-ი, მო-ძმ-ე, ძმა-კაც-ი... მ-ს განეკუთვნებოდა).

ეს გავრცელებული გაგება იმ ეთარებას ასახავს, როდესაც ლექსიკოლოგია, როგორც ცალკე დარგი, არ არსებობდა, მ-ის ადგილი ეკავა *ეტიმოლოგიას*, როგორც მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრებას, და მასში შეისწავლებოდა წინადადებაში შემავალი ყოველი სიტყვა, ცვალებადიცა (სახელი, ზმნა-) და უცვლელიც (ზმნისართი), აგრეთვე დამხმარე სიტყვები (კავშირები), ნაწილაკებიც კი. ფორმაცვალებაცა და სიტყვაწარმოებაც, სიტყვის მნიშვნელობაც ეტიმოლოგიაში შეისწავლებოდა.

ამჟამად გაერცელებულია მ-ის სხვაგვარი გაგებაც: მ. არის მოძღვრება მორფემების შესახებ, ხოლო მორფემად ითვლება ყოველგვარი აფიქსი და მარტივი ფუძეც, რ-საც თავსართ-ბოლოსართი დაერთვის, ე. ი. სიტყვის ყოველი ნაწილი („ძმ-ურ-ი“ სამ მორფემას შეიცავს: 1) ძმ-, 2) -ურ-, 3) -ი). ამგვარი გაგება ერთ სიბრტყეზე აყენებს მარტივ ფუძეს (ძირს), რ-იც სიტყვის ბირთვია და რ-თანაც დაკავშირებულია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, ერთი მხრივ, და იმ თავსართ-ბოლოსართებს, რ-ებიც მარტივი ფუძის (ძირის) ცვლას იწვევენ, მაგრამ მარტივი ფუძის (ძირის) გარეშე თავისთავად არ არსებერს ალინიშნავენ, მეორე მხრივ. მ-ისა და მორფემის ასეთი გაგება მნიშვნელობის ფიზიკალისტურ ინტერპრეტაციას უკავშირდება და ამერ. დესკრიფციული ენათმეცნიერების ბიჰევიორისტულ პრინციპს ეფარდება.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება, I – პროპედევტიკული ნაწილი, ტფ., 1935; მისივე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; შარაძენიძე თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; სტურუა ნ., სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975; Реформатский А. А., Введение в языковедение, 4 изд., М., 1967; Блумфилд Л., Язык, пер. с англ., М., 1968.

არნ. ჩიქობავა.

მორფონოლოგია (< ბერძ. morphe – სახეობა, ფორმა, phone – ბგერა და lógos – სიტყვა, მოძღვრება), მორფოფონოლოგია, მორფოფონემიკა, ფონომორფოლოგია, ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ენის ფონოლოგიურ (ფონემურ, პროსოდიულ) საშუალებათა მორფოლოგიურ გამოყენებას. მ. იკვლევს მნიშვნელობის მქონე ერთეულების (სხვადასხვა ტიპის მორფემების, სიტყვების) ფონემურ აგებულებას: ცვლილებებს, რებიც მოსალოდნელია მორფემათა ფონემურ აგებულებაში ამ მორფემათა სიტყვებად გაერთიანების დროს (მაგ., აფიქსის გაელენით ძირის ცვლილებებს, შდრ. მგელ – მგლ: მგელი – მგლური, ან, პირიქით, ძირის გაელენით გამოწვეულ ცვლილებებს აფიქსებში, შდრ. III

პირის ობიექტ. ნიშნები ქართულში: პ-კლავს, ს-წიწკნის); სიტყვებში მორფემათა განაწილებას მათი ფონემური სტრუქტურის მიხედვით (მაგ., ქაროულში ბოლოთანხმოენიან სახელებთან მოთხრ. ბრუნვის ნიშნად -მა ფორმანტი გვხედება, ბოლოხმოენიანებთან კი – -მ. შდრ. კაც-მა, დედა-მ); მორფოლ. ცვლილებების გამომხატველ ფონოლოგიურ მონაცვლეობებს: *აბლაუტს, უმლაუტს* და სხ.

მ-ის ერთეულია მ ო რ ფ ო ნ ე მ ა. ენათმეცნიერებაში ცნობილია მორფონემის განსხვავებული დეფინიციები. ამჟამად ფართოდ გავრცელებული დეფინიციის მიხედვით, მორფონემა გაგებულია იმ ფონემათა კლასად, რ-ებიც განსხვავებული ფონოლოგიური პირობების შესაბამისად ერთსა და იმავე მორფემის ფარგლებში ერთმანეთს ენაცვლებიან (ქართ. სიტყვებში ავათ < ავად – აევდაა გვაქვს დ/თ მორფონემა). მ., როგორც ენათმეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, დაამკვიდრა ნ. ტრუბეცკოიმ XX ს. 20–30-იანი წლების მიჯნაზე.

ლიტ.: Макаев Э. А., Кубрякова Е. С., О статусе морфонологии и единицах ее описания. – კრ.: Единицы разных уровней грамматического строя языка и их взаимодействие, М., 1969; Troubetzkoy N. S., Sur la morphonologie. – «Travaux du Cercle de Linguistique de Prague», vol. I, 1929.

ი. ქობალაძა.

მოძმედებითი ბრუნვა, ქართულში თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან ფუძეკვეცად სახელებში -ით სუფიქსითაა წარმოდგენილი („სახლ-ით, სახ-ით"); ფუძეუკვეცელ ხმოვანფუძიან სახელებთან სუფიქსისეული ხმოვანი იკარგვის („წყარო-თი", „თორნიკე-თი").

მ. ბ. დაირთავს -ურთ, -გან, -დამ (-დაღმა || -დაღმე) თანდებულებს; -ით-გან სუფიქსებისაგან ფონეტ. ცვლილებათა შედეგად ეიღებთ -დან ბოლოსართს, რ-იც ა. შანიძემ დამოუკიდებელ გამოსვლითი ბრუნვის ნიშნად გამოყო და გამიჯნა მ. ბ-გან;

მ. ბ-ში დასმული სახელი გამოხატავს საჭურველს, იარაღს („ბარით მუშაობს", „თოფით მოკლა"); თანაობას („ცოლით ურთ მობრძანდა"); მოქმედების საწყის პუნქტს („სახლიდან წაიდა" – ე. წ. „გამოსვლითი ბრუნვა"); დროში დაწყებითობას („იმ ღღიდან დაიწყო"); მოქმედების მიზეზს („ამ ამბით განაწყენებული"); მოქმედების ეითარებას („ტირილით მოდის")...

მოქმედებითი უძველესი ფორმაციის ბრუნვაა, რ-საც თავდაპირველად, როგორც ჩანს, სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ჰქონდა. მ. ბ., საწყისობა-სასრულობის თვალსაზრისით, ოპოზიციას ქმნის ეითარებითთან ("შდრ. „ქალაქითი ქალაქად"; დილიდან საღამომდე"...). მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს სუფიქსისეული -თ თანხმოვნის -დ არქეტიპის დაყრუების შედეგად მიღებას (-იდ>-ით). წარმომავლობით ამ აღდგენილ -დ-ელემენტს ეითარებითის თანხმოვან ელემენტს უკავშირებენ.

ლიტ.: თ ო ფ უ რ ი ა ე., ბრუნების სისტემისათვის სეანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით. – «სმაშ», ტ. 5, №3, თბ., 1944; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. I, თბ., 1956; ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; ო ნ ი ა ნ ი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბ., 1989.

ქ. გაბუნია.

მოხეური, ქართული ენის დიალექტი, გავრცელებულია საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კუთხეში – ხევში. ხევი მდებარეობს კავკასიონის ჩრდ. ფერდობზე, თერგის აუზში. აღმ-ით მას ხევსურეთი ესაზღვრება, სამხრ-ით – მთიულეთი, ჩრდ-ით – ჩრდილო ოსეთი, დას-ით – შიდა ქართლი. ხევში, გარდა მოხევეებისა, ცხოვრობენ ხევსურები, ქისტები, ოსები. ხევზე გადის საქართველოს სამხ. გზა.

მ-ის ფონოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

დაცულია ფონემა ჭ: ჭარი, ჭმალი, ჭოცს..., თუმცა ახ. თაობის მეტყველებაში იგი თითქმის აღარ ისმის. შედარებით მკვიდრია უმარცვლო უ-ს პოზიცია. ზოგჯერ მას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვს: სველი „დასველებული" – სუელი „შრატი, წაქი"; შეინიშნება ხმოვნის ფშვინიერი და იოტისებული შემართვის კვალი: პეკალი || ფეკალი... ჩაკითხვისა და კითხვით-ძახილის ინტონაციისას თავს იჩენს მახვილიანი გ: ძაუგს მიდიხარ? ძაუგსგ.. ხმოვანთა ძლიერი რედუქცია: შკმები „სკამები", ნიკბის „ნიკაპის"... დასტურდება დისიმილაციური გამჟღერების შემთხვევები: პატარა – ბატარა. მ-ის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფონეტ. თავისებურებაა კომპლექსთა ნაირსახეობანი ცვლილებები: შხ → ჩხ (შხამა → ჩხამა): ჩქ → შქ (გააჩქარე → გააშქარე); სხ → ცხ (სხეა → ცხო) და პირიქით: ცხ → სხ (ცხიმიანი → სხიმიანი), სტ → შტ (ქისტი → ქიშტი); სკ → შკ (სკამი → შკამი) ...

მ-ში უა || ვა → ო პროცესი თითქმის გამონაკლისის გარეშეა გატარებული ყველა პოზიციაში: ვახტანგ → ოხთანგ, სიტყვა → სიტყო... ცვლილებას შესაძლოა წინ უძღოდეს მეტათეზისი: მთვრალი → მთრვალი → მთროლი–; თავს იჩენს საპირისპირო პროცესიც: ო → ვა: ოსი → ვასი, გიორგი → გიუარგი–. უე || ვე → ო ცვლილება ორი ნაირსახეობით გეხედება უე → ვე → ო: გაშვება → გაშობა–; უე → ვე → რ: ძველი → ძრლი–; ო და რ ოპოზიცია ზოგჯერ მნიშვნელობებსაც განარჩევს: დოგოხმარა „დაგეახმარა" – დრგრხმარა „დაგეეხმარა". შეინიშნება რ-ს დელაბიალიზაციის ტენდენციაც: დაგეეძინა – დრგრძინა – დრგეძინა || დოგეძინა... ასევე ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი უი → ეი → უ-: მშეიდობა → მშუდობა; უი → ეი → უ: გვითხრა → გუთხრა, შეიდი → შუდი.. ხდება უ ხმოვნის დელაბიალიზაციაც: დოგურჩა → დოგირჩა. მ-ს ახასიათებს უ → უი || ეი პროცესიც: დურბინდი → დეირბინდი. ზოგჯერ შეინიშნება ბოლოკიდური პოზიციის ცვეთის შემთხვევები: სახლისთვის → სახლისთუი –; ლაბიალური თანხმოვანი ახდენს ხმოვნის პროგრესულ ასიმილაციას: პაელე → პოელე, ამბავი → ამბოვი–.

II სუბიექტური და III. ობიექტ. პირის ნიშანთა ფონეტ. ნაირსახეობანია: პ → ხ (ყრუ თანხმოენების წინ: დახკაზმა, ხყვების) → ღ (სონორებისა და გ, ბ მჟღერი თანხმოენების წინ: ღმართებს, ღბრალობს); ს → შ (შიშინა ყრუ აფრიკატების წინ: შჯამს, შაშჩილა) → ჟ (შიშინა მჟღერი აფრიკატის წინ: ჟჯავრობს), ს → ზ (დ, ძ მჟღერების წინ – მიზდევ, დაზძახა).

მ-ში თავისებურია არა მარტო მახვილი, არამედ თითოეული ბგერის წარმოთქმაც; დამახასიათებელია მაღერობის მაღალი ხარისხი, ფშვინვიერთა ბუნების შენარჩუნება და გაძლიერება. მ-ში მახვილი არაა ფონოლოგიური; იგი სიტყვას ანიჭებს მუსიკალურ-ტონურ ელფერს და იცავს მას წინადადებაში მონოტონური წარმოთქმისაგან. მართალია, ცალკე სიტყვაში მ-ის მახვილი ჰგავს მთიულურისას, მაგრამ მრავალმარცვლიან სიტყვაში ის ტონურ-დინამიკურისაკენ იხრება ისეთე, როგორც სალიტ. ქაროულშია. სიტყვაში მთავარი და დამატებითი, თანამახვილი, შეინიშნება ბოლოდან მესამე-მეოთხე მარცვლებში. მრავალმარცვლიან სიტყვაში ორი მახვილი – დინამიკური და ტონური უდავოა. ტონური ჩანს დომინანტი. ტონის ამაღლება მესამე-მეოთხე მარცვალზეა.

მორფოლ. თავისებურებათაგან ყურადღებას იქცევს შემდეგი: სახელობითში ბრუნვის ნიშანი -ი დართვის როგორც თანხმოვანზე, ისე -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს: გუთან-ი, ქალა-ი... სხვა ხმოვნებზე ფუძედაბოლოებული სახელები, როგორც წესი, -ი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ. გამონაკლისია უ-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელები, რ-თაც ბრუნვის ნიშნის წინ უვითარდებათ ჯ: ბუ-ი, ყრუ-ი...; უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილის გარემოების გამომხატველად: ძაუგს წავიდა. ამ დანიშნულებით იგი იხმარება -თა სუფიქსიან მრავლობითთანაც (ნანათესაობითარი მიცემითი) – ცოლეურ-თა-ს დარჩებოდა...; მიცემითის ფორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვით. ბრუნვის ფუნქციით: მზა-ს „მზად“, ტიტველას „ტიტველად“... და მოქმ. ბრუნვის დანიშნულებით: მამყეა სროლა-სროლა-ს („სროლა-სროლით“). მიცემითის -ს ნიშნით ფორმდება ზოგი ზმნისართი: წელია || წელია-ს... იგიეე ზმნისართები შესაძლოა ნათ. ბრუნვის ფორმითაც იქნეს წარმოდგენილი: წელან-ის... ნათ. და მოქმ. ბრუნვის ნიშნები ვერ კვეცენ -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს და არც თვითონ რედუცირდებიან: ქალა-ის, ქალა-ით... დრო-ჟამის აღმნიშვნელი სიტყვების ნათ. ბრუნვის ფორმა გამოხატავს დროის გარემოებას (ზამთრ-ის – „ზამთარში“); უთანდებულო მოქმედებითს შეუძლია გადმოსცეს გამოსელითობა (აბლატივი): გერგეტ-ით (= გერგეტიდან); ფართოდაა გავრცელებული -ივ სუფიქსიანი წარმოება: ზამთარივ – „ზამთარში“, უნებლ-ივ – „უნებურად“... წოდებითში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან დამოწმებულია -უ || უ: ქალა-უ || ქალა-უ...; ნაწილაკები შესაძლოა მიერთოს ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმას (და არა ფუძეს, როგორც ეს სხვა დიალექტებსა თუ სალიტ. ქართულში გეხვდება): რა-მა-მე „რამემ“, რა-მ-ღა-ც „რაღაცამ“, ვინებ-ი-ღა-ც „ვიღაცები“.

მ-ში პროდუქტიულია ვითარების ზმნისართების -ებურ || -ებულ სუფიქსით წარმოება: ქარებულას || ქარებულად, ფარებულას || ფარებულად. იშვიათია -დამ თანდებული: გარედამ – „გარედან“. ამ ფუნქციით გამოიყენება უთანდებულო მოქმედებითი: სახლით, გარეთით. ჩვეულებრივი მოვლენაა -ში || შიგ (-ჩი || ჩიგ), -ზე || ზედ, -გან თანდებულიანი სახელების -თი ფორმანტით გაფორმება (გამოსელითობის ფუნქციის დაკონკრეტების შემთხვევაში): ჯარ-ჩიგა-თ – „ჯარში და იქიდან“, სახნავ-ზედ-ით – „სახნავზე და იქიდან“.

მ-ში სახელთა მრ. რ-ის ფორმები თითქმის თანაბრად იწარმოება -ნ, -თა და -ებ სუფიქსებით. თავს იჩენს ზოგი თავისებურება: III პირის ნაცვალსახელთა მრავალობითის ფორმები უპირატესად -ებ სუფიქსით იწარმოება: ესე-ებ-ი || ეს-ებ-ი – „ესენი“, ის-ებ-ი – „ისინი“, ზოგ-ებ-ი / „ზოგნი“... -ებ გასდევს ბრუნების მთელ პარადიგმას: ემე-ებ-მა – „ამათ“, ემე-ებ-ს, ემე-ებ-ის...; -ნ / -თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითი ოჯახის, შტო-გვარის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია. მის პარალელურად იხმარება -ენ || -ეთ სუფიქსებიც.

მ-ში შეინიშნება ზოგი თავისებურება ზმნისწინთა გამოყენებაში: მოსალოდნელია მო- (მა-), იხმარება გა-: სიშმარი გეეჩუქნა, და-ს ცელის გა- ზმნისწინი, ან – პირიქით: მძინარს [ძმებს] სულ თურმე გაშჭრა თავები; თავის ძროხა მაზობლის ძროხებში დაურია...

I სუბიექტ. და ობიექტ., ასევე II ობიექტ. პირის აღნიშვნა მ-ში ისევე ხდება, როგორც სალიტ. ენაში, ოღონდ I სუბიექტ. პირის მომდევნოდ თითქმის ყოველთვის იხმარება III ობიექტ. პირის ნიშანი, ისევე როგორც ეს იყო ქართ. სალიტ. ენაში თითქმის XIX ს-ის ბოლომდე: ცელს გამოვსწკეპავთ, ქასურით გავღლესთ; ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში მრ. რ-ის III სუბიექტ. პირის ნიშანი, ჩვეულებრივ, არის –ეს: ა-კეთ-ებ-დ-ეს – „აკეთებდნენ“, გამა-ი-პარ-ნ-ეს „გამოიპარნენ“...; ნამყო ძირითადში მხ. რ-ის III სუბიექტ. პირის ნიშნად -ა გვაქვს: ამა-ი-და „ამოიღო“, ჩა-ა-გა „ჩააგო“– ანალოგიური ვითარებაა II თურმეობითშიც: ე-ე-დ-ა „აელო“.

მ-ში ხოლმეობითის ფორმები სამგვარად იწარმოება: ოდენ -ი სუფიქსით: (ჭნ-ავ-დ-ი-ს, მა-ჭნ-ი-ს), საკუთრივ დიალექტური – ოდენ -კე ნაწილაკით (ჭნ-ავ-ს-კე, ჭნ-ავ-დ-ა-კე), უფრო ხშირად კი – ზემოხსენებული ორი წარმოების კონტამინაციით: ჭნ-ავ-დ-ი-ს-კე, ჭნ-ავ-დ-ი-ან-კე; მა-ჭნ-ი-სკე, მა-ჭნ-ი-ან-კე.

ბრძანებითი ორი სახისაა: კატეგორიული (იყენებს ნამყო ძირითადის II პირის ფორმას: გა-ა-მზადე) და თხოვნით-წაქეზებითი, რ-იც ორი ნაირსახეობით გვხვდება: -ეა ნაწილაკით (გა-ა-მზად-ე-ღა) და -ოდ-ე დაბოლოებით (გა-ა-მზად-ოდ-ე).

მ-ს ახასიათებს კავშირებითის ფორმათა წარმოების თავისებურებანი: I კავშირებითში ყოველთვის არის -ე (მალ-ავ-დ-ე-ს, ი-მალ-ებ-ოდ-ე-ს); II და III კავშირებითში გარდამავალ ზმნათა წარმოება უნიფიცირებულია – გამოიყენება -ა (და-მალ-ა-ს, წა-უ-ღი-ა-ს, და-ა-ბრუნ-ა-ს... და-ე-მალ-ა-ს...).

მ-ში კაუსატივის წარმოებისას ზმნაში პირის ნიშნით აისახება არა ირიბი, არამედ პირდ. ობიექტი: და-გ-ა-გლეჯ-ინ-ებ „დაეაგლეჯინებ მე მას შენ თაეს“.

უპირატესობა ეძლევა უძველესი ფორმაციის ზმნების უთემისნიშნოდ გამოყენებას: ჩეჩ-ს „ჩეჩაეს“, ჭეჭ-ს – „ქეებს ისერის“, კეკ-ს – „კეცავს“ ...

მ-ის სინტაქსიდან საყურადღებოა შემდეგი:

სახელსა და ზმნას შორის გეაქვს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: „ხალხი მიულოცავდეს (= მიულოცავდნენ), იმათ სადღეგრძელოს დალეედეს (= დალეედნენ)“...;

მიც. ბრუნვაში დასმული ობიექტი ზმნას ეთანხმება მრ. რ-ში I და II პირის ფორმათა გამოყენებისას: ჩვენ გე-მალ-აე-ს – გე-მალ-ვ-ენ, თქუენ – გ-მალ-აე-ს-თ – გ-მალ-ვ-ენ-თ. III პირში მრ. რ. არ აღინიშნება, ინვერსიულ ზმნებშიც კი: მათ ე-წ'-ყინ-ა (და არა: ე-წ'-ყინათ), ს-ძინ-ი-ა (და არა: ს-ძინიათ). შეინიშნება სახელობითში დასმული ობიექტის ზმნასთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევები: მე ვ-ნახ-ენ ესენ-ი, ძმა-ნ-ი წა-ხ-კიდ-ნა. აღსანიშნაია ენებითი გვარის ფორმასთან ძვ. ქართულ'ში პოენიერი კონსტრუქციების გამოყენება: „მეშინია იმ კაცისგა (= კაცისგან)“, „იმ ქალისგა (= ქალისგან) ძრიად მეხათრება“.

მ-ში სიტყვაწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული ნანათესაობითარი გასუბსტანტივებული ფორმები: ფეჭ-ის-ა-ი „ფერხული“, ჩოჭ-ის-ა-ი „ჩოხის ნაჭერი“. -ურ სუფიქსი, სადაურობის გარდა, გამოხატავს კუთვნილებასაც და ამ შემთხვევაში ნათ. ბრუნვით შეიძლება შეიცვალოს: ყა'ხბეგ-ურ-ი ადგილი „ყა'ხბეგის, ყა'ხბეგიანთ ადგილი“. მიზნის სემანტიკა გამოიხატება -ობ -(ა) სუფიქსიანი მასდარის ფორმებით: დამოუკიდებლად (ნადირ-ობ) ან უთანდებულო და თანდებულიანი მიცემითით (ნადირობას || ნადირობაზე), ან ვითარებითით (ნადირობ-ად), ანდა გაუდიფერენცირებელი მიცემითი-ვითარებითით (ნადირობა). ადგილის სახელწოდებათა საწარმოებლად გამოყენებულია -ობ: ყან-ობ-ი, ბოსლ-ობ-ი.

დამკვიდრებულია აბსტრაქტულ სახელთა წარმოება ცირკუმფიქსის საშუალებით: სი-ობლ-ე „ობლობა“, სი-მხიარულ-ე „მხიარულება“. წარმომაელობის -ელ დასტურდება ზმნისართული წარმოშობის ფორმებშიც: სადაე-ელ-ი, აქაე-ელ-ი (კაცი); შდრ. აქა-ურ-ი, იქი-ურ-ი (ნივთი).

უხმოვანპრეფიქსო ზმნებისაგან (ტეხ-ს, კერავ-ს ჰკიდებ-ს...) საობიექტო მიმღეობა შეიძლება იწარმოოს ს- (და არა მოსალოდნელი სა-) პრეფიქსის საშუალებით: გა-ს-კიდ-ელ-ა-ი „გასაკიდელი“, და-ს-კერავ-ა-ი „საკერველი, ძველზე ახლის გამოსაკერებელი ნაჭერი“. ნეიტრალებრივია საობიექტო მიმღეობის სა-ის ცირკუმფიქსიანი წარმოება: საბზან-ის-ი „საბრძნისი“, საღონისი, „საშუალება, სახსარი“.

მ-ში თელის სისტემა ასის შემდეგაც ოცობითიაა: ხუთოცი, ექსოცი..., ათასის შემდეგ – ასობითი: თერთმეტასი, თორმეტასი...

ლიტ.: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქათარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; ქათარაძე ი., ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ბ. ჯორბენაძე. მ. კობიაშვილი.

მჟღერი ბგერები, ბგერები, რ-თა წარმოთქმისათვის დამახასიათებელია დაძაბული სახმო სიმების პერიოდული რხევა, ვიბრაცია. ვიბრაცია წარმოქმნის ამ ბგერათა ტონს, ანუ ხმას, ამიტომ მ. ბ-ს ხმიერ ბგერებსაც უწოდებენ.

დაძაბული სახმო სიმების ვიბრაცია, ბგერის მჟღერობა, მისი ეკალიზებული წარმოთქმა სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა ბგერათა სხვადასხვა ჯგუფში. ჩქამიერ ბგერებში სახმო სიმების ვიბრაციის შეცვლა მათი სხვაგვარი მოქმედებით (ფშვინვიერობით ან ქელხშულობით) ერთ ჩქამიერს მეორეში გადაიყვანს, ამან კი შეიძლება ერთი სიტყვა მეორედ აქციოს. ასე, მჟღერი დ-ს ფშვინვიერი თ-თი ან ქელხშული ტ-თი შეცვლა სიტყვებსაც შეცვლის: დარი-თარი-ტარი. აქ მჟღერობა ფონოლოგიურად ღირებული ნიშანია. ქართულში გვაქვს 8 მჟღერი ჩქამიერი: ხშულები ბ, დ, ძ, ჯ, გ და ნაპრალოვნები ზ, ჟ, ღ.

ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ) და სონორები (რ, ლ, მ, ნ, ვ), ჩვეულებრივ, ჟღერით წარმოითქმიან, მაგრამ ამ ნიშნის მქონებლობით ისინი სხვა ფონემებს არ უპირისპირდებიან: ყრუ ხმოვანი ან სონორი ფონემები არ არსებობენ. მართალია, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მაგ., ჩურჩულით წარმოთქმისას ხმოვნებიცა და სონორებიც შეიძლება არამჟღერად, ყრუდ წარმოითქვას, მაგრამ ვერ მოიძებნება თუნდაც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ამ განსხვავებას ფონემატური ღირებულება ჰქონდეს. *ზ. ჯაფარიძე.*

მრავალთავი, უძველესი ჰომილეტიკურ-ლიტურგიკული კრებული, რ-იც ძირითადად საუფლო და სხვა დიდი საეკლესიო დღესასწაულებისათვის იყო განკუთვნილი. მასში შედიოდა მთელი წლის ლიტურგიკული კალენდრიდან გამოკრებილი ჰომილიები, რ-ებიც სწორედ ამ დღესასწაულებზე წასაკითხად იყო გამიზნული. მ-ის ეორტალოგიური ციკლი ხარების დღესასწაულით იწყება, რაც მის იერუსალიმურ წარმოშობასა და არქაულობაზე მიუთითებს. დღეისათვის ცნობილია ქართული მ-ის რამდენიმე ნუსხა, რ-თაგან უძველესი VIII ს-ით თარიღდება (ხანმეტი მრავალთავი).

ქართ. მ-ის როგორც კრებულის ჩამოყალიბება ქართ. მწერლობის განვითარების ადრეულ პერიოდში, V ს-ში ივარაუდება, და იგი, იერუსალიმურ ლექციონართან და უძველეს იადგართან ერთად, იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკის ამსახველი ძეგლია. თვით ტექსტები ძირითადად ბერძნულიდან არის თარგმნილი.

კრებულის განვითარების ისტორია'ში გარდამავალ ეტაპად ითელება VIII ს., როდესაც მასში, ლიტურგიკული მასალის გარდა, აბო თბილელის წამების ტექსტი იქნა შეტანილი. კრებულის სტრუქტურის ასეთი ძირეული ცვლილება კი მხოლოდ საქართველოში შექმნილი ისტ. ვითარებით შეიძლება აიხსნას: VIII–X სს. საქართველოში არაბობის ხანაა და, როგორც ჩანს, ამ მოვლენასთან ქართველთა ეროვნული დამოკიდებულება აისახა თვით ჰომილეტიკურ-ლიტურგიკულ კრებულშიც, რშიც, პროტესტის ნიშნად, ქრისტიანობისათვის წამებული არაბი აბოს წამების ტექსტი შეიტანეს.

ეს და სხვა მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ ქართ. კრებული საკმაოდ ადრე გამოეყო თავის ბერძნულ მოდელს და თითოეული მათგანი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, განვითარების საკუთარ გზას დაადგა. X ს. დასასრულისათვის მთავრდება ქართ. კრებულის განვითარება, იგი საბოლოოდ კარგავს თავის პირვანდელ სახეს და ჩვეულებრივი ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული ხდება. ამის გამო უძველესმა ქართ. მ-ებმა შემოგვინახეს როგორც ქრისტ. ეკლესიის წმინდა მამებისა და სხვ. ბიზანტ. აეტორთა ჰომილიები, ასევე მათში უფრო გვიან შეტანილი ქართვ. აეტორების ჰომილიები და ჰაგიოგრაფიული ტექსტებიც (როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური).

ქართ. მ-ები და მათში დაცული ტექსტები მრავალმხრივ იზიდავს სპეციალისტთა ყურადღებას. ეს კრებულები საინტერესოა, როგორც უძველესი ლიტურგიკული ძეგლები იერუსალიმური და ქართ. ქრისტეკლესიების ისტორიის შესასწავლად. მათში შემონახული ტექსტები, პირველ რიგში, საყურადღებოა, როგორც უძველესი ქართ. მწერლობის ნიმუშები ქართ. ენის ისტორიის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი – როგორც უძველესი თარგმანები ბერძნ. ჰომილიებისა, რ-თა ორიგინალები რიგ შემთხვევებში დღეისათვის დაკარგულად ითვლება. ზოგჯერ ქართ. მ-ის მასალა ჰომილიის შედგენილობის პირვანდელი სახის აღდგენისა და მისი ავტორის დადგენის საშუალებასაც იძლევა. ამდენად, თითოეული მ-ის არქაული ფენის გამოვლენა თავისი მნიშვნელობით ბიზანტ. მწერლობაში დღეისათვის დაკარგული უძველესი ბერძნ. ჰომილიების სტრუქტურის აღდგენის ტოლფასია.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ხანმეტი მრავალთაეი. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», ტ. 7, ტფ., 1926; მ ი ს ი ვ ე, სინური მრავალთაეი 864 წლისა, თბ., 1959 («ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 5); შ ა ნ ი ძ ე ა., ჯ უ მ ბ უ რ ი ძ ე შ., უდაბნოს მრავალთაეი, თბ., 1994; ა ბ უ ლ ა ძ ე ი., შრომები, ტ. 3, თბ., 1982; მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი თ., კლარჯული მრავალთაეი, თბ., 1991; მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ., ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ა., ხ ე ნ კ ე ლ ი მ., ათონის მრავალთაეი, თბ., 1999; Garitte G., Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï. – «Corpus Scriptorum Christianorum Orientalium», vol. 165, Louvain, 1956; Esbroeck M. van, Les plus anciens homéliaires géorgiens, Louvain-la-Neuve, 1975.

თ. მგალობლიშვილი.

მრავალწერტილი (...), ჰორიზონტალურ რიგში გამწკრივებული სამი წერტილი (...) სიმრავლის აღმნიშვნელი უძველესი ნიშანი. იხმარება გაწყვეტილი სიტყვის ან დაუმთავრებელი ფრაზისა თუ წინადადების ბოლოს, მ. შ. ციტატის არასრულად მოყვანისას: «მტკი... და დადუმნა ხოლო» (ი. ცურტ.); „მე კი... ნიადაგ მახსოვხარ, / არც სით მომსვენები" (ა. კალანდ.).

მ. იხმარება აგრეთვე მოქმედებათა პერიოდული მონაცვლეობის აღსანიშნავად:

„კუთხიგორს ერთი ეარსკელავი / ციმციმებს... ქრება... ციმციმებს" (ა. კალანდ.).

შ. აფრიდონიძე.

მსიგხუას ვარჩერები, IX–X სს., ერთ-ერთი უძველესი ქართული ასომთავრული წარწერები დასავლეთ საქართველოდან. რელიეფური წარწერები მოთავსებულია კრამიტის კალიპტერებზე, რ-ებიც აღმოჩნდა 1962 გუდაუთის რ-ნის სოფ. პრიმორსკოეს მახლობლად (მსიგხუას) მთაზე მიკვლეული ეკლესიის ნანგრევების გაწმენდისას. წარწერების მიხედვით, კალიპტერები ორი ტიპისაა. პირველი ტიპის კალიპტერის (ზომა 15,5X10 *სმ*) ცენტრში წარმოდგენილია „მალტური" ჯვარი; კალიპტერზე არის სამსტრიქონიანი წარწერა, რ-იც იკითხება ქვემოდან ზემოთ; ტექსტის ბოლო სიტყვის („ა~ნ") ასოები იკითხება ისე, როგორც სარკეში. ყველა კალიპტერი დამზადებულია ერთ ყალიბში; ცნობილია 30 ცალი (28 ინახებოდა ბიჭვინთის ტაძარში, 2 – ხელნაწ. ინ-ტში). I ტიპის კალიპტერის წარწერის ტექსტი ასეთია: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ, ამენ". II ტიპის კალიპტერის (ზომა: 13,5x10 *სმ*) ცენტრში წარმოდგენილია „მალტური" ჯვარი; მის ზედაპირზე მოთავსებულია ორსტრიქონიანი წარწერა, რ-იც იკითხება ქვემოდან ზემოთ; სიტყვა „ამენ" ისევე შეტრიალებულად (როგორც სარკეში) იკითხება. ყველა კალიპტერი დამზადებულია ერთ ყალიბში; ცნობილია 16 ცალი (15 ინახებოდა ბიჭვინთის ტაძარში, 1 – ხელნაწერთა ინსტიტუტში); II ტიპის კალიპტერის წარწერის ტექსტი ასეთია: „მიქაელ, ამენ". წარწერები კალიპტერების ორივე ტიპზე, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, თარიღდება IX–X სს-ით: ლ ასო გადმოცემულია დაბალი ყელით და აქვს ნუსხურისაკენ მიდრეკილება, ე და ლ ასოების განივი ხაზი მარცხნივ არ გადადის.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), ე. სილოგავას გამოც., თბ., 1980.

ე. სილოგავა.

მუხლი, ტექსტის აზრობრივად დასრულებული მცირე მონაკვეთი (პარაგრაფი), რ-ის გამოყენება ან მითითება შესაძლებელია ძირითადი ტექსტისაგან დამოუკიდებლად. მ. ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებში გამოიყოფა გრაფიკულად. ხელნაწერებში მ-ის დასაწყისი აღინიშნებოდა წითელი მელნით შესრულებული ანბანური სათვალავით. ნაბეჭდ წიგნებში გამოყენებულია მუხლის ციფრობრივი ნუმერაცია. მ-ებად ტექსტის დანაკეთა ძირითადად ხდება ბიბლ. წიგნებსა და იურიდ. დოკუმენტებში.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი. – «თსუ შრომები», 1950, ტ. 39; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.

მ. სურგულაძე.

მყოფადი, საუღლებელი ერთეული (ა. შანიძე). მ. ფორმობრივი თვალსაზრისით იდენტურია აწმყოს მწკრივის ფორმებისა; ზმნათა ერთი ნაწილი აწმყოს ფორმებისაგან ზმნისწინით განსხვავდება (წერს – და-წერს), თუმცა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებას არა აქვს სისტემური ხასიათი. ეს არის ძირითადი საფუძველი იმისა, რომ მ. (და საერთოდ მ-ის წრის მწკრივები) დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად არ გაიაზრება მკვლევართა ერთი ჯგუფის მიერ (გ. გოგოლაშვილი, ა. ონიანი...).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. თბ., 1953; ჯ უ მ ბ უ რ ი ძ ე შ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986; გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ზმნის უღელილების სისტემა, თბ., 1988; ო ნ ი ა ნ ი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

გ. გოგოლაშვილი.

მყოფადის კავშირებითი, საუღლებელი ერთეული (ა. შანიძე), იგივე კავშირებითი I, პირობით-კავშირებითი. მ. კ. ფორმობრივი თვალსაზრისით იდენტურია აწმყოს კავშირებითისა. ზმნათა ერთი ნაწილი უწყვეტლისაგან მხოლოდ ზმნისწინით განსხვავდება, თუმცა ამას სისტემური ხასიათი არა აქვს. ზმნათა მეორე ნაწილში ხდება ფორმათა შენაცვლება (სესხება): მეფობის – ი-მეფ-ებ-ს... ეს არის ძირითადი საფუძველი იმისა, რომ მ. კ., ისევე როგორც ე. წ. მყოფადის წრის მწკრივები, დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად არ გაიაზრება მკვლევართა ერთი ჯგუფის მიერ (გ. გოგოლაშვილი, ა. ონიანი...).

ლიტ. იხ. სტატიასთან *მყოფადი.*

გ. გოგოლაშვილი.



მცხეთის ჯვარი.
სტეფანოზ პატრიკიოსის წარწერა.
595–605.

მცხეთის ჯვრის წარწერები, ქართული ასომთავრული დამწერლობის ერთ-ერთი უძველესი ეპიგრაფიკული ნიმუშები. ამოკვეთილია მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმ. და სამხ. ფასადის რელიეფებზე, ტაძრის შუაში აღმართულ ჯვრის კვარცხლბეკზე (კვარცხლბეკის შემორჩენილი ნაწილი წარწერის მოზრდილი ფრაგმენტით ამჟამად დაცულია საქართვ. მუზეუმის ლაპიდარიუმში), ტაძრის სამხრ.-დას-ით, კუთხის ოთახში შესასვლელის ზემოთ და კედლის მოპირკეთების ცალკეულ ფილებზე. ყველა წარწერა თანადროულია და მათში მოხსენიებული ისტ. პირების, კერძოდ, სტეფანოზ პატრიკიოსის ქართლში ერისმთავრად ყოფნის მიხედვით თარიღდება (VI–VII სს. მიჯნა, 595–605).

შინაარსის მიხედვით მ. ჯ. წ. იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. სააღმშენებლო-ქტიტორული წარწერები: სტეფანოზ პატრიკიოსის, მისი ძმის დემეტრე ჰჳპატოსის და ძის ადარნერსე ჰჳპატოსის წარწერა ჯვრის „აღმართვის" შესახებ, ამოკვეთილი კვარცხლბეკზე. მისი ტექსტი ასეთია:

„[ესე ჯ(უარ)ი ქ(რისტ)ესი აღ][მართა ს(ა)ლ(ო)ც][ველ]ად სტეფა [ნო]ს პატრიკი[ოსი]სა, დემეტრ[ეჰჳპ]ატოსისა ა[დრნ]ესე ჰჳპა[ტოსი]სა, სულ[თა] და ჴორცთ [ამ]ათა მეო[ხად] და ქ(ოე)ლისა [–]ლისა მცე[–] [ელა]დ" (მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ბოლოდან მეორე სტრიქონის პირველი, სანახევროდ მოღწეული სიტყვის წაკითხვა-აღდგენაში: „[სახ]ლისა"– ა. კალანდაძე, გ. ნუცუბიძე, ნ. მიქაძე, მ. თარხნიშვილი, მ. ლორთქიფანიძე; „[ქართ]ლისა" – ჩ. ალექსიძე; „[მ(ო)მ(ა)ვ]ლისა"– ნ. შოშიაშვილი).

ქრისტეს მჴევლის თემესტიას წარწერა ტაძრის სამხრ.-დას-ით კუთხის ოთახის – „საყოფელის" აშენების შესახებ, ამოკვეთილი ამ ოთახში შესასვლელის ზემოთ, შიდა მხარეს. მისი ტექსტი ასეთია: „წყალობითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა ჯუარისაჲთა მე, თემესტია მჴევალმან ქრისტესმან აღვაშენე საყოფელი ესე, საჴსენებელად სულისა, თავყანისაცემად დედათა".

2. მოსახსენებლები: სტეფანოზ ქართლის პატრიკიოსისა – „[ხა]ტო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე" (ყველა წინა გამოცემაში „ხატოს" ნაცვლად იკითხება „ჯუარო", რაც შეცდომაა); დემეტრე ჰჳპატოსისა – „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრე ჰჳპატოსსა მეოხ ეყავ"; ადრნერსე ჰჳპატოსისა – „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ჰჳპატოსსა მეოხ ეყავ"; ადრნერსე ჰჳპატოსის ძის ქობულისა – „წმიდაო სტეფანე, ქობული სტრატილატი შეიწყალე";

3. გამოსახულებების განმსაზღვრელი წარწერები: მათგან მოაღწია მხოლოდ ერთმა, ძალზე დაზიანებული სახით: „ქობულ ადრნერსეს ძე";

4. ხელოსანთა ნიშნები – ქართ. ასომთავრული ანბანის ცალკეული ასოები, რ-ებიც დასმულია ტაძრის მოპირკეთების სხვადასხვა ფილაზე (მათ შორის იკითხება სახელიც – „დემეტრე").

მ. ჯ. წ. მნიშვნელოვანია პალეოგრაფიისათვის, როგორც ქართ. დამწერლობის უტყუარად დათარიღებული ნიმუშები, და ენის ისტორიისათვის – მათში დასტურდება როგორც ხანმეტი, ისე არახანმეტი ფორმები.





მცხეთის ჯვარი. წარწერა ჯვრის კვარცხლბეკზე. 595–605.



მცხეთის ჯვარი. ალარჩერსე ეიპატოსის წარწერა. 595–605.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980 (იქვე ბიბლიოგრაფია); ს ი ლ ო გ ა ვ ა ჯ., ჯვრის წარწერები. – ქსე, ტ. 11, თბ., 1987.

ჯ. სილოგავა

მცხეთური ხელნაწერი, ბიბლიოლოგიური ძეგლი, ქართული ბიბლიის ქეელაზე სრული ხელნაწერი, შემდგენელი და რედაქტორი ს.-ს. *ორბელიანი.* მ. ხ. რთული შედგენილობის ტექსტია, რ-შიც ერთმანეთის გვერდითაა მოთავსებული ბიბლიის სხვადასხვა წყაროდან მომდინარე და სხვადასხვა დროს შესრულებული თარგმანები. მათი დიდი ნაწილი ბიბლიის ქართ. ვერსიის უძველესი ტექსტებია (IV–V სს.), შეჯერებული ბერძნ. ბიბლიის ტექსტთან XI–XIII სს-ში. სხეები შედარებით გვიანდელი ჩანს. ქეელა მათგანს ემჩნეეა არაერთგზისი შესწორებისა და რედაქციის კვალი. ტექსტოლოგიური ანალიზი აცლენს როგორც ბერძნ. და სომხ., ისე სხვა, ნაწილობრივ უცნობი, წყაროების გაელენასაც.

მ. ხ-ის ტექსტზე მუშაობისას ს.-ს. ორბელიანი ემყარებოდა *გელათის ბიბლიას,* რ-იც რედაქციულად გადაუმუშაევებია. ტექსტის შესწორებისა და შევსებისას იგი მეტწილად სარგებლობდა სომხ. ბიბლიის ამსტერდამული გამოცემით. თავეებად და ზუხლებად დაყოფაც განსხვაეებულია გელათური ტექსტისაგან. მ. ხ-ში ჩართულია აგრეთვე ეახტანგ VI-ის სტამბა'ში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის ტექსტები. ხელნაწერი ინახება ხელნაწ. ინ-ტში (A 51).

ტექსტი ხუთ წიგნად გამოქვეყნდა 1981–86: 1. მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნაეეს, მსაჯულთა, რუთის წიგნები, თბ., 1981; 2. მეფეთა I–IV, ნეშტთა I–II და ეზრას I–III წიგნები, თბ., 1982; 3. ტობის, იუდითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი, თბ., 1983; 4. ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქებათა ქება სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი, თბ., 1985; 5. დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები, თბ., 1986; 1999 გამოქვეყნდა მე-6 წიგნი, რ-შიც ს.-ს. ორბელიანის მიერ შედგენილი ბიბლიური საძიებლებია შესული.

მ. ხ-ის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ერცელი გამოკვლევა დაურთო თ. დოჩანაშვილმა.

ს. სარჯველაძე.

მძიმე (,), სასვენი ნიშანი, რ-იც იხმარება: 1. შერწყმული წინადადების ერთგვაროვანი წევრების, რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელი მარტივი წინადადებების უკავშიროდ შესაერთებლად, ანდა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების მიჯნასე (როგორც უკავშირო, ისე კავშირიანი შეერთებისას). მაგ., „ჩემს სახლ-კარსედა არც დღე, არც ღამე / აღარ ეფიქრობდი, არ ველონდებოდი“ (ი. ჭავჭ.); „ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავში იყო და ხმა არ გასცა, დარეჯანი წამოჯდა და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ლუარსაბი... უკრავდა გდია“ (ი. ჭავჭ.). 2. განკუთრებული სიტყვებისა და გამოთქმების, მათ შორის *სართულის, დანართისა* და *მიმართების* გამოსაყოფად: „წყალნი, მოით დაქანებულნი, / ალმასებრ უფსკრულს ცვივიან“(გ. ორბ.); „გამოჩნდა ქალი ლამაზი, / შაეის ტანსაცმლით მოსილი“ (ვაჟა-ფშაე.); „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად“ (ნ. ბარათ.); „დიდრონი თვალები, ყოველთეის დასისხლებულნი, თითქო ქეელში თოკი წაუჭერიათო!“ (ი. ჭავჭ.); „ხან წინ მიუძღეის, ხან – გეერდზე, მხარდამხარ...“ (ვაჟა-ფშაე.). 3. იხმარება ამა თუ იმ წიგნის, ნაწარმოების, სტატიისა და ა. შ. გაფორმებისას: აეტორის, სათაურის, გამომცემლობის, გამოცემის ადგილისა და დროის შესახებ ცნობების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. მაგ., ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953. 4. ტირესთან ერთად იხმარება აეტორისეული სიტყვებისა და პერსონაჟთა მეტყველების გასამიჯნავად. მაგ.: „–მე აღარა მესმის-რა, – უთხრა ძმამა, – ამ საცოდაობამ გამაშტერა“ (ი. ჭავჭ.).

შ. აფრიდონიძე.

მწკრივი, საუღლებელი ერთეული. ამ ცნების აღსანიშნავად სხვადასხვა დროს სხვადასხვა აეტორთან (ზოგჯერ ეროსა და იმავე აეტორთანაც) სხვა ტერმინებიც გამოიყენებოდა: რიგი, წეერი, დრო, დრო-კილო... ამჟამად ძირითადად ორი ტერმინია დამკვიდრებული: **მწკრივი** (ა. შანიძე) და **ნაკეთი** (არნ. ჩიქობაეა). თითოეული მათგანის შემოტანას თან ახლდა შესაბამისი ცნების განსხვაეებული გაგება. ა. შანიძის აზრით, მ. რთული კატეგორიაა, რ-იც შეიცავს რამდენიმე კატეგორიას „მწკრივის ელემენტებად“ წოდებულს. ესენია: *დრო, კილო, გ ვ ა რ ი ს ო ბ ა, ა ქ ტ ი, თანამდეეროება.* მ-თა შორის სხვაობას ფუნქციურად ამ ელემენტთა მქონეობა განსაზღერაეს.

არსებობს თვალსაზრისი, რ-ის მიხედვითაც მ. კატეგორიაა, მაგრამ არა რთული. მ. იგიეეა ზმნისათვის, რაც ბრუნეა სახელისათვის: „მწკრივი არის ენაში ზმნის არსებობის, მისი ფუნქციონირების ფორმა“ (ბ. ჯორბენაძე). მ-ს მოეპოეება თავისი ფ უ ძ ე და მ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი. მ-ის ფუძეა ზმნური ფორმის ის ნაწილი, რ-საც ჩამოშორებული აქვს ხმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები. მ-ის ნიშანი არის ზმნური ფორმის სუფიქსური ნაწილი, რ-იც დამახასიათებელია კონკრეტული მ-თეის და არ გადაჰქეება სხვა მ-ებში.

აზრთა სხვადასხვაობა მ-თა რაოდენობის საკითხშიც ირენს თავს. ძეელ ქართ. სალიტ. ენაში ნ. მარმა რვა მ. გამოყო (დღევანდელი ტერმინოლოგიით: აწმყო, უწყვეტე-

ლი / ნამყო უსრული, I კავშირებითი, წყვეტილი / ნამყო სრული, II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი). სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთან დაემატა: აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი (I ხოლმეობითი), II ხოლმეობითი, შერეული კავშირებითი, III ხოლმეობითი (ა. შანიძე); შერეული ხოლმეობითი, შერეული ნამყო, შერეული ბრძანებითი (ლ. კიკნაძე). ამ მ-ების შესახებ აზრთა ერთგვაროვნება არ არსებობს.

ახ. სალიტ. ქართულში ძირითადად II მ-ს გამოყოფენ (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა,...). სხვაობა მ-თა რაოდენობის თვალსაზრისით ძვ. და ახ. ქართულს შორის ძირითადად შეაპირობა ხოლმეობითის მორფოლ. კატეგორიის გაქრობამ, ასევე დროისა და ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით მომხდარმა ცვლილებებმა. ამის საფუძველზე გამოიყო I სერიაში ორი წრე – აწმყოსა და მყოფადისა. I სერიისათვის მწკრივთა განმასხვავებელ ელემენტად ზმნისწინი იქნა მიჩნეული. მაგრამ რამდენადაც ზმნისწინს იგივე ფუნქცია არ აკისრია II და III სერიაში, მკვლევართა ერთი ნაწილი არ იზიარებს მყოფადის წრის გამოყოფის იდეას და დრო-კილოთა სისტემას 8 მ-ით წარმოადგენს (გ. გოგოლაშვილი, ა. ონიანი, ქ. დათუაშვილი...). გამოიკვეთა მესამე თვალსაზრისიც, რის მიხედვითაც ზმნისწინით განსხვავებული ფორმები ყველა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ მ-ად. შესაბამისად, გვექნება 16 მწკრივი (ა. არაბული).

მ-თა დალაგება (სერიებად) საუღლებელი ფუძის პრინციპით მოხდა (კ. დოდაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, ნ. მარი...). დრო-კილოთა სისტემაში მ-ების ფუძეები ერთმანეთს შეიძლება მიემართებოდეს ხახოვანი (წერ- – წერ-დ...), ან – ჩანაცვლების პრინციპით (წერ-ე – წერ-ო...) (ბ. ჯორბენაძე).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; შანიძე ა., ქართული [ენის] გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1973); გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღლილების სისტემა, თბ., 1988; ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995.

გ. გოგოლაშვილი.

მხედრული, ქართული დამწერლობის სახეობა. *ასომთავრული* და *ნუსხური* დამწერლობისაგან განსხვავებით, იგი გამოიყენება საერო დანიშნულებით, აქედან სახელწოდებაც – „მხედრული“.

მ., ისევე როგორც ქართ. ანბანის სხვა ფორმები, ასოთა მოხაზულობის მხრივ კანონზომიერი განვითარების სურათს იძლევა. ძეგლების ქრონოლ. თანამიმდევრობით შესწავლამ ცხადყო, რომ ასომთავრულიდან ნუსხურზე და შემდეგ ნუსხურიდან მხედრულზე გადასვლა თანდათანობით ხდებოდა, ახალი დამწერლობისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ძველის წიაღში მზადდებოდა და მწიფდებოდა.

მ. ასოთა მოხაზულობის მხრივ მარტივია, ყველა ასო აქ ერთიან მონახაზს ქმნის, კონტური ხელის აუღებლად სრულდება. გამარტივებული წერისაკენ სწრაფვა ასოთა ერთიან და, ამასთანავე, მოკრგვალებულ ფორმაში გამოიხატება. თანამედროვე მ-ის ზოგიერთ ასოს შერჩენილი აქვს ასომთავრულის მოხაზულობა, უდიდეს ნაწილს კი რთული განვითარების გზა აქვს განვლილი. ამ საერთო ევოლუციაში გარკვეული კანონზომიერებანი შეინიშნება. სახელდობრ, ადრეულ ეტაპებზევე ჩაისახა ტენდენცია შემომრგვალებისა და, ერთიანი კონტურის შექმნასთან დაკავშირებით, ფორმათა თანდათანობითი შებრუნებისაკენ.

მ-ის ოთხხაზოვანი სისტემა ნუსხური ასოების ოთხ სტრიქონში განაწილებას მისდევს; ნუსხურში განვითარებული კბილანების სისტემაც მხედრული ფორმების განმსაზღვრელი გახდა (იხ. აგრეთვე *გარდამავალი მხედრული*).



მხედრული დამწერლობის ნიმუში. მარიამისეული ქართლის ცხოვრება. XVII ს.

მ. დამწერლობის ადრეული ნიმუშები IX ს-იდან გვხვდება (ატენის სიონი) და სწრაფად გაერცელდა საერო საქმიანობის სფეროში.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 1 – ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1996 (თხზ. 12 ტომად, ტ. 9); მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ე., ქართული ანბანი, თბ., 1977. *ე. მაჭაჭარიანი.*



ნ, ქართული ანბანის მეცამეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეთოთხმეტე) ასო; მისი სახელია „ნარი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი (კბილისმიერი) ხშვის მჭონე ნაზალური (ცხვირისმიერი) სონორი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა ჩ. მისი მოხაზულობა ხაზებისა და რკალის კომბინაციაა, რ-იც კეადრატის ნახევარს იკავებს. ნუსხური ჩ მარჯვნივაა გადახრილი. მხედრული ნ ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხური ჩ და მხედრული ნ ოთხხაზოვანი სისტემის ზედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ორმოცდაათს (50).

ნაზალური ბგერები, ცხვირისმიერი ბგერები, ხმოვნები ან თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისას პაერნაკადი გარეთ ცხვირის ღრუს გაევლით გამოედინება. რბილი სასა ნაქითურთ ძირსაა ჩამოშვებული და გზას უხსნის ნაკადს ცხვირისკენ. ნაზალური ხმოვნების (მათ ნასალიზებულებსაც უწოდებენ) წარმოთქმისას პირის გზაც ღიაა, ხოლო ნაზალური თანხმოვნების შემთხვევაში პირის ღრუ გადაკეტილია ბაგისმიერი ან ენისმიერი ხშვით. ბაგისმიერი ხშვით წარმოითქმისას, მაგ., ქართ. მ, წინაენისმიერი ხშვით (ზედა საჭრელ კბილებთან ან მათ ნუნებთან) – ნ. ნაზალური თანხმოვნის ენისმიერი ხშვა შეიძლება განხორციელდეს შუა ენის მიბჯენით მაგარ სასაზეც (მაგ., ფრანგ. სიტყვაში signe „ნიშანი“) ან უკანა ენის მიბჯენით ჩამოშვებულ რბილ სასაზე (გერმ. singen „სიმღერა“, Zunge „ენა“).

ქართულში ნაზალური ხმოვანი ფონემები არა გვაქვს.

ზ. ჯაფარიძე.

ნათესაობითი ბრუნვა, კუთვნილება-დანიშნულების გამომხატველი ბრუნვა, რ-საც ინდოევროპულ ენათა გენიტივი შეეფარდება.

ქართულ ენაში ნ. ბ. -ის(ა), -ს(ი) ბოლო სართებითაა წარმოდგენილი: თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კეცად სახელებთან – ის(ა) დაბოლოება გეხვედება – კაცის(ა), დედ-ის(ა), ხმოვანფუძიან უკეეცელ სახელებთან – ს(ი): წყარო-ს(ი), რუ-ს(ი), ელენე-ს(ი)... (გამონაკლისია – დრო-ის).

ბოლოკიდური -ი ხმოვნის თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს: მკვლევართა ნაწილი მას ემფატიკურ ხმოვნად მიიჩნევს (შდრ.: კაც-ის-ა – წყარო-ს-ი); სხვა თვალსაზრისით, -ი ბრუნვის ნიშნისეულია, ბგერათგადასმის შედეგად მიღებული: -ის → -სი (იხ. *ემფატიკური ხმოვარი*).

ნათესაობითი უძველესი ფორმაციის ბრუნვაა. -ის სუფიქსის პარალელურად ვარაუდობენ აგრეთვე -ინ სუფიქსის არსებობასაც, რ-იც ზმნისართებსა და თანდებულებშია შემორჩენილი სიტყვამაწარმოებელი ელემენტის სტატუსით: გუშ-ინ, მაშ-ინ, -თვ-ის || -თვ-ინ, -მდ-ის || -მდ-ინ... ნ. ბ-ის -ის სუფიქსს კანონზომიერი შესატყვისები მოეპოვება ქართვ. ენებში: ზანურში – -იშ (→ შ), სვანურში – -იშ, -ეშ სუფიქსების სახით.

ნ. ბ-ში დასმული სახელი დაირთავს თანდებულებს: -თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე, -დამი. თითქმის შეუზღუდავია ნათესაობითის ფორმაზე ზმნისართთა დართვა თანდებულის ფუნქციით: სახლ-ის წინ, მიწ-ის ქვეშ, ხუთი დღ-ის შემდეგ...

ნ. ბ. თანამედროვე სალიტ. ქართულში გამოხატავს: კუთვნილებას (ძმის სახლი), დანიშნულებას (ქორწინების სახლი), მასალას (ხის სახლი), აგენსს (ბავშვის თამაში), სამოქმედო ობიექტს (ხის მოჭრა). თანდებულთა დართვის შედეგად ნათესაობითს სხვა ფუნქციათა გამოხატვაც ეკისრება: აჩვენოს მიმართულება (ტყისკენ); მოცილება-დაშორება (კაცისგან); მსგავსება (თიხისებრ); დრო (მოსვლისთანავე) და სხვა. ნ. ბ. ხშირად დერივაციული სუფიქსის როლს ასრულებს (თბილ-ის-ი, ვარგ-ის-ი...); გამოთქმულია მოსაზრება, რომ მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული სახელი არ შეიძლება ჩაითვალოს ნ. ბ-ის ფორმად (თ. უთურგაიძე).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; თოფურია ე., ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი.

– კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. I, თბ., 1956; ჭ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986; ო ნ ი ა ნ ი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989; ნ ო ზ ა ძ ე ლ., ემფატიკური ი ქართულში. – «იკე», XXIX, თბ., 1990. *კ. ცაბუნია.*

ნაისერი (Neisser) ფრიდრიხ კარლ (6. I. 1909, ვენა, – გ. წ. უცნობია, იქვე), აესტრიელი ენათმეცნიერი. სწავლობდა ვენის ერთ-ერთ რეალურ სასწავლებელში, რ-ის დამთავრების შემდეგ (1928) სწავლა განაგრძო ვენის უნ-ტში. ეუფლებოდა ანგლისტიკასა და ამერიკანისტიკას, ისმენდა ლექციებს სრიულის, ხეთურისა და აფრიკული ენების შესახებ. მალე შეუდგა კავკ. ენების, უწინარეს ყოველისა, ქართულის შესწავლას. 1936 დაიცვა დისერტაცია თემაზე: „შტუდიები ქართული სიტყვაწარმოებისათვის" („Studien zur georgischen Wortbildung"). ამ დროიდან იგი ქართ. ენათმეცნიერთა ყურადღებას იქცევდა (ცნობილია მისი კონტაქტები ა. შანიძესთან).

ნ-ის დისერტაცია (რ. ბლაიხშტაინერის წინასიტყვაობით) წიგნად გამოსცა 1953 გ. დეეტერსმა და იგი მაშინვე აღიარეს ქართ. ენათმეცნ. წრეებში. გაჩნდა ამ ნაშრომის ქართულად თარგმნის იდეა (გ. მაჭავარიანი). *ნ. ბუციშვილი.*

ნაკვთი, საუღლებელი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი. შემოიღო არნ. ჩიქობავამ. ტერმინის შემოღება დაკავშირებული იყო *„მწკრივისაგან"* განსხვავებული ცნების შემოტანასთან. მწკრივისაგან განსხვავებით, ნ. არ არის გრამატ. კატეგორია: იგი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღელილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად. ამიტომ ნ. ვერ იქნება გრამატ. კატეგორია („უფუნქციო კატეგორია" არ არის კატეგორია!), ისევე როგორც გრამატ. კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები: „ბგერა", „ხმოვანი", „ფუძე" (არნ. ჩიქობავა).

ამდენად, „ნ". და „მწკრივის", როგორც ტერმინების, გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამის ცნებათა შორის განსხვავება.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

გ. გოგოლაშვილი.

ნასესხობა, ერთი ენის ელემენტების შეღწევა მეორე ენაში ენათა ურთიერთგაელვენის, *ენობრივი კონტაქტების* შედეგად. ენათა და ერთა ურთიერთობა საზოგადოების, კაცობრიობის ისტ. და კულტ. განვითარებისა უცილებელი პირობაა. ამგვარ ისტ. კონტაქტებს (პოზიტიურსაც და ნეგატიურსაც, აგრესიულსაც და კულტურულსაც) შედეგად ენათა ურთიერთშეღწევა მოსდევს. ერთი ენიდან მეორე ენაში შეიძლება გადავიდეს სხვადასხვა რიგის ენობრივი მოვლენები. იშვიათად ეს არის სინტაქსური კონსტრუქციები, უფრო იშვიათად – დერივაციული აფიქსები, რ-ებიც სიტყვებთან ერთად აღწევენ ენაში. ენობრივი გაელვენის თვალსაზრისით განსაკუთრებით შეღწევადია ლექსიკური ფონდი.

ქართ. ენას ისტორიულად არაერთ კავკ., ევროპისა და აზიის კონტინენტის ერთან და ენასთან ჰქონია კავშირ-ურთიერთობა. ყველა ამ ენას თავისი კვალი აღუბეჭდავს ქართ. ენის ლექსიკურ ფონდშიც. ქართულში გვაქვს ნ-ები სხვადასხვა ენებიდან: ბერძნ., ებრ., სპარს., არაბ., თურქ., სომხ., რუს. და სხვ. მაგ., საეკლ. ტერმინები: აია'სმა,ამბიონი,ემბაზი,ოლარი, ლიტანია... ბერძნულიდან არის შემოსული; ბათქაში, ბოღმა, ყორჩი, ფარა... – თურქულიდან; იატაკი, კოშკი, ლაშქარი, ტაბაკი, ფარდაგი... – სპარსულიდან... ერთი ენიდან მეორეში სიტყვა შეიძლება მესამე ენის მეშვეობითაც შევიდეს. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა ორჯერ შესულა ენაში სხვადასხვა გზით. მაგ., კოშკი ქართულში სპარსულიდან შემოვიდა, საიდანაც ასევე გაერცელდა ევრ. ენებში. ბოლოს კი ფრანგულიდან კვლავ შეიძინა ქართულმა, მაგრამ უკვე ახ. ფორმითა და სემანტიკით – კიოსკი.

ნ-თა ერთ დიდ მასივს ქმნის თანამედროვე საერთაშ. ლექსიკა, ანუ *ინტერნაციონალიზმები.*

ნ. მსესხებელ ენაში ამ ენის ფონემატურ და სემანტიკურ სტრუქტურასთან ადაპტაციის რთულ გზას გაივლის, ასევე ემორჩილება მსესხებელი ენის მორფოლ. პროცესებს. ამ გარემოებათა გამო ნ. ახ. ენის ორგ. ნაწილი ხდება და მასში საბოლოოდ დამკვიდრებისას, მისი უცხოურობა აღარც აღიქმება.

ამდენად, მიმღებ ენაში ადაპტაციის პროცესის თვალსაზრისით, ნ-თა რიგში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფენა: შეთვისებული ლექსიკა, რ-იც ჯერ კიდევ ორგანულთან სინონიმურად (პარალელურად) გამოიყენება; ლექსიკა, რიც ამ მნიშვნელობით ერთადერთია, მაგრამ რ-ის უცხოურობა ენაში ჯერ კიდევ აღიქმება და ლექსიკა, რ-იც უკვე იმდენად არის გათვისებული, რომ მსესხებელი ენის ლექსიკურ-გრამატ. სისტემის ორგ. ნაწილად ქცეულა.

ნ-ის სრული გამოვლენა ენის ლექსიკური ფონდის საფუძვლიან ისტ.-ეტიმოლოგიურ ანალიზს მოითხოვს. *ა. არაბული.*

ნაცვალსახელი, სიტყვა, რ-იც მიუთითებს საგანზე ან მის თვისებაზე. სახელწოდება მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: ნაცვალ + სახელი. ადრინდ. გრამატ. ლიტრაში ამ ტერმინმა არსებითი როლი შეასრულა ნ-ის რაობისა და მნიშვნელობის დადგენაში. იგი განისაზღვრებოდა ისეთ ენობრივ ერთეულად, რ-იც სახელის ნაცვლად, მის მაგივრად იხმარება. მაგ., *გაიოზ რექტორის* „ქართულ ღრამმატიკაში" (1789) იკითხება: „ნაცვალ-სახელი არს ნაწილი სიტყუჩისა, რომელიც ნაცვლად სახელისა დაიდების სიტყუათა შინა". ასეთი განმარტება სხვადასხვა რედაქციით დღესაც ძალაშია როგორც ქართ., ისე სხვა ენების ნორმატიულ გრამატიკებში. დახასიათება ზოგადად სწორია, მაგრამ სრული არ არის, რადგან იგი ერთნაირად არ მოიცავს ყველა ნ-ს. ტრად. განმარტება არ გამოდგება, მაგ., I და II პირის ნ-ების მიმართ, რ-ებიც მთქმელისა და თანამოსაუბრის, ე. ი. პირის საერთო, ზოგადი სახელებია. ცნობილია, რომ სახელი ზმნას შეეწყობა III პირის ფორმაში, ამიტომ სინტაქსურად ეს ნ-ები არ შეიძლება იხმარებოდეს სახელის ნაცვლად. ყველ შემთხვევაში, მათ მიერ სახელის შეცვლა ისე, რომ არ დაირღვეს წინადადების მთელი წყობა, შეუძლებელია. ამდენად, ნ. შეიძლება განისაზღვროს ისეთ სიტყვად, რ-იც წინადადებაში უმთავრესად არსებითის, ზედსართა-

ეის ან რიცხვითი სახელის ექვივალენტად გვევლინება.

ანტიკური გრამატ. ლიტ-რიდან დღემდე, მეტყველების ნაწილთა ტრად. კლასიფიკაციის მიხედვით, ნ. ძირითადად დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად იყო მიჩნეული. თუ ამოვალთ იქიდან, რომ „მეტყველების ნაწილი მორფოლოგიის ცნებაა და ამ ცნების დადგენისას საფუძველი მორფოლოგიური ნიშანი უნდა იყოს“ (არნ. *ჩიქობავა*) და, ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ ნ-თა ძირითად დანიშნულებასაც, ისინი ცალკე მეტყველების ნაწილად არ გამოიყოფა. ერთი ნაწილი შეიძლება არსებით სახელთა ჯგუფში გაერთიანდეს, სხვები კი – ზედსართავებს დაუკავშირდეს. ამის მიხედვით, ყველა ნ. შეგა სახელის შემცველ მეტყველების ნაწილში, თუმცა მისგან მაინც განსხვავდება. ნ-ის ძირითადი თვისება არის აბსტრაქციის თავისებური უნარი. აბსტრაქცია, მართალია, მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა მეტყველების ნაწილს, მაგრამ ზოგადისა და კერძოს შეთავსება ისე, როგორც ეს ნ-შია მოცემული, სხვა მეტყველების ნაწილისათვის არ არის ნიშანდობლივი. სახელი სათვის მთავარია ის, თუ რას აღნიშნავს, ნ-თვის კი – როგორ აღნიშნავს. არსებითი, ზედსართავი (აგრეთვე რიცხვითი) სახელი პირდაპირ ასახელებს საგანს, მოქმედება-მდგომარეობას, აღნიშნავს მის ნიშან-თვისებას, ხარისხსა და რაოდენობას, ნ. კი ზოგადად, განყენებული სახით მიუთითებს მათზე. სხვადასხვაგვარ სიტუაციაში, ხმარების ცალკეულ შემთხვევებში იგი აელენს კონკრეტულ მნიშვნელობასაც.

XIX ს. I ნახ-იდან ქართ. გრამატ. ლიტ-რაში ნ-თა კლასიფიკაციას საფუძვლად სხვადასხვა პრინციპი ედო. განსხვავებული იყო აგრეთვე ნ-თა ჯგუფების რაოდენობა და მათი აღმნიშვნელი ტერმინებიც. თანამედროვე გრამატ. ლიტ-რის მიხედვით, გამოიყოფა ნ-თა შემდეგი ჯგუფები: პირის (მე, შენ, ჩვენ, თქვენ...) (იხ. პირის ნაცვალსახელები), კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მისი...), ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი (ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი...), კ ი თ ხ ვ ი თ ი (ვინ? რა? რომელი? როგორი?...), მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი (ვინც, რაც, რომელიც, როგორც...) უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი თ ი (ერთმანეთი), გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი (თვით, თვითონ, თითოეული, ყველა, ყოველი...), გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ი (ვინმე, რამე, რომელიმე, ზოგი, ზოგიერთი...), უ ა რ ყ ო ფ ი თ ი (არავინ, ეერავინ...).

გრამატ. თვალსაზრისით, ნ-ებს სხვა სახელებთან აქვთ მსგავსება და განსხვავებაც. განმასხვავებელი თვისება ისაა, რომ მათ არ მოეპოვებათ ერთიანი მორფოლ. ყალიბი. მაგ., I და II პირის ნ-ები ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება, მათ მრ. რ. მორფოლოგიურად არ ეწარმოებათ; კითხვითი ნ. ვინ? ოთხ ბრუნვისათვის სულ ორ ფორმას გვიჩვენებს (ვინ – სახ. და მოთხრ., ვის – მიც. და ნათ.), მრავლობითი, ჩვეულებრივ, არ ეწარმოება; ძირეული ჩვენებითი ნ-ები ბრუნვათა ფორმებს უპირატესად სუპლეტურად აწარმოებენ, ორ სხვადასხვა ფუძეს იყენებენ: ერთია სახელობითი სათვის – ამა, მაგა, იმა, იმ; ყველა ეს ნ. სახელობითში ფუძის სახით იხმარება. მოთხრობითში მათ ორგ. წარმოება ახასიათებთ: მა-ნ, ამა-ნ, იმა-ნ, მაგა-ნ. რაც შეეხება კუთვნილებით და ზოგიერთ სხვა ნ-ს, ისინი თავიანთი დანიშნულებით მსაზღვრელი სიტყვებია და ისე იბრუნვიან, როგორც ზედსართავი სახელები.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ა., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964; ს ა რ თ ო ლ ა ნ ი ნ., ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თბ., 1985.

ა. მარტიროსოვი.

ნაწევარი, სახელის მხლებელი, რ-იც გვიჩვენებს, რომ ამ სახელით აღნიშნული საგანი ცნობილია, გარკვეულია. ასეთ ნ-ს გრამატიკაში განსაზღვრულს უწოდებენ, ხოლო უცნობი, გაურკვეველი საგნის აღმნიშვნელს – განუსაზღვრელს ს. ნ. დასტურდება ძვ. ქართულში, ახ. ქართულს იგი აღარ მოეპოვება.

ნ. ახლავს მხოლოდ საზოგადო სახელს. საკუთარი სახელი (პირის, გეოგრ....) თავისთავად განსაზღვრულად ითვლება და ნ-ს არ საჭიროებს. ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელთა უმეტესობას თვით ეკვალება არსებითი სახელის განსაზღვრა და ამიტომ ნ. არც მათ ერთვის, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, როგორიცაა ერთი იგი, რ-იც „მეორეს“ ან „სხვას“ აღნიშნავს.

ნ-ად ძვ. ქართულში იხმარებოდა სამი სიტყვა, წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელები: ესე, ეგე, იგი, რ-თა დანიშნულება იყო განესაზღვრათ გაურკვეველი სახელი და აღენიშნათ მისი მიმართება რომელიმე პირისადმი: პირველი (ესე), მეორე (ეგე), თუ მესამისადმი (იგი): სახლი ესე, სახლი ეგე, სახლი იგი. პირისადმი მიმართება დამახასიათებელია ქართ. (აგრეთვე ძვ. სომხური) ნ-თვის, ხოლო სხვა ენათა ნ. (მაგ., გერმანულის, ფრანგულისა და სხვ.) მოკლებულია პირისადმი მიმართებას. სამაგიეროდ, მათ მოეპოვებათ სქესი: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო (გერმ.der, die, das; ფრანგ. la, le).

ნ. სახელს შეიძლება თავშიც ერთოდეს და ბოლოშიც. თავში ერთვის ბერძნ., არაბ., ფრანგ., გერმ. და სხვ. ენებში; ბოლოში ერთვის ძვ. ქართ., სომხ. ბულგ., რუმ., ბასკ. და სხვ. ენებში; ბოლოში დართული ნ., ჩვეულებრივ, ერწყმის სახელს (მაგ., ბულგარულში, სომხურში და სხვ.), მაგრამ ძვ. ქართულში იგი ცალკე იხმარებოდა.

ნაწევრიანი სახელი ბრუნვანაკლია, მას არ მოეპოვება წრფელობითი და წოდებითი ბრუნვები.

განუსაზღვრელ სახელს ძვ. ქართულში შეიძლება დაერთოს აგრეთვე ერთი ან ვინმე (ვინმე მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანზეა ლაპარაკი).

თ. ზურაბიშვილი.

ნაწილაკი, მეტყველების ნაწილი, დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებული სიტყვა, ბგერა ან ბგერათკომპლექსი, რ-იც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და სხვადასხვა ელფერი (მოდალური და მისთ.) შეაქვს მის მნიშვნელობაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ-ის (ისევე როგორც საერთოდ ფუნქციონალური სიტყვების) როლი გამონათქვამის შინაარსობრივ გამთლიანებაში.

ნ-ები ქართულში განსხვავებულ ჯგუფებს ქმნიან. მათი ადგილი არ არის მკაცრად განსაზღვრული;

ზოგი ნ. წინ უძღვის სიტყვას (არ, ვერ, ნუ...), ზოგი – მოსდევს მას (-ვე, -ღა, -ოდე...); ნ. ცალკეც იწერება (დეფისით - მეთქი..., უდეფისოდ – ხოლმე, თურმე...) და სიტყვასთან შერწყმულიც (ხუთიოდე, სადღა...). ნ-თაგან ზოგი მხოლოდ ზმნასთან იხმარება (არ, ვერ...), ზოგი – სახელთან (-ოდე), ზოგიც – ყველა სიტყვასთან (-ო). ფუნქციის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, გაძლიერებითი, მიგებითი, სიტყვასიტყვითი და სხვ.

კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ-ები გამოხატავენ კითხვას სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსით: განა, ნუთუ, არ-კი, აკი, ხომ... ძვ. ქართულში იყო სხვა კითხვითი ნ-ებიც – -ა („იაკობ მანდ არსა"), -მე („რათ-მე ვყო"). ამჟამად აღნიშნული ფუნქციით -ა გვხვდება აღმ. საქართვ. მთის დიალექტებში (თუშური, ფშაური_), -მე კი განუსაზღვრელი ნ-ის ფუნქციით გამოიყენება.

მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ნ-ები ერთვიან სრულმნიშვნელოვან კითხვით სიტყვებს და გადააქცევენ მათ მიმართებითად. ძვ. ქართულში მიმართებითი ნ-ები იყო: ესე, ეგე, იგი (წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელები) და -ცა (რომელი+იგი „რომელიც", ვინ+ცა „ვინც"_). ამათგან თანამედროვე ქართულში მხოლოდ -ც (< -ცა) გვხვდება: ვინც, ვისც, სადაც, როგორც...

გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ი ნ. ერთვის კითხვით სიტყვას – ნაცვალსახელს ან ზმნისზედას – და მას განუსაზღვრელობის მნიშვნელობას ანიჭებს. ამ ფუნქციით ქართულში გამოიყენება -მე: ვინ+მე, რომელი+მე, სად+მე, როგორ+მე... ანალოგიური ფუნქციისაა –ღაც(ა), (ეღაცსა, რაღაც(ა)...).

უ კ უ თ ქ მ ი თ ი ნ-ები ერთვიან ზმნას და გამოხატავენ ზმნით აღნიშნული მოქმედების უარყოფას. ასეთებია არ, ვერ, ნუ (ცალკე) და -ღა, -ც ნ-ების დართვით – აღარ, ვეღარ, ნუღარ, არც(ა), ვერც(ა), ნურ(ც). ამ ნ-ებით გამოხატული უარყოფის მნიშვნელობები სემანტიკურად განსხვავებულია (იხ. *უარყოფა*).

გაძლიერებითი ნ-ების ფუნქციაა სახელებზე, ზმნიზედებზე (ზმნისართებზე) დართვისას ქურადღება გაამახვილოს ამ უკანასკნელთა მიერ გამოხატულ საგანზე, თვისებაზე, ადგილზე..., როგორც მრავალთაგან ერთ-ერთზე. ამ შემთხვევაში გაძლიერებითი ნ. მნიშვნელობით უახლოვდება „აგრეთვეს". მაგ., „გიორგიც მოსულა" ნიშნავს, რომ მის გარდა სხვა პირებიც მოსულან; „ამ დილითაც ქარია" ნიშნავს, რომ ქარი იყო წუხელ ან გუშინ, ანდა გუშინწინ და ა. შ. „წიგნიც ვიყიდე" ნიშნავს, რომ სხვა საგნებთან ერთად ვიყიდე აგრეთვე წიგნი...

თუ წინადადებაში ერთგვაროვანი წევრებია, მაშინ გაძლიერების მიზნით ც შეიძლება დაერთოს თითოეულ მათგანს: „წიგნიც ვიყიდე და რვეულიც"; -ც ნ-ის გამეორება აუცილებელია უკუთქმით და აკრძალვით შერწყმულ წინადადებებში: „არც ჯიხვი მოკლა, არც არჩეი", „ნურც ჯიხვს მოკლავ, ნურც არჩეს". გაძლიერების ფუნქციით -ც სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება (შდრ. ც-ს მნიშვნელობა ასეთ კონტექსტებში: „წიგნიც ვიყიდე" – ძალიან მინდოდა და იმიტომ; „ქალაქშიც გაემგზავრა" – ძალიან უნდოდა ქალაქში გამგზავრება და მისთ.).

მ ი გ ე ბ ი თ ი ნ-ები გამოიყენება რაიმეს დადასტურების ან უარყოფის ფუნქციით. მიგებითი ნ-ები ორგვარია: დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ი თ ი (ჰო, კი, დიახ) და უ კ უ თ ქ მ ი თ ი (არა, ვერა). ეს ნაწილაკები გვხვდება კითხვის პასუხად და ენაცვლებიან მთელ წინადადებას (გინდა ნაირნაირი ყვავილები დაგიკრიფო? – არა).

ს ი ტ ყ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი თ ი ნ-ები გამოხატავენ თავისი ან სხვისი ნათქვამის უცვლელად გამეორებას: მეთქი – იმეორებს I პირის ნათქვამს („აკი გითხარი მოვალ-მეთქი"); თქვა, თქო – აღნიშნავს მოუბრის დანაბარებ სიტყვას, რიც II პირმა III-ს უნდა გადასცეს („ამაღამ არ მოხვიდე-თქო, გაღაეცი"); ო – გადმოგვცემს III პირის ნათქვამს („დედამ შემოგითვალა, წერილები ხშირად მოიწერეო").

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; შერაზადაშვილი მ., ნაწილაკი – წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტი. – «საენათმეცნიერო ძიებანი», IX, თბ., 1999; შენგელაია ნ., არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, თბ., 2000. *ქ. გაბურია.*

ნეიმანი ალექსანდრე პაველის ძე (4. IX. 1880, თბილისი, – 8. VII. 1967, იქვე), ლექსიკოლოგი, მთარგმნელი, პედაგოგი, თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართვ. მწერალთა კავშირის წევრი, ფილოლ. მეცნ. კანდიდატი. 1902 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია და მუშაობა დაიწყო ხაშურის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1919–21 იყო სოგადსაგანმან. კურსების ინსპექტორი და რუს. ენის მასწავლებელი. 1933-იდან 1936-მდე ითანამშრომლებდა ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის რედაქციის სწავლულ მდივნად და მონაწილეობდა თსუ-ის მიერ გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონის (1937) შედგენაში. 1938–60 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ნ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება ქართ. ენის, ქართ. და რუს. ლიტრის ისტ., ქართ. თეატრის საკითხებს. მ. შ. ფუნდამენტურია „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი" (I გამოც. 1951), რ-მაც საყოველთაო აღიარება მოი პოვა. ნ-მა თარგმნა რუსულად ი. ჭავჭავაძის („კაციაადამიანი?!"), ა. ყაზბეგის („ელისო", „ელგუჯა", „ხეთისბერი გოჩა"), დ. კლდიაშვილის („სამანიშვილის დედინაცვალი", „ბაკულას ღორები", „როსტომ მანველიძე"), შ. დადიანის, ე. ზედგინიძისა და სხვათა ნაწარმოებები, აგრეთვე ზ. ფალიაშვილის, შ. მშველიძისა და სხვა ქართვ. კომპოზიტორთა ოპერების, არიების, რომანსების, სიმღერების ლიბრეტოები და ტექსტები; რუსულიდან ქართულად თარგმნა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები, ასევე საოპერო ლიბრეტოები, ფ. შილერის ოდა „სიხარულს" და სხვ.

ახალგაზრდობაში ნ. წლების მანძილზე მუშაობდა ავჭალის სცენისმოყვარე მუშათა კლუბში და სახალხო სახლში ქართ. თეატრის ისეთ მოღვაწეებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ა. იმედაშვილი, ა. წუწუნავა, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, ვ. ნინიძე, ი. ზურაბიშვილი და სხვ. შესრულებული აქვს 40-მდე სახასიათო როლი პიესებში (ნ. გოგოლის „რევიზორი", ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", ა. გუნიას „აღლუმი", ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავეები", „შემოსაელიანი ადგილი" და სხვ.) და შექმნა რამდენიმე შთამბეჭდავი სახე ქართ. ფილმებში („უკანასკნელი მასკარადი", „არსენა"...).

თხზ.: ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (I გამოც. 1951, II გამოც. 1961, III გამოც. 1978); სინონიმთა საკითხისათვის, 1949 (შესავლის სახით აქვს წამძღვარებული „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის" 1951 წ. გამოცემას); ქართული იდიომები ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!" მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები. – «თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. ინ-ტის შრომები», 1941, №1.

ვ. ნეიძე.

ნეკრესი, ისტორიული ქალაქი კახეთში, კაიკაჲსიონის ქედის ფერდობზე, სოფ. შილდის მახლობლად. დააარსა მეფე ფარნაჯომმა (ძვ. წ. II–I სს.). IV ს-ში მეფე თრდატმა აქ ააგო ეკლესია, რ-შიც VI ს-ში დამკვიდრდა ერთი ასურელი მამათაგანი – აბიბოს ნეკრესელი. მის დროს დაარსდა ნეკრესის საეპისკოპოსო (იარსებს XIX ს-მდე). ნ-ში გაჩაღებული იყო კულტ.-საგანმან. მოღვაწეობა. ვარაუდობენ, რომ უცნობი ნეკრესელის დაწერილი უნდა იყოს „აბიბოს ნეკრესელის წამების" მეტაფრასული რედაქცია (XII ს.). ნ-ში მოღვაწე მწიგნობართაგან აღსანიშნავია დოსითეოზ ნერქუზიშვილი (XVIII ს.), რ-იც აქტიურად მონაწილეობდა ფილოს. თხზულებათა თარგმნასა და ხელნაწერთა გამრავლებაში. მას ეკუთვნის თარგმანები: დაით უძლეველის „წიგნი საზღვართა" (H №69, S №№334, 1180, 2564), მხითარ სევასტიელის რიტორიკა (S №№203, 266, 334) და სხვ; ლექსები: კიდურწერილობა „დოსითეოს ნეკრესელი", ანბანთქებანი, ს-ს. ორბელიანის ქება (H №1100, 187, S №105, 47–48), თავის ქება ჭაბუა ორბელიანის მაგიერ „ვითომ მზეჭაბუკ აქებდეს ნეკრესელს დოსითეოსს". 1794-იდან ნ-ის კათედრას განაგებდა ნაყოფიერი შემოქმედი ამბროსი მიქაძე, – მრავალი ლექსისა და ქადაგების ავტორი.

ნ-ის ნაქალაქარზე 1984-იდან წარმოებული გათხრების (ხელმძღვანელი – აკად. ლ. ჭილაშვილი) შედეგად ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია ასომთავრული დამწერლობით შესრულებული რამდენიმე ლაპიდარული წარწერა, რ-ებიც ქრონოლოგიურად უძველეს ქართ. წარწერათა რიგში დგანან.

ლიტ.: ჭილაშვილი ლ., ნეკრესის არქეოლოგიის დასაწყისი. – «დაით აღმაშენებელი». საქართვ. მეცნ. აკადემიის სახ. მეცნ. განყ-ბის შრომათა კრებული, თბ., 1990; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის ძეგლები, თბ., 1992; დ ა ნ ე ლ ი ა კ., ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე შ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997. *ლ. მენაბდე.*



ნეკრესის მონასტერი. გუმბათოვანი ეკლესია. VIII–IX სს.

ნეოლოგიზმი (< ბერძნ. néos – ახალი, lógos – სიტყვა), ლექსიკური ერთეული ან გამოთქმა, რ-იც მკვიდრდება ენაში ახალი, მანამდე უცნობი საგნისა თუ მოვლენის აღსანიშნავად. ნ-ების წყარო შეიძლება სხვადასხვა იყოს: ა) ნ-ები იქმნება თვით იმავე ენის ლექსიკურ-გრამატ. შესაძლებლობების გამოყენებით (რკინიგზა, დენი, ელსმენი, ფეხბურთი, კეტბურთი, ექთანი...); ბ) ხშირია ახ. ტერმინთა სესხება (კოსმოდრომი, ასპოგეა, კომბაინი, ჯინსი, ფლომასტერი...); გ) არცთუ იშვიათია ახალ სიტყვათა კალკირება (ტელეხედვა, ავტოკალამი, თანაავარსკვლავედი, „ცივი ომი" და მისთ.).

ნ-ების ინტენს. დამკვიდრება ენისათვის ნიშანდობლივია კულტ. და სამეცნ.-ტექ. განვითარების პროცესში. ამავე დროს, მათი დამკვიდრება სალიტ. ენის სიწმინდის თვალსაზრისით მუდმივ ყურადღებას მოითხოვს (იხ. *ოკაზიონალიზმი*).

ა. არაბული.

ნიკოლაიშვილი იასონ ნიკოლოზის ძე (24. III. 1865 – 2. V. 1941, თბილისი), პედაგოგი, მწერალი, გრამატიკოსი. დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია (1885). მუშაობდა მასწავლებლად. ხანგრძლივი მასწავლებლობის პრაქტიკა მან კარგად გამოიყენა მშობლიური ენის გრამატიკის შესადგენად, თანდათანობით შესასწორებლად და შესავსებად. ნ-ის „ქართული ენის გრამატიკა" 7-ჯერ გამოიცა (1912–28).

პირველ გამოცემაში (1912), სათაურით „ქართული მოკლე გრამატიკა", ქართ. ენის ძირითადი წესები მარტივად და მოწვდომადაა მოცემული. იგი დაწერილია წინამორბედ გრამატ.-ლიტ-რაზე დაყრდნობით, ამიტომ ვერ აცდა იმ შეცდომებს, რ-ითაც ხასიათდება აღნიშნული სახელმძღვანელოები. 1912-ის გამოცემა უცვლელად განმეორდა 1913 და 1917-შიხ, ხოლო 1919 ნაწილობრივ შესწორდა. ეს უკანასკნელი გამოცემა კი შეუცვლელად დაიბეჭდა 1923 სახელწოდებით – „ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა".

ამ გამოცემებისაგან თავისი მოცულობითა და შინაარსით დიდად განსხვავდება ბოლო ორი გამოცემა. ისინი გაცილებით ერცელია და სრულყოფილი. 1927 გამოქვეყნებულ „ქართული ენის გრამატიკას" (იგი უცვლელად გამოვიდა 1928-შიც) საფუძვლად უდევს თანამედროვე საენათმეცნ. ლიტ-რა. ავტორი ცდილობს, დაეყრდნოს ფორმალური გრამატიკის პრინციპებს. იგი უხვად იყენებს საენათმეცნ. ტერმინებს, რ-ებიც დღესაც იხმარება. ამის მიუხედავად, თანამედროვე მოთხოვნებს ვერც ბოლო გამოცემები აკმაყოფილებს.

გ. იმნაიშვილი.

ნინოწმინდა, სამონასტრო კომპლექსი სოფ. ნინოწმინდაში (საგარეჯოს რაიონი), გომბორის ქედის სამხრ. მთისწინეთზე. ნ-ის ტაძარი (VI ს.) ნანგრევების სახითაა მოღწეული. მონასტერში მდიდარი წიგნსაცავი ყოფილა. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და პოეტები: არსენ ნინოწმიდელი (X –XI სს.) – ეფთვიმე ათონელის ახლო თანამშრომელი; მიტროფანე ნინოწმიდელი, რ-ის დაკვეთით ვინმე გიორგის 1763 გადაუწერია სახარება-სამოციქულოს საკითხავები (K №104); იოანე ნინოწმიდელი, რ-მაც 1795 ნათლისმცემლის მონასტერში გადააწერინა სას.-საეკლ. შინაარსის კრებული (H–102); მწერალი და ხელნაწერთა მოზგებელი



ნინოწმინდის ტაძარი. VI ს.

საბა ტუსიშეილი (XVIII ს.). მისი „ანდერძისებრნი ღუწანი“ საყურადღებოა ქართ. ეკლესიის, სამართლის, ეკონომიკის, მატერ.-კულტ. ისტორიისათვის.

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის ძეგლები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.



შ. ნიჟარაძე.

ნიჟარაძე შოთა (შუქრი) იზეთის ძე (1915, სოფ. ვაიო, ქედის რ-ნი, – 1989, ბათუმი), დიალექტოლოგი, ლექსიკოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი. დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი აღმოსავლური და კავკ. ენების განხრით (1941). 1946-იდან გარდაცვალებამდე სამეცნ.-პედ. საქმიანობას ეწეოდა ბათუმის რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტში, ხელმძღვანელობდა ქართ. ენისა და ლიტ-რის კათედრას (1967–85). არჩეული იყო მეცნ. აკად. დიალექტოლოგიისა და ენის ისტ. საკოორდინაციო და თსუ სპეციალიზებული საბჭოების წევრად.



რ. ნოიკომი.

ნ. ძირითადად იკვლევდა აჭარულ კილოს სხვადასხვა კუთხით. იგი ავტორია 50-მდე ნაშრომისა, მათგან 4 – მონოგრაფიაა. აჭარული დიალექტისთვის დამახასიათებელი ფონეტ.-გრამატ. და ლექსიკური მოვლენები გამოწვლილვით არის აღწერილი და გაანალიზებული მონოგრაფიებში: „ზემოაჭარულის თავისებურებანი“ (ბათ., 1957); „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“ (ბათ., 1961). აჭარული მეტყველების შესწავლის საფუძველზე ნ. მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აჭარულში, ნაცვლად ორი (ზემო და ქვემო აჭარული) კილოკავისა, უნდა გამოიყოს სამი კილოკაური ერთეული: ზემოაჭარული (ხულოსა და შუახევის რ-ნები), ქვემოაჭარული (ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რ-ნები) და ქობულეთური (ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რ-ნები). ამ კლასიფიკაციით, კილოკაური დიფერენციაცია შეესაბამება მხარის ისტ.-გეოგრ. და ეთნიკურ დაყოფას. ნ-ის აზრით, სპეციფ. დიალექტური თავისებურებანი ყველაზე კოლორიტულად შემონახულია ქვემოაჭარულში, კერძოდ, ქედის რ-ნის მეტყველებაში, რ-იც შედარებით დაცულია სხვა კილოთა გავლენისაგან.

აღსანიშნავია ნ-ის დამსახურება აჭარული კილოს ლექსიკის შესწავლაში, რაც აისახა მონოგრაფიაში „ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა“ (ბათ., 1971). ავტორი გამოყოფს აჭარულის ლექსიკისათვის დამახასიათებელ ძირითად პლასტებს: არქაიზმებს, ზანიზმებს, უშუალო და შუალობითი გზით შემოსულ თურქ.-არაბ.-სპარს. ნასესხობებს. განსაკუთრებით ფასეულია მონოგრაფიის II ნაწილი – ლექსიკონი, რ-იც 8000 სიტყვა-სტატიას შეიცავს; გამოირჩევა მასალის საიმედოობით, ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომატური გამოთქმების სიუხვით და დღემდე აჭარული კილოს შეუცვლელ ლექსიკონად რჩება.

ნ. სურმავა.

ნოიკომი (Neucom) რუთ (12. XI. 1920, ნოიჰაუზენი – 30. VI. 2001, ციურიხი), შვეიცარიელი ქართველოლოგი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1945). გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1939) ციურიხის უნ-ტში სწავლობდა ფრანგ. ენასა და ლიტ-რას, გერმ. ლიტ-რას, ხელოვნ. ისტორიას. 1945 დაამთავრა ფილოს. ფაკ-ტი დოქტორის ხარისხით. 1949-იდან პროფ. კ. *ჩხენკელის* მოწაფე და ერთ-ერთი თანამშრომელი იყო. მასთან ერთად თარგმნა გერმანულად „ვისრამიანი“ (გამოიცა 1957), „ვეფხისტყაოსანი“ (გამოიცა 1974). ნ. თანამშრომლობდა კ. ჩხენკელთან „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენაში, რ-ის გამოცემაც დასრულდა 1974 (გამოიცა გერმ. ენაზე 3 ტომად). ციურიხის კანტონის ხელმძღვანელობამ საგანგებოდ აღნიშნა „ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე“ მომუშავე კოლექტივის ღვაწლი და ლექსიკონის გამოსაცემად გაწეული მრავალწლიანი მუშაობისათვის ნ., ი. *მარშევი* და ლ. *ფლური* დააჯილდოვა.

1970 ციურიხში გამოიცა „თანამედროვე ქართველი მწერლები“, რ-შიც შესულია მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, ლ. გოთუასა და გ. ჩიქოვანის მოთხრობები. წიგნს ახლავს ნ-ს ვრცელი ბოლოსიტყვაობა. მან ი. მარშევთან ერთად თარგმნა აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ (ციურიხი, 1990). ცნობილია მისი წერილები საქართველოსა და ქართ. ლიტ-რის შესახებ.

ქ. ბერიძე.

ნომინატიური წყობა, ენის ტიპოლოგია, ორიენტირებული სუბიექტისა და ობიექტის სემანტიკურ განსხვავებაზე, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ენის როგორც ლექსიკაში, ისე გრამატიკაში. ლექსიკაში ეს არის ზმნების განაწილება გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით; სინტაქსში აღინიშნება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნებისათვის ერთიანი ნომინატიური კონსტრუქცია; მორფოლოგიისთვის დამახასიათებელია ქვემდებარის სახელობითისა და პირდ. ობიექტის აკუზატიური ბრუნვების ოპოზიცია.

ქართველურ (ქართულ, სვანურ, მეგრულ) ენებში ნ. წ-ის მქონედ I სერიის ფორმები გვევლინება, თუმცა კლასიკური ნომინატიური წყობისგან გადახრას ქმნის პირდ. ობიექტის ბრუნვა – ნაცვლად აკუზატივისა, პირდ. ობიექტი დგას მიც. ბრუნვაში. ამის შედეგად პირდ. და ირ. ობიექტის (ადრესატის) ბრუნვები ერთმანეთს ემთხვევა: (დედა ბავშვ-ს (ირ. ობ.) კაბას (პირდ. ობიექტი.) უკერავს). მაგრამ ქართვ. ენათა მიმართ მაინც არის შესაძლებელი ლაპარაკი აკუზატიურ ფუნქციათა გამოხატვაზე. ისევე როგორც კუთვნილება-დანიშნულების კატეგორია, აქტანტებთან – სუბიექტსა და ობიექტთან მიმართებაც ქართ. ზმნაში გამოიხატება სინთეზურად, ქცევის კატეგორიის მეშვეობით. ქცევის ნიშანი ა გამოხატავს ფუნქციათა სწორედ იმ კონას, რ-საც გამოხატავს ინდოევრ. ენათა აკუზატივი. ეს ფუნქციებია:

1. მიმართება პირდ. ობიექტთან: ა-კეთებს სკამ-ს;

2. მიმართება მოქმედების რეალურ შემსრულებელთან, იძულების პირთან: ა-ხატვინებს ბავშვ-ს სურათ-ს;

3. ლოკატიური მიმართება: ა-ზის, ა-დგას, ა-წევს...

ქცევის ნიშანი ი/უ გამოხატავს მიმართებას ადრესატთან, გამონათქვამის არააქტიურ (პროტოტიპულად ცოცხალ) მონაწილესთან, ე. ი. მიცემითურ მიმართებას: უ-კეთებს ის ბაღშეს საჭმელს, უ-ყვარს დედას ბაღშეი. ამგვარად, ქართველურ ენებში I სერია შესაძლებელია ნომინატიური კონსტრუქციის მქონედ იქნეს მიჩნეული, რადგან სინკრეტიზმი პირდ. და ირ. ობიექტის ბრუნვებისა – მიც. ბრუნვის სახით – იხსნება ქცევის კატეგორიის მეშვეობით: ის ბაღშეს კაბას უკერავს, სადაც ორ მიცემითურ ობიექტს შორის განსხვავებას ამყარებს სასხვისო ქცევის ნიშანი უ-, რ-იც მხოლოდ ადრესატს მიემართება და ამით ობონიმია იხსნება.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ნებიერიძე გ., არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში? – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1987, 3; მელიქიშვილი ი., ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში. ნომინატიურ და ერგატიულ (აქტიურ) კონსტრუქციათა ურთიერთმიმართებისათვის. – «თბილისის ს.-ს. ორდენიანის სახ. სახელმწ. პედ. უნ-ტის. ქართული ენის კათედრის შრომები», IV, თბ., 1998; Климов Г. А., Номинативное и эргативное предложения. Типологическое сопоставление структур, М., 1984.

ი. მელიქიშვილი.

ნოსტრატული ჰიპოთეზა (<ლათ. nostrās – ჩვენი, აქაური, ადგილობრივი), ენათა ექვსი ოჯახის (ინდოევროპული, ქართველური, ურალური, ალთაური, დრავიდული, სემიტურ-ქამიტური) ნათესაობის იდეა. ცალკეული ოჯახების (იხ. *ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია*) გაერთიანებაზე ლაპარაკი დაიწყო მაინ ისტ.-შედარებითი კვლევის პროცესში. გამოითქვა მოსაზრებები ურალურ-ალთაური, ინდოევრ.-სემიტ., ინდოევრ.-ქართველური, ურალურ-ინდოევრ. ოჯახების გენეტურად დაკავშირების შესაძლებლობაზე. უფრო ფართო მასალის განზოგადებამ გააჩინა აზრი გენეტური ნათესაობის საფუძველზე ამ ოჯახების გაერთიანების შესახებ არა წყვილ-წყვილად, არამედ ერთ მაკროოჯახად, რ-შიც შემავალ ენებს ეწოდა ნოსტრატული ენები (ტერმინი შემოტანილია ჰ. პედერსენის მიერ 1903).

ნ. ჰ-ის ერთ-ერთი ავტორის, ვ. ილიჩ-სვიტიჩის მიხედვით, დასახლებული ექსი ოჯახის ენებს შორის არსებობს მსგავსება, რ-იც ატარებს არა შემთხვევით, არამედ მოტივირებულ ხასიათს. ასეთი მსგავსება არ შეიძლება აიხსნას უბრალო სესხებით (თუმცა ზოგ შემთხვევაში არც ეს არის გამორიცხული). ითვლება, რომ ნოსტრატულ ენათა დაჯგუფებაში შემავალ წინარეენათა გენეტური ნათესაობა ვლინდება მათში საერთო მორფემების (ძირეულის, აფიქსურის) არსებობით, რაც ქმნის საფუძველს *ბგერათშესატყვისობების* დასადგენად; მარცელისა და ძირის აგების მსგავსი პრინციპებით; ნაწილობრივ – სინტაქსური წესებით.

ნოსტრატული მაკროოჯახის დივერგენციის დათარიღება პიპოთეზურია. გლოტოქრონოლოგიური (იხ. *გლოტოქრონოლოგია*) მოსაზრებებით (მორფემათა ცვალებადობის მიხედვით), ამ პროცესს ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით 8 ათასი წლის წინ (და არა უგვიანეს), კულტ.-ისტ. მონაცემებით კი – 11 ათასი წლის წინათ ჩვ. წ-მდე. არქეოლოგიურ და სხვა მასალაზე დაყრდნობით ივარაუდება, რომ ნოსტრატული ენების თავდაპირველი გავრცელების რეგიონი უნდა ყოფილიყო ახლო აღმოსავლეთი.

ინტენსიური კვლევის მიუხედავად, ნ. ჰ. ჯერჯერობით ჰიპოთეზის დონეზე რჩება და მასზე, როგორც მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ თეორიაზე, ლაპარაკი ნაადრევი ჩანს. ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს ნოსტრატულ დაჯგუფებაში შემავალი ცალკეული ოჯახების შესწავლის არათანაბარი მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, მათი პრაენების რეკონსტრუქციის სანდოობა. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა თუნდაც ქართველური ენების მასალა, რ-იც სხვა ოჯახების ენობრივ მასალასთან ერთად) საფუძველია ნ. ჰ-ისათვის (ბ. ფოჩხუა).

ვ. ილიჩ-სვიტიჩის შედარებითი ლექსიკონი პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) ნაშრომია, რ-შიც ექვსიოე ოჯახის მონაცემები (353 ერთეული) არის გათვალისწინებული, გამოყენებულია 100-ზე მეტი ქართველური მორფემა, როგორიცაა: al- „ალი“, ar(a) „უარყოფითი ნაწილაკი, b- „ბმა“, „მიბმა“, bər-/bəl- „ბერვა“, „გაბერვა“, bir „მღერა (მგერ.)“, brge „ბრგე“, mz„-e „მზე“, cel- „თიბვა“, cwar-/cur „წვეთვა“, „წვეთი“, čam-/čdm- „ჭამა“, č?ɕd/č?âd- „ჭედვა“, „მიჭედება“, č?er-/č?ar- „ჭრა“... მაგრამ წარმოდგენილი მასალა არ არის ისე თანმიმდევრულად გაანალიზებული, რომ მისი უკრიტიკოდ გამოყენება შესაძლებელი იყოს პრაენების შედარებისათვის (რ-საც ემყარება ნ. ჰ.).

ლიტ.: ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; Иллич-Свитыч В. М., Опыт сравнения ностратических языков (семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидский, алтайский). Введение. Сравнительный словарь, [т. I], М., 1971, [т. II], 1976, [т. III], 1984. Конференция – Ностратические языки и ностратическое языкознание. Тезисы докладов, М., 1977; Дыбо В. А., Терентьев В. А., Ностратические языки. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ი. ქობალავა.

ნოღაიდელი ჯემალ (ჯიმშერ) იზეთის ძე [10 (23). III, 1906, სოფ. წყავროკა, ქობულეთის რ-ნი, – 29. III. 1966, ბათუმი)], აჭარული დიალექტის, აჭარის ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის, ეთნოგრაფიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი. ფილოლ. მეცნ. კანდ. (1940), აჭარის მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა თსუ ენისა და ლიტ-რის და საეანათმეცნ. განყ-ბები (1931). 1935–58 კითხულობდა ბათუმის სახელმწ. პედ. ინ-ტში საენათმეცნ. დისციპლინათა კურსებს, 1958-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ფოლკლორის განყ-ბის გამგედ, სადაც, ნაყოფიერ სამეცნ. მუშაობასთან ერთად, ეწეოდა ფართო საველე-შემკრებლობით საქმიანობას. 1936 ბათუმში გამოვიდა მისი „აჭარა დიალექტოლოგიურად“, რ-იც პირველი შედარებით სრული გამოკვლევაა აჭარული კილოს შესახებ. 1960 გამოქვეყნდა ნ-ის მონოგრაფია „აჭარული კილოს თავისებურებანი“. მასში განხილულია აჭარულის ძირითადი ფონეტ.-მორფოლ., -სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი. ნაშრომს დართული აქვს დიდძალი ენობრივი მასალა. ნ-ს ეკუთვნის აჭარული დიალექტის კილოკაური დიფერენციაციის პირველი ცდა. ავტო-



ჯ. ნოღაიდელი.

რი აჭარულს ყოფს ორ შტოდ – მთისა და ბარის აჭარულად, ანუ ქობულურად. მთის აჭარულში შეიტანა მდ. აჭარისწყლის ხეობის (ხულო-შუახევის, ქედისა და. ნაწილობრივ. ბათუმის რ-ნების) მეტყველება, ხოლო ბარის აჭარულში – ქობულეთისა და ბათუმის (ახლანდ. ხელვაჩაურის) რ-ნებისა. ტოპონიმიკის, ეტიმოლოგიისა და სხვ. საკითხებს ეხება ნ-ის სტატიები: „აჭარულ გეოგრაფიულ სახელთა შედგენილობისათვის", „ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულში (თავანი)", „აჭარული დიალექტის მიმართება მესხურთან".

ნ. დიალექტოლოგიურ მუშაობას მჭიდროდ უკავშირებდა ფოლკლორულ-ეთნოგრ. კვლევა-ძიებას. მას გამოქვეყნებული აქვს „აჭარის ხალხური სიტყვიერება" (წგ. I, ბათ., 1936; წგ. II, ბათ., 1940), „აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები" (თბ., 1967), „ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან" (თბ., 1935). მასვე ეკუთვნის წერილები მუს. ფოლკლორის ცალკეულ საკითხებზე: „სამუსიკო საკრავები აჭარულში", „აჭარული ნადური სიმღერების ოთხმხიანობის თავისებურების შესახებ", „მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან".

ნ-ის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მისი ნაშრომების კრებული – „ნარკვევები და ნაწყვრები" სამ წიგნად პროფ. ი. მეგრელიძის საერთო რედაქციით (ბათ., 1971, 1972, 1977). დიალექტოლოგიური ხასიათის ნაშრომები თავმოყრილია მეორე წიგნში.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., ჯვრის ნოღაიდელი, ბათ., 1977 (ახლავს ნ-ის ნაბეჭდი და ხელნაწერი ნაშრომების სია); ნ ი ჟ ა რ ა ძ ე შ., პირველი აჭარელი ენათმეცნიერი. – კრ.: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979. *ნ. სურმანა.*

ნუსხური, ქართული ანბანის ერთერთი სახეობაა. პირველად გეხედება სინური მრავალთავის ანდერძში (864). XI ს-იდან მან საბოლოოდ განდევნა ხელნაწერი ტექსტებიდა *ასომთავრული* და არსებობა განაგრძო XIX ს-მდე. ხელნაწერთა ანდერძის მინაწერებში ნ-ს, ისევე როგორც ასომთავრულს, ხუცური ჰქვია.

ნ. უშუალოდ ასომთავრულის სახეცვლილების შედეგადაა წარმოქმნილი, მაგრამ ასოთა მოხაზულობებს თავისი დამახასიათებელი სტილი აქვს, რ-ის ჩამოყალიბება განაპირობა სწრაფი, გამარტივებული წერის მოთხოვნილებამ.

ვერტ. სისტემაზე დამყარებული ასომთავრულის სახე ნუსხურ დამწერლობაში კვადრატის ფარგლებიდან გამოდის და ოთხხაზოვან სისტემაში თავსდება. ის გრაფ. თავისებურებანი კი, რ-ებმაც ნ. დამწერლობის სახე განსაზღვრეს, ჯერ კიდევ ასომთავრულში ჩაისახა. ეს არის ასო-მოხაზულობათა სწრაფვა თავგახსნილობისაკენ: წრიული მოხაზულობის ასოებს V-VIII სს. თანდათანობით ეხსნებათ თავი და რკალურ ფორმებზე გადადიან; ირღვევა ორხაზოვანი წერის სისტემა, რაც განვითარების გარკვეულ ეტაპზე ასწერიეი ღერძის დაგრძელებით გამოიხატება.

აღნიშნულმა გრაფ. ცვლილებებმა შეცვალა თანაფარდობა ვერტ. და პორიზ. ხაზებს შორის. მთელ რიგ ასოებში ასწერიეი ღერძი შემცირდა ორჯერ, ასოები სხვადასხვა სიმაღლისა გახდა და ოთხ ხაზში განაწილდა. თუ ასომთავრულში ასოთა მოხაზულობა ხელის რამდენიმე აღებით სრულდებოდა, ნ-ში ფორმათა საერთო არქიტექტონიკას უკვე ერთიანი მონახაზისაკენ სწრაფვა ახასიათებს, ასოები მარჯვნივაა გადახრილი, ისინი სიტყვაში გაბმით, უინტერვალოდ იწერება. დახრილი კუთხოვანი ფორმების ფარგლებში შეიქმნა ე. წ. დაკბილული სისტემაც, რაც ტექსტის საერთო დაწერილობაში დეკორატიულობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ნ-ის კალიგრაფიული შესრულების მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა *მიქაელ მოდრეკილის* საგალობელთა კრებული (X ს.), გელათის ოთხთაეი (XII ს.), ვანის ოთხთაეი (XII–XIII სს.) და სხვ.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949 (ისტორიის მისანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 3, ნაკვ. I); მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982.

ე. მაჭავარიანი.



ქართული ნუსხური.



Ო, ქართული ანბანის მეთოთხმეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეთექვსმეტე) ასო. მისი სახელია „ონი“; გრაფ. სიმბოლო უკანა რიგის საშ. აწეულობის (ბაგისმიერი) ხმოვანი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴓ. მისი მოხაზულობაა წრისა და რკალის კომბინაცია, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური **ш** კუთხოვანი ფორმისაა. მხედრული **Ო** მომრგვალებული კონტურის მქონეა:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა სამოცდაათს (70).

ობიექტი (ლათ. objectum – საგანი), სინტაქსური კატეგორია, რ-იც აღნიშნავს იმ საგანს ან პირს, რომლისკენაც მიმართულია (პირდაპირ ან ირიბად) სუბიექტის მოქმედება (იხ. *დამატება*).

წინადადებაში **Ო.** წარმოდგენილია *სუბიექტის* ბრუნვისაგან განსხვავებული ბრუნვის ფორმით. მაგ., ინდოევრ. ენებში არსებობს სპეც. ბრუნვა – აკუზატივი, ქართულში (ქართველურში) კი შესაბამისი შინაარსი გადმოცემულია მიც. ბრუნვის ფორმით, რ-ის ფუნქციაც მოცემულ შემთხვევაში რამდენადმე უახლოვდება აკუზატივის ფუნქციას (იხ. *ნომინატიური წყობა*).

ენათა უმრავლესობაში **Ო.** წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია. ქართულში (ქართველურში) იგი წარმოდგენილია შესაბამისი პირის ნიშნებით ზმნაში (I პირი – მ, გვ., II პირი – გ.; III პირი – ს) და მთავარი წევრის როლში გამოდის.

ი. მელიქიშვილი.

ოკაზიონალიზმი (< ლათ. occasionalis – შემთხვევითი), *ენათმეცნიერებაში*, რ-იც არსებული დერივაციული თუ ფლექსიური სისტემისათვის გამონაკლისია. ამგვარი წარმოებები, ჩვეულებისამებრ, შემოქმედთა ენისათვის არის დამახასიათებელი და პოეტიკურ ან სხვა სტილისტიკურ დანიშნულებას ასრულებენ. მაგ., ცნობილია რუსთველისეული **Ო**-ები: დესი – „უდესი“, „დაზე უკეთესი“ („დისაგანმცა უფრო დესი“), უცხენმალესი („ყოელგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს“) – ამგვარი ინდივიდუალური წარმოებები, ჩვეულებრივ, ენაში არ მკვიდრდება როგორც არაკანონიერი, არასისტემური, არაუზუალური; თუმცა გამორიცხული არ არის ცალკეული ერთეულის გამოყენება-დამკვიდრება როგორც გაქვავებული, მყარი ფუძისა (მაგ., ილიასეული ენობრივად კანონიერი ფორმა გვეყუდნეს („ჩვენი თაენი ჩვენადვე გვეყუდნეს“) ოკაზიონალურ ერთეულად იქნა გაგებული და ყუდნ ფუძე „გვეკუთვნის“ ზმნის საწარმოებელი მოდელით დამკვიდრდა: გვეკუდნეს, გვეყუდნოდა და მისთ.).

ა. არაბული.

ომონიმები (< ბერძნ. homônymos – თანამოსახელე), სხვადასხვა წარმოშობის ორი ან მეტი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, რომელთა შორის სრული ბგერობრივი დამთხვევაა (იხ. *ომონიმია*), მაგ.: ბარი, ბალი, ხელი – ლექსიკონში ისინი დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად არის წარმოდგენილი (შესაბამისი ნუმერაციით), მაგ.: ბარ-и¹ – დაბლობი, ეკალი ადგილი... ბარ-и² – მობრტყო წვერმახვილი რკინის იარაღი... ბარ-и³ – მტაცებელი ფრინველი შავარდნების ჯგუფისა... ბარ-и⁴ – ერთგვარი რესტორანი... ბარ-и⁵ – ატმოსფერული წნევის ერთეული – (ქვგლ).

ა. არაბული.

ომონიმია (ბერძნ. homônymia – ერთსახელიანობა), ორი ან მეტი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის ბგერობრივი იდენტურობა (მაგ., ქვგლ-ში ფონეტიკური კომპლექსი ბალი სამ ლექსიკურ ერთეულად არის წარმოდგენილი: 1. ბალი (Cerasus avium) საშუალო ან მაღალი ტანის ხეხილი (ვარდისებრთა ოჯახისა); 2. ბალი (ფრანგ. balle) ამა თუ იმ მოვლენის ინტენსიურობის ციფრობრივი გამოხატულება; 3. ბალი (ფრანგ. bal) საზეიმო წეულება მუსიკითა და ცეკვით. **Ო**-ის მოვლენა საკმაოდ ძნელი გასამიჯნავია *პოლისემიისაგან*. ორსაეე შემთხვევაში გვაქვს ფორმის იგივეობა და მნიშვნელობათა სხვადასხვაობა; მაგრამ პოლისემიის შემთხვევაში მრავალმნიშვნელიანობა განვითარებულია ერთი ძირითადი მნიშვნელობიდან, ხოლო **Ო.** გულისხმობს დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების ბგერობრივ დამთხვე-

ვას. საკითხის გარკვევას ანელებს ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლისემიური ლექსიკური ერთეულის ცალკეული მნიშვნელობები ძალზე დასცილებია ერთმანეთს. მაგ., ანალიზის გარეშე ძნელი სათქმელია, ბეჭი „სხეულის ნაწილი“ და ბეჭი „საქსოვი იარაღი“ ო-ის შემთხვევაა თუ პოლისემია. ბუნებრივია, ყოველი ამგვარი მოვლენის განსაზღვრისათვის აუცილებელია ისტ. თვალსაზრისის მოშველიება; დიაქრონიული ანალიზი განარჩევს, რომ ომონიმები სხვადასხვა სიტყვებია (ხშირად სხვადასხვა ენიდან მომდინარე), პოლისემიური ერთეულები კი – ერთი სიტყვის სემანტიკური ვარიანტები. მაგ., ქართულში ორი ძირითადი მნიშვნელობის შემცველია სიტყვა ხელი (1. „სხეულის ნაწილის სახელი“; 2. „გიჟი“). ანალიზი ადასტურებს, რომ ეს არის ო-ის ფაქტი: ისტორიულად არსებობდა ორი დამოუკიდებელი სიტყვა: ჴელი – „სხეულის ნაწილის სახელი“ და ხელი – „გიჟი“.

ლექსიკურის გარდა, არცთუ იშვიათია გრამატ. ო-ის შემთხვევებიც; მათ ომოფორმები ეწოდება.

ა. არაბული.

ონომასიოლოგია (ბერძნ. onomasia – სახელდება < onoma – სახელი და logos – მოძღვრება), ნომინაციის თეორია. იგი სემასიოლოგიასთან ერთად მიჩნეულია *სემანტიკის* ერთ-ერთ განშტოებად, მაგრამ, პირველისაგან განსხვავებით, ამოდის ცნებიდან და იკვლევს მის სახელწოდებას. ო. ნომინაციური თვალსაზრისით სწავლობს ენის ყველა დონის ერთეულს (ისტორიას, ცვლილებებს, წარმოქმნის გზებს...). თანამედროვე ენათმეცნიერებაში განასხვავებენ ო-ის ორგვარ გაგებას: ფართოს, რ-იც მოიცავს სახელდების მთელ პროცესებს, და ვიწროს, რ-იც ეხება მხოლოდ ცნების ლექსიკურ რეპრეზენტაციას.

ო-ის დამოკიდებულება სემასიოლოგიასა და სემანტიკასთან სხვადასხვანაირად ესმით. ერთი თვალსაზრისით, სემასიოლოგია და ო. თანაბარუფლებიანი დარგებია და მათი დაპირისპირებაც გნოსეოლოგიური ხასიათისაა: მათ შორის არსებული დამოკიდებულება კვლევის მიზნებზე (ფ. დორნსაიფი, ე. კუბრიაკოვა...). სხვა თვალსაზრისით, ონომასიოლოგიური ასპექტი, სემანტიკურთან შედარებით, მეორეულია და მასზეა დაქვემდებარებული (ბ. ფორხუა).

ლიტ.: ფორხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; Арутюнова Н. Д., Синтаксис. – წგ.: Общее языкознание. Внутренняя структура языка, М., 1972; Мизиев, Ономасиология. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

გ. ბედოშვილი.

ონომასტიკა (< ბერძნ. onomastikē téchnē – სახელდების ხელოვნება), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ყოველგვარ საკუთარ სახელს. ონომასტიკის ქვედარგებია: *ანთროპონიმიკა, ტოპონიმიკა,* ზოონიმიკა, ეთნონიმიკა, კოსმონიმიკა, თეონიმიკა და სხვ.

ადრე ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი ტოპონომასტიკა. ამასთანავე, დიდი ხნის განმავლობაში ტერმინით ო. აღნიშნებოდა: 1. *ანთროპონიმია;* 2. ანთროპონიმიკა; 3. ონიმია. ამ ეითაურების გამოძახილია ტერმინები: დიალექტური ო., ლიტერატურული ო., ოდინდელი ო., რეალური ო., მითოლოგიური ო. და სხვ. ეს ტერმინები არაა ზუსტი, რადგან მათ შინაარსს განსაზღვრავს არა ო. (როგორც მეცნიერება), არამედ ონიმია (ბერძნ. onyma – სახელი) – ო-ის შესწავლის საგანი. ამიტომ საკუთარ სახელებზე მსჯელობისას უფრო მართებულია ონიმის ხმარება: დიალექტიკური ონიმია, ლიტ. ონიმია, ოდინდელი ონიმია, რეალური ონიმია და ა. შ.

ჯ. ცხადაია.

ონომასტიკონი 1. ონიმთა სია ან ლექსიკონი, რ-საც ახლავს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ახსნა-განმარტებანი. ჩვეულებრივ, დგება ცალ-ცალკე ონიმთა სხვადასხვა კლასისათვის. მაგ., ანთროპონიმიკონი, ტოპონიმიკონი; 2. ონიმია ამა თუ იმ ეთნოსის, სოციუმის ონიმთა რეპერტუარი ამა თუ იმ ეპოქისათვის. ტერმინი გამოიყენებოდა მხოლოდ „ანთროპონიმიკონის“ მნიშვნელობით.

ჯ. ცხადაია.

ონომატოპეა (ბერძნ. onomatopoiïa — სახელთა წარმოქმნა < ónoma, ნათ. ბრ. ónomatos — სახელი და poiéō – ვაკეთებ, ექმნი), ხმაბაძვა, ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის (ყვირილის, სტვენის...) მიახლოებითი გადმოცემა სამეტყველო ბგერით და ამის საფუძველზე სიტყვების შექმნა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს: ა) საკუთრივ ხმაბაძვა — ფორმაუცვლელი (არაბრუნებადი და არაუღლებადი) ბგერათკომპლექსით ხმიანობის მიახლოებითი გადმოცემა: ყიყლიყო! გუგუ! ტკაც!...; ბ) ხმაბაძვის საფუძველზე ამა თუ იმ ხმიანობის აღნიშვნა ფორმაცვალებადი სიტყვებით: შრიალი, ტკაცუნი, ხარხარი...; გ) ხმაბაძვის საფუძველზე ამა თუ იმ ხმიანობის გამომცემი მოვლენებისა და არსებების აღნიშვნა ფორმაცვალებადი სიტყვებით: გუგული, ჭრიჭინა, ტკაცუნა. ქართ. სიტყვებში ხმაბაძვითი ბგერათკომპლექსი გაორმაგებითა და ზოგი ბგერის შეცვლით გამოიყენება: შდრ. ჭახ-ჭახანი — ჭახჭახი, ტკაც-ტკაცუნი — ტკაცატკაცი, თუმცა ამ რიგის ლექსიკური ერთეულები ყოველთვის არა გვაქვს.

ერთი და იგივე ხმიანობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ფასდება და გადმოიცემა, რაც დამოკიდებულია ამ ენათა ფონემურ წყობასა და შესაბამისი ფონემების სმენით აღქმაზე (შდრ. ქართ. ყიყლიყო — რუს. кукареку).

ზ. ჯაფარიძე.

ოპიზა, უძველესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა კლარჯეთში. ზოგიერთი მკვლევარი მას V ს-ში დაარსებულად მიიჩნევს. (პ. ინგოროყვა). მდებარეობს შავშეთის წყალსა და ანაკერტს შორის, ჭოროხის ხეობის აღმ-ით, ხანძთისაკენ მიმავალი გზის ხელმარცხნივ, მდ. იმერხევის ღრმა და ვიწრო ხეობის სათავეში (ამჟამად თურქეთშია, ართვინის ვილაიეთში). VIII ს-ის 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც გრიგოლ ხანძთელი კლარჯეთში მივიდა, იგი ო-ს დადგა და აქედან დაიწყო თავისი ფართო სამონასტრო-სააღმშენებლო საქმიანობა. მისი ცხოვრების აღმწერის, გიორგი მერჩულეს ცნობით, კლარჯეთის „ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზა“. ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X ს.) შემონახულია ო-ის პირველმაშენებელთა სახელები: აღეშენა

„ოპიზა მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი“, ხოლო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ შემონახულია Ო-ის პირველწინამძღვართა სახელები: სამოელ, ანდრია, გიორგი. Ო. არაერთხელ ყოფილა განახლებული და „მეორედ აღშენებული“. მის აღმშენებელთა შორის არიან გურგენ აშოტ კურაპალატის ძე, გუარამ მამფალი, აშოტ კურაპალატი და სხვ. ცნობილია ფოტოგრაფ დ. ერმაკოვის მიერ 1874 Ო-იდან წამოღებული ბარელიეფი მაცხოვრის, Ო-ის ტაძრის მოდელის, კტიტორების – აშოტისა და დავითის გამოსახულებებით. იგი ამჟამად საქართვ. ხელოვნ. მუზეუმშია გამოფენილი. ბარელიეფზე გამოსახულ აშოტს მიიჩნეედნენ აშოტ I კურაპალატად (გ. 826), ხოლო დავითს – წინასწარმეტყველ დავითად. ამჟამად გარკვეულია, რომ მასზე გამოსახული არიან ადარნესეს ძენი – აშოტ კურაპალატი (გ. 954) და დავით ქართველთა მეფე (923–937). ამის მიხედვით ბარელიეფი თარიღდება 923–937-ით (ნ. შოშიაშვილი). მაშასადამე, ბარელიეფი ასახავს Ო-ის ერთ-ერთ განახლებას X ს-ის 20–30-იან წლებში. Ო-ის მონასტერთან დაკავშირებულ წერილობით ძეგლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დედნის სახით მოღწეული, სამწუხაროდ, თავ-ბოლონაკლული, მაგრამ მაინც დიდი ზომის (247X28 *სმ*), ეტრატზე დაწერილი სიგელი ბაგრატ IV-ისა (1027–72) ოპიზელი და მიჯნაორელი მამებისადმი, რ-შიც გადაწყვეტილია სამამულე დავა ამ ორ მონასტერს შორის (Sd-1201). Ო-ის სიგელი თარიღდება 1057–72-ით.

Ო. ძვ. ქართ. მწერლობისა და კულტ. ერთ-ერთი ძლიერი და მნიშვნელოვანი კერა იყო. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ გრიგოლ ხანძთელი, რ-იც გამოჩენილი ჰიმნოგრაფიც იყო, მიქაელ პარეხელი, სერაპიონ ზარსმელი, გიორგი მაწყვერელი, ათანასე ოპიზელი და სხვ.

Ო-ში გადაწერილ ხელნაწერებს შორის აღსანიშნავია 913 გადაწერილი ოთხთავი, რ-იც ათონზე, ქართველთა მონასტერში ინახება; ათანასე არქიან-ყოფილის მიერ გიორგი მთაწმიდელის ნუსხისაგან 1093 გადაწერილი პარაკლიტონი (A-93) და სხვ. ოპიზელ მოღვაწეებად მიიჩნევენ XII ს. II ნახ-ის ოქრომჭედლებს ბეშქენ და ბექა ოპიზრებს: ბეშქენ ოპიზარს ეკუთვნის ბერთის სახარების (Q-906) ყდის მოჭედილობა, რ-იც ჩვენამდე მოღწეული მისი ერთადერთი ნამუშევარია, ხოლო ბექა ოპიზარს – ანისის კარედი ხატის ცენტრალური ნაწილის ჩარჩოს მოჭედილობა, რ-იც თამარ მეფის „ნიკითისა ბოძებითაა“ შესრულებული ანჩელი ეპისკოპოსის იოვანე რკინაელის დაკვეთით; 1195-ით დათარიღებული წყაროსთავის სახარების (Q-907) ყდის მოჭედილობა – წინა მხარეს ვედრების, ხოლო უკანა მხარეს – ჯვარცმის გამოსახულებით. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის ანდერძში მის მომზადებაზე გაწეულ ხარჯებს შორის მოხსენიებულია ოქრომჭედლის გასამრჯელო – 23 დრამა. ბექა ოპიზარს მოუჭედავს წყაროსთავისათვის შეწირული მეორე სახარების ყდაც.

გარდა ხელნაწერთა გადამწერებისა და ოქრომჭედლებისა, Ო-ში, როგორც ჩანს, კალატოზებს – ტაძრის მშენებელ-ხუროთმოძღვრებსაც ამზადებდნენ. ერთ-ერთი ასეთია მიქაელ ოპიზარი, რ-საც 996 ჭყონდიდის ტაძრის დას-ით ეკუთვნი თუ სანათლავი აუგია.

ლიტ.: ამირანაშვილი შ., ბექა ოპიზარი, თბ., 1956; მენაბდელ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992; Djobadze W., Early medieval Georgian monasteries in historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992.

ე. სილოგავა.

ორალური ბგერები (ლათ. ōs, ნათ. ბრ. -ōris – პირი), პირისმიერი ბგერები, ხმოვნები და თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გარეთ პირის ღრუს გავლით გამოედინება, ცხვირის ღრუ კი ამ დროს რბილი სასის აწევით გადაკეტილია. სალიტ. ქართულის 33 ფონემიდან 31 ორალურია. გამონაკლისს ქმნის ორი ნაზალური ბგერა (იხ. *ნაზალური ბგერები*) – მ და ნ, რ-თა წარმოთქმისას ცხვირის ღრუს გზა ღიაა (რბილი სასა ჩამოშვებულია), პირისა კი – დაკეტილი. ცხვირის ღრუსკენ გზის გადაკეტვა ათავისუფლებს ორალურ ბგერებს ცხვირისმიერი შეფერილობიდან. ამიტომ მათ ზოგჯერ სუფთა ბგერებსაც უწოდებენ.

ზ. ჯაფარიძე.

ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე (24. V. 1802, თბილისი, – 28. XII. 1869, იქვე), ისტორიკოსი, პუბლიცისტი, დრამატურგი, პოეტი. 1810 მიაბარეს თბილ. კეთილშობილთა სასწავლებელში. 1817 დაიწყო სამხ. სამსახური. მონაწილეობდა დიდი ყაბარდოს ლაშქრობაში. მოგვიანებით გახდა 1832 შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, რისთვისაც მოუსაჯეს ჯერ სიკვდილი, შემდეგ კი ეს სასჯელი შეუცვალეს ორენბურგში გადასახლებით. 1840 იგი დაბრუნდა გადასახლებიდან, თავი აარიდა სახელმწ. სამსახურს და განაგრძო ბრძოლა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ, დარჩა 60-იანელთა თაობის იდეალად და ზნეობრივ ორიენტირად. მისი მეცადინეობით მოხდა ჟურნალ „ცისკრის“ განახლება (1856), ხოლო შემდეგ – ჟურნალ „მნათობის“ დაარსებაც (1869). Ო-ის მხატვრულ-დოკუმენტურმა ნაწარმოებებმა ქვეყანაზე სრულად შემოგვინახა XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისის საქართვ. ტრაგიკული ისტორია, ქვეყნის რუსეთის კაბალაში მოქცევის ნამდვილი გარემოებანი.



ა. ორბელიანი.

Ო-ს „ცისკრის“ განახლებამდე საინიციატივო ჯგუფმა მიანდო, შეედგინა და გამოექვეყნებინა წიგნაკი „ქართული ენისათვის“ (1856). რ-შიც გატარებულია შემდეგი აზრი: ჩვენმა მწერლებმა როგორც უნდა წერონ, უწინდელი სწავლულებიეით თუ ახლებურად, ორიეე კარგი იქნება, და თუ ამჟამად ამ ორგვარ მწერალთა შორის ცილობაა, – თითოეული თავისას ამჯობინებს, ორივესათვის გზა ხსნილი იქნება ახალგამოცემულ ჟურნალში და ერთმანეთის შეფასებაც შეეძლებათ, – ეს იყო Ო-ის სამოქმედო პრინციპი: ფრთხილი გამორჩევა, დადგენა სტილურ-ენობრივი ნაკადებისა და შემდეგ უკვე მართლწერის საბოლოო დახვეწა. Ო. მოითხოვდა გიმნაზიაში აღედგინათ და ესწავლებინათ ანტონ კათალიკოსის გრამატიკა, როგორც საძირკველი ქართ. ენისა. სტატიაში „ქართული უბნობა ანუ წერა“ („ცისკარი“, 1860, №6) ყველაზე სრულად არის ჩამოყალიბებული მისი შეხედულებანი ენასა და მის რე-

ფორმაზე. იგი გრძნობს ენის ევოლუციურ ბუნებას, მისი განახლების აუცილებლობას. მართლწერის თვალსაზრისით ამასაც შენიშნავს: კარგი იქნება, თუ ასე დაიწერთ: ნაცელად ჩუენ – ჩვენ; ნაცელად ჰსწერენ – სწერენ; ნაცელად თჳს – თვის. ამ სტატიაში ო. გამოარჩევდა ქართ. წერის დარბაისლურ, მდაბიურსა და შუალედურ კილო-მანერას. იგი აღიარებდა სამივეს საჭიროებას, მაგრამ თეითონ უფრო იხრებოდა შუალედურისაკენ. როცა გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის წერილი «ორიოდე სიტყვა თ. რეჟაზ ერისთავის კაზლოევიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა», ო-მა არ გაიზიარა ქართ. ანბანიდან ყველა იმ ასო-ნიშნის ამოღების საჭიროება, რ-ებსაც ილია მოძველებულად მიიჩნევდა, მაგრამ, მისი თაობის სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, დათანხმდა უ (უ-ბრჯ-გუ) ამოეღოთ. ნიშანდობლივია, რომ ილიამ წერილი „პასუხი“ (1861) სწორედ მას მიუძღვნა, როგორც ყველაზე სანდოს „მამათა“ შორის.

ლიტ.: ჩ ხ ე ი ძ ე რ., ალექსანდრე ორბელიანი (ბიოგრაფიული რომანი), თბ., 1996. *რ. ჩხეიძე.*



ს.-ს. ორბელიანი.



ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი. 1756.

ორბელიანი სულხან-საბა [24. X (3. XI). 1658, სოფ. ტანძია, ბოლნისის რ-ნი, – 26.I (6. II). 1725, მოსკოვი], მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. წარმოშობით უმაღლეს არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა. ო-მა საუკეთესო განაოლება მიიღო. მის აღზრდას ხელმძღვანელობდნენ მამა – ქართლის მდივანბეგი ვახტანგ ორბელიანი და მამიდაშვილები – უფლისწულები *არჩილ II*, ლევანი და გიორგი (შემდეგ მეფე გიორგი XI). მოგვიანებით ო. თეით გახდა ქართლის მომავალი მეფის – *ვახტანგ VI-ის* აღმზრდელი.

ო. ჭაბუკობიდანვე მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც გიორგი XI-მ ტახტი დაკარგა, ო., როგორც მისი თანამოაზრე, იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა (1695), საბოლოოდ კი ბერად აღიკეცა დავით-გარეჯის მონასტერში (1698). ამის მიუხედავად, სახელმწ. საქმიანობისათვის თავი არ დაუნებებია: როდესაც მისი აღზრდილი ვახტანგი ქართლში გამეფდა, ო. იყო ყველა მისი პოლიტ. და კულტ. წამოწყების თანამონაწილე. იგი მეფეს ახლდა სპარსეთში გადასახლების დროსაც (1612). მეფის დავალებით ო. ქართლში დაბრუნდა და აქედან საიდუმლო მისიით ევროპაში გაემგზავრა (1613), სადაც დახმარების მიღების მიზნით დიპლ. მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთის მეფესა და რომის პაპთან. მაგრამ მისი ელჩობა უშედეგო აღმოჩნდა. 1719 ქართლში მობრუნებული ვახტანგ VI, პოლიტ. სიტუაციის უკიდურესად გამწვავების გამო, 1724 იძულებული გახდა რუსეთში გადასახლებულიყო. მეფის ამალაში მყოფი ო. გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალულია ვსესვიატსკოეში.

ო. სახელმწ. საქმიანობასთან ერთად ინტენსიურ საგანმ.-მეცნ. და ლიტ. მოღვაწეობასაც ეწეოდა, რაც, უცხო ენების ცოდნასთან ერთად, დიდად უწყობდა ხელს ბრწყინვალე განათლება ღეთისმეტყველებაში, ბუნებისმეტყველებასა და ფილოსოფიაში. მან შთამომავლობას დაუტოვა თარგმნილი თუ ორიგინალური საერო და სას. ხასიათის არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, მ. შ. დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი დანიშნულების იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ (1688–1710), ქადაგებათა კრებული „სწავლანი ანუ ქადაგებანი...“ (1698–1710), ჰიმნოგრაფიული თხზულებები, სამოგზაურო-მემუარული ხასიათის ნაწარმოები „მოგზაურობა ევროპაში“ და სხვ.

ო. ქართ. მეცნიერების ისტორიაში დიდი ლექსიკოგრაფის სახელითაა შესული. „ლექსიკონი ქართული“, ანუ „სიტყვის კონა“, როგორც უწოდა ამ ლექსიკონს ვახტანგ VI-მ, ო-ს 1685–1715 შეუდგენია. ლექსიკონი 20 ათასამდე ლექსიკურ ერთეულს ითვლის. იმის გამო, რომ მასში დიდი რაოდენობითაა შეტანილი ონომასტიკური და ტოპონიმიკური მასალაც და სიტყვათა უმეტესობას ახლავს უცხოური (თურქული, სომხური, იტა-

ლიური) შესატყვისები, ეს ლექსიკონი განმარტებითთან ერთად არის ენციკლოპედიურიცა და თარგმნითიც (ილ. აბულაძე).

დროის მოთხოვნილების თანახმად, ლექსიკონი საგანმ. მიზანს ისახავდა. ამას მიანიშნებს როგორც მისი შერეული შედგენილობა, ისე ლექსიკონზე დართული შესავალი („ანბანნი სასწავლონი ყრმათა მიერ") და დასასრული, რ-ებიც ელემენტარული განათლებისათვის საჭირო ცოდნას აწვდიან მკითხველს (შესავალში განხილულია ქართ. ანბანთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, ლექსიკონის ბოლოს კი ჩამოთვლილია ქრისტეს 70 მოციქული, მოხელეთა სახელები, ქართულ და „თათრულ" ენებზე ცალკეული ე. წ. „საქმარი" სახელები, განჯაფის ანუ ბანქოს თამაშის სახელები; აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე თვეების სახელწოდებები, ზოდიაქოები, სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული წელთაღრიცხვები).

ჩვენამდე ლექსიკონის ბეჭრმა ხელნაწერმა მოაღწია. მათგან ცხრა ავტოგრაფული (ო-ის ხელით გადაწერილი) და ავტოგრაფული მნიშვნელობის (ო-ს მონაწილეობა აქვს მიღებული მათ გადაწერასა და რედაქტირებაში) ხელნაწერია, რ-ებიც დაცულია ხელნაწ. ინ-ტში: H 416, S 2498, Q 400, H-95, H 1658, A 1473, A-75, H 1429 და ქუთ. სახელმწ. მუზეუმში – №300. აღნიშნული ხელნაწერები ლექსიკონის ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპს წარმოგვიდგენენ. ყველაზე ადრინდელი და მოკლე რედაქცია დაცული აქვს H 416 ხელნაწერს, საბოლოო და ყველაზე ვრცელი ტექსტი ლექსიკონისა კი შესულია H 1429 ხელნაწერში.

ო-ის „ლექსიკონი ქართული" ძირითადად დოკუმენტირებული ლექსიკონია, თუმცა მასში დიდი ადგილი უკავია ხალხ. მეტყველებაში გავრცელებულ არალიტერატურულ ლექსიკასაც. ავტორს წყაროებად გამოყენებული აქვს იმ დროისათვის არსებული თითქმის მთელი ლიტ-რა – როგორც მხატვრული, ისე ისტ. და ფილოს., როგორც ორიგინ., ისე თარგმნილი, როგორც სას., ისე საერო ხასიათისა. ძირითადი წყარო კი, ეს მოსალოდნელიც იყო, მაინც ბიბლიაა, მისი ძველი და ახალი აღთქმა.

სიტყვათა მნიშვნელობების დადგენისას, ქართ. წყაროების გარდა (ქართ. წერილობითი ძეგლები, დიალექტების მონაცემები), ო. ხშირად მიმართავს სომხ., ლათ. და ბერძნ. ლექსიკონებს, ზოგჯერ არაბულსაც. ლექსიკონში ჩანს ბერძნ.-სომხ.-ლათ. ბიბლიების ამაღე მიზნით გამოყენების კვალიც.

ო-ის განმარტებები სიტყვის შინაარსის სუსტი გახსნით და ლაკონიურობით ხასიათდება, მაგრამ რაც მის ლექსიკონს ყველა სხვა ლექსიკონისაგან გამოარჩევს, რაც ანალოგი არა აქვს და ო-ის ლექსიკოგრაფიული მეთოდის სიახლეა, არის ის, რომ ავტორი გამოყოფს ზოგად და კონკრეტულ სიტყვებს და ზოგადთან აჯგუფებს კონკრეტულ სახელებს განმარტებებითურთ. ამავე დროს, თითოეული სახეობა თავის ადგილასაც არის განმარტებული. მაგ.: „საქმილი ესე არს ცეცხლთა საგზებელი კაცთა დასაწვავად, გინა აბანოს საგზებელი და მისთანა; თუნი არს კეცის ჭურჭელთა გამოსაწვაი; თაკარა არს ჭიქათა დასადნობელი და შესაქრელი; ღუმელი არს პურის საცხობი, რომელთა ფურნედ უწოდენ; თორნე არს ღრმად პურის ჩასაკრავი; აკუთა არს ქვაბთა ქვეშ შესაკეთებელი; ბრძედი არს ილეკროთა დასადნობელი ადგილი";

„ფრჩხილი არს კაცის თითისა რქანი; წლიქი არს ზროხათა და მისთანათა განჰებული ფერჴის ფრჩხილი; ქაჩაჩი არს ცხენთა, ვირთა და მისთანათა მრთელი ფრჩხილი; ჭანგი არს მჭეცთა ფერჴის მოდრეკილი ფრჩხილი; კლანჭი არს ბაზთა და ფრინველთა ფრჩხილი".

თხზ.: თხსულებანი ოთხ ტომად, თბ., 1959–66.

ლიტ.: აბულაძე ი., სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები. – «თსუ შრომები», 1936, ტ. 3; მგნაბდე ლ., სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1953; ქუთათელაძე ლ., ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (აუტოგრაფების მიხედვით). თბ., 1957; მეტრეველი ე., ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის უძველესი აუტოგრაფი. – «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1956, ტ. 19 B; ქაჯაია მ., სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი აუტოგრაფი. – «საქართვ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», 1960, ტ. 2; აბულაძე ი., სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული", თბ., 1998.

ც. ქურციკიძე.

ო-ის „ლექსიკონი ქართულის" მიზანია ქართ. ენის სიწმინდის დაცვა. ავტორს მიაჩნდა, რომ ქართული ენა „გაერყვნათ" სხვა ენებთან შერევით და საჭიროებდა განწმედას. იხ. („სიტყვის კონა").

ლექსიკონის საშუალებით სალიტ. ენის ნორმათა დადგენა დაიწყეს იტალიელებმა მე-17 ს-ის დასაწყისში. ო. სიყრმიდანვე დაკავშირებული იყო იტალ. მისიონერებთან. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია *ბერნარდე ნეაპოლელი*, რ-მაც ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) სამეფო კარზე მოღვაწეობისას შეადგინა იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები. ო., თავის მამიდაშვილებთან (ვახტანგ V-ის შვილებთან) – გიორგისთან, არჩილსა და ლეონთან ერთად, უშუალო მოწმე იყო ამ ლექსიკონთა შედგენისა. ასევე უნდა აღინიშნოს მისი უეჭველი მეცნ. კავშირი გორულ ანონიმურ *იტალიურ-ქართულ ლექსიკონთან*, რ-იც შედგენილია XVIII ს. 10-იან წლებში.

„ლექსიკონი ქართული" თავისი აგებულებითა და პრინციპებით დიდად არის დავალებული იტალ. მისიონერთა მიერ საქართველოში შედგენილი ლექსიკონებისგან, კერძოდ: იტალიელთა ლექსიკონების მსგავსად, ო-ის ლექსიკონში 1) მეთაურ სიტყვად ხშირად პირიანი ფორმებიც არის გატანილი; 2) სახელთა და ზმნათა სემანტიკურ განმარტებას ხშირად ახლავს გრამატ. დახასიათებაც; 3) სიტყვები წარმოდგენილია სემანტიკური ველებით. ო. ამ პრინციპთა გატარების საკუთარ მეთოდს ქმნის: კათოლიკე მისიონერებთან შედარებით, აბსტრაქციის უფრო მაღალი დონე მას საშუალებას აძლევს, ართრონთა (მორფემათა) მისეული სისტემით ენობრივი მოვლენები მოდელების დონეზე წარმოადგინოს.

ო-ის დიდი გრამატ. მემკვიდრეობაც დაგვიტოვა, რაც წარმოდგენილია თვით ლექსიკონში და მასზე დართულ ტრაქტატებში, რ-თაც ავტორმა „სასწავლო ყრმათა" უწოდა.

„ლექსიკონი ქართულის" მეცნ. გამოცემებში, რ-ებიც ემყარება ავტოგრაფულ ნუსხებს, არ შესუ-

ლა ორი ტრაქტატი: ერთი სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების, მეორე კი – ზმნისწინების შესახებ. ეს ტრაქტატები ქ. შარაშიძემ 1716-მდე შედგენილად მიიჩნია, ე. ი. მანამდე, ვიდრე (?). შეადგენდა ლექსიკონის B რედაქციას. ლ. ქუთათელაძემ კი დააზუსტა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანი გამოკვლევები არის B რედაქციის ავტოგრაფული ნუსხის (H-1658) დაკარგული წინა ნაწილი. იგი შემონახულია ამ ნაწილის დაკარგვამდე. H-1658-იდან გადანუსხულ სამ ხელნაწერში (1947, A-1113 და A-1157). ეს ნაწილიც „სასწავლო ჟრმათას" განყოფილებაში იქნებოდა შესული ფონეტ. ნაწილის გვერდით.

ო-მა ქართ. ანბანს დაუმატა ასო ф, რადგან იგი იხმარებოდა ძვ. წიგნებში; ასო ჳ გადაიტანა ჵ-ის მომდევნოდ, ანბანის ბოლოს, რადგან ძვ. ადგილზე, ტარსა და ფარს შორის, მას რიცხვითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჵ-ს მომდევნოდ კი ამის შესაძლებლობა ჩნდებოდა.

ქართ. თანხმოვნების კლასიფიკაციას ო. ახდენს წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით (იხ. ცხრ. 1).

ანე პეტრიწის ტრაქტატითა და ო-ის დროის ბერძნ.-ლათ. გრამატიკებით.

რაც შეეხება გრამატ. ტრაქტატებს (განხილულია A–1113 ხელნაწერის მიხედვით), მათში წარმოდგენილია სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმები (იხ. ცხრ. 2).

ბრუნვათა სახელდების მიხედვით სრულიად აშკარაა ამ პარადიგმის იტალ. წარმომავლობა: გორული ანონიმური იტალ.-ქართ. ლექსიკონის შესავალ ნაწილში სწორედ ეს სახელია ნაბრუნები ბრუნვათა ამ სახელდებითა და რიგით. დამატებულია კითხვები ბრუნვათა მიხედვით; მრ. რ-ის -ებ სუფიქსიანი ფორმები შეცვლილია -ნ/-თ სუფიქსიანი მწიგნობრული ფორმებით.

თუ მოთხრობითის -მა სუფიქსიან და გამოსვლის -დამ თანდებულიან ფორმებს იტალიელთა მიერ შედგენილ გრამატიკებში XVII ს-დანვე ვხვდებით (მოთხრობითს – სახელობითის ვარიანტად), ვით. და მოქმ. ბრუნვების ფორმები პირველად აქ არის წარმოდგენილი ქართ. ენის სახელის ბრუნების პარადიგმაში.

ლების პარადიგმას (აქაც მიყვარს ზმნა არის ნაუღლები). ამ პარადიგმაში სულხან-საბასეული არის: 1) მწიგნობრული ორთოგრაფია (მიყუარს, შეგჳყუარებია...); 2) ნამყო სრულში (იტალ. perfetto) მიყვარს მედიოპასიური ზმნის პარადიგმისთვის ანონიმის მიერ შეტანილი აქტივის მიუღებელი ფორმების შეცვლა პასივის -დ სუფიქსიანი ფორმებით (ასეთ შენაცვლებას ჩვენ დროში ახდენდა არნ. ჩიქობავა); 3) -თ სუფიქსი თურმეობითის I პირის მრ. რ-ში არ იყო იტალიელის პარადიგმაში, სულხან-საბას იგი შეუტანია, უნდა ვივარაუდოთ, ხალხური მეტყველებიდან (ამ ფორმებს სხვაგანაც ვხვდებით გვიან, მაგ., ანტონ I-ის გრამატიკაში).

ო-ს იტალიელი ანონიმის პარადიგმიდან გამორჩა I თურმეობითის დასახელება (2do perfetto) და ამ მწკრივის ფორმები მოხვდა II თურმეობითის – პლუსკვამპერფექტის პარადიგმაში, ხოლო თვით II თურმეობითის ფორმები პარადიგმის გარეშე დარჩა.

მეორე ტრაქტატსაც უცვლელად წარმოვადგენთ (იხ. ცხრ. 3).

მეორე ტრაქტატში საკმაო სისრულით არის წარმოდგენილი

ცხრილი 1.

თანხმოვანთა ჯგუფები წარმოების ადგილის მიხედვით	თანხმოვანთა ჯგუფები რაგვარობის მიხედვით		
	მაგარი ანუ მეტი	საშუალო ანუ ზომიერი, ანუ ჩვილი	დაბალი ანუ ნაკლები
1. ბაგისმიერნი	პ	ბ	მ ფ
2. ენის წვერისმიერნი	ზ რ ტ ც ძ წ	დ ნ ს	თ ლ
3. შუაენისმიერნი	კ ჯ	ნ ჩ ხ	ქ ღ
4. ხორხისმიერნი	ჴ	ყ	ჰ
5. ნახევარბაგეთამიერნი	ვ ჟ შ ჭ	ჳ ф	ჸ ე ჶ

ხმოვნების კლასიფიკაციას წარმოვადგენთ ასეთი სქემით:

მაღალი	ზომიერი	მდაბალი
ა ე	ი	ო უ

ორივე კლასიფიკაცია ემყარება ბერძნ.-ლათ. გრამატიკებს.

აქვე მსჯელობაა მახვილის სამ სახეობაზე და ბგერათა მოთავეობასა და დამაბოლოებლობაზე სიტყვის ფარგლებში. ეს ყველაფერი დიონისე თრაკიელის გრამატიკის გამოძახილია, გაშუალებული იო-

ამ პარადიგმიდან კიდევ საყურადღებოა აკუსატიოს კითხვა – რომელს და ნათ. ბრუნვის ფორმა მრ. რ-ში – მამათანი. ესენი გამოძახილია XI–XII სს. მიქენის გრამატ. ტრაქტატისა *„სიტყუაჲ ართრონთათჳს"*, რაშიც ლაპარაკია მიც. და ბრალდებითი ბრუნვების საერთო კითხვაზე – ვის? და ნათ. ბრუნვის მრ. რ-შიც სახელები სწორედ ორმაგი ბრუნვის ფორმებით არის წარმოდგენილი (სულთანი, ღმერთთანი და სხვ.).

ო. იმავე გორული ანონიმური ლექსიკონის მიხედვით ქმნის უღ-

ქართ. ზმნის გეზისა და ორიენტაციის ფორმები. ამ მხრივ ო. პირველია, ვინც პარადიგმატულად წარმოადგინა ქართ. ზმნისწინები და მიუთითა მათ ფუნქციაზე („ზე", „ქვე" და სხვ.). ჩანს, რომ ეს ტრაქტატი შედეგია სალექსიკონო მასალაზე დაკვირვებისა: როდესაც ო. ლექსიკონში მსჯელობს ართრონებზე (მორფემებზე), ცალცალკე გამოყოფს ზმნისწინებს (ზოგჯერ მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილით) და აძლევს მათ სათანადო დახასიათებას (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 2.

			სინგულარე	პლურალე
რომინატიო	რომელ	ა ს/ა	მამა	მამანი
ჯენეტიო	რომლისა	ა ს/ა	მამის	მამათანი
დატიო	რომელსა	ა ს/ა	მამასა	მამათა
აკუსატიო	რომელს	ა ს/ა	მამა	მამანი
ვოკატიო	რომელ	ა ს/ა	მამაო	მამანო
აბლატიო	რომლისგან	ა ს/ა	მამისაგან	მამათაგან
	რომლად		მამად	მამებად
	რომლიდან		მამიდამ	მამებიდამ
	რომლით		მამით	მამებით
	რომელთან		მამამან	მამებმან

ცხრილი 3.

ადგილსა	მღერა	სლვა	ჯდომა
ზე	ამღერებად	ასლვა	აჯდომა
ქვე	ჩამღერებად	ჩასლვა	ჩაჯდომა
აქათ	მომღერებად	მოსლვა	მოჯდომა
იქით	მიმღერებად	მისლვა	მიჯდომა
წინა	წამღერებად	წარსლვა	წაჯდომა
უკან	უკმომღერებად	უკმოსლვა	უკუჯდომა
სისწორს	გამღერებად	გასლვა	გაჯდომა
უკმო	გამომღერებად	გამოსლვა	უკმოჯდომა
შინათ	შემღერებად	შესლვა	შეჯდომა".

ბიბლ.: სულხან-საბა ორბელიანი. ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1658–1958 წწ.). შეადგინა მ. ჯალაღონია. თბ., 1960. *მ. უთურგაიძე.*

ორგანული წარმოება, ს ი ნ თ ე ზ ი ს უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა; ფორმაწარმოება, რ-ის დროსაც ა ნ ა ლ ი ზ უ რ ი, *ალწერითი წარმოებისგან* განსხვავებით, გრამატიკული ფორმა წარმოიქმნება აფიქსების საშუალებით.

სინთეზურ ენებად მიჩნეულია როგორც ფლექსიური, ისე აგლუტინაციური ენები. თანამედროვე ქართული ძვ. ქართულთან შედარებით უფრო ორგანული წარმოების ენაა, თუმცა ალწერითი წარმოებაც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. განსაკუთრებით ეს ეხება ენებითის ფორმების ჰარმონიას. შდრ. გაკეთებულ იქნა – გაკეთდა, აღრიცხულ იქნა – აღირიცხა და მისთ. *მ. გაშაკიძე.*

ორთოგრაფია (ბერძნ. orthographía < orthós – სწორი, მართებული, gráphō – ვწერ), მ ა რ თ ლ წ ე რ ა: 1. წერის წესების ჩამოყალიბებული სისტემა ამა თუ იმ სალიტერატურო ენაში; 2. ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის და ადგენს მართლწერის წესებს. ამ წესების შემუშავებისას ხელმძღვანელობენ სხვადასხვა (ფონეტ., მორფოლ.) პრინციპით, რ-ებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ დაწერილობის შერჩევას მოცილე, მეტოქე დაწერილობათაგან.

ო-ის სირთულე-სიმარტივეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მიმართება ბგერასა და ასოს შორის, წარმოთქმასა და დაწერილობას შორის. რაც უფრო დაშორებულია ენაში წარმოთქმა და დაწერილობა, მით უფრო რთულია ამ ენის ო. ამგვარ შემთხვევებში სათანადო ენისათვის შემოღებულია სატრანსკრიფციო, ანუ ნაწერის წაკითხვა-წარმოთქმის წესების სისტემა. მაგ., ინგლისურში იწერება right (= უფლება: სწორი; მარჯვენა), ხოლო გამოითქმის როგორც [rait]; სიტყვა lire (= ცქცხლი) გამოითქმის როგორც [laia]. ასევე რუსულში: სიტყვაში хорошо პირველი ორი о უმახვილობის გამო а-დ გარდაიქმნება ზეპირ მეტყველებაში; გერმანულში ei დიფთონგი წარმოითქმის ai სახით; ფრანგულში ჰმოვან ასოთა ჯგუფი eau წარმოითქმის როგორც о და სხვ.

ამ მხრივ ქართ. ო. შეუდარებლად მარტივია, ვინაიდან ქართულში მარ-

თალია, რომ ბგერასა და ასოს შორის თითქმის ერთ-ერთ ურთიერთმიმართებას ვხვდებით: ერთ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ერთ ასოს – ერთი ბგერა. ამ

დანერგება სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა (1950-იან წლებში საქართვ. მთავრობასთან შეიქმნა საგანგებო კომისია) და ეს მუშაობა მეცნ. საფუძველს დაუბერა (უნათ. მეცნ. ინ-ტში შეიქმნა სპეციალური განყოფილება და დაარსდა ბეჭდითი ორგანო „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები"); მას შემდეგ რაც დასრულდა (1964) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეულის გამოცემა, 1968 გამოვიდა ვ. თოფურიას და ი. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის" პირველი ერცელი გამოცემა (30 000-მდე ერთეული), ხოლო 1998 – ამ ლექსიკონის მეორე, საგრძნობლად შევსებული (80 000-მდე ერთეული) და დაზუსტებულ-გასწორებული გამოცემა. ამ ლექსიკონში სათანადოდაა ასახული და დაცლეული ქართ. სალიტ. ენის სპეციფ.სიძნელენი იმ პრინციპების გამოყენებით, რ-ებიც საფუძვლად უდევს ენობრივ ნორმებს.

განსხვავებით სხვა ენების Ო. ლ-ებისაგან, რ-ებშიც მხოლოდ სწორი ფორმებია აღნუსხული, ქართ. ენის Ო. ლ-ში მითითებულ მარიად ბულ ფორმებთან ერთად წარმოდგენილია პოტენციურად მოსალოდნელი უმართებულო ფორმებიც და ისინი უკუგდებულია [და არა] ან [კი არა] აღნიშნებით. ეს ხერხი განსაკუთრებით ეფექტურია, როცა სწორ და არასწორ მოცილე ფორმებს ანბანურ რიგში სხვადასხვა ადგილი უკავია. შდრ.: [ჭადი კი არა] მჭადი; ბაკქანალია [და არა ვაკხანალია]. ლექსიკონში მითითებულია პარალელური ფორმებიც შედარებითი უპირატესობის ან სრული პარალელურობის ჩვენებით.

ცალკე ერთეულებადაა შეტანილი ან სიტყვებს საჭიროებისამებრ მიწერილი აქვს გარკვეული (ბრუნვის, პირის, თანდებულიანი, სიტყვაწარმოებითი და მისთ.) ფორმები, რ-ებშიც მორფემათა (ფუძისა და ფორმანტის) მიჯნაზე ხდება მრჩობლი თანხმოვნების თავმოყრა. მაგ.: ლომი (ლომმა), ციტრუსი (ციტრუსს), კოეზი (კოეზზე), ში'ში ('ში'ში), ბურთი (ბურთთან), ქვარდები, მწართველი, დამშვიდდება, გაიყინნენ და სხვ.

კუმშვად ან დაბოლოებით კუმშვადის მსგავს უკუმშველ სახელებს, აგრეთვე სპეციფიკურ უცხოურ კვეცად ან უკვეცელ სახელებს მიწერილი აქვთ ნათ. ბრუნვის ფორმა. შდრ.: თუმანი (თუმნისა), მაგრამ გუმანი (გუმანისა), ასევე: ლურჯა (ნათ. ლურჯას), ქველე (ნათ. ქველეს).., მაგრამ: სირენა (სირენისა), ცენზურა (ცენზურისა) და მისთ. ო ან უ ხმოვნის წინ ე თანხმოვნის დაკარგვის მოსალოდნელ შემთხვევებში მითითებულია ამ თანხმოვნის შენარჩუნების მაგალითები. მაგ., ბავშვი (წოდ. ბავშვო!).

ინტერნაციონალიზმები, ანუ საერთაშ. სიტყვები და უცხ. საკუთარი სახელები (პირთა სახელ-გვარები, გეოგრაფ. სახელები) წარმოდგენილია ცალკეული ბგერებისა თუ ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემის წესების მიხედვით, რ-ებშიც კომპლექსურადაა გათვალისწინებული ფონეტ. და გრაფ. პრინციპები (ეს წესები შესულია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში", I, 1970).

Ო. ლ. საინტერესო ცნობებს იძლევა წარმოებით მსგავსი დერივაციული აფიქსების ფუნქციური მონაცვლეობისა თუ გამიჯვნის შესახებ. შდრ.: სანაყოფო და სანაყოფე — იდენტური ფუნქციით, მაგრამ: სანაშენე (მეურნეობა) და სანაშენო (საქონელი); საცოლე (ქალი) და საცოლო (დასაქორწინებელი ვაჟი). ასევე დიფერენცირებულია: მევალე და მოვალე, მევახშე და მოვახშე, მსესხებელი და მასესხებელი... მსგავსადვე გამიჯნულია და სათანადო კვალიფიკაციები ერთეის წინა ვითარების ნა–ეე და ნა–ებ წარმოების ფორმებს იმის მიხედვით, სახელისგანაა ისინი ნაწარმოები, თუ ზმნისაგან. შესაბამისად დიფერენცირებულია მათი სემანტიკური ფუნქციებიც. შდრ.: ნასადილები (ვინც ისადილა) და ნასადილევი (ნასადილევს — სადილის შემდეგ), ნაოპერაციები (ვისაც ოპერაცია გაუკეთეს) და ნაოპერაციევი ადგილი...

ქართ. ენის Ო. ლ-ში, გარდა წმინდა ორთოგრაფიის სფეროში შემავალი ფონეტ. და მორფ. საკითხებისა, სინტაქსური და სტილისტიკური სირთულეებიცაა გათვალისწინებული. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ფუძემონაცვლე სიტყვებს ამა თუ იმ გრამატ. კატეგორიის მიხედვით. მაგ., ჯდება ის, მაგრამ სხდებიან ისინი; აბია (ერთი), მაგრამ ასხია (ხეს ბევრი)... ქართ. მრავალპირიანი სმნის სპეციფიკის საჩვენებლად მოყვანილ ალტერნატიულ ერთ- და ორპირიან, ანდა ორ- და სამპირიან სინტაქსურ კონსტრუქციებში სუბიექტ-ობიექტის აღმნიშვნელი ნაცვალსახელების გარდა, წარმოდგენილია ლექსიკური სინტაგმებიც. მაგ., ჩამოტყდება შტო, მაგრამ ჩამოსტყდება დოქს ტუჩი; გამოჭრის ის ჯოხს, მაგრამ: გამოსჭრის ის მას ყელს...

როული შედგენილობის სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობასთან დაკავშირებით ისმის პუნქტუაციის, კერძოდ, დეფისის გამოყენების საკითხი. კომპონენტების შერწყმულად წერის თუ დეფისით გაფორმების საკითხი ლექსიკონის წინასიტყვაობაში ჩამოყალიბებული წესების მიხედვითაა გადაწყვეტილი (შდრ.: დედა-შვილი, მაგრამ: დედაშვილობა; დედაშვილური, ასევე: მამა-პაპა, მაგრამ: მამაპაპური და მისთ.).

შ. აფრიდონიძე.

ორთოეპია (ბერძნ. orthoépeia < orthós – სწორი, épos – მეტყველება), მართლმეტყველება. 1. საწარმოთქმო ნორმათა ერთობლიობა, რ-იც სალიტ. მეტყველების მთლიანობასა და ერთგვაროვნებას განაპირობებს. Ო. ეხება როგორც მეტყველების სეგმენტურ ერთეულებს (ბგერებს, ბგერათმიმდევრობებს), ისე ზესეგმენტურ ერთეულებსაც (მახვილს, ინტონაციას...). 2. საწარმოთქმო ნორმების შემსწავლელი სამეცნიერო დარგი. Ო-ის ობიექტია სალიტ. ზეპირმეტყველების ნებისმიერი ასპექტი. ამ გაგებით იგი *რიტორიკის* ცნებას ენათესავება.

საზოგადოდ, ზეპირმეტყველება როგორც ისტორიულად, ისე ყოველჟამიერად წინ უსწრებს წერით მეტყველებას. ამდენად, Ო. წინ უსწრებს *ორთოგრაფიას*. ამასთანავე, ეს უკანასკნელი Ო-ის მოთხოვნების გათვალისწინებით ყალიბდება: ბევრი რამ, რაც ორთოგრაფიის მოსაგვარებელია, Ო-ში იღება სათავეს. ორთოგრაფიის დამოკიდებულება Ო-ზე განსაკუთრებით აქტუალურია ქართულისათვის – მწიგნობრული ტრადიციის მქონე ენისათვის, რ-საც ტრადიციულად

ახასიათებს ზეპირი და წერითი მეტყველების მაქსიმალური სიახლოვე. შესაბამისად, ო-ის ამოცანაც ნათელია: სიტყვის (ფრაზის) წარმოთქმა მაქსიმალური ბგერითი სისრულით.

ორთოეპიული ნორმები ხანგრძლივად, საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდება და მკვიდრდება. ამ პროცესისათვის მეტი სტიქიურობა და ბუნებრიობაა დამახასიათებელი, ვიდრე მართლწერისათვის. ო. მკვიდრდება საერთოეროვნ. ენის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, მაშინ, როდესაც თანდათან ფართოვდება ზეპირმეტყველების მოქმედების სფეროები, როცა მეტად ვითარდება ოფიციალური, საქმიანი, პუბლიც. მეტყველების ფორმები.

ო. ბევრად უფრო სწრაფად ექცევა ცოცხალი ენობრივი პროცესების გაელენის სფეროში, ვიდრე ორთოგრაფიის ნორმები. ეს გაელენა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც კუთხური მეტყველებიდან, ისე უცხოენოვანი გარემოდან. თუ ტრადიციულად ქართ. მეტყველებაში უფრო ნიშანდობლივი იყო კილოური მინარევების არსებობა, ბოლო დროს მეტად გამოიკვეთა უცხო ენებიდან მომდინარე სამეტყველო ნორმები და მანერები, რაც ქართ. მართლმეტყველება არაერთი ახ. პრობლემის წინაშე დააყენა.

ზოგჯერ ო-ის მნიშვნელობით იხმარება ტერმინი ორთოფონია, მაგრამ უფრო ხშირად იგი აღნიშნავს მხატერული წარმოთქმის ხელოვნებას.

ა. არაბული.

ორიენტაცია (ფრანგ. orientation), ზმნის მორფოლოგიური კატეგორია, რ-იც გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას I პირის პოზიციიდან: საით არის მოქმედება მიმართული – იმ პოზიციისაკენ, რ-იც მოსაუბრეს აქვს სივრცეში, თუ – საწინააღმდეგო მიმართულებით. ამის მიხედვით ო. ორგეარია: მაახლოებელი და მაშორებელი, ანუ სააქეთო და საიქითო.

სააქეთოა ო., როდესაც მოქმედების სუბიექტი ან პირდ. ობიექტი I პირისაკენ მიემართება: მოგორავს ქვა (სუბიექტი), შემოაგორა ქვა (პირდ. ობიექტი); საიქითოა ო., როდესაც მოქმედების სუბიექტი ან პირდ. ობიექტი შორდება I პირს: მიგორავს ქვა (სუბიექტი), მიაგორა ქვა (პირდ. ობიექტი). II პირი, როგორც მოსაუბრესთან (I პირთან) ახლოს მდგომი, I პირის სივრცეში მოიაზრება, და სააქეთო ო-ს გულისხმობს.

ო., ისევე როგორც გეზი, გამოიხატება *ზმნისწინების* მეშვეობით. ო-ს მიხედვით ზმნისწინები იყოფა: ა) საიქითო – მი-, ა-, და-, გა-, შე-, ჩა-, გადა-, წა-; ბ) სააქეთო: მო-, ამო-, გამო-, შემო-, ჩამო-, გადმო-, წამო- (ა. შანიძე).

ო-ის კატეგორიის ამგვარ გაგებაში შეტანილ იქნა დასუსტებები და ცვლილებები. აღინიშნა, რომ სააქეთო ო. გამოხატავს მოქმედების მიმართულებას არა მხოლოდ I პირისაკენ, არამედ II პირისაკენაც, განურჩევლად იმისა, იმყოფება თუ არა ეს პირი I პირის სივრცეში: მე გამოგიგზავნე წერილი მოსკოვში (შ. კეკელია, ა. დაეითიანი, ა. ფოცხიშვილი, ა. ონიანი). რაც შეეხება საიქითო ო-ს, მოქმედება შეიძლება იყოს მიმართული იქითკენ, სადაც I და II პირი არ იმყოფება (ა. ონიანი). ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ო. გამოხატულია მხოლოდ მი- და მო- ზმნისწინებით. რაც შეეხება სხვა მარტივ ზმნისწინებს, ისინი წარმოდგენილია როგორც სააქეთო, ისე საიქითო ო-ის გამომხატველ ფორმებში და, ამდენად, ო-ის აღნიშნასთან არაფერი აქვთ საერთო. ო-ის მიხედვით ოპოზიციის წევრთა რაოდენობა არის სამი: ნეიტრალური (ცურავს), სააქეთო (მო-ცურავს) და საიქითო (მი-ცურავს) (ა. ონიანი).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1961; ქეკელია შ., დაეითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973; ფოცხიშვილი ა., ორიენტაციის კატეგორიის გაგებისათვის თანამედროვე ქართულში. – იხ. მისი: ქართული ენა, თბ., 2000; ონიანი ა., ორიენტაციის კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. – «ენათმეცნიერების საკითხები», 2001, №4.

ნ. ლოლაძე.

ორფერტილი (:), სასვენი ნიშანი. ო. იხმარება:

1. რისამე ჩამოთვლისას – ჩამოსათვლელი საგნების ან მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვების წინ, მათი განმაზოგადებელი წინამავალი სიტყვის ან მისი შემცველი ფრაზის შემდეგ. განმაზოგადებელ სიტყვებად უპირატესად გამოიყენება რაცვალსახელები: ყველა, ყველაფერი, ყოველი, სხვადასხვა, აგრეთვე ზმნიზედები: ყველგან, ყოველთვის, მუდამ... მაგ.: ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი (ვაჟა-ფშავ.). ო. იხმარება მაშინაც, როცა წინამავალ წინადადებაში გარკვეული მიზანშეწონილია მომდევნო განმარტებაზე. ამ შემთხვევაში მიმანიშნებელი სიტყვებია: შემდეგი, შემდეგნაირად, ასეთი, ამისთანა, ასეთნაირად, ამგვარად, სახელდობრ, მაგალითად, კერძოდ და ა. შ. მაგ., უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:..

2. უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში წინამავალი მთავარი და დამოკიდებული წინადადებების მიჯნაზე, თუ დამოკიდებული განმარტავს მთავარში გადმოცემული ამბის მიზეზს ან მიზანს. მაგ., „არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხავს და სითეთრე აბერებს“ (ი. ჭავჭ.).

3. ო. დაისმის პირდაპირი ნათქვამის წინამავალი აეტორისეული სიტყვების შემდეგ, რ-ებიც ძირითადად „მეტყველება-წრის“ ზმნებით გამოიხატება: ნათქვამია, თქვა, უთხრა, ბრძანა და მისთ., ანდა აეტორისეულ სიტყვებში მონაწილე სახელების (ანდაზა, სიტყვები...) შემდეგ. მაგ., „უბრძანა: ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი“ (შოთა რუსთ.); „მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის – მამინაცვალიო“ (ი. ჭავჭ.); „... არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ეროი მაქვს სჯობს ათასს მქონდას“ (ი. ჭავჭ.).

შ. აფრიდონიძე.

ოსური ენა, განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ შტოს; გენეტურად უკავშირდება სკვითურ-ალანურ ენას. ო. ე. ყალიბდებოდა II–I ათასწლეულში ძვ. ეროპის ენებთან (სლავური, ბალტიური და სხვ.), შემდეგ კი – ახ. წ. დასაწყისში ჩრდ. კავკ. ენებთან მჭიდრო კონტაქტში. XIV ს-იდან თანდათანობით იწყება ოსების ჩამოსახლება საქართველოში, სადაც ისინი ემორჩილებოდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლებასა და ცალკეულ სათავადო სა-

ხლებს (ვ. თოგოშვილი). ამჟამად ო. ე. ძირითადად გავრცელებულია ჩრდ. ოსეთში, აგრეთვე საქართველოს ზოგიერთ რ-ნში, ყაბ.-ბალყ-სა და სტავროპოლის მხარეში. ო. ე-ზე ლაპარაკობს 542 ათასი კაცი, აქედან საქართველოში 162 ათასი (1979, აღწერა); აქვს ორი დიალექტი: ირონული (საფუძვლად უდევს სალიტ. ენას) და დიგორული.

კავკ. სამყაროში ო. ე-მ საგრძნობი ცვლილებები განიცადა: სხვა ირან. ენებისაგან განსხვავებით გაჩნდა გლოტალიზებული თანხმოვნები, მორფოლოგიაში ჩამოყალიბდა მრავალბრუნვიანი აგლუტინაციური ბრუნება (ვ. აბაევი). ო. ე-ის ფონეტიკასა და ლექსიკაზე დიდი გავლენა მოახდინა კავკ. სამყარომ, განსაკუთრებით – ქართ. ენამ. ფონოლოგიური შედგენილობა: 28 თანხმოვანი (მ. შ. მკვეთრები – კ, პ, ტ, წ, ჭ) და 7 ხმოვანი. აქვს 9 ბრუნვა. ბრუნება აგლუტინაციურია, უღვლილება – ფლექსიური. გ. ახვლედიანის დაკვირვებით ირანულისათვის უცხო ბგერები ისე შეითვისა ოსურმა, რომ ისინი გვხვდება საკუთრივ ირანულ ლექსიკაშიც. ხანგრძლივი ოსურ-ქართ. ურთიერთობისა და ენობრ. კონტაქტების შედეგია ქართულისათვის დამახასიათებელი ორიენტაციის გამოხატვა (მო- და მი- ზმნისწინებით) ოსურ ზმნაში, რასაც ყურადღება მიაქცია ვ. აბაევმა და ეს მიიჩნია „ოსური ენის იბ.-კავკ. ბუნების ერთ-ერთ გამოვლენად“. გ. ახვლედიანის მიხედვით, ოსურში ქართ. ზმნისწინების ორივე ფუნქცია (მიმართულებისა და პერფექტული ასპექტის გამოხატვისა) შენარჩუნებულია. მისივე დაკვირვებით, ქართულის გავლენები ელინდება გარკვეული ტიპის ზმნიზედების წარმოებაზე, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძირითადი ლექსიკური ფონდისეული სიტყვების ურთიერთშეღწევა ორივე ენის ლექსიკაში. მაგ., ქართულში ოსურიდან ჩანს შემოსული სიტყვები: შავი, ქუდი, ლუდი და სხვ. (მ. *ანდრონიკაშვილი*).

პირველი წერილობითი ძეგლი, რ-იც შესრულებულია ბერძნ. გრაფიკით, 941-ით თარიღდება. პირველი ოსური ხელნაწერი (1802) შესრულებულია ქართ. გრაფიკით ი. *ბალღუზიძის* მიერ. პირველი ნაბეჭდი წიგნი – „მოკლე კატეხიზისი“ დაბეჭდილია ძვ. სლავური ანბანით. დამწერლობა შექმნა ა. შოგრენმა ძვ. სლავური ანბანის საფუძველზე (1844). 1923–38 დამწერლობას საფუძვლად ედო ლათ. ანბანი, 1938-იდან ჩრდ. ოსეთში – რუს. გრაფიკა, ყოფ. სამხრ. ოსეთის ოლქში – ქართ. ანბანი (1954-იდან – რუს. გრაფიკა).

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966; Шегрен А., Осетинская грамматика, ч. 1–2, СПб., 1844; Абаев В. И., Осетинский язык и фольклор, т. 1, М.–Л., 1949; Ахвледиани Г. С., Сборник избранных работ по осетинскому языку, кн. 1, Тб., 1960; Грамматика осетинского языка, т. 1–2, Орджоникидзе, 1963–69.

თ. ნხეიძე.

ოშკი, X–XI სს. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, „დიდებული ლავრა“, როგორც მას თანამედროვეები უწოდებდნენ. მდებარეობს ისტ. ქართ. პროვინციაში – ტაოში, თორთუმის ციხის ახლოს, თორთუმისწყლის შესართავთან (ამჟამად თურქეთშია. სოფელს, რ-შიც ო-ის მონასტერია, დღეს ჩამლი იემაჯი ჰქვია). ო-ის სამონასტრო კომპლექსი მრავალი ნაგებობისაგან შედგება: იოვანე ნათლისმცემლის დიდი ტაძარი, სემინარია, საოსტიგნე-სატრაპეზო, მცირე ეკლესიები და სხვ. მთავარი ტაძარი აგებულია ტაოელი მეფეების – ადარნესე კურაპალატის შვილების – ბაგრატ ერისთავთ ერისთავისა და დავითის მიერ 963–976. ო-ში ძვ. ქართ. მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ. აქ ითარგმნა ან შეიქმნა მრავალი ლიტ. ძეგლი, გადაიწერა ხელნაწერები. კერძოდ, ო-ში 977 გადაიწერა „სამოთხე“ – იოვანე ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვათა სწავლანი; 979 – იოვანე ოქროპირის ცხოვრება; 987 – ბიბლია, ქართ. ბიბლიის უძველესი სრული ხელნაწერი და სხვ. სამივე დასახელებული ხელნაწერი ინახება ათონზე, ქართველთა მონასტერში. მათ შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის პირადად იოვანე–თორნიკეს, დავით კურაპალატის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს და იოვანე მთაწმიდელთან ერთად ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებელს. XIX ს-ში ეს ხელნაწერები საქართველოში ჩამოიტანეს ასლების გადასაღებად. ეს ასლები ინახება ხელნაწ. ინ-ტში (A-471, 1142, 1144, S-422), ხოლო თვითონ ხელნაწერები ათონზეა დაბრუნებული. ოშკელ მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია *მიქაელ მოდრეკილი* – შემდგენელი დიდი მოცულობის ჰიმნოგრაფიული კრებულისა (S-425), რ-შიც შესულია იოვანე მტბევარის, იოვანე მინჩხის, ეზრას და სხვ., აგრეთვე, თვით მიქაელ მოდრეკილის როგორც თარგმნილი, ისე ორიგინ. საეკლესიო საგალობლები. კრებულის გადაწერის თარიღია 978–988 (ზოგიერთ მკვლევარს იგი შატბერდში შედგენილად მიაჩნია). X ს-ში ო-ში მოღვაწე გრიგოლ ოშკელმა თარგმნა გრიგოლ ღმრთისმეტყველის „საკითხავი სამხილებელი არიანოსთა“ (A-87), სტეფანე დეკანოზმა გადაწერა ზემოთ დასახელებული „სამოთხე“, მიქელმა, გიორგიმ და სტეფანემ გადაწერეს ბიბლია; XI ს-ში ო-ში მოღვაწეობდა ეფრემ დიდი ოშკელი, რ-იც შემდეგ შავ მთაზე გადასულა და *ეფრემ მცირის* ახლო თანამშრომელი გამხდარა და სხვ.

1033 ოთხთავის შესანიშნავად მოხატული ხელნაწერი გადაწერა ო-ში გაბრიელ გიორგის ძმისწულმა იშხნელი ეპისკოპოსის ილარიონ მასურის ძის დაკვეთით. ინახება მესტიის მუზეუმში (M-1).

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ.1, ნაკვ. 2, თბ., 1962; სილოგავა ვ., გამოკვლევა ოშკის ტაძრის ქტიტორთა რელიეფების და აშენების თარიღის შესახებ... . – «მაცნე» (ისტორიის... სერია), 1977, №1; მისივე, ოშკი – X ს-ის მემორიალური ტაძარი, თბ., 2006; Jobadze W., Early medieval Georgian monasteries in historic Tao, Klarjeti and Šavšet'i, Stuttgart, 1992.

ვ. სილოგავა.

ოშკის წარწერა გრიგოლ „საქმესა ზედამდგომისა“, ქართული ასომთავრული 12-



ოშკის ტაძარი. გრიგოლ „საქმესა ზედამდგომისა“ სამშენებლო წარწერა. X ს. 60-იანი წლები.

სტრიქონიანი წარწერა, შესრულებული სინგურით. დაწერილია *ოშკის* ტაძრის სამხრ. შესასვლელის ბალავრის (ტიმპანის) ქვაზე. წარწერა უნიკალურია თავისი შინაარსით არა მარტო ქართ., არამედ ზოგადად ეპიგრაფიკაშიც; – მასში აღრიცხულია ტაძრის მშენებლობისას ერთი წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების 30-მდე წარწერა, რ-თა უმრავლესობა სინგურითაა შესრულებული, ხოლო ორიოდე მათგანი ამოკვეთილია ქვის ფილებზე. წარწერები თარიღდება X ს-ის 60-იანი წლების შემდგომი პერიოდით, ხოლო ერთი – 1036-ით.

გრიგოლ „საქმესა ზედამდგომისა“ წარწერა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ერცელი ღვთისმეტყველური შესავალია, რ-ის ბოლოს აღნიშნულია: „ღმერთმან შეეწიენ ორთავე ცხორებათა ძეთა ღმრთივკურთხეულისა ადარნასე კურაპალატისათა – ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დავით მაგისტროსმან, სამებან წმიდამან სამნივე დაიფარენ მარჯუენითა თჳსითა და ადიდენ ორთავე ცხორებათა (!). და მე, გრიგოლ, ღირს მყო ღმრთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი, და არწმუნა ღმერთმან გონებასა მათსა ერთგულობაჲ ჩემი, მონისა მათისაჲ“.

როგორც ჩანს, ამ წარწერამდე ჩვენთვის უცნობი ეს გრიგოლი, ოშკის ტაძრის მშენებლობის „საქმესა ზედამდგომი“, ე. ი. სამუშაოთა ხელმძღვანელი ყოფილა. წარწერის მეორე ნაწილში მას აღრიცხული აქვს მშენებლობის ერთი წლის მანძილზე გაწეული ხარჯი: „ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშეთაჲ, რომელ წელიწადსა წაეგების: „დრამაჲ კ ათასი, ლჳინოჲ ფისოსი ჳ, რკინაჲ ლიტრაჲ ნ, ხუარბალი გრივი სმი. გალატოზნი და ხუროჲ და მჭედელი, რომელ მარადის შურებოდა ო. ჯარი, რომელ ქვასა კრებდა ლ; ჯორი და სხუაჲ აზავერი, რომელ გრიგოლწმიდით სპონდიკსა კრებდა ლ; სხუა აზავერი, რომელ [...] კრებდა . და [ყოველი] ერი და მოქმედი პ. [...]“. ამ მონაცემების მიხედვით, ოშკის ტაძრის მშენებლობაზე წლის განმავლობაში გაიცემოდა 20 000 დრამა კალატოზებისა და მუშების გასამრჯელოდ და ქვიშის მზიდავი ხარების ქირისათვის; იხარჯებოდა 5 000 ჯამი („ფისოსი“) ღვინო, 50 ლიტრა რკინა, 250 გრივი ხორბალი. მშენებლობაზე მუდმივად მუშაობდა („მარადის შურებოდა“) 70 კალატოზი, ხურო და მჭედელი. ამასთანავე, ქვას „კრებდა“ (ე. ი. რიყეზე აკრეფილ ქვას ეზიდებოდა). 30 ხარი; გრიგოლწმიდით (სოფლის სახელია), როგორც ჩანს, კარიერიდან, სამშენებლო ქვას – სპონდიკს (მოყვითალო ფერის მსუბუქი ფოროვანი ქვაა, სხვაგან შირიმის სახელით ცნობილი) ეზიდებოდა 30 ჯორი და აზავერი; 60 აზავერი კიდევ რაღაცას ეზიდებოდა (თუ რას – არ ჩანს, რადგან ამ ადგილას წარწერის ტექსტი დაზიანებულია და ნაკლული); ამას გარდა, კიდევ 80 „ერი“ და მუშა რაღაც საქმით იყო დაკავებული, რით, არ ვიცით, რადგან, ტექსტის ბოლო ნაწილი ნაკლულია.

წარწერა ენობრივად მეტად საინტერესოა: მასში გვხვდება X ს-ის II ნახ-ში გაერცელებული ტერმინები: გალატოზი, მოქმედი, მიზდი, აზაური, მექუიშე, დრამაი, ღუინოი, რკინაი, ლიტრაი, ხუარბალი, ერიჟი, ხუროი, მჭედელი, ჭარი, ჯორი, სპონდიკი, ერი და სხვ.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960; სილოგავა ე., ოშკი – X ს-ის მემორიალური ტაძარი, თბ., 2006. *ვ. სილოგავა.*



პ, ქართული ანბანის მეთხუთმეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეჩვიდმეტე) ასო. მისი სახელია „პარი"; გრაფ. სიმბოლო ბაგისმიერი აბრუპტიული ხშული თანხმოვანი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴎ. მისი მოხაზულობა რკალისა და ხაზებისაგან შედგება, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხურში ⴎ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივე გადახრილი. იგი შუა ორ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში პ მომრგვალებული კონტურის მქონეა. იგი ოთხხაზოვანი სისტემის ზედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალაეში აღნიშნავდა ოთხმოცს (80).

პალეოგრაფია (<ბერძნ. palaiós – ძველი, graphō – ვწერ), ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინა. სწავლობს წერის ხელოვნებასთან, დამწერლობით კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს: ანბანის წარმოშობას, ასოთა მოხაზულობის ისტ. ცვალებადობას, ნაწერის ესთეტიკურ მხარეს, ტექსტის დანაწევრების აღმნიშვნელ სასვენ და განკვეთილობის ნიშნებს, საწერ მასალასა და იარაღებს, წარწერებისა და ხელნაწერი ძეგლების რაობას (მათ ქრონოლოგიას, შექმნის ადგილს, ისტ. გარემოს ...) და სხვ. პ. ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა ძველი დოკუმენტებისა და წერილობითი წყაროების რეალურ ღირებულებათა განმსაზღვრელი დიპლომატიკისაგან. პ-ის ფუძემდებლად და ტერმინის მეცნიერებაში დამამკვიდრებლად ითვლება ფრანგი ბ. მონფოკონი, აეტორი შრომისა „ბერძნული პალეოგრაფია" (1708).

პ-ის ძირითადი პრაქტ. დანიშნულებაა დაუთარიღებელი ხელნაწერების ხელის განსაზღვრის საფუძველზე დაადგინოს აეტორი, დრო და ადგილი, ისეთი ხელნაწერებისა, რ-ებშიც ამ საკითხებზე პირდაპირი ცნობები არ არის.

პ. ემსახურება ისტორიას, ენათმეცნიერებას, ხელოვნებათმცოდნეობას, ლიტ-რის ისტორიას, საკუთრივ ტექსტოლოგიასა და სხვ. ჰუმანიტარულ დარგებს. პ-ის მომიჯნაე დისციპლინებია: *კოდიკოლოგია* (წარწერათმცოდნეობა), ჰერალდიკა (გერბთმცოდნეობა), ნუმიზმატიკა (ფულისმცოდნეობა) და სხვ.

ზოგადი პ-ის გეერდით არსებობს კერძო პ., რ-იც სწავლობს კონკრეტული დამწერლობის (ქართ., ბერძნ., სლავ. და ა. შ.) საკითხებს.

ქართ. პ-ის მეცნ. შესწავლა იწყება XIX ს-ის II ნახ-იდან (ფ. დიუბუა, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ნ. მარი...), ხოლო მეცნიერულად ქართ. პ-ის ძირითადი საკითხები სისტემურად დაამუშავა *ი. ჯავახიშვილმა*. XX ს. 20-იან წლებში მან პირველმა წაიკითხა ქართ. პ-ის კურსი ახალდაარსებულ თბილისის უნ-ტში და შექმნა პირველი სახელმძღვანელო – „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია" (1926). პ-ის საკითხებს ინტენსიურად იკვლევენ აკად. ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1949; ხ ა ზ ო მ ი ა თ., ნუსხური დამწერლობის გარდამავალი ხელი (XI ს.), თბ., 1954; პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. 1–2, თბ., 1965–69; ქ ა ჯ ა ი ა ლ., პუნქტუაცია X–XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში, თბ., 1969; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982; მ ი ს ი ე ე, XI–XIV საუკუნეთა ქართული ოთხთავების დეკორატიული შრთულობის სისტემა, თბ., 1987 (სადოქტ. დისერტაცია); გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა, თბ., 1990; დ ა ნ ე ლ ი ა კ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ. 1997.

კ. დანელია.

პალესტინის ძართული მონასტრები, ქართული კულტურის ძეგლები პალესტინაში. საქართველოსა და წმ. მიწას შორის ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. უძველესი ქართ. წყაროების მიხედვით, ქართ.-ებრ. ურთიერთობები ნაბუქოდონოსორის დროიდან იწყება, უფრო ზუსტად კი, მის მიერ იერუსალიმის



პალესტინა. წმ. ჯვრის მონასტერი.

აოხრების შემდეგ, როდესაც ებრაელთა პირველი ტალღა შემოვიდა ქართლში. შემდეგშიც ებრაელთა კიდევ რამდენიმე ნაკადი დასახლებულა საქართველოში (ძვ. წ. I და ახ. წ. I სს.), თუმცა ებრაული დიასპორის ქართლში არსებობის დამადასტურებელი ფაქტები ჯერჯერობით ახ. წ. პირველი სს-ით თარიღდება (იხ. *ებრაული ენა*). საქართველოსა და წმ. მიწას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო მჭიდრო გახდა IV ს-ში, ჩვენს ქვეყანაში (იბერია, ლაზიკა) ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად აღიარების შემდეგ.

ბირ-ულ-კატი. წმ. თეკდორეს მონასტერი. ანტონი აბაის და იოსიას წარწერა. V–VI ს.

აქედან მოყოლებული, გამორჩეული ხდება ქართველთა დამოკიდებულება წმ. ქალაქ იერუსალიმისადმი. IV–V სს-ში ქართლის დედაქალაქ მცხეთასა და მის შემოგარენში დასტურდება ქრისტეს დროინდელი იერუსალიმის წმ. ადგილების ტოპონიმიკა (ელეონი, გეთსიმანია, ბეთანია, თაბორი და ა. შ.), რაც აუცილებელი იყო იმხანად ქართლში იერუსალიმური ღვთისმსახურების დასამკვიდრებლად. მცხეთაში, მაცხოვრის კვართის დაფლის უწმინდეს ადგილზე აგებული პირველი ქრისტ. ტაძრის – ქვემო ეკლესიის (დღევანდელი სვეტიცხოველი) – სახელწოდებებიც: „წმიდაჲ წმიდათაჲ“, „წმიდაჲ სიონი“, „დედაჲ ყოველთა ეკლესიათაჲ, მოციქულთა სახელობისა“ იერუსალიმს უკავშირდება. ფაქტობრივ, ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე მცხეთა ქართველთათვის მეორე იერუსალიმად, მის ხატად იქცა.



IV ს-იდან მოყოლებული, ქართველები შეუდგნენ ქრისტ. კულტურის გაცნობას და ახალდაარსებული ეკლესიისათვის საჭირო ლიტ-რის თარგმნასა და გავრცელებას. ამ მიზნით ქართ. ეკლესიის მოღვაწეთა და ქართ. მეფეთა მცდელობით შეიქმნა სამწერლობო და მთარგმნელობითი ცენტრები, ქართ. კულტურის მნიშვნელოვანი კერები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ახალგაქრისტიანებული ქვეყნის მოსახლეობისათვის განსაკუთრებული იყო ისტ. პალესტინის წმ. ადგილების მოხილვისა და მოლოცვის სურვილი. როგორც ჩანს, IV ს. II ნახ-იდან წმ. მიწაზე პირველი ქართველები გამოჩნდნენ. მათგან მხოლოდ ორი ცნობილი მოღვაწის სახელი შემოგვრჩა – ევაგრე პონტოელისა და უფლისწულ ბაკურისა. მაგრამ, ბუნებრივია, ამ პერიოდში წმ. მიწაზე, ალბათ, უკვე იქნებოდნენ ქართვ. პილიგრიმებიც. ამის დასტური უნდა იყოს ნაზარეთის ხარების ახ. კათოლიკური ეკლესიის ადგილას არსებული და V ს-ის I ნახ-მდე დანგრეული ძვ. ეკლესიის შელესილობაზე აღმოჩენილი სამი ქართ. გრაფიტო, რ-თაგან ერთ-ერთზე, სავარაუდოდ, დაქარაგმებული სიტყვა „გიორგი“ უნდა იყოს შემორჩენილი (ზ. ალექსიძე).

V–VI სს-ში წმ. მიწაზე ქართველთა ექსპანსია საკმაოდ ძლიერი იყო. ქართ. წარწერებიც ამ ტერიტორიაზე უფრო მეტად ამ დროით თარიღდება. თავდაპირველად ქართველები მკვიდრდებოდნენ ცნობილ სავანეებში, ქმნიდნენ საკრებულოებს, აშენებდნენ ჩამოსულ ქართველთათვის სასტუმრო სახლებს. იერუსალიმის პირველი მომლოცველები იყვნენ ქართველი მეფეები, სამეფო სახლისა და არისტოკრატიის წარმომადგენლები. ქართველები ღვთისმსახურებას მშობლიურ ენაზე აღავლენდნენ არა მარტო ქართლში (იბერია), არამედ პალესტინაშიც, წმ. საბასა და წმ. თეოდოსის ლავრებში, რასაც მოწმობს როგორც წმ. საბა განწმედილის ანდერძი (532), ასევე წმ. თეოდოსის (VI ს.) ბიოგრაფიც.

V–VI სს-ში წმ. მიწაზე ქართველთა მოძრაობის გეოგრაფია თანდათან გაფართოვდა. ქართველები ჩანან არა მარტო იერუსალიმსა და მის შემოგარენში, არამედ პალესტინის უდაბნოებშიც იმ დროისათვის უკვე დაფუძნებულ მონასტრებსა და ლავრებში, ასევე მათ მიერ აგებულ საკუთრივ ქართ. მონასტრებში. წმ. მიწაზე საქართველოდან ჩასულ მომლოცველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ, პეტრე იბერის ქართ. „ცხორების“ თანახმად, იგი არა მარტო მონასტრებსა და ეკლესიებს აშენებდა, არამედ საჭიროდ თელიდა სასტუმრო სახლების აგებასაც წმ. ქალაქში.

ძალზე მწირია ცნობები ამ პერიოდში წმ. მიწაზე მოღვაწე ქართველთა და თვით პეტრე იბერის მოღვაწეობის შესახებ; ასევე რთული პრობლემაა მის მიერ აშენებული ეკლესია-მონასტრების მოძიება და იდენტიფიკაცია.

მწირია როგორც უძველესი ქართული, ასევე უცხოენოვანი წყაროების ცნობები ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებაც, რასაც ობიექტური საფუძველი აქვს – ბევრი რამ გაქრა და განადგურდა ჟამთა სიავის, სპარსელთა შემოსევისა (VI ს.) თუ არაბთა ბატონობის შედეგად (VII–XI სს). ამასთანავე, თითქმის XVIII ს-მდე წმ. მიწაზე მოგზაურ ქართველებს, როგორც ჩანს, წესად არ ჰქონიათ სამოგზაურო შთაბეჭდილებების ჩაწერა (ელ. მეტრეველი). ადრე საუკუნეებში წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობისა თუ პილიგრიმობის შესახებ ცნობები გაბნეულია ქართვ. მოღვაწეთა და წმინდანთა „ცხორებებში“, ასევე ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებსა და აღაპებში. ასეთი ჩანაწერები კი, ძირითადად, XI საიდან დასტურდება. ასე რომ, არაბობამდელი პერიოდის ქართული თუ არაქართული ძეგლების მიგნება, მათი რაობის დადგენა საკმა-

ოდ რთული პრობლემაა თანამედროვე მეცნიერებისთვის, თუმცა აქა-იქ შემთხვევით გაბნეული და დღემდე შემორჩენილი წყაროების, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით მაინც ხერხდება წმ. მიწაზე ქართ. კოლონიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის აღდგენა.

1939 იერუსალიმში ძველი სასაფლაოს გათხრისას აღმოჩნდა პეტრე იბერის მიერ წმ. ქალაქში დავითის კოშკთან აგებული იბერთა მონასტრის იბერი წინამძღვრის (როგორც ეს ბერძნ. ტექსტშია აღნიშნული), სამუელის, საფლავის ქეა (VI ს.). წარწერა ბერძნულენოვანია, რადგანაც წინამძღვარი, მონასტრიდან მოცილებით, საერთო ქრისტ. სასაფლაოსეა დაკრძალული და არა იბერთა მონასტერში.

1952 ბეთლემის მახლობლად, სოფ. ბირ-ელ-კატში, იტალ. არქეოლოგმა ვ. კორბომ აღმოაჩინა პეტრე იბერის ერთ-ერთი ქართ. მონასტრის ნანგრევები. ამ ნანგრევებში გადარჩენილი ოთხი ქართ. მოზაიკური წარწერის მიხედვით (V–VI სს.), მონასტერი პეტრე იბერის მიერ წმ. თეოდორე ტირონის (IV ს.) სახელზე ყოფილა აგებული. აქვე ჩამოთვლილი არიან პეტრე იბერის წინაპრებიც. ამ წარწერათაგან ერთ-ერთში მოიხსენებიან ასევე მამა ანტონი და იოსია. მამა ანტონი, საფიქრებელია, იერუსალიმის ეკლესიის ის მღვდელი და წინამძღვარი ანტონ ქართველია, რ-იც, სვიმონ მესვეტის დედის – მართას „ცხორების“ მიხედვით, VI ს-ში იერუსალიმიდან შაე მთაზე მისულა.

2002 იერუსალიმის მახლობლად, არაბულ სოფ. უმლეიზუნში ისრაელელმა არქეოლოგმა ჯ. ზელიგმანმა შემთხვევით აღმოაჩინა ქართ. მონასტრის ნანგრევები ულამაზესი კრიპტითა და ქართ. ასომთაერული წარწერით (თაედაპირველად ჯ. ზელიგმანს მონასტერი ბიზანტიური ეგონა და ამის შესახებ სტატიაც კი გამოაქვეყნა). წარწერა მონასტრის წინამძღვრის იოპანე ფურტაველ ეპისკოპოსის საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი და V–VI სს-ით თარიღდება. საფიქრებელია, ეს მონასტერიც პეტრე იბერის იერუსალიმის მახლობლად უდაბნოში მოღვაწეობასთან იყოს დაკავშირებული.



წმ. ჯვრის მონასტრის წარწერა.

V–VI ს-იდან ქართველები რომ საკმაოდ იყვნენ წმ. მიწაზე, ამას ადასტურებს არა მარტო პეტრე იბერის „ცხორების“ ქართ.-სირიული ვერსიები, არამედ წმ. ჯვრის მონასტრის დღეისათვის განადგურებული კედლის მხატვრობის მნიშვნელოვანი ნაწილიც, რ-იც ცნობილი მეცნიერისა და მოგზაურის ტ. *გაბაშვილის* (XVIII ს.) აღწერილობით არის შემონახული.

V–VI სს-ში პალესტინის უდაბნოებში ქართველთა მოღვაწეობას ადასტურებს ასევე წმ. გერასიმე იორდანელისა და მისი მონასტრის შესახებ შემონახული რამდენიმე ბიზანტ. წყარო, რ-თა მიხედვითაც იუდეისა და იორდანეს უდაბნოში მოღვაწე ბერებს შორის ჯვაროსნებამდე და ჯვაროსანთა შემდეგაც იყვნენ ქართველი–იბერიელი ბერები, მესვეტეებიც კი, გამორჩეული თავისი რწმენითა და ღმრთისმსახურებით. აქვეა ცნობები იმ ქაროვ. ბერების შესახებაც, რ-ებიც კალამონში ცხოვრობდნენ. შემონახულია ასევე ცნობები კალამონის მონასტრის კედლებზე ქართ. წარწერების არსებობის შესახებ, ჯვაროსნებამდელ პერიოდშიც კი.

VII ს. სომეხი პილიგრიმისაგან ვიგებთ ასევე, რომ აღდგომის ეკლესიის კარიბჭესთან არსებობდა გოგარენთა (ქართველთა) და წმ. იოანეს ქართველთა მონასტერი.

არაბთა ბატონობამდე (V–VII სს.) ქართ. კოლონიის სიძლიერეზე მეტყველებს ისიც, რომ ქართველები ღვთისმსახურებას ქართულად აღაველენდნენ და ისიც, რომ VI ს-ში საბაწმიდის მონასტრის ერთ-ერთი მამასახლისი მარტეილი ქართველი იყო.

ქართველთა მიმოსვლა წმ. მიწაზე არ შეწყვეტილა თვით არაბთა ბატონობის ჟამსაც. IX ს-იდან შემორჩენილია ორი ცნობა, რ-თა მიხედვითაც 808-ში ოთხი ქართ. ბერი ცხოვრობდა ზეთისხილის მთაზე, ხოლო ქართვ. განდეგილი – გეთსიმანიაში.

არაბთა ბატონობის პერიოდში წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გრიგოლ ხანძთელისა (IX ს.) და ილარიონ ქართველის (X ს.) „ცხორებებს“. საბაწმიდაში მოღვაწეობდნენ გრიგოლის მოწაფეები არსენი და მაკარი. ამ უკანასკნელმა 864 გადაწერა სინური მრავალთავი – ერთ-ერთი უძველესი ქართ. თარიღიანი კოდექსი (ამჟამად დაცულია სინას მთის ქართ. კოლექციაში). გრიგოლმა თავისი ეკლესიისა და მონასტრის წესი განაწესა სწორედ საბაწმიდის მონასტრის ტიპიკონის საფუძველზე, რიც მისმა მოწაფეებმა გამოუგზავნეს მას წმ. მიწიდან.

ილარიონ ქართველის „ცხორებაში“ შემონახულია წმ. მიწაზე მოგზაურობის მოკლე აღწერა, რიც, ფაქტობრივად ერთადერთია შემორჩენილი ქართულ წყაროებში: „ილარიონმა წარიყვანა ძმაი ერთი და წარემართა წმიდად ქალაქად იწრუსალლაიმდ“.

VIII–IX სს-ში საბაწმიდაში მოღვაწეობდნენ ასევე სეით თარგმანი, უძველესი ჰაგიოგრაფიული კრებულის მთარგმნელ-შემდგენელი, და პიმნოგრაფი ბასილ საბაწმიდელი.

X ს-ში პალავრაში მოღვაწეთაგან ცნობილი არიან: სვიმონ მგალობელი – ერთ-ერთი ძველი იადგარის გადამწერი (ხელნაწერი სინას მთის ქართ. კოლექციაშია დაცული), თეოდორე და პაველე პალავრელები. აქვე 968 იოანე საფარელმა გადაწერა „იოვანე ოქროპირის ცხორება“.

IX–X სს-ში პალესტინაში არაბთა მიერ შეიწროებული ქართვე-



წმ. ნიკოლოზის მონასტერი.

ლები ნაწილობრივ აღარიან სა-
ხე და ხარიტოსის ლაქრებიდან
Λαὸς Θεοῦ გადათანაცვლებს.

V–X სს-ში ქართველები აქტი-
ურ ფუნქციას ასრულებენ პალესტი-
ნის მონასტრებისა და ლავრების
ინტერნაციონალურ საერებულო-
ებრივ-საქმიანობაში. ამ პერიოდში პალესტინაში სასულიე
და სხვადასხვა მონასტრებში გა-
ბნეული ქართველები ინტენსიურ მთარგმნელობით და მწერლობრულ საქმიანობას ეწეოდნენ. ქართუ-
ლად ითარგმნა წმ. მიწაზე გავ-
რცელებული ხალკიოსმისახერეო
წიგნები ლექციონარები, მრავალ-
თავები, თაფლარები, ქების წიგნე-
ბი უძველესი ნიმუშებით ასკეტიკური და ჰომილეტიკური ლიტერატურისა და სხვ. ამ თარგმანთა დი-
დი ნაწილის ორიგინალებს ჩვენამდე არ მოუღწევია, რის გამოც ქართ. თარგმანებს განსაკუთრებული, პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც ლიტერატურის მწერლობის, ასევე ქრისტ.



წმ. ელენეს და წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ბარძიმის ჭრელქვა. XVII ს.

აღმოსავლეთის კულტურისა და მწერლობის ადრეული ეტაპის შესწავლისათვის.

ქართვ. მწიგნობრებმა და მგალობლებმა დიდი სამუშაო ჩაატარეს ლიტურგიკის ჰიმნოგრაფიისა და გალობის პალესტინური (საბაწმიდური) სკოლის მიღწევების ქართულად გადმოსაღებად. ამიტომ ლიტურგიკული, ანუ (პალესტინური) ჰიმნოგრაფიის შესწავლა ქართ. მასალის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

X ს-ის ქართ. ენაზე შექმნილი იყო უძველესი ორიგინ. და სათარგმნი ჰიმნოგრაფია, სისტემური მწერლობა, ლიტურგიკული მწერლობის ძეგლები, სათარგმნი იყო ბიბლია, თარგმნებოდა და იწერებოდა სამონასტრო ტიპიკონები, იქმნებოდა ერთიანული კალენდრები, საკუთარი წელთაღრიცხვა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იერუსალიმის მიდამოებში აღმოჩენილი V–VI სს. რამდენიმე ბერძ. წარწერა. მეცნიერები დიდი ხანია ცდილობდნენ ამ წარწერებში დადასტურებული წელთაღრიცხვის დადგენას სხვადასხვა სისტემების გამოყენებით, მაგრამ უშედეგოდ. ათიოდე წლის წინ, ისრაელელი არქეოლოგი ლია დი სეგნი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხსენებულ წარწერებში შესაძლებელია ქართ. წელთაღრიცხვა იყოს გამოყენებული – ლაპარაკია ქორონიკონზე. ეს სისტემა საქართველოში პირველად VIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან დასტურდება, წმ. მიწაზე კი, ჩანს, გაცილებით ადრე გამოიყენებოდა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართველთა მჭიდრო



კონტაქტებს წმ. მიწაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან და, ბუნებრივია, მეტყველებს ქართ. თემის სიძლიერეზე ამ პერიოდში. ასევე მნიშვნელოვანია 2002 უმლეიზონში აღმონცნილ ქართ. წარწერაში (V–VI სს.) ეთნონიმ „ქართველის“ დადასტურება. ეს არის ამ ტერმინის უძველესი დამოწმება (ქართ. წყაროებში იგი მხოლოდ VII ს-იდან არის ცნობილი).

X ს-იდან, როდესაც დაიწყო იერუსალიმური სალვთისმსახურო პრაქტიკის კონსტანტინოპოლურით შეცვლა, გოლგოთაზე მოღვაწე ქართველებმა (XI ს. I ნახ-ში) შექმნეს იერუსალიმური პრაქტიკიდან კონსტანტინოპოლურზე გადასახველად საჭირო „შუალედური ხიდი“ – ქართ. ლიტურგიკული წიგნების კომპლექტები, რ-ებშიც უკვე არსებითი ცვლილებები იყო შეტანილი. ამ ცვლილებათა საფუძველზე ნელ-ნელა, ლოგიკურად და გააზრებულად ხდება ქართ. ღვთისმსახურების იერუსალიმური პრაქტიკიდან კონსტანტინოპოლურზე გადასვლა.

XI ს-ის 20–30-იან წლებში წმ. მიწაზე იწყება ქართველთა უმნიშვნელოვანესი კულტ.-მშენებრული და სას. ცენტრის – წმ. *ჯვრის მონასტრის* მშენებლობა წმ. ქალაქის მახლობელ უდაბნოში (დღეყანდელი დას. იერუსალიმი). მონასტრის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო წმ. მიწაზე მცხოვრები ქართველები, არამედ სამეფო ოჯახი, მთელი საქართველო და ათონის მთის ქართ. კოლონიის მოღვაწენი.

დაარსებისთანავე წმ. ჯვრის მონასტერი მთელი ქართ. კოლონიის წინამძღოლი გახდა. მისი წინამძღვარი ინიშნებოდა საქართველოდან და საუკუნეების მანძილზე (XVIII ს-მდე) იგი შუამავალი იყო საქართველოსა და იერუსალიმის პატრიარქს შორის.

XIII ს-დან იწყება მძიმე პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში. მონღოლების, ირანელების, თურქ-ოსმალების განუწყვეტელმა შემოსევებმა ქვეყანა და მისი ეკლესია ძალზე დაასუსტა. თუმცა ამის შემდეგაც ქართველები კვლავ დიდი პატივით სარგებლობდნენ იერუსალიმში, XIV–XV სს-შიც კი მათ ხელთ ჰქონდათ ქრისტეს საფლავის კლიტე. ისინი ასევე ეწეოდნენ ფართო სამონასტრო-აღმშენებლობით საქმიანობას. XIX ს-მდე ქართველები 40-ზე მეტ სავანე-მონასტერში მოღვაწეობდნენ. ამის შემდეგ მათი არსებობა წმ. მიწაზე არ დასტურდება.



უმლეიზუნი. იოანე ფურტაველ ეპისკოპოსის წარწერა. V ს.

ეკლესია-მონასტრები, რომლებიც ერთ დროს ეკუთვნოდათ ქართველებს:

1. წმ. იაკობ სპარსის (წმ. იაკობ დაჭრილის) მონასტერი იერუსალიმში, ღაეთის კოშკის მახლობლად (V–VI სს.).
2. წმ. თეოდორეს მონასტერი ბირელ-კატში, იერუსალიმის მახლობლად (V–VI სს.).
3. ახალშენებული ქართული მონასტერი უმლეიზუნში, იერუსალიმის მახლობლად (V–VI სს.).
4. წმ. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში (V–VII სს.; XI–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს. მდებარეობს ე.წ. ახალ იერუსალიმში.
5. წმ. იაკობის მონასტერი იერუსალიმში (XI–XII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოს და წარმოადგენს სომეხთა საკათედრო ტაძარს. მდებარეობს ძველი იერუსალიმის სომეხთა უბანში
6. წმ. სიმეონის (იგივე კატამონის) მონასტერი (XI–XVI სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ე.წ. ახალ იერუსალიმში.
7. წმ. იოანე მახარებლის მონასტერი ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში (XIII–XVI სს.); ამჟამად ეკუთვნის რომის კათოლიკური ეკლესიის ფრანცისკელთა ორდენს და ცნობილია, როგორც სალვატორეს (მხსნელის) მონასტერი. მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.
8. ცთუნების მთის მონასტერი (XII–XIV სს. ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს იერიქონის მახლობლად.
9. პრეტორიუმის მონასტერი (XIV ს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ვია დოლოროსაზე, ძველი იერუსალიმის მუსლიმთა უბანში.
10. წმ. თეკლას მონასტერი (XIII–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.



წმ. მარიამისა და წმ. ელისაბედის შეხვედრა. წმ. ჯვრის მონასტრის ფრესკა.





რუსთაველის ფრესკა დასიანებამდე





შოთა რუსთაველის ფრესკა დასიანებისა და რესტავრაციის შემდეგ.

11. წმ. გიორგის მონასტერი (XIII–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ებრაელთა უბანში.

12. წმ. ეკატერინეს მონასტერი (XIII–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.

13. წმ. დემეტრეს მონასტერი (XIII–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.

14. წმ. თევდორეს მონასტერი (XIII–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.

15. წმ. ნიკოლოზის მონასტერი (XIII–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.

16. წმ. ბასილის მონასტერი (XIV–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.

17. წმ. ანგელოზთა მონასტერი (XV–XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის სომეხთა უბანში.

18. წმ. ნიკოლოზის მონასტერი, იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქი (XVII–XVIII სს.). მდებარეობდა წმ. ჯვრის მონასტრის მახლობლად.

19. წმ. ანას (საიდნაიას) მონასტერი (XVII–XVIII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში.

20. წმ. აბრაამის მონასტერი (XVII–XVIII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს; მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანთა უბანში, წმ. საფლაოს ეკლესიის ეზოში.

ქართული და სხვაენოვანი წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილი წმ. მიწის ის ეკლესია-მონასტრები, რომელთა ადგილმდებარეობა დასაზუსტებელია:

1. მაიუმის საეპისკოპოსო ეკლესია (V ს.).
2. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (=დერტაჟი) (XI–XIII სს.).
3. ღერთუფას მონასტერი (XI–XII სს.).
4. კაპათას მონასტერი (XI–XIII სს.).
5. დეეთუბნის მონასტერი (XIII–XIV სს.).
6. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (XV ს.).

თ. მგალობლიშვილი.

პალესტინის წარწერები, ქართული ასომთავრული წარწერები,



პალესტინის ოთხთავი. 1048.

აღმოჩენილი 1952 იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ ბეთლემის მახლობლად, ბირ-ელ-კატის მიდამოებში, ქართ. მონასტრის ნანგრევების გათხრისას. წარწერები შესრულებულია მოზაიკით მონასტრის სატრაპეზოს იატაკზე და ეზოს სხვადასხვა ადგილებში და ამჟამად ინახება იერუსალიმში, ფრანცისკელთა მონასტერში. პირველად გამოაქვეყნა მ. თარხნიშვილმა 1954–1955. მის გამოცემაზე დაყრდნობით წარწერებზე დაკვირვებები გამოაქვეყნეს ალ. ღამბაშიძემ (1956), შ. ნუცუბიძემ (1959), ს. ყაუხჩიშვილმა (1959), კ. კეკელიძემ (1960), გ. წერეთელმა (1960), ე. ნანანიძემ (1974), ზ. სარჯველაძემ (1997).

პირველი პუბლიკაციის შემდეგ მიაჩნდათ, რომ აღმოჩენილი იყო ოთხი ქართ. წარწერა. სინამდვილეში კი ერთი, IV ნომრით აღნიშნული წარწერა, ლათინურია (მას სხვებიც ასეთად მიიჩნევენ. ამ დაზიანებული, ფრაგმენტულად მოღწეული წარწერის სამი ლათინური სტრიქონის დასაწყისის ზემოთ ორ სტრიქონში თითო ქართ. ასომთავრულ ასოსაც გაარჩევენ, მაგრამ ისინიც გაურკვეველი, რომელიღაც ლათინური ასოების ნარჩენებია); II და III ნომრებით აღნიშნული წარწერების ტექსტები ერთმანეთის გაგრძელებაა და, თუმცა ისინი ნაპოვნია მონასტრის ეზოს სხვადასხვა ადგილას, ერთ წარწერად უნდა მივიჩნიოთ; ცალკე დგას I ნომრით აღნიშნული წარწერა, რომელიც, მკვლევართა აზრით, სხვებზე გვიანდელია.

პირველი, ანტონი აბას და იოსიას წარწერის ტექსტი ასეთია:

„შეწევნითა ქ(რისტ)ჱსითა და მეოხებითა | წმიდისა თ(ეოდორ)ესითა, | შ(ეიწყალე)ნ ანტონი აბაჲ და იოსია – მო|მსხმელი ამის სეფისაჲ, და მა|მა-დედაჲ იოსიაჲსი, ამენ".

წარწერაში დასახელებულია მონასტრის წინამძღვარი აბა ანტონი და სეფის, ე. ი. მოზაიკის „მომსხმელი" ვინმე იოსია. მიიჩნევენ, რომ წარწერა გადაკეთებულია – ყოველ შემთხვევაში, ტექსტი პირველი-მეორე სტრიქონიდან მესამე სტრიქონში გადასვლისას გაუმართავია – არ ჩანს, თუ ვის სთხოვენ აბა ანტონისა და იოსიას (აგრეთვე, იოსიას დედ-მამის) შეწყალებას.

მეორე წარწერის ერთიანი ტექსტის პირველი ნაწილი ჩასმული ყოფილა ოთხკუთხა „სახელურებიან" ჩარჩოში. იგი, როგორც ჩანს, ხუთი სტრიქონისაგან შედგებოდა, თუმცა მკვლევრები ოთხსტრიქონიან წარწერად მიიჩნევენ. ამ ნაწილის ყოველი სტრიქონი 12–14 ასოსგან შედგებოდა. სრულად მოაღწია მხოლოდ პირველმა სტრიქონმა, მეორე და მესამე სტრიქონები ნაკლულია, მეოთხე სტრიქონიდან ერთი ასოა შემორჩენილი, ხოლო მეხუთე სტრიქონი მთლიანად წაშლილია. ამ წარწერის მეორე ნაწილი სამი მონაკვეთისაგან შედგება. თითოეული ჩასმულია ცალკე ოთხკუთხა ჩარჩოში, ისე რომ, ეს მონაკვეთები კვადრატული ფორმისაა. პირველი და მეორე მონაკვეთები ორსტრიქონიანია, თუმცა ზომით მისი ჩარჩოც წინა მონაკვეთების ჩარჩოების ტოლია. ეს ორი სტრიქონი (პირველი – სამასოიანი, მეორე – ოთხასოიანი) მონაკვეთებს შუაშია გამოყვანილი. მეორე ნაწილის სტრიქონები, პირველი ნაწილის სტრიქონებთან შედარებით, უფრო მოკლეა და საშუალოდ 5–7 ასოსაგან შედგება. მთლიანად ამ წარწერის ტექსტი, აღდგენილი ნაკლული ადგილებით, ასეთია:



პალესტინის
უდაბნოს ქართული
მონასტრის
წარწერა.
V ს. I ნახ.

„წმიდაო თეოდორ ე, მარუან და ბურზ(ე)ნ[-მიჰრ] [შ](ეიწყალ)ენ, ამი[ნ ეკ]ლ[ესიისა მა][შენებელ]ნი, ამენ]. და ძუძუელნი მათნი – ბა[კურ და გრი-ორმიზდ და ნ]აშობნი [მათნი, ქ(რისტ)ე, [შ(ეი)წყალ)ენ, ამენ".

პ. V-ს მ. თარხნიშვილი ერთიანად VI ს-ით ათარიღებდა. პირველ, აბა ანტონისა და იოსიას, წარწერას კ. კეკელიძე ათარიღებს 614–620-ით, გ. წერეთელი – 532–552-ით, შ. ნუცუბიძე – 711–718-ით; ზ. სარჯველაძე, ისევე როგორც პალესტინის სხვა წარწერებს – VI ს-ით. მეორე და მესამე, ანუ მარუან და ბურზენ-მიჰრისა და ბაკურ და გრი-ორმიზდის წარწერებს გ. წერეთელი ათარიღებს 430-იანი წლებით. მისი დასკვნით, „ეს წარწერები არიან



პალესტინის
უდაბნოს ქართული
მონასტრის
წარწერა.
V ს. I ნახ.

უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს". ამ თვალსაზრისს, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ყველა მკვლევარი არ იზიარებს.

ლიტ.: თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი მ., ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბეთლემში. – «ბედი ქართლისა», ტ. XVI, პარიზი, 1954 (იხ. მ. თარხნიშვილი, წერილები, თბ., 1994); ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ქართული წარწერები იერუსალიმში. – «კომუნისტი», 1959,4 იანვ.; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ქართლის ცხოვრების ცნობები. – წგ-ში: ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბ., 1959; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად და მისი მოზაიკური წარწერა. – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VI, თბ., 1960; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960; ნ ა ნ ა ნ ი ძ ე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974; ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997; Le inscrizioni musive del monastero di Bir el-Qatt. Studio del rev. M. T a r c h n i s v i l i, წგ-ში: V i r g i l i o C o r b o O. F. M., Gli scavi di Kh. Siyar el-Ghanam (Campo dei Pastori) e i monasteri dei dintorni, Gerusalemme, 1955.

ვ. ხილთვავა.

პალიმფსესტი (< ბერძნ. Palimpsēston < palin – ისევ, კვლავ, psaō – ვფხეკ, ვრეცხავ), ხელნაწერი (ჩვეულებრივ, ეტრატი), რ-ის ფურცლები გადარეცხვის შემდეგ ხელმეორედ არის გამოყენებული საწერ მასალად. ეს გამოწვეული იყო ტყავის უკმარისობით. ამიტომ გადამწერები ხმარებიდან გამოსულ ტექსტებს შლიდნენ, საწერად გამოყენებულ სალებავს, ანუ მელანს რეცხავდნენ რძით ან რძის შემცველი სითხით. გასუფთავებულ ეტრატზე ხელმეორედ იწერებოდა ახ. ტექსტი. მაგრამ ხელნაწერის ფურცლებს, საგულდაგულო გადარეცხვის მიუხედავად, მაინც აქვთ შემორჩენილი ძვ. ტექსტის კვალი და ქვედა ფენის ამოკითხვა ძნელად, მაგრამ ზოგჯერ მაინც შესაძლებელი ხდება.

პ-ებისადმი ცხოველი ინტერესი ჩვენში XX ს-ის 20-იანი წლებიდან ჩნდება. მათი აღმოჩენა და ამოკითხვა ი. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართ. პ-ების რაოდენობა 2000-მდე ფურცელს აღწევს. მათ შესწავლაზე მუშაობდნენ ა. შანიძე, ი. აბულაძე, ლ. ქაჯაია, ბირმინგემის უნ-ტის პროფესორი ჯ. ნ. ბერძოლი. მათ მიერ ამოკითხული მასალის წყალობით ჩვენამდე მოაღწია უძველესმა, V–VIII სს. წერილობითმა ძეგლებმა, რ-ებიც დღეს „ხანმეტი" და „ჰაემეტი" პ-ების სახელით არის ცნობილი. ამოკითხული მასალა სას. მწერლობის მრავალ დარგს მოიცავს: ბიბლიურს, ჰაგიოგრაფიულს, ლიტურგიკულს, ჰომილეტიკურსა და მოციქულთა აქტებს. გადარეცხილმა მასალამ დაადასტურა, რომ V ს-ში იქმნებოდა არა მარტო ნათარგმნი, არამედ ორიგინალური ძეგლებიც.

უძველესი ქართ. ტექსტების აღმოჩენამ დიდი გამოხმაურება პოვა საზღვარგარეთაც (რ. ბლეიკი, ი. მოლითორი, ჯ. ნ. ბერძოლი, კ. გრივენი და მ. იოვი).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1923, ტ. 3; მ ო ლ ი თ ე ა., ხანმეტი მრავალთავი. – იქვე, 1927, ტ. 7; მ ო ლ ი თ ე ა., ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები. – «ენიმკის მოამბე», 1937, ტ. 2, ნაკვ. 1; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; ქ ა ჯ ა ი ა ლ., ხანმეტი ტექსტები, ნაკვ. I, თბ., 1984; B i r d s a l l J. N., A second Georgian recension of the Protevangelium Jacobi. – «Le Muséon», t. 83, fasc. 1–2, Louvain, 1970; მ ო ლ ი თ ე ა., Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind Georg. 2. – «Oriens Christianus», Bd. 55, 1971; მ ო ლ ი თ ე ა., Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I Esdras. – «Le Muséon», t. 85, fasc. 1–2, Louvain, 1972; K a d z a i a L., Die älteste georgische Vier-Evangelien-Handschrift. Aus dem georgischen übersetzt von H. Greeven und M. Iob, Bochum, 1989.

ლ. ქაჯაია.

პარადიგმა (< ბერძნ. paradeigma – მაგალითი, ნიმუში). 1. ერთობლიობა სიტყვის (ძირის, ფუძის) გრამატიკულად განპირობებული ფორმებისა, რ-ებიც ერთსა და იმავე კონტექსტში (*მორფემა, სინტაგმა, ფრაზა*) გამორიცხავენ ერთმანეთს, ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან მიმართებაში in absentia (შდრ. სინტაგმა). მაგ., ერთი და იმავე სახელის ბრუნვის ფორმები



ქართულ-ებრაული პალიმფსესტი VI–VII ს.

(კაცი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის...) ქმნიან ბრუნების პ-ს; ზმნის ცვლა პირის მიხედვით (მ-აქვს, გ-აქვს...) იქნება უღლების პ. და ა. შ.

2. ერთ-ერთი სიტყვის ფლექსიური ცვლა (ბრუნება, უღლება), როგორც ნიმუში მსგავს სიტყვათა ცვლისათვის. მაგ., ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ფუძეკუმშული სახელებისათვის ასეთი პ-ებია წარმოდგენილი: ა ხმოვნის კუმშვისათვის – სტუმარი, სტუმრის, ე ხმოვნის კუმშვისათვის – სომეხი, სომხის და ა. შ. *ი. ქობალავა.*

პარადიგმატიკა, I. მიმართებათა ორი ტიპიდან ერთი (უპირისპირდება *სინტაგმატიკას*), როდესაც ენობრივი ერთეულები ერთსა და იმავე კონტექსტში ვამორიცხავენ ერთმანეთს (იხ. *პარადიგმა*), ანუ შეუძლიათ ჩანაცვლონ ერთმანეთს. ქვემოთ ენობრივი ერთეული, რ-ებიც ეკუთვნიან ერთსა და იმავე პარადიგმას, იმყოფებიან პარადიგმულ მიმართებაში.

პარადიგმული მიმართებები შეიძლება დადგინდეს ლინგვისტური ანალიზის ყველა დონეზე. მაგ., სიტყვებში: დარი, თარი, ტარი ა ფონემის წინ პოზიციაში ერთმანეთს ჩანაცვლებიან დ, თ, ტ პარადიგმის წევრები; ბრუნვის ფორმები – კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის... არასიდეს შეგვხვდება ერთსა და იმავე სინტაქსურ კონტექსტში. ასევე წინადადებაში „დათი ტყის ბინადარია“, სიტყვას „დათი“ შეიძლება ჩანაცვლოს ტყის სხვა ბინადართა სახელები: ლომი, ეშფხი, აფთარი, მგელი, ტახი და ა. შ.

2. მოძღვრება პარადიგმულ მიმართებათა შესახებ. *ი. ქობალავა.*

პარატაქსი (ბერძნ. parataxos – მიმდევრობითი განლაგება), თანწყობა, გრამატიკულად თანასწორუფლებიანი ენობრივი ერთეულების სინტაქსური კავშირი. პარატაქსული კავშირი მყარდება შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს შორის („მე ეკტრფი ძლიერ ტფილისის პაპას, ნიკო ფიროსმანს და საათნოვას“ ლ. ასათ.), ორ (ან მეტ) წინადადებას შორის, რებიც წარმოადგენენ *რთული წინადადების* ნაწილებს („ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა, წუნარად აცურდა ნარნარი მთვარე, ძილს მისცემია მშვიდი მინდორი და დაფიქრებით დგას მთა მდუმარე“, გ. ტაბ.). ასევე *დიალოგის* რეპლიკებს შორისაც, როგორც კავშირის პერიფერიული სახე, ფუნქციონირებს *მარტივ წინადადებაშიც*, თუმცა არ გააჩნია კონსტიტუციური მნიშვნელობა, რადგან ვერ ქმნის ახალ სინტაქსურ პოზიციებს (იყენებს უკვე არსებულს).

პ-ის სპეციფიკას ზოგჯერ განიხილავენ მისი შენაცვლებადობის უნარის მიხედვით: პრინციპულად შესაძლებელია თანწყობილი წინადადების შემადგენელ მარტივ წინადადებებს ადგილი შეუცვალოთ ისე, რომ არ შეიცვალოს მნიშვნელობა.

რთული წინადადების სინტაქსში, როგორც ჩანს, პ-ს უპირისპირებენ ჰიპოტაქსს, მაგრამ სინამდვილეში ოპოზიცია მათ შორის არ არსებობს, ვინაიდან მათი ფუნქციები შეუთავსებელია: ჰიპოტაქსი გამოავლენს ერთმანეთის მომდევნო წინადადებათა შინაარსობრივი დამოკიდებულების განსხვავებულ სახეებს, პ-ისათვის კი ეს ასპექტი არააქტიურია. პ-ის დანიშნულებაა, დაახასიათოს წინადადებათა მიმდევრობა არა იერარქიის თვალსაზრისით, არამედ განაწილებისა და კოორდინირების მიხედვით.

პარატაქსული წინადადებები კავშირიანი ან უკავშიროა (მხოლოდ ინტონაციით გამოხატული). კავშირად იხმარება მაერთებელი, მაპირისპირებელი, მაცალკევებელი კავშირები.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკა, II, თბ., 1957; დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996; Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1969; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990. *ლ. კვანტალიანი*

პარაფრაზი. პ ე რ ი ფ რ ა ზ ი (ბერძნ. paraphrasis. periphrasis – აღწერა, გადმოცემა), გარდაქმნა, აღწერითი სიტყვასაქცევი; სალიტ. ენაში ხმარებული სტილისტიკური ხერხი, როცა სხვის მიერ მოკლედ ნათქვამი ვრცლად (ოღონდ ადვილად გასაგები ფორმით) გადმოიცემა საკუთარი სიტყვებით; მთელი ფრაზით ან წინადადებით იმის გამოხატვა, რაც ერთი (ან ორი) სიტყვით შეიძლება გამოითქვას. პ-ის საშუალებით რეალური საგნები და მოვლენები არაპირდაპირ, გადაკერით ან პერიფრაზული მინიშნებით მოიხსენიება; ამასთან, წინ წამოიწევა აღსაწერი ცნების ესა თუ ის მნიშვნელოვანი ნიშანი ან სიტუაცია. განსაკუთრებით ხშირია დასუსხვა ცნობილი ლიტ. ნაწარმოებებიდან. პ-ის ძირითადი დანიშნულებაა საობქმელისაოვის მეტი გამომსახველობის მინიჭება მსმენელზე ძლიერი ზემოქმედების მოსახდენად.

პ., ჩვეულებრივ, აგებულია ტროპების (*მეტაფორის, მეტონიმიის, სინეკდოქის* და სხვ.) საფუძველზე. ასეთი პ-ები უპირატესად ემოციურ-შეფასებითია. მაგ., ყვავილთა მეფე (ვარდი), ცხოველთა მეფე (ლომი), ფრინველთა მეფე (არწივი), უდაბნოს ხომალდი (აქლემი), ტყის სანიტარი (მგელი); ზოგჯერ (განსაკუთრებით ზღაპრებში) პ. ერითმება ძირითად სიტყვა-ტერმინს (მაგ., მელია-კუდიგრძელია).

ზოგიერთი ცნება რამდენიმე პარალელური პ-ით მოიხსენიება. მათ შორის აღსანიშნავია პირველ ყოვლისა ღმერთი, რომლის პარაფრაზული ვარიანტებია: მამაზეციერი, არსთა გამრიგე, გამჩენი, დამბადებელი, შემოქმედი, და სხვ.

პ. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ან ქალაქის მინიშნებით დასახელებისას. ხანგრძლივი ტრადიციებით განმტკიცებული პარაფრაზული გამოთქმებია: აღთქმული მიწა (ისრაელი), ამომავალი მზის ქვეყანა (იაპონია), მარადიული ქალაქი (რომი). აშშ-ის ყველა შტატს შერჩეული აქვს პარაფრაზული სახელები, მაგ.: ოქროს შტატი (კალიფორნია), მარადმწვანე შტატი (ვაშინგტონი), მაგნოლიის შტატი (მისისიპი) და სხვ.

პირთა და გეოგრ. სახელთა საიდენტიფიკაციოდ პ-ის გამოყენება ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით ერთ-ერთი მარტივი და პროდუქტიული საშუალებაა. მაგ., ვეფხისტყაოსნის ავტორი (შოთა რუსთაველი), საქართველოს დედაქალაქი (თბილისი) და სხვ. მათ „ობიექტურობით" რამდენადმე უახლოვდება: გვირგვინოსანი (მეფე), დღის მნათობი (მზე), ღამის მნათობი (მთვარე), სუსტი სქესი (ქალი), ძლიერი სქესი (მამაკაცი), მეორე ნახევარი (ცოლი), მეორე პური (კარტოფილი) და ა. შ.

საბჭოთა ეპოქამ წარმოშვა გარკვეული სტერეოტიპული პ-ები: მწვანე ოქრო (ჩაი), მწვანე მეგობარი (ტყე). შავი ოქრო (მარგანეცი; ამავე ნიშნით ქ. ჭიათურას შავი ოქროს ქალაქი ეწოდა) და ა. შ.

ზოგჯერ პ. ეეფემისტური ხასიათისაა, მაგ., ამ სტრიქონების დამწერი (მე, ავტორი), თქვენი მონამორჩილი (მე) და ა. შ.

პ-ად შეიძლება იქცეს მხატვრული ლიტ-რის ფაქტი. ტრად. და საყოველთაოდ მიღებულ პ-ად ითვლება „მჭმუნვარე სახის რაინდი" დონ-კიხოტის აღსანიშნავად. ჰეტრე პირველი „სპილენძის მხედრად" იწოდება პუშკინის ამავე სახელწოდების პოემაში. ნაკლებ პოპულარულია ფილოსოფოს ი. კანტის პარაფრაზული სახელი „კენიგსბერგელი ჩინელი" (დასტურდება გრ. რობაქიძის „ფალესტრაში").

გარდა მხატვრული ლიტ-რისა, პ. ხშირად გამოიყენება პუბლიც. და ზეპირ (როგორც საჯარო, ისე სასაუბრო) მეტყველებაში, სამეცნ. მეტყველებაში კი იგი ტერმინად ქცევის ტენდენციით ხასიათდება და, ამდენად, მოკლებულია ექსპრესიას. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ხერხდება ტერმინთა ან ტერმინისებულ გამონათქვამთა გაცოცხლება. მაგ., დეკარტის ცნობილი გამოთქმა cogito ergo sum („ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ"). პარაფრაზირების გზით სხვადასხვა დროს ასე გარდაითქვა: amo ergo sum („მიყვარს, მაშასადამე, ვარსებობ", E. Mounier), canto ergo sum („ვმღერი – მაშასადამე, ვარსებობ", ნ. ანდღულაძე).

პ-ის გრამატიკული სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ სახელური შესიტყვებები მაინც საგრძნობლად ჭარბობს. ძირითადი სახეებია: არს. სახ. (ნათ. ბრში) +არს. სახ. (ფრინველთა მეფე); ზედს. სახ. (ან მიმღეობა) + არს. სახ. (მარადიული ქალაქი). გვხვდება ამ ორი სტრუქტურის კომბინაციაც (ამომავალი მზის ქვეყანა).

ლიტ.: Балли Ш., Французская стилистика. М., 1961; Ахманова О.С., Словарь лингвистических терминов, М., 1969; Розенталь Д. Э., Практическая стилистика русского языка, 5-ое изд., М., 1987; Лингвистический энциклопедический словарь,М., 1990.

შ. აფრიდონიძე.

პარონიმები (ბერძნ. paránymon < para – თან, ახლოს და ónyma – სახელი), გარეგნულად (ბგერობრივად, ულერადობით) მსგავსი, შინაარსით კი განსხვავებული სიტყვები, რ-თა გამოყენებისას შეიმჩნევა მათი აღრევა. მაგრამ პ-ის გაჩენა მხოლოდ მსგავსებით არ აიხსნება, უმეტეს შემთხვევაში იგი შესაბამის სიტყვათა მნიშვნელობის უცოდინრობით არის გამოწვეული. მაგ: მცნება – ცნება, აღქმა – აღთქმა, სწავლა – სწავლება, თარგმნა – თარგმანი და მისტ.; მხატვრული ლიტ-რის ენაში პ-ები შეიძლება სტილისებულად, კალამბურებისათვის გამოიყენებოდეს, ჩვეულებრივ კი, მათ გამოყენების თავისი, განსხვავებული ლექსიკური სემანტიკა და სტილისტიკური შესაძლებლობები აქვთ, რ-თა გათვალისწინება აუცილებელია გამართული მეტყველებისათვის. ამიტომ მათი გამოვლენა და ახსნა აუცილებელია სალიტ. ენის განვითარების პროცესში.

ვიწრო მნიშვნელობით პ-ად ითვლება საერთო ძირის მქონე სიტყვები (თარგმნა – თარგმანი, სწავლა – სწავლება...), ფართო გაგებით კი – სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვებიც, რ-ებიც შემთხვევით ჰგვანან ერთმანეთს (აღქმა – აღთქმა). იმისათვის, რომ ლექსიკური ერთეულები პ-ად ჩაითვალოს, საკმარისი არ არის მათი მხოლოდ გარეგნული (თუნდაც ძალზე მიახლოებული) მსგავსება; თეორიულად მათი პ-ად მიჩნევა ვერ მოხერხდება, თუ არ არსებობს სიტყვახმარებაში მათი აღრევის ფაქტი (ფაქტები). პ. გამოიყოფა უმეტესად ნასესხებ ლექ-

სიკაში (პენალი – პენალტი, ადრესატი – ადრესანტი, დიპლომატი – დიპლომანტი და სხვ.), მაგრამ საკმაოდაა ორიგინალურ ქართ. ლექსიკაშიც; უმოთ დასახელებულთა გარდა, ასეთებია ზედსართაული სახელები: დაბალი – მდაბალი, ახლობელი – მახლობელი და სხვ. ქართ. ენის პ-ის ლექსიკონი ჯერჯერობით არ არსებობს მასალის სიმცირის გამო.

ლიტ.: ლეონაძე ო., პარონიმია თანამედროვე ქართულ სიტყვახმარებაში. – «ქსკ», წგ. 4, თბ., 1981; Трудные случаи употребления эднокоренных слов русского языка. Составили Ю. А. Бельчиков и М. С. Панюшева, М., 1968; Колесников Н. П., Словарь паронимов русского языка, Тб., 1971, Вишнякова Щ. В., Словарь паронимов русского языка, М., 1984.

თ. ლეონაძე.

პარონიმთა ლექსიკონი, სპეციალური ლექსიკონი, რ-იც თავს უყრის და განმარტავს *პარონიმებს* – აგებულება-ჟღერადობით მსგავს და მნიშვნელობით განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს. პ. ლ. ძირითადად ნორმატიული – ორთოგრაფიულ-ორთოეპიური – დანიშნულებისაა, ვინაიდან მიზნად ისახავს, დაასწავლოს მომხმარებელი (მკითხველი) პარონიმულ ერთეულთა ურთიერთჩანაცვლებისაგან, აღრეცისაგან (მაგ., დიალექტური – დიალექტიკური, კონიუქტურა – კონიუნქტურა, ცნება – მცნება, აღქმა – აღიქმა და მისტ.). სწორედ ამიტომ ლექსიკონში პარონიმები წარმოდგენილია წყვილად, მიმსგავსებულ ერთეულთა პარალელის სახით, შესაბამისი ღეფინიციითა და ილუსტრაციითურთ.

ლიტ. იხ. სტატიასთან პარონიმები.

ა. არაბული.

პარონიმია, *პარონიმების* აღრევა მეტყველებაში ლინგვოსტილისტიკის თვალსაზრისით. მხატვრული ლიტ-რის ენაში პარონიმიებით მანიპულირებას ხშირად მიმართავენ და მაშინ იგი მხატვრულ ხერხად აღიქმება.

ენათმეცნ. თვალსაზრისით პ. სტილისტიკური შეცდომაა. ქართ. სიტყვათაგან პ-ის მაგალითი იქნება: უბრო – უბარი. შეუფერებელია სიტყვაოშეხამება „უბარი მეგობარი" ან „უბრო წამალი", უნდა იყოს „უბრო მეგობარი", „უბარი წამალი"; პ-ის ნიმუშებია აგრეთვე მოუხადა და გადაუხადა სიტყვების აღრევა ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში: „მადლობა მოუხადა", ნაცვლად სწორი გამოთქმისა „მადლობა გადაუხადა" (შდრ. „ბოდიში მოუხადა"); ასევე პ-ის მაგალითია სიტყვა „მცხოვრების" მაგიერად სიტყვა „მაცხოვრებლის" ხმარება და სხვ. პ-ის შემთხვევები ხშირია უცხო სიტყვათა გამოყენებისას, მაგ., კომპანია – კამპანია სიტყვების გამოყენებისას შეცდომაა „ყოველი მნიშვნელოვანი კომპანიისას ეწყობა რეიდები"... (გაზეთიდან); ანდა: „თავს ვერ აღწევენ ცუდ კამპანიას". უნდა იყოს: „მნიშვნელოვანი კამპანია" და „ცუდი კომპანია".

ლიტ. იხ. სტატიასთან პარონიმები.

თ. ლეონაძე.

პარონომაზია, პარონომასია (< ბერძნ. parönomasia < para – ახლოს და onomazō – ვასახელებ), სტილისტიკური ფიგურა, რ-შიც ერთი და იგივე ზმნა ორი განსხვავებული (პირიანი და უპირო) ფორმით არის წარმოდგენილი და ერთ ზმნურ მნიშვნელობას გადმოსცემს. პ. სემიტური ენებისათვის, განსაკუთრებით ებრაულისათვის, დამახასიათებელ მოვლენად არის მიჩნეული. ებრაულში პ. გადმოიცემა ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოები ორი ფორმით, რ-თაგან ერთი ინფინიტურია, ხოლო მეორე – ფინიტური. ეს ფორმები უშუალოდ მოსდევენ ერთმანეთს.

პ-ს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართ. სალიტ. ენის ისტორიაში. განსაკუთრებით ხშირია პ-ის შემთხვევები ბიბლ. ტექსტების თარგმანებში. ქართ. ბიბლ. ტექსტებში პ. შედგება *მასდარისა* და პირიანი ფორმისაგან. მაგ., „კითხვით მკითხავდა ჩუენ კაცი იგი ნათესავსა ჩუენსა (მცხ. Gn 43, 7)". სინტაქსურად პ. არის *შედგენილი შემასმენელი* და ცალკე სინტაქსურ ერთეულებად არ იშლება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს თავის სპეციფიკურობას.

ქართულში, ისევე როგორც ებრაულში, პ-ის შემთხვევათა დიდი წილი პირობით და ბრძანებით წინადადებებს მოდის: „უკეთუ განვრცობით განივრცეს უფალმან ღმერთმან საზღვარნი შენნი (მცხ. Dt 19, 8)".

ფუნქციურად ქართული პ. იმეორებს ებრაულს, კერძოდ, გამოხატავს მოქმედების ინტენსივობას, აგრეთვე, განმეორება-ხანგრძლივობასაც: „... რამეთუ მეფობით მეფობდე შენ და მიიწიოს უფლება შენი ყოველსა ზედა ისრაელსა (მცხ. J Sam 24, 21)". წარსულში მომხდარი პ. ხაზს უსვამს ამ მოქმედების ნამდვილად, ჭეშმარიტად შესრულებას: „და ეაცსა მას ცოდეისასა ძიებით ეძიებდა მოსე (ოშკი Lv 10, 16)".

პ-ის წყვილები ქართულში ასე ლაგდება: ჩვეულებრივ, მასდარი უშუალოდ წინ უსწრებს პირიან ფორმას, თუმცა, სემიტურისაგან განსხვავებით, ქართულში პ-ის წყვილთა შორის შეიძლება ჩართული იყოს სხვა სიტყვებიც, უმეტესად ნაცვალსახელები ან ნაწილაკები. მაგ., „და იყოს სმენით თუ ისმინეთ მცნებანი უფლისა ღვთისა თქუენისანი... (მცხ. Dt 28,). აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელთა ჩართვისას იცვლება პ-ის წყვილთა რიგიც – პირველ ადგილს იკავებს ზმნის პირიანი ფორმა: ‚არა მოკლათ იგი მოკლეით (მცხ. Gn 37, 22)".

ებრაულისა და, საერთოდ, სემიტური ენებისაგან განსხვავებით, ქართულში გვხვდება პ-ის შემთხვევები, როდესაც იგი გადმოიცემა ორი სინონიმური ძირიდან ნაწარმოები ფორმებითაც:

„...ყოველი რომელი შეეხოს მთასა, სიკუდილითა აღესრულოს (მცხ. Ex 9, 2)". ამგვარი პ-ის საფუძველი თვით ქართულში, განსაკუთრებით მის დიალექტებში უნდა ეძიოთ.

ლიტ.: წერეთელი კ., პარონომაზია ქართულში (პარონომაზიის შემთხვევები ძველ ქართულ ტექსტებში). – «იკე», VI, თბ., 1954; Reckendorf H., Über Paronomasie in den semitischen Sprachen, Biessen, 1909.

კ. წერეთელი.

პარხალი, ბაზილიკური ტაძარი, სამონასტრო კომპლექსი და ძვ. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, აშენებული 961–973 ტაოში, მდ. პარხლისწყლის ხეობაში. პარხალი ქართ. კულტურისთვის მნიშვნელოვანია როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლი, ასევე ტაძარში გადაწერილი, ან მასთან დაკავშირებული ხელნაწერებით და მათი ანდერძმოსა-



პარხალი. ქართლისა და ყოველისა აღმოსავლეთისა პატრიარქის – იოანეს წარწერა. 980–1001.

ხსენებლებით, ძვ. ქართ. წარწერებით.

ხუროთმოძღვრული ფორმებით პ-ის ტაძარი, ტაოში მდებარე ოთხთა ეკლესიასთან ერთად, გვიანდელი ბაზილიკების ერთ-ერთი ქველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. ტაძარი მკერივად ნაგებია, იგი თითქმის თავდაპირველი სახითაა მოღწეული. ჩანს, ეს იმის გამოც მოხდა, რომ XVI ს-იდან ამ ადგილებში ოსმალური მფლობელობის დამყარების შემდეგ ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა, რ-იც დღესაც მოქმედია.

პ-თან დაკავშირებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ძვ. ქართ. ხელნაწერი, რ-თა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი – პ-ის სახარება-ოთხთაეი, გადაწერილი 973 (A-1453) და პ-ის მრავალთაეი XI ს. დასაწყისისა (A-95).

პ-ის ოთხთავი ეტრატზე ასომთავრულით გადაწერილი ხელნაწერია (259 ფურცელი). მას რამდენიმე მნიშვნელოვანი ანდერძი აქვს, რ-თა შორის აღსანიშნავია ორი. პირველი ანდერძის მიხედვით, ხელნაწერი გადაწერილია „სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს – ღმრთიე დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთავისა“, იოვანეს მიერ, რის ნართაული სახელი ყოფილა ბერა. ამავე ანდერძში იოვანე-ბერა ხელნაწერის გადაწერის თარიღს წელთაღრიცხვის ორნაირი სისტემით ასახელებს – „დაიწერა დასაბამითგანთა წელთა ხფოზ (6577), ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რგჳ“ (193); ორიეე შეესატყვისება ჩვენი წელთაღრიცხვის 973-ს.

ხელნაწერის მეორე ანდერძში კიდეე ერთხელ არის დასახელებული დავით მაგისტროსი, აგრეთვე პ-ის მონასტრის წინამძღვარი ეფთიმე. აქვე აღნიშნულია, რომ ხელნაწერი „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას“, საიდანაც ჩანს, რომ 973-თვის პ-ის ტაძრის მშენებლობა ახალი დასრულებული ყოფილა. ანდერძის ბოლოს იოვანე-ბერა კიდეე ერთხელ მოიხსენიებს თავის თავს და წერს – „მე, იოვანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დაეწერე და პარხალს შეეწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა“. აქედან ცხადია, რომ იოვანე-ბერა შატბერდელი მოღვაწე ყოფილა და ხელნაწერიც მას იქ გადაუწერია.

ორიეე ანდერძში დასახელებული დავით მაგისტროსი არის ცნობილი დავით კურაპალატი, ტაოს მეფე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საფუძვლის დამდები. პ-ის ოთხთავში იგი პირველად იხსენიება მაგისტროსის ტიტულით, რაც ქრონოლოგიური საყრდენია X ს. საქართვ. ისტორიის მთელი რიგი საკითხებისათვის.

პ-ის ოთხთავის ტექსტი, სხვა ქართ. სახარებების ტექსტებთან შედარებით, განსხვაებული რედაქციისაა და ჯრუჭის I ოთხთავის (996) ტექსტთან ერთად ცალკე რედაქციას ქმნის. ამის გამო, იგი, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლი ძვ. ქართ. მწერლობისა, ადიშის სახარების (897) ტექსტის პარალელურად, ცალკეა მთლიანად გამოცემული.

პ-ის მრავალთაეი ეტრატზე ნუსხა-ხუცურით გადაწერილი დიდი მოცულობის (45,5 X 75,5 *სმ*) ხელნაწერია. შეიცავს 655 ფურცელს.

ანდერძის მიხედვით, იგი გადაწერილია პარხალშივე *გაბრიელ პატარაძის* მიერ, რ-იც ხელნაწერს „წმიდათა მოწამეთა საკითხაეებს“ უწოდებს. მას კრებულის შესადგენად დიდი მუშაობა ჩაუტარებია – „ესუ მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გაეისრულე“, – წერს იგი. ამჟამად ხელნაწერი შეიცავს 149 ნაწარმოებს – იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელისა და სხვა ბიზანტ. ავტორების ბერძნულიდან თარგმნილ თხზულებებს. მასში ჩართულია ქართ. ორიგინ. მწერლობის ძეგლები – „შუშანიკის წამება“, „ჰაბოს წამება“ და იოანე ბოლნელი ეპისკოპოსის ქადაგებანი (9 ჰომილია). აღსანიშნავია, რომ პ-ის მრავალთაეი ყველაზე ძველი ხელნაწერია, რშიც ეს თხზულებებია წარმოდგენილი: პირველი – V, მეორე – VIII და მესამე – IX სს-ებისა.

პ-ის ტაძარზე რამდენიმე ლაპიდარული და წითელი საღებავით შესრულებული წარწერაა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაძრის სამხრ. ფასადის შუა ნაეის კედელზე წითელი საღებავით, დიდი ზომის ასოებით შესრულებული 11-სტრიქონიანი წარწერა, რ-იც ეკუთვნის პ-ის

წინამძღვარს იოვანეს. იგი წარწერაში საქართვ. ეკლესიის მეთაურს მოიხსენიებს „ქართლისა და ყოველისა აღმოსავლეთისა პატრიარქის“ ტიტულით. წარწერა თარიღდება დაახ. კურაპალატის მეფობის წლებით, როდესაც ქართლის კათალიკოსი იყო იოვანე I ოქროპირი (980–1001). ესაა ქართლის კათალიკოსის სადღეისოდ ცნობილი უძველესი დასახელება პატრიარქის ტიტულით, რ-ის დაწესებაც უკავშირდება დაახ კურაპალატის სახელს და რ-საც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართვ. ეკლესიის, ისე მთლიანად საქართვ. ისტორიისათვის.

ლიტ.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შაბგერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. 5, თბ., 1955; ტ. 1, თბ., 1973; თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

ვ. სილოგავა.

პაუზა (ლათ. pausa < ბერძნ. páusis – შეჩერება, შეწყვეტა), მეტყველების შეწყვეტა, რასაც აკუსტიკურად შეესატყვისება სიწყმე (უბგერობა), ფიზიოლოგიურად კი – სამეტყველო ორგანოების შეჩერება. პ. ასრულებს ენობრივ ფუნქციებს: ანაწევრებს გამონათქვამს *ფრაზებად* და *სინტაგმებად*. მელოდიკის სხვა მახასიათებლებთან ერთად (*ინტონაცია, მახვილი, ტემპი*); შინაარსობრივად და ემოციურად გამოყოფს სიტყვას ან სინტაგმას; მიგვანიშნებს მეტ-ნაკლებად მჭიდრო კავშირზე გამონათქვამის წევრებს შორის.

ქართულში მეტყველების ნაკადის სინტაგმებად დაყოფისას პ. არის მნიშვნელოვანი საორიენტაციო ფაქტორი. ქართულისათვის სპეციფ. მოვლენაა პ. კავშირების (და, რომ, მაგრამ) შემდეგ (იხ. *მელოდიკა*). სინტაგმებს შორის პ. ფართოდ არის გამოყენებული უკავშირო რთულ წინადადებებში.

ი. თევდორაძე.

პერცეფცია (ლათ. perceptio – წარმოდგენა, აღქმა), (ფონეტ.) სამეტყველო ბგერათა, როგორც მოცემული ენის ბგერათა აღქმა. ბგერათა აღქმისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო აღსაქმელ ბგერათა ფიზიკურ მახასიათებლებს, არამედ იმასაც, თუ რომელი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელია მსმენელი, ვინაიდან მხოლოდ ფიზიკური მახასიათებლებით ფონეტ. ერთეულის დადგენა შეუძლებელია. ყოველ ენაში გაირჩევა ისეთი ულერადობები, რ-ებიც არსებითია ამ ენის სიტყვათა და წინადადებათა ფორმების შესადგენად და ერთმანეთისაგან გასარჩევად. ფიზიკური მახასიათებლების უზუსტესი აღწერაც კი არ იძლევა იმის საშუალებას, გავარკვიოთ, თუ რატომ მიიჩნევენ ერთსა და იმავე ბგერას სხვადასხვა ენის წარმომადგენლები სხვადასხვად, ანდა ამა თუ იმ ენის ორ სხვადასხვა ბგერას ერთ ბგერად (როგორც, მაგ., რუსები ან ინგლისელები – ქართ. ჩ და ჭ ბგერებს). ამისათვის საჭირო ხდება იმის გათვალისწინება, თუ როგორ აფასებს ერთი და იმავე ბგერით მონაცემებს (სიგრძეს, სიძლიერეს, სპექტრს...) სხვადასხვა ფონემატური სმენა, სხვადასხვა ენის *პერცეფციული ბაზისი*.

ზ. ჯაფარიძე.

პერცეფციული ბაზისი, ენობრივ (კერძოდ, ფონეტიკურ) საშუალებათა სისტემა, რ-იც სამეტყველო გამონათქვამის აღსაქმელად, გასაგონად გამოიყენება. ენის პ. ბ., როგორც სმენით საშუალებათა სისტემა, ენის ბგერითი წყობის ერთ-ერთი ფორმაა (იხ. *საარტიკულაციო ბაზისი*). პ. ბ. შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის წევრთა მეხსიერებაში მოცემულ ფონეტ. (სამეტყველო ნაკადის სეგმენტურ და ზესეგმენტურ) ერთეულთა ეტალონები და მათთან შედარების წესები. ფონეტიკურად განსხვავებული ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პ. ბ-ის როგორც ეტალონებით, ისე ამ ეტალონებთან შედარების წესებით. გამონათქვამის გაგონება შეიძლება განვიხილოთ როგორც პ. ბ-ის ეტალონებთან გატოლების, იდენტიფიკაციის თანმხლები პროცესი.

ენის პ. ბ. რეალურად ცალკეული ინდივიდის პ. ბ-ის სახითაა მოცემული. ენობრივი კოლექტივის (ენის, კილოს, კილოკავის) პ. ბ. შეიძლება გავიგოთ როგორც ის საერთო, რაც ახასიათებს მოცემული ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელთა პ. ბ-ებს.

ენის პ. ბ. ხასიათდება ზონისებრი ბუნებით, რაც გულისხმობს ეტალონთა იმ თვისებას, რ-იც საშუალებას გვაძლევს, აღვწეროთ ისინი გარკვეული ზონის სახით და მივუთითოთ ამ ზონის საზღვრებზე. სახელდობრ, თუ აღსაქმელი ბგერითი რეალიზაციის კორელატს სმენით ანალიზატორში წერტილის სახით წარმოვიდგენთ, მაშინ შესაბამისი ფონეტ. ერთეულის ეტალონი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ამგვარი წერტილებისაგან შემდგარი ზონა. ამ ზონას ქმნის ის წერტილები, რ-თა შესატყვისი ბგერითი რეალიზაციები მსმენელისათვის იდენტურია, ე. ი. სხვაობის მიუხედავად, გრძელიეობაში, ტონის სიმაღლეში და ა. შ. მათი აღქმა ხდება როგორც ერთი და იმავე ბგერისა (მაგ., თავკიდურ ა ხმოვანთა იდენტურობა სიტყვებში „ასი“ და „ასული“). ამგვარად, ეტალონის ზონაში ექცევა ის წერტილები, რ-თა ფიზიკური კორელატებიც მსმენელისათვის ერთ კლასს, ერთ კატეგორიას ქმნის (რაც შეპირობებულია აღქმის ერთ-ერთი ნიშნით – მისი კატეგორიულობით). ასეთ ზონას ეტალონის იდენტურობის ზონას ეუწოდებთ. მასთან ერთად, საჭიროა გამოიყოს მსგავსების ზონა, რ-იც უშუალოდ ესაზღვრება მას. ამ ზონაში მოხვდება ის წერტილები, რთა ფიზიკურ კორელატებს მსმენელი აღიქვამს როგორც იდენტურობის ზონის წერტილთა ფიზიკური კორელატების მსგავსებს. მაგ., ინგლისურის არმცოდნე ქართველი ხმოვანს სიტყვაში back აღიქვამს როგორც ბგერას, რ-იც ერთდროულად ე და ა ბგერებს ჰგავს.

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ზ., პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975.

ზ. ჯაფარიძე.

პეტრიწონის მონასტერი, ბანკოვოს მონასტერი, კულტურულ-საგანმანათლებლო



პეტრიწონი. საძვალე.



გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძენი. საძვალის ფრესკა.

კერა სა'სღვარგარეთ – ბი'სანტიის იმპერიაში (ახლანდ. ბულგარეთის ტერიტორია). 1083 დააარსა ბი'სანტ. პოლიტ. და სამხ. მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, მანვე შეუდგინა მონასტერს „ტი'პიკონი“ (წესდება) ქართ. და ბერძნ. ენებზე. (იხ. *პეტრიწონის მონასტრის ტი'პიკონი*).

პეტრიწონის სავანეში იყო სასწაულებელი, სემინარია, რ-იც ამზადებდა ქართველებს კულტ-საგანმ. საქმიანობისათვის. გავრცელებული აზრით, სემინარიას ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა *იოანე პეტრიწი*, რ-ის ლიტ.-ფილოს. სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართ. მწერლობა ბი'სანტიურს, დოგმატიკურ-ფილოს. წიგნების თარგმნითა და კომენტარით ხელი შეუწყო ქართ. ფილოს. აზრის განვითარებას.

პეტრიწონის ლიტ. მოღვაწეთაგან ცნობილია დავით პეტრიწონელი (XI ს.), ოქროპირ ტაოელი (XIV ს.), გრიგოლ კალიგრაფი (XIV ს.). XIV ს-ის ქართ. პეტრიწონული ხელნაწერი „დღესასწაულთა საკითხავი“ დაცულია ხელნაწ. ინ-ტში.

ლიტ.: მ უ ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის ძეგლები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

პეტრიწონის მონასტრის ტი'პიკონი, წესდება, რ-იც მონასტრის ამგებმა, ბი'სანტიის პოლიტ. და სამხ. მოღვაწემ, დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა, ეროვნებით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეადგინა მის მიერ აგებული მონასტრისათვის. ტი'პიკონი გრიგოლს ორ ენაზე შეუდგენია – ქართულად და ბერძნულად. ერთი ბერძნ. ცალი, როგორც ეურიდ. დოკუმენტი, სამეფო კანცელარიაში იყო დაცული კონსტანტინოპოლში, დანარჩენი კი მონასტერში რჩებოდა. ტი'პიკონის ქვეშა ცალი თვით გრიგოლის მიერ იყო დამოწმებული. გრიგოლის ხელიდან გამოსული ეს ადრეული დედნები ამჟამად დაკარგულია. 1949 ბულგარეთში გაემგზავრა სამეცნ. ექსპედიცია საქართველოდან, (ა. *შანიძე*, ს. *ყაუხჩიშვილი* და ო. გიგინეიშვილი. სოფიის სახელმწ. ბ-კაში შეშაობისას მათ აღმოაჩინეს ტი'პიკონის ქართ. ნუსხა, გადაწერილი XIX ს. ბოლოს (1954 ეს ნუსხა გამოსცა მ. თარხნი'შვილმა ბელგიაში). უფრო გვიან (1951) ცნობილი გახდა ტი'პიკონის ნუსხის არსებობა კ. ხიოსზე, კორაისის სახ. ბ-კაში. ხელნაწერი XIII ს-ისა აღმოჩნდა. ხიოსური ნუსხის ბერძნ. ნაწილი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა 1963, ხოლო ქართ. ტექსტი ხიოსის ხელნაწერის მიხედვით ა. შანიძემ დაბეჭდა ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონითა და რუსული თარგმანით [ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტი'პიკონი. ტი'პიკონის ქართული რედაქცია, თბ., (1971 ძველი ქართული ენის ძეგლები, 13)].

ტი'პიკონის ბერძნ. და ქართ. ტექსტები ძირითადად ერთი და იმავე შინაარსისაა, გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო სხვაობისა. გრიგოლი წერს, რომ „სიმტკიცე“, ე. ი. ეურიდ. ძალა ბერძნულ ტექსტს ჰქონია, ხოლო მონასტრის ძმებისათვის მას ქართ. ტექსტი შეუდგენია, „რამეთუ მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძნული წარკითხვაჲ“. მონასტრის ძმათა და თვისი ქართველობა გრიგოლს არაერთგზის აქვს ნახსენები, საიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, თი-

თქოს გრიგოლ ბაკურიანის ძე სომეხი იყო. ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ტიპიკონში დაწერილებით არის ჩამოთვლილი ის აღგილ-მამულები, გრიგოლმა რომ მონასტერს შესწირა; აქ არის აგრეთვე სიები სხვადასხვა ნივთებისა, რ-ებიც გრიგოლმა გადასცა მონასტერს; ნათქვამია, რომ მონასტერი განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან; განსაზღვრულია მონასტრის ძმების სარჩო, დაწერილებით არის აწერილი მათი ცხოვრების, მონასტრის ახ. წინამძღვრის დანიშვნის წესები და სხვ. ტიპიკონი ეძღვნება ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ გამოქვეყნებულ ქართ. ენის ძეგლს. ცნობილია, რომ XI ს. ძეგლთა უმრავლესობა სას. მწერლობის ნათარგმნი ძეგლებია, ტიპიკონი კი ქართველის მიერ ქართულად დაწერილი ორიგინ. თხზულებაა. მისი ლექსიკა მდიდარია და მრავალფეროვანი: ნამოთვლილია უამრავი რეალია, რთა აღმნიშვნელი ტერმინებიც უაღრესად საყურადღებოა; ძალ-



ჯერუწონის მონასტრის ტიპიკონი. ხიოსის ხელნაწერი XIII ს

ზე საინტერესოა სიტყვათა ისტორიის დასადგენად ზოგიერთი ტერმინის ხმარება. მაგ., ტექსტში გვხვდება სიტყვები: „გლეხი“, „ლარნაკი“ („კუბოს“ მნიშვნელობით), „ლიტონი“ (უბრალო), „ოსტიგანი“ (იგივე „კლარი“, ანუ სურსათ–სანოვაგის საქმის გამგე), „უღელი“, „უჯდური“ (რძის ნაწარმი), „ქორაკანდელი“ (ჩამოსაკიდებელი სანათური ჭაღი), „ჭელტობა“ (თავისკენ მიკერძოება) და სხვ. ტიპიკონში მრავლად არის აგრეთვე ბერძნულიდან ნასესხები სიტყვები, რთაც მნიშვნელობა აქვს იმდროინდელი ბერძნ. წარმოთქმის შესასწავლადაც. *მ. შანიძე*

პეჩი (Pätsch) გერტრუდ (დ. 22. I. 1910, აინბეკი, ჰანოვერის პროვინცია). გერმანელი ქართველოლოგი. დაამთავრა ქალთა ლიცეუმი. 1929 მიუნსტერის უნ-ტში სწავლობდა აღმოსავლურ ენებს. 1937 დაიცვა დისერტაცია ძვ. ქართ. ზმნის შესახებ. მოღვაწეობდა ბერლინისა და იენის უნ-ტებში. პ. ავტორია გამოკვლევებისა ძვ. ქართ. ზმნის სტრუქტურის, ქართულში ნასესხებ ფუძეთა და სიტყვის აღნაგობის, ქართ. ლიტ-რის, კერძოდ რუსთველოლოგიის, საკითხების შესახებ; ქართულიდან გერმანულად თარგმნილი აქვს „ქართლის ცხოვრება“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და სხვ.

ი. ქავთარაძე.

პირდაპირი დამატება, პირმიმართი დამატება (იხ. *დამატება*), რ-იც წინადადებაში ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახეობაა წარმოდგენილი.

პ. დ. გამოხატავს პირს, რ-საც ქვემდებარის მოქმედება ეხება უშუალოდ („კაცმა სახლი ააშენა“) ან სხვა პირის მეშვეობით („მეზობელმა კაცს სახლი ააშენებინა“). პ. დ-ის კითხვებია: ვინ, რა, ვის, რას. პ. დ. ბრუნვაცვალებადი ობიექტია.

პ. დ. ახლავს მხოლოდ გარდამავალ ზმნა-შემასმენელს. ქართულში იგი ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით. მისი ბრუნვებია: მიცემითი – ზმნა-შემასმენლის I სერიის ფორმებთან და სახელობითი- II და III სერიის ფორმებთან. („კაცი კლავს დათვს“. „კაცმა მოკლა დათვი“, „კაცს მოუკლავს დათვი“).

პ. დ. წინადადების მთავარი წევრია: იგი იმართვის ზმნა-შემასმენლისაგან ბრუნვაში და მართავს ზმნა-შემასმენელს პირში. ზმნურ ფორმაში პ. დ. მ-ს რიგის აფიქსებით არის წარმოდგენილი I და II პირში („მან მე და-მ-ხატა", „მან შენ და-გ-ხატა"). III პირში პ. დ-ს ნიშანი არა აქვს („მან ის და-ხატა).

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართულში, თბ., 1968; კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენის სინტაქსი I, თბ., 1973.

ქ. გაბუნია.

პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, XVII ს. რომში დაბეჭდილი ქართული გამოცემები. 1628 წლის 20 ივნისს რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზ-ბის, ე. წ. „პროპაგანდა ფიდეს", საგანგებო სხდომამ მიიღო დადგენილება, შექმნილიყო ქართ. ასოების პუანსონები და მატრიცები, რ-ებიც იხმარება როგორც სას., ისე საერო ტექსტებში, რათა ქართველებს შესძლებოდათ წიგნების ბეჭდვა საჭიროებისამებრ. სტამბაში ორი სახის შრიფტი უნდა ჩამოესხათ – ნუსხური და მხედრული.

1629 წლის 1 აგვისტოს „პროპაგანდა ფიდეს" წევრმა აქილეს ვენერიომ ხელი მოაწერა რომის პაპის ურბან VIII-დმი „მიძღვნას", რ-იც დაერთო პაოლინისა და ნიკიფორე ირბაქის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონს". ამით სათავე დაედო ქართ. ლიტ-რის ბეჭდურ ტრადიციას (იხ. *ჩოლოყაშვილი* ნ).

მხედრული შრიფტის ჩამოსხმის შემდეგ, საფიქრებელია, რომ დაბეჭდილი იქნებოდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ", რ-იც შინაარსობრივადაც და მოცულობითაც ჩამორჩებოდა „ლექსიკონს". როგორც ჩანს, მან ასოთამწყობისათვის ერთგვარად სავარჯიშო ტექსტის როლი შეასრულა, რითაც გაუადვილა მას შემდგომი ამოცანის გადაჭრა, კერძოდ, „ქართულ-იტალიური ლექსიკონის" დაბეჭდვა. ამავე დროს დაიბეჭდა აგრეთვე ნიკიფორე ირბაქის მიერ ლათინურიდან ქართულად თარგმნილი ლოცვა – „ლიტანია ლაურეტანა", წარსულში პოპულარული ლოცვა ღვთისმშობლისადმი. მისი ერთადერთი ეგზემპლარი აღმოჩნდა ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში". 1643 იმავე სტამბაში დაიბეჭდა ფრანჩესკა-მარია *მაჯოს* „ქართული გრამატიკა".

პირველი ქართ. ნაბეჭდი წიგნების რომში გამოქვეყნება ფასდაუდებელია ქართ. კულტ. ისტორიისათვის. XVII–XVIII სს. ნიკიფორე ირბაქისა და ს. პაოლინის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონი" და ფ.-მ. მაჯოს „ქართული გრამატიკა" წარმოადგენდა ერთადერთ ლინგვისტური შინაარსის წყაროს, რ-იც აკმაყოფილებდა სამეცნ.-შემეცნებით ინტერესს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენის – ქართულის მიმართ. ამ წიგნების მეშვეობით ეცნობოდნენ ქართ. ენას დას. ევროპის სამეცნ. წრეების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც არიან: გ.-ვ. ლაიბნიცი, ლ. ერვასი, ი.-გ. *სპარვენფელდი*, ნ.-კ. *ვიტსენი*, ზ.-ტ. ბაიერი, ა. აკოლუტოსი და სხვ.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ვ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.

ჯ. ვათეიშვილი.

პირთა სადაურობა-წარმომავლობის სახელები, სპეციფიკური წარმოების *ანთროპონიმები*, რ-ებიც პირთა სადაურობას აღნიშნავენ. ამგვარად ნაწარმოებ სახელთა საყრდენ ფუძედ, ჩვეულებრივ, გვევლინება პირის ადრინდელი საცხოვრებელი ადგილის (სოფელი, ქალაქი, ქვეყანა...) სახელწოდება (*ტოპონიმი*), რ-იც დაირთავს სადაურობის -ელ- (იშვიათად – -ურ-) სუფიქსს, რაც გვაწვდის წარმოქმნილ ერთეულში ნაგულისხმებ ინფორმაციას: თბილის-ელ-ი, ქუთაის-ელ-ი, ზუგდიდ-ელ-ი, ქობულეთ-ელ-ი, მუხრან-ელ-ი, აჭარ-ელ-ი, ფშავ-ელ-ი, მარტყოფ-ელ-ი, ახალციხ-ელ-ი; ბაგა-ურ-ი, ბოდა-ურ-ი (< ბოდა(ვ)-ურ-ი), ღულელა-ურ-ი, ხარხელა-ურ-ი, კონდოლა-ურ-ი, ლაშხა-ურ-ი, ხად-ურ-ი, ტაველ-ურ-ი (< ტაო-ელ-ურ-ი), ჭალის-ურ-ი, ქუთათ-ურ-ი, ჩოხ-ურ-ი, ჭოხ-ურ-ი...

ზოგჯერ ამგვარი წარმონაქმნები საგვარეულო -ძე, -შვილ და -ურ- სართების გარეშე დამოუკიდებელ ოფიციალურ გვარებადაც შეიძლება შეგვხვდეს: ბაზალ-ელ-ი, ამაშუკ-ელ-ი, გომართ-ელ-ი, იშხნ-ელ-ი, მურჯიკნ-ელ-ი, მეტრევ-ელ-ი (< მ-ეტრევ-ელ-ი; ეტრევი სოფელია ლიახვის ხეობაში), გოკი-ელ-ი, წერეთ-ელ-ი, (წერეთი სოფელია ქართლში, გორის რ.), ხინვ-ელ-ი (სოფ. ხინო) და მისთ.

შეინიშნება შემთხვევები, როცა ესა თუ ის გვარი ბოლოში ასევე -ელ- დაბოლოებით გვევლინება, მაგრამ მათ სადაურობა-წარმომავლობის სახელებად ვერ მივიჩნევთ: ბარათელ-ი, ბეწუკელ-ი, გაეაშელ-ი, გამრეკელ-ი, დარასელ-ი, ვეშაპელი, ურიადმყოფელ-ი, შენგელ-ი, ჭკუასელ-ი...

ხშირად სადაურობის მაჩვენებელ -ელ- დერივატს მიერთვის კნინობითობის -ა სუფიქსი, რის შედეგადაც წარმოიქმნება პირთა მეტსახელები: ახმეტ-ელა, ბირთვ-ელა, განჯ-ელა, გორ-ელა, თბილ-ელა, კახეთ-ელა (‖ კახ-ელა), კუხ-ელა, გრემ-ელა, ორაგვ-ელა, ოძის-ელა (‖ ოძ-ელა) ეგრის-ელა, მარტყოფ-ელა... თავის მხრივ, ასეთი მეტსახელების უმეტესობა გვარონული სართების მიერთების გზით წარმოქმნის ოფიციალურ გვარებს: ახმეტელა-შვილი, ბირთველა-ძე, განჯელა-შვილი, გორელა-შვილი, თბილელა-შვილი, კახეთელა-ძე, კუხელა-შვილი, გრემელა-შვილი, ორაგველა-შვილი, ოძელა-შვილი, ეგრისელა-შვილი, მარტყოფელა-შვილი (‖ მარტყოფლიშვილი)... ბირთველა, თბილელა, გორელა, კახელა, მანაველა, ოძელა... ტიპის მეტსახელები გვარონული სართების დაურთველად გვარებს ვერ წარმოქმნიან.

მნიშვნელოვან ფონეტ. ცვლილებას განიცდიან -ის- და -ეთ- სუფიქსთა შემცველი ტოპონიმებისაგან წარმომდგარი სადაურობა-წარმომავლობის გვარები, როცა ამ სუფიქსებს -ელ- სუფიქსიც დაერთვის. ამ შემთხვევაში წინამავალი -ეთ- და -ის- სუფიქსები ფუძიდან, წესისამებრ, იკარგება: თბილ-ის-ი – თბილ-ელა-შვილი (მოსალოდნელი თბილისელაშვილის ნაცვლად), ოძ-ის-ი – ოძ-ელა-შვილი, ქუთათ-ის-ი – ქუთათ-ელ-ი, ბაზალ-ეთ-ი – ბაზალ-ელ-ი, არვეთ-ი – არველა-ძე, ბირთვ-ის-ი – ბირთვ-ელა-შვილი, პანკ-ის-ი – პანკ-ელა-შვილი, აჯამ-ელა-შვილი, კუმ-ის-ი – კუმ-

ელა-შვილი, თიან-ეთ-ი – თიან-ელა-შვილი (‖ თიანლი'შვილი), ჭო-ეთ-ი – ჭო-ელა-შვილი, ქსოერ-ის-ი – ქსოერ-ელა-შვილი და მისტ.

ლიტ.: ლ ე ჭ ა ე ა ლ., -ეთ და -ის აფიქსებიან ტოპონიმთაგან სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. – „ქსს“. წგ. 2, თბ., 1979. *გ. ბედოშვილი.*

პირთა შერძმეული სახელები, მეტსახელები, ნაწარმოები სახელები, რ-თაც ძირითადად ეფუძნება ანთროპონიმული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება ადრეულ (XV–XVI სს.) ეტაპებზე. ისინი თავისუფლად ითავსებენ ოფიციალურად მიჩნეული გვარების ფუნქციას. ინფორმაციული დატვირთულობის თვალსაზრისით აგრონომენები, ანუ შერქმეული სახელგვარები უფრო ტევადია, ვიდრე მათ გვერდით არსებული მცირერიცხოვანი, „ოფიციალური“ გვარები. ბევრი აგრონომენი გვარის გაფორმების ძირითად წყაროს წარმოადგენს, რამდენადაც აქედან იღებს სათავეს პირთა სადაურობა-წარმომავლობის, ხელობა-საქმიანობის, კონფესიურ-სარწმუნოებრივი კუთვნილებისა და მისტ. აღმნიშნველი გვარები. აგრონომენთა დიდი ნაწილი გვართა ამოსავალ ფუძეებად წარმოგვიდგება შემდეგ გვარებში:

მკერვალის შვილი გიორგი – შდრ. გვარი მკერეალიშვილი ‖ კერვალიშვილი ‖ კორვალიშვილი; კარდენახელი აპრილა – კარდენახლიშვილი, აპრილაშვილი; გიორგი, გამილაღდის შვილი – გამილაღდიშვილი; მეოთხმლე ბერი – ოთხმესური (< ოთხმეძლური); ლურჯა გოგია – ლურჯიშვილი; მემცხვარე პაპუნა – მეცხვარიშვილი, მეცხვარიაშვილი; ფოცხვერა, ჭიანის ობოლი – ფოცხვერია, ფოცხვერაშვილი; გიორგი დანაჭრელას შვილი – დანაჭრელაშვილი; გიორგი ხაბაზი – ხაბაზიშვილი; შუშანა ხევსური – ხევსურიშვილი; ცოტა ჟანგირა – ცოტაძე, ცოტნიაშვილი; ქადიგულა აჯრილი – ქადიგულაშვილი; მეჭურჭლის შვილი იასე – მეჭურჭლიშვილი; ტაბარუკის შვილი დათუნა – ტაბარუკიშვილი; გიორგი ნაბიჭვარი – ნაბიჭვრიშვილი; ხაჭაპური დემეტრე – ხაჭაპურიძე; მეუნაგრის შვილი, პაპუნა – მეუნაგრია ‖ მეუნარგია; თამაზა მესვრე – მესვრიშვილი... აგრონომენთა გარკვეული ნაწილი გვარად არ გაფორმდა. მაგ., გველეშაპის შვილი, თაეფაშვილის შვილი...

ქართ. ანთროპონიმიაში დადასტურებულ აგრონომენურ ერთეულებს შორის საკმაოდ ბევრია ისეთი წარმონაქმნები, რ-ებშიც ნათლად მოჩანს პირთა უცხოენობრივი კუთვნილება: ავაგუმა – ავაგუმაშვილი; ავსაჯან – ავსაჯანაშვილი; აეღანი – აეღანიშვილი; ათაბეგი – ათაბეგაშვილი; ალთუნა – ალთუნაშვილი; ამბარდანი (ამბარდან-, მე-ამბრ-ე) – ამბარდანაშვილი, ამირგულა – ამირგულაშვილი, ასაბაღა – ასაბაღაშვილი; ამირხანა – ამირხანაშვილი...

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I – ღვმოკრაფიული ძეგლები, თბ., 1967; ჭ უ მ ბ ურ ი ძ ე ზ., ღედაენა ქართული, თბ., 1987; თ ო ფ ხ ი შ ვ ი ლ ი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები, თბ., 1997.

გ. ბედოშვილი.

პირი, ზმნის მორფოლოგიური კატეგორია, აღნიშნავს *სუბიექტის* (სოგჯერ *ობიექტის*) დამოკიდებულებას მოლაპარაკე პირთან.

სუბიექტი (S) და ობიექტი (O) წარმოდგენილია ყველა ენის სისტემაში. როგორც სემანტიკური კატეგორია, ობიექტი შეიძლება იყოს პირდაპირი, რ-ზედაც უშუალოდ გადადის სუბიექტის (აგენსის) მოქმედება, ან რ-იც ამ მოქმედების შედეგს წარმოადგენს, და ირიბი, რ-იც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს და შესაძლებელია დახასიათდეს როგორც ა დ რ ე ს ა ტ ი („ბავშვი წერილს სწერს მამას“), დ ე ს ი გ ნ ა ტ ი („დედა წერილს უწერს ბავშვს“), ე გ ზ ე კ უ ტ ო რ ი („დედა წერილს აწერინებს ბავშვს“), ლ ო კ ა ტ ი ურ ი („დედა ქუდს ახურავს ბავშვს) და სხვ.

აღნიშნული სემანტიკური ერთეულები გამოიხატება ენის გრამატ. სტრუქტურაში ზმნასთან დაკავშირებული სახელებით ან ნაცვალსახელებით, რ-თაც შესაძლებელია გარკვეული მორფოლ. გაფორმება ჰქონდეთ (სპეციფ. ბრუნვის ნიშანი). სახელსა და ნაცვალსახელთან დაკავშირებით დგება პ-ის კატეგორიისა და ენობრივ სისტემაში ამ კატეგორიის გამოხატვის საკითხი. პ-ის კატეგორია უშუალოდ გამომდინარეობს ენობრივი კომუნიკაციის აქტიდან და აღნიშნავს ამ აქტის მონაწილეთა დამოკიდებულებას ენობრივ კომუნიკაციასთან (რ. იაკობსონი).

ენობრივი კომუნიკაციის აქტი გულისხმობს „მეტყველს“, ანუ სამეტყველო აქტის ავტორს, „მსმენელს“ – სამეტყველო აქტის აღრესატს, და რაღაც მესამეს, რასაც შეეხება სამეტყველო კომუნიკაცია, მაგრამ რაც არ იღებს მასში უშუალო მონაწილეობას. ჩვეულებრივ, ეს სამი ოდენობა ხასიათდება შესაბამისად როგორც I, II და III პ. (იხ. *დეიქსისი*).

აქედან გამომდინარე, პ-ის კატეგორიაში შემავალი ფორმების (I, II და III) მიმართება არაერთგვაროვანია და ამის გამო მათ სხვადასხვაგვარად განიხილავენ, კერძოდ, I და II „პირი“ უპირისპირდება III-ს, როგორც „არაპირს“ (ე. ბენვენისტი, რ. იაკობსონი).

პ-ის კატეგორია სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიების გამომხატველი ოდენობები ენის გრამატ. დონეზე შეიძლება იყოს: I და II პ-თვის (როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური) მხოლოდ ნაცვალსახელები (მე, შენ), III პ-თვის (როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური) კი ნაცვალსახელთან ერთად საკუთრივ სახელიც (ის, ბავშვი, ქარი, ფანქარი...).

წინადადებაში ზმნასთან დაკავშირებული სუბიექტის ან ობიექტის გამომხატველ სახელს თუ ნაცვალსახელს შეუძლია ზმნურ ფორმაში თავისი ნიშანი გაიჩინოს. ამგვარი ნიშნები ზმნურ ფორმაში შესაძლებელია სხვადასხვა კატეგორიებს გამოხატავდნენ: 1. ნაცვალსახელის (resp. სახელის) პ-ს, რაც გვაძლევს პ ი რ ო ვ ა ნ უ ღ ე ლ ი ლ ე ბ ა ს და 2. სახელის (resp. ნაცვალსახელის) სემანტიკურ კლასს, რაც გვაძლევს კ ლ ა ს ო ვ ა ნ უ ღ ე ლ ი ლ ე ბ ა ს. ქართ. ენის ზმნური სისტემა წარმოადგენს სტრუქტურულ ტიპს მკვეთრად გამოხატული პიროვანი უღელილებით, ე. ი. ზმნური ფორმა წარმოგვიდგენს იმ სახელთა რეპრეზენტანტ ნიშნებს, რ-ებიც მოცემული სახელების (resp. ნაცვალსახელების) პირის კატეგორიას გაამოხატავენ. ქართ. ზმნა შესაძლებელია დახასიათდეს როგორც სუბიექტურ-ობიექტური წყობის ზმნა, რ-იც იცვლება რო-

გორც სუბიექტ., ისე ობიექტ. პ-ის მიხედვით. თანამედროვე ქართულში სუბიექტ. და ობიექტ. პ-თა ნიშნებია:

სუბიექტური	ობიექტური
ჯ-,	მ- (მრ. რ. გვ-),
ჰ-(ს-),ჩ-,	გ-
-ს, -ა, -ო	ჰ-(ს-)
(მრ. რ. –ენ (-ნენ),	
-ან, -ნ, -ეს);	

ქართ. ზმნა განსხვავდება მრავალ ენაში (ბერძნ., ლათ., რუს.,) დადასტურებული სუბიექტ. წყობის ზმნური სტრუქტურისაგან, რ-იც ზმნის ფორმაში მხოლოდ სუბიექტ. ნიშნებს წარმოაჩენს. მაგრამ ერთერთი სტრუქტურული მახასიათებელი ქართ. ზმნისა ის არის, რომ მასთან სინტაქსურად დაკავშირებული ყველა სახელი ვერ ასენს მორფოლ. ნიშანს ზმნურ ფორმაში (ა. შანიძე). კერძოდ, აქტუალურად გამოვლენილ მორფოლ. ნიშანთა რაოდენობა ზმნურ სტრუქტურაში არ აღემატება ორს, მაშინ როდესაც ზმნასთან სინტაქსურად შეიძლება დაკავშირებული იყოს ოთხი სახელი (იხ. *ვალენტობა*). ამგვარად, „პირიანობის“ თვალსაზრისით ქართ. ზმნა შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთპირიანი (მონოპერსონალური) და ორპირიანი (ბიპერსონალური).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; გამყრელიძე თ., ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“. – «საუნათმეცნიერო კრებული», თბ., 1079; Бенвенист Э., Общая лингвистика, М., 1974; Якобсон Р., Принципы типологического анализа языков различного строя, М., 1972.

ნ. ლოლაძე.

პირის ნაცვალსახელები, *ნაცვალსახელები*, რ-ებიც პირებს აღნიშნავენ მოლაპარაკის თვალსაზრისით და მასთან მიმართების საფუძველზე. ეს მიმართება გვიჩვენებს, რომ ესა თუ ის პირი ან მოსაუბრეა, ან თანამოსაუბრე, ან კიდევ ის პირია, რ-ის შესახებაც საუბარია. ამ ურთიერთობაში ამოსავალი მოლაპარაკე ანუ I პირია, ვისაც იგი უშუალოდ მიმართავს – II პირია, ხოლო ის, ვინც ამ ორი პირის გარეშეა, III პირად ითვლება. I პირს აღნიშნავს მე და ჩვენ, II-ს – შენ და თქვენ, III-ს – ეს, ეგ, ის (იგი) და ესენი, ეგენი, ისინი (იგინი). I და II პ. ნ. არსებითად განსხვავდება III-გან. ეს უკანასკნელი იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელია, რ-ის მნიშვნელობა უფრო ფართოა, რადგანაც იგი არა მარტო საგანზე მიუთითებს, არამედ პირსაც აღნიშნავს. განსხვავება ჩანს გრამატიკულადაც: III პირის ნაცვალსახელი ფორმაცვალებადია; მოეპოვება როგორც ბრუნვის, ისე რიცხვის კატეგორია, I და II პ. ნ-ს კი ბრუნვისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორია არ გააჩნიათ. I და II პ. ნ. ყოველთვის ადამიანს აღნიშნავენ, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით შენ შეიძლება არაადამიანის მიმართაც იყოს ნახმარი; მაგ., ეი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო! (ი. ჭავჭ).

ზმნის მრავალპირიანობისა და ორგანული წარმოების გამო ქართ. ენას არ ახასიათებს წინადადებაში პ. ნ-ის ისე ხშირი ხმარება, როგორც ეს ზოგიერთ ენაშია. მისი გამოყენება აუცილებელია, როცა ლოგიკური მახვილი მასზე მოდის, როცა პირთა დაპირისპირებაა, ანდა როცა აზრობრივად, მხოლოდ ზმნის საშუალებით, შეუძლებელი ხდება სათანადო პირების წარმოდგენა. ზოგჯერ პ. ნ-ის ხშირად გამოყენებას სტილისტიკური ფაქტორიც განაპირობებს.

I და II პ. ნ.-ის ბრუნების საერთო სურათი ასეთია:

სახ. მე შენ ჩვენ თქვენ; მოთხ. მე შენ ჩვენ თქვენ; მიც. მე შენ ჩვენ თქვენ; ნათეს. ჩემ- შენ- ჩვენთქვენ-.

როგორც ჩანს, ეს ნაცვალსახელები ფორმაუცვლელი, უბრუნველი სახელებია. მათ შორის მხოლოდ ასეთი განსხვავებაა: მე საერთო ფუძეა სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითისათვის. ნათესაობითში მას ჩემ- ფუძე ენაცვლება ამ ბრუნვაში მოსალოდნელი თანდებულის დართვით (ჩემ-გან, ჩემ-თვის). არც მე და არც ჩემ- არ არის ერთი სახელის ორი სხვადასხვა ბრუნვის ფორმა, რ-უბიც წარმოშობითაც სხვადასხვა დროისა ჩანან, რაც შეეხება შენ, ჩვენ, თქვენ-ს, ესენი სრულიად უცვლელი სახელებია.

პ. ნ-ს, საერთოდ, მოქმ. და ვით. ბრუნები არ გააჩნიათ, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში ეს ნაკლი შეიძლება შეუვსონ სათანადო კუთვნილებითმა ნაცვალსახელებმა: ჩემი – ჩემით, ჩემად, შენი – შენით, შენად და ა. შ.

არსებით სახელთაგან განსხვავებით, პ. ნ-ს მორფოლოგიურად არც რიცხვის კატეგორია აქვთ. მართალია, მე და ჩვენ, შენ და თქვენ ერთმანეთის მიმართ მხოლოობით-მრავლობითის ფორმებად გვესახება, მაგრამ სინამდვილეში აქ რიცხვი გამოხატულია არა აფიქსის (რიცხვის გამომხატველი ნიშნის) გამოყენებით, არამედ – ლექსიკურად, სულ სხვადასხვა სიტყვების საშუალებით. აღსანიშნავია ისიც, რომ I პირის ნაცვალსახელს საერთოდ არც შეიძლება ჰქონდეს მრ. რიცხვი, რადგან იგი მიუთითებს მოლაპარაკეზე, რ-იც მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. ჩვენ ნაცვალსახელით მოლაპარაკე აღნიშნავს არა ერთზე მეტ მე-ს, არამედ – თავის თავს და აგრეთვე იმას ან იმათ, ვისაც ელაპარაკება, ან ვისაც ეხება საუბარი.

მორიდებული, თავაზიანი საუბრისას თქვენ ნაცვალსახელი ერთის მიმართაც იხმარება.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1973.

ა. მარტიროსოვი.

პლეონაზმი (ბერძნ. pleonasmós – ზედმეტობა, სიჭარბე), მეტყველების ფორმა, როდესაც ერთი და იმავე ცნებისათვის გამოყენებულია აზრობრივად მსგავსი, სტილისტიკურად ჭარბი სიტყვები. რამდენადაც პ-ის დროს ხდება ლოგიკურად ზედმეტ ენობრივ ერთეულთა, ჩვეულებრივ, სინონიმთა, დაგროვება, ჭარბი სიტყვის ამოვარდნით აზრი არ ირღვევა. მაგ., გამოთქმაში „პირადად მე“ სიტყვა „პირადად“ ზედმეტია, რადგან „მე“ გულისხმობს ამ შინაარსს. პ-ად ითვლება არა მარტო სიტყვათა, არამედ გამონათქვამთა სიჭარბეც. პ. მეტყველებაში ზოგჯერ ასუსტებს აზრს და სტილისტიკური დატვირთვის მატარებელია, მაგ., „წარსულს უკან ვერ დააბრუნებ“.

პ-ის უკიდურეს ფორმად ითვლება *ტავტოლოგია* – ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვათა განმეორება.

გრამატიკული პ. გულისხმობს სინონიმურ გრამატიკულ საშუალებათა თავმოყრას.

ც. ბარბაქაძე.

პოლივანოვი ევგენი დიმიტრის ძე [28. II (12.III). 1891, სმოლენსკი, –

25. I. 1938], რუსი ენათმეცნიერი, პეტროგრადისა და შუა აზიის (ტაშკენტის) უნ-ტების პროფესორი (1919). დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1912). პარალელურად სწავლობდა აღმოსაველურ პრაქტიკულ აკადემიაში (იაპონური ენის განხრით). სხვადასხვა დროს მუშაობდა პეტერბურგსა და მოსკოვში, ტაშკენტსა და სამარყანდში, ფრუნზეში, სადაც, გარდა ინტენსიური სამეცნ.-კვლევითი მუშაობისა, ეწეოდა აქტიურ საზ. მოღვაწეობას: მონაწილეობდა ნაციონალურ (უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის) სამეცნ. კომისიათა საქმიანობაში. კითხულობდა თურქულ, ალათაურ, ჩინურ-ტიბეტურ და სხე. აღმოსაველურ ენათა შედარებითი გრამატიკების კურსებს. 1937 იგი დააპატიმრეს.

პ. მუშაობდა ისტ.-შედარებითი, ტიპოლოგიური და ზოგადი ენათმეცნ. პრობლემებზე (სამწუხაროდ, მისი შრომების, განსაკუთრებით – გამოუცემელი გამოკვლევების დიდი ნაწილი დაკარგულია). პ-ის ინტერესების სფერო მოიცავდა მრავალ ენას, მათ შორის – ქართულსაც. ქართ. ენის ფონეტიკას ეხება მისი სტატია „ქართულ თანხმოვანთა მოკლე კლასიფიკაცია“ («Бюллетень Средне-Азийского государственного университета», Ташкент, № 8, 1925). ეს ნაშრომი მოხსენიებული არ არის პ-ის შრომების სიაში, რ-იც გამოიცა მისი რეაბილიტაციის შემდეგ (1968).

ამ წერილის მიხედვით, ქართ. ენის თანხმოვნები ქმნიან: 1. ხშულთა სამეულებს – ცალკეული სამეულის ფარგლებში თანხმოვნები დაპირისპირებულია ყელის მუშაობით; 2. წყვილეულებს – ესენი სპირანტებია (აქ შემოდის ნ. მარის „სიბილანტებიც“, რ-თაც ნ. მარი განასხვავებდა „სპირანტებისაგან“) და ერთიმეორეს უპირისპირდებიან აგრეთვე ყელის მუშაობით; 3. ცალეულებს – ცხვირისმიერი მ ნ; სონორი რ ლ უ ჲ და სპირანტი ჰ.

სამეულებში წარმოდგენილი პ ტ წ ჭ კ ყ ორმაგი ხშულებია – ახასიათებთ პირისა და ყელისმიერი ხშვა; ყელის ხშვის სკდომა შეიძლება უსწრებდეს პირში სკდომას; პირის ხშვის სკდომა ხდება იმ ჰაერით, რ-იც ყელიდან მოდის ყელისმიერი სკდომის შემდეგ – ამიტომ ისინი ჰ ა მ ზ ი რ ე ბ უ ლ ი თანხმოვნებია; სამეულებში მეღერებია ბ დ ძ ჯ გ, ხოლო ფშვინვიერები (უფრო ზუსტად, კ ა ზ ი-ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ე ბ ი) – ფ თ ც ჩ ქ ჭ . ქართ. თანხმოვანთა ფშვინვა გაცილებით სუსტია, ვიდრე გერმ., ლათ., ჩინ., მონღოლური, ჩრდ.-აღმოსაველურ იაპონური ფშვინვიერი თანხმოვნებისა. ამიტომ ქართ. ფშვინვიერი თანხმოვნები დახასიათდება სიყრუითა და ყელხშვის არქონით. ქართული ხ ღ უფრო უკან იწარმოება, ვიდრე რუსული x. ... (მაგ., бога მოსკოვის ძველი თაობის წარმოთქმით).

ხ მომდინარეობს არქაული ჴ-გან, ღ – „ღრმად უკანაენისმიერი, ხშული და მღერი *g-გან.

ღრმად უკანაენისმიერთა რიგიდან (ყ ‖ ჴ) ხშულობა შემოინახა მხოლოდ ყ-მ (q), რაც იმით აიხსნება, რომ, „რაც მეტია წინააღმდეგობა, გამძლეობაც მეტია“ და პირიქით.

წერილში „ქართულ თანხმოვანთა მოკლე კლასიფიკაცია“ პ., ქართ. თანხმოვნების კვაზი-ფშვინვიერობაზე მსჯელობისას, მიუთითებს, რომ მას მომზადებული ჰქონია ნაშრომი „Очерк грузинской фонетики“. *ო. უთურგაიძე.*

პოლისემია (< ბერძნ. polysēmos – მრავალმნიშვნელობიანი), ენობრივი ერთეულის უნარი გამოხატოს ერთზე მეტი მნიშვნელობა, ჰქონდეს ერთზე მეტი აღსანიშნი. პ. ეხლინდება როგორც გრამატ., ისე ლექსიკურ ერთეულებთან. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი პ-ის ნიმუში: III პირის ფორმა უნდა, რ-იც შეიძლება აღნიშნავდეს როგორც ზმნის პირიან ფორმას („საჭმელი უნდა“), ისე – პირიანობას მოკლებულ მოდალურ ნაწილაკს („უნდა გააკეთოს!“). უფრო ხშირია ლ ე ქ ს ი კ უ რ ი პ.: სიტყვა ძველი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ითავსებს 4 მნიშვნელობას: 1. დიდი ფასის მქონე, 2. არახშირი, იშვიათი, 3. ცუდი, აგი, ბოროტი რამ, 4. (ძვ.) ძუნწი.

ბევრად მეტი მნიშვნელობები უდასტურდება სიტყვებს: თავი, თვალი, გული და სხე.

პ. შედეგია ენის გარკვეულ ქრონოლოგიურ დონეზე იმ მნიშვნელობათა თავმოყრისა, რ-ებიც სიტყვას ისტ. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეუძენია. მაგ., სიტყვა ბეჭს პოლისემიურობა მიანიჭა მისმა გამოყენებამ საფეიქრო ტერმინად. ამიტომაც პ-ის კვლევა მოითხოვს სიტყვის მნიშვნელობათა ფორმირების პროცესების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლას. პ-ის შექმნისას მნიშვნელობათა დაკავშირებაში დიდ როლს ასრულებს შესაბამის რეალიათა ფორმობრივი ან ფუნქციური მსგავსება (იხ. *მეტაფორა*), ანდა ერთიანობა მეზობლობის მიხედვით (იხ. *მეტონიმია*).

პ. ყოველთვის გულისხმობს მრავალი მნიშვნელობის განვითარებას ერთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობისგან. ამიტომაც კავშირი ამ მნიშვნელობათა შორის რჩება ერთი სიტყვის მნიშვნელობად (შდრ. *ომონიმია*). ლექსიკონებში სიტყვათა პოლისემიურობა დიფერენცირებულად, სემანტიკური ნიუანსების თანმიმდევრული ნუმერაციით აისახება.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; ფ ო ჩ ხ უ ა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ა. არაბული.

პრედიკატი (< ლათ. praedicatum – ნათქვამი), ლოგიკისა და ენათმეცნიერების ტერმინი, რ-იც აღნიშნავს მსჯელობის კონსტიტუციურ წევრს – იმას, რაც გამოითქმება (მტკიცება ან უარყოფა) სუბიექტის შესახებ. პ. მხოლოდ მიუთითებს საგნის თვისებაზე, მდგომარეობაზე, სხვა საგნებთან მიმართებაზე.

ლოგიკური და ლინგვ. ტერმინების აღრევის თავიდან აცილების მიზნით ზოგ ენაში ტერმ. „პ“. შეიცვალა კალკირებული სიტყვით, მაგ., სლავურში – „сказуемое“, ქართულში – „შემასმენელი“; მაგრამ ამით მაინც ვერ იქნა აცილებული ამ ტერმინის ხმარების აუცილებლობა. „შემასმენელთან“ ასოციირდება, უპირველეს ყოვლისა, წინადადების ამ წევრის ფორმალური ასპექტი, ტერმ. პ-თან კი დაკავშირებულია მნიშვნელობა, შინაარსობრივი მხარე.

გამოიყოფა პ-ის რამდენიმე სემანტიკური ტიპი: ტ ა ქ ს ო ნ ო მ ი ურ ი (მიუთითებს საგნის ამა თუ იმ კლასში შესვლას – „ეს ხე ნაძვია“), რ ე ლ ა ტ ი ურ ი (მიუთი-

თებს მოცემული ობიექტის მიმართებას სხვა ობიექტებთან – „კახა უიორგის მამაა"); მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი (მიუთითებს ობიექტის დინამიკურ და სტატიკურ, მუდმივ და ცვალებად თვისებებზე – „ნიჭი მისნის", „ის დაიღალა" და სხვ.); შ ე ფ ა ს ე ბ ი თ ი (ახდენს ობიექტის შეფასებას ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით – „აქ ცუდი კლიმატია"); დ რ ო ი თ ი და ს ი ვ რ ც უ ლ ი ლ ო კ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს (მიუთითებს მოქმედების ან მდგომარეობის ადგილსა და დროზე – „ახლა შუადღეა", „თემური შინ არის").

პ-ის კლასიფიკაცია შესაძლებელია აქტანტების რაოდენობის მიხედვითაც: პ. შესაძლოა იყოს ერთადგილიანი, ორადგილიანი და სამადგილიანი (შდრ.: ქართ. „ერთპირიანი", „ორპირიანი", „სამპირიანი" ზმნები).

ლიტ.: ქ ე ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996; М а р у з о Ж., Словарь лингвистических терминов, пер. с франц., М., 1960; А х м а н о в а О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1969; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990 *ლ. ენუქიძე.*

პრედიკატული განსაზღვრება, *განსაზღვრების* ერთ-ერთი სახე, რ-იც სინტაქსურად ზმნას უკავშირდება. გადმოცემულია მიმღეობითა და სახელით. იგი ორმაგი ბუნებისაა, შედის შემასმენლის ჯგუფში, მაგრამ, ამასთანავე, დამოკიდებულია ქვემდებარესა თუ პირმიმართ დამატებაზედაც. პ. გ. საგანს (ქვემდებარეს, პირმიმართ დამატებას) ახასიათებს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით და, ჩვეულებრივ, აღნიშნავს არა საგნის მუდმივ ან ხანგრძლივად დამახასიათებელ ნიშანს, არამედ – დროებითს, მომენტობრივს. ეს ნიშანი იმავდროულად ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების ნიშანიცაა (ნიბლია **სულგანაბული** შესცქეროდა ალალს), – იმ შემთხვევაშიც კი, როცა პ. გ. მუდმივ ან დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ახასიათებს საგანს. ეს თვისება განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულების მომენტში (**დიდი და თვალტანადი** იდგა იგი მთისკაცის წინ).

პ. გ. ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება იმ წევრს, რ-საც იგი განსაზღვრავს (ლევანი **გაყუჩებული** იჯდა; მარები დანიკოლები იდგნენ დათვის წინაშე; ოქვენისთანა პატივსაცემ კაცს **ხელცარიელს** ვერ გავისტუმრებ; იმათ ამ ამბავმა **მოუმზადებლებს** მოუსწრო).

პ. გ. დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ვითარების გარემოებასთან. ამით აიხსნება, რომ ისინი ზოგჯერ ერთი ოდენობის სინტაქსურ ერთეულებად არიან წარმოდგენილი („ის მიდიოდა **წუნარად** და დაფიქრებული").

პ. გ. ჩვეულებრივ, უშუალოდ უსწრებს ზმნა-შემასმენელს, შედარებით იშვიათად გვხვდება მომდევნო ან გათიშულ პოზიციაში. იგი შეიძლება ახლდეს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნას, უფრო ხშირად კი – მდგომარეობის, მოძრაობის, მხედველობის, სმენისა და მეტყველების აღმნიშვნელ ზმნებთან გვხვდება.

სხვა თვალსაზრისით (აღ. ღლონტი), ხსენებული ფორმები ზმნასთან არიან სინტაქსურად დაკავშირებული, მიუგებენ ვითარების გარემოების კითხვაზე როგორ და ამის გამო ვითარების გარემოებად უნდა იქნენ მიჩნეული. ასევე თელიან, რომ ეს ფორმები შედიან შემასმენლის შედგენილობაში, წარმოადგენენ მის სახელად ნაწილს (ატრიბუტივს) და მათი ცალკე წევრად გამოყოფა არ ხდება.

ლიტ.: ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქართული გრამატიკა, ტფ., 1889; ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ი., შედგენილი შემასმენელი ქართულში. – «თბილისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1948, ტ. 8; მ ი ს ი ე ც, მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის. – «კომუნისტური აღზრდისათვის», 1957, №12; ქ ე ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; ღ ლ ო ნ ტ ი ა., ატრიბუტიული შემასმენელი ქართულში. – «ცხინვალის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1955, II; მ ი ს ი ე ც, პრედიკატული განსაზღვრება ძველ ქართულში. – «ენათმეცნიერების საკითხები», 1999, №4; ქ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; Б у л а х о в с к и й Л. А., Русский литературный язык первой половины XIX века, М., 1954; А д м о н и В. Г., Введение в синтаксис современного немецкого языка, М., 1955; Г у л ы г а Е. В., Н а т а н з о н М. Д., Грамматика немецкого языка, М., 1957; С м и р н и ц к и й А. И., Синтаксис английского языка, М., 1957.

ლ. ქეაჭაძე.

პრეფიქსი (ლათ. praefixus – წინ მომაგრებული, წინ დართული), აფიქსური მორფემა, რ-იც წინ უძღვის სიტყვის ძირს: ი-მალება, უ-მალავს, მ-მალავს, გადა-მალავს, მ-პარავი, მე-ოხი,ს-ელა... პ-ს, რომელიც წინ უძღვის ზმნურ ფუძეს, პ რ ე ე ე რ ბ ს უწოდებენ. ქართ. სანათმეცნ. ლიტ-რაში ტრადიციულად პრეევრები ზმნისწინის ბადალ ტერმინად გამოიყენება, ზმნური ფუძის წინ მოთავსებულ სხვა რიგის აფიქსებს კი (მაგ. პირისა და ქცევის ნიშნებს) ზ მ ნ უ რ პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ს უწოდებენ.

ფუნქციურად პ. შეიძლება იყოს ფ ო რ მ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი (დერივაციული) და ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი (იხ. *აფიქსი*).

მ. ბერიძე.

პროკლიტიკა (< ბერძნ. proklitikón – წინ დახრილი), უმახვილო სიტყვა, რ-იც ეკედლება მომდევნო მახვილიან სიტყვას. პ-ებად გამოდიან ცალკე მდგომი თანდებულები, ნაწილაკები, კავშირები, ზოგი ნაცვალსახელი. მაგ., „მეც წავალ, შენც წახვალ". ამ მაგალითში მახვილი მოდის სიტყვებზე „წავალ", „წახვალ", ხოლო სიტყვები მეც, შენც პ-ებია. პ-ის საპირისპიროა *ენკლიტიკა.*

ნ. კიზირია.

პრონომინალიზაცია (< ლათ. pronominalis – ნაცვალსახელური), *ტრანსპოზიციის* კერძო სახე – ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის გამოყენება ნაცვალსახელის ფუნქციით, როცა სიტყვა კარგავს თავის ლექსიკურ მნიშვნელობას და იძენს მხოლოდ მისათითებელ ფუნქციას. ნაცვალსახელთა რიგში შეიძლება გადავიდნენ ისეთი არსებითი სახელები, როგორიცაა თავი („თავი ისახელა"), კაცი („კაცმა არ იცის"), ადამიანი...; ზედსართავები: მოცემული („მოცემულ შემთხვევაში"), განსაზღვრული, მთელი...; რიცხვითი სახელი: ერთი („იყო ერთი ზარმაცი გოგო"). *ნ.ჭუმბურიძე.*

პროსოდია (ბერძნ. prosodia – მახვილი, მისამღერი), ფონეტიკურ მახასიათებელთა (*სიმაღლე,* სიძლიერე, *გრძლივობა*) სისტემა, რაც ელინდება მეტყველების ყველა დონეზე (მარცვალი, სიტყვა, სიტყვათა შეწყობა, ფრაზა, ტექსტი). საზოგადოდ გამოყოფენ პ-ის შემ-

დეგ კომპონენტებს: *ინტონაციას, მახვილს, გრძლიერობას, ტემპრს,* რიტმს, *პაუზას.* ამ შემთხვევაში პ. სინონიმია ტერმინისა *„მელოდიკა“*, ორიეე იხმარება ენის სუპრასეგმენტური ფუნქციონალური სისტემის აღსანიშნავად, თუმცა შეიმჩნევა პ-ისა და მელოდიკის გამიჯვნის ტენდენციაც: ტერმინ „მელოდიკას“ უკავშირებენ ფრაზას, პ-ს კი – ყველა სამეტყველო სეგმენტს მარცვლიდან ტექსტამდე.

70-იანი წლებიდან პ-ის პარალელურად ფართოდ იყენებენ ტერმინს პ რ ო ს ო დ ი კ ა, რაც განაპირობა ტექსტის შესწავლისადმი ინტერესის ზრდამ. ეს ტერმინები ზოგ შემთხვევაში იხმარება იდენტური მნიშვნელობით, ზოგჯერ კი – განსხვავებულით: პროსოდიკა გამოყენებულია მარცვალთან მიმართებით, ხოლო პ. უკავშირდება ყველა სეგმენტურ ერთეულს (მარცვალს, სიტყვას, სინტაგმას, ფრაზას, ტექსტს).

ლექსთმცოდნეობაში პ. აღნიშნავს ფონეტ. საშუალებათა სისტემას, რ-იც ახასიათებს მარცვალს.

ისტორიულად პ. უკავშირდება ლექსთწყობის შესწავლას. ამ ტერმინით აღინიშნებოდა ანტ. გრამატიკის ის მონაკეთი, რ-იც სწავლობდა ვერსიფიკაციის კანონებს.

ლიტ.: Дубовский Ю. А., Вопросы просодии устного текста, Минск, 1975; Николаева Т. М., Просодия текста, М., 1980; Гамкрелидзе Т. В., Иванов В. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984; Manual of Phonetics, ed. by B. Malmberg, Amst., 1968; Ladefoged P., A Course in Phonetics, N.Y., 1975 (2ed. 1982).

ი. თევდორაძე.

პუნქტუაცია (საშ. ლათ. punctuatio < punctum – წერტილი), 1. ანბანისა და ციფრებისაგან განსხვავებული გრაფიკული ნიშნების, სასვენი ნიშნების სისტემა. პ-ის ძირითადი დანიშნულებაა წერილობითი (ბეჭდვითი) ტექსტის აზრობრივი დანაწევრება და მისი გრაფ. ორგანიზაცია. ორთოგრაფიასთან ერთად პ. არის სალიტ., ანუ დამწერლობის მქონე ენის ძირითადი საშუალება სათქმელის, აზრის მოსაწესრიგებლად გრაფ. გ'სით; 2. ამა თუ იმ ენის წერილობითი ტექსტის პუნქტუაციური გაფორმების წესები; 3. ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის პ-ის სისტემის კანონზომიერებებსა და სასვენი ნიშნების ხმარების წესებს.

პ-ის ჩამოყალიბებამდე სიტყვები მიჯრით, ინტერვალის გარეშე იწერებოდა, რაც ტექსტის აღქმას აძნელებდა. დამწერლობის განვითარებასთან ერთად გაჩნდა ტექსტის დანაწევრების საჭიროება. ძვ. ქართულში წინადადებით გამოხატული აზრის დასანაწევრებლად წერტილების სხვადასხვა კომბინაცია გამოიყენებოდა (იხ. *პუნქტუაცია ძველ ქართულში*). XIX ს-ში ქართ. პ. რუსულის გზას გაჰყვა და დღემდე მის ანალოგს წარმოადგენს.

თანამედროვე ქართულში პუნქტუაციური სისტემა შედგება შემდეგი სასვენი ნიშნებისაგან: *წერტილი, ორწერტილი, მრავალწერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ტირე, დეფისი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, კითხვით-ძახილის ნიშანი, ბრჭყალები, ფრჩხილები.*

ლიტ.: თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი ტრ., სასვენი ნიშნების ხმარება, ტფ., 1925; ბ ა ს ი ლ ა ი ა ნ., სასვენი ნიშნების ხმარების წესები ქართულში, თბ., 1966; ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002; Современная русская пунктуация, М., 1979.

შ. აფრიდონიძე.

პუნქტუაცია ძველ ქართულში, გაბმული ტექსტის დასანაწევრებლად შემუშავებული ნიშნები. ძვ. ქართ. დამწერლობაში ეს ნიშნები ძალიან ადრე ჩნდება (V საუკუნიდან) და ბიზანტ. პუნქტუაციური სისტემის გავლენით ჩანს შემოღებული. ძირითადად გამოყენებული იყო „წერტილი“ (ეტიმოლ. ნიშანს „ჩხვლეტილს“) და მისი სხვადასხვა კომბინაციის საშუალებით ხდებოდა ტექსტის დანაწევრება. V–X სს. ხელნაწერებში გამოყენებულია მოგრძო წერტილზე დაფუნებული სამი ნიშანი: ერთი მოგრძო წერტილი (-) სტრიქონს ზევით ან სტრიქონებს შუა, ორი მოგრძო წერტილი (=) შუაში და მათი შეერთებით მიღებული ბუნის მსგავსი ნიშანი (>) სტრიქონს შუა. მათგან ორი წერტილი (=) დაისმის წინადადებისა და მუხლის ბოლოს. ერთი წერტილისა და ბუნის მსგავსი ნიშნის ხმარებაში სისტემურობა არ ჩანს და სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვაგვარი სურათია დაფიქსირებული. სასვენი ნიშნების სისტემატიზაციას შეუცადა ეფრემ მცირე (XI ს. II ნახ). მისი სისტემა ოთხ ნიშანს ემყარება: (.) „მცირედ სასუენად“, (:) „განსაკუმთელად სიტყუისა“, (:.) „დიდად სასუმნად“ და (∴) „სრულად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებელად სიტყვისა“.

XI ს-იდან ხელნაწერებში იწყება კითხვითი წინადადების გამოყოფა მახვილისა და მძიმის (՛,) საშუალებით. მახვილი დაისმის კითხვით სიტყვასთან ან კითხვით ნაწილაკთან, მძიმე – კითხვით სიტყვასთან ან კითხვითი წინადადების ბოლოს. XII ს-ში ეს უკანასკნელი წერტილ-მძიმით (;) გამოიყოფა.

XVIII ს-ში სასვენი ნიშნების ახ. სისტემა შეიმუშავა *არტონ I-მა*. იგი წინადადებებს ყოფს „უსრულად“, „სრულად“, „დასასრულად“ და შესაბამისად იყენებს ნიშნებს: მძიმეს (,), ერთწერტილს (.) და ორწერტილს (:). XIX ს-იდან ქართ. პუნქტუაცია თანდათანობით იღებს ღღევანდელი პუნქტუაციის სახეს (იხ. *პუნქტუაცია*).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; ქ ა ჯ ა ი ა ლ., პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში (V–X სს.). – «კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», 1963, ტ. 5.

ლ. ქაჯაია.

პურიზმი (ფრანგ. purisme <ლათ. purus – წმინდა), ზოგადად: ენაში ტრადიციული სისწორის მკაცრი დაცვა, ბრძოლა უცხოენოვან ნასესხობათაგან, აგრეთვე არასალიტერატურო მეტყველების ელემენტებისაგან (დიალექტიზმები, ვულგარიზმები...) ენის გასაწმენდად. ეიწრო მნიშვნელობით პ. აღნიშნავს ამა თუ იმ უცხო ენიდან ნასესხები, უკვე დამკვიდრებული (ძირითადად – საერთაშორისო) სიტყვის ნაცვლად მშობლიური (ან მონათესავე) ენის წიაღიდან ხელოვნურად გაცოცხლებული ან შეთხზული სიტყვის ხმარებას. XX ს. სალიტ. ქართულში პ-ებად ითვლება: რონოდა (ვაგონი), სატუცაო (კალოში), გვადრუცი (ჩემოდანი), ჩალათა (კონვერტი), გლარჯმილა (პაპიროსი), გვაბანაკი (პალტო), იჭლიმი (ტემპერატურა), ჯუმლი (კატალოგი), ძიქვა (შარვალი) და მისტ. XIX ს. რუსულში პ-ებად ფასდებოდა გრაფ შიშკოვის მიერ დანერგილი სიტყვები: топталище

(ტროტუარი), мокроступы (კალოში), шаротык (ბილიარდი)...

პურისტული ტენდენციები განსაკუთრებით ინენს თავს მნიშვნელოვანი საზ. მოვლენების (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, რევოლუციებისა თუ ომების) დროს. პ-ების გაჩენა დაკავშირებულია ენაში ამა თუ იმ უცხოური ენის ლექსიკის მოძალებასთან და შეიძლება შეფასდეს როგორც ენის „თავდაცვითი რეაქცია“ უცხო ენის „ლექსიკურ აგრესიაზე“. მაგრამ „გაეროვნულების“ ამგვარი ცდები არცთუ იშვიათად მარცხით მთავრდება პურისტების სუბიექტური და ანტიისტ. პოზიციის გამო, რასაც შედეგად მოჰყვება ხელოვნური, მოუქნელი და ხშირად გაუგებარი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა.

პ., ერთი შეხედვით, დაღებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც დაკავშირებულია ენის, როგორც თვითმყოფი ეროვნული კულტურის ორგანული ნაწილის, განვითარებაზე ზრუნვასთან, მაგრამ პ-ის რეტროსპექტიული ხასიათის, ენის წინსვლა-გამდიდრების შეფასებისას პურისტების უკიდურესი კონსერვატიული პოზიციის გამო პ-ები არსებითად უარსაყოფია. ყოველგვარ ნასესხობათა წინააღმდეგ ბრძოლა გაუმართლებელია, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება საყოველთაოდ გავრცელებული საერთაშორისო სიტყვების, განსაკუთრებით, ახალი ტერმინების სესხებას, რაც სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ენის ბუნებრივ განვითარებას (იხ. *ინტერნაციონალიზმები*).

ლიტ.: ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე შ., სიტყვათსესხება. — «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1982, №2.

შ. აფრიდონიძე



შ, ქართული ანბანის მეთექვსმეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეთორმეტე) ასო. მისი სახელია „შანი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი მკლერი შიშინა ნაპრალოვანი თანხმოვანი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა Ꮗ. მისი მოხაზულობა ხაზებისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. VI– VII სს. თავგახსნილია Ⴠ. ნუსხურში მარჯვენიაა გადახრილი. იგი მხედრულში მომრგვალებული ფორმისაა. ნუსხურსა და მხედრულში შ ოთხხაზოვანი სისტემის ქვედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ოთხმოცდაათს (90).

შარბონი (ფრანგ. jargon), ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველება, *სოციალური დიალექტის* სახე. შ. ქმნის მეტყველების ისეთ ნაირსახეობას, რ-იც გასაგებია ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფისათვის და გაუგებარი სხვა წევრებისათვის.

თანამედროვე ქართ. ახალგაზრდულ შ-ს მიეკუთვნება: აეთესა – „გაეპარა“; გოიმი – „ჩამორჩენილი“, „გაუნათლებელი“; დაიადა – „იშოვა“, „მოიპოვა“, „დაეუფლა“; იტასავა – „ისეირნა“, „იხეტიალა“; მარიაჟობა – „თაემომწონეობა“, „პრანჭვა“, „ყოყოჩობა“; ნაშამორი – „ქალთა გულების დაპყრობის ოსტატი“, „ქალების მუსუსი“ და სხვ.

შ-ს ხშირად *არგოს* სინონიმად მიიჩნევენ, მაგრამ, ზოგი მკვლევრის აზრით, შ., არგოსაგან განსხვავებით, დამცირების, ათვალწუნების (პეიორატული) მომენტსაც შეიცავს.

გაერცელებული აზრის თანახმად, შ. საეროო ენისაგან განსხვავებულია მხოლოდ ლექსიკით. მაგრამ ჟარგონიზმების წარმოებისას ქართ. ახალგაზრდული მეტყველება გრამატიკის (მორფოლოგიისა და სინტაქსის) ერთგვარ მონაწილეობასაც გვიჩვენებს. კერძოდ, გარკვეული სიტყვები მიც. ბრუნვაში -ში თანდებულის დართვისას იძენენ ჟარგონულ მნიშვნელობას: წაგებულშია – „წაგებული აქვს“; გადაყლაპულშია – „გადაყლაპული აქვს“, „ნასვამია“ და მისთ.

ასევეა, როცა ენის ერთი სახის ზმნიზედა შ-ში მეორე სახის ზმნიზედის მნიშვნელობას იძენს: ეგრეევე – სალიტ. ენაში ნიშნავს „მაგგვარადვე“, „მაგნაირადვე“, შ-ში კი დროის ზმნიზედის მნიშვნელობას იღებს და ნიშნავს „მაშინვე“-ს: „ეს რომ დავინახე, ეგრეევე ვიყიდე...“ და სხვ.

რამდენადაც შ-სა და არგოს არა აქვთ საკუთარი ენობრივი საფუძველი, ყოველი ახალი თაობა თავის ყაიდაზე ცვლის მათ. ეს ცვლა არ არის ენის განვითარება. დროთა განმავლობაში შ. და არგო სულ უფრო ნაგვიანდება, მძიმდება და მოუქნელი ხდება.

ლიტ.: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით, თბ., 1972; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989; ქურდაძე რ., რეცენზია ქართული ჟარგონის ლექსიკონის შესახებ. – ჟურნ. «ბურჯი» ეროვნებისა», 2000, №3; Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1969.

რ. ქურდაძე.

ჟესტების ენა, კომუნიკაციის ძირითადი საშუალება ყრუ-მუნჯთაოვის. განასხვავებენ შ. ე-ის ორ ტიპს:

1. ხელის მოძრაობითი (ჟესტიკულაციური) ნიშნებით ფაქტობრივად აღინიშნება ცალკეული ბგერა/ფონემა (უფრო ხშირად კი – ასო). კონკრეტული სიტყვა გადმოიცემა გარკვეული ჟესტიკულაციური ნიშნების იმ თანმიმდევრობით, რ-იც მოცემული სიტყვის ბგერით/ფონემურ შედგენილობას შეესაბამება. ამ ტიპის ენათაგან შედარებით გავრცელებულია ისეთი, რ-შიც სიტყვის აღნიშვნა იმეორებს მოცემული სიტყვის დაწერილობას. ამ უკანასკნელს მოიხსენიებენ როგორც თითებით ჩაწერილს (fingerspelling).

2. ჟესტიკულაციური ნიშნებით აღინიშნება გარკვეული შინაარსი და ცნებები. ამ ტიპის შ. ე-ს სხვაგვარად ნიშნების ენას (Sign Language) უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეიცვალა მეცნიერების დამოკიდებულება ნიშანთა ენის მიმართ. თაედაპირველი შეფასება, რომ ნიშანთა ენა

უბრალოდ პანტომიმურია და გრამატიკულად დეფექტური, სინამდვილეს აღარ შეეფერება.

ბუნებრივ სამეტყველო ენასა და ნიშანთა ენას შორის არის როგორც განსხვავება, ასევე მსგავსება.

ძირითადი განსხვავებები: ბუნებრივი ენის ძირითადი თვისებაა *ენობრივი ნიშნის* ნებისმიერობა (პირობითობა), რაც ძირითადად გულისხმობს შემდეგს: საგნის ბუნება არ განსაზღვრავს მისი აღმნიშნველი სიტყვის ბგერით შედგენილობას. სწორედ ნიშნის პირობითობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ბგერითი შედგენილობის სიტყვებით აღნიშნავენ. ნებისმიერობის (პირობითობის) საპირისპირო თვისებაა იკონურობა (სახეობრიობა), როცა აღსანიშნის ბუნება განსაზღვრავს აღმნიშვნელს, ანუ როცა აღმნიშვნელი აღსანიშნის ერთგვარ ხატს წარმოადგენს. ბუნებრივი სამეტყველო ენისთვის იკონურობა ნაკლებადაა დამახასიათებელი (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ე. წ. ონომატოპეური (ხმაბაძვითი) სიტყვები, იხ. *ონომატოპეა*).

ნიშანთა ენას კი, პირიქით, იკონურობის მაღალი ხარისხი ახასიათებს. მაგ., „მოსამართლეს“ შეესაბამება ნიშანი, რ-იც ხელების ჟესტიკულაციით აწონ-დაწონას გამოხატავს. იმის მიუხედავად, რომ ნიშანთა ენისთვის იკონურობაა დამახასიათებელი, ყოველ ჟესტურ ენაში იკონურობის პრინციპი სხვადასხვაგვარად ხორციელდება. მაგ., ამერ. ნიშანთა ენაში „ხე“ გადმოიცემა ვერტიკალურად აღმართული წინა მკლავითა და ხელის გაშლილი თითებით; დანიურ ნიშანთა ენაში ხელებით ჯერ შემოხაზავენ ხის მომრგვალებულ ზედა ნაწილს, შემდეგ კი – ხის ტანს; ინდ. ნიშანთა ენაში ჯერ ხის ტანი შემოიხაზება და შემდეგ იწყებენ ხელები მოძრაობას სემოთ ხის ფერის შემოსახაზავად. ამდენად, იკონურობის მიუხედავად, კონკრეტულ ენაში მოცემული საგნის აღმნიშვნელი ჟესტიკულაციური ნიშანი ცალსახად ვერ განისაზღვრება.

ნიშანთა ენების დიაქრონიულმა შესწავლამ გამოავლინა, რომ იკონურობის ხარისხი დროთა განმავლობაში კლებულობს. ამ თვალსაზრისით შედარებით დაწერილებითაა შესწავლილი ამერ. ნიშანთა ენა (ASL), რ-იც ფრანგ. ნიშანთა ენის მიხედვით შეიქმნა 200 წლის წინათ. ASL-ში „სახლი“, „შინ“ აღნიშნებოდა აშკარად გამჭვირვალე ნიშნით, რ-იც წარმოადგენდა ნიშნების კომბინაციას მნიშვნელობით „ჭამა“ და „ძილი“. დღეს ეს ნიშანი ისეთი გამჭვირვალე აღარ არის, იკონურობა დაიკარგა და იგი პირობით ნიშანს დაუახლოვდა.

ბუნებრივი ენა, ძირითადად, წრფივი სტრუქტურით რეალიზდება. ადამიანის მეტყველება არის ბგერათა ნაკადი, ბგერათა მიმდევრობა (სწორედ ამ წრფივ მიმდევრობაზე დაკვირვებით უნდა ამოხსნას ლინგვისტმა რთული ენობრივი მექანიზმი). ნიშანთა ენის რეალიზაცია კი სივრცულია, რაც ითქოს მეტ საშუალებას უნდა იძლეოდეს ენის რთული მექანიზმის წარმოსაჩენად.

ძირითადი მსგავსებები:

როგორც ბუნებრივ სამეტყველო ენას, ისე ნიშანთა ენასაც ახასიათებს დუალობა. საზოგადოდ, დუალობა გულისხმობს შემდეგს: მნიშვნელობის არმქონე მცირე რაოდენობის მინიმალური ერთეულებისაგან, მათი კომბინირების საფუძველზე, მიიღება მნიშვნელობის მქონე ერთეულთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. მაგ., ენაში ბგერებისაგან, რ-თაც მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მიიღება სიტყვები.

ნიშანთა ენაში ამგვარ მინიმალურ ერთეულებს ქმნის ჟესტიკულაციური ნიშნის შემადგენელი შემდეგი სამი ძირითადი პარამეტრი: ხელების კონფიგურაცია, არტიკულაციის ადგილი და ხელების მოძრაობა. თითოეული ეს პარამეტრი რამდენიმე განსხვავებული სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მაგ., ASL-ში დადასტურებულია ხელების 19 განსხვავებული კონფიგურაცია, არტიკულაციის 12 განსხვავებული ადგილი, ხელების 24 განსხვავებული მოძრაობა. ცალკე თითოეულ ამ პარამეტრს მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მათ ახასიათებთ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია.



I. მოცემა;
II. ზაფხული;
III. მახინჯი.

ჟესტების ენა.

როგორც ბუნებრივ ენას, ასევე ნიშანთა ენასაც აქვს გრამატიკა. ამ უკანასკნელის გრამატიკა შეიძლება რამდენადმე განსხვავებული იყოს შესაბამისი ბუნებრივი ენის გრამატ. სტრუქტურისაგან. მაგ., ASL მორფოლოგიურად უფრო მდიდარია, ვიდრე შესაბამისი ბუნებრივი ენა. ASL-ს აქვს პირის, რიცხვის, ასპექტის, რესიპროკალობის (საურთიერთო) მორფოლ. კატეგორიები. რაც შეეხება სინტაქსურ კატეგორიებს, ბუნებრივ ენებში, განსაკუთრებით ევრ. ენებში, სუბიექტი, ობიექტი, შემასმენელი ხასიათდება თავისი ადგილით წინადადებაში (რაც მოცემული ენისთვის დამახასიათებელ სიტყვათა რიგს განსაზღვრავს). ბევრ ენაში სიტყვათა ფიქსირებული რიგია, მაგ., ინგლისურისათვის დამახასიათებელია რიგი SVO. მაგრამ ASL-ში თითოეულ ძირითად სინტაქსურ კატეგორიას (როლს) აქვს თავისი ადგილი სივრცეში. ამიტომ, თუ წინადადება

ორაზროვანია ბუნებრივ ენაში, ნიშანთა ენა იძლევა შესაძლებლობას, ორაზროვნება მოიხსნას.

დასასრულ, ნიშანთა ენის შესწავლა საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც. მაგ., იმის გამო, რომ ნიშანთა ენა ბუნებრივ ენასთან შედარებით ნაკლებადაა ბიოლოგიურად შეზღუდული (რამდენადმე დამოუკიდებელია სუნთქვისაგან), იგი თითქოს ენასთან დაკავშირებულ კოგნიტიურ პროცესებზე დაკვირვების მეტ საშუალებას იძლევა.

ლიტ.: Frishberg N., Arbitrariness and Iconicity: Historical Change in American Sign Languages.– «Language», 1975, vol. 51; Klima E. S., Bellugi U., The Signs of Language, Cambridge, 1979; Poizner H., Klima E. S., Bellugi U., What the hands reveal about the brain, Cambridge, 1987; Carroll D.W., Psychology of Language, 3 ed., Wash., 1999.

ჯ. სოსელია.

ჭორდანია გიორგი თეიმურაზის (თედო) ძე (1885, თბილისი, – 1937), იურისტი. 1905 დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია, 1911 – მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. პროფ. ვორმსმა შესთავაზა, დარჩენილიყო უნ-ტში საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ უ. სამშობლოში დაბრუნდა. თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში ასწავლიდა ლათინურსა და სამართალმცოდნეობას (1912–14); მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულების იურისკონსულტად, მ. შ. თბილ. ოპერის თეატრში, დამცველთა კოლეგიის წევრად და ა. შ. ეწეოდა კერძო იურიდიულ პრაქტიკას; 1935 საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში. იყო მოსკ. მცირე თეატრის ფილიალის დირექტორის მოადგილე, 1937– მოსკ. საავტორო უფლებათა დაცვის სამ-ბის თანამშრომელი.

1937 დააპატიმრეს. მასალები ჭ-ს რეაბილიტაციის შესახებ ინახება ჭ-ს პირად არქივში.

ჭ. ხანგრძლივად მუშაობდა საავტორო უფლებების საკითხებზე. თბილ. ოპერის თეატრში მოღვაწეობისას დიდი თეორიული ცოდნა და ფაქტობრივი მასალა დაუგროვდა, რის საფუძველზეც დაწერა მეცნ. გამოკვლევა „საავტორო უფლება“.

ჭ-ს მეცნ. კვლევის უნარი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამომჟღავნდა. 1908 იგი მონაწილეობდა ექსპედიციაში, რ-იც ალ. ხახანაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოში სწავლობდა ქართ. ადათ-წესებს. ამ საკითხებს მან არაერთი საინტერესო მოსაზრება მიუძღვნა.

ქველაზე დიდ ინტერესს ჭ. იჩენდა ქართ. კულტურის საკითხებისადმი. 1907 მოსკ. უნ-ტში დააარსა „ქართული კულტურის მოყვარულთა წრე“, 1912 კი მისივე ინიციატივით თბილისში დაარსდა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, რ-მაც უდიდესი როლი ითამაშა ქართ. კულტურის პოპულარიზაციის საქმეში – ამ საზ-ბის მოღვაწეობით ჩაეყარა საფუძველი ქართ. სალიტ. ენის ნორმალიზაციის ახალ ეტაპს.

ჭ-ს, როგორც საზ-ბის თავ-რეს, ახასიათებდა კეთილიფიციურობა, პასუხისმგებლობა, ენთუზიაზმი, რთულ სიტუაციებში სწრაფი ორიენტირების უნარი. ქართ. ენისა და ლიტ-რის სანაქებო ცოდნა.

აღსანიშნავია ჭ-ს ღვაწლი მოსკ. დიდი თეატრის რეპერტუარში ოპერა „აბესალომ და ეთერის“ შესატანად (1933).

ლიტ.: გოდერიძე ლ., „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ მოღვაწეთა ისტორიიდან.– «მნათობი», 1970, №1; მისივე, მასალები „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ისტორიისათვის.– «საისტორიო მოამბე», 1973, №27–28; თარხნიშვილი ნ., საზოგადოებრივი საქმიანობის უანგარო სიყვარულით.– «საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი», 1985, №47; ლეჟავა ლ., ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან („ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“).– «ქსე», წ. 8, თბ., 1987.

ლ. ლეჟავა.

ჭორდანია თეიმურაზ (თედო) დავითის ძე [20. IV (2. V). 1854, მოქვი, ონამჩირის რ-ნი, – 22. X (4. XI). 1916, კასპი], ისტორიკოსი, პედაგოგი, ფილოლოგი. წარჩინებით დაამთავრა თბილ. სას. სემინარია (1875). სახელმწიფო ხარჯით მიიღეს მოსკ. სას. აკადემიაში, რ-იც წარჩინებით დაამთავრა 1879. 1879–84 იყო თბილ. სას. სასწავლებლის ზედამხედველი, 1884–96 – ქართ. სიტყვიერების მასწავლებელი. 1896 იგი გადაიყვანეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ. 1880-იდან იყო *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* წევრი. ჭ-მ დიდი ამაგი დასდო ძვ. ქართ. მწერლობის შესწავლას. იკვლევდა მიქაელ მოდრეკილის, არსენ დიდი საფარელის, მამუკა თავაქარაშვილის, იოსებ თბილელის, თეიმურაზ I-ისა და სხვ. ცხოვრებასა და შემოქმედებას, ქართ. ბიბლიის წარმოშობის საკითხებს, ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჭ-ს „ქართული გრამმატიკა“ (1889), რ-იც გამოირჩევა საკითხების ახლებური გააზრებით. თავისებურია ამ გრამატიკის აგებულება. იგი ეტიმოლოგიისა და სინტაქსისაგან შედგება, მაგრამ ეს ორი დარგი ერთმანეთთანაა შერწყმული. წინადადების წევრთა ანალიზი, ავტორის თვალსაზრისით, მოიცავს წევრთა სინტაქსურსა და მორფოლ. ანალიზს, ხოლო მორფოლ. ანალიზი მოცემულია იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებითაა ესა თუ ის სიტყვა წინადადებაში ნახმარი. შესაბამისად, სიტყვათა ცვლა სამგვარია: 1. შემასმენლის ცვლა, ანუ უცვლილება; 2. ქვემდებარისა და დამატება-განსაზღვრებათა ცვლა, ანუ ბრუნება და 3. სიტყვაწარმოება.



ჯ. ჭორდანია.

„გრამმატიკას“ უძღვის შესავალი, რ-შიც დახასიათებულია გრამატიკა და მისი ნაწილები. პირველ განყ-ბაში განხილულია ფონეტიკის, მეორეში კი – წინადადების შედგენილობის საკითხები და მათთან მიმართებით მეტყველების ნაწილთა ცვლილებები. ავტორის აზრით, ქართული ანბანი ორგვარია: 1. ხუცური, რ-იც განიყოფება ასომთავრულად და ნუსხურად და 2. მხედრული, რ-იც აგრეთვე ორგვარია: სტამბური, ანუ მრგვალი ხელწერა და მხედრული ნუსხა, ანუ წერილი ხელწერა. ავტორს ადრინდელად მხედრული ანბანი მიუჩნევია: მისი აზრით, ეს ანბანი შემოღებულია „მესამე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე საქართველოს მეფის ფარნაოზისაგან ზენდურის ანბანების მიმსგავსებით... ხუცური ანბანი კი მოგონილია ხუცებისათვის და იხმარებოდა მხოლოდ საღმრთო და საეკლესიო მწერლობაში. ხუცური ანბანი გაჩნდა მეხუთე საუკუნის დამწყებსა არჩილ მეფის დროს.“

შ. ხმარებიდან გასულ ასოებს მორფოლ. დანიშნულებას აძლევს, ამიტომ, ცხადია, საჭიროდ მიაჩნია მათი დატოვება. ბგერათა კლასიფიკაციისას გამოყოფს ხმოვნებს (ა, ე, ი, ო, უ). ნახევარხმოვნებს (ი, უ), რთულებს (ჯ– ეი, ჭ – ჰოი) და თანხმოვნებს („უხმოებს“).

მეორე განყ-ბაში წინადადების აგების პრინციპებია მოცემული. წინადადება, ავტორის აზრით, არის „მარტივი ჰაზრი ანუ მსჯელობა რომელსამე საგანზე“. წინადადების მთავარი წევრებია ქვემდებარე („უფალი აზრისა“) და შესმენილი („თხრობილი“). წინადადებაში წამყვანია შემასმენელი, მასზეა დამოკიდებული ქვემდებარე და დამატებითი სიტყვები, ხოლო განსაზღერება ანგარიშს უწევს ქვემდებარეს, რადგან მისი ცვალებადობა დამოკიდებულია ქვემდებარის ფორმაზე. გრამატიკაში წინადადების წევრთა კლასიფიკაციისას ნაწილობრივ შეინიშნება ანტონ I-ის გავლენა, მაგრამ, წინამორბედ გრამატიკებთან შედარებით, მასში უფრო სრულყოფილადაა დახასიათებული წინადადების წევრთა ფორმები და გამოხატვის საშუალებანი, გამოყოფილია მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები, გამოჟღენილია შემასმენლის სინტაქსური ძალა. „ქართული გრამმატიკის“ მეორე ნაწილში მოცემულია წინადადებათა და სიტყვის ნაწილთა კერძო განხილვა. გათვალისწინებული ორი განყ-ბის ნაცვლად მასში მხოლოდ ერთია წარმოდგენილი, მეორე განყ-ბის შესახებ ავტორი „ბოლოსიტყვაობაში“ შენიშნავს, რომ „მეორე ნაწილი შრომისა, რომელშიც დაწერილებით განხილულია უღელილება სმნათა და მათი სინტაქსური თვისებანი დაუბეჭდავად დაგვრჩა ჩვენის ხელმოკლეობით“. II ნაწილის I განყ-ბაში ყურადღება გამახვილებულია მეტყველების ნაწილთა სხვადასხვა სახის ცვლილებებზე.

„ქართულ გრამმატიკაში“ პირველადაა განხილული გაერთიანებული და დამოკიდებული წინადადებები. პირველი, ახლანდელი გაგებით, შეწყობილი წინადადებაა, მეორე – რთული ქვეწყობილი. სიტყვაწარმოება და საწარმოებელი აფიქსები, ადრინდელი გრამატიკებისაგან განსხვავებით, ვრცლად არის განხილული. არის სხვა სიახლეც: შემჩნეულია მსგავსება მოქმედებითი გვარის სმნათა II თურმეობითსა და პრეფიქსიანი ენებითის ორპირიან სმნათა ნამყო სრულს შორის: „პატარძალს გაეშალა სუფრაჲ, ეს ნიშნავს: ა) პატარძალმა თურმე სუფრა გაშალა; ბ) პატარძლისათვის სუფრა იქნა გაშლილი, პატარძალს სუფრა გაუშალეს“. აქტორი ვრცლად ჩერდება სიტყვაწარმოებაზე; უსაყვედურებს მწერლებს იმის გამო, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქართ. ენის სასიქადულო ღირსებას „და მრავალსიტყვაობენ იქ, სადაც ენა ნებას გვაძლევს მოკლედ გამოეთქვათ ჰაზრი“.

თხზ.: ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფ., 1889.

ლიტ.: კ ი ზ ი რ ი ა ა., ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, თბ., 1997. *ე. ნიკოლაიშვილი.*

ჯეინტი სერგი მიხეილის ძე (30.V.1912, სოფ. ქვენობანი, ჩოხატაურის რ-ნი, – 11.X.1963, თბილისი), ენათმეცნიერი-ფონეტიკოსი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1950). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1932), ასპირანტურის კურსი გაიარა თბილ. უნ-ტსა და რუსეთის მეცნ. აკად. ენისა და აზროვნების ინ-ტში ნ. მარის ხელმძღვანელობით. განაგებდა ქართ. ენის კათედრას ქუთაისის პედ. ინ-ტში (1937–41), იყო თსუ პრორექტორი სამეცნ. დარგში (1950–62), სადაც გ. ახვლედიანთან ერთად დააარსა ექსპერ. ფონეტ. სასწ.-სამეცნ. ლაბორატორია.

შ. იკვლევდა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ფონეტ. საკითხებს, რ-თა შესახებაც გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი ნაშრომი, მ. შ. – 10 მონოგრაფია, მ. შ.: „გურული კილო“ (1936), „ჭანური ტექსტები“ (1938), „სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (1949), „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“ (1953), „ქართული ენის ფონეტიკა“ (1956), „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“ (1960), „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“ (1963), ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები (რჩეული შრომები), თბ., 1965 და სხვ.

შ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ლოგოპედიის დამკვიდრებასა და განვითარებაში.

ი. თევდორაძე.



რ, ქართული ანბანის მეჩვიდმეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეცხრამეტე) ასო. მისი სახელია „რაე"; გრაფ. სიმბოლო ენისწვერისმიერი ვიბრანტი სონორი თანხმოვნისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴐ. მისი მოხაზულობა ხაზისა და რკალების კომბინაციაა, რ-იც ქვაღრატულ არეს იკავებს. ნუსხურში ⴐ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში იგი მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში რ ზედა ორ ხაზში იწერება.



ძვ. ქართ. სათვალაეში აღნიშნავდა ასს (100).

რამიშვილი გურამ ვალერიანის ძე (22. VIII. 1932, თბილისი, – 4. X. 1998, იქვე), ენათმეცნიერი. 1955 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის კაქკ. ენების განყ-ბა, 1958 – თსუ ზოგადი ენათმეცნ. ასპირანტურა აკად. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. 1958-იდან მუშაობდა თსუ ზოგადი ენათმეცნ. კათედრაზე უფრ. მასწავლებლის, დოცენტის (1961), პროფესორის (1971) თანამდებობებზე. 1973–98 იყო ზოგადი ენათმეცნ. კათედრის გამგე, 1990–95 თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინ-ტის რექტორი. 1960 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია („ჰუმბოლდტის ენის თეორიის ზოგი საკითხი"). 1968–70 სამეცნ. მივლინებით იმყოფებოდა იენის (გერმანია) უნ-ტში, სადაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია („ენის შინაფორმის პრობლემა თანამედროვე ლინგვისტიკაში"). 1973–74 ასევე სამეცნ. მივლინებით იმყოფებოდა ბონის (გერმანია) უნ-ტში. 1974 მიენიჭა ლ. ჟაისგერბერის სახ. პატიო მედალი, 1983 – ალბერტ შვაიცერის მედალი (გერმანია), 1989 – იაკობ და ვილჰელმ გრიმების სახელმწ. პრემია (ბერლინი). 1973-იდან იყო ევრ. ლინგვისტთა საერთაშ. სას-ბის წევრი, საერთაშ. საენათმეცნ. ჟურნ. „Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung" რედაქციის წევრი. იყო მრავალი საერთაშ. საენათმეცნ. ფორუმის მონაწილე, საქართვ. ჰუმანიტარულ მეცნ. და ფილოს. მეცნ. აკადემიების ნამდვ. წევრი.

რ-ის შრომები ეკუთვნის თანამედროვე ენათმეცნ. იმ მიმართულებას, რ-ის ქურაღღების ცენტრშია ენათა შინაარსობრივი მხარის კვლევა. მისი შრომები მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, რ-შიც მოქცეულია ენათმეცნ. კლასიკური თეორიების (ვ.ჰუმბოლდტი, ფ. დე სოსიური) ამოსავალ ცნებათა ინტერპრეტაცია თანამედროვე ენის თეორიის ამოცანების შესაბამისად. რ-მა წამოაყენა და დაასაბუთა „ენის შინაგანი ფორმის" ორიგინ. კონცეფცია. მის სახელთან არის დაკავშირებული ენის თეორიაში ბგერა–აზრის ასახსნელად ენობრივი სინთეზის პოსტულატის შემოტანა, რ-იც ამყარებს კორელაციას ენის თეორიის ძირითად ცნებებს შორის (არტიკულაცია, სინთეზი, ენერგია, ღირებულება, შინაფორმა, წარმოქმნა–). რ-ის სემანტიკური ხასიათის ნაშრომებში გაიკვლეულია საგნის ენაში ტრანსპონირების სემანტიკური პირობები; პოსტულირებულია დედაენაში მნიშვნელობათა აღურევლობის წესი, ენობრივი შუაწევრის ცნება, სუბსტანციური ზონების იდეა, სემანტიკური ოპოზიციები (ლატენტური სტრუქტურები), ენათა სემანტიკური ბალანსის პრინციპი, რეფერენციისა და ინტერპრეტაციის დონეები სემანტიკაში, რაც ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ენათა შინაარსეული ასპექტის გამოსავლენად. მიუთითებს სემანტიკის ლატენტური მექანიზმების ცხადყოფისა და აღწერის ორგვარ ემპირიულ შესაძლებლობაზე („ენობრივი ალღოს ფენომენი", „სემანტიკური ინტერფერენცია"). ამ თეორ. პოზიციებიდან არის შესწავლილი ქართ. ენის ლექსიკის სხვადასხვა სფერო: ჰიბაძვითი ლექსიკა, ნათესაობის ტერმინოლოგია, ფერის, განზომილებათა ზედსართაებები და სხვ. რ. ფსიქოლოგებთან ერთად იკვლევდა დედაენობრივი ფაქტორის გაუცნობიერებელი მოქმედების სახეებს მეორე ენის ათვისების დროს. თავის მოწაფეებთან ერთად საქართველოში შექმნა ე. წ. „გერმანული სკოლების ქსელი", სადაც გერმ. და სხვა უცხოური ენების სწავლება ემყარება ენათა კოორდინირებული სწავლების პრინციპს.



გ. რამიშვილი.

თხზ.: ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბ., 1978; სიტყვისა და

ტერმინის სემანტიკური რაობა. – „ენა", 1979, ტ. 94, №3; ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბ., 1995; შესავალი ენის ანთროპოლოგიაში. ფ. დე სოსიური. თბ., 1996; პოლისემიის ლინგვისტური რაობისათვის. – არნ. ნიკობაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1998; ლედაენის თეორია. ლედაენა, მისი ფუნქციები და სწავლება, თბ., 2000; К вопросу о внутренней форме языка (Синтез и порождение). – Actes du Xe Congrès International des Linguistes, Bucarest, 1967; Язык и философия культуры, М., 1985 (პროფ. ა. გულოგასთან ერთად); Über semantische Strukturen in der Konfrontationslinguistik. Spezialprobleme der wissenschaftlichen und technischen Übersetzung, Halle|Saale, 1971; Über die philosophischen Grundlagen der Sprachanthropologie. – «Logos semanticos», Madrid, 1981; Muttersprachliche Intuition und Semantik. Sprachwissenschaftliche Forschungen, Innsbruck, 1985; Einheit in der Vielfalt. Grundfragen der Sprachtheorie, Bonn, 1988–89.

ა. კარტოზია.

რამიშვილი ვალერიან თომას ძე (14. I. 1907, სოფ. დიდი ვანი, ჩოხატაურის რ-ნი, – 8. XI. 1990, თბილისი), პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პედ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967), საქართვ. სკოლის დამს. მასწავლებელი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1977). 1933 დაამთავრა თბილ. თსუ ფილოლ. ფაკ-ტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა თსუ-ში, თბილ. პედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, გორის პედ. ინ-ტში; იყო განათლების სამინისტროს მეთოდგაყ-ბის გამგე, პედ. მეცნ. ეროვნ. ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, 1959-იდან მუშაობდა ა. პუშკინის სახ. თბილ. პედ. ინ-ტში, 1960–68 იყო დაწყ. განათლების პედ. და მეთოდიკის კათედრის გამგე, 1968-იდან გარდაცვალებამდე – ქართ. ენისა და ლიტ-რის მეთოდიკის კათედრის გამგე.



ვ. რამიშვილი.

რ-ის სამეცნ. მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი იყო. იგი ავტორია 750 ნაშრომისა (მონოგრაფიები, სტატიები). მათი ძირითადი ნაწილი ეძღვნება ქართ. ენის სწავლების მეთოდიკას: „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა" (1954, გამოიცა 4-ჯერ); „განმავითარებელი სწავლების პრობლემატიკა" (1958); „ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საფუძვლები" (1982) და სხვ. რ. ავტორია დაწყებითი კლასების პროგრამებისა და სახელმძღვანელოებისა. ამ სფეროში გაწეული ღვაწლისათვის რ-ს მიენიჭა ი. გოგებაშვილის სახ. I ხარისხის პრემია (1978).

თხზ.: (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1954; სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, თბ., 1965; „დედაენა". მოსამზადებელი კლასებისათვის, თბ., 1973; „დედაენა". I კლასისათვის, თბ., 1973; ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები დაწყებით კლასებში, თბ., 1976; ი. გოგებაშვილის „დედაენა", თბ., 1979.

ლიტ.: ნინიალაძე მ., ვალერიან რამიშვილი (მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი), თბ., 1992.

მ. ჩინჩალაძე.

რანგი (ინგლ. rang –რიგი), ლ. სინტაქსში განსხვავებული ენობრივი დონის ერთეულთა შორის იერარქიული ურთიერთმიმართება. ამ მნიშვნელობით ტერმ. „რ." შემოტანილია ამერ. ლინგვისტის მ.ა.კ. ჰოლიდეის მიერ. ითვლება, რომ, თუ წინადადებებს ჩავიყვლით უმაღლესი რ-ის, ხოლო მორფემებს – უმდაბლესი რ-ის ერთეულებად, მაშინ, შუალედურ სინტაგმატურ ერთეულებთან ერთად, მივიღებთ რ-თა სკალას:

წინადადება
ფრაზა
სიტყვათა ჯგუფი
სიტყვა
მორფემა

სადაც მიმდევრობაში უფრო მაღალი რ-ის ერთეული შედგება უფრო დაბალი რ-ის ერთეულებისაგან ან, პირიქით, უფრო დაბალი რ-ის ერთეული შედის უფრო მაღალი რ-ის ერთეულში.

2. მორფემული რ. აღნიშნავს აფიქსის უმაღლეს პოზიციას (ადგილს) ძირის მიმართ სიტყვაფორმის შემადგენლობაში. სიტყვაფორმაში აფიქსთა თანმიმდევრობა არ არის თავისუფალი, იგი გარკვეულ რიგს ემორჩილება. იმ პოზიციის მიხედვით, რ-იც კონკრეტულ შემთხვევაში აფიქსს უკავია აფიქსთა ჯაჭვში, გვაქვს განსხვავებული პოზიციის პრეფიქსები და სუფიქსები. I პოზიციის აფიქსებში ერთიანდება ყველა აფიქსი, რ-იც შეიძლება მოსდევდეს, ან წინ უსწრებდეს ძირს; II პოზიციის აფიქსებში გაერთიანდება ყველა აფიქსი, რ-იც შეიძლება მოსდევდეს, ან წინ უსწრებდეს I პოზიციის აფიქსებს და ა. შ. პოზიციის ზრდასთან ერთად მცირდება მასში შემავალი ელემენტების რაოდენობა. აფიქსების ერთი ნაწილი გვხვდება მხოლოდ I პოზიციაში, ნაწილი – I და II პოზიციაში და ა. შ. მაგ. ქართულში პირის აღმნიშვნელი სუფიქსი –ს გვხვდება I (წერ-ს), II (აკეთ-ებ-ს), III (აწერ-ინ-ებ-ს), IV (აკეთ-ებ-დ-ე-ს) და V (აწერ-ინ-ებ-დ-ე-ს) პოზიციებში, მაგრამ მისი რ. უტოლდება ხუთს, რადგან უმაღლესი პოზიცია უდრის ხუთს. ე. ი. რ. არის აფიქსის ის ადგილი აფიქსთა ჯაჭვში, რ-ის დროსაც იგი მაქსიმალურადაა დაშორებული ძირს. ეს არის ადგილი, რ-ის იქით მოცემული აფიქსი აღარ შეიძლება შეგვხვდეს. შესაბამისად, ქართულში გვაქვს I, II, III რ-ის პრეფიქსები და I, II, III, IV, V რ-ის სუფიქსები.

I რ-ის აფიქსებში ერთიანდება ყველა ის აფიქსი, რ-თა უმაღლესი პოზიცია არის I; II რ-ის აფიქსებში ერთიანდება ყველა ის აფიქსი, რ-თა უმაღლესი პოზიცია არის 2 და ა. შ.

რანგობრივი კლასიფიკაციები ძირთან მიმართებით პირობითად შესაძლებელია გამოიხატოს შემდეგნაირადაც: სუფიქსური მორფემები – 01, 02, 03, 04, 05, პრეფიქსული – 10, 20, 30 (მ. დამენია).

ქართ. სმნის პირიან ფორმებში რ-ების მიხედვით პრეფიქსები შემდეგნაირად დალაგდება: I რ-ის პრეფიქსები – ა) ქცევის ნიშნები, ბ) გვარის ნიშნები; II რ-ის პრეფიქსები – პირის ნიშნები; III რ-ის პრეფიქსები– სმნისწინები.

სხვადასხვა რ-ის პრეფიქსები კონიუნქციით („და") უკავშირდებიან ერთმანეთს: სიტყვაფორმაში ერთდროულად შეიძლება გვქონდეს I, II, III და ა. შ. რ-ის აფიქსები. ერთი და იმავე რ-ის აფიქსებს აკავშირებს დიზიუნქცია („ან"). სიტყვაფორმაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი რ-ის აფიქსი ე. ი. სხვადასხვა რ-ის აფიქსები სინტაგმატიკურ მიმართებაში არიან ერთმანეთთან (და-ვ-ა-წერ-ინებ), ერთი და იმავე რ-ის აფიქსები კი ქმნიან პარადიგმას: ი-წერ-ა-წერ-უ-წერ-; Ø-წერ-...

რ-ს სხვანაირად შეიძლება ეწოდოთ აფიქსის ნომინალური პოზიცია. თითოეული აფიქსი ხასიათდება როგორც რეალური, ისე ნომინალური პოზიციით. მოცემულ პოზიციაში, შესაძლებელია, შეგვხვდეს აფიქსი, რ-ის რ. ტოლია ან მეტია პოზიციაზე, მაგრამ არაეი-

თარ შემოხვევაში არ შეგვხვედება აფიქსი, რ-ის რ. ნაკლებია პოზიციაზე, ე. ი. I პოზიციაში თეორიულად მოსალოდნელია ქველა რ-ის აფიქსი, II-ში ქველა, გარდა I-ისა, III-ში – ქველა, გარდა I და II-ისა და ა. შ. მაგ., III პოზიციაში III რ-ის დ-ს (ნამყო უსრ.) გეერდით აღმონდება მხოლოდ I კავშირებითის ე, რადგან მისი რ. (5) მეტია პოზიციაზე (3) და არაეითარ შემთხვევაში ენებითი გვარის სუფიქსი, რადგან მისი რ. (1) ნაკლებია მოცემულ პოზიციაზე.

დაბოლოს, ორი აფიქსი სხვადასხვა კლასის წარმომადგენელია, თუ მოიძებნება სხვა ისეთი აფიქსი, რ-იც თავსებადია ერთთან, მაგრამ არ არის თავსებადი მეორესთან. მაგ, I რ-ის ა- პრეფიქსი შედის ერთ კლასში, ხოლო I რ-ის ე- პრეფიქსი – მეორე კლასში, რადგან პირველი აწმყოში თავსებადია III სუბიექტ. პირის მხ. რ-ის სუფიქსთან მაშინ, როდესაც მეორე ამ სუფიქსთან არ არის თავსებადი. შდრ.: ა-ქცევ-ს და ე-ქცევ-ა.

ლიტ.: დ ა მ ე ნ ი ა შ., მ ა რ გ ე ლ ა ნ ი ლ., თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ლ., ქართული ზმნის დაბოლოებათა ლექსიკონი მანქანური თარგმნისათვის. – «ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტის შრომები», ტ. 2, თბ., 1961; დ ა მ ე ნ ი ა შ., ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982; Г л и с о н Г., Введение в дескриптивную лингвистику, пер. с англ., М., 1959; Л а й о н з Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978.

ლ. თამარაშვილი.

რაჭული, ქართული ენის დიალექტი, რ-ზედაც მეტ-ქველებს საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული კუთხის – რაჭის მოსახლეობა. რაჭა მდებარეობს დას. საქართვ. ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ჩრდით ესაზღვრება ოსეთი, ჩრდ.-დასით – ქვემო სვანეთი, დას-ით – ლეჩხუმი, სამხრ-ით – იმერეთი, აღმით – ქართლი.

დიალექტური თვალსაზრისით რ. ოთხ კილოკავად იყოფა: რიენისთაური (ღები, ჭიორა), გლოლური, ზემორაჭული და ქვემო რაჭული. ღები და ჭიორა მჭიდროდ უკავშირდება სვანეთს და ამიტომ მათში სვანური სუბსტრატიც ხელშესახებია. გლოლურს ემჩნევა აღმოსავლური ქართ. დიალექტებთან ურთიერთობის კვალი, ლექსიკაში ვლინდება ოსურთან კონტაქტიც. ქვემორაჭულს ორ თქმად ყოფენ – ქვემო რაჭის მთიანი ნაწილის მეტ-ქველება, რ-იც ახლოს დგას ზემორაჭულთან და უკავშირდება ზემოიმერულსაც, და რიონის დაბლობში მობინადრე რაჭველების მეტ-ქველება, რ-იც ახლოს დგას ლეჩხუმურთან. საკუთრივე რ-ის თავისებურებანი ქველაზე უკეთ ჩანს ზემორაჭულში.

რ-თვის დამახასიათებელია მეტ-ქველების დინჯი კილო. რიენისთაურისა და გლოლურის ინტონაცია უახლოვდება აღმ. საქართვ. დიალექტებისათვის დამახასიათებელ ინტონაციას. ბგერათა სისტემის თვალსაზრისით თავისებურება შეინიშნება გლოლურში: წარმოდგენილია ჲ და უკანაენისმიერი ღ, რიენისთაურში დასტურდება ჷ, გლოლურში (ზეპ. პოეზია) – იშვიათად ჭ.

რ-ში ხმოვანთა (ასევე თანხმოვან-ხმოვანთა) კომპლექსები ფონეტიკურად უფრო მდგრადია, ვიდრე ქართ. ენის სხვა დიალექტებში.

სახ. ბრუნვაში გლოლურში გვაქვს -ი, -ჲ, მოთხრობითში ხმოვანფუძიანებთან – -მა, ნათესაობითსა და მოქმედებითში – -ს, -ათ. უთანდებულო მიცემითით გამოიხატება ადგილისა და დროის გარემოება: „ღებს მიდიოდა“, „ისე ეწეებოდით სამთარს“. ნანათესაობითარი მიცემითით გამოიხატება: ადგილი (გლეხისას), დრო (გათენებისას), კუთვნილება (ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ), მასალა (სპილენძისას აკეთებდნენ კარდლეფს). რ-ის ქველა კილოკავში გეხვდება მაერცობი -ა.

სახელთა მრ. რიცხვის ძირითადი მაწარმოებელია -ებ. გლოლურში -ებ ზოგჯერ რთულდება -ნ ფორმანტით (ვაჟაებნი), აქვე საკმაოდ ხშირია -ნ/-თ სუფიქსიანი წარმოება.

გლოლურში შეინიშნება თვლის ოცობითი სისტემის თავისებური გამოხატულება: ექვსოცი (ასოცი).

გვარტომობის სახელები გლოლურში იწარმოება -ეთ სუფიქსით, რიენისთაურში – -იან და -ენ სუფიქსებით.

ზმნის თავისებურებათაგან ყურადღებას იქცევს შემდეგი: გვხვდება ზმნისწინთა ფონეტ. ნაირსახეობები. ხშირია თემის ნიშანთა ცვალებადობა და მონაცვლეობა (უპირატესად მთარაჭულში), ზმნის ხმოვანი პრეფიქსების თავისებური გამოყენება. ზოგი ფუძე თავისებურად იწარმოება (ჯდ-ი-ა ‖ ჯ-ი-ს, ჯდ-ი-ან – ჩის). სუბიექტ. II და ობიექტ. III პირის ნიშნები კილოკავებში მეტ-ნაკლებად დაცულია. გლოლური ერთადერთი კილოკავია ქართ. ენისა, სადაც მრ. რის ნიშნად არის -ნ (კავშირებითის პარადიგმებში: გწყალობდენ, იყონ, ყოფილიყონ).

მიცემითში დასმული სახელის (RS) მრავლობითობა გლოლურში არ აღინიშნება, აქ ძვ. ქართულისებრი ვითარებაა. არსებითი სხვაობაა რ-ის კილოკავებს შორის მრ. რ-ის III სუბიექტ. პირის აღნიშვნის თვალსაზრისითაც. ქვემორაჭულში ძირითადია -ენ (ზოგჯერ -ან) – წასულ-ენ (წასულ-ან); ნამყო ძირითადში -ენ არის მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან (გეიზარდ-ენ). ზემორაჭულში -ენ ძირითადი მაწარმოებელია (წერ-ენ), თაეს იჩენს -ნ-ენ სუფიქსის ადგილას (წერდ-ენ); გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში არის -ეს (დაწერ-ეს). ანალოგიური მდგომარეობაა რიენისთაურშიც. გლოლური პრინციპულად განსხვავდება: -ეს სუფიქსი გეაქვს ნამყო უსრულსა (წერდ-ეს წერდნენ) და ნამყო ძირითად ში: გარდამავალ ზმნებთან – დაწერეს, გარდაუვალ ზმნებთან – გაკეთდეს გაკეთდნენ.

პრეფიქსიანი ენებითის ფუძე -ენ → -ნ სუფიქსით რთულდება (გავემზადენით). -ეს არის ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითშიც (II თურმეობითში): დახედროდ-ეს (=დახედროდნენ).

გლოლურში პირდ. ობიექტის მრავლობითობა, ძვ. ქართულის მსგავსად, -ენ → -ნ სუფიქსით გამოიხატება (მე ისინი ენახ-ენ). ინვერსიულ ზმნებში რეალური ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს: 1. -ან – აწმყოსა და I შედეგობითში. უსულო საგნის მრ. რ. არ აღინიშნება; 2. -ეს ‖ -ენ – ნამყო უსრულისა და პირობითხოლმეობითში, II შედეგობითში; 3. -ნ – სამსაეე კავშირებითში. მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა აღინიშნება ყველა კილოკავში, გარდა გლოლურისა. გამოყენებულია -ყვ და -ით ფორმანტები (-ყვ გლოლურში საერთოდ არ არის). -ყვ ფორმანტით აღინიშნება გრამატ. ობიექტების (პირდ. და ირ.) და რეალური სუბიექტის მრავლობითობა, -თ ფორმანტით – I–II სუბიექტ. პირთა მრავლობითობა. ბოლო ხანებში

შეინიშნება -თ ფორმანტის ფუნქციის გაფართოება -ქე ფორმანტის დაკარგვის ფონზე.

რ-ის ოთხსავე კილოკავში მკვიდრადაა წარმოდგენილი III კავშირებითის ფორმები. ხშირია (განსაკუთრებით გლოლურში) ვითარებითბრუნვიანი მასდარული კონსტრუქციები: წაეიდა ნადირობად (|| სანადიროს), დაუდეს სმად–

რ-ში გავრცელებულია ქეე || ქე და ჰე (<ჰირიმე) ნაწილაკები. ასევე ფართოდაა გავრცელებული სახელთა კნინობით-საალერსო ფორმათა წარმოება. ძირითადი მაწარმოებლებია -ა, -იკ, -უკ–ა, -ინ–ა, -უნ–ა, -იკ-უნ-ა, -იკ-ელ-ა.–

ლექსიკაში გამოიყოფა არქაული ფენა (განსაკუთრებით რივნისთაურსა და გლოლურში: რხმალი, ოვს...), ოსურიდან ნასესხები ფუძეები (ნახშობა – ლაპარაკი). ყურადღებას იქცევს სემანტიკური გადახრები – ტან-ფეხი „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“, პატარა გლეხი „ხელმოკლე გლეხი“. საინტერესოა უძველესი ღღეს ასწაულების ამსახველი ლექსიკა – ბოსლობა, სამალულო, ჩიტიფაფობა და სხვ.

ლიტ.: თოფურია ე., მთარაჭულის დახასიათებისათვის. – „ქართველური ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, თბ., 1961; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., რაჭული დიალექტი. – იხ. მისი: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989. *რ. ლანდია.*

რედუპლიკაცია (გვიანდ. ლათ. reduplicatio – გაორკეცება), სიტყვის, ფუძის, ძირის ერთი ან რამდენიმე ელემენტის განმეორება.

ფუძე შეიძლება იყოს გაორკეცებული მთლიანად და უცვლელად (ქაფქაფ-ი), ნაწილობრივ და ცვლილებებით: 1) ხმოვნის შენაცვლებით (ბალახ-ბულახ-ი); 2) თანხმოვნის ცვლილებებით (გიჟმაჟი); 3) ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით (გორგოლ-ა) და ა. შ. ნაწილობრივი ან ცვლილებებით (მიახლოებითი) გაორკეცება ხშირად ფონეტ. ცვლილების შედეგია (გოგორ-ა < გორგორ-აკ-ი). ზოგჯერ ფუძის ნაწილობრივი რ. პირველადია: ნეიუ-ლებრივ გვაქვს უშუალოდ მარცვლის ან ოდენ თანხმოვნის რ.: (ღოღო „ბაქა“...).

რ. გვხვდება სახელებში, ზმნებში, ზმნისართებში. მეტ-ნაკლებად გავრცელებულია სხვადასხვა წყობის ენებში (იბერიულ-კავკასიურში, ინდოევროპულში, თურქულში...). ცნობილია რ-ის განსხვავებული სახეები: უ კ ა ვ შ ი რ ო, ა ს ი ნ დ ე ტ უ რ ი (ბუტბუტ-ი); კ ა ვ შ ი რ ი ა ნ ი, კ ო პ უ ლ ა ტ უ რ ი: (ფეხ-და-ფეხ); მ ა ე რ თ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ი: (ტყაპ-ატყუპ-ი); ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ი ა ნ ი (ერთმანეთ-ი). რ. დასტურდება რამდენიმე ფუნქციით: 1) თხზვის (იხ. *კომპოზიცია*) ერთ-ერთი სახეობა (პირისპირ, ბუტბუტ-ი). უფრო ხშირად თავს იჩენს ხმაბაძვითსა (იხ. *ონომატოპეა*) და ბგერწერით (იხ. *ბგერწერა*) სიტყვებში; 2) სტილისტიკური საშუალება – აძლიერებს მნიშვნელობას: ბევრი, ბევრი ხალხი; პატარა, პატარა ლიფსიტა; 3) მორფოლ. ფუნქციით გამოხატავს ა) მრ. რ-ს სახელებში (შუმერ. ქურ – „ქვეყანა“, ქურქურ – „ქვეყნები“); მსაზღვრელის გაორკეცებით გამოხატულია მრ. რ. ისეთ სახელთან, რ-თაც მრ. რ-ის ფორმები საერთოდ არ გააჩნიათ (ჩქარ-ჩქარი ელვა); ბ) განაწილებითობას რიცხვით სახელებში: ხუთ-ხუთ-ი; გ) ხარისხს (აღმატებითს, ოდნაობითს) ზედსართავ სახელებში: ცხელ-ცხელ-ი (= უცხელესი), შავ-შავი (= მოშავო); დ) მრავალგზისობას, განგრძობითობას ზმნებში: ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა; ე) პერფექტს (მაგ., ბერძნულში). *ლ. სანიკიძე.*

რედუქცია (< ლათ. reductio – შემცირება, შეკუმშვა), 1. ბგერის არტიკულაციურ-აკუსტიკურ მახასიათებელთა შეცვლა, გამოწვეული მისი წარმოების სისრულის შემცირებით (ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ე ი რ.) ან ბგერის (ბგერების) მთლიანად ამოვარდნა (ს რ უ ლ ი რ.).

რ-ს განიცდიან როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები. ხმოვანთა რ-ს უმთავრესად განაპირობებს ძლიერდინამიკური სიტყვათმახვილი, რ-იც უმახვილო მარცვლებში იწვევს მათში შემავალ ხმოვანთა წარმოებისათვის საჭირო არტიკულაციურ და ფონაციურ მოძრაობათა შესუსტებას და ხმოვანთა მკაფიოობის დაკლებას.

უმახვილო მარცვლებში ძლიერდინამიკური მახვილის გავლენით გამოწვეული რ. ორი სახისაა: რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი და თ ვ ი ს ებ რ ი ვ ი. პირველ შემთხვევაში რ-ის შედეგად იცვლება ტემბრის ესა თუ ის თვისება. მაგ., რუს. სიტყვაში голова́ უმახვილო ხმოვნები კარგავენ ლაბიალიზაციას და უფრო ეიწროვდებიან, რის შედეგადაც რ-ის პირველ საფეხურზე (ло) გვაქვს უმახვილო a-ს ტიპის ვიწრო ხმოვანი, მეორე საფეხურზე (го) კი – უფრო წინა წარმოების ხმოვანი (ъ). რ-ის შედეგად ხშირია აგრეთვე ხმოვანთა ამოვარდნა – (ხმოვან-თდაკარგვითი რ.). უპირატესად ამ სახისაა ხმოვანთა რ. ქართულში, როგორიცაა, მაგ., ფუძეთა შეკუმშვა სახელთა სამ ბრუნვაში – ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში: ნამგალი – ნამგლ-ის, ნამგლ-ით, ნამგლ-ად. მაგრამ რ. ქართულში არ არის მოქმედი პროცესი. ამჟამად იგი მხოლოდ ტრადიც. ნორმაა, შემონახული იმ დროიდან, როდესაც ენას უნდა ჰქონოდა ძლიერდინამიკური სიტყვათმახვილი (გ. ახელედიანი, არნ. ჩიქობავა, ე. თოფურია). თანამედროვე ქართულში (ასევე ძვ. ქართულშიც) მოქმედი სუსტდინამიკური მახვილი ხმოვანთა დაკარგვას ვერ გამოიწვევს. ხ მ ო ვ ა ნ თ დ ა ს უ ს ტ ე ბ ი თ ი რ-ის ნიმუშად ქართულში მიიჩნევენ ო-ე მონაცვლეობას ნიგოსი – ნიგვ'სის, მაწონი – მაწვნის ტიპის სიტყვებში (ა. შანიძე). სხვა თვალსაზრისით, ამ შემთხვევებში ე არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რ-ის შედეგად დასუსტებული ო, აქ საქმე უნდა გვქონდეს ხმოვნისა და თანხმოვნის მონაცვლეობასთან (გ. ახელედიანი).

ბგერათრედუქციის გამომწვევად ზოგჯერ შეიძლება მოგვევლინოს მეტყველების სწრაფი ტემპიც.

თანხმოვნებში რ., სრული ან ნაწილობრივი, მოსდის ყველა ტიპის კონსონანტს. რ. ნაპრალოვნებში ხდება ამონადენი ჰაერნაკადის შესუსტებით ან ნაპრალის გაფართოებით: დიალექტური ს > ჰ > – ამისთანა > ამიჰთანა > ამითანა; მჟღერი თანხმოვნები სუსტდებიან და გადადიან ყრუში, შესაძლოა თანხმოვნის დაკარგვაც: კარგად > კარგათ > კარგა. სრული რ. ხშირია სონორებშიც: სახლი > სახში, კლდე > კდე (> კტე)... თანხმოვანთა რ-ს განეკუთვნება *დეზაფრიკატიზაციაც* (აფრიკატის გადაქცევა მარტივ თანხმოვნად): სწავლა > სტაელა, ოცდაერთი > ოძ-

დაერთი > ოზდაერთი... რ-ს განეკუთვნება აგრეთვე თანხმოვანთმიმდევრობების გამარტივება ან მთლიანად ამოვარდნა, განსაკუთრებით ბავშვთა მეტყველებაში.

2. (სინტაქსში) გაშლილი ტექსტის დაყვანა ნაკლებად გაშლილ ტექსტზე; წინადადების დაყვანა ძირითად (ბირთვულ) სტრუქტურამდე; რედუცირებული წინადადება – წინადადება, რ-შიც გამოტოვებულია სუბიექტი, კოპულა ან რომელიმე დამხმარე წევრი (იხ. *ელიფსისი*).

ლიტ.: ნიქობაძე არნ., მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. – «სმამ», 1942, ტ. 3, №2, 3; თოფურია ე., რედუქციისათვის ქართველურ ენებში. – «იკე», I, თბ., 1946; ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; Зиндер Л. Р., Общая фонетика. 2 изд., М., 1979; Ladefoged P., A Course in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975 (2 ed. 1982). *ნ. იმნაძე.*

რეიფილდი (Rayfield) დონალდ (პატრიკ) (დ. 12. II. 1942), ინგლისელი ქართველოლოგი. ლონდონის უნ-ტის (დედოფალ მერის და უესტფილდის კოლეჯი) პროფესორი. ძირითად სპეციალობასთან ერთად (რუს. და ქართ. ლიტ-რა) მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ენათმეცნიერებაშიც: შეკრებილი და შესწავლილი აქვს დენდრონიმთა ქართველურ-კავკ. სახელწოდებები; ანალოგიური გამოკვლევა ეკუთვნის ორნითოლოგიაში; შეისწავლა მეცხვარეობის ქართველურ-კავკ. ტერმინოლოგია, ხალხური მედიცინისა და სამკურნალო მცენარეთა სახელწოდებები; დაბეჭდა სტატიები ქართ. ლიტრის მხატვრული თარგმანის პრობლემების, ქართ. პოეტური ფოლკლორის შესახებ (რუსულ ფოლკლორთან მიმართებით) და სხვ. (ყველა ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია).

უკანასკნელ წლებში რ. ეწევა ინტენს. ლექსიკოგრაფიულ მუშაობას. იგი მთავარი რედაქტორია ორტომიანი ქართულ-ინგლისური ლექსიკონისა (2006).

კვლევით მუშაობასთან ერთად, რ. ნაყოფიერად თარგმნის ქართ. ლიტ-რას. თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს ვაჟა-ფშაველას სამი პოემა („ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი"), ი. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული" და გ. ტაბიძის რჩეული ლექსები, ტ. ტაბიძის ზოგიერთი ლექსი და ხალხური პოეზიის ნიმუშები („ლექსი ვეფხისა და მოყმისა"). თარგმნა აგრეთვე ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი" (გამოუქვეყნებელია). *შ. აფრიდონიძე.*

რეკონსტრუქცია (< ლათ. re – ხელახალი + constructio – აგება), ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებასა და შედარებით ფილოლოგიაში გამოყენებული დიაქრონიული ანალიზის მეთოდი, რ-ის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ენის, ენათა ჯგუფის, ოჯახის წინაისტ. მდგომარეობის აღდგენა. რ-ის პროცედურა გულისხმობს ისტორიულად დამოწმებულ მონათესავე ენობრივი სისტემების შედარებითი რეტროსპექტული ანალიზით ადრეული (ისტორიულად დაუმოწმებელი) სტადიების პოსტულირებას, არქეტიპების დადგენას (იხ. *არქეტიპი*). რეტროსპექტული სვლა გაგრძელდება მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება ის ენობრივი მდგომარეობა, წინარე ენა, რიდანაც შეიძლება გამოყვანილ იქნეს ყველა ისტორიულად დამოწმებული მონათესავე ენობრივი სისტემა. რაც მეტია შესადარებელი მასალა, მით უფრო მეტია აღდგენილი ენობრივი მდგომარეობის სანდოობის ხარისხი და მით უფრო სრული იქნება წინარე ენის სტრუქტურული მოდელის (რეკონსტრუქტის) შესახებ ინფორმაციაც (იხ. *ფუძენა*). თავის მხრივ, წინარე ენა ანალიზის პროსპექტული მსვლელობის გზით შესაძლებელს ხდის წინაენობრივი მდგომარეობიდან მომდინარე ისტორიულად დამოწმებული ენების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესთა გათვალისწინებას.

შედარებით მეთოდთან ერთად დიაქრონიულ კვლევაში წარმატებით გამოიყენება ე. წ. შინაგანი რ-ის მეთოდი. ამ მეთოდით ხდება როგორც უმწერლობო მონათესავე ენათა წინაისტორიის აღდგენა, ისე ცალკე მდგომ, იზოლირებულ ენათა წინაისტორიის აღდგენაც. შინაგანი რ. ორიენტირებულია ცალკეული ენის (ენათა ჯგუფის) ფარგლებში გარკვეული სტრუქტურული სქემების უნიფიცირებისა და მათი საეარაუდო უძველეს სტრუქტურულ ტიპებზე დაყვანის პროცედურებზე. ამ პროცედურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ტიპოლოგიური (სინქრონული კანონზომიერებებისა და დიაქრონიული ტრანსფორმაციების), ისე ენობრივ უნივერსალიათა კვლევის მონაცემებს.

სინქრონიული და დიაქრონიული ტიპოლოგიის მონაცემთა მიხედვით მოხდა ინდოევროპულ ხშულთა სისტემის რეინტერპრეტაცია, რ-ის შედეგად საეარაუდო სისტემა „ლინგვისტური რეალურობის" უფრო მაღალ ხარისხს ავლენს, ვიდრე ტრადიციულად რეკონსტრუირებული სისტემა. რამდენადაც ეს უკანასკნელი წინაარმდეგობაში აღმოჩნდა სინქრონული ტიპოლოგიის მონაცემებთან, იგი რეინტერპრეტირებულ იქნა სისტემის დიაქრონიული გამოყვანადობის პრინციპის საფუძველზე (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი). ასეთი რეინტერპრეტაციის შედეგად ინდოევროპულ ხშულთა სისტემა დალაგდა სამ სერიად გლოტალიზაციისა და მყღერობა-სიჟრუის მიხედვით: I – გლოტალიზებულები (p')t'k'k'k'ʷ, II – მყღერი, ფშვინვიერები bʰ/b dʰ/d gh/g gʰ/g gʰʷ/gʷ: ყრუ ფშვინვიერები pʰ/p tʰ/t kʰ/k kʰ/k kʰʷ/kʷ. ამგვარად აღდგენილი სისტემა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას ქართ. ენათა ხშულების სამსერიან სისტემასთან (იხ. ფუძენა). საერთო ინდოევროპული კონსონანტიზმის წარმოდგენილი რეკონსტრუქცია, რ-იც თანამედროვე ინდოევრ. შედ. ენათ-ში ცნობილია გლოტალური თეორიის სახელწოდებით, შეიძლება განხილულ იქნას როგორც ახალი პარადიგმა ინდოევროპულ შედ.-ისტ. ენათმეცნიერებაში.



დ. რეიფილდი.

ლიტ.: გამყრელიძე თ., თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკა და ქართველური ენები. – «ენათმეცნიერების საკითხები», 2000, №1; გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003; Бенвенист Э., Классификация языков. – «Новое в лингвистике», вып. 3, М., 1963; Якобсон Р., Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание. – იქვე; Курилович Е., О методах внутренней реконструкции. – «Новое в лингвистике», вып. 4, М., 1963; Общее языкознание. Методы лингвистических исследований, М.,

1973; Нерознак В. П., Реконструкция. –Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ლ. ენუქიძე. ი. ქობალავა.

რემა (ბერძნ. rhēma – ნათქვამი), წინადადების აქტუალური (არაფორმალური, ფუნქციური) დანაწევრების შედეგად მიღებული ნაწილი, რ-იც შეიცავს ახ. ინფორმაციას იმის შესახებ, რაზედაც ლაპარაკია მოცემულ შეტყობინებაში და ცნობილია მოლაპარაკე – მსმენელისათვის (იხ. *თემა* 1). ამ აზრით, რ. ზოგჯერ მოიცავს იმას, რასაც აღნიშნავს პრედიკატი, ე. ი. იმას, რაც ითქმის სუბიექტის შესახებ. მაგრამ თემა-რემული დამოკიდებულება არ ემთხვევა სუბიექტ-ობიექტის ტრადიციულად მიღებულ განსხვავებას. მაგ., წინადადებებში – „წიგნი დევს თაროზე“ და „თაროზე დევს წიგნი“ ორსავე შემთხვევაში „წიგნი“ სუბიექტია, ხოლო „დევს თაროზე“ – პრედიკატი, მაგრამ პირველ წინადადებაში „წიგნი“ არის თემა, მეორეში კი – რ., და შესაბამისად, პირველ წინადადებაში „დევს თაროზე“ არის რ., მეორეში კი – თემა.

ენებში თემა–რემული სტრუქტურის გამოსახატავად არსებობს როგორც უნივერსალური ენობრივი, ისე კონკრეტული ენებისათვის სპეციფიკური საშუალებები.

როგორც ახ. ინფორმაციის შემცველი შეტყობინებაში, რ. ხასიათდება კომუნიკაციური დინამიზმის უმაღლესი ხარისხით. ამ თვალსაზრისით თემა კომუნიკაციური დინამიზმის ნაკლებ ხარისხს ფლობს. ტრანსფორმაციულ გრამატიკაში რ. განისაზღვრება როგორც ყველაფერი ის, რაც არ არის თემა და მიჩნეულია სიღრმისეული სტრუქტურის ერთეულად.

ლიტ.: Матезиус В., О так называемом актуальном членении предложения. – კრ.: Пражский лингвистический кружок, М., 1967; Слюсарева Н. А., Категориальная основа тема-рематической организации предложения. – «Вопросы языкознания», 1986, №4.

ლ. ენუქიძე. ი. ქობალავა.

რეფლექსური მიმართვა, ასაკით უფროსი ნათესავის მიმართვა უმცროსისადმი ადრესანტის შესაფერისი აპელატივის (საზოგადო სახელის) ფორმით, მაგ., დედა მიმართავს შვილს: „რა უნდა უთხრა, დედიკო, ძიას?“

სახელური (სახელით გამოხატული) მიმართვის ფორმათაგან გამოიყოფა ერთი წყება საზოგადო სახელებისა, რ-ებიც ნათესაურ ურთიერთობას აღნიშნავენ. ეს სახელებია: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, დიდედა, პაპა, დეიდა, მამიდა, ბიძა, ბიცოლა, აგრეთვე ძიძა და ნათლია. აღნიშნული სახელები ანალოგიური სემანტიკის სხვა სახელთაგან (და, ძმა, ცოლი, ქმარი და სხვ.) განსხვავდება ფონეტ.-სტრუქტურული, სემანტიკური და სინტაქსური ნიშნებით: 1. არც ერთი მათგანი არ არის ერთმარცვლიანი (ჩვეულებრივ ორ- ან სამმარცვლიანია); 2. ყოველი მათგანი ბოლოვდება ა ხმოვანზე; 3. თითოეული მათგანი აღნიშნავს მინიმუმ ერთი თაობით უფროს უახლოეს ნათესავს; 4. ყველა ეს სახელი კუთვნილებით ნაცვალსახელთან შეხამებაში ქმნის კომპოზიტს (დედაჩემი, მამაშენი...).

აღნიშნული სახელები გამოირჩევა ფუნქციონირების თვალსაზრისითაც: ამ სიტყვებით გამოხატული პირები არიან არა მარტო მიმართვის ადრესატები (უმცროსი თაობის სათანადო წარმომადგენელთაგან), არამედ, არცთუ იშვიათად, ადრესანტებიც. ამ შემთხვევაში უფროსი თაობის ესა თუ ის წარმომადგენელი მიმართავს უმცროსი თაობის ნათესავს იმ სახელით, რ-თაც უმცროსმა უნდა მიმართოს უფროსს. მიმართების ამ ტიპს შესაფერისია ეწოდოს „სარკისებრი“, ანუ „რეფლექსური მიმართვები“. ამგვარ მიმართვებში ადრესანტის გამომხატველი სიტყვა ირთავს ასაკით უმცროსი ადრესატისათვის შესაფერის მოფერებით-კნინობით სუფიქსებს (მაგ.:, მოდი, დედიკო, ჩემთან!“). თუ ადრესატი ერთზე მეტია, რ. მ-მ შეიძლება მრ. რ-ის სუფიქსიც დაირთოს (მაგ.: „როგორა ხართ, ჩემო ბიძიკოებო?).

მიმართვის ეს ხერხი ბავშვისათვის ლაპარაკის დაწყების გასაადვილებელი ერთ-ერთი საშუალებაა და ფართოდ გამოიყენება ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში (მაგ., იტალიაში), ახლო აღმოსავლეთში (მაგ., ლიბანის არაბულში) და ა.შ. ქართ. ენაში მიმართვის ეს სახე ძირითადად დასავლურქართ. კილოების მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, რაც შეიძლებოდა აღნიშნულ ქვეყნებში გავრცელებული სამეტყველო პრაქტიკის გავლენით ახსნილიყო. მაგრამ უფრო სავარაუდებელია ამ მოვლენის ტიპოლოგიური ხასიათი, თუ გავითვალისწინებთ ამგვარი გავლენებისაგან შედარებით დაცული და იზოლირებული მთიანი კუთხეების (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი..) მეტყველებას [მაგ., ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონიდან“ (მოხუცი სანათა – კვირიას): „იმავ დღეს შეილო, დედილამ, ჭრელს ჩაეიცომდი კაბასა...].

რ. მ-ების ენობრივი მექანიზმი ეფუძნება სათანადო სინტაგმების ზმნური კომპონენტის ელიფსისს, ანუ გამოტოვებას. კერძოდ, იგულისხმება, რომ კონსტრუქცია „მოდი, დედა (|| დედიკო), ჩემთან!“ მიღებულია უფრო ვრცელი კონსტრუქციიდან: მოდი, დედა (|| დედიკო) გენაცვალოს!

ლიტ.: აფრიდონიძე შ., აპელატიური მიმართვის ფორმების გამოყენებისათვის ქართულში. – «იკე», XXIX, თბ., 1990. *შ. აფრიდონიძე.*

რვეული, ძველი ხელნაწერი წიგნის შემადგენელი ნაწილი, რვაფურცლედი (ნაწარმოებია „რვა“ ძირისაგან). ძველად ტყავის საწერი მასალა (პერგამენტი) ოთხ ფურცლად, ანუ ტეტრადიანად იკეცებოდა და ორი ასეთი ოთხფურცლედი ქმნიდა რვა ფურცელს, ანუ რ-ს. ხელნაწერი წიგნის დაგვერდვა (პაგინაცია) ჩვეულებრივ გვერდობრივი კი არ იყო, არამედ – რვეულებრივი. თითოეული რ-ის I გვერდის აშიაზე (ზოგჯერ ბოლო, მე-16 გვერდზეც) აღინიშნებოდა რიცხვითი (ასოებით გამოხატული) სათვალავი. ტერმ. რ. დადასტურებულია X ს. და მის აქეთა ხელნაწერებში. ასევე ფუძისაგან „რვა“ არის ნაწარმოები აღორძინების ხანის თექვსმეტ- და ოცმარცვლიანი ქართ. ლექსის ერთ-ერთი სახეობა – „რვული“, რ-ის 8 ტაეპი ერთიან რითმაზეა აგებული.

ლიტ.: ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; მიქაძე გ., ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974; დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997. *კ. დანელია.*

რთული თანწყობილი წინადადება, *რთული წინადადება*, რ-იც შედგენილია თანწყობით შეერთებული ორი ან მეტი *მარტივი* თუ *შერწყმული წინადადებისაგან*. რ. თ. წ. ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო. რ. თ. წ-ის კომპონენტების (პრედიკატული

ერთეულები) შესაერთებლად გამოყენებულია მაერთებელი კავშირები (მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი, მაცალკევებელი), რ-ებიც შესაბამის ინტონაციასთან ერთად გამოხატავენ კომპონენტთა ნაირგვარ მიმართებას („ღვთისო თან შეჰყვა ბატკანს, მაგრამ ადიდებულმა მდინარემ ორივე არაგვში მიიტანა“, ვაჟა-ფშაველა). უკავშირო რ. მ. წ-ის კომპონენტების შეკავშირების ძირითადი საშუალება ინტონაციაა („დაიტვირთნენ ვაზები, დაიშაქრნენ მტევნები, აღაჟღაჟდნენ ვაშლები, გადაყვითლდნენ ტევრები“, ლ. ასათ.). რ. მ. წ-ის კომპონენტები ზოგჯერ გამიჯნულია ერთმანეთისაგან („სამთარი მოვიდა და ბაღ-ვენახებში მუშაობა შეწყდა“, მ. ჯავახ.), ზოგჯერ კი მათ აქვთ საზიარო სიტყვები, რ-ებიც რთული წინადადების კომპონენტებში ერთსა და იმავე ან სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ. რ. მ. წ-ის პირველი კომპონენტი, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლად გაფორმებული პრედიკატული ერთეულია, ხოლო მომდევნო კომპონენტში ჩნდება ხოლმე ისეთი სიტყვები, რ-თა მნიშვნელობაც მხოლოდ პირველ კომპონენტთან მიმართებაშია გასაგები („საქმე და მოსაქმე ერიმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა“, ი. ჭავჭ.). არც თუ იშვიათად რ. მ. წ-ის კომპონენტებში სათანადო ლექსიკური საშუალებებით კომპონენტთა დაქვემდებარებაცაა გამოხატული („არაფერი პასუხი არ ისმოდა მიცვალებულისაგან და ამიტომ ხმალი სახლში დარჩა“, ვაჟა-ფშაველა). თუ რ. მ. წ-ის კომპონენტებში საზიარო სიტყვები ზმნათა სუბიექტ.-ობიექტ. პირების ფარდი სახელებია (ქვემდებარე და პირმიმართი დამატებანი), ასეთი პრედიკატული ერთეულები სემანტიკურად ისე შერწყმულ-დაახლოებულნი არიან ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ მათი დაყოფაც კი ძნელდება („ჯერ ახვალ მუხიანში, მერე და მერე ღვიაც გამოჩერეა, წაგიცდება ხელი, მოგლეჯ ჩხვლეტანა წიწვებიან ტოტს, გასრეს იმ წიწვებს და მთელ ღღეს აღარ მოგშორდება ღვიის საამური სუნი“, რ. ინან.). რ. მ. წ-ის კომპონენტები ჩვეულებრივ თანამიმდევრობით არიან განლაგებული, მაგრამ ზოგჯერ შესაძლებელია ერთ კომპონენტში მეორის ნაწილა. თუ პირველი კომპონენტი თანწყობილშემასმენლებიანი წინადადებაა, ერთ-ერთ შემასმენელთან შეიძლება ჩაირთოს მარტივი წინადადება („პირველ რიგში შემართალი ჯასახები გარბოდნენ და მათია თავისუფლად ხანჯლავდა მათ, მაგრამ მალე გონს მოვიდნენ, შემოეხვივნენ, ჩაიგდეს შუაში და ხმლები დაუშინეს“, ა. ჯაჯან.). ასეთ შემთხვევაში კომპონენტთა შორის დაპირისპირება ან მიზეზ-შედეგობრივი მიმართებაა, ამიტომაც კომპონენტთა რიგის შეცვლა ვერ ხერხდება. ორზე მეტი კომპონენტის შემცველ რ. მ. წ-ში, ჩვეულებრივ, კავშირიანი შეერთებაც არის და უკავშიროც („საზანდარმა ღამე ააცახცახა, ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა, ცა – ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა და გაზაფხულს რიის სუნი ასდიოდა“, გ. ლეონ.).

ლიტ.: ქიზირია ა., რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969; ძიძიგური შ., კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969; ჭიკაძე რ., წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბ., 1995; ქავჭავაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. ქავრტალიანი.

რთული ქვეწყობილი წინადადება, *რთული წინადადება*, რ-იც შედგება ქვეწყობის საშუალებით შეერთებული ორი ან მეტი *მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან*. ქვეწყობილ წინადადებაში ერთი წინადადება მთავარია, მეორე – მას'ხე დაქვემდებარებული, ანუ დამოკიდებული (იხ. *დამოკიდებული წინადადება*). მთავარი წინადადება სტრუქტურულად რამდენადმე დამოუკიდებელია, დამოკიდებული კი შეიცავს დაქვემდებარების სტრუქტურულ ელემენტებს – მაქვემდებარებელ კავშირს ან მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციის მქონე მიმართებით სიტყვას, მაგ., „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“ (ანდ.); „სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო“ (ანდ.). დასახელებულ მაგალითებში პირველი კომპონენტები დამოკიდებული წინადადებებია. ისინი უერთდებიან მთავარ წინადადებებს მიმართებითი სიტყვებით („რასაც“, „სადაც“) და აზუსტებენ მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელითა და ზმნისართით გადმოცემული წევრების („იმას“, „იქ“) ზოგად მნიშვნელობას. მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელითა და ზმნისართით გადმოცემულ სიტყვებს, რ-თაც ხსნის და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება, მისათითებელი ან საკორელაციო სიტყვები (კორელატები) ეწოდება (იხ. *მისათითებელი სიტყვა*). „იმას“, „იქ“ კორელატებია. კორელატი გვაფარაუდებინებს დამოკიდებულ წინადადებას, როგორც ამხსნელს. ამდენად, კორელატის შემცველი მთავარი წინადადება სტრუქტურულად და აზრობრივად ისე დამოუკიდებელი არ არის, როგორც კორელატის გარეშე წარმოდგენილი („რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, გ. შატბ. შდრ. „რაც სიძულვილმა გაანადგურა, მას სიყვარული აღადგენს ისევ“, გ. ტაბ.). ასე რომ, რ. ქ. წ-ში მთავარი წინადადება ასახსნელ-დასაზუსტებელია, დამოკიდებული კი – ამხსნელი, შემავსებელი. დამოკიდებული წინადადება ხსნის ან მთლიანად მთავარ წინადადებას („თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“, დ. გ'ურ.), ან მის რომელსამე წევრს („მას ნუღარ ესტირით, რაც დაკარგულა“, ი. ჭავჭ.). ამხსნელ-ასახსნელ კომპონენტებს შორის შინაგანი (აზრობრივი) დაქვემდებარების გამოსაელენად ტრად. გრამატიკაში გამოყენებულია კითხვის დასმის ხერხი (სადაც კი მოსახერხებელია). კითხვაში შედის მთავარი წინადადება და უპასუხებს დამოკიდებული („რას ნუღარ ესტირით?“ – „რაც დაკარგულა“).

დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირით (კავშირიანი ქვეწყობა) ან უკავშიროდ (უკავშირო ქვეწყობა). კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებასთან შესაერთებლად გამოიყენება: 1. მაქვემდებარებელი კავშირები (რომ, რადგან, სანამ, რათა, რაკი...), 2. მიმართებითი სიტყვები: მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც, რამდენიც, როგორიც...), მიმართებითი ზმნისართები (როდესაც, სადაც, როგორც...). მაქვემდებარებელი კავშირი მხოლოდ შეერთების საშუალებაა („მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, მარად და მარად ტყდება ჩინარი“, გ. ტაბ.), მიმართებითი სიტყვა კი ამავე დროს დამოკიდებული წინადადების წევრიცაა. ამიტომ მიმართებით სიტყვებს,

კავშირებისაგან განსასხვავებლად, წევრ-კავშირებს ან საკავშირებელ სიტყვებს უწოდებენ მაგ., „ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო“ (ანდ.). „საღაც თაფლია, ფუტკარიც იქ ბზუისო“ (ანდ.). დასახელებულ მაგალითებში მიმართებითი სიტყვა „ვინც“ ქვემდებარეა, „საღაც“ – ადგილის გარემოება. მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვებია „იმას“, „იქ“. მაშასადამე, მაქვემდებარებელი კავშირები და საკავშირებელი სიტყვები დამოკიდებულ წინადადებაში და საკორელაციო სიტყვები მთავარში (თუ არის) ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურული ელემენტებია, რებითაც იგი ფორმალურად განსხვავდება თანწყობილი წინადადებისაგან („როცა მთიდან დაეშვა ღამე, დაიბინდა მდელო“, შდრ. „მთიდან დაეშვა ღამე და დაიბინდა მდელო“, გ. ტაბ.). რ. ძ. წ-ის ორგანიზებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს რთული წინადადების კომპონენტებში (მთავარსა და დამოკიდებულში) წარმოდგენილი ზმნების დრო-კილოთა ფორმების შესაბამისობას, რაც გარკვეულ კანონზომიერებას ავლენს (იხ. *თანამდევრობა*: „ქალი მიდის, რომ სხვაგან გაიკეთოს ბუდე“, ი. ჭავჭ.; შდრ. „ქალი წაედა, რომ სხვაგან გაეკეთებინა ბუდე“). უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში, ინტონაციასთან ერთად, ზმნების დრო-კილოთა შესაბამისობა არსებითი მნიშვნელობისაა („უთხარი ცამდე ამართულ მუხას, მუდამ იხეიოს ნისლი გრძნეული“, გ. ტაბ.). უკავშიროდ არ ჩაითვლება ისეთი ქვეწყობილი წინადადება, რ-შიც დამოკიდებულს არა აქვს კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა, მაგრამ მთავარში ჩანს მისათითებელი სიტყვა, რ-იც დამოკიდებული წინადადების სინტაქსურ ფუნქციაზე მიგვანიშნებს („ისეთ სადღეგრძელოს ვეტყვი, ბულბულს დაესვამ ჭიქაზე“, გ. შატბ., „შენი სახელი ისე სწერია, ვერც დრომ, ვერც წარღვნამ ვერ გადარეცხოს“, გ. ლეონ.). მოდალური ზმნების შემცველი მთავარი წინადადება გარკვეულ შემთხვევაში ისე მტკიცედ უერთდება უკავშირო დამოკიდებულს, რომ გვაძლევს ნაჰიპოტაქსარ გამარტივებულ კონსტრუქციას, ე. წ. ბივერბალურ კონსტრუქციას (მინდა ვიყო ბავშვი). ტრადიციულად გრამატიკაში დამოკიდებული წინადადების ფუნქცია გათანაბრებულია წინადადების წევრის ფუნქციასთან. გამოყოფილია იმდენი სახის დამოკიდებული წინადადება, რამდენი წინადადების წევრიცაა (ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, შემასმენლური, გარემოებითი). თუ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შემასმენელთან ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს, იგი ქვემდებარული დამოკიდებულია; თუ – დამატებისას, დამატებითია და ა. შ. ამათ გარდა, გამოყოფილია ისეთი დამოკიდებული წინადადებებიც, როგორიცაა პირობითი, შედეგობითი, დათმობითი... წინადადების წევრის ფუნქციის მქონე დამოკიდებული წინადადებები შეეფარდება საკორელაციო სიტყვას (თუ კორელატი არის მთავარ წინადადებაში). რა წევრიცაა საკორელაციო სიტყვა, იმაგვე სინტაქსური ფუნქციისაა დამოკიდებული წინადადება – „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთა“, შოთა რუსთ. „მანვე“ ქვემდებარეა მთავარ წინადადებაში, მისი ამხსნელი წინადადებაც ქვემდებარული დამოკიდებულია). ჩვეულებრივ, თუ საკავშირებელი სიტყვა ნაცვალსახელია, მისათითებელი სიტყვაც შესაბამისი მნიშვნელობის ნაცვალსახელია, საკავშირებელ ზმნისართს კი კორელატადაც ზმნისართი შეეფარდება (ის ... ვინც, ისეთი ... როგორიც, იმდენი ... რამდენიც; იქ... საღაც, მაშინ ... როდესაც, ისე ... როგორც, ...). ოშვიათ შემთხვევებში ეს შეფარდება დარღვეულია: კორელატი ნაცვალსახელია, საკავშირებელი სიტყვა – ზმნისართი („სასტუმროს ის ოთახი, სადაც აკაკის ჯდომა უყვარდა, გადასცქეროდა რიონს“, რ. გვეტ.). ეს დარღვევა ახსნილია დამოკიდებული წინდადების ტენდენციით – შეარჩიოს ისეთი კავშირი, რ-იც ამაღე დროს მას გამოადგება წინადადების წევრად, ე. ი. მის შინაარსს შეეგუება. ტრადიციულად დამოკიდებული წინადადების დახასიათება სამი ნიშნის მიხედვით ხდება. ეს ნიშნებია: 1. შეერთების საშუალება (კავშირიანი ან უკავშირო), 2. სინტაქსური ფუნქცია, 3. პოზიცია. ზოგადად დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს მთავარი წინადადების წინ, შემდეგ ან მთავარში (იხ. *დამოკიდებული წინადადება*).

ლიტ.: დონდუა კ., მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში. – «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; მისივე, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში. – «თსუ შრომები», 1949, ტ. 37; შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკა, II, თბ., 1948; აბესაძე ნ., ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში. – «თსუ შრომები», 1960, ტ. 93; მისივე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში. – იქვე, 1965, ტ. 114; კისარია ა., რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969; ძიძიგური შ., კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969; გეგუჭაძე ლ., დროთა თანმიმდევრობა ერთი ტიპის კონსტრუქციაში. – «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1972, №3; მისივე, დროთა თანმიმდევრობის საკითხისათვის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1974, №3; ერთელიშვილი ფ., განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის შესახებ. – «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», V, თბ., 1981; მისივე, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში. – «იკე», XXVI, თბ., 1987; მისივე, ზანური ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში. – «იკე», XXVII, თბ., 1988; კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986; კვანტალიანი ლ., რთული წინადადების შესწავლის ისტორიიდან. – «იკე», XXIX, თბ., 1990; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996. *ლ. კვანტალიანი.*

რთული წინადადება, სინტაქსური კონსტრუქცია, რ-იც შედგენილია ორი ან მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადების შეერთებით და აზრობრივად და ინტონაციურად ერთი მთლიანი დასრულებული ერთეულია. რ. წ-ის შემადგენელი წინადადებების (პრედიკატული ერთეულები) შეკავშირება ხდება თანწყობის (პარატაქსი) და ქვეწყობის (*ჰიპოტაქსი*) წესით. თანწყობა გულისხმობს ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორი წინადადებების შეერთებას (მთიდან დაეშვა ღამე და დაიბინდა მდელო, გ. ტაბ.), ქვეწყობა კი – გრამატიკულად არათანასწორი (მთავარი და დამოკიდებული) წინადადებების შეერთებას (როცა მთიდან დაეშვა ღამე, დაიბინდა მდელო). რ. წ-ის შემადგე-

ნელი წინადადებები ერთმანეთს უერთდება კავშირებით ან უკავშიროდ (მხოლოდ ინტონაციით), ე. ი. რ. წ. არის კავშირიანი („სანამ არ გადამხმარან ბაღში ვარდთა ბარდები, მიწაც, ნუ გეცოდები, ცაო, ნუ გედარდები, გ. ტაბ.") და უკავშირო („შუქი გაიშალა, ჩყალი დაიფერა, სიო დაიბერა, ჩალა გაიწალა", გ. ტაბ.). რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია მაერთებელი (მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი, მაცალკეებელი) კავშირები, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კი – მაქვემდებარებელი კავშირები. გარდა ამისა, რ. წ-ის შესაქმნელად გამოყენებულია სხვა საშუალებებიც: ინტონაცია, სმრის დრო-კილოთა შესაბამისი ფორმები, მისათითებელი ნაცვალსახელები, სმრისართები, ნაწილაკები. რ. წ-ის სახეებს თუმცა ფორმალური საშუალებების თავიანთი სისტემა აქვთ, მაგრამ თანწყობასა და ქვეწყობას შორის გარდაუვალი ზღვარი მაინც არ არის, განსაკუთრებით სემანტიკური თვალსაზრისით. კომპონენტების ერთნაირი მიმართება შეიძლება გამოიხატოს თანწყობილი წინადადებითაც და ქვეწყობილითაც („ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს?!", ი. ჭავჭ.; შდრ.: ამ წუთისოფელში მეტი ლუკმა არავისა აქვს და შენ რა გაძლიოს?!).

არის ისეთი რთული კონსტრუქციები, რ-ებიც თანწყობასა და ქვეწყობას შორის შუალედურ ადგილს იჭერს. ასეთი წინადადებები წარმოდგენილია ერთდროულად თანწყობისა და ქვეწყობის კავშირებით (თუმცა – მაგრამ; ოღონდ – და, თუ არა – და).

ლიტ. იხ. სტატიასთან *რთული ქვეწყობილი წინადადება.*

ლ. კვანტალიანი.

რიტორიკა (ბერძნ. rhētorikē), ორატორული ხელოვნება, მოძღვრება მჭევრმეტყველების, საორატორო ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ. როგორც მჭევრმეტყველების თეორია, წარმოიშვა ძვ. საბერძნეთში ანტ. კულტურის დაცემამდე, ძვ. წ. V ს-ში. ამ პერიოდშია შექმნილი რ-ის პირველი სახელმძღვანელო, რ-საც ჩვენამდე არ მოუღწევია. მის ავტორებად სირაკუსელი ბერძნები კორაქსი და ტესია ითვლებიან. ძვ. რიტორიკული სკოლის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ გორგია, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, კვინტილიანე და სხვ.

რ-ის საგანი, მეთოდები, მიზანი ერთნაირი არ ყოფილა ქველა ეპოქაში, მაგრამ იგი, როგორც მეცნიერება, არსებითად ყოველთვის მჭევრმეტყველების თეორიას წარმოადგენდა.

XIX ს. დასაწყისიდან რ. განიცდის კრიზისს და დამოუკიდებელი მეცნიერებიდან ფაქტობრივად პოეტიკის სფეროში ექცევა. XX ს-ში თან მოიტანა ახ. ხელოვნება, ახ. ფილოსოფია, ახ. ლინგვისტური იდეები, რ-ებმაც შექმნეს წინაპირობა რ-ის აღორძინებისათვის.

თანამედროვე რ. არის პრინციპულად ახ. დისციპლინა, ანუ, უფრო ზუსტად, სამეცნ. ძიების მიმართულება, რ-იც აეროიანებს პუმანიტარულ დისციპლინათა მთელ ჯგუფს. იგი წარმოიშვა სტრუქტურალიზმის, სემიოლოგიისა და ახ. კრიტიკის საზღვარზე (ჟ. დიუბუა). მაგრამ ახ. ტიპის რ-ის ჩამოყალიბება პირველ რიგში მაინც შეპირობებული იყო ლინგვისტური ფაქტორებით. მართალია, ფ. დე სოსიური უშუალოდ არ შეხებია რის საკითხებს, მაგრამ მისმა იდეებმა არსებითად გააღვივა ინტერესი რ-ის მიმართ. კელეების გაღანაცელება მეტყველების ლინგვისტიკაზე არის გადასვლა პრედიკაციის „წმინდა" ანალიზიდან რეფერენციული ფუნქციის განხილვაზე, დისკურსის ანალიზზე. წინა პლანზე გადმოდის კონტექსტი. გამონათქვამის სიტუაცია (რ. ბარტი). იმ წანამძღვრებს შორის, რ-ებმაც ნიადაგი მოუმზადეს ახ. რიტორიკას, გამოიყოფა ტრანსფორმაციული ლინგვისტიკა (ზ. პარისი), ლ. იელმსლევის კონოტაციის თეორია, რ. იაკობსონის შრომები და ბრიუსელის რიტორიკული სკოლა (პერელმანი, ტერმ. „ნეორიტორიკის" შემომტანი).

1970 ბელგიაში, ლიეჟის უნ-ტში, ჩამოყალიბდა ნეორიტორიკის სკოლა (ჟ. დიუბუა, ფ. ედელინი, კ. კლინკენბერგი და სხვ.), რ-იც კონცეპტუალურად დაკავშირებული იყო პარიზის სემიოტიკის სკოლასთან. ახ. ტიპის რ. ჩაერთო სემიოტიკურ მეცნიერებათა ჯაჭვსა და კულტუროლოგიურ პრობლემათა სფეროში.

მეტყველების ეფექტურობის მიზნით რ-მ უნდა გაითვალისწინოს ენობრივი კომუნიკაციის თანამედროვე რიტორიკული მოდელები, ისეთი კატეგორიები, როგორიცაა გაგება, თანამშრომლობა და ორმხრივი კომუნიკაცია. ამ მიმართულებით მუშაობს რ-ის ერთ-ერთი მიმართულება – ლინგვოპრაგმატიკა. „სიმბოლოს თეორიის" ზოგადი ორიგინ. ასპექტების დამუშავების პარალელურად ამ მიმართულებამ გამოიმუშავა საკმაოდ მძლავრი ანალიზური მეთოდები კულტ.-ანთროპოლოგიურ კონტექსტებთან „ტექსტის" დამოკიდებულების შესასწავლად.

როგორც კულტურის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ინსტრუმენტმა, რ-ამ იტვირთა „ფუნქციური ენის" შექმნის ამოცანა: იგი აწესრიგებს მის ენობრივ და კომუნიკაციურ სისტემებს.

ქართ. რიტორიკულ ხელოვნებას ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. ქართ. მჭევრმეტყველების შესახებ ისტ. მასალები უხვადაა შემონახული როგორც ქართ., ისე უცხ. ენებზე. ქართ. კლასიკური მჭევრმეტყველების უძველეს ცენტრად ალიარებულია კოლხეთის აკადემიის (III–VI სს.) რიტორიკული სკოლა. საქართველოში არსებულ სამონასტრო ცენტრებსა და უმაღლეს სკოლებს შორის მჭერმეტყველების განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობისა იყო *გელათის აკადემია* (XII ს.), სადაც სასწავლო საგნებში რ-ც ითვლებოდა. მჭევრმეტყველების ისტორიის თვალსაზრისით გამორჩეულია *იოანე პეტრიწის* ორიგინ. ნაშრომი – განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა".

ქართ. კლასიკური მჭევრმეტყველების მრავალ საინტერესო საკითხს ეხება ისტ.-კულტ. ხასიათის ნაშრომები, რ-თა შორის აღსანიშნავია ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა", იოანე ბატონიშვილის „კალმასობა". ღირსშესანიშნავია აგრეთვე ს. ღოდაშვილის „რიტორიკა". XVIII ს. II ნახ-ში მჭევრმეტყველების საქმეს დიდად შეუწყვეს ხელი თბილ. და თელაველ სემინარიებმა, სადაც ერთ-ერთ წამყვან საგნად, ფილოსოფიასთან ერთად, რ-ც ითვლებოდა. 1761 ანტონ I-ის დავალებით სას. პირებს – დ. ჩერქეზიშვილსა და ფ. ყაითმასაშვილს თბილ. სემინარიისათვის ქართ. ენაზე გადმოულიათ მხითარ სებასტიელის „რიტორიკა", რ-იც ანტონ

I-ს ვადაუმუშავებია და ქართ. სკოლებში გამოსაცდელ სახელმძღვანელოდ უქცევია.

ქართ. კლასიკურ მჭევრმეტყველებაში გამოყოფილია შემდეგი დარგები: სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, საელჩო (ნ. კანდელაკი). და თუმცა მჭევრმეტყველების ყველა დარგი მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა, ყველაზე დიდ წარმატებას მაინც სამქადაგებლო მჭევრმეტყველებამ მიაღწია, ამ უძველესმა და უმდიდრესმა დარგმა, თუმცა საყოველთაო კრიზისმა საბოლოოდ ეს დარგიც მოიცვა.

XX ს. დასასრულისთვის საქართველოში სრულიად განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა, რამაც ნიადაგი მოუმზადა რ-ის აღორძინებასა და განვითარებას.

ლიტ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I–2, თბ., 1936–48; კანდელაკი ნ., ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, თბ., 1961; იოანე პეტრწ, განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა" (თანამედროვე ქართ. ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა), თბ., 1999; ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ორატორული ხელოვნება, თბ., 2000; ბარბაქაძე ც., ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა, თბ., 2003; რუსეიშვილი გ., რიტორიკის საფუძვლები, თბ., 2003; Дюбуа Ж., Эделин Ф., ... Общая риторика, М., 1986; Безменова Н. А., Очерки по теории и истории риторики, М., 1991; Мейзерский В. М., Философия и неориторика, Киев, 1991; Михальская А. К., Лекции по сравнительно-исторической риторике, М., 1996; Берков В. Ф., Яскевич Я. С., Логика и риторика, Минск, 1997; Тодоров Ц., Теории символа, М., 1999; Хазагеров Т. Г., Ширина Л. С., Общая риторика, Ростов- на -Дону, 1999.

ც. ბარბაქაძე.

რიტორიკული კითხვა (< ბერძნ. rhētor – რიტორი, ორატორი), ორატორული ხელოვნების ხერხი, რიტორიკული ფიგურების სახე, რიც წარმოადგენს შეკითხვის ფორმით გამოხატულ მტკიცებას, – როგორც წესი, უარყოფითს. მაგ., „ვინ დასთვალოს სღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?" (ა. წერ.). წინადადების რეალური შინაარსია: ვერავინ დათვლის ქვიშასა და ვარსკვლავებს.

რ. კ. ექსპრესიული ფუნქციით ინტენსიურად გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ანტ. ხანაში, როდესაც მეტყველების სტილის ღირსება მისი დამაჯერებლობით, დარწმუნების ძალით განისაზღვრებოდა. ამ ფიგურის გამოყენება დაკავშირებულია ისეთ ანტ. მიმდინარეობებთან, როგორიცაა პითაგორელობა, სოფისტიკა და მისთ.

რ. კ. თავისი სტრუქტურით გარეგნულად არ განსხვავდება ჩვეულებრივი კითხვისაგან: შეიცავს კითხვით სიტყვა-წევრებს (ვინ, რა, სად, როდის და ა. შ.) ან კითხვით ნაწილაკებს (განა, ნუთუ და სხვ.); შეიძლება შეგვხვდეს კითხვითი სიტყვების გარეშეც. მაგრამ ჩვეულებრივი კითხვისაგან იმით განსხვავდება, რომ პასუხს არ მოითხოვს. ამიტომ მრავალი ნართული სიტყვა-თქმა წარმოშობით რ. კ-ებია (რა თქმა უნდა, რასაკვირველია, მეტი რა გზაა, რა შუაშია, რა ეიცი, როგორ გეკადრებათ...).

რ. კ-ის ძირითადი გრამატ. მექანიზმი არის I პირთან (ე. ი. მოსაუბრისათვის ყველაზე ნაცნობ პირთან) სიახლოვის მიმთითებელი სიტყვების ხმარება (ეს, აქ, აქეთ...), რ-ებიც შეიცავენ I პირთან სიახლოვის მიმანიშნებელ დეიქტურ ა, ე ნაწილაკებს. ამითვე აიხსნება რ. კ-ში მონაწილე სმნებზე საქმეთო ორიენტაციის მო- ზმნისწინის დართვა (სად მოდის?).

რ. კ-ის კითხვითი სტრუქტურა დაცლილია თავისი ძირითადი ფუნქციისაგან – ნეიტრალური, ცნობისწადილისმიერი კითხვის გამოხატვის ფუნქციისაგან, რის გამოც ამგვარ „კითხვას" ადრესატი არ მოელოდება. თუკი ფორმალურად ადრესატის აღმნიშვნელი, წოდებითში დასმული არსებითი სახელი წინადადებაში არის, მისი სემანტიკა ირეალური ან აბსტრაქტულია და ამიტომ იგი ნამდვილი მიმართვის ადრესატად ვერ გამოდგება. მაგ., „ეჰა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?" (შოთა რუსთ.). ასეთი სახელებია: ღმერთი, სამშობლო, წუთისოფელი, მამული და მისთ.

რ. კ-ის სემანტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია მოსაუბრის სუბიექტ., როგორც წესი, ნეგატიური დამოკიდებულების აღმნიშვნელი ეპითეტები (უბედური, საწყალი, ოხერი...), ასევე წყევლის ფორმულები. ყველა ეს კომპონენტი ორნამენტულ ხასიათს სძენს რ. კ-ს და მას ექსპრესიული მეტყველების სფეროს მიაკუთვნებს.

ლიტ.: აფრიდონიძე შ., რიტორიკული კითხვა: სტრუქტურა და გამოყენება. – „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები", წგ. II, თბ., 1998.

შ. აფრიდონიძე.

რიცხვი, ლოგიკურ-გრამატიკული კატეგორია. ლოგიკური თვალსაზრისით, რ. გულისხმობს სემანტიკურ ოპოზიციას: ერთი – ერთზე მეტი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ორი, სამი, ოთხი და ა. შ. გარდა ამისა, არსებობს ჯგუფი ე. წ. უთვლადი საგნებისა, რ-თა რ-ის გაგება განსხვავებულია თვლადი საგნების რ-ის გაგებისაგან. გრამატ. თვალსაზრისით, რ-ის კატეგორია ემყარება სემანტიკურ ოპოზიციას: მხოლობითი – მრავლობითი, რაც ენათა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. ზოგ ენაში გვხვდება ორობითი, სამობითი და ა. შ. რ-იც.

სემოთქმულიდან გამომდინარე, სპეც. ლიტ-რაში რ-ის წარმოების ორი სისტემაა გამოყოფილი: ლოგიკური და გრამატ., რ-თა თანხვედრა არსებით სახელებში ხდება. სხვაგვარად, რ. არის ენობრივი აზროვნების ობიექტთა (საგანთა) რაოდენობრივი მახასიათებელი, რიც მხოლოდ არსებით სახელებსა და პირის (ჩვენებით) ნაცვალსახელებს შეიძლება ჰქონდეს. დანარჩენ მეტყველების ნაწილებს რ. სინტაქსურად ეწარმოება. კერძოდ, სახელის ან ნაცვალსახელის რ-ის ფორმას ეთანხმება ზმნის ფორმა. ასევე, ზედსართავი სახელის ფორმაც გამოხატავს მიმართებას არსებითი სახელის რ-ის ფორმისადმი. ორსავე შემთხვევაში გვაქვს რ-ში შეთანხმება, რ-იც სინტაქსური კატეგორიაა და არა ლოგიკური.

სახელის მრ. რ. გულისხმობს სიმრავლის (რაოდენობრიობის) ცნებას, რ-იც ყველა ენაში ერთნაირად აღიქმება, ამავე დროს ლოგიკურად და გრამატიკულადაც ერთი და იგივე ოდენობაა. სახელის მხ. რ. ერთის გაგებას ემყარება, თუმცა ისიც პირობითია და დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის მსოფლხედვაზე.

ზმნის რ-ის ფორმა გვიჩვენებს, მოქმედებს ერთი, თუ ერთზე მეტი

პირი. ამდენად, მრავლობითობის გაგება საკუთრივ სმნაში კი არ დევს, არამედ ქცმდებარე-სუბიექტში, ანუ: „ისინი მოდიან“ გამოხატავს არა იმდენად „სიარულს“, რამდენადაც „მოსიარულეებს“. ესაა გრამატ. მოვლენა, რ-ის საფუძველსაც გამოიყოფა რ-ის მორფოსინტაქსური კატეგორია.

ამრიგად, რ-ის კატეგორია მოიცავს ენის მორფოლ., სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებს. შესაბამისად, ერთი მხრივ, რ. გრამატ. კატეგორიაა, მეორე მხრივ, ის ლექსიკურ კატეგორიათა სფეროსაც განეკუთვნება. აქ იგულისხმება რიცხვითი სახელები, რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები, როგორიცაა „ბევრი“, „მრავალი“ და ა. შ.

ქართულში გრამატ. რ-ის წარმოება აფიქსთა საშუალებით ხდება. არსებობს მრავლობითის აღმნიშვნელ მორფემათა სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია: რ. წარმოქმნის კატეგორიად არის მიჩნეული, ამიტომაც სახელის მრავლობითის მაწარმოებელი -ებ სუფიქსი წარმოსაქმნელ აფიქსთა რიგში დგას (ა. შანიძე). ფლექსიურ და დერივაციულ აფიქსთა გეერდით გამოყოფილია ე. წ. გარდამავალი ტიპის აფიქსები – -ებ მორფემა სახელებში და -თ – ზმნაში (არნ. ჩიქობავა). მესამე თვალსაზრისით, სახელთა მრავლობითობის -ნ და -ებ სუფიქსები, მსგავსად პირთა მრავლობითის -თ, -ენ სუფიქსებისა ზმნაში, ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლიან ფორმებში, ისინი მხოლოდ ფლექსიური ელემენტებია (თ. უთურგაიძე). რამდენადაც ზმნას რ. სინტაქსურად ეწარმოება, სმნაში გამოყენებული რ-ის ფორმანტები ოდენ ფლექსიური ელემენტები შეიძლება იყოს. სახელებში განსხვავებულად დგას საკითხი, რადგან ამოსავალია რ-ის ლოგიკურ-სემანტიკური გაგება, ერთისა და მრავლის სემანტიკური ოპოზიცია.

ქართ. ენაში სახელის მრავლობითის წარმოება ხდება -ებ, -ნ და -თ სუფიქსებით. ამათგან -ებ ძვ. ქართულში ნაკლებად იხმარებოდა, ძირითადად უსულო საგნების ან „სოციალურად პასიურ არსებათა“ აღმნიშვნელ სახელებთან (კ. დონდუა). შესაბამისად, -ებ მორფემას არ ჰქონდა სინტაქსური ძალა. ამ ფუნქციით აღჭურვილი იყო ნ/თ-იანი მრავლობითი. მაგრამ იმთავითვე არსებობდა სხვაობა: -ებ მორფემით რ-ის წარმოების აგლუტინაციური პრინციპია გატარებული – ქცელა ბრუნვაში წარმოდგენილია -ებ სუფიქსი, როგორც რ-ის ფორმანტი და მას ერთეის ბრუნვის ნიშანი. ამას ვერ ეიტყვით -თ-სუფიქსზე, რ-იც ერთდროულად რიცხვისა და ბრუნვის ნიშნის ფუნქციებს ითავსებს. -ნ მორფემა ოდენ რ-ის აღმნიშვნელია, მაგრამ მხოლოდ ორ ბრუნვაში – სახელობითსა და წოდებითში. სახელისა და ზმნის სიარი რ-ის ფორმანტებია სწორედ -ნ და -თ ელემენტები, რ-ებსაც ოდენ ფლექსიური ფუნქცია თუ შეიძლება ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით ცალკე დგას -ებ მორფემა. მისი თავდაპირველი ფუნქცია, როგორც ჩანს, სემანტიკური ოპოზიციის (ერთი – ერთზე მეტი) იმ წევრის მარკირება იყო, რ-იც სიმრავლეს აღნიშნავდა. -ებ კრებითობის სუფიქსმა მოგვიანებით შეიძინა სინტაქსური ძალა, რ-იც ქართ. ენის დიალექტებში ღღესაც მერყეობს. იმავე დიალექტებში შეინიშნება ტენდენცია -ებ მორფემის სიტყვაწარმოებითი ფუნქციით ხმარებისა.

არსებით სახელთა მრ. რ-ის გამოხატვა ხშირად სახელური ძირის სემანტიკაზეა დამოკიდებული. ისეთი სახელები, როგორიცაა აბსტრაქტული, გეოგრაფიული, საკუთარი, ნივთიერების, აგრეთვე რიცხვითი სახელები, მასდარები (საწყისი) მხ. რ-ის ფორმით იხმარება. მრავლობითობის ნიშნით მათი მარკირება მხოლოდ გარკვეულ კონტექსტშია შესაძლებელი. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ხდება აღსანიშნის გააზრება თვლად საგნად. მაგ. (1) ქვეყანაში ღვინო ასხია; (2) მარნის თაროზე ღვინოები აწყვია. (1) პირველ წინადადებაში ღვინო ვერ გადმოიცემა მრ-ის ფორმით, რადგან კონტექსტით ნაგულისხმევია სიტყვის პირველადი მნიშვნელობა „სითხე“. (2) მეორე წინადადებაში მრავლობითის ფორმა – ღვინოები – დასაშვებია, რადგან კონტექსტით ხდება მნიშვნელობის სხვაგვარად გააზრება. იგულისხმება ჭურჭელი (მაგ., ბოთლი), რ-შიც სითხე (ღვინო) ასხია. მოქმედებს ეკონომიის წესი, როცა სუბსტანტივი ცხადდება და მსაზღვრელი ითავსებს მის მნიშვნელობას. წინადადება: „მარნის თაროზე ღვინოები აწყვია“ იგივეა, რაც: „მარნის თაროზე ღვინის ბოთლები აწყვია“ (იხ. *მეტონიმია*).

ადამიანის საკუთარი სახელიც შეიძლება მრავლობითის ფორმით გადმოიცეს, როდესაც ისინი იძენენ საზოგადო სახელის ფუნქციას: „ღმერთმა გაზარდოს დავითები, თამარები“ – დასაშვებია რიცხვითი სახელის მრავლობითის წარმოებაც, თუ იგი შეფასების სემანტიკით დაიტვირთება და სუბსტანტივად გაიგება: „ბაყშემა ხუთები მიიღო“ და ა. შ. ასევე მასდარიც, რიც, ჩვეულებრივ, მრ. რ-ს არ იწარმოებს, გარკვეულ კონტექსტში შესაძლებელია ამ ფორმით წარმოგვიდგეს: „ჩატარდა საკონტროლო წერები“.

თავისებურია ნაცვალსახელთა მრ. რ-ის წარმოებაც. ზოგს მხოლოდ ნ-არიანი ფორმები გააჩნია: რა-ნ-ი, ყოველ-ნ-ი, იგი-ნ-ი... ზოგს – ორივე: ნარ-იანიც და ებ-იანიც: ჩემ-ნ-ი / ჩემ-ებ-ი; სხვა-ნ-ი / სხვ-ებ-ი... ზოგიერთს კი საერთოდ არ ეწარმოება: რამდენი, არავითარი, რომელიმე... თუმცა სასაუბრო ენაში კი გვხვდება ასეთი ფორმებიც: ვისები, ვინმეები, რამეები. როგორც ჩანს, ნაცვალსახელთა რ-ის გრამატიკული გამოხატვის პროცესი გვიანდელია. საეარაუდოა, რომ თავდაპირველად ერთისა და მრავლის გარჩევა ლექსიკური სუბსტიტუციით ხდებოდა: მე ~ ჩვენ, შენ ~ თქვენ.

ქართულისთვის უცხო არ არის მრავლობითის ფორმათა ლექსიკალიზაციის პროცესიც. მაგ., დავით-ნ-ი, ლოცვა-ნ-ი ტიპის სახელებს მრ. რ-ის გაგება არ ახლავს. ამგვარი ფორმები ხშირია გეოგრ. სახელებში, როგორიცაა რკო-ნ-ი, კოშკ-ებ-ი, მოწამე-თ-ა... აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ტოპონიმებში შემონახულია -ევ, -ეთ რიცხვის სუფიქსები (ა. შანიძე).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; დონდუა კ., რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967; შანიძე ა., თხზულებანი, III, თბ., 1973; უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ლ. ჯაფარიძე

რიცხვითი სახელი, *მეტყველების ნაწილი*, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა. განსაზღვრავს სახელის რაოდენობის ან რიგის მიხედვით, ან გამოხატავს საგნის ნაწილს მთელთან მიმართებით. ამის მიხედვით გვაქვს: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რ. ს-ები. რაოდენო-

ბითი რ. ს. აღნიშნავს საგნის რაოდენობას, მაგ., ერთი, შვიდი, ათი, ათასი, მილიონი. აგებულების მიხედვით რაოდენობითი რ. ს. შეიძლება იყოს მარტივი (ერთი, ოცი, ასი) და რთული (ა/თ-ერთ-მეტი, ოც-და-ათი, ათ-ასი). რიგობითი რ. ს. აღნიშნავს საგნის რიგს: პირველი, მეშვიდე, ორმოცდამეხუთე, მეათასე. რიგობითი რ. ს. იწარმოება რაოდენობითზე მე-ე ცირკუმფიქსის დართვით. გამონაკლისია მხოლოდ პირველი, რ-იც „მეერთეს“ ენაცვლება. წილობითია რ. ს., რ-იც გამოხატავს მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით, მაგ., მესამედი, მეექვსედი, ოცდამეერთედი. მეორედის ნაცვლად იხმარება **ნახევარი**.

წინადადებაში რ. ს., ჩვეულებრივ, არსებით სახელთან ერთადაა, როგორც მსაზღვრელი, ზოგჯერ დამოუკიდებლადაც გეხვედება. არსებითთან ბრუნებისას რ. ს. იბრუნვის სათანადო ფუძის ზედსართავი სახელების მსგავსად, ხოლო დამოუკიდებლად იბრუნვის ისევე, როგორც სათანადო ფუძის მქონე არსებითი სახელები. სახელდობრ, რაოდენობით რ. ს-თაგან ხმოვანფუძიანია მხოლოდ რვა და ცხრა, დანარჩენი სახელები თანხმოვანფუძიანია; რიგობითი რ. სები ხმოვანფუძიანია (ფუძე მთავრდება ე ხმოვანზე), გამონაკლისია პირველი; ყველა წილობითი რ. ს. თანხმოვანფუძიანია.

გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი სახელების გარდა, არსებობს გაურკვეელი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები, მაგ., ბევრი, ცოტა, მრავალი, რამდენიმე.

ევრ. გრამატ. ტრადიციით, რ. ს. თავდაპირველად არ გამოიყოფოდა როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი. მის გამოყოფაში არსებითი როლი ითამაშა იმან, რომ რ. ს-თა ლექსიკური სემანტიკა მკაფიო და ერთგვაროვანია. სწორედ ამის გამო, რ. ს-ები აღმოჩნდა იმ სიტყვათა შორის, რთა შედარებამაც საფუძველი ჩაუყარა შედარებით-ისტ. ენათმეცნიერებას.

ენათა უმეტესობაში თვლის სისტემა ათობითია მაგ., რუსულში: пятьдесят (50), шестьдесят (60), семьдесят (70), восемьдесят (80), двадцать (20) < двадесять, тридцать (30) < тридесять. არსებობს ოცობითი, ხუთობითი, თორმეტობითი და სხვა სისტემებიც. ქართ. თვლის სისტემა შერეული ტიპისაა: ნაწილობრივ ათობითია, ნაწილობრივ – ოცობითი: ოცი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, მაგრამ – ოცდაათი, ორმოცდაათი, სამოცდაათი, ოთხმოცდაათი.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1973. *ნ. ლოლაძე.*

რობაძა გიორგი ბესარიონის ძე [20. II (5.III). 1905, სოფ. ჟულიშკარი, ზუგდიდის რ-ნი, – 1987, თბილისი], ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა სპეციალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1958). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1963) და ყაბ.-ბალყ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1975). 1923 დაამთავრა თბილისის მეორე ჰუმანიტარული ტექნიკუმი, 1927 კი – თსუ ფილოლ. ფაკ-ტის საენათმეცნ. განყ-ბა. 1928–33 მუშაობდა ზუგდიდში ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად, 1933–58 – ქუთ. პედ. ინ-ტში, 1942–58 იყო ამავე ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე. 1938–58 მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომლად, 1946–90 იყო ჯერ თსუ დოცენტი, შემდეგ კი – პროფესორი. 1960–87 მუშაობდა თსუ კავკ. ენათა კათედრის გამგედ.

რ. იკვლევდა ქართველურ და აფხ.-ადიღ. (განსაკუთრებით ადიღ.-ჩერქეზულ) ენათა სტრუქტურასა და ისტორიას, ამ ენათა ურთიერთმიმართების კერძო და ზოგადენათმეცნ. პრობლემებს, ქართველურ ენათა ისტ. ფონეტიკას. ადიღ. ენის ფუნდამენტურ გრამატიკასთან ერთად (თანაავტორი პროფ. ზ. კერაშევა, 1966) გამოქვეყნებული აქვს სამი მონოგრაფია და 150-ზე მეტი წერილი ქართველური და აფხ.-ადიღ. ენათმეცნ. აქტუალურ საკითხებზე (გამოუქვეყნებელი დარჩა მონოგრაფია „აფხაზურ-ადიღურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა“). მის სახელს უკავშირდება ადიღ. (ჩერქეზულ) ენათა ისტ. და სინქრონიული ფონეტიკის სისტემატიზაცია. მანვე აღწარდა ადიღე და ყაბარდოელ ენათმეცნიერთა რამდენიმე თაობა, პირველმა შექმნა ადიღ. ენის, ყაბარდ. ენისა და აფხ.-ადიღ. ენათა შედარებითი გრამატიკის საუნივერსიტეტო კურსები.

რ-ს მრავალრიცხოვან წერილებსა და 2 მონოგრაფიაში განხილულია ქართველურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიისა და გრამატ. სტრუქტურის საკითხები. განსაკუთრებით ფასეულია მისი გამოკვლევები ქართველურ ენათა შორის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა გამოსავლენად, ქართველურ და ადიღ. (ჩერქეზულ) ენებში მსგავსი ფონეტ. მოვლენების, ქართველურ ენათა დიფერენციაციის, მეზობელ ენებთან ურთიერთობის, ფუძეთა მთელი ჯგუფების აგებულებისა და ეტიმოლოგიის, ადიღ. და ქართველურ ენებში გრამატ. კლასის ოდინდელი არსებობის კვალის დადგენის, ქართველურ ენათა სახელისა და ზმნის გრამატ. თავისებურებათა და ქართველურ ენათა სინტაქსის საკვანძო საკითხების შესახებ.

თხზ.: ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, თბ., 1962; II. ერუ ხშულთანხმოვანთა დისიმილაციური გამეღერება, თბ., 1984; ორგანული და ნიშეთიერი კუთვნილების კატეგორია ადიღეურ ენაში, თბ., 1980.

თ. გვანცელაძე.

რომანას ქართველთა მონასტერი, მოციქულთა სახელობის ქართველთა მონასტერი კონსტანტინოპოლის მახლობლად (სოსთენის მთავარანგელოზის ეკლესიის მიდამოებში, ბოსფორის სრუტის ევრ. სანაპიროზე). მონასტერი დაარსდა *ილარიონ ქართველის* მოწაფეებისათვის, მოძღვრის პატივისცემის ნიშნად, ბიზანტ. იმპერატორის ბასილ I მაკედონელის თაოსნობით IX ს. ბოლო მეოთხედში (საფიქრებელია 876-მდე, ილარიონის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ). მალე თესალონიკიდან აქ გადმოასვენეს ილარიონის ნეშტი.

რომანას მონასტერზე ქართველების იურისდიქცია ერცელდებოდა 980-მდე. ბასილ II ბულგართმმუსერელის (963–1025) აწ დაკარგული 979–980 ქრიზობულის მიხედვით (შინაარსი გადმოცემულია ლეონ მსაჯულის აქტში, 1059, 1074), იოანე ათონელის თხოვნის თანახმად, ქართველებს ტრაპე-

ზუნტის წმ. ფოკას მონასტრისა და კონსტანტინოპოლის იეერიის მონასტრის (რ.ძ.მ.) სანაცვლოდ მიეცათ სამი მონასტერი – იოანე კოლოეუსი იერისოში, ლეონტიასი – თესალონიკეში და კლიმენტისა – ათონზე. მაგრამ ქართველები 980-ის შემდეგაც რ. ძ. მ-ში განაგრძობდნენ სრულფასოვან სამონასტრო ცხოვრებას, ეწეოდნენ სამწიგნობრო საქმიანობას და თანამშრომლობდნენ ბერძნებთან. რომანა იხსენიება „ქართლის ცხოვრების" იმ ეკლესია-მონასტერთა ჩამონათვალშიც, რ-ებიც იღებდნენ თამარ მეფის შეწირულობას. უკანასკნელი ინფორმაცია მონასტრის არსებობის შესახებ ეკუთვნის ანტონ ნოვგოროდელს, რ-საც იგი 1200-ში მოუნახულებია.

რ. ძ. მ-ში გადაწერილი ხელნაწერებიდან მხოლოდ ორია შემორჩენილი. ერთი ხელნაწერი (A-134) *ეფთვიმე მთაწმიდელის* მიერ თარგმნილ თხზულებათა (იოანე სინელის კლემაქსი, ბაგრატ ტავრომენიელის ცხოვრება, ნიკოლოზ მირონლუკიელის ცხოვრება) შემცველი კრებულია. კრებულს ახლავს მთარგმნელის – ეფთვიმე ათონელისა და მომგებლის – გელასი წინამძღვრის ანდერძები. ამ უკანასკნელის ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1066. აქვეა გადაწერილი თამარ მეფის კუთვნილი *ვანის სახარება* (A 133-ა, XII–XIII სს.).

ლიტ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ.2, თბ., 1959; „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ". – წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., II, თბ., 1967; III, თბ., 1971; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; Книга Паломник. Сказание мест святых во Цареграде Антония архиепископа Новгородского в 1200 году. – «Православный палестинский сборник», т. XVII, вып. 3, СПб., 1899; P a r g o i r e P., Anaple et Sosthène. – «Известия Русского археологического института в Константинополе», III, София, 1898; «Actes d'Iviron», II, Paris, 1990.

მ. დოლაქიძე.

რუდენკო ბორის ტიმოთეს ძე (1896, თბილისი, – 1942, ლენინგრადი), რუსი ენათმეცნიერი. დაამთავრა თბილ. ვაჟთა გიმნაზია (1914), თბილ. პოლიტექნიკური ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი (1924) და სადიპლომოდ წარმოდგენილი ნაშრომის („История и деятельность Кахетинского союза кредитных и ссудо-сберегательных товариществ") საფუძველზე მიენიჭა ეკონ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხი. 1933 ჩაირიცხა სსრკ მეცნ. აკად. ასპირანტურაში ლენინგრადში, ენათმეცნიერების (კერძოდ, ქართ. ენის) განხრით, რ-იც დაამთავრა 1935 და დაიცვა დისერტაცია ფილოლ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად («Опыт систематизации грамматических явлений современного литературного грузинского языка»). იმავე წლიდან მუშაობდა ლენინგრ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის კავკ. კაბინეტის უფრ. მეცნ. თანამშრომლად.

1940 ლენინგრადში გამოიცა რ-ს «Грамматика грузинского языка» (დაიბეჭდა სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის შრომების XXXII ტომში). გრამატიკა ქართ. ენის შემსწავლელი რუსი მკითხველისათვისაა გათვალისწინებული. წიგნი (275გვ.) შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისაგან და საკითხების მიხედვით დაყოფილია 127 პარაგრაფად. ნაშრომს წინ უძღვის წინასიტყვაობა წიგნის დანიშნულების შესახებ. შესავალ ნაწილში ზოგადად დახასიათებულია ქართველური ენები, ძვ. და ახ. ქართ. ენა და დიალექტები და მიმოხილულია მათი შესწავლის ისტორია. ნაშრომში ყველაზე ვრცლად წარმოდგენილია მორფოლოგია, რ-შიც განხილულია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი. განხილულია ბრუნვათა ფუნქციები და მათი გამოყენება. ზმნასთან დაკავშირებით განხილულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა უღლება, საშუალი გვარის ზმნები, უღლების ობიექტ. წყობა, იძულებითი გვარი (კაუზატივი), ნასახელარი ზმნები; შემდეგ – ზმნიზედა, თანდებულები, კავშირები, შორისდებულები, ძახილები და სიტყვაწარმოება. სინტაქსის საკითხები აქა-იქ არის განხილული მორფოლოგიასთან დაკავშირებით.

აგებულებისა და შედგენილობის მიხედვით გრამატიკა ძირითადად აღწერითი და კომპილაციური ხასიათისაა. ავტორს გარკვეული წყაროებით უსარგებლია, თუმცა არც ერთი გრამატიკა ზუსტად არ გაუმეორებია. იმ შრომებიდან, რ-ებითაც რ-ს უსარგებლია, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ნ. მარისა და მ. ბრიერის მიერ 1931 პარიზში ფრანგ. ენაზე გამოცემული „ქართული ენა". საერთოდ, რ. ნ. მარის სწავლების დიდ გავლენას განიცდიდა და ეს გავლენა წიგნშიც იჩენს თავს. ამის შედეგია, მაგ., ის, რომ გრამატიკაში მარისტულად არის გადაწყვეტილი ქართველური ენების წარმოშობის საკითხი, მისი სემიტურ ენებთან დაკავშირება, ქართ. ენის პერიოდიზაცია და სხვ.

რ., როგორც ჩანს, ითვალისწინებდა ი. ყიფშიძის მეგრული ენის გრამატიკასაც. ხელმძღვანელობდა აგრეთვე აკ. შანიძის შრომებით და, უპირველესად, მისი 1930 გამოცემული ქართ. ენის გრამატიკით. იგი იცნობდა ი. სიხარულიძის, არნ. ჩიქობავას, ს. იორდანიშვილისა და სხვა თანამედროვე ენათმეცნიერთა შრომებს. წიგნში დამოწმებულია 1936 გამოქვეყნებული ქართ. სალიტ. ენის ნორმებიც.

რ-ს გრამატიკა დამოუკიდებლად აგებული და შედგენილი სახელმძღვანელოა, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მასალის შერჩევა-დალაგებასა და ზოგი ტერმინის დადგენაში. იგი კარგად იცნობს გასაანალიზებელ მასალას და ცდილობს, რომ რუს მკითხველს შეუქმნას გარკვეული წარმოდგენა ქართ. ენის რთული აგებულების შესახებ.

მსჯელობისას ავტორი არ არის ყოველთვის თანამიმდევრული. წიგნში შეინიშნება ცალკეული შეცდომები და უზუსტობანი. ზოგი საკითხის ახსნა სადავოა, ზოგს სისრულე აკლია. ხშირად იგი ურევს ლიტ. და დიალექტურ ფორმებს, სანიმუშო მასალა ყოველთვის სათანადოდ ვერაა შერჩეული, ზოგჯერ კი მაგალითების თარგმნისას დაშვებულია შეცდომებიც.

მიუხედავად ამისა, წიგნმა იმ დროისათვის გარკვეული დადებითი როლი შეასრულა და რუს მკითხველს მიაწოდა არაერთი საჭირო ცნობა ქართ. ენის აგებულების შესახებ, დაეხმარა მას ქართ. ენის ბუნებისა და მისი გრამატ. სტრუქტურის გაგებაში.

თხზ. (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): Дифференцирующая роль

древнелитературных форм в семасиологии современного грузинского языка. – «Язык и мышление», т. IX, М.–Л., 1940.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., რუდენკო და მისი „ქართული ენის გრამატიკა". – «სტალინირის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», II, 1955; Д о н д у а К., Новая грузинская грамматика в русском изложении. – «Известия АН СССР. ОЛЯ», 1941, №3. *თ. ზურაბი შვილი.*

რუსი, ძვ. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, შუა საუკუნეების საკათედრო ტაძარი ქართლში, ჭარელის რ-ნის სოფ. რუისში. იქაურ მწიგნობართაგან ცნობილია ანტონ მროველი (IX–X სს.), ლეონტი მროველი (XI ს.), რ-საც მიეწერება მეფეთა ცხოვრება, ნინოს ცხოვრება და არჩილის წამება, აგრეთვე თარგმანი აპოკრიფული ძეგლისა („თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ამისათვის, ვითარ მისცუალდეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას"), გიორგი მროველი (XII–XIII სს.), რ-ის დავალებით შატბერდს გადაუწერიათ გამოკრებილი საკითხავები (შ №4939), დიონისე ლარაძე (XVI ს.), გერმანე მროველი (XVIII ს.), რ-ის სახელთანაა დაკავშირებული მოზრდილი კრებული (A №903), სპარსთა ტყეობიდან ხელნაწერთა დამხსნელი დომენტი ავალიშვილი (XVII ს.), პოეტი, ლიტურგისტი და კალიგრაფი ნიკოლოზ ორბელიანი (1672–1732), მოგზაური მემუარისტი იონა გედევანიშვილი (1737–1821) და სხვ. ხელნაწერთაგან გამოირჩევა XI ს. ე. წ. რ-ის სახარება (A №845).

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის ცენტრები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

რუსული ენა, განეკუთვნება აღმოსაველეთსლავურ ენათა ჯგუფს (უკრაინულ და ბელორუსულ ენებთან ერთად), რ-იც დიფერენციაციის შედეგად VI – VII სს. დიალექტის დონეზე გამოეყო ძველ სლავურს. რუსულის, როგორც ცალკე ენის, დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბება (ფონეტიკა, ლექსიკა, მორფოლოგია) დაიწყო XIV ს-დან. რ. ე-ზე მოლაპარაკეთა საერთო რიცხვი მსოფლიოში 250 მილიონია, საკუთრივ რუსეთში – 180 მლნ (1979-ის აღწერით).

რუს. დამწერლობას საფუძვლად დაედო ერთ-ერთი სლავური ანბანი, კირილიცა, რ-იც რუსეთში შემოვიდა X–XI სს-ში ქრისტიანიზაციასთან დაკავშირებით.

რ. ე-ში 5 ხმოვანი და 34 თანხმოვანი ფონემაა. მახვილი ფონოლოგიურია. გრამ. სქესი მხ. რ-ში სამია (მამრობითი, მდედრობითი, საშუალო); მრ. რ-ში ეს განსხვავება ნეიტრალიზებულია (შდრ. больш–ой/ая/ое, მრ. больш – ие). რიცხვი ორია (მხოლობითი და მრავლობითი). აქვს 3ბრუნება და 6 ბრუნვა, ორი ტიპის უღლება, 3გრამატ. დრო. ზმნის კატეგორიებია: გარდამავლობა, გვარი, ასპექტი, უკუქცეევითობა, კილო, დრო, პირი, რიცხვი, სქესი (ნამყო დროში); ზმნის უცვლელი ფორმებია ინფინიტივი და აბსოლუტივი; მეტყველების ნაწილი ტრადიციულად ათია (ამ საკითხზე არსებობს განსხვ. თვალსაზრისები).

რუსულში კილოური დიფერენციაცია შედარებით სუსტია XIX ს-იდან ადგილობრივი კილოკავების გაერთიანებით ქალიბდება ორი დიალექტი – ჩრდილოელიკორუსული და სამხრეთეელიკორუსული. მათი შერწყმით მიღებულია საშუალოელიკო-რუსული დიალექტი, რ-ისგანაც XVI – XVII სს. იქმნებოდა მოსკოვის მეტყველებაზე დამყარებული თაეისებური კოინე. ეს უკანასკნელი საფუძვლად ედება რუს. სალიტერატურო ენას. რუს. ორთოგრაფია საშუალო სირთულისაა და კარგად არის მოწესრიგებული. ანბანში შემორჩენილია ორი ე. წ. უბგერო ასო, რ-ებსაც მათ მიერ აღნიშნული ბგერების დაკარგვის გამო მხოლოდ ორთოგრაფიული ფუნქციები შერჩათ.

ისტორიულად რუსეთს ხანგრძლივი კონტაქტები ჰქონდა როგორც დასაელურ, ისე აღმოსაელურ კულტურებთან და ენებთან. ეს აისახა რ. ე-ის მდიდარ ლექსიკაშიც, რ-შიც დიდი რაოდენობით არის ნასესხობები ბერძნ., ლათ., გერმ., ფრანგ. პოლონური, მონღოლური, თურქ. და სხვა ენებიდან. რუსულიდანაც მრავალი სიტყვა შეეიდა მასთან ურთიერთობის მქონე ენებში. სადღეისოდ რუს. სალიტ. ენა კარგად ნორმირებული ენაა, მდიდარი, მრავალფეროვანი და დახვეწილი გამომხატველობითი საშუალებებით. მასზე შექმნილია უმდიდრესი სამეცნ., ისტ. და მხატვრული ლიტ-რა.

რუსეთ-საქართველოს შორის კულტ. კონტაქტების ადრეულ დაფიქსირებულ ფაქტებად უნდა ჩაითვალოს IX–X სს. ბულგარელი ისტორიკოსის ბრი ხრაბრის მიერ ნახსენები „ივერთა დამწერლობა" და რუს. მატიანის ცნობა, რომ კიევის ლავრის მოხატეაში (შემკობაში) ივერიელი ხატმწერებიც მონაწილეობდნენ.

XVII–XVIII სს-იდან საქართველოში განვითარებულ ისტ.-პოლიტ. მოვლენებთან დაკავშირებით იწყება რუს.-ქართ. კონტაქტების გააქტიურება, რამაც XIX ს-იდან, საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, ბუნებრივია, ინტენსიური ხასიათი მიიღო. საქართველოში რ. ე-ის ცოდნის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მთარგმნელობითი საქმიანობა, ორენოვანი ლექსიკონებისა და გრამატიკების შეღგენის საჭიროება. რ. ე-ს გაელენა საგრძნობი გახდა ქართული ენის ლექსიკაზე. ნასესხობმა სალიტ. ენაშიც შემოაღწია. განსაკუთრებით გაისარდა რუსულის გაელენა საბჭოთა პერიოდში (1921-იდან), როდესაც ენობრივმა კონტაქტებმა ბილინგეური ხასიათი მიიღო (იხ. ბილინგეიზმი). რუსული ლექსიკა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში (განსაკუთრებით, პოლიტიკურსა და პროფესიულ სფეროებში) შემოიჭრა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო მდიდარი სამწერლობო ტრადიციების მქონე ენისათვის, ქართულში ეს გავლენა სიტყვათა სესხებისა და კალკირების ზღვარს არ გასცილებია.

ლიტ.: Ш а х м а т о в А. А., Очерк современного русского литературного языка, 4 изд., М., 1941; В и н о к у р Г. О., Русский язык, М., 1945; П е ш к о в с к и й А. М., Русский синтаксис в научном освещении, 7 изд., М., 1956; Щ е р б а Л. В., Избранные работы по русскому языку, М., 1957; А в а н е с о в Р. И., Русское литературное произношение, М., 1972; Русский язык. Энциклопедия, М., 1979; Русская грамматика, т. 1–2, М., 1980; Ф и л и н Ф. Т., Истоки и судьбы русского литературного языка, М., 1981; И в а н о в В. В., Историческая грамматика русского языка, 2 изд., М., 1983. *გ. წიბახაშვილი.*



ს, ქართული ანბანის მეთერამეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეოცე) ასო. მისი სახელია „სანი"; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი სისინა ნაპრალოვანი ფშვინვიერი ფონემისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴑ. მისი მოხაზულობა ხაზისა და რკალის კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. ნუსხური *ს* მარჯვნივაა გადახრილი, მხედრულისა – მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხური *ს* და მხედრულის ს ოთხხაზოვანი სისტემის ზედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. საოვალავეში აღნიშნაედა ორასს (200).

საართიკულაციო ბაზისი, ამა თუ იმ ენაში შემუშავებული და ტრადიციით დამკვიდრებული საწარმოთქმო ჩვევები. ყოველ კონკრეტულ ენას ახასიათებს მასში გამოყენებულ ბგერათა თავისებური წარმოთქმა. თითოეული ბგერის წარმოთქმისათვის ამოსავალია საწარმოთქმო ორგანოთა ინდიფერენტული მდგომარეობა, რ-იც აქტიურდება უშუალოდ წარმოთქმის წინ. ენები (ზოგჯერ ერთი ენის დიალექტებიც კი) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ს. ბ-ით, ისე ინდიფერენტული მდგომარეობითაც.

ს. ბ. სოც. მოვლენაა და არა ანატომიური: სხვადასხვა ენის წარმომადგენლებს აქვთ ერთნაირი საწარმოთქმო ორგანოები, მაგრამ განსხვავებული ს. ბ-ები. სწორედ განსხვავება ს. ბ-ის მიხედვით განაპირობებს უცხო ენაზე მოლაპარაკის აქცენტს. უცხო ენის სწორი გამოთქმის დაუფლება მდგომარეობს ამ ენის ს. ბ-ის ათვისებაში.

ს. ბ. ადამიანს ჩვეულებრივ უქალიბდება გარკვეულ სოც. გარემოში: სხვა ეროვნულ (resp. ენობრივ) გარემოში გაზრდილი ბავშვი მეტყველებს არა თავისი მშობლიური ენისათვის დამახასიათებელი საართიკულაციო ჩვევებით, არამედ იმ ენობრივი გარემოს ჩვევებით, რ-შიც იგი იზრდება. ბოლოდროინდელი გამოკვლევები ვარაუდობენ, რომ საწარმოთქმო ჩვევათა ზოგი ნიშანი შეიძლება ბავშვს დაბადებამდეც (პრენატალურ პერიოდში) გადაეცეს, რასაც ადასტურებს ახალშობილთა ს. ბ-ზე დაკვირვება (ბავშვთა ტირილის შესწავლა). ფაქტის ახსნა მოითხოვს დამატებით კვლევას.

ლიტ.: ახ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1948; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ზ., პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975; Джапаридзе З. Н., Стрельников Ю. А., Некоторые наблюдения над плачем новорожденных разной национальности. – «ჟეტყველების ანალიზი», VI, თბ., 1989.

ზ. ჯაფარიძე.

საბაწმიდის ლავრა, ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა უცხოეთში. დაარსებულია პალესტინაში V ს. 20-იან წლებში წმ. საბა განწმენდილის მიერ. ლავრა იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის ცნობილი ცენტრი აღმოსავლეთში და სას. მწერლობისა – პალესტინაში. აქ მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდნენ ბერძნები და ასევე სხვა ქრისტ. ხალხების წარმომადგენლებიც. საყურადღებოა არაბულენოვანი მწიგნობრის შეფასება ს. ლ-ისა, რ-საც ვხვდებით წმ. ეკატერინეს მონასტერში ახალაღმოჩენილ ერთერთ არაბ. ხელნაწერში (№66): „ვარსკვლავი და სინათლე უდაბნოსი; სიამაყე, სიხარული, ძალა და წყალობა ორთოდოქსისა; ხსნის დასაწყისი იერუსალიმის უდაბნოში".

ქართველები ს. ლ-ში ადრევე დამკვიდრებულან. 532-ში მათ აქ საკუთარი ეკლესია ჰქონდათ, სადაც წირვა-ლოცვას ქართულად აღავლენდნენ. ქართველების სამწიგნობრო-ლიტ. მოღვაწეობა ლავრაში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა VIII–IX სს-ში. შემუშავდა ბიბლ. წიგნების ე. წ. საბაწმიდური რედაქცია (დაახლ. IX ს.); განვითარდა ორიგინ. ჰიმნოგრაფია (ბასილი საბაწმიდელი, იოანე-ზოსიმე), ბერძნულიდან ითარგმნებოდა ლიტ-რა (სეითი და სხვ.). ძირითადად ლავრის ადრეულ, IX–X სს., ქართ. ხელნაწერებშია წარმოდგენილი ბი'სანტ. ჰიმნოგრაფიის განვითარების უწყვეტი ხაზი – ადრეული ბი'სანტ. ხანიდან (VI–



წმ. საბას მონასტერი. VI–VII სს.

VIII სს.) საბაწმიდური სკოლის ნათვლით (VIII–IX სს.), ანუ ლიტურგიკულ პრაქტიკაში პროზაული ჰიმნების გამოყენებისა და შემდგომ რიტმული გალობით მათი შეცვლის პერიოდი, მაშინ როდესაც ამის ამსახველი თვით ბერძნ. მასალა ძალიან მცირე რაოდენობითაა მოღწეული.

ს. ლ-ში ლიტ. საქმიანობასთან ერთად ხდებოდა ხელნაწერების გადაწერა, წიგნებად მომზადება და გამრავლება (მაკარი ლეთეთელი, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე). ადრეული ქართ. თარიღიანი და უთარიღო ხელნაწერების უმრავლესობა სწორედ აქ არის გადაწერილი, მაგ., *ჭილ-ეტრატის იადგარი* (IX ს.), პირველი ქართ. თარიღიანი ხელნაწერი – 864-ის ე. წ. სინური მრავალთავი, რ-იც გადაწერის შემდეგ სინას მთას გადაეცა და სხვ.

ს. ლ-ის ლიტ. საქმიანობა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან მნიშვნელოვანწილად აქ განვითარდა არაბ.-ქართ. ლიტ. ურთიერთობები. როგორც ცნობილია, VIII ს-ში პალესტინისა და სინას მთის მელქიტურ, ანუ მართლმადიდებლურ თემებში აღმოცენდა ქრისტ. არაბ. მწერლობა (შემდეგ იგი გავრცელდა სხვა არაბ. ქვეყნებშიც). მის შექმნაში მონაწილეობდნენ სირიელები, კოპტები, საკუთრივ არაბები. არაბულენოვანი ქრისტიანების ძირითადი სამწიგნობრო კერები პალესტინაში და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სინას მთაზე იყო საბას ლავრა, კალავრა და წმ. ეკატერინეს მონასტერი, რ-ებიც იმავდროულად ქართვ. მწიგნობართა სამოღვაწეო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. ამ მონასტრებში ქართვ. და არაბულენოვანი მონაზვნები ერთად იღწვოდნენ და თანამშრომლობდნენ ხელნაწერების ტექნიკურად გაფორმებისას. ამას მოწმობს ქართ. პაგინაცია არაბულ ხელნაწერებზე და არაბ. პაგინაცია და მინაწერები იმავე წარმომავლობის ქართ. საბაწმიდურ თუ სინურ ხელნაწერებზე; 1020-ის ქართ. სინურ ხელნაწერებში (sin georg. 78) ჩაწერილია არაბული ანბანი, რომლის ყოველ ასოს სახელწოდება ქართულად აქვს მიწერილი. არაბულენოვან გარემოცვას, არაბულენოვან მწიგნობრებთან მჭიდრო თანამშრომლობას, საერთო ინტერესების ფონზე, ბუნებრივია, უნდა გამოეწვია ქართვ. მწიგნობართა დაინტერესება ქრისტ. არაბ. მწერლობის ძეგლებით. ამ ძეგლების თარგმნა დაიწყო VIII–X სს., რითაც საფუძველი ჩაეყარა პალესტინურ-სინურ რეგიონში არაბ.-ქართ. ლიტ. ურთიერთობების განვითარებას. ქართვ. და უცხოელ მეცნიერთა მიერ გამოვლენილია არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების საკმაო რაოდენობა, სახელდობრ: წარტყუენვაჲ იერუსალიმისაჲ (ნ. მარი), რომანოზ ახალი მოწამის მარტვილობა და ანტონ რავახის ავტობიოგრაფია (პ. პეეტერსი), დიონისე არეოპაგელის ავტობიოგრაფია (პ. პეეტერსი), ოცი საბაწმიდელი ბერის წამება (რ. ბლეიკი), კვირიაკეს წამება (ჟ. გარიტი), მამათა სწავლანი – ასკეტიკური კრებული, ეფრემ ასურის ცხოვრება, სტეფანეს და ნიკონის ცხოვრება, მარტვირი საჰდონას უცნობი თხზულება (ბ. უტიე), ნისიმეს წამება (ნ. წაქაძე), ლიმონარი (რ. გვარამია, ჟ. გარიტი), სინა-რაითის წმ. მამათა მოსრვა, პანტელეიმონის წამება, ბასილი კაბადოკიელის მეორე ეპისტოლე გაგზავნილი გრიგოლ ნაზიანზელისადმი, სვიმეონ სალოსის ცხოვრება (რ. გვარამია) და სხვ.

ქართველებისათვის არაბულიდან თარგმნის ძირითადი ცენტრი უნდა ყოფილიყო ს. ლ. ამაზე მიგვანიშნებს ლავრის მაშინდელი შემოქმედებითი ატმოსფერო და მისი ადგილი პალესტინის საეკლ. ცხოვრებაში. ამ მხრივ საგულისხმოა არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების და მათი შემცველი არაბ. და ქართ. ხელნაწერების ჩვენებები, თუნდაც არაპირდაპირი ხასიათისა. ნაწილი ამ ძეგლებისა თემატურად ან ავტორის სამოღვაწეო ადგილის მიხედვით უკავშირდება სწორედ ს. ლ-ს – ზოგიერთ მათგანს ახლავს ცნობა არაბ. თხზულების თუ მისი ქართ. ვერსიის საბას ლავრაში შექმნის შესახებ. ყოველივე ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი.

ს. ლ-ში შექმნილ ლიტ. პროდუქციას ქართვ. მწიგნობრები და პილიგრიმები ავრცელებდნენ პალესტინურ-სინური რეგიონის ფარგლებს გარეთაც – ტაო-კლარჯეთში, ათონზე. საბაწმიდურმა ლიტ. ტრადიციებმა საგრძნობი გავლენა იქონია ქართ. მწერლობის განვითარებაზე.

მომთაბარე არაბი ტომების მრავალგზისი დამარბეველი თავდასხმების შედეგად ს. ლ-მ X ს. დასასრ. თითქმის შეწყვიტა არსე-

ბობა (XI ს-ში აქ მხოლოდ რამდენიმე ქართ. მონასონიდა შეიმორჩა). ამ პერიოდიდან წყდება არაბ.-ქართ. ლიტ. ურთიერთობებიც. მართალია, ქართ. მწიგნობრებმა უმთავრესად სინას მთას შეაფარეს თავი და ხელნაწერებიც იქ გადაიტანეს, რაც, ძირითადად, განაპირობა ათონზე ქართველთა მძლავრი სამონასტრო-სამწიგნობრო ცენტრის – ივირონის მონასტრის დაარსებამ, მაგრამ ეს ურთიერთობა იქაც არ გაგრძელებულა.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980; მ ე ს ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 2, თბ., 1980; გ ვ ა რ ა მ ი ა რ., საბას ლავრის როლი ქართულ-არაბულ ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში. – «ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი», თბ., 1997; მ ი ს ი ვ ე, ძველი ქართული და ქრისტიანული არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან.– «მრავალთავი», XX, თბ., 2003.

რ. გვარამია.

საერთო-ქართველური ვერსიფიკაციული სისტემა, ლექსთმცოდნეობაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით საერთო-ქართველურ დონეზე აღდგენილი სალექსო სისტემა. ქართველურ ენებში ფოლკლორული ვერსიფიკაციული მოდელების კომპარატივისტული კვლევის შედეგად საერთო-ქართველური ეპოქისათვის შეიძლება აღდგენილ იქნას ორი ვერსიფიკაციული სისტემა: I. ლ ი რ ი კ უ ლ ი (ლაპიდარული) ლექსი და 2. ე პ ი კ უ რ ი (ნარატიული) ლექსი. ამასთანავე, თითოეულისათვის ხერხდება როგორც ლექსის რიტმული, ისე მისი კომპოზიციური ორგანიზაციის რეკონსტრუქცია.

I. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ლირ. ლექსის რიტმული ორგანიზაციის A ≤ B ტიპი, თავისი ვარიანტული მოდელებით – იზომეტრული (იზოსილაბური) ვარიანტით A = B („ფერი ფერსა / მადლი ღმერთსა“) და ჰეტერომეტრული (ჰეტეროსილაბური) ვარიანტით A < B („სიბერე / ჭირთა სიბეერე“). არათანაბარმარცვლიან (ჰეტერომეტრულ, ჰეტეროსილაბურ) ორსტრიქონედს ლექსად აქცევს იდენტური სარითმო კლაუზულა.

სისტემის ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საერთო-ქართველური ლირ. ლექსისათვისის A < B ფორმულა იყო რელევანტური, A = B კი – ჭარბი, მაგრამ რეალიზებული. რიტმული ორგანიზაციის A < B ფორმულის რეალიზაციაა ორსემეტრიქონიანი ვარიანტები.

საერთო-ქართველური ლირ. ლექსი იმთავითვე წარმოგვიდგება როგორც რითმიანი ლექსი. ლექსის რითმა შეიძლება ასე ჩაიწეროს: $r_1 (\geq k_1)$, $r_2 (\geq k_2)$, ..., $r_n (\geq k_n) \in R_L$, სადაც რითმა (R) არის სტრუქტურა, შედგენილი r სარითმო ერთეულებისაგან, რ-ებიც მიმართებაში არიან სარითმო კლაუზულასთან (K): r = K ან r > K, ხოლო $K_1 \equiv K_2 \equiv K_n$. საერთო-ქართველური ლირ. ლექსის რითმისათვის r≥K მარკერი რელევანტურია და ამით ის უპირისპირდება ეპიკურ ლექსში სტრიქონის ბოლოს წარმოქმნილ რითმას. საერთო-ქართველური ლირ. ლექსი მონორითმულია და აგებული, რ-ის რაოდენობაც განსაზღვრავს სტროფიკას.

ქართველურ ენათა პოეტური ფოლკლორის შედარებითი ანალიზი საფუძველს იძლევა საერთო-ქართველური დონის რამდენიმე ჟანრობრივი მოდელის რეკონსტრუქციისათვისაც. ლირ. ლექსისთვის ერთ-ერთი ასეთი მოდელი არის კაფია (ექსპრომტული ხასიათის მონორითმიანი დიალოგური ლექსი).

2. საერთო-ქართველური ეპიკური ლექსი უპირისპირდება ლირიკულს, როგორც ალიტერაციული ლექსი – რითმიანს. ალიტერაციას ეპიკურ ლექსში თავიდანვე ენიჭა ჰქონოდა ორი ფუნქცია: მაორგანიზებელი (რელევანტური) და ესთეტიკური (ჭარბი). სწორედ რიტმის მაორგანიზებელი ფუნქციის გამო (იზომორფულობის ან იზოსილაბურობის არასავალდებულობის პირობებში) იქცა იგი მარკერად – ლექსთწყობის გარკვეული, ე. წ. აქცენტური (ტონური) სისტემის ერთი ტიპის სტრუქტურის განმსაზღვრელ ელემენტად. ფონეტ. (ალიტერაციულ) პარალელიზმებთან ერთად, ეპიკური ლექსის ერთ-ერთ მაორგანიზებელ სტრუქტურულ ელემენტად გვევლინება ე. წ. რიტმულ-სინტაქსური პარალელიზმებიც (ე. ჟირმუნსკი).

ეპიკური ლექსის სტრუქტურის ორგანიზებაში (ლექსის ალიტერაციული ბუნების გამო) რელევანტურ-სტრუქტურული ელემენტია მახვილი, რ-იც, რეალური სიძლიერის მიუხედავად, აწესრიგებდა ალიტერაციას და განსაზღვრავდა კლაუზულას.

საერთო-ქართველურ დონეზე შეიძლება რამდენიმე მეტრული სისტემის რეკონსტრუქცია. ერთერთი მაოგანია VV/VV სტრუქტურა ორი სავალდებულო მახვილით: ერთი – პირველ მარცვალზე, მეორე – ბოლოდან მესამეზე, ე. ი. ლექსს აქვს სამმარცვლიანი დაქტილური კლაუზულა, რ-ის დარღვევა აკრძალულია. ამგვარად, საერთო-ქართველურ ეპიკურ ლექსს, გარდა ფონურ. და რიტმულ-სინტაქსური პარალელიზმებისა, აქვს მესამე რელევანტური ნიშანიც: ორი ან სამმარცვლიანი კლაუზულები, რ-თა თანაარსებობა ერთი ლექსის ფარგლებში აკრძალულია. ქართველურ ენათა ეპიკურ ლექსში რითმის ნამოყალიბება დაწყებულია საერთო-ქართველური ენობრივი ერთიანობის დაშლის შემდეგ და სხვადასხვა ქართველურ ენაში სხვადასხვაგვარი ინტენსიობით, მაგრამ ერთნაირი გზით მიმდინარეობს.

ლირ. ლექსის მსგავსად, ეპიკური ლექსისთვისაც შესაძლებელი ხდება ჟანრობრივი მოდელების რეკონსტრუქცია. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მაგ., ქველა ქართველური ენის ფოლკლორში დადასტურებული ერთი ჟანრი, რ-საც პირობითად შეიძლება ეწოდოს „მაყალია“, რადგან მასში სწორედ ჟანრული თვალსაზრისით ხაზგასმულია ერთ-ერთი პირობითი ნიშანი – მხ.ქმელის გადააღგილება გარკვეული მიმართულებით (ერთი რეგიონის ორ უკიდურეს წერტილს შორის).

მ. ქურდიანი.

საზედაო ასოები, ინიციალები, ნუსხურ დამწერლობაში აბზაცის დასაწყისად გამოყენებული მთავრული (იგივე *ასომთავრული*, მრგვალოვანი) ასო-ნიშნები. ს. ა. შეიძლება იყოს მოხატული ან მოუხატავი, მხოლოდ გრაფ. წესით შესრულებული. წიგნის ხელოვნების განვითარების აღრეულ ეტაპზე (V–VI სს-ით დათარიღებულ პალიმფსესტურ ხელნაწერებში, VII ს. ხანმეტ ლექციონარში, სინას დაცულ აღრეული ხანის ქეცლებში...), როდესაც ხელ-



საზედაო ასოები.

ნაწერი ჯერ კიდევ მოუხატავი იყო, ტექსტის მელნით თუ სინგურით შესრულებული მთავრული ს. ა. ამშვენებდნენ ტექსტის კომპოზიციურ განაწილებას ფურცელზე, გამოყოფდნენ შინაარსის მნიშვნელოვან აღგილებს აბზაცების სახით, ერთგვარ ორიენტირს ქმნიდნენ მკითხველისათვის. ქართ. ხელნაწერი წიგნის შემკულობის განვითარებასთან ერთად (კერძოდ, X ს-იდან), ს. ა-მა მორთულობის საერთო ანსამბლში (ორნამენტული შემკულობისა და მინიატურული მხატვრობის გვერდით) მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. *მიქაელ მოდრეკილის* საგალობელთა კრებულში (X ს.) მოხატული ს. ა. შესრულების მანერით, ორნამენტული მოტივებით, კოლორიტული თავისებურებებით სამხრ. საქართველოში არსებული მხატვრული სკოლის შემოქმედებით ტრადიციებზე მიგვანიშნებს. ხშირად გადამწერის მიერ შესრულებული ინიციალები ლამაზად გადაწერილ ტექსტთან ერთად ეპოქის სტილს განასაზღვრავს. ინიციალები, გრაფ. წერის მანერის შესაბამისად, გეომეტრიული, მცენარეული დეტალებით, ეტრატის ფერის ჩათვლით, ღია ფერადოვანი შეხამებით გამოირჩევა. მოგვიანო, ბიზანტ. მიმართულების ხელნაწერებში, რ-ებიც შესრულებულია მრავალშრიანი, ემალის მსგავსი საფერწერო ტექნიკით, ს. ა-ის მხატვრობა გამდიდრებულია ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებით.

გადამწერის მიერ ინიციალების მოხატვის შემთხვევებს ეხებიან უმთავრესად ე. წ. „ხალხური“ (ბიზანტ. სკოლისგან განსხვავებული) მიმართულების ხელნაწერებში (მაგ., ურბნისის, იენაშის ოთხთავებში და სხვ.), რაც კარგად ჩანს ტექსტთან ინიციალთა მჭიდრო კომპოზიციურ კავშირსა და ხელნაწერის მორთულობის შესრულების საერთო მხატვრულ სტილში.

ე. მაჭავარიანი.

სალექსიკონო ერთეული, მეთაური სიტყვა ან სიტყვათშეხამება, რ-ის მნიშვნელობის განმარტებასაც ემსახურება *სალექსიკონო სტატია*. ს. ე. ლექსიკონში მოცემულია ამა თუ იმ მეტყველების ნაწილისათვის მიღებული ამოსავალი (საწყისი) ფორმით და დანარჩენი სალექსიკონო სტატიისაგან გამოყოფილია რაიმე ტექნიკური ნიშნით (მთავრული ასოებით, შავი ან რაიმე განსხვავებული შრიფტით). *ა. არაბული.*

სალექსიკონო სტატია, ლაპიდარული მეცნიერული სტატია, რშიც მოცემულია სალექსიკონო ერთეულის ზუსტი განმარტება ან ძირითადი ინფორმაცია მის შესახებ. მაგ., *განმარტებითი ლექსიკონის* სტატია მოიცავს სიტყვის განმარტებას, გრამატ. დეფინიციას, ტექსტობრივ ილუსტრაციას და, ზოგჯერ, მითითებას შესაბამისი ფუძის სიტყვებზე. *ა. არაბული.*

სალიტერატურო ენა, სამწერლობო ენა. ს. ე. არის საერთო-სახალხო და ერთიანი, სედიალექტური, მეტ-ნაკლებად დამუშავებული, სანიმუშო და ნორმალიზებული ენა, რ-საც აქვს ჩამოყალიბებული ფონემატური, გრამატ. და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სისტემა. გავრცელებულია სათანადო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ხასიათდება შედარებითი მდგრადობით, რეგლამენტაციისადმი მიდრეკილებით. ამიტომ იგი რამდენადმე ხელოვნურიცაა, რაც დიალექტური, კუთხური მეტყველებისათვის არ არის დამახასიათებელი. ამასთანავე, ს.ე. პოლივალენტოვანი (მრავალფუნქციიანი), მდიდარი და დახვეწილი, სტილისტიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული ენაა. თავისი სახ.-კულტ. სტატუსით ს. ე., როგორც ენის არსებობის უმაღლესი ფორმა, უპირისპირდება ტერიტ. დიალექტებს (იხ. *დიალექტი*) და *კოინეს* სხვადასხვა ტიპებს.

პოლიტ. თვალსაზრისით, ს. ე-ებს, რ-ებიც ისტორიულად სახელმწ. ენის ფუნქციას ასრულებდნენ, თანამედროვე მსოფლიო მოწყობის პირობებში, განსაკუთრებით, ახალშექმნილი დამოუკიდებლობის მქონე ქვეყნებში, სახელმწ. ენის სტატუსი ოფიციალურადაც აქვთ მინიჭებული. ქართ. ენას (ისევე, როგორც აზერბაიჯანულსა და სომხურს) სახელმწ. ენის სტატუსი მოპოვებული აქვს დღემდე არსებული ქვეყნის კონსტიტუციით.

ყოველ კულტ. ერს თავისი ს. ე. აქვს. რამდენადაც ძველი და ერთიანი, მდიდარი, სადა და დახვეწილია იგი, იმდენად კულტურულია მისი შემქმნელი და მატარებელი ხალხიც. ზოგიერთი ს. ე. უძველესია, ახ. წ-მდე რამდენიმე საუკუნით ადრეა შექმნილი (ეგვიპტური, ხეთური, ფინიკიური, ძვ. ინდური...), ზოგის წარმოშობა კი ახ. წ-ს განეკუთვნება (ქართ., სომხ., რუს., გერმან.). იბერიულ-კავკ. ენათაგან ქართული უძველესი ს.ე-ა (იხ. *აღბანური ენა*), ახალგაზრდა ს.ე. კი თერთმეტია: აფხაზური, აბაზური, ადიღეური (ჩერქეზული), ყაბარდოული, ჩაჩნური, ინგუშური, ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური, თაბასარანული (ხოლო 20-მდე ენა დამწერლობის უქონელი ენაა).

ს. ე-ს აქვს რამდენიმე თვისება, რ-იც განასხვავებს მას სხვა ენობრივ-დიალექტური ერთეულებისაგან:

1. ს. ე., ჩვეულებრივ, ერთია, დიალექტი კი – რამდენიმე ან ბევრი. კერძოდ, სალიტ. ქართ. ისტორიულადაც ერთი იყო და ამჟამადაც ერთია, დიალექტები კი ოცამდეა: ქართლური, კახური, ფშაური, ხევსურული, თუშური, მოხეური, იმერული, გურული, რაჭული, აჭარული, მესხური, ჯავახური, ინგილოური და სხვ. ს. ე-ის სიძლიერე მის ერთიანობასა და მონოლითურობაშია. იგი, როგორც საერთო-სახალხო ენა, სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის მეტ-ნაკლებისა და თვით ქვეყნის მთელი მოსახლეობის გამაერთიანებლად გამოდის, მაშინ როცა დიალექტი ამა თუ იმ კუთხის, მცირე კოლექტივის კუთვნილებაა.

2. ს. ე. სამწერლობო ენაა, რ-ზედაც იქმნება მხატვრული, სამეცნ., ტექნ., პოლიტ. და პუბლიც. ლიტრა. იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა (პრესა, რადიო, ტელევიზია), თეატრისა თუ კინოს ენაა და ისწავლება ყველა სახის სასწავლებელში. ს. ე-გან განსხვავებით, დიალექტი ეიწრო წრეში (ოჯახში, სოფლად, შინაურობაში) სახმარი სამეტ-ნაკლებ ერთეულია, რ-საც მხოლოდ ბუნებრივად ითვისებენ და საგანგებოდ არ შეისწავლება (წერილობითი ფიქსაციის არსებობას ყველა მკვლევარი არ მიიჩნევს ს. ე-ის უნივერსალურ ნიშნად, რამდენადაც ლიტრა შეიძლება მის წერილობით ფიქსაციამდეც არსებობდეს. იხ. *ალოგლოტოგრაფია*).

3. ს. ე-ს უპირატესად ერთი – პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული კუთხის ან მხარის ტერიტ. დიალექტი ედება საფუძვლად. ქართ. ს.ე-თვის ასეთი იყო ქართლური, გავრცელებული საქართველოს ცენტრ. ნაწილში, სადაც მდებარეობდა ქვეყნის ძვ. და ახ. დედაქალაქები (მცხეთა, თბილისი). დედაქალაქური მეტ-ნაკლებობა გადამწყვეტი ფაქტორი იყო და არის ერისა და ენის კონსოლიდაციისათვის როგორც პოლიტ.-ეკონ., ისე სოც.-კულტ. თვალსაზრისით (რუს. სალიტ. ენისათვის ეს როლი შეასრულა მოსკოვ.-კურსკის კილომ, ფრანგულისათვის – პარიზულმა, იტალიურისათვის – ფლორენციულმა). ს. ე. განუწყვეტლივ მდიდრდება და იუსტება სხვადასხვა დიალექტიდან შემოსული დარგობრივი ლექსიკით, მაგრამ კუთხურ გრამატ. ფორმებს ს. ე. ებრძვის, რათა ამგვარი ფორმების შემოტანამ მონოლითურობა არ დაუკარგოს მას.

4. ს. ე-ის განვითარება-გამდიდრების ძლიერი წყაროა სხვა კულტ. ენებთან ურთიერთობა და მათი ურთიერთგავლენა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თარგმნას ერთი ენიდან მეორეზე, რის შედეგადაც ენა მდიდრდება ახ. სიტყვებითა და ტერმინებით; თარგმნის პროცესში ენა მუშავდება სიტყვაწარმოების თვალსაზრისითაც, ასევე ყალიბდება ახ. გამოთქმები, რაც ამდიდრებს ფრაზეოლოგიას და ა. შ. (იხ. *ელინოფილიზმი*).

5. ენა, მათ შორის ს. ე-ც, საერთოდ იცვლება, მაგრამ მისი ცვალებების ტემპი გაცილებით ნელია, ვიდრე სპეციალური ენისა და, მით უმეტეს, დიალექტებისა. ს. ე. შედარებით კონსერვატიულია, რაც აიხსნება მისი ერთიანობა-მონოლითურობითა და ფიქსირებულობით. იგი იცვლება მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელი ხდება დაიძლიოს წინააღმდეგობა სპეციალურსა და წერილობით მეტ-ნაკლებობას შორის.

ს. ე. ისტ. კატეგორიაა. მისი ფუნქციური დატვირთვა სხვადასხვა ისტ. პირობებში სხვადასხვაგვარია. განმსაზღვრელ როლს ასრულებს ხალხის სა'ზ. განვითარებისა და ზოგადი კულტურის დონე, აგრეთვე ფორმირების პირობები (მაგ., კლასიკ. არაბული ჩამოყალიბდა VII–VIII სს-ში, როგორც მუსლიმური რელიგიის, პოეზიის, მეცნიერებისა და სწავლა-განათლების ენა არაბ. კულტ. განვითარების მაღალი დონის პირობებში. დას. ევროპის ს.ე-თა სათავეებთან უპირატესი ადგილი ეკავა მხატვრული ლიტ-რის პოეტური თუ პროზაულ ჟანრებს და ხალხ. ეპოსს, ნაწილობრივ – სას. მწერლობას. ამ ს.ე-ებმა შედარებით გვიან დაიწყეს მეცნიერებისა და განათლების მომსახურება, ვინაიდან დასახელებულ სფეროებში მანამდე ბატონობდა ლათ. ენა. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშ. ენებად მხოლოდ რამდენიმე იხმარება: უპირატესად – ინგლ., ესპ., ნაკლებ – გერმ. და ფრანგ.).

ს. ე-ის სოც. საფუძველს განსაზღვრავს ის, თუ რა ეროვნ. პრაქტიკას ეყრდნობა და რომელ ნიმუშებს ირჩევს იგი შექმნა-განვითარების დროს. შუა საუკ. ს. ე-ებისათვის ტიპობრივი იყო ვიწრო სოც. ბაზა, ვინაიდან ისინი ემსახურებოდნენ ფეოდ. სამყაროს უმაღლეს ფენათა კულტურას, რაც განაპირობებდა იმ ეპოქის ს. ე-ის სტილისტიკურ სისტემას, მის გამიჯვნას სასაუბრო ენისაგან როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობაში. ეროვნ. ს. ე-ის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი ხასიათდება დემოკრატიზაციის ტენდენციის გაძლიერებით, სოც. ბაზის გაფართოებით, წიგნურ-წერილობით და სასაუბრო-სახალხ. სტილთა ურთიერთდაახლოებით. ამ დროს ს. ე. იქცევა კომუნიკაციის საერთო-სახალხო საშუალებად მის სპეციალურ სტილთა ინტენსიური დემოკრატიზაციისა და მათ წიგნურ-წერილობით სტილზე გაელვების გზით.

ს. ე-ის თანამხლები პროცესია ბრძოლა ენის სიწმინდის დასაცავად, რაც გულისხმობს ს. ე-ის ნორმების დაცვას. მისთვის დამახასიათებელია ორთოეპიულად მართებული სიტყვებისა და გარკვეული გრამატ. წესების მიხედ-

ვით გამართული კონსტრუქციების ხმარება, ხოლო ინტონაციურად – ბუნებრივი წარმოთქმის გამოყენება. ენის სიწმინდის დაცვა მეტყველების კულტურის გარკვეული დონის მიმანიშნებელია, თუმცა ერთიანი კოდიფიცირებული ნორმების არსებობა ს. ე-თვის ყოველთვის არ არის აუცილებელი. ითვლება, რომ ნორმების ნამოყალიბება ს. ე-ის ისტორიაში შედარებით გვიანდელია (ემთხვევა ეროვნ. ენებად ჩამოყალიბების პერიოდს).

ცნებები „ს. ე." და „ლიტერატურული ენა" იგივეობრივი არ არის. ს. ე. მოიცავს არა მარტო მხატერული ლიტ-რის, არამედ პუბლიცისტიკის, მეცნიერების, სახელმწ. მმართველობის, აგრეთვე ზეპირი გამოსვლების ენასა და სასაუბრო მეტყველების გარკვეულ ტიპს (ს. ე-ის ზეპირი ფორმა). ლიტერატურული ენა, ერთი მხრივ, უფრო ვიწრო ცნებაა, ვინაიდან მხოლოდ მხატერული ნაწარმოებების ენას გულისხმობს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი უფრო ფართო ცნებადაც შეიძლება გავიგოთ, რამდენადაც, გარდა ლიტ. ენობრივი ფორმებისა, შეიძლება მოიცავს ტერიტ. დიალექტებისა თუ კილოკავების ელემენტები და ჟარგონიზმებიც.

ს. ე-ების ისტორიაში დიდ როლს თამაშობს გამოჩენილი მწერლების შემოქმედება (მაგ., შექსპირისა ინგლ. ს.ე-ის ფორმირებაში, რუსთაველისა – ქართ. ენის, პუშკინისა – რუს. ენის და ა. შ.).

ლიტ.: თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგი საკითხი, თბ., 1965; ჩიქობავა არნ., ქართული ენა, როგორც პოლიფუნქციონალური სალიტერატურო ენა. – «ქართული სტილის კულტურის საკითხები», წგ. I, თბ., 1972; Гухман М. М., Литературный язык. – Общее языкознание: Формы существования, функции, история языка, М., 1970; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

შ. აფრიდონიძე.

სამი სტილის თეორია, მოძღვრება ენის სამ განსხვავებულ (მაღალ, საშუალო და დაბალ) სტილად დაყოფის შესახებ, რ-იც ცნობილია ანტიკური პერიოდიდან; ფართოდ იყო გავრცელებული აღმ. და დას-ის ბევრ ქვეყანაში, მ. შ. საქართველოსთან ისე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნებში, როგორიც იყო რუსეთი და სომხეთი. საქართველოში ს. ს. თ. შემოიტანა XVIII ს. მოღვაწემ, კათალიკოსმა *ანტონ I-მა*. თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ნაირსტილოვანი სალიტ. ენის გამოყენების შემთხვევები ანტონის წინადროინდელ მწერლობაშიც იყო გაერცელებული. მაგალითისათვის *იოანე პეტრიწისა* და ს.-ს. *ორბელიანის* დასახელებაც საკმარისია. პეტრიწმა ფილოს. ნაშრომებისათვის გამოიყენა „მდაბრიონთაგან მესხუი", ე. ი. მდაბიურისაგან განსხვავებული ენა, ხოლო საბა, რ-ის ენაც, ჩვეულებრივ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დამყარებული ახ. სალიტ. ენის ნიმუშად მოჰყავთ, თავის ნაწარმოებებში ხშირად ძვ. ქართ. სახ. მწერლობის სტილს მიმართავდა. ორი განსხვავებული სტილის გამოყენება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც XII ს. განსაკუთრებით, მომდევნო საუკუნეებში სალიტ. ენის მკაცრი ნორმები დაირღვა და ცხადი გახდა განსხვავება ძვ. სალიტ. ენასა და ახ. ცოცხალ სასაუბრო ენასთან დაახლოებულ სალიტ. ენას შორის. ძვ. სალიტ. ენა შემორჩა საეკლ. ნაწარმოებებს, ამის გვერდით კი საერო მწერლობაში ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დამყარებული სალიტ. ენა მკვიდრდებოდა.

რაც შეეხება სალიტ. ენაში სამი სტილის გამოყენების თეორიულ დასაბუთებას, ანტონმა იგი თავისი „ქართული ღრამმატიკის" მხოლოდ I რედაქციაში (1753) წარმოადგინა.

ანტონი მწერლობის ნიმუშებს სამ სახედ ყოფს: პირველი სახის ნაწერები ნაკლებად შეიცავს „რწულსიტყვაობას", მაგრამ ყველასათვის ადვილი გასაგებია. ასეთია სვინაქსართა და მოთხრობათა ენა. თუ ნაწარმოები ხალხისათვის არის განკუთვნილი, იგი პირველი სახის ენით უნდა იწერებოდეს. მეორე სახის ნაწერებში რწულსიტყვაობა მეტია, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაკლებ გასაგებიც არის. ასეთია საღვთო წერილის ენა. თუ ნაწარმოები სწავლას ან მოძღვრებას ეხება ან წმინდანთა წერილებს განმარტავს, საჭიროა მეორე სახის ენა, რათა სიტყვათა კეთილშობილება წინადადებათა კეთილშობილების მსგავსი იყოს და ღრმა აზრმა უბიძგოს მეცნიერთა გონებას მეტი სიღრმისაკენ. რაც შეეხება მესამე სახის ნაწერებს, მათ სრულად მოეპოვებათ რწულსიტყვაობაცა და ტკბილმეტყველებაც, მაგრამ ისინი მხოლოდ მეცნიერთათვისაა ხელმისაწვდომი. იქვე ანტონი ჩამოთვლის ავტორებს, რ-ებიც მესამე სტილით წერდნენ.. თუ ნაწარმოები ბრძენთა და განსწავლულთათვისაა გამიზნული, მაშინ ის უნდა იწერებოდეს მესამე სახის ენით, რადგანაც სიტყვათა ბრწყინვალება და ფრაზების მჭერმეტყველება მკითხველის გონებას გადააჯერებს სიზარმაცეს, აღაფრთოვანებს და, ამგვარად, უფრო დააინტერესებს მას ასეთი თხზულებებით.

ანტონის ინტერპრეტაციით, ნაირსტილოვანი სალიტ. ენის თეორია არ იძლეოდა სტილებრივი სხვაობის არავითარ წესებს და, ამდენად, არ არსებობდა სხვადასხვა სტილის ერთმანეთისაგან გამიჯვნის ობიექტური კრიტერიუმი. თვით ანტონისთვის, როგორც ჩანს, ეს თეორია მისაღები იყო იმდენად, რამდენადაც შესაძლებლობას აძლევდა, ეწერა მაღალი, ხელოვნური სტილით. საფიქრებელია, რომ ამიტომაც არ შეიტანა მან თავისი გრამატიკის II რედაქციაში მსჯელობა ს. ს. თ-ის შესახებ.

ცხადია, ამ თეორიამ ანტონის ავტორიტეტისა და მისი ლიტ. სკოლის წყალობით გავლენა იქონია შემდეგდროინდელ გრამატიკოსებზე და, რა თქმა უნდა, მწერლებზეც. თუმცა მხედველობაში მისაღებია, რომ ორ განსხვავებულ სტილ'ზე წერის ტრადიცია, ანტონის თეორიის გაჟღენის გარდა, წინამორბედთა ტრადიციის გათვალისწინებითაც შეიძლება აიხსნას. ს. ს. თ. თეორიად დარჩა, არსებითად მხოლოდ მაღალი და დაბალი სტილით წერის საკითხი იდგა.

ერთი მხრივ, გაუგებარი, მძიმე და, მეორე მხრივ, სადა, მარტივი ენით წერის შესანიშნავ საილუსტრაციო მაგალითებს გვაწვდის ჟურნ. „ცისკარი", XIX ს. შუა წლების ერთადერთი ბეჭდვითი ორგანო. იმ მწერლებიდან, რ-ებიც „ცისკართან" თანამშრომლობდნენ, განსაკუთრებით მძიმე ენით გამოირჩეოდნენ ი. ლორთქიფანიძე, ღ. ბაგრატოვანი, ლ. ისარლოვი,

დ. ციციშვილი, ზ. მამაცოვი, ს. ალექსიევ-მესხიევი, ბ. ჯორჯაძე, ა. სვანელი...; სადა, მარტივი ენით წერდნენ დ. ყიფიანი, გ. ერისთავი, ი. კერესელიძე, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე, ა. ორბელიანი...

თუმცა ანტონის მიმდევრების უმეტესი ნაწილი თეორიულ წერილებში, რ-ებიც ქართ. ენის „სიწმინდეს" შეეხებოდა, სალიტ. ენაში სამ განსხვავებულ სტილს გამოყოფდა (*ა. ორბელიანი, დ. ბაქრაძე*), მაგრამ ზოგჯერ ფაქტობრივი ვითარება და, როგორც ჩანს, ის გარემოებაც, რომ წინადროინდელ მწერლობაში სას. და საერო თხზულებები სხვადასხვა სტილით იწერებოდა, აიძულებდა ზოგ მათგანს ეღიარებინა, რომ არსებითად მხოლოდ ორი სტილი („ენა") არსებობდა (ა. ორბელიანი, ლ. არდაზიანი).

ბოლოს და ბოლოს, ნაირსტილოვანი ენის ნორმებით ხელმძღვანელობის შეუძლებლობა თვით ამ თეორიის მომხრეებმაც იგრძნეს და სხვადასხვანაირი სტილით წერის საჭიროებაში ეჭვი შეიტანეს. ამ მხრივ ცნობილია ა. ორბელიანის, დ. ბაქრაძისა და ლ. არდაზიანის წერილები, რ-ებშიც სადი მოსაზრებები საკმაოდ მკვეთრად გამოითქვა, მაგრამ არც შედეგი ჩანდა და არც მათი საქმის განმახორციელებელი, სანამ სალიტ. ენის დიდი რეფორმის ძნელი და პასუხსაგები საქმე არ იტვირთა ი. ჭავჭავაძემ. იგი თამამად გამოვიდა ანტონის ორთოგრაფიული წესების წინააღმდეგ, ერთბაშად უკუაგდო მანამდე ქართ. ენაში გაბატონებული ხელოვნური კონსტრუქციები, არ მოერიდა მაღალი სტილისათვის უჩვეულო სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას და ქართვ. საზ-ბას გასაგები, ჭეშმარიტად ხალხ. ენის ნიმუში მისცა.

ლიტ.: ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ალ., ქართულის ენისათვის, ტფ., 1856; მ ი ს ი ვ ე, ქართული უბნობა ანუ წერა. – «ცისკარი», 1860, №6; ა რ დ ა ზ ი ა ნ ი ლ., Беглый обзор 12 книжек „Заря" с января по декабрь 1858 г. ნ. ბერძენოვისა. – «ცისკარი», 1859, №9; ბ ა ქ რ ა ძ ე დ., წიგნი მოწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა". – «ცისკარი», 1860, №8; გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე მ., იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა. – იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. 1, თბ., 1940; ნ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. 1, თბ., 1950; გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. – «თსუ შრომები», 1958, ტ. 69; მ ი ს ი ვ ე, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის. – წგ.: სულხან-საბა ორბელიანი. საიუბილეო კრებული, თბ., 1959; ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ე., სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში. – «თსუ შრომები», 1963, ტ. 96; მ ი ს ი ვ ე, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

ე. ბაბუნაშვილი.

საორგანიზაციო კომისია, სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია. შეიქმნა 1920 განსახკომთან არსებული სასწ. კომიტეტის მიერ ს. ხუნდაძის განცხადების საფუძველზე, რ-შიც იგი კატეგორიულად მოითხოვდა მთავრობის მონაწილეობას სალიტ. ენის მართებული ფორმების შემუშავებასა და დაკანონებაში. შემადგენლობა: ა. შანიძე (თავ-რე), გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე (მდივანი), ვ. ბერიძე (სხდომებს ესწრებოდა დ. უზნაძეც).

კომისიამ უპირველესად გამოაქვეყნა მოსაგვარებელ საკითხთა სია და მათ გადასაწყვეტად იმუშავა 1920 წ. 4. IV-იდან 1921 წ. 16. IV-მდე. 1921 განსახკომმა გამოსცა წიგნაკი –„სალიტერატურო ქართულისათვის – „პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასალები კონფერენციისათვის)", ტფილისი, 1921 (54 გვ.). მასში წარმოდგენილი იყო:

1. კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები: ფორმათა ერთსახეობა, გაერცელებულობა, სიცოცხლისუნარიანობა („ცოცხალ" ფორმათა უპირატესობა „მკვდარ" ფორმათა წინაშე), ტრადიციულობა (ისტორიულად სწორ ფორმასთან ახლომყოფი ვარიანტის უპირატესობა);

2. ფონეტ.-მორფოლ., სინტაქსურსტილისტიკურ სადავო საკითხთა (აგრეთვე უცხოენოვანი ლექსიკის გადმოცემის) მოწესრიგების რეკომენდაციები.

ნორმის დადგენა რამდენიმე ეტაპს გულისხმობდა: ს. კ-ში შემუშავებული პროექტები მოხსენდებოდა ენის მცოდნეთა კონფერენციას (ჩატარება ივარაუდებოდა 1920 წ. 24. V), რ-ის გადაწყვეტილებებს განიხილავდა სასწ. კომიტეტი, მისცემდა საბოლოო სანქციას, გამოაქვეყნებდა და საყოველთაო-სავალდებულო კანონად გამოაცხადებდა. მაგრამ კონფერენციის მოწვევა ვერ მოხერხდა. ს. კ-ის პრინციპებიც ყველამ არ გაიზიარა. ამის მიუხედავად, კომისიის მიერ რეკომენდებული ბევრი ფორმა სალიტ. ენაში დამკვიდრდა.

ს. კ-ის დაარსებაცა და მოღვაწეობაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. თანამედროვე სალიტ. ენის ნორმალიზაციის ისტორიაში ეს იყო პირველი კომისია შექმნილი სახელმწ. დონეზე და ერთგვარი წინამორბედი *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიისა.*

ლ. ლეჟავა.

სარჯველაძე ზურაბ ალექსანდრეს ძე (12. III. 1939, სოფ. ჯუნეწური, ლანჩხუთის რ-ნი, – 17. XII. 2002, თბილისი), ენათმეცნიერი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (2001), ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1976), ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. უნ-ტის საჯ მეცნ. დარგის პრორექტორი, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის ხელმძღვანელი. დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1962). იკვლევდა ძვ. ქართ. ენის, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და ბევრ სხვა ლინგვისტურ საკითხს. მონოგრაფიებში „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები" (1975) და „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი" (1984) პირველად არის ფართოდ გაანალიზებული ქართ. სალიტ. ენის ისტორიის კარდინალური საკითხები. ნაშრომში „ძველი ქართული ენა" (1997, მეორე გამოც. 2004) ძვ. ქართ. ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის ძირითადი საკითხებია განხილული. მონოგრაფიაში „ქართული პალეოგრაფია" (თანაავტორი კ. დანელია) მრავალფეროვან საილუსტრაციო მასალასთან ერთად მოცემულია პალეოგრაფიის თითქმის ყველა ძირითადი საკითხის დაწვრილებითი ანალიზი. ს. დიდ ადგილს უთმობდა ძვ. ქართ. და ქართველური ენების ლექსიკის კვლევას. ამ საკითხებს ეძღვნება მისი ნაშრომები: „ძველი ქართული ენის ლექსიკონი" (1995) და



ზ. სარჯველაძე.

„ძველი ქართული ენის სიტყვის კონა“ (2001). აგრეთვე გერმ. ენაზე გამოქვეყნებული შრომა „ძველ-ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (Hamburg: Buske, 1999, თანაავტორი ჰ. ფენრიხი). ს-ის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (თანაავტორი ჰ. ფენრიხი) გამოქვეყნდა არა მხოლოდ ქართულად (ჯერ 1990, შემდეგ 2000), არამედ – გერმანულადაც (Leiden, New York, Köln:Brill, 1999). ეს არის ქართულ (აგრეთვე გერმანულ) ენაზე გამოქვეყნებული პირველი ნაშრომი, რომელშიც სათანადო მეცნ. ინტერპრეტაციითა და მაქსიმალური სისრულით არის წარმოდგენილი როგორც მანამდე არსებული, ისე ავტორთა მიერ მოპოვებული სალექსიკონო მასალა. ს-ის, როგორც ერთ-ერთი შემდგენლის, მონაწილეობით და რედაქტორობით მომზადდა „ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი“ ტ. 1, 2 (თბ., 1986); მისი რედაქტორობით (თანარედაქტორები – მ. შანიძე, ნ. გოგუაძე) გამოვიდა აგრეთვე „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი“, თბ., 1994.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს-ის, როგორც ტექსტოლოგის მოღვაწეობა. მისი მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ძვ. ქართ. მწერლობის არაერთი ძეგლი. 1993 ს-ის რედაქტორობით (თანარედაქტორი მ. შანიძე) გამოიცა ძვ. ქართ. სახ. მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლი წმ. იოანე ოქროპირი, „განმარტება იოანეს სახარებისა“, თარგმანი «წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა», ნაწ. I–II, რის ტექსტის მომზადებაში თვითონაც მონაწილეობდა. ს-ის მიერ დაარსებული (1998) სერიის – „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის“ X ტომი – „ადიშის ოთხთავი“ გამოიცა (2003) ს-ის საერთო რედაქციით. 2004 გამოვიდა „მათეს სახარება“ და „მარკოზის სახარება“ (გიორგი მთაწმიდელის რედაქცია), რ-თა ტექსტები და განმარტებები მომზადებულია ს-ის მიერ (ე. გიუნაშვილთან ერთად).

ს. ხრუნავდა აგრეთვე ქართ. ძეგლების გამოცემაზე უცხოეთში. 1998–2001 სერიაში „ძველი ქართული ძეგლები“ გამოიცა მის მიერ გერმანულად თარგმნილი (ჰ. ფენრიხთან ერთად) „მოქცევაი ქართლისაი“, მოსე ხორენელის „ისტორიანი სომეხთანი“, გიორგი მერჩულის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“.

ს-ის ნაშრომებისა და გამოკვლევების სრული ბიბლიოგრაფია-სათვის იხ. თსუ-ის «ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 2004, ტ. 31. ს-ს მიღებული აქვს საქართვ. უმაღლესი განათლების სამინისტროს (1987), ა. შანიძის სახ. (1992), ა. ჰუმბოლდტის სახ. (1994), თბილისის სახელმწ. უნ-ტის (2000), გეორგ როზენის სახ. (2001) პრემიები, ღირსების ორდენი (1998).

ა. ონიანი.

საშარა, ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, ხუროთმოძღვრების ძეგლი სამხრ. საქართველოში (ახალციხის რნ). წ.კაროებში ს. IX ს-იდან იხსენიება. შემორჩენილ ნაგებობათა შორის უძველესია მიძინების ეკლესია (X ს.). წმ. საბას მთავარი ეკლესია XIII ს-ში აუგია ხუროთმოძღვარ ფარეზასძეს.

ს-ის ლიტ. კერის მთავარი წარმომადგენელია კათალიკოსი არსენ დიდი (საფარელი) (IX ს.). ავტორი ანტიმონოფიზიტური ტრაქტატისა „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“.

X–XI სს. მოღვაწეთაგან ცნობილი არიან იოანე და გაბრიელ საფარელები. ისინი პალესტინაში მოღვაწეობდნენ და ამრავლებდნენ ხელნაწერებს. XII ს. მოღვაწეა იოანე მრბეველ-საფარელი, რმაც 1195 დაამზადებინა წყაროსთაეის სახარება (Q–№907). XVI ს-ში აქ მოღვაწეობდა ცნობილი კალიგრაფი სვიმეონ კარგარეთელი, რ-საც იოაკიმე მაწყვერელის დაკვეთით გადაუწერია პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნ. კრებული (S–№312), მონაწილეობა მიუღია აბესალომისძე ტბელის შრომების შემცველი უძველესი ხელნაწერის (A–№85) შეკვეთა-რესტავრაციაში, გადაუწერია გულანებიც (A–№197, K–№16).

ხელნაწერთა გამრავლება საფარაში გვიან ხანამდე გრძელდებოდა. 1778 მიტროფანე საფარელმა იქ გადაწერა დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული (K–№101), 1844 ქრისტესია სამადაშვილმა გადანუსხა „გრდემული“ (A–№1591).

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ ი ლ., ძველი ქართული კალენდრის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა (სსპ), სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის მაკონტროლებელი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო. შეიქმნა 1997 წ. 24 იანვარს (თავ-რე ლ. ღვინჯილია). პალატა თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობდა საქართვ. კონსტიტუციით, კანონებით, პარლამენტის დადგენილებით, პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და



საფარის მონასტერი. წმ. საბას ტაძარი. XIII ს. დასასრული.

განკარგულებით, საქართვ. სახელმწ. ენის მუდმივი სახელმწ. კომისიის გადაწყვეტილებებით, საქართვ. პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სსსპ ანგარიშვალდებული იყო საქართვ. პრეზიდენტის წინაშე; ჰქონდა დამოუკიდებელი ბალანსი და შესაბამისი ანგარიშები ბანკში, სახელმწ. გერბიანი ბეჭედი. პალატის დაფინანსება ხდებოდა სახელმწ. ბიუჯეტიდან.

სსსპ-ს ეკისრებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწ. ორგანოს, უწყების, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართვ. სახელმწ. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საქართვ. იურისდიქციაში მყოფი არასახელმწ. დაწესებულებების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) საქმიანობაში ქართ. ენის კონსტიტუციური სტატუსისა და სალიტ. ენის ნორმათა დაცვის უსრუნველყოფა, სახელმწ. ენობრივი პოლიტ. განხორციელება, არაქართულენოვანი მოსახლეობის ენობრივი ინტერესების დაცვა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და სხვ.

სსსპ უფლებამოსილი იყო, თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მიეღო გადაწყვეტილება, რ-თა შესრულება სავალდებულო იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოსათვის, აგრეთვე საქართვ. ტერიტორიაზე განლაგებული ყველა არასახელმწიფო საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

სსსპ-თან შექმნილი იყო გეოგრ. ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისია, შემადგენლობასა და სტრუქტურას ამტკიცებდა და თავ-რეს ნიშნაველა საქართვ. პრეზიდენტი. აღნიშნულ კომისიას ხელმძღვანელობდა პალატის თავ-რე.

სსსპ-ს ჰქონდა სტრუქტურული ქვედანაყოფები საქართვ. ყველა ქალაქსა და რაიონში შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილებების სახით. აღგილობრივი საქმიანობის უკეთ ორგანიზებისა და კოორდინირების მიზნით შექმნილი იყო ათი სამხარეო დეპარტამენტი, რ-ებშიც ერთიანდებოდა რაიონული და საქალაქო სამსახურები.

სსსპ-ის ლიკვიდაცია მოხდა საქართვ. მთავრობის 2004 წ. 23 ოქტომბრის №86 დადგენილებით. მისი სამართალმემკვიდრეა *სახელმწიფო ენის სამმართველო.*

ლ. ღურწკილია.

საქართველოში გავრცელებული ენები, ქართულ ენას თავისი არსებობის მანძილზე მრავალგვარი შეხება ჰქონია (და აქვს) სხვადასხვა წარმომავლობისა და სტრუქტურის ენებთან. კონტაქტების ხანგრძლივობა და ინტენსივობა განპირობებულია ისტ.-პოლიტ., გეოგრ. და სხვ. ფაქტორებით. ამგვარი კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიურია ერთ ტერიტორიაზე თანაარსებობის პირობებში და ენათა შორის ურთიერთგავლენის საფუძველი ხდება (იხ. *ენობრივი კონტაქტების ტიპოლოგია*). მათი შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ და არა იმდენად კონტაქტში მყოფი ენების თავისებურებათა თვალსაზრისით, არამედ სოციალურ-ანთროპ. თვალსაზრისით, ენათა კონვერგენციის კანონზომიერებათა მისი შესაძლო სფეროების დასადგენად (იხ. *ენათა კავშირი*). რამდენადაც ენობრივი კონტაქტები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათ მატარებელ ხალხთა უშუალო კონტაქტებზე, ინტერესს მოკლებული არ იქნება გათვალისწინებულ იქნას თვით ქართ. ტომებისა და საქართველოში მცხოვრები უცხოენოვანი ჯგუფების განსახლების დინამიკაც.

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში. დასავლეთიდან მას აკრავს შავი ზღვა, საქართველოს სანაპირო ხაზის სიგრძეა 330 *კმ.* საქართველოს გეოგრაფ. მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების ნაირგვარობა, ჰაჯის მრავალფეროვნება, მადნეულის, წყლის რესურსების, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს სიმდიდრე.

გეოგრაფიულმა მდებარეობამ უდიდესი გავლენა იქონია აგრეთვე ქვეყნის პოლიტ. ბედზეც. ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი, ქართ. ენის განვითარების გზა უშუალოდ იყო დაკავშირებული მეზობელ ტომებსა თუ სახელმწიფოებთან, პოლიტ.-კულტ. კონტაქტებზე (ომები, მიგრაციები, სავაჭრო ურთიერთობები, კულტურული გავლენები, განათლება, რელიგიური ორიენტაცია).

ძვ. წ. VII–VI სს-ში უკვე იწყება ქართ. სახელმწიფოების შექმნა. პოლიტ. კონსოლიდაცია ანჭარებს ტომების დაახლოებისა და ქართ. ხალხის ჩამოყალიბების პროცესს. ერთიანი მატერ. და სულიერი კულტურის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახ. წ. IV ს-ში ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადება და ქართული დამწერლობის გავრცელება. შემდგომში კი (X ს.) ქვეყნა ქართ. სამეფო-სამთავროს გაერთიანების გზით ერთიანი ფეოდ. სახელმწიფოს შექმნა.

ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნამ დადებითი გავლენა იქონია მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდაზე. სპეციალისტების გამოთვლით, ფეოდალური საქართველოს ქვეყანაზე განვითარებულ ეპოქაში (XII–XIII სს.) მოსახლეობა დაახლ. 5 მლნ. კაცს შეადგენდა.

შუა საუკ. შექმნილმა რთულმა ისტ. პირობებმა და შემდგომმა გარემოგრაციულმა პროცესებმა განაპირობა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე. საქართვ. სახელმწიფოს დასუსტებისთანავე მეზობელი ტომები სასაზღვრო ზოლიდან საქართვ. ტერიტორიაზე სახლდებოდნენ. ზოგჯერ ისინი ასიმილირდებოდნენ, ზოგჯერ კი მეტ-ნაკლებად კომპაქტურ დასახლებებს ქმნიდნენ და მშობლიურ ენას ინარჩუნებდნენ.

მდიდარი ისტ. მასალა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მოსახლეობის რაოდენობრივსა და თვისებრივ ცვლას საქართველოს ტერიტორიაზე და განვსაზღვროთ თანამედროვე საქართველოს მცხოვრებთა შედგენილობისა და თავისებურების დემოგრაფიული ბუნება. ისტ. ვითარების გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში, აიხსნება თანამედროვე *ენობრივი სიტუაციაც* საქართველოში.

ტერიტორია, რ-იც უძველესი ხანიდან ეკავა საქართველოს (თანამედროვე და ისტ. საქართველოს ნათელით), დაკავშირებული იყო

კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანეს რეგიონთან – ახლო აღმოსავლეთთან. სწორედ აქ ძვ. წ. III–II ათასწლეულებში ქართ. ტომებს მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონოდათ ინდოევროპელებთან, სემიტებთან და სხვა ცნობილ ეთნოსებთან, რასაც ადასტურებს მათგან ნასესხები ლექსიკა, ისევე როგორც მსგავსება ძველაღმოსავლურ და ქართველურ ენათა სტრუქტურულ ნიშნებში (იხ. *ქართული ენა, შუმერული ენა, ხათური ენა, ხეთური ენა*).

ქართ. ტომების კულტურულ-ეთნიკური კონტაქტები სხვა ეთნოსებთან გრძელდებოდა შემდეგაც, სხვა დროსა და სხვა ისტ. პირობებში. ენათა კონტაქტების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნანს ინტენსიური მიგრაციული პროცესები თვით საქართველოს ტერიტორიაზე, რამაც უცხო ეთნოსების ნამოსახლებასთან ერთად სხვადასხვა დროს გამოიწვია მათი ენების გავრცელებაც აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ინდოევროპული ენები. უძველესი დროიდან კავკასიასა, და, კერძოდ, საქართველოს, აღებმიცემა ჰქონდა ეგეოსის სფერის ხალხებთან. ამ გაკვალულ გზებს შემდეგ ბერძნებიც მოჰყვნენ. ძვ. წ. VII ს-ში ვაჭრობა ისე გაფართოვდა, რომ ბერძნები შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, სანავსაღგურო ქალაქებში (ფასიდი ანუ ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი) ბერძნული ახალშენების შექმნას იწყებენ. აქედან ვრცელდება ბერძნული ენა საქართველოს ტერიტორიაზე (იხ. *ბერძნული ენა*).

ახლანდელი ბერძნ. მოსახლეობა საქართველოში ანატოლიიდანაა გადმოსახლებული (XVIII–XIX სს.). ბერძენი იმიგრანტების ბოლო ნაკადი ლოზანის კონფერენციის (1922–23) შემდეგ შემოვიდა. ამჟამად საქართველოში ბერძნები ცხოვრობენ უმთავრესად აჭარაში, აფხაზეთში, წალკისა და დმანისის რაიონებში. ენობრივად საქართველოს ბერძნები ორ ჯგუფად იყოფიან: ბერძნულენოვანი ელინოფონები (საკ. სახელი – „რომეოს“, უფრო ოშვიათად – „გრეკოს“, „ელინოს“) და თურქულენოვანი ურუმები. ვარაუდობენ, რომ თრიალეთის ურუმთა, განსაკუთრებით ძვ. ქართ. პროვინციებიდან მოსული გუმიშხანელებისა და პასენების, ეთნოგენეზში გარკვეული როლი შეასრულეს ლაზებმა, მათ ეოფაში შემონახულია ძვ. ქართული ტრადიციებიც. ელინოფონები ცხოვრობენ ძირითადად აფხაზეთსა და აჭარაში (მცირე ჯგუფი – სამხრ. საქართველოს სოფლებში), ურუმები კი – უმთავრესად წალკისა და დმანისის რაიონებში. მეურნეობა, ეოფა და კულტურა განსახლების რაიონების მიხედვით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ბერძნების რაოდენობა საქართველოში 1959 წლის აღწერის მონაცემებით 72 938 კაცს უდრიდა, 1970 წლის აღწერით – 89246-ს, 1979–95105, 1989 კი –100 324-ს. ბოლო ათწლეულებში მისიმე სოც.-ეკონ. პირობებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობის განვის მიხედვით ბერძნებიც (სხვათა მსგავსად) დიდი რაოდენობით გავიდნენ საქართველოდან, მაგრამ ამ პერიოდში აღწერა არ ჩატარებულა.

ქართულის მჭიდრო კონტაქტი სპარსულთან იწყება IV–V სს-იდან, როდესაც სპარსეთი ფეხს იკიდებდა ამიერკავკასიაში. აქ სხვადასხვა დროს მისი ინტერესები იკვეთებოდა რომის, ბიზანტიის, ოსმალეთისა და, ბოლოს, რუსეთის პოლიტ. ინტერესებთან, რასაც თან სდევდა გამუდმებული ომები გავლენის სფეროთა გადანაწილებისათვის. ამ რთულ პოლიტ. ვითარებაში უხდებოდა არსებობა საქართველოსაც. სპარსეთთან ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა XVII ს. დასაწყისიდან, როდესაც ქართლ-კახეთზე გახშირებულ თავდასხმებს (შაჰ-აბას I-ის დროს) მოჰყვა კახეთის მოოხრება. დაცარიელებულ ველებში დაიწყო თურქმანების ნამოსახლება, რასაც სპარსეთი მთელი XVII ს-ის მანძილზე ცდილობდა. სპარსეთის დამპყრობლური ომები მეტ-ნაკლები ინტენსიურობით XVII ს-შიც გრძელდებოდა, სანამ საბოლოოდ ამიერკავკასიაში რუსეთის ინტერესებმა არ გაიმარჯვა. მიუხედავად ასეთი რთული პოლიტ. ურთიერთობებისა, მთელი ამ საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და სპარსეთს შორის არსებობდა მჭიდრო კულტ.-ლიტ. ურთიერთობები, რამაც ასახვა ენაშიც პოვა (იხ. *ირანული ენები*).

ოსების (საკ. სახელი ირონი) წინაპრები – ირანული მოდგმის სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომები – ჩრდ. კავკასიაში ძვ. წ. VIII–VII სს-ში გამოჩნდნენ. ისინი თანდათან შეერივნენ კავკ. აბორიგენულ მოსახლეობას და ახ. წ. X–XIII სს-ში ძლიერი ფეოდ. სამეფო შექმნეს. საქართველოში მათი ნამოსახლება დაწყებულია გვიან შუა საუკუნეებში (მასიურად – XVII–XVIII სს-ში). ნამოსახლებულები ემორჩილებოდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლებას და ცალკეულ სათავადო სახლებს. 1922 წლის 20 აპრილს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შეიქმნა სამხრ. ოსეთის ავტონ. ოლქი.

საქართველოში ოსების რაოდენობა 1959 წლის აღწერის მონაცემებით 141178 კაცს უდრიდა, 1970–150185, 1979-ში – 160497, ხოლო 1989 წლის აღწერის თანახმად კი – 164055. ამავე აღწერის მიხედვით ოსურს მშობლიურ ენად მიიჩნევდა და სრულყოფილად ფლობდა 164 055 ოსიდან 125 872, ქართულს – 33 694, რუსულს – 4246, სხვა ენებს – 243.

მოცემული ეროვნების საერთო რიცხოვნობიდან თავისუფლად ფლობდა მეორე ენად თავისი ეროვნების ენას 7 331, ქართულს – 53 518, რუსულს – 60 004, სხვა ენას – 433, არ ფლობს მეორე ენას – 42769.

საქართველოს მჭიდრო ისტ. კონტაქტებმა ოსებთან, განსაკუთრებით მათი ნაწილის საქართ. ტერიტორიაზე ნამოსახლების შემდეგ, ბუნებრივია, განსაზღვრა მჭიდრო ენობრივი კონტაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ პირველი ოსური ხელნაწერი (1802) შესრულებულია ქართული გრაფიკით (იხ. *ალლუზიძე ი., ოსური ენა*).

საქართ. ტერიტორიაზე გავრცელებულია კიდევ ერთი ირანული ჯგუფის ენა – ქურთული (იხ. *ქურთული ენა*). ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ქურთები (საკუთარი სახელწოდება – ქურდი, კურმანჯი) წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ქურთების ნამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ძვ. მიდიელი და ირანული ტომები. 1514 ქურთისტანი გაიანწილეს თურ-

ქეთმა და ირანმა, ხოლო I მსოფლიო ომის (1914–18) შემდეგ გაიყო ოთხ სახელმწიფოს შორის (თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია). XIX საუკუნეში ქურთების ნაწილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. საქართველოში, კერძოდ მესხეთში, ცალკეული ქურთული მომთაბარე ტომები XVI ს-ში გამოჩნდნენ, ქურთების ძირითადი მასა კი საქართველოში დასახლდა 1918–20, მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიწყეს მათი რელიგიურ-პოლიტ. შევიწროება. ქურთები ცხოვრობენ თბილისში, ბათუმსა და რუსთავში, მცირე ნაწილი – კახეთში.

საქართველოში ქურთების საერთო რაოდენობა 1959 წლის აღწერით იყო 16212 კაცი, 1970 – 20690, 1979 – 25688, 1989 წლის აღწერის მიხედვით – 33331. მათგან ქურთულ ენას მშობლიურად მიიჩნევდა და სრულყოფილად ფლობდა 24905 კაცი, ქართულს მშობლიურად თელიდა 3834, ხოლო რუსულს – 4105, სხვა ენას – 487. მეორე უნად თაყისუფლად ფლობდა ქართულს 14492, რუსულს – 8720, სხვა ენებს 8720, არ ფლობდა მეორე ენას 9279 ადამიანი.

სომხეთის სახელმწიფო საქართველოს ისტორიული მუსობელია და ამ ორ ქვეყანას ინტენსიური პოლიტ.-ეკონ. და კულტ. კონტაქტები უყველესი დროიდან ჰქონდა. ამ დროიდან იწყება ქართ.-სომხ. ენობრივი კონტაქტებიც (იხ. *სომხური ენა*).

საქართველოში სომხები კომპაქტურად სახლობენ სამხრ.-აღმ. ნაწილში (ისტ. ქართული მხარე – სამცხე-ჯავახეთი). დღეს ჯავახეთი (ამჟამად სომხებით კომპაქტურად დასახლებული არეალი) მოიცავს ახლანდელი ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების ტერიტორიას, საქართველოში მცხოვრები სომხების რაოდენობა 1959 წლის აღწერის მონაცემებით 442916 კაცი იყო, 1970 – 452309, 1979 წლის აღწერით – 448000, ხოლო 1989 წლის აღწერით კი – 437211.

ჯერ კიდევ XVIII ს-ში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ, რ-საც ერთხანს სომხ. კაპიტალის იმედი ჰქონდა, 1780 ერევნიდან, ხოლო 1787 ყარაბაღიდან ჩამოასახლა 70000-ზე მეტი სომეხი, რ-თა ერთი ნაწილი მოგვიანებით განჯაში გადასახლდა. საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთი ინტენსიურად აწარმოებდა სომხების ჩამოსახლებას სხვადასხვა რეგიონში: 1804 ერევნის სახანოდან თბილისში ჩამოასახლეს 2000; 1807–08 – 1906; მთავარმართებელ ტორმასოვის დროს – 1809–11 – ყარაბაღიდან ბოლნისში – 2140 სომეხი და ა. შ. ქველასზე დიდი რაოდენობით ჩამოსახლება ხდებოდა მესხეთში, მაშინ როდესაც რუსეთის საქართველოში დამკვიდრების მომენტიდან მოყოლებული ახალციხიდან გაინდევნა 10–12 ათასამდე ქართ. ოჯახი, ანუ დაახლოებით 60–65000 ქართველი. სომხური გრიგორიანული ეკლესიის მესვეურები ადრიდანვე ცდილობდნენ ქართველებისათვის საწმუნოება შეეცვალათ. ეკატერინეს სომხური ტიპიკონი, გახსნეს სომხური სასულიერო სასწავლებლები. იქაური ქართველი კათოლიკეები ცარისმმა ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა. 1886 წლის 27 თებერვალს აიკრძალა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა და ძალდატანებით სომხურად შეიცვალა. 1830-იდან ქრისტ. სომხები შემოჰყავთ არზრუმიდან. პასკევიჩმა 1828 ლიხთ-იმერეთის ქართველებს ნება არ მისცა დასახლებულიყვნენ მესხეთში, ხოლო ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან იქ 30000 მცხოვრები დაამკვიდრა. 1897–1902 საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსახლდა 55000 სომეხი. მარტო თბილისში ამ დროისათვის 68 ათასი სომეხი იყო ახალჩამოსახლებული, ძირითადად თურქეთიდან. 1921-იდან კავკასიის სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან საქართველოში შემოვიდა 200000-მდე ლტოლვილი სომეხი, აქედან 40–45 ათასი თურქეთის ქვეშევრდომი იყო. 1923 წლის მაისში აფხაზეთში ჩასახლდა 642 სომეხი ლტოლვილი. ბოლშევიკებმა თურქეთს, ასურბაიჯანსა და სომხეთს დაუთმეს საქართვ. ტერიტორიის 19491 კვ. კილომეტრი.

საქართველოს სომხური მოსახლეობის ენობრივი მდგომარეობა 1989 წლის აღწერის მონაცემებით ასეთია: 437211 სომხიდან სომხურს მშობლიურად აღიარებდა და სრულყოფილად ფლობდა 371642 კაცი, ქართულს – 24947, რუსულს – 40312, სხვა ენებს – 310. მოცემული ეროვნების საერთო რიცხოვნობიდან თავისუფლად ფლობდა მეორე უნად თავისი ეროვნების ენას – 9958 სომეხი, ქართულს – 88699, რუსულს – 187666, სხვა ენებს – 1421.

უცხო ენის განსაკუთრებით ძლიერი ზეწოლა ქართ. ენაზე დაკავშირებულია რუსეთის ასიმილატორულ პოლიტიკასთან ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში. რუსიფიკაციის პოლიტიკა, სხვა ეროვნ. ფაქტორების დასუსტებასთან ერთად, მიმართული აღმოსრდა ქართული ენის წინააღმდეგ და შესაბამისად რუს. ენის სახელმწიფოებრივი როლის გაძლიერებისაკენ (იხ. *ენობრივი პოლიტიკა, რუსული ენა*).

რუსული მოსახლეობა, როგორც ცნობილია, 1830-მდე ამიერკავკასიაში არ ცხოვრობდა – 1839 გამოვიდა განკარგულება სექტანტების გადმოსახლების შესახებ. რუსეთის მთავრობამ ტავრიის გუბერნიიდან გადმოასახლა დუხობორები, რ-ებიც დასახლდნენ ჯავახეთის აღმ. ნაწილის ქართ. ნასოფლარებში. ამ სოფლებს მათ ტავრიის გუბერნიაში მიტოვებული ძველი სოფლების სახელები დაარქვეს. სულ შეიქმნა რვა რუსული სოფელი: ბოგდანოვკა, ტამბოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა, ტროიცკოე, ეფრემოვკა, როდიონოვკა, რ-ებშიც ცხოვრობდა 737 კომლი (6323 სული).

რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, როდესაც საკავშირო ეროვნული ენების შესწავლის ხარჯზე მთავრობა მოკავშირე რესპუბლიკებში ხრდიდა რუსული ენის უფლებებს და ხელოვნური მიგრაციული პროცესებით ქმნიდა რუსულენოვანი მოსახლეობის კოლონიებს.

საქართველოში რუსების რაოდენობა 1959 წლის აღწერის მონაცემებით 407886 კაცს უდრიდა, 1970 – 396694, 1979–371608, 1989 – 341172. 1989 წლის აღწერით საქართველოში მცხოვრები რუსების საერთო რაოდენობიდან რუსულს მშობლიურ ენად აღიარებდა და სრულყოფილად ფლობდა 336718

კაცი. ქართულს – 4000, სხვა ენას – 454.

1989-იდან იწყება რუსების გასვლა რესპუბლიკიდან. მაგ., დუხობორთა 1150 კომლიდან დარჩა 415-მდე კომლი. რუსების მასობრივი წასვლის მიზეზები პოსტსაბჭოურ სივრცეში განვითარებული მოვლენების საერთო სურათში თავსდება.

სემიტური ენები. ძვ. წ. I ათასწლეულიდან დაიწყო და აღრეულ შუა საუკ. (უფრო გვიანაც) გრძელდებოდა სემიტების ახალი ნაკადების შემოსვლა საქართველოში. არ შემწყდარა კულტ. კონტაქტები სემიტურ სამყაროსთან, კერძოდ, არამეულ კულტურასთან. არამეულებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში. დაახლ. ძვ. წ. VII ს-იდან *არამეული ენა* ფართოდ ვრცელდება ახლო აღმოსავლეთში და მრავალი სახელმწიფოს ოფიციალური ენა ხდება. შესაბამისად, ვრცელდება *არამეული დამწერლობაც*, როგორც სემიტური, ისე არასემიტური ენებისათვის. არამეული ენა და დამწერლობა ვრცელდება საქართველოშიც (იხ. *არამეული დამწერლობა; ალოგლოტოგრაფია*).

ძვ. წ. VI ს-იდან ივარაუდება ებრაელთა პირველი ემიგრაცია საქართველოში (მეორე – ნვ. წ. I–II ს-ში ჩანს დაწყებული), რასაც მოჰყვა მათი კომპაქტური დასახლება საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (იხ. *ებრაული ენა*). ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით დაიწყო მათი დაბრუნება ისტ. სამშობლოში, თუმცა დღეისთვისაც ძლიერ დიასპორად რჩებიან.

არაბები საქართველოში VII ს-ში გამოჩნდნენ და მეტ-ნაკლები სიხშირითა და მოცულობით VII ს. შუა წლებიდან XI ს. შუა წლებამდე დარჩნენ. თუმცა არაბთა სახალიფოს მეორე ბატონობა ქართლში მხოლოდ VIII ს. 30-იანი წლებიდან IX ს. 80-იან წლებამდე გაგრძელდა. არაბთა ბატონობას მოჰყვა მაჰმადიანური მოსახლეობის გაჩენა საქართველოში (იოანე საბანისძის თხზულებაში ჩანს ქართველთა და არაბ მუსლიმანთა ურთიერთსოლიდარებულობაც და ქართველთა და გაქრისტიანებულ არაბთა ენობრივ-კულტ. სიახლოვეც). თანამედროვე საქართველოში არაბები არ სახლობენ, მაგრამ ისტ. ძნელბედობების დროს ნასახული ენობრივი კონტაქტების კვალი თანამედროვე ქართულშიც მოიძებნება (იხ. *არაბული ენა*).

საქართველოში მცხოვრები სემიტების – ასურელების ენა (იხ. *ასურული ენა*) ახალსირიული ენაა. იგი თავისი სტრუქტურით საკმაოდ დაშორდა სემიტურ ტიპს, რ-საც წარმოშობით განეკუთვნება. ასურელთა სახელწოდება – აისორები გაერცელებული იყო მეფის რუსეთში და დამამცირებლად ითვლებოდა.

ასურელები ცხოვრობენ ძირითადად ირანში, ერაყში, სირიაში, თურქეთში, სომხეთში. საერთო რაოდენობა დაახლოებით 1 მლნ. კაცია. საქართველოში ასურელები ცხოვრობენ თბილისში, მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში. 1989 წლის აღწერის მონაცემებით ასურულს მშობლიურ ენად მიინიშნეს – 3335 კაცი, ქართულს – 1520, რუსულს – 1261, სხვა ენებს – 90.

საქართველოში ასურელთა რაოდენობა 1970 წლის მონაცემებით 5617 კაცს შეადგენდა (მთელი მოსახლეობის 0,1%), 1979 წლის აღწერის თანახმად – 5286-ს (მთელი მოსახლეობის 0,1%), 1989 – 6206 (0,1%).

თურქული ენები. ქართ. ენას მჭიდრო და ხანგრძლივი შეხება აქვს თურქულ ენებთან (იხ. *თურქული ენები, ადრეული ენა*).

თანამედროვე თურქების წინაპრები, მომთაბარე ტომები – ოღუზები X ს. მეორე ნახევარში ქმნიან დიდ ეთნიკურ გაერთიანებას, რაც სათავეში უდგება (1010) სელჩუკი (აქედან სახელწ. – სელჩუკები). XI ს-ში სელჩუკებმა დაიპყრეს ირანი, ბიზანტია, ამიერკავკასია. თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში X ს. ბოლოს (1080-იდან) დაიწყო. სელჩუკები მთელ საქართველოს მოედნენ და მათი ჩამოსახლება ყოველწლიურად მატულობდა. „დიდი თურქობა“ თითქმის საუკუნე გაგრძელდა. ამ დროს საქართველოს ტახტზე ადის დავით IV აღმაშენებელი (1086), რ-მაც საქართველოს გააერთიანა, თურქებისაგან გაწმინდა ქვეყნის ტერიტორია, გაითავისუფლა თბილისი, გაატარა პოლიტ., სოც. და კულტ. რეფორმები, შემოიერთა სომხეთი, თავის გავლენას დაუმორჩილა თითქმის მთელი კავკასია. დიდი კავკასიური სახელმწიფო და საქართველოს ერთიანობა შენარჩუნებული იქნა გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროს XII ს-ში და XIII ს-ის დასაწყისში. ამ პერიოდში საქართველოზე დამოკიდებულია მთელი ჩრდ. კავკასია, აღმ. ამიერკავკასია, სამხრეთის ანუ ირანის ადარბადაგანი, მთელი სომხეთი და შავი ზღვის სამხრ. სანაპიროები.

მაგრამ ქართველებისა და თურქების დაპირისპირება შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. თურქსელჩუკებმა ანატოლიაში მოიკიდეს ფეხი (XI ს.) და შექმნეს დამოუკიდებელი სამთავრო, რ-იც დაპყრობითი ომების შედეგად თანდათანობით იზრდებოდა და ძლიერდებოდა. XIII-ის ბოლოს (ოსმან I-ის დროს) ჩამოყალიბდა ოსმანთა ძლიერი ფეოდ. სახელმწიფო. საქართველო ოსმალეთის მულმიენ ინტერესების სფეროში აღმოჩნდა. ოსმალეთი და რუსეთი კავკასიაში უკვე XVI ს. შუა წლებში დაუპირისპირდნენ ურთმანეთს. განსაკუთრებით XVI ს-ის 80-იანი წლების შემდეგ, როცა ოსმალებმა ამიერკავკასიაში გაბატონებასთან ერთად ჩრდ. კავკასიის დაუფლებაც სცადეს. XVI ს-ში, 1590, ირან-ოსმალეთის ზავის მიხედვით სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დარჩა. 1587–94 სულთნის ბრძანებით ქვეყანა აღწერეს. თავად-აზნაურებს საკითხი მწვავედ დაუსვეს – გამაჰმადიანება ან მიწების დაკარგვა. ამ დროიდან დაიწყო სამხრ. საქართველოს „გათათრება“, თუმცა ეს პროცესი XIX ს. დასაწყისშიც არ იყო დასრულებული. სამცხე-საათაბაგოს გარეშე, საქართველო თავისი ტერიტორიის 1/3-ს შეადგენდა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ჩნდება კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV ს. ბოლოს, სამხრ. აზერბაიჯანში შეიქმნა სახელმწიფო ატროპატენა. ამ სახელწოდებიდან წარმოიშვა სპარს. „ადარბადაგანი“, აქედან – აზერბაიჯანი. ალბანელები იბერიულ-კავკ. მოდგმისანი იყვნენ (იხ. *ალბანური ენა*), ატროპატელები – ირანულისა. აზერბაიჯა-

ნის ეთნოგენეზში მონაწილეობდა კავკასიის ალბანეთისა და ატროპატენის ძველი მკვიდრი მოსახლეობა, რ-საც შეეხება (ძვ. წ. I ათასწლ. და ახ. წ. I ათასწლ.) აზერბაიჯანში შემოჭრილი ირანული და თურქულენოვანი ტომები (კიმერიელები, სკვითები, პუნები, ბულგარელები, ხაზარები, ოღუზები, პაჭანიკები და სხვ.). აზერბ. ხალხის ჩამოყალიბება რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა და ძირითადად XI–XIII სს-ში დასრულდა აზერბაიჯანში თურქულენოვან ტომთა ახალი ტალღის, განსაკუთრებით სელჩუკების, შემოჭრის შემდეგ.

XVIII ს-ში, როდესაც ლეკი ფეოდალების გამუდმებული თავდასხმების გამო ქედმო ქართლი მკვიდრი მოსახლეობისაგან თანდათან დაიცალა, აქ გაჩნდნენ ქართველი, თურქულენოვანი, სომეხი და სხვ. მოახალშენენი. ამ მოსახლეობას პერიოდულად ემატებოდნენ საქართველოს მეზობლად არსებული აზერბაიჯანის მკვიდრნიც. საქართველოში 1959 წლის აღწერის მონაცემებით ცხოვრობდა 1536000 აზერბაიჯანელი, 1970 – 217758, 1979 – 255673, 1989 წლის მონაცემებით – 307556. 1989 ბუნებრიები მატება 1000 ქართველზე შეადგენდა 7,6-ს, 1000 აზერბაიჯანელზე ეს პროცენტი შეადგენდა 22,8-ს.

1989 წლის მონაცემებით აზერბაიჯანულს მშობლიურ ენად თელიდა და სრულყოფილად ფლობდა საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელთა 97,7% (3 ათ.), ქართულს – 0,9 (2,9 ათ.), რუსულს 1,3% (4 ათ.), ქართულს მეორე ენად ფლობდა აზერბაიჯანელთა 9,3% (28,6 ათასი), რუსულს – 34,1 (105 ათასი). გარდა ამისა, თურქეთიდან ჩამოსახლებული დაახლოებით 27 ათასი ბერძენი (ურუმები) დედაენად თელის აზერბაიჯანულს.

ითვლება, რომ ბოლო ხანებში საქართველო მუდმივად ან დროებით დატოვა ასი ათასზე მეტმა აზერბაიჯანელმა და ამჟამად მათი რიცხვი ქვეყანაში 180–190 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

იბერიულ-კავკასიური ენები. ქართული ენა საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებდა სისტემატურ და უმჯიდროეს კონტაქტებს მთის იბერიულ-კავკასიურ ტომებთან და ენებთან (იხ. *ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში, იბერიულ-კავკასიური ენები*).

ქართლის სამეფოს მეზობლად მდებარე ჩრდ. კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ ტომებს (დღევანდელ დაღესტნურ და ბაცბურ-ქისტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა წინაპრები) ქართველები უმთავრესად „ლეკების“, „ძურძუკთა“ და „დიდოელთა“ სახელით იცნობდნენ. მათ დას-ით აფხ.-ადიღ. ტომები ცხოვრობდნენ. ქართლის მმართველებს იმიერკავკ. ტომები ზოგჯერ მარტო დროებით კი არ გადმოჰყავდათ ამა თუ იმ მტერთან საბრძოლველად, არამედ გადმოჰყავდათ სამუდამოდ და თავისი სამეფოს მიწა-წყალზე ასახლებდნენ. ქართლის მმართველებმა თავისი გავლენის სფეროში მოაქციეს მეზობელი ალბანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანი) მოსახლეობის ერთი ნაწილი, რ-იც თანდათან გაითქვიფა ქართლის დანარჩენ მოსახლეობაში. 1959 წ. აღწერის მონაცემებით, საქართველოში აფხაზთა რაოდენობა უდრიდა 62878, 1970 – 79449, 1979 – 85285; 1989 კი – 95853. დაახლ. 100 ათ. აფხაზი თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოსახლეობდა. XX ს. უკანასკნელ ათწლეულში განვითარებული ქართ.-აფხ. სამხედრო კონფლიქტი, რ-იც საქართვ. ტერიტ. მთლიანობის დარღვევის მოსკოვური გეგმის შესაბამისად განხორციელდა, ცხადყოფს, რომ საბჭოთა ეპოქაში ნატარებული მოსახლეობის აღწერები ნდობას ნაკლებად იმსახურებს. მეტადრე აფხაზეთში (და საერთოდ საკონფლიქტოდ „ჩაფიქრებულ“ ზონებში). მაგრამ გარკვეული კანონსომიერების დანახვა ამ მონაცემებითაც შეიძლება. 1989 წ. აღწერის მიხედვით მშობლიურ ენად აფხაზურს მიიჩნევდა და ფლობდა კიდეც 95853 აფხაზიდან 92369, ქართულს – 1233, რუსულს – 2212, სხვა ენებს კი – 39 კაცი. აფხაზთა საერთო რიცხოვნობიდან თავისუფლად ფლობდა მეორე ენად თავისი ეროვნების ენას – 363 კაცი, ქართულს – 2283, რუსულს – 77193, სხვა ენებს კი – 93, არ ფლობდა მეორე ენას 15921 კაცი.

ბაცბური ენა – *წოვათუშური ენა*, იბერიულ-კავკ. ენათა ნახური ჯგუფის უმწერლობო ენა. მასზე ლაპარაკობენ ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანის მცხოვრები წოვათუშები, დაახლოებით 3 ათ. კაცი.

ქისტური ენა – ჩრდ. კავკასიაში გავრცელებული ჩაჩნურ-ინგუშური ენების დიალექტი. ქისტებიჰ საქართველოში (კახეთში) გადმოსახლება დაიწყო XVII ს-იდან და XIX ს. 60-იან წლებამდე გაგრძელდა. ეროვნული ნიშნები – ენა, სარწმუნოება (ისლამი), მატერიალური კულტ. ელემენტები ძირითადად შენარჩუნებული აქვთ კომპაქტურ დასახლებებში – პანკისის ხეობის სოფლებში. ქისტები მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ ქართ. ენას. განათლებას ქართ. ენაზე იღებენ. ზოგ ოჯახში ლაპარაკობენ ქისტური დიალექტისა და ქართულის შერეულით მიღებულ ჟარგონზე.

ამჟამად პანკისის ხეობაში ქისტების 6 დასახლებული პუნქტია: დუისი, ძიბახევი, ჯოყოლო, შუა ხალაწანი, ომალო, ბირკიანი (ეს უკანასკნელი თუშების ყოფილი სოფელი). ჯოყოლოსა და ბირკიანის მოსახლეობა II მსოფლიო ომამდე ქრისტიანი იყო. ბირკიანის მოსახლეობა დღემდე ნაწილობრივ ქრისტიანია, ჯოყოლოში კი ისლამზე მოქცევა 70-იან წლებშიც გრძელდებოდა. საქართველოში მოსახლე ქისტების საერთო რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით 12 ათასს უტოლდება. არაოფიციალური წყაროებით კი 9 ათასს არ უნდა აღემატებოდეს. აქედან 6000 ქისტი პანკისის ხეობაშია.

ქისტების ერთი ნაწილი პანკისის ხეობაში XIX ს. 30-იანი წლებიდან ჩანს. აღნიშნულ ხეობაში მათი კომპაქტური დასახლება ამავე საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო და დამთავრდა 60-იან წლებში. პანკისში მათი გადმოსახლების მიზეზები იყო: 1) ეკონომიკური (მიწების ნაკლებობა), 2) სისხლის აღება; 3) ისლამის პოზიციების გამყარებისაკენ სწრაფვა. რუსეთ-ჩაჩნეთის უკანასკნელი კონფლიქტის ვითარებაში საქართველოს დროებით შეაფარა თავი ჩაჩნების გარკვეულმა რაოდენობამ.

ადგილობრივ სკოლებში სწავლა ქართულად მიდის. მრავალი ქისტისათვის ქართული მშობლიური ენაა.

უდიური ენა – ისტ. ალბანური (პერული) მოდგმის ოდესღაც მრა-

ვალრიცხოვანი, დამწერლობის მქონე ტომის გადმონაშთი ენა; ამჟამად უმწერლობოა. განეკუთვნება დაღესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფს. უდიები (საკუთარ სახელწოდება – უდი, უტი), რაოდენობა დაახლოებით 6,9 ათ. კაცი (1978 მონაცემებით), ცხოვრობენ აზერბაიჯანსა და საქართველოში (ყვარლის რ-ნი). ლიტ-რის ენად იყენებენ აზერბაიჯანულს, რუსულს, ქართულს, სომხურს. მორწმუნენი .– ქართულს, სომხურს. მორწმუნენი მატერიალური და სულიერი კულტურით ახლოს არიან აზერბაიჯანელებთან (საქართველოში – ქართველებთან). საქართველოში უდიები სახლობენ ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბერში. უდი ხალხი ორენოვანია. სწავლა და ოფიც. საქმის წარმოება საქართველოში ქართულად აქვთ, აზერბაიჯანში – აზერბაიჯანულად.

ხუნძური ენა – დაღესტნური ჯგუფის, ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფების ენა. მუსლიმი ხუნძები ძირითადად ცხოვრობენ ყვარლის რ-ის სოფლებში: თივში, ჩანთლისყურეში, სარუსოსა და თხილისწყაროში. პირველ სამ სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა ათასის ფარგლებში მერყეობს. თხილისწყარო კი შედარებით პატარა სოფელია.

ხუნძთა ნაწილი სოფ. თივაში ჩამოსახლდა XIX საუკუნის II ნახევარში, ნაწილი კი – 1957. ხუნძებს მჭიდრო კავშირი აქვთ დაღესტანთან, ბელაქნისა და ზაქათალის ხუნძებთან. სკოლებში სწავლა ბოლო დრომდე ძირითადად რუსულად მიმდინარეობდა. ყვარლის რაიონში მცხოვრები ხუნძები ძირითადად შაფიიტური მიმდინარეობის სუნიტები არიან. ქართული წერა-კითხვა პრაქტიკულად არ იციან.

ლიტ.: ფრონელი ა., ამბოხება კახეთისა, ტფ., 1907; თეიმურაზ პირველი, თხზ. სრული კრებული, ლეილ-მეჯნუნიანი, 4. თბ., 1934; ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950; ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964; ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ. 1965; შენგელია ნ., სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968; გორდეზიანი რ., „ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის პრობლემები, თბ., 1970; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I–II, თბ., 1075– 1987; საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, თბ., 1980; ძიძიგური შ., სიტყვის ცხოვრება, თბ., 1988; ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989; თოთაძე ა., საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993; ლორთქიფანიძე ვ., ისტორიული მესხეთი, დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1993; მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვეთი მეოთხე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995; სვანიძე მ., ქართველები თურქეთში, თბ., 1996; თეთვაძე შ., თეთვაძე ო., სომხები საქართველოში, თბ., 1998; სუდაძე ნ., ქალთა განათლების საკითხი სამხრეთ საქართველოში, თბ., 1998; კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998; სანიკიძე გ., ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, თბ., 1999; გიორგაძე გ., უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002; Дьяконов И. М., Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке, wg.: Кавказ и цивилизации древнего Востока, Орджоникидзе, 1989; Церетели Г. В., Армазская билингва. Двуязычная надпись, найденная при археологических раскопках в Мцхета-Армази, Тб., 1941; Andrews P. A., Ethnic groups In the Republic Of Turkei, 1989; The Earliest Stage of Language Planning. Edited by Joshua A. Tishman, Mouton de Gruyter, Berlin. New-York.

მ. ტაბიძე.

საშუალი ქართული ენა, XII–XVIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დაცული ენა. მეტ-ნაკლებად ასახავს ქართ. ენის განვითარების ძველიდან ახალში გარდამავალ შუალედურ საფეხურს. მისთვის ნიშანდობლივია ძვ. და ახ. გრამატ. ფორმების თანაარსებობა.

ქართ. სალიტ. ენის განვითარების ისტორიაში ს. ქ. ე-ის ცალკე პერიოდად გამოყოფას ემხრობიან ა. შანიძე, გ. დეეტერსი, კ. კეკელიძე, ი. ქავთარაძე, ზ. ჭუმბურიძე, ზ. სარჯველაძე და სხვ. არსებობს სხვა მოსაზრებაც: არნ. ჩიქობავა არ თვლიდა მართებულად საშუალი ქართულის ცალკე საფეხურად გამოყოფას და ქართ. ენის განვითარების ისტორიაში გამოყოფდა ორ პერიოდს: ძველსა (V–XI სს.) და ახალს (XII ს-იდან დღემდე).

საშუალი სალიტ. ქართულის განვითარება, ენის მუდმივად ცვლის ზოგადი შინაგანი კანონის მოქმედებასთან ერთად, საქართველოს პოლიტ.-ეკონ. და კულტ. ცხოვრებაში მომხდარმა დიდმა ისტ. ცვლილებებმა განაპირობა.

XI ს. დასასრულიდან ბატონდება საერო ლიტ-რა, იწერება „ვეფხისტყაოსანი", „ამირანდარეჯანიანი", შავთელისა და ჩახრუხაძის ოდები, ითარგმნება „ვისრამიანი", იქმნება ისტ. და სამართლებრივი ძეგლები, ასტროლოგიური თხზულებანი, სამკურნალო კარაბადინები, დგება სიგელ-გუჯრები (წყალობა-ბოძების, ყიდვა-გაყიდვის, ადგილ-მამულის გაცვლის, შემოსავალ-გასავლისა და სხვ.). ჟანრობრივმა და თემატურმა მრავალფეროვნებამ სამწერლობო ქართულის ასპარეზი გააფართოვა, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მასში სამეტყველო ნორმების, ფონეტიკურად ცვლილი ფორმების, გრამატ. და ლექსიკური ნეოლოგიზმების შემოტანა. ნეოლოგიზმები საგრძნობია უკვე XI ს. II ნახ. მოღვაწეთა (გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, გიორგი მცირის...) თხზულებებში და მასშტაბური ხდება XII ს-იდან. სამწერლობო ენა ივსება სასაუბრო და უცხო (უპირატესად, სპარსული) ლექსიკით, იცვლება ფონეტ. და გრამატ. სტრუქტურა: მარტივდება დიფთონგები, რაც გავლენას ახდენს ბრუნებაზე – ხმოვანფუძიანი სახელები თანდათან კარგავენ სახ. ბრუნვის ნიშანს, ფუძეუკვეცელთ კი ნათ. და მოქმ. ბრუნვებში -ჲსა, -ჲთა დაბოლოება ეცვლებათ -სა, -თა → -სი, -თი (წყაროჲსა – წყაროსა – წყაროსი); უნიფიცირდება პირისა და საზოგადო სახელთა ბრუნება; დუნდება პრეპოზიციური მსაზღვრელის ბრუნების უნარი; მარტივდება ორმარცვლიანი თანდებულები და ენკლიტიკურად

უერთდება სახელს (მიწასა ზედა → მიწა'ზედ → მიწა'ზე); ვრცელდება ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის „უსუფიქსო" ფორმები (უდიდე, უმაღლე); ხმარებიდან გადის აწმყოსა და უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივები, ასევე I და II ბრძანებითის III პირის ფორმები; უნიფიცირდება -დ და -ოდ საერცობიან მწკრივთა უღლება; ზმნა კარგავს ნარიანი პირდ. ობიექტის გამოხატვის უნარს, მაგრამ უჩნდება მიც. ბრუნვაში დასმული ობიექტისა და სუბიექტის მრავლობითობის თან-ით გამოხატვის შესაძლებლობა; ვით. ბრუნვაში დასმული საწყისი ვერ იწყობს პირდ. დამატებას სახელობითსა და მიცემითში; -მცა კარგავს კავშირებითობის ფუნქციას და ნატვრითი ნაწილაკი ხდება (თან მარტივდება); შემოდის ახ. კავშირები და კორელატები: როცა/როს, მაგრა, რომე/რომ, ვით, მით რომელ („მიტომ"), ამით რომე („ამიტომ"), ხან–ხან, ან–ან და სხვ.

XII–XVIII სს-ში საშუალი ქართ. სალიტ. ენა არ არის ერთგვაროვანი: სხვადასხვაა, ერთი მხრივ, დავით აღმაშენებლის სიგელებისა და ანდერძების, აბუსერის ძე ტბელისა და ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებათა ან „ქართლის ცხოვრებაში" შემავალი ძეგლების ენა და, მეორე მხრივ, ს.-ს. ორბელიანის, პ. ორბელიანის, ს. ჩხეიძის ისტ. თხზულებებისა და, განსაკუთრებით, დ. გურამიშვილის პოეზიის ენა. ასე რომ, ეს გაერთიანება ერთ პერიოდად (XII–XVIII სს.– „საშუალი ქართული") რამდენადმე მაინც პირობითია, ისევე, როგორც პირობითია ქართ. სალიტ. ენის სამ საფეხურად დაყოფა, რადგან ზედმიწევნითი საზღვრის დადება ძველსა, საშუალსა და ახ. ქართულს შორის არ შეიძლება.

ლიტ.: შანიძე ა., გიორგი მთაწმიდლის ენა. – წგ.: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946; ქავთარაძე ი., ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964; სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; ჭუმბურიძე ზ. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის. – წგ.: ქართული ენა, თბ., 1984.

კ. დანელია.

საწარმოთქმო ორგანოები, ორგანოები, რ-ებიც მონაწილეობენ ბგერათა წარმოქმნაში. ს. ო-ს ეკუთვნის ბაგეები, კბილები, ენა, სასა (მაგარი და რბილი), ნაქი, ცხვირის ღრუ, ქვედა ყბა, ხორხი, ხახა, ბრონქები, ტრაქეა, ფილტვები, დიაფრაგმა. არც ერთი ჩამოთვლილი ორგანოსათვის სამეტყველო ფუნქცია არ არის პირველადი. მათ აქვთ ბიოლოგიური, სასიცოცხლო დანიშნულება, სამეტყველო ფუნქცია კი მეორეულია. სამეტყველო ბგერას ქმნის ჰაერნაკადი, რ-იც ამოედინება ფილტვებიდან, გაივლის ბრონქებს, ტრაქეას, ხორხის გზით ხახის გავლით გამოდის გარეთ პირის ან ცხვირის ღრუდან. მთელი სამეტყველო აპარატი ბგერის წარმოების თვალსაზრისით შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: 1) ხორხის ქვედა ნაწილი; 2) ხორხი; 3) ზესადგამი მილი. ხორხის ქვედა ნაწილი შედგება ფილტვების, ბრონქებისა და ტრაქეისაგან. ამ ნაწილში ბგერა არ იწარმოება. ხორხი ანუ ლარინგსი შედგება ბეჭდისებრი, ფარისებრი, ციცხვისებრი ხრტილებისა და ხორხსარქველისაგან. ხორხში მბგერი იოგები ანუ სახმო სიმებია მოთავსებული. აქ იწარმოება ლარინგალური ჰ ბგერა. ზესადგამი მილი იწყება ხახის ღრუთი (ფარინგსი), რ-საც აგრძელებს ორი ღრუ — პირისა და ცხვირის. პირისა და ცხვირის ღრუს ერთმანეთისაგან ყოფს სასა. სასის წინა ნაწილი (პალატუმი) მაგარია, ხოლო უკანა (ველუმი) — რბილი. რბილი სასა მთავრდება ნაქით. პირის ღრუშია მოთავსებული ყველაზე მნიშვნელოვანი სამეტყველო ორგანო — ენა. პირის ღრუს კეტავენ ბაგეები. პირის ღრუში წარმოითქმის სამეტყველო ბგერათა დიდი უმრავლესობა, რ-ებიც ცნობილია *ორალური ბგერების* სახელწოდებით. ქართულში ცხვირის ღრუში იწარმოება ნაზალური თანხმოვნები (იხ. *ნაზალური ბგერები*). ბგერის წარმოთქმაში მონაწილეობის თვალსაზრისით ს. ო. იყოფა აქტიურ და პასიურ ორგანოებად. აქტიური ორგანოებია ბაგეები, ენა, რბილი სასა ნაქითურთ, ქვედა ყბა, სახმო სიმები. პასიურია კბილები, ღრძილები, მაგარი სასა.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; Зиндер Л. Р., Общая фонетика. Л., 1960; Ladefoged P.. A Course in Phonetics, N. Y., Chicago, San Francisco, Atlanta, 1975 (2 ed. N.Y., 1982).

ზ. ჯაფარიძე.

სახელდებითი წინადადება, სახელი ან სახელური ჯგუფი, რ-იც უშემასმენლოდ იძლევა გარკვეულ ინფორმაციას და წინადადების ფუნქციურ-ინტონაციური ეკვივალენტია („მოკაშკაშე მთვარე. მდინარე ტირიფებით დაბურული. მასზე გადებული ხიდი. წისქვილი ისლის სახურავით", ნ. ლორთქ.). ს. წ. მხოლოდ პირობით ჩაითვლება წინადადებად, რამდენადაც წინადადების ძირითადი წევრი ზმნა-შემასმენელი მასში არ არის. ს. წ.-ში სახელი უპირატესად სახ. ბრუნვაშია, ამიტომ ამგვარ წინადადებას **ნომინატიურ წინადადებასაც** უწოდებენ („პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი", შოთა რუსთ.). ს. წ-ებს ტექსტში, ჩვეულებრივ, ახლავს პრედიკატიანი წინადადებებიც („შედედებული ჰაერი. ყომრალი გარემო. თითქოს ჩისლია ირგვლივ", შ. დად.). ს. წ. ზოგჯერ რთული წინადადების ნაწილია („აჰა, იმ დროთაგან ერთი სახე ამოღებული, რომელიც ერთად გვინატრია 'ეცხოვეთში ჩვენ", ი. ჭავჭ.). ს. წ-ებშია გაერთიანებული ქუჩის, ადგილის, წარმოება-დაწესებულებებისა, წიგნებისა და გაზეთების სახელწოდებები; მხატვრული თუ სხვა ხასიათის ნაწარმოებთა სათაურები და ა. შ.

ლიტ. იხ. სტატიასთან *დეფინიტური წინადადება.* *ლ. კვანტალიანი.*

სახელზმნა, გრამატიკული ფორმა, რ-საც მოეპოვება როგორც სახელის, ისე ზმნის ნიშნები. ტერმინი შემოღებულია ანტონ I-ის მიერ „ქმნისა" და „ვნების" გამომხატველ სიტყვათა აღსანიშნავად, რ-თაც სახელის ნიშნებიც აქვს და ზმნისაც (კვრეაჲ, კეთებაჲ...); აღნიშნავდა იმას, რასაც დღეს „საწყისს" ან „მასდარს" უწოდებენ (ნაზმნარი არსებითი სახელისათვის პირველად ანტონს „ნაკლ-ზმნა" უხმარია, შემდეგ კი გადაუკეთებია „სახელზმნად", რამდენადაც იგი უკეთ გამოხატავს ფორმათა არსს). ანტონის აზრით, ს. ძირია ზმნისა, მისგან იწარმოება ზმნა „მაუღლებელ,

მაპიროვნე და მამრავლე“ ნიშანთა დართვით. განსხვავებულ კვალიფიკაციას აძლევდა ანტონი „კეთებად“ ტიპის ფორმებს და ისინი „უჩინო სქესად“. „განუსაზღვრებელ კილოდ“ მიაჩნდა სხვა ენათა ინფინიტივის შესაბამისად. საინტერესოა, რომ მას თავიდანვე შეუნიშნავს ამ ფორმათა (კეთებად — კეთებად) და მათ კონსტრუქციათა შორის არსებული სხვაობანი. ცხადია, ანტონი სხვა ენათა გრამატ. სქემების გავლენას განიცდიდა, როდესაც ქართულში ეძებდა ნაზმნარი არსებითი სახელისა და ინფინიტივის შესაბამის ფორმებს, მაგრამ საკუთრივ ქართ. მასალის თავისებურებებს სწორად და სრულად აღწერდა (იხ. *მასდარი, მასდარული კონსტრუქცია*).

შემდგომი გრამატიკოსები მიჰყვებიან ანტონის სქემას, ა'სუსტებენ მის დებულებებს, ზოგჯერ აც სებენ ახალი დაკვირვებებით. დ. ჩუბინაშვილიდან მოყოლებული, „განუსაზღვრელი სქესი“ („წერად“ ტიპის ფორმები) გრამატიკოსთა ყურადღების გარეშე დარჩა, ვინაიდან მათი შესწავლის ობიექტი იყო ახ. ქართ. ენა, სადაც ეს ფორმები ძვ. ფუნქციით უკვე ცოცხალი აღარ იყო.

რაც შეეხება ს-ს, გრამატიკოსთა ერთი ნაწილი მას არსებით სახელებში ათავსებს, ხოლო მეორე კი ზმნის სისტემას მიაკუთვნებს. მაგ., ს. დოდაშვილის აზრით, „სახელ-ზმნანი შეადგენენ სახელთა არსებითთა“. თ. ჟორდანიამ მას აღგილი მიუჩინა არსებითი სახელის ერთერთ შინაარსობრივ ჯგუფში – განყენებით სახელებში. ე. ყიფიანის მიხედვით კი, ნა'ზმნარ სახელთა (ს-ის, მიმღეობის) აღგილი ზმნის სისტემაშია, ისინი „აუცილებელი დასასრულია ზმნის უღელილებისა“.

ორი განსხვავებული თვალსა'ზრისი არსებობს დღესაც. ა. შანიძემ გააფართოვა ტერმინ „ს-ის“ ფარგლები და იგი მიმღეობებზეც გაავრცელა, ნაზმნარი სუბსტანტივებისთვის კი შემოიღო ტერმინი ს ა წ უ ი ს ი. ა. შანიძის ა'სრით, სები (საწყისი, მიმღეობა) ზმნის უპირო, უუღლებელი ფორმებია (Verbum Infinitum) და უპირისპირდება ზმნის პირიან, უღლებად ფორმებს (Verbum finitum). ორიეე ერთად კი არის ზმნა ფარდო გაგებით. სხვაგან აეტორს სახელ'ზმნა შეუალედურ, გარდამავალ საფეხურად მიაჩნია სახელსა და ზმნას შორის.

სხვა თვალსაზრისით, მასდარი არსებითი სახელია, ფორმაცვალება და სინტაქსური ფუნქციები სახელისა აქვს, თუმცა სხვა სახელებისაგან განსხვავდება როგორც წარმოებით ('ზმნისგანაა ნაწარმოები), ისე შინაარსით ('ზმნაში აღნიშნული მოქმედების ან ვითარება-მდგომარეობის სახელია (არნ. ჩიქობავა).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მასდარი და მიმღეობა ვარკვეული სპეციფ. თავისებურებების გამო ქართ. ენის მორფოლ. სისტემაში ქმნიან ცალკე კლასს, რიც განსხვავდება ფორმაცვალებადი სიტყვების ორი ძირითადი ტიპისაგან – სახელისა და 'ზმნისაგან.

ლიტ.: ა ნ ტ ო ნ I, ქართული ღრამმატიკა. თბ., 1885; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ქართული ენის 'ზოგადი ენათმეცნიერული ღახასიათება. – ქკსე. – ტ. I, თბ., 1950; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თბ., 1953; ს ხ ვ ი ტ ი ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულ'ში. თბ., 1972.

დ. ჩხუბიანიშვილი.

სახელმწიფო ენის სამმართველო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო ენის სამმართველო, რიც მონაწილეობს, ერთიანი სახელმწ. პოლიტიკის ფარგლებში, ენობრივი პოლიტიკის შემუშავებაში და უზრუნველყოფს ამ პოლიტიკის განხორციელებას საგანმან. და სამეცნ. სფეროში; ხელს უწყობს ქართულის, როგორც სახელმწ. ენის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს; მონაწილეობს საქართველოში გავრცელებული ენობრივი უმცირესობის ენათა დაცვაში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმოადგენს საერთაშ. ორგანიზაციაში, საერთაშ. კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებებზე დადგენილი წესით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შესაბამისად, შეისწავლის და ითვალისწინებს საერთაშორისო რეკომენდაციებს.

სამმართველო განახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ქვეყნის მასშტაბით სახელმწ. ენის ცოდნის უ'სრუნველსაყოფად; ხელს უწყობს საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთათვის სახელმწ. ენის სწავლების სისტემის ფორმირებას, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა საექსპერტო კომისიასთან ერთად შეიმუშავებს სახელმწიფო ენის ნორმებს, შესაბამისად სამთავრობო და არასამთავრობო, კერძეით, სასწავლო სტრუქტურებთან თანამშრომლობით; ხელს უწყობს ქართ. სალიტ. ენის სიწმინდის დაცვასა და სალიტ. ენის ნორმათა დამკვიდრებას. *თ. ბოლქვაძე.*

სახელობითი ბრუნვა, ნ ო მ ი ნ ა ტ ი ე ი, ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რ-იც უპირისპირდება ბრუნების პარადიგმაში შემავალ სხვა ბრუნვებს. ინდოევრ. ენათა ნომინატივისგან განსხვავებით, ქართ. ს. ბ. მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვა არ არის: იგი გამოხატავს გარდამავალი ზმნის პირდ. ობიექტს II სერიაში დასმულ გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან („კაცმა სახლი ააშენა“), გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს I სერიაში („კაცი სახლს აშენებს“), აგრეთვე გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეს — სამსაეე სერიაში („კაცი დაიმალა“, „კაცი დამალულა“).

ს. ბ-ში დასმული სახელი სალექსიკონო ერთეულია: სწორედ ამ ბრუნვის ფუნქციაა სახელდებითობა, თუმცა, მისი პირდაპირ ბრუნვად მიჩნევა ქართ. ენისათვის გაუმართლებელია (ვინაიდან „ირიბ“ მიმართებებსაც ასახავს).

ს. ბ-ის ნიშანი თანამედროვე სალიტ. ქართულში -ი და 0 ალომორფებითაა წარმოდგენილი: თანხმოვანფუძიანებთან – „შვილი მოიყვანა“, „სახლი შენდება“, „მე'ხობელი მოსულა“... გვხვდება -ი, ხოლო ხმოვანფუძიან სახელებში -ი იკვეცება: „დედა იცინის“, „ძროხა მოწველეს“, „სარკე გატეხილია“...

მრ. რ-ში ს. ბ-ის ნიშანი ყველგან -ი ბოლოსართია: ბიჭ-ებ-ი, კატებ-ი, წყარო-ებ-ი, ციხე-ებ-ი, ძმა-ნ-ი, შვიდ-ნ-ი...

ქართ. ენაში ს. ბ-ის -ი ნიშნის გენე'სისის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ნ. *მარი* ვარაუდობდა, რომ ძვ. ქართ. სალიტ. ენის ს. ბ-ში შერწყმულია ორი მო-

რფოლოგიურად განსხვავებული წარმონაქმნი: 1. თავდაპირველი -ი, რ-იც მიღებული იყო გაუფორმებელ ბრუნვაზე მე-3 პირის -ი (<*.ჲი <*.ჰუ) ნაცვალსახელის დართვით (მწიგნობრულ ბრუნებაში) და 2. ხალხური ენიდან მომდინარე -ე, < უ <*.უნ. ა. შანიძის აზრით, სახელობითის -ი სუფიქსი „იგი" ნაწერისგან მომდინარეობს: კაც იგი > კაც ი > კაც-ი. ავტორის აზრით, ეს გადახვედა შესაძლოა, ძალიან ადრე მომხდარიყო და განეკუთვნებოდეს ქართ.-მეგრ.-სვან. ურთიერთობის ხანას. აღნიშნულ ვარაუდს საფუძვლად ედება არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი, რომ ს. ბ-ში დადასტურებული -ი განსაზღვრებითი (ემფატიკური) ნაწილაკია („იგი" ნაწერის ნაშთი), რ-იც თავიდან არ ყოფილა ბრუნვის ნიშანი. ს. ბ-ის ნიშნის წარმომავლობას განსაზღვრებითი ელემენტისაგან მხარს უჭერენ აგრეთვე ი. იმნაიშვილი, თ. უურგაიძე და სხვ. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: ქართ. -ი ს წარმოშობით ბრუნვის ნიშნად მიიჩნევს და არ უკავშირებს განსაზღვრულობის გამოხატვას ჰ. ფოგტი. ამ მოსაზრებას (საერთო ქართველური დონისათვის) არსებითად მხარს უჭერს ა. ონიანი.

ლიტ.: შანიძე ა., უძველესი სვანური, – «არილი» (პროფ. ი. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული), ტფ., 1925 (=თხზულებანი, I, თბ., 1957); მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ჩიქობავა არნ., მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში. – «ენა და შრომები», 1939, ტ. 10; მისივე, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. – კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. წგ. I, თბ., 1956; იმნაიშვილი ი., ნაწყვეტი ძველ ქართულში. – «ენა და შრომები», 1956, ტ. 61; ფოგტი ჰ., ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში. – «მიმომხილველი», IV–V, თბ., 1967; უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ., 1986; ონიანი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბ., 1989; Марр Н., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

კ. გაბუნია.

სახოკია თედო ტიმოთეს ძე (15. III. 1868, სოფ.ხეთა,ს/ულდიდის რ-ნი,–17.II. 1956, თბილისი). მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ეთნოლოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი განათლება მიიღო ჟენევისა და სორბონის უნივერსიტეტებში, პარიზში დაამთავრა უმაღლესი ანთროპოლოგიური სკოლაც. იყო რეიმსის (საფრანგეთი) აკადემიის წ.-კორ..

ს-ს პირველი ლექსიკოგრაფიული ცდა იყო პატარა რუსულ-ქართული ლექსიკონი (1897). 1910-იან წლებში ქართ. პერიოდიკაში («სახალხო გაზეთი», 1911, №39-48; 1912, №55–56) ბეჭდავდა წერილებს ქართ. ენის ორთოგრაფიისა და სწორმეტყველების შესახებ (ციკლიდან „ქართული ენა (თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა)", აგრეთვე სტატიებს ლექსიკოგრაფიული მუშაობის, ცალკეული სიტყვებისა თუ დარგობრივი (მაგ., მათემატიკური) ტერმინების, „ეფხისტყაოსანში" დადასტურებული ფიგურალური სიტყვა-გამოთქმების შესახებ და სხვ.

1940-იანი წლების დამლევს ს. თანამშრომლობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მთავარ რედაქციასთან, როგორც ლექსიკონის სიტყვანის რეცენზენტი. იმავე წლებში გაზ. «ლიტერატურა და ხელოვნება» დაიწყო ბეჭდვა ს-ს მიერ შეგროვებული და განმარტებული ხატოვანი სიტყვა-თქმებისა, რის შემდეგაც 1950-იანი. დაიწყო მისი გამოცემა ცალკე წიგნად „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის" სამტომეულის სახით (III ტ. გამოიცა 1955; II შეკრებული გამოცემა ერთ ტომად – 1979). ეს იყო ქართ. ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში პირველი ამ სახის ლექსიკონი, რ-საც ქართ. ენაზე ანალოგი ჯერჯერობით არ მოუპოვება. ს-მ შეადგინა ასევე „ქართული ანდაზები" (1968), რ-საც დაერთო გავრცელებული სიტყვების სია შეხედრის სიხშირის მეშვეობით. მანვე მოამზადა აგრეთვე საკმაოდ მოცულობილი „ქართული ლექსიკონი" (განმარტებითი სახისა, ე. წ. „ქართულ-ქართული"). მასში შეეცადა ს.-ს. ორბელიანისა და დ. და ნ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში დაუდასტურებელი ან განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები.

გარდა წმინდა ლინგვისტური ხასიათის ნაშრომებისა, ს-ს კუთვნის გამოკვლევები ქართ. სკოლის, საერთოდ, საქართველოში განათლების მდგომარეობისა და პერსპექტივის, მათთან დაკავშირებული სოც. საკითხების შესახებ.

ლიტ.: კრებ. „თქვლო სახოკია", თბ., 1968. *შ. აფრიდონიძე.*

სემანტიკა (< ბერძნ. sēmantikós – აღმნიშვნელი). I. მნიშვნელობა, ინფორმაცია, რ-იც გადმოიცემა ენობრივი ფორმებით – სიტყვით, ფრაზით თუ წინადადებით. 2. ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ენობრივ მნიშვნელობას, ანუ შინაარსს. 3. სემიოტიკური სისტემების შესწავლის ერთ-ერთი ასპექტი სინტაგმატურ და პრაგმატულ ასპექტებთან ერთად.

ენობრივი მნიშვნელობის შესწავლა გულისხმობს ენის გარეთ მყოფი მონაცემებისა და ფაქტორების გათვალისწინებას. თუნდაც ყველაზე მარტივი ავტონ. სემანტიკური ერთეულის – სიტყვის მნიშვნელობის – შესწავლა უკვე ემყარება მის განხილვას გარე სამყაროს მოვლენებთან და ობიექტებთან კავშირში. უფრო რთული ლინგვისტური ერთეულების შესწავლა კი აუცილებელს ხდის ისეთი მრავალმხრივი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორიცაა საზოგადო კულტ. გარემო, სუბიექტ-ფაქტორების გაკვლევა კომუნიკაციაში, ადამიანის აზროვნების ლოგიკურ-სემანტიკური თავისებურებები, ეკრბალური და არავერბალური კონტექსტები და სხვ.

ს-ში ძირითადად შეისწავლება შემდეგი საკითხები: 1. რეფერენციის პრობლემა, ანუ ენობრივი ფორმის, როგორც აღმნიშვნელის, კავშირი ენის გარეთ მყოფ ობიექტებთან; 2. ლექსიკური და გრამატ. მნიშვნელობები; 3. ენობრივ მნიშვნელობათა სინტაგმატური და პარადიგმატული დახასიათება, ანუ ერთი მხრივ, მნიშვნელობათა თანახმარება გამონაკლისებში, ხოლო მეორე მხრივ – მნიშვნელობათა ურთიერთმიმართება ენობრივ სემანტიკურ სისტემაში. ამ მიმართებათა კვლევა ხდება როგორც ზოგადი თეორ. ტიპების შესწავლით, ისე კონკრ. ენის სემანტიკური სისტემის სტრუქტურის ანალიზის დროს.

რეფერენციის პრობლემის თვალსაზრისით, ენის ს-ის ძირითადი ერთეული არის სიტყვა – ნიშანი, რ-იც იქმნება ფორმისა და ში-

ნაარსის ერთობლიობით (იხ. *ენობრივი ნიშანი*). ანტ. ფილოსოფიიდან მოყოლებული (სოკრატე, პლატონი), ითვლება, რომ მიმართება სიტყვებსა და მათი საშუალებით აღნიშნულ ობიექტებს შორის არის დასახელების (სახელდების) მიმართება; მიმდინარეობდა კამათი იმის თაობაზე, თუ როგორი სახისაა ეს მიმართება – ბუნებრივი თუ პირობითი. ამჟამად ეს პრობლემა, ზოგადად, გადაჭრილად ითვლება ნიშნის პირობითი ბუნების სასარგებლოდ.

მოყოლებული პლატონის დიალოგიდან „კრატილოსი“, სიტყვა განისაზღვრება როგორც აღმნიშვნელი, ხოლო აღნიშნული არის გარე სამყაროს ობიექტი – საგანი, მოვლენა, ემოცია, ვითარება, მიმართება და ა. შ., რ-საც აღნიშნავს, ასახელებს და რაზეც მიუთითებს სიტყვა. გარე სამყაროს ობიექტების აღსანიშნავი თანამედროვე ტერმინია რეფერენტი (დენოტატი), ხოლო მიმართება სიტყვასა და რეფერენტს შორის არის რეფერენციის მიმართება.

ე. წ. კონცეპტუალური თეორია ერთმანეთისაგან განასხვავებს სიტყვის მნიშვნელობას (ცნებას, კონცეპტს) და კონკრეტულ საგანს, რ-ზეც უშუალოდ მიანიშნებს სიტყვა: ენობრივი ფორმა ცნების გავლით აღნიშნავს ობიექტებს, ე. ი. ცნება სიტყვის ფორმას უკავშირდება მოლაპარაკის ცნობიერებაში.

ბუნებრივ ენაში კავშირი ენობრივი ერთეულის გამოხატულებასა და მის მნიშვნელობას შორის არ არის ცალსახა: ორი ან მეტი ფორმა შეიძლება უკავშირდებოდეს ერთსა და იმავე მნიშვნელობას; მეორე მხრივ, ერთსა და იმავე ფორმას შეიძლება უკავშირდებოდეს ერთზე მეტი განსხვავებული მნიშვნელობა (იხ. *სინონიმია*, *ომონიმია*).

ენობრივი მნიშვნელობა შეიძლება იყოს ლექსიკური (იხ. *ლექსიკური მნიშვნელობა*) და გრამატიკული (სტრუქტურული, ფორმალური) (იხ. *გრამატიკული მნიშვნელობა*); ენობრივი გამონათქვამის მნიშვნელობა იქმნება ლექსიკურ და გრამატ. მნიშვნელობათა ერთიანობით. მეტყველების ნაწილები დახასიათდება ლექსიკონში მოცემული ლექსიკური მნიშვნელობებითა და გრამატიკის პარადიგმატული მახასიათებლებით.

გრამატ. მნიშვნელობები ქმნიან შედარებით უფრო დახურულ, ხოლო ლექსიკური ერთეულები – ღია სიმრავლეებს. ენის განვითარების ყოველ ეტაპზე გრამატ. მნიშვნელობათა დახურული სიმრავლე სასრულია და შედარებით მცირერიცხოვანი, ხოლო ლექსიკურ მნიშვნელობათა ღია სიმრავლე შეუზღუდავია და განუსაზღვრელად დიდი. სრულმნიშვნელობიან სიტყვას აქვს როგორც ლექსიკური, ისე გრამატ. მნიშვნელობები.

მეტყველების დროს გადმოცემული შინაარსი (მნიშვნელობა) შეიძლება იყოს კოგნიტიური და ემოტიური. კოგნიტიური მნიშვნელობა არის ცნებითი, კონცეპტუალური მნიშვნელობა, რ-იც აუცილებლად გამოხატულია ყველა გამონათქვამში. მაგრამ შეტყობინების გადაცემის დროს მოლაპარაკის მიერ ერთი და იმავე კოგნიტიური მნიშვნელობის მქონე სიტყვების სიმრავლიდან (მაგ., მოვიდა, მობრძანდა, მოეთრია) რომელიმე ერთის ამორჩევა ასახავს მოლაპარაკის ემოციურ დამოკიდებულებას ფაქტთან, რაც მეტ-ნაკლები ღირებულებისაა კომუნიკაციის პროცესში. სწორედ ასეთი ამორჩევა ქმნის გამონათქვამის ამა თუ იმ ემოტიურ მნიშვნელობას: განსხვავება კოგნიტიურსა და ემოტიურ მნიშვნელობებს შორის უკავშირდება ადამიანის ფსიქოლოგიის ორ მახასიათებელს – ინტელექტსა და ემოციას. ყოველდღიური გამოყენებისას სიტყვების პირველად, წმინდა კოგნიტიურ მნიშვნელობას ემატება დამატებითი, ემოტიური მნიშვნელობა.

მნიშვნელობებს შორის მიმართება შეიძლება იყოს სინტაგმატური და პარადიგმატული. ორ ენობრივ ერთეულს შორის სემანტიკური სინტაგმატური მიმართება გულისხმობს გარკვეული მნიშვნელობის გადაცემის დროს სემანტიკურ ერთეულთა თანახმარებას (ან თანახმარების აკრძალვას). მაგ., საკვები პროდუქტის გაფუჭების დროს ვამბობთ: რძე აიჭრა, კარაქი ამძაღდა, წვენი ამჟავდა; ასევე: კაბა, ფანქარი, ყვავილი – წითელია, თმა – წითური და ა. შ. სემანტიკური პარადიგმატული მიმართებები არის მნიშვნელობათა მიმართებები სისტემაში. ლექსიკურ ერთეულთა პარადიგმატული მიმართებები ქმნიან მოცემული ენის ლექსიკური სისტემის სემანტიკურ სტრუქტურას (იხ. *ენობრივი მსოფლხედვა*).

ამგვარი, და სხვა უფრო რთული განსხვავებები საფუძველს ქმნიან განსხვავებული ენების თავისებური სემანტიკური სისტემის შექმნისათვის. თუ არსებობს ისეთი ორი ენა, რ-თა შორისაც ცალსახა დამოკიდებულებაა მნიშვნელობების დანაწევრების თვალსაზრისით, მაშინ ეს ენები სემანტიკურად იზომორფულია. ენათა სემანტიკური იზომორფიზმის ხარისხი განისაზღვრება ენობრივი საზ-ების გეოგრ., კულტ. და სხვ. მახასიათებლებით.

ლექსიკურ ერთეულებს შორის პარადიგმატული მიმართებების ერთ-ერთ ძირითად სახეს წარმოადგენს *ჰიპონიმია*. პარადიგმატული სემანტიკური მიმართებებია, აგრეთვე სინონიმია, *ანტონიმია* და *მეტაფორა*.

XX ს. მეორე ნახ-იდან ს. თანდათან მოექცა ლინგვ. კვლევის ცენტრში. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა უკავშირდება ენაში ე. წ. ბუნებრივი ლოგიკის განვითარებას, რამაც შედეგად გამოიღო ზედაპირული და სიღრმისეული (ლოგიკური, სემანტიკური) დონეების ერთმანეთისაგან გამოყოფა გამონათქვამის მნიშვნელობის ანალიზის დროს. წინადადების ზედაპირული დონე წარმოადგენს ამ წინადადების ფუნქციურ-გრამატ. დახასიათებას, ანუ მის ანალიზს წინადადების წევრების მიხედვით. წინადადების სიღრმისეული დონეების ანალიზი კი ნიშნავს წინადადების წევრების სემანტიკურ-ლოგიკური როლების დახასიათებას (როგორიცაა აგენსი, პაციენსი, ბენეფილიანტი და სხვ.). სიღრმისეულ დონეზე შეისწავლება, აგრეთვე, ის ლოგიკური ნიშნები, რ-ებიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს სახელისა და ზმნისათვის (მდგომარეობა, პროცესი, მოქმედება, ამბიენტურობა, თელა-

დობა, სულიერობა და ა. შ.). სიღრმისეულ ლოგიკურ-სემანტიკურ დახასიათებას უნივერსალობის პრეტენზია აქვს. სიღრმისეული ს-ის ასახვა ამა თუ იმ ენის ზედაპირულ სტრუქტურებში ხდება მოცემული ენის გრამატ. მახასიათებლების საშუალებით და, ამდენად, ზედაპირული სტრუქტურა ენობრივ სპეციფიკას წარმოადგენს.

მნიშვნელობის კომპონენტური ანალიზი არის სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის გაღმოცემის ცდა, მისი სემანტიკური შემადგენლებით, რ-თა რიცხვი შეზღუდულია და მეტ-ნაკლებად ზოგადი. ლექსიკურ ერთეულებში სემანტიკურ კომპონენტთა კომბინაცია განსხვავებულია სხვადასხვა ენაში. ასეთი კომპონენტებია, მაგ., სულიერი – უსულო, ადამიანი – არაადამიანი, მამრობითი – მდედრობითი და ა. შ. კომპონენტურ ანალიზსა და მნიშვნელობის სიღრმისეულ ანალიზს დაეფუძნა ისეთი სემანტიკური თეორია, როგორიცაა „ა-ს რი<–>ტექსტი".

მნიშვნელობის შესწავლა მეტყველებაში გულისხმობს იმ კანონზომიერებათა აღწერას, რ-ებიც წარმოადგენენ კომუნიკაციის წარმატებული მიმდინარეობის წინაპირობას, რაც უთქმელად ცნობილი და გასაგებია ყოველი მოლაპარაკესათვის. ეს არის ე. წ. იმპლიციტური მნიშვნელობები (პრესუპოზიცია). შეისწავლება, აგრეთვე, ცალკეული ლექსიკური ერთეულის ჰმარების ს. მეტყველების დროს სხვადასხვა კონტექსტში.

დღეს საკმაოდ გავრცელებული მიმართულებაა ე. წ. ფორმალური ს., რ-იც ბუნებრივი ენის გამონათქვამების მნიშვნელობის აღსაწერად იყენებს ფორმალური ლოგიკის გარკვეულ ერთმნიშვნელოვან და ექსპლიციტურ ხელოვნურ ენას. ასეთი ფორმალური სისტემები ერთობ შეზღუდულია და ვერ ფარავს ბუნებრივი ენის მოქმედების არეს, მაგრამ ლოგიკოსები თვლიან, რომ „თუ → მაშინ" მიმართებით აგებულმა წესებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ენის ს-ის სრულყოფილ აღწერაში.

უახლესი მიმართულება ს-ში არის ე. წ. სემანტიკურ პრიმიტივთა თეორია (ა. ვეჟბიცკა). ამ თეორიის ძირითადი მიზანია უმარტივეს სემანტიკურ მნიშვნელობათა სიმრავლის დადგენა და დახასიათება. სემანტიკური პრიმიტივები ისეთი საწყისი, პირველადი ცნებებია, რ-ებიც აბსოლუტურად გასაგებია და არ საჭიროებს განსაზღვრას. სიტყვებისა და მნიშვნელობების ათვისების დროს ბავშვი უპირველესად სწორედ ამ პრიმიტიულ მნიშვნელობებს ითვისებს, რადგან, ამ თეორიის მიხედვით, ფუნდამენტურ მარტივ ცნებათა ცოდნა იმთავითვე მოცემულია ადამიანში და სემანტიკურ პრიმიტივთა ათვისების უნარიც ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. პრიმიტივები უნივერსალური ბუნებისაა, ისინი ნებისმიერი ენის სემანტიკურ სისტემაში დგინდება სიღრმისეული სემანტიკური ანალიზის შედეგად. ქვეყნა ენაში ხდება ასეთი უნივერსალური პრიმიტივების მანიფესტაცია თავისებური ფორმით. ენების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ლექსიკურ და სინტაქსურ პრიმიტივთა საერთო პიპოთეტური ბირთვი, რ-იც კონკრეტული ენისაგან დამოუკიდებელი მეტაენაა. ამჟამად გამოყოფილია 100-მდე ლექსიკური პრიმიტივი, მაგ., ცნებები: მე, შენ, ეს(ა), რაღაც, ადამიანი; ეს, იგივე, სხვა; ფიქრი, ცოდნა, გრძნობა, სურვილი; ცუდი, კარგი; დიდი, პატარა; როდის, მანამდე, შემდეგ; სად, ქვეშ, ზედ; ქონება, მოძრაობა, არსებობა; შორს, ახლოს; დიდხანს, ცოტახანს და ა. შ.

ლიტ.: Апресян Ю. Д. (гл. редактор) – Словарь синонимов русского языка, Л., 1970; Мельчук И., Опыт теории лингвистических моделей „Смысл<–>Текст", М., 1974; Падучева Е.В., О семантике синтаксиса. Материалы к трансформационной грамматике русского языка; М., 1974; Бенвенист Э., Общая лингвистика. пер. с франц., М., 1974; Богуславский И.М., Сфера действия лексических единиц. М., 1997; Чейф. У. Л., Значение и структура языка, пер. с англ., М., 1975. Арутюнова Н. О., Предложение и его смысл, М., 1976; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Соссюр Ф. де, Труды по языкознанию.пер. с франц., М., 1977; Searle I. R., Speech Acts. Cambr., 1961; Fillmore CH. I., The Case for Case.– In: Universals of Linguistic Theory. Bach E. and Harms R. (eds).– L. N. Y., 1968. Жигадло. Types of Lexical Information.– In: Studies in Syntax and Semantics.– Kiefor F. (ed). L., 1970; Bierwisch M., Semantics. – In: New Horizons in Linguistics, I. Lyons (ed)., Cambr., 1970; Iyons I., Semantics (2 Vols); Cambr. (Mass.) Lakoff G., Johnson M., Metaphors we Five by, Chicago. 1980; Palmer F. R., Semantics. 1981; Wierzbicka A., Semantics. Primes and Universals, Oxford,N.y., 1996.

ნ. შერგელაია.

სემასიოლოგია (ბერძ. sēmasia – მნიშვნელობა, აზრი და lógos – სიტყვა, სწავლება), გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ს. გამოიყენებოდა (გერმანულ, რუსულ ენათმეცნიერებაში) ტერმ. *სემანტიკის* პარალელურად. თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტ-რაში ეს ტერმინი შეიძლება შეეგუხედეს ვიწრო მნიშვნელობით. კერძოდ, ს. განიხილება როგორც დარგი, რ-იც ცალკეული საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვებისა და შესიტყვებების მნიშვნელობას შეისწავლის. ამ მნიშვნელობით ს. უპირისპირდება ონომასიოლოგიას და მასთან ერთად მოიაზრება სემანტიკის ერთერთ ნაწილად.

ლიტ.: ფოსხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია; თბ., 1974; თანამედროვე ენათმეცნიერების კურსი, თბ.,2003; Звегинцев В.А., *Семасиология*. М., 1957; Georges Mounin, Dictionnaire de la linguistique, 2e éd., Paris, 1995.

ნ. ლოლაძე

სერია, გრამატიკულ პრინციპზე დამყარებულ *მწკრივთა* დაჯგუფება. როგორც ძე., ისე ახ. სალიტ. ქართულში მწკრივებს აჯგუფებენ სამ სერიად. ეს პრინციპი სამეცნ. გრამატიკაში ნ. მარმა დანერგა. იგი მწკრივების ორ წყებად (სერიად) დაჯგუფების მცდელობა, რაც მერე თავად ავტორმა უარყო (არნ. ჩიქობავა).

ახ. სალიტ. ქართულში II სერიაში ორი მწკრივია გაერთიანებული (წყვეტილი, II კავშირებითი). ძე. ქართულში მათ ემატებოდა II ხოლმეობითი და, ზოგ ავტორთან, III ბრძანებითი და შერეული კავშირებითი; III სერიაში – სამი (I თურმეობითი, II თურმეობითი, III კა-

ეშირებითი; ძველ ქართულში იყო მეოთხე ფორმაც – III ხოლმეობითი).

I სერიაში თავისებური ვითარებაა ძვ. ქართულში: ოთხი ძირითადი მწკრივია – აწმყო, უწყვეტელი, I ხოლმეობითი (უწყვეტლის ბრძანებითი) და I კავშირებითი. ზოგ ავტორთან ემატება აწმყოს ხოლმეობითი და I ბრძანებითი. ახ. ქართულში I სერიაში ორი წრე გამოიყო – აწმყოსა და მყოფადისა, რ-ებშიც ექვსი მწკრივი გადანაწილდა: აწმყოს წრეში – აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი; მყოფადის წრეში – მყოფადი, ხოლმეობითი (ხოლმეობით-შედეგობითი), მყოფადის კავშირებითი. მორფოლ. თვალსაზრისით, განსხვავებას ამ ორ წრეს შორის ზმნისწინის დართვა-დაურთველობა ქმნის. ამ პრინციპზე მწკრივთა გამოყოფა, და შესაბამისად, ორი წრის გამიჯვნა, გარკვეულ შენიშვნებს იწვევს (გ. გოგოლაშვილი, ა. ონიანი...).

ქართ. ენის დასავლურ დიალექტებში გამოიყოფა მეოთხე სერიაც (III თურმეობითი – ნაყვარება, IV თურმეობითი – ნაყვარებიყო, IV კავშირებითი – ნაყვარებიყოს). ეს მოვლენა ზანურის გავლენით აიხსნება (გ. როგავა).

სერიებად დაყოფა ემყარება შემდეგს: ა) ორთემიან ზმნებში I სერიის თემა განსხვავდება II სერიის თემისაგან; ბ) ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებში სუბიექტი I სერიის ფორმებთან სახ. ბრუნვაშია, II სერიის ფორმებთან – მოთხრობითში, III სერიის ფორმებთან – მიცემითში; გ) პირდ. ობიექტი I სერიის ფორმებთან მიც. ბრუნვაშია, II და III სერიის ფორმებთან – სახელობითში; დ) ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი ზმნების III სერია ინვერსიულია; ე) ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები III სერიის ფორმებს სამივე მწკრივში მეშველი ზმნით იწარმოებს (გავმთბარ-ვარ, გავმთბარ-ყავი, გამთბარ-იყო); ვ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნები I თურმეობითს მეშველი ზმნით იწარმოებს, II თურმეობითსა და III კავშირებითს –ოდ სავრცობით. მეშველ-ზმნიან ფორმათა საყრდენი მიმღეობური ფორმებია.

ძვ. ქართულში I სერიის ყველა ფორმა უსრული ასპექტისა იყო, II სერიის ფორმები – სრული ასპექტისა.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; მ ი ს ი ე ვ ე, ძველი ქართული ენა, თბ., 1976; რ ო გ ა ვ ა გ., დროკილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში. – «იკე», V, თბ., 1953; გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გ. გოგოლაშვილი.

სვანური ენა, ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი (ქართულთან და მეგრულ-ლაზურთან ერთად). გამოიყოფა ხუთი დიალექტი: ბალსზემოური, ბალსქვემოური (ზემოსვანური დიალექტები ენგურის ხეობაში), ლენტეხური, ლაშხური და ჩოლურული (ქვემოსვანური დიალექტები ცხენისწყლის ხეობაში).

სვანურის ყველა დიალექტისათვის საერთოა 6 ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ, ჷ. სხვადასხვა დიალექტში კი ხმოვან ფონემათა რაოდენობა მერყეობს 9-იდან 18-ამდე. ამ სიმრავლეს წარმოქმნის ყველა სხვა ნიშნით ერთნაირი ხმოვნების განსხვავება, ერთი მხრივ – სიგრძე-სიმოკლის, ხოლო, მეორე მხრივ – პალატალურობა-არაპალატალურობის (ე. ი. უმლაუტიანობა-უუმლაუტობის) მიხედვით. ბალსქვემოურსა და ლენტეხურში არ არის მოკლე ხმოვნების საპირისპირო გრძელი ხმოვნები, ლაშხურში – არაპალატალურ ა, ო, უ ხმოვანთა საპირისპირო გრძელი ხმოვნები; – არაპალატალურ ა, ო, უ ხმოვანთა საპირისპირო პალატალური ა̈, ო̈, უ̈ ხმოვნები. ორივე ეს დაპირისპირება (გრძელი – მოკლე და პალატალური – არაპალატალური) დამახასიათებელია მხოლოდ ბალსზემოურისა და ჩოლურულისათვის. ამრიგად, ხმოვან ფონემათა შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა დიალექტებში ასეთი სურათი გვაქვს: ბალსქვემოური და ლენტეხური: ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̈, ო̈, უ̈; ლაშხური: ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̄, ē, ī, ō, ū, ჷ̄; ბალსზემოური და ჩოლურული: ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̄, ē, ī, ō, ū, ჷ̄; ა̈, ო̈, უ̈, ა̈̄, ო̈̄, უ̈̄. ეს ხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდებიან რიგის (წინა–უკანა), ენის აწეულობის (მაღალი – დაბალი), ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობისა და სიგრძე-სიმოკლის მიხედვით.

თანხმოვანთა სისტემით სვანური დიალექტები ერთმანეთს ემთხვევა. გამოიყოფა ორი ჯგუფი: სონორები და ჩქამიერები; სონორებია: რ, ლ, მ, ნ, ჳ, ჲ. ყველა სხვა თანხმოვანი ჩქამიერია, ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან რიგის, სერიისა და რაგვარობის მიხედვით. რიგი: ბაგისმიერნი (ბ, ფ, პ), კბილისმიერნი (დ, თ, ტ), ნუნისმიერნი (ძ, ც, წ, ზ, ს), მაგარსასისმიერნი (ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ), რბილსასისმიერნი (გ, ქ, კ, ღ, ხ), ხახისმიერი (ჴ, ყ), ხორხისმიერი (ჰ). რიგის შიგნით ფონემები ერთმანეთს უპირისპირდებიან სერიის მიხედვით. სერია სამია: მჟღერთა, ფშვინვიერთა და მკვეთრთა სერია. მჟღერები: ბ, დ, ძ, ზ, ჯ, ჟ, გ, ღ; ფშვინვიერები: ფ, თ, ც, ს, ჩ, შ, ქ, ხ, ჴ, ჰ; მკვეთრები: პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ; ხშულები: ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, გ, ქ, კ; ნაპრალოვნები: ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ჰ.

ხმოვანთა რედუქციის მიხედვით სვანურის დიალექტები (გარდა ლენტეხურისა), არსებითად, ერთმანეთს ემთხვევა. რედუქციის წესებს მხოლოდ მოკლე ხმოვანი ემორჩილება. ხმოვნის რედუქციისათვის აუცილებელია სიტყვაში არანაკლებ სამი ხმოვნისა და ორი ხმოვნიანი მორფოლ. ერთეულის (ძირისა და აფიქსის) არსებობა. იმის მიხედვით, თუ როგორია სარედუქციო ხმოვნის თანხმოვნური გარემოცვა, არაბაგისმიერი ხმოვანი გვაძლევს ნულს ან ჷ-ს (ქათა̈ლ „ქათამი" – ქათლა̈რ „ქათმები", ლარტა̈მ „ბოსტანი" – ლელჷრტა̈მ „ბოსტნეული"), ბაგისმიერი ხმოვანი კი გვაძლევს ჳ-ს ან რჩება უცვლელი (კუმა̈შ „საქონელი" – ლაკჳმა̈შ „საქონლის სადგომი", მურყჳამ „კოშკი" – ლჷმურყჳამ „კოშკიანი").

სვანურში გამოიყოფა სახელთა ბრუნების ორი ტიპი: I და II. ეს ტიპები გამოიყოფა მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში და ისიც მხოლოდ საზოგადო სახელთა ერთი ნაწილის მხ. რ-ის ფორმაში. II ტიპის ბრუნებას განეკუთვნება სახელთა ბრუნების პარადიგმა, რ-შიც მოთხრ. და ნათ. ბრუნვების ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთ შემთხვევაში ორივე მათგანი მჟღამ -ემ სუფიქსით არის გამოხატული. ამგვარ პარადიგმაში სახელის ფუძე ყოველთვის ორვარიანტიანია, რ-თაგან ერთი

მუდამ სახ. ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე – ყველა დანარჩენი ბრუნვის ფორმებით. ფუძის ვარიანტებს შორის განსხვავება ან მხოლოდ ხმოვანთმონაცვლეობით წარმოიქმნება (მაგ., ჭამ – ჭამ „ითია“), ან მასთან ერთად ბოლოკიდური -უ ელემენტის ქონება-უქონლობითაც (ყულ – ყაღუ „ძაღლი“). II ტიპის მიხედვით მხოლოდ ერთმარცვლიანი ფუძის მქონე სახელები იბრუნვის და მათ, როგორც წესი, მოეპოვებათ პარალელური ფორმები I ტიპის ბრუნების სახით, სადაც ფუძე მუდამ ერთვარიანტიანია. ერთსემეტმარცვლიანი ფუძის მქონე ყოველი სახელი I ტიპის მიხედვით იბრუნვის. ქვემოსვანურ დიალექტებში II ტიპის ბრუნება არ არსებობს, ყოველი სახელი I ტიპის შესაბამისად იბრუნვის და, ამდენად, ბრუნების ტიპები აქ არც გამოიყოფა.

სახელთა მრ. რ-ის გამომხატველი ძირითადი სუფიქსია -Არ (დისიმილაციით -Ალ): ჯᲐნ „ხარი“ – ჯან-Არ „ხარები“, ყრრ „კარი“ – ყრრ-Ალ „კარები“. სახელთა სხვადასხვა ჯგუფთან დასტურდება აგრეთვე -ა, -უ, ლა-ა ალომორფები: მგლღ-ა „მწყემსები“, ლგდგარ-უ „მკვლღრები“, ლა-ჯგიდ-ა „ძმები (დისთვის)“... მხ. რ-ის ფორმები მრავლობითს ნიშნის უქონლობით უპირისპირდება.

სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, არსებობს ზმნის პირის ორი ნაირსახეობა – სუბიექტური და ობიექტური. ობიექტ. პირის შიგნით კი გამოიყოფა პირდაპირი და ირიბი. უზმნისწინო ფორმებში I სუბიექტ. პირის მორფემის ალომორფებია: ხუ- (არაბაგისმიერი ხმოვნების წინ): ხუ-Ასყი „ვაკეთებ“, ხ- (ბაგისმიერი ხმოვნების წინ): ხ-ოსყი „ეუკეთებ“, -უ- და 0 (ნული) (თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან): დ-უ-იგე „ვაქრობ“, სჭურ „ვსივარ“. II სუბიექტ. პირის ნიშანი უზმნისწინო ფორმებში არის ხ- (ხმოვნების წინ): ხ-Ასყი „აკეთებ“ და 0: დიგე „აქრობ“. III სუბიექტ. პირის მორფემა შემდეგი ალომორფებისაგან შედგება: ლ- (მხოლოდ 5 ზმნაში), მაგ., ლ-ი „არის“, ნ- და ო- (ლა- ზმნისწინიან ფორმათა ერთ ნაწილში): ლა-ნტიხ „დააბრუნა“, ლᲐ-ი-ჭემე „მოითიბა“, -ს (კავშირებითის ფორმებში): ამᲐრᲔდ-ს „ამზადებდეს“ და 0 (ყველა სხვა შემთხვევაში): Ასყი „აკეთებს“, სგურ „ვის“. I ობიექტ. პირი (პირდაპირიცა და ირიბიც) მათი გამოიხატება: მ-ახტᲐში „მხატავს“, მ-იხტᲐში „მიხატავს“, II ობიექტ. პირი კი – ჯ-ით: „ჯ-ახტᲐში „გხატავს“, ჯ-იხტᲐში „გიხატავს“, III პირდ. ობიექტ. პირს კი გამოხატველი აფიქსი არ მოეპოვება: ახტᲐში „ხატავს“.

თანამედროვე სვანურში ზმნისწინისა და პირის ნიშნის თანხმოვანთა ერთად თავმოყრა არ შეიძლება, ერთ-ერთი მათგანი ამიტომ ყოველთვის დაკარგულია: შდრ., ერთი მხრივ, ა-ხ-Ასყ (<*ან-ხ-Ასყ) „გააკეთე“, ე-ჯ-ყა (<*ეს-ჯ-ყა) „მიგვაეს“, ა-ტეხ (<*ად-ხ-ტეხ) და, მეორე მხრივ, ათ-აბ (<*ად-ხ-აბ) „მიაბი“, ეს-გუეშ (<*ეს-ხ-აგუეშ) „დაასხი“...

I და II სუბიექტ. პირის მრ. რ.-ს სუფიქსით გამოიხატება: ხუ-Ასყიდ „ვაკეთებთ“, ხ-Ასყიდ „აკეთებთ“, III სუბიექტ. პირის მრავლობითობა ყოველთვის -ხ სუფიქსით გამოიხატება: Ასყი-ხ „აკეთებენ“.

I პირის მრ. რ-ის ფორმა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვით ხასიათდება (ქვემოსვანურ დიალექტებში მხოლოდ სუბიექტ. პირის ფორმებში, სემოსვანურში – ობიექტურისაშიც). ექსკლუზივის ფორმა I და III პირს აერთიანებს (II პირი გამოირიცხება), ინკლუზივისა კი – I და II პირს (III პირი კი შეიძლება ერთიანდებოდეს, შეიძლება – არა). სუბიექტის ექსკლუზივი: ხუ-Ასყიდ „ვაკეთებთ“, დ-უ-იგე-დ „ვაქრობთ“, ინკლუზივი: ლ-Ასყი-დ „ვაკეთებთ“, ლგ-დგე-დ „ვაქრობთ“, ობიექტის ექსკლუზივი: ნ-ისყი „გვიკეთებს“, ნგ-ტხე „გვაბრუნებს“, ინკლუზივი: გუ-ასყი „გვიკეთებს“, გუ-ტხე „გვაბრუნებს“.

ასპექტი (სრული-უსრული) ზმნისწინთა ქონება-უქონლობით გამოიხატება. არსებობს ზმნისწინთა ორი რიგი: I. გეხისა და მოქმედების მიმართულების გამომხატველი (ჟი, ნუ, სგა, ქა), 2. ასპექტისა და ორიენტაციის გამომხატველი (ლა-, ან-, ად-, ეს-).

გვარის მიხედვით ოპოზიციას აქვს სამი წევრი: მოქმედებითი, ენებითი და საშუალი. მოქმედებითი გვარის გამომხატველი ნიშნებია: ა-, Ა და ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძური: ა-ხტᲐში „ხატავს“, Ა-შუ „ანოებს“, ტიხე „აბრუნებს“, ენებითი გვარისა: ი-, ე (ერთპირიანობის შემთხვევაში): ი-ხტᲐში „იხატება“, ე-შუი „ინოება“, ჟ-, ნ (ორპირიანობის შემთხვევაში): ხ-ე-ხტᲐში „ეხატება“, ხ-ნ-შუი „ენოება“ და აბლაუტური მონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძური: ტეხ-ნ-ი „ბრუნდება“. საშუალი გვარი ნიშნის უქონლობით ხასიათდება: გიჭ „ჰკლებს“.

ქცევის მიხედვით ოპოზიციის წევრთა გამომხატველი აფიქსებია: საარვისო: ა-, Ა და 0 (ნული) – Ასყი „აკეთებს“, Ა-შუ „ანოებს“, ტიხე „აბრუნებს“; სათავისოსი – ი-, ე-: ი-სყი „იკეთებს“, ე-შუ „ინოებს“, სათავისოსი: ი-, ე- (როცა ირ. ობიექტი I ან II პირია: მ-ი-სყი „მიკეთებს“, ჯ-ი-სყი „გიკეთებს“, მ-ე-შუ „მინოებს“, ჯ-ე-შუე „გინოებს“ და ო-, რ (როცა ირ. ობიექტი III პირია): ხ-ო-სყი „უკეთებს“, ხ-რ-შუე „უნოებს“.

შუალობით კონტაქტს (კაუზატივს) -უნ, -უნ, -ნ სუფიქსები გამოხატავს: ხასყ-უნ-ე „აკეთებინებს“, ხამᲐრ-უნ-ე „ამზადებინებს“, ხაგემ-ხ-უ „აშენებინებს“. უშუალო კონტაქტს (არაკაუზატივს) – ალნიშნულ სუფიქსთა უქონლობა: Ასყი „აკეთებს“, ამᲐრე „ამზადებს“, აგემ „აშენებს“.

გეში (მიმართულე) ჟი, ნუ, სგა, ქა ზმნისწინებით გამოიხატება. მიუმართავი კი – მათი უქონლობით: ჟი ატᲐხ „აბრუნდა“, ნუ ატᲐხ „ბრუნდა“, სგა ატᲐხ შებრუნდა, ქა ატᲐხ „გაბრუნდა“ შდრ. ატᲐხ (მიუმართავი). საქცევო ორიენტაციის ზმნისწინი გამოხატავს: ან-ღრი „მოდის“ – საიქცევოს კი – ად-, ეს- ზმნისწინები: ეს-ღრი „მიდის“, ად-ჲე „წაიღო“.

თანამედროვე სვანურში გამოიყოფა ზმნის მწკრივთა 4 სერია: I სერია – აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადსრული, მყოფადსრულები, პირობითსრული; II სერია – წყვეტილი, II კავშირებითი; III სერია – I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი; IV სერია – III თურმეობითი, IV თურმეობითი.

სვანურში, ქართულის მსგავსად, ქვემდებარის ბრუნვებია: სახ., მოთხრ., მიც. (გარდამავალი ზმნით გამოხატულ შემასმენელთან) და სახ. (გარდაუვალ ზმნით გამოხატულ შემასმენელთან); პირდ. და-

მატების ბრუნვებია სახ. და მიც., ხოლო ირიბისა – მხოლოდ მიცემითი.

ლიტ.: ჯ ღ ე ნ ტ ი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში. – «თსუ შრომები», 1963, ტ. 96; დ ო ნ დ უ ა კ., ადილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში.– იხ. მისი: რჩეული შრომები., I, თბ., 1967; თ ო ფ უ რ ი ა ე., სვანური ენა, I. ზმნა. – იხ. მისი: შრომები, I, თბ., 1967; თ ო ფ უ რ ი ა ე., სვანური ენა. – შრომები, II, თბ., 2002; მ ი ს ი ვ ე, სვანური დიალექტები და მათი თავისებურებანი. – იქვე; მ ი ს ი ვ ე, სვანური სტრუქტურა. – იქვე; მ ი ს ი ვ ე: სვანური სინტაქსი. – იქვე; ქ ა ლ დ ა ნ ი მ., სვანური ენის ფონეტიკა, თბ., 1969; შ ა ნ ი ძ ე ა., უმლაუტი სვანურში.– თხზულებანი, II, თბ., 1981; ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი მ., ხმოვანთა რედუქციის სტრუქტურული ანალიზი, თბ.,1984; შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., სვანური ენა. – «იკეწ», XII, თბ., 1985; ო ნ ი ა ნ ი ა., სვანური ენა, თბ., 1998; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, 1986; **К л и м о в Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте,** М., 1962.

ა. ონიანი.

სᲘᲜᲐᲥᲡᲐᲠᲘ (ბერძნ. synaxarion — შეკრება), თაედაპირველად კალენდარი, რ-შიც წელიწადის თვეთა დღეების მიხედვით შეტანილი იყო ქრისტიან წმინდანთა ხსენებები და დღესასწაულები. დროთა განმავლობაში წმინდანთა ხსენებები შეივსო მათი ბიოგრ. ცნობების შემცველი, მეტ-ნაკლები მოცულობის ტექსტებით, დაემატა აგრეთვე ლიტურგიკული მითითებები ამ დღეს ღვთისმსახურების წასატარებლად აუცილებელი ელემენტების (ბიბლიური საკითხავები, ჰიმნოგრაფიული მასალა და სხვ.) შესახებ, რაც საბოლოოდ ტიპიკონების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ერთ-ერთი ასეთი ტიპიკონი (კონსტანტინოპოლის ეკლესიისა) პირველად X ს. ბოლოს ბერძნულიდან შემოკლებით თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა და მას „მცირე სვინაქსარი“ უწოდა. მასში მხოლოდ ბერძენ წმინდანთა ხსენებებია წარმოდგენილი ბიოგრაფიული ტექსტების გარეშე. ქართ. წმინდანთაგან არავინ არის მოხსენიებული. XI ს. I ნახ. ბოლოს (1042–44) გიორგი მთაწმიდელმა კონსტანტინოპოლის ეკლესიის სრული ტიპიკონი თარგმნა „დიდი სვინაქსარის“ სახელწოდებით და



მცირე სვინაქსარი. 1930.

ქართველთაგან საკუთარი ინიციატივით ეფთვიმე მთაწმიდელის სვინაქსარული ცხოვრება (დანარჩენებთან შედარებით ყველაზე ვრცელი), იოანე მთაწმიდელისა და ილარიონ ქართველის მხოლოდ ხსენებები შეიტანა. დროთა განმავლობაში, „დიდი სვინაქსარის“ ხელნაწერების გადანუსხვის დროს, ქართ. წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრებები და მოსახსენებლები შეჰქონდათ როგორც ძირითად ტექსტში, ასევე ხელნაწერის აშიებზე.

სვინაქსარული ტექსტის შედგენა ხდებოდა შესაბამისი ვრცელი „წამებისა“ და „ცხოვრების“ შემოკლებით თუ მათგან გამოკრებით, თუმცა გამონაკლისებიც გეხვდება: პირველი სვინაქსარული ცხოვრება ეფთვიმე მთაწმიდელისა მის ვრცელ „ცხოვრებას“ დაახლ. 15 წლით ადრე დაიწერა; იერუსალიმში მოღვაწე პროხორე ქართველის, ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დეალის სვინაქსარული ცხოვრებები კი შეიქმნა, მაგრამ ვრცელი თხზულებები საერთოდ არ დაწერილა. XVIII ს. ქართ. ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიიდან ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც წმინდანის სვინაქსარული ცხოვრება შესაბამისი ვრცელი თხზულებაზე ადრე დაიწერა.

ლიტ.: ქვემო ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. IV (სვინაქსარული რედაქციები — XI—XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968.

ე. გაბიძაშვილი.

სᲘᲑᲘᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘ, წიაენისმიერი აფრიკატები და სპირანტები, რ-ებიც სმენითი შთაბეჭდილების შესაბამისად ქართულში სისინა და შიშინა ს-ად იყოფიან. სისინა ს-ა ძ-ც-წ, ს-ს; შიშინა— ჯ-ჩ-ჭ, ჟ-შ. ამ ბგერათა საწარმოთქმო დაბრკოლება ხედა საჭრელი კბილე-



ბაგრატ IV-ის სიგელი. 1067—1072.

ბის ნუნებთან წარმოიქმნება (იხ. *ალეგოლარული თანხმოენები*). ტერმ. ს. შემოღებულია ნ. *მარის* მიერ. *ზ. ჯაფარიძე.*

სიბელლიო (< ბერძნ.-ბიზანტ. sigellio — საბუთი), იურიდიული საბუთების (აქტების) გარკვეული სახეობის აღმნიშვნელი ძველი ქართული დიპლომატიკური ტერმინი. საქართველოში მისი არსებობა დოკუმენტურად დასტურდება X ს-იდან, კერძოდ, ბაგრატ IV-ის ს-ში ოპიზარ და მიჯნაორელი მამებისადმი აღნიშნულია, რომ სამეფო კარზე დაეის გასარჩევად მისულმა მიჯნაძოროს მონასტრის (ტაო-კლარჯეთში) მამებმა „მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთა ერისთავისაი, გურგენ მეფეთა მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გიორგი მეფისაი". XI—XV სს. ს. აღნიშნავდა მხოლოდ მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებს (ი. ჯავახიშვილი), ხოლო XV ს-იდან ს. ეწოდება არა მარტო მეფეთა, არამედ მათ ქვეშევრდომთა მიერ გაცემულ საბუთებსაც. ზოგჯერ ს. გვხვდება შეწყვილებული მეორე დიპლომატიკურ ტერმინთან — „ბრძანებასთან" მაგ., ბაგრატ IV ზემოდასახელებული საბუთის ბოლოს წერს: „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი"; ხოლო, შიომღვიმის მონასტრისადმი 1057 გაცემული საბუთის ბოლოს იგი წერს: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეო-ლა-სა". ს., როგორც დიპლომატიკური ტერმინი, გამოიყენებოდა XVIII ს-ის დასასრულამდე და ოვით XIX ს-შიც; მაგ., XVIII ს. ერთ-ერთ უკანასკნელ საბუთს, გაცემულს 1793 ერეკლე II-ის მიერ, ეწოდება „წყალობის სიგელი"; ს. გვხდება სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველის დავით დადიანის მიერ 1841 შედგენილ „სჯულის დადებაში". კერძოდ, იგი წერს, რომ „სინამდვილე ანუ სიყალბე მათ სიგელთასა ძნელად გამოსაცნობელი არს". XV ს-იდან ს-ს უნდება მსაზღვრელი სიტყვები — „ერთგულების სიგელი", „თარხნობის სიგელი", „მამულის სიგელი" და მისთ. ერთი ასეთი შემთხვევა თვით XII ს-შიც დასტურდება, როდესაც დავით IV აღმაშენებელი 1124 წლის ანდერძში შიომღვიმის მონასტრისადმი ახსენებს „შეუვალობის სიგელს".

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926 (თხზ., ტ. 9. თბ., 1996); ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, იხ. მისი: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1966. *ე. სილოგავა.*

სიგმატიზმი, ენაწლეწაობის ერთ-ერთი სახეობა, რ-იც გულისხმობს სისინა და შიშინა ბგერების დამახინჯებულად წარმოთქმას. გაირჩევა სიგმატიზმის შემდეგი სახეები: კბილთაშუა ანუ სიფსიფა; ენაკბილზშული ანუ თიფთიფა; შიშინა; სისინა; ლატერალური ანუ თლიფყინა; ბაგეკბილისმიერი; ნაზალური.

ნ. კიზირია.

სიმაღლე, ბგერის დახასიათება ჰერიოდულ რხევათა სიხშირით. ამიტომ ს. აქვს *ტონს* და არა აქვს *ჩქამს*.

ტონის ს-ზე გაელენას ახდენს მბგერი სხეულის 1. სიგრძე. რაც უფრო გრძელია სხეული, მით უფრო დაბალია ტონი და პირუკუ; 2. სიმსხო და სიმკვრივე. მოზრდილი ადამიანის ხმა უფრო დაბალია, ვიდრე ბავშვისა, რადგანაც მოზრდილის სახმო სიმები უფრო

მსხვილი და მკვრივია. დაჭიმული სახმო სიმები გამოსცემს უფრო მაღალ ტონს.

ტონის ს. განსხვავებულია სიმღერისა და მეტყველების დროს თავისი დიაპაზონით. სიმღერაში რხევათა სიხშირე აღწევს ≈1000 ჰც-ს (მეორე ოქტავის სი), ხოლო მეტყველებაში – მხოლოდ 320-ს (პირველი ოქტავის მი).

სამეტყველო და სასიმღერო ს-გან განსხვავებულია რეზონატორული ანუ სატემბრო ს. სამეტყველო ს. გამოყენებულია ენის პროსოდიულ მახასიათებლებში (იხ. ტონი), ხოლო რეზონატორული ს. ეხება ცალკეულ ფონემას, რ-ის ს. უცვლელი სიდიდეა. ხმოვანი „ა“ შეგვიძლია ვიმღეროთ სხვადასხვა სიმაღლეზე, მაგრამ ის რჩება ისევ „ა“-დ, სანამ მისი რეზონატორული ს. უცვლელია.

ლიტ.: ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; L a d e f o g e d P., A Course In Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975. *ი. თევდორაძე.*

სიმფონია, *ლექსიკონი*, რ-შიც სრულად აღინუსხება ამა თუ იმ მწერლის, ან რომელიმე ცალკეული თხზულების ლექსიკა. ამგვარ ლექსიკონს სიმფონიურ ლექსიკონს უწოდებენ. გამოიყენება აგრეთვე ტერმინი ს-ლექსიკონი, რ-იც იმით განსხვავდება სიმფონიისგან, რომ ამ უკანასკნელში სახელწოდების *სიტყვაფორმათა* სტატისტიკასთან ერთად, სიტყვის განმარტებაც არის წარმოდგენილი (ა. შანიძე). ს. გულისხმობს მოცემულ სალექსიკონო ერთეულთან შესაბამისი ფუძის სიტყვაფორმათა სრულ თავმოყრას. ამ თვალსაზრისით ს. სიხშირულ მონაცემებსაც შეიცავს. ს-ის თითოეულ სიტყვაფორმას შეიძლება ახლდეს მოკლე ილუსტრაცია.

საქართველოში ს-ების შედგენის ტრადიცია არსებობს. ნიშანდობლივია, რომ პირველად სიმფონიური აღწერა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს შეეხო. ასეთი ლექსიკონი კ. ჭიჭინაძემ დაურთო მის მიერ 1934 გამოცემულ პოემის ტექსტს. მასში სალექსიკონო ერთეულებად აღებულია ანბანთრიგზე გაწყობილი სიტყვაფორმები.

ს-ების აგების სათანადო მეცნ. საფუძველი შეუქმნა ა. შანიძის მიერ შედგენილმა ლექსიკონებმა. მან ამგვარი ლექსიკონი ჯერ „ხანმეტი ლექციონარის“ გამოცემას (1944) დაურთო, შემდეგ კი „ვეფხისტყაოსნის“ ს-ც გამოსცა (1956). 1949 ი. *იმნაიშვილმა* შეადგინა ქართ. ოთხთავის ს-ლექსიკონი, რ-ის რედაქტორი იყო ა. შანიძე. ა. შანიძის პრინციპებით შედგენილ ლექსიკონებში სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია *მასდარის* ფორმა, ხოლო თუ ზმნას ასეთი ფორმა არ მოეპოვება, ამოსავლად აღებულია მისი ფუძე ან ძირი. თუკი მასდარი და პირიანი ფორმა ერთმანეთს სცილდება (მოვიდა — მოსვლა), აღებულია პირიანი ფორმის ფუძე. ამავე დროს, გარკვეულ ზმნურ კატეგორიათა (ქცევა, ენებითი გვარი) აფიქსური წარმოების საჩვენებლად შემოღებულია ე. წ. ინდექსი (0, ა, ი, ი/უ, ე, დ/ნ). დანარჩენი ფორმები შედის ბუდეში. არსებითად ამავე წესით არის აგებული გ. გოგატიშვილის მიერ შედგენილი „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია“ (1973).

სხვაგვარი პრინციპია გატარებული ენათმეცნ. ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბის მიერ მომზადებულ ლექსიკონში: «„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია. ფუძეთა და სიტყვაფორმათა ინდექსი» (1973). ამ ლექსიკონში მეთაურ ერთეულად გამოტანილია ე. წ. მარტივი ფუძე ზმნისა: კვეთ-, ზიდ-ავ-, კვეთ-ებ-... სახელი აქაც სახ. ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი.

1996 თსუ გამომცემლობამ გამოსცა ა. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის თხზულებანი ს-ლექსიკონითურთ (შეადგინეს ა. არაბულმა, თ. გვანცელაძემ და ა. ლომთაძემ). მასში გარკვეულად განვითარებული და დაზუსტებულია „ვეფხისტყაოსნის“ ს-ის პრინციპები. ს. თვით ტექსტებს ახლავს და, ამდენად, საილუსტრაციო კონტექსტები ლექსიკონში აღარ არის შეტანილი. ამ ს-ებს საფუძვლად უდევს მაქსიმალური ეკონომიურობის პრინციპი. *ა. არაბული.*

სინას მთა, „სინაწმიდა“, ძველი ქართული მწიგნობრობის კერა საზღვარგარეთ. მდებარეობს არაბეთის ნახ.-კ-ის დას-ით, სინას ნახ.-კ-ის სამხრ. ნაწილში, სუეცისა და უაბის ყურეებს შორის, 1528 *მ* სიმაღლეზე. სამონასტრო ცხოვრება სინაზე ადრე დაიწყო. IV ს. დასაწყისში ბიზანტიის დედოფალმა ელენემ აქ ააშენა მცირე ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე, ხოლო 527 იმპ. იუსტინიანეს ბრძანებით ააგეს ეკლესია, რ-იც დღესაც მონასტრის მთავარ ტაძარს წარმოადგენს. მისივე ბრძანებით მონასტერს შემოავლეს მაღალი ზღუდე. მოგვიანებით მონასტერს შეერქვა წმ. ეკატერინეს, იმპ. მაქსიმიანეს მიერ 307 წამებული ალექსანდრიელი ქალწულის, სახელი, რ-ის გვამი, გადმოცემით, ნახევარკუნძულის ყველაზე მაღალ მთაზე აღმოაჩინეს.

ზღუდის შიგნით მოთავსებული სამონასტრო კომპლექსი არქიტექტურული თვალსაზრისით ძალზე ჭრელია. უძველეს შენობათა ნაშთებთან ერთად არის საშ. საუკუნეების ნაგებობები, ზოგიერთი აგებულია XX ს-შიც.

სინაზე მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტ. არაბები და სხვ. მონასტერი უძველესი დროიდან ქართ. მწიგნობრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კერა იყო. ქართ. ხელნაწერები, რ-ებიც დღეს ინახება მონასტრის ბიბლიოთეკაში სხვა (ბერძნ., სირ., არაბ.) ხელნაწერებთან ერთად, მხოლოდ მცირე ნაწილია სინაზე გადაწერილი ან მონასტრისათვის შეწირული სხვაგან შექმნილი სამწერლობო ძეგლებისა. ამას ადასტურებს სინურ ხელნაწერთა ანდერძებში ჩამოთვლილი ან ნახსენები წიგნები, რ-ებიც ამჟამად უკვალოდ არის გამქრალი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ქართველთა ყოფნა ს.მ-ზე სავარაუდებელია ჯერ კიდევ VI ს-ში, მაგრამ წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართველების მოღვაწეობა განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა IX–XI სს-ში, როდესაც არაბობით შეწუხებულმა ქართველებმა პალესტინის მონასტრებიდან სინას მიაშურეს. IX ს-ში წმ. ეკატერინეს მონასტერში შეიქმნა მძლავრი სათვისტომო. ქართველებს ეკუთვნოდათ ეკლესია-სამწირველოები



ეკატერინეს მონასტერი.

როგორც თვით მონასტერში, ისე მის გარეთ. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ მთარგმნელები, მწიგნობარ-კალიგრაფები, წიგნთა შემკაზმავ-მმოსველები, მ. შ. იოანე მინჩხი, იოანე-ხოსიმე, კვირიკე კუმურდოელი და სხვ. ს.მ-ის ქართ. ხელნაწერები იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ სწორედ მათშია შენახული უძველესი პალესტინური ტრადიციების მიმდევარი წიგნები, რ-ებიც შეიცავს უნიკალურ მასალას არა მხოლოდ ქართული, არამედ მთლიანად მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტ. კულტ. შესახწავლად. ამ მასალას ხშირად ანალოგი არ ეძებნება ბერძნ. წყაროებში. საქართველოში სინას მონასტერს კარგად იცნობდნენ. დაეთ აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დაეთმა მონასტერში უკლესია ააშენებინა და მას მდიდარი შესაწირავი შესწირა; მონასტერს XIX ს-მდე შერჩა საქართველოში მისი კუთვნილი ქონება და მიწები. ზოგიერთი ისტ. ცნობით, XIX ს-ში თბილისში არსებობდა სინას მეტოქე ეკლესიაც.

ს.მ-ის ქართ. სიძველეთა შესწავლა XIX ს-იდან იწყება. არქიმანდრიტმა უსპენსკიმ, რ-მაც XIX ს. შუა წლებში ორჯერ იმოგზაურა სინაზე, პირველმა მიაქცია ყურადღება ამ სიძველეებს და წამოიღო კიდეეც იქიდან ე. წ. „პაპირუსის ფსალმუნის“ ფურცლები. 1883 სინაზე იმყოფებოდა პეტერბ. უნ-ტის პროფ. ა. *ცაგარელი*; მან შეადგინა ხელნაწერთა მოკლე, მაგრამ დღეისათვისაც მნიშვნელოვანი კატალოგი, რ-შიც 93 ერთეულია აღნუსხული. 1902 მონასტერში სამუშაოდ ჩავიდნენ ნ. *შარი* და ი. *ჯაგა-ჰიშვილი*; მათ ა. ცაგარლის კატალოგში დასახელებულ ხელნაწერთაგან ყველა აღარ დახვედრიათ ადგილზე. ზოგიერთი დაკარგული ხელნაწერის ბედი მოგვიანებით გაირკვა. მონასტრიდან გატანილ ხელნაწერთა ერთი ნაწილი 1896 აღმოჩნდა ავსტრიაში, ქ. გრაცში, სადაც ისინი ჰ. *შუხარდტმა* შეიძინა და შემდგომ გრაცის უნ-ტის ბ-კას უანდერძა. ერთერთი სინური ხელნაწერი (იოანე-ხოსიმეს მიერ 986 გადაწერილი, ცაგარლის კატალოგის №93), 1922 ამერიკელი კოლექციონერის მიერ ევროპაში შეძენილი, ამჟამად პრინსტონის უნ-ტის ბ-კაშია. ამ ხელნაწერში მოთავსებული თხზულების ბოლო ნაწილი, ა. ცაგარლის მიერ ცალკე ხელნაწერად (№92) მიჩნეული, 1998 მიკვლეული იყო გერმანიაში, ქ. გეტინგენში (მ. შანიძის მიერ). ცალკეული ფურცლები სინური კოლექციიდან ამჟამად გაბნეულია პეტერბურგში, პრაღაში, პარიზში, ბირმინგემში; ზოგიერთის ადგილსამყოფელი დღესაც უცნობია. 1950 ამერიკის კონგრესის ბ-კამ ჩაატარა ექსპედიცია მახლობელ აღმოსავლეთში კულტ. სიძველეთა გადასაღებად. ს. მ-ის ქართ. მასალის დამუშავების ხელმძღვანელობდა ბელგიელი ქართველოლოგი, პროფ. ჟ. გარიტე, რ-მაც 1955 გამოსცა სინურ ხელნაწერთა ერთი ნაწილის ახ. ერცელი კატალოგი. საქართ. მეცნ. აკადემიამ 1956 კონგრესის ბ-კიდან მიღებ სინურ ხელნაწერთა მიკროფირები, რის მიხედვით 1959 ა. შანიძემ გამოაქვეყნა სრული ტექსტი უძველესი ქართ. თარგმანი ხელნაწერისა. ეს არის 864 „სინური მრავალთავი“, რ-იც გადაიწერა იერუსალიმში, საბას ლავრაში; იგი გადაწერისთანავე შესწირეს სინაწმიდას. მიკროფირების საშუალებით ხელნაწ. ინ-ტის თანამშრომლებმა შეადგინეს ერცელი სამრთმეული კატალოგი სინური ხელნაწერების იმ ნაწილისა, რ-იც ჟ. გარიტის კატალოგში არ იყო შეტანილი. გარდა ამისა, გამოქვეყნებულ იქნა მრავალი უძველესი ტექსტი ამავე კოლექციიდან.

1975 მონასტერში ძველ ნაგებობათა გასაწმენდ-სარესტავრაციო სამუშაოთა დროს მონასტრის გალავანში შემთხვევით აღმოჩნდა მიჯნაწყებული სენაკი, რ-ის იატაკზე უწესრიგოდ დაყრილ ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა ქართული. ახ. კოლექციის შესწავლა დაიწყო 1990. დღემდე ჩატარებულია 4 ექსპედიცია, გამოვლენილია 140-მდე ხელნაწერი (მთლიანი ან ფრაგმენტული), სულ 4000 ფურცელზე მეტი (არის კიდეე 2000-მდე მცირე ფრაგმენტი). ახ. კოლექციის შესწავლამ აჩვენა, რომ იგი ძველის ნაწილია. აქ არის ზოგიერთი ფურცელი „სინური მრავალთავის“ დაკლებული ფურცლებიდან, ერთ-ერთი მოზრდილი ხელნაწერი (159 ფურცელი) თითქმის მთლიანად ავსებს მთელი წლის საგალობლებს ძვ. კოლექციაში. გამოვლენილია მრავალი დღემდე უცნობი ხელნაწერი ან მისი ნაწილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ ახ. ვარიანტი, რ-იც შეიცავს ცნობილი შატბერდული და ჭალიშური რედაქციებისაგან განსხვავებულ ტექსტს. თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეცელა ვერსია საერთო წყაროდან მომდინარეობს. ამავე ხელნაწერში აღმოჩნდა იოანე ზედაზნელისა და აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებათა ტექსტის ნაწილები. უდიდესი მნიშვნელობისაა ორი პალიმფსესტური ხელნაწერი, რ-ის ქვედა ტექსტი კავკალბანური აღმოჩნდა (იხ. *პალიმფსესტი დამწერლობა*).



სინას მთის მწვერვალზე ახალგაზრდა კიბე.

სინურ ხელნაწერთა მნიშვნელობას პირველ რიგში მათი სიძველე განაპირობებს. სინადან არის წამოღებული ხანმეტი ლექციონარი, VII ს. დაწერილი ტექსტი, რ-იც – ერთადერთი ხანმეტ ძეგლთა შორის – პალიმფსესტი არ არის; იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და მნიშვნელოვან მა-

სალას იძლევა როგორც ხანმეტობის ეპოქის ქართ. ენის შესასწავლად, ისე ერთ-ერთი უძველესი ლიტურგიკული კრებულის შედგენილობის კვლევისათვის (ინახება გრაცში). სინური მრავალთავში, რ-იც გადაწერილია 864, შეტანილია ზოგიერთი ბევრად უფრო ადრე თარგმნილი თხზულება. ამას ამტკიცებს ხანმეტ მრავალთავში (VII ს.) შესული ფრაგმენტები, რ-ებიც ტექსტუალურად ემთხვევა სინური მრავალთავის შესაბამის მონაკვეთებს. სინური მრავალთავის მორფოლ. ფორმებში მრავალი არქაიზმია გამოვლენილი. მეტად საყურადღებოა ლექსიკაც. სინური ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი ძვ. ტრადიციები ჩანს მრავალ ლიტურგიკულ ხელნაწერში; აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი ძველი აღთქმისა, როგორიც არის *ფსალმუნი*, ძირითადად სწორედ სინურ ხელნაწერებშია წარმოდგენილი გიორგი მთაწმიდელისეულ ტექსტზე უფრო ადრინდელი რედაქციით. ამავე დროს, სინელი მწიგნობრები მოგვიანებითაც არ წყვეტდნენ კავშირს სხვა ქართ. კულტ. სამწიგნობრო ცენტრებთან და თვალყურს ადევნებდნენ სამწერლობო ძეგლებში შეტანილ ცვლილებებს. ოთხთავის ერთ-ერთი სინური ხელნაწერის, რ-იც 1074 არის გადაწერილი, ანდერძში ნათქვამია: „ახალ თარგმნილისაგან დაგვიწერია და დიდად დიად მართალი არს ამათ ძუელთა სახარებათა ზოგზოგი სიტყუაჲ არა ეწამების". გარდა ხელნაწერებისა, სინას მონასტერში არის სხვა ქართ. სიძველეებიც — ხატები. ერთ-ერთ ძველ ხატზე დავით აღმაშენებლის გამოსახულება უნდა იყოს. დავითის ავტოგრაფად არის მიჩნეული აგრეთვე მინაწერი XI ს. ერთ-ერთ ხელნაწერზე „მე დავით, უღირსმან მონამან ყოველთა მონათა ქრისტესთამან, განვგზავნე წიგნი ესე მთასწმიდას სინას..." ეს ადასტურებს დავითის ისტორიკოსის ცნობას მეფის მიერ სინაზე განძულობისა და წიგნების წარგზავნის შესახებ.



სინური მრავალთავი.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ხელნაწერები გრაცში. — «ტფილისის უნ-ტის მოამბე», 1929, ტ. 9; მისივე, ხანმეტი ლექციონარი, თბ., 1944 (ძველი ქართული ენის ძეგლები, 1); ჯავახიშვილი ი., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1948; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია, ნაკვ. I–III თბ., 1978–87; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; შანიძე მ., ერთი სინური ხელნაწერის კვალდაკვალ. — «მწიგნობარი», თბ., 1999; ალექსიძე ზ., ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, თბ., 1998; Марр Н., Описание грузинских рукописей Синайского монастыря., М.—Л., 1940; Цагарели А., Каталог грузинских рукописей Синайского монастыря. Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, СПБ., 1889; Garitte, G., Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï.— « CSCO», Vol. 165. Subsidlia, t. 9, Louvain, 1956.

მ. შანიძე.

სინეკდოქე (ბერძ. synekdochē — გადატანა, შეფარდება), მნიშვნელობის გადატანა, *ტროპის* სახე (*მეტონიმიის* ნაირსახეობა), როდესაც ერთი საგნის, მთელის აღმნიშვნელი იცვლება მეორე საგნის, მისი შემადგენელი ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვით, ან პირიქით, მთელის სახელწოდება გამოიყენება ნაწილისათვის.

ნაწილი, როგორც მთელის შემადგენელი, არჩეულია რაიმე ნიშნით, რ-იც მოც. სიტუაციაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ეკისრება მთელის აღნიშვნა. ასეთია: კერძოობითი მნიშვნელობის სიტყვა ზოგადისათვის (სიტყვა კალამი აღნიშნავს ყოველგვარ საწერ იარაღს და არა მხოლოდ გარკვეული მცენარის ღეროსაგან

დამზადებულ კალამს); ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა მთელისათვის (ცხვარი ფარის მნიშვნელობით: „მემცხვარემ ცხვარი გაშალა...“, ხალხ.; ძროხა ნახირის მნიშვნელობით: „მემრე მე ძროხა ვის ჩავაბარო / სადღა ვიშოვი კარგ მეძროხესა“, ი. ჭავჭ.); მასალის აღმნიშვნელი სიტყვა თვით ობიექტის აღსანიშნავად (ტყავი ნაცვლად ტყავისაგან შეკერილი ჩასაცმელისა: „დედამ... ტყავი გამიპოხა და ისე ჩამაცვა, ვაჟა-ფშაველ.); მხ. რ-ის ფორმის გამოყენება მრ. რ-ის ფორმის ნაცვლად („ოსმალო თიფლისს შეეიდა, კარები დახედა ღია-რა“, დ. გურ.); მთელის აღმნიშვნელი სიტყვა ნაწილის მნიშვნელობით (მაგ., მანქანა ავტომობილის მნიშვნელობით; შდრ., საკერავი მანქანა, დინამო-მანქანა...).

დროთა განმავლობაში ს-მ შესაძლებელია დაკარგოს ტროპული ხასიათი და მყარი ენობრივი მნიშვნელობით გადაეიდეს ლექსიკაში: კერიის გაცივება.

ც. ბარბაქაძე.

სინკოპე (ბერძნ. syncopē — შეკუმშვა, მუსრვა), ბგერის, მარცვლის, ასოს ამოვარდნა სიტყვის შიგნით. განსაკუთრებით ხშირია თანხმოვანთა შორის უმახვილო ხმოვნის ამოვარდნა. მაგ., მსხლის < მსხალის, უნიეერსტეტი < უნიეერსიტეტი. უპირისპირდება *აფერეზისს* და *აპოკოპეს*. ტერმ. ს. კომპარატივისტიკაში გამოიყენებოდა უმახვილო ხმოვანთა დაკარგვის აღსანიშნავად. თანამედროვე ფონოლოგიაში იგი თანხმოვანთა ამოვარდნასაც გულისხმობს (ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ხშირად იყენებენ ტერმინს — ეკტლიფსისი).

ნ. კიპირია.

სინონიმები (< ბერძნ. synonymos — თანამოსახელე), სიტყვები, რ-ებიც განეკუთვნებიან ერთსა და იმავე შეტყვლების ნაწილებს (ასევე ფრაზეოლოგიზმებს ფართო გაგებით, მორფემებს, სინტაქსურ კონსტრუქციებს) და აქვთ სრულად ან ნაწილობრივ თანმხვედრი მნიშვნელობები. სინონიმურებად მიიჩნეიან მხოლოდ ისეთი სიტყვები, რ-ებიც სალიტ. (სამწერლობო და სასაუბრო) ენის კუთვნილებას წარმოადგენენ. შესაბამისად, ასეთებად ეერ ჩაითვლებიან სიტყვათა წყვილები, როგორიცაა: არქ. ალქატი – ღარიბი; დიალ. (აჭარ.) მისკმა – მირტყმა; (ინგილ.) ნაბუთა – ნაბოლარა; ჟარგ. დიმელი – ქურდი, ქაში – მწეველი; სპეც. მიოპია – ახლომხედველობა, აბსცესი – ჩირქგროვა და მისთ.

ლექსიკური ს-ის აზრობრივი დაპირისპირების ერთეულად ითვლება არა მთლიანად სიტყვა, არამედ მისი ელემენტარული მნიშვნელობა – ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი. ამიტომაც პოლისემიურ სიტყვას თავისი სხვადასხვა მნიშვნელობით შეუძლია შეეიდეს სხვადასხვა სინონიმურ მწკრივებში: 1. აშკარა – ცხადი, ნათელი, მკაფიო..., 2. აშკარა – ნამდვილი, ჭეშმარიტი, მართალი; 3. აშკარა – ღია, ლეგალური; 4. აშკარა – მტკნარი, პირწმინდა.

თითოეულ სინონიმურ მწკრივს (იხ. *სინონიმთა ლექსიკონი*) აქვს თავისი დომინანტა, რ-იც, როგორც წესი, წარმოადგენს სიტყვის სემანტიკურად უფრო მარტივ, სტილისტურად ნეიტრალურ და სინტაგმატურად ნაკლებად მიმაგრებულ ვარიანტს. მაგ., დინჯი (ადამიანი) – ფეხდადგმული (საუბ.); დინჯი (საქციელი) – ეპიკური (წიგნ.). თითოეული სინონიმური მწკრივის წევრები დომინანტის (წიგნ.) მიმართ იდენტიფიცირდებიან სემანტიკურად და სტილისტიკურად.

იგივეობრივი ან მსგავსი მნიშვნელობის იმ სიტყვათა სინონიმურობის ხარისხი, რ-თაც შეუძლიათ ერთმანეთთან ჩანაცვლება, საპირისპირო სემანტიკური ნიშნების ნეიტრალიზება ტექსტში შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს: მნიშვნელობის სრული ადეკვატურობიდან მისი ნიუანსების ფართო გრადაციამდე. ამის შესაბამისად, ს. იყოფა სრულ (აბსოლუტურ) (ლინგვისტი – ენათმეცნიერი, დღი – ჯირითი) და ნაწილობრივ (ფარდობით) (ცხენირი – დინგი – დრუნჩი, აღდგენილი – განახლებული) ს-ად.

ს-ის უმნიშვნელოვანესი სემანტიკური ფუნქციებია დასუსტება და ჩანაცვლება. დასუსტება მდგომარეობს ცნების ამა თუ იმ მნიშვნელობის აქცენტირებაში. ეს ფუნქცია რეალიზდება ნეიტრალურიე ერთი წინადადების ფარგლებში, როდესაც ერთმანეთის დამასუსტებელი ნაწილობრივ ეკვივალენტური სიტყვები კონტექსტში ახლოს არიან განლაგებული. დასუსტების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ აღსანიშნი, თავისი მრავალმხრივობიდან გამომდინარე, ეერ „გადაიფარება“ ერთი სიტყვით. ამიტომაც ჩნდება რამდენიმე სინონიმის ეროდროულად ჩამარების აუცილებლობა. ამ ს-ის არათანმხვედრი სემები აღსანიშნ საგანში ახ. მხარეებს წარმოაჩენენ. ჩანაცვლება ყველაზე ხშირად შეინიშნება ერომანეთის მომდეენო წინადადებებში და მისი მიზანია სემანტიკურად ადეკვატური ერთეულების ურთიერთჩანაცვლებით ტაეტოლოგიის თავიდან აცილება.

ს-ის უმნიშვნელოვანესი სტილისტიკური ფუნქცია, შეფასება და შეფასების ემოციური გამოხატვა ეფუძნება ს-ის სხვადასხვა სტილურ მიმაგრებას (ნეიტრალურის ზემოთ ან ქვემოთ), რაც აღსანიშნი ობიექტის დადებითი ან უარყოფითი კლასიფიკაციის საფუძველია. ტექსტის საერთო სემანტიკიდან და სტილიდან გამომდინარე, ასეთი ს. ასრულებენ მისი სტილისტიკური ორგანიზაციის ფუნქციას.

ზემოთ აღნიშნული ფუნქციების შესაბამისად ს-ში შემდეგი ჯგუფებია გამოყოფილი: სემანტიკური (იდეოგრაფიული) – აღსანიშნი ობიექტის სხვადასხვაგვარი ნიუანსის გამომხატველი (სადილი – ტრაპეზი – წეესულება; დაუდეეარი – უპასუხისმგებლო – უყურადღებო – გაუფრთხილებელი); სტილისტიკური (შეძლებული – საუბ. ჩაქცეული; ტრუსი – საუბ. ნიფხაეი) და სემანტიკურ-სტილისტური – ორიეე ამ ფუნქციის შემთავსებელი (მიდის – მიიზლაზნება).

სტრუქტურის მიხედვით გამოყოფილია ს-ის შემდეგი ჯგუფები: სხვადასხვა ძირიდან წარმოებული (ნაღებული – ნაწყობილი – ნალაგებული. გამოწყვეტილი – გამოწყობილი); ერთი ძირიდან, მაგრამ ერთმანეთისაგან პრეფიქსებით განსხვავებული (შექმნილი – წარმოქმნილი, დაგროვებული – მოგროვებული – შეგროვებული); სუფიქსებით განსხვავებული (მო-

ხუცი – მოხუცებული, ფერადი – ფერადოვანი): ერთდროულად პრეფიქს-სუფიქსებით წარმოქმნილი (საკვირველი – განსაკვირი – განსაკვირველი). ერთი ძირის ს ქმნიან ავრეთვე სატყვაგაორკეცებული კომპოზიტები (ჭრელი – ჭრელა-ჭრელა, არეული – არეულ-დარეული, ფერადი – ფერად-ფერადი), სიტყვა – რთული სიტყვა (ნათელი – თვალნათელი, ამაყი – გულამაყი, დაბალი – ტანდაბალი). დაბოლოს, ს. შეიძლება იყოს სიტყვა და შესიტყვება (აშკარა – ცხადზე უცხადესი, სადილი – პურის ჭამა).

ლიტ.: ფ ო ნ ხ უ ა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული სინონიმიკის ლექსიკოგრაფიული საკითხები. – «იკე». XXII, 1980; Балли Ш., Французская стилистика, пер. с франц., М., 1961; Чикобава А. С., Реальность синонимов и возможность синонимических словарей. – В сб: „Лексическая синонимия", М., 1967; Евгеньева А. П., Введение – Словарь синонимов русского языка, т. I, Л., 1970; Ульманн С., Семантические универсалии. – «Новое в лингвистике», вып. 5, М., 1970; Синонимы русского языка и их особенности, Л., 1972; Шмелев Д. Н., Проблемы семантического анализа лексики, М., 1973; Апресян Ю. Д., Лексическая семантика. Синонимические средства языка, М., 1974; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Новиков Л. А., Семантика русского языка, М., 1982; Александрова З. Е., Словарь синонимов русского языка, М., 1989; Новый объяснительный словарь синонимов, М., 1995; Thomson U. F., Some remarks on synonymy. – «Analyses», 1952, Vol. 12, №3, Filipec U., Česká synonyma hekediska stylistiky a lexikologie, Praha, 1961; Puchacek O., Diferent types de synonymes. – «Orbis», 1964,t. 13, №1.

მ. აბალაკი.

სინონიმთა ლექსიკონი, სპეციალური ლექსიკონი, რ-შიც სინონიმური სიტყვები თუ ფრაზეოლოგიზმებია თავმოყრილი, განმარტებული და ილუსტრირებული. ს. ლ-ის სალექსიკონო სტატია წარმოადგენს სინონიმურ მწკრივს (სერიას), რ-შიც ლექსიკური ერთეულები სემანტიკური სიახლოვის მიხედვით არის დალაგებული. ამგვარი მწკრივი შედგენილობის თვალსაზრისით არასოდეს არის ჩაკეტილი, დასრულებული. იგი დამოკიდებულია იმ მასალაზე, რის საფუძველზეც იგება ს. ლ. დიალექტური მასალის გამოყენება ბევრად ხრდის სინონიმურ მწკრივებს. ამავე დროს, სიტყვათა პოლისემიურობის გამო, ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული შეიძლება აღმოჩნდეს ორ და მეტ სინონიმურ მწკრივში. სიტყვის სინონიმურ მნიშვნელობას, მის სემანტიკურ „აღგილს" სინონიმურ მწკრივში წარმოაჩენს სათანადო საილუსტრაციო მასალა.

ქართ. ფილოლოგიაში ცნობილია ალ. *ყიფიანის* „ქართული სინონიმთა ლექსიკონი" (I გამოც. – 1951, II – 1961, III – 1983). ამ ლექსიკონში ყოველი ლექსიკური ერთეული ანბანთრიგზეა გამოტანილი და გაგზავნილია ძირითად სინონიმურ ბუდეზე. ბუდის მეთაურ ერთეულად შერჩეულია მნიშვნელობით დომინანტი სიტყვა. ზოგიერთ სალექსიკონო ერთეულს ახლავს სათანადო საილუსტრაციო ნიმუშები.

არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტში მ. ჭაბაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო და ახლაც გრძელდება ქართ. ენის ს. ლ-ის დამუშავება ქუგლ-ის რვატომეულის საფუძველზე. *ა. არაბული.*

სინონიმია (< ბერძნ. synōnimia – თანამოსახელეობა), ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ ურთიერთობათა სახე, რ-იც ამ ერთეულთა სრულ ან ნაწილობრივ დამთხვევაში მდგომარეობს. ეს მოვლენა გვხვდება ყველა ტიპის ენაში და უნივერსალიას წარმოადგენს. იგი ახასიათებს ენის ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ, გრამატიკულ, სიტყვაწარმოებით სისტემებს.

ს. ასახავს ობიექტური სამყაროს თვისებებს. მისი ლინგვისტური ბუნება განისაზღვრება ენობრივ ერთეულთა სიახლოვის ხარისხით და აიხსნება ნიშნისა და მნიშვნელობის ასიმილაციით. ენობრივი სტრუქტურის ასიმეტრია, რ-იც ვლინდება აღსანიშნსა და აღმნიშველს შორის ცალსახა მიმართების დარღვევაში, პარადიგმატულ სიბრტყეზე წარმოქმნის ს-სა და *პოლისემიას*. ამიტომ ეს ორი, თავისი არსით დაპირისპირებული მოვლენა, მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ნიშანსა და მნიშვნელობას შორის არამდგრადი წონასწორობის გამო ერთი და იგივე შინაარსი შეიძლება რამდენიმე ნიშნით იყოს გამოხატული (ს.) და, პირიქით, ერთსა და იმავე ნიშანს აქვს უნარი, გადმოგვცეს არა მხოლოდ მასზე მიმაგრებული ერთი რომელიმე მნიშვნელობა, არამედ ახლომდგომი ან მსგავსი მნიშვნელობებიც (პოლისემია).

არსებობს ს-ის ვიწრო და ფართო გაგება. პირველ შემთხვევაში იგულისხმება მნიშვნელობის თვალსაზრისით ენობრივ ერთეულთა სრული დამთხვევა. ასეთი მიდგომა ფასეულია გამონათქვამთა აღეკვატური პარაფრაზირების დროს, მაგრამ განხილული კატეგორიის გარეთ რჩება აზრებისა და გრძნობების ნიუანსების გამოხატვის შესაძლებლობა. მეორე მიდგომის შემთხვევაში სინონიმებად გაგებულია ის ერთეულები, რ-ებიც მნიშვნელობით ნაწილობრივ ემთხვევიან ერთმანეთს.

განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებითა და ფუნქციური მრავალფეროვნებით გამოირჩევა ლ ე ქ ს ი კ ურ ი ს., რ-ის მეშვეობითაც გადმოიცემა სიტყვაში გამოხატული ექსპრესიულ-ემოციური ნიუანსები და შეფასებები, განსხვავებული ჟანრები და სტილები.

აქედან გამომდინარე, გარჩეულია ს-ის ორი ძირითადი სახე: ს ე მ ა ნ ტ ი კ ურ ი (იდ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი) და ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ურ ი. სემანტიკური ს. დაკავშირებულია ერთი და იმავე მნიშვნელობის დიფერენციაციასთან (არაწეულებრივი – საკვირველი, მძიმე – ცელქი, ამაყი – მედიდური); სტილისტიკური ს. გამოიხატება ერთნაირი საგნობრივი მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებული სტილისტიკური შეფერილობის მქონე სიტყვებით (არაქათი – საუბარ. სიქა, მოხუცი – უპატივცემულო, გამოკვეთილი – წიგნ. შეცნობილი).

ფუნქციურად ს. არის ენობრივ ერთეულთა უნარი, ჩაენაცვლონ ერთმანეთს გარკვეულ კონტექსტებში. ეს შესრულებულია სიტყვათა იგივეობის ან მსგავსების საფუძველზე: „ის გახდა ლინგვის-

ტი“ – „ის გახდა ენათმეცნიერი“, „მაგიდაზე ეყარა წერილმანი ნივთები“ – „მაგიდაზე ეყარა უმნიშვნელო ნივთები“. სიტყვათა სინონიმურობის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც მაღალია მათი ურთიერთჩანაცვლების სიხშირე, რაც უფრო მეტია პოზიციები, რებშიც სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავებულ სემებს შეუძლიათ ნეიტრალიზაცია.

ლექსიკურ ს-სთან ერთად გამოიყოფა მისი შემდეგი სახესხვაობები: ფრაზეოლოგიური („ეისიმე დღე დათვლილია“ – სიკვდილის პირასაა, „ტეინს ამოაცლის“ – თავს მოაბეზრებს, „ბულს გაუწყალებს“ – საქმეს გაუჭირვებს); სიტყვაწარმოებითი (მორფემათა სემანტიკური ეკვივალენტობა: არა- – უ (არნახული – უნახავი); -არ- – -ეე- (ნაქალაქარი – ნაქალაქევი); შე- – მო- (შექუნებული – მოქუნებული); გრამატიკული, როდესაც სახეობა ფუნქციურად იგივეობრივი გრამატ. ფორმების შინაარსობრივი ეკვივალენტობა (ულამაზესი – ყველაზე ლამაზი, ატირდა – დაიწყო ტირილი) ან საერთო მნიშვნელობის მქონე წინადადებათა სინტაქსური გარდაქმნები („ეს წიგნი მან წაიკითხა“ – „ეს წიგნი მის მიერ არის წაკითხული“, „ის ხშირად დადის ლექციებზე“ – „ის იშვიათად აცდენს ლექციებს“).

ლიტ. იხ. სტატიასთან *სინონიმები*. *ა. ბაბალაკი.*

სინტაგმა (ბერძნ. sýntagma — ერთად აგებული, შეერთებული), 1. *შესიტყვება*, ორი ან მეტი ენობრივი ერთეულის შეხამება მეტყველების ნაკადში (ამ გაგებით ტერმ. ს-ის ხმარება ფ. დე სოსიურის სახელთან არის დაკავშირებული); რამდენადაც მეტყველება სწრაფად აღიქმება, იგი დროში განფენილობითი ხასიათდება, ამიტომ მეტყველების ნაკადში ერთმანეთის შეუხამება ერთმანეთის მომდევნო ერთეულები. ჩვეულებრივ ს-ებს ქმნიან სიტყვათა შეხამებები (შესიტყვებები): „სახლის+წინ“, „ქვიშაკირის+სახლი“, „მაღალი+სახლი“, „სახლში+შევიდა“, „სახლი +დაინგრა“... მათ გარეგან ს-ს უწოდებენ; მაგრამ შეიძლება ს-ს ქმნიდნენ ისეთი ენობრივი ერთეულები, რ-ებიც სიტყვაზე მოკლეა: „გადა +სახლება“, „სახლ-ეული“, „სახლ-კარი“, „სახლ+ მმართველობა“... ამ შემთხვევაში შინაგან ს-ზე ლაპარაკობენ. ს. შეიძლება შედგებოდეს სიტყვაზე უფრო გრძელი ერთეულებისაგანაც: „მაღლობზე დგას+ორსართულიანი ქვითკირის სახლი“.

2. მელოდიკურ-შინაარსობრივი მთლიანობა, რ-იც მოცემულ კონტექსტში გამოხატავს ერთ ცნებას და შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისა, სიტყვათა ჯგუფის ან წინადადებისაგან. ხშირ შემთხვევაში ს-ებად გვევლინება სინტაქსური წვლილები (მსაზღვრელ-საზღვრული, ნართული სიტყვები და ა. შ.). მაგრამ სინტაქსური და სინტაგმატური დაყოფის თანხვედრა აუცილებელი არ არის. პირუკუ, ერთი წინადადების სხვადასხვაგვარი სინტაგმური დაყოფა საშუალებას იძლევა გამოიხატოს ამა თუ იმ გამონათქვამის მნიშვნელოვანი ნიუანსები და მოდალობა.

სხვადასხვაგვარი სინტაგმური დაყოფა ერთი და იმავე წინადადებისა ხშირ შემთხვევაში განსხვავებულ აზრს გამოხატავს (იხ. *მელოდიკა*).

ს., როგორც მინიმალური ერთეული. სტრუქტურულად დაიყოფა რიტმიკულ ჯგუფებად. რ-ებიც გაერთიანებულია სიტყვათმახვილით. სინტაგმებად დაყოფის ძირითადი საშუალებაა – *პაუზა*, რ-იც თან ახლავს *ტონის, ტემპის* და *ინტენსივობის* ცვალებადობას. ს-ის უკანასკნელი სიტყვა ატარებს სინტაგმატურ მახვილს. შესაძლოა, ს-ის რომელიმე სიტყვა იყოს საგანგებოდ გამოყოფილი (ე. წ. ლოგიკური მახვილით). ს-ის ინტონაციურ-მელოდიკურ ცენტრს ქმნის მთავარი მახვილის მატარებელი სიტყვა. ს-ს ახასიათებს თავისი მელოდიკური ქარგა (კონტური).

ლიტ.: Соссюр Ф. де. Курс общей лингвистики, пер. с франц., М., 1933; Щерба Л. В., Фонетика французского языка, М., 1963; Виноградов В. В., Понятия синтагмы в синтаксисе русского языка. – იხ. მისი: Избранные труды. Исследования по русской грамматике, М., 1975.

ბ. ფოსხუა. ი. თუქლორაძე.

სინტაგმატიკა, ენის ელემენტის მიმართება ამავე დონის სხვა ელემენტებთან, რ-თან ერთად ისინი ქმნიან მის კონტექსტს. სინტაგმატური მიმართება გვხვდება ენის ყველა დონეზე: ფონოლოგიურზე (მაგ., კაკ- ფორმაში ა კ-თან და ც-თან); მორფოლოგიურზე (ერთი სიტყვის ფარგლებში თანაარსებული მორფემები. იხ. აგრეთვე *რარცა*); განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინტაგმატიკური მიმართებები სინტაქსში, სადაც წინადადების ყოველი წევრი მიმართებაშია ამავე წინადადების სხვა წევრებთან („ბავშვები თამაშობენ“; „მოსწაელე წერს დავალებას“...).

სინტაგმატიკური მიმართებების შემოტანა ენათმეცნიერებაში უკავშირდება ფ. დე სოსიურის სახელს. განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი აღნიშნული მიმართებების შესწავლას გლოსემატიკაში.

ფ. სოსიურის მიხედვით, სინტაგმატიკური მიმართებები არის თანაარსებულ ელემენტთა მიმართება და დამყარებულია მეტყველების ხაზობრივ ხასიათზე. სოსიურისეული „ენისა“ და „მეტყველების“ განსხვავების კონტექსტში სინტაგმატიკური ფაქტები განიხილება „მეტყველებაში“. თუმცა შესაძამისი წესები „ენის“ კუთვნილებაა.

სინტაგმატიკური წესები ენათა მიხედვით განსხვავებულია. ამიტომ მათ თითოეული ენისათვის ცალ-ცალკე შეიმუშავებენ მაგ., აკუსიური კომპლექსები ქართულისათვის ითვლება „უხერხულ“ მიმდევრობებად და წეულებრივ მეტყველებაში ექვემდებარება *სუპერაციას*. მაგრამ სხვა ენებში, მაგ., რუსულში აკუსიური თანიმდევრობა სრულიად ბუნებრივია. სპეციფ. კანონზომიერებების არსებობა არ გამორიცხავს ყველა ენისათვის საერთო, ზოგადი სინტაგმატიკური კანონზომიერებების არსებობას. მაგ., პრიმატულ ოპოზიციაში მყოფი ფონემების არსებობის აუცილებლება ერთმანეთის გვერდით.

ლიტ.: ჭელიძე ს., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბ., 1960; ფოფხაძე ა., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თარგმ. ფრანც., თბ., 1961; ქობალავა ი., CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, II. – «თანამედროვე ზოგადი და ზოგემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», III, თბ., 1972; Ельмслев Л., Пролегомены к

геории языка. пер.с англ. – «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960; Шеворошкин В. В., Звуковые цепи в языках мира, М., 1969; Бенвенист Э., Общая лингвистика, пер. с франц., М., 1974; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Fischer-Jorgensen E., On the definition of phoneme categories on a distributional basis. – «Acta Linguistica», Vol. 7, fasc.2, Copenhague, 1952.

ი. ქობალავა.

სინტაქსი (< ბერძნ. sýntaxis — შედგენა, წყობა), 1. გრამატიკის დარგი, რ-იც შეისწავლის სიტყვათა შეკავშირებასა და წინადადებათა ტიპებს; 2. ენის სინტაქსური წყობა, კონკრეტული ენებისათვის დამახასიათებელი საშუალებები და წესები მეტყველების ერთეულთა წარმოსაქმნელად.

ტრად. გაგებით, ს., როგორც გრამატიკის დარგი, არკვევს, რა და რა ტიპის სიტყვები შეუწყობა ერთმანეთს და როგორ, რა დანიშნულება აქვს წინადადებაში შემავალ სიტყვებს; განიხილავს წინადადების აღნაგობას, მის ტიპებსა და თითოეულისათვის დამახასიათებელ გრამატ. თავისებურებებს და აგრეთვე იმ საშუალებებს, რ-თა მეოხებითაც ხორციელდება სიტყვათა შეთანხმება წინადადებასა და სიტყვათა შეკავშირებაში.

იმ ენებში, სადაც სიტყვები მდიდარია მიმოსახრელი, ანუ ფორმაცეალების აფიქსებით, მორფოლოგია და ს. გრამატიკის თანასწორუფლებიანი დარგებია. სინტაქსური კატეგორიები მჭიდროდ არის დაკავშირებული მორფოლ. კატეგორიებთან. მაგ., ბრუნვისა და რიცხვის მორფოლ. კატეგორიები არსებითია ს-ში სიტყვათა შეწყობისათვის – *შეთანხმებისა* და *მართვისათვის.*

ს-ის საგნის შესახებ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. რამდენადაც „სიტყვა“ ყველა ენაში არ არის თანაბრად დამოუკიდებელი ერთეული, შემოთავაზებულია ს-ის უფრო ზოგადი („სიტყვის“ ცნების აქლით) დეფინიცია, რ-ის თანახმად, ს. სწავლობს წინადადების წყობებს შორის ურთიერთმიმართებებს და იმ წესებს, რ-თა საფუძველზეც ხდება წინადადებათა გარლაგება ფართო მიმდევრობებში. ამ დეფინიციის მიხედვით შეიძლება ლაპარაკი „სიტყვათა სინტაქსზეც“. ტრანსფორმაციულ გრამატიკაში სინტაქსური კომპონენტი გაგებულია როგორც გრამატიკის სამი ძირითადი კომპონენტიდან ერთ-ერთი (ფონოლოგიურ და სემანტიკურ კომპონენტებთან ერთად), რ-იც შეიცავს წესებს სინტაქსურ სტრუქტურათა წარმოსაქმნელად. ერთი თვალსაზრისით, ს-ის საგნად სიტყვათა შეხამება-შეკავშირებაა მიჩნეული, სხვა თვალსაზრისით – წინადადება, წინადადების წევრები. ქართ. ენის ს-ის მკვლევრები აანალიზებენ წინადადებას როგორც სიტყვათა შეხამება-შეკავშირების, ასევე წინადადების წევრთა სტატუსის დადგენის თვალსაზრისით.

ცალკეულ ერთეულთა სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს იმის მიხედვით, თუ რა ლოგიკურ, გრამატ., სტილისტიკურ, საკომუნიკაციო დატვირთვას შეიძენენ ისინი. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რ-იც გავლენას ახდენს სინტაქსური ელემენტების ფუნქციაზე: შეხამებულ ერთეულთა გრამატ. ფორმა; მათი განლაგების რიგი; მათი შემაერთებელი დამხმარე სიტყვები; ინტონაცია, რიტმო-მელოდიკა და სხვ.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა ტენდენცია ს-ის სფეროს გაფართოებისა პრაგმატიკისა და კომუნიკაციის თეორიის მიმართულებით. თანდათანობით სინტაქსურ კვლევაში შემოდის ისეთი პრობლემები, როგორიცაა წინადადების მიმართება მასში აღწერილ სიტუაციებთან, ზეფრაზული ერთეულების ანალიზი, სუბიექტური ინტერპრეტაციები და მისთ.

კვლევის სფეროს გაფართოების შესაბამისად, სინტაქსური ანალიზისათვის ნაირგვარი მეთოდებია გამოყენებული. მათგან უმთავრესია, ერთი მხრივ, წინადადების „ტრადიციული“ ანალიზი წევრთა მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, სტრუქტურალისტური ანალიზი, კერძოდ — სინტაგმატური ანალიზის მეთოდი, წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენელთა მიხედვით. ამ უკანასკნელისაგანაა განვითარებული ტრანსფორმაციული და რელაციური მეთოდები, დისტრიბუციული ანალიზი, არის ცდები ფსიქოლინგვისტური, სტილისტიკური, სემანტიკური თუ სხვ. მეთოდების დანერგვისა სინტაქსური ანალიზის სფეროში.

ლიტ.: ქავთარაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977; ჭუმბაძე ლ., ძირითადი სინტაქსური თეორიები, თბ., 1988; Теньер Л., Основы структурного синтаксиса, пер. с франц., М., 1988; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ქ. გაბუნია.

სინტაქსური კონსტრუქცია, წინადადების ნარჩო (ცალიბი), რ-იც შექმნილია სმნა-შემასმენლისა და მის მიერ რეალიზებულ პირთა კოორდინაციით.

რამდენადაც წინადადება აზრის გამოხატვის ფორმაა, მის სტრუქტურაში გამოიყოფა ორი რიგის ერთეულები, რ-თაგან ზოგს მნიშვნელობა აქვს აზრის სისრულისათვის, ხოლო ზოგს – აზრის დაზუსტებისათვის. ამ ერთეულთა შორის სინტაქსური კავშირიც სხვადასხვაგვარია: ერთი მხრივ – *კოორდინაცია*, ხოლო მეორე მხრივ – სუბორდინაცია (იხ. *დაქვემდებარება*). კოორდინაციული სტრუქტურა წინადადების ს. კ-ს ქმნის.

კონსტრუქციის შესახებ მსჯელობისას უნდა განვასხვაოთ ორი საფეხური: 1) წინადადების კონსტრუქციული მოდელი და 2) მოდელის ინტერპრეტაცია (რეალიზებული მოდელი). პირველი ზოგადფორმობრივი ხასიათისაა, მეორე – კონკრეტული.

პირველი მოტივირებული რიგი ლოგიკური (პრედიკაციისა) და გრამატ.-(კოორდინაციული) ურთიერთობის საფუძველზე ქმნის წინადადების ს. კ-ს.

ქართ. ენაში კონსტრუქციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კოორდინატთა გრამატ. ფორმას. სხვა საშუალებანი მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებენ წინადადების რეალიზებულ ვარიანტებში.

კონსტრუქციის ანალიზი გულისხმობს მასში შემავალ გრამატ. ფორმებს შორის დამოკიდებულების დადგენას იმ დონეზე, რიც ქმნის სინტაქსურ კავშირს და ყოველი ამ ფორმის შეხამებულობას, რის შედეგადაც ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენათა შეფარდება იქმნება.

ლიტ.: სიხარულიძე არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში,

თბ., 1968; ქ ე ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

კ. გაბურია.

სინქრონია (< ბერძნ. synchronos – ერთდროული; syn–თან, chrónos–დრო), 1. ენის მდგომარეობა მისი ისტორიის კონკრეტული მომენტისათვის, იქნება ეს ახლანდელი თუ წარსულის რომელიმე მონაკვეთი (მაგ., თანამედროვე ქართული ან XIX ს. ქართული). ამით ს. განსხვავდება როგორც დიაქრონიისაგან, რ-იც გულისხმობს ენის ცვალებადობას დროში (იხ. *დიაქრონია*), ისე პ ა ნ ქ რ ო ნ ი ი ს ა გ ა ნ, რ-იც ალიარებს ენის ზედროულ, უცვლელ ხასიათს. 2. ენის შესწავლა ს-ში, როგორც მოცემული მომენტისათვის არსებული მდგომარეობისა.

ს-ის (ისევე, როგორც დიაქრონიის) ცნება ენათმეცნიერებაში შემოტანილია ფ. დე სოსიურის მიერ. მასვე უკავშირდება შესაბამისად სინქრონიული და დიაქრონიული ლინგვისტიკების გარჩევის აუცილებლობის აღიარება.

ს ი ნ ქ რ ო ნ ი უ ლ ი ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა, ფ. სოსიურის მიხედვით, ენობრივ მდგომარეობას განიხილავს როგორც ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ ერთეულთა სისტემას, ე ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ა ს. სინქრონიული ლინგვისტიკა ადგენს იმ წესების (საერთოდ იმ ფაქტორების) ერთობლიობას, რებიც დროის ნებისმიერ მონაკვეთში უზრუნველყოფენ ენის ფუნქციობას, ე. ი. მოლაპარაკეს სუბიექტთა მიერ ენის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

ენის, როგორც ღირებულებათა სისტემის, გაგება გულისხმობს ს-ისა და დიაქრონიის გამიჯვნის აუცილებლობას: ენობრივი ღირებულება იქმნება მხოლოდ სინქრონიული მიმართებების საფუძველზე. ამიტომ ენის მდგომარეობა, რ-იც აღებულია დროის ამა თუ იმ მომენტისათვის, არ განიხილება წინა მდგომარეობასთან (საერთოდ ენის ცვალებადობასთან) კავშირში. მაგ., თანამედროვე ქართულზე მოლაპარაკეს არ ჭირდება იმის ცოდნა, თუ საიდან მომდინარეობს მოთხრ. ბრ-ის ნიშანი -მა. კომუნიკაციისათვის საკმარისია მან იცოდეს -მა და -მ ალომორფების განაწილება.

მაგრამ ს-ისა და დიაქრონიის გამიჯვნა არ ნიშნავს მათ შორის ურთიერთკავშირის უარყოფას. სინქრონიული სისტემა არ არის უძრავი და აბსოლუტურად მყარი. პირველ ყოვლისა, მასში შემოდის რა (*მუტაციების* გზით) დიაქრონიული ფაქტი, იგი იწვევს მიმართებების გადანაწილებას, რასაც თან ახლავს ღირებულებათა სისტემის, ე. ი. ენის მდგომარეობის შეცვლა. ენის ისტორია წარმოგვიდგება როგორც სინქრონიულ მდგომარეობათა მონაცვლეობა. თავის მხრივ, სინქრონიული მდგომარეობების ცოდნა აუცილებელია დიაქრონიული ცვლილებების დასადგენად. ლოგიკურად სინქრონიული კვლევა წინ უნდა უსწრებდეს დიაქრონიულს; სინქრონიული ლინგვისტიკა ქმნის საფუძველს დიაქრონიული ლინგვისტიკისათვის. ამასთანავე, სინქრონიულ სისტემაში მაინც აისახება ენაში მუდმივად არსებული მოვლენები, როგორიცაა ენის ყოველი მომენტისათვის *არქაიზმების* და *ნეოლოგიზმების*, დიალექტიზმების, ასევე თაობათა შორის განსხვავებული ენობრივი უსუსების არსებობა და მისთ., რ-ებიც (ძირითადად განსხვავებული სტილური სტატუსით) თავისუფლად თავსდება მოქმედ ენობრივ სისტემაში.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., აღწერითი (სინქრონიული) და ისტორიული (დიაქრონიული) ენათმეცნიერების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ენათმეცნიერებაში. – «იკვ», XI, თბ., 1959; С о с с ю р Ф. де, Курс общей лингвистики, пер. с франц., М., 1933 (ქართ. თარგმ., თბ., 2002); К о с е р и у Э., Синхрония, диахрония и история. – «Новое в лингвистике», вып. 3, М., 1963; Общее языкознание. Методы лингвистических исследований, М., 1973; К у б р я к о в а Е. С., Синхрония. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ი. ქობალავა.

სიტყვა, ენის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული, რ-იც აღნიშნავს საგნებს, მოვლენებს, პროცესებსა და მათ თვისებებს. იგი ერთდროულად ხასიათდება ფონეტ.-ფონოლოგიური, გრამატ., სემანტიკური (აგრეთვე გრაფ.) ნიშნებით და მათი შესაბამისი სტრუქტურებით, რ-თაც შეისწავლის ენათმეცნ. სხვადასხვა დარგი: ფონეტიკა და ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსი, ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია. ენობრივ ერთეულთა იერარქიაში ს-ზე მცირე ერთეულია *მორფემა*: ს. შედგება ერთი ან მეტი მორფემისაგან და, თავის მხრივ, შედის მასზე მსხვილი ერთეულის — *წინადადების* შემადგენლობაში.

მაგრამ არც ერთი ჩამოთვლილი ნიშანი აბსოლუტური არ არის. ქველა ენაში მოიძებნება გამონაკლისები, რ-ებიც არ თავსდებიან სის ამა თუ იმ სტრუქტურის ფარგლებში. რეალურად სიტყვათა დელიმიტაციისა და იდენტიფიკაციის პროცესები საკმაოდ რთულია. მაგ., სხვადასხვა თვალსაზრისით დადგენილი ს-ის სტრუქტურები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა, როგორც ეს ხდება ფონეტ. და მორფოლ. ს-ებში (ლიზოონის, *ენკლიტიკის* და *პროკლიტიკის* შემთხვევებში და მისთ.). ამ და სხვა (სინტაქსური, სემანტიკური ...) ფაქტორების მოქმედება საკმაოდ ართულებს ქველა ენისათვის საერთო, ზოგადი დეფინიციის მიღებას, ერთიანი კრიტერიუმის დადგენას. საღავოდაა მისნეული თვით ს-ის არსებობაც კი ზოგ ენაში (მაგ., ამერიკის ინდიელთა ინკორპორირებული ტიპის ენებში, რ-შიც ს.-წინადადების რთული კომპლექსია წარმოდგენილი). ს-ის არაერთგვაროვანი ბუნებიდან გამომდინარე, ენათმეცნიერებაში არსებობს სხვადასხვა (ფუნქციურ, ფორმალურ...) პრინციპზე აგებული მრავალი დეფინიცია. ზოგ მიმდინარეობაში (მაგ., დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში) იყო ცდები ანალიზის პროცედურაში ს. შეეცვალათ მნიშვნელობის მქონე უმცირესი ერთეული – მორფემებით. ს-ის უარყოფის ქველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა. აღნიშნული სირთულეების მიუხედავად, არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რ-იც სიტყვათა იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ესენია: ს-ის შემადგენელ კომპონენტთა სტაბილურობა (შდრ. წინადადების შემადგენელთა პოზიციური გადანაცვლების შესაძლებლობა); წარმოთქმის უწყვეტობა ანუ კოჰეზიურობა (შდრ. სუსტი პაუზების არსებობა სიტყვათა შორის); ფონემური შედგენილობა (შდრ. ს-ის თავკიდურისა და ბო-

ლოკიდურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფონემათმიმდევრობები, სასაზღვრო სიგნალები და მისთ.), მახვილი (განსაკუთრებით – ფიქსირებული) და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ს. მოლაპარაკეთათვის არსებული რეალობაა.

გრამატ. და სემანტიკური ნიშნებით ს. მიეკუთვნება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს. მაგრამ განსხვავებული ფონოლოგიური, გრამატ., სემანტიკური თავისებურებების მიხედვით შესაძლებელია გამოიყოს სიტყვათა სპეციფ. კლასები, რ-ებიც აკლებენ მეტ სიზუსტეს და თავისუფალი არიან ტრად. ცნებითი დეფინიციის ზოგიერთი ბუნდოვანებისაგან.

ლიტ.: შარაძენიძე თ. თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; *ფოხუა ბ.* ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; *სტურუა ნ.* სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1976; Морфологическая структура слова в языках различных типов. М.–Л., 1963; Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990; Roceric A., The Linguistic concept of word. Analytic Bibliography. The Hague – P., 1972; Crystal D., Dictionary of Linguistics and Phonetics, Third ed., Cambridge, Massachusets, 1991.

ნ. სტურუა.

„ს." ქართულში პოლისემიურია: 1. ძვ. სიტყუა – საწყისი (მასდარი „იტყვის" ზმნისა) – თქმა, მეტყველება; 2. ახ. – ბგერათშეერთება, რ-საც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს, *სიტყვა* („ქართული სიტყვა", „უცხო სიტყვა"); 3. მეტყველება, ენა („სიტყვა ჩვენი მძიმეა"); 4. ლაპარაკი, საუბარი („სიტყვას არ გაეგარძელებთ"); 5. ნათქვამი („სიტყვა საქმედ უნდა იქცეს"); 6. სათქმელი („სიტყვა ათქმევინეს", „სიტყვის თავისუფლება"); 7. საჯარო გამოსვლა, მოხსენება („შესავალი სიტყვა", „მისასალმებელი სიტყვა"); 8. პირობა („სიტყვის მიცემა", „სიტყვის გატეხა"); 9. ბრძანება, გადაწყვეტილება („მეფის სიტყვას ვერავინ გადაეა"); 10. ფილოს. ლოგოსი – განკაცებული ღმერთი, „პირველი გონება", ქრისტე („პირველთაგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისაჲთანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი").

დ. მელიქიშვილი.

სიტყვანი, I. ენციკლოპედიურ გამოცემებში სტატიათა სახელწოდებების (ტერმინების) სრული ნუსხა, რ-შიც, როგორც წესი, მოცემულია მოკლე ანოტაციები და აღნიშნულია სტატიათა მოცულობები (სასტამბო ნიშანთა რაოდენობა); ზოგ შემთხვევაში მინიშნებულია აგრეთვე სტატიის ბიბლიოგრაფია, საილუსტრაციო და კარტოგრაფიული მასალით აღჭურვის საჭიროება და, თუ ეს პერსონალიასა და ისტ. მოვლენებს ეხება, თარიღებიც.

ენციკლოპედიის ს. (უნივერსალურისაა იგი თუ დარგობრივის) მთელი გამოცემის თავისებური პროსპექტია. იგი განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და პროფილს, გამოხატავს მის იდეურ-პოლიტ. შინაარსს, ასახავს მეცნ. დონეს.

ენციკლოპედიის მსადების პირველ საფეხურზე მეცნიერების უახლესი კლასიფიკაციის გათვალისწინებით დგება თ ე მ ა ტ უ რ ი ს. ცოდნის ცალკეული დარგებისა და სამეცნ. დისციპლინებისათვის ამ დროს ხდება ტერმინთა შერჩევა სათანადო კრიტერიუმებით, მათი განლაგება ტერმინოლოგიური ურთიერთდაქვემდებარების პრინციპით (ზოგადი ცნებიდან კერძოსაკენ), მასალის მიწოდების ერთიანი სისტემის გამომუშავება, ცოდნის დარგების, სამეცნ. დისციპლინათა და ცალკეულ სტატიათა შორის მოცულობითი თანაფარდობის დადგენა და სხვადასხვა დარგის ტოლფასოვან ტერმინთა ნორმატიული უნიფიცირება, სტატიათა ციკლების (თემატურად მონათესავე სტატიათა ჯგუფების) გამოყოფა. ამ უკანასკნელ ტარდება სის ე. წ. მომიჯნავე კითხვა დაინტერესებულ დარგებს შორის, შინაარსობრივად ურთიერთშემავებელ ტერმინთა დაკავშირება ე. წ. მითითებათა სისტემის მეშვეობით. თემატური ს-ის მომზადებაში, როგორც მისი შედგენის, ისე სახ. განხილვის პროცესში მონაწილეობენ მოცემული დარგის წამყვანი სპეციალისტები.

თემატური ს-ების ბაზაზე, მათი შერწყმის შედეგად იქმნება საერთო ანბანური ს., რ-შიც ცალკეული ტერმინი ლაგდება ანბანური რიგის მიხედვით. ამ სპეციფიკის გამო ანბანურ ს-ში ხშირად თავს იჩენის სხვადასხვა დარგის ერთი სახელწოდების ტერმინები, რის შედეგადაც, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი დარგი მონაწილეობს სტატიის მომზადებაში (თუ ტერმინები მონათესავეა) და როგორია მათი ხვედრითი წილი, ნდება ე. წ. კომპლ., ზიარი და მომიჯნავე კითხვის ტერმინები, სადაც, ჩვეულებრივ, მითითებულია წამყვანი დარგი, ან იქმნება ტერმინთა ბუდეები, სადაც სხვადასხვა დარგის ერთი და იგივე ტერმინი წარმოდგენილია სალექსიკონო განმარტების დონეზე. საერთო ანბანური ს. გამოსაცემი ტომების საზღვრების დადგენისა და სტატიათა დაკომპლექტების საფუძველია, მას სარედაქციო მნიშვნელობა აქვს.

2. ლინგვისტურ ლექსიკონებში – ანბანური ნუსხა (რეესტრი) სალექსიკონო ერთეულებისა (სიტყვის, ფრაზეოლოგიისა და ა. შ.), რ-ებიც მოითხოვენ განმარტებას ან თარგმნას. *ი. კიფიანი.*

სიტყვაფორმა, სიტყვის (ლექსემის) ესა თუ ის გრამატიკული ფორმა. მაგ., არსებითი სახელისათვის – ბრუნვისა ან რიცხვის, ზმნისათვის – პირის ფორმა და მისთ. სიტყვის სხვადასხვა ს-თა ერთობლიობა ქმნის ამ სიტყვის *პარადიგმას*, როგორიცაა ბრუნვის ფორმათა პარადიგმა, პირის ფორმათა პარადიგმა და ა. შ. *ნ. სტურუა.*

სიტყვაწარმოებითი ლექსიკონი, *ლექსიკონი*, რ-იც ასახავს სიტყვათა მორფემულ შედგენილობას და დერივაციულ სტრუქტურას. მი'სნებისა და შედგენილობის მიხედვით ს. ლ. შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. არსებობს შედარებით მარტივი ს. ლ-ები, რებშიც სიტყვათა შორის დერივაციული მიმართებები არ არის აღნიშნული. ასეთი შეიძლება იყოს:

ძირების ლექსიკონები, რ-ებშიც საერთო ძირის მქონე ყველა სიტყვა (ან სიტყვათა ჯგუფები) დალაგებულია ანბანზე, მ. შ. სიტყვაწარმოებითი მიმართებების აღნიშვნის გარეშე. ქართული ლექსიკონიდან ამ ტიპისაა, მაგ., „ვეფხისტყაოსნის" სიმფონია. ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი» (რედ. მ. ჭაბაშვილი, ალ. ჭინჭარაული, თბ., 1973). ლექსიკონში ბუდეებად არის შეტანილი ვეფხისტყაოსნის ყველა *სიტყვა-*

ფორმა, დაჯგუფებული მარტივი ფუძეების (ძირების) მიხედვით;

სიტყვათა მორფემული შედგენილობის ლექსიკონი, რ-შიც წარმოდგენილია მორფემებად დაშლილი სიტყვები ანბანურ რიგზე (ვთქვათ, სა-წერ, სამოსან...) ან ბუდეებად (მაგ., ძმა, ძმური, სა-ძმ-ო...) და ა. შ.

დერივაციული სტრუქტურის ამსახველ ს. ლ-ებში სიტყვები (ფუძეები) სიტყვაწარმოებითი მოტივაციის მიხედვით შეიძლება დალაგებული იყოს ბუდეებად, ან გაწყობილი იყოს ანბანზე სიტყვათა ჯგუფების (მეტყველების ნაწილების) სიტყვაწარმოებითი თავისებურების გათვალისწინებით. მაგ., ასეთებია სახელური ან სმნური ფუძეების ლექსიკონები (იხ. *ფუძეების ლექსიკონი*).

ს. ლ-ებს განეკუთვნება აგრეთვე აფიქსური მორფემების ლექსიკონი (იხ. *მორფემების ლექსიკონი*). *ც. კვარტალიანი.*

„სიტყვის კონა“, *ლექსიკონის* სინონიმური ტერმინი. პირველად ჩანს ს.-ს. *ორბელიანის* „ქართული ლექსიკონის“ სახელად, შემდეგ კი ეს ტერმინი სხვა ლექსიკოგრაფებმაც გამოიყენეს: ილ. ჭყონია, „სიტყვის კონა“; ვუკ. ბერიძე, „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“; ა. ღლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“.

ტერმინი „ს. კ.“ წარმოშობით უკავშირდება სიტყვა „ლექსიკონის“ მცდარ ეტიმოლოგიას: ძველ გრამატიკოსებთან „ლექსი“ იხმარებოდა სიტყვის მნიშვნელობით, ლექსიკონი კი ქართულის ნიადაგზე გაგებულ იქნა როგორც ლექსი + კონი, ანუ „სიტყვის-კონა“. სულხან-საბა თავისი ლექსიკონის ანდერძნამაგში წერს: „... რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უნინო ქმნილ იყო, რომელსა მეხუთე ეახტანგ მეფემან ქართულად «სიტყვის კონა» უწოდა“. ამ ტერმინს საბა მეორეგანაც იმეორებს: „ამა «სიტყვისა კონასა» რა ხელი მიეყავ, (წინამძღვარი იობ) მგმობდა და მეკიცხოდა. ოდეს გავასრულე, მნახა, მოუწონა...“. ამის შემდეგ ცალკეულ ნაწარმოებებსა თუ ლექსიკონების მინაწერებში ხშირად მეორდება ტერმინი „ს. კ.“, სადაც ხაზი გაესმის ტერმ. „ლექსიკონის“ „კონი“ სეგმენტის „კონად“ გაგებას. შდრ. ერთ-ერთი გადამნუსხველის მინაწერი: „შეჰქმნა ნეტარმან საძირკულად ლექსთკონა ესე დამყარად... შეკრიბა ახლად ლექსები, განბნეულნი მთად და ბარად“.

ა. არაბული.

სიტყვის მასალა, ლაკონური, ქარაგმული ხატოვანი გამონათქვამი, რ-იც უშუალოდ საუბრის ობიექტს მიემართება, მასზე ითქმის. წარმოქმნილია უპირატესად *ანდაზის*, იგავის, ლექსის... შემოკლება-შეკუმშვით. თვითონ არ შეიცავს დასრულებულ მსჯელობას ან დასკვნას, მაგრამ ანდაზასთან, იგავთან ... ქეშეცნეულად შენარჩუნებული კავშირის მეშვეობით მსმენელს მყისვე მიანიშნებს თავისი პირველწყაროს გადატანით აზრზე. ანდაზასთან დაკავშირებულია ს. მ.: ახალი ცოცხია — ახალი ცოცხი კარგად გვეს, ძველი მოატანს ქვიშასა; გაღააგდეს სლეშაში თევზი — ლოქო დასაჯეს და ზღვაში გადააგდესო; ერთხელ კოჭლიც წინაო — ფარა მობრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო; რიყეზე ქვა დაეკარგებაო — რიყე ისე ამოვიარე, კენჭიც არ დამინახავსო; ძაღლი ხსენებაზედაო — ძაღლი ახსენე, ჯოხი ხელში დაიჭირეო; ავჭალაში ქორწილიაო — ავჭალაში ქორწილია, მცხეთაში დოლს უკრაენო; ხავსს ეჭიდება — წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო; ავი ძაღლია — ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო; დაბალი ღობეა — დაბალ ღობეს ყველა ადვილად გადაქნევასო... მიუხედავად ასეთი მჭიდრო გენეზისური და აზრობრივი კავშირისა, ს. მ. ანდაზისაგან სტრუქტურულად განსხვავებულია: საანდაზო წინადადება იყოფა მტკიცედ შეკრულ სინტაქსურ-ინტონაციურ ერთეულებად (წყალწაღებული / ხავსს ეჭიდებოდაო; ორი კურდღლის მდევარი / ეურცერთს ვერ დაიჭერსო...), ს. მ. კი ასეთი დაყოფის შესაძლებლობას მოკლებულია.

ს. მ. — არ ვირი, არ ვირის პატრონი — იგავიდან მომდინარეობს: მოლამ ერთი კაცისაგან ვირი აიბარა, ოცი წლის განმავლობაში წურა-კითხვას ვასწავლიო. სასყიდლად წინასწარ გამოართვა ათი თუმანი. ცოლს გაუკვირდა, ვირს ანაბანა როგორ უნდა ასწავლოო. მოლამ უთხრა: ოც წელიწადს ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო!

ს. მ. — დაიცა, გნახავ ლიახვო! — ხალხ. ლექსიდანაა: „დაიცა, გნახავ, ლიახვო, დაგხვეოდნენ კოღოები, ბიჭ-ბუჭნი გაჭყამპალებდნენ და გწკუმპლავდნენ გოგოებიო“.

ცნობილი ზღაპრიდან წარმოშობილია ს. მ. მურმანის ეკალი!

შესაძლოა სოგჯერ ს. მ-ის წარმომავლობის დადგენა ჭირდეს, ან დამოუკიდებელ, პირვანდელ გამონათქვამთან გექონდეს საქმე. მაგ.: ავადმყოფს პკითხავენ.

ს. მ. „სიტყვას მოაქეს“, საუბარში ორგანულადაა ჩართული, აცოცხლებს, გამომსახველობას პმატებს მას.

ლიტ.: ერთელიშვილი შ., ანდაზის ცნების საკითხისათვის.— «მნათობი», 1957, №3; ზანდუკელი შ., ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის. — «ქართული ფოლკლორი» (მასალები და გამოკვლევები), I—II, თბ., 1964; ლეჟავა ლ., ხალხური სიბრძნე, V, თბ., 1965; ქსე, ტ. 9, თბ., 1985; Потебня А. А., Из лекций теории словесности, Харьков, 1930; Ушаков Д. Н., Толковый словарь русского языка, т. 3, М., 1939; БСЭ, т. 33, М., 1955; Даль В. И., Пословицы русского народа, М., 1957.

ლ. ლეჟავა.

სიტყვის ფორმა, 1. მორფოლოგიური საშუალებით გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ვარიანტი გარკვეული სიტყვისა. ამ მნიშვნელობით ს. ფ. და სიტყვაფორმა პარალელური ტერმინებია.

2. მორფოლოგიური საშუალებით გამოხატული ვარიანტი – მოდელი სიტყვათა მთელი კლასისათვის, მაგ., ერგატიული ბრუნვის ფორმა სახელთათვის.

ნ. სტურუა.

„სიტყუაჲ ართრონთათჳს“, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, დაწერილი XI—XII სს. *ეფრემ მცირის* ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლის (შესაძლოა, თვით ეფრემის ან *არსენ იყალთოელის*) მიერ. 1982-მდე ცნობილი იყო მხოლოდ 1541 გადაწერილი ნუსხის მიხედვით. მას შემდეგ, რაც *ათონის ივერთა მონასტრის* ხელნაწერები ხელმი-

საწედომი გახდა (მიკროფილმების საშუალებით), თხზულების ტექსტი აღმოჩნდა XII—XIII სს. გადაწერილ ნუსხაში (ათონ. №6).

ხელნაწერი ჰომილიათა კრებულია, რ-შიც შემორჩენილია მხოლოდ 17 (17–33) ჰომილია. ყველა მათგანი მიეწერება იოანე ოქროპირს. გრამატ. ტრაქტატი, რ-საც ცალკე სათაური არა აქვს, ჩართულია მეცხრამეტე ჰომილიაში და დაწერილია როგორც მისი ერცლი კომენტარი („შეისწავე"). ბერძნ. დედნის ავტორი (დღემდე უცნობი) ცდილობს გააბათილოს მწვალებელთა მსჯელობა მამა-ღმერთისა და ძე-ქრისტეს უთანასწორობის შესახებ, რის ერთ-ერთ არგუმენტად მწვალებლებს დასახელებული აქვთ ბერძნ. „ართრონის" (არტიკლის, ნაწეევარის) სხვადასხვაგვარი ხმარება საღმრთო სახელებთან. როგორც ქართვ. ავტორი გრამატიკის კომენტარის შესავალშივე გვამცნობს, თხზულება დაწერილია იმ მიზნით, რომ ქართვ. მკითხველისათვის გასაგები გახდეს თარგმანი, ვინაიდან ართრონთა უქონლობა ქართულში გაუგებარს ხდის ბერძნ. ტექსტს. შემდგომ ავტორი განაგრძობს, რომ ყოველგვარ ღონეს იხმარს იმის სანევნებლად, „თუ რაჲ არს ართრონი და ვითარ ეერ ეგების ენასა ზედა ქართულსა თარგმნაჲ მისი და ვითარ იჴუმევენ ამას ართრონსა ბერძენნი". ამ შესაელის შემდეგ თხზულების ტექსტი თითქმის მთლიანად წმინდა გრამატ. საკითხებს ეხება. ავტორი განმარტავს ბერძნ. ართრონის რაობას. აღნიშნავს, რომ ბერძნულში სახელები სამი სქესის („ნათესავის") არის – „მამალი", „დედალი" და „შუა". თითოეული სახელი ერთი რომელიმე სქესისაა და მისი ბრუნებაც („დრეკა") თავისი წესების შესაბამისად ხდება. ბერძნულისათვის დასახელებულია სამი რიცხვი – „ერთობითი", „ორობითი" და „განმრაელებითი". ორობითზე მსჯელობისას ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მსგავსი რიცხვი ქართულში არ არსებობს და ამიტომ ძნელი გასაგებია: „ორობითთათვის ვითარღა ცხად-ეყოთ, რამეთუ არცა იგინი არიან ენასა ზედა ქართულსა?" ბრუნვათა რიცხვი ბერძნულში (და შესაბამისად ქართულშიც) ხუთ-ხუთია მხოლოობითსა და მრავლობითში; ორობითისათვის აგრეთვე დასახელებულია ხუთი, მაგრამ აღნიშნულია, რომ აქ ხდება ფორმათა დამთხვევა, რის გამოც ორობითში ბრუნვები „სამად შეიქმნებიან". ბრუნვები ჩამოთვლილია დიონისე თრაკიელის გრამატიკ. მოძღვრების შესაბამისად, ბრუნვათა სახელწოდებანიც ბერძნულის კეალობაზეა შექმნილი: „ადვილობითი" (= სახელობითი), „შობილობითი" ანუ „ნათესაობითი", „მიცემითი", „მიზეზობითი" (= აკუზატივი) და წოდებითი. ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი (ქართ. ტრანსლიტერაციით) ართრონები თითოეული სქესის სახელისათვის, სულ 13: ხუთ-ხუთი მხოლოობითისა და მრავლობითისათვის, 3 – ორობითისათვის. მოცემულია ბერძნ. სიტყვების – „თეოს" (ღმერთი), „ტრიას" (სამება) და „ჰნევმა" (სული) – ბრუნების ნიმუშები ართრონიანად და უართრონოდ. იგიეე სიტყვებია საბრუნებლად აღებული ქართულშიც. მაგრამ ავტორი შენიშნავს, რომ ქართულში ართრონთა უქონლობის გამო მათი ბრუნება ართრონიანად მხოლოდ ბერძნ. ართრონებით შეიძლება, რაც მას დაუშვებლად მიაჩნია, გარდა წოდებითისა (ჲ ღმერთო). ავტორი ცდილობს დაასაბუთოს შეუსაბამობა, რ-იც ბერძნ. მიცემითისა და აკუსატივის ფორმათა თარგმნისას ჩნდება ქართულში: მის მიერ დასახელებულ მაგალითებში: „მისცემ... ღმერთსა" (ბერძნულში მიცემითია) და „ეძიებ... ღმერთსა" (ბერძნულში – მიზეზობითი აკუსატივი), ქართულში კი ბერძნულისაგან განსხვავებით ერთი ფორმა იხმარება. ამ შეპირისპირებიდან ჩანს, რომ ავტორს ქართ. მიც. ბრუნვის ორი „ძალი" კარგად ესმის. იგი იცნობს დიონისიოს თრაკიელისა და მისი კომენტატორების თხზულებებს. სახელობითის აღმნიშნველი ტერმინი „ადვილობითი" ერთ-ერთი კომენტატორის განმარტებიდან უნდა მომდინარეობდეს. თხზულებაში დასახელებულია აგრეთვე „ართრონნი დამორჩილებითნი", ე. ი. მიმართებითი ნაცვალსახელები, რაც აგრეთვე დიონისიოს თრაკიელის გრამატ. მოძღვრების გავლენას უნდა მიეწეროს. თხზულებაში არაფერია ნათქვამი ქართულ'ში სქესისა და ნაწეართა საშუალებით სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის შესახებ. ეს გასაგებია, რადგან ავტორის მიზანია მხოლოდ „სახელთა წინა დასასმელ" ართრონთა ქართულში არარსებობის დამტკიცება.

თხზულება მეტად მნიშვნელოვანია ქართ. გრამატ. აზროვნების ისტორიისათვის. იგი არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ XI–XII სს-ში ქართულად მართლაც არსებულა გრამატ. ლიტ-რა. ამ თხზულებაში ჩანს არა მარტო ბერძნ. გრამატიკის ცოდნა, არამედ მცდელობა ქართ. ენის სოგიერთ ფორმათა გაანალიზებისა ამ ცოდნის საფუძველზე. საყურადღებოა გრამატ. ტერმინებიც, რ-თაგან სოგიერთი დღესაც იხმარება. „ართრონ" სიტყვის განმარტება ს.ს. ორბელიანის ლექსიკონ'ში (იხ. *ორბელიანი* სულხან-საბა) მოწმობს, რომ იგი იცნობდა ამ თხზულებას.

ლიტ.: შანიძე მ., სიტყვაჲ ართრონთათჳის, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990; Shanidze M., An old Georgian Grammatical Treatise in a Collection of Homilies attributed to John Chrysostom. – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvelologie», Vol. 42, Paris, 1984. *მ. შანიძე.*

სიხშირული ლექსიკონი, სტატისტიკური ტიპის *ლექსიკონი*, რ-შიც სიტყვები დალაგებულია ენაში მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. ს. ლ. შეიძლება დამუშავდეს მთელი სალიტერატურო ენისათვის, ენის განვითარების ერთი რომელიმე პერიოდისათვის, ანდა ერთი რომელიმე მწერლის ენის მიხედვით. ს. ლ-თვის შესაფერის მონაცემებს იძლევა სიმფონია-ლექსიკონები; მით უფრო, თუ სიმფონია ერთი მწერლის, ან ერთი რომელიმე თხზულების მიხედვით არის მომზადებული, უკეე შეიძლება ლაპარაკი შესაბამისი სიხშირული სტატისტიკის შესახებ. დიდია ს. ლ-ის პრაქტ.-ლექსიკოგრაფიული და პედ. მნიშვნელობა: მის საფუძველზე შეირჩევა ძირითადი ფონდის სიტყვები, შედგება შესაბამისი განმარტებითი თუ თარგმნითი ლექსიკონები. თანამედროვე განვითარებულ ენებში მოიპოვება არაერთი ს. ლ. მაგ., რუსულში: Частотный словарь русского языка, М., 1977; Частотный словарь языка М.Ю. Лермонтова. – Лер-

МОЛТОВСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ, М., 1981, და სხვ. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტში ბ. *ფოჩხუას* ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა მუშაობა ქართ. ენის სიხშირულ ლექსიკონზე. *ა. არაბული.*

სომხური ენა, სომხეთის სახელმწიფო ენა, განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ს. ე-ზე ლაპარაკობს (1979–ის აღწერით) 6 მლნ. კაცი, აქედან ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებში – 3,7 მლნ. (თვით სომხეთში –2 მლნ-მდე). გამოიყოფა ს. ე-ის განვითარების 3 საფეხური: ძველი (V–XI სს.), საშუალო (XI–XVII სს.), ახალი (XVII-იდან). ძვ. ს. ე. (გრაბარი) უპირატესად ფლექსიური ენაა, რ-საც აქვს განვითარებული გრამატ. წყობა, სიტყვაწარმოება და მდიდარი ლექსიკა. საშ. ს. ე., რ-იც ძირითადად კილიკიის სომხ. დიალექტის ბაზაზე შემუშავდა, წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ფლექსიურობიდან აგლუტინაციისაკენ. ახ. სალიტ. ს. ე. (აშხარაბარი) ორი განშტოებითაა წარმოდგენილი: აღმოსავლურითა (ում ჯგუფის დიალექტების ბაზაზე) და დასავლურით (կ ჯგუფის დიალექტების ბაზაზე). აღმოსავლურ სალიტ. ს. ე-ს საფუძვლად არარატის სომხ. დიალექტი უდევს. ბრუნების სისტემაში შეინიშნება უნიფიკაციის ტენდენცია. უღლების სისტემა წარმოდგენილია 15 მწკრივით და მდიდარია ზმნური კატეგორიებით. ჭარბობს ანალიტიკური წარმოება, სინტაქსისათვის დამახასიათებელია წინადადების წევრთა თავისუფალი წყობა, საზღვრულის პოსტპოზიცია, დამხმარე ზმნის მოძრავი ბუნება ზმნის ფორმებში. დასავლური სალიტ. ს. ე. გავრცელებულია უცხოეთში მცხოვრებ სომეხთა შორის, აღმოსავლური ს. ე-ისგან განსხვავდება ზოგიერთი არსებითი ნიშნით, რ-თაგან უმთავრესია აწმყოსა და უწყვეტლის կ ნაწილაკით წარმოება. მდიდარია დიალექტებით. აღმოსავლური ს. ე-გან განსხვავებით, აქვს გამოყენების შეზღუდული სფერო.

სომხ. დამწერლობა ფონეტ. ხასიათისაა და მასზე ბერძ. ანბანის გავლენა ჩანს. მისი შექმნა (V ს. დასაწყისი) მიეწერება მესროპ მაშტოცს. ამ პერიოდიდან იქმნება მდიდარი სომხ. მრავალჟანრიანი ორიგინ. და მთარგმნელობითი მწერლობაც.

მრავალსაუკუნოვანი მეზობლური კავშირები ასახულია როგორც ლიტერატურულ (იხ. ი. *აბულაძე*), ისე ენობრივ ურთიერთობათა მრავალ სფეროში.

ქართ.-სომხ. ენობრივი ურთიერთობები ენათმეცნიერებისათვის ის უბანია, რ-იც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ნ. მარი ს. ე-ის საფუძველში ორმაგ ბირთვს მოიაზრებდა, რ-ის ერთი ნაწილი ქართ. ენასთან გენეტიკურად მონათესავედაც კი მიაჩნდა. ამ ორ ენას შორის მსგავსება ვლინდება:

ფონეტიკაში შეინიშნება ბგერების დიდი სიახლოვე. სომხურს, ისევე როგორც ქართულს, ახასიათებს ძ, ღ, წ, ჭ ბგერები, თანხმოვანთა ერთნაირი წყვილეულებრივი და სამეულებრივი სისტემები. სომხურს აქვს თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები (ქართულისგან განსხვავებული).

მორფოლოგიაში საყურადღებოა ათეულების რიგის რთული რიცხვითების სისტემის შეცვლა და ქართულთან დაახლოება (ძვ. სომხურში იყო 1+10, ახალ სომხურში ეს რიგი შეიცვალა 10+1); ჩვენებითი ნაცვალსახელებისთვის დამახასიათებელია ერთნაირად სამი პირის მიმართება: ეს, ეგ, ის (რაც იშვიათია სხვა ენებისთვის); ზმნის სისტემისთვის დამახასიათებელია უნახაობის აქტის კატეგორია, რაც მას აახლოებს ქართ. ზმნის თურმეობითის ფორმებთან; ზმნიზედის ჯგუფებში, ისევე როგორც ქართულში, გამოიყოფა ფუძეგაორმაგებული ზმნიზედები, რომელთაგან ზოგიერთი ფორმითა და შინაარსითაც ახლოს დგანან. კნინობით-საალერსო ნაწილაკთაგან აღსანიშნავია იკ, აკ – უკ-ის იგივეობა. ასეთივე სიახლოვე შეინიშნება ზოგიერთ შორისდებულში.

სინტაქსში აღსანიშნავია მსაზღვრელის პრეპოზიცია და საზღვრულთან შეუთანხმებლობა რიცხვსა და ბრუნვაში, რაც ამ მოვლენას ახ. ქართ. ენის მოდელთან აახლოებს (ისტორიულად მსაზღვრელი ორივე ენაში ადგილს იცვლის – პოსტპოზიცია იცვლება პრეპოზიციით). საზოგადოდ, ორივე ენის წინადადების სიტყვათწყობა დიდ სიახლოვეს გვიჩვენებს.

ლექსიკა ორივე ენისა რელიეფურად წარმოაჩენს საერთო სიტყვების დიდ რაოდენობას, რაც შედეგია ხანგრძლივი ისტ. კავშირებისა ამ ენათა განვითარების ყველა ეტაპზე. ეს სიტყვები არაერთგვაროვანია: გარდა წმინდა ქართ.-სომხ. ერთეულებისა, ბევრია საერთო ხმარების უცხოური წარმომავლობის სიტყვები (სირ., ბერძნ., ირან., არაბ., თურქ. და სხვ.), რ-ებიც, გარდა ურთიერთზეგავლენისა, დამოუკიდებლადაც არიან შეთვისებული ორივე ენის მიერ.

ლიტ.: შ ი ლ ა კ ა ძ ე ი., ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1975; Ш а н и д з е А. Г., Два чанo-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках. – იხ. მისი: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957 (თხზ., ტ. 1); К а п а н ц я н Г. А., История армянского языка, Ер., 1961 (სომხ. ენაზე); Туманян Э. Г., Древнеармянский язык, М., 1971; Д ж а у к я н Г. Б., Общее и армянское языкознания, Ер., 1978; J e n s e n H., Altarmenische Grammatik, Hdlb, 1959. *მ. რობაქიძე.*

სონანტები, მარცვლოვანი ბგერები, რ-ებიც გარკვეულ პოზიციებში ფუნქციურად ხმოვნებს უტოლდებიან, ზოგში კი – თანხმოვნებს. ს. უპირისპირდებიან როგორც ხმოვანს, რ-იც ყოველთვის წარმოქმნის მარცვალს, ისე თანხმოვანს, რ-იც მარცვალს არ წარმოქმნის.

ს-ის არსებობა ივარაუდება საერთო-ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში. თანამედროვე ქართველურ ენებში დადასტურებული რეფლექსების საფუძველზე შეიძლება აღდგენილ იქნას (*უ *ჲ *რ *ლ *მ *ნ) ფონემები, რ-ებიც პოზიციისდა მიხედვით წარმოდგენილი იყვნენ მარცვლიანი ან უმარცვლო ალოფონებით. სიტყვის თავში ხმოვნის წინ, ორ ხმოვანს შორის, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის და სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნის შემდეგ ს. ფუნქციონირებდნენ როგორც უმარცვლო ელემენტები; სიტყვის თავში თანხმოვნის წინ, ორ თანხმოვანს შორის და სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში თანხმოვნის შემდეგ კი ისინი მარცვალს ქმნიდნენ. ამჟამად ს-ის საერთოქართველური სისტემა ქართველურ ენებში მოშლილია. მოხდა (*უ) და (*ჲ) სონანტთა მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონების ფონემატიზაცია და მარცვლოვანი (*რ *ლ *მ *ნ) ალოფონების ლოკალიზაცია (მეგრულ-ჭანურსა და ნა-

წილობრივ სეანურში), ხოლო უმახვილო პოზიციაში — გაუმარცვლოება, რის შედეგადაც რ ლ მ ნ ქცეულა ქართველურ ენაში ამჟამად თანხმოვანია. ს-ების ეოკალიზაციის კვალი ქართულშიც შეიმჩნევა. სონანტი მარცვლოვნობას ინარჩუნებს მახვილიან პოზიციაში, რასაც ეოკალური ელემენტების წარმოქმნა ადასტურებს. შდრ: C`რC > C`ო`რ`C მახვილიან და CრC > CრC უმახვილო პოზიციაში: *ბ`რკ-ილ > ბ`ორკ-ილ, ბრკ-ო`ლ > ბრკ-ოლ; ჰ-კრტ-ნ-ი-ს > `ჰ`-კორტ-ნ-ის, *ჰ-კრტ-ნ-ის > `ჰ`-კრტ-ნ-ი-ს _ მარცვლოვან ელემენტთა კვალი დასტურდება ქართულის ზოგ დიალექტშიც. შდრ. სალიტ. ქართ. კლდე — ხევს. კილდე, აჭარ. კილდე (ტოპონიმებში: ძაღლაკილდე, კილდიძირი, კილდიათი); სალიტ. ქართ. ნრდილი — გარე კახ. ნირდილ-ო; ძე. ქართ. გრკო „რკო“ — ხევს. გირკო, თუშ., ფშაე., კახ. კურკო და სხე.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

რ. ქურდაძე.

სონორები, *თანხმოვნები,* რ-ებიც ხმოვანთა მსგავსად ყალიბდებიან მხოლოდ სახმო სიმებში წარმოქმნილი ბგერის გარდაქმნით ხორხის, ხახის, პირისა და ცხვირის რეზონატორებში, რის გამო მათ რ ე ზ ო ნ ა ტ ე ბ ს ა ც უწოდებენ. ჩქამიერი თანხმოვნებისაგან განსხვავებით, რეზონატორებში ჰაერის ხახუნის ხმაურს (*ჩქამს*) მათთვის მნიშვნელობა არა აქვს და ისინი არც მჟღერობა-სიყრუით გაინირჩევიან. ამიტომ მათი *დისტრიბუცია* არასონორ თანხმოვნებთან შედარებით თავისუფალია — სონორთა კომბინაციები არასონორებთან თითქმის შეუზღუდველია. ქართულში ს-ია: რ ლ მ ნ; ფუნქციურად მათ რიგში დგება აგრეთვე ვ. *ჯ. ჯაფარიძე.*

სონორობა, ბ გ ე რ ო ვ ნ ო ბ ა, ბ გ ე რ ა თ ს ა ვ ს ე ო ბ ა, ბგერის მეტ-ნაკლებ მანძილზე გასაგონობა. ს. სხვადასხვა არტიკულაციურ ნიშანს ემყარება: ღიაობას, ლაბიალიზება-არალაბიალიზებასა და წარმოთქმის ადგილს. გარდა ამისა, თანაბარ პირობებში ყრუ თანხმოვნებისათვის მნიშვნელობა აქვს დამახასიათებელი ჩქამის სიძლიერეს (ო. იესპერსენი, გ. ახელედიანი).

მჟღერ ბგერებში ყველაზე მეტი ს-ით ხასიათდებიან ხმოვნები, როგორც უფრო ღია ბგერები. ს-ის ზრდადობის მიხედვით ქართულის ხმოვნები ასე ლაგდებიან: უ-ო-ე-ა. თანხმოვნებში მეტი ხმიერებით გამოირჩევიან მ-ნ-ლ-რ, რთაც სონორულ თანხმოვნებს უწოდებენ (იხ. *სონორები*). ამ ნიშნით სონორ თანხმოვანთა რიგში შეაქვთ მჟღერი ვ, რ-იც ზოგიერთ კომპლექსში უფრო სონორია, ვიდრე თვით სონორული თანხმოვნები (გ. ახელედიანი). ვ სონორთა რიგში იკავებს ადგილს გრძლივობით და ტექსტში გამოვლენის სიხშირითაც. ო. იესპერსენის ს-ის სქემაზე დაყრდნობით, გ. ახელედიანი მზარდი ს-ის მიხედვით ქართულის თანხმოვნებში გამოყოფს 13 ჯგუფს:

1. პ-ტ-წ, 2. ფ-თ-ც, 3. კ-ქ-ყ(ჭ), 4. ს, 5. ჭ-ჩ, 6. ხ-შ 7. ბ-დ-ძ, 8. ვ. 9. გ, 10. ზ. 11. ჯ, 12. ღ-ჟ, 13. მ-ნ-ლ-რ.

სხვა თვალსაზრისით, ო. იესპერსენის ფარდობითი ს-ის პრინციპზე დამყარებით გამოყოფილია სამი სონორული კლასი (გ. ნებიერიძე): სონორები, ფრიკატიულები და ხშულები, რაც ღიაობის კლებას შეესაბამება. ეს კლასები, სერიები და რიგები ემთხვეევა დისტინქციური კრიტერიუმების მიხედვით გამოყოფილ სერიებს, რიგებს და კლასებს. ითვლება, რომ ს-ის მიხედვით მოცემულ კლასიფიკაციაში ძირითადია არტიკულაციის ადგილი, ხოლო მისი თანმხლებია არტიკულაციის რაგვარობა. პირველი ნიშნის მიხედვით, რაც უფრო უკანა წარმოებისაა ბგერა, მით უფრო სონორია იგი, ხოლო მეორე ნიშნის მიხედვით, ერთი და იმავე რიგის ბგერებიდან მჟღერი უფრო სონორია, ვიდრე სათანადო ყრუ, რადგანაც სახმო სიმების მონაწილეობა ზრდის ს-ის ხარისხს. ხშულთა კლასში მოცემულ ორ ნიშანს ემატება მესამე — გლოტალიზაცია: ერთი რიგის ფარგლებში ყრუ ასპირირებული უფრო სონორია, ვიდრე ყრუ გლოტალიზებული და ორივეზე უფრო სონორია მათი ჰომორგანული მჟღერი ხშული. ამგვარად, გვაქვს: 1. ვ-მ-ნ-ლ-რ; 2. ს-ზ-შ-ჟ-ღ; 3. პ-ფ-ბ ტ-თ-დ წ-ც-ძ ჭ-ჩ-ჯ კ-ქ-გ-ყ. თანხმოვნებში ს-ის ზრდას მშარდ ნაპრალოვნობასაც უკავშირებენ (თ. უთურგაიძე). ამ ნიშნის საფუძველზე გამოყოფილია თანხმოვანთა შემდეგი ჯგუფები:

1. ხშული თანხმოვნები, 2. ს-ს ჯ-შ, 3. ღ-ხ-ჟ, 4. ვ-მ, 5. რ-ლ-ნ.

ყველა განხილული თვალსაზრისისათვის ბგერის ს. განისაზომებამეტ-ნაკლებ მანძილზე მისი გასაგონობით და თანაბარ პირობებში განისაზღვრება ბგერათა არტიკულაციურ-აკუსტიკური მახასიათებლებით (წარმოთქმის სიძლიერე, ამინდი, ბგერითი გარემოცვა). ნებისმიერი სონორი ბგერა უფრო ბგეროვანია, გასაგონია ნებისმიერ ჩქამიერ თანხმოვანზე. მაგრამ ექსპერიმენტის შედეგად ირკვევა, რომ სონორი ბგერა შეიძლება გასაგონი იყოს მანძილზე, მაგრამ ვერ გაირჩევა, ვერ ხერხდება მოსმენილის იდენტიფიკაცია რომელიმე სამეტყველო ბგერასთან. ეს კი არის ბგერითი ენერგიის გამჭოლობა, შეღწევადობა მანძილზე და არა გასაგონობა-გარჩევადობა. გასაგონობა-გარჩევადობა გულისხმობს მოსმენილი ბგერის სწორად აღქმის ხარისხს. ეს მახასიათებელიც არის სამეტყველო ბგერის სმენითი მახასიათებელი და მსგავსად ს-ისა, განისაზღვრება ბგერის არტიკულაციურ-აკუსტიკური თვისებებით. ს-სა და გასაგონობას ანუ გარჩევადობას შორის ცალსახა კავშირი არ არსებობს. ირკვევა, რომ ს. არის უბრალოდ ბგერის ფიზიკური თვისებების მიხედვით გამოყვანადი სმენითი მახასიათებელი, ხოლო გასაგონობა-გარჩევადობა არის ფონემატური სმენის მიხედვით გამოყვანადი მახასიათებელი. ს. არის მეტყველების ნაკადის ფონემათა მიმდევრობებად დანაწევრების საშუალება. სხვაგვარად, ს. არის სამეტყველო ბგერათა ის სმენითი მახასიათებელი, რ-იც ბგერებს ახასიათებს მათ იზოლირებულად წარმოთქმაზე დახარჯული ენერგიის მიხედვით. გასაგონობა-გარჩევადობა კი არის ის სმენითი მახასიათებელი, რ-იც მეტყველების პროცესში პოზიციათა მიხედვით სამეტყველო ბგერებზე ფონემატური სმენის რეაქციას ითვალისწინებს.

ლიტ.: ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ლ ო რ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ლ., სონორ თანხმოვანთა საშუალო გრძლივობა სალიტერატურო ქართულში. – «მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები», თბ., 1967; ს ი მ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ე., სონორ ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი. – იქვე; თბ., 1967; მ ი ს ი ე ე, სამეტყველო

ბგერათა გარჩევადობა და სონორობა. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1988, №1; ნებიერიძე გ., სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი და მისი აგების პრინციპი, თბ., 1973; უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ, 1976; Jespersen O., Lehrbuch der Phonetik, Leipzig und Berlin. 1932. *ე. სიმონი შვილი.*

სოციალური დიალექტი, გარკვეული სოციალური ჯგუფის ენა, საზოგადოების სოციალური მომსახურების ენა, სოციოლექტი. ტერიტ. რეგიონალური დიალექტებისაგან განსხვავებით, რ-თა დიალექტური თავისებურებები ენის ყველა დონეზე ვლინდება, ს. დ-ებს საეროო სახალხო ენისაგან ძირითადად ლექსიკა განასხვავებს. ს. დ-ებად მიიჩნევა სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა (ექიმების, მასწავლებლების, მეენახეების, მძღოლების...) მეტყველება (იხ. *სპეციალური ლექსიკა*), მოწაფეების, სტუდენტების, ქურდების და ა. შ. ჟარგონი (იხ. *ჟარგონი*), საიდუმლო ენები, განსხვავებული სოც. ფენების, რელიგიური ჯგუფების და ა.შ. ენები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქალაქური მეტყველების შესწავლამ. გარდა რეგიონალური და ქალაქური დიალექტებისა, განასხვავებენ აგრეთვე ეროვნულ და საერთაშ. დიალექტურ სახეობებს (მაგ., შოტ. და ამერ.). სოც. ფასეულობების ცვალებადობასთან დაკავშირებით ხშირია დიალექტიდან დიალექტზე გადართვა. ფუნქციურად დიალექტს აქვს რეგისტრი, რ-იც იცვლება მოხმარების შესაბამისად, და რეგისტრი, რ-ის ცვლაც მომხმარებელსაა დამოკიდებული (მ. პოლიდეი).

ენათა სოც. დიფერენციაციის საკითხებს სწავლობს ენათმეცნიერების დარგი – სოციოლინგვისტიკა.

სტანდარტული გზა, რ-საც მიმართავს სოციოლინგვისტიკა ენის სოციალური მოხმარების სახეობათა შესასწავლად, არის მოსახლეობის შემთხვევითი შერჩევის გზა. ამ ხერხით მრავალი ლინგვისტური ცვლადია შერჩეული. მოსახლეობის ის სექციები, რებიც მოპასუხედ შეირჩევა, მოწვდება სპეციფ. ვარიანტების სიხშირის დასადგენად (მაგ., ინგლისურში „რ-“ს წარმოთქმის თავისებურება სხვადასხვა სოც. ჯგუფში). შედეგების შეფასება ხდება იმ სოც. ინდექსების შესაბამისად, რ-თაც განეკუთვნება ინფორმატორი (იგულისხმება საქმიანობის სფეროები). ამგვარი მონაცემების საფუძველზე ხდება თავისებურებათა (ცვლილებათა) გავრცელებულობის დიაგრამების შედგენა. ასე რომ, ცდის დროს მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ სტილური (ე. წ. ფუნქციური სტილები), არამედ სოც. ფაქტორებიც. ამ ბოლო დროს შესწავლის სოც. ობიექტის – ამა თუ იმ სოც. ჯგუფის – მეტყველების შემსწავლელნი დიდ ყურადღებას აქცევენ ენობრივი კოლექტივის მაქს. დიფერენცირებასა და უსასრულო რაოდენობის ქვეჯგუფთა გამოყოფას, რაც უდაეოდ საინტერესოა, მაგრამ ენის მთლიანობად აღქმის საქმეს ართულებს. მაგ., სპეციალურად არის შესწავლილი ქუჩის მუსიკოსებისა თუ მილიონერების, მაწანწალა ბავშვებისა და „კარგად ჩაცმული“ მოქალაქეების, სქესობრივ უმცირესობათა თუ პოლიციელთა, გამყიდველ გოგონათა, სოფლიდან ახალჩამოსულთა, ავადმყოფთა, მრავალსართულიანი სახლების მცხოვრებთა და სხვათა მეტყველება. ამ კვლევებში საყურადღებოა, რა არის სამეტყველო ბაზისი, რის კონტროლირებას ახერხებს მოლაპარაკე და რა სამეტყველო მოვლენათა იგნორირება ხდება მოლაპარაკის მიერ. ძირითადად იგნორირებულია ის, რისი შეგრძნებაც დაბალია.

ენობრივ ვარიაციათა იმ სახეს, რ-საც მოლაპარაკე აცნობიერებს (აკონტროლებს), მარკერებს უწოდებენ, მეორეს კი (რომელსაც ვერ ამჩნევს), ინდიკატორი ჰქვია. ზოგჯერ ესა თუ ის სამეტყველო ფაქტი თავდაპირველად ინდიკატორია (მაგ., იმ სოც. ჯგუფში, სადაც ეს ენობრივი ფაქტი ჩაისახა), შემდეგ კი იგი მარკერად შეიძლება იქცეს (მაგ., ინგლისური h-ს დაწევა-გაქრობა სოც. სტრატებში). მარკერები საბოლოოდ ქმნიან თავისებურებას, რ-იც შესაძლოა იმდენად იყოს განსხვავებული სხვა ჯგუფებისაგან, რომ სტერეოტიპადაც გადაიქცეს. ასეთი ცვლილებები ძირითადად ქვეცნობიერია (მაგრამ არა ყოველთვის). როგორც კი თავისებურება გააზრებული ხდება, ანუ ცნობიერებაში გამოვლინდება, მით უფრო, თუ იგი სტერეოტიპად გადაიქცევა, შესაძლებელი ხდება მისი შესწავლა და სხვა სამეტყველო ვარიანტებთან შედარება. შედარებისას ერთ-ერთი ასპექტი სოციოლექტთა პრესტიჟულობის მიხედვით დალაგებაა, კვლევისას გამოიყენება სოც. ჯგუფების საკუთარი დინამიკა, რაც გაცილებით ძლიერად ზემოქმედებს მეტყველებაზე, ვიდრე კლასის უფრო მარტივი კატეგორიები (აქ თავს იჩენს ერთი მხრივ ენის, ხოლო მეორე მხრივ სქესის, რასის, იდეოლოგის, საქმიანობისა და სხვ. მიმართების სრდის საკითხები). ეს მოვლენები ექსტენსიურად (რაც დაკავშირებულია რაოდენობრივ და არა ხარისხობრივ ზრდასთან), შეისწავლებოდა და მათი წყალობით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ენა სოც. სინამდვილის სარკეა.

ს. დ-ების შესწავლა სხვადასხვა ასპექტით მიმდინარეობს საქართველოშიც.

ლიტ: Trudgill P., The dialects of England, Oxford, 1990; მისივე, Dialects, London, 1994; William G., Sociolinguistics, London, 1992; Alleni The City in Slang. New-York Life and Popular Speech, New York, Oxford, 1993; Finch G., Linguistic Terms and Concepts, New York, 2000. *მ. ტაბიძე.*

სოჭელი ქართველების მეტყველება, იმ ქართველთა მეტყველება, რ-ებიც 1863—64 რუსეთის მთავრობის მიერ მკვიდრი მოსახლეობის თურქეთში მასიურად გადასახლების შემდეგ შავიზღვისპირეთის დაცარიელებული ტერიტორიების ასათვისებლად სოჭის მიდამოებში ჩაასახლეს.

1875-ის ბოლოსათვის სოჭში ქართველთა გადასახლების პროცესი უკვე დაწყებული იყო (გაზ. „დროება“, 1875 წლის დეკ.). მთავრობა ამ პროცესის წახალისებას ცდილობდა: შავი ზღვის სანაპიროზე ჩასახლებულები 10–15 წლით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან. ქართველებმა დიდი როლი შეასრულეს სოჭის და მისი შემოგარენის ათვისება-აღორძინების საქმეში.

სოჭის რეგიონში საცხოვრებლად გადადიოდნენ დას. საქარ-

თველოს – ლეჩხუმის, იმერეთის, რაჭის, სამეგრელოს – მკვიდრნი. მიზეზი ქვეყნის ამ ნაწილში არსებული უკიდურესი მცირემიწიანობა იყო. ლეჩხუმელთა ძირითადი ნაწილი გადაასახლეს სოფლებიდან: ალპანა, აჯარა (სოფ. ლეჩხუმში), ორხევი, დერჩი, ორბელი, ნასპერი, ლაჯანა, ზოგიში (ალავიძე, ბურჯალიანი, თუთისანი, კვანტალიანი, ლეფსვერიძე, ლეშკაშელი, მამარდაშვილი, სეანიძე, სილაგაძე, უჩაძე, ფრუიძე, შკუბულიანი, ცხვედიანი, ჩაკვეტაძე, ჩხეტიანი, ჭოხონელიძე); რაჭველები – ღებიდან, ზნაკვიდან, ქედის უბნიდან (არჩვაძე, გაჲაშელიძე, გოცირიძე, გურგენიძე, კენჭაძე, კობახიძე, ლობჟანიძე, მაისურაძე, მეტრეველი, მიქაუტაძე, რეხვიაშვილი, შტააძე, ცუცქირიძე, ჭელიძე, ჭიჭინაძე ...); იმერლები – ოკრიბიდან (ტყიბულის რ-ნი), საირმიდან (გვანცელაძე, გოგოლაძე, ზვიადაძე, ინწკირველი, კეთილაძე, კუბლაშვილი, კუტალაძე, ლორთქიფანიძე, მიქაძე, ქასრაშვილი, ცირეკიძე, ძიძიგური, ჭიპაძე, ჯიბლაძე ...); მეგრელები – ზუგდიდის მაზრიდან, სენაკიდან (ბარკალაია, ბახია, ბეალავა, გაბელაია, გვათუა, გესალია, გუგუშვილი, დარჯანია, დიხამინჯია, დონდუა, თოფურია, კინტრაია, ქორქია, შანგუა, შუშანია, ჩიტაია, ცხაკაია, ძიგუა, ჭელია, ჯანაშია, ჯელია...).

1897 მხოლოდ პლასტუნკაში ცხოვრობდა 97 ქართ. ოჯახი, რ-თაც ეჭირათ 3000 დესეტინა მიწა. 1887 სოჭელ ქართველებს თავიანთი ხარჯით ხის ეკლესიაც აუგიათ და უკურთხებიათ კიდეც, 1897-თვის კი წმინდა ნინოს სახელზე აგებულ ამ ეკლესიას ქართვ. მღვდელიც ჰყავდა. 1921 სოჭელ ქართველთა ინიციატივით იქ გაიხსნა ქართ. სკოლა. არსებობს ცნობა, რომ პლასტუნკაში დაწყებითი სკოლა ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს გაუხსნია მიქაუტაძეს. სოჭის ახალშექმნილ ქართ. სკოლას სათავეში ჩაუდგა ამ მხარეში ცნობილი მოღვაწე ქალი, წარმოშობით სენაკელი (სოფ. ბერთუმიდან) ო. წითლიძე. 1927 დაწყ. სკოლა საშუალოდ გადაკეთდა. იგი იმთავითვე ქართ. კულტ. კერად იქცა. მასთან მოეწყო კლუბი, სასადილო და ინტერნატი ჩამოსული მოსწავლეებისათვის. 1941 სკოლა შეიდწლედად გადააკეთეს და პლასტუნკაში გადაიტანეს. 1969 იგი გადაკეთდა რუს. სკოლად, სადაც ქართვ. ბავშვები, სურვილის მიხედვით, სწავლობენ ქართ. ენას, როგორც საგანს.

ქართ. სკოლის თანდათანობითი კვდომა გარკვეულმა გარემოებებმა განაპირობა. ჯერ ერთი, არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთებამ მის კურსდამთავრებულებს გზა გადაუკეტა უმაღლესი განათლებისაკენ. პლასტუნკაში გადატანამ იგი მოსწყვიტა რეგიონის ქართ. მოსახლეობის დიდ ნაწილს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე კონკურენციამ ქალაქის რუს. სკოლების მხრივაც, რ-თაც პლასტუნკის ქართ. შეიდწლიან სკოლასთან შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდათ. საქართველომ ვერ შეძლო აქაური სკოლის გადარჩენა, რ-მაც საშუალო დაწესებულების სტატუსით სულ 14 წელი იარსება და არაერთი სახელოვანი ქართველი აღზარდა.

1990 სოჭში შეიქმნა ქართ. კულტურის ცენტრი „ივერია"; გამოვიდა გაზ. „სოჭის ივერია" დევიზით: „ენა, მამული, სარწმუნოება". წარმატებით ფუნქციონირებს ქართ. ენისა და წერა-კითხვის შემსწავლელი კურსები. ამჟამად სოჭის რეგიონში (ე. წ. დიდი სოჭი) ცხოვრობს 6000 ქართველი.

120 წელია სოჭის რაიონში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ლეჩხუმიდან (უპირატესად), იმერეთიდან და რაჭიდან ჩამოსულთა შთამომავლები. ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა შერეულია: თითქმის არ არსებობს „წმინდა" ლეჩხუმური, იმერული ან რაჭული ოჯახები.

დასავლურ ქართ. მოვლენათა კონსერვაცია და სოჭელ ქართველთა მეტყველების კონსოლიდაცია მნიშვნელოვანწილად იმანაც განაპირობა, რომ ეს მეტყველება არ იყო ცოცხალ ქართ. მეტყველებასთან უშუალო კონტაქტში და საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ვითარდებოდა რუს. გარემოცვაში. ამავე დროს, რიგი დიალექტური თავისებურება ჯერაც არ ქცეულა სოჭელ ქართველთა ერთიანი მეტყველების კუთვნილებად და ძირითადად წარმოშობით ლეჩხუმელთა, იმერელთა თუ რაჭველთა მეტყველებაში გვხვდება. ზოგი მოვლენა თანაბრად ახასიათებს ლეჩხუმელთა და იმერელთა მეტყველებას და რამდენადმე განასხვავებს მათ რაჭველთა მეტყველებისაგან. მათი ასეთი სიახლოვე ეხმაურება მეცნ. ლიტ-რაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლეჩხუმური უფრო იმერულის კილოკავია, ვიდრე დამოუკიდებელი დიალექტი ქართ. ენისა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ღებელ რაჭველთა მეტყველება. აქ სულ 4 ღებელი ცხოვრობდა. ისინი ძმები იყვნენ (გავაშელიძეები). მათი მეტყველების შესწავლის მომენტისათვის ისინი 80 წელს იყვნენ გადაცილებული. თავიანთი ცხოვრების შეგნებული ნაწილი (17–18 წლიდან) მათ სოჭის გარეთ გაატარეს. ამიტომაც მათ მეტყველებას თითქმის არ განუცდია იმ ფაქტორების ზემოქმედება, რ-ებმაც განაპირობეს ერთიანი დასავლურქართ. მეტყველების ფორმირება სოჭის რაიონში. მათი „ღებური" ძირითადად ისეთადვე დარჩა, როგორიც მშობლებისაგან შეითვისეს სოჭში ქართ. ენის დიალექტთა შერევის პროცესის დაწყებამდე. ეს ფაქტი იმისი დასტურია, რომ ამ რეგიონის ქართ. მეტყველების დღევანდელი სახე სწორედ დიალექტთა შერევითაა განპირობებული.

ს.ქ.მ-ში მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე თანდათან იკვეთება ინოვაციური ხასიათის ფაქტების წარმოქმნის ტენდენცია (დასამარება, ჩახომბელება, ჩვენეთი ...).

ს. ქ. მ-ის დღევანდელი სახის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წილი უდევს რუს. ენასთან მისი კონტაქტების შედეგებსაც: ხშირია რუს. სიტყვების (ზოგჯერ ფრაზებისა და მთელი წინადადებების) სესხების შემთხვევები. რუსულიდან შემოსული სიტყვები სესხებისას იცვლება დასავლურქართ. დიალექტებისათვის დამახასიათებელ ფონეტ. კანონზომიერებათა შესაბამისად. რუსულიდან ნასესხები ბევრი სიტყვა მორფოლოგიურად გათანაბრებულია ანალოგიური ფორმის მქონე ქართ. სიტყვებთან და ამ უკანასკნელთა მსგავსად განიცდის მორფოლ. ცვლილებებს, მონაწილეობს ქართ. სიტყვაწარმოებაში.

ს.ქ.მ-ში დასტურდება რუს. ენის გრამატ. კანონზომიერებათა გამოვლენის ფაქტებიც.

ლიტ.: მიქაშავილი ო., სოჭელი ქართველები და მათი მეტსახელ-ბა, თბ., 1994. *ო. მიქაშავილი.*

სპარვენფელდი (Sparvenfeld) იუჰან-გაბრიელ (1655—1727), შვედი ენათმეცნიერი-სლავისტი, აღმოსავლეთმცოდნე და სახოგადო მოღვაწე. მონაწილე იყო შვედეთის ელჩობისა რუსეთში (1684). კარლოს XI-მ დაავალა ს-ის თხოვნა და იგი დატოვა მოსკოვში სლავ. ენების, განსაკუთრებით რუსულის, შესასწავლად. ამისთვის მას საგანგებო სტიპენდია დაენიშნა. ს-ის მოსკოვში ყოფნა დაემთხვა 1685-ის მიწურულს არჩილ II-ის იქ ჩასვლას.

არჩილ II-ის ამალაში მყოფმა ფრანგმა ოფიცერმა და აღმოსავლეთმცოდნემ ბალთაზარ დელოსიერმა მოსკოვის ე. წ. „ნემეცკაია სლობოდაში“ მცხოვრებ უცხოელებთან იმთავითვე კეთილგანწყობილი ურთიერთობა დაამყარა. განსაკუთრებით მჭიდრო იყო კონტაქტები ს-თან და პოლანდიის რეზიდენტ ი. ვ. კელერთან, რ-ებმაც სწავლულ ქართ. მეფეს ქმედითი დახმარება აღმოუჩინეს ქართ. შრიფტის შექმნაში (მოსკოვის სტამბის ხელოსნებმა ვერ შეძლეს მაშინ მათთვის უჩვეულო ქართ. გრაფემების ლითონში ჩამოსხმა). ს-მა და კელერმა ამსტერდამის ბურგომისტრს ნ. *ვიტსენს* მიმართეს თხოვნით, რ-მაც სათანადო სპეციალისტების რჩევით არჩილ მეფის რთული შეკვეთის შესრულება ამსტერდამელ ასოთმომჭედაკებელს, წარმოშობით უნგრელ მ. კიშს დაავალა. შუამავლის როლი შემკვეთსა და ამსტერდამელ ხელოსანს შორის იკისრა ს-მა, რიც მოსკოვიდან სამშობლოში გამგზავრებამდე (1687) ძალიან დაუახლოვდა არჩილსა და მის ოჯახს. ს-ის რუსეთში მოგზაურობის დღიურიდან, ასევე სხვა ფაქტობრივი მონაცემებიდან, ირკვევა, რომ მას აღმოსავლეთმცოდნეობისადმი ინტერესი სწორედ ქართ. მეფემ გაუღვივა. ჩვენამდე მოაღწია მ. კიშის ორმა წერილმა ს-დმი, რ-თა შინაარსი ნათელს ფენს იმ სიძნელეებს, რაც ამსტერდამში ქართ. შრიფტის შექმნას თან სდევდა. შესრულებული ქართ. შრიფტის პუანსონ-მატრიცები 1689 ჩაიბარა ს-მა. სტოკჰოლმიდან მოსკოვს მათ გადაგზავნას ჯერ 1688–99 არჩილის საქართველოში ყოფნამ შეუშალა ხელი, ხოლო შემდეგ — ჩრდილოეთის ომის დაწყებამ.

ამ ომში მონაწილეობდა ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილის ძე, რ-იც გენერალ-ფელდცეიხმაისტერის რანგით რუსეთის არტილერიას მეთაურობდა. ნარვასთან წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ (1700) მან 10 წელი შვედების ტყვეობაში გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ქართე. ბატონიშვილს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ს., რ-საც მაშინ კარლოს XII-ის კარის ცერემონმაისტერი იყო. სტოკჰოლმში ცხოვრების პირველ წლებში ს-ის დახმარებით ალექსანდრეს შედარებით პრივილეგიური პირობები ჰქონდა შექმნილი, რამაც შესაძლებლობა მისცა, ტყვეობაში შემოქმედებითი საქმიანობა გაეგრძელებინა. 1703 ს-ის უშუალო მონაწილეობით ალექსანდრემ შეძლო ქართ. შრიფტის პუანსონ-მატრიცების საფუძველზე პენრიკ კეისერ III-ის სტამბაში არა მხოლოდ მრგლოვანი და ნუსხური ანბანები ჩამოესხა, არამედ რამდენიმე ქართ. სას. ტექსტის ნიმუშიც დაებეჭდა („მამაო ჩვენო“, „სიტყვა დღესა ტაძრად მიქცანებისასა...“). ალექსანდრემ მაშინვე იშუამდგომლა შვედეთის სენატის წინაშე, რათა მისთვის უფლება მიეცათ, ჩამოსხმული ქართ. შრიფტი სტოკჰოლმიდან მოსკოვს გაეგზავნა არჩილისათვის, რ-საც უკვე მზად ჰქონდა გამოსაცემად ბიბლიის ქართ. თარგმანის ცალკეული ტექსტები. ს-ის დახმარებით ქართველისწულის შუამდგომლობა დააკმაყოფილეს, ქართ. შრიფტმა მოსკოვს ჩააღწია. იქ არჩილ მეფის უშუალო ხელმძღვანელობით დაისტამბა რუსეთში პირველი ქართ. ნაბეჭდი წიგნი „დავითნი“ (1705). შვედეთის არქივებში დაცული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დასაშვებია ვივარაუდოთ ს-ისა და ალექსანდრე ბატონიშვილის შემოქმედებითი თანამშრომლობა შვედურ-ქართ. ლექსიკონის შესადგენად, რაც, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა.

ლიტ.: Ватейшвили Дж., Александр Багратион — друг и сподвижник Петра Великого (Очерк жизни и творчества), М., 1998. *ჯ. ვათეიშვილი.*

სპეციალური ანბანები, სპეციალური დანიშნულების — უსინათლოებისა და ყრუმუნჯთათვის გამოსაყენებელი — ანბანები.

უსინათლოებისათვის პირველი რელიეფური ანბანი ლათ. შრიფტის საფუძველზე შემოღებულ იქნა პარიზში ვ. გაუის მიერ (1786). შემდეგში გამარტივება-გაუმჯობესების გზით შეიქმნა ანბანის წერტილოვანი სისტემები, რ-თა შორის ყველაზე გავრცელებულია ბრაილის სისტემა. იგი პირველად დაინერგა პარიზის უსინათლოთა ინ-ტში (1825). ამ სისტემის საფუძველზე შეიქმნა უსინათლოთა ანბანები მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში (ავტორი თ. აბაშიძე).

ბრაილის სისტემაში გამოყენებულია სპეც. ლითონის დაფა, რზეც დამაგრებულია ხის ჩარჩო და ქაღალდი, აგრეთვე ლითონის ტრაფარეტი, რ-იც შედგება 2 რიგად ჩაწყობილი უჯრებისაგან (თითოეულში 26). ტრაფარეტი საჭიროებისამებრ მოძრაობს ხეედან ქვეით. ასოები იწერება (იჩხელიტება) ამ უჯრებში მარჯვენიდან მარცხნივ პატარა ლითონის ფანქრით. ამობურცული ასოები შეხებით იკითხება მეორე მხრიდან, უკვე მარცხნიდან მარჯვნივ.

ბრაილის სისტემაში თითოეული ასოსათვის გამოყენებულია 6 წერტილის კომბინაცია. სიადვილისათვის ყოველ წერტილს აქვს თავისი ნომერი: 1 2 3/4 5 6. მსხვილი წერტილებით აღნიშნულია ასოები და წვრილით — დანარჩენი წერტილების ადგილები.

ასოები დაყოფილია 4 ჯგუფად: პირველი ათი ასო შედგენილია ზედა და შუა (2–5) წერტილებისაგან.

მეორე ათეულისათვის გამოყენებულია იგივე პირველი ათი ასო + მესამე წერტილი.

მესამე ათეულისათვის გამოყენებულია იგივე პირველი ათი ასო + მესამე და მეექვსე წერტილი.

მეოთხე ათეულის ასოებისთვის გამოყენებულია იგივე პირველი ათი ასო + მეექვსე წერტილი.

ქართული ანბანი ბრაილის სისტემით შემდეგნაირად არის დალაგებული:



ამ წესრიგის გარეშეა ქართ. ყ:



ამ სისტემითაა შექმნილი ციფრებიცა და სასუენი ნიშნებიც. ქართ. ანბანის თავისებურებათა გათვალისწინებით აგრეთვე შექმნილია სპეც. სისტემა, რ-ითაც უსინათლოები წერენ თვალხილულთა ანბანითაც (თუმცა თვითონ ვერ კითხულობენ).

სპეც. ანბანი ყრუ-მუნჯებისათვის არის საერთო-სახალხო ენის (ბგერითი ენის) ანბანის მანუალური, დაქტილური ვარიანტი. საქართველოში ასეთი ანბანი და მის საფუძველზე შედგენილი საკითხავი სახელმძღვანელო პირველად გამოქვეყნდა 1941: ე. ჭანიშვილი, ე. ნორაკიძე „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი ყრუ-მუნჯთა სკოლისათვის". სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისაგან:

I – „დიდაქტიკური მასალა" (შეიცავს სურათებიან ლოტოებს; ამ ლოტოებისა და წიგნში ჩართული ლოტოებისათვის საჭირო წარწერებს; ტუჩებიდან ამოსაკითხავ სიტყვებსა და ფრაზებს; მოძრავ ანბანსა და მარცვლებს) და II – „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი; I და II წლის კურსი".

სახელმძღვანელოს შინაარსი მოიაზრება ისე, როგორც ჩვეულებრივ სკოლებში: ა) წინასაანბანო პერიოდი, რაც ყრუ-მუნჯთა სკოლებისათვის „დიდაქტიკური მასალის" ადეკვატურია და ბ) ანბანი, ანუ წერა-კითხვის შესწავლა. ეს პერიოდი გრძელდება 1 – 1/2 –2 წლამდე.

რამდენადაც უაზრო მარცვლების კითხვა დაუშვებელია მხედველობის მქონე ბავშვთა „ანბანში", იმდენად ის აუცილებელია ყრუ-მუნჯთა ეარჯიშისათვის. სწორი გამოთქმის მისაღწევად მათთან გაძლიერებულია მხედველობითი ანალიზი და ხელებით „საუბარი" – დაქტილური ფორმა.

1986 დაიბეჭდა ანბანი მოსამზადებელი კლასისათვის (ავტორები – მ. მურაბიშვილი და ლ. ხუციშვილი). მასში ყურადღება გამახვილებულია ფონემატურ თავისებურებებზე; იგი შედგენილია დაქტილური ანბანის გამოყენებით; გათვალისწინებულია თითოეული ასო-ბგერა საგნის ამსახველი სურათით, გრაფ. გამოსახულებითა და „ხელების ენით". სწავლება მიმდინარეობს კონცენტრირებული მეთოდით. სწავლების არსი გამოსახულია ქვედა სურათზე.

გამოთქმის საწყისი სწავლება, რ-იც სრულდება ანბანის ჯგუფის ბგერის ათვისებით, შედგება ორი კონცენტრისაგან: პირველი კონცენტრი ემთხვევა მოსამზადებელ კლასს, მეორე კი – პირველსა და მეორე კლასებს. წერა იწყება I მეოთხედიდან:

I მეოთხედი – ა, ფ, მ, პ, თ, ღ, ტ, ბ, ო, ე, ი, ვ;

II მეოთხედი – უ, ქ, კ, გ, ყ, ს, ზ, ძ, ც, ლ, წ.

III მეოთხედი –შ, ე, ჩ, რ, ნ, ხ, ჯ, ჭ, ღ, ჰ.

სიძნელე-სიადვილის გათვალისწინებით მოსამზადებელ კლასში შეისწავლება მხოლოდ 17 „ძირითადი ბგერის" გამოთქმა. ესენია: ა, ი, უ, ე, ო, ფ, მ, თ, ვ, ქ, ს, ლ, შ, ნ, რ, ხ, პ (სამი სასწავლო მეოთხედის განმავლობაში).

სწავლების პირველ საფეხურზე ე.წ. „ძირითადი ბგერებით" შეიცვლებიან დროებით (მათ ღაუფლებამდე) არაძირითადი ბგერები.

ამ საფეხურზე მოსწავლე შეიძლება წარმოთქვამდეს „პაპას" მაგივრად „ფაფას", მაგრამ ის უნდა ერკვეოდეს ორიეე სიტყვის მნიშვნელობაში.

მოსწავლეები მეტყველებას აღიქვამენ მასწავლებლის სახიდან ამოკითხვით, რასაც თან ახლავს დაქტილირება. ასეთივე გზით აღიქვამენ ისინი სურათებს. და მათ ამსახველ დაქტილური ან-





ქართული დაქტილური ანბანი.

ბანით მიწერილ სიტყვებსა და ფრაზებს. მასწავლებლის მიბაძვით, დაქტილირებასთან ერთად, მოსწავლეები სწავლობენ სიტყვების წარმოთქმას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე 1997 გამოიცა დედაენა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის პირველი კლასისათვის (ავტორები – ე. ხუფაცარია და სხვ.).

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე თ., ქართული ანბანი უსინათლოებისათვის, თბ., 1930; ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი პ., ნორაკიძე ვ., ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი ყრუ-მუნჯთა სკოლისათვის, თბ., 1941; მ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი მ., ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ლ., ანბანი ყრუ ბავშვთა სკოლის მოსამზადებელი კლასისათვის, თბ., 1986; ხ უ ფ ა ც ა რ ი ა ე., მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ა., მ ი ქ ე ლ ა ძ ე ქ., სამანიშვილი ლ., დედაენა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის პირველი კლასისათვის, თბ., 1997.

მ. მეძველია.

სპეციალური ლექსიკა, ცალკეული პროფესიისა თუ დარგისათვის ნიშანდობლივი სიტყვები და გამოთქმები. მათი ძირითადი ნაწილი, ჩვეულებისამებრ, საერთო-სახალხო და სალიტ. ენაშიც იმკვიდრებს ადგილს. ქართ. ფილოლოგიაში ამ გაგებით უფრო ხშირად დ ა რ გ ო ბ რ ი ვ ი ლ ე ქ ს ი კ ი ს ცნება გამოიყენება.

ს. ლ. ცალკეულ პროფესიულ სფეროებს მოიცავს და ასახავს. რაც უფრო მეტად განვითარებული და დიფერენცირებულია ერის საზ.-სამეურნ. ყოფა, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ს. ლ. ქართ. ეთნოგრ. სინამდვილე და შესაბამისი მრავალმხრივი დარგები ამ თვალსაზრისით უხვ ლექსიკურ მასალას იძლევა. მდიდარი დარგობრივი ლექსიკით ცნობილია მესაქონლეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, ხეხა-თესვის, რთვა-ქსოვის და ხალხური რეწვის სხვა სფეროები. ქართ. დარგობრივი ლექსიკა განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ყველა კუთხეში შეკრებილ შინამრეწველობის მასალების კორპუსში, რ-ის პირველი ტომი გამოიცა 1976.

ს. ლ-ის მასივებს, ცხადია, მხოლოდ ტრად. სამეურნეო დარგები არ ქმნიან. თანამედროვე სამეცნ.-ტექნ. დარგების არსებობა ასეუე დაკავშირებულია შესაბამის ს. ლ-თან (მაგ.: სამედიცინო ტერმინოლოგია, ქიმიის ლექსიკა და სხვ.). ს. ლ-ის მასივს ქმნიან *ტერმინები* და ე. წ. პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი ზ მ ე ბ ი.

ს. ლ-ის დიდი ნაწილი საზ. ენობრივ ურთიერთობებში არ გამოიყენება და ამიტომაც უცნობია ფართო საზ-ბისათვის, მაგ.: ასლი, დიკა, ცხავი, ცხრილი, ხელვარცლი, სამთითი...– პურეულის ლექსიკიდან; ენცეფალიტი, თრომბოფლებიტი, კომატოზური, პათოგენეზი... – სამედიცინო ლექსიკიდან. ტრადიციული სამეურნეო დარგების მოშლა ბუნებრივად იწვევს შესაბამისი ლექსიკის პასიურ ფონდში გადანაცვლებას, ანდა ენიდან საერთოდ გაქრობასაც კი.

ს. ლ-ის შესწავლა საერთო-სახალხო ენასთან მისი კავშირის კვლევასაც მოითხოვს. ფართოდ მოხმარებისას ეს ლექსიკა სალიტ. ენის ორგანული ნაწილი ხდება. ამის მაგალითია სამედიცინო და ზოგი სხვა დარგის ს. ლ. (მაგ., აცრა, ანგინა, გრიპი, რენტგენი... ატომი, ელექტრონი, ზოტი...).

ქართ. ენის ს. ლ-ის ჯგუფები ნაყოფიერად არის გამოკვლეული აღწერითი და ისტ.-შედარებითი მეთოდების გამოყენებით.

ა. არაბული.

სპეციალური ლექსიკონი, *ლექსიკონი*, რ-იც გარკვეული სპეციალობისათვის, დარგისათვის ნიშანდობლივ ლექსიკას აღწერს და განმარტავს. ამგვარ ლექსიკონს, თვალსაჩინოების მიზნით, განმარტებებთან ერთად ხშირად გრაფ. ილუსტრაციებსა თუ სურათებსაც ურთავენ. მასალის სიმდიდრითა და ლექსიკოგრაფიული ღირსებებით ცნობილია ლ. ლეონიძის „მესაქონლეობის ლექსიკონი“ (1925), ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონი“ (1961) და სხვ. (იხ.სტ. *სპეციალური ლექსიკა*).

სპირანტები, ფ რ ი კ ა ტ ი ე ბ ი, ნ ა პ რ ა ლ ო ვ ნ ე ბ ი, ჩქამიერი თანხმოვნები, რ-თა დამახასიათებელი ხმაური (ჩქამი, ფრიკაცია) წარმოიქმნება ჰაერნაკადისათვის სამეტყველო ორგანოებით შექმ-

ნილ ვიწრო გაასხელელში – ნაპრალში. ხშული ჩქამიერებისაგან განსხვავებით, ს. უწყვეტი ბგერებია – მათი წარმოთქმისას ჰაერნაკადი არ წყდება.

სალიტ. ქართულში გაირჩევა შემდეგი ს: წინაენისმიერი სისინა – ზ, ს; წინაენისმიერი შიშინა – ჟ, შ; უკანაენისმიერი – ღ, ხ, ჳ; სახმოსიმებისეული (ლარინგალური) – ჰ. აღნიშნულ წყვილებში პირველი ბგერები (ზ, ჟ, ღ) მჟღერი, მეორენი (ს, შ, ხ) კი – ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნებია. გამონაკლისია უკანაენისმიერთა მესამე წევრი – ჳ, რ-იც აბრუპტიულია (იხ. *ეტლარული ბგერები*). ფშვინვიერია (უფრო ზუსტად, ოდენ ფშვინვაა, ოდენ სახმოსიმებისეული ჩქამია) სპირანტი ჰ-ც. *ზ. ჯაფარიძე.*

სრული ვინადადება, *წინადადება*, რ-შიც დამთავრებული აზრის გადმოსაცემად აუცილებელი ყველა წინადადების წევრია წარმოდგენილი („პოეტის გული არ იფიქრებდა“. „სიხარულმა ფრთა გაშალა“. „მდინარის გაღმა ნაპირზე რამდენიმე კაცი მიათრევდა მოსასმელ ბადეს“). სხვა თვალსაზრისით, სრულია წინადადება, თუ მას არ აკლია არც ერთი მთავარი წევრი (ა. კიზირია, ა, დავითიანი). ს. წ-ს უპირისპირდება *უსრული წინადადება*.

ლიტ.: კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შეღგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; მ ი ს ი ე ვ ი, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შეღგენილობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბ., 1987; დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ქ ე ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. კვარტალიანი.

სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, ტიპობრივი სიტყვები. ამგვარი სიტყვები წარმოადგენენ ყოველი ენის ლექსიკონის ძირითად ნაწილს. აქეთ დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქცია. ქართულში ს. ს-ის კლასებია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა და ზმნისზედა. ეს უკანასკნელი ფორმაუცვლელი სიტყვების კლასია, დანარჩენები კი – ფორმაცვალებადისა: სახელთათვის დამახასიათებელია ბრუნება, ზმნათათვის – უღლილება. *ნ. სტურუა.*

სრულხმოვნობის თეორია, ქართველოლოგიაში დამკვიდრებული მეცნიერული თეორია ქართველური არქეტიპული ფუძის პირვანდელი სტრუქტურის შესახებ. ს. ს. ეკუთვნის არნ. ჩიქობავას: მას აქტიურად უჭერდა მხარს ვ. თოფურია. თავის დროზე ეს თვალსაზრისი გაზიარებულ იქნა გ. ახვლედიანისა და სხვათა მიერ.

ს. ს-ის თანახმად, იეარაუდება ამოსავალი ფუძის (ძირისა და ფუძის გამაფორმებელი აფიქსების) სრული გახმოვანება ქართველური ფუძეუნის დონეზე. კერძოდ, საერთოქართველურ ტიპობრივ ფუძეთა რეკონსტრუქცია ძირისა და ფუძის ამგები აფიქსების ამგვარ სტრუქტურულ მიმართებას წარმოანენს: *თაფ-ალ- (ქართ. თაფ-ლ-: ზან. თოფ-ურ-), *ძაღ-ალ- (ქართ. ძაღ-ლ-: ზან. ჯოღ-ორ-), *იფქ-ალ- (ქართ. ი-ფქ-ლ: სვან. ფექ)...

ამ მიმართებების მიხედვით მიჩნეულია, რომ ზანური ფუძის ეოკალიზმი, თავისი სრულხმოვნობით, უფრო ახლოს უნდა იყოს ქართველური ფუძის არქეტიპულ მდგომარეობასთან, რამდენადაც ამ ენაში შენარჩუნებულია პირვანდელი სუსტი მახვილი. თავის მხრივ, ქაროულსა და, განსაკუთრებით, სვანურში ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდგომ იეარაუდება ძლიერი, მოძრავი დინამიკური მახვილის ამოქმედება, რ-საც უნდა განეპირობებინა ხმოვანთრედუქციის იმ წესის ამოქმედება, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ქართულის, ხოლო, მეორე მხრივ, სვანურის ფუძეთა დამოუკიდებელი სტრუქტურები და ახალი (მოქმედი) მორფონოლოგიური კანონზომიერებანი. ამ ენათა განვითარების ბოლო ეტაპზე კი იეარაუდება მახვილის ფიქსირების ტენდენცია, როგორც შედეგი ფუძის საბოლოო ფორმირებისა.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. – «სმამა», 1942, ტ. 3, №2, 3; მ ი ს ი ე ვ ი, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; თ ო ფ უ რ ი ა ვ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში. – «იკვ», I, თბ., 1946; ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., სოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

ა. არაბული.

სტატუსი, მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, ზმნის ფორმა, რ-იც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს დინამიკურად ან სტატიკურად. ამის მიხედვით გვაქვს ორი ს.: დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი და ს ტ ა ტ ი კ უ რ ი. დინამიკური ფორმა აღნიშნავს მოქმედებას, პროცესს, სტატიკური – მდგომარეობას. ტერმინი ს. დაამკვიდრა ა. შანიძემ. მისი აზრით, ს. ვნებითი გვარის კატეგორიაა (დინამიკური ვნებითი – ეფინება, სტატიკური ვნებითი – აფენია).

ს-ის კატეგორიას უფრო ფართოდაც განიხილავენ. იგი, გარდამაელობა-გარდაუვალობასთან ერთად, ქართ. ზმნის ერთ-ერთ ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად არის მიჩნეული (არნ. ჩიქობავა). ამ თვალსაზრისის მიხედვით, ქართ. ზმნები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა — დინამიკურად და სტატიკურად. დინამიკური ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიცა და გარდაუვალიც. სტატიკური ზმნა გარდაუვალია. გვარის თვალსაზრისით, სტატიკური ზმნები უგვარო ზმნებია და ამით უპირისპირდებიან დინამიკურ (მოქმედებითი და ვნებითი გვარის) ზმნებს.

დინამიკური და სტატიკური ზმნები გრამატ. კატეგორიების წარმოების უნარის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, დინამიკური ზმნა გრამატ. შესაძლებლობათა სიმდიდრით გამოირჩევა, სტატიკური ზმნის ფუძის გრამატ. შესაძლებლობანი კი შეზღუდულია, რაც სტატიკურობის ფორმალურ ნიშნადაა მიჩნეული (მ. სუხიშვილი). სტატიკურობის ნიშნად გამოყოფენ -ან სუფიქსს (მ. სუხიშვილი, შდრ. ი. ქავთარაძე, ლ. კიკნაძე), აგრეთვე ვარ მეშველ ზმნას (ქ. ლომთათიძე, მ. მაჭავარიანი). განსხვავებული თვალსაზრისის მიხედვით, სტატიკური ზმნის თავისებურებანი მისი სემანტიკითაა შეპირობებული და მას მორფოლ. ნიშანი არ გააჩნია (ვ. თოფურია, ლ. ნოზაძე, ბ. გიგინეიშვილი, ბ. ჯორბენაძე). ამდენად, ს. თანამედროვე ქართულში სემანტიკურ კატეგორიად უნდა შეფასდეს. დინამიკურობა და სტატიკურობა რთული სტრუქტურის სოგადი გრამატ. მნიშვნელობებია, რ-თა ენობრივი ტრანსფორმაცია საგულისხმო თავისებურებებს გვიჩვენებს გამოხატვის თვალსაზრისით. საკუთრივ სტატიკურობის შემადგენელ ელემენტებად შეიძლება გამოიყოს: პასიურობა, მიუმართაეობა, განგრძობითობა, უნე-

ბლიობა, აგრეთვე, ნაწილობრივ, კუთვნილება და შედეგობა.

ფუნქცია უნდა ყოფილიყო სტატიკურად და დინამიკურად ზმნათა დაყოფის საფუძველი ძვ. ქართულშიც (ბ. ჯორბენაძე).

ლიტ.: ნიკობაძე არნ., ქართული ენის სოგადი დახასიათება. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950; შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ნოზაძე ლ., მეღიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში. – «იკე», XIX, თბ., 1974; ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები, თბ., 1975; სუხიშვილი მ., სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976; მაჭავარიანი მ., მოქმედების, პროცესის და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის. – «თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები», VI, თბ., 1981; გიგინეიშვილი ბ., ძველი ქართული ენის გრამატიკიდან. – «მრავალთავი», XIV, თბ., 1987.

ნ. ლოლაძე.

სტეფანო (di Stefano) ჯაკომო დი (14. III. 1585, ნეაპოლი, — 16. XII. 1633, მესინა), თეატრინელი მისიონერი. მამა დონ ჯაკომო დი სტეფანო საქართველოში ჩამოვიდა 1628 წლის 14 დეკემბერს მისიონის პრეფექტ დონ პიეტრო ავიტაბილესთან ერთად და აქ მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე. ისინი იყვნენ პირველი თეატრინელი მისიონერები საქართველოში. გორში ჩამოსვლისთანავე თეატრინელი მამები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქართ. ენის შესწავლას, რადგან სხვაგვარად მისიონერულ საქმიანობაში წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. ოთხ თვეში უკვე ესმოდათ ენა და შეეძლოთ ექადაგათ ქართულად კათოლ. სარწმუნოების დოგმატები. სხვა მისიონერებთან შედარებით (დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯოსეფო ჯუდიჩე) ს-მ ქართ. ენა სწრაფად შეისწავლა, თეატრინელი მისიონერების მიერ გორში დაარსებულ სას. სასწავლებელში იგი მოწაფეებს ასწავლიდა ქართ., ლათ. და იტალ. ენებზე. ავტორიტეტული თეატრინელი მისიონერის დონ ჯუსტო პრატოს მოწმობით, ს-ს შეუდგენია იტალ.-ქართ. ლექსიკონი და ქართ. ენის გრამატიკა. იგი განკუთვნილი ყოფილა მისიონერებისათვის, რათა მათ გაადვილებოდათ ქართ. ენის შესწავლა. ლექსიკონსა და გრამატიკას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მხრივ ს. ფრანჩესკო მარია *მაკოს* წინამორბედია. იგი შეიძლება ჩაითვალოს პირველ უცხოელად, რ-მაც ქართ. ენის გრამატიკა შეადგინა.

ლიტ.: ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987; Licini Patricia A., Libera Università degli Studi di Bergamo. Nuove fonti Teatine d'Archivio per la storia della Georgia feudale.—«Regnum Dei». Collectanea Teatina, Roma; 1990, Tabagua I., Rapporti fra la Georgia cristiana e la Santa Sede, vol. I, Tbilisi, 1996.

მ. პაპაშვილი.

სტილი (ბერძ. stylos, ლათ. stylus — მეტალის წკირი, რ-ის წვერით წერდნენ გასანთლულ ფიცარზე, ხოლო ბლაგვი ბოლოთი შლიდნენ გასასწორებელს ძველ საბერძნეთსა და რომში), ენის ერთეულთა შერჩევისა და სისტემურ-სამეტყველო ორგანიზაციის თავისებურებათა ერთობლიობა, დამახასიათებელი ენის გამოყენებისათვის სას. ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში; მეტყველების თვისებრიობა, რ-ის მეშვეობითაც ამოიცნობა ესა თუ ის ენობრივი სახესხვაობა (ტიპი, ვარიანტი, ფორმა).

ენის ერთეულთა შერჩევა ერთდროულად ამ ერთეულთა ვარიაციულობასაც გულისხმობს და ფუნქციურობასაც, რამდენადაც შერჩევა მოტივირებულია კომუნიკაციური მიზანშეწონილობით. ამიტომ ს-ის შექმნის საფუძველია, ერთი მხრივ, ენაში რეალურად არსებული *სინონიმია* (ლექსიკური, სიტყვაწარმოებითი, მორფოლოგიური, სინტაქსური) და, მეორე მხრივ, სინონიმურ ენობრივ საშუალებათაგან შეგნებული და მიზანმიმართული ამორჩევა, რაც სამეტყველო ურთიერთობის წარმატებას ემსახურება. ს-ის ლინგვისტიკური არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი განკუთვნილია მეტყველების აღმქმელისათვის, ე. ი. მიმართულია პრაგმატულად და იმის გათვალისწინებით, რომ გამომსახველ საშუალებათა მეშვეობით მიღწეულ იქნას ურთიერთობის ეფექტურობა – რაც შეიძლება უკეთ განხორციელდეს კომუნიკაცია.

ბერძნ. რიტორიკაზე დამყარებული ტრად. სტილისტიკა, რ-იც იყო მოძღვრება სიტყვის ხელოვნების შესახებ, ს-ს განიხილავდა როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ სტილისტიკურ საშუალებათა (სტილურად შეფერილი ელემენტები, მხატვრულ-რიტორიკული ხერხები) ნაკრებს და არ ითვალისწინებდა ობიექტის ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ენის ფუნქციონირების კომუნიკაციურად შეპირობებული კანონზომიერებანი და სამეტყველო ორგანიზაცია; უგულებელყოფდა იმას, რომ „მზა“ სტილისტიკურ ელფერებსა და ხერხებს შეიძლება სრულიად განსხვაებული მნიშვნელობა ჰქონდეს განსხვაებული კომუნიკაციური ამოცანების შესაბამისად, რადგან ისინი იქმნება და გამოიყენება მეტყველებაში (ტექსტში) ფუნქციონირებისას.

ის, რომ ენობრივი ურთიერთობის პროცესი ს-ის ქმნადობის პროცესიცაა, არ ამცირებს ამა თუ იმ ენის ისტორიულად ჩამოყალიბებულ იმ სტილისტიკური რესურსების მნიშვნელობას, რ-ებიც, ჩვეულებრივ, ნეიტრალურ ენობრივ საშუალებათა ფონზე გამოიყოფა და რ-თაც ტრადიციით დამკვიდრებული სტილისტიკური შეფერილობა აქვთ. მაგ., სტილურად ნეიტრალურია „მოხუცი“, „ხნიერი“ სინონიმთა რიგში: დრომოჭმული, ბებერი, ბებრუკა, ბებრუცუნა, ბებრუხანა, გადაყრუებული, გადაღრძუებული, მიხრწნილი... მხცოვანი. ჩამოთვლილი სინონიმები მიუთითებენ არა მარტო მეტყველების საგანზე, არამედ მეტყველის სუბიექტურ მიმართებაზე ამ საგნისადმი. თითოეულ მათგანს აქვს ემოციურ-ექსპრესიული და შემფასებლური ელფერი, რაც მათი განსხვაებული გამოყენების საშუალებას იძლევა. სტილისტიკურად დიფერენცირებულია ზოგჯერ სიტყვაწარმოებითი ელემენტებიც. კინონობით-ირონიული შეფასების სემანტიკურ კომპონენტებს შეიცავენ კაცუნა, ქალუკა, ვაჭრუკანა; პატივისცემის შემფასებლური ელფერი აქვს მიღებული ქონების სახელთა მაწარმოებელ -ოსან სუფიქსს სიტყვაში „მანდილოსანი“, მაშინ როდესაც იმავე ჯგუფის სახელთა -იან მაწარმოებელი იმავე სიტყვასთან მხოლოდ მქონებლობას გამოხატავს – „მანდილიანი“. ნეიტრალური ნომინაციისაა „გაქცევა“, მაგრამ მისი სინონიმები – „გავარდნა“, „გაქუსლვა“ – ნომინაციისა და ექსპრესიის შერწყმის შედეგია. ექსპრესიას შეიძლება არ ახლდეს ემოცია და შეფასება

(მაგ., კნასეა. კუკნა „მცირე ჭამა"), მაგრამ აღნიშნული დამატებითი სემანტიკური კომპონენტები უფრო ხშირად ერთად გვხვდება (მაგ., „თქელეფს", რაც ჩქარ-ჩქარა. დაუღეჭავად. ხარბად და ხმაურით ჭამას ნიშნავს, უარყოფითი შეფასების შემცველია ისეთ, როგორც დადებითისა „მხცოვანი" – ადამიანი, რმაც საზოგადოებაში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა). დამატებითი მნიშვნელობა (კონოტაცია), რაც ექსპრესიული, ემოციური თუ შემფასებლური ელფერით იქმნება, შეიძლება იყოს არა მარტო უზუსური, არამედ ოკაზიურიც, ანუ კონკრეტულ კონტექსტზე დამოკიდებული: რეალურად დასაშვებია კონტექსტი, სადაც „მხცოვანს" ირონიული მნიშვნელობა ექნება, ან „წაბრძანდა" უფრო „წაეთრია" იქნება, ვიდრე პატივისცემით ნათქვამი „წავიდა". ნეიტრალური ენობრივი ერთეულიც, თუ ის უჩვეულო მნიშვნელობით იხმარება ან უჩვეულო გარემოში ხვდება, სამეტყველო-სტილისტიკურ შეფერილობას იღებს. ინტონაციაც, წარმოთქმაც შეიძლება იყოს სტილისტიკურად განსხვავებული და რელევანტური.

საკუთრივ სტილისტიკური შეფერილობა უპირატესად გამოიყენება საზ. ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროში, იქნება ეს ყოფა, საზ.-პოლიტ. მოღვაწეობა, სამეცნ. სფერო თუ სხვ. აღნიშნული სფეროებიდან საერთო-ენობრივ ფონდში დაბრუნებული, ან პირველად შესული ენობრივი ერთეულები, რ-თაც შესაბამისი შეფერილობა შემოყვებათ, ნეიტრალური ლექსიკის ფონზე სტილისტიკურად მარკირებული ხდება. ამგვარი ლექსიკური ფენები ქეგლ-ში კვალიფიცირებულია როგორც საკანცელარიო, საუბრო, მეცნ., ტექნ., პოეტური და სხვ.

ამა თუ იმ ს-ის სპეციფ. მახასიათებელია სტილური ნიშანი, რ-ის მიხედვითაც ს-ის ამოცნობა შეიძლება. ს-თა აღწერისას ხშირად მიმართავენ სტილურ ნიშანთა ისეთ დაპირისპირებას, როგორიცაა ხატოვანება-არახატოვანება, ემოციურობა-არაემოციურობა, სიზუსტე-უზუსტობა, ლოგიკურობა-ალოგიკურობა, სტანდარტიზაცია-უნიკალურობა... ამათთან ერთად, ს-ის სხვა ნიშან-თვისებებიც (სიცხადე და გასაგებობა, სიწმინდე, ესთეტიკურობა, შესაფერისობა) შეიძლება ახასიათებდეს რამდენიმე ფუნქციურ ს-ს, მაგრამ ყოველ მათგანში – სპეციფიკურად. მაგ., სიზუსტე ყველა ფუნქციური ს-თეისაა დამახასიათებელი, გარდა სასაუბრო მეტყველებისა, მაგრამ განსხვავებულია ოფიციალურ-საქმიანი საბუთის, მაოემატ. გადმოცემისა და მხატვრული გამოხატვის სიზუსტე. თანამედროვე ქართ. სალიტ. ენისათვის ნიშანდობლივია აღნიშნულ კრიტერიუმთა და ფუნქციურ-სტილისტიკურ ნორმათა მჭიდრო ურთიერთკავშირი, რის გამოც ყოველი სტილური ნიშანი ძირითად ს-ებსა და მათ სახეობებში თავისებურად ვლინდება არა მარტო თვისებრივი, არამედ რაოდენობრივი თვალსაზრისითაც.

ფუნქციურ-სტილისტიკური ნორმა საერთოენობრივ და ენობრივ-სტილისტიკურ ნორმათა გვერდით არსებობს. ენობრივი ნორმის ვარიანტული სახესხვაობანი ხშირად შეპირობებულია ვარიანტულ ფორმათა სტილისტიკური დიფერენციაციით, მაგ., ქართ. სალიტ. ენის მოქმედ ნორმას არ შეესაბამება მასდართა, აბსტრაქტულ და ნივთიერებათა სახელების მრ. რ-ის ფორმები, გავრცელებული სამეცნ. მეტყველებაში; მხატვრული და სასაუბრო ენისათვის უცხოა გენიტივიან მსაზღვრელთა გრძელი რიგები, აგრეთვე, ენებითურ კონსტრუქციათა გამოყენების არის გაფართოება, რაც ნორმატიულად ითვლება სამეცნ. და ოფიციალურ-საქმიან ს-ებში. არ არსებობს ენაში ისეთი აფიქსი ან გრამატ. ფორმა, რ-იც მხოლოდ ერთ ფუნქციურ ს-ს ეკუთვნოდეს, მაგრამ არსებობს სხვადასხვა ს-ში მათი გამოყენების განსხვავებული სიხშირე, რაც ფუნქციურ-სტილისტიკურ ნორმას სტატისტიკურ ხასიათს ანიჭებს. მაგ.: ქართ. სამეცნ. ს-ის ერთ-ერთი თავისებურებაა -ად, -ივ, -ით, -ედ მაწარმოებლების გააქტიურება (კრისტალებადი, მონელებადი, უღელილებადი... შეკუმშებითი, მგრძნობელობითი, რაგვარობითი... განივი, ციფრობრივი, ხარისხობრივი... გრძედი, წრედი, მრავალკუთხედი...) და კინონიმიის სოგიერთი სუფიქსის გაცოცხლება (ბალთაკი, ბუშტუკი, კაფულა, კბილანა...). ფუნქციურ-სტილისტიკური ნორმა ყველაზე მკვეთრად და კატეგორიულად ყველა დონის ენობრივ ერთეულთა სტილისტიკურ შეფერილობაში ვლინდება, რ-ის თვისებრიობას ამ ერთეულთა ურთიერთკავშირი და რაოდენობრიობაც ქმნის. აღნიშნული ნორმატიულობა განაპირობებს ენის გამოყენების გარკვეულ ტრადიციას ამა თუ იმ საზ. სფეროში. აქ ენობრივ ერთეულთა ფუნქციონირების კანონზომიერება ობიექტური ხასიათისაა. ყოველივე ეს ქმნის ამა თუ იმ სტილისათვის სპეციფ. სისტემურ-სამეტყველო ორგანიზაციას, რომელსაც ექსტრალინგვისტური საფუძველი აქვს: კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის შესრულება კონკრეტულ საზ. სფეროში.

ქართ. ენას ფუნქციურ ს-თა მდიდარი სისტემა აქვს. მათგან მეტნაკლებად სრულადაა შესწავლილი სამეცნ., საგაზეთო-პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სასაუბრო და მხატვრული ს-ები, თავიანთი ქვესტილებითა და ჟანრებით.

ენობრივ ს-თა ყველაზე ტევადი სახეობებია: ნეიტრალური (საშუალო), მაღალი (წიგნური) და დაბალი (ფამილიარულ-სასაუბრო). ასევე, იერარქიულობის პარამეტრით შეიძლება გამოვყოთ წარმოთქმის ს-ებიც: ჩვეულებრივი, ზედმიწევნით სრული და დაუდეარი. მათ განსხვავებულობას,ისევე როგორც ენობრივ სტილთა დიფერენციაციას, განაპირობებს ენობრივი ურთიერთობის სიტუაციის თავისებურებანი, ურთიერთობის მონაწილეთა სტატუსი, მათი მიზნები და სხვ. (იხ. აგრეთვე *იდიოსტილი*).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1983; კეკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957; მისივე, თხზულებანი, ტ. 3 თბ., 1999; კვარაცხელია გ., ოფიციალურ-საქმიანი სტილის ზოგადი ნიშნები. – «თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები», VI, თბ., 1981; მისივე, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; გიგინეიშვილი ი., ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის. – «ქსენი», წგ. 8, თბ., 1988; მისივე, ზოგიერთი დაკვირვება გალაკტიონ ტაბიძის ენაზე. – «ქსენი», წგ. 10, თბ., 1993; მისივე,

არქაიზმის საკითხისათვის. – «ქსკს», წგ. 11, თბ., 1998; Пражский лингвистический кружок, М., 1967; «Новое в зарубежной лингвистике», вып. 9. Лингвостилистика, М., 1979; Аверинцев С. С., Проблема индивидуального стиля в античной и византийской риторической теории. Литература и искусство в системе культуры, М., 1988; Enkvist N., On defining Style.– In: Linguistics and Style, L., 1964. *გ. კვარაცხელია.*

სტილიზაცია, ამა თუ იმ სტილის შეგნებული მიბაძვა, მისი თავისებურებების სრული ან ნაწილობრივი გამეორება. განსაზღვრული წყაროს ანუ „პროტოტიპური სტილის“ აშკარა, ხაზგასმული იმიტაციით ს. გამოირჩევა, ერთი მხრივ, ეპიგონობისაგან, როგორც არაშემოქმედებითი მიბაძვისაგან, ხოლო მეორე მხრივ, პლაგიატისაგან, როგორც სხვისი ტექსტის მისაკუთრებისაგან. ამათგან განსხვავებით, ს-ს ესთეტიკური ფუნქცია აქვს.

ს., ზოგადად, ავტორის სტილისაგან გამიჯვნას გულისხმობს, რის შედეგადაც გამოხატვის ობიექტად იქცევა თვით მიმსგავსებული სტილი, რ-ის „აღდგენა“, გადმოტანა ხდება გარკვეული სოც. ფენის, ისტ. ეპოქის, ლიტ. მიმდინარეობის, ჟანრისა თუ ცალკეული მწერლის სტილისტიკურ მახასიათებელთა მიბაძვით. მიბაძვა შეიძლება განხორციელდეს სინტაქსურ კონსტრუქციათა კოპირებით, გრამატ. ფორმათა და ლექსიკურ ერთეულთა შერჩევა-სესხებითა და სხვ. ნიმუშად აღებული სტილის ფარგლებში ნეიტრალური ენობრივი ელემენტები ახალი ნაწარმოების სტილურ ნიშანთა ფონზე მარკირებული ხდება, რასაც მხატვრული ეფექტი აქვს. ასეთ ს-ს მიმართავენ პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის შესაქმნელად, როცა მწერალი ხატავს განსაზღვრული სოც. ჯგუფის ან ეროვნების წარმომადგენელთა სახეებს (გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის კომედიების მოქმედ პირთა ქართული, ლელთ ღუნიას, გლახა ჭრიაშვილისა და სხვათა მეტყველება); ყარაჩოხულ ფოლკლორზეა ორიენტირებული ს. გრ. ორბელიანის მუხამბაზურ ლექსებში („მუხამბაზი“, „მირზაჯანას ეპიტაფია“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“); მისტიფიკაციისათვის იყენებს ს-ს და მოჩვენებით წყაროზე მიუთითებს პ. იაშვილი „ელენე დარიანის ლექსებში“, სადაც გადმოცემულია ქალის – პოეტის ინდივიდუალურ-ფსიქოლ. თავისებურებები. ჟანრობრივი ს-ის ნიმუშებია მოცემული ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ (დაკითხვის ოქმი, საარქივო მასალა, შეანგირაძის პატაკი, ანდრიევსკის დღიური, სეგედის ჩანაწერები...), სადაც მწერალი შესაბამისი ჟანრებისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ კლიშეთა, კომპოზიციურ-სამეტყველო ორგანიზაციის თავისებურებათა და სინტაქსურ კონსტრუქციათა აქტუალიზებას ახდენს. ს-ის უფრო დახვეწილი ხერხები გამოუყენებიათ ლიტ. ტექსტების გამყალბებლებს. ნაყალბევი სტროფების ამოცნობა, მაგ., „ვეფხისტყაოსანში“, სპეციალისტებს დღემდე სირთულეს უქმნის.

ს-ის ობიექტი უფრო ხშირად არის დროსა და სივრცეში დაშორებული სტილური სისტემა, ამასთანავე, არა იმდენად ინდივიდუალური, რამდენადაც ლიტ. მიმდინარეობის, ეპოქის, ეროვნ. კულტურისათვის ზოგადად დამახასიათებელი. ს. ისტ. რომანების მუდმივი ატრიბუტია. გარდასულ ეპოქათა კოლორიტის შესაქმნელად სიძველის სტილიზებულ ელემენტებს, ლექსიკის არქაიზაციას მიმართავდნენ ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე. აღნიშნულ ფუნქციასთან ერთად, გაუცხოებისა და ირონიის დამატებით ფუნქციას ასრულებს „ასი წლისწინანდელ მდაბიურ ქალაქურ ენას მიმსგავსებული“ ავტორისეული თხრობა ა. მორჩილაძის რომანში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“.

სტილური შეფერილობის მიხედვით ს. შეიძლება იყოს კომიკური და არაკომიკური. კომიკური სტილიზაციის ნიმუშებია პაროდია და პაროდიული ნაწარმოებები: გადამღერება, ბურლესკი. ამ უკანასკნელის მაგალითია ილიას მიერ სახუმარო კილოზე გადაკეთებული ალ. ჭავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონი“, დაწერილი „ცისკრის“ გასამასხარავებლად, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვით აგებული ილიასავე ლექსი ნ. ნიკოლაძის შესახებ. აქ პოეტი სხვისი სტილის იმიტაციით ცდილობს საკუთარი კომიკური თუ სატირული მიზნების განხორციელებას. პაროდიაში შეიძლება სასაცილოდ იგდებდნენ ლიტ. წყაროსაც, რომლის იდეურ-თემატურ თუ სტილისტიკურ თავისებურებებს ჰიპერტროფირებულად წარმოაჩენენ (მაგ., ნ. ნიკოლაძის „გრიგოლ ორბელიანი პლატონ იოსელიანს“).

არაკომიკურ სტილიზაციათა ერთი ჯგუფი ცალკე ჟანრს ქმნის, რომელსაც ვარიაცია ეწოდება. ვარიაციაში, ისევე როგორც პაროდიაში, ავტორი იყენებს რა სხვის მასალას, საგანგებოდ მიუთითებს წყაროზე, რ-ის იდეურ-თემატურ სფეროს ალუზიებით აფართოებს ან აზუსტებს, ზოგჯერ საკუთარი ინტერპრეტაციებს განავრცობს (მაგ., ილიას „მეცა მქონია კარგი მამული – მიბაძვა ჰეინესი“). ქართ. მწერლობაში ნაწარმოების სათაურთან გამოყენებული სიტყვები: „მიბაძვა“, „მოტივზე“, „ხმაზე“, „კილოზე“, „ხალხური“ ხშირად ს-ის ამ სახეობაზე მიუთითებს.

ს-თვის აუცილებელი არ არის შესაბამისი მარკირების ყველა ენობრივი ერთეულის გადმოტანა, საკმარისია მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ინკრუსტირება ტექსტში. ს. მხატვრულ ლიტ-რაში სწორედ ამას ემყარება.

ლიტ.: Бахтин М. Н., Проблемы поэтики Достоевского, М., 1963; Broiwer R. A. Mirror on mirror: Translation, imitation, parody, Cambridge (Mass.), 1974 *გ. კვარაცხელია.*

სტილისტიკა (ფრანგ. stylistique <style – სტილი), სტილის შემსწავლელი ფილოლოგიური დისციპლინა, რ-იც ენათმეცნიერებას ეფუძნება, მაგრამ მისგან განსხვავებული ასპექტით იკვლევს ენას, როგორც გამოყენებას, შეისწავლის მას „მოქმედებაში“; იხმარება „სტილის“ სინონიმადაც ამა თუ იმ ლექსის, მოთხრობის, რომანისა და ა. შ. მხატვრული გაფორმების თავისებურ ნიშანთა ხაზგასასმელად (მაგ., „გ. დოჩანაშვილის პროზის სტილისტიკა“; „ამ მოთხრობის უჩვეულო სტილისტიკა“).

ს-ის ძირითადი ცნებებია: სტილი (ენობრივი, ფუნქციური, ინდივიდუალური), ენის სტილისტიკური სტრუქტურა, ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური ორგანიზაცია, სტილისტიკური შეფერილობა, სტილური ნიშანი, ენობრივ ერთეულთა სინონიმია, შესაბამისობა და ვარიაციულობა, სტილისტიკური ნორმა და მისი ფუნქციურ-სტილური სახესხვაობანი (იხ. *სტილი*). რამდენადაც ენის ეკოლოგია, ანუ მისი არსებობის გარემო, მრავალ-

ფეროვანი და ისტორიულად ცვალებადია. სტილიც ისტ. მოვლენაა და, ამდენად, ცვლილებას განიცდის მისი შემსწავლელი დისციპლინის ცნებებისა და კატეგორიების შინაარსიც. ამის გამო ს. შეისწავლის არა მარტო სტილს (ამ ტერმინის ყველა ენათმეცნ. მნიშვნელობით), არამედ სტილთა ევოლუციასაც სალიტ. ენის ისტორიასთან მიმართებით, ისტორიულად შეისწავლის აგრეთვე *მუსიკალების ფიგურებსა* და ტროპებსაც (იხ. *ტროპი*).

უკვე ანტ. პოეტიკასა და რიტორიკაში მოცემული იყო ს-ის ელემენტები (პოეტური და სასაუბრო მეტყველების განსხვავება, მეტყველების ღირსებათა დახასიათება და შეფასება, ფიგურათა შერჩევა, სამი სტილის აღიარება): ს-ის პრობლემებს უფრო ერცლად ეხებიან სანსკრიტის გრამატიკოსები (V–II სს. ძვ. წ.) და, განსაკუთრებით, ძვ. ინდოეთის პოეტიკური ტრაქტატები (IV–VII სს.). ანტ. ტრადიციები მოქმედებდა შუა საუკუნეების ფილოლოგიაშიც, ამასთანავე, კვლევებს კვლავ პრაქტ.-ნორმატიული ხასიათი ჰქონდა: აღგენდნენ, თუ რა ლექსიკა-ფრაზეოლოგია, ტროპები და ფიგურები „შეშვენის“ სიტყვიერების სხვადასხვა სახეს (ანტ. მოძღვრებას სამი სტილის შესახებ კლასიციზმამდე მნიშვნელობა არ დაუკარგავს).

საკუთრივ ენათმეცნ. ს-ს სათავე დაუდო შ. ბალიმ („ტრაქტატი ფრანგული ენის სტილისტიკის შესახებ“, 1909). მისი მოძღვრების ბევრ დებულებას ემყარება და ავითარებს თანამედროვე ლინგვისტიკა, მ. შ. უმნიშვნელოვანესია „ნეიტრალური ფონის“ საკითხი, ენობრივ ერთეულთა ფუნქციური შერჩევა, ექსპრესიულ ფაქტთა კლასიფიკაცია, რასაც უკავშირდება მოგვიანებით დასმული „დამატებითი ინფორმაციის“ პრობლემა; ასევე საყურადღებოა დიქტუმისა და მოდუსის ცნებები, რ-თა მიხედვით გამოანათქვამი ორ ნაწილად იყოფა. დიქტუმი გარკვეული ექსტრალინგვისტური სიტუაციის ამსახველ პროპოზიციას მოიცავს, ხოლო მოდუსი ამ სიტუაციის მიმართ სუბიექტის დამოკიდებულებას გამოხატავს (შდრ. „სუბიექტური დანართი“ – არნ. ჩიქობავა). ე. ბენვენისტის კონცეფციიდან მომდინარეობს ენის შესწავლა „მოქმედებაში“, სადაც მეტყველ სუბიექტს ცენტრ. ადგილი უკავია, ამდენად, მის სახელთანაა დაკავშირებული ს-ის თანამედროვე გააზრება, როცა იგი გაგებულია როგორც სხვადასხვა სიტუაციაში მოლაპარაკის მიერ ენის გამოყენების შესახებ ზოგადი მოძღვრება. საბოლოოდ, როგორც დამოუკიდებელი დარგი, ს. პრაღის ლინგვ. წრეში ჩამოყალიბდა, ჩეხ ენათმეცნიერთა ზოგადლინგვ. მოძღვრების შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა პეტროგრადის ფილოლოგთეორეტიკოსთა და მოსკოვის ლინგვისტთა გაერთიანებამ – „პოეტური ენის თეორიის შემსწავლელმა საზოგადოებამ“ (Общество изучения теории поэтического языка – Опояз), რ-იც ნომინალურად 1919 გაფორმდა. პირველად აქ იქნა შემუშავებული თანამედროვე ს-ის პროდუქტიული იდეები, რ-ებიც უკავშირდება ფუნქციონალიზმსა და ტელეოლოგიზმს, ფუნქციური სტილის ცნებას, ანტითეზას – პოეტური მეტყველება და პრაქტ. მეტყველება, „გაუცნაურების“ მეთოდს, რამაც პარალელებთან ენობრივი ფაქტურის ავტომატიზაცია-აქტუალიზაციის სახე მიიღო (შდრ. გრ. კიკნაძესთან „ფიქსირებული ფორმის გამეორება და ფიქსირებული ფორმის დარღვევა“), ასევე შეხედულებას ენობრივი ნიშნის ავტონომიური ღირებულების შესახებ მხატვრულ მეტყველებაში, ინდივიდუალურ გამონათქვამთა განხილვას ნორმათა არსებულ კომპლექსთან მიმართებით, მხატვრული მეტყველების ს-ის ორიენტაციას ენათმეცნიერებაზე და სხვ.

თანამედროვე ს-ს მრავალი მიმართულება აქვს, რ-ებიც განსხვავდებიან შესწავლის მასალით, პრობლემატიკით, საგნობრივი სფეროებით, ასპექტებითა და კვლევის ხერხებით.

ტრადიციულია მიმართულება, რ-იც ენის სტილისტიკურ საშუალებებს სწავლობს, ანუ რესურსების ს. მისი დანაყოფებია: ფონეტიკური ს., ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ს., მორფოლოგიური ს., სინტაქსური ს. და სიტყვაწარმოებითი ს. რესურსების ს. აღწერითი ხასიათისაა და ენაში სინონიმიის არსებობას ემყარება (ჰ. ჰოკეტი: „ერთი და იმავე ენის ორი შეტყობინება, რ-იც დაახლოებით ერთნაირ ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ რ-თაც განსხვავებული ენობრივი სტრუქტურები აქვთ, შეიძლება განიმარტოს როგორც სტილისტიკურად განსხვავებული“). საპირისპირო აზრის თანახმად, ინფორმაციათა იდენტურობა საეჭვოა იქ, სადაც ამ ინფორმაციათა შემცველი გამონათქვამები სტილისტიკურად ერთმანეთს უპირისპირდება (ნ. ენკვისტი).

სამეტყველო აქტის მონაწილეთა როლების მიხედვით გამოყოფენ მეტყველების გამგზავნის ს. და მეტყველების მიმღების ს-ს. პირველს, ჩვეულებრივ, კოდირების, ხოლო მეორეს დეკოდირების ს-ს უწოდებენ. მათი ობიექტი უფრო ხშირად მხატვრული მეტყველებაა, სადაც სამეტყველო აქტის სამწევროვანი დაყოფა იცვლება მისი ანალოგიური სისტემით „ავტორი – ნაწარმოები – მკითხველი“. კოდირების ს-ს აინტერესებს მწერლის შემოქმედებითი პროცესის მამოძრავებელი ძალები, დეკოდირების ს-ს კი – თვით ტექსტი, რ-საც მკითხველი აღიქვამს. ამიტომ ამ დისციპლინებს, შესაბამისად, ავტორის ს. და აღქმის ს. უწოდებენ. მხატვრული ნაწარმოების, როგორც ცოცხალი პროცესის, არსს სწორედ აღქმის ს. ავლენს, რომელიც ავტორისა და ნაწარმოების უცვლელობის პირობებში მკითხველის სხვადასხვაობას ითვალისწინებს. გარკვეულ დროსა და სივრცეში შექმნილი, ფიზიკურად უცვლელი ნაწარმოები ცვლილებადი მკითხველის გამო ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად იკითხება. აქ დგება ინტერპრეტაციისა და მკითხველის თვისებრიობის საკითხები, „ავტორის სახისა“ და სხვა პრობლემები, რთა არსი ისევ ენობრივი მასალითაა მატერიალიზებული. ამიტომ ორივე აღნიშნული ს. პრინციპულად არაერნამეცნ. ვერ იქნება.

განასხვავებენ შიდაენობრივ (stylistique Interne) და გარეენობრივ (stylistique externe) ს-ს. პირველი შეისწავლის ამა თუ იმ ენის სტილისტიკურ სტრუქტურას, მის შინაგან, ინტელექტუალურსა და აფექტურ ელემენტებს, განსაზღვრავს მათ ურთიერთზემოქმედებას. გარეენობრივი, ანუ შედარებითი, ს-ის (stylistique comparée) შექმნის იდეა შ. ბალის ნაშრომებში ჩაისახა და ახლა შეპირისპირებით ს-ს უწო-

დებენ. მისი კელევის საგანია ორი ან მეტი ენის სტილისტიკურ საშუალებათა და სტილისტიკური სტრუქტურათა შედარებითი შესწავლა, მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა. კონტრასტული ანალიზი საშუალებას იძლევა უკეთ გამოელინდეს თითოეული შეპირისპირებული ენის სტილისტიკური თავისებურებანი, რ-ებიც შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს შიდასტილისტიკური შესწავლისას. შ. ბალიმ, მაგ., ფრანგ. ენის ს-ის უკეთ დახასიათებისათვის გერმ. ენის სტილისტიკური თავისებურებანი მოიშველია. შესადარებელ ენათა სტილისტიკური სტრუქტურების შეპირისპირება თვალსაჩინოს ხდის ენის სტილისტიკური აგებულების როგორც საერთო, ინვარიანტულ, ისე სპეციფიკურად ეროვნ. თავისებურებებს. მაგ., ადიღეურ ენაში ძირითადი ფუნქციური სტილებია: ზეპირ-პოეტური, ლიტ.-მხატვრული და სამეცნ.-პუბლიც. (ზ. და მ. კუმახოეები), მაშინ როდესაც, ქართულში კარგადაა გამოჯნული სამეცნ. და პუბლიც. ფუნქციური სისტემები; ასევე, ფუნქციური სტილის გამოკვეთილი სტატუსი აქვს ოფიციალურ-საქმიან სტილს (იხ. *ფუნქციური სტილისტიკა*). შეპირისპირებითი ს-ის მონაცემები მნიშვნელოვანია როგორც ზოგადთეორიული, ისე პრაქტ. თვალსაზრისით. ისინი ფართოდ გამოიყენება ლინგვოპედაგოგიკასა და თარგმნის სფეროში.

გამოყენებითი, ნორმატიული დისციპლინაა პრაქტიკული ს., რ-იც, ენობრივ-სტილისტიკური ნორმების შესაბამისად იძლევა მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს ენის გამოყენების შესახებ სხვადასხვა გარემოსა და სფეროში.

აღწერითი ს-გან განსხვავებით, ისტორიული ს. ენის გამოყენების ისტორიას შეისწავლის. იგი ადგენს როგორც სტილისტიკურ ნორმათა ცვლას, ისე სალიტ. ენის სტილისტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; მისივე, ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი – წგ.: „ილიას სამრეკლო", თბ., 1987; ძიძიგური შ., მწერლის ენის პრინციპული საკითხები, თბ., 1956; ჭუმბურიძე ზ., ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956; ქიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957; შალამბერიძე გ., ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966; მისივე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1998; კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის საკითხები „ოპოიაზ"-სა და პრაღის სკოლაში. – «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», III, თბ., 1972; მისივე, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; მისივე, მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995; გვენცაძე ალ., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები (1971), თბ., 1974; გიგინეიშვილი ი., გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის" ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975; გაწერელია აკ., პოეტური გამოთქმების ისტორიული მოდიფიკაციის საკითხისათვის.– წგ.: „პოეზია და სტილისტიკა". «ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები», X, თბ., 1977; ლემონჯავა ნ., მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993; Античные теории языка и стиля, пер. с. франц., М.–Л., 1961; Балли Ш., Французская стилистика, пер. с. франц., М., 1961; «Новое в зарубежной лингвистике», вып. 9. Лингвостилистика, М., 1979; Кожина М. Н., Стилистика русского языка, М., 1983; Guiraud P., La stylistique, 8 éd., P., 1975. იხ. აგრეთვე სტატიასთან *სტილოსტატისტიკა*.

გ. კვარაცხელია.

სტილოსტატისტიკა, სტატისტიკური სტილისტიკა, *სტილისტიკის* ნაწილი. მათემატიკური სტატისტიკისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ალბათობათა თეორიის მეთოდებით იკვლევს სტილისტიკურ მონაცემებს. აღნიშნულ მეთოდებს იყენებენ შეპირისპირებითსა და ფუნქციურ სტილისტიკაში, უფრო ხშირად – მხატვრული ტექსტის ანალიზისას. ს. ძირითადად ეხება სტილისტიკური ანალიზის კრიტერიუმების დადგენისა და ინდიციდ. სტილის (*იდიოსტილის*) პრობლემატიკას, რასაც პრაქტ. მიზანიც შეიძლება ჰქონდეს, კერძოდ, ანონიმური და ფსევდონიმური ნაწარმოებების აეტორობის დადგენა (ატრიბუცია), ტექსტების დათარიღება, ფუნქციურ სტილთა დიფერენციაციის დასაბუთება და სხვ.

ლიტ.: აბულაძე ლ., ყაჯა-ფშაველას მხატვრული პროზის ლექსიკის სტატისტიკური ანალიზი. – «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», I, თბ., 1966; კვარაცხელია გ., სტატისტიკური მეთოდებით ლექსიკის სტილისტიკურ-შედარებითი კვლევა. – იქვე, II თბ., 1967; მისივე, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; მისივე, მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995; Мартыненко Г. Я., Основы стилеметрии, Л., 1988; Guiraud P., Problèmes et méthodes de la statistique linguistique, Paris, 1960.

გ. კვარაცხელია.

სუბიექტი, ლოგიკაში – მსჯელობის საგანი, გრამატიკაში – ზმნის პირი, რ-იც ზმნურ ფორმაში მოქმედების ჩამდენად არის წარმოდგენილი: „მე ვაშენებ", „ის მირბი-ს".

განასხვავებენ: გრამატიკულ ს-ს, რ-იც ტრადიციულად ემთხვევა *ქვემდებარეს*; სემანტიკურ ს-ს, რ-იც გვეელინება როგორც აგენსი (მაგ., მოთხრ. ბრუნვა ერგატიული წყობის ენებში ან სახ. ბრუნვა ნომინატიური წყობის ენებში); კომუნიკაციურ ს-ს, როგორიცაა *რემა*.

ცნება „ს"-ის გამოყენება ლინგვისტური ანალიზის დროს გარკვეულ სირთულეებს აწყდება, მაგ., წინადადების გრამატ. და ლოგიკური ს-უების განსხვავებისას. ასე, წინადადებაში „ირემი მოკლულ იქნა მონადირის მიერ" გრამატ. ს-ია ირემი, ხოლო ლოგიკური – მონადირე.

ს-ის ცნება სირთულე ასახულია მის განსხვავებულ დეფინიციებში, რ-თაც გუთავაზობენ სხვადასხვა მიმდინარეობები (რელაციური გრამატიკა, ტრანსფორმაციული გრამატიკა ფუნქციონალური სინტაქსი...).

ქართ. ზმნაში სუბიექტი ეის რიგის ნიშნებით აისახება:

მე ვ-ხატავ შენ (პ)-ხატავ ის ხატავ-ს.

სუბიექტური პირის ნიშნებია:

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ –	1. ვ – თ
2. პ,- ხ-, ს-, 0-	2. პ-, -ს, -0 – თ.
3. – ს, -ა, -	3. – -ნ, -ენ, -ან, -ნენ, -ეს.

მაგრამ მოქმედების რეალურად ჩამდენი ყოველთვის არ ემთხვევა გრამატ. სუბიექტს: წინადადებაში – „კაცმა მეზობელს სახლები აუშენებინა" – სუბიექტია „კაცმა", თუმცა მოქმედების რეალური ჩამდენი მიც. ბრუნვაში დასმული სახელია „მეზობელი"; წინადადებაში „ქვა გორდება" სუბიექტია „ქვა", მაგრამ მოქმედების გამომწვევი რე-

ალური მიზეზი და ავტორი ზმნურ ფორმაში არ აისახება.

ლიტ.: Панфилов В. З., Взаимоотношение языка и мышления. М., 1971; Арутюнова Н. Д., Семантическая структура и функции субъекта. – «Известия АН СССР». ОЛЯ, 1979, т. 38, №4; Категория субъекта и объекта в языках различных типов. Л., 1982; Теньер Л., Основы структурного синтаксиса, пер. с франц., М., 1988. *ქ. გაბუნია.*

სუბსტანტივაცია (< ლათ. substantivum — არსებითი სახელი), *ტრანსპოზიციის* კურსი სახე — ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის არსებით სახელად გადაქცევა, გაარსებითება რაიმე წარმოსაქმნელი ელემენტის დაროვის გარეშე. შეიძლება გასუბსტანტივდეს ყოველი მეტყველების ნაწილი, როცა იგი საგნობრიობის აღმნიშნელი ხდება და გრამატ. ნიშნების მიხედვითაც არსებით სახელს უთანაბრდება. ქეელაზე გაერცელებულია ზედსართავი სახელის ს. („კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი — არც თავის დედასა." ვაჟა-ფშაე). არსებითად შეიძლება იქცეს პირის ნაცვალსახელი („ეს უკანასკნელი პასუხს აძლევდა პირველ „მე"-ს, ვაჟა-ფშაე.), რიცხვითი სახელი (ქეელა საგანში ხუთები აქვს); ზმნისზედა („ხვალემ იკითხოს ხვალისა"); ზმნის პირიანი ფორმა („არმინდამ ცხრა ხინკალი შეჭამაო", ანდ.); ნაწილაკი („არც ჰოს ამბობდა და არც არას").

ს. შეიძლება იყოს სრული, როცა ზედსართავი ან სხვა რომელიმე მეტყველების ნაწილი გაარსებითდება და თავის პირვანდელი ფუნქციით აღარ გამოიყენება (სამუშაოდი, ცხენოსანი, სათვალე, საყურე, ნაყინი, საციე...); არასრული, როცა ზედსართავი (ან სხვა მეტყველების ნაწილი) ზოგ შემთხვევაში გაარსებითებულია, სხვა შემთხვევაში კი ისევ ზედსართავია (მორიგე, სასადილო, სამხედრო...); ოკაზიონალური, როცა ზედსართავი არსებითის ფუნქციით მხოლოდ მოცემულ კონტექსტში გამოიყენება – ძუნწი და ალალმართალი. *ნ. ჭუმბურიძე.*

სუბსტიტუცია (ლათ. substitutio — ჩანაცვლება), ბგერათა ჩანაცვლება ცალკეულ სიტყვაში ან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში ფონეტ. განპირობებულობის გარეშე. ს. არის არა კანონზომიერი ფონეტ. განვითარების შედეგი, არამედ ბგერის ერთბაში, სპირადული ცვლილება სიტყვაში. ერთადერთი „კანონზომიერება" ის არის, რომ ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ აკუსტიკურად მსგავს ბგერებს.

ბგერათსუბსტიტუცია მიანნიათ ბგერათა არაადეკვატური აღქმის საფუძველზე აღმოცენებულ აკუსტიკურ მოვლენად (გ. ახვლედიანი).

განასხვავებენ ორი სახის ს-ს: 1. ბგერათა ჩანაცვლებას უცხოური ენიდან ნასესხებ სიტყვებში (ციფრი < რუს. цифра, კათედრა < გერმან. Kathedra და ა. შ.); 2. ჩანაცვლებას მშობლიური ენის სიტყვებში (რამდენი > რამტენი, საბზელი > საბძელი და ა. შ.).

ს-ის პირველი შემთხვევა არ იწვევს მსესხებელი ენის არც ბგერათსისტემის და არც მისი ფონეტიერის შეცვლას. თვით ჩანაცვლების პროცესი კი კანონზომიერად, უგამონაკლისოდ მიმდინარეობს.

ს-ის მეორე სახე ფართოდ არის გავრცელებული ქეელა ენაში, მაგრამ მას არ ახასიათებს ისეთი კანონზომიერება, რ-იც აქვს პირველი ტიპის ბგერათჩანაცვლებას.

ს., განსაკუთრებით პირველი ტიპის, მოქმედებს როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში, ხოლო მეორე სახისა — მხოლოდ თანხმოვნებში.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

ნ. იმნაძე.

სუბსტრატი (< ლათ. substratum; sub– ქვე, stratum – შრე), ენა, რ-იც გაელენას ახდენს ამავე ტერიტორიაზე უფრო გვიან (ომების, მშვიდობიანი მიგრაციების შედეგად) გავრცელებულ სხვა ენაზე. გარკვეულ ტერიტორიაზე ორი (შესაძლოა მონათესავე) ეთნოსის, და შესაბამისად ორი ენის, მჭიდრო თანაარსებობის პირობებში ერთი ეთნოსი (პოლიტ. ან ეკონ. ფაქტორების გავლენით) მოსალოდნელია გაბატონდეს მეორეზე, რასაც თან ახლავს გამარჯვებული ეთნოსის ენის გაბატონება და მეორის დაკარგვა. მაგრამ „დამარცხებული" ენა შესაძლებელია უკვალოდ არ გაქრეს და მისი გარკვეული ნიშნების კვალი მეტ-ნაკლებად შემორჩეს გამარჯვებულ ენას. ენას, რ-იც წყვეტს არსებობას, მაგრამ რაიმე ფორმით აისახება დარჩენილ, „გამარჯვებულ" ენაში (აგრეთვე იმ ნიშნებსაც, რ-ებიც მიიჩნევიან გამქრალი ენიდან მომდინარედ), უწოდებენ ს-ს. ს. ენაა, მაგ., აღგილობრივი კელტური ენა ინგლისურისათვის. ასევე ს-ის როლში გამოდის მცირე აზიაში გავრცელებული *ხათური* (პროტოხეთური) *ენა* ინდოევრ. *ხეთური* (ნესიტური) *ენისათვის*, რ-შიც აშკარად იკვეთება ხათურის კვალი. „დაკარგული" იბერიული ენის ნიშნები ელინდება გვიანდელ რომანულ დიალექტებში და ა. შ.

სოციოლინგვისტიკაში ტერმინით „ს." აღნიშნავენ იმ კოლექტივის პირველად ენას, რ-ის წევრები იძულებენ მეორე ენას, მაგრამ პირველადი ენა გავლენას ახდენს მასზე. ასე მოხდა დას. აფრიკული პიჯინ და კრეოლური ენების (იხ. *ენობრივი კონტაქტების ტიპოლოგია*) შემთხვევაში, რ-თა ს. ენა იყო ადგილობრივი დასავლურ-აფრ. ენები (იგბო, ფორუბა და სხვა). შემდეგ ტერმინი გაფართოვდა და აღნიშნავს პირველად ენას საერთოდ იმ მოლაპარაკეთათვის, რებიც ეუფლებიან მეორე ენას, მაგრამ მას'ში შეაქვთ პირველადი ენის ფორმები.

ს., როგორც ძლიერი ინტერფერენციის (*ბილინგვიზმის*) შედეგი, შეიძლება გამოვლინდეს ენის მთელ სისტემაში – ფონეტ.-ფონოლოგიურ, გრამატ., ლექსიკურ, სემანტიკურ დონეებზე. მაგრამ მათგან ყველაზე საეჭვოდ მიიჩნევენ ლექსიკურ მონაცემებს, რადგან ამ სფეროში ს-ის შემთხვევები ძნელი გასარჩევია სესხების შემთხვევებისაგან.

ლიტ.: ჯორბენაძე ბ., ქართველური ენათა დიალექტები, თბ., 1995; გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003; Пизани В., Общее и индоевропейское языкознание. – კრ.: Общее и индоевропейское языкознание, пер. с нем., М., 1956; Гамкрелидзе Т. В., „Хеттские языки" и вопрос о переселении в Малую Азию индоевропейских племен.– «ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები», 1957, №2.

ი. ქობალავა.

სუპერაცია (ლათ. superatio — დაძლევა, გადალახვა), ფონეტიკური პროცესი, რ-იც გულისხმობს ენობრივი თვალსაზრისით „მოუხერხებელი", წარმოთქმისათვის ძნელი ბგერათმიმდევრობის აცილებას. ს. უმეტესად თავს იჩენს *აქცესიურ კომპლექსებში*, რადგანაც აქცესიური თანამიმდევრობა (გდ, ქთ, კტ) ფიზიოლოგიურად ნაკლებ „ბუნებრივია". ამიტომ ხშირად ენებში შეიმჩნევა აღნიშნული კომპლექსების მიდრეკილება ს-კენ. ეს პროცესი შეიძლება ჩაითვალოს საყოველ-

თაო ფონეტ. მოვლენად მისი ფიზიოლოგიური განპირობებულობის გამო, მაგრამ ს. არაერთნაირად ხორციელდება სხვადასხვა ენაში.

დადგენილია აქცესიური კომპლექსების დაძლევის განსხვავებული გზები: გადასმა (მეტათე'სისი), გასპირანტება ან გახმოვანება, მარცვალთგასაყარის შექმნა, ასიმილაცია, კომპლექსში პირველი თანხმოვნის დაკარგვა, მკაფიო წარმოთქმა (გ. ახელედიანი).

ამათგან ქართულში აქცესიური კომპლექსების ს-თვის გამოყენებულია რამდენიმე გზა: 1) მკაფიო წარმოთქმა; 2) მარცვალთგასაყარის შექმნა (მაგ-და, აქ-ტი); 3) აქცესიური კომპლექსის პირველი (უკანაენისმიერი) თანხმოვნის დისიმილაციური დაკარგვა (გრგოლი > რგოლი, გრკალი > რკალი). ქართულისათვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია პროგრესული დისიმილაცია (გორური > გორული), ამიტომ გრგოლი > რგოლის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მომდევნო „გ"-ს დაკარგვა, მაგრამ იკარგების თავკიდური „გ", რაც იმით აიხსნება, რომ „გრ" აქცესიურ კომპლექსში უკანაენისმიერი „გ"-ს გამძლეობა უფრო სუსტია, ვიდრე მომდევნოსი. თაკიდური „გ" არ იკარგება, თუ მას ფუნქციური დატვირთვა აქვს (გრგვნებს); 4) აქცესიურ კომპლექსებში ხდება პროგრესული ასიმილაცია (გატ-და > გატ-ტა, გახდა > გახთა, გათბა > გათფა), მაშინ როდესაც დეცესიურ კომპლექსებში ნეიტრალური გვაქვს რეგრესული ასიმილაცია (მათგან > მადგან, ქვითკირი > ქვიტკირი); 5) ხშირად აქცესიური კომპლექსის ს-თვის ქართული მიმართავს მეტათე'სისს (ათრგამეტი > თერამეტი, გასაპინა > გასაპინძა).

აქცესიური მიმდევრობის ს-ის კიდევ ერთი შესაძლებლობა დადასტურებულია მეგრულში, რაც ვლინდება მეგრ. რ-სა და ქართული გ-ს მრავალრიცხოვან შესატყვისობებში (როგორც ფუძეში, ასევე აფიქსებში): ქართ. – გ"ერს, მეგრ. – რჭარუნს (გ. როგავა). ეს არის ს-ის ე. წ. რ ო ტ ა ც ი ზ მ ი ს ე ბ რ ი ფორმა.

ლიტ.: ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; რ ო გ ა ვ ა გ., ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან: მეგრ. რ, ქართ. გ. – «სმამი» 1949, ტ.10, №8.

ი. თევდორაძე.

სუპერსტრატი (< ლათ. super – ზე + stratum – შრე), ინტერფერენციის პირობებში მყოფი უნებიდან ის ენა, რ-იც განიცდის მოცემულ ტერიტორიაზე ადრე გავრცელებული, ან რაიმე თვალსაზრისით ნაკლებპრესტიჟული ენის გავლენას. სუპერსტრატული გავლენები ძირითადად ლექსიკური ნასესხობებით ვლინდება, მაგ., სკანდინავიურ ენათაგან შესული ლექსიკა ინგლისურში. მაგრამ გამორიცხული არ არის გავლენების ქვეყალი გრამატიკაშიც აღმოჩნდეს. მაგ., იმავე სკანდინავიურ ენათა გავლენას ხედავენ ინგლ. ბრუნვების სისტემის მოშლაში.

ლიტ. იხ. სტატიასთან *სუბსტრატი.*

ი. ქობალავა.

სუფიქსი (ლათ. suffixus — მიმაგრებული), ბ ო ლ ო ს ა რ თ ი, *აფიქსი*, რომელიც ერთვის სიტყვის ფუძეს: ხატ-ავ-ს, კაც-ი, გრძელ-ი, კაცურ-ი, კეთ-ებ-ა... გამოიყოფა: ფუძის მაწარმოებელი (იხ. *დეტერმინანტი*), ფორმამაწარმოებელი (იხ. *ფლექსია*) და სიტყვამაწარმოებელი (იხ. *დერივაცია*) ს-ები.

მ. ბერიძე.

სქემა, გრამატიკული კატეგორია, რომლის მიხედვით ხდება სიტყვათა პირობითი კლასიფიკაცია ფორმის (გრამატ. საშუალებების) ან სინტაქსური შეხამების საფუძველზე. გარდა გრამატ. ს-ისა, ენებში არსებობს აგრეთვე სემანტიკური (ლექსიკური) ს., რ-იც გამოხატავს სულიერთა კლასში დაპირისპირებას რეალური სქესის (მამრ. და მდედრ.) მიხედვით (დედა / მამა, და / ძმა, ქალი / ვაჟი, ფური / ხარი, ძუ / ხვადი...).

გრამატ. ს. ენებში სხვადასხვაგვარად არის გამოხატული. ზოგ ენაში გვაქვს ორწევრიანი (მამრ., მდედრ.) დაპირისპირება (მაგ., ფრანგულში, არაბულში...); ზოგ ენას ახასიათებს სამწევრიანი (მამრ. / მდედრ. / საშუალო) ოპოზიციური მოდელი (მაგ., ბერძნულში, გერმანულში, რუსულში...); ზოგ ენაში ს-ის ოპოზიცია სახელებში მოშლილია და შენარჩუნებულია მხოლოდ ნაცვალსახელთა სისტემაში (მაგ., ინგლისურში...). არსებობს ენები, რ-თაც გრამატ. ს. საერთოდ არ გააჩნიათ. ასეთია, მაგ., ქართული.

თარგმანის ბერძნ. დედანთან ფორმალური ეკვივალენტურობის მისაღწევად ელინოფილურმა მიმართულებამ (იხ. *ელინოფილიზმი*) ქართულში სცადა გრამატ. ს-ის შემოღება. ხელნაწ. სქოლიო-კომენტარებში ზოგჯერ აღნიშნულია, რომ ქართულს, ბერძნულისაგან განსხვავებით, არ შეუძლია სახელთა დაჯგუფება სამ კლასად: დედალ, მამალ და არარომელად. ქართულის ამ „ნაკლის" გამომასწორებლად ცნობილმა მწიგნობრებმა გამოიყენეს მდედრობითი სქესის გამოსარჩევი -ა და -იდ დაბოლოება: მეფეა, ყრმაა, ებრაელა, უფალა, წინაწარმატყუელა, იგა/იგია, ჭაბუკიდი, თითოეულიდი, ყმიდი. ასეთი ფორმები, მაგ., გვხვდება *გელათის ბიბლიის* ხელნაწერში. ხელოვნური „მდედრი" ფორმები შესულია საბას „ქართულ ლექსიკონშიც". ანტონ I-ის ქართულ გრამატიკაში გამოყოფილია ს-ის ოთხი ფორმა: მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი, მ ა მ რ ო ბ ი თ ი, უ შ უ ა ლ ო ბ ი თ ი (საშუალი) და ზ ო გ ე ბ ი თ ი (ნეიტრალური, ეთქვათ, შეილი, ლეკეი, ნიტი).

XVIII–XIX სს-შიც იყო ცდა რუსულის გავლენით შემოეღოთ ა და *ინა* დაბოლოებიანი „მდედრი" ფორმები (მაგ., ქართველა, ხელმწიფა, ბრძენა, მთავერინა, თაეადინა და სხვ.). XX ს-ის 20-იანი წლებიდან კი ასეთი ხელოვნური ფორმები საერთოდ აღიკვეთა.

ლიტ.: დ ა ნ ე ლ ი ა კ., გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1986, №4; Д о н д у а К., Феминизирующий гласный в грузинском. – იხ. მისი: რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967.

კ. დანელია.

სხვათა სიტყვა, ნათქვამი, რ-იც სხვას ეკუთვნის და მოსაუბრეს ან მწერალს ნართული აქვს თავის ნათქვამსა თუ ნაწერში. მაგ., «ნათელმა მთვარემა ბრძანა: „ბევრით მე ვსჯობივარ მზესა". ს.ს-დ ითვლება აგრეთვე აეტორის მიერვე წინათ ნათქვამი თუ განაზრახი, რ-საც ის ჩაურთავს თავის ნათქვამში, მაგ., „ად წახვენ, ჩემო მადლო-მეთქი, – ვდუდუნებდი" (ვაჟა-ფშ.). ს. ს. ძირითადად ორგვარია: პ ი რ დ ა პ ი რ ი ნ ა თ ქ ვ ა მ ი და ი რ ი ბ ი ნ ა თ ქ ვ ა მ ი. სხვისი ნათქვამი ან განაზრახი, მოსაუბრის ან მწერლის მიერ სიტყვასიტყვით, ფორმისა და შინაარსის შეუცვლელად განმეორებული, არის პირდ. ნათქვამი. მაგ., „ბრძენმა მოახსენა მეფეს: (1) ერთი სათქმელი მაქვს, ის მომისმი-

ნეთ (2) და მერე შემრისხეთო“ (ა. წერ.). I წინადადება (ბრძანმა მოახსენა მეფეს) ავტორისეულია, მეორე – პირდ. ნათქვამია. ავტორისეული წინადადება დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულია და ინტონაციითაც გამოყოფილია პირდ. ნათქვამისაგან. სხვათა ნათქვამი, გადმოცემული ავტორის მიერ ფორმისა და შინაარსის სათანადო ცვლილებებით, არის ირ. ნათქვამი. ირ. ნათქვამი პირდ. ნათქვამის შეცვლა-გადაკეთებით მიიღება. ირ. ნათქვამი მეორეულია. მაგ., ბრძანმა მოახსენა მეფეს, (1) რომ მას ერთი საიქმელი აქვს, ის მოუსმინონ და მერე შერისხონ. (2) თუ პირდ. და ირ. ნათქვამს შევადარებთ, აშკარად დაეინახაეთ განსხვავებას. პირდ. ნათქვამი არის თავისთავადი, დამოუკიდებელი ერთეული, შინაარსით – ბრძანებითი (თხოვნითი), ზმნები მასში იმ ფორმითაა, როგორითაც მოსაუბრეს უნდა გამოეყენებინა (მაქვს, მომისმინეთ, შემრისხეთ). ირ. ნათქვამი დამოუკიდებელი ერთეული არ არის, იგი ქვეწყობილი წინადადების ნაწილია, დამოკიდებული წინადადებაა, რ-იც „რომ“ კავშირით უერთდება ავტორისეულ მთავარ წინადადებას. შეცვლილია შინაარსითაც: იგი ბრძანებითი წინადადება კი არ არის, არამედ თხრობითია, რადგან ამგვარსაეე მთავარ წინადადებასთან არის დაკავშირებული. შეცვლილია ზმნის ფორმებიც, გადატანილია III პირში (აქვს, მოუსმინონ, შერისხონ) . საერთოდ, ს.ს-ის მრავალფეროვანი შინაარსის გადმოსაცემად პირდ. ნათქვამს უხვი ლექსიკურ-გრამატ. საშუალებები და მოქნილი ენობრივი ფორმები აქვს. რაც მთავარია, ზმნის სუბიექტ. თუ ობიექტ. წყობის ქცევა პირისა და რიცხვის ფორმა გეხვდება პირდ. ნათქვამში, ამდენად, პირდ. ნათქვამს აზრის ზუსტად და ექსპრესიულად გამოხატვა შეუძლია. ირ. ნათქვამი ამ თვალსაზრისით შეზღუდულია, მშრალია, ემოციური მუხტი თითქმის არ გააჩნია. ამაეე მიზეზით ირ. ნათქვამის მოხმარების სფერო გაცილებით ვიწროა, ვიდრე პირდ. ნათქვამისა. პირდ. ნათქვამის გადაკეთება ირ. ნათქვამად ყოველთვის არც მოსახერხებელია და არც საჭიროებელი. მი'სან'შეწონილია მათი თანაზომიერი მონაცვლეობა, რაც სტილის მოთხოვნილებით უნდა იყოს შეპირობებული. ავტორისეული წინადადება შეიძლება უსწრებდეს პირდ. ნათქვამს („ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად“, შოთა რუსთ. მოსდევდეს მას („შუშა არა გაქვს?“ – ჰკითხა სტუმარმა, ი. ჭავჭ.), ან ჩართული იყოს პირდ. ნათქვამში („ხალხო და ჯამაათნო! – დაიწყო არსენამ – მამაჩემს ცალთვალა დევი ჰქვიან“, მ. ჯავახ.). დიალოგებში, ჩოგჯერ, და დრამატულ ნაწარმოებებში პირდ. ნათქვამს არც ახლავს ხოლმე ავტორისეული წინადადება.

პირდ. ნათქვამს დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები (მეთქი, თქო, ო). „მეთქი“ იხმარება I პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად („მომაგონდა ჩემი ეაცი და ეიფიქრე: ვინ იცის, მგელმა შეჭამა-მეთქი“, ვაჟა-ფშაე.). „თქო“ ნაწილაკი იხმარება II პირის მიმართ, როდესაც I პირი (მოსაუბრე) თავის ნათქვამს მას აბარებს III პირისათვის გადასაცემად („უთხარი, რომ როცა პეპია კეცებოდა-თქო, შენა გლოცაედა-თქო“ ი. ჭავჭ.). იგივე ნაწილაკია გამოყენებული მაშინაც, როცა I პირი მეორე პირს ავალებს, რაიმე უთხრას მასეე, მოსაუბრეს („რაღას მაწვალებ, შე დალოცეილო, აგრე მეტყოდი, რომ შენი არ არის-თქო“, ი. ჭავჭ.). ო ნაწილაკით გადმოიცემა: I. III პირის ნათქვამი („დათმან უთხრა: ძმაო, შენის ცუდით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული კი არაო“ ს. ს. ორბ.). 2. ო იხმარება იმ შემთხვეევაშიც, როცა II პირის მიერ III ან I პირისათვის წინათ ნათქვამის ან II პირის განაზრახის განმეორება ხდება („თქვენ კი მიბრძანეთ: გლეხთან სიტყვა ფრთხილად იხმარეო“ი. ჭავჭ.); „შენ ერთხელ მეტყვი „მითხარო“, მე ასჯერ გეტყვი „ეერასა“, შოთა რუსთ.). 3. ო იხმარება მაშინაც, როცა პირი, მრ. რიცხვის ფორმით წარმოდგენილი, იმეორებს მის მიერ წინათ ნათქვამს ან განაზრახს („საზრდო არ დაეაკლოთ, ეეცადოთო, ერომანეთს ამ სიტყვებით ეამხნეებდით“ ვაჟა-ფშაე.). სიტყვასიტყვითი (ს. ს.-ის) ნაწილაკები წინადადების ქვეყელა წევრს დაერთვის, მაგრამ უფრო ხშირად ზმნა-შემასმენელსეა დართული. ნაწილაკიანი წევრი, ჩვეულებრივ წინადადების ბოლოსაა. სხვა ადგილას შეიძლება დაისეას მხოლოდ ზმნა („ჰკითხა მელმან ოფოფსა: სამეფო თომარ-ჯიღა ვინ მოგცაო?“ (ს.-ს. ორბ.). დასაშეებია ასეც: ვინ მოგცაო სამეფო თომარ-ჯიღა? ო ნაწილაკი წინადადების წეერთან ერთად იწერება, „მეთქი“ და „თქო“ კი დეფისით გამოიყოფა. პირდ. ნათქვამს თუ სიტყვასიტყვითი ნაწილაკები დაერთვის, მაშინ იგი ბრჭყალებში არ ჩაისმის, გარდა განსაკუთრებული ხასგასმის საჭიროებისა.

მარტივი წინადადების სახით წარმოდგენილ პირდ. ნათქვამში ს. ს.-ის ნაწილაკი არის ერთი („ოფოფმან დაუძახა: მელო, მოწმე ვერ გიშოვნეო“ ს.-ს ორბ.), რთულსა და ერთგვარწყერებიან წინადადებებში – რამდენიმე, სტილისტიკური საჭიროების მიხედვით („ერომან გლახაკმან თქვა: მეფეთა ვჯობვარო ამად, რომ მე რაც მაქვს, მეყოფის და კიდეც ვჯერვარო და მათ ხმელეთი იშოვონ, არ იმეყოფინებენ და არც გაძღებიანო!“ ს.-ს. ორბ).

ქართულში ს. ს-ის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება არსებობს. ერთ-ერთი მათგანია ციტირება. ციტატა არის ვისიმე თხზულებიდან სიტყვასიტყვითი ამონაწერი, რ-საც ავტორი იყენებს თავისი აზრის დასამოწმებლად. ციტატა ყოველთვის ჩაისმის ბრჭყალებში. ფართოდ არის გამოყენებული აგრეთვე პირდ. და ირ. ნათქვამის კონტამინაციით მიღებული ს. ს-ის შუალედური ფორმაც, ე. წ. არასაკუთრივ პირდაპირი ნათქვამიც. იგი პირდ. ნათქვამს იმით ჰგავს, რომ მას აუცილებლად ერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკი (მეთქი, ო), ზმნის ფორმებიც არ არის შეცვლილი, გადატანილი III პირში (როგორც ეს ირ. ნათქვამშია). ირ. ნათქვამთან მას აახლოებს მჭიდრო სინტაქსური კავშირი ავტორისეულ მთავარ წინადადებასთან, რ-თანაც დამატებითი ან მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ფუნქციას ასრულებს: „რად მიმეცო ამა ჭირსა“, ბედსა ამას უზრახვიდა“ (შოთა რუსთ). „მე ჩემთვისაც არ ელოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი და თქვენთვის სად ვილოცებდი!“ (ი. ჭავჭ.); „შეგა გიორგი, ანიშნა მოპირდაპირეს: არ გერჩიო ნაბიჯმოცარულს“, (კ. გამს.)

ლიტ.: თანამედროეე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1986; კ ე ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი ლ., ქართული სეპირი მეტყეელების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990. კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროეე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996. *ლ. კევანტალიანი.*



ტ, ქართული ანბანის მეცხრამეტე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეერთე) ასო. მისი სახელია „ტარი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი ხშულ-მსკდომი აბრუპტივისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴒ. მისი მოხაზულობა ხასებისა და წრის კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. ⴒ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში ტ მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში იგი ოთხხაზოვანი სისტემის ქვედა სამ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. საოეალაეში აღნიშნაედა სამასს (300).

ტაბუ (პოლინეზ. tapu > taby – მოლიანად გამოყოფილი), ენაში არსებულ გარკვეულ სიტყვათა ხმარების აკრძალეა. ტ. ეთნოგრ. ცნებაა, რ-იც აღნიშნავს განეითარების აღრეულ საფეხურებზე მდგომ ხალხებში საზ. ცხოერების სხვადასხვა სფეროში რელიგ., სოც. ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწეეულ აკრძალეებს. აკრძალეა ერცელდება ენაზედაც და დაკაეშირებულია რწმენასთან, რომ შესაძლებელია საგნებზე, მოელენებზე... უშუალო ზემოქმედება ენის მაგიური ძალის მეშვეობით. აკრძალეა ეხება სიტყვებს, რ-ებიც ენაში არსებობს, მაგრამ ზემოჩამოთელილი ან სხვა მიზეზით მათი ხმარება დაუშვებლად არის მიჩნეული. ზოგჯერ აღკვეთილია ამგვარ სიტყვებთან მიმსგავსებული სიტყვების გამოყენებაც კი. მაგ., ტაბუირებულია სიკვდილის, მძიმე ავადმყოფობის აღმნიშვნელი სიტყვები; ღმერთებისა და სულების, მეფეებისა და ბელადების სახელები, ცხოველებისა, რ-ებზედაც ნადირობენ, ან რ-ებსაც შეუძლიათ რაიმე ზიანი მიაყენონ ადამიანებს და მისთ. აკრძალული სიტყვების ნაცელად გამოყენებულია *მეტაფორები, ევფემიზმები* ან სხვა არაპირდაპირი გამოთქმები.

„ტ.“ გვიან გავრცელებული ტერმინია (ევროპაში იგი მხოლოდ XVIII ს-იდან იხმარება), მაგრამ თვით მოელენა უძველესია და მის კვალს თითქმის ყველა ენაში ეპოულობთ. მაგ., რუსულში სიტყვა „მოკვდას“ (умереть) ნაცელად გავრცელებულია ევფემისტური ფორმები – „преставился“, „приказал долго жить“, „скончался“ და სხე. ამავე რიგისაა ქართულში „მოკვდა“ – „სული გაენტევა“, „გარდაიცვალა“ და მისთ., „მკვდარი“ – „მიცვალებული“, „გასვენებული“ და სხე. ინგლისურში სიტყვა „die“– „სიკვდილი“ იხმარება სულიერ, მ. შ. პირთა აღმნიშვნელ სახელებთან, მაგრამ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ტ., რ-იც კრძალავს მის გამოყენებას ოჯახის უახლოეს წევრების მიმართ. მაგ., არ არის მიღებული ასეთი გამოთქმები: ჩემი მამა, ჩემი დედა... მოკვდა, მაგრამ გამოთქმები – მისი მამა, მისი დედა... მოკვდა – საესებით მისაღებია.

ტ-სთან არის დაკაეშირებული იუდაიზმში უფლის აღმნიშვნელი ორი სახელი – იაღვე და ადონაი. სოც. ტ. უდევს საფუძვლად ქმრის სახელის წარმოთქმის აკრძალვას საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (იხ. *გენდერი*).

მთელ რიგ ენებში სიტყვა „გეელი“ შეცვლილია სხვა, ნაკლებად „საშიში“ სიტყვებით: ქართ. – „უსახელო“, „მცურავი“, რუს. – змей.змий („მიწიერი“). ევფემისტურია ზოგი დაავადების სახელწოდების ნაცვლად გამოყენებული სიტყვები: „ქვეილები“, „ბატონები“...

თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებებში სიტყვათა ტაბუირება შეიძლება მოტივირებული იყოს პოლიტ.-დიპლ. ან სტრატეგიული მოსაზრებებით (მაგ., სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის აღნიშენა გამოთქმით „საფოსტო ყუთი“), საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტით (მაგ., ე. წ. სკაბრეზული ლექსიკის გამოყენება) და ა. შ.

ლიტ.: Реформатский А. А., Введение в языкознание, М., 1960; Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978; Леонтьев А. А., Табу. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990. *ი. ქობალაძა.*

ტავტოლოგია (ბერძნ. tautologia < tautós – ერთი და იგივე და logos – სიტყვა), ერთი და იმავე ცნების ან აზრის გამეორება სხვა სიტყვებით; გაიონათქვამის აზრობრი-

ეი სიჭარბე, რ-იც ვლინდება მთელის ან მისი ნაწილის აზრობრივ დუბლირებაში. კერძოდ, სიტყვათშეხამების ერთ-ერთი, უფრო ვიწრო მნიშვნელობის მქონე, კომპონენტის, უპირატესად მსაზღვრელის, სემანტიკა აუცილებლობით ნაგულისხმებია მეორე, უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე, კომპონენტის სემანტიკაში, რის გამოც მსაზღვრელის დართვა ზედმეტი ხდება. ტ-ის მიზეზია ამა თუ იმ სიტყვის (ჩვეულებრივ, არსებითი სახელი) არაადეკვატური გაგება ან რეინტერპრეტაცია ამ სიტყვის მნიშვნელობის დავიწროების მიმართულებით, რის შედეგადაც მოსაუბრე საჭიროდ მიიჩნევს საზღვრულში თავისთავად ნაგულისხმები მსაზღვრელის დამატებას. ტ. ჩნდება მაშინ, როდესაც საზღვრულად გამოყენებული უცხოური სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა მოსაუბრისათვის მთლად ნათელი არ არის. ამგვარი მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი ტავტოლოგიური გამოთქმების ნიმუშებია: **პირველი ვერნისაჟი** („ვერნისაჟი" თავად ნიშნავს პირველ გამოფენას), **პირველი პიონერი, ადგილობრივი / მკვიდრი აბორიგენი**, ჩემი ავტოპორტრეტი დავხატე და სხვ., თუმცა ტ. ზოგჯერ მშობლიურ ნიადაგზედაც წარმოიქმნება. მაგ., გამოთქმების – პირველი პირმშოს, ერთადერთი პირმშოს – ხმარება ადასტურებს იმას, რომ სიტყვა „პირმშოს" მნიშვნელობა ამ გამოთქმების გამომყენებლისათვის „შვილის" სინონიმურია (და არა „პირველი შვილისა").

ტ. ზოგჯერ თვით სინონიმთა გაუმართლებელი ხმარების გზით მიიღება (მაგ., მწამს და მჯერა!). თავისი არსით ტავტოლოგიურია ზედიზედ, მიჯრით განლაგებული სინონიმებისგან შედგენილი ლექსიკური ერთეულები – კომპოზიტები და სიტყვათშეხამებები: სვე-ბედი, ბედ-იღბალი, გზა-კვალი, უგზოუკვლოდ, ტყუილუბრალოდ, მორჩა და გათავდა (ან პირუკუ რიგით), კოხტად და ლამაზად და ა. შ.

ტ-ს ქმნის აგრეთვე ერთი და იმავე აზრის გამეორება წართქმითი და უკუთქმითი მსჯელობებით, რაც დამახასიათებელია შუა საუკ. მხატვრული ლიტ-რისათვის, განსაკუთრებით, სარაინდო და სახოტბო პოეზიისათვის. მაგ., „არ-ახალია, ძველია"; [ფატმანი] „პირმსუქანი, არ-პირხმელი".

სამეცნ. და ოფიციალური სტილისათვის ტავტოლოგიური მსჯელობები მიუღებელია და, თუ იგი სტილისტიკურ ხერხად არ არის გამოყენებული, მოსაუბრის არასაკმარის წიგნიერებაზე მეტყველებს.

გარდა წმინდა ლექსიკური ტ-ისა, არსებობს გრამატ. და სიტყვაწარმოებითი ტ-ც. განსაკუთრებით აშკარად ვლინდება იგი ზედსართავთა ხარისხების წარმოებისას, როცა ერთმანეთს ერწყმის ორგანული (აფიქსური) და აღწერითი წარმოება. მაგ., **„ყველაზე უდიდესი"** ჭარბი წარმოებაა (უნდა იყოს: მხოლოდ „უდიდესი" ან „ყველაზე დიდი"); **„უფრო ნაკლები"** (უნდა იყოს: „უფრო ცოტა" ან მხოლოდ „ნაკლები").

ტ. მეტყველების ფაქტია და ენობრივ უზუსს უფრო განეკუთვნება, ვიდრე ენობრივ სისტემასა და ნორმას.

ტ. არ უნდა აირიოს ფსევდოტავტოლოგიაში, რ-იც სიტყვის ან სიტყვათშეხამების პირდაპირ, მექანიკურ გამეორებას გულისხმობს და მხატვრულ ლიტ-რაში პოეტური გამეორების სახით იხმარება ექსპრესიის გასაძლიერებლად. მაგ., „გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით! დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!" (გ. ტაბ.).

ლოგიკაში ტ. სუბიექტისა და პრედიკატის აზრობრივ იგივეობაში ვლინდება.

ლიტ.: ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე შ., სიტყვა და კონტექსტი (მასალები ლექსიკონისათვის). – «ქსკ», წგ. 7, თბ., 1985; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990. *შ. აფრიდონიძე.*

ტბეთი, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, ძლიერი კათედრალი, რელიგიური ცენტრი შუა საუკუნეების საქართველოში, ისტ. შავშეთში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია). ტაძარი ააგო ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა X ს. დასაწყისში.

ტ-ის ლიტ. კერის პირველი წარმომადგენელია კათედრალის პირველივე მღვდელმთავარი სტეფანე მტბევარი (IX–X სს.). 914–918 მან დაწერა ჰიმნოგრაფიული თხზულება „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელიც განიყვანეს ყუელის ციხით". მასში აღწერილია აბულ კასიმის სასტიკი ლაშქრობა სომხეთსა და საქართველოში (914).

X ს-ში ტ-ში მოღვაწეობდა ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი. მისი ჰიმნები გვხვდება *მიქაელ მოდრეკილის* კრებულში. იგი ზრუნავდა ხელნაწერთა გამრავლებაზედაც. მის სახელთანაა დაკავშირებული ტბეთის სახარების (995) დამზადება, სვანური მრავალთავის შედგენა და სხვ. X ს. II ნახ. მოღვაწეა დავით ტბელი ან მტბევარი, რ-მაც ბერძნულიდან თარგმნა „მართას ცხოვრება", „ბარლაამის ცხოვრება", „გრიგოლ ეპისკოპოსის ცხოვრება" და სხვ.

მომდევნო ხანის ცნობილი მწიგნობრები არიან: აკვილა მტბევარი, რ-მაც 1002 გადაწერა „წმინდანთა ცხოვრება", პავლე მტბევარი (XII ს.), რ-მაც იოანე ფუკარალისძეს გადააწერინა ოთხთავი; იოანე მტბევარ-საფარელი (XII ს.), რ-მაც დაამზადებინა წყაროსთავის ოთხთავი და სხვ. ზოგი მკვლევარი ტ-ს უკავშირებს ცნობილი მწიგნობრის აბუსერიძე ტბელის საქმიანობას.

მოღწეულია „ტბეთის სულთა მატიანის" ტექსტი (XII–XVI სს.), რ-შიც უხვადაა ცნობები აჭარა-შავშეთის ისტ.-გეოგრაფიაზე.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

ტემბრი (< ფრანგ. timbre), ბ გ ე რ ი ს ე ლ ფ ე რ ი, ბგერის თვისება, რ-ითაც ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა მუსიკალური საკრავის (მაგ., ვიოლინოსი კონტრაბასისაგან) ან სხვადასხვა ადამიანის ხმა სხვა თვისებათა (სიმაღლე, სიძლიერე) ერთნაირობის პირობებში. სამეტყველო ბგერებს შორის აკუსტიკურ განსხვავებას ფაქტობრივად ქმნის მათი სხვადასხვა ტ. (განსაკუთრებით ნათელია ეს ხმოვნებში). ყოველ ბგერას აქვს თავისი, სხვა ბგერისაგან განსხვავებული ტ., ისევე როგორც საკუთარი ტ. აქვს საკრავსა და თითოეულ ადამიანს.

ტემბრული განსხვავება იქმნება ბგერის გამომცემი სხეულების ან საგნების რეზონატორებში, ე. ი. იმ სივრცეში, რ-შიც წარმოიქმნება თანარხევა და თანაბგერობა. ადამიანის მიერ წარმოთქმული ბგერა რთული ბგერაა, რ-იც შედგება ძ ი რ ი თ ა დ ი ტ ო ნ ი ს ა და

ობერტონებისაგან, ანუ პარციალური ტონებისაგან. მათი ძირითად ტონთან შეფარდება, სიძლიერე და სიმაღლე განსხვავებულია სხვადასხვა მბგერ სხეულში, რამდენადაც რეზონატორები, თავისი სიხშირის მიხედვით, სხვადასხვაგვარად აძლიერებენ ამა თუ იმ ტონს. სწორედ ეს განსხვავება ქმნის ტ-ს.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; Ladefoged P., A Course in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975. *ი. თევდორაძე.*

ტემპი (ლათ. tempus – დრო), მეტყველების ელემენტების წარმოთქმის სისწრაფე. ტ. მეტყველების ერთ-ერთი მელოდიკური მახასიათებელია. ქართულში ხშირად მეტყველების ტ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამონათქვამის სინტაგმებად დაყოფაში (იხ. *სინტაგმა* 1). თუ ტ. არ არის დაცული, სინტაგმათა რაოდენობა ნაკლებია და პირუკუ – შენელებული ტ-ის დროს სინტაგმათა რიცხვი იზრდება. ტ-ის არ-ქარებით შესაძლებელია რთული წინადადება (თანწყობილი ან ქვეწყობილი) ერთ სინტაგმად წარმოითქვას. მეტყველების ტ. კავშირშია სინტაგმის ლოგიკურ მახვილთან: ის, რაც ნაკლებმნიშვნელოვანია, წარმოითქმის არ-ქარებული ტ-ით, ხოლო ის, რაზედაც მთქმელი ყურადღებას ამახვილებს – შენელებული ტ-ით. ზოგიერთ პოსიციაში (მაგ., წინადადების აბსოლუტურ ბოლოში) სიტყვის ლოგიკური გამოყოფის დომინანტი ხერხია ტ-ის შენელება, რასაც თან სდევს ხმოვანთა დაგრძელება (იხ. *მელოდიკა*).

ქართ. მელოდიკაში სინტაგმის ლოგიკური მახვილი ტ-ის შენელებაზეა დამყარებული.

ი. თევდორაძე.

ტერმინი (< ლათ. terminus – საზღვარი, მიჯნა), განსაკუთრებული ენობრივი ნიშანი, სიტყვა ან შესიტყვება, რ-საც იყენებენ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების... ამა თუ იმ დარგის გარკვეული ცნების აღსანიშნავად.

ტ-ის ძირითადი ფორმაა არსებითი სახელი. სტრუქტურის მიხედვით, ტ-თა სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ერთსიტყვიანი ტ-ები, 2. შესიტყვებები და 3. სიმბოლოებით გამოხატული ტ-ები. ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ტ-თა ერთობლიობას, ანუ ტ-თა სისტემას *ტერმინოლოგია* ეწოდება. ტ-თა სისტემა საერთო ენობრივ სისტემაში შემავალი ქვესისტემაა.

ტ-ის ძირითადი მახასიათებლებია: 1. ნომინაციურობა (ტერმინსა და სიტყვას შორის სხვაობა ექსტრალინგვისტურ სფეროშია – იცნობს თუ არა ამ ობიექტს სპეციალისტების გარდა სხვაც); 2. დეფინიციურობა; 3. კონვენციურობა (ტ. კონვენციურია ორგვარად: როგორც სიტყვა და როგორც ტ. კონვენციურობის გამო ტ-ს აქვს ზუსტი დეფინიცია – წინასწარ შეთანხმებული მკაცრი განსაზღვრა); 4. სისტემურობა; 5. მონოსემიურობა (ერთმნიშვნელობიანობის ტენდენციის გამოვლენა ერთი ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში, მაგ., რომელიმე სამეცნ. დისციპლინისა თუ სამეცნ. სკოლის ტერმინოლოგიაში. ამიტომ იძულებ-ტ-ებს, როგორიცაა, მაგ., „ასიმილაცია“ ბიოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და ლინგვისტიკაში, „ფუნქცია“ მათემატიკაში, ფიზიოლოგიასა და ლინგვისტიკა-ში და სხვ., დარგთაშორის ომონიმებან ინტერდისციპლინურ ტერმინოლოგიას უწოდებენ); 6. სტილისტიკური ნეიტრალურობა (ტ. თავისუფალია ემოციურ-ექსპრესიული დანაშრევებისაგან).

ტერმინოლოგიური სისტემა იქმნება სალიტ. (resp. საერთო-სახალხო) ენის ნიშნებს და ფუნქციონირებს ბუნებრივი ენის კანონების მიხედვით. ამიტომ ყველა ტენდენცია ენობრივი ნიშნისა (პირველ რიგში, ლექსიკურ-სემანტიკური პროცესები, როგორიცაა, მაგ., *პოლისემია, ომონიმია, სინონიმია* და სხვ.) პოტენციურად შენახულია ტ-ში და მაშინვე ირჩევს თავს, როგორც კი ამისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება. ტერმინოლოგიური სისტემა, როგორც საერთო ენის ქვესისტემა, ღია დინამიკური სისტემაა და ხასიათდება ტერმინოლოგიური და არატერმინოლოგიური ლექსიკის ურთიერთშეღწევის ისეთი პროცესებით, როგორიცაა: ა) დეტერმინოლოგიზაცია (ტ. გადადის საერთო გამოყენების ლექსიკაში, მაგ., „ჯაჭვური რეაქცია“, როგორც ხატოვანი გამოთქმა); ბ) ტერმინოლოგიზაცია (ტ. საერთო გამოყენების სიტყვა ხდება და ახ. სისტემაში გადადის, მაგ., „ბრუნვა“, „დაბოლოება“); გ) რეტერმინოლოგიზაცია (მ'სა ტ-ის გადატანა ერთი სამეცნ. დისციპლინიდან მეორეში სრული ან ნაწილობრივი გადააზრებით. შდრ., მაგ., „დიფერენციალი“ მათემატიკასა და ლინგვისტიკაში, „ვალენტობა“ ქიმიასა და ლინგვისტიკაში).

ტ., როგორც ენობრივი ერთეული, მთლიანად ექვემდებარება მოცემული ენის ფონეტ. და გრამატ. კანონებს. ტ-ის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები ვლინდება სიტყვაწარმოების სფეროში, სადაც ხდება ცალკეულ ფორმანტთა ერთგვარი „სპეციალიზაცია“ ამა თუ იმ ტერმინოლოგიური მოდელისათვის (შდრ., მაგ.: -ოზა ქიმიაში, -ომა მედიცინაში, -ემა ლინგვისტიკაში). ტ. შეიძლება შეიქმნას მოცემული ენის მორფემული ინვენტარით ან ინტერნაციონალური ელემენტებით (შდრ., მაგ., „წყვილბაგისმიერი“ და „ბილაბიალური“). ხშირია ტ-თა სესხება სხვა ენებიდან (უშუალოდ თუ კალკირებული ფორმით, მაგ., ქართ. გრამატ. ტ-ებიდან „სუბიექტი“ ნასესხებია, „ქვემდებარე“ – კალკირებული).

ქართ. ტერმინოლოგიის ლექსიკური ბაზა და ძირითადი წყაროებია თანამედროვე ქართ. სალიტ. ენა და ქართ. ენის დიალექტები, ასევე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკა და უცხო ენებიდან ნასესხები ტ-ები. სამეცნ. ტერმინოლოგიაში განსაკუთრებით დიდია ხვედრითი წილი ბერძნ.-ლათ. ტერმინ-ელემენტებით შექმნილი ტ-ებისა. მეცნიერების ზოგადი მდგომარეობის (საერთოდ, კულტ.-ეკონ. პარადიგმის) ცვლილება გაელვებას ახდენს როგორც ცალკეულ ტ-ებზე, ასევე ტ-თა სისტემაზე მთლიანად. მიუხედავად ამისა, ტერმინოლოგიური სისტემის სიცოცხლისუნარიანობა და ვარგისიანობა განისაზღვრება, პირველ რიგში, მისი მოწესრიგებულობით, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ხარისხით. სტანდარტი-

ზაციის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორადაა მოწესრიგებული ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიური ლექსიკა (ტერმინები, ნომენკლატურული სახელწოდებები, პროფესიონალიზმები) ლექსიკოგრაფიული აღნუსხვა-აღწერის შედეგად თავმოყრილია სხვადასხვა ტიპის *ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში*. სამეცნ.-ტექ. ტერმინოლოგიის სახელმწ. სტანდარტიზაციის აუცილებელი და სავალდებულო პირობაა ყველა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავებაში ენათმეცნიერთა მონაწილეობა. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტში ხდება ორ- და მეტენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონების უნიფიკაციის, მათი განხილვა-სანქციონირების კოორდინირება. მხოლოდ ასეთი წესით დამუშავებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს ენიჭება უფლება, იყოს ნორმატიული, ე. ი. ყველასათვის სავალდებულო გამოსაყენებელი.

ლიტ.: ფ ო ჩ ხ უ ა ბ., სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში. – «იკე», XVII, თბ., 1970; გ ე ლ ე ნ ი ძ ე ლ., ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით. – «ქსკს», წგ. 4, თბ., 1981; ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე რ., ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986; ჭ ი რ ა ქ ა ძ ე მ., ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორია და არქეოლოგიური სისტემატიკა, თბ., 1995. *მ. ჩაჩანიძე.*

ტერმინოლოგია (*ტერმინი* და ბერძნ. logos – მოძღვრება, სიტყვა), 1. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების... გარკვეულ დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობა. სიტყვა „ტ." ტერმინოლოგიური ლექსიკონის სინონიმადაც იხმარება: გრამატ. ტ., საერთაშორისო ტ., ტექნიკური ტ.

ქართ. ტ-ის ისტორია სათავეს იღებს ქართ. მწიგნობრობის დასაწყისიდანვე. X–XII სს. ქართ. ტერმინთქმნადობის აღმავლობის ხანაა. საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ქართ. ტ-ის ისტორიაში თბილ. სახელმწ. უნ-ტის დაარსებას (1918). ამ დროიდან იწყება მკაცრ მეცნ. პრინციპებზე დამყარებული ფართომასშტაბიანი ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში (იხ. *ტერმინოლოგიური ლექსიკონი*). 1921-იდან ტერმინოლოგიური საკითხების შესწავლას ხელმძღვანელობდა განსახკომთან არსებული „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო", 1926-იდან – „ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტი", რ-იც 1936-იდან სპეც. სამეცნ. ტერმინოლოგიის განყ-ბად გადაკეთდა. 1941-იდან დღემდე ეს განყ-ბა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის შემადგენლობაშია; 2. იგივეა, რაც **ტ ე რ მ ი ნ თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა** – საენათმეცნიერო დისციპლინა, რ-იც ტერმინებს შეისწავლის.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის. I. – «მეცნიერება და ტექნიკა», 1952, №7, №9; ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე რ., ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში. – «ქსკს», წგ. 1, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია. ნორმისა და უზუსის საკითხები. – იქვე, წგ. 8, თბ., 1988; ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორიიდან. – «იკე», XXII, თბ., 1980. იხ. აგრეთვე სტატიასთან *ტერმინი*.

მ. ჩაჩანიძე.

ტერმინოლოგიური ლექსიკონი, *ენციკლოპედიური ლექსიკონის* სახეობა, რ-იც ამა თუ იმ დარგის *ტერმინებს* განმარტავს. ტ. ლ. შეიძლება იყოს როგორც ერთენოვანი, ისე ორ-, სამ- და მეტენოვანი. არსებობს ნორმირებული და არანორმირებული, კრებსითი და ვიწროდარგობრივი, ინვერსიული და რევერსიული, განმარტებითი და ორთოგრაფიული დარგობრივი ტ. ლ-ები, *თეზაურუსები* და ა. შ.

ნებისმიერი დარგის ტ. ლ-თვის დგება სპეციალური სიტყვანი არსებული ნორმების საფუძველზე, რ-თა დაცვაც სავალდებულოა ყველა შემდგენლისათვის. სიტყვანს უნდა ადგენდეს იმ დარგის სპეციალისტი, რ-ის ტერმინოლოგიაც მუშავდება.

საქართველოში ტ. ლ-ების გამოცემა 1923-იდან იწყება. დღემდე გამოცემულია განსხვავებული ტიპის 70-მდე ლექსიკონი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მაგ., მათემატიკის ტერმინთა ლექსიკონი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1925, 244 გვ.), საამშენებლო ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, 1926, 112 გვ.), პროფესიათა ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1926, 66 გვ.), ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1935, 567 გვ.), სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, მემცენარეობა (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1938, 378 გვ.), სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, II, ენტომოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1938, 314 გვ.), სამედიცინო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართულ-ლათინური, 1947, 457 გვ.), სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართულ-ლათინური და ქართულ-რუსულ-ლათინური, 1959, 623 გვ.), ფიზიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1960, 140 გვ.), იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1963, 331 გვ.), გეოგრაფიის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1967, 206 გვ.), ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული, 1977, 521 გვ.), ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული, 1982, 568 გვ.), საზღვაო ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, 1985, 221 გვ.), ნიადაგმცოდნეობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული, 1998, 224 გვ.).

ლიტ.: ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე რ., ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986. *ი. ჯიბუტი.*

ტექსტი (<ლათ. textus – ქსოვილი, ხლართვა, შეერთება), ენობრივი წარმონაქმნი, ზეპირი ან წერილობითი ენის მონაკვეთი, რ-იც ხასიათდება რიგი ნიშნებით. ტ. შეიძლება იყოს სხვადასხვა სიგრძის – სიტყვით, როგორც კომუნიკაციური რეპლიკით („დაამთავრეთ!"), დაწყებული და შინაარსით გაერთიანებული ვერბალური ნიშნების ნებისმიერი თანმიმდევრობით (აბზაცი, პარაგრაფი, თავი, ნოველა, პიესა, ინტერვიუ...) დამთავრებული. წინადადებაზე დიდი ერთეულის აღსანიშნავად უპირატესად გამოიყენება ტერმ. „დ ი ს კ უ რ ს ი".

ნებისმიერი ტ. შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციონირების, შინაარსის თავისებურებათა თვალსაზრისით. ტ-ის ასაგებად გამოიყენება სხვადასხვა სახის შემაკავშირებელი საშუალებები: ლექსი-

კური – არასრული სიტყვები (*ნაწილაკები, კავშირები..*), ჩანართები, თემა-რემული მიმართებები (იხ. *ჩანართი, თემა, რემა*) – სინონიმური ჩანაცვლებები, ინტონაციური საშუალებები, ტ-ში ენობრივ ერთეულთა რიგის შეცვლა; გრაფ. საშუალებები – განსხვავებული შრიფტი, სასვენი ნიშნები... (წერილობითი ენისათვის) და სხვ. გარდა შემაკავშირებელი საშუალებებისა, რ-ებიც უზრუნველყოფენ ტ-ის მთლიანობას, არსებობს აგრეთვე შინაარსის გამთლიანების სპეციფ. საშუალებები, როგორიცაა: **ემფაზა** – გამონათქვამის ამა თუ იმ ელემენტის გამოყოფა გამეორების, სინტაქსური პოზიციის შეცვლის და მისთ. მიხედვით; **ნარატიულობა** – თხრობის დინამიკის გამოხატვა ენობრივი საშუალებებით.

ტ-ის სწორი აღქმისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ლინგვისტური და არალინგვისტური კონტექსტები, რ-ებშიც იქმნება ტ., ე. ი. ტ-ის აღქმა დამოკიდებულია *პრესუპოზიციაზე*, ანუ კომუნიკაციის წეწერებისათვის საეროო ფონისეულ ცოდნაზე.

ტ-ის იდენტიფიკაციის საკითხებს იკვლევს ფილოლოგიის სპეც. დარგი – *ტექსტოლოგია*. ტ. (ზეპირი, წერილობითი), როგორც სემანტიკური მთლიანობა, წარმოადგენს ლინგვისტიკის დარგის – ტ-ის ლინგვისტიკის კვლევის საგანს. ზეპირ და წერილობითს დისკურსს იკვლევს დისკურსის ანალიზი. ზოგი მკვლევარი აღნიშნულ ტერმინს იყენებს ზეპირ ტ-ის კვლევისათვის, ხოლო „ტ-ის ლინგვისტიკას“ ტოვებს წერილობითი ტ-ებისათვის.

ლიტ.: **შენგელაია ნ.**, ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები, თბ., 1987; **მისივე**, არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, თბ., 2000; Проблемы цельности и связности текста, М., 1982; Текст: семантика и структура, М., 1983; Текст: Высказывание. Слово, М., 1983; **Николаева Т.** М., Текст. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ლ. ენუქიძე. ი. ქობალავა.

ტექსტოლოგია (*ტექსტი* და logos– სიტყვა, მოძღვრება), **ტექსტის კრიტიკა**, ფილოლოგიის დარგი, რ-იც კრიტიკულად, მეცნიერულად შეისწავლის წერილობითს ძეგლებს. ტერმ. „ტ.“ შედარებით ახალია (შემოღებულია 1930 ბ. ტომაშევსკის მიერ), მაგრამ კვლევა, რ-საც ეს ტერმინი გულისხმობს, უძველესი დროიდან არის ცნობილი. ამ მნიშვნელობით ტექსტოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ძვ. ინდოეთსა და ანტ. საბერძნეთში, როდესაც საჭირო გახდა იმ დროისათვის უკვე ენობრივად მოძველებული (თუ სხვა რომელიმე თვალსაზრისით გაუგებარი) ტექსტების კომენტირება და კრიტ. ანალიზი.

ტ., როგორც მეცნიერება, იწყება XVIII ს-იდან. ტ-ის ობიექტი არის ფოლკლორი, ძვ. და ახ. ლიტ. ძეგლები, ისტ. დოკუმენტები. თითოეულ ამ სფეროს თავისი სპეციფიკა აქვს, მაგრამ ტ. უნდა არსებობდეს როგორც ერთიანი მეცნიერება, სპეციფ. მიდგომებითა და მეთოდებით. ტ-ის უპირველესი მიზანი არის ტექსტის დადგენა. შესაბამისად, ტ-ის კონკრეტული ამოცანები ასეჩამოყალიბდება: ტექსტის მთლიანობის დადგენა (ნაწილების გადანაცვლება, რედაქციების, ჩანართებისა და მისთ. გათვალისწინებით); ტექსტის წარმომავლობის დადგენა (ორიგინალურია თუ ნათარგმნი, თარგმანის წყარო); ავტორობის საკითხი; დაწერის დრო. ტექსტოლოგიურ კვლევაში სპეციფ. მიდგომებთან ერთად ფართოდ გამოიყენება სტილისტიკური და სტატისტიკური მეთოდებიც.

ქართ. ტ-ს ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ქართ. მწერლობას მისი ჩასახვის დროიდან ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. ამაზე მიანიშნებს ჩვენამდე მოღწეული ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლების სხვადასხვა ვარიანტებისა და რედაქციების არსებობა. მათი გადამწერ-რედაქტორების (იგივე ტექსტოლოგების) სახელებს ჩვენამდე არ მოუღწევია. შემდეგ, *მიქაელ მოდრეკილიდან* (X ს.) მოკიდებული, თავისი დროის აღიარებული ტექსტოლოგები იყვნენ *ეფთვიმე მთაწმიდელი* და *გიორგი მთაწმიდელი* (X–XI ს.), *ეფრემ მცირე* (XI ს.), *არსენ იყალთოელი* (XII ს.), *იოანე პეტრიწი* (XI–XII სს.), მოგვიანებით კი – ს.-ს. *ორბელიანი* (XVII–XVIII სს.) და *ვახტანგ VI* (XVIII ს.), *არჩილ II* და *ვახუშტი ბატონიშვილი* (XVII–XVIII სს.).

XIX–XX სს-ში ქართ. ტ-ში ახ. ხანა იწყება, მუშავდება ტექსტოლოგიური კვლევის მეცნ. მეთოდები. მეცნ. ტ-ის ფუძემდებლად ჩვენში ნ. *მარი* ითვლება. მას მოჰყვებიან ძვ. ქართ. მწერლობის ისეთი მკვლევარ-ტექსტოლოგები, როგორებიც არიან ი. *ჯავახიშვილი*, ა. *შანიძე*, კ. *კეკელიძე*, ი. *აბულაძე*, ს. *ყაუხჩიშვილი*, ე. *მეტრეველი* და მათი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოწაფეები.

აღსანიშნავია, რომ ნ. მარმა ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლების კვლევაში პირველმა დანერგა ტექსტის ენობრივი (გრამატ. და ლექსიკური) მონაცემების გამოყენების მეთოდი. ამ სკოლის მომდევნო თაობის წარმომადგენლები, რ-თაც ქართ. მწერლობის მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლი აქვთ შესწავლილი და გამოქვეყნებული, ტექსტთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს მისი ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით იკვლევდნენ.

ნ. მარმა ტექსტების სათანადოდ გამოსაცემად დააარსა გარეკეული სერიები: «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии» და «Monumenta hagiographica georgica». მათში გამოქვეყნდა ძვ. ქართ. მწერლობის ისეთი ძეგლები, როგორებიცაა: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „იერუსალიმის წარტყუენა“ და სხვა. ა. შანიძის მიერ დაარსებულ სერიებში „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ და „ძველი ქართული ენის ძეგლები“ გამოქვეყნებულია თვითონ ა. შანიძისა და ძვ. ქართ. ენის კათედრის თანამშრომლების მიერ მომზადებული ძვ. ქართ. მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები. „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიით გამოქვეყნდა „ბალავარიანის“ ი. აბულაძისეული ქართ. თარგმანი.

ი. აბულაძის სახელთანაა დაკავშირებული სერიის – „ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიების“ – დაარსება (ამ სერიით ქართ.-სომხ. პარალელური ტექსტები ქვეყნდებოდა) და ორიგინ. პაგიოგრაფიული ძეგლების კორპუსის შექმნა (კორპუსი ორიგინ. ძეგლების 6 ტომს მოიცავს).

ე. მეტრეველის დიდი მოწადინებით გასული საუკუნის 60-იან წლებში ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში დაარსდა სერია – „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“, რ-შიც არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოქვეყნდა: შატბერდის კრებული, უძველესი იადგარი, ძველი აღთქმის პირველი რვა წიგნი სამ ნაკეთად და სხვ.

ისტ. ძეგლების შესწავლა და გამოქვეყნება ძირითადად დაკავშირებულია ი. ჯავახიშვილის (ე. წ. ანასეული ქართლის ცხოვრება), ე. თაყაიშვილის (მარიამისეული ქართლის ცხოვრება) და ს. ყაუხჩიშვილის (ქართლის ცხოვრება 4 ტომად) სახელებთან. ცნობილია აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილის მიერ დაარსებული სერია „*გეორგიკა*“, რ-შიც გამოქვეყნებულია ისტ. წყაროები.

ტექსტოლოგიური კვლევის მაღალ ხარისხს, ასევე ტექსტების კრიტ. გამოცემების დიდ რაოდენობას განსაზღვრავს სიუხვე ქართ. მწერლობის (ორიგინ. თუ თარგმნილი) ძეგლებისა, რ-ებიც თავმოყრილია ხელნაწერთა სახით კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტის ფონდებსა და საქართვ. თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა საცავებში.

დღეისათვის ქართ. მწერლობის ძეგლების ტექსტოლოგიური შესწავლა ძირითადად ორ სამეცნ. ინ-ტში მიმდინარეობს: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტსა და შოთა რუსთაველის სახ. ლიტ-რის ინ-ტში. პირველში ძირითადად ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლებს იკვლევენ, მეორეში კი – ახ. და უახლესი ქართ. მწერლობისას. 1962-იდან მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია და მთავარი სარედაქციო კოლეგია.

ქართ. ტექსტოლოგიის დიდი მიღწევაა სინას მთაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ალბანური პალიმფსესტის ტექსტის გაშიფრვა და მისი შესწავლა (იხ. *ალბანური დამწერლობა*.).

ლიტ.: აბულაძე ლ., ყაუხჩიშვილის მხატვრული პროზის ლექსიკის სტატისტიკური ანალიზი. – «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», I, თბ., 1966; კვარაცხელია გ., ლექსიკის სტატისტიკურ-შედარებითი კვლევა მათემატიკური მეთოდებით. – იქვე, II, თბ., 1967; ბერო სა შვილი თ., ტექსტისა და მისი აუტორის დადგენის ენობრივი საშუალებანი, თბ., 1987; Лихачев П. С., Текстология, М. – Л., 1964; Маруженко М. А., Атрибуция анонимных и псевдонимных литературных произведений методами теории распознавания образов, Л., 1990.

ც. ქურციკიძე.

ტირე (–) (< ფრანგ. tiret < tirer – „გაწევა“), სასვენი ნიშანი. ჰორიზონტალური სწორი ხაზი, რ-იც დღეს წააგავს, ოღონდ სიგრძით მას ორჯერ აღემატება. ტ-ს ძირითადი ფუნქციებია:

1. გააფორმოს დიალოგური მეტყველება, კერძოდ, გამოყოს მოსაუბრეთა ნათქვამი ერთმანეთისა თუ აუტორისეული სიტყვებისაგან. მაგ.,

„– ტარხუნა ხომ არის? – გახლავს.

– კიტრი? – კიტრიც გახლავს“ (ი. ჭავჭ.).

„– არა, – წარმოთქვა მან, – წავიდე, გავშორდე აქაურობას. მე ვუთხარი: – რატომ თაყიდამ არ მაწყევინებ?“ (ვაჟა-ფშაე.).

2. ამ ფუნქციით XIX ს-ის მწერლობაში ტ-ს არცთუ იშვიათად ენაცვლება ბრჭყალები. მაგ., „რაში უნდა მოიხმარონ ან კი საჩუქრები?“ წარმოთქვა მამა იროდიონმა“ (ვაჟა-ფშაე.).

3. ტ. იხმარება შერწყმულ წინადადებაში ამა თუ იმ გამოტოვებული წევრის საკომპენსაციოდ. მაგ., „ცალ ხელში წიგნი მიჭირავს, მეორეში – ყვავილები“ (გამოტოვებულია თანდებულიანი სახელი „ხელში“ და სჩნია „მიჭირავს“); „ხან მიწისა ვარ, ხან – ცისა“ (ა. წერ.) – გამოტოვებულია „ვარ“ ზმნა).

4. ზოგჯერ ტ-ს საშუალებით გამოიყოფა ჩართული სიტყვები (იხ. *ჩართული*), *დანართი* და განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (იხ. *განკერძოება*). მაგ., „ – ამაღამ, – დიდი საქმეა, – თუ გაატანა“ (ი. ჭავჭ.).

5. ტ. ხშირად იხმარება რისამე ჩამოთვლისას – განმაზოგადებელი სიტყვისა და მასში შემავალი ჩამოსათვლელი საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებს შორის. მაგ., „ერთს ადგილში ხუთი ირემი მოეკლა – სამი ხარი, ორი კურო, ერთიღა გაჰქცეოდა“ (ვაჟა-ფშაე.). ტ. იხმარება აგრეთვე განმაზოგადებელი და ჩამოსათვლელი საგნების აღმნიშვნელი სიტყვების უკუმიმდევრობის დროსაც. მაგ., „... პატივცემული ღიპი, კოტიტა... ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები – ესე ყოველი ერთად და თითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ციო მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული“ (ი. ჭავჭ.).

შ. აფრიდონიძე.

ტმესი (<ბერძნ. tmēsis – გაკეთება), ნაწარმოები ან რთული სტრუქტურის სიტყვის (მჭიდრო სინტაგმის) კომპონენტთა გაკეთება-დაშორიშორება სხვა ენობრივი ელემენტის ჩართვით. ტ. შეიძლება იყოს მორფოლოგიური და სინტაქსური. მორფოლოგიურია ტ., როცა ზმნისწინი და ზმნის დანარჩენი ნაწილი გათიშულია ნაცვალსახელის, კავშირის ან ნაწილაკის ჩართვით: მო-ვინმე-უჭდა მას (მ. 19, 16), აღ-რაჲ-დგა (ი. 21, 14), მო-ნუ იქცეს (იერ. 3, 1), გან-ვე-ხედე (იერ. 2, 37). გაკეთება შეიძლება ორი ან სამი სიტყვითაც: მო-თუ ვინმე-კუდეს (მ. 22, 24C), შე-ხოლო თუ იწიროს (იერ. 36, 7), გან-ხოლო თუ ვითარ-იკურნოს (იერ. 51, 8). ტ. შეიძლება უპირო ფორმებისაც (საწყისისა, მიმღეობისა): შე-რედგინებად (ლვ. 5, 3), და-ღათუ-ერდომილ ვარო (II კორ. 4,9), შეთუმცა-საძლებელ იყო (გალ. 4115).

მორფოლოგიური ტ. მინიღულია გარდამავალ საფეხურად, რ-იც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე.

სინტაქსური ტ-ის შემთხვევაში შეიძლება გაითიშოს მტკიცე სინტაქსური წყვილის კომპონენტები, მაგ., I. მსაზღვრელი და საზღვრული: „ჴმაი ბაგეთაგან ისმა ტირილისა და ვედრებისაჲ“ (იერ. 3, 21); 2. კითხვითი სიტყვა ან უარყოფითი ნაწილაკი და ზმნა: „რად საყუარელსან შენმან შარის სახლსა ქმნა საძაგელი“ (იერ. 11, 15); „ნუ შრომასა შეამთხუეთ მას“ (მრ. 14, 6); 3. ნაცვალსახელი და დანართი: „და თქუენ, ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, ყოველთა წარტყუენელთა“ (იერ. 29, 20). ტ-ს ხშირად მიმართავს რუსთველი პოეტური სტრუქტურის საჭიროებისამებრ: „დანა დაიცა, მო-ცა-კვდა“ (582, 4); „წაიღოდეს, წა-ცა-ჴსენები“ (1223, 4). სინტაქსური ტ. მოქმედია პოე-

ზიაში: „ჭრელს ჩაეცომდი კაბასა“ (ვაჟა-ფშაველა).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; მისივე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976; ცქიტიშვილი თ., ტემესი ძველ ქართულში. – «მაცნე», 1966, № 5.

კ. დარელია.

ტონი (< ბერძნ. tónos – დაჭიმული თოკი, დაჭიმვა, დაძაბვა), ბგერის ფიზიკური თვისება, რ-იც განისაზღვრება სახმო სიმების რიტმული რხევით. ტ-ს შევიგრძნობთ მაშინ, როდესაც მბგერი სხეული ირხევა პერიოდულად და სათანადო სიჩქარით (16000 – 20000 რხევა წამში). ტ. წარმოიქმნება ამოსუნთქული ჰაერნაკადის გაჭლით სახმო სიმებში, ხახაში, პირისა და ცხვირის ღრუებში. დაჭიმული სახმო სიმების რხევა წარმოქმნის რთულ ტ-ს (ძირითადსა და ობერტონებს). რაც მეტია რხევის სიხშირე, მით მაღალია ტ. და პირუკუ. ხახა, პირისა და ცხვირის ღრუ ქმნიან რეზონატორებს, რ-ებიც აძლიერებენ ამა თუ იმ ობერტონს. ობერტონები აძლევენ ძირითად ტ-ს გარკვეულ ელფერს, ანუ *ტემბრს*. ტემბრი კი განასხვავებს ბგერებს.

ძირითადი ტ-ის ცვალებადობით, ანუ *ინტონაციით* გარჩეულია წინადადება (თხრობითი, კითხვითი, ...), აზრის დასრულება ან დაუსრულებლობა და მისთ. ე. წ. ტონურ ენებში (ჩინური, ტაილანდური, ვიეტნამური, ...) ტ. გამოყენებულია სიტყვათმახვილის ფუნქციით.

მამაკაცის ხმის ტ. უფრო დაბალია, ვიდრე ქალისა, რადგანაც მისი სახმო სიმები უფრო გრძელი და მსხვილია. ეს განსხვავება არ არის ლინგვისტურად ღირებული, ენაში მნიშვნელობა აქვს არა ტ-ის აბსოლუტურ სიმაღლეს, არამედ შეფარდებითს.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

ი. თევდორაძე.

ტოპონიმი (< ბერძნ. tópos – ადგილი, ónyma – სახელი), გეოგრაფიული ობიექტების (მთები, მდინარეები, ტბები, ქალაქები, დაბა-სოფლები, სახნავ-სათესი სავარგულები, ხეობები...) სახელწოდება. ბერძნ. ტერმინი tópos სამეცნ. მიმოქცევაში პირველად ფრანგმა უტოპისტ-სოციალისტებმა შემოიტანეს, როცა თავიანთ წარმოსახვით კუნძულ-ქვეყანას უტოპია უწოდეს (ბერძნ. უქორწილობის აღმნიშვნელი უ- პრეფიქსისა და tópos სიტყვის შეერთებით). ამა თუ იმ ენაში გაერცელებულ გეოგრ. სახელწოდებათა ერთიანობა ქმნის ტოპონიმიას, მაგ., სამგორი, კლდეკარი, ქვახერელი, შაკი მთა, ორწყალი, წყალწითელა, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, სხულონა, ახალდაბა, დაბაძველი, მთაწმინდა, ხერთვისი, რუსთაველი, შუახევი, თაკვეთილი, ორთაჭალა, ნავთლუღი, თეთნულდი...

ჩამოთვლილ სახელწოდებათაგან ერთი ნაწილი მარტივი შედგენილობისაა (ტირიფონა, ხერთვისი, ბეჭო...), უმეტესობა კი – რთული აგებულებისა. ტ-ები ენობრივი თვალსაზრისითაც საინტერესო ვითარებას გვიჩვენებენ. ერთნი უძველეს ხანას განეკუთვნებიან (კლდეკარი, შაკი მთა, ხერთვისი, დაბაძველი, მთაწმინდა...), ზოგი კი სიძველით არ გამოირჩევა (დანახვისი, სხულონა, ნავთლუღი, ნაკიფარი, მტირალა...).

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართ.-ქართველური წარმოშობის ტ-ების გვერდით თანაარსებობენ არაქართ. (თურქ.-აზერბ., ალანური) წარმომაელობის ძვ. და ახ. ტ-ები (ნავთლუღი, ორთაჭალა, დარიალი | დარიალანი). ეს ბუნებრივია, რამდენადაც ნებისმიერი ხალხის ტოპონიმიაში, ჩვეულებრივ, მოიპოვება უცხოენოვანი დანაშრევებიც. შეიძლება a priori ვამტკიცოთ, რომ არ არსებობს მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყანა, რ-ის გეოგრ. სახელწოდებებიც მხოლოდ აბორიგენი მოსახლეობის ენობრივი მასალით იყოს ნაშენები. უცხოენოვან ხალხთან მრავალსაუკუნოვანი კონტაქტები ამდიდრებს და მრავალფეროვანს ხდის ნებისმიერი კულტურის ტოპონიმიკურ სტრუქტურას, აქცევს მას სანდო საისტორიო წყაროდ. სწორედ ამიტომ *ტოპონიმიკა*, როგორც სამეცნ. დარგი, მნიშვნელოვანია მომიჯნავე მეცნიერებების (ისტორია, ეთნოგრაფია, ისტ. გეოგრაფია, არქეოლოგია...) შესასწავლად. ტ-ებში ხშირად არის დაფიქსირებული საზ-ბის ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი ისეთი უძველესი ფაქტი, რ-იც წერილობით ძეგლებში არ არის შემორჩენილი.

გეოგრ. სახელწოდებებს სპეციალისტები ძირითადად მაკრო- და მიკროტოპონიმებად ყოფენ. ამოსავლად მიიჩნევა ამა თუ იმ ტ-ის მასშტაბურობა სიდიდის, აგრეთვე, საყოველთაო მნიშვნელობის გათვალისწინებით, თუმცა ეს კრიტერიუმი არ შეიძლება აბსოლუტური იყოს, რადგან ხშირად ის, რაც ვრცელი და მნიშვნელოვანია ერთი რომელიმე ქვეყნისათვის, შეიძლება სრულიად უმნიშვნელო იყოს სხვა დიდი ქვეყნის განზომილებების თვალსაზრისით. მაკროტოპონიმებად უნდა მივიჩნიოთ მატერიკების, ქვეყნების, მხარეების, ქალაქების, დაბა-სოფლების, დიდი მდინარეების, ზღვების, ტბებისა და მისთ. საკუთარი სახელები, რამდენადაც ისინი თავის თავში სხვა უამრავი ობიექტის (სრუტე, უბე, ყურე, კუნძული, შესართავი; ქუჩა, მოედანი, ნასოფლარი, მწვერვალები, მთები, ზეგნები...) სახელებს შეიცავენ. მიკროტოპონიმი ის ერთეულია, რიც თავის თავში სხვა ობიექტს არ შეიცავს – ერთი კონკრეტული გეოგრ. ობიექტის საკუთარ სახელად გვევლინება. ასეთებია ნაკადულების, წყაროების, გზა-ბილიკების, სათიბ-საძოვრების, ახოების, ბოსტნების, კარისპირა მამულებისა და მისთ. სახელები, რ-თაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს, ხოლო სხვა ხალხისათვის უცნობია.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჩვეულებრივი ტ., იძენს რა საყოველთაო (მსოფლიო) მნიშვნელობას თავისი ეკონ. და სტრატეგიული მაჩვენებლების ხარჯზე, გადადის მაკროტოპონიმთა განზომილებაში, თუმცა ამ ფაქტს ენობრივი თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებული არ ახლავს. გეოგრ. ობიექტების საკუთარი სახელები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს როგორც მყარი ენობრივი წარმონაქმნი, სპეციფ. წარმოების ლექსემა, რ-საც ენის სტრუქტურის განვითარების ისტ. პროცესში პირველხარისხოვანი როლი აქვს დაკისრებული.

ლიტ.: სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I–II, ბათ., 1958–59; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 8, თბ., 1975; ჭუმბურიძე ზ., დელაენა ქართული, თბ.,

1987; Мурзаев Э. М., Очерки топонимики. М., 1974; Суперанская А. В., Что такое топонимика. М., 1985.

გ. ბედოშვილი.

ტოპონიმიკა, *ონომასტიკის* დარგი, რ-იც შეისწავლის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტრუქტურას, განსაზღვრავს მათ წარმომავლობასა და ენობრივ კუთვნილებას, აგრეთვე, მათ სემანტიკასა და ეტიმოლოგიას. ტოპონიმების (იხ. ტოპონიმი) მეცნ. შესწავლა გულისხმობს გეოგრ. ნომენკლატურის მყარი ენობრივი სისტემის შიგნით ისტ. და გვიანდელი ხანის წარმონაქმნ ერთეულთა გამოვლენას, მათი გავრცელების არეალის დადგენას. ტოპონიმებში, როგორც ენის განვითარების ამსახველ ერთეულებში, შემონახულია არქაული, აგრეთვე, დიალექტური ლექსიკა, კილოთა სუბსტრატის კვალი. ტოპონიმთა ენათმეცნ. ანალიზის გზით სპეციალისტებს შეუძლიათ სუსტად გაარკვიონ ამა თუ იმ ეთნოსის თავდაპირველი საცხოვრისი ან მისი შიდა თუ გარე მიგრაციების მიმართულება და ახ. სამოსახლოზე დაფუძნება. ამ მხრივ ტოპონიმიკური კვლევა-ძიება ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მომიჯნავე სამეცნ. დისციპლინებს: ისტ. გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მხარეთმცოდნეობას, არქეოლოგიას...

საქართველოში ტ. მეცნიერების დარგად საკმაოდ გვიან, XX ს. II ნახ. ჩამოყალიბდა. მართალია, ჯერ კიდევ XVIII ს-ში არსებობდა ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობითი ხასიათის ნაშრომი „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“, მაგრამ მას მაინც ვერ მიეკნინვენ ტ-ის საფუძვლად, თუმცა უდავოა, რომ ვახუშტის „აღწერამ“ ბიძგი მისცა ჩვენში გეოგრ. სახელწოდებათა კვლევა-ძიების აღმავლობას და შემდგომ მის სამეცნ. დისციპლინად ჩამოყალიბებას.

ტ. ნებისმიერი ქვეყნის პოლიტ. და სოც.-ეკონ. ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფოსტა-ტელეგრაფი, სამისამართო ბიუროები, საექსკურსიო-ტურისტული მარშრუტები და სათანადო გზამკვლევები, ავიამომსახურება, სარკინიგზო და სხვა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სამსახურები.... წარმოუდგენელია მათი გამართული ფუნქციონირება ტოპონიმიკურ ერთეულთა ზედმიწევნით სუსტი გამოყენების გარეშე. ძალზე მნიშვნელოვანია ტ-ის სპეციალისტთა მიერ ტოპონიმთა ბუნებრივი და ხელოვნური ცვლილებების (ქალაქის ქუჩებისა თუ დაბა-სოფლებისათვის სახელების გადარქმევა, ტოპონიმთა ნორმატიულ-ორთოგრაფიული სახის დადგენა; უცხოური სახელების გადმოღება, ტრანსლიტერაციის წესების დადგენა და მისთ.) სუსტი რეგულირება. ამის გათვალისწინებით ტ. გეოგრ. სახელებს აღნუსხავს და შეისწავლის როგორც თეორიული, ისე პრაქტ.-გამოყენებითი თვალსაზრისითაც.

სადღეისოდ ტოპონიმიკური კვლევა-ძიება ჩვენში ფართოდ არის გაშლილი როგორც თბილისში (თსუ ტოპონიმიკური ცენტრი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი...), ისე საქართვ. სხვადასხვა სასწავლო-სამეცნ. დაწესებულებაში (ქუთაისი, ბათუმი, სუგდიდი, გორი, ცხინვალი, თელავი...). რეგიონული ტოპონიმიის საკითხებზე ქვეყნდება სპეც. მონოგრაფიები, ლექსიკონები; მომზადდა და წარმატებით იქნა დაცული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები.

ლიტ.: ტოპონიმიკა, ტ. I–2, თბ., 1976–80; Никонов В. А., Введение в топонимику, М., 1965; იხ. აგრეთვე სტატიასთან *ტოპონიმი.*

გ. ბედოშვილი.

ტოპონიმიკური ლექსიკონი, სპეციალური *ლექსიკონი,* რ-შიც თავმოყრილია (და სოგჯერ გამოკვლეულიც) *ტოპონიმები.* ამ ტიპის ლექსიკონების მომზადებასა და გამოცემას საქართველოში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ამგვარ კვლევა-ძიებას ბიძგი მისცა XVIII–XIX სს. სწავლულ-განმანათლებლების – ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერამ“ და იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერამ“, რ-უბრიც შუა და გვიანფეოდ. ხანის საქართველოს გეოგრ. ნომენკლატურის სრული ნუსხაა წარმოდგენილი. აღნიშნულ ნაშრომებში ტოპონიმიკური მასალა რეგიონალური პრინციპით (მთავარი ხეობებისა და მხარეების შესაბამისად) არის მოწოდებული. საგულისხმოა, რომ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების სემოხსენებულ ნაშრომებს თავიანთი შემეცნებითი ღირებულება დღემდე არ დაუკარგავთ.

XX ს. დასაწყისშივე თბილისში მოღვაწე რუსმა მხარეთმცოდნემ კ. თ. ჰანმა შეადგინა და იმ პერიოდის რუსულენოვან კრებულში („Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, 40, 1909) გამოაქვეყნა ერცელი ტ. ლ., სათაურით – „Опыт объяснения кавказских географических названий“, რ-შიც საქართველოს ქალაქებისა და მდინარეების სახელწოდებათა ეტიმოლოგიური ახსნა-განმარტების ცდაც არის მოცემული. კ. ჰანის „ლექსიკონი“ ძირითადად ემყარება ქართ. მემატიანეების (ლეონტი მროველი, ჯუანშერი...), აგრეთვე, ვახუშტი ბატონიშვილისა და შემდგომი ხანის ქართ. სწავლულების (თეიმურაზ ბაგრატიონი, ა. ხახანაშვილი, ი. როსტომაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, მ. ჯანაშვილი, რ. ერისთავი, ჰ. იოსელიანი...) ცალკეული ქართ. ტოპონიმის სავარაუდო ახსნა-განმარტებებს. „ლექსიკონი“, არაერთი უსუსტობის მიუხედავად, წარმოდგენას ქმნის იმდროინდელი სამეცნ. დონის შესახებ. XX ს-ის 40–50-იანი წლებიდან მოკიდებული, ერთი მეორის მიყოლებით გამოიცა ცალკეული რეგიონის მასალაზე აგებული ტ. ლ-ები, რთაგან აღსანიშნავია მ. ჩიქოვანის „ტოპონიმიკური ლექსიკონი“ (1939), მისივე „ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით“ (1949); მ. ალავიძის „ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი“ (ქუთაისი, 1958). 1965 გამოქვეყნდა გეოგრაფი სპეციალისტების (გ. და ნ. გეხტმანები, გ. სარდალიშვილი და ე. მესხი) ერთობლივი სიტყვარცნობარი „გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება“, რ-შიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმთავრესი ქალაქების, მდინარეების, ტბების, ზღვების... სახელწოდებებთან ერთად წარმოდგენილია ქართ. წარმოშობის გეოგრაფ. სახელები ეტიმოლოგიითურთ.

1958–59 გამოიცა ი. სიხარულიძის მონოგრაფიული გამოკვლევა

„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“ (ორ ტომად). ტოპონიმთა სიას ერთვის ვრცელი ახსნა-განმარტებითი მიმოხილვა. აღსანიშნავია ცნობილი რუსი ონომატოლოგის ვ. ნიკონოვის მიერ შედგენილი ნაშრომი „Краткий топонимический словарь“ (M., 1961), რ-შიც ორ ათეულამდე ქართული ტოპონიმიც არის განხილული. ქართ. მასალის ინტერპრეტირება ძირითადად ქართ. სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმულ ვარაუდებს ემყარება. Ტ. ლ-ების მომზადებასა და გამოცემაში მნიშვნელოვან შეღწევებს მიაღწია თსუ ახ. ქართ. ენის კათედრასთან 1969 დაარსებულმა ტოპონიმიკის ლაბორატორიამ პროფ. ფ. *ერთელიშვილის* ხელმძღვანელობით. 2001-თვის ონომასტიკის სამეცნ.-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოცემული იყო რამდენიმე ტოპონიმიკური ლექსიკონი, რ-თაგან აღსანიშნავია:

საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, ზემო იმერეთი, აკად. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით. შემდგენლები: ი. ბაქრაძე, შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, თბ., 1987; საქართველოს ტოპონიმია, II, თბ., 1999 (ინვერსიული ლექსიკონითურთ). შემდგენლები: ს. მელიქიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კუმსიშვილი, პ. ცხადაია. მასში წარმოდგენილია ქართლის, ქვემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ჰიდრონიმია. ამავე ლაბორატორიის მეცნ. თანამშრომლებმა შ. აფრიდონიძემ და ფ. მაკალათიამ გამოაქვეყნეს ქართული ოიკონიმების ინვერსიული ლექსიკონი, ვრცელი თეორ. მიმოხილვითა და კომენტარებით («ტოპონიმიკა», II, თბ., 1980); საქართველოს ტოპონიმიის III ტ., 2003. შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კუმსიშვილი. შეიცავს ქვემო იმერეთის ტოპონიმიის ანბანურ და ინვერსიულ ლექსიკონებს.

რეგიონული Ტ. ლ-ები გამოაქვეყნეს ფ. მაკალათიამ (ფშაველის ტოპონიმია, «ტოპონიმიკა», I, თბ., 1976), გ. ხორნაულმა (მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმია, წგ.: მთები და სახელები, თბ., 1983). პ. ცხადაიამ ერწო-თიანეთის ტოპონიმიკური ნომენკლატურა ლექსიკონად გამოაქვეყნა გ. ბედოშვილის გამოკვლევაში – „ერწო-თიანეთის ტოპონიმია“, თბ., 1980. ხევის (ყახბეგის რ-ნი) ტოპონიმია წარმოდგენილია ვ. ითონიშვილის წიგნში – „ხევის ტოპონიმიკა“, თბ., 1971. აბაშისა და გეგეჭკორის რ-ნების, აგრეთვე სენაკის რ-ნის ტოპონიმია ლექსიკონის სახით 1977 და 1979 გამოსცა გ. ელიავამ. საგანგებო აღნიშვნის ღირსია პროფ. ა. *ლლონტის* შემკრებლობითი და საგამომცემლო საქმიანობა: „კოლხეთის (სამეგრელოს) ტოპონიმია“ წგ. „ტოპონიმიკური ძიებანი“, I (1971); „მცხეთის ტოპონიმია“ (1975); „ქიზიყის ტოპონიმია“ (1982); „სუფსანატანების ტოპონიმია“ (1993) და სხვ.

ქართ. საისტ. წყაროებში (სიგელ-გუჯრები, სოც. და იურიდ. დოკუმენტები, არზები...) გამოვლენილი მასალა დაედო საფუძვლად მნიშვნელოვან ნაშრომს – „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის“, I, შემდგენლები: ზ. ალექსიძე და შ. ბურჯანაძე, თბ., 1964. ასევე ისტ. დოკუმენტებში დადასტურებული ტოპონიმიის მიხედვით გამოიცა გრ. ზარდალიშვილის წიგნი „თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია“ (1978). ფართო აღიარება ხვდა წილად ზ. ჭუმბურიძის წიგნს „დედაენა ქართული“ (თბ., 1987), რ-ებშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართ. ტოპონიმთა ეტიმოლოგიებს.

მნიშვნელოვანი ნაშრომები შეჭიდნეს აჭარაში მომუშავე ტოპონიმიკის სპეციალისტებმა. მათ შორის აღსანიშნავია მ. ქამადაძის ტოპონიმიკური ნაშრომი (ლექსიკონითურთ) – „ზემო აჭარის ტოპონიმია“ (1993). *გ. ბედოშვილი.*

ᲢᲠᲐᲜᲡᲙᲠᲘᲤᲪᲘᲐ (ლათ. transcriptio – გადაწერა), 1. ერთი ენის ფონემათა სხვა ენის გრაფემებით მასიმალური სიზუსტით, ცალსახად გადმოცემის ლინგვისტური ხერხი (ვიწრო გაგებით); ზეპირი მეტყველების გარკვეული მონაკვეთის (ბგერის, მარცვლის, სიტყვის, ფრაზის, წინადადების, ვრცელი ტექსტის) გრაფ. ნაწერა (ფართო გაგებით); 2. Ტ. ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება *ტრანსლიტერაციის* მნიშვნელობითაც.

ზეპირი მეტყველების ნასაწერი ობიექტის – ბგერისა თუ ინტონაციის – მიხედვით განარჩევენ საკუთრივ ბგერობრივ (ე. წ. სეგმენტურ) და ინტონაციურ (სუპერსეგმენტურ, ანუ ზესეგმენტურ) Ტ-ებს. ბგერობრივ ნიშან-თვისებათა გათვალისწინებით გამოყოფენ ფონემატურ Ტ-ს – სიტყვის ან მორფემის ფონემური შედგენილობის მიხედვით (ირიბ // ან კუთხოვან «» ფრჩხილებში) და ფონეტიკურ Ტ-ს – ბგერათა ფონეტ. თავისებურებათა მიხედვით [კვადრატულ ფრჩხილებში]. ბგერით ერთეულთა დახასიათების ხერხის თვალსაზრისით განარჩევენ ანალიზურ და სინთეზურ Ტ-ებს. მათგან პრაქტ. გაერცელების მხრივ უფრო პერსპექტიულია სინთეზური Ტ., რიც ბგერას განიხილავს ერთ მთლიან ერთეულად, თუმცა ანალიტიზმის ელემენტებსაც შეიცავს, რამდენადაც არაგრაფემული პირობითი (ე. წ. დიაკრიტიკული) ნიშნების გამოყენებას არ გამორიცხავს.

ბგერობრივი (სეგმენტური) Ტ-ის ძირითადი პრინციპია გამოყენებული ნიშნის ცალსახა შესაბამისობა ტრანსკრიბირებულ (Ტ-ს დაქვემდებარებულ) ბგერასთან. ცალსახობა აქ გულისხმობს ბგერისა და ასოს და, პირუკუ – ასოსა და ბგერის შეუქცევად (თითო თითოსთან) შესაბამისობას. ბგერების ნაირგვარ ფონეტ. თავისებურებათა ზუსტი ტრანსკრიბირებისათვის გამოიყენება არაგრაფემული ნიშნების სისტემა. მაგ., ხმოვანთა სიგრძის ნიშანია პორიზონტალური ხაზი ასოს თავზე, უმლაუტისა – ჰორიზონტალური ორწერტილი იმავე ადგილას (მაგ., ორივე ეს ნიშანი ცალკე და ერთად საჭიროა სვანური ხმოვნების გადმოსაცემად შდრ.: ā, ǟ, ṻ: ī; ō ȫ, ȫ; ū, ǖ, ū). თანხმოვანთა შეშინობის გადმოსაცემად იხმარება ˇ ნიშანი ასოს თავზე (ď, ľ, ň, ǰ, ǰ) სიმკვეთრისა – წერტილი ასოს ქვემოთ (ḳ k, ṗ p, ṭ ţ, ʼ ḳ, ʼ C; ზოგჯერ ორივე ეს ნიშანი ერთადაა საჭირო: ḳ ć), ლაბიალიზაციისა – პატარა წრე ლაბიალიზებული ასოს ზედა მარჯვენა კუთხეში (gº, kº, ḳº, ṭº, ʼº, bº) და ა. შ.

ფონეტ. Ტ. თავისი არსით მეცნიერულია და მისი ეს უპირატესობა ეკონ. თვალსაზრისითაც აშკარაა: იგი ფაქტობრივ მონოგრაფემულობის პრინციპს ეფუძ-

ნება, რაც მას განარჩევს ტრანსლიტერაციისაგან.

წმინდა პრაქტიკული (უპირატესად არასამეცნ.) მიზნებით იყენებენ ე. წ. პრაქტიკულ ტ-ს, რ-იც ფაქტობრივ იგივეა, რაც ტრანსლიტერაცია. განსხვავება ამ ტერმინებს შორის ისაა, რომ ტ. უცხო ენის ბგერათა წარმოთქმის საკუთარ ენაზე რეპროდუქციას ემსახურება და მოწოდაფემულობის (ერთასოიანი გამოსახულების) პრინციპს ემყარება, ხოლო ტრანსლიტერაცია უცხოენოვანი დაწერილობის მშობლიურ ენაზე ასო-ასო გადატანას ისახავს მიზნად და საამისოდ 2 (ზოგჯერ 3) გრაფემის გამოყენებასაც არ გაურბის. ორსავე შემთხვევაში ძირითად საბაზო ენად საერთაშ. პრაქტიკაში გამოიყენება ლათინური (აქედან ტერმინები: ლათინიზაცია, რომანიზაცია).

შ. აფრიდონიძე.

ტრანსლიტერაცია (< ლათ. transliteratio < trans გადა- + littera – ასო), ერთი გრაფიკული სისტემის გამოყენებით ჩაწერილი ტექსტის გადმოცემა სხვა გრაფიკული სისტემის მეშვეობით. სხვადასხვა ენის მიერ ერთი და იმავე შრიფტის გამოყენებისას (როგორიცაა, მაგ., ლათ. შრიფტი ევროპ. ენებისათვის) ტ. განსხვავებული შეიძლება იყოს სათანადო ენის წერილობითი ტრადიციების მიხედვით. მაგ., ქართ. შ გრაფემა ინგლისურად **sh** კომპლექსით გადმოიცემა, ფრანგულად – **ch**, იტალიურად – **sc(i)**, ხოლო გერმანულად **sch** კომპლექსით (მაგ., ქართ. ტოპონიმის შინდისის ტ. ამ ენებში ასეთი იქნება: ინგლ. **Shindisi**, ფრანგ. **Chindisi**, იტალ. **Scindissi**, გერმ. **Schindissi**).

ტ-ის გამოყენება პირველად საბიბლიოთეკო საჭიროებამ წარმოშვა (XIX ს. დამლევს) და იგი, პირველ ყოვლისა, სხვადასხვა გრაფ. სისტემით შესრულებული ნაშრომების ერთიან კატალოგში შეტანას ისახავდა მიზნად. სათანადო ამოცანის სრულყოფილად და მაქსიმალური სიზუსტით განსახორციელებლად მუშავდება სპეც. ინსტრუქციები, რ-ებშიც დაშვებულია სხვადასხვა პირობითი გრაფ. (დიაკრიტიკული) ნიშნების ხმარებაც ამა თუ იმ ენის სპეციფ. ბგერების გადმოსაცემად. მაგ., ლათ. დამწერლობით მოსარგებლე ევრ. ენებში ` ნიშანი (აპოსტროფი) გამოიყენება როგორც ქართ. აბრუპტივების (მკვეთრი თანხმოვნების: კ, პ, ტ...), ისე რუს. რბილი ნიშნის (b) გადმოსაცემად. ეს ინსტრუქციები მოგვიანებით (XX ს.) საფუძვლად დაედო დამწერლობის არალათ. სისტემების ლათინიზაციის სტანდარტს. შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია ISO – (International Standard Organization). 1997–98 ენათმეცნ. ინ-ტში დამუშავდა ქართ. ანბანის ინგლ. ტ-ის სისტემა, რ-საც საქართველო–აშშ II საბიბლიოთეკო კონფერენციაზე ოფიც. რეკომენდაცია მიეცა – ISO-სათვის წარსადგენად. ეს სისტემა აპრობირებულია ინგლისურენოვან ქართველოლოგ-კავკასიოლოგთა მიერ. პრაქტიკულად ამ სისტემით სარგებლობენ ამჟამად უცხოელი სპეციალისტები ქართ. ანბანის ტრანსლიტერირებისას ქართ. ტექსტების გამოცემებში.

ქვემოთ წარმოდგენილია თანამედროვე ქართ. ანბანის (თქა), საერთაშორისო ფონეტ. (მეცნ.) ტრანსკრიფციისა (ფტ) და ინგლ. ენის ბაზაზე ენათმეცნ. ინ-ტში შემუშავებული ტრანსლიტერაციის (იტ) სისტემები:

თქა	ფტ	იტ
ა	a	a
ბ	b	b
გ	g	g
დ	d	d
ე	e	e
ვ	v	v
ზ	z	z
თ	t	t
ი	i	i
კ	k'	k'
ლ	l	l
მ	m	m
ნ	n	n
ო	o	o
პ	p	p'
ჟ	ž	zh
რ	r	r
ს	s	s
ტ	t'	t'
უ	u	u
ფ	p	p
ქ	k	k
ღ	γ	gh
ყ	q	q
შ	š	sh
ჩ	č	ch
ც	c	ts'
ძ	ǯ	dz
წ	ç	ts'
ჭ	č	ch'
ხ	x	kh
ჯ	ǰ	j
ჰ	h	h

ლიტ.: აფრიდონიძე შ., ჩხაიძე ლ., ქართულიდან და ქართულად: საკუთარ სახელთა ტრანსლიტერაციის საკითხები ქართულ-ინგლისურში. – „საქართველო – აშშ. II საბიბლიოთეკო კონფერენცია", თბ., 1997; Реформатский А. А., Транслитерация русских текстов латинскими буквами. – «Вопросы языкознания», 1960, №5; Суперанская А. В., Теоретические основы практической транскрипции, М., 1978.

შ. აფრიდონიძე.

ტრანსპოზიცია (ლათ. transpositio – გადანაცვლება, გადასმა), ერთი ენობრივი ფორმის გამოყენება სხვა ფორმის ფუნქციით. ფართო გაგებით ტ. არის ნებისმიერი ენობრივი ფორმის გადატანით ხმარება, მაგ., დროის ტ. – სმინის ახლანდელი ან მომავალი დროის ფორმის გამოყენება წარსული დროის გაგებით, მაგ.: „ერთხელ მეც გადავდივარ ამ მესერზე და ჩამეკვედა შიგ ფუხსაცმელი" (რ. ინან.); წინადადების ტიპის ტ. – კითხვითი წინადადების გამოყენება თხრობითი ან ბრძანებითი წინადადების მნიშვნელობით, მაგ., „ვინ დაოვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?" (ა. წერ.). ტერმინი ტ. ასევე გამოიყენება *მეტაფორის* ან სხვა გადატანით ნახმარი სიტყვის გამოსახატავად. ვიწრო გაგებით ტ. არის სიტყვის გადასვლა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში – სრული, ანუ მორფოლოგიური ტ. ან სიტყვის გამოყენება სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით – უსრული, ანუ სინტაქსური ტ. იმის მიხედვით, თუ რომელი მეტყველების ნაწილს ფუნქციით გვეელინება ესა თუ ის სიტყვა, გამოიყოფა *ადვერბიალიზაცია, ადიექტივაცია, ვერბალიზაცია, პრონომინალიზაცია, სუბსტანტივაცია.*

ტ. ამდიდრებს ენის გამომსახველობით შესაძლებლობებს, აფართოებს სიტყვათშეხამების ფარგლებს, წარმოქმნის სინონიმებს.

ლიტ.: Балли Ш., Общая лингвистика и вопросы французского языка, пер. с франц., М., 1955; Есперсен О.,

Философия грамматики, пер. с англ., М., 1958; Теньер Л., Основы структурного синтаксиса, пер. с франц., М., 1988.

ნ. ჭუმბურიძე.

ტროპი (ბერძნ. tropos – შექცევა, სიტყვის საქცევი), მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში საგნის, მოვლენის... სახელწოდების გადატანა სხვა, აზრობრივად რაიმე სახით დაკავშირებულ, საგანზე, მოვლენაზე..., არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა (სიტყვათა შეხამება, წინადადება). ტ-ში ეს ორი მნიშვნელობა – პირდაპირი (უნობრივი) და გადატანითი (სიტუაციური) – ერთიანდება, რაც ქმნის საგნის, მოვლენის... ხატოვანი, ემოციური სახის შექმნის საფუძველს. მაგ., კბილების ნაცვლად ბროლის გამოყენება („ვარდი გააპის, გამონდის მუნ ბროლი გამომჭვირვალი", შოთა რუსთ.) ხაზს უსვამს ბროლთან მათ მსგავსებას, ე. ი. განსაკუთრებულ სითეთრეს.

რიგ შემთხვევაში სიტყვის ტროპული გამოყენება იწვევს სემანტიკურ ცვლილებებს. მაგ., ქართულში სიტყვა „კაპუეტი" აღნიშნავდა ზამთარგამოელილ მიმინოს. გადატანით გამოყენებულ იქნა „კაპასი დედაბრის" აღსანიშნავადაც, რის გამოც სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა.

ტ-ის გაგება ანტ. სამყაროდან მომდინარეობს. კვინტილიანე განმარტავდა ტ-ს, როგორც სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის იმგვარ ცვლილებას, რ-ის შედეგადაც მიიღებოდა სიტყვის გამდიდრებული მნიშვნელობა.

ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ტ-ს ლიტერატურათმცოდნეები და ლინგვისტები განიხილავდნენ როგორც რაღაც ფორმალურ ელემენტს, გარედან შემოტანილს მეტყველების „მორთვის" მიზნით. ტ-ის თეორიასთან ამგვარმა დამოკიდებულებამ, კვლევებში მისი შემოქმედებითი ასპექტის გაუთვალისწინებლობამ აქცია იგი XX ს. შუა წლებისთვის პოეტიკისა და სტილისტიკის ფორმალურ ნაწილად.

ტ-ის თეორიით დაინტერესება ახალ დროში დაკავშირებულია სემიოტიკის აღმავლობასთან. გაჩნდა ტ-ის ახლებური განმარტებები. ჰ. შოფერი და დ. რაისი (1977) ტ-ს განმარტავენ როგორც სემანტიკურ *ტრანსპოზიციას* არსებული ნიშნიდან (in praesentia) უნიშნობისკენ (in absentia).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ყველაზე უფრო დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ტ-ის გაგება სისტემად, რ-ის ელემენტებიც – ცალკეული ტ-ები – იერარქიულად ორგანიზებულია.

ენათმეცნიერებაში ტ-ის თეორია ამგვარადაა მოტივირებული: ტ. არის ენობრივი მოვლენა და, ამასთან, იმგვარი მოვლენა, რ-იც ყველაზე ღრმად არის შეპირობებული ენობრივი ფაქტებით. შესაბამისად, ტ-ის თეორია ჩართულია ენათმეცნიერებაში, როგორც მისი ახალი ნაწილი.

„ტროპულობის" ძირები შეიძლება ვეძიოთ თვით ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, სტრუქტურის ორპლანიანობაში და შინაარსის პლანისა და გამოხატვის პლანის ასიმეტრიულობაში (ნ. არუთინოვა).

იმის მიხედვით, თუ რა ნიშნების საფუძველზე და როგორ ხდება საგნის, მოვლენის... სახელწოდების (მნიშვნელობის) გადატანა, გარჩეულია (ფართო გაგებით) ტ-ის სახეები (ძირითადი ტ-ები და მათი სახესხვაობები): ალეგორია, გაპიროვნება, *ირონია, ლიტოტესი, მეიოზისი, მეტაფორა, მეტონიმია, პარაფრაზი, სინეკდოქე, ჰიპერბოლა.* შესაძლებელია მათი თანაარსებობა ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ფარგლებშიც.

მნიშვნელობის ტროპული გადაწევა ხდება არა მხოლოდ ლექსიკის, არამედ გრამატ. მნიშვნელობების სფეროშიც. მაგ., გრამატ. ტ-ის – ა ლ ე ო ტ ე ტ ი ს – ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება დასახელებულ იქნეს *რიტორიკული კითხვა.* რიტორიკული მიმართვის დროს გადაწევა შეიძლება მოხდეს კითხვით და უარყოფით მნიშვნელობებს შორის: ის, რაც რეალურად წარმოადგენს უარყოფით მტკიცებას, წარმოდგენილია კითხვის სახით. ასე, კითხვითი ფორმა შემდეგი წინადადებისა: „ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს/ სიმი სამშობლო, დიდების ღირსი/, ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე/, ვინ მოიგონა სიმცირე მისი" (ს. ნიქ.) რეალურად უარყოფითია და ნიშნავს, რომ ვერავინ იტყვის..., ვერავინ ჰპოვებს... გრამატ. ტ. ენათმეცნიერების კვლევის საგანია.

ლიტ.: ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; Виноградов В. В., Основные типы лексических значений слова. – «Вопросы языкознания», 1953, № 5; Хазачеров Т. Г., Ширина Л. С., Общая риторика, Ростов-на-Дону, 1999.

ც. ბარბაქაძე.

ტუიტი კვენი (Tuite) (დ. 3. IV. 1954, საუთ-ბენდი, აშშ), ამერიკელი ქართველოლოგი, ენათმეცნიერი და ეთნოლოგი. პროფესორი. ქართ. ენას სწავლობდა ჯერ ჩიკაგოს უნ-ტში პროფ. ჯ. ი. არონსონთან, შემდეგ – თსუ-ში (1985–86); დოქტორის სამეცნ. ხარისხი მიენიჭა 1988. ამჟამად მუშაობს მონრეალის უნ-ტში (კანადა), ანთროპოლოგიის განყ-ბაში.



ჯ. ტუიტი

გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია: „Kartvelian Morphosyntax. Number Agreement and Morphosyntactic Orientation in the South Caucasian Languages" (ქართველური მორფოსინტაქსი. შეთანხმება რიცხვში და მორფოსინტაქსური ორიენტაცია სამხრეთკავკასიურ ენებში), LINCOM Europa. München, 1998.

1980-იანი წლებიდან ინტენსიურად აქვეყნებს სტატიებს ქართველურ ენათა გრამატიკის საკითხებზე, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ირიბი გარდამავალი ზმნები ქართულში", 1987; „ქართული -ყე-ს გეოგრაფია", 1989; „პრეფიქსი ხ ძველ (ადრინდელ) ქართულში" 1990; „რიცხვის კატეგორია საართო-ქართველურში", 1992; „სვანური ატელიკური ზმნების აორისტი და ფსევდო-აორისტი", 1994; „პარადიგმების აღდგენა ქართულში", 1996; „სვანური ენა", 1997; „შენიშვნა სვანურ ზმნაზე", 1998; „დეპონენსური ზმნები ქართულში", 2002; „ქართველური სერიების ნიშნები", 2003.

ტ. ავტორია საენციკლოპედიო სტატიისა: „Early Georgian" (ძველი ადრეული ქართული), წიგნში.: The Cambridge Encyclopaedia of the World, s Ancient Languages (ed. by Roger D. Woodward, CUP (Cambridge University Press), გვ. 967–987.

ამასთანავე, ტ. ნაყოფიერ მუშაობას უწევდა ქართ. ხალხური პოეზიის

პოპულარიზაციაში: მან თარგმნა და გამოსცა ანთოლოგია, რ-შიც შესულია 70-მდე ნიმუში ქართ. ტექსტის ინგლისური ტრანსლიტერაციითურთ – „An Anthology of Georgian Folk Poetry" (ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგია). (I გამოც. 1994, II – 2005).

რედაქტორია (დი ენ *ჰოლისკისთან* ერთად) კრებულისა: „Current Trends in Caucasian, East European and Inner Asian Linguistics". Papers in Honor of Howard I. Aronson (Edited by Dee Ann Holisky, Kevin Tuite). John Benjamins Publishing Company. Amsterdam–Philadelphia (2003). კრებული ეძღვნება პროფ. ჰოუარდ ი. *არონსონს.* *შ. აფრიდონიძე.*



უ, ქართული ანბანის მეოცე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამესამე) ასო. მისი სახელია „უნი“; გრაფ. სიმბოლო უკანა რიგის მაღალი აწეულობის ლაბიალიზებული ხმოვნისა. უ ასომთაერულში ორი გრაფ. ნიშნის – ო-სა და ჳ-ს შეერთებითაა მიღებული. ნუსხურში მათი გამოსახულებანი რკალურ ფორმებზე გადასვლის შედეგად შერწყმულია. ⷕ ნუსხურში მარჯვენივაა გადახრილი. მხედრულში უ მომრგვალებულია. ნუსხურსა და მხედრულში ქვედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. სათეალავში აღნიშნავდა ოთხასს (400).

უარყოფა, გრამატიკული თუ სემანტიკური პროცესი ან კონსტრუქცია, რ-იც გამოხატავს გამონათქვამის (წინადადების, ფრაზის...) შინაარსის სრულ ან ნაწილობრივ ნეგაციას; ბაზისური ფრაზის (მტკიცებითი, კითხვითი, ბრძანებითი) ერთ-ერთი სტატუსი, რ-იც მდგომარეობს ფრაზის პრედიკატის უარყოფაში. უ. უნივერსალური მოვლენაა, რ-იც მსჭვალავს მთელ ენობრივ სისტემას. იგი წარმოადგენს ამოსავალ, დაუნაწევრებელ სემანტიკურ კატეგორიას, რ-ის ახსნა შესაძლებელია უფრო მარტივი სემანტიკური ელემენტების საშუალებით.

უ. შეიძლება გამოიხატოს: უარყოფის სიტყვებით, როგორებიცაა უარყოფითი ნაწილაკები, აგრეთვე სიტყვები, რ-ებშიც უარყოფა მნიშვნელობის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, მაგ., უარყოფითი რაცვალსახელები, ზმნისედები, მიმღეობები, კავშირების წყვილი (არც – არც); უარყოფითი აფიქსებით; სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობით (მაგ., ქართ. „უარი“); მთელი წინადადებით – „შენ რა გესმის!“ და ა.შ.

წინადადებას, რ-იც შეიცავს უარყოფის სიტყვას ან ზმნის უარყოფით ფორმას, უარყოფით წინადადებას უწოდებენ. არსებობს აბსოლუტური, სრული უ., როდესაც უარყოფილია მთელი წინადადება („არა, მე არაფერი დამიშავებიარ!“) ან ნაწილობრივი (არასრული), როდესაც უარყოფილია წინადადების მხოლოდ ერთი კომპონენტი: „მე არ მწყენია მისი წასვლა“.

უარყოფითს, ნეგატიურს ენაში უპირისპირდება პოსიტიური, მტკიცებითი. მათი ერთიანობა ქმნის პოლარულობას. შესაბამისად, განსხვავებულია უარყოფითი და დადებითი პოლარულობის მქონე ერთეულები. ერთეული (სიტყვა, ფრაზა) უარყოფითი პოლარულობისაა, თუ მისი მნიშვნელობა იგუებს მხოლოდ წინადადების უარყოფით შინაარსს, ხოლო ერთეული დადებითი პოლარობისაა, თუ იგი მხოლოდ დადებითი, მტკიცებითი (ან კითხვითი) შინაარსის წინადადებაში გვხვდება. მაგ., „არაფერი“ („არაფერი (არა) გაქვს?“, „არაფერი (არა) მაქვს“) უარყოფითი პოლარულობისაა, მაშინ როდესაც „რამე“ მხოლოდ დადებითი წინადადებისთვისაა ჩვეულებრივი („რამე ხომ არა გაქვს?“, „თუ რამე მაქვს...“).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში დიდ ინტერესს იწვევს ე. წ. ნეგატიურების – უარყოფითი ნაწილაკების (ან სხვა საშუალებების) – ტრანსპორტაციის (გადაადგილების) საკითხი წინადადებაში. ერთი თვალსაზრისით, შესაძლებლად არის მიჩნეული უ-ის ტრანსპორტაცია მთავარი წინადადებიდან დამოკიდებულში, ან პირიქით (ე. წ. ნეგატიური აღმავლობა). დამოკიდებულიდან – მთავარში (შდრ. „არ ეფიქრობ, რომ ის სიმართლეს იტყვის“ > „ეფიქრობ, რომ ის სიმართლეს არ იტყვის“; „ეფიქრობ, რომ ამჯერად ეს ჭორი არ გამართლდება“ < „არ ეფიქრობ, რომ ეს ჭორი ამჯერად გამართლდეს“). სხვა თვალსაზრისით, ასეთი გადანაცვლება გავლენას ახდენს როგორც წინადადებათა ლოგიკურ სტრუქტურაზე, ისე სემანტიკაზე და ამდენად ეჭვის ქვეშ აყენებს მათ იგივეობას.

საკუთრივ ენობრივი უ-გან განასხვავებენ უ-ს, რ-იც ენაში რეალიზდება მიმიკითა და ჟესტებით და განეკუთვნება სემიოტიკის სფეროს.

ქართულში უარყოფით წინადადებას სამი ნაწილაკი გამოხატავს:

არ, ვერ, ნუ. არ კატეგორიული და მკაფიოდ გამოხატული უ-ა; ვერ შესაძლებლობების ფარგლებით არის შეზღუდული; ხოლო ნუ აკრძალვითი ბრძანებითის სპეციალური უარყოფითი ნაწილაკია.

მრავალი ენისათვის დამახასიათებელია ორმაგი უ., როდესაც ერთი გამონათქვამის ფარგლებში უ. მეორდება ორ წევრთან (მაგ. რუსულში: „я ничего не знаю"). განსხვავებით ორმაგი უ-გან, ლოგიკურ-მათემატიკური აზრით, რ-იც დაღებით შეღებას იძლევა, ენობრივი უ. არ შლის უ-ის შინაარსს და წინადადებას არ ანიჭებს პოზიტიურ მტკიცებით სტატუსს. ზოგჯერ ენებში დაშვებულია აგრეთვე მრავალჯერადი, კუმულაციური უ. ასეთი შემთხვევები გვაქვს, მაგ., ე. წ. შეთანხმებული უ-ის დროს, როდესაც ზმნის პრედიკატულ ფორმაში უ-ის არსებობის შემთხვევაში წინადადების სხვა წევრებიც უარყოფითი ფორმით გვევლინებიან (მაგ., რუსულში: „никто никогда ничего не брал"; მსგავსი კონსტრუქციები ემფაზის პირობებში ისეთ ენაშიც არის შესაძლებელი, რ-საც, ჩვეულებრივ, მრავალჯერადი უ. არ ახასიათებს (მაგ., ქართ. „მე არასოდეს არავის არაფერს არ ვთხოვ!").

ძვ. ქართულში მუდამ ერთმაგი უარყოფა იხმარებოდა. თანამედროვე ქართულშიც ასეთი უ-ა გაბატონებული (არაფერი ვიცი, არსად მივდივარ, არასოდეს გამიკეთებია), მაგრამ გვხვდება ორმაგი უ-ც „არაფერი არ ვიცი"), რასაც სხვა ენის (კერძოდ, რუსულის) გავლენით ხსნიან, თუმცა ეს პროცესი ცოცხალ მეტყველებაში გაცილებით ადრე უნდა განვითარებულიყო. ვ. თოფურიას აზრით, ორმაგი უ. უცხო ენათა გავლენის გარეშე, თავისთავად არის აღმოცენებული. ამას ადასტურებს ის, რომ იგი საკმაოდ გავრცელებულია ქართ. ენის დიალექტებში და, X–XI სს-იდან მოყოლებული, სისტემატურად გვხვდება წერილობით ძეგლებში. ორმაგი უ-ის წარმოშობას განაპირობებს სინტაქსური კონსტრუქცია, ასოციაცია, ზოგიერთი სხვა ენობრივი მოვლენა და, რაც მთავარია, ემფაზის (კომუნიკაციური გამოყოფის) საჭიროება. თანამედროვე ქართულში აშკარად შეიმჩნევა ე. წ. ორმაგი უ-ის არეალის გაფართოების ტენდენცია. უახლესი სარეკომენდაციო ლიტ-რის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ამგვარ კონსტრუქციებს ენიჭება უპირატესობა.

ლიტ.: თოფურია ვ., ორმაგი უარყოფა ქართულში. – «ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული», I–II ტფ., 1923–24; ჯორბენაძე ბ., უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში. – «ქსკა», წგ. 6, თბ., 1984; პაპიძე ა., ერთი ტიპის კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში. – «ქსკა», წგ. 10, თბ., 1993; ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002; არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004; Есперсен О., Философия грамматики, пер. с англ., М., 1958.

ნ. ლოლაძე.

უბისის წარწერა 1141, ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი ქვის ოთხკუთხა ფილაზე (99x65 *სმ*), რიც ნასმულია უბისის სამონასტრო კომპლექსის (ხარაგაულის რ-ნი) ერთ-ერთი ნაგებობის – „სვეტის" სამხრ. კედელში, პირველი სართულის ზედა მარცხენა კუთხეში; შესრულებულია *კიდურწერტილოვანი*, ადგილ-ადგილ *კიდურწაისრული დამწერლობით*; ასოებს გადასმული ჰქონია ამჟამად გამკრთალებული წითელი საღებავი (სინგური). წარწერის ტექსტი ასეთია:

„+ მე, საწყალობელსა სულითა, სვეიონ ჭყონდიდელსა მომემადლა ღმრთისაგან აღშენებად მონასტერი ესე და სუმტიცა ესე, მეფობასა, ღმრთისა მიერ გურგენოსისისა დიმიტრი მეუფეთა მეუფისა, ძისა დიდისა მეფისა დავითისა. ქრონიკონი იყო ტჟა, ზედა წელი სარკინოზთაჲ ფლე". წარწერას ახლავს თარიღი: ქართული ქრონიკონი ტჟა (361), ანუ 1141; სარკინოზთაჲ – ფლე, ანუ პიჯრის 535, ე. ი. 17. VIII. 1140 – 5. VIII. 1141; *ზედა წელი* უდრის 1. I – 5. VIII. 1141. წარწერაში მოხსენიებული არიან ისტ. პირები: მეფე დავით IV აღმაშენებელი (1089– 1125), მისი ძე მეფეთა მეფე დიმიტრი (1125–1155) და სუმეონ ჭყონდიდელი – მაშენებელი მონასტრისა და „სუმტისა" და ავტორი წარწერისა. ეს უკანასკნელი იყო დავით აღმაშენებლის თანამედროვე გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის (+ 1118) ძისწული, 1124-თვის თეიონოსც მწიგნობართუხუცესი და ბედიელ-ალავერდელი მთავარეპისკოპოსი, რ-იც უ. წ-ის მიხედვით, 1141 ჭყონდიდლად მოიხსენიება. წარწერა საყურადღებოა: ა. ორთოგრაფიული თვალსაზრისით – უ ბრჯგუს მომდევნოდ მასში დასტურდება მ („სუმტიცა"), რიც ასე დამახასიათებელია XII ს. II ნახ. წერილობითი ძეგლისათვის – ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმის მონასტრისადმი (1124): ანუმწინა, ჩუმულებითი, კუმრთხი, ანუმწინეს, შუმწინერად, ჴუმლი და ჴუმლის ჴუმლი, ჴუმლთაგან, ჴუმლთა, წუმლაჲ, ფეშხუმი, სეფისკუმრი, წარტკუმნილი, პშუმნის, ანუმწინებდეს, შენუმნებითა და სხვ.; ბ. პალეოგრაფიულად შესრულებულია როგორც კიდურწაისრული, ისე კიდურწერტილოვანი დამწერლობით, ამასთანავე, ასო-



სვიმეონ ჭყონდიდელის საამშენებლო წარწერა უბისის კოშკზე.

თა ქცეთის ღარები ამოწითლებულია; გ. წარწერაში დასტურდება ტერმ. „ხედა წელის“ ქცელაზე გეიანდელი გამოყენება.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 2, ვ.სილოგავას გამოც., თბ., 1980, გვ. 140–141, 216, №163.

ვ. სილოგავა.

უბრალო დამატება, პირმიუმართაო დამატება, წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რ-იც ახლავს შემასმენელს ან სმნური წარმოშობის წევრს (აგრეთვე, ზოგ ზედსართავ სახელსა და ზმნისართს) და იმართვის მათგან ბრუნვაში. უ. დ. არ არის შეწყობილი სმნის ობიექტ. პირთან. იგი ძირითადად ოთხ ბრუნვაში დასმული სახელით გამოიხატება: მიც., ნათ., მოქმ., და ვით. ბრუნვებში, თანდებულით ან უთანდებულოდ.

მიც. ბრუნვასთან გამოიყენება თანდებულები: -ზე, -ში, -თან (აგრეთვე –შორის, -შუა): „ელიზბარსე ამბობდა“, „ხუმრობაში გაატარეს“, „ღედასთან გაგზავნეს“; „ცენ ორს შორის“...).

ნათ. ბრუნვასთან გვხვდება -გან, -მიერ, -თვის, შესახებ, მიმართ და სხვა თანდებულები. იმის მიხედვით, თუ საიდან მიიღება პირმიუმართაო დამატება, გამოყოფენ სუბიექტისებრ, პირდაპირისებრ და ირიბისებრ დამატებებს (ა. შანიძე).

ნათესაობითში დასმული უთანდებულო სახელის ნაშმნარ სახელთან ურთიერთობა მკელევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამგვარ სახელს სინტაქსურად პირმიუმართაე დამატებად განიხილავენ (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე). სხვა მოსაზრებით, ნათესაობითში დასმული სახელი განსაზღვრებაა (შდრ. „ქვის გათლა“, „ქვის მთლელი“ და: „ქვის სახლი“) (ვ. თოფურია).

მოქმ. ბრუნვაში დასმული სახელი პირმიუმართაო დამატების ფუნქციით ან უთანდებულოდ გეხვდება, ანდა დაირთავს -ურთ თანდებულს („აგურით აშენებენ“, „ვიღუპები მემკვიდრითურთ“...).

ვით. ბრუნვა პირმიუმართაო დამატების ფუნქციით ყოველთვის უთანდებულოა და გარდაქცევა-გარდაქმნას ან თანაობას გამოხატავს („მოჯამაგირედ დადგა, „სტუმრებიანად გამოჩნდა“...).

ხშირად ხდება გარემოებისა და უბრალო დამატების ურთიერთალრევა: არა გვაქვს სანდო სინტაქსური კრიტერიუმი ამ ორი სინტაქსური კატეგორიის (წინადადების წევრის) გასამიჯნავად (შდრ. „კარადაზე ღევს“ – „სად?“ თუ „რაზე?“).

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. 2, თბ., 1948; თოფურია ვ., ქართული ენის გრამატიკის საკითხები, თბ., 1967; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

ქ. გაბუნია.

უდიური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგიური ქვეჯგუფის ენა.

პირველი ცნობები უდიების წინაპართა შესახებ გეხვდება ძვ. ავტორების: ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.), სტრაბონის (ახ. წ. I ს.), პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) და სხვ. ნაშრომებში. კავკასიური ალბანეთის აღწერისას სტრაბონი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოში გაერთიანებული იყო 26 ტომი და მათ შორის უდიებიც; ინფორმაცია ამ ხალხის შესახებ წარმოდგენილია გვიანდელ ბერძნ.-ბიზანტ., სომხ., ქართულ ისტორიოგრაფიაში. ოდესღაც მრავალრიცხოვანი ეთნოსი დღეს დაახლოებით 9 ათას კაცს ითვლის. ქცელა დაღესტნური წარმოშობის ტომიდან მხოლოდ უდიებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა.

უ. ე-ის წარმოშობის სხვადასხვა თეორიებიდან ქცელაზე პოპულარულია მისი ნათესაობის პიპოთეზა დაღესტნის და, კერძოდ, წახურ-მუხადურ და ე. წ. „შაქდალის ჯგუფის“ ბუდუხურ, კრიწულ და ხინალუღურ ენებთან, რ-ებიც, როგორც ვარაუდობენ, კაკასიის ძვ. ალბანეთის ნაშთებს უნდა წარმოადგენდნენ, თუმცა ბოლო ხანებში ძველ ალბანურს უკავშირებენ თანამედროვე უდიურს (იხ. *ალბანური დამწერლობა*), რ-იც ამჟამად წარმოდგენილია აზერბაიჯანის შექის (სოფ. ვართაშენი) და კუტკაშენის (სოფ. ნიჯი) რაიონებში. აქად. ა. შიფნერის მონაცემებით, ჯერ კიდევ XIX ს. II ნახ. უდიურად ლაპარაკობდნენ სოფლებში: სულტან ნუხა, დაბა ვართაშენი (საკუთრივ ვართაშინის გარდა), იანგი-ქენდი, მირზაბეილი, ჯოურლი, კირზანი, ვარდანლი. ეს თავისთავად მიგვანიშნებს დიალექტების ისტ. სიმრავლეზე, რაც არ გამორიცხავს ლიტ. სტანდარტის ოდინდელ არსებობას. ივარაუდება, რომ ძვ. ალბანური ენა ფარავდა დაახლოებით თანამედროვე აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიას.

ამჟამად განარჩევენ უდიურის ორ დიალექტს – ვართაშნულსა და ნიჯურს, 1920–1922 მიგრაციული პროცესების შედეგად უდიების ნაწილი დასახლდა საქართველოში – ქვარლის რაიონის სოფ. ოქტომბერში (თავიდან ზინობიანი) და ამჟღავნებენ ვართაშნულ-ოქტომბრულ მეტყველებასაც.

უ. ე-ის მეცნიერული შესწავლა იწყება XIX ს. II ნახ-იდან და დღემდე გრძელდება (ა. შიფნერი, ა. დირი, ე. ჯეირანიშვილი, გ. ფანჩვიძე, ვ. გუკასიანი, ე. შულცე, ტ. სიხარულიძე...). გარდა ამისა, უდიურის მასალა კაექ. ენებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოცულობით სხვადასხვა დროს განხილული აქვთ ფრ. მიულერს, რ. ერკერტს, ჰ. შუხარტს, ჟ. დიუმეზილს, ნ. ტრუბეცკოის, ი. მეშჩანინოვს, კ. ბოუდას, რ. ლაფონს, ი. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს, ა. ჩიქობავას, ა. პაიჭაძის და სხვ.

უ. ე-ის ბგერითი შედგენილობა არ არის რთული. ხმოვანთა სისტემაში გამოიყოფა 13 ხმოვანი და 28 თანხმოვანი. მახვილი დინამიკურია, ზოგჯერ ინტენსიური და, როგორც წესი, მოუდის ბოლო მარცვალს.

უდიური აგლუტინაციური ენაა. მორფოლ. კატეგორიათა გამოსახატავად გამოიყენება აფიქსები: პრეფიქსები და, უპირატესად, სუფიქსები. ამჟამინდელ უდიურში მოშლილია გრამატ. კლასის კატეგორია.

არსებითი სახელისათვის დამახასიათებელია რიცხვისა და ბრუნვის კატეგორია. გამოიყოფა 2 რიცხვი (მხოლობითი და მრავლობითი) და 10 ბრუნვა – 4 ძირითადი და 6 თანდებულიანი. ძირითადი ბრუნვებია: სახელობითი, ერგატიული (მოთხრობითი), ნათესაობითი, მიცემითი; თანდებულიანი – აბლატივ-ინსტრუმენტალისი („გან“ – ბრუნვა), კომიტატივი („თან“ I ბრუნვა), ინესივ-ადესივი („თან“ II ბრუნვა), ალატივი („კენ“ ბრუნვა), სუპერესივი

(„ზე“ ბრუნვა), კაუსატივი. ენ-კენა > ენ-კ.

ზედსართავი სახელი, როგორც მსაზღვრელი სახელი, უფორმოა. ამგვარი სახელები იბრუნვიან და დაირთავენ რიცხვის ნიშანს მხოლოდ გასუბსტანტივების შემთხვევაში. შედარებითი ხარისხის გამოსახატავად არ არსებობს საგანგებო მორფოლ. ელემენტები და ამიტომ შესადარებელი საგნები თუ პირები აბლატივში დაისმიან.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი არის როგორც მარტივი, ისე რთული აგებულებისა. თელის სისტემა ოცობითია. გამოიყოფა ასევე რიგობითი, წილადი, დაშლით-დანაწილებითი, კითხვითი, განუსაზღვრელი და კრებსითი რიცხვითი სახელები.

ნაცვალსახელებში გამოიყოფა პირისა: ხუ (მე), უნ (შენ), იან (ჩვენ), ვან (თქვენ); III პირის ნაცვალსახელი მხ. და მრ. რიცხვში ემთხვევა ჩვენებით ნაცვალ სახელებს. ჩვენებითი ნაცვალსახელი სამწევროვანია: მე (ეს), ქა (ეგ), ტე (ის). კუთვნილებითი ნაცვალ სახელების ფუნქციას კისრულობენ პირის, უკუქცევითი და სხვა ნაცვალსახელები ნათ. ბრუნვის ფორმაში.

ზმნისათვის ნიშანდობლივია მხოლოდ პირისა და დრო-კილოთა ფორმების არსებობა. ზმნა მოთხოვრსონალურია – აღინიშნება მხოლოდ რეალური სუბიექტის პირი. ხასიათდება პირის გამოხატეის ოთხი (resp. სამი) სისტემით. ზმნაში მრ. რიცხვი სპეციფიკით არ აღინიშნება. რიცხვისა და პირის კატეგორიას გამოხატავს პირის მაწარმოებლად გამოყენებული ნაცვალსახელი.

უ. ე-ს ინფინიტივ-მასდარის ორი ფორმა აქვს: მასდარი I– იწარმოება -ეს სუფიქსით, და მასდარი II, რ-იც იწარმოება -უნ სუფიქსით მასდარ I-ის ფორმაზე დართვით.

ულიურში დასტურდება მიმდეობის ორი ფორმა. აღინიშნება აბსოლუტიეის ოთხი ფორმის არსებობა.

ადვერბიალური სიტყვები (ზმნისართები) სხვადასხვა სტრუქტურისაა (მარტივი, ნაწარმოები) და იყოფა რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის სემანტიკურ ჯგუფად. თანდებულები წარმოდგენილია ან დამოუკიდებელი ადვერბიალური სიტყვებით, ან შერწყმული (სუფიქსური მნიშვნელობის) თანდებულებით, რ-ებიც დაერთვიან სახელს. საკუთრივ უდიური კავშირები ცოტაა, ძირითადად ეს მუტყველების ნაწილი ნასესხებია თურქ. და არაბ. ენებიდან.

ლიტ.: ჯაგახიშვილი ი., ქართული და კაკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 (თხზ., ტ. 10, თბ., 1992); ციქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; ჯეირანიშვილი ე., უდიური ენა, თბ., 1971; ფანჩვიძე ე., უდური ენის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1974; მოესეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია (ძვ. სომხურიდან თარგმნა ლ. დაულიანიმ-ტატიშვილმა), თბ., 1985; სიხარულიძე ტ., არსებით სახელთა ბრუნება უდიურში, თბ., 2005; Дирр А., Грамматика удинского языка,. «смомпк», вып. 33, Тфл., 1904, Меликсет-Беков П., К истории удин. – «თსუ შრომები», 1942, ტ. 23; Тревер К., Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М. – Л., 1959; Панчвидзе В., Джейранишвили Е., Удинский язык. – «Языки народов СССР», т. 4, М., 1967; Мамедов Ф., Политическая история и историческая география Кавказской Албании, Баку, 1986; Ярадиев Я., Алупанская (Кавказско-албанская) письменность и лезгинский язык, Махачкала, 1995; Умаров А., Алфавит и надписи кавказских албан, Махачкала, 2003; Сихарулидзе Т., Об одном виде кавказского билингвизма. – «Caucasica», vol. VI, 2003; Schiefner A., Versuch über die Sprache der Uden. – «Memoire de l'Académie imperial des Science de St.-Petersburg», VII-e série, 1863.VI. №8.

ტ. სიხარულიძე.

უკავშირო შეერთება, ერთგვარ წეერთა ან რთული წინადადების შემადგენელი ნაწილების შეერთების სახე.

უ. შ-ის დროს, ერთგვარ წეერთა (წინადადებათა) შესაერთებლად არ არის გამოყენებული საგანგებო სიტყვა – კავშირი. ამ შემთხვევაში შეერთების მთავარ საშუალებას წარმოადგენს ინტონაცია.

შერწყმულ წინადადებაში უ. შ. ქმნის ღია, დაუხშავ კონსტრუქციას.

უკავშიროდ ერთღება, ჩვეულებრივ, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები, თუმცა ზოგჯერ – ანტონიმების კავშირიანი წყვილებიც: „მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა“...

უ. შ. *რთულ თანწყობილ წინადადებაში*, ჩვეულებრივ, ერთდროული მოვლენების ჩამოთვლისას, ანდა მოვლენათა თანამიმდევრობის გადმოსაცემად გამოიყენება. მეტად იშვიათია უ. შ. *რთულ ქვეწყობილ წინადადებაში*. უ. შ-ის დროს, ჩვეულებრივ, მძიმე გამოიყენება.

ლიტ.: კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

ქ. გაბუნია.

უკანგორის ვარძიებები, V–VI სს. ასომთავრული რელიეფური ორი წარწერა, მოთავსებული ჯვრების ორ სხვადასხვა კვარცხლბეკზე. მიაკვლია ლ. მუსხელიშვილმა 1936–37 დაზვერვითი არქეოლ. ექსკურსიების დროს სოფ. უკანგორის (დმანისის რ-ნი, დამბლეუტისწყლის ხეობა) ეკლესიის სასაფლაოზე. პირველი ჯვრის კვარცხლბეკი ამჟამად ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. იგი დიდი ზომის (70x40x35 *სმ*) ქვის ოთხკუთხა კუბია. კვარცხლბეკის თავზე ამოკვეთილია მრგვალი ფორმის ბუდე ჯვრის ან ჯვრის სადგარის ჩასადგმელად, ხოლო ერთი გვერდი, სავარაუდოდ, წინა მხარე, მთლიანად დაფარულია ექვსტრიქონიანი წარწერით. ქვის სედაპირის ნაწილობრივ გამოფიტვისა და რელიეფური ასოების ადგილ-ადგილ გადარეცხვის გამო, ტექსტი დაზიანებულია და ძნელად იკითხება. პირველი ოთხი სტრიქონი, რ-შიც დასტურდება ზმნის ხანმეტი ფორმა („აღხუმართე“), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა (1941), ხოლო მომდევნო ორი სტრიქონი, კიდევ ერთი ხანმეტი ფორმით („თაჳჳანისხცეთ“), წაკითხულ იქნა და გამოქვეყნდა 1972. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით (ასოთა რელიეფურობა, ჯ და ბ ასოების თავშეკვრით წერა, განკვეთილობის ნიშნების გამოუყენებლობა, ტანდაბალი და განიერი ასოები...) უძველესს ქართ. წერილობით ძეგლებს განეკუთვნება. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისის სიონის წარწერების დათარიღებისათვის მაშინ მიღებული ანალოგიით, უკანგორის წარწერას VI ს. დამდეგით ათარიღებდა. ამჟამად წარწერის თარიღი V–VI სს. განსაზღვრება. მისი ტექსტი ასეთია:

„† პეტრწს ხუცსობას[ა], მე, თათვარას აღხუმართე ესე ჯუარი



უკანგორის წარწერა. V–VI სს.

სახ[ელით]ა ღმრთისაჲ[თა], შეწევნითა იესუ ქრისტჱსითა. რომელმან თაჳყანისხცემთ, ლოცვასა [მომი]ჴსენეთ".

მეორე ჯვრის კვარცხლბეკის (ზომა: 39x35,5x31 *სმ*) წარწერა შვიდსტრიქონიანია. პირველი სტრიქონი და დანარჩენების მარჯვენა ნაწილი (ბოლო სტრიქონის გამოკლებით) დაკარგულია ქვის ზედაპირის ჩამოტეხის გამო. წარწერის ტექსტი სრული სახით აღადგინა ლ. მუსხელიშვილმა:

„[სახელითა ღმრთისაჲთა. მე], თა[თეარაზ] და მ[არიამ] აღხუ[მართეთ] ესე ჯუ[არი სა]ლოცვე[ლად] ჩ(უე)ნდა".

პალეოგრაფიული იდენტურობა და მეორე წარწერაშიც თათეარაზის მოხსენიება მასაც V–VI სს. ათარიღებს.

ლიტ.: მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბ., 1941; სილოგავა ვ., ქართული სამართლის ძეგლები. – «მაცნე» (ისტორიის... სერია), 1972, №4, ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980, № 26, 27. *ვ. სილოგავა.*

უკუთქმითი წინადადება, *წინადადება*, რ-შიც აზრი უარყოფითად არის გადმოცემული. უ. წ. უპირისპირდება *წართქმით წინადადებას* (დედამ ვერ მიატოვა შვილი – შდრ. დედამ მიატოვა შვილი). უარყოფითი მნიშვნელობა გამოიხატება უარყოფითი ნაწილაკებით: არ(ა), ვერ, ნუ, რ-ებიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს („არ მიღალატო, ოცნებავ", ვაჟა-ფშაე.; „მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს", გ. ტაბ.); უარყოფითი ნაცვალსახელებით: არსად, ვერსად, არასოდეს... („არავინ იძლევა პასუხს", გ. ტაბ.; „ნუვინ ჩივის თავის უთვისტომობას". ნ. ბარ.; „მშობელი შობილს არას მეტყოდა", ი. ჭავჭ.; „გაგზავნილები არსად ჩანდნენ"). უარყოფის გასაძლიერებლად ხშირად უ. წ-ში უარყოფითი სიტყვაც არის და უარყოფითი ნაწილაკიც, ე. ი. არის ორმაგი უარყოფა („არავინ არ შეიბრალა", ვაჟა-ფშაე.; „ოჰ, არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!" გ. ტაბ.) (იხ. *უარყოფა*). რიტორიკულ კითხვით წინადადებაში უარყოფითი სიტყვა გამოხატავს არა უარყოფას, არამედ აძლიერებს წინადადების ექსპრესიულ ფუნქციას („ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა?!", შოთა რუსთ.; „აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს, ძველ ოცნებებზე რომელი არ წუხს?!", გ. ტაბ.) (იხ. *ტროპი*).

ლიტ.: თოფურია ვ., ორმაგი უარყოფა ქართულში. – «ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული», I–II, ტფ., 1923–24; კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; ბასილაია ნ., წინადადების ტიპები მტკიცებისა და შინაარს-ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით, თბ., 1973; დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1983; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996. *ლ. კვანტალიანი.*

ულუმბოს (ოლიმპის) მონასტერი, ძველი ქართული სასულიერო და მწიგნობრული კერა მცირე აზიაში (ბითინიაში, ამჟამად თურქეთის ტერიტორია). საფიქრებელია, რომ ქართველი მოღვაწენი ულუმბოს მონასტერში დასახლდნენ IX ს. შუა წლებში, მკვიდრი საფუძველი კი ქართულ კოლონიას *ილარიონ ქართველმა* ჩაუყარა 864–869. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მწერლები და კალიგრაფები მიქაელ-ზეკეპე ბერთელი, გიორგი მოძღვარი, იოანე კახი, გრიგოლ მოძღვარი, საბა კუტი, ისაკი (XI ს.) და სხვ. ერთხანს იქ ყოფილა იოანე მთაწმიდელიც თავისი ვაჟით – ეფთვიმეთი. ხსენებული მწიგნობრებისა და კალიგრაფების ლიტ. საქმიანობის, ულუმბოზე ქართველთა მოღვაწეობის დამადასტურებელია ის ხელნაწერები, რ-ებმაც ჩვენამდე მოაღწია:

მიქაელ-ზეკეპე ბერთელის მიერ მოგებული სამოციქულო, რ-იც ამჟამად ათონის მთაზეა დაცული (Ath №42); „გამოცხადებაჲ წმიდისა მახარებლისა და ღმრთისმეტყუელისა იოვანესი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან" და ანდრია კესარია-კაბადუკიელის „თარგმანებაჲ" (H №1346) – ნუსხურით შესრულებულ თარიღიან ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესი ნუსხა, რ-იც გრიგოლ მოძღვრისა და იოანეს ინიციატივით გადაუწერია ოლიმპზე საბა კუტს 978, ხოლო შეუმოსავს იოანეს; ეფთვიმე ათონელის თარგმანების შემცველი ხელნაწერი (Ath №21).

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992. *ლ. მენაბდე.*

უმლაუტი (გერმ. Umlaut – გადახმოვანება), მეტაფონია (ბერძ. metaphoneo), ხმოვანთა რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია.

ფონეტიკურად უ. არის წინამდგომ (ძირეულ) მარცვალში ხმოვნის გაფართოება-დავიწროება მომდევნო მარცვლის ხმოვნის გავლენით. ყველაზე გავრცელებულია პალატალური გადაბგერება, როდესაც წინა რიგის დახურული ხმოვანი (განსაკუთრებით ი და ჲ) იწვევს ენის წინ გადაწევას, რის შედეგადაც ხდება რეზონატორული შევიწროება, ე. ი. a, o, u → ä (e), ö, ü. უ-ის სახეებია აგრეთვე ძირეული ხმოვნების ველარიზაცია და ლაბიალიზაცია სუფიქსის შესაბამისი ხმოვნის გავლენით. მაუმლაუტირებელი სუფიქსი ხშირად იკარგება და შეცვლილი ძირი იძენს გრამატ. ფუნქციას (შინაგანი ფლექსია). გამაფართოებელ უ-ს (Brechung) უწოდებენ ველარულ ასიმილაციას, რადგან გაფართოებას თან ახლავს ხმოვნის უკან გადაწევა. დამავიწროებელ უ-ს უწოდე-

ბენ საკუთრივ უ-ს, ანუ პალატალურს, რადგანაც ხმოვნის არტიკულაცია შუა ენისკენ გადაიწევს. უ. შეიძლება იყოს როგორც ცოცხალი ფონეტ. პროცესი, ისე ისტ. გრამატიკალიზებული. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, პალატალური უ-ა.

ქართ. სალიტ. ენაში უ. არა გვაქვს, გავრცელებულია დიალექტებში. პალატალური უ. გვხვდება, მაგ., იმერულში (წაეიდა > წეეიდა).

ქართველურ ენათაგან პალატალური უ. ფართოდ არის წარმოდგენილი სვანურში. სვანური უ-ის კვლევას საფუძველი ჩაუყარა ა. შანიძემ. შემდეგ ამ პრობლემაზე მუშაობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები: ე. თოფურია, გ. დეეტერსი, ს. ჟღენტი, თ. შარაძენიძე, მ. ქალდანი, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, გ. კლიმოვი, კ. ჰ. შმიდტი, ა. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე, ი. ჩანტლაძე...

სვანური უ-ის კვლევის დროს არაერთი თეორიული საკითხი დაისვა და გადაიჭრა, რ-იც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სვანურისა (და საერთოდ ქართველოლოგიის), არამედ უ-თან დაკავშირებული ზოგადი პრობლემატიკის თვალსაზრისით. შესწავლილ იქნა სვანური უ-ის (დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით) გამომწვევი მიზეზები და შედეგები, მათი მოქმედების რელატიური ქრონოლოგიის საკითხები და მრავალი სხვა.

სწორედ უ-ის კანონზომიერებათა გათვალისწინებით მოეფინა ნათელი *აბლაუტად* მიჩნეულ ბევრ აუხსნელ ხმოვანთმონაცვლეობას. დიდძალ საილუსტრაციო მასალაზე წლების განმავლობაში დაკვირვებამ აშკარად ცხადყო (მ. ქალდანი), რომ სვანურ ენაში ხმოვანთა ასიმილაციას განაპირობებს არა მხოლოდ წინა მიმართულების უ. (ა, ო, უ, ა̄, ო̄, უ̂ + ა̄ ი > ə/ ე > ა̄, ო̄, უ̄, ა̄, ო̄, უ̄), არამედ უკანა მიმართულებისაც [ე + ა > ა̄ (ბზ., უშგ.) > ა (ბქ., ლნტ.), ი + ა > ე (ბქ.) > ა̄ (ბზ., უშგ.), ე + ჳ > ა̄ (ბზ., უშგ.) > ა (ბქ., ლნტ.), ე + ო/უ > ა̄ (უშგ.) – შედარებით იშვიათად, ი + ჳ > ე (ბქ.) > ა̄ (ბზ., უშგ.)]. ამ უკანასკნელში მეუმლაუტე ფონემებია უკანა რიგის ა ხმოვანი და ჳ სონანტი, ხოლო საუმლაუტო – ე და ი (წინამავალი). შედეგების მიხედვით უკანა მიმართულების უ. გაცილებით რთულია, ვიდრე პალატალური უ., რ-საც მ. ქალდანის მონოგრაფიის გამოქვეყნებამდე სპეციალისტთა უმრავლესობა უ-ის ერთადერთ სახედ მიიჩნევდა სვანურში. ქართველოლოგიური ლინგვისტიკის ამჟამინდელი დონის შესაბამისად ირკვევა, რომ წინა მიმართულების უ. გაცილებით ადრე გაჩნდა, ვიდრე უკანა მიმართულებისა. მიღებულია ძალზე მნიშვნელოვანი შედეგები სვანურ ლექსემათა ისტ. სახის აღსადგენად:

1. თუ ბოლოკიდურ დახურულ ან ღია მარცვალში ამოსავალი ე გვაძლევს უმლაუტიან ა-ს, ეს იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც ფუძე ბოლოვდებოდა -ა ხმოვანზე ან -ჳ სონანტზე;

2. XIII ს. სვანური ენის ენგურის ხეობის დიალექტებში უკვე გვქონდა ორივე (ურთიერთსაპირისპირო) მიმართულების უ.

3. სვანურში უ-ის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების თვალსაზრისით ორი პერიოდი შეინიშნება: პირველი (ა̄ > ე, ო̄ > ე, უ̄ > ი) მთელი სვანურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, ხოლო მეორე (ა̄, ო̄, უ̄) – მხოლოდ ზემოსვანურისა და ლენტეხურისთვის (ეს უკანასკნელი ლაშხურმა დიალექტმა არ იცის).

უ-ს უკავშირდება არაერთი ცვლილება სვანური ენის გრამატ. სტრუქტურაში. კერძოდ, სახელისა და ზმნის შინაგანი ფლექსიის მოვლენები (აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობა) ან პარადიგმატულ თუ დერივაციულ ერთეულთა ახალ-ახალი მოდელები მხოლოდ უ-ის (როგორც ფონეტ. პროცესის) ფონოლოგიზაციის შედეგია.

უ-ის ფონოლოგიზაციის პროცესი განაპირობა ფუძისეულ თუ სუფიქსისეულ ხმოვანთა რედუქციამ. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ეს ორი მოვლენა სხვადასხვა ეპოქის კუთვნილებაა – პალატალური უ-ის ჩასახვა-განვითარება წინ უსწრებს ხმოვანთა რედუქციას, როგორც ფონეტ. პროცესს. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა სვანურ უ-ს ფართო გზა გაუხსნა შინაგანი ფლექსიის განვითარებისაკენ. მართალია, უ-ის ფონოლოგიზაციამ ტიპოლოგიური ხასიათის ცვლილებებიც განაპირობა ენაში, მაგრამ ეს ფაქტი აგლუტინაციური ტიპიდან ფლექსიურ ტიპზე ნაწილობრივი გადასვლის ფარგლებს არ გასცილებია.

ლიტ.: შანიძე ა., უმლაუტი სვანურში. – «არილი» (პროფ. ი. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული), ტფ., 1925; თოფურია ვ., სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1927, ტ. 7; მისივე, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში. – იქვე, 1928, ტ. 8; მისივე, სვანური ენა, I. ზმნა, თბ., 1931; ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჭუმბურიძე ზ., უმლაუტი ლენტეხურ კილოში. – «თსუ შრომები», 1960, ტ. 93; შარაძენიძე თ., ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», II, თბ., 1961; მაჭავარიანი გ., ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში (ბალსზემოური დიალექტის მიხედვით).– «თსუ შრომები», 1963, ტ. 96; შმიდტი კ., ქართველური ფუძე-ენის ბგერათსისტემის რეკონსტრუქციისათვის. – «თსუ სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული», II–III, თბ., 1964; ქალდანი მ., სვანური ენის ფონეტიკა, I. უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1969; ონიანი ა., სვანური ვოკალიზმის ზოგადი საკითხი. – «იკე», XXV, თბ., 1986.

ი. ჩანტლაძე.

ურბნისის წარწერები, ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერები, შესრულებული ამოკვეთით ან რელიეფური ასოებით ქვის ფილებზე, რ-ებიც ჩასმულია ურბნისის (ქარელის რ-ნი) სიონის (V–VI სს., გ. ჩუბინაშვილი) აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებში. მათგან ასომთავრული – რელიეფური და ამოკვეთილი წარწერები თარიღდება X ს-ით, ხოლო მხედრული წარწერა მარიამ დედოფლისა 1668-ით. ურბნისის სხვა მხედრული წარწერებია: სამრეკლოზე – 1705, კანკელზე – 1706 (ორივე ეკუთვნის ვახტანგ VI-ს), გალავანზე – 1739 (ამჟამად დაკარგულია. ეკუთვნოდა ურბნელ ეპისკოპოსს ნიკოლოზ ხერხეულიძეს. იმავე ფილაზე ამოკვეთილი იყო ორსტროფიანი თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი) და სხვ.

უძველესია ურბნისის ის წარწერები, რ-ებმაც X ს-ში სიონის დაძველებული კათედრალური ტაძრის აღმდგენელ-განმაახლებელთა სახელები შემოგვინახა.

ტაძარი შემდეგშიც არაერთხელ განუახლებიათ და ამის გამო X ს წარწერებიანი ფილებისათვის ადგილი შეუცვლიათ – ერთი საერთოდ თაედაღმაა კედელში ჩასმული, ხოლო მეორე – ნრდ-თის კედელში ცოკოლის ქვების წყობაშია მოქცეული და ტაძრის გარშემო ჩატარებული არქეოლ. გათხრების შემდეგ გამოჩნდა (იხ. ქვემოთ მოსახსენებელი მიქაელ კოსტანტის ძისა). შინაარსის მიხედვით ეს წარწერები შემდეგი თანამიმდევრობით ლაგდება:

1. საამშენებლო წარწერა თეოდორე ეპისკოპოსისა, ლუკას ძისა: „უფალო ღმერთო, შემიწყალე თეოდორე ებისკოპოსი, ძე ლუკაჲსი, მაშენებელი ამის სიონისაჲ. ოდეს ღმერთმან ღირს-მყო ამის სიონისა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძველებულ უფროს ზომისა – ოთხნი კუთხენი და კონქი განპებულ იყუნეს, სუეტნი ქარტოცისანი დამპალ იყუნეს. და მომმადლა ღმერთმან ამის ყოელისაჲ აღშენებაჲ, ყოელისა გაკეთებაჲ ძალითა სიონისა. მეოხებისათჳს (წინაშე) ღმრთისა, ყოველი გათავებითა მიქნია".



ურბნისი. საამშენებლო წარწერა.

წარწერის პირველ სტრიქონში დაქარაგმებით გადმოცემული „შე", რ-იც, როგორც წესი, უნდა გაიხსნას II პირში – „შეიწყალე", აქ იხსნება I პირში – „შემიწყალე", რადგან თხრობა ტექსტისა I პირშია. წარწერაში დასტურდება არქიტ. ტერმინები: კუთხე, კონქი, სუეტი, ქარტოცი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს უკანასკნელი, რ-იც „სხვენს" აღნიშნავს და წერილობითი ძეგლებიდან პირველად აქ გვხვდება.

2. სიონის განმაახლებელთა მოსახსენებლები. თეოდორე ეპისკოპოსთან ერთად, ტაძრის აღდგენა-განახლებაში მონაწილეობა მიუღიათ სხვა პირებსაც, რ-თა მოსახსენებელი წარწერები ასევე შემოუნახავს სიონის კედლებს. ორი წარწერა ეკუთვნის მამა-შვილს – კოსტანტის და მის ძეს მიქაელს. პირველში დასახელებულია მხოლოდ მიქაელი, ტაძრის მთავარგანმაახლებელ თეოდორე ეპისკოპოსთან ერთად, ხოლო მეორეში – მამა-შვილი ერთად; ერთი ეკუთვნის ქაეთარს და შუშანს, როგორც ჩანს, ცოლ-ქმარს, და ერთიც – აბიათარ დეკანოზს. ერთ-ერთი მოსახსენებლის მიხედვით, აბიათარ დეკანოზი ამ წარწერების შემსრულებელიც ყოფილა (არ არის გამორიცხული, ტექსტების შემდგენიც).

ა. მოსახსენებელი თეოდორე ეპისკოპოსისა და მიქაელ კოსტანტის ძისა:

„დიდებაჲ შენდა ქრისტე, რამეთუ მომმადლე თეოდორე ებისკოპოსსა ამის სიონისა აღშენებაჲ, თანაშეწევნითა მიქაელ ძისა კოსტანტისითა, ქრისტემან შეიწყალენ. ესე მე აბიათარ დავწერე".

ბ. მოსახსენებელი კოსტანტისა და მისი ძის მიქაელისა:

„უფალო იესუ ქრისტე, კოსტანტი მამაჲ (და) მიქაელ შეიწყალენ, ამის სიონისა მაშენებელნი".

ამ წარწერას ნ. შოშიაშვილი V ს. I ნახ-ით ათარიღებდა და მიიჩნევდა, რომ იგი „ყველაზე ძველია დღემდე ცნობილ ქართული დამწერლობის ძეგლებს შორის". ამის საფუძველს მას თითქოს წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები აძლევდა. მაგრამ, სწორედ პალეოგრაფიული და ორთოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ის აბსოლუტურად მსგავსია ურბნისის სიონის სხვა, X ს-ის წარწერებისა, რ-თაც ნ. შოშიაშვილიც X ს. ათარიღებს. ის, რომ ამ წარწერის გრაფემები ბ, ჯ, ს, ჟ, შ, წ რკალშეკრულია, ჯერ კიდევ არ არის საფუძველი მისი მაინცდამაინც V ს-ით დათარიღებისათვის, რადგანაც ასევე რკალშეკრულია ეს გრაფემები ურბნისის სხვა, X ს-ით დათარიღებულ წარწერებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ურბნისის ყველა წარწერაში ს-ს რკალის შეკერა, რ-იც სხვაგან არსად გვხვდება და დამახასიათებელია მათი შემსრულებლის ინდივიდუალური ხელწერისათვის. გარდა ამისა, ამ წარწერების X ს-თვის მიკუთვნებას უეჭველპყოფს მათში ერთისა და იმაეე პირების – კოსტანტისა და მისი ძის მიქაელის, ტაძრის განახლებაში თეოდორე ებისკოპოსის დამხმარეთა, მოხსენიება.

წარწერის ტექსტში, პირველად ამ გამოცემაში, ეამატებთ „და" კაეშირს „კოსტანტი მამაჲსა" და „მიქაელს" შორის, რადგან ამ შესწორებით ტექსტი გამართულია. როგორც ჩანს, იგი წარწერის შემსრულებელს გამორჩა, ისეეე როგორც მას გამოტოეებული აქვს სიტყვა „წინაშე" საამშენებლო წარწერის ბოლოს, რომლის გარეშეც ტექსტი გაუმართაეია.

გ. მოსახსენებელი ქაეთარის და შუშანისა:

„სამებაო წმიდაო, შეიწყალე მონაჲ შენი ქაეთარ, შუშან და ნაშობნი მათნი, შემწენი ამის სიონისანი; ქრისტემან შეიწყალენ, ამენ".

წარწერაში დასახელებული ქაეთარ და შუშან, როგორც ჩანს, ცოლ-ქმარი (მათ შემდეგ დასახელებულია „ნაშობნი მათნი"), სხვა წყაროებში არ გეხვდება. აღსანიშნავია ანთროპონიმ „ქაეთარის" ასე ადრეული (X ს.) დაფიქსირება შიდა ქართლში; ცნობილია, რომ იგი ქართლის ერთ-ერთ ძლიერ ფეოდალთა – ტბელთა საგვარეულო



ურბნისი. განმაახლებელთა მოსახსენებელი (რელიეფური).



ურბნისის ოთხთავი.

სახელი იყო და, როგორც ჩანს, ქავთარისძეთა გვარის ეპონიმი გახდა.

დ. მოსახსენებელი აბიათარ დეკანოზისა:

ტაძრის აღმ. ფასადზე მოთავსებული ეს წარწერა ურბნისის სიონის X ს. წარწერებს შორის ერთადერთია, რ-იც ქვაზეა ამოკვეთილი და არარელიეფური ასოებით გამოყვანილი. ეს აბიათარი ერთხელ უკვე დასახელებულია თეოდორე ეპისკოპოსისა და მიქაელ კოსტანტის ძის მოსახსენებლის ბოლოს, როგორც წარწერის შემსრულებელი. არაა გამორიცხული, რომ აბიათარ დეკანოზის ეს კიდურწერტილოვანი წარწერა მისი გარდაცვალების შემდეგ ამოკვეთეს ტაძრის წინაშე დამსახურებათა გამო, როგორც მისი მოსახსენებელი. ყურადღებას იქცევს დეკანოზის სახელი „აბიათარ“ (იგი ურბნისის ორ წარწერაში გეხვდება) – ბიბლ. ქართული ონომასტიკონისთვის იშვიათი, თუმცა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ (IX ს.) ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელია (ნიშანდობლივია, რომ ბიბლიაში ეს სახელი, ისევე როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, მღვდელს ჰქვია).

უ. ჯ-ს პ. ზაქარაია IX–X სს-ით ათარიღებდა.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. I, ტფ., 1907; შოშიაშვილი ნ., ურბნისის ძველი ქართული წარწერები. – «პალეოგრაფიული ძიებანი», ტ.I, თბ., 1965; ზაქარაია პ., ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965; სილოგავა ვ., ეპიგრაფიკული ეტიუდები, II. ურბნისის სიონის წარწერების დათარიღებისათვის. – «თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული», X, თბ., 1965; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, 6. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980.

ვ. სილოგავა.

უსლარ0 პეტრე კარლის ძე [20. VIII (1. IX). 1816, სოფ. კუროვო, ტვერის გუბ., – 8(20). VI. 1875, იქვე], რუსი ლინგვისტი, კავკასიური ენების მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1868), რუსეთის ჯარის გენერალი. შვიდი მონოგრაფიის (აფხაზური ენა, ჩანური ენა, ხუნძური ენა, ლაკური ენა, დარგუული („ხიურკილიური“) ენა, ლეზგიური („კიურული“) ენა, თაბასარანული ენა) ავტორი. გარდა კონკრეტული ენების აღწერა-ანალიზისა, უ-მა დატოვა სოციოლინგვისტური ხასიათის წერილები («О распространении грамотности между горцами», «Предположение об устройстве горских школ», «О составлении азбук кавказских языков»...), რ-ებშიც კარგადაა წარმოჩენილი იმ პერიოდის ენობრივი სიტუაცია და მისი შეცვლისათვის საჭირო ღონისძიებანი, ენათა ფუნქციური დატვირთვა, მათი სტატუსი, ამა თუ იმ ენის „მდგომარეობა“. ხაზგასმითაა მონიშნული ენის უაღრესად დიდი სოც. მნიშვნელობა და დასახულია ენობრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. უ. თვლიდა, რომ რუსეთის მიერ კავკასიის იარაღით დაპყრობას უნდა მოჰყოლოდა რეგიონის ენობრივი „დაპყრობა“, რადგან კავკასიაში რუსეთის იურისდიქცია გაერცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში რუს. ენა გაიმარჯვებდა: „ახლა არაბული და რუსული ენები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რომელი მათგანი დაეპატრონება დაღესტანს – ორიეე მოსულის, ორიეე დამპყრობლის ენაა“. მას მიაჩნდა, რომ არაბ. ენის პოზიციების შესუსტება შესაძლებელი იყო ადგილობრივი კავკ. ხალხებისათვის ალტერნატიული ანბანების შექმნით (შემდგომში რუსულ ანბანზე იოლად გადაყვანის მიზნით). საბაზო ანბანის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმია მისი მაქსიმალური სიახლოვე კავკ. ენებში წარმოდგენილ ბგერებთან, ანბანის ეკონომიურობა და სხვ. საამისოდ უ-მა განიხილა არსებული ანბანები და დაასკვნა: „თუ შეაფასებთ ქართულს თვით ქართული ენის მიმართ, უნდა ვაღიაროთ, რომ ის უპასუხებს ყველა პირობას: ყველა არსებული ანბა-

ნიდან ის ქველაზე სრულყოფილია, ყოველი ბგერა გამოიხატება განსაკუთრებული ნიშნით და ქველა ნიშანი მუდმივად გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ქველა ევროპულ ენაში არის ლოდი დაბრკოლებისა – ესაა ორთოგრაფია; ქართველებისათვის ანბანის სრულყოფილების წყალობით ეს სირთულე თითქმის არ არსებობს".

ამ შეფასების შემდეგ დასახული ამოცანის შესასრულებლად ლოგიკური იქნებოდა ქართ. ანბანის გამოკვლევა, მაგრამ სახელმწიფოებრიემა პრაგმატიზმმა განაპირობა სხვა გადაწყვეტილება. ავტორი არ მალავს, რომ ქართ. ანბანის დანერგვა ხელს არ აძლევდა რუსეთს, რადგან ძალაუნებურად შეიქმნებოდა სიძნელეები, რ-ებიც განსაკუთრებით საგრძნობი გახდებოდა კავკასიაში განათლების გავრცელებასთან ერთად. შესაბამისად, საკითხი რუს. ანბანის სასარგებლოდ გადაწყდა, რამაც განაპირობა რუს. გრაფემებისათვის დამატებითი ნიშნების შემოღება „ქართულ-კავკასიური" სპეციფ. ბგერების გადმოსაცემად. უ. გაურბოდა ანბანის სედმეტი ნიშნებით გადატვირთვას, რაც მის ნაკლად მიაჩნდა. ამიტომ ზოგი ქართული ასო (ი, ჭ, წ) უცვლელად შეიტანა, ზოგიც უმნიშვნელოდ შეცვალა და ახალი ასოები შექმნა. დაბეჭდვისას არც ერთი აღნიშნული გრაფემა ანბანში არ აღმოჩნდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველის კ. იანოვსკისა და მისი თანაშემწის საკადსკის წყალობით.

ბუნებრივია, ჩრდილოკავკასიელებისათვის ანბანების შექმნა განპირობებული იყო არა კულტურტრეგერული, არამედ მეტროპოლიის ინტერესებით. უ. აღნიშნავდა, რომ ეოლგისპირეთის თათრების გეოგრ. მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე დაღესტნელებისა: „ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა რუსებთან შერეულად ცხოვრობს. უმეტესი ნაწილი რუსი აზნაურობისა ქალაქისა და სიმბირსკის გუბერნიაში თაორული წარმოშობისაა, როგორც მაგალითად, დერჟავინები, კარამზინები, ერმოლოვები. ეს ამტკიცებს, რომ რა რიგ სუსტი ურდა ყოფილიყო რუსული ქრისტიანული ცივილიზაციის ელემენტი, მოკლე დროში ჭკუით, სიმდიდრით ან წარმოშობით მოწინავე ადამიანთა ყურადღება მაინც მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი დარჩა სამშობლოში, ისინი სულ გარუსდნენ და მოწყდნენ თავის თანამემამულეებს".

ამ ზრახვების მიუხედავად, უის მოღვაწეობის ცალსახა შეფასება არ იქნება სწორი. მას დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი კავკ. ენების შესწავლაში, მის მიერ დაწერილი გრამატიკები სერიოზული გამოკვლევებია, რ-თა ღირებულებაც კიდევ უფრო იზრდება მათში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის გამო: გაბმული ტექსტები, ხალხური მეტყველების ნიმუშები, ზღაპრები, იგავ-არაკები, ლექსიკონები; მის მიერ შექმნილი ანბანები ძირითადად სწორად ასახავენ აღწერილი ენების ფორემურ შედგენილობას.

უ-ის მეცნ. ღვაწლი ზუსტად განაზღვრა ივ. ჯავახიშვილმა: „...ამ გატაცებამ და აღფრთოვანებულმა მუშაობამ უსლარს ის შეაძლებინა, რაც ერთ ადამიანს კავკასიის შესასწავლად არც მანამდე და არც მას შემდგომ, მის გარდა, არავის გაუკეთებია".

თხზ.: Этнография Кавказа. Языкознание, т. I – Абхазский язык, С.-Петербург, 1887.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 (თხზულებანი, ტ. 10, თბ., 1992); ნ ი კ ო ბ ა ძ ა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, П. Услар и вопросы научного изучения горских иберийско-кавказских языков. – «ИКК», VII, თბ., 1955; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ტ., პეტრე უსლარის სოციოლინგვისტური შეხედულებანი. – «ბურჯი ეროვნებისა», 2002, №9; М а г о м е т о в А А., П. К. Услар – исследователь дагестанских языков, Махачкала 1979; К л и м о в Г. А., Услар Петр Карлови ч. – БСЭ, т. 26, М., 1977.

ტ. სიხარულიძე.

უსრული წინადადება, *წინადადება*, რომელშიც არ არის წარმოდგენილი დამთავრებული აზრის გადმოსაცემად აუცილებელი ერთი ან ერთზე მეტი წევრი, მაგრამ კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით შეიძლება მათი აღდგენა. უ. წ-ები უმეტესწილად დიალოგებში გვხვდება („სთქვი, რა მოგცე?" – „რაც შენი ნებაა", ი. ჭავჭ.), თუმცა წინადადების წევრთა გამოტოვება სხვა შემთხვევაშიც ხდება (იხ. *ელიფსისი*). ზოგი ავტორის აზრით, უსრულია წინადადება, რ-საც აკლია რომელიმე მთავარი წევრი (ა. კიზირია, ა. დავითიანი). სხვა თვალსაზრისით, უსრულად მიიჩნევისათვის საჭიროა ანგარიში გაეწიოს არამთავარ წევრთა დაკლებასაც (ლ. კვაჭაძე).

ლიტ. იხ. სტატიასთან *სრული წინადადება*. *ლ. კვარტალიანი.*

უტიე (Outtier) ბერნარ (დ. 4. VII. 1941, პარიზი), ფრანგი ქართველოლოგი. აღმ. ქრისტ. ლიტ-რის სპეციალისტი; საპატიო დოქტორი (1984-იდან), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო უცხოელი წევრი, ჟურნ. „ბედი ქართლისა" სამეცნ. საბჭოს წევრი (1974-იდან) და მდივანი (1978-იდან). პარიზის სააზიო სა-ბის წევრი. იკვლევს ძვ. ქართ. ფილოლ. საკითხებს, ბიზანტ., ქართ., ქართ.-სომხ., ქართ-არაბ, ქართ-სირიულ ლიტ. ურთიერთობათა პრობლემებს. პარიზის ეროვნ. მუზეუმში უ-მ მიაკვლია და გამოსცა VII ს. ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტი. მანვე გამოაქვეყნა არაერთი ძვ. ქართ. ტექსტი, აგრეთვე მნიშვნელოვანი გამოკვლევები და რეცენზიები საქართველოში გამოცემული წიგნების შესახებ.



ჟ. უსლარი.

თხზ.: Fragments anciaux du Lectionnaire géorgien. – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. XXXIII, Paris, 1975; La plus ancienne traduction géorgienne des apophtegmes: sa étendue et sa origine. – კრ.: «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), VII, თბ., 1980; ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1973, №1.

ზ. სარჯველაძე.

უღვლილება, უ ღ ლ ე ბ ა, ზმნის ფორმის ცვლილება პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და ასპექტის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. ცვლილ ფორმათა ერთობლიობა ქმნის უღვლილების პარადიგმას. ერთისა და იმავე დროისა და კილოს გამომხატველ ფორმას (რ-იც აერთიანებს მხ. და მრ. რიცხვის სამივე პირის ფორმებს) ეწოდება *ნაკეთი* („მწკრივი"): ე-წერ, ს-წერ, წერ-ს, ე-წერ-თ, ს-წერთ, წერ-

ენ (თხრობითი კილოს აწმყოს ნაკვთის ფორმები).

სხვადასხვა ენაში ნაკვთთა („მწკრივთა") სხვადასხვა რაოდენობაა, განსხვავებულია უღელილების პრინციპებიც. პირების მიხედვით ზმნის ფორმათა ცვლა გულისხმობს მოსაუბრის (I პირის), საუბრის ადრესატისა (II პირის) და საუბრის ობიექტის (III პირის) გამოხატვას ზმნის ფორმაში შესაბამისი ნიშნებით (პირის ნიშნებით). ზმნაში შეიძლება აღინიშნოს და, ამდენად, იცვალოს სუბიექტ- და ობიექტ. პირები. ამის მიხედვით გვაქვს სუბიექტური და ობიექტური უღელილება. პირთან უშუალოდაა დაკავშირებული რიცხვის კატეგორიაც. ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტ. პირი აღინიშნება, ორპირიანსა და სამპირიანში – ობიექტ. პირებიც (იხ. *პირი*).

პიროვანი უღელილების გარდა, არსებობს კლასოვანი უღელილებაც, როცა ზმნა გრამატ. კლასების მიხედვით იცვლება (იხ. *გრამატიკული კლასი*).

უღელილებისას დროის (აწმყოს, მყოფადის, ნამყოს) გამოხატვა სხვადასხვა ენაში გარკვეული გრამატ. ნაირსახეობებით ხასიათდება, რასაც ქმნის დროისა და ასპექტის (სრული, უსრული, განგრძობითი, წერტილობრივი ანუ მომენტობრივი...) რთული ურთიერთობები.

კილოს ფორმათაგან სპეც. მაწარმოებელი ქართულში მხოლოდ კავშირებითს აქვს. თხრობითი უნიშნოდაა წარმოდგენილი, ბრძანებითი იყენებს თხრობითი და კავშირებითი კილოს ნაკვთებს (ნუ წერ! არ დაწერო! წერე!..).

თანამედროვე ქართ. ენაში გამოიყოფა II ნაკვთი, რ-ებიც განაწილებულია სამ ჯგუფად, ანუ – *სერიად*. I სერიაში გამოიყოფა აწმყოსა და მყოფადის წრეები. I და II სერიის გამოყოფას საფუძვლად უდევს მორფოლ. ფაქტორი – ფუძეთა წარმოება: I სერიას ამოსავლად აწმყოს ფუძე აქვს, II სერიას – ნამყო ძირითადისა. გარდამავალი ზმნების III სერიის ფორმები გაერთიანებულია სინტაქსური პრინციპით (ყველა გარდამავალი ზმნა III სერიაში ინვერსიულია), გარდაუვალი ერთპირიანი ზმნები III სერიაში აღწერითად არის ნაწარმოები.

ქართულში უღელილების პარადიგმის ეს შედგენილობა იმთავითვე ამ სახით მოცემული და მყარი არ ყოფილა და არც ახლაა. ძვ. ქართული თვალსაჩინო სხვაობას იძლეოდა: ნაკვთთა რაოდენობით (ფუნქციონირებდა ხოლმეობითისა და ბრძანებითის ნაკვთები: წერდ-ი-ს, წერ-ი-ს; წერდი-ნ, წერე-ნ). თხრობითი კილოს მყოფადის გამოსახატავად გამოიყენებოდა კავშირებითის ფორმები, ამჟამად - სპეციალური ნაკვთი, აწმყოსგან განსხვავებული ან ზმნისწინის მქონებლობით (წერს – დაწერს), ან ფუძითა და ძირით (წუხს – იწუხებს; ამბობს – იტყვეის...), ასპექტის გამოხატვის პრინციპით და სხვ. თანამედროვე სალიტ. ენისგან სხვაობას იძლევიან დიალექტებიც. სხვაობა ორი სახისაა: დაცულია არქაული ვითარება გარკვეული ნაირსახეობებით (მაგ., ხოლმეობითი ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში), ან გვაქვს დიალექტური ინოვაცია – ნამოყალიბდა IV სერია: მინავალა. მინავალიყოს (გურულში, ქვემოიმერულში).

I და II სერიის ფუძეები ერთმანეთს უპირისპირდებიან: ა. თემის ნიშნის ქონა-არქონით: მალ-ავ-ს – მალ-ა; ბ. გახმოვანების ცვლით: დრეკ-ს – დრიკ-ა; გ. ერთდროულად თემის ნიშნის მქონებლობითაც და გახმოვანების ცვლითაც: თლ-ი-ს – თალ-ა. სოგი უძველესი ზმნა ერთსა და იმავე ფუძეს გვიმოწმებს ორსავე სერიაში: წერ-ს – წერ-ა, ჩეხ-ს – ჩეხ-ა...

ქართულში უღელილების სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: დინამიკური – მოქმედებითი, ვნებითი გვარისა და სტატიკური (ე.წ. საშუალი გვარის) ზმნებისა.

მოქმედებითი გვარის ზმნებს მოეპოვება ყველა ნაკვთი და, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ანგარიშობ-ს – იანგარიშებს, ამბობს – იტყვის – თქვა), უღელილებისას ფუძეს ან ძირს არ იცვლიან. III სერიაში მათთვის დამახასიათებელია ინვერსია – სუბიექტ. და ობიექტ. პირის ნიშნების ფუნქციების ურთიერთშენაცვლება.

ვნებითი გვარის ზმნების უღელილებისას გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი იმის მიხედვით, ერთპირიანია თუ ორპირიანი ვნებითის ფორმა. სხვაობა მათ შორის მხოლოდ III სერიაში ინახნს თავს: ერთპირიანი ზმნა მიმღეობის ფუძეს იყენებს, წარმოება აღწერითია, მეშველსმნიანი, ორპირიანი – მასდარის ფუძეს, წარმოება ორგანულია.

სტატიკური ზმნების აბსოლუტური უმეტესობა დეფექტური უღელილებით ხასიათდება. ამ ზმნებს საკუთარი ფუძე მოეპოვებათ ან მხოლოდ აწმყოს ნაკვთი, ანდა აწმყოს წრის ნაკვთები. სხვა ნაკვთები ან საერთოდ არ ეწარმოებათ, ანდა ივსებენ შესაბამისი ძირის მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებით.

ნაკვთებს თავიანთი მაწარმოებლები აქვთ. აწმყოში მოქმედებითი გვარის ზმნას სპეც. ნიშანი არა აქვს. ვნებითში გამოიყოფა – ი სუფიქსი I და II პირში: (ემალავ – ემალებ-ი, ვათბობ – ვთბები), ნამყო უსრულში შესაბამისად გვაქვს -დ და -ოდ: (ვმალავ-დ-ი – ვიმალებოდ-ი), აწმყოს კავშირებითში დამოწმებულია -ე: (ვმალავდ-ე – ვიმალებოდ-ე). მყოფადის წრეში მეორდება აწმყოს წრის ჩვენება: ნამყო ძირითადში გვაქვს -ე (დავმალ-ე, დავიმალ-ე), -ი (ვთქე-ი, გავთბ-ი) და ნული, ზოგჯერ ე. წ. უფუნქციო -ი ხმოვანდართული (მოეკალ – მოეკალ-ი, ავდექ – ავდექ-ი). II კავშირებითის მაწარმოებლებია: -ო (დავმალ-ო, დავიმალ-ო), -ე (გავთბ-ე, ავდგ-ე) და -ა (მოეკლ-ა, ვთქვ-ა). I შედეგობითში (თურმეობითში) გარდამავალ (გარდა -ავ და -ამ თემისნიშნიანებისა) და ორპირიან გარდაუვალ ზმნებს -ი-ა დაბოლოება აქვთ (დაუწერ-ი-ა-, შდრ.: დაუმალ-ავ-ს; დაწერ-ი-ა). II შედეგობითსა და III კავშირებითში სპეციფ. წარმოება მხოლოდ -ებ თემისნიშნიანი მარცვლოვანი ფუძის მქონე ზმნებს მოეპოვებათ (გაეკეთებინა, გაეკეთებინოს), სხვა შემთხვევაში მეორდება ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის ჩვენება. ორპირიან გარდაუვალ ზმნებს II შედეგობითში აქვთ -ოდ მაწარმოებელი (დასწერ-ოდ-ა), III კავშირებითში -ე (დასწეროდ-ე-ს).

ლიტ.: ჩუბინოვი (ჩუბინაშვილი) დ., ქართული ღრამმატიკა.. –

	მოქმედებითი:	ვნებითი:		სტატიკური:
აწმყო:	აწუხებს	წუხდება	უწუხდება	წუხს
ნამყო უსრული:	აწუხებდა	წუხდებოდა	უწუხდებოდა	წუხდა
აწმყოს კავშირ.:	აწუხებდეს	წუხდებოდეს	უწუხდებოდეს	წუხდეს
მყოფადი:	შეაწუხებს	შეწუხდება	შეუწუხდება	იწუხებს
ხოლმ.-პირობ.:	შეაწუხებდა	შეწუხდებოდა	შეუწუხდებოდა	იწუხებდა
მყოფადის კავშ.:	შეაწუხებდეს	შეწუხდებოდეს	შეუწუხდებოდეს	იწუხებდეს
ნამყო ძირით.:	შეაწუხა	შეწუხდა	შეუწუხდა	იწუხა
II კავშირებით:	შეაწუხოს	შეწუხდეს	შეუწუხდეს	იწუხოს
I შედეგობითი:	შეუწუხებია	შეწუხებულა	შესწუხებია	უწუხია
II შედეგობითი:	შეეწუხებინა	შეწუხებულიყო	შესწუხებოდა	ეწუხა
III კავშირ.:	შეეწუხებინოს	შეწუხებულიყოს	შესწუხებოდეს	ეწუხოს.

უღლილების ნიმუში.

იხ. მისი: „ქართულ-რუსული ლექსიკონი" პეტერბურღი, 1887; ნ ი ქ ო ბ ა ძ ე ა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ. ტ. 1, თბ., 1950; მ ი ს ი ვ ე, ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის. – «იკე», XIII, თბ.; 1962; შ ა ნ ი ძ ე ა, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I თბ., 1953; მ ი ს ი ვ ე. – ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976; რ ო გ ა ვ ა გ., დროკილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში. – «იკე», V, თბ., 1953; М а р р Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, СПб., 1908; Ш а н и д з е А. Г., Категория ряда в глаголе. Общие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка. – «Известия Института языка истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра», т. 10, Тб., 1941; Ч и к о б а в а А.С. Грузинский язык – წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967.
ბ. ჯორბენაძე.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, სპეციალური ლექსიკონი, რომელიც აღნუსხავს სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ უცხო წარმომავლობის სიტყვებს. ამგვარი ლექსიკა ქართ. ენაში ფეხს იკიდებდა არაერთ უცხო ენასთან (ბერძნ., სპარს., არაბ....) ხანგრძლივი ისტ. კონტაქტების შედეგად (იხ. *ენობრივი კონტაქტები*). უცხოური ლექსიკის შეთვისება განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XIX–XX სს-ში, როდესაც მოწინავე ევრ. ქვეყნების სწრაფმა სამეცნ.-ტექნიკურმა განვითარებამ განაპირობა არაერთი დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით, მ. შ. საქართველოშიც.

უ. ს. ლ-ის ძირითადი წყაროა როგორც საზ.-კულტ. სფეროში ფართოდ გამოყენებული საერთაშორისო ლექსიკა, ისე სპეც. დარგობრივი ტერმინოლოგია, რ-ის აღნუსხვაც, თავის მხრივ, ხდება ცალკეულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში. უ. ს. ლ., ცხადია, ვერ ასახავს ნებისმიერი დარგის ყველა სპეციფ. ტერმინოლოგიურ ერთეულს. ამ ლექსიკონში მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროდან შეირჩევა ის ძირითადი ცნებები და ტერმინოლოგიური ერთეულები, რ-ებიც მეტ-ნაკლებად საყოველთაო მოხმარებისაა.

უ. ს. ლ. თავისი ძირითადი ფორმით არის *განმარტებითი ლექსიკონი*. ამავე დროს, იგი უჩვენებს თითოეული უცხო სიტყვის წარმომავლობას, მის პირვანდელ დაწერილობას (*ტრანსკრიფციას*) და მნიშვნელობას. უ. ს. ლ-ის კიდევ ერთი ნიშანდობლივი მხარეა მისი ნორმატიულობა, რამდენადაც ამგვარი ლექსიკონი აუცილებლად გულისხმობს *ტრანსლიტერაციას*, სხვადასხვა ენიდან შეთვისებული მასალის ფონეტ. ადაპტაციის წესების გათვალისწინებას (მაგ., უცხო ენებიდან ei, eu დიფთონგების, h, th, k და სხვა ბგერების შეთვისება).

ქართულში უ. ს. ლ-ის შედგენის დიდი ტრადიცია არსებობს. პირველი ასეთი ლექსიკონია ი. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" (1904). 1928 „სახელგამმა" გამოსცა სპეც. სატერმინოლოგიო კომისიის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი". 1933 გამოვიდა გ. ახვლედიანის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი".

უ. ს. ლ-ის შესადგენად უფრო მკვიდრი საფუძველი შეიქმნა მას შემდეგ, რაც დამუშავდა ცალკეული დარგების ტერმინოლოგია, გაღრმავდა სამეცნ. კვლევა და დაიხვეწა სალექსიკონო და ენციკლოპედიური სამუშაოები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეულის სარედაქციო სამუშაოებს. ამის საფუძველზე მომზადდა მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" (I გამოც. – 1964, II – 1973, III – 1989).

ა. არაბული.

უწყვეტელი, ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი, საუღლებელი ერთეული; I სერიის სავრცობიანი მწკრივი. მწკრივის ნიშნად გაიაზრება -ი, წარმოშობით თანხმოვანთგამყარი; გვაქვს სუბიექტ. I და II პირის ფორმებთან. უ-ს აწმყოს ფუძისაგან სავრცობი განასხვავებს. სავრცობია -დ (წერ-და...) და -ოდ (ტირ-ოდ-ა). სავრცობად გაიაზრება -იდ ფორმანტიც ჭრ-იდ-ა ტიპის ფორმებში (ე. თოფურია,

გ. გოგოლაშვილი). იყივე -იდ დამოუკიდებელ, -ოდ და -დ ფორმანტთა ტოლფასად გამოიყოფა დიალექტებშიც.

უ. შეიძლება იყოს ზმნისწინიანიც და უზმნისწინოც (წერ-და-, მო-დი-ოდ-ა...). ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას (გუსსა და ორიენტაციას) და ზმნას უცვლის მნიშვნელობას (შდრ. აღ-ნიშნავს და ნიშნავს-).

უ. დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი, ასპექტის მიხედვით – უსრული; ჯგერობა – ერთგზისი ან მრავალგზისი.

III სუბიექტ. პირს მხოლობითში გადმოსცემს -ა, მრავლობითში -ნენ.

ლიტ.: ს ი ქ ო ბ ა ია არნ., ქართული ენის სოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. 1, თბ., 1950; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

გ. გოგოლაშვილი.

ფ ფ ფ

ფ, ქართული ანბანის ოცდამეერთე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეოთხე) ასო. მისი სახელია „ფარი“; გრაფ. სიმბოლო ლაბიალური ფშვინ. ხშული თანხმოვნისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴔ. მისი მოხაზულობა ხასისა და წრის კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. ნუსხური ფ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრული ფ ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში ქვედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. საოვალაეში აღნიშნავდა ხუთასს (500).

ფანჩვიძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (9.VII.1906, ხაშური, – 10.XII.1984, თბილისი), მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი, საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე. 1924 დაამთაერა ხაშურის პუმანიტარული ტექნიკუმი, 1930 – თსუ. 1932 ჩაირიცხა სსრკ მეცნ. აკადემიის კავკასიის-მცოდნეობის ინ-ტში ასპირანტად (თბილისში). 1935 გადაყვანილ იქნა ლენინგრადში სსრკ მეცნ. აკად. ენისა და აზროვნების ინ-ტში, სადაც 1936 დაამთაერა ასპირანტურა კავკ. ენათა განხრით. 1938 დაიცვა საკანდიდატო, 1949 – სადოქტორო დისერტაცია.

ფ. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას: კითხულობდა ლექციების კურსს თსუ-ში, უცხო ენათა ინ-ტსა და გორის პედ. ინ-ტში. სხვადასხვა დროს იყო თსუ ფილოლ. ფაკ-ტის ღეკანი, უცხო ენათა პედ. ინ-ტის რექტორი, მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი. წლების განმაელობაში რედაქტორობდა ენათმეცნ. ინ-ტის ორგანოს – «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება».

ფ. იკელეედა იბერიულ-კავკ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს, იყო ლეზგიური ჯგუფის ენების თვალსაჩინო სპეციალისტი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება უდიური ენის შესწავლაში, კერძოდ, უდიური ენის ფონეტ. სისტემის აღწერადადგენაში, სახელისა და ზმნის ფორმაცვალებისა და გრამატ. კატეგორიების კვლევაში, უდიურისა და ქართ.-ქართველურ ენათა მორფოლ. მონაცემების შეჯერებაში. მეცნიერის კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიაში „უდურის გრამატიკული ანალიზი“ (1974).

ფ. ავტორია საყურადღებო ნაშრომებისა ქართ. დიალექტოლოგიაში – იკვლეედა იმერულ კილოს, ჩატარებული აქვს საინტერესო ანალიზი სემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის არსებული გარდამავალი ზოლის, ე. წ. შუაიმერულის (ოკრიბა-ტყიბულის, თერჯოლისა და ბაღდათის რეგიონების) ენობრივ თავისებურებათა შესახებ. *მ. სუხიშვილი*

ფარინგალური თანხმოვნები (< ბერძნ. pharynx – ყელი, ხახა), ხახისმიერი, ენისძირისმიერი თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისათვის საჭირო ხშირა ან ნაპრალი წარმოიქმნება ენის ძირის მიბჯენა-მიახლოებით ხახის უკანა კედელთან. თანამედროვე ქართულში ასეთად მიჩნეული იყო ყ. დასტურდება ამ ბგერის ორგვარი წარმოთქმა – აფრიკატული და სპირანტოიდული. პირველ შემთხვევაში ბგერა იწყება ხშვით, რასაც მოსდევს მისი მოშლა და წარმოქმნილ ნაპრალში ჰაერის ხახუნის ჩქამი. მეორე შემთხვევაში ხშვა არასრულია: ბგერა იმთავითვე იწყება ხახუნის ჩქამით, რ-იც შეიძლება პულსირებდეს და ღროდადრო წყდებოდეს კიდეც. ორსავე შემთხვევაში ყ შეიძლება დახასიათდეს როგორც გრძლივი თანხმოვანი (იხ. *ქელარული თანხმოვნები*).



ვ. ფანჩვიძე.

ძვ. ქართულსა და თანამედროვე ქართ. დიალექტებში (თუშურში, ფშაურში, ხევსურულში...) წარმოდგენილია აბრუპტიული (ქელხშული) ყ-ს საპირისპირო – ფშვინვიერი ჴ.

აბრუპტიული ყ-ს და ფშვინვიერი ჴ-ს გვერდით ს. ჯღენტი ვარაუდობდა (სვანურის მონაცემებზე დაყრდნობით) მათი მყღერი ფარინგალური ვარიანტის – (ღ')ჲ-ს არსებობასაც. ტიპოლ. მონაცემების გათვალისწინებით, მყღერი ფარინგალურის არსებობა ეჭვის ქვეშ დგება. საეჭვოდ არის მიჩნეული ფშვინვიერ ჴ-ს და აბრუპტიე ყ-ს „ფარინგალურობის“ საკითხიც.



ჰ. ფენრიხი.

თანამედროვე სალიტ. ქართულში ჭ გამჭრალია – წარმოების ადგილის წინ გადაწევის შედეგად დაემთხვა უკანაენისმიერ ხ-ს. შეინიშნება შ-ს წარმოების ადგილის წინ გადაწევაც. *ზ. ჯაფარიძე.*

ფენრიხი (Fähnrich) ჰაინც (დ. 10. I. 1941, სოფ. ჰამერი, ბრიუქსის რნი), გერმანელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, იენის უნ-ტის კავკასიოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი, პროფესორი. 1971 თსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. არჩეულია საქართვ. მეცნ. აკად. უცხოელ წევრად. შ-მა დააარსა ჟურნ. «გეორგიკა» («Georgica») და არის მისი რედაქტორი.

შ. იკვლევს ქართველური და კავკას. ენების სტრუქტურისა და ისტორიის, ამ ენათა სხვა ენებთან მიმართების საკითხებს. მას ეკუთვნის ნაშრომები ქართ. ლიტ-რის, საქართვ. ისტ., მითოლოგიის შესახებ. თარგმნა ქართ. მწერლობის მრავალი ნიმუში. შ-ის თხზ.:

„ენათა გენეტური ნათესაობის კრიტერიუმები და აღრინდელი საერთო-ქართველური ფუძენების ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1995; „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ზ. სარჯველაძესთან ერთად), თბ., 1990, მე-2 გამოც. 2000 (Leiden – New York – Köln, 1995); Kurze Grammatik der georgischen Sprache, Leipzig, 1986; Grammatik der altgeorgischen Sprache, Hamburg, 1975; Gedanken zur kartwelischen Rekonstruktion, Jena, 1998; Georgische Toponymie, Jena, 1998; Altgeorgisch-deutsches Wörterbuch (ზ. სარჯველაძესთან ერთად), Hamburg, 1999 და სხვ. შ. არის ა. შანიძისა და მ. ბროსეს პრემიების ლაურეატი.



გ. ფერაძე.

ზ. სარჯველაძე

ფერაძე გრიგოლ რომანოზის ძე (13. IX. 1899, სოფ. ბაკურციხე, გურჯაანის რ-ნი, – 6. XII. 1942, ოსვენციმი, პოლონეთი), ქართველი მეცნიერი, თეოლოგი, პალეოგრაფი, არქეოგრაფი და ტექსტოლოგი. დაამთავრა თბილ. სას. სასწავლებელი (1913), შემდეგ – სემინარია (1918). ცოტა ხანს მუშაობდა მასწავლებლად ზემო ხანდაკში (გორის რნი). 1919 გაიწვიეს ჯარში. 1921 მონაწილეობდა ბრძოლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში. 1922 შ. სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა უცროპაში პროფ. კ. კეკელიძის, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაიას) და გერმ. სახოგადო მოღვაწის ა. ლაისტის რეკომენდაციით. სწავლობდა ბერლინისა და ბონის უნ-ტებში ცნობილი გერმ. მეცნიერების ი. ლეფსიუსისა და ჰ. გუსენის ხელმძღვანელობით. ნაშრომისათვის „ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე“ მიენიჭა ფილოს. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (1927). 1927–1930 იყო ბონის უნ-ტის ლექტორი და პრივატ-დოცენტი. დროდადრო მუშაობდა ბრიუსელის, ლუვენის, ლონდონისა და ოქსფორდის უნ-ტების ბ-კებსა და არქივებში დაცულ ქართ. ხელნაწერებზე. კოორდინირებდა მოხსენებებს და აქტიურად მონაწილეობდა თეოლოგთა და ორიენტალისტთა საერთაშორისო კონფერენციებსა და შეკრებებში ბონში, ეენაში, ოქსფორდსა და ლოზანაში, განუწყვეტლივ ზრუნავდა ქართ. კულტურის პოპულარიზაციისათვის ევროპაში.

1931 შ. ბერად აღიკვეცა, შემდეგ მღვდლად ეკურთხა და შეუდგა მღვდელმსახურებას პარიზში ახალგახსნილ წმინდა ნინოს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. აქვე დააარსა სამეცნ.-თეოლოგიური ჟურნ. „ჯვარი ვახისა“, რ-ის რედაქტორიც თვითონვე იყო. 1933 გადავიდა პოლონეთში ვარშავის უნ-ტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკ-ტზე პროფესორად და კათედრის გამგედ. 1934 შ. ლონდონის წმინდა სოფიოს საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტად აკურთხეს.

1935 იმოგზაურა რუმინეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში, მოიარა პეტრიწონის მონასტერი. სოფიის სახ. ბ-კაში აღმოაჩინა ამ მონასტრის ტიპიკონის უცნობი ხელნაწერი. 1936 იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, სადაც განსაკუთრებით დაინტერესდა პილიგრიმთა ჩანაწერებით, აღმოაჩინა არაერთი ქართ. წარწერა. გამოაქვეყნა ნაშრომი „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“. 1937 გაემგზავრა ავსტრიაში და აღწერა იქ დაცული ქართ. ხელნაწერები.

1942 შ. გესტაპომ დააპატიმრა ვარშავაში პოლონელ იატაკქვეშელებთან თანამშრომლობის ბრალდებით. მოთავსებული იყო პავიაკის ციხეში, შემდეგ გადაიყვანეს მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, იქიდან კი – ოსვენციმის ბანაკში, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა.

შ-ის სამეცნ. მუშაობა ძირითადად მიმართული იყო უცხოეთში დაცული ქართ. წერილობითი ძეგლების მოძიებისა და შესწავლისაკენ. მის სახელთან დაკავშირებულია ბევრი პირველხარისხოვანი წერილობითი ძეგლის აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია. იგი იკვლევდა საქართველოს ეკლესიისა და სას. მწერლობის ისტორიის საკითხებს, სწავლობდა ბიბლიის ქართ. თარგმანებს. მეცნ. კვლევა-ძიებასთან ერთად ეწეოდა თვალსაჩინო სას. და საზ. საქმიანობას.

საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ შ. წმინდანადაა შერაცხული. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღეისათვის უკვე ბევრი ნაშრომია გამოქვეყნებული, გადაღებულია დოკუმენტური ფილმები, ჩამოყალიბებულია „წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სასოდგომა“. ვარშავაში ყოველწლიურად 6 დეკემბერს, შ-ის ხსენების დღეს, იმართება ქართველოლოგიური სესია.

თხზ.: უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. სერია: „ქართული ეკლესიის ისტორია, მასალები და გამოკვლევები“, თბ., 1995 (ერთვის შ-ის ნაშრომთა ბიბლიოგრ.); ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, თ. ჯუმბურიძის გამოკვლევითა და რედ., თბ., 2006.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., გრიგოლ ფერაძე. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986; ს ა ი თ ი ძ ე გ., წმ. მღვდელმოწამე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. – «არტანუჯი», 2003, №11; ფ ე რ ა ძ ე ი., წმინდა მღვდელმოწამე, მოქალაქე, მეცნიერი, რედ. თ. ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე. თბ., 2005; K a u f h o l d H., Gregor Peradze. Im Dienste der georgischen Kultur (1926–1940). – «Orient Christianus», 1939, Bd. 83; P a p r o c k i H., L'archimandrite Grigol Peradze (1899–1942). – «Revue des études géorgiennes et caucasiennes», 4, 1988, p. 198–230. *თ. ჯუმბურიძე.*

ფერეიდნული, ქართული ენის დიალექტი, ფერეიდანში – ირანის

ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ პროვინციაში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება. ისტ. წყაროების მიხედვით, XVII ს. დასაწყისში შაჰ-აბასმა ააოხრა აღმ. საქართველოს ბარის მოსახლეობა; 1713–1716 ჯერ ერწო-თიანეთიდან, შემდეგ კი კახეთ-ქიზიყისა და დღევანდელი საინგილოს ტერიტორიიდან აყარა და ირანში გადაასახლა 130000-ზე მეტი ქართველი. მათი ნაწილი ტყვეებად გაყიდეს, დიდი ნაწილი კი დაასახლეს ირანის სხვადასხვა კუთხეში (ხორასნის, მაზანდარანის რ-ნები, ქურდისტანი, ლურისტანი, ისპაჰანის მიმდებარე და სხვ. ტერიტორიები). ძლიერი ზეწოლისა და მძიმე პირობების გამო მათ შეიცვალეს სარწმუნოება; დიდი ნაწილი გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში. ადრინდელ ქართულ დასახლებებზე მიანიშნებს აქა-იქ შემორჩენილი ადგილის, სოფლის, ქუჩის სახელები, გვარები.

დღეს ირანში ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ერთადერთი რაიონია ფერეიდანი, სადაც მოსახლეობამ შეინარჩუნა დედაენა და ეროვნული თვითშეგნება. ფერეიდნიდან წამოსახლებული ქართველები მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე თეირანში, ისპაჰანსა და სხვ. ქალაქებში.

ფერეიდანი მდებარეობს ირანის ცენტრ. მთიანეთში, ბახთიარის მთებში, 2500 *მ* სიმაღლეზე ზ. დ. ფერეიდნის მაღალმთიან რ-ნში, ვიწრო ხეობებში მეომარ და მეურნე ქართველთა წასახლებით ირანის ხელისუფალნი მიზნად ისახავდნენ თავი დაეცვათ მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან, სურდათ, ეკონომიკურადაც გაეძლიერებინათ ეს ძნელად მისადგომი მხარე. ბუნებრივმა პირობებმა, ერთგვარმა იზოლაციამ გარე სამყაროსაგან ხელი შეუწყო ამ რეგიონში ქართ. ენის და ცნობიერების შენარჩუნებას.

პირველი წერილობითი ცნობები ფერეიდნელი ქართველების შესახებ ეკუთვნის ინგლისელ ჰ. ლეიარდს, რ-იც 1840 გაელით იყო ფერეიდანში. იგი ამ ქრისტიანებით დასახლებულ პროვინციას ახასიათებს, როგორც აყვავებულს, ხეხილის ბაღებით გარშემორტყმულს, ხოლო მცხოვრებთ ადგილობრივი მოსახლეობისგან სახის ნაკვთებითა და სილამაზით გამორჩეულთ.

პირველი ქართ. მოღვაწე, რ-მაც 1894–1896 იმოგზაურა ფერეიდანში და ფერეიდნელ ქართველებს გაეცნო, ლ. *აღნიაშვილი* იყო. მასვე ეკუთვნის პირველი დაკვირვებანი იქაურ ყოფასა და ფერეიდნულ ქართულ მეტყველებაზე.

დღეს ფერეიდანში ქართველებით დასახლებული თორმეტი სოფელია, რ-ებიც ორ რაიონულ ცენტრში ფერეიდუნშაჰრსა (ზემო მარტყოფი) და დარანში იყრის თავს. ზემო მარტყოფში შემავალი სოფლებია: სიბაქი (ვაშლოვანი), ნუღრუთი (ნუკურეთი), ჯაყჯაყი, შაჰრაქი, ხუნგი. ქვემოთ. ისპაჰანის მიმართულებით მდებარეობს ხოიგანი, დაშქესანა, ბოინი, თოღლელი თორელი, აფუსი (რუისპირი) და ახწა. საქართველოდან გადასახლებულ მოსახლეობას ახალი საცხოვრისისთვის მშობლიური ქალაქისა თუ სოფლის სახელები დაურქმევია (მარტყოფი, ვაშლოვანი, რუისპირი, ნინოწმინდა...). მათგან ზოგი დღეს აღარ ჩანს, ზოგისთვის სახელი შეუცვლიათ, მაგრამ თავდაპირველი დასახელება კარგად ახსოვთ. დღესაც ქართულია მიკრო ტოპონიმიკის დიდი ნაწილი: მამულები — ნაქერალი, პირიქითი, ვარდისყელი, გადრეცილი, მიღმაჯვევი..., წყაროები — კაკის წყარო, თანდილას წყარო, ცივწყარო..., მთები — სარამქრო, ტინთუკანი, დიდწვერი და სხვ.


ფერეიდანი. სოფ. მარტყოფი.

ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით, დღეს ფერეიდანში 50000-მდე ქართულად მოლაპარაკე ადამიანი სახლობს, ამათგან 10000-მდე — ზემო მარტყოფში. ოფიციალური ენა სპარსულია, მაგრამ ქართული ჯერ კიდევ შემორჩენილია როგორც ოჯახში, ფერეიდნელ ქართველთა შორის საურთიერთო ენა. აქ (თვით ქართ. სოფლებშიც) ქართველების გვერდით ცხოვრობენ თურქები და ირანული მოდგმის მომთაბარე ტომები — ბახთიარები, ლურები, ქურთები.

ფერეიდნული ქართული განსაკუთრებულ პირობებში მოექცა. თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში სრულმა იზოლაციამ ქართული სამწერლობო ენისა და დიალექტებისაგან, ამასთან, სტრუქტურულად განსხვავებულ ენობრივ გარემოში მოხვედრამ განაპირობა მასში მოქმედი სხვადასხვა ხასიათის ტენდენციები. ერთი მხრივ, შეინიშნება ნასესხობათა დიდი რაოდენობა, ინტერფერენციული მოვლენები. მეორე მხრივ, ფერეიდნულში შემონახულია აღმ. საქართვ. მთის კილოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი (-ჩი თანდებული, ხოლმეობითის არქაული წარმოება: წაიდის, დათესის...); ამავე დროს, გამოვლინდა ენის შინაგანი განვითარების წარმონაქმნები, რ-ებიც პარალელს პოულობენ ქართული ენის სხვა კილოებში მიმდინარე პროცესებთან, მაგ., ნ. სრულში გარდამავალ ზმნებთან -ენ სუფიქსი -ეს -ის ნაცვლად: მოკლენ, გააკეთენ.

ფერეიდნული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი მისი გავრცე-

ლების მთელ ტერიტორიაზე. თორმეტი ქართულენოვანი სოფლის ენობრივ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე გამოიყო ზ ე მ ო და ქ ვ ე მ ო ფ., რაც ემთხვევა ამ რეგიონის გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ დაყოფას. ენობრივ სხვაობათა საფუძველი შეიძლება იყოს როგორც აქ დასახლებულ ხალხთა ადრინდელი ენობრივი სამყაროდან წამოყოლილი მოვლენები (მაგ., ქვ. ფ-ში მივყვეცით, ჭამეცით ფორმები, დღეს გარეკახეთში დადასტურებული ფორმების ანალოგიური, შდრ. ზ. ფ-ში მივყევი, ჭამევით...), ისე ახლად შეძენილი, ენობრივი კონტაქტების შედეგად შეთვისებული მოვლენები (მაგ., ქე, ქი კავშირები ქვ. ფ-ში, შდრ. ზ. ფ-ის რო კავშირი.

ფონეტიკა: დასტურდება ჴ ფონემა ძვ. სალიტ. ქართულისა და დღევანდელი მთის კილოებისთვის დამახასიათებელ პოზიციებში: ჴმა, ჴბო...; გვხვდება ჲ: ი- სუფიქსის პოზიციაში ხმოვნის მომდევნოდ (მოჲყუანა, გამაჲლის...); ჰ-|ს- ზმნური პრეფიქსების ადგილას (ჲკლევდენ, დაჲძახის...), აგრეთვე ენკლიტიკის შემთხვევებში ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვის შემდეგ (სადაჲჯოფს...);

ჶ იხმარება სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში (**ჶ**ერეიდუნშაჰრი, **ჶ**არსი); თავს იჩენს ხმოვანთა მკვეთრი შემართვის შემთხვევები (ʼემათ, ʼუგრე...); გვხვდება გემინირებული თანხმოვნები როგორც ნასესხებ, ისე საკუთრივ ქართულ სიტყვებშიც (ქალლა, ხუთთი...); ე) ხმოვანთა რედუქცია შესუსტებულია სპარსულენოვანი გარემოს გავლენით (კლარები, ნაჭერები...). რედუქცია შედარებით ინტენსიური ჩანს ქვ. ფ-ში: ცხრებიǁცხორები, ყრებიǁყორები, ჭრები...). ჩნდება თანხმოვანთგამყარი ხმოვანი ხან სრული (იშვიათად), ხან რედუცირებული: ძგმაǁ ძუმა, დღლე, მგზე...);

ხშირია ბგერის დაკარგვის შემთხვევები: ვ იკარგვის ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსებში (იყნეს, წიმა...); მ იკარგვის სიტყვის თავკიდურ პოზიციაში: თა < მთა, თორე < მთვარე...), რაც ენის ფონეტიკური სტრუქტურის მოთხოვნითაა გამოწვეული და სხვა კილოებშიც გვხვდება;

სუბსტიტუცია: ვ : მ (ვინ > მინ...); ნ : მ (ემან > ემამ); პ : ბ (პატარა > პაჲტა > ბაჲტა...); ბ: ვ (მეტობა > მეტოვა...) და სხვ. მეტათეზისი: ბლენა, ძრიალ კუნტურში...);

ასიმილაცია: სალომო < სალამო, ოზო < ეზო, ჭაჭუ̂ი < ჯაჭუ̂, ტრეტი < ტრედი)...; მჟღერ ძ აფრიკატს ზოგჯერ ცვლის შესაბამისი სპირანტი: ძ > ზ: კერძი > კერზი, რძალი > ზალი...; ვ ბგერასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ცვლილებანი ფართოდაა გავრცელებული: ვა კომპლექსი გვაძლევს ო-ს (ცხორი, თოლი), ვე > ო (გოგონა < გვეგონა); ვი > უ (გუნდა < გვინდა)...

ფ-ში ხმოვანთა კომპლექსის დაძლევა სხვადასხვა საშუალებით ხდება: დიფთონგიზაციით (აუ > ოუ > ოუ̂: გოუ̂ტეხია; ეუ > ეუ̂: წართმეუ̂ლი:). ასევე, აი > აჲ: გაჲგებენ და სხვ. ელიზია ხდება ენკლიტიკა—პროკლიტიკის შემთხვევები: დღეʼრი < დღე არი, დʼემ < და ემ... ამავე მიზეზით ხდება იდენტურ ხმოვანთა შეხვედრისას ხმოვნის დაგრძელება და ერთ ხმოვანზე დაყვანა (ეე > ē: ესეები > ესēბი > ესები)...

ზმნისწინები პოზიციის შესაბამისად სხვადასხვა გახმოვანებით შეიძლება შეგვხვდეს. ხშირ შემთხვევაში ეს არის რეგრესული ასიმილაციის შედეგი მომდევნო ზმნური პრეფიქსების გავლენით (გეეგო < გაეგო, მუგუკლეს < მოგუკლეს < მოგვიკლეს...).

მორფოლოგია: ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები ხშირ შემთხვევებში უკვეცელია ნათ. და მოქმ. ბრუნვებში: შუშას ლამფა, ჭას პირი...; კუმშვადი ფუძის გვერდით გვხვდება უკუმშველი ფუძეებიც: ორ წელისა, მაჲრწყვენ წყალითა...;

მოთხრ. ბრუნვაში -მ (~), -მა-სთან ერთად გვხვდება: -მამ (ბიჭმამ, დედაკაც-მამ ქვ. ფერ-ში); რაც ზემო და ქვემო ფერეიდნულის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია.

მიც. ბრუნვის ალომორფებია -ს და -Ø, იშვიათად -ჰ: აფურებ-ს ǀფურებ დოოყრი...). უთანდებულო მიც. ადგილის გარემოების გამოსახატავად იხმარება, უფრო გეოგრაფიულ სახელებთან: წაველით ჩუღრუთს... (შდრ. აველით სერზე, წაველ ბაღჩი).

ატრიბუტული მსაზღვრელი ბრუნებისას ხან ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი, ხან — სახ. ბრუნვის ფორმით: ორ ყმაწილი, ქრივ დედაკაცმა... ხუთი თეს, ჩემი ძმებმა... მიც. და ნათ. ბრუნვების უთანდებულო ფორმა გამოხატავს დროის გარემოებას: დილობას ǁ დილობის; იმ ზამთრის... უთანდებულო მოქმ. გამოსვლითობის ფუნქციით იხმარება: საით ჩამოეიდეს? („საიდან ჩამოვიდეს“), იქით („იქიდან“...)

ფ-ში ქართული ენის სხვა ქვესისტემებისგან განსხვავებით, ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის ორგანული წარმოების ფორმები არ დასტურდება. გვხვდება მხოლოდ აღწერითი წარმოება. მაღალი — იფო მაღალი — ძრიალ მაღალი, წითელი — იფო წითელი — ჩაყუჩებული წითელი... ოდნაობითი ხარისხის ფორმები კი ჩვეულებრივია: მომაღლო, მობერო, მოსხილო.

პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ზოგ თავისებურებას გვიჩვენებენ: I პირში გვხვდება მე ǁ მენ ǀ მენამ (იშვიათად); III პირში ის ǀ ისი, ეს ǁ ესე; მრ-ში — ესეები ǀ ესები ǁ ესენი... არ გვხვდება მან ნაცვალსახელი, ჩვეულებრივია ემამ „ემან“, ემას, ემის, ემანთ, ემებს... იმამ, იმას და ა. შ. I პირის მრ. რიცხვში ჩონ ფორმაა, II პირში — ქენ ǀ თქენ; კითხვითი „ვინ“ მხოლოდ მ ი ნ -ის სახით იხმარება; ასევე მ ი ნ მ ე, ვერმინ...

ანსი „ის“, ანსები „ისები“ მხოლოდ ფერეიდნულისთვის დამახასიათებელი ნაცვალსახელია. ვარაუდობენ, რომ იგი მიღებულია სპ. **an** „ის“ და ქართ. ისი ნაცვ-ების კონტამინაციის შედეგად. ნაცვალსახელებსა და ადგილის ზმნისართებში გამოიყოფა დეიქტური ხმოვნები (ა, ე, ი), რ-ებიც მოლაპარაკე პირთან სიახლოვე-სიშორეს გამოხატავენ, მათგან ფუნქციურად განსხვავებულია ა, რ-იც მოლაპარაკე პირისაგან შორს მყოფ საგანსა თუ ადგილზე მიუთითებს: ექ „აქ“, ანქ „იქ“; ამამ „ის“, აქით „იქიდან“... რაც აგრეთვე სპ. ენის გავლენით იხსნება: შდრ. სპ. **an** „ის“ და **in** „ეს“.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები — ყველა, ყველანი, ყველა-

ფერი — შ-ში წარმოდგენილია ს უ-ს (< სუყველა) სახით, მრ-ში სუნი (სახ. ბრ-ში), ს უ თ (დანარჩენ ბრ-ებში), ს უ ნ ი ე ე ნ ი, სუნიეენთ... ძალზე იშვიათია ს უ ყ ე ლ ა.

სახელთა მრ. რიცხვის წარმოება საერთო ქართულ წესს მისდევს: იხმარება მრ-ის წარმოების ორივე პარადიგმატული ტიპი; -ებ- სუფიქსიანი წარმოება ძირითადია: გვხვდება ნივთიერების და კრებით სახელებთანაც: ზეები მაღტანეო „რძეები მოიტანეო", ბრინჯებზე ძეო „ბრინჯებზე ძევსო", ხალღები შემეექუწნეს „ხალხი შეგროვდა", აგრეთვე: ბეჭრები იყნეს... ნართანიანი ფორმები არ არის იშვიათი, გვხვდება როგორც სახ., ისე სხვა ბრუნვებში, ხშირად — რიცხვით სახელებთან: ო რ ნ ი იყნეს, ემ ს ა მ თ ა მოედეს; ა ფ უ ს ე ლ ნ ი, ბ ო ი ნ ე ლ ნ ი, თ ე ლ ა ვ ე ლ ნ ი წონ მოგნატრიან; ბ ო ი ნ ე ლ თ და ა ხ წ ა ვ ე ლ თ შეცლილი გოქ სიტყოები...

ნ/თ ერთეის -ან, -იან სუფიქსიან კრებით სახელებს, რ-ებიც ანთროპონიმებისაგან ან საზოგადო სახელებისაგან არიან ნაწარმოები და ოჯახის, შტო-გვარის ფორმებს ქმნიან: სეფიან(ნ)ი (სეფიაშვილების ოჯახი), ხუციანთ გომი, თურქიანთ სეჲფოლა; ლოკატივის ფუნქციით: პაპანთას წასულა, ბიჭიანთას მაჲყვანენ და სხვ.

ყე ელემენტი ხშირად ისმის ფერეიდნელთა მეტყველებაში. იგი სხვადასხვა წარმომავლობის ომონიმური სუფიქსია, რ-იც ხან ზმნის თანმხლები ელემენტია (აქტანტების სიმრავლის, ხოლმეობითობის გამომხატველი), ხან სახელისა — თანდებულის ფუნქციისა. ყე, როგორც თანდებული, სხვადასხვა ვარიანტის სახით გვხვდება ქართ. ენის კილოებში (კახურ-ქიზიყურში, ინგილოურში, მთიულურში, რაჭულ-იმერულში...): -კენ ‖ -კე | -კ; -ყენ | -ყე | -ყ. მათი ფუნქციაა, გამოხატონ მიმართულება გარკვეული პუნქტისაკენ. ფ-ში -ყე თანდებულის მოქმედების არე საგრძნობლად გაფართოვდა: იგი გამოხატავს აქეთა და იქითა მიმართულებას სივრცესა და დროში (იშვიათად), გამოსვლითობასა და მიწევნითობას: წაეიდეს ქ ო მ ო თ ე ყ ე „ქვემოთკენ", შდრ.: ამოიღო ჯიბესაყე ფული „ჯიბიდან". ამავე დროს -ყე შეიძლება შეგვხვდეს -ზე, -ში, -თვის, -გან, შესახებ თანდებულთა პოზიციებში და მათ პარალელურად: ცხრასაყე მეტი „ცხრაზე მეტი", წონყე ნამაჲ ხარო „წვენთვის კარგი ხარო", პაპებსაყე გუგუგია „პაპებისაგანი"... ამ მოვლენამ ფ-ში იზოლირების შემდეგ იწინა თავი და ამით იგი ქართ. ენის ბუნებრივ ტენდენციებს დაშორდა. -ყე, აღნიშნავს ირიბი და პირდაპირი ობიექტების, სუბიექტის მრავლობითობას „მეწირქილემ უთხრაყე მარტყოფელთ; ის კაცები მოკლაყე ქერიმხანმა; ზოგჯერ იგი პატივისცემის მრავლობითსაც გამოხატავს: ქენ გინდაყე ჲნახოთ...

თანდებულთაგან გავრცელებულია -ჩი ‖ -ჩიგ(ა), რ-იც -ში თანდებულის ნაცვალია: თებჩიგ, მინდორჩი...; -ზე გვხვდება -ზე ‖ -ზედ ‖ -ზეგ ვარიანტების სახით. -თვის თანდებულის ნაცვლად გვხვდება -თი | -თ, რ-იც დაერთვის მიც. და ნათ. ბრუნვების ფორმებს: წყალსათი — „წყლისათვის"; მიც. ბრუნვის ფორმაზე დართული -თი მიმართულებასაც გამოხატავს: მარტყოფსათი — „მარტყოფში", „მარტყოფისკენ".

ფართოდ არის გავრცელებული -ობა სუფიქსით ნაწარმოები კრებითი და აბსტრაქტული სახელები: შიარობა „შიმშილი", ჭმელიანობა „გვალვა"...

-იერ (-იელ) სუფიქსს ცვლის -იარ (-იალ): ქონიარი „მქონებელი", გემრიალი...

ფ. არ განარჩევს სულიერ და უსულო საგანთა წარმომავლობის ფორმანტებს: -ურ (-ულ) გვხვდება ვინ ჯგუფის სახელებთანაც: ერთ ქურთულ ხანი ჰყავთყე, ეს თორელური დედაკაცია...

ფ-სთვის დამახასიათებელია ზედსართავი სახელის თავისებური ფორმები, მიღებული ნაცვალსახელებისა და „სიდიდე" სახელის შერწყმის შედეგად: ემსიდე < „ემსიდიდე"; რაგდიდე „რამსიდიდე", ცოტას აღნიშნავს ე რ თ ც ო ტ ა | ე რ ც ო ტ ა; ბეჭრსხანია (დაშქ.) ‖ ბეჭრისხანია (მარტ.) „დიდიხანია".

S_2 და O_1 პირის პრეფიქსებად გვხვდება ჰ-, ჲ- ს (იშვიათად). S_2 პირი ჩვეულებრივ აღინიშნება (უნდა შაჰკერო, გაჲლესო, ნუ სწევხარ...). ზმნაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც ირ., ისე პირდ. ობიექტის აღმნიშვნელი მორფემა: ერთი მხრივ, ჰყუანდა, ჰქონდა | ჲ ქონდა..., მეორე მხრივ: ჰყრიდა დოსა, ცხენი მაჰკლა, გაჲლეწვენ კალოსა. ზოგჯერ ს- პრეფიქსის პოზიციებში ჰ- გვხვდება: თავი ჰტკიოდა, თავს მაჰჭრის (შდრ. კახ-ში მსგავსი ფორმები). არის შემთხვევები -ს სუფიქსის დაკარგვისა: გოქ „გვაქვს", ენა არ დოოკარგავყე...

სუბიექტის III პ. მრ. რიცხვში ძვ. ქართულისთვის დამახასიათებელი -ეს სუფიქსი დასტურდება ზ. ფ-ში ყველა ტიპის ზმნებთან ნ. უსრულშიცა და ნ. სრულშიც, ისევე როგორც მთის კილოებში: წაეიდეს „წაეიდნენ", ჭამდეს „ჭამდნენ", ქვ. ფ-ში კი -ეს-ის ნაცვლად დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელია -ენ სუფიქსი: ამებმა მოკლენ გელი, ჩაი დალიეენ, დათხარენ ჭა..., რაც მოულოდნელი ჩანს აღმ. საქ-დან გადასახლებულთა მეტყველებაში (შდრ. გურულ-იმერული), საფიქრებელია, რომ ქვ. ფ-ში ანალოგიური პროცესი დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო.

ძველქართულისებურია: ა) ვნ. გვარის ზმნათა აწმყოს მხ. რიცხვში III პირის ფორმები: იხარშების, მაგონდების, კეთდების; ბ) ხოლმეობითის წარმოება: ცომი მოეზილით, პური დავაკრით, ამის გვერდით გვხვდება -ყე ფორმანტით ნაწარმოები ხოლმეობითიც: გავრეცხავყე, გამოვლესავყე, ავანთეფყე; ზოგჯერ ხოლმეობითის კონტამინირებული ფორმაც იხმარება: დეეკითხისყე, დამბანისყე...

გვხვდება ზმნის მარტივი ფუძის თემის ნიშნით გართულების შემთხვევები, რაც ქართ. ენის დიალექტთა უმრავლესობაში შეინიშნება: დაწერავს, შაშჭამავს... ეს პროცესი ფერეიდნულში შორს არის წასული. ზოგჯერ -ავ მორფემა ერთვის მოქ. გვარის ზმნათა აწმყო-მყოფადის ფორმებს და ისეთ მოქმედებას გადმოსცემს, რ-იც ჩვეულებრივ ხდება: ზეს ჩავალედავეთ | ჩავალედებავეთ, წელი მაღონეფს | მაღონებავეს... (შდრ. ხევსურული, სადაც -ავ დართული ფორმები მორფოლოგიური ფუნქციით დაიტვირთა: I თურმ. გაუკეთებავ „გაუკეთებია"). -ავ შეიძლება დაერთოს ზმნათა II სერიის ფორმებსაც: შაამოწმავეს, გომოგოყოლიავეს „გა-

„მოგვაყოლეს"...; შეინიშნება თემის ნიშანთა მონაცვლეობა: მაჩტაცავს „მოსტაცებს", გაჰფიქრავს „გაიფიქრებს". ფორმათა უნიფიკაციის პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვ. ფ-ისთვის, კერძოდ, სოფ. დაშქესანას მეტყველებისათვის: დაიძინავენ, ათორიალავს, დაალაგავენ, იგონავდა.

-ავ და -ამ სუფიქსები ნ. უსრულსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში -ევ და -ემ-ის სახით არის წარმოდგენილი: აბემდა, ჰკლევდა... ევიანი ზმნები დრო-კილოთა II სერიის ფორმებშიც ინარჩუნებს ევს (-ევ > -იე): წყალი დალიეა, ჭელი მოიქნიეა. ნ. სრულში უნიშნო წარმოებაა: წაველ, დავდექ იქა, მარტო ვიყავ. უთხარ და გამ'უყლ. ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითები ნ. ძირითადის მრ. რიცხვის ფორმებში -ენ > -ნ ფორმანტს დაირთავენ: გაეიპარენით, შაიყარნეს...

გარდამ. ზმნათა I თურმ-ში შენახულია -ავ და -ამ სუფიქსები (ენა არ დოოკარგავყე, კარტოფილი მოგ'უჭრავ...), სხვა შემთხვევებში -ი-ა დაბოლოებიანი წარმოებაა (ბიჭი დამიქორწილებია, მამიყ'უანია...). I თურმ-ის -ავ სუფიქსიანი წარმოება გვხვდება სხვა ტიპის ზმნებთანაც: ჩემ თავი გოოდიდავ, გონჯი გოოკეთავ (შდრ. ხევს. გა'უდიდებავ, გოოკეთებავ). II თურმ-ში აღმოსავლური კილოებისთვის დამახასიათებელი -იყავ, -იყო მეშველზმნიანი წარმოებაა: დაღეარდნიყო, წაჰყოლიყო... თურმეობითებში არ არის იშვიათი -ებ თემისნიშნიან ზმნათა მარტივი უსუფიქსო ფორმები, განსაკუთრებით ქვ. ფ-ში. „სეფთოლა 112 წლის წინ დაბადულა".

ვალ ზმნა ნამყო უსრულს აწარმოებს აწმყოს ფუძისაგან: მივალ. მიეალდი (დაშქ.) შდრ. მიყდიოდი (მარტყ.), ასევეა ინგილოურში. ტეხს ზმნის ვნ. გვარის ნ. უსრულში ფუძე არ იკუმშება (გამიტეხდა). II კავშირებითის საწარმოებლად -ა ფორმანტიც გვხვდება (ერთმანეთი გაეიცნათ...). ზოგი სტატიკური ზმნა -ავ სუფიქსით იწარმოება (ქუას გაჰკიდავ...). კმარა ზმნას უკეთდება საობიექტო ქცევის ფორმები: მიკმარა, გიკმარა, უკმარა. მამაქ ზმნა III პირში მამაქ-ის სახეს იღებს: წყალი მამაქ. ფართოდ არის გავრცელებული: უბნობა, იბნება „ლაპარაკობს", „ამბობს" ზმნის სხვადასხვა ფორმა: უმბოფს, ეიიბნა, ებბენით, იიბნა, იიბნებენ და სხვ. ნამყო დრ. საობიექტო მიმღეობის წარმოებისას ერთმანეთს ენაცვლება -ილ და -ულ ფორმანტები: გატეხილი, გატეხული, დათხრილი, დათხრული... -ობ-ა სუფიქსიანი მასდარის ფორმები მიზნის გარემოების სემანტიკას გამოხატავს: წაღდეს ხორბლობ, შიქლობ „სანადიროდ"...

საინტერესოა ადგილის ზმნიზედების ზოგი სახის წარმოება; მრავლობითობის -ებ მორფემას დერივაციული ფუნქცია აქვს, დაერთვის პირველად ზმნიზებს: აქ, იქ, ახლო, დაბლა, შინ... და -ში ‖ -ჩი თანდებულების დართვით აწარმოებს ფორმებს: აქებჩი, იქებჩი, ახლებჩი, ემანდეფჩი, სადეფჩი და სხვ. (შდრ. აჭარ. აქზე, იქზე...). ხუალე იხმარება ძველქართულისებური მნიშვნელობით: „ხვალ, „მეორე დღეს: ხუალე რო შაიქნა...; თაიხუალ „თავის ხუალ" აგრეთვე „მეორე დღეს" აღნიშნავს; დღეთა აღმნიშვნელ სახელებს შორის ზოგი ადგილობრივი წარმოებისაა: ხუალ-ხუალზეით — იმსხოზეით, გუშინ — გუშისწინ — იმსხოწინ...; მეერის ‖ მემრის — იმსხო მეერის; წინაჲსწინ, წინწინ ნიშნავს „უწინ", „ძველად"; შარშა — „შარშან, იმაში ‖ იმიში „მაშინ"; უკან ზმნიზედა „შემდეგ", „უკან" ხშირად ერთვის სახელის თანიან მრავლობითს: სადილთუკან, ნავრუზთუკან, კართუკან...დიალ ‖ დია ნიშნავს: „ძალიან", „ბევრი", „კარგი": დიალ გაკეთდა, დიალ ყურზენი ასხია...

ფ., ისევე როგორც ზეპირი მეტყველება საერთოდ, ხასიათდება ნაწილაკთა, დამხმარე სიტყვათა ხშირი გამოყენებით. გვხვდება როგორც საკუთრივ ქართული (-ყე, -ლა, -ა), ისე ნასესხები (-ელ/ელა, -ილ: მასალან...) ნაწილაკები. -ა ხან კითხვითი ნაწილაკია (წყალი აავსეა?, ამას ამბოფსა), ხან კი — ნართაული ნაწილაკი, რ-იც განსაზღვრავს სიტყვას ან გამონათქვამს (მერმისაც მუალა, დახატულად იცისა).

ფ-ში სინტაქსურ მიმართებათა ძირითადი სახეები დაცულია, ჩვეულებრივია აზრობრივი შეთანხმება სახელსა და ზმნას შორის მრ. რიცხვში: ხალხმა ადგეს, უთხრეს...; შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მრ. რიცხვში ეთანხმება ქვემდებარეს, ისევე როგორც სხვა დიალექტებში: ბევრები ყოფილან მოკობრები, ცხენები შივრები იყნეს.

ფ-ში დიდი გასაქანი მიეცა ერგატივის ფუნქციის გაფართოებას აქტიური სემანტიკის საშუალი და ვნებითი გვარის გარდაუვალ ზმნებთან: ემ ბიჭმა გემემეგება, ემ ძაღლმა გაძლა და სხვ. როგორც ჩანს, იზოლაციამ ხელი შეუწყო ამ პროცესის ინტენსიურობას. იქ, სადაც ასეთი გავლენა საგულებელია, ცალკეული პირის მეტყველებაში ჩნდება მან ნაცვალსახელი იმამ ნაცვ.-ის მაგივრად, რომელიც უცხოა საერთოდ ფ-სთვის: მან გარდაიცვალა...

უცხოენოვანი გარემოს გავლენის შედეგია პირდაპირი ობიექტის ბრუნვათა აღრევა: გარდამ. ზმნათა I სერიის ფორმებთან ობიექტი სახ. ბრუნვაშია: დიდი ხაზი შამაჰხაზვენ, კოჭი ცხორის ფეჭსაყე გამაღლებენ... ინვერსიულ ზმნათა რეალური სუბიექტი მიც. ბრუნვის ნაცვლად სახ. ბრუნვაშია: თავის დედაკაცი ერთ ოთალჩი ეძინა. იცი ზმნასთან სუბიექტი ზოგჯერ სახ. ბრუნვაშია: ზოგი იცის, ზოგი არ იცის (დაშქ.).

ამავე დროს, ფ-ში ძლიერია თავისთავადობის, საკუთარი ენობრივი მოვლენების დაცვის, შენახვის ტენდენცია. საკუთრივ ფერეიდნულ ლექსიკაში ძლიერია ის ფენა, რ-იც ქართ. ენის ყოველი დიალექტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს და ეხმიანება, ერთი მხრივ, არქაულ მასალას (ასეთია — ნიჭი „საჩუქარი", „ძღვენი"; სასთოჭლი „ბალიში", ზანზალაკი „ეჟვანი", ტინი „კლდე"...), მეორე მხრივ, სხვა დიალექტებში (უფრო აღმოსავლურ, მთის დიალექტებში დადასტურებულ ლექსემებს (დაჭყუნვა „დაჭყლეტა", დამძლევა „დანგრევა" და სხვ.). ბევრია ისეთი სიტყვა, რ-იც ფ-ის წიაღშია ნაწარმოები ქართ. დერივაციული მოდელებით: საწერი „წერილი", სათლელი (ზ. ფ.) ‖ დათლული (ქვ. ფ.) „ფული", პირთანსავე „ფეხმძიმე", ენათხელა „ჭორიკანა"... ზოგ სიტყვას სახე უცვლია და მხოლოდ ფ-ისთვის დამახასიათებელი ფორმა მიუღია: ნამაჲ ‖ ნამაზი < ლამაზი, ყორი „ქალიშ-

ეილი“ (< საყორული); გატყილთა „გატყდა“; „დანახვის“, „ყურების“ მნიშვნელობით ჭვრეტა იხმარება (უჭრეტს, გასჭრეტს); ყურება კი „მოსმენას“, „გაგონებას“, „მოელას“ აღნიშნავს: დოოყურე „უსმინე“, უყურაე მუსიკს „ეუსმენ მუსიკას“; ლექსემა ტარება გამოიყენება „სიარულის“, „სეირნობის“ გადმოსაცემად: წაიდეთ ვეტაროთ, ყმაწილეფს უყორსყე ტარება...

სინონიმურ წყვილთაგან ერთი ზ. ფ-შია გავრცელებული, მეორე – ქვ. ფ-ში: ყრალი „ცუდი“ (ყრალ საქმე, ყრალ კაცი...), ციცისკიბე „ცისარტყელა“ – ზ. ფ-ში. დაშქესანაში: გონჯი, წულა „წყვლა“, „მაწონი“, ყორინანა...; დაშქესანაში ჩანს მიდრეკილება არს. სახელის ბოლოს -ო-ს დართვისა: ღელო, ცხავო, აბონო, შუო... შდრ. ღელე, ცხავი, შუა, აბონე... (მარტყ.);

ხანგრძლივი ენობრ. კონტაქტების პირობებში, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ფაქტორების ზემოქმედების გამო, ერთი ენობრ. კოდიდან მეორეზე ხშირი გადართვის აუცილებლობამ ფერეიდნელები ბილინგვები გახადა. ირანიზმებმა ფერეიდნული ქართველი სისტემის ყველა სფეროში შეაღწია. ინტერფერენცია სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. ეს არის სიტყვათა სესხება, ახალი მნიშვნელობის განვითარება, მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება, კალკირება და სხვ. თვალშისაცემია ნასესხები სიტყვების, ფრაზების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით – ქვ. ფ-ში. ნასესხებია თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი (გარდა ზმნისა), რ-ებიც მოქცეულია ქართ. გრამატიკულ და სიტყვაწარმოებით ყალიბში. მათი დიდი ნაწილი ქართ. ლექსემების გვერდით თანაარსებობს (სტუმარი – ყონაღი, მაწონი – ყათული, ტყე – ჯანგალი...). სხვა შემთხვევებში ნასესხებ სიტყვათა ქართ. შესატყვისები აღარა ჩანს (ალილი „ფარეხი“, ნეპრა „სადღვებელი“, რაფათი „გლეხი“...). ფ-ისთვის დამახასიათებელია ზმნათა ანალიტიკური ფორმების სიუხვე, რ-თა დიდი ნაწილიც ახალი სპარსული ე. წ. რთული ზმნების გავლენითაა შექმნილი (პასაპი ქენ „დაითვალე“, ჯადუ მქნა – „მომაჯადოვა“, ზენდეგის იქმენ „ცხოვრობენ“...).

ინტერფერენციის შედეგად მნიშვნელობის გაფართოების მაგალითია ზმნა კითხვა, კითხულობს, იკითხავს, რომელმაც სპ. სათანადო ზმნის გავლენით განივითარა ქართულისთვის უჩვეულო მნიშვნელობები „მღერის“, „სწავლობს“; ასევე მილოცვა ფ-ში იძენს სრულიად საპირისპირო მნიშვნელობას – „სამძიმრის გამოცხადება“ შესაბამისი სპ. ზმნის გავლენით, რომელიც ორივე ამ მნიშვნელობას ითავსებს.

სხვა შემთხვევაში მნიშვნელობის დავიწროება მომხდარა: ზ. ფ-ში ყოვილი საზოგადოდ „ყვავილს“ აღნიშნავს და სპ. გოლის („ვარდი“, „ყვავილი“) გვერდით იხმარება. ქვ. ფ-ში კი ყოვილს მხოლოდ იონჯისა და სამყურას ყვავილზე იტყვიან, სხვა შემთხვევებში ნასესხებ გოლს ხმარობენ.

ლიტ.: ალნიაშვილი ლ., სპარსეთი და იქაური ქართველები, 1896; ჩიქობავა არნ., ე-ინის რეფლექსები ფერეიდნულში. – «ჩვენი მეცნიერება», 2–3, ტფ., 1923; მიხივე ა., -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის თვალსაზრისით. – «წელიწდეული», I–II, ტფ., 1923–24; თოდუა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, თბ., 1975 (ტექსტები, ლექსიკონი); შარაშენიძე ნ., ფერეიდნელი „გურჯები“, თბ., 1979; მაჭავარიანი მ., ფერეიდნულის ზოგი თავისებურება. – «იკე», XXIII, თბ., 1984; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია. ფერეიდნული, თბ., 1989; უთურგაიძე თ., ჩხუბიანიშვილი დ., გიუნაშვილი ჯ., ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის (შესავალი, ტექსტები, ლექსიკონი). – «იკე», XXI, 1979; დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში. – ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბ, 1981; მათიევ ე., სიტყვათა სემანტიკური ცვლილება ფერეიდნულში სპარსული ენის გავლენით. – «იკე», XXVIII, თბ., 1989; ფერეიდნული ტექსტები: «იკე», XXIII, თბ., 1984; «იკე», XXXIV, თბ., 2002.

დ. ჩხუბიანიშვილი.

ფირალიშვილი (ფირალოვი) გოდერძი პავლეს ძე (1768–1823), მწიგნობარი, პოეტი, მთარგმნელი. მოღვაწეობდა ერეკლე II-ის კარზე. 1801-იდან მსახურობდა პეტერბ. საგარეო საქმეთა კოლეგიაში როგორც მთარგმნელი და კალიგრაფი. ფ. არის ავტორი რუს. ენის თვითმასწავლებლისა ქართველთათვის, ხოლო საქართველოში მცხოვრები რუსებისათვის – ქართ. ენის თვითმასწავლებლისა. წიგნის სრული სახელწოდებაა: „თვითმასწავლებელი, რომელი იპყრობს თავის შორის ღრამატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონსა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა“, პეტერბურგი, 1820 (როგორც ცენზორის მინაწერი მოწმობს, იგი 1817-მდეა დაწერილი, რადგან ცენზურა 1817 წლის 19 აპრ. გაუვლია). წიგნის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომის ტექსტი პარალელურია – ქართული და რუსული. ექვსი ნაწილიდან პირველ სამში განიხილება ფონეტიკისა და გრამატიკის საკითხები. გრამატ. ცნებები და კატეგორიები რუსულისაა და ავტორი ცდილობს ამ ცნებებს შეუფარდოს ქართ. მასალა, რასაც ძნელად ახერხებს. წიგნის მე-4 ნაწილია ზნეოსწავლება, რ-იც შეიცავს ქრისტ. მორალის ქადაგებას, ნაწყვეტებს ახალი აღთქმის წიგნებიდან. მე-5 ნაწილში წარმოდგენილია ყოველდღიური სასაუბრო მასალა, მე-6-ში – რუსულ-ქართული ლექსიკონი. ბოლოს ერთვის ადამიანის საკუთარი სახელები მათი ეტიმოლოგიური მნიშვნელობებისა და სადაურობის ჩვენებით. ფ-ის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „საზოგადო მდივნობა“ (პეტერბურგი, 1821), რ-შიც თავმოყრილია ოფიციალური კერძო მიმოწერის ნიმუშები; „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე შექმნილი ტრაგედია (არ გამოქვეყნებულა).

ლიტ.: რუხაძე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949; კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 5, თბ., 1981; მახათაძე ნ., გ. ფირალიშვილის დრამა „ინდოეთის მემკვიდრე ანუ სამშობლოსადმი სიყვარული“. – «ლიტერატურული ძიებანი», თბ., 1983.

გ. ცოცანიძე

ფიტონიმი (ბერძნ. Phyton „მცენარე), მცენარეთა სახელწოდებები. ფ-ები ხშირადაა წარმოდგენილი გეოგრაფიულ სახელწოდებებსა და გვარსახელებში.

მცენარეული საფარიდან ყველაზე ხშირად ხეთა სახელები გვხვდება ტოპონიმებად. ეს გამოწვეული უნდა იყოს უმთავრესად იმით, რომ ცალკეული ხე, ხეთა ჯგუფი თუ ერთგვაროვანი ჯიშის ტყე მკვეთ-



ლ. ფლური.

რი საორიენტაციო ნიშანია მიწის ზედაპირზე.

ტოპონიმებში გამოყენებულია მცენარეთა საფარის კულტურული და ველური ჯიშის მეტ-ნაკლებად გავრცელებული ყველა წარმომადგენელი: მუხა, წიფელი, ვერხვი, ცაცხვი, ვაშლი, მსხალი, შინდი, მაყვალი, კიტრი, ბოლოკი...

უნდა აღინიშნოს, რომ ფ-თაგან სახელდებულ ობიექტთა შორის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს ოიკონიმები (სოფლის სახელწოდებები): ცხინვალი (<რცხილოვანი) – ქ. ვერხვი, მუხრანი (მუხნარი), ცხუმარი (სვან. ცხუმ „რცხილა“ – (აქედანვეა მიღებული სოხუმის ძველი სახელწოდება (ცხუმი), ბულვანი (მეგრ. ბული „ბალი“), ჟახუნდერი (სვან. ჟახვ „არყის ხე“), გრაკალი, გვიმარონი (მეგრ. გვიმარი „გვიმრა“), გენწვიში (სვან. გგნწიშ „ანწლი“) მოძვი, წიწმატიანი, პრასიანი— მდ. ლეღვანა— მდ. და უღ. ზესხო (სვან. ზჵსხჷ „ცაცხვი“)...

ზუსტად ისეთსავე ქვეჯგუფებში ნაწილდება ფ-საგან ნაწარმოები გვარები: ხორბალაძე, ფეტვაძე, მახაძე (მახა პურეულის უძველესი ჯიში), ბოლოკაძე, ბარდაძე, ეკალაძე, კვერაშვილი, დანდურაშვილი, ნიორაძე, კინტარაია (მეგრ. კინტირი „კიტრი“), კიტრაძე, ჭარხალაშვილი, ქინძაძე, ქონდარიძე... ბალიაშვილი, თხილავა, მსხალია, ტყემალაშვილი... ლეფონავა (მეგრ. „ლაფანი“), ცხუმიანი, ცხვიმიანი (ამავე ძირიდანაა ნხუმიანი და ნხვიმიანი. სვან. „რცხილა“), წიფურიძე, წიფურია (მეგრ. „წიფელი“), მუხაძე, ჭყონია, ჭყონიძე (მეგრ. ჭყონი „მუხა“), ვერხვიაშვილი, ჭუბაბრია (მეგრ. ჭუბურ „წაბლი“)... ასკილეისკირი, იასამნიძე, გრაკლიშვილი, გვიმრაძე, ენძელაძე, ზამბახიძე, ნარგიზაშვილი, ქარცხია... სამყურაშვილი, ჭილაია, ჭინჭარაძე... არის შემთხვევები, როდესაც ქართული სართებით მეგრული სახელებია გაფორმებული, რაც გვიანდელი პროცესი ჩანს და, პირიქით, ქართული სახელები მეგრული აფიქსებით ფორმდება. ეს შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მსგავსი სიტყვები საერთოქართველური ენის კუთვნილებაა.

ქართველურში ტოპონიმთა და გვარსახელთა საწარმოებლად ერთი და იგივე მოდელები, საშუალებები, ხერხები და მასალა გამოიყენება (თუმცა, ქართული მაწარმოებლები გაბატონებულია). აშკარაა ტოპონიმთა და გვარსახელთა ურთიერთკავშირი.

ლიტ.: ნიქოეანი მ., ტოპონიმიკური ლექსიკონი. – თსუ შრომები, IX, თბ., 1939; ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1982; კემულარია მ., მცენარეთა სახელები ძველი ქართლის ტოპონიმებში. – თსუ შრომები, ტ. 262, თბ., 1985; მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991; ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში, თბ., 2000; [illegible] ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005; ძნელაძე რ., ბოტანიკური ლექსიკა გურიის ტოპონიმიაში, ქართველური ონომასტიკა, №2, 2000; ბედოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002; მადრაძე გ., ქართველური ტოპონიმებისა და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბ., 2006. *გ. მადრაძე.*

ფლექსია (ლათ. flexio გაღუნვა, დრეკა), 1. ფუძისეული ხმოვნის (ანუ ფუძის გახმოვანების) ცვლა გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობის განსასხვავებლად: გერმ. der Bruder – ძმა, die Brüder – ძმები; ინგლ. tooth – კბილი, teeth – კბილები; არაბული: ქათაბა – დაწერა, ქუთიბა – დაიწერა. ფუძის ფ. დამოწმებულია ქართულშიც. იგი ზოგ შემთხვევაში განასხვავებს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს: დავ-ძარ – გავინ-ძერ; ზმნისა და სახელის ფუძეს: **ხეხ**-ს – **ხახ**-უნი; აწმყოსა და ნამყო ძირითადის ნაკვთებს: დრეკს – დრიკა. თანამედროვე ქართულისათვის ფუძის ფ. არ არის ძირითადი, განმსაზღვრელი მოვლენა. ფუძის ფ-ის დროის გახმოვანების ცვლას მორფოლ. აფიქსის დანიშნულება აკისრია.

2. მიმართების აღმნიშვნელი აფიქსები: ბრუნვისა და პირის ნიშნები. იგივეა, რაც დაბოლოება. ტერმინი ძირითადად გამოიყენება ინდოევრ. ენების მიმართ.

ბ. ჯორბენაძე.

ფლური (Flury) ლეა (დ. 9. IX. 1916, სოფ. მატენ-ინტერლაკენი, შვეიცარია), შვეიცარიელი ქართველოლოგი. პროფ. კ. *ჩხენკელის* მოწაფე და ერთ-ერთი თანამშრომელი. ფ-მ საგანგებოდ შეისწავლა პოლიგრ. საქმე და ააწყო რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს „ქართული ენის შესავალი“ ორ ტომად და „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ სამ ტომად. 1974 ციურიხის კანტონის ხელმძღვანელობამ საგანგებოდ აღნიშნა „ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე“ მომუშავე კოლექტივის ღვაწლი და ლექსიკონის გამოსაცემად გაწეული მრავალწლიანი მუშაობისათვის ფ., ი. *მარშევი* და რ. *ნოიკომი* დააჯილდოვა.

ამჟამად ფ. განაგებს კ. ჩხენკელის მიერ ციურიხში დაარსებულ გამომცემლობა „ამირანს“, მოთავეობს ქართველოლოგიური ლიტ-რის ბეჭდვისა და პოპულარიზაციის საქმეს. *ე. იმნაიშვილი.*

ფოგტი (Vogt) ჰანს (1. I. 1903, ფრედრიქსტადი, – 1986), ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და კავკასიოლოგი. ზოგადი ენათმეცნ. და ინდოევრ. ენათა სპეციალისტი. ოსლოს უნ-ტის პროფესორი, ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი (1958–63). მრავალი საენათმეცნ. საზ-ბისა და საბჭოს წევრი, თსუ საპატიო დოქტორი.

ქართულს, სვანურსა და მეგრულს ფ. სწავლობდა საქართველოში (1932–34), უბიხურს – თურქეთში (1958, 1961). რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მრავალი გამოკვლევა უძღვნა ქართ. ენის ფონოლოგიის, მორფოლ. და სინტაქსის საკითხებს. მიღებული შედეგები შეაჯამა მონოგრაფიებში: „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (ფრ. ენაზე, ოსლო, 1958, ქართ. თარგმ. 1961), „ქართული ენის გრამატიკა“ (ოსლო, 1971). იკვლევდა ქართ. და ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხებს. მოგვეცა ქართ. ენის გრამატ. წყობის მთელ რიგ საკითხთა ორიგინალური გადაწყვეტა. ქართველურ ენათა ისტ.-შედარებითი ანალიზის საფუძველზე აქვს ფუძეენის რეკონსტრუქციისა და ქართველურ ენათა დიფერენციაციის დათარიღების ცდები. ფ-ის აზრით, ქართველურ ენათა ამოსავალი ვითარება ყველაზე კარგად დაცულია ქართულში. მუშაობდა ქართველურ ენათა კავკ. ენებთან გენეზისური დამოკიდებულების პრობლემაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ფ-ის შეხედულებებმა ცვლილებები განიცადა: თუ ადრეულ შრომებში იზიარებდა

სამხრ. და ჩრდ. კაეკასიის ენათა ნათესაობის თვალსაზრისს, შემდეგ უკვე ეჭვობდა, რომ მოხერხდებოდა ამ ნათესაობის დამტკიცება.

ქართველურ ენათა სხვა ენებთან კონტაქტების ძიებისას შ. ყურადღებას ამახვილებდა არა მხოლოდ ენათა დიფერენციაციის პროცესსა და მისი შესწავლის მეთოდოლოგიაზე, არამედ კონვერგენციის მიმართაც დიდ ინტერესს იჩენდა როგორც ზოგადენათმეცნ., ისე კონკრეტულ ენათა ისტორიის თვალსაზრისით. იგი იკვლევდა ქართველური ენების ურთიერთობას ძვ. სომხურთან და ამ ენათა სუბსტრატის საკითხებს სომხურში.

შ. ეხებოდა აგრეთვე პრეისტორიულ ხანაში ქართველურ ენათა კონტაქტების საკითხს ინდოევრ. და მცირე აზიის მკვდარ ენებთან.

თხზ.: Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936; Arménien et caucasique du sud, «Norsk Tidsskift for Sprogvidenscap», 1938, bd. 9; Le basque et les langues caucasiques. – «Bulletin de la Société de linguistique de Paris», 1955, №51, f. I; Dictionnaire de la langue oubikh, Oslo, 1963.

ლიტ.: ს ა რ თ ო ლ ა ნ ი ნ., პ. ფოგტი – ქართველოლოგი. –კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», V, თბ., 1981.

ნ. ჩართოლანი.

ფონემა (< ბერძნ. phone – ბგერა, ხმა), ერთეული, რ-იც სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ჟღერადობებს განასხვაებს და სამეტყველო ბგერის სახით აღიქმება. ყოველ შ-ს, ჩვეულებრივ, ერთი (ზოგჯერ ორი ან რამდენიმე) სამეტყველო ბგერა შეესაბამება. სხვადასხვა სამეტყველო ბგერა სხვადასხვა შ-ის წარმომადგენლად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ ასრიან სიტყვაში მათი ურთიერთჩანაცვლების დროს თუნდაც ერთხელ აღინიშნება მნიშვნელობის შეცვლა (ე. ი. შედეგად მიეიღებთ სხვა მნიშვნელობის მქონე ჟღერადობას ან მნიშვნელობის არმქონე, უაზრო ჟღერადობას). ამიტომ, სხვადასხვა შ-ის წარმომადგენლებია ქართულში ლ და დ (შდრ. ლილა – დილა), მაგრამ ერთ შ-ში ერთიანდება ე.წ. რბილი და მაგარი ლ (მათი ურთიერთჩანაცვლებისას აზრი არასდროს არ იცვლება). თანამედროვე სალიტ. ქართულში გვაქვს 33 სხვადასხვა შ., რ-ებიც შეესაბამება 33 სხვადასხვა ასოთი აღნიშნულ სამეტყველო ბგერებს.

პოზიციისა და მუხობელი ბგერის გაელენით შ. სხვადასხვა ვარიანტებს სახით წარმოითქმის. მათ შ-ის პ ო ზ ი ც ი უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი ან შ-ის კ ო მ ბ ი ნ ა ტ ო რ უ ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი ეწოდება. ასეთებია, მაგ., ბაგეთა წინ წამოწევითა და წამოუწეველად წარმოთქმული ს სიტყვაში „სული“ და „სალი“. პოზიციისა და ბგერათა მეზობლობისაგან დამოუკიდებელ, ურთიერთმონაცვლე ვარიანტებს შ-ის თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ს ან შ-ის თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ს უწოდებენ. ასეთებია, მაგ., ერთსა და იმავე სიტყვაში ენის წვერის ერთი ან ორი-სამი მოქნევით წარმოთქმული რ შ-ის ვარიანტები.

ადამიანის ფ ო ნ ე მ ა ტ უ რ ი ს მ ე ნ ა, რ-იც მას ამა თუ იმ ენის ფონეტიკის, შ-თა სისტემის შესაბამისად უყალიბდება, არსებეს ამ ენის ქვეშა შ-ს, მაგრამ, ჩვეულებრივ, შ-ის ვარიანტები, ანუ *ალოფონები* ერთ სამეტყველო ბგერად აღიქმება (როგორც ს შ-ის ზემოხსენებული ორი ალოფონი), ზოგჯერ კი – სხვადასხვად (მაგ., ი შ-ის ი და ჲ ალოფონები). ამრიგად, ენაში ალოფონების რაოდენობა მეტია, ვიდრე სამეტყველო ბგერებისა, სამეტყველო ბგერების რაოდენობა კი უდრის ან აღემატება ფ-ების რაოდენობას.

აღნაგობის თვალსაზრისით შ. განიხილება როგორც იმ ნიშანთა (მჟღერობისა თუ არამჟღერობის, ხშულობისა თუ არახშულობის და ა. შ.) ერთობლიობა, კონა, რ-ებიც აუცილებელი და საკმარისია მის განსასხვაებლად სხვა შ-ებისაგან. ამ ნიშნებს შ-ის გ ა ნ მ ა ს ხ ვ ა ე ბ ე ლ ი (ან დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი, დ ი ს ტ ი ნ ქ ც ი უ რ ი, რ ე ლ ე ე ა ნ ტ უ რ ი, კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი) ნ ი შ ნ ე ბ ი ეწოდება.

გამონათქვამის შინაარსის ცვლა შეიძლება უკავშირდებოდეს ცვლილებებს არა მხოლოდ ფონემურ მონაკვეთებში, სეგმენტებში, რ-თა მიმდევრობა ქმნის ე. წ. გ ა მ ო ნ ა თ ქ ვ ა მ ი ს ს ე გ მ ე ნ ტ უ რ რ ი გ ს, არამედ გამონათქვამის ზესეგმენტური მახასიათებლების (*მაჰვილის, ტონის, გრძლიეობის...*) შეცვლასაც. ამიტომ ასეთ მახასიათებლებს ზოგჯერ ზ ე ს ე გ მ ე ნ ტ უ რ (ან ს უ პ ე რ ს ე გ მ ე ნ ტ უ რ, ს უ პ რ ა ს ე გ მ ე ნ ტ უ რ, მ ე ო რ ე უ ლ) ფ-ებს უწოდებენ.

ლიტ. იხ. სტატიასთან *ფონოლოგია.*

ზ. ჯაფარიძე.

ფონეტიკა (< ბერძნ. phōnētikós – ბგერითი), 1. ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ენის ბგერით მხარეს – სამეტყველო ერთეულების საწარმოთქმო მოქმედებებს (იხ. *არტიკულაცია*), მათ შედეგად წარმოქმნილი ბგერადობის აკუსტიკურ მახასიათებლებს (იხ. *აკუსტიკა*), ფონეტიკური (სეგმენტური, ზესეგმენტური) ერთეულების აღქმას (იხ. *პერცეფცია*) და მათ შორის ურთიერთმიმართებებს.

კვლევის მიზნის შესაბამისად, შ. ეითარდებოდა სხვადასხვა ასპექტით. ზ ო გ ა დ ი შ. განსხვავებულ ენათა მასალაზე დაყრდნობით იკვლევს ადამიანის სამეტყველო მოქმედების შესაძლებლობებს საერთოდ და აანალიზებს ბგერით ერთეულთა ფიზიოლ. და აკუსტიკურ თავისებურებებს, აღქმის ზოგად კანონზომიერებებს, ბგერათშეხამების წესებს და ა. შ. კ ე რ ძ ო შ-ის საგანია კონკრეტული ენის ბგერითი მხარის შესწავლა აღნიშნული პრობლემატიკის თვალსაზრისით. ა ღ წ ე რ ი თ ი შ. იკვლევს ცალკეულ ენათა ბგერით მოვლენებს სინქრონულ ჭრილში, დროის გარკვეულ მონაკვეთზე. ი ს ტ ო რ ი უ ლ ი შ. შეისწავლის ბგერითი მხარის ცვალებადობას დროში, ცვლილებათა მიზეზებსა და მათ მიმართულებას.

სამეტყველო ბგერებსა და საწარმოთქმო ორგანოებზე დაკვირვებებს დიდი ხნის ისტორია აქვს. განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია ფონეტ. კვლევამ ძვ. ინდოეთში, სადაც სპეც. ფონეტ. ტრაქტატები იქმნებოდა ჯერ კიდევ ძვ. წ. IX ს-იდან. შ-ის საკითხები საკმაოდ დაწვრილებით განიხილებოდა ანტ. მეცნიერებაშიც. შ., როგორც ენათმეცნ. დამოუკიდებელი დარგი, ყალიბდება XIX ს-ის II ნახევრიდან. ისტ. ენათმეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით. ზუსტი ბგერათშესატყვისობების დადგე-

ნა. ბგერათცვლილებების მიზეზებისა და ხასიათის გარკვევა და ა. შ. მოითხოვდა ბგერათწარმოების ურთულეს მექანიზმში ჩაწვდომას, ბგერათა ფიზიკური (ფართო გაგებით) ბუნების ცოდნას, რისთვისაც ენათმეცნიერებამ ძირითადად გამოიყენა მის გარეთ, საბუნებისმეტყველო დარგებში (ფიზიკასა და ფიზიოლოგიაში) მიღწეული შედეგები. ამან განაპირობა კლასიკური შ-ის საბუნებისმეტყველო ორიენტაცია. ფაქტობრივად, შ. ჩამოყალიბდა როგორც არტიკულაციური შ. და აკუსტიკური შ., თუმცა, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ფონეტ. კვლევა არასოდეს ყოფილა წმინდა საბუნებისმეტყველო კვლევა, რამდენადაც იგი ყოველთვის სწავლობდა სწორედ სამეტყველო ბგერებს, ე. ი. კონკრეტული ენობრივი აღქმისათვის მისაწვდომ და, ამდენად, მოცემული ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელ ბგერებს. მაგრამ სწავლობდა მათ, არსებითად, ფიზიოლ.-აკუსტიკურ თვალსაზრისით, რაც ლინგვისტიკისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა: შ-მ ვერ შექმნა ის თეორ. ბაზა, რ-საც შეიძლებოდა დაფუძნებოდა ისტ. ენათმეცნიერების აშკარად არასაბუნებისმეტყველო პრაქტიკა. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა მოგვიანებით შ-ის გვერდით ბგერითი მხარის შემსწავლელი წმინდა ლინგვისტური დარგის – *ფონოლოგიის* შექმნის აუცილებლობა. ფაქტობრივად, ენათმეცნ. კვლევაში ფონოლოგიას უნდა დაეკავებინა ადგილი არა შ-ის გვერდით, არამედ მის ნაცვლად, როგორც შ-ის განვითარების უფრო მაღალ საფეხურს. მაგრამ ფონეტ. კვლევის ტრადიციები იმდენად ძლიერი იყო, რომ იმ დროს უფრო ადვილი აღმოჩნდა ახალი დარგის დაფუძნება, ვიდრე ძველის გარდაქმნა ახალი მეთოდოლოგიური მოთხოვნების საფუძველზე. ფონოლოგია მოითხოვს ბგერების შესწავლას მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით. ამიტომ ზოგ ფონოლოგიურ მიმდინარეობაში (მაგ., პრაღის სკოლის ფონოლოგიაში) კვლევის სფეროში შემოდიოდა ძირითადად ბგერის განმასხვავებელი (რელევანტური) ნიშნები, ხოლო ბგერის სხვა, არაგანმასხვავებელი ნიშნები ხასიათდებოდა როგორც „ჭარბი“ (არარელევანტური) და შ-ის კომპეტენციაში რჩებოდა. შესაბამისად, ფონოლოგია დაუპირისპირდა შ-ს, როგორც ლინგვისტური მეცნიერება არალინგვისტურს, საბუნებისმეტყველოს. ასეთი დაპირისპირება როგორც თეორ., ისე პრაქტ. თვალსაზრისით გაუმართლებელი ჩანს. რამდენადაც შ. სწავლობს სამეტყველო ბგერებს, როგორც ენობრივი ფუნქციონირების რეალურ ელემენტებს, იგი არ გაიაზრება ფუნქციური თვალსაზრისის გარეშე. თავის მხრივ, ფონოლოგია არ შეიძლება აიგოს ბგერათა ფონეტ. თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. უფრო მეტიც, რომელიმე ნიშანი შეიძლება იყოს არარელევანტური მოცემული ფონოლოგიური აღწერისას, მაგრამ არა საერთოდ ენობრივი ფუნქციონირების თვალსაზრისით. ასე მაგ., ფონოლოგიურად არარელევანტური, „ჭარბი“ ნიშანი შეიძლება იყოს რელევანტური ფონემატური აღქმისათვის. არარელევანტურ ბგერით ნიშანთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიაქრონიულ კვლევაში, რადგანაც ბგერათა (და მათი გ'სით – ფონემურ სისტემათა) ცვლილებები ხშირად შეიძლება წარიმართოს სწორედ არარელევანტური ნიშნების გზით. ფონეტ. და ფონოლოგიური კვლევა ერთიანია ბგერითი სისტემის ანალიზის ყველა ეტაპზე. და შესაბამისად, უფრო მიზანშეწონილია შ. და ფონოლოგია განიხილებოდეს როგორც ერთი საენათმეცნიერო დარგის ორი ასპექტი და არა განსხვავებული ორიენტაციის მქონე ორი დამოუკიდებელი დისციპლინა.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; ჯაფარიძე ზ., პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975; ქობალავა ი., ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში, თბ., 1976; Зиндер Л., Общая фонетика, М. – Л., 1979; Hjelmslev L., Über die Beziehungen der Phonetik zur Sprachwissenschaft. – «Archiv für vergleichende Phonetik», 1938, II H. 3–4; Malmberg B., The linguistic basis of phonetics. – «Manual of Phonetics», ed. by B. Malmberg, Amst., 1968; მისივე, Les domains de la phonétique, Paris, 1971; Ladefoged P., A Course in Phonetics, New York, Chicago, San Francisco, Atlanta, 1975.

ი. ქობალავა.

ᲤᲝᲜᲔᲛᲐ (< ბერძნ. phōnē- ხმა, ბგერა), გაბმული ბგერითი ნაკადის უმცირესი დისკრეტული ერთეული, რ-იც მისაწვდომია აღქმისათვის და კვალიფიცირდება როგორც ფონემის მხოლოდ კონკრეტული, ინდივიდუალური ფიზიკური რეალიზაცია მეტყველებაში. მაგ., ქართ. სიტყვაში – ლილა გვაქვს ლ ფონემის ორი კონკრეტული – $ლ_1$ (რბილი) და $ლ_2$ (მაგარი) რეალიზაცია, ანუ ორი შ. ამით შ-ები განსხვავდებიან *ალოფონებისაგან*, რ-ებიც განიხილებიან როგორც ერთი და იმავე ფონემის განსხვავებული ვარიანტები (მაგ., $ლ_1$ და $ლ_2$ როგორც ლ ფონემის ვარიანტები). *ი. ქობალავა.*

ᲤᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ (< ბერძნ. phōne – ბგერა და lógos – სიტყვა, მოძღვრება), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ბგერით მხარეს ენობრივი ფუნქციონირების თვალსაზრისით. ამ მნიშვნელობით ტერმ. „შ-ის“ ხმარების ტრადიცია მოდის პრაღის ფონოლოგიური სკოლიდან.

ფონეტიკასთან შედარებით, შ. ახალი დარგია. მის განვითარებას, ჩვეულებრივ, სტრუქტურული ლინგვისტიკის განვითარებას უკავშირებენ. მაგრამ შ-ის, ისევე როგორც საერთოდ სტრუქტურული ლინგვისტიკის, ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ლინგვისტური და ფონეტ. კვლევის ხანგრძლივი პრაქტიკა.

შ. არ ჩამოყალიბებულა როგორც ერთიანი მოძღვრება. იგი არსებობს განსხვავებული მიმდინარეობების, თეორიების სახით, რ-თაც ფონემისა და ფონოლოგიური საკითხების სხვადასხვაგვარი გაგება უდევთ საფუძვლად. მაგრამ მათ აერთიანებთ ბგერითი ფაქტებისადმი საერთო მიდგომა და ამდენად, შეიძლება საუბარი ფონოლოგიური ეტაპის შესახებ ლინგვისტური კვლევის თეორიასა და პრაქტიკაში. შ-ს აინტერესებს ბგერა არა როგორც მხოლოდ ფიზიკურ-ფიზიოლოგიური მოვლენა, არამედ, პირველ რიგში, როგორც იმ რთული ფუნქციონალური მექანიზმის ელემენტი, როგორადაც გვევლინება ენა. თუ რას ემყარებოდა ეს ახალი დისციპლინა, როგორია მისი მეთოდოლოგიური წანამძღვრები და ა. შ. ენათმეცნიერებამ ფაქტობრივად ამაზე პასუხი გასცა ფონემის ცნების შემოტანით.

ფონემის ცნებამ ფართო გავრცელება პოვა ენათმეცნიერებაში, მაგრამ პასუხი კითხვაზე – რა არის ფონემა, ერთგვაროვანი არ არის. მიუხედავად ამისა, განსხვავებულ ფონოლოგიურ მიმდინარეობებს მაინც აქვთ საერთო, რის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება ვილაპარაკოთ ფონოლოგიურ ეტაპზე ლინგვისტური კვლევის თეორიასა და პრაქტიკაში. სახელდობრ, ფონემის ცნება ძირითადი კონცეფცია ემყარება დებულებას, რომ ფონემა არ არის ბგერა. ფონემები ბგერებისა და ბგერითი მიმართულებების ლინგვისტური თვალსაზრისით განხილვის შედეგად დადგენილი ერთეულებია. იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს სათანადო კვლევა, როგორია ის ზოგადი წანამძღვრები, რ-თა შესაბამისადაც ხდება ამ ამოცანის დასმა. მათი გაღაწყვეტა და ა. შ., განსხვავებულია ფონემის გაგებაც სხვადასხვა თეორიაშიც. ეს თეორიებია: მენტალისტური (ფსიქოლოგიური) – ფონემა გაგებულია როგორც ბგერის შესაბამისი რაიმე სახის ფსიქიკური რეალობა; ფიზიკური – ფონემა გაგებულია როგორც ბგერითი ტიპი, ბგერითი ნორმა ან ბგერათა ჯგუფი; მორფემატული – ფონემა გაგებულია როგორც ერთი და იმავე მორფემის შემადგენელი მინიმალური განმასხვავებელი ერთეული; ფუნქციონალური – ფონემა გაგებულია როგორც დისტინქციური ოპოზიციის წევრი, დიფერენციულ ნიშანთა ერთობლიობა; ფიქციის (მიკრო- და მაკროფონემების) – ფონემა გაგებულია როგორც ექვრისტიკული, ანუ პრაგმატული ფიქცია, შემოტანილი ენაში არსებული ფონოლოგიური მიმართებების აღსაწერად; გლოსემატური – ფონემა გაგებულია როგორც აბსტრაქტულ მიმართებათა სისტემის ელემენტის ფონეტიკური რეალიზაცია.

ლინგვისტური (ფუნქციონალური) პროცედურები, რ-ებიც გამოყენებულია ფონოლოგიურ კვლევაში, არის გაბმული სამეტყველო ნაკადის სეგმენტაცია და ბგერათა ფონემური იდენტიფიკაცია. მაგრამ კვლევის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ მეთოდების გამოყენება ფაქტობრივად ემყარება ენის მატარებელთა (ან მკვლევართა) ფონემურ ინტუიციას (იხ. *ფონემა*). აღნიშნული ფაქტი ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ განსხვავებული აღმოჩნდა მის მიმართ დამოკიდებულება. საკითხი ეხება იმას, დარჩეს ეს ფაქტი პრეფონემური ანალიზის დონეზე, თუ ექსპლიციტურადაც აისახოს ფონოლ. კვლევის თეორიასა და პრაქტიკაში. პასუხი ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მარტივი ჩანს. რამდენადაც ენის შესწავლა ნიშნავს მისი, როგორც მოქმედი ფუნქციური სისტემის შესწავლას, ამ თვალსაზრისით ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია კვლევური, რაც ამ ფუნქციონირებას ემსახურება. საჭიროა, რომ ენათმეცნიერული მეთოდებიც ადეკვატურად ასახავდეს საკვლევ ობიექტს.

ფონოლოგიურმა კვლევამ უდიდესი როლი შეასრულა ენათმეცნიერებაში სტრუქტურული თვალსაზრისის დამკვიდრებაში, მაგრამ, თუ ერთი მხრივ, შ. ვითარდებოდა ზოგადლინგვისტურ თეორიებთან მიმართებით, მეორე მხრივ, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ფონეტიკასთან. ეს ორი დარგი არა მხოლოდ ამდიდრებდა ერთმანეთს პრობლემატიკით, არამედ განსაზღვრავდა ერთმანეთის განვითარებას. სწორედ ამან შეამზადა ნიადაგი ფონეტიკისა და შ-ის გაერთიანებისათვის ბგერითი მხარის შესასწავლად ერთ ლინგვისტურ, ფუნქციურ მეცნიერებად (იხ. *ფონეტიკა*).

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; შარაძენიძე თ., ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერა ზ. პარისის მიხედვით. – «თანამედროვე და ზოგადი მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», I, თბ., 1966; Сепир Э., Язык. Введение в изучение речи, М.–Л., 1934, Щерба Л. В., Русские гласные в качественном и количественном отношении.– «Избранные работы по языкознанию и фонетике», т. I, Л., 1958; მისივე Субъективный и объективный методы в фонетике, იქვე; მისივე, Фонетика французского языка, изд. 4-е, М., 1958; Бодуэн де Куртенэ И. А., Избранные труды по общему языкознанию, т. I, II, М., 1963; Тезисы Пражского лингвистического кружка. – В. А. Звегинцев, История языкознания XIX–XX веков в очерках и извлечениях, ч. II, М., 1965; Леонтьев А. А., О «префонологических тождествах». – «Исследования по фонологии», М., 1966; Климов Г. А., Фонема и морфема, М., 1967; Блумфилд Л., Язык, пер. с англ., М., 1968; Зиндер Л. Р., Фонология и фонетика.– «Теоретические проблемы советского языкознания», М., 1968; მისივე, К проблеме фонемы и фонологии. – «Изв. АН СССР. ОЛЯ», т. XI, вып. 5, 1952; Реформатский А. А., Проблема фонемы в американской лингвистике. – «Из истории отечественной фонологии», М., 1970; Hjelmslev L., Über die Beziehungen der Phonetik zur Sprachwissenschaft. – «Archiv für vergleichende Phonetik» II, H. 3, 4, 1938; მისივე, La stratification du language. – «Word». v. 10, №2–3, 1954; Martinet A., Un ou deux phonems, v. I, №2, 1939; Bloch B. A., A set of postulates for phonemic analysis, v. 24, №1, L., 1948; Fisher-Jorgensen E., Remarques sur les principes d'analyse phonémique. – TCLC, v. 5, 1949; მისივე, On the definition of phoneme categories on a distributional basis. – «Acta Linguistica», v. 7, fasc. 1–2, 1952; Harris Z. S., Methods in structural linguistics, Chicago, 1951; Jones D., The phoneme: its nature and use, Cambridge, 1956; Hoijer H., Native Reaction as a criterion in linguistics, Oslo, 1957; Jacobson R., On the identification of phonemic entities. – «Selected writings, I, 's-Gravenhage, 1962; Halle M., On the bases of phonology. – «The structure of language. Readings in the philosophy of language» ed. by J. A. Fodor, J. J. Katz, New Jersey, 1965; Malmberg B., The linguistic basis of phonetics. – «Manual of phonetics», ed. by B. Malmberg, Amsterdam, 1968; Hockett Ch. F., A system of descriptive phonology. – «Readings in linguistics». The development of descriptive linguistics in America since 1925 Ed. by Martin Joos, New York, 1958; Sapir E., Sound patterns in language, იქვე; Twaddell W F., On defining the phoneme, იქვე. *ი. ქობალავა.*

ფორმანტი (ლათ. formans, ნათ. ბრ. formantis – წარმომქმნელი), I. იგივეა, რაც *აფიქსი*, სიტყვის შემადგენელი ელემენტი, რ-იც დაერთვის (აფორმებს) ფუძეს და ცვლის სიტყვის გრამატ. ან ლექსიკურ მნიშვნელობას, რის მიხედვითაც გამოიყოფა ფუძის მაწარმოებელი (დერივაცია) და სამიმართებო, სინტაქსური დამოკიდებულების აღმნიშვნელი (იხ. *ფლექსია*) შ-ები.

2. როული სუფიქსი, რ-იც მიღებულია დერივაციული და სამიმართებო (ფლექსიური) აფიქსების შერწყმით. *ბ. ჯორბენაძე.*

ფოჩხუა ბიძინა არსენის ძე (28. IX. 1916, ქუთაისი, – 10. II. 1981, თბილისი), ენათმეცნიერი, ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველურ ენათა სპეციალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1975). 1939 დაამთავრა თსუ



ბ. ფოჩხუა.

ფილოლ. ფაკ-ტი. 1942-იდან თსუ-ში კითხულობდა ჯერ ზოგადი ენათმეცნიერების, შემდეგ კი ქართ. ენის ლექსიკოლოგიის კურსს. 1942-იდან მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტში; იკვლევდა ენათმეცნ. თეორიის, ქართ. და ქართველურ ენათა ფონეტ.-გრამატ. სტრუქტურისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს.

ფ. მონაწილეობდა ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის მომზადებაში (VIII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი), რისთვისაც, სხვა რედაქტორებთან ერთად, მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). მისი თაოსნობით შედგენილ იქნა ქართ. ენის *ინვერსიული ლექსიკონი* (1967). ფ. ხელმძღვანელობდა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა სიმფონიის შედგენას თსუ ვაჟა-ფშაველას კაბინეტში. 1970-იდან მუშაობდა ქართ. ენის *იდეოგრაფიული ლექსიკონის* შესადგენად. შეიმუშავა იდეოგრაფიული ლექსიკონის საკუთარი სქემა და ამ სქემის მიხედვით დაამუშავა ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის მთელი მასალა. გარდა ამისა, მან მოასწრო გაემდიდრებინა სამი დიდი დარგის (არაცოცხალი ბუნება, მცენარეები, ცხოველები) ლექსიკა იმ მასალით, რ-იც არ იყო შესული განმარტებით ლექსიკონში. ეს მასალა გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ (1987). მასვე ეკუთვნის მონოგრაფია ქართული და ზოგადი ლექსიკოლოგიის საკითხებზე: „ქართული ენის ლექსიკოლოგია" (1974).

თ. შარაძენიძე. ლ. აბულაძე.

ფრაზა (< ბერძნ. phrasis – გამოთქმა, გამოთქმის ხერხი), 1. მეტყველების ძირითადი ერთეული, რ-იც გამოხატავს დასრულებულ (დამთავრებულ) აზრს. ფ-ის მთლიანობას ქმნის მელოდიკურ-ინტონაციური მახასიათებლები და გარკვეული სინტაქსური სტრუქტურა (ფ. შეიძლება დაემთხვეს წინადადებას, მაგრამ მელოდიკურმა მახასიათებლებმა შესაძლოა ფ-დ აქციონ სიტყვათა ისეთი თანამიმდევრობაც, რ-იც არ არის გაფორმებული სინტაქსურად როგორც წინადადება). ამ აზრით, ფ. შედგება ერთი ან რამდენიმე სინტაგმისაგან (იხ. *სინტაგმა*). ერთსინტაგმიან ფ-ში სინტაგმისა და ფ-ის მელოდიკური ცენტრი და მახვილი თანხვდება; მრავალსინტაგმიან ფ-ში კი – ფ-ის მახვილის ფუნქციას ასრულებს ერთ-ერთი, შინაარსობრივად ყველაზე მნიშვნელოვანი სინტაგმის მახვილი (იხ. *მელოდიკა*).

2. სტრუქტურის ელემენტი, სტრუქტურული იერარქიის ნაწილი, რ-იც მოკლებულია წინადადების სუბიექტურ-პრედიკატულ სტრუქტურას და თავსდება სიტყვასა და წინადადებას შორის. ამ მნიშვნელობით განსხვავებულია: ა დ ვ ე რ ბ ი ა ლ უ რ ი (გ ა რ ე მ ო ე ბ ი თ ი) ფ. („ძალიან ნელა"), ა დ ი ე ქ ტ ი უ რ ი (ზ ე დ ს ა რ თ ა უ ლ ი) ფ. („მარტივი და გამოსაყენებელი"), პრეპოზიციური (ქართ. *თანდებულიანი*) ფ. („ხესთან", „მაგიდაზე") და ა. შ.

3. გამონათქვამი, რ-ის ელემენტებიც დაკავშირებული არიან ერთ ან მრავალ კოორდინირებულ პრედიკატთან (ა. მარტინე). იყო ცდები „გამონათქვამი" და „ფ." სინონიმურად ეხმარათ. მაგრამ არის განსხვავებული მიდგომაც – ფ., როგორც ენის ერთეული, დაუპირისპირონ გამონათქვამს, როგორც მეტყველების ერთეულს.

4. ნებისმიერი მელოდიკურ-შინაარსობრივი მთლიანობა ორ პაუზას შორის. ამ შემთხვევაში ფ-ის ცნება ემთხვევა სინტაგმის ცნებას.

5. ფ-ს ხმარობენ წინადადების მნიშვნელობითაც.

ტრანსფორმაციულ გრამატიკაში ფ. გამოყენებულია უფრო ფართო მნიშვნელობით – როგორც ზოგადი დახასიათების ნაწილი ანალიზის ადრეულ სტადიაზე.

ლიტ.: Пешковский А. М., Русский синтаксис в научном освещении, М., 1956; Щерба Л. В., Фонетика французского языка, М., 1963.

ი. თევდორაძე.

ფრაზეოლოგიზმი, *იდიომი*, განუყოფელი ლექსიკური ერთეული, რ-იც ფორმით ჩვეულებრივ შესიტყვებას ემთხვევა, მნიშვნელობით კი – სიტყვას. ფ-ის ცალკეულ კომპონენტებს, რ-ებიც ფორმით სიტყვებს ემთხვევიან, დამოუკიდებლად არა აქვთ მნიშვნელობა, მნიშვნელობის მატარებელია მთელი გამოთქმა ერთად აღებული, მაგ., გული მოუვიდა – „გაბრაზდა", თვალს წყალი დაალევინა – „გაერთო", კუდით ქვა ასროლინა – „დაამარცხა", კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – „მარცხი განიცადა", პილატეს ცრემლები – „არაფერი", ჯოჯოხეთის მაშხალა – „უშნო, მახინჯი", კალმით ნახატი – „ლამაზი, მშვენიერი" და სხვა. ამიტომ პრინციპულად მისაღებია ასეთი განსაზღვრაც: ფ. (იდიომი) არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რ-ის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. სამაგიეროდ, ლიტ-რაში (განსაკუთრებით ლექსიკონებში) ფართოდ გავრცელებული განსაზღვრა – იდიომი (ფ.) არის ისეთი გამოთქმა, რ-იც სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება – მიუღებელია, რადგანაც ზოგი იდიომი ერთი ენიდან მეორეზე სიტყვასიტყვით ითარგმნება. ამავე დროს, გამოთქმა, რ-იც არ ითარგმნება ერთ რომელიმე ენაზე, ხშირად ითარგმნება მეორეზე და ა. შ.

ა. ონიანი.

ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, *ლექსიკონი*, რ-შიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და განმარტებული ამა თუ იმ ენის *ფრაზეოლოგიზმები* (იდიომები). ფ. ლ., მსგავსად სიტყვათა ლექსიკონებისა, შეიძლება იყოს განმარტებითი ან თარგმნითი. განმარტებითია ლექსიკონი, რ-შიც მოცემული ენის ფრაზეოლოგიზმები განმარტებულია იმავე ენის სიტყვებით. ასეთია, მაგ., თ. სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი" (1950–55; 1979), ა. ონიანის „ქართული იდიომები" (1966) და სხვა. თარგმნითია ლექსიკონი, რ-შიც ერთი ენის ფრაზეოლოგიზმები თარგმნილია მეორე ენაზე (ისევ ფრაზეოლოგიზმებით ან ჩვეულებრივი სიტყვებით). ასეთია, მაგ., ნ. გამრეკელისა და ე. მგალობლიშვილის „რუსულ-ქართული იდიომატიკა" (1956), ლ. ბინოვიჩისა და ნ. გრიშინის „გერმანულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი" (მოსკოვი, 1975) და სხვ.

ა. ონიანი.

ფრჩხილები, ვერტიკალური, მიმართულებით ერთმანეთის შემხვედრი წყვილი ნიშანი. ფ. არის მრგვალი ( ) და კვადრატული [ ].

1. მრგვალ ფ-ში ჩაისმება: ა) სიტყვა, ფრაზა ან მთელი წინადადება, რ-იც განმარტავს ან აზუსტებს სათანადო წინამავალი სიტყვის, ფრაზისა თუ წინადადების მნიშვნელობას. ძირითადად დამახასიათებელია პუბლიც. და სამეცნ. სტილისათვის. მაგ.: „... გვერდით საინით (გობი) მწვადად გამოჭრილი... ხორცი ედგა" (ვაჟა-ფშავ.); უცებ მიგიზიდავდათ ჭკვიანური

თვალებით (მის თვალებს ღღესაც აქვთ იმის უნარი). (რ. ინან.);

ბ) შ-ში ჩაისმის აგრეთვე კომენტარის ტოლფასი უცხოური (ძირითადად ლათ.) შემოკლება: (resp.), (sic!). ეს უკანასკნელი იხმარება ძახილის ნიშნით – ყურადღების გასამახვილებლად;

გ) ამა თუ იმ ლიტ. წყაროდან ციტირებისას, ილუსტრაციის მოყვანისას შ-ში ჩაისმის ავტორის გვარი, ნაწარმოების სათაური, გამოცემის დრო და ადგილი, გვერდი, სტრიქონი;

დ) ცალი, მარჯვნივ გასწორებული ფრჩხილი ახლავს ჩამონათვალის პუნქტების აღმნიშვნელ ციფრებს ან ასოებს: 1), 2), – ა), ბ) – ეს წესი გარისხვევებს თანამედროვე ქართულს დასავლეთის ქვეყნებში (განსაკუთრებით აშშ-ში) მიღებული წესისაგან, რ-იც გულისხმობს განსახილველი საკითხების ან ილუსტრაციების ნუმერაციას ორხმრივი შ-ის მეშვეობით: (1), (2), –

2. კვადრატულ შ-ში ჩაისმის: ა) ლიტ. წყაროდან დამოწმებულ ილუსტრაციაში მაციტირებლის მიერ აზრის სიცხადის ან დასკვნების მიზნით აღდგენილი სიტყვა ან მისი ნაწილი თუ მთელი გამოთქმა. ეს წესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ლექსიკოგრაფიული პრაქტიკისათვის. მაგ.: „[სამხედველო] ნერვი რომ გადაიჭრას, კაცი მაშინ ვეღარაფერს დაინახავს“ (ი. გოგებაშვილი);

ბ) კვადრატულ შ-ში შეიძლება ჩაისვას აგრეთვე განმარტებული სიტყვის წარმომავლობა და ეტიმოლოგია. მაგ., ვექსილი [გერმ. Wechsel რუს. ენის მეშვეობით];

გ) ქართ. ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში კვადრატულ შ-შია მოქცეული შემდგენელთა კვალიფიკაციები ამა თუ იმ ვარიანტის აკრძალვის მისანიშნებლად. მაგ., [ჯადი კი არა] მჭადი.

შ. აფრიდონიძე.

შსალმუნი (ბერძნ. psalmos), დავითი, დავითნი, ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი. ქართულად შ. ეწოდება ამ წიგნში შეტანილ ცალკეულ საგალობლებსაც. ებრაული შ-ის ავტორობა, ებრ. და ქრისტ. ტრადიციით, ისრაელის მეფე დავითს (ძვ. წ. XI ს.) ან მასთან დაკავშირებულ პირებს მიეწერება. სინამდვილეში შ. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებათა გამო შექმნილ ნაწარმოებთა კრებულია, რ-ის უძველესი ნაწილი ძვ. წ. X ს. განეკუთვნება და ხშირად კოლექ. უფრო ძველ, პოლითეისტურ ქანაანურ რელიგიურ კონცეფციათა კვალს შეიცავს. გვიანდელი ნაწილები ბაბილონში ტყვეობის (ძვ. წ. VI ს.) შემდეგდროინდელია. კუმრანის (მკვდარი ზღვის) ტექსტების აღმოჩენის შემდეგ გაირკვა, რომ ძვ. ებრ. შ. შინაარსითა და მოცულობით განსხვავდება იმ კრებულისაგან, რ-იც საბოლოო რედაქტირების შემდეგ შეიტანეს ებრ. ძველ აღთქმაში. ებრ. შ-ში 150 საგალობელია, ბერძნულსა და ზოგიერთ სხვაში, მ. შ. ქართულშიც, – 151. ფსალმუნების ნუმერაციაც თარგმანებში განსხვავებულია. ებრ. შ-ში ტექსტი დაყოფილია 5 წიგნად. ფორმითა და შინაარსით ის ძვ. აღმოსავლეთის, განსაკუთრებით კი – ქანაანური პოეზიის, ტრადიციებით შეპირობებულ კანონებს მისდევს, რაც კარგად გამოჩნდა უგარიტული ტექსტების აღმოჩენის შემდეგ (XX ს. 30-იანი წლები). თარგმანები ტექსტუალურად ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც აიხსნება არა მარტო ებრ. დედნის განსხვავებული რედაქციების არსებობით, არამედ ებრ. არქაული პოეტური ენის სირთულითაც. ებრ. შ-ს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ებრ. ლიტურგიისათვის. აღრინდელ ქრისტ. ეპოქაშიც ლიტურგია უმთავრესად ფსალმუნთა გალობისაგან შედგებოდა. ამიტომ შ. ერთ-ერთი ქვესტაზე ადრე ნათარგმნი წიგნია ქვესტაგან, სადაც კი ქრისტიანობა შედიოდა. საქართველოში შ. თარგმნილი უნდა იყოს არა უგვიანეს IV–V სს. [მასზე მითითება გვხვდება „შუშანიკის წამებაში“, „ხანმეტ ლექციონარში“ (VI–VII სს.), 964 გადაწერილ „სინურ მრავალთავში“, 978 გადაწერილ ოშკის ბიბლიაში]. შ-ის შემორჩენილი უხვი ხელნაწერები IX–XI სს-აა. ბოლო ხანებამდე ცნობილი იყო 5 ასეთი ხელნაწერი. ამჟამად მათ ემატება სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 აღმოჩენილ ხელნაწერთა ახალი კოლექციის 3 ხელნაწერი. მათ შორის არსებული ტექსტუალური სხვაობები მიანიშნებენ განსხვავებული რედაქციული ფენების არსებობას, რ-თა შესახებაც ისტ. ცნობები არ მოგვეპოვება. XI ს. შემდეგ ქართ. საეკლესიო პრაქტიკაში ძვ. ტექსტი შეცვალა გიორგი მთაწმიდლის ხელიდან გამოსულმა. გიორგისეული შ-ის ნუსხები მრავლადაა, მაგრამ ადრეულები, XI–XII სს-ისა, იშვიათია. გიორგის ნამუშაკევს ადრევე დაუმსახურებია საყოველთაო აღიარება და საეკლესიო პრაქტიკაში მიღებულ ეულგატად ქცეულა. გიორგისეული შ. შედის მრავალრიცხოვან საეკლესიო (ხელნაწერ თუ დასტამბულ) გამოცემებში. პირველი მეცნ. გამოცემა (ძვ. რედაქციებთან ერთად) 1960 დაიბეჭდა.

შ. ქართ. წყაროებში ხშირად მოიხსენება როგორც დაითნი ან დაითი („შუშანიკის წამებაში“, გიორგი მთაწმიდლის „ანდერძში“ და სხვ.), ტრადიცია, რ-ის მიხედვითაც ეს სახელი გულისხმობს დაითის ავტორობას, კარგად არის ცნობილი ძვ. ქართ. სას. მწერლობაში. საერთო რაოდენობა ფსალმუნებისა ძვ. რედაქციებში არის 150 ან 151; პირველი რიცხვი უფრო ძველი ტრადიციის ამსახველია; გიორგი მთაწმიდლის ნარედაქციე ტექსტში ყოველთვის 151 არის. ფსალმუნთა სათავალავი უკლებლივ ყველგან ქართულში მისდევს ბერძნულს; ქართულში შ., როგორც ბერძნულში, ნაწევნები არ არის ფსალმუნთა დაყოფა 5 წიგნად; მათი სათაურები („ხედა წარწერილები“) ძვ. ნუსხებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ხშირად გვხვდება ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციები, რ-ებიც ებრაულ დედანში არ არის. ისინი, ნეულებრივ, ქრისტ. ეგზეგეტიკური ლიტ-რიდან არის შემოტანილი. მუხლობრივი დაყოფა განსხვავებულია ძვ. რედაქციებსა და გიორგისეულ ტექსტში. ძვ. რედაქციებში 2900 მუხლია; გიორგისეული ტექსტის დამუხლება თანხვდება ბერძნ. დამუხლების გვიანდელ ტიპს, რ-იც ცნობილია ე. წ. „კონსტანტინოპოლური დაყოფის“ სახელით. მისი ერთ-ერთი პირველი ნიმუშია „უსპენსკის ფის“ სახელით ცნობილი ბერძნული ხელნაწერი (862). გიორგისეულ ტექსტში, ისევე როგორც „უსპენსკის შ-ში“, 4782 მუხლია. განსხვავება ძვ. რედაქციებსა და გიორგისეულ შ-ს შორის კანონებად დანაწილებაშიც ჩანს. კანონთა რაოდენობა ერთგვარია: ყველგან არის 20 კანონი, ანუ ერთ ჯერზე წასაკითხავი მონაკვეთი შ-ის ტექსტისა; მაგრამ ფსალმუნთა განაწილება კანონებში განსხვავებულია: 20 კანონიდან ერთნაირია

მხოლოდ 7. პირველ დაკოფას ძვ. წყაროები, ნეგულებრივ, „ქართულს" უწოდებენ, თუმცა წარმოშობით იგი ქართული არ ჩანს. კანონებად დაყოფის მიხედვით ქართ. შ-ის ყველა რედაქცია განსხვავდება სომხურისაგან, რ-შიც ძველთაგანვე ტექსტი დაყოფილია 8 კანონად. ქართ. შ-ის ხელნაწერებს, ნეგულებრივ, ერთვის „გალობები" – ამონაკრები სხვადასხვა ბიბლ. წიგნიდან. ყველა ქართ. რედაქციაში წარმოდგენილია ე. წ. „ახალი რიცი", რ-შიც 9 გალობა შედის. ძვ. ტიპი გალობებისა, – 14 გალობა – ქართ. წყაროებში არ ჩანს.

ქართ. შ-ის ძვ. ვერსიების თარგმნის ისტორიის შესწავლა მეტად რთული პრობლემაა. ძვ. ვერსიების ტექსტში გარკვევით მოჩანს ორი სხვადასხვა მთარგმნელობითი ტრადიცია – ბერძნ. და სომხ.-სირიული. იყო ცდაც, ძველი ქართ. თარგმანი უშუალოდ ებრაულიდან მომდინარეც ყოფილიყო მინერული, მაგრამ თანამედროვე კვლევის დონეზე ეს ჰიპოთეზა არ დასტურდება. ტექსტში ყველაზე მკვეთრად ჩანს ბერძნულის გავლენა, მაგრამ ყოველთვის არ ხერხდება გარკვევა, უშუალოა იგი თუ სხვა თარგმანის მიერ გაშუალებული, რამდენადაც ბერძნულის გავლენა გარკვევით შეიგრძნობა სომხ. შ-შიც. ბოლო ხანებში საკმაოდ დამაჯერებლად იყო წამოყენებული ჰიპოთეზა ქართ. ბიბლ. წიგნებისათვის თავდაპირველ წყაროდ საზოგადოდ ბერძნ. დედნების გამოყენება (კ. დანელია). აშკარად გამოხატული არმენიზმები, რ-ებიც შესაძლებლად ხდიდა შ-ის ძვ. ვერსიების პირველწყაროდ სავარაუდოდ დასახელებულიყო შ-ის ძვ. სომხური, აღ დაკარგული თარგმანი (მ. შანიძე, 1979), კვლევის დღევანდელ სტადიაზე შეიძლება პირვანდელი, ბერძნულიდან შესრულებული პროტოტექსტის მეორეული რედაქტირების შედეგად მივიჩნიოთ. ამრიგად, ძვ. თარგმანები წარმოგვიჩენს შერეულ ტექსტს, რ-შიც გამოიყოფა სხვადასხვა რედაქციული ფენა. სტრქომეტრიისა (მუხლობრივი დაყოფისა) და სხვა მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ X ს. ხელნაწერების ნეგენამდე მოღწეულმა ტექსტმა საბოლოო სახე VIII ს-ში მიიღო. ამასვე ადასტურებს მათში შემორჩენილი ჰაემერი ფორმები. გიორგი მთაწმიდლის ტექსტს, რ-საც თავის „ანდერძში" იგი თარგმანის უწოდებს, საფუძვლად ძვ. ქართ. თარგმანი უდევს. მრავალი ბერძნ. ხელნაწერისა და კომენტარის შეჯერების საფუძველზე გიორგიმ საფუძვლიანი რედაქცია გაუკეთა ტექსტს. ეფრემ მცირის ცნობის მიხედვით, გიორგის შ. ორჯერ უთარგმნია, რადგან პირველი ვარიანტი ჯერ კიდევ ახლოს ყოფილა ძველ ვერსიებთან. გიორგისეული ტექსტის შემცველი ხელნაწერების თითქმის აბსოლუტური იდენტურობა მოწმობს, რომ ჩვენამდე მოღწეულია მისი მეორე, საბოლოო ვარიანტი. გიორგის ტექსტში თითქმის მთლიანად ამოღებულია ძვ. ვერსიების ის იკითხვისები, რ-ებიც სომხ.-სირიულ ტრადიციას მიჰყვება. გიორგისეულ რედაქციას საფუძვლად უდევს გარკვეული ტიპის ბერძნ. ტექსტი, რ-იც შედარებით გვიანდელ ხელნაწერებშია დაცული; ზოგიერთ შემთხვევაში ქართ. თარგმანში ტექსტი ლუკიანესეული რეცენზიისათვის დამახასიათებელ იკითხვისებს ატარებს. გიორგისეული ტექსტი არ არის სრულიად ახალი თარგმანი; იგი წარმოადგენს ძვ. „ქართული დავითნის" საფუძვლიანი, დაწერილებითი რედაქციის შედეგს.

არსებობს თანამედროვე ქართ. თარგმანი შ-ისა, შესრულებული იცხაკ მამისთვალოვის მიერ. იგივე თარგმანი უდევს საფუძვლად შ-ის ტექსტს ახალ ქართულად დაბეჭდილ ბიბლიაში (1989). იგი თარგმნილია ებრ. დედნიდან და მრავალ შინაარსობრივ სხვაობას აჩვენებს ძვ. ქართ. თარგმანებთან შედარებით.

ლიტ.: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X–XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა მზექალა შანიძემ, I. ტექსტი, თბ., 1960; შანიძე მ., შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა. – «თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», II („საიუბილეო"), თბ., 1968; მისივე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979; დანელია კ., რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან. – იხ. მისი: ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბ., 1998.

მ. შანიძე.

ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ, *სტილისტიკის* დარგი, რ-იც აელვენს და იკვლევს საერთო ენის სტილისტიკურ სტრუქტურას (ფუნქციურ სტილებს). იგი არ უგულებელყოფს სტილისტიკურ რესურსებს, მაგრამ ენობრივ ერთეულებს განიხილავს არა როგორც ენაში მუდმივად შეფერილ ელემენტებს (მორფემებს, სიტყვებს, სიტყვათა შეხამებებს), არამედ როგორც ფუნქციური დანიშნულების მქონე დინამიკურ ენობრივ საშუალებებს, რ-თა გამოყენებაც შეპირობებულია გამონათქვამის შინაარსით, კომუნიკაციის მიზნებით, ტიპებით, სიტუაციებითა და სხვ., ანუ შეპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, მ. შ. მეტყველის მიმართებით მსმენელთან. ამ მიმართებას გამოხატავს, ინტერაქციის ფუნქცია, რ-იც ითვალისწინებს ადრესატის პიროვნებას, კოლექტ. ადრესატის ხასიათს, რამდენადაც ადრესატი, გარდა იმისა, რომ ინფორმაციის მიწოდების ობიექტია, დარწმუნების, გაფრთხილების, მაროვის, ინსტრუქტირებისა და, საერთოდ, ზემოქმედების ობიექტიც არის. განსხვავებულია, მაგ., სამეცნ. და საგაზეთო-პუბლიც. სტილთა ადრესატები. ეს განსხვავება რაოდენობრივიცაა და თვისებრივიც. მაგ., სამეცნ. ურთიერთობა იმ პირთა შორის მიმდინარეობს, რ-თაც საერთო შეხედულებები და ცოდნის საერთო სფერო აქვთ. ადრესანტიცა და ადრესატიც – ორივე მეცნიერია. ამ ურთიერთობის ეფექტურობა დამოკიდებულია საერთო დენოტაციურ ცოდნასა და შესაბამისი სამეტყველო სტილის ფლობის ხარისხზე, მაშინ როდესაც, მასობრივი კომუნიკაციის ადრესატი (აქ – გაზეთის მკითხველი) მასობრივიც არის და დისპერსიულიც: იგი მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა რანგის რთული სოც. შედგენილობისაა და ერთგვაროვან მცირე ჯგუფზე, ანუ, პირობითად, ერთ ადრესატზე მისი დაყვანა შეუძლებელია. განსხვავებულ (პერსონალურ თუ მასობრივ) ადრესატზე ორიენტაცია მეტყველების განსხვავებულ ფუნქციურ-სტილურ თავისებურებებს წარმოქმნის.

ქართ. სალიტ. ენას ხუთი მთავარი სტილი აქვს – 4 წიგნური: ოფიც.-საქმიანი, სამეცნიერო, პუბლიცისტური, მხატვრული და მათთან შეფარებით მკვეთრად დაპირისპირებული – სასაუბრო-ყოფითი. წიგნური და სასაუბრო სტი-

ლებისათვის დამახასიათებელია განხორციელების ორიენ ფორმა – წერილობითიცა და ზეპირიც. ზეპირი სფერო წარმოდგენილია სასაუბრო და საჯარო მეტყველებით. ეს უკანასკნელი სალიტ. ენის ზეპირი ფორმაა, სასაუბრო მეტყველება კი შეიძლება იყოს როგორც კოდიფიცირებული (სალიტ.-სასაუბრო), ისე არაკოდიფიცირებული (ხალხური მეტყველება, ტერიტ. და სოც. დიალექტი). ზეპირ კოდიფიცირებულ ფორმებს – საჯაროსა და სასაუბროს – აქვთ მსგავსი და განსხვავებული მახასიათებლები. მსგავსება ვლინდება იმით, რომ ორივე უპირისპირდება ენის წერილობით ფორმებს, მაგრამ ორივეს ახასიათებს სალიტ. ენის ძირითადი ნიშნები: ზედიალექტურობა, მდგრადობა, ნორმატიულობა და პოლიფუნქციურობა. განსხვავებას მათ შორის ქმნის საკომუნიკაციო ფუნქცია, ურთიერთობის თემა, სამეტყველო სიტუაცია და სხვ. ზეპირ საჯარო მეტყველებას (მოხსენება, ლექცია, გამოსვლა, კონსულტაცია...) მიმართავენ მაშინ, როცა თემა ინტელექტუალისებული და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია, მიზანი – შეტყობინება და ზემოქმედებაა, ხოლო ადრესატი – აუდიტორია.

ზეპირი მეტყველების არაკოდიფიცირებული ფორმაც შეიძლება იყოს წერილობით ასახული (ყოფითი, არაოფიციალური მიმოწერა, პერსონაჟის საუბარი). სალიტ.-სასაუბროსგან განსხვავებით, ივი შესწავლილია როგორც საურის თემატიკით, ისე სამეტყველო სიტუაციით – გამოიყენება მხოლოდ ყოფაში და ხასიათდება ფამილიარობით, თავისუფლებითა და წარმოთქმის დაუდეგრობით.

ფუნქციურ სტილებს, გარდა წერილობითი და ზეპირი ფორმებისა, ჟანროზრიცი მრავალფეროვნებაც ახასიათებთ. მაგ., სამეცნ. პროზის პირველადი ჟანრებია: მონოგრაფია, სტატია, რეცენზია, სახელმძღვანელო, ლექცია, მოხსენება, საინფორმაციო ცნობა, დისერტაცია, სამეცნ. მუშაობის ანგარიში. მეორეულ ჟანრებს განეკუთვნება ტექსტები, რ-ებიც უკვე არსებული ოხსულებების მიხედვითაა შედგენილი: რეფერატი, ანოტირატი, კონსპექტი, თესისები, ანოტაცია. ზემონამოთვლილ სამეცნ. ნაშრომთა მეტყველებით-ტექსტობრივი სტრუქტურები შესაბამისი ჟანრების კანონებს ემორჩილება და, ამდენად, სამეცნ. ფუნქციური სტილი (ისევე როგორც ოფიციალურ-საქმიანი და პუბლიცისტური) რთულ კომპოზიციურ სისტემას წარმოადგენს, სადაც ქვესტილების, ჟანრებისა და ქვეჟანრების გაერთიანების საფუძველია სამეცნ. ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ცნებით-ლოგიკური აზროვნება, გადმოცემის სიზუსტე, სიცხადე, სტანდარტიზაცია, ობიექტურობა, განზოგადებისა და განკუთვნილობისაკენ მისწრაფება. საერთო ერთი ფუნქციური სტილის ფარგლებში ქმნის სტილურ ხასიათს, ხოლო განსხვავებული ამაეე ფარგლებში დანაწევრების საფუძველს იძლევა.

არსებობს განსხვავებული შეხედულება მხატვრული ლიტ-რის ენის ადგილის შესახებ სალიტ. ენის სტილისტიკურ სტრუქტურაში. საკითხი ასე დგება: განეკუთვნება თუ არა მხატვრული ენა ფუნქციურ სტილთა კატეგორიას? მკვლევართა ერთი რიგი ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს, რასაც იმით ასაბუთებს, რომ ესთეტიკური ფუნქცია, რაც მხატვრული ლიტ-რის ენას აქვს, მას პრინციპულად განასხვავებს დანარჩენ სტილთაგან, რ-თა ფუნქციებიც მხოლოდ საკომუნიკაციო ფუნქციის მოდიფიკაციებია (ამიტომ ფუნქციურ სტილებს ზოგჯერ საკომუნიკაციო სტილებსაც უწოდებენ). ენა მხატვრულ ლიტ-რაში არა მარტო ასრის ფორმაა, არამედ მხატვრული სახის ელემენტიც. ენობრივი ფაქტების შერჩევასა და დაჯგუფებას აქ განაპირობებს ესთეტიკური მიდგომა, რის გამოც ეს ფაქტები ხელოვნების ფაქტებად იქცევა და ისინი მხატვრულობის კრიტერიუმებს ექვემდებარება. მხატვრული ლიტ. ნაწარმოები თვითკმარი ესთეტიკური ღირებულების მქონე მთლიანი და შედარებით ავტონომიური ობიექტია, რ-ის ანალიზიც შეუძლებელია მხოლოდ ენობრივი სისტემის ფარგლებში, ლინგვოსტილისტიკის ცნებები და კატეგორიები საკმარისი არ არის ენობრივი მასალის მხატვრული ფუნქციების გამოსავლენად. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ მხატვრული ლიტ-რის ენა „მრავალსტილებრივია", მასში ქვეყა სტილის ელემენტები მონაწილეობენ; იგი იმეორებს საერთო ენის სტილისტიკურ სტრუქტურას, რ-იც აქ მხატვრულად ტრანსფორმირებული და განზოგადებულია. სწორედ ამით უპირისპირდება იგი ენობრივი მოქმედების ქვეყლა სხვა სახეობას. ამიტომ მხატვრული მეტყველების ენა განხილული უნდა იყოს არა როგორც „სტილი", არამედ როგორც მხატვრული ლიტ-რის ენა, რ-საც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სალიტ. ენის შემადგენლობაში. საპირისპირო თვალსაზრისი მას მაინც მიიჩნევს სტილად, მიუხედავად იმისა, რომ მისი გათანაბრება არც ერთ „არამხატვრულ" სტილთან არ შეიძლება. იგი სტილია, თუმცა არა ჩვეულებრივი და რიგითი, არამედ უფრო მაღალი: ესთეტიკურ-კომუნიკაციური მხატვრულობა არის მისი სტილური ნიშანი, რ-ის მიხედვითაც შეიძლება ქვეყლა ლიტ. ტექსტის იდენტიფიცირება და ამოცნობა.

ზემოთქმულის გამო, სტილისტიკაში არსებობს სფერო, რ-იც მხატვრული ლიტ-რის მეტყველებას სწავლობს. ლინგვოსტილისტიკისაგან განსხვავებით, მას ლიტერატურათმცოდნეობით სტილისტიკას უწოდებენ. ამ ორი სტილისტიკის ურთიერთმიმართების საკითხი თითქმის საუკუნეა, ფილოლოგიის ერთ-ერთ კარდინალურ საკითხს წარმოადგენს ისევე, როგორც მხატვრული მეტყველების სალიტერატურო ენისათვის მიკუთვნების საკითხი. პოეტური მეტყველებისადმი ენათმეცნიერთა ინტერესს განსაზღვრავეს ის ვითარება, რომ მხატვრულ მეტყველებაში მაქსიმალურად ვლინდება ენის ქვეყლა შესაძლებლობა (მ. ბახტინი: „პოეზია თითქოს ქვეყლა ფერს წურავს ენიდან და ენა აქ საკუთარ თავს აღემატება"). ლინგვისტისათვის ამა თუ იმ მწერლის ოსტილიდის შესწავლა არის არა ხელოვნების თავისებურ ფორმათა შესწავლა, არამედ მეტყველების თავისებურ ფორმათა შესწავლა. ნაწილობრივ ამითაც შეიძლება აიხსნას ის, რომ ქართ. ენათმეცნიერებაში მწერლის ენისა და სტილისადმი მიძღვნილი ნაშრომები რაოდენობით ბევრად აღემატება ქვეყლა სხვა ხასიათისა და მიზანდასახულების სტილისტიკურ გამოკვლევებს. ამჟამად, ენათმეცნიერისათვის მხატვრული ნაწარმოები არის „ენობრივი მოვლენა", რ-იც საინტერესო მასალას იძ-

ლევა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის საკითხების შესწავლისათვის. ლიტერატურათმცოდნეობით სტილისტიკას კვლევის უფრო ფართო წრე აქვს. იგი სწავლობს არა მარტო სიტყვის, სიტყვა-ფორმის, პრედიკატული სტრუქტურისა და ა. შ. ესთეტიკურად შეპირობებულ გამოყენებას, არამედ მხატვრული თხრობის ორგანიზაციის ხერხებსაც, სადაც გამოხატულებას პოულობს „ავტორის სახე"; ამავე დროს, იგი დაინტერესებულია სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიითა და მემკვიდრეობით, სწავლობს მხატვრული ნაწარმოების, ავტორის, გარკვეული ლიტ. მიმდინარეობის ან მთელი ეპოქისათვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და სხვ. მაგრამ, ამასთანავე, იგი ეყრდნობა ლინგვოსტილისტიკური ანალიზის შედეგებს. ამიტომ მხატვრული მეტყველების სტილისტიკა ორი სტილისტიკის ურთიერთგადაკვეთისა და ინტერესის სფეროა.

ლიტ. იხ. სტატიასთან *სტილისტიკა*.

გ. კვარაცხელია.

ფუძე, სიტყვის (სიტყვა-ფორმის) ნაწილი, რ-იც რჩება დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ და რ-თანაც დაკავშირებულია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (მაგ., სიტყვაში სახლი ფ. იქნება სახლ, სიტყვაში ხატავს კი – ხატავ). აგებულების თვალსაზრისით ფ. შეიძლება იყოს მ ა რ ტ ი ვ ი (შემდგომ დაუშლელი), წარმოდგენილი ძირის სახით, და ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი (წარმოქმნილი ან რთული). წარმოების მიხედვით ფ. შეიძლება იყოს პ ი რ ვ ე ლ ა დ ი (როდესაც ფ. ერთხელ არის ნაწარმოები, მაგ., კაც-ობა) და მ ე ო რ ე უ ლ ი (როდესაც ხდება ნაწარმოები ფ-ის ხელახლა წარმოება: კაცობ-რიობა). მნიშვნელობის თვალსაზრისით არჩევენ მ ო ტ ი ვ ი რ ე ბ უ ლ და ა რ ა მ ო ტ ი ვ ი რ ე ბ უ ლ ფ-ებს. ფ. მოტივირებულია, თუ მისი მნიშვნელობა გასაგები ხდება მასში შემავალი ნაწილების მნიშვნელობით (მაგ., ფ. სიტყვისა — სა-კაც-ე მოტივირებულია, რადგანაც მისი მნიშვნელობა აიხსნება კაც- ფ-ისა და სა—ე მაწარმოებლის მნიშვნელობით: ის, რაც განკუთვნილია კაცისათვის). თუ ფ-ის ასეთი მოტივირება შეუძლებელია, მაშინ ის იქნება არამოტივირებული (მაგ., სარკმელი).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ნ. სტურუა.

ფუძეების ლექსიკონი, *სიტყვაწარმოებითი ლექსიკონი,* რ-შიც ასახულია ფუძეების მორფემული შედგენილობა და დერივაციული სტრუქტურა. ქართ. ენის ფუძეებისათვის შედგენილია ამ ტიპის შემდეგი ლექსიკონები:

	1	2	3	4	5
ნათ.	1. ნათ-ებ	ნათ-ებ-ი 0. გა ხუფ. ა. ი, უ, 0, უ	ა. გაღა. მო. შე, ნა, ნამო – 0. უ – ამო, და ხუფ. ა/0	გაღმო, შემო – √ – გამო ხუფ. ა. უ/0	მი პრეფ. ა. უ/0 2.1 ნათ-ობ: ნათ-ებ 0 0:ი 2.2 ნათ-ი: – და 0: –

1. „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი" (ავტორები გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, თბ., 1989), შედგენილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" (იხ. *განმარტებითი ლექსიკონი*) ბაზაზე. იგი წარმოაჩენს ქართ. ზმნის ფორმათწარმოების შესაძლებლობებს. ლექსიკონის პრინციპები შეიმუშავა გ. გოგოლაშვილმა. ლექსიკონში წარმოდგენილ თითოეულ ზმნურ ფუძეს ახლავს სქემა, რ-ითაც შესაძლებელი გახდა ბუდობრივ წარმოდგენილიყო ამა თუ იმ ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები ყველა ფორმა, რაც განაპირობებს თითოეული ქართ. ზმნის სრულ გრამატ. დახასიათებას. ლექსიკონში 5744 ზმნური ფუძეა შეტანილი. სალექსიკონო ერთეულად ზმნის მარტივი ფუძეა წარმოდგენილი: წერ, შენ, ხატ, ...; ერთი და იმავე მარტივი ზმნური ფუძისაგან წარმოებული ყველა ზმნისწინიანი ვარიანტი, ქცევისა თუ გვარის ფორმა ერთ სალექსიკონო სტატიაშია თავმოყრილი. ლექსიკონს დაემატა ისეთი ფორმები, რ-ებიც არ იყო შესული ქეგლ-ში (დამატებული ფორმები განსასხვავებლად მრგვალ ფრჩხილებში იქნა ჩასმული). ზმნის ფორმათწარმოებით შესაძლებლობათა უკეთ წარმოსაჩენად შემუშავდა გარკვეული სქემა, რ-ზედაც ხუთი ვერტიკალური გრაფაა: I გრაფაში წარმოდგენილია სალექსიკონო ერთეული თავისი შესაძლო ფონეტიკური ფორმებით; II გრაფაში — ზმნის აწმყომყოფადის ფუძე (სალექსიკონო ერთეულის თემის ნიშანი) — ცალკეა გამოყოფილი გარდამავალ და გარდაუვალ ფორმათა ფუძეები, ცალკე ჰორიზონტალურ რიგშია წარმოდგენილი სტატიკური ზმნების ფუძეები (აწმყოსა და მყოფადის ფუძეები); III გრაფაში — ზმნისწინები; IV გრაფაში — ვნებითის წარმოების ტიპი (პრეფიქსიანი, სუფიქსიანი თუ უნიშნო); V გრაფაში — ხმოვანი პრეფიქსები, რ-ებიც, ერთი მხრივ, გვხვდება დინამიკურ გარდამავალ თუ გარდაუვალ ზმნებთან და, მეორე მხრივ, სტატიკურ ზმნებთან (ქცევის ნიშნები):

	1	2	3	4	5
ნათ	1. ნათ-ებ	0, მო, შე, შემო, ნამო, ამო, გამო, გა, ნა	-ა		
		გა	-ა	მ – ელ	-ულ
		და	-ა	სა – ელ	-ულ
	2. ნათ	0		გ-	ნა-, სა-

2. „ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი" (ავტორები: გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, თბ., 1991), მორფოლოგიური ლექსიკონი, რ-იც ავსებს ზმნურ ფუძეთა ლექსიკონს და მთლიანობაში წარმოგვიდგენს ზმნურ ფორმათა წარმოების შესაძლებლობებს. ლექსიკო-

ნის შედგენის პრინციპები შეიმუშავა გ. გოგოლაშვილმა.

ლექსიკონში ყოველ სახელსმნურ ფუძეს ახლავს სქემა, რ-ითაც შესაძლებელი გახდა ბუდობრივ წარმოდგენილიყო ამა თუ იმ სმნის ფუძისაგან ნაწარმოები ქცევა სახელსმნური ფორმა, რაც იძლევა თითოეული ქართ. სახელსმნის სრულ გრამატ. დახასიათებას. ნაშრომი ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის საფუძველსია შედგენილი. ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია ახალგამოვლენილი მასალაც.

ლექსიკონში 5815 ფუძეა შეტანილი. სალექსიკონო ერთეულად წარმოდგენილია: სმნის მარტივი ფუძე: კეთ, შენ, ხატ.

სახელსმნის ფორმაწარმოებითი შესაძლებლობების უკეთ წარმოსაჩენად შემუშავდა სქემა, რშედაც ხუთი ვერტიკალური გრაფაა. I გრაფაში წარმოდგენილია სალექსიკონო ერთეული. აქვე ნაჩვენებია ფუძის ის ვარიანტი, რ-იც სმნური თუ სახელური ფორმაწარმოებისას შეუნაცვლება მას: მაგ., დრეკ / დრიკ / დრკ; კალ / კლ. ნაჩვენებია აგრეთვე პარალელური ფონეტ. ვარიანტებიც: მაგ., ბრძან ‖ ბძან, ჩეხ ‖ ხეჩ. სალექსიკონო ერთეულის შემდეგ არაბული ციფრებით აღნიშნულია სახელსმნური ფორმებისათვის საყრდენი ფუძე: I. I სერიის ნაკვთთათვის საერთო ფუძე. ეს გულისხმობს, რომ სახელსმნური ფორმები იწარმოება I სერიის სმნური ფუძისაგან. 1. კეთ-ებ; 2. II სერიის ნაკვთთა-საერთო ფუძე. ეს გულისხმობს, რომ სახელსმნური ფორმები იწარმოება II სერიის ფუძისაგან. 2. ხატ: 3. „ფარული ფუძე", ე. ი. სახელსმნებისათვის საყრდენი ისეთი ფუძე, რ-იც სმნურ ფორმებში არ გეხვდება. მაგ.: დგ-ომ (დგ-ომ-ა, სა-დგ-ომ-ი, მ-დგ-ომ-არე...). II გრაფაში წარმოდგენილია სმნის-წინები, რ-ებიც გეხვდება შესაბამისი მარტივი ფუძისაგან წარმოებულ სახელსმნურ ფორმებში. III გრაფაში მასდარის მაწარმოებლებია. ვარსკვლავიანი ნულით – 0* – პირველადი მასდარია აღნიშნული. IV გრაფაში კი საობიექტო მიმღეობების მაწარმოებლებია:

შედგენილია „სახელური ფუძეების ლექსიკონი" (აეტორები ბ. ჯორბენაძე, ნ. ლოლაძე, მ. კიკონიშვილი). ლექსიკონის პრინციპები შეიმუშავა ბ. ჯორბენაძემ.

ც. კვარტალიანი.

ᲨᲣᲫᲔᲜᲐ, წინარენა, პროტოენა, რ-ის უშუალო დიფერენციაციის გზით მიიღებიან მონათესაე ენები (იხ. *ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია*). შ-ისაგან ახ. ენების წარმოშობა მიმდინარეობს არა ცოცხ. ორგანიზმებში ახალი ფორმების წარმოშობის მსგავსად, არამედ როგორც გარკვ. ტრანსფორმაციის პროცესი, რ-ის შედეგად ამოსავალი ენა გარდაიქმნება ახ. ენად (ენებად). ამდენად, შ-ზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ როგორც დამოწმებელ ენაზე. იგი წარმოგვიდგება არსებითად როგორც ენობრივი კონსტრუქტი, ენობრივი მდგომარეობა (იხ. *რეკონსტრუქცია*). თუმცა, იშვიათად არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც დიფერენციაციის შემთხვევაში შ. უკვე ფიქსირებულია წერილობით. ასეთია, მაგ., ლათინური, რ-იც გვეელინება შ-დ თანამედროვე რომანული ენებისათვის (ფრანგული, იტალიური, ესპანური...).

პრაენობრივი სისტემის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს ისტორიულად დამოწმებული მონათესაე ენობრივი სისტემების შეპირისპირებითა და ტიპოლოგიური მონაცემების გამოყენებით. ასეთი რეტროსპექტული მსჯელობა ერთი მდგომარეობიდან მეორისაკენ უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ არ მიიღწევა ისეთი ენობრივი მდგომარეობა, რ-ისგანაც შესაძლებელია ისტორიულად დამოწმებული ყველა მონათესაე ენობრივი სისტემის გამოყენანა.

| | | |

რთო-ქართველურში აფიქსაციასთან ერთად წარმოადგენდნენ სხვადასხვა გრამატ. თუ ლექსიკური ერთეულების ჩამოყალიბების საშუალებას. მორფემათა შეერთებები რთულ მორფემულ მიმდევრობებად ექვემდებარებოდნენ ხმოვანთა მონაცვლეობების განსაზღვრულ წესებს.

ქართველური ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა გამოისახება CVC- ფორმულით, რ-შიც საკუთრივ თანხმოვნის აღმნიშვნელი C სიმბოლო შეიძლება შეიცვალოს S სიმბოლოთი, რ-იც აღნიშნავს სონანტს უმარცვლო ფუნქციით. მაშასადამე, გვაქვს ფონემათა შემდეგნაირი შესაძლებელი შეერთებები: CVC-, CVS-, SVC-, SVS- C და S ელემენტებს შორის მოქცეული მოკლე V ხმოვნით (რ-იც იღებს ერთ-ერთს შესაძლებელი მნიშვნელობიდან: *ე, ა, ო*):

$$R\begin{Bmatrix}C\\S\end{Bmatrix}V\begin{Bmatrix}C\\S\end{Bmatrix}$$

ქართველური ძირეული მორფემის სპეციფ. ტიპს შეადგენენ ისეთი ძირები, რ-ებიც ცალი თანხმოვნის ან სონანტის ნაცვლად ე. წ. დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსებს შეიცავენ. ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით თანხმოვანთა აღნიშნული კომპლექსები წარმოადგენენ ჰომოგენურ ერთეულებს, რ-ებიც ძირის სტრუქტურაში ფუნქციურად ცალ თანხმოვნებს უტოლდებიან.

სუფიქსური მორფემის სტრუქტურა განისაზღვრება -VC და -VS, აგრეთვე -V კანონიკური ფორმით:

$$Suff \to \dot{V}\left\{\begin{bmatrix}C\\ \\S\end{bmatrix}\right\}$$

ლიტ.: გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; მაჭავარიანი გ., საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965; მელიქიშვილი ი., საერთო-ქართველური სიბილანტთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით. – «თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები», V, თბ., 1980; მისივე, სიბილანტურ შესატყვისობათა მესამე რიგი და I და II პირის ნაცვალსახელთა სისტემა ქართველურ ენებში. – «ენათმეცნიერების საკითხები», III, 2001; გამყრელიძე თ., თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკა და ქართველური ენები. – «ენათმეცნიერების საკითხები», I, 2000; Бенвенист Э., Классификация языков, „Новое в лингвистике", III, M., 1963; Haas M., R., The Prehistory of Languages, Hague-Paris, 1969; Schmidt K. H., On the Reconstruction of Proto-Kartvelian. – «Review Kartvelology» XXXVI, 1978; მისივე, Rekonstruktion und Trasformation des Protokartwelischen. – «Georgica», XVIII, Konstanz, 1995.

ი. ქობალავა.

ფშაური, ქართული ენის დიალექტი. ქართველთა ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის – ფშაველების – მეტყველება. ყველა დონის ენობრივი ნიშნების მიხედვით ერთიანდება აღმ. საქართველოს მთის დიალექტების (ხევსურული, მოხეური, მთიულური, თუშური) ჯგუფში. ფ-ის, როგორც ტერიტ. დიალექტის, ფორმირება მოხდა საკუთრივ ფშავში, ანუ, როგორც ხშირად უწოდებენ, უკანა ფშავში, ფშავის არაგვის ხეობაში, სადაც დღემდე შემორჩენილია ტრადიცია ფშავის ხეობის 12 თემის შესახებ და არსებობას განაგრძობს 12 სათემო საკულტო სალოცავის სახით. ფშავის მოსახლეობის ბარისაკენ ჩამოწევა მოხდა გვიან შუა საუკ-ეებში ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობაში ჟინვალამდე და უკანაფშავთან ერთად შეიქმნა არაგვის ხეობის ფშავი. უფრო გვიან, XVII–XVIII სს-ში ფშაურმა მოსახლეობამ დაიკავა XVII ს. პირველ ნახევარში სპარსელთა რამდენიმე გზის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად მოსახლეობისაგან დაცლილი კახეთის სამეფოს კუთვნილი ადგილები ივრის ხეობაში, სადაც გაჩნდა ფშაველებით დასახლებული ტერიტორია „ივრის ფშავის" სახით, XX ს. მიგრაციების შედეგად კი გაჩნდა ფ. დიალექტური კუნძულები კახეთის სხვადასხვა ადგილას – ახმეტის, თელავისა და დედოფლისწყაროს რ-ნებში.

მთის დიალექტთაგან ბარის დიალექტებთან და, აქედან გამომდინარე, სალიტ. ქართულთან ყველაზე მეტ სიახლოვეს ფ. ამჟღავნებს.

ფ-ის ფონოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია ჭ ფონემის ქონა ხშულ თანხმოვანთა ფარინგალურ რიგში: ჭელი, ფეჭი, ჭმალი... მორფონოლოგიური ნიშნებიდან კი – არაფონოლოგიური ლირებულების [დ], [დს] და [დპ], როგორც ზმნის პირის *ს* და *პ* ექსპონენტების პოზიციურად შეპირობებული ვარიანტები (დადძრავს, დადბარავს, გამადსთიბს, დადპპატიჯებს). მორფოლოგიის სფეროსათვის ნიშანდობლივია სახ. ბრუნვის 0 მორფემიანი ფორმები (კაც მოიდა) და მოთხრ. ბრუნვის ნიშნის უხმოვნო ვარიანტი (კაცმ დაიძახა) თანხმოვანფუძიან სახელებთან; *ოდ*-იანი ხოლმეობითები (ვაკეთებდოდი, გავაკეთოდი) ზმნის ნაკვთეულთა სისტემაში, რომლის II პირის ფორმებს თხოვნითი ბრძანებითის მნიშვნელობაც აქვთ (დამიტიროდი, უთხროდი). ფ. თავისებურ დამოკიდებულებას ავლენს სახელთა მრავლობითის ე. წ. „ნარ-თანიან" და „ებიან" წარმოებასთან. პირველს ხშირ შემთხვევაში დაკარგული აქვს მორფოლოგიური და შერჩენილი აქვს სინტაქსური ძალა (წყალნი მწყურან, მიწანიმც დაილოცებიან), მეორეს კი მორფოლოგიური ძალა აქვს, სინტაქსური – არა (ქალებ მოიდა).

სამეურნეო და კულტ. ყოფის თავისებურებები შეაპირობებს ფ-ის ლექსიკურ თავისებურებებს, უმდიდრესი და სახიერი ფრაზეოლოგია კი თავს იჩენს მაღალმხატვრულ ზეპირსიტყვიერებასა და ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა შემოქმედებაში.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული კილოები მთაში. – ჟურნ. «კრებული», ტფ., 1915; გიგინეიშვილი ივ., თოფურია ვ., ქავთარაძე ივ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; ცოცანიძე გ., ფშაური დიალექტი, თბ., 1978; ქეშიკაშვილი ივ., ღმერთები, მითები, რიტუალები, თბ., 1990.

გ. ცოცანიძე.

ფშვინვიერი თანხმოვნები, ასპირატები (< ლათ. aspiratio – ქროლა, ნიავი), თანხმოვნები, რ-ებიც ხასიათდებიან თავისებური სახმოსიმებისეული ჩქამით – ფშვინვით, ანუ ასპირაციით. ეს ჩქამი წარმოიქმნება ჰაერნაკადის ხახუნით მოდუნებულ და ერთმანეთს მიახლოებულ სახმო სიმებზე. სალიტ. ქართ. ბგერებიდან ფშვინვიერებია: ხშულთაგან – ფ, თ, ქ, ც, ჩ, ხოლო ნაპრალოვანთაგან – ს, შ, ხ, ჰ.

ხშულთა ფშვინვა სმენისათვის შედარებით ადვილად გამოსარჩევია – იგი შენარჩუნებულია სუფთა სახით ბგერის წარმოთქმის ბოლო ფაზაში, როცა მომთავრებულია ამ ბგერის ბაგისმიერი თუ ენისმიერი განხშვის ხმაური. რაც შეეხება ნაპრალოვნებს, მათი ფშვინვა პირის ღრუში წარმოქმნილ ჩქამთან (ფრიკაციასთან) ერთადაა მოცემული და მისგან ძნელი გამოსარჩევია. ამიტაც აიხსნება ის, რომ ზოგჯერ ფ. თ-ად მხოლოდ ხშულ ასპირატებს მიიჩნევენ.

ზ. ჯაფარიძე.

ძ, ქართული ანბანის ოცდამეორე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეხუთე) ასო. მისი სახელია „ქანი“; გრაფ. სიმბოლო უკანაენისმიერი ხშულ-მსკდომი ფშვინვიერი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა †. მისი მოხაზულობა ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რ-საც კვადრატის ნახევარი უკავია. ნუსხური კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვენივ გადახრილი, მხედრული ქ-ს ასწერივი ხაზი ქვემოთ მომრგვალებულია. ნუსხური † და მხედრული ძ ოთხხაზოვან სისტემაში ოთხ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ექვსასს (600).

ძაბთარაძე ივანე იოსების ძე (8. V. 1920, სოფ. ცხრაწყარო, ზესტაფონის რ-ნი, – 7. VII. 1984, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1941); 1945-იდან იყო ენათმეცნ. ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, 1976-იდან – ამავე ინ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბის გამგე; 1984 აირჩიეს თსუ ახ. ქართ. ენის კათედრის გამგედ. წლების განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნ. «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», თსუ სამეცნ. შრომების კრებ. «ენათმეცნიერება» სერიას.

ძ. ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. ძვ. და ახ. ქართულის გრამატ. აგებულება, ქართ. დიალექტოლოგია, ქართ. ენის შესწავლის ისტორია, მწერლის ენა – ამ პრობლემებს მან 60-მდე ნაშრომი მიუძღვნა. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მონოგრაფიები: „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“, (თბ., 1954) და „ქართული ენის ისტორიისათვის XII–XVIII სს. „I“ (თბ., 1964); ორსაფეხურიანი ნაშრომში პირველად იყო მონოგრაფიულად გაანალიზებული ქართ. ენის საკითხები ისტ. ჭრილში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ძ. ის ნაშრომები ქართ. დიალექტოლოგიაში. ის იყო თანაავტორი (ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილთან ერთად) ფუნდამენტური ნაშრომისა „ქართული დიალექტოლოგია“. მასვე ეკუთვნის აგრეთვე მონოგრაფია ქართ. ენის მოხეური დიალექტის შესახებ.

ძ. დიდი ინტერესით ეკიდებოდა ქართვ. კლასიკოსების ენობრივი მემკვიდრეობის შესწავლასა და ქართ. ენის განვითარების პერიოდიზაციის დასუსტებას („იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა“, „ილიას ქართული“, „ალ. ჭაქვაძის ენა“, „ქართული ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის“). არაერთი ნაშრომი მიუძღვნა მან ქართ. ენის მორფოლ. და სინტაქსის საკითხებს, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სტატიები ქართ. ზმნის ზოგი მწკრივისა და სხვადასხვა ზმნური კატეგორიის თავისებურებათა შესახებ („დრო-კილოთა III სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში“, „ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში“, „უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში“).



ი. ქავთარაძე



მ. ქალდანი

თხზ.: ქართული ენის ისტორიისათვის (XII–XVIII სს.), I, თბ., 1964; ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), თბ., 1982.

ე. ბაბუნაშვილი. თ. უთურგაიძე. **ქალდანი** მაქსიმე მურზას ძე (1913, სოფ. თავრალი, მესტიის რ-ნი, – 8. XI. 1981, თბილისი), ქართველოლოგი. საქართვ. მთიანეთის ეთნოგრაფიული ჯგუფის, ფოლკლორის მკვლევარი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1969).

თბილ. პედ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1932 მასწავლებლობდა სოფ. ბაკურციხის დაწყებით სკოლაში. 1934 ჩაირიცხა ფილოლ. ფაკ-ტზე, რ-იც დაამთავრა 1939. 1939–48 მუშაობდა ზემო სვანეთის სკოლებში. 1948-იდან გარდაცვალებამდე იყო ენათმეცნიერების ინ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბის უფრ. მეცნ. თანამშრომელი.

ძ. ავტორია ათეულობით პირველხარისხოვანი გამოკვლევისა ქართველურ ენათა საკვანძო საკითხების შესახებ. წარმატებით იკვლევდა სვანურ ენას, მისი ფონეტიკის, გრამატიკის, დიალექტოლოგიისა და ონომასტიკის საკით-

ხებს როგორც აღწერით, ისე ისტ.-შედარებით პლანში. ძ-ს უკუთვნის სვანურის ცალკეული კილო-კილოკავებისა და თქმების ფონეტ.-გრამატ. სტრუქტურებისა და ლექსიკის დაწერილებითი მეცნ. აღწერა-ანალიზი. მისი კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია არა მარტო სვანური და. საერთოდ, ქართველური, არამედ ზოგადი ენათმეცნ. თვალსაზრისითაც (დიალექტოა შერევა, სუბსტრატი, ენათა ტიპოლოგია...). ფუნდამენტურ გამოკვლევაში „სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის საკითხი სვანურში“ (თბ., 1969) ძ-მა სვანური უმლაუტის შესახებ არსებული შრომების (ა. შანიძე, ვ. თოფურია) კვალდაკვალ სრულიად ახალი კანონზომიერება აღმოაჩინა: სვანურში, ისევე როგორც გერმანიკულ ენებში, არსებობდა არა მარტო ადრევე შენიშნული წინა, ანუ პალატალური უმლაუტი, რ-საც ა, ო, უ ხმოვნებში მომდევნო მარცვლისეული ე და ი იწვევდა, არამედ საპირისპირო ხასიათის – უკანა მიმართულების, ანუ ველარული უმლაუტიც, რ-საც წინა მარცვლისეულ ე და ი პალატალურ ხმოვნებში ა (იშვიათად ო, უ) ხმოვანი და ჲ სონანტი იწვევდა; მანვე დაადგინა რელატიური ქრონოლოგია ამ ორი სახის უმლაუტს შორის (იხ. *უმლაუტი*).

ქართველურ ენებში III სუბიექტ. პირის ნიშნის საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჭ-ის გამოკვლევას „მესამე სუბიექტური პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში“ («საენათმეცნიერო კრებული», მიძღვნილი გ. მაჭავარიანის დაბადების 50 წლისთავისადმი, თბ., 1979). მდიდარი დიალექტოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ III სუბიექტ. პირის პრეფიქსი ლ, რ-იც მხოლოდ რამდენიმე ზმნაში ითვლებოდა დადასტურებულად (ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა), ღღემღე შემონახულია მთელ სვანურში როგორც ლ-ს, ისე მისი ფონეტ. ვარიანტების – ჲ-სა და ნ-ს სახით.

საინტერესოა ძ-ის მოსაზრებები ქართველურ გვარსახელებში -ელ/-ავ სუფიქსის შესახებ («იკე», XXII, 1980), რ-იც სპეც. ლიტ-რაში იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა (ნ. მარი, ს. ჯანაშია, გ. როგავა...).

ძ-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მიერ დაარსებული სერიის – სვანური ტექსტების შეკრებასა და გამოცემაში. 1967–79 გამოიცა ამ სერიის სამი ტომი (ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური კილოების მასალები) ძ-ის მონაწილეობით; 1978 «ძველი ქართული ენის კათედრის შრომების» 21-ე ტომში ა. შანიძისა და ძ-ის რედაქციით გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო სვანურ ენაში უმაღლესი სასწავლებლებისთვის – „სვანური ენის ქრესტომათია“. სახელმძღვანელო შეიცავს სვანური ენის ოთხივე ძირითად დიალექტის მასალებს (ტექსტები შეკრებილია ა. შანიძის, მ. ქალდანისა და ზ. ჭუმბურიძის მიერ).

საყურადღებოა ძ-ის ლექსიკოგრაფიული მუშაობა. იგი ვ. თოფურიასთან ერთად ავტორია სვანური ლექსიკონისა (გამოიცა 2000). *მ. სუხიშვილი.*

ძარაგმა (ბერძნ. charagma – შუბლის ნაოჭი, ნაკვალევი, კალმის მონასმი), პირობითი გრაფიკული ნიშანი, რ-იც ძველ ხელნაწერებში ან წარწერებში ხევით დაესმის შემოკლებით (არასრულად) დაწერილ სიტყვებს. შემოკლების მიზანი იყო საწერი მასალის, დროისა და, საერთოდ, შრომის ეკონომია. გრაფიკულად ძ. არის სწორი ჰორიზონტალური ხაზი (უფრო ეპიგრაფიკულ ძეგლებში), ტალღისებრი კლაკნილი ჰორიზონტალური ხაზი (უფრო ხელნაწერებში), ან კიდევ დახრილი სწორი ხაზი, რ-ის კიდურები წერტილებითაა შესქელებული. ტერმ. ძ. პირველად გეხვედება *მიქაელ მოდრეკილის* (X ს.) ჰიმნოგრაფიულ კრებულში „იადგარი“ (S-425). ეს ტერმინი ძვ. საქართველოში გავრცელებული არ ყოფილა. ს.-ს. ორბელიანამდე სხვა ხელნაწერებში იგი არ ჩანს (ცვ. ჭანკიევი).

დაქარაგმების წესებს საგანგებოდ შეეხო *არტონ I*, რ-მაც თავისი „ქართული ღრამმატიკის“ I რედაქციაში (1753) გამოყო ოთხგვარი ქარაგმა:

1. **სა უ ფ ლ ო** – დაესმის შემოკლებულად დაწერილ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: ღ′ი – ღმერთი, უ′ი – უფალი, ი′ჯ – იესუ, ქ′ე – ქრისტე, წ′ჲ – წმიდაჲ ...; 2. **სა მ თ ა ვ რ უ ლ ო** – დაესმის მხოლოდ ერთი დასაწყისი ასოთი დაწერილ სიტყვებს, როგორიცაა: ხ′ (ხოლო), რ′ (რამეთუ); 3. **სა ყ ო ვ ლ ა დ ო** (ანუ **სა'ოგადო**) – დაესმის სასოგადო შინაარსის შემოკლებულად დაწერილ სიტყვებს: კავშირებს (ა′დ – არამედ, ვ′დ – ვითარმედ, ვ′ე – ვიდრე), ნაცვალსახელებს (ვ′ი – ყოველი, რ′ – რომელი, ...), ზმნისზედებს (კ′დ – კუალად...), თანდებულებს (შ′ს – შორის ...) და ზმნებს (*შწ′ლ – შეიწყალენ*); 4. **სა ჴ მ ო ჲ ა ნ ო** (ს′მი – სჳმი, შ′ნი – შენი...). „ქართული ღრამმატიკის“ II რედაქციაში (1760) ანტონმა ქარაგმათა კლასიფიკაცია შეცვალა და გამოყო ორგვარი ძ.: I. **ს ა ყ ო ვ ლ ა დ ო** (იგივეა, რაც მის მიერ ადრე გამოყენებული „საყოველადო“ + „სამთავრულო“ და „საჴმოუანო“) და 2. **უ ა ღ რ ე ს ო ბ ი თ ი** (იგივეა, რაც „საყოველადო“ + „სამთავრულო“), რ-იც 3 შინაარსობრივ სახეობად იყოფა: ა) **ლ ა ტ რ ი ა** (ბერძნ. latreia „მსახურება“, „თაყვანისცემა“), რ-შიც გააერთიანა საღმრთო სახელები: ღ′ი – ღმერთი, უ′ი – უფალი, ი′ო – იესო, ქ′ე – ქრისტე; ბ) **ტ უ ლ ი ა** (ბერძნ. tylos „კორძი“, „კოპი“, ნიშანი, კოპივით ამობურცული), რ-შიც გააერთიანა ღვთის შემდეგ ყველაზე წმინდა სახელები: ჯ′ი – ჯუარი, სახ′რა – სახარება, ღ′ის-მ′შობ′ლი – ღვთისმშობელი, საკ′ხლი – საკურთხეველი...; გ) **ი პ ე რ ტ უ ლ ი ა** (ὑπερτέρος „საუკეთესო“, „უმაღლესი“), რ-შიც გააერთიანა ფრიად საპატიო სახელები: ან′გს – ანგელოსი, წ′ა – წმიდა, იწ′რლიმ – იერუსალიმი, მღ′ღლი – მღედელი, წწ′ლი – წინასწარმეტყველი, მოც′ქლი – მოციქული, კ′სი – კათოლიკოსი...

ძვ. ქართულში არსებობდა სიტყვათა დაქარაგმების წესები: **შ უ ა შ ე კ ე ე ც ი ლ ო ბ ა** – სიტყვის დასაწყისი და ბოლო (ყველაზე გავრცელებული); **ბ ო ლ ო შ ე კ ე ე ც ი ლ ო ბ ა** – სიტყვის დასაწყისი (იშვიათი); **მ ხ ო ლ ო ა ს ო ი ა ნ ი** – მხოლოდ დასაწყისი ასო (ძალზე იშვიათი, რადგან წასაკითხად ძნელი იყო). სისტემებრ, ორი კავშირი მოკლდებოდა ამ წესით: რ′ – რამეთუ, ხ′ – ხოლო; უხმოვნო დაწერილობა: ჩ′ნ – ჩუენ, შ′ნ – შენ...

შემოკლებულად დაწერილ სიტყვას, ჩვეულებრივ, ერთი ძ. უკეთ-

დებოდა, მაგრამ ზოგჯერ გრძელ სიტყვებს შეიძლებოდა ორი ძ-ის ნიშანი ჰქონოდა. ზოგჯერ ერთი ძ-ით მოკლდებოდა ორი დამოუკიდებელი ან ერთი რთული სიტყვა (ქ̃მრთ — ქრისტჱს მიმართ, დბლ̃ხრ — დიდებულ ხარ) ან ერთი ძ-ს ქვეშ შემოკლებით წარმოდგენილი იყო მთელი წინადადება (მხჳ̃ნ — მეოხ გუეყავ ჩუენ).

ლიტ.: ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; აბულაძე ი., ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, II შევსებული გამოცემა, თბ., 1973; ჯანკიევი ც., დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში.– «პალეოგრაფიული ძიებანი», I, თბ., 1965; მისივე, დაქარაგმება V–X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. – იქვე II, თბ., 1969; დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997 *კ. დანელია.*

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, კულტურულ-საგანმანათლებლო ნებაყოფლობითი ორგანიზაცია; დააარსეს მოწინავე ქართვ. მოღვაწეებმა 1897 თბილისში. საზ-ბის შექმნის იდეა ჩაისახა ვიწრო წრეში (ი. მამაცაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. გოგებაშვილი, ვ. თულაშვილი, ა. ფურცელაძე, ნ. ცხვედაძე, გ. მაღალაშვილი და სხვ.). აღნიშნულმა წრემ დ. ყიფიანს, ნ. ცხვედაძეს, ი. გოგებაშვილსა და ვ. თულაშვილს დაავალა წესდების შედგენა და მის დამტკიცებაზე ზრუნვა. 1878 წ. 30 იანვ. გ. ორბელიანის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე წაიკითხეს წესდების პროექტი, რ-ის წარდგენაც კავკ. მეფისნაცვლის კანცელარიაში დაევალათ დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძესა და ბ. ღოღობერიძეს. 1879 წ. 31 მარტის წესდებით საზ-ბა 1907 მარტამდე მოქმედებდა.

საზ-ბის პირველი (დამფუძნებელი) სხდომა გაიმართა 1879 წლის 15 მაისს. საზ-ბისა და გამგეობის პირველ თავ-რედ აირჩიეს დ. ყიფიანი, მის მოადგილედ – ი. ჭავჭავაძე, წევრებად – ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი და რ. ერისთავი. 1882–85 თავ-რე იყო ი. მუხრანსკი. 1885-იდან საზ-ბას უცვლელად თავმჯდომარეობდა ი. ჭავჭავაძე, ახალარჩეული გამგეობის წევრები იყვნენ: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. ქართველიშვილი, გ. იოსელიანი, ა. მირიანაშვილი, ნ. ცხვედაძე, ვ. ყიფიანი, ე. გაბაშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, ა. ფურცელაძე და ა. ჭყონია. საზ-ბის მდივნებად ამ პერიოდში მუშაობდნენ ი. მეუნარგია, გ. ყიფშიძე, ა. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი.

საზ-ბის სასარგებლოდ თბილისში, სხვა ქალაქებსა და დაბასოფლებში იმართებოდა სხვადასხვა ხასიათის საღამოები, წარმოდგენები, ლატარიები და სხვ. ბევრი ქართვ. მწერალი თავის თხზულებათა გამოცემას სწირავდა საზ-ბას. ძმებმა ზუბალაშვილებმა და დ. სარაჯიშვილმა დიდძალი თანხა შეიტანეს საზ-ბის სალაროში. თბილ. საადგილმამულო ბანკმა (თავ-რე ი. ჭავჭავაძე) 11 ათასი მან. ჩარიცხა საზ-ბის ფონდში; ასეთივე თანხა გაიღო ქუთ. ბანკმა, რ-იდანაც 8 ათასი მან. გაიღეს ქუთაისში ქართ. სკოლის გასამართავად.

მოღვაწეობის დასაწყისშივე საზ-ბამ შეისწავლა სკოლების მდგომარეობა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში და აღრიცხა სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობა, შეკრიბა ცნობები, რამდენად იყვნენ ჩაბმული მოზარდები სასწავლო პროცესში. ამასთან, იმთავითვე დაიწყო ზრუნვა თბილისში, საქართვ. ტერიტორიაზე და მის გარეთაც (სადაც ქართვ. მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობდა, მაგ.: ვლადიკავკაზში, ალაგირში, მოზდოკში, ნალჩიკში, ბაქოში და სხვ.) სახალხო სკოლების დაარსებაზე. დიდი შრომა გასწია საზ-ბამ ბათუმის სკოლის ორგანიზაციისათვის, რადგან იგი უნდა ყოფილიყო ქართ. ენის საყრდენი და გამავრცელებელი ახალშემოერთებული აჭარის გამაჰმადიანებულ ქართ. მოსახლეობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების გახსნას ბორჩალოში (ახლანდ. მარნეული), საინგილოში, მესხეთ-ჯავახეთში. საზ-ბამ მრავალი ქართ. ხელნაწერი შეაგროვა ეკლესია-მონასტრებისაგან, ბევრი იყო კერძო შეწირულებაც; შედგა ძვირფასი მანუსკრიპტების მდიდარი ფონდი (რ-იც ახლა შეადგენს ხელნაწ. ინ-ტის ე. წ. S ფონდს). ა. ჭავჭავაძის შვილიშვილმა ნ. დადიანმა საზ-ბას შესწირა სამეგრელოს მთავართა ბ-კა.

საზ-ბის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო ქართ. სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნასა და დაბეჭდვას. იბეჭდებოდა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე სლოვო“, აგრეთვე სხვა ავტორების გეოგრ., ბუნებისმეტყველების, არითმეტიკის, საქართვ. ისტორიის და სხვ. სახელმძღვანელოები, ქართ. კლასიკური მწერლობის ნიმუშები, მაშინდელ ქართვ. მწერალთა თხზულებები, თარგმნილი ლიტ-რა.

ი. გოგებაშვილმა და პ. უმიკაშვილმა შეადგინეს ინსტრუქცია ქართ. ხალხ. ზეპირსიტყვიერების შესაკრებად. ფოლკლორული მასალის შეკრებაში მონაწილეობა მიიღო ა. წერეთელმა. საზ-ბის წიგნსაცავში დაგროვდა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი მასალების ძვირფასი ფონდები. საზ-ბა აწყობდა ექსპედიციებს ქართ. მუსიკისა და გალობის ნიმუშების შესაგროვებლად.

საზ-ის ინიციატივით დაარსდა ქართვ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, დაიდგა რამდენიმე ძეგლი ქართვ. საზ. მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად (დ. ბაქრაძის, ა. როინაშვილისა და სხვ.). 1893 გაზაფხულზე ...

ნჯიდან თბილისში გადმოასვენეს ნ. ბარათაშვილის ნეშტი; 1895 მოეწყო საქართველოში პირველი იუბილე რ. ერისთავის სამწერლო მოღვაწეობის 50-ე წლისთავზე, აღინიშნა ა. პუშკინის დაბადების 100 წლისთავი (1899), მ. ბროსეს დაბადების 100 წლისთავი და სხვ.

ქ. შ. წ-კ. გ. ს-მ ცარიზმის სასტიკი რეჟიმის პერიოდში იღვაწა ქართ. ენის, საქართვ. ისტ., მწერლობისა და, საერთოდ, კულტ. ტრადიციათა არა მხოლოდ დასაცავად, არამედ განსავითარებლადაც.

1922-იდან ქ. შ. წ-კ. გ. ს-ს „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება“ უწოდეს, ხოლო 1926 – „მწიგნობარი“ (წიგნების გამომცემელი კოოპ. ამხანაგობა). 1927 წლის 24 აპრილს საზ-ბამ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: ხუნდაძე ტ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1879–1927, თბ., 1960; ხუციშვილი ს., მანათობელი, თბ., 1980; გიულმამედოვი მ., ქართველთა შორის წერა-

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და აზერბაიჯანის ქართველობა, თბ., 1985. *ს. ხუციშვილი.*

ქართველიშვილი იოანე ოთარის ძე (1772, სოფ. ფხვენისი, – 1816), საზოგადო მოღვაწე და ქართ. კულტურის მოამაგე. ეწეოდა პედ.-ლიტ. მოღვაწეობას, მთარგმნელობით მუშაობას. განსაკუთრებით ფასეულია ქ-ის მემუარები, რ-იც მნიშვნელოვანი ისტ. ძეგლია და საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVIII ს. საქართველოს საზ. ცხოვრების შესახებ.

1784 ქ. სასწავლებლად მიაბარეს კალოუბნის ეკლესიაში. 1788 სიონის ტაძარში მთავარ-დიაკვნად აკურთხეს, 1792 კი მღვდლად ეკურთხა. 90-იან წლებში ფიზიკისა და ფილოსოფიის შესწავლა დაიწყო. გრამატიკას ასწავლიდა ვარლამ ერისთავი. მალე ქ., როგორც ფრიად განსწავლული პიროვნება, იულონ ბატონიშვილმა თავის ძეთა აღმზრდელად მიიწვია.

1804-იდან ქ-მა თბილ. კეთილშობილთა სასწავლებელში დაიწყო პედ. მოღვაწეობა. სასწავლებელში მუშაობის დროს (1809) მან შეადგინა ქართ. ენის გრამატიკა – „ქართული ღრამმატიკა შეთხზული ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებლის მოძღვრის პროტოპოპის იოანე ქართველიშვილისაგან სახმარად მისვე სასწავლებელსა. 1809 წ. ტფილისი“. სახელმძღვანელოს შექმნის საბაბად ავტორი ასახელებს ანტონ I-ის გრამატიკის სირთულეს, რადგან „სივრცისა გამო მისისა არა ადვილ ძალუცსთ ჰსწავლებად იგი მცირეწლოვანთა ყრმათა, ამისათვის და გულისმოდგინებითა ძლითცა თანამდებობისა ჩემისადმი ეგრეთვე სასარგებლოთცა ყრმათა თანამემამულეთა ჩემთაათა დავშვერ შეთხზვასა ხელმყოფმან აღწერად ამისსა“. ქ-ის ხელნაწერი გრამატიკა, როგორც სახელმძღვანელო, მასობრივად უნდა ყოფილიყო გავრცელებული ხსენებულ სკოლაში (ა. იოსელიანი).

1815 თბილისში დაიბეჭდა ქ-ის ხელნაწერი გრამატიკისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული „ქართული ღრამმატიკა“, რ-ის მეორე გამოცემა (მოსკოვი, 1825) არსებითად არ განსხვავდება პირველისაგან.

1815 გამოცემული გრამატიკა შეიცავს 16 თავს (77 პარაგრაფს). იწყება ნორმატიული გრამატიკის ტრადიც. განსაზღვრით: „ღრამმატიკა არს ჰსწავლა ჴელმძღუანელი კანონიერისა უბნობისა და მართლწერისადმი“. იგი იყოფა სამ ნაწილად: ეტიმოლოგია-ლექსთწარმოება (მორფოლოგია), ლექსთთხზულება (სინტაქსი) და ორთოგრაფია (მართლწერა). II გამოცემაში წარმოდგენილია მხოლოდ პირველი ნაწილი.

პირველი თავი ეხება ასოებს, მარცვლებსა და ლექსებს (სიტყვებს). ასოები დაჯგუფებულია – ხმოვნად, ორხმოვნად და უხმოდ. ხმოვანი – „სხვათა ასოთა შეუწევნად აწარმოებენ ხმებს“ (ა, ე, ი, ო, უ). ორხმოვანი – „ბრჯგუდ აწარმოებენ ორ ხმას“ (ჲ, ჳ, ჵ, ჱ). დანარჩენები უხმო ასოებია.

სიტყვის (მეტყველების) ნაწილთა შესახებ მსჯელობისას გამოყოფილია მეტყველების 8 ნაწილი: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნისზედა, კავშირი, შორისდებული. პირველი ოთხი – შეცვალებითია (ფორმაცვალებადი), დანარჩენები – შეუცვალებითნი (ფორმაუცვლელნი). მეტყველების ნაწილებს ახასიათებს სახე და ნაკვთი. სახის მიხედვით სახელები იყოფა ორ ჯგუფად: პირველსახედ (მზე, დღე...) და წარმოებულად (მზიური, დღიური...). ნაკვთი ფუძის აგებულებას გულისხმობს. ფუძეები იყოფა ორ ჯგუფად: მარტივად (პატიჲი, კეთილი...) და რთულად (კეთილისმყოფელი...).

სახელები დაყოფილია სამ ჯგუფად: არსებით სახელებად (კითხვა – ვინ? რა?), ზედშესრულად (კითხვა – ვითარი?) და რიცხვითად (კითხვა – რამდენი?). წარმოდგენილია 9 ბრუნვა: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი. ბრუნვათა დახასიათებისას მითითებულია, თუ რას გამოხატავს ბრუნვა და რა კითხვას უპასუხებს იგი. ბრუნვის ნიშნები გამოყოფილი არ არის. სახელთა დაბოლოების მიხედვით განსხვავებულია კანკლედობის (ბრუნების) ოთხი ჯგუფი. შენიშნულია ფონეტ. ცვლილებები, რ-ებიც ბრუნებისას ხდება – ფუძეთა კვეცა და კუმშვა.

საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული და სისტემაში მოყვანილი სიტყვაწარმოებითი ელემენტები. ცალკეა განხილული ნაცვალსახელები. გამოყოფილია მათი 6 ჯგუფი. ავტორი მსჯელობს ნაცვალსახელთა პირსა და რიცხვზე, იძლევა ბრუნების ნიმუშებს.

წიგნის დიდი ნაწილი ეთმობა ზმნას. განხილულია მდევარნი ზმნათა (ზმნის კატეგორიები): ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, სქესი (მოდალობა), უღვლილება; ზმნის დაბოლოებები დროთა მიხედვით, ზმნათა მაპიროვნებლები და მამრავლებელნი (პირისა და რიცხვის ნიშნები). გარჩეულია კანონიერი და უკანონო ზმნები. მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულია: არსებითნი (არის, მყოფობს...), შემოქმედებითნი (მოქმ. გვარის ზმნები – განატფობს, დასაჯა...), ვნებითნი (განიტფების, დაისაჯა...), უმეშვეობითნი (საშ. გვარის გაგებით – მრწამს, მაქვს...). საშუალი ზმნები იყოფიან ხატშემოქმედებითებად (განიხარა, უცხოვრიეს...) და ხატოვნებითებად (ეჰსწვები, ჰცხონდა...).

ზმნის უღვლილებაში გარჩეულია ორი ტიპი: 1. როდესაც აწმყო დროის მხ. რიცხვში I პირის მაპიროვნებელია ვ, II პირი იწყება ხმოვნებით, III პირის დაბოლოებაა -ს (სუბიექტ. წყობის ზმნები) და 2. როდესაც აწმყო დროის მხ. რიცხვში I პირის მაპიროვნებელია მ, II პირისა – გ, III კი – ამ ნიშანთა შემდგომი ასოები (ობიექტ. წყობის ზმნები). წარმოდგენილია უღვლილების პარადიგმები.

ბოლო თავებში განხილულია მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა და შორისდებული.

იმის მიუხედავად, რომ ქ. თავის გრამატიკაში ძირითადად ემყარება ანტონ I-ისა და გაიოზ რექტორის გრამატიკებს, მან მაინც მოახერხა საკუთარი სიტყვის თქმა. ამასთანავე, XVIII–XIX სს. ქართ. გრამატიკებს შორის ქ-ის გრამატიკა გამოირჩევა თავისი სიმარტივითა და დახვეწილობით, მასალის სისტემატიზაციით, სხარტი და გასაგები განმარტებებით.

ლიტ.: თავზიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბ., 1948; იოსელიანი ა., იოანე ქართველიშვილის ცხოვრება

და მოღვაწეობა. – იხ.: ქართველიშვილი იოანე, მემუარები, თბ., 1952; ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995.

გ. ცოცანიძე.

ქართველოლოგია, ქართველებისა და საქართველოს შემსწავლელი ჰუმანიტარული დარგებიდან ერთ-ერთი. იკვლევს *ქართველური ენების* და მათი დიალექტების ფონეტ.-ფონოლ, გრამატ. და სემანტიკურ სტრუქტურებსა და ისტორიას, ქართულის, როგორც სალიტ. ენის ფუნქციონირებისა და ნორმალიზაციის საკითხებს.

ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, ქართ. ენის ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული და გრამატ. ძიებები უკვე X–XIII სს-ში იწყება (იხ. *ძველი ქართული გრამატიკული მოძღვრება*). შემდეგ პერიოდში საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტ.-ისტ. პირობების გამო ენათმეცნიერული აზრის განვითარება შეფერხდა. XVII ს-იდან. ქართ. გრამატიკების შექმნამ, ლექსიკოგრაფიული საქმიანობის დაწყებამ, რ-იც უკავშირდებოდა იტალ. მისიონერების მოღვაწეობას (იხ. *პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები*), გარკვეული ბიძგი მისცა ქართ. საენათმეცნიერო კვლევის აღორძინებას. ამ პერიოდში (1685–1715) შეიქმნა ს.-ს. *ორბელიანის* ქართ. ენის პირველი ერცელი განმარტებითი ლექსიკონი, რ-იც აგრძელებდა საქართველოში ადრე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს.

ქართ. ენის იმდროინდელი გრამატიკები ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის პრინციპებს ემყარებოდა. მათგან უძველესია ს. *შანშოვანის* „მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა“ (1737).

XVIII ს-ში *ანტონ I*-ის მიერ შექმნილი ორი გრამატიკული ნაშრომი (1753; 1767) საფუძვლად დაედო გრამატიკის სხვა სახელმძღვანელოებს. XVIII ს. II ნახევარსა და XIX ს. I ნახევარში. განსაკუთრებით ეს ითქმის *გაიოზ რექტორის* (1796–1800), *დავით ბატონიშვილისა* (1890) და ეპისკოპოს *ვარლაამის* მიერ შედგენილ (1802) გრამატიკულ სახელმძღვანელოებზე. ანტონ I-ის გრამატიკას ემყარება აგრეთვე ი. *ქართველიშვილის* (1809–16), გ. *ფირალიშვილის* (1820), *იოანე ბატონიშვილის* (1829), ს. *დოდაშვილის* (1830), ჰ. *იოსელიანის* (1840), დ. *ჩუბინაშვილის* (1855) გრამატიკული ნაშრომები. სასკოლო გრამატიკებიდან ყველაზე გავრცელებული იყო ა. *ჭუთათელაძისა* და ს. *ჩურდაძის* გრამატიკები.

XIX ს-ში გრძელდებოდა ლექსიკოგრაფიული მუშაობაც. 1812–25 ნ. *ჩუბინაშვილმა* შეადგინა „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (გამოიცა თბ., 1961, რედ. ა. ღლონტი) და „რუსულ-ქართ. ლექსიკონი“ (გამოიცა თბ., 1971–73, რედ. ა. ღლონტი). 1840 გამოვიდა დ. *ჩუბინაშვილის* „ქართულ-რუსული“ ლექსიკონი, რ-ის პირველი გამოცემა მ. *ბროსემ* შეავსო ფრანგული შესატყვისებით. დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა აგრეთვე „რუსულ-ქართული“ ლექსიკონი (1846). საყურადღებოა რ. *ერისთავის* „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა,ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“ (1884) (იხ. *ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფია*).

XIX ს. 70-იან წლებში პეტერბურგში საფუძველი ჩაეყარა ქართ. ენის მეცნ. შესწავლას. ა. *ცაგარელმა* ხელი მოჰკიდა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევას და გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი (რუს. ენაზე). ქართ. და ქართველური ენების მეცნ. კვლევა პეტერბურგში განახლდა XX ს. დასაწყისში, როდესაც გამოქვეყნდა ნ. *მარის* „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“ (1908), მისივე „ჭანური გრამატიკა“ (1910) და „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა“ (1925); აგრეთვე ი. *ყიფშიძის* „მეგრულის გრამატიკა“ (1914) და სხვ. შრომები. საქართველოში საენათმეცნიერო მუშაობა გაიშალა თსუ-ის დაარსების (1918) შემდეგ (ი. *ჯავახიშვილი*, ა. *შანიძე*, გ. *ახვლედიანი*...) და გაგრძელდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნ. ინ-ტსა და სხვა სამეცნ. ცენტრებში.

გასული საუკუნეების 20-იანი წლების დასაწყისიდან ენათმეცნ. განვითარებას სათავეში ჩაუდგნენ თსუ-ის დამაარსებლები: ი. *ჯავახიშვილი*, ი. *ყიფშიძე*, ა. *შანიძე*, გ. *ახვლედიანი*, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ მათთან ერთად იღვწოდნენ თსუ პირველი გამოშვების კურსდამთავრებულნი – არნ. *ჩიქობავა*, ს. *ჯანაშია*, ვ. *თოფურია*.

ქართ. ენის ფონეტიკის საკითხთა მეცნ. კვლევის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ი. ყიფშიძის „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“ (1920). ამას მოჰყვა გ. ახვლედიანის „მკვეთრნი ხშულნი ქართულში“ (1923), ა. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1924), არნ. ჩიქობავას „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“ (1923), „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (1924), ე. თოფურიას წერილები „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (1926–41). დამოუკიდებელი ქართ. ფონეტიკური სკოლის ჩამოყალიბება უკავშირდება გ. ახვლედიანის სახელს. ქართ. ენისა და ზოგადი ფონეტიკის ძირითადი პრობლემები განხილულია მის მონოგრაფიაში „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (1938), „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949). ფონეტიკა-ფონოლოგიის პრობლემატიკა ძირითადად მუშავდებოდა თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრასთან არსებულ ფონეტიკის კაბინეტში (1930-იდან), ფონეტიკის სამეცნ.-კვლევით ლაბორატორიასა (1961-იდან გამგეები: გ. ახვლედიანი, ს. ჯენტი, შ. გაფრინდაშვილი, ი. ლეჟავა) და საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში (გამგეები: შ. გაფრინდაშვილი, ზ. ჯაფარიძე, ნ. არდოტელი). ამ ლაბორატორიებში დამუშავდა ქართ. (ქართველური) და მთის იბერ.-კავკ. ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიის არაერთი კარდინალური საკითხი. ამ დარგის ნაშრომებია: „ქართული ენის ფონეტიკა“ და „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“ (ს. ჯენტი, 1956; 1963); „სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი“ (გ. ნებიერიძე, 1974), „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თ. უთურგაიძე, 1976), „სა-

ლიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები“ (ჩ. ცაიშვილთან ერთად, 1987) და მრ. სხვა. ა. შანიძის მრავალრიცხოვანი გამოკვლევები მორფოლოგიის საკითხებზე შეჯამებულია მის „ქართულ გრამატიკაში“ (1930) და „ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში“ (1953, მე-2 გამოც. – 1973, მე-3 გამოც. – 1980). მორფოლოგიის საკვანძო საკითხებს ეძღვნება არნ. ჩიქობავას „ქართული ენის დახასიათება“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, ცალკე გამოცემა, 1998), აგრეთვე წერილების სერია: „ზოგი თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“ (1929–30). მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეძღვნება ზმნათა სუფიქსაციის, დროისა და გვარის მაწარმოებელთა საკითხების შესახებ ე. ყაუხჩიშვილის თოფურიას ბოლო წლებში გამოქვეყნდა მონოგრაფიები ქართ. ენის მორფოლოგიის პრობლემებზე: ბ. ჯორბენაძის „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები“ (1975) და მისივე „ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“ (1980), შ. დამენიას „ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები“ (1982), მ. სუხიშვილის „სტატიკური ზმნები ქართულში“ (1976) და „გარდამავალი ზმნები ქართულში (სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი)“ (1986), თ. უთურგაიძის „სახელის მორფოლოგიური ანალიზი ქართულში“ (1986), „გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში“, (2002), დ. ფხაკაძის „თურმეობითის ფუნქციები ქართულში“ (1984), გ. გოგოლაშვილის „ქართული ზმნის უღელობების სისტემა“ (1988), ო. ღლონტის „ქართული ზმნის უნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა“ (1989), დ. მელიქიშვილის „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ (2001), მ. ტუსკიას „სახელზე აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში“ (2004), რ. ქურდაძის „ხმოვანმონაცვლეობითი ზმნები თანამედროვე ქართულში“ (2005) და მრ. სხვ. სინტაქსის საკითხები წარმოდგენილია ალ. ჩიქობავას, „ითანადობის მეცნიერული ცნების შესახებ“ (1966, მე-2 გამოც. – 1977, მე-3 გამოც. – 1988, მე-4 გამოც. – 1996), ა. დაიხინაძის „ქართული ზმნის ხანგრძლივობის ტიპების“ (1978), გამოკვლევებში. ლ. ჭყონიას „ზმნისწინიანი ზმნების ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის“ (1983) და „ქართული ზმნის ზედროული კატეგორიის“ (1986), ნ. ჯაჭაძის „ზმნის ფორმა-ტიპის ფუნქციური ანალიზის“ (1990), შ. ფირცხალაიშვილის „ზმნის ფორმა-ტიპის ფუნქციური ანალიზის“ (1995) და სხვ. ა. ჩიქობავას, ალ. ჩიქობავას, ა. შანიძის, ა. ბურჭულაძის, ა. ონიანის, ა. ჭინჭარაულის, ა. ბარამიძის, ა. ბენდელიანის, ა. ბერ

კითხების შესახებ (1975), ა. ჭინჭარაულის «„ეეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები“», წიგნი I (1982) და გ. კარტოსიას «„ეეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები» (1975). სამჯერ გამოიცა „ეეფხისტყაოსნის“ სიმფონია (1933, კ. ჭიჭინაძე, 1956 თსუ-ში ა. შანიძის ხელმძღვანელობით, 1973 – ენათმეცნ. ინ-ტში მ. ჭაბაშვილისა და ა. ჭინჭარაულის რედაქტორობით).

მონოგრაფიულადაა შესწავლილი ი. *ჭავჭავაძის* (გ. შალამბერიძე, 1966), რ. *ერისთავის* (ო. ურიდია, 1966), ვ. ბარნოვის (ე. კოშორიძე, 1966), ე. გაბაშვილისა (ი. კიკნაძე, 1982, 2005), კ. გამსახურდიას (ნ. ლემონჯავა, 1983) ენისა და სტილის საკითხები; ცალკეულ მწერალთა ლექსიკონები შეადგინეს ა. ჭინჭარაულმა („ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, 1969), ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის სიმფონია-ლექსიკონები (ა. არაბული, თ. გეანცელაძე, ა. ლომთაძე, 1996), ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძის პოეზიის სიხშირული ლექსიკონები (თ. სანიკიძე) და სხვ. მთელი რიგი სტატიები აქვთ გამოქვეყნებული აგრეთვე ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურს, ი. გიგინეიშვილს, ბ. ჯორბენაძეს, გ. *კვარაცხელიას*, თ. კვაჭანტირაძე, ო. ურიდიას, ზ. სარჯველაძეს და სხვ.

ქართ. ენის ლექსიკის თანამედროვე ეითარებას ასახავს საქართვ. მეცნ. აკადემიის მიერ გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტტ. 1–8 (იხ. *განმარტებითი ლექსიკონი*); „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ერთტომეული, 1986; მე-2 გამოც. 1990, 2 ნაკეთად); რეატომეულის ბაზაზე შექმნილი „ინეერსიული ლექსიკონი“ (შედგენილი ბ. *ფორჩხას* ხელმძღვანელობით, 1967). რამდენჯერმე გამოიცა ი. იმედაშვილის (1904, 1928), გ. ახელედიანის (1933), მ. *ჭაბაშვილის* (1964, 1973, 1989) „*უცხო სიტყვათა ლექსიკონი*“. გამოქვეყნდა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ პ. ქაეთარაძის რედაქციით (1937), აგრეთვე ენათმეცნ. ინ-ტის თანამშრომლების მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ტ. 1–3, 1956–59), „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ერთტომეული, 1983); თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა მიმოხილულია ნაშრომებში: „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ (ბ. ფორჩხუა, 1974), „ქართული ლექსიკოგრაფიის საფუძვლები“, „ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები“ (ა. *ღლონტი*, 1964, 1983); „თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა“ (რ. *შამელაშვილი*, წგ. 1–3, 1972–79), „ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები“ (ჯ. სილაგაძე, 1981), „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში“ (ნ. მირიანაშვილი, 1986), „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I“ (ბ. ფორჩხუა, 1987). ქართული ფრაზეოლოგია და იდიომატიკა შესწავლილი აქვს ა. თაყაიშვილს – „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ (1961), ა. ონიანს – „ქართული იდიომები“ (1960).

ძე. ქართული ენის ლექსიკას შეისწავლიან თსუ-ში, ენათმეცნ. ინ-ტსა და ხელნაწ. ინ-ტში. გამოქვეყნდა ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (მასალები, 1973), ამაეე ლექსიკონის ინეერსიული საძიებელი (1979); ზ. სარჯეელაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები“, 1995), „ძველი ქართული ენის სიტყვის კონა“ (მისივე, 2001), ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი შეადგინა ი. იმნაიშვილმა (1948–49), გამოიცა „ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი“ (წგ. 1–2, 1986), „ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი“ (I, 2005). მონოგრაფიულად შეისწავლება სხვადასხეა დარგის ლექსიკა: „ადამიანის ანატომია – ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში“ (ლ. გელენიძე, 1974), „ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში“ (ი. ქურქაძე, 1974).

ახ. ქართ. სალიტ. ენის ნორმირებისა და სადაეო საკითხების მოსაგეარებლად მუშაობა არსებითად XIX ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ი. ჭავჭავაძის თაოსნობით გატარდა მნიშვნელოვანი ორთოგრაფიული რეფორმა (ძე. ასოების ხმარებიდან ამოღება). ეს მუშაობა კიდეე უფრო გაცხოველდა თსუ-ის დაარსების შემდეგ. განსახკომთან შეიქმნა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო აკად. ი. ჯაეახიშვილის თავმჯდომარეობით (1921), შემდეგ – 1925-იდან – ცენტრალური სატერმინოლოგიო კომიტეტი. სხეადასხეა დროს განსახკომთან, ქართ. ლიტრის ინ-ტთან, საქართე. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან მუშაობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია. 1954-იდან საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია. 1995-იდან მას ეწოდება საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია. კომისიის სამუშაო ბაზა შეიქმნა საქართველოს მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტში ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილების სახით (1953), რ-იც 1966 გარდაიქმნა ქართ. მეტყეელების კულტურის განყოფილებად (ხელმძღე. ი. გიგინეიშვილი, შ. აფრიდონიძე, თ. ეაშაკიძე). გამოსულია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებული (1970, რედ. ი. გიგინეიშვილი; ფოტოტიპური გამოცემა 1986); 1985-იდან დამტკიცებული ნორმები გამოდის ბიულეტენების სახით. 1972-იდან გამოდის კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, გამოქვეყნებულია 12 წიგნი (1–5 რედ. ი. გიგინეიშვილი, 6–12 რედ. შ. აფრიდონიძე). სალიტ. ქართულის ნორმირება-დახვეწას ემსახურება „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, 1968, II გამოც., 1998). ენათმეცნ. ინ-ტმა და ქართ. ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ ერთობლივად გამოსცეს კ. *გიგინეიშვილის* „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1985) და „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1987). პირთა და გეოგრაფიულ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით ცალკე წიგნებისა და ბროშურების სახით გამოქვეყნებულია ა. შანიძის, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურის, ზ. ჭუმბურიძის, გ. შა-

ლამბერიძის, ნ. ბასილაიას, ა. ღლონტის, შ. აფრიდონიძის, ა. არაბულისა და სხვათა ნაშრომები. ქართ. სალიტ. ენის სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილი შესწავლილია გ. კვარაცხელიას მონოგრაფიაში „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“ (1990). ენის ნორმალიზაციის თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებს ეძღვნება ლ. ლეჟავას მონოგრაფია „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები“ (2004).

ნორმალიზაციის უმნიშვნელოვანეს უბანს წარმოადგენს ტერმინოლოგია (სამეცნ.-ტექნიკური, სახ.-პოლიტ. და სხვ.). ენათმეცნ. ინ-ტი ხელმძღვანელობს ტერმინთა უნიფიკაციის, ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიისა და სტანდარტიზაციის საკითხებს. სათანადო დარგების სპეციალისტებთან თანამშრომლობით ინსტიტუტში და მუშავდა და გამოიცა მრავალი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ხელმძღვ. ეუკ. ბერიძე, შემდეგ – რ. *ლამბაშიძე, თ. გიბუტი*). მუშავდება თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია; განსაკუთრებით აღსანიშნავია კრებსითი ტერმინოლოგია ტექნიკასა და სოფლის მეურნეობაში. ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის ძირითად პრობლემებს ეძღვნება სპეც. მონოგრაფია „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (რ. ლამბაშიძე, 1986).

ქართ. დიალექტოლოგიის დარგში თსუ-ის დაარსებამდე გამოქვეყნდა მ. *ჯანაშვილის* შრომა სინგილოს შესახებ (1911–13), ნ. მარის მიერ ჩაწერილი იმერხეული ტექსტები და ლექსიკონი (1911) და ა. შანიძის შრომა „ქართული კილოები მთაში“ (1915). თსუ-ში დამუშავდა არნ. ჩიქობავას შრომები გარეკახური, მთიულური, ფერეიდნული დიალექტების შესახებ, ვ. თოფურიას წერილები ქართლური დიალექტის შესახებ. 20-იანი წლებიდან დაიწყო ქართული კილოების გეგმაზომიერი შესწავლა. აღწერილია თითქმის ყველა დიალექტი. გამოიცა დიალექტოლოგიური ტექსტები და გამოკვლევები (ა. შანიძე, შ. ძიძიგური, ი. გიგინეიშვილი, ს. ჟღენტი, ი. ქავთარაძე, ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ბ. ჯორბენაძე, რ. ლამბაშიძე, ვ. ფანცხავიძე, ლ. კაიშაური, ი. მეგრელიძე, გ. დოლიძე, ა. ღლონტი, ო. ქაჯაია, შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოღაიდელი, ნ. ნოღაიდელი, ქ. ძოწენიძე, ა. ჭინჭარაული, თ. უთურგაიძე, ვ. სომხიშვილი, ო. კახაძე, მ. ალავიძე, ქ. კუბლაშვილი, პ. გაწერილაძე, კ. გუგუშვილი, ი. ქუშიკაშვილი, ნ. როსტიაშვილი, თ. სალარიძე, გ. ცოცანიძე, პ. ჯაჯანიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ო. მიქიაშვილი, შ. ფუტკარაძე და სხვ.). თავისი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა შ. ძიძიგურმა წიგნში „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“ (1954, II გამოც. 1970). ვ. თოფურიას რედაქციით, ი. გიგინეიშვილისა და ი. ქავთარაძის მონაწილეობით გამოიცა „ქართული დიალექტოლოგია“ (1961); დაიბეჭდა ბ. ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგია I“ (1989), მისივე „ქართველურ ენათა დიალექტები“ (1995). ენათმეცნ. ინ-ტის „დიალექტოლოგიური კრებული“ (1987, 1988, 1991), ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნ.-კვლევითი ინ-ტის გამოცემა „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“ (1–8,1976–92). გამოქვეყნდა რამდენიმე დიალექტოლოგიური ლექსიკონი: აჭარულისა (შ. ნიჟარაძე, 1971), გურულისა (გ. შარაშიძე, 1938), ზემოიმერულისა (ბ. წერეთელი, 1938, ქ. ძოწენიძე, 1974, პ. გაწერილაძე, 1976), ლეჩხუმურისა (მ. ალავიძე, 1938); ქიზიყურისა (ს. მენთეშაშვილი, 1943), თუშურისა (პ. ხუბუტია, 1969; გ. ცოცანიძე, 2002), ინგილოურისა (ნ. როსტიაშვილი, 1978), ხევსურულისა (ა. შანიძე, 1931; ა. ჭინჭარაული, 1960–2005), მთიულურისა (ლ. კაიშაური, 1967), ქართლურისა (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, 1981), მოხეურისა (ი. ქავთარაძე, 1985), ფშაურისა (გ. ხორნაული, 2002) და სხვ., ცალკე დარგები მიმოხილულია დიალექტური ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით („ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში“, ლ. ასათიანი, 1977; „ჟურეულის ლექსიკა ქართულში“, ო. კახაძე, 1987). ენათმეცნ. ინ-ტში მუშაობა მიმდინარეობს ქართულ დიალექტოლოგიურ ატლასზე (იხ. აგრეთვე *დიალექტოლოგია*).

იმთავითვე დიდი ყურადღება ეთმობოდა ქართულ-ქართველური ტოპონიმიკის შესწავლას. ფუძემდებლური ნაშრომია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია). ნაშრომი 4-ჯერ გამოიცა; I გამოცემა ეკუთვნოდა მ. ბროსეს (1882). მნიშვნელოვანი ტოპონიმიკური მასალა წარმოდგენილია *იოანე ბატონიშვილის* „კალმასობასა“ (დაწერილია 1813–28 წლებში; გამოიცა ტ. 1–2, 1936–48) და „ქართლ-კახეთის აღწერილობაში“ (შედგენილია 1794–99 წლებში, ცალკე წიგნად გამოიცა 1986). ქართ. ტოპონიმიკის შესწავლის ისტორიაში ახ. ეტაპს ქმნის ნ. მარის, პ. იოსელიანის, ა. ცაგარელის, ი. ყიფშიძის, ი. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, მ. ჯანაშვილის, კ. კეკელიძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის და სხვ. ტოპონიმიკური ძიებანი. ამ დარგის კვლევას თანამედროვე ეტაპზე სისტემური ხასიათი მიეცა მას შემდეგ, რაც თსუ ახ. ქართ. ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმიკის ლაბორატორია (1969). ინტენსიური ტოპონიმიკური კვლევა-ძიება მიმდინარეობს აგრეთვე მთელ რიგ სამეცნ.-კვლევით ინ-ტებში (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმცნიერების, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა, ვახუშტი ბატონიშვილის სახ. გეოგრაფიის). ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის საკითხებზე გამოქვეყნებულია მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები (არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, მ. ქალდანი, ა. ღლონტი, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, ა. ჭინჭარაული, ი. სიხარულიძე, ი. მაისურაძე, თ. ზურაბაშვილი, შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, გ. ბედოშვილი, თ. უთურგაიძე, გ. თოფურია, მ. ალავიძე, პ. ცხადაია და სხვ.). დაარსდა გამოცემათა სერია „ტოპონიმია“ (გამოვიდა 2 ტ. – 1976, 1980 და მე-3 ონომასტიკა I“, 1987 შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით).

ქართველური ენების (კერძოდ, სვანურისა და ზანურის) შესწავლა, რაც ჯერ კიდევ პეტერბურგში დაიწყეს ა. ცაგარელმა, ნ. მარმა, ი. ყიფშიძემ, გრძელდება თსუ-სა

და ენათმეცნ. ინ-ტში. სვანური ენის ფონეტ. და მორფოლ. საკ. ეანძო საკითხები გაშუქებულია ა. შანიძის გამოკვლევაში „უმლაუტი სვანურში“ (1925) და ვ. თოფურიას წერილებში. საგანგებოდ აღსანიშნავია ვ. თოფურიას „სვანური ენა, I. ზმნა“ (1931, II გამოც. 1967). სვანური ენის სტრუქტურის საკითხებს არკვევს ს. ჯღენტის „სვანური ენის ფონეტიკა“ (1949), თ. გამყრელიძის «დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში» (1968), მ. ქალდანის „სვანური ენის ფონეტიკა. I“ (1969), კ. გაგუას „დრონაკლი ზმნები სვანურში“ (1976), ი. ჩანტლაძის „ქართველოლოგიური ძიებანი“ (I, 1998), ა. ონიანის „სვანური ენა“, თბ., 1998, ს. ჯანაშიას, კ. დონდუას, თ. შარაძენიძის, გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძის, ზ. ჭუმბურიძის, ა. ონიანის, ე. ოსიძის, ნ. აბესაძის, ი. ჩანტლაძის და სხვ. ნაშრომები. სვანური ენის შესწავლის თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია სვანურის ოთხივე დიალექტის გამოცემული ტექსტები (ტ. 1 – 1939, ტ. 2 – 1957, ტ. 3 – 1967 წ., ტ. 4 – 1979); ნ. ჩართოლანის „სვანური ტექსტები და ლექსიკა“ (2003). არნ. ჩიქობავას ნაშრომში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936) ჭანურის ფონეტ., მორფოლ. და სინტაქსური მოვლენები განხილულია მეგრულთან და ქართულთან ისტ.-შედარებითი თვალსაზრისით. ზანურის (მეგრულ-ჭანურის) ბგერით სისტემას შეეხება ს. ჯღენტის „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“, (1953), ნ. იმნაძის „ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა“ (1981), ნ. კიზირიას „ჭანურის ბგერითი შედგენილობა“ (1981), ნ. ქუთელიას „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“ (2005), გ. კარტოზიას „ლაზური ენა და მისი აღგილი ქართველურ ენათა სისტემაში“, (2005); ზანურის სტრუქტურის საკითხებია გამოკვლეული ვ. თოფურიას, გ. როგავას, ტ. გუდავას, გ. კარტოზიას, ი. ასათიანის, ნ. ქუთელიას და სხვ. შრომებში; ა. ლომთაძის მონოგრაფიაში „ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში“ (1987), კ. დანელიას ნაშრომში „კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა“ (2006). ჭანური ტექსტები გამოსცეს არნ. ჩიქობავამ, ს. ჯღენტმა, გ. კარტოზიამ, ი. ასათიანმა, მეგრული ტექსტები – მ. ხუბუამ, ტ. გუდავამ, კ. დანელიამ. გამოქვეყნდა ი. ყიფშიძის მიერ თურქეთის ტერიტორიაზე 1916 ჩაწერილი ჭანური ტექსტები (1939, არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და შესავალი წერილით) და მისივე „რჩეული თხზულებანი“, რ-შიც შესულია „მეგრული (იეგრიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“, „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“ და სხვ. (1994, კ. დანელიას წინასიტყვაობითა და შენიშვნებით). გამოცემულია ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონი“ (2000), ო. ქაჯაიას „მეგრული ქართული ლექსიკონი“ (ტ. 1–3, 2001–2002).

ქართველურ ენათა ისტ.-შედარებით შესწავლას მიეძღვნა არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართ. შედარებითი ლექსიკონი“ (1938), „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942), ვ. თოფურიას წერილების სერიები „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (1926–41) და „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“ (1927–38, ეს წერილები ზოგ სხვა გამოკვლევებთან ერთად თავმოყრილია ავტორისავე „შრომებში“, III, 1979); „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“ (გ. როგავა, I–1962, II–1984), „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (თ. გამყრელიძე, 1959), „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“ (გ. მაჭავარიანი, 1965), „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965), „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I. მარცვლის აგებულების პრობლემა“ (ს. ჯღენტი, 1960), „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ (ა. მარტიროსოვი, 1964), „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“ (ა. ონიანი, 1978), „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“ (მისივე, 1989), „მარტივი წინადადებების შედგენილობა ქართველურ ენებში“ (ა. კიზირია, 1982), „კომპლექსთაგან მოდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ (ქ. ლომთათიძე, 1984), „ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით“ (ნ. ჩართოლანი, 1985), „მყოფადი ქართველურ ენებში“ (ზ. ჭუმბურიძე, 1986), „ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“ (კ. გაბუნია, 1993), „სმნური და სახელური ფუძექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“ (ა. არაბული, 2001), „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ჯ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990, II გამოც. 2000), „ქართველური ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი“ (მ. ჩუხუა, 2003). გარდა ამისა, გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, გ. მაჭავარიანის, თ. შარაძენიძის, ი. მელიქიშვილის, ნ. აბესაძის, ე. ოსიძისა და სხვათა საყურადღებო წერილები.

ქართველურ ენებს ისტ. ხანაშიც ძლიერი შეხება ჰქონდა სხვა ენებთან. ეს აისახა ამ ენათა ლექსიკაში. ძ-ის მნიშვნელოვანი სფეროა სხვა ენებთან ლექსიკური ურთიერთობის კვლევა. ქართ.-ბერძნ. ლექსიკური შეხვედრები გამოვლენილია ს. ყაუხჩიშვილის, ა. ურუშაძის, გ. როგავას, თ. გამყრელიძის, რ. გორდეზიანის შრომებში, ქართ.-სომხ. – ნ. მარის, ი. აბულაძის, ზ. ალექსიძის, ი. შილაკაძის, ე. დოჩანაშვილის, ა. მარტიროსოვის, ლ. სანიკიძის, ც. ქურციკიძის, მ. რაფავას და სხვათა შრომებში; ქართ.-ირან. კონტაქტები გამოკვლეულია გ. ახვლედიანის, იუსტ. აბულაძის, მ. ანდრონიკაშვილის (გამოიცა მისი მონოგრაფია: „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ – ტ. I, 1966, ტ. II 1997), დ. კობიძის, ო. თედეევას, ა. გვახარიას, მ. თოდუას, ჯ. გიუნაშვილისა და სხვათა ნაშრომებში, ქართ.-სემიტური ლექსიკური ურთიერთობა – ნ. მარის, გ. წერეთლის, მ. შანიძის, კ. წერეთლის და სხვათა ნაშრომებში, ქართ.-თურქ. – ს. ჯიქიას, ე. გუდიაშვილის, ე. ჯანაიძის, ნ. ბაღათურიას, შ. გაბესკირიას ნაშრომებში.

ქართვ. ენათა სტრუქტურა და მდიდარი ისტორია, ენათა მჭიდ-

რო კონტაქტები. ენის სისტემის აღწერისა და მრავალი სხვა საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. გაღრმავებული მუშაობა ენის თეორიის საკითხებზე კი ხელს უწყობს კონკრეტულ ენათა ნაყოფიერ კვლევას. ამან განაპირობა ზოგადენათმეცნიერული კვლევის მაღალი დონე საქართველოში.

სათანადო თეორ. პრინციპები ზოგადად ნამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ 1924 „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულში“ (არნ. ჩიქობავა). ენის სისტემის აღწერის ძირითადი პრინციპული საკითხები გაანალიზებულია მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (არნ. ჩიქობავა, 1928; II გამოც. 1968), ხოლო ენის ისტორიის (და აღწერითი ენათმეცნიერების) მთავარი საკითხები განხილულია არნ. ჩიქობავასივე მონოგრაფიებში: „ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები“ (1945, II გამოც. 1983), „ენის როგორც ენათმეცნიერების საგნის პრობლემა“ (1959, რუს. ენაზე). „ახალი მოძღვრების“ დებულებათა კრიტიკული ანალიზი ჯერ მოცემული იყო არნ. ჩიქობავას გამოკვლევაში „პრობლემა ენისა, როგორც ენათმეცნიერების საგნისა, საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანების ასპექტში“ (ენიმკი, X, 1942, რუს. ენაზე); ხოლო შემდეგ წერილში, რ-ითაც დაიწყო საენათმეცნიერო დისკუსია გაზ. „პრავდის“ ფურცლებზე (1950, 9 მაისი).

ქართველოლოგიის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ქართველ მეცნიერთა გარდა, ნაშრომები აქვთ უცხოელ ენათმეცნიერებს — საფრანგეთში (ჟ. დიუმეზილი, რ. ლაფონი, ბ. უტიე) გერმანიაში (გ. დეეტერსი, კ. ჰ. შმიდტი, ჰ. ფენრიხი), ინგლისში (დ. ლენგი, ჯ. ჰიუიტი), ჩეხეთში (ი. იედლიჩკა), შვედეთში (კ. ჭალმინგი), შვეიცარიაში (ი. მარშეი), რუსეთში (გ. კლიმოვი), აშშ-ში (ჰ. არონსონი, ა. ჰარისი, დ. ჰოლისკი) და სხვ.

50-იანი წლების II ნახევარში დაიწყო ქართ. ენის კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენება. ენათმეცნ. ინ-ტში ამ სპეციალობით დაცულია რამდენიმე დისერტაცია (ლ. აბულაძე, ლ. ონუჭიძე, ლ. თამარაშვილი, გ. კვარაცხელია, კ. ლერნერი, ლ. მარგველანი, ვ. მდივანი); მანქანური თარგმნის საკითხებზე მუშაობდა მართვის სისტემების ინ-ტის თანამშრომელთა ჯგუფი (გ. ჩიკოიძე, ლ. თამარაშვილი, ლ. მარგველანი და სხვ.), იმავე ინ-ტში მუშაობდნენ ქართ. მეტყველების კომპილაციური სინთეზის პრობლემაზე (გ. რამიშვილი, ზ. ჯაფარიძე...); ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლით ცენტრში 60-იანი წლებიდან მუშაობენ ქართ. წინადადების სინთეზისა და მანქანური თარგმნის საკითხებზე (ე. დეკანოსიძე, მ. ჩხაიძე, გ. მახარობლიძე, დ. გრიქუროვა და სხვ.); კომპიუტერული ლინგვისტიკის განვითარებაში მონაწილეობენ მეცნიერთა ჯგუფები როგორც თსუ-ში, ისე ენათმეცნ. ინ-ტში, სადაც მუშაობენ ქართ. ენის კომპიუტერული მოდელის აგებაზე, მანქანურ დამუშავებაზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზებისა და ქართ. ენის მანქანური ფონდის შექმნაზე (თ. უთურგაიძე, ლ. ჩხაიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ა. არაბული, ლ. ეშაკაიძე და სხვ.).

კვლევა საქართველოში, გარდა თსუ-სა და ენათმეცნ. ინ-ტსა, მიმდინარეობს თბილ. ი. ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტში, ქუთაისისა და ბათუმის უნ-ტებში, ცხინვალის, ოლავაის პედ. ინ-ტებში, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, სოხუმის უნ-ტში.

ქართველოლოგიური თემატიკის წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა, გარდა დასახელებულისა, სპეც. გამოცემებში: „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ I–X (1920–30), „თბილისის უნივერსიტეტის შრომები (ენათმეცნიერება, 1936-იდან), „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“, I–XIV (1937–44), „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ (1941-იდან), „მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია“, 1971-იდან), ცალკე პედ. ინ-ტების შრომებში (ამჟამად შეერთებული კრებულის სახით). ენათმეცნ. ინ-ტმა გამოსცა თემატური კრებულები: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ (6 ტ., 1959–86), „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“ (6 ტ., 1969–82), „ტიპოლოგიური ძიებანი“ (6 ტ., 1987–97).

ქართველოლოგიური კვლევები ინტენსიურად მიმდინარეობს უცხოურ ლინგვისტიკურ ცენტრებშიც (*ი. ასფალგი, რ. ბლაიხშტაინერი, რ. ბლეიკი, ვ. ბოედერი, ი. ბრაუნი, მ. ბროსე, გ. კლიმოვი, რ. ლაფონი, ი. მარშეი, რ. ნოიკომი, ე. პოლიევანოვი, კ. ტუიტი, ბ. უტიე, ჰ. ფენრიხი, ჰ. ფოგტი, კ. ჰ. შმიდტი, ჰ. შუხარდტი, ა. პარისი, დ. ე. პოლისკი* და სხვ).

გ. ბურჭულაძე. გ. კვარაცხელია. ვ. შენგელია.

ქართველოლოგიური კვლევის ცენტრები, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები, სადაც მიმდინარეობს ქართული ენისა და სხვა ქართველური ენების, მათი დიალექტების მეცნიერული შესწავლა. ამ მიზანს ემსახურება როგორც სპეციალური ინსტიტუტები — არნ. ჩიქობავას სახ. *ენათმეცნიერების ინსტიტუტი*, კ. კეკელიძის სახ. *ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი*, ისე — სასწავლო და სამეცნ. დაწესებულებათა კათედრები, ლაბორატორიები, განყოფილებები.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტის ქართული ენის კათედრა — შეიქმნა 1991 ქართ. ენისა და ქართ. ლიტ-რის ისტორიის კათედრების ბაზაზე. კათედრის გამგეები: ნ. მიქელაძე, მ. ფაღავა. მემკვიდრეა ბათუმის სამასწავლებლო ინ-ტის ქართ. ენის კათედრისა (1937–55), რ-საც ხელმძღვანელობდნენ შ. ძიძიგური, კ. გიგინეიშვილი. კათედრაზე მუშაობდნენ აკად. გ. ახვლედიანი, აკად. გ. წერეთელი, პროფ. ა. ღლონტი, ლ. ჯანგველაძე, ი. მაისურაძე, ე. აბრამიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, ნ. საბაშვილი, შ. ნიჟარაძე და სხვ.

ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნ.-კვლევითი ინ-ტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყ-ბა — ჩამოყალიბდა 1976. ძირითადი მიმართულებაა აჭარული დარგობრივი ლექსიკის კვლევა, აგრეთვე აჭარული ონომასტიკისა და ლაზური დარგობრი-

ვი ლექსიკის შესწავლა. დიალექტოლოგიურ კვლევას 1993-იდან ხელმძღვანელობს მ. ქამადაძე. კვლევის შედეგები ძირითადად წარმოდგენილია კრებულში «აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა».

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ახალი ქართული ენის კათედრა. შეიქმნა 1945. კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ე. თოფურია, ა. შანიძე, შ. ძიძიგური; ი. ქავთარაძე ე. ბაბუნაშვილი, ა. არაბული. კათედრის კვლევის ობიექტია ახალი ქართ. ენის ფონეტ., მორფოლ.-სინტაქსური და სტილისტური თავისებურებანი, აგრეთვე, ქართ. დიალექტოლოგიის და ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ფ. ერთელიშვილის სახ. ონომასტიკის სამეცნ.-კვლევითი ლაბორატორია – დაარსდა 1969, თავდაპირველად როგორც ტოპონიმიკის ლაბორატორია, ხოლო 1993, ონომასტიკის სხვა დარგებში მუშაობის გაშლასთან დაკავშირებით, ეწოდა ონომასტიკის სამეცნ.-კვლევითი ცენტრი და მიუკუთვნა პროფ. ფ. ერთელიშვილის სახელი. ლაბორატორიის გამგეები იყვნენ: ბ. ჯორბენაძე, შ. აფრიდონიძე, პ. ცხადაია.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ძველი ქართული ენის კათედრა – შეიქმნა 1945. კათედრას ხელმძღვანელობდნენ: ა. შანიძე, კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, გ. გოგოლაშვილი. კათედრის კვლევის ობიექტია ძვ. და საშუალი ქართ. ენის სტრუქტურის, ისტ. საკითხები, ტექსტოლოგია, ქართ. სალიტ. ენის ისტორია, ქართველური ენებისა და მათი დიალექტების გრამატ. სისტემა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. კათედრას აქვს საკუთარი პერიოდული გამოცემა – „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები".

„ო რ ი ო ნ ი" – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებული ათონის ქართ. ხელნაწერებისა და ძვ. ქართ. ენის სხვა ძეგლების შემსწავლელი სამეცნ.-კვლევითი ლაბორატორია, დაარსდა 1982. კვლევის ობიექტია ძვ. ქართ. ენის ძეგლები, მიზანი – ამ ძეგლების შესწავლა ლინგვისტურ-ფილოლ. თვალსაზრისით. ლაბორატორიის მეცნ.-ხელმძღვანელია პროფ. მ. შანიძე.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის სოხუმის ფილიალის ქართული ენის კათედრა. დაარსდა 1969, სოხუმის პედ. ინ-ტის ქართული ენისა და ლიტ-რის კათედრის ბაზაზე; 1979-იდან არსებობა განაგრძო როგორც აფხაზეთის უნ-ტის ქართ. ენის კათედრამ; 1989-იდან ეწოდებოდა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის სოხუმის ფილიალის ქართ. ენის კათედრა. კათედრას ხელმძღვანელობდნენ: ნ. ბასილაია; ე. ჯიჯელავა; ჯ. სილაგაძე ო. მიქიაშვილი. კათედრის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ქართ. ენა და მისი დიალექტები, აგრეთვე ზანური ენა.

თბილისის ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. უნ-ტის (ახლანდ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტი) ქართული ენის კათედრა – შეიქმნა 1957 ქართ. ენისა და ლიტ-რის ისტორიის კათედრის ბაზაზე. კათედრას ხელმძღვანელობდნენ: ა. შანიძე, ე. თოფურია, კ. დონდუა, მ. ჩიქოვანი, ი. მეგრელიძე, ი. იმნაიშვილი, ა. ჯიშიაშვილი, შ. გაფრინდაშვილი, ე. ფანჩვიძე, შ. ძიძიგური, გ. დოლიძე, ჭ. თევზაძე, რ. ღამბაშიძე, ალ. ღლონტი, გ. კვარაცხელია, ზ. სარჯველაძე, ა. ონიანი, გ. გოგატიშვილი. კათედრის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: თანამედროვე ქართ. ენა, ძვ. ქართ. ენა, სალიტ. ენის ისტორია, ქართ. ენის სტილისტიკა, დიალექტოლოგია, ქართ. ლექსიკოლოგია, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, ენათმეცნიერების შესავალი, სოგადი ენათმეცნიერება.

თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. უნ-ტის (ახლანდ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტი) ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის აქტუალურ პრობლემათა შემსწავლელი ლაბორატორია – დაარსდა 1993. ლაბორატორიას ხელმძღვანელობდნენ: ბ. გიგინეიშვილი, ა. ონიანი, გ. კარტოზია კათედრის კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო ახ. ქართ. ენის, ძვ. ქართ. ენის, ქართველური ენების როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული კვლევა.

თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწ. პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრა. მემკვიდრეა თელავის პედ. სასწავლებლის ქართ. ენის კათედრისა, რ-იც დაარსდა 1939. კათედრას ხელმძღვანელობდნენ: ა. გაწერილაძე, გ. გაბედავა, ნ. კოტინოვი, ი. ჩიკვაიძე, ა. გვენცაძე, ი. ქეშეკაშვილი, რ. ჭიკაძე. კათედრის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ქართ. ენის ისტორია და სტრუქტურა, მიმართება იბერიულ-კავკ. ენებთან; დიალექტური ლექსიკა და დიალექტთა ენობრივი თავისებურებანი, ონომასტიკური კვლევა, მწერლის ენის შესწავლა.

ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტის ქართული ენის კათედრა. დაარსდა 1933. კათედრას ხელმძღვანელობდნენ: არნ. ჩიქობავა, ე. თოფურია, ს. ჟღენტი, გ. როგავა, ქ. ძოწენიძე, პ. ჯაჯანიძე, ო. ბეისაძე, მ. ალავიძე, მ. ქაცარავა. კვლევის ობიექტია დას. საქართვ. დიალექტები, ლექსიკოლოგიის საკითხები. აგრეთვე. ქართველურ ენათა ელექტრონული ბაზის შექმნის საფუძვლების დამუშავება.

ნ. ლოლაძე.

«ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ა თ ა ს ტ რ უ ქ ტ უ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი», არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანო. გამოდის 1959-იდან. გამოცემულია 9 ტომი (2006). კრებულში იბეჭდება როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ხასიათის ნაშრომები ქართ.-ქართველურ ენათა და დიალექტთა შესახებ, რ-ებშიც განხილულია ფონეტ.-ფონოლოგიური, გრამატ. ტერმინოლოგიის, სტილისტიკის, ტოპონიმიკა-ანთროპონიმიკისა და სხვ. პრაქტ. და თეორ. საკითხები, ინფორმაციები, ქართველური ტექსტები. *მ. კერესელიძე.*

ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ე ნ ე ბ ი, სამხრულ-კავკასიური ენები, იბერიული (იბერიულ) ენები, რ-თა შემადგენლობაში შედიან *ქართული, სვანური, მეგრული* და *ლაზური* (ჭანური)

ენები. ტერმ. „ძ. ე.“ შემოტანილია გერმ. ენათმეცნიერის ჰ. *შუხარდტის* მიერ. სპეციალისტთა ერთი ნაწილი ენათა ამ ჯგუფს, მთის კავკასიურ ენებთან ერთად, აერთიანებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში (იხ. *იბერიულ-კავკასიური ენები*). არსებობს სხვა მოსაზრებაც, რ-ის თანახმად, ძ. ე. ჭანეთა დამოუკიდებელ ოჯახს (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ზ. სარჯველაძე, კ. ჰ. შმიდტი, ჰ. ფენრიხი, _). ქეცელა ძ. ე-თეის საერთო-ეროვნული და სამწერლობო ენა ისტორიულად და ამჟამადაც არის ქართული.

ძ. ე-ის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ამ ენებს ძ. ე-ის ძველ შემადგენლობაში განსხვავებული ადგილები უკავიათ. ძე. ქართ. „სისინა“ სალიტ. ენას გამოეყო „შიშინა“ ზანური, რ-იც წარმოადგენს ძვ. ქართ. საწყისის ერთ-ერთი დიალექტის ტრანსფორმაციას. რაც შეეხება სვანურს, იგი ძ. ე-ის ძველ მოდელში დამოუკიდებელი წევრი არ ყოფილა: სვანური მომდინარეობს ქართულიდან ზანურის გავლით და შემდგ'ში გაზანიზებული სვანების მეტყველების აფხ.-ადიღურ ენებთან შეჯვარების რთული ისტ. პროცესის შედეგად. გვიან მოხდა ზანურის დაშლა ჭანურ და მეგრულ დიალექტებად. ეს პროცესი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სქემით:



განსხვავებული თვალსაზრისია გატარებული გერმ. ქართველოლოგის გ. *დეეტერსის* მიერ შემოთავაზებულ სქემაში, რომლის მიხედვით, ძ. ე. წარმოიქმნენ საერთო *ფუძეენის* დიფერენციაციის შედეგად. თავდაპირველ ფუძეენას გამოეყო სვანური, შემდეგ'ში – ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლით მივიღეთ ქართული და ზანური. უფრო გვიან ზანური დაიშალა ლაზურ და მეგრულ ენებად. მოც. სქემა უფრო ადეკვატურად ხსნის მეტი საერთო ნიშნების არსებობას ზანურსა და ქართულს შორის, ვიდრე ამ ენებისა სვანურთან:



დღეისთვისაც საკამათოდ რჩება ძ. ე-ის რაოდენობის საკითხი. ჩვეულებრივ, ძ. ე-ში აერთიანებენ სამ ენას: ქართულს, სვანურსა და ზანურს (მეგრულსა და ლაზურს). მაგრამ არ არსებობს ერთიანობა მეგრულისა და ლაზურის სტატუსის დადგენაში. ამ საკითხზე (გერმ. მეცნიერის გ. როზენის შემდეგ) სპეციალურად მსჯელობს ნ. მარი. მან საკმაოდ სერიოზული ლინგვისტური არგუმენტების საფუძველზე მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ ენებად მიიჩნია (იხ. *ზანური ენა*). არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, მეგრული და ჭანური, ფონეტიკური სისტემის აგებულების, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით, ერთიანი ენის – ზანურის – კილოებია, (ჭანურსა და მეგრულს ერთი და იგივე ფონეტიკური შესატყვისობა გააჩნია ქართულის მიმართ). აღნიშნული თვალსაზრისის დამცველების აზრით, საერთოქართველური ენის დაშლის შედეგად მიღებული ზანური ენის კილოების ურთიერთგანმასხვავებელი ნიშანი, ძირითადად, ლექსიკური სხვაობაა, რაც, ერთი მხრივ, ქართულიდან (მეგრულში) და, მეორე მხრივ, ბერძნულიდან და თურქულიდან (ლაზურში) შესული სიტყვების სიუხვით აიხსნება, რამაც უამრავი ზანური სიტყვა-ფორმა შეიწირა. სხვა ფონეტიკურ-ფონოლოგიური და გრამატიკული ცვლილებები, მათი აზრით, ჩვეულებრივ დიალექტურ სხვაობათა ფარგლებს არ სცილდება. ლაზურისა და მეგრულის სხვადასხვა ენებად მიჩნევას, მათი სიტყვით, „არა აქვს საკუთრივ ლინგვისტური არგუმენტები (სოციოლინგვისტურს კი ამ შემთხვევაში მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია, არა და სწორედ სოციოლინგვისტური ანუ მეცნიერების სხვა დარგის არგუმენტებით აპელირებდა ყველა მკვლევარი, ვინც დღემდე ლაზურისა და მეგრულის დამოუკიდებელ ენებად მიჩნევას უჭერდა მხარს)“ (მ. ქურდიანი).

შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მხოლოდ სოციოლინგვისტური არგუმენტები იყო წამოყენებული ნ. მარის მიერ, როცა წერდა, რომ ჭანური მეგრულისაგან განსხვავებულია. ამას თუ დავუმატებთ სხვა მკვლევართა (ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, კ. დანელიას...) მიერ დამატებით მოხმობილ ფაქტებს [არაინვერსიული თურმეობითების წარმოებას, ახალ მწკრივთა რთულ სისტემას, სახელობით ნაბრუნები ზმნური ფორმის (თანდებულდართულისა თუ უთანდებულოს) გამოყენებას მასდარის (სინტაქსურად – გარემოების) ფუნქციით, მეგრულის IV სერიის მწკრივთა უქონლობას, ი ფონემის ჰამოყალიბებას...)], მეგრულისა და ლაზურის დამოუკიდებელ ენებად ჩათვლას მეტი საფუძველი აქვს.

ბოლო პერიოდში მკვლევართა ერთმა ჯგუფმა წამოაყენა დებულება, რ-ის მიხედვით არათუ მეგრულისა და ლაზურის დამოუკიდებელ ენებად ჩათვლა არის უმაროებულოდ მიჩნეული, არამედ, საერთოდ, ცალკეული ძ. ე-ის არსებობაა უარყოფილი. მათი სიტყვით, „მსოფლიოს ენათა აბსოლუტური უმრავლესობა უკვე კვალიფიცირებულია ექსტრალინგვისტური კრიტერიუმებით და არც არავინ აპირებს გადასინჯოს მათი სტატუსი“ (თ. გვანცელაძე). ამისდა კვალად, მეგრული, ლაზური და სვანური ქართული ენის კილოებად არის კვალიფიცირებული. ამ ჯგუფის თვალსაზრისით,„ქართველები ლაპარაკობენ ერთადერთ ქართველურ-სოგადქართულ ენასა და ათეულობით დიალექტზე; ზანური (მეგრული, ლაზური) და სვანური (ბალსუმოური,ბალსქემოური, ლაშხური, ლენტეხური და ჩოლურული) კილოები ამ საერთოეროვ-

ნული ენის ისეთიეე ტერიტორიული მიკროვარიანტებია, როგორიც არიან: ქართლური, კახური, იმერული, აჭარული, ხევსურული, თუშური, ფშაურ-ხევსურული, ტაოური, მაჭახლური და სხვანი“ (თ. გვანცელაძე).

აღნიშნული დებულება ვერ არღვევს იმ შეხედულებას, რომ სვანური და მეგრული მხოლოდ ფუნქციონალურად უტოლდებიან ქართ. ენის დიალექტებს, მაშინ როდესაც ლინგვისტ. თვალსაზრისით ჩვეულებრივ ენებად რჩებიან (ა. ონიანი).

ძ. ე-ის წარმოშობის საერთო სურათი ასე შეიძლება იყოს წარმოდგენილი: საერთ-ქართველური ენის ერთიანობის დონეზე მასში „შიშინა“ დასაელური (რისთვისაც აქ გამოყენებულია ტერმ. კოლხური) და „სისინა“ აღმოსაელური (ქართული) დიალექტური არეალები გამოიყოფოდა; კოლხური დიალექტის სვანური კილოკავის სანური კილოკავისაგან დაშორებისა და დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბების შემდეგ საერთო-ქართველური ერთიანი ენა ორ მონათესავე ენად გარდაიქმნა: ქართულ-სანურად (საერთო-ქართველური ენის აღმოსაელური დიალექტისა და დასაელური, ანუ კოლხური დიალექტის ზანური კილოკავეის ერთიანობად) და სვანურად. შემდგომში ზანური ხმოვანთა გაღაწევის შედეგად ზანური ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ენად ორი დიალექტური არეალით – მეგრულითა და ლაზურით; ქართველურ ტომთან მიგრაციების შედეგად მეგრულს გარკვეული ნაწილი (დღევანდელი ლაზურის ხოფირ-ჩიქალური კილო) დაშორდა და ლაზურს მიეკედლა; საბოლოოდ მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ, სხვა ძ. ე-თან შედარებით უფრო ახლომდგომ ენებად ჩამოყალიბდნენ, რ-ებიც ძ. ე-ის სისტემაში ზანური ენების ჯგუფს ქმნიან.

საერთო-ქართველურ ენაში ორი განსხვავებული ფონოლოგიური სისტემის მქონე დიალექტის თანაარსებობა ზოგ მკვლევარს არარეალურად მიაჩნია. სიბილანტთა სამი რიგის ორგვარი (დასაელური, ანუ სვანურ-ზანური და აღმოსაელური, ანუ ქართული) ტრანსფორმირება მათთვის ამ ენის (ე. ი. საერთო-ქართველურის) სიკვდილს და ახალი ენების ჩამოყალიბებას ნიშნავს.

ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის გარდაქმნა ორ ვარიანტად ყოველთვის არ ნიშნავს ორი დამოუკიდებელი ენის წარმოქმნასა და ტრანსფორმირებული ენის სიკვდილს. ერთი ენის (არათუ ენის, არამედ მისი დიალექტის) შიგნით ორი ფონოლოგიური სისტემის არსებობის შესაძლებლობას აღასტურებს ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავების ურთიერთმიმართება, რ-თა სიბილანტური თანხმოვნები ისეთსავე შესატყვისობას გვიჩვენებენ, როგორსაც ქართული და ზანურ-სვანური. მორფოლ. და ლექსიკური ერთიანობის პირობებში ფონეტიკურ სხვაობებს (თვით რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა არსებობასაც კი) გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს მონათესავე ენათა და დიალექტთა კლასიფიკაციისას (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

საერთო-ქართველურმა ენამ ორ დიალექტურ არეალად გაყოფის შემდეგ არსებობა განაგრძო როგორც ორი დიალექტური არეალის მქონე ენამ, რამდენადაც, ფონოლოგიური სისტემის განსხვავებულობის გარდა, ამ ორ დიალექტს მორფოლოგიური და ლექსიკური ხასიათის ისეთი სხვაობა არა აქვთ, რაც ხელს შეუშლიდა მათს ენობრივ ერთობას.

შემდგომში, როცა თავი იჩინა ღრმა მორფოლოგიურ-ლექსიკურმა სხვაობებმა, ერთი მხრივ, დასაელურ-ქართველური დიალექტის სვანურ კილოკავსა და, მეორე მხრივ, აღმოსაელურ-ქართველურ (ქართულ) დიალექტთან ერთად დარჩენილ დასაელური დიალექტის სანურ კილოკავს შორის, მოხდა სვანური კილოკავის დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბება, დასაელურ-ქართველური სანური და აღმოსაელურ-ქართველური ქართული განაგრძობდნენ არსებობას როგორც ერთი ენის დიალექტები, რადგან მათი ფონოლოგიური სისტემების სხვაობა მორფოლოგიურ-ლექსიკური მსგავსების (ერთობის) პირობებში ხელს არ უშლიდა მათს ენობრივ მთლიანობას. უფრო მოგვიანებით კი, როცა უკვე საერთო ქართულ-ზანური ენის ზანურ და ქართულ დიალექტებს შორის იჩინა თავი მორფოლოგიურ-ლექსიკურმა სხვაობებმა, ქართულ-ზანური ენა ორ ენად გაიხლიჩა. კიდევ უფრო გვიან, როცა დამოუკიდებელ ზანურ ენაში ორი დიალექტი მორფოლოგიურ-ლექსიკურად დაუპირისპირდა ერთმანეთს, დამოუკიდებელი მეგრული და ლაზური ენები ჩამოყალიბდა.

დამოუკიდებელი განვითარების პირობებში ძ. ე-მა, მიუხედავად ყველა სფეროში მომხდარი ცვლილებებისა, შეინარჩუნეს მრავალი საერთო ნიშან-თვისება (უშუალოდ ფუძეენიდან მომდინარე, ან საერთო ტენდენციებით გამოწვეული).

ფონემათა სისტემა ძ. ე-ში ზოგადად ხასიათდება ხმოვანთა სიმცირით თანხმოვანთა რაოდენობასთან შედარებით. ფონემათა სისტემაში შედის 5–7 ხმოვანი და 28–30 თანხმოვანი. განსხვავებული სურათია სვანურში, სადაც ფონემური სიგრძისა და უმლაუტის გავლენით ხმოვანთა რაოდენობა გაზრდილია (ლაშხურში – 12, ბალსზემოურში – 18). შედარებით ერთგვაროვანია თანხმოვანთა სისტემა (ლაზურში ф ფონემა გვიანდელი ნასესხებია). თანხმოვანთა სისტემა ემყარება ხშულებისა და აფრიკატების სამეულებად, ხოლო სპირანტებისა – წყვილეულებად განაწილებას (იხ. *თანხმოვანთა კლასიფიკაცია*). ძ. ე-თვის დამახასიათებელია თანხმოვანთა კომპლექსების სიმრავლე. ყველა ქართველურ ენაში დასტურდება *პარმონიული კომპლექსები* (თუმცა მეტ-ნაკლები შესწორებით. იხ. *ლაზური ენა, სვანური ენა*). ფონეტიკური პროცესებიდან დამახასიათებელია რეგრესული *ასიმილაცია* და პროგრესული *დისიმილაცია* (ი. *ყიფშიძე*). ძ. ე-ის მორფოლოგიაში აშკარად გამოხატული აგლუტინაციურობის (იხ. *ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია*) გეერდით ყურადღებას იქცევს საკმაოდ განვითარებული სინთეზურობის ელემენტი. შესუსტებულია *აბლაუტის* მოქმედება

(განსაკუთრებით სახელებში). მიუხედავად განსხვავებისა ბრუნვათა რაოდენობასა (წოდ. ქართულში, ლოკატ. ბრუნვები სხვა ძ. ე-ში) და მათ ფუნქციებს შორის (შდრ. მოთხრ., სახ., მიც.), შენარჩუნებულია 6 ძირითადი ბრუნვა: სახ., მოთხრ., მიც., ნათ., მოქმ., ვით.; მატერიალური სიახლოვე ელინდება ბრუნვის ნიშნებშიც (მეგრულისა და ლაზურის მოთხრ. ბრ. ნიშანი -ქ განკერძოებით დგას სხვა ძ. ე-ის შესაბამისი ბრუნვის ნიშნებისაგან; სინქრონიულ დონეზე სვანურსა და ლაზურში სახ. ბრუნვა მორფოლოგიურად არ არის გამოხატული, იგი სხვა ბრუნვის ფორმებს უნიშნობით უპირისპირდება). რიცხვი ორია, მხოლოობითი და მრავლობითი. მრ. რიცხვის ნიშანი ქართულსა და მეგრულ-ლაზურში საერთოა: ქართ. -ებ, მეგრული -ეფ, ლაზ. -ფუ (-ეფუ). განსხვავებულია სვ. ბრ (არ), ბლ (ალ).

საერთო ნიშნებს ავლენს ძ. ე-ის ძირის სტრუქტურა: კანონიკური ფორმა არის CVC, წარმოდგენილი ვარიანტების ფართო სპექტრით. ასეთივე მსგავსებაა აფიქსურ სტრუქტურებშიც, რ-თა შესაძლებელი მოდელებია:

პრეფ. CV, C, V; სუფ. VC, V, C.

თელის სისტემა ძ. ე-ში ოცობითია, სვანური ენის ორ კილოში (ბალსზემოურსა და ლაშხურში) დასტურდება ათობითი თელა.

ქართველურ ენებში საერთოა ზმნური კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი, ასპექტი, კონტაქტი, ქცევა, აქტი, გუსი, ორიენტაცია (თუმცა ენათა მიხედვით განსხვავებულია ამ კატეგორიათა კონკრეტული რეალიზაციის სახეები, როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით).

გარჩეულია დინამიკური და სტატიკური, გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები; პირთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებულია მონოპერსონალური და პოლიპერსონალური ზმნები. უღლილება პიროვნებია (სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური). გარდამავალი ზმნის შემცველი სინტაგმა წარმოდგენილია განსხვავებულ წყობათა ფორმებით. გვაქვს: *ნომინატიური, ერგატიული* და *დატიური* კონსტრუქციები (იხ. *ქართული ენა, სვანური ენა, ლაზური ენა, მეგრული ენა*).

ძ. ე-ების სინტაქსი მთელი რიგი ნიშან-თვისებებით საერთო სტრუქტურას გვიჩვენებს: სინტაქსური კავშირები (*შეთანხმება, მართვა, მირთმა*); მსაზღვრულ-საზღვრულის რიგი, წინადადებათა სახეები და ა. შ.

განვითარებულია სიტყვაწარმოება (პრეფიქსული, სუფიქსური, პრეფიქს-სუფიქსური) (იხ. *დერივაცია*) *კომპოზიცია*. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ნასესხობებისა, ძ. ე-ში მაინც მნიშვნელოვან ფენად საერთო ქართველური ლექსიკა რჩება.

ლიტ.: ნიკობაძე არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938; ჯღენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949; მისივე, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953; მისივე, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I. მარცვლის აგებულების საკითხები, თბ., 1960; ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; შარაძენიძე თ., ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. – «იკე», III, თბ., 1952; შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გამყრელიძე თ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში; საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965; როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I-II, თბ., 1962–84; მაჭავარიანი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965; გუდავა ტ., გამყრელიძე თ., თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში. – «თბილისის უნივერსიტეტი აკ. შანიძეს», თბ., 1981; ქიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; ლომთათიძე ქ., კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბ., 1984; ონიანი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989; მისივე, სვანური ენა, თბ., 1998; ფუტკარაძე ხ., სარჯველაძე ხ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000; კარტოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005; ფუტკარაძე თ., ქართველები, ნაწილი I, თბ., 2005; დანელია ქ., კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი: ამირეჯიბი-მალული რ., დანელია ნ., დონდუა ი. (შემდგენლები), კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006; ბჟანიცელაძე თ., ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1910; Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914; Чикобава А. С., Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. – «Иск», II, 1948; Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962; Deeters G., Das kharthwelische Verbum, Lpz., 1930; Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.

გ. კარტოზია.

ქართლური, ქართული ენის ფუძე-დიალექტი. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართ. სამწერლობო ენის ისტორიისა და ისტ. დიალექტოლოგიის საკითხების კვლევისათვის. ძ. საფუძვლად უდევს ქართ. სალიტ. ენას დასაბამიდან დღემდე. ძ. დიალექტის თავისებურებანი ფართოდ არის წარმოდგენილი წარმოშობით ქაროლელ მწერალთა – დ. ჭონქაძის, ი. გოგებაშვილის, ა. ფურცელაძის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, შ. არაგვისპირელის, ე. გაბაშვილის, ა. ერისთავ-ხოშტარიას, მ. ჯავახიშვილის, გ. შატბერაშვილის, ო. ჩხეიძის და სხვ. თხზულებებში.

ქართლს საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია. ის მოიცავს (მთლიანად ან ნაწილობრივ) დუშეთის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, დმანისის, წალკის, კასპის, ახალგორის, გორის, ცხინვალის, ოქონას, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რ-ნებს. გარდა ამისა, ისტორიულად ქართლის სამეფოში შედიოდა აგრეთვე ჩრდ-ით – ხევი და მთიულეთი, სამხრ-ით – მესხეთ-ჯავახეთი (სამცხე-ჯავახეთი), დას-ით – ზემო იმერეთი.

ქართლის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ სხვადასხვა დროს გადმოსახლებული მოხევეები, მთიულები, ხევსურები, კახელები, იმერლები, გურულები, რაჭველები და სხვ., ასევე ებრაელები, სომხები, რებიც მხოლოდ ქართულად მე-

ტყველებენ, ოსები, რუსები, თათრები, თურქულენოვანი ბერძნები. უცხო ენობრივ გარემოსთან კავშირის მიუხედავად, ძ-ის გრამატ. წყობას არ განუცდია არც ერთი ენის განსაკუთრებული გავლენა.

ძ. შეიძლება დაიყოს ოთხ კილოკავად: ცენტრალური ძ. (შუაქართლური ანუ შიდაქართლური), დასავლური ძ. (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მიდამოების ძ.), ჩრდილოური ძ. (არაგვისა და ქსნის ხეობათა ძ.), სამხრული ძ. (ქვემოქართლური). ასეთი დაყოფის საფუძვლად ძ-ის გაერცელების ფართო ფარგლები და მოსახლეობის ნაირგვარობა გვეხლინება.

სალიტ. ქართულისაგან განსხვავებით, ძ-ის ბგერით სისტემაში სპორადულად იჩენს თავს ჴ – ჩრდილოურ ძ-ის არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში (მთიულურის გავლენით). ჲ ძ-ში ჰ და ს ფონემების პოზიციური ნაირსახეობაა (დასტურდება ჩრდილოურ და ცენტრალურ ძ-ში, გვხვდება ქვემოქართლურშიც). ჲ-ს გვაძლევს: ა) II სუბიექტ. და III ობიექტ. პირების ჰ||ს ნიშანი ხმოვნის მომდევნოდ – გა-ჲ-ჭრი, ან ხმოვანზე დაბოლოებულ ფორმასთან ზმნის ენკლიტიკის შემთხვევაში – ბუდე ჲქვიან. ხშირია ჲჰ-||ს შერწყმის შემთხვევები – დ-ჲჰ-ბარამს, დ-ჲს-თესამს გვხვდება ჲჰს-ც – შ-ჲჰს-წყდა; ბ) მიც. ბრუნვის ნიშანი ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთან – „ნათელა-ჲ დაუძახე“; გ) ნათ. ბრუნვის -ს ნიშანი ხმოვანფუძიან უჟეცელ სახელებთან – „ოქრო-ჲ ბურთი“; დ) III სუბიექტ. პირის -ს ნიშანი ხმოვნიანი სუფიქსის მომდევნოდ – დააბრუნ-ო-ჲ „დააბრუნოს“, ე) ჲ გვხვდება ხმოვანგამყარად ჩრდილოური ძ-ის ზემოქსნურ მეტყველებაში – გა-ჲ-ა-თხოვ-ა „გაათხოვა“; ვ) ქვემოქსნურში ხმოვანზე დასრულებულ ფორმასთან გვხვდება ინტონაციურად შეპირობებული ჲ – ხვალაჲ „ხვალ“; ზ) ჲ-ს იძლევა ფუძისეული ს-ც – სტუმარი → ჲტუმარი; თ) ჲ მიიღება სოგჯერ ც, ზ, შ ბგერებისაგან – მუღტი „მუშტი“.

ქვემოქართლურში თურქულენოვანი გარემოს გავლენით ნასესხებ სიტყვებში დასტურდება ბ: ქბალბ, გვხვდება რ (← ეე) და უ (← ეი): კეერცხი → კრრცხი, ძეირი → ძური.

მეტყველების დინჯი ტემპი გარკვეულ პოზიციაში შეაპირობებს ხმოვნის დაგრძელებას – ერთმარცვლიან ზმნებში გრძელდება ხუთივე ხმოვანი: წვეს, ძრეს, დუმს, სნს, ვარ. კითხვით წინადადებაში ტონური მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე ხმოვანს, რაც მის დაგრძელებას იწვევს: ამაიტანდი? ზემოქსნისა და არაგვის ხეობათა მეტყველებაში ტონური მახვილის გამო ბოლოდან მეორე ხმოვანი გრძელდება თხრობით და ძახილის წინადადებებშიც: იქნთა ხის; ეთურ, პური მარტანე?

ხშირია ასიმილაციის ზოგიერთი სახეობა: მაგ.: აქკოე კომპლექსი ქველა პოზიციაში სრული რეგრესული (როგორც კონტაქტური, ასევე დისტანციური) ასიმილაციის საფუძველზე გვაძლევს ეე-ს: წაეცვანა → წვეცვანა, წამოეცვანა → წამვეცვანა ‖ წემვეცვანა. ასევეა ბოლოკიდურ პოზიციაში: ჭალაები → ჭალეები. ქვემო ქართლურში პროცესი უფრო შორს მიდის – ეე დისიმილაციის საფუძველზე გვაძლევს იე-ს: ჭალეები → ჭალიები.

გვხვდება ლაბიალიზებულ კომპლექსთა ცელილებანი: ვა → ო, ვე → ო, ვი → უ ‖ ჳ: მარცვალი → მარცოლი, სადღვებელი → სადღობელი, ყივილი → ყიული (ჳ გვხვდება ქვემოქართლურში).

აღსანიშნავია რეგრესული დისიმილაციის შემთხვევები ოა → უა, ოე → უე სიტყვის თაეკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციებში: მოაქვს → მუაქ; მოეტანა → მუეტანა_, საღამოა → საღამუა, აბანოები → აბანუები. ქვემო ძ-ში ოე → უე პროცესი უფრო შორს მიდის: უ იშლება ვი კომპლექსად, შეიძლება შემდეგ ვ დაიკარგოს – აძოვებს → აძოებს → აძუებს → აძვიებს.

ხშირია სპირანტების დასუსტება-დაკარგვის შემთხვევები. ჩვეულებრივი მოელენაა სპირანტთა მეტათეზისიც: ხსნის → სხნის, ხშირი → შხირი, დაკუზვა → დაზუკვა. ინტერვოკალურ პოზიციაში, ჩვეულებრივ, იკარგება ვ სონორი. ამაეე დროს ვ ჩნდება კიდეც – რაჭა → რაჭვა და ა.შ. ბგერათა დაკარგვის შემთხვევათაგან აღსანიშნავია -ევინ კაუსატივის სუფიქსისეული ვ და ნ ბგერების დაკარგვა. ამ ბგერათა გაუჩინარება კილოკაურ სხვაობას იძლევა – და-ა-ჭრ-ევინ-ა → და-ა-ჭრ-ევი-ა (დასავლურ ძ-ში), ხოლო და-ა-ჭრ-ეინ-ა (ძ-ის სხვა კალოკაებში). დასავლურ ძ-ში იკარგვის -ინ კაუზატივისეული ნ-ც, რ-იც ძ-ის სხვა კილოკაებში უპირატესად შენარჩუნებულია.

ხშირია მ, ნ, რ ბგერების ჩართვა: ბალი → მბალი, იგლოვა → ინგლოვა, ღვიძლი → ღვირძლი და სხვ. ფართოდაა გავრცელებული სონორთა სუბსტიტუციის შემთხვევები: მ:ნ – ზამთარი → ზანთარი, ნ : მ – სანთელი → სამთელი, ვ : მ – ვიწრო → მიწრო, თესავს → თესამს, აპნევს → აპნემს, ბ : მ – ამხანაგებს → ამხანაგემს, აკეთებ → აკეთემ, ჯეჯილობს → ჯეჯილომს, ბ მ : ვ – ტრაბახობს → ტრაბახომს → ტრაბახოვს, ვ : მ : ნ – მალავს → მალამს → მალანს (ეს უკანასკნელი დასავლურ ძ-ში).

სახ. ბრუნვის -ი ნიშანი დაერთვის ხმოვანფუძიან სახელებსაც: მიწაი, ოქროი, მზეი და სხვ. ძ-ში ეს -ი არასოდეს გადადის ჲ-ში. მოთხრ. ბრუნვაში -მა გვხვდება ხმოვანფუძიან სახელებთანაც: დამა, დედამა. ეს ხდება უპირატესად მაშინ, როცა ასეთი სახელი ჰაერცობი ხმოვნის დართვის პოზიციაში აღმოჩნდება.

საერცობი -ა მოუდის: მიც., ნათ., ჰოქმ. და ვით. ბრუნვის ნიშნებს. აღსანიშანავია, რომ -ა არ გვხვდება, თუ მის მომდეგნოდ ზმნას აქვს სმნისწინი ან ხმოვანი პრეფიქსი: „თიხას დაიზელამენ“, „თიხას იზელამენ“. ამ შემთხვევაში საერცობი -ა შეიძლება გექონდეს მაშინ, თუ მის შემდეგ პაუზაა, დაყოვნებაა მეტყველებისას: „საკრამიტე თიხა-ს-ა/დაზელამენ კარგა“. მიც. და ნათ. ბრუნვების -ს და -ის ფორმანტები, ჩვეულებრივ, დაცულია საერცობის წინა პოზიციაში, სხვა შემთხვევებში კი ფონეტ. ცვლილებებს განიცდიან (ჲ-ში გადადიან. იხ. ზემოთ).

ლოკატივის ფუნქციით დასტურდება უთანდებულო მიცემითი:

ქალაქ-ს ვიყა. ამავე მნიშვნელობით გვხვდება -ა სუფიქსიანი ფორმაც: ქალაქ-ა ვიყა.

წოდებითში თანხმოვანფუძიან სახელებთან -ო-ს ნაცვლად გვაქვს ოჳ: კაცოჳ. -ა ხმოვანზე დაბოლოებული ორზე მეტმარცვლიანი საკუთარი სახელები წოდებითში შეკვეცილადაა წარმოდგენილი: მაყვალ! მანან! ...

გამოსვლითობის გამოსახატავად გვხვდება -ით-გან → -იდ-გან (|| -იდ-ან) დაბოლოებები: რაჭ-იდ-გან, იჭ-იდ-გან. ცენტრ. და ჩრდილოურ ჯ-ში დასტურდება -იდამ დაბოლოებაც: ქალაქ-იდამ, დილ-იდამ .. ნათესაობითზე დართული-გან ზოგჯერ რთულდება -ით ფორმანტით: იმ-ის-გან-ით → იმ-იზ-გნ-ით. შესაძლებელია ამას კვლავ დაეროს გან: იმ-იზ-გნ-ით-გან → იმ-იზ-გნ-იდ-ან.

სახელთა მრავლობითობას ძირითადად -ებ აწარმოებს. გვხვდება აგრეთვე -ნ || -თ (ა). -ნ || -თ(ა) სუფიქსებით ხშირია ოჯახის (გვარის) სახელების გაფორმება: ტუხა → ტუხა-ან-ნ-ი და მისთ.

მრავლობითობის სუფიქსთა წარმოებაში შეინიშნება მერყეობა – ამ სუფიქსებით გაფორმებულმა სახელებმა შეიძლება კვლავ დაირთონ იგივე სუფიქსები: ცხრა-ნ-ეჳ-ნ-ი, ორ-თა-ეჳ-ნ-ი, ან ორ-თა-ეჳ-ებ-ი || ორ-თა-ეჳ-ნ-ებ-ი, თავაან-თ-ებ-ი.

მთელ ჯ-ში აღინიშნება ზმნის თემისნიშნიან წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია: წერ-ს → წერ-ავ-ს, გრეხ-ს → გრეხ-ავ-ს || გრიხ-ავ-ს; გრძნობა-აღქმის გამომხატველ -ი სუფიქსიან ინვერსიულ ზმნებში -ან პირის ნი'შნის ხმარება: ს-წყურ-ი-ან, ე-შინ-ი-ან და სხვ.

მო- და შე- ზმნისწინებთან ერთად პარალელურად გეხვდება მა-, შა-, რ-თა განაწილება კანონზომიერია: მოვიტანე || მოიტანე, მა-იტანე, მაიტანა... მამიტანა, მაგრამ გვხვდება მოგიტანაც.

ჯ-ში გვაქვს ხოლმეობითის ფორმები: გამა-ჲ-რეკ-დ-ის (I ხოლმ.), და-ე-ი-ლოც-ი (II ხოლმ.). ჩრდილოურ ჯ-შიც მყოფადის კავშირებითის ფორმები თხოვნით – წაქც'სებითი ბრძანებითის ფუნქციით დასტურდება: და-ა-რიგ-ებ-დ-ე- წყვეტილის I და II პირის ფორმები რთულდება -ეე-ი → -ე-ი და-ბოლოებით: ვ-ნახ-ეე-ი || ვ-ნახ-ე-ი, ნახ-ეე-ი || ნახ-ე-ი. -ეე-იანი სმნები წყვეტილში, ჩვეულებრივ, ინარჩუნებენ ვ-ს ხმოვანთა შორის: ავარჩივე, აარჩივე, აარჩიეა.

ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითის მრ. რ-ის ფორმებში წყვეტილში -ენ (→ -ნ) სუფიქსი გვაქვს: და-ვ-ი-სარდ-ენ-ი-თ, და-ი-სარდ-ენ-ი-თ, და-ი-სარდ-ნ-ენ..შე-ე-ე-ხვეწ-ენ-ი-თ, შე-ე-ხვეწ-ენ-ი-თ, შე-ე-ხვეწ-ნ-ენ.

გარდამავალ ზმნათა I და II თურმეობითის ფორმებში ჩნდება -ნ სუფიქსი: უჭამნია, ეჭამნა. II თურმეობითში ერთ-და ორვალენტიან ზმნათა ფორმები მეშეელ-ზმნიანია: დამდგარიყო – დადგომიყო „დასდგომოდა“, ჩამოკიდებულიყო – ჩამოჰკიდებულიყო „ჩამოჰკიდებოდა“.

შეინიშნება ვნებითის ორმაგი წარმოება: დე-ე-ძინ-დ-ებ-ა, შე-ე-ნან-დ-ებ-ა და სხვ. ხშირია ვნებითის კაუზატიური ფორმებიც: დე-ე-ჭერ-ინ-ებ-ა, გე-ე-ლახ-ვ-ინ-ებ-ა და სხვ.

სიტყვაწარმოებითი თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ძ-ში ნამყო დროის მიმღეობაში -ილ სუფიქსის ნაცვლად დასტურდება -ულ: მო-ტან-ულ-ი „მოტანილი“, მო-ყვან-ულ-ი „მოყვანილი“. ხშირია მასუბსტანტიეებელი ა-ს გამოყენება: ტიტეელა, ცარიელა, ჩარექა და სხვ.

ცენტრ. და ჩრდ. ჯ-ში „სადმე“, „არსად“, „ვერსად“ გამოიყენება დროის ხმნი'სეების დანიშნულებით: „ოღონდ მოიყვანე სადმე (=ოდესმე) ჩვენსა მეოქი“, „ჯავაში არსად (=არასდროს) ყოფილხარ? „თბილიში (=თბილისში) ვერ ნახედი ვერსადა (=ვერასოდეს)“.

საინტერესო და მრავალფეროვანია ქართული დიალექტური ლექსიკა. ამ ლექსიკის ნაწილი წარმოდგენილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, გ. შატბერაშვილის „ჯაშნიკში“. 1981 გამოვიდა „ქართული დიალექტის ლექსიკონი“, შედგენილი თ. ბეროზაშვილის, მ. მესხიშვილის, ლ. ნოსაძის მიერ. ქართული დიალექტის ლექსიკა წარმოდგენილია აგრეთვე ცალკეულ მკვლევართა წერილებში, რ-ებიც ქართლის სხვადასხვა კუთხის მეტყველებას ეხება.

ლიტ.: თოფურია ვ., ქართლური. – «არილი», ტფ., 1925; გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქაუთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968; იმნაიშვილი ვ., ქართული დიალექტი, I, თბ., 1974; იალამიდი გ., ატენის ხეობის ქართული. – «მეგზური», 1977, №4, სალარიძე თ., ალგეთის ხეობის ქართული, თბ., 1978; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

რ. ჟურდაძე.

ქართული (იბერიული) დამწერლობა ქრისტიანულ ისტორიოგრაფიაში,

ანტიკურობასა და შუა საუკ. ქრისტ. ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებულია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტოპოსი დამწერლობის მქონე ან მცოდნე 15 ხალხის შესახებ. იგი შეინახულია ხალხთა და ენათა ბიბლიური განაწილების ნუსხებში (დიამერიზმებში) და თითქმის უცვლელად მეორდება III–XVIII სს. ბერძნ., ლათ., სომხ., არაბ. წყაროებში, როგორც საყოველთაოდ აღიარებული აქსიომა. ამ ტოპოსს იცნობენ და იმოწმებენ იუდაისტურ ისტორიოგრაფიაშიც, რისი დასტურიც არის ქრონოლოგიურად ერთმანეთთან საკმაოდ დაშორებულ თალმუდურ-მიდრაშულ წყაროებში მისი არაერთგზის მოხსენიება. დიამერიზმების სრული ტექსტი ძვ. ქართ. წყაროებში არ ჩანს, შემონახულია მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქართ. ტრადიცია ემყარებოდა არასრულ სირიულ ტექსტებს, რ-ებიც აღნიშნულ ტოპოსთან დაკავშირებულ ნაწილებს არ შეიცავდნენ. საკითხი არ განხილულა არც XX ს. ისტორიოგრაფიაში.

ტოპოსში ნოეს სამი ძის – იაფეტის, ქამისა და სემის – ჩამომავალთა (ანუ მოსეს „ხალხთა დაფების“) შესახებ ცნობებს შორის მოცემულია იმ ხალხთა ჩამონათვალი, რ-თაც საკუთარი ანბანური დამწერლობა აქვთ (დამწერლობას იყენებენ). ესენია: იაფეტის ჩამომაელები – იბერები, ლათინები (რომაელები), ესპანელები, ბერძნები, მიდიელები, სომხები; ქამის ჩამომაელები – ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები; სემის ჩამომაელები – ებრაელები (იუდე-

ველები), სპარსელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები.

XX ს. დასაწყისში ტოპოსში მოხსენიებული იბერიელების ენისა და დამწერლობის იდენტიფიკაციის საკითხი ფართო დისკუსიის საგანი გახდა (გ. მიულენჰოფი, ა. გუთშმიდი, ს. პოზნანსკი, ს. კრაუსი, ზ. ბერგერი, ვ. ბახერი. მ. შტაინშნაიდერი). სპეციალისტების ნაწილი თვლიდა, რომ დიამერისმებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაცია კაკასიაში მცხოვრებ იბერებთან შეუძლებელია. რადგან ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ისეთი ძველი კულტურის ხალხთა გვერდით, როგორიცაა ებრაელები, ბერძნები, რომაელები, სირიელები და სხვ., „როგორ ხედებიან დამწერლობის მქონე ხალხთა სიაში მესამე სის წყაროების მიხედვით ისეთი ნახევრად ბარბაროსული ხალხები, როგორებიც არიან იბერები, ფრიგიელები და სხვები, რომელთა იდენტიფიკაცია იმ პერიოდის კულტურულ სამყაროში ძალზე ჭირს". თუმცა ამ მოსაზრების ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ წყაროების „'Ιβηρες, Ιβιρι (Ιβερι) არც ესპანეთის იბერებს გულისხმობს.

ძველი აღთქმის ცნობილი მკვლევრის ს. კრაუსის მიხედვით, იბერიელებისა და მათი დამწერლობის მოხსენიება ასე ადრეულ ტექსტებში სრულიად კანონზომიერი ჩანს: „დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული დამწერლობა არსად არ აკლია და საკურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები... ჩვენს მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუმართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერიელთა დამწერლობის ირგვლივ". ს. კრაუსის სახელს უკავშირდება აგრეთვე იმის მოკვლევაც, რომ კაკასიისა და პირინეს იბერების აღრევა მოხდა იოსებ ფლავიოსის ისტორიაში მოხსენიებული Tubal, aequo Iberi-ს მცდარი გაგებით. ჯერ კიდევ ჰიერონიმემ ფლავიოსის განმარტება არასწორად დააზუსტა – Tubal, a quo Iberi, qui vocatur Hispani, რაც შემდეგდროინდელი მკვლევრების შეცდომის წყარო გახდა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ VI ს. ბერძნ. რედაქციაში დასახელებული Ιβηρες οἱ και Τυρανοι (იბერიელები ანუ იგივე ტირანელები) კაკასიის იბერებს გულისხმობს (ასე მოიხსენიებოდნენ ისინი იპოლიტე რომაელის ქრონიკონში), მაშინ როდესაც პირინეს იბერები იწოდებიან კელტიბერებად, გალებად, ანუ იბერებად (ა. გუთშმიდი).

იბერიული დამწერლობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგიც: დამწერლობის მქონე ხალხების აღსანიშნავად ხსენებულ წყაროებში გამოყენებული გამოთქმები შეიძლება ნიშნავდეს ხალხს, რ-საც საკუთარი ანბანური დამწერლობა აქვს, ან კიდევ ხალხს, რ-იც თავის მშობლიურ ენაზე აკითხარებს სამწერლობო ტრადიციებს, რ-თა ჩაწერა მაინცდამაინც ორიგინალური დამწერლობის მეშვეობით არ ხდება (იხ. *ალოგლოტოგრაფია*). უფრო ზუსტად იმის დადგენა, თუ რომელი ჯგუფის წევრად მიიჩნევს ძვ. კულტ. სამყარო იბერიელებს –საკუთარი ანბანური დამწერლობის თუ სოგადად სამწერლობო ტრადიციების მქონენ, ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვნად ვერ ხერხდება.

ლიტ.: ქეკელიძე კ. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში. – იხ. მისი «ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», ტ. I, თბ., 1956; *ა ბ უ ლ ა ძ ე ი.*,ჰიპოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია. – «ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», III, თბ., 1961; *დ ო ბ ო რჯგინიძე ნ.*, ქრისტიანული ისტორიოგრაფია და თხუთმეტი სამწერლობენის ტოპოსი. – ალმანახი «ლიტერატურა და სხვა», თბ., 2005; Mommsen Th., Chronicaminora, saec. IV, V, VI, VII. – Monumenta Germaniae Historiae. Auctorum Antiquissimorum, tomus IX, Berolini, 1892; Gutchmid A., Untersuchungen über den Διαμερισμος τῆς γῆς und undere Bearbeitungen der Mosaischen Völkertafel. – იხ. მისი: Kline Schriften, V, Leipzig, 1894; Krauß S., Die Zahl der biblischen Völkerschaften. – «Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft», №19, Gießen, 1899; Nestle E., Die schreibkundingen Völker von Genesis 10. – იქვე, №25, 1905.

ნ. დობორჯგინიძე.

ძართული ენა, ერთ-ერთი ქართ. ენა (იხ. *ქართველური ენები*). საქართველოს ფარგლებს გარეთ ძ. ე. გავრცელებულია აზერბაიჯანში, ირანში, თურქეთში. ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 3,5 მლნ-ს აღემატებოდა (1979 აღწერა). ძ. ე. საქართველოს სახელმწიფო ენაა. იგი იყო და რჩება ჟველა ქართ. ტომის მწიგნობრობისა და ღვთის მსახურების ენად. ქართ. დამწერლობა დოკუმენტურად დადასტურებულია ახ. წ. V ს-იდან (იხ. *ასომთაერული*), თუმცა გამორიცხული არ არის, რომ იგი უფრო ადრინდელი წარმოშობისაც იყოს [იხ. *ქართული (იბერიული) დამწერლობა ქრისტიანულ ისტორიოგრაფიაში*)].

ძ. ე. იმყოფებოდა და ეითარდებოდა რთულ ისტ. გარემოში, სხვა ხალხებთან და ენებთან მუდმიეი კონტაქტების პირობებში (იხ. *საქართველოში გავრცელებული ენები*), რასაც არ შეიძლება თავისი კვალი არ დაეჩნია მასზე. მაგრამ ეს გაელენა ძირითადად ასახულია ლექსიკის სფეროში და, როგორც ქართველურ ენათა ისტ.-შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, გრამატიკულ სტრუქტურაში არსებითი ცელილებები არ შეუტანია. ძ. ე. მდიდარია დიალექტებით (იხ. *დიალექტი*), რომლებიც მიუხედავად მეტ-ნაკლები განსხვავებებისა, ხასიათდებიან გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთობით.

ძ. ე-ის ხმოვანთა სისტემა მარტივია, შედგება ა ე ი ო უ ხმოვნებისაგან (იხ. *ხმოვნები*); დიფთონგები დასტურდება მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში (იხ. *დიფთონგი*). თანხმოვანთა რაოდენობა გაცილებით მეტია. თანამედროვე ძ. ე-ში 28 თანხმოვანია (იხ. *თანხმოვნები*), რ-უბიც განსაკუთრებით მრავალფეროვან კომპლექსებთან (იხ. *თანხმოვანთა ჯგუფები*) ერთად მარცვლის, ძირის, სიტყვის სტრუქტურაში ქმნიან რთულ თანხმოვნურ კომპონენტებს. *მარცვალი* შეიძლება იყოს ღია ან დახურული. *მახვილი* სუსტი დინამიკურია, რ-იც ვერ იწვევს უმახვილო ხმოვანთა რედუქციას. მისი ადგილი ფიქსირებულია, მოდის სიტყვის პირველ მარცვალზე.

მორფოლოგიურად ძ. ე. აგლუტინაციური ენაა, სინთე'ზირობისაკენ მკაფიოდ გამოხატული ტენდენციით (იხ. *ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია*). მეტყველების ნაწილი ათია, რ-ებიც იყოფიან ორ ჯგუფად: ფორმაცვალებად და ფორმაუცვლელება. ფორმაცვალებადია სახელი და ზმნა. სახელებისთვის დამახასიათებელია ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიები, არ გააჩნიათ გრამატიკული სქესი (იხ. *სქესი*). *ბრუნვა* ერთია, ბრუნვა – 7 (სახ., მოთხრ., მიც., ნათ., მოქმ., ვით., წოდ.), გარკვეული თავისებურებებია ნაცვალსახელთა ბრუნებაში (იხ. *ნაცვალსახელი*). რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი. ეს უკანასკნელი ორი სახითაა წარმოდგენილი (ებ-იანი და ნ/თ-იანი).

ძ. ე-ში სახელთა შედარებით მარტივი სისტემის გვერდით ჯერადღებას იქცევს რთული ზმნური სისტემა. სირთულეს განაპირობებს ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე (იხ. *ზმნა*). გარჩეულია, ერთი მხრივ, სტატიკური და დინამიკური ზმნები (იხ. *სტატუსი*), გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები (იხ. *გარდამავლობა*). ქართ. ზმნა პოლიპერსონალურია: ზმნა იცვლება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით, რაც ასახულია უღლების სისტემაში (იხ. *უღლება*). ქართულში არ არის ინფინიტიის ფორმა, რ-ის ფუნქციით გვევლინება ნაზმნარი სახელი (იხ. *საწყისი, მასდარი*).

ძ. ე-ის სინტაქსური კავშირებია: *შეთანხმება, მართვა* და *მირთმა*. ამ კავშირთა გამოყენების თავისუბურებებს ქმნის: ერთი მხრივ, ქვემდებარისა და დამატებების შეთანხმება შემასმენელთან პირში, ხოლო, მეორე მხრივ, შემასმენლის მიერ ქვემდებარისა და დამატებების მართვა ბრუნვაში. შესაბამისად, განსხვავებული აქვთ სამი წყობა: *ნომინატიური, ერგატიული* და *დატიური*. გარჩეულია წინდადებათა სახეები: აგებულების მიხედვით (*მარტივი, შერწყმული, რთული*), მდებარეობის მიხედვით (*თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა* და *კითხვით-ძახილის*). თავისებურებებს ავლენს მსაზღვრელის პოზიცია და, აქედან გამომდინარე, მათი ბრუნება (იხ. *განსაზღვრება*). ძ. ე-ის სიტყვაწარმოება გამოირჩევა მოდელთა მრავალფეროვნებით (იხ. *დერივაცია, კომპოზიცია*). აღსანიშნავია ძ. ე-ის ლექსიკის სიმდიდრე, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, ხანგრძლივი და მრავალდარგობრივი მწიგნობრული ტრადიციები, ხოლო მეორე მხრივ, ცოცხალი კონტაქტები როგორც საკუთრივ ქართ. დიალექტებთან, ისე სხვა ქართვ. ენებთან. ქართულ ლექსიკაში მრავლად არის აგრეთვე უცხოური *ნასესხობები*.

ძ. ე. ინტენსიური კვლევის საგანია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც (იხ. *ქართველოლოგია, ქართველოლოგიური კვლევის ცენტრები*).

ძ. ე-ს ხანგრძლივი და მდიდარი დოკუმენტირებული ისტორია აქვს (იხ. *ქართული წერილობითი ძეგლები*). უკვე X–XII სს-თვის იგი იმდენად განვითარებული იყო, რომ კულტურულ ცენტრებში შექმნილი თეოლოგიურ-ფილოს. და გრამატ. თხზულებების ქართულად თარგმნა-ინტერპრეტაცია, უცხოენოვანი ტექსტების ქვეცნობიერის გადმოცემა სრულყოფილად ხორციელდებოდა სპეც. ტერმინებისათვის ქართ. შესატყვისების ძიებნისა და ახ. ტერმინების წარმოების მეშვეობით, ხოლო ძ. ე-ის მხატვრული გამომსახველობა უმაღლეს ოსტატობას აღწევდა (საისტორიო მწერლობა, „ვეფხისტყაოსანი“, მეხოტბეთა პოე'სია).

ძ. ე-ის შემდგომი განვითარება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებას, რ-იც დროთა შესაბამისად, სულ უფრო მრავალმხრივი ხდებოდა. ძ. ე-ზე სწავლებამ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ცოდნის ყველა დარგისათვის ნაშრომთა ქართულად შექმნამ, ქართულად საქმის წარმოებამ და კანონშემოქმედებამ ქართული მასმედიის (ჟურნალ-გაზეთების, რადიო-ტელევიზიის) როლის გაზრდამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ძ. ე-ის ფუნქციონირების დიაპაზონი. ამან ახალი ასპარეზი მისცა მის განვითარებასა და მისი დიდი შესაძლებლობების გამოვლენა-ამოქმედებას. გამოყენების მრავალმხრივმა სფეროებმა ქართულის პოლიფუნქციონალობა განსაზღვრა, რაც აისახა ქართულ ფუნქციურ სტილთა (სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიც., ოფიციალურ-საქმიანი, საკანონმდებლო...) სისტემების ჩამოყალიბებაში.

ქართულს, როგორც სალიტ. ენას, ახასიათებს: 1) ადამიანის მოღვაწეობის რაგინდარა სფეროში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ყოველგვარი ცოდნის გამოხატვის უნარი; 2) ნორმატიულობა; 3) მუდმივი კავშირი ცოცხალ მეტყველებასთან და ამასთან დაკავშირებით ენის დემოკრატიზაცია; 4) გამომსახველობით სტილისტიკურ საშუალებათა სიმდიდრე, დამყარებული ლექსიკურსა და სინტაქსურ სინონიმიაზე, ენის ერთეულთა ვარიანტულობაზე; 5) ქართული გრამატ. სისტემის ცვლის ნელი ტემპი და ნორმალიზაციის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით განპირობებული მეტ-ნაკლები სტაბილურობა. სტაბილურობის „მეტ-ნაკლებობა“ გულისხმობს იმ ვითარებას, რომ სალიტ. ენის ადრინდელი იდეალი უფრო მეტ სტაბილურობას ვარაუდობდა, რაც მდგომარეობდა ნორმის ისტ. მდგრადობაში, ნორმის ტრადიციულობასა და გადახრათა შეუწყნარებლობაში. თანამედროვე ნორმალიზატორები დასაშვებად თვლიან ნორმის ვარიანტულობას. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“, სათანადო ადგილას მოცილე ფორმებს მინიშნებები აქვთ, თუ რომელი ვარიანტია „უპირატესი“, ძ. ე-ის „თანაბარი“, „დაშვებული“, აგრეთვე „მოძველებული“ და „იშვიათი“. ამგვარი მიდგომით, რ-იც ნორმის მოქნილობასა და ცვალებადობას ითვალისწინებს, სალიტ. ენა განიხილება არა როგორც კონსერვაციაზე ორიენტირებული, გაქვავებული სისტემა, არამედ როგორც ცოცხალი და დინამიკური.

ძ. ე-ის ზეპირი სფერო წარმოდგენილია სასაუბრო და საჯარო მეტყველებით. ეს უკანასკნელი სალიტ. ენის ზეპირი ფორმაა, მისი ჟანრებია: მოხსენება, ლექცია, გამოსვლა, პაექრობა, კონსულტაცია, საუბარი ინტელექტუალიზებულ თემაზე და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მეტყველება უფრო მეტად უახლოვდება წერილობით ენას, ვიდრე სასაუბრო, ზე-

სტანდარტულობა ქრონიკისა და ოფიციალურ-საიმფორმაციო ჟანრებში, სადაც ბეურძ კლიშეა დამკვიდრებული, მათი შემადგენელი ნაწილების შაბლონური გაფორმება მრავალი წლის მანძილზე უცვლელი რჩება (მაგ., „როგორც იუწყება", „როგორც ცნობილი გახდა", „ვიზიტით იმყოფება"), საკუთარი სტანდარტების (ე. წ. გაზეთისმების) გარდა საკმაოდ ბევრი გვხვდება იმ საზოგადოებრივ სფეროებში დამკვიდრებული სტანდარტებიც, რ-ებიც პერიოდულად შეუძლება პრესაში.

ენაში სტანდარტიზაციის კანონზომიერი ტენდენციის გეერდით მოქმედებს და მასთან მუდმივ ჭიდილშია ავტომატიზაციის ტენდენცია, რასაც მოწმობს ქართ. სალიტ. ენის, მისი ფუნქციური სტილებისა და, განსაკუთრებით, მხატვრული მეტყველების ისტორია.

სალიტ. ენისაგან რამდენადმე განსხვავებულია მხატვრული ლიტერატურის ენა. თუ საერთოსალიტ. ენა შეუზღუდავად ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მხატვრული მეტყველების მოხმარების არეც უფრო ვიწროა, ამავე დროს, უფრო თავისუფალიც — არცთუ იშვიათად ირღვევა სალიტ. ნორმები: შემდის საუბრის არაკოდიფიცირებული ფორმები, დიალექტიზმები, არგონიზმები — პერსონაჟთა მეტყველების დამახასიათებლად, მოძველებული გამოთქმები, არქაიზმები — ისტ. ეპოქათა გასაცოცხლებლად და სხვ. მიზანდასახულად, მხატვრული ენის მისაღწევად იცვლება სიტყვათა და მნიშვნელობათა ჩვეული შეხამებები, თუ საერთო ენას ანონიმური და კოლექტიური შემოქმედი ჰყავს, რის გამოც იგი ობიექტური და მიუკერძოებელია, მხატვრულ ენას ქმნიან მწერლები თავიანთი სახელებით, იდიოსტილებით, ინდივიდუალური ახალწარმოებითა და სუბიექტური გემოვნებით. მართალია, მხატვრული ენა საერთო ენის საუნჯეს ეწაფება, მაგრამ, თავის მხრივ ისიც ამდიდრებს მას, როცა იაზმოიჩენს და აღბეჭდავს რაიმე ახალს: სიტყვათქმნადობა, მეტაფორიზაცია, რაც იმთავითვე დამახასიათებელია ენისთვის, მხ-

ატ. ლიტ. ენის, ისევე როგორც ნებისმიერი ბუნებრივი ენის, ობიექტური პროცესია მის სამეტყველო ფორმულების წარმოშობა, რაც დაკავშირებულია სემანტიკურ და სტრუქტურულ კომუნიკაციურ დაძაბულობასთან. მართალია, ცოცხალი ენის სტანდარტიზაცია შესულია თვით ენის ბუნებით, მისი ლექსიკური და გრამატ. პოლიფუნქციურობით, სინონიმიითა და სხვ., მაგრამ ენა ხშირად გვაიძულებს, ვეძებოთ ახალი ფორმულებით — ისინი ადეკვატურად გადმოსცემდნენ ჩვენ კომუნიკაციის პროცესს, გვარიდებენ ახალი გამოთქმების შექმნის აუცილებლობას; ენობრივი სტანდარტების მეშვეობით ხერხდება ინფორმაციის ტევადობისა და კონდენსაციის უზრუნველყოფა. სტანდარტიზაციის ტენდენცია მეტ-ნაკლებ ინტენსიურობით ელინდება ძ. ქ-ის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში (სამეცნიერო ენა, ოფიციალურ-საქმიანი და საკანონმდებლო დოკუმენტები...), სადაც გამოხატვის ფორმათა მრავალფეროვნებაც საჭიროება და არც მოითხოვნილება. ამ სფეროებში ინფორმაციის სიმშრალე ნორმად ითვლება, ხოლო ემოციური და მხატვრული გამომსახველობა — ნორმის დარღვევად. ამ მხრივ სპეციფიკური ვითარებაა გაზეთში. გაზეთის ენიც წერა — უბრალოდ, საქმიანად და ეკონომიურად — სამეტყველო სტანდარტებისა და *კლიშეს* გამოყენებით წერას ნიშნავს. ამიტომ სტანდარტები და კლიშე აქ „ნორმიერია" და წარმომავლობისა და კონსტრუქციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მრავალფეროვანი. გაზეთში არათუ მარტო გამოიყენება სტერეოტიპები, არამედ იქმნება კიდეც ამას ბევრი ორიენტაციის ისეთი უნობრივი ერთეულების შერჩევას იწვევს, რებიც ყველასათვის გასაგებია, გამორჩევა უშუალობით, ფამილარულობით, გამოხატულია მკითხველთან კონტაქტის აღებილად დამყარების სურვილი. (შდრ. გაზეთის სათაურები: *ერუსეთთან ხანაერო მიმოსვლა აღდგება?*, *ვის ...*) ლექსიკური ერთეულების ფუნქციურად მოტივირებული და ტრადიციული ფრაზეოლოგიზმების ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ენობრივ თავისებურებებს (იხ. *რიტორიკა*).

საზაბრო მეტყველება გვაქვს როგორც კოდიფიცირებული (საკლიტერატურო-საუბრო), ისე — არაკოდიფიცირებული (ხალხური) მეტყველება: „მდაბიური ენა", ტერიტ. დიალექტი, *ვერგონი* — ქართული ხალხური ენა ეროვნ. ურთიერთობის საშუალებად. საერთოდაა, ეროვნების ფორმირებისას ჩამოყალიბდა, ეროვნებამდელ პერიოდში კომუნიკაციისა და სემიოქმედების ფუნქციებს, ალბათ, ასრულებდნენ დიალექტები, ქალაქური კოინე და სხვ. მართალია, ხალხური ენა (არაკოდიფიცირებული ზეპირსაზრო ენა) ქრონოლოგიურად ბევრად უსწრებს სალიტ. საზაბროს, მაგრამ დღემდე განაგრძობს მასთან თანაარსებობას. იგი გამოიყენება მხოლოდ ყოფით, არაფორმალურ ვითარებაში და გამოირჩევა ფამილარობით, მეტი თავისუფლებითა და დაუდეგრობით. რიგი საერთო ნიშან-თვისების გამო ჭირს საზღვრის გავლება ხალხურ მეტყველებასა და ვარგონს შორის. ეს სირთულე ზედაპირულია: „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის" რედაქციაში, სადაც სალექსიკონო ერთეულებთან მოცემულია კვალიფიკაციები: „ხალხური", „ვულგარული", „საუბრისა", „დამცირებითი", „პატეცემულობისა", „სალანძღავი", „ვარგონი" — ამგვარი სიტყვების მახასიათებლებია, რ-ებსაც საერთო სტილური თავისებურება — დაწეულობის, „დამიწების" მკვეთრი ექსპრესიული ნიშანი აქვთ და ამის გამო გვხვდებიან როგორც სასაუბრო ხალხურ მეტყველებაში, ისე ვარგონში. სპეციფიკა საუბრო ელემენტების ხშირი გამოყენებაში შეიმჩნევა ლიტ. სტანდარტის მასმედიის ენაში. ფართო და „ვრცელ" მკითხველზე გაზეთის ორიენტაციის ისეთი უნობრივი ცრუთეორიების შერჩევას იწვევს, რებიც ყველასათვის გასაგებია, გამორჩევა უშუალობით, ფამილარულობით, გამოხატულია მკითხველთან კონტაქტის აღებილად დამყარების სურვილი. (შდრ. საგაზეთო სათაურები: *ერუსეთთან ხანაერო მიმოსვლა აღდგება?*, *ვის ...*) ლექსიკური ერთეულების ფუნქციურად მოტივირებული და ტრადიციული ფრაზეოლოგიზმების ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ენობრივ თავისებურებებს (იხ. *რიტორიკა*).

ატერულ მეტყველებაში გაცხოველებული და გაძლიერებულია: მწერლის ენა ინტენსიური ენობრივი ზემოქმედების ფართო ასპარეზია. ამ მხრივ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოეზიის ენას, რ-შიც უფრო გაღრმავებულია ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმი.

ევოლუციის გზაზე, ჰიმნოგრაფიიდან მოყოლებული დღემდე, პოეტიკის განვითარების შესაბამისად, პოეტური ენა ცვლილებას განიცდიდა ინტონაციის, ლექსიკისა და სახოვანების თვალსაზრისით. იგი თავისუფლდებოდა დრომოჭმული პოეტიზმებისა და ძველი ჟაიდის მაღალფარდოენებისაგან, იმ სპეციალური მეტაფორული მეტყველებისაგან, რ-იც კლასიკური პოეზიისთვის იყო დამახასიათებელი, თანდათან უახლოვდებოდა საერთო ენას, რომლისგანაც აღრე განსხვავებას ცდილობდა. ამით მეტად ახლოს მიდიოდა ადამიანთან, ვისი შინაგანი სამყაროც უნდა გამოეხატა. „თანამედროვე ქართველი ადამიანის სულიერი ცხოვრება წარმოადგენს იმ ახალ მოვლენას, რომელიც გამოსახატავად ახალ საღებავებსა და ახალ საშუალებებს მოითხოვს“ (გ. ასათიანი). ცოცხალი და ცვალებადი ქართული პოეტური ენა, ახლებურად გაგებული „მხატვრულობის“ შესაბამისად, აღარ ეყრდნობა მხოლოდ ტროპებსა და ფიგურებს, ისინი მნიშვნელოვანია, მაგრამ ბოლომდე ვერ ამოწურავენ ესთეტიკურ ფუნქციას. საყრდენი ხდება სიტყვათა, ფორმათა და კონსტრუქციათა მრავალფეროვანი კონოტაციები, მხატვრული საშუალებები, რ-თა ხორცშესხმის საფუძველი ქვეტექსტებშია, როცა არაექსპლიციტურად, არამედ ქვეტექსტ'ში გაკერით ხორციელდება ესთეტიკური ფუნქცია.

მხატვრული ენა, სპირი მეტყველების ფორმები, სალიტ. ქართული, მისი ვარიანტები თუ სხვ. ფუნქციური ტიპები, ერთი ენის, ძ. ე-ის, მოქმედების ლინგვოკულტურულ სივრცეს ქმნის. ამ სივრცეში მნიშვნელობათა თვალსაზრისით, ბევრი ეროვნულ-ქართული სპეციფიკის მქონე სხვადასხვა სიტყვა, გამოთქმა, ანდაზა, აფორიზმი, ენობრივი სტერეოტიპი თუ კულტურის ენობრივი კოდი, სიმბოლო თუ სახე, კულტურული თუ ეთიკური კონცეპტი იქრის თავს, რაც ძ. ე-ის სხვა ენათაგან განსხვავებულ უნიკალურ ენობრივ შინაარს ქმნის.

ძ. ე. ყოველთვის იყო ზრუნვისა და სიყვარულის საგანი. 1978, როცა საქართველოს სსრ კონსტიტუციის ახალი პროექტი გამოქვეყნდა, რ-შიც გაუქმებული იყო ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, თბილისში დაიწყო ფაროთმასშტაბიანი აქცია მშობლიური ენის დასაცავად, რის შედეგადაც ძ. ე-ს სახელმწიფოებრივი ფუნქცია შეუნარჩუნდა. 1983 თბილისში აღიმართა დედაენის ძეგლი, რიც ფაქტობრივად ძ. ე-ის ძეგლია.

ლიტ.: ნიქობაძე არნ., ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სახელმწიფო ენა. – «ქსს», 1, თბ., 1972; Кавтарадзе И., Грузинский язык. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990 (იხ. აგრ. სათანადო სტატიებთან).

გ. კვარაცხელია.

ქართული კვირეულის დღეთა სახელწოდებები, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა დროს კვირეული დღეთა განსხვავებული რაოდენობისაგან შედგებოდა. მაგ., კელტებს ჰქონდათ სამდღიანი, რომაელებსა და ეტრუსკებს – რვა-, ინდოელებს – ცხრა-, ეგვიპტელებსა და ბერძნებს – ათდღიანი დროის ერთეულები, ცენტრ. ამერიკასა და მექსიკაში შემოღებული იყო 3-, 4-, 5-, 6-, 8-, 10-დღიანი კვირეულები. ამჟამად ფაროთდ გავრცელებული შვიდდღიანი კვირა ებრაულიდან გადავიდა მრავალ სხვა, ქრისტ. თუ არაქრისტ. ერთა ენებში და მთლიანად (ან ნაწილობრივ) შეცვალა ადრინდელი, პლანეტარული სისტემის, სახელწოდებები. იგი შუმერულ- ბაბილონური წარმოშობისად ითვლება.

ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილ (1904) ლურსმულ წარწერაში წარმოდგენილია თვის დღეთა სახელწოდებები, რ-ებიც რაოდენობითი რიცხვითი სახელებითაა გადმოცემული. ჩამოთვლილ დღეთა შორის მხოლოდ მეთხუთმეტე დღეს აქვს სპეციალური სახელი შაფათუ, šapattu (შაბათუ, šabattu), რ-იც ამავე დროს „საცხე მთავრესაც“ ნიშნავს. ითვლება, რომ ეს სახელი იხმარება აგრეთვე ნახევარმთვარისა და მთვარის ყოველი ფაზის ან პერიოდულად განმეორებადი მეშვიდე დღის აღსანიშნავადაც, რამდენადაც ბაბილონურ პემეროლოგიაში ამ დღეს განსაკუთრებული, სადღესასწაულო მნიშვნელობა ჰქონდა (ჰ. ციმერნი). ამდენად, ლურსმული წარწერების šapattu გაგებულია როგორც დასვენების დღე (ე. შრადერი). სხვა მოსაზრებით, ეს არის დამთავრების, აღსრულების დღე, ხოლო „დასვენება“ შემდეგ განვითარებული მნიშვნელობაა (ე. მარლერი). ივარაუდება, რომ იუდეველებმა šapattu–ს ინსტიტუტიცა და მისი აღმნიშნელი ტერმინიც სამხრ. ბაბილონში ყოფნისას გადმოიღეს და მათი ძირითადი სარწმუნოებრივი კანონით ნიშნავს „შრომის შეწყვეტას“, „დასვენებას“.

როგორც სარწმუნოებრივად მთავარმა დღემ, „შაბათმა“ შემდეგ კვირეულის მნიშვნელობაც შეიძინა. ეს მნიშვნელობაც ისესხეს არა მარტო სემიტურმა, არამედ ბიბლიის გაელენით სხვა ენებმაც. ასეთი ვითარება დამოწმებულია ძვ. ქართულშიც, სადაც მთელ კვირას შაბათი ეწოდებოდა (ლევიტ. 20, 26; ლუკა 18).

შვიდეულისა და შვიდეულის დღეთა აღსანიშნავად შაბათის სისტემის სახელთა გამოყენება ქართულშიც ქრისტიანობას უკავშირდება და IV–V სს-ში ეს სახელები გაბატონებული ჩანს (ი. ჯავახიშვილი). „შაბათი“, როგორც კვირეულის აღმნიშვნელი ერთეული, ასახულია კვირის დღეებშიც: „ორშაბათი“, „სამშაბათი“, „ოთხშაბათი“, „ხუთშაბათი“. ებრაულის მოდელის მსგავსად შაბათის შემდგომი დღე, ანუ პირველი დღე „კვირაა“, რაც შესაბამისად (სხვა ენათა მსგავსად) აისახა ქართულშიც („ხოლო მწუხრი შაბათისა, რომელიც განთენდებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდანელი“, მ. 281). სახელწოდება „კვირა“ ქართულში (ისევე, როგორც მრავალ სხვა ენაშიც), ბერძნულის გაელენითაა შემოტანილი და მთელი კვირეულის აღმნიშვნელი „შაბათის“ მსგავსად kuriake-ც („ღვთის დღე“) მსგეფსის

აღმნიშვნელადაც იქცა. რაც შეეხება „პარასკევს", რ-იც აგრეთვე ბერძნულიდანაა ნასესხები, სპეციალური ტერმინია და ისევ იუდეველთა გაელენითაა განპირობებული: ნიშნავს „მომსადებას", „სამზადისს" ებრაული წმინდა შაბათისათვის.

ქართ. კვირეულის სახელთა აღნიშვნაში, გარდა ებრაულისა და ბერძნულისა, აშკარად გამოიყოფა აგრეთვე მესამე შრეც — სირიული, რაც სირიელებისა და ქართველების ინტენსიური კულტ.-ისტორიული კონტაქტების ფონზე მოულოდნელი არ არის. ამიტომ არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ შაბათის სისტემის დღეთა აღმნიშვნელი ქართ. ტერმინები წარმოადგენდეს სირ. ტერმინების კალკირების შედეგს. საქმე ისაა, რომ ებრ. და ბერძნ. ტერმინოლოგიურ შესატყვისებში რიგობითი რიცხვითი სახელები იხმარება (შდრ. აგრეთვე რუს. Вторник „მეორე"), მაშინ როდესაც ქართულში (და სომხურშიც) სირიულის მსგავსად გამოყენებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

სირიულმა, ისესხა რა შაბათის სისტემის ებრაული მოდელი, თავის მიკროსისტემაში შეიტანა გარკვეული ცელილებები — რიგობითი რიცხვითი სახელების ნაცვლად გამოიყენა რაოდენობითი რიცხვითი სახელები. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს სირ. და ქართ. ტერმინებში ტიპოლოგიური ადეკვატურობის არსებობა: სირ. „ერთი კვირაში", „ორი კვირაში", „სამი კვირაში", „ოთხი კვირაში", „ხუთი კვირაში" — ქართ. „ორშაბათი", „სამშაბათი", „ოთხშაბათი", „ხუთშაბათი" (რ-ებიც შაბათი სიტყვის ნათ. ბრუნვის შეკვეცილ ფორმებს უნდა წარმოადგენდეს: „ორშაბათისა", „სამშაბათისა"...).

ლიტ.: ჯაჯანიშვილი ი., ქართველი ხალხის ისტორია, I, თბ., 1951; წერეთელი კ., არამეული ენა საქართველოში — «მნათობი», 1976, №6; Marler E., Der Šabhat. Seine Etymologie und chronologisch-historische Bedeutung. – ZDMG, 62, 1908; Schrade E., Die Keilinschriften und das alte Testament, III Aufl., 1878; Zimmern H., Šabbath. – ZDMG 58, 1904; მისივე, Akkadische Fremdwörter als Beweis für den babylonischen Kultureinfluß. Leipzig, 1917

მ. ნელოსაშვილი.

ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რიც შეიქმნა 1912 „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის" ბაზაზე გიორგი *ყორღანიას* ინიციატივით. მასვე ეკუთვნის წესდების პროექტი, რ-იც 29 ოქტ. დაამტკიცა თბილ. საგუბერნიო საკრებულომ. დამფუძნებელი წევრები: გ. ყორღანია, მ. მაჩაბელი, მ. კავსაძე, ლ. გაბაშვილი, ს. გაბუნია, ქ. ჯაჯანიშვილი, ვ. კარბელაშვილი. პირველ კრებაზე (20 ოქტ.) ხუთი წლის ვადით აირჩიეს საბჭო (1916-იდან ეწოდა გამგეობა): გ. ყორღანია (თავ-რე), ს. გაბუნია (თავ-რის ამხანაგი), დ. კასრაძე (მდივანი), დ. წითლანაძე, ლ. გაბაშვილი, ვ. კარბელაშვილი (წიგნთმცველი და ხაზინადარი). საზ-ბაში გაერთიანდა მოწინავე ქართ. ინტელიგენცია: თავდაპირველად 12 წევრი, 1917 — 318, 1927 — 609. გარდა ნამდვილი წევრებისა (ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, პ. მირიანაშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ა. წუწუნავა, შ. დადიანი, ა. ახმეტელი, ი. გომართელი, კ. ცინცაძე, ექიმი მ. ზანდუკელი, თ. სახოკია, ზ. ფალიაშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. ზურაბიშვილი, ი. გრიშაშვილი, ე. ბარნოვი, ა. ჯანდიერი ა. კლდიაშვილი, მ. კელენჯერიძე, მ. ჯანაშვილი, შ. მირიანაშვილი...), საზ-ბის მუშაობაში მონაწილეობდნენ დამხმარე წევრები (პ. ინგოროყვა, ი. მჭედლიშვილი, ი. გოგოლაშვილი, მ. ხერხეულიძე...) და საპატიო წევრები (ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი, თ. ყორდანია, მ. ჯანაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, მარჯორი უორდროპი, კ. ბალმონტი, ა. სუმბათაშვილ-იუჟინი, ე. აქსიონოვი, ა. იაბლონსკინი, ჯ. გოგოლევა, მ. გორკი...).

საზ-ბის მიზანი იყო „საქართველოს ძველი და ახალი კულტურის შესწავლა და მისი პოპულარიზაცია ქართველთა მასაში და მოსწავლე ახალგაზრდობაში, ქონებრივი და იდეური ხელმძღვანელობა ქართული კულტურის შესწავლის მსურველთათვის". თავის არსებობის მანძილზე (1912—28) საზბამ ბევრი მნიშვნელოვანი ეროვნულ-განმანათ. საქმის გაკეთება შეძლო: კრებებზე იკითხებოდა მეცნ.-პოპულარული მოხსენებები საქართველოს წარსულიდან, ქართ. კულტურის ისტორიიდან, ქართველთა ადათ-წესებების, ადათობრივი სამართლის, ქართ. ლიტ-რის, ხალხ. ზეპირმეტყველების, მუსიკის, თეატრის... შესახებ, იმართებოდა ქართ. კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა იუბილეები, ხსოვნის საღამოები, შეხვედრები თვალსაჩინო რუს მეცნიერებსა და კულტ. მოღვაწეებთან. ეწყობოდა ქართ. მატერიალური კულტურის ნიმუშთა გამოფენები (თბილისში, მოსკოვსა და პეტერბურგში), ზრუნავდნენ ისტ. ძეგლების დაცვაზე, ხელს უწყობდნენ ქართ. ხალხ. გალობის გუნდების ჩამოყალიბებას, საოპერო კულტურის განვითარებას (პ. მირიანაშვილმა პირველად აქ წაიკითხა „აბესალომ და ეთერის" ლიბრეტო, ზ. ფალიაშვილმა კი შეასრულა ნაწყვეტები ოპერიდან); მეურვეობდნენ ქართ. დასს და ზრუნავდნენ თეატრის აშენებაზე, კრებდნენ ქართ. სიმღერებს, სალექსიკონო მასალას, გამოსცემდნენ ბროშურებსა და წიგნებს, დახმარებას უწევდნენ ხელმოკლე მწერლებსა და მოღვაწეებს. ნ. ლომოურის პატივსაცემად დააწესეს პრემია (100 მან.) საუკეთესო ახალი ნაშრომისათვის ქართ. კულტურის ამა თუ იმ დარგში; სადეპუტატო საკრებულოს მიერ ნიჭიერი ახალგაზრდების დასახმარებლად გამოყოფილ სტიპენდიაზე წარადგინეს ს. ფაშალიშვილი და მ. ჭიაურელი; ააგეს მწერალთა დასასვენებელი სახლი-თავშესაფარი წაღვერში; ომის დროს წიგნებსა და გაზეთებს აწვდიდნენ ჯარისკაცებს; საზ-ბის მატერიალურად გაძლიერების მიზნით მართავდნენ საღამოებს, სახალხო სეირნობებს, სალიტ.-სამუსიკო ხასიათის კრებებს.

საზ-ბა იღებდა ქართ. ენის როლისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად, მისი ფუნქციების განსამტკიცებლად და მონოლითურობის შესანარჩუნებლად. გარდა წმინდა სამეცნ. საქმიანობისა, საზბას თავის დანიშნულებად მიაჩნდა ისიც, რომ ქართვ. საზ-ბა პრაქტიკულად შესწეოდა ქართულად ლაპარაკსა და აზროვნებას. საზბის ყოველგვარი კრებები, კრების ოქმები, მიწერ-მოწერა მხოლოდ ქართ. ენაზე წარმოებდა; აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ქართ. პრე-

სის სათავეში ყოფილიყვნენ „ქართული ენის კარგი მცოდნენი, ქართულად ნაკითხნი და ქართულ მწერლობაზე გაზრდილნი", რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ჰყოლოდათ სტილისტები და მათ პერიოდულად ჩაეტარებინათ თათბირი რედაქტორებთან პრესაში გამოსაყენებელ ტერმინთა დასადგენად; განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სკოლაში ქართ. ენის დაცვას. 1915–16 საზ-ბის საჯარო კრებებზე აქტიურად განიხილებოდა ქართ. მართლწერის სადავო საკითხები.

კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობისას ბევრი პრინციპული თუ ორგანიზაციული საკითხი იყო წამოჭრილი: უფლებამოსილია თუ არა საზ-ბის კრება საბოლოოდ გადაჭრას სადავო საკითხები, თუ ეს უნდა მიენდოს სპეციალისტთა ყრილობას? შესაძლებელია თუ არა გრამატ. საკითხების დადგენა დიდ ყრილობაზე, თუ ეს საკაბინეტო საქმეა? ენაში ანარქიის აღსაკვეთად აუცილებელია თუ არა კანონების შემუშავება, ნორმის დადგენა, თუ ერთი რომელიმე ფორმის დაკანონება შემოქმედისა და ცოცხალი მეტყველების შეზღუდვა იქნება? რა უნდა იყოს საყრდენი ნორმის დასადგენად – ცოცხალი მეტყველება, ფონეტიკა, ძვ. ქართ., თუ ყველაფერი ერთად? სჭირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია?... წამოიჭრა საგრამატიკო ტერმინოლოგიის შემუშავებისა (მ. კელენჯერიძე) და მართლწერის ლექსიკონის შედგენის (ი. იმედაშვილი) საკითხი. გადაწყდა, რომ დაუყოვნებლივ დაეწყოთ კრებაზე მართლწერის საკითხებზე მსჯელობა, წარმოდგენილი ყოფილიყო მეცნიერულად დასაბუთებული მოხსენებები, წინასწარ განხილული სპეციალურ კომისიაში, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კი მოეწვიათ ქართ. ენის სპეციალისტთა ყრილობა. ამ საკითხებისათვის შეიქმნა ორი კომისია: „საგრამატიკო" (პ. მირიანაშვილი, ს. გორგაძე, ვ. კეკელიძე, თ. ჟორდანია, ი. მაჭავარიანი, გ. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი, ე. ბარნოვი, კ. ყიფიანი, ი. რატიშვილი) და „სალექსიკონო" (კ. ყიფიანი, იუსტ. აბულაძე, მ. ჯანაშვილი, პ. ინგოროყვა, ი. რატიშვილი). შემდეგ კრებაზე პ. მირიანაშვილმა წარმოადგინა გეგმა ლექსიკონის შესადგენად და სანიმუშო კითხვითი ფურცელი მასალის შესაგროვებლად. საჭიროდ იქნა მიჩნეული აგრეთვე ქართვ. მწერალთა ნაწარმოებებიდან და ხალხ. სიტყვიერების ნიმუშებიდან ჯერ კიდევ ნეოლოგიზმებად დარჩენილი სიტყვებისა და ფრაზების ამოკრება. სალექსიკონო კომისიამ 1914 გამოსცა პ. მირიანაშვილის წიგნაკი – „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს (ქართული გრამატიკის წესები)". საგრამატიკო კომისიამ პირველ კრებაზე (1915, 17. აპრ.) დაადგინა: „ეთხოვოს ბ-ნ თ. დ. ჟორდანიას იკისროს საგრამატიკო საკითხების მოწესრიგების საქმის გაძღოლა და ამისათვის შეძლებისდაგვარად თბილისში დასახლება".

ორი წლის მანძილზე (1915-16) საზ-ბამ სალიტ. ენის ნორმალიზაციის საკითხებზე მოისმინა და განიხილა შემდეგი მოხსენებები: 1. რა გზით შეიძლება ქართული მართლწერის მოწესრიგება (ს. გორგაძე), 2. ქართული მართლწერა ჩვენს მწერლობაში (მ. კელენჯერიძე), 3. ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოები (მ. კელენჯერიძე), 4. ქართული მართლმეტყველება და წერა (მ. ხერხეულიძე), 5. ქართული მართლწერის საკითხები (პ. მირიანაშვილი), 6. ილია და აკაკი მართლა მდაბიურის ენის შემოქმედნი იყვნენ? (პ. მირიანაშვილი), 7. სოფელი და სოფლელები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში (ი.პ. ვართაგავა.), 8. ქართული ზმნის მართლწერის საკითხები: ჰ და ს პრეფიქსები (ს. გორგაძე), 9. სალექსიკონო მასალის შეკრება-დამუშავების შესახებ (პ. მირიანაშვილი), 10. თავსართი სა და ბოლოსართი -ურ (პ. მირიანაშვილი). ყოველი მოხსენების შემდეგ იმართებოდა ფართო მსჯელობა.

1917 ყრილობის მოწვევა ვერ მოხერხდა, 1918-იდან კი ქართ. კულტურის მეცნ. შესწავლა ახალდაარსებულ უნივერსიტეტს დაეკისრა. საზ-ბამ არსებობა შეწყვიტა 1928.

ლიტ.: გ ო დ ე რ ძ ი ძ ე ლ., „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან . – «მნათობი», 1970, № 1; მ ი ს ი ე ე, მასალები „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" ისტორიისათვის. –«საისტორიო მოამბე», 1973, №27–28; თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საზოგადოებრივი საქმიანობის უანგარო სიყვარულით. – «საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი», 1985, №47–48; ლ ე ჟ ა ვ ა ლ., ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან («ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება»). – «ქსკს», წგ. 8, თბ., 1988.

ლ. ლეჟავა.

ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში, არქეოლოგიურ, ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემთა გათვალისწინებით ცხადი ხდება ზედა პალეოლითში კავკასიის ეთნოკულტ.-ისტ. ერთობის არსებობა, რ-იც მეზოლითსა და ნეოლითში წარმოშობილი დიფერენციაციით ძვ. წ. V–IV ათასწლეულებში დაშლით დამთავრდა, III ათასწლეულში კი – კავკ. მოსახლეობის ძირითადი



ალბი-ყერდას ეკლესია. XII–XIII სს. ინგუშეთი.

ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებით (ო. ჯაფარიძე).

უახლეს კავკასიოლოგიურ გამოკვლევათა ფონზე ცურადღებას იპყრობს XI ს. საეკლ. მოღვაწისა და მემატიანის – ლეონტი მროველის ცნობები საქართველოსა და კავკასიის ძვ. ისტორიის შესახებ, მ. შ. კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის კონცეფცია, რითაც ისინი ბიბლიური ნოეს შვილთაშვილის – თარგამოსის შთამომავლებად ცხადდებიან, ხოლო წილხვდომილი ქვეყნის სახელწოდებად სახელდება: „აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია". კავკასიელთა საერთო წარმომავლობის მრავალსახეული კონცეფცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ, სავარაუდოდ, უძველეს ტრადიციასაც ასახავდა და, ამავე დროს, თავისი ეპოქის მსოფლმხედველობა-სულისკვეთებასაც გამოხატავდა. ნიშანდობლივია, რომ იგი გაცხადდა სამეფო დინასტიის – ბაგრატიონთა გვარის იზოთეისტურ (ღვთაებრივი წარმოშობის) თეორიასთან (რ-იც სათავეს IX–X სს., XI ს-ში კი კანონისებურ სახეს იღებს) ერთად შავსა და კასპიის ზღვების შორის საერთო-კავკ. სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტ. ეპოქაში (ვ. ლომთათიძე).

აღრე შუასაუკუნეთა მიწურულს კავკ. ხალხთა პოლიტიკური, სოც.-ეკონ. და კულტურის სფეროებში მიმდინარე იმანენტური პროცესებისა (ფეოდ.-ფორმაციული ძერები, ძლიერი სახელმწიფოებისაგან თავდაცვა, ტრანსკავკასიური გზებზის ფლობა, მთისა და ბარის ეკონ. კავშირები, ძირძველი ეთნოკულტ. ურთიერთობანი, ეთნოფსიქიკური წყობა და სხვ.) და საქართვ. სახელმწიფოს კავკ. პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი კავკ. სახელმწიფოებრიობის რელიგიურ-კულტ. საფუძველად ქრისტ. რელიგია და კულტურა გვევლინება. ეს უფრო აახლოებდა საქართველოსა და იმიერკავკ. ხალხებს და აძლევდა საშუალებას, გადაეწყვიტათ მათ წინაშე არსებული ისტ. პრობლემები (ი. ჯავახიშვილი).

ჩრდ. კავკასიის ქვეყნებში ქრისტ. რელიგიისა და კულტ. ისტორიის შესწავლა კავკასიოლოგიის ერთერთი მნიშვნელოვანი სამეცნ. პრობლემაა, რომლის მთავარ მეთოდოლოგიას ისტორიის, ქრისტიანული არქეოლოგიის, კულტურის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, პალეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, ანთროპოლოგიის კუთხით საგნის კომპლექსურად კვლევა წარმოადგენს.

XVIII ს. მიწურულიდან იმიერკავკ. სიერცეში მკვლევართა მიერ გამოვლენილია ქრისტ. რელიგიისა და კულტურის მრავალი მიწისქვეშა და მიწისზედა ძეგლი.

ნაეკლესიარ-ნატაძრალები – გუმბათიანი – ისტ. ალანეთში (მათ ბისანტ. თუ ქართ. წარმომავლობაზე აზრთა სხვადასხვაობაა); ქართ. ქრისტ. ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ე.წ. „სამკვლესიანი ბაზილიკები" ისტ. ალანეთსა და ინგუშეთში; უმეტესად გვხვდება დიდი და მცირე ზომის, ადგილობრიეთაგანაც აგებული, ე.წ. „დარბაზული" (მ. შ. უაფსიდოც) ეკლესიები, რ-ნიც ზოგჯერ არ გამოირჩეოან არქიტექტურული თვალსაზრისით, მაგრამ მოწმობენ მოსახლეობაში ქრისტ. რელიგიის საფუძვლიან გავრცელებას;

ქვის, ხისა და ლითონის მონუმენტური და მცირე პლასტიკის ძეგლები – ნაირგვარი ზომისა და ფორმის ჯვრები, მათი კვარცხლბეკები, ჯვრების გამოსახულებანი სამლოცველოებზე, ეკლესიის სახურავის კრამიტებზე, ქვის კედლებზე, კოშკებზე, აკლდამებზე: გვლსაკიდი და საეკლესიო დროშების ჯვრები, ეკლესიის კანკელების, ლაქვარდანებისა და ხის კარების რელიეფები, ეკლესიის ექსტერიერის შემამკობელი რელიეფები, ბარელიეფები, ქვის ემბაზი და ა.შ. (სიუჟეტურ-კომპოზიციონოგრაფიული თვალსაზრისით, ორნამენტული მოტივებითა და შესრულების ტექნიკით ისინი ანალოგიებს პოულობენ შუა საუკ. საქართველოს არქიტექტურულ, კანკელების, საეკლესიო კედლის მხატვრობის, ჭედურ, ქვასა და ხეზე კვეთილობის ძეგლებში, რაც მათთან გენეტიკური კავშირით აიხსნება და, ამავე დროს, გაანიათ ლოკალური დამახასიათებელი ნიშნებიც);



ტაძობაა-ოერდას ტაძარი (ინგუშეთი). X ს. II ნახ.

საეკლესიო კედლის მხატვრობის ნიმუშები – მოლიანად შემორჩენილი და, უმთავრესად, ფრაგმენტულად როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში – ეკლესიის კარის ტიმპანში; საგანგებოდაა აღსანიშნავი ადგილობრივ ქტიტორთა გამოსახულებანი;

ადგილობრივ მცხოვრებთა სამარხ-სამაროვნები (აკლდამები – კლდესა და მიწაში ნაკეთი, ქვებით ამოშენებული და ქვის ფიქლებით გადახურული და სხვ.). ქრისტ. დასაფლავების წესის დადასტურებასთან ერთად (სამარხების ეკლესია-ტაძრებთან არსებობა, სასაფლაოებზე ქვის ჯვრებისა თუ მათი გამოსახულებიანი ქვის სტელების აღმართვა, სამარხთა და მიცვალებულთა დამხრობა, პოზა, ძირითადად უინვენტაროობა – მხოლოდ სამარხისა და ტანსაცმლისეული აქსესუარის არსებობა, გულსაკიდი ჯვრები და სხვ.) არქეოლოგიურ დადასტურებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიურ მონაცემებსაც – „ოჯახურ" სამარხებში ქალებისა და ბავშვების ორნიჩბის აღმოჩენა ასევე მიუთითებს მოსახლეობაში ქრისტიანობის ფართო გავრცელებაზე;

სამლოცველო, საამშენებლო, ლიტურგიკული შინაარსისა და



ტყობაია-ყერდას ტაძარი (ინგუშეთი).
X ს. II ნახ. დასაყრდენის ფასადის ბარელიეფი.



ქართულენოვანი წარწერა ქვის ჯვარზე XII-XIII სს. ხუნახის რაიონი.

ადგილობრივი სახელწოდებების აღმნიშვნელი (კრებსითად X–XVI სს., უმთავრესად X–XI და XII–XIV სს.), ძეგლქართული წერილობითი ძეგლები – წარწერები საამშენებლო ქვებზე, ქვის ჯვრებსა და ჯვართა გამოსახულებიან ქვის კვადრებზე; ეკლესიის კედლის მხატვრობაში ნართული, საამშენებლო და საყოფაცხოვრებო კრამიკაზე, სეფისკვერის ქვის საბეჭდავზე; ხელნაწერები ეტრატსა და ქაღალდზე – ზოგი ბრდ. კავკ. ქვეყნებში ქართველოდან „მოხუმული“, უმრავლესობა კი ადგილობრივ ხელოსან-კალიგრაფთა ხელით შესრულებული, რაც მათ მიერ ძვ. ქართ. დამწერლობათა – ასომთავრულისა და ნუსხურის კარგ ცოდნასა და ქართ. დამწერლობის ტენდენციებში გათვითცნობიერებაზე მიუთითებს (ორ- და ოთხსტრიქონიანი წერის სისტემები, ასო-ნიშანთა და ქარაგმათა მოხაზულობა-შემკულობანი, სიტყვათა დაშორიშორება, განკვეთის ნიშნები, დაქარაგმება, ასოთა შეწიაღება, ასომთავრულისა და ნუსხურის ურთიერთგავლენა, მათი ურთიერთშერევა და ა.შ.);

ბრდ. კავკასიის ქვეყნებში ქრისტ. რელიგიის ქართ. კულტურის წრის ძეგლები, საისტორიო, ენობრივ (ქრისტ. ლექსიკის, ონომასტიკის, ტოპონიმიკის არსებობა), ფოლკლ. და ეთნოგრ. მასალებთან ერთად, ნათელყოფენ ამ ქვეყნებში ქრისტიანიზაციის დონეს, ქრონოლოგიურ დიაპაზონსა და, რაც მთავარია, მოქმედ ეკლესია-ტაძრებში ქართ. ლეთისმსახურების, მოსახლეობაში ქართ. ენისა და დამწერლობის ფართოდ გავრცელებას. ეს საფუძველს ქმნის შუასაუკუნეების გარკვეულ პერიოდში რეგიონში ქართ. დამწერლობისა და ენის – ლინგვა ფრანკა – *კოინე* ენის სოციოლინგვისტური ფაქტის არსებობაზე ვილაპარაკოთ; ასევე, ეს ძეგლები ძეირფას ცნობებს გვაწვდიან ისტ. გეოგრაფიის (სახელმწ.-ადმინისტრაციულსა და საეკლესიო), ონომასტიკა-ტოპონიმიკის და ა.შ. შესახებ.

მნიშვნელოვანი კაეკასიოლოგიური პრობლემის შესწავლის დღევანდელი დონის გათვალისწინებით, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია ბრდ. კავკასიის ქვეყნების შუა საუკუნეების მატერ. კულტურებში არსებული ჯვრებისა („ბერძნული“, „ლათინური“, „გოლგოთიანი“, „მედალიონებით“ დაბოლოებული და დიდრონი ჯვარ-მონუმენტები ...) და მათი გამოსახულებების სემასიოლოგიური ანალიზისას მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ მხოლოდ წარმართობის კონფუსიური მონიზმის პოზიციით ხელმძღვანელობა. ამ ქვეყნებში ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან ჯვრების გამოსახულებათა სემანტიკა, ბუნებრივია, ქრისტიანულია, ნაწილობრივ კი – დუალისტურ-სინკრეტულიც: ჯვარი – სოლარული ნიშანი + ჯვარი – ქრისტ. რელიგიის სიმბოლო. საკითხი, თუ რომელი საფუძველი მსჯავრობს, საჭიროა გაშუქდეს როგორც დროში (ეპოქა), ასევე სივრცეში (რეგიონი – ცენტრი თუ პერიფერია). ამასთანავე, ორიენ განსაზღვრებაში საგნის განხილვისას, გასათვალისწინებელია ქრისტ. რელიგიისა და კულტურის გავრცელების ხარისხი. რაც შეეხება ჯვრების გამოსახულებებს, უდავოდ გვაინი პერიოდის საამშენებლო ქვებზე – ნადირობის სცენებში, მხედართა, ცხოველთა, „ბაბილონთა“, ორნამენტის, ასტრალური ნიშნების ანტურაჟში, ასევე, უტილიტარული დანიშნულების (ხე, ლითონი, ქსოვილი) საგნებზე მათი ნაწილი ქრისტ. რელიგიის სიმბოლოს ორნამენტულ რემინისცენციად უნდა მივიჩნიოთ.

ბრდ. კავკასიაში ქრისტ. რელიგიისა და კულტურის კვლევის ინტენსიფიკაციასთან ერთად, ბოლო ათწლეულებში მრავალი ახალიც გამომუშავდა. მაგ., დაღისტან-საქართველოს გაერთიანებული არქეოლ. ექსპედიციის ერთერთი ბოლო აღმოჩენაა მთიან დაღისტანში, ავარეთში (ქართ. წყაროებით „ღუნძეთში“), მისი დედაქალაქის – ხუნძახს დამყარე აქაროს მთაზე X–XIV სს. წმიდა თორმეტი მოციქულის ტაძარი ძველქართულდამწერლობიანი ქვის ჯვრებითა და საინტერესო არქეოლოგიური მასალით. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია. დაიწყო ზოგიერთი ძეგლად აღმოჩენილის თანამედროვე მეცნ. დონეზე ხელახალი შესწავლა (რიგ შემთხვევაში არ იყო და დღესაც



არსენი მამამთავრის (955–980) წარწერა ტყობა-ერდას ტაძრის კრამიტზე.

არაა სწორად განსაზღვრული, თუ რა ენაზე „ლაპარაკობდნენ“ ისინი, არ არის გარკვეული მათი „გრამატიკული ძირები და დიალექტური სახეცვლილებანი“, რაც არასწორ დათარიღებებსა და ინტერპრეტაციებს იწვევს; ხაზგასმითაა აღსანიშნავი – ჩრდ. კავკასიის ქვეყნების ქრისტ. პერიოდის კულტურებში ადგილობრივ ლოკალურ ნიშანთა და თვითმყოფობის გამოვლენის ტენდენცია არის სწორი ისტორიოგრაფიული პოზიცია, რაც განსაზღვრავს მის პერსპექტიულობას). მოხდა საკითხთა კონკრეტიზაციაც და საგნის მთლიანობაში გააზრებაც, გამოიკვეთა პრობლემის სიღრმისეული მოვლენები და მისი ახალი წახნაგები, უარყოფილია ძველი და მიღებულია ახალი ქრონოლ. ჩარჩოები. უკუგდებულია მტკიცება, თითქოს ჩრდ. კავკასიის ხალხებისათვის ქრისტ. რელიგია და კულტურა „ზედაპირული“, „უცხო“, „თავსმოხვეული“ მოვლენა ყოფილიყოს და ღრმად არ შეხებოდეს იმიერკავკასიელთა მსოფლმხედველობას, რითაც ფაქტობრივად არქაიზდებოდა იმ ქვეყნების საზ.-პოლიტ. და კულტ. განვითარების დონეცა და კავკ. ხალხთა კონსოლიდაციის ხარისხიც.

ქართ. არქეოლ. კავკასიოლოგიის მიერ 1970–80 შემუშავებული ახალი მტკიცებულებებით საქართველოდან იმიერკავკასიაში ქრისტ. რელიგიისა და კულტურის ფართოდ გავრცელება-დამკვიდრება იწყება არა XII–XIII სს-ში, საქართვ. სახელმწიფოებრიობის ძლიერების ეპოქაში – დავით IV აღმაშენებლისა (1089–1125) და თამარის (1184–1213) მეფობის დროს, როდესაც საქართველო-ჩრდ. კავკასიის ქვეყნების კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა, არამედ X საიდან, რაც სათანადოდ აისახა კიდეც ამ ქვეყნების მატერ. კულტურებში. აქვეა აღსანიშნავი, მოციქულთა დროიდან მოკიდებული, საუკუნეთა განმავლობაში ჩრდ. კავკასიაში ქრისტ. რელიგიის გავრცელების ადრინდელი ისტ. ფაქტებიც.

საქართველოს გაერთიანებამდე (ბაგრატ III ეპოქა – X ს. 60-იანი წლების დასაწყისი – 1014), ჩრდ.-დას. იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ ბიზანტიასთან ერთად (ისტ. ალანეთის ტერიტორიაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ალანეთის სამთავარეპისკოპოსოს, შემდგომში კი – სამიტროპოლიტოს არსებობა) დას.-ქართ. სამეფო აფხაზეთი [აფხაზთა მეფის, გიორგი II-ის (922-957) გამორჩეული მოღვაწეობა ქრისტიანობის გავრცელების მხრივ], ცენტრალურსა და აღმ. იმიერკავკასიაში – ქართლი და კახეთი, ხოლო გაერთიანების შემდეგ – საქართვ. ცენტრ. ხელისუფლებაა. ამ ისტ. პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის როლი. ვფიქრობთ, სას. და საერო ხელისუფალთა საერთო ქმედებაა გამოხატული ინგუშეთში არსებულ ტყობა-ერდას წმიდა თომას, კვირაცხოვლობის ტაძრის (X ს. II ნახ. სამეკლესიიანი ბაზილიკა, XIII–XIV სს-ში აღდგენილ-გადაკეთებული) დას. კედლის ბარელიეფურ ქტიტორულ კომპოზიციაში, რ-ზედაც გამოსახულია, როგორ მიართმევენ ქრისტეს ეკლესიის მოდელს სას. და საერო ხელისუფალნი. ცნობილია ადრეფეოდ. ხანის მიწურულს საქართვ. ეკლესიის ღვაწლი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანება-მშენებლობაში. ანალოგიური როლი შეასრულა მან საქართვ. და ჩრდ. კავკ. ხალხთა დაახლოებაში. X ს. ღვთისმეტყველისა და მწერლის – გიორგი მერ-



ევქარისტიული პურის (სეფისკვერის) ქართულწარწერიანი საბეჭდავი. X–XI სს. ხუნძახი (ავარეთი). დაღისტანი.



ქვის ემბაზი. ტყობა-ერდას ტაძარი. X ს. II ნახ. ინგუშეთი.

ნულისეული ქართ. ეროვნული მთლიანობის დეფინიციის შემცვე- ლი ფორმულა – „ქართლად ფრიად- დი ქუეყანა აღირაცხების, რომელ- საცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების" – უკვე X ს. ბო- ლოსა და XI ს. დასაწყისში შეიძ- ლება გავრცელდეს იმიერკავკა- სიაზეც. საქართველოს საკათალი- კოსო-საპატრიარქოს სტატუს – კო და იურისდიქცია, საფიქრე- ბელია. გაცხადდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელ- ქისედეკ I-ის (1012–1030, 1039–1045) „აღმოსავლეთის პატრიარქად" სახელდებით იმავე ტყობა-ერ- დის ტაძრის ლაპიდარულ წარწე- რაში. ეს კი შესაძლოა განსახი- ლველი იყოს გაერთიანებული ქართ. სახელმწიფოსა და გაერ- თიანებული ქართ. ეკლესიის (დას. და აღმ. საქართველოში ორი საკათალიკოსოს, აგრეთვე ჩრდ. და აღმ. კავკასიისა და სომხეთის ქართ. მართლმადიდებელი ეკლე- სიების ბაზაზე შექმნილი ერთიანი საპატრიარქო, რ-ის მამამთავარი იყო საქართვ. ეკლესიის ისტორია- ში პირველი პატრიარქი – მელ- ქისედეკ I) ავტორიტეტისა და ბი- ზანტიის იმპერიასთან, კონსტან- ტინოპოლისა და ანტიოქიის საპატ- რიარქოებთან როგორც ზოგად კონფესიურ-პოლიტ. ურთიერ- თობათა კონტექსტში, ასევე ჩრდი- ლოკავკასიურ სივრცეში ინტერეს- თა შეჯახების გამომხატველი.

არსებული მასალები საფუძველს ქმნის, შუაფეოდალურ ხანაში საქა- რთველოს სახელმწიფოებრივსა და საეკლ. იურისდიქციაში შემავალი იმიერკავკ. სივრცე სამიტროპოლი- ტოებად და ეპარქიებად გაერთია- ნებულ სამწყსოდ წარმოვიდგინოთ: IV მსოფლიო საეკლესიო კრების დაკანონებით, საეკლ. საზღვარი სახელმწიფო საზღვარს ემთხვეოდა. საერო-აღმ. დაყოფა საეკლესიოში აისახებოდა. ასე, XIV ს-ში გიორგი V ბრწყინვალისა (1314-46) და სა- ქართველოს კათალიკოსის ექვთიმე III-ის (1310-25) ეპოქაში, მთიანი და- ღისტნის ტერიტორიაზე სახელდება 3 საეპისკოპოსო (ხუნძახის, ანწუ- ხისა და წახურის). XV ს-ში კი ხუნძელი კათალიკოსი – ოქროპი- რია (კ. კეკელიძე). თუ შევადარებთ ამ პერიოდის ვითარებას სპარსე- ლი არაბულენოვანი სწავლულის



ღვთისმშობელი. ნუზალის სამლოცველო. XIII ს. ისტორიული დვალეთი (ჩრდილოეთ ოსეთი).

იბნ-რუსთის (IX ს. II ნახ. – X ს. I ნახ.) მიერ X ს. დასაწყისში აღ- წერილს, რ-იც სარირის (ავარეთის) მეფის ციხე-სიმაგრის მცხოვრებთ ქრისტიანებად, ხოლო ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას კი წარ- მართად მოიხსენიებს, ნათლად ჩანს მთიანი დაღისტნის ქრისტიანიზა- ციის პროცესი, მისი ინტენსიფი- კაცია; აღსანიშნავია X ს. ინგუ- შეთში (ქართული წყაროებით „დურძუკეთი") გიორგი ეპი- სკოპოსის მოღვაწეობაც, რის შესახებაც გვაუწყებს იმავე ტყო- ბაა-ერდის ქრისტ. ტაძრის ლაპი- დარული წარწერები ისტ. „ღუნ- ძეთთან", „დურძუკეთსა" და „ღლი- ღვეთთან" (ჩაჩნეთი) მიმართებით აღნიშნულ საკითხთა გარკვევისა- თვის მნიშვნელოვანია კახეთის მეფის კვირიკე III დიდის (1010- 29) მიერ კახეთ-ჰერეთში ჩატარე- ბული ადმ. რეფორმის (რ-იც ად- რინდელი ვითარების გამომხატ- ველი იყო – მ. ლორთქიფანიძე) მონაცემების გათვალისწინება. XVIII ს. ისტორიკოსი და გეოგ- რაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს, რომ ამ რეფორმით, „დუ- რძუკეთი" და „ღლიღვეთი" კახეთის მეორე, კვეტერის საერისთაოში, „ღუნძეთი" კი – ჰერეთის მესამე, მაჭის საერისთაოში შემავალი ქვეყნებია; საყურადღებოა აგრეთვე მისი მონაცემები ნიქოზის საეპის- კოპოსოს ოსეთ-დვალეთთან და- კავშირებით.



წმიდა იოანე. ნუხალის სამლოცველო. XIII ს. ისტორიული დეკალეთი (ჩრდილოეთ ოსეთი).

არსებობს საფუძველი, რომ ჩრდ. კავკასიის ქვეყნებში ქრისტ. რელიგიის არსებობა ოფიციალურ-კლერიკალურ ხარისხშიც მივინიოთ, რაც ახლოს იყო კანონიკურ ნორმებთან და რაც შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სახ-ბის განეითარების მაღალ დონეზე, თუ მას ამკვიდრებს ეკლესია და მხარს უჭერს სახელმწ. ხელისუფლება.

კავკასიის ინტეგრაციის ისტ-ეთნოლუციური პროცესი შეწყდა თათარ-მონგოლთა და, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ. დაიწყო სახელმწიფოებრივი, ეკონ.-სოც. და კულტ. რეგრესი. განვითარდა ცენტრიდანული ძალები, რ-თაც დაშალეს არა მარტო მთლიანად კავკასიის, არამედ მისი ცალკეული მხარეების ერთობაც. ბუნებრივია, დაიშალა კონფესიონალურ-კულტ. ერთიანობაც და დაირღვა ქრისტ. რელიგიისა და კულტურის საფუძველებიც (შემდგომში, ჩრდ. კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის ცალკეული ისტ. პარადიგმები აღარ იყო მოვლენის ეთნოლუციური განვითარების შედეგი, რადგანაც ისტ. საფუძველი მას აღარ გააჩნდა). ჩრდ.-აღმ. იმიერკავკასიაში (დაღისტანი) გაერცელდა და დამკვიდრდა ისლამი, რ-მაც ახალი პოლიტ.-სოც. და რელიგ-კულტ. ტენდენციები წარმოშვა; ცენტრ. და დას. იმიერკავკასიაში კი მის გავრცელებამდე ნაწილობრივი რესტავრაცია განიცადეს წარმართულმა კულტებმა, რ-ებიც ქრისტიანობასთან სინკრეტულად არსებობდნენ. ამ გარდამავალმა პერიოდმა გვიან შუა საუკუნეებში წარმოშვა არაკანონიკური არქიტექტურა, რ-საც სამეცნიერო ლიტ-რაში „ნახევრადქრისტიანულ-ნახევრადწარმართულ“ სამლოცველოებად მოიხსენიებენ და, რ-თაც, კანონზომიერია, ვერ ვხვდებით დაღისტნის მთებში. მეთოდოლოგიურად მცდარად უნდა ჩაითვალოს, როდესაც, ჩრდ. კავკასიის ქვეყნებში, გვიან შუასაუკუნეების ვითარებიდან გამომდინარე, ახდენდნენ X–XIV სს-ის რელიგ.-კონფესიონალური რეალობის რეკონსტრუქციას. ამით უგულებელყოფდნენ ჩრდ. კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ისტ. (სახ.-პოლიტ.-კულტ.) განვითარებისა და კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის მაღალხარისხოვან ხასიათს. ისიც აღსანიშნავია, რომ XIX–XX სს. ემპირიული მონაცემები ნათლად მიუთითებენ ჩრდ. კავკასიის ქვეყნებში ადგილობრივ მცხოვრებთა მოწიწებასა და რიდს თავისი ისტორიის ქრისტ. პერიოდისა და მისი კულტ. ძეგლების მიმართ, რაც, ეთნოკულტურული ტრადიციის, სელიური მემკვიდრეობითობისა და კულტურის ეკოლოგიის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია.

ლიტ.: ნიკობაძე ა., ქართულ-სუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღისტნიდან. – «სმამ», 1940, ტ. I, №4; *კეკელიძე კ.* ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში. – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., II, 1945; *გუდავა ჯ.*, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან. – «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», ნაკე. 30, თბ., 1954; *დოლიძე ე.*, ხოზიტა-მაირამი – საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი. – «სმამ», 1954, ტ. XV, №2; *მისივე*, ქართლის ხუროთმოძღვრული ძეგლი – საქართველოსა და დეკალეთის კულტურული ურთიერთობის ახალი საბუთი. – «სმამ», 1958, ტ. XXI, №6; *ეოლსკაია ა.*, კედლის მხატვრობის ფრაგმენტები „ხოზიტა-მაირამის“ ქართულ ტაძარში. – «სმამ», 1954, XV, №6; *ლეონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – ქართლის ცხოვრება, ს.



ჯვრის გამოსახულება ნუზალის სამლოცველო. ისტორიული დვალეთი. ჩრდილოეთ ოსეთი.

ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, თბ., 1955; გამრეკელი ვ., ისტორიული მასალები დვალეთიდან. – «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1963, ტ. XXIV-B; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. IV, თბ., 1973; ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბ., 1976; ლამბაშიძე გ., ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში. – «საბჭოთა ხელოვნება», 1976, №3; მისივე, XI ს. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I ლაპიდარული წარწერა „ტყობაერდას" (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. – სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო" (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), თბ., 1993; შანიძე მ., ფსალმუნის ორი უძველესი ქართული ხელნაწერის შესახებ. – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), VI, თბ., 1978; ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1982; მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1998; ლამბაშიძე გ., საქართველოს სამოციქულო ეკლესია და ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში. – კრ.: «ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში», თბ., 2004; Миллер Вс., Терская область. Археологические экскурсии I. Археологические наблюдения в области чеченцев. – «Материалы по археологии Кавказа» I, M., 1888; Атаев Д. М., Христианские древности Аварии. – «Ученые записки», т. IV, Махачкала, 1958; Каменные кресты из окрестностей Хунзаха. – «Материалы по археологии Дагестана», т. I, Махачкала, 1959; Ахвледиани Г. С., По поводу обнаружения Заромагской псалтыри. – Сборник избранных работ по осетинскому языку, кн. 1, Тб., 1960; Ломтатидзе Г. А., Выступление на заключительном заседании сессии 14 мая 1959 г. – «Материалы по археологии Дагестана», т. II, Махачкала, 1961; Шмерлинг Р. О., Церковь в с. Датуна в Дагестане». – «მაცნე», 1968, №2; Крупнов Е. И., Средневековая Ингушетия, M., 1971; Кузнецов В. А., Зодчество феодальной Алании, Орджоникидзе, 1977; Гамбашидзе Г., К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа. – II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977; მისივე, Вопросы христианской культуры и исторической географии Аварии в свете результатов Дагестано-грузинской объединенной археологической экспедиции АН ГССР и СССР. – IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983; მისივე, Древнегрузинские церковные книги из Ингушетии. – «V Крупновские чтения по археологии Кавказа», Махачкала, 1975; მისივე, Грузинские лапидарные надписи из христианского храма на горе Акаро над Хунзахом (Дагестан). – Материалы международной научной конференции – «Кавказ и степной мир в древности и средние века», Махачкала, 1999; მისივე, Памятники древнегрузинской письменности в странах Северного Кавказа. – «Археология и этнология Кавказа». Краткие содержания докладов международной научной конференции, Баку, 2000; Чубинашвили Г. Н., Ткоба-Иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии). Вопросы истории искусства. Исследования и заметки, т. II, Тб., 2002; Мусхелишвили Д. Л., Взгляд сквозь глубь веков. – «Литературная Грузия», 2003, №4–6; Гамбашидзе Г., Несколько ингушских фольклорных и этнографических парадигм, касающихся храма Ткобя-Ерда (Ингушетия). – «Археология, этнология и фольклористика Кавказа». Материалы международной конференции, Ереван, 2003; მისივე, Три лапидарные надписи епископа Георгия (X в.) из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). – «კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა». საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2004.

გ. ლამბაშიძე.



[illegible] (X [illegible]). მაღი-იერდის ეკლესიიდან. ინგუშეთი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲘ, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება, შეიქმნა 1923 წლის 18. თებ. გ. ახვლედიანის თაოსნობით. საზ-ბის საბჭოს წევრებად აირჩიეს გ. ახვლედიანი (თავ-რე), ა. შანიძე (თავ-რის ამხანაგი), არნ. ჩიქობავა (მდივანი), დ. მგელაძე (მოლარე), ვ. თოფურია; სარევიზიო კომისიის წევრებად – ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. გორგაძე, ვ. ბერიძე.

საზ-ბა მიზნად ისახავდა ქართ. და ქართველური ენების, აგრეთვე მთის კავკ. ენების შესწავლას, რაც მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული როგორც თავისთავად, თვით ამ ენათა ბუნებისა და მათი ურთიერთობის გარკვევისათვის, ისე ზოგადენათმეცნ. თვალსაზრისით.

საზ-ბა იწვევდა საჯარო სხდომებს, რ-ებზედაც კითხულობდნენ მეცნ. მოხსენებებს; აწყობდა საზაფხულო ექსპედიცია-მიელინებებს საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ცოცხალ ენა-კილოებზე სამუშაოდ, ზრუნავდა საენათმეცნ. წიგ-

ნოსაცვაეის შექმნაზე. სას-ბამ დააარსა ჟურნ. «წელიწდეული», გამოქეეყნდა I–II ტ. (1923–24), რებშიც, სამეცნ. წერილების გარდა, დაბეჭდილია სას-ის სხდომათა ოქმებიც.

ენათმეცნიერთა გარდა, სას-ბის მუშაობაში აქტ. მონაწილეობას იღებდნენ მომიჯნავე მეცნიერებათა წარმომადგენლები: ი. ჯავახიშეილი, ს. ჯანაშია, დ. უსნაძე, კ. კეკელიძე, გ. ჩიტაია, გ. ჩუბინაშეილი, ს. ყაუხჩიშეილი და სხე. სას-ბამ იარსება 1928-მდე.

თ. შარაძენიძე.

გ. ახელედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, დაარსდა 1992 წლის 21 თებ. დამფუძნებელთა კრებამ აირჩია პრეზიდიუმი 5 კაცის შემადგენლობით (პრეზიდენტი – პროფ. ა. ფოცხიშეილი). იმაეე წლის 30 დეკ. სას-ბა გატარდა იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციაში. 1992 წლის 15 სექტ-იდან არის პენრი სეიტის სახ. ლინგეისტიკის ისტორიის მსოფლიო ასოციაციაციის წეერი. სას-ბა ყოეელი წლის 13 აპრ. (გ. ახელედიანის დაბადების დღეს) მართაეს სამეცნ. სესიას (იბეჭდება თეზისები). დროდადრო აწყობს გამონენილ ენათმეცნიერთა საიუბილეო საღამოებს. სას-ბამ ნააღარა ანტონ I ბაგრატიონის დაბადებიდან 275 წლისთაეის იუბილეც: დააწესა ანტონ I ბაგრატიონის სახ. ოქროს მედალი, რ-ის პირეელი ლაურეატები გახდნენ პროფ-ები: ს. ავალიანი და ჰ. ი. არონსონი (აშშ.); ქ. ბაგრატიონ-ორსინი (იტალია), მხატეარი გ. ბუღაძე, აკად-ები: თ. გამყრელიძე და ა. თაეხელიძე; უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართეელოს-კათალიკოს პატრიარქი ილია II, ჰ. ფენრიხი (გერმანია), პროფ. ა. ფოცხიშეილი ე. შეევარდნაძე. *ა. ფოცხიშეილი.*

ბ. ჯორბენაძის სახელობის სას-ბა დაარსდა 1994 ენათმეცნიერ ბ. ჯორბენაძის კოლეგების, მოწაფეებისა და თანამოაზრეების ინიციატიეით. სას-ბა (თაე-რე გ. გოგოლაშეილი) მიზნად ისახაეს, გააგრძელოს ბ. ჯორბენაძის მიერ დაწყებული საქმიანობა; იზრუნოს მისი სამეცნ. მემკეიდრეობის შესწაელის, დამუშაეებისა და გამოცემისათეის; ქართ. და ქართეელური ენების ამაგდარ მკელეეართა სამეცნ. მემკეიდრეობის შესწაელისა და პოპულარიზაციისათეის, ქართ. სალიტ. ენის სიწმინდის დაცეისათეის.

1995 იელ-იდან სას-ბა გამოსცემს ყოეელთეიურ გაზ. „ბურჯი ეროენებისა" (29-ე ნომერი გამოეიდა 1997 დეკ.); 1998 იან-ე. გაზეთი გადაკეთდა ყოეელთეიურ ჟურნალად. 1994-იდან სას-ბა ატარებს ყოეელწლიურ სამეცნ. კონფერენციებს, გამოსცემს ყოეელწლიურ კრებ. „საენათმეცნიერო ძიებანი". სას-ბამ გამოსაცემად მოამზადა და გამოსცა ბ. ჯორბენაძის ხელნაწერი წიგნები: „ქართული ენის მორფოლოგია" (1995) „ქართეელური ენების დიალექტები" (1995), „ენა და კულტურა" (1997), „ქართული დიალექტოლოგია", ტ. II (1998); ი. ჯაეახიშეილის „საქართეელოს სახელეები" (II გამოც.). სას-ბა აქტიურად თანამშრომლობს ზოგადსაგანმან. სკოლებთან. 1997-იდან დააარსა სერია „აბიტურიენტის ბიბლიოთეკა".

გ. გოგოლაშეილი.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და პერიოდიზაცია, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია სწაელობს როდის და რა პირობებში შეიქმნა ქართ. სალიტ. ენა, რა გახდა საფუძეელი სამწერლობო ენისათეის და როგორ შეიცეალა მისი საყრდენი მეტყეელება დროთა ეითარებაში; იკელეეს მიმართებას სალიტ. ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყეელებას შორის, გეიჩენებს, რა ცელილებები მოხდა ქართ. ენის სისტემაში ისტორიის ნეენთეის ცნობილ მონაკეეთში და აღგენს ამ ცელილებათა ქრონოლოგიას.

ქართ. სალიტ. ენის ისტორიის შესასწაელად უდიდესი მნიშენელობა ენიჭება წერილობითი წყაროების – წარწერების, ხელნაწერებისა და საისტორიო-იურიდ. ხასიათის დოკუმენტების გამოწელილეით შესწაელას. სწორედ ენის ისტორიის დეტალური შესწაელის შემდეგ შეიძლება გადაწყდეს პერიოდიზაციის პრობლემაც.

დიდი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართ. სალიტ. ენის განეითარების პერიოდებზე ქართ. ენათმეცნიერებაში განსხეაეებული შეხედულებებია გამოთქმული. ქართ. სალიტ. ენის განეითარების ისტორიაში, ჩეეულებრივ, სამ პერიოდს გამოყოფენ: ძეელს (V–XI სს.), საშუალს (XII–XVIII სს.). და ახალს (XIX–XX სს.). სხეადასხეა ენობრიეი ნიშნების გათეალისწინებით, ამ მოსაზრებას ემხრობიან მეცნიერები: ა. შანიძე, გ. დეეტერსი, კ. კეკელიძე, ნ. მარი, ი. ქავთარაძე, ზ. ჭუმბურიძე, ზ. სარჯეელაძე და სხე. ეს პერიოდები გარკეეული ცელილებებითაა გამოკეეთილი და ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც ერთი ენის განეითარების საფეხურები. მაგ., გრამატ. ნიშნებს შორის ასპექტის ჩეენება აღმოჩნდა ყეელაზე უფრო მნიშენელოვანი ქართულის პერიოდიზაციის დასადგენად: „ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ეთქეათ, დიდი მოხეეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკეეული მიჯნა დაიდო ძეელ ქართულსა და ახალს შორის. ამ მიჯნაზე ძეს საშუალი ქართული, რ-იც ასახაეს ამ ორი სისტემის პარალელურ არსებობას და ენის ცდას, უფრო და უფრო მეტი გასაქანი მოუპოეოს ახალ სისტემას და მიეიწყებას მისცეს ძეელი" (ა. შანიძე).

არსებობს სხეა მოსაზრებაც (არნ. ჩიქობაეა), რ-ის მიხედეითაც ქართ. ენის განეითარებაში გეაქეს მხოლოდ ორი პერიოდი: ძეელი (V ს-დან XI ს-ის დამლეეამდე) და ახალი (XII ს-იდან დღემდე). ამ თეალსაზრისით, ახ. სალიტ. ენა ჩაისახა XII ს. საერო პოეზიაში და უკეე სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღელილებაში ახ. ქართულის დამახასიათებელი მოელენები გეაქეს, სიტყეათა წყობაც არსებითად ახ. ქართულისაა; განმასხეაეებელი ნიშნები, რ-ითაც ე. წ. საშუალი ქართული გამოიყოფა ძეელი ქართულისგან, ახალი ქართულის ელემენტებია.

ქართ. სალიტ. ენა ხუთ ეტაპადაც არის დაყოფილი: საწყისი ეტაპია ძე. ქართ. სალიტ. ენა V საიდან XI–XII სს-მდე, რ-ისთეისაც ნიშანდობლიეია მკეეთრად გამოხატული კანონზომიერებანი, ორიენტაცია საეკლესიო თხზულებების ენაზე; II ეტაპია XI–XII სსიდან XVII–XVIII სს-მდე, როცა საერო ლიტ-რის დამკეიდრებას არსებითი ცელილებები მოჰყეა ენობ-

რივი თვალსაზრისით: III ეტაპს საფუძვლად ედება *საში სტილის თეორია*, რ-იც საუკუნის განმავლობაში ბატონობდა – XVIII ს-ის 50-იანი წლებიდან XIX ს-ის II ნახევრამდე; IV ეტაპი იწყება XIX ს. 60-იანი წლებიდან თერგდალეულთა მოღვაწეობით სალიტ. ენის განვითარებისათვის; V ეტაპია – XX ს. 10-20-იანი წლებიდან დღემდე. მას პირობითად თანამედროვე ქართ. სალიტ. ენა შეიძლება ეწოდოს (ბ. ჯორბენაძე).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიტერატურისმცოდნეთა ნაწილი საერთოდ სკეპტიკურად უყურებს სალიტ. ქართულში განვითარების პერიოდების გამოყოფას, ერთგვარი ქრონოლოგიური მიჯნების დადებას და თხუთმეტსაუკუნოვან ქართ. სალიტ. ენას ერთ გაუდიფერენცირებელ ნაკადად მიიჩნევს (რ. თვარაძე).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ.I, თბ., 1950; *ქეკელიძე კ.* ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951 (1980); *შანიძე ა.*, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბ., 1953; *ქაუთარაძე ი.*, ქართული ენის ისტორიისათვის (XII–XVIII სს.), I, თბ., 1964; *თვარაძე რ.*, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა. – «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1978; № 3; *ჭუმბურიძე ზ.*, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის. – წგ: ქართული ენა, თბ., 1984; *სარჯველაძე ზ.*, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; *ჯორბენაძე ბ.*, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

კ. დანელია.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა საექსპერტო კომისია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა საექსპერტო კომისია, რ-ის მიზანია ქართ. ენის განვითარების ცოცხალი პროცესისა და ყველა ენობრივი ტენდენციისათვის თვალის მიდევნება, რათა ქართ. სალიტ. ენა აგრძელებდეს და აერცობდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ მემკვიდრეობას, იყოს მოწოლითური, ღემოკრატიული, რომ ქართ. სალიტ. ენამ, როგორც საქართველოს სახელმწ. ენამ, შეძლოს მრავალფეროვანი ფუნქციების შესრულება.

კომისია ვალდებულია განიხილოს ქართ. სალიტ. ენის ნორმირებასთან დაკავშირებული საკითხები და ყოველ (ცალკეულ) საკითხზე შეიმუშაოს ენობრივი ნორმა; სისტემატურად თვალყური ადევნოს ქართ. სალიტ. ენაზე შექმნილ სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და სამეცნ. ლიტ-რას, მასმედიის ენას, რომ გამოვლინდეს ძირითადი ენობრივი ტენდენციები და მოსაწესრიგებელი საკითხები მართლწერაში, გრამატიკასა და ლექსიკოლოგიაში; განსახილველად მიიღოს შეკითხვები და წინადადებები ნებისმიერი ორგანიზაციისა და ცალკეული მოქალაქეებისგან, გაერკვეს საკითხში და სათანადო დასაბუთებით შეიმუშაოს ენობრივი ნორმა; ქართ. სალიტ. ენის დადგენილი ნორმები გამოსცეს ბიულეტენებად, რ-ებიც ბეჭდური და ელექტროვერსიის სახით გაერცელდება საქაროვ. სამეცნ. სასწავლო, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მასმედიის საშუალებებში, გამომცემლობებსა და შემოქმედებით კავშირებში.

თ. ბოლქვაძე.

«ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», საენათმეცნიერო კრებული, ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ბეჭდვითი ორგანო. გამოიცემა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეც. ინ-ტის მიერ. კრებული გამოდის 1972-იდან. 2004-ის ჩათვლით გამოცემულია თორმეტი წიგნი (რედ. I–V ი. გიგინეიშვილი, VI–XII შ. აფრიდონიძე). კრებული ეძღვნება ქართ. სალიტ. ენის აქტუალურ (მორფოლოგია-სინტაქსის, ორთოგრაფია-ორთოეპიის, ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიის, ტერმინოლოგიის, ონომასტიკისა და სხვ.). საკითხებს. გამოცემა გრძელდება.

მ. კერესელიძე.

ქართული წერილობითი ძეგლები, ქართულ ენაზე შემორჩენილი წერილობითი ძეგლები. ისინი სამი სახისაა: ა) ეპიგრაფიკული, ბ) ხელნაწერი წიგნები და გ) ისტორიული დოკუმენტები.

ეპიგრაფიული ძეგლები. ეპიგრაფიკული წერილობითი ძეგლების რაოდენობა საქართველოში უსუსტად აღრიცხული არ არის, თუმცაღა მათი სიუხვე ყველასათვის ცნობილია. ყოველი კუთხე მდიდარია ეპიგრაფიკული ძეგლებით. ყველა წარწერაში დროის შესაბამისად ჩანს ქართ. ენის განვითარების დამახასიათებელი თავისებურებანი (*ბანმეტობა*, *პამეტობა*), ასოთა პალეოგრაფიული სახეცვლის საფეხურები და, რაც მთავარია, რეგიონის სოც.-პოლიტ. ყოფის ამსახველი რეალიები (იხ. *ეპიგრაფია*).

უძველესი ქართ. ეპიგრაფიკული წარწერა შემოუნახავს ბოლნისის სიონის ტაძარს (იხ. *ბოლნისის სიონის წარწერები*). ბოლნისის სიონზე შემორჩენილ წარწერათა რაოდენობა ორ ათეულზე მეტია, ყველაზე ადრეული 493-ით, ხოლო ყველაზე გვიანდელი XVIII ს-ით თარიღდება. პირველი თარიღიანი ეპიგრაფიკული ძეგლია *წყისის წარწერა* – 617-619.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების შეგროვება, მეცნ. შესწავლა და პუბლიკაცია XIX ს. I ნახევარში დაიწყო და უკავშირდება მ. ბროსეს, დიუბუა დე მონპერეს, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილისა და სხვ. სახელებს. დღეს ქართ. ეპიგრაფიკული წერილობითი ძეგლების შესწავლა გეგმაზომიერად მიმდინარეობს. გამოქვეყნდა: ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–XII) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა თბ., 1980; წიგნი II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკე. I (IX–XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980; ფრესკული წარწერები, I, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ, თბ., 1989; ე. სილოგავა, ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994; მისივე, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX–XIII სს.), თბ., 1999; მისივე, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, 2000; კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა თ. ბარნაველმა, თბ., 1961.

ხელნაწერი წიგნები. საქართველოში შემორჩენილი ხელნაწერი წიგნების რაოდენობა დაახლოებით 15000-მდეა. ხელნაწერები ძირითადად დაცულია კ. კეკე-

ლიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში, საქართვ. სახელმწ. საისტორიო არქივში, გ. ლეონიძის სახ. ლიტ-რის მუზეუმში, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწ. მუზეუმში, გორის, მესტიის, ახალციხის, ზუგდიდის და სხვ. მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში. ქართ. ხელნაწერები დაცულია საზღვარგარეთის საცავებშიც: სინას მთაზე, ათონის ივირონის მონასტერში, იერუსალიმში, პარიზში, რომში, ლონდონში, პეტერბურგში და სხვ.

შემორჩენილი ხელნაწერები თარიღდება V–XIX სს-ით. საწერ მასალად XI ს-მდე გამოყენებული იყო *ეტრატი*, ანუ პერგამენტი. XI ს-იდან ძირითად საწერ მასალად იქცა ქაღალდი (თუმცა ეტრატს მოგვიანებითაც იყენებდნენ, განსაკუთრებით XII–XIII სს.). არის იშვიათი შემთხვევებიც, როდესაც ქართ. ხელნაწერი შესრულებულია პაპირუსზე (ჭილზე). ერთი ასეთი ფრაგმენტი ფსალმუნის ტექსტისა (X ს.) დაცულია პეტერბურგის ეროვნული ბ-კის (ყოფ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბ-კა) საცავში. იგი 1850 ჯ. უსპენსკის წამოუღია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრიდან. მეორე ხელნაწერი, ე. წ. *ჭილ-ეტრატის იადგარი*, ასევე X ს., დაცულია ხელნაწ. ინ-ტში.

V–VIII სს. ქართ. ხელნაწერთა ფრაგმენტები შემორჩენილია პალიმფსესტების სახით. ცნობილია ასეულობით პალიმფსესტური ფურცელი (A-89, A-737, A-844, H-1329, S-3902...), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. ხანმეტური ტექსტების აღმოჩენა. ხანმეტ პალიმფსესტებში შემონახულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნების, იერუსალიმური განჩინების, ჰაგიოგრაფიული ტექსტების ფრაგმენტები.

შუა საუკუნეების ქართ. მწერლობა ორი კულტურის მიჯნაზე წარმოიშვა და ვითარდებოდა: ორი განსხვავებული კულტურა – დასავლეთიდან ქრისტიანული (ბიზანტ.) და აღმოსავლეთიდან მაჰმადიანური ერთიანი ძალით უტევდნენ ქართ. მწერლობას. სწორედ მათთან კონკურენციამ შეუწყო ხელი ორიგინ. ჰაგიოგრაფიული მწერლობის შექმნას. ქართ. ჰაგიოგრაფია V ს-იდან იწყება, როდესაც შეიქმნა მისი პირველი ძეგლი – „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“. იგი XVIII ს. მიწურულამდე ემსახურებოდა ეროვნული სულისკვეთების გაღვივებასა და შენარჩუნებას. ქართ. ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები გამორჩეულია თავისი მრწამსით, მაღალმხატვრულობით, იდეური მიზანდასახულობით, თხრობის მანერით.

ქართველებმა მდიდარი ქრისტ. მწერლობა შექმნეს. ქართ. მწერლობა ბიბლიის წიგნების თარგმნით დაიწყო. უკვე V ს-ში სახარების, პაულე მოციქულის ეპისტოლეთა და დავითნის ქართ. თარგმანების არსებობა ეჭვს არ იწვევს. ბიბლ. წიგნების ქართულად თარგმნის ისტორია არ არის მხოლოდ კონკრეტული წიგნის გადმოღების თავგადასავალი, თავისთავად საინტერესო და მნიშვნელოვანი. ეს არის მთელი ქართ. აზროვნებისა და სულიერი ცხოვრების წარმოჩენა.

ბიბლიის წიგნების უძველესი კრებული შედგენილია 978 ოშკის მონასტერში. შემდეგ იგი ათონის ივირონის ქართველთა მონასტრის საკუთრება გახდა. ამ კრებულს დღეს უწოდებენ ათონის ბიბლიას (დაცულობის ადგილის მიხედვით) ან ოშკის ბიბლიას (გადაწერის ადგილის მიხედვით).

ქართულად ბიბლიის წიგნები ითარგმნებოდა საუკუნეების მანძილზე, ითარგმნებოდა იმ ენიდან, რ-თანაც ქართველებს კულტ. კავშირი ჰქონდათ. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ბერძნ. ენა (რიგ შემთხვევაში იყენებდნენ სომხ. სირ. არაბ. თარგმანსაც), მოგვიანებით არჩილ მეფემ XVIII ს. დასაწყისში რამდენიმე წიგნი თარგმნა სლავურიდან. ბიბლიის წიგნები (განსაკუთრებით ახალი აღთქმისა) დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: დავითნი – 904 [A-38, შატბერდის კრებული („თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ“)], 973-976 (S-1141); ხანმეტი ოთხთავი – V–V სს. (A-89, 844); ადიშის ოთხთავი – 897; ოპიზის ოთხთავი – 913, ურბნისის – 906, ჯრუჭის – 936, ბიბლია XII-XIII სს. (A-1108); საწინასწარმეტყველო X ს. ქსნის – X ს. (A-509) და სხვ. მრ.

X ს-მდე ითარგმნა და ქართული მწერლობის განუყოფელი ნაწილი გახდა: 1. მრავალთავები [კლარჯული (A-144), უდაბნოს, ათონური, პარხლის (A-95), სინას მთის – 864, სვანური (A-19)]; 2. ჰიმნოგრაფიული კრებულები (ჭილ-ეტრატის იადგარი, მიქაელ მოდრეკილის იადგარი, სინური კოლექციის იადგარები); 3. სვინაქსარები [ეფთვიმე ათონელის მცირე სვინაქსარი (A-648), გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარი (A-97)]; კომენტარი და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული კრებულები; 4. საგალობელთა კრებულები – *თვენი*, I რედაქცია (გარდამავალი საფეხური იადგარებიდან გიორგი მთაწმიდელის თვენამდე Iez. 72) და გიორგი მთაწმიდელი); 5. დოგმატიკური კრებულები (დოგმატიკონი, გრდემლი, მზამეტყველება, მარწუხი და სხვ.); 6. ლიტურგიკული კრებულები (კურთხევანი, მარხვანი, პარაკლიტონი, ძღისპირნი და ღმრთისმშობლისანი და სხვ. მრავალი). ორიგინალური ქართ. ჰაგიოგრაფიის, ჰომილეტიკის, ჰიმნოგრაფიის გვერდით ამ წიგნებმა კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრეს ქართ. მწერლობის ისტორიაში. ქართ. მწერლობის, ქართ. ენის ისტორიის განვითარების წარმოდგენა მათ გარეშე შეუძლებელია.

ქართ. წერილობით ძეგლებში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნით საისტორიო ქრონიკებსა და მატიანეებს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია (S-1141, H-600), სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ადრეული ისტორიოგრაფიის შესანიშნავი ძეგლებია. XI ს. 70-იანი წლებიდან ლეონტი მროველმა შეადგინა „ქართლის ცხოვრების“ კრებული, რშიც მოცემულია ცდა, მთლიანობაში იქნეს გააზრებული საქართვ. ისტორია. ლეონტის დაწყებული საქმე გაგრძელდა და თანდათან ივსებოდა. დაემატა: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ლაშა გიორგის მეფობის ისტორია; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ჟამთააღმწერელი – ასწლოვანი ისტორია: XVII–XVIII სს. დაიწერა „ახალი ქართლის ცხოვრება“ და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი – ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია და გეოგრაფია“.

ქართ. წერილობითი ძეგლების რეესტრში ძალზე გამორჩეულია

ორიგინ. და ნათარგმნი სამართლის ძეგლები: მცირე სჯულის კანონი (ნახევრად ორიგინ. თხზულება). დიდი სჯულის კანონი, ბექა და აღბუღას სამართლის წიგნები, ვახტანგ VI-ის სამართალი და სხვ. დასახელებული თხზულებანი საუკუნეების მანძილზე არეგულირებდნენ ქართ. იურისპრუდენციის ნორმებს.

საგანგებო აღნიშნის ღირსია საერო ლიტ-რის ძეგლები. ქართველმა ხალხმა XI–XII სს-ში, მუზობელ ქრისტ. ხალხთაგან განსხვავებით, შექმნა საერო ლიტ-რის შედევრები: „ამირანდარეჯანიანი", „თამარიანი", „ვეფხისტყაოსანი", თარგმანები „ვისრამიანისა"და „შაჰნამესი"; თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფის, ს.-ს. ორბელიანის ვახტანგ VI-ის, დ. გურამიშვილისა და სხვათა შემოქმედების ნიმუშები ქართ. მწერლობის, ქართვ. ხალხის ნიჭიერების უტყუარი დასტურია.

ისტორიული დოკუმენტები, ჩვენამდე მიღწეული ქართ. ისტ. საბუთების რაოდენობა 65000-ზე მეტია, აქედან IX–XV სს. 4000-მდეა, XVIII ს. – 1500-მდე, ხოლო დანარჩენი XIX–XX სს. მიეკუთვნება. დღემდე გამოცემულია ძვ. ისტ. საბუთების მცირე ნაწილი (დაახლ. 10%). საბუთები ნაწერია ნუსხურად და მხედრულად. საწერ მასალად გამოყენებულია ეტრატიცა და ქაღალდიც, იშვიათად იწერებოდა ხეზე (სვანური საბუთები).

ეტრატზე შესრულებული უძველესი საბუთი თარიღდება IX ს. II ნახ-ით, რ-იც შემოგვინახა XIII ს. II ნახ. ნუსხამ „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი", რ-იც გრიგოლ სურამელის 1247–50 დაწერილის (A d-1) უკანა მხარეზეა მოთავსებული. ამაზე ადრეული საბუთი ჯერჯერობით გამოელენილი არ არის.

XV ს-მდე საბუთებს ეწოდებოდა *„დაწერილი"*, *„სიგელი"*; სიგელის პარალელურად სხვა ტერმინებიც იხმარება (ბრძანება, ნიშანი, *წიგნი* და სხვ.), რ-ებსაც ამაგე პერიოდიდან ერთვის რაობის მიმანიშნებელი სახელიც (წყალობის სიგელი, ნასყიდობის წიგნი, პირობის წიგნი და სხვ.).

ისტორიულად ჩამოყალიბდა დოკუმენტის გარკვეული კომპოზიციური მოდელი, ერთგვარი საბუთებისათვის შემუშავდა სტერეოტიპული ფორმულები, რ-თა კომპოზიციური გაფორმება და სტერეოტიპული შაბლონი იცვლებოდა ისტ. ეპოქათა მონაცვლეობის შესაბამისად. სიგელთმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, ჩვენში შექმნა ი. ჯავახიშვილმა. 1926 მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა". ამ დროიდან დაიწყო ისტ. დოკუმენტთა თეორიული შესწავლა, თუმცა საბუთების პუბლიკაცია XIX ს. შუა წლებიდან ხდებოდა.

ისტ. დოკუმენტებში ფეოდ. საქართველოს სამ-ბის სხვადასხვა ასპექტია წარმოდგენილი. მატიანეებისაგან განსხვავებით, დოკუმენტები, როგორც კერძო იურიდ. საბუთები, წარმოაჩენენ სხვადასხვა სოც. მდგომარეობის პირთა (მეფეთა, ფეოდალთა, საეკლ. მოღვაწეთა და სხვ.) კონკრეტულ ქმედებას. საბუთებიდან ნათლად ჩანს ქვეყნის ისტ. ცხოვრების მონაწილე პირების მთელი საქმიანობა.

ისტ. საბუთები პირველხარისხოვან ინფორმაციას იძლევიან საერო და სას. ცხოვრების, ცალკეული რეგიონის ფეოდალთა მოქმედების, დაბალი სოციალური წრის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ. დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს ჩვენში მაღალი სამართლებრივი აზროვნებისა და კულტურის არსებობა.

საბუთების დამწერნი განსხვავებული ცენზისა და მდგომარეობის პირები იყვნენ. ასეთ პირს მოგვიანებით ეწოდებოდა მდივან-მწიგნობარი. ნაღდი ისტ. დოკუმენტების პარალელურად იოხზვებოდა ყალბი დოკუმენტებიც, რ-ებიც იწოდებიან ნაყალბევად ან ნატყუარ დოკუმენტებად.

გამოცემები: ჯორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. I, ტფ., 1892, წგ. II, 1897, წგ. III, თბ., 1967; ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1–2, თბ., 1940–53; დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1–8, თბ., 1963–85; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. 1. შეადგინეს: თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984; სვანეთის წერილობითი ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, ტ. 1-2, თბ., 1986–88; დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, წგ. III, თბ., 1955; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI–XIX სს.), ტ. I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. 1–3, ტფ., 1899-1910; (ტ. III დამატება – 1926).

მ. ქავთარია.

ძარტა (ლათ. charta < ბერძნ. chartes – პაპირუსის ფურცელი), თავდაპირველად პაპირუსებისაგან დამზადებული საწერი მასალა, შემდეგ კი ყოველგვარი საწერი ფურცელი. სწორედ ამ მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა როგორც ძველი აღთქმის წიგნების უძველეს ქართ. თარგმანებში, ისე ორიგინალურ თხზულებებში. მოგვიანებით ძ-მ ბერძნულშიეე მიიღო „საბუთის" მნიშვნელობა. ქართულში იგი ამ მნიშვნელობითაც გვხვდება.

ლიტ.: დარელია კ., სარჯველაძე ს., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

კ. დარელია.

ძასძური ენა, ხეთურ და ასურულ ლურსმულ ტექსტებში მრავალჯერ მოხსენიებული ტომების – ქასქების ენა. მართალია, იგი ამ წყაროებში დადასტურებული არ არის, მაგრამ მისი არსებობა ეჭვს არ იწვევს ხეთურ ტექსტებში შემორჩენილი ქასქური ტოპონიმიის, პირთა საკუთარი სახელების, ცალკეული ქასქური სიტყვების მიხედვით.

ქასქების ტომები ბინადრობდნენ ანატოლიის (მცირე აზიის, თანამედროვე თურქეთის) ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. რაიონებში (ძვ. წ. XVI–XII სს. დროინდელი ტექსტების მიხედვით), მოგვიანო ხანაში პონტოსა და მის აღმ. ოლქებში, რ-ებიც დასახლებული იყო ქართველური წარმოშობის ტომებით. თავიანთი გამუდმებული თავდასხმებით ისინი ხშირად საფრთხეს უქმნიდნენ ხეთების. აღნიშნული ლურსმული ტექსტების „ქასქა (kasku), ქასქია (kaskaja)" სახელწოდებას, რ-საც ზოგჯერ უკავშირებენ ხათურ (პროტოხეთურ) სიტყვას – kasku – „მთავარე", მკვლევრები დიდი ხანია განიხილავენ როგორც შუა საუკუნეების (VIII–XII სს.) დროინდელ წყაროებში (ბიზანტიელ ავტორებთან, არაბ., რუს., ქართულ და სხვ.) მოხსენიებულ „ქაშაგ" („ქასახთა", „ქაშაქია", „ქასოგი" და ა. შ.) სახელწოდებას, რ-იც ჩრდ.-დას.

კავკასიაში მცხოვრები ჩერქეზი (ადიღე) ხალხის აღმნიშვნელი იყო. აქედან გამომდინარე, ძ. ე. განსახილველი იქნება როგორც აფხ.-ადიღ. წარმოშობის ენა. მაგრამ საეჭვოა, რამდენად მართებულია აღნიშნულ ტომთა (და ენათა) იგივეობის გამოცხადება „ქასქა / ქაშქა“ და „ქაშაგ“ ტერმინთა საკარაუდო იდენტურობაზე დაყრდნობით, მით უმეტეს, თუ ეს იდენტურობა შემთხვევითია („ქასქა / ქაშქა“ ტერმინის იდენტური ან მსგავსი სახელწოდებები გვხვდება მსოფლიოს სულ სხვადასხვა მხარეში – აფრიკაში, ევროპაში, აზიაში). ქასქებისა და მათი ენის გენეტური კავშირები აფხ.-ადიღ. ტომებთან (შესაბამისად, ენებთან) არადამაჯერებელია, რადგან ქასქები განსახილველი არიან როგორც მცირე აზიის ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. რაიონების აუტოქთონური მოსახლეობა (რომელიმე რეგიონიდან ამ ტომთა გადმოსახლება ან მათი სხვაგან გადასახლება არ დასტურდება არც წერილობითი წყაროებისა და არც არქეოლ. მასალის მიხედვით). უფრო სავარაუდოა ქასქების ტომთა (ენის) სიახლოვე სხვა წარმოშობის ტომებთან (ენებთან). ამ მხრივ პერსპექტიულია კავშირების ძებნა ძე. კოლხურ, განსაკუთრებით, სამხრ. კოლხურ (ე. ი. დას.-ქართველურ, ზანურ) ტომებთან, რ-ებიც ანტ. ხანაში ცხოვრობდნენ პონტოს აღმ. რაიონებში ან პონტოს მეზობლად აღმ-ით. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ხეთურ წყაროებში დადასტურებული. ქასქური ტოპონიმია, პირთა საკუთარი სახელები, ცალკეული ქასქური სიტყვები და ა. შ. მაგ., ინტერესს იწვევს გეოგრ. სახელები, რ-ებიც მთავრდება -ია (-ija) სუფიქსზე: ასხარფაია (Asarpaja), ელურია (ილურია: Ellurija), გახარია (Gaḫarija), ქათხარია (Katḫarija), ქასქაია (Kaskaija), ფათალია (Patallija), სარია (Sarija), სუხურია (Suḫurija), თახანთარია (Taḫantarija), თალიფაცია (Tallipazija), თაქასთურია (Takasturija), თალმალია (Talmalija), თიმია (Timija), თიფია (Tipija), ვასხაია (Washaja), ციხარია (Ziḫarija), ცითახარია (Zitaḫarija), ციხარცია (Ziḫarzija).

ასევე საინტერესოა -სქა, -სგა (-ska, -sga) სუფიქსიანი ტოპონიმები: ქასქა (Kaska, Kasga), ხუმინთესქა (Huminteska), ქარიქურისქა (Karikuriska), მუნისქა (Muniska), თათისქა (Tatiska), დუდუსქა /თუთუსქა (Dudduska), ციანთისქა (Ziantiska). შდრ. ასურული ლურსმული წყაროების მუსქა (მუშქა), მუსქაია (მუშქაია), ე. ი. მუშქების, მოგვიანო ხანის მესხების აღმნიშვნელი ტერმინი. (-სქა, -სგა ქასქურ სუფიქსთან დაკავშირებით შდრ. -სქ -სგ-კომპლექსიანი ფორმები ზანურსა და სვანურში).

ქასქურ პირთა სახელებია: ასხაფალა (Asḫapala), ხათეფა (Ḫatepa), ხაცინა (Ḫazina), იციცი (Izizi), ქაციფირი (Kazipiri), ფაათა (Paata), ფათალია (patalija), ფაცანა (Pazana), ფიხუნია (Piḫunija), ფია (Pija), ფაციცი (pazizi), დადა, თათა, დათა, (Dada, Tata, Data), დადილუ (Dadilu), თემეთი (Temeti), თითა (Tita), თუთუ (Tuttu) და ა. შ. ქასქური პირთა სახელებია აგრეთვე -ილ-ილი (-il-ili) სუფიქსიანი სახელები (-ილ სუფიქსი აღნიშნავს ამა თუ იმ პირთა წარმომავლობას): ხიმუილი [Ḫimuili – „ხიმუელი“, კაცი ხიმუადან. ხიმუა იგივე ხიმუეა (ტოპონიმი)], ქასქაილი [(Kaskaili) – „ქასქელი“], გურიალი, გურიილი („ქურიელი“), ფიაფილი (Pijapili), დადილი (Dadili), დადილუ (Dadilu) და სხვ. ყურადღებას იქცევს ქასქური ტოპონიმები და პირთა საკუთარი სახელები უვა, -ვა დაბოლოებებით.

ქასქური ლექსიკიდან მომდინარეობს ცალკეული სიტყვები: ფიგაფილუ (piggapilu), ფიქურიალი (Pikurijalli), ფიფალალა (pippalala), ფითაურია (Pittaurija) და სხვ.

ზემოაღნიშნული იმსახურებს ყურადღებას ბგერითი შედგენილობით. ჩამოთვლილ სახელწოდებებში ბევრია ზანური (დასავლურქართველური) სტრუქტურის ტოპონიმები და საკუთარი სახელები. მთელი მასალა მიუთითებს უფრო მეტად ქასქების (resp. ქასქური ენის) კოლხურ წარმოშობაზე, ვიდრე მათ აფხ.-ადიღ. წარმომავლობაზე.

ლიტ.: გიორგაძე გ., ხეთებსა და ქასქებს შორის დაღებული ხელშეკრულებები. – «ქართული დიპლომატია». წელსწდეული, I, თბ., 1994; მისივე, ხეთური ლურსმული ტექსტები ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის. – «არტანუჯი», IX, თბ., 1998; Гиоргадзе Г. Г., К вопросу о локализации и языковой структуре каскских этнических и географических названий. – «Переднеазиатский сборник», I, M., 1961; Schuler E. von, Die Kaskaer, Berlin, 1965.

გ. გიორგაძე.

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ქართული სახოტბო პოეზიის ძეგლი, რ-შიც განდიდებულია ქართული ენა. ტექსტის ისტ.-ფილოლ. და მსოფლმხედველობრივი ასპექტების მიმართ ინტერესი გასცდა პროფესიონალთა წრეს და ფართო განსჯის საგნად იქცა.

ძეგლი (ვარიანტები: „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“, „ქართულისა ენისათჳს“) შემონახულია ოთხი ნუსხით, რ-ებიც სინას მთის ქართ. კოლექციის სხვადასხვა კრებულშია ჩართული (ერთი კრებული ამჟამად პეტერბურგში ინახება) და რ-თა გადამწერად დღემდე *იოანე-ზოსიმე* ითვლებოდა. ბოლო დროს გაირკვა (ლ. ხევსურიანი), რომ მისი ხელით მხოლოდ სამი ნუსხაა გადაწერილი, მეოთხის გადამწერი უცნობია. ტექსტი აღმოაჩინა (1883) და პირველად გამოაქვეყნა (1888) ალ. *ცაგარელმა.* მომდევნო გამოცემები ეკუთვნის ნ. მარს (1902), პ. ინგოროყვას (1924), სინური მრავალთავის ვარიანტისა – ა. შანიძეს (1959). შემდეგ „ქებაჲ“ ბევრჯერ გამოქვეყნდა, უკანასკნელად, კრიტ. ტექსტი – ლ. ხევსურიანის მიერ.

ხელნაწერთა მონაცემებით, გაურკვეველია, თუ ვინ არის ხოტბის ავტორი. მკვლევართა ნაწილი (კ. კეკელიძე, ზ. გამსახურდია და სხვ.) ავტორად X ს. ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს იოანე-ზოსიმეს ასახელებს. პ. ინგოროყვას მტკიცებით, ნაწარმოები შექმნილია გიორგი მერჩულეს (X ს.) ან მისი სკოლის წარმომადგენლის მიერ, რ-საც გამოუყენებია „მერჩულეული“ ფორმა თავედი ალიტერაციისა. მკვლევართა უმრავლესობას ქებაჲ უფრო ადრინდელ, ზოგს IV ს. ძეგლადაც კი მიაჩნია.

„ქებაჲ“... რვა მუხლისაგან შედგება. მათგან ზოგიერთის ინტერპრეტაცია გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებელი. გასათვალისწინებელია ავტორის აზროვნების სტილი, რ-იც ეფუძნება ბიბლიას და მისტიკა-ალეგორიებით გამოირჩევა.

ავტორისათვის, საღვთო წერილიდან გამომდინარე, ენა და ერი ერთი და იგივეა. ხოტბის სიტყვები: „დამარხულ არს ენაჲ ქართული ღღედმდე მეორედ მოსლვისა...“ უნდა გულისხმობდეს შემდეგს: ბიბლიის თანახმად, ადამიანის პირველსახე ცოდვის გამო გადაგვარდა, მაგრამ მისი სხეული კი არ მოისპო, არამედ დაიმარხა, „მიწად დაეფლა“, რათა კვლავ აღდგეს. ცოდვამდელი სხეულით შემკობა ყოველი მორწმუნის იდეალია. ვინც თავის თავში სულით და ხორცით შეინახავს ამ სხეულს, ის მარხულია და აღდგება „მერმისსა მას საუკუნესა“. ქართული ენაც „დამარხულია“. მეორედ მოსვლისას, როდესაც აღდგება პირველქმნილი ადამი და ქვეყნად მკვდარი, ქართული ენაც აღდგება. თანაც, აღდგება იმისათვის, რომ „ყოველსა ენასა ღმერთთან ამხილოს ამით ენითა“, ე. ი. მეორედ მოსვლის ჟამს ღმერთი ყოველ ხალხს („ყოველსა ენასა“) ამ ენით განსჯის და გასამართლებს.

მეხოტბის აზრით, „დამარხული“ ქართული ენის პროტოტიპი არის ქრისტეს მეგობარი ლაზარე. ლაზარე მოკვდა და სამი დღე-ღამე სამარეში უსვენა, მეოთხე დღეს კი მაცხოვარმა აღადგინა (იოანე 11, 1-44). ავტორს სწამს, რომ ლაზარეს მსგავსად „ოთხისა დღისა მკუდარი“ ქართულიც აღდგება. იქვე განმარტებულია ოთხი დღის საიდუმლო აზრი ხანგრძლივობის თვალსაზრისით: „რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“ (შდრ. ფს. 89, 4). მეხოტბეს შემთხვევითობად არ მიაჩნია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ქართულ ენაზე ამეტყველებული მათეს სახარება იწყება “წილ” ასო-ნიშნით („წიგნი შობისა...“). წილის რიცხვითი მნიშვნელობა ოთხი ათასია, რაც მეოთხე დღეს ლაზარეს მკვდრეთით აღდგომასთან ასოციირდება. ძეგლში აღნიშნულია: ლაზარეს ჰყავდა დები – მარიამი და მართა, რ-თა შუამდგომლობით ქრისტემ სამარიდან გამოიხმო ლაზარე. ქართულ ენას „ახალი ნინო და ჰელენე დედოფალი“ ჭირისუფლობენ. ლაპარაკია საქართველოს განმანათლებელ წმ. ნინოსა და რომის პირველი ქრისტ. იმპერატორის დედაზე ელენეზე. ეს პარალელი ქართული ენის საიმედო მომავალზე მიგვანიშნებს.

ქართული ენა, განაგრძობს ავტორი, „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსელისა უფლისასა“. აუცილებელი არაა, აქ ერისა თუ ენის კონკრ.-ისტ. მდგომარეობა ვიგულისხმოთ. ქრისტ. თვალსაზრისით, ვინც ან რაც შემკულია „სახელითა უფლისაჲთა“, ის „ნათლისღებით დაფლულია“, მარხულია (დამარხულია), საფლავს მდებარე ლაზარეა ისტორიის დასასრულამდე. ქველა, ვინც ღვთისგანაა, წუთისოფლის თვალში მდაბალი, დაწუნებული და მოძულებულია (შდრ. იოანე 15, 18-25). ქართული ენაც დაფლულია „სიკუდილითა ნათლისღებითა მისისაჲთა“ (შდრ. რომ. 6, 3-4). ამიტომაც მოელის იგი „ღღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა“. ხოტბის ავტორი აქ რომ პოლიტ. კლიმატსა და ენის სოც. დამცრობას გულისხმობდეს, მაშინ სხვა ენების გვერდით მოიხსენიებდა ქართულს და აღნიშნავდა მის უუფლებობას, როგორც ამას, მაგალითად, იოანე საბანისძე (VIII ს.) აკეთებს. შესაძლოა, ეროვნ. კრიზისმა მისცა იმპულსი მამულიშვილს, დაფიქრებულიყო მშობელი ერისა და ენის ბედზე, მათ ადგილზე სხვა ერებსა და ენებს შორის და განეცხადებინა: რაკი ქართ. ენა ნათელღებულია, იგი წუთისოფელში მძინარეა და, მაშასადამე, გაღვიძებისა და აღდგომის მოლოდინშია.

ხოტბის ავტორი ქართულ ენას ღირსებად უთვლის იმას, რომ ის, სხვა ენებთან შედარებით, 94 წლით აღრეა შექმნილი და, ასევე, ანბანის ასო-ნიშან „წილს“. პირველი არგუმენტი ჯერჯერობით გაურკვეველია; ვერც ერთი მკვლევარი მას დამაჯერებელ ახსნას ვერ უძებნის. რაც შეეხება მეორეს, უკვე ითქვა, რომ მისი არსი ტექსტშივეა გაცხადებული.

ქართული ენის ღვთიურობა მეხოტბის რწმენაა, ქართველთა ქრისტიანობის საფუძველზე შეთვისებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი ქართულ ენაში გულისხმობს ამ ენის ქრისტიანიზებულ შრეს, ანუ მარაგს, რითაც აღსრულება ღვთისმსახურება. ეს შრე თუმცა გამოხატვით ქართულია, მაგრამ არსობრივად განუყოფელია საღვთო და სამღვდელო ენისაგან, რ-იც რეალურად არც ქართულია და არც ბერძნული. ამ ენაში ქართულ ენასაც უდევს წილი. როდესაც მაცხოვარი სოფელს გაასამართლებს, მის „სიტყვაში“ ქვეყნად ნათელღებული ენის შინაგანი, სულიერი (და არა ვერბალური) შრე თანაბრად გასაჩინოვდება.

მაშასადამე, „ქებაჲს“ ტექსტს თავისებური წაკითხვა სჭირდება და, ასე ვთქვათ, -ც ნაწილაკის აღდგენა.

რწმენა, რომ ქართველები არაფისზე ნაკლები არ არიან და, ქრისტეს მოძღვრებიდან გამომდინარე, არც შეიძლება იყვნენ, საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაციისა და სრული ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საფუძველთაგანი იყო. ეს ბრძოლა ერის თვითშემეცნებისა და კულტ. გამოღვიძების, საქართ. გაერთიანების პარალელურად მიმდინარეობდა. ტაოკლარჯეთში საფუძველჩაყრილი ამ თაოსნობის მძლავრი იმპულსი სწორედ ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულება გახდა. ამ პათოსითაა შთაგონებული გიორგი მერჩულეს ცნობილი სიტყვები: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირების...“. მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა ამა თუ იმ ეკლესიის ავტოკეფალიის, ანუ თავისთავადობის ერთ-ერთი ნიშანი იყო. სულისკვეთება და რწმენა, რომ ქართველ ერსა და ქართულ ენაშიც ღვთიური მადლია და რომ ეს ენა ნებისმიერი „ქრისტიანი ენის“ თანასწორი და თანაარსია, VIII–IX სს-ში გამძაფრდა და ხოტბაც ამ ეპოქაში უნდა შექმნილიყო.

გამოც.: ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ (ქებაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ), თბ., 2000.

ნ. პაპუაშვილი.

ძვემდებარე, წინადადების მთავარი წევრი, რ-იც სმნის სუბიექტური პირის ფარდი სახელით არის გადმოცემული.

ძ. რეალურად მოქმედი პირია: „არწივმა ფრთა ფრთას შემოჰკრა“; რეალურად უმოქმედოა: „ტყეში მუხა დგას“; რეალურად სამოქმედო ობიექტია: „ეს სიტყვა თეიმურაზისგან იქმნაწარმოთქმული“; მოქმედების გამომწვევი მი-

ზეზია, ზმნით გამოხატულ მოქმედებას კი რეალურად სხვა ასრულებს: „ენანობ, რომ ასე უსახელოდ მოგეკვლევინე მე“; აღნიშნავს საგანს, რომელიც არც მოქმედია და არც სამოქმედო, რ-ის შესახებაც შემასმენელი გადმოგვცემს, თუ რა არის, როგორია ან რა მდგომარეობაშია ის: „კარგია გაღვიძებული ადამიანი“.

ქ., ჩვეულებრივ, სახელითა და სახელზმნით გადმოიცემა. სახელთაგან – მეტწილად არსებითი და ნაცვალსახელებია (პირისა, კითხვითი, განსაზღვრებითი, უარყოფითი) გამოყენებული, სახელზმნათაგან – მასდარები და მოქმედებითი გვარის მიმღეობები. მაგრამ ქ. შეიძლება გადმოიცეს ყოველგვარი სიტყვით, რ-იც არსებითი სახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული.

ქ. შემასმენელთან რთულ სინტაქსურ ურთიერთობას ამყარებს: ამ უკანასკნელისაგან იგი იმართეის ბრუნვაში, თავად კი მართავს მას პირში და ითანხმებს რიცხვში. ქ. გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან დრო-კილოთა სამსავე სერიაში სახ. ბრუნვაში ფორმდება; გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან დინამიკური მართვის შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ქვემდებარის ბრუნვა იცვლება ზმნა-შემასმენლის დრო-კილოთა სერიების მიხედვით: I სერიაში სახელობითშია, მეორეში – მოთხრობითში, მესამეში კი – მიცემითში. ქ-ის ცნება ქართულში სულ სხვა სიბრტყეზეა განსახილველი, ვიდრე ინდოევრ. ენებში: ქართველური ენების ქ. სინტაქსური ძალისა და ზმნა-შემასმენელთან სინტაქსური ურთიერთობის სახის თვალსაზრისით, დამატება-ობიექტებს უტოლდება, მათთან არის გათანაბრებული; მეტიც – პირდ. დამატება ძვ. ქართ. ენაში გაცილებით მეტი სინტაქსური ძალის მქონეა, ვიდრე ქ.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1928; II გამოც. 1968; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; 1977; Ахманова Б. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966. *ქ. გაბუნია.*

ქობერის ეპიტაფია-ლექსი, XIII ს. 60-იანი წლების ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი 10 სტრიქონად ქობერის მონასტრის (სომხეთი, იჯევანის რ-ნი, სომხ. გამოთქმით ქობაირ) ერთ-ერთი საფლავის ქვაზე. იგი დაგებულია მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდ. მინაშენის (მხარგრძელთა ფეოდ. სახლის წარმომადგენელთა სამარხავის) იატაკზე. წარწერის ტექსტი ასეთია:

„გამოვედით სოფლისაგან ცუდქმნილნი და გამომკრთალნი,
გულსა ცეცხლი მომდებია, ამომდიან პირით ალნი;
დიდთა ჩემთა შუებათაგან დამრჩეს ჩოჴის ნაფერთალნი.
და კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენნი სამართალნი.
[სულსა შ]აჰანშეს და ხუაშასა, შეუნდვენ ღმერთმან“.

ტექსტის ბოლოს დასახელებული შაჰანშე და ხუაშა, როგორც ჩანს, ცოლ-ქმარი, რ-თა საფლავის ეპიტაფიაც არის ეს ლექსი, XIII ს. II ნახ. ისტ. პირებია. XIII ს. სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ცნობით, საქართვ. სამეფოს ერთ-ერთი დიდმოხელის – შანშე (შაჰანშე) მანდატურთუხუცესის ცოლს ქობერის (ქობაირის) მონასტერი უყიდია სომხებისაგან. მისივე ცნობით, 1261 ოძუნში გარდაცვლილი შაჰანშე ქობერის მონასტერში დაკრძალეს. ამრიგად, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ეს წარწერა შაჰანშე მანდატურთუხუცესისა და მისი მეუღლის ეპიტაფიაა და შეიძლება, XIII ს. 60-იანი წლებით დათარიღდეს. მეტიც, გამოთქმულია ვარაუდი, რომ შანშეს ცოლი და, შესაძლოა, თვით შანშეც არიან გამოსახულნი ქობერის მონასტრის მთავარი ტაძრისათვის მიშენებული სამლოცველოს XIII ს. დაზიანებულ მოხატულობაში.

ქ. ე.-ლ. შედგენილია მაღალი შაირით, თექვსმეტმარცვლიანი საზომით და თარიღით ახლოს დგას რუსთველის ეპოქასთან. იგი ლირ. პოეზიის შესანიშნავი ნიმუშია. შინაარსით, თითქოს, მონაზვნად აღკვეცილი პირის აღსარებაა, რ-საც დაუტოვებია ეს სოფელი, ყოფილ „დიდთა შუებათაგან“, ე. ი. მორჭმული ცხოვრების სანაცვლოდ დარჩენია „ჩოჴის“, ანუ სამონაზვნო სამოსლის „ნაფერთალნი“ და, ყოველივე ამის გამო „გულსა ცეცხლი მოსდებია, ხოლო პირით ამოსდის ალნი“. ლექსი შესანიშნავად გადმოსცემს მონღოლთა ბატონობის დროინდელი საზ-ბის შეჭირვებულ მდგომარეობას.

ლიტ.: მურადიანი პ., სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა, ერევანი, 1977 (სომხურ ენაზე); კრ. „ვით მარგალიტი ობოლი“, ქუთაისი, 1978; სილოგავა ვ., სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1980, №2; მისივე, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები. – «მაცნე» (ისტორიის... სერია), 1990, №4. *ვ. სილოგავა.*

ქუთათელაძე არისტო (1850, ხონი, – 1912), პედაგოგი, გრამატიკოსი. დაამთავრა ქუთ. გიმნაზია და პეტერბ. უნ-ტის აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტი. ასწავლიდა ქართ. ენასა და ლიტ-რას გორის საოსტატო (1882–83), ხონის სამასწავლებლო სემინარიებში (1885–1906), თბილ. ქართ. გიმნაზიასა და სამასწავლებლო ინ-ტში.

ქ-ს ეკუთვნის ენათმეცნ. ნაშრომები: „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“ (1888) და „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“ (1897). „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“ ოთხჯერ გამოიცა – 1888, 1889, 1894 და 1907. ესაა სასკოლო ტექნიკური გრამატიკა, განკუთვნილი სას. სასწავლებლებისათვის, თბილ. სას. სემინარიისა და საერო სასწავლებელთათვის. მასში ასახულია ადრინდელი გრამატიკების მონაცემები. შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში სინტაქსის საკითხებია განხილული, მეორეში (ეტიმოლოგია) მორფოლოგიის ელემენტებია წარმოდგენილი რამდენიმე ფონეტ. მოვლენის გათვალისწინებით. ქ-მ ყურადღება მიაქცია მრავალგზისობის წარმოებას და გამოყო ნამყო განმეორებული და ნამყო გაგრძელებული; დრო-კილოთა სისტემიდან ამორიცხა I თურმეობითი, რადგან, მისი აზრით, „ნამყო უსრულესში“ (I თურმეობითში) „ზმნა არის პერიფრაზი და შემდგარია მიმღეობისაგან და არსებითი ზმნისაგან“.

ნაშრომში „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“ ავტორი თავისი დროისათვის ვრცლად მიმოიხილავს ზმნის თავისებურებებს და, ადრინდელ გაგებასთან შედარე-

ბით, შეაქვს შესწორებებიც. მას შენიშნული აქვს, რომ მწკრივს შეუძლია განმეორებული მოქმედების აღნიშვნა. ზმნისწინები, ძ-ის აზრით, ზმნის „სრულმყოფელი“ პრეფიქსებია. შენიშნული აქვს ის ფაქტიც, რომ ზმნისწინი სრულ სახეს გამოხატავს. საბოლოოდ წარმოდგენილია ზმნათა კლასიფიკაცია და გამოყოფილია 15 კლასი, მაგრამ ნათლად არ ჩანს, თუ რა არის ამ კლასიფიკაციის საფუძველი. ავტორის ვარაუდით, „სახღერებით დახრაში“ (თხრობითი კილო) შედის: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო განმეორებული, ნამყო გაგრძელებული, ნამყო სრული, მყოფადი; კავშირებითში („საოუო დახრა“) – აწმყო, მყოფადი; „ნატერითში“ – „მყობადი“ I, მყობადი II. „გარდა ამისა, გვაქვს ბრძანებითი“, „განუსაზღვრელი დახრა“ (მასდარი) და მიმღეობა.

ლიტ.: კ ი ზ ი რ ი ა ა., ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, თბ., 1997.

ანტ. კიზირია, ე. ნიკოლაიშვილი.

ᲥᲣᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ, განეკუთვნება ირანულ ენათა დას. ჯგუფს. ქურთები ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, ერაყში, ავღანეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს 10254 ათ. აქედან საქართველოში 26 ათ. (1978 წ. აღწერა). მომთაბარე ქურთული ტომები საქართველოში გამოინდნენ XVI ს-ში, ძირითადი მასა კი ჩამოსახლდა თურქეთიდან 1918–20, თურქების მხრიდან შეეიწროვების გამო. ქურთული მოსახლეობა ცხოვრობს ძირითადად თბილისში, ბათუმსა და რუსთავში, მცირე ნაწილი კახეთში.

ძ. ე-ის დიალექტებია: დასავლური – კურმანჯი და აღმოსავლური –სორანი. ქურთ. ლიტ-რა ვითარდებოდა ორივე დიალექტზე. ძ. ე-ს აქვს 9 ხმოვანი და 30 თანხმოვანი. ახასიათებს ძლიერი მახვილი, რეულებრივ სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე. სახელებს აქვთ შემდეგი კატეგორიები: სქესის (მდედრ. და მამრ.), ბრუნვის (გარჩეულია 3 ბრუნვა), რიცხვის (მხ. და მრ.). სახ. ბრუნვის ფორმებში არ არის გარჩეული სქესი და რიცხვი. ძ. ე. განასხვავებს განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლს. სმნას აქვს ორი ტიპის უღლება: სუბიექტური და ობიექტური, დროის ფორმა (ექვსია). აწმყო დროში პირი არ გაირჩევა.

საქართველოში მცხოვრები ქურთების ლიტ-რის ჩამოყალიბება იწყება XX ს. 50-იანი წლებიდან. გამოსულია ქურთ პოეტთა ლექსების კრებულები ქართულ ენაზე.

შ. კოტეტიშვილი.

ᲫᲔᲕᲐ, ე რ ს ი ა, სმნის კატეგორია, რ-იც გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს, ან ობიექტებს შორის. მოქმედებითი გვარის სმნებში დაპირისპირებულია ნეიტრალური, სასხვისო და სათავისო სახეობები, პასიევებში კი – ნეიტრალური და სასხვისო. საშუალო გვარის სმნებში ქცევა პასიევთა წესზე ყალიბდება.

ნეიტრალური ფორმებია ამოსავალი სასხვისო ქცევისთვის: წერს ~უ-წერს; თეთრდება~უ-თეთრდება. სათავისო ქცევის ფორმებში ინიციატორი აქტანტი ითავსებს სუბიექტისა და ადრესატის როლებს.

პასიევთა ფორმების მიხედვით ჩანს, რომ ნეიტრალური ფორმები მონაწილეობენ კატეგორიის შიდა დაპირისპირებაში: შრება~უშრება, თეთრდება~უთეთრდება. ამ დაპირისპირებაში ნეიტრალურ ფორმათა გამორიცხვით პასიევები უქცევო გამოდა – ირღვევა კატეგორიის პრინციპი.

III სერიაში გეხვდება ქცევის აღწერითი ფორმებიც: ამიშენებია (ნეტრ.) ~ ამიშენებია შენთვის (სასხვ) ~ ამიშენებია ჩემთვის (სათ.). თუ სასხვისო ქცევის აქტიეთა ფორმებში მონაწილეობენ I და II პირების პირდ. და ირ. ობიექტები, ფორმები მაშინაც აღწერითია: „მან დამიქირავა მე შენი თავი“, „მან დაგიქირავა შენ ჩემი თავი“ და სხვ. ამათი კონვერსიული სათავისო ქცევის ფორმები სინთეზურია, შესაბამისად რიგისა, იქნება – დაგიქირავე (მე შენ) და დამიქირავე (შენ მე).

თ. უთურგაიძე.



ღ, ქართული ანბანის ოცდამეცამეტე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეექვსე) ასო. მისი სახელია „ღანი“; გრაფ. სიმბოლო უკანაენისმიერი მჟღერი სპირანტისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴒ. მისი მოხაზულობა რკალით დაკავშირებული ხაზების კომბინაციაა, რ-საც კვადრატის ნახევარი უკავია. ნუსხური ⴒ მარჯვნივე გადახრილი და შუა ორ ხაზშია მოთავსებული, მხედრული ღ მომრგვალებული კონტურის მქონეა. მას საკრდენი ფეხი აქვს და ქვედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართულ სათვალავში აღნიშნავდა შვიდასს (700).

ღამბაშიძე როგნედა ბიძინას ასული (14.I.1922, ზესტაფონი, – 27.VI.1993, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1988). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1946). 1946–53 მუშაობდა თბილ. ა.ს. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში ჯერ უფრ. მასწავლებლად, შემდეგ – კათედრის გამგედ. 1955-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა არნ. ნიკობაევას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის სამეცნ. ტერმინოლოგიის განყ-ბას.

ღ-ის სამეცნ. მოღვაწეობა ძირითადად ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიისა და დიალექტოლოგიური საკითხების კვლევას ეხება.

ტერმინოლოგიის სფეროში მუშაობა ღ-მ სამი მიმართულებით წარმართა: 1. ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევა და განვითარების გზების განსაზღვრა; 2. სამეცნ. ტერმინოლოგიის თეორ. საკითხებზე მუშაობა, ტერმინოლოგიის დამუშავების ძირითადი ლინგვისტურ-მეთოდოლოგიური პრინციპების დადგენა და 3. ტერმინოლოგიის პრაქტ. საკითხებზე მუშაობა.

ღ-ის მიერ გაწეული სატერმინოლოგიო მუშაობა, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ტერმინოლოგიური ლექსიკონების შესადგენი მეთოდოლოგიის შემუშავების თვალსაზრისით. ეს ერცელი და რთული სამუშაო ძირითადად ორ საფეხურად იყოფოდა: პირველი გულისხმობდა სამეცნ. დისციპლინებში გამოყენებული ცნებების გამოვლენას, მათ ზუსტ დეფინიციასა და მათი გამომხატველი ტერმინების ფიქსირებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში; მეორე საფეხური წმინდა ლინგვისტურ ასპექტებს მოიცავდა და ენათმეცნიერის ფუნქციებს განსაზღვრავდა.

ღ-თეის იმთავითვე ნათელი იყო, რომ ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის ლექსიკური ბაზისა და ძირითადი წყაროების, – თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის, ძვ. ქართულისა და ქართ. ენის დიალექტების, – როლი ტერმინოლოგიზაციის პროცესებში, ტერმინთა მიგრაციასთან დაკავშირებული ენობრივი მოვლენები, უცხო ენებიდან ტერმინთა სესხების გზები და ტრადიციები – ის საკითხები იყო, რ-თა გადაჭრასაც ტერმინოლოგიური მუშაობის სპეციფიკა განსაზღვრავდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ღ-ის ლექსიკოლოგიური შრომები, რ-უბშიც ახსნილია ტერმინოლოგიური ლექსიკონის სპეციფიკა სხვა ტიპის ლექსიკონებთან შედარებით; იქვე მითითებულია არასასურველი სიჭრელის დაძლევის ცდები ერთი ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლებში და დასაბუთებულია პერსპექტივა ქართ. სალიტ. ენის განვითარების შინაგანი ტენდენციების გათვალისწინებით.



რ. ღამბაშიძე.

ღ-ის მონოგრაფია „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (1986) – პრობლემატიკის მოცულობითა და მრავალფეროვნებით, კონკრეტული საკითხების ფართო ასპექტითა და ღრმა ანალიზით – გადაუჭარბებლად შეიძლება ჩაითვალოს საუტაპო ნაშრომად. უსაა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რ-იც ეძღვნება ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის ძირითად საკითხებს. მასში ერცლად არის დამუშავებული ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების საკითხები, ინვენტარიზებულია ტერმინოლოგიის ძირითადი ენობრივი საშუალებანი და ხერხები. ნაშრომში არსებითია ის, რომ სალიტ. ენის ბაზაზე აღმოცენებული და მასთან საერთო არხებით დაკავშირებული ტერმინოლოგია სცილდება ამ ენის განვი-

თარების ტრად. გზებს და დამოუკიდებელ აღგილს იკავებს სალიტ. ენის სტრუქტურულ სისტემაში.

მნიშვნელოვანია ღ-ის საკუთრივ ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა. დღემდე გამოცემული 70-მდე ტერმინოლოგიური ლექსიკონის უმრავლესობა მისი რედაქციითაა მომზადებული.

სრულიად განსაკუთრებულია ღ-ის ღვაწლი ქართ. დიალექტოლოგიაში. მან რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ინგილოურის თავისებურებათა ანალიზს. მისი წიგნი „ქართული ენის ინგილოური კილო. გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი“ (1949) მნიშვნელოვანი ნაშრომია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში ასახულია ენობრივი მოვლენები, რ-ებიც დამოუკიდებლად ინენს თავს სხვა ქართ. დიალექტებშიც.

ღ. იყო გ. ნიკოლაძისა და არნ. ჩიქობავას სახ. პრემიების ლაურეატი. *ი. ქიქბუტი.*



ა. ღლონტი.

ღლონტი ალექსანდრე ანდრიას ძე (5. VI. 1912, სოფ. დვაბზუ, ოსურგეთის რ-ნი, – 10.IV.1999, თბილისი), ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), საქართვ. ლიტერატურათმცოდნეობისა და ეროვნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1996), დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1932), 1933–36 აკად. ნ. მარის, აკად. ი. მეშჩანინოვისა და პროფ. კ. დონდუას ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი რუს. მეცნ. აკად. ენისა და აზროვნების ინ-ტში.

ღ-მა 1935-იდან დაიწყო სამეცნ.-კვლევითი და პედ. მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებლებში. 1938–89 განაგებდა ქართ. ენის კათედრებს თბილისის, გორისა და ცხინვალის სახელმწ. პედ. ინ-ტებში. 1935–89 ხელმძღვანელობდა დიალექტოლოგიურ და ფოლკლორულ ექსპედიციებს ქართლში, გურიაში, კახეთში, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, იმერეთში, სვანეთსა და სამეგრელოში. ღ. ავტორია 880-ზე მეტი შრომისა და სტატიისა, რ-ებშიც შესწავლილია ქართ. ენის ლექსიკის, სტრუქტურის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ონომასტიკის, ფოლკლორისტიკის ძირეული საკითხები. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „ქართული შაირები“ (1941); „ქართული ხალხური ნოველა“ 3 ტომად (1956; 1963; 1966), „ქართული ლექსიკოლოგია“ (1964). უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები: „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები“ (1971: II გამოც. 1988), „ქართული წინადადება“ (1966; 1978; 1996).

აღსანიშნავია ღ-ის დამსახურება ლექსიკონების შედგენაში (იხ. *ლექსიკონი*). მან აღმოაჩინა და გამოსცა ნ. ჩუბინაშვილის დაკარგულად მიჩნეული ხელნაწერი შრომისა „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“. დაარსა სპეც. სერია „ტოპონიმიკური ძიებანი“ (1971–98), რ-ის 11 წიგნში შესულია მნიშვნელოვანი ტოპონომიური და ჰიდრონიმიული მასალა. 1995 ღ-ს მიენიჭა ეაჟა-ფშაველას პრემია, ხოლო 1996 ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხებზე გამოქვეყნებულ შრომათა ციკლისათვის – საქართვ. სახელმწ. პრემია.

ღ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

თხზ. (გარდა სტატიაში აღნიშნულისა): გურული ფოლკლორი, ნაწ. I, თბ., 1937; ნარკვევები, წგ. 1–2, თბ., 1955; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. 1–2, თბ., 1974–75 (II გამოც. 1984); ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975; ფილოლოგის ჩანაწერები, თბ., 1980; ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983; ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986; ქართული ხალხური ნოველის საკითხები, თბ., 1989; მრავალკარი, თბ., 1991.

ლიტ.: ფენრიხი პ., ავტორი ქართული დიალექტური ლექსიკონისა. – «Georgica», Lena-Tb., 1978; Климов Г. А., Грузинский языковед. – «Вопросы языкознания», 1986, №2. *თ. კვაჭაძე.*



Ყ, ქართული ანბანის ოცდამეოთხე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეშვიდე) ასო. მისი სახელია „ქარი"; გრაფ. სიმბოლო უკანაენისმიერი გრძელი აბრუპტიული თანხმოვნისა, რ-იც ნაპრალოვნადაც შეიძლება წარმოითქვას და აფრიკატადაც. ასომთაერულში იწერებოდა Ⴇ. მისი მოხაზულობა ხანისა და წრის კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. VIII ს-ში იგი თავგახსნილია. ნუსხური Ყ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში მომრგვალებული კონტურისაა. ნუსხურსა და მხედრულში Ყ ქედა სამ ხაზში იწერება.



ძვ. ქართულ სათვალავში აღნიშნავდა რვაასს (800).

ყაუხჩიშვილი თინათინ სიმონის ასული (დ. 10. V. 1919, თბილისი), ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1968), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1993; წ.-კორ. 1979). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1975). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის განყ-ბა (1941). სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის წყაროთმცოდნეობის განყ-ბაში (1995–2006) და თსუ კლასიკური ფილოლ. კათედრაზე (1945–52,1968-იდან). არის წყაროთმცოდნე, ბერძნ. და რომაული წერილობითი წყაროების, საქართვ. ბერძნ. ეპიგრაფიკული ძეგლების გამომძიებელი და შემსწავლელი, ქართ. ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი, ქართ.-ანტ. სამყაროს, ქართ.-ბერძნ. კულტურისა და პოლიტიკური ურთიერთობების მკვლევარი. Ს. ავტორია 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა, მ. შ. 16 მონოგრაფიაა. ქართ. ენა მისი კვლევის მნიშვნელოვანი სფეროა. ბერძნ.-რომაული და ქართ. წყაროების კვლევისას მან მრავალი საკურადღებო მოსაზრება გამოთქვა ქართ. ტოპონიმიკის, ონომასტიკისა და ტერმინოლოგიის შესახებ, დააზუსტა არაერთი სახელისა და ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგია. საკუთრივ ქართ. ენისა და ქართ. წერილობითი წყაროების კვლევას მიუძღვნა ნაშრომები: „მასალები Ⴇ ისტორიისათვის VI–X სს. ძეგლების მიხედვით" (საკანდ. დისერტაცია, 1946, ხელნაწერი); „ზოგიერთი კავშირისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში" («იკე», I, თბ., 1946); „კომპოზიტები ძველ ქართულში" («თსუ შრომები», ტ. 47, თბ., 1952); ქართ. ენის ზოგიერთი თავისებურებისა და ქართ.-ბერძნ. ურთიერთობის თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი (I–III, თბ., 1999–2000) და გამოკვლევები: „ახალი ბერძნული წარწერები არმაზციხე-ბაგინეთიდან («მცხეთა», XI, თბ., 1996); „ახალი ბერძნული წარწერა არმაზციხე-ბაგინეთიდან" (II. – „ნარკვევები" IV. საიუბილეო კრებული, თბ., 1998).

Ყ. არის ვინკელმანის საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი (1971), რუსეთ-საბერძნეთის საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი (1981), საქართვ. ისტ. წყაროების კომისიის უცხოური წყაროების კომისიის თავ-რე (1982).

Ყ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თბ.: (გარდა სტატიაში აღნიშნულისა): ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები. – «მიმომხილველი», II, თბ., 1951; სტრაბონის ტერმინოლოგიისათვის. – «ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», II, თბ., 1956; ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. – «მაცნე» (ისტორიის... სერია), 1973, №4, 1974, №3; საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ.,1976; მასალები კავკასიის ტომთა ეთნოგენეზისათვის, I. – «მაცნე» (ისტორიის... სერია), 1981, №3; მასალები კავკასიის ტომთა ეთნოგენეზისათვის, II. ანიოხები. – იქვე, 1981, №4; ბერძნული ეპიგრაფიკა, თბ., 2002. Ყ-ის სრული ბიბლიოგრაფია იხ. «ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი», თბ., 1999.



თ. ყაუხჩიშვილი.

გ. ალასანია.

ყაუხჩიშვილი სიმონ გიორგის ძე [1 (13). X. 1895, ჭუთაისი, – 11. V. 1981, თბილისი], ფილოლოგი და ისტორიკოსი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1927), პროფესორი (1930), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1917 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი, პარალელურად სწავლობდა აღმოსაელურ ენათა ფაკ-ტზე ქართ.-სომხ. ფილოლოგიის განხრით. 1918 ი. ჯავახიშვილის წარდგენით დატოვეს უნ-ტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1920 – 23 სამეცნ.

მივლინებით იმყოფებოდა საბერძნეთსა და გერმანიაში. 1923–26 თსუ-ში კითხულობდა ლექციებს (ლათ.-ბერძნ. ფილოლოგიაში, შემდეგ – ბიზანტ. ისტორიის კურსს). 1927–38 აქვე განაგებდა ბიზანტინოლოგიის კათედრას. 1940–54 თსუ-ში ხელმძღვანელობდა კლასიკური ფილოლ. კათედრას, 1960-იდან გარდაცვალებამდე კი – აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ბიზანტინოლოგიის განყ-ბას. ყ., ბიზანტინოლოგიის ქართ. სკოლის დამაარსებელი, გრ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ კლასიკური ფილოლ. სკოლას მეთაურობდა. იგი მრავალმხრივი მეცნიერი იყო. 1920 გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი – „ხრონოგრაფი გიორგი მონოზონისაჲ“ (გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ქართ. თარგმ.). მანვე გამოსცა იოანე პეტრიწის „შრომების“ 2 ტომი (1937–40), პეტრიწონის მონასტრის „ტიპიკონის“ ბერძნ. ვერსია ქართ. თარგმანით (1963), მიქაელ ფსელოსის ტრაქტატები (1966) და სხვ. დიდია ყ-ის დამსახურება ბერძნ. ლიტ-რის შესწავლაში. მას ეკუთვნის სამტომიანი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ [ტ. I – 1946, 1950; II – 1949; III – 1963, 1973 (ქვესათაური – „ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა“)]. მასში ავტორმა დაასაბუთა, რომ ბიზანტ. ლიტ-რა არის ბერძნ. ლიტ-რის გარკვეული, განვითარებული ეტაპი, შემუშავებული ბიზანტინიზმის პირობებში, და პირველმა განსაზღვრა ბიზანტინიზმი, როგორც 4 საწყისის – ელინურობის, რომაულობის, აღმოსავლურისა და ქრისტიანობის სინთეზი; გამოავლინა ბიზანტ. კულტურის ჩამოყალიბებაში აღმ. ხალხების, მ. შ. ქართველების, სომხებისა და სლავების როლი. 1932 ყ-მა დააარსა სერია «გეორგიკა», ანუ „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (ტ. 1–8, 1934–70); შეადგინა ლათინურ-ქართული ლექსიკონი (1920, 1926, 1961). ყ-ის დამსახურებაა ბერძნ. წერილობით ძეგლებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების თავმოყრა და მათი მეცნ. ანალიზი, რითაც მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ანტ. და ბიზანტ. სამყაროსთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლას. მასვე ეკუთვნის არაერთი გამოკვლევა საკუთრივ ბიზანტიის ისტორიიდან, მ. შ. პირველი მეცნ. კურსი ქართ. ენაზე ბიზანტ. ისტორიის შესახებ („ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“, წგ. I, 1948). ყ-ს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, აქვს მრავალი გამოკვლევა ამ დარგის კონკრ. საკითხებზე. მისი შემწეობით განხორციელდა „ქართლის ცხოვრების“ აკად. გამოცემა. 1942 ყ-ის რედაქციით დაიბეჭდა „ანასეული ქართლის ცხოვრება“, შემდეგ – მთლიანად „ქართლის ცხოვრება“ ყველა არსებული ხელნაწერის გათვალისწინებით (ტ. I–II, 1955–59; IV ტ., ი. ჯავახიშვილის პრემია, 1973). თითოეულ ტომს ახლავს ვრცელი გამოკვლევა ძეგლის გენეზისის, სტრუქტურის, შედგენილობის სადაო საკითხების შესახებ. ყ-ის კვლევის ობიექტი იყო აგრეთვე ქართ. ლიტ-რის პრობლემები და ქართ.-ბიზანტ. ლიტ. ურთიერთობების საკითხები. დიდია მისი ღვაწლი „არეოპაგიტიკის“ და „ბალავარიანის“ გლობალური პრობლემების კვლევაში. ყ. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც.

ს. ყაუხჩიშვილი.

ლიტ.: ურუშაძე ა., სიმონ ყაუხჩიშვილი (დაბადების 70 წლისთავის გამო), თბ., 1965; მისივე, სიმონ ყაუხჩიშვილი, თბ., 1967; მჭედლიძე გ., ქართლის ცხოვრების მოჭირნახულე, თბ., 1975.

ბიბლ.: სიმონ ყაუხჩიშვილი (1895–1981). ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. მ. ბარკავა, თბ., 1989.

ა. ურუშაძე. ნ. ლომოური.

ყიზლარ-მოზდოკური, იმ ქართველთა მეტყველება, რ-ებიც სახლობდნენ ჩრდ. კავკ. ქალაქებში – ყიზლარსა და მოზდოკში, აგრეთვე ყოფ. ყიზლარის ოლქის სოფლებში – სასოფლოსა და სარაფანში (მოგვიანებით სასოფლო – ალექსანდრონევსკაია, სარაფანი – შელკოვსკაია). 1949 მონაცემებით, სასოფლოში ცხოვრობდა 67 ქართულენოვანი კომლი, ხოლო სარაფანში – 45. ამ პერიოდისათვის ქართ. ოჯახები ჩრდ. კავკ. დასახლებებში სხვაც იყო, ოღონდ ისინი გაფანტული იყვნენ და მათი რაოდენობის დადგენა არ ხერხდებოდა.

პირველი ახალშენი ყიზლარში დააარსა 1724 რუსეთს მიმავალი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ამალის ერთმა ნაწილმა. მოსახლეობის რაოდენობა აქ შემდეგ იზრდებოდა, რასაც ხელს უწყობდა საქართველოსა და ჩრდ. კავკ. ქალაქებს შორის ვაჭრობის განვითარება და საქართველოსა და რუსეთს შორის მიმოსვლა ყიზლარ-ასტრახანის გზით. აქ სახლდებოდნენ ქართლის სამეფო ოჯახის წევრები და გლეხობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (ქართლი, კახეთი, ხევი, რაჭა და იმერეთი).

ჩრდ. კავკ. ქართველი მოსახლეობა სადღეისოდ მთლიანად გარუსებულია. ასე რომ, ყ.-მ., როგორც დიალექტური ერთეული, აღარ არსებობს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, იგი დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულს არც ადრე წარმოადგენდა, ენობრივი ნიშნებით ქართლურს მისდევდა, ოღონდ განიცდიდა რუსულის ძლიერ გავლენას, განსაკუთრებით ლექსიკასა და, ნაწილობრივ, გრამატ. წყობაშიც.

ლიტ.: ჩხენკელი სტ., ყიზლარ-მოზდოკური ქართული (მიმოხილვა, ტექსტები). – «თსუ შრომები», 1936, ტ. 5; გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

გ. ცოცანიძე.

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე [14 (26). IV. 1811, სოფ. მერეთი, გორის მაზრა, – 24. X (5. XI). 1887, სტავროპოლი, დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში], მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, XIX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური.

ყ. აქტიური წევრი იყო 1832 შეთქმულებისა. იგი მხარს უჭერდა შეიარაღებული აჯანყების გზით ეროვნ.-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ამასთანავე, მონაწილეობდა იმ კულტ.-საგანმ. პროცესში, რ-იც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართ. კულტ. აღორძინებას, მის ევროპეიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, შეიარაღებული აჯანყებისთვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებას. გადასახლებიდან (ქ. ვოლოგდა, 1834–37) დაბრუნების შემდეგ, იმდროინდელი პოლიტ. რეალობების გათვალისწინებით, ჩამოაყალიბა თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი საზ.-კულტ. მოქმედების პროგრამა და 1840–50 თვითონვე ხელმძღვანელობდა მის პრაქტ. განხორციელებას. ყ-ის პროგრამა ემსახურებოდა არსებული პოლიტ. რეჟიმის პირობებშივე ნაციონალური, სოც. და კულტ. კონსოლიდაციის გზით ქართვ. ხა-

ლხის ეროვნული თვითარსებობის გაძლიერება-განვითარებას. Ს-მა დააარსა „ტფილისის კურძო ბიბლიოთეკა“ (1842–1848). ამ მწიგნობრულ-საგანმ. კერაში თავი მოუყარა იმდროინდელი საქართველოს კულტ-ინტელექტუალურ ავანგარდს (ალ. ჭაეჭავაძე, გრ. და ვ. ორბელიანები, ნ. ბარათაშვილი და სხვ.), რითაც საფუძველი ჩაუყარა სას. ინიციატივა'სგ დაფუძნებულ საგანმ. ორგანიზაცია-დაწესებულებათა ჩამოყალიბების ტრადიციას; იყო გ. ერისთავის პროფესიული თეატრისა (1850) და ჟურნ. „ცისკრის“ (1852) ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, თბილისის სათავადაზნაურო-სააღგილმამულო ბან.კის დაარსების ინიციატორი (1864; ი. ჭაეჭავაძის მეთაურობით ოფიციალურად დაარსდა 1874), „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავ-რე (1879–82), „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დამფუძნებელთაგანი (1881); ხელმძღვანელობდა თეატრალურ წრეებს, თარგმნიდა უცხოელ აეტორთა დრამატულ თხზულებებს, რეჟისორობდა, თვითონაც გამოდიოდა სცენაზე და სხვ.

Ს-ს სხვადასხვა წლებში უკავია მნიშვნელოვანი სახელმწ. თუ სას. თანამდებობები: 1840–50 იყო კავკ. სასწავლო ოლქის სამსრუნველო საბჭოს წევრი და „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ ქართ. ენის განყ-ბის თავ-რე, თბილისის გიმნაზიის საპატიო მსრუნველი (1851–64), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1857–62), თბილისისა (1864–70) და ქუთაისის (1885–86) გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“), თბილისის ქალაქის თავი (1875–79); ეწეოდა ნაყოფიერ ლიტ. საქმიანობას – ქართ. და რუს. პრესაში აქვეყნებდა მხატვრულ და პუბლიც. თხზულებებს, სამეცნ. და სამეცნ.-პოპულარული ხასიათის ნარკვევებს ქართ. ენის, ლიტერის, საქართვ. ისტორიის საკითხებზე, თარგმანებს (უ. შექსპირი, მოლიერი, ჰ. ბომარშე, ვ. ჰიუგო და სხვ. იგი შექსპირის პირველი, ხოლო მოლიერის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია ქართ. ენაზე).

1880-იან წლებში, როცა სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით საქართველოს რუსიფიკაციის პროცესმა უკიდურესად აგრესიული და დაუფარავი სახე მიიღო, Ს. რადიკალურად დაუპირისპირდა (განსაკუთრებით, სასკოლო-საგანმ. სფეროში) მთავარმართებელ ა. დონდუკოვ-კორსაკოვს, ეგ'სარქოს ჰაგლესი და განათლების მსრუნველს – კ. იანოვსკის; ამასთანავე, – ერთადერთმა მა'შინდელ საქართველო'ში – ბრძოლის ასპარეზი პრესის ფურცლებიდან მაღალ ადმინისტრაციულ სფეროებში გადაიტანა. ამის გამო იგი გადაასახლეს ქ. სტავროპოლში, სადაც ერთი წლის შემდეგ (1887 24–25 ოქტ. ღამეს) დაქირაებულ მკვლელებს მოაკვლევინეს. Ს-ის ცხედრის ჩამოსვენება სამ'შობლო'ში და მისი დაკრძალვა თბილის'ში ქართვ. მოღვაწ'ეებმა (მათ შორის, ი. ჭაეჭავაძემ და ა. წერეთელმა) ხელისუფლების რუსიფიკატორულ-ასიმილაციური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად გადააქციეს.

2007 საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის განჩინებით შეირაცხა წმინდანად და ეწოდა „წმ. დიმიტრი ყიფიანი – სამ'შობლოხათვის წამებული“.

Ს-ის სამეცნ.-პუბლიც. მემკვიდრეობაში ზოგადად მშობლიური ენა ნაციონალური ცნობიერების განმსაზღვრელ ფაქტორად და ეროვნ. კულტურის საძირკვლად, ხოლო საკუთრივ ქართ. ენა ქართველი ხალხის ეროვნ. თვითმყოფობის შენარჩუნებისა და კულტ-იდეოლოგიური აღორძინების უმთავრეს საშუალებადაა მიჩნეული. იგი საგანგებოდ იკვლევდა ქართ. ენის ბუნებასა და თავისებურებებს, დამწ'ერლობის გენეზისს, ინტენსიურად მუშაობდა გრამატ. პრობლემატიკაზე, 1850-იანი წლებიდან ასაბუთებდა სალიტ. ენის დემოკრატიზაციის, ხალხის მეტყველებასთან მისი დაახლოების აუცილებლობას და თავისი თხზულებებით (ორიგინ. ნაწარმოებები, თარგმანები) პრაქტიკულად ამკვიდრებდა კიდეც ახ. სალიტ. ქართულს, იბრძოდა მშობლიური ენის ხელყოფის წინააღმდეგ და სხვ.

XIX ს. ქართ. გრამატ. აზროვნების საინტერესო ფურცელია 1850-იან წლებში გაჩაოთული პოლემიკა Ს-სა და დ. ჩუბინაშვილს შორის. კერძოდ, Ს-ის დაბეჯითებული მოთხოვნით დ. ჩუბინაშვილმა თავის „მოკლე ქართულ გრამატიკაში“ (ს.-პბ., 1855) შეიტანა ზოგი არსებითი ხასიათის ცვლილება, მათ შორის, ბრუნვათა რიგში მოათავსა მოთხრობითი, რ-საც თვითონ სახ. ბრუნვად მიიჩნევდა. გრამატიკის სფეროში Ს-ის დამაგვირგვინებელი ნაშრომია „ახალი ქართული გრამმატიკა“ (სანქტ-პეტერბურგი, 1882), რ-ის შექმნაც პრაქტიკული საჭიროებით იყო ნაკარნახევი (იგი სახელმძღვანელოა), თუმცა მას'ში არაერთი მეცნ. სიახლეცაა (განსაკუთრებით, ქართ. ზმნის თავისებურებებთან დაკავშირებით).

Ს-ის გრამატიკა შეიცავს 199 გვერდს, რ-ის 58 გვერდი ლექსიკონს უკავია. წიგნ'ში წარმოდგენილია მხოლოდ „ეტიმოლოგია“, რიც არსებითად ლექსიკონია. აეტორს გამოყოფილი აქვს 7 მეტყველების ნაწილი: სახელი (აქეა შეტანილი რიცხვითი და 'ხედსართავი სახელები), ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული. გამოყოფილია 4 ბრუნვა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი. გარჩეულია ბრუნების („მერყეობის“) 4 ტიპი, თუმცა აღნიშნულია, რომ ფაქტობრივად ბრუნება ერთია. წიგნ'ში შეძლებისდაგვარად ერცლად არის განხილული სიტყვაწარმოება („ტრიალი“). ზმნის კატეგორიებიდან განხილულია პირი, რიცხვი, დრო, კილო („დახრა“), გვარი („ხმა“), ასპექტი („სახე“), კაუზატივი („სახე“). სპეციალურადაა განხილული ზმნაში სუბიექტ.-ობიექტ. პირთა ურთიერთობა („სახე ურთიერთობითი“). წარმოდგენილია უღლების პარადიგმები.



დ. ყიფიანი.

მიუხედავად წმინდა პრაქტ. მიზნებისა, Ს-ის გრამატიკა, ფაქტობრივად, მეცნ. გრამატიკებს უახლოვდება. იგი გამოირჩევა ენობრივი მასალის ღრმა წედმოთ, მეცნ. სიახლით.

Ს-ის „ახალი ქართული გრამმატიკა“ ისტ.-შედარებითი მეთოდის წ'ყალობით... წინანდელ გრამატიკებზე უფრო მაღლა დგას“ (ა. შანიძე) და „ქველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცხრამეტე საუკუნის განმაელობაში“ (არნ. ჩიქობავა).

თხზ.: ახალი ქართული გრამმატიკა. სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, ს.-პბ., 1882; ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), ტ. 20 (ტომის შემდგ.: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა), თბ., 2003; Несколько мыслей о материалах для истории Грузии. – «Кавказ», 1854, №30–33, 35, 37, 39.

ლიტ.: ხუნდაძე ს., დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1936; ლეჟავა ლ.,



ი. ყიფშიძე.

დიმიტრი ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკა". – «ივე», XXV, თბ.,1986; ჯორჯაძე ა., წერილები, თბ., 1989; უთურაშვილი ი., დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989; შანიძე ა., დიმიტრი ყიფიანი როგორც გრამატიკოსი. – კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», VII, თბ., 1998; ნიქობაძე არნ., დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი. – იქვე; ჯოლოგუა თ., დიმიტრი ყიფიანი, თბ., 2002.

თ. ჯოლოგუა.

ყიშიანი მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე (1846, ქეშხეთი, – 1916, იქვე), საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე, ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებელი. დიმიტრი *ყიფიანის* ძმისწული. მოღვაწეობდა ქუთაისში, თბილისსა და ძირითადად გორის საოსტატო სემინარიაში. მისი აღზრდილები იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, ა. ერისთავი-ხოშტარია, თ. ხუსკივაძე, ა. ნათაძე, ნ. ლეონიძე და სხვ. საზ. მოღვაწეობის გამო ორჯერ იყო გადასახლებული – ორენბურგსა და უსტკამენოგორსკში.

ყ. იკვლევდა ქართ. ენის ბუნებასა და ეტიმოლოგიას – აგებულების პრინციპებსა და მის შემდგომ განვითარებას. აქვს გრამატ. ნაშრომები: ჟურნ. «განათლებაში» 1911–12 დაბეჭდილი ხუთი წერილი და 1914 რუსულად გამოქვეყნებული ცალკე შრომა – „Основы грузинской грамматики". «განათლებაში» დაიბეჭდა ა. ხახანაშვილის რეცენზიაც ყ-ის წერილების შესახებ, რომელშიც ის ავტორის გრამატ. ნააზრევს საყურადღებოდ მიიჩნევს.

ამ ნაშრომებში განხილულია მთელი რიგი გრამატ. საკითხებისა, როგორებიცაა: მეტყველება, დამწერლობა, ფონეტიკა, ზოგადად გრამატიკა და ავტორის თანამედროვე გრამატიკოსთა ნააზრევი, ქართ. სალიტ. ენის პრობლემები, სიტყვის ძირები. გარდა ამისა, გამოიყოფა ორი მთავარი თემა:

1. ქართ. ენის იმ ძირითადი ელემენტების აღმოჩენა-განსაზღვრა, რ-ებიც მონაწილეობენ ქართ. სიტყვების წარმოება'ში, მათ ბრუნებასა და უღვლილებაში. ასეთებად ყ., უპირველეს ყოვლისა, ასახელებს ა, ი, ე-ს – „მანძილად მარტივებს", შემდეგ მ, ვ, გ, უ-ს, – „პიროვან მარტივებს", მარტივ „სახიფათო" ელემენტს სანს და ქართ. ენის ბუნებისათვის მის მიერ აუცილებელ „დიდ" მარტივად მიჩნეულ ჰაუს.

2. ქართული ზმნების „ძირითადი ბის" გამოკვლევა და მათი კანკლედობრივი ჩამომავლობა. ყ. კვლევის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართ. ზმნების უღელილება დამყარებულია ბრუნვათა „ზედკეცილობის" კანონზე, რაც, მისი აზრით, არის ქართ. ენის ბუნებრივი კანონი.

თხზ.: ქართული ზმნის ძირითადები და იმათი კანკლედობრივი ჩამომავლობა. – «განათლება», 1911, №5; ეტიმოლოგიური შენობა და წარმოება ქართული სიტყვიერებისა. – იქვე, 1912, №3; ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიური შენობისა. – იქვე, 1912, №7, 9, 10; პასუხი იუსტ. აბულაძეს. – იქვე, 1912, №8; აკაკი გარდაიცვალა. – ჟურნ. «თეატრი და ცხოვრება», 1915, №5.

ლიტ.: დავითაშვილი შ., ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, ტფ., 1933; უბანეიშვილი ს., ვაჟა-ფშაველა. დოკუმენტები და მასალები, თბ., 1937; მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, თბ., 1938; კეკელიძე გ., მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი. – კრ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბ., 1953; ბოცვაძე ნ., მიშო ყიფიანი, – იხ. მისი: ნორჩ მეგობრებთან ერთად, თბ., 1976.

რ. მურღულია.

ყიშიძე იოსებ ალექსის ძე (25. VIII. 1882, სოფ. რგანი, – 21. II. 1919, თბილისი), ენათმეცნიერი, ფილოლოგი. თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი გამგეობის სწავლული მდივანი; ქართ. ენის პირველი პროფესორი, ძვ. ქართ. ენის კათედრის გამგე (1918–19). დაამთავრა ქუთ. სას. სასწავლებელი (1898) და სწავლა განაგრძო ქუთ. სას. სემინარიაში, მაგრამ არ დაუმთავრებია. 1916 ჩაირიცხა პეტერბ. უნ-ტში ფიზ.-მათ. ფაკ-ტის საგეოგრაფიო დარგზე. 1907-იდან ნ. მარის დახმარებით გადავიდა აღმოსაელურ ენათა ფაკ-ტის სომხ.-ქართ. განყ-ბაზე, რ-ის დამთავრებისთანავე (1911) მიწვეულ იქნა ქართ. ენის მასწავლებლად პეტერბ. აღმოსაელეთმცოდნეობის საზ-ბასთან არსებულ კაკ. ენების პრაქტ. შესწავლის კურსებზე. 1911 რუს. ენაზე ლითოგრაფიული წესით გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა". 1915-იდან ყ. იყო პეტერბ. უნ-ტის პრივატ-დოცენტი და აღმოსაელეთმცოდნეობის ფაკ-ტზე კითხულობდა ძვ. სალიტ. ქართულისა და მეგრულის კურსებს. 1917 იგი საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ჯერ ქართ. უნ-ტის შექმნის, შემდეგ კი მის საორგანიზაციო და სამეცნ. საქმიანობაში, აგრეთვე საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის მუშაობაში. როგორც ამიერკავკასიის სეიმის მრჩეველმა, მონაწილეობა მიიღო (1918) ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებაში.

ყ-ის საენათმეცნ. ნაშრომები იმთავითვე ეძღვნებოდა ქართველურ ენებს. მისი პირველივე ნაშრომი – „ქართული ენის გრამატიკა" სასწავლო-პრაქტ. დანიშნულების აღწერითი გრამატიკაა (სახელმძღვანელო სასამართლო მოხელეებისათვის), მაგრამ თავისი პოზიტიური შედეგებით უდავოდ იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას ქართ. გრამატ. აზრის განვითარების ისტორიაში. 1914 სანქტ-პეტერბურგში გამოიცა „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით" (რუს. ენაზე), რ-იც უსაინიოესი შრომათაგანია არა მხოლოდ ყ-ის მეცნ. მემკვიდრეობაში, არამედ ქართველოლოგიაში საერთოდ. იგი დღემდე სამაგიდო წიგნად რჩება სპეციალისტებისათვის. ჭანურს ეხება მისი ნაშრომები: „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ" (1911, რუს. ენაზე), რ-შიც პირველად იყო მოცემული არქაბული კილოკავის ჩხალური თქმის ვრცელი დახასიათება, წარმოდგენილი იყო აგრეთვე არქაბული კილოკავის ტექსტები; „ჭანური ტექსტები" (1917; გამოქვეყნდა 1939); „საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს. ჭანეთში მოგზაურობა (დღიური)". – «ენიმკის მოამბე», ტ. 1, ტფ.,1937. მოხსენება და დღიური საყურადღებოა არა მარტო ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ ლაზების ისტორიის შესასწავლადაც. ქართველოლოგიური საკითხებია განხილული აგრეთვე ყ-ის მრავალ პუბლიც. და კრიტ. სტატიაში.

თხზ. (გარდა სტატიაში დასახელებულისა): რჩეული თხზულებანი, კ. დანელიას გამოც., თბ., 1994; ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1919, ტ. I; მეგრელიზმები ქართულ წარწერებში სამეგრელოდან. – «Христианский Восток», т. 4, вып. 3, Петроград, 1916; ისევე მეგრელიზმების შესახებ ქართულ წარწერებში სამეგრელოდან. – იქვე, т. II, Петроград, 1917.

ლიტ.: გორგაძე ს., პროფესორი იოსებ ყიფშიძე. – «მიმომხილველი»,

წგ. I, ტფ.,1926; ჩიქობავა არნ., პროფესორი იოსებ ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა. წინასიტყვაობა. – იხ.: ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები, ტფ., 1939; ჯორბენაძე ს., თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება. – კრ.: თბილისის უნივერსიტეტი, თბ.,1968; ჯუმბურიძე ზ., იოსებ ყიფშიძე. – ქართული წიგნის მოამაგენი, თბ.,1981; დანელია კ., იოსებ ყიფშიძე. ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თბ.,1985; უთურგაიძე თ., იოსებ ყიფშიძის დაკვირვება ქართველურ ენათა ფონეტიკურ თვისებებზე. – «ქართველოლოგიური კრებული», I, თბ., 2002.

კ. დანელია.

ყრუ ბგერები, ბგერები, რ-ებიც არაეკალის'ებულად, ე. ი. დაძაბული სახმო სიმების ჟღერის გარეშე წარმოითქმიან. სალიტ. ქართულში ასეთი შეიძლება იყოს:

1. ყრუ ფშვინვიერი ბგერა (ფ-თ-ჭ ც-ჩ; ს, შ, ხ, ჰ), რ-ის წარმოთქმისას ჰაერნაკადი მოდუნებულ სახმო სიმებს შორის გაედინება (იხ. *ფშვინვიერი თანხმოენები*);

2. ყრუ ჟელხშული ბგერა (პ-ტ-კ; წ-ჭ და ქ), რ-ის წარმოთქმისას დახშული სახმო სიმები გზას უღობავენ ჰაერნაკადის გამოდინებას, თვით ბგერა კი ორ ხშეას შორის პირის ღრუში არსებული ჰაერის მარაგით წარმოითქმის (იხ. *აბრუპტივი*);

3. ყრუ ბგერათა მესხობლობაში ჟღერადკარგული სონორი ბგერა, მაგ., რ სიტყვაში „რკინა“ ან ე სიტყვაში „ნაეთი“ (ნაფთი). ჩვენი სმენა ვერ განასხვავებს ამგვარ არამჟღერად წარმოთქმულ სონორებს ნორმალური, ჟღერით წარმოთქმული სონორებისაგან;

4. ხურჩულით მეტყველებისას წარმოთქმული ყოველი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ) თუ სონორი (ვ, ლ, რ, მ, ნ). არამჟღერი წარმოთქმის მიუხედავად, ჩვენი სმენა ხმოვნებისა და სონორების ასეთ ვარიანტებს მჟღერად წარმოთქმულისაგან არ განარჩევს (სხვა ბგერებად არ მიიჩნევს);

5. ე. წ. „ყრუ mediae“, ანუ ბგერა, რ-საც მჟღერობა დაკარგული აქვს (არავოკალი'სებულადაა წარმოთქმული), მაგრამ ფშვინვიერობისა ან ჟელხშულობის საწარმოთქმო და ფიზიკური ნიშნები არ შეუძენია. ასეთია, მაგ., ბოლოკიდური დ სიტყვაში „კარგად“ ან ბ სიტყვაში „ეაკეთებ“. ამგვარი ბგერები მხოლოდ საწარმოთქმო ნიშნებისა და მათი შესაბამისი ფიზიკური ნიშნებით შეიძლება გაეარჩიოთ ნორმალური მჟღერი და ყრუ ბგერებისაგან. რაც შეეხება აღქმას, ჩვენ ისინი რაიმე განსხვავებული ბგერების სახით არ გვესმის – ან მჟღერს აღვიქვამთ, ან ყრუს (ჩვეულებრივ – ფშვინვიერს): გვესმის „კარგად“ ან „კარგათ“, „ეაკეთებ“ ან „ეაკეთეფ“.

ზ. ჯაფარიძე.



შ. ქართული ანბანის ოცდამეხუთე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამერვე) ასო. მისი სახელია „შინი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი ფშვინვიერი შიშინა ნაპრალოვანი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴉ. მისი მოხაზულობა ხასიხასა და წრეების კომბინაციაა, რ-საც კვადრატის ნახევარი უკავია. VI ს-ში რკალური ფორმები აქვს. ნუსხური ყ გეერდზე გადახრილია და ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში ზედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. სათეალაეში აღნიშნა და ცხრაასს (900).

შავი მთა, საკვირველი მთა, ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის მძლავრი კერა ისტორიულ სირიაში, ანტიოქიის ჩრდ-აღმ-ით, განთქმული მთელ ქრისტ. აღმოსავლეთში. შ. მ., როგორც ქართ. მწიგნობრული და თეოლოგიური სკოლა, ათონის (ივირონის) ქართ. სკოლის უშუალო გამგრძელებელია (იხ. *ათონის ივერთა მონასტერი*), ხოლო მისი მოღვაწეები ძირითადად სამხრ. საქართველოდან (ტაო-კლარჯეთიდან) არიან. ქართველები შ. მ-ზე სეიმეონ საკვირველმოქმედის სავანეში სეიმეონ მესვეტის დროიდან, VI ს-იდან, ჩანან. მათი მოღვაწეობა რომ ეპიზოდური ხასიათისა არ უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს VI ს-ში სირიელი მამების ნამოსვლა საქართველოში და სირიული მწერლობის აშკარა გაელენის კვალი ადრეულ ქართ. სას. მწერლობაზე (ე. *მეტრუველი*). მაგრამ ქართველთა ინტენსიური სამონასტრო ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა შ. მ-ზე XI ს. 30-იანი წლებიდან გაცხოველდა, რასაც ხელს უწყობდა 969–1085 სირიის მაჰმადიანთა მპყრობელობისაგან გათავისუფლება და ბიზანტიის პოლიტ.-კულტ. მფლობელობაში გადასვლა. ქართველთა მწიგნობრული მოღვაწეობა აქ არ შეწყვეტილა თურქ-სელჯუკთა და ჯვაროსანთა ლაშქრობის შემდეგაც XI ს. მიწურულს. XIII–XIV სს-იდან, თურქების მიერ სირიის დაპყრობის შემდეგ, ანტიოქიის მონასტრები დაინგრა და ქართველებმაც დატოვეს იქაურობა.

ქართველები შ. მ-ზე მოღვაწეობდნენ როგორც ბერძნ., ისე მათ მიერ აშენებულ ქართ. მონასტრებში: სეიმეონწმიდაში, თორნეში, ბარლაამწმიდაში, ეზრას და ალექსანდრიის მონასტრებში, ლერწმისხევის უდაბნოში, რომანწმიდაში, კალიპოსში, თუალის მონასტერში, კასტანას მონასტერში 1091 *ეფრემ მცირის* წინამძღერობის დროს და სხვ. წერილობით წყაროებთან ერთად, ამ მოღვაწეობის დასტურია გათხრების შედეგად ნაპოვნი ქართ. წარწერებიც.

XI ს-ის I ნახევრისათვის შ. მ-ზე სამოცამდე ქართვ. მოღვაწე ყოფილა. მათ შორის არიან: დიდი მამა გიორგი შეყენებული, რ-იც წლების განმავლობაში წარმართავდა იქ მოღვაწე ბერ-მონაზონთა ლიტ. საქმიანობას, განსაკუთრებით გიორგი მთაწმიდელისას, თავად *გიორგი მთაწმიდელი*, გიორგი მცირე (გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების ავტორი), ეფრემ დიდი ოშკელი, არსენ კალიპოსელი, ბასილი კალიპოსელი, დავით და იოანე ჯიბისძენი, ანტონ ტბელი, გაბრიელ მღვდელი, თეოფილე – ტარსუს მიტროპოლიტი, საბა სულაისძე თეხარელი, სტეფანე ჭულეველი, იოანე ფარაკნელი, იოანე რატე'ული, იოანე მთაეარაისძე, იოანე კვირიკესი, იოანე ბარლაამწმიდელი, ილარიონ თუალელი, კვირიკე ალექსანდრიელი, ეფრემ მცირე – კასტანას მონასტრის წინამძღვარი და უდიდესი მოღვაწე და სხვ. სოგიერთი კოლოფონის მიხედვით შ. მ-ზე ივარაუდება არსენ *იყალთოელის* მოღვაწეობა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით (სოგი მკვლევარი მას არსენ კალიპოსელთან აიგივებს). სწორედ ამ პერიოდის შ. მ-ის ქართ. მწიგნობართა მოღვაწეობამ შეუწყო ხელი იქ ეფრემ მცირის ძლიერი ფილოლ. და ფილოს. სკოლის ჩამოყალიბებას.

წყაროების მიხედვით, ქართველები სარგებლობდნენ სეიმეონწმიდის წიგნსაცავით, რ-ისთვისაც ანტიოქიის პატრიარქს, თეოდორე III ლასკარისს, XI ს. 40-იანი წლებისათვის 420 წიგნი შეუწირავს. მათ შორის იყო როგორც საეკლესიო, ისე „გარეშე“, ანუ საერო, ანტ.

წიგნები. ქართველები აქ ეცნობოდნენ ბიზანტიური წიგნის ხელოვნებას, მის მთელ ატრიბუტიკას: მარგინალურ ნიშნებს, სქოლიოებს, პროსოდიას, სტიქომეტრიას, კომენტირების ტექნიკას, ბერძნ. წყაროებზე მეცნ. მუშაობას და სხვ. ისინი ასევე სარგებლობდნენ თუალის მონასტრის წიგნსაცავით. მდიდარი წიგნსაცავი უნდა ყოფილიყო კალიპოს ქართ. სავანეშიც, რადგან შ. მ-ს არსებულ ხელნაწერთა უმრავლესობა იქ იყო გადანუსხული.

ქართვ. მწიგნობრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონიათ შ. მ-ის ბერძენ, სირიელ და არაბ მწიგნობრებთან. მაგ., ეფრემ მცირეს – ცნობილ კანონისტ ნიკონ შავმთელთან, იოანე დამასკელის ცხოვრების არაბული ვერსიის ავტორ მიქაელ ბერთან და ამ ცხოვრების ბერძნ. ენაზე მთარგმნელ სამეულ ადანელთან. იგი ასახელებს აგრეთვე ბერძენ ფილოლოგებს: ბასილი გრამატიკოსს, ფილოსოფოსად წოდებულ ანტიოქიის პატრიარქ იოანე V ოქტიტეს, ფილოსოფოსად და გრამატიკოსად წოდებულ ქართველ იოანეს და სხვებს.

ქართ. მწიგნობრული კერებიდან შ. მ-ს განსაკუთრებით ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა პალესტინისა და ათონის ქართ. კერებთან. გიორგი შეყენებულმა აქედან ათონზე სამოღვაწეოდ გაგზავნა გიორგი მთაწმიდელი, რ-იც შემდეგ რამდენჯერმე ეწვია შ. მ-ს. ივირონსა და შ. მ-ს შორის მიმდინარეობდა წიგნების გაცვლა, აქაური მოღვაწეები უხვად სწირავდნენ წიგნებს ჯვრის მონასტერს იერუსალიმში და საქართველოს მონასტრებს. მაგ., კალიპოს ქართ. მონასტერში გადაწერილი და ჯვრის მონასტრისათვის შეწირული გრიგოლ ღვთისმეტყველისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების შემცველი კრებული P3, s. XI პეტერბ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში ინახება; ხოლო კალიპოსშიეე გადაწერილი ე. წ. ალავერდის ოთხთავი A 484. a. 1054 – თბილისში, ხელნაწ. ინ-ტში; სეიმეონწმიდაში გადაწერილი და მთაწმიდისათვის შეწირული დავით ტბელის მიერ თარგმნილი წმინდანების ცხოვრებათა შემცველი კრებული Ath. 55, a. 1042-44 და ა. შ.



შაყი მთის ოთხთაყი.
XI ს. II ნახ.

ანტიოქიის, როგორც ბერძნ. განათლების პერიფერიული ცენტრისა და მისი მწიგნობრული გარემოს შესახებ ცნობები დაცულია ეფრემ მცირის კოლოფონებში, რებიც მოწმობენ როგორც ბერძენებთან ქართველების კულტ. ურთიერთობებს, ისე შ. მ-ის ბერძნ. და ქართ. მწიგნობრობის მეტად მაღალ დონეს. აქ უნდა ყოფილიყო მძლავრი ბერძნ. ფილოლ. სკოლა მდიდარი ბიბლიოთეკებით, საღვთო და საერო ფილოსოფიაში განსწავლული სას. პირებით, სერიოზული ფილოლ.-ტექსტოლოგიური სამუშაოებით. ცნობილი უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლში მიმდინარე სააზროვნო პროცესები, აუცილებლობა საერო და საეკლ. განათლების ერთიანობისა (საკარაუდოა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სკოლების ანალოგიით), განათლების სისტემაში „გარეშე" სიბრძნის აქტ. ჩართვისა, რაც წარმმართველი აღმოჩნდა ქართველთა ელინოფილური კულტ. ორიენტაციისათვის შ. მ-ზე.

შ. მ-ხე აქტიური იყო ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემა. ბერძენთა ეჭვებს ამ მხრივ ანტიოქიაში დამაჯერებლად უპასუხებდნენ და უშუალოდ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით ავტოკეფალიის უტყუარობასა და ქართ. აღმსარებლობის ბერძნულთან იდენტურობას ადასტურებდნენ გიორგი ათონელი ანტიოქიის პატრიარქის – თეოდოსი III-ის წინაშე 1057 წარმოთქმულ სიტყვაში და ეფრემ მცირე შრომაში ქართველთა მოქცევის შესახებ.

შ. მ-ზე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ლიტ.-გრამატ. სკოლა და აქედე განეითარდა ჟ. წ. ელინოფილური მიმართულება ქართ. მწერლობაში (იხ. *ელინოფილიზმი*), რაც განაპირობა: 1. ანტიოქიის ბერძენ სას. პირთა მოთხოვნამ, რომ სხვა მართლმადიდებელ ხალხებსაც ჰქონოდათ ბერძნულის ადეკვატური ლიტურგიკული ლიტ-რა; 2. XI–XII სს. ბიზანტიაში მიმდინარე

საზრო ენო პროცესებმა და მწიგნობრობის მაღალმა დონემ; 3. თავად ქართ. მწერლობის განვითარებამ, მკითხველთა გაზრდილმა ლიტ. მოთხოვნებმა. ამ სკოლის მიღწევები სრულყოფილად გამოვლინდა ეფრემ მცირის შემოქმედებაში, რ-იც სათავეს დამდებია ელინოფილური მიმართულებისა, ხოლო მისი იდეოლოგები არიან ეფრემის მასწავლებლები ბერძნ.-ქართ. მწიგნობრობაში ეფრემ ოშკელი და საბა ოუხარელი, პროსოდიაში – იოანე ფარაკელი, ბერძნ. წყაროების ერთგულებაში – კვირიკე ალექსანდრიელი და სხვ. ამ მიმართულებას საფუძველი ჯერ კიდევ ათონის სკოლაში ჩაეყარა. გიორგი ათონელისა და დავით ტბელის, ხოლო შემდეგ თავად ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობა გარდამავალი ეტაპია ათონის მწიგნობრული ტრადიციებიდან შ. მ-ის ელინოფილურ ტრადიციებამდე.

შ. მ-ის ელინოფილური მიმართულების საქართველოში გადმოტანი არსენ იყალთოელია, რ-ის შემოქმედებასდაც უშუალოდ არის დაფუძნებული გელათის საღვთისმეტყველო-ფილოს. სკოლა (იხ. *გელათის აკადემია*). შ. მ-ზე ჩამოყალიბებულმა იდეოლოგიამ მნიშვნელოვანი გაველენა მოახდინა როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინ. ქართ. მწერლობაზე.

ლიტ.: ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე. უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, თ. ბრეგაძის გამოც., თბ., 1959; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე. შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის I ნახევარში. – «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1959, ტ. 20B; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ი. აბულაძის გამოცემა, თბ., 1967; ქ ე ქ ე ლ ი ძ ე ქ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980; მ ე ნ ა ბ დ ე ლ ი, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; ო თ ხ მ ე ზ უ რ ი ო., ეფრემ მცირის აგიოგრაფიული ნუსხის ერთი მთარგმნელისეული სქოლიოს შესახებ. – «ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული», თბ., 1997; მ ი ს ი ვ ე ვ ე. ანტიკურ აგტორთა წიგნები ბიზანტიურ ეპოქაში: ეფრემ მცირე და „გარეშეთა“ წიგნები. – «Ανάθεσις. ფილოლოგიური-ისტორიული ძიებანი, აკად. თ. ჯანუხიშვილის საიუბილეოდ», თბ., 1999; თ ე ა ლ თ ე ა ძ ე დ., შავ მთაზე მოღვაწე იოანეთა ვინაობისათვის, თბ., 2004 (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 31); ბ ე ს ა რ ა შ ვ ი ლ ი ქ., რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით), თბ., 2004; Бенешевич В., Описание греческих рукописей монастыря св. Екатерины на Синае, I, С.-Петербург, 1911; Peeters P., Histoires monastiques géorgiennes. – «Analecta Bollandiana», t. 36–37, Brux., 1922; Tarchnischvili M., Geschichte der kirchlichen georgischen Literatur. – «Studi e Testi», 158, Vatican, 1955; Van den Ven, La Vie de s. Syméon Stylite de Jeune, I. – «Subsidia Hagiographica», 32, Brux., 1962; Garitte M. G., Version géorgienne de la Vie de sainte Marthe. – «Corpus Scriptorum Christianorum Orientalium», vol. 285, Louvain, 1968; Djobadze W., Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on-the-Orontes. – «Corpus Scriptorum Christianorum Orientalium», Louvain, 1976; მისივე, Archaeological Investigations in the Region West of Antioch on-the-Orontes, Stuttgart, 1986. *ქ. ბეზარაშვილი.*

შამელაშვილი რაფიელ მიხეილის ძე (15. VIII. 1922, სოფ. ბანძა, მარტვილის რ-ნი, – 9. VI. 1994, ქუთაისი), ფილოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე.

დაამთავრა სოფ. ბანძის საშ. სკოლა (1938), ქუთ. აღლ. წულუკიძის სახ. სახელმწ. პედინსტიტუტი (1950), ასპირანტურის კურსი გაიარა საქ. სსრ განათლ. სამინისტროს პედ. სამეცნ.-კვლევით ინ-ტში (1955–58). იყო ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებელი ახალციხის რ-ნსა და ქუთაისში (1950–55), სასკოლო ინსპექტორი ქუთაისის ოლქის განათლების განყ-ბაში, ცხინვალის პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის კათედრის მასწავლებელი (1959–63), დოცენტი (1963–72), ქუთ. აღლ. წულუკიძის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის პროფესორი (1973–94). იკვლევდა ქართ. ენის სტრუქტურის, ლექსიკოლოგიის, მწერლის ენის, ქართ. ენის ტოპონიმიკის, ონომასტიკის, ტერმინოლოგიის, მეტყველების კულტურის, ქართ. ენის სწავლების მეთოდიკის საკითხებს, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 1500-ზე მეტი სტატია, რეცენზია; ავტორია 19 მონოგრაფიისა.

თხზ.: გაკვრითებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა. თბ., 1958; აკაკი წერეთლის ენის შესწავლა სკოლაში, ცხინვალი, 1962; თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა, თბ., ნაკვ. I – 1972, II – 1974, III – 1978, IV – 1988; ენათმეცნიერული ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1975; მეტყველების კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980; მეთოდური მითითებანი ქართულ ენაში (სახელმწიფო გამოცდებისათვის), თბ., 1984; მეტყველების განვითარების საკითხები რვაწლიან სკოლაში, თბ., 1986.

ლ. კვანტალიანი.

შანიძე აკაკი გაბრიელის ძე [14 (26). II. 1887, სოფ. ნოღა, სამტრედიის რ-ნი, – 28. III. 1987, თბილისი], ენათმეცნიერი. ქართ. საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილ. უნ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართვ. მეცნ. აკად. დამფუძნებელი წევრი. სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1939), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1943), სომხ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). პრაღის აღმოსაველეთმცოდნეობის ინ-ტის წ.-კორ. (1937), ფ. შილერის სახ. იენის უნ-ტის საპატიო დოქტორი (1966). ინგლ. „ფილოლოგთა საზოგადოების“ საპატიო წევრი (1979); იყო საქართვ. მეცნ. აკად. საზ. მეცნიერებათა განყ-ბის თავ-რე (1946) და ეიცე-პრეზიდენტი (1948–50). დაწ.-ებითი განათლება მიიღო სოფლის სამრევლო სკოლაში. 1909 დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია, 1913 – პეტერბ. უნ-ტის აღმოსაველურ ენათა ფაკ-ტი. ნ. მარის წარდგინებით იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად სომხ.-ქართ. ფილოლ. კათედრაზე. სხვადასხვა დროს იყო ოსუ სომხ. ენის კათედრის გამგე (1918–30), ქართ. ენის კათედრის გამგე (1919–45), ძვ. ქართ. ენის კათედრის გამგე (1945–87).

შ. ჯერ კიდევ სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში დაინტერესდა ქართ. დიალექტოლოგიის საკითხებით, კერძოდ – მთის კილოებით, რ-თა მოკლე მიმოხილვა წარმოდგენილია ნაშრომში „ქართული კილოები მთაში“ (1915). მთის დიალექტებზე უშუალო დაკვირვებას შედეგად მოჰყვა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენა – სმენურ პირის პრეფიქსთა ფუნქციების დადგენა, რაც მიეძღვნა მონოგრაფიული ნაშრომი „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ სმნაში“, რისთვისაც მიენიჭა ფილოლ. მეცნ. დოქტორის ხარისხი (1920). ეს იყო პირველი სადისერ-

ტაციო ნაშრომი, დაცული თბილ. უნ-ტში. ნაშრომში ქართ. ზმნის სტრუქტურა პირველად არის განხილული როგორც სისტემა, რის გამოც შ. მიჩნეულია ენათმეცნიერებაში სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიმდინარეობის წინამორბედად.

კვლევის ორიგინალურობით გამოირჩევა შ-ის სამეცნ. მოღვაწეობის პირველსავე ათწლეულში დაწერილი ნაშრომები: „ნასახელარი ზმნები ქართულში“ (1919), „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1924), „უმლაუტი სვანურში“ (1925), „ქართული ზმნის საქცევი“ (1926) და სხვ. ქართ. ენის მორფოლ. სისტემის კვლევისას მიღებული პირველი შედეგები აისახა საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომში „ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ (1930), რ-იც აღიარებულია ახ. ქართ. ენის პირველ მეცნ. გრამატიკად. ინტენსიურ მუშაობას განაგრძობდა მკვლევარი მომდევნო წლებშიც, რის შედეგადაც გამოელინდა ახ. გრამატ. კატეგორიები, ახლებურად გაშუქდა და არსებითად შეიცვალა წარმოდგენა აღრევე ცნობილი კატეგორიების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომები: „მწკრივის კატეგორია ზმნაში“ (1941, რუს. ენაზე), „ასპექტის ზმნური კატეგორიის გამოხატვის სისტემის შეცვლა ქართულში და მისი შედეგები“ (1942), „აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით“ (1943), „აქტისა და კონტაქტის გრამატიკული კატეგორიები ქართული ზმნის მიხედვით“ (1946, რუს. ენაზე) და სხვ. ამ შრომების შედეგები თავმოყრილი და განზოგადებულია „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, რ-იც ჯერ ორ ნაკეთად დაიბეჭდა (1942, 1943) საბოლოო სახე კი მიეცა 1953 წელს (II გამოც. – 1973; იხ. აგრეთვე: ა. შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, 1980).

ახ. ქართულთან ერთად შ. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ძვ. ქართულისადმი, რ-საც მან მიუძღვნა არაერთი პირველხარისხოვანი ნაშრომი. აქ უნდა დავასახელოთ ის ენობრივი მიმოხილვანი, რ-ებიც ახლავს მის მიერ გამოცემულ წერილობით ძეგლებს. ძვ. ქართულისთვის მიძღვნილი სპეც. გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში“ (1918), „პაემტობა ადიშის სახარებაში“ (1923), „პაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ (1923), „ხანმეტობის გადმონაშთები IX–X–XI საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში“ (1940, რუს. ენაზე) „სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში“ (1945), „ძველი ქართულის -ოდ საერცობიან ზმნათა წარმოების ისტორიისათვის“ (1953) და სხვ. ძვ. ქართ. ენის მორფოლ. და სინტაქსური მოვლენების მთლიანი მიმოხილვა წარმოდგენილია „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ (1976). წიგნი ითარგმნა და გამოიცა გერმ. და სომხ. ენებზე.

მკვლევარს სალიტ. ქართულის შუა საფეხურიც არ დაუტოვებია



ა. შანიძე.

უყურადღებოდ. ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის ისტორიის შესწავლისას მის ნაშრომებში საშ. ქართულის მონაცემები ყოველთვის სათანადოდ არის გათვალისწინებული, საგანგებოდ ამ პერიოდს კი ეხება რამდენიმე ნარკვევი სალიტ. ქართულის ისტორიიდან: „ენებითი გვარის ზმნათა უღლების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში“ (1947), „ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ეითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში“ (1964), აგრეთვე წერილების სერია – „ეფხისტყაოსნის ენის საკითხები“. საეროდ, „ეფხისტყაოსანს“ გამორჩეული ადგილი უკავია შ-ის სამეცნ. ინტერესების საგანთა შორის. რუსთველოლოგიის საკითხებს მიუძღვნა მან 60-მდე ნაშრომი (თხზ., ტ. V, 1986). შ-ის წელილი რუსთველოლოგიაში თვალსაჩინოა „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციების შესწავლის, ტექსტის დადგენისა და გამოცემის მხრივაც. მისი აქტიური მონაწილეობით გამოვიდა პოემის რამდენიმე გამოცემა, მ. შ. საიუბილეო (1966, თანარედაქტორი ალ. ბარამიძე), რ-ის ტექსტიც დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერისა და ბეჭდური გამოცემის გათვალისწინებით. შ-მ აღადგინა პოემის პირველი (1712, ე. წ. ვახტანგისეული) ბეჭდური გამოცემა (1937, 1975), გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია გამოკვლევითურთ (1956) და სხვ. რუსთველოლოგიაში შეტანილი მნიშვნელოვანი წელილისთვის 1989 შ-ს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია.

განსაკუთრებით დიდია შ-ის დამსახურება ძვ. ქართ. ენის ძეგლების, მათ შორის ხანმეტი და პაემეტი ტექსტების აღმოჩენაში, შესწავლასა და გამოცემაში. მისი ინიციატივით დაარსდა ორი სერია ძვ. ქართ. ტექსტების გამოცემებისა: „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (1944, მეცნ. აკად.) და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955 თბილ. სახელმწ. უნ-ტი). ამათგან პირველ სერიაში შ-ის რედაქციითა და გამოკვლევით 1945 დაიბეჭდა ქართ. ოთხთავის ორი ძვ. რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. სხვა ტექსტების შანიძისეული გამოცემებიდან აღსანიშნავია ოშკის, ანუ ათონის ბიბლიის (978) რამდენიმე წიგნი ორ ნაკვეთად (1947–48), პირველი ქართ. თარიღიანი (864) ხელნაწერი – სინური მრავალთავი (1959), უდაბნოს მრავალთავი (თანარედ. ზ. ჭუმბურიძე, 1994). გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ (ტექსტი მომზადებული ი. ჯავახიშვილის მიერ, შ-ის რედაქციით, გამოკვლევითა და ლექსიკონით, 1946), „ეტლთა და შეიდთა მნათობთათვის“ (XIIს. ასტროლოგიური ტრაქტატი, 1975), პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი (1975), ჭილ-ეტრატის იადგარი (ა. მარტიროსოვთან და ალ. ჯიშიაშვილთან ერთად, 1977) და სხვ. ცალკე აღსანიშნავია შ-ის მიერ გამოცემული „ქართული ხალხური პოეზია. I. ხევ-



შ. შანიძე

სურული“ (1931). რ-იც სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართ. ფოლკლ. ტექსტების პუბლიკაციის საქმეში.

შ-ის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო ქართ. სალიტ. ენის ნორმების მოწესრიგება და მათი დანერგვა. 1920–21 ის იყო თავჯდომარე ქართ. ენის ნორმების დამდგენი საორგანიზაციო კომისიისა, რ-მაც შეიმუშავა პირველი ოფიციალური სახელმწ. პროექტი ქართ. ორიოგრაფიის სადაო საკითხების მოსაგვარებლად (გამოიცა ცალკე წიგნად 1921). შ. იყო აქტიური წევრი სალიტ. ქართულის ნორმათა დამდგენი კომისიებისა, რ-ებიც არსებობდა ჯერ საქართ. განათლების სახალხო კომისარიატთან, შემდეგ – მეცნ. აკადემიასთან და ბოლოს – მინისტრთა საბჭოსთან. შ-ის მიერ შემუშავებული პროექტებით დაინერგა არაერთი ნორმა. მისი მრავალრიცხოვანი წერილები, მიძღვნილი ქართ. სალიტ. ენის პრაქტ. საკითხებისადმი, გამოცემულია ცალკე წიგნად („სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები“, 1979). შ-მ შემოიღო და თანამედროვეე ქართ. საენათმეცნიერო ლიტ-რა-ში დანერგა მრავალი გრამატ. ტერმინი.

შ. ავტორია საკურადღებო ნაშრომებისა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე: „ორი ჭანურ-მეგრული სუფიქსი ქართულსა და სომხურ ენებში“ (1916, რუს. ენაზე), „ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრულოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1972), „ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში“ (1960) და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა კლასიკური გამოკვლევა „უმლაუტი სვანურში“ (1925). მას'ში ახსნილია სვანური უმლაუტის ბუნება, მისი გამომწვევი მიზეზები. ამასთანავე, გარკვეულია არაერთი მორფოლ. კატეგორიის რაობა, კერძოდ, პირველად არის ნახსენები ქცევის კატეგორია ზმნაში, დადგენილია სვანური ზმნის უღლების ტიპები, გარკვეულია სახ. ბრუნვის ნიშნის წარმოშობა ქართველურ ენებში და მისი ევოლუცია სვანურში, დადგენილია სუფსართავ სახელთა ხარისხები და მათი მაწარმოებლები, განსაზღვრულია სვანური ენის დიალექტების დამახასიათებელი ნიშნები.

შ-ს ეკუთვნის რამდენიმე ასეული სიტყვის ეტიმოლოგია; მის სახელს უკავშირდება კაკ. ალბანელთა დამწერლობის შესწავლა და ახ. სამეცნ. დისციპლინის – ალბანოლოგიის დაფუძნება. შ-ს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი აგრეთვე ქართ. ლიტ-რის ისტორიის, საქართ. ისტორიის, ეპიგრაფიკის, ფოლკლორისტიკის საკითხების შესწავლის საქმეში.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1–3, თბ., 1957–73; თხზულებანი 12 ტომად: ტ. I, თბ., 1984; ტ. II, 1981; ტ. III, 1980; ტ. V, 1986; ტ. IX, 1986.

ლიტ.: «ორიონი». საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., აკაკი შანიძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1967 (რუს. ენაზე – 1977); აკაკი შანიძეს. საიუბილეო კრებული, თბ., 1981; აკაკი შანიძე – 100. საიუბილეო კრებული, თბ., 1987; დ ა ნ ე ლ ი ა კ., ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ს., აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1987.

ბიბლ.: აკაკი შანიძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: ე. გოგილაშვილი, ნ. ჩხიკვიშვილი, თბ., 1977.

ზ. ჭუმბურიძე.

შანიძე მზექალა აკაკის ასული (დ. 16. I. 1926, ქ. თბილისი), ფილოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (2002). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1948). ასპირანტურაში სწავლის დროს (1948–51) მიწვლინებული იყო (1948–49) ქ. ლენინგრადში, სადაც სწავლობდა აკად. ე. კრაჩკოვსკის ხელმძღვანელობით. 1951 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“, 1974 – სადოქტორო დისერტაცია „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“. 1953–2006 სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა თსუ-ში სემიტოლოგიისა და ძვ. ქართ. ენის კათედრებზე, კითხულობდა ძვ. ებრ. ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის, ძვ. ქართ. ენის ისტორიის კურსებს; 1996–98 პეტერბურგის უნ-ტში წაიკითხა ქართ. ენის, ძვ. ქართ. ენის კურსები. სხვადასხვა დროს იყო საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი (1953–61), აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1961– 68), ხელნაწ. ინ-ტის ძვ. ქართ. ფილოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი, ხელნაწ. ინ-ტის კონსულტანტი (2002–06). მონაწილეა სამეცნ. ექსპედიციებისა, მ. შ. სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში (1994, 2002) ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად; სამეცნიერო კონფერენციებისა: 1996 – საერთაშორისო ლინგვისტური სემინარი, ბერგენი, ნორვეგია; 1999 – ლინგვისტიკის ისტორიის საერთაშორისო კონგრესი, პარიზი. ავტორია 120-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა; ცალკეული შრომები დაბეჭდილია გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, რუსეთსა და საბერძნეთში.

შ. 120-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორია. მისი კვლევის სფეროა: სემიტოლოგია, ბიბლიური ტექსტები, ქართული ენა – ლექსიკოლოგია და ძვ. ქართ. ტექსტების პუბლიკაცია, „ქართლის ცხოვრების ტექსტის შესწავლა და დადგენა, ხელნაწერთა შესწავლა.

შ. არის გელათის მეცნ. აკად. წევრი 1995. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1976).

თხზ.: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X–XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით, თბ. 1960; ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1969; სოგიერთი გეგარეთნული სახელი ტბეთის მატიანეში, თბ., 1981; სიტყვაა ართრონთათჳს, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990; ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი და გამოკვლევა, თბ., 1992; რუის-ურბნისის კრების დადგენილებათა ერთი დეტალი. – «გელათის მეცნ. აკად. ჟურნალი», 2007, №3; Remarques au sujet de la Bible géorgien. – Bedi Kartlisa, XLI, Paris, 1983; An Old Georgian Grammatical Treatease in a Collection of Homilies attributed to John Chrysostom. – Bedi Kartlisa, XLII, Paris., 1984; Catalogue of Georgian Manuscripts Discovered in 1975 at St. Catlherinés Monastery on Mt. Sinai (თანაავტ.: ლ. ხევსურიანი, მ. ქაჟთარია, ზ. ალექსიძე), Athens, 2005; ცალკეული შრომები დაბეჭდილია გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, რუსეთში, საბერძნეთში.

მ. ქავთარია.

შანშოვანი სურაბ, XVIII ს. I ნახევრის გრამატიკოსი; ქართულად დაწერილი ქართული ენის პირველი გრამატიკის ავტორი. შ-ის „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული სურაბ შან'შოვანისაგან 1737 წელსა“ ა. ცაგარელმა გამოსცა 1881. ავტორის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ, რომ ის

თბილისელი სომეხი იყო და ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად ემიგრაციაში იმყოფებოდა რუსეთში. გრამატიკა მას ვახტანგის დავალებით დაუწერია. იმის გამო, რომ შ. არ ყოფილა „ფრიად მცოდნე ქართველთა ენისა“, მას დახმარებას უწევდა ვახუშტი ბატონიშვილი. გრამატიკა დაუმთავრებელია (აკლია სინტაქსი), მაგრამ ბატონიშვილს მაინც საჭიროდ მიუჩნევია მისი გამოქვეყნება, რადგან „ამ წიგნს წერილ არს გზა ღრამატიკის უსრული“. გრამატიკა აღმოჩნდა შ-ის თარგმანების კრებულში, რ-იც ამჟამად დაკარგულად ითვლება.

შ-ის გრამატიკა არ არის დამოუკიდებელი ნაშრომი. იგი ძირითადად თარგმნილია სიმეონ ჯუღელის გრამატიკისა, რ-იც, თავის მხრივ, დიონისე თრაკიელის გრამატ. ტრაქტატის სომხ. თარგმანსა და მის კომენტარებსაა დამყარებული. მაგრამ შ. ზოგჯერ მაინც ცდილობს ქართულის თავისებურებათა გათვალისწინებას.

შ-ის გრამატიკა ფილოლ. ხასიათისაა: განმარტებულია როგორც „ჴელოვნება რაჲმე ცნობისათჳს წერილთა მეტყველებისათჳს“. გრამატიკა იყოფა: „სამოქმედო და საქმედ“. განხილულია: წიგნი (-ასო), მარცვალი, ლექსი (-სიტყვა), სიტყვა (-წინადადება). სიტყვის (მეტყველების) ნაწილებია: სახელი, სმნა, შეწყნარება (მიმღეობა), სახელდაროული (ნაცვალსახელი), იოტი (ნაწევარი), არორონი (თანდებული), სმართული (სმნისართი), შემკურელი (კავშირი). მსჯელობა ძირითადად იმეორებს სომხ. გრამატიკას.

არნ. ჩიქობავა. გ. ბურჭულაძე.

შარაძენიძე თინათინ სიმონის ასული (25. V. 1919, ქუთაისი, – 1. VI. 1983, თბილისი), ენათმეცნიერი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1974), მეცნ. დამს. მოღვაწე (1968). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტის კლასიკური და აღმოსავლური ენების განყ-ბა (1939). სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა თსუ-სა და ენათმეცნ. ინ-ტში, სადაც ხელმძღვანელობდა ზოგადი ენათმეცნ. განყ-ბას (1957-იდან). იყო სსრკ მეცნ. აკად. „საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის საბჭოს“ წევრი. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (I–VIII, 1950–64) მომზადებაში, იყო VI ტომის თანარედაქტორი, რისთვისაც, ლექსიკონის სხვა რედაქტორებთან ერთად, მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). შ. იკვლევდა ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორ. ენათმეცნ. პრობლემებს. მისი შრომები ეხება ენის ისტ. და მეთოდოლოგიურ საკითხებს, აშუქებს უახლეს ტენდენციებს ენათმეცნიერებაში. ზოგადი თეორ. საკითხების გადაწყვეტისას მოხმობილია იბერიულ-კავკ. ენათა მასალა. მონოგრაფია „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები“ (1958) ფუნდამენტური გამოკვლევაა ზოგად ენათმეცნიერებაში. თანამედროვე ზოგადი ენათმეცნ. აქტუალური პრობლემების კვლევის ძირითადი შედეგები შეჯამებულია მონოგრაფიაში „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები“ (1972). შ-ის რედაქციით გამოვიდა ენათმეცნ. ინ-ტის ზოგადი ენათმეცნიერების განყ-ბის კრებ. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“ (1966-იდან, ტ. I–4, 1980-იდან – „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, ტ. 5–6). შ-ის ნაშრომთა ნაწილი გამოქვეყნდა უცხოეთის ლინგვისტურ ჟურნალებსა და კრებულებში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



თ. შარაძენიძე.

თხზ.: ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში. – «იკე», VII, თბ., 1955; ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბ., 1974; ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია და მისი ადგილი XIX–XX საუკუნეთა ენათმეცნიერებაში, თბ., 1978; Типология языков в синхроническом и диахроническом плане, Тб., 1982; On the two trends in modern linguistics and the two sources of these trends. – კრ.: History of linguistic thought and contemporary linguistics, B. – N. Y., 1976. *ლ. ენუქიძე.*

შატბერდი, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა (ე. წ. საქართველოს სინაი). რელიგიური ცენტრი – მონასტერი ისტ. სამხრ.-



შატბერდის მრავალთავი. 973–976.

დას. საქართველოში, კლარჯეთში (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). შ-ის მონასტერი დააარსა გრიგოლ ხანძთელმა (IX ს. II ნახ.).

IX–X სს-იდან ცნობილია რამდენიმე შატბერდელი მოღვაწე: სოფრონ შატბერდელი (IX–X სს.), რ-ის თაოსნობითაც დამზადებული 897 სახარება – ქართ. თარიღიან ოთხთავთა შორის უძველესი და უძვირფასესი ნუსხა (იგი დიდხანს ინახებოდა სვანეთში, სოფ. ადიშში, ამიტომ *ადიშის ოთხთავის* სახელითაა ცნობილი. ამჟამად დაცულია მესტიის მუზეუმში); სახარების მეორე, შატბერდული ხელნაწერი 936 დაამზადა გაბრიელ შატბერდელმა, ხოლო 949 მოხატა „კამარაი მწერალმა" თევდორემ; ცნობილმა კალიგრაფმა იოანე ბერამ 937 გადაწერა და პარხალს შესწირა ოთხთავი, ხოლო 973–976 შეადგინა კრებული, რ-იც შატბერდის კრებულის სახელითაა ცნობილი. XI ს-ში შ-ში მოღვაწეობდნენ გიორგი ათონელი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვანემორელი, სტეფანე შატბერდელი და სხვ. გრიგოლ ვანემორელმა აქ გადაწერა ბასილ დიდისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა თარგმანების შემცველი ნუსხა.

შ-იდან უნდა იყოს ზოგიერთი სხვა ხელნაწერიც: სახარება – ქსნის ოთხთავის სახელით ცნობილი (IX–X სს.); ვრცელი ჰომილეტიკური კრებული – უდაბნოს მრავალთავი (X ს.), საწელიწადო საწინასწარმეტყველო – 1085 მოსე ხანძთელის მიერ შატბერდს გადაწერილი; XII–XIII სს-ში გიორგი მროველის ბრძანებით გადაწერილი კრებული და ა. შ.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

შეგრენი (Siogiren) ანდრიას იოჰან (26. IV. 1793, ნიულანდის გუბ., ფინეთი, – 6. I. 1855, პეტერბურგი), ფილოლოგი და ეთნოგრაფი. წარმოშობით შვედი, 1844-იდან რუსეთის მეცნ. აკად. აკადემიკოსი ფინური და კავკ. ფილოლ. და ეთნოგრ. დარგში. დაამთავრა აბოს (ახლანდ. ტურკუს) უნ-ტი, სადაც სწავლობდა ძვ. და ახ. კლასიკურ ენებს. რასმუს რასკის რჩევით მან ხელი მოჰკიდა ჩუდური (ფინური მოდგმის) ენების შესწავლას, 1818 წელს გადასახლდა პეტერბურგში. შ-მა 1835–38 კავკასიაში იმოგზაურა; ორჯერ იყო თბილისში.

ჩუდური ენების შესწავლამ მეცნიერი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ ენებს სიახლოვე აქვთ თურქ. ჯგუფის ენებთან, რ-ებთან შეხების სამხრ. საზღვარი კავკასიაზე გადიოდა. ალბათ, ამან განაპირობა მეცნიერის დაინტერესება ქართულით. კერძოდ როდის დაიწყო მან ქართულის შესწავლა, უცნობია, მაგრამ პეტერბურგიდან კავკასიაში გამომგზავრების წინ ელემენტარულ კურსს დაუფლებული უნდა ყოფილიყო. მოგზაურობის დროინდელი ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ საქართვ. მოსაზღვრედ მცხოვრებ ჩრდ. ოსებს, რ-ებიც მას მეგზურობდნენ და რ-თა ენაც იმ დროს ჯერ კიდევ არ იცოდა, შ. ქართულად აგებინებდა.

შ. თბილისში პირველად 1835-ის ბოლოს უნდა ჩამოსულიყო. აქ დიდხანს არ დარჩენილა, გიმნაზიის მასწავლებლის ზ. ყორღანოვის დახმარებით ქართულში მეცადინეობდა. მეორედ შ-მა ფეხით გადმოლახა მამისონის გადმოსასვლელი და რაჭის გზით ქუთაისს ჩავიდა, რათა გელათის ქართ. ხელნაწერებს გასცნობოდა. ქუთაისიდან გორზე გამოვლით (გზადაგზა კვლავ ქართ. ხელნაწერებს ეძიებდა) ისევ ჩამოვიდა თბილისში და ამჯერად მთელი თვე დაყო. სწორედ ამ დროს გაიცნო მან *პ. იოსელიანი*, რ-საც ურჩია, დაეწყო საქართველოს ისტ., ეთნოგრ., ნუმიზმატიკისა და სხვ. შესწავლა. შ-ისა და პ. იოსელიანის ურთიერთობა და მიმოწერა შ-ის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

შ-მა მ. ბროსესგან დამოუკიდებლად დაადგინა, რომ ი. კლაპროთის ცნობები ქართ. ენის შესახებ ნაკლებ სანდო იყო, ფრანგ.-ქართ. და ქართ.-ფრანგ. ლექსიკონები კი – შეცდომებით სავსე.

კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ, 1838 შ. აქვეყნებს „ლიტერატურულ ცნობებს" პეტერბურგის გერმანულენოვან გაზეთში (№97). წერილი ძირითადად მ. ბროსეს ქართ. გრამატიკებს ეხებოდა, მაგრამ შესავალ ნაწილში მოცემული იყო მთელი ქართ. საგრამატიკო ლიტ-რის მიმოხილვა: ავტორი იცნობს ანტონის, დავით და იოანე ბაგრატიონების, გაიოზის, იოანე ქართველიშვილის (მასთან ეს გრამატიკა იესე ჩუბინაშვილს მიეწერება) და ს. დოდაშვილის გრამატიკებს, რ-თაც მოკლედ, მაგრამ საქმის ცოდნით აანალიზებს. ამდენად, შ-ის ეს წერილი ქართ. გრამატ. აზრის შესწავლის ისტორიის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

ა. ფოცხიშვილი.

შედარება, *მეტყველების ფიგურა*, რ-იც ემყარება ორი საგნის შეფარდება-შედარებას გრამატიკულად შეპირობებული მაკავშირებელი საშუალებების გამოყენებით. ამ ხერხით თვალნათლივ ხდება ორი სხვადასხვა საგნის თუ მოვლენის წარმოდგენიდან ერთი საერთო, მკვეთრი და, ამავე დროს, მუდმივი მახასიათებელი ნიშნის წინ წამოწევა და ხაზგასმა.

შ-ს განიხილავენ როგორც ლოგიკურ მოდელს, რ-საც გამოკვეთილი და თავისთავადი ენობრივი რეალიზაციის სქემები აქვს. მსგავსებითი ლოგიკური მოდელი უნივერს. კატეგორიაა, რ-იც თითოეულ ენაში მხოლოდ ამ ენისათვის დამახასიათებელი გრამატ. სტრუქტურებით ვლინდება.

მსგავსებითი შ-ის გამოსახატავად ქართ. ენას მდიდარი გრამატ. საშუალებები მოეპოვება: მსგავსებითი შ-ის ფუნქციის თანდებულები, გათანდებულებული ლექსემები, კავშირები, სადერივაციო აფიქსები, ფლექსია, პაუზა. მსგავსებითი შ-ის სისტემებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: ა) ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი, რ-იც წინადადების კონსტრუქციის ნაწილია. მსგავსებითი ფუნქციის გამოხატვა ეკისრება ელემენტებს, რ-ებიც ლოგიკურ მოდელში შემავალი წევრისაგან განსაზღვრულ ფორმას მოითხოვენ. ეს ელემენტებია: -ვით, -ებრ, -მებრ, -ებრი, -ებური, -თანა, -ნაირი, -ხელა, -ტოლა, -ოდენი, -დენი, -ოდენა, -გვარი, -მაგვარი, ხნის, მსგავსი, დარი, მაგ., „ამ კლდესაც ხავერდივით მწვანე ხავსი გადაჰკვრია" (ვაჟა-ფშავ.); ბ) პ რ ე დ ი კ ა ტ უ ლ ი, რ-იც მთლიან კონსტრუქციას წარმოადგენს და მასში სქემის წევრთა თანმიმდევრობაც უფრო თავისუფალია. გამოყენებულია იგივე ელემენტები, რაც ატრიბუტულ ჯგუფთან: -ვით, -ებრ; ატრიბუტული ჯგუფის ელემენტები სახეცვლილია მორფოლოგიურად: -ებურად, -ნაირად, -გვარად, მსგავსად; კავშირები: როგორც, ვითა, ვითარცა: „იდო თოვლი, როგორც მატყლი, თითის-

ტარზე დახვეული“ (გ. ლეონ.); გ) „კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი“, როდესაც ცალკეული ერთეულები რაიმე ნიშნით კი არ ემსგავსებიან ერთმანეთს, არამედ ორ წევრს შორის პრედიკატული ნიშნით გამოხატული ურთიერთდამოკიდებულება ემსგავსება სხვა წევრების ამავე ნიშნით გადმოცემულ ურთიერთდამოკიდებულებას: „წუთისოფელი ისე გაგთულავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“ (ი. ჭავჭ.).

თვისების სიაშკარავის, ანუ მახასიათებლის მუდმივობის გამო შესაძლოა შ-ის მოდელიდან ეს მახასიათებელი ამოღებული, ელიფსირებული იყოს; ანდა, ამა თუ იმ საგნის ერთი თვისება აქცენტირებული, გამორჩეული იყოს ეროვნული ცნობიერებისათვის (მაგ.: ლომისთვის სიძლიერე, თოვლისთვის სითეთრე – ლომივით კაცი, თოვლივით ზეწარი). მაგრამ თუ საგანი ამგვარ მახასიათებელთა სიმრავლით გამოირჩევა, მაშინ აქცენტირებული თვისება ან პირდაპირ, ან კონტექსტური გამოკვეთით აისახება შედარებაში (მაგ., ძაღლივით ავი, ერთგული...).

მსგავსებითი შ. უხვად გვხვდება ფოლკლორსა და სასაუბრო მეტყველებაში. ხალხში გავრცელებული შ-ები არა მარტო გამომსახველობითი თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ იმითაც, რომ იგი გამოხატავს ეროვნ. ცნობიერებას, ასახავს ადამიანისა და მისი გარესამყაროს ურთიერთობას, პიროვნების მსოფლაღქმას. შ. სასაუბრო მეტყველების ელემენტია, ყოფის თანმხლები, და არა მხოლოდ მჭიდროდ უკავშირდება ამა თუ იმ კონკრეტულ მოვლენას, არამედ გარკვეულად, შეპირობებულია მთქმელის განწყობითა და მისი შესაძლებლობებით. მიუხედავად ამისა, შ. არაა ერთჯერადი გამოყენებისა და იმდენად დაკავშირებული კონკრეტულ მოვლენასთან, რომ მისი სხვა შემთხვევაში გამოყენება არ ხდებოდეს. შ. გავრცელებული, ხშირად განმეორებული და დამკვიდრებული მას შემდეგ შეიქნება, რაც მისი გამოყენების არე გასცდება ერთი ადამიანის მეტყველების ფარგლებს და სხვათათვის მისაღები გახდება. ამ მხრივ ხალხში გავრცელებული მსგავსებითი შ. განსხვავდება მხატვრული შ-ისაგან, რ-იც მწერლის მიერაა შექმნილი და მისი ეფექტიც სწორედ მოულოდნელობაშია: „შენი ტანი – ტყის ლატანი, თვალი – წყარო საკალმახე“ (ს. ჩიქ.). დანარჩენ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედი იმავე ეროვნ. ცნობიერებითა და მსოფლაღქმით მოქმედებს, როგორც თავად ხალხი.

ხალხში გავრცელებული მსგავსებით შ-თა შორის შეიძლება გამოიყოს მყარ გამოთქმებად ქცეული შ-ები (ციბრუტივით, შამფურივით ტრიალი, მაყვალივით შავი...), მაგრამ ისინი იდიომებად მაინც ვერ ჩაითვლება, რადგან ამას არა აქვს არც ფორმობრივი და არც სემანტიკური საფუძველი.

მეტყველებაში გავრცელებულ შ-ათა შორის რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიკვეთოს: 1. ლიტ. ნაწარმოების ან გმირის გახალხურების შედეგია შესადარებელ ობიექტად მათი გამოტანა: გლახა ჭრიაშვილივით ლაპარაკის გაგრძელება, 2. შესადარებელ ობიექტად გამოყვანილია რომელიმე ისტ. ან ფოლკლორული გმირი, ან მისი ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტი: დადიანივით ცხოვრობს, ბაგრატიონ-მუხრანელივით დადის, ბუღარასავით დამჯდარა – ამაყად, ქედმაღლურად (ბუღარა მამალაძე – გურული ფოლკლორის ცნობილი პირი)... 3. შ. ასახავს ხალხის რწმენა-წარმოდგენებს: მკამინე ანგელოზივით დაჰყვება – ემოწმება ყველაფერს... 4. შ. შეიძლება შეიცავდეს ამ ეტაპზე ლექსიკურ მნიშვნელობადაკარგულ სიტყვას: ბასილისავით თბილი, ლაზივით შავი, ქანქალოსავით თეთრი, ყინტორასავით ცივი (საბა – ყინტორა „წყაროს ყინული“).

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., -ვით თანდებული ქართულში. – «იკჟ», I, თბ., 1946; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969; ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., შედარების გამომხატველი ძირითადი გრამატიკული საშუალებები და ვითარებითი ბრუნვის ერთი მნიშვნელობისათვის ქართულში. – «თსუ შრომები», 1972, ხ 5 (148); კ ე ა ჭ ა ნ ტ ი რ ა ძ ე თ., მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ., 1978; შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე ნ., ქვემოიმერულის ვანური თქმის შედარებებში დაცული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ. – «თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 1998, ტ. 30; В е ж б и ц к а А., Сравнение – Градации – Метафора. – კრ.: Теория метафоры, М., 1990.

ნ. შარაშენიძე.

შედარებითი ლექსიკონი, *ლექსიკონი*, რ-შიც წარმოდგენილია როგორც სხვადასხვა ენის (განურჩევლად ნათესაობისა), ისე მხოლოდ მონათესავე ენათა მასალა. პირველი ტიპის შ. ლ-ები იქმნებოდა (ძირითადად XVIII–XIX სს.) ცნობილ ენათა მონაცემების საფუძველზე. მაგ., პ. ს. პალასის მიერ გამოცემული ლექსიკონი („Сравнительные словари всех языков и наречий...“ СПб., 1787) შეიცავდა ევროპისა და აზიის 200 ენის მასალას, ხოლო მისი მეორე გამოცემა (1792) უკვე – 272 ენისას, მ. შ. აფრიკისა და ამერიკის ენებისას. ესპანელი იეზუიტის ლორენცო ერვას-ი-პანდოროს ლექსიკონის მეორე გამოცემაში (6 ტომად, 1800–04, მადრიდი) განხილული იყო 300-მდე ენის მასალა. ი. კ. ადელუნგის „მითრიდატეში“ (Mithridates oder allgemeine Sprachenkunde mit dem „Vater Unser“ als Sprachprobe in beinahe fünfhundert Sprachen und Mundarten“, B., 1806–17, დამთავრებულია ი. ს. ფატერის მიერ) მოცემულია „მამაო ჩვენოს“ ტექსტი 500-მდე ენასა და დიალექტში.

ამ ტიპის ლექსიკონები, მათში დაშვებული ფონეტ. თუ სხვა უზუსტობების გამო, პრაქტ. გამოუყენებელია. ამჟამად მათ მხოლოდ ისტ. მნიშვნელობაღა შემორჩათ.

განუზომლად დიდია მონათესავე ენათა მასალის ამსახველი შ. ლ-ების მნიშვნელობა. ამ ტიპის ლექსიკონებში მონათესავე ენათა საერთო წარმომავლობის მასალა წარმოდგენილია პარალელურად, მათი შედარების მიზნით. შ. ლ-ში პირველ რიგში აისახება მონათესავე ენათა ისტორიულად დიფერენცირებული ლექსიკური მასალა, ანუ ისეთი ფუძეები, რ-ებიც ისტორიულად წარმოშობილია კანონზომიერი ბგერათცვლილებების საფუძველზე. შესაძლებელია შ. ლ-ში საერთო არადიფერენცირებული მასალაც წარმოჩნდეს. ამგვარ ლექსიკონში შესადარებელი მასალა, ჩვეულებისამებრ, წარმოდგენილია ძირ-ფუძეთა სახით, შეიძლება ეს მასალა დოკუმენტირებულიც იყოს.

ლექსიკის ამგვარ შედარებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სიტყვის წარმოშობისა და მისი ჩამოყალიბების ისტორიის, მონათესავე ენათა ურთიერთმიმართების, ისტ. დიფერენციაციის, ენათა გან-

ვითარებაში სხვადასხვა ფაქტორების გაელენის კვლევისათვის. შესადარებელი მასალა შესაძლებლობას იძლევა, რეკონსტრუირებულ იქნეს საერთო ამოსავალი ფუძეები. ამგვარი რეკონსტრუირებული ფუძეები (*არქეტიპები*) ხშირად აისახება შ. ლ-ში, თუმცა არქეტიპთა აღდგენა თვითმიზანი არ არის და აღდგენილი ფუძეები შეიძლება ცალკე არც აისახოს. შ. ლ-ის მასალა საფუძველია კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა დადგენისა.

შ. ლ-ში მასალა ლაგდება ან ანბანურ რიგზე ფუძეების (ძირების) მიხედვით, ანდა – თემატურ ჯგუფებად.

საქართველოში ამ რიგის ერთ-ერთი პირველი ლექსიკონია არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი" (1938). მასში წარმოდგენილია სამივე ქართველური ენის შესადარებელი მასალა. ფუძეები დოკუმენტირებულია, განსაკუთრებით საბუროსათვის. მასალა დალაგებულია თემატური პრინციპით (ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები, ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები... მცენარეულობა... ზმნები და სხვ. – სულ 11 ჯგუფი); ლექსიკონს ერთვის შედარებულ ფუძეთა საძიებელი ენების მიხედვით.

ა. არაბული.

შედგენილი შემასმენელი, შემასმენელი, რ-იც ორი ნაწილისაგან შედგება: ბრუნებადი სიტყვისა და ზმნის პირიანი ფორმებისგან („ისინი ჩვენი მეგობრები არიან").

შ. შ-ის ლექსიკურ მნიშვნელობას ბრუნებადი სიტყვა გამოხატავს, მასში შემავალ ზმნას კი დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და დამხმარე, ანუ მეშველი სიტყვის როლს ასრულებს: ამყარებს კავშირს ქვემდებარესა და შ. შ-ში შემავალ სახელს შორის და გამოხატავს ზმნურ კატეგორიებს: მწკრივს, პირს, რიცხვს, დროს, კილოს. რაღ განაც შ. შ-ის ბრუნებადი ნაწილი ჩვეულებრივ სახელია ან მორფოლოგიურად მასთან გათანაბრებული სახელზმნა, ამიტომ მას შ. შ-ის სახელადი ნაწილი ჰქვია, და მხმარე, ანუ მეშველ ზმნას კი – ზმნური ნაწილი.

შ. შ-ის ზმნურ ნაწილად დასტურდება „ყარ" (ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან) და მისი მონაცვლე ფორმები: მყოფადის წრეში – „ვიქნები" (ვიქნებოდი, ვიქნებოდე, იქნებოდი, იქნებოდეს...), II და III სერიის მწკრივებში კი „ყოფა" ზმნის ფორმები („სტუდენტება ვართ", „შენ ჯიუტი გოგო ხარ", „ისინი დაბრუნებული იქნებიან", „მზე გადასული უნდა იყოს", „გიორგი ცოცხალი ყოფილა"–).

შ. შ-ში წარმოდგენილი III პირის ფორმა ხშირად იკვეცება და რჩება მხოლოდ თავკიდური ა-, რიც შეერთებულია ზმნის სახელად ნაწილთან ან რომელიმე სხვა სიტყვასთან („ნინო ჭკვიანი გოგოა", „გიორგი დიდ საქმეებშია ჩართული").

„არის" ერთპირიან ზმნას შ. შ-ის ზმნურ ნაწილში, თუ საჭიროა, ენაცვლება ორპირიანი ზმნები – „მაქვს" ან „მყავს": პირველი მაშინ, როდესაც შ. შ-თან სახ. ბრუნვაში შეწყობილი სახელი უსულო საგანს აღნიშნავს („წერილი გაგზავნილი მაქვს"). ამ ზმნებს II სერიის მწკრივები აკლიათ, ხოლო მყოფადის მწკრივებში იმავე ძირისაგან ნაწარმოები ე-ნიანი ენებიოის ფორმები ენაცვლება: „მექნება", „მეყოლება". III სერიაში, ჩვეულებრივ, გვაქვს: მქონია, მყოლია, მქონოდა...

შ. შ-ში „არის" ზმნას I და III სუბიექტ. პირში თავაზიანი საუბრის დროს ენაცვლება „გახლავს" (ერთპირიანი ზმნის მნიშვნელობით), II პირში კი – „ბრძანდები". ზმნურ ნაწილად გამოიყენება აგრეთვე „გახდა" („დათა სტუდენტი გახდა"), „დარჩა" („ქველა კმაყოფილი დარჩა"), „ჰგონია" („ავე კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი ჰგონია"), „გამოდგა" („ნინო კარგი გოგო გამოდგა"), „გამოვა" („ის მართლა მხატვარი გამოვა"), „ჩანს" („გიორგი უცნო ბიჭი ჩანს").

შ. შ-ში დასტურდება აღწერითი ენებითის ფორმებიც. აქ სახელადი კომპონენტი ენებითი გვარის მიმღეობაა. ასეთი შ. შ. აწმყოს წრეშიც იხმარება, აღწერითი ენებითისაგან განსხვავებით, ხოლო II სერიაში „იყო" და არა „იქნა" (შდრ. „წერილი დაწერილი იყო" – „წერილი დაწერილ იქნა"). ამ შემთხვევაში შ. შ-ს რელატიური ფორმებიც უკეთდება („თანხმობა მიცემული მაქვს", „ბავშვი გაგზავნილი მყავს").

სოგჯერ შემასმენლის გამოხატვა მთლიანად სახელს აქვს დაკისრებული, მეშველი ზმნა კი ჩავარდნილია, გამოტოვებულია: „შენ – მამა, მე – შვილიო, მითხრა".

ლიტ.: **შანიძე ს.**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; **ჯაჯანიძე ლ.**, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977; **კისარია ა.**, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; **Чикобава А. С.**, О некоторых процессах трансформации аналитических образований в синтетические (по данным иберийско-кавказских языков). – კრ.: Аналитические конструкции в языках различных типов, М. – Л., 1965.

თ. გაშაძე.

შეთანხმება, სიტყვათა ისეთი დაქვემდებარება, როცა დამოკიდებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რიც წამყვან სიტყვას აქვს. შ-ისათვის აუცილებელია, სინტაქსურად შეკავშირებულ სიტყვებს საერთო გრამატ. კატეგორია ჰქონდეთ. წამყვან სიტყვას, რ-იც ითანხმებს, მათანხმებელი ჰქვია, დამოკიდებულს, რ-იც უთანხმდება – შეთანხმებული. ქართულში შ. არის სახელსა და სახელს შორის და სახელსა და ზმნას შორის. სახელი ითანხმებს სახელს ბრუნვაში (ერთგული მეგობარი, ერთგულმა მეგობარმა...). მათანხმებელი, ჩვეულებრივ, არსებითი სახელია (სახელღერული), შეთანხმებული კი – ზედსართავი სახელი ან ზედსართავის მნიშვნელობით (მსახღერელად) გამოყენებული ნებისმიერი სახელი (ლამაზი ქალი, ორი ბავშვი, ჩემი ქეციანა, კოდი პური, წვენლა ყველი, დაფიქრებული მოხუცი). ნარატიან მრავალბითში დასმული არსებითი სახელი (სახელღერული) ითანხმებს მასთან სინტაქსურად შეხამებულ სახელს (მსახელღერელს) ბრუნვაშიც და რიცხვშიც (შორნი მნათობნი, შორთა მნათობთა, შორნო მნათობნო). სახელთან შეთანხმებული სახელი სინტაქსური ფუნქციით ატრიბუტული განსაზღვრებაა.

სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში (გარკვეულ შემთხვევებში). რიცხვი ზმნისა და სახელის საზიარო კატეგორიაა. მათანხმებელი სახელია (გლეხები მკიან, ჩიტები ჭიკჭიკებენ, ვარსკვლავები ციმციმებენ...). შეთანხმება მრ. რ-ის ნიშნებითაა გამოხატული, ე. ი. ფორმობრივია. გარკვეული თვალსაზრისით, სახელი ზმნას ითანხმებს როგორც რიცხვის, ასევე პირის მი-

ხედვითაც (მე ვ-აქებ, შენ აქებ, ის აქებ-ს...), რადგან I პირის ნაცვალსახელს ზმნა I პირის ფორმით ეწყობა, II პირის ნაცვალსახელს – II პირის ფორმით, III პირის სახელი კი ზმნასაც III პირის ფორმით მოითხოვს. პირის ნაცვალსახელი პირს აღნიშნავს ლექსიკურად, ზმნაში კი – პირი გამოხატულია გრამატიკულად. შეთანხმება ლექსიკურ-ფორმობრივია (ლ. კვაჭაძე, ა. დავითიანი). ოდენ ფორმალური ანალიზით, სახელი, რ-საც პირის გრამატ. კატეგორია საერთოდ არ გააჩნია, ზმნისაგან მოითხოვს პირის ფორმას, ე. ი. პირში მართავს მას (არნ. ჩიქობავა). (იხ. *მართვა*).

ლიტ. სტატიასთან *მართვა*.

ლ. კვანტალიანი.

შეკვეცილი ჰიპოტაქსი, ქვეწყობა, რ-შიც პრედიკატულ ერთეულთაგან ერთ-ერთი (მთავარი ან დამოკიდებული) ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან უპრედიკატოა („უშენოდ ხომ არაფერი გაკეთდება", დ. კლდ.; „ნატვრა თუ ასრულდეს, – მაგეთი", ი. ჭავჭ.); „საიქიოს იმასვე მოქმედებენ, რასაც სააქაოს", ვაჟა-ფშავ.). კვეცა ხდება: ა) მყარი, სტერეოტიპული კომპონენტების გამოტოვებით („რა ექნა, საჭმელი რომ ვერ მოგისწარით", რ. ინან.; „თქვენს ადგილას რომ ვიყო, ხმას არ ამოვიღებდი", „საჭმელი რომ ვერ მოგისწარით!"; „თქვენს ადგილას ხმას არ ამოვიღებდი", ნ. დუმბ.); ბ) კონტექსტით ადვილად საგულისხმებელი ზმნების გაუჩინარებით („იშვიათად, რომ ასაკოვანი კაცი ამ ნაწარმოებებს მიუბრუნდეს ხელახლა", რ. თვარ.; „მე რომ არა, ნიკას ვინ ოხერი მისცემდა ქალს", დ. კლდ.); გ) განმეორებულ პრედიკატთა რაოდენობის შემცირებით („შენ თუ გასძლებ, – შენივ სიტყვის იმედით", გ. ლეონ.; „მოხუცები თუ გამოისყიდიან დიაკვნისა და ახალგაზრდების ცოდვათა, თორემ სხვა არავინ", ვაჟა-ფშავ.); დ) მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების შერწყმით, რის შედეგადაც მიიღება ნაჰიპოტაქსარი გამარტივებული წინადადებები. გამარტივებისას სრულ კომპონენტში გადადის შეკვეცილის ის სიტყვები, რ-ებზედაც ლოგიკური მახვილია, და შემასმენლის წინ დგება („მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, – მარტო შენისთანა ვაჟკაცისგანაო", „მეც სიცოცხლეს მარტო შენისთანა ვაჟკაცისგან თუ ვიჩუქებდიო", ი. ჭავჭ.; „მე რომ ვიყო ბახას ადგილას, იქნება უარესი საქმე ჩამედინა", „მე ბახას ადგილას იქნება უარესი საქმე ჩამედინა", ვაჟა-ფშავ.). ნაჰიპოტაქსარ გამარტივებულ წინადადებაში წარმოდგენილ კავშირებს (რომ, თუ) ნაწილაკის მნიშვნელობა აქვთ. შ. ჰ. უპირატესად ზეპირ მეტყველებაში გვხვდება.

ლიტ.: კვანტალიანი ლ., ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996. *ლ. კვანტალიანი.*

შემასმენელი, წინადადების ძირითადი წევრი, რ-იც გამოხატავს საგნის მოქმედებას (აშენებს), მდგომარეობას (დგას), ერთი საგნის გრძნობით დამოკიდებულებას მეორისადმი (უყვარს, მოსწონს), ყოლა-ქონებას (აქვს, ჰყავს), რა მოსდის საგანს (ფართოვდება), როგორია საგანი (შაქარი ტკბილია), ვინ არის, ან რა არის საგანი (ია ყვავილია, მე კაცი ვარ).

შ. ზმნის პირიანი ფორმით ან პირიანი ფორმის მონაწილეობით გადმოიცემა. ზმნა მდიდარია გრამატ. კატეგორიებით და ამის გამო ერთდროულად მრავალგვარ შინაარსობრივ ნიუანსებს გამოხატავს. ამიტომაც, შ. ისეთივე მდიდარი სემანტიკის ამსახველია, როგორც თვით ის ზმნა, რომლითაც შ-ა გადმოცემული.

მარტივი წინადადების სტრუქტურა, მისი ყალიბი ზმნის ფორმაშია მოცემული: იგი განსაზღვრავს საყრდენ, ანუ მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში. ზმნა-შ. აფორმებს წინადადებას და აძლევს მას დასრულებულ სახეს. მასთან დაკავშირებულია სუბიექტ. და ობიექტ. პირთა გადმომცემელი სახელები – წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე და პირმიმართი დამატებები). მასვე უკავშირდება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები – უბრალო დამატება და გარემოება. შ. არა მარტო წევრია წინადადებისა, არამედ ის წევრ-წინადადებაცაა.

შ. ორგვარია – მარტივი და შედგენილი. მარტივი შ. ზმნის ამა თუ იმ მწკრივის ფორმით გადმოიცემა (იხ. *მარტივი შემასმენელი*), შედგენილი კი – ბრუნებადი სიტყვითა და მეშველი ზმნით (იხ. *შედგენილი შემასმენელი*).

შ. ზოგჯერ გადმოცემულია მყარ სიტყვათა შეკავშირებით, რ-იც მნიშვნელობით ზმნის პირიანი ფორმის სინონიმურია. მაგ., „თქვენი ჭირი წაიღო" მნიშვნელობით იგივეა, რაც „მოკვდა".

ლიტ.: დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977; კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.

კ. გაბუნია.

შერწყმული წინადადება, წინადადება, რ-შიც წარმოდგენილია ერთი და იმავე ფუნქციის (ხშირად ერთი და იმავე ფორმის) ორი ან მეტი წევრი, რ-თაც ერთგვარი წევრები ეწოდებათ. ერთგვარ წევრებს უნდა ახასიათებდეთ შემდეგი ნიშნები: ერთი და იგივე ფუნქცია, სინტაქსური მიმართება წინადადების ერთსა და იმავე წევრთან, ერთი და იმავე ნიშანთვისების (სემანტიკური მიმართების) გამოხატვა. ამ ნიშნებით გვაქვს წინადადებები შემასმენლების, ქვემდებარეების, დამატებების, გარემოებებისა და განსაზღვრებების მიხედვით შერწყმული.

ერთგვარშემასმენლიანი შ. წ., რ-შიც ერთ ქვემდებარეს (ერთ დამატებას) ახლავს რამდენიმე შემასმენელი. შემასმენლების მიხედვით შერწყმული წინადადება 3 სახისაა: ა) ქვემდებარეს (დამატებას) ახლავს რამდენიმე მარტივი შემასმენელი: „ქალი გაკუშდა, დანაზდა, დაპატარავდა"... ბ) წინადადება შერწყმულია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილების მიხედვით: „ღამე იყო მშვენიერი, ყუჩი და თბილი"... გ) ერთგვარ შემასმენელთაგან ზოგი მარტივია, ზოგიც – შედგენილი, ან – შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: „ბუხარი რცხილის კუნძებით იყო გამოტენილი და საამურად ღუღლუღებდა"... ერთგვარი შემასმენლები, ჩვეულებრივ, ერთი და იმავე მწკრივის ფორმითაა გადმოცემული, თუმცა, იშვიათად, სხვადასხვა მწკრივის ფორმებითაც.

ერთგვარქვემდებარიანი წინადადება, რ-შიც ერთ შე-

მასმენელს რამდენიმე ქვემდებარე ახლავს. ერთგვარქვემდებარიან შ. წ-ში ქვემდებარეებს ბრუნვის ფორმა ერთი აქვთ: „ტყე. მინდორი და ველი ბიბინებს“; „ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კარკალი დაიწუეს“... ერთგვარ ქვემდებარეებს რიცხვის ფორმა შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ ან განსხვავებული: ა) ყველა ერთგვარი ქვემდებარე მხოლოობითში; ბ) ყველა ერთგვარი ქვემდებარე მრავლობითში; გ) ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგი მხ. რიცხვშია, ზოგიც – მრავლობითში. ერთგვარ ქვემდებარეებს შეიძლება ახლდეს საერთო დაქვემდებარებული სიტყვები, რაც უფრო მჭიდრო სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის: „ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი ხე'ხედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა...“ ი. ჭავჭ.

ერთგვარდამატებია-ნია წინადადება, რ-შიც ერთ შემასმენელთან რამდენიმე ერთგვარი (პირდაპირი, ირიბი ან უბრალო) დამატებაა დაკავშირებული; ამისდა მიხედვით, შ. წ. შეიძლება იყოს: ა) პირდ. დამატების მიხედვით შერწყმული: „თოვლს დაეჯარა თეორად მინდორი, ტყე და ველი“...; ბ) ირ. დამატების მიხედვით შერწყმული: „ისინი შეჰხაროდნენ სიცოცხლეს, ბუნებას, გა'ხაფხულს“...; გ) უბრალო დამატების მიხედვით შერწყმული: ხაჭაპურის გამოცხობამდე გადაიდო ქათმებისა და ღორის დაკვლა“...

ერთგვარგანსაზღვრებიანია შ. წ., რ-შიც ერთ საზღვრულს რამდენიმე ერთგვარი განსა'ზღვრება ახლავს. ერთგვარი განსა'ზღვრებები ერთმანეთს მაერთებელი კავშირებით (და, მაგრამა) ან მათ გარე'შე უკავშირდებიან: „ბნელი, თბილი და წყნარი ღამე იყო“. ერთგვარ განსა'ზღვრებათა გამოყენების ორი ძირითადი შემთხვევაა გასარჩევი: 1. ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებები ასახელებენ საზღვრულით გაღმოცემულ საგანთა ერთი რიგის განმასხვავებელ ნიშნებს: „ბავშვმა ბაღ'ში წითელი, ყვითელი და თეთრი ყვავილები დაკრიფა“; 2. ერთგვარი განსა'ზღვრებები ასახელებენ ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა ნიშან-თვისებას: „ის პატიოსანი, განათლებული და მშრომელი ქალი ყოფილა“...

ერთგვარგარემოებია-ნია წინადადება, რ-შიც ერთ შემასმენელს რამდენიმე ერთგვარი (ადგილის, დროის, ვითარების, მიზე'სის, მიზნის) გარემოება ახლავს: „ასე ხდებოდა ხშირად, ხან აქ, ხან იქ“; „ჰკითხა მკაცრად, მაგრამ ალერსიანად“...

შესაძლებელია, წინადადება ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა წყვრთა მიხედვით იყოს შერწყმული. წინადადება არ არის შერწყმული, თუ ერთი სინტაქსური ფუნქციის მქონე წევრები (მაგ., განსაზღვრებები) სხვადასხვა სიტყვებს მიემართებიან: „მკრთალი ნათელი საცეე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა“ (ი. ჭავჭ.). შერწყმული არ არის წინადადება იმ შემთხვევაშიც, თუ წინადადების წევრები სხვადასხვა ნიშან-თვისებას გამოხატავენ: „დიდი რუხი მგელი ყმუოდა“...

შ. წ-ში ერთგვარი წევრები ერთმანეთს უკავშიროდ ან მაერთებელი კავშირების საშუალებით უერთდებიან.

ლიტ.: დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ქვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977; კვისირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; ბურჭულაძე თ., შერწყმული წინადადება ქართულში, თბ., 2005. *კ. გაბუნია.*

შესიტყვება, სინტაქსური კონსტრუქცია, რ-იც შედგება სინტაქსურად დაკავშირებული ორი, ან მეტი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან. შ-ში შემავალი სულ მცირე ორი სიტყვიდან ერთი მოიაზრია, მეორე დამოკიდებული, ანუ მათ შორის დაქვემდებარებითი დამოკიდებულებაა (*შეთანხმება, მართვა, მირთმა*). დაკავშირებული შეიძლება იყოს: სახელი სახელთან – „მწვანე ველი“ – მსაზღვრელ-საზღვრული, ანუ ატრიბუტული კომპლექსი; ზმნა (შემასმენელი) სახელსა თუ სახელებთან (ქვემდებარე, დამატება...) – „აყვავებული მდელო“, „დღემ დაიხურა პირბადე“ – პრედიკატ'ული კომპლექსი და ა. შ. პრედიკატული კომპლექსი ქმნის წინადადებას, ატრიბუტული – წინადადების ნაწილს (ქვემდებარესა თუ დამატებას ამხსნელ სიტყვებთან ერთად). სიტყვის სტრუქტურას მორფოლოგია შეისწავლის, შ-ისას – სინტაქსი. სინტაქსის ისტორია, ძირითადად შ-ის ისტორიაა.

შ-ის სტრუქტურის ანალიზი და გაგება სხვადასხვაგვარია სხვადასხვა საენათმეცნ. მიმდინარეობაში. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა რემდენიმე მიმართულება: 1. სინტაქსი შეისწავლის შ-თა სისტემას და მათ შორის წინადადებას, როგორც ერთ-ერთი სახის შ-ს; 2. სინტაქსი შეისწავლის წინადადებას და მის შემადგენელ შ-ებს, ე.ი. შ. წინადადების ნაწილია; 3. სინტაქსში ცალ-ცალკე განიხილება შ. და წინადადება, როგორც არაკომუნიკაციური დონისა და კომუნიკაციური დონის ერთეულები. განსხვავების ძირითადი საფუძველია ის, რომ შ-ს არა აქვს წინადადების დამახასიათებელი სინტაქსური კატეგორიები (დრო, მოდალობა, ინტონაცია...).

შ-ის თეორია ფართოდ იყო და არის გამოყენებული რუსულ ლინგვისტიკაში. სახღვარგარეთული ენათმეცნიერება ტერმ. შ-ს იშვიათად ხმარობს და მას უფარდებს უფრო ფართო მნიშვნელობის სხვა ტერმინებს (*სინტაგმა, ფრაზა*).

ლიტ.: ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; ჩიქობავა არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968; დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; კვისირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; ენუქიძე ლ., ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე სახღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987; Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ლ. კვანტალიანი.

შიომღვიმის მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი, ფეოდალური ხანის საქართველოს რელიგიურ-კულტურული ცენტრი. მდებარეობს მცხეთის რ-ნ'ში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. დაარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ – შიომ VI ს-ის შუა წლებში. შიომღვიმე მნიშვნელოვანი კულტ.-მწიგნობრული კერა იყო. პირველი მოღვაწე თვითონ შიო ყოფილა. მას მიეწერება „ასსამოცი თავი სწავლისაჲ ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის“ და ღრმა ლირიზმით აღსავსე ჰიმნები.



ათონელების ოთხთავი. 1304.

შ. მ-ში XI ს-ში მოღვაწეობდა კათალიკოსი ბასილ კარიჭისძე. მას თაეი მოუყრია გადმოცემებისათვის შიო მღვიმელის სასწაულმოქმედებაზე და ლიტერატურულად დაუმუშავებია ისინი. მასვე უნდა ეკუთვნოდეს შიო მღვიმელის დასდებელიც. ცხოვრების უკანასკნელი წლები შიო მღვიმეში გაატარა და იქ დაასრულა დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული „დოგმატიკონი“ *არსენ იყალთოელმა* (XI–XII სს.). აქვე მოღვაწეობდა კალიგრაფი გიორგი ხუცესმონაზონი (XIII ს.). მისი დამზადებულია ტიპიკონის მოსრდილი ხელნაწერი, რ-შიც ტიპიკონის ტექსტს უძღვის შიო მღვიმელის სვინაქსარული „ცხოვრება“, ნინოს საგალობლები და სხვ. მასვე გადაუწერია სახარება, რ-იც სამეცნ. ლიტრაში შიომღვიმის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. XVIII ს-ში შიომღვიმეში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები: იოსებ სამებელი (ქობულაშვილი), გაგალიელ გამრეკელი, გერონტი სოლოლაშვილი და იონა ხელაშვილი.

შიომღვიმეში მდიდარი წიგნსაცავი ყოფილა. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია ოლიმპის ქარო. მონასტერში 978 გადაწერილი კრებული (H №1346), პროკლე დიადოქოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ ქართ. თარგმანის უძველესი ნუსხა (XIII ს.) (H №1337), შიომღვიმის ოთხთავი (H №1344) და სხვ.

ლიტ.: მ ენ ა ბ დ ე ლ ი, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.

შმიდტი (Schmidt) კარლ ჰორსტ (დ. 31. V. 1929, დასაბ.-ჰანალტი, გერმანია), გერმანელი ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1954). პროფესორი (1964). ბონის უნ-ტის საენათმეცნიერო ინ-ტის დირექტორი, შედარებით-ისტორიულ. ენათმეცნ. კათედრის გამგე (1974), მიუნსტერისა (1964–66) და ბონის (1966–74) უნ-ტების პროფესორი. სწავლობდა ქართველურ ენათმეცნიერებას ბონის უნ-ტში გ. *დეეტერსის* ხელმძღვანელობით. შ-ის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები კაეკ. ენებსა და კელტოლოგიის პრობლემებს ეხება. ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ქართველურ ენათა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ქართველური ფუძეენის ბგერათსისტემის რეკონსტრუქციისათვის“ (ვისბადენი, 1962; ქართ. თარგმ. – 1964). ეს წიგნი ერთი პირველთაგანია იმ შრომათა შორის, რ-ებიც ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის დარგში მოასწავებენ ახ. მიმართულების დაწყებას საერთო ქართველური ფუძეენის რეკონსტრუქციის პრობლემათა გაიაზალისწინებით. შ-ის შრომებში სპეც. განხილვის საგანია აგრეთვე ქართველურ და ინდოევრ. ენათა ტიპოლოგიური შედარების პრობლემა.



კ. ჰ. შმიდტი.

თხზ.: Die Komposition in gallischen Personennamen, Tübingen, 1957; Der Beitrag der Keltiberischen Inschrift von Botorrita zur Rekonstruktion der protokeltischen Syntax. – «Word», 1977, vol. 28; Sibilanten- und Affrikatenkorrespondenzen in den Kartvelsprachen. – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. XI–XII, Paris, 1961; Zu den Aspekten im Georgischen und in indogermanischen Sprachen. – იქვე, 1963, vol. XV–XVI; Indogermanisches Medium und Sataviso im Georgischen. – იქვე, 1965, vol. XIX–XX; On the reconstruction of Proto-Kartvelian. – იქვე, 1978, vol. XXXVI; Проблемы генетической и типологической реконструкции кавказских языков. – «Вопросы языкознания», 1972, №4.

თ. გამყრელიძე.

შორისდებული, ფორმაუცვლელი *მეტყველების ნაწილი*, რ-იც არ შედის არც დამხმარე, არც დამოუკიდებელ სიტყვათა კლასებში და გამოხატავს ადამიანის გრძნობას, ნება-სურვილს, მოწოდებას, ექსპრესიულ შეფასებას, ფიცილს, ალერსს... მეტყველების სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, შ. არ აღნიშნავს რაიმე მოვლენას, საგანს ან ნიშან-თვისებას, დანიშნულებით კი უტოლდება სიტყვას და სოგჯერ თვით წინადადებას. შ. შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი

ბგერით, ბგერათა ჯგუფით ან სიტყვით, იშვიათად – სიტყვათა შეხამებით. შ. განკერძოებით დგას წინადადების თავში, შუაში ან ბოლოში და გამოიყოფა მძიმით ან ძახილის ნიშნით: ოჰ, რა კარგია!.. ბიჭოს! ეს რა ამბავია!... ინტონაციური მრავალფეროვნება შ-ის გამოყენებისას ზეპირმეტყველებაში შეიმჩნევა, წერაში არ აისახება. იშვიათად შ. სახელის მნიშვნელობით არის ნახმარი და წინადადების ერთ-ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ასეთ შემთხვევაში მას სასვენი ნიშანი არ დაესმის: უი ჩემს თავს, ეს რა მესმის!..

შინაარსის მიხედვით შ-ებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: გ რ ძ ნ ო ბ ი ს, მ ო უ ბ რ ი ს ნ ე ბ ა - ს უ რ ვ ი ლ ი ს ა და ფ ი ც ი ლ - ა ლ ე რ ს ი ს გამომხატველ შ-ებად. ქართულში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით პირველი ჯგუფი გამოირჩევა. მასში ერთიანდება სიხარულის, მწუხარების, მოწონების, გაკვირვების, ნატვრის, დანანების, გაბრაზების, ზიზღის, შეცოდებისა და მისთ. გრძნობების გადმომცემი შ-ები: ოჰ, ეხ, ვოიჰა, ვლახ, აფსუს, იფ..; მოუბრის ნება-სურვილის გამომხატველი შ-ები უმეტესად მოწოდების, წაქეზების, ბრძანების შინაარსსაც ითავსებს: არიქა, სუ, აგე, ჰაი... ამიტომ ამ ჯგუფშივე შემოდის ცხოველთა და ფრინველთა დასაძახებელი ბგერათკომპლექსებიც: აცე, ქშა, აცხა, ჰაუ.. ფიცილის შ-ები ფიცილის ფორმულებშია დამკვიდრებული: ღმერთმანი, დედაშვილობამ, ძმობამ, ჩემმა მზემ.. ასევე ფორმულებადაა გაქვავებული საალერსო ხასიათის შ-ები: შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, გეთაყვა და მისთ.

შ-ის მნიშვნელობა შეიძინა მისალმების, გამომშვიდობების, ბოდიშისა და მადლობის გამომხატველმა გამოთქმებმაც: გამარჯობა! მშვიდობით! ნახვამდის! უკაცრავად! გმადლობთ! და მისთ.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ც. კალაძე.

შუმერული ენა, შუმერების, სამხრეთ შუამდინარეთის (თანამედრ. ერაყის) ძველი მოსახლეობის, ენა. შ. ე. შემონახულია ძვ. წ. III ათასწლ. (XXIX–XXVIII და XXIII–XXI სს.) ლურსმული დამწერლობის ძეგლებში. ტექსტების ენის მიხედვით ძეგლები იყოფა ძვ. შუმერულად (XXV ს-მდე), კლასიკურ შუმერულად (XXIV–XXII სს.), ახალშუმერულად (XXI ს.) და გვიანშუმერულად (II ათასწლ. დასაწყისი).

შ. ე-ში გარჩეულია 15 თანხმოვანი: ბ, ფ, დ, თ, გ, ქ, ზ, ს, შ, ხ, რ, ლ, მ, ნ, ნგ და 4 ხმოვანი: ა, ე, ი, უ. გრძელი ხმოვნები კომბინაციური ხასიათისაა. ძირთა დიდი ნაწილი ერთმარცვლიანია. ორმარცვლიან ფუძეში მხოლოდ ერთი და იგივე ხმოვანი გვხვდება.

შ. ე. მიეკუთვნება აგლუტინაციურ ენათა ტიპს და ხასიათდება აფიქსების (პრეფიქსებისა და სუფიქსების) სიმრავლით. სახელებში გარჩეულია 8 ბრუნვა; ზმნაში გამოხატულია პირის, რიცხვის, ჯერობის, კილოს კატეგორიები. არ არის დროის კატეგორია. მოქმედების გამომხატველ ზმნებში გარჩეულია სრული და უსრული სახის ფორმები (ამ უკანასკნელებს სპეც. მაწარმოებელი აქვთ). შ. ე. ერგატიული კონსტრუქციის ენაა. მოქმედების სუბიექტი გამოხატულია სპეც. ბრუნვით, მდგომარეობისა კი – უნიშნო ბრუნვით (ნულოვანი მაჩვენებლით).

სხვა ენებთან შ. ე-ის ნათესაობის საკითხი ჯერჯერობით ზუსტად გარკვეული არ არის. XX ს. დასაწყისში მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ქართველურ ენებში არსებულ უცხო სიტყვების ერთ ჯგუფს, რ-იც განეკუთვნება ერთ-ერთი უძველესი დამწერლობიანი ენის – შუმერულის ლექსიკურ ფონდს. პირველად ამ გარემოებაზე მიუთითა ჩეხმა მეცნიერმა კ. კრამაჟმა. ქართველური და შუმერული ენობრივი მასალის შედარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის მ. წერეთელს. ფასეულია ამ დარგში რ. გორდეზიანისა და ჰ. ფენრიხის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებიც. შუმერულ-ქართველური ენების საზიარო სიტყვების გამოვლენაზე სხვა მკვლევრებიც ამახვილებდნენ ყურადღებას. ყოველივე ამის შედეგად დღეისათვის დადგენილია, რომ შ. ე-ის ორასზე მეტი ერთეული სტრუქტურულად და სემანტიკურად უეჭველ მსგავსებას ავლენს ქართველური ენების შესაბამის ერთეულებთან.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართველურ ენებში შემონახულია შ. ე-ის კუთვნილი არა მარტო კულტ. ტერმინები, რ-ებიც შედარებით ადვილად გადადიან ერთი ენიდან მეორეში, არამედ საზიარო ლექსემათა გარკვეული რაოდენობა, რ-იც ასახავს სამეურნეო და საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი საქმიანობის შინაარსს. საილუსტრაციოდ მოგვყავს ზოგიერთი მათგანი: შუმ. ენიმ, ინიმ „ენა"; „სიტყვა", „ბრძანება", ქართ. „ენა"; შუმ. ერიმ/ნ „ჯარი", „ხალხი", ქართ. „ერი"; შუმ. განა „მინდორი" „მიწა", ქართ. „ყანა", ძვ. ქართ. „მიწა"; შუმ. ხარ „ხარი", ქართ. „ხარი"; შუმ. გა „ბორცვი, „გორა", მეგრ. გა „გორა"; შუმ. გორ „საწყაო ერთეული", ქართ. (ლეჩხ.) „გორო" „საწყაო ერთეული"; შუმ. „სილა" „საწყაო ერთეული", ქართ. (ქიზიყ.) სილა „ჭურჭელში ნივთიერების გარკვეული. მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინი"; შუმ. ნიგა „საწყაო ჭურჭელი", ქართ. (ლეჩხ.) ნიგა, (ქვ. იმერ.) ნუგე „ხის ამოღულული, ცილინდრული ფორმის ჭურჭელი, ხის სათლი (გამოიყენებოდა საწყაოდაც)"; შუმ. ხარა „კოდი, „დიდი ჭურჭელი „ორმო", ქართ. „ხარო" და სხვ. მრავალი.

შუმერულ და ქართველურ ენებში საზიარო ლექსიკური ერთეულების არსებობა შეიძლება აიხსნას ორი გარემოებით: 1. შუმერულ და ქართველურ ენებს შორის მოსალოდნელი შორეული გენეტიკური კავშირებით (მ. წერეთელი, ჰ. ფენრიხი) და 2. შუმერულსა და ქართველურ (წინარექართველურ) ენებს შორის გარკვეული დონის კონტაქტებით რომელიმე შუალედური ენის ან ენების მეოხებით, ანდა შუმერულთან ქართველურენოვანი სამყაროს პირდაპირი ურთიერთობისა და შეხების შედეგად.

ამ მოსაზრებებთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი საზიარო სიტყვების არსებობა არ უნდა იყოს შეპირობებული ქართველუ-

რი და შუმერული ენების გენეტ. ურთიერთობით, რადგანაც მათი ლექსიკური მასალის შეპირისპირება არ ავლენს ამგვარი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ კანონზომიერ და სისტემატურ ფონემურ შესატყვისობებს. არც იმის დაბეჯითებით მტკიცება შეიძლება, რომ ქართველურ ენებს შუმერული სიტყვები მიღებული ჰქონდეთ რომელიმე შუალედური ენიდან; ძვ. სემიტურ ენაში – აქადურში (ასურულ-ბაბილონური დიალექტებით), ანდა ხურიტულში, რ-ებსაც, შესაძლოა, შეესრულებინათ შუალედური, ლექსიკის გადამცემი ენების როლი, არ დასტურდება ქართველურ ენებში შემონახული არც ერთი შუმერული სიტყვა. საფიქრებელია, რომ შუმერული ლექსემები ქართველურ ენობრივ სამყაროს მიღებული უნდა ჰქონდეს მხოლოდ უშუალო კონტაქტების გზით.

ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით, დასახელებულ ორ ენობრივ გარემოს შორის უშუალო კონტაქტების არსებობა სავარაუდებელია წინარექართველურის დაშლის დაწყებამდე, ანუ III ათასწლ. ბოლო ხანებამდე. ისტ. რეალიებზე დაყრდნობით კი შეიძლება ამგვარი ურთიერთობის კონკრეტულ პერიოდად მივიჩნიოთ დრო ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახ-იდან, ვიდრე III ათასწ. შუა ხანებამდე.

შესაძლებელია, მიახლოებითი სიზუსტით განისაზღვროს ნაგულისხმევი კონტაქტების განხორციელების გეოგრ. არეალიც. თითქმის უეჭველ ფაქტადაა აღიარებული, რომ შუმერები სამხრ. შუამდინარეთში ძვ. წ. IV ათასწ. შუა ხანებში მოვიდნენ სამხრეთიდან, კერძოდ, სპარსეთის ყურის რაიონიდან. ჩრდ. მიმართულებით მათი შედარებით სწრაფი გავრცელება შეჩერდა 33-ე პარალელის განედზე, რ-იც დღევანდელი ბაღდადის ოდნავ სამხრეთით გადის. ამის იქეთ შუმერები წინ არ წაწეულან. თუ ჩვენ საერთოდ დავუშვებთ შუმერულ სამყაროსთან წინარექართველურენოვანი მასის უშუალო კონტაქტების შესაძლებლობას (ამის გამორიცხვისათვის კი ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არ არსებობს), მაშინ უნდა დავუშვათ ისიც, რომ ეს უშუალო ურთიერთობა სწორედ 33-ე პარალელის ახლო რეგიონში უნდა განხორციელებულიყო.

ლიტ.: წ ე რ ე თ ე ლ ი მ., სუმერული და ქართული. – კრ.: «გვირგვინი», ტფ., 1912; გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი რ., წინარებერძნული და ქართველური, თბ., 1985; შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე ჯ., შუმერები და ქართველური სამყარო. – «საქართველო, ევროპა, ამერიკა», 1997, №2; K r a m a r K., O sumero-gruzinské jednotě jazykove. – «Věstnik Královské České Spolaěnosti náuk», IV, 1905; T s e r e t h e l i M., Sumerian and Georgian: A Study in Comparative Philology. – «The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland», 1913, 1914, 1915, 1916; მ ი ს ი ე ე, Das Sumerische und das Georgische, I. – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. VI–VII, Paris, 1959; F ä h n r i c h H., Das Sumerische und die Kartwelischen. – «Georgica», Jena–Tb., 1981, H. 4; К и к н а д з е З. Г., Шумеро-картвельские языковые параллели. – კრ.: ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, IV), თბ., 1973. *ჯ. შარაშენიძე.*

შუხარდტი (Schuchardt) ჰუგო (4. II. 1842, გოთა, – 21. IV. 1927, გრაცი), ავსტრიელი ენათმეცნიერი. ჰალეს (1873-იდან) და გრაცის (1876–1900) უნ-ტების პროფესორი. მუშაობდა ზოგადი ენათმეცნ. და რომანული ფილოლ. პრობლემებზე. იკვლევდა აგრეთვე ბასკურ, კავკასიურ, სემიტურ-ქამიტურ და სხვ. ენებს. ქართ. ენას ეხება მისი ორი ნაშრომი: „ქართული ენის შესახებ" („Über das Georgische", Wien, 1895) და „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში" („Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen"). – «Kais. Akademie der Wissenschaften in Wien. Philos. - Hist. Kl.», Bd. 133, 1895.

ქართ. ენის საკითხებზე მსჯელობისას შ. საკმაო სისრულით ითვალისწინებს არსებულ სპეც. ლიტ-რას, მაგრამ, ამასთანავე, დიდ სიფრთხილეს იჩენს მათ მიმართ. იგი იძლევა ქართ. ენის თავისებურებათა ღრმა ანალიზს და მიდის მეტად საყურადღებო (თუმცა რიგ შემთხვევებში მცდარ) დასკვნებამდე.

ფონეტიკაზე მსჯელობისას გარჩეულია ყრუ ხშულთა ორი წყება – „მტკიცე" (ყელხშულები) – პ ტ კ და „რბილი" (ფშვინვიერები) – ფ თ ქ. ყელის ხშვა „მტკიცე" აფრიკატებთან უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე „მტკიცე" ხშულებთან. სხვა ბგერებიდან განხილულია ვ და რ. აღნიშნულია, რომ ვ ქართულში არ არის წყვილბაგისმიერი; რ ვერ ქმნის მარცვალს. შ. საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება მახვილის საკითხებზე. აღნიშნავს, რომ ქართულში არის სუსტი, ადგილმონაცვლე მახვილი, რ-იც ბოლოდან მეორე მარცვალზეა (ბედნიერი), რთულ სიტყვებში კი ორი მახვილი შეინიშნება (ყვავილფერი), თუმცა ავტორი იქვე დასძენს, რომ მისი დაკვირვება შეიძლება არ იყოს ზუსტი და საჭიროა შემდგომი კვლევა.

ბრუნვებთან დაკავშირებით შ. სწორად შენიშნავს, რომ ანტონ I-ის გრამატიკაში აკუზატივის („შემასმენლობითის") ნიშნად გამოყოფილი -ი (გზა-გზაი, მარიამ-მარიამი...) აკუზატივს სახელობითისაგან არ განასხვავებს. იმან, ვინ ნაცვალსახელებში გამოყოფს -ნ ბრუნვის ნიშანს, რ-იც თავდაპირველად აქტიური (მოთხრ.) ბრუნვისა უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი სახელობითის ფუნქციით იქნა გამოყენებული. მანვე გამოყო უცნობი, ძალიან ძველი ბრუნვა, რ-საც აქვს მოქმედებითის ან ზმნისართული მიცემითის მნიშვნელობა: ძლ-ივ-ს, სხვაფრ-ივ, მხრ-ივ (მხრით) და ამ ბრუნვის ნიშნის ვ დაუკავშირა სვან. მიცემითის ვ-ს (მაგ., ღერბათ-ვ „ღმერთს"), რ-იც მოქმედებითის ვ-ე ნიშანშიც გვხვდება.

შ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ზმნას, როგორც „ენის სულს". მისი აზრით, სახელის ფლექსიაც კი გაუგებარია ზმნის გარეშე: ბრუნვათა სიმრავლე, მათი თავდაპირველი მნიშვნელობების დიფერენციაცია, მათი გამიჯვნა და ერთმანეთში არევა... ასახავს იმ ურთიერთობას, რაც ზმნის შიგნით არის მოცემული. მან ყურადღება გაამახვილა ზმნასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე, რ-ებიც მოითხოვენ სპეც. კვლევას (განსაკუთრებით ქართველების მიერ, რ-თაც ამის გაკეთებას ენის ალღო გაუადვილებს). შ-ს საგულისხმო

დაკვირვებები აქვს წინადადების კონსტრუქციებზე და ა. შ.

შ. განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქართულის, როგორც „მთავარი“ ენის, შესწავლის მნიშვნელობას. ერთი მხრივ, ქართველურ ენათა კვლევის, მეორე მხრივ კი – ჩრდ. კაკ. ენებსა და ბასკურთან ნათესაობის დადგენის თვალსაზრისით.

თხზ.: Избранные статьи по языкознанию, М., 1950.

არნ. ჩიქობავა. გ. ბურჭულაძე.



ჩ, ქართული ანბანის ოცდამეექვსე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეცხრე) ასო. მისი სახელია „ჩინი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი ფშვინვიერი შიშინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴕ. მისი მოხაზულობა ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. ნუსხური ჩ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივე იხრება, ოთხ ხაზში იწერება, მხედრულში ჩ-ს მომრგვალებული ფორმები აქვს და სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ათასს (1000).

ჩართული, წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა ან სიტყვათა შეკავშირება, რ-იც გადმოგვცემს, როგორ უყურებს მთქმელი წინადადებაში გამოხატულ აზრს, თვით გამოთქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს მოწოდებული აზრის ინფორმაციის წყაროს და სხვ. (ლ. კეკჭაძე).

ჩ-ის გავრცელებულ განმარტებებში ერთმანეთს კვეთს ჩ-დმი ორგვარი მიდგომა – გრამატ. და სემანტიკურ-სტილისტიკური.

გრამატიკულად ჩ. ძირითადად ხასიათდება როგორც განსაკუთრებული „გრამატიკული კლასი“. მორფოლოგიურად (და ლექსიკურად) იგი მრავალფეროვანია, ვინაიდან მოიცავს სხვადასხვა მეტყველების ნაწილს; მის შემადგენლობაშია სიტყვები, გამოთქმები და წინადადებები; სინტაქსური კავშირი წინადადების დანარჩენ ნაწილთან ჩ-ს არა აქვს (თუმცა ზოგი ავტორი ჩ-ის ურთიერთობაში წინადადების დანარჩენ ნაწილთან სპეციფ. სინტაქსურ კავშირს ხედავს). ჩ-ის სინტაქსურ ფუნქციას (სხვა დამხმარე სიტყვებთან ერთად) ასე განსაზღვრავენ: ეს სიტყვები (ჩ., ნაწილაკი, კავშირი) გამოყოფენ სიტყვათა მოწესრიგებული რიგის ერთ-ერთ წევრს, როგორც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანს, შემოსწავენ ახალი წევრი და ხშავენ სიტყვათა რიგს; ანდა გამოყოფენ ერთ-ერთ წევრს მოდალური შეფასების საფუძველზე. ჩ-ის ფუნქციად ასახელებენ აგრეთვე წინადადების აქტუალიზაციის გაძლიერებას.

უფრო მნიშვნელოვანია და მრავალგვარი ჩ-ის სემანტიკურ-სტილისტიკური ფუნქციები: ინფორმაციული (მოუბარი ასოგადებს ან აკონკრეტებს ამბავს; მიუთითებს ნაამბობის თანამიმდევრობას ან მოწოდებული აზრის წყაროს), შემფასებლური და ემოციურ-შემფასებლური, რამდენადაც ჩ. წინადადებას სუბიექტურ-მოდალურ შინაარსს სძენს, მას მოდალურ სიტყვასაც უწოდებენ.

სტილისტიკურ-სემანტიკური ფუნქციების მიხედვით სხვადასხვა სახის ჩ-ს ერთმანეთისაგან განასხვავებს მხოლოდ გამოყენების სიხშირე სალიტ. ენის სხვადასხვა ფუნქციურ სტილში. გრამატ. ფუნქციის მიხედვით მათ შორის მეტი სხვაობაა.

ჩ. სიტყვები. ასეთებად უმეტესად გვხვდება ზმნისართები: განსაკუთრებით, უმეტესად, უპირატესად, მეტ-ნაკლებად, ჩვეულებრივ(ად), ზოგადად, კერძოდ, მაგალითად, სახელდობრ, ამგვარად, ამრიგად; სასიკეთოდ, საბედნიეროდ, სამწუხაროდ და სხვ., ე.ი. ძირითადად ის ზმნისართები, რ-ებიც წინადადების შემადგენლობაში, შემასმენლის წინა, კონტაქტურ პოზიციაში ვითარების გარემოების სინტაქსურ როლს ასრულებენ. როგორც კი ვითარების გარემოება პოზიციურად დაშორდება შემასმენელს (ან მის მომდევნოდ გადაინაცვლებს), დაშორდება მას ინტონაციურად და სემანტიკურადაც, განკერძოვდება და სემანტიკურ კავშირს ამყარებს მთელ წინადადებასთან, რ-საც გამოეყოფა პუნქტუაციურადაც და ჩ-ად ქალიბდება. შდრ.: „მე შვილთანაც ჩვეულებრივ ვსაუბრობ ოჯახის პრობლემებზე“ (ვსაუბრობ ისევე, როგორც სხვებთან, დაუფარავად) და: „მე, ჩვეულებრივ, (როგორც წესი) შვილთანაც ვსაუბრობ ოჯახის პრობლემებზე“, ან „მე შვილთანაც ვსაუბრობ, ჩვეულებრივ, ოჯახის პრობლემებზე–“

ჩ-ის ადგილი წინადადებაში თავისუფალია: იგი შეიძლება შეეგუხვდეს წინადადების თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც (თუმცა ბოლო პოზიცია შედარებით იშვიათია).

პოზიციის შესაბამისად, ფუნქციის ცვლის თვალსაჩინოთ საინტერესოა ზოგიერთი ზმნური ფორმა, რომელიც ხშირად გვხვდება ჩ-ის ფუნქციით. ჩ-ად რეალიზებული ზმნური ფორმების ამოსაცნობად ჰიპოტაქსური კონსტრუქცია იქნება. მათი ერთი ნაწილი (მგონი, ჩანს, ეტყობა, შესაძლოა...) იმდენად „გაცვდა“ სემანტიკურადაც და ფორმობრივადაც, რომ მოდალური სიტყვების (ნაწილაკების) რიგში ჩადგა. მათ მორფემოიდებსაც უწოდებენ. მსგავს ტენდენციას ავლენენ ზმნები: ვთქვათ, ვნახოთ, დავუშვათ... იგივე ბედი ეწია უცხოური (არაბული) წარმომაელობის – ალბათ ზმნისართს – და თითქოს მრავალფუნქციურ სიტყვას – აგრეთვე, რ-ებიც დღეს უმეტესად ნაწილაკის როლს ასრულებენ.

ზმნის პირიანი ფორმების ნაწილი (მახსოვს, ეფიქრობ, ვიცი, მწყამს...), განსაკუთრებით – წინადადების შუაში, დღესაც მთავარ წინადადებად განიხილება. ამგვარი ფორმების „ჩ-ად ქცევის“ პროცესი, რასაც ხელს უწყობს მათი ხშირი, თითქმის ავტომატური ხმარება და მოდალურობის მაღალი ხარისხი, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს..



ე. ჩერქეზიშვილი.

ამა თუ იმ პირიანი ფორმის ფუნქციის წანადადებაში ძირითადად ისევ სიტყვათგანლაგება და ინტონაცია განსაზღვრავს: ასე, ზმნა-შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში ზმნის პირიანი ფორმები ინტონაციურად გამთლიანებულ, დაუნაწევრებელ შესიტყვებას ქმნიან და მოდალური ნაწილაკის (თუ დამხმარე ზმნის) როლს ასრულებენ. ასეთებია, მაგ.: მგონი დაიჯერა, ეტყობა უმძიმს, შესაძლოა დამარცხდეს, ვიცი მენდობი და სხვა.

ზმნა-შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში იგივე ფორმები ჩ-ის როლს ასრულებენ. მაგ., „...მუცელში დაძგერებულმა ძალამ, ეტყობა, მთელი ტანით შემოაბრუნა“ (ო. ჭილაძე).

აღნიშნულ ზმნურ ფორმებს პირის გაგება თითქმის დაკარგული აქვთ და, ამასთან, ზოგადი აწმყოს მნიშვნელობისა არიან. მაგრამ, თუ მათ რომელიმე საუღლებელი ნაკვთის ფორმა ექნებათ და დაიტვირთებიან პირის გაგებით, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას დაუახლოვდებიან არა მარტო აგებულებით, არამედ სემანტიკურადაც. ასეთ შემთხვევაში ისინი რთული წინადადების მთავარი ნაწილის ფუნქციას შეიძენენ. შდრ., მაგ.: „დათმობას, ეტყობა, ნამდვილად არ აპირებდა“ და „დათმობას, ეტყობოდა (მას), ნამდვილად არ აპირებდა“. წინადადების დანარჩენ ნაწილთან პიპოტაქსურის მსგავს კონსტრუქციას ქმნიან აგრეთვე შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვები – რასაკვირველია, ცხადია, ბუნებრივია და მისთ. შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვებმა, ისევე როგორც ზმნის სოგიერთმა პირიანმა ფორმამ, შეიძლება მყარი გამოთქმები შეადგინონ როგორც კავშირთან ერთადაც. მაგალითად, პარალელურად ჩ-ის ფუნქციით შეიძლება იხმარებოდეს ცნობილია და როგორც ცნობილია; ჩანს და როგორც ჩანს...

ამგვარად, ჩ-ად ცნობილ სიტყვათა უმეტესი ნაწილი ფაქტობრივად ჩ. კი არ არის წინადადებაში, არამედ განკერძოებულია მისგან. განკერძოების ძირითადი ხელშემწყობი პირობებია სიტყვათგანლაგება და ინტონაცია, ზმნური ფორმებისათვის (დამატებით) – მათი აგებულებაც, ფორმა.

რაკი ჩართული სიტყვებისათვის დამახასიათებელია ფუნქციათა მონაცვლეობა სინტაქსური პირობების შესაბამისად, მათ ფუნქციურ-სინტაქსურ ომონიმებსაც უწოდებენ.

ჩ. გამოთქმები მიიღება რთული წინადადების შეკვეცით, რედუცირებით. მათ შორისაა: 1. ინფორმაციის შეუსების, ნათქვამის დასუსტების (უკეთ თქმის) ან „მართლად თქმის“ ფუნქციის მქონე ჩ-ები: უფრო სწორად, უფრო ზუსტად, სიმართლე გითხრა(თ); 2. თანამედროვე ქართ. ენაში დამკვიდრებული ე. წ. „ფიცილის ფორმულები“: ღმერთმანი, დედაშვილობამ (დედაშვილობას), დაჯმობამ, მიწის მადლმა და მისთ.

ჩ. წინადადებები. ფართო გაგებით, „ჩ-ა“ ინტერპოზიციაში, ანუ შუა პოზიციაში მყოფი რთული წინადადების ნაწილი – დამოკიდებული ან მთავარი წინადადება და იგი შემდეგ სტილისტიკურ-სემანტიკურ ფუნქციებს ასრულებს: ა) აზუსტებს ან ავსებს ინფორმაციას დამატებითი ცნობებით. მათ შორისაა სხვადასხვა ხასიათის ავტორისეული რემარკები; ბ) გამოხატავს ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნათქვამისადმი, შეიცავს რაიმე ქვეტექსტს.

ჩ. წინადადებებისა და გამოთქმების ხშირი ხმარება დამახასიათებელია უფრო თანამედროვე სალიტ. ენისათვის.

ლიტ.: ჩინჩალაძე მ., ქართული ზმნისწინის სწავლება სკოლაში, თბ., 1955; შამელაშვილი რ., განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958; ფოფხაძე ბ., სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში. – «იკე», XIII, თბ., 1962; ქავჭავაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; კიზირია ა., ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში. – «იკე», XV, თბ., 1966; ბასილაია ნ., პუნქტუაცია, თბ., 1973; დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; შალამბერიძე გ., გაბესაია რ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974; პაპიძე ა., II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. – «ქსკ», წგ. 4, თბ., 1981; აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986; ცქიტიშვილი ნ., ჩართული. – «ქსკ», წგ. 8, თბ., 1988; ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988; ქანტალიანი ლ., ქართული სეპარი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990; ახელედიანი დ., ჩართული სიტყვები, როგორც სინტაქსური ომონიმები. – «თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები», II, თბ., 1999; მისივე, ჩართული სიტყვების ფუნქციური მონაცვლეობა. – «თსუ შრომების კრებული», III, 1999; Руднев Г., Синтаксис осложненного предложения, М., 1959; Ахманова О. С., Микаэлян Г. Б., Современные синтаксические теории, М., 1963; Виноградов В. В., О ка-

тегории модальности и модальных словах в русском языке, М., 1975; Панокин В.М., Омонимия лексическая и синтаксическая.— «Русская речь», 1975, №1.

ნ. ცქიტიშვილი.

ჩერძეზიშვილი ეკატერინე ესტატეს ასული (ეკა ჩერქეზი) (1898, თბილისი, – 1946), ინგლისური ქართველოლოგიის განვითარების ერთ-ერთი მონაწილე. დაიბადა და აღიზარდა თბილისში. დაამთავრა კეთილშობილ ქალთა ინ-ტი, სადაც დაეუფლა უცხო ენებს. 1919-იდან მუშაობდა თბილ. სახელმწ. უნ-ტის ბიბლიოთეკაში, ძირითადად უცხოური ლიტ-რის დამუშავებაზე. 1922 გაემგზავრა ინგლისში საბიბლიოთეკო საქმის შესასწავლად. ლონდონში ცხოვრობდა ე. ჩერქეზიშვილთან („ვაზიანი"), რ-იც იყო მ. და ო. უორდროპების ქართ. ენის მასწავლებელი. მისი წარდგინებით ო. უორდროპმა ოქსფორდის ბოდლის ბ-კაში დაცული უორდროპთა წიგნებისა და ხელნაწერების კოლექციის აღწერა და კატალოგის შედგენა ჩ-ს მიანდო. მის მიერ შედგენილი, მანქანაზე გადაბეჭდილი 550-გვერდიანი კატალოგის ორი ტომი სამ ეგზემპლარად ყოფილა წარმოდგენილი. ეს კატალოგი უორდროპთა ერცელი ფონდის ერთ-ერთ გზამკვლევი იყო დიდხანს, ხოლო ზოგიერთი პირველხარისხოვანი ცნობის გამო დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას.

ჩ-მა ქართ. გამოცემებით შეავსო უორდროპთა ფონდი, რაც კარგად ჩანს ს. იორდანიშვილისთვის 1925–31 მიწერილი მისი წერილებიდან (დაცულია ს. იორდანიშვილის არქივში). წერილები ნათელს ჰფენს ჩ-ის ბიოგრაფიას, მის მოღვაწეობას საქართველოსა და ქართ. საქმის საკეთილდღეოდ. იგი ქართვ. მეცნიერებს სთხოვდა, გაეგზავნათ თავიანთი უახლესი გამოკვლევები და ნაშრომები, რ-თა გადათარგმნასა და გამოქვეყნებას რომელიმე სამეცნ. ჟურნალში თვითონ უსრუნველყოფდა. თბილისიდან მიღებულ კატალოგებს, ბიულეტენებს აცნობდა ო. უორდროპს და შესაძენი წიგნების სიას გზავნიდნენ თბილისში. ინგლისიდან საქართველოს ბანკში გაიხსნა კრედიტი.

ჩ-ს კავშირი ჰქონდა ლონდონში მცხოვრებ საქართველოთი დაინტერესებულ პირებთან, ეხმარებოდა მათ ქართ. წიგნების შეძენაში.

1928 ჩ-მა დაიწყო ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შედგენა, რ-იც ეკვრდნობოდა ძველი და ახალი აღთქმის ქართ. და ინგლ. ტექსტებს, „ეეფჰისტყაოსნის" მ. უორდროპისეულ თარგმანს, დ. ჩუბინაშვილის რუს.-ქართ. ლექსიკონს (1886). საცნობაროდ გამოყენებული ყოფილა მ. ბროსესა და ნ. მარის შრომები; აეტორს უსარგებლია ი. ჯავახიშვილის ისტ. ხასათის ნაშრომებითა და თბილ. უნტის სხვა მეცნიერთა გამოკვლევებით. 1937 ლექსიკონი განიხილეს ზ. ავალიშვილმა და რ. გაბაშვილმა, მისი საბოლოო რედაქცია ო. უორდროპს ეკუთვნის.

ხსენებული ლექსიკონი ჩ-ს დაუსრულებია 1939, მაგრამ მის გამოცემას ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომმა. ლექსიკონი დაიბეჭდა 1950; ეძღვნება ო. უორდროპის ხსოვნას და გამოცემულია ოქსფორდის უნ-ტის მ. უორდროპის სახ. ფულადი ფონდის ხელშეწყობით.

ლექსიკონი შეიცავს 15 ათას სიტყვას. აეტორის მიზანი იყო ხელმისაწვდომი გაეხადა ქართ. ენა და ლიტ-რა ინგლისელ მკვლევართათვის. რამდენადაც ეს იყო პირველი ცდა ამგვარი ლექსიკონის შედგენისა, ბუნებრივია, იგი სრულყოფილი არ არის, მაგრამ ის, რაც გაკეთებულია, ყურადღების ღირსია.

ჩ-ის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა – გემი, რ-თაც იგი საბერძნეთში მიემგზავრებოდა, ჩაიძირა.

თხზ.: Cherkesi E., Georgian-English Dictionary, Hertford, 1950.

ლიტ.: უთურგაიძე თ., ე. ჩერქეზი – ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. – «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», XXII, თბ., 1980; შარაძე გ., ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ., 1984.

ლ. იორდანიშვილი.

ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს ძე [14 (26). III. 1898, სოფ. სანიქობაეო, სენაკის მაზრა, – 5. XI. 1985, თბილისი], ენათმეცნიერი. იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნ. დისციპლინის, ფუძემდებელი. ჩ-მ დაამთავრა თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი საენათმეცნიერო განხრით (1922) და დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. მან, პირველმა თსუ-ის კურსდამთავრებულთაგან, 1929 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში", I (1928). ჩ. თსუ-ის აღსრდილთაგან პირველი პროფესორია (1933); 1941 აირჩიეს საქართ. მეცნ. აკად. პირველ შემადგენლობაში; იყო მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1950–63); საქართვ. (1946), დაღ. (1968), ყაბ.-ბალყ. (1968), აფხ. (1978), ჩაჩნ.-ინგ. (1981) მეცნ. დამს. მოლეაწე, პუმბოლდტის სახ. ბერლინის უნ-ტის საპატიო დოქტორი (1960), დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზ-ბის საპატიო წევრი (1968).

ჩ. სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა თსუ-სა (1926–85) და ენათმეცნ. ინ-ტში (1933–85). 1933 თსუ-ში დაარსა კავკ. ენათა კათედრა, რ-საც განაგებდა 1960-მდე. 1960-იდან იყო მისი პროფესორი. 1936-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით შექმნილ მთის იბერიულ-კავკ. ენათა განყ-ბას ჯერ ენიმკ'ში, შემდეგ კი – ენათმეცნ. ინ-ტში (1950–52 ამავე ინ-ტის დირექტორი); ქართ. ენის კათედრის გამგე ქუთ. პედ. ინ-ტში (1933–37). ჩ. იყო ქართული ენის



არნ. ჩიქობავა.

განმარტებითი ლექსიკონის კომისიის თავ-რე და მთავარი რედაქტორი (1950–63), „იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერების წელიწდეულის" დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1974–85); იბერიულ-კავკ. ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სამეცნ. სესიათა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტის თავ-რე (1965-იდან).

ჩ. იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ქართ. ენის სწავლების საკითხებს. მის პირველ მეცნ. შრომას „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში" (1923) მოჰყვა 500-მდე ნაშრომი, 20-მდე მონოგრაფია ქართ. და უცხ. ენებზე.

ჩ. ჩვენში ერთი პირველთაგანია, ვინც მთის იბერიულ-კავკ. ენებს სწავლობდა ადგილზე, საველე პირობებში (1929–41). ასე შეიქმნა არაერთი პირველხარისხოვანი შრომა ხუნძურის ფონეტიკა-მორფოლ. და სინტაქსის საკითხებზე (1962 გამოქვეყნდა „ხუნძური ენა" ილ. ცერცვაძის თანაავტორობით). ჩ-მ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა იბერიულ-კავკ. ენათა გენეზისური ურთიერთობის პრობლემას; გამოაქვეყნა შემაჯამებელი ხასიათის მონოგრაფია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი" (1979).

ჩ-მ ძვ. და ახ. ქართ. ენის შესწავლის სხვადასხვა საკითხს მიუძღვნა შრომები: „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში" (1928), „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში" (2 წერილად; 1942), „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში" (2 წერილად; 1941) და სხვ. ქართ. ენასა და მისი სწავლების საკითხებს ეხება შრომათა ციკლი „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას" (1929–30) და „სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში" (1933–38) – ორივე ცალკე წიგნად გამოვიდა (1998). ჩ-ს მიერ შემუშავებულია ქართ. სალიტ. ენის ნორმების დადგენის პრინციპები; მის მიერვე დადგენილი 8 ენობრივი ნორმა შესულია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში. I" (1970). ჩ-ს ეკუთვნის დაკვირვებანი მწერლის ენაზე (შოთა რუსთაველი, ი. ჭავჭავაძე), მისი დიალექტოლოგიური ხასიათის შრომები ეხება ფერეიდნულს, მთიულურსა და გარეკახურს, დიალექტიზმებს „ვეფხისტყაოსანში", ისტ. დიალექტოლოგიის საკითხებს და სხვ. ქართველურ ენათა კვლევის სფეროში განმაზოგადებელი ხასიათისაა ნაშრომი „ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და ძველი ლინგვისტური სახე" (1948; რუსულ ენაზე); მონოგრაფიაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ" (1936) ავტორი ამტკიცებს, რომ მეგრული და ჭანური ერთი ენის – ზანურის – ორი დამოუკიდებელი დიალექტია და არა ორი ენა; „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი" (1938) ფაქტობრივად ქართველურ ენათა პირველი ისტ.-შედარებითი ლექსიკონია. ჩ-მ მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში" (1942), ერთი მხრივ, განავითარა ი. ჯავახიშვილის მიერ დაწყებული ძიება გრამატ. კლას-ნიშნებისა ქართველურ ენათა სახელებში და, მეორე მხრივ, მოგვცა პირველი მეცნ. თეორია სახელის ფუძის შედგენილობის შესახებ ამ ენებში. თანამედროვე ეტიმოლოგიური ძიების შემცველია ჩ-ს არაერთი სპეც. („ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი", „სამხარი", 1953) თუ არაეტიმოლოგიური ხასიათის ნაშრომი.

ჩ. ენათმეცნიერების ცნობილი თეორეტიკოსია; მის მიერ 1940 ზოგადი ენათმეცნ. საკვანძო საკითხებზე ლენინგრადში წაკითხული მოხსენების – „პრობლემა ენისა, როგორც ლინგვისტიკის საგნისა, საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანების შუქზე" (დაიბეჭდა 1941) ფაქტობრივ გაგრძელებას წარმოადგენდა 1950 წლის 9 მაისს გაზ. „პრავდაში" მისივე წერილით გახსნილი საენათმეცნ. დისკუსია, რის შემდეგაც აღიკვეთა ნ. მარის ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" მონოპოლია. ჩ-ს ეკუთვნის ფუძემდებლური შრომები ზოგადი ენათმეცნიერების სფეროში: „ზოგადი ენათმეცნიერება", [ტ.] I – პროპედევტიკული ნაწილი (1935; გამოც. მე-3, თბ., 1946), [ტ.] 2 – ძირითადი პრობლემები (1945; გამოც. მე-2, თბ., 1983); „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის, პრობლემა" (1959, რუს. ენაზე) და სხვ.

ჩ-ს მიენიჭა მოსკოვის უნ-ტის მ. ლომონოსოვის სახ. პრემია (1951), საქართვ. სახელმწ. პრემია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" სხვა რედაქტორებთან ერთად (1971), ი. ჯავახიშვილის პრემია (1980). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ. (გარდა დასახელებულისა): ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I–II, თბ., 1948–61; ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – წგ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1950; იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; Грузинский язык. – წგ.: Языки народов СССР, т. 4. Иберийско-кавказские языки, М., 1967; Грузинский язык. – «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», XI, თბ., 1984.

ლიტ.: შარაძენიძე თ., არნოლდ ჩიქობავა, მე-2 შევს. გამოც., თბ., 1978 (ერთვის ჩ-ს შრომათა ბიბლიოგრ.); არნოლდ ჩიქობავა ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. მ. ბარკაია, ქ. გვერდწითელი, თბ., 1979. *გ. ბურჭულაძე.*

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (ნიკიფორე ირბაქი) (დაახლ. 1585–1658), პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, პირველი ქართ. ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი. 9 წლისა სწავლა-განათლების მისაღებად გაგზავნეს იტალიაში, სადაც ბერძნ. სკოლაში მიებარა სასწავლებლად. იქვე აღიკვეცა ბერად. დაახლ. 1608 საქართველოში დაბრუნდა და კახეთის მეფის – თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი გახდა. 1614, შაჰ-აბას I-ის საქართველოში ლაშქრობის დროს, იერუსალიმში წავიდა. 1625 ანტისპარს. ბრძოლის პერიოდში თეიმურაზ I-ის დავალებით დიპლ. მისიით გაემგზავრა ევროპაში. რომში ყოფნისას ჩ-მა აქტ. მონაწილეობა მიიღო ქართ. ბეჭდვითი წიგნის



ნიკოფორე ირბახი – თეიმურაზ I ელჩი დას. ევროპის სახელმწიფოში (ქრ. კასტელის ალბომიდან).

გამოცემაში. 1629 მისი დახმარებით ჩამოისხა ქართ. ანბანი, შემუშაედა და გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი – პირველი ქართ. ნაბეჭდი წიგნი, შემდეგ – „ლოცვანი“ ქართ. ენაზე. 1629 ჩ. საქართველოში დაბრუნდა, მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი გახდა. 1632, როდესაც თეიმურაზ I იძულებული შეიქნა იმერეთის სამეფოსათვის შეეფარებინა თავი, ჩ. სამეგრელოს მთავრის – ლევან II დადიანის უახლოესი თანამშრომელი და მისი ფართო პოლიტ. გეგმების სულისჩამდგმელი გახდა. 1643–49 ჩ. კელაე იერუსალიმშია ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვრად. 1650 საქართველოში დაბრუნდა. ჯერ იმერეთის სამეფოს კარზე იმყოფებოდა, შემდეგ – კელაე ლევან II დადიანთან, რ-ის ხელშეწყობითაც დას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა. 1657, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა მთავარმა ვამეყ III-მ სხვა თავის მოწინააღმდეგეთა შორის ჩ-ც შეიპყრო და იგი საპყრობილეში გარდაიცვალა. ჩ-ის მრავალმხრივი საქმიანობა მიმართული იყო საქართვ. პოლიტ. და კულტ. აღორძინებისაკენ. თანამედროვენი მას უწოდებდნენ ბრძენსა და ფილოსოფოსს, რიტორს, „ღირსსა ყოლისა სიკეთისა“.

იხ. აგრ. *პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები.*

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; ქ ე ქ ე ლ ი ძ ე კ., ნიკიფორე ირბახი – ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში. – კრ.: ლიტერატურული მემკვიდრეობა, წგ. I, თბ., 1935; ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977.

გ. აკოფაშვილი.

ჩუბინაშვილი დავით იესეს ძე (26. IX. 1814/5, თბილისი, – 5. VI. 1891, პეტერბურგი), ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე. პეტერბ. უნ-ტის პირველი ქართვ. პროფესორი, რუსეთის გეოგრ. (1860-იდან) და საიმპერატორო არქეოლ. საზ-ბების (1869-იდან) წევრი, ფილოლოგ. საზ-ბის საპატიო წევრი, „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. დაამთავრა პეტერბურგის ერთ-ერთი გიმნაზია (1835) და სწავლა განაგრძო პეტერბ. უნ-ტში, სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის აღმოსაველეთმცოდნეობის განყოფილებაზე. უნ-ტის დამთავრების (1839) შემდეგ დაინიშნა (1840) საგარეო საქმეთა სამინისტროს მთარგმნელად. 1844 მიიწვიეს პეტერბ. უნ-ტში ქართ. ენის მასწავლებლად. 1855–71 იყო ახალდაარსებული ქართ. ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე და პროფესორი.

ჩ-ის სამეცნ. მოღვაწეობა 1840-იდან დაიწყო. ამ წელს გამოსცა „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ (35000 სიტყვა) მ. ბროსეს შესავალი წერილით, რ-შიც აღნიშნულია, რომ ჩ. ამ ლექსიკონის შედგენისას სარგებლობდა ბიძის, ნ. *ჩუბინაშვილის* ნაშრომით. 1846 გამოსცა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, 1887–91 კი – „ქართულ-რუსული ლექსიკონი“. ქართ. გრამატიკის საკითხებს მიუძღვნა შემდეგი ნაშრომები: 1840 გამოცემული ლექსიკონის წინასიტყვაობად დაბეჭდილი მიმოხილვა ქართული ენის გრამატიკისა; 1855 პეტერბურგში გამოცემული „Краткая грузинская грамматика“; 1877 „იერიაში“ (№14– 17) გამოქვეყნებული წერილი „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“; 1887 გამოსულ „ქართულ-რუსული ლექსიკონს“ წამძღვარებული „ქართული ღრამმატიკა“.

ჩ-ის ეს შრომები ყურადღებას იქცევს გრამატიკული მასალის თავისებური დალაგებით, ენობრივი ფაქტების საინტერესო ახსნით. იგი კარგად იცნობდა თანამედროვე სათანადო ლიტ-რას, შემოქმედებითად ითვისებდა მას. მისი უახლოესი წინამორბედები არიან მამა – იესე და ბიძა – ნიკო ჩუბინაშვილები, აკად. მ. ბროსე.

ყველა სიახლე, რაც არის ი. *ჩუბინაშვილის* გრამატიკაში და ნ. ჩუბინაშვილის გრამატ. მიმოხილვაში, შესულია ჩ-ის ნაშრომებშიც: იმ დროისათვის შესაფერის მეცნ. დონეზე მსჯელობა ბგერათა დასახასიათებლად და ბგერათა ფონეტიკური ცვალებადობის შესახებ, დასაბუთებული მსჯელობა ზედმეტი ასოების თაობაზე, ქართ. სიტყვაწარმოების დაწერილებითი ანალიზი, ქცევის ფორმებისა და ენებითი გვარის ნიუანსების გამოყოფა, მათი გამოყენების საკითხებზე ყურადღების გამახვილება, „საქცევი გახშირებითის“ „ი“-ს (=ხოლმეობითის) გამოყოფა, ახ. ქართულისა და ზოგჯერ დიალექტური მონაცემების გამოყენება მასალად და სხე. ჩ-ს დიდი ცოდნისა და განზოგადების უნარის წყალობით უხვად აქვს თავმოყრილი მაშინ არსებული გრამატ. ცოდნის მარაგი. განსაკუთრებით ფასეულია მისი მსჯელობა ზმნის დრო-კილოთა ფორმების წარმოების შესახებ, თუმცა გამოყოფილი 10-10 ფორმიდან 2 ბრძანებითი კილოსია, მყოფადის წრის ფორმები კი არა ჩანს. ასეთი დაყოფა დღევანდელი ენათმეცნიერებისთვისაც არ არის ინტერესს მოკლებული. ჩ. გამოყოფს „აზრის უფალს“ (=ქვემდებარეს), „ძიებას“ (=დამატებას), „თხრობილს“ (=შემასმენელს). ძ ი ე ბ ა და ა ზ რ ი ს უ ფ ა ლ ი გათანაბრებულია არსებით სახელთან. წინადადების სხვა წევრებისათვის მორფოლ. სახელწოდებებია მოშველიებული.



დ. ჩუბინაშვილი.

გარჩეულია აგებულებით მ ა რ ტ ი ე ი („რომელთა აქვსთ ერთი უფალი პაზრისა და ერთი თხრობილი“) და რ თ უ ლ ი („რომელში-

აც არიან ორნი, სამნი ან მეტნაკლებნი უფალნი ჰაზრისა ან თხრობილი") წინადადებები. შერწყმული წინადადება, როგორც მაგალითებიდან ჩანს, რთულთანაა განხილული, თუმცა მარტივი წინადადების მაგალითადაა დასახელებული ასეთიც: ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავს.

წარმოდგენილია შეთანხმების, მართვის, ბრუნვებისა და მათთან თანდებულების გამოყენების საკითხები.

მართალია, ჩ-ის გრამატ. მოძღვრება ი. და ნ. ჩუბინაშვილების დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ი. ჩუბინაშვილის გრამატიკა უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული, ნ. ჩუბინაშვილის მიმოხილვა კი არ იყო დაბეჭდილი და, ამდენად, ამ საკითხების წინ წამოწევა ჩ-ის გრამატიკას დაუკავშირდა. ეს იყო გრამატიკის ახლებური აგების ცდა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სიტყვაწარმოება, სინტაქსი), რამაც ხელი შეუწყო ქართ. გრამატ. აზროვნების დახვეწას.

დიდია ჩ-ის დამსახურება ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემაში.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995; Цагарели А. А., Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб., 1894. *თ. ღვინაძე.*

ჩუბინაშვილი იესე დავითის ძე (14. X. 1780 – 20. VIII. 1821), გრამატიკოსი, მთარგმნელი, აგროვებდა სალექსიკონო მასალებს და ძვ. ქართ. ხელნაწერების კოლექციებს. 1818–19 თბილ. სას. სემინარიაში ასწავლიდა ქართ. ენას. შეადგინა ქართული ენის გრამატიკა, რ-იც პირველად დაიბეჭდა 1817–18, მეორედ – 1826. გრამატიკა შედგება ეტიმოლოგიის (მორფოლოგია), სინტაქსისა და ორთოგრაფიისაგან.

ლიტ.: აბესაძე ნ., მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის. – «მაცნე», 1967, №1; Цагарели А. А., О грамматической литературе грузинского языка (Критический очерк), СПб., 1873; მისივე, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3., СПб., 1894. *ი. ქავთარაძე.*

ჩუბინაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე (15. IV. 1788 – 1845), ლექსიკოგრაფი, არქეოლოგი, მთარგმნელი, 1842–45 თბილისში დაიწყო არქეოლ. მუშაობა. 1845 გაემგზავრა პალესტინაში, აღწერა ჯვრის მონასტრის სიძველეები, შეადგინა იქ დაცული 16 ქართ. ხელნაწერის, მ. შ. პირველად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების", მოკლე აღწერილობა, ჯვრის მონასტრის ფრესკიდან გადმოიღო შოთა რუსთაველის პორტრეტი, შეადგინა „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ" (1812–25), რ-საც წაუმძღვარა მოკლე ქართული გრამატიკა, და „რუსულ-ქართული ლექსიკონი". ეს ლექსიკონები დღესაც ინარჩუნებენ ისტ.-ლექსიკოლოგიურ ინტერესს. ჩ. კარგად იცნობდა ქართ. გრამატიკულ ლიტ-რას, იმდროინდელი რუსული ენათმეცნ. და ლექსიკოლოგიის მიღწევებს. მან რუსულიდან თარგმნა ფიზ., მათ., ვეტ., გეოგრ. სახელმძღვანელოები, 1818 შეადგინა რუს.-ქართ. სასაუბროები, დატოვა გრამატ. დაკვირვებები ქართ. ენის შესახებ.

თხზ.: ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედ. და გამოკვლევით, თბ., 1961; რუსულ-ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედ. და წინასიტყვ., I–II, თბ., 1971–73.

ლიტ.: კელენჯერიძე მ., რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII–XIX საუკუნეებისა, თბ., 1961; ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995; Цагарели А. А., Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб., 1894

ი. ქავთარაძე.

ჩქამი, არაპერიოდული რხევით წარმოქმნილი ბგერა, რ-საც გამოსცემს ერთმანეთთან მიახლოებულ სამეტყველო ორგანოებს შორის ჰაერნაკადის ხახუნი ან ხშვის მომდევნო სკდომა. ტონისაგან განსხვავებით, ჩ-ის სიმაღლე არ იზომება, რადგანაც იგი შედეგია არაპერიოდული რხევისა. ჩქამიერია ყველა ყრუ თანხმოვანი (პ, ტ, კ, ყ, ფ, თ, ქ, ს, შ, ხ, ჰ). მჟღერ თანხმოვნებში (ბ, დ, გ, ზ, ჟ, ღ, ძ, ჯ) ტონიც მონაწილეობს, მაგრამ ჩ. ჭარბობს, სონორებში (ვ, ლ, მ, ნ, რ) ტონი მეტია, მაგრამ ჩ-იც შეიმჩნევა; ხმოვნებში (ა, ე, ი, ო, უ) კი ტონი ბევრად ჭარბობს. ჩურჩულით წარმოთქმული ყველა ბგერა (ხმოვანიც კი) ჩქამიერია. სამეტყველო ბგერებში ჩ-ის მეტ-ნაკლები არსებობა განპირობებულია სამეტყველო აპარატის აგებულების თავისებურებებით. ჩქამშეურეველი ტონი გვაქვს მხოლოდ მუსიკალურ ბგერაში. *ნ. კიზირია.*

ჩხენკელი კიტა (პეტრე) ივანეს ძე (8. XI. 1895, ქუთაისი, – 22. X. 1963, ციურიხი), ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი. 1912 ქუთაისში დაამთავრა საშ. სასწავლებელი. 1913–17 მოსკ. უნ-ტში სწავლობდა სამართალსა და მსოფლიო ლიტ-რას. 1918 დაბრუნდა საქართველოში. 1920 სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გააგზავნეს. ჰალესა და ჰამბურგის უნ-ტებში სწავლობდა ფილოსოფიასა და სოფლის მეურნეობას. 1936 მიენიჭა სამეცნ. ხარისხი. ამავე წლიდან ჰამბურგის უნ-ტში, ხოლო 1946-იდან ციურიხში ასწავლიდა ქართ. და რუს. ენებს. 1957 გამოსცა (რ. ნოიკომთან ერთად) „ვისრამიანის" გერმ. გადამუშავებული თარგმანი. 1958 გამოვიდა მისი ორტომეული „ქართული ენის შესავალი" (გერმ. ენაზე). I ტომში წარმოდგენილია თეორიული ნაწილი, II-ში – სავარჯიშოები და ქრესტომათია. 1960-იდან ჩ-მა დაიწყო ვრცელი ქართ.-გერმ. ლექსიკონის შედგენა და გამოცემა ნაკვეთებად. მის სიცოცხლეში გამოვიდა 6 ნაკვეთი. ლექსიკონს მე-7 ნაკვეთიდან ხელმძღვანელობდა ჩ-ის მოწაფე ი. მარშევი. სულ გამოვიდა 26 ნაკვეთი. გამოცემა დამთავრდა 1974.

თხზ.: Einführung in die georgische Sprache, Bd. 1–2, Z., 1958; Georgisch-Deutsches Wörterbuch, Fasz. 1–26 (Bd. 1–3), Z., 1960–74.

ლიტ.: მეგრელიძე ი., კიტა ჩხენკელის ბოლოთქმა. – გაზ. «სამშობლო», 1972, 9 ივნ., №11. *ბ. საბაშვილი.*



Ც, ქართული ანბანის ოცდამეშვიდე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეათე) ასო. მისი სახელია „ცანი“; გრაფ. სიმბოლო წინაუნისმიერი ფშვინვიერი სისინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴑ. მისი მოხაზულობა მარჯვნივ გადახსნილი წრეა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური ღ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი, მხედრულში მომრგვალებული ფორმები აქვს. ნუსხურსა და მხედრულში ც ქვედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. საოვალავში აღნიშნავდა ორათასს (2000).

ცაბარელი ალექსანდრე ანტონის ძე [27. XI (9. XII). 1844, კასპი, – 12. XI. 1929, თბილისი], ფილოლოგი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი. თავდაპირველად სწავლობდა სას. სასწავლებელში. 1859 სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რ-იც 1865 დაამთავრა. 1867-იდან სწავლობდა პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკადემიაში, მალე გადაიდა პეტერბ. უნ-ტში ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე. 1868 სწავლობდა გერმანიაში (ლექციებს ისმენდა მიუნხენის, ტიუბინგენის უნ-ტებში), შემდეგ – ავსტრიაში, ვენაში. 1871 დაბრუნდა პეტერბურგში. იყო პრივატდოცენტი, დოცენტი (1874), ორდინარული პროფესორი (1886-იდან). დამსახ. პროფესორი (1897-იდან), 1922-იდან – თსუ პროფესორი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

Ც-ის მეცნ. პროდუქცია ორი რიგისაა. გამოკვლევათა ერთი ნაწილი ქართ. ლიტ-რისა და საქართვ. პოლიტ. ისტორიის საკითხებს ეხება, ხოლო მეორე – საენათმეცნიეროს.

1881-იდან Ც. იწყებს აქტიურ ფილოლ. მუშაობას. იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში გაეცნო რუს.-საქართვ. პოლიტ.-კულტ. ურთიერთობის ამსახველ მასალებს; გამოაქვეყნა XVIII ს. II ნახ. ისტორიისათვის მეტად საყურადღებო დოკუმენტები. ამავე პერიოდიდან დაიწყო ქართ. წერილობითი ძეგლების შესწავლა. პირველ რიგში საგანგებოდ შემოიარა მთელი საქართველო, ხოლო 1883 სახელგარგარეთ გაემგზავრა იქაურ საგანეებში ქართ. სიძველეთა გაცნობად და შესასწავლად; მოვლო პალესტინა, სინას და ათონის მთები. ქართ. სიძველეებს ეძღვნება მისი ნაშრომები: „Сведения о памятниках грузинской письменности“ (вып.1–3, 1886–94) და „Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае“ (1888, დაიბეჭდა კრ-ში «Православный Палестинский сборник», т. 4). მათში გამოქვეყნებულია როგორც იმ დროისათვის ცნობილი, ისე თვით Ც-ის მიერ გამოვლენილი და აღნუსხული ქართ. ხელნაწ. კოლექციების აღწერა. ამ წიგნებით გაეცნო მკითხველი X ს. მწერლის იოანე-საოსიმეს თხზულებას „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“. პირველად აქ აღიწერა უძველესი ქართ. თარიღიანი ხელნაწერი (864), ე. წ. სინური მრავალთავი. თვით Ც. ასე აფასებდა თავისი მოგზაურობის შედეგებს: „ათონისა და სინას მთაზე და პალესტინაში მე ვპოვე და აღწერე 332 ხელნაწერი, რომელთაგანაც აქამომდე არავინ არა იცოდა... ეს ახალი ნაპოვნი ნაშთები აგვსებენ და აფართოვებენ ჩვენს ცოდნას შესახებ ქართველთა ისტორიისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა...“ («ივერია», 1889, №21).

დიდია Ც-ის მეცნ. მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართველური ენათმეცნიერებისათვის. 1872 სანქტ-პეტერბურგში გამოიცა მისი საეტაპო ნაშრომები: „Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков“ (2 изд., Тб., 1957) და „О предполагаемом родстве грузинского языка с индо-европейскими и туранскими языками“ («Журнал Министерства Народного Просвещения, сентябрь, 1872), ხოლო 1873 – „О грамматической литературе грузинского языка (Критический очерк). მათში კრიტიკულად არის განხილული და ერთგვარად შეჯამებული წინა პერიოდის კვლევის შედეგები. ავტორი საგანგებოდ სერდება ქართველურ (მისი ტერმინოლოგიით – იბერიულ) ენათა – ქართულის, ზანურის (მეგრულისა და ჭანურის) და სვანურის ურთიერთნათესაობისა და სხვა ენებთან მათი გენეზისური მიმართების პრობლემაზე. Ც.



ა. ცაგარელი.

იმთავითვე ემიჯნება სამეცნ. ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ქართულის (ქართველურ ენათა) ნათესაობის შესახებ ინდოევრ. თუ ურალურ-ალთაურ ენებთან და ბასკურებს ფ. მიულერის თვალსაზრისს, რომ იგი „არის ნარჩენი ოღესღაც მეტად მრავალრიცხოვანი ენების ჯგუფისა, რომელიც გაერცელებული იყო კავკასიის ქედსა ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოვიდოდნენ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები კავკასიაში და მის სამხრეთით“. ც-ის აზრით, შეხედულებათა სხვადასხვაობა ამ საკითხზე გამოწვეული იყო კვლევის არადამაკმაყოფილებელი დონით. სახელდობრ, სათანადოდ არ იყო გარკვეული თვით ქართ. ენის „ტიპი ქვედა დამახასიათებელი თვისებით“, რაც საფუძველს შექმნიდა სხვა ენებთან შედარებისათვის. პრობლემით, რ-იც ც-მა დასახა ქართ. ენის ტიპის „რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით“ აღდგენისათვის, სათავე დაედო ქართველურ ენათა შედარებით კვლევას. ც. თვლიდა, და სავსებით სამართლიანად, რომ ენის ტიპის გასარკვევად საკმარისი არ არის თვით უძველესი სამწერლობო ძეგლების შესწავლა, რადგან ისინი მოცლი სისრულით ვერ ასახავენ ენის სიმდიდრესა და ფორმათა მრავალფეროვნებას, ენის ფუნქციებს. საჭიროა კვლევის არე გაფართოვდეს და ეურადღება მიექცეს ურთიერთობის ზეპირ საშუალებას – უმწერლობო ენებს (მგრულს, ლაზურს, სვანურს) და კილოკავებს (მაგ., გურულს, ფშაურს...), რ-ებშიც „ხშირად ეხედებით ენის უძველეს ფორმებსა და თავისებურებებს, რაც ქართულს დაკარგული აქვს.

სწორედ კომპარტივისტიკის ამ პრინციპს ემყარება მისი „შედარებითი მიმოხილვა“. ნაშრომში ბევრი საინტერესო მიგნებაა ქართველურ ენათა მორფოლოგიიდან, მაგრამ არის მრავალი უზუსტობაც, რაც გამოწვეული იყო ქართველურ ენათა შესწავლის იმდროინდელი დონით. წყაროები, რ-თაც ეყრდნობოდა ც., არ იძლეოდა სუსტ წარმოდგენას ქართველურ ენების თავისებურებათა შესახებ (მაგ., გ. როზენზე დაყრდნობით, ც. უშვებდა აკუსატივის არსებობას ლაზურში და მისთ.). ამიტომაც, იმეორებდა რა თავის ადრინდელ შეხედულებებს ენათა შედარებითი შესწავლის თაობაზე, 1880 გამოცემულ ნაშრომში („Мингрельские этюды“, СПб., I, II) უფრო კატეგორიულად წერდა, რომ ნათესაობა წარმოდგენა მონათესავე (იბერიული) ენებისა და მათი ფუძეენის შესახებ „შეიძლება მხოლოდ მაშინ შევიმუშაოთ, როცა შედგენილი იქნება ამ ენათა საერთო შედარებითი ლექსიკონი და შედარებითი გრამატიკა, რასაც ბუნებრივად წინ უნდა უსწრებდეს ცოცხალი იმ ენათაგანის გამოკვლევა ცალ-ცალკე“.

ც-მა თავად მოჰკიდა ხელი ამ პროგრამის შესრულებას. გარდა მეგრულისა, რ-საც ის იკვლევდა 1876-იდან და „ეტიუდების“ ორი ტომიც მიუძღვნა, იგი სწავლობდა აგრეთვე ჭანურსა და სვანურს, მაგრამ ამ ენათა კვლევა ბოლომდე არ მიუყვანია.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., პროფესორი ალ. ცაგარელი (1844–1929). – «თსუ მოამბე», 1930, ტ. 10; მ ი ს ი ვ ე, От редактора. – წგ.: Цагарели А. А., Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков. 2-ое изд., Тб., 1957; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბ., 1965. *მ.ჯავახიშვილი, კ. დანელია.*

ცალმხრივი დაქვემდებარება, სინტაქსური კავშირი ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად არათანასწორი ორი სიტყვისა, რ-თაგან ერთი წამყვანია, გაბატონებული (დომინანტი), მეორე კი – მასზე დაქვემდებარებული (დეპენდენტი). ცალმხრივ დაქვემდებარებას სუბორდინაციას უწოდებენ. სუბორდინაცია უპირისპირდება საურთიერთო დაქვემდებარებას, *კოორდინაციას.* ც. დ-ით უერთდებიან მთავარ წევრებს წინადადების არამთავარი (მეორეხარისხოვანი) წევრები (უბრალო დამატება, გარემოება და განსაზღვრება). ქართულში არის ცალმხრივი მართვაც, შეთანხმებაც და მირთვაც.

ლიტ.: იხ. სტატიასთან *კოორდინაცია.* *ლ. ქიქნაძალიანი.*

ცირკუმფიქსი (ლათ. circumfixus – ირგვლივ მიმაგრებული < ლათ. circum – გარშემო, ირგვლივ და fixus – მიმაგრებული), *აფიქსის* სახე, რ-იც *პრეფიქსისა* და *სუფიქსის* კომბინაციაა. ისინი ერთდროულად დაერთვიან ფუძეს და ერთ ფუნქციას გამოხატავენ.

ქართულში ც. განსაკუთრებით პროდუქტიულია სიტყვაწარმოებაში. მე-/ქულ-ე, სა-/ქულ-ე, უ-/ქულ-ო, მეათ-ე და ა. შ. ვარაუდობენ, რომ პრეფიქსსა და სუფიქსს ამ ფორმებში დამოუკიდებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდათ და მხოლოდ მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ ც-ებად.

მ. ბერიძე.

ციხისუბნის ვარდვრა-ლეძსი 1103, ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი ცხრა სტრიქონად დიდი ზომის ქვის ფილაზე (116X68X45 *სმ*), აღმოაჩინეს 1983 ჩასმული ციხისუბნის (ადიგენის რ-ნი) ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კედელში. ინახება სამცხე-ჯავახეთის ისტ. მუზეუმში (ახალციხე). ტექსტი ასეთია:

„ქრონიკონი იყო ტჰბ. ქრისტე, შეიწყალე ასეათ, ძმანი მისნი.

ავაგე ესე კოშკები, დაედგი ლაგამად მტერთათჳს,

ყოველგან დასახედავად, ყოველთა-მრავალფერათჳს;

შუებად, შაჰვად და საუთოროდ

ლხინად ადამის ერთათჳს

და გოლიათად [ნაგები მიუვალია მტერთათჳს]“.

წარწერის დასაწყისში აღნიშნულია თარიღი – 1103. პირველ სტრიქონში დასახელებული არიან ასეათ და მისი ძმები. ტექსტის მომდევნო ნაწილი შინაარსით საამშენებლოა – კოშკების აგების ამბავს გადმოგვცემს, ფორმით კი – შაირია, ანუ თექვსმეტმარცვლიანი ლექსი, რ-საც „რუსთველურიც“ ეწოდება. ქვის ქვედა კიდე ჩამოტეხილია და ნაწილობრივ ატკეპნილიც. ამიტომ ლექსის მეოთხე სტრიქონის მარჯვენა ნაწილი (ნახევარზე ცოტა მეტი) განადგურებულია. აქ უეჭველად მხოლოდ სარიომო მარცვლების აღდგენაა შესაძლებელი, ხოლო ნაკლული ადგილის აღდგენის ერთ-ერთი ვარიანტი უკვოთაა წარმოდგენილი. ც. წ.-ლ. მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში „ეფუხისტყაოსნის“ დაწერამდე ერთი საუკუნით ადრე დასტურდება შაირი, როგორც ლექსის საზომი.

წარწერაში დასახელებული ასვათი და მისი ძმები, ამჯერად უკვე მათი სახელებიც (საურმაგ, ბერძენი, ქობულ, პაზარიელ, გაბრიელ, ასვათ), მოხსენიებული არიან ციხისუბნიდან 3–4 *კმ* დაშორებით, სოფ. კე-

ხოვნის მიდამოებში, ეკლესიის მახლობლად აღმართული მაღალი ოთხკუთხა სვეტის – 1 მ-ზე მაღალი ჯვრის სადგარის – რელიეფურ ასომთავრულ წარწერაში (ინახება ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთის ისტ. მუზეუმში).

ლიტ.: სილოგავა ე., რუსთაველის ეპოქის ერთი ეპიგრაფიკული ლექსი. – გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1984, 16 ნოემბ., №47 (2332), 10–11; მისივე, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, კატალოგი-გზამკვლევი, ახალციხე, 2000, №4.

ე. სილოგავა.



ციხისუბნის წარწერა-ლექსი. 1103 წ.

ძ. ქართული ანბანის ოცდამერვე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთერთმეტე) ასო. მისი სახელია „ძილი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი მუღერი სისინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ძ. მისი მოხაზულობა ხაზისა და წრის კომბინაციაა, რ-იც მარჯვენა ჰორიზონტალის მეშვეობით კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური *ძ* მარჯვენაა გადახრილი, მხედრულში ძ მომრგვალებული ფორმისაა. ნუსხურსა და მხედრულში ძ ზედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა სამ ათასს (3000).

ძახილის ნიშანი (!), სასვენი ნიშანი, რ-იც დაისმის ძახილის ან ბრძანებითი წინადადების ბოლოს – სხვადასხვა გრძნობისა და ბრძანების ექსპრესიულად გამოსახატავად. მაგ., „რა კარგი ხარ, რა კარგი!.. / როცა მოქეიდე, გენაცვა, / ძეგლად გადამეფხარე!“ (ი. გრიშ.).

ძ. ნ. გამოიყენება ლოცვებში: უფალო, შემიწყალე! ამინ! დაისმის აგრეთვე ენობრივ ფორმულებში: მისალმება-გამომშვიდობებისას: გამარჯობა! სალამი! აქა მშვიდობა! მშვიდობით! გზა მშვიდობისა! მიპატიჟებისას: მობრძანდით! დაბრძანდით! მიირთვით! სამეცნ. ლიტ-რასა და პრესაში უსიტყვო (უარყოფითი) კომენტარის აღსანიშნავად და მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად ძ. ნ. ახლავს ფრჩხილებში ჩასმულ ლათინურ შემოკლებას (sic!).

ძ. ნ. ინტენსიურად გამოიყენება ფიცილის – ლოცვა-წყევლის ფორმულებში: ღმერთმა დაგწეროს! ეშმაკმა დალახვროს! დასწყევლა ღმერთმა! ჯანდაბას შენი თავი და ტანი!

გამაფრთხილებელ განცხადებებში: ფრთხილად! ჩემად! მათ შორის, საერთაშორისო ფორმულებშიც (მაგ., SOS!).

სამხედრო და სპორტულ ბრძანება-განკარგულებებში: ცეცხლი! ხელები მაღლა! მარჯვნისაკენ! ზურგისაკენ! ნაბიჯით იარ! სდექ! სწორდი! სმენა! თავისუფლად!

სას.-პოლიტ. ლოზუნგებში: „ქეღლანი – არჩეენებს!“ „პოეზია – უპირველეს ყოელისა!“. ქეღლა ამ სახის გამოთქმაში ნიშნა, რეეულებრივ, გამოტოეებულია და დარჩენილი ნაწილის (ერთი ან ორი სიტყვის) ექსპრესიის გასაძლიერებლად გამოტოეებული ჩმინის საკომპენსაციოდ ძ. ნ. იხმარება.

ძ. ნ. დაისმის წინადადების თავში ცალკე მდგომი შორისდებულების, ან უარყოფითი არა ნაწილაკის შემდეგ:

„არა! მხოლოდ დღეს შენ დაიბადე“ (გ. ტაბ.).

როგორც წესი, ძ. ნ. ახლავს წინადადების თავში ცალკე მდგომ წოდებითში დასმულ სახელს (მიმართვის ფორმას): „მეგობრებო! წინ, წინ გასწით!“ (ი. ევდ.).

თუკი შორისდებულს სახელის მიმართვის ფორმა მოსდევს, მაშინ შორისდებულთან მძიმე დაისმის, ძ. ნ. კი მიმართვის ფორმის შემდეგ გადაინაცვლებს:

„ვაშა, რაფიელ! უმრაელოს / მამულს შენებრი შვილი!“ (სოსელო); „ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი...“ (ი. ჭავჭ.).

მიმართვის ფორმის გამეორების დროსაც ძ. ნ. უკანასკნელი გამეორებული ფორმის შემდეგ დაისმის, წინამავალს კი მძიმე მოსდევს:

„ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი / გამაგონე ჩემს მამულში!“ (ი. ჭავჭ.). *შ. აფრიდონიძე.*

ძახილის წინადადება, წინადადება, რ-იც გამოხატავს მოქმელის ძლიერ ემოციას. ემოციური ან გრძნობითი ელფერი აქვს მეტ-ნაკლებად სხვა მოდალობის წინადადებებსაც (კითხვითს, ბრძანებითს_), მაგრამ ძ. წ-ისთვის არსებით ნიშნად მიიჩნევენ ძლიერ ემოციას, რაც ზეპირ მეტყველებაში სპეციფ. ინტონაციით ვლინდება. ძ. წ-ის ინტონაცია, ჩვეულებრივ, დამავალია. მახვილი დაისმის წინადადების შიგნით და ბოლოს. ძ. წ-ით შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ემოცია: სიხარული, აღტაცება („რა კარგი დროა, რა კარგი ხანა!“ ეაჟა-ფშაე.; „ო, ბუნებაო, რა ჯადო არის შენს სიმღერაში დამკვიდრებული-

!" გ. ტაბ.); სურვილი, ნატვრა („ნეტავი ერთხელ მყეფარი არწივი კიდევ მაჩვენა!" ვაჟა-ფშავ.), სინანული („ეჰ, დროვ, დროვ, ჩქარი ნაბიჯით იარე შენ!" ჭ. ლომთ.), ზიზღი, სიძულვილი („ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე!" ი. ჭავჭ.), მწუხარება („დაჭკნობა ყვავილებისა, ღმერთო, რა დიდი ბრალია!" ვაჟა-ფშავ.) და ა. შ. ინტონაციასთან ერთად გრძნობითი ელფერის გადმოსაცემად გამოყენებულია სათანადო ლექსიკური მასალა, კითხვითი სიტყვები შეცვლილი მნიშვნელობით, სპეციფ. ნაწილაკები (ნეტავი, მცა, აკი...) და, რაც მთავარია, შორისდებულები, რ-ებიც, ჩვეულებრივ, ახლავს ძ. წ-ს („ვიშ, რა კარგია ეს სალამური!" ა. წერ., „ბიჭოს! თქვენც ვაჟკაცები ყოფილხართ!" მ. ჯავახ.) ემოციას აძლიერებს სიტყვათა განმეორებაც („მონა ვარ, მონა ბუნების, ღონე არა მაქვს დავისა!" ვაჟა-ფშავ. „კარგია, კარგია მაღალი ალპები, რომ ნისლი ეხვევა ან ქარის აფრები!" გ. ტაბ.). ძ. წ-ის ემოციური იერის დასაზუსტებლად ზოგჯერ აუცილებელია სიტუაციისა და კონტექსტის გათვალისწინება.

ძ. წ-ს ემოციურ წინადადებასაც უწოდებენ.

ლიტ. იხ. სტატიასთან თხრობითი წინადადება. *ლ. კვანტალიანი.*

ძველი ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან, ძველი ქართული ენის მკაცრად ნორმირებული ხასიათის საფუძველზე ადრევე იყო გამოთქმული ვარაუდი, რომ საქართველოში X–XII სს-ში არსებობდა სრული გრამატიკის ან, ყოველ შემთხვევაში, სალიტ. ენის ძირითად ნორმათა კრებული (ანტონ I, ა. ცაგარელი, ი. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ...). ძვ. ქართ. (V–XII სს.) წერილობითი ძეგლების შემდგომმა კვლევამ გამოავლინა მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი ამ ვარაუდის განსამტკიცებლად. ამჟამად უკვე დოკუმენტურად დადასტურებულია შუა საუკუნეების საქართველოში მეტ-ნაკლებად მწყობრი, გარკვეულ პრინციპებზე აგებული გრამატ. მოძღვრების არსებობა (იხ. *„სიტყუაჲ ართრონთათჳს", ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების ჰერმენევტიკული საფუძვლები).* ჩვენი წარმოდგენები ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი გრამატ. ინტერესების შესახებ მნიშვნელოვნად ფართოვდება ძვ. ქართ. წერილობით ძეგლებზე პრაქტიკული მიზნებით დართული, ზოგჯერ თვით ტექსტებში მოთავსებული, მრავალრიცხოვანი, ენის სხვადასხვა სფეროს მომცველი შენიშვნებით, მინაწერებით, სქოლიოებითა და მისთ. გარდა საკუთრივ გრამატ. ცნობებისა, ისინი განსაკუთრებით საინტერესო მასალას შეიცავენ ლექსიკოლოგიური მუშაობის, სალიტ. ენის ნორმირებისა, დიალექტიზმების... შესახებ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რ-იც იდგა ქართველი მწერლების, მთარგმნელების, გადამწერების წინაშე, ეხება უცხო სიტყვათა სესხებას, რაც ბუნებრივად თან სდევდა სხვადასხვა ენიდან ტექსტების თარგმნას, განსაკუთრებით ელინოფილური ტენდენციის (იხ. *ელინოფილიზმი*) ფონზე. უცხო სიტყვათა სესხების აუცილებლობა ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ ქართ. სალიტ. ენაში რიგი უცხო (განსაკუთრებით რელიგიურ-ფილოს. შინაარსის) სიტყვების ზუსტი (თუნდაც მიახლოებული) ეკვივალენტები არ მოიპოვებოდა. თარგმანის სიზუსტის მისაღწევად ქართველ მთარგმნელებს უხდებოდათ სერიოზული ლექსიკოლოგიური სამუშაოს ჩატარება (*ეფთვიმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი..*): სიტყვების მოძიება, ახალი სიტყვებისა და ტერმინების შექმნა (ქართ. ენის ნორმების გათვალისწინებით), უკიდურეს შემთხვევაში – სესხებაც. მაგ., გამოჩენილი სწავლულ-ენციკლოპედისტი და მწერალი ეფრემ მცირე (XI ს.) თვლის, რომ ლექსიკური სესხება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშობლიურ ენაში უცხო სიტყვის ზუსტი შესატყვისობა არ არსებობს: „ესე ჭელთსაქმართა სახელები ზოგი ბერძულადეე დაეწერე, რაჟამს მრავალთაგან გამოვიძიე და ზედამიწევნით ვერვინ მითხრა, რამეთუ ადგილსა და ადგილსა სხუაჲ ჭელთსაქმარი აქუს, და ზოგი აწ არღარა იპოების. ამისთჳს დაგდებასა ანუ ტყუეილით დაწერასა ბერძულადეე დაწერაჲ ვირჩიე, რამეთუ თჳთ ბერძენნიცა ამასვე ჰყოფენ, რომელ სხჳსა ქუეყნისა ნაყოფსა, რომელი საბერძნეთსა არა დგას, მისვე ენისა სახელითა დასწერენ: შაქარსა სახარად, ყულყას(ს)ა კულკასად და ზაფრანსა ზაფარად, რომელნი ესე არაბულითა ენითა არიან და მათსა ქუეყანასა იქმნებიან" (A-1115). ალბათ ეს თვალსაზრისი ჰქონდა მხედველობაში „დიდი ნომოკანონის" გადამწერს გრიგოლ ჩახრუხაისძეს (XIII ს.), როცა აღნიშნავდა: „[ამ ხელნაწერში] მრავალნი უცხონი სიტყუანი არიან, გარნა დედასა ეგრე ვპოვე".

სესხება არ ყოფილა უბრალოდ უცხო სიტყვების გადმოტანა. ხშირ შემთხვევაში ცალკეულ სიტყვებს ახსნაც ახლავს, რ-იც დედანში არ დასტურდება. თარგმნის დროს გათვალისწინებულია ზოგი უცხო სიტყვის პოლისემიურობის საკითხიც. ქართ. ენის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ძვ. ქართვ. მწერალ-მთარგმნელთა ის დაკვირვებები, რ-ებიც ეხება საკუთრივ ქართ. სიტყვებს. ეს გასაგებია, რადგან ზოგი სიტყვა XI–XII სს-ში ითვლებოდა უკვე არქაიზმად ან ნეოლოგიზმად და საჭიროებდა სპეციალურ განმარტებას. მაგ., ეფრემ მცირის მიხედვით: „მრჩობლ ეწოდების ორკეცსა, ხოლო მყის ანაზდაითსა". გელათის ბიბლიის მთარგმნელი მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობს სიტყვისკენ „განებიწყნ", რასაც იგი ნეოლოგიზმად მიიჩნევს. კომენტარებში ხშირად განმარტებულია აგრეთვე სიტყვები, რ-ებიც პროფესიული ლექსიკის სფეროს განეკუთვნებიან. მაგ., გელათის ბიბლიაში სიტყვა „ბლლაწის" შესახებ ნათქვამია, რომ „ქსელისა ქსოილსა სამოსელსა ბლლაწად სახელ-სდებს".

განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტოლოგიური ხასიათის შენიშვნები. მაგ., XI ს-ის ხელნაწერ-

ში (Ier–15) შემორჩენილია ეფრემ მცირის სქოლიო, სადაც ლიტერატურული ფორმა „ქურთი“ (მჯიღი) განსხვავებულია დიალექტური ფორმისაგან „ქურჯ“, ამავე ხელნაწერში ვკითხულობთ: „რომელთამე ადგილსა მედგარ მზაკურად გულისჴმა-იყოფების, უფროისდა ლიტონსა საუბარსა შინა“. ეფრემ მცირისა და სხვა მწერლების კონკრეტული შენიშვნები დიალექტური („სოფლური“) ფორმების შესახებ შეიძლება ჩაითვალოს თითქმის ერთადერთ წყაროდ ქართ. ისტ. დიალექტოლოგიის შესასწავლად.

სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი ზოგი ძვ. ქართველი მწერლისა თუ გადამწერის წარმომავლობაზე. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ თითქმის შეუძლებელია ამა თუ იმ დიალექტიზმის წყაროს ზუსტად დადგენა. ამ პირობებში ფასდაუდებელია ყოველი პირდაპირი ან არაპირდაპირი მინიშნება დიალექტური ფორმის წარმოშობაზე. მაგ., XI–XII სს-ის ხელნაწერში (H–1345) დაცული თარგმანის ანდერძში ნათქვამია: „ღმერთმან უწყის, რაღცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოღა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჯირვე, მაგრა დედაჲ ოდიშს დაწერილი იყო და სიტჴუასა სცვალებდა“. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელი ჩანს გადამწერი, ბასილი საითურის ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „ეგონებ, რომელ მართლად დამიწერი არს, გარნა ესეცა უწყებულ იქაენ, რომელ დედასა შინა მუნქუესე დიად ეწერა და მისად ნაცვალად მეცხეულად დამიწერია და ამარსაკისა ნაცვლად მყის და ამისთჳს მესხთაცა შემინდეეით, ენასა ქართველთასა ესე უკეთე მოეგუარების (Ier.–33).

ამ ბრძოლაში თანდათანობით იმარჯვებდა ახალი და ლიტერატურული ენაც უახლოვდებოდა სასაუბროს. ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ საშ. სს-ების საუკეთესო მწერლები – ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, თვით ეფრემ მცირეც და სხვ. კარგად აცნობიერებდნენ სალიტ. ენის განახლების აუცილებლობას და თავიანთი თხზულებებით ხელს უწყობდნენ ამ შეუქცევად პროცესს. სალიტ. ენის დემოკრატიზაციის პროცესი კი დაასრულეს საერო ლიტ-რის წარმომადგენლებმა, პირველყოვლისა შოთა რუსთაველმა.

ლიტ.: ანტონი I, ქართული ღრამატიკა, თბ., 1885; შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976; სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975; მისივე, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის. – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), VIII, თბ., 1980; ფოცხიშვილი ა., ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979; Цагарели А., О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873; Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925; Сарджвеладзе З. А., У истоков грузинской лингвистической мысли. – «Вопросы языкознания», 1983, №1.

ზ. სარჯველაძე.

ძველი ქართული ენა, ენა, რ-იც წარმოდგენილია უძველეს (IV–XI სს.) წერილობით ძეგლებში.

ჩვენამდე მოღწეულია IV–XI სს. დათარიღებული მრავალი წარწერა, ხელნაწერი, საისტორიო თუ იურიდ. ხასიათის დოკუმენტი. მ. შ. ბოლნისის სიონის, ურბნისის, უკანგორის, ჩკრესის, მცხეთის, ჰალესტინის (ბეთლემი), წყისის წარწერები; ბიბლიის ხანმეტი ფრაგმენტები, ხანმეტი ლექციონარი, იაკობის წინარესახარების ხანმეტი ტექსტი, ჰაემეტი ლექციონარი, სინური მრავალთავი, აღიშის ოთხთაები...

ძვ. ქართ. წერილობითი ძეგლები სამ ჯგუფად იყოფა: ხანმეტი, ჰაემეტი და სანინარეევი. ხანმეტია ისეთი ძეგლი, სადაც სუბიექტ. II და ობიექტ. III პირების ნიშნად ხ- იხმარება (ხიყავ, ხწერ...); ჰაემეტ ძეგლებში ამ ფუნქციით ჰ- გვაქვს (ჰიყავ, ჰწერ...); სანინარეევ ტექსტებში კი – ს-; ჰ-; 0- (სწერ, ჰკუეთ, იყავ...).

ხანმეტი წერილობითი ძეგლები IV–VIII სს-ს განეკუთვნება, ჰაემეტი – VII–VIII სს-ს სანინარეევი ძეგლები IX ს-იდან გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წერილობითი ძეგლები ყველა შემთხვევაში ასახავენ იმ დროის მეტყველებას, როცა ისინი გადაწერეს. როგორც ჩანს, ხანმეტობა, როგორც ენობრივი მოვლენა, იმ მეტყველებაში, რიც ქართ. სალიტ. ენას დაედო საფუძვლად, VII ს-იდან აღარ გვაქვს. ჰაემეტი ლექციონარი, მართალია, VIII ს-ით თარიღდება, მაგრამ იგი არ ასახავს VII ს-ის ცოცხალ ჰაემეტობას. ხანმეტი და ჰაემეტი ხელნაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ს- პრეფიქსი VII საუკუნიდან დასტურდება.

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ურთიერთმიმართების ასახსნელად ორი ძირითადი თეორია არსებობს: ა) ენაში თავდაპირველად ხ- პრეფიქსი გვქონდა, რომელიც ფონეტიკურად ჰ-ში გადაიღია (ი. ჯავახიშვილი, ა. ონიანი); ბ) ხანმეტობა და ჰაემეტობა თანადროული, დიალექტურად განსხვავებული მოვლენების ასახვას წარმოადგენს (ა. შანიძე).

საეარაუდოა, რომ ძვ. ქართ. სალიტ. ენას საფუძვლად დაედო ღედაქალაქის – მცხეთის – მეტყველება, რ-იც საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ქართველური ტომის წარმომადგენელთა ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ზედიალექტურ ენობრივ მოვლენად.

ძვ. ქართ. სალიტ. ენა ნორმათა მტკიცე სისტემას ემყარება, რ-იც თანდათანობით დაშორდა ცოცხალ მეტყველებას. ეს კარგად ჩანს ნორმათა იმ დარღვევების მიხედვით, რ-ებიც წერილობით ძეგლებში გვხვდება, სადაც ზოგ შემთხვევაში თავს იჩენს მკვეთრად გამოხატული დიალექტიზმებიც. მწერალთა და გადამწერთა ერთი ნაწილი შეგნებულად ცდილობდა, სალიტ. ენა მეტისმეტად არ დაშორებოდა ცოცხალ მეტყველებას. სწორედ ამის შედეგად ინარჩუნებდა ძ. ძ. ე. ნორმატიულ ხასიათს, მაგრამ, ამასთანავე, ასახავდა ცოცხალ მეტყველებაში უკვე მოხდარ თუ მიმდინარე მოვლენებსაც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების, გიორგი მცირის, თეოფილე ხუცეს-მონაზვნისა და სხვათა ნაწერებში. მათ ფაქტობრივად მოახდინეს ქართ. სა-

ლიტ. ენის რეფორმა, დაუახლოვეს იგი ცოცხალ მეტყველებას, რითაც საფუძველი მოუმზადეს *საშუალი ქართული ენის* ჩამოყალიბებას. ამ რეფორმის შედეგად ძვ. ქართულის ნორმათა მთლიანობა არ დარღვეულა. XI ს-ში თავი იჩინა საპირისპირო მიმართულებამაც, რასაც შედეგად სალიტ. ენისა და ცოცხალი მეტყველების უკიდურესი დაპირისპირება მოჰყვა. ჩამოყალიბდა ე. წ. ელინოფილური მიმდინარეობა (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი...). მათ ნაწერებს ახასიათებს ბერძნული ენის გრამატ. და ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების, სიტყვაწარმოების მოდელების კალკირება, რამაც ერთგვარად დაამძიმა ქართ. სალიტ. ენა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ მიმართულების მწერლებმა შექმნეს ქართ. მეცნ. ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი (იხ. *ელინოფილიზმი*).

ძვ. ქართულში იყო ხუთი ხმოვანი — ა, ე, ი, ო, უ და ოცდაათი თანხმოვანი — ბ ფ პ, დ თ ტ, გ ქ კ, ჴ, ყ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, ჰ, ვ, ზ ს, ჟ შ, ღ ხ, ლ მ ნ რ.

ძვ. ქართ. დამწერლობას არსებითად ფონოლოგიური პრინციპი უდევს საფუძვლად, მაგრამ ბერძნულის ზეგავლენის შედეგად რამდენიმე დარღვევა შეინიშნება: ა) ცალ-ცალკე გრაფემებით არის გადმოცემული ერთი ფონემის პოზიციური ვარიანტები [ი] და [ჲ]; ბ) ორ შემთხვევაში ერთი გრაფემა გამოხატავს ორ ბგერას: ჱ (=ე + ჲ) და ჳ (=უ + ი); გ) /უ/ გადმოიცემა ორი გრაფემით: ოუ. ამასთან ეს ნიშანი იხმარება როგორც მარცვლოვანი უ-ს, ისე უმარცვლო უ-ს გამოსახატავად; ე) ჵ, ძვ. ქართ. დამწერლობის ბოლო ნიშანი, ზედმეტია.

ძვ. ქართ. სალიტ. ენაში ბრუნება ერთია. გვაქვს შვიდი ბრუნვა: სახელობითი (ნიშნიანი ან უნიშნო, რასაც ზოგიერთი სპეციალისტი ცალკე ბრუნვად გამოყოფს და *წრფელობით ბრუნვას* უწოდებს), მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. გვაქვს მეორეული (ნათესაობითის ფორმისაგან ნაწარმოები) ბრუნვებიც: მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი და დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი თ ი. -ა მარცვალი ხმოვანი ელიდება მიც., ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. სახელის მრავლობითი რიცხვი იწარმოება -ნ/-თ და -ებ სუფიქსებით. ადამიანის საკუთარი სახელები, ნორმის მიხედვით, სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს, არ დაირთავენ -ა მარცვალს არ მოუდის და არ ეწარმოებათ მრ. რ-ის ფორმები.

ზედსართავ სახელს ხარისხის სამი ფორმა აქვს: დადებითი, ოდნაობითი და უფროობითი. რიცხვითი სახელი იყოფა ჯგუფებად: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელი შეიძლება იყოს: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, ურთიერთობითი, უარყოფითი. ზოგი სპეციალისტის ვარაუდით, ძვ. ქართულში გვაქვს *ნაწევარი* (ართრონი, არტიკლი). კლასიკური ართრონი ძვ. ქართ. წერილობით ტექსტებში არ დასტურდება.

ძვ. ქართ. ზმნის უღლების კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, აქტი, ჯერობა, თანამიმდევრობა, მწკრივი. წარმომქმნის კატეგორიებს განეკუთვნება: გვარი, ქცევა, კაუზატივი, კონტაქტი, თემა.

გამოიყოფა სამი სერია. პირველ სერიაში ექვსი მწკრივია: აწმყო, აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი, I ბრძანებითი, უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი; მეორე სერიაში — წყვეტილი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი, II კავშირებითი; მესამეში — I თურმეობითი, II თურმეობითი, III ხოლმეობითი, III კავშირებითი. სპეციალური მწკრივებით გადმოიცემა I და II ბრძანებითების ფორმები.

განირჩევა ასპექტის ორი სახეობა: უსრული და სრული. პირველი სერიის ფორმები (ზმნისწინიანი, თუ უზმნისწინო) უსრულ ასპექტს გამოხატავს, მეორე სერიისა — სრულისას.

მკვეთრად არის გამოხატული ჯერობის კატეგორია. მრავალგზის ჯერობას გადმოსცემს I ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი, II ხოლმეობითი და III ხოლმეობითი. უნახავი აქტის ფორმების გამოხატვა შედარებით იშვიათია. I და II თურმეობითები ძირითადად გადმოსცემენ პერფექტულ მოქმედებას (რასაც ინდოევრ. ენათა პერფექტი და პლუსკვამპერფექტი შეესაბამება). III კავშირებითი ხშირად I და II თურმეობითების ფუნქციით იხმარება. ზმნისწინი ძვ. ქართულში გამოხატავს მიმართულებას, გეზს, ორიენტაციას; აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულს, უკვე ძვ. ქართულშივე გამოვლინდება ზმნისწინის მეშვეობით მომავალი დროის (სრული ასპექტის) წარმოების ამსახველი ნიმუშები. საწყისის ძირითადი მაწარმოებელია -ა. გვხვდება -ილ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, ნაკლებპროდუქტულია ს- — -ა, სა- — -ა, სი- — -ა, სი- — -ილ, სი- — -ულ კონფიქსებით, აგრეთვე -იალ სუფიქსით წარმოქმნილი საწყისი. გვხვდება მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის ზმნათა მიმღეობები. ვნებითი გვარის მიმღეობა განარჩევს მომავალი და წარსული დროის ფორმებს.

ძვ. ქართულში დასტურდება სიტყვაწარმოების (წარმოქმნა, თხზვა) საკმაოდ განვითარებული სისტემა.

ფორმაუცვლელი სიტყვებია: ზმნიზედა (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, კითხვითი, მიმართებითი, მიზეზისა, მიზნისა), კავშირი (მაერთებელი და მაკავშირებელი), ნაწილაკი (კითხვითი, დადასტურებითი, უარყოფითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, სხვათა სიტყვისა), შორისდებული.

ძვ. ქართულ ორიგინ. წერილობით ძეგლებში ზედსართავი და რიცხვითი სახელებით, ნაცვალსახელით (გარდა ჩვენებითისა და კუთვნილებითისა) გადმოცემული მსაზღვრელი უპირატესად საზღვრულს უსწრებს. ბიბლ. წიგნთა თარგმანებში მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს (რაც ბერძნულის გზით გაშუალებული სემიტურის გავლენას ასახავს). ბერძნულიდან ნათარგმნ აგიოგრაფიულ, ჰომილეტიკურ, ეგზეგეტიკურ თხზულებებში ამ ტიპის მსაზღვრელი უპირატესად პრეპოზიციურად იხმარება. ძვ. ქართ. წერილობით ძეგლებში გაბატონებუ-

ლია ნანაოესაობითარი მსაზღვრელის პოსტპოზიცია. სახელით გადმოცემული წინადადების წევრი ზმნას უსწრებს. ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველი წინადადების ჩრითადი წყობაა: ქცემდებარე – შემასმენელი – პირდაპირი დამატება; ორპირიანი გარდაუვალისა: ქცემდებარე – შემასმენელი – ირიბი დამატება.

ქართული ენის სხვა ენებთან კონტაქტების შედეგად მრავალი ლექსიკური ერთეული შემოვიდა ირანული ენებიდან, ბერძნულიდან, არაბულიდან. შედარებით იშვიათია ებრაული, სირიული და სომხური ენებიდან ნასესხები სიტყვები. ამ სიტყვათა ერთი ნაწილი შემოსულია ლიტ. კონტაქტების შედეგად.

ბერძნ. სალიტ. ენამ დიდი გაელენა მოახდინა ძ. ქ. ე-ის ლექსიკაზე, სინტაქსსა და ფრაზეოლოგიაზე. ამ გაელენის ინტენსივობას მოწმობს ქართულისათვის არაბუნებრივი ინფინიტიური, უშემასმენლო, მიმღეობური, პასიური, თანდებულიანი, წინდებულიანი კონსტრუქციები, და კავშირის სპეციფიკმარება; ბერძნულის მეშვეობით შემოვიდა სემიტურ ენათათვის დამახასიათებელი *პარონომაზია*, მთელი რიგი ფრაზეოლოგიური გამოთქმებისა. აღსანიშნავია, რომ საშუალი ქართ. ენა ამ ტიპის მოელენებისაგან გათავისუფლდა.

ლიტ.: შანიძე ა., სუბიექტური პრეტიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეტიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920 (თხზულებანი, II, თბ., 1981); მისივე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976; ჯაჯანიშვილი ი., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960; ჩიქობავა არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968; დანელია კ., ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; სარჯველაძე ს., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; მისივე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997; გამრეკელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990; დანელია კ., სარჯველაძე ს., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997; იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ე., სმნა ძველ ქართულში. I–II, მაინის ფრანკფურტი, 1996; Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925; Fähnrich H., Grammatik der altgeorgischen Sprache, Hamburg, 1994.

ლექსიკონები: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონიალექსიკონი, თბ., 1986; სარჯველაძე ს., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995; მისივე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001; Sardschweladze S., Fähnrich H., Altgeorgisch-deutsches Wörterbuch, Hamburg, 1999.

ზ. სარჯველაძე.

ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების ჰერმენევტიკული საფუძვლები, პერმენევტიკულმა გრამატიკამ, როგორც ანტიკ. ხანისა და შუა საუკუნეების ლინგვისტური აზროვნების პრაქტიკულ-ტექსტოლოგიურმა მიმართულებამ, ჩამოყალიბებული სახე მიიღო დიონისე თრაკიელის τεχνη γραμματικη-ში; იგი საკუთრივ ენაომეცნ. პრობლემებით დაინტერესებული გრამატიკისაგან (τα γράμματα) დამოუკიდებლად ეთარდებოდა და თითქმის XIX ს-მდე ამ დისციპლინის კანონიკურ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა.

პერმენევტიკული გრამატიკების პრაქტ. მიზნებიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ შუა საუკ. როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ქრისტ. ტრადიციაში ეს დარგი ძირითადად ეგზეგეტიკური მწერლობის წიაღში განვითარდა. თავისი გამორჩეულად ფილოლ. ფუნქციის გამო (ბიბლიის, როგორც ძნელად გასაგები, წინასწარმეტყველური, დაფარული შინაარსის მქონე ტექსტის განმარტება) ეგზეგეტიკურმა მწერლობამ შეიმუშავა ტექსტის ინტერპრეტაციის სპეც. ფილოლ. მეთოდები და საამისოდ მოხერხებულად გამოიყენა პერგამონისა და ალექსანდრიის ფილოლოგიური სკოლების უდიდესი გამოცდილება ანტ. ხანის ბერძნ. ტექსტების სამეცნ. გამოცემების მომზადებისა და მათი კომენტირების საქმეში, უპირველეს ყოვლისა კი – დიონისე თრაკიელის τεχνη γραμματικη-სი.

მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ. ქართ. სამყაროში სწორედ ჰერმენევტიკულ-ტექსტოლოგიური ხასიათის გრამატიკა (τεχνη γραμματικη) იყო პოპულარული და არა საკუთრივ ენათმეცნ. პრობლემებით დაინტერესებული „ასოთა ხელოვნება" (τα γραμματα). „...ქართული გრამატიკული აზროვნების აღმოცენება და გაღრმავება V საუკუნიდან ჩვენში ფართოდ გაშლილ რედაქტორულ და მთარგმნელობით საქმიანობას უკავშირდება" (ა. შანიძე).

ქართ. ეგზეგეტიკური მწერლობის განმარტებათა მეთოდების, ისტ.-გრამატ. ხასიათის კომენტარებისა და სქოლიო-შეისწავლეთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია აღვადგინოთ ძვ. ქართ. ტექსტოლოგიურ-ჰერმენევტიკული გრამატიკის სავარაუდო სახე. იგი წარმოადგენს ტექსტის (ძირითადად ნათარგმნი თეოლოგიური ლიტ-რის) ახსნა-განმარტებისა და კომენტირების ჩამოყალიბებულ სისტემას, რ-ის ხასიათიც განსაზღვრა ორმა უმთავრესმა პრობლემამ:

1. ბიბლიური თხზულებებისა და სხვა ნათარგმნი თეოლოგიური ლიტერატურის ახსნა-განმარტების საჭიროება. I მ;

2. სათარგმნი ტექსტის ენის (ძირითადად ბერძნულის, ასევე ებრაულისაც) თავისებურებათა კომენტირების საჭიროება I მ;

ძნელი სათქმელია, გექონდა თუ არა τεχνη γραμματικη-ს მსგავსი პრაქტ.-ტექსტოლოგიური ხასიათის რაიმე სახელმძღვანელო, რშიც სისტემატიზებული იქნებოდა ამა თუ იმ სალიტ. სკოლის ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი და განმარტებითი პრინციპები, თუმცა სრულყოფილად თვით τεχνη-შიც არ განხორციელებულა ამ

დისციპლინისათვის წაყენებული ყველა მოთხოვნა. ასეთი რამ შეუძლებელიც იყო. საკლასიფიკაციო პრინციპის არაერთგვაროვნებამ განაპირობა მისი ხასიათი: იგი ენის მეცნ. აღწერა კი არ არის, ანუ გრამატიკა თანამედროვე გაგებით, არამედ ტექსტოლოგიური, ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი სახელმძღვანელო, რ-საც გაცილებით მეტი აქვს საერთო სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, ვიდრე ლინგვისტიკასთან.

გრამატიკის სწორედ ამგვარ გაგებას ეკრდნობა ძე. ქართ. ეგზეგეტიკური ტრადიცია და მას არა ენის მეცნიერული აღწერის, არამედ ტექსტის უკეთ გაგებისა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით შემოაქვს თავის კომენტარებში ლინგვისტური საკითხები. ეს ტენდენცია სრულიად აშკარად ეტყობა ლინგვისტური ხასიათის თითქმის ყველა სქოლიო-შეისწავლა და დღეისათვის ცნობილ ერთადერთ გრამატ. თხზულებას „*სიტყუაჲ არ-თრონთათჳს*“. მისი დაწერის საბაბიც თარგმნისას წამოჭრილი კონკრეტული ლინგვისტური საკითხია და არა საკუთრივ ენათმეცნ. ინტერესი ბერძნ. ართრონის მიმართ. ქართველი ეგზეგეტიკოსები საკომენტაროდ ირჩევენ არა იმგვარ ლინგვისტურ პრობლემებს, რ-ებიც მთარგმნელ ენასა (ქართული) და სათარგმნ ენებში (ბერძნ.-ებრ.) მსგავსი კანონზომიერებებს ახ-ენებენ, არამედ სწორედ ისეთებს, რ-ებიც ბერძნ.-ებრაულს ახასიათებს ქართულისგან განსხვავებით და რ-თა უცოდინარობამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მთარგმნელი. ეს კი თეოლოგიური ლიტრის განმარტებისა თუ თარგმნისას უმთავრესი პრობლემაა: წმინდა წერილი მისტერიულ საიდუმლოს გადმოსცემს, დედნის უმცირესი ნიუანსის არასწორად გაგება ან მისი შეცვლა თუნდაც მთარგმნელი ენის ბუნების გათვალისწინებით, ერესის საფრთხეა. ბიბლ. წიგნების თარგმანი „...მასვე და ერთსა (უნდა) ჰმეტყუელებდეს და აქუნდეს მოსწავებაჲ პირსა თითოეულისა სიტყუასასა და განერცოლად არა თავს-იდებას“ (ეს და ქვემოთ დამოწმებული სხვა მაგალითები მოყვანილია ძე. ქართ. ეგზეგეტიკური კრებულიდან: „სიტყუანი ფსალმუნიანი, შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებული მრავალთა წიგნთაგან“).

ამ მოტივითაა ქართ. კომენტარებში განმარტებული ბერძნ. ენის მრავალი საინტერესო საკითხი: საკუთარ სახელთა წარმოების თავისებურებანი, გრამატ. სქესი, არტიკლი, Pluralia tantum-ი, dualis-ი და მისი თავისებურებანი, მახვილის, ასპირაციისა და პროსოდიის წესები. ამ ტიპის ლინგვისტური კომენტარები, ცხადია, ქართ. ენის მეცნ. აღწერად (გრამატიკა თანამედროვე გაგებით) ვერ ჩაითვლება, იგი წარმოადგენს ტექსტის ინტერპრეტაციისათვის საჭირო პრაქტ. ჰერმენევტიკული გრამატიკის ჩონჩხს (შდრ. ა. ცაგარელი: „ძველ ქართულ სამყაროში უნდა არსებულიყო– გრამატიკის ჩონჩხი“) და სრულყოფილად უპასუხებს ამ დარგის კანონიკური სახელმძღვანელოს, დიონისე თრაკიელის τεχνη γραμματικη-ს ექვსიდე შემადგენელ ნაწილს. სანიმუშოდ დავასახელოთ ერთ-ერთი კომენტარი, რ-იც ბერძნულში კეთილხმოვანების ν-ს (ν-ευακουστικον) ხმარების თავისებურებებს ეხება: მოსეს გალობა (2): „და განვლეს ვეღი იგი“... გულისჴმა-ყაე, რამეთუ თითო-სახედ იპოვების ნაწერი სიტყჳსა ამის წიგნთა შინა ბერძენთასა, რომელი აქა ვეღად იოქმის, რამეთუ სხუათა შინა ესრეთ წერილ არს, ვითარმედ: ისჴვედან, რომელი სწავლასა გულისჴმა-გუყოფს, ოდეს ნარი მიჰხუდეს ბოლოსა... ხოლო სხუათა შინა წერილ არს თუნიერ ნარისა, ვითარმედ: ისპუდა, რომლითა ველი წარმოიანირების“... ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ნიუანსის გაუთვალისწინებლობამ – ეს ნარი ბოლოში კეთილხმოვანებისაა თუ „საქცეველი“ – შესაძლებელია, თარგმანში ღვთის სიტყვის დამახინჯება გამოიწვიოს, რ-ის თავიდან აცილებაა სწორედ ეგზეგეტიკოსთა ჰერმენევტიკული ლინგვისტიკის მთავარი მიზანი.

იგივე ჰერმენევტიკული მიზანი ამოძრავებთ ქართვ. მთარგმნელ-რედაქტორებს, როცა ისინი საკუთრივ ქართულისთვის დამახასიათებელ ენათმეცნ. საკითხებზე მსჯელობენ: ა) „მრავალ კეცობაჲ“ (ხოლმეობითი). ეს ტერმინი, ქართვ. ეგზეგეტიკოსის თქმით, აღნიშნავს „თჳსობას“ (οικεια), მრავალკეც განმეორებად, საგნისთვის დამახასიათებელ მოვლენას. ასეთი „თჳსობათაგანია“ ადამიანის შიში უფლის მიმართ: „და ეშინოდის მას უფლისა“... არა თქუა თუ: ეშინოდა, არამედ ეშინოდის და მრავალკეცობითა თჳსობაჲ წარმოაჩინა და საკუთრებაჲ“; ჴს. 67, 2; ბ) ბრძანებითი კილო. ამ გრამატ. კატეგორიის „სახეჲ და ძალიც“ ეგზეგეტიკოსს წმინდა პრაქტიკული, ჰერმენევტიკული თვალსაზრისით აინტერესებს. მას ერთგვარად ეხამუშება, რომ ადამიანის თხოვნა-ვედრება ღმერთის მიმართ ბრძანებითის ფორმითაა გამოხატული და შეგვახსენებს ამ კატეგორიის დამატებით მნიშვნელობას: მას ზოგჯერ „ვედრებითი ძალი აქუს“: „აღდგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი“... დაღათუ ბრძანების სახედ გამოსახულ არს სიტყუაჲ თუ: აღდგინ და განიბნინენ, არამედ ვედრებითი ძალი აქუს, ვითარმედ სხუაგანაც გუჯუამს ამათ პირთათჳს: თუ აღდგინ და განიბნინენ და მოაკლდენ და ივლტოდედ... დაღათუ პირი ბრძანებისა აქუს, ძალსა ვედრებით განითუსებს“ ფს. 67,1.

ჰერმენევტიკული მიზანი განსაკუთრებით კარგად ჩანს ქართ. სიტყვათა ლექსიკოლოგიური და ეტიმოლოგიური ანალიზისას. ეს ძიებანი სიტყვის მიმართ ეგზეგეტიკოსთა ენათმეცნ. ინტერესის შედეგი კი არ არის, არამედ ერთგვარი სიახლოვეის ხიდია ნათქვამ სიტყვასა და მასში „ჯუმევით“, „სახისმოღებით“, „აღქუანებით“ მინიშნებულ უზეშთაეს აზრს შორის. ქართველ ეგზეგეტიკოსთა ზუსტი ლინგვისტური ალღოსა და ფილოლ. განსწავლულობის წყალო-

ბით მათი ეტიმოლოგიური ძიებანი ხშირ შემთხვევაში სწორია. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არაენათმეცნიერული, არამედ ე. წ. ხალხური, ეტიმოლოგიური ეტიმოლოგიებია, რაკის მიზანი ენის სიტყვაში ღვთის სიტყვის პოვნა და განმარტებაა: იგი ბაერათა კანონსომიერი მონაცვლეობის პრინციპებს კი არ ემყარება, არამედ ცდილობს, პერმენევტიკული ინტერპრეტაციის წესებით სიტყვის თავდაპირველ სახესა და მნიშვნელობაში ღვთის დაფარული საიდუმლო დაინახოს: „მთაო ღმრთისაო, _მთაო პოხილი, მთაო შეყოფილი_ და რაღასათუს შეყოფილ და განჭყლებულ? ამისთჳს, რამეთუ ჭელი შეყოფილი არს, შედგენილი და განმაგრებული“ ფს. 67.15.

ენათმეცნ. თვალსაზრისით, ამგვარი ზუსტი ეტიმოლოგიების გვერდით არცთუ იშვიათად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა განმარტების მეთოდი მთლიანად შებრუნებულია – სიტყვის ეტიმოლოგიაზე დაყრდნობით კი არ იხსნება მისი ალეგორია, – პირიქით, გარკვეულ კონტექსტში შეძენილი ალეგორიული მნიშვნელობით იხსნება სიტყვის ეტიმოლოგია (შდრ. ქართ. ეგზეგეტიკურ კრებულებში არაერთგ'ის განმარტებულია სახელის – „ევა“ ეტიმოლოგია: იგი ნიშნავს გველს, რ-ის მეშვეობითაც ცოდვა შემოვიდა ადამიანის ცხოვრებაში, ხოლო „ევა“ ებრ. ენაში მდედრობითი სქესის გველსაც ალნიშნავს).

როგორც პირველი, ასევე მეორე ტიპის ეტიმოლოგიური ანალიზი თეოლოგიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციაა და არა საკუთრივ ლინგვისტური ინტერესებით ჩატარებული კვლევა-ძიება.

ამგვარმა ჰერმენევტიკულმა მიზნებმა შუა საუკ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თითქმის ქველა დარგი „თეოლოგიის მომსახურედ“ (ჯ. ნოიშჳერი, რ. შლიბენი) აქცია. როგორც ირკვევა, ძვ. ქართ. ტრადიცია ტერმინში „გრამატიკოსი“ სწორედ ამგვარ განმმარტებელს, ტექსტის ინტერპრეტატორს, ზოგადად ტექსტოლოგსა და ფილოლოგს მოიაზრებს და არა მაინცდამაინც ლინგვისტური თხზულების ან გრამატიკის ავტორს. ამგვარი გაგება კი მთლიანად ხსნის იმ მოვლენებით წინააღმდეგობას, რ-იც ანტონ პირველის ცნობაშია, როცა იგი, ერთი მხრივ, ასახელებს „პირველთა ჩუენთა ღრამმატიკოსთა“, როგორც ზოგიერთი გრამატ. „კანონისა“ და, საერთოდ, ლინგვისტური ტერმინოლოგიის შემქმნელებს; მეორე მხრივ კი ამბობს, ჩვენს წინაპრებს გრამატიკა არ ჰქონიათო (შდრ.: „...გარნა ღრამმატიკაჲ არასადა ვისმინეთ... არცა ნაშთთა წიგნთა შემდგომად აოხრებისა და არცა პირველ, რაცა იყოსმცა ჩუენსა ზედა ენასა“). ა. ცაგარელი შემდეგნაირად ხსნის ამ ფაქტს: „ანტონს გარკვეით არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, რას გულისხმობდა იგი ტერმინში გრამატიკოსი_ გრამატიკოსი, მისი გაგებით შეიძლება იყოს საერთოდ მწერალი, რიტორი, სტილისტი, სწავლული. გრამატიკოსებს ეძახის ის საღვთო წერილის მთარგმნელ-კომენტატორებს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს, იოვანე პეტრიწს_ სწორედ ასეთი ზოგადი და დაბნეული გაგება გრამატიკოსისა უნდა იყოს მიზეზი იმ შეუსაბამობისა, რაც ანტონის ცნობაშია“. როგორც ჰერმენევტიკული ლინგვისტიკის ძვ. ქართ. ტრადიცია გვიჩვენებს, გრამატიკოსის ანტონისეული გაგება ზოგადი და დაბნეული კი არაა, იგი ზუსტად ასახავს ძვ. ქართ. ლინგვისტური აზროვნების პრაქტიკულ-ჰერმენევტიკულ ხასიათს და არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს.

ეგზეგეტიკურ მწერლობას, როგორც ძვ. ქართ. ლინგვისტური აზროვნების მნიშვნელოვან ეტაპს, ჩანს, არ ითვალისწინებდა არც ი. აბულაძე, როცა ქართ. გრამატ. აზროვნებას მხოლოდ XVIII ს-იდან მიაწერდა ამგვარ პრაქტიკულ მიზანდასახულებას: „გრამატიკის შექმნის ცდები (XVIII ს.) შემთხვევითი არ ყოფილა. გრამატიკას იმ დროს პრაქტიკული მიზანდასახულება გაუჩნდა... მას დაეკისრა როლი მომსახურისა, პირველ ყოველისა ხედვით, ანუ საპატრიარქო მეცნიერებისათვის... ჩვენში ძველთაგანვე ფეხმოკიდებული დარგების, რიტორიკისა და ფილოსოფიის აღორძინება, უპირველეს ყოვლისა, ძველი შემოქმედების დაბრუნებასა და შესწავლაში გამოიხატა. ამ შესწავლას, ცხადია, სიძნელეებიც ახლდა თან ტექსტის დაძლევის მხრით. ამას საგნის თავისებურებასთან ერთად ენაც ქმნიდა. ძველი ტექსტების წესიერი აღქმისა და მართებული გაგებისათვის ნორმების გამომუშავება დაიწყო, ხოლო ამის სისრულეში მოყვანა გრამატიკას დაეკისრა“.

ასეთი რამ (იგულისხმება ძველი ტექსტების დაძლევის სიძნელეები და ახსნა-განმარტებათა სისტემის შემუშავება) ჩვენში XVIII ს-ში კი არ დაწყებულა, გაცილებით ადრე, V ს-იდან იკიდებს ფეხს (ა. შანიძე) და ჰერმენევტიკული გრამატიკის ბერძნ. სისტემას ეყრდნობა. ამიტომაც XVIII ს. „პრაქტიკული მიზანდასახულების“ ქართ. ტრადიცია თავისი მეთოდოლოგიით სომხური გრამატიკული ლიტ-რისაგან კი არ იყო დავალებული, არამედ საკუთრივ ქართულისგან. ეს „აღორძინება“, პირველ ყოველისა, ძვ. ქართ. ტრადიციების განახლება იყო, და არა სომხურ ლიტ-რაზე გეზის აღება, როგორც ეს ი. აბულაძეს მიაჩნდა. მისი თქმით, „სომხეთში ანალოგიურ ვითარებათა გამო ამ მიმართულებით მუშაობა ადრე გაჩაღდა, ასე რომ, ზოგიერთ სფეროში სომხური წყაროები ბაძი შეიქმნა ქართულისათვის“.

ამრიგად, გრამატიკის ძვ. ქართ. გაგება ტექსტოლოგიურ-ჰერმენევტიკული ლინგვისტიკის ბერძნ. ტრადიციას ემყარება და გულისხმობს არა იმდენად ენის მეცნ. აღწერას (τε γραμματα), არამედ ტექსტის კომენტირებისა და ინტერპრეტაციის სისტემას (τεχνη γραμματικη), ხოლო გრამატიკოსი, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის განმმარტებელს, ტექსტოლოგს, ზოგადად ფილოლოგს ნიშნავს და არა მხოლოდ გრამატ. თხზულებისა თუ გრამატიკის ავტორს.

ლიტ.: ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონის მიერ, ტფ., 1885; ა ბ უ ლ ა ძ ე ი., სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სომხური წყაროები. – იხ. მისი: შრომები, ტ. 2, თბ., 1976; შ ა ნ ი ძ ე მ., „სიტყუაჲ ართრონთაჲს“, ძველი ქართული გრამატი-

კული ტრაქტატი, თბ., 1990 (აკ. შანიძის შესავალი სიტყვა, გვ. 3–5); სიტყვიანი ფსალმუნიანი, შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებული მრავალთა წიგნთაგან, ტ. I, 2. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნ. დობორჯგინიძემ, თბ., 1996; Цагарели А. А., О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873; Neuschafer H., Origenes als Philologe, Bd. I, 2, Basel, 1987; Schlieben R., Christliche Theologie und Philologie in der Spätantike, Berlin–New York, 1994.

ნ. დობორჯგინიძე.

ძ ი რ ი, მორფოლოგიური თვალსაზრისით სიტყვის (ფუძის) დაუშლელი ნაწილი, რ-თანაც დაკავშირებულია სიტყვის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა. სიტყვათა ცვალების დროს ძ. სემანტიკურად უცვლელი რჩება, მაგრამ სხვადასხვა ფონეტ. ფაქტორების მოქმედების შედეგად შეიძლება იცვალოს მისი სტრუქტურა (მაგ., კედელ-ი – კედლ-ის, ხე – ხ-ის...). მრავალ ენაში ძ-ის სტრუქტურა ხასიათდება სპეციფ. ფონემური შედგენილობით და ფონეტ. კანონზომიერებებით, რაც მყარ საფუძველს ქმნის დიაქრონიული და ტიპოლოგიური კვლევისათვის. ამ თვალსაზრისით კარგად არის შესწავლილი ქართ. და ქაროვ. ენათა ძირის სტრუქტურა (არნ. ჩიქობავა, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ი. მელიქიშვილი, ი. ქობალავა და სხვ.). ძ. შეიძლება იყოს თავისუფალი, აფიქსების გარეშე (ნულოვანი მორფემითაც: ხე, დედა...), ან მხოლოდ აფიქსებთან ერთად (ა-კეთ-ებ-ს, კეთ-ებ-ა...). ზოგჯერ სიტყვაში (ფუძეში) ძ-ის გამოყოფა ჭირს, რადგან დიაქრონიული პროცესების შედეგად მოტივაცია დაჩრდილულია და საჭირო ხდება ისტ.-ეტიმოლოგიური კვლევა მის დასადგენად. *ნ. სტურუა.*

ძ ი ძ ი ბ უ რ ი შოთა ვარლამის ძე (15. VIII. 1911, სოფ. მათხოჯი, – 10. X. 1995, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართ. ენისა და დიალექტების მკვლევარი, ბასკოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფ. (1963), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1971). 1930 დაამთავრა თსუ საენათმეცნიერო დარგი. ასპირანტურის კურსი გაიარა ლენინგრადში აკადემიის ნ. მარის, ი. მეშჩანინოვის, ლ. ჩერბას და პროფ. კ. დონდუას ხელმძღვანელობით. იქვე დაიცვა (1935) დისერტაცია თემაზე „ქართული ენის კილოების კლასიფიკაციის ცდა“. 1936 დაიწყო სამეცნ. და პედ. საქმიანობა. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს ობილ., ქუთ., თელავის პედ. ინ-ტებში. იყო თსუ ახ. ქართ. ენის კათედრის გამგე (1967–84), 1974-იდან საქართვ. მეცნ. აკად. ენისა და ლიტ-რის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი და აკად. პრეზიდიუმის წევრი, საქართვ. ისტ. წყაროების კომისიის თავ-რე, ბასკური ენისა და კულტურის საზ-ბის თავ-რე, ქსუ-ის ენათმეცნ. საბჭოს თავ-რე, ჟურნალ „ეკორგიკის“ რედაქტორი, ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწ. კომისიის, „ეეფხისტყაოსნის“ აკად. ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და სხვ.

ძ. აეტორია მრავალი ნაშრომისა, რ-ებშიც გაშუქებულია ქართ. ენის გრამატიკის, მისი ისტორიის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, ონომასტიკის, აგრეთვე ზოგადი ენათმეცნ., ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები. ძ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართ. სალიტ. ენის ნორმალიზაციის, მწერლის ენისა და სტილის საკითხებს. თვალსაჩინოა მისი წვლილი ქართ. ენის დიალექტების შესწავლაში. დიალექტები მან დააჯგუფა ფონეტ. პროცესების საფუძველზე, შეკრიბა დიდძალი მასალა, რ-იც წარმოდგენილია „ქართული დიალექტების ქრესტომათიაში“ (1956) და „ქართული დიალექტოლოგიის მასალებში“ (1974). ქართ. ენის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“ (1969). ძ-მა პირველმა აღმოაჩინა ნართული ეპოსის კვალი ქართ. ფოლკლორში.

ძ. იყო ქართ. ენათმეცნიერების მნაპოვართა პოპულარიზატორი; ეკუთვნის მეცნ.-პოპულარული ნაშრომები: „საენათმეცნიერო საუბრები“ (1960), „ქართული ენის თავგადასავალი“ (1969), აგრეთვე მონოგრაფიები გამოჩენილ ენათმეცნიერებზე – ნ. მარზე, ა. შანიძეზე, გ. ახვლედიანზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუს., ინგლ., ფრანგ. ენებზე გამოცემული ნაშრომი „ქართული ენა“, რ-შიც მოცემულია არსებითი ცნობები ქართ. ენის შესახებ. ძ. აეტორია აგრეთვე ბასკების და ბასკური ენის შესახებ ნაშრომებისა, რ-თაგან აღსანიშნავია „ბასკები და ქართველები“ (1979; ესპ. ენაზე, ვიტორია, 1982). ძ-ს მიღებული აქონდა ს. ვაჟილოვისა და ი. ჯავახიშვილის სახ. მედლები, მთავრობის ჯილდოები.



შ. ძიძიგური.

თხზ.: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გამოც. მე-2, თბ., 1970; ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971; ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974; ბასკურ-კავკასიური პრობლემა, თბ., 1981; მწერლის ენა, თბ., 1985; Грузинские варианты нартского эпоса. Исследование, тексты, Тб., 1971.

ლიტ.: Undiano E., Los Vascos y los Georgianos, Madrid, 1982.

ზ. ჭუმბურიძე.

ძ ო წ ე ნ ი ძ ე ქეთევან სამსონის ასული (23. XII. 1916, ქუთაისი, – 4. IX. 1969, იქვე), ქართველოლოგი. დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ქართული ენისა და ლიტ-რის ფაკულტეტი (1937), თსუ ასპირანტურა ძვ. ქართ. ენის სპეციალობით (1940), დაიცვა დისერტაცია ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად (1950). 30 წლის მანძილზე ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ქუთ. პედაგოგიურ ინ-ტში. მუშაობდა ქართ. ენის კათედრაზე, 1958-იდან გარდაცვალებამდე იყო ამავე კათედრის გამგე.



ქ. ძოწენიძე.

იკვლევდა ძველი და ახალი სალიტ. ქართულის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს, ქართ. ენის დიალექტებს, მწერალთა ენასა და სტილს. მისი შრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფიული გამოკვლევა – „სახელთა ბრუნება ძველ ქართულში პაულეს ეპისტოლეთა მიხედვით“ (დაბეჭდილია ავტორეფერატი, 1950) და ფუნდამენტური

ნაშრომი ხემოიმერულის შესახებ, რ-იც გამოიცა ორ წიგნად – „ხემოიმერული კილოკავი" (ქნობრიეი მიმოხილვა და ტექსტები, 1973) და „ხემოიმერული ლექსიკონი" (1974). ქ. დანელიასთან ერთად გამოსაცემად მოამზადა „ალელეი" (გამოიცა 1974).

ძ. სამეცნ.-პედ. მუშაობასთან ერთად ნაყოფიერ სა'ს. საქმიანობასაც ეწეოდა. მიღებული ჰქონდა მთაერობის ჯილდოები.

გრ. იმნაიშვილი.



Ⴜ, ქართული ანბანის ოცდამეცხრე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთორმეტე) ასო. მისი სახელია „წილი“; გრაფ. სიმბოლო წინაეინისმიერი აბრუპტიეი სისინა აფრიკატისა. ასომთაერულში იწერებოდა Ⴉ. მისი მოხაზულობა ხაზისა და წრეების კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. VIII ს-ში რკალურ ფორმას იძენს. ნუსხური ⴛ მარჯვნივაა გადახრილი და ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრული Ⴜ მომრგვალებული ფორმისაა და ზედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. სათვალაეში აღნიშნავდა ოთხ ათასს (4000).

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ 1384–96, შაეი საღებაეით შესრულებული სამი ასომთაერული წარწერა ტაძრის ორ გუმბათქეეშა სეეტზე. პირეელი წარწერა, 17-სტრიქონიანი, მოთავსებული ჩრდ.-დას. ჯახნაგ'ს, შესრულებული შაე-თეთრ ფონზე, ჩასმულია შაე ოთხკუთხა ჩარჩოში. წარწერის მე-8–9 სტრიქონების მარჯვენა ნაწილი, შელესილობის ჩამოშლის გამო, ნაკლულია; მისი აღდგენა ბერძნული წარწერის ტექსტის მონაცემებით ხერხდება. წარწერის ტექსტი ასეთია:

„† წარვეგზავნეთ, მაცხოერისა შეწუენითა, კოსტანტიპოელეს და მოვიეეანეთ მხატეარი ესე კირმანოელი ჩეენ, მ[ონაზ]ონ[თა ქრისტესთა მახარებელმან ქეაბალია და ანდრონიკე გაბისულაეა; და ვეეედრებით მაცხოვარსა, რაითა გეიხსნას ჩეენცა დიდსა დღესა მას განკითხეისასა; ამენ, ამენ, ამენ“.

იმავე სეეტზე, ამ წარწერის ქეეშით, ცალკე ოთხკუთხა ჩარჩოში მოთავსებულია 9-სტრიქონიანი, თეთრ ფონზე შაე საღებაეით შესრულებული ასომთაერული წარწერა. მისი სამი პირეელი სტრიქონი, შელესილობის ჩამოშლის გამო, ნაკლულია. მოღწეული ტექსტი ასეთია:

[_მა]შენებელთა, გალატოზთა და ხელისუფალთა და მზარეულთა ყოეელთა შეუნდოს ღმერთმან: ამენ, ამენ, ამენ“.

მესამე წარწერა, 17-სტრიქონიანი, შესრულებული შაე საღებაეით თეთრ ფონზე, მოთავსებულია სამხრ.-დას. გუმბათქეეშა სეეტის ჩრდ.-დას. წახნაგზე. მე-12–16 სტრიქონების მარცხენა ნაწილები, შელესილობის ჩამოშლის გამო, ასეეე მე-5–7 სტრიქონების დასასრული, საღებაეის აცეერის გამო, ნაკლულია, მაგრამ ტექსტის აღდგენა შინაარსის მიხედეით ადეილია. წარწერის ტექსტი ასეთია:

„† პატრონისა, ერისთავთა ერისთაეისა და მანდატურთუხუცესისა დადიანისა ეამეეის ბრძანებითა მოე[ედი] კოსტანტიპოელით (sic!) მხატეარი კირმანოელი ეეგენიკოს და დაეხატე ესე [ეკლესია შეწუენითა] ღმრთ[ისა. ეინც]ა შენ[დობა ბრ]ძანოთ, [თქუენ]ცა შეგინდოს [ღმერთმან]; ამენ, ამენ, ამენ“.

მესამე წარწერის გეერდით, იმაეე სამხრ.-დას. გუმბათქეეშა სეეტზე, მოთავსებულია ბერძნ. ასომთაერული წარწერა, შესრულებული 15 სტრიქონად შაე საღებაეით თეთრ ფონზე. სტრიქონების დასასრული, შელესილობის ჩამოშლის გამო, ნაკლულია. გადარჩენილი ტექსტი გეაუწეებს, რომ მხატეარი მანუელ ეეგენიკოსი (Μανουηλ Ευγενικος) ჩამოსულია კონსტანტინოპოლიდან, რისთეისაც ერისთაეთა ერისთაეს ვამეეს გაუგზაენია მონაზენები, ქობალია მახარებელი (Ko-



წალენჯიხის წარწერის დეტალი.



წალენჯიხის წარწერა. 1384–1396.

πῶλία ὁ Μαχαρεβέλης) და ანდრონიკე გაბისულავა (Ἀνδρόνικος ὁ Καπισουλάς).

წალენჯიხის ტაძრის ეს წარწერები თანადროულია. ქართ. წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით XIV ს. განეკუთვნება. მათში დასახელებული ისტ. პირებიდან ცნობილია მხოლოდ ვამეყ დადიანი, რ-იც, მ. ბროსეს მიხედვით, მოღვაწეობდა დაახ. 1384–96. წარწერებიც ამ წლებით თარიღდება. ეს წარწერები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მათში დოკუმენტურად დასტურდება XIV ს-თვის ქართ. გვარსახელების დასაველურქართული გაფორმება.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 2, ტფ., 1914; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951; Л о р т к и п а н и д з е И., Роспись в Цаленджихе, Тб., 1992.

ვ. სილოგავა.

წართქმითი წინადადება, *წინადადება,* რ-შიც აზრი დადებითად არის გამოხატული („გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ხარიო", ეკა-ფშავ.). წ. წ. უპირისპირდება *უკუთქმით წინადადებას* (გულმა შეება იგრძნო – შდრ. გულმა შეება ვერ იგრძნო). წ. წ-ში შემასმენელი, ჩვეულებრივ, ზმნის დადებითი ფორმითაა გადმოცემული („თოვლის ფიფქი წამოვიდა და დამადნა ტუჩის ქიმზე", ი. გრიშ.), ოუმცა ე. წ. რეტორიკულ კითხვით წინადადებაში წართქმითი მნიშვნელობა აქვს უკუთქმითი ფორმით მოცემულ ზმნასაც.

ლიტ. იხ. სტატიასთან: *უკუთქმითი წინადადება.* *ლ. კვანტალიანი.*

წებელდის წარწერები, ქართული ასომთავრული წარწერები, ამოკვეთილი წებელდის ეკლესიის (გულრიფშის რ-ნი) კანკელის ერთ-ერთ ფილაზე (XI ს.) და ქვის სხვა ფილაზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (XIV ს.). კანკელის ფილა მოღწეულია ფრაგმენტულად, ცნობილია 1894-იდან, როდესაც გრაფინია პრ. უვაროვამ პირველად გამოაქვეყნა მისი ფოტო; ამჟამად დაცულია საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში (№ხმმ-443). ფილის ცენტრში გამოსახულ ვარდულებს (როზეტებს) შორის ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი კიდურწაისრული წარწერა: „წმიდაო თეოდორე, შეიწყალე მიქაელ". წარწერა კანკელის ფილის თანადროულია და ორიენ XI ს-ით თარიღდება. 1938 წებელდის ტაძრის ნანგრევებში აღმოუჩენიათ ოთხკუთხა ფორმის ქვის მოსრდილი ფილა. მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ცნობილია მხოლოდ ფილის ფოტო, გამოქვეყნებული ხ. ბღაჟბას მიერ (1967). ფილის ცენტრში წარმოდგენილია ჯვრის რელიეფური გამოსახულება, რის ქვედა მკლავი სომით სხვა მკლავებს აღემატება. ჯვრის მკლავების ბოლოები ოდნავ გაფართოებულია და წაწვეტებული. მას ზემოდან „ახურავს" ორფერდა საფარი ნახევარრომბებისაგან შედგენილი ორნამენტის გამოსახულებით. ფილას გარშემო დაუვლება რომბებისაგან შედგენილი ორნამენტული ჩარჩო. ჯვრის ცენტრში, მკლავის გადაკვეთის ადგილას, არის როზეტისა თუ პატარა ზომის ტოლმკლავიანი ჯვრის გამოსახულება. ამავე მკლავების ორივე მხარეს ამოკვეთილია ასომთავრული წარწერის თითო სიტყვა: „წმიდაო გიორგი". ჯვრის ბუდეებში, ქვედა მკლავის ორივე მხარეს, 6-6 სტრიქონად, ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „ამის ჯუარისა მაშენებელსა, ლუკას მარტინეას, შეუნდოს ღმერთმან, ამენ". წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIV ს-ით თარიღდება. მასში დასტურდება მეორე შემოხვევა XIV ს-თვის გვარსახელის დასაველურქართული გაფორმებისა (შდრ. *წალენჯიხის წარწერები 1384–96).*

ლიტ.: Б г а ж б а Х. С., Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967.

ვ. სილოგავა.

წევრნაკლი წინადადება, წინადადება, რ-საც აკლია ერთი ან მეტი მთავარი წევრი (ქვემდებარე, პირმიმართი დამატება). უსრული წინადადებისაგან განსხვავებით, წ. წ-ში ნაკლული წევრის აღდგენა შეუძლებელია, რამდენადაც წევრის დაკლება შეპირობებულია ზმნა-შემასმენლის დეფექტაციით და წინადადების სემანტიკური ორგანიზაციით. წ. წ-ები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: უსუბიექტო და უობიექტო წინადადებებად. უსუბიექტო წინადადებები, თავის მხრივ, სამი სახისაა: უ ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ო (უპირო), გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ პ ი რ ი ა ნ ი (ქვემდებარეგაუჩინარებული) და გ ა ნ ზ ო გ ა დ ე ბ უ ლ პ ი რ ი ა ნ ი.

უქვემდებაროა ისეთი წინადადება, რ-შიც ქვემდებარე არც არის და არც იგულისხმება (წვიმს. თოვს. დაბნელდა...). ჩვეულებრივ, უქვემდებაროდ იხმარება: 1. ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი პირნაკლი ზმნები (ქუხს. ელავს.); 2. ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები (მაციებს, მაჟრჟოლებს, მტკივნეულობს, მამთქნარებს...); 3. შესაძლებლობისა და გუნების ვნებითის ზოგიერთი

ფორმა („ახლა იქ არ წაისვლება“, „ახლა არ ემღერება“...). უქვემდებარო წინადადება შეიძლება იყოს გაუვრცობელი („ირიჟრაჟა“) და გავრცობილი („ტანში მშარავს“); მოავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით – ერთშემადგენლიანი („ერთბაშად ჩამოცხა“), ორშემადგენლიანი („ჩვენს მხარეში ხაფხულობით კოკისპირული წვიმები იცის“), სამშემადგენლიანი („მალე წვიმას თოვლსაც მოაყოლებს“).

განუსაზღვრელპირიანია წინადადება, რ-შიც ქვემდებარე არ არის, გაუჩინარებულია, მაგრამ მოქმედად მაინც იგულისხმება ვიღაც, გაურკვეველი პირი (პირები). ამგვარ წინადადებაში შემასმენელი გადმოცემულია ზმნის III სუბიექტ. პირის მრ. რ-ის ფორმით („ამ მინდიაზედ ამბობენ დაუჯერებელს ამბებსა“, ვაჟა-ფშაე.).

განზოგადებულ პირიანია წინადადება, რ-შიც შემასმენლით გადმოცემული მოქმედება ეხება ყველას და არა მხოლოდ ზმნით გამოხატულ პირს. განზოგადებული მოქმედება გადმოიცემა უპირატესად ზმნის II სუბიექტ. პირის ფორმებით („ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერ“, „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსა“), ზმნის III სუბიექტ. პირის მრ. რ-ის ფორმითაც აწმყოში (იშვიათად მყოფადში), რ-საც მრავალგზისობის გაგება აქვს („ზამთრის სარჩოს ზაფხულში იმარაგებენ“; „როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდის, ფიცს არ სტუხენ“, გ. ტაბ.), განსაზოგადებული მოქმედება იშვიათად შეიძლება გადმოიცეს ზმნის I სუბიექტ. პირის ფორმითაც აწმყოში („გული ით ვგრძნობთ, გონებით ვსჯით“).

უობიექტო წინადადებებს, ჩვეულებრივ, ქმნიან ე.წ. მედიოაქტიური ზმნები და ზოგი სხვა ზმნაც. მედიოაქტიურს პირდაპირობიექტ. პირის დაკლების გამო პირდ. დამატება აღარ შეეწყობა, თუმცა გარდამავალი ზმნის ზოგი სინტაქსური ნიშანი შენარჩუნებული აქვთ („ყმაწვილებმა გაიხუმრეს“, „გოგონებმა გადაიკისკისეს“, „მიცვალებულს სოფელმა უპატრონა“). უობიექტო წინადადებაში უფრო ხშირად არ არის პირდ. დამატება („ნიავმა წყნარად წაისისინა“), ზოგ ზმნასთან – ირიბი დამატება („ქიმერებმა დაჰკრეს ტაში“, გ. ტაბ.), ან აკლია ორივე დამატება („აუწქარა ცხენმა გზაში“).

ლიტ.: უ ს ნ ა ძ ე დ., Impersonalia. – «ჩვენი მეცნიერება», 1923, №1; ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954; ბ ა ს ი ლ ა ი ა ნ., ერთშემადგენლიანი წინადადების საკითხისათვის. – «სოხუმის პედ. ინ-ტის შრომები», 1958; ტ. 10–11; კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; მ ი ს ი ე ვ., მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბ., 1987; დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი მ., გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986; კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ლ. კვარტალიანი.

ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ აკაკი როსტომის ძე [9(21). VI. 1840, სოფ. სხვიტორი, საჩხერის რ-ნი, – 26. I (8. II). 1915, იქვე, დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში], პოეტი, საზოგადო მოღვაწე. დაიბადა იმერეთის შეძლებული თავადის – როსტომ წერეთლის ოჯახში. დედა – ეკატერინე აბაშიძე – იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შთამომავალი იყო. წ-მა ბავშვობა სოფ. საკანეში, გლეხის (სადუნაშვილის) ოჯახში, ძიძასთან გაატარა. წერა-კითხვა დედამ ასწავლა. 1852-იდან ქუთ. გიმნაზიაში სწავლობდა, 1859-იდან – პეტერბ. უნ-ტში აღმოსაელური ენების ფაკ-ტზე, რ-იც 1863 დაამთავრა. იგი არა სოღეს შესულა სახელმწ. სამსახურში. ი. ჭავჭავაძესთან ერთად იღვწოდა ქართვ. ხალხის სულიერი აღორძინებისა და მისი ეროვნ. თვითშეგნების ასამაღლებლად.

წ-ის შემოქმედების ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო იყო ახალი ქართ. სალიტ. ენის დამკვიდრება და მისი მოვლა-პატრონობა. ენა აკაკის უპირველეს ეროვნულ ფენომენად მიაჩნდა: „ჩვენ ჩვენი წინაპრების ანდერძის გამტეხი არა ვართ... გვწამს მათი ანდერძი და დღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოულობდნენ: ენას, რჯულს და ეროვნული საქმის მოწყობას“.

წ. თვლიდა, რომ ენის ერთობა ერის ერთობის საწინდარი იყო („საქართველოს ერთობის დროც ენაც ერთი გვქონდა....“); სალიტ. ენის საფუძველი უნდა გამხდარიყო საერთო სახალხო ენა („იმ ენით უნდა ვისწეროთ, რა ენაზედაც ლაპარაკობს დღეს ხალხი...“); ენაში დაუნჯებულია ერის ისტორია („გინდა შეისწავლო ისტორიულად რომელიმე ხალხი? გამოიკელიე მისი ენა“). აკაკი ცდილობდა, საკუთარ შემოქმედებაში გაეტარებინა ეს პრინციპები. 1860 „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლექსის „საიდუმლო ბარათის“ ენა მსჯელობის საგანი გახდა. თავადი კ. ლორთქიფანიძე, ანჩისხატის დეკანოზი ეფრემი, რ-თაც აკაკის გაელენის ეშინოდათ, სთხოვდნენ, ნუღარ დაწერდა ასეთ მშვენიერ ლექსებს მდაბიო ენით, მათ დარბაისლური ქართული დაამშვენებდა. მაგრამ წ-ის გადაწყვეტილება, „სახალხო ენით და არა დარბაისლურად ეწერო“, მტკიცე იყო.

წ-ის ინიციატივით გაზ. „კვალში“ შემოიღეს განყ-ბა „სასწორმეტყველო“. იმართებოდა ცხარე პოლემიკა ენის საკითხებზე ი. გოგებაშვილთან, ი. მაჩაბელთან, ვაჟა-ფშაველასა და სხვებთან. საგანგებო აღნიშვნის ღირსია აკაკის ზრუნვა სასცენო სწორმეტყველების შესახებ, რადგან სწორად აფასებდა თეატრის ენის გავლენას საზოგადოებაზე.

წ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლებში დედაენაზე სწავლების საკითხს. მისი აზრით, ბავშვმა „უნდა იწყოს სწავლა იმ ენაზედ, რომელზედაც იმას პირველად ხმა ამოუღია“. მხოლოდ ასეთი სწავლება იქნებოდა სასარგებლო და ადვილად გასაგები. აკაკი არა მარტო მხარში ედგა ამ საქმეში ი. გოგებაშვილს, არამედ მასთან ერთად ებრძოდა ეროვნული სკოლის ყველა მოწინააღმდეგეს. ი. გოგებაშვილიც დიდად



ა. წერეთელი.

აფასებდა წ-ის ამ მხარდაჭერას. აკაკის ასეთე უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზაბის დაარსებასა და მის საქმიანობაში.

ცნობილია აკაკის დამსახურება დიალექტური ლექსიკის, ზოგადად ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებაში. მისი წერილი (ინსტრუქცია) „როგორ უნდა შეეკრიბოთ ზეპირგადმოცემები“ საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცა. აკაკი მოითხოვდა შემკრებთაგან, რომ ნაწერათ ყოველი სიტყვა, ნაცნობიცა და უცნობიც, თან აუცილებლად ზუსტი მნიშვნელობით. ამავე მიზნით შეიქმნა „ზეპირსიტყვაობის ფონდი“. წ-მა თავადაც არაერთი სიტყვა შემოიტანა და დაამკვიდრა სალიტ. ენაში (გაიძვერა, ბობოლა, შეხმატკბილება...); საგანგებოდ მიანიშნებდა მეგრული ლექსიკის შეგროვების აუცილებლობაზე.

ლიტ.: თოფურია ე., აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა. – „ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944–45; ძოწენიძე ქ., აკაკი წერეთლის ენა. – იხ. მისი: ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973; სანიკიძე თ., აკაკი წერეთელი და ქართული ლექსიკის განვითარების საკითხები, თბ., 1989; ჯორბენაძე ბ., აკაკი წერეთელი – ღვაწლის მოამაგე. – აკაკი წერეთელი-150. საიუბილეო კრებული, თბ., 1993.

გ. გოგოლაშვილი.

წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე [14 (26). V. 1842, სოფ. გორისა, ხაშურის რაიონი, – 12 (24). I. 1900, თბილისი], მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ქუთ. გიმნაზია (1860); სწავლა განაგრძო პეტერბ. უნ-ტში ფიზ.-მათ. ფაკ-ტზე. 1863 დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება „თერგდალეულთა“ ლიტ.-საზ. და პოლიტ. საქმიანობაში. თანამშრომლობდა ჟურნ. «ცისკარში», შემდეგ – ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ ჟურნ. «საქართველოს მოამბეში». 1866–69 იყო გაზ. «დროების» პირველი რედაქტორი.

1868 წ-მა დაიწყო «სასოფლო გაზეთის» გამოცემა; 1873–77 იმყოფებოდა შვეიცარიასა და გერმანიაში. 1877–78 რუს.-თურქ. ომის დროს ფრონტზე იყო პეტერბურგის გაზ. „გოლოსის“ სამხ. კორესპონდენტი; 1878–82 გაზ. «ტიფლისკი ეესტნიკის» თანამშრომელი; 1893–1900 კი – გაზ. «კვალის» რედაქტორი. ეწეოდა სამეცნ.-ლიტ. და საზ. საქმიანობას. წ-მა დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და სხვ. როგორც მწერალი და მოაზროვნე, იგი კრიტ. რეალიზმის წარმომადგენელია.

წ. დიდ ყურადღებას უთმობდა ქართ. ენის უფლებების დაცვას, სალიტ. ენისა და დიალექტების ურთიერთობას, ქართ. ენის გენეზისსა და მიმართებას სხვა ენებთან, ეტიმოლოგიურ ძიებებს, პალეოგრაფია-ეპიგრაფიკის, ორთოგრაფიული ნორმების მოწესრიგების საკითხებს და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ერთიანი სალიტ. ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის გამართულ ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობაში. წ. ერთ-ერთი პირველი ამოუდგა მხარში ი. ჭავჭავაძეს და „შვილებს“ მიემხრო. ენის საკითხში ის არც მაშინ დაშორდა ამ პოზიციას, როცა „თერგდალეულთა“ ბანაკი ორად გაიყო და იგი „მეორე დასს“ ჩაუდგა სათაეში. მისი პროგრესული, დემოკრატიული შეხედულებები ნათლად არის გამოხატული ჟურნ. «საქართველოს მოამბეში» (1863, №5) დაბეჭდილ წერილში – „ცისკარს რა აკაკანებდა?“ – ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა «ცისკარს», რ-იც თავისი შინაარსითაც და ფორმითაც „მამების“ აზრებსა და შეხედულებებს ასახავდა. გაზ. «დროებაშიც» მან იმთავითვე კატეგორიული მოთხოვნა წამოაყენა: გაზეთში დაბეჭდილი წერილები დაწერილი უნდა ყოფილიყო ხალხისათვის „ადვილგასაგონი“ ენით.

წ. მოითხოვდა, რომ ხალხის ცოცხალი მეტყველება გამხდარიყო სწორედ ახ. სალიტ. ენის საფუძველი («კვალი», 1894, №50). იგი იმასაც კარგად ხედავდა, რომ სალიტ. ენა აჭრელებული იყო სხვადასხვა კილოდან შემოსული ფორმებით და საჭიროდ მიიჩნევდა ორთოგრაფიული წეს-კანონების მოწესრიგებას («დროება», 1868, №1), თუმცა თვითონ უფრო დასაელურ კილოებს იყენებდა, რითაც ზოგჯერ უპირისპირდებოდა სალიტ. ენის ტრადიციებს და მისი „იმერიზმები“ არაერთხელ გამხდარა კრიტიკისა და დაცინის საგანი. წ-მა კარგად იცოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ენას ერის თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის, მკაცრად გმობდა რეაქციონერ-კლერიკალებს, რომლებსაც სურდათ სამეგრელოს სკოლებში ქართულის სწავლების გაუქმება.

განსაკუთრებით საყურადღებოა წ-ის საენათმეცნ.-საგრამატიკო შეხედულებები. ამ მხრივ საინტერესოა სპეც. ზოგადენათმეცნ. ხასიათის ნაშრომი „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“, დაბეჭდილი 1872 ჟურნალ «კრებულში» გ. გორისელის ფსევდონიმით. სტატიის პირველ ნაწილში წ. ეხება ენის წარმოშობის საკითხს, მის ფუნქციებს, სალიტ. ენებისა და დიალექტების ურთიერთობას, ენათა გენეალოგიურ და ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას და სხვ. მეორე ნაწილი შეეხება ანბანის ისტორიასა და ბგერათა კლასიფიკაციას; მესამე – საწარმოთქმო ორგანოებს, ბგერათწარმოებას.

სტატიაში არაერთი საინტერესო მოსაზრებაა წარმოდგენილი დიალექტების, ანუ „ენაცულების“ როლსა და მნიშვნელობაზე, მოცემულია „-ში“ თანდებულის საკმაოდ სწორი გენეზისი, საყურადღებო მსჯელობაა დიფთონგების („ორხმოვნების“) და სონორების („ცალხმა ასოების“) შესახებ; ქართველურ და უცხო ენათა ლექსიკური ერთეულების ურთიერთშეჯერებით მოცემულია ცდა ქართ. ენის ინდოევროპულობის დასაბუთებისა, სწორადაა შენიშნული, რომ ჰ (ხ, ღ) II პირის ნიშანია; ფონეტ. წესების („ფილოლოგიურ დაწესებათა“) შესახებ მსჯელობისას ყურადღებას იქცევს ავტორის მიერ მითითებული ბგერათშესატყვისობანი. ეს ერთ-ერთი პირველი ნიმუშებია ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის დადგენისა.

ქართ. ენასთან დაკავშირებულ სხვა თეორ. და პრაქტ. მნიშვნელობის საკითხებს წ. არაერთხელ დაბრუნებია თავის ნაწერებში. ქართულის ინდოევროპულ წარმომაელობას ეხება რამდენიმე წერილი „ლაშასა“ და „ქორიკოს-ქორეპისკოპოსის“ ეტიმოლოგიის შესახებ და კამათი ამ საკითხზე მ. ჯანაშვილთან («კვალი» 1893, №27;

ისტ.-ფილოლ. გამოკვლევა, №38–40; კითხვების პასუხი, №42); ქართ. სმნის კაუსატიურ ფორმებსა და მათი ხმარების თავისებურებებზე მსჯელობს ვ. «დროებაში» გამოქვეყნებულ „უცხო ქვეყნის ამბებში“ (1868, №9). რუსულსა და „სხვა დასავლეთის ენებთან“ შედარებით ნარკვევებია ქართ. ენის გრამატ. სტრუქტურის სიმდიდრე, სმნის ფორმათა მრავალფეროვნება და მოქნილობა. შემდეგ ქართ. ენის ამ თავისებურებას ყურადღება მიაქცია და დიდ ღირსებად მიიჩნია ი. ჭავჭავაძემ.

საყურადღებოა ვ-ის მოსაზრებანი ოროოგრაფიის სადაო საკითხებზე. მას არასწორად მიაჩნდა ორმაგი მრავალობითის ფორმათა ხმარება, საკმაოდ ზუსტად აქვს განსაზღვრული მახვილის ადგილი ქართულში.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ვ-ის ღვაწლი ქართ. ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის კვლევაში. ცნობილია მისი მონოგრაფიული ნაშრომი გელათის წარწერებისა და ხელნაწერთა მინაწერების შესახებ: „Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря“. – «Древности восточныя», вып. I, II. 1891. ფართო განათლებისა და ძვ. ქართ. დამწერლობის საუკეთესო ცოდნის წყალობით მასში არაერთი საკითხია დაზუსტებული და ახლებურად გაშუქებული არამარტო ისტ., არამედ პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც; დათარიღებულია არაერთი ძეგლი, საინტერესოა ცნობილი ტერმინის „ხანმეტის“ განხილვა, რ-საც იგი „დრომეტად“ განმარტავს (ასევე განმარტავდა მას შემდეგ კ. კეკელიძეც), საყურადღებოა მსჯელობა ბერთის სახარებისა და თავად ტაძრის შესახებ.

გელათის ხელნაწერთა გარდა, ვ-ს შეუსწავლია კაცხისა და მღვიმის მონასტრები, სავანის ბაზილიკა და სხვა ტაძრები, აღუწერია და გაუშიფრავს წარწერები (Археологическая прогулка по Квирильскому ущелью. – «Материалы по археологии Кавказа», вып. III, М., 1893); მოცემული აქვს სწორი და დამაჯერებელი წაკითხვები „შატბერდის“ კრებულისა («კვალი», 1894, №40–41). ვ. განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა ქართ. ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების, კერძოდ, ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დამკვიდრებისათვის («დროება», 1867, №3). ამ მიზნითაა შედგენილი ტერმინთა ის ლექსიკონი, რ-იც ახლაც მის წიგნაკს – „საუკეთესო ცოდნა“, 1888.

„ქართული ენის ფილოლოგიურ განხილვაში“ წარმოდგენილ გრამატ. ტერმინებთან ერთად, ამ ლექსიკონის სიტყვები და ტერმინები გასათვალისწინებელია ცალკეული სიტყვებისა და მორფემების წარმოშობისა და ისტორიის შესწავლისას.

თხზ.: რჩეული ნაწერები, ტ. I–2, თბ., 1947–48.

ლიტ.: აკალიანი ს., გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, თბ., 1954; ჭილაია ა., გიორგი წერეთელი, თბ., 1964. *კ. ნიკოლაიშვილი.*

ვერეთელი გიორგი ვასილის ძე [8 (21). X. 1904, დაბა თიანეთი, – 9. IX. 1973, თბილისი], ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე; ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ფუძემდებელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1942), პროფესორი (1942), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1968), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), პოლ. ორიენტალისტთა საზ-ბის საპატიო წევრი (1966), დიდი ბრიტ. და ირლ. სამეფო საზიო საზ-ბის საპატიო წევრი (1964). დაამთავრა თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის ლინგვისტური განყ-ბა (1927); 1928 ჩარიცხეს სსრკ მეცნ. აკად. ასპირანტად ლენინგრადში, სადაც დასპეციალდა ორიენტალისტიკის სხვადასხვა დარგში. ლენინგრ. ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ინ-ტში მიიწვიეს არაბ. ენის დოცენტად (1932). 1933 დაბრუნდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა სამეცნ. კადრების მომზადებას სემიტოლოგიის სხვადასხვა სფეროში; ხელმძღვანელობდა ახლო აღმოსავლეთის ენათა განყ-ბას ენის, ისტ. და მატერ. კულტ. ინ-ტში (ენიმკი, 1963).

ვ-ის ინიციატივით დაარსდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი, სემიტოლოგიის კათედრა (1945) და საქართვ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი (1960). 1957–67 ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკად. სა-ს. მეცნიერებათა განყ-ბას. 1967–70 იყო ამავე მეცნ. აკად. ეიცე-პრეზიდენტი და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აკად. პრეზიდიუმის წევრი.

ვ-ის სამეცნ. კვლევის სფერო იყო არაბ. ენათმეცნიერება და ფოლკლორი, ებრაისტიკა და არამეისტიკა, ახლო აღმოსავლეთის ძვ. ენები და დამწერლობათა ისტორია, ქართველური ენათმეცნიერება, ქართ. და შედარებითი ლექსთწყობის საკითხები, თეორ. ლინგვისტიკის პრობლემები.



გ. ვ. წერეთელი.

ვ-ის შტუდიებმა არაბისტიკის დარგში ახალი პერსპექტივები გადაუშალა ამ მეცნიერებას. აღსანიშნავია მისი გამოკვლევები შუა აზიის მანამდე უცნობი დიალექტების შესახებ (შუა აზიის არაბული დიალექტები. I. ბუხარული დიალექტი, თბ., 1956. რუს. ენაზე). მსოფლიო სემიტოლოგიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება ვ-ის მიერ წამოწყებული სამუშაო არმაზში აღმოჩენილი წარწერების ამოკითხვისა და კვლევის საქმეში. ამ დარგს მიუძღვნა მან გამოკვლევები „არმაზის ბილინგვა“ (თბ., 1941) და „არმაზული წარწერა მითრიდატე იბერიელის ხანისა“ (მ., 1962). ეს გამოკვლევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სემიტური დამწერლობის ისტორიისათვის; დადგინდა არამეული დამწერლობის ახ. სახეობა, რ-იც მეცნიერებაში „არმაზის არამეულის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. ვ-ის მიერ შესწავლილ არმაზის არამეულ წარწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც აღმოსავლურ-არამეული დამწერლობისა და მის განშტოებათა ისტ. შესწავლის, ისე იბერიის კულტ.-ისტ. პრობლემათა და ქართ. ანბანის წარმოშობის კვლევისათვის. ქართ. კულტ. ისტორიისათვის ფასეულია ვ-ის მონოგრაფია „უძველესი ქართული წარწერა პალესტინიდან“ (თბ., 1960), აგრეთვე გამოკვლევა „მცხეთის ბერძნული წარწერა ევსპასიანეს ხანისა“ (თბ., 1958).

ვ-ს წვლილი მიუძღვის ძვ. აღმოსავლური ენების შესწავლაში („საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“, თბ., 1939). თეორ. ლინგვისტიკის დარგში აღსანიშნავია მისი გამოკვლევა „ენობრივი ნაოესაობისა და ენობრივ კავშირთა შესახებ“ («Вопросы языкознания», 1968, №3), რ-შიც განვითა-

რებულია თვალსაზრისი ენათა „შენათესავების" თაობაზე, რასაც მან ენათა „ალოგენეტური ერთიერთობა" უწოდა (იხ. *ალოგენეტური თეორია*).

დიდია წ-ის დვაწლი „ვეფხისტყაოსნის" კრიტ. ტექსტის დადგენაში. ამ დარგში გამოქვეყნებულ შრომათაგან აღსანიშნავია მონოგრაფია „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში" (1973). წ-ს მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები.

თხზ. (გარდა სტატიაში მოხსენიებულისა): სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. – თსუ სამეცნიერო სესია (2–4. III. 46). მოხსენებათა კრებული, თბ., 1947; არაბულ-ქართული ლექსიკონი თბ., 1951; ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის. – «მნათობი», 1962, №2: Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, I–II. – «Эпиграфика Востока», II – III , М.–Л., 1948–49.

ლიტ.: «აღმოსავლური ფილოლოგია», IV (ეძღვნება აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხსოვნას), თბ., 1976; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., კრიტიკული ეტიუდები, VI, თბ., 1981; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, თბ., 1984; К р а ч к о в с к и й И. Ю., Семитология в университетах СССР. – «Вопросы языкознания», 1955, № 4; Г в е л е с и а н и С. И., Востоковед Георгий Церетели. Тб., 1976.

ბიბლ.: გიორგი წერეთელი (1904–1973). ბიობიბლიოგრაფია, შეადგ. მ. ბარკაია, ნ. ბაღათურია, თბ., 1986.

თ. გამყრელიძე.



კ. წერეთელი.

ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ კონსტანტინე გრიგოლის ძე (4. II. 1921, თბილისი, – 27. II. 2004, იქვე), ენათმეცნიერი, სემიტოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974), საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1974), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1988), საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი (1993). დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1941). ეწეოდა სამეცნ.-პედ. მუშაობას თსუ-ში (1944-იდან); იყო სემიტოლოგიის კათედრის გამგე (1977–83); 1991-იდან – ებრაულ-არამეული ფილოლ. კათედრის გამგე. 1960-იდან მუშაობდა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის სემიტოლოგიის განყ-ბის გამგედ. 1996 მიენიჭა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტის საპატიო პროფესორის წოდება.

წ. იყო ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის წევრი (1976), ამერ. ბიოგრაფიული ინ-ტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, აღმოსავლეთმცოდნეთა საკავშირო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი (1980), ამერ. აღმოსავლეთმცოდნეობის საზ-ბის საპატიო წევრი, საქართვ. განათლების სამინისტროსთან არსებულ აღმოსავლურ ენათა სწავლების კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელი (1994).

წ-ის კვლევის სფერო იყო არამეისტიკა, ებრაისტიკა და შედარებითი სემიტური ენათმეცნიერება. მისმა გამოკვლევებმა თანამედროვე ასურული ენისა და არამეული დიალექტების სტრუქტურის შესახებ საფუძველი ჩაუყარა ამ დარგის პრობლემათა კვლევას ყოფ. სსრკ-ში. წ-ის მონოგრაფია „სირიული ენა" (რუს. ენაზე, 1979) პირველი გამოკვლევაა ჩვენს ენათმეცნიერებაში, რ-შიც სრულყოფილადაა აღწერილი კლასიკური სირიული ენის სტრუქტურა, ხოლო „არამეული ენა" (1982) ავტორის მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. მან საფუძველი ჩაუყარა ქართ. ასირიოლოგიას. უმაღლესი სასწავლებლებისათვის შეადგინა სახელმძღვანელო „თანამედროვე არამეული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ" (I გამოცემა – 1958, II – 1980); შრომები მიუძღვნა სემიტური წარმოშობის ხალხთა აღმნიშვნელ ეთნიკურ ტერმინებს ქართულში („ებრაელი", „არაბი", „სირიელი"...), სემიტური ენებიდან ნათარგმნი ტექსტების ენის თავისებურებებს და სხვ. წ-ის ინიციატივით თბილისის ზოგიერთ საშ. სკოლაში შემოღებულ იქნა აღმ. ენების (არაბ., სპარს., თურქ.) სწავლება.

წ-ს მინიჭებული აქვს ივ. ჯავახიშვილის პრემია, თბ. სახელმწ. უნ-ტის I ხარისხის პრემიები (1951, 1959, 1970), აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ციკლისათვის – აკად. გ. წერეთლის სახ. პრემია (1989; ამ პრემიის პირველი ლაურეატი) და სახელმწ. პრემია ნაშრომთა ციკლისათვის „საქართველოს არამეული წარწერები" (1998). დაჯილდოებული იყო ისრაელის მეცნ. აკად. მედლით – „ალბერტ აინშტაინის მედალი" (1999), ღირსების ორდენით (1996), იყო ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე (1998).

თხზ.: ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბ., 1958; თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, თბ., 1968 (გერმანულად – 1978, ინგლისურად – 1978); შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე, თბ., 1992; მცხეთის არამეული ამულეტი. – კრ.: «მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები», ტ. II, თბ., 1996 (ინგლისურად – 1998); სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, თბ., 2000; Материалы по арамейской диалектологии, т. I, вып. I – Урмийский диалект, Тб., 1965; Сирийский язык, М., 1979; Новая надпись из Мцхета-Самтавро, выполненная арамейским письмом (A New Inscription in aramaic Script from Mtskheta-Samtavro), Тб., 1990; Neuaramäisch von Nag Hamuadi bis Zypen, herausgegeben von P. Nagel, Berlin, 1971; Zur Frage der semitisch-georgischen Sprachbeziehungen. – «Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft», 1980, Suppl. 4; On the suprasegmental phoneme in modern Semitic. – «Journal of the American Oriental Society», 1982, 102/2; Grammatik der syrischen Sprache, Lpz., 1986, Grammatica generale dell'aramaico, Torino, 1995; Les inscriptions araméennes de Géorgie. – «Semitica», 48, Paris, 1999 (იხ. მისივე: სემიტოლოგიური და ქართველოლოგიური შტუდიები, თბ., 2001).

ლიტ. (ბიბლიოგრაფია): Список основных научных трудов чл.-корр. АН ГССР К. Г. Церетели. – «Народы Азии и Африки», 1981, №1.

Franz A l t h e i m, Geschichte der Hunnen, Bd 3, Berlin, 1961; ასია ფურა სარმასი, „კონსტანტინე წერეთელი". – ასურული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. 3, თეირანი, 1970 (ასურულ ენაზე); Semitica serata philologica Constantino Tsereteli dicata. – სემიტოლოგიური ძიებანი კონსტანტინე წერეთლის პატივსაცემად, ტურინი, 1993; Riccardo C o n t i n i, Fabrizio A. P e n n a c h i e t t i, Mauro T o s c o, Constantino Tsereteli (Biography) – კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი კრებული «Semitica», Torino, 1993.

გ. ახვლედიანი. გ. ჩიქოვანი.

ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე (ფსევდონიმები – Baton, მ. სანგალა) (1878, სოფ. ცხრუკვეთი, ჭიათურის რ-ნი, – 2. III. 1965, მიუნხენი), მეცნიერი, ფილოლოგი, პუბლიცისტი. თბილ. და ბერლინის უნ-ტების პროფესორი. ქუთ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწა-

ელობდა კიევის უნ-ტში, საიდანაც 1899 გარიცხეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. 1901 პარიზიდან გაასახლეს ანარქისტულ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. 1907 კვლავ საქართველოში იყო. აღსანიშნავია მისი სიტყვა ი. ჭავჭავაძის დაკრძალვაზე. შემდეგ ცხოვრობდა საზღვარგარეთ. ჰაიდელბერგის უნ-ტში ასირიოლოგიაში დასპეციალდა. 1918–23 მუშაობდა ბრიუსელსა და ბერლინის უნ-ტებში. 1912 გამოაქვეყნა გამოკვლევა „სუმერული და ქართული" (კრებ. „გეიგერგეინი", თბილისი), 1923 – „გილგამეშიანის" ქართ. თარგმანი განმარტებითურთ (კონსტანტინოპოლი), 1933 – ს.-ს. ორბელიანის იგავ-არაკების კრებ. „სიბრძნე-სიცრუისას" გერმ. თარგმანი (ბერლინი); 1957 –58 გამოსცა ღვით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ცხოვრების ამსახველი ტექსტები (პარიზი, ჟურნ. „ბედი ქართლისა") გერმ. თარგმანითურთ. ფრანგ., გერმ., ინგლ., იტალ. ენებზე აქვეყნებდა გამოკვლევებსა და წერილებს ქართველებისა და ქართ. ენის წარმოშობის საკითხებზე, ურარტუს ისტორიასა და ურარტულ ენაზე. 1961 პარიზში გამოქვეყნდა „ეფხისტყაოსნის" მის მიერ დაღგენილი ტექსტი (გერმ. თარგმანი – 1975).

გ. იმედაშვილი.

ვერტილი (.), სასვენი ნიშანი, რიც დაისმის:

1. თხრობითი წინადადების ბოლოს, რ-იც შეიცავს დეფინიციას, ფაქტის კონსტატაციას და წარმოადგენს სტილისტიკური შეფერილობის მიხედვით ნეიტრალურ მტკიცებას. სალიტ. ენაში, როგორც წესი, ვ-ით ფორმდება წინადადებები სამეცნ. ხასიათის ნარკვევების, ოფიციალური დოკუმენტებისა და საინფორმაციო საშუალებების (მედიის) ენაში. მაგ.: ენათმეცნიერება არის მეცნიერება ენის შესახებ. გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

2. ვ. იხმარება სიტყვების შესაბამოკლებლად: ა) ენაში არსებული ზოგი მზა ფორმულის შემოკლებისას: ე. ი. (ესე იგი); ე. წ. (ეგრეთწოდებული), და ა. შ. (და ასე შემდეგ), იხ. (იხილე), შდრ. (შეადარე), ნე. წ. (ნეული წელთაღრიცხვით), მაგ. (მაგალითად)...

ბ) აღამიანის სახელის ან სახელგვარის ინიციალების (საწყისი ასოების) შემდეგ. მაგ.: ი. ჭ. (ილია ჭავჭავაძე).

გ) დასახელებული პუნქტების ან ზოგი სხვა გეოგრ. სახელის წინამავალი ნომენკლატურული ტერმინის შესამოკლებლად: ქ. თბილისი, მდ. მტკვარი, სოფ. მარტყოფი...

3. რისამე პუნქტობრივ ჩამოთვლისას რომაული ან არაბული რიცხვებისა თუ საკლასიფიკაციო ასოების შემდეგ. მაგ.:

I. ა.

2. ბ.

3. გ.

და ა. შ.

4. ვ. იხმარება აგრეთვე თარიღის მონაცემთა (რიცხვი, თვე, წელი) გასამიჯნავად: 6. VII. 2000.

ადრე (უპირატესად – ოქტომბრის რევოლუციამდე) ვ. იწერებოდა წიგნის, საგაზეთო თუ სამეცნიერო სტატიისა და ა. შ. სათაურის ან ცალკეული თავების სათაურების შემდეგაც, მაგრამ თანამედროვე ქართულში ყველა ამგვარ შემთხვევაში ვ. აღარ იხმარება: გამოსაყოფი ერთეულები სხვადასხვა ეის უალური ხერხით (შრიფტი, განლაგება...) იმიჯნება დანარჩენი ტექსტისაგან.

შ. აფრიდონიძე.

ვერტილ-მძიმე (;), წარმოადგენს ორი სასვენი ნიშნის შეხამებას (რ-შიც მძიმეს თავზე აზის წერტილი), იხმარება თხრობითი წინადადების ბოლოს, რ-იც ანალოგიური ან თანამიმდევრული მოქმედებების ამსახველი მთელი სერიის ერთი შემადგენელი ნაწილია. მაგ.: „ფუტკრები ათიათასობით ერთად ცხოვრობენ; ყოველიდე საქმეს ისინი შეეროვნული ძალ-ღონით აკეთებენ; ჯერ ფიჭებს აკეთებენ; ფიჭის უჯრედებში დედა-ფუტკარი კვერცხებს დებს" (ი. გოგებაშვილი).

ვ.-მ. თავისი ფუნქციით წერტილზე ნაკლებია და მძიმეზე მეტი.

საკანონმდებლო დოკუმენტებში (მაგ., კოდექსში) ვ.-მ. დაისმის ყოველი ქვეპუნქტის ბოლოს, რ-ის შემდეგაც აბზაცით იწყება ახალი ქვეპუნქტი.

შ. აფრიდონიძე.

ვიზნი, 1. ნებისმიერი ტექსტის შემცველი ფურცლები, ერთად აკინძული; 2. დიდი მოცულობის ლიტერატურული ან სამეცნიერო თხზულება (ცალკე დასტამბული); 3. თხზულებათა კრებული; 4. წერილი, ბარათი, ეპისტოლე, იურიდიული საბუთი (ძვ. ქართულში). სიტყვა ვ. ქართულში შემოსულია ლათინურიდან ბერძნულის გზით (σγγον – ნიშანი). თავდაპირველად ამ სიტყვით აღინიშნებოდა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ყოველგვარი გრაფიკ. გამოსახულება, მ. შ. ასოც. თანდათანობით ვ-მა შეიძინა სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების წერილობითი ტექსტის მნიშვნელობა. ქართ. ვ-ის ისტორია დაკავშირებულია ქრისტ. ღვთისმსახურების შემოღებასთან. საეკლ. ღვთისმსახურების ქართ. ენაზე ჩატარების აუცილებლობამ ბიძგი მისცა ნათარგმნი და ორიგინ. ვ-ების გაჩენა-გამრავლებას. ქართ. ვ-ის უძველესი ნიმუშები შემორჩენილია V–VII სს. პალიმფსესტური ფრაგმენტების სახით. ჩვენამდე სრული სახით მოღწეული თარიღიანი ვ-ებიდან უძველესია 864 სინური მრავალთავი, 897 ადიშის ოთხთავი. X ს-იდან მოყოლებული, ხელნაწერი ვ-ების რიცხვი გაიზარდა. უძველესი ქართ. ხელნაწერი ვ. მზადდებოდა ტყავის საწერი მასალისაგან (იხ. *ტრატი*) და მას თანამედროვე წიგნის (კოდექსი) ფორმა ჰქონდა. XII–XIII სს-იდან ეტრატს მეტოქეობას უწევდა ქაღალდი, რ-იც შემოჰქონდათ აღმ. ქვეყნებიდანაც და ევროპიდანაც (იტალიიდან). გეიანდელი შუა საუკ. ეტრატისაგან მხოლოდ განსაკუთრებული, საზეიმო ცერემონიალებისათვის განკუთვნილი ხელნაწერები მზადდებოდა.

საქართველოში სასტამბო საქმის გაჩაღებამდე (XVIII ს.) ვ. ხელით მზადდებოდა. ხელნაწერი წიგნების შექმნა, დამზადება და გავრცელება ქართ. მწერლობის განვითარების ადრეულ საფეხურზე საეკლ. წოდებას, კერძოდ, მისი შავი ფრთის – ბერ-მონაზონთა მოღვაწეობას უკავშირდებოდა. ყოველ დიდ მონასტერთან იყო დაარსებული ხელნაწერთა დამამზადებელი სახელოსნოები – სკრიპტორიუმები, სადაც საქმიანობდნენ „მწერალი" ბერები. მწერლობა

ძველ საქართველოში ხელოსნობის დარგი იყო; მისი დაუფლება მოითხოვდა, ერთი მხრივ, წ-ის დამზადების ტექნოლოგიური ციკლის სრულ ათვისებას და, მეორე მხრივ, გადასაწერი ტექსტის ღრმა ცოდნას, მის დანიშნულებასა და ადგილს მასში. საერო მხატვრული და საისტორიო მწერლობის განვითარებასთან ერთად, წ-ის დამზადების საქმე თანდათანობით გამოეცალა მონასტრის კედლებიდან და საერო ხელობათა რიგში ჩადგა. საერო მწერლები ასრულებდნენ კერძო დაკვეთებს საოჯახო ბიბლიათეკებისათვის.

ქართ. წ-ის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ქაროც. წიგნის ოსტატები კარგად იცნობდნენ ბიზანტ. და ახლო აღმ. ქვეყნებში სამწიგნობრო ხელოვნებაში შემუშავებულ ტექნიკურ წესებს. ქართ. წ-ის სახეზე დიდ გავლენას ახდენდა ამა თუ იმ ადგილობრივ სამწიგნობრო კერაში დამკვიდრებული ტრადიციებიც.

წ-ის დამზადება ხანგრძლივი და დანაწევრებული პროცესი იყო. იგი გულისხმობდა საწერი მასალის დამუშავებასა და მის მომზადებას საწერად: რეგულებად შეკერას, საწერი ფურცლების დახასვას საგანგებო იარაღით სტრიქონების ერთმანეთისაგან თანაბრად დასაცილებლად; შემდეგ – ტექსტის გადაწერას, რეგულების ერთ წიგნად შეკერას და ყდაში ჩასმას. ამ საქმიანობის თითოეული ეტაპი სპეციფ. პროფესიულ განსწავლულობას საჭიროებდა. ყველაზე დიდი მოცულობის სამუშაო იყო ტექსტის გადაწერა. ხშირად ტექსტს რამდენიმე გადამწერი ერთდროულად წერდა წინასწარ შემუშავებული საერთო წესის მიხედვით.

საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ გადამწერები ტექსტის ორგანიზაციისათვის შემუშავებულ წესებს. ძირითადი ტექსტი იწერებოდა ერთ ან ორ სვეტად ფურცლის ორსავე მხარეს, მისთვის განკუთვნილ ადგილს ეწოდებოდა „მ კ ვ ი დ რ ი“. მის ირგვლივ დატოვებულ თავისუფალ არეებს გადამწერები იყენებდნენ სააბტორო შენიშვნებისა თუ განმარტებებისათვის, აგრეთვე მემორიალური მინაწერებისათვის. ძირითად ტექსტში, ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა ორი ფერის მელანი – მუქის რომელიმე ნაირსახეობა (შავი, რუხი, ყავისფერი) და წითელი. ამ უკანასკნელი ფერით აღინიშნებოდა თხზულებათა სათაურები და დასაწყისები, მუხლობრიედად დაყოფილ ტექსტებში – მუხლთა დასაწყისი ანბანური ციფრები. ძირითად ტექსტს ერთოდა აპარატი სხვადასხვა ტიპის საძიებლებისა და სარჩევის სახით. ტექსტის ყოველი სტრუქტურული კომპონენტი აღინიშნებოდა საკუთარი ტერმინით. ხელნაწერი წიგნის დასაწყისს ან მასში შემავალი დამოუკიდებელი თხზულების დასაწყისს ეწოდებოდა თ ა ვ ი, წ-ის შედგენილობას თავების მიხედვით – თ ა ვ დ გ მ ულ ო ბ ა. ამავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმ. ზ ა ნ დ უ კ ი (ბერძნ. σανδυξ – წითელი). *მ. სურგულაძე.*

წ., ძვ. საქართველოში მიღებული ერთ-ერთი მნიშვნელობით, ისტ. საბუთის, იურიდ. აქტის აღმნიშვნელი ტერმინია. ამ მნიშვნელობით გავრცელებას იწყებს XV ს-იდან. მიღებული ჩანს ბერძნ.-ბიზანტ. σιγγον-იდან, სადაც ის ასევე საბუთების აღმნიშვნელი ტერმინი იყო XI ს-იდან. მართალია, საბუთის არა, მაგრამ მაინც იურიდ. მნიშვნელობის წერილობითი ძეგლის – კონსტანტინოპოლის პანაგიის (ყოველაწმიდის) მონასტრის განგების (ტიპიკონის) – აღსანიშნავად იყენებს ტერმ. „წ“-ს გრიგოლ ბაკურიანისძე 1083 შედგენილ პეტრიწონის ტიპიკონში. იგი წერს: „აწ უკუე წესი ესე განგებისა სამონაზუნოჲსა მის წიგნისაჲ, რაჲ რომელი ესე გამოვარჩიეთ და გარდავთარგმნეთ ჴემო ჴსენებულისა პატიოსნისა მონასტრისა პანაგიისა განგებისაგან“; ხოლო ერთგან ტიპიკონი, რ-იც მან შეადგინა, მოხსენიებულია როგორც „წიგნი განსაგებლისა“. მეტიც, პეტრიწონის მონასტრისათვის გადაცემული საბუთების ერთ ნაწილს, რ-ებიც წმ. სოფიის ტაძრის სალარაოში უნდა შენახულიყო, იგი პირდაპირ უწოდებს „სასამართლოჲ წიგნებს“ და ასახელებს ბიზანტ. კეისრების მიერ გაცემულ ოქრობეჭდებთან ერთად. ასე რომ, წ-ის გამოყენება საბუთის მნიშვნელობით, მისი, როგორც საბუთის აღმნიშვნელი ტერმინის არსებობა ჩვენშიც შეიძლება ვიცარაუდოთ XI ს-იდან. მაგრამ საყოველთაო გავრცელებას საქართველოში წ. მაინც XV ს-იდან პოულობს. ჯერჯერობით ასეთი უძველესი საბუთი ჩანს 1425 ალექსანდრე მეფის მიერ აეთანდილ ხერდგინიძისადმი გაცემული „ბრძანება და სიგელი“, რ-იც სამეფო კარის ცნობილ მწიგნობარს კლიმი კაკლაჩასძეს შეუდგენია. კერძოდ, ამ საბუთში ერთგან აღნიშნულია: „თუ ვის რა ამა ჩუენგან ბოძებულისა წიგნი და ნიშანი აქუს, ყუელა ამ სიგლითა გაგეცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის“. იმავდროულად, „წ“-თან ერთად გამოიყენება მსაზღვრელი სიტყვები, რ-ებიც საბუთის რაობას განსაზღვრავენ: „ასადობის წ.“, „განახლების წ.“, „გარიგების წ.“, „გაყრის წ.“, „გირაოს წ.“, „თავდახსნილობის წ.“, „მამულის წყალობის წ.“, „პირობის წ.“ „საპატრონყმო წ.“, „სითარხნის წ.“, „ფიცის წ.“, „შეწყალების წ.“, „შეყრილობის წ.“, „წყალობის წ.“ და სხვ. წ., როგორც საბუთის აღმნიშვნელი ტერმინი, საქართველოში XIX ს. დასაწყისამდე გამოიყენებოდა. ერთ-ერთი ასეთი უკანასკნელი საბუთია 1801 წლის 19 მარტის „წყალობის სიგელი“, რ-იც უბოძა „მემკუდრემან ყოელისა საქართველოჲსა ქართლისა, კახეთისა და სხუათამან, როსიისა ღუნერალ-ლეიტენანტმან და კავალერმან დავით“ იოანე ციცქისშვილს. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ „ამას გარდა ჩუენგან სხეაც წყალობის წიგნიცა გაქუსთ ბოძებული“.

ლიტ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, IX–XIII სს. საბუთები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984; ჯ ა ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული სიგელ-გუჯრების დიპლომატიკა. – თხზ., ტ. 9, თბ., 1996.

ვ. სილოგავა.

წინადადება, სინტაქსის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია, რ-იც შეიცავს ამა თუ იმ ენის გრამატიკის წესების შესაბამისად გაფორმებული ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან და დასრულებულ აზრობრივ-ინტონაციურ ერთეულს წარმოადგენს.

წ. მრავალასპექტიანი ერთეულია და ხასიათდება სტრუქტუ-

რულ-სემანტიკური ნიშნების ერთობლიობით. იგი, ერთი მხრივ, განიხილება როგორც სტრუქტურა (ენაში) და, მეორე მხრივ, როგორც გამონათქვამი (მეტყველებაში). მისი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია პრედიკატულობა. ყოველ წ-ს აქვს გარკვეული ინტონაცია, რაც მასში შემავალ სიტყვებს ერთ მთლიან ერთეულად აერთიანებს.

მოდალობის მიხედვით წ. შეიძლება იყოს **თხრობითი, კითხვითი** და **ბრძანებითი**. თითოეულს შეიძლება ახლდეს ესა თუ ის ემოციური ელფერი, ან გამოხატავდეს ძლიერ გრძნობას. ამის მიხედვით, დამატებით გამოიყოფა **ძახილისა** და **კითხვით-ძახილის** წ-ები. მოდალობის გამოხატვის საშუალებებია: ინტონაცია, ზმნის კილოს ფორმები, კითხვითი ნაწილაკები, შორისდებულები.

აგებულების მიხედვით განირჩევა მარტივი, **შერწყმული** და **რთული** წ. წ-ის წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული წესების მიხედვით უკავშირდება. ამ კავშირისა და მიმართების გამოხატვის ძირითადი საშუალებებია: **სიტყვის ფორმა, დამხმარე სიტყვები, სიტყვათა განლაგება, ინტონაცია**. წ-ის წევრები ქმნიან გარკვეულ სინტაქსურ წყებებს. მიმოსახრელი აფიქსებით მდიდარ ენებში წ-ის წევრთა ურთიერთობა **შეთანხმებით, მართვითა** და **მირთვით** ხორციელდება.

პრედიკატი (შემასმენელი) წ-ის ძირითადი მაორგანიზებელი ნაწილია. იგი განსაზღვრავს მთავარ წევრთა რაოდენობას წ-ში. იმ ენებში, სადაც ზმნა მხოლოდ ერთპირიანია, გვაქვს ორკომპონენტიანი სტრუქტურული ქალიბები. თუ ზმნა უსუბიექტო გახდა, წ. ერთშემადგენლიანია. ქართ. ზმნის მრავალპირიანობის გამო წ. შეიძლება იყოს არა მარტო ერთ- (ჩამობნელდა) და ორშემადგენლიანი (ქარი ჩადგა), არამედ სამ- (ნოდარმა თევზები დახუჭა; მთვარე ღრუბელს ამოეფარა) და ოთხშემადგენლიანიც (ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს). შემასმენელი და პირმიმართი წევრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან **საურთიერთო დაქვემდებარებით**, ხოლო არამოთავარი წევრები – **ცალმხრივი დაქვემდებარებით**.

გამოიყოფა აგრეთვე სახელდებითი წ. იგი ყოველთვის ერთშემადგენლიანია და საგანს ან მოვლენას აღნიშნავს მტკიცების გარეშე. გადმოცემა არსებითი სახელის სახ. ბრუნვის ფორმით, რის გამოც მას ნომინატიური წ. ეწოდება (უდაბნო; მკრთალი სინათლე).

ლინგვისტურ ლიტ-რაში წ. განხილულია სამი ძირითადი თვალსაზრისით: ლოგიცისტურით, ფსიქოლოგისტურითა და ენობრივ-გრამატიკულით. ლოგიცისტური განსაზღვრისათვის დასაყრდენია აზრი, მსჯელობა (კ. ბექერი, ნ. გრეჩი, ფ. ბუსლაევი...), ხოლო ფსიქოლოგისტური თვალსაზრისით წ. განიხილება როგორც ფსიქიკურ პროცესთა ენობრივი გამოხატულება (გ. პაული, ფ. ფოსტუნატოვი, ა. შახმატოვი...). წ-ის ენობრივ-გრამატ. შესწავლისას გათვალისწინებულია მისი ორი ასპექტი – საკომუნიკაციო და ფორმალურ-გრამატ. ამ კუთხით იკელევს წ-ს ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკა, ფუნქციონალური სინტაქსი (ვ. მათე'ზიუსი, ნ. ხომსკი, ლ. ტენიერი, ლ. ბლუმფილდი, ზ. ჰარისი).

ლიტ: ნიკობაძე არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1928 (1968); კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966 (1996); დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973; ენუქიძე ლ., ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987; ნებერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991; Адмони В. Г., Введение в синтаксис современного немецкого языка, М., 1955; Смирницкий А. И., Синтаксис английского языка, М., 1957; Сизова И. А., Что такое синтаксис, М., 1966; Ванников Ю. В., Синтаксис речи и синтаксические особенности русской речи, М., 1979; Бабайцева В. В., Максимов Л. Ю., Современный русский язык, III, М., 1981.

ლ. კვაჭაძე

წინადადების მოდალობა, განისაზღვრება მთქმელის დამოკიდებულებით გამონათქვამებისადმი, ანუ წინადადებაში ვლინდება ნათქვამის მიმართება სინამდვილესთან (იხ. *მოდალობა*). წ. მ-ის გამოხატვის ენობრივი საშუალებებია: ზმნის კილოს ფორმა, ინტონაცია, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, წინადადების კოსტრუქცია. ტრადიციულად, მოდალობის მიხედვით განასხვავებენ წინადადებათა სამ ტიპს – თხრობითს, კითხვითსა და ბრძანებითს. რამდენადაც ნათქვამი ასახავს მთქმელის ემოციას, დამატებით გამოიყოფა ძახილისა და კითხვა-ძახილის წინადადებები.

წ. მ. გულისხმობს ნათქვამის მიმართებას სინამდვილესთან, რაც წინადადებაში სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა. ამ მხრივ გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის წინადადება. გამონათქვამით შეიძლება გამოხატული იყოს უეჭველობა, უტყუარობა, რისიმე დადასტურება, მთქმელის ვარაუდი, შესაძლებლობა, არარეალურობა, სასურველობა (ალბათ, წავიდა, ეს ამბავი, იქნება, არც კი გაუგია), მთქმელის ნება-სურვილი (ბრძანებით წინადადებაში შეიძლება გამოიხატოს არა მარტო ბრძანება, არამედ თხოვნა, რჩევა, გაფრთხილება, მოწოდება, წაქეზება-გამხნევება, ხვეწნა-მუდარა, დალოცვა, წყევლა-კრულვა, მიწევება-მიპატიჟება, მისალმება...); ძახილის წინადადებას მთქმელის დიდი გრძნობა ახლავს. იგი შეიძლება გამოხატავდეს კმაყოფილებას, სიხარულს, აღტაცებას, მოწონებას („ეიშ, რა კარგია, რა ლამაზია პატარა იას!"), ნატვრას, სურვილს (ახ, ნეტავ მალე გათენდეს!), გაკვირვებას, გაოცებას, დანანებას, სიბრალულს, დაცინვას, ნიშნის მოგებას, აღშფოთებას, ზიზღს, მწუხარებას, გულისტკივილს, შიშს... თუ წინადადება კითხვასაც გამოხატავს, იგი კითხვა-ძახილის წინადადებაა. წინადადების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის (?!) და მისი ინტონაცია რთულია – კითხვით-ძახილისა (ლ. კვაჭაძე).

წ. მ. შეიძლება გამოიხატოს არა მარტო მარტივი წინანადებით, არამედ ჰიპოტაქსითაც.

ცნობილია, რომ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის გაფართოებული სახეა და მის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. დამოკიდებულ წინადადებათა სახელწოდებაც მეტწილად წინადადების წევრთა სახელებისგან არის ნაწარმოები (ლ. კვაჭაძე). ამათგან

ცალკე სახედ გამოყოფენ შედეგობით, პირობით, დათმობით და მთავარის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებს და მათ „სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებს“ უწოდებენ. ამ რიგის წინადადებები მოჰყვება ქვემდებარულ, დამატებით, განსაზღვრებით და გარემოებით წინადადებათა განხილვას. მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობაა როგორც ფუნქციურად, ისე სტრუქტურულად. ამ სახის წინადადებებს შესაბამისი წევრი არ გააჩნიათ მთავარ წინადადებაში, სამაგიეროდ, მათი მეშვეობით მკვეთრად გამოიხატება მოდალობა, ანუ მოქმედის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი.

ჰიპოტაქსური კონსტრუქციით შეიძლება გადმოიცეს მოქმედის სხვადასხვა დამოკიდებულება რეალობის მიმართ. ეს დამოკიდებულება განაწილებულია რთული წინადადების შემადგენელ ნაწილებში:

პირობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს პირობას, რზედაც არის დამოკიდებული იმის შესრულება, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი; დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი – შედეგი. ამგვარ წინადადებას პირობით-შედეგობითსაც უწოდებენ („კოღოც კი წააქცევს ცხენს, თუ დიდი მგელი მიეშველება“, ანდ.).

შედეგობითი წინადადების დამოკიდებულ წინადადებაში ნაჩვენებია შედეგი იმისა, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი, განსაზღვრულია ადგილიც – პირველ ადგილზე ყოველთვის მთავარი წინადადებაა, მეორეზე – დამოკიდებული. აქვს საკუთარი მაკავშირებელი საშუალებები: ასე რომ, რის გამოც.

დათმობით წინადადებაში გამორჩეულად ჩანს მთქმელის პოზიცია: მასში გადმოცემულია ისეთი ამბავი, რომელიც არაა მოსალოდნელი, მაგრამ მაინც ხდება. ამ კონსტრუქციის ნიშანდობლივ თავისებურებად მიჩნეულია გამორიცხულობა, რაც ამ ტიპის წინადადების სემანტიკურ ბუნებას აჯლენს. ამ რიგის წინადადებებს გამორიცხვითიც ეწოდება (შ. ძიძიგური) და ჩათვლილია პარატაქსულ-ჰიპოტაქსურ კონსტრუქციისად (თუმცა ავად ვარ, მაინც მივდივარ სანადიროდ).

ჰიპოტაქსით გამოხატულ მოდალურ წინადადებათა რიგში დგება ქვემოიმერულ დიალექტში გამოვლენილი თავისებური სახის წინადადება, რ-საც სპეც. საკავშირებელი საშუალება აქვს – ესაა კავშირი წევე. მთავარი წინადადებით გამოხატულია რაიმე გრძნობა-განცდა, ხოლო დამოკიდებული წინადადება „წევე“ კავშირით იწყება და მისით ახსნილია პირველ ნაწილში გადმოცემული დამოკიდებულება. წინადადების ნაწილებს შორის აზრობრივად ახსნა-განმარტებითი მიმართებაა და იქმნება ახსნითი წინადადების სახე. ამგვარი კონსტრუქცია არ არის დამახასიათებელი სალიტ. ქართულისათვის. „წევე“ კავშირიანი წინადადების მახასიათებელია ისიც, რომ დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება გამოყენებული იყოს უარყოფითობის (არ) ან დადასტურებითობის (კი / ქე) ნაწილაკი, მაგრამ წინადადება ორივე შემთხვევაში საპირისპირო შინაარსს გულისხმობს (არ ნაწილაკიანი კონსტრუქცია წართქმით აზრს გულისხმობს, კი / ქე ნაწილაკიანი კი – უკუთქმით აზრს: „კი არ დეიჯერებს რამეს, წევე ქვა ჭაუიანი“ (ე. ი. არაა ჭკვიანი); „კიდო გაციებდება ახლა ე ბაღანე, წევე ავათ არ იყოს“ (ე. ი. აეადაა).

ამ კონსტრუქციის წინადადებით შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა მოდალობა: დანანება („ტყუილა დამაოლოვია ეაშლი, წევე ქე შეჭამს“), შეშფოთება („რაცხა არ მოუვიდეს ი ბაღანას იქინე, წევე ქე ყაეს მის პატრონს მეტი“), ვარაუდი („ტყუილა ქპირდებოდა, წევე ქე გააკეთებდა რამეს“), წუხილი („უნდა გადავაქციო ახლა ე წყალი, წევე ქვა წყალი“), შიში („გამოი ბიჭო, აქით, გამომიტეხავ მა კრანს, წევე ქე იშონება რამე“), ბრძანება („დეიძინე, გო, ღეიძინე, წევე აკეთებდე რამეს!“).

ლიტ.: ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბ., 1959; კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე ნ., წევე კავშირიანი ერთი თავისებური სახის წინადადებისათვის ქვემოიმერულში. – «საქართველოს მეცნიერების ძიებანი», IV, თბ., 1995.

ნ. შარაშენიძე.

წინადადების წევრი, წინადადების უმარტივესი დაუნაწევრებელი სტრუქტურული ელემენტი, რ-იც გარკვეულ სინტაქსურ ფუნქციას გამოხატავს.

წ. წ. სრულმნიშვნელოვანი სიტყვით ან სიტყვათა შეჯართით გადმოიცემა. მაგ.: „დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა“. ამ წინადადებაში ხუთი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა. ხუთივე სიტყვა წ. წ-ია, ე. ი. აქ იმდენი წევრია, რამდენიც – სიტყვა. სოგჯერ წინადადებაში ყველა სიტყვა არ არის წ. წ. იგი შეიძლება გადმოიცეს მთელი წინადადებითაც, მაგ.: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი – აფორიზმია“. აქ სულ ორი წევრია: შემასმენელი („აფორიზმია“) და ქვემდებარე (თავად აფორიზმი), რიც, თავისთავად, ხუთწევრიანი წინადადებაა. წ. წ-ებს შორის გამოიყოფა წინადადების მაორგანიზებელი წევრები (იხ. *წინადადება*), რ-ებიც წარმოადგენენ წინადადების მთავარ წევრებს. სხვა წევრები, რ-ებიც განავრცობენ წინადადებას, წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებია. წინადადებაში გვხვდება აგრეთვე დამხმარე სიტყვები, რ-ებიც არ არიან წ. წ-ები. მათ დამოუკიდებელი სინტაქსური ფუნქცია არა აქვთ და გამოხატავენ მხოლოდ წ. წ-ებს შორის მიმართებებს.

წ. წ. ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. წინადადების არაწევრს კითხვა არ დაესმის.

ლიტ.: დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა., ქართული ენის სინტაქსი, I თბ., 1973; კ ვ ა ჭ ა ძ ე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977; კ ი ზ ი რ ი ა ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.

ქ. გაბუნია.

ფოდებითი ბრუნვა, გამოიყენება მიმართვის ფორმებში. ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართ. ენაში გამოიყოფა ფოდებითი, როგორც ბრუნვა, ვინაიდან მხოლოდ ქართულში დაერთვის სპეციალური ნიშანი. ბრუნვის ნიშანია (-ო) – ალომორფებით – -ო, -ვ, Ø.

ამ ალომორფთა დისტრიბუციას სახელის ფუძის დაბოლოება განსაზღვრავს, თუმცა მოქმედებს სემანტიკური აკრძალვაც: საკუთარი სახელები (მიუხედავად იმისა,

ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება თუ თანხმოვანზე) არ დაირთავენ წოდებითი ბრუნვის ნიშანს: დათო! პეტრე! ნანა! ლალი! ვახტანგ! დავით!...

-ო ალომორფი დასტურდება თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან, აგრეთვე ყველა სახელის მრავლობით რიცხვში (-ნ და -ებ დაბოლოებით):

-ო ბოლოსართი ხმოვანფუძიან ერთმარცვლიან ფუძეებთანაც გვხვდება, თუმცა არაობლიგატორულად: მას -ვ სუფიქსი შეიძლება შეენაცვლოს: „აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე!“; „ტყეო, დედამიწის გვირგვინო“ შდრ. „ტყევ დაბურულო, ჩემო სიცოცხლევ...“

ორ- ან ორზე მეტმარცვლიან ფუძეებს -ვ სუფიქსი დაერთვის:

„რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ“, „ნუ გეშინიან, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგებიო“...

საზოგადო სახელთა ანალოგიით (უნიფიკაციის ზოგადი ტენდენციის მოქმედებით) დიალექტებში და ხშირად სალიტ. ენაშიც (მწერალთა შემოქმედებაში) საკუთარ სახელებსაც დაერთვის წოდებითის -ო (-ვ):

„ჰა, პეტრევ“; „დაასხი, ერეკლევ“; „ჰე, ასმათო, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზეცით“...

II პირის ნაცვალსახელები მიმართვის ფორმებში ბოლოკიდურ -ნ სუფიქსს იკვეცენ, რითაც ოპოზიციას ქმნიან „უბრუნველ“ შენ, თქვენ ფუძეებთან: „ჰი, შე უმადურო, შენა;“ „ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა!“

-ო სუფიქსის ქართ. ენაში დამკვიდრების ისტორიის თვალსაზრისით, ძვ. ქართ. სალიტ. ენა სხვა სურათს გვიჩვენებს: ადრეულ ძეგლებში ჲ (ან ოჲ) შორისდებული სახელობითთანაც გვხვდებოდა (მიმართვის ფორმებში); უფრო ადრე იგი წრფელობითის ფორმებთანაც უნდა ყოფილიყო ძვ. ქართულში, რაც, ვ. თოფურიას აზრით, გარდამავალი საფეხურის მაჩვენებელია. ბოლოკიდური -ო ხმოვანი, მისივე ვარაუდით, ბერძნ. ნაწილაკისგან მომდინარეობს, ე. ი. წარმომავლობით შორისდებულია.

მიუხედავად იმისა, რომ წოდებითისეული -ო სუფიქსი შორისდებულის ნაშთია წარმოშობით, დღესდღეობით იგი ბრუნვის ნიშანია, თუმცა არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც –ო/-ვ ბოლოსართიანი ფორმები მიმართვის ფორმებად მიიჩნევა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. უთურგაიძე).

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. 1, თბ., 1950; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; მ ი ს ი ვ ე, წოდებითის ფორმის დაბოლოება. – კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგ. 1, თბ., 1956; თ ო ფ უ რ ი ა ვ., წოდებითი ბრუნვისათვის. – იქვე; უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986; ო ნ ი ა ნ ი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბ., 1989; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995; ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე შ., წოდებითი ბრუნვა თუ მიმართვის ფორმა? – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, თბ., 2001.

კ. გაბუნია.

წოვათუშური ენა, წოვათუშები ამჟამად ცხოვრობენ ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში. აქ ისინი ჩამოსახლდნენ თუშეთიდან XIX საუკუნის 20-იან წლებში.

მათ ენას მკვლევრები სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ: თუშური ენა (გიულდენშტედტი, კლაპროთი, პ. უსლარი, ა. შიფნერი, ნ. მარი ...); ბაცბური ენა (არნ. ჩიქობავა, ი. დეშერიევი, რ. გაგუა...). ამჟამად ქართ. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა „წოვათუშური ენა“.

წ. ე. იბერიულ-კავკ. ენების ნახურ ენათა ოჯახს განეკუთვნება. ამ ენაზე ლაპარაკობს სამი ათასამდე ადამიანი. საოჯახო ენის ფუნქციას ასრულებს. დამწერლობა არა აქვს. ქართ. ენა არის წოვათუშებისათვის კულტურის, განათლების, საზ.-სახელმწ. მოღვაწეობის სფეროში ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება. აქედან გამომდინარე, ქართ. ენა არის მათთვის მშობლიური ენა და ეროვნებითაც ქართველად იწერებიან.

წ. ე-ში ხმოვანთა რაოდენობა 15-მდეა: ა – ā, ე – ē, ი – ī, ო – ō, უ – ū. ნაზალიზებული ხმოვნები: ა^n, ე^n, ი^n, ო^n, უ^n.

სახელს აქვს 10 მარტივი ბრუნვა: სახელობითი, ერგატივი, მოქმედებითი, მიცემითი, ნათესაობითი, ვითარებით-გარდაქცევითი, გამსჭვალეობითი, მიმართულებითი I, მიმართულებითი II, თანაობითი.

გარდა აღნიშნული მარტივი ბრუნვებისა, წ. ე-ს აქვს 14 ლოკატიური ბრუნვა, რ-ებიც სახელის მოქმედებას ან მდგომარეობას აკონკრეტებენ სივრცეში.

თანხმოვანთა სისტემა შეიცავს 41 ფონემურ ერთეულს:

რიგები / სერიები		1	2	3	4	5		6	7		8		9	10		11	
მჟღერები		ბ	ვ	დ		ძ	ზ		ჯ	ჟ	გ	ღ		•	ჶ	ჸ	
ყრუები	არაინტენსიური	ფ		თ	ლ̄	ც	ს		ჩ	შ	ქ	ხ	ჴ		ჰ̣		ჰ
	ინტენსიური			თъ			სъ					ხъ	ჴъ				
აბრუპტივები	არაინტენსიური	პ		ტ					ჭ	კ	ყ						
	ინტენსიური			ტъ							ს						
სონორები	არაინტენსიური	მ		ნ	ლ			რ									
	ინტენსიური				ლъ												

1. ბაგისმიერები, 2. კბილბაგისმიერები, 3. კბილისმიერები, 4. ლატერალურები, 5. წინაენისმიერები, 6. ვიბრანტები, 7. უკანასიბილანტები, 8. წინაველარულები, 9. უკანაველარულები, 10. ფარინგალურები, 11. ლარინგალურები.

ზელსართავ სახელს აქვს სამი მორფოლ. კატეგორია: ბრუნების, რიცხვისა და კომპარატივისა. არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას იგი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, ოღონდ ფუძეს ერთვის -ნო ელემენტი, რ-ის ფუნქციაც უცნობია; ცალკე კი ისევე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი.

Ვ. ე-ს აქვს შემდეგი ტიპის ნაცვალსახელები: 1. პირის, 2. ნეგნებითი, 3. კითხვითი, 4. კუთვნილებითი, 5. კითხვით-კუთვნილებითი, 6. მიმართებითი, 7. ინკლუზივ-ექსკლუზივი.

სახელთა რიცხვის კატეგორია ხასიათდება შესაბამის აფიქსთა სიმრავლით: -ი, -იშ; -არნ, -ადრ, -რშ...

Ვ. ე-ში ზმნა მდიდარია მორფოლ. კატეგორიებით. ესენია: უღელილება, კლასკატეგორია, პირის, კაუზატივის, კილოს, გვარისა და ასპექტის კატეგორიები.

ზმნის უღელილების სისტემა ემყარება სამ საყრდენ ფუძეს – აწმყოს, მყოფადისას და ნამყოსას.

ზმნის რიგი გრამატ. კატეგორია გამოიხატება როგორც სინთეზური, ასევე ანალიზური ფორმებით, ანუ მუშეველი ზმნით.

Ვ. ა-ში გამოიყოფა უღელილების ოთხი ტიპი: 1. ნეიტრალური, 2. ოდენპიროვანი, 3. კლასოვანი, 4. კლასოვან-პიროვანი.

მეოთხე ტიპის პარადიგმის ერთეულები თავისი მორფოლ. სტრუქტურით პოლიპერსონალური ზმნის მოდელს ქმნიან, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა თეორ. ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

Ვ. ე-ს აქვს გვარის ნამყოფალიბებული მორფოლ. კატეგორია. მისი მაწარმოებელია -ლა (თეგლა „კეთდება", ხეტტ-ლა „იკითხება" და სხვ.). პირის ნიშნებით გამოიხატება როგორც სუბიექტი, ასევე ობიექტი. მათი დიფერენციაცია ემყარება მახვილის ადგილს ზმნის ფუძეში. ეს არის ახალი მოვლენა.

კაუზატივს აწარმოებს -ით სუფიქსი, რ-იც გაჰყვება ზმნის უღელილების მთელ სისტემას.

ლექსიკაში უხვად მოიპოვება ქართული ან ქართულის გზით შემოსული სხვა ენათა სიტყვები.

წოვათუშები იდეალური ბილინგვები არიან. ამდენად, ამ ენაში არაიშვიათად დასტურდება ინტერფერენციული მოვლენები.

სიტყვათა რიგი წინადადებაში არსებითად თავისუფალია.

ენაში დასტურდება როგორც თანწყობილი, ასევე ქვეწყობილი წინადადებები.

ლიტ.: ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი კ., ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა, თბ., 1975; მ ი ს ი ვ ე, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002; ქ ა დ ა გ ი ძ ე დ., ქ ა დ ა გ ი ძ ე ნ., წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984; Дешериев Ю. Д., Бацбийский язык. М., 1953; м и с и в е, Основные особенности эргативной конструкции предложения в нахских языках. Вопросы грамматики, М.– Л., 1960; Гагуа Р. Р., Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского языка. – «იკვწ», X, თბ., 1983.

კ. ჭრელაშვილი.

ᲧᲝᲠᲑᲘᲡᲘᲡ ᲧᲐᲠᲧᲔᲠᲐ 960, ქართული ასომთავრული რელიეფური წარწერა, შესრულებული ხუთ სტრიქონად ტუფის გაოლილ ქვის ფილაზე, რ-იც 1980 აღმოჩნდა სოფ. წორბისიდან (ყორნისის რნი) ჩრდ-ით 8 კილომეტრზე, მდ. ფრონის მარცხენა ნაპირზე, დიდი სამონასტრო კომპლექსის ეკლესიის ნანგრეულებში. წარწერას მიაკვლია და მისი ტექსტი პირველად გამოსცა ი. მეგრელიძემ, მაგრამ წარწერაში დასმული თარიღი – „ქრონიკონსა რპ" (ე. ი. 960), მან წაიკითხა როგორც „ქრონიკონსა რს", ე. ი. 880. ამ თარიღმა მაშინვე გაავრცელება პოვა სპეციალიტ-რაში (ა. ღლონტი, ლ. შანიძე, კ. ხარაძე, გ. ოთხმეზური...). სწორი წაკითხვა პირველად წარმოადგინა ო. ტყეშელაშვილმა, რაც აისახა სამეცნ. ლიტ-რაშიც (ჯ. გვასალია). Ვ. Ყ-ის ტექსტი ასეთია:

„სახელითა ღმრთისაჲთა. ესე კონქი შექმნა ივანე ერისთავმან, სალოცველად მათდა, ქრონიკონსა რპ", საბაის მამასახლისობასა".

ფილის მარცხენა კიდესე 8 სტრიქონად, შეეულად, რელიეფური ასომთავრული ასოებით ნამოწერილია: „იქმნა ჭელითა გარგლისათა" (ი. მეგრელიძე კითხულობდა – „ბარეელისათა"). წარწერაში დასახელებული გარგლა კონქის შექმნის ხელოსანი უნდა იყოს. კონქი ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, იგივე კამარაა; ი. ჯავახიშვილის მიხედვით, ეკლესიის „საკურთხეველს ყოველთვის მოხრილი, ნახევარწრის მოყვანილობა აქვს, ზემოდგანაც ჭერი ნახევარსფეროს სახით აქვს გადმოხრილი. შენობის ამგვარ გადაბურვას კონქი ეწოდება" (იხ. ი. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1945 გვ. 118).

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., „ყორნის ზეით, წორბისს...". – გაზ. «კომუნისტი», 1981, 14 იან.; ღ ლ ო ნ ტ ი ა., ფრონეების ხეობების ტოპონიმია – ტოპონიმიური ძიებანი, VII, თბ., 1988; გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», VII, თბ., 1989; ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ო., წარწერები ფრონეს ხეობიდან. – გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1990, 14 დეკ.; ხ ა რ ა ძ ე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი, თბ., 1992.

გ. სილოგავა.

ᲧᲠᲤᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲑᲠᲣᲜᲕᲐ, ძველ ქართულში, ახალი ქართულისაგან განსხვავებით, გამოიყოფა ბრუნვა, რომელსაც წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი უწოდება (წრფელობითი – „სწორი", „პირდაპირი"). Ვ. ბ. უნიშნოა, იგი სახელის ფუძეს წარმოადგენდა, ყველაზე მეტად გამოიყენებოდა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, დროისა და ვითარების გარემოებად. განსაზღვრულ შემთხვევებში ასრულებდა მისგან გვიან ნამოყალიბებული სახელობითი ბრუნვის ფუნქციებსაც. აღნიშნავდა ქვემდებარესა და პირდ. დამატებას; იხმარებოდა მხოლოდ ებ-იან მრავლობითში. მაგ., წრფელ ყენით ალაგნი მისნი, ლ. 3, 4; მრავალ ჭამ სამოსელი არა შეემოსა, იქვე, 8, 27; მაშინ ჰეროდე იდუმალ მოუწოდა მოგუთა მათ. მ. 2, 7; და იყო კაც ერთ მიცლინებულ ღმრთისა მიერ, ი. 1, 6C; მრავალ სხუაცა სასწაულ ყო, იქვე, 20, 30.

სახელწოდება „წრფელობითი" („საწრფელო") პირველად გამოყენებული აქვს ზ. შანშოვანს (1737) ბრუნვის ნიშნის გარეშე, მხოლოდ ფუძის ფორმით წარმოდგენილი ბრუნვის აღსანიშნავად. მაგრამ ასეთებად, გარდა ხმოვანფუძიანი სახელებისა, ის მიიჩნეოდა აგრეთვე თანხმოვანფუძიანი სახელების სახ. ბრუნვის ფორმასაც (საწრფელო – წერო, კაცი; სანაოესაო – წეროსი, კაცი-სა). დაწერილებითი მსჯელობაა წრფელობითი (იგივე სახელობითი) ბრუნვის შესახებ ან-

ტონ I-ის „ქართულ გრამატიკაში“ (I რედ. 1753).

ანტონის მიხედვით, წრფელობითი არის „დასაბამ ბრუნჳათა“, რ-საც ორი ფუნქცია აქვს: 1. „დაჰნიშნავს რომლისამე მყოფისა არსებასა მარტიეად“; 2. „ჰნიშნავს მდგომარეობასა თჳსსა უცჳალებლად“. იგი „თჳთმდგომარეა“.

ამგვარად, პირველი ფუნქციით სიტყვა წარმოგვიდგება უცვლელად, თავისი პირვანდელი მნიშვნელობითა და აგებულებით. იგი მხოლოდ არსის გადმომცემია, ე. ი. ის არის, რასაც არისტოტელე უწოდებდა κλησις („წოდება“, „სახელდება“), ხოლო შემდეგ სტოელებმა ὀρθή-ს სახელწოდებით ბრუნვათა სისტემაში შეიტანეს. წრფელობითი რომ „თჳთმდგომარე“ ბრუნვაა, ეს ნიშნავს შემდეგს: თავისი უცვლელობით და დამოუკიდებლობით იგი განსხვავდება სხვა (არაწრფელობითი, პირდაპირი) ბრუნვებისაგან, რ-ებიც „ქუემდებარენი“, ანუ დაქვემდებარებულნი არიან, ანუ ბრუნების დროს იცვლებიან, ე. ი. წარმოადგენენ πτωσις-ს.

წ. ბ-ის ფუნქციური განსხვავებულობა იყო საფუძველი იმისა, რომ ანტონმა პირდ. დამატების გამომხატველი წრფელობითის ფორმა, რ-საც „იგივეობაჲ აქუს ბრუნჳთა“, მაგრამ „სხუაობაჲ“ აქუს ძალითა“ (ე. ი. სხვა ფუნქციას ასრულებს), ბრუნვათა სისტემაში დატოვა არა როგორც „თჳთმდგომარე“, არამედ უკვე როგორც „ქუემდებარე“ ბრუნვა — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ო ბ ი თ ი (შევიყუარე იაკობი, მოვიძულე ესავი). ამ ტერმინთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანტონს იგი გამოყენებული აქვს არა ლათ. accusativus-ის („ბრალდება“, „შესმენა“) მნიშვნელობით, რ-იც, სპეციალისტების აზრით, სათანადო ბერძნ. ტერმინის არასწორი თარგმანია, არამედ უშუალოდ ბერძნ. κατηγορουμενον-ის მნიშვნელობით (თხრობა, შეგონება, გაგებინება). შესაძლოა, ანტონმა ტერმ. „შემასმენელობითი“ თავად შექმნა ძვ. ქართულ თარგმანებში უკვე არსებული ტერმ. „შესმენილის“ ანალოგიით. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მეტყველებს ქართ. გრამატ. ტერმინოლოგიის უშუალოდ ბერძნ. პირველწყაროდან მიმდინარეობაზე (იხ. აგრეთვე *„სიტყუაჲ ართრონთათჳს“, — ძველი ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან).*

ანტონის შემდეგდროინდელი გრამატიკოსები წრფელობითით ისევ სახ. ბრუნვას გულისხმობდნენ (1840-მდე). როგორც სახელობითისაგან დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ბ რ უ ნ ვ ა, იგი ნ. მარმა გამოყო და გაუფორმებელი ბრუნვა უწოდა.

თანდათანობით წ. ბ-ის (იგივე ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ს) განმარტება შეიცვალა. ამ ბრუნვამ ბერძნ. გრამატ. ლიტ-რიდან მომდინარე ფუნქციებიც დაკარგა, რამაც შემასმენლობითი ბრუნვის არსებობაც უაზრო გახადა ქართ. გრამატიკაში და ქართვ. გრამატიკოსებმა ის ამოიღეს კიდეც ბრუნვათა რიგიდან.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა), თბ., 1954 (1975); ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; თ ო ფ უ რ ი ა ვ., წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში. — «სმამ» (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე), 1965, ტ. 38, №2,; М а р р Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

ა. მარტიროსოვი.
ლ. ქაროსანიძე.

წუნდისა და ვანის ქვაბთა წარწერები იჩქით გურგენისძისა, ქვაზე ამოკვეთილი სამი ქართული ასომთავრული წარწერა, რ-თაგან ერთი ჩასმულია წუნდის ეკლესიის (ასპინძის რ-ნი) დას. კედელში, ძველადვე ამოშენებული შესასვლელის არქიტრავზე, ხოლო ორი აღმოჩნდა ვანის ქვაბების არქეოლ. გათხრებისას 1965 (გ. გაფრინდაშვილი).

წუნდის წარწერა ადრევე იყო ცნობილი — პირველად იგი მ. ბროსემ გამოსცა (1850), მაგრამ ქრონოლოგიურად შინაარსის მიხედვით მას წინ უსწრებს ვანის ქვაბებში აღმოჩენილი წარწერები. პირველი წარწერის ტექსტი ასეთია: „ესე არს სამკვიდრებელი ჩუენ-გურგენათი. მე, იჩქითმან აღვაშენე; შეგვინდენეს ღმერთმან“. ტექსტიდან ჩანს, რომ ვანის ქვაბთა მონასტრის ის ეკლესია, რ-საც ეს წარწერა ეკუთვნოდა, გურგენათ, ანუ გურგენისძეთა სამარხავი („სამკვიდრებელი“) ყოფილა და იგი ვინმე იჩქითს აუშენებია. სხვა ორ წარწერაში იჩქითი თავის თავს უკვე გურგენისძედ მოიხსენიებს. ამასთანავე, იქვე აღმოჩენილი მეორე, შედარებით ვრცელი, წარწერა ზუსტ ქრონოლ. მონაცემსაც შეიცავს:

„✝ იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იჩქითმან გურგენისძემან აღვაშენე კედელი ესე და დავუასუნენ ხატნი: მაცხოვრისაჲ, ღმრთის მშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ და ჯუარი წმიდისა სჳმეონისი; ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიჴსენეთ“.

მესამე წარწერის ტექსტი, რ-იც წუნდის ეკლესიაზეა მოთავსებული, ასეთია:

„✝ სახელითა ღმრთისაჲთა. მე, იჩქითმან გურგენისძემან აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს“.

მაშასადამე, წარწერების მიხედვით, იჩქით გურგენისძე თამარ მეფის დროინდელი, ე. ი. XII ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის მოღვაწეა. ვანის ქვაბები მისი მიდამოებით იჩქით გურგენისძის სამამულო სამფლობელო და სამკვიდრებელი ყოფილა. არ არის გამორიცხული, რომ იგი ვანის ქვაბების მოპირდაპირედ მტკვრის მეორე ნაპირზე მდებარე თმოგვის ციხე-ქალაქსაც ფლობდა იმ დროს, თუმცა, ვანის ქვაბები და თავისი სამფლობელო მას მალევე დაუკარგავს. ვანის ქვაბებში აღმოჩნდა 1204 კიდევ ერთი წარწერა, რ-ის მიხედვითაც, იჩქით გურგენისძის მსგავსად, ვანის ქვაბთა მონასტერს კედელს უკვე მეფის მოხელე ვაზირი ანტონ ჭყონდიდელი უშენებს.

„✝ ქრისტე, (ადიდე ორ)თავე შინა სუ(ფევათა მეფეთა მეფ)ე და დედოფალი თამარ. წელსა მეფობისა მათისასა კ ანტონ ჭყონდიდელისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე; შეუნდვენ ღმერთმან“. რადგან ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან სამეფო მონასტრები მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სამეურვეო იყო, ცხადია, რომ ვანის ქვაბები 1204-თვის სამეფო საკუთრებაში გადასულა.

იჩქით გურგენისძეს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრისათვისაც გაუწევია სამსახური — გაუღია შეწირულება. მონასტრის სააღაპე წიგნში, 24 ნოემბრი-



წუნდის წარწერა იქით გურგენისძისა.

სათვის, მისი მოსახსენებელია ნაწერილი.

იქით გურგენისძის სამი წარწერა ნიმუშია XII–XIII სს. ქართ. ფეოდალთა მემორიალური და საამშენებლო წარწერებისა.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კილონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962; გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., ვანის ქაბის განძი. – «ძეგლის მეგობარი», 1966, №6; ს ი ლ ო გ ა ვ ა ე., სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიული ძეგლები, ახალციხე, 2000. *ე. სილოგავა.*

ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ, საუღლებელი ერთეული, იგივე ნამყო ძირითადი, ნამყო სრული, *აორისტი*; დროკილოთა II სერიის მწკრივი. დროის მიხედვით – წარსული ან მომავალი, კილოს მიხედვით – თხრობითი ან ბრძანებითი, ასპექტის მიხედვით – სრული ან უსრული, გზისობა – ერთგზის, აქტი – ნახული.

Წ. საწარმოებელი ფუძის მიხედვით ყველაზე მარტივია. მწკრივის ნიშნებია -ე (ავიღ-ე, დაწერ-ე...), -ი (გავთბ-ი, დაუბერ-დ-ი...) და *Ø*/-ი (მოეკალ-მოეკალ-ი...).



წყისის წარწერა. 616–619.

Წ-ში III სუბიექტ. პირს მხ. რიცხვში გამოხატავს -ა (დაწერ-ა...) და -ო (გაიგ-ო...) სუფიქსები; მათ განაწილებას ფონოლოგიური საფუძველი აქვს: -ო გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ფუძე არის უმარცვლო და *-ის ნიშანი – -ე*. III სუბიექტ. პირს მრავლობითში მოთხრობითსუბიექტიან ზმნებში -ეს სუფიქსი გამოხატავს, სახელობითსუბიექტიან ზმნებში – ნენ.

ზმნისწინი ასპექტიან ზმნებში სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირებას ახდენს; სხვა შემთხვევაში აღნიშნავს მიმართულებას ან უცელის ზმნას მნიშვნელობას.

Წ-ის II სუბიექტ. პირის ფორმები გამოიყენება ბრძანებითი კილოს გამოსახატად (გააკეთე! გააკეთეთ!...)

ლიტ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980; გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი გ., დროკილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984.

გ. გოგოლაშვილი.

ᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ 616–619, ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი ჯვრის კვარცხლბეკის ერთ მხარეს. კვარცხლბეკს მიაკვლია გ. ბოჭორიძემ 1925 წყისის ციხის (ადიგუნის რ-ნი) ნანგრევებში. მანვე ჩამოიტანა თბილისში. ამჟამად ინახება საქართვ. მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში – ლაპიდარიუმში. პირველად გამოსცა ა. შანიძემ (1935) და მანვე დაათარიღა 616–619-ით ტექსტში დასახელებული ირანული („შაჰრამანსა ა") და რომაული („ნოენბერსა ᲘᲖ") თვეების რიცხვების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კვარცხლბეკი წარმოადგენს რუხი ფერის მაგარი ჯიშის ქვის დიდ კუბს (ზომა: 64×67×80 *სმ*), რ-ის შუაში ამოკვეთილია ოთხკუთხა ბუდე ჯვრის ან ჯვრის დასადგმელი სეეტის მოსათავსებლად. მიუხედავად იმისა, რომ წარწერა არ არის ღრმა კეეთით შესრულებული და ქვის სედაპირიც რამდენადმე ფოროვანია, ტექსტი გარკვევით იკითხება და არც ერთი ადგილის წაკითხვა ეჭვს არ იწვევს. იგი 8-სტრიქონიანია; მისი ტექსტი ასეთია: „ესე ჯუარი ქრისტჱსი, მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა ა, სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა, ნოენბერსა ᲘᲖ, ამჱᲜ". წარწერა წარმოადგენს ეპიგრაფიკულ საბუთს, იურიდიულ აქტს (ამ თვალსაზრისით იგი საგანგებოდ განიხილეს აკად. ს. ჯანაშიამ და აკად. ნ. ბერძენიშვილმა). უცნობი (სხვა წყაროებში არ გეხვდება), მაგრამ, როგორც ჩანს, ადგილობრივი (სამცხელი) წარჩინებული ფეოდალი, ვინმე კოსტანტი, ძე სტეფანესი და გუდასი, მის მიერ შეძენილ მიწაზე („ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა") ჯვარს აღმართავს მცხეთის ჯვრის სახელზე, ე. ი. მკელევართა ერთი ნაწილის აზრით, ამ მიწას სწირავს მცხეთის ჯვარს. კულტ.-ისტ. თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წარწერაში თეების ირანული და რომაული სახელების ერთდროული დადასტურება. ენობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ზმნის ჰაემეტი ფორმა პირველ პირში („აღჰუმართე"); უფრო ადრეულ წარწერებში იგი წარმოდგენილია ხანმეტი ფორმით. ეს საშუალებას აძლევს ზოგიერთ მკელევარს, გამოთქვას თვალსაზრისი, რომ *ჰაემეტობა* წარმოადგენდა საჰრ.-დას. საქართველოში გავრცელებულ სალიტ. ნორმას და მან შეცვალა *ხანმეტობა*. **Წ**. **Წ**. დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლია, რ-შიც ჰაემეტობაა დაფიქსირებული.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ძველი ქართული ქრესტომათია, I, ტფ., 1935; ს ი ლ ო გ ა ვ ა ე., ქართული სამართლის ძეგლები. – «მაცნე» (ისტორიის სერია), 1972, №4; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980, №32; ბ ო ჭ ო რ ი ძ ე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992. *ე. სილოგავა.*



ჳ, ქართული ანბანის ოცდამეათე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეცამეტე) ასო. მისი სახელია „ჯარი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი აბრუპტიეი შიშინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴟ. მისი მოხაზულობა წრისა და რკალის კომბინაციაა, რ-საც კვადრატის ნახევარი უკავია. ნუსხური ⴑ მარჯვნივაა გადახრილი და ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული, მხედრული ჳ მომრგვალებული ფორმისაა და ოთხ ხაზს შორის იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ხუთ ათასს (5000).

ჯაბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე (14. X. 1916, თბილისი, – 26. III. 1996, იქვე), ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, დაამთავრა თსუ კაეკ. და აღმოსაელური ენების ფაკ-ტი, 1944–47 სწავლობდა ისტ. ინ-ტის ასპირანტურაში. 1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იყო საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ქართ. ენის ⟨illegible⟩არტებითი ლექსიკონის კომისიის სწაველული მდივანი (1958–65); არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბის გამგე (1965-იდან); საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწ. კომისიის წევრი (1982-იდან); ქართ. ენციკლოპედიის უფროსი სამეცნ. რედაქტორი (1971-იდან) და სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღვანელი (1982-იდან); იკვლევდა ქართულ სიტყვას, საზოგადოდ, ლექსიკას, მუშაობდა ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში. ჯ-მა შეადგინა და 1964 გამოსცა „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, რ-იც დღემდე სამჯერ გამოიცა, 1999 გამოიცა „უცხო სიტყვათა სასკოლო ლექსიკონი“. მონაწილეობდა ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის რვა ტომეულის ლექსიკური მასალის დამუშაებაში, არნ. ჩიქობავასთან ერთად იყო რედაქტორი IV ტ-ისა (სხვებთან ერთად საქართვ. სახელმწ. პრემია, 1971) და რვატომეულის საფუძველზე შექმნილი ერთტომეულისა (გამოიცა 1986 და 1990). ასევე ჯ-ის რედაქტორობითაა გამოცემული „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1985), „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989), „უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1990). ჯ. გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ქართულ სინონიმთა ლექსიკონის მომზადებას. მისივე ხელმძღვანელობით მუდმივად მიმდინარეობდა ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდის შევსება.

ა. არაბული.

ჯავჯავაძე ილია გრიგოლის ძე [27. X (8. XI). 1837, ყვარელი, – 30. VIII. (12. IX). 1907, წიწამური, დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში], მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, XIX ს. II ნახ. საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მეთაური, ქართ. სალიტ. ენის რეფორმატორი.



ი. ჭაუჭავაძე.

რვა წლის ჯ-ს წერა-კითხვა ყვარელმა მთავარდიაკონმა ასწაელა, 1848 კი თბილისში, პაკეს კერძო პანსიონში მიაბარეს. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1851) ჩაირიცხა თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიის მე-4 კლასში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე (1857–1861).

სტუდენტობის წლებში ჭ-მ საფუძვლიანად შეისწავლა ქართ. ლიტ-რა, საქართვ. ისტორია, ასევე — რუს. და ევროპ. ლიტ-რა და საზ. აზრის ისტორია. ამავე ხანებში ის გაეცნო რუს რადიკალურ დემოკრატთა ნააზრევს, ფრანგ განმან. იდეებს, გერმ. ფილოსოფიას და ყოველივე ამის საფუძველზე გამოიმუშავა საკუთარი მსოფლმხედველობა, რ-ის ღერძსაც წარმოადგენდა ქართვ. ხალხის ეროვნ. დამოუკიდებლობისა და სოც. თავისუფლების იდეა. ამ იდეისათვის ბრძოლაში ილიას გარშემო დაირაზმა იმდროინდელი ქართვ. სტუდენტობა და ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა, რიც საქართველოს ისტორიაში შევიდა „პირველი დასის“, ანუ „თერგდალეულების“ სახელწოდებით. ჭ-ს მხარში ედგნენ სხვა გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვ.

ჭ-ისა და მის თანამოაზრეთა ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ზრუნვა ქართ. ენის უფლებების დაცვისათვის, მისი ფუნქციების გაფართოების, შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. „სამი ღვთაებრიები საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ეუპატრონეთ, რა კაცები ეიქნებით, რა პასუხს გაეცემთ შთამომავლობას?“ — წერდა ილია თავის პირველსავე კრიტ. წერილში — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კახლოვიდამ „შუშლილის“ თარგმნაზედა“ («ცისკარი», №4, აპრილი, 1861). ამ წერილმა სათავე დაუდო პოლემიკას „მამებსა“ და „შვილებს“ შორის (იხ. *„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა*). პოლემიკა როგორც მხატვრული ლიტ-რის, ისე სალიტ. ენის მრავალ საჭირბოროტო საკითხს მოიცავდა, რ-თა შესახებაც ილიას თავიდანვე მკაფიოდ გამოკვეთილი, მართებული თვალსაზრისი ჰქონდა ჩამოყალიბებული. რაც მთავარია, მწერალი თავის შეხედულებებს განამტკიცებდა და პრაქტიკულად განახორციელებდა მთელი თავისი შემოქმედებით.

„თერგდალეულთა“ მიერ გატარებული ენობრივი რეფორმის არსს შეადგენდა სალიტ. ენის დემოკრატიზაცია — მისი დაახლოება სასაუბრო ენასთან. პირველი გაბედული ნაბიჯი, რ-იც ჭ-მ გადადგა ამ მიმართულებით, იყო ორთოგრაფიის გამარტივება და ხელის აღება ფონეტ. საფუძველს მოკლებულ რამდენიმე ასოზე (ზ, ი, ჯ, უ, ჴ, ფ, ჳ). „მამების“ დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ილიას თვალსაზრისმა გაიმარჯვა და მის მიერ შემოთავაზებული რეფორმა სულ მალე ბოლომდე გატარდა სალიტ. ენაში.

„მამაოა“ თაობის შეხედულებებს სალიტ. ენაზე საფუძვლად ედო ე. წ. *სამი სტილის თეორია*, რ-ის მიხედვითაც მეტყველების ფორმა უნდა შეეფერებოდეს მსჯელობის ობიექტს. ჭ-მ მკაცრად გაილაშქრა ამგვარი დაყოფის წინააღმდეგ: „არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი. ყოველი საგანი მაღალია თვის კეთილობაზედ და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულსედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა. მაშასადამე, ყოველი საგანი ერთნაირად გამოითქმის. ეგ სამგვარად განყოფა ენისა ძველი უსაფუძვლობაა, და გთხოვთ ნუღარ გააღვიძებთ კანონს, რომელიც დიდი ხანია რაც დაიმარხა და რომელიც, ვიდრე იყო თავის მოქმედებაში, რკინის სალტესავით ავიწროებდა კაცის მეტყველებასა და აზრსა“.

სამი სტილის თეორიის უკუგდება თავისთავად ნიშნავდა მაღალფარდოვანი სტილის უარყოფას და სალიტ. ენის გადახალისება-გახალხურებას.

ერთ-ერთი კონკრეტული საკითხი, რ-იც დაისვა «ცისკარში» გამართული პოლემიკის დროს, იყო უცხო სიტყვების სესხება. ჭ. მკაცრად ილაშქრებდა უცხო სიტყვებით ქართ. ენის დანაგვიანების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ზრუნავდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა უცხოური წარმომავლობის ისეთი სიტყვების შემოტანას, რ-ებიც ქველა ცივილიზებული ხალხის ენაში გეხვედება. მრავალი ასეთი სიტყვის დამკვიდრება ქართ. ენაში უშუალოდ ილიას სახელს უკავშირდება.

ჭ-მ გააცოცხლა ბევრი ძველი სიტყვა, დაასუსტა და საყოველთაო ტერმინებად აქცია, ბევრიც ხალხურ მეტყველებაში მოიძია და გზა გაუკაფა სალიტ. ენაში, თვითონაც შექმნა ქართულისათვის დამახასიათებელი ქალიბის მიხედვით. საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა „მამული“ XIX ს. 60-იან წლებამდე თითქმის მიეიწყებული იყო და მხოლოდღა მიწა-წყლის, ადგილ-მამულის მნიშვნელობით იხმარებოდა. ილიამ და მისმა თაობამ დაუბრუნა ამ სიტყვას ძველი მნიშვნელობა, რის შესახებაც თვითონ ილია წერდა: „სამოციან წლებში ქველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველი და დიდებულ მნიშვნელობით. ვისაც კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებული მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ქველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქცევითა და დაამდაბლა. აგრე გაუშატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი აღგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სიერცეს ჩვენის ცხოვრებისას“. ამ სიტყვის გამოცოცხლებას და გააქტიურებას მოჰყვა მისგან ახალი სიტყვების წარმოქმნა, როგორიცაა: მამულიშვილი, მამულიშვილობა, მამულიშვილური, სამამულო, სამამულიშვილო და სხვ. ამგვარი მაგალითები მრავალია.

ჭ. იყო ქართ. სალიტ. ენის განმახლებელი და ნორმათა კანონმდებელი, განმსაზღვრელი მისი განვითარების ძირითადი გეზისა XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ჭ. იყო მოთავე მრავალი ეროვნ.-კულტ. წამოწყებისა, როგორიცაა ქართული თეატრის განახლება, „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება, საადგილმამულო ბანკის გახსნა და სხვ.

ლიტ.: შანიძე ა., ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის.— ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული (1837—1937), თბ., 1939; ჩიქობავა არნ., ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, თბ., 1938; გიგინეიშვილი ივ., ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული

სალიტერატურო ენა. – «თსუ შრომები», 1958, ტ. 69; შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე გ., ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966; ჯ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ., ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის სოგიერთი საკითხი, თბ., 1994.

ბიბლ.: ნ ა ც ა შ ი ძ ე თ., კ ო რ ძ ა ი ა ნ., ილია ჭავჭავაძე. ბიობიბლიოგრაფია (1857–1907), თბ., 1966.

ზ. ჯუმბურიძე.

ჭარაია პეტრე გიორგის ძე (ფსევდონიმი პ. გ ი ო რ გ ი ძ ე) (12. VI. 1861, სოფ. ეშქეთი, ოჩამჩირის რ-ნი, – 2. XII. 1919, იქვე), საზოგადო მოღვაწე, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პედაგოგი და პუბლიცისტი. ჭ-მ დაამთავრა მარტვილის სას. სასწავლებელი (1877). სწავლა გააგრძელა თბილ. სას. სემინარიაში, მაგრამ მშობლების გარდაცვალების შემდეგ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილმა მიატოვა სემინარია (1882) და პედ. საქმიანობას შეუდგა. 1883-იდან გარდაცვალებამდე ის ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად მუშაობდა სამურზაყანოს სკოლებში (ოჩამჩირისა და გალის რ-ნი). ამ დროიდან იწყება მისი დაინტერესება ენათმეცნიერებით, ისტორიით, ეთნოგრაფიით. XIX ს. 90-იანი წლებიდან მისი ნაშრომები ქვეყნდება პერიოდულ პრესაში («მოამბე», «ივერია», «კვალი», «ცნობის ფურცელი», «სახალხო გაზეთი», «განათლება»).

ჭ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველურ ენათა შესწავლაში. აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“ («მოამბე», 1896, № 10–12; 1896, № 1, 2), ნ. მარის რედაქტორობით გამოცემული „Об отношении абхазского языка к яфетическим“ (1912), „ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა“ («მოამბე», 1895, №9) და „ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, რ-ის გამოქვეყნებაც ავტორმა ვერ მოახერხა და სიკვდილის წინ ხელნაწერი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას“ შესწირა. ამჟამად ეს ნაშრომი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტში (A-1716). გამოცემულია მისი ერთი ნაწილი: ავტორის წინასიტყვაობა (რ-შიც არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული) და მეგრულ-ქართული ლექსიკონი (1997).

1911 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზ-ბამ ჭ-ს გ. დადიანის პრემია მიანიჭა.

თაეის საენათმეცნ. გამოკვლევებში ჭ. ეხება ქართულისა და მეგრულის ნათესაობის საკითხებს, აყალიბებს ბგერათშესატყვისობების („ბგერათა თანაბრობის“) ფორმულებს (მაგ., ხმოვანთა, სიბილანტთა და სხვ. შესატყვისობებს) და დიდძალი მასალა მოჰყავს მათ საილუსტრაციოდ. იგი სპეციალურად ჩერდება იდენტურ („ძირეულ მონათესავე“) მასალაზე (ცა, და, ზღვა, ხუთი და მისთ.) და თელის, რომ „ბევრი ერთგვარი სიტყვები ერთი ენის მიერ მეორისაგან გადმოღებული კი არ არის, არამედ ამ ენათა პირვანდელ საერთო სალაროშია შექმნილ-შემუშავებული“.

ჭ-ს მოსაზრებათა ერთი ნაწილი ქართულისა და მეგრულის ბგერათშესატყვისობათა შესახებ თანამედროვე ქართ. ენათმეცნ. თვალსაზრისით მიუღებელია, მაგრამ არსებითია, რომ მან შეძლო ზოგი კორექტივი შეეტანა მანამდე არსებულ ფორმულებში და პირველმა შეაპირისპირა საკმაოდ დიდი რაოდენობა ქართ. და მეგრ. ძირებისა. ჭ. იზიარებს ნ. მარის აზრს ქართველური ენებისა და აფხაზურის ურთიერთმიმართების შესახებ, ამასთანავე, გვთავაზობს არაერთ საყურადღებო დაკვირვებასა და ეტიმოლოგიურ დაკვირვებას. დღესაც ანგარიშგასაწევია ჭ-ს მოსაზრება სალიტ. ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის, სალიტ. ენის გამდიდრებაში დიალექტების როლის, ენის სიწმინდისა და მისთ. პრობლემების შესახებ.

ჭ-ს, როგორც ენათმეცნიერის, მოღვაწეობას სათანადოდ აფასებდნენ ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი.

ჭ-მ გერმანულიდან თარგმნა რამდენიმე საენათმეცნიერო ხასიათის ნაშრომიც: ა. შლაიხერის „დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“ (1889); გ. ზეემანის „ენის წარმოდგომაზე“ (1896). მასვე ეკუთვნის რამდენიმე ლიტ. ნარკვევი, კრიტ.-პუბლიც. სტატია (ფსევდონიმით პ. გიორგიძე) და ეთნოგრ. გამოკვლევაც („აფხაზეთი და აფხაზნი“, 1888).

თხზ.: მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები იაფეტური ენების მკვლევართათვის). კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დ. თვალთვაძემ, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, თბ., 1997; ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა. – იქვე; Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб., 1912 («Материалы по яфетическому языкознанию», IV).

ლიტ.: ც ა ი შ ვ ი ლ ი ს., პეტრე ჭარაია. სოხუმი, 1953; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, I, თბ., 1953; მ ა რ ი ნ., პ. გ. ჭარაიას შედარებითი ლექსიკონი. – «მნათობი», 1964, №2; ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., რედაქტორის წინასიტყვაობა. – წგ.: ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

დ. თვალთვაძე.

ჭვირი ნიშანი, წყლის ნიშანი, ფილიგრანი, გამოსახულება (ემბლემა, დამღა), რ-იც კეთდება წარმოების პროცესში ქაღალდზე და ჩანს მხოლოდ სინათლეზე გახედვა-გაჭვირვისას (ეტიმოლოგიურად ნიშნავს გამჭოლი მზერით დასანახ ნიშანს: ჭვირობა ძვ. ქართულში მინაში გატარებულ მზერას ნიშნავდა. ჭვირ ძირს ეს მნიშვნელობა დღესაც შენარჩუნებული აქვს მიმღეობაში გა-მ-ჭვირ-ე-ალ-ე). ჭ-ების ფორმებს, გავრცელებულობას, ქრონოლოგიას, და საერთოდ მათ ისტორიას, სწავლობს პალეოგრაფიის სპეციალური დარგი ფ ი ლ ი გ რ ა ნ ო ლ ო გ ი ა. პირველად ჭ. იტალ. წარმოების ქაღალდზე გაჩნდა (XIII ს.), საქართველოში დასტურდება XIV ს-იდან ვენეციური წარმოების ქაღალდზე. ჭ-ს, როგორც წარმოების საფირმო ემბლემას, თავიდან სასაქონლო-სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ შემდგომში, და დღესაც, მისი საშუალებით ადგენდნენ ქაღალდის სადაურობას, უთარიღო ხელნაწერის რელატიურ ქრონოლოგიას, ფასიანი ქაღალდების ნამდვილობას. საქართველოში XV–XVI ს-თა მიჯნიდან ძირითადად იტალ. ქაღალდი ბატონობდა (სპარსული ქაღალდის შემოსვლა უფრო XVII ს-იდან გახშირდა და ისე როგორც საერთოდ აღმ. ქაღალდს, ჭ. არ ახასიათებს). XVIII ს. II ნახ-იდან რუსეთსა და დას. ევროპაში დამ-

ზადებული ქაღალდები შემოჰქონდათ. ერთ-ერთ უძველეს ჰ-ად ბუკის, საყვირის გამოსახულება ითვლება, რ-იც პირველად იტალ. ქაღალდშია გამოყენებული. XIV ს. დასაწყისიდან XVIII ს. ბოლომდე გვხვდება არა მარტო იტალ., არამედ ფრანგ., გერმ., პოლ. წარმოების ქაღალდებში. ასევე ადრეულ ჰ-ებში დომინირებს „ნახევარმთვარე“ სხვადასხვა ნაირსახეობებით, აღბეჭდილია ჰ-თა სხვადასხვა ტიპის გამოსახულებანი: ასო-ნიშნებისა (ლათ. r ან p ასო), საგანნიეთებისა (ღუზა, ზარი, მაკრატელი), სულიერ არსებათა (თხა, თევზი, ხარის თავი). რუს. ქაღალდის ჰ-ები ძირითადად აბრევიატურულია და მეწარმის ვინაობას აღნიშნავს. XIX ს-ის II ნახ-იდან ჰ-ის გამოყენება ქაღალდის წარმოებაში საგრძნობლად იკლებს და XX ს. დასაწყისში არსებითად ქრება. ჰ. ი. ჯაველიშვილმა შემოიღო ფილიგრანის, წყლის ნიშნის მნიშვნელობით; ქართ. ხელნაწერში დაცული ჰ-ები პირველად ე. თაყაიშვილმა გახადა დაკვირვების ობიექტად, ხოლო ჰ-ების სისტემა მონოგრაფიულად შეისწავლა რ. პატარიძემ.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949 (თხზ., ტ.9, თბ.,1996); პ ა ტ ა რ ი ძ ე რ., XIV–XV სს. ქართულ ხელნაწერთა ჭვირნიშნები. – «პალეოგრაფიული ძიებანი», ტ. I, თბ., 1965; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული ხელნაწერების ჭვირნიშანი „გვირგვინი“, XV–XVIII სს. – კრ.: «მრავალთავი» (ფილოლ. – ისტ. ძიებანი), II, თბ., 1973; მ ი ს ი ე ვ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები.– იქვე, V, თბ., 1975; დ ა ნ ე ლ ი ა კ., ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე შ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

კ. დანელია.

ჰილაძე ეასილ მათეს ძე (1776, მოსდოკი, – 1828, თბილისი), მთარგმნელი, საეკლესიო მოღვაწე. იმერეთიდან მოსდოკში გადასახლებული ჭილაძეების წარმომადგენელი. 1795–1800 მუშაობდა მოსდოკის ზემო სასაზღვრო სასამართლოში. 1801 რუსეთში გასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს გააყოლეს „პრისტავად“ და თარჯიმნად. იმავე წელს პეტერბურგში მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა კოლეგიაში მთარგმნელად, 1806 დაინიშნა საქართველოს უმაღლესი მთავრობის მრჩეველად სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციაში. 1809–11 იყო ექსპედიციის უფროსი. 1811 გაათავისუფლეს სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაქცეული თაეად ი. მაჩაბლის დანაშაულის ლმობიერად განხილვისა და მსუბუქი განაჩენის გამოტანის გამო. 1812–14 პეტერბურგში ცხოვრობდა. 1814 დეკ-ში დაინიშნა სინოდის საქართველო-იმერეთის ახალგახსნილ კანტორაში პროკურორად და საქართველოში დაბრუნდა. ამ პოსტზე მუშაობდა გარდაცვალებამდე და იღვწოდა საქართველოს ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის ცხოვრებაში რეფორმების გასატარებლად. 1822 დანიშნეს ეახტანგ VI-ის კანონების რუსულად თარგმნის კომისიის წევრად.

ჰ., ქართ. და რუს. ენების ჩინებული მცოდნე, სინოდის კანტორაში მუშაობის დაწყებამდე ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას როგორც რუსულიდან ქართულ, ისე ქართულიდან რუს. ენაზე. მისი თარგმანებიდან აღსანიშნავია: „პეტრე პირველის საზოგადო რეგლამენტი ანუ წესდება“ (1803), „სჯულდებანი რუსეთის სამეფოსანი“ (1804), ს. პუფენდორფის „რაჲ არს თანამდებობანი კაცისა და მოქალაქისანი“, დ. პრეისლერის „მხაზველობითი ხელოვნების კანონი“, ეახტანგ VI-ის კანონების რუს. თარგმანი, რ-საც „გულმოდგინე და ხანგრძლივი შრომა დასჭირვებია“ (დღეისათვის დაკარგულად ითვლება).

1812–14 *იოანე ბატონიშვილის* დაჟალებით ჰ-მ თარგმნა უნიკალური ნაშრომი – რუსეთის აკადემიის ლექსიკონის 6-ტომეული, რითაც ქართ. მწერლობას შესძინა 2 გამორჩეული ლექსიკონი: რუსულ-ქართული (≈ 40 000 სიტყვა) და საბუნებისმეტყველო განმარტებითი (2 500-მდე ტერმინი). ეს ლექსიკონები თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მიეწერებოდა იოანე ბატონიშვილს და მხოლოდ 1984 სანქტ-პეტერბურგის ცენტრ. სახელმწ. საისტორიო არქივში მიკვლეულმა მასალებმა ცხადყო, რომ მისი შემოქმედია ჰ. და არა იოანე ბატონიშვილი (რაც გაზიარებულია სამეცნ. წრეებში). ლექსიკონები (განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო) გამოირჩევა განმარტებების სიზუსტითა და სინონიმების სიუხვით. ენა განმარტებებისა ძვ. და ახ. ქართულის თავისებური ნაზავია, ახასიათებს სწორი გრამატ. ფორმები, მარტივი სინტაქსი და მრავალფეროვანი ლექსიკა. იშვიათია უსწორო, დიალექტური და სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენება. ჰ-ის სხვა თარგმანები ძირითადად „მაღალ ფრაზასია“ გამართული, ახასიათებთ არქაიზებული ენა ხელოვნურად გართულებული სინტაქსით. მიუხედავად იმისა, რომ ჰ. კარგად ფლობს ქართ. ენის გრამატიკას, აქა-იქ თავს იჩენს ფსევდოარქაული და ხელოვნური სიტყვაწარმოების ფორმებიც, რაც ანტონის სკოლის გავლენას უნდა მიეწეროს. განსაკუთრებული ხელოვნურობითა და აღზევებული სტილით გამოირჩევა მისი მიძღვნები, რ-თა ადრესატიც იოანე ბატონიშვილია.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე ლ., ახალი მასალები იოანე ბაგრატიონის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ .– «მაცნე», (ენისა და ლიტ. სერია), 1984, №4; მ ი ს ი ე ვ ე, ვასილ მათეს ძე ჭილაძე – რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელი .– კრ.: «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), XVII თბ., 1992; მ ი ს ი ე ვ ე, ვასილ ჭილაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი) .–იქვე, XVIII, თბ., 1999.

ლ. კიკნაძე.

ჰილ-ეტრატის იადგარი, საეკლესიო საგალობელთა უძველესი ქართული კრებულის-*იადგარის* ერთ-ერთი ნუსხა. იგი შედგენილია ბერძნულიდან თარგმნილი ადრეული საგალობლებით, რებიც ძირითადად IV–VII სს. თარიღდებიან. ქართ. კრებულის ჩამოყალიბება VII–VIII სს. მიჯნაზე ან VIII ს. პირველ ნახევარში ივარაუდება და ქართ. ღვთისმსახურებაში დამკვიდრებული იყო X ს. დამდეგამდე.

ჰ.-ე. ი. პალესტინური წარმომავლობისაა. იგი XIX ს. 50-იან წლებში საბაწმიდის მონასტრიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ როგორც ეთიოპური ხელნაწერი. 1883 ა. ცაგარელმა გაარკვია (და შემდეგ აღწერა კიდეც), რომ ხელნაწერი ქართულია. 80-იან წლებშივე ჰ.-ე. ი. შეიძინა პეტერბურგის საჯარო ბაკამ, სადაც იგი დაცული იყო ქართ. ხელნაწერთა კოლექციაში. 1923 ხელნაწერი გადმოეცა საქართ-



ჭილ-ეტრატის იადგარი.

ველოს. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინ-ტის H კოლექციაში (ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა ფონდი) № 2123-ით.

ა. ცაგარლის შემდეგ კ. კეკელიძემ შეადგინა ჰ.-ე. ი-ის ერცელი აღწერილობა, რ-შიც წარმოჩენილია ძეგლის სტრუქტურა და შედგენილობა. არსებობს ი. აბულაძისა და ლ. მეფარიშვილის მოკლე აღწერილობებიც. ხელნაწერის დათარიღების შესახებ მეცნიერებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. უფრო დასაბუთებულად მიიჩნევა IX–X სს. მიჯნა, ან X ს. დასაწყისი. ჰ.-ე. ი-ის ერთი ნაწილი დაწერილია ჭილზე (პაპირუსზე), მეორე კი – ეტრატზე (პერგამენტზე). ხელნაწერი პირველად გამოიცა 1977 ა. შანიძის რედაქციით (გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა). გამოკვლევაში ფართოდაა შესწავლილი ხელნაწერის კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული თავისებურებები (გადამწერის ხელი, დაქარაგმება, განკვეთილობის ნიშნები და სხვ.). ხელნაწერის გამოცემა ძირითადად საენათმეცნიერო მიზნებს ისახავდა, ამდენად, ღეტალურად არის გამოკვლეული ძვ. ქართ. ენის ამ ადრეული ძეგლის ენობრივი თავისებურებები ორთოგრაფიის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის თვალსაზრისით. ჰ.-ე. ი. მეორედ 1980 გამოიცა. ეს გამოცემა, გარდა ჭილ-ეტრატის ნუსხისა, რ-იც ნაკლულია და საკმაოდ დაზიანებული, დაემყარა სინური ქართული კოლექციის ახალგამოვლენილ ნუსხებსაც (Sin 18, Sin 40, Sin 41). ამ გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში ჰ.-ე. ი. შესწავლილია როგორც ლიტურგიკული ძეგლი, ქართ. და ბიზანტ. ჰიმნოგრაფიის განვითარების უძველესი ეტაპის ამსახველი კრებული.

გამოც.: ჭილ-ეტრატის იადგარი, ა. შანიძის რედ., ტბ., 1977 (ძველი ქართული ენის ძეგლები, I); უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980 (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, II).

ლიტ.: ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექციისა), ტ. V, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ, თბ., 1949. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ორი ძველი რედაქციის X–XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971; აბულაძე ი., ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი. მე-2 გამოცემა, თბ., 1973; Цагарели А.А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае. – «Православный Палестинский сборник», т. IV, вып. I, СПБ., 1888; Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в этечественных книгохранилищах и их научное значение, Тфл., 1908.

ლ. ხევსურიანი.

ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲜᲘ, საწერი მასალა (papyrus), რ-საც ამზადებდნენ ძველ სამყაროში ჭილისებრთა გვარის მცენარისაგან. ჰ-ის დამზადების ტექნოლოგია აღწერილი აქვს პლინიუს უმცროსს (I ს. ახ. წ.): მცენარის ღეროს წყალში ალბობდნენ, მწვანე კანს აცლიდნენ, შუაგულს თხელ ზოლებად სიგრძეზე ჭრიდნენ და სველ ფიცარზე ერთმანეთის გვერდით აწყობდნენ. შემდეგ ზოლებს ერთმანეთს მიაწებებდნენ და ზემოდან ასეთივე წესით განივად დალაგებულ და მიწებებულ ჰ-ის ზოლებს დაადებდნენ. ამგვარად დაწყობილ ზოლებს ტკეპნიდნენ, ასწორებდნენ და აშრობდნენ. ჰ-ზე წერდნენ შაეი ან წითელი მელნით, მცენარის ღეროსაგან დამზადებული კალმით. ძველ ეგვიპტესა და პერკულანეუმში ჰ-ს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ და გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში. ჩვენს დრომდე მოღწეულია ჰ-ზე შესრულებული არამეული, ბერძნ., ლათ., კოპტური, არაბ., სირიული ტექსტები, რ-თაც შეისწავლის პაპიროლოგია. ჰ-ის ფურცლები იხვეოდა გრაგნილისებურად. ასეთ ფურცლებს ბერძნები χάρτης-ს (ქართ. ქარტა) უწოდებდნენ. დიდი მოცულობის ტექსტებს, რ-თაც ჰ-ის მრავალი ფურცელი (გრაგნილი) ესაჭიროებოდა, ბერძნულად ეწოდება Biblíou (ბიბლია). საწერ მასალად ტყავის გაერცელებამ თანდათან ხმარებიდან გამოდევნა ჰ. და მასთან ერთად წიგნის გრაგნილი-

სებური ფორმა. ჰ-ის ფურცლებს იყენებდნენ XI ს-მდე ბიზანტიის იმპერატორებისა და რომის პაპების კანცელარიებში ბრძანებულებების, იურიდ. აქტებისა და სხვა საქმიანი ქაღალდების საწერად. ამის გამო სიტყვა „ქარტამ“ შეიძინა საბუთის მნიშვნელობაც. ქართ. ხელნაწერთაგან მხოლოდ ორში – ე. წ. *ჭილ-ლიტრატის იადგარსა* (IX–X სს.) და *ფსალმუნში* (IX ს.) არის დადასტურებული ჰ-ის გამოყენების ფაქტი. ორივე ხელნაწერი პალესტინაშია შექმნილი და ინახებოდა სინას მთის წმ. ეკატერინეს სახ. მონასტერში. ისინი სინას მთიდან რუსეთში ნაიტანა პ. უსპენსკიმ. ჭილტრატის იადგარში გამოყენებულია ორივე მასალა: ჭილიცა და ეტრატიც. ამჟამად იგი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2123), ფსალმუნის ფურცელი კი – პეტერბ. საჯარო ბ-კის ხელნაწერთა განყ-ბაში. ხელნაწერთა ინ-ტში დაცულია აგრეთვე ქართ. პაპიროლოგის გრ. წერეთლის ბერძნული პაპირუსების კოლექცია.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949 (თხზ., ტ. 9, თბ., 1996); ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978. *მ. სურგულაძე.*

ჭლოუს წარწერა 1445–52, ქართული ასომთავრული რელიეფური წარწერა, მოთავსებული დიდი ზომის (100×78×8 *სმ*) ქვის ფილაზე, რ-იც აღმოჩნდა 1955 სოფ. ჭლოუს (ოჩამჩირის რ-ნი) უკლესიის ნანგრევების გაწმენდისას. ინახებოდა დ. გულიას სახ. აფხ. სახელმწ. მუზეუმში (სოხუმი). ფილას გვერდებიდან და ზემოდან შემოუყვება რელიეფური ჩარჩო, ხოლო მის ორსავე ნაპირა კუთხეში თითო რელიეფური პალმეტია გამოყვანილი. როგორც ფილის ქვემოთ ღია, შეუკრავი ჩარჩოდან ჩანს, მას ქვემოდან სხვა ფილა ჰქონია მიდგმული და, შესაძლოა, ორივე ერთად საფლავის ქვა იყო. ჩვენამდე მოღწეული ნაწილი ნახევარი გაპობილია ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად, ჩამომტვრეულია მისი ქვედა მარჯვენა კუთხე. წარწერა შესრულებულია დიდი ზომის ასოებით (სიმაღლე – 13–14,5 *სმ*), მეორე სტრიქონის შუაში – ხვეული დამწერლობით. მისი ტექსტი ასეთია: „ერისთავთა ერისთავი, მანდატურთუხუცესი დადიან ოზბეგს, შეუნდევენ ღმერთმან“. წარწერაში დასახელებული ოზბეგ დადიანი ერთი სვანური ისტ. საბუთის მიხედვით, ალექსანდრე I დიდის ძის ღემეტრე მეფის თანამედროვეა. მისი მეფობა 1445–52 განისაზღვრება და ჭ. წ-ც ამ დროით უნდა დათარიღდეს. წარწერის მიხედვით, XV ს. შუა ხანებში აფხაზეთი ეკუთვნის დადიანს, ერთიანი საქართველოს მეფის ერთ-ერთ დიდმოხელეს (ერისთავთა ერისთავს და მანდატურთუხუცესს), ხოლო სოფ. ჭლოუს ეკლესია მისი სამარხიცაა. ენობრივად წარწერა გაუმართავია – მოხსენიებული პირის სახელი და მისი თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები სხვადასხვა ბრუნვაშია წარმოდგენილი, რაც დას.-ქართ. წერილობითი ძეგლების გარკვეულ ნაწილში „მეგრელიზმების“ შემოჭრის ერთ-ერთ ადრინდელ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ.



ჭლოუს წარწერა. 1445–52.

ლიტ.: სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ე. სილოგავას გამოც., თბ., 1986; Б г а ж б а Х. С., Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967.

ე. სილოგავა.



ხ, ქართული ანბანის ოცდამეთერთმეტე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთოთხმეტე) ასო. მისი სახელია „ხანი“; გრაფ. სიმბოლო უკანაენისმიერი ფშვინვიერი ნაპრალოვანი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴕ. მისი მოხაზულობა ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატის ნახევარს იკავებს. ნუსხური ⴕ მარჯვნივაა გადახრილი და ქედა სამ ხაზშია მოთავსებული. ხ-ს მხედრულში მომრგვალებული ფორმები აქვს და ზედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ექვსი ათასს (6000).

ხათური ენა, პროტოხეთური ენა, ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანებსა და II ათასწლ. დასაწყისში მცირეაზიაში (ანატოლიაში – ახლანდ. თურქეთი), განსაკუთრებით მის ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის – ხათების, იმავე პროტოხეთების (ხეთებამდელი ტომების) ენა. სახელწოდება წარმომდგარია „ხათი“-საგან (Hatti), რ-იც ქეყნის აღმნიშვნელი იყო. ხ. ე. შეურწყა ხეთურ და ფალაურ ენებს და ძვ. წ. XVIII–XVII სს-იდან შეწყვიტა არსებობა.

ხათებს საკუთარი დამწერლობა არ ჰქონიათ. ხ. ე. შემორჩენილია ინდოევროპელი ხეთების დედაქალაქის – ხათუსის (ახლანდ. სოფ. ბოღაზქოის) ლურსმულ არქივში აღმოჩენილ ერთენოვან (ხათურ) და ორენოვან (ხეთურ-ხათურ) ტექსტებში, რ-ებიც დაწერილია მარცვლოვანი ლურსმულით იდეოგრამების გარეშე, რაც აძნელებს ტექსტების შინაარსის გაგებას. ხ. ე. არ მიეკუთვნება არც ინდოევ., არც სემიტურ და არც სხვა რომელიმე ენათა ოჯახს. მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ იგი ახლოს დგას ჩრდ.-დას. კაუკასიის ენებთან – აფხ.-ადიღურთან (ი. დუნაევსკაია, ი. დიაკონოვი, ვ. ივანოვი), რასაც დასაბუთებელი მეცნიერები არ იზიარებენ (ა. კამენჩუბერი, ა. შულური და სხვ.). ზოგიერთი მკვლევარი არ გამორიცხავს მის სიახლოვეს ქართველურ ენებთან (ქრ. გირბალი).

მოსაზრებას ხ. ე-ის აფხ.-ადიღ. ენებთან ნათესაობის შესახებ მხარს უჭერს ზმნათა სტრუქტურის მსგავსება, მაგრამ ხ. ე-ის ფონოლოგიური ფორმანტების გაურკვევლობა, მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობების მიახლოებითი ხასიათი და თითქმის ოთხი ათასი წლის ინტერვალი შესადარებელ ენებს შორის ამ შედარებას რამდენადმე დაუჯერებელს ხდის.

ხათური აგლუტინაციური ენაა. ხათურ სახელს 20-მდე პრეფიქსი და ამდენივე სუფიქსი დაერთვის, რ-თა მნიშვნელობა საბოლოოდ არ არის დადგენილი. სახელისა და ზმნის დიფერენცირება საკმაოდ როულია ფორმალური კრიტერიუმების უქონლობის გამო: სახელისა და ზმნის მაჩვენებლები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს (ა. კამენჩუბერი, ჰ. შუსტერი).

არ შეინიშნება სახელის დიფერენციაცია არსებით და ზედსართაე სახელებად. ძირს (ფუძეს) წინ უსწრებს ლოკატიური ელემენტები წინსართებისა და პრეევრბების სახით. ზმნის გრამატ. ურთიერთობანი გამოხატულია იმ პრეფიქსთა ჯაჭვით, რ-ებიც განლაგებულია უცვლელი თანმიმდევრობით. ჩვეულებრივ, გამოყენებულია 10-იდან 3-4 პოზიცია. პრეფიქსები გამოხატავენ აკრძალვას, სურვილს, ლოკატივს მოქმედების სუბიექტის დროს, რეფლექსიებს, სუბიექტს, მრ. და მხ. რიცხვში, ლოკატივს მდგომარეობის სუბიექტის დროს. ვარაუდი ზმნაში დროისა და პირის მაჩვენებლების არსებობის შესახებ სხვადასხვაგვარია. სახელის გრამატ. კატეგორიები (ბრუნვა, რიცხვი...) გადმოცემულია პრეფიქსებითა და სუფიქსებით. ზმნის ორსუბიექტური უღლება და მოქმედებისა და მდგომარეობის ზმნათა დიფერენციაცია საშუალებას იძლევა ხ. ე. მიჩნეულ იქნას ერგატიულად (იხ. *ერგატიული წყობა*).

შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხათური ზმნის სტრუქტურა გარკვეულია. ი. დუნაევსკაიას ვარაუდით, ხათურ ზმნას გააჩნია პრეფიქსთა ჯაჭვი ექვსი პოზიციით. ამ ჯაჭვსა და ფუძეს (ძირს) შორის თავსდება ლოკატიური პრეევრბები, ხოლო ძირის შემდეგ მოცემულია

სუფიქსთა ჯაჭვი ორი (ან მეტი) პოზიციით.

დღეისათვის დამაჯერებლად დადგენილია 100-მდე ხათური სიტყვის მნიშვნელობა.

ხათური და ქართველური ენების ურთიერთშედარება ი. დუნაევსკაიასა და ი. დიაკონოვს აძლევს შესაძლებლობას დაასკვნან, რომ სტრუქტურული სიახლოვის ხარისხი ხათურსა და ქართველურ ენებს შორის უფრო დაბალია, ვიდრე ხათურსა და აფხ.-ადიღურ ენებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ენები ზმნის ფორმებში იყენებენ პრეფიქსაციის რთულ სისტემას, ისინი პრინციპულად განსხვავებული სისტემებია. სუბიექტურ-ობიექტური მაწვენებლები გამოიხატება უმეტესად პრეფიქსებით, მაგრამ III პირი (სუბიექტის მაჩვენებელი) და მხ. რიცხვის I და II პირის მაჩვენებელი სუფიქსებითაა გამოხატული. მათივე აზრით, ქართველური ენების ბრუნვის სისტემას არა აქვს რაიმე შეხების წერტილები ხათურთან. მაგრამ, როგორც ი. დუნაევსკაია თვლის, ზოგიერთი ხათური მორფემა ანალოგიას ავლენს სწორედ ქართველურ ენებთან. ასე, ხათურის III პირის მაჩვენებელი არის –h-, -, -h-, -s-, ისევე როგორც ქართველურ ენებში; ამ ენებში გავრცელებულია ხათურში კარგად ცნობილი სიტყვაწარმოების სუფიქსი კუთვნილებისა და წარმომავლობისა -el. სვანურში არსებული განყენებული სახელების პრეფიქსი li- და მრ. რიცხვის პრეფიქსი la-, რ-ებიც შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ხათურ le-სთან; შდრ. აგრეთვე, ქართული „ის“ და ხათური es.

როგორც გერმანელი ხეთოლოგი ქრ. გირბალი ვარაუდობს, ხათური გენეტიკურად განსახილველია ქართველურ ენათა ჯგუფთან კავშირში. ყურადღება რა ძირითადად ლექსიკურ მონაცემებს, იგი იხილავს ისეთ ლექსიკურ პარალელებს, როგორიცაა: ხათური tete „დიდი“ და ქართ. „დიდი“; ხათური სიტყვიდან Fuhhukuru „ხელქა“ გამოყოფილი kuru-ს და ქართ. „ყურებას“; ხათური sama „მოსმენა“ და ქართ. „სმ“ სიტყვაში „მოსმენა“, ხათური tumāil „წვიმა“ და ქართ. „წვიმა“ (-il სუფიქსის გამოკლებით) და ა. შ.

ხათურ და ქართველურ ენათა სავარაუდო ლექსიკური პარალელებიდან მკვლევრები აღნიშნავენ შემდეგსაც: ხათური šawat „ვაშლი“ და ქართ. „ვაშლი“; ხათური karam „ჭურჭელი“ და ქართ. „ქვევრი“; ხათური win „ღვინო“ (სიტყვაში „Windukaram“ „მეღვინეთუხუცესი“) და ქართ. „ღვინო“; ხათური ureš „მჭედელი“ და ქართ. „ური“; ხათური (Na-)zar „ცხვარი“ და ქართ. „ცხვარი“.

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე გ., ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988; Д у н а е в с к а я И. М., Принципы структуры хаттского (протохеттского) глагола. – «Переднеазиатский сборник», I, М., 1961; მ ი ხ ი ე ე. Протохеттский именной суффикс косвенного дополнения «Вестник древней истории», 1964, №1; Д ь я к о н о в И. М., Языки древней Передней Азии, М., 1967, Д у н а е в с к а я И. М., Д ь я к о н о в И. М., Хаттский (протохеттский) язык «Языки Азии и Африки», III, М., 1979; И в а н о в Вяч. Вс., Об отношении хаттского языка к северо-западнокавказским. – „Древняя Анатолия“, М., 1985; Kammenhuber A., Das Hattische. – «Handbuch der Orientalistik», Abt. I, Bd 2, Lfg.2, Leiden-Köln, 1969, Schuster H. S., Die hattisch-hethitischen Bilinguen, Bd. I, Tl 1, Leiden, 1974; Girbal Ch., Beiträge zur Grammatik des Hattischen, Frankfurt am Mein, 1986.

გ. გიორგაძე.

ხანმეტობა, V–VII ს-ების ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენის გვიანდელი შეფასებითი ტერმინი, როცა „ხანის“ ხმარება გაიგებოდა როგორც ზედმეტი, არა საჭირო: II სუბიექტ. და III ობიექტ. პირების ნიშნად (ხ-იხილო, ხ-ერქუა და მისთ.), უფროობითი ხარისხის სახელებში (ხ-უმჯობეს და მისთ., რ-ებიც ისტორიულად ზმნური ფორმებია) და ირიან ვნებითებში (ხ-იყო...). ტერმინი ხ ა ნ მ ე ტ ი პირველად ნახმარია გიორგი მთაწმიდლის სახარება-ოთხთავის რედაქციაზე დართულ ანდერძში (XI ს.), სადაც მოხსენიებულია ოთხთავის ტექსტები – „ხანმეტი“ და „საბაწმიდური“. ამ ანდერძის მიხედვით ტერმინის მნიშვნელობა დაადგინა ა. შანიძემ. რამდენადაც ხან-ის ადგილს VIII ს. და მის შემდგომ ხანის ტექსტებში ჰაე იკავებს, XI ს. სალიტ. ნორმების მიხედვით, ხანი ზედმეტი იყო და ამიტომაც, გასაგებია, რომ გიორგი მთაწმიდელს მისთვის „ხანმეტი“ ეწოდებინა.

ხანი დღეს შემორჩენილი აქვს ორ ზმნას (ხ-არ, მო-ხ-ვალ / მო-ხ-ვედი) და შეხორცებულად – ორ სახელს (ხუცესი, ხერთვისი), სადაც ხ ისტორიულად III ობიექტ. პირის ნიშანია.

ხანმეტია უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები: ბოლნისის სიონის სამი წარწერა V ს. დასასრულისა, უკანგორის ორი წარწერა VI ს. დასაწყისისა, მცხეთის ჯვრის წარწერა (დემეტრე უპატოსისა) VI ს. დასასრულისა.

1922 ა. შანიძემ ეპიგრაფიკული მასალისა და ცოცხალ ენაში შემორჩენილი ზოგიერთი არქაული ფორმის ანალიზის საფუძველზე გამოთქვა ვარაუდი, რომ ხ ძველად პირის ნიშანი უნდა ყოფილიყო. იმავე წელს ი. ჯავახიშვილმა გამოავლინა და ამოიკითხა უძველესი ქართ.-ებრ. პალიმფსესტი, რ-იც იერემიას წინასწარმეტყველების ნაწყვეტებს შეიცავდა და პალეოგრაფიულ-ენობრივი ნიშნების მიხედვით VI–VII ს-ებით დაათარიღა. ამ



ხანმეტი ლექციონარი. VII ს.

აღმოჩენამ დაადასტურა ა. შანიძის პიპოთეზა და შეაძლებინა მას აეხსნა ტერმ. „ხანმეტი“.

ხანმეტი ტექსტები ჩვენამდე მოღწეულია პალიმფსესტების სახით. 1927 ა. შანიძემ გამოაქვეყნა ხანმეტი მრავალთავის ტექსტი (VIII ს. I ნახ.), რ-იც შეიცავს ბიზანტიელი მწერლების – იოანე ოქროპირის, იელიანე ეპისკოპოსის, ევსუქი ხუცესისა და სხვათა თხზულებების ფრაგმენტებს; 1929 მანვე გამოაქვეყნა ხანმეტი ლექციონარი (VII ს. II ნახ. შეიცავს ახალი აღქმის საკითხავებს; 1944 ხელმეორე გამოცემა), 1937 კი – იერემიას წინასწარმეტყველების კვმბრიჯული ხანმეტური ხელნაწერის ფრაგმენტები. 1970 ინგლისელმა პროფ. ჯ. ბერდსოლმა გამოსცა ხანმეტი ტექსტი – იაკობის პროტოევანგელეს ფრაგმენტები (VII ს.; ხელმეორე გამოცემა ა. შანიძისა 1977). მანვე გამოსცა ხანმეტი ოთხთავისა და ესრა პირველის ხანმეტი ფრაგმენტები (VII ს.). 1984 ლ. ქავთიამ გამოსცა „ხანმეტი ტექსტები“, რ-შიც შეიდგა ფრაგმენტები ხანმეტი ოთხთავის ტექსტებიდან. მან გამოაქვეყნა არაერთი სრულიად უცნობი ხანმეტი ძეგლი: „ესაიას წინასწარმეტყველება“, „კუპრიანეს წამება“ და სხვ. ხანმეტი ტექსტების შესწავლა და პუბლიკაცია დღესაც გრძელდება როგორც საქართველოში, ისე სახელგარგარეთ.

ი. ჯავახიშვილის აზრით, ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად უსწრებენ ჰაემეტს, ამიტომ თავდაპირველად II სებიექტ. და III ობიექტ. პირების პრეფიქსად უნდა გვქონოდა ხ, რ-იც ფონეტ. ცვლილებების შედეგად ჰ-დ იქცა. ა. შანიძის აზრით, ხ. და ჰაემეტობა ასახავს ორ სხვადასხვა დიალექტს: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხანმეტი კილო საქართველოს სამხრ.-აღმ. კუთხეში იყო, ხოლო ჰაემეტი – სამხრ.-დას-ით.

ლიტ.: ჯავახიშვილი ი., ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. – «ტფილელების უნივერსიტეტის მოამბე», 1922–23, ტ. 2; *შანიძე ა.*, ხანმეტი მრავალთავი, იქვე, ტ. 7, ტფ., 1927; *მისივე*, ხანმეტი იერემიას კვმბრიჯული ნაწყვეტები. – «ენიმკის მოამბე», 1937, ტ. 2, ნაკვ. I; *მისივე*, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთორმეტე საუკუნის მწერლობაში. – იხ. მისი: თხზ., ტ. I, თბ., 1957; *მისივე*, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში. – იქვე; მისივე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. – იქვე; *მისივე*, იაკობის პირველ-სახარების ხანმეტი ნაწყვეტები. – «თსუ ძველი ქართ. ენის კათედრის შრომები», თბ., 1977; *სარჯველაძე ზ.*, ხანმეტ და ასურულ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირთან ფორმათა ხაზიებლები, თბ., 1971, *უტიე ბ.*, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1973, №1; *ქავთია ლ.*, ხანმეტი ძაგიოგრაფიული კრებული. – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), IX, თბ., 1981; *დანელია ქ., სარჯველაძე ზ.*, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, Коковцов П. К., Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда – «Записки Вост. Отделения Русск археол. об-ва», т. XI, СПб., 1899; Birdsall J. N., A Second Georgian Recension of the Rotevangelium Jakobi – «Le Muséon», 83, Louvain, 1970; *Мисивеже*, Palimpsest Fragments of a Khanmeti, Georgian Version of I Esdras. – იქვე, t. 85, No. 1-2, Louvain, 1972.

ქ. დანელია.

ხანძთა, შუა საუკუნეების მონასტერი, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, ქლარჯეთში (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). დაარსა გამოჩენილმა სას. მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა.



ხანძთა. X ს.

ხანძთის ლიტ. ტრადიციებზე აღიზარდნენ არსენ I (არსენ ღიდი, არსენ საფარელი), ეფრემ მაწყვერელი (IX ს.), მაკარი ლეთელი. აქ მოღვაწეობდნენ მწერლები და კალიგრაფები: გიორგი მერჩულე – ავტორი თხზულებისა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მოსე ხანძთელი (XI ს.) – მას გადაუწერია 1085 „საწელიწადო საწინასწარმეტყველო“, გიორგი ხანძთელმა ტყეეობიდან დაიხსნა ძეირფასი ხელნაწერი XI ს. – სახარება (A – 484) და შესწირა ხანძთას. XII–XIII სს-ში ხანძთაში მოღვაწეობდა სტეფანე, რ-საც გადაუწერია ლეკემბრის თვენი.

ლიტ.: შენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. შენაბდე.

ხარისხი, გრამატიკული კატეგორია, რ-იც გამოხატავს საგნის თვისების ხარისხს და დამყარებულია ამ თვისების აღმნიშვნელი ძირეული და წარმოქმნილი ფორმების შედარებაზე. ხ. ძირითადად ახასიათებს ეითარებით ზედსართაე სახელებსა და ზედსართაედ ქცეულ მიმდეობებს. ზოგ შემთხვევაში ხ. დასტურდება ზმნისართებთანაც.

თანამედროვე ქართულში, შედარების დროს ამოსაველად აღებული ე. წ. დადებითი ხ-ის გარდა, გამოყოფენ უ ფ რ ო ო ბ ი თ და ო დ ნ ა ო ბ ი თ ხ-ებს. უფროობითი ხ. საგნის ნიშანს დადებითთან შედარებით მეტი ოდენობით გამოხატავს (შავი – უშავესი), ხოლო ოდნაობითი – ნაკლები ოდენობით (შავი – მოშაეო).

ხ-ის გადმოსაცემად ენას აქვს ორი მთავარი საშუალება – წარმოქმნითი და აღწერითი. ხ-ის სახელთა წარმოება აფიქსთა მეშვეობით ხორციელდება. უფროობითი ხ-ის საწარმოებლად ძვ. ქართულში გამოყენებული იყო **უ–ზს** || **უ–ეს**, იშვიათად – **უ–ოზს** || **უ–ოს** ცირკუმფიქსები, თუმცა არც თუ იშვიათად დასტურდება **უ-, უ-ო** მაწარმოებლებიც (უძველეს,

ე. წ. ხანმეტურსა და ჰაემეტურ ძეგ- ლ ღ– ხ(ჰ) – ეს || ხ(ჰ) –ეს და ხ(ჰ) –ოს მაწარმოებლები). ახ. ქართულში უფროობით ხ-ს, ჩვეულებრივ, აწარმოებს **უ–ეს**, იშვიათად – **უ–ოს** (უმაღლესი, უმცროსი).

ოდნაობითი ხ-ის მაწარმოებელია: – **მო–ო**, უფრო იშვიათად – **წა–ო** (მომკავო, წათეთრო).

უფროობითი ხ-ის პრეფიქსებთან უძველეს ქართულში დადასტურებული **ხ-** / **ჰ-** წარმოშობით III ობიექტ. პირის ნიშნად არის მიჩნეული, ხოლო **უ**-ს სასხვისო ქცევის ნიშანს უკავშირებენ.

უფროობითის ფორმათა სუფიქსები იშლება **ე** ÷ **ის** / **ო** ÷ **ის** აფიქსებად, რ-ებშიც -**ე** / -**ო** საკუთრივ ხ-ის მაწარმოებლებია, -**ის** კი – ნათ. ბრუნვის ნიშანი, რ-იც შესადარებელი სახელიდანაა გადმოსული (**უმაგრეს ქვისა**). სხვა ვარაუდით, უანაობითის ფორმები სიტყვაწარმოების ნიმუშებს წარმოადგენს (თ. ზურაბიშვილი).

ხ-ის აფიქსთა გენეზისის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისტორიულად უფროობითი ხ. ქართულში (ქართველურ ენებში) ზმნური წარმოშობისა უნდა იყოს.

ოდნაობითი ხ-ის პრეფიქსებს სათანადო ზმნისწინებს უკავშირებენ (ა. შანიძე), თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ ისინი წარმოშობით ნასახელარ ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობებია, რ-თაც დროთა განმავლობაში იცვალეს ფორმა და შინაარსი და ე. წ. ოდნაობითი ხ-ის სახელებად იქცნენ.

ძვ. ქართულში უფროობითი ხ-ის ფორმებთან უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია შესადარებელი სახელიც, რ-საც ხ-ის ფორმა მართავს ნათ. ან მიც. ბრუნვაში (უფროჲს ოქროჲსა, უსუბუქეს სენსა). ახ. ქართულში უფროობითი ხ-ის ფორმას, ძირითადად, შესადარებელი სახელი არ ახლავს და იგი თავისი შინაარსით სხვა ენათა აღმატებითი ხ-ის ფორმებს ემსგავსება (ულამაზესი ქალი – **красивейшая женщина**), ხოლო მაშინ, როდესაც ხ-ის ფორმასთან შესადარებელი სახელიც არის, ეს უკანასკნელი უმეტესად -**ზე** თანდებულიან მიცემითშია (დამეზე უშავესი), უფრო იშვიათად – ნათესაობითში (ელვის უსწრაფესად).

ხ-ის აღწერითი წარმოების შემთხვევაში ნიშნისა თუ თვისების გამომხატველ სახელთან, ჩვეულებრივ, გამოყენებულია ზმნიზართები: ძრიად, ყოვლად, ძალიან, მეტად, ნაკლებად და სხვ. (მეტად დიდი, ძალიან ლამაზი). არსებობს სხვა სტილისტიკური ხერხებიც, როგორიცაა: საგნის ნიშნის აღმნიშვნელი სახელის გამეორება (გრძელი, გრძელი წვერი...), ფუძის გაორკეცება (ცხელ-ცხელი ამბები...) და სხვ.

აღწერითი წარმოება ძვ. ქართულისთვის ნაკლებ დამახასიათებელია, ახ. ქართულში კი ამ წესით ნაწარმოები ფორმები უფრო მეტია, ვიდრე წარმოქმნილი, რ-თაც ძირითადად, წიგნური ხასიათი მიიღეს. ეს მოვლენა საერთო ქართველურია.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში. – «ტფილისის უნივერსიტეტის შრომები», 1936, ტ. 1; მ ი ს ი ე ე., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; ნ ი ქ ო ბ ა ძ ე არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; მ ი ს ი ე ე., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქეგლ, ტ. I, თბ., 1950; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., შედარებითი ხარისხის წარმოებისათვის ქართველურ ენებში, «უნ-ტის სამეცნიერო სესია», მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1954; თ. ზურაბიშვილი, ოდაობითი ფორმების წარმოებისათვის.

თ. ზურაბიშვილი.

ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ენაში არსებული სიტყვა-თქმანი, რ-თაც დროთა განმავლობაში გადატანილი მნიშვნელობა მიუღიათ და მეტაფორული სახეცვალების გზით დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად დამკვიდრებულან. ეს სიტყვები და სიტყვათშეხამებები პირდაპირი მნიშვნელობით ფაქტობრივ აღარ იხმარება, რამდენადაც მათი პირვანდელი სემანტიკა მეტაფორული მნიშვნელობის გაელვით მივიწყებული ან შესუსტებულია. მაგ., ადამიანის გარკვეული სულიერი მდგომარეობის ამსახველი სიტყვები **გახევდა** და **გაშეშდა** დღეს აღარ აღიქმება „ხედ“ ან „შეშად“ ქცეული ადამიანის მდგომარეობის აღმნიშვნელად. ასევე, კომპოზიტები **თავქუდმოგლეჯილი** და **თავლაფდასხმული** არ ახასიათებს ადამიანს, რ-მაც 1) „თავიდან მოიგლიჯა ქუდი“ ან „იგი სხვამ (მათ შორის – ქარმა) მოჰგლიჯა“, ანდა 2) „თავზე ლაფი (ტალახი) დაისხა“, ან „იგი სხვებმა დაასხეს“. არც გამოთქმები **„პირკატა ეცა“** ან **„ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“** ესმის ქართველს (და, საერთოდ, ქართ. ენის ბუნებრივ მომხმარებელს) პირდაპირი მნიშვნელობით. ერთზე მეტი სიტყვის შემცველ ამგვარ გამოთქმებს, რ-თა მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, ეწოდებათ *იდიომები*.

ქართ. ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში სპეციალურად ხ. ს-თ-თვის მიძღვნილი პირველი ლექსიკონი არის თედო *სახოკიას* დიდტანიანი ლექსიკონი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (I გამოცემა – სამტომეული, 1950–55; II (შევსებული) გამოცემა – ერთტომეული, 1979). ნაშრომში წარმოდგენილი განმარტებანი, გარდა საკუთრივ ლინგვისტური მნიშვნელობისა, ლექსიკონს სძენს ეთნოგრ.-კულტუროლოგიურ ღირებულებას.

ხ. ს-თ. ყველაზე სრულად წარმოდგენილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში (1950–1964). მხოლოდ იდიომური მასალა წარმოდგენილია ალ. ონიანის „იდიომთა ლექსიკონში“ (1964).

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961; ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე შ., იდიომი და იდიომურობა. – «საენათმეცნიერო ძიებანი», თბ., 1983.

შ. აფრიდონიძე.

ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე (3. I. 1864, გორი, – 7. VIII. 1912, სამარის მახლობლად აგარაკზე, დაკრძალულია თბილისში), ფილოლოგი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. დაწყებითი განათლება გორის საქალაქო სასწავლებელში მიიღო, 1884 დაამთავრა თბილ. კლასიკური გიმნაზია, 1888 – მოსკ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. იქვე დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1889-იდან კითხულობდა ლექციებს ქართ. ენასა და ლიტ-რაში ლაზარევის აღმოსავლური ენების ინ-ტში, 1900-იდან – მოსკოვის უნ-ტში. ხ. იყო რამდენიმე სამეცნ. საზ-ბის წევრი, ავტორი მრავალი მეცნ. შრომის ქართ., რუს., ფრანგ. და გერმ. ენებზე. 1902 მივლინებული იყო ათონის მთაზე ივერთა მონასტრის წიგნსაცავში სამუშაოდ. აღმოაჩინა 14 ხელ-

ნაწერი, რ-იც ალ. ცაგარლის მიერ შედგენილ კატალოგში არ ყოფილა შეტანილი. ხ. გულმოდგინედ სწავლობდა და აქვეყნებდა საქართველოს, რუსეთისა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცულ ძვ. ქართ. ხელნაწერებს. საყურადღებოა მისი გამოკვლევები: „საერო პოეზია", „ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები", „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები", „ქართული აპოკრიფები", „ძველად აღბეჭდილნი წიგნნი მოსკოვის სინოდალურს სტამბაში", „ქართული სიტყვიერების ისტორია" და სხვ. თავის შრომებში იგი ეხებოდა ქართ. ენის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხსაც: იზიარებდა ფრ. მიულერის აზრს ქართველური ენების ცალკე გამოყოფის თაობაზე და ასკვნიდა, რომ „ქართული ენა არის ძმა მეგრული და სვანური ენებისა". ხ. ეხებოდა აგრეთვე ქართ. ენის სხვა იბერიულ-კავკ. ენებთან ნათესაობის საკითხსაც და სათანადო ფაქტების ანალიზის საფუძველზე ცდილობდა დაემტკიცებინა ამ ენების ნათესაობა, რამდენადაც, მისი აზრით, მათ საერთო აქვთ ეტიმოლოგია (მორფოლოგია), სინტაქსი და რიგი სიტყვები. ყურადღებას ამახვილებდა ბგერით შესატყვისობებზე. ხ-ის ინტერესის მიღმა არ დარჩენილა ქართ. დამწერლობის საკითხიც. ის იზიარებდა ფრ. მიულერის აზრს, რომ „ქართული ანბანი წარმოსდგა ქრისტეს დაბადებამდე და დამყარებულია არამეულის ალფაბეტზედ". ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართ. ენა ვითარდება, იცვლება ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც; ცვლილება შეინიშნება ფორმასა და ფუნქციაშიც, ძვ. და ახ. გრამატ. ფორმები ხშირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძვ. ქართულის ხ- პრეფიქსთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტოპონიმ ხერთვისის ახსნა. ხ-მა ხერთვისი დაუკავშირა ზმნა „ჰერთვის (შეერთვის), სადაც თავსართი ჰ გამაგრებულია ხ-დ (შდრ. შენ ხ-არ)". ხ. საყურადღებო დაკვირვებებს გვაწვდის ქართ. ენის ისეთი დიალექტების შესახებ, როგორიცაა თუშური, ფშაური, ხევსურული, მთიულური, ინგილოური, მესხური და სხვ., სწორად შენიშნავს მათ ძირითად თავისებურებებს, შემონახულ არქაიზმებსა და სხვ.

თხზ.: ქართული აპოკრიფები. – «მწყემსი», 1893, №19; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები. – «მოამბე», 1898, I, განყ. II; ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის გასვლამდე), ტ. 1–2, ტფ., 1904.

ლიტ.: ყ ო ფ შ ი ძ ე გრ., სამაგალითო ადამიანი (ალ. ხახანაშვილის ხსოვნას). – ჟურნ. «განათლება», 1912, №7; ა ბ ე ს ა ძ ე ნ., გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბ., 1960, ბ ა ღ რ ი ძ ე შ., ქართველთმცოდნეობის გამოჩენილი მოჭირნახულე ალექსანდრე ხახანაშვილი, თბ., 1967; გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი შ., ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა) – ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, I, თბ., 1969.

გ. იმნაიშვილი

ხახული, შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ისტ. სამხ. საქართველოში, ტაოში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია). დააარსა დავით III კურაპალატმა (X ს. II ნახ.).

X–XI ს-ში ხ-ში მძლავრი ლიტ. კერა შეიქმნა. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: იოანე ხახულელი (X–XI სს.), რ-ის სახელთანაცაა დაკავშირებული ორი ხელნაწერი: ა) თებერვლის თვენი (ა. ცაგარლით №35) და ბ) კირილე ალექსანდრიელის სწავლანი და სხვ. თხზულებანი (ა. ცაგარლით №123, რ. ბლეიკით №151); ბასილ ბაგრატის ძე (XI ს.), დავით თბილელი (XI ს.), რ-საც გადაუწერია იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს თავისა; გრიგოლ ხახულელი (X–XI სს.), რ-ის სახელიც ათონური თვენის ხელნაწერებს შემოუნახავს (რ. ბლეიკით №54).

ხ-ის მდიდარ ლიტ. ტრადიციებზე აღიზარდა *გიორგი მთაწმინდელი*, რ-იც იქ ცხოვრობდა 1019–22, 1034–36. ხ-ის მონასტრის ბიბლიოთეკიდან მოღწეულ წიგნებს შეემატა გ. პატარაიას მიერ დიარბექირიდან (თურქეთი) ჩამოტანილი სვინაქსარი, 1210 გადაწერილი ზაქარია ფანასკერტელის შეკვეთით.



ხახული. რელიეფი. X ს.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე

ხევსურული, ქართული ენის დიალექტი, რ-ზედაც მეტყველებს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის – ხევსურეთის მოსახლეობა.

ხევსურეთს კავკასიონის ქედი ორად ყოფს: პირაქეთა („ბუდე ხევსურეთი") და კავკასიონის გადაღმა მდებარე პირიქითა ხევსურეთად, რ-იც, თავის მხრივ, მაღალი მთებით გამიჯნულ ორ ხეობად იყოფა: აღმ-ით მდ. არღუნის სათავეებში განსახლებულ შატილისა და მიღმახევის თემებს წრდ-იდან ესაზღვრებიან მთიელი ჩაჩნები, ანუ ქისტები, დას-ით კი მდ. ასას სათავეებში მცხოვრებ არხოტის თემის ხევსურებს წრდ-იდან ესაზღვრებიან მთიელი ინგუშები, ანუ ღილღველები (ღლიღვები). მთლიანად ხევსურეთს აღმ-ით ესაზღვრებიან თუშები, სამხრ.-აღმ-ით – ფშაველები, ხოლო დას-ით – მოხევეები და მთიულ-გუდამაყრელები. ხევსურები ახლა ცხოვრობენ დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ახმეტის, თელავის, დე-

დოფლისწყაროს, საგარეჯოსა და გარდაბნის რ-ნებშიც.

ენობრივად ხ. ჯველაზე უფრო ახლოა თუშურ, მოხეურ და ფშაურ დიალექტებთან და მათთან ერთად ქმნის ქართ. ენის დიალექტთა ე. წ. ფ ხ ო უ რ ჯ გ უ ფ ს (ა. შანიძე). სხვა ქართ. დიალექტებისაგან გამოირჩევა არქაიზმების სიმრავლით, რაც მისი გარეშოზღუდულობით უნდა აიხსნას. ხ-ში ა. შანიძე გამოყოფს არხოტულ და შატილურ-მიღმახეურ კილოკავებს, რაც ამ კილოკავებში ზოგ ფონეტ. პროცესს, ინტონაციისა და მეტ;ველების ტემბრის განსხვავებულობას ემ;არება.

პირაქეთულ-არხოტულში შატილურ-მიღმახეური ვარ ‖ ვარი-ს ნაცვლად იხმარება ორ; შემასმენელი ენკლიტიკად მიერთვის სახელს: კაც-ორ, დღეი-ას ... შატილურ-მიღმახეურში ეს პროცესები გამორიცხულია, თუმცა მუშეელი ზმნის სრულიად დაკარგვა და მის სანაცვლოდ სახელის ი-ზე მუშეელი ზმნის საკომპენსაციოდ მახვილის დასმა ყველა კილოკავში ერთნაირად ხდება (III პირის ორსავე რიცხვში): კაცი́ ‖ კაცნი́, დღეი́ ‖ დღენი́.

ხევსურულისათვის თავისებურად მიჩნეულია:

ფონოლოგიაში: ფონემა ჯ-ს არსებობა; ფონეტიკაში: ფართოდ გავრცელებული ბოლომოკვეცილი ფორმები, კერძოდ, ზმნებში: მავი („მოვიდა“), მი („მირდა“) _ აუსლაუტში დარჩენილ ხმოვანზე ხმის აწევა, რაც დაკარგული ბგერისა თუ მარცვლის კომპენსაციაა; ხმოვნის მომდევნოდ სხვათა სიტყვის ო-ს დავიწროება: დაიქირეე, სახლიე ...; და კავშირის ენკლიტიკად მირთვა წინა სიტყვასთან და ა ხმოვნის დაკარგვა: კაცი-დ; ხშირად თანხმოვანი დ-ც იკარგება და მეტ;ველებისას ერთგვარი დაყოვნება ხდება; დამახასიათებელია სონორიან თანხმოვანთკომპლექსში ი ხმოვნის გაჩენა: თირთოლი („თრთოლა“), კირკილი (იქ. „კრკილი ხმელთ ხორცთ მჭამელი ჭუა“ (საბა) და მისთ.; ხშირია (როგორც სიტ;ვის თავ;ში, ისე ბოლო;ში) ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია: -ვა> -ო: სცვია> სცოე („აცვია“) .. -ევე> -ო: ქვეოდ – ქოოდ („მთლად“); -ო> -ვა (არხოტ;ულ კილოკავში): არხოტი – არხვატი; -ვე და -მე ნაწილაკებს ე,ევეცებათ -ე ხმოვანი: ჩვენაე – ჩვენა; ვინამე – ვინამ ...; აუსლაუტში აორისტის ე ეიწროვდება (იქ იქცევა) ან ზოგჯერ იკარგება: მიეგებე – მიეგები – მიეგებ.

მორფოლოგიაში: სახ. ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებსაც ერთვის: მამა-ი, სხვა-ი...; ხშირად თანხმოვანფუძიან სახელებთან ეს ნიშანი ეიწროვდება და იკარგება: დები ხ;ავ – დებ ხ;ავ. რაიმე ელემენტის დაროვისას ი აღდგება: დებ-ი-ც ხ;ავ. ასევე იკარგება მოთხრობითის -მა ფორმანტის -ა: ამხანაგებ-მ, რ-იც ბოლო პოზიციის დაკარგვისას აღდგება: ამხანაგებმა-ც; მიცემითში დასმული თანხმოვანფუძიანი სიტყვა აღგილისა და დროის გარემოების ფუნქციით, როგორც წესი, მიცემითის ნიშანს არ ირთავს: ქალაქ მივა... თანხმოვანფუძიანი სახელი მიცემითის ნიშანს დაირთავს, როცა იგი მსაზღვრელია, მაგრამ საზღვრული აკლია: ჩვენ-ს წავიდათ (ჩვენს სახლში წაეიდეთ). აღგილისა და დროის გარემოება ნანათესაობითარი მიცემითითაც აღინიშნება: მთისა-ს, ღედულ-თ-ა-ს: მიც. ბრუნვა ვითარების გარემოებასაც გამოხატავს: მზას იყვენით. -თვის თანდებულიანი ფორმის ნაცვლად იხმარება ნათესაობით-ვითარებითი...; მოქმედებითი გამოიყენება გამოსვლითის ფუნქციითაც: მთ-ით (მთ-იდან); ამავე ფუნქციით იხმარება ნანათესაობითარი მოქმედებითიც: ქარქაშთ-ით. ვითარებითის -ად ფორმანტის -დ ძალიან ხშირად იკარგება და რჩება მხოლოდ -ა ან -დ: შენ-დ („შენთვის“). ვითარებითი ცვლის -ში თანდებულიან აღგილის გარემოებას: ბარ-ად („ბარში“). რაოდენობის და რიცხვის შინაარსის მქონე აღგილის გარემოებებში -გან თანდებულს ცვლის -კან: სხვა-კან. -გან თანდებულის ვარიანტები -გვს ‖ -გე დროის მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ერთვის და დროის გარემოებებს ქმნის: აწ-იდ-გე (ს) („ამის შემდეგ“). თანდებულიანი ფორმები რთულდება ბრუნვის ნიშნით და სხვა თანდებულებითაც: მთა-ჩიგურ ქერი („მთაში მოყვანილი ქერი“)_

მრავლობითის -ნ, -თ(ა) სუფიქსები უსულო საგნების ერთი ეგზემპლარის გასაფორმებლადაც იხმარება: ქვა-ნ-ი: („ქვა“)... ეს სუფიქსები ცალკეული ოჯახის, ხოლო ზოგჯერ ნათესაე ოჯახთა შტო-გვარის აღსანიშნავადაც გამოიყენება.

ზმნაში დასტურდება II სუბიექტ. და III ობიექტ. პირის ნიშანთა შემდეგი ფონეტ. ვარიანტები: ტ, დ, თ, წ, ძ, ც, ჭ, ჯ, ჩ თანხმოენების წინ არის ს, რ-იც დ, ძ თანხმოვანთა წინ იქცევა ზ-დ, ჯ-ს წინ – ჟ-დ, ჭ-ს წინ – შ-დ. ერუ ა, ფ, კ, ყ, ჰ თანხმოვანთა წინ არის ჰ >; ხ; ბ, ვ, მ, გ, ნ, ლ, რ მუღერების წინ – ჰ>ღ.

ხ-ში დაცულია უძველესი მადა შა- სმნისწინები, რ-თა ადგილსაც ნულ-ნულა იკავებს ახალი მოდა შე-. რიგ შემთხვევაში იკარგება ქცევის სათავისო (ი) და სახვისო (უ) ნიშნები: ხ-კვირს; მხ. რიცხვის III სუბიექტ. პირის ნიშანი (ს) არ იკარგება მრავლობითის თ-ს წინ: გაძლევ-ს-თ, გაშინებ-ს-თ...

ძველის გადმონაშთია უთემისნიშნო ზმნები: ლოკ-ს-ს, ნაყ-ს... აგრეთვე: -ავ, -ამ თემისნიშანთა ხმოვანმონაცვლეობა პირაქეთულ კილოკავში: ხნ-ავ-ს – ხნ-ევ-დ-ა, იცავ-ამ-ს – იცვ-ემ-და.

ძველქართულისებრია სუბიექტ. პირის ნიშანი III პირის მრავლობითში: აღგ-ეს წავიდ-ეს... ზოგი ზმნის წარმოება: წასწით-ო-ი-ს („წითელ ფერს იცემს“). ძველია აგრეთვე წარმოება ზმნისა: დგებ-ი-ს, კვლებ-ი-ს...

კავშირებითის წარმოება გაერთფეროვნებულია – ყოველგვარ ზმნას -ა ფორმანტი ერთვის: ჩეჩ-ა-ს, ჩეჩდ-ა-ს. თხრობითი კილოს აწმყოსა და წ;ეეტილის გასარჩევად კი იხმარება კავშირი რომ ‖ რო. მრავლობითის თ-ს წინ -ა ისევ აღდგება: ე-ჩეჩ-ა-თ, ე-ჩეჩდ-ათ... III კავშირებითი იშვიათად გეხვდება.

ძველქართულისებურია ხოლმეობითის წარმოება, ოღონდ I ხოლმეობითში I და II პირის ფორმების ი ნიშანი გართულებულია -დ ფორმანტით: ვაკეთ-ი-დ-ი, აკეთ-ი-დ-ი, აკეთ-ი-ს; ვაკეთებ-დ-ი-დ-ი.

III პირის მხ. რიცხვში დასტურდება, ძველ ქართულშიც იშვიათად ხმარებული III ხოლმეობითი: ეთქვ-ი-ს, ეკეთხინ-ი-ს..., რ-საც უნახობა თურმეობითისა აქვს, მრავალგზისობა – ხოლმეობითის.

II სერიის ზმნათა წარმოებაც უნიფიცირებულია: მაწარმოებელია -ავ სუფიქსი < ავ-ი-ს: აუღ-ავ(-ი-

ს), უწოე-ავ(-ი-ს) („აუღია“, „უწოებია“). შატილურ-მიღმახეურში -ამ თემისნიშნიან ზმნებსაც ერთვის -ავ(-ი-ს) სუფიქსი, რის შედეგადაც -ამ ფორმანტის -ა იკუმშება: აუსხ-მ-ავ(-ი-ს) („აუსხია“). ასევე იწარმოება სტატიკური ენებითები. სხვა ტიპის სტატიკური ზმნების წარმოება ძვ. ქართულისას მისდევს: სწეურ-ი-ს, უხარ-ი-ს...

ზმნათა ერთი წყების თურმეობითის III პირის ფორმებს ერთვის „არის“ მეშველი ზმნის ნაშთი -ას, რ-საც ჯერ -ს სცილდება, შედეგ კი ა-ც: ამდგარ-ას › ამდგარ-ა › ამდგარ; შატილურ-მიღმახეურში აქა-იქ ამოსავალი ფორმაც დასტურდება: წასულ-არის.

ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების I თურმეობითი და სტატიკური ენებითები -იე სუფიქსს დაირთავენ, რ-იც პირაქეთულ-არხოტულში იმავე -ას ფორმანტით არის გართულებული: მასწვენებ-ივ-ას („მოსწვენებია“). II თურმეობითიც მეშველი ზმნით იწარმოება: სძინებ-იყე(ა) („სძინებოდა).

უნიფიცირებულია აგრეთვე კაუსატივის წარმოება – იწარმოება -ევ › -ივ ფორმანტით და ამით აგრძელებს ძვ. ქართულის ტრადიციას: ა-ხენ-ევ-ს („ახენევინებს“); ხმოვნის წინ -ე ხშირად იკარგება, თუმცა თანხმოვნის წინ კვლავ აღდგება: ა-შლ-ევ-ი-ა, მაგრამ: ა-შლ-ევ-ივ-ნ-ა.

ძველქართულისეულია კითხვითი ნაწილაკი -ა: ხარ-ა? („ხარ?“), მავიდეს-ა? („მოვიდნენ“?).

გვაქვს ნაწილაკი „ქვე“, რ-ის სემანტიკაც რაჭული „ქვე“-ს და იმერული „ქე“-ს სემანტიკას ჰგავს. სხვათა სიტყვის ო-ს დავიწროებული ვარიანტი -ე სათანადო კონტექსტში წინადადების წევრთა დიდ ნაწილს ერთვის: „წინ-წინა-ავ – თქვისავ ხოგაის მინდიმა-ე – მაღლისუ-ე აისეთაივ“.

თავისებურია მიმთითებელი შერწყმული ნაწილაკები: აის (← აი, ის), აიმას (← აი, იმას), ეემას, აემას (← აი, ამას), ააქ (← აი, აქ,), აიქ (← აი, იქ,), აისრ (← აი, ისრე)...

თელა ასის შემდეგაც ოცობითია: ექვსოცი, შვიდოცი... ათასის შემდეგ ასობითი: თერთმეტასი, თორმეტასი.

მასდარი დონიანი ენებითიდან იწარმოება: ასძრახ-დ-ა („დაღლაპარაკა“) – აძრახ-დ-ომ-ა, გაფრინ-დ-ა – გაფრინდ-ომ-ა („გაფრენა“).

ხშირად გამოიყენება ცირკუმფიქსები: მ–ე: მ-ღ-ე („ღია“); მა–ე: მა-ცნ-ე; მა–ურ: მა-ნატ-ურ-ი („მნატრებელი“); მ–ო › მა–ო: გა-მ-ძღ-ო („გამძღოლი“); მა–არ: მა-სმინ-არ-ი („მსმენელი“); მე–ე: მე-კვლ-ე; მ-ი-არ-ე: მ-წუხ-ი-არ-ე („მძიმე ავადმყოფი“); მე–ი: მე-სხ-ნ-ი („მთვარეს შემოჯარული შავი ღრუბლები“); სა-ურ: სა-ხნა-ურ-ი („სახნავი მიწა“); სა-ი-ელ: სა-ხენ-ელ-ი („გუთანი“); სა-ო: გა-სა-თა-ო („გასათავებელი“); ნა–ელ: ნა-მუშა-ელ-ი („ნამუშევარი“); ნა–არ: ნა-ცოდინ-არ-ი („ნაცოდნი“); სა–ოლ: სა-გდ-ოლ-ა („კარსუკან გაკრილი კეტი“); უ–ო: გა-უ-გონ-ო („არგამგონე, ჯიუტი“); დაუ-ჯერ-ო („ეინც არ უჯერებს, არ ემორჩილება“).

მიმღეობიდან სა–ო ცირკუმფიქსით იწარმოება ახალი მიმღეობა: მ-წყალობ-ელ-ი – სა-მწყალობ-ლ-ო („წყალობის მიმცემი“); ამ ცირკუმფიქსით გაფორმებული სახელი ვით. ბრუნვაში აღნიშნავს მიმართულებას: სა-თავქვა-ოდ („თავქვა, ქვევითკენ წასასვლელად“).

ხ-ში გაერცელებული -იობ სუფიქსი წარმომაელობას, რაიმე ხელობას ან დანიშნულებას აღნიშნავს: შატილი – შატილ-იობ-ი („შატილელი“), დროშა – დროშ-იობ-ნი („მედროშენი“).

სუფიქსი -ონ-ა ფერის ოდნაობას გამოხატავს: ლურჯ-ონ-ა („მოლურჯო). კნინობითის მთავარი გამომხატველი არის -ა, რ-საც წინ სხვადასხვა სუფიქსები უძღვის: ცოტ-ინ-იკ-ა („პატარა“), ძაღლ-იკ-ა, დათ-უნ-ა და მისთ.

სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია: მართული ნართანიანი მსაზღვრელ-საზღვრული რიცხვში შეთანხმებულია მხოლოდ პოსტპოზიციის შემთხვევაში: ჩარდახ-ნი-ი ქვიტკირისა-ნი-ი. თუ მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, რიცხვში შეთანხმება ხდება პრეპოზიციური წყობისასაც: სამ-ნ ძმა-ნ-ი. ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული რიცხვში ორსავე პოზიციაში შეთანხმებულია: მაღალ-ნ-ი ციხე-ნი და ციხე-ნი მაღალ-ნ-ი; თავისებურია მიცემითისა და სახელობითში დასმულ ობიექტთა შეთანხმება რიცხვში: როგორც ნართანიანი, ისე -ებიანი მრავლობითის მიცემითში დასმული ფორმები მხოლოდ I-II პირში ეთანხმებიან ზმნას: გვ-ი-ხარ-ი-ს, გ-ი-ხარ-ი-ს-თ. ასეთივე ვითარებაა III სერიის ფორმებში. სახელობითში დასმული ობიექტი კი ზმნას ყველა სერიასა და მწკრივში ითანხმებს, როგორც ეს ძვ. ქართულში ხდებოდა. შეუთანხმებლობის შემთხვევები –ებ-იან მრავლობითში გვხვდება.

-მც(ა) ნაწილაკი თხრობითი კილოს ფორმასთან შეწყობილ სახელს ერთვის და ზმნას კავშირებითის მნიშვნელობას აძლევს: ღმერთი-მც აგაშენებსკ („აგაშენოთ ღმერთმა“!).

გრამატ. თავისებურებებით გამოირჩევა ხ. პოეზია; გამორჩეულია ხ. მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკითაც. ფრაზეოლოგიზმების, შედარება-ეპითეტებისა და სხვა პოეტური ფორმულების სიუხვეს განაპირობებს მაღალი რანგის მრავალფეროვანი პოეზია, მითოლოგიური გაღმოცემები, ანდრეზები (ისტ. ამბები და შეგონებები) და სხვ.

ლიტ.: გ ა ბ უ რ ი ბ., ხევსურული მასალები. – «ქართული საენამეცნიერო საზოგადოების წელიწდეული», I–II, ტფ., 1925; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ხალხური პოეზია, I. ხევსურული, თბ., 1931; ჯ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი ალ., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960; გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თოფურია ე., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; დ ო ლ ი ძ ე გ., ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ), თბ., 1975; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ალ. ჭინჭარაული.

ხეთური ენა, წინარე ანატოლიური ინდოევროპული ენის დაშლის შედეგად გამოყოფილი ენა (ლუვიურ და ფალაურ ენებთან ერთად) ინდოევროპელი ხეთებისა, რ-ებმაც ძვ. წ. XVII ს-ში ცენტრალურ მცირე აზიაში (ანატოლიაში, თანამ. თურქეთის ტერიტორიაზე) შექმნეს ხეთების სამეფო (იარსება ძვ. წ. II ათასწლ. ბოლომდე). ხეთურ ლურსმულ ტექსტებში ამ ენას ეწოდება „ნესური“ (ნესიტური) ან „ქანესური“, რაც წარმომდგარია ცენტრ. მცირე აზიის ქალაქის სახელწოდებისაგან: „ნესა“, იგივე „ქანესი“ (ადგილმდებარეობა უცნობია).

ტექსტები ხ. ე-ზე შედგენილია ლურსმული დაწერლობის იმ სახეობით, რ-იც მომდინარეობს ძველი აქადური ლურსმული დაწერლობის ნრდ.-მესოპოტამიური ან ნრდ.-სირიული სახეობიდან. დაწერლობა მარცვლოვანია; მარცვალი შეიძლება იყოს ღია ან დახურული. გამოყენებულია იდეოგრამები (იხ. *დაწერლობა*) და დეტერმინატივები. იდეოგრამებს საჭიროების შემთხვევაში ახლავთ ფონეტ. კომპლემენტები.

ხ. ე-ის ვოკალიზმი შეიცავს **a**, **e**, **i** და **u** ხმოვნებს. კონსონატიზმი მოიცავს ხშულთა ქვესისტემას, რიც შედგება 6 თანხმოვნისაგან (**pp / p**, **tt / t**, **kk / k**). სპირანტთა სისტემა მოიცავს **s** სიბილანტსა და უკანენისმიერ **h**-ს, აფრიკატ **z (tz)**-ს. ხეთურში შენარჩუნებულია ლარინგალი, რ-იც დაკარგულია ძვ. ინდოევრ. ენებში.

სახელს (არსებით, ზედსართავ, რიცხვითს) აქვს სქესის (საერთო, საშუალო), რიცხვისა (მხ. და მრ.) და ბრუნვის კატეგორიები. ბრუნვის სისტემა შედგება შემდეგი ბრუნვებისაგან: სახელობითი (საერთო, ბრუნვის ნიშანი -š / s), ბრალდებითი (საერთო, -n), ეოკატივი (საერთო, ბრუნვის ნიშანი -e), სახელობით-ბრალდებითი (საშუალო: -n ბრუნვის ნიშნით), ნათესაობითი (ბრუნვის მაჩვენებელი -aš), მიცემითი (ბრუნვის ნიშანი -i), ადგილობითი (ლოკატივი, -i ბრუნვის ნიშნით), გამოსვლითი (აბლატივი, ბრუნვის მაჩვენებელი -az), მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი, ბრუნვის ნიშანი -it). სახელი იბრუნვის ეოკალური და კონსონანტური ძირების მიხედვით.

ხ. ე-ში დადასტურებულია პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი, შედარებითი, განუსაზღვრელი ნაცვალსახელები.

ხეთურ ზმნას აქვს რიცხვის, პირის, კილოს (თხრობითი, ბრძანებითი), გვარის (მოქმედებითი, ენებითი) და დროის (აწმყო, ნამყო) კატეგორიები. მოეპოვება ინფინიტივი, სუპინუმი, მიმღეობა. განირჩევა ორი უღლება, რ-თაც აწმყო დროის I პირის დაბოლოების მიხედვით ეწოდებათ mi- და hi- უღლება.

სახელის სიტყვაწარმოება აგებულია სუფიქსური მოდელების მიხედვით. ზმნის სიტყვაწარმოების დროს სუფიქსთა გვერდით იხმარება პრეფიქსებიც, რ-ებიც გამოიყენება აგრეთვე დამოუკიდებლად პრეევერბების სახით.

სინტაქსს ახასიათებს მთელი რიგი არქაული ნიშნები, მაგ., წინადადების დასაწყისში ენკლიტიკური კომპლექსების გამოყენება (ციტირებული სიტყვის ნაწილაკი, უკუქცევითი ნაწილაკი, ობიექტური ნაცვალსახელები და სხვ.), რებიც განლაგებულია ჩართული კავშირების შემდეგ, როგორიცაა „და", „როდესაც"; ზმნისართები სამ ფუნქციაში – პრეევერბებისა, საკუთრივ ზმნისართებისა, წინდებულებისა ანდა თანდებულებისა. ზმნას წინადადებაში ბოლო ადგილი უკავია.

ხ. ე-ის ლექსიკური ფონდი ინარჩუნებს ინდოევრ. ძირების მნიშვნელოვან რაოდენობას. ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვათა დიდი ნაწილის მნიშვნელობები, იდეოგრამებში დაფარული, უცნობი რჩება. სიტყვათა ნაწილი ხათურს, ხურიტულს ან სხვა რომელიმე უცნობ ენას განეკუთვნება. ლექსიკური იზოგლოსები სოც. და საკრალური ლექსიკის სფეროში უკავშირდება თოხარულ, კელტურ-იტალიკურ და ბერძნ. ენებს.

ხ. ე-ზე შექმნილია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი წერილობითი ძეგლები სხვადასხვა ჟანრისა, ისტ. თხზულებები, მოთხრობები და ზღაპრები, რელიგიური ლიტ-რა (ლოცვანი, საგალობლები, რიტუალები), საკმაოდ მდიდარია ხეთური მითოლოგიური ლიტ-რა და ა. შ.

ხეთურ და ქართველურ ენებს შორის მსგავსების ცალკეულ ნიშნებს ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ მ. *წერეთელმა* (1924). ახლა უკვე ცნობილია, რომ ამ ენებში ელინდება მსგავსება ან სრული იდენტურობა ზოგიერთი ბრუნვის ნიშნისა თითქმის ყველა (არსებითი, ზედსართავი, რიცხვიოი) სახელისათვის. მაგ., ნათ. ბრუნვის ნიშანი მხ. და მრ. რიცხვში -aš (წარმოითქმოდა -as) მსგავსია ყველა ქართველური ენის იმავე ბრუნვის ფორმანტისა: -ის, -ს (ქართ.), -იშ, -შ (მეგრ.); -შ (ჭან.); -(ი)შ, -eშ (სვან.). მრ. რიცხვის მიც. ბრუნვის მაჩვენებელი ხეთურში -aš წააგავს ყველა ქართველური ენის იმავე ბრუნვის ნიშანს -ს ფორმით. სრულ იდენტურობას ავლენენ მხ. და მრ. რიცხვის მოქმ. ბრუნვის მაჩვენებლები ხეთურსა და ქართველურ ენებში: -ით.

ზოგიერთი ხეთური ზმნის პირის დაბოლოებათა შედარება ქართველურ ენათა ცალკეული პირის ნაცვალსახელებთან შემდეგ სურათს იძლევა: მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოს აწმყო დროის მხ. რიცხვის I და II პირის მაჩვენებლები ხეთურში (-mi-ზე დაბოლოებული ზმნის უღლება) -mi და -ši ბგერითი შემადგენლობით მსგავსია პირის ნაცვალსახელებისა I და II პირისათვის ქართველურ ენებში: -მე(ნ)-, მენა- (ქართ.); მა- (მეგრ.); მა(ნ)- (ჭან.); მი- (სვან.) „მე" და შენ- (ქართ.); სი- (მეგრ.); სი(ნ)- (ჭან.); სი (სვან.) „შენ". შდრ. ხეთ. iia-mi და ქართ. „ვაკეთებ მე"; ხეთ. iia-ši და ქართ. „აკეთებ შენ".

მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოს აწმყო დროის I და II პირის მაჩვენებლები -weni და -teni ხეთურში მსგავსებას ამჟღავნებს პირის ნაცვალსახელთა ფორმებთან ქართულში: ვენ და თქვენ.

საინტერესოა შემდეგი ლექსიკური პარალელები (როგორც სამეცნ. ლიტ-რაშია აღნიშნული, ზოგიერთი მათგანი დასაკავშირებელია საერთო ინდოევრ. ძირებთან):

ხეთ. ešiar (isiar) „სისხლი" და ქართ. სისხლ; ხეთ. hahharš- „სიცილი, ხარხარი" და ქართ. ხარხარ იმავე მნიშვნელობით; ხეთ. ištamana- (ištamina-) „ყური", ištamaš – „მოსმენა" და საერთო ქართველური *სმ-ინ „სმენა"; ხეთ. Kakkapa- (kaqqaba) „კაკაბი" და საერთო ქართველური *კაკაბ იმავე მნიშვნელობით; ხეთ. katkatiia „კანკალი", katkattima – „კანკალი" და ქართ. კაწკაწი; ხეთ. laplap- და ქართ. ლაპლაპი; ხეთ. hashas - „გაპრიალება" და ქართ. ხასხასი; ხეთ. gimmant- „ზამთარი", gimmand(t)ariia „გამოზამთრება" და ქართ. ზამთარი; ხეთ. suppi „წმინდა (რიტუალურად წმინდა)" და ქართ. „სუფთა"; ხეთ. ta- „და (კავშირი)" და ქართ. „და"; ხეთ. tekan „მიწა" და ქართ. თიხა, ხეთ. wellu „ველი" –ქართ. ველ- იმავე მნიშვნელობით; ხეთ. duddumili „ჩუმად, ფარულად" – ქართ. დუმილი; ხეთ. aku „ქვა" – ქართ. ქუა, ქვა იმავე მნიშვნელობით და სხვა მრ.

როგორც ჩანს, ამ მსგავსებათა და პარალელთა ნაწილი საერთო ქართველურში განსახილველია როგორც უძველესი ინდოევრ. ნასესხობანი, რ-ებიც არ განეკუთვნებიან ანატოლიურ ინდოევრ. ენათა ხანას (სავსებით დასაშვებია, რომ ისინი ეკუთვნიან საერთო ქართველურ, საერთო ინდოევრ. და საერთო სემ. ურთიერთობათა პერიოდს). მათი გარკვეული ნაწილი კი სწორედ ისეთი მსგავსებები და ლექსიკური პარალელებია, რ-ებიც წარმოიშვა მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ან ხეთურსა და ქართველურ (საერთო ქართველურ) ენებს შორის არა უადრეს ძვ. წ. II ათასწლ., ანდა საერთო ანატოლიურსა და საერთო ქართველურ ენობრივ ერთეულებს შორის ძვ. წ. III ათასწლ. მანძილზე. ქართველურ ტომთა განსახლების ძირითადი უძველესი კერები სამხრ.-დას-ით ემეზობლებოდნენ სწორედ ანატოლიურ ინდოევრ. ენობრივ თუ კულტ. სამყაროს.

ლიტ.: წერეთელი მ., ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი, 1924; Иванов Вяч. Вс., Хеттский язык, М., 1963; Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964; Хетто-лувийские языки. – «Языки Азии и Африки», т. 1, М., 1976; Гиоргадзе Г. Г., О характере некоторых индоевропейско-грузинских (картвельских) языковых параллелей (по данным хеттского языка). – «საენათმეცნიერო კრებული», თბ., 1979; Гамкрелидзе Т. В., Вопросы консонантизма клинописного хеттского языка. – «Переднеазиатский сборник», III, М., 1979; Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, I–II, Тб., 1984; Sommer F., Hethiter und Hethitisch, Stuttg., 1947; Friedrich J., Hethitisches Elementarbuch, 2. Aufl., Bd. I-2, Heidelberg, 1960–67; Benveniste E., Hittite et indo-européen, P., 1962; Kammenhuber A., Hethitisches Wörterbuch, 2. Aufl., Heidelberg, 1975–94; Güterbock H. G., Hoffner H. A., The Hittite Dictionary, Chicago, 1989-95.

გ. გიორგაძე.

ხელნაწერთა ინსტიტუტი კ. კეკელიძის სახელობისა, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება, დაარსდა თბილისში საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის 1958 წლის 30 ივნისის დადგენილებით აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბის ბაზაზე. ხ. ი-ის შექმნის ინიციატორი და პირველი დირექტორი იყო საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. პროფ. *ი. აბულაძე.* ინ-ტის უპირველესი მიზანი იყო ხელნაწერი ფონდებისათვის მაქსიმალურად კარგი პირობების უზრუნველყოფა და ხელნაწერი მემკვიდრეობის მეცნ. შესწავლა და პუბლიკაცია. ხ. ი-ის საცავებში დაცულია ქართ. ხელნაწერი წიგნებისა და ისტ. დოკუმენტების უაღრესად მნიშვნელოვანი ფონდი. V–XIX სს. ქართ. ხელნაწერები 10000 ერთეული, მ. შ. ილუსტრირებული 200-მდე (X–XVIII სს.); 4000 პალიმფსესტური ფურცელი (V–VIII სს); დაახლ. 4000 ხელნაწერი სომხ., არაბ. სპარს., თურქ., ბერძნ., რუს., სირიულ, ძვ. ებრ. ენებზე; 40 000 ისტ. დოკუმენტი (X–XIX სს) ქართ. ენაზე, ხოლო უცხო ენებზე – 5000 ერთეული. ქართ. ხელნაწერთა და ისტ. დოკუმენტთა ოთხი ფონდი: ა) ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (ლიტერი A) და ისტორიული დოკუმენტების (ლიტერი Ad). ბ)ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერები (ლიტერი S) და საბუთები (ლიტერი Sd); გ) საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერები (ლიტერი H) და საბუთები (ლიტერი Hd); დ) 1929 საქართვ. სახელმწ. მუზეუმში შექმნილი ხელნაწერთა და ისტორიულ საბუთთა ახალი ფონდი, რ-შიც გაერთიანდა მუზეუმის მიერ ახალშეძენილი თუ შეწირულობების წყალობით შემოსული ხელნაწერები. აქვე გაერთიანდა ე. თაყაიშვილისა და სხვათაგან მარტვილის, შემოქმედის, ჩხარის, ქუთაისის, გურიანთას, ცაგერის და სხვ. რაიონებში ადრე მოძიებული მასალა. ლიტერად შემოღებული იქნა Q (ხელნაწერები) და Qd (საბუთები). 1930-იდან ოთხივე ფონდის სახელად დამკვიდრდა „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციები“. ეს ლიტერები დღესაც მოქმედებენ. ინ-ტში ასევე დაცულია ქართველ და არაქართველ მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პირადი საარქივო ფონდები – სულ 100-ზე მეტი; პაპირუსების კოლექცია (გ. წერეთლის პირადი საარქივო ფონდი); ასევე მსოფლიოს სხვადასხვა წიგნსაცავებიდან ჩამოტანილი მრავალი დოკუმენტის, უცხოენოვანი ხელნაწერისა თუ წიგნის ასლები, რ-ებიც თავმოყრილია მიკრო- და ფოტოთეკაში.

ხ. ი-ს აქვს უმდიდრესი სამეცნ. ბ-კა; არსებობს გამოჩენილ ქართვ. მეცნიერთა მემორიალური კაბინეტები (ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ი. აბულაძის, ნ. ბერძენიშვილის, შ. ამირანაშვილის, ე. მეტრეველის და კ. და ნ. სალიებისა); მუშაობს ერთი სამეცნ. განყ-ბა, რ-იც ამუშავებს კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის, ძვ. ქართ. ფილოლოგიის, ალმოსავლური, საისტორიო წერილობითი ძეგლების, საარქივო ექსპოზიციის, ჰიგიენისა და რესტავრაციის საკითხებს; მოქმედებს ხელნაწერთა რესტავრაციის კარგად აღჭურვილი სპეციალური ლაბორატორია.

ინ-ტის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა ხელნაწერების მეცნ. აღწერილობის, ისტ. დოკუმენტებისა და პირადი არქივების კატალოგების შედგენა, ბიბლიოგრაფიული და საცნობარო ლიტ-რის მომზადება. თანამშრომლები იკვლევენ ქართული მწერლობის, ისტორიის, პალეოგრაფიის, ფილიგრანოლოგიის, კრიპტოგრაფიის, ეპიგრაფიკის პრობლემატიკას. გამოქვეყნებულმა გამოკვლევებმა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, საერთო აღიარება მოიპოვა. გამოცემულია (ორჯერ) ძველი ქართული დამწერლობის ალბომი, ქართული ხელნაწერების მინიატურების ალბომი, ხელნაწერთა აღწერილობის 22 ტომი, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ კორპუსი 6 წიგნად, ყველა ხელნაწერის მიხედვით ბიბლიის „ხუთწიგნეული“ (გამოსაცემად მომზადებულია დანარჩენი წიგნებიც), ს. ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ (ორი ტომი), ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ და სხვ.; მომზადებულია გამოსაცემად ისტ. დოკუმენტების მიხედვით „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“. პუბლიკაციები გამოირჩევა მაღალი მეცნიერული და აკადემიური დონით.

ხ. ი-ის საქმიანობაში დიდი ადგილი ეთმობოდა ლიტ-რის პრობლემების დამუშავებას: გამოქვეყნდა „ამირანდარეჯანიანის“ მეცნ. გამართული ტექსტი, «თეიმურაზ Ⅰ». „ლეილმაჯნუნიანის“ სპარსული წყაროები, იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ორი წიგნი და სხვ.; ასევე საზღვარგარეთის ქართ. სამწერლო კერების შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლას: გამოქვეყნდა სინას მთის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა სამ წიგნად, ათონის მონასტრის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, სინას მთაზე ახალგამოვლილი ქართ. ხელნაწერების კატალოგი (ქართ., ინგლ. და ბერძნ. ენებზე). საგანგებო კვლევის საგანი იყო მეზობელ ხალხებთან ლიტ. ურთიერთობები: ქართ.-სომხ., ქართ.-ბერძნ., ქართ.-არაბ., ქართ.-თურქ., ქართ.-სპარს., ქართ.-რუს (სლავურ) ლიტ. კავშირები. სისტემატურად ეწყობა თემატური გამოფენები საცავებში დაცული ხელნაწერების ნივენებით. ქართ. მწერლობის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვთ იმუშაოს ინ-ტში დაცულ მასალებზე.

ხ. ი-ს აქტ. შემოქმედებითი კონტაქტები აქვს მსოფლიოს ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ სამეცნ. ცენტრთან, რ-ებიც სწავლობენ ბიზანტ., არმენოლოგიურ და სხვ. საკითხებს.

ინ-ტს აქვს პერიოდული სამეცნ. ორგანო «ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე» (1959–63), რ-იც 1972-იდან გამოდის «მრავალთავის» სახელწოდებით.

2007-იდან ხ. ი. გადაკეთდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრად. *მ. ქავთარია.*

ხელოვნური ენები, სხვადასხვა მიზნებისათვის ხელოვნურად შექმნილი ნიშანთა სისტემები. ასეთებია: 1. საერთაშორისო ენები (ესპერანტო, ვოლაპუკი და სხვ.), რ-ებიც ბუნებრივი ენების მსგავსად იქმნებიან სამეტყველო ბგერათა საშუალებით, აქვთ გრამატ. წყობა და ლექსიკური ფონდი; გამოიყენებიან კომუნიკაციის საშუალებად სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ფართო საზოგადოებაში; 2. სხვადასხვა საშუალებით გამოხატული, კონკრეტული პროფ. მიზნებისათვის გამოყენებული ნიშანთა სისტემები, მაგ., მეზღვაურთა სიგნალების ტიპის სისტემები. ხელოვნურ ენებად განიხილება სხვადასხვა მეცნიერებათა სიმბოლური ენები მაგ., მათემატიკის, ფიზიკის, ლოგიკის ფორმალური ენები.; 3. ალგორითმული, ანუ პროგრამების ენები, რ-ებიც ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებში გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. ბუნებრივ ენათა მსგავსად, ალგორითმული ენა შეიცავს საწყის სიმბოლოთა ერთობლიობას – ანბანს, ამ სიმბოლოებისაგან კონსტრუქციების შედგენის წესთა სისტემას – გრამატიკას (სინტაქსს) და კონსტრუქციათა ახსნის სისტემას – სემანტიკას. კონსტრუქცია შეიძლება იყოს ცხრილები, ცხრილთა სისტემები, სიტყვები, სიტყვათა თანმიმდევრობები. ამჟამად ცნობილია ალგორითმულ ენათა ასობით ნაირსახეობა: კობოლი, ფორტრანი, ილი და სხვა. ალგორითმული ენა გამოიყენება კომპიუტერებში სხვადასხვა პროგრამების შესატანად. ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: 1. იყოს იოლად შესასწავლი, გასაგები და გამოსაყენებელი. ამ პირობის უზრუნველსაყოფად ალგორითმულ ენებში იყენებენ მათემატ. ფორმულებს ან ბუნებრივი ენის სიტყვებს; 2. კომპაქტურად აღწეროს პროცესები; 3. შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება პუბლიკაციაში; 4. იყოს უნივერსალური. ყველა ამ პირობის დაკმაყოფილება ერთდროულად შეუძლებელია, ამიტომ ხშირად მუშავდება შედარებით ვიწრო სფეროში გამოსაყენებელი ალგორითმები. აღნიშნ. ტიპის ხ. ე-სგან პრინციპულად განსხვავებულია პიჯინ ენები (იხ. *ენობრივი კონტაქტების ტიპოლოგია*) და ე. წ. მეორე რიგის ენები – მეტაენები, რ-ებიც იქმნებიან როგორც მეცნ. აღწერის საშუალებები, მაგრამ ემყარებიან რეალურ ენობრ. სისტემებს. *ლ. ენუქიძე.*

ხმარებიდან გამოსული ასოები, ქართულ მხედრულ წერაში ხუცური ანბანის გავლენით ნახმარი ხუთი გრაფემა (ჲ, ჳ, ჵ, ჱ, ჴ), რ-ებიც მე-19 ს. 60-იანი წლებიდან იქნა ამოღებული ი. ჭავჭავაძის ინიციატივით. ამ გრაფემათაგან მხოლოდ ჴ გამოხატავდა დამოუკიდებელ ფონემას – ფარინგალურ თანხმოვანს (ჴელი, ჴსოვნა...), ხოლო ჲ (იოტა) გადმოსცემდა ი-ს პოზიციურ უმარცვლო ვარიანტს, ალოფონს, რ-იც რეალიზდებოდა ხმოვნის მომდევნოდ (ძმაჲ, წყაროჲს, წყაროჲთ ...)

მრგვლოვანი ანბანის სამი გრაფემა (Ⴡ, Ⴣ, Ⴥ), რ-ის ფარდია მხედრული ანბანის ჱ, ჳ, ჵ ასოები, შექმნილი იყო ბერძნ. ანბანის გავლენით, როგორც η, υ, ω-ს სატრანსკრიფციო ნიშნები. შემდგომ მათ სხვა მნიშვნელობაც დაეკისრათ: ჱ ბერძნულ η (ეტა)-სთან ერთად გადმოსცემდა ეჲ დიფთონგს ნებისმიერ პოზიციაში: იერუსალჱმ, ისრაჱლ; პავლჱს, პავლჱთ; უმჯობჱს, უდიდჱს; ესრჱთ, ეგრჱთ; კლდჱ, დღჱ; და სხვ.

ჳ გადმოსცემდა როგორც ბერძნ. υ-ს (ვიფსილონს) – ჳპატოსი, მარტჳრი, კჳრიაკე...), ასევე ალმავალ უი დიფთონგს ნებისმიერ პოზიციაში: ნაძჳ, თაგჳ, ნაძჳსა, ნაძჳთა; გჳნუენა, გჳთხრობდა... იტყჳს, თქჳს ...

ჵ გადმოსცემდა როგორც ბერძნ. ω-ს (ომეგას ( ) შდრ. ჵსანა. ან კიდევ: მე ვარ ანი და ჵ, იტყჳს უფალი, გამოცხ. 118), ასევე ოჰ შორისდებულს წოდებითში დასმული სახელის წინ (ჵ დედაკაცო), მოგვიანებით კი გაიგებოდა, როგორც ჰ (ჵოე = ჰოე) ან ჰო (ჵ = ჰოი).

მოგვიანებით (XVI–XVIII სს.) შემოღებულ იქნა (ბერძნულის გავლენით) კბილბაგისმიერი თანხმოვნის აღმნიშვნელი & ნიშანი (ანტონ I-მა ამ ასოს ევროპული ჶ-ს სახე მისცა): / ჶილოსოჶოსი, ჶიზიკა. ანტონმა (სომხური ანბანის მიბაძვით) შემოიღო 2 ნიშანიც: ულტრამოკლე თანხმოვანთგასაყარი ხმოვნის აღსანიშნავად (განვა-ლგს, ვი-ქგმ ...), მანვე უმარცვლო უ-ს მარცვლიანისაგან გასარჩევად დაუმატა უხმოვნობის (სიბრჯგუის) დიაკრიტიკული ნიშანი: ჿ (უბრჯგუ).

ლიტ.: ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960; შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, I, თბ., 1976; მისივე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე. – «თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 1964, ტ. 9; ქავთარაძე ი., ქართული ენის ისტორიისათვის (XII–XVIII სს.), თბ., 1964; მახარაძე ნ., ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის სა-

კითხები, I თბ., 1978; დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

კ. დანელია.

ხმოვნები, ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია სამეტყველო ბგერებისა, რ-თა ფიზიკური (აკუსტიკური) მახასიათებელია *ტონი* უმნიშვნელო *ჩქამით*. ფიზიოლოგიურად ხმოვნები ხასიათდებიან სახმო სიმების პარმონიული რხევით და სამეტყველო აპარატში ჰაერნაკადის თავისუფალი დინებით დაბრკოლების გარეშე. ამ არტიკულაციურ მახასიათებელს ემყარება ხ-ისა და *თანხმოვრების* გამიჯვნა. ხმოვანი არის მჟღერობისა და აქცენტურ-ტონალური ფუნქციების ძირითადი მატარებელი. ხ-ს სხვა ბგერებთან მეზობლობაში უპირატესობა აქვთ მაცვალთა წარმოქმნის თვალსაზრისით. შემოთავაზებულია ტერმინები ხმოვანთა ფიზიოლოგ. და ფუნქციური ასპექტების განსასხვაებლად: ეკოიდი – ხმოვანი, როგორც წარმოთქმის ელემენტი, ფიზიოლოგიურად, განსაზღვრული და ეკალი – ხმოვანი, როგორც მარცვლის ცენტრალური ელემენტი (ლ. იელმსლევი)

ხ., თანხმოვნისაგან განსხვავებით იწარმოებიან სამეტყველო ორგანოთა შესაბამის მდგომარეობაში შეჩერებისას. იმის მიხედვით, თუ ენის რომელი ნაწილია აწეული სასის ამა თუ იმ უბნისკენ და პირის რეზონატორის რომელი ნაწილის მოცულობა მცირდება ამის შედეგად, გამოიყოფა ხმოვანთა სამი ძირითადი რიგი – წინა, შუა და უკანა.

სალიტ. ქართ. ენის ხმოვნებიდან ი და ე წინა რიგისანი არიან. მათი წარმოთქმისას წინაენა სასის წინა ნაწილისკენ (მაგარი სასისკენ) არის აწეული (ი-ს წარმოთქმისას – მეტად, ე-ს წარმოთქმისას – ნაკლებად). შუა რიგის ხმოვნად მიიჩნევა ა, რ-იც უმეტესად ენის შუა ნაწილის სუსტი აწევით წარმოითქმის. უ და ო უკანა რიგის ხმოვნებია. მათი წარმოთქმისას ენა სასის უკანა ნაწილისკენ (რბილი სასისკენ) იწევს (უ-სთვის – მეტად, ო-სთვის – ნაკლებად). აღწერილი ნიშნებით ხმოვანთა რიგების განსაზღვრას დიდი ტრადიცია აქვს. ბოლოდროინდელ ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია სხვა ნიშანზედაც, კერძოდ კი ენის ზურგის დაშორებაზე ხახის უკანა კედლიდან, არსებითად – ხახის რეზონატორის სიდიდეზე. წინა რიგის ხმოვნების წარმოთქმისას ენის წინა ნაწილის მაგარი სასისკენ აწევას თან სდევს მთლიანად ენის წინ გადაწევა და ხახის უკანა კედლიდან დაშორების, უკანა რეზონატორის მოცულობის ზრდა. საპირისპირო სურათია უკანა რიგის ხმოვანთა წარმოთქმისას. რაც შეეხება ა-ს ტიპის ხმოვნებს, მათი წარმოთქმისას ენის ხახის უკანა კედლიდან დაშორება შეიძლება ისეთე მცირე იყოს, როგორც ეს ო-სა და უ-ს ტიპის ხმოვნებისას შეინიშნება. ასე წარმოთქმული ა უკანა რიგის ხმოვნად შეიძლება მიეკისროთ.

ა-ს უკანა რიგის ხმოვნებთან სიახლოვეზე ისიც მიუთითებს, რომ მისი „უკან დაწეული" ვარიანტის გაგრძელებისას იგი ბაგეთა წინ წაწევითა და მომრგვალებით (ენის მდგომარეობის შეუცვლელად) შეიძლება ო-დ ვაქციოთ და პირუკუ, ო – ა-დ.

ჰაერნაკადის გასასვლელი სიდიდის მიხედვით განსხვავებულია ფართო, საშუალო და ვიწრო ღიაობის ხ-ები. რაც უფრო დაბლაა დაშვებული ენა და ქვედა ყბა, მით უფრო დიდია გასასვლელი და მით უფრო ღიაა ხმოვანი. ამ ნიშნით ქართულში ხ-ები ასე ნაწილდებიან: ფართო ღიაბის – ა, საშუალო ღიაობის – ე, ო, ვიწრო ღიაობის – ი, უ. წარმოების რიგისა და ჰაერის გასასვლელის სიდიდის (ღიაობის) მიხედვით ხმოვანთა ურთიერთმიმართების სქემატური ხატვა შესაძლებელია ხმოვანთა სამკუთხედით.

სალიტ. ქართულისათვის ხმოვანთა სამკუთხედი ამგვარია:



სამკუთხედის წვერში მოქცეულია შუა რიგის ღია (ფართო, დაბალი აწეულობის) ხმოვანი ა. სამკუთხედის მარცხენა ფერდზე მოთავსებულია წინა რიგის ხმოვნები: საშუალო ღიაობის (აწეულობის) ე და დახურული (ვიწრო, მაღალი აწეულობის) ი. სამკუთხედის მარჯვენა ფერდზე მოცემულია უკანა რიგის ხმოვნები, რთაგან ო საშუალო ღიაობისაა (აწეულობისაა), ხოლო უ – დახურულია (მაღალი აწეულობის).

სამკუთხედი ასახავს ქართ. ხმოვანთა სისტემის ერთ არსებით მხარესაც: ერთ ფერდზეა მოქცეული ქართულის ორიეე ბაგისმიერი ხმოვანი (ო და უ), რ-ებიც მხოლოდ უკანა რიგში მოგვეპოვება.

ხანგრძლივობა, ხმოვანთა წარმოთქმა ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რ-თაც ცნებაში შეიძლება ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ ფონოლოგიური ღირებულება. მაგ., ასეთია ხ-ების ხანგრძლივობა. ეს არის ხმოვანთა გრძლივობის რაოდენობრივი მახასიათებელი, რიც ტრადიციულ ფონეტიკაში წარმოიდგინება ნორმალური გრძლივობიდან გადახვევის ხუთი საფეხურით. ამ საფეხურების შესაბამისად გამოიყოფოდა უმოკლესი (სხვაგვარად – ირაციონალური), მოკლე, მახევრადგრძელი, გრძელი და ზეგრძელი ხმოვნები. ამ ხმოვანთა საშუალო ხანგრძლივობა მიიჩნეოდ: უმოკლესისა – დაახლოებით 50 მილისეკუნდი, მოკლესი – 80, ნახევრადგრძელისა – 120, გრძელისა – 200. მეტი გრძლივობის მქონე ხმოვნებს ზეგრძელებს უწოდებენ.

ხმოვანთა ხანგრძლივობა, ძირითადად, მეტყველების ტემპზე დამოკიდებული მახასიათებელია. მისი ცვლა არ აქცევს სხვა ხმოვნად და არც სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას გამოიწვევს. ამით ის პრინციპულად უპირისპირდება ფორმათგანმასხვაებელი (და ამით – შინაარსი განმასხვილებული, აზრის განმასხვაებელი) ფუნქციის მქონე სიგრძე-სიმოკლის დაპირისპირებას.

ხმოვნების სიგრძე-სიმოკლე, ერთ-ერთი განმასხვაებელი (დიფერენციული) ნიშანია, რ-ითაც შეიძლება ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ხმოვნები და მათი მეშვეობით სიტყვათა ფორმები. შდრ., მაგ., სვანური გრძელი და მოკლე ხმოვნებიანი მარე „კაცი" და მარე „მაგრამ". ბალსუმურ დიალექტში ცხრა ასეთი წყვილია: ა-ა, ე-ე, ი-ი,

ო. უ-უ. გ-გ. ა-ა. ო-ო. უ-უ. სიგრძე სიმოკლით დაპირისპირება შესაძლებელია როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში. ქართულისათვის არც ერთია დამახასიათებელი. და არც მეორე: არც ერთი ხმოვნის (ან თანხმოვნის) დაგრძელება-შემოკლებით სხვა ფონემა არ მიიღება.

განსხვავებულია მახვილიანი და უმახვილო ხმოვნები. ამ უკანასკნელს უკავშირდება რედუცირებული ხმოვნების წარმოქმნა, ე. ი. ხმოვნებისა, რ-ებიც წარმოთქმულია მათ მახასიათებელთა (სიგრძის, ინტენსივობის, მკაფიოობის..) ნეიტრალურივზე ნაკლები გამოხატვით. ხმოვანთა რედუცირებული, შესუსტებული სახით წარმოთქმა უმეტეს შემთხვევაში უკავშირდება მათ უმახვილობას. რედუცირებული ხმოვანი შეიძლება ისე ძლიერ შეიცვალოს, რომ სხვა ბგერად გადაიქცეს. ასეთი თვისებრივი ცვლილება ახასიათებს სალიტ. რუსული ენის უმახვილო ხმოვნებს (შეადარეთ., маг., махвилиани და უმახვილო ხმოვნები სიტყვაში хорошо, სადაც პირველი და მეორე ხმოვანი ბაგისმიერი o-ს სახე კარგავს და ნეიტრალურივ a-ს უახლოვდება.

ქართულში რედუცირებული ხმოვანი არარედუცირებულზე მოკლე და სუსტია, მაგრამ თვისებრივად მისგან არ განსხვავდება – სხვა ხმოვნად არ იქცევა.

შემართვა-დამართვის ხასიათის მიხედვით განსხვავებულია: მაგარშემართვიანი, ძლიერშემართვიანი, მკვეთრშემართვიანი, მაგარდამართვიანი, ძლიერ დამართვიანი, მკვეთრ დამართვიანი ხმოვნები.

ზ. ჯაფარიძე.

ხობის ვარვერა 1384–96, ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი ცხრა სტრიქონად დიდი ზომის (105×66×12 *სმ*) მარმარილოს ფილაზე. ფილა ჩასმულია ხობის მონასტრის (ხობის რნი) მთავარი ტაძრის სამხრ.-აღმ. მინაშენის – დადიანთა ეგვტერის შესასვლელის თავზე და წარმოადგენს ამ შესასვლელის არქიტრავს. წარწერის დასაწყისი სტრიქონები დიდი ზომის (სიმაღლე 8–10 *სმ*) ასოებითაა ამოკვეთილი, განსაკუთრებით სიტყვა „ვამეყ“ მეორე სტრიქონის შუაში (სიმაღლე: 10 სმ), ხოლო შემდეგ ასოების სიმაღლე თანდათან კლებულობს (2–2,5 *სმ*); შესრულებულია *კიდურწერტილოვანი*, ადგილ-ადგილ ხვეული დამწერლობით; მოღწეულია დაუსიანებელი, თითქმის თავდაპირველი სახით. წარწერის ტექსტი ასეთია:



ხობის წარწერა. 1384–96 წწ.

„+ სახელითა ღმრთისაჲთა. ერისთავთა ერისთავმან და მანდატურთუხუცესმან, დადიანმან ვამეყ, მამისა მათისა, პატრონისა, ერისთავთა ერისთავისა, დადიანისა გიორგის შემდგომად მიუჴდა ჯიქეთს, ურწმუნოებისა და ორგულობისათუის, რაითამცა მოემსახურა, და სძლო. და შეურაცხ და უჴმარ იქმნა მათი სიმაგრენი; გაგარი და უღალნი ყოველივე ძალითა მოირჭუნა; მრაჲალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალნი მოარბიენა; რაოდენი მოუწყო, მათი მძევალნი წამოასხნა და სხუანი აოტნა. და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი. და მამადჲდათა ლარნაკი და მისი და მარეხ გააერთა; საუკუნოდ-მცა არს ჴსენება მათი“.

წარწერა მოგვითხრობს ოდიშის ცნობილი მთავრის ვამეყ II დადიანის (1384–96) ჩრდ.-დას. კავკასიაში – ჯიქეთში ლაშქრობის შესახებ. მას ჯიქეთი დაულაშქრავს „ურწმუნოებისა და ორგულობისათუის“, ე. ი. იქაურები აღრეულ ოდიშის სამთავროს მორჩილნი ყოფილან და ვამეყის დროს ორგულობა გამოუჩენიათ, განდგომილან. ვამეყამდე ლაშქრობა მის მამას, გიორგი დადიანსაც მოუწყეია – „მამისა მათისა შემდგომად მიუჴდა ჯიქეთსო“. – აღნიშნულია წარწერის დასაწყისში. ვამეყს ჯიქეთიდან მრავალი ნადაელი წამოუღია, მ. შ. „სვეტნი და ფიქალნი მარმარილოსანი“, რებითაც მას ხობის ტაძრის გარშემოსასველელის სამხრ.-აღმ. ნაწილი, იმ დროს ღია გალერეა, ამოუშენებია და აქ საგვარეულო სამარხაჲი, ეგვტერი მოუწყეია თაჲისი დედ-მამისა და დისთვის – მარეხისათვის. მარმარილოს სვეტები და ფიქლები ადრებიზანტ. ხელოვნების ძეგლებია, თარიღდება VI ს. შუა ხანებით და ჩრდ.-დას. კავკასიაში, აღლერის მახლობლად, ისტ. ჯიქეთის რომელიღაც ბერძნ.-ბიზანტ. ტაძრის ამბიონის ნაწილია (ლ. ხრუშკოვა).

წარწერიდან აშკარად ჩანს, რომ ვამეყ დადიანის დროს და უფრო ადრეც, აფხაზეთი ოდიშის სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო – ვამეყი აფხაზეთის გადაღმა ჯიქეთში ისე ლაშქრობს, რომ აფხაზეთს, როგორც მის მიერ გაელილ და დალაშქრულ მხარეს, არც ახსენებს – იგი მას ისედაც თავის მუდმივ სამფლობელოდ ეგულება. ვამეყ დადიანი XIV ს. საქართველოს ერთ-ერთი თავნება და დამოუკიდებელი (იმერეთის მეფისაგან) მთავარი იყო; ცნობილია მის მიერ მოჭრილი ფული მისივე სახელის ზედწერილით; ასევე ცნობილია მისი კულტ.-საალმშენებლო მოღვაწეობაც. მაგ., მან კონსტანტინოპოლიდან წალენჯიხის ეკლესიის მოსახატავად საგანგებოდ ჩამოაყვანინა მხატვარი (იხ. *წალენჯიხის წარწერები 1384–96*). ასე შე-

იქმნა პალეოლოგიური მხატვრობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში საქართველოში. ეამეცის დროსვეა მოხატული ხობის ტაძრის ეგვტერი.

ხ. ვ. ყურაღღებას იპყრობს ლექსიკისა და ეროგან გრამატ. ფორმის თვალსაზრისით. კერძოდ, ლექსიკიდან აღსანიშნავია: გაგარი, ულაღი, მორჭუნა და სხვ. გაუმართავია ტექსტის მეორე წინადადება – „ერისთავთა ერისთავმან... მიუჴდა ჯიქეთს“. ეს შეიძლება „მეგრელიზმის“ ისეთივე გამოვლინებად მივიჩნიოთ, როგორიც დასტურდება *ჭლოუს წარწერაში.*

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 2, ტფ., 1914; ბ ე რ ა ძ ე თ., „გაგარი“ და „ულაღი“. – «მაცნე», (ისტ. ...სერია), 1973, №1; ბ ე რ ი ძ ე ვ., ხობის ტაძრის ისტორიისათვის. – იქვე, 1973, №2. *გ. სილოგავა.*

ხოლმეობითი, საუღლებელი ერთეული, იგივე I ხოლმეობითი, პირობითი, ყოფადისეული ნამყო უსრული. ხ. ფორმობრივი თვალსაზრისით იდენტურია უწყვეტლის ფორმებისა. ზმნათა ერთი ნაწილი უწყვეტლისაგან მხოლოდ ზმნისწინით განსხვავდება, თუმცა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებას არ აქვს სისტემური ხასიათი. ამის გამო ხ., ისევე, როგორც ე. წ. ყოფადის წრის სხვა მწკრივები, დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად არ გაიაზრება მკვლევართა ერთი ჯგუფის მიერ (გ. გოგოლაშვილი, ა. ონიანი...).

ტერმ. „ხ.“ დაამკვიდრა ა. შანიძემ, მანვე გამოიყენა ტერმ. „პერმანსივი“ ხ-ს აღსანიშნად თავისი ნაშრომის რუსულ ვარიანტში. ეს ტერმინი ძირითადად გეხვდება უცხოელი ქართველოლოგების შრომებში (გ. დეეტერსი) და ქართული ნაშრომების თარგმანებში. პერმანსივი აგრეთვე გამოიყენება უძველესი ფორმაციის განგრძობითი ასპექტის გადმოსაცემად (იხ. *აორისტი*).

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953; გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 1988.

გ. გოგოლაშვილი.

ხუნდაძე სილოვან თომას ძე [3(15). IV. 1860, სოფ. კალაგონი, დღევანდ. ონოხატაურის რ-ნი, – 12. V. 1928, ქუთაისი], მწერალი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, პედაგოგი. 1871–80 სწავლობდა ქუთ. კლასიკურ გიმნაზიაში, 1880–84 – პეტერბ. უნ-ტის აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტზე. 1884-იდან დაიწყო პედ. მოღვაწეობა – ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად ჯერ სენაკში, შემდეგ კი – ქუთაისში. ამავე დროს ქართ. ჟურნალ-გაზეთებში («დროება», «კვალი», «ცნობის ფურცელი», «განათლება» და სხვ.) სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს, კრიტ. წერილებს, პუბლიცისტურ სტატიებს.

ხ. დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დადგენის საკითხებს. იგი ავტორია ქართ. სასკოლო გრამატიკისა.

ხ-ის „ქართული გრამატიკა“ (ქუთაისი, 1904) შედგება ოთხი კურსისაგან: მოსამზადებელი კლასის, პირველი კლასის, მეორე კლასისა და მესამე კლასის კურსები. გრამატ. მასალა კურსებში განაწილებულია სირთულის მიხედვით.

მოსამზადებელი კლასის კურსში (გვ. 3–33) მოკლედ არის მიმოხილული ქართ. ენის გრამატიკა, განმარტებულია მორფოლ. და სინტაქსის ძირითადი ცნებები; მოცემულია ბგერების („ხმების“) შესახებ უზოგადესი ცნობები.

პირველი კლასის კურსში (გვ. 34–89) შედარებით დაწვრილებით არის მიმოხილული სიტყვათა დამარცვლის წესები; გამოყოფილია 9 მეტყველების ნაწილი: ხუთი ფორმაცვალებადი („საცვალებელი“) – არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა – და ოთხი ფორმაუცვლელი („უცვალებელი“) – თანდებული, ზმნისართი, კავშირი, შორისდებული; ერცლად არის განხილული ფუძის დაბოლოებები და ბრუნვის ნიშნები (ფონეტ. ცვლილებათა გათვალისწინებით). წარმოდგენილია მსჯელობა ზედსართავზე, ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებზე. განხილულია ზმნის კატეგორიები: გვარი, კუნსატივის ფორმები („გადასვლითი“), სახე, კილო, მოცემულია მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლების ნიმუშები. სინტაქსის სფეროდან განხილულია წინადადების სახეები – მთავარი, დამოკიდებული (დამატებითი დამოკიდებული); გარჩეულია წინადადების „პირიქვანი“, „უპირო“, „სრულიანი“, „შემოტანილი“ სახეები.

მეორე კლასის კურსში (გვ. 90–141) მოცემულია ენებითი და საშუალო გვარის ზმნათა უღლება: „უკანონო ზმნები“, პირნაკლი და ქცევიანი („მიჩემებითი“) ფორმები. განხილულია დამოკიდებული წინადადებები; სიტყვათა წარმოება, სიტყვის ფუძე, ძირი; დროთა წარმოება.

მესამე კლასის კურსი (გვ. 142–198) შედარებით ვრცლად ეხება რთულ წინადადებას. განხილულია ფონეტ. და სინტაქსური კანონები, სინონიმები, ლექსთწყობის საკითხები (შაირი, ჩახრუხაული, მუსტაზადი, თეჯნისი, ბაიათი), სასვენი ნიშნები. კურსის დასასრულს მოკლედ მოწოდებულია „ძველებური ქართულის ფორმები“.

გ. ცოცანიძე.

ხშულები, თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისას პაერნაკადს ელობება სამეტყველო ორგანოებით შექმნილი სპეციფიკური ხმაურით *(ჩქამით)* დასაძლევი ხშვა. იმის მიხედვით, თუ როგორ დაიძლევა ხშვა, განარჩევენ ე. წ. მარტივ და რთულ ხშულებს. მარტივი ხშულების წარმოთქმისას ხშვა სწრაფი სკდომით იხსნება და სკდომის ჩქამიც მკისვე მთავრდება. ასე წარმოითქმის, მაგ., ქართული ბაგისმიერი ხშულები ბ-ფ-პ, წინაენისმიერი ხშულები დ-თ-ტ, უკანაენისმიერი ხშულები გ-ქ-კ. რთული ხშულების წარმოთქმისას ხშვის მოშლის შემდეგ ყალიბდება ეიწრო ნაპრალი, რ-შიც გამდინარე პაერნაკადი წარმოქმნის ხახუნის ხმაურს. ასე წარმოითქმის, მაგ., ქართული აფრიკატები – წინაენისმიერი სისინა ხშულები ძ-ც-წ და წინაენისმიერი შიშინა ხშულები ჯ-ჩ-ჭ.

ყოველი აფრიკატი წარმოიდგინება მარტივი ხშულისა და მის ზონაში წარმოებული ნაპრალოვანი ბგერის შეერთებად. ივარაუდება, რომ მკვლერ ხშულს უერთდება ნაპრალოვანი და ყრუს – ყრუ: დ+ზ→ძ, თ+ს→ც; დ+ჟ→ჯ; თ+შ→ჩ.

რამდენადაც აფრიკატების ხშვა არასრულია და პაერი პირიდან ნაწილობრივ ხშვის დროსვე გამოედინება, აფრიკატებს ნახევარ ხშულებსაც უწოდებენ, რაც შეეხება სკდომას, იგი უფრო კარგად აქვთ გამოხატული მარტივ ხშულებს და ამიტომ ხშირად

ტერმინებს „მსკდომი“, „ხშულ-მსკდომი“, მხოლოდ მარტივი ხშულების აღსანიშნავად ხმარობენ. ამის გათვალისწინებით, ხშულ ჩქამიერებში გამოიყოფა ორი ძირითადი სახეობა: მსკდომები (ხშულ-მსკდომები, მარტივი ხშულები) და აფრიკატები (ნახევრად ხშულები, რთული ხშულები).

ზ. ჯაფარიძე.

ჴელი, ეპიგრაფიკული საბუთების, ქვაზე შესრულებული იურიდიული აქტების აღმნიშვნელი ძველი ქართული დიპლომატიკური ტერმინი. ჴ-ის, როგორც სხვადასხვა დანიშნულების სიმბოლოს მნიშვნელობა მომდინარეობს უძველესი დროიდან, ხოლო როგორც იურიდ. ტერმინისა – ლათ. სიტყვიდან manus. ჴ-ის მნიშვნელობა გაარკვია და საგანგებოდ შეისწავლა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. ჴ-ის, როგორც დიპლომატიკური ტერმინის გამოყენების ორი ეტაპი გამოიყოფა – X–XI და XII–XIII სს. X–XI სს-ში ეს არის წარწერის ტექსტი, რ-იც საბუთს, რაიმე დადგენილებას წარმოადგენს, ხოლო XII-XIII სს-ში – სამეფო მიწათმფლობელობის გამომხატველი მატერ. ნიშანი – ქვის სტელა, რ-ზედაც შეიძლება წარწერაც იყოს ამოკვეთილი გარკვეულ სიმბოლოებთან (ხელის, ჯვრის, საგვარეულო ნიშნის გამოსახულებანი) ერთად, ან მხოლოდ სიმბოლოები, მაგრამ მათ შორის აუცილებლად – ხელის გამოსახულება. პირველი ეტაპის ჴ-ებიდან ცნობილია 9 საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მეორე ეტაპის ჴ-ებიდან კი – 16 (აქედან 7 – წარწერიანი, 9 – უწარწერო) – ყველა ქვემო ქართლიდან და ჯავახეთიდან, ანუ იმ ტერიტორიიდან, რ-იც ტრადიციულად სამეფო დომენს, სახასო ქვეყანას წარმოადგენდა. პირველი ეტაპის, ანუ XI ს. ჴ-ებია: 1. ჴელი ბერისა და გიორგისა (შიდა ქართლი, მეჯუდის ხეობა. ზოგიერთი მკვლევარი მას XI ს. ან X–XI სს. ათარიღებს); 2. ჴ. მუშალა გოგლეურისა (ფშავი, ს. გომეწარი. ზოგიერთი მკვლევარი მას ათარიღებს X–XI სს.); 3. ჴ. სოფ. კრიხისა (რაჭა, ამბროლაურის რ-ნი); 4. ჴ. და სიმტკიცე სტეფანესი (შიდა ქართლი, გორის რ-ნი, სოფ. ვარიანი); 5. ჴელი კალელთა (ზემო სვანეთი, მესტიის რ-ნი, ფხოტრერი); 7. ჴ. მეფოველთა (იქვე, სოფ. ნაკიფარი); 8. ჴ-ის ფრაგმენტი (იქვე, სოფ. მაცხვარიში); 9. ჴ-ის დასაწყისი (იქვე, სოფ. ჩვაბიანი). მეორე ეტაპის, ანუ XII–XIII ს. ჴ-ებია: 1. მეფე თამარის ჴელი (ჩხიკვეთის წარწერა); 2. მეფე თამარისა და ლაშას ჴ. (პრტენის წარწერა); 3. ლაშა-გიორგის ჴ. (გუნია-ყალის წარწერა); 4. ლაშა-გიორგის ჴ. (ზრესკის წარწერა); 5. მეფე რუსუდანის ჴ. (არხოტის წარწერა); 6. მეფე რუსუდანის ჴ. (დიდი თონეთის წარწერა); 7. მეფეთა მეფის დავითის ჴ. (საღამოს წარწერა). ამათ გარდა, ცნობილია ხელის გამოსახულებიანი ცხრა სტელა – სამი სოფ. ჩხიკვეთადან (ორზე შერჩენილია წარწერის რამდენიმე ასო, ხოლო ერთი უწარწეროა – ხელის, ჯვრისა და ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნის გამოსახულებით), ხუთი – წალკის რ-ნის სხვადასხვა სოფლებიდან და ერთი – სოფ. ჩუნჩხიდან (ახალქალაქის რ-ნი).

I ეტაპის, X–XI ს. ჴ-ების ნიმუშები: 1. ჴელი ბერისა და გიორგისა: „სახელითა ღმრთისაჲთა. ესე ჴელი ჩუენ – რამინ და გიორგი დავწერეთ, ოდეს კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმისჴევს ჴევისუფლად ვიყვენით. მას ჟამსა ავაგეთ წისქუილნი და ზემოთ სახლი ერთი. სამსახური ჰკიდეეს Ө კაცი. ქრისტე, ადიდე ცისკარ, ამენ. ესე ჴელი მე, გიორგი დავწერე. ქრისტე, განმგებელო ორთავე ცხორებათაო...“; 2. ჴელი სოფელ კრიხისა: „+ სახელითა ღმრთისაჲთა. ესე ჴელი დავწერეთ ჩუენ – კრიხმან სოფელმან: ვინცა ნაწირავი დაჰჴუთოს, საბერო და წილი საღმრთო და სააღაპო არა მისცეთ. კრულია ღმრთისა პირითა ვინცა მისცეს“; 3. ჴელი მიქაელ გორელდიანისა: „ქ. ესე ჴელი მე, მიქაელ გორელდიანმან დავწერე. დიდება წმიდასა გიორგის, მეფოველთა პარვა დაავგდეს“.

II ეტაპის, XII–XIII ს-ის ჴ-ების ნიმუშები: 1. ლაშა გიორგის ჴელი: „სახელითა ღმრთისაჲთა. ბრძანებითა ღმრთისა სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჭყონდიდლის, ზაქარია, შალვა, ოვსიყმა, ვაჩესითა. ჯალაბაჲს მოჭირვეებითა, სანობაჲს ძისა ინაჲსა ჴელითა დაჲსუა ჴელი ესე ღმრთისა სწორთა – მეფეთა მეფისა გიორგისი“; 2. მეფე რუსუდანის ჴელი (არხოტის წარწერა): „წმიდაჲ გიორგი კაეთისაჲ. +. ესე ბრძანებაჲ ჩემი არს – რუსუდან. ნებითა ღმრთისაჲთა აზადად და შეუვალი არს მამული მათი, ნასყიდით და შეწირულითა, საწესო. ნუ ვინ შლით ბრძანებასა“; 3. მეფეთა-მეფის დავითის ჴელი (საღამოს წარწერა): „ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თჳთმპყრობელი მეფეთა მეფე დავით“.

XIV ს-დან ჴ., როგორც დიპლომატიკური ტერმინი – გარკვეული კატეგორიის საბუთების აღმნიშვნელი, აღარ გვხვდება.

ლიტ.: ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959; ბერძენიშვილი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ. 1966; ოთხმეზური გ., XII–XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.

ვ. სილოგავა.



მეფე რუსუდანის ჴელი. არხოტის წარწერა.

ჯ, ქართული ანბანის ოცდამეთორმეტე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთექვსმეტე) ასო. მისი სახელია „ჯანი“; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი მჟღერი შიშინა აფრიკატისა. ასომთავრულში მას ჯვარედინი ფორმა აქვს – Ⴟ. იგი ერთადერთი გამონაკლისია სხვა მთავრულ ასოებს შორის. ნუსხურში ⴟ მარჯვნივ არის გადახრილი, მხედრულში მომრგვალებული ფორმები აქვს. ნუსხურსა და მხედრულში ჯ. ქვედა სამ ხაზში იწერება:



ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა რვა ათასს (8000).

ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე [11 (23). IV. 1876, თბილისი, – 18. XI. 1940, იქვე], ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939). 1895 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, 1899 პეტერბ. უნ-ტის აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტის სომხ.-ქართ.-ირან. განყ-ბა და იმავე წელს დატოვეს უნ-ტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1903 იანვრიდან პეტერბ. უნ-ტის პრივატ-დოცენტი იყო სომხ.-ქართ. ფილოლოგიის კათედრაზე. 1907 წ. 13 მაისს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“. 1907 ჯ-მა ჩამოაყალიბა პეტერბურგის (პეტროგრადის) უნ-ტის ქართ. სამეცნიერო წრე. ჯ-ის ხელმძღვანელობითა და ქართვ. მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით 1918 თბილისში დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. 1918–19 იგი იყო ქართ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის დეკანი, 1919–26 უნ-ტის რექტორი; 1921–30 – საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის თავ-რე, 1931-იდან – საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი, 1936-იდან – ამავე მუზეუმის ისტ. განყ-ბის გამგე და კავკასიისმცოდნეობის სამეცნ.-კვლევითი ინ-ტის მეცნიერ-კონსულტანტი, 1937-იდან – რუსთაველის სახ. მუზეუმის დირექტორი.

ჯ-ის მეცნ. ინტერესები მოიცავდა არა მარტო ისტორიის კონკრეტულ საკითხებს, არამედ ქართველი ხალხის წარსულის თითქმის ყველა სფეროს.

ჯ-მა დიდი ამაგი დასდო მეცნ. ქართველოლოგიას. მან დატოვა ფუძემდებლური შრომები ისტ.-ფილოლ. მეცნიერების ყველა დარგში. აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართ. ხელნაწერების შესწავლა-აღწერაში. ამ მიზნით ნ. მართან ერთად იმოგზაურა სინას მთაზე (1902) და გამოავლინა არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

ჯ. დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართ. ენისა და დამწერლობის ისტორიას. ქართული პალეოგრაფია მან პირველმა დააყენა მკვიდრ მეცნ. ნიადაგზე. 1922 ქართ. პალიმფსესტების ქვედა ფენაში უძველესი ქართ. ხელნაწერები გამოავლინა. მან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დაცული ხელნაწერების ერთი ნაწილი, ტრადიციული დათარიღების საპირისპიროდ, რამდენიმე საუკუნით ადრე შესრულებულად ცნო.

მან შეისწავლა სამართლის, საფას-საზომთა, მუსიკის, დამწერლობათმცოდნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, ხელსაქმის, მშენებლობისა და სხვ. დარგების ძირითადი ლექსიკა და მათი ანალიზის საფუძველზე საყურადღებო დასკვნები გამოიტანა აღნიშნულ დარგთა ისტორიის შესახებ. ქართვ. ხალხის მატერ. და სულ. კულტურის შესწავლისას ჯ. დიდ ყურადღებას უთმობდა ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი სათანადო რეალიებისა და შესაბამისი ლექსიკის გამოვლენა-თავმოყრას. ამ მიზნით მან 1935 მოაწყო ექსპედიციები (26 კაცის შემადგენლობით) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შეაგროვა ქვეყნის შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის დიდძალი მასალა, შეუდგა მის დამუშავებას ცალკეულ დარგთა მიხედვით. „მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“ 1976–91 გამოიცა ხუთ ტომად (სულ 9 წიგნი). ამ მასალის საფუძველზე ჯ. ვარაუდობდა ენციკლოპედიური ტიპის შინამრეწველობისა და ხელოსნობის ლექსიკონის მომზადება-გამოცემას. ჯ-მა საფუძველი შეუქმნა ქართ. ენის ისტ. ლექსიკონის



ი. ჯავახიშვილი.

შედგენას. დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ადგენდა, თუ როდიდან იხმარებოდა ესა თუ ის სიტყვა ან ტერმინი ქართ. ენაში. სესხების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიუთითებდა, საიდან იყო შემოსული სიტყვა და განიხილავდა მისი ფორმისა და მნიშვნელობის ცვალებადობას. ქართ. ხალხის ისტორიის კვლევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველაზე სანდო და, გარკვეული თვალსაზრისით, ყველაზე ძვ. წყაროს – ენას. ამიტომაც იგი შეუდგა ქართ.-ქართველურ ენათა უძველესი აღნაგობისა და უძველესი ლექსიკური ფონდის შესწავლას. ამ მხრივ მიმართული დაკვირვებების საფუძველზე მიიჩნია მან აუცილებლად მთის იბერიულ-კავკ. ენათა მონაცემების გათვალისწინება. საყურადღებოა ის მეთოდოლოგიური პრინციპები, რ-ებსაც ჯ. ეყრდნობოდა ქართულისა და მთის იბერიულ-კავკ. ენათა ნათესაობის დადგენისას. მან შეგნებულად აუქცია გვერდი ბგერათა შესატყვისობებს და ქართ.-კავკ. ენათა ნათესაობის მტკიცებისათვის ამ ეტაპზე ძირითადად მიიჩნია ხსენებულ ენათა გრამატ. აგებულებისა და ძირთა იგივეობის დადგენა.

ჯ-მა ქართულისა (ქართველურისა) და მთის იბერიულ-კავკ. ენების ნათესაობის საკითხი ამ ენათა ძირითადი სტრუქტურული ნიშნებისა და მასალის ერთიანობის მიხედვით არსებითად დადებითად გადაწყვიტა. მისმა ენათმეცნ. გამოკვლევებმა ნათელყო, რომ ქართ. ენის სიღრმისეული შესწავლა შეუძლებელია მთის იბერიულ-კავკ. ენების მონაცემთა გათვალისწინების გარეშე და პირუკუ.



ვ. ჯანაშვილი.

ჯ. არჩეული იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად (1938). მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ახლად აღმოჩენილი უძველესი ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1922, ტ. 2; პაემანი რექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. – იქვე, 1923, ტ. 3; ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 (თხზ. 12 ტომად, ტ. 10, თბ., 1992).

ლიტ.: ლომთათიძე ქ., ი. ჯავახიშვილი და ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ-გენეტიკური ურთიერთობის პრობლემა. – «იკვ», XVI, თბ., 1968; როგავა გ., ივ. ჯავახიშვილის მიერ ხანშეტი ძეგლების აღმოჩენა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. – იქვე; ლომთათიძე ქ., ივ. ჯავახიშვილი და ქართული ენათმეცნიერების საკითხები. – «იკვ», II, თბ., 1975; მეტრეველი რ., კაცია ბანათლებული, თბ., 1975; ივანე ჯავახიშვილი. ბიბლიოგრაფია, თბ., 1976; ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2002; Ломтатидзе К. В., И. А. Джавахишвили и вопросы истории лексики грузинского языка, Тб., 1976.

ქ. ლომთათიძე. რ. მეტრეველი.

ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე [19 (31). III. 1855, სოფ. კახი, საინგილო, – 19. IV. 1934, თბილისი], ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 1865-იდან სწავლობდა კახის სამრევლო სკოლაში, 1868–72 – ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ – თბილისის სას. სემინარიაში. 1878 გამოცდები ჩააბარა ქუთ. გიმნაზიაში და მიიღო მასწავლებლის მოწმობა. 1875–1920 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში. 1920-იდან მოღვაწეობდა თსუ-ში. იყო თსუ სიძველეთმცოდნეობის დამს. პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართ. საენათმცნ. სას-ბების საპატიო წევრი (1930). მრავალმხრივი იყო ჯ-ის მოღვაწეობის სფერო. მან დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ნაშრომები მეცნ. სხვადასხვა დარგში (ისტორია, ეთნოგრ. ლიტ-რა, სოფლის მეურნეობა, ბიბლიოლოგია, ლინგვისტიკა და სხვ.).

პრობლემატიკის სიუხვით გამოირჩევა ჯ-ის ენათმეცნ. ნაშრომები. ქართ. დამწერლობის შექმნა, გრამატიკა, დიალექტოლოგია, ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლა, ქართველურ ენათა გენეალოგიური ურთიერთობა მსოფლიოს ენებთან, ქართველური და ჩრდილო-კავკ. ენების ნათესაობა, ეტიმოლოგიები, ლექსიკოლოგია – ის ძირითადი საკითხებია, რ-თაც იკვლევდა ჯ.

ჯ-ის „ქართული გრამატიკა“ (1906) უდიდესი მნიშვნელობისაა ქართ. ენათმეცნ. აზრის განვითარების ისტორიისთვის. იგი უფრო მეცნიერული ხასიათისაა, ვიდრე სასწავლო. ძირითადი ნაწილებია ეტიმოლოგია (მორფოლოგია) და სინტაქსი. წიგნს ერთვის მეთაური სიტყვა და დამატება. სხვა გრამატიკოსებისაგან განსხვავებით, ჯ. უფრო ერცლად განიხილავს სიტყვაწარმოებას, უღლების ტიპებს, რთული წინადადების სინტაქსს. ქართ. ენის გრამატიკის საკითხები განხილულია მეგრულ-სვანურ ფორმებთან შეპირისპირებით, თუმცა ამ ნაშრომს მაინც ვერ მივიჩნევთ ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკად: მოხმობილი მაგალითები ხშირად მარტივი შეპირისპირებაა და არა შედარებით-ისტ. კვლევის მაჩვენებელი.

ჯ. ქართული დიალექტოლოგიური კვლევის ფუძემდებელია. 1896 გამოქვეყნდა მისი წიგნი „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, რ-შიც დამატების სახით წარმოდგენილია 700-მდე ინგილოური სიტყვის განმარტება და გაანალიზებულია ამ დიალექტის ზოგიერთი თავისებურება. უფრო ვრცელი ნაშრომი მან საინგილოსა და ინგილოური დიალექტის შესახებ ცალკე წიგნად გამოსცა 1913 სახელწოდებით „საინგილო“.

მეგრულ-ლაზურსა და სვანურ ენებს, მთიელთა მეტყველებასთან ერთად, მკვლევარი ქართული ენის დიალექტებად მიიჩნევდა. დიალექტებად დიფერენციაციის ქრონოლოგიური სქემა („ხე ქართველოსიანთა ენისა“) ჯ-ის მიერ ასეა წარმოდგენილი: ძველ (წინარე) ქართველურ ენას (ეს იგივე ქართული ენაა) პირველად გამოეყო სვანური (сванское нарэчие), შემდეგ – მეგრულ-ლაზური (мингрельско-лазское нарэчие), ხოლო გვიან, უკვე ახალ ქართველურ ენას – მთის დიალექტები (говоры горцев). სვანურისა და მეგრულ-ლაზურის დიალექტებად კვალიფიკაციისათვის ავტორი ემყარება ისტ-კულტ. ვითარებას – ქართული ენა რელიგიის, პოლიტიკისა და ლიტერატურის ენა იყო ძველთაგანვე, თუმცა მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო ზღვრის დადება ენასა და დიალექტს შორის. სქემიდან ჩანს, რომ სვანური, მეგრულ-ლაზური და მთიელთა მეტყველება ერთი ტერმინით არ არის აღნიშნული, რადგან მკვლევრისათვის მათ შორის არსებული განსხვავება ხელშესახებია. სვანური და მეგრულ-ლაზური უფრო მსხვილი ერ-

თეულებია და მათ აეტორი „нарѣчіе“-ს უწოდებს, მთიელთა მეტყველებას კი „говор“ დაარქვა. სვანური და მეგრულ-ლაზურის ქართული ენის დიალექტებად წარმოდგენა ჯ-ის პოზიცია უნდა იყოს რუსეთის პოლიტიკის პირობებში, რ-იც არღეეედა დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ ცნობიერებას.

ჯ. თვლიდა, რომ „ქართველური ენა“ მონათესავე იყო სრდილოკავკ. და ინდოევრ. ენებისა. აკად. ნ. მარის მოსაზრებას ქართულის სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ ჯ. არ იზიარებდა. იგი პირველი იყო, ვინც გააკრიტიკა ქართ.-სემიტური თეორია.

ჯ-ის ნაშრომებში ბევრია ეტიმოლოგიური ძიებები. ამისთვის მას გამოყენებული აქვს ძვ. ქართულის, დიალექტების, მეგრულ-ლაზურისა და სვანური ენების მასალა. ეტიმოლოგიები უმეტესად ხალხ. ხასიათისაა, ბევრი მისაღებია ან საღეაო.

მეცნიერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართ. ლექსიკოგრაფიის განვითარებას. ხელნაწ. ინ-ტში დაცულია ჯ-ის მიერ შედგენილი სხვადასხვა სახის სალექსიკონო მასალა (ქართულ-მეგრულ-სვანური, რუსულ-ქართული, „ეეფხისტყაოსნის“ განმარტებითი ლექსიკონი, პეტრიწის ლექსიკონი, სუმერული ლექსიკონი...). აქვე ინახება ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი, რ-შიც შეტანილია 105 ათასამდე ლექსემა. ეს ერცელი ნაშრომი ჯ-მა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაასრულა.

ქ. გურგენიძე.

ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე [13 (26). VII. 1900, სოფ. მაკვანეთი, ოზურგეთის რ-ნი, – 15. I. 1947, თბილისი, დაკრძალულია მთაწმინდაზე], ისტორიკოსი, ენათმეცნიერი – ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტი. საქართვ. მეცნ. აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941), აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1941–47), სსრკ მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1943), ისტ. მეცნ. დოქტორი (1938), პროფესორი (1935), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1922 დაამთავრა თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი ორი განხრით: ისტორიულითა და ენათმეცნიერულით; ი. ჯავახიშვილის წარდგინებით დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. ჯ. სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა თსუ-ში (1926–47); იყო საქართვ. ისტ. კათედრის გამგე (1935–46), ენიმკის (1936–41), ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის (1941–47), ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი (1941–43). სამეცნიერო მომზადება გაიარა ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანისა და სხვ. ხელმძღვანელობით. 1923-იდან აქტიურად მონაწილეობდა საენათმეცნ. საზ-ბის დაარსებასა და მუშაობაში; 1926-იდან მუშაობდა ტერმინოლოგიურ კომისიაში. ჯ-ს დაინტერესება ქართ. სალიტ. ენის განვითარებისა და ნორმალიზაციის საკითხებით გამოიკვეთა ჯერ კიდევ მის სადიპლომო ენათმეცნ. ნაშრომში («შეთანხმებისა და მართვის წესები „ქართლის მოქცევაში“»). მის მიერ სხვადასხვა დროს (1932–36) შემუშავებულ ენობრივ ნორმათაგან საში შესულია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. I“ (1970). 1946–47 ჯ. იყო საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი კომისიის თავრე; ეკუთვნის „თანამედროვე ქართული ენის სალიტერატურო ერთიანი საორთოგრაფიო ნორმების დადგენის პრინციპები“ (1946); იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიის წევრი.

ქართ.-ქართველურ ენათა გარდა, ჯ. იკვლევდა მთის იბერიულ-კავკ. ენათა ისტ. და სტრუქტურის საკითხებს. მის ერთ-ერთ პირველ გამოკვლევას „კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში“ (1923) მოჰყვა 180-ზე მეტი შრომა და მისივე რედაქციით გამოცემული 50-მდე ნაშრომი (მ. შ. ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, გ. წერეთლის, პ. ინგოროყვას, მ. ხუბუას საენათმეცნ. ნაშრომები). ჯ-ს რედაქციით გამოვიდა (1941) შოთა რუსთაველის „ეეფხისტყაოსნის“ დ. გუდიასეული აფხაზური თარგმანი. მასვე ეკუთვნის (დ. გუდიასთან თანაავტორობით) „ქართული ენა აფხაზური სკოლებისათვის“ (3 გამოც. – 1938, 1939, 1944).

ჯ-ს ქართ. და ქართველურ ენებისადმი მიძღვნილ ნაშრომთაგან აღსანიშნავია „მრავლობითი რიცხვის -თა, -თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის“; შრომაში „სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“ (1942) ქართველურ და ადიღურ ენათა სხვადასხვა პარალელებია დაძებნილი; ნაშრომში „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში“ (1940) გარკვეულია ზოგი ქართ. ტოპონიმის ისტორია და სხვ. ჯ-მ მნიშვნელოვანი შრომები უძღვნა ქართ. ისტ.-კულტ. ტერმინების, გვარსახელთა, გეოგრ. თუ სატრომო სახელთა გაერცელებას, წარმომაელობასა და ეტიმოლოგიებს. ამ მხრივ გამოსარჩევია: „თაბალ-თუბალი-ტიბარენი, იბერი“ (1937), „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“ (1939), „ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის“ (1935) და სხვ. მან კრიტიკულად შეისწავლა და გამოსცა (1925) ძვ. ქართ. ტექსტი „ცხორებაჲ საბა ასურისაჲ“. ჯ-სვე ეკუთვნის გამოკვლევები „ეეფხისტყაოსნის“, გ. შარვაშიძის, ს. გორგაძის, მ. ჯანაშვილისა და სხვ. შესახებ.



ს. ჯანაშია.

ჯ. ჩვენში პირველთაგანია, ვინც მთის იბერიულ-კავკ. ენებს სწავლობდა ადგილ'ზე, საველე პირობებში; ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, 1921-იდან, მან დაიწყო აფხაზური ხალხ. სიტყვიერების ნიმუშების შეგროვება, 1929-იდან კი – აფხაზურ – ადიღური, ნახური და დაღესტნური ენებისა. ჯ. ითვლება აფხ.-ადიღურ ენათა მეცნ. შესწავლის ფუძემდებლად. მის ნაშრომებში განხილულია ქართველურ და აფხ.-ადიღურ ენათა ფონეტიკა-მორფოლ., სინტაქსისა და ლექსიკის საკითხები, ენათა ნათესაობის პრობლემა, ქართველურ ენათა ისტ.-გენეტიკური ურთიერთობა სხვა იბერიულ-კავკ. ენებთან, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ამ ენათა ურთიერთობა ძვ. აღმოსავლეთის მკვიდრთა – ხეთა-სუბარების, ხალდების ენებთან. ენობრივ სინამდვილეს ჯ. იკვლევდა როგორც ისტორიისათვის დამხმარე აუცილებელ მასალას და, აგრეთვე, როგორც დამოუკიდებელ ლინგვისტურ ობიექტს.

ჯ. იყო ორგზის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943, 1947); მიღებული აქონდა სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: შრომები, ტ. III–VI, თბ., 1959–88.

ლიტ.: თოფურია ვ., ს. ჯანაშია როგორც ენათმეცნიერი. – აკად. ს. ჯანაშია, თბ., 1949; მესხია შ., საქართვე-

ლოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, თბ., 1960; სიმონ ჯანაშია (1900–1947): ბიობიბლიოგრაფია, შეადგინა მ. ბარკაია, ე. დოლიძე, თბ., 1976; ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ქ., ს. ჯანაშია – ენათმეცნიერი. – «იკვ», XXIV, თბ., 1985; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე. – ქსე, ტ. 11, თბ., 1987.

გ. ბურჭულაძე.

ჯაფარიძე ზურაბ ნიკოლოზის ძე (19. II. 1930, თბილისი, – 16. VIII. 2000, იქვე), ენათმეცნიერი, ზოგადი ენათმეცნიერების, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის სპეციალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1947). გულაათის აკად. აკადემიკოსი, პროფესორი. 1968–2000 ხელმძღვანელობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის ექსპერ. ფონეტიკის ლაბორატორიას. იყო მრავალი სამეცნ. საბჭოსა და სარ-ბის წევრი, საერთაშორისო სამეცნ. კონგრესებისა და სიმპოზიუმების მონაწილე, სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების კონსულტანტი და ხელმძღვანელი, კითხულობდა ზოგადი და ექსპერ. ფონეტიკის კურსს თსუ-ში.



ზ. ჯაფარიძე.

ჯ-მ 1954 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი კავკასიური ენების სპეციალობით. 1954–57 იყო სსრკ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის ასპირანტი. 1954 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ხუნძური ენის დიალექტოლოგიის საკითხებზე, 1974 – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები“.

ჯ. იკვლევდა ზოგადი და ექსპერ. ფონეტიკის, ზოგადი ენათმეცნ., ქართული ენის ფონეტ. სისტემის, ბავშვთა მეტყველების, ადამიანისა და მანქანის დიალოგის, მეტყველების ანალი'სისა და სინთე'სის, ხუნძური ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის აქტუალურ საკითხებს.

განსაკუთრებულია ჯ-ის როლი ახალი დარგის – პერცეფციული ფონეტიკის შექმნაში. მან ჩამოაყალიბა აღნიშნული დარგის ცნებათა სისტემა და შესაბამისი ტერმინოლოგია, პერცეფციული ფონეტიკის საკითხებ'ზე დაწერა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც გამოვლენილია მრავალი ახ. ფაქტი და კანონზომიერება, ლინგვისტიკის კვლევის სფეროში შემოტანილია ახ. უბანი – ბგერათა აღქმა და მასთან დაკავშირებული ქვეცნობიერი პროცესები; მიღებული შედეგები თანამედროვე ფონოლოგიურ მოძღვრებათა რიგ ფუნდამენტურ დებულებას ეჯექვეშ აქცევს.

ჯ-მ გზა გაუკაფა მეცნიერულად სრულიად შეუსწავლელ სფეროს, რაც ადამიანის ამეტყველების უნარის პირველი ნიშნების გამოვლენას უკავშირდება. ექსპერიმენტის არაორდინარული შედეგებითა და თამამი ინტერპრეტაციით, მან სხვადასხვა ეროვნების ახალშობილთა ტირილის ფიზიკურ მახასიათებლებში სხვაობა მშობლიური ენის ფონეტიკასთან კავშირით ახსნა, რაც დედაენაზე ბავშვის ამეტყველების აუცილებლობას მეტ ბუნებრიობას სძენს.

ჯ. წარმატებით მუშაობდა ქართ. ენის კომპილაციური სინთე'სის საკითხებზე. აქაც ბევრი საინტერესო იდეისა და მიგნების ავტორი იყო.

ჯ-ს ეკუთვნის აგრეთვე წერილების საინტერესო სერია, რ-იც ქართ. ენის სიწმინდის დაცვის საკითხებს ეხება. ამ გონებამახვილურ სტატიებში იგრძნობა მშობლიური ენის ღრმა ცოდნა, დიდი სიყვარული, მწერლური ალღო და ნიჭი.

თხზ.: პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975; Перцептивная фонетика (основные вопросы), Тб., 1985; Некоторые наблюдения над плачем новорожденных разной национальности. – «მეტყველების ანალი'სის საკითხები», VI, თბ., 1982 (=On Spectral Differences in the Cry of Newborns of different nationalities). *გ. კვარაცხელია.*

ჯაჯანიძე პოლიკარპე პარმენის ძე (28. VIII. 1910, სოფ. ინაშაური, ქანის რ-ნი, – გარდ. წელი უცნობია), ენათმეცნიერი. 1930 წარჩინებით დაამთავრა ქუთ. სამრეწველო ეკონ. ტექნიკუმი. 1932–33 მუშაობდა სოფ. გეგუთის ახალგაზრდობის სკოლაში ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად. 1937 წარჩინებით დაამთავრა ქუთ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი, 1940 – ასპირანტურის სრული კურსი. ქართულ ენაში კითხულობდა ლექციებს ჯერ სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტ'ში, ხოლო 1946-იდან – ქუთ. სახელმწ. პედ. ინ-ტ'ში. 1969-იდან იყო ქართ. ენის კათედრის გამგე.

ჯ. ავტორია 60-მდე სამეცნ. შრომისა; იკვლევდა ძვ. ქართ. ენას. საყურადღებოა მისი მონოგრაფია „სმნათა პირველი სერიის ფორმათა წარმოება ახალი აღთქმის წიგნების ერთი ძველი ხელნაწერის მიხედვით“, «გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის „სწავლანის“ ანუ „ოქროს წყაროს“ ახალი ნუსხის აღმოჩენის გამო» და სხვა.

გამოსაქვეყნებლად მოამზადა პირველი ქართ. თარიღიანი ხელნაწერის „სინური მრავალთავის“ (864) სიტყვათა და გრამატ. ფორმათა საძიებელი (სიმფონია-ლექსიკონი). ჯ. დაინტერესებული იყო დიალექტოლოგიის საკითხებით. საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნა გურული და აჭარული დიალექტების თავისებურებებს, რთა საფუძველ'ზედაც მოამ'ზადა ერცული მონოგრაფია „გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებით“ (ქუთ., 1970).

ჯ-მ ცალკე წიგნად გამოსცა „გურული დიალექტი“, რ-ის I ნაწილში წარმოდგენილია ტექსტები, ლექსიკონის მასალები.

ლ. კვანტალიანი.

ჯვართ ენა, შესწღუდული რაოდენობის სიტყვები, რ-თაც ხევსური ხუცეს-ქადაგ-მკითხავნი ღვთისმსახურებისას ხმარობდნენ. ჯ. ე. შეიქმნა რიტუალის გაზებუნებრიევების მიზნით. ამ „ენისათვის“ ნიშანდობლივია არქაიზაცია, სიტყვათა გადატანითი მნიშნელობით ხმარება და კომპოზიცია. სიტყვათა დიდი ნაწილი სახელებია: დედემ'ზელი („დედა“), მამა-მგებარი | მამა-მ'ზელი („მამა“), ბიჭიონი („ქალიშვილი“), ვერცხლის ბურთი | ვერცხლის ღილი („ვაჟიშვილი“), მონაგონი („შვილები“), მუჭანი („ხელები“), საგაგავი („ფეხები“), სახედავი („თვალები“), მალიკა („ენა“), ფერცხებულნი („ბარელი ქალი“), ქოჩრიანნი („რუსები“), სულწმიდა („მიცვალებული“), ცივი („ცხედარი“), ჭიშმარიტი | მეჭიშმარიტე („ხუცესი“), მეენე („ქადაგი“), საოცარი („სიზმარი“), მა-

ნანანი („ცრემლი; ნამი"), ბუბუნა | ჭარმანიში („ხარი"), კიკინმაღალი („თხა"), რქამაღალი („ვაცი"), რქაჯანგიანი („ვერძი"), ჭლიკმირგვალი („ცხენი"), რემა („კეთილი"), მწკაენი („კატა"), მუცლით მქანაური („გველი"); ალვანი | შტომაღალნი („ჯეარის ტყე"), ფერუგლელნი („ფიჭვები"); მზექალი („მზე"), ცვარ-ნამი („წვიმა"), ფიფქნი („თოვლი"), მაშხარა („ცეცხლი"), ბორაგი („დროშა"), თეთრეული („ეერცხლეული"), საქუხარი („თოფი")...

არის ზმნებიც: გააუსუსურებს („მოკლავს"), დაზემს („იტყვის"), გააბუჭრეულებს („გაანადგურებს"), მალიაობს („ლაპარაკობს").

ჯ. ე-ის სიტყვებიდან ზოგი ჩვეულებრივ მეტყველებაშიც (უპირატესად – პოეზიასა და ხმითნატირლებში) იხმარება როგორც ერთგვარი მხატერულ-სტილისტიკური სამკაული.

ლიტ.: ონიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954. *ალ. ჭინჭარაული.*

ჯვრის მონასტერი, შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი პალესტინაში. აშენდა XI ს. – 1030–50-იან წლებში იერუსალიმის მახლობლად (ამჟამად ქალაქის ფარგლებშია მოქცეული). ახ. სამონასტრო ცენტრის შექმნას (იხ. *პალესტინის ქართული მონასტრები*) გარკვეულმა ფაქტორებმა შეუწყო ხელი. სახელდობრ, XI ს-ის I ნახ-ში პალესტინაში მდგომარეობა შეიცვალა. შეიქმნა ინტენსიური სამონასტრო ცხოვრების პირობები. აქ მოღვაწე ქართველთა შორის გაჩნდა აზრი, დაეარსებინათ ახ., მძლავრი კერა, რ-იც წარმართავდა მათ ცხოვრებასა და საქმიანობას პალესტინაში და აღადგენდა დაკარგულ პოზიციებს. ამ იდეის აღორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აგრეთვე იმდროინდელი საქართველოს პოლიტ. აღმაელობა და ის ახ. ორიენტაცია, რ-იც ქართ. ეკლესიამ აირჩია, კერძოდ, მისი გადასელა ე. წ. კონსტანტინოპოლურ წესზე, ანუ ბიზანტიის საეკლესიო-სარწმუნოებრივ ტრადიციაზე, რაც საქართველოს ბიზანტ. კულტურის ათვისებას უკადდა. ახალი კერა თავიდანვე შეუდგა ამ ორიენტაციის დამკვიდრებასა და განმტკიცებას.

იერუსალიმის ჯ. მ-ის მშენებლობა დაკავშირებულია აღრე საბას ლავრაში მოღვაწე შავშელი ბერის – გიორგი-პროხორეს სახელთან, რ-იც ხელმძღვანელობდა მონასტრის მშენებლობას და წარმართავდა მის საქმიანობას XI ს. 60-იანი წლების დამდეგამდე. საფიქრებელია, გიორგი-პროხორეს შემწეობით და მითითებითაც კი ჯვარელ მოღვაწეს გაბრიელ ტფილელს (შემდეგში – შეპანელს) აეშენებინა მეორე ქართ. სკრიპტორიუმი – შეპანის უდაბნო (ტრანსიორდანია), რთანაც ჯ. მ-ს მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონია (ე. მეტრეველი).

დაარსებისთანავე ჯ. მ. გახდა ქართველთა ძირითადი კულტ.-საგანმ. და მწიგნობრული კერა პალესტინაში. იგი მესვეურობდა ქართ. კოლონიის ცხოვრებას, იცავდა ქართველთა უფლებებს და საქართველოს პოლიტ. პრესტიჟს. ამიტომ ჯ. მ-ის ეკონომ. და უფლებრივ მდგომარეობაზე ზრუნავა ქართ. სახელმწიფოს პოლიტ. და კულტ. პროგრამის ნაწილი გახდა, რითაც აიხსნება ის დიდი მატერ. და მორალური მხარდაჭერა, რ-იც მონასტერს ჰქონდა საქართველოდან. მაგრამ, მიუხედავად სახელმწ. ზრუნვისა, მას მრავალგზის დასდგომია მძიმე პერიოდები. მონასტრის ისტორია არის ჯაჭვი დაკარგული უფლებებისა და პოზიციების აღდგენისათვის წარმატებული თუ წარუმატებელი ბრძოლისა, რ-იც XVIII ს-ში მონასტრის ბერძენთა ხელში გადასელით დასრულდა.

გიორგი-პროხორემ ჯერ კიდევ მონასტრის მშენებლობის პროცესში ნაუყარა საფუძველი წიგნსაცავს, რ-ისთვისაც მისი დაკვეთითა და მზრუნველობით პალესტინისა და სხვა რეგიონების საეკლესიო სახელოსნოებში მზადდებოდა ხელნაწერები. ეს პროცესი შემდეგ გაგრძელდა თვით ჯ. მ-ში; ინიციატორი და ხელშემწყობი თავად გიორგი-პროხორე იყო. ჯ. მ-ში მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობრები, კალიგრაფები და შემმოსველები, რ-თა ხელით არის გადაწერილი და დამზადებული სას. მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. აქ გადაიწერა გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და სხვ. თხზულებანი, დეკემბერ-თებერელის „თვენი" და ა. შ. გიორგი-პროხორეს თაოსნობით შეიქმნა „პალესტინის პატერიკის" ქართული ნუსხა, რ-იც მრავალი ძეგლის თარგმანს შეიცავს. გიორგი-პროხორეს სიცოცხლეში დამზადებულ ხელნაწერთაგან ცნობილია აგრეთვე პარაკლიტონი (1061) და სახარება (1062). მწიგნობრული საქმიანობა მონასტერში შემდეგაც გრძელდებოდა. XI ს. II ნახ-ში დამზადდა სვინაქსარი, რ-შიც შეტანილია როგორც აღაპები, ისე ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული „წამება-ცხოვრების" ტექსტები. 1141–56 აქ გადაიწერა „სტოლიერი", 1155 – გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარი. მონასტერში იქმნებოდა ორიგინალური თხზულებებიც: „პროხორეს ცხოვრება" (XI ს.), „ლუკას წამება" (XIV ს.), „ნიკოლოზ დვალის წამება" (XIV ს.) და სხვ. მრავალი. სამონასტრო ბი-კის შევსება, მიუხედავად მონასტრის მრავალგზის ღარბევისა და სამონასტრო ცხოვრების შეფერხებისა, გრძელდებოდა XVIII ს-მდეც კი. მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში იშვიათი მრავალფეროვნებითა და სისრულით აისახა ქართ. სას. მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირისა და სხვ. მოღვაწეთა შემოქმედება. სწორედ ამ კოლექციის წყალობით შემორჩა ქართ. მწერლობასა და ისტორიას მრავალი ლიტ. თუ ისტ. ძეგლი. საკმარისია დავასახელოთ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", იოანე მინჩხის შემოქმედება, მრავალტომიანი საგალობლების კრებულის – „თვენის" პირველი რედაქცია, მთელი რიგი აგიოგრაფიული თხზულებები და სხვ. იერუსალიმური კოლექციის უნიკალურობას მოწმობს ხელნაწერებზე შემორჩენილი, მდიდარი ინფორმაციის შემცველი ანდერძ-მინაწერები, ასევე სხვადასხვა დროის

მრავალრიცხოვანი ისტ. ხასიათის მინაწერი და მოსახსენებლები. ეს მასალა უმნიშვნელოვანესი წყაროა ისტ.-ლიტ. საკითხების კვლევისათვის. მონასტრის კოლექციის ძირითადი ნაწილი ამჟამად იერუსალიმის საპატრიარქო ბ-კაშია დაცული. ბევრი ხელნაწერი, რ-ებიც ოდესღაც ჯ. მ-ის წიგნსაცავის (ან სხვა საეკლესიო) კუთვნილება იყო, დროთა ვითარებაში დაიკარგა. XVIII ს. შემდეგ ერთი ნაწილი გაიტანეს იერუსალიმიდან და ამჟამად სხვადასხვა (თბილისის, ქუთაისის, პეტერბურგის, ვენის, პარიზის, ლონდონის, ოქსფორდის, ვაშინგტონის, კრაკოვის) წიგნსაცავებშია მოხვედრილი. სხვადასხვა დროს საქართველოში ჩამოიტანეს აგრეთვე იერუსალიმის კოლექციის მრავალი ხელნაწერის მიკროფირი, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა წარმატებული კვლევა ქართველოლოგიის დარგებისა.



ს. ჯიქია.

ჯ. მ. საკმაოდ სრულად არის შესწავლილი (ტ. გაბაშვილი, გ. ავალიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, პ. უსპენსკი, რ. ჟანენი, კ. კეკელიძე, მ. თარხნიშვილი და სხვ.). იერუსალიმის ქართ. კოლექცია მეტნაკლები სისრულით აღწერეს ნ. ჩუბინაშვილმა (1845), ა. ცაგარელმა (1883), ნ. მარმა (1902). ბოლო აღწერის (1924–26) მიხედვით, რ-ც რ. ბლეიკს ეკუთვნის, კოლექცია 158 ქართ. ხელნაწერს ითვლის. ამჟამად ხელნაწ. ინ-ტში გამოსაცემად მზადდება იერუსალიმის კოლექციის ერცელი მეცნ. აღწერილობა.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962; მ ი ს ი ე ვ ე, შეხანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში. – «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), V, თბ., 1975; მ ე ნ ა ბ დ ე ლ ი, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.

ლ. ხეცურიანი.

ჯიქია სერგი სიმონის ძე [20. X (1. XI) 1898, სოფ. ონოღია, მარტვილის რ-ნი, – 6. XII. 1993, თბილისი], აღმოსავლეთმცოდნე, თურქოლოგი. ფილოლ. მეცნიერებათა დოქტორი (1956), პროფესორი (1958), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), მეცნ. დამსახურებული მოღვაწე (1961). 1923 დაამთავრა თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი ენათმეცნიერების განხრით. სტუდენტობის წლებშივე (1923) აირჩიეს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ წევრად. 1926 ა. შანიძის წინადადებით დატოვეს თსუ-ში თურქ. ფილოლოგიაში პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1927–29 სტამბოლის უნ-ტის მსმენელი იყო. 1929–32 – ნ. მარის სახ. ენისა და აზროვნების ინ-ტის ასპირანტი. პარალელურად, 1930–36. დოცენტის სტატუსით, კითხულობდა თურქ. ენას ლენინგრ. უნ-ტსა და აღმოსავლურ ენათა სახელმწ. ინ-ტში. 1934–36 იყო ენისა და აზროვნების ინ-ტის პირველი თანრიგის მეცნ. თანამშრომელი. 1936 დაბრუნდა თბილისში და დაიწინა თსუ-ის აღმოსავლურ ენათა, 1945-იდან კი თურქოლოგიის კათედრის გამგედ, რ-საც განაგებდა 1973-მდე. იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის პირველი დეკანი (1945–53) და ქველა თურქოლოგიური დისციპლინის პირველი ლექტორი. პარალელურად მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტის მახლობელი აღმოსავლეთის ენების განყ-ბის უფროს მეცნ. თანამშრომლად. 1960-იდან გარდაცვალებამდე აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში ხელმძღვანელობდა თურქოლოგიის განყ-ბას. იყო საქართვ. ისტორიის უცხოური წყაროების კომისიის თურქ. სერიის რედაქტორი, სსრკ მეცნ. აკადემიასთან არსებულ თურქოლოგთა საბჭოს კომიტეტის, ქსე-ის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნ. საბჭოების მუშაობაში.

ჯ-ს გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი. მრავალმხრივი იყო მისი სამეცნ. მოღვაწეობა: ქართ.-თურქ. და ქართ.-აზერბ. ენობრივი და კულტ.-ისტ. ურთიერთობანი, აღმ. ანატოლიისა და აზერბ. დიალექტები, ოსმ. ენის ისტ. საკითხები, ლაზური ტექსტების ნაწერა და თურქ.-ლაზური თუ თურქ.-სომხ. ენობრივი კონტაქტების დადგენა, საქართვ. ისტ. გეოგრაფია და ონომასტიკონი, ქართ.-თურქ. და თურქ.-ქართ. ლექსიკონების, თურქ. ქრესტომათიებისა და აზერბ. სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენა, საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის შესახებ ისტ. ცნობების შემცველი ოსმ. დოკუმენტების, ნარატიული წყაროებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების პუბლიკაცია-კომენტირება, ოსმ. დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის საკითხების კვლევა. 1926–27 და 1931–36 შეისწავლა მესხეთის თურქულენოვანი მოსახლეობის ენობრივი თავისებურებები. ჯ-ს მიერ ნაწერილ ტექსტებსა (ან მეტყველების ნიმუშებს) და სტატიებს – „Об одном морфологическом явлении в ахалцихском наречии анатолийского турецкого языка“, „ბრძანებითი კილოს წარმოებისათვის აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში“, „მესხეთის ქართული მოსახლეობის თურქული მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“ – გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე. წ. „თურქი მესხების“ რეპატრიაციის სწორად წარმართვისათვის. სტატიებით – „კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში“, „ლაზური სიტყვის წარმოშობისათვის“, „შენიშვნები „სიმინდ – სემიდალის“ შესახებ“, „აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან“, „აღმოსავლური წარმოშობის ზოგიერთი სიტყვის განმარტება“, „ერთი ფონეტიკური კანონზომიერებისათვის ქართულში“, „О грузино-азербайджанских языковых взаимоотношениях“ – გაირკვა, რომ ქართულიდან თურქულსა და აზერბაიჯანულში შესულა ძირითადად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ტერმინები, ქართულში კი ამ ენებიდან შემოსულია მეცხოველეობასა, მეთევზეობასა და კულინარიასთან დაკავშირებული ლექსემები. ჯ-ს ვარაუდით, ტერმინი „არგონავტი“ მომდინარეობს ტოპონიმიდან ეგრისი // აგრისი // აგროში. მრავალმხრივ საყურადღებოა ლინგვისტური გამოკვლევები: „ელია ჩელები (XVIIს.) ლაზურისა და ლაზების შესახებ“ (1954), „თურქული ლექსიკური კალკები ლაზურში“ (1964), „თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში“ (1967), „თურ-

ქული ბგერათგადმოცემისათვის ლაზურში“ (1974), „თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში“ (1975). თურქ. ენის ისტ. ფონეტიკის, მორფოლ. და ლექსიკის, ისტ. დიალექტოლოგიის შესასწავლად უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ქართული ანბანის ნიშნებით დაწერილი „XVIII ს-ში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი“. ჯ.-მ გამოაელინა თურქ. წარმომავლობის სომხური გვარები, ორჯერ გამოსცა ქართ.-თურქ. და თურქ.-ქართ. ლექსიკონები, თურქ. ქრესტომათიები. სტატიაში „XVIII საუკუნის თურქული წარწერა ქუთაისიდან“, სხვა მნიშვნელოვან ისტ. ფაქტებთან ერთად, დაადგინა, რომ გრაფი კუტაისოვები იქნენ კიკიანები – ქართვ. ახნაურები ქუთაისიდან.

საერთაშორისო მასშტაბით „უმაღლესი რეპუტაციის თურქოლოგის“ სახელი მეცნიერს მოუტანა სიაკათის კრიპტოგრაფიული ხელით დაწერილი ფისკალური წიგნის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ პუბლიკაციამ: წიგნი I. ოსმალური ტექსტი (1947), წიგნი II. ქართული თარგმანი (1941), წიგნი III. გამოკვლევა – ხელნაწერის აღწერილობა, შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (1958). IV წიგნი – „ქართული საკუთარი სახელების გადმოცემა თურქულ ტრანსკრიფციაში“– დღემდე გამოუქვეყნებელი რჩება. დიდი რეზონანსი ჰქონდა ნაშრომს „იბრაჰიმ ფეხვეის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ (1964). ჯ.-მ ამოიკითხა და პირველად გამოაქვეყნა მრავალი ოსმ. დოკუმენტის – ფირმანების, პუქმების, ბერათების, ჰუჯათების და სხვ. ქართ.-თურქ. ისტ. ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტის მეცნ. ტექსტი. გამოსაცემად მომზადებას საჭიროებს ს. ჯიქიას უკანასკნელი ფუნდამენტური ნაშრომი „თბილისის (ქართლის) ვილაიეთის დიდი დავთარი“.

ლიტ.: წერეთელი გ., სერგი ჯიქიას ცხოვრება და მოღვაწეობა. – «აღმოსავლური ფილოლოგია», III, თბ., 1973; სერგი ჯიქია. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ი. დუდუჩავა, თბ., 1984; აბულაძე ც., აკადემიკოსი სერგი ჯიქია. – «ენათმეცნიერების საკითხები», 1999, №1; Кононов А. Н., Гамкрелидзе Т.В., Сергей Симонович Джикия. – «Советская тюркология». Баку, 1978, №5. *ც. აბულაძე.*

ჯორბენაძე ბესარიონ არკადის ძე [31. VIII. 1942, თბილისი, – 10. V. 1993, იქვე], ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1981), საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988). 1964 დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი. 1962–64 პარალელურად სწავლობდა ლიტვის სახელმწ. უნ-ტში. 1969-იდან იყო თსუ ახ. ქართ. ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგე, ენათმეცნ. ინ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბის გამგე (1982–85), თსუ ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი (1985–87); 1987-იდან გარდაცვალებამდე – ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი.

ჯ. იყო ენათმეცნ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე, ინსტიტუტთან არსებული სამეცნ.-საატესტაციო საბჭოს თავ-რის მოადგილე, ჟურნ. „იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერების“ მთ. რედაქტორი, ჟურნ. „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერია) რედაქტორის მოადგილე; საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული იბერიულ-კავკ. ენათა სამეცნიერო საბჭოს თავ-რე, ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საბჭოს თავ-რე, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისიის თავ-რის მოადგილე.

1988–89 ხელმძღვანელობდა კომისიას, რ-მაც შეიმუშავა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ (დამტკიცდა 1989 აგვისტოში).

ჯ. იყო დამაარსებელი და ხელმძღვანელი თსუ ფილოლ. ფაკ-ტისა და ენათმეცნ. ინ-ტის მუდმივმოქმედი სემინარისა – „საენათმეცნიერო საუბრები“. მისი რედაქტორობით გამოიცა ამ სემინარის 3 კრებული (1978, 1980, 1983).

ჯ. 130-ზე მეტი სამეცნ. შრომის (მათ შორის 14 მონოგრაფიის) ავტორია. მისი სამეცნ. მუშაობა მრავალმხრივი იყო: იკვლევდა ქართ. ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკვანძო საკითხებს, ჰმნისა და სახელის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის არსებით მომენტებს, ქართ. დიალექტოლოგიის ზოგად პრობლემებსა და თავად დიალექტებს, ქართველურ ენათა ფონემატურ, გრამატ. და ლექსიკურ თავისებურებებს, ზოგადი და ქართ. ონომასტიკის აქტუალურ საკითხებს, მხატვრული ტექსტის მეცნ. ანალიზის პრინციპებს.

1996 მონოგრაფიისათვის „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ. I), მინიჭა ა. შანიძის სახელობის პრემია.

თხზ.: ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975; ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980; ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983; ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985; ბალაკარი მწერლობისა, თბ., 1987; ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988 (თანაავტ.: მ. კობაიძე, მ. ბერიძე); ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1989, ტ. II, თბ., 1997; ონომასტიკური გულანი, თბ., 1993; ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995; ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995; ენა და კულტურა, თბ., 1997; Грузинский глагол, Тб., 1986; The Kartvelian Languages and Dialects (General Review), Tbilisi, 1991. *გ. გოგოლაშვილი.*



ბ. ჯორბენაძე.

ჯორჯუნ XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი სანხვრის რ-ნში. მონასტრის კედლებზე ლაპიდარული წარწერებია.

ჯ-ის მონასტერი კულტ.-საგანმ. საქმიანობის კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ დიაკონ-მონაზონი მაქსიმე, რ-მაც გადაწერა იოანე ოქროპირის სწავლანი 1785 (K №47); იოანე საქარიას ძე გაბაშვილი, რ-მაც გადაწერა სათნოებათა ყვავილი (K №61) და მამათა სწავლანი (K №64) 1788, იოანე სინელის კლემაქსი (K №55) და ა. შ; ბიბლიოფილი მიტროპოლიტი დავით ზურაბის ძე წერეთელი (H №№1516, 1670, 1671, 1683).

ჯ-ის მონასტერში არსებობდა წიგნსაცავი, რ-იც მდიდრდებოდა შეწირულებით. მაგ., კათალიკოსმა იოსებმა 1765 შესწირა პალავრაში გადაწერილი (1040) ძვირფასი ხელ-

ნაწერი (H №1662), მიტროპოლიტმა ექვთიმე გელათელმა – იოანე სინელის კლიმაქსი (H №1669) და სხვ. ჯ-ის მონასტრიდან მოღწეულია მრავალი ხელნაწერი, რ-თაგან საყურადღებოა შატბერდის სახარება 936 (H-1660), პალაურის კრებული 1040 (H №1662), გოლგოთის სვინაქსარი 1156 (H – 1661), ოთხთავი XII–XIII სს. (H №1667) და სხვ.

ლიტ.: მ უ ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.

ლ. მენაბდე.



ჰ, ქართული ანბანის ოცდამეცამეტე (იე. ქართ. ანბანის ოცდამესვიდმეტე) ასო. მისი სახელია „ჰაე"; გრაფ. სიმბოლო ლარინგალური ფშვინვიერი ნაპრალოვანი თანხმოვნისა. Ჲ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხასებისა და რკალის კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური ⴓ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნიე გადახრილი. მას ორი შუა ხაზი უკავია. მხედრულ ჰ-ს მომრგვალებული ფორმები აქვს და ზედა სამ ხაზში იწერება:



იე. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ცხრა ათასს (9000).

ჰაემეტობა, VII–VIII სს. ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენის გვიანდელი შეფასებითი ტერმინი, როცა ს-ის მსგავსად, ჰ- პრეფიქსის ხმარებაც II სუბიექტ. და III ობიექტ. პირების ნიშნად (ჰ-უთხრათ, ჰ-უშინოდა), ზედსართაული სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში (ჰ-უმჯობჱ-ს) და ინიან ვნებიოებში (ჰ-იყო, ჰ-იქმნა) გაიგება ზედმეტად, არასაჭიროდ.

ტერმინი „ჰაემეტი" „ხანმეტის" ანალოგიით შექმნა ა. შანიძემ (იხ. *ხანმეტობა*), როცა ამოიკითხა პალიმფსესტური ხელნაწერის (H-1329) ქვეშა ფენაში დაცული VIII ს. ოთხთავის საკითხავების ტექსტი „იერუსალიმის განბინებისა". ჰაემეტი ფორმები გვხვდება 616–619 *წყისის წარწერაში* (აღჰუმაროს), ასევე 897 *ადიშის ოთხთავში* (ჰემტერა, ჰჳცაე, ჰეეედრებოდეს). ცალკეული ჰაემეტი ფორმები საკმაოდ გვხვდება ძვ. ქართ. ენის სხვადასხვა ძეგლებში (7 ფორმაა დადასტურებული „ხანმეტ ლექციონარში", 3 – ხანმეტ „იერემიას წინასწარმეტყველების" კემბრიჯულ ფრაგმენტში).

VIII–IX სს. მიჯნიდან ჰ-ასიმილაციით ს-დ იქცევა დ თ ტ ძ ც წ, ან შ-დ ჯ ჩ ჭ თანხმოვნების წინ, ანდა საეროდ იკარგება ხმოვნების წინ. ამ პერიოდის ძეგლებში ხშირია ჰ-ს ან მისი შემცველი ს ბგერის აღგილას კონტამინაციური მრნობლი ჰს დაწერილობაც (ჰსტირი).

ა. შანიძის მიერ ამოკითხული პალიმფსესტური ტექსტის მიჩნევა ცოცხალი ჰ-ს ამსახველად შეუძლებელია. მისი აზრით, ამ ტექსტებს ჰაემეტი პირობითად შეიძლება ეწოდოთ, ფაქტობრივ, ისინი სან-ნარეკ ტექსტთა უძველესი ნიმუშებია.

IX–X სს. ხელნაწერებში გამოვლენილია ჰაემეტობის გადმონაშთები, რ-ებიც მიგვანიშნებენ, რომ ჰაემეტი ძეგლების კორპუსი მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ირკვევა, რომ ქართ. ენისა და ლიტ-რის მრავალი საკურადღებო ძეგლი გადაწერილია ჰაემეტი დედნიდან.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ჰაემეტობა ადიშის ოთხთავში. – თხზ., ტ. 2, თბ., 1981; მ ი ს ი ე ვ ე., ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1923, ტ. 3; შ ა ნ ი ძ ე მ., ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის ერთ სინურ ხელნაწერში. – «კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», თბ., 1959, ტ. 1; ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში. – «ჰერმა», 1968, ტ. 52, №1; დ ა ნ ე ლ ი ა ქ., ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

ქ. დანელია.

ჰაპლოლოგია (ბერძნ. haploos – მარტივი და logos – მოძღვრება), კომბინატორული ბგერათცვლილების, კერძოდ, *დისიმილაციის*, ერთ-ერთი სახე; ორი, უშუალო მეზობლობაში მყოფი, ერთნაირი არტიკულაციიდან ერთის ამოვარდნა ზეპირ მეტყველებაში, მაგ., ფეხშველა < ფეხშიშველა; ანალოგიური შემთხვევები დასტურდება სალიტ. ენაშიც ე. წ. ჰაპლოგრაფიის დროს, როდესაც სიტყვის ორი ერთნაირი მონაკვეთიდან ერთი ამოვარდება. ასეა, მაგ., სიტყვებში: მინერალოგია – ნაცვლად მინერალოლოგიისა, მორფოლოგია – ნაცვლად მორფოფონოლოგიისა.

ჰ-ისა და ჰაპლოგრაფიის საპირისპირო პროცესებია ასიმილაციის სახე – დიტოლოგია (ზეპირ მეტყველებაში) და დიტოგრაფია (წერით მეტყველებაში), როდესაც სიტყვაში ხდება ერთი ან რამდენიმე ელემენტის გამეორება, მაგ., მეთოდოლოლოგია < მეთოდოლოგია.

ასიმილაციისა და დისიმილაციის აღნიშნული სახეები, ჩვეულებრივ, გვხვდება მორფემათა გასაყარზე.

ნ. ინანაძე.



ა. ქ. ჰარისი.

ჰარისი (Harris) ალის კარმაიკლ (დ. 23. XI. 1947), ამერიკელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგ-კავკასიოლოგი, პროფესორი. დაამთავრა ჰარვარდის უნ-ტი. მუშაობდა ჯ.ერ ვანდერბილტის (ტენესი), შემდეგ – ნიუ-იორკის (ამჟამადაც იქ მუშაობს) უნ-ტებში. იკვლევს ქართველურ (ქართულ, მეგრულ, სვანურ) და მთის კავკ. (უდიურ) ენებს. ავტორია მონოგრაფიებისა: „ქართული სინტაქსი: რელაციური გრამატიკის თვალსაზრისით“, Cambridge. 1981; „დიაქრონიული სინტაქსი. ქართველური ბრუნვა“. – «სინტაქსი და სემანტიკა», 18. New York. 1985; „ისტორიული სინტაქსი ენათა გადაკეთების პერსპექტივაში“ (ლილ კამპბელთან ერთად), Cambridge, 1995.

ქართველურ-კავკ. ენათა შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებს შორის აღსანიშნავია: „რიცხვში შეთანხმება თანამედროვე ქართულში“, 1978; „ერგატივიდან აქტიურისაკენ ქართულში“, 1982; „კითხვითობა. ქართული ენა“, 1984; „სერიის ნიშნების წარმომავლობისათვის ქართველურ ენებში“, 1984; „არტიკლისაგან ნაწარმოები ბრუნვები ქართველურ ენებში და ენობრივი უნივერსალიები“, 1988; „ქართველურ ენათა ისტორიის მიმოხილვა“, 1991; „მეგრული“, 1991 (ქველა ინგლისურად) და სხვ.

ჰ. რედაქტორია წიგნისა: The Indigenous Languages of the Caucasus (კავკასიის მკვიდრთა ენები), vol. I: The Kartvelian Languages (კავკასიის ადგილობრივი ენები. I. ქართველური ენები), Delmar, N.Y., 1991.

შ. აფრიდონიძე.

ჰეტეროგენურობა (ბერძნ. heterogenes – სხვადასხვაგვარი), ბგერათა სხვაობა რაგვარობის მიხედვით. ჰეტეროგენურია, მაგ., ბ და ზ თანხმოვნები, რადგანაც ბ ხშულია, ხოლო ზ – ნაპრალოვანი; ასევეა დ და ჟ, რ-თაგან დ ხშულია, ჟ კი – ნაპრალოვანი და ა. შ.

ნ. კიზირია.

ჰეტერორგანულობა (< ბერძნ. heteros – სხვა, სხვანაირი და ორგანო), ბგერათა სხვაობა საწარმოთქმო ადგილისა და ბგერის წარმოქმნაში მონაწილე ორგანოების მიხედვით. ჰეტერორგანულია, მაგ., ბ და დ, ფ და თ, პ და ტ..., რადგანაც ბ ფ პ ბგერების არტიკულაციისათვის დამახასიათებელია ბაგეების ხშვა, დ თ ტ ბგერებისათვის კი – ხშვა წინა კბილების სურგსა და წინა ზედა საჭრელ კბილებს შორის.

ნ. კიზირია.

ჰიატუსი (ლათ. hiatus – ნაპრალი, პირის გაღება). ღიაობა, ორი ან მეტი ხმოვნის უშუალო მეზობლობა, როდესაც მოლაპარაკე იძულებულია ამ ხმოვანთა არტიკულაციებს შორის შეინარჩუნოს ჰაერის თავისუფალი გასასვლელი. განასხვავებენ ორი სახის ჰ-ს – შინაგანსა და გარეგანს. შინაგანი ჰ. ერთი სიტყვის შიგნითაა, მაგ., თეატრი, დაუსატა და ა. შ. გარეგანი ჰ. ორი სიტყვის საზღვარზე გვხვდება, როცა წინა სიტყვა მთავრდება ხმოვანზე და მომდევნო სიტყვა იწყება ხმოვნით, მაგ., ჩიორა აჭიკჭიკდა, წიგნი უკიდა. ზოგ ენაში დასტურდება ჰ-ის თავიდან აცილების სხვადასხვა გზა.

ნ. კიზირია.

ჰიდრონიმი (ბერძნ. hydōr – წყალი და onyma – სახელი), ბუნებაში არსებული, ადრეთვე ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი ისეთი გამდინარე ან გაუმდინარე ჰიდროობიექტების სახელწოდებები, როგორიცაა: ოკეანე, ზღვა, ტბა, მდინარე, ღელე, ფშანი, წყარო, წყალვარდნილები; დიდი და მცირე წყალსატევები, სანავიგაციო და სამეურნეო დანიშნულების არხები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი...

წარმოქმნის თვალსაზრისით ჰ-ები ტოპონიმებისაგან არსებითად არ განსხვავდება; ენა მათი გაფორმებისას იყენებს იმავე მორფოლ.-სადერივაციო ელემენტებს, რ-ებიც ტოპონიმთა წარმოების პროცესში გვხვდება. ამიტომაც ითვლება ჰიდრონიმია ტოპონიმიის შემადგენელ ნაწილად, მის განუყოფელ დარგად. ჰ-ები, ტოპონიმთა მსგავსად, სამ სტრუქტურულ ჯგუფს ქმნიან:

ა) მარტივფუძიანი სახელები: აბაშა, არაგვი, თერგი, ილორი, ლიახვი, მტკვარი, რიონი, სულორი, ქსანი, ჭოროხი, ხრამი...

ბ) წარმოქმნილი (კონფიქსიანი) სახელები: ალგ-ეთ-ი, გუბაზ-ეულ-ი, ზი-ეთ-ი, ნარდ-ევან-ი, ო-ქაჯ-ე, ო-ხოჯ-ა, რიც-ეულ-ა, სა-მარჭვი-ხოლ-ო, სა-ქუხ-ეთ-ი, სა-წურბილ-ე// სა-წურბლ-ია, ტაბ-ნარ-ა, ტან-ა, ქერ-შავ-ეთ-ი, ქც-ია, ღელიქ-ეთ-ი, ქვირილ-ა, ჩალ-იან-ი, წუბრ-ოვან-ი.

გ) თხზული (ორ- და მეტფუძიანი) სახელები: აჭარისწყალი, ბაზალეთის ტბა, გუფთის წყარო, დიდი ლიახვი, თეთრი არაგვი, ინჯისწყალი, ლეღვთახევი, ლოჭინის ხევი, მარნისხევი, მესტიაჭალა, მლაშე ტბები, ორწყალი, პალიასტომის ტბა, სამწყარო, სიონის წყალსაცავი, უჩალალი, ქართისწყალი, ღალიძგა, ღებისწყალი, შავწყალა, შავწყაროს წყალი, შაორის წყალსაცავი, ცხენისწყალი, წეერწყნის ღელე...

ჰ-თა შორის ხშირად გვხვდება რთული შედგენილობის -ურ-ა (რაც-ნარევ ფუძეებთან დისიმილირებული -ულ-ა) სუფიქსი, რ-იც მხოლოდ პატარ-პატარა მდინარეხეობების სახელწოდებებში ისმის თავს. დიდი წყალუხვი მდინარეების სახელებში -ურ-ა (//-ულ-ა) სუფიქსი, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. ამ ტიპის ჰიდრონიმები ნაწარმოებია იმ გეოგრ. ობიექტების (სოფელი, მთა. ხეობა...) სახელებისგან, რ-თა სიახლოვესაც ისინი მოედინებიან: არტანი – არტნ-ულ-ა, დვირი – დვირ-ულ-ა, ზვარე – ზვარ-ულ-ა, (მ)ლაშე – ლაშ-ურ-ა, ნეძვი – ნეძ-ურ-ა, რიკოთი – რიკოთ-ულ-ა, საირხე – საირხ-ულ-ა, საკრაეე – საკრა-ულ-ა, ქვედი–ქვედ-რ-ულ-ა, შარახევი – შარახე-ულ-ა, ჩარგალი – ჩარგლ-ურ-ა, ჩიხა – ჩიხ-ურა, ცხრაძმა – ცხრაძმ-ულ-ა, ხეკორძი –ხეკ-ორძ-ულ-ა, ხოტევი – ხოტე-ურ-ა...

-ურ-ა //-ულ-ა დერივაციული სუფიქსის ასეთი გაერცელებულობის გამო სპეციალისტთა ერთ ნაწილს (ფ. მაკალათია, შ. აფრიდონიძე, ჰ. ცხადაია...) იგი საკუთრივ ჰიდროფორმანტად მიაჩნია, თუმცა ეგეეე სუფიქსი ტოპონიმიაშიც დასტურდება, ძირითადად სოფლების სახელწოდებებში: ეელ-ურ-ა (სოფელია ახალგორის რაიონში), დამხრე-ულ-ა (სოფელია ხაშურის რაიონში), ზარაგ-ულ-ა, მახურ-ა (სოფლებია ცაგერის რაიონში), მელ-ურ-ა (სოფელია მესტიის რაიონში)... ამ ენობრივი ფაქტის გათვალისწინებით შეიძლებოდა -ურ-ა (//-ულ-ა) სუფიქსი ზოგადად ობიექტის კუთვნილება-წარმომაელობის აღმნიშვნელ დერივატად მიგვეჩნია.

ზოგიერთი სპეციალისტი ჰიდრონიმად თვლის სინოტივე-სისევე-

ლის, ტენიანობის შემცველ ობიექტთა საკუთარ სახელებსაც: ბუქბუქა წყარო, საფლობი, ზანზარა კოდა, დათვის საწუმპე, საფლობის სვანი, ჭუჭყიანი, ლელიანხევი, ჭყანტობი (//ჭყანტიანი) და მისთ. ამ ტიპის სახელები მიკროტოპონიმთა შორის უნდა განიხილებოდეს.

ჰიდრონიმული ტერმინები: აბანო, ვეძა, მდინარე, რუ, ტბა, წყალი, ხევი... ტოპონიმებთან შეერთებისას, წესისამებრ, კარგავენ ჰიდრონიმულ მნიშვნელობას და ჩვეულებრივ ტოპონიმთა რკალში ექცევიან. საფიქრებელია, რომ დიდრუვი, დედოფლის წყარო, თეთრი წყარო, კოდისწყარო, მელისწყარო, ორწყალი, რუისთავი, ღრმაღელე, შარახევი, წყალთაშუა, წყალწმინდა, წყალტუბო, წყარაფორეთი და მისთ. სახელწოდებები ტოპონიმებია და არა ჰიდრონიმები.

ჰიდრონიმთა ეტიმოლოგიურ ანალიზს ძირითადად ექვემდებარება მიკროჰიდრონიმები, რამდენადაც მათი უმეტესობა გამჭვირვალეა და ხშირ შემთხვევაში გვიანდელი ხანის წარმონაქმნია. რაც შეეხება დიდი, წყალუხვი მდინარეების სახელებს (მტკვარი, რიონი, ჭოროხი, არაგვი, თერგი, ილორი, სულორი, ქსანი...), ისინი ეტიმოლოგიურ ანალიზს ნაკლებად ან საერთოდ არ ექვემდებარებიან. ეს ფაქტი მაკროჰიდრონიმთა სიძველეზე მეტყველებს.

ლიტ.: ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ჰიდრონიმია. – წგ.: ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980; კემულარია მ., ქვემო იმერეთის ჰიდრონიმია. – კრ.: „საქართველოს ტოპონიმია", II, თბ., 1999; მელიქიძე ს., ქართლის ჰიდრონიმია. – იქვე; ცხადაია პ., ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია. – იქვე; Топоров В. Н., Трубачев О. Н., Лингвистический анализ гидронимов Верхнего Поднепровья, М., 1962; Улуханов И. С., Происхождение названия Волга. – კრ.: Изучение географических названий, М., 1966.

გ. ბედოშვილი.

ჰიპერბოლა (ბერძ. hyperbolē – გაზვიადება, გადაჭარბება), ტროპის სახე, რ-იც საგნის, მოვლენის ხასიათის ან თვისების რომელიმე მხარეს განგებ გაზვიადებულად გამოხატავს.

ჰ. ძალზე გავრცელებულია როგორც ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში („თვალის დახამხამებაში", „მილიონჯერ მითქვამს"...), ისე მხატვრულ ლიტ-რაში, სადაც მას დიდი გამომსახველობითი ძალა ენიჭება:

„კაცი კაცსა შემოვსტყორცი, / ცხენ-კაცისა დავდგი გორი; / კაცი, ჩემგან განატყორცი / ბრუნავს, ვითა ტანაჯორი...;" (შოთა რუსთ.).

ჰ. არ უნდა აირიოს ემფაზისში, რ-იც აღნიშნავს მხოლოდ დისპროპორციას, ერთი მხრივ, რეფერენტებს, სიტუაციას, კონტექსტსა და, მეორე მხრივ, მათ გამოხატვას შორის.

ჰ-ის საპირისპირო პროცესია *ლიტოტესი*.

ც. ბარბაქაძე.

ჰიპონიმია (< ბერძ. hypo – ქვეშ და ónyma – სახელი), სემანტიკური ველის ელემენტებს შორის გვარსახეობით მიმართებებზე დამყარებული იერარქიული დამოკიდებულება. ტერმ. „ჰ." შედარებით ახალია (შექმნილია *სინონიმიის* და *ანტონიმიის* ანალოგიით), მაგრამ ცნება ტრადიციულია. როგორც ლექსიკის ერთ-ერთი მაკლასიფიცირებელი პრინციპი, იგი ცნობილია ნართვის სახელწოდებით. იგულისხმება, რომ სემანტიკურად ერთგვაროვანი მნიშვნელობები, როგორც „სახეობები" ნართული არიან უფრო ზოგადი მნიშვნელობის კლასში, გვარში. მაგ., მნიშვნელობები სიტყვებისა ტიტა, ვარდი, ია და მისთ. ნართულია უფრო ზოგადი მნიშვნელობის კლასში „ყვავილი"; სიტყვები ძროხა, ცხვარი, ძაღლი, ვეფხვი, ვეშაპი.... ნაირთვებიან „ძუძუმწოვართა" კლასში და ა. შ.

ტერმ. „ჰ"-ის შემოტანა „ნართვის" ნაცვლად განპირობებული იყო ამ უკანასკნელის არაადეკვატურობით ენობრივი მოვლენების აღსაწერად. სახელდობრ, „ნართვა" რეფერენციის პრინციპს ემყარება (იხ. *ენობრივი ნიშანი*) და მისი ფორმალიზება შეიძლება მხოლოდ კლასთა ლოგიკის ჩარჩოებში. ამიტომ იგი ვერ გამოდგება არარეფერენციული სიტყვებისათვის. ამასთანავე, „ნართვაზე" უარის თქმა დაკავშირებულია თვით ამ ტერმინის ორაზროვნებასთან: ერთი მხრივ, გამოდის, რომ უფრო ზოგადი სიტყვა, სპეციფ. სიტყვასთან შედარებით, უფრო შემცველიცაა. მაგ., სიტყვა „ყვავილი" სემანტიკურად უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვა „ია", რადგან აერთიანებს მრავალი სპეციფ. მნიშვნელობის მქონე სიტყვას (ია, ვარდი, ტიტა...). მეორე მხრივ, სპეციფ. სიტყვა „ია" უფრო შემცველია, ვიდრე ზოგადი „ყვავილი", რადგან ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, იგი შეიცავს აგრეთვე სპეციფიკურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებსაც. ასეთი მიდგომა შეესაბამება ტრადიციულ ლოგიკაში მიღებულ განსხვავებას ექსტენსიონალსა და ინტენსიონალს შორის. ნეიტრალური ტერმ. „ჰ." ხსნის ამგვარი აღრევის საშიშროებას.

ამ მიდგომის საფუძველზე სიტყვას, რ-შიც ზოგადი მნიშვნელობაა მოცემული, უწოდებენ ჰიპერონიმს, ხოლო მასში შემავალ სპეციფ. მნიშვნელობის მქონე სიტყვებს – თანაჰიპონიმებს. მაგ., ია, ვარდი, ტიტა და მისთ. დახასიათდებიან როგორც თანაჰიპონიმები სიტყვისა „ყვავილი"; სიტყვები ალისფერი, ჟოლოსფერი, ბროწეულის ყვავილისფერი... თანაჰიპონიმებია, რ-თა ჰიპერონიმია სიტყვა „წითელი".

ჰ-ის ცნება იკვეთება სინონიმიის ცნებასთან. ეს ხდება იმ სიტუაციურ კონტექსტებში, როდესაც ჰიპერონიმი შეიძლება მოგვევლინოს მისი ერთ-ერთი ჰიპონიმის მნიშვნელობით. მაგ., ნაცვლად გამოთქმისა „ვარდს სჭირდება მოვლა" გარკვ. კონტექსტში შეიძლება ითქვას: „ყვავილებს სჭირდება მოვლა". ამ შემთხვევაში „ყვავილი" და „ვარდი" სინონიმებია. „ყვავილი" გამოდის „ვარდის" მნიშვნელობით, მაგრამ „ვარდის" გამოყენება „ყვავილის" მნიშვნელობით არ შეიძლება, ე. ი. სახეზეა ცალმხრივი იმპლიკაცია. სინონიმების შემთხვევაში კი იმპლიკაცია ორმხრივია, ამდენად სინონიმია შეიძლება განისაზღვროს როგორც სიმეტრიული ჰიპონიმია.

ჰ-ები, როგორც ერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების დადგენისა და დაჯგუფების პრინციპი, ფართოდ გამოიყენება ლექსიკოლოგიაში. იგი ასახვას პოულობს როგორც განმარტებითი, ისე იდეოგრაფიულ ლექსიკონებში (იხ.

განმარტებითი ლექსიკონი, იდეოგრაფიული ლექსიკონი).

ლიტ.: Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, пер. с англ., М., 1978. *ნ. ლოლაძე.*

ჰიპოტაქსი, ქვეწყობა, სინტაქსური კავშირი ერთმანეთის მიმართ არათანასწორ წინადადებათა (პრედიკატულ ერთეულთა), რომელთაგან ერთი მთავარია, დანარჩენი კი – დამოკიდებული. ქვეწყობით, ანუ პრედიკატულ ერთეულთა დაქვემდებარებით (იხ. *დაქვემდებარება*), შექმნილია *რთული ქვეწყობილი წინადადება.*

ლიტ. იხ. სტატიასთან *პარატაქსი.*

ლ. კვანტალიანი.

ჰიუიტი (Hewitt) ბრაიან ჯორჯ (დ. 1949), ინგლისელი ენათმეცნიერი. დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი (ინგლისი). ლონდონის უნ-ტის აღმოსაველეთმცოდნეობისა და აფრიკათმცოდნეობის სკოლის (SOAS) პროფესორი (1998-იდან). ჰ. ავტორია მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სტატიებისა. გამოქვეყნებულია ცალკე წიგნებად: „აფხაზური ენა", ს. ჰიბასთან ერთად – LDS (Lingua Descriptive Studies), vol. 2, 1979; „დაქვემდებარების ტიპოლოგია ქართულსა და აფხაზურში", Berlin, „ქართული ენა: სტრუქტურულ მიმართებათა გრამატიკა", Amsterdam/ Philadelphia/London; „ქართული ენა: გრამატიკა შემსწავლელისთვის", London and New York, 1996; „ქართული საკითხავი. ტექსტებით, თარგმანითა და ლექსიკონით", London, 1996. რეცენზიებიდან მნიშვნელოვანია რეცენზია ა. ჰარისის წიგნზე: Diachronic syntax: the Kartvelian case, 1987.

1980-იან წლებში აქვეყნებდა აგრეთვე ქართ. მხატვრული პროზის (ვაჟა-ფშაველას მოთხრობები) ინგლისურ თარგმანებს.

შ. აფრიდონიძე.

ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი 1697–99 ნიკოლაას ვიტსენისა და *ალექსანდრე ბატონიშვილის* (ბაგრატიონის) მიერ. „ქართულ ანუ იბერიულ სიტყვათა ნუსხა" – ამ სათაურით ლექსიკონი ნ. ვიტსენის ცნობილი ნაშრომის – „ჩრდილოეთ და აღმოსაველეთ თათრეთის" – მეორე გამოცემაში (1705) გამოქვეყნდა (გვ. 506–516). იმის მიუხედავად, რომ ლექსიკონში არაერთი ხარვეზია, იგი ღირსშესანიშნავია არა მხოლოდ ქრონოლ. თვალსაზრისით, არამედ თავისი შინაარსითა და მნიშვნელობითაც: პოლანდიური და ქართ. განმანათლებლობის ორი ბრწყინვალე წარმომადგენლის – ნ. ვიტსენისა და ალ. ბაგრატიონის ერთობლივმა ნაშრომმა, რ-იც ერთ-ერთი პირველი უცხოენოვან-ქართული ლექსიკონი იყო, ნიკიფორე ირბაქისა და სტეფანო პაოლინის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონთან" და ზოგიერთ სხვა, უფრო ადრეულ, გამოცემასთან ერთად, სათავეც დაუდო როგორც ქართ. ლექსიკოგრაფიასა და ლექსიკოლოგიას, ისე ევრ. მეცნ. ქართველოლოგიასაც.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰ.-ძ. ლ. შედგენილია ყოველგვარი მეთოდოლოგიური მიდგომის გარეშე (ი. დვალთაშვილი). ამ მოსაზრების გაბათილება ძნელია. ერთი შეხედვით ქაოსურ სიტყვანში მაინც შეინიშნება ერთგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სიტყვანში ჭარბობს ყოველდღიური, ყოფითი ლექსიკა, რაც მიანიშნებს მის შერჩევაში გარკვეულ სისტემურობასა და მიზანდასახულობაზე. ეს არის ცოცხალი სალაპარაკო და არა სალიტერატურო, არისტოკრატიული ენის ლექსიკონი. მეორე მხრივ, ნ. ვიტსენს აუცილებლად უნდა ესარგებლა რაიმე სიტყვანით (საფიქრებელია, რუსულით). ნ. ვიტსენის ლინგვისტურ მეთოდოლოგიაზე მსჯელობისას ინტერესს მოკლებული არ იქნება გერმანელი ისტორიკოსის კ. მიულერის ცდა, პარალელი გაევლო ჰოლანდიელი მეცნიერისა და გ. ვ. ლაიბნიცის ლინგვისტურ ძიებებს შორის: ვიტსენი უფრო პრაქტიკოსია, ხოლო ლაიბნიცი – თეორეტიკოსი.

ჰ.-ძ. ლ.-ში 904 სიტყვა და გამოთქმაა. მასალა დალაგებულია ორ სვეტად: მარცხნივ ჰოლანდიური სიტყვებია, მარჯვნივ – მათი ქართული შესატყვისები. სალექსიკონო მასალისათვის გამოყენებულია ლათინური ტრანსკრიფცია:

Een Mensch Katzi („კაცი")
Deliefde Sigvaruli („სიყვარული")
Heilige Tzminta („წმინდა")
და ა. შ.

ლექსიკონის ძირითად ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასალის მოწოდებისას არ არის დაცული ანბანური რიგი და ტრანსლიტერაციის ელემენტარული წესები. სწორედ ეს ქმნის ქაოსურობის შთაბეჭდილებას. ჩანს, რომ ავტორებს წინასწარ არ უზრუნიათ ტრანსლიტერაციის წესებზე. ამის გამო ხშირად ერთი და იგივე ლათ. ასო გამოყენებულია ქართულის რამდენიმე ასოს გადმოსაცემად და, პირიქით, ერთი და იმავე ქართ. ასოთი გადმოცემულია რამდენიმე ლათ. ასო თუმცა აღსანიშნავია, რომ სიტყვათა და გამოთქმათა თანმიმდევრობაში შეინიშნება გარკვეული სემანტიკური კავშირი. მაგ.:

Satzori	„სასწორი"	Antzon	„აწონე"
Tzchorepa	„ცხოვრება"	Tzoschali	„ცოცხალი"
Vertzchali	„ვერცხლი"	Tetri	„ვერცხლის ფული" და ა. შ.

შემდგენლები რომ ლექსიკონზე მუშაობას მეცნიერულად უდგებოდნენ (თუმცა არა ბოლომდე თანმიმდევრულად), მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასში წარმოდგენილია თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი:

არსებითი სახელი – Marili („მარილი"), Tzma („ძმა"), Ta („და"); ზედსართავი – Tzuti („ცუდი"), Ukmro („უქმრო"); ნაცვალსახელი – Me („მე"), Tzeme („ჩემი"), Isa („ისა"), Iseni („ისენი"); ზმნისზედა – Asre („ასრე"), Ica („იქა"), Casin („გუშინ"), Umetesa („უმეტესად"); ზმნა წარმოდგენილია საწყისითა და პირიანი ფორმებით – Tzema („ცემა"), Setzucheba („შეწუხება"), Minta („მინდა"), Movigale („დავიღალე"), Vigiti („ვიყიდი"), Mekekepi („მეგებები"), Setzote („შეცოდე"), Taivartchep („დაივარცხნი"), Unta („უნდა"), Kæspara („გაიპარა"), Tzamova („წამოვა"); ასევე ბრძანებითის ფორმებითაც – Acurtche („აკურთხე"), Tatzere („დაწერე"), Taasche („დაასხი").

ლექსიკონის ბოლოს ცალკეულ ჯგუფებად წარმოდგენილია რიცხვითი სახელები ერთიდან ათასამდე (1-იდან 20-მდე ყველა სახე-

ლი, შემდეგ კი მხოლოდ ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი სახელები. აკლია მხოლოდ 600-ის დასახელება). ლექსიკონი მთავრდება თვეების სახელწოდებათა სამოთველით.

ლიტ.: Müller K., Gottfried Wilhelm Leibniz und Nicolaas Witsen, Berlin, 1955. *ჯ. გათეიშვილი.*

ჰოლისკი (Holisky) დი ენ (დ. 12. XII. 1948), ამერიკელი ენათმეცნიერი. დაამთავრა ჩიკაგოს უნ-ტი (აშშ). იკვლევს ქართველურ (ქართულ, ჭანურ) ენებსა და მთის კავკ. (ბაცბურ) ენებს. ამჟამად მუშაობს ვაშინგტონის ჯორჯ მეისონის უნ-ტში.

ავტორია მონოგრაფიისა „Aspect and Georgian medial verbs", New York. (ქართული თარგმანი დაიბეჭდა 2000).

გამოკვლევებიდან, რ-ებიც ქართველურ-კავკ. ენებს ეხება, აღსანიშნავია: „სტატიკური ზმნები ქართულსა და სხვაგან", 1978; „ასპექტის თეორია და ქართული ასპექტი", 1981; „გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა წოვათუშურში (ბაცბურში)", 1987; „ლაზური" (სურია: კაეკასიის მკვიდრთა ენები), 1991 (ქველა ინგლისურად); გამოცემული აქვს (ე. ქადაგიძესთან ერთად) წოვათუშური ტექსტები.

რედაქტორია (კვეინ ტუიტთან ერთად) კრებულისა, რ-იც ეძღვნება პროფ. ჰოუარდ ი. არონსონს: Current Trends in Caucasian, East European and Inner Asian Linguistics. Papers in honor of Howard I. Aronson (Edited by Dee Ann Holisky. Kevin Tuite). Amsterdam – Philadelphia, 2003.

შ. აფრიდონიძე.

ჰომოგენურობა (ბერძნ. homogenēs – ეროგვაროვანი), ბგერათა მსგავსება რაგვარობის მიხედვით. ჰომოგენური ბგერებია, მაგ., ბ ფ პ; დ თ ტ, რადგან ყველა მათგანი ხშულია; აგრეთვე – ზ ს; ჟ შ; ღ ხ ჰ, რადგან ყველა ნაპრალოვანია. *ნ. კიზირია.*

ჰომორგანულობა (< ბერძნ. homos – ერთნაირი, საერთო + ორგანო), ბგერათა მსგავსება საწარმოთქმო ადგილისა და ბგერის წარმოქმნაში მონაწილე ორგანოების მიხედვით. ჰომორგანულია, მაგ., ბ ფ პ, რ-ებიც იწარმოებიან ერთსა და იმავე საარტიკულაციო ადგილას და ერთი და იმავე ორგანოს მონაწილეობით – ბაგეების ხშვით; ჰომორგანულია აგრეთვე დ თ ტ, რ-თა წარმოებისათვის დამახასიათებელია ხშვა წინა სუდა საჭრელ კბილებსა და წინა ენას შორის. *ნ. კიზირია.*



ლ. ე. ჰოლისკი.

აბსტრ.	–	აბსტრაქტული
აგვ.	–	აგვისტო
ადგილ.	–	ადგილობრივი
ადიღ.	–	ადიღური
ადმ.	–	ადმინისტრაციული, ადმინისტრაცია
ავტომ.	–	ავტომატური
ავტ.	–	ავტონომია
აზერბ.	–	აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანისა აზერბაიჯანული
ათასწლ.	–	ათასწლეული
აკად.	–	აკადემია
აკად.	–	აკადემიკოსი (მხოლოდ გვართან)
ამერ.	–	ამერიკელი, ამერიკული
ამიერკავკ.	–	ამიერკავკასია, ამიერკავკასიისა
ანდ.	–	ანდიზა
ანტ.	–	ანტიკური
აპრ.	–	აპრილი
არაბ.	–	არაბული
არამ.	–	არამეული
არაორგ.	–	არაორგანული
არქეოლ.	–	არქეოლოგიური
არქიტ.	–	არქიტექტურული
აფრ.	–	აფრიკული
აფხ.	–	აფხაზი, აფხაზეთისა,აფხაზური
აქტ.	–	აქტიური
აღმ.	–	აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
აღმ-ით	–	აღმოსავლეთით
ა. შ.	–	ასე შემდეგ
ა. წ.	–	ახალი წელთაღრიცხვით
ახ.	–	ახალი
ახლნად.	–	ახლანდელი
ბალკ.	–	ბალკარეთი
ბერძნ.	–	ბერძნული
ბ'ს	–	ბალს'ზემოური
ბიზანტ.	–	ბიზანტიური
ბიოგრ.	–	ბიოგრაფიული
ბიბლ.	–	ბიბლიური
ბრ.	–	ბრუნვა (დასახელებასთან)
ბქ	–	ბალსქემოური
გა'ს.	–	გა'სეთი
გამომც.	–	გამომცემლობა
გამოც.	–	გამოცემა
გამოცხ.	–	გამოცხადება
განყ-ბა	–	განყოფილება
განმან.	–	განმანათლებელი, განმანათლებლური
გეოგრ.	–	გეოგრაფიული
გეომ.	–	გეომეტრიული
გენ.-ლეიტენანტი	–	გენერალ-ლეიტენანტი
გენეტ.	–	გენეტიკური
გერმ.	–	გერმანელი, გერმანული
გვ.	–	გვარი
გვიანდ.	–	გვიანდელი
გრამატ.	–	გრამატიკული
გრაფ.	–	გრაფიკული
დ.	–	დაიბადა (თარიღთან)
დაახლ.	–	დაახლოებით
დაბ.	–	დაბადება
დამსახურებული	–	დამსახურებული
დას.	–	დასავლეთი (მსაზღვრელად)
დას-ით.	–	დასავლეთით
დასასრ.	–	დასასრული
დასაწყ.	–	დასაწყისი
დაწყებითი	–	დაწყებითი
დეკ.	–	დეკემბერი
დემოკრ.	–	დემოკრატიული
დიდაქტ.	–	დიდაქტიკური
დიპლ.	–	დიპლომატიური
ებრ.	–	ებრაული
ეგზ.	–	ეგზემპლარი
ევრ.	–	ევროპა, ევროპული
ეთნოგრ.	–	ეთნოგრაფია, ეთნოგრაფიული
ე. ი.	–	ესე იგი
ეკონ.	–	ეკონომიკური
ენათმეცნ.	–	ენათმეცნიერება, ენათმეცნიერებისა, ენათმეცნიერული
ეროვნ.	–	ეროვნული
ესპ.	–	ესპანური
ექსპერ.	–	ექსპერიმენტული
ე. წ.	–	ეგრეთ წოდებული
ვით.	–	ვითრებითი (ბრუნვა)
ზოოლ.	–	ზოოლოგია, ზოოლოგიური
თავ-რე	–	თავმჯდომარე
თბილ.	–	თბილისისა
თეატრ.	–	თეატრალური
თებ.	–	თებერვალი
თემატ.	–	თემატური
თეოლ.	–	თეოლოგიური
თეორ.	–	თეორიული
თურქ.	–	თურქული
იბერ.	–	იბერიული
იერ.	–	იერემია
ივნ.	–	ივნისი
ივლ.	–	ივლისი
ინგლ.	–	ინგლისური
ინდ.	–	ინდური
ინდოევრ.	–	ინდოევროპული
ინტენს.	–	ინტენსიური
ინ-ტი	–	ინსტიტუტი
ირ.	–	ირიბი (ობიექტთან)
ირან.	–	ირანული
ისტ.	–	ისტორიისა, ისტორიული
ისტ. მუზეუმი	–	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმი
იტალ.	–	იტალიური

იურიდ. – იურიდიული
იხ. – იხილე
კ – კუნძული (სახელწოდებასთან)
კაეკ. – კაეკასიელი, კაეკასიისა, კაეკასიური
კაპიტ. – კაპიტალური
კერამ. – კერამიკული
კელ. – კელტური
კომპოზ. – კომპოზიციური
კონკრ. – კონკრეტული
კრ. – კრებული (სახელწოდებასთან)
კრიტ. – კრიტიკული
კულტ. – კულტურისა, კულტურული
ლაზ. – ლაზური
ლათ. – ლათინური
ლენინგრ. – ლენინგრადისა
ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური
ლიტ-რა – ლიტერატურა
ლიტ. – ლიტერატურული (ტექსტში)
ლინტ. – ლინტეხური
ლოგ. – ლოგიკური
მაგ. – მაგალითად
მარჯ. – მარჯვენა
მატერ. – მატერიალური
მაქს. – მაქსიმალური
მდ. – მდინარე (სახელწოდებასთან)
მეგრ. – მეგრული
მეცნ. – მეცნიერებისა, მეცნიერული, მეცნიერებათა
მთ. – მთავარი (თანამდებობასთან)
მისთ. – მისთანანი
მიც. – მიცემითი (ბრუნვა)
მლნ. – მილიონი
მოთხრ. – მოთხრობითი (ბრუნვა)
მონღ. – მონღოლური
მორფოლ. – მორფოლოგიური
მოქმ. – მოქმედებითი (ბრუნვა)
მოსკ. – მოსკოვი, მოსკოვისა
მრ. – მრავლობითი (გრამატ. რიცხვი)
მუს. – მუსიკალური
ნახ. – ნახევარი (I ნახ., II ნახ.)
ნ-კ. – ნახევარკუნძული
ნოემბრ. – ნოემბერი
ობიექტ. – ობიექტური (გრამატ. პირი)
ორიგინ. – ორიგინალური
ოსმ. – ოსმალეთი, ოსმალური
ოფიც. – ოფიციალური
ოქტ. – ოქტომბერი
პატრ. – პატრიოტული
პედ. – პედაგოგიური
პეტროგრ. – პეტროგრადი
პირდ. – პირდაპირი (ობიექტთან)
პოლიტ. – პოლიტიკური
პრაქტ. – პრაქტიკული
პროგრ. – პროგრესული
პროფ. – პროფესიული
პროფ. – პროფესორი (გვართან)
პუბლიც. – პუბლიცისტური
ჟურნ. – ჟურნალი (დასახელებასთან)
რ-ნი – რაიონი
რედ. – რედაქტორი (გვართან)
რელიგ. – რელიგიური
რესპ. – რესპუბლიკა, რესპუბლიკისა, რესპუბლიკური
რ-იც – რომელიც (იხილე ბრუნვაში) ირთავს თანდებულებს
რ-ებიც – რომლებიც (იხილე ბრუნვაში) ირთავს თანდებულებს
რუმინ. – რუმინული
რუს. – რუსული
საარტ. – საარტილერიო
საბერძნ. – საბერძნეთისა
საგანმან. – საგანმანათლებლო
საეკლ. – საეკლესიო
საენათმეცნ. – საენათმეცნიერო
საერთაშ. – საერთაშორისო
საზ. – საზოგადო, საზოგადოებრივი
საზ-ბა – საზოგადოება
სალიტ. – სალიტერატურო
სამედ. – სამედიცინო
სამ. – სამეურნეო
სამეცნ. – სამეცნიერო
სამხრ. – სამხრეთი
სამხრ-ით – სამხრეთით
სას. – სასულიერო
სასწ. – სასწაელო
საუბრ. – საუბრული
საქართვ. – საქართველოსი
საშ. – საშუალო
საცხოვრ. – საცხოვრებელი
სახ. – სახელობითი (ბრუნვა)
სახ. – სახელობისა
სახელმწ. – სახელმწიფო (საზღვრულთან)
სემანტ. – სემანტიკური
სექტ. – სექტემბერი
სვან. – სვანური
სირ. – სირიული
სლავ. – სლაეური
სომხ. – სომხური
სოფ. – სოფელი (სახელწოდებასთან)
სოც. – სოციალური
სპარს. – სპარსული
სპეც. – სპეციალური
სპეციფ. – სპეციფიკური
სტატ. – სტატიკური
სტატისტ. – სტატისტიკური
სუბიექტ. – სუბიექტური (გრამატ. პირი)
ტერიტ. – ტერიტორია
ტერმ. – ტერმინი
ტექნ. – ტექნიკური
ტრადიც. – ტრადიციული
უმცრ. – უმცროსი
უნ-ტი – უნივერსიტეტი
უფრ. – უფროსი
უშგულ. – უშგულური
უცხ. – უცხოური
ფაკულტეტი – ფაკულტეტი

ფეოდ. – ფეოდალური
ფიზ. – ფიზიკური
ფილოლ. – ფილოლოგიისა, ფილოლოგიური
ფილოს. – ფილოსოფიისა, ფილოსოფიური
ფონეტ. – ფონეტიკური
ფონოლ. – ფონოლოგიისა, ფონოლოგიური
ფრანგ. – ფრანგული
ქ. – ქალაქი (სახელწოდებასთან)
ქართ. – ქართული
ქართვ. – ქართველი
ქირურგ. – ქირურგიული
ქრისტ. – ქრისტიანული
ქუთ. – ქუთაისი
ყაბ. – ყაბარდოული
ყოფ. – ყოფილი
შდრ. – შეადარე
შუა საუკ. – შუა საუკუნეები
შოტ. – შოტლანდიური
ჩანნ.-ინგ. – ჩანნეთ-ინგუშეთისა
ჩინ. – ჩინური
ჩრდ. – ჩრდილოეთი, ჩრდილო
ჩრდ.-ით – ჩრდილოეთით
ცენტრ. – ცენტრალური
ძვ. – ძველი
ძვ. წ. – ძველი წელთაღრიცხვა
წ.-კორ. – წევრ-კორესპონდენტი
წოდ. – წოდებითი (ბრუნვა)
ხალხ. – ხალხური
ხელმძღვ. – ხელმძღვანელი
ხელნაწ. – ხელნაწერთა (ინსტიტუტი)
ხელოვნ. – ხელოვნებისა
ხელოვნ. მუზეუმი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი
ხვ. წ. – ხვედრითი წილი
ხუნძ. – ხუნძური
ჰორიზ. – ჰორიზონტალური

ავტორეფ.	–	ავტორეფერატი
ბათ.	–	ბათუმი, ბათუმის
ბიბლიოგრ.	–	ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფიული
გეორგიკა...	–	გეორგიკა. ბიბლიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ
დასახ.	–	დასახელებული
დის.	–	დისერტაცია
ელხი	–	ენის ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი ნიკო მარის სახელობისა
ენიმკი	–	ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
ენციკლ.	–	ენციკლოპედია, ენციკლოპედიური
თანაავტ.	–	თანაავტორი
თარგმ.	–	თარგმანი
თბ.	–	თბილისი (ბიბლიოგრაფიაში)
თბილ.	–	თბილისის
თსუ	–	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თხზ.	–	თხზულება, თხზულებათა
«იკე»	–	«იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება»
«იკეწ»	–	«იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული»
კრებ.	–	კრებული
ლიტ.	–	ლიტერატურა, ლიტერატურისა
მ.	–	მოსკოვი
«მსკი»	–	«მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის»
ნაკვ.	–	ნაკვეთი
ნაწ.	–	ნაწილი
ჟორდანია თ., ქრონიკები...	–	ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც.
რჩ.	–	რჩეული
ს. – საუკუნე, სს. – საუკუნეები		
საბ.	–	საბუთი
საღოქტ.	–	საღოქტორო
საკანდ.	–	საკანდიდატო
სამხ.	–	სამხედრო
სახ.	–	სახალხო, სახელობის
სახელწ.	–	სახელწოდება
«სმამ»	–	«საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე»
სოხ.	–	სოხუმი, სოხუმის
სპბ., ს-პბ.	–	სანქტ-პეტერბურგი
სტ.	–	სტატია
ტ.	–	ტომი
ტაბ.	–	ტაბულა
ტფ.	–	ტფილისი
ქე	–	ქართული ენციკლოპედია
ქეგლ	–	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქეი	–	ქართველი ერის ისტორია
ქრონიკები...	–	იხ. ჟორდანია თ.
«ქსკს»	–	«ქართული სიტყვის კულტურის საკითხები»
შეეს.	–	შეესებული
შემდგ.	–	შემდგენელი
შემოკლ.	–	შემოკლებული
ძვ.	–	ძველი
წ. – წელი, წწ. – წლები		
წგ.	–	წიგნი, წიგნში
წ.-კორ.	–	წევრ-კორესპონდენტი
ხელნაწ.	–	ხელნაწერი, ხელნაწერთა
автореф.	–	автореферат
АН	–	Академия наук
англ.	–	английский
археол.	–	археология, археологический
библ.	–	библиография, библиографический
БСЭ	–	Большая Советская Энциклопедия
в. – век;	вв.– века	
«ВДИ»	–	«Вестник древней истории»
вост.	–	восточный
вступ. ст.	–	вступительная статья
вып.	–	выпуск
г. – год;	гг.– года	
гл.	–	глава
дисс.	–	диссертация
докум.	–	документы
доп.	–	дополнение, дополнительный
Ер.	–	Ереван
«ИАН»	–	«Известия Академии Наук»
избр.	–	избранный
изд.	–	издание, издатель
имп.	–	императорский
ин-т	–	институт
исп.	–	испанский
кавк.	–	кавказский
канд.	–	кандидат, кандидатский
кн.	–	книга
коммент.	–	комментарии
корр.	–	корреспондент
Л.	–	Ленинград
лат.	–	латинский
ЛиЯ	–	Литература и Языкознание
М.	–	Москва
«МАК»	–	«Материалы по археологии Кавказа»
МГУ	–	Московский государственный университет
М.–Л.	–	Москва–Ленинград
моск.	–	московский
нем.	–	немецкий
об-во	–	общество
Од.	–	Одесса
ОЛЯ	–	Отдел Литературы и Языкознания
отв.	–	ответственный
П.	–	Петроград (Петербург)
Пг.	–	Петроград
пер.	–	перевод
полн. собр.	–	полное собрание
произв.	–	произведение
ред.	–	редактор, редакция
рус., русск.	–	русский
с., стр.	–	страница
сб.	–	сборник
«СВ»	–	«Советское Востоковедение»
сер.	–	серия
«СМОМПК»	–	«Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа»
собр. соч.	–	собрание сочинений
сокр.	–	сокращенный
сост.	–	составитель, составленный
соч.	–	сочинение
СПб.	–	Санкт-Петербург
ст.	–	статья
степ.	–	степень
т. – том;	тт.– тома	
Тб.	–	Тбилиси
тетр.	–	тетрадь

тр.	–	труды
Тфл.	–	Тифлис
ун-т	–	университет
уч.	–	ученый, ученые
филол.	–	филологический
фр., франц.	–	французский
ч.	–	часть
чеш.	–	чешский
чл.	–	член
яз.	–	язык
Abt.	–	Abteilung
«AL»	–	«Acta Linguistica»
Amst.	–	Amsterdam
Aufl.	–	Auflage
B.	–	Berlin
B. Aires	–	Buenos Aires
Balt.	–	Baltimore
Bd.	–	Band
Bdpst.	–	Budapest
Berk.	–	Berkeley
Brux.	–	Bruxelles
Calif.	–	California
Cambr.	–	Cambridge
ch.	–	chapter, chapitre
col.	–	colonne
«CSCO»	–	«Corpus Scriptorum Christianorum Orientalium»
dir.	–	direction
ed.	–	editio, edition, edizione; editor
éd	–	édition, éditeur
f.	–	folium
fasc., Fasz.	–	fasciculus, Faszikel
H.	–	Heft
Hdlb.	–	Heidelberg
hrsg.	–	herausgegeben
ibid.	–	ibidem
Jh., Jahr.	–	Jahrhundert
«IJAL»	–	«International Journal of American linguistics»
Kais.	–	Kaiserliche
Kap.	–	Kapitel
Kl.	–	Klasse
L.	–	London
Lfg.	–	Lieferung
livr.	–	livraison
Lpz.	–	Leipzig
Mass.	–	Massachusetts
n., no.	–	number
N. Y.	–	New York
Oxf.	–	Oxford
P.	–	Paris
p.	–	page, pagina
Phil.	–	Philadelphia
pt.	–	part, parte
rev.	–	revised
S.– Seite;	SS. –	Seiten
St.-Pb.	–	Sankt-Petersburg
Stuttg.	–	Stuttgart
subs.	–	subsidia
supl.	–	supplement
t.	–	tomus, tome
Tb.	–	Tbilisi
«TCLC»	–	«Travaux du Cercle linguistique de Copenhague»
«TCLP»	–	«Travaux du Cercle linguistique de Prague»
Tl.	–	Teil
univ.	–	universal
v., vol.	–	volume
W.	–	Wien
Wash.	–	Washington
Z.	–	Zürich
«ZDMG»	–	«Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft»

გამომცემლობის რედაქტორი — ვაჟა ოთარაშვილი
სპეც. რედაქტორი — ზურაბ თორია
კომპიუტერული უზრუნველყოფა — თამარ ქიტუაშვილი
მონტაჟი — ოლიკო კაპანაძე
საამკინძაო სამსახური — მამუკა მეგრელიშვილი,
ლაშა მეგრელიშვილი,
ლია მამუკაშვილი,
ნელი ხავთასი, ნათელა გვილავა
მბეჭდავი — ანატოლი როდნოვი

მის: მხატვრის ქ№4
ტელ: 32-73-62; 31-70-47